

ქართლის ცხოვრების
გოპოარქეოლოგიური
ლექსიკონი



ქართლის ცხოვრების
ცოხთაჩქელოთფიური ლექსიკონი



საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიის ცენტრი



ქართლის ცხოვრების
ცოხთაჩქეოლოგიური ლექსიკონი



გელა გამყრელიძე • დავით მინდორაშვილი
ზურაბ ბრაგვაძე • მარინე კვაჭაძე



გელა გამყრელიძე • დავით მინდორაშვილი
ზურაბ ბრაგვაძე • მარინე კვაჭაძე

თანაავტორები:

თემურ თოდუა • მაყვალა მარგველაშვილი
ვახტანგ შატბერაშვილი • თინათინ ჭანიშვილი
მანანა გაჩეჩილაძე • მანანა ოდიშელი

ბ. ჯორბენაძე † • ოთ. ტყეშელაშვილი † • თ. ჩიქოვანი †
რ. რამიშვილი † • ნ. მამიაშვილი • ნ. პაჭიკაშვილი
დ. კაჭარავა • ჯ. ამირანაშვილი • ვ. სადრაძე • კ. კახიანი
ეკ. ჯანდიერი • ვ. ნიკოლაიშვილი • მ. ხუციშვილი
მ. ჩხატარაშვილი • მ. ძნელაძე • ირ. სოზიაშვილი

რედაქტორი და პროექტის ხელმძღვანელი — გ. გამყრელიძე



**A TOPOARCHAEOLOGICAL
DICTIONARY OF**

***Kartlis Tskhovreba* (The History of Georgia)**

by

Gela Gamkrelidze • Devid Mindorashvili • Zurab Bragvadze • Marine Kvachadze

Published by Georgian National Museum, 2013, Tbilisi, Georgia

http://museum.ge/?lang_id=ENGGEO&sec_id=1

<http://dspace.nplg.gov.ge/?locale=en>

<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11759/1/Iberia.pdf>

About this book in English see p. 9.

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, გ. გამყრელიძე, 2013
პირველი გამოცემა, თბილისი, 2013

მომზადდა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში“

ISBN 978-9941-15-896-4



საქართველოს ეროვნული მუზეუმი მოხარულია წარმოგიდგინოთ „ქართლის ცხოვრების“ ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, რომლის შექმნაზე ქართველი მეცნიერები მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში მუშაობდნენ და 1999 წელს უკვე მოამზადეს გამოსაცემად. სხვადასხვა მიზეზის გამო ნაშრომის ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა დღემდე ვერ მოხერხდა, რაც, ერთი მხრივ, დასაანანია. თუმცა, მეორე მხრივ, მეცნიერებს საშუალება მიეცათ, ბოლო ხანებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი, მთელი რიგი ახალი მონაცემებისა შეემატებინათ ლექსიკონისთვის.

ქართლის ცხოვრებაში ნახსენებია 650-მდე ადგილი და პუნქტი, რომელთა ნაწილი დღესაც არსებობს — მცხეთა, ქუთაისი, უფლისციხე, გრემი, ბიჭვინთა და სხვა. ნაწილი კი, სამწუხაროდ, საუკუნეთა განმავლობაში განადგურდა. დღეს უკვე საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემაგალი ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა მიზანი იყო, შეექმნათ თანამედროვეობის შესაბამისი არქეოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ინფორმაციის ცნობარი, რაც, ვგონებ, წარმატებით შეძლეს. მეცნიერები არ წყვეტენ აღნიშნულ ლექსიკონზე მუშაობას და, ვიმედოვნებთ, მომდევნო გამოცემა კიდევ უფრო სრული იქნება.

მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა თანამშრომელს, რომელმაც აღნიშნული გამოცემის შექმნაში მიიღო მონაწილეობა და ამასთანავე მივულოცო მათ ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონის პირველი გამოცემა. ვფიქრობთ, ეს ნაშრომი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქართველი მეცნიერების ახალი თაობის აღზრდაში და სამაგიდო წიგნად იქცევა ძველი საქართველოს ისტორიითა და არქეოლოგიით დაინტერესებული მკითხველისთვის.

პატივისცემით,
აკად. წევრ-კორ. დავით ლორთქიფანიძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
გენერალური დირექტორი

წინასიტყვაობა



საქართველოს მიწა-წყალზე ქართველების ისტორიულ-კულტურული განვითარების, სხვადასხვა ხალხთან ურთიერთობის ხანგრძლივი და თავისებური პროცესი ათასწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა. თანამედროვე საქართველომ გეზი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და ევროატლანტიკური ერთობისაკენ აიღო. ქვეყნის მყარი სახელმწიფოებრიობის, სტაბილურობის და წინსვლის ერთ-ერთ გაზრანტს წარმოადგენს ცოდნა-გამოცდილება. ამიტომ ისტორიული გამოცდილების შესწავლა-გააზრება პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს. საქართველოს ისტორიის მეცნიერული გააზრების გარეშე წარმოუდგენელია აწმყოს შეცნობა და მომავლის უკეთესად განჭვრეტა. ჩვენმა წინაპრებმა ეს კარგად იცოდნენ და ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში შექმნეს „ქართლის ცხოვრება“, ანუ საქართველოს ისტორია, რომელიც „ბიბლიასა“ და „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ქართული კულტურა-იდეოლოგიის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლის უმნიშვნელოვანესი წერილობითი წყაროა.

„ქართლის ცხოვრების“ უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით დაიბადა „ქართლის ცხოვრების“ ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონის, ენციკლოპედიური ხასიათის ცნობარის შექმნის იდეა. ეს ლექსიკონი უფრო თვალნათელს გახდის „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული გეოგრაფიული პუნქტების რეალურ-ხელშესახებ სახეს, განსაზღვრავს მათ მნიშვნელობასა და ადგილს საქართველოს ისტორიასა და მატერიალურ კულტურაში.

ტოპოარქეოლოგია საისტორიო მეცნიერების სხვადასხვა დარგების გადაკვეთაზე არსებული სამეცნიერო კვლევის მიმართულებაა, რომელიც მოიცავს არქეოლოგიის, ისტორიული გეოგრაფიის, ტოპონიმიკისა და წერილობითი წყაროების სინთეზურ-სისტემურ შესწავლას. ლექსიკონი სწორედ ამ კუთხითაა შედგენილი. საფუძვლად აღებულია „ქართლის ცხოვრების“ სიმონ ყაუხჩიშვილისეული აკადემიური გამოცემა, რომელშიც ყველა ძველი ნუსხის მონაცემია გათვალისწინებული და აგრეთვე შეტანილია ვახუშტი ბაგრატიონის – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ამ მონუმენტურ გამოცემაში ნახსენებია 650-მდე ადგილ-პუნქტი – ქალაქი, სოფელი, დაბა, მონასტერი, ციხესიმაგრე და სხვა (მაგ.: მცხეთა, ქუთაისი, უფლისციხე, გრემი, ბიჭვინთა, ახალციხე, რუსთავი, ძალისა და ა. შ.). მათი ნაწილი დღესაც არსებობს, ხოლო ნაწილი ჟამთა სიავისაგან განადგურდა. ჩვენი მიზანი იყო „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული პუნქტების შესახებ თანამედროვე დონის შესაბამისი, არქეოლოგიური და ისტორიულ-წაროთმცოდნეობითი ინფორმაციის მომცველი ცნობარის შექმნა. ამ პუნქტების ნაწილი არქეოლოგიურად შესწავლილია. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ეს ინფორმაცია ნაკლებად ხელმისაწვდომია საისტორიო მეცნიერების სხვადასხვა დარგის მკვლევართათვის და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებული მკითხველისათვის. ათწლეულების მანძილზე „ქართლის ცხოვრების“, როგორც წერილობითი წყაროს, შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ახლად გამოცემული „ქართლის ცხოვრება“ აკადემიკოს როინ მეტრეველის რედაქტორობით.

წარმოდგენილი ლექსიკონი უაღრესად მნიშვნელოვანი უნდა იყოს საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი, ბურუსით მოცული მონაკვეთის გარკვევისათვის, რადგან ტოპონიმების ნაწილი ლოკალიზებული არ არის ან დღეს სხვა სახელს ატარებს; წყაროთა ცნობები ზოგიერთი ადგილ-პუნქტის შესახებ ლეგენდის ხასიათისაა. ამგვარ პუნქტებთან დაკავშირებული არტიფაქტების კვლევა კი უფრო ნათელს გახდის მათ რეალურ-მატიერიალურ სახეს.

შემოთავაზებული ლექსიკონი ქართველოლოგიის ერთ-ერთი მიმართულების – საქართველოს არქეოლოგიისა და, კერძოდ, ტოპოარქეოლოგიის მიმართულებაში იძლევა თითოეული ტოპონიმ-ძეგლის შესახებ არსებულ ინფორმაციას, „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული არქეოლოგიურ-ისტორიული ძეგლის შესახებ. ლექსიკონში მოძიებულია „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული თითოეული ადგილ-პუნქტის შესახებ უკვე ცნობილი და ახალი არქეოლოგიური, ისტორიული, ისტორიულ-გეოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი და სხვა ხასიათის მასალები, რომელთა კომპლექსური კვლევა-ძიების შედეგად თითოეულ ქალაქზე, სოფელზე, დაბასა თუ ციხესიმაგრეზე უნიფიცირებული ნიმუშის მიხედვით შეიქმნა სამეცნიერო საცნობარო სტატია.

ლექსიკონის პროექტზე მუშაობისას გამოყენებული იქნა თანამედროვე მეთოდოლოგია: ისტორიულ-შედარებითი და არქეოლოგიური არტიფაქტების სტატისტიკურ-ტიპოლოგიური კვლევა. თითოეული ძეგლის კვლევისას (ქალაქი, სოფელი, ციხესიმაგრე და სხვ.) მოცემული იქნა: 1. როგორც ძველი, ისე ახალი სახელწოდება; 2. ჩამონათვალი წერილობითი წყაროებისა, რომლებშიც ეს პუნქტებია მოხსენიებული; 3. ძეგლების ადგილმდებარეობა-ლოკალიზაცია; 4. მათი აღწერა და არქეოლოგიური არტიფაქტების შესახებ კომენტარი; 5. შესწავლის მოკლე ისტორია და კვლევის მონაცემები, ძეგლის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა; 6. სრული ბიბლიოგრაფია. ლექსიკონის არქეოლოგიური სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ძირითადი აქცენტი გადატანილია ძეგლების შესწავლის არქეოლოგიურ ნაწილზე. ტოპონიმები დალაგებულია ანბანის მიხედვით. „ქართლის ცხოვრების“ ყოველი ახალი ტოპონიმის იდენტიფიკაციის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება შემდგომში მისი ლექსიკონში ჩამატება.

„ქართლის ცხოვრების“ ტოპოარქეოლოგიური კვლევის შედეგად შეიქმნა ენციკლოპედიური ხასიათის, ანბანურად დალაგებული, საცნობარო ტიპის უნიკალური ნაშრომი, რომელიც დახმარებას გაუწევს არქეოლოგებს, ისტორიკოსებსა და ყველა დანტიერესებულ მკითხველს. საზოგადოებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული თითოეული ტოპონიმის შესახებ არსებული, ერთად თავმოყრილი არქეოლოგიური და აგრეთვე სხვა სახის ინფორმაცია.

გარდა წმინდა მეცნიერული მნიშვნელობისა, ლექსიკონს შეუძლია დიდად შეუწყოს ხელი საქართველოში ტურიზმის განვითარებას. ლექსიკონისთვის განხორციელებული კვლევების საფუძველზე თითოეული ტოპონიმ-ძეგლის (განსაკუთრებით მათი, რაც ტურისტულ მარშრუტებშია მოქცეული) შესახებ შეიძლება შეიქმნას ტურისტებისათვის ძალზე საჭირო შემცენებითი და პრაქტიკული ხასიათის ბროშურა, ბუკლეტი, ცნობარი, გზამკვლევი, რუკა. გარდა ამისა, შესაძლოა დაიგეგმოს სრულიად ახალი ტურისტული მარშრუტები.

ანტიკურ ეპოქაში ძველი საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური ჰეგემონობა მოიპოვეს კოლხეთისა და იბერიის სამეფოებმა, რომელთა ადგილსა და საფუძველზეც მომავალში წარმოიქმნა ერთიანი სახელმწიფო – საქართველო. წინამდებარე ლექსიკონში არსებული წერილობითი წყაროების საფუძველზე და ახალ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით ძველი საქართველოს კულტურულ-ისტორიული გან-

ვითარების ძირითადი კონტექსტია მოცემული. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ, სამ-
წუხაროდ, საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციისათვის ფაქტების მონაცემები
მცირეა. მიუხედავად ამისა, წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური და ეპიგრაფი-
კული ძეგლების მონაცემების ურთიერთშედარებისა და კრიტიკულად განხილვის
საფუძველზე გარკვეულწილად ხერხდება საქართველოს ცალკეული პუნქტების –
ქალაქების, სოფლებისა და ციხესიმაგრეების ისტორიის მეტ-ნაკლებად აღდგენა-წარ-
მოდგენა.

ლექსიკონში საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე მასალა შე-
ჯერებულია წერილობით წყაროებთან. ასეთი მეთოდიკის გამოყენების შედეგად მი-
ვიღეთ საცნობარო-მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი საქართველოს ისტორიის
შესახებ. ლექსიკონზე მუშაობა დიდი ძალისხმევით, ძირითადად 1999 წელს დასრულ-
და, რის შემდეგაც გარკვეული შესწორებები სულ მიმდინარეობდა, რადგან არქეოლო-
გიური გათხრების შედეგად ახალ-ახალი მონაცემები ჩნდებოდა. სამწუხაროდ, იმის
გამო, რომ ლექსიკონის დროული გამოცემა ვერ მოხერხდა, ახალ მონაცემთა ნაწილი
ვერ აისახა მასში. კერძოდ, 2000 წლის შემდეგ ჩატარებული მნიშვნელოვანი არქეო-
ლოგიური სამუშაოები, ესენია – ალავერდი, არწივანი (ჯინისი), იყალთო, ნეკრესი,
სამთავისი, ბაგრატიის ტაძარი, გელათი, თბილისი, ზედაზენი, თეზი(თრიალეთის),
კაცხი და სხვ. დასანანი აგრეთვე ის, რომ 2010 წელს შოთა რუსთაველის სახელობის
ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილ ამ ნაშრომს სულ ორი ქულა დააკლდა,
რომ დაფინანსებულიყო. დაფინანსების შემთხვევაში კი ლექსიკონში ყველა ისტო-
რიული პუნქტის GPS კოორდინატების, ტოპორუკების, გეგმებისა და არქეოლოგიური
მასალის სურათების შეტანა მოხერხდებოდა. ჩაფიქრებული იყო აგრეთვე მომავალში
ამ ლექსიკონის თარგმნა (ინგლისურად, რუსულად) და პუბლიკაცია, რაც თავისთა-
ვად ხელს შეუწყობდა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების პოპულარიზაციასა და
მისი ავტორიტეტის ამაღლებას საერთაშორისო არენაზე. სამომავლოდ შესაძლებე-
ლია მოცემული ლექსიკონის ელექტრონული ვერსიაც შეიქმნას, რომელშიც ყოველი
ახალი ტოპონიმის იდენტიფიკაციის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მისი ჩამატება
ლექსიკონში. ის აღჭურვილი იქნება ელექტრონული საძიებო სისტემით, ცალკეული
ტოპონიმის მოძებნა შესაძლებელი იქნება საკვანძო სიტყვებით.

ძველი საქართველოს ტოპოარქეოლოგიის საკითხები განიხილა არაერთმა მეცნი-
ერმა. მათმა ნაშრომებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მოცემული ლექსიკონის
შედგენის საქმეში. ლექსიკონში ხსენებული ნაშრომები დამოწმებულია და ბოლოში
მოცემულია მათი სრული ბიბლიოგრაფია.

ბუნებრივია, რომ ამ ვრცელი ნაშრომ-ლექსიკონის, უფრო ზუსტად მისი ამჟამად
წარმოდგენილი მასალების ავტორები, აღბათ ვერ ავცდით გარკვეულ სუბიექტურ თუ
ობიექტურ ხარვეზებს. სამწუხაროდ, ლექსიკონში მოცემულ ყველა სტატიაში, მონაცე-
მების ნაკლებობის გამო, ინფორმაცია თანაბრად არ არის წარმოდგენილი. იმედია,
კეთილგანწყობილი მკითხველი ამას დიდსულოვნად მოგვიტევეს და, სამაგიეროდ,
მოგვაწოდის საქმიან შენიშვნებს, რომლებსაც მომავალ განახლებულ გამოცემებში
გავითვალისწინებთ.

გელა გამყრელიძე

About this book
A TOPOARCHAEOLOGICAL DICTIONARY OF
***Kartlis Tskhovreba* (The History of Georgia)**



Over the millennia, Georgians in the land of Georgia have experienced a long and distinctive cultural development, and their history has been shared with other peoples. Independent modern Georgia (in Caucasus) looks to strengthening the nation and towards joining the European and Atlantic communities. Knowledge and experience are the guarantees of stability and progress. For this reason, the study and illustration of historical experience are highly significant. Understanding the present and shaping the future are inconceivable without a scientific conceptualization of the history of Georgia. Our ancestors were well aware of this and back in the Middle Ages they compiled *Kartlis Tskhovreba* or the *History of Georgia* which, along with the Bible, translated into Georgian at an early date and Rustaveli's *The Knight in the Panther Skin* constituted the basis of Georgian culture. *Kartlis Tskhovreba* is the most important written source for the study of ancient and medieval Georgian history.

This gave rise to the idea of creating an encyclopaedic reference book, a topographical and archaeological of *Kartlis Tskhovreba*. This work will shed more light on the actual appearance of geographical points referred to in *Kartlis Tskhovreba* and will determine their place in Georgian history and material culture.

This conjunction of topography and archaeology is a field of scientific research at the crossroad of various branches of historical science, involving a systematic study of archaeology, of historical geography, of toponymy and of written sources (resp. **Topoarchaeology**). The dictionary has been compiled from this standpoint. Simon Kaukhchishvili's academic edition of *Kartlis Tskhovreba* has been used as the basis for this work since it takes into account all earlier versions. Vakhushti Bagrationi's *Description of the Kingdom of Georgia* has also been employed. This monumental work mentions up to 650 places: cities, towns, villages, hamlets, monasteries, fortresses (including such places as Mtskheta, Sarkine, Uplistsikhe, Gremi, Akhaltsikhe, Rustavi, or Dzalisa). Some continue to exist to the present day, while the rest have suffered from the vicissitudes of time. Our purpose has been to create a reference-work that contains a comprehensive account done to modern standards of the places mentioned in *Kartlis Tskhovreba* from the archaeological and historical points of view. Some of these places have been studied archaeologically, but in many cases this information is not—as yet—easily accessible to the broad readership interested in the past of Georgia.

We propose to put this right, and in the proposed dictionary, material that is already familiar will be brought together with new archaeological, historical, geographical, and other relevant material on each locality referred to in *Kartlis Tskhovreba*. As the result of a complex study, a comprehensive and scholarly article containing information about each city, village or fortress has been written according to a standard pattern.

Work on the Dictionary has involved historical, comparative, statistical and typological approaches to the study of archaeological artefacts. In studying each site (city, village, fortress, etc. all arranged alphabetically) the following data are given: 1) old and new names; 2) a list of the written sources in which the places are mentioned; 3) the location of the sites; 4) a description

and a commentary on the archaeological artefacts; 5) a brief history of the study of the site and its findings; the present status of the study of the site; 6) a comprehensive bibliography. The topographical and archaeological study of *Kartlis Tskhovreba* has resulted in the compilation of a unique reference-work of encyclopaedic character. It will be useful to archaeologists, historians and all readers interested in Georgia's past. Much of the information on each place mentioned in *Kartlis Tskhovreba*, brought together in this Dictionary, will become available to the public for the first time.

The kingdoms of Colchis and Iberia gained political hegemony over the land of Georgia in the Classical period, and on the basis of these kingdoms a single Georgian state, Georgia, was formed. In the present Dictionary the context of cultural and historical developments in early Georgia are given on the basis of available written sources and new archaeological material.

Should funding become available, all historical points: GPS co-ordinates, topographical maps and photos of archaeological material could be entered in the Dictionary. Again depending on finance, it is envisaged that the Dictionary should be published in English. An electronic version with an electronic search system could well be placed on the Internet.

This vast work will inevitably contain mistakes or errors of judgement. The lack of relevant data has meant that there is a certain unevenness in some of the articles. We beg your pardon, Dear Reader, and hope that you will provide helpful notes to be taken into account in future revisions.

Gela Gamkrelidze

საწიგეო




სადიებელი	12	ს	427
ა	17	ც	496
ბ	85	უ	504
გ	130	ფ	521
დ	173	ქ	534
ე	200	ღ	553
ვ	208	ყ	558
ზ	221	შ	566
თ	228	ჩ	579
ი	258	ც	586
კ	263	ძ	598
ლ	306	წ	606
მ	318	ჭ	627
ნ	367	ხ	635
ო	395	ჯ	653
პ	404	ბიბლიოგრაფია	657
ჟ	409	შემოკლებათა	
რ	418	ჯანმარცხა	739

საძიებელი
















აბულმუვი 17
აბუნალო 18
აგარა 18
აგარა 18
ავლაბარი 18
ავლევი 19
ავჭალა, ჰავჭალა 20
აზეულა 22
აკაურთა 22
ალავერდი 22
ალამბარი 25
ალასტანი 25
ალევი 25
ალეწი 27
ალი 27
ალის ციხე 28
ალონგურდი 29
ამალღემა 29
ამაშუკეთი 29
ამბროლაური 30
ამირანის გორა 30
ანაკერტი 31
ანაკლია 31
ანაკოფია 33
ანანური 34
ანჩა 36
ანჩის ეკლესია 37
არადეთი 39
არანისი 42
არახუეთი 44
არბო 44












არეში 44
არმაზი 46
არუხლო 54
არქევიანი 57
არლუნი 58
არყის ციხე 59
არშის ციხე 59
არწივანი 60
ასკანა 60
ასპინძა 61
ატენი 62
ატოცი 64
ალაიანის მინდორი 65
ალჯაყალა 66
აშატურთ-კარი 67
აშურიანი 67
აჩაბეთი 68
აწუფისი 69
აწყური 69
აჭვი 71
ანალგორი 71
ანალდაბა 72
ანალდაბა 72
ანალდაბა 73
ანალდაბა 73
ანალდაბა 73
ანალი-ჯუარი 74
ანალქალაქი 74
ანალქალაქი 75
ანალქალაქი 76
ანალციხე 77




ასატანი 79
ასიზა 80
ასმეტა 80
ასტალა 82
ასტალა 82
ავჯამეთი 83
აწერის ციხე 84

ბაგავი 85
ბაზალეთი 85
ბათუმი 86
ბაილეთი 88
ბაკურიანი 88
ბაკურციხე 89
ბალიჭი 90
ბამბაკი 91
ბანა 91
ბანძა 92
ბარალეთი 93
ბარგუშატი 94
ბარდავი 94
ბარეული 95
ბახტრიონი 96
ბეღია 96
ბეთანია 97
ბეთლემი 98
ბელაქანი 99
ბელოთი 100
ბელტის ციხე 101
ბეჟანბალი 102

ბერბუკი 103
ბერდაძონი 104
ბერდიკი 104
ბერთუბანი 105
ბერიქალი 106
ბერიძის ციხე 106
ბერციხე 106
ბერ-ციხე 106
ბერძენაული 106
ბეგო 107
ბეშთაშენი 107
ბეჭის ციხე 110
ბიეთი 111
ბირთვისი 111
ბიჭვინთა 112
ბიჯნისი 116
ბობნევი 116
ბოგვი 117
ბოღავი 118
ბოღბე 118
ბოღბის-ხევი 120
ბოღი 120
ბოღორნა 120
ბოეთანი 121
ბოკოწინი 121
ბოლნისი 122
ბოჟანო 124
ბორჯომი 125
ბოსლევი 125
ბოსტან-ქალაქი 125
ბოჭორმა 125

ბრეთი 127	გუფთა 171	ვარდიანი 209	თოხხამი 251
ბრეძა 128	გუჯარეთი 171	ვარდისუბანი 210	თორთომი 252
ბრილი 128		ვარენთა 210	თორი 252
	დაღეში 173	ვარიანი 210	თორლა 253
გაგი 130	დადი 173	ვარციხე 211	თოლა 254
გავაზი 130	დავითის ციხე 173	ვარძია 212	თუალივი 255
განჯის-კარი 132	დამპალა 174	ვარხუნა 214	თუალივი 256
გარეთ-უბანი 132	დანახვისი 174	ვაქირი 215	თურანი 256
გარეჯა 133	დარიალის ციხე 174	ვაყა 215	თუნარისი 256
გარისი 137	დარიჯელი 178	ვაშლოვანი 215	თხმელის ციხე 257
გარყლობის ციხე 137	დარფაკა 178	ვახანი 216	
გაჩიანი 138	დემოთის ციხე 178	ველი 217	იანეთი 258
გეგუთი 138	დეხვირი 178	ველისციხე 217	იდი 258
გედსამანია 139	ღვანი 179	ვერენის ციხე 218	იკორთა 258
გელათი 140	ღვირი 180	ვეჭორმა 219	ილორი 258
გერგეტი 141	დიდუბე 182	ვეჯინი 219	ინდუსა 259
გვასტიბე 143	დიმი 183		ისანი 259
გველეეთი 143	ღირბი 184	ზადენი 221	ისპირა 260
გვეძინეთი 145	დილომი 185	ზანავი 221	იტრია 260
გვიანა 145	დმანისი 190	ზარზმა 221	იყალთო 261
გიორგი-წმიდა 145	დოლო 194	ზარიბატი 222	
გიორგიწმიდა 145	დოესი 195	ზედაზადენი 222	კაბენი 263
გიში 146	დრანდა 195	ზედა თმოგვი 223	კაბენი 263
გლდანი 146	დრისის ციხე 196	ზიკილია 224	კაბერი 264
გლოლა 149	დუდე 196	ზნაკვა 224	კავთა 264
გოდოვანი 150	დურნუკი 196	ზრამაგა 225	კავთისხევი 265
გოკია 151	დუშეთი 197	ზუგდიდი 225	კაზრეთი 269
გომარეთი 151		ზუფუ 226	კალა 275
გომარეთი 153	ეგრისი 200	ზლუდერი 227	კალმახი 281
გომართა 153	ენაგეთი 200		კამბეჩოანი 282
გომი 153	ენისელი 201	თაბორი 228	კაპოეტი 282
გომიჯუარი 154	ერგე 201	თაკვერი 228	კარალეთი 282
გონიო 154	ერედვი 203	თამარაშენი 229	კარბი 283
გორდა 156	ერთაწმიდა 203	თბილისი 230	კარდანახი 284
გორი 156	ერკნეთი 204	თბილისის ციხე 239	კართუხნის ციხე 285
გორიჯვარი 159	ერუშეთი 205	თედოწმიდა 239	კარწახი 285
გოსტიბე 159	ერწუხი 205	თეზი 240	კასპი 285
გოჯი 160	ეცერი 205	თეთრ-ციხე 241	კასპის ციხე 287
გრემი 163	ეძანი 206	თელადგორი 241	კასრი 288
გრიგოლ-წმიდანი 165		თელავი 242	კატენი 288
გრუი 165	ვალე 208	თელეთი 247	კაჭიო 288
გუდარეხი 165	ვანათი 208	თირი 248	კაცხი 288
გუდაყვა 168	ვანათი 209	თიღვა 249	კახნიაური 290
გუმათი 169	ვანათი 209	თმოგვი 249	კეხვი 290
გურიანთა 169			
გურჯაანი 170			

კვანჭლა 291	მარაბდა 320	მწყერის ციხე 365	ოფრეთი 399
კვარა 291	მარანი 321	მჭადისჯვარი 365	ოქონა 400
კვაცხუთი 292	მარიამ-ჯვარი 321		ოშორა 400
კვერცხობი 292	მარილისი 321	ნაბახტევი 367	ოჩანი 400
კვიტაშვილის ციხე 292	მარნეული 321	ნაგები 367	ოძისი 400
კიკანათ-ბერი 293	მარტივილი 322	ნადაბური 367	ომარხე 402
კიკეთი 293	მარტოთუბანი 325	ნადარბაზევი 368	ონერ-ხიდა 403
კიმოთისმანი 295	მარტყოფი 325	ნავარძეთი 373	
კლდეისი 296	მალარო 328	ნავთლული 374	პალავრა 404
კლდეკარი 296	მალლაკი 329	ნაზარა 374	პანკისი 404
კლდისუბანი 297	მაშრანი 330	ნაოხარი 374	პატარძელი 405
კოდისწყარო 297	მაჭი 330	ნარეკავი 375	პატივანი 407
კოდორი 298	მაჭუტაურის ციხე 330	ნარიმანი 375	პეტრეს ციხე 407
კოლა 299	მახაროვანი 330	ნასტაკისი 375	პირღებული 408
კონდოლი 299	მახვილის ციხე 331	ნაქალაქევი 377	
კორტანეთი 299	მგელ-ციხე 331	ნაქულბაქევი 377	ჟალეთი 409
კოხტა 299	მერის დაბა 331	ნალვარევი 378	ჟინვანი 411
კოჯორი 300	მეტენი 331	ნალუარევი 378	
კრიხი 301	მეტენი 333	ნახვეტა 379	რეხი 418
კრკონი 301	მეღერეკისი 334	ნეკრესი 379	რიზა 418
კუეტერა 301	მეჯულა 334	ნელქარი 383	რიშ-ყალა 419
კულბითი 304	მთაწმინდა 335	ნიკოლაწმიდა 383	რკინის ციხე 419
კუმისი 305	მინდა ციხე 335	ნინიას ციხე 384	რკონი 419
კუმურღო 305	მისაქციელი 336	ნინოწმიდა 384	როკითი 420
	მიტლოკინის ციხე 337	ნიქოზი 385	რუსი 420
ლაგოდენი 306	მლაშე 337	ნიჩბისი 387	რუსთავი 422
ლალისყური 306	მოგუთა 337	ნიჯგორი 389	რუხი 426
ლანჩქუთი 306	მოდამნახე 339	ნოკორნა 389	
ლარგვისი 308	მოვკანი 341	ნოსტე 389	საბატე 427
ლასტის ციხე 309	მომწყვარა 341	ნოლა 390	საბაწმიდა 427
ლაშე 309	მოსაბრუნი 341	ნოლაპატო 390	საბურდიანო 428
ლაშხეთი 310	მოქვი 341	ნუა 391	საბურთალო 428
ლენტენი 310	მოხისი 342	ნუკრიანი 391	საგარეჯო 429
ლილო 310	მრავალძალი 343	ნული 393	საგურამო 432
ლისი 312	მტკურის ციხე 343	ნუნისი 394	სადგერი 433
ლომსიათი 312	მტკურის ციხე 344		სადმელი 434
ლორე 313	მტუერის ციხე 344	ობის ციხე 395	საზანოს ციხე 434
ლურჯი მონასტერი 314	მუგუთი 344	ოზურგეთი 395	სათლე 434
ლოწობანი 315	მუკუჯანი 344	ოთა 396	სათხე 435
ლოჭინის ხევი 315	მურის ციხე 345	ოკამი 396	საკანაფე 435
	მურჯახეთი 345	ოლთისი 397	საკურდღლია 435
მაკაბელი 318	მუსის ციხე 346	ონი 398	სამადლო 436
მამეზა 318	მუნათგუერდი 346	ოჟორა 398	სამგორი 437
მანავი 318	მუნრანი 348	ოსიაური 398	
მანგლისი 319	მუნხურა 350	ოფიშკითი 399	
	მცხეთა 350		
	მძორეთი 363		

სამთავისი 438	ტაბახმელა 497	ქანდა 534	შიოსუბანი 567
სამღერეთი 439	ტაგნაგეთი 497	ქაოზიანი 535	შილდა 567
სამშვილდე 440	ტანძია 498	ქარჩოხი 536	შინდობი 569
სამწვერისი 446	ტაშისკარი 498	ქელა 536	შიომღვიმე 569
სანადრო 447	ტბეთი 499	ქვაბი 536	შიორაპანი 570
სართიჭალა 447	ტბეთი 499	ქვათახევი 536	შტორი 572
სარკე 448	ტბისი 500	ქვახვრელი 537	შუამთა 572
სარკინე 448	ტეზერი 500	ქვეშის ციხე 538	შულავერი 573
სასირეთი 449	ტინისხიდი 501	ქვიტირი 540	შურის-ციხე 576
სატრედო 450	ტოლა 501	ქვიშილეთი 540	შურის ციხე 577
საფარა 451	ტონთიო 502	ქვიშხეთი 540	შქმერი 577
საფერშეთი 452	ტრაწაყალა 503	ქობულეთი 541	შხეფის ციხე 577
საფურცლე 452	ტფილისი 503	ქოზიფა 544	
სალამო 453	ტფილისის ციხე 503	ქსოვრისი 544	ჩაქვი 579
სალირაშენი 453	ტყვილიანი 503	ქუენა-ტკოცა 545	ჩელეთი 579
საჩინო 454		ქუთაისი 545	ჩიხა 579
საჩხევე 472	უდაბნო 504	ქუმურლუს ციხე 551	ჩიხორი 580
საცხენისი 477	უდე 504	ქურმუხი 551	ჩუნეში 581
საცხენისი 477	უზნარაიანი 505	ქცილვანი 552	ჩხარი 583
საძეგური 477	უზნარაიანი 505		ჩხერი 584
საძმორი 478	ულუმბო 505	ლართა 553	ჩხიკვათა 584
საწირე 478	ურბნისი 506	ლარი 554	
სახარია 478	ურთა 509	ლები 554	ცაგერი 586
სევა 478	ურია 509	ლობეთი 556	ციხელიდი 586
სეიდაბადი 478	ურიათუბანი 510	ლოლორა 556	ციხის-ჯუარი 588
სენაკი 478	უსანეთი 510	ლრტილა 557	ციხისძირი 588
სვერის ციხე 479	უფლისციხე 511	ლუღუშაურების ციხე 557	ცურტავი 592
სვერი 480	უწვერა 516		ცუქითი 593
სვირი 481	უწლევი 516	ყამსას ციხე 558	ცუცხვათი 593
სიმონეთი 481	უჯარმა 516	ყანჩაეთი 558	ცხვილოს ციხე 594
სილნალი 482		ყარაბულახი 559	ცხინვალი 594
სკრა 483	ფანასკერტი 521	ყარალაჯი 560	ცხირეთი 596
სლესა 483	ფარცხანაყანევი 521	ყაყიდური 561	ცხუმი 597
სომანეთი 484	ფარცხისი 522	ყვარელი 561	
სონდალული 484	ფიტარეთი 523	ყვებისი 561	ძალისი 598
სორი 484	ფიფინეთი 524	ყიზ-ყალა 562	ძამის ციხე 600
სოხუმი 485	ფოთი 524	ყინწვისი 562	ძალინა 601
სტეფანწმიდა 489	ფოკა 531	ყორანთა 563	ძეგვი 602
სურამი 492	ფონა 532	ყორნისი 564	ძეგლევი 603
სურები 493	ფორჩხა 532	ყუელი 565	ძეგრი 603
სხალტბა 493	ფცა 532		ძურმანი 605
სხვაგა 494		შაორი 566	
სხვილოს ციხე 494	ქალაქა 534	შემოქმედი 566	წავკისი 606
სხლები 495	ქალის ციხე 534	შერთული 567	
			
ტაბაკინი 496			

წალენჯიხა 606	წოფა 621		ხორგი 647
წალკა 606	წრაუთი 623		ხორნაბუჯი 647
წალვლი 607	წრომი 624	ხადა 635	ხორჯის ციხე 648
წედისი 608	წუნდა 624	ხადის ციხე 635	ხრეთი 648
წედისი 609	წუქეთი 625	ხანი 635	ხოფი 649
წევა 609	წყალყინის კოშკები 625	ხარაგაული 635	ხოტევი 649
წესი 609	წყაროსთავი 625	ხატის-სოფელი 636	ხოფჯა 650
წეფთის ციხე 610	წყედულეთი 625	ხაში 637	ხულუტის ციხე 650
წვერი 610	წყნეთი 626	ხეთა 637	ხუნანი 651
წვერის ციხე 610		ხენძორეთი 637	ხცისი 652
წილკანი 611	ჭანდარი 627	ხერთვისი 637	
წინარეხი 612	ჭანდრის უბანი 627	ხვამლი 638	ჯაფა 653
წინკიბე 613	ჭაპალა 627	ხვედურეთი 639	ჯაზირეთი 654
წინუბანი 613	ჭაქეთი 628	ხვანა 639	ჯანჯლის ციხე 654
წინწყარო 613	ჭელენჯიხა 629	ხიდარი 639	ჯანდარი 654
წირქვალი 615	ჭერემი 629	ხიდისკარი 639	ჯარიაშენი 654
წიფა 616	ჭვინტა 632	ხილახილა 640	ჯაჭვი 655
წიწამური 617	ჭიაური 632	ხიმში 640	ჯილაური 655
წნისი 618	ჭიორა 632	ხირსა 640	ჯორჯანეთი 655
წობენი 619	ჭობისხევი 633	ხოდაშენი 642	ჯუარის ციხე 655
წოდორეთი 620	ჭოეთი 634	ხოვლე 643	ჯუმათი 656
წოლდი 620	ჭოტორი 634	ხონი 645	
წონა 620	ჭყვიში 634	ხოჟორნა 646	
წორბისი 621		ხორანთა 646	



აბულმუჰი, დაბა (ქც 4: 315,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 315,19), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 713), ითანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 52), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 228, 401; საქ. სიძ. 1909: 360).

ვახუშტი ბაგრატიონი აბულმუჰის შესახებ გადმოგვცემს: „დბანისს ქუეით არს ჩდილოთ კერძ ხინწის ხევი. მას ქუეით დაბა აბულმუჰი. აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა“ (ქც 4: 315,18-20).

მდებარეობს დმანისის მუნიციპალიტეტში¹, მდ. მაშავერას შენაკად ხინწისხევის მარცხენა მხარეზე, სოფ. ბალიჭის მახლობლად.

XVIII ს-ში აბულმუჰი საბარათიანოში შედიოდა და წარმოადგენდა სახასო სოფელს (ბაგრატიონი 1986: 52).

1975 წ. აბულმუჰის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არახლო-კახეთის ექსპედიციამ (ხელმძღ. მ. სინაურიძე). გათხრების შედეგად იქ გამოვლინდა შუა საუკუნეების აბანო (სინაურიძე 1977: 136). 1985-1986 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მაშავერას ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. კ. კახიანი) აბულმუჰის ხეობაში შეისწავლა ელნისსტური ხანის სამაროვანი.

სამაროვანი „აბულმუჰი I“ მდებარეობს ნაქალაქარ დმანისის მახლობლად (ჩრდილოეთით), აბულმუჰის ხევის მარცხენა მხარეს. სამაროვანზე გაითხარა ქვის ფილებით ნაგები 25 სამარხი და ქვის ფილით გადახურული 2 ორმოსამარხი. სამარხებში მიცვალებულები დაუკრძალავთ კიდურებმობრილი, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. დადასტურდა სამარხთა მეორადი გამოყენების შემთხვევებიც (№№3, 4, 6, 12, 16, 18, 19). სამ სამარხში (№№11, 12, 24) აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ძვლები (ალაბი). №22 სამარხში მიცვალებულს ზემოდან ეფარა კვერჩხი. სამარხებში აღმოჩნდა: წითლად შეღებილი, მოხატული და ანგობირებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ჭურჭელი (დერგები, დოქები, ხელალები, ქოთნები, კოჭობები, ჯამები, ფიალები, სამარილები.

სულ 61 ერთეული). საბრძოლო-სამეურნეო იარაღებიდან აღსანიშნავია: რკინის შუბისპირები, ისრისპირი, ცულები, დანები; სამკაულიდან გვხვდება: ბრინჯაოს სამაჯურები, საკინძები, სასაფეთქლე რგოლები, საკიდები, ვარდული, საკისრე რგოლი; სარდიონის, მინის, გიშრის მძივები. სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. IV ს-ის დასასრულითა და III ს-ის დასაწყისით (ძნელაძე 2001: 140-164; ხოხობაშვილი, ძნელაძე 2008). მასალა ინახება დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაში.

აბულმუჰის აბანო ქვით ნაშენი ნაგებობაა, რომელიც შედგება საცეცხლე განყოფილების, საკუთრივ აბანოსა და მის წინ მდებარე ნიშებიანი ოთახისაგან (საერთო სიგრძე 9 მ). აბანო წარმოადგენს კვადრატულ ოთახს, რომელიც გადახურულია გუმბათით. ოთახი კირითაა შელესილი. კედლებში დატანილია წყლის მილები და საკვამურები. აბანოს დასავლეთით მოწყობილია საქვაბე, რომლის ზემოთ მოთავსებულია ცხელი წყლის აუზი. მასში შეყვანილია მილი, რომელიც აბანოს წყლით ამარაგებდა. წყალსადენის მეორე ხაზი შეყვანილია აბანოს ჩრდილო კედელში და ჩადის აუზში. აქვე აღმოჩნდა თონე, რომელიც აბანოს დანგრევის შემდეგ ყოფილა გამართული. ნაგებობის სამხრეთ კედელში არსებული კარის წინ აღმოჩნდა რუსუდან მეფის (1222-1245) მონეტა. აბანოს ტერიტორიაზე გამოვლინდა მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები. აბანო თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით (სინაურიძე 1977: 136). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

აბულმუჰის ეკლესია მდებარეობს სოფ. ბალიჭის პირდაპირ, მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირას. ეკლესია დარბაზულია (9,6X6,1მ). გვიან შუა საუკუნეებში გადაუკეთებიათ. ეკლესიის დასავლეთ კედელში, სარკმლის ძირის ქვედა გამოყენებულია ძველი წარწერიანი ფილა. რვასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა არ იკითხება. ასოთა მოხაზულობით წარწერა თარიღდება X-XI სს-ით (მუსხელიშვილი 1941: 25). დასავლეთ კედელში გარედან ჩასმულია ჯვრისგამოსახულებიანი მედალიონი, რომლის ქვემოთ ბერძნული მთავრულით გამოსახულია „აღფა“ და „ომეგა“. ქვა არასწორადაა ჩადგმული. ჩანს, ძველი მასალა (დაახ. VI-VII სს-ის) შემდგომ-

¹ მუნიციპალიტეტში

ში გამოუყენებიათ (ყაუხნიშვილი 1951: 293). აბუხალის მახლობლად დაახლ. 0,4-0,5 კმ-ზე მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირას დგას „ორსაყდრის ეკლესია“ (ორი საყდარი), რომელთაგან ქვემო ეკლესია დარბაზულია (7,0X4,1 მ). ეკლესიის ფასადებში ჩამოხატულია ჩუქურთმიანი სტელეების 11 ნატეხი, რომლებიც VI ს-ით თარიღდება. საკუთრივ ეკლესია გვიანდელი ნაგებობაა (ჯაფარიძე 1982: 33). ორსაყდრიდან 1 კმ მანძილზე ორი პატარა ეკლესიის ნანგრევია. პირველს, მცირე შენობას „დაქეულ საყდარს“ უწოდებენ; მეორე, მოყვითალო ქვით ნაგები, დარბაზული ტიპის ე. წ. სვეტიცხოვლის ტაძარია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ტაძრის შიგნით, შესასვლელთან დევს საფლავის ქვა მხედრული წარწერით, რომელიც თარიღდება 1658 წლით (მუსხელიშვილი 1941: 29).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 52; ბერძენიშვილი 1979: 13; კახიანი ... 1991: 51-59; ლორთქიფანიძე 1935; 1938; მასალიანი საქ. სტატ... 1907: 228, 401; მუსხელიშვილი 1941: 25, 29; საქ. სიძ. 1909: 360; სინაურიძე 1977: 129-141; ქც 4: 315, 19; ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 713; ძნელაძე, ხუბულური 1989: 42-47; ძნელაძე 2001: 140-164; ყაუხნიშვილი 1951: 40; ხლობაშვილი, ძნელაძე 2008; ჯაფარიძე 1982.

აპუნსალო, ეკლესია (ქც 4: 345,4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 345,4), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 279), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 66).

ვახუშტი ბაგრატიონი აბუხალის შესახებ გადმოგვცემს: „კუალად გვეძინეთის დასავლეთ (მდ. ძამას) მოერთვის ხევი აბუხალისი. აქა არიან ქუაზნი გამოკვეთილნი მალალს კლდესა შინა მრავალნი. მას შინა ეკლესია კეთილი და კაცთა შეუვალი სიმაგრით. აქედამ გარდავალს გზა გუჯარეთს რაჭის ხეხედ. აბუხალის დასავლეთი გარდავალს გზა გუჯარეთს“ (ქც 4: 345, 2-5).

მდებარეობს ქარელის მუნიციპ-ში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდ. ძამას სათავესთან. XVIII ს-ში სოფ. აბუხალო ეკუთნოდა ამილახვრებს (ორბელიანი 1981: 66).

სოფ. აბუხალო არქეოლოგიურად შეუსწავლელია. აბუხალის ნასოფრანი მდებარეობს დღევანდელი სოფლიდან 2,5 კმ-ის დაშორებით, მთის ზეგანზე, სადაც შემორჩენილია დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევები და წრიული ზღუდე (სძა 1990: 354). სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს სოფლიდან დასავლეთით, ფრიალო კლდეზე. მონასტრის დასავლეთი მხარე დაცულია მაღალი გალავნით. ძველი შედგება კლდეში ნაკვეთი, სხვადასხვა ზომის ერთმანეთთან დაკავშირებული 8 გამოქვაბულისგან. ეკლესია ნაგებია აგურით. აფსიდა ნახევარწრიულია. კედლებზე შემორჩენილია მონათულობის ფრაგმენტები. სამონასტრო კომპლექსი თარიღდება XVII-XVIII სს-ით (სძა 1990: 354).

ბიბლიოგრაფია: გვასალია 1983: 120, 143; მაკალათია 1961; ორბელიანი 1981: 66; სძა 1990: 354; ქც 4: 345,2-5; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 279.

აზარა (ქც 4: 662,27). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 662,27).

მდებარეობს ახალციხის მუნიციპ-ში, ახალციხიდან სამხრეთით, 17 კმ-ის დაშორებით, მდ. წინუბნისა და მტკვრის შესართავთან, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი სოფელ აგარის ტერიტორიაზე.

აგარა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ქც 4: 662,27.

აზარა, აგარათა (ქც 4: 170,4, 182,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 151,22; 170,4,10; 182,2; 191,21), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 312,13; 313,4), „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1: 331,15; 335,2), ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე (ქც 1: 369,22, 370,31), „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“ (ქც 2: 19,5,18; 51,10; 54,5; 64,9; 77,19), ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქც 2: 144,23), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 46).

ქართლის ცხოვრებაში მოხსენიებული აგარა, აგარანი, აგარათა ციხე ლოკალიზდება გარდაბნის მუნიციპ-ში. მდებარეობს სოფ. კოჯრის მახლობლად, კოჯრის ციხის ტერიტორიაზე (ბერძენიშვილი 1964: 317). აგარა არის „სადგური საზაფხულო“ (ორბელიანი 1965: 42). ამ მნიშვნელობით აგარა მოხსენიებულია მრავალ ისტორიულ საბუთში (ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 21; 1970: 22). (იხ. კოჯორი).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 46; ბერძენიშვილი 1964: 317; ორბელიანი 1965: 42; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 21; 1970: 22; ქც 1:312,13; 313,4; 331,15; 335,2; 369,22; 370,31; ქც 2:19,5,18; 51,10; 54,5; 64,9; 77,19; 144,23; ქც 4:151,22; 170,4,10; 182,2; 191,21.

აშლაბარი (ქც 4: 338,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 324, 21; 338, 2; 447, 14; 501,8, 16; 580, 16; 621, 3), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 381, 15; 434, 7; 537, 33), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 260, 306), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 82, 225, 235), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 29), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 46, 62, სქ. 27), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 627, 665, 869, 987; 1972: 176, 343, 381, 649, 650; 1977: 50, 342; 1981: 456, 542,



ავლაბარი

767; 1985: 751, 752; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 100, 117, 156, 208; 1953: 121, 122; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 54, 55, 104, 108, 159, 193, 196; ქართულ-სპარსული ... 1955: 319, 333, 244, 246).

მდებარეობს ქ. თბილისში, ისნის მუნიციპალიტეტის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე ავლაბრის ტერიტორიაზე.

ვახუშტი ბაგრატიონი ავლაბრის შესახებ გადმოგვცემს: „უწოდებენ ოთხთა ქალაქთა აწ ტფილისს და განყოფით: კალას-ტფილისსა, ტფილისს-სეიდაბადს და ისნს-ავლაბარს“ (ქც 4: 338,1,2). „ისნი, რომელ არს ავლაბარი“ (ქც 4: 580,16). ავლაბარი სპარსულ-არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „სასახლის მიდამოს“ (მესხია 1952: 110). სხვა მოსაზრებით – „გარეთუბანს“, რომელშიც არ შედიოდა გალავანშემოვლებული მეტეხის ტერიტორია (ბერიძე 1977: 134, 135).

ავლაბარი არქეოლოგიურად შესწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1983: 46, 62, საქ. 27; ბაგრატიონი 1986: 29; ბერიძე 1977: 134, 135; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 100, 117, 156, 208; 1953: 121, 122; მესხია 1952: 110; ორბელიანი 1981: 82, 225, 235; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 54, 55, 104, 108, 159, 193, 196; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 260, 306; 1970: 627, 665, 869, 987; 1972: 176, 343, 381, 649, 650; 1977: 50, 342; 1981: 456, 542, 767; 1985: 751, 752; ქართულ-სპარსული ... 1955: 319, 333, 244, 246; ქც 2: 381,15, 434,7, 537,33; ქც 4:324,21, 338,2, 447,14, 501,8,16, 580,16, 621,3.

ახლეშო (ქც 4: 375,17,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 375,17,25), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (თაყაიშვილი 1907: 165; ჯავახიშვილი 1930: 12, 35; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 578; 1981: 737), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 43). მდებარეობს ქარელიდან 22 კმ-ის დაშორებით, მდ. ფრონეს მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ავლევის ტერიტორიაზე.

წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება 1715 წ. რუისის სამწყსოში შემავალ სოფლებს შორის (თაყაიშვილი 1907: 165). XVI ს-ში ფრონეების ხეობა ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა. ავლევი ეკუთვნოდა ამირეჯიბებს. XVIII ს-ის დასასრულსათვის ავლევი სახლობდნენ თავადი რამაზაშვილები (ჯავახიშვილი 1930: 12).

1955 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამხრეთ ოსეთის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი) სოფლის ჩრდილოეთით, 400 მ-ის დაშორებით გამოავლინა სამოსახლო გორა, სადაც აიკრიფა: ენეოლითური ხანის კერამიკის ნატეხები; ადრებრინჯაოს ხანის შავზედაპირიანი და წითელსარჩულიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები; გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის შავად გამომწვარი, შავპირიანი და ლეგაზედაპირიანი ქოთნები და ჯამები; ანტიკური ხანის ე. წ. ფიკელურას ტიპის ლაკიანი ჭურჭლის სამლულიანი ყური, რომელიც ბერძნული იმპორტული ნაწარმია და თარიღდება ძვ. წ. VI ს-ის მთლიან ნახევრით (მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 188-193; ლორთქიფანიძე 1966: 72).

ავლევის ჩრდილოეთით 0,5 კმ დაშორებით, ადგილ ცარციანთ გორაზე (60X20მ) აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის შავად გამომწვარი, უხეშეკვანი, სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების თიხის ჭურჭლის ნატეხები. ავლევის ტერიტორიაზე, ადგილ ზედაუბანში, გზის გაყვანისას გამოვლინდა ქვის ფილებით ნაგები შუა საუკუნეების უინვენტარო სამარხები, რომლებშიც მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ ზურგზე გაშლილი, თავით დასავლეთით (სძა 1990: 354).

ავლევის ცენტრში, ძველ სასაფლაოზე დგას ღვთისმშობლის დარბაზული ტიპის (11,8X5,8მ) ეკლესია, ნაშენი ფლეთილი ქვითა და კვადრებით. შესასვლელი აქვს სამხრეთითა და დასავლეთით. აფსიდა ნახევარწრიულია. აღმოსავლეთი ფასადის ფრონტონზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი. ეკლესიაზე დასავლეთიდან მიშენებულია აგურის ორსართულიანი სამრეკლო (სძა 1990: 355).

ავლევის განაპირას, აღმოსავლეთით, მდ. შუა ფრონეს მარჯვენა ნაპირზე, სასაფლაოზე მდებარეობს დარბაზული ტიპის (10X4,9მ) ეკლესია, ნაგები ქვიშაქვის ფილებითა და კვადრებით. შეკეთებისას აგურია გამოყენებული. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ნახევარწრიულ აფსიდაში თაღოვანი სარკმელი და 3 ნიშია. აღმოსავლეთი და დასავლეთი ფასადების სარკმლის ზევით გამოსახულია ჯვარი (სძა 1990: 355).

ავლევის აღმოსავლეთით, 1,5 კმ-ის დაშორებით, მდ. შუა ფრონეს მარცხენა ნაპირზე, ძველ სასაფლაოზე შემორჩენილია დარბაზული ეკლესიის ნანგრევები (8,4X4,6მ). ნაგებია ქვიშაქვის უსწორ კვადრებით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი სამხრეთიდანაა (სძა 1990: 354).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 43; თაყაიშვილი 1907: 165; ლორთქიფანიძე 1966: 72; მაკალათია 1963: 39; მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960:

188-193; სბა 1990: 354, 355; ქც 4: 375,17,25; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 578; 1981: 737; სახელმწიფო 1966: 101, 134, 142, 143; ჯავახიშვილი 1930: 12, 35.

აპჩალა, აპჩალა (ქც 4: 163,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 163,11; 267,7; 514,10; 537,3,5), „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1:326,4; 349,21), ბასილი ეზოსმოდვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქც 2: 128,17), „წამება რაუდენისი“ (წამებაი ... 1946: 243), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 197; 1967: 194; მასალები საქ. ისტ. 1905: 3; ისტ. საბ. 1913: 33; საქ. სიძ. 1910: 471, 503, 508; 1920: 10; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 72, 208; 1953: 266; დოკ. თბ. ისტ. 1962: 159; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 14; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 200, 374; 1970: 180, 190, 1039; 1972: 671; 1974: 153, 220, 231, 249; 1977: 169, 172, 606; 1981: 149, 310, 444, 461; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 65, 81, 86, 90, 155, 210), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 59, 69, 102, 142, 144, 182, 228), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 43, 439), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 64, 81), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 46), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1989: 4), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 3, 75), სომხურ ხელნაწერთა მინაწერები (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 78), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 61).

მდებარეობს ქ. თბილისის ჩრდილოეთით. მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის ტერასაზე. წარმოადგენს დედაქალაქის ერთ-ერთ გარეუბანს. ავჭალა წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება XI ს-ის 80-იანი წლებისათვის „დიდი თურქობის“ დროს, როგორც თურქების გამოსაზამთრებელი პუნქტი აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისის საამიროს დაარსებიდან ავჭალა მის შემადგენლობაშია (მუსხელიშვილი 1967: 78). დავით აღმაშენებელი (1089-1125) ავჭალაში 300 მხედრით ჩაუსაფრდა თურქებს (ქც 1: 349,21). XII ს-ის დასასრულს შამქორისა და განძის ალების შემდეგ ზაქარია და ივანე მხარგრძელები ქართული ელშქრით, მოპოვებული ნადავლითა და ტყვეებით ავჭალის ველზე წარდგინენ თამარ მეფის (1184-1207) წინაშე (ქც 2: 128,7). 1387 წ. საქართველოში თემურ ლენგის მეორე შემოსევის დროს ბაგრატ V-მ (1360-1393) მტრის დასახვედრად ჯარი განალაგა მარტყოფიდან ავჭალამდე (ქც 4: 267,7). XIV-XV სს-ში ავჭალა კახეთის შემადგენლობაშია. მისი მიწები მცხეთის საეკლესიო მამულად ითვლება (ქრონიკები 1897: 197; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 14; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 190). XV ს-ში ავჭალის მიწები საძოვრებად გამოიყენებოდა (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 78). XVI ს-ის 80-იან წლებში ნასოფლარი

ავჭალა კვლავ მცხეთის საკათალიკოსო მამულს წარმოადგენს (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 14; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 200). XVI-XVII სს-ში ავჭალა კახეთის სამეფოშია და რუსთავის სადროშოს ეკუთვნის (ბაგრატიონი 1986: 64; ვასალა 1971: 36). XVIII ს-ის პირველ ნახევარში, „ოსმალის“ დროს გაზმირებული ლეკთა თავდასხმების გამო ისაყ-ფაშამ 1734 წ. ავჭალაში და დილოშში გალაგანი და საყარაულო კოშკები ააგო (ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 153). ერეკლე II-მ (1744-1798) მორიგე ჯარი ჩააყენა ავჭალაში (ორბელიანი 1981: 110). 1749 წ. ერეკლე II-მ დალატისათვის თბილისის მელიქი-ალა ავჭალაში დააპატიმრა (ქრონიკები 1967: 194). XVIII ს-ის დასასრულისათვის ავჭალა კახეთის შემადგენლობაშია. მისი ყმა-მამულები თავად გურამიშვილებს ეკუთვნის (ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 153), მოურავად კი სახლოუსუცესი ამირან მალალაძე (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 1039). XVIII ს-დან წყაროებში იხსენიება ზემო და ქვემო ავჭალის ციხეები (გიულდენშტედტი 1962: 61) და სოფლები (ოსელიანი 1871ს: 84). ზოგაერთ წყაროში ეს პუნქტი „პავჭალის“ ფორმით იხსენიება (ქც 1: 326,4; სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 78).

ზემო ავჭალის ახალი ხიდის მიდამოებში 1867 წ. გზის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ლოდი, რომელზედაც ბერძნული წარწერა იყო ამოკვეთილი (იხ. ნაქულებაქევი).

ავჭალისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური შესწავლა ძირითადად დაკავშირებულია ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაჰესის) მშენებლობის დროს შემთხვევით აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალასთან. 1923 წ., ზაჰესის მშენებლობისას, ავჭალის მიდამოებში აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ქორიძე 1955: 187, 188). იმავე წელს, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ზაჰესის არხის სათავეში გამოვლინდა ქვის ფილებით ნაგები სამარხი. მსგავსი სამარხი აღმოჩნდა 1924 წ. ზაჰესის სადგურის საძირკველთან. სამარხებში დადასტურდა: მოვრდისფერო და მონაცრისფროდ გამოშვარი ფურჩიანი და უფრო დიქები; მოწითალოდ გამოშვარი კოჭობები; თქროს ბეჭდები; ფირფიტა; საყურე; ვერცხლის ორნამენტირებული თასი; სამაჯური; ენიანი აბზინდა; ბრინჯაოს რგოლები; ფიბულა; რკინის მახვილი; მონეტები: გოტარზეს ვერცხლის დრაქმა (ახ. წ. 40-51 წწ.) (2 ც), ავგუსტუსის ვერცხლის დენარი (2 ც). ორივე ალემამა დათარიღდა ახ. წ. I ს-ით (მაკალათია 1927: 173, 174; ქორიძე 1958: 80; ნემსაძე 1979: 55-63). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

1924 წ. ზემო ავჭალაში აღმოჩნდა სამარხი, რომელშიც დადასტურდა ენეოლითური ხანის ფართოყელიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები; ერთი მასიური ჯამი და ორი ბრტყელი, რქისებური შვერილით შემკული სადგარი (კუფტინი 1947: 69, 81; ქორიძე 1955: 31; ჯავახიძე 1961: 77). 1925 წ. საქართველოს სიძველეთა კომიტეტის

დავლებით ზაპკის არხის სათავესთან გაითხარა სამი ქვევრსამარხი (ხელმძღვ. გ. ჩიჭიაა), რომელთაგან ერთში მიცვალებული (ქალი) დაეკრძალათ კიდურებმოკეცილი, მარცხენა ვევრდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარხში აღმოჩნდა: თიხის ღოჭები; მოთქრული მინის, სარდიონის, ვიშრის მიღვებისაგან შედგენილი ყელსაბამი; ოქროს გრეხილი რგოლი; ვიშრის თვლით შემკული მეღალიონი; ბრინჯაოს ბეჭედი და სხვ. მეორე ქვევრსამარხში მიცვალებულს (მამაკაცი) თან ახლდა: ბრინჯაოს ისრისპირი; ვერცხლის საყურეები, საკისრე რკალი და მიღვები. სამარხები დათარიღდა ძვ. წ. XV-VI სს-ით (ჩიჭიაა 1925: 10, 11); ძვ. წ. III-I სს-ით (ნონეშვილი 1992: 61).

1927 წ. ზემო ავჭალაში, ზავშვთა ახალშენის მიდამოებში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ. ნიორაძე) გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორმოსამარხი (1,4X1,3 მ), სადაც მიცვალებული (ქალი) დაეკრძალათ მჯდომარე(?) პოზაში. სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილი, თავებუდადებული სამაჯური (2 ც), ბეჭედები (4 ც), მახათი, ღილები, ფირფიტა, ლურსმნები, რკინის დანა. თიხის ჭურჭლიდან აღსანიშნავია: მილიანი ლანგარი, ჯამი, ღოჭი, კოჭობი. მიღვებიდან გვხვდება: სარდიონისა (37 ც) და მინის (15 ც) მიღვები (ნიორაძე 1931: 139-228). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

1928 წ. ზაპკის მიდამოებში, გამოვლინდა დანგრეული სამარხები, რომელთა შორის აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის ყუადაქანებული ცული (ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში) და ვიწროქედიანი შუბისპირი, რომელიც ინახება ხანლარის მუზეუმში (კუფტინი 1941: 10, 132; ჯაფარიძე 1961: 92, 162, 167).

1938 წ. ზაპკის მახლობლად რკინიგზის ახალი ხიდის მშენებლობისას მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვ. ა. კალანდაძე) მიერ გაითხარა I-III სს-ის რამდენიმე ქვის სამარხი და ქვათილებით ნაგები გალავნის ნაშთები. ქვათილებზე ბერძნული ასოები ან ხელისნის ნიშნები იყო ამოკვეთილი (ავჯიძე ... 1955: 10).

1950 წ. ზაპკის რკინიგზის სადგურის სამხრეთით, დაახლ. 200 მ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე გამოვლინდა ქვის ფილებით ნაგები სამარხი (1,12X0,58X0,44 მ), რომელიც შეისწავლა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღვ. დ. ქორიძე). სამარხში აღმოჩნდა თიხის მოწითალოდ და მოშავოდ მოხატული ქთანაი; მოშავოდ გამოწვარი კოჭობი; ფაალა; ვერცხლის 2 სასაფუთქვე რგოლი; ვერცხლის ზურგშეზნექილი სამაჯური; ბრინჯაოს საკინძი (3 ც); რკინის დანა. სამარხი დათარიღდა ძვ. წ. VI-IV სს-ით (ქორიძე 1956: 215-225). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

1983-1984 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის მუდმივმოქმედმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. ავაქიძე) ზემო ავჭალაში, ზაპკის ჩრდილო-დასავლეთით შეისწავლა ავჭალისკარის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი, რომელიც მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ზაპკის დასახლებაში, ბულაჩაურის წყალსადენის მახლობლად (ავჯიძე ... 1987: 47). გაითხარა 65 სამარხი, რომელთაგან 5 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხია, 60 ქვის ფილებით ნაგები სამარხი. სამარხებში მიცვალებულთა რაოდენობა სხვადასხვაა – ერთიდან ექვსამდე. მიცვალებულები დაუკრძალავთ ზურგზე განოტილი, თავით დასავლეთით, მცირეოდენი გადახრებით. ნივთები დადასტურდა 41 სამარხში. გამოიყო სამარხთა ორი ქრონოლოგიური ჯგუფი: 1. ახ. წ. IV-V სს-ის სამარხები, რომლებშიც აღმოჩნდა: ოქროსა და ვერცხლის გემიანი ბეჭედები, ქვის საბეჭდავები, მიღვები, ოქროსა და ვერცხლის საყურეები, სასაფუთქვე რგოლები; მიღვებით შემკული ბრინჯაოსა და რკინის საკინძები; მინის საწინასწარმებლები და სხვ. 2. ახ. წ. VI-VIII სს-ის სამარხები, რომლებშიც აღმოჩნდა: ბროწეულის ნაყოფის ფორმის მარჯნის მიღვებით შემკული ბრინჯაოსა და რკინის საკინძები; მშვილდსაკინძები (მათ შორის, ჭვინტიანი); ბრინჯაოსა და ვერცხლის საყურეები, მიღვები, აბზინდები, სამაჯურები; მინის საწინასწარმებლები, რკინის დანები, შუბისწვერები (ავჯიძე ... 1987: 47). ავჭალისკარის სამაროვნის მასალა ინახება მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაში.

ავჭალასა და მის მიდამოებში სხვადასხვა დროს შემთხვევით აღმოჩნდა მონეტები. 1924 წ. ზაპკის მშენებლობისას ნაპოვნია ორი ქუფური დირჰემი: ომეიდური (700-701); აბასური, ხალიფა მაჰდის დროს მოჭრილი (778-779). 1927 წ. ზემო ავჭალაში აღმოჩნდა ქუფური ფელსი, ხალიფა რაშიდისა და ამინის დროს მოჭრილი (808-809). მონეტები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (ჯვალავანი 1972: 10, 12).

1956 წ. ავჭალაში იპოვეს ბიზანტიური ოქროს მონეტა (1 ც), კონსტანტინე IX მონომახისა (1042-1055) (აბრამიშვილი 1965: 92, 132, 137).

1957 წ. ავჭალაში აღმოჩნდა ერთმანეთთან შედუღებული რამდენიმე მონეტა, რომლებიც აბუ-აიდის დირჰემებს წარმოადგენდნენ (ღვაბერიძე 1986: 70). ზემო ავჭალაში ნაპოვნია აგრეთვე რუსუდან მეფის (1 ც) (1222-1245) მონეტა (აბრამიშვილი 1984: 145). მონეტები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ზემო ავჭალის თავზე, კოლღვან გორაზე მდებარე სასაფლაოზე დგას დარბაზული ტიპის, ფლეთილი ქვითა და ბრტყელი კვადრატული აგურებით ნაგები XVII-XVIII სს-ის ეკლესია (შმერლინგი 1960: 100).
ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1965: 92, 132, 137; აბრამიშვილი 1984: 142-146; აბრამიშვილი, რამიშვილი 1975: 16-24; აბრამიშვილი 1976: 25; ავაქიძე

... 1955: 10; აფაქიძე 1963: 131, 132, 158, 196, 200, 216, 219, 223, 245; აფაქიძე ... 1986: 31-37; აფაქიძე ... 1987: 47-51; ბაგრატიონი 1941: 3, 75; ბაგრატიონი 1983: 46; ბაგრატიონი 1986: 64, 81; ბერძენიშვილი 1965: 440; 1966: 18, 59; ბერძენიშვილი 1971: 3-22; გვასალია, თოდრაი 1971: 23-37; გიულდენშტედტი 1962: 61; დოკ. თბ. ისტ. 1962: 159; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 72, 208; 1953: 266; იოსელიანი 1871ა: 84, 85; ისტ. საბ. 1913: 33; კუფტინი 1941: 10, 132; 1947: 69, 81; მაკალათია 1928: 161-188; მასალები საქ. ისტ. 1905: 3; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 14; მუსხელიშვილი 1967: 72, 75, 76; ნემსაძე 1979: 55-63; ნიორაძე 1931: 139-228; ნინეშვილი 1992: 61; ორბელიანი 1981: 59, 69, 102, 142, 144, 182, 228; პახომივი 1938: 15; საქ. არქ. 1959: 72; საქ. არქ. 1992: 104; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 65, 81, 86, 90, 155, 210; საქ. სოდ. 1910: 471, 503, 508; 1920: 10; სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 78; ქც 1: 326,4, 349,21; ქც 2: 128,17; ქც 4: 163,11; 267,7; 514,10; 537,3,5; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 200, 374; 1970: 180, 190, 1039; 1972: 671; 1974: 153, 220, 231, 249; 1977: 169, 172, 606; 1981: 149, 310, 444, 461; ქორიძე 1955: 29-31, 111, 187, 222; 1956: 215-225; 1958: 80; ქრონიკები 1897: 197; 1967: 194; ღვაპერიძე 1986: 70; შერლინგი, დოლიძე, ბარნაველი 1960: 100; ჩიტაია 1925: 11; ჩხეიძე 1913: 43, 439; წამებაი ... 1946: 243; ხერხეულიძე 1989: 4; ჯალალანია 1972: 10, 12; ჯავახრიძე 1961: 92, 162, 167.

აზნაშა, ციხე (ქც 4: 327,16). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 327,16). ლოკალიზდება ვარდანის მუნიციპ-ში. მდებარეობს თრიალეთის ქედის განშტოებაზე, დაბა კოჯრის სამხრეთით, მთაზე; თბილის-მანგლისის (ტაბანმელას გავლით) საავტომობილო გზაზე. აზნაშას ციხე დღეს ცნობილია კოჯორის ციხის სახელით (იხ. კოჯორი, კოჯორი). აზნაშას ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ბიბლიოგრაფია: ქც 4: 327,16.

ააშროსა (ქც 4: 316,12). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 316,12), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 18, 19; 1974: 62, 63). მდებარეობს ქ. ბონისიდან 7 კმ-ის დაშორებით, მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. აკაურთას ადგილას. აკაურთა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. აკაურთას დარბაზული ეკლესია (15,5X10მ) აგებულია სოფლის შუაში, კლდოვანი მთის კალთაზე. ნაშენია დიდი ქვათილილებით. დასავლეთი ფასადის ღია მწვანე ქვის ახალი წყობა მკვეთრად განსხვავდება აღმოსავლეთის მასიური ქვის წყობისაგან (მუსხელიშვილი 1938: 323). ეკლესიის სწორკუთხა ნავი შვერილი აფსიდით მთავრდება. აფსიდი გარე-

დან წახნაგოვანია. შიგნით აფსიდი ნაგზე ორჯერ უფრო ვიწროა. თაღებს ნალისებრი მოყვანილობა აქვთ. თავდაპირველი წყობისაგან გადარჩენილია აღმოსავლეთი ფასადი საკურთხეველიანად (კედლის სისქე აღწევს 121 სმ). დასავლეთი კედელი ახალია. ეკლესია შემკულია ჩუქურთმებით. სამხრეთის კარის არქიტრავზე გამოსახულია ყურძნის მტევნები, ტომიკლავა ჯვრები; სამხრეთის ფასადის სარკმელთან მოთავსებულია რელიეფური მედალიონი ფარშევანგის გამოსახულებით. ძველი დათარიღებულია V-VI სს-ის მიჯნით (რჩეულიშვილი 1948: 27-38; ბერიძე 1974: 96, 97). ეკლესია აღუდგენიათ XX ს-ის დასაწყისში. 1974 წ. აკაურთას ეკლესიაზე ჩატარდა მცირე მასშტაბის სარესტავრაციო სამუშაოები (ხელმძღვ. რ. გვერდწითელი, თ. ნემსაძე). სოფ. აკაურთადან 2 კმ-ის დაშორებით მდებარეობს „გიორგი ბატონის“ დარბაზული ტიპის რიყის ქვით ნაგები ეკლესია (7,60X5,10 მ), რომელსაც აქვს მართკუთხა ფორმის აფსიდა. ნაგებობა გადაკეთებულია გვიან შუა საუკუნეებში. **ბიბლიოგრაფია:** ბერიძე 1974: 96, 97; მუსხელიშვილი 1938: 311-382; რჩეულიშვილი 1948: 27-38; ქც 4: 316,12; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 18, 19; 1974: 62, 63.

ალაშხრდი (ქც 4: 214,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 214,23; 349, სქ. 2; 516,15; 548,20, სქ. 4; 549,1,8; 568,29; 580,2, სქ. 1; 583,13; 602,7,8; 616,21; 618,22; 630,28), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 264,15, სქ. 3), „ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისა“ (ქც 1:364,2,12), „ჟამთააღმწერელი“ (ქც 2: 231,4; 5,18), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტი (ქც 2: 367,23; 393,5; 434,14; 438,21; 487,21,31), ცხოვრება იოსებ ალავერდელისა (ცხოვრება ... 1968: 405), ფარსადან გორგჯანიძის „ისტორია“ (გორგჯანიძე 1926: 53), არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ (არჩილი 1989: 399, 545), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 57, 88, 179, 238), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 48), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1913: 243, 245), ბესარიონ ორბელიშვილის „შესწმა ... ბიძინასი, შალვასი, ელისბარისი“ (ორბელიშვილი 1989ა: 52, 54), გრიგოლ დოდორქელის „წამებაი ქეთევანისი“ (დოდორქელი 1989: 11, 32), ისტორიული დოკუმენტები (საეკლესიო გუჯრები 1881: 13, 14, 15, 16, 19; ქრონიკები 1892: 31, 139, 148, 149, 190, 270; 1897: 117, 348, 408, 417, 481, 492, 517; 1967: 46, 69, 80, 94, 170, 171, 179, 180, 195, 209, 369, 571, 618, 626, 632; ქართლ-კახეთის ... 1903: 22, 249; საბუთები 1947: 320; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 211, 367, 395, 396; 1977: 13, 14; 1981: 660, 806, 807; 1985: 257, 337, 466, 475), რუსი ელჩებისა და მოგზაურების ჩანაწერები (მიშეცკი 1935: 51, 52; რუსეთის დაახლოება კავკასიასთან 1889: 124, 156, 157, 170, 201, 382, 464, 475; მასალები ... 1937: 256, 258-259, 261,



ალავერდი

274, 281, 289, 359-360, 419), ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები (ქართულ სპარსული ... 1955: 158, 388), აღ-მულუქის ცნობები საქართველოს შესახებ (აღ-მულუქი 1988: 44), ალქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ (მუნში 1969: 86, 96).

მღებარეობს ახმეტის მუნიციპ-ში, ალაზნის ველზე, ქ-

თელავიდან 18 კმ-ის დაშორებით.

ალავერდის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „შტორის ხეც ზეთი, ალაზნის დასავლეთი, არს ალავერდი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა, დიდშენი, ზღუდე-პალატებიანი, გუმბათიანი, რომელმან მოიგო სახელი აღლის გამო, რომელ არს აღონგურდს და შემდგომად ყრუსა უწოდეს ალავერდი“ (ქც 4: 548,20-22, 549,1).

ალავერდში სამონასტრო კომპლექსი VI ს-ში დააარსა იოსებმა, წმიდა ასურელმა მამამ (ცხოვრება ... 1968: 405). შესაძლოა აქ ძველთაგანვე იყო წარმართული სამლოცველო (ბერიძე 1974: 136). წმინდა გიორგის დიდი საეპისკოპოსო ტაძარი აგებულია XI ს-ის პირველ მეოთხედში, კახთა მეფის, კვირიკეს დროს. 1476-1495 წწ. ეკლესია ძლიერ დაზიანდა მიწისძვრის შედეგად. კახთა მეფე ალექსანდრემ (1476-1511), მისმა დედამ, ნესტან-დარეჯანმა და მეუღლე ანამ ააშენეს დანგრეული კედლების ნაწილები და აღადგინეს გუმბათის ყელი. 1742 წ. ეკლესია კვლავ მიწისძვრამ დააზიანა. მისი შეკეთება 1750 წ. დაიწყო თეიმურაზ II-ის მეუღლემ, დედოფალმა თამარმა. ტაძრის შეკეთება დაამთავრა ერეკლე II-ის (1744-1798) მეუღლემ, დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა.

ალავერდის წმიდა გიორგის ეკლესია დღესაც კახეთის საეპისკოპოსო ტაძარია. შუა საუკუნეების ალავერდში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი საეკლესიო პირები: მთავარეპისკოპოსო სვიმონ ჭყონდიდელი, იგივე ბედიელ-ალავერდელი (ქც 1: 345,20), ეპისკოპოსები ნიკოლოზი და იოსები (ქც 4: 609,23; 615,1,22; 617,1; 624,21). ალავერდის ტაძარში იკრძალებოდნენ კახეთის მეფეები (ქც 2: 367,23; 487,31; 512,1). 1624 წ. 5 იანვარს ალავერდის ტაძარი გაძარცვა და შემუსრა შაჰ-აბასის ჯარმა (ქც 2: 393,5). შაჰ-აბასმა აქ ჩამოასახლა თათართა ტომები, რომლებმაც მონასტერი ციხედ და ალავერდის სახანოს ადმინისტრაციულ ცენტრად აქციეს (ქც 2: 434,14, 516,15). 1660 წ. ზაალ არაგვის ერისთავმა, შალვა, ელიოზარ ქსნის ერისთავებმა და ბიძინა ჩოლოყაშვილმა კახეთის აჯანყების შედეგად ალავერდი ირანელებისგან გაათავისუფლეს (ქც 2: 438,21).

ალავერდელი ეპისკოპოსი მეექვსე ადგილას იყო მთავარეპისკოპოსთა იერარქიულ სიაში. მეფეები და მემამულეები დიდ საბოძვარს სწირავდნენ

ტაძარს (საკელისო გუჯრები 1881: 13-16, 19; ქართლ-კახეთის ... 1903: 252-255). ალავერდი ნშირად მეფეთა სამყოფელს წარმოადგენდა. X ს-ში იქ მივიდა სალოცავად აფხაზთა მეფე კონსტანტინე (ქც 1: 264,15). თეიმურაზ I (1606-1648) ალავერდში იღებდა შაჰ-აბას II-ის დესპანებს. აქვე იდგნენ XVII ს-ში რუსი ელჩები (მასალები ... 1937: 256, 258, 259, 261, 274, 281, 289, 359, 360, 419). ალავერდის მონასტერში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ მწერლები, ხელნაწერთა გადამწერნი და მკაზმავნი: ფილიპე ალავერდელი (XVI-XVII სს), ზებედე მღვდელ-მონაზონი (XVII ს), ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (XVIII ს-ის პირველი ნახევარი), ერეკლე I-ის (1688-1703) ასული მარიამ-მარკინე, არქიმანდრიტი კირლი (XVIII ს-ის მეორე ნახევარი), იოანე ლარაძე (XIX ს-ის დასაწყისი) (მენაბდე 1962: 341-347).

ალავერდის სამონასტრო კომპლექსი მოქცეულია გაღავანში. თავდაპირველად ის მამათა მონასტერი იყო. XVII-XVIII სს-ში აქ დაარსდა დღეათა მონასტერიც. ალავერდის გაღავნის ფარგლებში აგებულია წმიდა გიორგის საეპისკოპოსო ტაძარი; XVII ს-ის ფეიქარ-ხანის (შაჰ-აბასის ნაცვალი კახეთში 1616-1623 წწ.) სასახლე, აგურის რვაკუთხა ნაგებობა, მასზე დაშენებული დაბალი, ოთხკუთხა შენობა და ყაზარმა. ამავე პერიოდში უნდა იყოს ნაგები სატრაპეულო და მარანი. გაღავანიც XVII ს-ით თარიღდება. გეგმით უსწორმასწორო მოხაზულობისა და ცილინდრული კოშკებით არის გამაგრებული. გაღავანში შემორჩენილია აგრეთვე სამსართულიანი პალატი, სამრეკლო და რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. გაღავნის გარეთ გვიანი შუა საუკუნეების აბანოს შენობაა (ბერიძე 1974: 136).

ალავერდის წმიდა გიორგის ეკლესია წარმოადგენს ტრიკონქს. ის გუმბათიანი ნაგებობაა. გემში წაგრძელებული ჯვარია, რომლის სამი მკლავი აფსიდებით არის დაბოლოებული (ზომები: 41,7X26,4მ, სიმაღლე 50 მ-მდე). დასავლეთის წაგრძელებული მკლავი წყვილი სვეტითი და მარად არის გაყოფილი. აღმოსავლეთის აფსიდი სამწახლოა. საკუთხევის ორივე მხარეს აფსიდებით დასრულებული სადიაკვნე და სამკვეთლოა. ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე აღმართულია გუმბათი, რომელიც ოთხ მაღალ სვეტს ეყრდნობა. ტაძარს სამი მხრიდან ეკვროდა გარსშემოსაველი, რომელიც XIX ს-ში მოუზღვრებიათ. დარჩენილია მისი დასავლეთი ნაწილი. გუმბათის ყელში 16 სარკმელია. ტაძრის ფასადები გაფორმებულია თაღებითა და ნიშებით. აღმოსავლეთი ფასადი ხუთთაღიანი კომპოზიციითაა შემკული. ალავერდის ტაძარი გარედანაც და შიგნიდანაც მოპირკეთებული იყო ნახურტბიანი ტუფის ე. წ. შირიმის ქვის ფილებით. XV ს-ში აღდგენილი ნაწილები – გუმბათის ყელი და კედლები აგებულია აგურით. XIX ს-ში ეკლესია შიგნიდან და გარედან შეათეთრეს.

1967 წ. რესტავრაციის შედეგად აღმოჩნდა ძველი მხატვრობის ნაწილების რამდენიმე ფენა. შემორ-

ჩენილია მეფეთა პორტრეტები და წმინდანთა გამოსახულებანი. წარწერების ფრაგმენტულობის გამო საერო პირთა პორტრეტების ზუსტი იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება. უადრესი ფრესკები XI ს-ს განეკუთვნება. სამხრეთის მკლავის კედლებზე XV-XVI სს-ის, ხოლო დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებზე XVI-XVII სს-ის ფრესკებია (ბერიძე 1974: 53-57, 134-136; ვირსალაძე 1967: 9-10, 16-17; ჩუბინაშვილი 1959: 367-404).

ალავერდის ეკლესიაში ინახებოდა მრავალი ძვირფასი ხატი. ალავერდის წმიდა გიორგის ხატი დიდი გავლენით სარგებლობდა და განთქმული იყო სასწაულოქმედებით (ქვ 2: 231,4,5,18; ქვ 4: 214,23). ის ოქროთი შეუმოსავს კონსტანტინე კახთა მეფეს (ქვ 1: 264,15, სქ. 3; ქვ 4: 798,21). ალავერდის ეკლესიის დღემდე გადარჩენილი ოქროსა და ვერცხლის ჭედური ხატები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (წ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი).

1991 წ. ძველთა დაცვის სამმართველოს სპეციალური სამეცნიერო-რესტავრაციო სახელოსნოს მიერ ალავერდის ტაძრის ინტერიერში ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები (ხელმძღ. ბ. მჭედლიშვილი). ტაძრის იატაკის ქვეშ, 30-40 სმ სისქის ნაშალი ფენის ქვემოთ აღმოჩნდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი დიდი ნაგებობის ნაშთი, რომელიც თავის მხრივ დაშენებულია უფრო ძველი შენობის კედლებზე. ზედა ნაგებობის კედლები (სივანე 2-2,2 მ) ნაშენია ფლეთილი და რიყის ქვებით კირხსნარზე. შენობის სიგრძეა 46 მ. მისი დანიშნულების გარკვევა ვერ ხერხდება. მთლიანად გამოვლინდა ამ ნაგებობის სამხრეთი მხარე, ნაწილობრივ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები, ცენტრალური ნაწილი. შენობის ჩრდილოეთი კედელი დღეს არსებული ტაძრის ჩრდილო კედლის გარეთ ეზოში უნდა მდებარეობდეს.

ქვედა შენობის კედლები (სივანე 2 მ) ნაგებია რიყის ქვით ტალახზე. ნაგებობის კედლის სიგრძეა 56 მ. მქონი ინფორმაციის გამო შენობის გეგმარება და მისი დანიშნულება ბოლომდე გაურკვეველია. გათხრებისას ძირითადად კერამიკა აღმოჩნდა. ესაა IV-X სს-თვის დამახასიათებელი ნაპრიალებზედაპირიანი მოწითალო ფერის კერამიკა.

ტაძრის ინტერიერში გამოვლინდა 15 სამარხი. აქედან 6 ქვისაა, 3 ორმოსაფრისი, 4 აგურითაა ნაშენი და გადახურულია ქვიშაქვის თხელი ფილებით. ყველა სამარხი ქრისტიანულია. მათ შორის რამდენიმე საოჯახო და საგვარეულო საძვალეა. მხოლოდ ერთ მათგანში აღმოჩნდა ნივთი – მოჭიქული სამარილე. სამარხები თარიღდება განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებით. წარწერიანი სამარხი ქვებით დგინდება, რომ ტაძარში კრძალავდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირებს. მაგ., აქ დაუკრძალავთ თეიმურაზ მეფის რძალი, ბატონიშვილ დავითის თანამეცხედრე, ეპისკოპოსი პიროსი და სხვა (მჭედლიშვილი, გოცაძე 1995: 213-216). განათხა-

რი მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

1969-1971 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის ექსპედიციამ (ხელმძღ. ვ. ფიცხელაური) სოფ. ალავერდთან შესწავლა სამაროვანი და სამოსახლო „ალავერდი I“ („მინდიანი“) და სამოსახლო „ალავერდი II“ (ფიცხელაური ... 1971: 39). სამოსახლო „ალავერდი I“ მდებარეობს სოფ. ალავერდიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1 კმ-ის დაშორებით. ფენაში შემორჩენილია 2 სმ სისქის გამოშვარი თიხის იატაკის ფრაგმენტები. აქვე აღმოჩნდა შავპირი კერამიკის ნატუნები და კაჟის ნამგლის ჩასართები. ნამოსახლარი თარიღდება ადრე ბრინჯაოს ხანით (დედაბრიშვილი 1969: 66, 67). „ალავერდი II-ის“ ტერიტორიაზე სამმეტრისანი დანალექების ქვეშ გამოვლინდა შუა ბრინჯაოს ხანის სამაროვანი, რომელიც ზევდან ედო და ზოგ შემთხვევაში ჭრიდა ადრე ბრინჯაოს ხანის სამოსახლოს ფენას. სამაროვანზე ქვისწრებიანი ორი სამარხის გარშემო განლაგებული იყო სხვა სამარხები. ყველა სამარხი ორმოიანია, მცირე ქვაყრილით, ინჰუმაციური (მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე მოხრილი, თავით დასავლეთით). ერთ შემთხვევაში (ქვისწრისანი სამარხი №2) დადგინდა, რომ მიცვალებულს ახვევდნენ წმინდა ქსოვილში, რომლის კიდეები შეკრული იყო პირამიდალურთავიანი ბრინჯაოს საკინძებით. №1 ქვისწრისანი სამარხში მიცვალებულის ძვლები არ აღმოჩნდა. სამარხს ჰქონდა თანხა, რომელშიც განლაგებული იყო თიხის ათამდე ჭურჭელი. დანარჩენ სამარხებში ინვენტარი ერთფეროვანია – თიხის რამდენიმე ჭურჭელი და იშვიათად სხვა ნივთები (ფიცხელაური ... 1971: 39).

ბიბლიოგრაფია: ალიბეგაშვილი, საყვარელიძე 1980; ალ-მულუქი 1988: 44; ამირანაშვილი 1950: 158-162; არჩილი 1989: 399, 545; ბაქრაძე 1875: 6, 7; ბერიძე 1974: 136; ბუგაიანიშვილი ... 1971: 7 8; ბუგაიანიშვილი ... 1972: 17, 18; გორგოჯანიძე 1926: 53; დედაბრიშვილი 1969: 66, 67; დოდორქელი 1989: 11, 32; ვირსალაძე 1967: 9, 10; თაყაიშვილი 1907: 87; იოსელიანი 1845: 146-150; მასალები ... 1937: 256, 258, 259, 261, 274, 281, 289, 359, 360, 419; მენაბდე 1962: 335-347; მიუცკი, კლუჩარევი 1928: 144-147; მუნში 1969: 86, 96; მჭედლიშვილი, გოცაძე 1995: 213-216; ორბელიანი 1981: 57, 88, 179, 238; ორბელიანი 1989ა: 52, 54; რუსეთის დაახლოება კავკასიასთან 1889: 124, 156, 157, 170, 201, 382, 464, 475; საბუთები 1947: 320; საეკლესიო გუჯერები 1881: 14-16; ფიცხელაური ... 1971: 39; ქვ 1: 264,15, სქ. 3; 364,2,12; ქვ 2: 231,4,5,18; 367,23; 393,5; 434,14; 438,21; 487,21,31; ქვ 4: 214,23; 349, სქ. 2; 516,15; 548,20, სქ. 4; 549,1,8; 568,29; 580,2, სქ. 1; 583,13; 602,7,8; 616,21; 618,22; 630,28; ქართლ-კახეთის ... 1903 :22, 249; ქრონიკები 1892: 31, 139, 148, 149, 190, 270; 1897: 117, 348, 408, 417, 481, 492, 517; 1967: 46, 69, 80, 94, 170, 171, 179, 180, 195, 209,

369, 571, 618, 626, 632; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 211, 367, 395, 396; 1977: 13, 14; 1981: 660, 806, 807; 1985: 257, 337, 466, 475; ქართულ-სპარსული ... 1955: 158, 388; ჩუბინაშვილი 1925: 107-127; 1959: 369-404; 1959a; ჩხეიძე 1913: 48; ცხოვრება ... 1968: 405; ხახანოვი 1898: 8-19; ხერხეულიძე 1913: 243.

ალამბარი, სასახლე (ქვ 4: 792,1,2, სქ. 1). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 792,1,2, სქ. 1).

მდებარეობს ქობულეთიდან ჩრდილოეთით 14 კმ-ის დაშორებით, თანამედროვე სოფელ ალამბარის ტერიტორიაზე.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „ხინოს მდინარის (მდ. კინტრიში) შესართავთან ზღუაზედ არს ალამბარი, სასახლე შენი, გურიელთა“ (ქვ 4: 792,1). ალამბარი XV-XVI სს-ში იყო გურიის მთავართა რეზიდენცია (მეგრელიძე 1963: 74).

ალამბარი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: მეგრელიძე 1963: 74; ქვ 4:792,1, 2, სქ. 1.

ალასტანო (ქვ 2: 443,4,6,10,17,23,29; 447,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ბერი ევნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტის (ქვ 2: 443,4,6,10,17,23,29; 447,7), „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 14, 196, 197, 203).

მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპ-ში, ახალქალაქიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 22 კმ-ზე მდ. ჭობარეთისწყლის ორივე ნაპირზე, დღევანდელ სოფ. ალასტანის ტერიტორიაზე.

ალასტანი ქართულ წერილობით წყაროებში იხსენიება როგორც ადგილი და როგორც სამემკვიდრო სამფლობელო, ქართველ ბაგრატიონთა უფლისწულთა - „ალასტანელითა“ მამული-რეზიდენცია XIII-XIV სს-ში. „ალასტანელები“ ქართველ უფლისწულთა ზეწოდებაა, რომელიც წარმომდგარია საუფლისწულო ცენტრის - ალასტანის სახელიდან. ალასტანელი უფლისწულები ფლობდნენ მთლიანად ჯავახეთსა და მის მოსაზღვრე ზოგიერთ რაიონსაც (კერძოდ, ლორეს, ქვემო ქართლში, რომელიც ამჟამად სომხეთის საზღვრებშია). ქართულ წყაროებში პირველი „ალასტანელი“ იყო გიორგი IV ლაშა, თამარის ძე (1207-1223). უკანასკნელი „ალასტანელი“ მეფე იყო გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი (1355-1373). მისი გავლენის ქვეშ ჯავახეთის გარდა შედიოდა ლორეც, სომხეთის მხარის ნაწილი, ქვემო ქართლში. ის თურქებმა მოკლეს ბრძოლაში 1373 წ. XIV-XV სს-ში ალასტანს სამცხის მთავრები - ჯაყელები დაეპატრონენ. XVI ს-იდან, ოსმალური ექსპანსიის შედეგად, სოფლები ზემო და ქვემო ალასტანი, რომლებიც ტყიანი ჯავახეთის რაიონს ეკუთვნოდა, ხერთვისის ლივაში შევიდა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 196).

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ,

ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების თანახმად, 1829 წლიდან დღემდე სოფ. ალასტანში (ისევე, როგორც ჯავახეთის სხვა სოფლებში) ცხოვრობენ ერზერუმიდან (თურქეთი) გადმოსახლებული სომხები.

ალასტანი არქეოლოგიურად შესწავლილი არაა.

ჯავახეთის ახალქალაქის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1960 წელს (ხელმძღ. გ. ლომთაიძე) და 1968 წელს (ხელმძღ. ე. ჯანდიერი) ამ მიდამოებში ჩატარდა დაზვერვები. მოძიებულია სპილენძის ნახევარმონეტები ზედწერილით: „ჯავახთუფალი“ და „დავით ძე გიორგისა, ჯავახთუფალი“ (იგულისხმებიან გიორგი IV ლაშა (1207-1223) და დავით VII ულუ, ლაშა-გიორგის ძე (1247-1270)). ალასტანელი ჯავახთუფლების ორი მონეტა (სხვა 33 მონაპოვარ მონეტასთან ერთად) ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის ნუმისმატიკის ფონდი). ალასტანში შემორჩენილია ნახევრადანგრეული, დარბაზული ეკლესია. შემოსილი ყოფილა თლილი ქვით. აღმოსავლეთის ფასადზე შემორჩენილი იყო ნუსხურით შესრულებული, ასომთავრულნარევი წარწერა. ამჟამად სამ ქვაზე წარწერა აღარ იკითხება. დარბაზული ეკლესია აშენებულია X-XI სს-ში და გადაკეთებულია XII-XIII სს-ში. სარკმლის მარჯვნივ და მარცხნივ ორ ქვაზე შემორჩენილი წარწერა ნაწილობრივ იკითხება. სარკმლის ზემოთ გამოსახულია სამი წრე ჯვრებით: 1. მარცხენა ქვაზე, წრის გარეთ, მალა, მკრთალად არის ამოკვეთილი: „ესე მე რომელმან დავექვაი“. 2. სარკმლიდან მარჯვნივ, მალა, ცალკე ქვაზე ამოკვეთილია: „ესე მე და ჩემ ... საოლის ძემ(?)“. წარწერა თარიღდება XIII ს-ის შემდგომი ხანით (როსტომოვი 1898: 30, 31; ცისკარიშვილი 1959: 123; ბერძენიშვილი 1964: 157, 158).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1964: 157, 158; ბერძენიშვილი 1985: 100, 107, 109, 114, 116, 123; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 14, 196, 197, 203; 1958: 274, 275; მელიქიძე-ბეგი 1957: 9; თდიშელი 1964; როსტომოვი 1898: 30, 31; ქვ 2: 443,4,6,10,17,23,29; 447,7; ცისკარიშვილი 1959: 92, 104, 123; ჯავახიშვილი 1966: 125, 126, 127.

ალეზი, ეკლესია (ქვ 4: 353,20,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 353,20,23), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 287; ქსნის საერისთ. სტატ. 1951: 28; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 18; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 562; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 195, 217, 239), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 36), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 95, 275).

მდებარეობს ახალგორის მუნიციპ-ში, მდ. ქსნის მარცხენა შენაკად ალეურას ქვემო წელზე, ახლანდელი სოფლების - ქვემო და შუა ალევის ტერიტორიაზე. ძველი ალევი იყოფოდა ქვემო და შუა უბ-

ნებად, რომლებიც XIX ს-ში ქვემო და შუა ალევის სოფლებად იქცნენ (ბაქრაძე 1875: 24).

ალევის ეკლესია წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება XV ს-ში (ქრონიკები 1897: 287). XVII ს-ში ალვეი ეკუთვნოდა წილკნის საეპისკოპოსოს (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 562). 1724 წ. რუსეთში მიმავალი ვახტანგ VI (1716-1724) ალვეში შეჩერდა (დონდუა 1967: 146). XVIII ს-ში ალვეი შედიოდა ცხრაზმის ხევიში, რომელიც გვიან შუა საუკუნეებში ქსნის საერისთავოს ძირითადი ნაწილი იყო (თაყაიშვილი 1951: 28; გვრიტიშვილი 1968: 342). 1777 წ. ერეკლე II-ის მიერ დამარცხებული ქსნის ერისთავების ქონება ბატონიშვილებს დაუბრუნდა. ალვეი ერვო იოანე ბატონიშვილს (გვრიტიშვილი 1955: 330). აქ გადიოდა ქსნის ხეობიდან მთიულეთისაკენ მიმავალი გზა (გვასალია 1983: 44).

ალევისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1981 წელს. ქვემო ალვეში, სოფლის აღმოსავლეთით, მდ. ალუურას მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „გრძელეზზე“ გამოვლინდა სამაროვანი, სადაც 1981-1989 წწ. გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ალევის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ნ. აფხაზავა).


სამაროვანზე გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ერთი ორმოსამარხი, რომელშიც მიცვალებული დაკრძალათ კიდურებმობრილი, მარცხენა გვერდზე. სამარხში აღმოჩნდა: შავპრიალა თიხის ჭურჭელი (ქოთნები, დერგი, ლანგარი და სხვ.), ბრინჯაოს შუბისპირი და რკინის მახვილი. სამარხი დათარიღდა ძვ. წ. X-VII სს-ით.

სამაროვანზე გამოვლინდა ადრე შუა საუკუნეების 138 სამარხი: ქვის ფილებით ნაგები სამარხები, ორ-

მოსამარხები და ძელებით გადახურული ორმოსამარხები. მიცვალებულები დაუკრძალავთ ზურგზე გაშოტილები, თავით დასავლეთით; ქალების ნაწილი დაკრძალული იყო გვერდზე, კიდურებმობრილი. სამარხებში აღმოჩნდა 36 მონეტა: ფეროზის, კავადის, ვალარშარის და ხოსრო I-ის სასანური დრაქმები; ერთი ჰერაკლე კეისრის ვერცხლის ჰექსაგრამა. სამარხებში გამოვლინდა: მშვილდსაკინძები (ბუდეაბმული, ჭვინტიანი, ბუდემთლიანი); საკინძები (ფიგურულთავიანი, „შენობისეპურთავიანი“, მრგვალ-ბრტყელი თავით, ბროწეულის ფეავილისა და ნაყოფის გამოსახულებიანი და სხვ.); აბზინდები, ბალთები, საყურები (ერთწილადი, ორწილადი და სხვ.); ბრინჯაოს, ვერცხლისა და რკინის ბეჭედები; სამაჯურები (ქრდმესქელებული, თავებგახსნილი და სხვ.). სამაროვანი თარიღდება V-VII სს-ით (აფხაზავა 1988: 117-119).

გამოირჩევა სამარხი №10 (ზომები: 2,10X1,17 მ), რომელიც შეკრულია ოთხი და გადახურულია 3 ქვის ფილით. სამარხის ჩრდილო ნაწილში დაუკრძალავთ მამაკაცი, სამხრეთით – ქალი. ორივე ზურგზე გაშოტილი. მათ შორის ესვენა ორი ბავშვი. სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს დაბრტყელებულთავიანი სამაჯური; გემიანი ბეჭედი; ბრინჯაოს რომბული საკიდები; სასანური ვერცხლის მონეტები (2 კავადის, 4 ხოსრო I-ის); რკინის ჯვრისეპური მულსახსრისანი მშვილდსაკინძი; ქარვის მძივით შემკული, ბრინჯაოს ლეროიანი საკინძები (2 ც); რკინის ბეჭდის ნატეხი; მინის მძივები. განათხარი მასალა იხანება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ალევის ეკლესია (ალევის სამება) მდებარეობს ახალგაორის ჩრდილო-აღმოსავლეთით, უნავიარა მთის ერთ-ერთ მწვერვალზე, რომელიც ლორწომის (ალევის) კლდის სახელით არის ცნობილი. ეკლესია დარბაზული ტიპისაა. აქვს სწორკუთხა საკურთხეველი. ნაგებია ქვათილილებით. ცენტრალურ დარბაზს ჩრდილოეთით, დასავლეთითა და სამხრეთით აქვს მინაშენები. მთავარ ეკლესიაზე აღმოსავლეთიდან მიშენებულია მეორე ეკლესია, მომრგვალებული საკურთხეველით. მთავარი ეკლესია თარიღდება VIII-IX სს-ით. მცირე ეკლესია – X ს-ით. ეკლესიას გარს ერტყმის ფლეთილი ქვით ნაგები ოვალური ფორმის გალავანი, რომელსაც შიდა მხრიდან რამდენიმე ნაგებობა აქვს მიშენებული. გალავნის გარეთ ორმოცამდე წვრილი სათავსოს ნაშთებია (გვასალია 1970: 13, 14). გადმოცემით, ალევის ეკლესია დავით აღმაშენებელს (1089-1125) აუშენებია. ეკლესია იხსენიება წმიდა სამებისა და ღვთისმშობლის სახელით (იოსელიანი 1850: 24; ბაქრაძე 1875: 24). ალევის სამება მდიდარი ყოფილა საეკლესიო განძით, რის გამოც მას „ოქროსკარიანს“ უწოდებდნენ. საეკლესიო განძში წარწერიანი ხატები, ჯვრები და თასებიც ყოფილა. მათ შორის: 1. მთავარანგელოზ გაბრიელის XIV ს-ის ხატი ბერძნული წარწერით, რომელიც მოხსენიებულია „ერისთავთ ერისთავი ივანე



ქვემო ალვეი

აბესალომის ძე“. ხატი აღუდგენიათ 1772 წელს, რაზეც მეტყველებს მეორე წარწერა: „მეორედ შევაკეთე ერისთავმან დავით ...“ 2. მთავარანგელოზ მიქაელის ხატი რელიგიური შინაარსის 1619 წ-ის ხუცური წარწერით. 3. მთავარანგელოზ გაბრიელის ხატი რელიგიური შინაარსის ხუცური წარწერით და ვერცხლის 6 თასი, რომელთაგან ერთზე მოხსენიებულია „მეწურ ოქრომჭედელი“. მეორეზე მხედრული წარწერაა (მონოგრამა), რომელიც არ იკითხება. დანარჩენებზე რელიგიური შინაარსის XVII ს-ის წარწერებია. ნივთები დაკარგულია (თავაიშვილი 1915: 74-77).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1984: 145; აფხაზავა 1986: 85-96; 1988; აფხაზავა ... 1986: 76-82; ბაგრატიონი 1986: 36; ბაქრაძე 1875: 24; გვასალია 1967: 9-54; 1970: 11-17; 1983; გვრიტიშვილი 1955; 1968: 352; გოულდენშტედტი 1962: 95, 275; დონდუა 1967: 146-189; ქსნის საერისთ. სტატ., 1951: 1-68; თავაიშვილი 1915: 74-77; იოსელიანი 1850; 1887; მაკალათია 1969; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 18; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 96; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 195, 217, 239; ქვ 4: 353,20,25; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 562; ქრონიკები 1897: 287; ხანთოვი 1898: 168.

ალიფი, ციხე (ქვ 4: 347,5). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 347,5).

მდებარეობს ბორჯომის მუნიციპ-ში, მდ. გუჯარეთისწყლის ხეობაში, სოფ. წინუბნიდან ჩრდილოეთით, 8 კმ-ის დაშორებით.

ვახუშტი ბაგრატიონი აღუწის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „სარბიელას-ხევის თავს, მალაღს მთის წვერზედ, არს ციხე აღუწისა, მაგარი და მჭურვტი ქართლ-იმერეთისა“ (ქვ 4: 347,5).

აღუწის ციხე შედიოდა – ისტორიული თორის შემადგენლობაში. XV ს-ის მეორე ნახევრიდან თორის ნაწილს, კერძოდ, გუჯარეთის ხეობას ციციშვილები ფლობდნენ (მაკალათია 1957: 16; ხუჯაძე 1969: 114). აღუწის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ციხე დგას მდინარეების ძამისა და გუჯარეთის წყალგამყოფ ქედზე. იცავდა შიდა ქართლში, მდ. ძამას ხეობაში გადასასვლელ გზას. ციხე ძლიერ დასიანებულია. გალავანს აღმოსავლეთითა და დასავლეთით ცილინდროს კოშკები ჰქონდა. ციხე ნაგებია ფლეთიანი ქვით კირისნარზე. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით (ბერძენიშვილი, გიორგაძე ... 1987: 28).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი, გიორგაძე ... 1987: 28; მაკალათია 1957ა: 16; ქვ 4: 347,5; ხუჯაძე 1969: 114.

ალი, ქალაქი (ქვ 4: 377,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 350,17; 337,3,6; 449,12; 472,21; 474,25,26; 478,7; 506,26; 857,9), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის

ცხოვრება“ (ქვ 2: 442,30; 493,8), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 207; რუი-სის სამწყ. დავთ. 1907: 177; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 181, 325; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 18; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 405; 1981: 103; 1985: 15, 45, 47, 456, 479, 517, 521, 536, 625; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 112; ისტ. დოკ. ... 1958: 20; ქართულ-სპარსული ... 1955: 142; 1984: 12, 15, 45, 47; 1985: 456, 479, 517, 521, 536, 625, 742), დასტურდამალი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 545, 660, 693, 705, 706, 714, 721), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 50, 51), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 8), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 278, 295, 296), დონ კრისტოფორო დე კასტელის „აღმოსავლეთ იბერიის სამეფოსა და მისი აწინდელი ომების შესახებ“ (კასტელი 1976: 187).

მდებარეობს საშურის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. ალის მახლობლად, მდ. ჭვრათხევის (აღმოსავლეთის) მარჯვენა ნაპირზე.

ალი მდებარეობდა ქართლისა და იმერეთის დამაკავშირებელ გზაზე. დასავლეთ საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შედეგად ის ქალაქად იქცა XII ს-ში (მეხსია 1959: 44; ბერძენიშვილი 1964: 16, 20). XIV ს-ის მიწურულს ალში იყო საბაჟო (ქრონიკები 1897: 210). XV ს-ის დასაწყისში მეფე ალექსანდრე I-მა (1412-1442) ამირაჯიბები დასაჯა და მათ ალი ჩამოართვა, მაგრამ მალევე შეიწყალა ისინი და ალი უკან დაუბრუნა (ქრონიკები 1897: 209). 1526 წ. იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565) ქართლის მეფე ლუარსაბ I-თან (1527-1556) შეთანხმებით მიიღო ქართლის დასავლეთი ნაწილი, მათ შორის, ალი (სინ. 1973: 102). XVIII ს-ში ალი ზემო ქართლის ერთ-ერთი ქალაქი იყო (ბერძენიშვილი 1966: 86).

ალი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ალის მიდამოდან ცნობილია რამდენიმე შემთხვევითი მონაპოვარი. 1913 წ. სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ე. წ. „აღმოსავლურ-ქართული“, ხოლო 1914 წ. გეომეტრიული ორნამენტით გრავირებული 2 კოლხური ცული. ნივთები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

1925 წ. ალში აღმოჩნდა მონეტების განძი, რომელშიც შედის 471 ვერცხლის მონეტა: ოქროს ურდოს ჯუჩილები (1310-1348) 204 ც; ჯალიარიდი (1355-1389) 7 ც; იოანე II ტრაპიზონელის (1280-1297) ასპერის ქართული მინაბაძი (კირმანელი) 1 ც; აჰმად ჯალიარისა და საქართველოს მეფის, გიორგი VII-ის (1393-1407) სახელით მოჭრილი მონეტა 249 ც; გაურკვეველი ქართული მონეტა 10 ც. განძი XIII ს-ის ბოლო – XIV ს-ით თარიღდება. ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). (პანომოვი 1926: 45, 46; კაპანაძე 1941: 133; დუნდუა 1964: 26). 1971 წ.

აღში, გომი-საჩხერის გზატკეცილთან, მიწის სა-
მუშაოების დროს აღმოჩნდა მეორე განმი, რომელ-
შიც შედის 59 შირვანული მონეტა. მათ შორის: 6
ანონიმური შირვანული მონეტა მოჭრილია ხი-
ლულა I-ის (1417-1462) დროს; 53 ფარუხ იესარის
(1462-1500) დაკინებული თარგია. განმი თარიღ-
დება XV-XVI სს-ით. განმიდან 55 მონეტა დაცულია
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ხოლო 4
საჩხერის მუნიციპ-ის სოფ. ქორეთის საშუალო სკო-
ლაში (ჯალალანია, ღუნდუა 1973: 61; ჯალალანია,
ღუნდუა 1974: 56).

არქეოლოგიური ძეგურების შედეგად სოფლის
ჩრდილოეთით, მდ. ჭერათხევის ზედა წელზე აღ-
მოჩნდა XVI-XVII სს-ის ნაქალაქარი (სმა 1990: 423).
სოფ. აღის ტერიტორიაზე რამდენიმე ეკლესიაა:
დედაღვთისას ეკლესია დგას სოფლის ჩრდილოე-
თით 800 მ-ის დაშორებით, მთის ფერდობზე. ეკლე-
სია დარბაზულია (9X6,2მ). ნაგებია რიყის ქვითა
და ქვითილით. ძლიერ დაზიანებულია. ნახევარ-
წრიული აფსიდა დარბაზის სივანისა და მისგან
გამოყოფილია პილასტრებზე დაყრდნობილი თა-
ლით (სმა 1990: 422).

კვირაცხოვლის ეკლესია დგას სოფლის ცენტრში.
ეკლესია გუმბათიანია (14,35X10,42მ). აგებულია
1810-1820 წწ. ნაგებია აგურითა და რიყის ქვით.
სამხრეთ-დასავლეთით მიშენებული აქვს ეგვტერი
და სამრეკლო (სმა 1990: 423).

უსანეთის ეკლესია მდებარეობს ნაქალაქარ აღის
ჩრდილოეთით, ფერდობზე. ეკლესია სამნავი-
ანი ბაზილიკაა (15,2X10,6მ). ნაგებია ფლეთილი
და თლილი ქვით. ნახევარწრიულ აფსიდას, სამ-
კვეთლოსა და სადიაკვნეს თითო სარკმელი აქვს.
ეკლესიაზე აღმოსავლეთიდან მიშენებულია ორ-
სართულიანი სამრეკლო. ეკლესია და სამრეკლო
თარიღდება XVI-XVII სს-ით.

ღვთისმშობლის ეკლესია დგას ნაქალაქარ აღის
დასავლეთ ნაწილში. ეკლესია გუმბათიანია
(14,5X10,9მ). ნაგებია ფლეთილი ქვითა და აგურ-
ით. ნახევარწრიული აფსიდას, სწორკუთხა სამ-
კვეთლოსა და სადიაკვნეს თითო სარკმელი აქვს.
თარიღდება XVI-XVII სს-ით (სმა 1990: 423, 424).

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული აღის
გარდა წერილობით წყაროებში იხსენიება კიდევ
ერთი, ამავე სახელწოდების დასახლებული პუნქტი,
რომელიც მდებარეობს სამხრეთ საქართველოში
მდ. ფოცხლის ხეობაში (ჯიქია 1958: 458).

ბიბლიოგრაფია: *პაგრატიონი 1983: 50, 51; პაგრა-
ტიონი 1986: 44; პაგრატიონი 1941: 8; ბერძენიშ-
ვილი 1964: 16, 20, 86; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940:
181, 325; ღუნდუა 1964: 26; რუისის სამწყ. დავთ.
1907: 177; ისტ. დოკ. ... 1958: 20; კაპანაძე 1941:
113; კასტელი 1976: 187; მასხალეი საქ. ისტ. გეოგ.
1964: 18; მესხია 1959: 44; პახომოვი 1926: 45, 46; სინ
1973: 102; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 112; ქართ.
სამართ. ძეგ. 1965: 405; 1970: 545, 660, 693, 705,
706, 714, 721; 1981: 103; 1985: 15, 45, 47, 456, 479,
517, 521, 536, 625; ქართულ-სპარსული ... 1955: 142;*

*1984: 12, 15, 45, 47; 1985: 456, 479, 517, 521, 536,
625, 742; ქც 2: 442,30; 493,8; ქც 4: 350,17; 337,3,6;
449,12; 472,21; 474,25,26; 478,7; 506,26; 857,9;
ქრონიკები 1897: 207-211; შარდენი 1975: 278, 295,
296; ჯალალანია, ღუნდუა 1973: 53, 1974: 56-68; ჯი-
ქია 1958: 458.*

აღის ციხე (ქც 4: 377,7). იხსენიება შემდეგ წერი-
ლობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღ-
წერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 377, 7; 433,
21), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“
(ხერხეულიძე 1989: 57).

ვახუშტი ბაგრატიონი აღის ციხის შესახებ გად-
მოგვცემს: „აღის წყალზედ (მდ. ჭერათხევი) ... აღის
ზემოთ არს ლიხის მთის კალთას, ციხე აღისა“ (ქც
4: 377,7).

აღის ციხე მდებარეობს ხაშურის მუნიციპ-ში, მდ.
ჭერათხევის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ.
მცხეთისჯვარში. ციხეს დღეისათვის ეწოდება მცხე-
თისჯვარის ციხე (ნადირაძე 1987: 4).

XVII ს-ის 20-იან წლებში ერთი სააკაქემ სხვა
ციხეებთან ერთად აღის ციხეც გაამაგრა (ქც 4:
433,21). 1757 წ. ლეკებმა აღის ციხე აიღეს (ხერ-
ხეულიძე 1989: 57). აღის წყლის ხეობას მიჰყვე-
ბოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს
დამაკავშირებელი ერთ-ერთი მთავარი გზა. ციხე
ჩრდილოეთიდან იცავდა ამ გზაზე მდებარე ქალაქ
აღს (გვასალია 1983: 147, 148).

სოფ. მცხეთისჯვარში არქეოლოგიურ გათხრებს
აწარმოებდა შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს
ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდა-
ლური ხანის განყოფილების ექსპედიცია. 1972-1977
წწ. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ჯ. ნადირაძე.
1988 წლიდან - ა. დავითაშვილი. ადგილ „ნაურიე-
ში“ გაითხარა სამაროვანი, 3 სხვადასხვა პერიოდის
სამარნები (ბრავაძე, დავითაშვილი 1993: 3). ყვე-
ლაზე ადრეული სამარნები თარიღდება ძვ. წ. VIII-
VII სს-ით. II პერიოდის მოიცავს ადრეანტიკურ,
ხოლო III პერიოდი - ადრეინსტრუხანას.

ადგილ „გასაყიდილიანთ ევენახში“ სამი ფენაა: I -
გვიანბრინჯაოს ხანის, II - ძვ. წ. I ათასწლეულის
პირველი ნახევრის, III - განვითარებული შუა
საუკუნეების ნასახლარი, სადაც აღმოჩნდა 1200 წ.
მოჭრილი ბრინჯაოს ჩინური მონეტა (ბრავაძე,
დავითაშვილი 1993: 46).

ადგილ „ნაურიეში“, რომელსაც კვეთს გომი-საჩ-
ხერის ტრასა, გამოვლინდა სამაროვანი სამი სხვა-
დასხვა პერიოდის სამარნებით. ყველაზე ადრეუ-
ლი (III ფენა) თარიღდება ძვ. წ. VIII-VII სს-ით.
მიცვალბულები დაკრძალულნი იყვნენ კიდურე-
მონორინი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით
სამხრეთ-დასავლეთით, ჩრდილო-დასავლეთით ან
სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარნებში აღმოჩნდა
მონაცრისფროდ და მოჩალისფროდ გამომწვარი
თიხის ჭურჭელი: ქოთნები, დოქები, სასმისები,
ჯამები, ლანგრები. ლითონის ნივთებიდან გვხვ-
დება: ბრინჯაოს თოხი, შუბისპირი, სატევარი,

მშვილდსაკინძი, ღილები, ისრისპირი, სამაჯურები, საკინძები, რკინის დანები, სატევრები და მშვილდსაკინძები (დავითაშვილი 1996: 166-168; 1999: 19-29; 2000: 18-27). III ფენის სამარხებიდან აღსანიშნავია №82 ორმოსამარხი. მასში მიცვალებულის ჩონჩხი არ დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები: მამაკაცის ითიფალური ქანდაკება, ხარის ქანდაკება, საკიოდ ძაღლის გამოსახულებით, ჯაჭვზე ასხმული ზანზალაკები და ირმის ქანდაკება, ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულება, სამაჯურები. სამარხი თარიღდება ძვ. წ. VII ს-ით (ნადირაძე 1990: 113, 114). სამაროვანზე ადრეანტიკური ხანის (II ფენა) 25 სამარხი გაითხარა. მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ კიდურებმოხრილნი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარხები ინდივიდუალურია. მხოლოდ ორში იყო დაკრძალული ორ-ორი მიცვალებული. სამარხებში აღმოჩნდა: მორუხოდ და მოწითალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლები, რკინის მასრაგასხნილი და მასრაშეკრული შუბისპირები, სატევარი, დანები, ცული, ბრინჯაოსა და ვერცხლის რგოლები, ბრინჯაოს სამაჯურები, საკინძები, მძივები (სარდინის, ვიშრის, ქარვის, მინისებური პასტის). სამარხები თარიღდება ძვ. წ. VI-V სს-ით (დავითაშვილი 2000: 29-58). სამაროვანზე ადრეელისტიური ხანის (I ფენა) 16 ორმოსამარხი გაითხარა. მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ კიდურებმოკეცილნი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა რუხად და ჩალისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლები: ყურმილიანი დოქი, კოჭობები, დაშტორიხული სამკუთხედებით წითლად მოხატული დოქები; ლითონის ნივთები: ბრინჯაოს გვერდებჩაჭრილი ცილინდრული ზარაკები, საკინძები, მშვილდსაკინძები; რკინის შუბისპირი და კოლხური ნახევარდრაქმა; მძივები სხვადასხვა ფორმისა და მასალისა – მითის ბოროლის, სარდინის, კირქვის, მინისებური პასტის. ადრეელისტიური სამარხებიდან ტიპურია №16 ორმოსამარხი. მიცვალებული დაკრძალული იყო კიდურებმოხრილი, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა: მოშავო ფერის თიხის დოქი; მრგვალკანიიკვეთიანი ბრინჯაოს რგოლები (2 ც); სარდინისა და კირქვის მძივები (6 ც). სამარხი თარიღდება ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ. წ. III ს-ის დასაწყისით (ბრაგვაძე, დავითაშვილი 1993: 3, 13, 25). მცხეთიჯვრის არქეოლოგიური მასალა დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). აღის ციხე მდებარეობს სოფ. მცხეთისჯვრის განაპირას, მდ. ჭერათხევის მარჯვენა ნაპირზე, მალღობზე; ციხე შედგება დედაციხისა და გალაგინისაგან. გალაგანი მოიცავდა დაახლ. 1 ჰა ტერიტორიას. ნაგებია ფლეთილი ქვით დულაზე. დედაციხის კედლები მისდევს ქედის ზედაპირს, ამიტომ მას არააწესიერი მოხა-

ზულობა აქვს. მის ტერიტორიაზე სხვადასხვა შენობათა ნაშთებია შემორჩენილი, მათ შორის, წყლის აუზიც. ციხე ძლიერა დაზიანებული. თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით (გვასალია 1983: 147).
ბიბლიოგრაფია: ბრაგვაძე, დავითაშვილი 1993; გვასალია 1983: 147, 148; დავითაშვილი 1996: 166-168; 1999: 19-29; 2000: 18-27; 2002: 29-58; ნადირაძე 1987: 4; ნადირაძე 1990: 113, 114; ქც 4: 377,7; 433,21; ხერხეულიძე 1989: 57.

ალონგუმბო, იხ. ალავერდი

ამალღობა, მონასტერი (ქც 4: 754,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 754,14), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 161; 1964: 261), ალექსი იველიძის ელჩობის ანგარიში (იველიძე 1969: 87). მდებარეობს ვანის მუნიციპ-ში, კვირისწყლის (ამაღლების წყლის) მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ამალღობის ტერიტორიაზე (გიულდენშტედტი 1962: 161; ბერაძე 1977: 29). ამალღობის მონასტერი წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება XVII ს-ში ალექსი იველიძის იმერეთის სამეფოში ელჩობის ანგარიშში (იველიძე 1969: 87). მონასტერი იყო ბარის ერისთავთა სავარეულო საძვალე. XVIII ს-ის 30-ანი წლებიდან ამალღობის მონასტერი უკვე ეკლესიად მოიხსენიება. სოფელს ამალღობა ეწოდა ეკლესიის სახელის გამო (ბერაძე 1977: 29). ამალღობა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ამალღობის ეკლესია წარმოადგენს სამაფსიდიან ნაგებობას. ეკლესიას გუმბათოვანი გადახურვა ჰქონდა (გუმბათი ჩამონგრეულია). ნაგებია ფლეთილი ქვით კირსნარზე. ნაწილობრივ მოპირკეთებულია თლილი ქვითა და აგურით. შესასვლელი აქვს სამხრეთითა და დასავლეთით. სამი სარკმელი აღმოსავლეთით, თითო-თითო – სამხრეთით, დასავლეთითა და ჩრდილოეთითაა. ეკლესია 1615 წ. აუგიათ მაცხოვრის სახელზე (ბერაძე 1977: 29; სიხარულიძე 1989: 82; ბოჭორიძე 1995: 51). ეკლესიის მახლობლად მდ. ფერეთის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ზენდარში შემორჩენილია ციხე-დარბაზის ნანგრევები, რომელიც ბარის ერისთავთა სახლის ფუძემდებელს, გიორგი (გედლიწყვილი) ერისთავს აუშენებია (სიხარულიძე 1989: 82).
ბიბლიოგრაფია: ბაქრაძე 1875: 24; ბერაძე 1977: 28-40; ბოჭორიძე 1995: 51; ბურჯანაძე 1957; გიულდენშტედტი 1962: 161; 1964: 261; იველიძე 1969: 87; სიხარულიძე 1985: 82-87; ქც 4: 754,14.

ამაშუკაძე (ქც 4: 364,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 364,15; 379,19), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 303).

მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, აწინდელი სოფ. ამაშუკეთის ადგილას.

ამაშუკეთი არქეოლოგიურად შესწავლულია.

ბიბლიოგრაფია: გიულდენშტედტი 1962: 303; ქც 4: 364,15; 379,19.

ამბროლაჰი, სასახლე მეფეთა (ქც 4: 763,18; 764,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 763,18; 764,20), ალექსი იველიყვის ელჩობის ანგარიში (იველიყვი 1969: 166).

ვახუშტი ბაგრატიონი ამბროლაჰის შესახებ გადმოგვცემს: „რიონის სამხრით და კრიხულის აღმოსავლეთით, ამბროლაჰის, ყოფილა სასახლე აწინდელთა მეფეთა...“ (ქც 4: 763,18).

მდებარეობს დღევანდელი ქ. ამბროლაჰის ადგილზე, მდინარეების – რიონისა და კრიხულის შესართავთან. ა. იველიყვი ჩამოთვლილი აქვს სამეფო ციხე-დარბაზები, რომელთა შორისაც ახსენებს ამბროლაჰს (იველიყვი 1969: 166). ამბროლაჰის სახელწოდების შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის ამბროლისძეთა გვარს უნდა უკავშირდებოდეს – ამბროლისძე – ამბროლაჰი – ამბროლაჰი (ამბროლისძეთა სამოსახლო) (ბერაძე 1975: 136). გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ ამბროლაჰს შუა საუკუნეებში ეწოდებოდა მეტეხარა (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 40; ბერაძე 1975: 136).

ამბროლაჰში მდებარეობდა იმერეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია, რომლის ნანგრევებიც დღეისათვის მიწის ზედაპირზე არ ჩანს. XVII ს-ში აქ ეკლესიას აშენებს იმერეთის მეფე გიორგი III (1605-1639) (ბოჭორიძე 1994: 139). ადრეულ შუა საუკუნეებში ამბროლაჰი შედიოდა თაკურის ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულში. XI ს-ში ყალიბდება რაჭის საერისთავო, რომელსაც განაგებდა კახაბერიძეების საგვარეულო. XV ს-ში რაჭის ერისთავობა გადავიდა ჭარციხისძეების საგვარეულოს ხელში. 1489 წ. რაჭის საერისთავო ახლად შექმნილ იმერეთის სამეფოში გაერთიანდა და საგამგეოდ გადაეცა ჩხეიძეების, ხოლო შემდგომ წულუკიძეების საგვარეულოს. 1769 წ. ამბროლაჰი წულუკიძეების სიძეს ზურაბ მაჩაბელს ებოძა (ბოჭორიძე 1994: 137-142; ბერაძე 1975: 136; 1983: 99, 100; კაკაბაძე 1967: 317).

ამბროლაჰი არქეოლოგიურად შესწავლულია. იქ დღეისათვის შემორჩენილია ქვითკირის სამსართულიანი ოთხკუთხა კოშკი, რომელიც გვიანდელი შუა საუკუნეების უნდა იყოს (ბარნაველი 1959: 19). ადგილობრივი მოსახლეობა მას „მაჩაბლის კოშკს“ ეძახის. აქვეა დარბაზული ეკლესიის (10,4X5,9მ) ნაშთები. ეკლესია თლილი ქვით ყოფილა ნაგები. აღმოჩენილია კარის თაღის ქვა (1,83X1,3მ) შემკული ჯვრით, ჩუქურთმითა და ასომთავრული წარწერით: „ჯვარი ქრისტესი, ძლევა მტერთა“. ჯვრის ქვემოთ მხედრული წარწერაა: „ქ. აღიდნეს ღმერთმან ორთავე შინა ცხოვრებათა მეფეთ მეფე გიორგი

და თანამეცხედრე მისი დედოფალი დედოფალი თამარ და ძენი მათნი ალექსანდრე, როსტომი და მამუკა აწდა უკუნისამდე ამინ“ (ბოჭორიძე 1994: 139). ამბროლაჰის ეკლესიიდან უნდა იყოს XVII ს-ის თვლებით შემკული ღვთისმშობლის ვერცხლის ხატი (26,5X20 სმ). ხატს ქვემოთ აშიაზე აქვს ასომთავრული წარწერა, სადაც მოხსენიებულია მთავარეპისკოპოსი სვიმონ ჯავარძიძე (ბოჭორიძე 1994: 140).

ამბროლაჰთან აღმოჩენილია მონეტების განძი, რომელიც შეიცავს თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ, არაბულწარწერიან და იმერეთის მეფე გიორგი II-ის (1565-1585) სახელით მოჭრილ მონეტებს (კაკაბაძე 1955: 117, 118; დობროვოლსკი 1977: 131-134). **ბიბლიოგრაფია:** ბარნაველი 1959: 19; ბერაძე 1975: 132-153; 1983: 99, 100; ბოჭორიძე 1933: 289-338; 1994: 137-142; დობროვოლსკი 1977: 131-134; იველიყვი 1969: 166; კაკაბაძე 1967: 317; კაკაბაძე 1955: 117, 118; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 40; ქც 4: 763,18; 764,20.

ამირანის გორა (ქც 4: 671,13). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 671,13).

მდებარეობს ჯავახეთის ახალქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 500 მ-ის დაშორებით. მთა ვულკანური წარმოშობისაა.


ვახუშტი ბაგრატიონი ამირანის გორის შესახებ გადმოგვცემს: „ახალქალაქს ზეით არს ამირანის გორა, მტკურის სამხრის კიდეზედ. მუნ არს მტკუარს ზედა ხიდი“ (ქც 4: 671,13-14).

XIX ს-ში მთაზე ჯერ კიდევ ჩანდა დუღაბით ნაგები გალავნის საძირკველი და მცირე ეკლესიის ნაშთი. გადმოცემის მიხედვით მთაზე მდგარა ამირანის კერპი (როსტომოვი 1898: 31, 32).

XIX ს-ის ბოლოს ივ. როსტომაშვილმა ახალქალაქის ამირანის გორაზე მიაკვლია არქეოლოგიურ მასალას. 1956 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტისა და ა. პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ერთობლივმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ტ. ჩუბინიშვილი) დაზვერა მთის ფერდობისა და მისი მიმდებარე ძეგლები. 1958 წ. ამირანის გორაზე შემთხვევით აღმოჩნდა ქვის სამარხი, რომელშიც თიხის სამი ჭურჭელი იყო. 1979 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიცია (ხელმძღ. მ. გაბუნია) ამირანის გორაზე აწარმოებდა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოებს (გაბუნია, კალანდაძე ... 1982: 23).



ამირანის გორა



არტეფაქტები ამირანის კორიდან

გორაზე გამოვლენილია 2 პერიოდის ფენა მათი თანადროული სამარხებით. ზედა ფენა ეკუთვნის ძვ. წ. II ათასწ. დასასრულსა და I ათასწ. დამდეგს. ქვედა ფენა კი ძვ. წ. III ათასწლეულს. ქვედა ფენის მასალეობიდან აღსანიშნავია შავპირილა, ხელით ნამერწი თიხის ჭურჭელი.

საინტერესოა ერთი შავპირილა ნაკეთობა, რომელსაც ძირში ჩასმული აქვს ობსიდიანის ფირფიტა. ფრაგმენტული მასალიდან აღსანიშნავია შავად და მოვარდისფროდ ნაპრიანები ჭურჭლის ნატეხები შემკული ნაკაწრით, ფოსოებითა და წერტილოვანი ორნამენტით. ჯამები უმეტესად ღრმაა, პირმოყრილი. ზოგს გარედან კობი აქვს დაპერწილი (ჩუბინიშვილი 1963: 11-15; ორჯონიკიძე 1983: 27, 28). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: ვაბუნია, კალანდაძე ... 1982: 16-24; ორჯონიკიძე 1983: 27, 28; როსტომოვი 1898: 31, 32; ქც 4: 671,13; ჩუბინიშვილი 1960: 23-27; 1963: 11-15.

ანაკლია, დაბა (ქც 4: 118,9; 678,4,5,7,11; 679,16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:118,9; 678,4,5,7,11,); ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლის“ (ქც 1: 216,15), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941:58).

ლოკალიზებულია კლარჯეთში, ძველ ქართულ პროვინციაში (ამჟამად თურქეთის საზღვრებშია), მდებარეობს მდ. ჭოროხის აღმოსავლეთ შენაკადთან – ანაკერტის ხევში, აჭარის მთის კალთაზე არსებულ დაბატანს.

ანაკერტი პირველად იხსენიება V ს-ის ამბებთან, კერძოდ, ქართლის პიტიანშის – ვარსკენის სიკვდილით დასჯის ეპიზოდში (ქც 1: 216,15).

ანაკერტი – როგორც „დაბა დიდი და კარგი“ V საუკუნეშივე არსებულა. ანაკერტთან, ქართლის მეფე ბაკურ III ხოსროიანი (ფარსმან VI-ის ძე) თავს დასხმია ვარსკენ პიტიანშს. მეფე ბაკურმა შეიპყრო პიტიანში და სიკვდილით დასაჯა (ქც 1: 216,15; ქც 4: 118,9).

XVI ს-ში ანაკერტი, მთელ მხარესთან (კლარჯეთსა და ტაოსთან) ერთად, ოსმალებმა დაიპყრო. ამიერიდან ის ფანაკის ლიავაში შევიდა.

ანაკერტი არქეოლოგიურად შეუსწაველია.

ბიბლიოგრაფია: გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 58; ქც 1: 216,15; ქც 4: 118,9; 678,4,5,7,11; 679,16.

ანაკლია, ციხე (ქც 4: 779,4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღ-

წერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 779,4, სქ. 2: 779,3), XVII ს-ის საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 500; ტულუში 1991: 19), 1737 წ. ლიხთიმერეთის რუკა (ბურჯანაძე 1959: 192), იმერეთის მეფის, ალექსანდრე V-ის (1720-1752) წერილი რუსეთის იმპერატორ ანასადმი (მიმოწერა ... 1861: 225), კაცია II დადიანის წერილი გრაფ ტოტლენგისადმი (სიგელები ... 1902: 282), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 194), ლუი გრანჟიეს „წერილი“ (ისტორია კათოლიკობისა ... 1902: 179), ჯოვანო ჯულიანოსა და ლუკას წერილები (საქართველო ევროპის ... 1987: 166), ლუდოვიკო გრანჟეროს „წერილი“ (ისტორია კათოლიკობისა ... 1902: 140), დონ კრისტოფოროს დე კასტელის ცნობები (კასტელი 1976: 179, 195), არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ (ლამბერტი 1938: 121), ჯუზეპე ძამპის წერილი (ისტორია კათოლიკობისა ... 1902: 205), ჟან შარდენის „მოგზაურობა“ (შარდენი 1975: 16, 18, 38, 39, 41), XVII ს-ის მეორე ნახევრის თურქული რუკა (ალასანია 1971: 103), XVII ს-ის დასასრულის ფრანგული რუკა (გვასალია 1979: 107), იპოლიტი ელოს „სამონასტრო სამშობო ისტორია“ (ტულუში 1991: 8), პიოტრ ტოლსტოის „შავი ზღვის აღწერილობა“ (უსტრიალოვი 1863: 337), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 325; 1964: 53), 1708 წ. არზანაკლიის ციხის იანიჩარების დაფინანსების თაობაზე (ოსმალური დოკუმენტური ... 1982: 32), 1713-1715, 1720, 1722 წწ. არზები ანაკლიის ციხის შესახებ (ოსმალური დოკუმენტური ... 1982: 35-36, 40, 43-45, 52-55), 1720, 1721, 1730 წწ. „ქუჩუკბერათი“ ანაკლიის ციხის შესახებ (ოსმალური დოკუმენტური ... 1982: 95-99), რაინეგსის „კავკასიის ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“ (რაინეგსი 1797: 5), იაზიკოვის ცნობები (სიგელები ... 1891: 261), ბრონეგსის „ახალი გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები კავკასიის შესახებ“ (ბრონეგსი 1823: 49), პრიმოდეს „შავ ზღვაზე ვაჭრობისა და ყირიმში გენუელთა ახალშენების ისტორია“ (პრიმოდე 1848: 126), ფრანსუა გამპას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამპა 1987: 83, 92, 94, 95, 112, 113, 148, 317, 321, 340), მურიეს „სამეგრელო“ (მურიე 1883: 290), კოხის „მოგზაურობა რედუტ კალედან ტრაპეზუნტამდე“ (კოხი 1981: 134, 137).

მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპ-ში, შავ ზღვასთან მდ. ენგურის შესართავის მარცხენა ნაპირზე, ახლანდელ სოფ. ანაკლიასთან. ანაკლია წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება: ანაკრია (ქც 4: 779,3, 779,4; ლამბერტი 1938: 121), ანარგია (შარდენი 1975: 16-18; ისტორია კათოლიკობისა ... 1902: 205), ანკლია (გამპა 1987:




ანაკლია

83-92; კობი 1981: 134, 137). ხალხურ მეტყველებაში ის ანრკიადაც იხსენიება.

ზოგიერთი ავტორის მიხედვით ანაკლია ანტიკურ ხანაში პერაკლეს სახელით ცნობილი დიდი ქალაქი ყოფილა (შარდენი 1975: 16, 38). XIV-XV სს-ის ანაკლიაში არსებული გენუელთა სავაჭრო ახალშენი და სიმაგრე (ტულუში 1991: 5). XVII ს-ში წარმოდგენდა სოფელსა და ნავსადგურს (მესხია 1983: 238). ამ დროს ანაკლიაში საეპისკოპოსო კათედრალიც არსებობდა (ლამბერტი 1938: 121). 1703 წ. ოსმალებმა აქ ციხე ააშენეს. XVIII ს-ში ანაკლია პატარა ქალაქი იყო (მესხია 1983: 239). XVIII ს-ის 80-იან წლებში ანაკლია აფხაზთა მთავრის, ლევან შერვაშიძის სამყოფელს წარმოადგენდა (რაინევი 1797: 5).

1935-1936 წწ. ანაკლიაში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპედიცია (ხელმძღვ. ა. ჭანტურია). 1969 წ. იქ დაზვერვები ჩაატარა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოსიარ-მუხეზის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ე. გოგაძე). 1972-1975 წწ. ანაკლიაში გათხრებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. 1975-1978 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კოლხეთის ექსპედიცია (ხელმძღვ. თ. მიქელაძე).

1935-1936 წწ. მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე გაითხარა ხელოვნური ბორცვი „დიხა გუბუბა“ (ანაკლია I), სადაც გამოვლინდა ოთხი ფენა: პირველი ფენა ძვ. წ. III-II ათასწლეულის განეკუთვნება. მასში წარმოდგენილია ბიკონუსური ფორმის ქოთნისა და კოჭობის ტიპის თხელკეციანი ჭურჭელი; ნაცრისფრად გამომწვარი ქოთნის ფრაგმენტები ძაბრისებური ყელით, მრგვალი მუცლითა და სიტულისებური ყურებით; სამკუთხა მოყვანილობის კაჟის ყუნწიანი ისრისპირი და სეგმენტის ფორმის დაკბილული ნამგლის ჩასართი; ყალიბი ნაშაღისათვის; თიხის ორნამენტირებული ბურთულა და ზოთომორფულთავიანი ლითონის საკინძი. II და III ფენა თარიღდება შუა ბრინჯაოს ხანით. II ფენას მიეკუთვნება რვაკუთხედიანი ფორმის ხის ჯარგვალური ტიპის ნაგებობის საძირკვლის ნაშთი; კანელურებიანი და შევრონებიანი ბადლები; ქსოვილის ანაბეჭდიანი თიხის ჭურჭლის ძირები და სხვ. (ფხაკაძე 1992: 274); აქვე აღმოჩნდა წაბლის, თხილის, რკოს ნაყოფები და ფეტვის მარცვლები; „მანას“ ჯეშის პურის მარცვალი (მენაბდე 1940: 684, 685); საქინლის ძვლები; მათ შორის თხის მთელი ჩონჩხი. III ფენის მასალა იდენტირება II ფენისა. IV ფენა გვიანბრინჯაოს ხანით თარიღდება (კუფტინი 1950: 241, 242). ამ ფენაში წარმოდგენილია პირმოყრილი ჭურჭელი; დაბალეყლიანი, პირგადაკეცილი ჭურჭლის პირის გვირგვინები; დერგის პირები; ტოლჩები (კუფტინი 1950: 255).



ანაკლის ერთ-ერთი ნაგებობის კედლის რეკონსტრუქცია გ. ლეჟავას მიხედვით

1972-1978 წწ. ანაკლია I-ის ბორცვის აღმოსავლეთით, 1,5 კმ-ის დაშორებით იხრებოდა ხელოვნური ბორცვი (ანკლია II). ნამოსახლარი თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულითა და II ათასწლეულის დასაწყისით (მიქელაძე 1990: 22). ბორცვზე გამოვლინდა ხის ძეღური, ჯარგვალური ტიპის ნაგებობა (20მ²) და ოთხკუთხა ფორმის ხისავე სამეურნეო სათავსოს ნაშთი (მიქელაძე 1990: 19). ხის ნაგებობის კუთხესთან აღმოჩნდა ორმოსამარხი. მიცვალებული დასვენებული იყო მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე. მის ქვედა კიდურებთან გამოვლინდა ბავშვის ჩონჩხის ნაშთი. ბორცვზე აღმოჩნდა მოგრძო-მომრგვალებული ფორმის თიხის ორი ყალიბი, ქვის საწაფი, ობსიდიანის ისრისპირი, სპირალური საკინძი (მიქელაძე ... 1980: 34, 35); გათხრებისას გამოვლინდა კერამიკის საკმაოდ მრავალფეროვანი ფრაგმენტებიც, რომლებიც სამ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფს განეკუთვნება შავპირი კერამიკა, რომელიც სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჭურჭლითაა წარმოდგენილი. ამ სახის კერამიკა მეტწილად მომრგვალებული ფორმისაა. ნაწილი უორნამენტოა, ხოლო საშუალო ზომის თხელკეციან ჭურჭელზე დატანილია გეომეტრიული, ტალღისებური და ზიგზაგისებური ხაზები. მეორე ჯგუფში ერთიანდება შავად, რუხად და ყავისფრად გამომწვარი, შევრილიანი კერამიკა. მათი ერთი ნაწილის ზედაპირი გოფირებულია და ზიგზაგისებური ხაზებითაა ორნამენტირებული. მესამე ჯგუფის კერამიკა წარმოდგენილია ბადისებური და ქილისებური მოზრდილი ჭურჭლით, რომელიც შავადაა გამომწვარი და მეტწილად პრიალაა. ამ ფენაში აღმოჩენილია ძროხის, თხისა და ღორის ძვლები (მიქელაძე 1990: 73).

ბორცვზე დაფიქსირებულია ძვ. წ. VI-V სს-ის ნამოსახლარიც, სადაც აღმოჩნდა ოთხკუთხა ფორმის ხის ნაგებობის ნაშთი, ადგილობრივი და ატიკური შავფიგურული კერამიკის ფრაგმენტები, წაბლისა და ყურძნის წიპწები (მიქელაძე 1990: 17).

განათხარის მასალა ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ და გ. ჩიტაიას სახ. ფოთის კოლხური კულტურის ისტორიის მუზეუმებში.

ანაკლიის ციხე მდებარეობს მდ. ენგურის შესართავთან. ის 1703 წ. ააშენეს ოსმალებმა (ქც 4: 779,4). თავდაპირველად ნაგებობა ხის ყოფილა. ქვის ციხე 1731 წ. აშენდა (ოსმალური დოკუმენტური ... 1982: 67). რივის ქვით ნაგები ციხე კვადრატული გეგმისაა. კოშკები ოთხკუთხაა, გალავანი ორიარუსიანია. ქვედა ყრუ კედლითაა ამოყვანილი, ზედა იარუსზე სათოფურებია. ციხე ნაწილობრივ დანგრეულია.

ბიბლიოგრაფია: ალასანი 1971: 98-106; ბრონევიკი 1823: 49; ბურჯანაძე 1959; გამბა 1987: 83, 92, 94, 95, 112, 113, 148, 317, 321, 340; გამყრელიძე 2003: 170-189; გვასალია 1979: 107; გიულდენშტედტი 1962: 325, 1964: 53; ვოვაძე 1982; დადიანი 1962: 194; დას. საქ. საბ. 1920; ისტორია კათოლიკობისა ... 1902: 179, 140, 205; კასტელი 1976: 179, 195; კობი 1981: 134, 137; კუჯუჩინი 1950; ლამბერტი 1938: 121; მენაბდე 1940: 684, 685; მესხია 1983: 238, 239; მიმოწერა ... 1861: 225; მიქელაძე 1990; მიქელაძე ... 1973: 42, 43; 1974: 35, 36; 1974ა: 29; 1976: 35-38; 1979: 103, 104; 1979ა: 130-137; 1980: 33-35; 1981: 43-44; მურიე 1883: 134, 137; ოსმალური დოკუმენტური ... 1982: 35, 36, 40, 43-45, 52-55; პაჭკორია 1974: 39-45; პრიმოლე 1848: 126; რაინგესი 1797: 5; საქ. არქ. ... 1992: 274, 275; საქართველო ვერობის ... 1987: 166; სიგელები ... 1891: 261; 1902: 205; ტულუში 1991; უსტრიალოვი 1863: 337; ქც 4: 779,4; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 500; შარდენი 1975: 16, 18, 38-39, 41.


ანაკოფია, ციხე, თავადი ციხე, ქალაქი (ქც 1: 235,6; 317,15; ქც 4: 124,19; 781,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 124,19; 145,17,20; 146,18,19,21; 153,23; 176,15; 748,5; 776,24; 781,7,17,19,სქ.2,4; 782,1,5; 783,23; 784,5,8,11; 795,11,12,18; 796,10,23; 801,12), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 235,6; 236,2), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 295,6,11,12; 299,6,9; 317,16), „დავით და კონსტანტინეს წამება“ (დავით და კონსტანტინეს წამება 1987: 497) 1771 წ. სოლომონ I-ის (1752-1784) „წერილი იმპერატორ ეკატერინესადმი“ (სიგელები ... 1901: 69), გიორგი კედრენეს „ისტორიული მიმოხილვა“ (კედრენე 1963: 584), კასტელის „ალმოსავლეთ იბერიის სამეფო და მისი აწინდელი ომების შესახებ“ (კასტელი 1976: 82, 195), არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ (ლამბერტი 1938: 10), პავლე ალექსოვლის „საქართველოს აღწერილობა“ (მასალები XVII საუკუნის ... 1973:72), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1964: 53), ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა

1987: 87, 319), დიუბუა დე მონპერეს „მოგზაურობა კავკასიაში“ (დიუბუა დე მონპერე 1937: 130).

ანაკოფიის ლოკალიზაციის შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები: ზოგიერთი მკვლევარი მას ტრაქეას ციხესთან აიგივებს (მუსხელიშვილი 1966: 119; ანჩაბაძე 1959: 9; დიუბუა დე მონპერე 1937: 130). სხვა მოსაზრებით ის გაიგივებულია ნიკოფსიასთან (გიულდენშტედტი 1964: 53). ანაკოფიის ლოკალიზაციას აფხაზეთში, ახლანდელი ახალი ათონის ტერიტორიაზეც ახდენენ (ჯავახიშვილი 1983: 55; ლეჟინაძე 1973: 30; თრაფში 1975: 88).

ვახუშტი ბაგრატიონი ანაკოფიის შესახებ გადმოგვცემს: „ცხომის დასავლეთ არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, გამომდინარე კავკასიისა და მომროველი ზღვისა ეგრეთვე ჩილილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლით და ზღვის კიდუხედ არს ქალაქი ანაკოფია“ (ქც 4: 781,17).


VIII ს-ის 30-იან წლებში მურვან ყრუმ ანაკოფიას ალყა შემოარტყა, მაგრამ ვერ აიღო (ქც 1: 236,2). VIII ს-ის მიწურულიდან, ვიდრე ქუთაისი აფხაზთა სამეფოს დედაქალაქად გამოცხადდებოდა, ანაკოფია სატახტო ქალაქი იყო. 1032 წ. ბაგრატ IV-ის (1027-1072) ნახევარძმამ, დემეტრემ ანაკოფია ბიზანტიელებს გადასცა. 1074 წ. გიორგი II-მ (1072-1089) ანაკოფია დაიბრუნა. XIV-XV სს-ში ანაკოფია გენუელთა ფაქტორია ყოფილა (ანჩაბაძე 1959: 244; ფადევი 1934: 116; კულიაშვილი 1922: 134), რაც წერილობითი წყაროებით არ დასტურდება (ბერაძე 1989: 31). XVII ს-ში სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა ანაკოფიას გალავანი შემოავლო (ქც 4: 782,1). XVII ს-ში ანაკოფია სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის პატრიარქის რეზიდენციას წარმოადგენდა. 1771 წ. ანაკოფია თურქებმა დაიკავეს.



ანაკოფიის გენგეგმა

1925 წ. ანაკოფიის ციხეზე ა. ბაშკიროვმა ჩატარა სადაზვერვო გათხრები (ბაშკიროვი 1926: 53). 1957-1958 წწ. ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები (ხელმძღ. მ. თრაფში) (თრაფში 1975: 100-101). გათხრებისას აღმოჩნდა ენეოლითის, გვიანბრინჯოსა და ელენისტური ხანის ნამოსახლართა ნაშთები (თრაფში 1975: 130-133). ენეოლითისა და გვიანბრინჯოს ხანის მასალა წარმოდგენილია მცირერიცხოვანი

კერამიკით. ელინისტური ეპოქის მასალებიდან გვხვდება შავლაკიანი კერამიკა და იმპორტული (ნაწილობრივ სინოპური) ამფორები (თრაფში 1975: 131). შედარებით უკეთაა შეწავლილი შუა საუკუნეების ნაქალაქარი. გამოვლენილია VIII-IX სს-ის საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები; XI-XII სს-ის კირის გამოსაწვავი მრგვალი ფორმის ქურა (4,20X5,50 მ); VII-X სს-ის ქვევრები, ქოთნები, ამფორები, დოქები. საბრძოლო იარაღიდან გვხვდება: რკინის ისრისპირები, შუბისპირები. განათხარი მასალიდან აღსანიშნავია მინის ჭურჭლის ფრაგმენტები; ქართული და ბიზანტიური მონეტები (თრაფში 1975: 131-145). ციხის ტერიტორიაზე გაითხარა რამდენიმე ორმოსამარხი, რომელშიც მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ ზურგზე გაშლილნი, თავით დასავლეთით, მკერდზე დაკრეფილი ხელებით. სამარხეული ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია რკინის ბეჭდით (№4 სამარხი), ბრინჯაოს ღილებით (№3 სამარხი), ბრინჯაოს მრგვალი ფორმის სარტის (№5 სამარხი), ბრინჯაოს სამაჯურით (№6 სამარხი), რკინის დანით (№7 სამარხი). ექვსი სამარხი უინვენტაროა. სამარხები თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით (თრაფში 1975: 102-103).



ანაკოფის ციხე

ანაკოფის ციხე (ფართობი 70 000 კვ.მ) მდებარეობს ივერიის მთაზე. დედაციხე (83X37 მ) აგებულია V-VI სს-ში. გალანის შემორჩენილი ნაწილის სიმაღლეა 4-5 მ; კედლის სისქე 1,2 მ-ია. ნაგებია კარგად გათლილი კვადრებისაგან. დედაციხის სამხრეთ კედელთან კარიბჭეა. ციტადელის აღმოსავლეთი და დასავლეთი კედელი გამაგრებული იყო VII ს-ში მიშენებული ოთხკუთხედიანი ფორმის კოშკებით. მეორე ძირითადი თავდაცვითი ნაგებობა (450X150 მ) VII-VIII სს-ს განეკუთვნება. ის დიდი ზომის ქვათილებებისგანაა ნაგები. ციხის სამხრეთი კედელი აღჭურვილი იყო ოთხი ცილინდრული და ორი სწორკუთხა ფორმის კოშკით. ანაკოფის ციხე XIII ს-მდე ფუნქციონირებდა. VII ს-ის ეკლესიის ტერიტორიაზე აღმოჩნდა რელიეფური ფილები ბერძნული წარწერებით. პირველი წარწერა: „აგებულია ღვთის შემწეობითა და რომაელთა დიდი მეფის კონსტანტინე მონომახის მონაწილეობით ეგენი პროტოსპაფარია დესპოტისა და კასის ტაქსიარქის თეოდორე ვალენტის

ხელშეწყობით ეს საოცარი ეკლესია 6554 (1046 წ.) თებერვლის 14-ში“; მეორე წარწერა: „ეკლესია აგებულია წმინდა თეოდორეს სახელზე მიქაელის არქიებისკოპოსოსის დროს, აპრილის 15-ში“. წარწერები XI ს-ით თარიღდება (ხრუშკოვა 1980: 26-31).



ანაკოფია

ახალი ათონის ბაზილიკური ტიპის VII ს-ის ეკლესია დგას ივერიის მთაზე. VII-VIII სს-ში უნდა იყოს ნაგები ივერიის მთის ფერდობზე მდებარე ეკლესია, რომლის ნანგრევებია აღმოჩენილი. სვიმონ კანანელი IX-X სს-ის ეკლესია დგას ახალი ათონის მთის ძირას. ნაშენია თეთრი ქვით. ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი ტიპისაა, სამაფსიდიანი. თავის დროზე ეკლესია მონასტრული ყოფილა.

ბიბლიოგრაფია: ანჩაბაძე 1959; ბაშკიროვი 1926: 53-55; ბერაძე 1989: 91; გამბა 1987: 87, 319; გიულდენშტედტი 1964: 53; დიუბუა დე მონპერე 1937: 130; ვორონოვი 1978: 38-60; თრაფში 1959: 29-31; 1975: 88-148; კასტელი 1976: 82, 195; კედრენე 1963: 584; კულდრაევცივი 1922: 134; ლამბერტი 1938: 10; ლექსინაძე 1968ა: 89-104; 1973: 30; მასალები XVII საუკუნის ... 1973: 72; მუსხელიშვილი 1977: 119-121; სიგელუბი ... 1901: 69; ფადევი 1934: 116; ქც 1: 235,6; 236,2; 295,6,11,12; 299,6,9; 317,16; ქც 4: 124,19; 145,17,20; 146,18,19,21; 153,23; 176,15; 748,5; 776,24; 781,7,17,19, სქ. 2,4; 782,1,5; 783,23; 784,5,8,11; 795,11,12,18; 796,10,23; 801,12; ხრუშკოვა 1976: 146-148; 1980: 26-32; ჯავახიშვილი 1983: 55; ჯანაშია 1949: 307.

ანანუში, ეკლესია, ციხე (ქც 4: 353,14-17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 353,14-17; 354,12,16,17; 505,23; 516,23; 621,19,23-25; 623,1; 624,7), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 391,1; 419,4,13), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 35), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 37, 43, 44, 62, 69-71, 73, 81, 113, 114, 121-124, 216, 219, 223, 241, 244), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 81), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 508, 509; 1967: 106, 158, 235, 431, 485, 459, 510, 518; ქართლ-კახეთის ... 1903: 264; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 242; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 153; 1953: 242; 1955: 310, 475; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 397, 420, 512; 1970: 553, 558, 559, 563; 1981: 373, 418, 428; 1985: 243), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 271; 1964: 227), დე გრაი დე ფუას „ცნობები საქართველოს შესახებ“ (დე გრაი დე ფუა 1985: 27, 28, 43,

44, 95, 98), რიჩარდ უილბრაჰიმის „მოგზაურობა საქართველოში“ (უილბრაჰიმი 1990: 24), ბურნაშოვის „საქართველოს სურათები“ (ბურნაშოვი 1935: 73), იაზიკოვის „ჩანაწერები“ (იაზიკოვი 1935: 73). მდებარეობს დუშეთიდან 23-ე კმ-ზე, მდ. მთიულეთის არაგვის მარჯვენა ნაპირზე.

ანანური ისტორიულ წყაროებში XVI ს-დან იხსენიება. ის არაგვის ერისთავების რეზიდენცია იყო (მესხია 1983: 229). 1633 წ. ქართლის მეფე როსტომმა (1632-1658) არაგვის საერისთავო დაარბია. 1739 წ. შანშე ქსნის ერისთავმა შემუსრა ანანური. დაწვა კოშკი „შეუპოვარი“, იქ შეხიზნული მოსახლეობით (ქც 4: 516,23-25). 1746 წ. არაგველები აუჯანყდნენ ერისთავებს. მათ ანანურში დასახმარებლად მოიწვიეს მეფე თეიმურაზ II (1744-1762) და ერეკლე II (1744-1798) და დაამარცხეს ერისთავები. თეიმურაზ II-მ გააუქმა არაგვის საერისთავო და ტერიტორია სამეფო მამულად გამოაცხადა (გვრიტიშვილი 1965: 11). ანანურის ციხესიმაგრე საშიშროების დროს ქართველ მეფეთა თავშესაფარი იყო (ქც 4: 505,23; 516,23; 621,19,23-25; 623,1; 624,7). 1770 წ. აღწერის ნუსხაში ანანური მოხსენიებულია მცირე ქალაქად, სადაც ცხოვრობდა 100 კომლი ქართველი და სომეხი (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 420). 1791 წ. ერეკლე II თავის განწყევლაში საქართველოს შვიდ ძლიერ ციხეთა შორის ანანურის ციხესაც ასახელებს (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 512). ანანურში იყო სამეფო საბაჟო (მესხია 1983: 230). 1792-1799 წწ. აღწერით ანანური ქალაქი და ეკუთვნოდა ბატონიშვილ ვახტანგს (ალმასხანს) (ბაგრატიონი 1986: 35). XIX ს-ის 70-იან წლებში ანანურში 64 კომლი სახლობდა (ოსელიანი 1875: 25). 1812 წ. კონსტანტინე მუხრანბატონმა აჯანყებულ გლეხთა დასამოშმინებლად რუსთა მხედრობით გადაწვა ანანური (ბაგრატიონი 1985: 81). ანანურის ციხესიმაგრე კეტავდა ჩრდილოეთიდან (სამხრეთ რუსეთიდან) მომავალ დიდ მაგისტრალს – დარიალის გზას. ანანურზე გადაიოფა კახეთიდან მომავალი გზა, რომელიც ვაძაოხეთთან გადადიოდა ქსნის ხეობაში (გვასალია 1983: 160).

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) დაცულია შემთხვევით მოპოვებული მასალა ანანურიდან (კოლექცია №1-51, 1-36), რომლის შემადგენლობაშია: ბრინჯაოს აბზინდა, ჭურჭლის ნატეხები, პასტაჟა საღებები; რკინის ნივთი, წიღები; ოქროს ფირფიტა გრებილი ორნამენტით; ოქროს ფირფიტების მცირე ნატეხები; შაჰ-ჰუსეინის ვერცხლის მონეტა, ოქროს მონეტების ნატეხები ლათინური ასოებით; ფაიანსისა და ყვითლად მოჭიქული თიხის ჭურჭლის ნატეხები; წითლად და შავად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები; სამი კაური; ქსოვილის ნაშთი.

1957 წ. დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა შეიძინა შემთხვევითი მონაპოვარი ანანურიდან: ბრინჯაოს ორმის ქანდაკება, ლურჯი მინის მიძვები და მინის საბეჭდავი ჯვრის გამოსახულებით. ანანურის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1939

წ. მცხეთის ექსპედიციის რაზმმა მ. ივაშჩენკოს და ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით. გაწმინდა კოშკი „შეუპოვარი“, სადაც გამოვლინდა: დამწვარი ადამიანების ჩონჩხი; გვიანი შუა საუკუნეების კერამიკის ნატეხები, ვენეციური ოქროს მონეტის ნატეხი ჯვოანო კორნაროსი (1703-1722) და ჰუსეინ I-ის (1718-1722) ვერცხლის სფევიდური მონეტა (პახომოვი 1949: 71; მესხია 1983: 230).

1971 წ. ყინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები ანანურში. მიკვლეულ იქნა ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნები (რამიშვილი ... 1972: 49). 1978 წ. არქეოლოგიური კვლევების ცენტრის ყინვალის ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. რამიშვილი) შეისწავლა ანანურის ციხესიმაგრის ტერიტორია და მისი შემოგარენი. გაითხარა ქვედა ციხის ტერიტორია, სადაც გამოვლინდა საცხოვრებელი სათავსოების კედლების ფრაგმენტები, ნაგები კირხსნარზე კვადრატული აგურითა და თლილი ქვებით. არქეოლოგიური მასალა გვიანი შუა საუკუნეებისაა. ესენია: წითლად გამომწვარი მოჭიქვითი და მოუჭიქავი ჯამების, ხელადების, ქოთნების, ქილებისა და დერგების ფრაგმენტები (რამიშვილი ... 1981: 140).

ანანურის ჩრდილოეთით, ადგილ „ცივწყაროზე“ გაითხარა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი სამი ქვის სამარხი. ინვენტარიანი ერთი სამარხი იყო. მასში გამოვლინდა ბრინჯაოს საკინძები, შემკული ბროწეულის ყვავილისებრი თავით, ძოწისა და სარდიონის ბურთულა თავით; რკინის ფიბულის ნატეხი; ბრინჯაოს ბეჭედი; ბრინჯაოს თავებდაბრტყელებული სამაჯური. სამარხი თარიღდება ახ. წ. VI ს-ით.

ანანურის ჩრდილო-დასავლეთით, ადგილ „თეთრ გზაზე“ 1985 წ. გაითხარა ადრე შუა საუკუნეების 11 ქვის სამარხი და ერთი ორმოსამარხი. უკანასკნელში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული, მონილი კიდურებით, მარჯვენა ვერდზე, თავით სამხრეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა: წითლად გამომწვარი ხელადის ნატეხები; ბრინჯაოს ფიბულა და საკიდები; ვერცხლის ბეჭედი და რგოლი; მინის მიძვები. სამარხი თარიღდება III-IV სს-ით (რამიშვილი ... 1987: 86, 87).

1988-1989 წწ. ამ ადგილიდან რამდენიმე მეტრის დამორებით გაითხარა ჯანვითარებული შუა საუკუნეების ნასოფლარის ქვის ღობით შემოსაზღვრული ერთი საცხოვრებელი კომპლექსის ნაწილი. ნაგებობა, რომელიც რამდენიმე ოთახისაგან შედგება, ნაშენია კლდის ფლეთილი ქვებით კირხსნარზე. საცხოვრებელი ოთახების იატაკი მიწაქვეშაა. წითელკვებიანი მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლის: ქვევრების, ჯამების, ხელადების, დერგების, ქოთნების, ბადების ნატეხების სახით (მინდორაშვილი 1998: 34-39). ნასახლარის ჩრდილო-დასავ-



ანანური

ლეთით გამოვლინდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი შუა საუკუნეების უინვენტარო ქვის სამარხები (რამიშვილი ... 1997: 104). ანანურსა და მის შემოგარენში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დუშეთის ბაზაში.

ანანურის ციხესიმაგრე შედგება ციტადელისა და ქვედა ციხისაგან. ქვედა ციხის ფართობი სამჯერ მეტია ზედა ციხისაზე, რომლის გალავანი ძლიერ დაზიანებულია. ის გვემთა არასწორი ხუთკუთხედიანია. გალავნის სამხრეთ ნაწილში 2 შესასვლელია – დიდი და მცირე. გალავანზე მიდგმულია 4 ნახევარწრიული ფორმის კოშკი, რომელთაგან მხოლოდ საფუძველია შემორჩენილი. ნაგებია ფლეთილი ქვით დუღაბზე (ზაქარაია 1953; ციციშვილი 1955: 80). ზედა ციხე მდებარეობს მაღლობზე. გვემთა ხუთკუთხედიანია. მისი კედელი 8-10 მ სიმაღლისაა. ნაგებია ფლეთილი ქვით, რიგის ქვითა და აგურით კირხსნარზე. შესასვლელი კოშკი სამხრეთ კედელშია. 3 კოშკია დასავლეთის კედელში, ერთი – ჩრდილოეთ კედელში. დასავლეთი კედლის ცენტრში დგას შვიდსართულიანი სწორკუთხა კოშკი „მეუპოვარი“. დანარჩენი კოშკები ცილინდრულია. კოშკების კედლებში დატანებულია სათოფურები და სალოდეები. ზოგან მოწყობილია ბუნარი. ეზოს შუაში დგას პირამიდულსახურავიანი, ხუთსართულიან სწორკუთხა კოშკი. გალავნის შიდა ეზოში აღმართულია 2 ეკლესია, სამრეკლო და წყალსაცავი 2 აუზით. ქვედა და ზედა ციხის გალავნებს შორის დგას დარბაზული ტიპის ეკლესია, ე. წ. „მკურნალი“ (11,7X6,4მ). მას აქვს ნახევარწრიული აფსიდა. შესასვლელი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. მოგვიანებით ეკლესიის სახურავზე დეკორატიული სამრეკლო. ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვითა და კირხსნარით. ცალკეულ დეტალებზე გამოყენებულია აგურიც. ციტადელის დასავლეთ მონაკვეთში დგას მცირე გუმბათიანი ეკლესია „ღვთაება“ (21X8მ). ნაგებია ფლეთილი ქვით დუღაბზე. შიგადაშიგ აგურიც გამოყენებულია. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. ეკლესიის სამხრეთი მკლავის არეში მოთავსებულია თლილი ქვით ნაგები სწორკუთხა ბაზილიკა. მის სამ ფასადზე მხედრული წარწერაა, რომელშიც მოხსენიებულია საქართველოს მდივანბეგი, არაგვის ერისთავის, გიორგის შვილი ედიშერი. ბაზილიკა

აგებულია მისი მეუღლის, ანა აბაშიძის მიერ 1674 წ. ეკლესია აშენებული უნდა იყოს XVI ს-ის შუა წლებში ან XVII ს-ის დასაწყისში (ზაქარაია 1953: 109).

ანანურის ციტადელის მთავარ შენობას წარმოადგენს დიდი გუმბათიანი ტაძარი „ღვთისმშობელი“. გვემთა ის სწორკუთხედიანი მოთავსებული ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა (22,9X17,1მ; სიმაღ. 26,4მ). შესასვლელი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. საკურთხეველის ნახევარწრიული აფსიდის გვერდებზე დამხმარე სათავსოებია. გუმბათი ეყრდნობა საკურთხეველის კუთხეებს და დასავლეთის ორ ბურჯს. საკურთხეველში სამი სარკმელია, გუმბათის ყელში – 16. ეკლესიის კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით დუღაბზე. ინტერიერი შელესილია ბათქაშით. გარედან მოპირკეთებულია თლილი ქვის პერანგით. ინტერიერი მონახული ყოფილა. ამჟამად სამხრეთ კედელზე შემორჩენილია „განკითხვის დღის“ სცენა. ფასადები შემკულია ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების რელიეფური ფიგურებით (ზაქარაია 1953; ბერიძე 1974: 74). სამხრეთის ფასადზე გამოვლენილია მაღალი და განიერი მოჩუქურთმებული ჯვარი, გვერდებზე დატოტვილი ვაზებით. აქვეა ჯაჭვით დაბმული ორი ლომის ფიგურა. ჯვარი და ვაზი ამკობს დასავლეთის ფასადსაც. ტაძარი აგებულია 1698 წელს. ამაზე მიუთითებს სამხრეთ ფასადზე არსებული 19-სტრიქონიანი მხედრული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია არაგვის ერისთავის შვილი, მდივანბეგი ბარდიმი და ბოქაულთუხუცესი ქაიხოსრო (ზაქარაია 1953: 10, 11).

ბიბლიოგრაფია: ბაკრატიონი 1983: 31; ბაკრატიონი 1986: 35; ბერიძე 1974: 74; ბერიძე 1983: 193; 1966: 60-62; ბურნაშვილი 1935: 73; გვასალია 1983: 160-165; გვრიტიშვილი 1955: 19, 40, 43, 384; გიულდენშტედტი 1962: 271; 1964: 227; გორდევი 1939: 14-31; დე გრაი დე ფუა 1985: 27, 28, 43, 95, 98; ზაქარაია 1953; 1967; 1973: 82-88; იაზიკოვი 1935: 73; იოსელიანი 1850; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 153; 1953: 242; 1955: 310, 475; მესხია 1983: 39, 203, 229-233, 234, 235, 249, 261, 324, 339, 403, 459, 464, 609, 615, 623; ორბელიანი 1981: 37, 43, 44, 62, 69-71, 73, 81, 113, 114, 121-124, 216, 219, 223, 239, 240, 244; პახომოვი 1949: 71; რამიშვილი ... 1972: 43-50; რამიშვილი ... 1981: 129-143; რამიშვილი ... 1987: 74-89; რამიშვილი ... 1997: 104; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 122; უილბრაჰიმი 1990: 24; ქართლ-კახეთის ... 1903: 264; საძაგლიშვილი-ივერიელი 1898: 69-80; უილბრაჰიმი 1990: 24; ქრონიკები 1897: 508, 509; 1967: 106, 158, 235, 431, 485, 459, 510, 518; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 397, 420, 512; 1970: 553, 558, 559, 563; 1981: 373, 418, 428; 1985: 243, 353, 354; ქც 2: 391,1; 491,4,13; ქც 4:353,14-17; 354,12,16,17; 505,23; 516,23; 621,19,23-25; 623,1; 624,7; ციციშვილი 1955: 80, 81;

ანნა ეკლესია (ქც 4: 677,18,22,სქ.2,3) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრა-

ტიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 677,18,22, სქ. 2,3), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 418,16), გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (მერჩულე 1963: 248-319), ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 98, 127; 1897: 170, 176).

ანჩის მონასტერი ლოკალიზდება საქართველოს ისტორიულ პროვინცია შავშეთში. მდებარეობს სამკალის ველზე, ქალაქ ანჩადან დაახლოებით 1 კმ მანძილზე. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ისპირის მთის კალთას, არს ეკლესია ლუთაებისა ანჩა, გუმბათიანი, დიდ-შუენიერად ნაგები, კარგს ადგილს. ივდა ეპისკოპოზი, მწყემსი ლიგანის ხევისა გაღმა-გამოღმართისა გონამდე, ფორჩხის ხეობისა და აჭარისა, და აწ ცალიერ არს“ (ქც 4: 677,21,22; 678,1-3).

ანჩის მონასტრის აგების თარიღის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, ანჩაში მონასტრის დაარსება საგარაუდოა VI-VII სს-ში, საქართველოში არაბების შემოჭრამდე (ინგოროყვა 1954: 377, 378; მენაბდე 1962: 436). VIII ს-ის პირველი ნახევრიდან ანჩა საეპისკოპოსო ტაძარია. ანჩის ეპისკოპოსი დიდი გავლენითა და პატივით სარგებლობდა მეფის კარზე. მათ ჰქონდათ მღვდლებსა და დიაკვნების კურთხევის განსაკუთრებული უფლება (ინგოროყვა 1954: 379). ანჩელი ეპისკოპოსი ეზრა თავდადებით ებრძოდა საქართველოში შემოჭრილ ბიზანტიელებს (ქც 1: 292,15). IX-XVII სს-ში ანჩა წარმოადგენდა არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ ადმინისტრაციულ ცენტრსაც (მერჩულე 1963: 68, 69). ანჩის მონასტერში ინახებოდა მაცხოვრის „ხელთუქმნილი“ ხატი, რომელიც დღესაც ანჩისხატად იწოდება (იხ. ანჩისხატის ეკლესია, ანჩისხატი). XVII ს-ში, როდესაც თურქებმა დაიპყრეს ტაო-კლარჯეთი, ანჩის მონასტერი ქართველებმა სამუდამოდ მიატოვეს. მონასტერი კარგად იყო შემონახული ჯერ კიდევ XVIII ს-ში ვახუშტი ბაგრატიონის დროს (ქც 4: 677,18,22, სქ. 2, სქ. 3). 1879 წ. ეს ადგილები მოინახულა დ. პაქრაძემ. მის დროს ეკლესია უკვე ძლიერ იყო დაზიანებული. 1904 წ. მონასტერი აღწერა ნ. მარმა. მის მიხედვით, შემორჩენილი იყო მხოლოდ ეკლესიის აღმოსავლეთი მხარე. 1975 წ. ეკლესია მთლიანად იყო დაზარალებული (ჯობაძე 1992: 54).

ანჩა არქეოლოგიურად შესუსწავლელია.

ანჩის მონასტერი წარმოადგენდა ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას, რომელსაც სამხრეთიდან და დასავლეთიდან პორტიკები ჰქონდა მიშენებული. სამონასტრო კომპლექსი შესაძლოა შეიცავდა ეპისკოპოსის რეზიდენციას (ჯობაძე 1992: 54). ეკლესია აგებული იყო მოწითალო-ღვინისფერი ქვიშაქვით, მოყავისფრო და მწვანე ქვის ჩანართებით. სამი ორნამენტირებული ქვის ბლოკი და თლილი კვადრები ხელმოერედ იყო გამოყენებული ახლომდებარე სახლისა და ჯამეს მშენებლობისას.

ორნამენტი XI ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. საგარაუდოა, რომ VI-VII სს-ში აგებული ტაძარი საფუძვლიანად შეაკეთეს XI ს-ში, მას შემდეგ, რაც იგი დაზიანდა ბიზანტია-საქართველოს საომარი მოქმედების დროს (ჯობაძე 1992: 56).

ბიბლიოგრაფია: ინგოროყვა 1959; მენაბდე 1962; ქც 1: 292,15; ქც 2: 418,6; ქც 4: 677,18,22, სქ. 2,3; ქრონიკები 1892: 98, 127; 1897: 170, 176; მერჩულე 1963: 248-319; ჯობაძე 1992: 54-56.

ანჩის ეკლესია (ქც 4: 334,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 334,23; 335,11,სქ.4,5, 439,14), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 418,16), ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 293; 1897: 490, 505; 1967: 113, 114, 126, 145, 274, 275, 286, 287, 288, 290, 293, 401, 402, 633, 648).

ანჩისხატის ეკლესია მდებარეობს ქ. თბილისში. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, იოანე შავთელის ქუჩაზე. ანჩისხატის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „არს კუალად ანჩისხატი დიდი, უკუმბათო, კათალიკოსისა; შემუსვრილი აღაშენა კათალიკოზმან დომენტიმ, ძემან ქაიხოსროსამან, არს ნათლისმცემლის“ (ქც 4: 335,11).

ანჩისხატს XVII ს-მდე მარიამწმინდის ეკლესია ეწოდებოდა. იგი აუცილებლად VI ს-ის დასაწყისში ვახტანგ გორგასლის ძის, დანი უჯარმელის დროს. XVII ს-დან ეკლესია ანჩისხატად იხსენიება. როსტომ მეფეს (1632-1658) სიონსა და ანჩისხატს შორის ყიზილბაშური რიგის სასახლე აუგია (ქც 4: 334,23). ჩანს, XVII ს-ში ეკლესია დიდი ხნის დანგრეული იყო. კათოლიკოს დომენტის მონებით იგი ხელახლა ააშენეს. XIX ს-ში ეკლესია ძირფსვიანად გადააკეთეს; დააშენეს ცრუ გუმბათი; მიაღვეს უხეში პროპორციების სამრეკლო, რომელიც მოშალეს რესტავრაციის დროს. ანჩისხატის ეკლესია გვიან შუა საუკუნეებში საეპისკოპოსო ტაძარია. ამ პერიოდში ტაძარი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი იყო. აქ მოღვაწეობდნენ პეტრე მესხი, რომელიც ანჩის ხატს ჩამოჰყოლია კლარჯეთიდან და მისი შთამომავლები – მხატვარი გრიგოლი და ალექსი. ამ უკანასკნელმა საფუძველი ჩაუყარა ქართული ხელნაწერების კალიგრაფთა ალექსი-მესხნიშვილების დინასტიას (ბერიძე 1974: 25, 93).

1958-1960 წწ. ანჩისხატის ეკლესიაში ძველთა დაცვის სამმართველოს მიერ ჩატარდა სარესტავრაციო-კვლევითი სამუშაოები (ხელმძღვ. რ. გვერდწითელი). გაითხარა ბაზილიკა. კედლებს მოშორდა შეღვისილობა. მოანგრის დასავლეთიდან მიშენებული ტლანქი სამრეკლო. პირვანდელი



ანჩისხატი

სახით აღდგა და გამაგრდა შავთელის კუთხეში მდგომი 1675 წ. სამრეკლო. ეზო გაიწმინდა სხვადასხვა გვიანდელი ნაგებობებისაგან. რესტავრაციის შედეგად ძეგლმა მიიღო დაახლოებით ის სახე, რომელიც მას ჰქონდა XVII ს-ში (გვერდწითელი 1966: 37-42; 1975: 6-13).

1981 წ. ანჩისხატის ეზოში მშენებლობისათვის ქვაბულის ამოღების დროს გამოჩნდა დიდი ზომის ე. წ. ქართული აგური ნაგები, საკმაოდ მოზრდილი შენობის ნანგრევები. შენობა იდგა ბაზილიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან რამდენიმე მეტრის დაშორებით. შემორჩენილი იყო მიწაში ჩამჯდარი ორი სართული. ქვედა სართულის გაწმენდა გურუნტის წყლებს გამო არ მოხერხდა. პირველ და მეორე სართულებს შორის გადახურვა, რომელიც ხის უნდა ყოფილიყო, აღარ შემორჩენილა. მეორე სართულზე გამოვლინდა ორი მოზრდილი ოთახი და დამხმარე სათავსოები. კედლებს კარ-ფანჯრების ღიობებისა და თხჩევის თავზე გასდევდა ნაწილობრივ შემორჩენილი ხის სარტყლები. აღნიშნული ნაგებობა უნდა იყოს დომენტი კათოლიკოსის (1660-1675) სასახლე (გვერდწითელი 1982: 65-68). ანჩისხატის ეკლესია წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას (21,5X13,6 მ; შუა ნაგის სიმაღლე შიგნიდან 4,4 მ). საკურთხევის აფსიდა ჩახაზულია ეკლესიის სწორკუთხა მოხაზულობაში. საკურთხევის განვითარებული სამნაწილელი ფორმა აქვს. აფსიდის გვერდებზე გამართულია მართკუთხა ფორმის სადიაკვნე და სამკვეთლო (ბერიძე 1974: 25, 93). ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის. გვერდითა კედლებში, დასავლეთის შესასვლელის თავზე ფასადის მხრიდან ჩადგმული იყო რელიეფური ქვა „ჯვრის ამალეების“ კომპოზიციის ფრაგმენტებით. VI ს-ის ბაზილიკა აგებულია კარგად გათლილი მოყვითალო ფერის კვადრებით. მისგან დარჩენილია ყველა კედელი გადახურვის კამარების ქუსლებამდე. ნაგები გაყოფილი იყო სამი წყვილი ბოძით, რომელთაგან შემორჩა დასავლეთი წყვილის ბაზისები და საძირკვლები. პირველ სამშენებლო პერიოდს აერთიანებს აფსიდის კონქი. XVII ს-ში კათოლიკოს დომენტი ქაიხოსროს ძეს ეკლესია თითქმის მთლიანად თავიდან აუშენებია. სამშენებლო მასალად გამოყენებულია აგური. ნაგები გაყოფილია ორი წყვილი სვეტით (გვერდწითელი 1966: 37-42; 1975: 6-13).

ანჩის ხატი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 677, სქ.3), საეკლესიო საბუთები (ქართლ-კახეთის ... 1903: 147, 148; ხელნაწერთა აღწერილობა 1908: 308-312), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 270-272).

ხატი წარმოადგენს მაცხოვრის ე. წ. ხელთუქმნელ გამოსახულებას. გადმოცემის თანახმად, ედესის მეფე ავგაროზმა მხატვარს შუუკვეთა ქრისტეს სახის შექმნა ტილოზე. ეს დავალება მხატვარმა ვერ შეასრულა, სანამ ქრისტემ თავად არ აღბეჭდა სა-

კუთარი ხატება ტილოს სახეზე მოსმით (ავგაროზი 1863). ხელთუქმნელი ხატი და მისი ორი ასლი VI ს-ში იმყოფებოდა ნესტორიანულ ეკლესიაში, ედესაში, საიდანაც ანტონ მარტყოფელს ერთი ასლი ჩუმად გამოუტანია (კეკელიძე 1951: 307). არსენ ბულმაისიმისძეს, იგივე იოანე რკინაელს (საქართველოს კათოლიკოსი 1224-1233 წწ.) მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი აქვს ქება-დიდება (კეკელიძე 1951: 307). მასვე ეკუთვნის ანჩის ხატისადმი მიძღვნილი „გალობანი“ (ხელნაწერთა აღწერილობა 1908: 308-312). „გალობანის“ მიხედვით, ხატი იეროპოლიდან კლარჯეთს ჩამოუტანია ანდრია პირველწოდებულს. 944 წ. მაცხოვრის ხატი ედესიდან გადაასვენეს კონსტანტინეპოლში (ვასილივი 1917: 282). ქართული გადმოცემის თანახმად, ლეონ ისავრისა და მისი თანამზრახველი ხატმებრძოლების დროს, ხელთუქმნელი ხატი წამოუსვენებიათ და დაუსვენებიათ კლარჯეთს, ანჩის საყდარში (ამირანაშვილი 1956: 13). არსებობს ვერსია, რომ ხატი დაიღუპა ჯვაროსნების IV ლაშქრობის დროს, 1204 წ. კონსტანტინეპოლში (კონდაკოვი 1905: 16). ანჩის ხატი თამარ მეფის მეოხებითა და შემოწირულობით ანჩის ეპისკოპოსმა იოანე რკინაელმა ოქროთი მოაჭვედინა ბექა ოპიზარს. 1308-1334 წწ. ბექა მანდატურთუხუცესმა ჭედურობით შეამკო ხატის კიოტი და კარედის შიდა მხარე (ამირანაშვილი 1956: 10, 11). თურქების მიერ სამცხის დაპყრობის შემდეგ, 1664 წ. ვაჭარმა ამირჯან ევანგულაშვილმა სხვა ხატებთან ერთად ანჩის ხატი სამცხიდან გამოიტანა და თბილისში 2000 მარჩილად მიჰყიდა კათოლიკოს დომენტი II-ს (ქართლ-კახეთის ... 1903: 147-148). ხატი დიხანს ესვენა გვიან ამილახორის სახლში. 1668 წ. ამილახორების ოჯახის შემოწირულობით ხატის გარე კარედი მოჭედა ბერთაუკა ლოლაძემ. ხატი დაასვენეს თბილისში, მარიაშემიღის ეკლესიაში, რომელსაც მას შემდეგ ანჩისხატად უხსობენ. კათოლიკოსმა დომენტი III-მ (1707-1724) განაახლა კარედის ხის ფრაგმენტი და კიოტის შუა ნაწილი. ხლო 1715 წ. შემატა თვალ-მარგალიტი (ამირანაშვილი 1956: 12, 13).

ანჩის ფერწერული ხატი, ჭედური კარედი (148X158 სმ, მოქრული ვერცხლი, ოქრო). ხატი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილი სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). მაცხოვრის სახე შესრულებულია VII-VIII სს ცვილოვანი (ენკაუსტიკის) ტექნიკით (1,05X0,71მ, სისქე 4,6 სმ) დაფაზე. მაცხოვრის შარავანდედი და სამოსი ერთიანი ვერცხლის ფირფიტითაა შესრულებული და მოჭედილია ძვირფასი თევზებით (XIX სს.). ხატის ოქროს ორნამენტული ჩარჩო მოჭედილია ბექა ოპიზარის მიერ XII ს-ის მეორე ნახევარში. ვაზის ფოთლების რელიეფური ორნამენტის ფონზე გამოსახულია მთავარანგელოზების - მიქაელის და გაბრიელის, იოანე ნათლისმცემლის, ღვთისმშობლის, მოციქულების - პეტრესა და პავლეს და იოანე მახარებლის

ფიგურები. მაცხოვრის ხატის თავზე გამოსახულია ჰეტიმასია. ჩარჩოს ქვედა ნაწილში მოთავსებული ასომთავრული წარწერა გვამცნობს, რომ ხატი იონანე რკინაელმა თამარ მეფის შემოწირულობით მოჭედა „ხელითა ბექასითა“ (ამირანაშვილი 1956: 9). კიოტი და კარედის შიდა მხარე XIV ს-ის ჭედურობით არის შემკული. მასზე გამოსახულია: ხარება, შობა, ნათლისღება, ფერისცვალება, ჯვარცმა, ჯოჯოხეთად წარტყვევნა. აქ მოთავსებულ ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებულნი არიან ბექა მანდატურთუხუცესი, მისი მეუღლე მარინე და მათი სამი შვილი: სარგის I, ყვარყვარე I და შალვა. ჭედურობა შესრულებული უნდა იყოს 1308-1334 წწ. (ამირანაშვილი 1956: 10, 11). კარედის გარე მხარეს გამოსახულია კომპოზიციები: ლაზარეს აღდგინება, მიძინება, მირქმა, იერუსალიმად შესვლა, სულიწმიდის მოფენა. კიოტის ზედა მხარეს მოთავსებულია ამბლებს კომპოზიცია. ხატის გარე კარედის წარწერაში მოხსენიებულნი არიან: გივი ამილახორი, მისი მეუღლე - შაჰნავაზის ასული თამარი, მათი შვილები: თამარი, ანდუყაფარი და დემეტრე, რომელთა შეწვევით კარედი მოჭედა ბერთაუკა ლოლაძემ 1686 წელს. მეორე წარწერა გვამცნობს, რომ კათოლიკოსმა დომენტიმ ვახტანგ VI-ისა (1703-1724) და მისი მეუღლის რუსუდანის დროს განაახლა კარედი და შეამკო ძვირფასი თვლებით (ამირანაშვილი 1956: 12, 13; ალიბეგაშვილი, საყვარელიძე 1980: 33-37).


ბიბლიოგრაფია: ავეგაროზი 1863; ალიბეგაშვილი, საყვარელიძე 1980: 33-37; ამირანაშვილი 1956; გოულდენშტედტი 1962: 270-272; გვერდსიფთელი 1966: 37-42; 1975: 6-13; 1982: 65-68; 1987: 6-8; დევიდარიანი 1981: 60-65; ვასილიევი 1917: 282; იოსელიანი 1866: 269; კეკელიძე 1951: 307; კონდაკოვი 1905: 16; ქც 2: 418,16; ქც 4: 334,23; 335,11, სქ. 4,5, 439,14; ქართლ-კახეთის ... 1903: 147, 148; ქრონიკები 1892: 98, 127, 293; 1897: 490, 505; 1967: 113, 114, 126, 145, 274, 275, 286, 287, 288, 290, 293, 401, 402, 633, 648; ქც 2: 418,16; ქც 4: 334,23; 335, 11, სქ. 4,5; 439, 14; 667, სქ. 3; ჩუბინაშვილი 1957; ხელნაწერთა აღწერილობა 1908: 308-312.

არადემო (ქც 4: 374,16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 151,17; 374,15,16; 709,27), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1:312,7), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 347,6; 352,სქ.2; 481,24), იონანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 42), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მცირე ქრონიკები 1968: 37; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 32; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 132, 531; 1977: 620; 1981: 92, 93, 216, 700; 1985: 287, 302). ვახუშტი ბაგრატიონი არადეთის შესახებ გადმოგვცემს: „ბრეთის დასავლით, წვერიდამ ასტყდების მთა კვერნაქი და მივალს ფცის-წყლამდე, რომელსა ეწოდა ცეცხლის-ჯუარი. წვერს ქუეით, არადეთს,


არს ჭია მარიაშული, რომელი ჰკურნებს ბრაზიანის ნაკენს სმითა“ (ქც 4: 374,14-17).

მდებარეობს ქარელის მუნიციპ-ში, ქარელიდან ჩრდილოეთით, 7 კმ-ის დაშორებით, მდ. აღმოსავლეთ ფრონეს მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. არადეთის ტერიტორიაზე.

1483 წ. ავეციტოში არადეთის მახლობლად შედგა ბრძოლა ქართლის მეფე კონსტანტინე II-სა (1478-1505) და სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II ჯაყელს შორის. მეფის დამარცხებამ დააჩქარა საქართველოს დაშლის პროცესი, ხოლო საათაბაგო საბოლოოდ გამოეყო საქართველოს. XVII-XVIII სს-ში არადეთი საციციანოში შედიოდა (გვერდსიფთელი 1955: 127) სოფ. არადეთის მიმდებარე ტერიტორია - დედოფლის მიწდორი, რომელიც მდებარეობს აღმ. და დას. ფრონეებს შორის, მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. 1926 წ. დედოფლის მიწდორის სამხრეთით, სოფ. დილაურთან აღმართულ არადეთის ორგორის მახლობლად აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ბატილუმი - საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ნივთები და ოქროს ფირფიტისაგან დამზადებული ქალღმერთის გამოსახულება (გაგოშიძე 1973: 77-80; 1974: 70). 1953-1963 წწ. დედოფლის მიწდორზე და არადეთის ორგორაზე დაზვერვები ჩატარა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უბნისის არქეოლოგიურმა ექს-



დედოფლის მიწდორის გეგმა



არტეფაქტი დედოფლის მინდორიდან

პედიციაში, რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ნ. ბერძენიშვილი, გ. ლომთათიძე, პ. ზაქარაია. ხოლო 1957 წ. დაზვერა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის

თანამშრომელმა თ. ლაბაშიძემ, რომელმაც იქ აღმოაჩინა გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანის ნივთები: ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირები, ყუნწიანი სატევრისპირი, მთლიანადსხმული ე. წ. აღმოსავლურ-ქართული სატევარი; მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი; სადღვებელი, ტოლწა, დოქები (ლაბაშიძე 1974: 150-167). 1972-1978 წწ. დედოფლის მინდორზე არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ხოლო 1973 წ. ქართული ხელოვნების ინსტიტუტის ექსპედიციებმა (ხელმძღ. ი. გავოშიძე). მათ შეისწავლეს ანტიკური ხანის სატაძრო კომპლექსი. 1979 წ. არადეთის ორგორაზე გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ი. გავოშიძე). სოფ. არადეთის დასავლეთით 3 კმ დაშორებით, დედოფლის მინდორზე, გაითხარა სატაძრო კომპლექსი, რომელშიც შედის: მთავარი ტაძარი, მცირე ტაძარი, ორი კარიბჭე, მცირე ტაძრის მსახურ-ქურუშია 6 საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ნასოფლარები და სამაროვნები.

სატაძრო კომპლექსში ცენტრალური ადგილი უკავია კვადრატულ შიდა ეზოს (105X105მ), რომლის ირგვლივაც განლაგებული ყველა ტაძარი და კარიბჭე. მთავარი ტაძარი (46X30მ) შიდა ეზოს სამხრეთ კედელშია ჩართული. ის შედგება ცენტრალური დარბაზის, პორტიკის, ლოჯია-აივნისა და გარშემოსავლელი დერეფნებისაგან. ტაძარი ნაგებია ალიზით (0,5X0,5X0,12მ; 0,5X0,25X0,12მ) რიგის ქვის საძირკველზე. კედლები (შემორჩენილი სიმაღლე 2 მ, სისქე 1,6 მ) შელესილია ბუნებრივი თიხის ხსნარით და შეღებილია. მთავარი შესასვლელი სამხრეთიდანაა - ოთხსვეტიანი, სამხრეთით ფართოდ გახსნილი პორტიკიდან (17,2X11მ), რომელსაც ცენტრალურ დარბაზთან აკავშირებს გრძელი ღერძის აღმოსავლეთით გაჭრილი კარი. ცენტრალურ დარბაზში (17,2X17,2მ) შუა ადგილას მოწყობილია კვადრატული (1,6X1,6X0,15მ) საკურთხეველი. იატაკი თიხითაა მოლესილი. ცენტრალურ დარბაზში იყო ოთხი ხის სვეტი, პორტიკში - ორი. თიხით შელესილი სვეტები იდგა ხის ოთხკუთხა ბაზისებზე, რომლებიც ჩასმული იყო იატაკში ამოღებულ ფოსოებში. ცენტრალური დარბაზის ცენტრში, საკურთხეველის თავზე აღმართული იყო ოთხ თავისუფლად მდგომ სვეტზე დაყრდნობილი ორსაფეხურიანი გვირგვინი, ცენტრში ფართო ღიობით (ერლო). პორტიკისა და ცენტრალურ

დარბაზს აკრავს დერეფნები, რომლებიც გაყოფილია ტიხრებით, ერთმანეთისაგან იზოლირებულ სამ ნაწილად. მათ ორ-ორი დამოუკიდებელი შესასვლელი აქვთ გარედან. ტაძარს ჩრდილოეთიდან მიშენებული აქვს სწორკუთხა, ცალმხარეს ღია, ორსვეტიანი ლოჯია-აივანი (11X6,5მ), რომელიც ტაძართან დაკავშირებულია კარით. სვეტები დასრულებულია ქვიშაქვის ზარისებრი კაპიტელებით (სვეტისთავი) (სიმაღლე 0,4 მ, ქვედა დიამეტრი 0,42 მ), რომლებზეც ლოტოსის გაშლილი ყვავილის რელიეფური ფურცლებია ამოკვეთილი. აბაკი კი შემკულია ორმაგ წრულში ჩასმული ვარდულების რიგით. ცენტრალურ დარბაზს, პორტიკსა და ლოჯია-აივანს ბანური გადახურვა ჰქონდა, ხოლო გარშემოსავლელი დერეფნებს კრამიტით დახურული - ცალფერდა სახურავი. კრამიტები (სიგრძე მერყეობს 0,48-0,57 მ შორის) შეღებილია წითლად. მცირე ტაძარი შიდა ეზოს ჩრდილოეთ კედელშია ჩართული. მასში შესასვლელი სამხრეთიდანაა, ღია ორსვეტიანი პორტიკიდან, რომელიც შიდა ეზოში გადის და მთავარი ტაძრის ჩრდილო აივნის სიმატრიულია. მცირე ტაძარი შედგება ცენტრალური დარბაზის, პორტიკისა და გარშემოსავლელი დერეფნისაგან. პორტიკი ცენტრალურ დარბაზს (7,5X8მ) ორი კარით უკავშირდება. დარბაზის ცენტრში იდგა ქვიშაქვის კაპიტელით დასრულებული სვეტი, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში - საკურთხეველი (1,1X1X0,15მ). ცენტრალურ დარბაზს აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან გარშემოსავლელი ეკვრის. მასში მოხვედრაც პორტიკიდან შეიძლება. მცირე ტაძარი გადახურული იყო კრამიტის ორფერდა სახურავით.

მცირე ტაძრიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართება კედლებით შემოზღუდული ფართო ქუჩა-გასასვლელი, რომლის ბოლოში აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეს გაითხარა სამ-სამი, ერთმანეთისაგან კედლებით გამოყოფილი ნაგებობა (ექვსი მცირე ტაძარი, თითოეული 13X20 მ). ყოველი მათგანი შედგება კვადრატული ოთახის, სამხრეთის მხარეს ღია პორტიკისა და დერეფნისაგან. ტაძრებს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან აკრავს ეზოები. სატაძრო კომპლექსს აქვს ორი კარიბჭე (20X22მ). ისინი შიდა ეზოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედელში შუა ადგილასაა ჩამუშავებული. თითოეული შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული დიდი და მცირე პორტიკისაგან. დიდი პორტიკები (17,2X11მ) ოთხსვეტიანია და გახსნილია გარეთ. მცირე პორტიკები (11X6,5მ) კი ორსვეტიანია და ეზოში გადის. მცირე პორტიკების ჩრდილოეთით და სამხრეთით სწორკუთხა სათავსებია (6,5X2მ), რომლებიც კარით უკავშირდებიან პორტიკს. შიდა პორტიკების სვეტისთავები მცირე ტაძრისა და მთავარი ტაძრის ჩრდილოეთი აივნის სვეტისთავების მსგავსია. გარეთა პორტიკების სვეტისთავები კი დანარჩენთაგან აბაკას ორნამენტით განსხვავდება. მათზე ამოკვეთილია ნახევარწრიული ღეროებით ერთმანეთთან დაკავშირებული ლოტოსის სამფურ-

ცლიანი პალმეტები და მათ შორის ჩასმული ექვს-ფურცლიანი ვარდულები. კარიბჭეები კრამიტით იყო გადახურული. სატაძრო კომპლექსი თარიღდება ძვ. წ. II-I სს-ით.


სატაძრო კომპლექსის აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა ნამოსახლარებისა და სამეურნეო ნაგებობების რიყის ქვით ნაგები კედლების ნაშთები და კერამიკული ნაწარმი. თარიღდება ძვ. წ. II-I სს-ით. კომპლექსიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 400 მ-ის დაშორებით გამოვლინდა თიხის ჭურჭლის სახელოსნოები. იქ გაითხარა თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი თაღიანი (დმ 2,4 მ, შემორჩენილი სიმაღლე 1,5 მ) და სწორკუთხა (3X1,3მ) ქურა, რომელთა აღმოსავლეთით, 50 მ მანძილზე აღმოჩნდა თიხის კარიერი. იქ გამოვლინდა წუნდებული, დამტვრეული თიხის ჭურჭელი და კრამიტი, ქვის სვეტისთავეების რამდენიმე ფრაგმენტი, რკინის წიდა.

სატაძრო კომპლექსის სამხრეთით, ადგილ „მოზვლეულეში“ მდებარეობს ტაძრის თანამედროვე, გვიანელებისტური ხანის ნასოფლარი და სამაროვანი. ნასოფლარზე აღმოჩნდა წითლად და შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, ხელსაფქვავეები, კორქვის საკურთხეველის ფრაგმენტი. სამაროვანზე გაითხარა რამდენიმე ორმოსამარხი. მათში მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. სამარხებში აღმოჩნდა წითლად მოხატული ღოქები და ქუსლიანი ჯამბე; შავპრიალა თიხის ჭურჭელი: ხელადები, პროფილირებულპირიანი ჯამბე, ნახევარსფერული თასები; ქვისა და მინის მძივები, ბრინჯაოს სამაჯურები.

სატაძრო კომპლექსიდან აღმოსავლეთით, ადგილ „დამპალას წყაროს“ ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბორცვზე აღმოჩნდა ელინისტური ხანის დასასრულის დიდი ნაგებობის ნაშთები. შენობა გადახურული იყო სატაძრო კომპლექსში გამოყენებული კრამიტის მსგავსი წითლად შეღებილი კრამიტით. ბორცვის ძირას მიკვლეულია ამავე ხანის სამაროვანი.

ადრეული შუა საუკუნეების ქვის სამარხები აღმოჩნდა სატაძრო კომპლექსის სამხრეთით, ტაშისკარის არხის მარჯვენა ნაპირას, კვერნაქის სერის სამხრეთ ფერდობზე – ე. წ. „პარასკეის გორაზე“ და „სისხლის ჯვრის“ მახლობლად (გაგომიძე 1981ბ: 102-115). სატაძრო კომპლექსსა და მიმდებარე ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

სოფ. არადეთის სამხრეთით, 4 კმ-ის დაშორებით, სოფ. დოლაურის მახლობლად, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადის, მდ. დასავლეთ ფრონეს შესართავთან, მდებარეობს არადეთის ორგორა. ყველაზე მაღალია დასავლეთის გორა, ე. წ. დედოფლის გორა (ზედაპირის ფართობი 70X50მ). ის მრავალფენიანი ნამოსახლარია. დედოფლის გორაზე დადასტურდა ენეოლითის, ადრებრინჯაოს, გვიანბრინ-



დედოფლის გორის გეგმა

ჯაოს, ადრერკინის, ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ფენები. ანტიკური ხანის ფენა წარმოქმნილია სასახლისა და სამეურნეო ნაგებობების ნანგრევებით. გათხრების შედეგად გამოვლინდა პილონებით შემოსაზღვრული შიდა ეზოს ნაწილი. ეზოს გარშემო განლაგებულია 6 ოთახი და მცირე კარიბჭე. ოთახები თითო კარით უკავშირდება შიდა ეზოს. კედლებისა და პილონების ქვედა ნაწილი 1,5 მ სიმაღლეზე აგებულია რიყის ქვითა და ბუნენარევი თიხის ხსნარით. შემდეგ კედლები ამოყვანილია ალიზის აგურით (52X52X12მ). ალიზის წყობა გამაგრებულია კედლების გასწვრივ და გარდიცარდმო დალაგებული ხის ძელებით, შეღებილია ალიზის ხსნარით. გარედან სასახლის კედლები მოპირკეთებული ყოფილა თლილი ქვიშაქვის ბლოკებით, რომლებიც ერთმანეთზე გადაბმული იყო ისრისებური ფორმის გამოებით.

სასახლის ეზოში მოწყობილია სახაბაზო ოთხი თონითა და ხელსაფქვავეებით. ეზოს ირგვლივ განლაგებულ ოთახებში ინახებოდა ჭირნახული (ხორბალი, ქერი, ისლი), რკინის სახნისები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ირმის რქისაგან დამზადებული გრავირებული ფირფიტები (25 ც), რომლებზეც ამოკვეთილია არამეული წარწერები. ვარაუდობენ, რომ ეს ფირფიტები სამკითხაო-სათამაშო დანიშნულებისაა (ყველაზე დიდი ფირფიტის ზომია 49X48 მმ; ყველაზე მცირესი 40X36 მმ). ფირფიტებზე გამოსახულია ერთი ან ორი, იშვიათად სამი ფიგურა: დათვის, ტახის, ირმის, ჯიხვის, სხვადასხვა ფანტასტიკური ცხოველის, მხედრების გამოსახულება. სამი ფირფიტა დატოვებულია გამოსახულების გარეშე. ფირფიტებთან ერთად აღმოჩნდა ღორის ფალანგები, რომლებზეც დატანილია ერთი ან ორი ჯდე, ნახვრეტი. დედოფლის გორის სასახლე თარიღდება ძვ. წ. I – ახ. წ. I სს-ის პირველი ნახევრით (გაგომიძე, წოწვლია 1991: 47-71)

ორგორის აღმოსავლეთ გორაზე მხოლოდ გვიანი ბრინჯაოს ხანის ფენა გაითხარა. ორგორის მახლობლად, ჩრდილოეთით, მდებარეობს კიდევ ერთი გორა: მასზე გამოვლინდა ადრე, შუა და გვიანბრინჯაო, ადრერკინის ხანის ნამოსახლარები.

ჩრდილოეთის გორის დასავლეთით, მინდორში, აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის სამაროვანი.



დედოფლის გორის რეკონსტრუქცია
ოულ. ვაკოშიძის მიხედვით

გაითხარა 13 ორმოსამარხი. მათში აღმოჩნდა ადრეპრინჯაოს ხანის გვიანდელი პერიოდისათვის დამახასიათებელი მოშავოდ და მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი; ვერცხლის, ანთიმონისა და ბრინჯაოს სამკაული, კაჟის ისრისპირები. ორგორის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით გაითხარა გვიანპრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი, რომელშიც აღმოჩნდა შავად და ლეგად გამომწვარი თიხის ჭურჭელი. სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გაითხარა ყორღანი. დასაკრძალავ ორმოს ხელნაწი ეტლის ფორმა ჰქონდა. ყორღანში აღმოჩნდა ცხენის აღკაზმულობა, მათ შორის, ბრინჯაოს გეომეტრიული ორნამენტით შემკული ბორბლისებურ საყბურებიანი ლავამი, ბრინჯაოსა და სარდინის მძივები, შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი (სმა 1990: 355, 356). არქეოლოგიური მასალა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

სოფ. არადეთის მახლობლად რამდენიმე ეკლესიაა. გვიანი შუა საუკუნეების „სალარიანი საყდარი“ დგას სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1 კმ-ის დაშორებით, მდ. აღმოსავლეთ ფრონეს ნაპირზე. ეკლესია დარბაზულია (6X4,5მ), ნაგებია ფლეთილი და რიყის ქვით. სწორკუთხა საკურობეველში ერთი სარკმელია (სმა 1990: 356).

წმინდა გიორგის ეკლესია დგას სოფლის განაპირას, ჩრდილოეთით, სასაფლაოზე. თარიღდება VIII-IX სს-ით. 1970-ანი წლების ბოლოს ეკლესია აღადგინეს (პროექტის ავტ. ი. ვარსიმაშვილი, ხელმძღვ. რ. ნვერდწითელი). ეკლესია დარბაზულია (8,5X5,5მ). ნაგებია ნატეხი ქვით. ნახევარწრიულ აფსიდაში გაჭრილია სარკმელი. ინტერიერში შემორჩენილია გვიანდელი მონასტულობის კვალი. ეკლესიისთვის მოეკვანებით სამხრეთითა და დასავლეთით მიუშენებიათ გარშემოსავლელი (სმა 1990: 356).

არადეთის განაპირას, აღმოსავლეთით, მდ. აღმოსავლეთ ფრონეს მარჯვენა ნაპირზე დგას ციხე-დარბაზის კომპლექსი. მასში შედის გალავანი, წმინდა საბას ეკლესია და სასახლე. ციხე თარიღდება XVII ს-ის შუა ხანებით. ნაგებია ფლეთილი ქვით. გალავანი გვეგმით კვადრატულია (40X40მ). შემორჩენილია აღმოსავლეთი კედელი ოთხი კოშ-

კით (კედლების სისქე 1,2 მ). სამხრეთ კუთხეში დგას ოთხსართულიანი მრგვალი კოშკი. გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დგას თითო მრგვალი და ოთხკუთხა კოშკი. აღმოსავლეთ კედლის შუაში იდგა გალავანზე გარედან მიშენებული ნახევარწრიული კოშკი, რომელიც მთლიანად დანგრეულია. წმინდა საბას ეკლესია დგას ციხე-დარბაზის კომპლექსის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. სამხრეთ ფასადის ასომთავრული წარწერის თანახმად ეკლესია აგებულია 1666 წ. დედოფალ მარიამის დაკვეთით. ეკლესია დარბაზულია (9,3X5,5მ). ნაგებია ფლეთილი და რიყის ქვით. ნალისებრ აფსიდაში ერთი თაღოვანი სარკმელია. ინტერიერში მონასტული ყოფილა. კედლები ამჟამად შეთეთრებულია. ეკლესიის ახლოს, გალავანთან შემორჩენილია სასახლის ნანგრევები (ზაქარაია 1968: 123, 124).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 42; ვაკოშიძე 1973: 77-80; 1974: 70-78; 1977: 72-77; 1977ა: 102-108; 1978: 62-76; 1981ბ: 102-115; ვაკოშიძე, წოწკია 1991: 47-71; გვრიტიშვილი 1955: 127; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 32; ზაქარაია 1968: 123, 124; მცირე ქრონიკები 1968: 37; სმა 1990: 355-357; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 132, 531; 1977: 620; 1981: 92, 93, 216, 700; 1985: 287, 302; ქც 1: 312,7; ქც 2: 347,6; 352, სქ. 2: 481,24; ქც 4: 151,17; 374,15,16; 709,27; ლაშბაშიძე 1974: 150-167.

არანსი (ქც 4: 353,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 353,13), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 35), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 49, 273).

ვახუშტი ბაგრატიონი არანის შესახებ გადმოგვცემს: „არს ბოდორნას ქუაბნი გამოკუეთილნი და ციხე მაგარი. ამის ჩდილოთ ურია, მოსახლენი ვაჭარნი. ჩდილოდ მისა, არანისთან, ზანდუკლის ხევი“ (ქც 4: 353,13).

მღებარეობს ღუშეთის მუნიცი-ში, მისგან 13 კმ-ის დაშორებით, მდ. არაგვის მარჯვენა მხარეს, სოფ. ზემო და ქვემო არანისის ტერიტორიაზე.

XVIII ს-ში არანისი ერეკლე II-ს შვილს, ვახტანგს ეკუთვნოდა (ბაგრატიონი 1986: 35).

ჟინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებლობის დაკავშირებით, სოფ. არანისის ტერიტორიაზე გაშენდა დასახლება ახალი ჟინვალი. მშენებლობისას აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდის რამდენიმე ძეგლი, რომელიც შეისწავლა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟინვალის ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. რამიშვილი).

1. ადგილ შარნულში მდ. არაგვის მარჯვენა მხარეს გამოვლინდა ძვ. წ. V-III ათასწ. პირველი ნახევრის ნასახლარი. გაითხარა 1984 წ. მიწის ზედაპირიდან 1,45 მ სიღრმეზე თხრილში გამოვლინდა ცილინდრული მოყვანილობის ორმო (დმ 1,4 მ, სიღ-

რმე 0,25 მ), რომელშიც აღმოჩნდა მტკვარ-არაქის კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ობსიდიანის ანატაკეცები, ცხოველთა ძვლები და სხვ. (სმა 2004: 216).

2. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი მდებარეობს ქვედა არანისში. გაითხარა 1975-1976 წლებში. ნამოსახლარი მრავალფენიანია. ქვედა – ადრესამიწათმოქმედო კულტურის ფენა ჩაჭრილი იყო ადრეული ბრინჯაოს ხანის ორმოებით. ქვედა ფენაში აღმოჩნდა ბათქაშის ფრაგმენტები, თიხის ჭურჭლის ნატეხები, რიყის ქვის სანაყი, ქვისა და ძვლის იარაღები. ძვ. წ. III ათასწ. მეორე ნახევრის ფენაში გამოვლინდა სხვადასხვა ზომის 100-მდე ორმო (დმ 0,4-2,3 მ, სიღრმე 0,4-1,8 მ). ორმოები ამოგებულია ლასტით და თიხათაა მოღესილი, რომელსაც ეტყობა ძლიერი ცეცხლის კვალი. ერთ-ერთ ორმოში (დმ 2,1 მ, სიღრმე 0,4 მ) აღმოჩნდა 20-მდე მთელი ჭურჭელი, თიხის საბეჭდავი, რიყის ქვის ხელსაფეკავებისაგან ნაგები კერა, თიხის სადგარი, ხორბლისა და სხვა მარცვლეულის, ასევე წითელი საღებავის ნაშთები. ნამოსახლარზე გამოვლინდა კაჟისა და ობსიდიანის ნამგლის ჩასართები, ძვლის თიხი, სადგისი, სახვრეტები, ცხვისა და ადამიანის, თიხით შესრულებული პატარა ქანდაკებები, ლითონის სატეხი, ხიშტის მსგავსი იარაღი, ანკესები და სხვ. მრავალრიცხოვან თიხის ნაწარმში გამოირჩევა საკულტო დანიშნულების ჭურჭლები, შემკული ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებებით, სპირალითა და ნახევარმთვარისებური ნიშნებით. კერამიკულ ნაწარმში გვხვდება ღრუქუსლიანი ლარნაკები და სხვ. გამოვლენილი ორმოებიდან ზოგი საცხოვრებელი ნახევრადმიწურებაა, ზოგი საკულტო ან სანაცრე. გვხვდება სანაკვე ორმოებიც (სმა 2004: 217).

3. თალთების ნამოსახლარი და სამაროვანი მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, თიხის კარიერის ტერიტორიაზე. გაითხარა 1981 წელს. ქვედა ფენაში 2-2,5 მ სიღრმეზე გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთები, თიხის ჭურჭლის ნატეხები, ნავისებური ხელსაფეკავის ფრაგმენტები. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულით.

ზედა ტერასის ფენაში გამოვლინდა ახ. წ. I-II სს-ის ნამოსახლარის ნაშთი და სამაროვანი. გაითხარა 12 კვ. მ. ფართობის, ალიზით ნაგები სწორკუთხა სათავსო. რიყის ქვის საძირკვეზე დაშენებული ალიზის კედლები გამაგრებული იყო ხის სარებით. გათხრებისას აღმოჩნდა თიხის ჭურჭლისა და გვერდებაკეცილი კრამიტის ნატეხები, 11 ქვევრი და ორმოები საოჯახო ნარჩენებით.

სამაროვანზე გაითხარა ჯგუფებად განლაგებული 20 სამარხი. მათგან 1 ქვევრისამარხია, 1 ქვევრის ნატეხებით გადახურული ორმოსამარხი, 18 ორმოსამარხი. სამარხები განლაგებულია სხვადასხვა დონეზე. ქვედა იარუსის სამარხები I-II სს-ით თარიღდება. მიცვალებულები ესვენა მკვეთრად მოხრილ პოზაში, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე,

თავით ჩრდილოეთით. სამარხული ინვენტარი წარმოდგენილია თიხის წითლად გამომწვარი ხელაღებითა და ჯამებით. ზედა იარუსის სამარხებში (თარიღდება III-IV სს-ით) დამხრობა ჭარბობდა დასავლეთისაკენ. მიცვალებულები ესვენა ოდნავ მოხრილები. სამარხული ინვენტარი წარმოდგენილია თიხის ხელაღებით, სასმისებით, ბრინჯაოს სამაჯურებით, ბეჭდებით, საყურებით, აპზინდებით და სხვ. (სმა 2004: 216).

4. მოძმანანთ უბნის ნამოსახლარი და სამაროვანი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით, ხევის პირას. გაითხარა 1973-1974 წლებში. თარიღდება II-IV სს-ით. ნამოსახლარს ფენა შეიცავს თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს. სამაროვანზე გაითხარა რამდენიმე ორმოსამარხი. მიცვალებულები ესვენა ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით. სამარხული ინვენტარიდან გვხვდება: თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ზარაკები, რგოლი, ბეჭედი, მინის სანელსაცხებლე, პართული მონეტა და სხვ. (რამიშვილი ... 1973: 83).

5. სამაროვანი მდებარეობს ზანდუკლიანთ ნავენახარზე, სოფ. ქვემო არანისის ბოლოს. შესწავლილ იქნა 1971-1973 და 1977 წლებში. გაითხარა 46 ორმოსამარხი. მათგან 37 თარიღდება III-IV სს-ით, 4 – ადრეული, 5 კი – გვიანდელი შუა საუკუნეებით. ადრეულ სამარხებში აღმოჩენილია: ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს საყურეები, მძივები, თიხის მონალისფრად გამოშვარი ჭურჭელი, მონეტები და სხვ. 1971 წ. სამაროვანზე გაითხარა III-IV სს-ის ორი მდიდრული სამარხი. ერთში (სამ. №5) ზურგზე გამოტყდ, თავით დასავლეთით დამხრობილ მიცვალებულთან ერთად, დაკერძალათ ცხენი. მიცვალებულის თვალი და ვეხებთან აღმოჩნდა ორი წყვილი სარეცლის ფეხი, მდიდრულად მოჩუქურთმებული ვერცხლის გარსაკრავებით; ვერცხლის პინაკი არამეული წარწერით; 3 ბეჭედი, მათგან 2 გემითაა შემკული; ოქროს წყვილი საყურე; ოქროს 1 და ვერცხლის 4 მონეტა, მრავალი დიდ-პატარა აპზინდა, მინის 5 ჭურჭელი, თიხის ორფურა ჩაფი, მძივები და სხვ.

№1 ორმოსამარხში ესვენა ქალი, მოხრილი პოზით, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთით. იქვე აღმოჩნდა ჩვილი ბავშვის გაშლილი ჩონჩხი, რომელსაც თავი ვერცხლის პინაკზე ედო. სამარხში ქალის ჩონჩხთან აღმოჩნდა: თიხის 2 ჭურჭელი; ოქროს წყვილი საყურე ლალის თვლებით; ოქროს თვალბუდიანი ბეჭედი; ვერცხლის გემიანი ბეჭედი; ოქროს პატარა ზოდი; დიდი რაოდენობით მძივები (უმეტესად სარდინის). ჩვილის ძვლებთან გამოვლინდა: ვერცხლის დაზიანებული პინაკი; ვერცხლის 3 ბეჭედი (მათგან 2 გემიანი); ვერცხლის რომაული მონეტა და მძივების დიდი რაოდენობა (რამიშვილი ... 1972: 46).

6. III-VIII სს-ით დათარიღებული სამაროვანი მდებარეობდა საავადმყოფოს ტერიტორიაზე, სადაც 1972-1973 და 1976 წლებში გამოვლინდა 19 ორმოსამარხი, 25 ქვის ფილებით გადახურული

ორმოსამარხი, 22 ქვის სამარხი. ორმოსამარხებში (III-V სს) დაკრძალვის წესი ქრისტიანულია. სამარხებში აღმოჩნდა: საკინძები, შშვიდლსაკინძები, მძივები და სხვ. ქვის სამარხებშიც (V-VIII სს) დაკრძალვის წესი ქრისტიანულია. მათში აღმოჩნდა: ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ბეჭდები, მინისთავიანი საკინძები და სხვ. ერთ-ერთი საკინძისთავი შემკული იყო ფალაური წარწერით (რამიშვილი ... 1974: 66).

7. სამლოცველო. ძველი მდებარეობს საშუალო სკოლასთან, ფერდობზე. თარიღდება ძვ. წ. II ს-ის მეორე ნახევრით. გაითხარა 1975-1976 წლებში. ნაგებობა (18,7X9მ) წაგრძელებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთით. შედგება 3 სათავსოსაგან. ნაგებია რიყის ქვის საძირკველზე დაფუძნებული ალიზის აგურებით. კედლები შელესილია. შენობას ჰქონდა ხის მძლავრ კონსტრუქციაზე დაყრდნობილი ბრტყელი სახურავი. შუა სათავსოს სამხრეთ ნაწილში საკურთხევლის (0,7X0,7მ) ნაშთია, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში ალიზით ნაგები ღუმლის მცირე ნაწილი. გათხრებისას გამოვლინდა წითელი ზოლებით, გეომეტრიული სახეებით მოხატული თინის ჭურჭლის ნატეხები (ხელადები და ჯამები), იმპორტული ამფორისკები და სხვა (სძა 2004: 303). არანისის ძეგლებზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ღუშეთის ბაზაში.

სოფლის განაპირას, დასავლეთით, სასაფლაოზე დგას XVIII-XIX სს-ის დარბაზული ეკლესია (8X4,8მ). შესასვლელი აქვს დასავლეთიდან. აფსიდა ნახევარწრიულია.

თეთრანთ კოშკი მდებარეობს სოფლის ზედა უბანში (ზედა არანისი). კოშკი ცილინდრულია (დმ 7,8 მ), სამსართულიანი. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი მეორე სართულზეა. კედლებში სხვადასხვა მხარეს სათიფურებია (სძა 2004: 215, 216).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 35; გიულდენშტედტი 1962: 49, 273; რამიშვილი ... 1972: 43-50; რამიშვილი ... 1973: 77-89; რამიშვილი ... 1974: 65-74; სძა 2004: 215, 216, 217, 302, 303; ქც 4: 353, 13.*

არახუმი (ქც 2: 444,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ბერი გენათაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტი (ქც 2: 444,5), „ძველი ერისთავთა“ (ძე 1954: 348; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 35), XVIII ს-ის სტატისტიკური აღწერის მასალები (მასალანი საქ. სტატ. 1907: 440).

ლოკალიზდება არაგვის ხეობაში, დღევანდელი სოფ. არახვეთის მახლობლად, არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ლომისის მთის კალთებზე.

არახუეთი იხსენიება მეფე დავით VIII-ს (1293-1311) აჯანყების ეპიზოდში. მეფე ვახტანგ III-ემ (1302-1308) არახვეთი მისცა შალვა ქსნის ერისთავს. „მეფემან მიუბოძა შალვას თრუსო, ლულა, გაგისძენი,

მღეთე, არახუეთი, ხანდო, ყანაეთი, აბაზასძეთა მამული“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106).

არახვეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ნასოფლარის ადგილას შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების კოშკი, ხოლო სოფლის დასავლეთით, მთის ფერდობზე მცირე ზომის XIX ს-ის დარბაზული ეკლესიაა.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 35; მასალანი საქ. სტატ. 1907: 440; ქც 2: 444,5; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106; ძე 1954: 348.*

არბო, არბოწმინდა, ეკლესია (4: 369,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 369,11), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1953: 81-83; ქრონიკები 1967: 45; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 260, 261, 379; 1981: 413), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 40), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 85).

მდებარეობს გორის მუნიციპ-ში, გორიდან ჩრდილოეთით 29 კმ-ის დაშორებით, დღევანდელი სოფ. არბოს ტერიტორიაზე.

XVIII ს-ის პირველ ნახევარში არბოწმინდის მრევლი ურბნელი ეპისკოპოსის საკუთრება იყო (ქრონიკები 1967: 45). სოფ. არბოში ყოფილა საბაჟო (ნათაძე 1930: 146, 147).

არბო არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფელში დგას წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია (იგივე არბოწმინდა), რომელიც რიყის ქვით, ტუფითა და შირიმითაა ნაგები (9,3X5,9მ). ჭერი თაღოვანია. აფსიდა ნახევარწრიული. კარი დასავლეთით და სამხრეთითაა. სარკმელი სამია. ეკლესიას ჰქონდა გალავანიც, რომლის ჩრდილოეთ მხარეს შემორჩენილია მრგვალი კოშკის პირველი სართული. თარიღდება X ს-ით (მაკალათია 1971: 62, 63; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 99-100; სძა 1990: 45).

არბოწმინდის ახლოს, მისგან აღმოსავლეთით, დგას ღვთისმშობლის მთლიანად დანგრეული ეკლესია (მაკალათია 1971: 63). იქვეა წმიდა გიორგის გუმბათიანი ეკლესია, რომელიც აგურითა და ფლეთილი ქვითაა ნაგები. თარიღდება XIX ს-ით (მაკალათია 1971: 63).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 40; გიულდენშტედტი 1962: 85; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1953: 81-83; მაკალათია 1971: 62, 63; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 99, 100; ნათაძე 1930: 146, 147; ქრონიკები 1967: 45; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 260, 261, 379; 1981: 413; ქც 4: 369,11.*

არბუში (ქც 4: 133,26). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 133,26), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 264,13), ბერი გენათაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექს-

ტი (ქც 2: 346,10,12,19,20), 1104-1118 წწ. სიგელი დავით მეფისა ნიანია ნიანიაძისადმი (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 50), ისქანდერ მუნშის „ცნობები საქართველოს შესახებ“ (მუნში 1969: 14), ანონიმი იტალიელი ავტორი (თურქეთ-სპარსეთის ... 1987: 35), ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ (ჩელები 1971: 269).

ვახუშტი ბაგრატიონი არეშის შესახებ გადმოგვცემს: „მოვიდნენ ჰერეთს და მოადგნენ ვეჯინს; ამისად მოვიდა ადარნარსე პატრიკი, მიუპყრა ჯუარი, მისცა კონსტანტინეს არეში, გავაზი და კუირიკეს ბოჭორმა“ (ქც 4: 133,26).

ლოკალიზდება ყვარლის მუნიციპ-ში, მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, მდ. არეშის ზემო წელზე (მდ. კაბალის მარჯვენა შენაკადი) დღევანდელი სოფ. მთისძირის ტერიტორიაზე (ჭილაშვილი 1991: 161). პ. ინგოროყვა არეშს აიგივებდა რუსთავის ციხესთან (ინგოროყვა 1926: 175). არეშის ამგვარი ლოკალიზება უარყო ილ. აბულაძემ (ქართ. ცხ. 1953: 221).

არეშში არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973-1982 წწ. აწარმოვა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ლ. ჭილაშვილი). აღმოჩენილი მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

არეშის ნაქალაქარი შუა საუკუნეების ძეგლია. აქ აღრეული ბრინჯაოს პერიოდის მცირე, შემთხვევითი არქეოლოგიური მასალაც აღმოჩნდა. ნაქალაქარი გადაჭიმულია ვრცელ ტერიტორიაზე, სადაც გამოიყო ექვსი უბანი: „ბაზილიკის“; „უსახელო ბორცვის“; „მდინარისპირა კომპლექსის“; „საყდრის ყურის“; „ხერთვისის“ და „ტყის უბანი“ (ჭილაშვილი 1991: 136, 147).

„ბაზილიკის“ უბნის მთავარი ნაგებობაა სამნავიანი ეკლესია (ბაზილიკა), რომელსაც გარკვეული პერიოდის მერე მიაშენეს გარსშემოსავლელი. ეკლესიის საერთო ფართობია 27X21 მ. შიდა სივრცე ორრიგად განლაგებული სამ-სამი სვეტი დაყოფილია სამ ნაწილად. სვეტები განივკვეთში წრიულია და ყვრნობა სწორკუთხა საფუძველს (1X1,5X0,2 მ). აფსიდა ნახევარწრიულია. ეკლესია დანგრეულია; შემორჩენილია მხოლოდ აფსიდის 5,8 მ სიმაღლის ნაწილი. ეკლესიის კედლის სისქე აღწევს 1,1 მ. იატაკი მოლესილია კირხსნარით. ბაზილიკას (გარსშემოსავლელის გარეშე) აქვს სამი შესასვლელი – სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. ეკლესია ძირითადად ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით; გამოყენებულია აგრეთვე ოთხკუთხა აგური (23X23X6 სმ); არის მრგვალი აგურიც (დმ 35 სმ, სისქე 6 სმ), რომელიც დამზადებულია ნამჭანარევი თიხისაგან და გამოიწვარია მოწითალოდ. დადასტურდა ღარიანი და ბრტყელი (ზომები დაახ. 37X19სმ) კრამიტებიც. რამდენიმე ბრტყელ კრამიტზე აღმოჩნდა ნუსხურწარწერიანი სამსტრიქონიანი დამლა. პირველ სტრიქონზე ჯვარია, მეორეზე სამი ასოსაგან შემდგარი ლიგატურა, მესამეზე – დაქარაგმებული

„შეიწყალე“. არეშის ბაზილიკის პირველი სამშენებლო პერიოდი თარიღდება V ს-ით, მეორე – (გარსშემოსასვლელი) X ს-ით (ჭილაშვილი 1991: 25, 27). არქეოლოგიური მასალა ეკლესიაში თითქმის არ აღმოჩენილა. ხოლო ნაგებობასთან დადასტურდა მოჭიქული კერამიკა და სადა მოწითალოდ გამოიწვარი ჭურჭელი (დოქები, ჯამები, ლანგრები, ქოთნები და სხვ.). აღმოჩნდა აგრეთვე რკინის ლურსმნები, ისრისპირები, ანჯამები და სხვ. დადასტურდა აგრეთვე 10 სმ სიგრძის გულსაკიდი სპილენძის ჯვარი. ტაძრის სამხრეთ ნაწილთან გაითხარა შვიდი ქვის სამარხი. ყველა სამარხი უინვენტაროა. აქვე, ეკლესიის სამხრეთით მდებარე მონაკვეთზე გაითხარა 3 ორმოსამარხი და 16-მდე ქვის სამარხი; ისინი დაზიანებულია. ჩონჩხი და ინვენტარი ცოტაა. №14 ქვის სამარხი შედარებით კარგად არის შემორჩენილი (2,1X0,65მ). მასში ადამიანის ჩონჩხთან ერთად აღმოჩნდა მოციფრო მინის სამჯური, ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი, ფაიანსის მძივი (ჭილაშვილი 1991: 31).

ეკლესიის დასავლეთით, ადგილ „ჩვიდმეტეჟეტრიანზე“ გაითხარა ნამოსახლარის ნაშთები, რომელიც ორი ფენისაგან შედგებოდა (ქვედა IX-XI სს-ის, ხოლო ზედა XI-XIV სს-ის). აქ აღმოჩნდა რიყის ქვით ნაგები კედლების უსახური ნაშთები; არის კრამიტის ნატეხებიც; ფენებში გამოვლინდა ქვევრების, საოჯახო კერამიკისა და მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები.

ადგილი „უსახელო ბორცვის“ უბანი მდებარეობს მდ. არეშისწყალის მარცხენა ნაპირთან. აქ გაითხარა გარსშემოსავლელიანი, დარბაზული ტიპის, ფლეთილი და რიყის ქვით ნაგები ეკლესია (10X6,8მ); აფსიდა ნალისებურია. განათხარ ფენაში აღმოჩნდა კრამიტის ნატეხები. ეკლესიასთან გაითხარა XI-XIII სს-ის შვიდი ქვის სამარხი. აქვე აღმოჩნდა კერამიკის გამოსაწვავი ქურა (ჭილაშვილი 1991: 64).

„უსახელო ბორცვის“ სამხრეთით 300 მ-ზე გაითხარა „მდინარისპირა კომპლექსის“ უბანი. აქაც დარბაზული ტიპის გარსშემოსავლელიანი რიყისა და ფლეთილი ქვით ნაგები ნალისებურაფსიდიანი ეკლესია (17,5X14,25მ) აღმოჩნდა. მას სამხრეთის კედელთან მიშენებული აქვს პატარა დარბაზული ეკლესია. ეკლესიის სამხრეთით გაითხარა 18 ქვის სამარხი; საბარხები ქრისტანულია; ინვენტარო ცოტაა.

„საყდრის ყურის“ უბანი მდებარეობს მდ. არეშის მარცხენა მხარეს „უსახელო ბორცვიდან“ დაახ. 1 კმ-ზე. აქ გაითხარა რიყის, ფლეთილი ქვისა და აგურისაგან ნაგები სამეკლესიანი ბაზილიკა. გათხრისას აღმოჩნდა ღარიანი და ბრტყელი კრამიტის ნატეხები.

„საყდრის ყურისა“ და „უსახელო ბორცვის“ უბნებს შორის გაითხარა კერამიკის გამოსაწვავი ქურა, რომელთანაც ძირითადად ქვევრის ნატეხები აღმოჩნდა (ჭილაშვილი 1991: 103).

არეშისწყლის მარჯვენა ნაპირზე „ხერთვისის“ უბანია, სადაც რიყისა და ფლეთილი ქვით ნაგები

კედლისა და სხვადასხვა ნაგებობების ნაშთები გამოვლინდა. გათხრებისას აღმოჩნდა კრამიტის, მოჭკივლი ჭურჭლის, საოჯახო და სამეურნეო კერამიკის ფრაგმენტები და სხვა (ჭილაშვილი 1991: 105).

სოფ. მთისძირიდან ჩრდილოეთით 1,5 კმ-ზე მდ. არემისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარეობს „ტყის უბანი“, სადაც გაითხარა ხუთი მცირე ზომის ეკლესია და ნასახლარი. აქვე გამოვლინდა ნამოსახლარის, რიყისა და ფლეთილი ქვით აშენებული თავდაცვითი კედლის (სიგანე 1,2 მ) ნაშთები. ნამოსახლარზე აღმოჩნდა რამდენიმე სწორკუთხა, რიყის და ფლეთილი ქვით ნაგები სახლის ნაშთებიც; ფენებში დადასტურდა აგურის, კრამიტის, საოჯახო და სამეურნეო კერამიკის ფრაგმენტები. „ტყის უბანზე“ გათხრილი ხუთი ეკლესიის ზომებია: 9X3,65 მ; 7,8X3,2 მ; 10,15X5,5 მ; 7,1X3 მ; 8X4,9 მ. ხუთივე ეკლესიას ნახევარწრიული აფსიდა აქვს. 1-ელ და მე-3 ეკლესიებს აქვთ გარსშემოსავლელი. ყველა ეკლესია ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით (ჭილაშვილი 1991: 106-134).

არემის, დღევანდელი სოფ. მთისძირის ტერიტორიიდან ცნობილია შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენებიც. მდ. არემის მარჯვენა ნაპირზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ცული (სიგანე 13,5 სმ) მრგვალი სატარე ნახვრეტი. ამ ტიპის ცულები სპილენძ-ბრინჯაოს ადრეული პერიოდისთვისაა (ძვ. წ. III ათასწ.) დამახასიათებელი (ჭილაშვილი 1991: 137). აქვე 1952 წ. აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი. ის შედგება 300 ცალი ქუფური ვერცხლის მონეტისაგან. განძი შეიცავს აბასიანთა და ომაიანთა დინასტიის ხალიფების სახელით სხვადასხვა ზარაფხანაში მოჭრილ დირჰემებსა და დრაჰმებს. დადასტურებულია ხოსრო II-ის (590-528) 3 დრაჰმაც. განძი დაფლულია IX ს-ში; ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (ჯალალანია 1972: 36-47; 1976: 38-89).

ბიბლიოგრაფია: ქართ. ცხ. 1953: 221; თურქეთ-სპარსეთის ... 1987: 35; მუნში 1969: 14; ინგოლოცვა 1926: 175; მუსხელიშვილი 1967: 55-130; ქც 1: 264,13; ქც 2: 346,10,12,19,20; ქც 4: 133,26; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 50; ჩელები 1971: 269; ჭილაშვილი 1975ა: 91-99; 1977: 114-128; 1991; ჭილაშვილი ... 1978: 97-113; ჭილაშვილი ... 1980: 64-78; ჭილაშვილი ... 1986: 92-105; ჯალალანია 1972: 71-82; 1976: 38-89.

არმაზი, ციხე-ქალაქი (ქც 1: 9,12; 10,6; 13,12; 19,5; 43,22; 44,10; 45,1; 50,3,6,17; 89,5; 159,6; ქც 4:63,2,10,20; 64,4,20; 65,24,29; 78,23,24; 104,26; 339,15,18,23; 340,2; 348,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქც 1: 8,19; 9,12; 10,6; 13,12; 19,5; 43,22; 44,10; 45,1; 50,3,6,17), ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქც 1: 89,5), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც


1: 159,6), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქც 2: 494,6), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 78,23; 339,15,23; 340,2; 348,13), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუ-




ერთ-ერთი ნაგებობა

თები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 176 191, 203, 494, 571, 622, 753; ქრონიკები 1897: 195, 239, 241, 253, 275; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 23; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 183; 1953: 17; საქ. სიძ. 1909: 482), პაპუნა ორბელიანის „ამბაჯნი ქართველისანი“ (ორბელიანი 1981: 229), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30, 39, 81), სტრაბონის „გეოგრაფია“ (ყაუხჩიშვილი 1957: 129), კლავდიოს პტოლემეისის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ (ლომოური 1955: 60), დიონ კასიოსის „რომის ისტორია“ (დიონ კასიოს 1966: 60), პლინიუსი (აფაქიძე 1958: 76), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 191).

ვახუშტი ბაგრატიონი არმაზის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „ხევი ქართლისა, სდის მისსავე მთას და მოდის ჩდილოთ. აქა არს ციხე, რომელი ალაშენა ქართლოს და უწოდა სახელი თვისი ... ფარნაოზ აღმართა აქა კერპი არმაზ, სახელისა თვისისა და



ერთ-ერთი ნაგებობის გეგმა



რეკონსტრუქცია

მის გამო ეწოდა არმაზი ადგილს ამას“ (ქც 4: 339,14-19).

მღებარეობს მცხეთის მობირდაპირე მხარეს, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას. სხვა მოსაზრებით, არმაზის ციხე-ქალაქი მღებარეობდა არმაზისხევის მიდამოებში (მელიქსეთ-ბეგი 1921: 22; კაკაბაძე 1928ა: 7; ერემიანი 1939: 86).

„არმაზციხე“ ბერძნულ-რომაულ წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება. სტრაბონი მას უწოდებდა ჰარმოზიკეს (ყაუხნიშვილი 1957: 129); პტოლემეოსი – ჰარმაკტიკას (ლომოური 1955: 60); დიონ კასიოსი – ჰერმასტუს (დიონ კასიოსი 1966: 103). XVIII-XIX სს-ის ქართულ წყაროებში არმაზციხე მოიხსენიება „ზაგრაეთის“ სახელით.

ძვ. წ. IV-III სს-ში ფარნავაზმა მთაზე, რომელიც „ქართლად“ იწოდებოდა, დადგა არმაზის კერპი; ააშენა ციხესიმაგრე და ღვთაების პატივსაცემად ამ მთას არმაზი უწოდა (მქ 1963: 82; ქც 1: 8,8). ფარნავაზიანთა დინასტიის შემდეგმა მეფეებმა (საურმაგი, მირვანი, ფარნაჯომი, არტოკი და სხვ.). გააგრძელეს არმაზის მშენებლობა. ძვ. წ. III-I სს-ში არმაზი ჩამოყალიბდა ციხე-ქალაქად თავისი შიდა ციხით (მქ 1963: 95; ქც 1: 19,5, 43,22). ძვ. წ. 65 წ. იბერიაში ლაშქრობისას პომპეუსი მიადგა არმაზციხეს. მეფე არტოკმა (არტაგმა) ციხის დაცვა ვერ მოასწროდა მდ. მტკვრის მეორე მხარეზე გადავიდა (დიონ კასიუსი 1966: 59). ახ. წ. I-II სს-ში ქართლის სამეფო ორ ნაწილად გაიყო: არმაზის – მტკვრის ჩრდილოეთით (მარჯვენა ნაპირი) და მცხეთის, მტკვრის სამხრეთით მღებარე ქვეყნებად (ქც 1: 43,22). ახ. წ. II ს-ში არმაზციხე კარგავს ქალაქის მნიშვნელობას და მცხეთის აკროპოლისად იქცევა (მესხია 1983: 74). VI-VIII სს-ში არმაზი, როგორც ქალაქი, ქრება (ქრონიკები 1892: 57; მესხია 1983: 35). VIII ს-ის დამდეგისათვის არმაზი მხოლოდ ციხისა და საბაჟოს როლს იწარმოებდა და მცხეთის ეკლესიის მფლობელობაში შედიოდა (მესხია 1983: 81). 735-738 წწ. არმაზციხე საბოლოოდ არაბებმა დაანგრიეს (აფაქიძე 1990: 239). XIV-XVI სს-ში არმაზის ციხე თავისი მიდამოებით მცხეთის საკათოლიკოსო მამულია (ქრონიკები 1897: 195, 239, 241; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 494, 571). XVIII ს-ში არმაზი ბაგრატიონ-დავითაშვილების კუთვნილება (საქ. სიძ. 1909: 482). არსებობს მოსაზრება, რომ სიველ-გუჯრებში მოხსენიებული „არმაზციხე“ გულისხმობს არმაზისხევის ციხესა და მონასტერს (აფაქიძე 1958: 83).

არმაზისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო XIX ს-ის მიწურულს. 1889 წ. ბაგინეთში (არმაზციხე) ჩატარდა გათხრები (ხელმძღ. ექ. თაყაიშვილი, დ. ქუთათელაძე). იქ აღმოჩნდა: სასახლის ნანგრევები, მოხატული კედლის ფრაგმენტები, რკინის ისრისპირები, კოჭობი, მინის ჭურჭლის ნატეხები და სხვა (თაყაიშვილი 1968: 371; კავლელაშვილი 1996: 133-149). 1902 წ. არმაზისხევის დასავლეთით მღებარე ფართო ტერასაზე, მარტაზისხევის შესართავთან, „ნავთ-

სადენის“ ადგილას, არქეოლოგიური კომისიის ინიციატივით (ხელმძღ. ექ. თაყაიშვილი) გაითხარა ახ. წ. IV-V სს-ის 25 ქვის სამარხი, სადაც აღმოჩნდა 2 მოწითალოდ გამომწვარი ქოთანის, ოქროს საყურეები, ბრინჯაოს სამაჯურები, საკინძები, ბრინჯაოსა და ვერცხლის ბეჭდები, გემები, ბალთები, ფიბულები და სხვა (თაყაიშვილი 1904: 80). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

1925 წ. მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, არმაზციხიდან 0,5 კმ დაშორებით გაითხარა (ხელმძღ. გ. ნიორაძე) 20 ქვის სამარხი, რომლებშიც მიცვალებულები (ზმირად ორ-ორი) დაუკრძალავთ გულადმა გამოტოლი. სამარხებში აღმოჩნდა: ახ. წ. პირველი საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ნივთები: რკინის, იშვიათად ბრინჯაოს საკინძები, ბეჭედი, ოქროს საყურე, მძივები, გიშრის, სარდიონის, მარჯნის, ალმანდინის და სხვა (ნიორაძე 1926). 1930 წ. „ნავთსადენის“ ტერიტორიაზე აღმოჩნდა ქოთნით დაფლული IV-V სს-ის სასაწურო ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

1934 წ. იგივე „ნავთსადენის“ ტერიტორიაზე აღმოჩნდა I-III სს-ის ქვის სამარხი (აფაქიძე ... 1955: 4). 1937 წ. ნ.მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ალ. კალანდაძე) ჩატარა გათხრები მტკვრისა და არმაზისხევის შესართავთან, სადაც აღმოჩნდა აბანოს ნანგრევები და IV-V სს-ის 11 ქვის სამარხი. 1938 წ. გათხრები გაგრძელდა აბანოსა და მის მიდამოებში. გამოვლინდა 20 ქვის სამარხი. იქვე, რკინიგზის სამხრეთით მღებარე ვერდობზე გაითხარა VI-IX სს-ის 26 სამარხი (აფაქიძე ... 1955: 10). 1940 წ. აბანოს სამხრეთ-დასავლეთით მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამთავროს ჩრდილო ჯგუფმა (ხელმძღ. ალ. კალანდაძე) გათხარა მდიდრული სამაროვანი. 1941 წ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის არმაზის ჯგუფმა (ხელმძღ. ა. აფაქიძე) არმაზისხევაში გამოავლინა: ე. წ. ზღურბლიანი ნაგებობა (სასახლის თუ ტაძრის ნაშთი), ორენაკიანი შენობა. 1942-1943 წწ. იქვე აღმოჩნდა ქვის სამარხები (აფაქიძე ... 1955: 12). 1944-1946 წწ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. გ.ლომთათიძე) არმაზისხევაში გაითხარა I-III სს-ის კრამიტსამარხი (№46), IV ს-ის მდიდრული სამარხები, ნაგებობის ფრაგმენტები, ზღურბლიანი ნაგებობის მეორე სენაკი და შიგ ჩადგმული 10 ქვის სამარხი; გათხრებისას აღმოჩნდა: მარმარილოს ქანდაკების ნატეხები, წყალსადენის მილის ფრაგმენტები, ბრინჯაოს ანანის 8 ორმოსამარხი. მცხეთის რკინიგზის სადგურთან გაითხარა კრამიტსამარხი (აფაქიძე ... 1955: 12, 13).


არმაზისხევის გათხრების პარალელურად, 1943-1948 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის ბაგინეთის რაზმმა (ხელმძღ. ა. აფაქიძე) შეისწავლა მდ.



შენობების გვეგმა

მტკვრის მარჯვენა მხარეს, ქართლის ქედის ბოლოში, ტერასებიანი კლდოვანი მთის კეხსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე მდებარე არმაზციხე (ბაგინეთი) (აფაქიძე 1959: 65, 66; ჯავარბიძე 1961: 167, 168). გათხრებისას გამოვლინდა: შიდაცხის ზღუდისა და შენობათა ნანგრევები, მდიდრული სამარხები (აფაქიძე ... 1955: 5). 1937, 1943 წწ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. ს. ჯანაშია), მცხეთის რკინიგზის სადგურის მახლობლად გაითხარა I-III სს-ის ქვის ფილებით ნაგები რამდენიმე სამარხი და კრამიტსამარხი (აფაქიძე ... 1955: 13). 1945 წ. მცხეთის რკინიგზის სადგურის აღმოსავლეთით, მარტაზისხევის, „ნავოსადენის“ ტერიტორიაზე მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის არმაზისხევის ჯგუფმა (ხელმძღ. გ. ლომთათიძე) აღმოაჩინა 4 ქვის ფილებით ნაგები სამარხი, მრავალრიცხოვანი ინვენტარით (აფაქიძე ... 1955: 13). 1951 წ. რკინიგზის სადგურის მახლობლად გამოვლინდა ახ. წ. I ს-ის მავზოლეუმის ტიპის აკლდამა (ლომთათიძე 1951: 541). 1961-1964 წწ. მთა-ქართლის დასავლეთით, არმაზისხევისა და მარტაზისხევის უბნებში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. ლომთათიძე) შესწავლა სამონასტრო კომპლექსის ნანგრევები, ანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების ქვის ფილებით ნაგები 8 სამარხი (ლომთათიძე 1964: 6-9). 1967-1969 წწ. მარტაზისხევის შესართავთან, მარცხენა ნაპირის ბორცვზე, იმავე ინსტიტუტის მარტაზისხევის ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. უგრელიძე) გაითხარა ადრე შუა საუკუნეების 56 ქვასამარხი და ძვ. წ. II-I სს-ის ერთი ქვევრსამარხი (უგრელიძე 1971: 89). 1974 წ. მარტაზისხევის მარცხენა ნაპირზე ნაპოვნია ძვ. წ. I ს-ის პირველი ნახ. ქვევრსამარხი (ნარიმანიშვილი, მანჯგალაძე 1989: 168-171). 1975 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღ. ა. აფაქიძე) მიერ, ბაგინეთზე სვეტებიანი დარბაზის დასავლეთით, მეორე ტერასაზე ჩატარდა გათხრები, სადაც აღმოჩნდა ბრტყელი და დარბაზიანი კრამიტები, თიხის ჭურჭლის ნატეხები. იქვე გამოვლინდა რიყის ქვით ნაგები კედელი და გვიანელინისტური ხანის ნაგებობის კარნიზის ნაწილი სტილიზებული ლომისა და რვაფურცლიანი ვარდულის რელიეფური გამოსახულებით (აფაქიძე ... 1978: 54, 55). 1975-1977 წწ. იმავე ექსპედიციამ შესწავლა ქართლის ქედის ჩრდილოეთი კალთის ძირას, მცხეთის რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოვთაკარის გვიანან-

ტიკური ხანის სამაროვანი (აფაქიძე ... 1981: 126). იმავე წლებში მცხეთის შემოგარენში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, კარსნისხევის გაითხარა ძვ. და ახ. წელთაღრიცხვების I სს-ის, აგრეთვე ახ. წ. III-I სს-ის ძეგლი: მეთუნეთა დასახლება, საწარმოო უბანი, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა (მარანი, საწნახელი) და სამაროვანი (ნიკოლაიშვილი 1993: 3, 4). 1976 წ. რკინიგზის ბაქან „არმაზის“ სამხრეთით, არმაზისა და მარტაზისხევებს შორის მდებარე ფერდობზე გაითხარა გვიანანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების სამაროვანი – ახალი არმაზის სამაროვანი (სმა 1990: 242, 243). 1993, 1995-1998 წწ. მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის ბაგინეთის რაზმმა გათხრები განაახლა არმაზციხეზე, სადაც გამოვლინდა რომაული ტიპის აბანო, წარმართული სატაძრო კომპლექსი და ეპიგრაფიკული ძეგლები, აგრეთვე გალავანი, რომელიც შემოუყვება ნაქალაქარსა და შიდაცხეს. მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არმაზისხევის შესართავთან, პირველ ტერასაზე გამოვლინდა ენეოლითის ხანის ობსიდიანის იარაღის სახელოსნოს ნაშთები და ბრინჯაოს ხანის რვა ორმოსამარხი (აფაქიძე ... 1955: 10, 13). არმაზციხეზე (ბაგინეთზე) გაითხარა გალავნით შემოვლებული ნაქალაქარი და შიდაცხე. გამოვლინდა სამი ფენა (არმაზციხე I, II, III) და მშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი (ძვ. წ. IV-III სს-ის ნაგებობები უღუდაბოა; ძვ. წ. III ს-დან მშენებლობაში გამოყენებულია დუღაბი). გალავანი გამოვლინდა 3 კმ-ზე. ნაქალაქარი და შიდაცხე (ფართობი 30 ჰა) სხვადასხვა სამშენებლო ფენებს შეიცავს. უძველესია გალავნის მთავარი კოშკი, რომელიც ნაგებია მშრალად, უხეშად დამუშავებული ქვით. მომდევნო ფენაა ე. წ. არმაზციხე I, რომელსაც მიეკუთვნება შემდეგი ნაგებობანი: გალავნის კედლები, სვეტებიანი დარბაზი და საკულ-




ერთ-ერთი ნაგებობის გვეგმა

ტო ნაგებობის საძირკველი. გალავანი, კოშკები და ბურჯები (გალავნის სიმაღლე 6 მ, სიგანე 2,6-4 მ). ნაგებია ქვათილებების მშრალი წყობით; გადაბმულია სამაგრებით. კლდეში ამოკვეთილ ბუდეებში ჩასმულ ქვათილებებზე ამოყვანილია თიხის ხსნარით შემტკიცებული ალიზის კედელი, რომელიც ყოველ 10 მ-ში გამაგრებულია 3-3,5 მ-ით გამოწეული ბურჯებით (10X11 მ). კოშკები და ბურჯები გადახურულია წითლად შეღებილი კრამიტით. შიდაციხის ტერიტორიაზე გაითხარა „სვეტებიანი დარბაზი“ (20,8X8,8 მ), ნაგები ქვათილებების მშრალი წყობით, რომელზეც ალიზის კედლები იყო ამოყვანილი (კედლის სისქე 1,45-1,7 მ). იატაკი ვარდისფერი ქვიშაქვის ფხვნილით იყო მოტკეპნილი, სახურავი კრამიტისაა. დარბაზში აღმოჩნდა: 6 სვეტის ბაზა და კაპიტელი, ოთხსაფეხურიანი კიბე, ძვლის ფირფიტების ფრაგმენტები, ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ლურსმნები, დაფანჯრული ბალთა. არმაზის ქედის აღმოსავლეთ წვერზე, გალავნის უმაღლეს ადგილზე გამოვლინდა დიდი ქვათილებით ნაშენი საკულტო ნაგებობის საძირკველი. ერთი მოსაზრებით, არმაზციხე I თარიღდება: ძვ. წ. IV-III სს-ით (აფაქიძე 1963: 22-28); ხოლო მეორე მოსაზრებით, ძვ. წ. III სს-ის მეორე ნახევარი – ძვ. წ. I სს-ით (ლორთქიფანიძე 1971: 151; გამყრელიძე 2010: 162-164; ნიკოლაიშვილი 2011).

არმაზციხე II-ს მიეკუთვნება კირხსნარით ნაშენი სასახლის ტიპის მეორე ნაგებობა, გალავნის სამხრეთი მონაკვეთის ნაწილი და ზღუდის ნაწილი შიდაციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. არმაზციხე II თარიღდება: ძვ. წ. III-I სს-ით (საქ. არქ. 1959: 260).

არმაზციხე III-ს მიეკუთვნება შიდაციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი აბანოს ნანგრევები, სარკოფაგი და აკლამა. აბანო (7X4,7კვ მ) მდებარეობდა სვეტებიანი დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთით. შემორჩენილი იყო წყალსაცავი აუზი, აბაზანა და აბანოს იატაკქვეშ მოქცეული გათბობის სისტემა – მრგვალი და ოთხკუთხა აუზით შედგენილი, ორ რივად განლაგებული კალორიფერები (აფაქიძე 1963: 38). „სვეტებიანი დარბაზის“ ჩრდილო-დასავლეთით აღმოჩნდა მთლიანი ქვისაგან გამოკვეთილი სარკოფაგი (1,85X0,6X0,65 მ), რომელსაც რკინის გამირებით დაკავშირებული, ასევე მთლიანი ქვისაგან გამოთლილი ორფერდა სახურავი ეხურა. სარკოფაგში აღმოჩნდა ოქროს ყელსაბამი (2 ც), სამაჯური (3 ც), ბეჭედი (5 ც), ღუგმის ნაწილები, სარტყლის ფრაგმენტები, ხეიბი; ვერცხლის ორნამენტირებული გარსაკრავებით შემკული სარეცლის ხის ფეხები (4 ც); ფიალა, პინაკი ოქროსფენიანი მედალიონით, „არმაზულწარწერიანი“ ჭურჭელი, ლამბაქი, ჯამი, კოვზი, სარკები, ლურსმნები; მინის სანელსაცხელის, ქსოვილის ნაშთები და სხვ. მონეტები – რომაული აურუსები: ვესპასიანეს (69-78), ტიტუსი (79-81), ადრიანესი (117-138); ვერცხლის რომაული დენარები: აგუსტუს (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14), ტრაიანესი (98-117),



არმაზციხის რეკონსტრუქცია გ. გამყრელიძის მიხედვით

ადრიანესი (117-138), ფაუსტინა უფროსის (გარდ. 141 წ.). სარკოფაგი თარიღდება: ახ. წ. II სს-ით (სძა 1990: 241).

ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთით, მის ქვედა ტერასაზე, კლდის შვერილზე, სარკოფაგსა და აბანოს ნანგრევებს შორის აღმოჩნდა აკლამა, ნაგები მსხვილი კვადრებით, რომელიც გამაგრებული იყო ლითონის გამირებით. ქვის პერანგის შიგნით აღმოჩნდა მეორე წყობა – ფლეთილი ქვა კირის ღულაზე (კედლის სისქე 0,8-1 მ). აკლამა შედგებოდა: შესასვლელისაგან (5,4 კვ მ) და სამარხი კამერისაგან (7,4 კვ მ). იატაკი (0,4 მ სისქის აგურის, ქვიშაქვისა და კირხსნარის მინარევი) კარგად დატკეპნილი იყო. გადახურვა ცრუ კამარა ან ფილების საფეხურისებრი წყობა ყოფილა. აკლამა მიწით უნდა ყოფილიყო დაფარული. შესასვლელთან აღმოჩნდა: აგური, ქვის კარნიზისა და ფრიზის ფრაგმენტები. გამარცულ აკლამაში შემორჩა: ვერცხლის სურის(?) ფრაგმენტები, ოცამდე ოქროს წვრილი კილიტა და ოქრომკერდის ნაწყვეტები. აკლამა თარიღდება ახ. წ. II სს-ით (ციციშვილი 1950ა: 187-193); I-II სს-ით (სძა 1990: 241); ახ. წ. III სს-ით (ლორთქიფანიძე 1971: 152). ბაგინეთის არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ლ. ჯვანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში).

შიდაციხის ჩრდილო კარიბჭესთან გაითხარა რიგით მეორე, რომაული ტიპის აბანო ცივი, თბილი და ცხელი განყოფილებით. გამოვლინდა: აბაზანები, წყალსადენები, გათბობის სისტემა, ჰიპოკაუსტი ცხელი აბანოს ქვედა სართულში. აბანო ნაგებია ქვატყელით კირხსნარზე. შიდაპირი და აბაზანები შელესილია პიდრავლიკური ხსნარით. არმაზციხის პირველ ტერასაზე, ორსენაკიანი ნაგებობის მახლობლად გაითხარა გეგმაში ოთხკუთხა ფორმის წარმართული ტაძარი, რომელიც ქვიშაქვის ქვათილებებზე ამოყვანილი ალიზის კედლებითაა ნაგები. ტაძარი გადახურული ყოფილა წითლად შეღებილი ბრტყელი და ლარისებური კრამიტით. ტაძრის ფასადი აღმოსავლეთითაა დამხრობილი. ცენტრალური დარბაზი (ფართობი 200 კვ მ) დერეფნების მეშვეობით უკავშირდება დასავლეთის მინაშენსა და მარანს, რომელშიც 16 ქვევრია. დარბაზის ცენტრში დგას ქვიშაქვის მიწაქვეშა-

მეზული ბაზა (დმ 1,27 მ, სიმაღლე 0,3 მ), რომელზეც ხის სვეტი იყო აღმართული და მასზე ქვიშაქვის მოჩქურთმებული კაპიტელი იდგა. ტაძარში ატიკური ორდერით შემკულ კვარცხლბეკზე (0,7X0,7X0,3 მ) ქანდაკება მდგარა. იატაკზე და მის გარშემო აღმოჩნდა არქიტექტურული დეტალები (კარნიზის ფრაგმენტები, მარმარილოს მცირე ქანდაკების ნაწილები – სტილიზებული ლომის თავით), წითლად და ჩაღისფრად გამოშვარი თიხის ჭურჭელი (მათ შორის საწყაო-სარიტუალო ჭურჭელი), თიხის შეკიდული ბულა პანთეისტური ღვთაების გამოსახულებით, რკინის სამფრთიანი ისრისწვერები, აბჯრის ფორფიტები, ქვის ბირთვები, ახ. წ. I ს-ის პართიული ვერცხლის მონეტები და სხვ. ტაძარი ახ. წ. პირველ საუკუნეებში ფუნქციონირებდა. მისი განადგურება უნდა მომხდარიყო ახ. წ. IV ს-ის პირველ ნახევარში (ნიკოლაიშვილი 1996: 23-25).

აბანოს მახლობლად, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სხვადასხვა დანიშნულების სათავსებში კერამიკულ ნაწარმთან ერთად აღმოჩნდა 3 ეპიგრაფიკული ძეგლი. ერთზე ამოკვეთილია ბერძნული წარწერა: „მეფის ... მამამძემქმ და ეზოსმოდღარმა გააკეთებინა თავისი საზრდელით (ან სახსრით) მიწისქვეშა გაყვანილობა (ან წყალსადენი) და აბანო (ან წყალსადენი აბანოსათვის) და შესწირა დრაკონტის დედოფალს“. წარწერა თარიღდება II-III სს-ით. მეორე ფილაზე იკითხება: „არმენიის მეფის, ვოლოგეზეს ასულს, ხოლო იბერთა დიდი მეფის ამაზასპეს მეუღლეს, ანაგრანესმა, მამამძემქმ და ეზოსმოდღარმა, საკუთარი სახსრით (გაკეთებული) აბანო შესწირა“. წარწერა თარიღდება II-III სს-ით. ამავე პერიოდისაა მესამე წარწერა, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ იბერთა მეფის ასულებს მეფის მოხელემ რალაც შესწირა (ყაუჩიშვილი 2000: 227-229). იქვე აღმოჩნდა ვერცხლის მონეტები (ახ. წ. I ს-ის რომაული დენარები, პართიული დრაქმები) და ძვლის სამი ქანდაკება (საშუალო ზომა 11 სმ). ერთზე გამოსახულია ტერე ფორტუნა, მეორეზე – ღვთაება ეროტია, მესამეზე ლომი (ნიკოლაიშვილი 1996: 24).

მტკვრის მარჯვენა მხარეს, მცხეთის რკინიგზის სადგურის აღმოსავლეთით 300 მ დაშორებით, კლდოვანი ფერდობის საგანგებოდ ამოჭრილ, ნატეხი ქვითა და თიხით შეღესილ ქვაბულში (9,10X4,48 მ) გამოვლინდა მაგზოლოგის ტიპის აკლადამა, რომელიც წარმოადგენს სწორკუთხოვან, ერთსაფეხიან ნაგებობას (2,33-2,37X1,75-1,80X1,9 მ). აკლადამა აგებულია ქვიშაქვის თლილი ფილებით, უდუღაბოდ. აღმოსავლეთის კედელი, რომელშიც კარია დატანილი, ამოყვანილია მოყვითალო ქვიშაქვის კარვად დამუშავებული კვადრებით. დანარჩენი კედლები გარედან უსწორმასწოროდ დაწყობილი ქვებითაა ნაგები. იატაკი მოგებულია სწორკუთხა ფილებით. ორფერდა სახურავი გადახურულია წითლად შეღებილი, დამლიანი ლარისებური და ბრტყელი კრამიტებით. აკლადამა

გამარცვლი იყო, მიცვალებულის ძვლები არეული. მიცვალებული სარეცელზე დაუსვენებიათ. აკლადამაში აღმოჩნდა: ოქროს სამკაული – აბზინდა, მძივები, საკიდი, კილიტა, საკიდი – ავგაროზი (ლომისა და ფრინველის გამოსახულებით); ვერცხლის ჯამბებსა თუ პინაკების ფრაგმენტები; ბრინჯაოს ღრუ ქანდაკება (ჭაბუკის); ორი ნიჟარა; მინის ჭურჭელი: 2 თევზი, 1 ფიალა, 15 სანელსაცხებლე; თიხის წითლად გამოშვარი ჯამი და ჭრაქი; ოქროს მონეტები – რომაული აურეუსები: ტიბერიუსის (14-37), ნერონის (54-68), ვიტელიუსისა (69) და ვესპასიანესი (69-79); ვერცხლის სპარსული დრაქმები: ოროდ I-ის (54-37) – 47 ცალი; არტაბანის (88-77), სინეტრუქსის (77-70), ფრაატ III-ის (70-75) და ფრაატ IV-ის (37-2). აკლადამა თარიღდება ახ. წ. I ს-ის დასასრულით (ლომითათიძე 1951: 541-544). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

მცხეთის რკინიგზის სადგურის წინ, მთაქართლის ჩრდილო კალთის ძირას გაითხარა გვიანანტიკური ხანის სამაროვანი და ნამოსახლარი (იხ. მოგვთაკარი).

რკინიგზის სადგურის დასავლეთით 2 კმ დაშორებით, არმაზისხევისა და მდ. მტკვრის შესართავთან, ერთ-ერთ ტერასაზე გაითხარა: II-IV და IV-IX სს-ის სამაროვანი, აბანო, ზღურბლიანი ნაგებობა, ერთსენაკიანი და ორსენაკიანი ნაგებობები და მარანი. სულ გაითხარა 144 სამარხი: ორმოსამარხები, სარკოფაგები, ქვის ფილებით ან ფლეთილი ქვით ნაგები სამარხები და რამდენიმე კრამიტსამარხი. ყველა მათგანი ინდივიდუალური ან საოჯახო იყო. მიცვალებულები დაუკრძალავთი გამოტონი, თავით აღმოსავლეთით (ავაქიძე ... 1955: 15-21). II-IV სს-ის სამარხებში გამოიყო ე. წ. ერისთავთა სამარხები: ბანურსახურავიანი და ორფერდასახურავიანი ორი სარკოფაგი (№№6, 7) და კარვად გათლილი ქვის ფილებით ნაგები შვიდი სამარხი (ორფერდა ან ბანურსახურავიანი), რომელთა კედლისა და სახურავის ფილები გადაბმული იყო რკინის სამაგრებით; იატაკი სამარხებს ქვით ან კერამიკული ფილებით ჰქონდათ მოგებული. ორი სამარხი (№№1, 2) მოქცეული იყო ქვითკირის ნაგებობაში; ერთ სამარხში (№3) მიცვალებულის ძვლები ვერცხლის ჭურჭელზე იყო დალაგებული (მეორადი დაკრძალვა); სამ სამარხში (№№1, 3, 6) მიცვალებული სარეცელზე დაუსვენებიათ. სამარხებში აღმოჩნდა ოქროს ნივთები: სატევრის გარსაკრავი, საბეჭდავი, სარტყელი, დიადემა, სამაჯურები, ყელსაკიდები, საწვივე რგოლები, აბზინდები, საყურეები, ბეჭდები, კილიტები, საკინძები, თილისმა, ცხენის აღკაზმულობა და სხვ. ვერცხლის ჭურჭელი: სასმისები, სურები, ლანგრები და სხვ. მინის სანელსაცხებლები, რკინის სატევარი; ოქროს მონეტები – რომაული აურეუსები: ტიტუსი (79-81), ტრაიანესი (98-117), ადრიანესი (117-138), სეპტიმი სევერიუსის (193-211), ფილიპე უმცროსის (247-243), ვალერიანეს (253-260), გორ-

დიანე პიუსის (238-244), ფილიპე უფროსის (244-249), ტრაიანე დეციუსის (249-251), პოსტილიანესი (ახ. წ. 251), ნერონის (54-68), გალბასი (68-69), ანტონინე პიუსის (138-161), კომოდის (180-192); ვერცხლის მონეტები: ვოტარზეს (40-51) დრაქმა, ავეუსტეს (ძვ. წ. 27 - ახ. წ. 14 წწ.) დენარი და სხვ. ერისთავთა სამარხები თარიღდება II-III სს-ით (აფაქიძე ... 1955: 22-104).

არმაზის ერისთავთა სამარხებთან დაკავშირებულია შემდეგი ეპიგრაფიკული ძეგლები: 1. №1 სამარხში აღმოჩნდა ოქროს ბეჭედი, რომლის სარდიონის ქვის გემაზე ამოჭრილია წვეროსანი მამაკაცის ბიუსტი. გამოსახულებას შემოუყვება ბერძნული წარწერა: „ასპარუგ პიტიახში“. წარწერა თარიღდება ახ. წ. I ს-ით (ყაუხჩიშვილი 1951: 262); ახ. წ. II ს-ით (აფაქიძე 1963: 140). 2. იმავე სამარხში აღმოჩნდა ასპარუგის საერისთავო სარტყელის ბალთა, რომლის შუაგულში ჩასმულია გემა ორი ადამიანის გამოსახულებით. გემაზე ბერძნული წარწერაა: „კარპაკი, ზევანი ჩემი სიცოცხლე“ ან „ჯვავანი სიცოცხლე ჩემი - კარპაკი“. წარწერა თარიღდება: ახ. წ. II ს-ით (ყაუხჩიშვილი 1951: 261); (აფაქიძე 1963: 141). 3. №2 სამარხში აღმოჩენილ ოქროს ბეჭდის სარდიონის თვალზე ბერძნული წარწერაა: „ზევანი“. წარწერა თარიღდება II ს-ით (ყაუხჩიშვილი 1951: 263). 4. №3 სამარხში ოქროს ბეჭდის ქვაზე გამოსახული მამაკაცის პროფილის ქვეშ ამოკვეთილია ნეგატიური წარწერა „პლატონი“. წარწერა თარიღდება ახ. წ. I ს-ით (ყაუხჩიშვილი 1951: 264). 5. №6 სამარხის ოქროს ბეჭდის თვალზე გამოსახული საყურიანი მამაკაცის პროფილის ქვევით იკითხება: „ზეხ“ („ზევანი“) (ყაუხჩიშვილი 1951: 263). 6. №2 სამარხის ვერცხლის პინაკის გარეთა ზედაპირზე საშუალო სპარსულ ენაზე წარწერაა: „პიტიახში ღვთაებრივი არდაშირისა, ღვთაებრივ (პაპაკის?) ძის“. წარწერა თარიღდება III ს-ის მეორე მეოთხედით (აფაქიძე 1963: 142). 7. №3 სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ლანგრის გარეთა ზედაპირზე ბერძნული წარწერა ამოკაწრულია: „მე, მევე ფლავიუსი დადესმა იუვიდლენი ბერსუმა პიტიახში“. წარწერა დათარიღდა: I-III სს-ით (ყაუხჩიშვილი 1941: 170, 171); III ს-ის 50-იანი წლებით (აფაქიძე 1963: 145); II ს-ის მიწურულით ან III ს-ის დასაწყისით (ყაუხჩიშვილი 1951: 265). 8. №4 სამარხის სამხრეთ კედლად ჩადგმული იყო ლომი, რომლის შიგნითა მხარეს აღმოჩნდა ორენოვანი (ბერძნულ-არამეული) წარწერა. ბერძნული ტექსტი ათსტრიქონიანია. მის ქვემოთ ამოჭრილი არამეული ტექსტი თერთმეტსტრიქონიანი. წარწერა ასე იკითხება: „სერაფიტი, მცირე პიტიახშის ზევანის ასული, პიტიახში პუბლიკიოსის აგრიპას ძის, იბერთა მეფის დიდი ქსეფარუნის მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოძღვრის იოდმანგანის მეუღლე. გარდაიცვალა ახალგაზრდა, 21 წლისა, რომელსაც ჰქონდა უბადლო სილამაზე“ (წერეთელი 1941: 17; ყაუხჩიშვილი 1941: 169-175; შანიძე 1941: 181-186). წარწერა თარიღდება ახ. წ.

II ს-ით (ყაუხჩიშვილი 1941: 173). 9. №4 სამარხის ჩრდილოეთის კედლად გამოყენებულ ლოდზე აღმოჩნდა არამეული წარწერა. მასში I ს-ის მოვლენებია მოხსენიებული. (წერეთელი 1948ა: 360; ინკოროფა 1941: 411, 418, 419).

ერისთავთა სამარხების სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გაითხარა ორი კრამიტსამარხი და ორი ქვის ფილებით ნაგები სამარხი ლარიბული ინვენტარით. მათში აღმოჩნდა თიხის ხელალები, რკინის დანა, ცული, ბეჭედი, ბრინჯაოს აბზინდა, საყურე, მინისებრი პასტისა და გიშრის მიძვები, ავეუსტეს ვერცხლის დენარი და სხვ. სამარხები დათარიღდა II-III სს-ით (აფაქიძე ... 1955: 129-134). ერისთავთა სამარხების სამხრეთ-აღმოსავლეთით 20-30 მ მანძილზე გაითხარა ქვის ფილებით ნაგები 14 სამარხი (3 ორფერდა, 11 ბანურსახურავიანი). ფილები უხეშადაა გათლილი. იატაკი ქვის ან კერამიკის ფილებითაა მოვებული. მიცვალებულები დაუკრძალავთ გაშოტილნი, რკინის ლურსმნებით შეკრულ ხის კუბოებში. სამარხებში აღმოჩნდა: ოქროს საყურეები, ყელსაბამი, სამაჯურები, ბეჭდები; ვერცხლისა და ბრინჯაოს აბზინდები; რკინის შშილდსაკინძები, საავგაროზო მილაკი. სამარხები თარიღდება IV ს-ით (აფაქიძე ... 1955: 104-129).

არმაზისხევის უბანზე, ძირითადად აბანოს ნანგრევებისა და „ზღურბლიან ნაგებობას“ შორის და რკინიგზის ლიანდაგს გადაღმა, ე.წ. „ტყის უბანზე“, გაითხარა ქვის ფილებით ნაგები 106 კოლექტიური სამარხი. მიცვალებულები დაუკრძალავთ გაშოტილი, თავით დასავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა: ბრინჯაოსა და რკინის საკინძები (162 ც), მშილდსაკინძები (76 ც), ბეჭდები (68 ც. აქედან 3 ოქროსი), ოქროს 2, ვერცხლის 8, ბრინჯაოს 5 საყურე; სამაჯურები (19 ც), აბზინდები, ბალთები, მიძვები, მინის ჭურჭლის ნატეხები და სხვ. მონეტები: VIII ს-ის 2 არაბული ფელსი. სამარხები თარიღდება IV-IX სს-ით (აფაქიძე ... 1955: 135-146).

არმაზისხევის უბნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის მეორე ტერასის კიდეზე გამოვლინდა აბანოს (22,8X8,8მ) ნანგრევები. აბანოს საძირკველი ამოყვანილია რიყის ქვით. გადახურული ყოფილა კრამიტით. აბანო შედგება გასახდელი ოთახის, საცეცხლისა და სამი საბანაო (ცხელი, თბილი, ცივი) განყოფილებისაგან (საერთო ფართობი 67.12 კვ. მ). შენობის დასავლეთით, გასახდელი ოთახია, საიდანაც აღმოსავლეთის კედელში გაჭრილი კარით, საცეცხლის თავზე მდებარე სათავსის გავლით ცხელ აბანოში შედიოდნენ. ცხელი აბანო უერთდება თბილ აბანოს გასასვლელით. თბილი აბანოს აღმოსავლეთით მდებარეობს ცივი აბანო, რომელიც შედგება აუზისა და მასზე მოგვიანებით მიშენებული სათავსისაგან. აუზის კუთხეებში დატანილი წყლის გასასვლელი მილები უერთდება არხს, რომელიც საძირკველს მიჰყვება და ჩადის მდ. მტკვარში. გათბობის სისტემა (კალორიფერი, პიპოკუსტი, ლუმელი და საკანალიზაციო არხები)



სოსტამენტი არმაზისიდან

ცხელი და თბილი აბანოს ქვევითაა მოწყობილი. სათბობის იატაკს წარმოადგენს 0,2 მ დატკეპნილი ფენა (კირის, დანაყილი აგურისა და კრამიტის ნარევი), რომელზეც დგას მრგვალი და ოთხკუთხა აგურებისაგან ნაგები 1,1 მ სიმაღლის 45 სვეტი. მათ შორის მანძილი 0,30-0,35 მ. თითოეული სვეტი შედგება სქელი კირით გამაგრებული 20-21 აგურისაგან. სვეტები გადახურული იყო კერამიკული ფილებით. ცხელ აბანოში ჰაერი ადიოდა კედლებში დატანილი სწორკუთხა კრამიტის მილებით. არმაზისხევის აბანო რომაული ტიპის აბანოებს განეკუთვნება და თარიღდება II-III სს-ით (აფაქიძე 1963:34-38). აბანოს სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოვლინდა ქვითკირის ორსენაკიანი, ე. წ. ზღურბლიანი ნაგებობის ნაშთები. დასავლეთის სენაკში შემორჩენილია: არქიტრავის ნაწილი, სვეტისთავი და სწორკუთხა ბაზა. აღმოსავლეთის სენაკში აღმოჩნდა კრამიტის ნატეხები, ნაცრისა და ნახშირის ფენა (აფაქიძე ... 1955: 160-163). არმაზისხევის ძირითადი უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, შარაგზის ჩრდილოეთით აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული, ერთსენაკიანი ნაგებობის ნანგრევები. შენობის დანიშნულება გაურკვეველია (აფაქიძე ... 1955: 164). აბანოს სამხრეთ-დასავლეთით 40 მ დაშორებით აღმოჩნდა ფლეთილი ქვითა და კირით ნაშენი ორსათავსიანი ნაგებობა (სძა 1990: 238). არმაზისხევის მარჯვენა ნაპირზე, უბნის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთითა აღმოჩნდა მარანი (4,5X9მ) 55 ქვევრით. ქვევრების უმეტესობას დაუყვება რელიეფური სარტყლები; ზოგიერთ ქვევრს შერჩენილი აქვს ქვიშაქვის მრგვალი ან ოთხკუთხა სარტყელი. მარანთან დაკავშირებულია საკულტო სამარხები – წითლად ან შავად გამომწვარი, მიწაში 1,8-2,5 მ სიღრმეზე ჩაფლული თიხის 9 ქილა. ზოგიერთ ქილაში აღმოჩნდა ფრინველის ძვლები. აბანო, ზღურბლიანი ნაგებობა, ერთსენაკიანი ნაგებობა და მარანი ითვლება არმაზისხევის ერთსათავსიანი რეზიდენციის კომპლექსად. IV ს-ის დასაწყისისათვის კომპლექსი გადამწვარ-განადგურებულია (აფაქიძე ... 1955: 165-171). ზღურბლიანი ნაგებობის სამხრეთით, 27 მ მანძილზე გამოვლინდა ორსენაკიანი შენობა, რომელიც ქვიშაქვის თლილი

ლოდებითაა ნაშენი. თითოეულ სენაკში აღმოჩნდა ორ-ორი ქვის სამარხი. ორსენაკიანი ნაგებობა VI ს-ის მიმდევრო ხანას განეკუთვნება (აფაქიძე ... 1955: 171-174). არმაზისხევის მასალის ნაწილი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ნაგებობათა დეკორის დეტალები და არქეოლოგიური მასალის ნაწილი ინახება არმაზისხევის ბაზაში. მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, რკინიგზის ბაქან „არმაზის“ სამხრეთით, არმაზისხევისა და მარტაზისხევის შორის, ფერდობის ძირას გაითხარა გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ახალი არმაზის სამაროვანი. სამარხები ნაგებია ქვიშაქვის ფილებით, ფლეთილი ქვითა და ტალახით; გადახურულია მოზრდილი ფილებით; მიცვალებულები დაუკრძალავთ გაშოტილნი, თავით დასავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა: ოქროს, ვერცხლისა და რკინის ბეჭდები, საყურეები; მინისა და პასტის მძივები; ბრინჯაოს საკინძები, მშვილდსაკინძები, სამაჯურები; თიხისა და მინის საწელსაცხებლები; პართიული მონეტა. სამაროვნის აღმოსავლეთით გამოვლინდა ფლეთილი ქვითა და თიხით ნაგები კედლები და შუა საუკუნეების კერამიკა (სძა 1990: 241, 242). მასალა ინახება დიდი მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში.

მარტაზისხევის ანუ სანერისხევის შესართავთან, მარცხენა ნაპირას, არმაზისხევის დასავლეთით 2 კმ დაშორებით შესწავლილ იქნა მარტაზისხევის სამაროვანი, სადაც გაითხარა ფლეთილი ქვითა და თიხით ამოყვანილი, სამ-სამი ფილით გადახურული 47 ქვის სამარხი (დაკრძალვა ქრისტიანული წესით) და ერთი ქვევრსამარხი. ქვის სამარხებში გამოიყო 2 ქრონოლოგიური ჯგუფი: IV-V და VI-VII სს. ქვევრსამარხი ძვ. წ. II-I სს-ით დათარიღდა (უგრელიძე, ამირანაშვილი 1971: 89-91).

თბილისი-მცხეთის გზატკეცილის მე-17 კმ-ზე, კარსნისხევი, ბორცვის ძირზე და თხემზე გამოვლინდა ტერასულად განლაგებული ნამოსახლარი, რომელიც დადასტურდა 3 სამშენებლო ფენა. გაითხარა 6 სახლი. საცხოვრებელი კომპლექსი შედგებოდა საკუთრივ საცხოვრებელი, აგრეთვე დამხმარე ნაგებობებისაგან. შენობები დახურული იყო ღარიანი და ბრტყელი კრამიტით. კედლები ნაგებია ქვიშაქვის ფილებით. იატაკი თიხატკეპნილია. შუა სახლში გამართულია კარი. გათხრებისას აღმოჩნდა: ქვევრები, დერგები, ჯამები, ხელალები; ქანდაკებები: მამაცისა და ქალის გამოსახულება. ნამოსახლარის აღმოსავლეთით, 60-ოდ მე-ის დაშორებით გაითხარა მეთუნეთა სახელოსნო უბანი. სათავსებში გამოვლენილი ქურები შედგებოდა საცეცხლისგან, სანაცრისა და ქურის ყელისგან. ძეგლი დათარიღდა ძვ. და ახ. წელთაღრიცხვების პირველი საუკუნეებით.

კარსნისხევის ნამოსახლართან გაითხარა 30 კრამიტსამარხი, ორმოსამარხი, ხის ძელებით გადახურული სამარხი, თიხის ფილასამარხი და ქვევრსამარხი. მათში აღმოჩნდა: თიხის ხელალები, მინის საწელსაცხებლები, ბრინჯაოსა და რკინის

სამკაულები (სასაფეთქელ რგოლები, ბეჭდები), ბრინჯაოს ზარაკები, სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივები, მონეტები: ოროდ I-ის (57-37), არტაბან II-ის, ავეუსტუსის (გალიის ზარაფხანა) და სხვ. სამაროვანი თარიღდება ახ. წ. I-II სს-ით (აფაქიძე ... 1978ა: 8-53; ნიკოლაიშვილი 1993)

არმაზის ციხე მდებარეობს არმაზისხევის სათავესთან, რკინიგზის ხაზის სამხრეთით 3 კმ დაშორებით, კლდოვან მთაზე. ციხე შედგება გალავნისა და ორსართულიანი კოშკისაგან. ნაგებია ფლეთილი ქვით. ტრაპეციის ფორმის გალავანს (26X27,5მ) შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთით ჰქონია. კოშკი, რომელიც გალავნის სამხრეთ ნაწილში დგას, კუთხეებშიმრგვალებულია. კოშკის პირველი სართული ყრუა. შესასვლელი მეორე სართულზე ჩრდილოეთიდანაა (სძა 1990: 235).

არმაზში (ზუსტი ადგილი უცნობია) აღმოჩნდა თეთრი ქვის ნატეხი ასომთავრული წარწერით: „სალოცველად მ და საწყალობლად“ (თაყაიშვილი 1905: 62). არმაზის ეკლესიის დასავლეთ კედელში, კარის თავზე ჩანს მული ფლა, ასომთავრული რელიგიური ხასიათის წარწერით (საქ. სახ. მუზ. ეპიგრ. ძეგ. 1953: 12). ორივე ფილა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

არმაზის ღვთისმშობის ეკლესია მდებარეობს არმაზისხევის მარჯვენა ნაპირზე, მცხეთის რკინიგზის სადგურიდან 3 კმ დაშორებით. ეკლესია დარბაზულია (14,2X8,2მ). ნაგებია აგურითა და ფლეთილი ქვით. შესასვლელი დასავლეთიდანაა. აფსიდა ნახევარწრიულია. აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში თითო სარკმელია, ჩრდილოეთის კედელში – ორი. მონახატულობა საკუთხეველსა და დასავლეთის კედელზეა შემორჩენილი. ეკლესიას დასავლეთით კარიბჭე ეკვრის, ჩრდილოეთით – მინაშენი. კარიბჭის ჩრდილოეთით საძვალეა. კარიბჭის (3,6X5,1მ) შესასვლელი დასავლეთითაა. შეისრული თაღი აგურით ამოყვანილი სვეტებს ეყრდნობა. მინაშენი (10,8X3,2მ) აფსიდისაა, რომლის ღერძზე ერთი, ხოლო დასავლეთ კედელში ორი სარკმელია. საძვალე (3,7X3,6მ) გუმბათიანია. აფსიდა ნახევარწრიულ ნაკლებია. შესასვლელი დასავლეთიდანაა. შესასვლელის თავზე მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. იგი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). წარწერაში იხსენიება გიორგი III-ის (1156-1184) დროინდელი ისტორიული პირები: კათოლიკოსი ნიკოლოზი (1150-1178), სალდუსის ძმისა და აბულეთის დედის ქალიშვილი, ვინმე ხათუნა – მონაზვნობაში მარიაში. ეკლესია 1150-1178 წწ. თარიღდება. კარიბჭე და მინაშენი ცალ-ცალკეა აგებული XII ს-ის მეორე ნახევარში (შმერლინგი ... 1960: 28-30). ეკლესიის დასავლეთით დგას ორსართულიანი სამრეკლო, რომელიც ნაგებია ფლეთილი ქვითა და აგურით. ქვედა სართულის კამარა შეისრულია. მეორე სართული გადახურულია კამარით. მოვიანებით სამრეკლოსათვის

სათავსი მიუშენებიათ. სამრეკლო თარიღდება XVI-XVII სს-ით (სძა 1990: 234).

ღვთისმშობლის ეკლესია („ახალქალაქური“, „ოლღას მონასტერი“) მდებარეობს მცხეთის რკინიგზის სადგურის პირდაპირ, მთის კლდოვან ფერღზე, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ეკლესია დარბაზულია (13,6X6,7მ). ნაგებია ფლეთილი ქვით. შესასვლელი დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. აფსიდა ნახევარწრიულია. აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებში თითო სარკმელია. ეკლესია შელესილი და შეთეთრებულია. ეკლესიას დასავლეთიდან ეკვრის კარიბჭე, გადახურული ვარსკვლავისებრი კამარით, რომლის ცენტრში ორნამენტაინი მედალიონია. ეკლესია და კარიბჭე თარიღდება XI-XII სს-ით (სძა 1990: 243). სახელწოდება „ახალქალაქური“, „ოლღას მონასტერი“ XIX ს-ის 90-იან წლებში მიიღო ინჟ. გორნიჩის ცოლისგამო, რომელმაც აღმოაჩინა და გაწმინდა ეს ეკლესია (შმერლინგი ... 1960: 28).

ბიბლიოგრაფია: აფაქიძე 1956; 1958: 71-95; 1959: 29, 30, 36, 37, 44-46; 1963; 1972: 99-104; 1973: 59-65; აფაქიძე ... 1955; აფაქიძე ... 1978: 99-103; აფაქიძე ... 1978ა: 8-80; აფაქიძე ... 1981: 119, 126-128; ბაგრატიონი 1986: 30, 39, 81; ბაქრაძე 1875: 129; 1877: 6-8; ბიბილოვი 1982: 136-140; ბოლტუნოვა 1949: 228-240; გამყრელიძე 2010: 69, 162-164; გამყრელიძე 2008: 144-150; გიულდენშტედტი 1962: 191; დიონ კასიხი 1966: 59, 60, 103; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 183; 1953: 17; ერემიანი 1939: 86; სძა 1990: 235, 239-242, 246; თაყაიშვილი 1896; 1904: 79-99; 1905; 1968: 368-381; ინაძე 1955: 316; ინგოროვა 1941: 411, 418; იოსელიანი 1850: 19, 20; 1871ა: 87; კავლე-ლაშვილი 1996: 133-148; კაკაბაძე 1928ა: 1-9; კავკ. მუზ. კოლ. 1902: 93, 94; კალანდაძე 1937: 365-400; 1939: 373-381; კაპანაძე 1955: 147; კეკელიძე 1949: 125-132; ლომთაიძე 1945; 1951: 541-544; ლომთაიძე 1971: 7-16; ლომთაიძე, უგრელობე 1964: 6-10; 1965: 56-61; ლომოური 1955: 39-65; ლორთქიფანიძე 1953: 243-250; 1958; 1969; ლორთქიფანიძე 1968: 60, 61, 106, 107; 1971: 145-158; მარდიშვილი 1988: 35-42; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 23; მაჩაბელი 1969: 7-13; 1971: 3-10; მელითაური 1989: 160-167; მელიქიშვილი 1955; მელიქიშვილი-ბეგი 1921: 22; 1938ა; მესხია 1983: 60-64, 68-71, 73, 74, 80, 82, 93, 154, 421, 652, 658; მქ 1963: 82, 95; ნარიშკინი-ვილი, მანჯგალაძე 1989: 163-171; ნიკოლაიშვილი 1993; 1996: 23-25; ნიკოლაიშვილი 2011; ნიორაძე 1926; ორბელიანი 1981: 229; რამიშვილი 1979; სავინაშვილი 1967: 102-108; საქ. არქ. 1959: 260; საქ.



არტეფაქტი
არმაზის ხევის მე-7
ნეკროპოლიდან

სოდ. 1909: 482; საქ. სახ. მუზ. ეპიგრ. ძეგ. 1953: 12; სძა 1990: 235-246; უგრელიძე, ამირანაშვილი 1971: 89-91; ქც 1: 8,19, 9,12, 10,6, 13,12, 19,5, 43,22, 44,10, 45,1, 50,3,6,17, 89,5, 159,6; ქც 2: 494,6; ქც 4: 78,23, 339,15,23, 340,2, 348,13; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 176 191, 203, 494, 571, 622, 753; ქრონიკები 1892: 13, 14, 17, 18, 43, 57; 1897: 195, 239, 241; ყაუხჩიშვილი 1941: 169, 170; ყაუხჩიშვილი 1951: 1957: 129; 1996: 81-93; 2000: 227-229; ყიფიანი 1987: 134-143; შანიძე 1941: 181-184; შმერლინგი ... 1960: 28; ციციშვილი 1950ა: 187-193; წერეთელი 1941: 1943: 1-83; 1943ა; 1948ა; 1948ბ: 55-65; 1949: 59-71; ჯავახიშვილი 1979: 233, 236, 318, 330; ჯავარიძე 1961: 161, 166-168.



არუსლო

არუსლო, არახლო, ნახიდური, ნახიდვარი (ქც 1: 8, სქ. 3; 334,17; ქც 2: 299,18; 379,14,18; 536,1,7; ქც 4: 158,9; 276, სქ. 1; 242,19; 314,10,13, სქ. 3; 321,17; 323,13,16,27; 324,16,22; 330,15; 418,7,10). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქც 1: 8, სქ. 3), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 158,9; 276, სქ. 1; 242,19; 314,10,13, სქ. 3; 321,17; 323,13,16,27; 324,16,22; 330,15; 418,7,10), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1: 334,17), ფამთაღმწერელი (ქც 2: 299,18), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქც 2: 536,1,5), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 562), სეხნია ჩხეიძის „საქართველოს ცხოვრება“ (ჩხეიძე 1913: 25), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 47, 61), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 443; ისტ. საბ. 1913: 315; ქართულ-სპარსული ... 1955: 195; საქ. ევ. ისტ. ძეგ. 1974: 60; საქ. სოდ. 1909: 260, 261; 1910: 444; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 13; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 737), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 69, 223, 239, 241, 245), 1800 წ. მარიამ დედოფლის წერილი კოვალენსკისადმი (აქტები ... 1866: 223), 1803 წ. უწყება საქართველოს სამეფო კარის კუთვნილი მამულების შესახებ (აქტები ... 1868: 80, 84), 1804 წ. საქართველოს შემოსავლის განრიგი (აქტები ... 1868: 1052).

არუსლო-ნახიდური ლოკალიზდება ბოლნისის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. არუსლოს მიდამოებში. მდებარეობს მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე, მდ. ხრამისა და მაშავერას შესართავთან. სახელი „არუსლო“ ამ პუნქტს XVIII ს-ში აქ დასახლებულმა თურქულენოვანმა ტომებმა უწოდეს (ბერძენიშვილი 1979: 111). წყაროებში ხშირად არუსლო „არახლო-არუსლუს“ ფორმით იხსენიება (ქც 4: 314, სქ. 3; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 562; ლორთქიფანიძე 1935: 284). სახელწოდება „ნახიდური“ XII ს-დან არის ცნობილი მდ. ხრამზე გადაებული ხიდის დანგრევის შემდეგ. ნახიდური, მდ.

ხრამის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე მდებარე ორი სოფლის – ახლანდელ არუსლოსა და ქოლაგირის ადგილზე მდებარეობდა (ხარაძე 1991: 77, 78). გამოთქმულია მოსაზრება გაჩინისა და ნახიდურის იგივეობის შესახებ (მელიქიეთ-ბეგი 1934: 41, 42). ნახიდურის, „ნახიტორის“ სახელით მდ. ქცისავე იხსენიებენ (გიულდენშტედტი 1962: 69, 223, 239).

1118 წ. თურქებთან სალაშქროდ მიმავალი დავით აღმაშენებელი (1089-1125) ნახიდურში შეჩერებულა (ქც 1: 334,17). 1295 წ. დავით VIII-მ (1293-1313) გაზან-ყაენის (1295-1304) მოთხოვნით ნახიდურში გადასცა მონღოლებს მასთან შეხიზნული თუქალ ნოინი და მისი შვილი (ქც 2: 299,18). 1407 წ. გიორგი VIII (1393-1407) ნახიდურთან დაიღუპა თურქების (შავბატკინანთა) ერთ-ერთი შემოსევისას (ქც 4: 276,სქ.1). 1599 წ. სიმონ I-მა (1556-1600) იერიში მიიტანა ნახიდურთან დაბანაკებულ ოსმალებზე (ქც 2: 379,14,18, 536,1,7). XVI ს-ში, ქართლის სამეფოს სადროშოდ დაყოფის შემდეგ, ნახიდური ჯერ „საპარათიანოში“, ხოლო შემდეგ „საორბელოში“ შედიოდა (ქრონიკები 1897: 443; ბერძენიშვილი 1972: 13, 14). 1646 წ. როსტომ მეფემ (1632-1658) ნახიდურის მოურავად ბეჟან ყარჩილასაშვილი დანიშნა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 163; ქართულ-სპარსული ... 1955: 195). 1696 წ. ნახიდურის და ქოლაგირის მოურავობა ერეკლე I-მა (1703-1709) პაპუა ორბელიშვილსა და მის ძმებს უბოძა (საქ. სოდ. 1909: 260). 1721 წ. აღწერით ნახიდურში 5 მეზატონე, 27 გამოძლები და 7 ბოგანო ყმა ითვლებოდა (ლორთქიფანიძე 1935: 335). ნახიდური მეფის დომენად მიიჩნეოდა (მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 18, 107; ბერძენიშვილი 1979: 11). ვახტანგ VI-მ (1716-1724) ნახიდურიდან რე გაიყვანა ხუნანის მოსარწყავად (ჩხეიძე 1913: 25). 1736 წ. არუსლო სამემკვიდრეოდ მოურავ ანდრონიკაშვილს გადაეცა (საქ. სოდ. 1910: 144). 1787 წ. სახელწოდება „ნახიდური“ უკანასკნელად იხსენიება (ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 737). ამიერიდან ეს პუნქტი „არუსლოს“ სახელითაა ცნობილი.

1966 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის გაერთიან-

ნებულმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ტ. ჩუბინიშვილი) დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდ. ხრამისა და მაშავერას შესართავთან, სადაც სოფ. არუხლოსა და ასანხოჯალის შორის მდებარე კონცხზე აღმოაჩინა ჯგუფებად განლაგებული ენეოლითური ხანის სამოსახლო გორები – არუხლო I-VI. 1966-1976 წწ. არუხლოში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის ექსპედიცია (ხელმძღ. ტ. ჩუბინიშვილი). 1978-1985 წწ. ძეგლს თხრიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვემო ქართლის ექსპედიცია (ხელმძღ. დ. გოგელია, შემდეგ – გ. მიტცხულავა). 1974-1975 წწ. არუხლოსა და მის მიდამოებში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კაზრეთის ექსპედიციის (ხელმძღ. მ. სინაურიძე) მიერ გაითხარა შუა საუკუნეების ნამოსახლარი და ეკლესიის ნანგრევები. 1978-1985 წწ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქცია-ხრამის ხეობის კლდის ძეგლთა შემსწავლელმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. ბახტაძე) გამოიკვლია მდ. ხრამისა და მის შესართავთან არსებულ გამოქვაბულთა კომპლექსი – „ნახიდური I“, სადაც შუა საუკუნეების ნივთიერ მასალასთან ერთად აღმოჩნდა შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ფენების ნაშთები.

არუხლოს ნასოფლარი, რომელიც ოთხი სამოსახლო ბორცვისაგან შედგება, მდებარეობს მდ. ხრამისა და მაშავერას შესართავთან, სოფ. არუხლოსა და ასანხოჯალის შორის. არუხლო I-ზე (100X150 მ, სიმაღლე 6 მ) გამოიყო შვიდი სამშენებლო ჰორიზონტი, რომელთაგან ექვსი წარმოდგენილი იყო ალიზით ნაშენი სათავსოებით, ხოლო ქვედა, მეშვიდე – თიხნარში ჩაჭრილი ნახევარმიწურებითა და თხრილებით. სამოსახლო ბორცვის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა ოვალური ფორმის „დიდი მოედნის“ ნაწილი. სამოსახლოს ზედა ფენები დაზიანებული იყო გვიანდელი სამარხებითა და ორმოებით, მაგრამ I და II სამშენებლო ჰორიზონტებზე მაინც გამოიკვლია ალიზით ნაგები ორი ოთხკუთხა შენობის (2,24X1,60 მ) ნაწილი. III სამშენებლო ჰორიზონტზე, ცენტრალური მოედნის ირგვლივ გამოვლინდა საცხოვრებელი კომპლექსები. შენობები წარმოადგენს ალიზით ნაგებ, წრიულ-გუმბათოვანი სახურავის მქონე საცხოვრისებს (1,89X4,60 მ) და ასეთივე, მხოლოდ შედარებით მცირე ზომის სამეურნეო დანიშნულების სათავსოებს. ყველაზე დიდი ზომის შენობა (დმ 4,6 მ) აღმოჩნდა 3,8 მ სიღრმეზე, IV-VI სამშენებლო ჰორიზონტზე. ხშირად, სხვადასხვა სამშენებლო ფენის საცხოვრებელი კომპლექსები ერთსა და იმავე ადგილას არის ნაგები. მათსახლო ბორცვის გარეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთით, გამოვლინდა თიხნარ ნიადაგში 1 მ სიღრმეზე ჩაჭრილი ოვალური და წრიული მოყვანილობის (დმ 4,10-4,60 მ) 8 ნახევარმიწური. მათ შესაძლოა, ზედა ნაწილში ჰქონოდათ შესასვლელები, რომელთა კვალი მიწის ზედაპირზე ვერ დაფიქსირდა. ზოგიერთი მიწურის იატაკი თიხით

იყო მოღვსილი. იატაკზე შეიმჩნეოდა ცეცხლის კვალიც. ორ ნახევარმიწურში დადასტურდა საყრდენი ბოძებისათვის განკუთვნილი ორმოს ნაშთი. ნახევარმიწურები საცხოვრებელი ან სამეურნეო დანიშნულების იყო (გოგელია 1979: 13-18; გოგელია, ჭელიძე 1992: 48-51). სამოსახლო ბორცვს შემოუყვებოდა ორი ღრმა თხრილი: „სველი“ (სიგანე 9,5 მ, სიმაღლე 2 მ-დე) – შესაძლოა სარწყავი არხი და „მშრალი“ (სიგანე 11 მ, სიმაღლე 5 მ) – შესაძლოა თავდაცვითი თხრილები (კუშნარიოვა, ჩუბინიშვილი 1970: 24). არუხლო I-ზე აღმოჩნდა ექვსი სამარხი. სამოსახლოზე გამოვლენილ სამარხებში (№№10, 11, 12) მიცვალებულები დაკრძალა ვერძლე კიდურებშიორიანი. სამარხები უინვენტაროა. მხოლოდ ერთში აღმოჩნდა ძვლის დანისებური იარაღი და სადგისი. სამოსახლოს გარეთ ნაპოვნია ქვაყრილიანი ორმოსამარხები (№№7, 8, 9). ორი მათგანის იატაკი წითელი საღებავით იყო შეღებილი. სამარხებში აღმოჩნდა ობსიდანის იარაღ-ანატაკეცი, ძვლის სადგისები, სარდიონის მძივი და საკიდი, თიხის ჭურჭლის ნატყეხები. არუხლო I-ზე მოძიებული კერამიკა უხეშია, ხელით ნაძერწი, არათანაბრად გამოძწვარი. თიხა მსხვილმარცვლოვანია, ქვიშისა და ბაზალტის მინარევებით. შემკულია პირს ქვემოთ განლაგებული კოპისებური შვერილებით. კერამიკა ძირითადად წარმოდგენილია კასრისებური და ქილისებური ფორმის თიხის ჭურჭლის ნატყეხებით. არუხლო I-ზე აღმოჩნდა ობსიდანის ანატაკეცის 5000 ეგ-ზემპლარი. ნუკლეუსები უმეტესად პრიზმული და კონუსურია. იარაღის დასამზადებლად გამოიყენებოდა სწორი ან ამოზურდელი პრიზმული ლამელები. ყველაზე მრავლად წარმოდგენილია რეტიკულირებული ლამელები და ანატაკეცი. ობსიდანის ინვენტარის უმეტესობა საჭრისები და საფხეკებია. გახეილ-გაპირალებული იარაღებიდან გვხვდება სოლისებური ცული და სადგისები; ქვის იარაღებიდან – ხელსაფეკვები, სახეხები, სანაყები, ხელჩაქეჩები, მცირე ზომის გრდელელები (ჭელიძე 1979: 19-31; გოგელია 1992: 49-52).

არუხლო I-ის ზედა ფენებში დაფიქსირდა ადრენატური და ელინისტური ხანის კერამიკული მასალა: მონატული ჭურჭელი; პირგადაშლილი და სამტუნა ღოქის პირები, მსხლისებური ფორმის ხელადები, რომლებით მონატული ყურიანი ქოთნები, წითლად შეღებილი ფიალები, შირშენქილი ჯავები და სხვ. ნამოსახლარზე ასევე გაითხარა ქვაყრილიანი ორმოსამარხი და ქვის ფილებით ნაგები სამარხი. ორმოსამარხში აღმოჩნდა: რომბისებური ორნამენტით შემკული თიხის ღოქი; მალაქუსლიანი, ყურიანი სასმისი; ჯამი, ქოთანა; რკინის მასიური ნამკალი და ძვლის სახვრეტი. ის თარიღდება ძვ. წ. VIII-VII სს-ით. ქვის ფილებით ნაგებ სამარხში აღმოჩნდა: თიხის ყურიანი სასმისი, ბრინჯაოს საკინძი, ბეჭდები და მინის მძივები. ის ადრენატური ხანის განკუთვნილია (კვიციანიძე 1966: 64, 65).

არუხლო II (70X100მ, სიმაღლე 3 მ) მდებარეობს

არუხლო I-ის სამხრეთ-დასავლეთით. ნამოსახლარზე გამოიყო სამი სამშენებლო პორიზონტი. პირველი, რომელშიც გამოვლინდა გვიანდელი ქვის შენობები და ორმოები, დაზიანებული აღმოჩნდა. მეორე პორიზონტზე 2 მ სიღრმეზე აღმოჩნდა დამწვარი და წითელი საღებავით შეღებილი თიხატყეპნილი იატაკის ფრაგმენტი და ალიზით ნაგები სათაფსო (დმ 2,60 მ). მესამე სამშენებლო პორიზონტზე გამოვლინდა ალიზით ნაშენი ნაგებობის ფრაგმენტი. არუხლო II-ზე აღმოჩნდა კასრისებური და ქილისებური ფორმის თიხის ჭურჭლის ნატყეები; ძვლისა და რქის იარაღები; ერთმხრივ ან ორმხრივ რეტუშირებული ლამელები; ქვის ნაწარმიდან აღსანიშნავია: საჭრისები, სოლისებური იარაღი, ნამგლები, საფხეკები, ორპირიანი ხერხები, სატყვისებური საგნები, რეტუშირი, კომბინირებული იარაღები.

არუხლო III (დმ 80 მ, სიმაღლე 3,5 მ) მდებარეობს სოფ. ასანხოჯალის ჩრდილოეთით, 50 მ დაშორებით. იქ გამოიყო ორი სამშენებლო პორიზონტი. სამოსახლოზე აღმოჩნდა ალიზით ნაგების ფრაგმენტი და ორმოსამარხის ნაშთი. თიხის ჭურჭელი წარმოდგენილია ქილისებური ფორმის კერამიკის ნატყეებით; ძვლის იარაღი – სადგისებითა და საპრიალებლებით. ქვის ნაწარმიდან აღმოჩნდა 200-ზე მეტი ობიექტის იარაღი. მათ შორის: რეტუშირებული და ამოღებული ლამელები, საჭრისები, რეტუშირებული ანატაკეები, ორპირი ნამგლის ჩასართები, ერთი ან ორსამუშაოპირიანი ხოწყები, დანები, საჭრისები.

ბორცვი არუხლო IV (შემორჩენილი დმ 40 მ, სიმაღლე 1,20 მ) დაზიანებულია. მდებარეობს არუხლო III-ის სამხრეთ-დასავლეთით 100 მ-ზე.

არუხლო VI აღმოჩნდა არუხლო I-ის ჩრდილო-აღმოსავლეთით 600 მ დაშორებით. გვიანბრინჯაოს ხანის ყორღანის ქვეშ. ფენაში გამოვლინდა: კერამიკული ნაწარმი (კასრისებური, პირგაშლილი, ბრტყელიძირიანი ჭურჭლისა და ჯამისებური ჭურჭლის ნატყეები). სამი ნატყე შემაკული იყო კოპისებური დანამეწი და რელიეფური სარტყელით), ძვლის იარაღი (სადგისები, საპრიალებლები), ქვის იარაღები (ბაზალტის ნუკლეუსი, ცულები, ობსიდიანის საფხეკები, სახერტები და სხვ.). გათხრებისას გამოვლინდა სამი ორმო. პირველი ოვალურია, ძირისაკენ ვაფართოებული (დმ 0,80 მ). მასში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატყეები და კვირისტავი. არუხლო VI-ის განათხარი მასალა ინახება ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

არუხლო I-IV და VI ნასახლარები ენეოლითური ხანის ძეგლებია (ჩუბინიშვილი 1971: 31-33; ჭელიძე 1979: 19-31; გოგელია 1992: 48-54). არუხლო I-III ნასახლარების მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

დაბა არუხლოსთან, კლდოვან კონცხზე, რომელსაც ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ჩამოუდის მდ. ხრამი, გამოვლინდა ტერასულად ნაგები ნა-

სახლარი (ფართობი დაახლ. 5 ჰა), რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე, ზემოდან მეორე ტერასაზე გაითხარა 8 სათავსოსაგან შემდგარი „საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსი“ (სიგრძე 15 მ, სიგანე 7,60 მ). ნაგებობა ზურგით კლდეს ეყრდნობოდა. შესასვლელი ჰქონდა სამხრეთიდან. ნაშენია დიდი ლოდებით, წყობა მშრალია. კომპლექსის ცენტრში დარბაზია, რომელშიც აღმოჩნდა კერა, სვეტების საყრდენი ქვის ბაზები და ხის ძელების ნაშთები. ნაგებობაში გამოვლინდა XII-XIII სს-ის თიხის ჭურჭელი. იქვე გაითხარა კომპლექსში შემავალი „მარანი“ ქვევრებითა და მარცვლეულის შესანახი ხართით (დმ 1,5-2 მ). ბორცვის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა მშრალი წყობით ნაგები ათამდე სათავსო განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკითა და მინის ჭურჭლის ფრაგმენტებით. ქვედა ფენებში დაფიქსირდა გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ნივთები (სინაურიძე 1977: 129, 131-133). განათხარი მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

სამოსახლო ბორცვის სამხრეთ ფერდობზე გაითხარა ეკლესიის ნანგრევები. ეკლესია დარბაზულია (9X11მ). ნაგებია თლილი და ფლეთილი ქვით კირხსნარზე. იატაკი მოტყეპნილია კირით. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. ამავე მხრიდან მიშენებულია ეკვდერი, რომელიც ეკლესიას უკავშირდება სამხრეთი კედლის ბოლოში არსებული კარით. ნაგებობის კედლებთან გათხრილი სამარხებიდან მხოლოდ ერთში აღმოჩნდა გრეხილი მინის მსხვილი სამაჯურის ნატყეები, ბრინჯაოს ჯვარი და საყურე. სამარხი ეკლესიის თანადროულია და თარიღდება XII-XIII სს-ით. ეკლესიის ჩრდილოეთით აღმოჩნდა 30-50 სმ სიმაღლეზე შემორჩენილი გალავნის ნაშთები.

არუხლოს ნამოსახლარის გასწვრივ, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირის შემადლებულ ტერასაზე შემორჩენილია დარბაზული ტიპის სამი ეკლესია, რომელთაგან ერთი ძლიერ დაზიანებულია. ქედის წვერზე დგას ეკლესია, რომელსაც შემოუყვება გალავნის ნანგრევები (სინაურიძე 1977: 130-133).

ნახიდურის ქვაბთა კომპლექსი გამოვლინდა მდ. ხრამის ხეობის მარცხენა ნაპირზე. I კომპლექსი წარმოადგენს მშრალი წყობით ნაგებ „მეგალითურ“ შენობათა ჯგუფს, რომელსაც სამ რიგად ასეთივე წყობის ზღუდე შემოუყვება. კლდის ფერდობზე გამოკვეთილია შედ იარუსად განლაგებული 100-მდე გამოქვაბული. ქვაბები ერთმანეთთან გასასვლელებითაა დაკავშირებული. ქვედა იარუსის ნაგებობები სამეურნეო, ზედა კი საცხოვრებელი დანიშნულებისაა. ქვაბებში დაფიქსირდა თიხატყეპნილი იატაკები, ნიშები, ორმოები. განათხარი მასალის უმეტესობას შეადგენს თიხის ნაწარმი: ქვევრები, ქოთნები, ჩაფები, დოქები, ჯამები, ხუფები და სხვ. იქვეა გამოვლენილი მოჭიქული ჯამის ნატყეები. მინის ნაწარმიდან აღსანიშნავია გრეხილღეროიანი სამაჯურის ნატყეები და ჭურჭლის ძირი. მათ გარდა აღმოჩნდა: რკინის თიხი,

ძვლის სათითო და სპილენძის მონეტების განძი (72-ე ქვაბი). განძში შედის: გიორგი III-ის (1156-1184) (2 ც), გიორგი III-ისა და თამარის (1184-1207) (6 ც), თამარის (4 ც), ლაშა-გიორგის (1207-1222) (3 ც), მონეტები. დანარჩენი მონეტების უმეტესობა XIII-XIV საუკუნეებისაა.



არტეფაქტი
არუნლოდან

ნახილურის I კომპლექსის ზოგიერთ ქვაბში, იატაკის ქვემოთ აღმოჩნდა შუაბრინჯაოს ხანის იერის მქონე თიხის ჭურჭლის ნატეხები (ბანტაძე 1991: 22-46).

ნახილურის ქვაბთა II კომპლექსი მდებარეობს I-ის დასავლეთით, 1 კმ-ის დაშორებით. კომპლექსი შედგება 10 მ სიმაღლის კლდოვან ფლატეში სამ იარუსად გამოკვეთილი 46 ქვაბისაგან. ქვაბთა უმეტესობა თითო სათავსიანია. ისინი უხეშადაა გამოკვეთილი და 60-80 სმ სიგანის კარვებით გამოდის ტერასულ გადასასვლელებზე. ქვაბთა ერთი ჯგუფი გადაკეთებულია ციხე-ქვაბად, რომელსაც ფლეთილი ქვით ნაგები სამი ზღუდე შემოუყვება (სისქე 95-100 მ, სიმაღლე 7-8 მ). ზღუდის შიგნით, იატაკზე დადასტურდა წყლისა და სურსათის საცავი 3 ორმო. II იარუსის ერთ-ერთ ქვაბში (№23) აღმოჩნდა თონე (დმ 70 სმ), რომელშიც ნაყარ მიწაში დაფიქსირდა: მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლის ფრაგმენტები, მოწერნაქებული, წიწვოვანი ორნამენტით შემკული ჯამების, ქოთნების, ქილის ნატეხები, კვირისტავი და ქსოვილის ფრაგმენტები. მასალა თარიღდება XIII-XIV სს-ით. II-III იარუსებზე გამოვლინდა ოთხგამოქვაბულიანი „კლდის სახლი“, რომელთაგან ერთ-ერთ ქვაბში (№35) შემორჩენილი იყო: თექვითა და ფარდავით გადახურული გაშლილი თივა, თიხის კერა (დმ 45 სმ), სამზარეულო კერამიკის - კეცების, ქოთნების ნატეხები; წერნაქით დაფარული დოქები, ჯამები; მოჭიქული ჯამები, სამარული, ჭრატქის ნატეხები; რუსულან მეფის (1222-1246) მონეტა; ვაზის სასხლავი რკინის დანები, ძვლის სადგისი, ლითონის სამკაული და სხვ. მასალა თარიღდება XI-XIV სს-ით. ერთ-ერთ ქვაბის (№23) თიხის იატაკის ქვეშ, დაახ. 50 სმ დიამეტრის ღრმული დაფიქსირდა შუა ბრინჯაოს ხანის ფენის მალაქა: შავად გამომწვარი, ნაპრიალები ჭურჭლის ფრაგმენტები და ობსიდინის ანატაკეები.

ნახილურის ქვაბთა III კომპლექსი II კომპლექსის მოპირდაპირე მხარესაა გამოკვეთილი. ის სამი იარუსიანია და შედგება 63 გამოქვაბულისაგან. გაფანტულ ჯგუფებად განფენილი გამოქვაბულები ძირითადად სწორკუთხედიან ოვალური ფორმისაა (ზომები 4-5X15-20კმ). იატაკები მოტკეპნილია, კედლები და ჭერი - ასიმეტრიული. ქვედა ტერასის ქვაბები ერთმანეთისაგან იზოლირებულია. ზედა იარუსის ქვაბები საცხოვრებლად გამოიყენებოდა.

თითქმის ყველა მათგანში შეინიშნება ცეცხლის ხანგრძლივი მოქმედების კვალი. ზოგიერთ ქვაბში აღმოჩნდა თიხით მოლესილი კერები, წაკვეთილი კონუსის ფორმის თონეები, წყლის მარაგისათვის ამოღებული ორმოები. ყველა ქვაბში დადასტურდა ნივთიერი მასალა (600-მდე), რომელიც ნახილური I და II ქვაბთა კომპლექსებში მოპოვებული ნაწარმის მსგავსია და თარიღდება XI-XIV სს-ით. აქაც დადასტურდა ადრეული ხანის ფენებიდან მომდინარე ნივთების ფრაგმენტები: გვიანბრინჯაოს ხანის შავი და ლეგა ფერის, ნაპრიალები ქოთნებისა და ჯამების ორნამენტული ნატეხები (ბანტაძე 1991: 21-66). არუნლოს მახლობლად, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე არხის გაყვანისას აღმოჩნდა თიხის ქილაში შენახული მონეტათა განძი (ვერცხლის - 24, ყაანური და ჰულაგუიდური). მონეტები თარიღდება XII-XIV სს-ით (სინაურიძე 1977:131).

ბიბლიოგრაფია: აქტები ... 1866: 223; 1868: 80, 84, 1052; ბაგრატიონი 1986: 47, 61; ბანტაძე 1987: 106-121; 1991; ბენდუქიძე 1979: 39-44; ბერძენიშვილი 1972: 13-21; 1979: 28, 111; ბერძენიშვილი 1964: 316, 391, 420; 1965: 118; 1966: 10, 74-76; გიულდენშტედტი 1962: 69, 223, 239, 241, 245; გოგელია 1979: 13-18; გოგელია, ჭელიძე 1992: 19; გოგელია 1982: 13-17; გოგელია, ჭელიძე 1984: 13, 14; გოგელია, ჭელიძე 1985: 13-16; გოგელია, ჭელიძე, ავალიშვილი 1986: 13-15; 1991: 10-13; ისტ. საბ. 1913: 315; კვიციანიძე 1967: 64-65; კიულურაძე 1976: 12, 80-83, 108; კოლესნიკოვი 1979: 35-38; კუშნარიოვა 1970: 7; ლორთქიფანიძე 1935; 1938; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 19, 22, 88, 99, 107; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 13; მაცხონაშვილი 1979: 32-34; მელიქიშეთ-ბეგი 1934: 41, 42; მუსხელიშვილი 1980: 46, 47; ნებეირიძე, გოგელია, ესაკია 1979: 27-29; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 60; საქ. სოდ. 1909: 260, 261; 1910: 444; სინაურიძე 1977: 129-144; ქც 1: 8, სქ. 3; 334,17; ქც 2:299,18; 379,14,18; 536,1,7; ქც 4:158,9; 276, სქ. 1; 242,19; 314,10,13, სქ. 3; 321,17; 323,13,16,27; 324,16,22; 330,15; 418,7,10; ქართულ-სპარსული ... 1955: 195; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 562; 1981: 737; ქრონიკები 1897: 443; ჩუბინიშვილი 1967: 21-25; 1973: 102-104; 1973ა: 102-104; ჩუბინიშვილი ... 1969: 4, 5; ჩუბინიშვილი, ნებეირიძე 1971: 9-12; ჩუბინიშვილი 1971: 31-33; ჩუბინიშვილი, კუშნარიოვა 1967: 537-541; ჩუბინიშვილი ... 1974: 13-15; ჩუბინიშვილი ... 1976: 14-20; ჩუბინიშვილი ... 1979: 9-13; ჩუბინიშვილი, გოგელია 1981: 35-42; ჩხეიძე 1913: 25; ჭელიძე 1979: 19-31; ხარაძე 1985: 137-143; 1991: 77, 78; ჯავახიშვილი 1972: 22-32.

არქმზან60, ქალაქი (ქც 4: 310,სქ.2; 311,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:3 10, სქ. 2; 311,1), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 57), „ქალაქნი საქართველოსანი“ (ქართ. ხელნაწ. აღწ. 1949: 30), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მა-

სალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 23; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 160, 522), უხტანესის „ისტორია“ (უხტანესი 1975: 25, 66-67, 88).

ვახუშტი ბაგრატიონი არქევეანის შესახებ გადმოგვცემს: „ჭაპალის ჩდილოთ, ქციის კოლდუხედ, არს არქევეანი. ამას ეწოდა ქაოზიანი, სადაც არს დიდ-დიდნი ნაშენებნი. ესევე არს გაჩიანი“ (ქც 4: 311,1,2). „ხოლო არქევეანი პირველ იყო გაჩიანი და სანადირო ქალაქი, მერმე ქაოზიანი“ (ქც 4: 310,სქ.2).

არქევეანის ზუსტი ლოკალიზაცია არ ხერხდება. ვახუშტი ბაგრატიონის რუკის მიხედვით არქევეანი მდ. ფოლადაურ-მაშავერასა და მაშავერა-ქციის შესართავთა შორისაა. აქ სოფელ ქუჩულოსთან 2-3 კმ-ზე არის ციხისა და სხვა შენობათა ნანგრევები (ბერძენიშვილი 1964: 39-41). არქევეანი-ვაჩიანი-სანადირო, იგივე ქალაქი ქაოზიანი მდებარეობს მდ. ქციის მარჯვენა ნაპირზე, ღურღაის აღმოსავლეთით, მოლის ობის დასავლეთით (ლორთქიფანიძე 1938: 304, 338). 1923 წ. საქართველოს ისტორიულ რუკაზე არქევეანი აღნიშნულია მდ. ქციის მარჯვენა ნაპირზე, ჭაპალას ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით (საქ. ისტ. რუკა 1923).

არქევეანი – მცირე ქალაქი დააარსა ქართლოსმა (ქართ. ხელნაწ. აღწ. 1949: 30). ქალაქი სხვადასხვა დროს განსხვავებული სახელით იხსენიებოდა (ქც 1: 8,2,3; 9,2; 27,19; 24,15; 25,18; 332,3; ქც 4: 310, სქ. 2; უხტანესი 1975: 25, 66, 67, 88). წყაროებში არქევეანად ის იხსენიება XVII ს-დან (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 23; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 160). 1721 წ. აღწერის მიხედვით არქევეანად ამილახორის საბატონო ორი სოფელია მოხსენიებული (ლორთქიფანიძე 1935: 122, 269). იონანე ბაგრატიონი არქევეანს შულავერის ხეობის სოფლებს სიაში იხსენიებდა (ბაგრატიონი 1986: 57). XIX ს-ის დასაწყისში იხსენიება არქევეანის მხარე და ციხე (აქტები ... 1873: 599, 600).

არქევეანის სავარაუდო ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *აქტები ... 1873: 597-601, 698, 699, 702, 708, 712, 718; ბაგრატიონი 1986: 57; ბერძენიშვილი 1964: 5-50; ლორთქიფანიძე 1935: 6, 265, 269; 1938: 62, 122, 304, 325; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 23; საქ. ისტ. რუკა 1923; უხტანესი 1975: 14, 25, 67, 89; ქც 1: 8,2,3; 9,2; 27,19; 24,15; 25,18; 332,3; ქც 4: 310, სქ.2; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 160, 522; ქართ. ხელნაწ. აღწ. 1949: 30.*

არღუნო (ქც 4: 505,24). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 505,24), იონანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 34, 28), XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. ევ. ისტ. ძეგ. 1967: 133; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 555), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 49, 273).

მდებარეობს ღუშეთის მუნიციპ-ში, ღუშეთის ჩრდი-

ლო-დასავლეთით 7 კმ-ის დაშორებით, ალევის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ღუშეთის ხევის სათავეში.

არღუნი ქართლის ცხოვრებაში მოიხსენიება მეფე ვახტანგ VI-ის (1716-1724) დროს, ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდში (ქც 4: 505,24). ვახუშტი ბაგრატიონისეული სოფლების ჩამონათვალში არღუნი ბაზალეთის სოფლების სიაშია (ბაგრატიონი 1941: 199, 200). ის წილკნის საეპისკოპოსოში შედიოდა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 555); არღუნი ერეკლე II-ის (1744-1798) ძის, ვახტანგის (ალმასხანის) საკუთრებაა (ბაგრატიონი 1986: 34). 1781 წ. აღწერის მიხედვით სოფ. არღუნში 16 კომლი ცხოვრობდა (საქ. ევ. ისტ. ძეგ. 1967: 133). იოჰან გიულდენშტედტი არაგვის საერისთავოს სოფლების ჩამოთვლისას არღუნსაც ასახელებდა (გიულდენშტედტი 1962: 49). ახალგორიდან ანანურისაკენ მოგზაურობისას მან გაიარა მდ. არყალას გაყოლებით სოფ. არღუნი და ქა-სისხევი (გიულდენშტედტი 1962: 273). გვიან შუა საუკუნეებში ერთ-ერთი სამიმოსელი გზა გადიოდა ახალგორი – ძეგლევი – გრემისხევი – ტონჩა – არღუნი – ქაისხევი – ანანურზე (გვრიტიშვილი 1955: 159).

ღუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია სოფ. არღუნის მიდამოებში 1974 წ. შემთხვევით ნაპოვნი ბრინჯაოს მასრავასხნილი შუბისპირი (სიგრძე 20,5 სმ) და ბრინჯაოს სატყევეარი (სიგრძე 17,5 სმ). 1985 წ. სოფლის ტერიტორია შეისწავლა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. რამიშვილი). ძველი მდებარეობის სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ადგილ „მოკლე მიწებზე“. იქ გამოვლინდა ძვ. წ. VI-V სს-ის ნამოსახლარის ნაშთი და სამაროვანი. ნამოსახლარზე ფრაგმენტულადაა შემორჩენილი ფლეთილი ქვით ნაგები შენობათა კედლები. ნამოსახლარზე აღმოჩნდა შვავად გამოძწვარი ჭურჭლის (ფიალა, სასმისი, ქოთნები) ფრაგმენტები.

ნამოსახლარის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სამაროვანზე გაითხარა ხუთი ორმოსამარხი. მიცვალებულები დაკრძალულია თავით ჩრდილოეთით ან სამხრეთით, კიდურებმოხრილი; ქალი მარცხენა, კაცი კი მარჯვენა გვერდზე. სამარხებში აღმოჩნდა: შვავად გამოძწვარი თიხის ჭურჭელი (ჯამები, სასმისები, ხელალები, კოჭობები, ქოთნები); რკინის საბრძოლო იარაღი – მასრავასხნილი შუბისპირი (მოხრილია), ხიშტისეპური იარაღი, დანა; სამკაული – ბრინჯაოს საყურეები, პრიზმულთავიანი საკინძი, ნაჭდევი ორნამენტით შემკული სამაჯურები; მასიური ვეომეტრიული სტილის ბალია, რკინის მასიური ვიბულა ბრინჯაოს ძეწკვით; ვერცხლის ხვიისეპური საყურეები, სარდიონისა და ქარვის მძივები, კაურები (რამიშვილი ... 1987: 83; მუხიგულაშვილი 1987: 533). მასალა ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ღუშეთის ბაზაში.

არღუნში იმავე ადგილას, „მოკლე მიწებზე“, ტყეში, დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევებია, რომელიც მიწითაა დაფარული.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1941: 199, 200; ბაგრატიონი 1986: 34; ვერიტიშვილი 1955: 159; გიულდენშტედტი 1962: 49, 273; მუხივლაშვილი 1987: 533; რამიშვილი ... 1987: 74-89; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 133; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 555; ქც 4: 505,24.*

არშის ციხე (ქც 4: 147,24). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 147,24), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 301,17,19), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 7).

მდებარეობს ახალციხის მუნიციპ-ში, ახალციხის სამხრეთით, 5 კმ-ის დაშორებით, ახლანდელ სოფ. ყულალისთან (სიხარულიძე 1980: 56).

არყის ციხესთან მოხდა ბრძოლა მეფე ბაგრატ IV-ს (1027-1072) და ლიპარიტ კლდეკარის ერისთავს შორის (ქც 1: 301,16-19). თურქების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ არყის ციხე შედიოდა ახალციხის ლივანში. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით არყის ციხე ყოფილა საკმაოდ მდიდარი სოფელი თავისი ვენახებით, ბაღებით, ყანებითა და სხვა მამულებით (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 7; 1958: 69).

არყის ციხე არქეოლოგიურად შესწავლულია.

სერი, რომელზეც ციხეა აგებული, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით ეშვება მდ. ბორბოლას ხევიში. ციხის გალავანს აქვს არაწესიერი ფორმა, რაც გამოწვეულია რელიეფის თავისებურებით. მას უჭირავს 600-700 კვ მ ფართობი. ციხეს ჰქონია ერთი კოშკი. გალავნის კედლები, გარდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზე შემორჩენილი პერანგშემოცლილი მცირე ნაშთისა (სიმაღლე 1,5 მ, სიგანე 1 მ), თითქმის მიწასთანაა გასწორებული. კოშკი მოღწეულია 1,5-2 მ სიმაღლის კედლებით. ციხე ნაშენია კირხსნარით. პერანგი თარაზულად დაწყობილი დიდრთნი ქვათილებია. ციხის ეზოში ყოფილა სამი დიდი ზომის სამყურნეო ხარო. ქვემო ტერასაზე შეიმჩნევა ციხის მდ. ბორბოლასთან დამარკავშირებელი გვირაბი. მის დასავლეთით გამართული ყოფილა მარანი. ციხე აგებული უნდა იყოს ადრე შუა საუკუნეებში. XII ს-იდან, ახალციხის დაწინაურების შემდეგ არყის ციხემ თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა (სიხარულიძე 1980: 56, 66).

ბიბლიოგრაფია: *გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 7; 1958: 68-70; კრებული ... 1870; სიხარულიძე 1980: 56, 66; ქც 1: 301,17,19; ქც 4: 147,24; ჭიჭინაძე 1904.*

არშის ციხე (ქც 4: 357,14) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 357,14),

ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 406,28; 409,20,22), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 21, 27), უცნობი ავტორის „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 78,5), არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1989: 444, 457-459), იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“ (ტფილელი 1989: 613), 1774 წ. არაგვის ხეობისა და ხევის მოსახლეობის აღწერა (მასალანი საქ. სტატ., 1907: 417), XVIII ს-ის ისტორიული საბუთი (მასალები საქ. ეკ. ისტ., 1955: 65), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 62), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 27), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 36), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 68), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1964: 63), ისქანდერ მუნშის თხზულება (მუნში 1969: 130).

ვახუშტი ბაგრატიონი არშის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „ჩასავალი ქუეით არს, ჩილით კერძ, არაგვის დასავლით, ციხე არშისა, თვინიერ კაცთა ხელთაგან ქმნილი, მალალს კლდესა ზედა, მოზღველი კლდითავე და შუაული კაცთა, მყინვარის კალთასა ზედა. აღმოსავლიდამ არაგუს ერთვის არშის ქუეით, აწხოტის ხევი“ (ქც 4: 357,14-19).

მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპ-ში, თერგისა და სნოს ხეობების შეხვედრისთან, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, მაღალი კლდის თხემზე, სოფ. არშისთან.

1623 წ. გიორგი სააკაძის მეთაურობით ირანელთა ჯარის განადგურება იცემებოდა. გამაჰმადიანებულ ანდუყაფარ ამილახორს შეთქმულება რომ არ გაეცა, აჯანყების მეთაურებმა ის ცოლთან ერთად არშის ციხეში გამაჰმადიანდეს. ქართველთა დამარცხების შემდეგ ყიზილბაშებმა მოახერხეს ანდუყაფარისა და მისი მუქლის განთავისუფლება (ქც 2: 409,19-22). არშის ციხე სპარსულ წყაროებში „ყარაყალხანის“ სახელწოდებითაა ცნობილი (მუნში 1969: 130).

1972 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ფინვალის ექსპედიციამ (ხელმძღ. რ. რამიშვილი) არშის ციხის ტერიტორიაზე გათხარა ოთხი მიწისქვეშა აკლდამა. ისინი გეგმაში სწორკუთხაა (2,1X1,4X1,4მ), აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე წაგრძელებული. ნაგებია დულაბზე. გადახურულია განივად დალაგებული ფიქალის ფილებით. დასავლეთ ნაწილში მოწყობილი აქვს ოთხკუთხა ჩასასვლელი. №1 აკლდამაში აღმოჩნდა ადამიანის მიმოფანტული ძვლები. №2 აკლდამაში გამოვლინდა სამი მიცვალებულის ასევე მიმოფანტული ძვლები და მისის 2 ინკრუსტირებული მძივი. აკლდამების ფუნქციონირების ქვედა თარიღია IX-X სს (რამიშვილი ... 1973: 76).

ციხის ტერიტორია ბუნებრივადაა დაცული შვეული კლდეებით. შედარებით ადვილად მისაღვომი ადგილები გამაგრებულია XVI-XVII სს-ის გალავნით

(ზაქარაია 1988: 80). ციხის ჩრდილოეთ მხარეს არსებული შესასვლელის ვეგრიდით, კლდეში გამოკვეთილი ყოფილა საყარაულო, რომელიც კარს კიბით უკავშირდებოდა. კიბეზე გადადიოდა და ციხისკენ მიემართებოდა კერამიკული წყალსადენის ტრასა. ციხის ტერიტორიაზე შეინიშნება ნამოსახლართა ნაშთები და აკლდამები (რამიშვილი ... 1973: 76; ზაქარაია 1988: 80).

ციხეზე შემორჩენილია წმიდა გიორგის დარბაზული ტიპის უაფსილო, დუბაზზე ნაგები ეკლესია, ჩრდილოეთი მხრიდან მინაშენითა და კარით. ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ამოშენებულია პატარა ნიში. შესასვლელის პირდაპირ დგას ქვის სვეტი. ეკლესია IX-X სს-ით თარიღდება (ზაქარაია 1988: 80).

ბიბლიოგრაფია: არჩილი 1989: 444, 457-459; ბაგრატიონი დავით 1941: 27; ბაგრატიონი 1983: 68; ბაგრატიონი 1986: 36; ბერიძე 1983: 114; გვრიტიშვილი 1955: 401; გიულდენშტედტი 1964: 63; გორგიჯანიძე 1926: 21, 27; ზაქარაია 1988: 80; ითონიშვილი 1971: 98-102; ითონიშვილი 1986ა: 125; მაკალათია 1934: 217; მასალანი საქ. სტატ. 1907: 417; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 65; მუნში 1969: 130; ორბელიანი 1981: 62; ტფილელი 1989: 613; ქც 2: 406,28; 409,20,22; ქც 4: 357,14; ცხოვრება ... 1980: 8; რამიშვილი ... 1973: 76.

არწიგანო (ქც 4: 320,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 320,1), 1457 წ. სამთავისის სიგელი (ისტ. საბ. 1913: 11; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 24), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 621, 627), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 49), XVIII ს-ის საქართველოს სტატისტიკური აღწერილობის მასალები (მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 10). მდებარეობს თრიალეთში, წალკის მუნიციპ-ში, კონაჯცრიცის ხეგსა და მდ. ქციის შესართავთან; კონაჯცრიცის ხეგის მარცხენა მხარეზე, თანამედროვე სოფ. ჯინისის ტერიტორიაზე (ხარაძე 1991: 64). გამოთქმულია მოსაზრება, რომ არწევანი სოფ. გველფარეხასთან ერთად თანამედროვე სოფ. გუმბათის ძველი სახელწოდებაა (მელიქსეთ-ბეგი 1934: 34). ზოგიერთ წყაროში არწევანი მოიხსენიება არწევანის სახელით (ლორთქიფანიძე 1938: 267, 269). არწევანის თანამედროვე სახელი ჯინისი, XIX ს-ის 30-იან წლებში ურუმების მიერ დარქმეული თურქული ტოპონიმი (ჩიქოვანი 1976: 16).

1457 წ. გიორგი VIII-მ (1446-1466) არწევანის მამული შესწირა სამთავისის ეკლესიას (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 24; ისტ. საბ. 1913: 11). XVIII ს-ში არწევანი შედიოდა საპარათიანოში და წარმოადგენდა მეფის სახასო სოფელს, ოთარ მდივნის სამოურავოს (მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 10; ლორთქიფანიძე 1935: 284).

არწევანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. არწევანში ორი ეკლესიაა. ერთი მათგანი აგებულია

წმ. გიორგის სახელზე. მასზე შემორჩენილია ერთსტრიქონიანი სამშენებლო ხასიათის წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია მსახურთუხუცესი ავრიდონი და ეკლესიის მშენებელი ხოშაქი. ეკლესია თარიღდება XII ს-ით (ჩიქოვანი 1976: 37).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 49; ისტ. საბ. 1913: 11; ლორთქიფანიძე 1935: 267, 269, 284; მასალანი საქ. სტატ. 1907: 10; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 24; მელიქსეთ-ბეგი 1934: 34; ქც 4: 320,1; ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 621, 627; ჩიქოვანი 1976: 37; ხარაძე 1991: 64.

ასკანა, ციხე (ქც 4: 791,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 791,3), „შემოქმედის გულანი“ (ქრონიკები 1967: 282, 607), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ისტ. დოკ. ... 1958: 147; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 260), კასტელის „ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ“ (კასტელი 1976: 38, 182), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 313).

მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპ-ში, მდ. ბახვისწყლის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ასკანის ტერიტორიაზე.

სოფელი ასკანა წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება XVIII ს-ის პირველ ნახევარში (კასტელი 1976: 138, 182). 1764 წ. ოსმალეთის ჯარმა ასკანის ციხე აიღო. იმავე წელს მამია I-მა გურიელმა და სოლომონ I-მა (1752-1784) ასკანის ციხე გაათავისუფლეს (ქრონიკები 1967: 282, 607). XVIII ს-ის მიწურულს ასკანის ციხე აზნაურმა დავით ასათიანმა დაისაკუთრა, მაგრამ მცირეწლოვან მამია V გურიელის მეურვემ, ქაიხოსრომ მიტაცებული ციხე უკან დაიბრუნა. 1804 წ. ასკანის მეციხოვნედ უკვე სვიმონ თაყაიშვილია. ასკანის ციხე „თამარის ციხის“ სახელითაც არის ცნობილი (სოსელია 1967: 71). 1961 წ. ასკანასა და მის მიდამოებში არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტისა და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი), რომელმაც იქ გამოავლინა რკინის სადნობი სახელოსნოები. 1974-1975 წწ. იმავე ინსტიტუტების ერთობლივმა ექსპედიციამ (ხელმძღ. დ. ხაზუტაიშვილი) გათხარა ასკანასა და მის მიდამოებში აღმოჩენილი სახელოსნოები (ხაზუტაიშვილი 1977: 19). 1991 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ვ. საღრაძე) დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა ასკანის ციხეზე (საღრაძე ... 1994: 7).

ასკანასა და მის მიდამოებში რკინის სადნობი სახელოსნოები განლაგებულია ხეგების პირას, შემადლებულ, წითელმიწიან (ცეცხლგამძლე) ადგილებზე. სახელოსნო ასკანა I აღმოჩნდა სოფლის ტერიტორიაზე. იქ გამოვლინდა: რკინის სადნობის ქურა, წილები, ქურის შეღვისილობის ნატეხები, სა-



ასკანის ციხე

ნაყი ქვები, საბერველის, საქშენი მიღებისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ასკანა I თარიღდება ძვ. წ. X-XI სს-ით (ხახუტაიშვილი 1977: 22-24). ასკანა II-1 და ასკანა II-2 სახელოსნოები აღმოჩნდა მდ. წყალწითელა პირველის სათავესთან მდებარე ბორცვზე. სახელოსნოებში დადასტურდა წაკვეთილი პირამიდის ფორმის ქურები, რომლებიც შევსებული იყო რიყის ქვებითა და ალიზის ნატეხებით. გადანაყარში (80 კვმ) აღმოჩნდა: რკინის წილები, საქშენი მიღებისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ასკანა II-1 თარიღდება ძვ. წ. XII ს-ის დასასრულით, ასკანა II-2 – ძვ. წ. XIII ს-ის დასასრულით. ადგილ კვირისთავში, ფერდობზე, აღმოჩნდა ასკანა III-1 სახელოსნო, სადაც გამოვლინდა: საწარმოო ნარჩენები, სამეფხა ტიგელის ნატეხი, საქშენი მიღებისა და თიხის ზომომორფულურიანი ჭურჭლის ნატეხები. ასკანა III-1 დათარიღდა ძვ. წ. I ათასწლეულით. მისგან 50 მ დაშორებით გაითხარა ასკანა III-2 სახელოსნო, რომლის გადანაყარში აღმოჩნდა წილები, შელესილობის ნატეხები, საქშენი მიღებისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები, ასკანა III-2 სახელოსნო ზოგადი დათარიღდა ადრეანტიკური ხანით. ასკანა III-2 მახლობლად აღმოჩნდა ასკანა III-3 სახელოსნოს რკინის სადნობი ქურა (1,40X0,30-0,40მ), რომელსაც წაგრძელებული ფორმა ჰქონდა. ქურის სამი კედელი ამოჭრილ ორმოში ამოყვანიათ, მეოთხე – ქურის იატაკზეა დაშენებული. ერთ-ერთი კედლის ძირთან, ნახევარსფერულ ჩაღრმავებაში გამდნარი მასა გროვდებოდა. ძირი და კედლები ქვის ფილებით იყო მოპირკეთებული, ზემოდან თიხის ხსნარით გადაეღესათ. ქურა ამოვსებული იყო ქვებით, დამწვარი თიხითა და წილებით; საბერველის საქშენი მიღები და თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა ორმოში. ასკანა III-3 სახელოსნო ადრეანტიკური ხანით დათარიღდა.

სახელოსნო ასკანა IV აღმოჩნდა ადგილ მოსკანეთში. იქ გამოვლინდა: რკინის სადნობი ქურა; ქვებით მოპირკეთებული ორმო; რიყის ქვებისაგან შედგენილი წრიული მაგიდა (დმ 100 სმ). ქურაში აღმოჩნ-

და საქშენი მიღის ნატეხები. გადანაყარში აიკრიფა: წილები, ქურის შელესილობის, საქშენი მიღებისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები. სახელოსნო დათარიღდა ძვ. წ. X ს-ის დასასრულით (ხახუტაიშვილი 1977: 19-23; 1981: 3-37, მიქელაძე ...1979:104)

სოფ. ასკანაში ყოფილა გუმბათიანი ხის ეკლესია, სადაც აღმოჩნდა ნატი წარწერით: „... წმიდა ესტატე მოგიჭედე ნატი ესე ... ბუჟან ასათიძემან“ (ბაქრაძე 1987: 173). ეკლესია ამჟამად აღარ არსებობს.

ასკანის ციხე შუა საუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობაა. ნაშენია ფლეთილი ქვით კირხსნარზე. ციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შესასვლელია. შიდა ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია ქვევრები და წრიული ფორმის ქვის აუზები. ციხის შესასვლელის მარცხნივ ორმოა, რომელიც, გადმოცემით, ბახვისწყალზე ჩასასვლელი გვირაბია. ციხის ტერიტორიაზე სასახლისა და ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი. ეკლესია წარმოადგენდა თლილი ქვით ნაშენი ბაზილიკის ტიპის ნაგებობას (კილურაძე 1889: 2; სოსელია 1967: 69-71; სადრაძე 1994: 7).

ბიბლიოგრაფია: ბაქრაძე 1987: 173; ბერძენიშვილი 1966: 88; ვიულენშტედტი 1962: 313; ვძელიშვილი 1964ბ: 32; ინაიშვილი ... 1978: 101-103; ისტ. დოკ. ... 1958: 147; კასტელი 1976: 38, 182; კილურაძე 1889: №35; მიქელაძე ... 1979: 103-108; სადრაძე ... 1994: 7; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 260; სოსელია 1967: 69-71; ქც 4: 791,3; ქრონიკები 1967: 282, 607; ჭანიშვილი 1997: 243-248; ხახუტაიშვილი 1977: 19-23; 1981: 3-37; ჯავახიშვილი 1934: 456, 458, 460.

ასპინძა, სოფელი, დაბა (ქც 1: 262,18; 379,14; ქც 2: 410, სქ. 3; 500,25; ქც 4: 132,11; 433,24,25; 666,24,25; 716,22; 725,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 262,18), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონთა“ (ქც 2: 379,14), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 410 სქ. 3; 500,25), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 132,11; 433,24,25; 666,24,25; 716,22; 725,15), XIII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 396; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 243, 721, 1985: 136; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 63, 125-126, 139, 313, 324), XVIII ს-ის ანონიმური ქრონიკა „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 43), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 43), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 82, 84), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 53), XVI ს-ის თურქული წყაროები (თურქული წყაროები ... 1983: 67), „ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი (ჩილდირის... 2008: 39), „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 38, 177, 178, 185, 188, 191, 192, 195, 198, 200-202, 348, 352), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა

ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 392), დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ (დე გრაი დე ფუა 1985: 30, 82-84, 91, 92, 96), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 219).

ვახუშტი ბაგრატიონი ასპინძის შესახებ გადმოგვცემს: „ერთვის მტკვარის ასპინძის ხევი ... ამის შესართავს არს ხიდი ... ასპინძის თავს და აგარის ზეით, ჩდილოს არს ციხე კლდესა ზედა შენი“ (ქც 4: 666,24,25).

მდებარეობს ისტორიულ სამცხეში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, მდ. ოთის შესართავთან. კლდის ფერდობზე აღმართული ციხის კარშემო.

ასპინძა წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება IX ს-ის ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების შინაომების აღწერისას (ქც 1: 262,18; 379,14). XVI ს-ის 50-იან წლებში ოსმალების მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ასპინძა ახალციხის ლივის ერთ-ერთი ცენტრია. 1625 წ. გიორგი სააკაძემ ასპინძასთან დაამარცხა ყიზილბაშთა ლაშქარი. 1770 წ. ერეკლე II-მ სძლია თურქ-ლეკთა შეერთებულ ლაშქარს. 1829 წ. რუსეთ-ოსმალეთის ადრიანოპოლის ზავის მიხედვით ისტორიული სამხრეთ საქართველო ასპინძითურთ გათავისუფლდა ოსმალთა ბატონობისგან და ახალციხის მაზრაში შევიდა (ბერძენიშვილი 1966: 85, 97).

ასპინძას ეკავა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი. მდებარეობდა სამცხესა და ჯავახეთის საზღვარზე. აქ გადიოდა გზა ჯავახეთიდან შიდა ქართლში (ბერძენიშვილი 1966: 99, 100).

1970-1977 წწ. ასპინძასა და ასპინძის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ერთობლივმა ექსპედიციამ ჩაატარა დაზვერვები და გათხრები (ხელმძღ. ოთ. ჯავახიძე). დაზვერვების შედეგად ასპინძასთან მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ლოდოვანში აღმოჩნდა ყორღანები (ჯავახიძე ... 1981: 17).

1989-1992 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ოთ. ლამბაშიძე) ქ. ასპინძაში გათხარა კულტურის სახლის მშენებლობის დროს გამოვლენილი რამდენიმე დანგრეული ქვევრსამარხი. მათში აღმოჩნდა გვიანდელი ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელი (ლამბაშიძე ... 2004: 47).

ასპინძის ტერიტორიაზე, ქედზე დგას მოზრდილი თლილი კვადრებით ნაგები ციხე, რომელსაც გარს ერტყმის ვალავანი სამი კოშკითურთ. ერთი კოშკი ოთხკუთხაა, ორი – წრიული. ერთ-ერთს დატანილი აქვს ციხეში შესასვლელი კარი. ციხე თარიღდება IX-X სს-ით.

ასპინძის ტერიტორიაზე, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ ხვილიშაში დგას უხეშად თლილი ქვისაგან ნაგები დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელსაც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან აქვს მინაშენები. სამხრეთის კარნიზზე ასომთავრული წარწერაა: „ქრისტე შეიწყალებ თეოდოტი“. ეკლეს-

სია VIII-IX სს-ით თარიღდება. ხვილიშის ეკლესიიდან 2 კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ჩიხორში მდებარეობს უხეშად გათლილი ქვისგან ნაგები დარბაზული ეკლესია. ნაგებობის კარნიზების ჩარჩოები მოჩუქურთმებულია. ეკლესია დანგრეულია (ქუქჩიშვილი 2000: 52). აქვე, სამხრეთით, ხევის ფერდობზე შემორჩენილია სამი დარბაზული ეკლესიის ნანგრევები (ბოჭორიძე 1992: 18-20).

ასპინძასთან, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ვარნეთის ხევიში, ნასოფლარ ვარნეთის ციხეში დგას ორსართულიანი დარბაზული ეკლესია, ნაგები ფლეთილი ქვით. შენობის მეორე სართულზე შემორჩენილია აფსიდა მხატვრობის ნაშთით (ქუქჩიშვილი 2000: 53).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1983: 53; ბაგრატიონი 1986: 82, 84; ბერძენიშვილი 1966: 85, 97, 99, 100; გიულდენშტედტი 1962: 219; დე გრაი დე ფუა 1985: 30, 82-84, 91, 92, 96; თურქული წყაროები ... 1983: 67; შარდენი 1975: 392; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 63, 125, 126, 139, 313, 324; ქც 1: 262,18; 379,14; ქც 2: 410, სქ. 3; 500,25; ქც 4: 132,11; 433,24,25; 666,24,25; 716,22; 725,15; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 243, 721; 1985: 136; ქრონიკები 1897: 396; ქუქჩიშვილი 2000: 52-53; ლამბაშიძე ... 2004: 44-51; ჩილიდრის ... 2008: 39; ჩხეიძე 1913: 43; ცხოვრება ... 1980: 43; ჯავახიძე ... 1981: 17; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 38, 177, 178, 185, 188, 191, 192, 195, 198, 200-202, 348, 352.

აბშიძე, მცირე ქალაქი, ციხე (ქც 4: 135,13; ქც 1: 276,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 135,13; 146,13; 229,24; 342,15,16,19,21; 343,3,8; 392,3; 393,1; 405,1; 470,23; 474,27; 507,6), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 268,7; 276,17; 298,14,16), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 267,8; 275,4; 299,20), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტი (ქც 2: 350,21; 365,2; 422,15; 488,14,15; 506,19; 507,12), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 31), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 7).

მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, მდ. ტანას ხეობაში, გორიდან 10 კმ-ის დაშორებით, თანამედროვე სოფ. ატენის ადგილას.

ვახუშტი ბაგრატიონი ატენის შესახებ გადმოგვცემს: „ატენი, მცირე ქალაქი. მოსახლენი ქართველნი, სომეხნი, ურიანი. არს ციხე მაღალს კლდესა ზედა, ნაშენი დიდი ... ატენის სამხრით არს მონასტერი სიონი, გუმბათიანი, კეთილნაშენი“ (ქც 4: 43,3-9).

აღრე შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ატენი მნიშვნელოვანი ქრისტიანული ცენტრია. შუა საუკუნეებში დღევანდელი სოფლის ადგილას არსებობდა მცირე ქალაქი. მეფე ბაგრატ III-ის (975-1014) ხანაში ატენი ეკუთვნოდა კლდეკარის ერისთავთ ერისთავს რატი ბაღვაშს (ქც 1: 276,17). 989 წ. ბაგრატ III-მ რატი დაიმორჩილა და ატენის ციხეს

დაეპატრონა. ატენის სიონის ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს ბაგრატ IV-ის (1027-1072) დროს აქ ქალაქისა და ქულბაქების აშენებას. XI ს-ში ბიზანტიისაგან ზურგამაგრებულმა ბაგრატ IV-ის ნახევარძმამ, დემეტრემ და კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ლიპარიტის ძემ სცადეს ატენის ციხის აღება, მაგრამ მეფის ჯართან დამარცხდნენ. დავით აღმაშენებელს (1089-1125) ატენში ჰქონდა სამეფო საჭურჭლე (ქც 2: 267,7-8; 275,4). დემეტრე II-ის (1271-1289) დროს ატენისა და მისი ქვეყნის მფლობელია რაჭის ერისთავი კახაბერი, რომელიც დღაბისათვის შემდგომ სიკვდილით დასაჯეს. XVI ს-ში კახეთის მეფე ავგიორგო (1511-1513), ქართლის მეფე დავით X-ს (1505-1525) ატენის ციხეში ყოფნისას შემოართვა ალყა, მაგრამ ციხის აღება ვერ შეძლო. 1556 წ. შაჰ-თამაზმა ტყვედ ჩაიგდო ატენის ციხეში თავშეფარებული ქართლის მეფის, ლუარსაბის (1527-1556) დედა ნესტან-დარეჯანი. XVII ს-ის 30-იან წლებში ქართლის მეფე როსტომს (1632-1658) აუჯანყდნენ თეიმურაზ I-ის (1634-1648) მომხრე ფეოდალები. შეთქმულებმა ატენის ციხეს შეაფარეს თავი. როსტომმა აიღო ციხე და დაანგრია (ქც 2: 350,21; ქც 4: 135,13, 422,15, 488,14,15). XVIII ს-ში ლეკების წშირმა შემოსევებმა დააკინანა ქალაქი. XIX ს-ში ის უკვე სოფელია.

1966 წ. ატენის სიონი შეისწავლა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ვ. ართილაყვა). 1968-1975 წწ. სპეციალურმა სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნომ შეაკეთა და გაამაგრა ტაძრის ფასადების ქვედა ნაწილები, გუმბათის სახურავი (ხელმძღ. ლ. ხიმშიაშვილი, გ. გვერდწითელი, თ. ნემსაძე). 1983 წ. ეკლესია გადაიხურა ქვის ლორწინებით; გაიწმინდა და გამაგრდა მოხატულობა (ხელმძღ. რ. გვერდწითელი, გ. ჭვიშვილი, კ. ბაკურაძე).

ატენის სიონის ტაძარი დგას მდ. ტანას მარცხენა ნაპირის კლდოვან კიდეზე. ის ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა. ტაძარი ტეტრაკონახა (24X19მ, სიმაღლე 22 მ). გეგმით დგას ორსაფეხურიან იმპოსტზე, რომლის ქვეშ ფართო ცოკოლია ამოშენებული. საკურთხევლის მიმდებარე ორი ოთახი სადიაკვნე და სამსხვერპლოა. სამხრეთ-დასავლეთისა კი საქალბო. შესასვლელი სამხრეთითაა ჩრდილოეთითაა. გუმბათქვეშა საბჯენი თაღები ოღანავ ნაღისებურია. ეკლესია აგებულია VII ს-ში (ჩუბინაშვილი 1936: 128-136; ბერიძე 1974: 108). ინტერიერში შემორჩენილია ქართული, ბერძნული და სომხური წარწერები (ბარნაველი 1957; ალექსიძე 1978; აბრამიშვილი 1977; ყაუხჩიშვილი 1951: 191-193). ფასადები შემკულია ქრისტიანული სიმბოლიკის ამსახველი ცხოვრებისა და ფრინველების გამოსახულებებით, ბიბლიური სიუჟეტებით, ქტიტორების რელიეფური პორტრეტებით. რელიეფები მიეკუთვნება ორ სამშენებლო პერიოდს VII და X სს-ს (აბრამიშვილი 1972: 32-55). სამხრეთი ფასადის ერთ-ერთი წარწერა გვამც-



ატენის სიონი

ნობს 853 წ. არაბთა სარდლის, ბულათურქის მიერ თბილისის აღებასა და დაწვეას (ბარნაველი 1957: 17, 18). საკურთხევლის ბემაში აღმოჩნდა დედოფალ გუარამავრისა და სტეფანოს მამფალის გარდაცვალების მაუწყებელი X ს-ის ფრესკული წარწერები (ბარნაველი 1957: 12-19; აბრამიშვილი 1977). ინტერიერში შემორჩენილია VII-VIII სს მოხატულობა. რესტავრაციის შედეგად გამოვლინდა ტაძრის თანადროული მოხატულობა – წითელი საღებავით შესრულებული არქიტექტურული წყობის იმიტაცია. VIII ს-ის პირველ ნახევარს უნდა განეკუთვნებოდეს წითელი და თეთრი საღებავებით გამოსახული „განეტლებული ჯვრები“. XI ს-ის მეორე ნახევრის მოხატულობაში განირჩევა რამდენიმე ოსტატის ხელი. გუმბათის კამარაში შემორჩენილია ჯვრის გამოსახულება, გუმბათის ყელზე – წინასწარმეტყველები, ტრომპეტზე – მახარებლები, ტრომპეტის ნახევარწრებში – სამოთხის ოთხი მდინარის პერსონიფიკაციები. საკურთხევლის აფსიდის კონქში გამოსახულია ღვთისმშობელი ნიკოპეა, ბემის კამარაზე – მაცხოვარი და ოთხი წინასწარმეტყველი, აფსიდის კედლებზე 12 მოციქული. კომპოზიციები ვადმოვცემს აპოკრიფულ სცენებს ღვთისმშობლის ცხოვრებიდან, სახარების თორმეტ სცენას ქრისტეს ცხოვრებიდან. დასავლეთი აფსიდა მთლიანად უჭირავს განკითხვის კომპოზიციას. ქტიტორების გამოსახულებები წარმოდგენილია დასავლეთ აფსიდის ქვედა რეგისტრში. წარწერები დაზიანებულია და მათი ვინაობა სადავოა. იდენტიფიცირებულია მეფე ბაგრატ IV. აღმოსავლურ ყაიდაზე შემოსილი ჭაბუკი ერთი მოსაზრების მიხედვით გაიფიქსირებულია გიორგი II-სთან (1072-1089). ის ასევე იდენტიფიცირებულია დავით აღმაშენებელთან. ატენის სიონის ფერწერა მდიდარია მცენარეული მოტივებითაც (ამირანაშვილი 1950: 181-185; ვირსალაძე 1984).

ტაძრისათვის კვარცხლბეკი აგებულია თანდათანობით, 30-35 სმ სისქის ბათქაშით. ტაძრის სამშე-

ნებლო მასალა უმეტესად ადგილობრივი ქვაა. კედლის პერანგად გამოყენებულია ტუფის ქვათილები. იატაკი მოკეპულია ტუფის ფილებით. ტაძრის ინტერიერის გათხრებისას აღმოჩენილი კრამიტები ძირითადად ორი პერიოდისაა: VII-VIII და XI-XII სს-ის, როდესაც ძველი საფუძვლიანად შეუკეთებიათ.

ინტერიერში მრავალი სამარხი აღმოჩნდა. ყველა ქრისტიანულია. სამარხები VII ს-ის შემდგომი ხანისაა. გვხვდება რკინის ლურსმნებით შეკრული ხის კუბოთი დამარხვის წესი. სამარხები უინვენტარია. ინტერიერის გათხრებისას ჩნდებოდა კერამიკის ფრაგმენტები. მათგან უძველესია VII-VIII სს-ის ფიალის ფრაგმენტი და ამოკვეთილი ორნამენტით შემკული, შეღებილი ზადის ნატეხი. XII-XIII სს-ს განეკუთვნება მაღალქუსლიანი, მწვანედ მოჭიქული და ფრინველის გამოსახულებით შემკული ჯამის ფრაგმენტები. X-XIV სს-ით თარიღდება ღია მწვანე მინის სადა, გრებილდეროიანი და სამკუთხაგანიკვეთიანი სამაჯურები. იქვეა გამოვლენილი რკინის ლურსმნები (ართილაყვა 1973: 102-113).

სოფელ ატენში შემთხვევით აღმოჩნდა შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა: ბრინჯაოს სამკაული, ბრინჯაოსავე ხატისუღელი, სერდოლიკის მძივები (არქ. მას. კატ. ... 1955: 52, 53). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ატენის ციხე დგას მდ. ტანას მარცხენა ნაპირის მაღალ კლდეზე (38,4X17,2მ). ნაგებია ფლეთილი ქვით დუღაბზე. თარიღდება X ს-ით. ბურჯებით გამაგრებული ვალავნის შიგნით მეციხოვნეთა სადგომები, წყალსაცავი და სხვა ნაგებობებია. ციხე იცავდა შიდა ქართლიდან სამხრეთ საქართველოსაკენ მიმავალ გზას (ზაქარაია 1960: 21, 22).

კოშკი დგას სოფლის აღმოსავლეთით, მდ. ტანას მარცხენა ნაპირის კლდეზე. გეგმით ოთხკუთხაა (7,2X4,8მ). ნაგებია ფლეთილი ქვით. კარის წირთხლება გამოყენებულია თლილი ქვა. თარიღდება XVI ს-ით. მეორე კოშკი დგას სოფლის სამხრეთით, მდ. ტანას მარცხენა ნაპირის კლდეზე. გეგმით ოთხკუთხაა (7X4მ). ნაგებია ფლეთილი ქვით. თარიღდება XVI-XVII სს-ით.

ღვთისმშობლის გუმბათიანი ეკლესია (ორბელიანების ეკლესია) დგას სოფლის ცენტრში. ის ჯვარგუმბათიანი ნაგებობაა (7,2X7,9მ). ნაშენია რიყის ქვით. დასავლეთი კარის ტიპანის ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებულია ეკლესიის აშენებელი ერისთავი რატი ლიპარიტის ძე. საფიქრებელია, რომ რატი ერისთავმა X ს-ში განაახლა ეკლესია. თარიღდება VII-IX სს-ით (რჩეულიშვილი 1942: 60-75). სამხრეთი კარის არქიტრავის მხედრული წარწერის თანახმად ეკლესიის დასავლეთი მინაშენი აუგია მღვდელ დავით დავიდოვს 1870 წელს.

წმ. ბარბარეს ეკლესია დგას სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, მაღალ მთაზე. ეკლესია დარბაზულია (5,7X4,2მ). ნაგებია ფლეთილი ქვით. თარიღდება

განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებით.

წმ. გიორგის დარბაზული (7,45X4,5მ) ეკლესია დგას სოფლის ძველ უბანში. ნაგებია ფლეთილი და რიყის ქვით. დასავლეთის ფრონტონის შვიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის მიხედვით ეკლესია აგებული უნდა იყოს ბაგრატ IV-ის მიერ 1060-1072 წლებში.

ოქროიანი საყდარი დგას ატენის სიონის ჩრდილო-დასავლეთით, მისგან 150 მ დაშორებით. შედგება ორი, ერთმანეთზე მიდგმული ეკლესიისაგან. პირველად აუგიათ სამხრეთის დარბაზული ეკლესია (3,9X2,7მ). მოგვიანებით კლდის ქიმი ხელოვნურად გაზარდეს და ჩრდილოეთიდან მიუშენეს მეორე დარბაზული ეკლესია (5,3X3,8მ). ორივე ეკლესია ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით.

ნათლისმცემლის ეკლესია დგას სოფლის სამხრეთით 0,5 კმ-ზე, მდ. ტანას მარჯვენა ნაპირზე. ის დარბაზულია (7,3X4მ). ნაგებია ფლეთილი ქვით. თარიღდება VIII-X სს-ით. დასავლეთისა და ჩრდილოეთის მინაშენები გვიანდელია.

კვირაცხოვლის ეკლესია დგას სოფლის სასაფლაოსთან. ეკლესია დარბაზულია (5X5მ). ნაგებია თლილი ქვით. გადახურულია კრამიტით. აღმოსავლეთი კედლის ფრონტონის თავზე აგებული იყო აგურის სამრეკლო. ეკლესიას შემოვლებული ჰქონია ვალავანი (შემორჩენილია ფრაგმენტულად). ძველი დათარიღებულია განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებით.

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1963: 685-690; 1972: 32-55; 1977; ალექსიძე 1978; ამირანაშვილი 1950; არქ. მას. კატ. ... 1955: 52, 53; ართილაყვა 1973: 102-113; ბაგრატიონი 1986: 31; ბარნაველი 1957; ბერიძე 1974: 32, 108; გორგიჯანიძე 1926: 7; ვირსალაძე 1984; ზაქარაია 1960: 21, 22; მაკალათია 1957; რჩეულიშვილი 1942: 60-75; ქც 1: 268,7; 276,17; 298,14,16; ქც 2: 267,8; 275,4; 299,20; 350,21; 365,2; 422,15; 488,14,15; 506,19; 507,12; ქც 4: 135,13; 146,13; 229,24; 342,15,16,19,21; 343,3,8; 392,3; 393,1; 405,1; 470,23; 474,27; 507,6; ყაუხჩიშვილი 1951: 191-193; ჩუბინაშვილი 1936: 128-136.

ატონი, ეკლესია (ქც 4: 375,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 316,7; 756,3; 375,25; 875,13), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (თაყაიშვილი 1907: 161; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 48; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 405; 1981: 92; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 25), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1989: 58), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონის 1986: 43), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 51), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 8).

მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტში, მდ. დასავლეთ ფრონეს (ფცისწყლის) მარცხენა ნაპირზე, თანამედ-

როვე სოფ. ატოცის ტერიტორიაზე (მაკალათია 1963: 48).

ვახუშტი ბაგრატიონი ატოცის შესახებ გადმოგვცემს: „ბრემის ჩდილოთ არს ეკლესია ატოცს, წმიდის გიორგისა, სასწაულიანი“ (ქვ 4: 375,25).

„ქართლის ცხოვრებაში“ ატოცი ძირითადად იხსენიება წმინდა გიორგის ეკლესიასთან დაკავშირებით (ქვ 4: 756,3, 375,25). იქ იმართებოდა გიორგიობის დღესასწაული, რომელიც ატოცობის სახელით იყო ცნობილი (ჯავახიშვილი 1979: 89). XVIII ს-ის მეორე ნახევარში ატოცი რამდენჯერმე დაარბიეს ლეკებმა (ბაგრატიონი 1983: 51; გვასალია 1989: 19). ატოცი არქეოლოგიურად შეუსწავილია.

ატოციდან ცნობილია რამდენიმე შემთხვევითი მონაპოვარი. იქ აღმოჩნდა ახ. წ. I-II სს-ით დათარიღებული ბრინჯაოს იტალიკური ჭურჭლის (პატერის) ვერძის თავის ფორმის ყურის ფრაგმენტი (ლორთქიფანიძე 1968: 94; 1989: 366, 367). 1956 წ. სოფელში აღმოჩნდა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე II-ის (641-668) ვერცხლის მონეტა – ჰექსაგრამა. ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). (აბრამიშვილი 1965: 71).

ატოცის მახლობლად ცნობილია რამდენიმე ძეგლი: ნასოფლარი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით, 2 კმ დაშორებით, ადგილ „ურმიხელში“. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. იქ გამოვლინდა რიყისა და ფლეთილი ქვით ნაგები შენობების საძირკვლის ნაშთები, მოწითალო გამომწვარი უხეშკვციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი მდებარეობს სოფლის დასავლეთით, 0,8 კმ დაშორებით, ადგილ „კახურას ველზე“. ორმოსამარხებში დაკრძალული იყო კიდურებმოკეცილი მიცვალებულები, თავით ჩრდილო-დასავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს მასრაგასხნილი შუბისპირები, მოშავოდ გამომწვარი, უხეშკვციანი თიხის ჭურჭელი (სძა 1990: 358). მასალის შენახვის ადგილი უცნობია.

ციხე-გალავანი და ნასოფლარი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. ციხე-გალავანი (52,2X50,3 მ) ნაგებია ფლეთილი ქვით. მართკუთხა ფორმის გალავნის კუთხეებზე გარედან მიშენებულია მრგვალი კოშკები. მათგან შემორჩენილია ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკის სამი სართული და სამხრეთ-დასავლეთი კოშკის ნაწილი გალავნის ფრაგმენტებით (ზაქარია 1968: 93). ატოცის ტერიტორიაზე დარბაზული ტიპის რამდენიმე ეკლესიაა (სძა 1990: 357-359).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1965: 71; ბაგრატიონი 1983: 51; ბაგრატიონი 1986: 43; ბაგრატიონი დავითი 1941: 8; გვასალია 1989: 19; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 48; ზაქარია 1968: 93; თავაიშვილი 1907: 161; ლორთქიფანიძე 1964: 214; 1968: 94; 1989: 366, 367; მაკალათია 1963: 48; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 25; სძა 1990: 357-359; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 405; 1981: 92; ქვ 4: 316,7; 756,3; 375,25; 875,13; ხერხულიძე 1989: 58; ჯავახიშვილი 1979: 89.

ალაიანის მიწვევა (ქვ 4: 352,22). მოხსენიებულია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 352,21-23).

მდებარეობს კასპის მუნიცი-ში, მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი სოფელი ალაიანის ტერიტორიაზე. ებჯინება თხოთის მთის ჩრდილოეთ კალთას. ალაიანს სამხრეთიდან ეკვრის 800 კმ ვაკე, ე. წ. რიყიანები, რომელიც გამოყოფს სოფ. ალაიანს პატარა დასახლებული უბნისგან. მას ახალი უბანი ან კომუნა ჰქვია.

ალაიანის მინდორი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო შიდა ქართლის ერთ-ერთი დავიანურებული სასოფლო-სამეურნეო რეგიონია. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ალაიანის მინდორი გამოყენებული ყოფილა ზამთრის საძოვრებად (ქვ 4: 352,22). ამ მხარემ ძლიერი აოხრება განიცადა შაჰ-აბას I-ის (1587-1629) დროს. 1625 წ. ყარაიხანის სარდლობით ყიზილბაშთა ლაშქარი ალაიანის ველზე დაბანაკდა. მათ განზრახული ჰქონდათ იქვე მყოფი კახელების ჯარის მოტყუებით განადგურება. კახელებმა შეიტყვეს რა ეს ამბავი, ხმლით გაიკაფეს გზა (ჯამბურია 1964: 125, 126).

სოფ. ალაიანში ხშირია შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები. 1928 წ. სოფლის ახალ უბანში, „კომუნის“ ტერიტორიაზე წარმოებული მიწის სამუშაოების დროს გამოვლინდა თიხის სარკოფაგი, რომელშიც აღამიანის ძვლებთან ერთად იყო ოქროს სამკაულები და ორი მონეტა. სამარხეული ინვენტარი დათარიღებულია IV-V სს-ით (მაკალათია 1941: 90). 1958-1962 წწ. გზის სამუშაოების დროს აღმოჩნდა მასალა, რომელიც ძირითადად სამარხეულია და მიეკუთვნება გვიანბრინჯაოსა და ანტიკურ ხანას. ნივთები დატულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

(№№17-58, 47-58, 5-59, 10-60, 17-61, 26-61, 2-62) და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. 1952 წ. მიწის სამუშაოების დროს უპოვიათ არწივის ოქროს გამოსახულება (ნივთები ადგილმდებარეობა უცნობია). 1961 წ. თხოთისმთის ქვედა ტერასაზე 1 მსიღრმის თხრილში წააწყდნენ გვიანბრინჯაოს ხანის სამარხეულ ნივთებს (ბარამიძე 1974: 124-136). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (№№26-61, 1-10) და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (№723, №728). მათთან ერთად აღმოჩნდა ანტიკური ხანის ხელადა. 1962 წ. 3 მ სიღრმეზე დაფიქსირდა სამარხი თიხის თიხი ხელადით. 1974 წ. გამოვლინდა IV ს-ით დათარიღებული მდიდრული ინვენტარის თიხის სარკოფაგი (მირიანაშვილი 1980: 74,75). 1975 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ნასტაკისის ექსპედიციამ (ხელმძღ. ა. ზობოჩაძე) ალაიანის ტერიტორიაზე დაიწყო სისტემატური არქეოლოგიური გათხრები. 1975-1976 წწ. დაზვერვითი სამუშაოები ჩატარდა თხოთის მთის მიმდებარე ვაკეზე – „რიყიანების ველზე“. იქ მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები 1977-1978 წლებშიც.

ნამოსახლარი I გამოვლინდა სოფლის ზემოთ, თხოთის მთის ჩრდილოეთ ფერდობზე. გორის ზედაპირზე და ფენაში აღმოჩნდა ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ნამოსახლარი II მდებარეობს სოფლის ახალ სასაფლაოსთან, თბილისი-გორის გზის მარცხენა მხარეს, გზიდან 100 მ დაშორებით. იქ გამოვლინდა გვიანი ანტიკური და ადრე შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ნაქალაქარი აღმოჩნდა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით რიყიანების ველზე. მისი ზედა ფენა მრავალჯერაა გადახული. მიწის ქვეშ 1,3 მ სიღრმეზე აღმოჩნდა რიყის ქვით მოვებული საძირკვლის ნაწილი ალიზის კედლის ნაშთებით. დაფიქსირდა ანტიკური ხანის ხუთი სამშენებლო დონე. ერთი პირი რიყის ქვის საძირკველზე ამოყვანილი იყო შედგენილი ალიზის აგურის კედლები, რომლებიც შედგენილი და შესაძლოა მონატულიც იყო შუქი წითელი საღებავით. ნაგებობები გადახურული იყო წითლად შეღებილი კრამიტით. მათზე ხშირია ხელოსანთა ნიშნები. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა აგურები (0,29X0,29X0,04 მ), თიხის მილები, კალორიფერების ნატეხები, რკინის ლურსმნები, სარკმლის მინების ნატეხები. ნაქალაქარი თარიღდება ძვ. წ. I-ახ. წ. IV სს-ით (ბოლოჩაძე 1981; მირიანაშვილი 1977; 1980; 1982; 1983).

ალაიანის ტერიტორიაზე გაითხარა რამდენიმე სამაროვანი. თხოთის მთის ქვედა კალთებზე გამოვლინდა 25 სამარხი. სამაროვანი გაითხარა სოფელ ალაიანის აღმოსავლეთით 3 ჰა ფართობზე. აღმოჩენილია გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი მასალა (ბრინჯაოს ბრტყელი ცული, შუბისპირი, ირმის ქანდაკება, მახვილი, რკოლი, ბალთა, მილები, საკინძები, კერამიკა). თარიღდება ძვ. წ. XI-X სს-ით (ბარამიძე 1974: 124-136). „რიყიანების ველზე“ გაითხარა თიხის სარკოფაგი (1,4X0,46 მ), ორმოსამარხები (19), ქვევრსამარხები (2). იქ გამოვლინდა მალაქარისხოვანი ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი დამზადებულია განლექილი თიხისაგან და გამომწვარია თანაბრად. სამაროვანზე გამოვლენილია წითლად და შავად გამომწვარი ჭურჭელი. ძვ. წ. IV-III სს-ით თარიღდება აქ შემთხვევით აღმოჩენილი ხელადები. ძვ. წ. I-ახ. წ. I სს-ს განეკუთვნება ჯამები და ჭინჭილები, წითლად ანგობირებული ჭურჭელი. ოქროს ნაკეთობანი სამაროვანზე წარმოდგენილია სამკაულის სახით (წნული ძეწკვებიანი სამაჯურები, ორი ბეჭედი, სადა საყურე რკოლები, საკიდები, კილიტები, საავგაროზე). ვერცხლის ნაკეთობიდან ვებვდება ჭურჭელი, კოვზები და სამკაული. აღმოჩენილია ვერცხლის ხუთი თასი (ახ. წ. I-III სს). ოთხი კოვზიდან სამი მათგანის ტარი დაბოლოებულია ცხოველის ჩლიქით (ძვ. წ. I-ახ. წ. I სს). ძვ. წ. I სს-ის სამაჯურებიდან ხუთი ზურგმუზნექილია, დაწახანებული თავებით. ძვ. წ. I-ახ. წ. I სს-ის სამაჯურები ბოლოებგადახვეულია. ბრინჯაოს ნაკე-

თობათაგან აღსანიშნავია სურა ფიგურული ყურით, რომელზეც გამოსახულია დიონისე ღვინის სმის დროს (I ს.); აქვეა აღმოჩენილი ზარაკები და საქამრე აბზინდები. რკინის ნაწარმის უმრავლესობას შეადგენს დანები. მნიშვნელოვანია ახ. წ. I ს-ით დათარიღებული რკინის ცალკეულა სასწორის აღმოჩენა. სამაროვნიდან ცნობილია კანდლაბრი და ერთი შუბისპირი. სამაროვანზე აღმოჩნდა სირიული წარმოშობის მინის ხუთი სანელსაცხებლე ჭურჭელი. მრავლად არის გამოვლენილი მინისა და ნახევრად-ძვირფასი ქვების ვეშები. მრავალფეროვანია მძივები და საკიდები. სამარხებში აღმოჩნდა 120-მდე მონეტა. მათ შორისაა: რომის, პართიის, პონტოს, კაპადოკიის, სომხეთის ვერცხლის მონეტები; კოლხეთისა და იბერიის ოქროს მონეტები (ლიზიმაქესა და ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მინაბაძებია (მირიანაშვილი 1983: 18-82).

სოფლის ცენტრში დგას წრიული გეგმის, რიყის ქვით ნაგები ხუთსართულიანი კოშკი. კონსტრუქციულ ადგილებში გამოყენებულია აგური. კოშკი დაზიანებულია. თარიღდება XVIII ს-ით. წმინდა გიორგის დარბაზული ტიპის ეკლესია (11,8X7,6მ) აღმართულია სოფლის ცენტრში. ნაგებია რიყის ქვით. თარიღდება XIX ს-ით. მოვანებით მისთვის დასაგეღეთიდან მოუშენებიათ აგურის კარიბჭე (3,8X2,8მ), რომელზეც დაშენებულია პატარა სამრეკლო.

ბიბლიოგრაფია: *ბარამიძე 1974: 124-136; ბოლოჩაძე 1981: 6-35; მაკალათია 1941: 81-90; მირიანაშვილი 1977: 84-95; 1980: 74-86; 1983: 4-81; ქც 4: 352,22; ჯამბურია 1964.*

აღწაყალა (თეთრი ციხე) (ქც 4: 387,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 387,22; 390,11; 397,19, სქ. 1; 399,17; 424,19; 461,17; 501,28), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2:343,29; 355,30; 391,10,11; 484,6; 494,11), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 3, 203, 205, 224, 231-232, 237, 243), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 74), ბაგრატი ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 59), 1798 წ. ისტორიული საბუთი (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 105), მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოს შესახებ (ნაიმა 1979: 24), ისქანდრე მუნშის თხზულება (მუნში 1969: 124, 159), ზაქარია აგულეცის „დღიური“ (აგულეცი 1979: 22), სომხური ანდერძების მინაწერები (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 28, 149), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 243).

მდებარეობს მარნეულის მუნიციპ-ში, სოფ. ყუშიდან სამხრეთ-დასავლეთით 0,5 კმ-ზე, მდ. დეხედას მარჯვენა ნაპირზე, მისგან 2-2,5 კმ დაშორებით არსებულ კლდოვან ბორცვზე (მუსხელიშვილი 1960: 115).

ვახუშტი ბაგრატიონი აღჯაყალის შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო ძუელად ადგილისა ამის სახელი არს ქურდვაჭრის ხევი, და აწ უწოდებენ აღჯაყალას (თეთრციხე), იაყუფ ყენისაგან წოდებულს, რომელმან პირველ აღაშენა ციხე ესე“ (ქც 4: 307,8-10). 1489 წ. იაყუბ ყაენმა (1479-1490) აღჯაყალის ციხის აშენება დაავალა სარდალ ხალილ ბეგს (ქც 2: 484,6). მეფე კონსტანტინე II-მ (1479-1505) 1490 წ. დაანგრია აღჯაყალა (ქც 4: 390,11). სპარსეთის შაჰი ისმაილი კვლავ აშენებს ციხეს (ქც 4: 397,19,20). 1523 წ. დავით მეფემ (1505-1523) აიღო ციხის (ქც 4: 399,17). 1587 წ. ფარჰარდ ფაშამ აღჯაყალის შეკეთება დაავალა ყაზან ხანს. შაჰ-აბასმა (1587-1629) აღჯაყალის მიდამოებში ჩამოასახლა ბორჩალუს თურქული ტომი (ნაიმა 1979: 30). ლეკთა ლაშქარი ხშირად არბევდა ამ ციხის მიდამოებს (ორბელიანი 1981: 203, 205, 224, 231, 232, 243, 247). 1744 წ. აღჯაყალის ციხეს დაეუფლა ნადირ-შაჰი (ორბელიანი 1981: 3). 1771 წლისათვის აღჯაყალის მხარე გაჩანაგებულა და იქ მხოლოდ თათრები სახლობენ (გოულდენშტედტი 1962: 243). აქ გადაიოდა ქართლში შემოსასვლელი გზა (ბერძენიშვილი 1966: 80, 115).

აღჯაყალის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. აღჯაყალის ციხესიმაგრე შედგება ორი ნაწილისაგან: მთავარი ზედა ნაგებობა და სამხრეთ-დასავლეთი ტერასა, რომელიც გაღავენითაა შემოზღუდული. ზედა ნაწილის ფართობია 6500 კვ მ. დასავლეთიდან დაცულია ბუნებრივი კლდით. დანარჩენი მხარეები გამაგრებულია ბურჯებით. სამხრეთის მხარეს საფეხურებია ამოჭრილი. აქვეა ციხეში შესასვლელი 3,5 მ სივანის კარი. ციხის კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით ღუღაბზე. კედელ-ბურჯები დაშენებულია კლდოვან ქანზე. კედლების წყობაში გამოირჩევა ორი სამშენებლო პერიოდი: პირველი, ქვედა დონის კედლები ნაგებია თარაზული წყობით, ერთი ზომის ქვით კვადრებით; მეორე, ზედა დონე წარმოდგენილია მცირე ზომის ფლეთილი ქვის არაწესიერი წყობით. ციხის შიდა ფართობზე აკრეფილი მასალით ზედა დონე XV-XVIII-სს, ხოლო ქვედა, მოჭიქული კერამიკის მიხედვით XI-XIII სს-ს განეკუთვნება და უნდა წარმოადგენდეს ისტორიულ წყაროებში ამ ადგილზე მოხსენიებულ გაგის ციხეს (მუსხელიშვილი 1960: 113-117) (იხ. გაგის ციხე).

აღჯაყალის სახელწოდებით საქართველოს, სომხეთის, თურქეთისა და ირანის ტერიტორიაზე რამდენიმე ციხეა აღნუსხული: გაგი-აღჯაყალა, ერენის, ხახულის, ერზურუმ-ნამიანის, ყარს-სელიმის, ჩილდირის, მაჰმუდის და არფაჩაის აღჯაყალა (ილუარიძე 1989: 121).

ბიბლიოგრაფია: აგულეცი 1979: 22; ბაგრატიონი 1983: 74; ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 59; ბერძენიშვილი 1966: 80, 115; გოულდენშტედტი 1962: 243; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 105; ილუარიძე 1989: 114-121; მუნში 1969: 124, 159; მუსხელიშვილი 1960: 113-140; ნაიმა 1979: 30, 112, 115; ორბელიანი

1981: 3, 89, 231, 232, 237, 243; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 380; სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 28, 149; ქც 2: 343,29; 355,30; 391,10,11; 484,6; 494,11; ქც 4: 387,22; 461,17; 390,11; 397,19, სქ. 1; 399,17; 424,19; 501,27.

აშაბურო-პარი და ციხე (ქც 4: 361,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 361,11,14,სქ.1), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 37).

აშაბურო-კარი და ციხე მდებარეობს ცხინვალის მუნიციპალიტეტში, მდ. მეჯვრის სათავესთან, მის მარჯვენა ნაპირზე (გვასალია 1983: 78).

ვახუშტი ბაგრატიონი აშაბურო-კარის შესახებ გადმოგვცემს: „ჟამურის მთის კალთასა არს აშაბურო-კარი და ციხე“ (ქც 4: 361,11,12). გვიან შუა საუკუნეებში აშაბურო-კარი და ციხე შედიოდა ქსნის საერისთავოში (ქც 4: 361,9).

აშაბურო-კარი და ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 37; გვასალია 1983: 78; ქც 4: 361,11.

აშშრია60, ველი (ქც 4: 366,9,12), სოფელი (ბაგრატიონი 1941: 201). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 366,9,12; ბაგრატიონი 1941: 201), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 197; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 521), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 39).

ვახუშტი ბაგრატიონი აშურიაანის შესახებ გადმოგვცემს: „კასპის დასავლეთი მინდორი მტკვარსა და კუერნაქს შუა არს აშურიანი, უწყლობით უნაყოფო, უფლისციხემდე ... აშურიაანს ზეით არს უფლისციხე“ (ქც 4: 366,8-12).

მდებარეობს ქ. კასპის დასავლეთით, კვერნაქის ქედსა და მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირს შორის.

აშურიაანის ველი უძველესი დროიდან საზამთრო საძოვრებად გამოიყენებოდა (გვასალია 1983: 11).

1963 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მთა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღ. ალ. კალანდაძე) კასპის რაზმმა აშურიაანის ველზე, სადგურ მეტეხის მახლობლად შეისწავლა ყორღანი (ბარამიძე 1964: 15). 1965 წ. იმავე ინსტიტუტის რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღ. გ. ლომთათიძე) კასპის რაზმმა მეტეხის აგურის ქარხნის №1 კარიერის ტერიტორიაზე და სადგურ გრაკალთან, ე. წ. სალოკი ხევის მიდამოებში გათხარა 7 ყორღანი, 2 მეტეხთან, 5 გრაკალის მიდამოებში (შატბერაშვილი 1966: 13). 1966 წ. რაზმმა კვლავ გააგრძელა სამუშაოები აშურიაანის ველზე, სადაც რამდენიმე ყორღანი გამოავლინა (შატბერაშვილი 1967: 36-38). 1968 წ. იმავე ინსტიტუტის თეთრიწყაროს ექსპედიციის (ხელმძღ.

ნ. თუშიშვილი) კასპის რაზმმა აშურიანის ველზე 3 ყორღანი შესწავლა (შატბერაშვილი 1969: 6). 1977 წ. აშურიანის ველზე დაზვერვითი სამუშაოები აწარმოვა იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კასპის ექსპედიციამ (ხელმძღვ. შატბერაშვილი), რომელმაც გამოავლინა ადრეპრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, ყორღანული სამარხები და გვიანპრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთები (მირცხულავა ... 1980: 69-71).

აშურიანის ველზე, სადგურ მეტეხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს მეტეხის ადრეპრინჯაოს ხანის ნასახლარი, სადაც შემორჩენილი იყო 0,05 მ სისქის თხატყვანილი იატაკი. ნაგებობას მოწუნული და თიხით შეღებილი კედლები ჰქონია. იატაკის ცენტრალურ ნაწილში გაიწმინდა თიხის მრგვალი, ძირგახვრეტილი კერა. იატაკსა და კერაზე აღმოჩნდა ხელით ნაძერწი, არათანაბრად გამოძწვარი, სქელკეციანი, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული, სადა, უორნამენტო კერამიკა: დერგები, ქოთნები, ქილა, სამყურა ჭურჭელი და სხვა (ფხაკაძე 1967: 318-326).

აშურიანის ველზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ნამოსახლარი, სადაც ადგილ-ადგილ ხანძრის კვალია შემორჩენილი. იქ გამოვლენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების მიხედვით, ნამოსახლარი ადრეპრინჯაოს ხანით თარიღდება. მისგან აღმოსავლეთით, 300 მ დაშორებით, მდინარისპირა ფლატესთან მდებარეობს ადრე და შუაპრინჯაოს ხანის ნასახლარები, სადაც აღმოჩნდა ოსიდიანი-სა და თიხის ჭურჭლის ნატყეხები (მირცხულავა ... 1980: 71).

აშურიანის ველის ყორღანებიდან ყველაზე უკეთ მეტეხისა და გრაკალის ყორღანული ფეოდეზია შესწავლილი. მეტეხის №1 ყორღანი მდებარეობს სადგურ მეტეხის მახლობლად. სამარხს შემოწყობილი ჰქონდა რიყის ქვების 0,85 მ სიმაღლის ყრილი. ყორღანს აღმოსავლეთით მხრიდან გააჩნდა 4,5 მ სიგრძისა და 0,8 მ სიგანის დაბრილი დროშისი. ყორღანის ცენტრში აღმოჩნდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საზნე და მხრობილი ოთხკუთხა მოყვანილობის სამარხი ორმო (2,8X2,2X1,85 მ). მასში აღმოჩნდა თიხის 24 ჭურჭელი: დერგები, ქილები, ქოთნები, ყურიანი და უყურო ჯამები, სასმისები და სხვა. ჭურჭლის ქვის სარქველი, ბრინჯაოს სატევარი, მასრაგახსნილი შუბისპირი, სარდიონის მძივით შემკული საკინძი, ოქროს ფუჟე და სარდიონის ოვალური მძივები. სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეებში გამოვლინდა მსხვილფეხა საქონლის თავ-ფეხისა და ნეკნების ძვლები, ცენტრალურ ნაწილში კი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები. სამარხში ადამიანის ჩონჩხი არ აღმოჩენილა. ყორღანი თარიღდება ძვ. წ. XVI-XV სს-ით (ბარამიძე 1965: 57).

გრაკალის №1 ყორღანი მდებარეობს სადგურ გრაკალთან, ე. წ. სალოკი ხევის მარცხენა ნაპირზე. ყორღანი ქვამიწაყრილიანია. ყრილის ქვეშ გამოვლინდა ოთხკუთხა მოყვანილობის დასაკრძალავი

ორმო (2,1X1,85X2 მ). სამარხში აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმისა და ზომის თიხის 23 ჭურჭელი: დერგები, ქილები, ქოთნები, ყურიანი ჯამები და სხვ. ისინი გამოძწვარია შავად, რიგ შემთხვევაში ვარდისფერი სარჩულით. ყველა ზედაპირნაპრი-ალებია. ჭურჭელი სადაა. მხოლოდ 3 მათგანია ორნამენტირებული. დასაკრძალავ ორმოში ადამიანის ჩონჩხი არ აღმოჩენილა. ყორღანი თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის დასასრულით (შატბერაშვილი 1966: 13).

სალოკი ხევის მიდამოებში შესწავლილი 3 ქვაყრილიანი გორასამარხის დმ 12 მ აღწევს. სამარხი ორმოები თითო მიცვლებულისათვის იყო განკუთვნილი. მიცვლებულები დაკრძალულნი იყვნენ ოთხკუთხა მოყვანილობის ორმოებში, მონხრილი კედლებით, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთით ან ჩრდილოეთით. სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭელი შავპირადაა. ყელი და მხრები შემკული აქვთ რელიეფური, ჭდეული და სხვ. ორნამენტირებული სახეებით. სამარხები თარიღდება გვიანპრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდით (შატბერაშვილი 1966: 14). აშურიანის ველის არქეოლოგიური მასალა ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1941: 201; ბაგრატიონი 1986: 39; ბარამიძე 1964: 15; 1965: 57; გვასალია 1983: 11; მირცხულავა ... 1980: 69-71. ფხაკაძე 1967: 318-326; ქე 4: 366,9,12; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 521; ქრონიკები 1897: 197; შატბერაშვილი 1966: 13, 14; 1967: 36-38; 1969: 6;

აჩაბაშვილი, სასახლე, ციხე (ქე 4: 371,1,4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქე 4: 371,1,4), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“, მეორე და მესამე ტექსტი (ქე 2: 444,4; 456,19; 507,11), „ძველი ერისთავთა“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106, 116), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 27; ქრონიკები 1967: 45; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 112), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 72, 76), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1989: 58), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 41), ოპან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 101, 279).

ვახუშტი ბაგრატიონი აჩაბეთის შესახებ გადმოგვცემს: „თამარაშენს ზეით ერთვის (მდ. ლიახვს) თირის მონასტრისხევი. ამ ხეგზედ, გორის ძირს, არს აჩაბეთი, სასახლე და ციხე მეფეთა“ (ქე 4: 370,25, 371,1).

მდებარეობს ცხინვალის მუნიციპ-ში, მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფლების, ზემო და ქვემო აჩაბეთის ტერიტორიაზე.

VII ს-ში აჩაბეთის სახელს ატარებდა ხევი, რომელიც მოიცავდა დიდი ლიახვის შუა და ზემო წელს

(გვასალია 1983: 109). „ქართლის ცხოვრებაში“ მოიხსენიება „გზა აჩაბეთისა“, რომელიც ქართლს დვალეთთან (შიდა ქართლის მთიანეთთან) აკავშირებდა (ქც 2: 456,19).

ქართლის მეფე ლუარსაბ I (1525-1556) სპარსელებთან ბრძოლისას აჩაბეთის ციხეს აფარებდა თავს (ქც 2: 507,11). გივი ამილახვარის აჯანყების დროს (1742-1745) ქართლ-კახეთის მეფეების თეიმურაზ II-სა (1744-1762) და ერეკლე II-ს (1744-1798) რამდენჯერმე მოუხდათ აჩაბეთის ციხის აღება. 1759 წ. ლეკებმა იქაურობა ააოხრეს და იქიდან მრავალი ტყვე წაასხეს (ხერხეულიძე 1989: 58). აჩაბეთიდან მომდინარეობს ლიახვის ხეობის ფეოდალთა – მანაბელთა გვარი (გვასალია 1983: 108). აჩაბეთი არქეოლოგიურად შესწავლულია.

1955 წ. შიდა ქართლში ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი) მიერ ჩატარებული დაზვერვების დროს სოფ. აჩაბეთის მახლობლად, „საქორეთის გორაზე“ აიკრიფა ენეოლითური ხანის კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები (მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 187).

აჩაბეთის ციხე მდებარეობს სოფ. ზემო აჩაბეთის ცენტრში, მდ. თირისწყლის მარჯვენა ნაპირზე. ციხე ნაგებია რიყის ქვით დუღაბზე. შედგება კოშკისა და გალავნისაგან. კოშკი პირველი სართულის სიმაღლეზე ოთხკუთხაა (10X10 მ), ზედა ნაწილში კუთხეები მომრგვალებულია. შემორჩენილია მისი ოთხი სართული. კოშკის სამხრეთით თაღებიანი ნაგებობების ნანგრევებია. მცირე გალავნით შემოზღუდული კოშკი ეკუთვნის მშენებლობის პირველ პერიოდს. გალავანი გეგმით ნახევარწრიულია და პატარა ფართობი უკავია. მეორე გალავანი უფრო დიდ ფართობს შემოსაზღვრავს. იგი თითქმის პირველის პარალელურია. მის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ბეღელია. მესამე გალავანი მოიცავს დაახ. 700 კვ მ ფართობს. გეგმით ის არაწესიერი ოთხკუთხეა. გალავნის შიგნით დგას წმ. ესტატეს დარბაზული ტაძრის ეკლესია (6X4 მ). ნაგებია ფლეთილი ქვით. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით (მაკალათია 1971: 28; ზაქარაია 1982: 62).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 41; ბერძენიშვილი 1965; გვასალია 1983: 108, 109; ვერიტიშვილი 1953: 109-131; გიულდენშტედტი 1962: 101, 279; ზაქარაია 1968; 1982: 62; მაკალათია 1971; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 27; მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 187; ობრძედიანი 1981: 72, 76; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 112; ქრონიკები 1967: 45; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106, 116; ქც 2: 444,4; 456,19; 507,11; ქც 4: 371,1,4; ხერხეულიძე 1986: 58.*

აფჟისი (ქც 4: 408,27). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 408,27; ბაგრატიონი 1941: 196), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 368,24), უცნობი ავტორის „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 58, 26), XVI-XVII სს-ის ისტორიული სა-

ბუთები (ქრონიკები 1897: 431; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 28; მასალანი საქ. სტატ. 1907: 85-87, 155), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 47).

ლოკალიზდება ალგეთის ხეობის ზედა წელზე. მდებარეობს ოშეთისა და ზრბითის ხეობებს შუა, გარყულების აღმოსავლეთითა და ზრბითის დასავლეთით (ლორთქიფანიძე 1935: 286).

სვიმონ I-ის (1556-1569, 1578-1600) მიერ დაუთხანის დამარცხების შემდეგ, შაჰ-თამაზმა დიდი ლაშქარი გამოგზავნა ქართლში. სვიმონ მეფე ლაშქრით აწუფის მისულა, მოწინააღმდეგენი ფარცხისთან დაბანაკებულან (ქც 2: 362,23,24). 1569 წ. ფარცხისთან გამართულ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. სვიმონ I ტყვედ ჩავარდა და შაჰ-თამაზს მიჰგვარეს (ქრონიკები 1897: 431). აწუფის წყაროებში აწუფის ფორმითაცაა მოხსენიებული (ქრონიკები 1897: 431).

აწუფის არქეოლოგიურად შესწავლულია.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1941: 196; ბაგრატიონი 1986: 47; ლორთქიფანიძე 1935: 286; მასალანი საქ. სტატ. 1907: 85-87, 155; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 28; ქც 2: 362,23,24; ქც 4: 408,27; ქრონიკები 1897: 431; ცხოვრება ... 1980: 58,26.*

აფჟური, აწვერი (ქც 4: 662,17), (ქც 1: 39,28) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 38,18; 39,28; 41,5; 42,10), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 224,5,6), შატავანე ქართლისა (ქც 1: 300,9,13,15), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 172,15; 241,24; 265,10; 266,2; 271,12; 276,22; 277,13; 278,3,4), ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტი (ქც 2: 343,14,26; 478,24; 479,1,27; 482,9,16,17,23-33; 483,14,26; 500,12,25; 501,1; 519,12; 521,19; 523,18; 524,9,18; 526,18), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 147,3; 201,27; 228,26; 230,15,23,24; 386,26; 451,20,22; 662,17; 708,2,5,6,8,9; 710,3; 715,11; 716,23,25; 717,6,18,21,22; 720,6; 721,19; 722,15; 723,16; 741,7; 813,2; 815,10), XIII-XVIII სს-ის ისტორიული დოკუმენტები (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 212, 496; 1970: 172, 181-186, 240-241, 244, 1974: 111, 486; ქრონიკები 1967: 175, 318, 320, 333, 582, 584; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 19; მცირე ქრონიკები 1968: 27, 33, 37, 39, 47, 53, 65), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 82,84), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 53), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1989: 61), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 219, 315; 1964: 147, 225, 385), ველია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ (ჩელები 1971: 296), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 273), გურჯისტანის ვილაიეთის



აფშურის ციხე

დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 14, 82).

ვახუშტი ბაგრატიონი აფშურის შესახებ გადმოგვცემს: „თიხრევის ხევის ზეით, მტკურის კიდეზედ, სამხრით არს აფშურეი, ქალაქი და ციხე დიდშენი, მოსახლენი არიან... ვაჭარნი, არამედ წარჩინებულნი – მოჰმადიანნი. აქა არს ეკლესია დიდშენი, შუენიერად ქმნული, გუმბათიანი, ყოვლადწმიდის ღვთისმშობლისა. იჯდა მიტროპოლიტი ... გარნა აფშუქში არს, არამედ ციხესა შინა დგანან იენგიჩარნი. აქ არს ხიდი მტკუარსა ზედა“ (ქც 4: 662,17).

მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, ახალციხიდან 22 კმ-ზე, მდ. მტკვრის ორივე ნაპირზე, აბანოს-ღელის შესართავთან, თანამედროვე სოფ. აფშურის ტერიტორიაზე.

პირველად იხსენიება I ს-ში: ანდრია პირველწოდებული „წარმომართა და მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი ... და დაიგანა ადგილსა ერთსა, სადა იგი იყო ტაძარი საკერპო, რომელსა აწ ძველ-ეკლესია ეწოდების“ (ქც 1: 39,28). ტაძარსა საკერპოსა ანდრია პირველწოდებულმა დააბრძანა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი. VIII-IX სს-იდან აფშურში საეპისკოპოსო ტაძარი უკვე არსებობდა. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ იხსენიება აფშურის ეპისკოპოსი, რომელიც გრიგოლ ხანძთელის მოწაფე იყო. ამ პერიოდში აფშურის ციხე, ისევე როგორც მთელი მესხეთ-ჯავახეთი, აშოტ კურაპალატის ვაჟს, გუარამ მამფალს, ხოლო შემდეგ მის ვაჟს ნასრს ეკუთვნოდა. 888 წ., ნასრის მოკვლის შემდეგ, მესხეთ-ჯავახეთი ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა უფროსი შტოს წარმომადგენელთა ხელში გადავიდა.

XI ს-ის შუა ხანებში ბაგრატ IV-ის მეფობის დროს „ქართლის ცხოვრებაში“ იხსენიება „აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხისჯუარისა და აფშურის ციხის პატრონი“, რომელიც კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ბაღვაშია დაატყვევა. აბუსერის დატყვევების შემდეგ, ლიპარიტმა დაიკავა სამცხე-საათაბაგოს ციხესიმაგრეები. 1058 წ., ბაგრატ IV-ის მიერ ლიპარიტის შეპყრობის შემდეგ, მას ჩამოერთვა ეს ციხეები. XIII ს-ის 20-იანი წლების დასასრულს მეფე რუსუდანმა (1223-1245) თავისი ასული თამარი ყიასდინ სულთანს

მიათხოვა და მზითვად აწყური მისცა. XIII ს-იდან სამცხის მთავრები ჯაყელები არიან, ხოლო აფშური მათ ერთ-ერთ რეზიდენციას წარმოადგენდა. მეფე დემეტრე II-მ (1271-1289) აფშური მისცა სარგის ჯაყელსა და ძესა მისსა ბექას. XV ს-ში აფშური რამდენჯერმე დაარბიეს სპარსელებმა: 1477 წ. შაჰმა უზუნ ჰასანმა; 1486 წ. სამცხეში შეიჭრა ირანის შაჰი იაყუბ-ყანი, აფშურის ციხე აიღო, მოსახლეობა ტყვედ წაასხა და აფშურის ღვთისმშობლის ხატი წაიღო. მოგვიანებით, სამცხის ათაბაგმა მანუჩარმა ხატი გამოისყიდა. 1546 წ. იმერეთის მეფემ ბაგრატ III-ემ (1510-1565) ხატი ჯერ ციხისჯვარში გადაიტანა, 1553 წ. – იმერეთში. XVI ს-ის დასასრულს აფშური, ისევე როგორც მთელი სამცხე, თურქების ხელში გადავიდა, ხოლო აფშური სანჯაყის ცენტრად იქცა. აფშურის ციხეში თურქებმა იენგიჩართო რაზმი ჩააყენეს. 1770 წ. ერეკლე II-მ (1762-1798) ახალციხის საფაშოს წინააღმდეგ გაილაშქრა. ერეკლე II და რუსეთის იმპერატორის რწმუნებული ქართლ-კახეთში, გენერალი ტოტლებენი აფშურის ციხეს მიაღწენენ. გადამწყვეტი შეტევის წინ ტოტლებენმა ქართველები მიატოვა და თბილისისკენ დაიძრა. ერეკლე II-მ ციხე ვერ აიღო, მაგრამ იქიდან გამოსული თურქთა რაზმი დაამარცხა, ხოლო შემდეგ, ასპინძასთან – აფშურის ციხის გარნიზონის დასახმარებლად წამოსული თურქები.

აფშურთან, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ნაქალაქარი. შენობები ორგვარია: წრიული და ოთხკუთხა, ნაგებია დაუმუშავებელი ქვის კვადრებით. საცხოვრებელ ნაგებობებში დადასტურდა კერა, ლემელი და საკურთხეველი. ნაქალაქარზე მრავალად მოიპოვება კოლხურ-იბერიული, ბერძნული (იონიური, ატიკური) და აქემენიდური კერამიკა. ნაქალაქარი თარიღდება ძვ. წ. V-ახ. წ. I სს-ით. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გაითხარა სამარხები, რომლებიც თარიღდება ძვ. წ. VII-ახ. წ. I სს-ით. ქვარციან ორმოსამარხებში აღმოჩნდა: ბრინჯაოს სამაჯურები დრაკონის თავით და გველის თავით; ბრინჯაოს საბეჭდავი ბეჭდები ცხენის, თევზის, ფრინველის, მზის გამოსახულებებით; კონუსური, ცილინდრული, ნახევარსფერული ფორმის ზარაკები, სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივები, ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკებები (ლიჩელი 1999: 24-25).

მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მთის ჩრდილოეთ კალთაზე გაითხარა ძლიერ დაზიანებული აკლდამა, რომელიც ადრე შუა საუკუნეებით თარიღდება. აკლდამა წარმოადგენს გვემით კვადრატულ ნაგებობას, რომელიც აგებულია თილი კვადრებით. შემორჩენილი კედლების ზომებია: სიმაღლე – 1,20 მ, სიგანე – 1,30 მ, სიგრძე – 6 მ. აკლდამას ჰქონდა თალისებრი გადახურვა, რომელიც ნაგები იყო რიყის ქვით კირხსნარზე. დასავლეთის კედელში მოწყობილ შესასვლელს უერთდებოდა დიდი ზომის რიყის ქვებით ნაგები დროშოსი. აკლდამაში იატაკი მოსწორებული იყო კირხსნარით. შესასვლელთან დაზიანებული იატაკის გაწმენდი-

სას აღმოჩნდა წითლად შეღებილი ბრტყელი და ღარისებური კრამიტი. სამარში ნაპოვანია 6 თავის ქალა, დაკრძალვის წესი ვერ დადგინდა. აკლამაში გამოვლინდა ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეებით დათარიღებული სამეურნეო თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და მსხვილფეხა საქონლის ძვლები (ლიჩელი 1997: 91-92).

აწყურის ღვთისმშობლის გუმბათიანი ტაძარი დგას სოფელში. დღეს ის დანგრეულია, ჩამოქცეულია გუმბათი და კამარები, კედლების ზემო ნაწილები; შემორჩენილ კედლებს შემოსვლილი აქვს თლილი ქვის პირანტი. ტაძარი თარიღდება X-XI და XIII-XIV სს-ით (ბერიძე 1970).

აწყურის ციხე დგას სოფლის მახლობლად, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. დღეს ციხე დანგრეულია. იგი სამხრეთიდან იცავდა ბორჯომის ხეობას. როგორც ჩანს, მრავალჯერაა შეკეთებული. შეიძლება ითქვას, რომ პირველი ფენა ადრეულ შუა საუკუნეებს ეკუთვნის. იგი დგას კლდეზე, კედლები თითქოს კლდესაა შეზრდილი. შესასვლელი გვირაბიდან პქონდა (ზაქარაია 1973: 63-65).

სოფელი აწყური არის კახეთშიც (ანმეტის მუნიცი.). მოიხსენიება იოანე ბაგრატიონის მიერ შედგენილ „ქართლ-კახეთის აღწერაში“ (ბაგრატიონი 1986: 69).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 69, 82, 84; ბაგრატიონი 1983: 53; ბერიძე 1970; გიულდენ-შტედტი 1962: 219, 315; 1964: 147, 225, 385; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 14, 82; დოკ. საქართველოს სოც. ისტ. 1940: 19; ზაქარაია 1973: 63-65; ლიჩელი 1999: 24-25; ლიჩელი 1997: 91-92; 2000: 108-110; მცირე ქრონიკები 1968: 27, 33, 37, 39, 47, 53, 65; ქც 1: 38,18; 39,28; 41,5; 42,10; 224,5,6; 300,9,13,15; ქც 2: 172,15; 241,24; 265,10; 266,2; 271,12; 276,22; 277,13; 278,3,4; 343,14,26; 478,24; 479,1,27; 482,9,16,17,23-33; 483,14,26; 500,12,25; 501,1; 519,12; 521,19; 523,18; 524,9,18; 526,18; ქც 4: 147,3; 201,27; 228,26; 230,15,23,24; 386,26; 451,20,22; 662,17; 708,2,5,6,8,9; 710,3; 715,11; 716,23,25; 717,6,18,21,22; 720,6; 721,19; 722,15; 723,16; 741,7; 813,2; 815,10; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 212, 496; 1970: 172, 181-186, 240, 241, 244 1974: 111, 486; ქრონიკები 1967: 175, 318, 320, 333, 582, 584; შარდენი 1975: 273; ჩელები 1971: 296; ხერხეულიძე 1989: 61.

აჭ30, ციხე (ქც 4: 791,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 791,23), სვიმონ და ქაიხოსრო გურიელების შეწირულობის წიგნები აჭვის ეკლესიისადმი (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 662, 667), აფხაზეთის კათოლიკოსის – შემოქმედელ ნემსადის მიერ თაყა სალუქვაძისადმი ბოძებული სიგელი (ბაქრაძე 1987: 97), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით1941: 80).

ლოკალიზდება ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპში. მდებარეობს ახლანდელი სოფ. აჭვის

ტერიტორიაზე (სიხარულიძე 1959: 125), მდ. აჭვისწყლის ნაპირზე, ოზურგეთიდან 9, ხოლო ქობულეთიდან 38 კმ-ის დაშორებით.

აჭვი ისტორიულად კარგად ცნობილი სოფლის ორი ნაწილია. ქობულეთის აჭვი ზემოა, ოზურგეთისა – ქვემო. ძველად ისინი ერთიანი იყო. XVIII ს-ში ზემო აჭვი თურქებმა დაიკავეს, ხოლო ქვემო გურიის სამთავროს შემადგენლობაში დარჩა. ოსმალთა ბატონობისაგან აჭვარის განთავისუფლების შემდეგ ზემო და ქვემო აჭვი კვლავ გაერთიანდა (სიხარულიძე 1959: 125). წყაროებში ზოგჯერ აჭვის სახელით იხსენიება (ბაქრაძე 1987: 96, 97).

აჭვი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

აჭვის ციხე (ქც 4: 791,23) არაა ლოკალიზებული. ზოგიერთი მკვლევარი უარყოფს აჭვში ციხის არსებობას (ბაქრაძე 1987: 26). ზოგი იქ პატარა სიმაგრეს ვარაუდობს (მეგრელიძე 1938: 47; სიხარულიძე 1959: 125).

აჭვის ეკლესია მდებარეობს მდ. აჭვისწყლის მარცხენა ნაპირზე. ეკლესია ზაზილიკური ტიპისაა. გარედან შემკულია ჩუქურთმებითა და ჯვრებით. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან. იატაკი ქვისაა. ეკლესიის სამხრეთ ფასადზე, შესასვლელი კარების თავზე ასომთავრული წარწერაა: „წმიდაო გიორგი, მეოხ ექმენ პატრონო: საღირს, რატს და ბნიან (ს?) და მეოხ ექმენ ნიკოლოზ აჭელსა და გალათონათა: მექას და მხეცსა“. წარწერა ეკლესიის თანადროული – XIII-XIV სს-ის უნდა იყოს (ყაუხჩიშვილი 1951: 107, 108). ინტერიერის კედლები დაფარულია ფრესკებით, რომლებზეც ძირითადად XVII-XVIII სს-ის რელიგიური ხასიათის ბერძნული წარწერებია შემორჩენილი (ყაუხჩიშვილი 1951: 110).

ბიბლიოგრაფია: აფხაზავა, კახიძე, კლანდაძე 1980: 28, 29; ბაგრატიონი დავით 1941: 80; ბაქრაძე 1987: 94-97, 242; თაყაიშვილი 1907: 24, 25; მეგრელიძე 1933: 47; სიხარულიძე 1959: 5, 6, 125, 126; ქც 4: 791,23; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 662, 667; ყაუხჩიშვილი 1951: 107-110.

ახალზომი, ქალაქი (ქც 4: 359,11, 412,7, 623,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 359,11, 412,7, 623,5), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 372,24), იკონის XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 23; 1967: 10, 11, 106; წილკნელის სარგოს ... 1925: 25-26; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 85, 267; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 561; 1974: 38, 643; 1981: 554, 779; 1985: 421; ქართულ-სპარსული ... 1955: 237), ფარსადან კორეჯანიდის „ისტორია“ (კორეჯანაძე 1926: 37, 41, 42), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 36), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 44, 70, 216, 227), დე გრაი დე ფუას „რელაციები“ (დე გრაი დე ფუა 1985: 53), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველში“ (გიულდენშტედტი 1962: 107).

ველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 47-53, 95-97, 275; 1964: 29, 143-145, 229).

მდებარეობს ალექსის ქედის დასავლეთ კალთაზე, თანამედროვე რაიონული ცენტრის, ახალგორის ტერიტორიაზე.

ახალგორი XIV ს-ში ქსნის საერისთავოში შედიოდა. 1569 წ. ქართლის მეფე სვიმონ I-მა (1556-1600) ის ქსნის ერისთავს ჩამოართვა. XVII-XVIII სს-ში ახალგორი ქსნის საერისთავოს ცენტრი და მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქია (გვასალია 1967: 49).

1908 წ. ქსნის ხეობაში, სოფ. საძეგურთან შემთხვევით აღმოჩნდა ე. წ. „ახალგორის განძი“ (იხ. საძეგური). ნივთები შეაგროვა და შეიძინა ე. თაყაიშვილმა (თაყაიშვილი 1915: 139-146). 1917 წ. ახალგორის მიდამოებში აღმოჩნდა მდიდრული სამარხი, რომლის ინვენტარიც საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმმა შეიძინა (აფაქიძე ... 1955: 202).

ახალგორის ტერიტორიაზე მიკვლეულია ნეოლითური სადგომი. მასალა ინახება ახალგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (გვასალია 1983: 49). ნ. შზარეულაშვილის კერძო კოლექციაში ინახებოდა ახალგორის მიდამოებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხარის 2 მასიური ქანდაკება (გავგომიძე 1964: 85). ნივთები ამჟამად დაცულია ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ახალგორში შემთხვევით აღმოჩენილი ახ. წ. IV ს-ის მდიდრული სამარხიდან ცნობილია შემდეგი ნივთები: ვერცხლის თასი, ოქროს 2 წყვილი საყურე, თვალედი ბეჭდები, ბრინჯაოს 2 აბზინდა, ორწილადი შშივლდასაკინძი და შაბურ II-ის ოქროს მონეტა (აფაქიძე ... 1955: 202; გავგომიძე 1964: 84). მონეტის ავერსი დაშტამპულია ოქროს მონეტის, ხოლო, რევერსი – ვერცხლის მონეტის შტამპით (ჯვალაღანიანი 1979: 12). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი).

ქსნის ერისთავთა ციხე-დარბაზები დგას მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე, ალექსის ქედის კალთაზე. მათგან კარგად შემონახულია მხოლოდ ერთი ციხე-დარბაზი. ის ქვითა და აგურითაა ნაგები და მართკუთხა ფორმა აქვს (ფართობი 1300 კვ მ). გალავანი გამაგრებულია ორი მართკუთხა, ერთი მრგვალი და ერთი მრავალკუთხა კოშკით. მალალი

ოთხკუთხა კოშკი შედარებით უკეთაა შემონახული. მას ორფერდა სახურავი ჰქონდა. კოშკის კედელში დაყოლებულია სათოფურები. მეორე ოთხკუთხა კოშკის მხოლოდ ქვედა ნაწილია შემონახული. სამსართულიანი მრავალკუთხა კოშკი საცხოვრებელი დანიშნულებისაა. XIX ს-ში სასახლის პირველი სართული გაუფართოებიათ და მეორე სართული დაუშენებიათ. მეორე სასახლე დგას პირველისაგან 100 მ დაშორებით. ის გვეგმაში კვატრატულია. კუთხეებში ჩაყოლებულია კოშკები. სასახლე ორსართულიანი ყოფილა. ის კარით უკავშირდებოდა კუთხის კოშკებს. შემორჩენილია აბანოსა და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ნანგრევები. მესამე, მომცრო სასახლე დგას მდინარის პირას. შემორჩენილია ოთხკუთხა კოშკისა და გალავნის ნარჩენები. კოშკის პირველ სართულზე დატანებულია ჭიშკარი. სართულს კამაროვანი გადახურვა აქვს. სამივე ციხე-დარბაზი XVII-XVIII სს-ით თარიღდება (მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 153-159).

ბიბლიოგრაფია: აფაქიძე ... 1955; ბაგრატიონი 1986: 36; გავგომიძე 1964; 1976: 10; გვასალია 1967: 9-54; გვასალია 1983: 49; გვრიტიშვილი 1955: 159; გიულდენშტედტი 1962: 47-53, 95-97, 275; 1964: 29, 143-145, 229; გორგჯაჯანიძე 1925: 37, 41, 42; დეკრანი დე ფუა 1985: 53; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 85, 267; ზაქარაია 1963: 110; 1969: 94-105; თაყაიშვილი 1915: 139-146; ლორთქიფანიძე 1985: 161; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 153-159; ორბელიანი 1981: 44, 70, 216, 227; სმირნოვი 1934; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 561; 1974: 38, 643; 1981: 554, 779; 1985: 421; ქც 2: 327,17; ქც 4: 359,11, 412,7, 623,5; ქართულ-სპარსული ... 1955: 237; ქრონიკები 1897: 23; 1967: 10, 11, 106; წილკენლის სარგოს ... 1925: 25-26; ჯვალაღანიანი 1979: 12.

ახალდაბა (ქც 4: 329,18). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 329,18), იონე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1886: 30).

მდებარეობს მდ. ვერეს მარჯვენა მხარეს, მთაწმინდის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, დაბა წყნეთის დასავლეთით, 7,5 კმ-ის დაშორებით, დღევანდელი სოფ. ახალდაბის ტერიტორიაზე.

გვიან შუა საუკუნეებში ახალდაბა შედიოდა ციციშვილების სამფლობელოში (გვასალია 1983: 126).

ახალდაბა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 30; გვასალია 1983: 126; ქც 4: 329,18.

ახალდაბა (ქც 4: 754,20,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 754,20,21), XVIII ს-ის ისტორიული საბუთი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 926).

მდებარეობს ტყიბულის მუნიციპ-ში. დღევანდელი სოფ. ახალდაბის ტერიტორიაზე.

ახალდაბა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.



ახალგორის სასახლე

ბიბლიოგრაფია: ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 926; ქვ 4: 754,20,21.

ახალდაბა (ქვ 4: 369,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 369,5), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 41), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 277; 1981: 586, 665, 781, 827; 1985: 131, 168).

მდებარეობს გორის მუნიციპ-ში, მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. ახალდაბის ადგილზე.

XVI ს-ში ახალდაბა ეკუთვნოდა ფაფლენიშვილებს (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 277). XVIII ს-ში ახალდაბას ფლობდნენ თუმანიშვილები (ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 665).

ახალდაბა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ახალდაბიდან ცნობილია რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლი: ადგილ „ვირიტაფაზე“ სახლის მშენებლობის დროს განადგურდა სამარხი, რომელიც სავარაუდოდ თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით. სოფლის ცენტრში, ადგილ „მღვდლის სახლთან“ აღმოჩნდა გვიანი შუა საუკუნეების ნამოსახლარი, სადაც გამოვლინდა წითელკვციანი თიხის ჭურჭლის ნაჭეხები და რიყის ქვით ნაგები საძირკვლის ნაშთები (სძა 1990: 47).

სოფელში დგას X ს-ით დათარიღებული, ღვთისმშობლის დარბაზული ტიპის ეკლესია (9,7X7,2მ). ნაგებია ფლეთილი ქვით. კუთხეები ამოყვანილია თლილი ტუფის ქვით; კამარა, საბჯენი თალი და კონქი – აგურით. ნახევარწრიულ აფსიდაში სარკმელია. საკურთხეველი თაღოვანი შესასვლელიებით უკავშირდება მცირე ზომის სამკვეთლოსა და სადიოკენეს. ეკლესიას შესასვლელი აქვს დასავლეთიდან (სძა 1990: 47).

სოფლის სამხრეთით დგას განვითარებული შუა საუკუნეებით დათარიღებული წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (7,8X4,6მ). ნაგებია ქვიშაქვის კვადრებითა და რიყის ქვით. კუთხეები და არქიტრაჟი ამოყვანილია პორფირით, საბჯენი თაღები, კამარა და ლავგარდანი – აგურით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი სამხრეთიდანაა (სძა 1990: 47, 48).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986:41; სძა 1990:47,48; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 277; 1981: 586, 665, 781, 827; 1985: 131, 168; ქვ 4: 369,5.

ახალდაბა, ციხე (ქვ 4: 359,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 359,14), XV ს-ის პირველი ნახევრის სამთავისის სამწყსოს შესავლის წიგნი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 200), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 91, 97, 240), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 39), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 275).

ვახუშტი ბაგრატიონი ახალდაბის შესახებ გადმოგვცემს: დაბა წირქვალის „სამხრით, ბოლსა და ახალდაბას შუა, არს ახალდაბის ციხე ამილახორისა“ (ქვ 4: 359,14).

მდებარეობს ახალგორის მუნიციპ-ში, მდ. ქსნის მარჯვენა მხარეს ხარულის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ახალგორიდან 3 კმ-ის დაშორებით.

წყაროებში პირველად იხსენიება XVI ს-ში (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 200). XVII ს-ში ახალდაბა საამილახვროში შედიოდა (გვასალია 1983: 94).

ახალდაბა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 39; გვასალია 1983: 94; გიულდენშტედტი 1962: 275; ორბელიანი 1981: 91, 97, 240; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 200; ქვ 4: 359,14.

ახალდაბა, ქალაქი, ციხე (ქვ 4: 380,15,17,18,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4:380,15,17,18,20; 422,24; 724,1,5; 725,8,11), ჟამთააღმწერელი (ქვ 2: 240,20; 241,21), ბერი ევნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქვ 2: 531,4,10), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართულ-სპარსული ... 1955: 81; საშხ. საქ. ისტ. 1962: 55, 56; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 353, 354), ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 279), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 66, 121), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ორბელიანი 1986: 45), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 177, 217, 221).

ვახუშტი ბაგრატიონი ახალდაბის შესახებ გადმოგვცემს: ტაშისკარის „პირისპირ, სამხრითამ, ერთვის მტკუარს სარდანიშვილის ხევი ... ამის დასავლეთი არს ახალდაბა, მცირე ქალაქი, მტკურის იმიერ-ამიერ, მოსახლენი ქართველნი და ურბანი. აქა არს ხიდი მტკიცე. ახალდაბის სამხრით არს ციხე ძალალსა კლდესა ზედა. დიდნაშენი და მაგარი“ (ქვ 4: 380,15-20). მდებარეობს ბორჯომის მუნიციპ-ში, თანამედროვე ახალდაბის ტერიტორიაზე, მდ. მტკურის ორივე ნაპირზე.

1260 წ. მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებული მეფე დავით VII ულუ (1247-1270 წწ.) სამცხეში გადავიდა. ქართველები სარგის ჯაყელი მეთაურობით შეებრძოლნენ მონღოლებს ახალდაბისა და ქვიშხეთის მიდამოებში, მაგრამ დამარცხდნენ. 1526 წ. ქართლის მეფის. დავით X-ის ძემ ლუარსაბმა (შემდგომში ქართლის მეფე ლუარსაბი 1527-1556) პოლიტიკური კავშირი შეკრა იმერეთის მეფე ბაგრატ III-სთან (1510-1565) და გადასცა ქართლის დასავლეთი ნაწილი – ალი, სურამი, ახალდაბა. XVI ს-ში ახალდაბა სამეფო საკუთრებაში შედიოდა და მეფის მიერ დანიშნული მოურავი და მამასახლისი მართავდა. XVIII ს-ში ახალდაბაში იყო საბაჟო. XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე ახალდაბა დარეჯან დედოფალს ეკუთვნოდა (ბერძენიშვილი 1985: 41, 49, 56-58; მესხია 1983: 332, 397, 425).

ახალდაბა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. აქ ღვთისმშობლისა და წმიდა გიორგის დარბაზული ეკლესიაა. ახალდაბასთან, მტკვარზე შეიმჩნევა X ს-ის ხიდის ბურჯები. ხიდის მახლობლად დგას რივის ქვით დულაბზე ნაგები, შუა საუკუნეების მრგვალი კოშკი. შემორჩენილია ოთხი სართული. შესასვლელი აქვს დასავლეთიდან, მეორე სართულზე. მდ. მტკვრისა და ნემურას შესართავთან მთაზე დგას განვითარებული შუა საუკუნეების ციხე, რომელსაც მოსახლეობა „ციხის გვერდს“ უწოდებს. ნაგებია ფლეთილი ქვით. შემორჩენილია მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე. გალავანში შეიმჩნევა სხვადასხვა საცხოვრებელი და სამეურნეო შენობების ნანგრევები (მაკალათია 1957: 53, 54; ბერძენიშვილი 1985: 18-20).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 45; ბერძენიშვილი 1985: 18-20, 41, 49, 56-58; გოულდენშტედტი 1962: 177, 217, 221; მაკალათია 1957: 53, 54; მესხია 1983: 332, 397, 425; ორბელიანი 1981: 66, 121; სამხ. საქ. ისტ. 1962: 55, 56; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 279; 1985: 353, 354; ქართულ-სპარსული ... 1955: 81; ქც 2: 240,20 ; 241,21 ; 531,4,10; ქც 4: 380,15,17,18,20 ; 422,24 ; 724,1,5 ; 725,8,11.*

ახალი-ჯჳარი, ეკლესია (ქც 4: 343,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:343,23), 1785 წ. ისტორიული საბუთი (ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 666).

ვახუშტი ბაგრატიონი ახალი-ჯჳარის ეკლესიის შესახებ გადმოგვცემს: „ბობნეცს ზეით, ჩდილოთ კერძ, არს ციხე კიკანთ-ბერი ... ამ ციხის დასავლით, მთასა შინა, არს ეკლესია წმიდის გიორგისა ახალი-ჯჳარი“ (ქც 4: 343,21-23).

ახალი-ჯჳარის ეკლესიის ლოკალიზება ვერ ხერხდება. სავარაუდოდ, ის მდებარეობდა მდ. ტანასა და წედისის წყალს შორის, ციხესიმაგრე კიკანთ-ბერის დასავლეთით (ბაქრაძე 1875: 32).

ამავე სახელწოდების ეკლესია მდებარეობს აგრეთვე გორის მუნიციპალიტეტში. ახალუბანში. ეკლესია დარბაზულია (7,15X4,75მ). თარიღდება XIX ს-ით (სძა 1990: 48).

ბიბლიოგრაფია: *ბაქრაძე 1875: 32; სძა 1990: 48; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 666; ქც 4: 343,23.*

ახალქალაქი (შიდა ქართლის), ქალაქი (ქც 4: 341,14; 422,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 341,14; 422,9), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 386,10), XIV და XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 30, 31; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 178; 1972: 269, 524; 1974: 196; 1977: 101; 1981: 422, 574; 1985: 198, 211, 217, 236, 272, 422, 504, 513, 532, 673, 674, 875, 880, 931), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30, 39).

ვახუშტი ბაგრატიონი ქართლის ახალქალაქის შესახებ გადმოგვცემს: სხერტის ჭალის „სამხრით არს თეძამზედ ახალქალაქი“ (ქც 4: 341,13,14).

მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, კასპიდან 16 კმ-ის დაშორებით მდ. თემის მარჯვენა ნაპირზე.

1609 წ. ყირიმელმა თათრებმა, რომლებიც სულთან მურადს ბაღდადში სტუმრობისას ახლდნენ, უკან დაბრუნებისას ქართლის გზა აირჩიეს. თათრებმა დაარბიეს ერთაწმინდა და ახალქალაქი. სხერტის ჭალასთან მეფე ლუარსაბ II-ის (1606-1614), გიორგი სააკაძისა და ზაზა ციციშვილის რაზმებმა დაამარცხეს ყირიმელი თათრები (ქც 2: 386,15-20). ახალქალაქს წითელქალაქად ან მეფის ქალაქადაც იხსენიებდნენ. მისი გაქალაქება დაკავშირებულია ქართლის მეფე როსტომის (1632-1658) სახელთან, რაზეც მოგვითხრობს ახალქალაქის ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერა (გვასალია 1983: 162). შემდგომში ქალაქმა თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

1908 წ. ახალქალაქის მახლობლად შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ცულებისა და ზოდებისაგან შემდგარი განძი, რომელიც თიხის დიდ ჭურჭელში ყოფილა მოთავსებული. 2 ცული აღმოჩენის შემდეგ, მალევე დაკარგულა. განძი ექსპედიციის შუამდგომლობით კავკასიის მუზეუმისათვის (თაყაიშვილი 1913ა: 172, 173). ნივთები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). (არქ. მას. კატ. 1955: 61-65). აქვეა დაცული ახალქალაქში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევარი (ბარამიძე 1965: 58); ბრინჯაოს მრგვალგანვიკვეთიანი, მასიური თავშეკრული რგოლი დე ბრინჯაოს ზოდი. ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება ახალქალაქიდან მომდინარე ბრინჯაოს 2 ცალი ე. წ. აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ცული (ბარამიძე 1965: 58). ახალქალაქის შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები თარიღდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით.

ახალქალაქის ცენტრში შემორჩენილია კვადრატული გეგმის ქვითაირით ნაგები ციხე-გალავანი, რომელსაც სათოფურებიანი მრგვალი კოშკები აქვს. სათოფურები აქვს გალავანსაც (მაკალათია 1959: 15).

ღვთისმშობლის დარბაზული ტიპის ეკლესია (17,3X6,55მ) მდებარეობს სოფლის ცენტრში. ნაგებია ფლეთილი ქვითა და აგურით კირხსნარზე. შესასვლელი სამხრეთიდანაა. აფსიდა ნახევარწრიულია. თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ორი მხედრული წარწერაა: „მას ჟამსა ოდეს იჯდა ერან თურანს ბედნიერი ყაენი ხელმწიფე შაჰსეფი ... ქრისტე, სახელითა ღმრთისაითა ჩვენ საქართველოს ხელმწიფის შვილმან მეფეთ მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან პატრონმან მარიამ ხელვეყვით აღშენება თემის პირს ქალაქი და სახელი ვუწოდეთ მეფის ქალაქი და აღუშენეთ საყდარნი და მონასტერნი,

ვერც მისანი ქალაქის ამის მკვიდრობისათვის მეფის ქალაქელთა სომეხთა ჩვენთა სახასოთა ვაჭართა ქქსა ტ (...?) თვეს ივლისსა კად“. ამის ქვეშ მორე წარწერა: „გვაგონა და მოგვასხენა ქალაქთა და საყდრისა ამის აღშენება კარისა ჩვენისა მდივანმა ყორღანაშვილმან მერაბ. ისი ვალვაწეთ აღმშენებლად საყდრისა ამის. ვინც ჰსწირავდეს, მოისხენებლეთ მერაბს ყოველინგან“ (გვასალია 1983: 162). **ბიბლიოგრაფია:** არქ. მას. კატალოგი 1955: 61-65; ბაგრატიონი 1986: 30, 39; ბარამიძე 1965: 58; გვასალია 1983: 126, 133, 134, 162-164; თაყაიშვილი 1913ა: 172, 173. იოსელიანი 1850: 27; მაკალათია 1959: 15; მასალეო სავ. ისტ. გეოგ. 1964: 30, 31; ქც 2: 386,10; ქც 4: 341,14, 422,9; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 178; 1972: 269, 524; 1974: 196; 1977: 101; 1981: 422, 574; 1985: 198, 211, 217, 236, 272, 422, 504, 513, 532, 673, 674, 875, 880, 931.


ახალქალაქი (ჯავახეთის) ქალაქი და ციხე (ქც 1: 298,9; ქც 2: 51,6; ქც 4: 146,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 298,9; 305,2; 306,16-18, 22, 23), „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“ (ქც 2: 51,6), ყამითაღმწერელის თხზულება (ქც 2: 239,10), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 146,14; 149,4,13; 671,10,13; 707,19, 23), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 497,28; 522,20; 523,15), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 82, 84), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 13, 32, 37-39), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 98, 115), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 23, 55, 73, 77, 79), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 89, 115, 213), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1968: 145, 147), მცირე ქრონიკები (მცირე ქრონიკები 1968: 55), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 213-246; 1958: 306-376), თურქული წყაროები XVI ს-ის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის (თურქული წყაროები ... 1983: 32, 68), იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს შესახებ (იბრაჰიმ ფეჩევი 1964: 41), დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ (დე გრაი დე ფუა 1985: 48, 98), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 81; 1964: 147).

ვახუშტი ბაგრატიონი ახალქალაქის შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო ახალქალაქი არს ამ ორთა მდინარეთა (ახალქალაქის წყალი და ჯავახეთის მტკვარი) შესართავს შორის. ესე იყო ქალაქი მოზლუდელი და ციხე ძლიერი, არამედ შემუსრა მრავალჯოის, გარნა აწ აღაშენა კუალად შავშეთის ბეგმან ქართლიდამ“ (ქც 4: 671,10,13).

ლოკალიზდება ჯავახეთის ზეგანზე, ჯავახეთის მტკვარსა და ახალქალაქის წყალს შორის, თანამედროვე ქ. ახალქალაქის ტარიტორიაზე.

ძველი ქალაქის აღმოცენების ზუსტი დრო ცნობილი არაა. სავარაუდოა, რომ აქ არსებული დასახლება ქალაქად გადაიქცა IX-X სს-ში. XI-XIII სს-ში ახალქალაქი ჯავახეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი იყო. ბაგრატ III-ის (980-1014) დროს ქალაქი ჯერ კიდევ „უზლულო“ იყო. „ციხეთა უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულებასა ზედა ბაგრატისასა ... გავიდეს ჯავახეთს და იწყეს ახალქალაქისა ზღუდითა შენებად, რამეთუ მას ჟამსა უზლულო იყო“ (ქც 1: 298,9). ქალაქის შემოზღუდვა დამთავრდა ბაგრატ IV-ის (1027-1072) დროს. XI ს-ის 60-იან წლებში ახალქალაქი ალფ-არსლანმა ააოხრა (ქც 1: 306,16-18). 1191 წ. თამარის (1184-1207) წინააღმდეგ აჯანყებული გიორგი რუსის მომხრე ფეოდალებმა გადაწყვიტეს აეღოთ ახალქალაქი, მაგრამ დამარცხდნენ (ქც 2: 51,6). XIII ს-ში ახალქალაქი მონღოლებმა გადაწვეს. XVI ს-ში ქალაქი სამცხის ერისთავების, ჯავაყელების ხელშია. 1535 წ. ის ბაგრატ III იმერეთის მეფესა (1510-1565) და ათაბაგ ყვარყვარეს შორის ბრძოლის ასპარეზი იყო (ქც 4: 497,28). 1545 წ. ახალქალაქი ოსმალითა სულთნის, შაჰ-თამაზის ჯარმა დაიპყრო. XVI ს-ის ბოლოს ჩილდირის სავაშოს შემადგენლობაშია და სანჯაყის ცენტრია. XVIII ს-ის 70-იან წლებში ერეკლე II-მ (1744-1798) რამდენჯერმე სცადა ქალაქის გათავისუფლება (ბაგრატიონი 1983: 23, 55, 73, 77, 79; ორბელიანი 1981: 89, 115, 213). 1828 წ. რუსეთ-საქართველოს სამხედრო ნაწილებმა გენ. პასკევიჩის მეთაურობით ქალაქი აიღეს. მაჰმადიანი ქართველები აიძულეს თურქეთში გადასველიყვნენ, ახალქალაქში კი სომხები ჩამოსახლეს ერზერუმიდან. 1918 წ. ქალაქი ისევ ოსმალებმა დაიპყრეს. 1921 წ. ახალქალაქში რუსეთის მე-11 წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ.

1960 წ. ახალქალაქის მიდამოებში მიაკვლიეს აშელის ზედა საფეხურის ღია ტიპის სადგომებს - ე. წ. ახალქალაქი I, მდ. ფარავნის მარცხენა ნაპირის 15 მ სიმაღლის ტერასაზე და ახალქალაქი II, მდ. მურჯახეთის წყლის მარჯვენა ნაპირის 10-15 მ სიმაღლის ტერასაზე. მოპოვებულია ბაზალტისა



ჯავახეთის ახალქალაქის ციხედლის გენგემა

და ანდგივის ქვისაგან დამზადებული იარაღები: ხელცულები, საჩეხები, სახოკები, ნუკლეუსები, ანატაკც-ანამტგრევი (გრიგოლია 1965: 513).

1960, 1968-1969 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ლომთათიძე) და 1990 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ე. ჯანდიერი) ძველი ნაქალაქარის ტერიტორიაზე ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები. დადგინდა, რომ შუა საუკუნეების ქალაქის ფენების ქვეშ ყოფილა უფრო ადრეული ნამოსახლარი. კონცხის ჩრდილოეთით არსებობდა სამოსახლო, სადაც შემორჩენილია თლილი ქვით მოპირკეთებული ეკლესიის ნანგრევები, წარწერიანი და ჩუქურთმიანი ქვები. იქ გაითხარა თიხითა და ქვით ნაგები სახლები, პირუტყვის სადგომ-გომურები.

დღემდე შემორჩენილი ძველი ქალაქის მაღალი, სქელკედლიანი ვალავანი, ბურჯებითა და კოშკებით. ვალავანს მთავარი კარიბჭე დატანებული ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთით. იქ გადიოდა ჯავახეთში მიმავალი ყველა გზა (ბერძენიშვილი 1966: 30, 73, 95). ქალაქში მისასვლელად თავფარავნის ხეობის სიღრმეში, ამჟამად არსებული ხიდის ახლოს, ძველი ხიდი ყოფილა (კვეზერელი-კობაძე 1972: 77). ამ ადგილებში ხიდის არსებობის შესახებ აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონიც (ქც 4: 671,10,13). ნაქალაქარის გათხრებისას გამოვლენილია განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები: საცხოვრებელი, სამურნეო, თავდაცვითი, საკულტო ნაგებობები, ქარვასლა, ხელოსანთა უბნის ნაშთები. არქეოლოგიური მასალა მრავალფეროვანია. თიხის ნაწარმი წარმოდგენილია სადა და მოჭიქული ჭურჭლით. მათ შორის გვხვდება სუფრის (ჯამები, ფიალები, დოქები, ხელადები, სამარლები), სამზარეულო (ქოთნები, ქილები, სადურები, კეცები და სხვ.), სამურნეო (დერგები, ქვევრები, ქოცები და სხვ.), სამშენებლო (კრამიტები, შორენკეცები, აგურები, წყალსადენის მილები), აგრეთვე საგანგებო დანიშნულების (გადასატანი ზესადერგები, ჭრაქები, ჩიბუხები) კერამიკა. თიხის ნაწარმის უმეტესობა დაფარულია წითელი და ყავისფერი წერნაქით, რაც ასე დამახასიათებელია ჯავახეთის კერამიკისათვის. ფაიანსის ნაწარმი იშპორტულია. მინის ნაწარმი წარმოდგენილია თხელკედლიანი ფინჯნებისა და სასმისების ფრაგმენტებით, მძივებით, სამაჯურებით. ლითონის ნაწარმიდან გვხვდება: რკინისა (სატევარი, დაშნა) და ბრინჯაოს ნივთები (სამაჯური, ზარაკი). მონეტები ძირითადად სპილენძისაა – ქართული, ბიზანტიური, თურქ-სელჩუკური. მოპოვებული მასალის მიხედვით XI-XIII სს-ში ქალაქი ერთ-ერთი ძლიერი სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი უნდა ყოფილიყო (ჯანდიერი 1969: 56-69).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 98, 115; ბაგრატიონი დავით 1941: 13, 32, 37-39; ბაგრა-

ტიონი თეიმურაზ 1983: 23, 55, 73, 77, 79; ბაგრატიონი იოანე 1986: 82, 84; ბერძენიშვილი 1966: 10, 69, 70, 95, 96, 99-105, 107; ბოჭორიძე 1992: 8, 18, 226, 247, 252, 257; გიულდენშტედტი 1962: 81; 1964: 147; გრიგოლია 1965: 5-9; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 213-246; 1958: 306-376; დადიანი 1968: 145, 147; დე გრაი დე ფუა 1985: 48, 98; თაყაიშვილი 1909: 22-26; თურქული წყაროები ... 1983: 32, 68; იბრაჰიმ ფიჩევი 1964: 41; იოსელიანი 1850: 25, 26; კვეზერელი-კობაძე 1972: 77; მცირე ქრონიკები 1968: 55; ორბელიანი 1981: 89, 115, 213; ცისკარიშვილი 1959: 52; ჯანდიერი 1969: 46-73; 1974: 49-67; 1978: 27-45; ჯღამაია 1961; ქც 1: 298,9; 305,2; 306,16-18,22,23; ქც 2: 51,6; 239,10; 497,28; 522,20; 523,15; ქც 4: 146,14; 149,4, 13; 671,10,13; 707,19,23; ჭილაშვილი 1970: 87-99.

ახალქალაქი (თრიალეთის) (ქც 4: 319,3; 320,8 ; 321,18,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 319,3; 320,8; 321,18,19), 1546 წ. ახალქალაქის გამოსაღების წიგნი (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 6), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 313), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 48). ლოკალიზდება წალკის მუნიციპ., წალკიდან 2,5 კმ-ის დაშორებით, მდ. ხრამის კალაპოტის კლდევან ნაპირზე, ჭოჭიანის პლატოზე, თანამედროვე სოფ. დაშაშის ტერიტორიაზე.

ვახუშტი ბაგრატიონი თრიალეთის ახალქალაქის შესახებ გადმოგვცემს: „ეძანს ქუეით და ახალქალაქს ზეით გადმოღის ქცია მაღალი კლდიდამ“ (ქც 4: 319,3). „ახალქალაქს ქუეით ერთვის ქციას ხევი აბანოსი ჩდილოდამ“ (ქც 4: 320,8).

თრიალეთის ახალქალაქი X ს-ში აშენდა ბაღვაშების მიერ და შედიოდა კლდეკარის საერისთავოში (ბერძენიშვილი 1979: 57). შემდეგ სამეფო დომენად იქცა (ბერძენიშვილი 1979: 130). XV-XVI სს-ში ახალქალაქი მცირე ქალაქად მოიხსენიება (გვასალია 1983: 133). XVIII ს-ში ვახუშტი ბაგრატიონს, როგორც მხარის მმართველს, ადგილ-სამყოფელი თრიალეთის ახალქალაქში ჰქონდა (რჩეულიშვილი 1972: 69).

ლ. მელიქიეთ-ბეგმა XX ს-ის 30-იან წლებში აქ ცეკლოპური ნაგებობის ნაშთებს მიაკვლია (მელიქიეთ-ბეგი 1938: 54). 1936 და 1939 წწ. თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ბ. კუფტინი) აქ შეისწავლა ანტიკური ხანის 3 სამარხი (კუფტინი 1941: 24). მოგვიანებით სამარხების სრული პუბლიკაცია განახორციელა ი. გაგოშიძემ (გაგოშიძე 1982: 57-59). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

სამაროვანი მდებარეობს სოფლის ჩრდილო ნაწილში. სამივე სამარხი წარმოადგენდა მოკლე ქვაყუთებს. მიცვალებულები დაკრძალულები იყვნენ გვერდზე, მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, თავით

სამხრეთ-დასავლეთისკენ. სამარხეული ინვენტარი შედგება ღოქების, ჯამების, რკინის სამაჯურების, დანებისა და შუბისპირისაგან. ბ. კუფტინი სამარხებს რომაული ან პართიული ხანით ათარიღებდა (კუფტინი 1941: 24). ძველი ძვ. წ. V-IV სს-ით გადაათარიდა ი. გაგოშიძემ (გაგოშიძე 1982: 57-59).

თრიალეთის ახალქალაქში ორი ეკლესიაა. სოფელში, მდ. ხრამის ღრმა ხეობის ნაპირზე დგას წმიდა გიორგის გუმბათიანი ეკლესია. გეგმით ის თავისუფალი ფერის ტიპს წარმოადგენს. ტაძრის კედლების შიგა პირი უსწორმასწორო ქვითაა ნაგები, თლილი ქვითაა გამოყვანილი მთავარი მზიდავი კონსტრუქციები. გარედან შენობა თლილი ქვის პერანგითაა შემოსილი. საკურთხეველში შემორჩენილია ფრესკის უმნიშვნელო ფრაგმენტი. ფასადის სამხრეთ მონაკვეთში, მთავარი შესასვლელის არქიტრაფზე ამოჭრილია ქტიტორის წარწერა: „მადლითა ღმრთისათა ქრისტე ადიღე რატ ერისთავთ ერისთავი“. აღმოსავლეთ ფასადზე გაჭრილი სარკმლის ჩარჩო მოჩუქურთმებულია და აქაც წარწერაა: „ქრისტე ადიღე რატ ერისთავთ ერისთავი“. აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილია მელქისედეკ კათოლიკოსის პილიგრიმული წარწერა: „ქრისტე შეიწყალე მელქისედეკ და შვილინი“ (ქართ. წარწ. კორ. 1980: 245). თარიღდება X ს-ის მეორე ნახევრით (რჩეულიშვილი 1971: 111-126).

მეორე ეკლესია, მარიამ ღვთისმშობლის სახელზეა აგებული. უგუმბათოა. XIX ს-ში გადაუკეთებიათ და წარწერებიც დაუზიანებიათ. ექ. თაყაიშვილმა ეკლესიის მახლობლად დაგდებულ ქვაზე მოახერხა ამოეკითხა: „სახელითა ღმრთისათა ... ჩვენ ახალქალაქელთა ...“ (თაყაიშვილი 1913). ამავე ეკლესიაზე ფრაგმენტების სახით იკითხება რატ ერისთავთ ერისთავის სახელი (რჩეულიშვილი 1972: 73; ქართ. წარწ. კორ. 1980: 246, 247).

ბიბლიოგრაფია: ავრასიძე 1983: 32-34; ბაგრატიონი 1986: 48; ბაქრაძე 1959: 55-77; ბერძენიშვილი 1979: 57, 130; გაგოშიძე 1982: 57-59; ვვასალია 1983: 133; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 6; თაყაიშვილი 1913: კუფტინი 1941: 24; მელიქიეთ-ბეგი 1938: 54; რჩეულიშვილი 1971: 11-126; 1972: 69-77; ქც 4: 319,3; 320,8; 321,18,19; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 246, 247; ქართ. წარწ. კორ. 1980: 246-247.

ახალციხე, ქალაქი, ციხე (ქც 2: 343,12; 402,24; 472,2; 475,30; 482,9; 486,19; 520,9, 521,7, 10; 529,3; 531,1, 18; ქც 4: 35,23; 282,14; 455,22,26; 457,14; 466,22; 472,3; 498,26; 507,9; 508,29; 517,17; 520,22; 604,20; 589,13,16; 663,18; 664,4; 665,24; 683,21; 707,25; 723,23; 732,4; 733,3, 9, 15, 20; 734,16; 735,3, 18; 736,6, 10; 738,10; 739,10; 813,23; 833,9; 834,20; 835,13; 837,4; 839,3; 842,18,24; 843,8; 846,20; 848,2; 849,3, 5, 17; 852,18, 20, 21, 22; 853,5, 20; 855,4, 11; 871,11, 16; 874,15; 876,12, 23; 878,1, 3; 879,15; 880,22; 881,4; 882,3, 21; 892,6, 19).

იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ბერი

ევნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 343,12, 402,24, 472,2, 475,30, 482,9, 486,19, 520,9, 521,7, 10, 529,3, 531,1, 18), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 35,23; 282,14; 455,22,26 ; 457,14; 466,22; 472,3; 498,26; 507,9; 508,29; 517,17; 520,22; 604,20; 589,13,16; 663,18; 664,4; 665,24; 683,21; 707,25 ; 723,23 ; 732,4; 733,3, 9, 15, 20; 734,16; 735,3, 18; 736,6, 10; 738,10; 739,10; 813,23; 833,9; 834,20; 835,13; 837,4; 839,3; 842,18,24; 843,8; 846,20; 848,2; 849,3, 5, 17; 852,18, 20, 21, 22; 853,5, 20; 855,4, 11; 871,11, 16; 874,15; 876,12, 23; 878,1, 3; 879,15; 880,22; 881,4; 882,3, 21; 892,6, 19), XII-XVIII სს-ის ისტორიული დოკუმენტები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 33, 34; საქ. სიძ. 1909: 526; 1910: 44, 48, 65, 92, 94, 95, 96, 98, 99, 299, 323, 372, 376, 454, 550; ქრონიკები 1897: 53, 133, 221, 223, 227, 246, 256, 304, 307, 385, 423, 426, 442, 453, 479, 494, 496, 504, 511, 512, 514; მცირე ქრონიკები 1968: 27, 37, 45, 47, 53, 59, 60, 65, 75; ქართ. ეპისტ. 1989: 86, 145; სამხ. სახ. ისტ. 1961: 19, 36, 40, 43, 46, 47, 55, 102, 109; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 40, 157, 168, 322; 1953: 54, 90, 145, 163; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 117, 462, 630), XVII-XIX სს-ის ისტორიის ქრონიკები (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 24, 28, 43, 61, 82, 83, 109, 112, 113, 125, 127, 131, 132, 137, 138, 143, 147, 161, 172, 175, 178, 185, 186, 200, 211, 212, 223, 227, 229, 230, 232, 235, 240-246, 248-252, 254, 256, 259, 262, 265-267, 269-270, 273-278, 280-282, 286-290, 292, 295-296, 306, 310, 311, 313, 314, 317, 319, 320, 322, 324-326, 329, 331-333, 335, 336, 341, 347, 355, 358; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 425, 455,496; 1974: 447, 449; 1977: 63; 1981: 267, 293, 305, 346, 413, 571, 698, 731; 1985: 105, 204), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 38, 39, 49, 56-58, 110, 115, 117, 121, 144, 145), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 6, 32), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 47, 50, 51, 56, 71, 75, 77, 80, 84, 86, 89, 92, 96, 99, 100, 107, 109, 114, 115, 118, 154, 197, 211, 220, 235, 238-240, 246), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 51, 53-55, 58, 61, 63, 75, 78, 79), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 33, 34, 82, 84), XIV-XV სს-ის სომხური ხელნაწერები (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 25, 34, 42, 43, 54, 63, 70, 81, 99-101, 120, 121, 138, 139, 141, 150, 154, 164, 165), „ჩილდირის ვილაიის მოკლე დავთარი“ (ჩილდირის ... 2008: 39, 41), „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 37, 42, 43-50, 55, 56, 57, 58, 60, 61, 63, 65, 67, 74, 89, 97, 99, 105, 118, 122, 124, 134, 135, 137, 177, 184, 185, 191, 196, 198, 203, 215, 217, 221, 222, 224, 225, 230, 234, 235, 243, 262, 279, 283, 300, 303, 306, 371, 372, 385, 394, 395, 398, 413, 459, 461, 466, 504, 531), XVI ს-ის თურქული წყაროები (თურქული წყაროები ... 1983: 19, 30, 32, 55, 56, 66-68), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა

ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 9, 13, 21, 35, 45, 51-53, 55-57, 65, 83, 113, 204, 240, 245, 247, 250, 261, 263, 272, 273, 278, 283, 284, 292, 293, 315, 316, 365, 389, 390, 392), დე გრაი დე ფუას ოხზულება (დე გრაი დე ფუა 1985: 10, 13, 25, 52, 54-56, 59, 79, 80, 90, 91, 93, 97-99), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 65, 111, 149, 163, 165, 173, 215, 219, 259, 315). ვახუშტი პაგრატიონი ახალციხის შესახებ გადმოგვცემს: „ახალციხის წყალს ... მოერთვის ოლდამის ხევი ... ამ ხევის ხეით, ახალციხეს ერთვის ურებთან ბორჯომის ხევი ... აქა არს ახალციხე ქალაქი, ფერსათის მთის კერძოდ ჩამოსულს კლდესა ზედა“ (ქვ 4: 663,18).

მდებარეობს მდ. მტკვრისა და ფოცხოვის (ახალციხის წყლის) შესართავთან, თანამედროვე ქ. ახალციხის ადგილას. მდ. ფოცხოვი ქალაქს შუაზე ყოფს. ახალციხე მდებარეობს გზაჯვარედინზე ქართლს, ჯავახეთსა და აჭარა-იმერეთს შორის. აქ თავს იყრდა ოთხი გზა: ბორჯომ-აწყურ-ახალციხის, ახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის, ახალციხე-აბასთუმან-ქუთაისისა და ახალციხე-ადიგენ-ბათუმის (ბერძენიშვილი 1966: 91, 92).

წერილობით წყაროებში ახალციხე პირველად იხსენიება XII ს-ში სამცხე-საათაბაგოს სამწყსოსთან დაკავშირებით (ქრონიკები 1897: 53). XIII-XVII სს-ში ციხე-ქალაქი სამცხის ათაბაგ ჯაყელების საგვარეულოს ეკუთვნოდა. XIII ს-ში მონღოლებმა აქ ზარაფხანა დააარსეს (მესხია 1983: 113); XV ს-ში სამცხე-საათაბაგო საქართველოს გამოეყო და ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა. 1578 წ. ახალციხე ოსმალებმა დაიპყრეს. 1628 წ. ის საფაშოს ცენტრი გახდა. XVIII ს-ში ახალციხე ქრისტიან ტყვეთა ვაჭრობის ცენტრი ხდება. 1829 წ. რუსეთ-ოსმალეთის ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით რუსეთის იმპერიაში შევიდა.

1953-1957 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის, ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალისა და პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ერთობლივმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ტ. ჩუბინიშვილი) არქეოლოგიური დაზვერვები და მცირე გათხრები ჩაატარა მესხეთ-ჯავახეთში. დაზვერვების შედეგად 1955 წ. აღმოჩნდა არქეოლოგიური ძეგლი ახალციხის „ამირანის გორა“. 1958-1965 წწ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიის ინსტიტუტი საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სამმართველოსთან ერთად სისტემატურ არქეოლოგიურ გათხრებს (ხელმძღ. ტ. ჩუბინიშვილი) აწარმოებდა ახალციხესა და მის მიდამოებში (ჩუბინიშვილი 1963: 5-7).

ახალციხის „ამირანის გორა“ მდებარეობს მდ. ფოცხოვის მარცხენა ნაპირას, ახალციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2,5 კმ-ზე. გათხრები მიმდინარეობდა სამ უბანზე, „ამირანის გორის“ სერზე და მის სამხრეთ კალთაზე. გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, სამაროვანი და სამსხვერპლო. ნასახლარზე ივარაუდება 100-ზე მეტი შე-



ახალციხე

ნობა, რომელთა ცენტრში ქვით შემოსილული მთიანი იყო. შენობები რიგისა და კლდის ქვით თიხის ხსნარზე ნაგები თითო სწორკუთხა ოთახისგან შედგებოდა. შენობები ჩაჭრილ გრუნტს ეყრდნობოდა და სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო მიმართული. ოთახის ცენტრში კერა იყო გამართული. ზოგ ოთახში ღუმელი, ზოგში კი ტახტისებური შემადლება ან ნიში გაითხარა. შენობების ბანური გადახურვა 3-4 მეტრიან ხის ძეგლებს უნდა დაყრდნობოდა. ამირანის გორაზე აღმოჩნდა აგრეთვე აკლდამის, ქვაყუთის და ორმოსამარხის ტიპის, ინჰუმაციური, უმეტესად, ინდივიდუალური სამარხები. მიცვალებულები კიდურებმოხრილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე იყო დაკრძალული. „ამირანის გორის“ ნასახლარის თანადროულია თხემზე გამოვლენილი ტერასულად ნაგები ქვის სწორკუთხა რამდენიმე შენობა, რომლებიც საკულტო-სარიტუალო დანიშნულების უნდა ყოფილიყო, რაზეც მეტყველებს იქ დადასტურებული ნაცროვანი ფენა, ცხოველთა დამწვარი ძვლები და საგანგებოდ შემკული ჭურჭელი. „ამირანის გორის“ კომპლექსებში აღმოჩნდა: კერამიკა (სამი ტიპის კერა, ზესადგრები, ხელით ნაქმარი შავბრიალა, პირფართო, უყურო ქილები და კოჭობები, მრგვალ-მუცლიანი ორყურა ქილები, ღრმა ჯამები, სამფენა ჭურჭელი, სარქველები და სხვ. ჭურჭლის უმეტესობა სადაა, შემკულობის გარეშე. მხოლოდ ზოგიერთს რელიეფური, ჩაღრმავებული ან ნაკაწრი ზოლები ამკობს), რომელიც „მტკვარ-არაქსული“ კულტურის წრეს მიეკუთვნება; ლითონის ნაკეთობა (19 სპილენძის, 3 ვერცხლის და 1 ტყვიის; სპილენძის: სატყვერისპირები, მახათი-ნემსი, სადგისი, ნამგალი, ერთნახევრიანი ხვია და სხვ. ვერცხლის ზამბარისებური ხვია; ტყვიის მრავალხევიანი საკიდი), რომლებიც ტიპობრივად უკავშირდება როგორც წინა აზიაში ვავრცელებულ ნაკეთობებს, ისე „მტკვარ-არაქსის“ კულტურისთვის დამახასიათებელ ნივთებს; სამკაული (მინისებური პასტის, თეთრი პასტის, სარდიონისა და აქატის მძივები). ამირანის გორის ძეგლის თარიღი ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევარია (ჩუბინიშვილი 1963: 1971; საქ. არქ. 1992: 191-193; ორჯონიკიძე 1983: 11-21).

ახალციხესა და მის შემოგარენში ნაპოვნია XI-XIII სს-ის მონეტების განძები, რომლებშიც აღმოჩნდა: ბიზანტიური, ორთუკიდების, ტრაპეუნტის ას-

პრების მინაბაძეები, ჰალაბის ათაბაგების მონეტები (ლომოური 1938: 311).

ახალციხე სამ ნაწილად იყოფოდა: ქალაქის, ციხესიმაგრისა და შიდაციხისაგან. ამასთანავე ჰქონდა უბანი, სადაც ქალაქის შედგენილი ფენა ცხოვრობდა და გარეუბანი, ანუ რაბათი, სადაც ვაჭარხელოსნები და ღარიბები იყვნენ დასახლებულნი. ახალციხეს გარს შემოყვებოდა ვალაფანი, შესასვლელი კართითა და საყარაულო კოშკებით (კოჟორიძე 1969: 59-62).

ახალციხეში 24 ეკლესია იყო. აქედან 4 თვით ციხეში მდებარეობდა. 1298 წლიდანაა ცნობილი კათოლიკების „პატრიარქის“ ეკლესია. XV ს-ით თარიღდება წმ. ჯვრის ეკლესია („კოკოლა“), რომელიც სამცხის ადიღბულს კოკოლა შლიკაშვილს აუგია. წმინდა როზალის, წმ. იოანე ნათლისმცემლის, წმინდა მარინესა და სხვ. ეკლესიები ციხის ზედა და ქვედა კარბთან არის განლაგებული (კოჟორიძე 1969: 61, 62). ჯვრის ქართული, კათოლიკური ეკლესია (22,5X11,5 მ) გადაკეთებული შენობაა. ნაგებია თლილი ქვებით. ადრე ეკლესია გუმბათიანი იყო (10,25X9,25 მ). ძველ ეკლესიას სარკმელი ყველა მხრიდან ჰქონდა. ნაწილობრივ მოჩანს წარწერიანი და ჩუქურთმიანი ქვები. ჩრდილოეთითა და სამხრეთით მაღლა საქარეზე არის ორი ქანდაკება ცხვრის თავის გამოსახულებით. სამხრეთის კედლის სარკმლის თავზე არის ორი ქვა ჯვრის გამოსახულებით (ბოჭორიძე 1992: 165-167).

ბიბლიოგრაფია: ბავრატიონი თეიმურაზ 1983: 51, 53-55, 58, 61, 63, 75, 78, 79; ბავრატიონი იოანე 1986: 33, 34, 82, 84; ბერძენიშვილი 1966: 84, 91, 92, 97; ბოჭორიძე 1992: 165-167; გიულდენშტედტი 1962: 65, 111, 149, 163, 165, 173, 215, 219, 259, 315; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 37, 42, 43-50, 55, 56, 57, 58, 60, 61, 63, 65, 67, 74, 89, 97, 99, 105, 118, 122, 124, 134, 135, 137, 177, 184, 185, 191, 196, 198, 203, 215, 217, 221, 222, 224, 225, 230, 234, 235, 243, 262, 279, 283, 300, 303, 306, 371, 372, 385, 394, 395, 398, 413, 459, 461, 466, 504, 531; დე გრაი დე ფუა 1985: 10, 13, 25, 52, 54-56, 59, 79, 80, 90, 91, 93, 97-99; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 40, 157, 168, 322; 1953: 54, 90, 145, 163; თურქული წყაროები ... 1983: 19, 30, 32, 55, 56, 66-68; კოჟორიძე 1969; ლომოური 1938: 311; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 33, 34; მესხია 1983: 113; მცირე ქრონიკები 1968: 27, 37, 45, 47, 53, 59, 60, 65, 75; ორბელიანი 1981: 47, 50, 51, 56, 71, 75, 77, 80, 84, 86, 89, 92, 96, 99, 100, 107, 109, 114, 115, 118, 154, 197, 211, 220, 235, 238-240, 246; ორჯონიკიძე 1983: 11-21; სამხ. სახ. ისტ. 1961: 19, 36, 40, 43, 46, 47, 55, 102, 109; საქ. არქ. 1992: 191-193; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 24, 28, 43, 61, 82, 83, 109, 112, 113, 125, 127, 131, 132, 137, 138, 143, 147, 161, 172, 175, 178, 185, 186, 200, 211, 212, 223, 227, 229, 230, 232, 235, 240-246, 248-252, 254, 256, 259, 262, 265-267, 269-270, 273-278, 280-282, 286-290, 292, 295-296, 306, 310, 311, 313, 314, 317, 319, 320, 322, 324-326, 329, 331-333, 335, 336, 341, 347, 355, 358;

საქ. სოც. 1909:526; 1910: 44, 48, 65, 92, 94, 95, 96, 98, 99, 299, 323, 372, 376, 454, 550; სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 25, 34, 42, 43, 54, 63, 70, 81, 99-101, 120, 121, 138, 139, 141, 150, 154, 164, 165; ქც 2: 343,12; 402,24; 472,2; 475,30; 482,9; 486,19; 520,9; 521,7,10; 529,3; 531,1,18; ქც 4: 35,23; 282,14; 455,22,26; 457,14; 466,22; 472,3; 498,26; 507,9; 508,29; 517,17; 520,22; 604,20; 589,13,16; 663,18; 664,4; 665,24; 683,21; 707,25; 723,23; 732,4; 733,3,9,15,20; 734,16; 735,3,18; 736,6,10; 738,10; 739,10; 813,23; 833,9; 834,20; 835,13; 837,4; 839,3; 842,18,24; 843,8; 846,20; 848,2; 849,3,5,17; 852,18,20,21,22; 853,5,20; 855,4,11; 871,11,16; 874,15; 876,12,23; 878,1,3; 879,15; 880,22; 881,4; 882,3,21; 892,6,19; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 425, 455,496; 1972: 117, 462, 630;1974: 447, 449; 1977: 63; 1981: 267, 293, 305, 346, 413, 571, 698, 731; 1985: 105, 204; ქართ. ეპისტ. 1989: 86, 145; ქრონიკები 1897: 53, 133, 221, 223, 227, 246, 256, 304, 307, 385, 423, 426, 442, 453, 479, 494, 496, 504, 511, 512, 514; შარდნი 1975: 9, 13, 21, 35, 45, 51-53, 55-57, 65, 83, 113, 204, 240, 245, 247, 250, 261, 263, 272, 273, 278, 283, 284, 292, 293, 315, 316, 365, 389, 390, 392; ცხოვრება ... 1980: 38, 39, 49, 56-58, 110, 115, 117, 121, 144, 145; ჩილდორის ... 2008: 39, 41; ჩუბინიშვილი 1963; 1971; ჩხეიძე 1913: 6, 32.

ახატაბი (ქც 1: 295,16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 295,16), ვახუშტი ბავრატიონის მიერ შედგენილი სოფლების სია (ბავრატიონი 1941: 206), XI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 185; 1897: 33, 206; საქ. სოც. 1910: 17; ქართ. დოკ. 1982: 19, 159; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1985: 111; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 34; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 200; 1970: 22, 190, 392; 1985: 289, 290, 811; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 51, 52), იოანე ბავრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბავრატიონი 1986: 64). მდებარეობს ღუშეთის მუნიციპ., მდ. ახატანის წყლის (მდ. არაგვის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ახატანის ტერიტორიაზე (მუსხელიშვილი 1967: 118; გვასალია, თოდორია 1971: 35). წყაროებში პირველად მოხსენიებულია მეღვი-სედექ კათოლიკოსის XI ს-ის საბუთით (ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: 26). ახატანი იყო სვეტიცხოვლის საკუთრება და იქ ყმა-მამულები ჰქონიათ საამილახვროს თავადებს (საქ. სოც. 1910: 17). XVIII ს-ის აღწერის დავითებში ჩამოთვლილ სოფელთა შორის ახატანიცაა მოხსენიებული (საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 51, 52). იოანე ბავრატიონი ქართლ-კახეთის აღწერისას ახატანს კახეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე სოფლებს შორის მოიხსენიებდა (ბავრატიონი 1986: 64). აქ გადიოდა საგურამოდან თიანეთისაკენ მიმავალი გზა ბიწმენდი – ახატანი – ნოდკორნა – თოლიჯი – საყარაულოს მიმართულებით (ბერძენიშვილი 1964: 179).

ახატანის ცენტრალურ ნაწილში, მიწის საშუალო-

ბის დროს ჩნდებოდა სამარხები. 1970 წ. ამ აღმოჩენების ადგილზე მცირე არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ერწოთიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. რამიშვილი).

ორმოსამარხებში, რომლებიც ჩნდებოდა 0,4-0,5 მ სიღრმეზე, მიცვალებულები ესვენა მოხრილი კიდურებით, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთით. სამარხები ინდივიდუალურია. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია მოწითალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლით; რკინის გემიანი ბეჭდებით; რკინის რგოლებით; სხვადასხვა ფერისა და მოყვანილობის მიწვებით; გოტარზეს ვერცხლის მონეტით. სამაროვანი თარიღდება III-IV სს-ით (რამიშვილი 1971: 385). მასალა ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ღუშეთის ბაზაში.

სოფ. ახატანის ჩრდილოეთით 1 კმ-ის დაშორებით, ტყეში, ღვას იოანე ნათლისმცემლის VIII-IX სს-ის ორი დარბაზული ტიპის ეკლესია. ჩრდილოეთით მდებარე ეკლესია (12,5X16,14მ) ნაგებია ქვიშაქვითა და აგურით. სამხრეთითა და ჩრდილოეთით აქვს კარი. აფსიდა ნახევარწრიულია. ეკლესია დაზიანებულია. სამხრეთით მდებარე ეკლესია (8,6X6,7მ) ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით. კარი ჩრდილოეთითაა. აფსიდა ნახევარწრიულია. ეკლესია ძლიერ დაზიანებულია.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1941: 206; ბაგრატიონი 1986: 64; ბერძენიშვილი 1964: 179; გვასალია, თოდრა 1971: 23-40; გვასალია 1975: 47-49; 1983: 89; კოტინოვი 1980: 354; მასალები საქ. ისტ. ვეფ. 1964: 34; მუსხელიშვილი 1967: 55-130; რამიშვილი 1971: 384, 385; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 51, 52; საქ. ისტ. რუკა 1923; საქ. სიძ. 1910: 17; ქც 1: 295, 16; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26, 111; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 200; 1970: 22, 190, 392; 1985: 289, 90, 811; ქართ. დოკ. 1982: 19, 159; ქრონიკები 1892: 185; 1897: 33, 206.*

ანონა, ციხე, დაბა (ქც 1: 178,4,5), ეკლესია (ქც 1: 198,15), მონასტერი (ქც 4: 682,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 682,3), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 178,4,5, 198,5), ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ვილაიეთის ... 1970: 104).

ვახუშტი ბაგრატიონი ანიზას შესახებ გადმოგვცემს: „არტანუჯს აღაშენა გორგასალან მონასტერი იმერისა, შინდობისა და ანიზისა, ფრიად შუენიერი“ (ქც 4: 682,3,4).

ლოკალიზდება მდ. ჭოროხის ხეობაში. მდებარეობს არტანუჯთან, მდ. არტანუჯის წყლის მარცხენა ნაპირზე. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

ვახტანგ გორგასალის ბრძანებით ანიზას ციხე გაუნაახლებია და იქ ეკლესია აუშენებია კლარჯეთის

ერისთავ არტავაზს (ქც 1: 178,4,5). ვახტანგ გორგასალს სხვა საეპისკოპოსოებთან ერთად შეუქმნია კლარჯეთის საეპისკოპოსოც, ცენტრით ანიზაში (ქც 1: 198,15). სოფ. ანიზა XVIII ს-ის დასაწყისში შედიოდა თურქული სამმართველო ერთეულის – არტანუჯის ლევაში და მას ვინმე სულიმან ომერის ძე ვანაგებად (ჩილდირის ვილაიეთის ... 1970: 104). ანიზა არქეოლოგიურად შესწავლულია.

ბიბლიოგრაფია: *ქც 1: 178,4,5, 198,15; ქც 4: 682,3; ჩილდირის ვილაიეთის ... 1970: 104; ჯავახიშვილი 1979: 339.*

ახმეტა (ქც 4: 549,8,10). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 549,8,10), იოანე ბაგრატიონის „სჯულდება“ (ბაგრატიონი 1957: 5,17, 52,12), მისივე „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 69), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 52), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 44, 57, 517), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 140), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 361; მასალები საქ. ისტ. ვეფ. 1964: 34; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 335, 367, 368; 1972: 332, 338; 1974: 369-371, 622; 1977: 103, 489, 493; 1981: 41, 183, 194, 206, 316, 373, 378, 534, 614; 1985: 315, 411, 447, 466, 736), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 37, 43, 45, 207, 227; 1964: 143).

ლოკალიზდება მდ. ილტოს ქვემო დინებასა და მდ. ორვილს შორის, გაშლილ ვაკეზე, პანკისის ხეობის შესასვლელთან. მდებარეობს დღევანდელი ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ახმეტა არქეოლოგიურად შესწავლულია. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფელში 1949 წ. შემთხვევით აღმოჩნდა ქალის მდიდრული სამარხი. სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია ოქროს ბალთა კამეით (ლომთათიძე 1977: ტაბ. XXXII,1). 1964 წ. ახმეტის „ჯვრების მოვებთან“, მარმარილოს კარიერზე, რომელიც მდებარეობს მდ. ილტოს მარცხენა ნაპირზე, ახმეტიდან თიანეთისაკენ მიმავალი გზის მე-4 კმ-ზე, ავეთქების დროს შემთხვევით აღმოჩნდა კერამიკისა და ძვლების ფრაგმენტები. ამ მონადირის შესწავლის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები: ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის „ილტოს“ ნამოსახლარი და სამაროვანი, გვიან ბრინჯაოსა და გვიანანტიკური ხანის სამარხები, შუა საუკუნეების ნასახლარი და სამაროვანი.

„ილტოს“ ნამოსახლარი და სამაროვანი გაითხარა 1965-1967 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარი განლაგებულია ტერასულად. I-II ტერასაზე გაიწმინდა ნაგებობათა ნაშთები (III ტერასა დაწარმული იყო

ავეთქების შედეგად). შენობები გვემით ოთხკუთხაა. თიხატკეპნილი იატაკი დაფარული იყო ნაცრით. ნაგებობებს ჰქონია ქვის საძირკველი, რომელზეც თიხით შელესილი წყული იყო ამოყვანილი. გადახურვა ბანური ყოფილა. ნასანლარზე გამოვლინდა



ჩოლოყაშვილების ციხე

ოთხი ფენა: I ადრებრინჯაოს ხანის შენობების ნაშთები, სამეურნეო ორმოები და რამდენიმე სამარხი, რომლებშიც ჩატანებული იყო თიხის ჭურჭელი; II ფენაში ჩნდება ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის მასალა; III – შუაბრინჯაოს ხანის კერამიკა და ფიქსირებული; IV ფენა შეიცავდა სხვადასხვა პერიოდის მასალებს ადრე ბრინჯაოდან შუა საუკუნეების ჩათვლით. ორმოსამარხებში მიცვალებულები ესვენა მოხრილ პოზაში. თან ახლდათ თიხის ჭურჭელი. სამარხებს შორის იყო კენოტაფიც. ანტიკური ხანის სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს სამკაულები.

„ახმეტის ჯვრების“ აღმოსავლეთ ფერდზე მდებარეობდა დიდ ტერასაზე განლაგებული შუა საუკუნეების ნასოფლარი. იქ გამოვლინდა ძლიერ დაზიანებული საცხოვრებელი შენობები, ეკლესიის ნაშთი, რომელსაც ჰქონია დამცავი კედელი (დაინგრა ავეთქების დროს) (დედაბრიშვილი 1969: 39-66).

1966 წ. იმავე ექსპედიციამ ახმეტის მუნიციპლის სოფ. მატანში, მისგან დასავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით ილტოს კარიერსა და სოფელს შორის შეისწავლა მარანი და კოშკი. მარანი, რომელიც დამოუკიდებელი ნაგებობაა, მდებარეობს დამრეც ფერდობზე, მლაშეების გორის ძირთან. შენობა გვემით სწორკუთხაა (12,65X10მ). ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით კირხსნარზე. შიგადაშიგ გამოყენებულია რიყის ქვაც. შედგება ორი ნაწილისაგან: საწნახელისა და საკუთრივ მარნისაგან. საწნახელი მიდგმულია მარნის ჩრდილოეთ კედელზე. საწნახელის ნავი 0,5 მ სისქის კედლით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ორივე ნავი ზედა ნაწილში გაფართოებულია, ფუძესთან შევიწროებული (სიგანე 0,7 მ). ორივე განყოფილებას აქვს თითო სადინარი მილი. საკუთრივ მარანი დიდი დარბაზია. მის 73 კვ მ ფართობში განთავსებული უნდა ყოფილიყო 45-50 ქვევრი. აქედან ადგილზე აღმოჩნდა წითლად გამოშვარი, სადაზედაპირიანი 5 ქვევრი.

კოშკი აღმართულია მარნის სამხრეთ-აღმოსავლეთით 8 მ-ის დაშორებით. ის გვემით ოთხკუთხაა (4,30X4,7მ). ნაგებია რიყის დიდი ქვით. კუთხეებში გამოყენებულია ნატეხი ქვის ბლოკები. შემორჩენილი სიმაღლეა 6 მ. მესამე სართული მთლიანად მონგრეულია. 1,5 მ სიგანის შესასვლელი ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთანაა. კოშკისა და მარნის ორგველი შეინიშნებოდა შენობების ნაშთები. არქეოლოგიური მასალიდან აღსანიშნავია მოჭიქული ჭურჭლის, ფაიანსის ნატეხები; ჩალისფერკეციანი

წვრილი ჭურჭელი, მინის სამაჯურებისა და სასმისების ნატეხები, რომლებიც თარიღდება XI-XIII სს-ით. აქვე აღმოჩნდა XIII ს-ის მეორე ნახევრის ორი მონღოლური მონეტა (რამიშვილი 1969: 111-127). იალსარის სამაროვანი მდებარეობს სოფ. მატნის დასავლეთით, 3,5 მ დაშორებით, იალსარის გორის ძირზე. სამაროვანზე გაითხარა ორმოსამარხები და ქვის სამარხები. ორმოსამარხები გადახურული იყო ქვის ფილებით. მიცვალებულები ესვენა ზურგზე გაშლილი ან გვერდზე, ოდნავ მოხრილი კიდურებით, თავით დასავლეთით. სამარხთა უმრავლესობა ინდივიდუალურია. ინვენტარი ღარიბი და ერთფეროვანია. 26 სამარხიდან მხოლოდ შვიდში აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის საკინძები და ორი ბეჭედი. სამაროვანი თარიღდება V-VI სს-ით (რამიშვილი 1969: 111-127).

იალსარის კომპლექსი მდებარეობს სამაროვნის ჩრდილოეთით. შედგება ფლეთილი ქვით ნაგები, ოთხკუთხა გვერდის მქონე საცხოვრებელი სახლისაგან (დარბაზისაგან), რომელიც ძლიერაა დაზიანებული, იალსარის ხატის კოშკისაგან. კოშკი ორსართულიანია. მოგვიანებით მისთვის აღმოსავლეთიდან ეკლესია მიუშენებიათ. კოშკის მეორე სართულზე მოწყობილია მცირე სამლოცველო საკურთხევლით. კოშკში შესასვლელი სამხრეთიდანაა. გადახურვა კონუსურია.

იალსარის მარანი დამოუკიდებელი ნაგებობაა. მდებარეობს იალსარის გორის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, იალსარის ხატის ქვემოთ. შედგება სამი სხვადასხვა სათავსოსაგან. ნაგებია ქვიშაქვის ფლეთილი ქვებით კირხსნარზე. მთავარი, მოგრძო სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ქვიშაქვითა და დულაბით ნაშენი ორი საწნახელია. იქვე აღმოჩნდა 12 ქვევრი. პირველი სათავსო კართი უკავშირდებოდა მეორეს. მესამეში კი აღმოჩნდა 2 ქვევრი. მეორე სათავსოს კედლის საძირკვლის ქვეშ ნაპოვნია წითლად გამოშვარი კოჭობი, რომელშიც ელავა: ვერცხლისა და ოქროს ბეჭდები, ვერცხლის საკიდები, ჯვარი, ფორფიტები და მავთულის ხეები, კოვზი, ჭურჭელი, წვრილი მარგალიტები, XV-XVI სს-ის, სამკაულად გამოყენებული 11 ცალი ვერცხლის მონეტა. განძი თარიღდება XVI-XVII სს-ით. გათხრებისას აღმოჩნდა გვიანი შუა საუკუნეების სადა და მოჭიქული კერამიკის ნატეხები. გამოვლინდა თიხის ძეგლი შედგენილი წყალ-სადენი, რომელიც „საწნახლის კარიდან“ წყლით ამარაგებდა მლაშეების გორის მარანსა და ნასახლარს (რამიშვილი 1974: 139-151).

ბიბლიოგრაფია: ბავრატიონი 1983: 52; ბავრატიონი 1957: 5, 17, 52, 12; 1986: 69; გიულდენშტედტი 1962: 37, 43, 45, 207, 227; 1964: 143; დადიანი 1962: 140; დედაბრიშვილი 1969: 35-75; დოვ. საქ. სოც. ისტ. 1940: 361; ლომთათიძე 1977: ტაბ. XXXIII, 1; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 34; ორბელიანი 1981: 44, 57, 517; რამიშვილი 1969: 111-127; რამიშვილი 1974: 139-151; რუსიშვილი 1973: 29; ფიცხელაური, ბუვიანიშვილი ... 1971: 39-42; ქართ. სამართ. ძეგ.

1965: 335, 367, 368; 1972: 332, 338; 1974: 369-371, 622; 1977: 103, 489, 493; 1981: 41, 183, 194, 206, 316, 373, 378, 534, 614; 1985: 315, 411, 447, 466, 736; ქც 4: 549,8,10; ცისკარიშვილი 1972: 77-85.

ახტალა, ნასოფლარი (ქც 4: 546,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 546,9), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 479, 480; 1981: 204), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 68), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 29; 1964: 17).

ვახუშტი ბაგრატიონი ახტალის შესახებ გადმოგვცემს: „ვეფხინის ჩრდილოთ, მთის კალთას, არს ახტალა, რომელსა იტყვიან ნასოფლარსა და რისხვით დანთქმულსა, აღმოდის კუბრი, ვითარცა მღელარე, და აღმოაქუს ჟამად კოვზი, ჯამი და სახმარნი გლეხთა“ (ქც 4: 546,8-11).

მდებარეობს გურჯაანის ტერიტორიაზე, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. ახტალის ტალახი ამჟამადც ამოდის მიწის წიაღიდან და აქვს სამკურნალო თვისებები.

ახტალის მიდამოები არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 68; გიულდენშტედტი 1962: 29; 1964: 17; ქც 4: 549,9; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 479, 480; 1981: 204.

ახტალა, ეკლესია (ქც 4: 309,21; 310,2,7; 343,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 309,21, 310,2,7, 343,9), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1:199,4), XIV და XVIII სს ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 196; 1967:391; სიგელები ... 1902: 59; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 929; 1985: 316; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 134, 137, 138, 142), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 81), ოჰან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1913: 269), იესე ოსეს ძის „თავგადასავალი“ (თავგადასავალი ... 1913: 87, 90, 106, 111, 112, 119, 135), კირაკოს განძაკელის „სომხეთის ისტორია“ (განძაკელი 1961: 222), ვარდან დიდის „მსოფლიო ისტორია“ (ვარდან 1861: 181), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 77,245; 1964: 11, 13).

ვახუშტი ბაგრატიონი ახტალის შესახებ გადმოგვცემს: „ახატას ქუეთი არს ხეობა ჭოჭოკანისა ლელვარის მთის ქუემ ... მის ქუემთა არს ჩდილოთ ეკლესია აგარაკისა ... გუმბათიანი, დიდშენი. აწ უწოდებენ ახტალას ... პირისპირ ახტალისა, აღმოსავლით, ბერძულჯის მთასა შინა არს მონასტერი ორი ... ხოლო ქუემორ ახტალისა არს ხეობა ხოჟორნიისა“ (ქც 4: 309,19-22, 310,2-7).

ლოკალიზდება ქვემო ქართლში, ლელვარის მთის ძირში. მდებარეობს მდ. დებედას შუა წელზე, მის მარცხენა ნაპირზე. ამჟამად მოქცეულია სომხეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

ჯუანშერი ამ ადგილს აგარაკის სახელით იცნობდა (ქც 1: 199,4). ვახუშტი ბაგრატიონის განმარტებით აგარაკის ეკლესია აწინდელი ახტალაა (ქც 4:309,21). აგარაკი ახტალად მიპირდათ დ. ბაქრამესა და ნ. ბერძენიშვილს (ბაქრამე 1875: 34; ბერძენიშვილი 1964: 311, 312). განსხვავებული მოსაზრებით აგარაკი უნდა იყოს ახტალასთან მდებარე „მელი ჭეშმარიტი“, რომლის მახლობლად ახლაცაა ადგილი აგარაკის სახელწოდებით (მელიქსეთ-ბეგი 1964: 310). სომხურ წერილობით წყაროებში ახტალა „პლანძაპანქის“, ანუ „საპოლემის მადნის“ სახელითაა ცნობილი (განძაკელი 1961: 222; ვარდან 1861: 181).

ახტალის ტაძარი აუგია ივანე ათაბაგს, რომელიც იქვეა დაკრძალული. იმავე მონასტერში დაუკრძალავთ ივანეს შვილი ავაგი (განძაკელი 1961: 222; ვარდან 1861: 181). 1392 წ. საბუთში მცხეთის საეკლესიო მამულების რიცხვში ნახსენებია ახტალის ათი კომლი სომეხი, მათი მამულებით (ქრონიკები 1897: 196). 1763 წ. ერეკლე II-ის (1744-1798) თაოსნობით ახტალის მიდამოებში დაიწვეს ვერცხლის საბადოს დამუშავება (ხერხეულიძე 1913: 269). 1776 წ. ერეკლე II-ს სვეტიცხოველისათვის შეუწირავს ახტალის მადნიდან გაკეთებული ოქროს ცხრაგირვანქიანი, წარწერიანი ბარძიმი (ქრონიკები 1967: 345). 1785 წ. დაღესტნელმა ომარ-ხანმა ახტალა დაარბია და შეძარცვა (ქრონიკები 1967: 391). ერთი წლის შემდეგ ვერცხლის წარმოება კვლავ განუახლებიათ.

1886-1888 წწ. ფრანგ მეცნიერ ჟაკ დე მორგანს ახტალის მიდამოებში, ლელვარის მთის ძირას გაუთხრია ორმოსამარხები და ქვევრსამარხები. აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ნივთებიდან მორგანს მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი გადაუცია კავკასიის მუზეუმისათვის, დანარჩენი მასალა სენ-ჟერმენის (პარიზის მახლობლად) მუზეუმს შეუძენია (მორგანი 1889: 62, 63; უგაროვა, რადდე 1902: 112). ამ ნივთებიდან საყურადღებოა ბრინჯაოს გრავირებული სარტყლის ფრამენტო, რომელზეც გამოსახულია შვილიდოსანი მამაკაცის ორი ფიგურა, ირეში და ხარი (ხიდაშელი 1982: 148).

მორგანის მიერ კავკასიის მუზეუმისათვის გადაცემული ახტალის არქეოლოგიური მასალა (59 ერთეული) წარმოდგენილია შავად გამომწვარი, მრგვალპირიანი, ძაბრისებურყელიანი ხელადებით, ცალფურა ქოთნებითა და კოჭობებით, წელში გამოყვანილი ფორიანი ტოლჩრებით, ჯამითა და სხვ. ჭურჭლის ნაპირალები ზედაპირი შემკულია ამოღარული ხაზებით, ირიბი ნაჭდევებითა და წნევით დატანილი ზოლებით. ზოგიერთ მათგანს ყურზე დაქერწყლილი აქვს კოპი. ლითონის ნივთებიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი სამაჯური, რომლის ბოლოები ერთმანეთზე

გადადის და სხვ. კერამიკა და სამკაული, რომელიც ორმოსამარხებიდან უნდა მომდინარეობდეს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას განეკუთვნება.

ახტალის ნივთებს შორის ცალკე გამოიყოფა წითლად გამომწვარი სამტუჩა ხელადა, დაბალი ყელითა და სფერული მოყვანილობის ტანით, რომელიც კოპების სამი რიგითაა შემკული. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. ყურზე დაძვრულია მცირე ზომის შვერილი. ხელადა გვიანანტიკური ხანისაა. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ახტალის სამონასტრო კომპლექსი გაშენებულია მოგრძო ნახევარკუნძულზე, რომელსაც დასავლეთისა და აღმოსავლეთიდან მდინარე და მცირეწყლიანი ხევი ჩამოუდის. მონასტრის ტერიტორია შემოზღუდულია სასიმაგრო კედლით. შესავლელი ჩრდილოეთიდანაა. ზღუდის შიგნით მთავარი ტაძარი და ორი მცირე ეკლესიაა. მათ გარდა ახტალის მიდამოებში კიდევ რამდენიმე ეკლესიაა. მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით მდებარეობს წმიდა გიორგის ეკლესია. დაბლობზე, ორ მთას შუა დგას წმიდა სამების ეკლესია. დასავლეთით, ქედს გაღმა გრიგოლ ღვთისმეტყველის ეკლესიაა. ზღუდის კარიბჭის მიპირდაპირედ შემორჩენილია ნახევრად დანგრეული წმიდა იოანე ოქრობირის ეკლესია (ბაქრაძე 1875: 34). მთავარი ტაძრის გვემა სწორკუთხა (27,8X21,4 მ). შესავლელი დასავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთითაა. აფსიდაში სამი სარკმელია, დანარჩენ მკლავებში ორ-ორი. ტაძრის შიდა კედლები ნაგებია ნახევრად დამუშავებული ქვებით. ზოგან თლილი კვადრებია გამოყენებული. კამარები ყველგან აგურისაა. ფასადები ორნამენტირებულია. ჩამოქვეული გუმბათის ფრაგმენტები მიმოფანტულია ტაძრის ინტერიერსა და ეზოში. ზოგი ქვა გალანის კედელშია ჩაშენებული. ტაძარი ამჟამად კრამიტითაა დახურული. თავის დროზე კრამიტის ნაცვლად ლორფინი ყოფილა გამოყენებული (ზაქარაია 1978: 196-214). ინტერიერი მოხატულია (ტოლმაჩევსკაია 1931: 15; ამირანაშვილი 1971: 256). ახტალის ტაძარი თარიღდება X-XI სს-ით (თაყაიშვილი 1901: 30). სხვა მოსაზრებით XII-XIII სს-ის მიჯნით (შმერლინგი 1943: 18; ზაქარაია 1978: 201). მთავარ ტაძარზე წარწერები არაა წარმოდგენილი, გარდა რელიგიური შინაარსის მქონე ქართული და ბერძნული ფრესკული წარწერებისა (მელიქსეთ-ბეგი 1964: 311; გაუხნიშვილი 1951: 351-363).

ტაძრის აღმოსავლეთით მდებარე წმიდა გიორგის ეკლესიის დასავლეთი კარის თავზე ათსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერაა: „ქრისტე, მე უღირსი და სულითა საწყალობელი წინამძღვარი პეტრე ღირს ვიქმენ აღმშენებად ეგუტრისა ამის სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთასა ... ვინცა პატრონისა ავაგ ათაბაგისა სამწირველოსა, ჩემგნით აღშენებულსა, ზედა ღირსიყოს და აღირსოთ პირველ პატრონთა და თქვენ, ჩემცა სული მანვე იურვოს დაუკლებდა. ჩემითა ხელითა და

მძისწყლისა ჩემისა ილარიონისითა ავგიშენებია და არავინ გუემართლებს უხსენებლობასა ...“ 1242-1250 წწ. დათარიღებულ ამ წარწერაში მოხსენიებულია ივანე ათაბაგის შვილი ავაგ ათაბაგი (თაყაიშვილი 1901: 26).

ახტალიდან სხვა ქართული წარწერებიცაა ცნობილი. ქვის ერთ-ერთ ჯვარზე ამგვარი ასომთავრული წარწერაა: „ჯვარი ქრისტესი, იროლიანს შეუნდონ ღმერთმან, რომელმან ესე ოხმარი ადგილი სახმარყო“. წმიდა სამების ეკლესიაზე ყოფილა არაერთი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც ძველის რესტავრაციისას განადგურებულა. მათგან მხოლოდ რამდენიმეა შემორჩენილი კედლებსა და საფლავის ქვებზე“. ლეონთისათვის ლოცვა ყაენთი მამანო წმინდანო ცოდვილისასა მოსე კანდელაკისათვის“, „იოანეს შეუნდონ ღმერთმან“, „მოსეს მოძღვარსა შეუნდონ ღმერთმან“, „დეკანოზი ნიკოლოზ შეუნდონ ღმერთმან“, „სიმონს შეუნდონ უფალო ღმერთო“. ეკლესიის შიგნით, ქვის ჯვარზე ამგვარი წარწერაა: „ძღუვაი ქრისტესი, ამა ადგილისა მშენებელი დემეტრეს, გიორგის და სიმონს შეუნდვენ ღმერთო უფალო“ (თაყაიშვილი 1901: 31; მელიქსეთ-ბეგი 1964: 315).

ბიბლიოგრაფია: ამირანაშვილი 1971: 256; ბაგრატიონი 1986: 81; ბაქრაძე 1875: 5; ბერძენიშვილი 1964: 311, 312; ვანძაკელი 1961: 222; გოულდენშტედტი 1962: 77, 245; 1964: 11, 13; ეროსოვი 1872: 21; ვარდანი 1861: 181; ვოსტოროვი 1903: 5; ზაქარაია 1978: 196-214; თავადასავალი ... 1913: 87, 90, 106, 111, 112, 119, 135; თაყაიშვილი 1901: 26-31; ოსელიანი 1850: 23-33; მელიქსეთ-ბეგი 1964: 310-315; მორვანი 1889: 62, 63; მურავიოვი 1848: 313-331; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 134, 137, 138, 142; სიგელები ... 1902: 59; ტოლმაჩევსკაია 1931: 15; უვაროვა, რადდე 1902: 112; ქც 1: 199,4; ქც 4: 309,2; 1 310,2; 343,9; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 929; 1985: 316; ქრონიკები 1897: 196; ქრონიკები 1867: 345, 391; გაუხნიშვილი 1951: 351-363; შმერლინგი 1943: 18; ხერხეულიძე 1913: 269; ხიდაშელი 1982: 148.

აჯამიძე (ქც 4: 755,4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 155,11,13, 755,4, 772,23), „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1: 322,1), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 99,18), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 156,6), ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 169-174, 177).

მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპ. მდ. ყვირილას მარცხენა ნაპირზე, ახლანდელი სოფელ აჯამეთის ტერიტორიაზე (ბერძენიშვილი 1990: 444).

შუა საუკუნეებში აჯამეთი იყო მეფეთა სანადირო ადგილი (ქც 4: 755,4). იქ უნადირობათ გიორგი I-სა (1014-1027) და თამარ მეფეს (1184-1213) (ქც 1: 322,1; ქც 2: 99,18). ანტიკურ ხანაში აჯამეთზე გადიოდა ფასის-რიონის სანაოსნო გზა (ბერძენიშვილი 1990: 444; ჯაფარიძე 1989: 140)

აჯამეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფ. აჯამეთში შემთხვევით აღმოჩნდა სამი ორ-მოსამარხი. ინვენტარიდან შემორჩა რკინის იარაღი: ე. წ. „წებელდური ცული“, მახვილისა და შუბისპირების ფრაგმენტები. მათი ნაწილი განეკუთვნება IV-V სს-ს (ლომთათიძე 1977: 61). აჯამეთის ქვის სატეხი კარიერიდან მომდინარეობს V-VI სს-ით დათარიღებული მომცრო ზომის მსხლისებურტანიანი დოქი (ჯაფარიძე 1989: 79). მასალა ინახება ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1990: 311, 443, 444, 447, 481, 638-639; ლომთათიძე 1977: 61; გამბა 1987: 169-174, 177; ქც 1: 322,1; ქც 2: 99,16; 156,6; ქც 4: 155,11,13; 755,4; 772,23; ჯაფარიძე 1989: 77-80, 107, 139, 140.

აწერის ციხე (ქც 4: 362,23,სქ.2). იხენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:362,23, სქ. 2; 363,9; 517,16; 891,22), „ახალი ქართლის

ცხოვრების“ მეორე ტექსტი (ქც 2:444,6), ძველი ერისთავთა (ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 106), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 47, 48), იონე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 38).

მღებარეობს ცხინვალის მუნიცი-ში, მდ. პატარა ლი-ახვის მარჯვენა ნაპირზე, გუდისის ქედის სამხრეთ კალთაზე, დღევანდელი სოფ. აწერისხევის ტერიტორიაზე (გვასალია 1983: 68).

მეფე ვახტანგ III-მ (1302-1308) აწერისხევი უბოძა შალვა ქვენიფნეველს (ქც 2: 444,6). XVIII ს-ის 30-იან წლებში აქ ციხე ააგო ქსნის ერისთავმა შანშემ (ქც 4: 362,23). ყიზილბაშებმა იმამ-ყული-ხანის მეტაურობით აიღეს აწერის ციხე, დაატყვევეს შანშეს ოჯახი და ციხე დაანგრიეს (ორბელიანი 1981: 47, 48).

აწერის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 38; გვასალია 1983: 68; ორბელიანი 1981: 47, 48; ქც 2: 444,6; ქც 4: 362,23, სქ. 2; 363,9; 517,16; 891,22; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 106.



ბაბაზი (ქც 4: 199,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 199,15), ჟამთააღმწერელის თხზულება (ქც 2: 166,11; 167,12). ჟამთააღმწერელთან მოიხსენიება ბაგავანის ფორმით (ქც 2: 166,11). საგარაუდოდ, ლოკალიზდება ისტორიული შირვანის (დღევანდელი დასავლეთ აზერბაიჯანის) ტერიტორიაზე. მეფე ლაშა-გიორგი (1207-1222) ბაგავში ჩავიდა თავისი დის, რუსუდანის შირვანშაჰზე მისათხოვებლად და იქვე გარდაიცვალა (ქც 2: 167,12).

ბიბლიოგრაფია: ქც 2: 166,11; 167,12; ქც 4: 199,15.

ბაზალეთი, სოფელი (ქც 4: 354,6; 435,26). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 354,6; 435,26), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 412,2), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 57), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 57), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 6, 47; 1967: 219, 220, 635; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 131; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 555), ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ (მუნში 1969: 22, 66, 161; 1981: 66, 70), ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოს შესახებ (ჩელები 1978: 9, 161), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 273).

მდებარეობს დუშეთის მუნიციპ-ში, დღევანდელი სოფ. ბაზალეთის ტერიტორიაზე.

ბაზალეთთან შეებრძოლნენ ერთმანეთს 1626 წ. მეფე თეიმურაზ I (1634-1648) და დიდი მორჩავე გიორგი სააკაძე (ქც 2: 412,2; ქც 4: 435,27-29). XVIII ს-ში ბაზალეთი მეფე ერეკლე II-ის (1744-1798) ძის, ვახტანგის (ალმასხანის) საკამეგებლო იყო (ბაგრატიონი 1986: 34). XVIII ს-ის აღწერით ბაზალეთში ცხოვრობდა 19 კომლი (საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 131). ბაზალეთი წილკნის საეპისკოპოსოში შედიოდა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 555). იოჰან გიულდენშტედტი არაგვის საერისთავოს აღწერისას ბაზალეთს განადგურებულ სოფლად მოიხსენიებდა (გიულდენშტედტი 1962: 273).

დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია სოფ. ბაზალეთში შემთხვევით მოპოვებული ნივთები: ბრინჯაოს რგოლი (1960 წ.); კაჟის ფუძეა-

მოღარული ისრისწვერი; ბრინჯაოს შედგენილ-ტირანი სატყვარი; მრგვალფორიანი სამაჯური; კილიტები (14 ც); ჭურჭლის ფრაგმენტები (1963 წ.); ე. წ. აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცული (1974 წ.); სამაჯური გველის თავების გამოსახულებით; ბოლოგახსნილი სამაჯური (1975 წ.). ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი, ფოთლისებური პირით; ბრინჯაოს ნამგლის პირი; ბოლოგახსნილი სამაჯური; სატყვარი (1976 წ.).

სოფ. ბაზალეთის ტერიტორიაზე გაითხარა ორი სამაროვანი. 1975-1977 წწ. სოფლის განაპირას, ხევის ფერდზე დაზიანდა გვიანი ბრინჯაოს ხანის გვიანდელი ეტაპის ორმოსამარხები. ძველი შეისწავლა ივ. ჯავახიშვილის სპ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ნარეკვავის ექსპედიციამ (ხელმძღ. ლ. წითლანაძე). ორმო-სამარხებში გამოვლინდა შავად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (წითლანაძე ... 1980: 59, 60).

მეორე სამაროვანი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, ადგილ „მზვარეში“. ძველი შეისწავლა 1988-1989 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აღმ. საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. რ. რამიშვილი). სამაროვანი ორიარუსიანია. ზედა დაზიანებულია მშენებლებისაგან. სამაროვანზე შესწავლილია 102 ორმოსამარხი. ორში დადასტურდა მიცვალებულის ქრისტიანული წესით დაკრძალვა. დანარჩენ სამარხებში დაკრძალულნი არიან თავით დასავლეთით ან აღმოსავლეთით, ქეის სასთუმალზე, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე ხელფეხმოხრილნი. სამ შემთხვევაში დამხრობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენაა, თავით სამხრეთით. სამარხთა უმეტესობა ინვენტარიანია. მათში გამოვლენილია შავად, წითლად და წაბლისფრად გამომწვარი კერამიკა: პირმოყრილი, პირგადაშლილი და ტუნსადინარაიანი ჯამები, სასმისები, ხელაღებ; ერთეულია დერგები, ორფურა ქილები, ქოთნები და საწყაო ჭურჭელი. თიხის მასალაში გამოირჩევა ორფურა წითელკეციანი ჭურჭელი მოხატულია წითელი საღებავით. ძირზე აქვს ორი გამჭოლი ხვრელი (დანიშნულეა უცნობია). მამაკაცთა სამარხებში გამოვლენილია რკინის საბრძოლო იარაღი: სხვადასხვა ზომის შუბისპირები (უმეტესად მოხრილი), სატყვრები, საბრძოლო ცულები, დანები, ბრინჯაოსა და ძვლის ისრისპირები; სამეურნეო იარაღიდან გვხვდება რკი-

ნის დანები. სამკაულიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს სხვადასხვა ფორმის საკინძები, კილიტები, სარტყელი, ბრინჯაოს მასიური სამაჯურები ზოომორფული თავებით; რკინის ბურთულადეროიანი სამაჯურები; ცოტაა ბეჭდები, მათ შორის ორი ფარაკიანია; გვხვდება ბრინჯაოს ცხვრისთავის გამოსახულებიანი ილარები, სარდიონისა და ლურჯი მინის მძივები, ვერცხლის საყრდენები და სასაფეთქლე რგოლები, დაფანჯრული და გვერდშეჭრილი ზარაკები. ქვედა იარუსის სამარხები თარიღდება ძვ. წ. VII-VI, ზედა კი ძვ. წ. IV-III სს-ით (რამიშვილი ... 1997: 97, 98). ბაზალეთის სამაროვნების მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ღუშეთის ბაზაზე. ბაზალეთის სახელით ცნობილი სოფელი მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, რომელიც არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1941: 199, 200; ბაგრატიონი 1986: 34; ბერძენიშვილი 1966: 60; გიულდენშტედტი 1962: 273; ბუნში 1969: 22, 66, 161; 1981: 66, 70; ორბელიანი 1981: 57; რამიშვილი ... 1997: 97, 98; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 131; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 555; ქც 2: 412,2; ქც 4:354,6, 435,26; ქრონიკები 1897: 6, 47; 1967: 219, 220, 635; ჩელები 1978: 9, 161; წითლანაძე ... 1980: 55-60.*


ბაიუში, მცირე ქალაქი, ციხე (ქც 4: 792,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 676,2,7,8; 792,13; 793,4; 814,1), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 360,27), ვანის „ჟამ-გულანი“ (ბაქრაძე 1987: 176), არისტოტელეს „მეტროლოგია“ (არისტოტელე 1987: 110; ყაუხჩიშვილი 1969: 36); პლინიუსის „ბუნების ისტორია“ (ლატიშევი 1904: 278), მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“ (პანარეტოსი 1960: 40; ყაუხჩიშვილი 1950-1951: 21), ჯოსაფატ ბარბაროს „მოგზაურობა ტანაში და სპარსეთში“ (ბარბარო 1981: 55), ამბროზიო კონტარინის „მოგზაურობა“ (კონტარინი 1894: 49), ვენეციის არქივის საბუთები (თამარაშვილი 1902: 776), პიეტრო ვესკონტეს (1318 წ.), ფრანჩესკო პიციგანის (1367 წ.), გრაციოზო ბეკაზას (1480 წ.), ფრედუჩე ანკონელის (1497 წ.) რუკები (იხ. ბარბარო 1981: 64), იოჰან შილტბერგერის „მოგზაურობა საქართველოში“ (შილტბერგერი 1978: 164-168), ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ (ჩელები 1971: 71, 81, 82, 94), მუსტაფა ნიამას „ცნობები საქართველოს შესახებ“ (ნიამა 1960: 259), მურად IV-ის ფირმანი (ჯიქია 1942: 237-239), ბათუმის 1610-1611 წწ. აღწერის დავთარი (შენგელია 1974: 174), აინი აღის რიხაღე (აინი აღი 1971: 226), სპენსერის „მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროების გასწვრივ“ (სპენსერი 1981: 138), კოხის „მოგზაურობა რედუტკალედან ტრაპეზუნტამდე“ (კოხი 1981: 184, 187), ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 64, 81, 105, 108, 111, 204, 257).

ვახუშტი ბაგრატიონი ბათუმის შესახებ გადმოგვცემს: „ამის ზეით არს ამ წყალზე ჩაქვი. და ამ ჩაქვის სამხრით დის ჭოროხის მდინარე. ზღვის შესართავზე და ჭოროხის ჩდილოთ კიღურზე არს ბათომი, მცირე ქალაქი და ციხე კარგი“ (ქც 4: 792,9-14). წყაროებში მოხსენიებული ბათუმის ლოკალიზების შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია: I მდებარეობს მდ. ყოროლისწყლის ზღვასთან შესართავის ადგილზე (ბაქრაძე 1878: 24; კალფოლუ 1905: 41; ფრენკელი 1879: 58; უსპენსკი 1917: 107; გლინიცი 1938: 311); II – მდ. ჩაქვისწყალზე (კაკაბაძე 1928გ: 28); III – ბათუმის ყურის რევიონში (ჩხეიძე 1959: 9); IV – მდ. ბათისის შესართავთან (ინაიშვილი 1976: 86); V – თანამედროვე ბათუმის ადგილზე (ყაუხჩიშვილი 1987: 114).

ქალაქის დაარსების პერიოდის შესახებაც განსხვავებული მოსაზრებებია: I – XI სს (იოსელიანი 1850: 31, 32; ახვლედიანი 1944: 165); II – ძვ. წ. IV ს. (ხიცუნოვი 1847: 848; მურიე 1962: 18; დაკიშვილი 1890: 25); III – II სს-ის მეორე ნახევარი (სინარულიძე 1959: 79; ჩხეიძე 1959: 14; ინაიშვილი 1966: 73); IV – II-VI სს (სურგულაძე 1965: 42).

წყაროებში ბათუმი სხვადასხვაგვარად იხსენიება: ბათომი (ქც 4: 792,9), ბათია (არისტოტელე 1987: 109-117), პორტუს ალტუს „ტაბულა პეგტინგერიანაზე“ (ლომოური 1958: 105), ვატი (ბარბარო 1981: 55), ვარტი, ლიატი, ლოვატი (მამისთავალიშვილი 1981ა: 64).

ბათუმში უძველესი დასახლება მდ. ყოროლისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარე ბათუმის ციხის („თამარის ციხის“) ქვედა ფენებში დასტურდება, რომლებიც, ძვ. წ. VIII-VII სს-ით თარიღდება. ამ დროისათვის სამოსახლოები ჩანს აგრეთვე „ბათუმის ციხის“ მიმდებარე ტერიტორიაზეც – განთიადი (ყარა-დერეში), ურეხი, მახვილაური და სხვ. „ბათუმის ციხის“ სამოსახლო ძვ. წ. VI ს-ში სავაჭრო ცენტრად და ურბანიზებულ ტერიტორიად იქცა (კახიძე, ნახუტაიშვილი 1989: 92). II ს-ში, შესაძლოა, რომის იმპერატორის ადრიანეს დროს, აქ რომაელების გარკვეული სამხედრო ძალა იდგა. ბათუმის ციხის ტერიტორიაზე ცხოვრება ძვ. წ. VIII ს-დან XIX ს-მდე, გარკვეული წყვეტილებით მიმდინარეობდა. XIV ს-ის დასაწყისში ბათუმი ოღიშის მთავრების ეკუთვნოდათ, ხოლო შემდეგ გურიელების მთავრების ხელში გადავიდა. 1547 წ. ბათუმი ოსმალებმა დაიპყრეს. 1564 წ. როსტომ გურიელმა ქალაქი გაათავისუფლა. მალე ბათუმი ისევ ოსმალებმა იკლეს ხელში. 1609 წ. მამია გურიელმა ისევ გამოიხსნა. შემდეგ ოსმალებმა ისევ დაიპყრეს. 1878 წ. ბათუმის ნავსადგური რუსებმა დაიკავეს და პორტო-ფრანკოდ (უბაჟო პორტად) გამოაცხადეს. თავისუფალმა ვაჭრობამ ხელი შეუწყო ნავსადგურისა და ქალაქის ზრდას. 1883 წ. დასრულდა ბაქო-ბათუმის რკინიგზის ხაზის გაყვანა. 1897 წ. დაიწყო ბაქო-ბათუმის ნავთსადენი მილის მშენებლობა. ამის შემდეგ ბათუმი შავი ზღვის მნიშვნელოვან ნავსადგურად და სამრეწველო-სავაჭრო



ბათუმის ციხის გენგეგმა

ცენტრად იქცა. 1918 წ. აპრილში ქალაქი ოსმალებმა დაიპყრეს. ამავე წელს ისინი გავიდნენ ბათუმიდან და მათი ადგილი დაიკავეს ინგლისელებმა, რომლებმაც 1920 წ. ბათუმი დაუბრუნეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. 1921 წ. ოსამლებმა კიდევ ერთხელ დაიპყრეს ბათუმი. 1921 წ. 18 მარტს ქართველებმა ისევ დაიბრუნეს ქალაქი და მიმდებარე რეგიონი. დღეს ბათუმი საქართველოს საზღვაო ჭიშკარი და უმნიშვნელოვანესი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრია.

ბათუმის ციხეზე და მის მიდამოებში 1962-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩაატარა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი, 1968 წლიდან ა. ინაიშვილი). 1959 წ. ბათუმის მიდამოებში არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. თ. ლორთქიფანიძე) (ლორთქიფანიძე, მიქელაძე 1960: 761-768).

ბათუმთან სოფ. მახვილაურში გაითხარა სამოსახლო ბორცვი, რომელშიც აღმოჩნდა ნეოლითური, ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა. ნეოლითური მასალა კაჟის, ობსიდანისა და ბაზალტის იარაღებითაა წარმოდგენილი – საფხეკები, საჭრისები, დანები, ხელცულები, სატეხები, შურდულის ქვები და სხვ. აქ აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის ქვაყრილიანი სამარხების ნაშთები (დერგების, ქოთნების, ჯამებისა და სხვ. ფრაგმენტები). აქვე დადასტურდა ანტიკური ხანის სამოსახლარის ნაშთები – ბათქაშების, ქვევრების, ქოთნების, ჯამების ნატეხები (გოგიტიძე 1982: 19-39; კახიძე, ხახუტაიშვილი 1989: 44).

დღევანდელი ბათუმის ტერიტორიაზე, ადგილ „ჭაობთან“ აღმოჩნდა ჰერაკლეს ამფორის ნატეხები (ლორთქიფანიძე, მიქელაძე 1960: 762). აქვე დადასტურდა IV-VI სს-ის წელმეზენქილი ამფორა (კახიძე, ხახუტაიშვილი 1989: 45).

ბათუმში მდ. ყოროლისწყლის მარცხენა ნაპირზე, ზღვისკენ, მრავალფენიანი ძეგლი – ბათუმის ციხეა („თამარის ციხე“). მისი ქვედა ფენა, რომელიც ძირითადად ფერღონებზე დადასტურდა, თარიღდება ძვ. წ. VIII-VII სს-ით. აქ ცხოვრება ძვ. წ. VIII სიდან XIX ს-მდე გარკვეული წყვეტილებით მიმდინარეობდა. ძვ. წ. VII ს-ში სამოსახლო ბორცვს გარს შემოუყვებოდა თხრილი და ხის მესერი. ამ ფენაში აღმოჩნდა ქოთნების, ჯამების, სასმისების, ყურმილიანი ღოჭების, ხელსაფეკავების, საწაფების,

კვირისტაგების, ხარის ფიგურების ფრაგმენტები. ძვ. წ. VI ს-ის არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია კოლხური ქვევრების, ქოთნების, ჯამების, სასმისების ნატეხებით. აქვე აღმოჩნდა ქიოსის, სამოსის, ლესბოსის, თაზოსის ამფორებიც. არის შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტებიც (კახიძე, ხახუტაიშვილი 1989: 59, 75-88). ძვ. წ. IV-II სს-ის ფენას მიეკუთვნება ადგილობრივი ამფორები, ქვევრები, პირამიდული საწაფები, ღოჭები, ჯამები, ლანგრები, კრამიტები. აქვე აღმოჩნდა სოლოხა I -ის ტიპის ამფორები, მენდეს ამფორა, სინოპეს ამფორისა და ლუთერიის ნატეხები; კოსის ამფორის ნატეხები. ადრეული შუა საუკუნეების ფენას განეკუთვნება ნაგებობის კედლის ნაშთი, რომელიც აშენებულია ფლეთილი ქვისა და ქვათლილისაგან. აქ აღმოჩნდა: აგურის, კრამიტის, ქვევრების, ამფორების ნატეხები. ნაციხარზე დადასტურდა და გაითხარა შუა საუკუნეების მარნის ნაშთები, რომელიც ნაგებია ქვებითა და დუღაბით. აქ დადასტურდა ქვევრების, მოჭიქული ჯამების ნატეხები. გაითხარა გვიანი შუა საუკუნეების სამოსახლოს ნაშთები, რომელიც ნაგებია ქვის კვადრებით კირხსნარზე. აქ ნაპოვია მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები, თიხის ჩიბუხები, ჯამები, 1785 წლის ოსმალური მონეტები (კახიძე, ხახუტაიშვილი 1989: 52, 90).

ბათუმის ციხეზე ორი სამშენებლო პერიოდი გამოიყოფა: პირველი – „შიდაციხე“ II, რომლის ნანგრევებშია შემორჩენილი და რომელსაც VI-VII სს-ით ათარიღებენ (სიხარულიძე 1962: 25-27); „შიდაციხე“ I უკეთ არის შემორჩენილი. იგი სწორკუთხა მოყვანილობისაა და ნაგებია ქვის კვადრებით დუღაბზე. კედლებში ზოგან გამოყენებულია კონტრფორსები. სამხრეთის კედელს აქვს გარემონაშენები. გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კუთხეში სწორკუთხა ფორმის კოშკია. ეს სამშენებლო პერიოდი XVII-XVIII სს-ით თარიღდება (კახიძე, ხახუტაიშვილი 1989: 46, 47). ბათუმის ციხის განათხარი მასალა ინახება ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.

1890 წ. სოფ. ვანთიადში, მდ. ყოროლისწყლის ხეობაში აღმოჩნდა ე. წ. „ვანთიადის განძი“. ბრინჯაოს ორი წაღდი, სეგმენტისებური იარაღი, თონი და ცული თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ით (რამიშვილი 1974: 99). ინახება ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. 1914 წ. აღმოჩნდა „ბათუმის განძის“ სახელით ცნობილი ნივთები: ძვ. წ. XIII ს-ის ბრინჯაოს თონები (6 ც) (ქორიძე 1965: 82; რამიშვილი 1974: 12). ინახება აზერბაიჯანის სახელმწიფო მუზეუმში.

ბათუმის მიდამოებში მდებარეობს საძირკვლამდე დანგრეული, ბარცხანას შუა საუკუნეების ციხე და კვესელეულის ეკლესია (ბარნაველი 1959: 141).

ბიბლიოგრაფია: აინი ალი 1971: 226; არისტოტელე 1987: 110; ახვლედიანი 1944: 165; ბარნაველი 1959: 141; ბარბარო 1981: 55; ბაქრაძე 1987: 176; გამბა 1987: 64, 81, 105, 108, 111, 204, 257; გოგიტიძე 1982: 19-43; დაკიშვილი 1890; ელი-

ნიცი 1938: 311; თამარაშვილი 1902: 776; ინაიშვილი 1966: 69-75; 1973: 3-37; 1976: 73; იოსელიანი 1850: 31, 32; კაკაბაძე 1928გ: 28; კალფოლღუ 1906: 40-46; კახიძე, სახუტაიშვილი 1989; კომახიძე 1963; კონტარინი 1894: 49; კობი 1981: 184, 187; ლატიშვილი 1904: 278; ლექვიანიძე 1967ა: 505-510; 1973ა: 171-175; ლომოური 1948: 32-36; ლორთქიფანიძე, მიქელაძე 1960: 762-767; მამისთვალიშვილი 1981ა: 64; მურიე 1962; ნაიმა 1960: 258-260; პანარეტოსი 1960: 40; რამიშვილი 1962: 137-140; 1974; სიჭინავა 1958; სიხარულიძე 1956: 83-92; 1959: 79-91; 1962; სურგულაძე 1965: 79-86; 1983: 78-80; სპენსერი 1981: 138; უსბენსკი 1917: 107; ფრენკელი 1879; ქც 2: 360,27; ქც 4: 676,2,7,8; 792,13; 793,4; 814,1; ქორიძე 1965: 82; ღვინიაძე 1964: 109-114; ყაუხჩიშვილი 1950-1951: 17-23; ყაუხჩიშვილი 1969: 36; შენგელია 1974: 174; შილტბერგერი 1978; ჩელუბი 1971: 71, 81, 82, 94; ჩხეიძე 1959; ხიცუნოვი 1847; ჯიქია 1942: 236-239.

ბაილეშთი (ქც 4: 790,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოს საქართველოსა“ (ქც 4: 790,21), XVII-XVIII სს-ის ქართული ისტორიული საბუთები (ისტ. დოკ. 1958: 137-140, 144; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 481; 1977: 725; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 36), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 313). მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპ-ში, მდ. სუფსის მარცხენა ნაპირზე, ნასაკირალის სერის ჩრდილოეთ კალთაზე, თანამედროვე სოფ. ბაილეთთან. პირველად იხსენიება XVII ს-ში. XVII-XVIII სს-ში ბაილეთი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრის მფლობელობაშია (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 36). XVIII ს-ში ბაილეთი გურიელების ერთ-ერთი რეზიდენციაა. მცირეწლოვან მამია V გურიელის დროს დიდგვაროვნებმა გურიის სხვა ციხეებთან ერთად, ბაილეთიც დაისაკუთრეს. 1792 წ. მამია გურიელის მკურნე ქაიხოსრომ ბაილეთის ციხე გამოიხსნა (ჩხატარაიშვილი 1985: 16). ბაილეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. აქ შემორჩენილია XIV ს-ის ციხის ნანგრევები და გუმბათიანი ეკლესია, სამწახნაგოვანი აფსიდით. ეკლესია ნაგებია აგურითა და ფლეთილი ქვით. XIV ს-ში ეკლესიისათვის თაღი ქვის გუმბათი დაუდგამთ. ნაგებობის ადრეული და სამხრეთ კედლებზე მოხატულ ისტორიულ პირთა ქვეშ წარწერებია: „ლეონ ბატონიშვილის ძე გიორგი ჩყვ (1827) წელსა“ და „თანამეცხედრე მისი ანნაბაძის ასული ელისაბედი“ (ბაქრაძე 1987: 226). ეკლესიის აშენების თარიღად 1609 წელი ითვლება (თაყაიშვილი 1895: 26). ეკლესიაში აღმოჩნდა წარწერიანი ხატები და ნივთები. წარწერები ასომთავრულია და შინაარსით ძირითადად რელიგიური ხასიათისაა. წმინდა თევდორეს ვერცხლის ხატზე მოხსენიებულია არიან „გურიელი და დედოფალი ელენე“, რომლებიც XV ს-ში ცხოვრობდნენ (ბაქრაძე 1987: 224, 226-228);

ვერცხლის ჯამზე ხუცური წარწერა: „... ამისი დეკანოზისა დავით ქარჩილაძესა და ძესა მისსა ვაბრილს“, დავით ქარჩილაძე ცხოვრობდა გიორგი გურიელის დროს XV ს-ში (თაყაიშვილი 1907: 30, 31). **ბიბლიოგრაფია:** ბაქრაძე 1987: 224-228; გიულდენშტედტი 1962: 313; ზაქარაძე 1977; თაყაიშვილი 1895: 26; 1907: 30, 31; 1907ბ: 85, 86; ისტ. დოკ. 1958: 137-140, 144; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 36; ქც 4: 790,21; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 481; 1977: 725; ლლონტი 1973: 57; ჩხატარაიშვილი 1973: 740-753; 1985.

ბაკურიანი, ბაკულიანი (ქც 4: 318,19; 672,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 318,19; 333,23; 364,17; 380,29; 381,7; 672,6), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986:46), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 490, 493, 494). მდებარეობს ბორჯომის მუნიციპ-ში, დაბა ბაკურიანის ტერიტორიაზე. შუა საუკუნეებში თორის შემადგენლობაშია. თურქების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ ის პეტრეს ლივას ქაშვეთის ნაპიშში შედიოდა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 494). 1926 წ. ბაკურიან-თორის ექსპედიციამ (ხელმძღვ. მელიქსეთ-ბეგი) ბაკურიანში შეისწავლა ციკლოპური ნაგებობა (მელიქსეთ-ბეგი 1928: 10, 16). 1968 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ოთ. ლამბაშიძე) დაზვევითი სამუშაოები ჩაატარა ბაკურიანში (ლამბაშიძე 1969: 19). 1985-1986 წწ. იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიცია (ხელმძღვ. ოთ. ლამბაშიძე) დაზვევითი სამუშაოებს აწარმოებდა ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე (ლამბაშიძე ... 1991: 33). ციკლოპური ნაგებობა მდებარეობს ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის მიდამოებში. შემორჩენილია კედლის ფრაგმენტები. გეგმაში ის ოთხკუთხაა. ლ. მელიქსეთ-ბეგმა ის დაახ. ძვ. წ. IX ს-ით დაათარიდა (მელიქსეთ-ბეგი 1938: 63, 64). არქეოლოგიურმა დაზვევებმა ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე გამოავლინა ნაშთახლარი გორა, რომელზეც აიკრიფა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, მინისა და სარდონის მძივები, ბრინჯაოს საკინძი. მასალა თარიღდება ძვ. წ. VIII-VI სს-ით (ლამბაშიძე ... 1991: 33). ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). აქ შემორჩენილია რამდენიმე ეკლესია: ბაკურიანის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 4 კმ დაშორებით დგას წმინდა ელიასა და წმინდა გიორგის XIX ს-ის დარბაზული ტიპის ეკლესიები (ხუჯაძე 1969: 101). **ბიბლიოგრაფია:** ბაგრატიონი 1986: 46; ბერძენიშვილი 1985: 7-10, 12, 27, 35, 36, 54, 55, 63; ბერძენიშ-

ვილი 1966: 97; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 490, 493, 494; მაკალათია 1957ა: 61; მელოქესი-ბეგი 1928: 10, 16; 1938: 63, 64; ქც 4: 318,19; 333,23; 364,17; 380,29; 381,7; 672,6; ღამბაშიძე 1969: 19; ღამბაშიძე ... 1991: 27-34; ხუჯაძე 1969: 101.

ბაკურციხე, დაბა (ქც 4: 544,9, სქ.2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 544,9, სქ. 2), XVIII-XIX სს-ის დასაწყისის ისტორიული საბუთები (ქართულ-სპარსული ... 1984: 42; ქრონიკები 1967: 318-320; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 206, 421, 422; 1977: 50; 1981: 228; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 386; 1953: 275), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 160), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 68), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 29, 261, 273).

ვახუშტი ბაგრატიონი ბაკურციხის შესახებ გადმოგვცემს: „კარდახანის ჩდილოთ არს ხევი ჩალაუბნისა ... ამ ხევიდ არს დაბა ბაკურციხე მაღალსა გორასა და კეთილს ადგილს“ (ქც 4: 544,8,9).

მდებარეობს გურჯაანის მუნიცი-ში, გურჯაანიდან 8 კმ-ის დაშორებით, დღევანდელი სოფ. ბაკურციხის ტერიტორიაზე.

1938 წ. 6. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღ. ა. აფაქიძე) მიერ ბაკურციხის მდამოებულ მხარეში ჩატარდა პირველი არქეოლოგიური გათხრები (აფაქიძე 1941: 1). 1968 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. კ. ფიცხელაური), გურჯაანის მუზეუმთან ერთად, სოფლის სამხრეთით შესწავლა გვიანბრინჯაოს ხანის ორმოსამარხები (ბუგაიანიშვილი ... 1969: 17; ფიცხელაური 1973: 61). 1980 წ. იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღ. კ. ფიცხელაური) მიერ ბაკურციხის მახლობლად გაითხარა ადრებრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხი. ბაკურციხესთან შესწავლილ იქნა შუა ბრინჯაოდან გვიან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის ორმოიანი სამარხი (ფიცხელაური 1982ა: 38, 19).

ბაკურციხის ყორღანი მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „გორიელებთან“. ყორღანის მიწყარილის დმ 60 მ, სიმაღლე 3 მ-ს აღწევდა. ყრილის ქვეშ გამოვლინდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი, მორებით ნაგები მიწისზედა ოთხკუთხა შენობა (9X8,5 მ). მორებით მოგებული იატაკზე ეფენა ტილოები. იატაკზე აღმოჩნდა სახურავის საყრდენი ბოძებისათვის განკუთვნილი 9 ორმო. სამარხის ცენტრალურ ნაწილში, რომელიც გამარცხული იყო, გამოვლინდა შავბრიალა თიხის ჭურჭელი, ადამიანის გაფანტული ძვლები, მინისებური პასტისა და ოქროს მძივები. სამარ-

ხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაიწმინდა მარჯვენა და მარცხენა გვერდზე დასვენებული, კიდურებმოხრილი ორი მიცვალებულის ჩონჩხი. თავით ერთი ჩრდილოეთით იყო მიქცეული, მეორე – სამხრეთით. იატაკზე დიდი რაოდენობით გამოვლინდა მცირე ზომის შავბრიალა თიხის ჭურჭელი. სამარხის სამხრეთ



ბაკურციხე

ნაწილში, იატაკზე გაიწმინდა წრეში ჩახატული გეომეტრიული ორნამენტის. სამხრეთი კედლის გასწვრივ აღმოჩნდა დიდი ზომის რელიეფური და ნაკვეთი ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭელი. აღმოსავლეთ კედელთან გამოვლინდა ობსიდიანის ისრისპირები, ოქროს გარსაკრავი, შუბისპირები ვერცხლის სალტეთი, ბრინჯაოს სატევარი და სხვ. ყორღანი თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით (ფიცხელაური 1982ა: 18). განათხარი მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

„ბაკურციხის სამაროვანი“ მდებარეობს სოფლის სამხრეთ განაპირა ნაწილში. ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ახალი შენობის აგებისას დაზიანდა სამარხები, რომელთა ქვეშ უფრო ადრეული სამაროვანიც გამოვლინდა. ქვედა ფენის ორმოსამარხები დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთ – სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავი ჩრდილო-დასავლეთით. სამარხებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი თიხის ჭურჭელი და სამკაულები ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულით თარიღდება (ფიცხელაური 1973: 61).

ზედა ფენის დაზიანებული ორმოსამარხები, მათში გამოვლინილი თიხის ჭურჭელები და ბრინჯაოს მახვილების მიხედვით, ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნით თარიღდება (ფიცხელაური 1973: 61). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (გურჯაანის საცავი).

„გორა მიწის“ სამაროვანი მდებარეობს ბაკურციხის ჩრდილოეთით, ალაზნის ველის შემადლებულ ადგილზე. ადრეული, მიწყარილიან გორასამარხზე გამართული იყო ორმოსამარხები, რომლებშიც კიდურებმოხრილი მიცვალებულები ესვენა მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია: შავბრიალა თიხის ჭურჭლით, ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილებით, ნამკლებით, სამკაულებითა და სხვ. სამაროვანი ძვ. წ. XI-II-X სს-ით თარიღდება (აფაქიძე 1941: 3). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

იმავე მუზეუმშია დაცული ბაკურციხესა და მის მდამოებულ სხვადასხვა დროს შემთხვევით აღ-

მოჩენილი ნივთები. 1932 წ. მუზეუმში შესული მასალებიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოს ზოდი, ე. წ. აღმოსავლეთ-ამიერკავკასიური ცულები, ბრტყელი ცულები, სატეხი, მთლიანადნახული, მომრგვალებულბოლოიანი და ბოლოკვეთილი სატეხრები, რომელთა სახელები ბოლოვდება დაფანჯრული თავით, მასრაშეკრული შუბისპირები, სადა და გრებილი ბოლოვდება ბრტყელებული სასაფეთქლერგოლები, სამაჯურები, აბზინდები და სხვ. 1936 წ. მეტენის ხელოვნების მუზეუმმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადასცა ბაკურციხიდან მომდინარე არქეოლოგიური ნივთები: რკინის თხები, შუბისა და სატეხრის პირები, ისრისპირები და სხვ. 1952-1954 წწ. მუზეუმში მოხდა ბაკურციხის მიდამოებში აღმოჩენილი ნივთები: ბრინჯაოს მთლიანადნახული, წვერმომრგვალებული სატეხარი, რომლის სახელური დაფანჯრული თავით ბოლოვდება, ბრინჯაოს შუბისპირები, შავად გამომწვარი თხის დოქი, ხელადა და ჯამი. ბაკურციხესა და მის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები თარიღდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით.

ბიბლიოგრაფია: ავაქიძე 1941: 1-3; ბაგრატიონი 1986: 68; ბუკიანიშვილი ... 1969: 17; გიულდენშტედტი 1962: 29, 261, 273; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 386; 1953: 275; საქ. არქ. 1992: 208, 209; ორბელიანი 1981: 160; ფიცხელაური 1973: 61; ქართ. სამართ. ბეგ. 1974: 206, 421, 422; 1977: 50; 1981: 228; ქართულ-სპარსული ... 1984: 42; ქრონიკები 1967: 318-320; ქც 4: 544,9; ფიცხელაური 1982ა: 18, 19.

ბალიჭი (ქც 4: 311,25; 315,20; 316,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 311,25; 315,20; 316,6), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 52), 1741 წ. ისტორიული საბუთი (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 150), გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 81; 1964: 13).

სოფელი ბალიჭი მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდ. კანგორის მარჯვენა ნაპირზე (მდ. მაშავერას მარჯვენა შენაკადი), დაბა კაზრეთიდან 3 კმ-ის დაშორებით.

1971 წ. სოფ. ბალიჭის განაპირას სასმელი წყლის მიღებისათვის გაყვანილ თხრილში აღმოჩნდა ქვის სარკოფაგი, რომელიც გათხარა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კაზრეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. მ. სინაურიძე). სარკოფაგი დაზარული იყო ორფერდა ქვის სახურავით, რომლის ზედაპირზე, ბოლო ნაწილში რელიეფურად გამოსახულია კიევისკენ გაფართოებული ტოლმკლავა ჯვარი. მარჯვენა გვერდზე ორსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერაა, რომელსაც სხვადასხვაგვარად კითხულობენ: „იესეს სული ქრისტე შეიწყალე“ (შანიძე 1972: 141; სინაურიძე 1975: 76, სქ.2); „იესე სახლისუ-

ვალი ქრისტე მოიხსენე“ (ბარნაველი 1972: 145). წარწერა თარიღდება VI-VII სს-ით (შანიძე 1972: 137-143). სარკოფაგი შედგება ერთ მთლიან ქვაში ამოკვეთილი როფისა (სიგრძე 1,87 მ, სიგანე 0,47 მ, სიღრმე 0,3 მ) და ორფერდა სახურავისგან (სიგრძე 2,15 მ, სიგანე 0,7 მ). სარკოფაგი მთლიანად მიწით იყო დაფარული. გამთხრელის აზრით, სარკოფაგი მეორედაა გამოყენებული, რაზეც მეტყველებს წარწერისა და სარკოფაგში აღმოჩენილი ნივთების ქრონოლოგიური სხვაობა. წარწერა თარიღდება VI-VII სს-ით, ნივთები (ოქროს ბეჭედი და საკინძისთავი) კი არა უგვიანეს X საუკუნისა (სინაურიძე 1975: 76-78).

სხვადასხვა აზრით გამოთქმული სარკოფაგში ჩასვენებულ მიცვალებულთა რაოდენობაზე ვ. ჯავარიძე თვლიდა, რომ სარკოფაგში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული. პირველის ძვლები მიხვეტილი იყო სარკოფაგის ბოლოში. მეორე გამოთქილი ესვენა (ჯავარიძე 1972: 137-145). მ. სინაურიძე კი სარკოფაგში ერთ მიცვალებულს ვარაუდობდა (სინაურიძე 1975: 77; 1977ა: 26-28).

სარკოფაგის აღმოჩენის ადგილზე გავლებულ სადაზვერვო თხრილებში აღმოჩნდა 20-მდე უინვენტარო ქვის სამარხი. მათში მიცვალებულები ესვენა ქრისტიანული წესით. ზოგიერთი სამარხის ასაგებად გამოყენებულია ჩუქურთმებით შემკული ადრე შუა საუკუნეების სტელეების ნატივები. რამდენიმე სამარხის კედლები ამოშენებული იყო ქვის წყობით. აქვე გამოვლინდა მასიური კედლების ნაშთები, რომლებიც შესაძლოა ეკლესიას ეკუთვნოდა. ფენა თარიღდება არა უადრეს VI-VII და არა უგვიანეს X-XI სს-სა (სინაურიძე 1977ა: 26-30).

1974-1975 წწ. ბალიჭში გათხარა შუა საუკუნეების ნაგებობა. ფენა შეიცავდა გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკასაც. გამოვლინდა უინვენტარო ქვის სამარხები, რომლებშიც მიცვალებულები დაუკრძალავთ ზურგზე გამოთქილი, თავით დასავლეთით (სინაურიძე 1977: 136). ბალიჭის განათხარი მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში).

სოფ. ბალიჭის ზემოთ, იმ გზასთან, რომელიც თავის დროზე წარმოადგენდა სომხეთისაკენ მიმავალ მთავარ გზას, მდებარეობს სურბ-ნიშანის (სურბ სარგისის) მცირე ზომის დარბაზული ეკლესია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. სახურავი და კედლები ჩამოგრებულია. აქვს ოდნავ გაფართოებული აფსიდა (სინაურიძე 1977: 129-138).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1941: 37, 39; ბაგრატიონი 1986: 52; ბარნაველი 1972: 144-147; გიულდენშტედტი 1962: 81; 1964: 13; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 296; კოტიანი 1980: 174; ლორთქიფანიძე 1977: 5-23; სინაურიძე 1973: 429; 1974ა: 437; 1975: 75-78; 1977: 129-144; 1977ა: 26-30; 1985: 47-53; 2000: 19-21; ქართ. წარწ. კორ. 1980: 149, 150; ქც 4: 311,25; 315,20; 316,20; შანიძე 1972: 137-143; ჯავარიძე 1972: 124-134; 1982: 383, 384.

ბანაპი, ქალაქი (ქც 4:309,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 309,1), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 349,15), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 71), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 245).

ლოკალიზდება სომხეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში, დღევანდელი ყაზანჩის მახლობლად (ბერძენიშვილი 1979: 54). იდენტიფიცირდება ძველი წყაროების კავანართან (მუსხელიშვილი 1977: 149, 150; ინგოროფა 1954: 454).

1551 წ. ირანის შაჰმა თამაზმა ქაიხოსრო II ათაბაგს გადასცა ბამბაკი და ლორე (გამრეკელი, ცქიტიშვილი 1973: 153), XVIII ს-ის ბოლო ოცწლეულში ბამბაკი გიორგი ბატონიშვილის საუფლისწულო მამული იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ კი რუსთა წინააღმდეგ აჯანყებული ბატონიშვილებისა და სპარსელთა სამხედრო დასაყრდენად იქცა (ბაგრატიონი 1983: 71).

ბამბაკი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1983: 71; ბერძენიშვილი 1979: 54; გამრეკელი, ცქიტიშვილი 1973: 153; გიულდენშტედტი 1962: 245; ინგოროფა 1954: 454; ლორთქიფანიძე 1935; 1938; მუსხელიშვილი 1977: 149, 150; ქც 2: 349,15; ქც 4: 309,1;*

ბანა (ქც 4: 209,20; 250,12; 283,4,7; 674,23; 683,13,სქ.3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 209,20; 250,12; 283,4,7; 674,23; 683,13, სქ. 3), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 261,3,4; 292,12; 295,2), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ქც 1: 318,7; 368,32), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქც 1: 379,17; 385,6), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 16,2), ბასილი ეზოსმოდგრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქც 2: 130,5), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 213,11; 214,8; 313,11), კ. კონხის „მოგზაურობა“ (კონხი 1846: 243-248).

ვახუშტი ბაგრატიონი ბანას შესახებ გადმოგვცემს: მდ. ჭოროხზე, ფანასკერტის ციხის „ზეით ... მთაში, არს ბანა, აწ უწოდებენ ფანაქს. აქა არს ეკლესია გუმბათიანი, დიდი, უყენიერად ნაკვები, კეთილშეუნიერს ადგილს. აღაშენა მეფემან ადარნასემ, და დაფლულ არიან მეფენი. იჯდა ეპისკოპოზი, ფანასკერტისა და სრულიად ტაოსი, ოლთისისა და ნარუმაკისა და აწ არს ცალიერი“ (ქც 4: 683,13-17). მდებარეობს ქართულ ისტორიულ პროვინცია ტაოში, მდ. ოლთისის შენაკადის, ფენიაქის წყლის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ფენექის (ფენიაქის) ადგილას. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

ბანას ეკლესია ააშენა ადარნასე IV-ემ (888-923) (ქც 1: 261,3). პირველი ბანელი ეპისკოპოსი ყოფილა კვირიკე. მის დროს ბანას საეპისკოპოსო ტაძრის

სამწყსოში შედიოდა ფანასკერტი, სრულიად ტაო, ოლთისი და ნარუმაკი (ქც 1: 261,3,4; ქც 4: 683,15-17). VII-XII სს-ში ბანას ქვევით თავდებოდა ქართველ მეფეთა სამფლობელო და იწყებოდა ბერძენთა მიწები (ჯავახიშვილი 1983: 60, 65, 68). ბანა შუა საუკუნეებში იყო ტაოს პროვინციის ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრი. ბანა X-XV სს-ში იყო ქართველ მეფეთა მამული (ქც 1: 318,7, 385,6). ბანას ეკლესიაში იმარხებოდნენ ქართველი მეფეები (ქც 4: 683,15-17). აქ დაკრძალულნი არიან მეფე ვახტანგი, ძე მეფეთ-მეფისა ალექსანდრესი და მისი მეუღლე ფანასკერტელის ასული სითი-ხათუნი (ქც 4: 283,3,4). ბანაში იქორწინა ბაგრატ IV კურაპალატმა (1027-1072), კეისარ რომანუს III არგიროუსის ქალიშვილ მეფენე დედოფალთან (ქც 1: 295,2). ბანა XVIII ს-მდე იყო საკათედრო ტაძარი (გუტჩევი 1971: 240; ტიერი 1960: 12). ბანელი ეპისკოპოსები დიპლომატიურ მისიას ასრულებდნენ ქართველ მეფეთა ინტერესების დასაცავად (ქც 1: 391,12). ზაქარია ბანელი, იგივე ზაქარია ვალაშკერტელი, სვინგელოზი 1021-1022 წწ. დიპლომატიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა იმპერატორ ბასილი II-სა და საქართველოს მეფე გიორგი I-ს შორის. ბანელი ეპისკოპოსები აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველ და ბიზანტიელ მეფეთა შორის გამართულ ბრძოლებში, ტაოში პოლიტიკური გავლენის მოპოვებისათვის (ქც 1: 291,12; ქც 4: 144,3). თამარ მეფის (1184-1207) დროს, რუქნადინზე გამარჯვების შემდეგ, ტაო ქართველებმა კვლავ შემოიმატეს. ზაქარია ასპანის ძის მეთაურობით თამარ მეფემ ხახული, ოშკი და ბანა დაიბრუნა (ქც 1: 368,32; ქც 2: 130,5; ჯავახიშვილი 1983: 272). ბანაში წარიმართა ლაშა-გიორგის (1207-1222) მიერ სულთნის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები (ქც 2: 16,2). XIII ს-ის შუა და ბოლო წლებში ბანა სასტიკად ააოხრეს რუმის თურქმანულმა ტომებმა. ბანასთან დაამარცხა ყვარყვარე ციხისჯვარელ-ჯაყელმა თურქმანთა უზარმაზარი ლაშქარი, რის გამოც ამ ომს ბანაჯვარად უხმობენ (ქც 2: 213,11, 214,7,8; ქც 4: 209,20). მოგვიანებით აქ ბექა მანდატურთუხუცესმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა აზატ-მოსეს 60 000-იან ლაშქარზე (ქც 2: 313,11; ქც 4: 250,12). საგარაულოა, რომ ამ ბრძოლების შედეგად ბანას ეკლესია დაზიანდა (ედვარდსი 1985: 27). რუსეთ-თურქეთის ომის დროს 1855, 1877 წწ.



ტაძარი დაინგრა (სტრზიგოვსკი 1918: 121). ბანას მონასტერი ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ კერას წარმოადგენდა. აქ X-XVI სს-ში მესრულე-ბული ხელნაწერები ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (მენაბდე 1962: 462-464).

ბანა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ტაძარი აღწერა კ. კონხა თურქეთში მოგზაურობისას. იგი მაშინ ჯერ კიდევ გადახურული მდგარა (კობი 1846: 243-248). ბანას ტაძარი აღწერეს ე. ვეიდენ-ბაუმმა და დ. პაქრაძემ. XIX ს-ში ნაგებობა გარშემორტყმული იყო მცირე სამლოცველოებითა და სენაკებით (მასალები კავკ. არქ. 1909: 89, 92-95). ექ. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპედიციის დროს შესრულდა ტაძრის ანაზომები (არქ. ს. კლდიაშვილი) (მასალები კავკ. არქ. 1909: 88-117). ბანას ტაძარი სხვადასხვა დროს მონა-ხულეს ნ. ტიერემ (ტიერი 1960: 12-14), დ. გუტჩოვ-მა (გუტჩოვი 1971: 240, 241). უახლესი ანაზომები ეკათონის რ. ედვარდსს (ედვარდსი 1985: 27-32).

ტაძარი წარმოადგენს ტეტრაკონქს, რომელიც გარსშემოვლებულია წრიული გალერეით (სიგანე დაახ. 38 მ, სიმაღლე 32 მ). შიდა სივრცე წარმოად-გენს წრეში ჩახაზულ, მომრგვალებულმკლავე-ბიან, ტოლფერდა ჯვარს. ცენტრალური კვადრატი ვუმბათით იყო გადახურული (გუმბათის ფელის დმ 8 მ). ჯვრის მკლავების სიგანე ორჯერ ნაკლებია მათ სიმაღლეზე. აფსიდები ოთხი მასიური ობოძი-თაა დაკავშირებული. აფსიდებს შორის გამარ-თული იყო მრავალსართულიანი პატრონიკები. აფსიდების ქვედა ნაწილში ამოყვანილია კამარები. ისინი კარიბჭის როლს ასრულებდნენ. პატრონი-კებს შორის მოთავსებული იყო კვადრატში ჩახა-ზული ჯვრის ფორმის სათავსები. ხუთსართულიანი აფსიდები კამარებით ყოფილა გადახურული. საკურთხევლის აფსიდა შედგებოდა 6 სვეტისგან (სიმაღლე 2 მ), რომლებიც 2 მ სიმაღლის კედელზე იყო აღმართული. დანარჩენ აფსიდებს ჰქონდათ ოთხ-ოთხი სვეტი, თითქმის ორმაგი სიმაღლისა და თანაც უფრო მასიური. აფსიდებს სამ-სამი სარკმელი ჰქონდათ. ძირითად სივრცეს გარს უვლიდა წრიუ-ლი გარსშემოსავლელი, რომელიც ორსართულიანი უნდა ყოფილიყო და აღწევდა აფსიდების სარკმლე-ბამდე. გალერეა მთლიანად იყო შემკული ნახევარ-წრიულ პილასტრებზე გადაყვანილი თაღებით. მათი ორნამენტული კაპიტელები დამშვენებულია წნული ორნამენტითა და ვოლუტებით. პილასტრე-ბი მალალპროფილირებულ ბაზისებზე დგას (ჩუბი-ნაშვილი 1936: 169-179; სევეროვი 1947: 189; ბერიძე 1974: 111, 112; 1989; მეფისაშვილი, ცინცაძე 1978: მეფისაშვილი, თუმანიშვილი 1989: 95; ჯობაძე 1992). დღეისათვის შენობის უმეტესი ნაწილი დან-გრეულია (ედვარდსი 1985: 27-28). ტაძარი აგებუ-ლია ერთი ზომის კარგად გათლილი ქვის კვადრე-ბით. კედლის პერანგებს შორის გამოყენებულია ფლეთილი ქვიშაქვა დულაბზე. მოსაპირკეთებელი ფილები მჭიდროდ არის მიჯვარილი. პილასტრების

განსხვავებული შესრულების სტილი მიუთითებს პირველი სამშენებლო პერიოდის სამ ფაზაზე. მეორე სამშენებლო პერიოდი დაკავშირებული იყო ძვე-ლის ძლიერ დაზიანებასთან მტრის შემოსევის ან მიწისძვრის შედეგად და შესაძლოა უკავშირდება ადარნასეს სამშენებლო მოღვაწეობას. ამ პერი-ოდში კედლის გამაგრების მიზნით თაღები შეივსო უხეში ქვის წყობით. გადაკეთების კვალი ჩანს ინ-ტერიერშიც (ედვარდსი 1985: 29-32). მიჩნეული იყო, რომ ბანა X ს-ის ძველია (მასალები კავკ. არქ. 1909: 88-117; თუმანიშვილი 1963: 492). თუმცა, ტაძ-რის მხატვრულ-სტილისტურმა ანალიზმა ცხადყო მისი მსგავსება VII ს-ის იმზნისა და ზვარტნოცის ეკლესიებთან. ბანა დათარიღებულია VII ს-ის მე-ორე ნახევრით (ჩუბინაშვილი 1936: 169-179; ბერი-ძე 1974: 111, 112; 1989; მეფისაშვილი, ცინცაძე 1978; მეფისაშვილი, თუმანიშვილი 1989: 63, 95; ჯობაძე 1992: 78-85).

ბიბლიოგრაფია: ბერიძე 1974: 111, 112; 1981: 136-138; 1989; გუტჩოვი 1971: 240, 241; ედვარდსი 1985: 39; ვინფილი 1977: 1-19; თუმანიშვილი 1963: 492; ინ-გოროვსკა 1954: კობი 1846:243-248; მასალები კავკ. არქ. 1909: 88-117; მენაბდე 1962: 462-464; მეფისაშ-ვილი ცინცაძე 1978; მეფისაშვილი, თუმანიშვილი 1989: 63, 95; სალია 1961: 36, 37; სევეროვი 1947: 189; სტრზიგოვსკი 1918: 121; ტიერი 1960: 12, 34, 35; ქვ 1: 261,3,4, 292,12, 295,2, 318,7, 368,32, 378,17, 385,6; ქვ 2: 16,2, 130,5, 213,11, 214,8, 313,11; ქვ 4: 209,20; 250,12; 283,4,7; 674,23; 683,13, სქ. 3; ჩუბი-ნაშვილი 1936: 169-179; ჯავახიშვილი 1983: 60, 65, 68, 272; ჯობაძე 1978; 1992: 78-85.

ბანძა, ციხე (ქვ 4: 776,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 447,5; 376,15,17; 833,23; 834,2,11), „კინკლოსური ქრო-ნიკა“ (მცირე ქრონიკები 1968: 58, 69, 72, 73), ბესა-რიონ ჭყონდიდელის განჩინება (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 369), „მესხურ-იმერული დღიური წერილე-ბი“ (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 264), იოჰან გი-ულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 323)

მდებარეობს მარტვილის მუნიციპ-ში, მდ. აბაშის მარცხენა ნაპირზე, ახლანდელი სოფ. ბანძის ტერი-ტორიაზე. XVI-XVIII სს-ში ბანძა ოდიშის სამთავროს შე-მადგენლობაშია. 1658 წ. ბანძის მიდამოებში გამართულა ბრძოლა იმერეთის მეფესა და გურია-სამეგრელოს მთავრებს შორის, რომელიც იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ისა (1639-1660) და სამე-გრელოს მთავრის ვამეყ III დადიანის გამარჯვე-ბით დამთავრდა.

არქეოლოგიური დაზვერვებისას ბანძასთან დაფიქ-სირდა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები - „ტაბა-კური I და II“ (გრიგოლია ... 1973: 31). ბანძის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. აბაშის მარც-ხენა ნაპირის ტერასაზე მდებარეობს ბანძის დიხა-

გუშუბა I. დაზვერვებისას იქ აღმოჩნდა ცილინდრული ფორმის ჯამის ნატეხები; ყელჩალარული ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტები; თიხის ბორბლის მოდელი; კაჟის ნამგლის ჩასართი; საფხეკი. ნამოსახლარი თარიღდება ადრე რკინის ხანით (გრიგოლია ... 1973: 29, 30). 1923 წ. სოფ. ბანძაში, მდ. აბაშის პირას შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი. ინვენტარი წარმოდგენილია: რკინის მხვილით, შუბისპირით, დანით, ვერცხლის თასით, ოქროს წვრილი სამკაულებით, ანტონინე პიუსის (138-161) ვერცხლის მონეტით (მაკალათია 1928: 182-185). ქვევრსამარხი თარიღდება ახ. წ. II ს-ით (ფუთურძე 1959: 60). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბანძის ციხე მდებარეობს მდ. აბაშის ჭალაში, ნოჯინგეთან. მისგან მხოლოდ ნანგრევებიღა შემორჩენილი. ნაგებია რიყის ქვით. ორმაგი გალავნის შიგნით გადარჩენილია სამხრეთისა და ჩრდილოეთის ოთხკუთხა კოშკის ნაშთები (ელაიავა 1971: 33). სოფლის ცენტრში მდებარეობს ქვათილებითა და რიყის ქვისაგან ნაგები „სამთხის კარის“ ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები (ელაიავა 1971: 30).

ბიბლიოგრაფია: გიულდენშტედტი 1962:323; გრიგოლია ... 1973:31; ელაიავა 1971:30-33; მაკალათია 1928:182-185; მცირე ქრონიკები 1968:58, 69, 72-73; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980:264; ფუთურძე 1959:60; ქართ. სამართ. ძეგ. 1977:369; ქც 4:776,15.

ბარაღმთი, ქალაქი (ქც 4: 670,22,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 670,22,23), XVII ს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 506; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 37), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 232), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 273-277).

მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპ-ში, ახალქალაქიდან 16 კმ-ის დაშორებით, მდ. ბარაღეთის მარცხენა მხარეს, თანამედროვე სოფ. ბარაღეთის ტერიტორიაზე.

ვახუშტი ბაგრატიონი ბარაღეთის შესახებ გადმოგვცემს: „წუნდას ზეით ჯვანეთის მტკუარს მიერთვის ჩდილოდამ ბარაღეთის მდინარე ... ამ წყალზედ მტკუარის შესართავის ზეით, არს ბარაღეთი, მცირე ქალაქი“ (ქც 4: 670,22,23). ბარაღეთი XVI ს-ში ხერთვისის ლივაში შედიოდა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 243). ბარაღეთი წარმოადგენდა უგალავნო, უცინო, გაუმაგრებელ ე. წ. მცირე ქალაქს, რომელიც აღმოცენდა XI-XII სს-ში, როგორც სავაჭრო-ნელოსნური ცენტრი (ბერძენიშვილი 1964: 144-145; მესხია 1986: 293). 1687 წ. სრულიად საქართველოს კათოლიკოსმა ნიკოლოზ ამილახვრიშვილმა აონრებულები სოფელი ბარაღეთი ახლად ააშენა (ქრონიკები 1897: 506;

მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 37). XVIII ს-ის 30-50-იან წლებში ლეკებმა ბარაღეთი დაარბიეს და იქიდან დიდი ნადავლი წაიღეს (ორბელიანი 1981: 232). XVIII ს-ში ბარაღეთი მოიხსენიება თერთმეტ მცირე ქალაქთა შორის (ქც 4: 670,22,23; მესხია 1986: 293). XIX ს-ში ბარაღეთი, როგორც ქალაქი, აღარ არსებობს (ბერძენიშვილი 1985: 116). ის „ბარაღისის“ სახელეთაც იყო ცნობილი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 273, 274). ბარაღეთის ქალაქობისდროინდელი სავარაუდო სახელებია: „სახდელი“, „გელაზ“ და „საყარაული“ (ბერძენიშვილი 1985: 116).

XII ს-ში გზა ჯვანეთიდან შიდა ქართლში ბარაღეთის გავლით გადიოდა (ბერძენიშვილი 1966: 100). XIV ს-ში კონტასთავიდან თრიალეთისკენ მიმავალი გზა ამ ქალაქს გაივლიდა (ბერძენიშვილი 1966: 99). XVIII ს-ის პირველ ნახევარში თურქეთის, ირანისა და ამიერკავკასიის დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობდა ბარაღეთი, რომელიც მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა (სინ 1973: 494).

ბარაღეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

1968 წ. ივ. ჯვანშიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მესხეთ-ჯვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო რაზმის მიერ (ხელმძღ. ო. ლამბაშიძე) ბარაღეთის „ნაცარგორაზე“ აიკრიფა ზედაპირული მასალა: კერამიკა, ბრინჯაოს დისკოსებრი საკიდი და სხვა (ლამბაშიძე 1969: 18; ლამბაშიძე, კვიციანიძე 1981: 62).

1993 წ. სოფ. ბარაღეთის ნამოსახლარ „ამალე-ბაზე“ ჩატარდა საქართველო-აშშ-ის ერთობლივი ექსპედიციის (ხელმძღ. ზ. ქიქოძე, ფ. კოლი) სადაზვერვო სამუშაოები. ნამოსახლარზე გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის შავი და მოწაბლისფრო პრიალა პირმოყრილი ჯამები და ყურიანი ქითნების ფრაგმენტები – შემკული ნაკაწრი სამკუთხედებით, სპირალური ორნამენტითა და სხვ. იქვე გამოვლინდა თიხის კერისა და სარქველის ფრაგმენტები, ცულის ყალიბის ნატეხი, ბრინჯაოს ოთხწახნაგა ისრისპირი და სხვა (ქიქოძე ... 1998: 42).

ბარაღეთში ორი ეკლესიაა, ქართული და სომხური. ქართული ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა. მოგვიანებით ეკლესია გადაუკეთებიათ. მის აღმოსავლეთ კედელში ჩადგმულია ქვა ასომთავრული წარწერით: „აღაშენა ეკლესია ესე მათ ჟამთა შინა ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა ...“ (როსტომოვი 1898: 40; ცისკარიშვილი 1959: 52). ეკლესიის აღმოსავლეთ კედელთან მდებარე საფლავის ქვის მხედრული წარწერა იხსენიებს პეტრე ხმალაძეს, რომელიც მაჰმადიანებისაგან იცავდა ეკლესიას (როსტომოვი 1898: 41).

სოფ. ბარაღეთში შემორჩენილია სამლოცველო – კვარცხლბეკზე მდგარი „ჯვარი“. მსგავსი ჯვრები X-XI სს-ის შემდეგ აღარ გვხვდება (ბერძენიშვილი 1964: 84).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1975: 83, 112, 117,

126, 127; 1985: 100, 104, 116, 125, 127; *ბერძენიშ-ვილი* 1964: 84, 141, 144, 145, 147, 148, 150; 1966: 69, 98, 100; *ვერტიშვილი* 1965: 21; *გურჯისტანის ვილაიეთის ...* 1958: 243, 267-270, 273, 275, 277-278, 286, 292; *იოსელიანი* 1850: 34; *ლორთქიფანიძე* 1935: 274; *მაკალათია* 1985: 83; *მასლები საქ. ისტ. გეოგ.* 1964: 37; *მესხია* 1983: 101, 117; 1986: 169, 293; *სინ* 1973: 494; *ორბელიანი* 1981: 232; *როსტომოვი* 1898: 40, 41, 127; *ქრონიკები* 1897: 506; *ქც* 4: 670, 22, 23; *ლამბაშიძე* 1969: 18-20; *ლამბაშიძე კვიჟინაძე* 1981: 62; *ციცკარიშვილი* 1959: 36, 52, 127.

ბარგუშატი, ბარგუშათი (ქც 1: 368,21; ქც 2:365,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: *ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე „ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი“* (ქც 1: 368,21), *ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“* (ქც 2: 365,17), *პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“* (ორბელიანი 1981: 166, 170-172, 190, 193, 208), *სტეფანოზ ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“* (ორბელიანი 1978: 55, 62, 63, 90), *ჰასან რუმელუს „ცნობები საქართველოს შესახებ“* (რუმელუ 1966: 22, 56), *მუსტაფა ნაიმას „ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“* (ნაიმა 1979: 102), *ესაი ჰასან ჯალალიანცის „ალკანთა ქვეყნის ისტორია“* (ჯალალიანცი 1971: 28). *ლოკალიზდება* სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მთიან ყარაბაღში, მდ. ბარგუშათის წყალსა (მდ. მტკვრის შენაკადი) და თეთრ წყალს (ახსუს) შორის (საქ. ისტ. რუკა 1923).

ბარგუშატი პირველად იხსენიება *ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანესთან*. მანდატურთუხუცესმა და ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა და მისმა ძმამ, სომეხთა და ქართველთა ათაბაგმა ივანემ თამარის მეფობის (1184-1207) დროს აიღეს ველაქუნი, ბიჯნისი, ამბერდი და ბარგუშატი (ქც 1: 368,21; ორბელიანი 1978: 55). 1556 წ. შაჰ-თამაზმა (1524-1576) გაილაშქრა ბარგუშატისკენ (რუმელუ 1966: 22, 56), დასვა სულთანი ვანმას, ბარგუშათს, შაქს (ქც 2: 365,17). თეიმურაზ II-მ (1744-1762) და ერეკლე II-მ (1744-1798) რამდენჯერმე ილაშქრეს ბარგუშატიში (ორბელიანი 1981: 166, 170-172, 190, 193, 208). ივანე ორბელიანმა ლიპარიტ ორბელიანს მისცა სამეკვიდრედ ბარგუშატი და სხვა ციხენი (ორბელიანი 1978: 62, 63). ბარგუშატის მფლობელი იყო ტარსაიჭ დიდი ლიპარიტის ძე (ორბელიანი 1978: 90).

ბარგუშატი-ბარგუშათი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ნაიმა* 1979:102; *ორბელიანი* 1978: 55, 62, 13, 90; *ორბელიანი* 1981: 166, 170-172, 190, 192, 193, 203; *ქც* 1: 368,21; *ქც* 2:365,17; *საქ. ისტ. რუკა* 1923; *ჯალალიანცი* 1971: 28; *რუმელუ* 1966: 22, 56.

ბარღაზი, ბარდა, ბარზაა, ქალაქი (ქც 1: 5,5; 68,20; 117,3; 130,23; ქც 4: 128,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: *ლეონტი მროველის „მეფეთა*

ცხოვრება“ (ქც 1: 5,5; 668,20; 117,3), *ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“* (ქც 4: 128,5; 129,27; 130,16; 134,13; 213,22; 264,21; 265,3; 267,5; 272,8), *ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“* (ქც 1: 144,10; 176,7; 217,17; 242,4), *„მატიანე ქართლისა“* (ქც 1: 255,12; 256,18; 266,4), *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“* (ქც 1: 332,3; 340,5,7), *ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე* (ქც 1: 370,31), *სუმბაჯი დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“* (ქც 1: 376,8; 377,7), *„ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“* (ქც 2: 17,17; 58,4), *ბასილი ეზოსმოდვერის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“* (ქც 2: 130,8), *ყამბათაღმწერელი* (ქც 2: 186,7; 189,8; 191,4; 195,19; 223,8; 228,13; 247,9; 250,3), *ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი* (ქც 2: 330,25; 335,18; 407,11,12; 457,20; 467,20), *პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“* (ორბელიანი 1981: 54, 55, 73-75, 80, 82, 208), *IX ს-ის მეორე ნახევრის „აღწერა დავითისა მღვიმისადმი“* (ქრონიკები 1892: 71; ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: 17; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 3), *სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“* (ორბელიანი 1978: 55), *იბნ ჰაუკალი (ჰაუკალი 1976: 31, 37), ისთახრის „გზანი და სამეფონი“* (ისტახრი 1937: 2, 4, 6), *„ჰოლედ ალ-ალემი“* (ჰოლედ ალ-ალემი, 1937: 15), *ჰამადოლაჰ ყაზვინის „გულთა სიამე“* (ყაზვინი 1937: 22, 40, 41), *ზაქარია ალ-კაზვინი (ალ-კაზვინი 1975: 25, 34, 39, 87, 107, 111, 112, 120-122, 124, 128, 135, 197), „სამყაროს საკვირველება“* (სამყაროს საკვირველება 1978: 11, 20, 27, 38, 39, 42, 43), *ეგლია ჩელუბის „მოგზაურობის წიგნი“* (ჩელუბი 1971: 267), *ქათბე ჩელუბი (ჩელუბი 1978: 62, 63, 114, 125, 126, 142, 143, 261), ისქანდერ მუნში (მუნში 1969: 150, 151), ჰასან რუმელუ (რუმელუ 1966: 64), ზაქარია აგულეცის „დლოური“* (აგულეცი 1979: 76), *ესაია ჰასან ჯალალიანცის „ალკანთა ქვეყნის ისტორია“* (ჯალალიანცი 1979: 21, 27, 29), *მუსტაფა ნაიმა (ნაიმა 1979: 163).*

ლოკალიზდება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, რაიონულ ცენტრ ბარდას მახლობლად. მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მტკვრისა და ტერტერის შესართავთან (სამყაროს საკვირველება 1978: 42, შენ. 39).

ბარდავს წერილობით წყაროებში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: ქართულში ბარდავი, სომხურში პარტავი, არაბულ-სპარსულში ბარდა-ბარზა. ქართული წყაროებით ბარდავი ძველი ქალაქია, დაარსებული ქართლოსის ვაჟის, ბარდოსის მიერ (ქც 1: 5,5). უცხოური წყაროები მის დაარსებას ალექსანდრე მაკედონელს ან სპარსთა მეფე პეროზს (459-485) მიაწერენ (ნურიევი 1986: 7). VI ს-ში ბარდავი კავკასიის ალბანეთის სატანტო ქალაქია, რომელიც მდებარეობდა დიდ საქარავნო გზასაყარზე (სიხარულიძე 1963: 176; ნურიევი 1986: 4). VIII ს-ში ის არაბებმა დაიპყრეს. შემდგომ ქალაქი ბულა-ნოინმა მოაოხრა (ქც 1: 255,12; ქც 4:

129,27, 130,16). აშოტ კურაპალატს სახლად ჰქონდა ტფილისი და ბარდავი (ქც 1: 376,8; ქც 4: 128,5). 1121 წ. ბარდავი დაიპყრო დავით აღმაშენებელმა (ქც 1: 340,5,7). XIII ს-ში მონღოლებმა აიღეს ქალაქი და ზამთარს იქ ატარებდნენ (ქც 1: 217,7; 255,12; 370,31; ქც 2: 186,7; 189,8; 191,4; 195,19; 223,8; 228,13; 247,9; 250,3; 330,25; ქც 4: 129,27; 130,16; 267,5). ბარდავი XVIII ს-ში საბოლოოდ დაანგრია ნადირ-შაჰმა (ნურიევი 1986: 25, 26).

ბარდავში შემთხვევით აღმოჩენილი სხვადასხვა ნივთები თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულიდან მიყოლებული ვეიანი შუა საუკუნეების ჩათვლით (ნურიევი 1986: 7). მის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილია გამოსახლარის სამი სხვადასხვა სამშენებლო დონე: IX-X, X-XII და XIII-XIV სს-ის. ქვედა, I დონე 3 მ სიღრმეზეა დაფიქსირებული. მასში აღმოჩნდა საცხოვრებელი შენობები, ნაგები აგურით, თიხისა და გაჯის სსნარზე. არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია თიხის მოუჭიქავი ჭურჭლით, ლითონის, მინის, ქვისა და ძვლის ნივთებით. II დონეზე გაითხარა ეზო, სადაც აღმოჩნდა ჭა; სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ორმოები; დიდი თონეები და სხვ. არქეოლოგიური მასალიდან აღსანიშნავია მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი, მინის ნაკეთობანი და ზოდები. ამავე დონეზე ნაპოვნია განძი, რომელიც შედგება ვერცხლის სხვადასხვა ზომისა და ფორმის სამაჯურებისაგან, ვერცხლის ნაჭრებისა და მონეტებისაგან. ზედა, III დონის საცხოვრებელი შენობების ასაგებად და იატაკის დასაგებად გამოყენებულია ოთხკუთხა აგური. შენობებში გამოვლინდა: თონეები, მოჭიქული ჯამები და თევზები, ლითონის, მინის, ქვის ნაწარმი. III დონეზე აღმოჩნდა წყალსადენის ორი ხაზი, რომლითაც ქალაქი მარაგდებოდა სასმელი წყლით. ნუმიზმატიკური მასალა შეიცავს ბარდავშივე მოჭრილ შადადინების, ილდიგიზიდების, ილხანების მონეტებს; მეზობელი ქვეყნების ფელსებსა და დირჰემებს (ნურიევი 1986: 8-20).

1970 წ. ბარდავში გაითხარა ქრისტიანული ტაძარი, რომელშიც გამოვლინდა სამი დონე: ადრეული შუა საუკუნეების (V-IX სს-ის), X-XIII სს-ის და მონღოლების შემდგომი პერიოდის. ქვედა პირველ დონეზე გამოვლენილია სამნავიანი ბაზილიკის საძირკველი, ნაგები რივის ქვითა და აგურით (11X6მ). გვერდითი ნაგები ვიწროა. იატაკად დაგებულია აგური (22X22X5სმ). არქეოლოგიური მასალის უმეტესობა მოუჭიქავი კერამიკაა. ტაძარი დანგრეულია ხანძრის შედეგად. ბაზილიკა არქიტექტურული ნიშნებით, სამშენებლო მასალითა და განათხარა კერამიკის მიხედვით თარიღდება VIII ს-ით (გვიუშვილი 1971: 226, 227).

ბარდავის ტერიტორიაზე შემორჩენილი არქიტექტურული ძეგლებიდან აღსანიშნავია 1322 წ. აგებული მრავალწახნაგოვანი მავზოლეუმი (ნურიევი 1986: 22).

ბიბლიოგრაფია: აგულევი 1979: 76; ალ-კაზვინი

1975: 25, 34, 39, 87, 107, 111, 112, 120-122, 124, 128, 135, 197; გვიუშვილი 1971: 226, 227; ისთახრი 1937: 2, 4, 6; მუნში 1969: 150, 151; ნაიმა 1979: 163; ნურიევი 1986: ორბელიანი 1981: 54, 55, 73-75, 80, 82, 208; რუმლე 1966: 64; „სამყაროს საკვრველება“ 1978: 11, 20, 27, 38, 39, 42, 43; სიხარულიძე 1963: 176; ქც 1: 5,5; 668,20; 117,3; 144,10; 176,7; 217,17; 242,4; 255,12; 256,18; 266,4; 332,3; 340,5,7; 370,31; 376,8; 377,7; ქც 2: 17,17; 58,4; 130,8; 186,7; 189,8; 191,4; 195,19; 223,8; 228,13; 247,9; 250,3; 330,25; 335,18; 407,11,12; 457,20; 467,20; ქც 4: 128,5; 129,27; 130,16; 134,13; 213,22; 264,21; 265,3; 267,5; 272,8; ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: 17; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 3; ქრონიკები 1892: 71, 87, 281; ყაზვინი 1937: 22, 30, 41; ჩელები 1971: 267; ჩელები 1978: 62, 63, 114, 125, 126, 142, 143, 261; ჯვალაიანცი 1971: 21, 27, 29; პაუკალი 1976: 31-37; პოდუდ ალ-ალემი 1937: 15.

ბარამული, ციხე (ქც 4: 763,3). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 763,3).

მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპ-ში, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. ბარეულის ტერიტორიაზე, მისგან რამდენიმე კმ-ის დაშორებით. დასავლეთიდან ესაზღვრება ბერშოულის ლელევახუშტისეული „ბარეულის ხევი“ (ბერაძე 1983: 19). ვახუშტი ბაგრატიონი ბარეულის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „ტოლის ხევი ზეით მოერთვის ბარეულის ხევი, რიონს სამხრდიამ ... ბარეულს, რიონს კიდევად, არს ციხე კეთილშენი“ (ქც 4: 763,1-3).

ბარეულის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფლის მიდამოებში არსებული ციხის ნაშთებიდან შემორჩენილია კლდის ფლეთილი ქვებით კირხსნარზე ნაშენი კოშკის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. დანარჩენი კედლები მიწის პირთანაა გასწორებული.

ბარეულის ღვთისმშობლის დარბაზული ტიპის ეკლესია (4,5X3,2მ) ნაშენია შირიმის კვადრებით, კირხსნარზე. შესასვლელი ჰქონია სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. XX ს-ის 20-იანი წლებისათვის ეკლესიის დანგრეული კედლები იყო შემორჩენილი (ბოჭორიძე 1994: 127). ეკლესიიდან ცნობილია ვერცხლის(?) დაზიანებული ჭედური ნატი, რომელიცაა წმინდანის გამოსახულებით. ნატი შემკულია მცენარეული ორნამენტით. ქვედა არშიაზე შემორჩენილია ნაკლული ასომთავრული წარწერა: „... სასოებით მოსავსა შენსა ზაქარაას კვიტასვილსა მეფს მეფავ დღესა მას განკითხვისასა“. თარიღდება XVI ს-ით. ნატის ფრაგმენტები ინახება ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (ბოჭორიძე 1994: 128). 1991 წ. მიწისძვრის შედეგად მთლიანად დაინგრა ბარეულის წმინდა გიორგის დარბაზული ტიპის XI ს-ის ეკლესია.

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1983: 19; ბოჭორიძე 1994: 127, 128; ქც 4: 763,3.

ბახტრიოვი, მალრანნი, ციხე (ქც 4: 549,18,სქ.3; 599,19; 600,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 549,18, სქ. 3; 599,19; 600,14), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 434,15; 438,20,21), იოანე ბაგრატიონის „სჯულდება“ (ბაგრატიონი 1957: 5, 28, 52), მისივე „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 70), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 347, 375, 450, 451; 1974: 291, 431; 1985: 315; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 72), მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ (თაჰერი 1954: 393), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 110), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 35, 45, 47, 261).

მდებარეობს ანტიკის მუნიცი-ში, მდ. ალაზნისა და ილტოს შესართავის მახლობლად, მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ბახტრიონის გორაზე.

ვახუშტი ბაგრატიონი ბახტრიონის შესახებ გადმოგვცემს: „უტოს-ხევის შესართავის პირისპირ, ალაზნის აღმოსავლეთის კიდესა ზედა, არს ციხე ბახტრიონი ანუ მალრანისა, რომელმან მოიგო სახელი დაბნებთაგან მის გარემოსთა მყოფთა ... ესე ყოფილ არს დიდშენი და მაგარი, გარნა აწ უქმი (ქც 4: 549,16-21). XVII ს-ის 50-იან წლებში, შაჰ-აბას II-ის ბრძანებით, ალაზნის ნაპირზე მდებარე პატარა სოფელ ბახტრიონში ციხე აუშენებია ალავერდიხანს. ციხე ერთ-ერთი მტკიცე დასაყრდენი იყო კანეთში სპარსთა ბატონობის გასაჯერებლად და აქ ჩამოსახლებული თურქმანული ტომების დასაცავად (ქც 2: 434,15, 438,20,21). 1659 წ. კახელების აჯანყების დროს ბახტრიონის ციხეს, რომელშიც ყოილბაშია ჯარი იღვა, თავს დაესხნენ აჯანყებულები. მათ აიღეს ციხე და ამოწყვიტეს იქ მყოფი თათარნი (ქც 4: 600,4-6).

ციხე შემორჩენილია ნანგრევების სახით. მას სამკუთხა მოყვანილობა უნდა ჰქონოდა. გალავანზე მიშენებული ყოფილა რიყის ქვით ნაგები კოშკები. შემორჩენილია ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკების ფრაგმენტები, მათ შორის აღმოსავლეთის კოშკის ორი სართული. პირველ სართულზე, ჩრდილოეთის მხარეს კარებია, აღმოსავლეთის ნიშები, შუაში ბუხარი, გვერდებზე თითო სათოფურია. მეორე სართულზე ბუხარი და სათოფურებია. ციხის აღმოსავლეთ მონაკვეთში დგას რიყის ქვით ნაგები მცირე ზომის დარბაზული ეკლესია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. სარკმლები აღმოსავლეთით და ჩრდილოეთითაა. დარბაზი გადახურულია ერთიანი, ცილინდრული კამარით. ტრაპეზი მარცხენა კუთხეშია მიდგმული. ეკლესია ცვიანი შუა საუკუნეებისა (ზაქარაია 1962ა: 48, 49; 1965: 158-160; 1973: 123, 124).

1960 წ. ზაფხულში ბახტრიონის გორაზე, ხვნის დროს უნახავთ ოთხი მონეტა, რომლებიც ასე განისაზღვრა: ხოსრო II-ის (590-628) სასანური დრაქმა; ომეიანთა დირჰემი, მოჭრილი 710-711

წწ.; აბასიანთა ორი დირჰემი, მოჭრილი 760-761 და 765-766 წწ. შესაძლოა ისინი დიდი განძის ნაწილი იყო (ჯალალანია 1973: 74, 75; 1979: 41, 53). მონეტები მპოვნელს დარჩა.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1957:5, 28, 52; 1986:72; გიულდენშტედტი 1962: 25, 45, 47, 261; ზაქარაია 1962ა: 48-50; 1965: 158-160; 1973: 123, 124; თაჰერი 1954: 393; კოტინოვი 1980: 58; მუსხელიშვილი 1980: 16, 60, 118; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 72; ქც 2: 434,15, 438,20,21; ქც 4: 549,18,სქ.3; 599,19; 600,14; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 347, 375, 450, 451; 1974: 291, 431; 1985: 315; ცხოვრება ... 1980: 110; ჯალალანია 1972: 5, 6; 1973: 69-80; 1979: 41, 53.

აფლია, ქალაქი (ქც 1: 5,15; ქც 4: 780,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქც 1: 5,15; 281,1,5;), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 780,7,8,10,13,16; 794,22; 796,11; 789,1). ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 157, 381), დონ კრისტოფორო დე კასტელის „აღმოსავლეთ იბერიის სამეფოსა და მისი აწინდელი ომების შესახებ“ (კასტელი 1976: 171, 176), არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ (ლამბერტი 1938: 120, 158), ამბროსო კონტარინის „მოგზაურობა“ (კონტარინი 1894: 45, 49), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1964: 53).

ვახუშტი ბაგრატიონი ბედიის შესახებ გადმოგვცემს: „ვერისის მდინარესა ზედა, მთასა შინა, არს ვერი, სადაცა მოვიდა პირველად ეგროს, ძე თარგამოსისა, და აღაშენა ქალაქი ... არამედ ამას შემდგომად უწოდეს ბედია“ (ქც 4: 780,7).

ბედია მდებარეობს გალის მუნიცი-ში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოხოჯის მარჯვენა ნაპირას. მისი ლოკალიზაციის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს: სოფ. ვერი (ბაგრატიონი 1808: 15; ბერაძე 1967: 141); სოფ. შამგონა (კაკაბაძე 1924ბ: 116); სოფ. ბედია (კილანავა 1988: 239).

ბედიის ისტორიის შესახებ ცოტა რამაა ცნობილი კერძოდ: „ვეროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ვერისი. აწ მას ადგილსა ჰქვიან ბედია“ (ქც 1: 5,15). VIII ს-ის მეორე ნახევრიდან XII ს-ის მეორე ნახევრამდე ბედია საბედიანოს საერისთავოს მთავარი ქალაქი იყო. XIV-XVI სს-ში მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა (თამარაშვილი 1902: 58; კილანავა 1988: 241). XVII ს-ის პირველ ნახევარში ბედია საეპისკოპოსო ცენტრად გადაიქცა და აქაურ ეპისკოპოსები იწოდებოდნენ ბედიელებად (ლამბერტი 1938: 120). XVII-XVIII სს-ში ბედია დაკნინდა.

სოფ. ბედია არქეოლოგიურად შეუსწავლელია. არქეოლოგიური დაზვერე-



ბედია

ბის შედეგად სოფ. ბედიასთან დაფიქსირებულია პალეოლითური ხანის სადგომის ნაშთი (ვორონოვი 1969: 16), ადრეპრინჯაოს ხანის დოლმენი (ივაშჩენკო 1935: 14).

სოფ. ბედაში დგას სამონასტრო კომპლექსი, რომელშიც შედის ტაძარი, სამრეკლო და სასახლის ნანგრევები. ბედიის ღვთისმშობლის გუმბათიანი ტაძარი აიგო X-XI სს-ის მიჯნაზე, მეფე ბაგრატ III-ის (975-1014) მიერ. დღეს არსებული ნაგებობა XIII-XIV სს-ით თარიღდება. ტაძარს აქვს ნახევარწრიული აფსიდა ერთი სარკმლით. კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ტაძრის შესტვრობა X-XIII, XIII-XIV, XIV-XVII სს-შია შესრულებული (შემრლინგი 1949: 25). ნაგებობის სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გამოსახულია ქტიტორი – ბაგრატ III ეკლესიის მოდელით ხელში და დადიანთა გვარის წარმომადგენლები. ფრესკა XIV-XVII სს-ით თარიღდება. აღმოსავლეთ კედელზე XIV-XVII სს-ის ქართული წარწერაა: „ღედოფალთ ღედოფალი მარუხ და შვილი მისი ერისთავი და მსახურთუხუცესი დადიანი გიორგი“ (ბროსე 1849: 90-94). ბედიის მონასტრის დასავლეთი კედლის კუთხის ერთ-ერთ ქვაზე მოთავსებული ყოფილა X ს-ის ქართული ასომთავრული წარწერა: „წმიდაო ღ(მრ)თისმშობელო ღედაო ღვთისაო. მეოხ ექმენ გალატოზთუხუცესსა სვიმეონსა, აშშენებელსა წმიდისა ამის ტაძრისა; სვიმეონსა ამინ“ (ბროსე 1849: 91; პავლინოვი 1893: 26; სილოგავა 1980: 38). ამჟამად წარწერა დაკარგულია. ტაძრის დასავლეთით დგას XIV ს-ის სამრეკლო (ვორონოვი 1978: 134). სამრეკლოს დასავლეთ კედელში ჩასმულია ქვის ფილა, რომელზეც ამოკვეთილია 1293-1327 წწ. სამსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა: „ადიდენ ღ(მერთი)ან მეფეთა მეფე კონსტანტ(ი)ნე, ძე დავითისა, ა(მე)ნ“ (ბროსე 1849: 93; ქრონიკები 1897: 179; სილოგავა 1980: 175, 176). სამრეკლოს აღმოსავლეთის შესასვლელის თავზე ჩასმული ყოფილა ფილა XIII ს-ის მეორე ნახევრის ქართული ასომთავრული წარწერით: „ღმერთო, შეიწყალე სული ამის მ(ა)შ(ე)ნ(ე)ბლისა ნ(ი)კ(ოლო)ჲ კ(ათალიკო)ზისა და ს(ო)ფრ(თ)ნ ბ(ე)დიელისა გ(ო)ნგლი(ბ)ა(ი)ს ძ(ე)თ(ა)სა შ(ე)იწყალენ ღ(მერთ)ან“ (ბროსე 1849: 93; სილოგავა 1980: 172, 173). ამჟამად წარწერიანი ფილის ადგილსამყოფელი უცნობია.

ბედიის ტაძარს ეკუთვნოდა ოქროს მთლიანი ფირფიტისაგან ნაჭედი, X-XI სს-ის ბარძიმი (სიმაღლე 12,5 სმ, დმ 14 სმ). ბარძიმის ზედა ნაწილში ერთსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერაა: „წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ ყვავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფისა და დედასა მათსა გურანდუხტ ღედოფალსა, ამის ბარძიმისა შემწირველთა. ამინ“. წარწერის ქვემოთ, ბარძიმის გარე ზედაპირი სვეტებზე დაყრდნობილი თაღედით დაყოფილია 12 ნაწილად. თითოეული თაღის ქვეშ გამოსახულია თითო ფიგურა: ღვთისმშობელი ყრმით, ტახტზე მჯდომი ქრისტე და ათი

მოციქული; მოგვიანებით ბარძიმის ფენი დაიკარგა. XVI ს-ში იგი აღადგინა ბედიელმა მიტროპოლიტმა; ბარძიმის ფენზე ამოკვეთილია ქართული წარწერა: „ყოვლად წმიდაო ღედოფალო ვლამერისა ღვთისმშობელო, შემიწყალე მე ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე ჩხეტიძე, რომელი ღმრთი ვიქმენ კადრებად შემკობად წმიდისა ამის ბარძიმისასა“ (ბაქრაძე 1875: 23). ბარძიმი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). ბედიელ ეპისკოპოსთა სასახლის ნანგრევები მდებარეობს ტაძრის დასავლეთით. XI-XII სს-ის ორსართულიანი სასახლე ქვისგანაა ნაგები. ქვედა სართულზე განლაგებულია საკურთხეველი და დარბაზი მასიური სვეტებითა და თაღოვანი ჭერით (ვორონოვი 1978: 133, 134). სასახლის შესასვლელის თავზე XI-XII სს-ის ქართული წარწერაა: „ღმერთმა შეუნდოს მიტროპოლიტ ანტონ იოანე ტირეხძეს, ამის აშშენებელსა“.

1952-1955 წწ. ჩატარდა ძლიერ დაზიანებული ბედიის ტაძრის რესტავრაცია-კონსერვაცია. გამაგრდა კედლები, თავიდან გადაიხურა ტაძარი. ასევე გამაგრდა სასახლის კედლები.

ბიბლიოგრაფია: ამირანაშვილი 1957; 1971: 242; ბაგრატიონი 1808: 15; ბაქრაძე 1875: 23; ბერაძე 1967: 141; ბერძენიშვილი 1990: 112, 114, 156; ბროსე 1849: 90-94; გიულდენშტედტი 1964: 53; ერმოლაევა 1913; ვორონოვი 1978: 16; თამარაშვილი 1902: 58; ივაშჩენკო 1935: 14; კაკაბაძე 1924ბ: 116; კასტელი 1976: 171, 176; კილანავა 1988: 228-241; კონტარინი 1894: 45, 49; ლამბერტი 1938: 120, 158; პავლინოვი 1893: 26, 29; სვეროვი 1947: 37-40; სილოგავა 1980: 38, 173, 175, 176; ტოლმაჩევსკაია 1931: 17-20; ქც 1: 5,15; 281,1,5; ქც 4: 780,7,8,10,13,16; 794,22; 796,11; 789,1; ქრონიკები 1892: 137; 1897: 179; შარდენი 1975: 157, 381; შმერლინგი 1949: 25; ჩუბინაშვილი 1940: 1-12.

გაბიაძია, მონასტერი (ქც 4: 329,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 33,19; 294,7,სქ.1; 297,23; 329,15), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 29), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1953: 30; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 12, 35; 1981: 36).

ვახუშტი ბაგრატიონი ბეთანიის შესახებ გადმოგვცემს: „ყოვლად წმიდის მონასტერი ბეთანია, გუმბათიანი, მაგარს ადგილს თამარ მეფის აღშენებული, აწუხცის სამარ“ (ქც 4: 239,15,16).

მდებარეობს თბილისის სამხრეთ-დასავლეთით, 16 კმ-ის დაშორებით, მდ. ვერეს მარჯვენა ნაპირზე. სახელწოდება ბეთანია პალესტინური ტოპონიმი, რომელიც ქრისტეს ცხოვრების ეპიზოდთან



ბედიის ბარძიმი



ბეთანია

არის დაკავშირებული (კეკელიძე 1957: 362). XI-XII სს-ში ბეთანია იყო ორბელთა საგვარეულო სამცხლე (ორბელიანი 1978: 37; მესხია 1979: 15). XV ს-ის პირველი ნახევრიდან მას ბარათაშვილები ფლობდნენ (ქც 4: 33,19; 297,23). შემდეგ ბეთანია დიდი ხნით მივიწყებული იყო. მხოლოდ XIX ს-ში მაიქციეს მას ყურადღება (გაგარინი 1851: 72).

ბეთანიის ტაძრის სამხრეთით, 3 კმ დაშორებით, სამადლო-ბეთანიის გზის მარცხენა მხარეს გაშლილ ველზე, 1957 წ. მოსწავლეები (პედაგ. გ. ინასარიძე) წააწყდნენ ნახევრად დანგრეულ სამარხებს და ამის შესახებ აცნობეს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. არქეოლოგიურ რაზმს ი. კიკვიძისა და ლ. ჭილაშვილის შემადგენლობით დაეწეა დარღვეული სამარხების შესწავლა. სამაროვანზე გაიწმინდა 11 ქვის სამარხი. მათში ერთი ან რამდენიმე მიცვალებული დაკრძალული იყო ზურგზე გაშთილი, თავით დასავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთით. ხელები ელვაგათ მკერდზე ან პარდაყის ძვლებზე გასწვრივ. ერთ შემთხვევაში მიცვალებული მეორე მიცვალებულზე იყო დასვენებული. სამარხებში აღმოჩნდა: რკინისა და ბრინჯაოს მშვილდსაკინძები; სარდიონის, მარჯნის, მინის მძივებით თავშემკული ბრინჯაოსა და რკინის საკინძები; მრგვალგანივიკვეთიანი, თავებ-გამსხვილებული რკინის სამაჯურები; ოვალურფარაკიანი რკინისა და ბრინჯაოს ბეჭდების ფრაგმენტები; სამაროვანი თარიღდება VI-IX სს-ით (კიკვიძე, ჭილაშვილი 1961: 97-121). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბეთანიის ღვთისმშობლის ტაძარი გუმბათიანი ეკლესიაა (21X18მ). შემოსილია თლილი ქვის პერანგით. კედლებისა და გუმბათის ყელის აგურის წყობა XIX ს-ის ბოლოს ჩატარებული რესტავრაციის დროინდელია. ტაძარს აქვს ნახევარწრიული აფსიდა და განიერი ბემა. საკურთხეველის გვერდით სამკვეთლო და კანდაკენა. მათ ზემოთ საიდუმლო თაბახები. სარკმლები მოჩუქურთმებულია. ტაძარი თარიღდება XII-XIII სს-ის მიჯნით (ციციშვილი 1955: 65; ბერიძე 1974: 153; ზაქარაია 1981: 9-38; 1990: 56).

ინტერიერში შემონახულია XII-XIII სს-ის მიჯნის ფრესკები. მეფეების: გიორგი III-ის (1156-1184), თამარისა (1184-1207) და გიორგი ლაშას (1207-1222) გამოსახულებები ჩრდილოეთ კედელზეა (ალიბეგაშვილი 1957: 28; 1979: 10-22; გილგენდორფი 1990: 16-20). სამხრეთ კედელზე გამოსახულია დემეტრე I-ის (1125-1156) თანამედროვე ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, ერისთავთ-ერისთავი სუმბატ I დიდი, ორბელი, ტაძრის

მოდელით ხელში (მელიქსეთ-ბეგი 1964:319; მესხია 1979: 14, 15; გილგენდორფი 1990: 18).

ბეთანიის ტაძრის დასავლეთით, ათიოდე მეტრზე დგას წმიდა გიორგის დარბაზული ტიპის (6X7მ) ქვათილებით ნაგები ეკლესია. ნახევარწრიულ აფსიდაში ერთი სარკმელია. ფასადზე სამი ასომთავრული წარწერაა. სამხრეთის კედელზე, შესასვლელის თავზე არსებულ წარწერაში მოხსენიებულია 1177 წ. დამარცხებული და სიკვდილით დასჯილი, გიორგი III-ის წინააღმდეგ აჯანყებული ივანე ორბელის (სუმბატ I დიდის ძე) მეუღლე რუსუდანი. 1196 წლით დათარიღებულ მეორე წარწერაში მოხსენიებულია: სუმბატ ერისთავთ-ერისთავი, მისი ძე ივანე და ივანეს მეუღლე, სომეხთა მეფის, კვირიკეს ასული რუსუდანი. დასავლეთ კედელზე მოთავსებული მესამე წარწერა ეკუთვნის „პატრონ რუსუდანის“ კარის ერთ-ერთ მოხელეს - ევზიბ წურილაისძეს (სილოგავა 1994: 16, 37, 40).


ბიბლიოგრაფია: ალიბეგაშვილი 1957; 1979; ამირანაშვილი 1971: 267-270; ბაგრატიონი 1986: 29; ბერიძე 1974: 153; ბროსე 1854: 295-300; გაგარინი 1851: №72; გილგენდორფი 1990: 16-20; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 30; ზაქარაია 1981: 9-38; 1990: 56; კეკელიძე 1957: 362; კიკვიძე, ჭილაშვილი 1961: 97-121; მელიქსეთ-ბეგი 1964: 319; მესხია 1979: 14, 15; ორბელიანი 1978: 37; სევეროვი 1947: 181; სილოგავა 1994: 16, 37, 40; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 12, 35; 1981: 36; ქც 4: 33,19; 294,7, სქ. 1; 297,23; 329,15; ციციშვილი 1955: 65.

გაილემი, გამოქვაბული, მონასტერი (ქც 4: 357, 27). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 357,27), იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“ (ბაგრატიონი 1948: 210, 211).

მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპ-ში, მყინვარწვერის აღმოსავლეთ ფერდზე, ზღვის დონიდან 3723-3982 მ-ზე.

ვახუშტი ბაგრატიონი ბეთლემის შესახებ გადმოგვცემს: „მყინვარის კლდესა შინა არიან ქუაზნი გამოკუეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გარდმოკიდებული ქუაზბადამ, და მით აღვლენ“ (ქც 4: 357,26-29).

1927 წ. მყინვარწვერის ალპინისტურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ს. ჯაფარიძე) ამ მდამოებში აღმოაჩინა და აღრიცხა ექვსი სენაკი, კლდეში ნაკვეთი ეკლესიის ნანგრევები და მის ქვეშ მოქცეული კარი, ხის სვეტები, გათლილი ქვები, ერთ-ერთ მათგანში ჩასმული ქვისავე ჯვარი და კლდეზე ამოკვეთილი ჯვარი (ითონიშვილი 1963: 52). 1930 წ. ბეთლემში მოინახულა და აღწერა ს. მაკალათიამ (მაკალათია 1934: 235-242). 1948 წ. ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ბეთლემში მოეწყო საგანგებო ალპინისტური ექსპედიცია (ჯაფარიძე 1948: 229). 1978-1980 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს ექს-



პედიცამ (ხელმძღვ. პ. მარგველაშვილი), რომელშიც არქეოლოგებიც მონაწილეობდნენ, მონასტრის ტერიტორიაზე აღრიცხა ათი ნაგებობის ნანგრევები, რომელთაგან ერთი არქეოლოგურად შეისწავლეს (მჭედლიშვილი 1981: 36-40; მჭედლიშვილი, ნიკოლაიშვილი 1986: 42-50).

ნაგებობა, რომელიც მონასტრის სამხრეთ განაპირა ნაწილში მდებარეობს, ვეგმით ოთხკუთხაა. ნაშენია სხვადასხვა ზომის ქვებით. წყობა მშრალია. კედლის პერანგებს შორის სივრცე წვრილი ქვებითა და გრანიტის ნაშალითაა ამოვსებული. ჩრდილოეთი კედელი გრანიტის ხუთმეტრიანი მასივია. გადახურვისთვის მასზე ამოჭრილია პორიფორული ლარები. შენობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მოწყობილი შესასვლელი უკავშირდება დერეფნის მსგავს ნაგებობას, რომელიც აღმოსავლეთით თანდათან ქვევით ეშვება. დერეფნის აღმოსავლეთი კედელი დიდი ზომის გრანიტის ქვას. მის ზედაპირზე საფეხურებად ამოკვეთილია კედლის ქვის დასადგობი ბუდეები. გადახურვა მოწყობილი ყოფილა ძელებზე გადებული ფიქალით. შესასვლელს ჰქონია ხის ორი კარი. იატაკი ფიცრით ყოფილა მოვებული. შენობის ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ გაიწმინდა ფსკერზე ქვის ფილებით გაწყობილი ოთხკუთხა ორმო. ნაგებობის გათხრებისას გამოვლინდა: თიხის, ლითონის, ხის, ძვლის, ქვისა და მინის ნივთები. კერამიკული ნაწარმიდან აღსანიშნავია წითლად გამომწვარი ხელადის ნატეხები და რვა ჭრაქი, რომელთაგან სამი ფეხიანია. ლითონის ნივთებიდან გვხვდება ბრინჯაოს



ბეთლემი

ჯამისებური მოყვანილობის ორნამენტირებული ჭრაქი საპატრუქე ლარითა და სახელურებით, ჭურჭლისა თუ სასანთლის მასიური ფეხი, სხვადასხვა ზომის ძეწკვები, შიგადაშიგ ჩართული რომბისე-

ბური ფირფიტებით. რკინის ნივთებიდან აღსანიშნავია ოთხი ისრისპირი. იქვეა ნაპოვნი ვერცხლის ოთხკუთხა საკიდი, რომელზედაც დაბალი კონუსური და წნული მავთულებია მიჩრილული. ხის ნივთებიდან წარმოდგენილია მაგიდის ფრაგმენტი, მთლიანი ხისაგან გამოთლილი გეომეტრიული ორნამენტით შემკული ორგანოფილებიანი სანაწილე, ორნამენტირებული სახელურიანი კოლოფი და ორი კოვზი. ძვლის მხოლოდ ორი ნივთია მოპოვებული. ერთი დიდი უნდა იყოს, მეორეს დანიშნულება გაურკვეველია. ქვის ნაწარმიდან გვხვდება ოთხი, ემბაზის მსგავსი, ოთხკუთხა მინიატურული ჭურჭელი და ფიქალის მოგრძობი, გახვრტილი ნივთი. მინის ჭურჭლიდან აღსანიშნავია მომწვანო ფერის ფართოღირიანი, თხევადღირიანი, ბრტყელოძირა ჭრაქები, სასმისი და სხვ. (მჭედლიშვილი, ნიკოლაიშვილი 1986: 50). განათხარი ნივთები განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. მასალა ინახება ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

სამონასტრო კომპლექსის ცენტრს წარმოადგენს ამოზიდული კლდე, რომლის ოთხივე მხარეს ნაგებობათა ნანგრევებია შემორჩენილი. ყველაზე დიდი შენობა კვადრატული გეგმის მქონე აფსიდისანი ეკლესიაა (4X4 მ). მისი ჩრდილოეთი კედელი კლდეა. ნაშენია სანახევროდ დამუშავებული ქვებით. წყობა მშრალია. შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთიდანაა. კარი ხისა ჰქონია. ეკლესიაში ქვის დიდი ზომის გატეხილი ჯვარია (მარგველაშვილი 1979: 19). 1930 წ. ს. მაკალათიამ კომპლექსის აღმოსავლეთით აღმოაჩინა ქვაზე ამოკვეთილი სამსტრიქონიანი ხუცური წარწერა: „ედერ (სასა) გათ (?) რ (?) ბ (?) გრს“ (მაკალათია 1934: 236). 1978-1980 წწ. ბეთლემის ექსპედიციის წევრებმა ამის გარდა მიაკვლიეს სხვა წერწერების ცუდად შემორჩენილ ფრაგმენტებსაც (მარგველაშვილი 1979: 19). სამონასტრო კომპლექსიდან 250 მ-ით ზემოთ, ზღვის დონიდან 3982 მ-ზე მდებარეობს გამოქვაბული, რომლიდანაც გამოიკიდებული იყო 5,5 სიგრძის რკინის ჯაჭვი. გამოქვაბულში შემონახულია სტელის ბაზა (მარგველაშვილი 1979: 17, 22).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1948: 210, 211; ითონიშვილი 1963: 52, 53; ლომთათიძე 1977: 131; მაკალათია 1934: 235-242; მარგველაშვილი 1979: 17-23; 1981: 34-36; მჭედლიშვილი 1981: 36-40; მჭედლიშვილი, ნიკოლაიშვილი 1986: 42-50; ქც 4: 357,27; ჯავარიძე 1948: 228-239; ჯავარიძე 1995: 217-231.

ბელაქანი (ქც 4: 540,9,19,20, სქ. 3,4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 540,9,19,20,სქ.3,4; 543,13), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 252,24; 272,6; 283,21), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 72, 79, 83), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 66, 69), ბაგრატი ბაგრატიონის

„ახალი მოთხრობა“ (პაგრატიონი პაგრატი 1941: 83), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 215), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 140), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 277, 401; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 731), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 29, 261; 1964: 89).

მდებარეობს ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე, ევლახ-ლაგოდენის გზატკეცილზე, მდ. ალაზნის მარჯვენა შენაკად ბელაქნის წყლის (ბელაქანი) ნაპირას. ამჟამად მოქცეულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში და წარმოადგენს რაიონულ ცენტრს.

ადგილი ბელაქანი მოხსენიებულია უამთააღმწერელთან (ქც 2: 252,24; 272,6; 283,21). ვახუშტი პაგრატიონი ახსენებს მხოლოდ ბელაქნის წყალს (ქც 4:540,9,19,20,სქ.3,4; 543,13). უამთააღმწერელის გადმოცემით „თათართა განვლეს კამბეჩიანი, კახეთი, ჰერეთი, ყოფილან ომითა და წარვიდეს გზასა ბელაქნისასა“ (ქც 2: 252,23,24). ბელაქანში დამკვიდრდა გარეჯიდან წამოსული პიმენ სალოსი, რომელმაც გააქრისტიანა ლეკები (ქც 2: 283,21). განდიდებულმა საღუნ მანკაბერდელმა დიმიტრი მეფისაგან (1271-1289) მიიღო თელავი და ბელაქანი (ქც 2: 272,6). XVI-XVII სს-ში ბელაქანი კახეთის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. XVII ს-ის ბოლოდან, როცა იქ ავარულ ტომთა ჩამოსახლება დაიწყო, ბელაქანი თანდათან მოწყდა კახეთს. ბელაქანი იყო ლეკთა თავშეყრის ადგილი კახეთის დასარბევად. 1748-1750 წწ. ქართლ-კახეთის სამეფოს წარმატებებმა ლეკთა წინააღმდეგ შეასწოთა ჭარ-ბელაქნის ავარული თემები. 1750 წ. ლეკები თავს დაესხნენ ქართლ-კახეთს. ერეკლე II-მ (1744-1798) სასტიკად დაამარცხა ისინი. იოჰან გიულდენშტედტის მიხედვით, გაავაზიდან 30 მ დაშორებით, ალაზნის შენაკადზე მდებარეობს ბელაქანი, სადაც უკვე აღარ გვხვდებოდნენ ქართველები (გიულდენშტედტი 1962: 29, 261). 1803 წ. მარტში ჭარ-ბელაქანში საქართველო-რუსეთის გაერთიანებულმა ლაშქარმა დაამარცხა ლეკთა ჯარი. ჭარ-ბელაქანი კვლავ დაუბრუნდა საქართველოს (ბერძენიშვილი 1965: 276-278). XVIII-XIX სს-ში ბელაქანი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჭარ-ბელაქნის (სანჯილოს) პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1830 წ. მისი რუსეთთან შეერთების შემდეგ ბელაქანი ახლადშექმნილ ჭარ-ბელაქნის ოლქში შედის. 1840-1860 წწ. ის მაზრის ცენტრი იყო. 1921 წლიდან ბელაქანი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებშია. ბელაქნის გზით საქართველო უკავშირდებოდა დაღესტანს. აქედან დღესაც გადის გზა ხუნზანში (მუსხელიშვილი 1980: 94).

ბელაქანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. მის მიდამოებში ყველაზე საყურადღებო ძეგლია მაჭის, ანუ მაწის ციხე-ქალაქი, რომელსაც ადგილობრივი ლეკები ფერიყალას (თამარის ციხეს) ეძახიან. მდებარეობს მაჭის წყალზე, მისი კალა-

პოტიდან 40-45 მ სიმაღლეზე. მიუდგომელ ციხე-ქალაქს უჭირავს ორმაგი კედლით შემოზღუდული 2 ჰა ფართობი. შიდა ციხეში დგას რიყის ქვით აგებული დარბაზული ტიპის (10X6 მ) ეკლესია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ციხეში შემორჩენილია ქვით ნაშენი აუზი. მის მახლობლად თლილი ქვით ამოშენებული მიწისქვეშა აკლდამებია. ერთ-ერთი აკლდამის თავზე იღო ქვა ასომთავრული წარწერით, რომელშიც მოხსენიებულია პაგრატი აფხაზთა მეფე და მის ყმა, კახთა და რანთა მფლობელი აღსართანი. ციხეში იდგა სასახლე, რომელიც ამჟამად დანგრეულია. გვიან იქ მაჭის ერისთავის რეზიდენცია იყო, რომელიც 1431 წ. გაუქმებულა (ედილი 1947: 144-146). ბელაქნიდან 4 კმ დაშორებით, მთის ფერდზე დარვაზულისა, ავურით ნაშენი დარბაზული ტიპის ეკლესიაა (16X10 მ). შესასვლელი სამი მხრიდანაა. მოგვიანებით სამხრეთის და ჩრდილოეთის კარები ამოუქოლავთ. სამხრეთის კარებს მიშენებული ჰქონია კარიბჭე, დასავლეთისა სამრეკლო. ეკლესიას ირგვლივ ქვის გალავანი ერტყა. ეკლესიის მახლობლად ნასახლარებია. სოფ. ბელაქნის ბოლოში, სახნავ მამულებში დგას ეკლესია ნურქილისა (20X14 მ). აგებულია რიყის ქვით. შიგნიდან შეღესილი ყოფილა. კარი დასავლეთის კედელშია. იქვეა მიშენებული სამრეკლო. გუმბათს აქვს 8 სარკმელი. შუა სოფელში, ხუბარის გორაკზე მდგარი მცირე ეკლესიიდან საძირკველიანა შემორჩენილი. მის ირგვლივ სამარხებია, რომელთა ნაწილს ემჩნევა ასომთავრული და მხედრული წარწერები (ასომთავრულით - „ქრისტე მოიხსენე სული ბირთველისა, ესე ქვა მისი არს“). ადგილი წმინდადაა გამოცხადებული.

ხუბარიდან 1 კმ-ის დაშორებით, შიშბათის ხევში დგას ეკლესია შიშბათ-კილისა (16X10მ) (შიშბათ-ჭანდარი. იქ ბევრია ჭადრის ხე). ნაგებია რიყის ქვით. კარი სამხრეთ კედელშია. ეკლესია შიგნიდან შეღესილი და მოხატული ყოფილა.

მოკარ-კილისა (ფართობი 80 კვმ) მდებარეობს ბელაქნის წყლის ნაპირას. იქ ყოფილა ეკლესია გალავნით, რომელიც 1863 წ. აჯანყების მოთავეს ჰაჯი მურთაზს დაუნგრევია. გადმოცემით, იქ იყო ლავრა, სადაც პიმენ სალოსი და ანტონ ნაოხრებალი მოღვაწეობდნენ (ედილი 1947: 146-149).

ბიბლიოგრაფია: პაგრატიონი პაგრატი 1941: 83; პაგრატიონი 1983: 66, 69; პაგრატიონი 1986: 72, 79, 83; ბერძენიშვილი 1964: 242; 1965: 194, 201, 204, 276-278, 297; გვასალია, თოდრია 1971: 23-52; გიულდენშტედტი 1962: 29, 261; 1964: 89; დადიანი 1962: 140; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 277, 401; ედილი 1947: 72, 79, 83, 139, 144-149; პაპუნაშვილი 1970; 1972; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 731; ქც 2: 252,24; 272,6; 283,21; ქც 4: 540,9,19,20,სქ.3,4; 543,13; ქრონიკები 1967: 462, 628; ჩანვაშვილი 1970; ცინცაძე 1973: 56-71.

აელოთი, სასახლე (ქც 4: 369,22, სქ. 2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი პაგრა-

ტიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 362,20; 369,22, სქ. 2), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 427; 1972: 694) იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 38).

მღებარეობს ცხინვალის მუნიციპ-ში, მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ბელოთის ტერიტორიაზე.

ვახუშტი ბაგრატიონი ბელოთის შესახებ გადმოგვცემს: პატარა ლიახვის ხეობას „ვანათსა, საცხენისსა და ბელოთის ზეით ერთვის ფოტრისის-ხევი“ (ქც 4: 362,20,21). ბელოთში იყო ქსნის ერისთავების ერთ-ერთი რეზიდენცია. 1777 წ. საერისთავოს გაუქმების შემდეგ ეს მხარე იულონ ბატონიშვილს ეკუთვნოდა (გვრიტიშვილი 1955: 260).

ბელოთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბელოთის ციხე-დარბაზი დგას შუა სოფელში. გალავანში მაცხოვრის დარბაზული ტიპის (13X6მ) ეკლესიაა. აგებულია ფლეთილი ქვით, კონსტრუქციულ ნაწილებში გამოყენებულია თლილი ქვა. ნახევარწრიულ აფსიდაში ერთი სარკმელია. თარიღდება X ს-ით. ეკლესიას დასავლეთით ეხვინება გალავნის კედელი. გალავანი გვეგმით რომბისებურია. კუთხეებზე გარედან მიშენებულია სამი მრგვალი და ერთი ხუთკუთხა კოშკი. გალავნის 10 მ-მდე სიმაღლის კედლებში ოთხ რიგად მოწყობილია სათოფურები. გალავნის სამხრეთ კედელზე მიშენებული სასახლე ძლიერ დაზიანებულია. მოგვიანებით ციხე-გალავანი აღმოსავლეთის მხრიდან გაფართოვდა: აშენდა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, შემოიზღუდა გალავნით და მიუერთდა ძირითად ნაგებობას. ციხე-დარბაზი თარიღდება XVII ს-ის მეორე ნახევრითა და XVIII ს-ით (ბერიძე 1983: 130; ზაქარაია 1968: 91).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 38; ბერიძე 1983: 130; გვახალია 1976-1977: 26, 27; გვრიტიშვილი 1955: 260; ზაქარაია 1968: 91; ზაქარაია 1988: 131; მაკალათია 1971: 54-57; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 427; ქც 4 1972: 694.

აელტის ციხე (ბებრისციხე) (ქც 4: 351,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 351,6), ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე (ქც 1: 367,5), XIV და XVII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 196; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 5; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 40; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179, 489).

მღებარეობს მცხეთის ჩრდილო გარეუბანში, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირის გორაკზე.

ვახუშტი ბაგრატიონი ბელტის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „მცხეთის ჩდილოთ არს ციხე ბელტისა, აღაშენა არდამ ერისთავმან“ (ქც 4: 351,6). გამოთქმულია მოსაზრება სტრაბონის მიერ მოხსენიებულ სევსამორასა და ბელტის ციხის (ბებრისციხის) იგივეობის შესახებ (მელიქისეთ-ბეგი 1917: 13; კაკაბაძე 1924: 12). ციხე პირველად იხსენიება დემეტრე I-ის (1125-1156) გარდაცვალებასთან დაკავშირებით (ქც 1: 367,5). XIV ს-ში ბელტის ციხე სოფელია, რომელიც წარმოადგენდა სვეტიცხოვლის საკათალიკოსო მამულს (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 40; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179). XVIII ს-ში ლეკთა ხშირი თავდასხმების დროს ბელტის ციხე სდარაჯობდა ღართისკარიდან მცხეთისაკენ მიმავალ გზას (ბერძენიშვილი 1966: 23). XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ბელტის ციხეს ბებრისციხის სახელით მოიხსენიებენ (ზაქარაია 1973: 51).

ბელტის ციხეზე პირველი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 1962 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. ალ. კალანდაძე). 1983 წ. ძეგლთა დაცვის სამმართველოს მიერ ჩატარებული ძეგლის საკონსერვაციო სამუშაოების პარალელურად არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. ა. აფაქიძე) გაითხარა ბელტის ციხესთან გამოვლენილი სამაროვანი.

ბებრისციხის ჩრდილო კოშკთან აღმოჩნდა ქვიშაქვის კვადრებითა და ფლეთილი ქვით ნაგები კედელი, რომელთანაც დადასტურდა სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური მასალა: 1. გვიანბრინჯაო-ადრეგინის ხანის თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატყე; 2. გვიანანტიკური ხანის კრამიტისა და ქვევრების ფრაგმენტები, ხელსაფქვავის ქვეები, ძვლის ნივთები, მარგალიტის მძივი და სხვ. 3. გვიანანტიკურიდან ადრე შუა საუკუნეებზე გარდასვლილი ხანის თიხის ჭურჭელი; 4. შუა საუკუნეების თიხის ჭურჭელი, კრამიტები ჯვრის გამოსახულებით, თიხის ძილებისა და აგურების ნატყეები და სხვა (კალანდაძე 1963: 40, 41). ბებრისციხის დასავლეთ კედლის გასწვრივ, საფუძვლის ქვეშ გამოვლინდა ფლეთილი ქვით ნაგები კედლის წყობის ორი რიგი, რომელზეც ალიზის კედელი იყო ამოყვანილი. იქვე დადასტურდა ანტიკური ხანის წითლად შეღებილი, თხელკეციანი თიხის ჭურჭლისა და შეღებილი კრამიტის ნატყეები (სძა 1990: 242).

ბებრისციხის აღმოსავლეთით, ხევით გამოყოფილ ბორცვზე გაითხარა 216 კვ მ ფართობი, სადაც გამოვლინდა 25 მიწაყრილიანი და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი. მიცვალებულები დაუკრძალავთ გამოტოვნი, თავით სამხრეთ-დასავ-



ბელტის ციხე

ლეთით. ნივთები აღმოჩნდა მხოლოდ სამ სამარხში (№№1, 10, 16); ესენია: ბრინჯაოს საყურე, სარდიონისა და გამჭვირვალე მინის მძივები (5 ც), ბრინჯაოს მრგვალი ფირფიტები და სასაფეთქლე რგოლი. სამარხები თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით (აფაქიძე ... 1986: 33). სამარხის მასალა ინახება მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაში.

ბელტის ციხე შედგება ზედა და ქვედა ციხეებისაგან (100X60 მ). ზედა – გეგმით სამკუთხედის ფორმისაა. სამივე კუთხეში დგას კოშკები, რომელთაგან სამხრეთ-აღმოსავლეთი კოშკის 3 საართულია შემორჩენილი. ჩრდილოეთის კოშკი ოთხკუთხაა. მესამე – აღმოსავლეთის კოშკზე, რომელიც ადრევე დანგრეულია, შემდგომში აუცილებლად ცილინდრული ფორმის კოშკი. კოშკები და ციხის კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით კირხსნარზე. წყობა თევზიფხურია. ციხის კედლის სისქე ზოგან 2 მ აღწევს. ზედა ციხეს სამხრეთ-აღმოსავლეთით აკრავს ქვედა ციხე, რომლის მხოლოდ აღმოსავლეთით მდგარი ოთხკუთხა კოშკის ნანგრევებია შემორჩენილი. ბელტის ციხე თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით (ზაქარაია 1973: 50-52).

ბიბლიოგრაფია: აფაქიძე ... 1986: 31-37; ბერძენიშვილი 1966: 23; ბოხიაძე 1969: 20-27; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 5; ზაქარაია 1959; 1972: 17-19; 1973: 50-52; 1977: 16-17; კაკაბაძე 1924: 12; კალანდაძე 1963: 37-43; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 40; მელიქსეთ-ბეგი 1917: 13; სძა 1990: 242 ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179, 489; ქრონიკები 1897: 196. ქც 1: 367,5; ქც 4: 351,6.

ამაჟანბალი (ქც 4: 624,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 624,25), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 301), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 67), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართულ-სპარსული ... 1955: 160, 370; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 40; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1967: 19), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 19, 20).

ადგილი „ბეჟანბალი“ მდებარეობს გურჯაანის მუნიცი-ში, სოფ. გადრეკილის მახლობლად, მისგან 2 კმ-ის დაშორებით.

ის XVII-XVIII ს-ში ქაიხოსრო და გოჯასპი ანდრონიკაშვილების მამულია (მასალები საქ. ეკ. ისტ. 1967: 19).

ბეჟანბალის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში მიკვლეულია სხვადასხვა პერიოდის ძეგლები. შუაპალეოლითის ხანის ძეგლი მდებარეობს ბეჟანბალში გაყვანილი ბეტონის სარწყავი არხის პირას, მის მარჯვენა მხარეს. ის დაზიანებულია ფართობის სახნავად გამოყენების გამო. ნაპოვნია ღრმად პატინირებული კაჟის ნაშბადზე გაფორმებული იარაღი, ლამელასა და ანატაკეცებზე დამზადებული,

რეტუშით დამუშავებული სხვადასხვა სახეობები. იარაღი პირველადი და მეორადი დამუშავების ტექნიკური ნიშნებით მუსტიეს ხანას განეკუთვნება.

სადგომი კარალისხევი მდებარეობს სოფ. გადრეკილის დასავლეთით, 4-5 კმ დაშორებით, ე. წ. კაჭახის წვერის მთის ძირას, ადგილ ნასახლევესა და მდ. ლაკის მარჯვენა წყლიანი შენაკადის – მდ. კარალისხევის მარცხენა ნაპირს შორის მდებარე ტერიტორიაზე. სადგომს უკავია მდ. კარალისხევისაკენ დამრეცი ფერდობის უტყეო, ნიაღვრისაგან ძლიერ გადარეცხილი 1,2 ჰა ფართობი. ზედაპირულად შეგროვებული ქვედა პალეოლითური კაჟის ნივთების ჯგუფში წარმოდგენილია თითო ლევალულური, თავბოლო მოტეხილი ლამელი და მთავრად ოთხი-ათხუთი ანატაკეცი, სამი დასრულებული იარაღი და მცირე ანატაკეცები. აღსანიშნავია ამოხედილი სამუშაოპირიანი გრძივი სახოკი, რეტუშით შესწორებული ზურგაინი დანა-სახოკი და ბლაგვქტანა. მასალა გვიანი აშელის ხანით თარიღდება (ბუგაიანაშვილი 1974: 31, 32).

შლარტის ლელეს ნამოსახლარი მდებარეობს სოფ. გადრეკილის დასავლეთით, 2 კმ დაშორებით, შლარტის ლელეს მარცხენა ნაპირზე. ძველი წარმოადგენს ბუნებრივ თავბრტყელ გორას. ფენის სიმძლავრეა 1 მ. ფენების გამოყოფა არ მოხერხდა. აღსანიშნავია თიხის შეღესილობის (ბათქაშის) დიდი რაოდენობა, რაც აქ სარლასტითა და თიხით აშენებული შენობების არსებობაზე მიუთითებს. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს შორის აღსანიშნავია კარგად განლექილი და გამოძვარი წითელი ან შორუხო-მოწაბლისფრო კეციანი ჭურჭელი, რომელთა ზედაპირი ნაპრიალებია. აქვეა უხეშქეციანი ჭურჭლის პირის, გვერდისა და ძირის ფრაგმენტები, შემკული სხვადასხვა ორნამენტით. ძველი თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულთა და I ათასწლეულის დასაწყისით. ის დააზიანა სარწყავი სისტემის მშენებლობამ (ფიცხელაური, მენაბდე 1982: 3).

ბრმა წყლის ყორღანი მდებარეობს სოფ. გადრეკილის დასავლეთით, მიუხედავად შორის მოქცულ დაბლობში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ბრმაწყლის სახელით მოიხსენიებს. ძველი გაითხარა 1972 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. კ. ფიცხელაური). ყორღანის ყრილის დმ 20 მ. სიმაღლე ცენტრალურ ნაწილში 1,5 მ. მიწაყრილს შემოუყვება რიგის დიდრონი ქვები. ყრილის ქვეშ გამოვლინდა ოთხკუთხა მოყვანილობის ორი სამარხი. მათში ვსვენა თითო მიცვალებული, მარჯვენა კვერდზე, ხელ-ფეხ მოკეცილი. პირველ სამარხში აღმოჩნდა 6 თიხის ჭურჭელი, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები. მეორეში – 10 ჭურჭელი და ცხოველის ძვლები. ყორღანი თარიღდება შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდებით (ფიცხელაური 1972: 7-10).

ნასადგომარის სამაროვანი გაითხარა 1970 წელს.

ძეგლი მდებარეობს სოფ. გადრეკილის სამხრეთით, 1 კმ დაშორებით, ხვიანჯიანთ ხევის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ ნასადგომარზე. სამაროვანი სამიარუსიანია. I – ზედა იარუსი მთლიანად განადგურებულია ფართობის დამუშავების გამო, ძლიერაა დაზიანებული II – შუა იარუსიც. III-ის სამარხების ორმოები მიწაყრილიანი ყორღანებია (დმ 10 მ). ზედა ორი იარუსი ორმოსამარხებია. სულ გაითხარა 105 სამარხი, აქედან 8 ყორღანია. ყველა იარუსის სამარხები დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე ხელფეხმოკეცილი. დადასტურებულია სარეჭლის არსებობა. სამარხებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ნივთები თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით (ფიცხელაური, მენაბლე 1982: 12-120).

პირდაპირი მიწების სამაროვანი მდებარეობს სოფ. გადრეკილის დასავლეთით, 2 კმ დაშორებით, ადგილ პირდაპირ მიწებზე. შეისწავლეს 1971 წელს. გაითხარა ორი ორმოსამარხი. №1 სამარხი ოთხკუთხა მოყვანილობისაა (1,6X1,4მ) მიცვალებული ესვენა სამარხის ცენტრალურ ნაწილში, მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ პოზაში. თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამარხში აღმოჩნდა თიხის 10 ჭურჭელი და ბრინჯაოს ლილეტი. სამარხი №2 ოთხკუთხა მოყვანილობისაა (1,4X1,4მ). მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე მოხრილ პოზაში, თავით ჩრდილო-დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა თიხის 10 ჭურჭელი. სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. XIV-XIII სს-ით. ძეგლი დაზიანდა სამშენებლო სამუშაოების დროს (ფიცხელაური ... 1973: 36, 37; ფიცხელაური, მენაბლე 1982: 120-125).

სოფ. გადრეკილის სამხრეთით, სარწყავი არხის გაყვანისას დაზიანდა ორი ყორღანული სამარხი. იქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები თარიღდება ძვ. წ. XV-VII სს-ით (ფიცხელაური 1972: 5-7).

ბეჟანბაღის სამაროვანი მდებარეობს სოფ. გადრეკილის სამხრეთ-დასავლეთით, ბეჟანბაღის წყაროსკენ მიმავალი გზის პირზე. გზის აღმოსავლეთით, ადგილ ურმუშეთსა და ბეჟანბაღის საზღვარზე გადებული ბოგირის ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ კუთხის მახლობლად. 1971 წ. გაითხარა სწორკუთხა ორმოიანი სამარხი (2X1,2 მ). დამხრობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენაა, ინჰუმაცია არაა. სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში აღმოჩნდა ძლიერ მოხრილი კიდურებით მარცხენა გვერდზე დარბაზული მიცვალებულის ჩონჩხი, თავით ჩრდილოეთისაკენ. სამარხის თავზე 1,5 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მიწაში ჩადგმული თიხის ორი ჭურჭელი, მოვარდისფროკიან, ზედაპირნაპრალები, განლექილი თიხისაგან დამზადებული ჯამბი, შემკული შიდაპირზე ღრმად ამოღებული სპირალური ორნამენტით და მოწითალოდ გამოშვარი ჭურჭლის ნატეხები, შემკული თეთრი ანგობით დატანილი კონცენტრული სარტყლებით. აღნიშნული ფაქტი

მიუთითებს დაკრძალვის შემდეგ იქ ჩატარებულ რიტუალზე. სამარხი თარიღდება ახ. წ. II ს-ის მეორე ნახევრით (მამიაშვილი 1980: 116-126).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 67; ბაგრატიონი 1941: 205; ბუგაიანიშვილი ... 1972: 15-19; ბუგაიანიშვილი 1974: 25-36; გიულდენშტედტი 1962: 19, 20; ლუნდა 1973: 51-65; კოტინოვი 1980: 356; მამიაშვილი 1980: 116-126; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 40; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 19; ფიცხელაური ... 1971: 41; ფიცხელაური ... 1973: 36-37; ფიცხელაური, მენაბლე 1982: ქც 4: 624,25; ქართულ-სპარსული ... 1955: 361, 370; ქრონიკები 1967: 41; ქც 4: 624,25; ლვაბერძე 1986:70; ცხოვრება... 1980: 301.

აბრეჟი (ქც 4: 368,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 368,1), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 553), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 48), XVI და XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (სიმონ მეფის არზა ... 1980: 161; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 66; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 318; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 515), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 277).

მდებარობს გორის მუნიციპ., გორიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 4 კმ-ის დაშორებით, მდ. მეჯუღის მარცხენა ნაპირას, სოფ. ბერბუჯის ტერიტორიაზე. 1735 წ. ქართლი ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყდა. ქართველებს გივი ამილახვარის სარდლობით, ბერბუჯიდან შეუტევიათ გორის ციხეში გამაგრებული ოსმალებისათვის და გამარჯვება მოუპოვეს (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 66). ბერბუჯი წყაროებში ბერბუჯის ვორმითაც გვხვდება (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 66). იოჰან გიულდენშტედტი მოიხსენიებდა სოფ. ბერბუჯის ციხეს (გიულდენშტედტი 1962: 277).

1982 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გორის მუნიციპის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. მინდიაშვილი) დაზვერვებისას სოფ. ბერბუჯიან მიაკვლია ყორღანულ სამარხს, რომლის ახლოს აღმოჩნდა ელინისტური ხანის ნამოსახლარი (მინდიაშვილი 1985: 37).

ბერბუჯის მიდამოებიდან ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი ადრეული შუა საუკუნეების სამარხეული ნივთები: მოჩალისფროდ გამოშვარი თიხის სამტუჩა ხელადა, შემკული ამოღარული ტალღოვანი ხაზითა და ირიბი ნაჭდევებით; ბრინჯაოს ბალთები, სარკე, მშვილდაკანიძი; ოქროს ორწილადი საყურეები, რომელთა რკალზე მორჩილულია გავარსით შემკული, ბურთულით დაბოლოებული პირამიდა; თვალბუდიანი ბეჭედი, კემაზე ცხოველის გამოსახულებით; სხვადასხვა მასალისა და ფორმის მიივეები და სხვ. სამარხეული ნივთები თარიღდება VII ს-ის პირველი ნახევრით. მასალა ინახება ს. მა-

კალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (აფხაზავა 1979: 127).

სოფლის სამხრეთით მდებარეობს გვიანი შუა საუკუნეების სამსართულიანი, სათოფურებიანი მრგვალი კოშკი (დმ 7,7 მ). ნაშენია რიყის ქვითა და აგურით, კირხსნარზე. შესასვლელი მცირე სათოფურზეა. პირველ სათოფურზე გამართულია ბუხარი (სძა 1990: 48).

ბერბუკის სამხრეთით დგას დარბაზული ტიპის (11,7X7,5 მ), რიყის ქვითა და აგურით 1830 წ. აგებული მთავარანგელოზის ეკლესია. შესასვლელი აქვს ჩრდილოეთიდან. აფსიდა ნახევარწრიულია. გრძივ კედლებზე წყვილი პილასტრია. აღმოსავლეთ ფასადზე მარმარილოს ფილა, დაზიანებული მხედრული წარწერით, რომლის მიხედვით ეკლესიის ამშენებლები გიგაურები ყოფილან. ფასადზე გამოსახულია აგურით შედგენილი სამი ჯვარი. ეკლესია გადახურულია ღარიანი კრამიტით (სძა 1990: 48).

ბიბლიოგრაფია: აფხაზავა 1979: 127; ბაგრატიონი 1986: 48; ვიულდენშტედტი 1962: 277; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 318; მინდიაშვილი 1985: 37; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 66; სიმონ მეფის არზა ... 1980: 161; სძა 1990: 48; ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 553; 1985: 515; ქც 4: 368,1.

პერდაძე, სოფელი (ქც 1: 290,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 290,22), 1005-1019 წწ. „კითხვა-მიგებაი რომელი მისცა თეოდორე საბაწმინდელსა ფეთიმი მთაწმინდელსა“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 22), მელქისედეკ კათოლიკოსის 1020 წ. სიგელი (ქრონიკები 1897: 33), ბაგრატი კურაპალატის 1040 წ. გუჯარი (ქრონიკები 1892: 185), 1031-1033 წწ. დაწერილი მელქისედეკ კათოლიკოსისა მცხეთის საყდრისადმი (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26).

ლოკალიზდება ისტორიულ ქვემო ქართლში. მდებარეობს ბანუშჩა-ჩაის ხეობაში, სოფ. ბრდაძორის ადგილას (მუსხელიშვილი 1960ა: 36). ამჟამად მოქცეულია სომხეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

წყაროებში ბერდაძონი პირველად იხსენიება XI ს-ში. მისი აშენება მიეწერება კათოლიკოს მელქისედეკს (ქც 1:290,22; ქრონიკები 1897: 33). ბერდაძონი მდებარეობდა ქართლის სამეფოდან სომხეთის ქალაქებისკენ მიმავალ გზაზე: თბილისი - კოლა - იმიჩი - სადახლო - ბერდაძონი - ალავერდი ... ყარჯილისი, შემდეგ ერევანი ან ყარსი (ბერძენიშვილი 1979: 47).

ბერდაძონი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1979: 47; მუსხელიშვილი 1960ა: 23-61; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 22; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26; ქრონიკები 1892: 185; 1897:33. ქც 1: 290,22.

პერდაძე, დაბა, ციხე (ქც 4: 306,11; 311,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“



ბერდიკი

(ქც 4: 306,11, 311,14), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 643; ქართულ-სპარსული ... 1955: 83, 281, 285), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 56).

ვახუშტი ბაგრატიონი ბერდიკის შესახებ გადმოგვცემს: წულრულაშენის ზევით არის „ციხე ბერდიკისა მაღალს კლდესა ზედა, ფრიალ მაგარი“ (ქც 4: 311,14,15).

მდებარეობს ბოლნისის მუნიციპ-ში, მდ. ფოლადაურისა და ლოქის წყლის შესართავთან, ფოლადაურის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. ფოლადაურის მახლობლად, მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 5 კმ-ის დაშორებით (გძელიშვილი 1964გ: 69; ბერძენიშვილი 1964: 13).

ბერდიკის ციხე საქართველოს სამხრეთ პროვინცია სომხეთში შედიოდა. ის მგლისკარის უღელტეხილიდან ლორეში მიმავალ გზას აკონტროლებდა (ბერძენიშვილი 1964: 13).

1956-1958 წწ. ისტორიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღ. დ. მუსხელიშვილი) დაზვერა ბერდიკის ციხე და მის მახლობლად მდებარე გვიანბრინჯაოს ხანის ორი ნასახლარი (მუსხელიშვილი 1960ა: 29). 1959 წ. ისტორიის ინსტიტუტის ბოლნისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ი. გძელიშვილი) ბერდიკის ნასოფლარსა და დღევანდელი სოფ. ფოლადაურის მახლობლად მიაკვლია რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთებს. 1960 წ. ამავე ექსპედიციამ გათხარა სოფ. ფოლადაურის მახლობლად მდებარე შუა საუკუნეების ნასოფლარი (გძელიშვილი 1964გ: 69-75).

მდ. ლოქისწყლისა და ფოლადაურის შესართავთან აღმოჩენილია გვიანბრინჯაოს ხანის ორი გორანა-მოსახლარი - „ღონლუზ დარა“ და „შაითან ყალა“. „ღონგუზ დარას“ თხემზე დაფიქსირებულია ქვაფერილი, რომლის აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფერდობზე, ეშვება ფლეთიანი ქვებით, მშრალი წყობით ნაგები კედლები. მათი სიგრძე 150 და 100 მ-ია. აღმოსავლეთ კედელს გარედან თხრილი ჰქონდა შემოვლებული. გორაკის ფერდობზე ნაპოვნია ადრერკინის ხანისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს თავგამსხვილებული საკინძი.

ზემოთ აღწერილის მსგავსია „შაითან ყალას“ ნაგებობაც. თარიღდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით (გრიგოლია, ტატიშვილი 1960: 79). სოფ. ფოლადაურიდან დასავლეთით, 2 კმ დაშორებით გათხრილია 8 კა ფართობის ნასოფლარი. მის სამხრეთ-დასავლეთ კიდეში გვიანი შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები და სამაროვანია. ნასოფლარზე გაივლი სამი საძიებო თხრილი. ერთერთში აღმოჩნდა ნასახლარი, სადაც გამოვლინდა ფლეთილი ქვითა და თიხით ნაგები 8 სათავსო. მათ შორის, 2 საცხოვრებელი. რკინის სადნობ სახელოსნოში ნაპოვანია პრიზმული ფორმის რკინის სადნობი ქურა (სიგრძე 3 მ, სიგანე 1 მ, სიმაღლე 0,7 მ), ნახშირი, ჰემატიტური ქვიშა და წილა. წილა აღმოჩნდა ეზოშიც. გამოვლენილი მასალიდან აღსანიშნავია: თიხის ჯამები, ფილაები, ჭრაქები, ჩიბუხები, რკინის წალდი, მაკრატელი, დანები, ჩაქუჩი. ძეგლი თარიღდება XVII-XVIII სს-ით (ცეცელიშვილი 1964: 69-74).

ბერდიკის ციხე დვას კლდეზე. შემორჩენილია გალავანი და ორი კოშკი. ერთი კოშკი თოხსართულიანია. ციხე განვითარებულ შუა საუკუნეებშია აგებული (ბერძენიშვილი 1964: 39).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 56; ბერძენიშვილი 1964: 13, 39; 1979: 95; გრიგოლია, ტატიშვილი 1960: 79; გრძელიშვილი 1964გ: 69-75; მუსხელიშვილი 1960ა: 26, 29; ქართულ-სპარსული ... 1955: 83-84, 281-282, 383-385; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 643; ქც 4: 306,11; 311,14.

პართუზანო, მონასტერი (ქც 1: 210,2; ქც 4: 494,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 210,2), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 494,15), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 197, 231, 453; ქართლ-კახეთის ... 1903: 13; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 41; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 180; 1972: 616; 1981: 318; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 70).

მდებარეობს დავით გარეჯის მონასტრის აღმოსავლეთით, 8-10 კმ-ის დაშორებით. ამჟამად მოქცეულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში. ბერთუბნის მონასტერი პირველად იხსენიება VI ს-ში დავით გარეჯელისა და მისი მოწაფეების საქმიანობასთან დაკავშირებით (ქც 1: 210,2). მონასტერი აოხრდა XIII ს-ში მონღოლთა შემოსევების შედეგად (ჩუბინაშვილი 1948: 71, 72; ლომინაძე 1966: 16). ბერთუბანი ერქვა მონასტერთან მდებარე სოფელსაც, რომელიც XIV ს-ში წარმოადგენდა საკათალიკოსო მამულს (ქრონიკები 1897: 197, 231, 453; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 18). აღექსანდრე I-მა (1390-1442) სოფ. ბერთუბანი შესწირა სვეტიცხოველს (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 71). XVIII ს-ის დასაწყისში გარეჯელ მწიგნობარს გაბრიელ საგინაშვილს განუზრახავს ბერთუბნის მონასტრის აღდგენა, მაგრამ განზრახვა ვერ განუხორციელებია და აღმენტი კათოლიკოსის რჩევით გარე-

ჯის ნათლისმცემლის მონასტრის დაპბრუნება (ლომინაძე 1966: 28).

ბერთუბანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

მონასტერი წარმოადგენს კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბულების კომპლექსს, რომელიც ძირითადად ორ სართულზეა განლაგებული. პირველ სართულზე მოთავსებულია ჭის მაგვარი წყალსაცავი, სახაფე ნიშა, საძევე და სენაკები. მეორე სართულზე განლაგებულია სამონასტრო ცენტრი, რომელიც შედგება ეკლესიისაგან, სატრაპეზოსა და მასთან დაკავშირებულ გამოქვაბულთა ჯგუფისაგან.

ბერთუბნის ღვთისმშობლის ეკლესია დარბაზულია (11,7X6,7 მ). აღმოსავლეთით მიშენებული აქვს ეკედერი, რომელიც ეკლესიას უკავშირდება ორი კართითა და სარკმლებით. საკურთხეველი გამოყოფილია კანკელით. ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილი მოხატულია რელიგიური ხასიათის კომპოზიციებითა და ქტიტორთა – თამარ მეფისა (1184-1207) და ლაშა-გიორგის (1207-1222) გამოსახულებით. მოხატულობა თარიღდება XI-XII სს-ის მიჯნით (ჩუბინაშვილი 1948: 51; ვოლსკაია 1947: 18-20; მელითაური 1960: 115-117; სხირტლაძე 1982: 114-133).

ეკლესიის აღმოსავლეთით მდებარეობს სატრაპეზო და გამოქვაბულთა ჯგუფი. სატრაპეზო გვერდით წაგრძელებული სწორკუთხედაა (13X8,5 მ). შესავლელი სამხრეთ-დასავლეთითაა. მის ცენტრში გამართულია ჭვის ტრაპეზი-მაგიდა (სიმაღლე 0,59 მ, სიგანე 0,66 მ), რომელსაც გაუყვება მერხები, ხოლო თავში მდებარეობს წინამძღვრის ნიში. სატრაპეზოს გვერდით კედლებში ყოველ 55 სმ-ის დაშორებით გამოკვეთილია ნიშები. გვერდითი გრიძივი კედლის ცენტრში, მცირე აფსიდაში საკურთხეველია, რომელიც ორი საფეხურითაა გამოყოფილი. ჩრდილო-დასავლეთი კედლის კუთხის ნიშში გამოკვეთილია ავზი, რომელიც წყლით მარაგდებოდა იატაკის ქვეშ გაყვანილი წყალსადენით. სატრაპეზოს მოხატულობა თარიღდება XII-XIII სს-ით (ჩუბინაშვილი 1948: 51-60; ვოლსკაია 1947: 147-152; მელითაური 1960: 115-120). მოხატულობას ახლავს განმარტებითი ქართული ასომთავრული წარწერები. ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის ფრესკებზე წარწერებია: „თამარ მეფეთ მეფე“, „გიორგი მეფეთ მეფე ძე თამარისი“. სატრაპეზოში წინამძღვრის ნიშის მარცხნივ რელიგიური ხასიათის წარწერაა (ბარნაველი 1962: 46, 47). ამგვარი რამდენიმე ბერძნული წარწერა გვხვდება ეკლესიის საკურთხეველის კონქში და სატრაპეზოში – წინამძღვრის ნიშში. წარწერები თარიღდება XIII ს-ის პირველი მეოთხედით (ყაუხჩიშვილი 2000: 301, 302). ეკლესიაში შემორჩენილია XVII ს-ის ამოკაწრული რელიგიური სახიათის წარწერები ქართულ და სომხურ ენებზე (მელიქსეთ-ბეგი 1940: 174; ბარნაველი 1962: 46).

ბიბლიოგრაფია: ბარნაველი 1962: 46, 47; ვოლსკაია 1947: 18-20; 1988: 130-155; ლომინაძე 1966: 16, 28; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 41; მელი-

თაური 1960: 115-120; მელიქიძე-ბეგი 1940: 153-174; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 70; სხირტლაძე 1982: №2; 1982: №4; 1983: №62-65; ქართლ-კახეთის ... 1903: 13; ქც 1: 210,2; ქც 4: 494,15; ქრონიკები 1897: 197, 231, 453; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 180; 1972: 616; 1981: 318; ყაუხჩიშვილი 2000: 301, 302; ჩუბინაშვილი 1948: 45, 51-60, 71, 72.

პერიოდიკალი, ციხე (ქც 4: 322,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 322,11), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 51), 1721 წ. ქვემო ქართლის აღწერის დავითრები (ლორთქიფანიძე 1935: 291, 346, 348; 1938: 130).

ვახუშტი ბაგრატიონი ბერიქალის ციხის შესახებ გადმოგვცემს: ხულუტის ციხის „ქუეით, სამხრით არს ციხე ბერიქალისა, კლდესა ზედა, კლდითავე მოზღუდვილი, შეუალსა და მაგარს ადვილს“ (ქც 4: 322,11,12).

მდებარეობს ბოლნისის მუნიციპ-ში, სოფ. ტანძიის მახლობლად, მდ. ქციის მარცხენა მხარეზე, სოფ. სენების ჩრდილო-დასავლეთით, ტანძიის აღმოსავლეთით (ლორთქიფანიძე 1935: 291).

სოფელი ბერიქალი ქციის სოფლების XVIII ს-ის ჩამონათვალშია აღნიშნული (ბაგრატიონი 1986: 54). ბერიქალისა და ხულუტის ციხეებს შორის გადიოდა გზა სამშვილდიდან თრიალეთისაკენ (ბერძენიშვილი 1966: 72). სოფელი დღეისათვის აღარ არსებობს (ბერძენიშვილი 1972: 21). ციხის ნანგრევები შემორჩენილია ქციის ხეობაში, ძნელად მისასვლელ ადგილზე.

ბერიქალის ციხე და სოფელი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 91; ბერძენიშვილი 1966: 72; ბერძენიშვილი 1972: 13-21; ლორთქიფანიძე 1935: 291, 346, 348; 1938: 130; საქ. ისტ. რუკა 1923; ქც 4: 322,11.

პერიოდის ციხე (ქც 4: 790,19). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:790,19).

ვახუშტი ბაგრატიონი ბერიძის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „ბახვის წყლის შესართავს ზეით არს ციხე ბერიძისა, სამხრითკენ მას ზეით ხეობა სურები, ვენახ-ხილიანი, მოსავლიანი“ (ქც 4: 790,19).

ლოკალიზდება ოზურგეთის მუნიციპ-ში. სავარაუდოდ მდებარეობდა მდ. ბახვისწყლის შესართავთან. ციხის სავარაუდო ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ქც 4: 790,19.

პერიოდის ციხე (ქც 4: 360,9). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:360,9).

ვახუშტი ბაგრატიონი ბერციხის შესახებ გადმოგვცემს: „ქარჩხის დასავლით არს კსანსა

ზედა ჟამური ... საშუალოს ჟამურსა არს ციხე, ბერციხედ წოდებული, კსანსა ზედა და კლდესა ზედა მდგომარე“ (ქც 4: 360,7-10).

ლოკალიზდება ქსნის ხეობის ზემო წელზე (მაკალათია 1968: 112). მდებარეობს სოფ. თოგოიანის პირდაპირ, მყავე წყლისა და ქსნის ხერთვისში აღმართულ კლდეზე.

ბერციხე ქსნის საერისთავოს ფარგლებში შედიოდა. მნიშვნელოვან სიმაგრედ ითვლებოდა და ქსნის ხეობას იცავდა ჩრდილოეთი მხრიდან (გვასალია 1983: 77).

ბერციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ციხე აშენებულია მაღალი კლდის თავზე, რომელიც სამი მხრიდან ქარაფებითაა დაცული. ციხეზე მისასვლელი აღმოსავლეთიდანაა. კლდის ზედა ნაწილი დაახლოებით 400 კვ მ ფართობისაა, რომელიც ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და ნაწილობრივ სამხრეთიდან ზღუდის კედლებითაა დაცული. ციხის ჩრდილოეთ ნაწილში შემორჩენილი ზურგიანი კოშკი ნაგებია ქვათილიებით. მის სამხრეთით რამდენიმე ნაგებობაა. იქვეა დარბაზული ტიპის ეკლესიაც. საკურთხეველის 2,5 მ სიმაღლეზე, კუთხეებში ირიბად ქვებია გადებული და იწყება სიმრგვალე, რომელზეც კონქის ნანგრევებია შემორჩენილი. საკურთხეველის ქვეშ სარდაფია. მასში რამდენიმე ქვევრია ჩადგმული. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ვიწრო სარკმელია. ციხის ტერიტორიაზე სხვა ნაგებობათა ნანგრევებიც შეინიშნება. ბერციხე, ეკლესიისა და კოშკის მიხედვით, ადრეული შუა საუკუნეებით თარიღდება (გვასალია 1967: 29).

ბიბლიოგრაფია: გვასალია 1967: 29; 1983: 77; მაკალათია 1968: 112; ქც 4: 360,9.

პერიოდის ციხე (ქც 4: 755,17). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 755,17).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: ხევ ქუევერულაზე „არს ბერციხე, კლდესა ზედა შენი, მაგარი“ (ქც 4:755,17).

მდებარეობს თერჯოლის მუნიციპ-ში, მდ. ქვერონას ხევიში, სოფ. გოგნის ჩრდილოეთით, 3 კმ-ის დაშორებით.

ბერციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ციხე აგებულია ქვერონას ხევის პიტალო კლდეზე. მისგან ნანგრევებიღია შემორჩენილი.

ბიბლიოგრაფია: ქც 4: 755,17; ჯგავანიშვილი 1965: 114.

პერიოდის ციხე (ქც 4: 375,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 375,14), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 43), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (საისტ. კრ. 1929: 26-28; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 183, 184; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 777). ვახუშტი ბაგრატიონი ბერძენაულის შესახებ გადმოგვცემს: „კიდესა მტკური-სასა არს ქუენა-ტკოცა, მას ზეით ბერძენაული“ (ქც 4: 375,13,14).

მდებარეობს ქარელის მუნიციპ-ში, ქარელიდან ჩრდილო-დასავლეთით 20 კმ-ის დაშორებით, დღევანდელი სოფ. ბერძენაულის ტერიტორიაზე.

ისტორიულ საბუთებში ბერძენაული გვხვდება XVII ს-დან (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 41). 1725 წ. აღწერის ნუსხაში მოხსენიებულია ბერძენაულში მცხოვრები გლეხები (საისტ. კრ. 1929: 26-28). ბერძენაულში იყო კათოლიკოსის 1 ყმა და 17 ბოგანო (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940:184).

ბერძენაული არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, შემადლებულ ადგილზე, შუა საუკუნეების ნასოფლარია, სადაც შეინიშნება მიწით დაფარული დარბაზული ტიპის ეკლესიის, გალავნის კედლის ნაშთი და სხვა შენობათა ნანგრევები (სბა 1990: 360).

სოფლის ცენტრში დგას იოანე ნათლისმცემლის დარბაზული ტიპის ეკლესია (13,65X6,2 მ). თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. გადაკეთებულია XIX ს-ში. ადრეული კედლები ნაგებია დიდი ზომის კათილილი ქვებით, XIX საუკუნისა – აგურით. აქვს ნახევარწრიული აფსიდა ვიწრო სარკმლით. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა (სბა 1990: 360).

ბიბლიოგრაფია: *პაგრატიონი 1986: 43; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 183, 184; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 41; საისტ. კრ. 1929: 26-28; სბა 1990: 360; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 777; ქც 4: 375,14.*

აჟმრო, ციხე (ქც 4: 363,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი პაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 363,5), პერი ევანგელისტის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტი (ქც 2: 444,6; 449,26), „ძეგლი ერისთავთა“ (ქრონიკები 1897: 60), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1964: 65).

მდებარეობს მდ. პატარა ლიახვის სათავესთან, მდ. ჩაბარუნის ხევისა და მდ. პატარა ლიახვის შესართავში (გვასალა 1976-1977: 21).

ვახუშტი პაგრატიონი ბეყოს ციხის შესახებ გადმოგვცემს: „ხევი ჩაბარუნეთისა ... ერთვის ლიახვს დასავლელადმ. ამ ლიახვის შესართავს, ორსავე წყალს შუა, არს ციხე ბეყოსი. ამ ციხეს ზეით არს ქნოლო სამ ხეობად“ (ქც 4: 363,2-5).

XIV ს-ის დასაწყისში ბეყოს ციხე მეფე ვახტანგ III-მ (1302-1308) უწყალობა შალვა ქვენიფნეველს (ქც 2: 444,6). თემურ ლენგის ლაშქრობების დროს ციხე ქანის ერისთავ გირშელს ეკუთვნოდა და იქ თავს აფარებდა კათოლიკოსი ელიოზი (ქრონიკები 1897: 15, 16). გვიან შუა საუკუნეებში ციხე პატარა ლიახვის სათავეების, კერძოდ, ქნოლის თემის ცენტრი ყოფილა (გვასალა 1982: 50). წყაროებში ციხე ბეხუშე-ბეხუშის სახელითაც მოიხსენიება (ქც 2: 444,6, 449,26).

ბეყოს ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ციხე დგას მაღალ კლდეზე (ფართობი 1150 კვმ). ნაგებია ფლეთილი ქვით კირხსნარზე (კედლების სისქე 1-1,5 მ). გალავნის კედელს ოთხი ბურჯი აქვს.

აქედან დასავლეთის ერთი და ჩრდილოეთის ორი ბურჯი ნახევარწრიულია. სამხრეთისა სწორკუთხაა. რელიეფის გამო გალავნის კედლებს სწორი კონფიგურაცია არა აქვს. თუმცა, გვემა სწორკუთხედს უახლოვდება. ციხის ფართობი განივი კედლით ორადაა გაყოფილი. ნაგებობის დასავლეთით, ჩაბარუნის ხევში, სამი ზურგიანი კოშკია. ხოლო ჩრდილოეთით, 2 კმ დაშორებით, ადგილ ლაჭაურში კიდევ სამი კოშკია. ერთი ზურგიანი, ორი მართკუთხა. კოშკები ციხესთან ერთად თავდაცვითი სისტემის ერთიან ჯაჭვს შეადგენს და განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება (გვასალა 1983: 69).

ბიბლიოგრაფია: *გვასალა 1967: 47-48; 1976-1977: 21; 1982: 50; 1983: 69; გოულდენშტედტი 1964: 65; მაკალათია 1971: 60; ქრონიკები 1897: 15, 16, 60; ქც 2: 444,6, 449,26; ქც 4: 363,5.*

აჟმროაფენი, ბემკენაშენი (ქც 4: 319,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი პაგრატიონი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 319,19), 1392 წ. ქართლ-კახეთ-მცხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 117), 1559 წ. ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 264), XVII ს-ის ისტორიული საბუთი (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 87; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 41-42), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 326), XVIII ს-ის აღწერის მასალები (მასალანი საქ. სტატ. 1907: 19), იოანე პაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (პაგრატიონი 1986: 48).

ვახუშტი პაგრატიონი ბემკენაშენის შესახებ გადმოგვცემს: „ემანს ზეით ერთვის ქციას ბემკენაშენის-ხევი ჩრდილოდამ. გამოსდის ერჯვენისა და კლდე-კარის მთასა. აღმოსავლით ბემკენაშენისა არს ტბა ბარეთისა, მცირე, უთევზო“.

მდებარეობს წალკის მუნიციპ-ში, წალკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 7 კმ-ში, თანამედროვე სოფელ ბემთაშენის ტერიტორიაზე.

ისტორიულ საბუთებში პირველად მოხსენიებულია XIV ს-ში. 1697 წ. ქართლის კათოლიკოსმა იოანე დიასამიძემ ბემკენაშენს ხელშეუვალობის წიგნი მისცა. 1721 წ. ვახტანგ VI-ის ბრძანებით ვახუშტი დაპატიმრებულმა და გვიე თუმანიშვილმა შეადგინეს საბარათიანოს მეწინავე სადროშოსა და სომხეთის აღწერა, რომლის მიხედვით ბემკენაშენში ითვლებოდა 1 მეზატონე – სვიმონ ბატონიშვილი, 4 მემამულე-აზნაური რჩეულიშვილები, 12 გამომღები და 3 ბოგანო ყმა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 41-42; ლორთქიფანიძე 1935: 291). XIX ს-ში რუსეთ-თურქეთის ომების შემდეგ თრიალეთში ბერძენების ჩამოსახლება დაიწყო. საუკუნის ბოლოსათვის ბემკენაშენი უკვე ბერძენული სოფელი ბემთაშენია, სადაც 250 კომლზე მეტი ცხოვრობდა (თაყაიშვილი 1913: 15-17).

ბემთაშენის სიძველეა მეცნიერული შესწავლის

დასაწყისი დაკავშირებულია ექ. თაყაიშვილის სახელთან, რომელმაც XIX ს-ის დასასრულს აღწერა თრიალეთის სოფლები, მათ შორის, ბეშქენაშენი. პირველი არქეოლოგიური კვლევა კი იოაკიმოვს ჩაუტარებია. ბეშთაშენის ტერიტორიაზე, მის დასავლეთ ნაწილში 1882 წ. კომაროვსა და იოაკიმოვს ანტიკური ხანის სამარხები გაუთხრიათ. ამავ ეპოქის 7 სამარხი 1896 წ. ექ. თაყაიშვილსაც შეუსწავლია. 1936-1948 წწ. წალკის წვალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით, სოფლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებს აწარმოებდა ბ. კუფტინი. 1989 წ-დან გათხრებს ატარებს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თრიალეთის ექსპედიცია (ხელმძღვ. გ. ნარიშკინი).

სოფ. ბეშთაშენიდან ჩრდილო-დასავლეთით 0,2 კმ-ზე, მდ. გერიაკ-ჩაის და მდ. ბაშკოვ-სუს ხეობისში, მალალ კანიონებს შორის მოქცეულ კონცხზე განლაგებულია „ციკლოპური ნაქალაქარი“, რომელიც მრავალფენიან ძეგლს წარმოადგენს: უძველესია მეზოლითური ხანის ღია სადგომის ნაშთები, რომელიც „ნაქალაქარის“ სამხრეთით, მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.


„ციკლოპური ნაქალაქარის“ ტერიტორიაზე გათხრულია ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის 2 პორიზონტი და შუაბრინჯაოს ხანის დასასრულის ფენა, რომელსაც ფარავს გვიანბრინჯაოს ხანის შენობების ნაშთები და შუა საუკუნეების ფენები. აქვე გაითხარა ძვ. წ. III-II სს-ის ნამოსახლარის 2 ნაგებობა და ძვ. წ. IV-III და I სს-ის სამარხები.

ნამოსახლარსა და სამაროვნებს 30 ჰა ფართობი უკავია. სამკუთხა ფორმის კონცხის ჩრდილოეთი ნაწილი მძლავრი „ციკლოპური“ კედლითაა გადაკეტილი. მის წინ თავდაცვითი თხრილია მოწყობილი, რომლის სიღრმე 5 მ-მდეა.

ციკლოპური ნაქალაქარიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს აქემენიდური და მიდიური ეპოქის სამაროვნები, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით – გვიანბრინჯაოს ხანისა. აქემენიდურ და მიდიურ ქვაყუთებს ჩაჭრილი აქვთ ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ფენები. აქვე აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის ერთი სამარხი (ნარიშკინი ... 1998: 39-55; ჟორჟიკაშვილი, გოვაძე 1974: 6).

„ციკლოპური“ ნამოსახლარის აღმოსავლეთით, მდ. ბაშკოვ-სუს მარცხენა ნაპირზე მდებარეობს მეგალითური სადგომი. ადგილობრივი მოსახლეობა მას „დაშლევს“ უწოდებს, რაც ქართულად „ლოდოვანს“ ნიშნავს. სადგომი შედგება ნაპრალ-გვირაბების და დოლმენისებური ნაგებობებისაგან (მელიქსეთ-ბეგი 1938: 55).

„ციკლოპური“ ნამოსახლარის დასავლეთით, მდინარის მარჯვენა ნაპირზე ძვ. წ. XIII-VII სს-ის მრავალბარუსიანი სამაროვანია გამართული. აქ, ბეშთაშენიდან საფარ-ხარაბასკენ მიმავალი გზის პირას ბ. კუფტინმა 1936-1939 წწ. 49 სამარხი გათხარა. 1990-1999 წწ. კიდევ 11 სამარხი გაითხარა (კუფტინი 1936: 93; 1939: 3-71; 1941: 41-49, 65-75; მენაბდე, დავლიანიძე 1968: 98-143)



ბეშთაშენის ნაციხარის გეგმა

„ციკლოპური“ ნამოსახლარის სამხრეთით, მდინარეთა შესართავთან ახლოს ყოფილა გამართული ძვ. წ. IV-I სს-ის დიდი დასახლება, რომელიც მდ. ბეშქენაშენზე გადებული ხილიდან იწყება, მოუყვება მდინარის მარჯვენა ნაპირს და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნამდე მიდის.

სოფ. ბეშთაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 1,5 კმ-ის დაცილებით, უსახელო მთის თხემზე კნოლეს „ციკლოპური“ ნამოსახლარი მდებარეობს. ის შედგება სიმაგრისა და მის გარშემო არსებული ნამოსახლარისაგან. სამხრეთ-აღმოსავლეთით სამაროვანია გამართული. სიმაგრეს გეგმით წაგრძელებული ოვალის ფორმა აქვს (დაახლ. 50X45 მ). კედლები, რომელთა სიგანე 1,2-2 მ-ია, ნაგებია დიდი ზომის დამუშავებული ბაზალტის ქვებით. სიმაგრე გაყოფილია ორად. დამცავი კედლის თითქმის მთელ პერიმეტრზე მიდგმულია სახლები. გაითხარა ერთ-ერთი მათგანი. მისი კედლები შედგენილია დიდი ზომის (2X1 მ) ბაზალტის ლოდებით. იატაკი კლდოვან დედაქანზეა გამართული. კედლების მაქსიმალური შემორჩენილი სიმაღლე 2 მ-ია. სახლში აღმოჩენილი მცირერიცხოვანი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ძეგლი ძვ. წ. VIII-VI სს-ით თარიღდება.

ნამოსახლარი გაშენებულია სიმაგრის სამხრეთით. სახლები განლაგებულია ცალკეულ ჯგუფებად, რომლებიც, როგორც ჩანს, დამოუკიდებელ კომპლექსებს წარმოადგენენ. რამდენიმე სახლი სიმაგრის კედელზე გარედანაა მიდგმული.

სამაროვანი მდებარეობს ნამოსახლარის აღმოსავლეთით და სიმაგრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 200 მ-ის დაცილებით. გაითხარა 19 სამარხი. ისინი წარმოადგენენ ქვაყუთებს, რომელთაც შემოუყვებოდა 5-7 მ დმ-ის ქვაწრეები (კრომლეხები). სამაროვანი ძვ. წ. VII-VI სს-ით თარიღდება. ნამოსახლარის, სიმაგრისა და სამაროვნის საერთო ფართობი დაახლ. 8 ჰა-ს უდრის (ნარიშკინი ... 1998). სოფ. ბეშთაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთ განაპი-

რას, მდ. ბაშკოვ-სუს მარცხენა ნაპირზე, მთა ელი-ბაბას თხემსა და ფერდობებზე მდებარეობს საბეჭდავის „ციკლოპური“ ნამოსახლარი.

მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს XII-XVIII სს-ის ნასოფლარი. „ციკლოპური“ ნამოსახლარი, რომელიც მთის თხემზე და დასავლეთ კალთაზეა განფენილი, ძვ. წ. XIII-XII სს-ით თარიღდება. ის წარმოადგენს კომპლექსს, რომელიც სასიმაგრო სისტემების (ზედა და ქვედა სიმაგრეები), მათ შიგნით და გარეთ არსებული უბნებისაგან შედგება. ქვედა სიმაგრე, ხევის და მდინარის ხერთვისში, ბუნებრივ კონცხზეა გამართული. იგი 2 ნაწილისაგან შედგება და 2 შესასვლელი აქვს. ერთი სამხრეთითაა. მისი სივრცე თავდაპირველად 5 მ უნდა ყოფილიყო. შესასვლელის მარჯვნივ, ბუნებრივ ბაქანზე მდგარა ხუთკუთხა ნაგებობა, რომელიც ძლიერაა დაზიანებული. ამ შესასვლელით ვხვდებით სიმაგრის ტერიტორიაზე. მისი დასავლეთი ნაწილი პატარაა და, როგორც ჩანს, დაუსახლებელი იყო. მისი სიგრძე ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 87 მ-ს, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე კი 32 მ-ს შეადგენდა. სიმაგრის მთლიანი სიგრძე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 162 მ-ია, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე კი 90 მ.

სიმაგრის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილი გაყოფილია 1,0 მ სივანის კედლით, რომლის შუა ნაწილში 1,3 მ სივანის კარის ღიობია. გალავნის კედლები ნაგებია ბაზალტის დიდი დაუშუშავებელი ლოდებით, უღუბაბოდ. კედლების სისქე 3-4 მ-ს აღწევს. გალავნის მთელ პერიმეტრზე მიდგმულია სხვადასხვა ზომის 30-მდე საცხოვრებელი სახლი, რომელთა შორის დატოვებულია გასასვლელი და ქუჩები. კედლების შემორჩენილი სიმაღლე 0,8-1,5 მ-ს უდრის. ქვედა სიმაგრეში გათხრილია 9 სახლი. ყველა მათგანი მიდგმულია სასიმაგრო კედელზე, ნაგებია დაუშუშავებელი ქვებით. კედლების შემორჩენილი სიმაღლე 0,6-1,8 მ-ს უდრის. იატაკი, უმეტეს შემთხვევაში, თიხატკეპნილია. ერთ შემთხვევაში სახლის იატაკს მოშინდაკეპული ბაზალტის დედაქანი წარმოადგენს. სახლებში დადასტურდა კერები. ისინი წარმოადგენენ თიხისაგან გამოძერწილ, სტაციონალურ კერებს, რომელთა დმ 0,3-0,4 მ-ია.

სახლებში აღმოჩენილი მასალა ძირითადად კერამიკითაა წარმოდგენილი. მათი უმეტესობა ხელითაა ნაძერწი, უხემკეციანია და არათანაბრადაა გამოძერწილი. დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი რიყისა და ბაზალტის ქვის სანაყები და სასრესები. სახლებში აღმოჩენილი მასალები ძვ. წ. XII-XII სს-ით თარიღდება.

ნამოსახლარს 4 სამაროვანი აკრავს. ერთი მათგანი სამხრეთ-დასავლეთით არსებულ მინდორზეა განლაგებული, მეორე მდ. ბაშკოვ-სუს მარჯვენა ნაპირზე, მესამე ნამოსახლარის დასავლეთით, მეოთხე კი ჩრდილო-დასავლეთით. ეს უკანასკნელი 2002-2003 წწ. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისას შეისწავლეს. გაითხა-

რა 129 სამარხი, რომლებიც ძვ. წ. VII-VI სს-ით თარიღდება (ნარიმანიშვილი 1998: 39-55; 2009; მურვანიძე 2005: 147-163)

სოფ. ბეშთაშენის გარშემო მრავალი ყორღანია. ერთი ჯგუფი სოფლის ჩრდილოეთით 0,8 კმ-ზე, ტყეში მდებარეობს. ისინი გამართულია ბეშთაშენის ჩრდილოეთით არსებული ქედის თხემზე, მდ. ბეიუკ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე. ყველა ყორღანი ქვყორღანია. ერთ-ერთი ყორღანის (XXVII) გათხრა დაიწყო ბ. კუფტინმა, მაგრამ არ დაუსრულებია. მეორე ჯგუფი სამხრეთ-აღმოსავლეთით, 2,0 კმ-ის დაცილებით მდებარეობს. №1 ყორღანი განლაგებულია მანგლისი-წალკის გზასა და მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის გადაკვეთასთან, ხიდის მარჯვნივ. ყორღანს ვერძულზე ჩაუკლის გრუნტის გზა, რომელიც შავი მთისაკენ (კორსუ) მიემართება. ყორღანზე მდგარა მენჰირი, რომელიც ამჟამად მის ქვყორღანში გდია. ყორღანი დაზიანებულია რკინიგზის მშენებლობისას (ჩამოჭრილი აქვს ერთი მეოთხედი); №2 ყორღანი პირველისგან ჩრდილო-დასავლეთით 60 მ-ის დაცილებით მდებარეობს. №3 კი უშუალოდ შავი მთის ყველაზე მაღალ წერტილზეა გამართული. ის ერთ-ერთი ყველაზე დიდია წალკის რაიონში. ყველა ყორღანი ქვყორღანია ყორღანების ჯგუფს მიეკუთვნება. მესამე ჯგუფი (XII, XIII, XIV) განლაგებულია სოფ. ბეშთაშენის ჩრდილო-დასავლეთით, 1,0 კმ-ის დაცილებით. ეს ყორღანები ბ. კუფტინმა გათხარა 1938 წ. XII და XIII ყორღანები თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით, ხოლო XIV ყორღანი ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით (ყორჟიკაშვილი, გოგაძე 1974: 11, 12, 19).

სოფლის აღმოსავლეთით მდებარე მინდორზე, ე. წ. „აეროდრომის“ ტერიტორიაზე განლაგებულია ქვყორღანის ყორღანების მეოთხე ჯგუფი, რომელთაგან XVIII და XXIII გაითხარა ბ. კუფტინის მიერ. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით (ყორჟიკაშვილი, გოგაძე 1974: 21-22)

სოფ. ბეშთაშენიდან აღმოსავლეთით, 2,5 კმ-ის დაცილებით, ქვიშის კარიერის ტერიტორიაზე პალეონტოლოგიური ძეგლი და ბრინჯაოს ხანის სამაროვანი მდებარეობს. სამარხები გამართულია მდ. კორსუჩაის მარჯვენა ნაპირზე, მდინარეზე არსებული ხიდის დასავლეთით 500 მ-ზე. სამარხები გამოხატულია მცირე ზომის ქვყორღანებით. მათი ნაწილი დაზიანებულია ქვიშის ამოღების დროს. კარიერის ჭრილში 2003 წ. დავიქსირდა სამხრეთული სპილოს ლულოვანი ძეგლი.

პალეონტოლოგიური ნაშთები, რომლებიც 1,5 მილიონი წლით თარიღდება, მიკვლეულია სოფ. ბეშთაშენიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 2,0 კმ-ის დაცილებით სოფ. იმერადან ქ. წალკისაკენ მიმავალი გზის პირას. 2006-2007 წწ. ძეგლი ითხრებოდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეონტოლოგიური ექსპედიციის მიერ.

ბეშთაშენში რამდენიმე ეკლესიაა. სოფლის ცენტრალური მოედნის ჩრდილოეთ მხარეს დგას წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, რომელიც 1849 წ. განაახლეს ბერძნებმა. ეკლესია წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას. ნაგებია კარგად დამუშავებული კვადრებით. კედლის წყობაში ძველი ქართული ეკლესიის ქვებია ჩაყოლებული. ჩრდილოეთი სარკმლის ორივე მხარეს ჩაშენებულია ქვები, რომლებზეც ასომთავრული წარწერის ფრაგმენტებია შემორჩენილი. თარიღდება XI-XII სს-ით (ბერძენიშვილი 2005: 67). ეკლესია გადახურულია კრამიტით. აღმოსავლეთით ფარგლავს ნახევარწრიული აფსიდა და 2 პასტოფორია. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. თაღოვანი სარკმლები ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია. დასავლეთის კენზე დგას მცირე ზომის სამრეკლო. ეკლესიის დასავლეთით, ათიღე მ-შია XX ს-ში აგებული სამსართულიანი სამრეკლო.

წმინდა გიორგის ეკლესია დგას სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ეკლესია წარმოადგენს ორნავიან ბაზილიკას (9,24X8,84 მ). აშენებულია კარგად დამუშავებული ქვის კვადრებით. გეგმაში მართკუთხაა, აღმოსავლეთით 2 ნახევარწრიული აფსიდით. ცენტრალური ნავის აფსიდში 2 თაღოვანი ნიშია: ერთი ჩრდილოეთით, მეორე სამხრეთით. ნიშებია სამხრეთის მცირე ნავის აფსიდშიც. შესასვლელი სამხრეთიდანაა. იგი კარგადან თაღოვანია, შიგნიდან არქიტრავული. დარბაზი ნათდება აღმოსავლეთის, სამხრეთისა და დასავლეთის ვიწრო თაღოვანი სარკმლებით. სამხრეთის ფასადზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა: „სახელითა ღმრთისათა ეს ეკლესია ჩუენ გურგენისძეთ ავაგეთ ერისთავის ვახტანგის ბრძანებით, თან-ღმომით, სალოცველად მათთვის ქუაბს შემოიწირ(ა)დ დღის ყანა ჩაწერ(ა) ჟამის წირვით, დაიდვა ყოველდღე წელიწადთ დღე აღუსების ხუთშაბათს. არა შეუცვალოს ესე ლოცვა და ჟამის წირვა, ვიდრე ეკლეს(ია) ესე დგეს, მღვდელი ვინცა შიგან ჟამს წირვიდეს. ვინ შეუცვალოს, ღმერთმან მიაგოს. გურგენ მღვდელმან დავწერა ცოდეგილმან, უცებად (ც)ხრეკე. ლოც(ვა) ყოთ ვინ, ღმერთმან (გა)კურთხოს, ამინ იყავნ“. წმინდა გიორგის ეკლესიის გალავნის დასავლეთის კედელში ჩაშენებულ დიდ ღოდზე ამოკვეთილია წარწერა: „ქ(რისტე) ღ(მრ)თ(ი)სა მშობლისა და ნათ(ლისა) /მცემლ(ი)სა (მეოხებ)ითა ესე ეკლეს(ია)იანიუხა ხელთა /ჩემთა თავის/დ(ი)სა მოლაზონის/აითა გლანაკ/ისა და მშ(ი)ერ(ი)ს/ათა“ (თაყაიშვილი 1913: 16; ბერძენიშვილი 1982: 12; 2005: 65, 66; ლომთაიძე, გრძელიშვილი 1951: 323, 324). ეკლესია შემოზღუდულია ქვითკირის გალავანით, რომელშიც 2 კარიბჭაა დატანებული. გალავანში ჩაშენებულია საფლავის ქვები, რომელთა უმეტესობა გამოსახულებებითაა შემკული. ეკლესიის სამხრეთით ქვედა გალავანში ჩატანებულია ჯვრის გამოსახულებიანი ქვა. ჯვრის ორივე მხარეს ასომთავრული წარწერაა, რომელიც თითქმის არ იკითხება. ეკლესია თარიღდება განვი-

თარბული შუა საუკუნეებით, წარწერები – X-XI სს-ით.

წმინდა გიორგის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 100 მ-ის დაცილებით მდებარეობს ზეთსახდელი (20,10X8,25 მ), რომელიც ნაგებია დიდი ზომის დაუშუშავებელი ბაზალტის ქვით. დასავლეთ კედლის ცენტრალურ ნაწილში არის ნახევარწრიული შერმაგება (დმ 3,20 მ). ჩრდილოეთი კედელი დიდი ზომის ლოდებითაა ნაგები, რომლის ცენტრალურ ნაწილში გასასვლელია. ზედსახდელში დაცულია 2 გელაზის ქვა (დმ 1,70 მ, სიმაღლე 0,42 მ; დმ 1,85 მ, სიმაღლე 0,32 მ) და ხის ხრახნი (სიმაღლე 4,60 მ). გელაზის ქვები შემკულია ჯვრის რელიეფური გამოსახულებებით. XX ს-ის შუა წლებში ზეთსახდელის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ადგილობრივმა ბერძნულმა მოსახლეობამ ააგო ზღუდე-ბაქანი და ზედ ააშენა მცირე ზომის სამლოცველო, რომლის აღმოსავლეთ კედელში ჩაშენებულია ჯვრის გამოსახულებიანი მონოლითი. ბ. კუფტინის მიხედვით XX ს-ის 30-იან წლებში აქ სამლოცველო არ იდგა და ჯვრიანი ქვა ზეთსახდელის აღმოსავლეთ კედელში იყო ჩაშენებული, რომლისკენაც ქვის კიბეები ადიოდა (კუფტინი 1936: 16-17).

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სამლოცველო მდებარეობს სოფლის განაპირას, ჩრდილო-აღმოსავლეთით ფერდობზე. აგებულია ბერძნების მიერ ძველი მონრდობი ეკლესიის ნანგრევებზე. იგი დარბაზული მცირე ზომის ნაგებობაა. ნაშენია დამუშავებული ქვებით. გადახურულია შიფრით. გეგმით ეკლესია მართკუთხაა, აღმოსავლეთით ბრტყელი აფსიდით. ახალი სამლოცველო ძველ ეკლესიაში მდგარი ქვაჯვრისათვის შემოუშენებიათ ირავლი. ქვაჯვარი (0,80X0,53 მ) ჩადგმულია მასიურ ქვაში გამოკვეთილი ნახევარწრიული ფორმის ბაზისში. ქვის ჯვარს შუაში რელიეფური კოპი აქვს. ჯვრის განივ მკლავებზე ასომთავრული წარწერაა: „ქ(რისტე) წმიდა ნათ/ლის(მ)ცემელი“. რელიეფურკოპიანი ჯვარია გამოსახული ბაზისის ქვაზეც. ქვაჯვარი X-XI სს-ს მიეკუთვნება. სამლოცველო აგებულია XX ს-ში (ბერძენიშვილი 1982: 11).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 48; ბერძენიშვილი 1982: 12; 2005: 65, 66; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 87; თაყაიშვილი 1913: 15-17; კუფტინი 1936: 16-17, 93; 1939: 3-71; 1941: 41-49, 65-75; ლომთაიძე, გრძელიშვილი 1951: 323-324; ლორთქიფანიძე 1935: 291; მასალანი საქ. სტატ. 1907: 19; მელიქსეთ-ბეგი 1938: 55; მენაბდე, დავლიანიძე 1968: 98-143; მურვანიძე 2005: 147-163; მასალები საქ. ისტ. კოლგ. 1964: 41-42; ნარიანიშვილი 1998: 39-55; 2009; ჟორჯიკაშვილი, ვოგაძე 1972: 6, 11-12, 19, 21-22; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 326; 1970: 117, 264; ქვ 4: 319, 19.

ამჟის ციხე (ქვ 4: 674,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 674,22), „მატიანე ქართლისა“ (ქვ 1: 300,10).

ლოკალიზდება მდ. მტკვრის სათავეებთან, ყანლუს მთის ძირთან. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

ვახუშტი ბაგრატიონი ბეჭის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „მტკურის სათავეს ზეით, ყანლუს მთის ძირზე, არს ციხე შენი ქუმურლუსი, მაგარი და შეუვალი (ვგონებ ბეჭის ციხედ). აწ ცალიერ არს. მას ზედა გარდავალს გზა ბანას და ფანასკერტს“ (ქც 4: 674,22).

ლიპარიტ კლდეკარის ერისთავმა ანისთან დაატყვევა მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072) მომხრე დიდებულები, რომელთა შორის იყო გუარამ გოდერძის ძე, ბეჭის ციხის პატრონი (ქც 1: 300,10).

ეს ძველი არქეოლოგიურად შეუსწავლეულია.

ბიბლიოგრაფია: ქც 1: 300,10; ქც 4:674,22.

აიმიო, მონასტერი (ქც 4: 368,7,9,სქ.2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 368,7,9, სქ. 2), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 32).

ვახუშტი ბაგრატიონი ბიეთის შესახებ გადმოგვცემს: „უსანეთის მთის ... ზეით არს მონასტერი, მეჯვდის მდინარის დასავლეთად, მთის ძირში, ბიეთს მონასტერი კეთილს შუენიერს ადგილს ... უხოს ბიეთს წინამძღვარი“ (ქც 4: 368,7-9).

მდებარეობს ცხინვალის მუნიციპ-ში, დღევანდელი სოფ. ბიეთის მახლობლად, მდ. მეჯუდას ზემო წელზე.

ბიეთის მონასტერი არქეოლოგიურად შეუსწავლეულია.

ტყიანსა და კლდოვან თხემზე გაშენებული სამონასტრო კომპლექსი ძლიერ დაზიანებულია. შეიცავს IX ს-ით დათარიღებული დარბაზული ტიპის ეკლესიას, რომლის ერთი ნაწილი კლდეშია გამოკვეთილი ორ სართულად. ეკლესიას აქვს ორი გრძელი მინაშენი. მათგან ერთი ქრონოლოგიურად ეკლესიის თარიღს უახლოვდება, მეორე გვიანი შუა საუკუნეებისაა. ეკლესია ნაშენია ფლეთილი ქვით დულაბზე. მოპირკეთებულია ქვიშაქვის ფილებით. გვიანდელი მინაშენი აგებულია ქვის უხეში წყობით. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე გამოკვეთილ ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებულია იოანე ბაკურის ძე ყანჩაელი, ავრთვე ვაჩე და ბემქენი, რომლებიც ყანჩაელთა გვარისანი უნდა ყოფილიყვნენ. წარწერა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე შემორჩენილია სატრაპეზოს ნაშთი და ორ იარუსად გამოკვეთილი გამოქვაბულები (მეფისაშვილი 1963: 29-54; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 34-38).

ამავე სახელწოდების ნასოფლარი არის ისტორიულ სამცხეშიც, ახალციხის მუნიციპ-ში (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 106; 1958: 139, 140; ბოჭორიძე 1992: 35-39). ბიეთის ნასოფლარი მდებარეობს წინაუბნის ხეობაში, ბორჯომ-ახალციხის საავ-

ტომობილო გზიდან მეექვსე კმ-ში. ნასოფლარზე შემორჩენილია განვითარებული შუა საუკუნეების ცენტრალურ-გუმბათიანი ეკლესია და სხვადასხვა დანიშნულების სამონასტრო ნაგებობები (ბერიძე 1955: 156). ნასოფლარი არქეოლოგიურად შეუსწავლეულია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 32; ბერიძე 1955: 156; ბოჭორიძე 1992: 35-39; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 106; 1958: 139, 140; მეფისაშვილი 1963: 29-54; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 34-38; ქც 4: 368,7,9, სქ. 2.

ბიროთისი, ციხე (ქც 4: 326,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 145,14; 273,18; 274,16; 326,17; 327,5; 404,22,26; 435,7; 440,3), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 297,29; 305,8), ბერი ეგანატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 337,9; 364,24; 469,24,25; 506,8), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 70, 127, 137, 140, 144, 156, 158, 197, 210, 233), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 129,19), ისქანდერ მუნშის „აბასის ქვეყნის დამამშენებელი ისტორია“ (მუნში 1969: 16), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 67, 79, 239).

ვახუშტი ბაგრატიონი ბირთვისის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „ბუჟღულეთს ქუევით იწყებს ალგეთი აღმოსავლეთით დინებასა, და ტბისის უკან, ჩდილოდ კერძ, არს ციხე ბირთვისი, კლდესა ზედა შენი და გარემო კლდითა მოზღუდვილი, ეჯ-ნახევარ ოღენ და შეუალი. დადიან მის შორს წყარონი“ (ქც 4: 326,16-19).

მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპ-ში, მდ. ალგეთის ხეობაში, სოფ. ტბისის ჩრდილოეთით, 2 კმ-ის დაშორებით.

წყაროებში იხსენიება XI ს-იდან, როცა კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ბაღვაშმა და ქართლის ერისთავმა ივანე აბაზას ძემ თბილისის ამირა ჯავახიშვილს და ქვემო ქართლის სხვა ციხეებთან ერთად ბირთვისის ციხე წაართვეს. XI ს-ის მეორე ნახევარში სულა კალმახელმა ჯავახეთში შეიპყრო განდგომილი ლიპარიტ ბაღვაში, მისი ძე ივანე და ბაგრატ IV-ს (1027-1072) მიჰგვარა. მეფემ მათ სხვა ციხეებთან ერთად ბირთვისიც ჩამოართვა (ჯავახიშვილი 1983: 116, 140, 141, 150; მუსხელიშვილი 1980: 211). XIV ს-ის ბოლოს ბირთვისის ციხე თემურ-ლენგის ლაშქარმა აიღო (ქც 2: 469,24,25).

1541 წ. სპარსეთის შაჰი თამაზი ქართლში შეპიოჭრა, თბილისი გადაწვა, ხოლო ყიზილბაშთა მეორე ლაშქარმა ბირთვისის ციხე აიღო. 1625 წ. ქაიხოსრო ბარათა-



ბირთვისის ციხე

შვილმა ბირთვისის ციხე სპარსელებს გადასცა. 1713 წ. გოსტაშაპიშვილებს ბირთვისში სასახლე ჰქონდათ (ლორთქიფანიძე 1935: 292). აქ გადიოდა თბილისიდან ქვემო ქართლში მიმავალი ერთ-ერთი გზა (ბერძენიშვილი 1966:73).

ბირთვისის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ციხე წარმოადგენს თავდაცვით ნაგებობათა კომპლექსს. მთებით შემოსაზღვრული ქვაბულის შუაში ამოზიდულ კედლეზე დგას მთავარი ციხე. ფერდობზე ამოკვეთილია საფეხურები და მათ ზემოთ შესასვლელი ჩაკეტილია კედლით. აღმოსავლეთის მხრიდან ციხე გამაგრებულია ფლეთილი ქვით ნაგები გალავნით, რომელსაც დატანებული აქვს ნახევარწრიული ბურჯები. კლდის ყველაზე ამაღლებულ ადგილას დგას ორსართულიანი კოშკი. ნაგებია ფლეთილი ქვით. მთავარი ციხის შემოსაზღვრულ მთებს შორის გასასვლელი ჩაკეტილია კედლებით. ამ შემოსაზღვრულ სივრცეში დგას მრავალი საცხოვრებელი ნაგებობა და კოშკი. ციხე თარიღდება განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებით (ზაქარაია 1969: 21; ციციშვილი 1979ბ: 7).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1966: 73; გიულდენშტედტი 1962: 67, 79, 239; დადიანი 1962: 129,19; ზაქარაია 1969: 21; ლორთქიფანიძე 1935: 292; მუნში 1969: 16; მუსხელიშვილი 1980: 211; ორბელიანი 1981: 70, 127, 137, 140, 144, 156, 158, 197, 210, 233; ქც 1: 297,29, 305,8; ქც 2: 337,9, 364,24, 469,24,25, 506,8; ქც 4: 145,14; 273,18; 274,16; 326,17; 327,5; 404,22,26; 435,7; 440,3; ციციშვილი 1979ბ: 5-9; ჯავახიშვილი 1983: 116, 140, 141, 150.

ბიჭვინიანი (ქც 4: 159,25; 784,18,სქ.6,7; 785,6, სქ. 1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 159,25; 784,18, სქ. 6,7; 785,6, სქ. 1), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 215,15; 238,14), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1: 339,10), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 493,20,26), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 159,25; 784,18, სქ. 6,7; 785,6, სქ. 1), ქართული ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 294-297; დას. საქ. საბ. 1921: 89-96; 131-147; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. 1953: 23; ისტ. დოკ. 1958: 106, 117), სტრაბონის „გეოგრაფია“ (ყაუხჩიშვილი 1957: 120), პლინიუსის „ბუნების ისტორია“ (ლატიშვილი 1904: 291, 292), ფლავიუს არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (არიანე 1961: 52), ამიანე მარცელინეს „ისტორია“ (ამიანე მარცელინე 1961: 224); V ს-ის ანონიმი გეოგრაფის „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (არიანე 1961: 91), თეოდორიტი კვირელის „საეკლესიო ისტორია“ (თეოდორიტი კვირელი 1961: 224), ერმია სოზომენეს „საეკლესიო ისტორია“ (ერმია სოზომენე 1961: 242), ზოსიმეს „ახალი ისტორია“ (ზოსიმე 1961:

266-268), პროკოპი კესარიელის „ბრძოლა გუთებთან“ (პროკოპი კესარიელი 1965: 134), „შენობათა შესახებ“ (პროკოპი კესარიელი 1965: 221, 222), იუსტინიანეს „ნოველები“ (იუსტინიანე 1934: 33), VII ს-ის სომეხი ანონიმი გეოგრაფი (სომხ. გეოგ. 1877: 16), თეოფანე ჟამთააღმწერელის თხზულება (თეოფანე ჟამთააღმწერელი 1941: 76), სვიდას „ლექსიკონი“ (სვიდა 1941: 321), იოანე ზონარას თხზულება (ზონარა 1966: 187, 188, 203, 205, 206), არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ (ლამბერტი 1938: 10), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 145, 171, 321, 325), რაინეგის „კავკასიის ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“ (რაინეგის 1797: 3), ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამირკავკასიაში“ (გამბა 1987: 63, 78-81, 105, 109, 316, 317), სპენსერის „მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროების გასწვრივ“ (სპენსერი 1981: 113, 118, 149).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ბიჭვინტის დასავლით დის კაპპეტის მდინარე“ (ქც 4: 785,6). მდებარეობს აფხაზეთში, ბიჭვინთის კონცხზე, მდ. ბზიფის შესართავის აღმოსავლეთით, ახლანდელი ბიჭვინთის ტერიტორიაზე (დიუბუა დე მონპერე 1937: 112).

წყაროებში იხსენიება სხვადასხვა სახელით: პიტიუნტი (ყაუხჩიშვილი 1957: 120; არიანე 1961: 52; ამიანე მარცელინე 1961: 224); პიტიუსი (სვიდა 1941: 321); პიტიოტა (ქც 1: 238,14); ბიჭვინტა (ქც 1: 339,10; ქც 4: 784,18, 785,6). ბიჭვინტის დაარსების დროის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: ძვ. წ. IV-III სს (მელიქიშვილი 1959: 243); ძვ. წ. V ს (ბოლტუნოვა 1963: 156); ძვ. წ. II ს (აფაქიძე 1975: 23). ძვ. წ. II ს-ში ბიჭვინტა „უმდიდრესი ქალაქი“ იყო (ყაუხჩიშვილი 1957: 120); ახ. წ. I ს-ის დასაწყისში ქალაქი ჰენიოხებმა გააძარცვეს (კისლინგი 1912:



ბიჭვინთის დიდი ტაძარი


275). II-III სს-ში რომაელებმა პიტონტში მუდმივი გარნიზონი ჩააყენეს (ლორთქიფანიძე, კილურაძე, თოდუა 1987: 88-92); III ს-ის შუა ხანებში გუთებმა დაანგრეს. III-IV სს-ში აღდგა. V ს-ში დაქვეითებულია; VI ს-ის 20-იანი წლებიდან ვიდრე VI ს-ის შუა ხანებამდე ბიჭვინთაში ბიზანტიური გარნიზონი იდგა. VII-VIII სს-ში ის ქალაქი და საეკლესიო ცენტრია. XV-XVI სს-ში იქ საეპისკოპოსო კათედრაა. XVII ს-ში მცირე ქალაქი და პატრიარქის რეზიდენციაა (ლამბერტი 1938: 10; მესხია 1983: 240); XVIII ს-ში საეკლესიო ცენტრია.

ნაქალაქარისა და მისი მიდამოების სისტემატურ გათხრებს 1952-1975 წწ. აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ა. აფაქიძე). 1975-1989 წწ. იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიჭვინთის ექსპედიცია (ხელმძღ. გ. ლორთქიფანიძე).

II-VI სს-ის ნაქალაქარის ტერიტორია (6,5 ჰა) ორი ნაწილისაგან შედგება: კასტელუმისა (2 ჰა) და კანაბესაგან (4,5 ჰა). კასტელუმში კვადრატული გეგმისაა. ნაგებია ზღვური კონგლომერატის კვადრებით კირხსნარზე. მშენებლობაში ორი ეტაპი გამოიყოფა. პირველი – II-III სს-ის გალავანი (სისქე 3-3,2 მ) ხასიათდება მონუმენტურობით; მეორე – IV-VI სს-ის გალავანი (სისქე 1,9-2 მ) ნაკლებად მონუმენტური და მასშტაბურია. კასტელუმში გამაგრებულია 15 კოშკით. ნაგებია ზღვური კონგლომერატის კვადრებით კირხსნარზე. დასავლეთის ზღუდეს ხუთი სწორკუთხა და კვადრატული კოშკი იცავს.

კანაბე – სამოქალაქო დასახლება, ნახევარწრიული გეგმისაა. მისი გალავანი IV ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. ნაგებია ზღვური კონგლომერატის კვადრებით კირხსნარზე. გამაგრებულია ოთხ, ხუთ და რვაწახნაგოვანი 11 კოშკით. ნაქალაქარის ერთიან საფორტიფიკაციო სისტემაში შედიოდა ინკიტის ტბისა და ლიბავას კოშკები. ისინიც ნაგებია ზღვური კონგლომერატის კვადრებით კირხსნარზე. ინკიტის ტბის კოშკი (დმ 5,72 მ). მრგვალი ფორმისაა, ლიბავასი – ოთხკუთხა.

კასტელუმისა და კანაბეს შეერთების ადგილას გამოვლენდა მუხის ძელებისაგან ნაგები ახ. წ. I-II სს-ის საფორტიფიკაციო ნაგებობის კვალი (ლორთქიფანიძე 1991: 43); კასტელუმის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილია პრეტორიუმის შენობა (1000 კვ მ). ნაგებია ზღვური კონგლომერატის კვადრებით კირხსნარზე. კვადრატული გეგმისაა. თარიღდება II-III სს-ით (ლექქვინაძე 1969: 78); საზოგადოებრივი დანიშნულების მონუმენტური შენობა (240 კვ მ) ნაგებია ზღვური კონგლომერატის კვადრებით კირხსნარზე. გეგმით ოთხკუთხაა. იატაკი მოლესილია ჰიდრავლიკური ხსნარით. მას აკრავს მინაშენი (20X3 მ), რომლის იატაკი მოზაიკითაა დაფარული. მოზაიკა III ს-ით თარიღდება. გადარჩენილია თევზის, დელფინისა და ტრიტონის




ბიჭვინთის ნაქალაქარის გენგეგმა

გამოსახულებათა ფრაგმენტები (ჭყონია 1978: 211). მოზაიკური იატაკიანი მინაშენიდან სამხრეთით გამოვლენილია II-III სს-ის სწორკუთხა ნაგებობათა კომპლექსი. იატაკი ჰიდრავლიკური ხსნარითაა მოლესილი. III ს-ის შუა ხანებიდან კომპლექსი რამდენიმე სათავსოდ გაუტახრავთ. ერთ-ერთი ნაგებობის (12X20 მ) გალერეის მსგავს მინაშენში დავიქსირებულია მოზაიკური იატაკი. გადარჩენილია სპილოსა და ლომის გამოსახულებათა ფრაგმენტი. მოზაიკიანი ნაგებობას ჩრდილოეთით ეკვრის სამეურნეო სათავსების მთელი ყვება. ერთ-ერთი მათგანი მარნის დანიშნულებას ასრულებდა.

კასტელუმის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილია, ასევე ლაზარეთი (ლორთქიფანიძე 1991: 87); ცენტრალური ქუჩა (80X5,5 მ); წყალსადენისა და კოლექტორის სისტემა; ციტადელის კედლის გარეთ, ზღვური კონგლომერატის კვადრებით ნაგები III ს-ის ხუთგანყოფილებიანი (საცეცხლე, გასახდელი, ცივი, თბილი, ცხელი) აბანოა. მას ჩრდილო-დასავლეთით ეკვროდა კარიბჭე – „პორტა პრეტორია“ (სივანე 2,8 მ). მის ჩრდილო ნაპირას გამოვლინდა ოთხკუთხა შენობა, რომელიც სამორიგეო უნდა ყოფილიყო (ლორთქიფანიძე 1991: 90); საპირისპირო მხარეს კი IV-V სს-ის მრგვალი, ორი-არუსიანი, კირის გამოსახულები ქუჩა (1,96X0,8 მ). კანაბეს სამხრეთ მონაკვეთზე გამოვლენილია სხვადასხვა დროის ორი ეკლესია. პირველი მათგანი (26,2X11,3 მ) ერთნავიანია, ნახევარწრიული აფსიდით. თარიღდება IV ს-ის დასაწყისით (ციციშვილი 1977: 118).

მეორე ეკლესია (28X13,2მ) სამნავიანია. ნაგებია ზღვური კონგლომერატით კირხსნარზე. იატაკი მოზაიკითაა დაფარული. პატარა ფერადი კენჭებით შედგენილია ყვავილების, გეომეტრიული ფიგურების ორნამენტი. მოზაიკის წრეში ძველბერძნული ოთხსტრიქონიანი წარწერაა: „სალოცველად ორელისა და ყოვლისა სახლის მიმართ“ (ყაუხჩიშვილი 1978: 218-230). წარწერის თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: IV ს (მაცულევიჩი 1978: 100, 104); IV-VII სს (ყაუხჩიშვილი 1978: 221). ეკლესიის სანათლავში აღმოჩნდა მოზაიკური იატაკის კიდევ ერთი ფრაგმენტი. გადარჩენილია შადრვენის, ძროხის, ხბოს, ფურის,


ნუკრის, ხარ-ირმის გამოსახულებანი. მოზაიკისა და ეკლესიის დათარიღების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული: IV ს (ციციშვილი 1977: 118; მაცულევი 1978: 100-168); IV ს-ის დასაწყისი და V ს-ის მეორე ნახევარი (ლექქინაძე 1970: 192); V ს-ის მეორე ნახევარი (შერვაშიძე 1978: 169-193); IV ს-ის მეორე ნახევარი და V ს-ის დასაწყისი (ოდიშელი 1988: 15); V ს (ხრუშკოვა 1985 :62).



ნაქალაქარის ჭიშკრის რეკონსტრუქცია

მესამე ეკლესია (28,4X14,6მ) ნაგებია ზღვური კონგლომერატის კვადრებით კირხსნარზე. წყობაში გამოყენებულია აგურის ორი სარტყელი. ეკლესია სამნავიანია, ხუთწახნაგა აფსიდითა და ნართექსით. ეკლესიას ათარიღებენ: IV ს-ით (ციციშვილი 1977: 118); IV ს-ის დასასრული-V ს-ის შუა ხანებით (ლექქინაძე 1968: 57; ხრუშკოვა 1985: 63).

მეოთხე ეკლესია ერთნავიანია (17,45X11,6მ). ნაგებია თლილი ქვებისაგან. აქვს სამწახნაგა აფსიდა. თარიღდება VI ს-ის პირველი ნახევრით (ციციშვილი 1977: 118).



ბიჭვინთის ნაქალაქარის აბანოს გეგმა

ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია: I-II სს-ის კოსის, როდოსისა და იტალიკურ ამფორათა ფრაგმენტები; პერგამონისა და მცირე აზიის ანონიმური ცენტრების წითელლაკიანი ჯამები, თასები; II-III სს-ის მცირეაზიური ცენტრების წითელლაკიანი სუფრის ჭურჭელი, მინის ბალზამარიები, კოჭობები, ხელაღები; პერგამონული წითელლაკიანი ჯამები, თასები; სინოპური ამფორები, ლუთერიები, სამოსური ჭრაქები, ჩრდილოშავი-ზღვისპირული მშვილდსაკინძები; ოქროსა და ვერცხლის საყურეები; ადგილობრივი ამფორის, ქვევრის, დერგის ფრაგმენტები; კრამიტები, თიხის ფილები, აგურები; II ს-ის 2 ბრინჯაოს მედალიონი და ვერცხლისა და სპილენძის 48 მონეტა. ამათგან 25 ტრაპეზუნტშია მოჭრილი, 9 – კაპადოკიის კესარიაში, 7 – რომში, 2 – ბოსფორის სამეფოში, თითო-თითო – ამისოში, აზიის გაურკვეველ ზარაფხანაში

და პაუტალიაში. ოთხი მონეტის მოჭრის ადგილი გაურკვეველია (დუნღუა 1975: 290); III ს-ის პირველი ნახევრის ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები (191 ც); კესარიის (31 ც), ნეოკესარიის (3 ც); სინოპეს (1 ც), ამისოს (11 ც), ქიზიკის (6 ც) მონეტები (დუნღუა 1975: 352, 375). არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება ლათინურენოვანი წარწერა, რომელშიც 223 წ. კონსულები მაქსიმილიანე და აელიანოა ნახსენები. მეორე ლათინურენოვან წარწერაში 152 წ. კონსულები – გლაბრიონე და ჰომული იხსენიება (შპაიდელი, თოღუა 1988: 56, 58); განათხარი არტეფაქტებიდან აღსანიშნავია: III-IV სს-ის ხმელთაშუაზღვისპირეთის წითელლაკიანი თევზები, ჯამები, მინის ბალზამარიები; კიოლის მინის ჭურჭელი; მცირეაზიური წითელლაკიანი ჯამები და მინის ბალზამარიები, სინოპური და სამოსური ამფორები, ადგილობრივი ამფორები, ქვევრები, ქოთნები, დერგები; თიხის ფილები, კრამიტები, აგური; IV ს-ის მრგვალი ფორმის, მასიური ბალისტის ბრინჯაოს დეტალი (ბააცი 1988: 59-64); IV ს-ის მონეტები: ანტიოქიის (104 ც), ნიკომედიის (48 ც), ქიზიკის (44 ც), კონსტანტინოპოლის (40 ც), სისციის (13 ც), ალექსანდრიის (11 ც), თესალონიკის (6ც), ბოსფორის (1 ც) (დუნღუა 1975: 375-410); კირქვაზეა ამოკვეთილი III-IV სს-ის პერძნულენოვანი წარწერა: „ჩვენი ღვთაების (მეფის) კეთილდღეობისა და გამარჯვებისათვის“ (შპაიდელი, თოღუა 1988: 58); V-VI სს-ის ხმელთაშუაზღვისპირეთის წითელლაკიანი ჯამები ჯვრის გამოსახულებით; ბიზანტიური ამფორები, მინის ბალზამარიები, საწონები (ლორთქიფანიძე 1991: 106, 107); ადგილობრივი ამფორები; ქვევრები, თიხის ფილები, კრამიტები, აგური; VI ს-ის პირველი ნახევრის მონეტები კონსტანტინოპოლის (86 ც), ანტიოქიის (92 ც), ნიკომედიის (4 ც), კართაგენის (1 ც), თესალონიკის (2 ც). სულ 108 მონეტა (ცუხიშვილი 1987: 12); VIII ს-ის კონსტანტინე აბაზგის შეკიდული ბეჭედი (დუნღუა 1973ა: 73-76). ბიჭვინთის სამაროვანი მდებარეობს II-VI სს-ის ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთ კუთხიდან 180 მ-ის დაშორებით. მისი ფართობია 3,5 ჰა. გათხრილია რამდენიმე ტიპის 430 სამარხი: ორმოსამარხები, კირხსნარიანი, კრამიტსამარხები, აგურსამარხები, ამფორასამარხები, კონგლომერატის კვადრებით ნაშენი სამარხები, ჭასამარხები. მათი უმრავლესობა ინდივიდუალურია. III-IV სს-ში მიცვალებულები იკრძალებოდნენ გამოთვლილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით ან აღმოსავლეთით. IV-VI სს-ში კანონიკური ქრისტიანული წესით იკრძალებოდნენ. სამარხთა დიდი უმრავლესობა ინვენტარიანია. მათში წარმოდგენილია: მინის სანელსაქები, ბალზამარიები, ფლაკონები, წითელლაკიანი კოჭობები, ამფორისკები, დოქები, ოქროს საყურეები, ვეშიანი ბეჭდები, სამაჯურები, საკინძები, გულსაკიდები; ბრინჯაოს, პასტის, ქარვის, გიშრის მძივები, ვერცხლის სამკლური ტიქე-ფორტუნას გამოსახულებით; მონე-



საქალაქარის გათხრები

ტები დადასტურდა 52 სამარხში. სამაროვანზე შემთხვევით აღმოჩნდა IV ს-ით დათარიღებული სამარხის სტელა (ლორთქიფანიძე 1991: 113-161). მასალები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) და ბიჭვინთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ნაქალაქარიდან სამხრეთით 400-500 მ-ის დაშორებით, 1956-1957 წწ. გამოვლინდა თლილი ქვებისაგან ნაგები ეკლესია (28,5X14 მ). წყობაში გამოყენებულია აგურიც. ეკლესია ორაფსიდიანი მარტივია. ეკლესიას ათარიღებენ VI ს-ის პირველი ნახევრით (მიქელაძე 1963: 125-131); VI ს-ის მეორე ნახევრით (ლექვინაძე 1968: 57, 58; ხრუშკოვა 1985: 64).

1980-1981 წწ. ბიჭვინთის დიდი ტაძრის დასავლეთით გამოვლინდა ორი ეკლესია. პირველი ეკლესია (სიგრძე 6,1 მ) ერთნავიანია, ნახევარწრიული აფსიდით. თარიღდება V-VI სს-ით (ლორთქიფანიძე 1991: 30, 31; ხრუშკოვა 1985: 64, 65). ეკლესიაში აღმოჩნდა მარმარილოს პროფილირებული ბაზა და სამი უინვენტარო სამარხი.

მეორე ეკლესია (სიგრძე 17,5 მ) პირველისაგან 40 მ-ის მანძილზე მდებარეობდა. ნაგებია თლილი ქვებისაგან. გეგმით ჯვრისებურია. ეკლესიის აფსიდისა და მის გარეთ აღმოჩნდა ქვა-აგურის უინვენტარო სარკოფაგები. ეკლესია VI-VII სს-ით თარიღდება (ლორთქიფანიძე 1981: 402, 403).

ბიჭვინთის კონცხზე, სოფ. ალაჰაძეში 1970-1971



ნაქალაქარის თავდაცვითი კედლი

წწ. გაითხარა თლილი ქვებითა და აგურით ნაგები სამნავიანი ბაზილიკა (50X28 მ). თარიღდება VI ს-ის პირველი ნახევრით (აგრბა 1972: 149-160). VIII ს-ში გადაკეთებულია ჯვარ-გუმბათოვან ეკლესიად (ხრუშკოვა 1985: 66). ბიჭვინთის ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის დიდი ტაძარი, „კინაცა ოუსტინიანე ტაძარი წმიდისა ღვთისმშობელისა აღაშენა ავ-

ნაზეთსა შინა, ბიჭვინთას“ (ქც 1: 38,14), მდებარეობს კურორტ ბიჭვინთის ცენტრში. ნაგებია თლილი ქვებისაგან. წყობაში გამოყენებულია აგურის სარტყლები. წავრძელებული ფორმისაა. სამნავიანი, სამი შვერილი აფსიდით. დასავლეთის მხარეს აქვს ნართექსი. თარიღდება X ს-ის ბოლო-XI ს-ის დასაწყისით (ციციშვილი 1955: 93). გადარჩენილია XVI ს-ის კედლის მხატვრობის ფრაგმენტები.

1935 წ. სოფ. ლიაკვაში ბრინჯაოს განძი აღმოჩნდა. განძი კოლხური ცულების 7 ეგზემპლარისაგან შედგება. თარიღდება ძვ. წ. XV-XIV სს-ით (ქორიძე 1965: 35-40). ინახება აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

1958 წ. მცირე ტაძრის ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ აღმოჩნდა II-III სს-ის სამონეტო განძი. შეიცავს 149 მონეტას. ამათგან 139 II-III სს-ის ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტებია. 18 მონეტა ვერ განისაზღვრა.

1962 წ. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა IV ს-ის სპილენძის მონეტების განძი. შეიცავს 310 მონეტას. ამათგან ანტიოქიისაა 104, ნიკომედიის - 48, ქიზიკის - 44, კონსტანტინეპოლის - 40 ცალი (დუნდუა 1975: 290-329, 375-403).



ბიჭვინთის ნაქალაქართან აღმოჩენილი ფალერა

1961 წ. ციხის ტერიტორიაზე მიაკვლიეს VI ს-ის პირველი ნახევრის სპილენძის მონეტების განძს. შეიცავს 55 მონეტას. მოჭრილია კონსტანტინეპოლში და ეკუთვნის ოუსტინიანე I-ს (ცუნიშვილი 1977: 250-304).

ბიბლიოგრაფია: აგრბა 1972: 158-174; ამიანე მარცელინე 1961: 224; არიანე 1961: 52, 91; ავაქიძე 1975: 13-123; აძინბა 1958: 40; ბააცი 1988: 59-64; ბაქრაძე 1875: 121; ბალაბანოვი, გაფრინდაშვილი 1965: 150-155; ბაშკიროვი 1926: 3, 23, 41; ბერძენიშვილი 1963: 107-123; ბოლტუნოვა 1963: 156, 167; ბროსე 1851: 135; გამბა 1987: 63, 78-81, 105, 109, 316, 317; გამყრელიძე 2012: 152-161, 265; გიულდენშტედტი 1962: 145, 171, 321, 325; დას. საქ. საბ. 1921: 89-96; 131-147; დიდი პიტეონტი 1975; 1977; 1978; დიუბუა დე მონპერე 1937: 112; დუნდუა 1973ა: 73-76; 1975: 280-413; ერმია სოზომენე 1961: 242; ზონარა 1966: 187, 188, 203, 205, 206; ზოსიმე 1961: 266-268; თეოდორიტი კვირელი 1961: 224;

თოფვანე ჟამთააღმწერელი 1941: 76; თოდუა 1992; 1992ა: 58-61; 1992ბ: 144-152; 1993: 9-12; 1995: 20, 21; ისტ. დოკ. 1958: 106, 117; იუსტიანე 1934: 33; ლამბერტი 1938: 10; ლატიშვი 1904: 291, 292; ლექციები 1968: 57, 58; 1970: 174-193; ლორთქივანიძე 1962: 253-255; 1963: 97-106; ლორთქივანიძე 1979: 178-185; 1991; ლორთქივანიძე, ავრბა 1982: 26-31; ლორთქივანიძე, კოდუა, თოდუა 1987: 88-92; ლორთქივანიძე, თოდუა, კოდურაძე 1990: 63-67; მაცულავი 1978: 100-168; მედიკიშვილი 1959: 243; მესხია 1983: 240; მიქელაძე 1963: 125-131; ოდიშელი 1988: 15; პავლინი 1993: 74; პროკოპი კესარიელი 1965: 134, 221, 222; რაინევი 1797: 3; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. 1953: 23; სვიდა 1941: 321; სომხ. კეოგ. 1877: 16; სპიდიელი, თოდუა 1988: 56-58; სპენსერი 1981: 113, 118, 149; უგაროვა 1891: ქვ 1: 215, 15; 238, 14; 339, 10; ქვ 2: 493, 20, 26; ქვ 4: 159, 25; 784, 18, სქ. 6, 7; 785, 6, სქ. 1; ქობიძე 1965: 35-40; ქრონიკები 1897: 294-297; ყაუხჩიშვილი 1957: 120; შერვაშიძე 1978; ციციშვილი 1955: 93; 1977; ცუხიშვილი 1977: 250-304; ძვრბინი, გამყრელიძე, თოდუა 2012: 49-55; ჭყონია 1978; ხრუშკოვა 1985: 64, 65.

ბიზნისი (ქვ 1: 368, 21; ქვ 2: 171, 14; 172, 18; 173, 2; 180, 18; 237, 11; 239, 20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლაშა-გიორგის დროინდელი მემარტიანი (ქვ 1: 368, 21), ჟამთააღმწერელი (ქვ 2: 171, 14; 172, 18; 173, 2; 180, 18; 237, 11; 239, 20), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44), XVII ს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1909: 353; 1910: 130; 1920: 495; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 231).

მდებარეობს ხაშურის მუნიციპ-ში, სურამის სადაბო თემში.

პირველად იხსენიება ჯვალაღედის შემოსევისთან დაკავშირებით. ბიჯნისში იხილა დავით VII ულუმ (1247-1270) მომავალი მეუღლე დედოფალი გვანცა (ქვ 2: 237, 11).

ბიჯნისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია წმინდა მარინეს დარბაზული ეკლესია (11,2X6,95 მ). თარიღდება გვიანდელი შუა საუკუნეებით. ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვიშაქვით. წყობა ირეგულარულია. ეკლესია თითქმის მთლიანად დანგრეულია. შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია. ნახევარწრიულ აფსიდში სატრაპეზო ქვა დგას. დარბაზის გრძივ კედლებზე თითო ორსაფეხურიანი პილასტრია, ხოლო დასავლეთ კედლის ჩრდილოეთ კუთხესთან შემორჩენილია ასეთივე პილასტრის ფრაგმენტი (სძა 1990: 425).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 44; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 231; საქ. სიძ. 1909: 353; 1910: 130; 1920: 495; სძა 1990: 425; ქვ 1: 368, 21; ქვ 2: 171, 14; 172, 18; 173, 2; 180, 18; 237, 11; 239, 20.

ბუნების, ბობნავი (ქვ 4: 343, 17, 18, 20; 662, 10). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი

ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 343, 17, 18, 20; 662, 10), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 44; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 604; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 338), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 68).

ვახუშტი ბაგრატიონი ბობნევის შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო ბობნეგს ზეით ერთვის ტანას ლუის ხევი, გამომდინარე საცხენისის მთისა. და ბობნეგამდე ხეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი; მას ზეით მთური, ვიწრო და მაგარი, კლდინი, ტყიანი და ცხელი. კოწახური არს ტყე. ბონავს ზეით, ჩიღლით კერძ, არს ციხე კოკანთ-ბერი“ (ქვ 4: 343, 17-20). „დემოთის ციხის ... ზეით მოერთვის მტკუარს ხევი ბობნევისა, გამომდინარე კოდანის მთის“ (ქვ 4: 662, 10).

მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, გორიდან 18 კმ-ზე, მდ. ტანას შუაწელზე, მდ. ჯოჯოხეთისხევის შესართავთან, დღევანდელი სოფ. ბობნევის ადგილზე.

ბობნევი, ტანას ხეობაში გამავალ შუა საუკუნეების მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე იყო. X ს-ის მეორე ნახევარში ტანას ხეობას რატი ერისთავი იმორჩილებს. XI ს-ში ხეობა სამეფო დომენია. XV-XVIII სს-ში ტანას ხეობა, სადაც სოფ. ბობნევა ციციშვილების საგვარეულოს ეკუთვნის (გვასალია 1983: 128). გვიან შუა საუკუნეებში სოფ. ბობნევი სამეფო აზნაურის შიომ შააკაძის მამული და ციხე დარბაზია (აკოფაშვილი 1955: 83, 84). დღეისათვის სააკაძეების ციხე-დარბაზი აღარ შემორჩენილია.

სოფ. ბობნევი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

1960-1962 წწ. ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის დაზვერვები აწარმოვა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი). ზედაპირულად დაიზვერა გორა, რომელიც ბობნევთან ტანას მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. აქ შეიმჩნევა ფლეთილი ქვით ნაგები კედლის ნაშთები, ნაცრის შემცველი ფენები და კერამიკის ფრაგმენტები. აქედანვე აკრეფილია შავპრიალი ჭურჭლის გვიანი ბრინჯაოს ხანის ნატეხები. აქვე აღმოჩნდა წითლად მოხატული და მოწითალო ფერის კერამიკის ნატეხები, რომლებიც ანტიკური ხანისა უნდა იყოს (ტატიშვილი 1964: 53).

სოფ. ბობნევის სამხრეთით მდ. ტანას ნაპირთან დგას იოანე ნათლისმცემლის დარბაზული ეკლესია (7,9X5,8მ). მოსახლეობა მას „კომშეების ეკლესიასაც“ ეძახის. ნაგებია ფლეთილი ქვით. აფსიდს ნახევარწრიულია. სარკმლის ორივე მხარეს ნიში აქვს. დარბაზი გადახურულია კამარულად და ზემოდან კრამიტის ორფერდა სახურავი აქვს. ინტერიერი მოხატულია. დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია ეპისკოპოს იოსებ თბილელის გამოსახულება, კედლებზე – ქართული და ბერძნული რელიგიური ხასიათის წარწერები. სამხრეთ ფასადზე, კარის თავზე შემორჩა ქვაზე ამოკვეთილი წარწერა, რომელიც ამგვარად იკითხება: „ქ. სახელითა ღმრთისათა აღვაშენე წმინდა ეკლესია

ესე მე ტფილელმან მთავარეპისკოპოზმან იოსებ სააკაძემან სახელისა ზედა იოვანე მახარებლისასა სახსენებელად და საოხად სულისა ჩემისათვის“ (ყაუხნიშვილი 1951: 194). ეკლესია თარიღდება 1661-1688 წლებით.

სოფ. ბობნევის მიდამოებში განვითარებული და გვიანდელი შუა საუკუნეების რამდენიმე ეკლესიაა. **ბიბლიოგრაფია:** *აკოფაშვილი 1965: 83, 84; გვა-სალია 1983: 128; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 338; მასალიები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 44; ორბელიანი 1981: 68; ტატიშვილი 1964: 51-58; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 604; ქც 4: 343,17,18,20, 662,10; ყაუხნიშვილი 1951: 194.*

ბოგზი (ქც 4: 327,10). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 327,10), 1729 წ. ნასცილობის წიგნი (საქ. სიძ. 1920: 133), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 47).

ვახუშტი ბაგრატიონი ბოგვის შესახებ გადმოგვცემს: „ფარცხის ქუეით ერთვის ალგეთს ხევი ბოგვისა, გამოსდის სხალნარს, მოდის სამხრით“ (ქც 4: 327,10,11). ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ სოფლების სიაში ბოგვის ხევი ჩამოთვლილია შემდეგი სოფლები: ენავეთი, არდას-უბანი, ბოგვი, ცინია და წინ-ვენახი (ბაგრატიონი 1941: 96).

მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპ-ში, მდ. ბოგვისწყლის ხეობაში, თანამედროვე სოფ. ბოგვისა და სოფ. არდასუბნის ჩრდილოეთით (ლომთათიძე 1989: 62).

XVIII ს-ის პირველ მეოთხედში ბოგვი საკინაშვილების საკუთრება იყო (საქ. სიძ. 1920: 133). XVI-II ს-ის შუა ხანებში სოფელი აყრილა და ალგეთის პირას ჩასულა (ლომთათიძე 1989: 63).

1949 წ. ისტორიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი) ბოგვის ხეობაში დაზვერვების შედეგად მიაკვლია შუა საუკუნეების რამდენიმე ნასოფლარსა და სამაროვანს (ლომთათიძე 1989: 61). 1953 წ. ბოგვის ნასოფლარზე აღმოჩნდა რკინის წიდა (გძელიშვილი 1964: 75). 1960 წ. ბოლნისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა ნასოფლარი (გძელიშვილი 1964: 75-80). იმავე წელს ნასოფლარის მახლობლად, სოფ. არდასუბანში შესწავლილი იქნა ადრეანტიკური ხანის სამაროვანი (თუშიშვილი 1970: 127). 1960-1961 წწ. ისტორიის ინსტიტუტის თეთრიწყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის არდასუბნის რაზმმა (ხელმძღ. ნ. თუშიშვილი) სოფ. არდასუბანში გათხარა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, აკლდამა და შუაბრინჯაოს ხანის სამარხი (თუშიშვილი 1961: 26-28; 1968: 41). 1984 წ. ბოგვის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ე. წ. ბოგვის განძი. ის თავდაპირველად განძად იყო მიჩნეული, სინამდვილეში მდიდრული სამარხის ინვენტარი ყოფილა (თუშიშვილი 1987: 20; მარგიშვილი 1992:6). ინვენტარი შედგება: ვერ-

ცხლის ორფურა თასის, ვერცხლის საწურის, ჩლიქით დაბოლოებული ვერცხლის კოვზის, ბრინჯაოს ცალფურა ხელადისა და პართიული მონეტისაგან. თარიღდება ახ. წ. I ს-ის მეორე ნახევრით (მარგიშვილი 1992: 72-78).

ბოგვის ნასოფლარზე, რომელიც ბერძნისწყლის მარჯვენა ტერასაზე მდებარეობს, გათხრილია 200 კმ ფართობი, სადაც 1,5 მ სისქის ფენაში სხვადასხვა დროის ოთხი ჰორიზონტია გამოვლენილი. ქვედა ფენა თიხოვანი წარმონაქმნისაგან შედგება. იქ აღმოჩენილია თიხის ღრმა ჯამების ნატეხები, რომლებიც VII-IX სს-ის უნდა იყოს. შემდეგ ფენაში კირხსნარზე ნაშენი ქვის კედლების ფრაგმენტები, ქვაფენილი და კერაა გამოვლენილი. დაფიქსირებულია ხანძრის ნაკვალევიც. მოპოვებული კერამიკის – მწვანედ მოჭიქული ჯამების, წითლად შეღებილი ჭურჭლისა და პირგადაშლილი ფიალის ფრაგმენტები ამ ფენას XI-XIII სს-ით ათარიღებს. მესამე ფენაში რკინის სადნობი სახელოსნოს ნანგრევებია აღმოჩენილი. ქურა ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. მასში რკინას აღნობდნენ, თუმცა ბოლოს სპილენძის გამოსადნობადაც გამოუყენებიათ. იქვე აღმოჩენილია საკუჭნაოს კედლების საძირკველი, ქვაფენილიანი იატაკი, თონე, რკინისა და სპილენძის მადანი, წითლად გამოშვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ფენა XVII-XVIII სს-ით თარიღდება. ზედა ფენაში ქვის ოთხკუთხა სათავსო და ღია ცისფერი, ხაზოვანი ორნამენტით შემკული, მონაცრისფრო ზედაპირიანი თიხის მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტებია აღმოჩენილი. ფენა XVIII ს-ის დასასრულით თარიღდება (გძელიშვილი 1964: 78-80).

ნასოფლარის ტერიტორიაზე ოთხი ეკლესიაა. წმიდა გიორგის დარბაზულ ეკლესიას ქვიტკირის კედლები აქვს. კედლების ძირზე ბაზალტის ქვის პერანგია შემორჩენილი (ლომთათიძე 1989: 62).

„სამკარიანი“ ეკლესია დგას შემალღებულ ადგილას. პერანგი ბაზალტისა ჰქონდა. აუგიათ XII-XIII სს-ში, XVII ს-ში განუახლებიათ. ეკლესიის გარშემო XVII-XVIII სს-ის წარწერიანი საფლავის ქვებია (ლომთათიძე 1989: 62-63). „სამკარიანსა“ და წმინდა გიორგის ეკლესიებს შორის ქვითკირის მცირე ნაგებობის – „პატარა ხატის“ საძირკველია. „სამკარიანის“ სამხრეთით, სერზე, შემორჩენილია „კვირაცხოვლის საყდრის“ ნანგრევი (ლომთათიძე 1989: 64). ის შემოღობილი იყო მოციცილოთ ფერის ქვიშაქვის ფილებით. ნასოფლარის ჩრდილოეთით, 2 კმ-ის დაშორებით, ხევის მარცხენა მხარეს, მთის წვერზე, შემორჩენილია გალავნის ნაშთი (ციციშვილი 1980: 10).

ბოგვის ნასოფლარის მახლობლად მდებარე სოფ. არდასუბნის აკლდამა მართკუთხაა (3,3X2X1,1მ). დამხრობილია ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე. დასაკრძალავი კამერის კედლის ქვედა ნაწილი მოპირკეთებულია დიდი ზომის ფილებით. აკლდამის სამხრეთ კედელში შესასვლელია. იატაკი თიხატყეპნილია. გადახურვა ძეღური. სამარხში ორი

მიცვალებული დაუკრძალავთ. ქალი იწვა მარცხენა გვერდზე, კიდურებმოკვეცილი. მას თან ახლდა თიხის ცალყურა ჯამი, ძვლის კვირისტავი. მეორე მიცვალებული (მამაკაცი) პირველისაგან მიწის თხელი შრით იყო გამოყოფილი. ის მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკვეცილი იყო დაკრძალული. მიცვალებულს თან ახლდა ცალყურა ტოლჩა და შირიდლევა ქვა. სამარხი ადრეობინჯავოს ხანით თარიღდება და მიეკუთვნება მტკვარ-არაქსულ კულტურას (თუშიშვილი 1968: 41, 42).

არდასუბნის ნამოსახლარი დაზიანებულია, ფენები არეულია. იქ მოლოვებულია შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭლის, მათ შორის, წითელი საღებავით მოხატული და რელიეფური სათვალისებელი ხვითი ორნამენტრებული ფრაგმენტები. აღსანიშნავია ვარდისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატყეხები, ხელსაფეკავის ქვები, კაჟის ნამკლისპირი, შინაური ცხოველების ძვლები. თარიღდება ადრეობინჯავოს ხანით (თუშიშვილი 1968: 43-45).

იმავე სოფელშია აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის სამაროვანი, სადაც მიკვლეულია 3 ქვაყუთი და 1 ორმოსამარხი, რომელშიც ცხენის ჩონჩხი აღმოჩნდა (თუშიშვილი 1970: 127). №1 სამარხი ზედა ფენისაა და თიხის თხელი შრითაა გამოყოფილი №3-ისგან. ქვედა ფენის სამარხში (№3) მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკვეცილი, თავით ჩრდილოეთით. სამარხში აღმოჩნდა: ტუჩიანი დოქი, ფიალა, ბრინჯავოს გვერდშეჭრილი ზარი, ბალთა, რკინის დანა და სარდიონის მძივები. ზედა ფენას ეკუთვნის №2 და ცხენიანი სამარხი. №1-ში მიცვალებული დაკრძალული იყო გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით, მოხრილ მდგომარეობაში. სამარხში აღმოჩნდა: წითლად შეღებილი ტუჩიანი დოქი, პირმოყრილი ჯამი, რკინის სამაჯურები, ბეჭდები; ვერცხლის ბეჭედი, რომლის ფარაკზე მზის სტილიზებული გამოსახულებაა ამოკვეთილი და ოქროს სასაფუთქლე რგოლი. №2 სამარხში ადამიანის ძვლები არ აღმოჩნდა. ორმოსამარხში, რომელშიც ცხენის ჩონჩხი იყო, გამოვლინდა რკინის ორწილადი ლაგამი, საყბური და ბრინჯავოს ბალთა. სამაროვნის ზედა ფენა ძვ. წ. V, ქვედა კი ძვ. წ. VI ს-ით თარიღდება (თუშიშვილი 1970: 140). შესაძლოა ზედა ფენის თარიღმა ძვ. წ. IV ს-ში ჩამოიწიოს.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 47; ბერძენიშვილი 1979: 13; გებელიშვილი 1964: 7-8; თუშიშვილი 1961: 26-28; 1968: 41-45; 1970: 127-140; თუშიშვილი ... 1987: 20, 21; ლომთათიძე 1989: 61-64; მარგიშვილი 1992: 5, 6, 31-34, 72-78; საქ. არქ. 1992: 170; საქ. სოდ. 1920:133; ქც 4: 327,10; ციციშვილი 1979: 11; 1980: 10.

ბოლღაში, ციხე (ქც 4: 348,4), მონასტერი (ქც 4: 534,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 348,4, 534,15, 354,8), იოანე

ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 65), XII, XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 264, 265; ქართლ-კახეთის ... 1903: 259; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1967: 44; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 614; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 74), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 273).

ვახუშტი ბაგრატიონი ბოლღაის შესახებ გადმოგვცემს: „ჟინვანს ქუეით ერთვის შავს არაგუს ხევი ბოლღაისა ... ბოლღეს არს მონასტერი გუმბათიანი, დიდშენი, შუენიერს ადგილს და აჲ ცარიელი“ (ქც 4: 534,13-16). „საზღვარი მუხრანისა ... ჩდილოთ ციხე ბოლღაისა და ტინის მთა“ (ქც 4: 348,2-4). „აქუს ბაზალეთს ... სამხრით ციხე ბოლღაისა და ტინის მთა“ (ქც 4: 354,7,8).

მდებარეობს ღუშეთის მუნიციპ-ში, ბოლღაის ხევის (მდ. არაგვის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი სოფელ ბოლღაის ტერიტორიაზე.

წყაროებში იხსენიება XII ს-იდან (ქრონიკები 1892: 264, 265; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 74). XVIII ს-ში ბოლღაი იყო საბატონო სოფელი, სადაც 12 ყმა გლეხის ოჯახი ცხოვრობდა (ბაგრატიონი 1986: 65). XVIII ს-ის 70-იან წლებში არაგვის საერისთავოს სოფელია (გიულდენშტედტი 1962: 273).

ბოლღაი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ბოლღაის ხევის სათავესთან, მარცხენა ნაპირზე, დგას ფუძნარის ღვთისმშობლის XII-XIII სს-ის გუმბათიანი ეკლესია (16,3X13მ), რომელსაც ოთხკუთხედში ჩასმული ჯვრის გეგმა აქვს. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდანაა. ნაგებია ფლეთილი ქვითა და შირიმის კვადრებით. ნახევარწრიული აფსიდის წინ ბემაა. გუმბათის ყელში 12 სარკმელია. საკურთხევლის ჩრდილოეთით და სამხრეთით სამკვეთლო და სადიაკვნაა. ფასადები შემკულია ჯვრების, დისკოების, ლილვების, გირჩებისა და ყურძნის მტკეცების გამოსახულებით (ჩუბინაშვილი 1959: 423-426). შესასვლელის თავზე ამოკვეთილი წარწერაში მოხსენიებულია სახელი „ლეგანი“, რომელსაც აუგია ბოლღაის ეკლესია. ნაგებობა დაზიანებულია. მის ირგვლივ სხვადასხვა შენობათა ნანგრევებია (ბარნაველი 1961: 131).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 65; ბარნაველი 1961: 131; გიულდენშტედტი 1962: 273; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 44; უვაროვა 1904: 2-4; ქც 4: 348,4; 534,15; 354,8; ქართლ-კახეთის ... 1903: 259; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 74; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 234; 1981: 614; ქრონიკები 1892: 264; ჩუბინაშვილი 1959: 423-426.

ბოლღა (ქც 4: 542,1,3,10,11), ბოღა (ქც 4: 90,27; 93,14; 21, 94,11; 542,1,სქ.1), ბოღე (ქც 1: 121,11), ბოღი (ქც 1: 121,14,15). ბოღე, ბოღა, ბოღი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“

(ქც 1: 121,14,15; 126,8; 128,3), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 542,1,3,10,11, სქ. 1, სქ. 2; 567,14,26; 568,29; 571,6; 576,12; 584,3), „მოქცევაი ქართლისაი“ (მქ 1979: 355), ისტორიული საბუთები (ქართლ-კახეთის ... 1903: 255-258; ისტ. საბ. 1913: 18, 19, 36-38), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 27, 259, 261).

ბოლბის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ხორნაბუჯის დასავლით არს ბოლბის ხევი, პირველ წოდებული ბოდა ... ამ ხევსა ზედა არს ბოლბეს ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, შუენიერი. აქ მიიცვალა წმიდა ნინო და დაეფლა აქავე. აღაშენა და შამადო ეპისკოპოსი მისი და ეკლესია კე მეფემან ბაქარი. ზის ეპისკოპოზი, მწვემსია ქისიყისა და ვიდრე კონდოლამდე, აქუს სასპასხეტო დროშაცა, და არიან სადროშონი მისნი ქისიყით კონდოლამდე და მანავადმდე, და არს ბრძოლასა მეწინავე. ბოლბელი არს პირველი ეპისკოპოზი კახეთისა, პატივისათვის წმიდის ნინოსა“ (ქც 4: 542,1-10).

მდებარეობს სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სიღნაღიდან 3 კმ-ის დაშორებით.

ბოლბის ტაძრის აგება უკავშირდება მირიან მეფეს (IV ს). ნინო ბოლბეს (ბოლნი, ბოლსი, ბოლი) გარდაცვლილა და იქვე დაუკრძალავთ. მის პატივსაცემად მირიან მეფეს ბოლბეში ეკლესია აუგია (ქც 1: 121,14,15, 126,8, 128,3). აქ სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარებია ბაქარ მირიანის ძესაც (ქც 4: 542,5,6). ვახტანგ გორგასლის დროს ბოლბეში არსებობდა საეპისკოპოსო. ბოლბელი მღვდელმთავარი ესწრებოდა 506 წ. დვინის საეკლესიო კრებას (ჯვავახიშვილი 1979: 338; პაპუაშვილი 1970: 142, 143). ქიზიყელი (ბოლბელი) მღვდელმთავარი საქართველოს მეფის კურთხევისას მეშვიდე ადგილზე მოიხსენიება. ბოლბელი ეპისკოპოსი კახეთის მეწინავე სადროშოს განაგებდა (ქც 4: 542,1-10; ასათიანი 1976: 218). XVII ს-ის დასაწყისში შაჰაბასის შემოსევისას დაზიანდა ბოლბის ეკლესია. 1792 წ. ლეკებთან ბრძოლაში დაიღუპა ბოლბელი მიტროპოლიტი კირილე ჯორჯაძე. აქ ეკურთხა მეფედ თეიმურაზ I (1606-1648). 1772 წ. ბოლბეში მამათა მონასტერი ყოფილა (გიულდენშტედტი 1962: 50). თეიმურაზ II-ისა (1744-1762) და ერეკლე II-ის (1744-1798) ბრძანებით ბოლბეს გადაეცა ჭერმის საეპისკოპოსო მიწები. 1837 წ. ბოლბის კათედრა გაუქმდა. ის გააერთიანეს კახეთ-ალავერდის ეპარქიაში. 1823 წ. იოანე მაყაშვილს გაუახლებია საეპისკოპოსო სასახლე კარის ეკლესიითურთ (ჩაჩხუნაშვილი, ძნელაძე, ახალაია 1995: 374-393). 1888 წ. რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I ოჯახით ეწვია ბოლბეს. 1889 წ. აქ გაიხსნა დედათა მონასტერი. ბოლბის ტაძარს ჰქონდა მდიდარი წიგნთსაცავი. ბოლბელი მღვდელმთავრები (ზაქარია XVII ს, ონოფრე XVIII ს-ის პირველი ნახევარი, იოანე XVIII ს-ის შუა წლები, იოანე მაყაშვილი 1743-1837 წწ.) იყვნენ ცნობილი მწიგნობრები (მენაბდე 1962: 353).

1986-1989 წწ. ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ ბოლბეში ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები (ხელმძღვ. ზ. ქუფარაშვილი). მოიხსნა იოანე მაყაშვილის მიერ აგებული კარიბჭეები და ცრუ გუმბათი; გაიხსნა შენობის თავდაპირველი წესობა. ბაზილიკის შუა ნაწილს სამხრეთ-დასავლეთი კედლის აგურის წყობაში გამოვლინდა იქ ჩართული უცნობი ასომთავრული წარწერა.

1995 წ. ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდის ინიციატივით ბოლბის ეკლესიაში ჩატარდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. მ. ძნელაძე). გათხრების შედეგად გამოვლინდა იატაკის რამდენიმე დონე. I და II 1901 წ. შემდგომი ხანას მიეკუთვნება. III დონის იატაკი მოგებული იყო ქვიშაქვის ფილებით (48X85X10 სმ; 67X54X5,6 სმ). ტრაპეზის ძირში გამოიკვეთა ორმო (70X55 სმ) ნაყარით. მასში 22 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა ვერცხლის ჭურჭელი – ტაკუკი XVIII ს-ის მხედრული წარწერით. IV და V (პირვანდელი) დონის იატაკი აგურისაა (21X21X5 სმ; 22X22X5 სმ; 21X26X5 სმ). აფსიდაში მრავლად დაფიქსირდა ფრესკული მოხატულობის ბათქაშის ნამტვრევები. აქვე აღმოჩნდა ფაიანსის ჯამის ნატეხები მცენარეული ორნამენტითა და გამჭვირვალე ჭიქურით. აფსიდის სამხრეთი კედლის ხარისხის ზედა ნაწილის მოხსნისას აღმოჩნდა სპილენძის თასი მხედრული წარწერით „იოანე ბოლბელის ვარ“ (ჩაჩხუნაშვილი, ძნელაძე, ახალაია 1995: 387). იქვე აღმოჩნდა მოჭიქული ფიალა; ბრინჯაოს ზარი (საეკლესიო დროშის ატრიბუტს უნდა წარმოადგენდეს). გამოვლინდა ძველი ტრაპეზი, რომელიც შედგება სვეტისაგან და კაპიტელისებური ზედა ნაწილისაგან. სვეტი ჩანსულია დედაქანში ჩაჭრილ ორმოში. ტრაპეზი კირქვისაა. ის არაერთხელ განუახლებიათ. ტრაპეზის ქვის ზედაპირი შესაძლოა აფსიდის ცენტრში სარკმლის ქვეშ ჩაშენებული კვადრატული ფილა (45X45 სმ) ყოფილიყო. წმიდა ნინოს ეკვედრში იატაკი თითქმის თავდაპირველ დონეზეა.

ბოლბის ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა. ნაგებს ბურჯების ერთი წყვილი ყოფს. კვერდითა ნაგები განიერია. ნაგებობა ძლიერაა შეცვლილი გვიანდელი გადაკეთებებით. სამხრეთი ეკვედრი უნდა იყოს ტაძრის უძველესი ფენა, რომელიც მოგვანებით (VII ან VIII-IX სს-ში) მოაქციეს სამნავიანი ბაზილიკის მოცულობაში. ტაძარი აგებულია აგურით (26X26X5 სმ; 27X27X5 სმ; 24X24X5 სმ). კუთხეები გამოყვანილია შირიმის კვადრებით. სამხრეთის ფასადის ასომთავრული წარწერა გრძელდება დასავლეთისაზე. წარწერით ირკვევა, რომ ვინმე გიორგის ექვსი თვის მსახურებით აუგია ანუ განუახლებია ეკლესია, დავით აღმაშენებლის ძის დემეტრეს (1125-1156) მეფობის ხანაში. (ბარნაველი 1961: 36; ჩაჩხუნაშვილი, ძნელაძე, ახალაია 1995: 382). (ოსელიანი 1846: 129-141).

ბიბლიოგრაფია: ასათიანი 1976: 218; ბარნავე-

ლი 1961: 36; გიულდენშტედტი 1962: 27, 259, 261; თოდრია 1982: 74-100; იოსელიანი 1846: 129-141; ისტ საბ. 1913: 18, 19, 36-38; მენაბდე 1962: 353; მქ 1979: 355; მჭედლოშვილი 1968: 51-57; პაპუაშვილი 1970: 142, 143; ქართლ-კახეთის ... 1903: 255-258; ქც 1: 121,14,15; 126,8; 128,3; ქც 4: 542,1,3,10,11, სქ. 1, სქ. 2; 567,14,26; 568,29; 571,6; 576,12; 584,3; ჩახუნაშვილი, ძნელაძე, ახალაია 1995: 374-393; ჩუბინაშვილი 1959: 83-86; ჯავახიშვილი 1979: 338.

ბოლბის-ხეხი (ქც 4: 541,სქ.4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 541,სქ.4), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 68), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 593, 804), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 261).

მდებარეობს სიღნაღის მუნიციპ-ში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, თანამედროვე სოფ. ბოლბისხევის ტერიტორიაზე.

წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება XVIII ს-ის დასასრულისათვის, როგორც მეფის სახასო სოფელი და ქიზიყის ერთ-ერთი სოფელი (ბაგრატიონი 1968: 68; გიულდენშტედტი 1962: 257, 261).

ბოლბისხევი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. 1961 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. კ. ფიცხელაური) ჩატარებული დაზვერვების შედეგად სოფ. ბოლბისხევთან აღმოჩნდა გვიანბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის ნასახლარი გორები (ფიცხელაური 1965: 39).

სოფ. ბოლბისხევში, გორაზე დგას წმიდა გიორგის IX-X სს-ის სამნავიანი ბაზილიკა (თოდრია 1982: 91). ბაზილიკის დასავლეთ ფასადზე, სარკმლის თავზე ასომთავრული წარწერაა: „წმიდაო გრიგოლ...“; აღმოსავლეთ კედელზე – ოთხსტრიქონიანი: „შეიწყალე ჰეროდე ...“. წარწერა X-XII სს-ით თარიღდება (ბარნაველი 1961: 43; ცისკარიშვილი 1980: 141).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 68; ბარნაველი 1961: 43; გიულდენშტედტი 1962: 257, 261; თოდრია 1982: 74-93; მესხია 1986: 349, 350; ფიცხელაური 1965: 39; ქც 4: 541,სქ.4; ცისკარიშვილი 1980: 138-143; შაიშველაშვილი 1973: 49, 69, 108.

აოლი იხ. ბოლა.

ბოლორნა, ქუაბნი, ციხე (ქც 4: 353,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 343,11), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 34), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 291;

1967: 281; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1953: 155; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 44; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 551; 1981: 78; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 126), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 273).

ვახუშტი ბაგრატიონი ბოლორნის შესახებ გადმოგვცემს: „ოხერხიდის ჩდილოთ არს ბოლორნას ქუაბნი გამოკვეთილინი დაცინე მაგარი“ (ქც 4: 353,11). მდებარეობს დუშეთის მუნიციპ-ში, დუშეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 8 კმ-ის დაშორებით, დღევანდელი სოფ. ბოლორნას ტერიტორიაზე. სახელ ბოლორნას ივ. ჯავახიშვილი უკავშირებდა მცენარე „ბალბას“ (მოლოქი) მეგრულ სახელწოდებას – „ბოლორნა-ბოლორინას“ (ჯავახიშვილი 1986: 174).

1494 წ. არაგვის ერისთავმა ვამეყ შაბურისძემ სოფ. ხანდაკი შესწირა ბოლორნის ღვთისმშობლის ეკლესიას (ქრონიკები 1897: 291). 1629 წ. ზურაბ არაგვის ერისთავმა ბოლორნა შესწირა წილკნის ღვთისმშობელს (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 440). ბოლორნა მეფე ერეკლე II-ის (1744-1798) ძის ვახტანგის საგამგებლოა (ბაგრატიონი 1986: 34). იოჰან გიულდენშტედტი ბოლორნას არაგვის საერისთავოს სოფლებში ასახელებდა (გიულდენშტედტი 1962: 273). 1789 წ. ბოლორნის ღვთისმშობლის დღესასწაულს დაესწრო ერეკლე II-ის ძე გიორგი (იოსელიანი 1978: 47, 48). XIX ს-ის 70-იან წლებში იქ 20 ქართული კომლი ცხოვრობდა (იოსელიანი 1875: 41, 42).

დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული იყო ბოლორნის ღვთისმშობლის ეკლესიის მახლობლად 1957-1958 წწ. შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ე. წ. კოლხური ტიპის ორი ცული (ინვ. №985, 986) და ნაჭდური ორნამენტით შემკული ბრინჯაოს ორი მასიური რგოლი (ინვ. №987, 988) (ქორიძე 1965: 58).

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ფინანსის ექსპედიციამ (ხელმძღ. რ. რამიშვილი) ბოლორნაში 1971-1972 წწ. ჩაატარა სადაზვერვო-გათხრითი სამუშაოები; 1977-1979 წწ. კი სტაციონარული გათხრები. დაზვერვითი სამუშაოებისას აღმოჩნდა ქვის ხანის მასალა: ობსიდიანის მასიურ ანატაკეცებზე დამზადებული იარაღები – სახოკები, სახერტები და დაუმუშავებელი ანატაკეცები (წერეთელი 1975: 15; ჭვლიძე, ჩიქოვანი 1991: 4).

1977-1979 წწ. გაითხარა დაზიანებული დიდი ქვანერლიანი ყორღანის წრის გადარჩენილი ნაწილი, რომელშიც 1,3 მ სიღრმეზე გამოვლინდა მსხვილმინარევიანი, უხეშკეციანი, შვად გამომწვარი კერამიკის ნატეხები, პირზე ნაჭდევებით; ზუე და ობსიდიან-მინარევიანი თიხისაგან დამზადებული კერამიკის ფრაგმენტები; ობსიდიანის ანატაკეცები; 0,6-0,7 მ სიღრმეზე მცირე რაოდენობით გამოვლინდა გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების კერამიკის ნატეხები. გაითხარა 1,8 მ სიღრმისა

და 1,4 მ დიამეტრის ოვალური ორმო, რომელშიც აღმოჩნდა რიყის ქვები, ბუნებრივი კერამიკის ნატეხები და ოხსიდიანის ანატაკეცები; ქვის სანაყი, ხელსაფეკვავის ქვები. მასალა თარიღდება ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანით (რამიშვილი 1982: 26, 27).

ამავე ადგილზე გაიწმინდა ადრე შუა საუკუნეების დაზიანებული ორმოსამარხი. მიცვალებული დაკრძალული იყო გაშოტილი, თავით სამხრეთით. მარცხენა ხელთან იღო რკინის დანა და ხოსრო I-ის (549-550) ვერცხლის მონეტა (რამიშვილი ... 1981: 129, 130). სოფელ ბოდორნის ჩრდილოეთით, დუშეთის ხევის მარცხენა ნაპირზე (მდ. არაგვის მარჯვენა შენაკადი) 1972 წ. გაითხარა მრგვალი კოშკი, რომელიც ნაგებია რიყის ქვით დულაბზე. გათხრებისას გამოვლინდა მოზრდილი თაღოვანი სათავსო შესრული თახჩებით, ჩრდილოეთისაკენ არსებული კართითა და ბუხრით. მოპოვებული მცირე რაოდენობის უხეშად ნაძერწი კერამიკის ნატეხები გვიანი შუა საუკუნეებისაა (რამიშვილი ... 1973: 85). ბოდორნის არქეოლოგიური მასალა ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დუშეთის ბაზაში.

სოფ. ბოდორნის დასავლეთით 300-ოდე მ-ის დაშორებით მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე გამოქვაბულებით გარშემორტყმული კლდის თავზე მდებარეობს ბოდორნის ღვთისმშობლის გუმბათიანი ეკლესია (10,3X7,03მ). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით დულაბზე. შესასვლელი სამხრეთითა და დასავლეთითაა. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. ყველა კედელში თითო შესრული სარკმელია. აბსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო ნიშია. სარკმლის ქვეშ ტრაპეზია. საკურთხეველი დარბაზისგან გამოყოფილია მასიური ქვის კანკელით. აღმოსავლეთის ფასადზე აგურით გამოყვანილია ჩაღრმავებული ჯვრები. დანარჩენი ფასადები სადაა. ეკლესიის სახურავი ორფერდაა, გუმბათი პირამიდული. ამჟამად გადახურულია თუნუქით. ეკლესიის სამხრეთის შესასვლელის თავზე ჩასმულ ფილაქვაზე რვასტრითქონიანი მხედრული წარწერაა, რომელშიც აღნიშნულია ეკლესიის განახლების თარიღი (1717 წ.). ეკლესია განუახლებია არაგვის ერისთავის შვილს, ნინოწმინდელ მიტროფანესა და სახლთუხუცესს ქაიფუბათ კობიაშვილს. დასავლეთის კედლის წარწერის მიხედვით, ეკლესია ხელახლა შეუკეთებიათ 1912 წელს.

სოფ. ბოდორნის სამხრეთით (ბოდორნის ეკლესიის აღმოსავლეთით) აღმართულია 15 მ სიმაღლისა და 5 მ დიამეტრის ბოდორნის სვეტი, რომელიც წარმოადგენს ნეოგენურ კონკლომენტის შთენილს. სვეტის ქვეშ გამოკვეთილია ძნელად მისადგომი ოროთახიანი გამოქვაბული. კედელში ამოჭრილია მცირე თახჩა, შესასვლელი აღმოსავლეთიდანაა. გამოქვაბულს აქვს გუმბათი და სხვა არქიტექტურული დეტალები. 1986 წ. ჩატარდა ბოდორნის სვეტის გასამაგრებელი სამუშაოები (ჯაფარიძე 1983: 59-61).

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოხსენიებული „ციხე

მაგარი“ ბოდორნის ტერიტორიაზე ჯერჯერობით მოუკვლეველია (გვასალია 1983: 83).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 34; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 155; გვასალია 1975: 47-78; 1983: 83; გიულდენშტედტი 1962: 273; ოსელების 1875: 41, 42; 1978: 42-48; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 44; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 126; რამიშვილი ... 1973: 77-89; რამიშვილი ... 1974: 65-75; რამიშვილი ... 1981: 129-143; რამიშვილი 1982: 25-46; ქც 4: 353,11; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 18; ქორიძე 1965: 58; ქრონიკები 1897: 291; 1967: 281; წერეთელი 1975: 13-15; 1983: 40-50; ჭელიძე, ჩიქოვანი 1991: 4; ჯავახიშვილი 1986: 174; ჯაფარიძე 1988: 53-61.*

ბოითა60 (ქც 4: 540,9; 541,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 540,9; 541,6), არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1989: 403), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 72), 1579 წ. შეწირულობის სიგელი ალექსანდრე II (1574-1605) კახთა მეფისა სვეტიცხოვლისადმი (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 47). ვახუშტი ბაგრატიონი ბოეთანის შესახებ გადმოგვცემს: „ბოეთანს, ერთვის ალაზანს ბელაქნის წყალი ... ბოეთნის პირისპირ და ალაზნის დასავლეთ არს ყარაღაჯი“ (ქც 4: 540,9, 541,6).

ლოკალიზდება საინგილოში, ბელაქნის მუნიციპალიტეტში. ამჟამად მოქცეულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში. დღეისათვის ტოპონიმი ბოეთანი გამქრალია და მისი ზუსტი მდებარეობა დაუდგენელია (ომარაშვილი 1993: 92, 93). 1745 წ. ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე ბოეთანის სახელწოდების დასახლებული პუნქტის აღმნიშვნელი ნიშანი გაფერმკრთალებულია და გათათრებულ სოფელს უნდა აღნიშნავდეს (ომარაშვილი 1993: 87).

1923 წ. საქართველოს ისტორიულ რუკაზე ის ბეთანის სახელწოდებითაა მოხსენიებული (საქ. ისტ. რუკა 1923). სოფელი ბუეთანის სახელითაა აღნიშნული 1579 წ. ალექსანდრე II-ის შეწირულობის სიგელში (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 47). იოანე ბაგრატიონი ბოეთანს (ბოეთანს) ენისელის სოფლების სიაში მოიხსენიებს (ბაგრატიონი 1986: 72).

ბოეთანის სავარაუდო ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *არჩილი 1989: 403; ბაგრატიონი 1986: 72; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 47; ომარაშვილი 1993: 92; საქ. ისტ. რუკა 1923; ქც 4: 540,9; 541,6.*

ბოკოფი60, ბოკოფანი (ქც 4: 532,8; 536,7, სქ. 1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 532,8; 536,7, სქ. 1), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 158), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრა-

ტიონი 1986: 64), XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 44; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 200; 1981: 430).

მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, მუხრან-საგურამოს ვაკის აღმოსავლეთით, მდ. თეზამის (არაგვის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. გალაგვის ადგილზე.

XVI ს-ში ბოკოწანი ეკუთვნოდა მცხეთის საკათალიკოსო მამულს. თეიმურაზ II-მ (1744-1762) და ერეკლე II-მ (1744-1798) ბოკოწანში ააშენეს ციხე (ორბელიანი 1981: 158). სოფელს სახელი გადაერქვა XX ს-ის დასაწყისში და უწოდეს გალაგანი, იქ არსებული XVII-XVIII სს-ის ციხე-გალაგვის მიხედვით (ქსე 1977: 632; სძა 1990: 272).

ბოკოწანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფლის აღმოსავლეთით, 1 კმ-ის დაშორებით დგას XVIII ს-ის ციხე-გალაგანი და ეკლესია. გალაგანი გეგმით სწორკუთხაა (60X45 მ). ნაგებია რიყის ქვით. კედლები ზოგან შემორჩენილია 3-4 მ სიმაღლეზე. მათში დატანილია სათოფურები და მოწყობილია საბრძოლო ბილიკები. კოშკი წრიულია. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით.

გალაგვის აღმოსავლეთ კედელში ჩაშენებულია რიყის ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია (11,4X5,6 მ). სწორკუთხა საკურთხეველი დარბაზისაგან არაა გამოყოფილი. შესასვლელი დასავლეთიდანაა (სძა 1990: 272).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 64; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 44; ორბელიანი 1981: 158; სძა 1990: 272; ქსე 1977: 632; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 200; 1981: 430; ქც 4: 532,8, 536,7, სქ.1.


ბოლნისი, ეკლესია (ქც 1: 138,3; ქც 4: 113,28; 311,9, სქ. 1), მცირე ქალაქი (ქც 4: 204,6; 311,8,9, 21,27, სქ. 1; 428,8; 470,30; 496, სქ. 2), ბოლნისეები (ქც 4: 496,7; 617,3; 625,14). მოხსენიებულია შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 138,3), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 113,28, 204,6, 311,8,9,21,27, სქ. 1, 428,8, 470,30, 496,7, სქ. 2, 617,3, 625,14), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 140, სქ. 2), „ჟამთააღმწერელი“ (ქც 2: 183,2), „მოქცევაი ქართლისაი“ (მქ 1963: 92), პაპუნა ორბელიანისა და სენნია ჩხეიძის თხზულებები (ორბელიანი 1913: 76, 90, 106; ჩხეიძე 1913: 41) XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (მასალანი საქ. სტატ. 1907: 225, 228, 232, 233, 236, 238, 243, 256, 282, 351, 352, 397, 401, 405; ქრონიკები 1897: 443; საქ. სიძ. 1909: 349, 395; 1910: 170, 308; 1920: 307), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1964: 11, 185).

ვახუშტი ბაგრატიონი ბოლნისის შესახებ გადმოგვცემს: სარკინეთის ხევის „დასავლით დის მდინარე ფოლადაური, გამოსდის ლეღვარს და მოერთვის მდინარეს მაშავერს. ამას ზედა არს მცირე ქალაქი ბოლნისის. მას ზემორ ეკლესია დიდი, უგუმბათო, ბოლნისისა“ (ქც 4: 311,6-9).



ბოლნისის სიონი

ბოლნისის სიონი ლოკალიზდება დღევანდელი ბოლნის-ხაჩინის ტერიტორიაზე, მდ. ფოლადაურის მარცხენა ნაპირზე, ქ. ბოლნისიდან (ძველი რატვეანი, XIX ს-ის ლუქსემბურგი, იგივე კატარინეველი) 800 მ მანძილზე. ისტორიული მცირე ქალაქი ბოლნისი ლ.მუსხელიშვილის აზრით ლოკალიზდება სიონიდან სამხრეთით, სოფ. ქვემო-ბოლნისის, ანუ ბოლნის-ქაფანაქის ტერიტორიაზე (მუსხელიშვილი 1938: 321, 322). ჯ. ამირანაშვილის აზრით, ის ლოკალიზდება სოფელ ბოლნის-ხაჩინის ტერიტორიაზე (ამირანაშვილი 1968: 65). ლ. მუსხელიშვილის აზრით, ძველად უნდა ყოფილიყო სამი ან ოთხი ბოლნისი, „ზემო-ბოლნისად“ ის მიიჩნევა ხაჩინის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ნანგრევებს (მუსხელიშვილი 1938: 321). ქალაქი ბოლნისი მდებარეობს ქვემო ქართლში, ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე, მდ. ფოლადაურის მარცხენა ნაპირას.



ტიმარის გეგმა

ლეონტი მროველის მიხედვით, ბოლნისში ეკლესია დაუარსებია მეფე ფარსმან ვარაზ-ბაკურის ძეს, სვიმონის ეპისკოპოსოსის დროს (ქც 1: 138,3). იგივეს გვამცნობს ჯუანშერი (ქც 1: 140, სქ. 2). „მოქცევაი

ქართლისაი“ მოგვიხრობს, რომ ბოლნისს ეკლესია ალაშენა მთავარეპისკოპოსმა ელიამ, მეფე ბაკურის დროს, V ს-ის დამდეგს (მქ 1963: 92). ვახტანგ გორგასალს ბოლნისში ეპისკოპოსი დაუსვამს (ქც 1: 198,16; ქც 4: 113,28). 1230 წ. თბილისზე ლაშქრობის დროს სულთანმა ჯალალედინმა დაბანაკებული იყო ბოლნისის ხევში (ქც 4: 204,6). პაგრატი-ხანმა თავისი ხანმოკლე მეფობა ბოლნისში გაატარა, სადაც გარდაიცვალა 1619 წელს (ქც 4: 428,8). XVII ს-ში ბოლნისში საქარავნო გზა გადიოდა და საბაჟოც არსებობდა (ქრონიკები 1897: 443). 1734 წ. ოსმალთაგან სომხით-საბარათიანოს აზრებისას ბოლნისი ისევ დაზიანდა (ხერხეულიძე 1913: 243). 1717, 1730, 1742, 1744, 1745, 1747 წწ. ბოლნისები ააოხრეს ლეკებმა (ქც 4: 496,7, 617,3, 625,14; ჩხეიძე 1913: 41; ორბელიანი 1913: 76, 90, 106). ბოლნისის საეპისკოპოსოში შედიოდა ფოლადაურის, მანუეტისა და შულავრის ხეობები (ბერძენიშვილი 1964: 21). ადრე შუა საუკუნეებში ბოლნისი ქვემო ქართლის საპიტიახშიში შედიოდა. ქართლის სამეფო გვარისა და ბოლნისელი ეპისკოპოსის გარდა, აქ მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ ორბელიანები (მუსხელიშვილი 1938: 378).

პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია ბოლნისში მოეწყო 1936 წ. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტისა და შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თაოსნობით (ხელმძღ. ლ. მუსხელიშვილი). ბოლნისის სიონი გაიწმინდა მიწისაგან. დაზვერვითი სამუშაოები ჩატარდა სიონის გალავნის შიგნით, სადაც აღმოჩნდა ქვა სამშენებლო წარწერით (მუსხელიშვილი 1938). XX ს-ის 50-იან წლებში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა იქ ჩაატარა რამდენიმე არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც მიზნად ისახავდა ბოლნისის რაიონის ისტორიულ-არქეოლოგიურ შესწავლას უძველესი დროიდან დღემდე. არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრებისას აღმოჩნდა ენეოლითის ხანის იარაღები და თიხის ჭურჭელი. ბოლნისის მიდამოებში გაითხარა როგორც ადრერკინის ხანის, ისე შუა საუკუნეების რკინის გამოსადნობი რამდენიმე ქურა (გძელიშვილი 1964გ: 31-38).

ბოლნისის ხეობაში გამოვლინდა გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის გორა-სიმაგრეები. მათი კედლების წყობა ერთნაირია: დიდი ლოდებისაგან აგებულ პერანგს შორის ჩაყრილია მომცრო ზომის ნატეხი ქვები. ნაშენია უღელბოდ (კედლის სისქე 2 მ). ზედაპირზე აკრეფილი კერამიკული მასალა თარიღდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანითა და შუა საუკუნეებით. ყველა ამ გორა-სიმაგრეებთან აღმოჩნდა ნამოსახლარები (ბერძენიშვილი 1964: 6). სულ გამოვლინდა წინაქრისტიანული ხანის 50-მდე, ადრე შუა საუკუნეების 40-მდე გვიანი შუა საუკუნეების 100-ზე მეტი ნამოსახლარი.

დღევანდელი ბოლნის-ხაჩინის ტერიტორიაზე მიაკვლიეს ნაქალაქარს, რომელსაც გალავანი ჰქონდა შემოვლებული, ხოლო ახლომდებარე გორაზე



ბოლნისის წარწერა

აგებული ყოფილა ციხესიმაგრე (ამირანაშვილი 1968: 65). ბოლნისის სიონიდან 800 მ ჩრდილო-დასავლეთით ბორცვზე, რომელსაც ლამაზ-გორას უწოდებენ, გაითხარა ადრე შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი. სამონასტრო კომპლექსი შეიცავდა 13 შენობას – ეკლესიებს, სენაკებს, დარბაზებს, მარანს, სამეფელოსა და სხვ. სამეფურნი დანიშნულების ნაგებობებს. შენობებიდან დარჩენილია წყობის რამდენიმე რიგი. ეკლესიის კედლები ნატეხი და თლილი ქვის წყობითა და კირითაა ამოყვანილი, ხოლო სენაკების კედლები ნატეხი ქვითა და თიხით. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი ჯიშის დაციტის ქვები. აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი ქვის სტელები, ქვა-ჯვრები; რელიეფები ეპიგრაფიკული წარწერებით; კერამიკის ნამტვრევები, ქვევრები და დოქები, მინის ნაწარმი, რკინის იარაღი, სამკაული, მონეტები. აღსანიშნავია VI ს-ის პირველი ნახევრის ე. წ. პიტიახშის გამოსახულებიანი რელიეფი. ლამაზ-გორის პირველი სამშენებლო პერიოდი V-VIII სს-ს განეკუთვნება, შემდგომი კი VIII-XIII სს-ს. მონღოლების შემოსევის შემდეგ ცხოვრება აქ შეწყვეტილია. სამაროვანზე მიცვალებულები ქრისტიანული წესითაა დაკრძალული (ამირანაშვილი 1964: 64-66).

ბოლნის-ხაჩინში აღმართულია ღვთისმშობლის ეკლესია – ბოლნისის სიონი. ეკლესია წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას (ზომები: სიგრძე 27,8 მ, სიგანე 24,5 მ, სიმაღლე შიგნიდან 11 მ). სამივე ნაგი გადახურულია ორფერდა საერთო სახურავით. ცენტრალური ნაგი აღმოსავლეთით სრულდება ნახევარწრიული შვერილი აფსიდით. კარებები გაჭრილია სამხრეთით და ჩრდილოეთით. ეკლესიას არ აქვს სადიაკვნე და სამკვეთლო. სანათლავი ცალკეა გამოყოფილი. თაღებსა და კამარებს ნალისებური მოყვანილობა აქვთ. ნაგები გაყოფილია ჯვრისებრი კვემის პოძების ხუთი რიგით. ეკლესია აგებულია ადგილობრივი ბოლნური ფირუზისფერი-მომწვანო ტუფით. აქა-იქ ჩასმულია მოლურჯო თირის კვადრები. ბარელიეფებითა და ჩუქურთმებით არის შემკული ჩრდილოეთის გალერეა, ნაგებისა და სანათლავის პილასტრების ცალკეული კაპიტელები და ბაზისები. შუა ნავში შემკულია მხოლოდ საკურთხევლის მიმდებარე სვეტისთავები. აქ გა-

მოსახულია ქრისტიანული სიმბოლოების ამსახველი, ცხოველებისა და ფრინველების რელიეფური ფიგურები და სცენები (ჩუბინაშვილი 1940: 1936: 65-67; ბერიძე 1974: 23-24, 88-89; ზაქარაია 1953ა: 14-31). ბოლნისის სიონზე შემორჩენილია სამი დიდი წარწერა. მათგან სამშენებლო ხასიათის ასომთავრული წარწერა აღმოაჩინა ლ. მუსხელიშვილის ექსპედიციამ. „წ(წვე)ნითა წმიდ(ისა) სამე-ბისათა ო(ც წ)ლისა პეროზ მეფე(ისასა) (შენებ)აი ხიწყო წმიდისა) ამის ეკლესიასაი და ათხუთმეტ წლის(ა)კა(ნხეშორა)“. წარწერაში ნათქვამია, რომ ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ სპარსთა მეფის, პეროზის (458-484) გამეფებიდან 20 წლის შემდეგ და დასრულებითა 15 წლის შემდეგ. ე. ი. 493-494 წლებში (შანიძე 1926: 158-161). მეორე წარწერაში მოხსენიებულია დავით ეპისკოპოსი კრებულთ. თარიღდება VI ს-ით. სამშენებლო წარწერის შესახებ გამოთქმული განსხვავებული მოსაზრების მიხედვით, წარწერაში მოხსენიებულია ქვემო ქართლის ნახპეტი პეროზ, ხოლო თარიღად მიჩნეულია 343-457 წლები (პატარაიძე 1984: 140-159; მჭედლიშვილი 1984: 100-140). ბოლნისის სიონი საფუძვლიანად შეუკეთებიათ მეფე როსტომის დროს (1632-1658), მისი მეუღლის, მარიაშის თაოსნობით. 1678-1688 წწ. აუგიათ სამრეკლო, რომლის წარწერაში მოხსენიებულია ნიკოლოზ ბოლნელის სამშენებლო მოღვაწეობა გიორგი XI-ის ხანაში (1657-1688). სამრეკლო ნაგებია საშუალო ზომის ქვით, ნაწილობრივ აგურითაც კირხსნარზე. გალავანი აგებულია XVIII ს-ის პირველ ნახევარში. გალავანი ოთხკუთხაა (90X56 მ). კოშკები იდგა სამრეკლოსთან და გალავნის დასავლეთსა და ჩრდილო კუთხეებში (მუსხელიშვილი 1938: 352, 353; ვერდწითელი 1968: 59-62). XVI ს-ში ეკლესიის ჩრდილო სტოა და ეზო სასაფლაოდ იყო ქცეული. გათხარა გვიანი შუა საუკუნეების ქვაყუთები. აღმოჩენილი არქეოლოგიური ინვენტარი მწირია: კერამიკის ნამტვრევები, ბრინჯაოსა და რკინის ბეჭდები, მძივები (მუსხელიშვილი 1938: 360-372).

ბოლნის, ქაფანაქის ანუ ქვემო ბოლნისის ეკლესია სამეკლესიანი ბაზილიკაა (13,5X12,7 მ). აგებულია ქვით დუღაბზე. მოპირკეთებულია თლილი მომწვანო ფერის ბოლნური ტუფით. ეკლესია დაზიანებულია. დანგრეულია სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფრთები, ჩაშლილია ვადაზურვის კამარა. შუა ეკლესიის კედლებზე ამოკვეთილი იყო ამალღების რელიეფური კომპოზიციები. ძეგლი დათარიღებულია V-VI სს-ით (ჩუბინაშვილი 1936: 192; 1940: 135-196; ბერიძე 1974: 93, 94; ზაქარაია 1953ა: 32-37).

ბიბლიოგრაფია: ამირანაშვილი 1958: 11-61; 1961: 100-107, 309-324; ამირანაშვილი 1964: 58-60; 1968; ბერიძე 1974: 93, 94; ბერძენიშვილი 1964: 5-50; გოულდენშტედტი 1964: 11, 185; ვერდწითელი 1971: 59-62; ძეგლიშვილი 1964გ; ზაქარაია 1953ა; კაკაბაძე 1984: 90-99; კეკელიძე 1960: 418-420; ლომოური ... 1984: 115-141; მასალანი საქ. სტატ. 1907:

225, 228, 232, 233, 236, 238, 243, 256, 282, 351, 352, 397, 401, 405; მაჭავარიანი 1985; მეფისაშვილი 1971: 17-31; მუსხელიშვილი 1938: 311-382; 1941; მქ 1963: 92; მჭედლიშვილი 1984: 100-114; ორბელიანი 1913: 76, 90, 106; პატარაიძე 1984: 140-159; საქ. სოდ. 1910: 170, 308; 1909: 349, 395; 1920: 307; ქრონიკები 1897: 443; ქც 1: 138,3; 140, სქ. 2; ქც 2:183,2; ქც 4:113,28; 204,6; 311,8,9,21,27, სქ. 1; 428,8; 470,30; 496,7, სქ. 2; 617,3; 625,14; შანიძე 1926: 158-161; ჩუბინაშვილი 1917: 172-220; 1936: 65-67; 1940: 135-196; ჩხეიძე 1913: 41; ხერხეულიძე 1913: 243.

ბოჟანო (ქც 4: 162,8; 671,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 162,8; 671,2), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1: 344,21), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 621, 700), 1712 წ. აღწერის დავთრები (მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 8), ოიანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 49), „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 271, 272, 276, 277, 279, 280, 283-285, 295).

მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპ-ში, მდ. ბარა-ლეთის სათავეებთან, ტაბაწყურის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, ახალქალაქიდან ჩრდილოეთით, 28 კმ-ის დაშორებით (ბერძენიშვილი 1975: 115).

ვახუშტი ბაგრატიონი ბოჟანოს შესახებ გადმოგვცემს: აზავრეთის ხევს ერთვის „ბოჟანოს ქუეით, ბუშათის ხევი“ (ქც 4: 671,2). ბოჟანო სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: ბოჟანა (ქც 1: 344,21), ბოჟანო, ბაჟანო, ფოჟანი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 271). ფიქრობენ, რომ ბოჟანო იგივე თანამედროვე სოფ. ბურნაშეთია (მელიქსეთ-ბეგი 1934: 34). სხვა მოსაზრებით, სოფ. ჯანჯღა შეერწყა სოფ. ბოჟანოს და გაერთიანებულ სოფლებს ბოჟანო დაერქვა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 272). ბოჟანო გიორგი II-ისა (1072-1089) და დავით აღმაშენებლის საზაფხულო რეზიდენციად (ბერძენიშვილი 1975: 114). 1124 წ. 20 აგვისტოს ბოჟანოში მდგარ დავით აღმაშენებელს (1089-1125) ანისელი დიდებულები ეახლნენ და ანისში მიიწვიეს. დავითმა ანისი აიღო (ქც 1: 344,21; ქც 4: 162,8). XVI ს-ში ბოჟანო საბარათაშვილოში შედიოდა და მეფის სახასო სოფელი იყო (მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 8; ლორთქიფანიძე 1938: 362). წალკა-ახალქალაქის ერთ-ერთი გზა ბოჟანო – ხევდრმა – ღრტილა – ბარალეთზე გადიოდა (ბერძენიშვილი 1966: 69; ბერძენიშვილი 1975: 111, 112).

ბოჟანო არქეოლოგიურად შეუსწავლელია.
ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 49; ბერძენიშვილი 1975: 83-131; ბერძენიშვილი 1964: 45-185; 1966: 69; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 271, 272, 276, 277, 279, 280, 283-285, 295; ლორთქიფანიძე 1935: 253, 293; 1938: 58, 362; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 8; მელიქსეთ-ბეგი 1934: 26-44; ქართ.

სამართ. ძეგ. 1970ა: 621, 700; ქც 1: 344,21; ქც 4: 162,8; 671,2.

ბორჯომი (ქც 4: 663,18). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 663,18), 1730 წ. საბუთი (ისტ. დოკ. 1958: 58), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 12, 158), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 144), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 117).

ვახუშტი ბაგრატიონი ბორჯომის შესახებ გადმოგვცემს: „ამ ხევს ზეით, ახალციხეს ერთვის ურიებთან ბორჯომის ხევი, მისივე მთის გამომდინარე და მომდინარე ეგრეთვე“ (ქც 4: 663,18).

ლოკალიზდება დღევანდელი სოფ. ანდრიაწმინდის სამხრეთით, მდ. ურაველის ხეობაში (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 221, 222), მდებარეობს მდ. ურაველის, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადის, მარცხენა ნაპირას.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, ბორჯომი პატარა, ხუთკომლიანი სოფელია ქ. ახალციხესთან, სადაც კომლთა ჩამონათვალში დასახელებულია ხარებასძეს ოჯახი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 158). სოფლის ზუსტი მდებარეობა სადღეისოდ არ დგინდება. ვახუშტი ბაგრატიონი სწორედ ამ ბორჯომს ახსენებს.

დღევანდელი ქ. ბორჯომის ტერიტორია ისტორიულ პროვინცია თორში შედიოდა. გვიან შუა საუკუნეებში ის თავად ავალიშვილებს ეკუთვნოდა. 1871 წლიდან ბორჯომის ტერიტორია გადადის სახელმწიფო მფლობელობაში და შემდგომ იქ საკურორტო მშენებლობა იწყება; შენდება სასახლეები, პარკები. ახლანდელი ბორჯომის ადგილზე გვიან შუა საუკუნეებში იყო სოფ. ნუა (იხ. ნუა), ფაფა, ლიკანი (იხ. ლიკანი), გოგიას ციხე, პეტრეს ციხე (იხ. პეტრეს ციხე) (ბერძენიშვილი 1985: 21-23; ლამბაშიძე, ტატიშვილი 1982: 63-72; აბულაძე 1983: 13-20); ბორჯომი, როგორც დასახლება, იოჰან გიულდენშტედტს მითითებული აქვს ქ. ბორჯომის რკინიგზის ახალ სადგურთან (გიულდენშტედტი 1962: 177).

ქ. ბორჯომთან მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, კლდის თხემზე შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ციხის (35X7 მ) ნაშთები, რომელიც ნაგებია ფლეთილი ქვითა და კირხსნარით. ნაციხარი არქეოლოგიურად შესწავლელია. საისტორიო წყაროებში არ იხსენიება. ადგილობრივი მოსახლეობა მას გოგიას ციხეს ეძახის (ბარნაველი 1959: 39; ბერძენიშვილი 1985: 21). 1950 წ. ქ. ბორჯომში შემთხვევით იპოვეს 3 ცალი მონეტა XIII ს-ის სელჩუკური დირჰემის მინაბაძი (ჯალალანია 1958: 110).

ბიბლიოგრაფია: აბულაძე 1983: 13-20; ბარნაველი 1959: 39; ბერძენიშვილი 1964: 207-267; ბერძენიშვილი 1985: 17-27; გიულდენშტედტი 1962: 117; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 12, 158; 1958: 221, 222; დადიანი 1962: 144; ისტ. დოკ. 1958: 58;

მაკალათია 1957: 26-28; ქც 4: 663,18; ლამბაშიძე, ტატიშვილი 1982: 63-72; ყიფშიძე 1954; ხუჯაძე 1969; ჯალალანია 1958: 110.

ბოსლევო, ბოსლევები (ქც 4: 759,4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 759,4). XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (დას. საქ. საბ. 1921: 113; საისტ. კრ. 1929: 91, 94; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 1094; 1977: 430) ალექსი იევლევის იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა (იევლევი 1969: 86, 166), ტოლოჩანოვის იმერეთის სამეფოში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა (ტოლოჩანოვი 1970: 152, 266), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 301).

ვახუშტი ბაგრატიონი ბოსლევების შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო ყვირილას შორაპანს ზეით არს მართოუბანი, მას ზეით ბოსლევები“ (ქც 4: 759,4).

მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. გაღმა ბოსლევისა და გამოღმა ბოსლევის ტერიტორიაზე. ბოსლევი-ბოსლევები წყაროებში მოხსენიებულია XVII ს-დან (იევლევი 1969: 86, 166). იოჰან გიულდენშტედტი სოფელ ბოსლევს იხსენიებს ყვირილას ზემო წელზე არსებულ სოფლებს შორის (გიულდენშტედტი 1962: 301). 1789 წ. იმერეთის მეფე სოლომონ II-მ (1789-1810) ვილაიეთის მონასტერს შესწირა ბოსლევის მამული (საისტ. კრ. 1929: 94). სოფ. ბოსლევში თავს იყრიდა საჩხერე – შორაპანისა და საზანო – ბოსლევ – ამაშუკეთის გზები (ბერძენიშვილი 1964: 22).

ბოსლევი არქეოლოგიურად შესწავლელია.

აქ არის წმინდა გიორგის გუმბათიანი ეკლესია, სადაც ინახება გურიიდან (ოზურგეთიდან) ხუთი ძმა მჭედლიძეების მიერ 200 წლის წინათ მოტანილი რკინის ჯვარი, რომლის წინაპირზე გადაკრულია ვერცხლი და შემკულია წმინდა გიორგის 4 ჯვადური ხატი. მასზე იკითხება წარწერის ნაშთი: „წმიდა გიორგი“. ბოსლევში შემორჩენილია კოსტის ნანგრევებიც (ბოჭორიძე 1995: 144, 145, 250).

სოფელი ბოსლევი მდებარეობს დმანისის რაიონშიც. **ბიბლიოგრაფია:** ბერძენიშვილი 1964: 22; ბოჭორიძე 1995: 144, 145, 250; გიულდენშტედტი 1962: 301; დას. საქ. საბ. 1921: 113; იევლევი 1969: 86, 116; საისტ. კრ. 1929: 92; სოსელია 1981: 87; ტოლოჩანოვი 1970: 152, 266; ქც 4: 759,4; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 1094; 1977: 430.

ბოსტან-ქალაქი, იხ. რუსთავი.

ბოჭორმა, დედა-ციხე, ციხე (ქც 4: 133,26). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 133,26; 151,18; 530,18,19,21; 531,3,4,15; 559,3), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 263,7,13; 268,14; 269,4,5,7; 279,11,12; 312,4,8), იოანე ბაგრატიონის „სჯულდება“ და „ქართლ-კახეთის აღწერა“

(ბაგრატიონი 1957: 52; 1986: 65), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 139), პაპუნა ორბელიანის „ამბავანი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 122, 158), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 46, 82; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 100, 199, 512), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 49, 263).

ვახუშტი ბაგრატიონი ბოჭორმის შესახებ აღნიშნავს: „უჯარმას ზეით ჩდილოთ და იორს აღმოსავლით არს ბოჭორმა-ციხე. ბოჭორმიდამ უჯარმამდე არს ხეობა ფრიად მაგარი, მთოვანი, კლდოვანი ძუელად შენობიან-ეკლესიანი. ხოლო ბოჭორმა აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან და უწოდა დედა-ციხე. ესე არს მაღალს კლდესა ზედა. გამოდის ციხესა შინა წყარო. არს შენობა დიდი და მაგარი (ესე არს რომელი წილად ხუდა კახოსს და შენებასა ჩელეთისასა მისცა კუხოსს, და შეეწია კუხოს შენებასა ჩელეთისასა კახოსს), შემდგომად უწოდეს ვეჭორმა, ესე იგი არს: „ვეჭ, ორმა ძმამ ცილება ყვეს ამ ციხესა ზედა“. მერმე უწოდეს ბოჭორმა“ (ქტ 4: 530,18-24, 531,1-3). მდებარეობს თიანეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოჭორმიდან 2 კმ-ის დაშორებით, მდ. იორის მარცხენა ნაპირზე. წყაროებში მოიხსენიება X ს-იდან (ქტ 1: 263,7,13). განეკუთვნება უძველეს ციხესიმაგრეთა რიცხვს. იდგა მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილზე და ეკუთვნოდა იორის ხეობას, რომელიც ციხესიმაგრედან ხელისუფლებით ჩანს 30 კმ მანძილზე (მუსხელიშვილი 1966: 71). 914 წ. არაბებმა აბულ-კასიმის სარდლობით აიღეს უჯარმა. ამის გამო ბოჭორმელებმა ციხე მიატოვეს და დამპყრობლებმა ის უბრძოლველად ჩაიგდეს ხელში (ქტ 4: 133,1-6). არაბები ბოჭორმაში გამაგრდნენ (ქტ 1: 263,7,8). X ს-ში კვირიკე ქორეპისკოპოსს (929-997) ძმამ ულალატა და უჯარმა აფხაზთა მეფე გიორგი II-ეს (922-957) გადასცა. მან ხელთ იგდო კახეთის სხვა ციხეებიც. ქართლის აზნაურების დანმარებით კვირიკემ კახეთი კვლავ დაიბრუნა (ქტ 1: 269,1-13). ბაგრატ III-მ (975-1014) კახეთ-ჰერეთის დაპყრობის შემდეგ ბოჭორმის ციხეც აიღო. ცოტა ხანს ბოჭორმას ბაგრატ IV (1027-1072) ფლობდა, მაგრამ შემდეგ ის განძის ამირა ფადლონის სანაცვლოდ დაუთმო კახეთ-ჰერეთის მეფე ალსართანს (1058-1084) (ქტ 1: 312,8-10). ციხე ფუნქციონირებდა XVIII ს-ის ბოლომდე. 1749 წ. ერეკლე II-მ ციხე განაახლა (ორბელიანი 1981: 158; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 512). მდ. იორის მარცხენა ნაპირზე 300 მ სიმაღლის ქედზე განლაგებულ ციხესიმაგრეს უჭირავს 1,5 ჰა ფართობი. ციხე შედარებით ადვილი მისასვლელია აღმოსავლეთიდან. აქედან ჰქონდა მას შესასვლელი. პუნებრივი სიმაგრეებით დაცული ციხე წარმოადგენს მძლავრ საფორტიფიკაციო ნაგებობას, რომელიც ბატონობს შემოგარენზე (მელითაური 1972: 28). მისი კედლები მაღალი მთის რთულ რელიეფს მიუყვება. ციხე შედგება ორი ნაწილისაგან. მაღლობზე განლაგებულია შიდა ციხე, ციხედარბაზი და სხვადასხვა ნაგებობები. კომპლექსში



ბოჭორმა

შედის: წმიდა გიორგის ექვსაფსიდიანი ეკლესია, სასახლე, პატარა ეკლესია, კოშკები, „მეფის დარბაზი“ – კოშკური სახლი. შენობები ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვებით კირხსნარზე. კოშკების კედლებში დატანებულია მცირე სარკმლები, ბუხრები, ნიშები, სათოფურები და სალოდნები. შიდა მხრიდან სართულების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ქვის კიბეებია. დიდი ნაგებობა ორი დარბაზისგან შედგება, შესაძლოა ორსართულიანიც იყო (ზაქარაია 1962: 40-47).

შიდა ციხის შუაში დგას ძლიერ განადგურებული და მრავალჯერ შეკეთებული წმიდა გიორგის X ს-ის ექვსაფსიდიანი გუმბათოვანი ეკლესია. კედლები შემორჩენილია 13 მ სიმაღლეზე (ჩუბინაშვილი 1959: 416-424). ნაგებია შირიმის ქვით, გამოყენებულია ქვიშაქვაც. კედლები შიგნიდან და გარედან მოპირკეთებული ყოფილა გათლილი ქვებით. ეკლესიაში შემორჩენილია ფრესკული მხატვრობა. შესასვლელები სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ აფსიდშია. სამხრეთ-დასავლეთის კარიბჭეზე ფანჩატურიანი სამრეკლოა დაშენებული. საკურთხევლის აფსიდა დანარჩენი სივრცისაგან გამოყოფილია XVIII ს-ის აგურის კანკელით. ეკლესია გარედან თორმეტწახნაგაა. ყოველი წახნაგი ორფერდა სახურავითაა დახურული. გუმბათის ყელში 6 სარკმელია. მოხატულობა, რომელიც ამკობს ეკლესიის ექვსივე აფსიდის კედლებს თარიღდება XI-XII სს-ით. ფრესკებზე წარმოდგენილია ქრისტეს ცხოვრების ამსახველი სიუჟეტები, წმინდა მამები, წმინდა გიორგის ცხოვრებისა და წამების სცენები, ქტიტორის გამოსახულება და სხვ. (ჩუბინაშვილი 1959: 416-424).

პატარა ეკლესია დარბაზული ტიპისაა (4,7X3,7 მ). ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. აფსიდა ნახევარწრიულია. აფსიდის სარკმლის ქვეშ კედელზე მიდგმულია ტრაპეზის ქვა. ეკლესია ძლიერ დაზიანებულია. ბოჭორმის ციხის ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ალიბევაშვილი 1967: 25-29; ბაგრატიონი 1957: 52; 1986: 65; ბერძენიშვილი

1964: 174-185; გიულდენშტედტი 1962: 49, 263; დადიანი 1962: 139; ზაქარაია 1957ა: 184; 1962: 40-47; 1965: 90-96; 1973: 70-75; ბარნაველი 1961: 45; ლომთათიძე 1989: 138, 139; ლორთქიფანიძე 1963: 145, 147, 162-164, 166, 169; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 46, 82; მელითაური 1972: 28-37; მუსხელიშვილი 1980: 109; თრბელიანი 1981: 158; უვაროვა 1904: 56-60; ქც 1: 263,7,13; 268,14; 269,4,5,7; 279,11,12; 312,4,8; ქც 4: 133,26; 151,18; 530,18,19,21; 531,3,4,15; 559,3; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 100, 199, 512; ქართ. დოკ. 1982: 106; ქრონიკები 1897: 259; 1967: 188; ჩუბინაშვილი 1959: 416-424.

ბრმით, მონასტერი (ქც 4: 374,12,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 374,12,14), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 151, 152, 207; 1897: 202; 1967: 45; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1953: 100, 176, 226; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1958: 136; ისტ. დოკ. 1959: 20; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 47; ქართულ-სპარსული ... 1955: 124, 125), დონ კრისტოფორო დე კასტელის ცნობები საქართველოს შესახებ (კასტელი 1977: 187), 1772 წელს იოჰან გიულდენშტედტის მიერ შედგენილი რუკა (გამრეკელი 1964: 31), ნიკო დადიანის „ქართველი ცხოვრება“ (დადიანი 1962: 134).

ვახუშტი ბაგრატიონი ბრეთის შესახებ გადმოგვცემს: „მტკურის ჩდილოთ, ამ მდინარის აღმოსავლით, არს ბრეთის მონასტერი უგუმბათო, რომელი ჰქმნა პიროს ... ბრეთის დასავლით, წვერიდამ, ასტყდების მთა კვერნაქი და მივალს ფცის-წყლამდე, რომელსა ეწოდა ცეცხლის-ჯუარი“ (ქც 4: 374,12-16). მდებარეობს ქარელიდან 9 კმ-ზე, შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. აღმოსავლეთ ფრონეს (დვანისწყლის) მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. ბრეთის ადგილზე.

ბრეთში VI ს-ში ერთ-ერთ ასურელ მამას, პიროსს, დაუარესებია მონასტერი, რომელიც შემდგომ მნიშვნელოვან რელიგიურ-კულტურულ კერად იქცა. პიროსი დაკრძალულია ბრეთში (ქც 4: 374,12,16; ასურელ მოღვაწეთა ... 1955: 80). ბრეთი და მისი მიმდებარე ხეობა XI-XIII სს-ში სამეფო დომენში შედიოდა. XIV ს-ის ბოლოს სოფ. ბრეთი ალექსანდრე I-მა (1412-1443). სვეტიცხოველს შესწირა. XV ს-ში ბრეთი ექვემდებარებოდა ურბნისის მონასტერს. XVII-XVIII სს-ში ბრეთის დიდი ნაწილი თავად ავალიშვილების საგვარეულოს ეკუთვნოდა. აქ მათ ჰქონიათ მცირე სასახლეც, რომელიც დღეისათვის აღარაა შემორჩენილი. ხსენებული დროისათვის ბრეთი ადმინისტრაციულად ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა (გვასალია 1989: 11; მაკალათია 1957: 31; 1963: 18; ბერძენიშვილი 1964: 211).

ბრეთი არქეოლოგიურად შესწავლულია. სოფლის ცენტრში წმინდა გიორგის ეკლესიასთან, ზედაპირულად აღმოჩენილია, რიყის ქვით ნაგები ნამოსახ-

ლარის ნაშთები. აქ ნაპოვანია შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ლურჯად მოჭიქული თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხები.

სოფ. ბრეთის დასავლეთით, შემალეებულ ადგილზე, ზედაპირულად დასტურდება კრამიტის ნატეხები და ნამოსახლარის ნაშთები. აქვე არის რიყის ქვით ნაშენები სწორკუთხა კოშკი (4,6X4 მ). შემორჩენილია ოთხი სართული. კოშკს სარკმლები აქვს. მასთან ახლოს არის დაბაზული ტიპის ეკლესია (8,6X4,6 მ), რომელიც რიყის ქვითა და აგურითაა ნაშენი. ეკლესიას ნახევარწრიული აფსიდა, მასში ერთი სარკმელი და ორი ნიში აქვს. სახურავი კამარულია. ზემოდან კრამიტითაა დახურული. ეკლესია XVI-XVII სს-ით თარიღდება, კოშკი – XVII ს-ით.

სოფ. ბრეთის ცენტრში წმინდა გიორგის VIII-IX სს-ის დაბაზული ეკლესიაა (14,35X13,2მ). ნაგებია ფლეთილი ქვით. გამოყენებულია აგრეთვე რიყის ქვა და აგური. გადაკეთებულ-შეკეთებულია რამდენჯერმე. აფსიდა ნახევარწრიულია, ერთი სარკმელითა და ორი ნიშით. სამხრეთით და დასავლეთით მინაშენი აქვს. ბოლო შეკეთებისას ეკლესია შეუღლესიათ. გადახურულია კამარით, რომელზეც კრამიტით დახურული სახურავია. წმინდა გიორგის ეკლესია მიდგომულია მამა პიროსის VI ს-ის დაბაზული ტიპის ეკლესიაზე. პიროსის ეკლესია ამჟამად გამოიყურება როგორც წმიდა გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთი მინაშენი; ნაგებია ფლეთილი ქვით. მოგვიანებით ცალფერდა სახურავით გადახურავთ. აფსიდა ნალისებურია და შუაში ვიწრო სარკმელი აქვს. ერთადერთი სამხრეთი კარი წმიდა გიორგის ეკლესიაში გადის. ეკლესიაში დაკრძალულია მამა პიროსი (გვასალია 1989: 11).

ბრეთიდან ცნობილია მოთქრული ვერცხლის საწინამძღვრო ჯვარი, რომელზეც გამოსახულია ქრისტე და ოთხი მახარებელი. ჯვარზე ასომთავრული წარწერებია. ერთ-ერთში იხსენიება მეფე ბაგრატი, გურგენ მეფის შვილი. ჯვარი თარიღდება 994-1001 წწ. გადაკეთებულია გაბრიელ საფარელის მიერ. ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). (ჩუბინაშვილი 1957: 19; 1959: 70; ბერძენი 1967: 62). ბრეთიდან აგრეთვე ცნობილია 1684 წ. ვერცხლით მოჭედილი მაცხოვრის ხატი, რომლის არწილზეც ასომთავრული წარწერაა: „შენ კრაო ღვთისაო და ძეო მამისა ეგმანური და მხსნელი ადამისაო იესო ქრისტე. შემწე ვგვავ ჩვენ ბატონიშვილს ლევანს და თანამეცხედრეს ჩვენსა თინათინს, რომელთა მივაჭედინეთ ხატი ესე მაცხოვრისა შიშთახევისა მეორედ დამწვარი დღეთა ჩვენთა სადღევრძელოდ და ძეთა ჩვენთა ქს: ტობ“. აქ მოხსენიებული ლევანი, მეფე არჩილის (1664-1675) ძმაა (ქრონიკები 1897: 500). ხატი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). ბრეთიდანაა 1722 წ. ვერცხლით მოჭედილი წმინდა გიორგის ხატი, რომელზეც მხედრული წარწერაა. მასში მოხსენიებულია საღვთის ხეობის

მოურავი ბიძინა (ქრონიკები 1967: 87). ამჟამად ხატის ადგილმდებარეობა უცნობია.

ბიბლიოგრაფია: *ასურელ მოღვაწეთა ... 1955: 80; ბერიძე 1967: 62; ბერძენიშვილი 1964: 211; გამრეკელი 1964: 31; გვასალია 1989: 11; დადიანი 1962: 134; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 100, 176, 226; ისტ. დოკ. 1959: 20; კასტელი 1977: 187; მაკალათია 1957: 31; 1963: 18; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1958: 136; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 47; ქართულ-სპარსული ... 1955: 124, 125; ქრონიკები 1892: 151, 152, 207; 1897: 202, 500; 1967: 45, 87; ქც 4: 374,12,14; ჩუბინაშვილი 1957:19; 1959: 70.*

ბრძმა, ციხე (ქც 4:375,18-20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 375,18-20), 914 წლის სამშენებლო წარწერა ზუროთმოძღვარ თევდორე თაფლაის ძისა სოფ. ერედვის წმინდა გიორგის ეკლესიიდან (ქართ. წარწ. კორ. 1980: 170-172).

ვახუშტი ბაგრატიონი ბრძმას შესახებ გადმოგვცემს: „ამას ზეით, ავლევს, მოერთვის ამ წყალს დასავლიდამ ბრძმისწყალი. არს ბრძმას მცირე ციხე. გამოსდის ეს წყალი პერანგს, მიდის სამხრით ბრძმამდე, მერმე აღმოსავლით. აბანოს ერთვის ამ წყალს წალგლისწყალი, და ბრძმას მოერთვის აბანოსწყალი“ (ქც 4: 375,18-20).

მდებარეობს ქარელის მუნიციპ-ში, მდ. დასავლეთ ფრონეს (ფცისწყალის) მარცხენა ნაპირას, შიდა ქართლის ვაკეზე, დღევანდელი სოფ. ბრძმის ადგილზე.

X ს-ის დასაწყისში ეგრის-აფხაზეთის მეფე კონსტანტინე, ერთ-ერთი ლაშქრობის შემდეგ გაჩერებულია ბრძმაში. ნაწყვეტი 914 წ. ერედვის წმიდა გიორგის ეკლესიის ასომთავრული წარწერიდან: „... ხელმწიფობასა ღმრთივადმყარებულისა წმიდა კონსტანტინე მეფისასა, რომელმან ბრძმან და ჩავიდა ჰერთის შიგან, ჰერთა მეფეი ვაჟცია და მუნით მშუილობით იქცა, ცისკრად აღავერდს ილოცა, მწუხრი ბრძმას გადაჰხთა ...“ (ქართ. წარწ. კორ. 1980: 172). ადრეულ შუა საუკუნეებში ბრძმა ქართლის საერისთავოში შედიოდა, გვიანდელ შუა საუკუნეებში – ამიერჯიბების სამფლობელოშია. ბრძმაზე გადადიოდა ლიხთიმერეთში გადასასვლელი ერთ-ერთი გზა. 1715 წ. რუისის საეპისკოპოსოს აღწერის მიხედვით, აქ 60-მდე კომლი სახლობდა. იმ დროისათვის ბრძმა მუსხელიშვილების საგვარეულოს ეკუთვნოდა (გვასალია 1989: 20).

სოფ. ბრძმა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფლის ცენტრში, ახალ სასაფლაოსთან, ზედაპირულად დადასტურებულია რიყისა და ფლეთილი ქვით ნაშენ ნაგებობათა საძირკვლის ნაშთები. ნანახია აგრეთვე ნაციხარიც (გვასალია 1989: 20). აქ აღმოჩენილია გვიანი შუა საუკუნეების მოწითალო თიხიანი კვრამიკისა და ქვევრების ნატეხები. აქვე არის „ზღუდერის“ X ს-ის დარბაზული ეკლესია (14,7X8,5 მ). პერანგი ნაგებია ბაზალტის

გათლილი კვადრებით. აფსიდაში სარკმელია. დარბაზი გადახურულია კამარულად. დასავლეთ ფასადზე ამოკვეთილია ჯვარი და ვარდულები. ეკლესიის მინაშენები დანგრეულია. XIX ს-ში ეკლესია შეუკეთებიათ.

„ზღუდერის“ ეკლესიის დასავლეთით, თხუთმეტოლე მეტრზე წმინდა მარინეს დარბაზული ტიპის ადრე შუა საუკუნეების ეკლესიაა (7,2X4,75 მ), რომელიც მოზრდილი ფლეთილი და რიყის ქვებითაა ნაგები. აფსიდა ნახევარწრიულია. მას ვიწრო სარკმელი და ორი ნიში აქვს. გადახურულია კამარულად. მასზე მოხატულობის კვალი შეიმჩნევა. „ზღუდერისა“ და წმინდა მარინეს ეკლესიებს შემოვლებული ჰქონიათ გალავანი.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, შემადგენლებზე დადასტურდა შუა საუკუნეების ნამოსახლარის ნაშთები. აქ დგას კვირაცხოვლის დარბაზული ტიპის X ს-ის ეკლესია (10,8X6,1 მ). მისი პერანგი კარგად გათლილი ქვებითაა მოპირკეთებული. დარბაზი კამარულადაა გადახურული. აღმოსავლეთის ფასადზე ასომთავრული წარწერაა, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (ბარნაველი 1959: 109).

ბიბლიოგრაფია: *ბარნაველი 1959; გვასალია 1989: 3-35; ქართ. წარწ. კორ. 1980: 172; მაკალათია 1963; ქც 4: 375,18-20.*

ბრილი (ქც 4: 376,29; 377,1,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 376,29; 377,1,2), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44).

ვახუშტი ბაგრატიონი ბრილის შესახებ გადმოგვცემს: „ნაბახტვეს ზეით ერთვის აღის-წყალს ბრილის-წყალი ... აქ ბრილს, ითრების კაჟი ფრიად კეთილი“ (ქც 4: 376,29; 377,1,2).

მდებარეობს ხაშურის მუნიციპ-ში, მდ. ბურნეულის (ჭურათხევის მარჯვენა შენაკადი) სათავეში, თანამედროვე სოფ. ბრილის ჩრდილოეთით.

წყაროებში პირველად იხსენიება XVIII ს-ის დასაწყისში. ბრილი ჯერ ამირეჯიბს ეკუთვნოდა, შემდეგ ბრილის ნასოფლარს დაუფლებია საქაშათელი დიასამიძე, რომელსაც 1689 წ. წმინდა ნინოს ეკლესია აუშენებია. 1715 წ. ბრილი რუისის სამწყვსოს ეკუთვნოდა და სოფელი 40-ზე მეტი კომლი სახლობდა (მაკალათია 1963: 76; გვასალია 1989: 25). ამავე სახელწოდების სოფლები მდებარეობს ონისა და ცხინვალის რაიონშიც.

ბრილი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფ. ბრილსა და მის მიდამოებში რამდენიმე ეკლესიაა: 1. ბრილის ჩრდილოეთით, განაპირა უბანში მდებარეობს დარბაზული ტიპის (7,8X5 მ), კირქვით ნაგები ეკლესია. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ამჟამად ეკლესია დანგრეულია (სმა 1990: 425). 2. წმინდა ნინოს დარბაზული ტიპის (8,3X5,6 მ) ეკლესია დგას სოფლის

დასავლეთ ნაწილში. ნაგებია ქვიშაქვის კვადრებითა და აგურით. შესასვლელი აქვს სამხრეთითა და დასავლეთით. დასავლეთის კარის თავზე ჩასმულია ქვაფიქალი ცხრასტრიქონიანი მხედრული წარწერით, რომლის მიხედვითაც ეკლესია აშენებულია 1689 წ. დიასამიძის მიერ ქართლის მეფის ერეკლე I-ის (1688-1703) მეფობისას (მაკალათია 1963: 76; გვასალია 1989: 25). 3. ბრილის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სასაფლაოზე დგას დარბაზული ტიპის (8,7X5,5მ) XI ს-ის ღვთაების ეკლესია. გვიან შუა საუკუნეებში გადაუკეთებიათ და კარიბჭე მიუშენებიათ. ეკლესიის პირველი სამშენებლო ფენა ნაგებია კირქვითა და ბაზალტით, მეორე – აგურით. გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით. შესასვლელი აქვს დასავლეთიდან და სამხრეთიდან. აფსიდა ნახევარწრიულია; საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია შეისრული სატრიუმფო თაღით. ეკლესია შიგნით შელესილი და შეთეთრებულია. შემორჩენილია XVII ს-ის მოხატულობის ფრაგმენტები – წმინდა მამათა ფიგურები, რომლებსაც ახლავს დაზიანებული ასომთავრული წარწერები. განვითარებულ შუა საუკუნეებში მიშენებუ-

ლი კარიბჭის ფასადზე ჩასმულია ეკლესიის ძველი კანკელის ფილა ფერისცვალების რელიეფური კომპოზიციით. მასზე შემორჩენილია ამოკაწრული და საღებავით შესრულებული ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები (მაკალათია 1963: 77). 4. ბრილის ჩრდილოეთით, 2 კმ დაშორებით, მაღალ სერზე, ციხის დანგრეული გალავნის აღმოსავლეთ კედელში დგას IX-X სს-ის ღვთისმშობლის დარბაზული ტიპის (6,2X5მ) ეკლესია. ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. აფსიდა ნალისებურია. შესასვლელთან აღმოჩნდა ქვიშაქვის ფრაგმენტი ასომთავრული წარწერით. წარწერა ინახება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ამჟამად ეკლესია დანგრეულია (მაკალათია 1963: 78). 5. წმინდა გიორგის ეკლესია მდებარეობს ბრილის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სურამ-ბრილის გზის მარჯვენა მხარეს. ამჟამად დანგრეულია (სძა 1990: 427).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 44; გვასალია 1989: 25; მაკალათია 1963: 76, 77; სძა 1990: 425, 427; ქც 4: 376, 29; 377, 1, 2; ხარაძე 1991: 162.*



ტ



გაზი, გავნი, ციხე (ქც 4: 151,26). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 151,26; 153,10; 162,2; 167,11,27; 198,16; 200,14), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 313,1; 316,17), „ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი“ (ქც 1: 340,1; 344,15), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 11,9,19; 51,8; 54,7), ბასილი ეზოსმოდღარის „ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისი“ (ქც 2: 129,24; 144,5), უამთაალმწერელი (ქც 2: 164,4,18; 171,23; 191,5), ვარდან დიდის „სომხეთის ისტორია“ (ვარდან 1861: 150, 156, 178), სტეფანოზ ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“ (ორბელიანი 1978: 38, 98), გრიგოლ აკანელის „მოისართა ტომის ისტორია“ (აკანელი 1961: 9, 10, 21, 26, 47), ჰამდალაჰ ყაზვინის „რჩეულთა ისტორია“ (ყაზვინი 1937: 30, 31).

ლოკალიზდება ქვემო ქართლში – სომხეთში. სომხური წყაროებით „ვრაც-დაშტში“ (ქართველთა ველზე), მდ. დეხედას ქვემო წელზე. მდებარეობს ფართოდ გაშლილი ველის ცენტრში აღმართულ კლდოვან ბორცვზე, მდ. დეხედადან 2-2,5 კმ დაშორებით, დღევანდელი მარნეულის მუნიციპ-ის სოფ. ყუშის მახლობლად, 0,5 კმ დაშორებით, სამხრეთ-დასავლეთით. გვიანდელ შუა საუკუნეებში გავის ციხის კედლებზე დაუშენებიათ ციხესიმაგრე აღჯაყალა (თეთრიციხე) (მუსხელიშვილი 1960: 113-140). იხ. აღჯაყალა.

1069 წ. ბაგრატ IV-მ (1027-1072) აიღო გავის ციხე (ქც 1: 313,1; ქც 4: 151,26). გიორგი II-ს (1072-1089) უღალატა ივანე ლიპარიტის ძემ და გავის ციხე განძის ამირა ფადლონს მიჰყიდა (ქც 1: 316,17), დავით აღმაშენებელმა (1089-1125) 1120 წ. აიღო გავის ციხე (ქც 1: 344,15; ქც 4: 162,2). გიორგი III-ის (1156-1184) მეფობისას მაჰმადიანთა კოალიციამ გავის ციხე დაარბია (ქც 2: 11,9,19; ქც 4: 167,11,27). თამარის მეფობისას (1184-1207) გავის პატრონი იყო ივანე ვარდანის ძე (ქც 2: 51,8). მონღოლები საქართველოს გავის მხრიდან შემოეხივნენ (ქც 2: 164,14,18; ქც 4: 198,16). გიორგი IV (1207-1222) 1220 წ. აქ შეებრძოლა მონღოლებს (აკანელი 1961: 9, 10, 21). გავის ციხეს ფლობდა ვარამის ძე აღბულა (აკანელი 1961: 21). ციხე 1225 წ. დაარბია ჯალალედინმა (ქც 4: 200,14).

გავის ციხის ამგებად ასახელებენ გავიკ I-ს (990-1002), რომელმაც ციხეს თავისი სახელი უწოდა (ვარდან 1861: 15). ციხე ნანგრევების მიხედვით

უფრო ადრეული ჩანს (მუსხელიშვილი 1960: 124). XV ს-ში მის ადგილზე წყაროებში იხსენიება აღჯაყალა (თეთრიციხე), რომლის კედლის წყობაში ორი პერიოდი გამოირჩევა, ქვედა ადრეული კედელი ნაგებია თარაზულად ნაწყობი თანაბარი ზომის ქვის კვადრებით. ზედა, გვიანდელი პერიოდის კედლები კი – მცირე ზომის ფლეთილი ქვით არაწყვეიერი წყობით და დაშენებულია ადრეულ კედლებზე. ქვედა დონის შესატყვისი ფენიდან აკრეფილია XI-XIII სს-ის დამახასიათებელი მოჭიქული კერამიკის დიდი რაოდენობა. აღნიშნულ ბორცვზე აკრეფილია აგრეთვე ენეოლით-ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკის ფრაგმენტები (მუსხელიშვილი 1960: 122, 139).

გავის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: აკანელი 1961: 9, 10, 21, 26, 47; ვარდან 1861: 150, 156, 178; მუსხელიშვილი 1960: 113, 140; ორბელიანი 1978: 38, 98; ქრონიკები 1892: 243; ქც 1: 313,1; 316,17; 340,1; 344,15; ქც 2: 11; 9,19; 51,8; 54,7, 2: 129,24; 144,5; 164,14,18; 171,23; 191,5; ქც 4: 151,26; 153,10; 162,2; 167,11,27; 198,16; 200,14; ყაზვინი 1937: 30, 31.

გაგაზი, გავაზნი, ქალაქი (ქც 4: 133,26 545, სქ. 2: 558,18; 618,23; 625,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 133,26; 545,სქ.2; 558,18; 618,25; 625,7), მატიანე ქართლისა (ქც 1: 254,5; 264,13), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 444,6), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 71), სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 44), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 230), IX, XI, XIII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. ეპოგ. 1964: 18, 49; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 18, 68, 122, 125; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106, 199, 418; 1970: 180; 1977: 386, 732; ქრონიკები 1897: 440, 463, 492; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 381, 394), მიშცეკისა და კლუჩარევის კახეთის სამეფოში ელჩობის (1640-1643) მუხლობრივი აღწერილობა (მიშცეკი, კლუჩარევი 1928: 137).

მდებარეობს ყვარლის მუნიციპ-ში, ალაზნის ველის დასაწყისში, სოფ. ახალსოფლის ტერიტორიაზე (ჭილაშვილი 1975: 5).

წყაროებში იხსენიება IX ს-იდან (ქც 1: 254,5). X ს-ში კონსტანტინე აფხაზთა მეფე ად კვირიკე ქორეპისკოპოსი შემოადგენენ ვეყინის ციხეს. ადარნასე პატრიკი იძულებული იყო კონსტანტინესათვის დაეთმო გაგაზნი (ქც 1: 264,13.). 1392 წ. გაგაზი მოხსენიებულია საკათალიკოსო მამულების გუჯარში (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 180). 1678 წ. ერეკლე I-ს შეუწირავს ალავერდისათვის გაგაზში მცხოვრები ერთი ყმა. ლეკების თარეშმა გაგაზის მოსახლეობა ძლიერ შეაწუხა, რის გამოც ისინი გადასახლდნენ ალაზნის პირას. 1643 წ. რუსეთის ელჩი თავადი მიშცეკი აღნიშნავდა, რომ გაგაზში მხოლოდ 10 კომლი იყო (მიშცეკი, კლუჩარევი 1928: 197). აქ ხშირად უხდებოდა ერეკლე II-ს ლეკთა რაზმებთან შეტემა (ორბელიანი 1981: 230). XIX ს-ის შუა ხანებიდან კვლავ იწყო აღორძინება ძველმა გაგაზმა. ეკლესიის წარწერა გვამცნობს, რომ ძველი სოფლის გაშენება და ტაძრის განახლება მომხდარა 1850 წ. მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის ადიუტანტ ივანე გიორგის ძე ამილახერის მიერ (ჭილაშვილი 1975: 9). გადმოსახლებულებს სახლების ასაშენებლად ეძლეოდათ შეღავათები და დახმარება, რასაც გაგაუწყებს 1852 წ. საბუთი (ჭილაშვილი 1975: 9, 10). 1969-1972 წწ. ძველი გაგაზის ტერიტორია შეისწავლა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ზ. ჭილაშვილი). ძეგლი შუა საუკუნეებისაა. შემთხვევითი მონაპოვრების მიხედვით იქ გვიანნი ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის დასახლებებიც ივარაუდება.


ექსპედიციამ შეისწავლა რამდენიმე უბანი: კოპალე, ნაბაზრალი, სამაროვანი, დარბაზოვანი, სამების უბანი (ნაქარვასლარი, სამების ეკლესია, სამეთუნეო ქუჩა). კოპალე წარმოადგენს სამიწათმოქმედო უბანს, სარწყავი სისტემით, დროებითი სადგომებით, საწახლებით. ის ერთ-ერთი ვრცელი უბანია და მდებარეობს სოფლის განაპირას. იქ არსებული სამლოცველო წმინდა გიორგის სახელობისაა. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, იქ დასახლება ყოფილა ჯერ ბრინჯაოს ხანაში. ამ უბანზე გამოვლენილია სარწყავი არხი, რომლის გვერდები რიყის მსხვილი ქვებითაა ნაგები. მასზე გადასასვლელი ბოგირები ყოფილა მოწყობილი. აღნიშნული უბანი დაყოფილია დიდ-პატარა ეზოებად, რომლებიც ქვებით ნაგები ყორე-ღობებით ყოფილა შემოფარგლული. გვეგმარეს სწორკუთხოვანია. ეზოები ერთმანეთს უკავშირდება ქუჩებით (ჭილაშვილი 1975: 15). ეს დროებითი სადგომებია. შეიძლება ეს ადგილი მამულედა იყო. საცხოვრებელი კი სხვაგან მდებარეობდა. არქეოლოგიური მასალიდან აღსანიშნავია XII-XIII სს-ის სადა და მოჭიქული ჭურჭლის ნატყებები, ლურსმნები, წალდი და სხვ. აქვე გამოვლენილია ოთხი საწნახელი. ერთი ორგანყოფილებიანია. მეორე, მცირე ზომისა მიდგმულია ეკლესია-სამლოცველოზე. საწნახლები ნაგებია რიყის დიდი ქვებით და შელესილია. გათხრებისას გამოვლენილი მასალა, სადა

და მოჭიქული კერამიკა ძირითადად X-XIV სს-ით თარიღდება (ჭილაშვილი 1975: 20-35).

ნაბაზრალი მდებარეობს ავანისწყლის მარჯვენა მხარეს და ვრცელდება 2-3 კმ-ზე. აღნიშნულ უბანზე მოპოვებული კერამიკა თარიღდება X-XIV სს-ით. ნაბაზრალის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ქვა ასომთავრული წარწერით, რომელშიც მოხსენიებულია ეკლესიის აღმშენებელი ქტიტორი და კალათოზი. თარიღდება 1025 წლით (ბარნაველი 1962: 116, 117; ჭილაშვილი 1975: 37). მიწისზედა ძეგლებიდან შემორჩენილია მცირე საყდარი და თუმის ციხე ავანისწყლის მარჯვენა მხარეს. ციხე მასიურია, უსაძირკვლო, ერთსათავსიანი. ნაგებია ქვით კირხსნარზე (5,8X4,4მ). გარედან კუთხეები მომრგვალებულია, 2 სართული შემორჩენილია 5 მ სიმაღლეზე. კარის სიგანე 0,7 მ. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში ნიშებია. ნაბაზრალის ტერიტორიაზე აკრეფილი არქეოლოგიური მასალა X-XIV სს-ით თარიღდება (ჭილაშვილი 1975: 36-43).



გაგაზის ტაძარი



გეგმა

სამაროვანი (ძველი გაგაზის ეკლესიის უბანი) მდებარეობს ეკლესიის მიდამოებში. ეკლესია განეკუთვნება VI ს-ის ახლო ხანებს. ძეგლი გვერდით ტეტრაკონქია. ცენტრალურ გუმბათქვეშა კვადრატს ყოველი მხრიდან ებმის აფსიდა კონქით. ოთხივე აფსიდა ნალისებურია. გარედან მათ ნახევარწრიული ფორმა ჰქონია. ეკლესია მრავალგზის გადაკეთებულია (ჩუბინაშვილი 1959: 214-220). ეკლესიის ირგვლივ გაიხზარა 35 კოლექტიური ქვის სამარხი. დაკრძალვა ქრისტიანულია. სამარხული ინვენტარი წარმოდგენილია თიხის, მინისა და ლითონის ნაწარმით. თიხიდან აღსანიშნავია სამტუჩაპირიანი ხელადა, ჩაიდინისებური ჭურჭელი და მოჭიქული ჯამის ორი ნატყე. მინის ნაწარმიდან გვხვდება ორი ვიწროფლანგიანი ჭურჭელი, მიივები და სამაჯურები. მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია სამაჯურები: სადაზღაპირიანი ბრტყელი და მრგვალფანივკეთიანი ღეროთი; ღეროდაგრებილები სხვადასხვა ფორმისაა. ლითონის ნაწარმიდან აღსანიშნავია რკინისა და სპილენძის სამაჯურები. საყურეები დაზიანებულია. ორი ვერცხლის საყურე ბურცოვებითაა შემკული. სამაროვანზე რკინის, სპილენძისა და ვერცხლის 7 ბეჭედი მოპოვებული. იქვეა გამოვლენილი სპილენძისა და ვერცხლის ბურთულა საკიდები, ბრინჯაოს ჯვარი ჯვარცმის გამოსახულებით. მიივები გიშრის, სარლიონის, ამეთვისტოსი და ფაიანსისაა. აქვეა ფაიან-

სის ორი მედალიონი. სამაროვანი თარიღდება XI-XIII სს-ით (ჭილაშვილი 1975: 43-74).

დარბაზოვანი მდებარეობს კოპალეს ჩრდილოეთით, 1 კმ-ის დაშორებით, მდ. ავანისწყლისა და ქვაწერას შესართავში, მაღალ კონცხზე სტრატეგიულ ადგილზე. შედგება თავდაცვითი, საერო და საეკლესიო ნაგებობებისგან. აქედან გზა გადიოდა დაღესტნისაკენ. აქვეა, სავარაუდოდ, საირიგაციო არხის სათავი ნაგებობაც. დარბაზოვანი განლაგებულია კლდოვან ქედზე. ჩრდილო-დასავლეთ განაპირა კუთხეში სამსართულიანი ციხე-სასახლეა აგებული, რომელიც საეკლესიო კომპლექსის მოვალეობასაც ასრულებდა. ზღუდე ნაშენია დიდრონი ქვებით. მაღლა ეკლესია და ციხე-სასახლეა აგებული. ეკლესია დაზიანებულია. შემორჩენილია ძირითადი ნაწილი და სამხრეთის თაღები. შესასვლელი დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. საკურთხეველი მიშენებულია კედლითან. სამლოცველო სამი საფეხურიტაა გამოყოფილი. კანკელი ქვითაა ნაგები. შემორჩენილია ფრესკების კვალი და ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები. სავარაუდოა, ეკლესია ადრე შუა საუკუნეების ბოლო ხანებს ეკუთვნოდა. სამსართულიანი ციხე-კოშკი რიყის დიდრონი ქვებით კირხსნარზეა ნაშენი. დარბაზიანის კომპლექსი კეტავდა ხეობიდან გამოსასვლელს და წარმოადგენდა გავაზის ფორპოსტს (ჭილაშვილი 1975: 80).

სამეგრისუანთი გავაზის განაპირას იყო, კოპალესა და ნაბაზრალისგან 3-4 კმ-ის დაშორებით. მდებარეობს დღევანდელი ახალსოფლის (გავაზის) განაპირას ყვარულ-ლაგოდეხის გზატკეცილის მარცხენა მხარეს. სამება კომპლექსური ძეგლია, რომელშიც თავმოყრილია ქარვასლა – დიდი შენობა, ეკლესია და სამეთესო ქუჩა.

სამეგრის უბნის ცენტრალური ნაწილი შემადგენელი ადგილია, სადაც ოთხკუთხა ნაგებობა – ერთფენიანი ძეგლია, ნაშენი რიყის ქვით კირხსნარზე. კედლის სიგანე 1,9 მ. საერთო ფართობი 27,6X27,8 მ. აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლების ცენტრში კონტრაფორტებია. სამხრეთის კედელში 1,9 მ სიგანის ღიობია.

სამეგრის ეკლესია ნაგებია რიყის ქვით კირხსნარზე (13,5X7,4 მ). დასავლეთის და სამხრეთის კედლებში 1,2 მ სიგანის კარია. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია საფეხურით. დასავლეთის მხრიდან ეკვრის სამეურნეო ნაგებობების ნანგრევები (ჭილაშვილი 1975: 86, 87).

ქურა ნაქარვასლარიდან 40-50 მ დაშორებით, ფლატის პირასაა მიკვლეული. ის სანახევროდ დანგრეულია. გვემით წრიულია. შემორჩენილი ზედა ნაწილი ხერგლებითაა დაფარული. ქურა ორგანყოფილებიანი უნდა ყოფილიყო. მახლობლად მოპოვებული მასალის მიხედვით, ის განკუთვნილი ყოფილა დიდი ზომის ჭურჭლის გამოსაწვავად. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით.

გავაზის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდის ნივთები: ბრინჯაოს ე. წ. „აღმოსავლურ-ქართული“ ცულები, ჯაჭვი, თიხის

ჭურჭელი. თანამედროვე სასაფლაოზე ჩნდება ანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი ნივთები და სხვ. არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 71; ბარნაველი 1962: 116, 117; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 377, 381, 394; მიშეცკი, კლუჩარევი 1928: 137; მასალები საქ. ისტ. ვეფ. 1964: 49; ორბელიანი 1981: 230; სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 50, 149; ქც 1: 254,5; 264,13; ქც 2: 444,6; ქც 4: 133,26; 545, სქ. 2; 558,11; 618,23; 625,7; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 18, 68, 122, 125; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106, 199, 418; 1970: 180; 1977: 386, 732; ქრონიკები 1897: 440, 463, 492; ჩხეიძე 1913: 44; ჩუბინაშვილი 1959: 215; ჭილაშვილი 1971: 96-102; 1974: 109-137; 1975.

ბანჯის-პარი (ქც 4: 334,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 334,19; 336,10; 440,14; 442,7), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 175,2), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 146), XVIII ს-ის ისტორიული საბუთი (საქ. სიძვ. 1909: 523), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 85).

მდებარეობს თბილისში, ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან (ბერძენიშვილი 1966: 5, 37).

განჯის კარი იყო თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კარი. აქ მთავრდებოდა სამხრეთიდან მომავალი სავაჭრო გზა, რომელიც თბილისს აკავშირებდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ამ ადგილას ქალაქის კარის არსებობაზე მიუთითებს ბაღის შესასვლელთან, წაკვისის წყალში მდებარე ძველი ხიდის დედაკვამით ნაგები ბურჯების ნაშთი (ბერძენიშვილი 1977: 76). ჟამთააღმწერლის ცნობით 1225 წ. ჯალალედინის შემოსევის დროს განძის კართან (განჯის კართან) მოუკლავთ თბილისის დაცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი მემნა ბოცის ძე (ქც 2: 175,2). ვახუშტი ბაგრატიონი სალალოის ხევის კარს უწოდებდა განჯის კარს (ქც 4: 334,19). როსტომ მეფეს (1632-1658) განჯის კართან აუგია მეჩეთი (ქც 4: 336,10). მისივე ბრძანებით ციხის მაღალი გოდლიდან განჯის კარის მხარეს გადმოუგდიათ ქაიხოსრო ბართაშვილი (ქც 4: 440,14). ასევე განჯის კარის კოშკიდან გადმოუგდიათ ევდემოზ კათოლიკოსი (ქც 4: 442,7).

განჯის კარი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1977: 76; ბერძენიშვილი 1966: 5, 37; გიულდენშტედტი 1962: 85; კვიციანი 1985: 23; ორბელიანი 1981: 146; საქ. სიძვ. 1909: 523; ქც 2: 175,2; ქც 4: 334,19; 336,10; 440,14; 442,7.

ბარამი-შაბანი (ქც 4: 337,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 337,11; 338,2), XVI და XVIII სს-ის ისტორიული საბუთები

(ქრონიკები 1967: 193; საქ. სიძ. 1909: 527; 1920: 106, 443; დოკ. საქ. ისტ. 1940: 208; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 496; 1970: 271, 869, 987; 1972: 265, 441, 649-651; 1974: 338, 353, 575; 1981: 89, 429, 608, 654, 655; 1985: 705), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 29), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 61, 89, 197).

მდებარეობდა თბილისში, ახლანდელი თავისუფლების მოედნის მიდამოებში, ბარათაშვილის ქუჩას, რუსთაველის პროსპექტს, ჯორჯიაშვილის ქუჩასა და მტკვარს შორის (კვირიკველია 1985: 24).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით, ზღულის გარეთ მიმდებარე ტერიტორიას ეწოდებოდა გარეთ-უბანი, სადაც ასპარეზიც ყოფილა (ქც 4: 337,11,12). გარეთუბნის ტერიტორიაზე იდგა რამდენიმე ეკლესია. მათ შორის ქაშუეთის, სამებისა და კალუბნის წმინდა გიორგის ტაძრები. ის მოიცავდა რამდენიმე მცირე უბანს: მუხრანბატონის, ორბელიანების, წყლის კარის, ცხრაპურას, ბოშის, კალუბანს, ვანქის უბანსა და სხვა (ბერიძე 1977: 53).

გარეთუბანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. მისი ტერიტორიიდან ცნობილია შემთხვევითი აღმოჩენები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საძირკველის თხრისას ნაპოვნია გვიანი ანტიკური ხანის რამდენიმე თიხის ტურტრელი (არქ. მას. კატ. 1955: 74-76). იმავე ტერიტორიაზე აღმოჩნდა განვითარებული შუა საუკუნეების თიხის მილიანი ჭრატები და მოჭიქული ჯამი (არქ. მას. კატ. 1955: 77, ქორიძე 1958: 78, 79).

გვიანი ანტიკური ხანისა საჯარო ბიბლიოთეკის საძირკველის თხრისას აღმოჩენილი თიხის ტურტრელი. კალუბანშია ნაპოვნი ძვ. წ. მიწურულის ბაქტრიული მონეტა (ლომთათიძე 1960: 162). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: არქ. მას. კატ. 1955: 74-77; ბაგრატიონი 1986: 29; ბერიძე 1977: 42-59; გიულდენშტედტი 1962: 61, 89, 197; დოკ. საქ. ისტ. 1940: 208; ზარდალიშვილი 1978: 18; კვირიკველია 1985: 24, 25; ლომთათიძე 1960: 159-174; საქ. სიძ. 1909: 527; 1920: 106, 443; ქც 4: 337,11; 338,2; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 496; 1970: 271, 869, 987; 1972: 265, 441, 649-651; 1974: 338, 353, 575; 1981: 39, 89, 429, 608, 654, 655; 1985: 705; ქორიძე 1958; ქრონიკები 1967: 193.

ბარჟა (ქც 4: 229,6) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 229,6; 331,25; 332,1-7; 529,9,სქ.3; 530,9, სქ. 1) ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 208,24; 209,20 210,11), ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარიისი (ქც 2: 122,28), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 272,19; 283,20; 287,7), XIII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ისტ. დოკ. 1958: 116, 154, 155, 157; ქართ.

სამართ. ძეგ. 1965: 42, 61, 65; 1974: 56; 1977: 718; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 150, 154; ქართლ-კახეთის ... 1903: 9, 12, 13, 19, 28, 40, 42, 45, 103, 105, 110, 198; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 64, 266-268, 270-273, 280-282, 284-288, 293, 294, 296-298, 326, 327; 1953: 185, 311; 1955: 24, 27, 31-33, 113, 141, 413, 456, 530), გაბრიელ მცირეს „ცხოვრება ონისი-ფორესი“ (ქცამ 1989: 111), სპირიდონ გრძელიშვილის „ცხოვრება და მოღვაწეობა ქრისტეფორესი“ (ქცამ 1989: 127, 128, 130), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 56), ერეკლე I-ის (1688-1703) შეწირულობის წიგნი დავით გარეჯის მონასტრისადმი (ქართულ-სპარსული ... 1984: 24), ქალბალი ბეგის შეწირულობის წიგნი უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტრისადმი (ქართულ-სპარსული ... 1984: 35), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 14), ბაგრატი ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 58).

ვახუშტი ბაგრატიონი დავით გარეჯის შესახებ გადმოგვცემს: „გარეჯის მთას არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკუთილნი, სენაკნი, ტრაპეზნი, პალატნი, ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი. ნათლისმცემელს ზის არქიმანდრიტი, ჩიჩხატურს ზის წინამძღვარი, დავით-გარეჯას არქიმანდრიტი, ბერთუბანს წინამძღვარი. არამედ ყოფილან მონასტერი მრავალნი ვიდრე მწარე-წყლამდე, და მოწყესითა სავსენი, ხოლო აწ არს ხუთი მოწყესითა მყოფი“ (ქც 4: 331,25, 332,1-7).

დავით გარეჯის მონასტერი მდებარეობს თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 60-70 კმ-ის დაშორებით, გარეჯის უდაბნოში. აქ პირველი მონასტერი დაარსდა VI ს-ის პირველ ნახევარში ერთ-ერთმა ასურელმა მამამ, დავით გარეჯელმა, თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად. მოგვიანებით დავით გარეჯი მძლავრ სამონასტრო კერად იქცა. ჩამოყალიბდა მონასტრების არაერთი კომპლექსი, რომლებიც უზარმაზარ ფართობზეა გადაჭიმული. მონასტრის ძირითადი ცენტრი - დავითის ლავრა დროთა ვითარებაში ციზარდა და მისი განშტოებები შეიქმნა ყველა მიმართულებით. ჯერ კიდევ დავითის სიცოცხლეში დაარსდა დიდოსტრის მონასტერი, შემდეგ - ნათლისმცემლის. გარეჯის მონასტრები დასავლეთიდან აღმოსავლეთით განლაგებულია შემდეგი თანამიმდევრობით: წამბული, ნათლისმცემელი, ჩიჩხატური, თეთრ-სენაკები, დიდოსტრის ლავრა, უდაბნო, ალდგომისა წამბული, ბერთუბანი, მღვიმე, ქოლაგირი, დიდი ქვაბები, ვერანგარეჯა, პირაკუდბარი, პატარა ქვაბები. თუ მონასტრებად ჩავთვლით მღვიმიდან ქოლაგირამდე ბერების სერზე განაწილებულ, ერთმანეთისაგან ერთი-ორი კმ-ით დაშორებულ ცალკეულ ჯგუფებს, რომელთა სახელები უცნობია, ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდება (თოდუა 1973: 25). თავის დროზე აქ გამოიმუშავდა სამონასტრო ცხოვრების საკუთარი წესი, გამოქვაბული სადგომების თავისი, დამახასიათებელი გადაწყვეტა, სასულიერო ლიტურატივის

საკუთარი სკოლა (დოლიძე 1964: 43, 44; ქავთარია 1965). ქრონოლოგიურად დავით-გარეჯის ფრესკები დიდი პერიოდს მოიცავს X ს-იდან ვიდრე XIV ს-მდე. მონახტულობათა კოლორიტი, ფერწერის კანონებისადმი თავისუფალი მიდგომა, სცენების თავისებური გამომსახველობა მიუთითებს დავით გარეჯის საკუთარი ფერწერული სკოლის არსებობაზე. ფრესკებმა შემოგვინახა ქტიტორთა მრავალრიცხოვანი პორტრეტები, მათ შორის, მეფეთა პორტრეტები – თამარისა და მისი ძის გიორგი-ლაშასი (ბერთუბანი), დიმიტრი თავდადებულის (უდაბნოს ეკლესია). უდაბნოსა და ნათლისმცემლის ეკლესიების მონახტულობებმა შემოგვინახა ქტიტორთა პორტრეტების მთელი გალერეა. დავით გარეჯის ფერწერულ სკოლაში განსაკუთრებულ სიმაღლეს აღწევს ბერთუბნის ტაძრისა და სატრაპეზოს მონახტულობა (ალიბეგაშვილი, ვოლსკაია 1964: 47-51).

1939 წ. გარეჯის უდაბნოში პალეონტოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა საქართველოს სახ. მუზეუმის გეოლოგიის განყოფილება (ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი, ე. გაბაშვილი, დ. წერეთელი, მ. ფოფხაძე). გათხრებისას დავით გარეჯის მონასტრის მიდამოებში, ზედა სარმატულ ნალექებში აღმოჩნდა ანთროპოიდული არსების ქვედა ყბის ფრაგმენტი. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს აღმოჩენა „უდაბნოშითეის“ სახელითაა ცნობილი (ბურჩაკ-აბრამოვიჩი, გაბაშვილი 1945: 451-464).

გარეჯის უდაბნოს ინტენსიური არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1971 წლიდან, როცა ამ მიდამოებში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განახორციელა პირველი დაზვერვითი სამუშაოები (ბუგაიანიშვილი ... 1972: 15-19). შემდგომში გარეჯის უდაბნოში გამოვლინდა არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა – ქვის ხანიდან მოყოლებული, გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით.

გარეჯის უდაბნოში სამი ქვედაპალეოლითური ძეგლია გამოვლენილი. სამივე ღია სადგომია. აშელის ხანის ადგილსამყოფელი მდებარეობს მრავალწყლის ხევის მარჯვენა დიდი შენაკადის, ჩამძვრალიხევის მარჯვენა მხარეს, მისგან 80-100 მ-ის დაშორებით. ანაკრეფ მასალაში, რომელიც თავისი პირვანდელი ადგილიდან დაცურებულია ნიაღვრების გამო, არის 1 ნუკლეუსი, 9 ანატექცი და 1 იარაღი – ხელნაჯახი. მასალა აშელის ეპოქის მეორე ნახევრით თარიღდება. მუსტიეს ეპოქის ნასადღომევი „უდაბნო I“ მდებარეობს მრავალწყლის ხევის შუა წელის ქვემო ხეობის მარჯვენა ნაპირზე, ხევიდან 50-60 მ დაშორებით, უდაბნო – რუსთავი – გარდაბნის შარაგზის მარჯვენა მხარეს. პირვანდელი ადგილიდან დაცურებული ანაკრეფი მასალა შეიცავს 6 ნუკლეუსს, 40 ანატექცსა და 5 დასრულებულ იარაღს.

მუსტიეს ეპოქის მეორე ნასადღომევი „უდაბნო II“ მდებარეობს მრავალწყლის ხევის შუა დინების ფარგლებში. შეგროვებული მასალა შედგება 4 ნუკ-



გარეჯი

ლეუსის, 27 ანატექციისა და 8 დასრულებული იარაღისაგან. განათხარი მასალით ცხადი ხდება, რომ 60-30 ათასი წლის წინ, აშელის ეპოქის მეორე და მუსტიეს ეპოქის პირველ ნახევარში უდაბნოს ტერიტორიაზე უკვე უცხოვრია ადამიანს. ჩანს, შუა და ზედა პლეისტოცენში აქ დღევანდლისაგან საგრძნობლად განსხვავებული, პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებისათვის ოპტიმალური ბუნებრივი და კლიმატური პირობები არსებობდა (ბუგაიანიშვილი 1988: 18-37).

ქვის ხანის იარაღები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა „ლაგრის“ გამოქვაბულების აღმოსავლეთითაც, ბაიდოს კალოს მთაზე.

სოფ. უდაბნოს შემოგარენში მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელი, რომელიც ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულს ამ მხარეს ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის ფარგლებში აქცევს.

უდაბნოს სარწყავი სისტემის მკვებავი არხი, მრავალწყლის ხევი რომ მოედინება, გზად გადის ყორღანულ ველზე, რომელიც 200-მდე შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამარხს მოიცავს. შუაბრინჯაოს მდიდრული ინვენტარიანი სამარხის კერამიკული და ლითონის მასალის მიხედვით ეს მხარე ბრწყინვალე თრიალეთური კულტურის ფარგლებში უნდა მოექცეს. ყველაზე მნიშვნელოვანი გარეჯის უდაბნოში ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლარებისა და სამაროვნების გამოვლენაა (ფიცხელაური 1988: 14, 15).

მრავალწყლის გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი მდებარეობს მრავალწყლის ხევის მარცხენა მხარეს, ქედის თხემზე. ნამოსახლარის სამხრეთი მხარე განიცდის ძლიერ ეროზიას. აქ ჭრილში მოჩანს ქვების წყობა და 2-3 მ სივანის ნაცრის ბუდეები, რომლებშიც თიხის ჭურჭელია შერჩენილი. კერამიკის უმეტესობა ლევა ფერისაა. ყველა ჩარხზეა ამოყვანილი.

მრავალწყლის სამაროვანი წარმოდგენილია გორასამარხებით. მდებარეობს ხეობის მარჯვენა ნაპირზე, მის გასწვრივ 200 მ სივრძეზე. ყველაზე დიდი გორასამარხის დმ-ია 15 მ, სიმაღლე – 0,75 მ. სამარხების უმეტესობა ქვაყრილიანია. სამაროვნის

ტერიტორიაზე, ხევის ფლავის მახლობლად მცირე რაოდენობით აიკრიფა შუაბრინჯაოს ხანის ჭურჭლის ფრაგმენტები. სამარონის ჩრდილოეთით, 200 მ დაშორებით, მარჯვენა მხარეს აღმოჩნდა მეორე ყორღანული ველი. მათი დმ 10-25 მ-ია, სიმაღლე – 0,5-1,5 მ. არის როგორც ქვაყრილიანი, ისე ქვაშიწყარილიანი ყორღანები.

გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი მდებარეობს ხეობის შუა წელზე, მის მარცხენა მხარეს. ნამოსახლარის სამხრეთ ნაწილში, რომელიც ინტენსიურად ირეცხება წვიმის წყლებით, მოჩანს ნაცრისა და სამშენებლო ქვების გროვები. ნასახლარის კერამიკული მასალა დამზადებულია ჩარხზე. ქვის მასალიდან თხნებისა და ობსიდიანის ანატექციების გარდა, აღსანიშნავია ობსიდიანის ქუსლამოლარული ისრისპირი, დამუშავებული მცოცავი რეტუშით.

უდაბნოს თანამედროვე დასახლების ჩრდილოეთით, 2 კმ-ის დაშორებით გვიანბრინჯაოს ხანის სამი ნამოსახლარია. ნამოსახლარი ნატახტარი სერის დასავლეთ ნაწილშია. ირგვლივ შემოსდევს თავდაცვითი თხრილი. გამაგრებული ყოფილა გალავნითაც, რომლისგან მხოლოდ ქვის საფუძველია შემორჩენილი. სამხრეთ ფერდობზე აღმოჩნდა ზღუდის გარე დასახლება. კერამიკა ლევა ან მოშავო ფერისაა. ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია რიგის ქვის წელიწადი გამოყვანილი თოხი და კაჟის ვიწრო, ნავისებური ფორმის ნამგლის ჩასართი. მეორე ნამოსახლარი გამართულია სერის შუა წელზე და მას შუაგორის ნამოსახლარი ეწოდა. ირგვლივ შემოუყვება ხელოვნური მიწაყრილი. დისყიეს ნამოსახლარი ამავე სახელწოდების მთაზეა. მისი დიდი ნაწილი თავის დროზე დაუზიანებიათ რუსეთის სამხედრო ნაწილებს. არქეოლოგიური მასალა ძირითადად შავხედაპირიანი კერამიკაა. დიფზისის ნასახლარი იმავე სახელწოდების ხევის მარჯვენა მხარეს აღმოჩნდა. ხელოვნური თხრილის გარდა, ის გამაგრებული ყოფილა ქვის ზღუდითაც. ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე დადასტურდა ზღუდის გარე დასახლება. მას დასავლეთიდან ებმის მეორე ნამოსახლარი, რომლის სიგრძე 70 მ-ს აღწევს.

შუა გორის სერის სამხრეთითა და დისყიეს დასავლეთით, ველზე მრავალი სხვადასხვა ზომის გორასამარხი დასტურდება. შუა გორის ჩრდილოეთით ერთ-ერთი შირალი ხევის მარცხენა ნაპირზე აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის უსახელო ნამოსახლარი. მის სამხრეთ ფერდზე, მცირე მონაკვეთზე, კარგად ჩანს ქვის კედელი. ნამოსახლარი თავის დროზე ძლიერ დაუზიანებიათ რუსეთის სამხედრო ნაწილებს. მას ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება ტაფობი, რომელზეც მრავლად შეინიშნება გორასამარხები. მათი რაოდენობა რამდენიმე ათეულს აღწევს (ვარაზაშვილი 1988: 38-47).

შავი მიწის ველის გორასამარხები მდებარეობს მტკვრის ხეობაში, მის მარცხენა ნაპირზე, უდაბნოს მთების ძირში. 1982-1984 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლოგიური

ექსპედიციის (ხელმძღვ. კვიციხელაური) უდაბნოს რაზმმა შეისწავლა 18 ქვა და ქვაშიწყარილიანი გორასამარხი. არქეოლოგიური მასალა ძირითადად წარმოდგენილია კერამიკული ნაწარმითა და ბრინჯაოს სატყვერით. გორასამარხები თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით (ყვავაძე 1988: 53-60). ნაომარი გორა მდებარეობს მლაშე ტბის მხარეში, სოფ. მალხაზიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ის მოზრდილი მთაა, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიემართება. თხემი დაახლოებით 800 მ სიგრძეზეა მოსწორებული. მის აღმოსავლეთ ნაწილში 2 მ სიგანის ქვის ზღუდის ნაშთები შეინიშნება. შენობათა ნაშთები მოჩანს თხემის აღმწორებულ ადგილზე. თხემის დასავლეთ შემაღლებულ ნაწილს სამი ზღუდე იცავდა. პირველი შიდა ზღუდის კუთხეები კომკებით ყოფილა გამაგრებული. დასახლების ეს ნაწილი დასავლეთიდან კიდევ სამი ღრმა თხრილითა და მიწაყრილით ყოფილა დაცული. ციტადელის გარეთ ქვით ნაგები შენობების ნაშთები შეიმჩნევა. ნასახლარზე ადამიანს უცხოვრია ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ძვ. წ. VII-VI სს-მდე (ფიცხელაური 1988: 16).

ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების შემდეგ უდაბნოში ადამიანის ცხოვრების კვალი ქრება და მხოლოდ ადრე შუა საუკუნეებში ჩნდება აქ სამონასტრო კომპლექსები.

გარეჯის უდაბნოს ტერიტორიაზე ჩატარებული გეოლოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ არქეოლოგიურად გამოვლენილი მეტად თავისებური, არაბუნებრივი ფორმისა და შედგენილობის მთვინები, წითელი ფერის „ნაცრიანი“ ზედაპირებით, წარმოადგენენ მეტალურგიული სახელოსნოების ნაშთებს. ამგვარი ნაშთები გვხვდება: მრავალწყლის, ჩამძვრალის, ნაცვალწყლის, ალანდრისა და სხვა ხევებში. სიდიდითა და მასშტაბურობით გამოირჩევა: ნაცვალწყლის, ნათლისმცემლისა და შავი მთის სახელოსნოების ნაშთები. ყველა ამ სახელოსნოს სიახლოვეში, 500-600 მ-ის დაშორებით დასტურდება რკინის მადანამოვლინება (მგელაშვილი 1988: 156-163).

1974-1976 წწ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპელიტიკის ლაბორატორიის ექსპედიცია (ხელმძღვ. გ. ვაფრინდაშვილი, ბ. მჭედლიშვილი) არქეოლოგიურ დაზვერვებს აწარმოებდა გარეჯის კომპლექსში შემავალ „ქვაბებში“ (VI-XIII სს). სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს სილნალის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო ბობდიდან სამხრეთით, 25 კმ მანძილზე, ივრის მარცხენა მხარეს. აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე გაჭიმულია 3 კმ სიგრძის მთა. ქედის სამხრეთ კლდოვან ქარაფზე, დაახლოებით 700 მ სიგრძეზე სხვადასხვა სიმაღლეზე, ექვს იარუსად გამოკვეთილია სამონასტრო კომპლექსი. შემორჩენილ ქვაბთა რაოდენობა 80-ს აღწევს. „ქვაბების“ ტერიტორიაზე მიგნებულია ოთხი სამაროვანი. III სამაროვნის შესწავლისას გამოირკვა, რომ რამდენიმე სამარხის გარდა, ყველა მრავალჯერაა გამოყენებული. სამარხული ინ-

ვენტარი ძალზე მწირია – რამდენიმე მივი. ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ითანე ციმისის სპილენძის მონეტა, რომელიც მიმოქცევაში იყო X ს-ის ბოლოდან XI ს-ის დასაწყისამდე. სამაროვნიდან მომდინარეობს შემთხვევით აღმოჩენილი სპილენძის ბეჭდები. სამაროვნების გარდა იქ გამოვლინდა რამდენიმე ნასახლარი, რომლებიც კლდიდან ჩამოშლილი მიწითა და ლოდებითაა დაფარული. ერთ-ერთ ნაგებობის გაწმენისას გამოვლინდა სამი თაღოვანი ნიში. კედლები მთლიანად ცეცხლისაგან იყო გაწითლებული. ფლატეების სიღრმეში ფიქსირდება ნიაღვრებისაგან გაწმენილი ქვევრი, რომელშიც აღმოჩნდა: ქოთანის, ღოქის, საღვლებლის, მოჭიქული სამარილისა და ჯამის ნატეხები. ერთ-ერთ სათავსოში აღმოჩნდა კედლის გასწვრივ მოწყობილი, თიხით და რიყის ქვით ნაშენი ნალისებური მოყვანილობის სამი ქურა. მათ წინ, იატაკში ჩადგმული იყო ხელსაფეკვის ნატეხი. ბაქანზე, რომელზეც ქურებია გამართული, ეყარა ან ეწყო ქოთნები, ლულიანი ჭრატები, ქვაბქოთნის ნატეხები. სათავსოებში იატაკებზე თითქმის ყველგან შეინიშნება დამწვარ-დანახშირებული ფენები. კომპლექსში ზედაპირულად თუ გათხრებით გამოვლენილი ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების ნივთებიდან აღსანიშნავია მოჭიქული ჯამები, რომელთა შორის გვხვდება: ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული, ნალღებობით შემკული და სხვა სახის ნიმუშები. 60 ერთეულამდეა მინის სხვადასხვა ფორმისა და ფერის – ლურჯი სამკუთხავანივკვითიანი, სადა და გრებილი მრგვალგანივკვითიანი, ბრტყელგანივკვითიანი ინკრუსტირებული სამაჯურები. აღმოჩენილია მინის ჭურჭლების, მათ შორის, გრავირებული ორნამენტით შემკული ნიმუშები. VI-VII სს-ს მიეკუთვნება ლურჯი მინის სასანური გემა. მრავალფეროვანია ლითონის ნაწარმი. გვხვდება თვალბუდიანი სპილენძის ბეჭდები, ვერცხლის მედალიონი ერთ მხარეს ჯვრის, მეორე მხარეს კი ძალზე სქემატური, გაურკვეველი გამოსახულებით; ბრინჯაოს ჭურჭელითი საკიდი, რომელიც საგარაუდოდ VII-IX სს-ის არაბული ფელსი უნდა იყოს. საინტერესოა ბრინჯაოს სამაჯურები, რომელთაგან ბრტყელგანივკვითიანი შემკული რელიეფური ან ნაკაწრი ორნამენტით, სხვები – გრებილი ან გრების იმიტაციით შემკული სამაჯურები. ბრინჯაოს თვალბუდიანი ბეჭდების რკალი სამკუთხავანივკვითიანი. ცისფერი მინის თვალის მხოლოდ ერთს ჰქონდა შემორჩენილი. საყურები ბრინჯაოსია. ზოგიერთი მათგანი სამაჯურიდანაა გაკეთებული. საინტერესოა ფარშევანგის გამოსახულებიანი ბრინჯაოს ფირფიტა. აპზინდა მხოლოდ ერთია. ქვის ნივთებიდან ყურადღებას იქცევს 5 სმ სიმაღლის სამეღენე (მჭედლიშვილი 1977: 157-162; 1978: 114-122).

იერისპირა ქვაბუბში არქეოლოგიური სამუშაოები გავრძელდა 2005 წელსაც. შეისწავლეს ცენტრალურ-გუმბათოვანი და დარბაზული ტიპის IX-X სს-ის ეკლესია. გაითხარა 11 სამოსახლო,

სადაც გამოვლინდა IX-XI სს-ის საკმაოდ მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა. საინტერესოა არტეფაქტების თანხვედრა წერილობითი წყაროების მონაცემებთან, რომელთა მიხედვით XI ს-ის ბოლოს იერისპირები თურქ-სელჩუკებმა ააოხრეს (ჯავახიშვილი 1983: 160-163). გამოქვაბული კომპლექსი, როგორც სამონასტრო ორგანიზაცია, მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული კლდოვანი მასივის ქვემოთ, მის უშუალო სიახლოვეს არსებულ ნამოსახლარებთან. ქვაბების სახით საქმე გვაქვს საეკლესიო სენიორიის ისეთ ტიპთან, როდესაც სასულიერო კერის გარშემო გაერთიანებულია კომპაქტური დასახლებები თავიანთი სამრეწველო-სახელოსნო კერებით (თვალჭრელიძე, სხირტლაძე 2010: 107).

1980-1981 და 1983-1987 წწ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპეცესტიკის ლაბორატორიის ექსპედიციამ განაზოცეულა მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები ნათლისმცემლის მონასტერში. წყაროების ცნობით კომპლექსი დავითის მოწაფე ლეკიანემ ააშენა (ქქაძე 1963: 239). ის რთული გეგმიურ-კომპოზიციური არქიტექტურული ანსამბლია, რომელშიც გამოირჩევა არდული, განვითარებული და გვიანდელი შუა საუკუნეების კლდის ძეგლები და მიწისზედა ნაგებობები, მათი დამაკავშირებელი გვირაბები და ღია ტიპის გასასვლელები. ივექტურადაა გადაჭრილი წყალმომარაგების საკიხი (თვალჭრელიძე 1988: 12, 13). ფენების შესწავლისა და სტრატეგრაფიის გარკვევის მიზნით მონასტრის ტერიტორიაზე დაიღო რამდენიმე საცდელი თხრილი. მონასტრის ცენტრალურ და დასავლეთ სექტორებში გამოვლინდა ახალი მონასტრო სტრუქტურები: ეკლესია-სამლოცველოები, სენაკები, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო სათავსები, წყალმომარაგებისა და თავდაცვითი სისტემები, სამაროვანი. მონასტრის აღმოსავლეთ ნაწილში, 3-4 მ სიმაღლის მიწის ფენით დაფარულია მთლიანი იარუსი თავისი ქვაბ-ეკლესიებით, სენაკებითა და სახელოებით. მონასტრის აღმოსავლეთი ნაწილი უნდა იყოს არქიტექტურული ანსამბლის ფორმირების პირველი საფეხური (თვალჭრელიძე 2003: 42, 43). არქეოლოგიური მასალა ძირითადად წარმოდგენილია IX-XIII და XVII-XIX სს-ის არტეფაქტებით. მათ შორის არის მოჭიქული ჭურჭლების თითქმის ყველა სახეობა, თხელკედლიანი „ფერმკრალი“ თიხის ჭურჭლის მაღალმზატვრული ნიმუშები, თამარ მეფის მონეტა, ფაიანსისა და მინის ჭურჭელი, როგორც ქართული, ისე იმპორტული; სამშენებლო კერამიკა, ლითონის ნივთები, სამკაული და სხვა (თვალჭრელიძე 1988: 21). 2001 წ. ნათლისმცემლის მონასტრის ე. წ. „შიდა ეზოში“, სატრაპეზოს სამხრეთ-დასვლეთ კუთხესთან გაიწმინდა კირხსნარით შეღესილი წყლის დიდი რეზერვუარი. სხვა ნივთებთან ერთად მასში აღმოჩნდა სპილენძის ორი თევზი, ბრინჯაოს შანდლის ძირი, სპილენძის ლამპრის გარსაკრავი და რკინის მაკრატელი.

ერთ თევზზე წარწერა: „ქ: თუმანი: შვილი: ქსენ-ფოსესია“. თარიღდება XVII-XVIII სს-ით. ბრინჯაოს შანდლის ძირის ბაკოზე წარწერა: „ქ. მეფე თეიმურაზ“. გარეობზე მეორე წარწერა: „ქ. ნარმანთ: ოსეფესია“. პირველ წარწერაში კახეთის მეფე თეიმურაზ II-ა (1733-1762) მოხსენიებული. ჩანს, მას გარეჯის მონასტრისათვის შეუწირავს ეს შანდალი. მეორე წარწერა შანდლის მკეთებელ ოსტატს უნდა ჰკუთვნებოდა. 1913 წ. გარეჯის მონასტერში მოგზაურობისას ექ. თაყაიშვილს დიდი რაოდენობით უნახავს მონასტრისათვის შეწირული გვიანდელი შუა საუკუნეების სპალენძისა და ვერცხლის სხვადასხვა სახის ნივთები. წყლის რეზერვუარში აღმოჩენილი ლითონის ნივთებიც ამ რიგის არტეფაქტების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს (თვალჭრელიძე, სხირტლაძე 2004: 87-92).

იმავე ექსპედიციამ მცირე მასშტაბის გაწმენდით სამუშაოები ჩაატარა დავითის ლავრაში (ფერისცვალების ეკლესიაში გაიხსნა წმ. დავითის განსასვენებელი), საბურეგების, წამებულისა და უდაბნოს მონასტრებში (თვალჭრელიძე, სხირტლაძე 2010: 96).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1972ა; ალიბევაშვილი, ვოლსკაია 1964: 47-51; ბაგრატიონი 1983: 56; ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 58; ბაგრატიონი დავით 1941: 14; ბახტაძე 1989: 83-88; ბახტაძე, თვალჭრელიძე 2003-2004: 157-165; ბუგაიანიშვილი 1972: 456; 1979: 60-86; 1988: 18-37; ბუგაიანიშვილი ... 1972: 15-19; ბურჩაკ-აბრამიშვილი, გაბაშვილი 1945: 451-464; გაფრინდაშვილი 1977: 3-12; 1987; დოლიძე 1964: 42-46; ვარაზაშვილი 1988: 38-47; ვოლსკაია 1988: 130-155; თვალჭრელიძე 1988: 12-21; 2002: 27-48; 2003: 42-46; თვალჭრელიძე, სხირტლაძე 2004: 87-94; 2010: 96-117; თოღუა 1973: 17-30; ისტ. დოკ. 1958: 116, 154, 155, 157; კერატოშვილი 1971: 68-78; კლიაშვილი, სხირტლაძე 1999; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 64, 266-268, 270-273, 280-282, 284-288, 293, 294, 296-298, 326, 327; 1953: 185, 311; 1955: 24, 27, 31-33, 113, 141, 413, 456, 530; მგელიაშვილი 1988: 156-163; მჭედლიშვილი 1977: 157-170; 1978: 114-123; სხირტლაძე 1983ა; 1987ბ; ფიცხელაური 1988: 14-17; 1990: 15-17; ქავთარია 1965; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 150, 154; ქართლ-კახეთის ... 1903: 9, 12, 13, 19, 28, 40, 42, 45, 103, 105, 110, 198; ქც 1: 208,24; 209,20; 210,11; ქც 4: 229,6; 331,25; 332,1-7; 529, სქ. 3; 530,2; 530,9; 530, სქ. 1; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 42, 61, 65; 1974: 56; 1977: 718; ქართულ-სპარსული ... 1984: 24, 35; ქეპულაძე, თვალჭრელიძე 2003-2004: 127-137; ყვავაძე 1988: 53-60; ჩუბინაშვილი 1948ბ; ძქაძე 1963: 239; ძქაძე 1989: 111, 127, 128, 130; ჯავახიშვილი 1983: 160-163.

ბარისი (ქც 4: 405,19,23; ქც 2:365,27; 508,17; 509,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:405,19,23), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 365,27; 508,17; 509,8), XVII-XVIII სს-ის ქართული ისტორიული საბუთე-

ბი (მასალანი საქ. სტატ. 1907: 52, 115, 117, 118, 121; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 59; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 620; 1972: 100, 101), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 50), ისქანდერ მუნშის „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია“ (მუნში 1969: 22).

მღებარეობს თეთრიწყაროს რაიონული ცენტრის ტერიტორიაზე.

1556 წ. გარისთან გაიმართა ბრძოლა ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის (1527-1556) ჯარსა და ყიზილ-ბაშთა შორის. საბრძოლო მოქმედებებს მეფის ვაჟი სვიმონი ხელმძღვანელობდა. გაქცეული მტრის ერთი რაზმი შემთხვევით გადააწყდა ლუარსაბის ამაღლას, რომელიც ბრძოლის ველს აღევნება თავალს. შეტაკებისას ლუარსაბი მოკლეს.

გარისის ტერიტორიაზე (დღევანდელი თეთრიწყარო) 1956 და 1968 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება წარმოებდა ე. წ. გარისის გორის სამაროვანზე (ა. ბოხჩაძე, კ. კვიციანიძე).

თეთრიწყაროს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ი. გმელიაშვილი), სტადიონის ტერიტორიაზე (გარისის გორა) მიაკვლია მშენებლების მიერ დაზიანებულ 3 ქვის სამარხს. იქვე ერთი ქვევრსამარხიც გათხარა (ბოხჩაძე 1963: 37). 1968 წ. კ.კვიციანიძემ იქვე შეისწავლა 16 ქვის სამარხი და 16 ქვევრსამარხი. ქვევრსამარხების ინვენტარიღარბულია – მსხლისებურტანაიანი ხელაღები (ერთი წითლად მოხატულია), ჯამ-ფიალები, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები (თოლორდავა 1980: 46, ბოხჩაძე 1963: 37, კვიციანიძე 1975: 13, 74). №23 სამარხში აღმოჩნდა ოქროს სასაფეთქლე რგოლები, რის საფუძველზეც ს. მარლიშვილი ამ სამარხს დაწინაურებულ ფენას მიაკუთვნებდა (მარლიშვილი 1992: 41, 99). სამაროვანი თარიღდებოდა ძვ. წ. VI-IV სს-ით (ბოხჩაძე 1963: 37, კვიციანიძე 1975: 13). ვ. თოლორდავამ ქვევრსამარხები ძვ. წ. IV ს-ით დაათარიღა (თოლორდავა 1980: 46).

თეთრიწყაროს ცენტრში იდგა 1721 წ. აგებული ეკლესია. ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში X ს-ის ეკლესიის ნანგრევებია. მის გარემო შემორჩენილია ძველი საფლავის ქვები. ჩუქურთმიანი ქვები და რელიეფები გამოყენებულია მის გვერდით მდგარ, XIX ს-ის რუსული ეკლესიის ასაშენებლად (ციციშვილი 1979: 15).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 50; ბოხჩაძე 1963: 37; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 59; თოლორდავა 1980: 46; კვიციანიძე 1975: 13, 74; ლორთქიფანიძე 1935: 295; მასალანი საქ. სტატ. 1907: 52, 115, 117, 118, 121; მუნში 1969: 22; მარლიშვილი 1992: 41, 99; ლომთათიძე 1983; ქც 4: 405,19,23; ქც 2: 365,27; 508,17; 509,8; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 620; 1972, 100, 101; ციციშვილი 1979: 15.

ბარკლოზის ციხე (ქც 4: 144,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 144,8), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 292,6).

ლოკალიზდება ისტორიული შავშეთის ტერიტორიაზე. მდებარეობს მდ. შავშეთისწყლის სათავესთან. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

XI ს-ის 20-იანი წლების ბოლოს მეფე ბაგრატ IV-ს (1027-1072) განუდგა შავშელი აზნაური, რომელმაც გარყობის ციხე ბერძნებს გადასცა (ქც 1: 292,6). ეს ნაგებობა იცავდა შიდა ქართლიდან სამხრეთ საქართველოში მიმავალ ერთ-ერთ გზას (ბერძენიშვილი 1966: 92)

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1966: 92; ქც 1:292,6; ქც 4: 144,8.

გაჩიანო, ქალაქი (ქც 1: 8,23; 9,2; 27,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 8,23; 9,2; 27,19), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 58,21; 310,25; 311,1). „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1: 332,2), უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ (უხტანესი 1975: 14, 25, 67, 89).

ვახუშტი ბაგრატიონი გაჩიანის შესახებ გადმოგვცემს: ტალავრის „ხევის ბოლოს ჭაპალა და ციხე მისი (ამას სწერენ გაჩიანად), არამედ ჭაპალის ჩდილოთ, ქციის კბოლეზედ, არს არქევანი. ამას ეწოდა ქაოზიანი, სადაცა არს დიდ-დიდნი ნაშენენი. ესევე არს გაჩიანი“ (ქც 4:310,24,25; 311,1,2). გაჩიანის ზუსტი ლოკალიზაცია არ ხერხდება (ბერძენიშვილი 1979: 28). ის მტკვრის პირას ყოფილა, სადაც სომხეთს, ბარდავსა და ივრის პირს შუა. არც ვახუშტი ბაგრატიონს სცოდნია მისი მდებარეობა (ჯავახიშვილი 1983: 31, 32). გაჩიანის არაერთ სახელად ცურტავს მიიჩნევენ, რომელიც „ურაც დაშტზე“ (ქართველთა ველზე) მდებარეობდა (უხტანესი 1975: 67). ქალაქ გაჩიანის ნანგრევებს დღევანდელ სოფ. არუხლოსთან, ძველ ნახიდურთან აიკვივებდნენ (მელიქსეთ-ბეგი 1934: 41-43). სხვა მოსაზრებით, მდ. მასპურას მარჯვენა ნაპირზე მდგარი ციხე უნდა იყოს ცურტავ-გაჩიანის ციხე (ბერძენიშვილი 1964: 25,26).

გაჩიანი პირველად იხსენიება ლეონტი მროველთან (ქც 1: 8,23). ქალაქი აღაშენა გაჩიოსმა (ქც 1: 9,2). ფარნავაზ მეფის (ძვ. წ. IV-III სს) საზამთრო სადგომი იყო გაჩიანი (ქც 1: 25,18). საურმაგ მეფემ (ძვ. წ. III ს) მირიანს მიცა ქალაქი გაჩიანი (ქც 1: 27,19; ქც 4: 58,21). თურქებს საზამთრო სადგომად ჰქონდათ გაჩიანის მიდამოები (ქც 1: 332,2).

დღეისათვის გაჩიანის სახელწოდებით თბილის-რუსთავის სარკინიგზო ხაზზე არის სადგური.


ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1964: 25, 26; 1979: 28; მელიქსეთ-ბეგი 1934: 41-43; უხტანესი 1975: 8, 9, 25, 67, 89; ქც 1: 8,23; 9,2, 27,19; 332,2; ქც 4:58,21; 310,25; 311,1; ჯავახიშვილი 1983: 31, 32.

გაგუთი, ციხე-დარბაზი (ქც 4: 159,12; 161,27; 169,8; 189,19; 261,1; 284,13; 761,1; 840,9,11; 872,15; 875,22; 876,5; 884,18; 886,1; 892,17). იხსენიება

შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 159,12; 161,27; 169,8; 189,19; 261,1; 284,13; 761,1; 840,9,11; 872,15; 875,22; 876,5; 884,18; 886,1; 892,17), „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1: 338,16; 344,10), „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“ (ქც 2: 16,13; 49,13; 22,7; 50,2; 99,18; 101,6; 111,2), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 487; 1967: 172; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 435; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 52; კაკაბაძე 1967: 335; ისტ. დოკ. 1959: 61), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 117, 150, 175, 177), ალექსი იეგლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა (იეგლევი 1969: 167), საქართველოს 1772 წ. რუკა, შედგენილი იოჰან გიულდენშტედტის მიერ (გამრეკელი 1964: 33).



გეგმა



რეკონსტრუქცია

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „სად ერთვის რიონს ყვირილა, მის ჩდილოთ და რიონის დასავლით არს გეგუთი, სადგური ზამთარს მეფეთა. აქა არს მზგავსი შენებული მეჩიტისა, მრავალ-პალატოვანი, დიდნი და მცირენი, თლილი ქვისა: უწოდებენ ციხე-დარბაზს“ (ქც 4: 761,1).

მდებარეობს ქ. ქუთაისის სამხრეთით, 7 კმ-ზე, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს, დღევანდელ სოფ. გეგუთთან. კ. კეკელიძემ გეგუთი გააიკვივა ლაზიკური პერიოდის მუხურისთან (კეკელიძე 1961: 29).

ფიქრობენ, რომ აქჯერ კიდევ ლაზიკის სამეფოს არსებობის დროს სამეფო ნაგებობები იყო, რომლებიც შემდგომ მტერს დაუნგრევია (არჯევანიძე 1959: 92). 1123 წ. დავით აღმაშენებელი გეგუთში იხვეწებდა. ის იმთავითვე სამეფო დომენში შედიოდა. 1165-1166 წწ. გიორგი III (1156-1184) ლაშქრობიდან გეგუთში ჩავიდა, სადაც შესაძლოა ძირითადი სამეფო რეზიდენცია ჰქონდა. გიორგი III-ის შვილი თამარი, როგორც ჩანს, გეგუთს ერთ-ერთ სამეფო სანადირო-დასასვენებელ ციხე-დარბაზად იყენებდა. გეგუთის ციხე-დარბაზს შემდგომი მეფეებიც მოიხმარდნენ ერთ-ერთ რეზიდენციად. როგორც ჩანს, ციხე-დარბაზი საბოლოოდ XIX ს-ში დაინგრა (არჯევანიძე 1959: 93).



გეგუთის ციხე-დარბაზი

არქეოლოგიურად გეგუთი მცირედ შეისწავლა 1937 წ. ვ. წილოსანმა. მან აქ ძირითადად არქიტექტურული აზომვები აწარმოვა. 1953-1956 წწ. აქ სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა (ხელმძღვ. ცინცაძე). გეგუთში 1976 წ. გათხრებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ვარდციხის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ვ. ჯავახიძე) (ჯავახიძე ... 1979: 79-81). 1984-1985 წწ. არქეოლოგიური დაზვერვა ჩატარა იმავე ექსპედიციის სადაზვერვო რაზმმა (ხელმძღვ. ლიჩელი) ციხე-დარბაზის სამხრეთით ჩატარდა მცირე გათხრები (ლიჩელი 1987: 61-62). მასალა ინახება ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

გეგუთის ციხე-დარბაზი შუა საუკუნეების ძეგლია. აქვე ელინისტური ხანის არქეოლოგიური ფენებიც აღმოჩნდა. ციხე-დარბაზის სამხრეთით ადგილ „ვაშნარში“ გაითხარა ძვ. წ. II ს-ის ძეგლებიანი და ბათქაშაინი 15 სმ სისქის გადამწვარი ფენა. აქ არქეოლოგიური მასალიდან დადასტურდა ადგილობრივი ქვევრების, ამფორების, ქოთნების, ჯამებისა და სხვ. ფრაგმენტები. ამ ნაგებობის ნაშთების აღმოსავლეთით გაითხარა ძვ. წ. III-II სს-ის ორმოსამარხი, რომელიც მიცვალებული მარჯვენა მხარეს კიდურებმოხრილი ესვენა. მას ჩატანებული ჰქონდა – მოყავისფროდ გამომწვარი ღოქი, კველის სტილიზებულითავებიანი ბრინჯაოს სამაჯური და მინის მძივები (ლიჩელი 1987: 62).

ციხე-დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთით ადგილ „რკინის ჯვარში“ გაითხარა შუა საუკუნეების კოშკისა და თავდაცვითი კედლის (სიგანე 80 სმ) ნაშთები. კედელი რიყის ქვითა და აგურით (27X27X6 სმ) არის ნაგები. კედელთან, ფენაში შუა საუკუნეების ჭურჭლის, ლარიანი და ბრტყელი კრამიტის ნატყნები დადასტურდა (ჯავახიძე ... 1979: 81). როგორც ჩანს, აქ ციხე-დარბაზის თავდაცვითი სისტემა იყო.

გეგუთის ციხე-დარბაზი დაახ. 2000 კვ მ ფართობზეა გადაჭიმული. ზოგადად გამოირჩევა რამდენიმე სამშენებლო ფენა – VIII-IX, XII და XIII-XIV სს-ის. ნაგებობებს ეტყობათ შეკეთება-გადაკეთების კვალი. ციხე-დარბაზის ცენტრალური ნაგებობა

14 მ დიამეტრიანი გუმბათით გადახურული კვადრატული დარბაზია, რომლის შიდა სივრცე 196 კვ მ-ია. გუმბათს ზემოდან გასანათებელი ღიობი ჰქონდა. ამ დარბაზის გარშემო განლაგებული იყო სხვადასხვა ზომის ოთახები, რომლებიც კამარულად იყო გადახურული. სასახლის ჩრდილო-დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით მრგვალი კოშკებია. კედლების მაქსიმალური სისქე 1,80 მ, ხოლო მინიმალური – 0, 80 მ-ია. მათში ზოგან ჩაწყობილია ხის ძეგლები. მშენებლობისათვის გამოყენებულია მოწითალოდ გამომწვარი აგური (ძირითადად 27X27X6 სმ). ცოკოლი აშენებულია თლილი ქვით, ხოლო შემდეგ ნაგებია აგურით. მობირკეთებისათვის ზოგან გამოყენებულია მარმარილოც. გადახურვის თაღი შესრულებულია აგურით და ზემოდან დულადი და კრამიტის წყობა აქვს (წილოსანი 1938: 458-467).

ბიბლიოგრაფია: არჯევანიძე 1959: 92, 93; ბარნაველი 1959: 113; ბერიძე 1974: 165; ბერძენიშვილი 1964: 311-313; 1966: 85; ბერძენიშვილი 1975: 447; გამრეკელი 1964: 33; დადიანი 1962: 144; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 435; იველიძე 1969: 167; ისტ. დოკ. 1959: 61; კაკაბაძე 1967: 335; კეკელიძე 1961: 29; ლიჩელი 1987: 61-62; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 52; ქრონიკები 1897: 487; 1967: 172; ქც 1: 338,16 ; 344,10; ქც 2:16,13 ; 49,13; 50,2; 111,2; ქც 4:159,12; 161,27; 169,8; 189,19; 261,1; 284,13; 761,1; 840,9,11; 872,15; 875,22; 876,5; 884,18; 886,1; 892,17; ჩაკვატაძე 1958; ცინცაძე 1955ა: 9-11; ციციშვილი 1955: 71, 72; წილოსანი 1938: 451-467; ჯავახიძე ... 1979: 79-81.

გელსამანია, ვეტსამანია, მონასტერი (ქც 4: 379, 22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 379,22), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 321; 1953: 279; ისტ. დოკ. 1958: 73), იოანე ბაგრატიონის „ქართლკახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1964: 303).

ვახუშტი ბაგრატიონი ვეტსამანიის შესახებ გადმოგვცემს: „ვერტყვილის ხევს ზეთი ერთვის ძირულას ბუჩინევის-ხევი. აქა არს, სამხრით, მონასტერი ვეტსამანია, გუმბათიანი, კეთილშენი, საწინამძღოლო“ (ქც 4: 379,20-23).

მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპ-ში, ძირულას ხეობაში, ხეფინის ხევში, მდ. უხედურას მარჯვენა ნაპირას, თანამედროვე სოფ. გელსამანიის ტერიტორიაზე (ბერაძე 1976-1977: 34).

წყაროებში პირველად იხსენიება XVIII ს-ის პირველ ნახევარში. ითვლებოდა მეფის სახასო და გივი ამილახორის სასარდლო სოფლად, რომელიც შემდეგ აბაშიძისთვის უბოძებიათ, მაგრამ მალე უკანვე დაუბრუნებიათ ამილახორისთვის (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 321). XVIII ს-ის მეორე ნახევარში სოფ. ვეტსამანია ეკლესიითურთ მირიან ბატონიშვილს ეკუთვნოდა (ბაგრატიონი 1986: 44). ვეტსამანიის

საყდარი წარმოადგენდა ხეფინისხევის საეკლესიო ცენტრს (ბერაძე 1976-1977: 34, 35). ვეთსამანია წყაროებში ზოგჯერ „გესამანიის“ სახელით იხსენიება (ბაგრატიონი 1986: 44).

ვეთსამანია არქეოლოგიურად შეუსწავლელია. აგურითა და ტუფის ქვათილებით ნაგები საყდარი დარბაზულია. ეკლესია XIX ს-ში გადაუკეთებულია. ძველი ეკლესია უფრო დიდი ყოფილა. მისი საძირკველი ახალი ეკლესიის გეგმაში ვერ ეტყევა და გარეთ გამოდის. ნაგებობას შემოუყვება ქვის გალავანი (ბერაძე 1976-1977: 35).

ვეთსამანიის ჩრდილოეთით, ხევისჯვარში მდებარეობდა წმინდა გიორგის ეკლესია, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. XIX ს-ში იქ აუცილებლად ახალი ეკლესია. ხევის-ჯვრიდან 1 კმ დაშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით დგას ნებიერთის წმინდა თევდორეს დარბაზული ეკლესია, ნალისებური აფსიდითა და თაღოვანი გადახურვით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. რიკოთის უღელტეხილის ჩრდილო-დასავლეთით, 100 მ დაშორებით შემორჩენილია დარბაზული ტიპის „ქუცუშის წმინდა გიორგის“ ეკლესია, რომლის აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი სამხრეთიდანაა (ბერაძე 1976-1977: 34).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 44; ბაქრაძე 1875: 40; ბერაძე 1976-1977: 34-41; გოულდენშტედტი 1964: 303; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 321; 1953: 279; ისტ. დოკ. 1958: 73; ქც 4: 379,22.

გელათი (ქც 1: 331,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1:329,20 ; 330,19; 331,3; „ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი“ (ქც 2: 113,7), პასილი ეზოსმოდღრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქც 2: 146,11), ლაშა-გიორგის დროინდელი მემატანე (ქც 1 :367,5,31 ; 369, 23; 371, 20) ჟამთააღმწერელი (ქც 2: 167,20; 207,6), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 350,8, 9; 360,3; 487,1, 4; 423,1,2; 498,1, 2), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 199,26; 248,10; 261,3; 245,24; 586,26; 753,12,17, სქ. 2; 754,11,13,15; 803,11; 807,25; 809,28; 810,11,27, სქ. 1; 813,21; 814,29; 845,11; 876,23), XVI-XVIII სს-ის კინკლოსის ფრაგმენტის მინაწერი და კინკლოსური ქრონიკა, XVII ს-ის „გელათის გულანი“, „შემოქმედის გულანი“, „ჟამგულანი“ (მცირე ქრონიკები 1968: 35, 37, 68, 71, 74, 75), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 100, 117, 146, 149, 155, 156, 164, 179), ტოლოჩანოვის „იმერეთში ელჩობის მუხლობრები აღწერილობა“ (ტოლოჩანოვი 1970: 80, 152), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 137, 141, 143, 145, 147, 187, 297, 325), ჟაკ ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 133, 164, 166, 168, 183, 184, 186, 188), ალექსანდრე დიუმას „კავკასია“ (დიუმა 1964: 412-415).

ვახუშტი ბაგრატიონი გელათის შესახებ გადმოგვცემს: „წყალწითელას აღმოსავლით, გორის კალთას, არს ეკლესია, ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა, დიდშუენიერი, დიდნაგები და ქნული შიგნით სოფის კენჭითა, გუმბათიანი, კეთილშუენიერს ადგილსა. აღაშენა აღმაშენებელმან დავით მეფემან და უწოლა სასუფეველს გენათი, აწ უწოდებენ გელათს (ქც 4: 753,12, 17).

მდებარეობს ქ. ქუთაისიდან 11 კმ-ის დაშორებით, მდ. წყალწითელას მარცხენა ნაპირზე.

XII-XIV სს-ში გელათი უდიდესი სამონასტრო და საგანმანათლებლო ცენტრი იყო. 1106 წ. დავით აღმაშენებლის თაოსნობით დაარსდა მონასტერი და აკადემია. მონასტერი სამეფო სახლის საკუთრებად და მეფეთა საძვალედ ითვლებოდა. იქ აღკრძალულია: დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, გიორგი III, და სხვ. იმერეთის მეფეები – ბაგრატ III, გიორგი II, გიორგი III, გიორგი VI, ალექსანდრე V, სოლომონ I და სხვ.

XII-XIII სს-ში ერთ-ერთი მდიდარი ფეოდალური სენიორია იყო. XII-XV სს-ში მინიჭებული ჰქონდა სრული ავტონომია. XIV ს-ის მეორე ნახევარსა და XV ს-ში ქვეყნის დაქვინების გამო გელათის ეკონომიკურ-კულტურული განვითარება შეფერხდა. მისი ძველი მდგომარეობა დროებით გიორგი ბრწყინვალის დროს აღდგა. XV ს-ის მეორე ნახევრის შემდეგ დასავლეთ საქართველოს მეფეების ხელში გადავიდა. 1510 წ. 23 ნოემბერს ის გადაწვეს ოსმალებმა. იმერეთის მეფეებმა ბაგრატ III-მ და გიორგი II-მ მონასტერი განაახლეს. XVI ს-ის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია ბიჭვინტიდან გელათში გადმოიტანეს (ლომინაძე 1955: 24). XVII ს-ის მეორე ნახევარში გელათი დაქვეითებულია. XVIII ს-ში ისევ განახლდა. 1822 წ. გელათის საეპისკოპოსო გაუქმდა და იმერეთის საეპისკოპოსოს შეუერთდა.

გელათის ცენტრში მდებარეობს ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის ღვთისმშობლის ტაძარი. ჯვრის ტოტები სწორკუთხაა. გუმბათი ოთხ საყრდენზეა. ტაძრისთვის სხვადასხვა დროს მიუშენებიათ: დასავლეთ მხარეს – სტოა, სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს ეკვდრები. ტაძრის ფართობია 35X36 მ, სიმაღლე – 34 მ. მოპირკეთებულია თლილი ქვით; ფასადები დამუშავებულია დეკორატიული თაღდებით. ტაძარი შენდებოდა 1106-1126 წლებში.

ტაძრის კედელ-კამარები დაფარულია ფრესკებით. ჩრდილოეთი კედლის ქვედა რეგისტრში გამოსახულნი არიან ისტორიული პირები. მარჯვნიდან მარცხნივ პირველი დავით აღმაშენებელია. ფრესკას ახლავს ქართული ასომთავრული წარწერა: „დიდი მეფეთა შორის წარჩინებული, აღმაშენებელი, საუკუნოდ არს ხსენება დავით მეფისაი, ამინ“ (ლომინაძე 1955: 30). დავითის გვერდით გამოსახულია დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი ევდემონი წარწერით: „აფხაზეთისა კათალიკოზი ევდემონ“. მის გვერდით წარმოდგენილია იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565) წარწერით:

„მეფეთ მეფე ბაგრატ“.
მის შემდეგ ბაგრატის
მეუღლე ელენე, წარწე-
რით: „დედოფალთა დე-
დოფალი ელენე“. მეთ-
ხე პირია იმერეთის მეფე
გიორგი ბაგრატის ძე
(1565-1583) წარწერით:
„მეფეთ მეფე გიორგი“.
გვერდით მისი პირველი
მეუღლე რუსუდანი: „დე-



გელათი

დოფალთა დედოფალი რუსუდან“. გიორგისა და
რუსუდანს შორის გამოსახულია ბავშვი: „ძე მათი
ბაგრატ“. მხატვრობა და წარწერები შესრულე-
ბულია XVI ს-ში. მეორე და შემდეგ რეგისტრებში
მოცემულია რელიგიური კომპოზიციები და პირები.
ტაძრის საკურთხეველის აფსიდის კონქი შემკულია
მოზაიკით. კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია
ღვთისმშობელი ყრმა იესო ქრისტეთი ხელში, აქეთ-
იქით მთავარანგელოზები – გაბრიელი და მიქაე-
ლი. მათ საკოსი და ლორონი აცვიათ, ცალ ხელში
სფერო უჭირავთ, მეორეში – ლაბარუმი. ფიგურები
გამოსახულია ოქროსფერ ფონზე. ღვთისმშობელს
ჯვრებით დამშვენებული მუქი ლურჯი მაფორიუ-
მი აცვია. სახის კონტური მწვანე კენჭებით არის
შემოწვობილი. წარბებისა და ცხვირის ჩრდილები
ნუშის ფერია. ყრმას ოქროს ქიტიონი აცვია. საკოსი
მწვანე ფერისაა, ლორონი ფერადი ქვებით მორთუ-
ლი. გაბრიელ მთავარანგელოზის ტანსაცმელი შე-
დარებით ერთფეროვანია. მოზაიკის მივლი ფონი
შესრულებულია სმალტისა და კირქვის ოთხკუთხა
კენჭებით. მოზაიკა 1125-1130 წწ. თარიღდება
(ამირანაშვილი 1944: 188-190).

ტაძრის აღმოსავლეთით დგას წმინდა გიორგის
ეკლესია, ჯვარ-გუმბათოვანი ტიპისა. მოპირკეთე-
ბულია თლილი ქვით. აგებულია XIII ს-ში (მე-
ფისაშვილი 1966: 33).

კედლები მოხატულია. სამხრეთ კედელზე გამოსა-
ხულნი არიან ისტორიული პირები: კათოლიკოსი
ეველმონ ჩხეტიძე, იმერეთის მეფე ბაგრატე და მისი
მეუღლე. წარწერები არ შემონახულა. ჩრდილოეთ-
ის კედელზე გამოსახულია მეფე გიორგი ბაგრატის
ძე, მისი მეუღლე თამარი და მათი ძე ალექსანდრე.
გუმბათის თაღის შუბლზე წარწერაა: „ქრისტე
ადიდე სულითა მეფეთ მეფე ბაგრატ და დედოფალთ
დედოფალი ელენე ... რამეთუ ესე არს რომელი მთ-
ნავს ამას დავემკვიდრე“. მხატვრობა და წარწერები
XVI ს-ით თარიღდება.

ტაძრიდან 9 მ-ზე დგას წმინდა ნიკოლოზის ეკლე-
სია. ორსართულიანი, გვეგით სწორკუთხა. ქვედა
სართული ოთხივე მხარეს თაღებითაა გახსნილი,
მეორე სართული კი ჯვარისებური ფორმისაა. აგე-
ბულია XIII-XIV სს-ში.

მთავარი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით აღმარ-
თულია სამსართულიანი სამრეკლო. პირველი სარ-
თული თაღიანი ღია ნაგებობაა, მეორე – პატარა
ოთახია, მესამე – წრიული ფორმის ღია ნაგებობაა,

რომელიც გადახურულია გუმბათით. ნაგებია XIII
ს-ში.

მონასტრის სამხრეთ-დასავლეთის კონცხზე წმინდა
საბას X-XI სს-ის დარბაზული ეკლესიაა. მისგან
ნანგრევებიაა შემორჩენილი. მასობლად წმინ-
და ილიას ეკლესიაა.

წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთით მდე-
ბარეობს დიდი დარბაზის ნანგრევები, რომელიც
აკადემიის შენობააა მიჩნეული. დარბაზის სიგრძეა
– 25,36 მ, სიგანე – 10,36 მ, კედლის სიმაღლე – 10 მ.
საერო სტილისაა. დარბაზი სწორკუთხა ფორმისაა.
შუაში დგას ქვის მაგიდა, ხოლო კედლების გასწვრივ
გრძელი ერთიანი ქვის საჯდომები. აღმოსავლეთით
სამი შესასვლელი ჰქონდა. კედლები მოხატული ყო-
ფილა. შენობას თალიანი სახურავი ედგა. აგებულია
XII ს-ში (ყაუხჩიშვილი 1948: 35).

სამონასტრო კომპლექსი შემოზღუდულია ქვის
მაღალი გალავნით. მას სამხრეთითა და აღმოსავ-
ლეთით ჭიშკრები აქვს. გალავნის სამხრეთით, მთა-
ვარ შესასვლელში დავით აღმაშენებლის სამარხია.
გალავნის გარეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთით 150
მ-ზე ე. წ. სოხასტერის ნაგებობათა კომპლექსი მდე-
ბარეობს. ნანგრევებიაა შემორჩენილი. სოხას-
ტერის მიდამოში ვარაუდობენ დავით აღმაშენე-
ლის მიერ აშენებულ ქსენონს (ლომინაძე 1955: 59).

ბიბლიოგრაფია: ამირანაშვილი 1944: 188-190;
გამბა 1987: 133, 164, 166, 168, 183, 184, 186, 188;
გიულდენშტედტი 1962: 137, 141, 143, 145, 147, 187,
297, 325; დალიანი 1962: 100, 117, 146, 149, 155, 156,
164, 179; დიუმა 1964: 412-415; ლომინაძე 1958; მე-
ფისაშვილი 1966; მცირე ქრონიკები 1968: 35, 37, 68,
71, 74, 75; ტოლოჩანოვი 1970: 80, 152; ქც 1: 331,1;
367,5; 369,23; 371,20; ქც 2: 113,7; 146,11; 167,20;
207,6; 350,8,9; 360,3; 487,1,4; 493,1,2; 498,1,2; ქც 4:
199,26; 248,10; 261,3; 245,24; 686,26; 753,12,17, სქ.
2; 754,11,13,15; 803,11; 807,25; 809,28; 810,11,27,
სქ. 1; 813,21; 814,29; 845,11; 876,23; ყაუხჩიშვილი
1948ა.

გმრგმტი, სოფელი, მონასტერი (ქც 4: 357,22). იხ-
სენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი
ბაგრატიონის „დღწერა სამეფოსა საქართველოსა“
(ქც 4: 357,22), „გერგეტის სულთა მატანე“ (გერ-
გეტის ... 1954: 272,1-4), XIV, XVIII სს-ის ისტო-
რიული საბუთები (ქრონიკები 1897: 196; 1967: 141;
მასალანი საქ. სტატ. 1907: 407; მასალები საქ. ეკ-
ისტ. 1955: 65), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კა-
ხეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 36), იოჰან გი-
ულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“
(გიულდენშტედტი 1964: 63).

ვახუშტი ბაგრატიონი გერგეტის შესახებ გადმოგ-
ვცემს: „სტეფანწმიდის დასავლეთ არს გერგეთი,
არაგუს იქით კიდესა. ზეით ამისსა არს, მცინვარის
კალთასა ზედა, მონასტერი სამებისა, გუმბათიანი,
მცხეთის სამკაულის სახიზრად“ (ქც 4: 357,21-25).
მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპ-ში, მდ. თერგის
მარცხენა ნაპირზე, მცინვარწვერის კალთაზე,



გერგეტი

დღევანდელი სოფ. გერგეტის ტერიტორიაზე.

სოფელი გერგეტი წმიდა სამების ეკლესიითა და გერგეტაულის ციხით მცხეთის საეკლესიო მამულებს ეკუთვნოდა (ქრონიკები 1897: 196). XIV ს-ის

მიწურულისათვის მეფე ბაგრატ V-ს (1360-1393) გერგეტელი საყდრისშვილებისათვის განუახლებია ძველი სიგელი, რომლის მიხედვითაც მათი სისხლი ხევის სხვა მოსახლეობასთან შედარებით, უფრო ძვირად ფასობდა (მაკალათია 1934: 228; გერგეტის ... 1954: 248). 1493 წ. საბუთით მიღლი ხევი გერგეტელ საყდრისშვილებს მძევლებს გადასცემდა (გერგეტის ... 1954: 272,1-4). გერგეტის სამების ტაძარს ხშირად სწირავდნენ სოფლებსა და სახნავ-სათეს მიწებს (გერგეტის ... 1954: 267,7,8, 273,14, 286,5-7). გერგეტელ საყდრისშვილთა პრივილეგიები კიდევ უფრო გაიზარდა XVIII ს-ის 30-იანი წლებიდან. ისინი სალაშქრო ვალდებულებებისგანაც თავისუფლდებოდნენ გარდა იმ შემთხვევისა, თუ მტერი უშუალოდ თრუსოსა და ხევის ტერიტორიაზე შეიჭრებოდა (ქრონიკები 1967: 141).

1972 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. რამიშვილი) შეისწავლა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე წმინდა გიორგის დარბაზული ტიპის ეკლესია (4,5X2,7 მ) და მისი მიმდებარე ფართობი. ეკლესია ნაგებია დიდრონი დამუშავებული ქვიშაქვის კვადრებით, წყობა მშრალია. საკუთონველი სწორაფსიდიანია, შესასვლელი აქვს დასავლეთიდან. სამხრეთ კედელში, ამოქოლილი თავდაპირველი შესასვლელი კარის სათაურ ქვაზე ამოკვეთილია ჯვარი ორად თავგახსნილი ძლავებით. ეკლესიას სამხრეთიდან აქვს მინაშენი, რომლის გათხრებისას აღმოჩნდა: თიხის ქოთნების, ჯამის, ჭრაქისა და სხვ. ჭურჭლის ნატყნები. იქვე გამოვლინდა ფიქალის ფილებით შედგენილი, აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი სამი უინვენტრო ქვის სამარხი. №1-ში აღმოჩნდა ოთხი მცირეწლოვანი მიცვალებულის ცუდად შენახული ძვლები. №2 სამარხში დაკრძალული იყო ექვსი მცირეწლოვანი მიცვალებული, №3-ში – სამი. ჩონჩხები აქვც ცუდად იყო შემონახული. ეკლესიის დასავლეთით, 9,3 მ-ის დაშორებით გაითხარა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი უინვენტარო აკლამა (3,2X2 მ), რომელიც ნაშენია ქვიშაქვის დიდი ქვებითა და ფიქალის ფილებით. წყობა მშრალია. გადახურულია ფიქალის ფილებით. დასავლეთ ნაწილში მოწყობილია ოთხკუთხა ჩასასვლელი. აკლამაში სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდა 14 თავის ქალა.

საკუთრივ სოფლის ტერიტორიაზე გაითხარა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი, წაგრძელებული ოთხკუთხედის გეგმის (2,08X1,1 მ)

აკლამა, რომელიც ნაგებია ქვიშაქვის ქვებითა და ფიქალის ფილებით, წყობა მშრალია. აკლამა 1965 წ. მოუკვლევიათ ადგილობრივ მცხოვრებლებს. მათი გადმოცემით სამარხში ადამიანის ჩონჩხების, ტანსაცმლის ნაშთები და იარაღი ყოფილა (რამიშვილი ... 1973: 76).

გერგეტის დასავლეთით, შემალღებულ კლდეზე დგას წმიდა სამების გუმბათიანი ტაძარი. აგებულია ანდეზიტის გათლილი კვადრებით. ვარედან მოჩუქურთმებულია. შესასვლელი დასავლეთიდანაა. ძველი შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია. ნახე-ვარწრიული აფსიდა იატაკიდან ორი საფეხურიითაა აწეული. კანკელი გვიანდელია. სამკვეთლოსა და სადიკვოს აქვს მცირე ზომის სარკმლები. ტაძრის მეთრე იარუსზე ასასვლელი სადიაკვნოს ჩრდილოეთ ნაწილშია. ტაძარზე სამხრეთიდან მიშენებულია თემის უხუცესთა საათბირო, „საბჭო“. ტაძრის მოხატულობა დღეისათვის აღარაა შემორჩენილი. ნაგებობა თარიღდება XIV ს-ის პირველი ნახევრით. გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ორსართულიანი სამრეკლო გუმბათითაა დავვირგვინებული.

ტაძრის აფსიდაზე 14-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა: „მოსახსენებლნი სახელითა ღმრთისა (სულკურთხეულის) ფარსადანისსა ძმასა გრიგოლსა, მამასა მისსა ზახორას შეუნდვენსა ღმრთიან, გერაი ყ ... ი კრიაა“. კანკელი XX ს-ის 30-იანი წლებისათვის შემორჩენილი ყოფილა დაზიანებული ფრესკული წარწერა, რომელიც დღეისათვის მთლიანად გადაშლილია (მაკალათია 1934: 222; სანიკიძე 1975: 81). სამრეკლოზე 8-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა: „იავუნდის ძესა, (რომელმან) სამრეკლონი აღაშენნა წმიდისა სამებისისა ეკლესიისა, შეუნდვენ ღმრთიან, გალავტოზსა გრიგოლს შეუნდვენ ღმრთიან“. სამრეკლოს მეთრე ასომთავრული წარწერიდან აზრის გამოტანა შეუძლებელია: „... წმიდის სამებისათა“ (სანიკიძე 1975: 78, 79).

სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით, ორ მთას შუა ამოზიდულ კლდეზე მდებარეობს გვიანდელი შუა საუკუნეების ზურგიანი კოშკი. ნაშენია ქვიშაქვის ქვებითა და ფიქალის ფილებით ღულაზე. ქვების ჰორიზონტალურ რიგებს შორის დატანებულია წნული ლასტები. კოშკის კედლები კლდის უსწორმასწორო რელიეფზე მიუყვება და სხვადასხვა სიმაღლისაა. მაქსიმალური სიმაღლე 11 მ, მინიმალური – 7 მ. კოშკის შიდა ფართობია 3,8X2,1მ. კედლების სისქე 1 მ-ს აღწევს (ზაქარაია 1962: 69).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 36; ბაქრაძე 1975: 127, 128; ბერიძე 1974: 169; გერგეტის ... 1954: 248, 267,7,8, 272,1-4, 273,14, 286,5-7; გიულდენშტედტი 1964: 63; დოლიძე, შერლოინგი 1956: 68; ზაქარაია 1962: 69; 1981: 173-200; ითონიშვილი 1971: 110; მაკალათია 1934: 222-228; მასლანი საქ. სტატ. 1907: 407; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 65; რამიშვილი ... 1973: 76; სანიკიძე 1965: 25-31; 1967: 242-266; 1975; ქც 4: 357,22; ქრონიკები 1897: 196; 1967: 141.

გვასტიბა (ქვ 4: 773,24; 775,4,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 773,24; 775,4,5), მერაბ წულუკიძის შეწირულობის წიგნი (დას. საქ. საბ. 1921: 83), ტოლოჩანოვის „იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა“ (ტოლოჩანოვი 1970: 152), ალექსი იევლევის „1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა“ (იევლევი 1969: 86, 166), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 147, 149, 307, 309). მდებარეობს ხონის მუნიციპ., მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ახლანდელი სოფ. გვასტიბეს ტერიტორიაზე.

გვასტიბე სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა სახელით იხსენიება: გვასტიბე (ქვ 4: 775,4), გაშტაბი (ტოლოჩანოვი 1970: 152), გვიშტიბი (გიულდენშტედტი 1962: 147, 149).

გვასტიბეს ციხე ერთხანს სოლომონ II-ს (1789-1810) ეკავა. ციხე ლორთქიფანიძეების გვარის კუთვნილი იყო (გიულდენშტედტი 1962: 147, 149).

გვასტიბე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ციხე აშენებულია მაღალ, ციცაბო კირქვიან ნაპირზე. ნაგებია ფლეთილი და რიყის ქვით. გვერდით მართკუთხაა. მისგან მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი.

ბიბლიოგრაფია: *გიულდენშტედტი 1962: 147, 149; დას. საქ. საბ. 1921: 83; იევლევი 1969: 86, 166; ტოლოჩანოვი 1970: 152; ქვ 4: 773,24; 775,4,5.*

გველეთი, დაბა (ქვ 4:358,6,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 358,6,7), ჟამთააღმწერელი (ქვ 2: 305,9; 309,13,16), „ძველი ერისთავთა“ (ძე 1954: 347,13-16), „გერგეტის სულთა მატანიე“ (გერგეტის ... 1954: 272,1-5), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 63), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1964: 63).

ვახუშტი ბაგრატიონი გველეთის შესახებ გადმოგვცემს: „გერგეტს ქვეით, ჩდილოთკენ, დასავლეთიდან ერთვის ხევი გელათისა, ძუელად ესრეთ წოდებული დაბისა ამის სახელი, ხოლო აწ უწოდებენ გველეთს. ამ გველეთს ქუეთი ერთვის არაგუსევი ხევი, სამხრ-აღმოსავლეთიდან ... გარდავალს ამ ხევიდან გზა ძურბუკსა და ქისტეთს“ (ქვ 4: 358,6-9). მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპ., მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, ყაზბეგიდან ჩრდილოეთით, 9 კმ-ის დაშორებით, დარიალის ხეობაში, სოფ. გველეთის ტერიტორიაზე.

1297 წ. მონღოლების წინააღმდეგ აჯანყებული მეფე დავით VIII (1292-1311) ციკარაში გამაგრდა. მონღოლებს მეფე გველეთის ციხეში ჰკონებიათ და ხევი გადასულან. სტეფანწმიდაში ისინი დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ და უკან გამობრუნებულან (ქვ 2: 305,8-14). მონღოლებს გველეთზე


შემდგომაც უღაშქრათ და ამჯერად გარკვეული წარმატებისათვის მიულწევით (ძე 1954: 347,13-16). „გერგეტის სულთა მატანიის“ XV ს-ის საბუთში დასახელებულია გველეთიდან გერგეტის სამეზისათვის მისაცემი მძევლები, ვინმე „... ანი და ხარსილა“ (გერგეტის ... 1954: 272,1-5).

1882 წ. გველეთის მიდამოებში გათხრები ჩატარებია გ.ხატისოვს. მას აღმოეჩინა გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ნივთები: მულზამბარანი საკინძები, სამაჯურები, მძივები და სხვ. მასალა ინახება ერმიტაჟში (წითლანაძე 1976: 8).

1991 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აღმოსავლეთ საქართველოს მითანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. რ. რამიშვილი) ციხის ჩრდილოეთით, დაახ. 1 კმ-ის დაშორებით, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე შეისწავლა ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი 16 ქვის სამარხი, რომელთა გასამართავად გამოყენებულია ფიქალისა და ქვიშაქვის ფილები. გადახურულია ასეთივე ფილებით. ზოგიერთი სამარხის (№№1, 4, 6, 7) ძირი ფიქალითაა მოგებული. სამარხები ინდივიდუალური და საოჯახოა. მიცვალებულები დაკრძალულია ქრისტიანული წესით (№№1, 10, 11, 15). ზოგიერთ სამარხში (№№4, 13) მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშოტილი, ქვედა კიდურები გადაჯვარდინებული ჰქონდა მუხლის არეში. დანარჩენ სამარხებში ძვლები ცუდად იყო შემონახული. საოჯახო სამარხებში ადრე დაკრძალული მიცვალებულების ძვლები ერთ ნაწილშია მიხვეტილი.

სამარხეული ინვენტარის უმრავლესობა სამკაულები და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებია: ბრინჯაოს, რკინისა და ვერცხლის მშვილდსაკინძები, აბზინდები, ბალთები, ქამრები, ფარაკიანი და გემიანი ბეჭდები, ბრინჯაოს გრეხილი და ქედშესქელებული სამაჯურები, საკინძები, ბრინჯაოსა და ვერცხლის საყურეები, ბრინჯაოს დიადემები, საკიდები, მქვეკვი, სარკე და სხვ. სამარხებში გამოვლინდა (804 ც) მინის, მინისებური პასტის, სარდონის, ქარვის, მთის ბროლის, გიშრის, ქალცელონის სხვადასხვა ფორმისა და ზომის მძივები. საბრძოლო იარაღიდან გვხვდება რკინის 3 შუბისპირი. თიხის ჭურჭელი წარმოდგენილია მოჩაღისფროდ, წითლად ან შავად გამომწვარი ხელაღებითა და სასმისით.


მრავალრიცხოვანი ინვენტარით გამოირჩევა განათხარი ფართობის სამხრეთ ნაწილში მდებარე №13 სამარხი. მცირეწლოვანი მიცვალებული ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. ქვედა კიდურები გადაჯვარდინებული ჰქონდა მუხლის არეში. სამარხის სახურავზე აღმოჩნდა მოჩაღისფროდ გამომწვარი მრგვალპირიანი, მაღალყელიანი ხელაღა. სამარხში გამოვლინდა: რკინის 3 დანა; ბუდეშთლიანი, მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძი; 2 ჭვინტიანი, მუხლსახსრიანი მშვილდსაკინძი; ბრინჯაოს საკიდი მხედრის სტილიზებული გამოსახულებით; თვალბუდიანი ბეჭედი მინისე-



არტეფაქტები ნეკროპოლიდან

ბური პასტის თვლით; 3 ეყვანი, 2 ზარაკი, აბზინდა; ვერცხლის საყურე; ბეჭედი გრანატის გემით, რომელზეც მცენარის რტოა გამოსახული; ვერცხლის სასანური მონეტა კავადისა (488-531), მოჭრილი ხორასანში 529 წელს; თიხის შავად გამომწვარი ფართობირიანი, ბიკონუსურტანიანი სასმისი, შემკული რელიეფური და ამოკაწრული ორნამენტით; მოჩაღისფროდ გამომწვარი სამტუჩა ხელადა; ბრინჯაოს ოვალურიძირიანი ფიალა; სხვადასხვა ფორმისა და ზომის სარდიონის, ქარვის, გიშრის, მინისა და მინისებური პასტის მძივები (192 ც), მათ შორის 4 ინკუსტირებულია. სამარხი თარიღდება VI ს-ის დასასრულითა და VII ს-ის პირველი ნახევრით. სამარონის თარიღია VI ს-ის დასასრული – VIII ს-ის დასაწყისი (მინდორაშვილი 1996: 41-43; 1997: 16-22; 1998ა: 34-43; 1998ბ: 18-26; 2000: 87-95; 2000ა: 78-86; 2000ბ: 7-12; 2000გ: 21-28; 2001: 80-91; 2005). განათხარი მასალა ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დუშეთის ბაზაზე.

გველეშაოს ციხე აშენებულია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მაღალ კლდეზე, რომლის სამი მხარე შეუვალი ქარაფია. ციხეს ერთადერთი ძნელი მისადგომი აქვს დასავლეთიდან. კლდის ამ მხარეს აქა-იქ შემორჩენილია ზღუდის ნაშთები. კლდის თხემზე ზურგიანი კოშკია, რომლის ბრტყელი კედელი ჩრდილოეთითაა მოქცეული. კოშკის ზომები: ბრტყელი კედლის სიგრძე 5 მ, კოშკის ღერძის სიგრძე 7 მ, შემორჩენილი სიმაღლე 3,5 მ, კედლის სისქე 0,8 მ. ნაშენია დაუმუშავებული და ნაწილობრივ დამუშავებული ქვიშაქვის დიდი ქვებით, კირხსნარზე. წყობაში გამოყენებულია ფიქალიც. კოშკის აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით შემორჩენილია ხუთი ნაგებობის ნაშთი. მათგან ორი კოშკზეა მიშენებული. შენობები გვერდით სწორკუთხაა. ნაგებია



არტეფაქტები

ქვიშაქვისა და ფიქალის ქვებით. წყობა მშრალია. 4-5 ნაგებობის ნაშთი კოშკის ჩრდილო-დასავლეთითაა. ციხის ტერიტორია დღეისათვის სალოცავია და მას სემლისაის ხატი ეწოდება. კლდე, რომლის თხემზე ზურგიანი კოშკია, სამხრეთ აღმოსავლეთიდან დაბალი ყელით ემზის მეორე, გაცილებით მაღალსა და ციცაბო კლდეს, რომლის წვერზეც ნაგებობის ნაშთებია შემორჩენილი. მოსახლეობა მას ყველაწმინდის ხატად მოიხსენიებს. სემლისაის და ყველაწმინდის ხატების დამაკავშირებელ ყელზე დგას ფიქალისა და ქვიშაქვის ქვებით კირხსნარზე ნაშენი დანგრეული ოთხკუთხა (4X3,2 მ) კოშკი. კედელში დატანებული აქვს ნიში. კოშკის სამხრეთ-დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით მიმდებარე აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი ნახევრადმიწერი აკლამა (3,2X2,1X2,5 მ), რომლის კედლები ნაშენია კირხსნარზე, ქვიშაქვისა და ფიქალის ფილებით. დასავლეთი ნაწილი ჩაქცეულია. აღმოსავლეთი მხარე გადახურულია ფიქალის მასიური ფილებით. კოშკსა და აკლამას შორის მეორე, შედარებით მცირე ზომის აკლამაა. მისგან აღმოსავლეთით, 1 მ-ის დაშორებით გაძარცვული ქვის სამარხია (1,2X0,65X0,5 მ). სამარხები შეინიშნება კოშკის დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით მიმდებარე ტერიტორიაზეც. ქვის სამარხები დასტურდება ციხის ჩრდილოეთით, ქარაფის ძირშიც. ციხის დასავლეთით, შემაღლებული კლდის თხემზე შემორჩენილია წმინდა მარიამის დიდაზული ეკლესიის (4,5X2,7 მ) ნანგრევები. ნაშენია ფიქალის ფილებით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. საკურთხევლოდან და სამხრეთ კედელში სარკმლები ჰქონია. ეკლესია შიგნიდან შეღებილი და მოხატული ყოფილა (მაკალათია 1934: 248; დოლიძე, შმერლინგი 1956: 73). მოხატულობის ფრაგმენტები ინახება ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ეკლესია გველეთში მცხოვრები ზაგაშვილების სალოცავი ყოფილა და „ზაგეთ სალოცავსაც“ უწოდებენ. ეკლესიის სამხრეთით, 3 მ-ის დაშორებით ფიქალის ნაშენი ნაგებობაა (8X2 მ). წყობა მშრალია. ნაგებობა დაახლოებით შუა ნაწილში გატიხრულია. შესასვლელი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჰქონია. კლდის სამხრეთი კალთის ძირას ნახევრად დანგრეული გვიანდელი შუა საუკუნეების სწორკუთხა გეგმის მქონე კოშკია. ნაგებია ქვიშაქვისა და ფიქალის დაუმუშავებული და ნაწილობრივ დამუშავებული ქვებით, კირხსნარზე.

ბიბლიოგრაფია: ბაკრატიონი 1986: 36; ვერგეტის ... 1954: 272,1-5; გიულდენშტედტი 1964: 63; დოლიძე, შმერლინგი 1956: 73; ითონიშვილი 1971: 137-139; მაკალათია 1934: 248; მინდორაშვილი 1996: 41-43; 1997: 16-22; 1998ა: 34-43; 1998ბ: 18-26; 2000: 87-95; 2000ა: 78-86; 2000ბ: 7-12; 2000გ: 21-28; 2001: 80-91; 2005: ქვ 2: 305,9; 309,13,16; ქვ 4:358,6,8; ძე 1954: 347,13-16; წითლანაძე 1976: 8; წითლანაძე, მინდორაშვილი 1997: 607; წოწელია, მინდორაშვილი 1999: 67-69.

გვიპიგნოი (ქვ 4: 344,26). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 344,26; 345,1,9; 473,15). XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1967: 45; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 131, 132; 1977: 626; 1981: 58), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 32), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 177).

ვახუშტი ბაგრატიონი გვეძინეთის შესახებ გადმოგვცემს: „მძორეთის დასავლეთს, გვეძინეთს, ერთვის ძამის ხევი მუხალეთისა“ (ქვ 4: 344,26).

მღებარეობს ქარელის მუნიციპ-ში, მდ. ძამის ორივე ნაპირზე, თანამედროვე სოფ. გვეძინეთის ტერიტორიაზე.

XVII-XVIII სს-ში გვეძინეთს ციციშვილები ფლობდნენ. XVII ს-ის ბოლოს ქართლის სამეფო ტახტს ერთმანეთს ეცილებოდნენ ერეკლე I (1688-1703) და გიორგი XI (1676-1688, 1703-1709). 1695 წ. სოფ. გვეძინეთთან გაიმართა ბრძოლა, რომელშიც ერეკლე I-ის მომხრე ქაიხოსრო ციციშვილმა დაამარცხა მეფე გიორგი XI-ის მხარეზე მებრძოლი ფარსადან ციციშვილი (ქვ 4: 473,15).

გვერძინეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფ. გვერძინეთის ჩრდილოეთით, მდ. ძამის ნაპირებზე აღმართულია XVI ს-ის ოთხკუთხა გვემის მქონე, ფლეთილი ქვით ნაგებია ორი კოშკი. მარჯვენა ნაპირზე მდგომი კოშკიდან (5,1X4,2 მ) შემორჩენილია ხუთი სართული. მეორე (4,4X4,1 მ) დგას მდინარის მარცხენა ნაპირზე. ის ხანძრისგანაა დაზიანებული (ზაქარაია 1969: 199).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 32; გიულდენშტედტი 1962: 177; ზაქარაია 1957: 767-774; 1969: 199; მაკალათია 1961; ქვ 4:3 44,26; 345,1,9; 473,15; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 131, 132; 1977: 626; 1981: 58; ქრონიკები 1967: 45;

გვიანა, მონასტერი (ქვ 4: 322,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 322,17), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 50).

ვახუშტი ბაგრატიონი გვიანას შესახებ გადმოგვცემს: „ერთვის ქცის ხევი ტორნე, ირავის ხეობის მდინარე... ამ ხევზე სამღვრეთს ზეით, გვიანას არს მონასტერი მცორე, აწ ხუცის სამარს“ (ქვ 4: 332,17). მღებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპ-ში, მდ. თორნის წყლის (ისტორიული ტორნე, მდ. ქციას მარცხენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. სამღვრეთის (სამღვრეთის) ჩრდილო-დასავლეთით 2,5 კმ-ის დაშორებით (ლორთქიფანიძე 1935: 296; ციციშვილი 1979ა: 8).

გვიანა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სამონასტრო კომპლექსი დღეისათვის სრულიად დანგრეულია (ციციშვილი 1979: 8).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 50; ლორთქიფანიძე 1935: 296; ქვ 4: 322,17; ციციშვილი 1979ა: 8.

ბიორგი-ფილია (ქვ 4: 666,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 666,13), „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 212).

მღებარეობს ახალციხის მუნიციპ-ში, მდ. ურაველის ხეობაში, სოფ. ურაველის მახლობლად (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 212).

გიორგი-წმიდა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. გიორგიწმიდას სახელით ცნობილია რამდენიმე პუნქტი სამცხე-ჯავახეთში (ჩილდირის ვილაიეთის ... 1979: 106, 123, 151, 154), კახეთში (ქვ 4: 529,7,სქ.1).

ბიბლიოგრაფია: გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 212; ქვ 4: 529,7,სქ.1; 666,13; ჩილდირის ვილაიეთის ... 1979: 106, 123, 151, 154.

ბიორგიფილია, დაბა (ქვ 4: 529,7, სქ. 1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 529,7, სქ. 1), XIV-XVIII სს-ის ქართული ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 199; 1970: 180; 1972: 397; 1981: 823, 824; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 55; ქრონიკები 1897: 231, 453, 492; 1967: 297, 601, 602; საქ. სიძ. 1920: 9), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 66). ვახუშტი ბაგრატიონი გიორგიწმიდას შესახებ გადმოგვცემს: „მანავის დასავლეთ არს ხევი გიორგი წმიდისა, გამოსდის შუამთას და დის ჩდილოდამ სამხრით“ (ქვ 4: 529,7).

მღებარეობს საგარეჯოს მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. გიორგიწმიდას ტერიტორიაზე.

XIV ს-ში გიორგიწმიდა სვეტიცხოვლის მფლობელობაშია (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 55; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 180).

1951 წ. სოფ. გიორგიწმიდაში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია (ხელმძღ. ნინო ბერძენიშვილი). გაითხარა 5 ორმოსამარხი. მათგან ერთი (№4) თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით (ფიცხელაური 1973: 81, 176). სოფ. გიორგიწმიდაში დგას წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. ნახევარწრიულ აფსიდაში ერთი სარკმელი და ორი ნიშია. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა. სამხრეთის კარის თავზე მოთავსებული წარწერის მიხედვით ეკლესია აუგია მღვდელ ივანე კველიშვილს 1800 წელს.

წმინდა გიორგის ეკლესიის დასავლეთითა და აღმოსავლეთით რამდენიმე მეტრზე დგას რიყის ქვითა და აგურით ნაგები XVIII ს-ის მეორე ნახევრის ორი ცილინდრული, დაზიანებული კოშკი (ზაქარაია 1962ა: 170-174).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 66; ზაქარაია 1962ა: 170-174; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 55; საქ. სიძ. 1920: 9; ფიცხელაური 1973: 81, 176; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 199; 1970: 180; 1972: 397; 1981:

823, 824; ქრონიკები 1897: 231, 453, 492; 1967: 297, 601, 602; ქვ 4: 529,7, სქ. 1.

გიშო, ეკლესია (ქვ 4: 539,5,6,სქ.3), ციხე (ქვ 1: 334,12) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქვ 1: 334,12), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 158,14; 539,5,6, სქ. 3), XIII ს-ის კურთხევა მირონისა და განგება დარბაზობისა (ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 49), მოვსეს კალანკატუაცი „ალვანთა ქვეყნის ისტორია“ (კალანკატუაცი 1985: 27, 49, 50, 103, 169, 175); ჰასან რუმელს „უმშვენერესი ისტორიათავანი“ (რუმელუ 1966: 27, 28); ისქანდერ მუნშის „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია“ (მუნში 1969:14).

ვახუშტი ბაგრატიონი გიშის შესახებ გადმოგვცემს: ხორანთას „ქუეით დიდს ალაზანს მოერთვის გიშის წყალი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორის... და მოდის გიშამდეს. გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთაო წუქეთისა, და ეკლესია დიდი, გუმბათიანი, და იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკისისა, არამედ მიუხუნა შაბაზ კახეთს და ჰყო სასულტნოდ ... და აწ უწოდებენ ალის სულთანად“ (ქვ 4: 539,5,6).

ლოკალიზდება თანამედროვე დაბა ქიშის ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შექის (ნუხის) მუნიციპ-ში, მდ. გიშის წყლის მარჯვენა ნაპირზე (მუსხელიშვილი 1980: 65-67; 1982: 49; ჭილაშვილი 1980: 242).

ქართულ ისტორიულ წყაროებში გიში იხსენიება XII ს-დან. 1117 წ. დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125) აიღო გიშის ციხე და საბოლოოდ შემოიშტკიცა ჰერეთი. გიში წუქეთის საერისთავოს ცენტრი იყო. XVI ს-იდან აღიწყო კახეთ-ჰერეთის დაპყრობა სპარსელების მიერ. XVII ს-ში შაჰ-აბას I-მა ისტორიული წუქეთი ალის სასულტნოდ (ელისუს სასულტნო, კაკის სასულტნო) აქცია (ჭილაშვილი 1980: 14, 17, 192, 193, 241; პაპუაშვილი 1970: 32, 33, 49, 141, 182, 236; მუსხელიშვილი 1980: 65-67; 1982: 49-51, 60-62).

გიშის ეკლესია მდებარეობს შექის ჩრდილოეთით 5 კმ-ზე. დარბაზული ეკლესია ნაგებია თლილი შირიმის ქვით. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. XI ს-ში ეკლესიას დაადგეს გუმბათი. თუმცა, მეორე მისაზრებთი, გიში საეპისკოპოსო კათედრალი უნდა ყოფილიყო VIII-IX სს-ით დათარიღებული ლეკითის ტეტრაკონქი (ხახანაშვილი 1895: 29; ჩუბინაშვილი 1959: 435; მუსხელიშვილი 1982: 49-51).

ბიბლიოგრაფია: კალანკატუაცი 1985: 27, 49, 50, 103, 169, 175; მუნში 1969: 14; მუსხელიშვილი 1980: 65-67; 1982: 49-51, 60-62; პაპუაშვილი 1970: 32, 33, 49, 141, 182, 236; რუმელუ 1966: 27, 28; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 49; ქვ 1: 334,12; ქვ 4: 158,14; 539,5,6,სქ.3; ჩუბინაშვილი 1959: 435; ჭილაშვილი 1980: 14, 17, 192, 193, 241, 242; ხახანაშვილი 1898: 290.

გლდანო (ქვ 4: 330,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ბასილი ეზოსმოდღერის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქვ 2:128, 20, 21), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 330,19; 524,2; 536,23; 561,9), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1920: 11; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 55; ქრონიკები 1967: 86; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 363, 364, 374; 1977: 606; 1985: 16, 17), სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 46), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 64), XV ს-ის სომხური ანდერძი (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 78).


ვახუშტი ბაგრატიონი გლდანის შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო ხეობა გრდანისა და მდინარე მისი გამოსდის ზადამნის შესართავს ერწოს მთას, დის გრდანამდე ჩდილოდან სამხრით“ (ქვ 4: 537,1-3).

მდებარეობს თბილისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. გლდანის წყლის ორივე ნაპირზე, დღევანდელი სოფ. გლდანის ტერიტორიაზე. წარმოადგენს დედაქალაქის საგარეუბნო სოფელს.

კახეთის დამოუკიდებელი სამთავროს არსებობის დროს გლდანი კახეთის შემადგენლობაში იყო. დავით IV აღმაშენებლის (1098-1125) მიერ კახეთის სამთავროს შემოერთების შემდეგ, გლდანის ყმა-მამულის ნაწილი სამეფო კარს სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს. შამქორის ომიდან დაბრუნებულ ზაქარია და ივანე მხარგრძობებს ლაშქრობაში მობოგებული ალაფი გაუწყვიათ ქალაქის კარიდან გლდანის ხევამდე (ქვ 2: 128,20,21). საქართველოს ცალკეულ სამეფო სამთავროებად დაშლის შემდეგ სოფელი კვლავ კახეთის შემადგენლობაშია. 1579 წ. კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ (1574-1605) სვეტიცხოველს განუახლა გლდანის ყმა-მამულეების შეწირულობის სიგელი. გლდანის მიწებისა და ყმების ნაწილს კახეთის თავადები, ჯანდიერები ფლობდნენ (საქ. სიძ. 1920: 11; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 55). გლდანს ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა ავტორი გრდანის ფორმით მოიხსენიებდნენ (ქვ 4: 330,19; ბაგრატიონი 1986: 64; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 16, 17). XV ს-ში სომხურ ანდერძში გლდანი გლგანად მოიხსენიება (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 78).

1903 წ. გლდანის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრები ჩაუტარებია ე. რესლერს (რესლერი 1906: 81-84). 1964 წ. სოფელში, მშენებლობის დროს დანგრეულია ადრე შუა საუკუნეების ქვის სამარხები, რომლებშიც აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის რამდენიმე სამკაული. 1975-1976 წწ. დედაქალაქის გლდანის საცხოვრებელი მასივის მშენებლობასთან დაკავშირებით, მასივის ტერიტორიაზე გათხრებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გლდანის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ვ. ართილაყვა). გათხრებთან ერთად ექსპედიციამ დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა სოფ. გლდანის, აგრეთვე მისი მიმდებარე ჯოხთანისა და ვეჯინის ხევების მი-

დამოებში (ართილაყვა ... 1978: 81-86; 1979: 204). 1979 წ. იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თბილისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი) მდ. ხევძმარის მარჯვენა ნაპირზე, გლდანის მასივის V მიკრორაიონის ტერიტორიაზე გათხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი და შუა საუკუნეების ნამოსახლარი (აბრამიშვილი ... 1982: 38-40). 1975-1976 წწ. დაზვერვების შედეგად გლდანის მიდამოებში მიაკვლეს სხვადასხვა ეპოქისა და ხასიათის არქეოლოგიური ძეგლებს. სოფლის მახლობლად, მლაშე ტბის ჩრდილოეთით მდებარეობს 5 მ სიმაღლისა და 54 მ დიამეტრის ქვამიწაყრილიანი ყორღანი, რომელიც სავარაუდოდ ადრე, ან შუაბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი გამოვლინდა სოფლის აღმოსავლეთით, 1,5 კმ-ის დაშორებით, ხევძმარის მარჯვენა ნაპირას მდებარე გორაზე. იქ აღმოჩნდა შავად გამომწვარი, ნაჭდევეთი, კონცენტრული ტალღოვანი და ურთიერთადაშეკვეთი ხაზებით შემკული თიხის ჭურჭლის ნატყეხები. იმავე ხანას განეკუთვნება სოფლის აღმოსავლეთით 2,5 კმ-ის დაშორებით, ხევძმარის მარჯვენა ნაპირას, ადგილ დიდვაკეში და სოფლის ჩრდილოეთით, გლდანის ხევის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ საყდრისფერდში მდებარე ნასახლარები (სძა 1990: 274). გვიანბრინჯაოს ხანის შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები ცნობილია ადგილ ისმაილადან და ნასრელადან, აგრეთვე სოფ. გლდანიდან, თანამედროვე სასაფლაოს მახლობლად. იქვე გამოვლენილი ანტიკური ხანის სამაროვანი (თბილისი 1978: 202). სოფლის ჩრდილოეთით 1 კმ-ის დაშორებით მიკვლეულია ადრე შუა საუკუნეების ნასახლარი, სადაც აღმოჩნდა რიყის ქვით ნაგები კედლების ფრაგმენტები. თანადროული ნასახლარი გამოვლინდა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, 3-4 კმ-ის დაშორებით, ჯოხთანის ხევის მარცხენა ნაპირზე, ადგილ დიდმანიანში. ზედაპირული მასალა წარმოდგენილი იყო წითლად და მოჩაღისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატყეხებით. ადრე შუა საუკუნეების ნასახლარი, რომელიც ადგილ პატარა მანიანთან მდებარეობს, მიკვლეულია სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით, 2-3 კმ-ის დაშორებით ჯოხთანის ხევის მარცხენა ნაპირზე. იქ გამოვლინდა ნასახლარის ნაშთები, წითლად და მოჩაღისფროდ გამომწვარი კერამიკის ნატყეხები. ჯოხთანის ხევის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ ბოვირებთან ადრე შუა საუკუნეების კიდევ ერთი ნასახლარია. შუა საუკუნეების ნასახლარის ნაშთები აღმოჩნდა ადგილ ნასრელაზე და სოფლის აღმოსავლეთით, თბილისი-თიანეთის საავტომობილო გზის მარცხენა ნაპირზე, სადაც შემოქმედდა ნახშირ-ნაცროვანი ფენა და წყალსადენის წითლად გამომწვარი თიხის მილი. სოფლის ჩრდილოეთით, 2,5 კმ-ის დაშორებით, ვეჯინის ხევის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ ზედა ვაკეში შემორჩენილია ნასახლარის ნაშთები, სადაც ზედაპირულად აიკრიფა შუა საუკუნეების



„თაკვერის“ (გლდანის) ნასოფლარი

თიხის ჭურჭლის ნატყეხები. იმავე ხანის ნასახლარი მიკვლეულია სოფლის ჩრდილოეთით 6 კმ-ის დაშორებით, ჯვარას ხევის მარჯვენა ნაპირზე. ხევის მარცხენა ნაპირზე შუა საუკუნეების კიდევ ერთი ნასახლარია. თანადროული ნასახლარი გამოვლინდა გლდანის საცხოვრებელი მასივის V მიკრორაიონის ტერიტორიაზე, სადაც აღმოჩნდა ქვის კედლების ნაშთები და კრამიტის ნატყეხები. საყდრის ფერდის ადრე შუა საუკუნეების ნასახლართან ნაპოვნი ქვის სამარხები, ადგილ ბოვირებთან გამოვლინდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი უინვენტარო ქვის სამარხები, რომელთაგან ზოგიერთი საოჯახოა. მიცვალებულები დაკრძალულია ქრისტიანული წესით. აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი ქვის სამარხები მიკვლეულია სოფლის აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მოქმედ სასაფლაოებთან (სძა 1990: 274).

1903 წ. ე. რესლერმა სოფლიდან სამხრეთით, მდ. გლდანის წყლის მარცხენა ნაპირზე გათხარა 2,83 მ სიმაღლის ქვამიწაყრილიანი ყორღანი. ყორღის ქვეშ გამოვლინდა დასაკრძალავი ორმო, რომელსაც ვარშემო რიყის ქვები შემოუყვებოდა. ორმოში მიცვალებულის ძვლები და ინვენტარი არ დადასტურდა. საკუთრივ ყორღანის ყრილში ჩაჭრილი ყოფილა მოგვიანი სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა მიცვალებულის მიმოსაგებელი ძვლები და თიხის პატარა ორფურა ჭურჭელი (რესლერი 1906: 80, 81). ხევძმარის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი მდებარეობს გლდანის საცხოვრებელი მასივის V მიკრორაიონის ტერიტორიაზე. ხევძმარის მარჯვენა ნაპირიდან 300 მ-ის დაშორებით. გათხრილი 28 ორმოსამარხიდან 25 ქვამიწაყრილია. დასაკრძალავი ორმოები წრიული, ოვალური და სწორკუთხა მოყვანილობისაა. დაზიანების გამო ზოგიერთი სამარხის ორმოს ფორმის დადგენა ჭირს. ორი სამარხი კენტაფი უნდა იყოს. ინჰუმაციურ სამარხებში, როგორც წესი, თითო მიცვალებულია დაკრძალული. №23-ში ესვენა ორი მიცვალებუ-

ლი. ისინი დაკრძალულია მოხრილი კიდურებით მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით, ჩრდილო-დასავლეთით ან ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა: შავპირილა ქოთნები, ხელადები, ტოლჩები, ბრინჯაოს შუბისპირი, ისრისპირები, საკინძები, ნემსები, სამაჯურები, რკოლები, სარდიონის, მინისეპური პასტისა და აქატის მძივები (აბრამიშვილი ... 1982: 38-40). სამარხებიდან ყველაზე ადრეულია №15 წრიულქვაყრილიანი ორმოსამარხი. დასაკრძალავი ორმო წრიული მოყვანილობისაა. მიცვალებული ესვენა მოხრილი კიდურებით მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამარხში აღმოჩნდა თიხის 6 ჭურჭელი და ბრინჯაოს თავნევა საკინძი. ის თარიღდება ძვ. წ. XIV-XIII სს-ით. გაცილებით გვიანდელია №20 სამარხი, რომელშიც გამოვლინდა თიხის 11 ჭურჭელი, რკინის მახვილი, ბრინჯაოსტარანი რკინის სატევარი, შუბისპირი, ბრინჯაოს ორნამენტირებული ქამარი, ფიბულა, ნემსი, ღილაკები, ვარდული, მინისეპური პასტის წვრილი მძივები. სამარხი თარიღდება ძვ. წ. VIII ს-ით (აბრამიშვილი ... 1982: 40). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (თბილისის არქეოლოგიური მუზეუმ-საცავი).

1978 წ. გლდანის VII მიკრორაიონში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს მთლიანადსხმული სატევარი. მასთან ერთად ყოფილა თიხის ჭურჭლის ნატეხები და ძვლები. იმავე წელს ანალოგიური სატევარი გამოვლინდა V მიკრორაიონში. მას თან ახლდა ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი და დაბრტყელებულთავიანი საკინძი. ნივთებთან ერთად ყოფილა თიხის ჭურჭლის ნატეხები და ძვლები. 1985 წ. V მიკრორაიონში აღმოჩნდა ბრინჯაოს მარჯა და მახათის ნატეხი. ნივთები თარიღდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით. ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

„თავგვერის“ ადრე შუა საუკუნეების ნასოფლარი მდებარეობს გლდანის საცხოვრებელი მასივის III-IV მიკრორაიონების საზღვარზე. ნასოფლარზე გამოვლინდა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები და სამი ეკლესია. შენობები სწორკუთხა გეგმის მქონე რამდენიმე ოთახს (6X4 მ; 4,5X4,9 მ; 3X4,5 მ; 3,7X6 მ) მოიცავდა. ნაშენია რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებით, თიხის ხსნარზე. იატაკი თიხატკეპნილია ან ქვის ფილებითაა მოვებული. №3 ნაგებობაში აღმოჩნდა ძირმოჭრილი, პირქვედამხობილი ქვევრი, რომელიც თონის მაგვირობას სწევდა. №4 ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთით გამართულ მარანში აღმოჩნდა სამი მოზრდილი ქვევრის ნატეხი. გათხრებისას მიკვლეულია ბრტყელი კრამიტის რამდენიმე ფრაგმენტი. თუმცა შენობები კრამიტით არ ყოფილა დახურული. ნაგებობის გათხრებისას გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის დანიშნულების კერამიკით. ქვევრები მომადლოყელიანება, რელიეფური სარტყლებით დაფარული ტანით. გვხვდება სადა,

უორნამენტო ქვევრებიც. ისინი ბრტყელიძირიანია. სხვა კერამიკული ნაწარმიდან აღსანიშნავია: მოზრდილი დერგები, სადღებლები, ქოთნები, ტუჩიანი ბადიები, რელიეფური ორნამენტი შექმნილი დოქები და ხელადები, ფართობრიანი ხელადები და სხვ. თიხის ჭურჭელი გამომწვარია წითლად და მოჩალისფროდ. თარიღდება IV-VII სს-ით (ართილაყვა... 1979: 203).

ნასოფლარის ჩრდილოეთით, შემადლებულ ადგილას გაითხარა დარბაზული ტიპის სამი ეკლესია. გამოვლინდა ორი სამშენებლო ფენა. პირველი მიეკუთვნება №1 ეკლესიას (4X4 მ), რომელიც ნაშენია კლდის ფლეთილი ქვებით თიხის ხსნარზე. კედლები სისქე 0,8 მ. აფსიდა ნალისებურია. საკურთხეველი ნაგებია ტუფის ფალოთი კვადრებით. №2 ეკლესია (2,6X5,5 მ), რომელიც მეორე სამშენებლო ფენას განეკუთვნება, უშუალოდ ფარავდა პირველი ფენის ეკლესიას. ნაშენია რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებით თიხის ხსნარზე. კედლების სისქე 0,8 მ. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდანაა. ქვედა №1 ეკლესიის აფსიდა გადაკეთებულია და ზედა ფენის №2 ეკლესიის აფსიდადაა გამოყენებული. ის ნალისებურია, გარედან ოთხკუთხა მოხაზულობის. ამადლებული საკურთხეველი 5 საფეხურიანია, რომლებიც შედგენილია ქვათილებით. საკურთხეველის წინ მდგარა ქვის ემბაზი. მოგვიანებით ეკლესიისათვის სამხრეთიდან მოუშენებიათ პატარა სათავსო (2,5X2,5 მ). მინაშენში გამოვლინდა ტუფის ქვის 2 ემბაზი. №2 ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 9 მ-ის დაშორებით მდგარა ნალისებურაფსიდიანი №3 ეკლესია (5X4 მ). საკურთხეველი ნაგებია ტუფის ქვათილებით. კედლები ნაშენია რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებით, თიხის ხსნარზე. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდან ჰქონია. ეკლესიები გადახურული ყოფილა ბრტყელი კრამიტით. კერამიკულ მასალასთან ერთად №2 ეკლესიის საკურთხეველიან აღმოჩნდა ხოსროვ II-ის (591-628) ვერცხლის მონეტა (ართილაყვა ... 1979: 198, 199).

№2 ეკლესიის მინაშენის კედლის ქვეშ გაიწმინდა ფილაქნის ფილებით შედგენილი აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი უინვენტარო ქვის სამარხი. მიცვალებული დაკრძალული იყო ქრისტიანული წესით. მსგავსი სამარხი გამოვლინდა ეკლესიის აღმოსავლეთით, 3 მ-ის დაშორებით. ფილაქნის ფილებით შედგენილი ქვის სამარხი აღმოჩნდა №3 ნაგებობის ჩრდილოეთ კედელთანაც. მცირეწლოვანი მიცვალებული დაკრძალული იყო ქრისტიანული წესით. სამარხში ნაპოვნია სარდიონისა და აქატის მძივები.

გლდანის საცხოვრებელი მასივის მთავარი მაგისტრალის აღმოსავლეთით მდებარე სამაროვანზე შეისწავლეს აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი რამდენიმე ქვის სამარხი. ზოგიერთი მათგანი საოჯახო ყოფილა. მიცვალებულები დაკრძალულია ქრისტიანული წესით. სამარხები უინვენტაროა. მხოლოდ ერთ მათგანში (№3) აღმოჩნდა

მოჩალისფეროდ გამოიწვევარი ქილა და სამტუქა ხე-
ლადის პირ-ყელის ნატეხი (ართილაყვა ... 1978: 83,
84). გლდანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ
1975-1976 წწ. დაზვერვებისა და გათხრების შედე-
გად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება
საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ი. გრიშაშვი-
ლის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი).

1903 წ. ე. რესლერს სოფ. გლდანთან, განათხარი
ყორდანის დასავლეთით, მოუკვლევა ქვის სა-
მარხთა ჯგუფებისათვის, რომელთაგან გაუთხრია
ორი უინვენტარო ჩრდილო-დასავლეთ-სამხრეთ-
აღმოსავლეთ ხაზზე დამხრობილი სამარხი. მათში
ესვენა ორ-ორი მიცვალებული. სოფ. გლდანისა
და მამკოდის საზღვარზე ე. რესლერს შეუსწავლია
აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი 4
ქვის სამარხი, რომლებშიც მიცვალებულები დაკრ-
ძალულნი იყვნენ ქრისტიანული წესით. სამარხებში
აღმოჩნდა: ვერცხლის ბეჭდის ფრაგმენტი, წვრილი
მავთულისაგან დამზადებული თავგახსნილი რგო-
ლი, ბრინჯაოს ღეროს ნატეხი, სარდიონის თვლით
შემკული ბრინჯაოს საყურის ფრაგმენტი, რკინის
რგოლი. №1 სამარხში, რომელშიც სამი მიცვალე-
ბული ესვენა, თავის ქალებს შორის აღმოჩნდა V ს-ის
რომაული ოქროს აურეუსი, ოქროს მავთულისაგან
შედგენილი საყურე და ორი მძივი (რესლერი 1906:
81-83).

1964 წ. სოფ. გლდანში, ადგილ რიყანში, მშენ-
ებლობის დროს დანგრეულა ქვის სამარხები. სა-
მარხეული ინვენტარიდან შემორჩა: ბრინჯაოს ორი
საყურე, საკინძის მარჯნის თავები ბროწეულის
ყვავილის მოყვანილობისა, ბრინჯაოს საკინძის
ღერო და რკინის მრგვალგანიკვეთიანი მორკ-
ალური ღეროს (სამაჯურის?) ნატეხი. ნივთები
VI-VIII სს-ით თარიღდება (ჯორბენაძე 1998: 43,
44). მასალა ინახება საქართველოს ეროვნული
მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიის
ცენტრის დუშეთის ბაზაზე.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას
სახ. საქართველოს მუზეუმი) ინახება გლდანის
საცხოვრებელი მასივის ტერიტორიაზე შემთხ-
ვევით აღმოჩენილი თბილისური ფელსი, ხოსრო
II-ის დრაქმა, საბეჭდავი ჟეტონი და მედალიონი
წმინდა გიორგის გამოსახულებით (აბრამიშვილი
1984: 144).

სოფლის ჩრდილოეთით აღმართული წმინდა გრი-
გოლ ღვთისმეტყველის სამკვლესიანი ბაზილიკა
(11,1X10,7 მ). ნაშენია ქვიშაქვის კვადრებით კირხ-
სნარზე. შუა ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთი-
დანაა. ნახევარწრიულ აფსიდაში სარკმელი და
გვერდით ეკლესიებში გასასვლელი ორი კარია.
დარბაზის კამარა ყვრდნობა პილასტრებზე დამ-
ყარებულ ორ თაღს. ფასადზე, შუა ეკლესიის სარკმ-
ლის თავზე წრეში ჩასმული ჯვარია გამოსახული.
ჩრდილოეთი ეკლესიის სარკმლის თავზეც ჯვარია
წარმოდგენილი. ეკლესია თარიღდება IX-X სს-ით.
ეკლესიის ეზო შემოსაზღვრული ყოფილა ქვის გა-
ლავნით (შმერლინგი ... 1960: 94, 95).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1984: 144;
აბრამიშვილი ... 1982: 38-40; ართილაყვა ... 1978:
81-86; ართილაყვა ... 1979: 197-204; ბაგრატიონი
1986: 64; თბილისი 1978: 202; მასალები საქ. ისტ.
გეოგ. 1964: 55; რესლერი 1906: 80-84; სძა 1990:
272-274; საქ. სიძ. 1920: 11; სომხურ ხელნაწერთა
... 1978: 78; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 363, 364, 374;
1977: 606; 1985: 16, 17; ქც 2: 128,20,21; ქც 4: 330,19;
524,2; 536,23; 561,9; შმერლინგი ... 1960: 94, 95;
ქრონიკები 1967: 86; ხარაძე 1997; ჩხეიძე 1913: 46;
ჯორბენაძე 1998: 40-48.

გლოლა, დაბა (ქც 4: 768,16). იხსენიება შემდეგ
წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის
„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 645,2,15;
646,2,3; 648,19; 649,5; 650,2,7,9; 764,9; 768,14,16, სქ.
9; 769,11; 770,4; 850,15; 866,28), 1432 წ. ალექსანდრე
მეფის სიგელი (კაკაბაძე 1914: 126-131).

ვახუშტი ბაგრატიონი გლოლას შესახებ გადმოგ-
ვცემს: „რიონის სათავიდან გარდავალს გზა კაკა-
სიაზედ გლოლას“ (ქც 4: 650,7).

მდებარეობს ონის მუნიციპ-ში, მდ ჭანჭანის ნაპირას,
ახლანდელი სოფ. გლოლას ტერიტორიაზე.



გლოლა, დიუბუა დე მონპერეს მიხედვით

1687 წ. გლოლა ალექსანდრე IV იმერთა მეფემ
დაიკავა. XVIII ს-ის 20-იან წლებში ის შოშიტა ერ-
ისთავს ეკუთვნოდა (ქც 4: 850,15, 866,28). XVIII
ს-ში გლოლა ციხის მსგავს დაბას წარმოადგენდა.
„არს გლოლა დაბა მგზავსი ციხისა“ (ქც 4: 768,16).
XVIII ს-ში გლოლა რაჭის ეპისკოპოსის რეზიდენ-
ციაა (ქც 4: 764,6).

გლოლა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.
გლოლის ციხე „კოშკოვან-გოლოვან-ზღუდიანი“
ყოფილა (ქც 4: 768,17). ციხის გეგმა აღარ იკითხება.
მისგან მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი.

ციხის ნანგრევების მახლობლად, სოფლის ცენ-
ტრში მდებარეობდა ითანე ნათლისმცემლის ეკლე-
სია. XVIII ს-ში ის იყო „ალესილი ოქრო-ვერცხლის
ხატითა და ჯუართა და წიგნებითა, ძუელადვე
ხიზნულნი“ (ქც 4: 768,16,სქ.9). მისგან ნანგრევე-
ბილა შემორჩა. მდ. ბოყოსა და ჭანჭანს შორის
„ზედაქალაქად“ წოდებულ ბორცვზე შემორჩე-
ნილია ორი ეკლესიის ნანგრევი. პირველი ეკლე-
სია დარბაზულია (10X5,7მ). ნაგებია რიყისა და
შირიშის თლილი ქვებისაგან ქვითკირზე. ინტერი-
ერი მოხატული იყო. მისი კვალი შემორჩენილია

ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნაწილში (ბოჭორიძე 1994: 254-257).

მეორე ეკლესია წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. იწოდება „ბერის საყდრად“. ერთნავიანი ეკლესია (3,6X2,15 მ) ნაგებია რიყისა და შირიმის ქვისაგან. ფრესკები შემორჩენილია საკურთხეველის ნაწილში, თაღზე და აღმოსავლეთ კედელზე (ბოჭორიძე 1994: 257). თაღზე ათორმეტი დღესასწაულის ფრესკებია. ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის თავზე გამოხატულია „ვედრება“, რომლის ქვემოთ XVII ს-ის ასომთავრული წარწერაა (მაკალათია 1987: 93).

ბიბლიოგრაფია: ბოჭორიძე 1994: 254-257; კაკაბაძე 1914: 126-130; მაკალათია 1987: 25, 90-93; ქც 4: 645,2,15; 646,2,3; 648,19; 649,5; 650,2,7,9; 764,9; 768,14,16, სქ. 9: 769,11; 770,4; 850,15; 866,28.

გოლოვანი (ქც 4: 753,4, 854,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 753,4; 854,1), „აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარი“ (გუჯრები 1891: 126; ქართ. დოკ. 1967: 170), „ბიჭვინტის სიგელი“ (ქრონიკები 1897: 511), „მცირე ქრონიკები“ (მცირე ქრონიკები 1968: 59;). XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 511, 512; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 57). ვახუშტი ბაგრატიონი გოლოვანის შესახებ გადმოგვცემს: „ამ ხევზედ გოლოვანს ზეით არს ცუცხვათის ციხე“ (ქც 4: 753,4).

მდებარეობს თერჯოლის მუნიციპ-ში, მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადის – მდ. წყალწითელას მარცხენა და მდ. ჭიშურას მარჯვენა მხარეს, დღევანდელი სოფ. გოლოვანის ადგილზე.

იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565) გოლოვანელი რამდენიმე კომლი უბოძა ივანე ცირილაძეს (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 57). არჩილ II-ეს (1661-1698) იმერეთში სამეფო ტახტისათვის ბრძოლის დროს, ქუთაისის მახლობლად, გოლოვანთან მოუხდა შეტაკება მოწინააღმდეგეებთან (ქრონიკები 1897: 511). XVI ს-ის საბუთის მიხედვით გოლოვანელი ექვსი კომლი შესწირეს ეკლესიას. მეორე ასეთივე საბუთის მიხედვით, 1730 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ემ ველათის მონასტერს გოლოვანიდან რამდენიმე კომლი შესწირა (ქართ. დოკ. 1967: 102, 170).

სოფ. გოლოვანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფ. გოლოვანთან მდ. წყალწითელას ხეობის მარცხენა კლდოვან ფერდელზე ჯვრ კიდე 1914 წ. საქართველოში პირველად აღმოაჩინეს პალეოლითური ნასახლარი მღვიმე (რ. შმიდტი). მაშინ მღვიმეს რ. ვორხოვის სახელი უწოდეს, ხოლო შემდგომ 1936-1937 წწ. აქ არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით (ნიორაძე 1953). მღვიმეს ეწოდა – საკაჟია. 1973-1980 წწ. საკაჟიას მღვიმის და აქვე დაახლოებით 370 მ-ზე აღმოჩენილი ორთავალა მღვიმის შესწავლას აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წყალწითე-

ლას ხეობის პალეოლითური ექსპედიცია (ხელმძღ. მ. ნიორაძე).

გოლოვანთან აღმოჩენილი საკაჟიას ნასახლარი მღვიმე მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლია. აქ ქრონოლოგიურად დადასტურებულია ზედაპალეოლითური და მუსტიერული (შუაპალეოლითური) ფენები. საკაჟიას კარსტული მღვიმის სიგრძე 30 მ-მდეა, მაქსიმალური სიგანე 4-5 მ-ია, სიმაღლე 6 მ-დე. გამოსასვლელი სამხრეთ-დასავლეთითაა ორიენტირებული. მღვიმეში არქეოლოგიურად გამოკვლეულია 100 კვ მ ფართობი. გაიჭრა 8 მ სიღრმის არქეოლოგიური ფენები და გამოვლინდა 4 დანალექი შრე (ნიორაძე 1992: 43). არქეოლოგიურ ფენებში დადასტურდა ქვის ნუკლეუსები, ლამელეები, წვეტანები, სახოკები, დანები და ა. შ.; დაახლოებით 3000-მდე ქვის ნაკეთობაა.

მღვიმის ფაუნა წარმოდგენილია: ირმის, მარტორქის, ჯიხვის, დათვის, ტახისა და სხვ. ცხოველთა ძვლებით. ქვედაპალეოლითურ ფენაში აღმოჩნდა ადამიანის ზედა ყბის ძვალი კბილებით, რომელიც ნეანდერტალელ ადამიანს ეკუთვნის. საკაჟიას მღვიმეში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალიდან 1914 წ. აღმოჩენები ინახება სანკტ-პეტერბურგის მიკლეუხო-მაკლასის სახ. ანთროპოლოგიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში, ხოლო 1936-1937 და 1973-1980 წწ. აღმოჩენები – საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). (ნიორაძე 1953: 17; ნიორაძე 1992: 3-10).

გოლოვანთან, საკაჟიას მღვიმიდან ჩრდილოეთით, დაახ. 370 მ-ზე, მდებარეობს ნასახლარი „ორთავალა“ – მღვიმე, რომელიც მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლია. ფენების საერთო სიმაღლე 2 მ-მდეა. არქეოლოგიური მასალა მიეკუთვნება შუა, განვითარებულ და გვიან მუსტიერულ (შუაპალეოლითურ) ეტაპებს. მღვიმის შესასვლელთან დადასტურებულია ენეოლითური ხანის არქეოლოგიური მასალაც. ორთავალა მღვიმის სიგრძე რამდენიმე ათეული მეტრია და შედგება ორი დერეფნისაგან; სიმაღლე დაახლოებით 2 მ-მდე, ხოლო სიგანე 3-5 მ-ია. მღვიმეში გამოვლინდა 4 დანალექი შრე, რომელშიც აღმოჩნდა 300-მდე ქვის ნივთი – ნუკლეუსები, ლამელეები, სახოკები, წვეტანები და სხვ. ისინი ძირითადად კაჟისაა, მხოლოდ ცალკეული ნივთებია ოხსიდიანისაგან და არგოლიტისაგან დამზადებული. მღვიმის ფაუნა წარმოდგენილია: ირმის, დათვის, ბიზონის, ჯიხვის და სხვ. ცხოველთა ძვლებით (ნიორაძე 1992: 32-61; საქ. არქ. 1991: 101, 102). ორთავალა მღვიმეში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

გოლოვანში გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანის ე. წ. კოლხური ტიპის 3 ცუღლია შემთხვევით ნაპოვნი. ცუღლები ინახება ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, ინვ. №5418:1, 2, 3; (ქროიძე 1965: 107).

გოლოვანიდანვე ცნობილია რკინის ჯვარი (27X24 სმ), რომელზეც 20 სტრიქონიანი ასომთავრული

წარწერა. იკითხება ნაწყვეტი: „ქვ ჯუარო ქრ(ი) სტესაო მშ(უ)იდობით დაიცვე სოფელი შენი გოდოგანი ყოვლისაგან ვნებისა ა(მი)ნ“ (ბოჭორიძე 1995: 122). ჯვარი ინახება ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. აქვე დაცულია გოდოგანიდან მოტანილი 1 რომაული მონეტა (ბოჭორიძე 1995: 122).

გოდოგანში არის მაცხოვრის სახელზე აგებული დარბაზული ტიპის გარშემოსავლელიანი ეკლესია (8,50X3,50 მ). ამჟამად ეკლესიის ნაშთებია შემორჩენილი. აგებული ყოფილა თლილი ქვით. ქვებზე შემორჩენილია რამდენიმე რელიგიური ხასიათის ასომთავრული წარწერა. ეკლესიის ბათქაშზე შემინვეა მხატვრობის კვალი (ბოჭორიძე 1995: 120, 121). ეკლესია შესაძლოა X ს-ის იყოს (ბარნაველი 1959: 113).

გოდოგანშივეა 1873 წ. აშენებული, ამჟამად დანგრეული, დარბაზული ეკლესია, რომელსაც თლილი ქვის პერანგი ჰქონდა. იქვე მდგარა შუა საუკუნეების სასახლე (ბარნაველი 1959: 113), რომელიც დღეისათვის არ შემორჩენილა.

სოფელი გოდოგანი მდებარეობს მარტვილის რაიონშიც, რომელიც არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბარნაველი 1959: 113; ბოჭორიძე 1995: 120-122; გუჯრები 1891: 126; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 57; მცირე ქრონიკები 1968: 59; ნიორაძე 1953; ნიორაძე 1974: 749-752; 1975: 505-508; 1976: 221-224; 1992; საქ. არქ. 1991: 101, 102; ქც 4: 753, 4; 854, 1; ქართ. დოკ. 1967: 170; ქორიძე 1965: 107; ქრონიკები 1897: 511, 512; ჯიქია 1977: 26-30; 1978: 143-175; 1993.

გვირაბი, მცირე ქალაქი (ქც 4: 669,16,18). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 669,16,18), 1392 წ. ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 178), „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 266, 267), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 215-217).

ვახუშტი ბაგრატიონი გოკიას შესახებ გადმოგვცემს: „ხერთვის ზეით ამ ჯავახეთის წყალს ერთვის გოკიის მდინარი, გამოსდის შარვაშეთის მთას ანუ ჯავახეთისას, მოდის გოკიამდე ჩდილოდამ სამხრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლეთად და მიერთვის ჯავახეთის მტკუარს ჩდილოდამ. გოკია არს ქალაქი მცირე. მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურბანი ვაჭარნი“ (ქც 4: 669,15-19). მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპ-ში, მდ. გოკიისწყლის (მდ. ჭობარეთის მარცხენა შენაკადი) ნაპირებზე, თანამედროვე სოფ. გოკიას ტერიტორიაზე.

XVIII ს-ში გოკია იყო ჯავახეთის ერთ-ერთი პატარა ქალაქი, რომელზეც გადიოდა ახალქალაქიდან სამცხეში მიმავალი გზა (ბერძენიშვილი 1985:

100, 116). XIX ს-ში მის ტერიტორიაზე რამდენიმე ეკლესიის ნანგრევი იყო შემორჩენილი (როსტომოვი 1898: 53, 54; ლომსაძე 1975: 446). გოკია ზოგჯერ იხსენიება გოგიას სახელწოდებით (ბერძენიშვილი 1985: 114).

გოკია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1964: 155, 156; ბერძენიშვილი 1985: 100, 116, 114; გიულდენშტედტი 1962: 215-217; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 266, 267; ლომსაძე 1975: 446; როსტომოვი 1898: 53, 54; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 178. ქც 4: 669,16,18;

გომარამიძე, დაბა (ქც 4: 318,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 318,5), XVI-XVIII სს-ის (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 20; 1981: 103; 1985: 287, 303; ქართულ-საბარსული ... 1955: 90; „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 280; 1970ა: 344, 509, 679, 700, 703, 705, 711, 712, 721), იოანე ბაგრატიონი „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 49).

ვახუშტი ბაგრატიონი გომარეთის შესახებ გადმოგვცემს: „ყარაბულახს ქუევით ზურტაკეტას ერთვის საფიქლის ხევი, გამოსდის ქარვასლის-ხევის, მთერთვის აქ ზურტაკეტას ... აქ არს დაბა დიდი გომარეთი, ვითარცა მცირე ქალაქი“ (ქც 4: 318,1-5).

გომარეთი ერთი მოსაზრებით ლოკალიზდება დმანისის მუნიციპ-ში. მდებარეობს თანამედროვე სოფ. პატარა გომარეთის ტერიტორიაზე (ლორთქიფანიძე 1935: 297). მეორე მოსაზრებით – სოფ. დიდი გომარეთის ტერიტორიაზე (მამარდაშვილი 1995: 72). სოფ. დიდი და პატარა გომარეთი მდებარეობს მდ. შავწყაროსწყლის (ყარაბულახის, მდ. ქციას მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, დმანისის ჩრდილოეთით, 17 კმ-ის დაშორებით. ორივე სოფელი დღეს გაერთიანებულია და მხოლოდ პატარა ხევი ყოფთ (რწეულიშვილი 1944: 34).

გომარეთი შედიოდა ისტორიულ ზურტაკეტში. XI ს-ის პირველ ნახევარში მას კლდეტას (თორღეთის) ერისთავები ფლობდნენ (თაყაიშვილი 1913ა: 83-97; ბაქრაძე 1959: 56-66). XVII-XVIII სს-ში გომარეთი დიდი დაბაა და ქართლის დედოფალთა სამფლობელოს წარმოადგენს (ლორთქიფანიძე 1935: 297).

სოფ. გომარეთის მახლობლად მიკვლეულია მუსტიეს ხანის ნასახლარი. ვ. მურჯიკენელის ეზოში მიწის დამუშავების დროს დაზიანდა რამდენიმე სამარხი. 1962 წ. სამაროვანი შეისწავლა საქართველოს მეცნიერებათა აკად. პრეზიდიუმთან არსებულმა სპელეოლოგიური კომისიის არქეოლოგურმა რაზმმა (ხელმძღ. დ. თუშაბრამიშვილი). გაითხარა ანტიკური ხანის 14 ქვაყუთი და 1 დაზიანებული ორმოსამარხი. 1975 წ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ც. დავლიანიძე) გომარეთის ტერიტორიაზე მცირე დაზვერვითი

და გათხრითი სამუშაოები ჩაატარა. სოფლის მიდამოებში აღმოჩნდა ნეოლით-ენეოლითისა და ადრე ბრინჯაოს ხანის ნაშთსახლარის ნაშთები, გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვანი და ნაშთსახლარი, შუა საუკუნეების სამაროვანი. ექსპედიციამ 1962 წ. მიკვლეულ სამაროვანზე გათხარა 12 ქვაყუთი და 1 ორმოსამარხი. ქვაყუთების კედლებად და სახურავად გამოყენებული იყო ბრტყელი ბაზალტისა და კირქვის ფილები. მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილნი. ქვაყუთების უმეტეს ნაწილში თითო მიცვალებული იყვნენ, სამ სამარხში – ორი, ერთში – სამი. ზოგიერთ სამარხში ან სახურავის თავზე დადასტურდა მსხვილფეხა საქონლის ნაშთი. ორმოსამარხში მიცვალებული დაკრძალული იყო თავით ჩრდილოეთით, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი.

სამაროვანზე აღმოჩნდა მოშავო-მოყავისფროდ და მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი: ღოქი „ჩაიდნისებური“, შემკული ზოომორფული გამოსახულებებით, წითლად შეღებილი სამტუნა ღოქი, ტუჩიანი ჯამი ლენტისებური ყურით, ცალყურა ქოთნები, კოჭობები. საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების იარაღი, ბრინჯაოს ე. წ. სკვითური ისრისპირები, რკინის პირმოხრილი დანები, ცული, შუბისპირი. სამკაული: ბრინჯაოს სამაჯურები (17 ც) შემკული სტილიზებული გველისთავიანი დაბოლოებებით, რკინის სამაჯურები (14 ც) შემკული ამოღარული ორნამენტით ან ბურცობებით; ვერცხლისა და ბრინჯაოს რგოლები; ბრინჯაოს საყურე მტევნისებური საკიდი, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი ფრინველის გამოსახულებით, ბრინჯაოს ბეჭედი გრეხილი თვალბუდით, ბრინჯაოს ვარდულიანი საკინძი, რკინის თავგვია საკინძები, სხვადასხვა ფორმის სარდიონის მძივები. სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. IV-III სს-ით (დავლიანიძე 1983: 5-192; 1977: 84-102).

1936 წ. სოფ. პატარა გომარეთში შემთხვევით აღმოჩნდა ირანის უკანასკნელი ილხანების: მუჰამედის (1336-1337), სათიბ-ბეგ ხათუნის (1338-1339), ჯეჰან თემურის (1337-1353), სულეიმანის (1339-1343) ვერცხლის მონეტები (92 ც), რომლებიც მოჭრილია თბილისის, თავრიზის, პაზარის, ანისის, პარდას, ალაგირის, კალისტოუჯანის, სულთანის ზარაფხანებში (ღვავატიძე 1986: 72, 87, 88).

სოფ. დიდ გომარეთში რამდენიმე დაზიანებული ეკლესიაა: ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (12X7 მ) დგას შუა სოფელში. ნაგებია უხეშად გათლილი ბაზალტის ქვით. სამხრეთის ფასადზე ამოკვეთილია ასომთავრულით შესრულებული რამდენიმე წარწერა: „ქრისტე ადიდე ლიპარიტ ერისთავთ ერისთავი და შვილნი მისნი“; „სტეფანოსს და მამას და ყოველსა ერსა მათსა წმიდაო ეკლესიათ სიგრილე ყავ დიდსა მას დღესა“; „სახელითა ღმრთისათა მას ჟამსა ოდეს ძრიელმან და უძღველმან გიორგი აფხაზთა მეფემან შეიპყრა

ზვიად მარუშინი, მაშინ ესე ბალავარი დვა ხელითა ცოდვილისა მიქელ ხუცეს-გალატოზისათია“; „ქრისტე, სახელითა ღმრთისათა მე კუხმან შეეწირე წმიდას ამას ეკლესიასა წისქვილნი, ჟამის საწირვად დღე ხარებაი. მლუდელთ წირონ დღე ევე“; ეკლესია თარიღდება 1014-1022 წლებით. სამების დარბაზული ეკლესია (11X6 მ) ნაგებია თლილი ქვით. სამხრეთის შესასვლელის თავზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერები: „ქრისტე ადიდე სული დიდისა ლიპარიტ ერისთავთ ერისთავისაი“, „ქრისტე მეუფეო დიდებისაო, ადიდენ ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი და შვილნი მისნი“; „სახელითა ღმრთისა დაიდვა ბალავარი ესე, ადიდენ ღმერთმან, ერისთავთ ერისთავის ლიპარიტის უფლებასა, ქორიონიკონი იყო სნდ“. ეკლესია თარიღდება 1034 წლით.

კვირაცხოვლის ეკლესია (9,2X5,7 მ) დგას დიდი გომარეთის ჩრდილოეთით, მთაზე. ნაგებია თლილი ქვით. სამხრეთ ფასადზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა: „ქრისტე ესე საყდარი კავირისა ცხოველისა დაქცეული იყო, მე ავაგე მეუნაგვე შევლამა...“ ეკლესია თარიღდება XII-XIII სს-ით.

დიდი გომარეთის დასავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით, ადგილ „ჭოჭიანში“ დგას დარბაზული ეკლესია. აღმოსავლეთის ფასადზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა: „თამარ ღმრთისა სწორის სამლოცველო“, „ქრისტე შეუნდვენ შიოსა და მძანი მისნი პეტრე და სვიმონ, რომელთა აღაშენეს ეკლესია ესე. პეტრეს შეუნდვენ ღმერთმან“. ეკლესია თარიღდება XIII-XIV სს-ით (თაყაიშვილი 1913ა: 79-90; რჩეულიშვილი 1944: 29-33).

სოფ. დიდი გომარეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 8 კმ-ის დაშორებით, თეთრიწყაროსაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, მდ. ქციისა და შავწყაროსწყლის შესართავის მახლობლად მდებარეობს ნასოფლარი „პანტიანი“, ციხე, ორი დაზიანებული ეკლესია და გელაზის ქვა. ციხის მახლობლად მდებარე ეკლესია ნაგებია თლილი ბაზალტის ქვით. აქვს ნალისებური აფსისი. თარიღდება ადრეული შუა საუკუნეებით. ეკლესიასთან აღმოჩნდა ქვაჯვარის ბაზისი, რომლის ერთ მხარეს გამოსახულია ჯვრის ამბლებების რელიეფური კომპოზიცია. მეორე მხარეს ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა: „შეწვენითა ღმრთისმშობლისათა მე ერემია და ფაჰლავრიჟ ესე ჯურია აღმმართეთ სალოცველად სულთა ჩუნთა და ცხოვრებისათვის შევლთა ჩუნთა“. ბაზისი თარიღდება VI სს-ის მეორე ნახევრით. ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) (ბერძენიშვილი 1976: 109-116; ჩუბინაშვილი 1972ა: 53-55).

სოფ. დიდი გომარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით 7 კმ-ის დაშორებით მდებარეობს ნაქალაქარი „ტყემლოვანი“, რომლის ტერიტორიაზე დგას დარბაზული ეკლესია (5,8X3,7მ), თახჩებანი შენობა 2,8X2,8მ), სასახლე, გალავნის ფრაგმენტები და სხვა ნაგებობათა ნაშთები.

ეკლესია ნაგებია რიყის ქვით დულაზზე. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. ეკლესიასთან აღმოჩნდა სტელა, რომელზეც ამოკვეთილია ჯვრის რელიეფური და ხელის ამოდარული გამოსახულება. მათ ქვემოთ შემორჩენილია ასომთავრულით შესრულებული წარწერის ფრაგმენტები (მამარდაშვილი 1994: 63-64; 1995: 72-77).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 49; ბაქრაძე 1959: 56, 57, 59, 66; ბერძენიშვილი 1964: 32, 40; თაყაიშვილი 1913ა: 79-90; კვიციანიძე 1973: 39-51; ლორთქიფანიძე 1935: 297; ლორთქიფანიძე 1969; ლორთქიფანიძე 1989: 170, სქ.55, 322; მამარდაშვილი 1994: 63, 64; 1995: 72-78; მეფისაშვილი 1971: 17-32; ნარიშკინიშვილი 1991: 113; რჩულიშვილი 1944: 29-34; ფიცხელაური 1979: 47; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 280; 1970ა: 344, 509, 679, 700, 703, 705, 711, 712, 721; 1972: 20; 1981: 103; 1985: 287, 303; ქც 4: 318,5; დვამერძე 1986: 72, 87, 88; ჩუბინაშვილი 1972ა: 53-55; ცისკარიშვილი 1959: 12, 13, 78.*

აღმართი (ქც 4: 346,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 346,20; 381,1). ვახტანგ VI-ის 1703-1711 წწ. განჩინება ავალიშვილების ყმა-მამულის საქმეზე (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 241), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 33). ვახუშტი ბაგრატიონი გომარეთის შესახებ გადმოგვცემს: „გომარეთს ზეით ჭვარებამდე არს ხეობა გუჯარეთისა, და ყოფილ არიან მრავალნი შენობანი და ეკლესიანი, გარნა აწ შემუსრვილნი“ (ქც 4: 346,20-21). „გომარეთამდე შავწყალსა და თორისწყალს უწოდებენ აწ საღვთის ხეობას“ (ქც 4: 381,1,2). იოანე ბაგრატიონი სოფელ გომარეთს ახსენებს გუჯარეთის ხეობაში (ბაგრატიონი 1986: 33). მდებარეობს ბორჯომიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 12 კმ-ის დაშორებით, მდ. მიტარბის წყლის ნაპირებზე, თანამედროვე სოფ. პატარა მიტარბის ტერიტორიაზე (ბერძენიშვილი, გიორგაძე ... 1987: 41).

გომარეთი შედიოდა ისტორიული თორის შემადგენლობაში. XVIII ს-ის გომარეთს ავალიშვილები ფლობდნენ (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 241). სოფ. პატარა მიტარბი, სადაც ლოკალიზდება „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული გომარეთი, არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 33; ბერძენიშვილი, გიორგაძე ... 1987: 41; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 241; ქც 4: 346,20; 381,1.*

აღმართა, ეკლესია (ქც 4: 376,17). იხსენიება შემდეგ წყაროში, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 376,17). ვახუშტი ბაგრატიონი გომართას შესახებ გადმოგვცემს: „ხტანის ზეით არს ეკლესია მთასა შინა, წოდებული გომართა ... მუნიდამ წარვალს გზა ლონობირის მთასა ზედა, და პერანგის მთასა ზედა გარდავალს იმერეთის ჭალასა შინა“ (ქც 4: 376,17).

მდებარეობს ზნაურის მუნიციპ-ში, სოფლების – თიღვას, ძალინასა და მუხაურის მახლობლად. გომართა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

გომართას დარბაზული ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვითა და აგურით. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. ინტერიერი შელესილი და მონატური იყო. XX ს-ის 50-იან წლებში კედლებზე შემორჩენილი ყოფილა ბიბლიური სოფეტებისა და საერო პირთა გამოსახულებები. დღეს ეკლესია დანგრეულია. ეკლესიის მახლობლად ნასოფლარია (მაკალათია 1963: 63-65).

ბიბლიოგრაფია: *მაკალათია 1963: 63-65. ქც 4: 376,17.*

აღმართი (ქც 4: 342,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 342,7); XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 119, 120; 1970: 177, 191, 264, 396, 483, 750, 782, 808, 850, 992; 1972: 265; 1981: 105, 667; 1985: 226, 732; ქრონიკები 1897: 261, 408, 506, 591; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 57; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 280, 341; 1953: 62, 103, 265), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30, 32), პაპუნა ორბელიანის „ამბანი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 57, 63, 64), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 85, 273).

ვახუშტი ბაგრატიონი გომის შესახებ გადმოგვცემს: „გომი დამ მეტეხამდინ არს ჭალა სხერტისა“ (ქც 4: 342,7).

მდებარეობს კასპის მუნიციპ-ში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, დღევანდელი სოფ. გომის ტერიტორიაზე.

1392 წ. ის საკათალიკოსო მამულია და თავისუფალი სამეფო გადასახადებისაგან (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 177). 1429 წ. ქართლში შექმნილ საამილახვროში მეფე ალექსანდრე დიდმა (1412-1442) ზევდგინიძეებს უწყალობა გომი (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 119, 120). XV-XVI სს-ში გომი კვლავ საკათალიკოსო მამულია (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 191, 264). 1559 წ. გომი სვეტიცხოვლის სამწყსოშია (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 57). 1619 წ. გომის მოურავად ქრისტეფორე კათოლიკოსმა ჯერ გიორგი ბალაძე დანიშნა, ხოლო 1624 წ. გომი სამოურავოდ და სამემკვიდროდ მალაღაძეებს უბოძა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 483). 1687 წ. ნიკოლოზ კათოლიკოსმა გომში მარანი ააშენა და ორი საწნახელი დადგა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 591). ლეკთა თავდასხმებისაგან თავდაცვის მიზნით ისაყფაშას დავალებით, 1733 წ. სხვა ციხეებთან ერთად, გომის ციხეც აუგიათ. 1740 წ. დემეტრე მალაღაძეს გომის ციხე შეუკეთებია, რისთვისაც ღომენტი კათოლიკოსს ციხე მისთვის უწყალობებია (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 750). 1764 წ. გომის მოურავობა კათოლიკოს ანტონ I-ს თამაზისშვილისთვის უბოძებია. 1789 წ. გომის ციხე და კოშკი სახლოუხუცეს ამილბარს განუახლებია (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 850, 985).

გომი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფ. გომში, მარინდანი უბანში დგას XVII-XVIII სს-ის რიყის ქვით ნაგები, სწორკუთხა გეგმის მქონე სამსართულიანი კოშკი (5,2X6,95 მ). შესასვლელი პირველი სართულის დასავლეთ კედელშია. აღმოსავლეთისაში ორი სათოფური, სამხრეთ კედელში – ბუხარი და ორი სათოფური. ჩრდილოეთისაში მეორე სართულზე ასასვლელი ქვის კიბეა. მეორე სართულზე სამხრეთ კედელში ჩაშენებულია ბუხარი. მის ორივე მხარეს ბრტყელ ნიშებში სათოფურებია. ასეთივე სათოფურებია აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებშიც. კოშკის დასავლეთ ფასადში ჩასმულია ქვოშაქვის ფილა მხედრული წარწერით. იკითხება მხოლოდ მშენებლის ვვარი „შაქირაშვილი“. ნაგებობა დაზიანებულია. XIX ს-ში კოშკი წისქვილად გადაუკეთებიათ (სძა 1990: 147, 148).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 30, 32; კვრიტიშვილი 1955: 118; ვიულენშტედტი 1964: 85, 273; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 221, 280, 341; 1953: 62, 103, 219, 265; მასალები საქ. ისტ. ვეფ. 1964: 57; ორბელიანი 1981: 57, 63; სძა 1990: 147-148; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 119, 120; 1970: 177, 191, 264, 396, 483, 750, 782, 808, 850, 992; 1972: 265; 1981: 105, 667; 1985: 226, 732; ქრონიკები 1897: 261, 408, 506, 591. ქც 4: 342,7.

გომიჯუზარი (ქც 4: 341,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 341,3), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30), XVII-XVIII სს-ის ქართლ-კახეთის ისტორიული ქრონიკები (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 63).

ვახუშტი ბაგრატიონი გომიჯუზარის შესახებ გადმოგვცემს: „წინარების აღმოსავლეთ და გომიჯუზარის ზეით არს მონასტერი ლავრა“ (ქც 4: 341,3). მდებარეობს კასპის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. გომისჯვრის ტერიტორიაზე. XVII ს-ის ბოლოს გომისჯვარში იდგა მეფე ვახტანგ V-ის (1658-1675) ვაჟის, ლევან ბატონიშვილის სასახლე (ცქიტიშვილი 1990: 63).

გომისჯვარი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად სოფლის განაპირას, სამხრეთ-დასავლეთით აღმოჩნდა შუა საუკუნეების ნასოფლარი. შემორჩენილია რამდენიმე ნასახლარი, სადაც გამოვლინდა მოწითალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. მასალა ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კასპის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე. ნასოფლარის აღმოსავლეთით ჩანს ბრტყელი ქვებით ნაგები რამდენიმე ქვის სამარხი (სძა 1990: 149). ნასოფლარის ტერიტორიაზე დგას კოშკი, ძლიერ დაზიანებული სასახლე, იოანე მახარებლისა და წმიდა გიორგის ეკლესიები.

იოანე მახარებლის ეკლესია (წითელი ეკლესია) დარბაზული ტიპისაა (9,1X5,7მ). ნაგებია ფლეთილი ქვითა და აგურით. ძლიერ დაზიანებულია.

სწორკუთხოვან საკურთხეველში ერთი სარკმელია. ეკლესიას ჰქონდა 1684 წ. წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია მეფე ვახტანგ V-ის ვაჟი ლევანი. წარწერა ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ბერიძე 1943: 57).

წმიდა გიორგის ეკლესია დარბაზული ტიპისაა (8,7X5,5 მ). ნაგებია ფლეთილი ქვიშაქვით, შირიმის ქვითა და აგურით. დაზიანებულია. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი შესრულთაღიანი სარკმელია. ეკლესია თარიღდება XVI-XVII სს-ით. კოშკი ვეგმით ოთხკუთხაა (7,15X7,15 მ, სიმაღლე 16,6 მ, კედლის სისქე 1,5 მ). ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით. დაზიანებულია (ბერიძე 1943: 56; 1983: 171).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 3; ბერიძე 1943: 57; 1983: 1171; სძა 1990: 149; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 63; ქც 4: 341,3; ცქიტიშვილი 1990: 62-66.

გონი, გონია, მცირე ქალაქი და ციხე (ქც 4: 792, 14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 589, 12, 16; 590, 21; 591, 7, სქ. 1; 676, 7, 8; 678, 2; 689, 7; 690, 5; 792, 14, სქ. 8; 793, 4; 814, 14, 23, 25; 820, 15; 852, 11), იოანე საბანისძის „ჰაბოს წამება“ (საბანისძე 1981: 129), სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ (ორბელიანი 1983: 293-296), არჩილ მეფის „გაბაასკა თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1989: 351), პლინიუსის „ბუნების ისტორია“ (პლინიუსი VI, 12, 1949: 271), აბელას წარწერა (ელნიცკი 1938: 310, 311), ფაოუმის წარწერა (შაიდელი 1985: 135, 136), არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (არიანე 1961: 35), კლავდიოს პტოლემეისის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ (პტოლემეისის 1955: 51), იპოლიტე რომაელის „დიამერისმო“ (იპოლიტე რომაელი 1961: 20), ვესევი კესარიელის „ქრონიკები“ (ვესევი კესარიელი 1961: 32), „ტაბულა პუტეგენერაანა“ (მილერი 1961: 639), ანონიმის „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (ანონიმი 1965: 19), აგათია სქოლასტიკოსის „ისტორია“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936: 82, 83), პროკოპი კესარიელის „პრობოლა კოთებთან“ (პროკოპი კესარიელი 1965: 94, 95), სტეფანე ბიზანტიონელის



გონის ციხე-ქალაქი

„ეთიკა“, „აფსისტიკა“ (სტეფანე ბიზანტიონელი 1936: 274), დონ კრისტოფორო დე კასტელის „ცნობები და აღბოძო საქართველოს შესახებ“ (კასტელი 1976: 171), ევლია ჩელეპის „მოგზაურობის წიგნი“ (ჩელეპი 1971: 95, 96), მუსტაფა ნიამას „ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“ (ნიამა 1976: 218), აინი ალის „რიხალე“ (აინი ალი 1971: 60), ჟან შარდენის „მოგზაურობა“ (შარდენი 1975: 38, 42-49), ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 276).

ვახუშტი ბაგრატიონი გონიოს შესახებ გადმოგვცემს: „ბათომის პირისპირ, ჭოროხის სამხრეთის კიდეზე, არს გონია, მცირე ქალაქი და ციხე“ (ქც 4: 792,13,14).


მდებარეობს შავიზღვისპირეთში, ახლანდელი სოფ. გონიოს ტერიტორიაზე. აქვე ლოკალიზდება მცირე ქალაქი აფსარო (უსპენსკი 1917: 163; ჯანაშია 1988: 250; ჭანტურია 1954: 52).

გონიო წყაროებში სხვადასხვანაირად მოიხსენიება: გონია (ქც 4: 598,12,16), აფსაროსი (არიანე), აფსარი (სტეფანე ბიზანტიონელი), აფსარო (კლავდიოს პტოლემეისი, პროკოპი კესარიელი), აფსარუნტი (აგათია სქოლასტიკოსი), გონიო (ევლია ჩელეპი, აინი ალი).

გონიო-აფსაროსის მიდამოებში რომაელთა მოსვლამდე ქალაქის არსებობა ივარაუდება (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი 1980: 6). ახ. წ. I ს-ში ის რომაელთა ფორპოსტი ხდება. ახ. წ. II ს-ის 30-იანი წლებისათვის გონიო-აფსაროსში რომაელთა ათასკაციანი გარნიზონი იდგა. ის საგრძნობლად ჭარბობდა ფაზისის, სებასტოპოლისისა და პიტეონტის გარნიზონების რაოდენობას, რაც გაძლიერებული იბერიის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხით იყო განპირობებული (ლომთური 1981: 229; შპაიდელი 1985: 135). III-IV სს-ში მნიშვნელოვანი და საკმაოდ დიდი ციხე-ქალაქია. VI ს-ს შუა ხანებში დაკარგული აქვს უწინდელი მნიშვნელობა. 1547 წ. ის ოსმალებმა დაიკავეს (ქც 4: 814,25). XVII ს-ში გონიო ტრაპიზონის ვილაიეთში და ბათუმის სანჯაყში შედის (ჩელეპი 1971: 95). იმ დროს გონიო თურქთა მნიშვნელოვანი ფორპოსტია დასავლეთ საქართველოში და იქ მათი რეაქციონერი გარნიზონი დგას (ჩელეპი 1971: 95). გონიო თურქთაგან გათავისუფლდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის დროს.

გონიოს ციხე მდებარეობს მდ. ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, მისგან 2 კმ-ის, ხოლო ზღვის ნაპირიდან 800 მ-ის დაშორებით. ვეგმით სწორკუთხაა (194X245 მ). საერთო ფართობი 4,7 ჰა. ციხეზე გამოიყოფა მშენებლობის სამი ეტაპი: ახ. წ. I-II, IV-VI და XVI-XVII სს-ის. გალავნის ქვედა ნაწილი ნაგებია პატარა ზომის ქვითილილებით. ზედა ნაწილი ამოყვანილია დიდი ზომის ქვებით (კედლის სისქე 1,6 მ) (ლექქანიძე 1969: 78; ლორთქიფანიძე, მიქელაძე 1960: 765-766). გალავანი 22 კოშკითაა გამაგრებული. ოთხი კოშკი ნახევარწრიული ფორმისაა, დანარჩენი – სწორკუთხა.

1959 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის რაზმმა საღაზვერეო ხასიათის სამუშაოები ჩატარა გონიოში (ლორთქიფანიძე, მიქელაძე 1960: 761-767). 1961, 1964 წწ. იქ დაზვერვები აწარმოა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (გძელიშვილი, ხახუტაიშვილი 1964: 59-96). გონიოში არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა 1968-1971 წწ. (ინაიშვილი 1973: 17, 18). ციხეზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება განახლდა 1990 წელს და დღემდე გრძელდება (ხელმძღვანელი შ. მამულაძე).



გონიოს გენგეგმა

ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის დიუნური დასახლება (ინაიშვილი 1973: 21). 1966 წ. ციხის სამხრეთით შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. IV-III სს-ის სამარხული კომპლექსი, რომელიც შედგებოდა კოლხური ამფორისაგან, ხელადისა და ქოთნისაგან (ჩხაიძე 1983: 90-93). ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილია რომაული ხანის წყალსადენის სისტემა, ქვაფენილიანი ქუჩის ნაწილი, „სვეტებიანი ნაგებობის“ ნაშთები, „კოშკიანი“ შენობა და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა: ადგილობრივი და იმპორტული წარმოების ამფორები, კრამიტები, სუფრისა და სამზარეულო კერამიკა, სანელსაცხებლები, წითელლაკიანი კერამიკა, რომაულ-ბიზანტიური მონეტები, არქიტექტურული დეტალები; VI-VII სს-ის ადგილობრივი და იმპორტული



არტეფაქტი „გონიოს განძიდან“




„არტეფაქტი
„გონიოს განმიდან“

ლი ამფორები, დოქები, მინის ჭურჭლის ფრაგმენტები; XVI-XVIII სს-ის კერამიკული ნაწარმი – დოქები, ღერგები, ჯამები, ჩიბუხები და სხვ. სოფ. გონიოში გზის გაფართოებისას აღმოჩნდა ოქროს ნივთების განძი, რომელიც ზოგადად I-III სს-ით თარიღდება. განძი შედგებოდა ოქროს შემდეგი ნივთებისგან: ჭაბუკ-ქანდაკება, ფიალა, წყვილი სამაჯური, ფირფიტოვანი პოლიქრომიული გარსაკრავები, გულსაკიდი ჰელიოსის გამოსახულებით, ბალთები, ვარღულები, დილები, მიივები, მიივსაკიდები, ძეწკვები (ლორთქიფანით, მიქელაძე, ხახუტაიშვილი 1980: 11-19). განძი ინახება ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. გონიოს ციხესიმაგრეში

2010 წელს არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმი გაიხსნა (ხელმძღვანელი შ. მამულაძე).
ბიბლიოგრაფია: ავათია სქოლასტიკოსი 1936: 82, 83; აინი ალი 1971: 60; ანონიმი 1965: 19; არიანე 1961: 35; არჩილი 1989: 351; გამბა 1987: 276; გონიო-აფსაროსი 2002; გონიო-აფსაროსი 2004; გძელიშვილი, ხახუტაიშვილი 1964: 59-96; დიუბუა დე მონპერე 1839: 221; ებრაელი 2000: 62-69; 2002: 89-92; 2005; ვესევი კესარიელი 1961: 32; ელნიცკი 1938: 310, 311; ინაიშვილი 1973: 17, 18, 21; ინგოროვვა 1954: 204; იპოლიტე რომაელი 1961: 20; კასტელი 1976: 171; კახიძე, ხალვაში 1998: 25-31; ლექიანიძე 1969: 78; ლომოური 1981: 229; ლორთქიფანით, მიქელაძე 1960: 761-767; ლორთქიფანით, მიქელაძე, ხახუტაიშვილი 1980; მამულაძე 2007; მიღერი 1961: 639; მიქელაძე 1977; ნიამა 1976: 218; ორბელიანი 1983: 293-296; პლინიუსი 1949: 271; პროკოპი კესარიელი 1965: 94, 95; პტოლემეოსი 1955: 51; საბანისძე 1981: 129; სტევანე ბიზანტიონელი 1936: 274; უსბესკი 1917: 163; ქც 4: 589,12,16; 590,21; 591,7, სქ. 1; 676,7,8; 678,2; 689,7; 690,5; 792,14, სქ. 8; 793,4; 814,14,23,25; 820,15; 852,11; შალიკაძე 2000: 56-62; შარდენი 1975: 38, 42-49; შპაიდელი 1985: 135, 136; ჩელები 1971: 95, 96; ჩხაიძე 1982: 114-128; 1983: 90-93; ძერბინი, გამყრელიძე, თოდუა 2012: 89-93; ჭანტურია 1954: 51; ჯანაშია 1988: 250; ხალვაში 2002.

ბორღა, სოფელი (ქც 4: 748,13,15,23-25, სქ. 2, 762, 3,4, სქ. 1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:748,13,15,23-25, სქ. 2; 762,3,4, სქ. 1), ქართული ისტორიული საბუთე-

ბი (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 272, 357; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 770, 775, 776, 778, 781, 783, 806), არქანჯელო ლამბერტის რუკა (ლამბერტი 1938), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 149, 323). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ისულებითადა მხარე ცხენისწყლის კიდისა, ვიდრე გორდამდე, არს დასავლის მხარე ოდიშისა, და აღმოსავლეთის კერძო-იმერეთისა, ხოლო გორდამდე ვიდრე კავკასამდე არს ხეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკურად“ (ქც 4: 748,13-16). „გორდა არს სოფელი ლეჩხუმისა, ლეჩხუმის ბოლოს“ (ქც 4: 748,სქ.2). მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტში, ახლანდელ სოფ. გორდას ტერიტორიაზე. XVIII ს-ის პირველ ნახევარში გორდა ლეჩხუმის შემადგენლობაშია. XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ოდიშის მთავართა საზღვრულ რეზიდენციაა. გორდა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. „მეგრული ციხე გორდი“, „გორდი, პატარა ციხე ცხენისწყალზე“, – ასე იხსენიებდა მას იოჰან გიულდენშტედტი (გიულდენშტედტი 1962:149, 323). ქვედა გორდში არის ციხე „სალაური“, ციხე „მეფის ნაბარგი“. „დადიანის ციხე“. ისინი თარიღდებიან შუა საუკუნეებით (ბარნაველი 1959: 128). მათგან ნანგრევებილია შემორჩენილი.
ბიბლიოგრაფია: ბარნაველი 1959: 127, 128; ბოროზდინი 1934: 17, 22, 25, 49; გიულდენშტედტი 1962: 149, 323; ლამბერტი 1938; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 272, 357; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 770, 775, 776, 778, 781, 783, 806. ქც 4: 748,13,15,23-25, სქ. 2; 762,3,4, სქ. 1.
ბორღა, ქალაქი (ქც 4: 177,23), ციხე (ქც 4: 442,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 177,23; 239,20; 346,10,12; 350,16; 352,21; 364,19,21; 366,22; 367,1,2; 368,1,4,14,23; 369,1,2,9; 371,11; 372,4,5; 378,14; 385,29; 392,16,19; 396,1; 404,29; 411,20,29; 412,22; 415,24; 417,14,19; 418,3,4; 438,20; 441,9; 442,3; 453,5; 455,3; 466,8; 469,1,11; 473,24; 476,2; 488,3; 491,14,23; 498,25; 501,7; 504,3; 507,11; 511,10; 512,3; 514,6; 515,18; 521,3,5,10,12; 624,12; 627,29; 631,20; 809,19; 854,7; 870,29; 871,5; 872,11; 124,5; 239,18; 239,21; 288,23; 300,12; 425,21; 587,18; 721,17; 723,23), ჯუანშენის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 233,3), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 51,2), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი, მეორე და მესამე ტექსტი (ქც 2: 375,6; 378,28; 387,5,9; 365,1; 373,15; 376,7; 378,24; 379,3,11,12; 394,29; 417,23; 422,26,27; 445,8,13; 487,2,11; 508,17; 511,28,30; 531,1; 527,32; 510,18; 421,16; 522,23,29; 523,28; 524,19; 532,11; 535,15,17,22,30,31; 537,7), „ჟამთააღმწერელი“ (ქც 2: 296,14,16,18; 306,9; 318,13), XIII-XVIII სს-ის ისტორიული დოკუმენტები (ქრონიკები 1897: 178; 1967: 322; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 15; 1953: 30;



გორის ციხე-ქალაქის გენგეგმა

მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 43; 1955: 18, 19; ისტ. დოკ. 1959: 20; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 58-62; კაკაბაძე 1967: 50, 147; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 157; დოკ. თბ. ისტ. 1962: 15, 291; ჯულაბაშვილების დავთარი 1963: 216; ქართულ-სპარსული ... 1955: 38, 368), XVI-XVII სს-ის კათოლიკე მისიონერების ცნობები (რომის კათოლიკური ... 1994: 392, 415, 428, 429, 436, 439, 446, 449, 451, 459, 461, 467, 480, 486, 490, 496, 500, 505, 509, 510, 517, 521, 523, 530, 537, 555), „მესხური მატიანე“ (მესხური მატიანე 1961: 50, 55), „ძველი ერისთავთა“ (ძე 1954: 350), „მცირე ქრონიკები“ (მცირე ქრონიკები 1968: 37, 45, 62), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 508), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 133), XVIII ს-ის „სამოქალაქოს სჯულვილება“ (სამოქალაქოს სჯულვილება 1967: 96), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 54), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 40), იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“ (ბაგრატიონი 1936: 40), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 79, 108, 109), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 47, 52, 54, 61, 79), 1810 წ. წერილი ზურაბ წერეთლისა (საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. 1953: 88, 98), ჯოსაფატ ბარბაროს „მოგზაურობა“ (ბარბარო 1981: 60), ჯოვანი მარია ანჯოლოელის ჩანაწერები (ანჯოლოელი 1981: 78), იოსაფა ბარბაროს „ჩანაწერები“ (ბარბარო 1894: 48), ამპროზო კონტარინის „ჩანაწერები“ (კონტარინი 1894: 53), ლაონიკე ხალკოკონდილეს „ცნობები იბერიის ისტორიიდან“ (ხალკოკონდილე 1970: 91), ჰასან რუმლუს „ცნობები საქართველოს შესახებ“ (ჰასან რუმლე 1966: 21, 33, 34, 36), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 245, 273, 274, 275, 278, 279, 280, 288, 289, 294, 295, 296, 299, 323), დონ ჯოზეფე ჯულიანე მილანელის „წერილები საქართველოზე“ (მილანელი 1964: 101), დონ პიეტრო ავიტაბილეს „ცნობები საქართველოზე“ (ავიტაბილე 1977: 56, 59), ქათიბ ჩელების „ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“ (ჩელები 1978: 140), არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ (სუხანოვი 1965: 68), ჰაჯი მეჰდი ყული ყაჯარის „უკეთესთაგან უკეთესი“ (ისტორია) (ჰაჯი მეჰდი ყული ყაჯარი 1942: 92), ისქანდერ მუნშის „ცნობები საქართველოს შესახებ“ (მუნში

1969: 20, 22, 24, 30, 34, 89, 90, 91), დონ კრისტოფორო დე კასტელის „ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ“ (კასტელი 1976: 215), ისტორიული დოკუმენტი (დოკუმენტები ... 1968: 232), ჟაკ ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 194), იოჰან ვიულდენშტედტის კარტოგრაფიული მასალები (გამრეკელი 1964: 33; პოლივექტოვი 1935: 122-126), ალექსანდრე დიუმას „კავკასია“ (დიუმა 1964: 378, 395).

ვანუშიტი ბაგრატიონი გორის შესახებ გადმოგვცემს: უფლისციხის „დასავლით არის ქალაქი გორი. ამან სახელი მოიგო გორისგან, რომელი აღმოსულ არს მუნ დიდი ლიახვის მდინარის კიდესა ზედა. და მოსდგამს ამ გორას აღმოსავლით კუერნაქი, ჩდილოთ მთა რუისისა, ლიახვის დასავლეთად, რომელი იწოდების კუერნაქადვე, სამხრით მთა ბუნეთისა და გორიჯურისა. და ამ მთის ძირს, გორსა და მთას შუა, დის მდინარე მტკუარი. ხოლო ქალაქს გორს ჩაუდის დასავლით მდინარე ლიახვი, და მიერთვის ლიახვი მტკუარსა ჩდილოდამ“ (ქც 4: 366,22-27; 367,1-3). მდებარეობს მდინარეების - დიდი ლიახვისა და მტკვრის შესართავთან, დღევანდელი ქ. გორის ადგილზე.



გორის ციხე

ქ. გორი ძველთაგანვე აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი იყო. ის პირველად VII ს-ში ერისთავ სტეფანოზის შვილის არჩილის თავგადასავალში მოიხსენიება (ქც 1: 233,3). ქ. გორის სახელი წარმოიშვა აქვე ცენტრში მდებარე კლდევანი გორისაგან, სადაც ძველად აუცილთ ციხესიმაგრე (ნარიმანიშვილი 1979: 25). XII ს-ის ისტორიკოსი მათეოს ურჰაელი ქ. გორის აშენებას დავით აღმაშენებელს მიაწერს (ურჰაელი 1966: 86-98; მელიქსეთ-ბეგი 1941: 126, 127). დავით აღმაშენებელმა გორი გააძლიერა და აქცია სამეფო დომენის ქალაქად, რომელსაც განაგებდა მეფისაგან დანიშნული მოურავი. ქ. გორი და მისი ციხე უცხოელმა დამპყრობლებმა რამდენჯერმე დაარბიეს. გიორგი V ბრწყინვალემ (1314-1346) და შემდეგში კონსტანტინტინი II-მ (1479-1505) გაამაგრეს გორის ციხე. 1509 წ. იმერეთის მეფემ ალექსანდრე II-ე (1484-1510) გორი შეიერთა. 1614 წ. ქალაქი აიღო შაჰ აბას I-მა. XVI ს-ში ჩამოყალიბდა „ზემო ქართლის“ საღრმო, რომლის ცენტრსაც

ქ. გორი წარმოადგენდა. სადროშოს ამილახვრები მეთაურობდნენ (გვრიტიშვილი 1954: 76, 77). 1628 წ. გორში მისია გახსნეს კათოლიკე თეათინელმა მისიონერებმა (თამარაშვილი 1902: 101, 515). ვახტანგ VI-ის (1716-1724) დროს გაიზარდა გორის სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქცია. წარმოშობით გორიდან იყო XVII ს-ის ცნობილი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე (კიკნაძე 1975: 10). 1774 წ. ერეკლე II-მ (1744-1798) გორის ციხე შეაკეთა. XVIII ს-ში ქალაქი მნიშვნელოვნად გაიზარდა, გაჩნდა ახალი უბნები. 1770 წ. აღწერით გორში 500 კომლი ცხოვრობდა, ხოლო 1873 წ. აღწერით – 6000. ამ დროისათვის აქ 36-მდე ქუჩაა (გვრიტიშვილი 1954: 30).

გორი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე კუერნაქის ქედის დაბოლოებაზე, მდ. ტანას მტკვართან შესართავის მოპირდაპირე მხარეზე, ადგილ „ღამბარეულთან“ გამოვლინდა ძვ. წ. III ათასწლეულის ნამოსახლარი. ცუდად შენახულ ფენაში იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი კერამიკის ნატეხები აღმოჩნდა. მასალა ინახება ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (საქ. არქ. 1992: 79). 1946 წ. გორის ციხის ჩრდილოეთ ფერდობზე მიწის ჩამოზავების შედეგად, შემთხვევით აღმოჩნდა ელინისტურ-გვიანანტიკური ხანის ფენები, სადაც აღმოჩნდა: ალიზის კედელი, ბრტყელი და ლარიანი კრამიტის ფრაგმენტები, ქვევრების ნატეხები, მოწითალო და ლევა ფერის ქოთნების ნატეხები (გვრიტიშვილი 1954: 7, 8). ამ შემთხვევით აღმოჩენილი მასალის მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ გორის ციხის კლდოვანი ბორცვი (ჯვრჯვრებით შეუსწავლელი ქვედა ფენები) ანტიკურ ხანაში უკვე დასახლებული იყო.

გვიან ანტიკური ხანის სამარხების ნაშთები გამოვლინდა გორის ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქალაქის საბჭოს შენობასთან. აქ მოწითალოდ გამომწვარი კერამიკის, მიძევისა და სამაჯურების ნაშთები აღმოჩნდა. მასალა ინახება ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (მაკალათია 1947: 104).

გორის ციხე მდებარეობს ქალაქის ცენტრში, მდინარეების – დიდი ლიახვისა და მეჯუდას შესაყართან, კლდოვან მოვრძო ბორცვზე. ციხეზე დასტურდება სამშენებლო ფენები, ანტიკური ხანიდან მოყოლებული გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით. ციხის ჩრდილოეთ ნაწილში ალიზის კედლების ნაშთები აღმოჩნდა. ციხის მშენებლობაში გამოყენებულია თლილი, ფლეთილი ქვა, რიყის ქვა, აგური, კრამიტი და კირსნარი. გამოყენებულია აგრეთვე ხის მასალა. ყველაზე უკეთ შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების აღმშენებლობის კვალი. ბორცვის პლატო მთლიანად ათვისებულია და შედგება ოჯალური ციტადელისაგან – 180X40მ; კედლების სიმაღლე გარედან დაახლოებით 10 მ-მდეა, ხოლო სისქე საშუალოდ 2 მ. ციხის კედლებში ჩამოყალიბებულია კოშკები. ციხეში არის წყლით მომარაგების გვირაბი. მდ.

ლიახვის მხარეს ციხის ფერდობზე განლაგებულია „ცხრაკარად“ წოდებული მონაკვეთი, რომელიც შედარებით უკეთაა შემორჩენილი. ის შედგება ფერდობზე დაშვებული ორი პარალელური კედლისაგან (მათ შორის დაცილება 15 მ-მდეა). ამ კედლებს შორის ფართობი შეიღ არათანაბარ ნაწილად იყოფა. ჩრდილოეთის კედელი გამაგრებულია კონსტრუქციებით. კედლებში ჩატანებულია კოშკები, რომლებიც ქონგურებით ბოლოვდება. კოშკები სამსართულიანია. ციხის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან არის XI-XII სს-ის დარბაზული ტიპის (12X7 მ) ეკლესიის ნაშთები. ნაგებია თლილი ქვით, აფსიდა ნახევარწრიულია. ეკლესია გადახურული ყოფილა კამარულად (აზომაძე რ. გვერდწითელმა და ა. გოგელიამ) (ზაქარაია 1973: 29-35; ბერიძე 1983: 70-74; გაბუნია 1987: 9-14).

გორში რუსთაველის ქ. №41-ში ი. ვ. ერეკლეს აბანო მდებარეობს. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. გეგმარება სწორკუთხაა – 22X12,2 მ. ნაგებია ფლეთილი ქვით და აგურით; აქვს ისრისებური თაღები. აბანო ნახევარწრიულადაა გადახურული და აქვს ორი დარბაზი. შიგნიდან შელესილია (აზომა ა. გოგელიამ; ანაზომები ინახება ძეგლთა დაცვის სამმართველოს სარეგისტაციო სახელისნოში).

გორიდან სამხრეთ-დასავლეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, გორაზე შემორჩენილია XVIII ს-ის გალავნისა და გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობების ნაშთები. შენობები აგებულია ფლეთილი ქვით და ღულაბით. გალავანში შეიმჩნევა სათოფურები (სძა 1990: 38).

1935 წ. გორში ძველი სემინარიის ქუჩასა და სასაფლაოს შუა, მიწის სამუშაოების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა ქოთნით დაფარული დაახლოებით ათი ათასი ცალი ვერცხლის მონეტა. მათში ძირითადად წარმოდგენილია – კოსტანტინე II-ის (1478-1505), ვახტანგ IV-ის (1442-1446), გიორგი VIII-ის (1446-1466), ბაგრატ VI-ის (1466-1478) მიერ მოჭრილი ფული. განმში მეზობელი თვეების მონეტებიცაა. ისინი ძირითადად XV ს-ით თარიღდება (კაპანაძე 1940: 279-305; 1955: 109-11; დონდუა 1964: 88).

ბიბლიოგრაფია: ავითაბილე 1977: 56, 59; აკოფაშვილი 1965: 137; ბარნაველი 1959: 190, 191; ბაგრატიონი 1983: 47, 52, 54, 61, 79; ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 79, 108, 109; ბაგრატიონი 1936: 40; ბარბარო 1894: 48; ბერიძენიშვილი 1966: 19, 21, 40; ბერძენიშვილი 1960: 12; ბერიძე 1983: 70-74; ბურნაშვილი 1896: 83; გაბუნია 1987: 9-14; გამბა 1987: 194; გამრეკელი 1964: 33; გვრიტიშვილი 1954; დადიანი 1962: 133; დოკუმენტები ... 1968: 232; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 15; 1953: 30; დოკ. თბ. ისტ. 1962: 15; დიუმა 1964: 378, 395; დუნდუა 1964: 88; ზაქარაია 1973: 29-35; თამარაშვილი 1902; თუმანოვი 1818; თურქეთ-სპარსეთის ... 1987; ისტ. დოკ. 1959: 20; კაკაბაძე 1967: 50, 147; კასტელი 1976: 215; კაპანაძე 1940: 279-205; 1955: 109-111; კიკნაძე 1975: 10; კლაპროტი 1815: 325; კონტარინი 1894: 53; მაკალათია 1947: 101-113; მამისთავარიშვილი 1994; მასალები

საქ. ისტ. გეოგ. 1964: 58-62; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 43; 1955: 18, 19; მელიქიძე-ბეგი 1941: 126, 127; მესხია 1959: 44-46, 199-202, 400-402; მესხური მატიაწე 1961: 50, 55; მუნში 1969: 20, 22, 24, 30, 34, 89, 90, 91; მცირე ქრონიკები 1968: 37, 45, 62; ნარი-მანიშვილი 1979: 25, 26; ორბელიანი 1981: 54; პოლიექტტივი 1935: 90-94; რომის კათოლიკური ... 1994: 392, 415, 428, 429, 436, 439, 446, 449, 451, 459, 461, 467, 480, 486, 490, 496, 500, 505, 509, 510, 517, 521, 523, 530, 537, 555; მილანელი 1964: 101; საქ. არქ. 1992: 79; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. 1953: 88, 98; სამოქალაქოს სჯულდვილება 1967: 96; სძა 1990: 31-43; სუხანოვი 1965: 68; ურპაელი 1966: 96-98; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 157; ქართულ-სპარსული ... 1955: 38, 368; ქც 1: 233,3; ქც 2: 51,2; 296,14,16,18; 306,9; 318,13; 375,6; 378,28; 387,5,9; 365,1; 373,15; 376,7; 378,24; 379,3,11,12; 394,29; 417,23; 422,26,27; 445,8,13; 487,2,11; 508,17; 511,28,30; 531,1; 527,32; 510,18; 421,16; 522,23,29; 523,28; 524,19; 532,11; 535,15,17,22,30,31; 537,7; ქც 4: 117,23; 239,20; 346,10,12; 350,16; 352,21; 364,19,21; 366,22; 367,1,2; 368,1,4,14,23; 369,1,2,9; 371,11; 372,4,5; 378,14; 385,29; 392,16,19; 396,1; 404,29; 411,20,29; 414,22; 415,24; 417,14,19; 418,3,4; 438,20; 441,9; 442,3; 453,5; 455,3; 466,8; 469,1,11; 473,24; 476,2; 488,3; 491,14,23; 498,25; 501,7; 504,3; 507,11; 511,10; 512,3; 514,6; 515,18; 521,3,5,10,12; 624,12; 627,29; 631,20; 809,19; 854,7; 870,29; 871,5; 872,11; 124,5; 239,18; 239,21; 288,23; 300,12; 425,21; 587,18; 721,17; 723,23; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 508; ქრონიკები 1967: 322; ჩელები 1978: 140; შარდენი 1975: 245, 273, 274, 275, 278, 279, 289, 288, 289, 294, 295, 296, 299, 323; სიველები 1891: 466, 447; ცხოვრება ... 1980: 40; ძე 1954: 305-374; ხალკოკონდილე 1970: 91; ხახუტაიშვილი 1966: 91, 102-124; ჯულაბაშვილების დავთარი 1963: 216; ჰასან რუმლე 1966: 21, 33, 34, 36; ჰაჯი მექბედი ყული ყაჯარი 1942: 92.

ბიოგრაფია (ქც 4: 344,4,9; 417,14; ქც 2: 378,23,24, 27; 493,2; 535,14,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 344,14), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ ქც 2: 378,23,24,27; 493,2; 535,14,15), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 220; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 79, 156; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 522, 523; 1981: 637, 638; 1985: 28, 29, 50, 51).

მღებარეობს მტკვრის ნაპირზე, გორიდან 3 კმ-ზე, მალალ მთაზე. გორიჯვრის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „წიღისის ჩდილოთ და გორის პირისპირ არს ეკლესია წმიდისა გიორგისა, მალალს გორასა ზედა ნაშენი, სასწაულომქმედი. თავი წმიდის გიორგისა მღებარეობს ჯუარსა შინა, უწოდებენ გორიჯვარს“ (ქც 4: 344,14,15).

მთაზე შემორჩენილია XVII ს-ის გალავანი, წმინდა გიორგის ეკლესია, სამლოცველო და ღვთისმშობ-

ლის ეკლესია (მაკალათია 1971: 105-108; ჯავახიშვილი 1979: 94; მამისთვალისშვილი 1994: 164-172; აბრამიშვილი 1994).

გორიჯვარი არქეოლოგიურად შესწავლელია.

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1994; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 220; მაკალათია 1971: 105-108; მამისთვალისშვილი 1994: 164-172; ნარიმანიშვილი 1974: 35-37; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 522, 523; 1981: 637, 638; 1985: 28, 29, 50, 51; ქც 4: 344,4,9; 417,14; ჯავახიშვილი 1979: 94.

ბოსტიაშ (ქც 4: 422,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 422,5), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 386,2), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 31), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 188, 322, 351; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 876).

მღებარეობს კასპის მუნიცი-ში, მდ. თემის მარჯვენა შენაკადის გოსტიბესწყლის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. გოსტიბეს ტერიტორიაზე.

1609 წ. მღვდელმა თევდორემ ქართლში შემოჭრილი თურქთა ლაშქარი გოსტიბეს გავლით ერთაწმინდაში ჩაიყვანა. ამით მტრის მოულოდნელ თავდასხმას გადაარჩინა ცხირეთის ციხეში მღვდომი ლუარსაბ II (1606-1615) და მისი მცირერიცხოვანი მეგობრები.

1930 წ. სოფ. გოსტიბეს განაპირას, დასავლეთით, მიწის დამუშავებისას დაზიანდა სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი; მთლიანადსმული ე. წ. „კახური ტიპის“ ბრინჯაოს სატევარი, კოლხური ცული, ცილინდრული ფორმის მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტი.

1948 წ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღ. ტ. ჩუბინიშვილი) გათხარა ორი ქვაყრილიანი ორმოსამარხი იმ ტერიტორიაზე, სადაც 1930 წ. სამარხი დაზიანდა. ორმოსამარხებში აღმოჩნდა შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი; ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი და სატევრის ფრაგმენტი. სამარხები თარიღდება ძვ. წ. XI-VII სს-ით.

სოფლის აღმოსავლეთით აღმოჩნდა მეორე სამაროვანი, სადაც გაითხარა ერთი ქვაყრილი. მიცვალებული დაკრძალული იყო კიდურებმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე. სამარხში აღმოჩნდა: ამოღებული გეომეტრიული სახეებით შემკული თიხის შავად გამომწვარი ხელადა, ვერცხლის სასაფეთქლე რგოლი, გველისთავებიანი ბრინჯაოს სამაჯური, ბრინჯაოს საწვივე რგოლები (8 ც), ბრინჯაოს საკინძი და ლილეები. სამარხი თარიღდება ძვ. წ. VI-IV სს-ით (ჩუბინიშვილი 1950:9-34). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

1982 წ. სოფ. გოსტიბეში შემთხვევით აღმოჩნდა ორმოსამარხი. მიცვალებული დაკრძალული იყო კიდურებმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე, თავით

აღმოსავლეთით. სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის ფეხიანი თასი, რომელზეც საზეითო გამოყვანილია ოთხი თხა(?), ხოლო წერტილებით – ყურძნის მტევნები; ბრინჯაოს ჭვირული ბალთა; ბრინჯაოს ზარაკი და სარდონის მძივები. სამარხი თარიღდება ახ. წ. II-III სს-ით (სმა 1990: 151). მასალა ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად ცნობილია გვიანი შუა საუკუნეების ნასოფლარი, რომელიც მდებარეობს მდ. გოსტიმესწყლის მარჯვენა ნაპირზე, სოფლის განაპირას, აღმოსავლეთით. ნასოფლარზე დადასტურდა რიგის ქვით ნაგები შენობების ნანგრევები და უხეშეკვანი, მოწითალოდ გამოძწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. აქვე დგას კოშკი და წმინდა სამების ეკლესია. კოშკი გეგმით ოთხკუთხაა (8,3X9,1 მ). კუთხეები გარედან მომრგვალებულია. ნაგებია რიგისა და ფლეთილი ქვით. დაზიანებულია. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით (სმა 1990: 150, 151)

წმინდა სამების X-XI სს-ის ეკლესია დარბაზულია (11,5X5,9 მ). ნაგებია ფლეთილი ქვით. დაზიანებულია. ნახევარწრიულ აფსიდაში ერთი თაღოვანი სარკმელია. კედლები შელესილი ყოფილა, რომლის ქვეშ შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები (სმა 1990: 151).

სალომის ლომისის განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია დგას სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, სალომისაწყლის მარჯვენა ნაპირზე. მისგან გადარჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადი საკურთხევლით (სმა 1990: 151).

სოფლის სამხრეთით, 1 კმ-ის დაშორებით მდებარეობს კაბერის შუა საუკუნეების ნასოფლარი და წმინდა გიორგის XI ს-ის ეკლესია. ნასოფლარზე შემორჩენილია რიგის ქვით ნაგებ შენობათა საძირკვლები. ეკლესია დარბაზულია (12,7X11,9 მ). ნაგებია ფლეთილი ქვით. კონსტრუქციულ ნაწილებში გამოყენებულია ქვათილები. ნაღისებურ აფსიდაში ერთი თაღოვანი სარკმელია. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. სამკვეთლო ეკლესიის თანადროულია. ხოლო ეგვიპტური მოგვიანებით მიუშენებიათ (სმა 1990: 150; მეფისაშვილი 1979: 46-63).


კაბერის გვიანი შუა საუკუნეების თლილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია (5,3X3,1მ) მდებარეობს ნასოფლარის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ნახევარწრიულ აფსიდაში ერთი სარკმელია. ძლიერ დაზიანებულია (სმა 1990: 150).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 31; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 188, 322, 351; მეფისაშვილი 1979: 46-63; სმა 1990: 150, 151; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 876; ქტ 2: 386,2; ქტ 4: 422,5; ჩუბინიშვილი 1950: 9-34.*

ბოჯი, ციხე, ციხე-გოჯი (ქტ 1: 24,5,სქ.1), ქალაქი და ციხე (ქტ 4: 777,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქტ 1: 24,5,სქ.1), ჯუანშერის „ცხოვრება

ვანტანგ გორგასლისა“ (ქტ 1: 146,5; 157,20; 235,2, სქ. 1, 238,5; 242,16), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქტ 4: 777,13), „დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობა“ (მარტვილობა და ვითისა და კონსტანტინესი 1946: 238), იუსტინიანეს „ნოველები“ (იუსტინიანე 1965: 34, 35), პროკოპი კესარიელის „ომი სპარსელებთან“ (პროკოპი კესარიელი 1965: 97, 101, 105, 107, 108), „შენობათა შესახებ“ (პროკოპი კესარიელი 1965: 220, 221), „ბრძოლა ვანდალებთან“ (პროკოპი კესარიელი 1965: 230), ავათია სქოლასტიკოსის „ისტორია“ (ავათია სქოლასტიკოსი 1936: 30, 40, 53, 56, 59, 91, 95, 148), თეოფანე ფამათაღმწერელის „ქრონოგრაფია“ (გეორგიკა 1952: 110), ღონ ქრისტოფორო დე კასტელის „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“ (კასტელი 1976: 195), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 325), კ. კოხის „მოგზაურობა რედუტ კალედან ტრაპეზუნტამდე“ (კოხი 1981: 178-180).

ვახუშტი ბაგრატიონი ვადმოკვეცეს: „სენაკს ზეით, უნავირას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხე გოჯად წოდებული. ეს ალაშენა მეფის ფარნაოზის ფაშს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე“ (ქტ 4: 777,11-13).



ციხე-ქალაქის გენგეგმა

მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში, მდ. ტეხურის პირას, ახლანდელ სოფ. ნოქალაქევის ტერიტორიაზე (დოუბა დე მონპერე 1839: 53; ბაქრაძე 1875: 94, 95; ლომოური 1979: 151-155).

წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება: არქეოპოლისი (პროკოპი კესარიელი, ავათია სქოლასტიკოსი), ციხე გოჯი (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ვახუშტი ბაგრატიონი), ნაქალაქევი (ვახუშტი ბაგრატიონი), ჯიხან-ქვიჯი (მარტვილობა დავითისა და კონსტანტინესი), ნოქალაქევი (კ. კოხი).

ძვ. წ. IV-III სს-ში ციხე და ქალაქია. ახ. წ. IV-VI სს-ში – ეგრისის სამეფოს დედაქალაქი. 705-711 წწ. იქ არაბთა გარნიზონი იდგა (ჯანაშია 1952: 368). 735-738 წწ. ციხე გოჯი არაბთა სარდალმა მურვან-ყრუმ დაანგრია. XVIII ს-ში დადიანთა რეზიდენციამ (ზაქარაია ... 1984: 19).

ნოქალაქევში არქეოლოგიური გათხრები პირველად 1930-1931 წწ. განხორციელდა (მ. შნაიდერი). 1971 წ. იქ სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. გრიგოლია). 1973 წლიდან სისტემატურ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია (ხელმძღ. პ. ზაქარაია, დ. ლომიჭაშვილი).

IV-VI სს-ის ნაქალაქარი მდებარეობს მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე, მაღალი მთის ფერდობზე. შედგება სამი ნაწილისაგან: ქვედა, შუა და ზედა ციხე ანუ ციტიდელი. ნაქალაქარის ტერიტორია გალავნითაა შემოსაზღვრული. შიდა ფართობია 17-18 ჰა. გამოვლენილია სხვადასხვა დროის სამი გალავანი: პირველი გალავანი აშენებულია ახ. წ. IV ს-ის დასაწყისში; მეორე – V ს-ის პირველ ნახევარში; მესამე – V-VI სს-ის მიჯნაზე. გალავანი გამაგრებულია სწორკუთხა ფორმის კოშკებით (ზაქარაია 1987: 142, 143). ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკებიც სწორკუთხაა, ორსართულიანი. ნაგებია რიყის ქვით დულაბზე. ციტიდელის გეგმა გრძელი სამკუთხედაა. სამხრეთის მხარეზე ორი ვიწრო შესასვლელია. კარის გვერდით ნიშში აღმოჩნდა ადგილობრივი წარმოების ორ რიგად დაწყობილი 22 ამფორა. გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში ჩაშენებულია სწორკუთხა ფორმის სამი კოშკი. ნაგებია რიყის ქვითა და კვადრებით (ზაქარაია 1987: 177-179). ციტიდელის ტერიტორიაზე ერთნაგვიანი ეკლესიაა. ნაშენია თლილი ქვებით. თარიღდება V-VI სს-ით (ზაქარაია ... 1984: 46). ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან 40 მ სიგრძის თლილი ქვით ნაგები გვირაბია. მისი კამარა ნახევარწრიულია. გვირაბს აქვს ქვის კიბე. შემორჩენილია თითხმეტი საფეხური (ზაქარაია 1987: 149, 150).

ნაქალაქარის სამხრეთით გამოვლინდა IV ს-ის სასახლის ნაშთი. შემორჩენილია მხოლოდ თაღების საყრდენები. მეორე ორსართულიანი სასახლე მდებარეობს აღმოსავლეთით, ვაკეზე. შუაში დარბაზია. გრძივკედლებზე აივნები ყოფილა. დათარიღებულია V ს-ით. მესამე სასახლე სამსართულიანია. პირველი სართული დამხმარე დანიშნულებისა იყო და ცალკე კარი ჰქონდა დასავლეთიდან. მეორე სართულზე მისაღები დარბაზი იყო; მესამეზე – საცხოვრებელი. სასახლე ნაგებია თლილი კვადრებით. თარიღდება VI ს-ის დასაწყისით. გვიან შუა საუკუნეებში სასახლის პირველი სართული მარნად გამოუყენებიათ (იაშვილი, ზამთარაძე 1981: 184-193).



ნოქალაქევის ნაქალაქარის ერთ-ერთი კარიბჭე

„ორმოცმოწამეთა“ ეკლესიის გარშემო, თანამედროვე სასაფლაოს ტერიტორიაზე, გამოვლენილია სხვადასხვა დროის სამი ეკლესია. პირველი მათგანის მხოლოდ საკურთხეველია შემორჩენილი. ის ნახევარწრიულია. ეკლესია დარბაზული ტიპის უნდა ყოფილიყო. თარიღდება IV ს-ის შუა ხანებით. მეორე სამნავიანი ბაზილიკაა (22,35X26,6 მ). ცენტრალური ნავი გვერდითი ვიწრო ნაგებისაგან გამოყოფილია სვეტებზე დაყრდნობილი სამ-სამი თაღით. გვერდით ნაგებს დასავლეთით განიერი ნავი აერთებს. მასში ყოფილა სანათლაგი. ეკლესიას ოთხი კარი ჰქონდა. ნაგებია ყორ და ნახევრად დამუშავებული ქვით. თარიღდება V ს-ის შუა ხანებით. მესამე ეკლესია ბაზილიკაა. მრავალჯერაა გადაკეთებული. თავდაპირველი ეკლესია სამნავიანია. კარი დასავლეთითა და სამხრეთით აქვს. თარიღდება VI ს-ის დასაწყისით. გვიან შუა საუკუნეებში გადაუკეთებიათ გუმბათოვან ეკლესიად. ეკლესია XVI-XVII სს-ში მოუხატავთ. გადარჩენილი ფრესკებიდან საკურთხეველის კონქში უნდა იყოს გამოსახული ღვთისმშობელი ყრმიითა და მთავარანგელოზებით. ქვედა რეგისტრზე, ცენტრალური სარკმლის ორივე მხარეს გამოსახულია ზიარების სცენა. მომდევნო ქვედა რეგისტრზე მღვდელმთავრები არიან



ნაქალაქარის ფორტიფიკაცია

წარმოდგენილი (ზაქარაია ... 1984: 27; კაპანაძე 1987: 90-122). საკურთხეველში, აფსიდის კედლებზე ოთხი ჯვარია გამოსახული. თარიღდება VI ს-ის დასაწყისით (სხირტლაძე 1987ა: 126-133). დასავლეთ კედელზეც სამი რეგისტრია. ზედა მონაზულობაში „ღვთისმშობლის მიძინება“ უნდა ყოფილიყო გამოსახული. მარცხნივ – „სულიწმინდის მოფენა“, მარჯვნივ – „ლაზარეს აღდგინება“, ქვემოთ – „წმიდა მხედარი დემეტრე“.

ეკლესიის აღმოსავლეთით დგას კოშკი. შემორჩენილი პირველი სართული თაღოვანია. ნაგებია დიდი ზომის თლილი ქვებით. ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში მდებარეობს აბანო („სამოქალაქო აბანო“). შედგებოდა ხუთი განყოფილებიდან: საცეცხლე, გასახდელი, ცივი, თბილი, ცხელი. აბანოს შიდა კედლები და აუზები შელესილია ჰიდრავლიკური ხსნარით. ფასადები შემოსილია საშუალო ზომის თლილი ქვით. თარიღდება IV-V სს-ით (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 109-113). მეორე აბანო („სამეფო აბანო“) მდებარეობს პირველიდან ასიოდე მეტრზე. ხუთგანყოფილებიანია. გეგმაში ირეგულარულია. ნაგებია თლილი ქვით. პირველი სათავსის იატაკზე აღმოჩნდა აგურის ფრაგმენტი ბერძნული წარწერით: „მომდინარე მხურვალეაა (ამისი) დასათვალეიერებელი (ე. ი. შესამოწმებელი) ადგილი“. წარწერა VI-VII სს-ით თარიღდება (ყაუჩიშვილი 1981: 197, 198).

ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის მასალები: ადრენტიკური ხანის კოლხური სასმისები (ლომიტაშვილი, ლორთქიფანიძე 1987: 203-209); ახ. წ. IV-VI სს-ის ადგილობრივი ამფორები, ლუთერიები, ქოთნები, ღოჭები, იმპორტული ამფორები, წითელლაკიანი ლანგრებისა და ჯამების ფრაგმენტები. VII-XI სს-ის ლარნაკების, ქილების, ქვევრების ნატყენები, XI-XIII სს-ის იმპორტული მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები (ლექვიანიძე 1987: 237-246); სხვადასხვა დროის მონეტები: კოლხური ნახევარდრაქმები (18ც), ადრიანეს (117-138) ვერცხლის მონეტა, ანასტასი I-ის (491-518) ერთი 20-ნუმიანი მონეტა, იუსტინე I-ის (518-527) სამი 40-ნუმიანი სპილენძის მონეტა, იუს-

ტინიანე I-ის (527-565) ერთი 40-ნუმიანი მონეტა, იუსტინე II-ის (565-578) სპილენძის ორი 20-ნუმიანი მონეტა, ერთი კირმანეული. XVII ს-ის ორი თურქული მონეტა (აბრამიშვილი 1987: 274-285). ნაქალაქარის სამაროვანზე სამარხები ოთხ ჯგუფად იყოფა: I. ძვ. წ. IV-III სს-ის შუა ხანების ორმოსამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია მიკურუნხული, მარჯვენა ან მარცხენა ვერღზე, თავით აღმოსავლეთით, სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარხებში აღმოჩენილია ადგილობრივი დოქი, ბრინჯაოს ზარაკი და საყურე-რგოლები. II. ძვ. წ. III ს-ის შუა ხანებისა და ძვ. წ. II ს-ის ქვევრსამარხები. ისინი დაფლულია პორიზონტალურად, პირით აღმოსავლეთით. მიცვალებულები დაკრძალულია მოხრილად, თავით აღმოსავლეთით. სამარხებში აღმოჩენილია: ადგილობრივი წარმოების დოქები, იმპორტული კანთაროსი, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამაჯურები, საბეჭდავები, საყურე-რგოლები, ფირფიტა-გარსაკრავები, მინის მძივები, რკინის შუბისპირი, ვერცხლის მონეტები. III. ძვ. წ. I-ახ. წ. I სს-ის ორმოსამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია ოდნავ მოხრილი, მარცხენა ვერღზე, თავით აღმოსავლეთით. მათში აღმოჩენილია ადგილობრივი დოქები, დეკორატიული ამფორა, ვერცხლის, რკინისა და ბრინჯაოს სამაჯურები, საყურე-რგოლები, მთის ბროლის, სარდიონისა და მინის მოთქურსა და მოვერცხლილი მძივები, რკინის დანა და კავის ფრაგმენტები. IV ახ. წ. IV-VI სს-ის ორმოსამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია ზურგზე გაშთიტილი, თავით დასავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა: ადგილობრივი წარმოების ქოთნები, ღოჭები, ოქროს, რკინისა და ბრინჯაოს მშვილდსაკინძები, საკინძები, ბეჭდები, საყურე-რგოლები, სარდიონისა და მინის მძივები (გვიჩიძე 1981: 158-179).

1930 წ. კოშკის იატაკის ქვეშ აღმოჩნდა იმპერატორ მაკრიკი ტიბერიუსის (582-602) ოქროს მონეტების (23 ც) განძი (აბრამიშვილი 1959ა: 233-250). განძი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1959ა: 233-250; 1987: 274-285; ავათია სქოლასტიკოსი 1936: 30, 40, 53, 56, 59, 91, 95, 148 ბაქრაძე 1875: 94, 95; ბროსე 1851: 21-24; განი 1907: 12-143; გამყრელიძე 2010: 76, 155, 193; გეორგიაკ 1952: 110; გვიჩიძე 1978; 1979: 152-166; 1981: 150-181; გოულდენშტედტი 1962: 325; გოზალიშვილი 1972: 214-227; გრიგოლია ... 1973: 36; გრიგოლია ... 1972: 30; დიუბუა დე მონპერე 1839: 53-60; ზაქარაია ... 1984; ზაქარაია 1987: 136-186; ზაქარაია, კაპანაძე 1991; იაშვილი, ზამთარაძე 1981: 184-196; იოსელიანი 1850: 72; იუსტინიანე 1965: 34, 35; კასტელი 1976: 195; კაპანაძე 1987: 90-125; კოხი, სპენსერი 1981: 178-180; ლექვიანიძე 1959: 144-158; 1974: 112-119; 1987: 237-245; ლომიტაშვილი, ლორთქიფანიძე 1987: 203-209; მარტვილია და ვაითისა და კონსტანტინესი 1946: 238; მურავიოვი 1848ა: 265-273; პროკოპი კესარიელი 1965: 97, 101,



ნაქალაქარის ფორტიფიკაცია

105, 107, 108, 220, 221, 230; სხირტლაძე 1987ა: 126-135; ქც 1: 24,5, სქ. 1; 146,5; 157,20; 235,2, სქ. 1; 238,5; 242,16; ქც 4: 777,13; ყაუხჩიშვილი 1948: 188-194; ყაუხჩიშვილი 1981: 197, 198; შენგელია 1980: 167-174; შნაიდერი 1981: 240-242; ჩუბინაშვილი 1970ა: 93-103; ჯანაშია 1952: 308-312.

8680, ქალაქი, დაბა (ქც 4: 546,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 546,14; 552,8; 568,4,10; 571,26; 573,2; 578,4; 583,12; 584,2; 585,10), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 383,2), XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (სიგელები ... 1891: 94; ქრონიკები ... 1897: 374, 375, 380, 463; 1967: 184, 195; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 64; ქართულ-სპარსული ... 1955: 43), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1913: 321), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 157), „ცხოვრება საქართველოსანი“ (ცხოვრება ... 1980: 97, 102), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 140), ჰასან რუმელს „ცნობები საქართველოს შესახებ“ (ჰასან რუმელს 1966: 21, 22, 26), ისქანდერ მუნშის „ცნობები საქართველოს შესახებ“ (მუნში 1969: 17, 85), ქათბო ჩელების „ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“ (ჩელები 1978: 133), კ. კონის „ბრძოლის ველზე გასვლა“ (კონი 1981: 238, 245-247), იოჰან გუილდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გუილდენშტედტი 1962: 33). ვახუშტი ბაგრატიონი გრემის შესახებ გადმოგვცემს: „ალაზანს ერთვის საბუე-გრემის წყალი, გამოძინარე დიდოეთსა და მას შორის კავკასს და მომდინარე, ვითარცა წინანი მდინარეინი. ამ წყალზედ არს გრემი, რომელ ქმნეს ქალაქად ... (1466 წ.) აწცა არს შენობა და ეკლესია შეუქმურავი. ოდეს მოაოხრა შააბაზ, მიერთ არს დაბა და არლარა ქალაქი. აქა არს ეკლესია გუმბათიანი“ (ქც 4: 546,14).


ძველი ქალაქი გრემი ლოკალიზდება დღევანდელი სოფელი გრემის სამხრეთ-დასავლეთით. მდებარეობს მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადის მდ. ინწობის შუა წელის მარჯვენა ნაპირზე, შემალლებული გორაკის, გრემის მთავარანგელოზის ანსამბლის გარშემო, ალაზნის ვაკეზე.

ქალაქი გრემი XV-XVII სს-ში კახეთის მნიშვნელოვანი სტრატეგიულ-ადმინისტრაციული და სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი იყო. 1466 წ. კახეთის სატახტო ქალაქი გახდა. 1614-1616 წწ. გრემი დააქცია შაჰ-აბას I-მა. (ზაქარაია 1975: 9-20).

1963-1967 წწ. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. პ. ზაქარაია). განათხარი მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).


გრემის ნაქალაქარი გვიანი შუა საუკუნეების ძეგლია. 1966-1967 წწ. აქ გვიანბრინჯაოს პერიოდისა და განვითარებული შუა საუკუნეების უმნიშვნელო

არქეოლოგიური მასალაც აღმოჩნდა (ზაქარაია 1975: 170). ქალაქს დაახლოებით 50 ჰა ფართობი ეჭირა და განლაგებული იყო მდ. ბოლიას (მდ. ინწობის შენაკადის) გასწვრივი ქედის ბოლო შემადგენლობაზე (სადაც მთავარანგელოზის ანსამბლია) და მის გარშემო მდებარე ვაკეზე. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია გვიანი შუა საუკუნეების კერამიკის (ქვევრები, ქოთნები, ჯამები, დოქები და სხვ.), მოჭიქული კერამიკისა და ფაიანსის (მათ შორის სპარსული) ნატეხები (ზაქარაია 1975: 170, 171; ჭილაშვილი, გოუნაშვილი 1972: 122-138). ქალაქი გრემი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა. პირობითად ესენია: მთავარანგელოზის ანსამბლი - ციტიდელი, მეფე-დიდებულთა უბანი და სავაჭრო უბანი. „მეფე-დიდებულთა“ უბანი განთავსებული იყო ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და 20 ჰა-მდე ფართობი ეჭირა. აქ ნაგებობები სამირკვლის დონეზეა შემორჩენილი. ისინი მრავალჯერაა გადაკეთებული. შენობის გვემარება ცუდად იკითხება.



ნაქალაქარი გრემის გენგეგმა

მეფის სასახლე მდ. ინწობის ნაპირას, მცირე შემადგენლობაზე მდებარეობს. ნაგებობა სწორკუთხაა და შედგება რამდენიმე სათავსისაგან, დარბაზისა და აუზისაგან. ის რიყის, ფლეილი ქვითა და კირხსნართაა ნაგები. აქ გამოიყოფა ოთხი სამშენებლო ფენა. ზოგან შემორჩენილია აგურის იატაკი. მის ჩრდილოეთით გაითხარა ექვსი სათავსისაგან შემდგარი ე. წ. აკადემიის სწორკუთხა (20,5X18,5 მ) შენობა. კედლები ნაგებია რიყის ქვით და აგურით (22X22X4 სმ). იატაკი აგურითაა მოვებული. მის ჩრდილოეთით აღმოჩნდა „შადრენებიანი პავილიონი“ (11,8X12,7 მ) და ე. წ. რვაწახნაგა ნაგებობა (შიდა ფართობი 5,5X5,5 მ). აქვე გაითხარა რიყის ქვითა და აგურით აშენებული, სწორკუთხა ნაგებობები (16,7X11 მ; 40,6X7 მ). მათი გვემარება მეტ-ნაკლებად იკითხება. აქვეა მარანი, რომელშიც მხოლოდ საწნაველის ნაშთებია შემორჩენილი. გაითხარა აგურით (22X22X4 სმ) კირხსნარზე ნაგები ორგანოფილიებიანი აბანო. აქვე აღმოჩნდა თიხის მიღების ნაშთებიც (ზაქარაია 1975: 51-82).




ქარვასლა, რეკონსტრუქცია

სავაჭრო უბანი განლაგებული იყო ქალაქის სამხრეთ ნაწილში მდ. ალაზნის ვაკეზე და 30 ჰა-მდე ფარობი ეჭირა. ნაგებია ძირითადად რიყის, ფლეთილი ქვითა და აგურით (22X22X4 სმ). აქ არის „ქულბაქები“ შიდა ეზოთი და „ქარვასლა“. მათი გვემარება ზუსტად არ იკითხება. ქარვასლის სათავსოების დაახლოებითი ფართობი 14 კვ მ-დან 23 კვ მ-მდე მერყეობს. აქვე გაითხარა მეორე ორგანო-ყოფილებიანი აბანო, რომელშიც აღმოჩნდა წყალსადენის კერამიკული მილები. ქალაქის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს „თარსაგალავნის“ ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ეკლესია (9,8X6,8 მ). აფსიდა ნახევარწრიულია, შუაში მოგრძო სარკმლით. ეკლესია ძირითადად აგურითაა (22X24X5 სმ) ნაგები, მაგრამ გამოყენებულია რიყისა და ფლეთილი ქვაც. დასავლეთის კედელზე, კარის თავზე შემორჩენილია სამეორიანი (ქართული, სპარსული, სომხური) სამშენებლო წარწერა. ქართული, მხედრულად შესრულებული ვარიანტია: „მე ფრიად ცოდვილმან მათარსი აღვაშენე კარის ეკლესია ესე ყოვლად წმიდისა, ბრძანებითა და შეწვევითა ძისი მისისა და ჟამსა შინა მეფობასა მისისა პატრონის ალექსანდრესითა, წელსა მეოცდასამესა ქკსა სპა (1593 წ.) და შესწირილი კინინი შესწირავი ესე სამი კუამლი კაცი, ერთი წისქვილი, ერთი ვენახი და ორი ქულბაქი, სახსრად სულისა ჩემისა. რამანცა ადამის მონათესავემან ამა ეკლესიაზედა მჯდომს კაცზედა ნასად ხელი დაღვას ან ეს არ გაუთაოს, ღმერთმან მას ნურა გაუთაოს რა. ამინ კირიალეისონ“ (შანიძე 1940: 6).

სავაჭრო უბანში აღმოჩნდა აგრეთვე გუმბათოვანი, აგურით ნაგები ეკლესიის ნაშთები (7,5X7,5 მ) (ზაქარაია 1975: 127).

ქალაქს ქედის დაბოლოებაზე გადმოჰყურებს კონცხზე განლაგებული მთავარანგელოზის ანსამბლი. კონცხი შემოსაზღვრულია გალავნით, რომელშიაც ჩაშენებულია კოშკები. გალავნის ზედა ნაწილი არ არის შემორჩენილი. ციტადელში მთავარი შესასვლელი ჩრდილო-დასავლეთიდანაა. გალავანს სათოფურები 4-5 მ დაცილებით აქვს ჩატანებული. კოშკები შემორჩენილია მეორე სართულის დონეზე; გალავანს მოსახვევებში, გარედან, კონტრფორსები დაუყვება. ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით; ზოგან კუთხეებში გამოყენებულია აგური

(22X23X4 სმ). მასში შეიმჩნევა სხვადასხვა დროის სამშენებლო ფენები. გალავნის შიგნით ძირითადი ნაგებობაა მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც ლეონ მეფის (1520-1574) ბრძანებითაა აგებული. მეფე აქვე, ეკლესიაშია დაკრძალული. ტაძრის დასავლეთის კედელზე გამოხატულია ლეონ მეფე (რომელსაც ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავს), ზედა მხარეს ასომთავრული წარწერით: „მეფე ლეონ აღმშენებელი“ (ზაქარაია 1975: 25). ეკლესიის დასავლეთი კარის თავზე, ინტერიერის მხრიდან, შემონახულია ბერძნული წარწერა: „ქ. აღიმართა და განახლდა ღვთაებრივი და ყოვლადწმიდა ტაძარი ყოველთა უდიდესთა მიქაელისა და გაბრიელისა, სახელოვანი მეფის ლეონის შეწვევით, ხარჯით, გულმოდგინებითა და შრომით, მაშინ, როდესაც მღვდელმთავარი იყო ნიკოლოზი, (1577წ.) აგვისტოს თვის 29-ს, მეოთხე დღეს, საბას წინამძღვრობის დროს ... ქართველართის, ბერმონაზონი და პროტოსვინგელოზი სალონიკელი“ (ყაუხჩიშვილი 1951: 332-335). ტაძარში რელიგიური ხასიათის სხვა მოკლე ქართული და ბერძნული წარწერებიცაა (ყაუხჩიშვილი 1951: 332-335). მთავარანგელოზის ეკლესია (16X12,5 მ, სიმაღლე 20 მ) ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპისაა. აფსიდა ნახევარწრიულია და აქვს მოგრძო სარკმელი. საკურთხევლის გვერდებზე სადიაკვნე და სამკვეთლოა. ინტერიერში შეისრული ტიპის თაღებია. ეკლესიას სამი მხრიდან აქვს თითო-თითო შესასვლელი. ტაძარი ნაგებია აგურით (21X21X4 სმ), შიგადაშიგ ურევია რიყის



ციტადელის გეგმა



გრემი

ქვავ. ეკლესია თავდაპირველად მოჭიქული კრამიტით ყოფილა გადახურული (ჩუბინაშვილი 1959: 440-454; ზაქარაია 1975: 27-30).

მთავარანგელოზის ეკლესიის სამხრეთით დგას „პალატი-სამრეკლო“, რომელიც მთავარანგელოზზე უფრო ადრინდელ ნაგებობად ითვლება. ეს არის კოშკურა ტიპის სამხრეთულიანი (თავზე სამრეკლოთი) ნაგებობა, რომელიც რამდენიმე სამშენებლო ფენას შეიცავს. პირველ სართულზე განლაგებულია კამარით გადახურული დარბაზი (10X6 მ), რომელიც დანარჩენ სართულებს შიდა კობით უკავშირდება. „პალატი-სამრეკლო“ ნაგებია აგურით (24X24X6; 25X25X6 სმ) (ზაქარაია 1975: 36-44). ციტადელის შიგნით, სამრეკლოს სამხრეთით და გალავნის ჭიმკართან, თხრილებში აგურითა და ფლეთილი ქვით აშენებული სხვადასხვა ნაგებობის ნაშთებია. არქეოლოგიური მონაპოვარი – კერამიკა, აქ გვიანი შუა საუკუნეებისაა (ზაქარაია 1975: 44-46).

ბიბლიოგრაფია: ამირანაშვილი 1961: 396, 397; ბარნაველი 1959: 116; ბერიძე 1974: 171-173; გორგიჯანიძე 1913: 21; გორდევანი 1919: 9; გიულენ-შტედტი 1962: 33; დადიანი 1962: 140; ზაქარაია 1975: იოსელიანი 1850: 43, 44; მუნში 1969: 17, 85; კობი 1981: 238, 245-247; კიკნაძე 1880: 39-44; მამულაშვილი 1936: 170-173; 1947: 167-193; მასალაბი სპ. ისტ. ვიდეო. 1964: 64; მარკოვი 1904: 402; მესხია 1959: 101; ორბელიანი 1981: 157; სივლეები ... 1891: 94, 95; ქართულ-სპარსული ... 1955: 43; ქც 2: 383,2; ქც 4: 546,14; 552,8; 568,4,10; 571,26; 573,2; 578,4; 583,12; 584,2; 585,10; ქრონიკები 1897: 374, 375, 380, 463; 1967: 184, 195; ყაუხჩიშვილი 1951: 332-335; შანიძე, ფუთურძე 1940: 5-11; ჩელიძე 1978: 133; ჩუბინაშვილი 1956: 447-450; ცხოვრება ... 1980: 97, 102; ჭილაშვილი 1980; ჭილაშვილი, გიუნაშვილი 1972: 122-138; ხერხეულიძე 1913: 276; ჰასან რუმლო 1966: 21, 22, 26.

გრიგოლ-წმიდანი, გრიგოლ-წმიდა, ციხე (ქც 4 151,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 151,22), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 312,13), გიორგი კედრენეს „ისტორიული მიმოხილვა“ (კედრენე 1963: 65). გრიგოლ-წმიდანის ლოკალიზებული არაა. შესაძლოა ის სომხეთში, ანისის მხლობლად მდებარე წმიდა გრიგოლის ციხე იყოს (გეორგიკა 1963: 65). წყაროებში პირველად იხსენიება IX ს-ში. 1068 წ. ბაგრატ IV-ის (1027-1072) მიერ ქვემო ქართლის სომხურ სამეფოში აღებული ციხეთა შორის გრიგოლ-წმიდანის მოიხსენიება (ქც 1: 312,13; ქც 4: 151,22). XI ს-ის 60-იან წლებში გრიგოლ-წმიდანის

თბილისის საამიროში შედიოდა (ბერძენიშვილი 1990: 309).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1979:73; ბერძენიშვილი 1964:308; 1990:309; კედრენე 1963:65; მესხია 1982:244; ქც 1:312,13; ქც 4:151,22.

გრემი (ქც 4: 138,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 138,8), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 275,2), „ძველი ერისთავთა“ (ძე 1954: 344, 345).

მდებარეობს ახალგორის მუნიციპ-ში, ქსნის ხეობაში, მდ. ალუურას მარჯვენა შენაკად გრუისხევის შუა წელზე.

ახ. წ. VI ს-ში ცხრაზმისხეველთა და ქსნისხეველთა შორის პირველობისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა. გრუის ციხეს იმ დროს ქსნისხეველები ფლობდნენ. ცხრაზმისხეველებმა გრუის ციხეს ალყა შემოარტყეს. როსტომ ერისთავმა აიღო ზედა ციხე. გრუელები ქვედა ორ ციხეში გამაგრდნენ და ზავი ითხოვეს. იმავე დამეს ცხრაზმისხეველებმა ქვედა ციხეებიც დაიკავეს და ციხის ზღუდე-ნაგებობები დაანგრეს (ძე 1954: 344, 345). 975 წ. ახლო ხანებში ქართლის აზნაურებმა იხმეს კახელები და გადასცეს უფლისციხე, რომელიც იმ დროს ბაგრატ III-ს ეკავა. მაშინ ტაო-კლარჯეთის მთავარი დავით III კურაპალატი, ბაგრატის მამობილი, თრიალეთში გადმოვიდა კახეთზე გასალაშქრებლად. კახელებმა ზავი ითხოვეს. ქართლი და უფლისციხე ბაგრატ III-ს დაუბრუნეს. წირქუალის ციხე და გრუი კი თვითონ დაიკავეს (ქც 1: 275,1,2). იგივე ამბავს ვახუშტი ბაგრატიონიც აღწერდა იმ განსხვავებით, რომ გრუის გრუის ფორმით მოიხსენიებდა (ქც 4:138,1-9).

გრუის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ციხე აშენებულია შემადლებულ, ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე 200-ოდე მ-ით წავრქველებულ გორაკზე, რომელსაც სამი მხრიდან წყალი უვლის. თხემის სიგანე 80 მ-დეა. ციხის ქვედა, სამხრეთ ნაწილი გალავნითაა შემოხლული, სადაც სხვადასხვა ნაგებობის ნაშთები და 6 მ დიამეტრის მქონე სათოფურებიანი ცილინდრული კოშკია შემორჩენილი. გალავნისა და სხვა ნაგებობათა კედლები ნაშენია რივისა და კლდის ფლეთილი ქვებით დულაბზე. ჩრდილოეთი, გალავნით შემოხლული ზედა ნაწილი უფრო დაზიანებულია. იქ შეინიშნება ზურვიანი კოშკის ნაშთი და სხვადასხვა ნაგებობები, რომლებიც ნაშენია კლდის ფლეთილი ქვებით დულაბზე. გარდა სათოფურებიანი ცილინდრული კოშკისა, ციხის ნანგრევები ადრე შუა საუკუნეებით თარიღდება (გვასალია 1967: 43).

ბიბლიოგრაფია: გვასალია 1967: 43; ქც 1: 275,1,2; ქც 4: 138,8; ძე 1954: 344, 345.

გულარნო, მონასტერი (ქც 4: 326,10). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 326,10), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები

(კაკაბაძე 1924ა: 189; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 620; 1972: 29, 34, 65, 66, 94; 1974: 452-454; 1977: 594; ქრონიკები 1897: 424; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 65; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 45; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 45, 49; მასალანი საქ. სტატ. 1907: 132, 135, 137), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1981: 30, 47).

ვახუშტი ბაგრატიონი გუდარქონის შესახებ გადმოგვცემს: „დის ალგეთი ... და ერთვის საშუალს გუდარქონს-ხევი. ხოლო გუდარქონს არს მონასტერი უგუმბათო, ბენდერის მთის ძირს, ფრიად შუენიერი, შუენიერს ადგილს, მრავალნი შენობანი; ზის წინამძღუარი. მას ზეით, ბენდერის მთისკენ, არს ციხე და ადგილი კლდოვანი, კლდითავე მაგარნი“ (ქტ 4: 326,9-14).

მდებარეობს თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში, მდ. გუდარქონისწყლის (ალგეთის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, თანამედროვე სოფ. გუდარქონის (ყოფილი ღორისთავის) დასავლეთით 3 კმ-ის დაშორებით (ხარაძე 1991: 86).

XVI ს-ში ის ბარათაშვილების საგვარეულო სოფელია (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 29; ბერძენიშვილი 1979: 97). XIII ს-ში ააშენა რუსუდან მეფემ (1222-1245). 1610-1612 წწ. ლურასაბ II (1606-1614) და თეიმურაზ I (1610-1648) გუდარქონის მონასტერს მამულებს სწირავენ (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 66; ლორთქიფანიძე 1935: 298). 1606-1615 წწ. გუდარქონის მონასტერი შეაკეთა რუსუდან დედოფალმა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964:66). 1630 წ. იასე ბარათაშვილმა გუდარქონის მონასტერს სოფ. ვერხვანლი შესწირა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 65). 1635 წ. ბედენის მთაზე გუდარქონელთა და ღორისთაველთა მამულებს შორის საზღვარი დაიდო (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 94). 1699 წ. იოანე კათოლიკოსმა (დიასამიძე) გუდარქონის მანგლისის ეკლესიას გადასცა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 17; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 620). XVIII ს-ის მეორე ნახევარში გუდარქონი სამეფო ღრმენია (ბაგრატიონი 1981: 47; ბერძენიშვილი 1979:97). გუდარქონზე გადიოდა სამშვილდიდან მანგლისში მიმავალი გზა (ბერძენიშვილი 1966: 73).

გუდარქონში პირველი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 1938-1939 წწ. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებული ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ლ. მუსხელიშვილი). 1954 წ. გუდარქონის სამხრეთ-აღმოსავლეთით ალგეთის ხეობის მარჯვენა ნაპირას, სოფ. აბელიასთან ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ. ლომთათიძე) დაზვერვითი სამუშაოების დროს აღმოაჩინა ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, რომელიც 1964 წ. გათხარა ალგეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. კვიციანიძე, ზ. შატბერაშვილი). 1965 წ. ეს გათხრები დაასრულა ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. თუშიშვილი).


გუდარქონიდან 5-6 კმ-ის დაშორებით, თეთრი წყაროს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ალგეთის ხეობის მარჯვენა ფერდობზე, სოფ. აბელიაში აღმოჩნდა უძველესი ნამოსახლარის ენეოლითური ხანის ფენა, წარმოდგენილი ბუნენარევი თიხის ჭურჭლის ნატეხებით, ჭურჭლის ქუსლგამოყვანილი ძირებით, ღია მოვარდისფრო ანგობირებული კერამიკის ფრაგმენტებითა და სხვ. ნამოსახლარზე გამოიყო ადრე-ბრინჯაოს ხანის მასალაც: თიხის ოთხშეკრილიანი ზესადგარი, ჯამისებური ყურბანი სარქველი, ქვის ცული, კაჟის ნამგლის ჩასართი, თიხის ჭურჭლის შავი, ვარდისფერსარქულიანი და მურა ფერის მალაყელიანი, ყურბანი ქილები. აქვე აღმოჩნდა ქვის ფილებით ნაგები მოედანი კერითურთ და ობლიდანის დიდი ზომის ნატეხები. აბელიას ნამოსახლარი თარიღდება ენეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით (საქ. არქ. 1992: 163, 164). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი).

სოფ. აბელიას სამხრეთით, ფერდობის ძირას, ადგილ „არგიდენათზე“ გამოვლინდა ადრეანტიკური ხანის სამარხები: ქვაყრილიანი ქვის სამარხები და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები. სამარხებში მიცვალებულები დაუკრძალავთ გვერდზე, კიდურებმოკეცილნი; სამარხებში აღმოჩნდა: შავად, ლეგად ან წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭელი (კოჭობი, ხელადა, ქოთანა და სხვ.); ბრინჯაოს სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები (მათ შორის, ერთი ინტალით ფრთოსანი ლომისა თუ ფასკუნჯის გამოსახულებით), ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავი; საკინძები; რკინის მოხრილი დანები; შუბისპირი; ვერცხლის სასაფეთქელ რკალეები; ვერცხლის, მინის და მინისებური პასტის მძივები. სამაროვანი ძვ. წ. VI-IV სს-ით თარიღდება (კვიციანიძე, შატბერაშვილი 1965: 28-30).

სამაროვნის ტერიტორიაზე გამოვლინდა ნეოლითური ფენის ნაშთები, რომელიც შეიცავდა ტლანქად გამომწვარ მოწაბლისფრო ჭურჭლის ნატეხებს, თიხის გუნდას, კერის ნაშთს, ქვის ცულსა და ხელსაფქვეს.

აბელიას ჩრდილოეთით, 2 კმ დაშორებით, სოფ. ხოფისში, ადგილ „ქედზე“ გაითხარა ადრე შუა საუკუნეების 3 ქვის სამარხი მცირე ინვენტარით. ადგილ „არხხიდრში“ გაითხარა შუა საუკუნეების 4 ქვის სამარხი (კვიციანიძე, შატბერაშვილი 1965: 28-30; ლომთათიძე 1989: 86-90).

გუდარქონის ნასახლარი ორ ძირითად ნაწილად იყოფა: ნასოფლარი, რომელიც სამონასტრო კომ-



ნასახლის გვემა და ჩანახატი

პლექსის გალავნის გარეთ, ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთით მდებარეობს და გალავნის შიგნით არსებული სამონასტრო კომპლექსი და ნასახლარი. გალავნის გარეთ მდებარე ნასოფლარისგან შემორჩენილი იყო მხოლოდ ნასახლარი ორმოები, კირხსნარზე ქვით ნაგები ერთოთახანი შენობების კედლები და თლილი ქვით ნაგები კარების ნაშთები. გალავნის შიგნით, მაღალ ბორცვზე მონასტერი და მის ირგვლივ განლაგებული ნასახლარია (4,5 პა), რომელთა შორის გამოიყო: 1. XII-XIII სს-ის ნაგებობები (სენაკი და მასზე მიშენებული „ჯვრიანი“ და „ჩუქურთმიანი“ შენობები; „საჯინბო“, „პილასტრებიანი ნაგებობების“ ნაშთები, „პილასტრებიანი კედლები“, „სასახლე“ და მთავარი მონასტერი); 2. XVI-XVII სს-ის ნაგებობები (ოთახი, სენაკები №№2,3, მარანი, სასახლის ძველი კედელი). გუდარების მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს სენაკი, რომელიც წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა (4X2 მ). ნაგებია ქვათილებით კირხსნარზე. შესასვლელი დასავლეთიდანაა. სენაკზე ჩრდილოეთიდან მიშენებული იყო ორსართულიანი და ორთახიანი შენობა, რომელსაც აღმოსავლეთ კედელზე, ორივე სართულზე სამ-სამი ვიწრო სარკმელი ჰქონდა. შენობის ფასადზე რელიეფური ჯვარი იყო გამოსახული. სენაკს სამხრეთ კედელზე მიდებული ჰქონდა ოთხკუთხედი ფორმის ოთახი (2,7X2,5 მ), რომელიც ნაგები იყო თლილი ქვით კირხსნარზე. აღმოსავლეთ კედელში არსებულ შესასვლელს გარედან მოჩუქურთმებული ჩარჩო შემოუყვებოდა. ნასახლარის აღმოსავლეთ ნაწილში, გალავნის კედელზე მიშენებული იყო ოთხკუთხედის ფორმის ნაგებობა – საჯინბო, რომელსაც შესასვლელი ჩრდილოეთიდან ჰქონდა. შენობაში გამოვლინდა ორმო (დმ 0,65 მ) და 5 თონე (დმ 0,3 მ), სადაც აღმოჩნდა მოშავო და წითელი თიხის ჭურჭლის ნატყეხები, მინისა და ფაიანსის ჭურჭლის ფრაგმენტები, საქონლის ძვლები და სხვ. საჯინბო გალავნის თანადროულია (XII-XIII სს). ორმო და თონეები შედარებით გვიანდელია. მოგვიანებით საჯინბოს სამხრეთით მიუშენებიათ მარანი, სადაც დადასტურდა თლილი ქვის სარქველებით დახურული 7 ქვევრი, რომლებიც ამოვსებული იყო თიხის ჭურჭლითა და საქონლის ძვლებით (მუსხელიშვილი, ხიდაშელი, ჯავარძიე 1954: 4-27).

საჯინბოს ჩრდილოეთით გამოვლინდა კირხსნარზე თლილი ქვით ნაგები ე. წ. „პილასტრებიანი ნაგებობის“ ნაშთები, რომელიც მიშენებული იყო გალავანზე. შენობას შესასვლელი ჰქონდა სამხრეთიდან, სადაც აღმოჩნდა კარის ქვევი და მონოლითური წირთხლი. გალავნის კედელთან, ერთმანეთთან თანაბარი მანძილით დაშორებული პილასტრების ბაზები იყო შემორჩენილი. შენობაში აღმოჩნდა სადა და მოჭიქული თიხის ჭურჭლის ნატყეხები, რამდენიმე რკინის ნივთი, ლაშა-გიორგის (1207-1222) სახელით 1210 წ. მოჭრილი მონეტა და სხვა (მუსხელიშვილი, ხიდაშელი, ჯავარძიე 1954: 29).

მონასტრის დასავლეთით გამოვლინდა „პილასტრე-

ბიანი კედელი“ (სიმაღლე 1,4 მ), რომელიც მოპირკეთებული იყო თლილი ქვებით. პილასტრებიანი კედლის წინ მდებარე ტერიტორია წარმოადგენდა კირხსნარზე ქვის ფილებით მოკირწყლულ ქუჩას. ამავე კედლის ფენაში დადასტურდა ფაიანსის ნატყეხი, თხელკედლიანი თიხის ჭურჭლის ნატყეხი, რუსუდან მეფის (1222-1245) ორი, 1277 წ. მოჭრილი მონეტა. მასალის მიხედვით „პილასტრებიანი კედლის“ აგების ხანა XII-XIII სს-ია (მუსხელიშვილი, ხიდაშელი, ჯავარძიე 1954: 41-58).

მონასტრიდან 3 მ-ის დაშორებით შემორჩენილი იყო სასახლის თლილი ქვით ნაგები ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი (სიმაღლე 7,8 მ). ორსართულიანი სასახლის პირველი სართული ეკავა მარანს, სადაც საწინაველი და მიწაში ჩადგმული 16 ქვევრი დადასტურდა. ნაგებობას მეორე სართულზე ასასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ჰქონდა. სასახლეში აიკრიფა კრამიტის, ფაიანსის, მოჭიქული ჭურჭლის ნატყეხები და სხვ.

სასახლის გაგრძელებაზე გამოვლინდა 2 სენაკი, მარანი და მონასტრის საყრდენი კედელი (სიმაღლე 3,4 მ, სისქე 0,7-0,8 მ). სენაკებში გამოვლენილ XVIII ს-ის ფენაში დადასტურდა ზღურბლისა და ლავგარდნის ქვები; ქვედა, XII-XIII სს-ის ფენაში: თიხის ჯამები ქართული ასომთავრული ნიშნებით; რკინის სახნისი; 13 მონეტა: გიორგი III-ის (1156-1184) 3 ცალი; თამარის (1184-1207) 5 ცალი; ლაშა-გიორგის (1207-1222) 3 ცალი და XIII ს-ის მონღოლური ვერცხლის მონეტა. მარანში აღმოჩენილი ქვევრები ამოვსებული იყო კერამიკის ნატყეხებით. სასახლეზე სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან მიდებული იყო კირხსნარზე ქვით ნაგები ორთახიანი შენობა. მონასტრიდან 3 მ-ის დაშორებით, დასავლეთისკენ, იდგა კირხსნარზე ფლეთილი ქვით ნაგები ოთხთახიანი ნაგებობა. ერთ-ერთ ოთახში აღმოჩნდა წიწვოვანი ორნამენტით შემკული წითელი თიხის მოწერნაქებული ჭურჭელი. შენობა XII-XIV სს-ით დათარიღდა (მუსხელიშვილი, ხიდაშელი, ჯავარძიე 1954: 108-118).

გუდარების ეკლესია მდებარეობს ბორცვზე. ის დარბაზული ტიპისაა (16,2X9,5 მ). ნაგებია ქვათილებით. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. შესასვლელი სამხრეთიდანაა. აღმოსავლეთი კედელი მოჩუქურთმებულია. ინტერიერი მონატულია, რომელსაც XVII ს-ის ბერძნული წარწერები ახლავს: „მიქაელი“, „გაბრიელი“ (ყუხჩიშვილი 1951: 302). საკურთხევლის ფრესკებთან ხუცური წარწერებია (არ იკითხება). კანკელი ნაგებია აგურითა და რიყის ქვებით კირხსნარზე. მასში შემორჩენილია XII ს-ის კანკელის ფრაგმენტები, რომლებიც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). ეკლესიას ჩრდილოეთით გვიანდელი მინაშენი აქვს – აფსიდიანი ეკვდერი, რომლის ჩრდილო კედელში ორი ქვა ჩადგმული, X-XII სს-ის ასომთავრული წარწერებით: „ქრისტე შეიწყალე გიორგი“ და „ქრისტე შეიწყალე ადამ“

(მუსხელიშვილი, ხიდაშელი, ჯაფარიძე 1954: 104). მეორე მინაშენი – თლილი ქვით ნაგები სვეტებიანი კარიბჭე, ეკლესიას სამხრეთიდან ჰქონდა. ამჟამად, ეკლესიის მინაშენები დანგრეულია. ეკლესიის სამხრეთ კედელში, შესასვლელთან, შვიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „ავაშენე ესე ეკლესია ხელითა ფრიად ცოდვილისა ჭიჭაფორისძისათა. სალოცველად და სადიდებლად დედოფალთ დედოფლისათვის, რუსუდან დედოფლის და შვილთა მისთა დღეგრძელობისა და ჩემისა სულისათვის ესე წმიდაი ეკლესია მე გლახაკან ანტონი მანგლელმან ვაკურთხე უფასოდ სალოცველად სულისა ჩემისა“. წარწერის მიხედვით ეკლესია აგებულია რუსუდან მეფის დროს, XIII ს-ის მეორე მეოთხედში (თაყაიშვილი 1904ა: 31; მუსხელიშვილი, ხიდაშელი, ჯაფარიძე 1954: 105; ბერიძე 1974: 158).

გუდარების ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით დგას ორსართულიანი, გეგმაში კვადრატული ფორმის, ქვათილილებით ნაგები სამრეკლო, თალიანი ღია შესასვლელითა და რვაწახნავა ღია პავილიონით. აღმოსავლეთ კედელზე წარწერა: „ადიდენ ღმერთმან ძლიერი და უძლეველითა მეფეთ-მეფე დიმიტრი. მე ... უღირსი მღვდელი და ჯუარის მტვირთველი აბრაჰამ, ღირს ვიქმენ აღშენებლად სამრეკლოთა ამით...“ წარწერაში მოხსენიებულია მეფე დემეტრე II (1271-1289), რომლის დროსაც, 1278 წ. აშენდა სამრეკლო (თაყაიშვილი 1904ა: 32; ფაუხნიშვილი 1951: 301).

სამონასტრო კომპლექსი და ნასოფლარი შემოსაზღვრულია გალავნით (პერიმეტრი 400 მ, სმაღლე 4 მ). გალავნის კედელი თლილი ქვის პერანგით იყო მოპირკეთებული. მას ჰქონდა სამკუთხა, ტრაპეციისებური და წრიული ფორმის კონსტრუქციები. შესასვლელი ორი ჰქონდა. შემორჩენილია თალით გადახურული სვეტებიანი ჭიშკარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს (მუსხელი-შვილი, ხიდაშელი, ჯაფარიძე 1954: 14-18).

გუდარების ეკლესიაში აღმოჩნდა წარწერიანი საფლავის ქვები: 1. „ამ მონასტრის მეორეთ გამკეთებელი წინამძღვარი დომენტი“. 2. „ომანი“. 3. „იესე გერმანოზიშვილი“, XVII ს-ის წარწერა (თაყაიშვილი 1904ა: 37). წარწერები გვხვდება გუდარების მონასტრის ხატებზეც: 1. ღვთისმშობლის ვერცხლის ხატი რელიკვიით ხასიათის ხუცური წარწერით; 2. ღვთისმშობლის ვერცხლის ხატი მხედრული წარწერით: „გერმანოზიშვილმა ომან შემოგწირე შენ ...“ 1712 წ.; 3. წმინდა გიორგის ხატი XIX ს-ის მხედრული წარწერით: „ენინა ეფემია ბარათოვისა“ (თაყაიშვილი 1904ა: 39). გუდარებიდანაა აგრეთვე ღვთისმშობლის ხატი (3X2,8 სმ) XIII ს-ის პერძნული წარწერით (ლიგატურები) (ფაუხნიშვილი 1951: 270). ხატი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

სამონასტრო კომპლექსისა და ნასოფლარის გალავნის გარეთ დგას ქვათილილებით ნაგები დარბაზული ტიპის ეკლესია, ნახევარწრიული აფსიდით.

შესასვლელი დასავლეთიდანაა (სიგანე 0,6 მ). აღმოსავლეთ კედელში მოჩუქურთმებული სარკმელია. ეკლესია „მწვანე მონასტრის“ სახელითაცაა ცნობილი (ბაქრაძე 1875: 57; თაყაიშვილი 1904ა: 26; მუსხელიშვილი, ხიდაშელი, ჯაფარიძე 1954: 118).

სამონასტრო კომპლექსის ჩრდილოეთით 2 კმ-ის დაშორებით აღმართულია გუდარების ციხე (ციციშვილი 1980: 13).

სოფ. გუდარების (ლორისთავის) ცენტრში მდგარა ღვთისმშობლის XI-XII სს-ის დარბაზული ეკლესია, მინაშენებითურთ. ეკლესია ამჟამად დანგრეულია.

სოფ. გუდარებიდან 2 კმ-ის დაშორებით დგას XIII ს-ის ქვაჯვარა – კვარცხლბეკზე დადგმული ფილა, ჯვრის გამოსახულებით (ციციშვილი 1980: 12).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 30, 47; ბაქრაძე 1875: 57; ბერიძე 1974: 158; ბერძენიშვილი 1979: 4, 94, 97, 98, 119; ბერძენიშვილი 1966: 51, 73; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1953: 45; თაყაიშვილი 1904: 26; თუშეშვილი 1965: 28; კაკაბაძე 1924ა: 189; კვიციანიძე, შატერაშვილი 1965: 28-30; ლომთათიძე 1989: 86-90; ლორთქიფანიძე 1935: 298, 1938: 369; ლორთქიფანიძე 1981; მასალანი საქ. სტატ. 1907: 132, 135, 137; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 65; მუსხელიშვილი, ხიდაშელი, ჯაფარიძე 1954; საქ. არქ. 1992: 163, 164; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 45, 49; საქ. სახ. მუზ. ეპიგრ. ძეგ. 1953: 21; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 620; 1972: 29, 34, 65, 66, 94; 1974: 452-454; 1977: 594; ქრონიკები 1897: 424; ქც 4: 326, 10; ფაუხნიშვილი 1951: 270, 301, 302; შერლინგი 1962: 178-181, 186, 239; ჩიჭაია 1927: 109, 116, 117; ჩუბინაშვილი ... 1966: 9-11; ციციშვილი 1980: 12-14; ხარაძე 1991: 86, 87; ჯამბურია 1955: 17, 77, 79, 151, 156, 298.

ბულაყვა (ქც 1: 281,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 281,2), XI ს-ის ქართული ხელნაწერის სქოლიო (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი ფ. №97:436), გიორგი მთაწმინდელის სვინაქსარი, გელათის მეტაფრასული რედაქცია (გეორგიკა 1952: 413-415), „ორენტისისა და ძმთა მისთა მარტვილობა“ (გეორგიკა 1952: 413), ნუსხა ყველა თანამდებობისა და მმართველობისა, როგორც სამოქალაქო ისე სამხედროსი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეებში (გეორგიკა 1961: 175), ბასილი სოფენელის საეკლესიო კათედრათა ნუსხები (გეორგიკა 1952: 130, 140, 142, 144, 181, 184), დიუბუა დე მონპერეს „მოგზაურობა კავკასიაში“ (დიუბუა დე მონპერე 1937: 161, 164). მდებარეობს გალის მუნიციპ-ში, ქ. ოჩამჩირიდან 10 კმ-ის დაშორებით, ახლანდელი სოფ. გულაყვას ტერიტორიაზე.

გულაყვა სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა სახელით იხსენიება: გულაყვა (ქც 1: 281,2), ზილანევი (XI ს-ის ქართ. ხელნაწერი; ორენტისისა და ძმთა მისთა მარტვილობა).

III-IV სს-ში საეკლესიო ცენტრია. ზილანევიში დაუკრძალავთ ორენტისის თანამოღვაწე კირიაკი.

IV-V სს-ში რომაული გორნიზონის – ვალენტის II კოპორტის სადისლოკაციო პუნქტა (ლექქინაძე 1969: 88-99), რასაც ზოლიერთი მკვლევარი უარყოფს (ლომოური 1981: 215). VII-XII სს-ში გუდაყვაში საეპისკოპოსო კათედრაა (ბერძენიშვილი 1966ა: 299).

1965-1972 წწ. სოფ. გუდაყვას ტერიტორიაზე გათხრებს აწარმოებდა ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გუდაყვას არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. პ.ზაქარაია). 1974 წ. სადაზვერვო ხასიათის სამუშაოების ჩატარებისას იქ გამოვლინდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი, სადაც აღმოჩნდა ქსოვილიანი კერამიკის ფრაგმენტები, თიხის საღვარები, ქოთნების ნატეხები, ბრინჯაოს შუბისსპირი, რკინის ცული (შამბა 1984: 5, 8). IV-V სს-ის ნამოსახლარი მდებარეობს სოფელ გუდაყვას ტერიტორიაზე, მდ. ოქუშის მარცხენა ნაპირზე.

ნამოსახლარის ტერიტორიაზე გამოვლენილია რომაული ხანის სასიძობო ნაგებობის ნაშთი. სამხრეთ-დასავლეთის კედლის ნაშთის სიმაღლე 60 სმ, სიგანე – 1 მ. აღმოსავლეთის კედლის სიგრძე 110 მ. ნაგებია რიყის ქვით. თავდაცვითი ნაგებობის ნაშთები სწორკუთხოვანი გალავნის ნაწილი უნდა ყოფილიყო (ზაქარაია, ლექქინაძე 1974: 141, 143). გუდაყვის IV-V სს-ის ნამოსახლარზე გამოვლენილია პაპატისტრომის ნანგრევები (10,6X7 მ). სწორკუთხაა, აღმოსავლეთის მხარეზე ნახევარწრიული შვერილი აფსიდით. ნაგებია რიყის ქვებით (ზაქარაია, ლექქინაძე 1974: 140; ხრუსკოვა 1985: 71). ნამოსახლარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ადრეანტიკური შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები; IV ს-ის მიწის ფხიანი სასმისები და ე. წ. „ხალიანი“ ჭურჭლის ფრაგმენტები; IV ს-ის რომაელი იმპერატორების – კონსტანტინე დიდისა და ლიცინუსის სპილენძის 16 მონეტა; IV-V სს-ის ყავისფერთიხიანი და ყვითელ-წითლეთიხიანი ამფორების, მცირეზოური წარმომავლობის წითელ-ლაკიანი ლანგარების, ლუთერიუმების, ადგილობრივი ქოთნებისა და დოქების ნატეხები; უხვადაა წარმოდგენილი აგურისა და კრამიტის ფრაგმენტები (ზაქარაია ლექქინაძე 1974: 141, 144, 145; ზამთარაძე 1979: 69-78).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1966ა: 299; გეორიკა 1952: 130, 140, 142, 144, 181, 184, 413-415; 1961: 175; დიუბუა დე მონპერე 1937: 161, 164; ზამთარაძე 1979: 69-78; ზაქარაია, ლექქინაძე 1974: 141, 144, 145; ლომოური 1981: 215; ქც 1: 281,2; შამბა 1984: 5, 8; ხრუსკოვა 1985: 71.

გუმათი (ქც 4: 762,1). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 762,14).

მდებარეობს იმერეთის ჩრდილოეთ მთისწინეთში, გუმათის წყალსაცავის ნაპირზე.

გუმათი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ქც 4: 762,1.

გურიანთა, ციხე (ქც 4: 790,22, სქ. 7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 790,22, სქ. 7). 1689 წ. საჩივარი გიორგი ნაკაშიძისა გიორგი მამულიაშვილზე (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 474, 475), შემოქმედის ქრონიკები (ქრონიკები 1967: 489).

ვახუშტი ბაგრატიონი გურიანთას შესახებ გადმოგვცემს: „სუფსეის სამხრით და ბაილეთის ჩდილოთ არს გურიანთას ციხე, კლდე-გორასა ზედა შენი“ (ქც 4: 790,21,22, სქ. 7).

მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპ-ში, მდ. სუფსასა და ნატანებს შორის, თანამედროვე სოფ. გურიანთას ტერიტორიაზე.

წყაროებში იხსენიება XVIII ს-ში, როგორც სადავო ტერიტორია ნაკაშიძესა და ერისთავს შორის (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 474, 475). XVIII ს-ის 70-იან წლებში თურქების მიერ ქვემო გურიის დაპყრობის შედეგად აყრილი მოსახლეობა გურიელმა გურიანთაში დაასახლა. XVIII ს-ში გურიანთა ნაკაშიძეებს ეკუთვნოდა. XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ეს ადგილი იხსენიება გურიანთას უბნად (ბაქრაძე 1987: 228) ან სოფელ გურიანთად. გურიანთას ძველი სახელწოდებაა „გურიამთა“ (ჩხატარაიშვილი 1985: 10).

გურიანთას ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო 1949 წ. ნაქალაქარ ვაშნარის გათხრებით, რომელსაც აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია (ხელმძღ. გ. ვობეჯიშვილი). 1963 წ. გურიანთაში არქეოლოგიური დაზვერვები და გათხრები ჩაატარა იმავე ინსტიტუტის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი), რომლმაც გამოავლინა ნეოლითური, ბრინჯაოსა და რკინის ხანის, აგრეთვე გვიანი შუა საუკუნეების ნამოსახლარები (ვაშაკიძე 1971: 5, 6; ნებეირიძე 1972: 9). 1965 წ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღ. ა. ინაიშვილი) ვაშნარის ნაქალაქარზე გაანახლა გათხრები (ინაიშვილი 1973: 16). 1991-1994 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ვ. სადრაძე) გურიანთას ტერიტორიაზე სადაზვერვო და მცირე გათხრითი სამუშაოები ჩაატარა (სადრაძე, ძნელაძე ... 1996: 64).

გურიანთას ნეოლითური ნამოსახლარი მდებარეობს გურიანთას თემის სოფ. ციხისფერდში, მდ. სკურდუმის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ბორცვზე. ნამოსახლარის მასალა შედგება იარაღების, წარმოების ნარჩენებისა და კერამიკისაგან. დანიშნულებისა და გამოყენების მიხედვით მასალა დაიყო შემდეგ ჯგუფებად: ნუკლეუსები (კონუსური და პრიზმული სახის), ანატაკეციები, ანამტვრევები, ლამელები, საფხეკები, საჭრისები, სახერხები, კომბინირებული იარაღები, გეომეტრიული მიკროლითები, რიყის ქვის იარაღები, ცულები, სათლელ-სატეხები, ჩაქურები და სხვა. თიხის ჭურჭლის

ფრაგმენტები ქილისებური მოყვანილობისაა, ბრტყელოძირა, პირგადაშლილი, უყურო. არათანაბრად გამოშვარი კიცი შეიცავდა კირის, კვარცისა და ქარსის მინარევებს. გურიანთას ნამოსახლარი წარმოადგენს გვიან ნეოლითურ ძეგლს (ნებიერიძე 1972: 56-61, 71). მასალა ინახება ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში.

გურიანთას ერთ-ერთ ბორცვზე, რომელზეც მდებარეობს „ნაკაშიძეების ციხე“, აღმოჩნდა ადრეანტიკური ხანის სქელკედლიანი ქვევრის ნატივები, დერგები, პითოსები, იმპორტული ამფორები და ა. შ. იქვე გამოვლინდა ელინისტური ხანის ქვევრები, სინოპური ამფორის ძირი, კოლხური სასმისები, ქუსლიანი ჯამბუის ფრაგმენტები, სინოპური ჯამბის ნატივი, კრამიტის ნატივი და სხვა (ვაშაკიძე 1971: 7-27). მასალა ინახება ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში.

ვაშნარის ციხე-ქალაქი მდებარეობს სოფ. გურიანთას ტერიტორიაზე, მდ. სკურდუმისა და ნატანების შესართავში, შემადლებულ ადგილას. სამი მხრიდან დააცულია ფლატენაპირიანი მდინარეებით. აღმოსავლეთიდან გამაგრებულია ქვის მტკიცე, ორმაგი ზღუდით, რომელიც ნაწილობრივ მდინარეების ნაპირებს გასდევს. შიდა ციხეს შემოუყვება წახნაგოვანი ფორმის გალავანი, რომელშიც ყოველი 40 მ-ის კვადრატული კოშკებია (8X8 მ). ციხე-ქალაქის გარე და შიდა გალავანი ნაგებია კვადრებით, ფლეთილი და რიყის ქვით კირხსნარზე.

შიდა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გამოვლინდა სამნავიანი ბაზილიკა, რომლის აფსიდა ხუთწახნაგაა და გალავნის გარეთაა მოქცეული. ბაზილიკა ნაგებია ბაზალტის კვადრებითა და კვადრატული აგურებით კირხსნარზე. კარიბჭე დასავლეთიდანაა. ნახევარწრიული, საფეხურებიანი საკურთხეველის იატაკი მოპირკეთებულია მარმარილოს ფილებით. ბაზილიკის სამხრეთი კედლის ქვეშ აღმოჩნდა თიხის მიღებით შედგენილი წყალსადენი. ბაზილიკა პირველად მიიჩნეეს სპარსულ საკურთხეველად, შემდეგ აბანოდ (ბაქრაძე 1987: 232). ბაზილიკის ჩრდილოეთით, გალავნის გასწვრივ გამოვლინდა ორსართულიანი ნაგებობა (12,15X15,1 მ). ქვედა სართული ღორღით იყო ამოვსებული. ზედა სართულში, რომელიც თიხის სენაკისაგან შედგებოდა, აღმოჩნდა: თიხის ორი სარკოფაგი, ბაზისები, იმპოსტები, სვეტისთავები, კრამიტები. ნაგებობა მიიჩნეეს სამლოცველოდ (გობეჯიშვილი 1952: 155), მაგზოლეუმად (ლექვიანიძე 1961: 158-165). ციხე-ქალაქი დათარიღდა V-VIII სს-ით (გობეჯიშვილი 1952: 155; ლექვიანიძე 1961: 164, 165). ვაშნარი „უჩინარი-უჯინარის“ სახელითაც იყო ცნობილი. გამოთქმულია მოსაზრება ვაშნარისა და ჰეტრას იგივეობის შესახებ (ბაქრაძე 1987: 231; სახოკია 1950: 15).

გურიანთას, ანუ ნაკაშიძეების ციხე მდებარეობს სოფ. გურიანთას ერთ-ერთ ბორცვზე. მისი გალავნის ერთი ნაწილი მდ. ნატანებამდე, ხოლო მეორე – მდ. სკურდუმამდე ჩადის. შემორჩენილია ციხის

ნანგრევები (ვაშაკიძე 1971: 8). გურიანთას ციხის ტერიტორიაზე დგას ღვთისმშობლის სახელზე აგებული ეკლესია. ეკლესია მოხატულია. ერთი გამოსახულების ქვევით წარწერაა: „მამუკა ნაკაშიძე“. გურიანთას ციხე და ეკლესია XVII ს-ის დასაწყისშია აგებული (ბაქრაძე 1987: 228, 229; კალანდაძე 1996: 121). ეკლესიაში აღმოჩნდა წარწერიანი ხატები: 1. ღვთისმშობლის ვერცხლის ხატი, მხედრული წარწერით: „აღვაშენე ციხე ეს გურიანთისა ... მოიჭედა ხელითა ... ოქრომჭედლის იოვანესი და დეკანოზისა ფერემ ცერცვაძის...“. წარწერა დაზიანებულია. ციხის ამშენებლის სახელი ვერ იკითხება. 2. წმინდა მარინეს ხატი მხედრული წარწერით: „ქ. მოჭედა ხატი მთავარანგელოზის და წმიდისა მარინესი ბაქონის შვილმან მამია და მეუღლემან მისმან თინათინ ...“. ეს წარწერა და ღვთისმშობლის ხატის წარწერა ერთი და იგივე ხელით არის ამოჭრილი და ერთმანეთის მსგავსია. შესაძლოა, გურიანთას ციხის ამშენებელი მამია გურიელია (1600-1625) (თაყაიშვილი 1907: 31); 3. მაცხოვრის ვერცხლის ხატი მხედრული წარწერით: „შევაკე ესე მაცხოვრის ხატი ერისთავის ასულმან ეფემიამ“. 4. ღვთისმშობლის ვერცხლის ხატი რელიგიური შინაარსის ხუცუბი წარწერით (თაყაიშვილი 1907: 31-34). აღნიშნული ხატების შენახვის ადგილი დღეისათვის ცნობილი არ არის. გურიანთას ციხის აღმოსავლეთით შემორჩენილია XVII ს-ის დასაწყისის დარბაზული ტიპის ეკლესია (კალანდაძე 1996: 121).

გურიანთას უბანში, სოფ. ციხისფერდში, მთაზე შემორჩენილია ციხის კედლების ნანგრევები. ციხე გეგმაში სწორკუთხედის ფორმისაა. ნაგებია ფლეთილი ქვით. მასთან ახლოს დგას გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის დაზიანებული ეკლესია (კალანდაძე 1996: 121).

ვაშნარში აღმოჩნდა VI-VIII სს-ის რელიგიური ხასიათის ბერძნულწარწერიანი ქვა (22X33,5X12,5 მ) (ყაუჩიშვილი 1951: 110-112). ქვა ინახება ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია: ბაქრაძე 1987: 228, 232; გობეჯიშვილი 1952: 154-156; 1996: 165-180; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 474, 475; ვაშაკიძე 1971: 5-27; თაყაიშვილი 1907: 30-34; 1907ა: 28-30; 1907ბ: 90-92; ინაიშვილი 1973: 3-37; კალანდაძე 1996: 118-121; ლექვიანიძე 1961: 153, 154, 158; ნებიერიძე 1972: 56-61; 1996: 64, 65; საღრაძე, ძნელიძე ... 1996: 22-40; სახოკია 1950: 15; ქრონიკები 1967: 489; ქვ 4: 790,22,სქ.7; ყაუჩიშვილი 1951: 110-112; ჩხატარაიშვილი 1985: 10; ჭანიშვილი, საღრაძე 1996: 41, 45.

გურჯაანო, სოფელი (ქვ 4: 544, სქ. 2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4:544, სქ. 2), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 68), მეფე ალექსანდრეს (1476-1511) გუჯარი (აქტები ... 1867: 2), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ.

ძეგ. 1965: 370, 410; 1970: 956, 1063; 1974: 511; 1977: 246, 335, 732; 1981: 476; 1985: 150; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 207, 402; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 68; 1955: 275, 338), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 29, 273)

ვახუშტი ბაგრატიონი სოფ. გურჯაანის შესახებ გადმოგვცემს: „ამ ვეჯინის ჩდილოთ არს ჭანდრის უბნის-ხევი ... ამის ჩდილოთ არს ხევი მცირე კართ-უბნისა (კახთ-უბნისა) ანუ გურჯაანისა ... კულად ამ სოფლის გურჯაანის ჩდილოთ მითის კალთას არს ახტალა (ქც 4: 544, სქ. 2).

მდებარეობს კახეთში. ამჟამად წარმოადგენს რაიონულ ცენტრს.

ალექსანდრე I-მა გათავისუფლა გადასახადისაგან კახთ-უბანი-გურჯაანი (აქტები ... 1867: 2). სოფ. გურჯაანი ვაჩნაძეებისა და ანდრონიკაშვილების სოფელია (ბაგრატიონი 1986: 68). XVIII ს-ის 70-იან წლებში გაპარტახებულია (გოულდენშტედტი 1962: 29, 273).

გურჯაანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) დაცულია გურჯაანის ტერიტორიაზე შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალა: თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ბრინჯაოსა და რკინის იარაღი, სხვადასხვა სამკაული (არქ. მას. კატ. 1955: 78-89).

1949 წ. გურჯაანში აღმოჩნდა ოქროს 7 ცალი ბიზანტიური მონეტა ალექსი I-ისა (1081-1118) და იოანე II-ის (1118-1143) სახელით მოჭრილი (აბრამიშვილი 1954: 215-223).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1954: 215-223; არქ. მას. კატ. 1955: 89; აქტები ... 1867: 2, 195, 196, 291, 385, 473, 673; ბაგრატიონი 1986: 68; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 68; 1955: 275, 338; გოულდენშტედტი 1962: 29, 261, 273; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 207, 402; 1953: 429; ისტ. საბ. 1913: 30, 31; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 370, 410; 1970: 956, 1063; 1974: 511, 521; 1977: 246, 375, 732; 1981: 474, 476, 486; 1985: 668, 683; ქც 4: 544, სქ. 2.

გუჯაან (ქც 4: 508,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 508,5), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 67; საქ. სიძ. 1909: 149; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 255), „დასტურდამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 279; 1974: 675), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 66), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 41), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 101, 103, 179, 277, 279; 1964: 27, 65).

მდებარეობს ჯავის მუნიციპ-ში, მდ. ლიახვის მარცხენა მხარეს, თანამედროვე სოფლების – დიდი გუჯათისა და პატარა გუჯათის ტერიტორიაზე (ხარაძე 1992: 123).

პირველად იხსენიება XVI-XVII სს-ის სიგელ-გუჯარებში მიწის ნასყიდობის თაობაზე (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 67; საქ. სიძ. 1909: 149). 1725 წ. ოსმალების წინააღმდეგ აჯანყებულმა ქართლებმა კახეთის მეფე კონსტანტინე (1722-1733) მოიწვიეს, რომელმაც შეკრიბა კახელები, თუშები, ფშავ-ხევსურები და შემოვიდა ქართლში. ბრძოლა მოხდა გუჯათთან (ქც 4: 508,5). 1736 წ. მეფე ალექსანდრემ გიორგი მანაბელს ჯავის ხეობა და სოფ. გუჯაანა უწყალობა (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 255). ზოგიერთ წყაროში გუჯაანა „გუჯათი“-ს ფორმით გვხვდება (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 279).

ის არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

გუჯაანაში შემთხვევით აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცეული, რომელიც ინახება ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 191; ტეხოვი 1971: 54). სოფელში შემორჩენილია ეკლესიისა და ციხის ნანგრევები. გვიანი შუა საუკუნეების წმინდა გიორგის ეკლესია დარბაზული ტიპისაა. ციხის ნანგრევები მდებარეობს დიდი ლიახვის ნაპირას, სოფ. პატარა გუჯათის აღმოსავლეთით, 300 მ-ის დაშორებით, გორაკზე. ნაგებია რიყის ქვებით, დულაბზე. მის დასავლეთ ნაწილში სწორკუთხა კოშკია (10X7,2 მ). ციხე სამსართულიანი ყოფილა. შემორჩენილია კოშკის ქვედა სართული, რომელსაც შესასვლელი აქვს ჩრდილოეთიდან. კოშკიდან აღმოსავლეთით მიემართება ერთმანეთისაგან 9 მ-ით დაშორებული გალავნის ორი კედელი. ჩრდილოეთი კედელი გრძელდება 70 მ-ზე. ციხე გვიანი შუა საუკუნეებისაა (მაკალათია 1971: 21; გვასალია 1982: 42).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 41; ბერძენიშვილი 1944: 173-211; 1965: 162; გვასალია 1982: 39-42; ვერიტიშვილი 1955: 405, 406; გოულდენშტედტი 1962: 101, 103, 179, 277, 279; 1964: 27, 65; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 255; მაკალათია 1971: 6, 17; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 67; მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 185-198; ორბელიანი 1981: 66; საქ. სიძ. 1909: 149; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 279; 1974: 675; ქც 4: 508,5; ხარაძე 1992: 123; ტეხოვი 1971: 54.

გუჯარაში, სოფელი (ქც 4: 346,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 346,22), XI-XIX სს-ის ისტორიული დოკუმენტები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 262; ქრონიკები 1967: 45; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 744; 1981: 55, 56, 57), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 473, 490).

ვახუშტი ბაგრატიონი გუჯარეთის შესახებ გადმოგვცემს: „გომარეთს ზეით ჭვარებაძე არს ხეობა გუჯარეთისა ... გუჯარეთის სოფელს ქუეით ... არს კლდე“.

მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, თორში, მდ. გუჯარეთისწყლის ზემოთ, თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, ბორჯომიდან 40 კმ-ში.

გუჯარეთში გადიოდა გზა ყარაბულახიდან თრიალეთზე, თორის მთის გავლით. აქედან თოთხამის უღელტეხილით აბუხალოზე და გვეძინეთზე (ბერძენიშვილი 1966: 41, 45; ბერძენიშვილი, გიორგაძე ... 1987: 13).

გუჯარეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფ. გუჯარეთთან, დასავლეთით, ხევეგაღმა, შემალღებულ ადგილზე დგას წმინდა ნიკოლოზის დარბაზული ეკლესია, ნაგები რუხი ფერის უხეში ქვათილილებით. სამხრეთიდან არსებული შესასვლელის არქიტრაფზე ჯვარია გამოსახული. ეკლესიას აქვს სამი სარკმელი. მას გარს უვლის გალავა-

ნი, რომლის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. ეკლესია XVI-XVIII სს-ით თარიღდება. XIX ს-ში ეკლესია გადაუკეთებია ბერძენ ოსტატს (გუჯარეთი 1987: 13).

სოფლის მახლობლად, სამხრეთით, ნარიანისკენ მიმავალ გზაზე XIII ს-ის ორი ქვაჯვარია, რომლებზეც რელიეფური ჯვარია გამოსახული.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1966: 41; ბერძენიშვილი, გიორგაძე ... 1987: 13; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 473, 490; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 262; ქართ. სამართ. ძეგ. 1970:744; 1981:55-57; ქრონიკები 1967: 45; ქც 4: 346,22.



დადეში, ეკლესია (ქც 4: 674,18, სქ. 4, 5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 674,18, სქ. 4,5), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1953: 422), ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ეიალეთის ... 1979: 132, 148, 187). იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 217).

ვახუშტი ბაგრატიონი დადემის შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო არტანისა და კოლას საზღუარს ზეით, მტკურის კიდის დასავლით, არს მცირე ქალაქი კოლა ... ამ კოლას ზეით, მტკურის კიდეზედ, დადემს, არს ეკლესია ... აწ უხმობენ დორთქილისას“ (ქც 4: 674,15-19).

ლოკალიზდება სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ კოლას პროვინციაში. მოსაზრება, რომ დადემი იგივე დორთქილისაა (ქც 4: 674,18; ბაქრაძე 1875: 59), არასწორად ითვლება (თაყაიშვილი 1938: 10). დადემი დადამის სახელითაცა ცნობილი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1953:422). ამჟამად მოქცეულია თურქეთის საზღვრებში.

ჯვრის ტიპის გუმბათიანი ეკლესია მდებარეობს სოფ. დადემის შემადგენულ ადგილას. ნაგებია მოწითალო თლილი ქვით. ეკლესიას შემოუყვება გალავანი, რომელსაც შესასვლელი დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით აქვს. შესასვლელთან იდგა ოთხკუთხა კოშკები. ეკლესია IX-X სს-ით თარიღდება. ის ეპისკოპოს დადემელის საკათედრო ეკლესიას წარმოადგენდა.

დადემი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბაქრაძე 1875: 59; გიულდენშტედტი 1962: 217; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1953: 422; თაყაიშვილი 1938: 10; ქართ. დოკ. 1967: 147; ქც 4: 674,18, სქ. 4,5; ჩილდირის ეიალეთის ... 1979: 132, 148, 187.*

დადი, დაბა (ქც 4: 779,12). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 779,12).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „კულადა ამ ეგურის ჩდილოთ დის დადის-წყალი, წოდებული დადის დაბის გამო“ (ქც 4:779,11,12).

სავარაუდოდ, დადი ლოკალიზდება გალის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩხორთოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. წარჩხა და ოხოჯეს წყალგამყოფ ქედზე არსე-

ბული დასახლების ტერიტორიაზე, თანამედროვე სოფ. წარჩეს დასავლეთით (ხეისტანი 1985: 49-51). მიჩნეულია დადიანების საერისთავო რეზიდენციად (ინგოროყვა 1963: 641).

დადი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

მისი სავარაუდო ლოკალიზაციის ადგილზე ციხესიმაგრის ნანგრევებია. შემორჩენილია სამხრეთის კოშკი, ნაშენი რიყისა და ქვიშაქვის ქვებით. ციხესიმაგრის სამხრეთით გვიანი შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევებია (ვორონოვი 1978: 135).

ბიბლიოგრაფია: *ვორონოვი 1978: 135; ინგოროყვა 1963: 607, 641; ქც 4: 779,12; ხეისტანი 1985: 49-51.*

დაშითის ციხე (ქც 4: 358,12). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:358,12).

მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, დარიალის ხეობაში, დაბა გველეთის ჩრდილოეთით, ორიოდე კმ-ის დაშორებით.

ვახუშტი ბაგრატიონი დავითის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „გუელეთს ქუეით ერთვის არაგუსვე ხევი ... გარდავალს ამ ხევიდამ გზა თურძუკსა და ქისტეთს, მნელი, საჭირო. კულადა გარდავალს გზა გუდამაყარსაცა. ამ ხევს ქუეით დავიწროვლების ხევი ესე კლდითა, და აქა არს ციხე დავითისა, არაგვის აღმოსავლით კიდესა ზედა, აღმაშენებელის აღშენებული“ (ქც 4: 358,7-13).

ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერისა“ და რუკის მიხედვით, ციხე მდგარა მდ. თერგისა (არაგვის) და ხდეს (ქისტინკას, ვახუშტისეული არაგვის ხევი) შესართავიდან ოდნავ ქვემოთ, არაგვის აღმოსავლეთ (მარჯვენა) ნაპირზე. თერგის ხეობის იმ მონაკვეთზე, რომელზეც ვახუშტი ბაგრატიონი საუბრობს, ე. ი. მონაკვეთზე დაბა გველეთიდან ვიდრე ლარსის ბოლომდე, მდინარის მარჯვენა ნაპირზე არსად შეინიშნება ციხე, კოშკი ან სასიმაგრო კედელი თუ მათი ნაშთი, რომელიც „დავითის ციხედ“ შეიძლება მიგვეჩნია. აღნიშნული მონაკვეთი ისეთი ქარაფოვანი და მიუდგომელია, რომ ამ მხარეს, იშვიათი გამოჩენისის გარდა („გივიას სათიბის“ სამაროვანი), ძეგლები არ გვხვდება. ხეობის ამ მონაკვეთში ისინი განლაგებულია მდინარის დასავლეთ (მარცხენა) ნაპირზე (დარიალის ციხე, მისგან ჩრდილოეთით მდებარე ხეობის ჩამკეტი კედელი, ლარსის კოშკი და სხვა).

ე. ვეილენბაუმი ერთმანეთისაგან განასხვავებდა

თერგის მარცხენა ნაპირზე აღმართულ დარიალის ციხესა და „აღწერაში“ ამავე მიდამოებში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე მითითებულ დავითის ციხეს. ამ უკანასკნელს ის თერგის მარჯვენა ნაპირზე ეძიებდა, მაგრამ, რადგან იქ ციხის კვალი არსად ჩანდა, დაასკვნა, რომ დავითის ციხე ალბათ შეეწირა რუსების მიერ ახალი გზის გაყვანას (ვეილენბაუმი 1888: 269).

„აღწერისა“ და რუკის მიხედვით დავითის ციხის ადგილმდებარეობა ზუსტად ემთხვევა დარიალის ციხის ადგილმდებარეობას იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელი აღმართულია არა მდინარის აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ კიდეზე. დავითის ციხე იგივე დარიალის ციხე (იხ. დარიალის ციხე) უნდა იყოს, „აღწერაში“ და რუკაზე შეეცდომით მდინარის აღმოსავლეთ (მარჯვენა) ნაპირზე მითითებული (მინდორაშვილი 2001: 45-50).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1991; ვეილენბაუმი 1888: 269; მინდორაშვილი 2001: 45-50; 2005; ქც 4: 358,12.*

დამპალა (ქც 4: 528,15,19). დამპალა იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 528,15,19), ქართული ისტორიული საბუთები (მასალეები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 70).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „იორის პირს ყოფილა სასახლე, დამპალას ... ხოლო დამპალას აღმოსავლით-ჩდილოთ არს, ჰერეთის მთის ძირს, მანავი“ (ქც 4: 528,15,19,20).

ლოკალიზდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება.

ბიბლიოგრაფია: *მასალეები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 70; ქც 4: 528,15,19.*

დანახვისი, ეკლესია (ქც 4: 343,1). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 343,1).

მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გარდატენიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 7 კმ-ზე, მთის წვერზე.

ვახუშტი ბაგრატიონი დანახვისის შესახებ გადმოგვცემს: „დანახვისი დგას მაღალსა მთასა ზედა, ეკლესია წმინდა გიორგისა, მჭურჭტი ქართლისა“ (ქც 4: 343,1,2).

დანახვისი არქეოლოგიურად შესწავლელია. წმინდა გიორგის ეკლესია დარბაზულია. ნაგებია ნატეხი ქვით. შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრეთითაა. ნალისებრი აფსიდის ღერძზე სარკმელია, რომლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშანია. ერთი ოთხკუთხა სარკმელი სამხრეთით კედლის ზედა ნაწილშია. ეკლესიას სამხრეთით მთელ სიგრძეზე ეკვრის მინაშენი, რომლის დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია კამაროვანი გადახურვის კვალი. მინაშენის შესასვლელი (შემორჩენილია მხოლოდ ქვედა ნაწილი) სამხრეთითაა, ეკლესიის შესასვლელის პირ-

დაპირ. ეკლესიას სამხრეთით და აღმოსავლეთით მცირე ზომის ხელოვნური ბაქანი აქვს. დასავლეთ ფასადზე, კედლის გასამაგრებლად მიშენებულია ოვალური კონტურისი (სძა 1990: 52).

ბიბლიოგრაფია: *სძა 1990: 52; ქც 4: 343,1.*


დარიალის ციხე (ქც 1: 49,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქც 1: 49,8), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 65,10, 358,13), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტი (ქც 2: 443,20), „ძველი ერისთავთა“ (ბე 1954: 347), მოგეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“ (ხორენაცი 1984: 145), იბნ ალ-ფაზიკის, მასუდის, იბნ-რუსტეს თხზულებები (იბნ ალ-ფაზიკი 1902: 15, 31; მასუდი 1908: 53; იბნ-რუსტი 1963: 221), „ჰუდუდ ალ-ალემი“ (ჰუდუდ ალ-ალემი 1930: 31), 1733 წ. რუსული რუკა (დოკ. საქ. ჩრ. კავკ. 1968: 118, 119;), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1964: 33, 181), რიჩარდ უილბრაჰიმის „მოგზაურობა საქართველოში“ (უილბრაჰიმი 1990: 25).

მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ყაზბეგიდან ჩრდილოეთით, ათიოდე კმ-ის დაშორებით, მდ. თერგის მარცხენა ნაპირის შემადგენულ კლდეზე.

პლინიუსთან (ახ. წ. I ს) მოხსენიებულ სიმაგრე კუმიანას (პლინიუსი VI, 30) დარიალის ციხესთან აიგივებენ (დოლიძე, შმერლინგი 1956: 74; წითლანაძე 1977: 93). სხვა მოსაზრებით კუმიანა დღევანდელი ქუმილის ციხეა (მურავიოვი 1988: 160). ხალხურ მეტყველებაში მას თამარის ციხეს უწოდებენ (იბონიშვილი 1971: 145).

ციხეს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. ის იცავდა აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიიდან მომთაბარე ტომების შემოტევებისაგან. ციხის ტერიტორიაზე გადიოდა ჩრდილოეთ კავკასია-სამხრეთ კავკასიის და მამაკავშირების ერთ-ერთი ძირითადი მაგისტრალი. ხეობის ვიწრო გასასვლელში ძვ. წ. II ს-ში ციხე (კარი) აუშენებია იბერიის მეფე მირვანს (ქც 4: 358,13-15). ახ. წ. I ს-ში ხეობა ჩაკეტილი ყოფილა მტკიცე კედლით. იქვე მდგარა სიმაგრე კუმიანა (პლინიუსი VI, 30). ახ. წ. I ს-ის 70-იან წლებში ქართველთა დაშქარმა ჯავახეთში სძლია სომეხთა უფლისწულ ზარენს. ტყვედ ჩაგვადნილი უფლისწული დარიალის ციხეში გამოუმწყვდევიათ (ქც 1: 49,8; ქც 4: 65,10; ხორენაცი 1984: 145). ვახტანგ გორგასალს დარიალის ხეობაში მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემის მშენებლობა წამოუწყია (ქც 1: 156,19-22). ზოგი არსებული სიმაგრე, მათ შორის, დარიალის ციხე საიმედოდ გაუმაგრებია. რაზეც მიუთითებს მის ტერიტორიაზე შემორჩენილი V ს-ის მიწურულისა და VI ს-ის დასაწყისის ზღუდის კედლები (მინდორაშვილი 1991: 3). VI ს-ის 30-იანი წლებიდან დარიალის ციხეზე ირანელებმა დააწესეს კონტროლი (მქ 1964: 94,32-39, 95,1-4).

VII-VIII სს-ში, არაბ-ხაზართა ბრძოლების დროს ორივე მხარე ხშირად იყენებდა დარიალის გასასვლელს. ამასთან დაკავშირებით არაბი ისტორიკოსები დარიალის ციხეს არაერთგზის მოიხსენიებენ. თუმცა მათი ცნობები ხშირად მცდარია. იბნ ალ-ფახიკი დარიალის მშენებლობას ხოსრო ანუშირვანს (531-579) მიაწერდა (იბნ ალ-ფახიკი 1902: 15). ზოგი არაბული წყარო დარიალის სიმაგრეს ალანთა ციხედ თვლიდა (იბნ რუსტი 1963: 221; ჰულუდ ალ-ალემი 1930: 31). მათ შეცდომისკენ უბიძგებდა ხეობის გვიანდელი სახელწოდება დარიალანი (ალანთა კარი) და ალანთა წინააღმდეგ მიმართული ციხე ალანებს მიაკუთვნეს (გვასალია 1976: 148). ალანური კულტურის ზოგიერთი მკვლევარი უკრიტიკოდ იყენებს რა არაბულ წყაროებს, დარიალის ციხეს ალანურ სიმაგრედ მიიჩნევენ (ნოვოსელცევი 1969: 132, 133; კუზნეცოვი 1971: 156; 1984: 144). ციხე ფუნქციონირებდა გვიან შუა საუკუნეებშიც, რაზეც მეტყველებს იქ შემორჩენილი ნაგებობები და არქეოლოგიური მასალა (ზაქარაია 1988: 53; მინდორაშვილი 1991: 5). 1733 წ. რუსული რუკის მიხედვით დარიალის ციხე მიტოვებული სიმაგრეა (დოკუმენტები ... 1968: 118, 119).



გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში მოხსენიებული „დავითის ციხე“, რომელსაც ის დარიალის ხეობაში მიუთითებდა (ქც 4:358,12), ადგილმდებარეობის მიხედვით ზუსტად ემთხვევა ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებულ „დარიალის ციხეს“ (ქც 1: 49,8). ამდენად, დარიალის, ოგივე დავითის ციხე უნდა იყოს (მინდორაშვილი 2001ა: 45-50). 1878 წ. ციხეზე დაზვერვითი სამუშაოები უწარმოებია ფ. ბაიერნს (ბაიერნი 1885: 41-51). 1934-1935 წწ. ნ. მარის სახ. მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ა. კრუგლოვი) ციხეზე ჩაატარა მცირე მასშტაბის გათხრები. ზედა ციხეზე აღმოჩენილ მასალა, უმთავრესად კერამიკა და მინის ნივთები ა. კრუგლოვმა VIII-IX სს-ით დაათარიდა (კრუგლოვი 1937: 247). 1962-1963 წწ. ციხის ტერი-

ტორიაზე გამავალი გაზის სადენის მშენებლობის გამო, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. გობეჯიშვილი) შეისწავლა ციხის სხვადასხვა უბანი. იქ აღმოჩენილმა ე.წ. სკვითური ტიპის ბრინჯაოს ისრისპირმა, ცხოველის გაოსასხულებიანმა ბრინჯაოს ქინძისთავმა და კერამიკის ერთმა ჯგუფმა დაადასტურა, რომ ციხის ტერიტორიაზე პირველ საუკუნეზე ადრინდელი ფენებიც უნდა იყოს წარმოდგენილი (წითლანაძე 1963: 32). ნაგებობის სამხრეთით, ფერდობის ძირთან გაითხარა ნამოსახლარის ნაშთები. შენობები ნაგები იყო ფიქალისა და ქვიშაქვის დიდრონი დაუმუშავებელი ქვებით. წყობა მშრალია. ნაგებობებში გამოვლინდა: ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის ნატეხები, რკინის ისრისპირები, დანის ფრაგმენტები, ბრინჯაოს სამჯურის ნატეხი და სხვ. ციხის სამაროვანზე გაითხარა ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი მცირეინვენტარაიანი და უინვენტარო ქვის სამარხები (წითლანაძე, გობეჯიშვილი 1964: 25; წითლანაძე 1977: 95-99). ექსპედიციამ დარიალის ციხის ჩრდილოეთით, სოფ. ლარსთან შეისწავლა წყალდიდობისაგან გადაარეცხილი ადრე შუა საუკუნეების სამარხები, რომლებშიც აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი, რკინის მშვილდსაკინძი, სხვადასხვა მასალისა და ფორმის მიძეები (წითლანაძე 1963: 32, 33). 1966 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღ. გ. გობეჯიშვილი) მიერ გაითხარა დარიალის ციხის ჩრდილოეთით, მდ. თერგის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „გიგეას სათიბთან“ შემთხვევითი გამოჩენილი სამაროვანი, სადაც აღმოჩნდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი ქვის სამარხები. შესწავლილ იქნა 16 მათგანი. ინვენტარი წარმოდგენილი იყო თიხის ჭურჭლით, ბრინჯაოს აბზინდებითა და მშვილდსაკინძებით, რკინის დანებით, მინის სამაჯურებითა და ბუჭდებით, მიძეებით, IX ს-ის ვერცხლის ორი არაბული მონეტითა და სხვა (წითლანაძე ... 1967: 76, 77). 1972 წ. სამაროვანზე მუშაობა გააგრძელა იმავე ინსტიტუტის ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. რ. რამიშვილი). გაითხარა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი 38 ქვის სამარხი. ზოგიერთ მათგანში აღმოჩნდა რკინის დანები, ბრინჯაოს სამაჯურები, ვერცხლის სარკეები, სასაფეთქლე რგოლები, ბრინჯაოს ბუჭდები, მიძეები, მინის ჭურჭელი და სხვა (რამიშვილი ... 1973: 86, 87). 1988-1989 წწ. ახალი გაზსადენის მშენებლობის გამო, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. რ. რამიშვილი) განაახლა გათხრები დარიალის ციხის ტერიტორიაზე. სამუშაოები რამდენიმე უბანზე წარმოებდა. ციხის ჩრდილოეთ კარიბჭესთან ადრე შუა საუკუ-

ნეების კედლის ქვეშ გამოვლინდა მშრალი წყობით ნაგები მძლავრი კედელი, რომლის აშენების თარიღი თუ უფრო ადრე არაა, სავარაუდოდ ძვ. წ. II-I სს-ით მაინც შეიძლება განისაზღვროს (მინდორაშვილი 1991: 3; 2005: 105-150). ციხის დასავლეთი ფერდობის ძირას გაითხარა ქვიშაქვისა და ფიქალის ფილებით მშრალი წყობით ნაშენი ხაროიანი ნაგებობის ნაშთები. ოთახში აღმოჩნდა ფიქალის ფილებით შედგენილი კვადრატული ფორმის კერა, ონე. იატაკის დონეზე მიკვლეული მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკის მიხედვით, ნაგებობა XIII-XIV სს-ით თარიღდება. გათხრები შეეხო ზედა ციხის ცენტრალურ ნაწილსაც. იქ აღმოჩნდა გვიანი შუა საუკუნეების საცხოვრებელი შენობის ნაშთი, სადაც გამოვლინდა თიხის ჭურჭლის ნატეხები და ხელწისქვილის ქვა. ციხის სამაროვანზე გაითხარა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი 31 უინვენტარო ქვის სამარხი (მინდორაშვილი 1991: 6; 2005: 118-121; რამიშვილი ... 1997: 104, 105).

ციხე აგებულია აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან სრულიად მიუდგომელი მაღალი კლდოვანი მთის ზედა ნაწილზე, მთის დასავლეთ ფერდობსა და ფერდობის ძირზე. ზედა ციხეზე (ფართობი დაახ. 1 ჰა) შემორჩენილია ზღუდის კედლები, კოშკისა და სხვა ნაგებობათა ნაშთები. ციხის დასავლეთ ფერდობს ჩრდილო და სამხრეთი მხრიდან დაუყვება მძლავრი სასიმაგრო კედლები. ციხის ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან შემოსასვლელი გზა გაივლიდა კლდეებს შორის არსებულ კარიბჭეს, რომელსაც აღმოსავლეთიდან ოთხკუთხა, დასავლეთიდან კი ზურგაიანი კოშკი დაჰყურებს. გზა გადიოდა ციხის დასავლეთი ფერდობის ძირზე, სადაც ცალკეული ნაგებობების ნაშთებია შემორჩენილი. ამის შემდეგ გზა უხვევდა სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩადიოდა მდ. თერგის პირას. ციხე სასმელი წყლით მარაგდებოდა დასავლეთით მდებარე კლდოვანი ფერდობიდან (მასული 1908: 53).

აქ რამდენიმე სამშენებლო ფენა დასტურდება. მათ შორის ყველაზე უძველესია ჩრდილოეთ კარიბჭესთან ადრე შუა საუკუნეების ზღუდის კედლის ქვეშ აღმოჩენილი სასიმაგრო კედელი, რომელიც მშრალი წყობითაა ნაგები. მისი სისქე 6 მ-ია. პერანგებად

გამოყენებულია დიდრონი ლოდები. პერანგებს შორის სივრცე წვრილი ქვითაა ამოვსებული. კედელი სავარაუდოდ ძვ. წ. II-I სს-ით თარიღდება. მეორე სამშენებლო პერიოდს მიეკუთვნება მასზე დაშენებული ზღუდის კედელი (სისქე 2,6 მ), ნაგები ქვიშაქვის მორძო, სწორკუთხა კვადრებით, რომლებიც დაწყობილია ზუსტ ჰორიზონტალურ რიგებად, კირხსნარის თხელ ფენაზე. ანალოგიურად ნაგები კედლები ზედა ციხეზეცაა შემორჩენილი. თარიღდება V ს-ის მიწურულითა და VI ს-ის დასაწყისით (მინდორაშვილი 1991: 3; 2005: 107-109). განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებისაა ციტადელზე შემორჩენილი ნაგებობები. კედლის ღუბაბის ფენაში ზოგჯერ დატანებულია ხის ლასტები.

ციხის განათხარა და შემთხვევით მოპოვებული მასალა სხვადასხვა პერიოდისაა. მათ შორის ყველაზე ადრეულია ციხის დასავლეთ ფერდობზე გაზსადენის თხრილში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს სამწახნაგა მასრიანი ისრისპირი, რომელსაც ერთი წახნაგი დაგრძელებული აქვს. ისრისპირი ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება. ძვ. წ. IV ს-ის მიწურულითა დათარიღებული შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს საკინძი. ადრეული იერისაა აქატის სწორკუთხა მძივი (წითლანაძე 1971: 64).

ადრე შუა საუკუნეების მასალა ძირითადად კერამიკაა. მათ შორის აღსანიშნავია წითელპირილა და მოჩალისფროდ გამოშვარი ხელალების ნატეხები. სამზარეულო კერამიკიდან გვხვდება ჩაფები, ქოთნები (წითლანაძე 1977: 98; მინდორაშვილი 1991: 5;). სამშენებლო დანიშნულების კერამიკიდან მცირე რაოდენობით გვხვდება ბრტყელი კრამიტის ნატეხები, რომელთა უმრავლესობა წერნაქითაა შეღებილი. განვითარებულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება დერგები, ქოთნები, ხელალები (წითლანაძე 1977: 98). გვიანი შუა საუკუნეებისაა მოუჭიქავი ჭურჭლის (დერგების, ქოთნების, ხელალების და სხვ.) და ფაიანსის ორიოდ ნატეხი. დარიალის ციხის მასალაში ცალკე გამოიყოფა მოზრდილი ჯგუფი შუა საუკუნეების კერამიკისა (დერგები, ქოთნები, ქილები, ჯამები და სხვ.), რომელთაც აქვთ შავი ან მონაცრისფო კეცი. ნაწილი კერამიკისა ზედაპირნაპირილებია. ჭურჭლის უმრავლესობა შექმულია ირიბი ნაჭდევებით. ის ჩრდილო-კავკასიური ნაწარმია (მინდორაშვილი 2005: 111-118). განათხარა თუ შემთხვევით აღმოჩენილ მასალაში ლითონის ინვენტარი მცირეა. ესენია: რკინის ორი ცალი ოთხწახნაგა და ერთი სამფრთიანი ისრისპირი, დანის ნატეხები, რკინისა და ბრინჯაოს ნემსისებური ნივთი, ბრინჯაოს რგოლისა თუ სამაჯურის ნატეხი. ასევე ცოტაა მინის ჭურჭლის ფრაგმენტები (წითლანაძე 1977: 98-100). ერთი ცალია აღმოჩენილი ბრტყელგანვიკვითიანი მწვანე მინის სამაჯურის ფრაგმენტი. გვხვდება სარდიონის, აგრეთვე მინის მძივები, რომელთაგან ზოგიერთი ინკრუსტირებულია. ქვის ნივთებიდან აღსანიშნავია ხელწისქვილის რამდენიმე ფრაგმენტი.



დარიალის ციხის ნანგრევები



დარიალის ციხის ნანგრევები

ციხის სამაროვანზე სამარხთა ერთადერთი ტიპია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი ქვის სამარხები. მათ უმრავლესობას მიწის ზედაპირზე სწორკუთხედად ან ოვალურად შემოუყვებოდა საშუალო და მოზრდილი ქვები, თავისებური სანიშნები, რომელთა ქვეშ საკუთრივ ქვის სამარხი იყო გამართული. სამარხები ინდივიდუალურია. მიცვალებულები დასვენებულია ზურგზე გაშლილი, თავით დასავლეთით. რამდენიმე მიცვალებული დასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე. მთელი რივ სამარხებში ძვლების ცუდად დაცულობის გამო მიცვალებულთა დაკრძალვის პოზის დადგენა ჭირს (წითლანაძე 1971: 76; მინდორაშვილი 1991: 5, 6; 2005: 118-121). ინვენტარი მხოლოდ 1963 წ. გათხრილ ერთ სამარხში აღმოჩნდა. ესენია: ბრინჯაოს მრგვალგანიცკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული თავგანსილი სამაჯური და ორი ბეჭელი, რომელთაგან ერთი თვალბუდია, მეორე დამზადებულია ბრინჯაოს ორი, ერთმანეთში გადახლართული მავთულისაგან. სამარხი თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით (წითლანაძე 1977: 99). დარიალის ციხის არქეოლოგიური მასალა ინახება ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიის ცენტრის დუშეთის ბაზაზე.

ციხის სამხრეთით მდებარე ვრცელი ველი უკავია სამაროვანს. ციხის ჩრდილოეთით, 800-ოდე მ-ის დაშორებით, ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილას, მთის განშტოებაზე აგებულია ხეობის ჩამკეტი სასიმაგრო კედელი (ჯარი). ის აშენებულია ქვიშაქვის ნაწილობრივ დამუშავებული ქვებით კირხსნარზე.

დარიალის ციხის ჩრდილოეთით, ორიოდე კმ-ის დაშორებით მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ზემო ლარსის მიდამოებში შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1958 წელს, როცა წყალდიდობის გამო დაზიანდა ადრე შუა საუკუნეების ქვის სამარხები. ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა მხოლოდ ერთი სამარხული ინვენტარის გადარჩენა მოახერხეს. დანარჩენი განადგურდა (წითლანაძე 1976: 10).

1962 წ. შეისწავლეს წყალდიდობისაგან გადარეცხილი სამარხები. ჩამონარეცხი კერამიკა სხვადასხვაგვარია. ისინი გამოშვარია წითლად, მონალისფროდ და შავად. განათხარ სამარხში ჩონჩხი დაშლილა. შემორჩენილი თავის ქალა ქვაზე იდო. სახის წინ ედგა თიხის შავად გამოშვარი კოჭობი, ძირზე ბორბლის რელიეფური გამოსახულებით. მკერდის არეში გაბნეული იყო სარდლიონის, ქარვისა და მინის მიძვები. წელთან აღმოჩნდა რკინის ზამბარიანი მშვილდსაკინძი. სამარხი თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით. ზემო ლარსთან აღმოჩენილი ფენა სავარაუდოდ ეკუთვნოდა დასახლებას, რომელიც დარიალის ციხის ჩრდილოეთ ფორფოსტს წარმოადგენდა. ამაზე მიუთითებს იქვე, მაღალ კლდეზე არსებული კომპლექსი ნაშთებიც (წითლანაძე 1963: 32, 33). ზემო ლარსის არქეოლოგიური მასალა ინახება ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

„გიგიას სათიბის“ სამაროვანი მდებარეობს დარიალის ციხის ჩრდილოეთით, მისგან სამიოდე კმ-ის დაშორებით, მდ. თერგის მარჯვენა ნაპირზე. 1966, 1972 წწ. სამაროვანზე შეისწავლეს იქნა 54 ქვის სამარხი, რომლებიც 2-3 სართულადაა განლაგებული. ფიქალის ქვის ფილებით ნაგები სამარხები დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე, მეტ-ნაკლები გადახრით. მიცვალებულები ზურგზეა გაშლილი ან გვერდზეა დასვენებული, თავით დასავლეთით, ზოგერთი – აღმოსავლეთით. სამარხები ინდივიდუალურია. ყველა მათგანში ჩნდებოდა ნახშირის კვალი. ზედა სართულის სამარხები უინვენტარია. 1966 წ. გათხრილი სამარხებიდან ინვენტარი 6 მათგანში გამოვლინდა. ესენია: თიხის ჭურჭელი, რკინის დანები და ბრინჯაოს აბზინდები. ბრინჯაოს მშვილდსაკინძები, შავი მინის გრეხილი სამაჯურები, ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭდები (ერთის თვალი დაკარგულია, მეორეზე შემორჩენილია არაბულწარწერიანი გემა), მინის სასმისი, ბრინჯაოს კოვზი, სხვადასხვა ფორმისა და მასალის მიძვები (წითლანაძე, კახიძე, შატბერაშვილი 1967: 76, 77). სამარხებში აღმოჩნდა ვერცხლის ორი არაბული (ქუფური) ნახევარდირჰემიანი მონეტა. ერთი მოჭრილია 802 წ. ქ. სანააში ხალიფა რაშიდის (786-809) სახელით (წონა 1,13 გრ). მეორე – 821-822 წწ. მადინ ბაჯუნაისში ხალიფა მამუნის (813-833) სახელით (წონა 1,58 გრ) (ჯვალანაძე 1972: 23). 1972 წ. გათხრილი სამარხებიდან ნაწილი უინვენტარია, რაც ზოგჯერ მდ. თერგის ზემოქმედებისა და განძის მძიებელთა მიზეზითაცაა გამოწვეული. რამდენიმე სამარხი თითო-ოროდე ნივთს შეიცავდა. უხვი ინვენტარით გამოირჩევა №11 და №13 სამარხები. მათში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი, რკინის



დარიალის ციხე

ცული, ხის ქარქაშიანი რკინის დანა, ბრინჯაოს სამაჯურები, ვერცხლის სარკეები, სასაფეთქლები, ღილები. ბრინჯაოს ილარი, თვალბუდიანი ბეჭდები, სხვადასხვა ფორმისა და ზომის სარდინის, აგრეთვე მინის ინკრუსტირებული მძივები, ნიჟარები, მინის ბეჭდები, მოცისფრო გამჭვირვალე მინის სანელსაცხებლელ და მინის ყურიანი ჭურჭელი, ოქროს მტევენისებური საყურე და სხვ. სამაროვანი IX-X სს-ით თარიღდება (რამიშვილი ... 1973: 68; ლომთათიძე 1977: 95; წითლანაძე ... 1998: 70-80). სამაროვნის კლდოვანი უბის სიღრმეში უნდა არსებულიყო თანადროული ნამოსახლარი, რომელიც, საფიქრებელია, მთებიდან ჩამოწოლილმა ზვავმა იმსხვერპლა (რამიშვილი ... 1973: 87). სამაროვნის მასალა ინახება ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. რამდენიმე ნივთი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: *ბაიერი 1885: 41-45; გიულდენშტედტი 1964: 33, 181; ვვასალია 1976: 144-150; დოკუმენტები ... 1968: 118, 119; ზაქარაია 1988: 51-53; იაკუთი 1964: 14, 18; ითონიშვილი 1971: 145-147; 1984: 6; ლომთათიძე 1977: 95; მაკალათია 1934: 111-113; მინდორაშვილი 1991; 1998გ: 80-86; 2001ა: 45-50; 2005; მქ 1963: 94,32-39, 95,1-4; რამიშვილი ... 1973: 85-87; რამიშვილი ... 1997: 104, 105; უილბრაჰი 1990: 25; ქც 1: 49,8; ქც 2: 443,20; ქც 4: 65,10; 358,12; ძე 1954: 347; წითლანაძე 1963: 31-33; 1971: 63-65; 1976: 7-12; 1977: 93-101; წითლანაძე, გობეჯიშვილი 1964: 23-25; წითლანაძე ... 1967: 76, 77; წითლანაძე ... 1998: 70-80; ხორენაცი 1984: 145; დოლიძე, შემერლინგი 1956: 74; იბნ ალ-ფახიკი 1902: 15, 31; იბნ-რუსტე 1963: 221; კრუკლოვი 1937: 247; კუზნეცოვი 1971: 156; 1984: 144; მასუდი 1908: 53; მურავიოვი 1988: 160; ნოვოსელცევი 1969: 132; პლინისი VI, 230; პუდუდ ალ ალემი 1930: 31.*

დარიჯელი, ციხე (ქც 1: 299,21). იხსენიებს „მატიანე ქართლისა“ (ქც 2: 299,21). ლოკალიზდება თბილისში. ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია. როცა თბილისელმა ბერებმა ბაგრატ IV-ს (1027-1072) ქალაქი გადასცეს, მეფემ წყაღების ორ კოშკსა და თაბორის ციხესთან ერთად „აღიღო ციხე ქალაქისა დარიჯელი“ (ქც 1: 299,20,21).
ბიბლიოგრაფია: ქც 1: 299,21.

დარჯაბა (ქც 1: 201,5). იხსენიება ჯუანშერის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 201,5). ჯუანშერი დარჯაკას შესახებ გადმოგვცემს: ვახტანგ გორგასლის მეფობისას, სპარსეთის შაჰის ჯარმა დაიბანაკა „იორსა ზედა. ხოლო სპანი ვახტანგისნი დადგეს ველსა ზედა, გარემოს ციხე-ქალაქსა (უჯარმას), სადა ჰქვან დარჯაკა“ (ქც 1: 201,4,5). ლოკალიზდება საგარეჯოს მუნიციპ-ში. უნდა მდებარეობდეს ციხე-ქალაქ უჯარმის მიდამოებში.

ტოპონიმი დარჯაკა დღეისათვის აღარაა შემორჩენილი. სავარაუდოა, რომ დარჯაკა ერქვა ციხე-ქალაქ უჯარმის ახლო მდებარე ველს.

ბიბლიოგრაფია: ქც 1: 201,5.

ღვთის ციხე (ქც 4: 662,6, სქ. 1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქც 1: 47,12; 48,1; 49,20,2), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 658,1; 662,6, სქ. 1; 724,3), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 265,8), „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქც 2: 51,9,14; 531,6), XV-XVI სს-ის „მეცხური მატიანე“ (სამხ. საქ. ისტ. 1961: 45, 55), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 111). მდებარეობს ბორჯომის მუნიციპ-ში, ქვაბისხევის ხეობაში, სოფ. ქვაბისხევის ჩრდილოეთით, 3 კმ-ის დაშორებით, ნასოფლარ დემოთის მახლობლად (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 150; ბერძენიშვილი 1964: 225).

ისტორიული ტრადიციის თანახმად ციხე აუგია სუმბატ ბიერტიანს (ქც 1: 47,2; ქც 4: 658,1, 662,6, სქ. 1). I ს-ის 70-80-იანი წლების მიჯნაზე, სომხეთთან ზავის შემდეგ ქართლმა სხვა პუნქტებთან ერთად დაიბრუნა დემოთის ციხეც (ქც 1: 49,20). XVI ს-ის მეორე ნახევარში ის ეკუთვნოდა ათაბაგებს (სამხ. საქ. ისტ. 1961: 55). ტერიტორიას, სადაც შემორჩენილია დემოთის ციხის ნანგრევები, ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს „ზემოთა“-ს (ბერძენიშვილი 1964: 225).

დემოთის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ნასოფლარ დემოთის მახლობლად, ქვაბისხევის მარცხენა ნაპირზე დგას VIII-IX სს-ით დათარიღებული მარიამწმიდის სამნავიანი ბაზილიკა (8X7 მ). აფსიდა ოდნავ ნაღისებურია. გვერდითი ნაგების აღმოსავლეთ ნაწილში მოწყობილია სამკვეთლო და სადიაკნე. ეკლესიას შესასვლელი აქვს დასავლეთიდან. სამხრეთის ნაგში შემონახულია XII-XIII სს-ის ფრესკები. ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულია ორი საერო პირი. მანდილოსანს ახლავს წარწერა: „იოი“. ახალგაზრდა კაცთან იკითხება წარწერა: „შოთა“. გარდა ამისა, შემორჩენილია ბიბლიური სიუჟეტებისა და სასულიერო პირთა გამოსახულებების ფრაგმენტები (ჩუბინაშვილი 1948ა: 391-398; ბერძენიშვილი 1964: 225-227).

ბიბლიოგრაფია: *ბერძენიშვილი 1964: 225-227; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 111; 1958: 150; სამხ. საქ. ისტ. 1961: 45, 55; ქც 1: 47,12, 48,1, 49,20,50, შენ. 2; ქც 2: 51,9,14; 531,6; ქც 4: 658,1; 662,6, სქ. 1; 724,3; ჩუბინაშვილი 1948ა: 391-398.*

ღვსიბო, ციხე (ქც 4: 749,5; 878,23; 882,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 749,5; 878,23; 882,22), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 309, 327).

დევნიერის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ლენხუმის საშუალს, ცხენისწყლის კიდვედ არს ციხე კლდეა ზედა შენი, დევნიერი, თავი თაკუერისა, რამეთუ, რომელსა უყურავს იგი, მორჩილება-სა მისსა შინა არანს სრულიად (ქც 4: 749,4-6).

მდებარეობს ცაგერის მუნიციპ-ში, ცაგერიდან 3 კმ-ის დაშორებით, სოფ. დევნიერის მახლობლად, მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე.

დევნიერის ციხე ლენხუმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმაგრე იყო. იცავდა ცხენისწყლის ხეობიდან ლაჯანურის ხეობაში მიმავალ გზებს. იოჰან გიულდენშტედტი დევნიერს ციხეს მოიხსენიებს იმ პუნქტებს შორის, რომლებიც ქალაქს ედრებიან (გიულდენშტედი 1962: 309).

სოფ. დევნიერში ვახუშტისეული აღწერილობის მსგავსი ციხე-რეზიდენცია არ არის. სოფელში არის ოთხკუთხა კოშკის ნანგრევები. ოთხი ნაციხარია დევნიერსა და სოფ. ლესინდას შორის, რომლებიც ერთ ხაზზე მდებარეობდნენ და აკონტროლებდნენ ცხენისწყლისა და დოქანურის ხეობებს (მუსხელიშვილი 1977: 129). დ. ბერძენიშვილის აზრით დევნიერის ციხე იდგა რიონ-ცხენისწყლის წყალგამყოფ ქედზე და მას ექვსი სოფელი ეკრა: ცხეთა, ლასკანა, თხიზურგა, ლესინდა, ლაშატა, წილამური და სა-დევნიერო ეწოდებოდა (ბერძენიშვილი 1983: 57).

1717-1718 წწ. ბეჟან დადიანმა თავისი ძმა მანუჩარი პატიმარყო დევნიერის ციხეში (ქც 4: 878,23). ბეჟან დადიანმა დევნიერს ციხეში გამომამწყვდია იმერეთის მეფე გიორგი VI-ის (1703-1711, 1714-1716, 1718-1720) ცოლყოფილი თამარი (ქც 4: 882,22). 1802 წ. მეფე სოლომონ II-ემ (1789-1810) აიღო დევნიერის ციხე. დევნიერის ციხე არქეოლოგიურად შესწავლელია.

1970-1971 წწ. ლენხუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ლ. სახაროვა) სოფ. დევნიერში დაზვერვებისას მიაკვლია „ნაციხვარებს“ (სახაროვა ... 1972: 22, 23).

დევნიერში შემორჩენილია ციხის ნანგრევები, რომლებიც დაჰყურებს მიელ სადევნიეროს. აზიდულ ბორცვებზე ნაგებ მასიურ კოშკებს გალავანი აქვს შემოვლებული და მოგვიანებით დამატებით ტერასულად განლაგებული ზღუდეები უჩნდებათ (ბერძენიშვილი 1983: 57, 58).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი ... 1983: 57, 58; ბერძენიშვილი 1990: 516; გიულდენშტედტი 1962: 309, 327; მუსხელიშვილი 1977: 129; სახაროვა ... 1972: 22, 23; ქც 4: 749,5; 878,23; 882,22.

ლვა60 (ქც 4: 374,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 374,22), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 42), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1989: 58, 76), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 73; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 778, 991; 1972: 120, 113; 1974: 674, 675; 1977: 141; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 155).

მდებარეობს ქარელის მუნიციპ-ში, მდ. დვანისწყლის ხეობაში, დღევანდელი სოფ. დვანის ტერიტორიაზე. X-XV სს-ში დვანი ქართლის საერისთავოში შედიოდა. XVI ს-ში ქსნის საერისთავოშია (გვრიტიშვილი 1955: 82). XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში სამაჩაბლოშია (გვასალია 1983: 113). წერილობით წყაროებში იხსენიება „დუანი“ – „გუანის“ სახელებითაც (მუსხელიშვილი 1977: 172; 1980: 35). 1936, 1938, 1940 წწ. დვანში შემთხვევით აღმოჩნდა რამდენიმე სამარხი. სამარხეული მასალა წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, რკინისა და ბრინჯაოს ნივთებით, სამკაულით. მასალა ინახება ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (მაკალათია 1948: 6).

1944 წ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ს. მაკალათია) დაიწყო დვანის სამაროვნის შესწავლა, რომელიც გაგრძელდა 1955 წელსაც. 1955 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შიდა ქართლის დაზვერვითმა ექსპედიციამ (ხელმძღ. დ. მუსხელიშვილი) დვანში გამოავლინა გვიანი ბრინჯაოს პერიოდის გორანამოსახლარები. 1973-1974 წწ. იმავე ინსტიტუტის კასპის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. ცქიტიშვილი) იქ ჩაატარა არქეოლოგიური დაზვერვები.

დვანის სამაროვანი მდებარეობს ადგილ „სოლოფერდაზე“, რომლის სიგრძე დაახ. 300 მ-ია. შეისწავლეს 15 ორმოსამარხი. რამდენიმე გამო-ნაკლისის გარდა ყველა სამარხი ინდივიდუალურია. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე კიდურებმოკეცილი, თავით სამხრეთისკენ. სამაროვნის მასალა წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, იარაღ-საჭურჭლით, სამკაულით, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნივთებით. შავპრიალა ან მოწითალო თიხის ჭურჭელი ჩარხზეა დამზადებული. მათგან აღსანიშნავია: დაბალყელიანი და პირგანიერი ხელადა; პირგანიერი ქუსლიანი სასმისი; პირგადმოკეცილი ქოთანა; სადღეებელი; ქუსლიანი სურები; ქოლგანი; ჯამები და სხვ. ჭურჭლის ნაწილი ორნამენტირებულია. ჭარბობს გეომეტრიული, წერტილოვან-ხაზოვანი, წიწვისებური, ტალღისებური ორნამენტი. იარაღ-საჭურველი ძირითადად რკინის ნივთებითაა წარმოდგენილი (აკინაკი, 3 ცული, 2 მოხრილი დანა ძელის ფირფიტებით შექმული ვადლი, მასრაგახ-ნილი შუბისპირი, ლეგამი). ბრინჯაოს იარაღი მცირე რაოდენობითაა (შუბისპირი და 4 ე. წ. სკვი-თური ტიპის ისრისპირი). სამკაული წარმოდგენილია როგორც ბრინჯაოს (2 შშივლდაკინძი, ბრტყელი ბეჭედი, მრგვალთავიანი საკინძები), ასევე ვერცხლის (სასაფეთქლე რგოლები, 3 სამა-ჯური, 2 მრგვალთავიანი, გახვრტილი საკინძი) ნივთებითა და სარდიონის, პასტის, მინის, გიშ-რისა და ქარვის მძივებით. სამარხებში აღმოჩნდა სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქვის (3 კაჟის ნამგლის ჩასართი, ხელსაფქვავის ქვე-ბი, ობსიდიანის ანატაკეები) და ლითონის (ბრინ-

ჯაოს მახათი, ორნამენტირებული ბალთა, ჩქიფი, ცხვრის ქანდაკება, სამტურია სურა) ინვენტარი. სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. VII-VI სს-ით (მაკალათია 1948: 40; 1957ბ: 139-143; 1963: 7-11).

არქეოლოგიურმა დაზვერვებმა დვანში სხვადასხვა პერიოდის რამდენიმე ძველი გამოავლინა: ორფენიანი (ადრეპრინჯაოს, გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანის) ნამოსახლარი სამნიფერდას გორაზე. გვიანბრინჯაოს პერიოდის ნამოსახლარები ტახტისზურგას მთის სამხრეთით და სოლოფერდაზე, სადაც მოპოვებულია შავად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ხელსაფეკვის ქვეები (სძა 1990: 366). გვიანბრინჯაოს პერიოდის სამაროვნებია ადგილ კიბრაგაში, სოლოფერდას გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლართან. ორი ორმოსამარხია გამოვლენილი სოლოფერდაზე და სოლოფერდას ძირზე. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა კვერდზე კიდურებმოკეცილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ. იქ მოპოვებულია შავად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ფოთლისებური და ე. წ. კახური ტიპის სატევრები, მასრაგახსნილი შუბისპირი, ე. წ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ცული და სხვ. შუა საუკუნეების ნასოფლარებია: ტახტისზურგას ფერდობზე, დვანიდან 3 კმ-ის დაშორებით, ძველ სასაფლაოზე, ადგილებში: საკვირიკე, წინუბანი, წეროვანები. გვიანი შუა საუკუნეების სამაროვანია სამნიფერდას ჩრდილო-აღმოსავლეთით 100 მ მანძილზე. მთის ფერდობზე გაშიშვლებულ ფენაში მოჩანს ქვის ფილებით ნაგები სამარხები. მასალა ინახება ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (სძა 1990: 366, 367).

დვანის ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ-ის დაშორებით, მთაზე მდებარეობს გუმბათიანი ეკლესია წმინდა გიორგი „კვართისა“ (7,5X10,4 მ). დასავლეთიდან და სამხრეთიდან გარშემოსავლელით. აფსიდა ნახევარწრიულია. ნაგებია მორუხო ფერის თლილი და რიყის ქვის წყობით. გუმბათით რვაწახნაგოვანია. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა. თარიღდება VI ს-ის შუა ხანებითა და VII ს-ის დასაწყისით. გადაკეთებულია გვიან შუა საუკუნეებში (ჩუბინაშვილი 1978: 7-25; სძა 1990: 366, 367).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 42; ბერძენიშვილი 1966: 29, 30, 31; გვრიტიშვილი 1955: 67, 68; კვასალაია 1967: 24; 1983: 25, 57, 113; 1989: 3, 4, 8, 9, 11; დოვ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 115; თაყაიშვილი 1907: 135; მაკალათია 1948; 1957ბ: 139-143; 1963: 7-11; მასალეები საქ. ისტ. კვებ. 1964: 73; მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 188, 194; მუსხელიშვილი 1977: 171-173, 191, 194; 1980: 35; სძა 1990: 366, 367; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 778, 991; 1972: 120, 113; 1974: 674, 675; 1977: 141; ქორიძე 1965: 110, 111; ქც 4: 374,22; ჩუბინაშვილი 1978: 7-25; ხარაძე 1992: 140, 143; ხერხეულიძე 1989: 58, 76.

დ3060 (ქც 4: 305,22; 364,17; 381,25; 739,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი

ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 305,22; 364,17; 381,25; 739,6), ბერი ვენატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 349,10,28), ქართლ-კახეთის XVII-XVIII სს-ის ქრონიკები (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 63), სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 43), „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941:95), „ჩილდირის ეიალეეთის ჯაბა დავთარი“ (ჩილდირის ეიალეეთის ... 1979: 61).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ყვერბილისა და ლიკანის ხეებს „ზეით არს ჭობის-ხევი და არს დვირამდე ქართლისა“ (ქც 4: 381,25).

მდებარეობს ბორჯომის მუნიციპ., მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, მტკვრისა და დვირულას შესართავთან, დღევანდელი სოფ. დვირის ტერიტორიაზე (ბერძენიშვილი 1985: 7).

XII-XIII სს-ში დვირი თორის შემადგენლობაშია და მნიშვნელოვანი პუნქტია ქართლიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმავალ გზაზე (აბრამიშვილი 1956: 107-109; მაკალათია 1957ა: 5; ბერძენიშვილი 1985: 41). დვირსა და ხეფინიხეზე გადიოდა ქართლის სამეფოს დასავლეთი საზღვარი (ბერძენიშვილი 1979: 75). XVI ს-ში ოსმალთა შემოსევების შედეგად მოსახლეობა დვირში რვა კომლამდე შემცირდა (ხუჯაძე 1969: 123). 1732 წ. ის ლეკებმა დაარბიეს (ჩხეიძე 1913: 43; მაკალათია 1957ა: 9).

1941 წ. დვირში აღმოჩნდა ქვის ფილებით ნაგები სამარხი ღარიბი ინვენტარით. ნაპოვნია აგრეთვე ბრინჯაოს საკინძები, თიხის ჭურჭელი, რკინის მონილი დანა (ნიორაძე 1944: 170; ხუჯაძე 1969: 123). ბორნილელეს სათავში ადგილ „სარაიებში“ აღმოჩნდა ბრინჯაოს შუბისპირები, სატევრები, საკინძები, რომლებიც თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით. მასალა ინახება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

დვირი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. მის შემოგარენში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციამ (ხელმძღ. ო. ლამბაშიძე) 1979-1983, 1986 წწ. შეისწავლა კვირაცხოვლის სამაროვანი, ხოლო 1983-1988 წწ. ბორნილელეს სამაროვანი.

კვირაცხოვლის სამაროვანი მდებარეობს ე. წ. „კვირაცხოვლის მიწების“ დასავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დვირის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 4 კმ-ის დაშორებით. შეისწავლეს 104 სამარხი (1 ურნასამარხი, 1 ქვის ფილებით ნაგები სამარხი და 102 ორმოსამარხი). ორმოსამარხები ოვალური ან ოთხკუთხა ფორმისაა. სამარხები ინდივიდუალური ან კოლექტიური. მათი უმრავლესობა ინჰუმაციურია. გვხვდება ოთხი კენოტაფი და კრემაციის ერთი შემთხვევა. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა კვერდზე, კიდურებმოკეცილი, თავით

დასავლეთით, სამხრეთით ან ჩრდილოეთით. მასალა წარმოდგენილია: თიხის ჭურჭლით (ქოთნები, დერგები, კაოხები, ჯამები, ხელაღები, ლანგრები), იარაღ-საჭურვლით (ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრის პირები, მასრაგახსნილი ბრინჯაოსა და რკინის შუბისპირები, ყუნწიანი და ქუსლამოლარული ისრისპირები, რკინის დანები), სამკაულით (ბრინჯაოს დისკოსებურთავიანი, სოკოსებურთავიანი, სფერულთავიანი, კოპებიანი, თავხვია საკინძები; თავებგახსნილი, სადაზღვაპირიანი და ორნამენტირებული სამაჯურები; სარდინის ექვსწახნაგა და ბრინჯაოს კასრისებური მძივები) და სხვ. მასალა თარიღდება ძვ. წ. XV-VI სს-ით (ღამბაშიძე, კვიციანიძე 1982: 57-62; ღამბაშიძე, კვიციანიძე, აბრამიშვილი 1985: 33, 34). სამაროვნისათვის ტიპურია №29 ორმოსამარხი (1,1X1,1X0,9 მ). მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი, თავით სამხრეთით. აღმოჩნდა თიხის 4 ჭურჭელი, ბრინჯაოს 2 საკინძი, 2 შუბისპირი, 2 სატევარი, 1 დანა. თარიღდება ძვ. წ. X-IX სს-ით (ღამბაშიძე, კვიციანიძე 1982: 57-62). მასალა ინახება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე.

ბორნიღელეს სამაროვანი მდებარეობს დვირის ჩრდილოეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. შეისწავლეს 121 სამარხი, რომლებიც ოთხ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა: 1. ძვ. წ. XV-XI სს; 2. ძვ. წ. XI-IX სს; 3. ძვ. წ. VIII-VI სს; 4. ძვ. წ. IV ს (მხოლოდ 1 სამარხი). უმრავლესობა ორმოსამარხებია. გვხვდება ფლეილი ქვით ნაგები სამარხებიც. ისინი ინდივიდუალური, წყვილად ან კოლექტიურია. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა (მა-მაკაცები) ან მარცხენა (ქალები) გვერდზე, კიდურებმოკეცილი. დამხრობა არაერთგვაროვანია. ძვ. წ. VIII-VI სს-ის სამარხებში დადასტურებულია კრემაცია. სამაროვნის მასალა წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით (პირფართო, ცილინდრული ფორმის სასმისები, პირგადაშლილი ჯამები, კაოხები, ჩაიდნისებური ჭურჭელი და სხვ.), იარაღით (ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირები, მასრაგახსნილი ხელშუბისპირები, გრძელყუნწიანი ფრთებდაშვებული ისრისპირები, ე. წ. კოლხური ტიპის ცულები, რკინის შუბისპირები, დანები და სხვ.), სამკაულით (ბრინჯაოს დისკოსებურთავიანი, სოკოსებურთავიანი, დაწახნაგებულთავიანი, თავხვია და სხვ. საკინძები; თავებგადასული სამაჯურები, სასაფეთქელ რგოლები, მშვილდსაკინძის ფრაგმენტები; სარდინის, მინის, ბრინჯაოს მძივები და სხვ.), საყოფაცხოვრებო საგნებით (კაუსის ნაგლის ჩასართები, ძვლის სახვრეტები, ბრინჯაოს სადღისები, მახათები, დილები და სხვა). ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის „კოლხური თეთრი“ (ნახევარდრაქმა), სამაროვანზე ტიპურია №117 ორმოსამარხი (0,85X0,45 მ). მიცვალებული დაკრძალულია მარცხენა გვერდზე კიდურებმოკეცილი, თავით აღმოსავლეთით. აღმოჩნდა შავი ფერის პირგადაშლილი, ორნამენტირებული კაოხა, შავი ფერის კანელურებით შემკული

ტოლჩა, ბრინჯაოს შუბისპირი, რკინის სატევარი, ბრინჯაოს ოთხკუთხა ბალთა, ბრინჯაოს კონუსური დილი, ბრინჯაოს 5 ლურსმანი. თარიღდება ძვ. წ. VIII-VII სს-ით (ღამბაშიძე, ღამბაშიძე 1986: 22-27; 1987: 28-30; ღამბაშიძე ... 1991: 27-31; ღამბაშიძე ო. ღამბაშიძე 1995: 48-50).

1930 წ. დვირში აღმოჩნდა ბიზანტიური მონეტების განძი, რომელიც შედგება 45 ოქროს, 4 ბრინჯაოს ყალბი და 1 ვერცხლის მონეტისაგან. მთელი განძი, გარდა ერთისა, ეკუთვნის ბიზანტიის სამ იმპერატორს: კონსტანტინე VIII-ს (1025-1028), კონსტანტინე X დუკას (1059-1067) და რომანოზ IV დიოგენეს (1067-1071). 1 მონეტა არაბული დირჰემი 757-758 წწ. მოჭრილი და მკვლევართა ვარაუდით, შემთხვევით უნდა იყოს განძში მოხვედრილი. ასეთადვეა მიჩნეული 4 ყალბი მონეტა (ლომოური 1938: 309; აბრამიშვილი 1956: 107-109; პახომოვი 1966: 33-34; ჯალალანია 1972: 30). განძი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

დვირში რამდენიმე ეკლესიაა. მთავარანგელოზის ეკლესია მდებარეობს დვირის ცენტრში. ის დარბაზული ტიპისაა. ნაგებია თლილი ქვით. გადაკეთებულია XIX ს-ის მეორე ნახევარში (ბერძენიშვილი 1964: 250). კვირაცხოვლის ეკლესია დგას სოფლის თავში, სასაფლაოზე. ეკლესიის ეზოში აღმოჩნდა ოთხკუთხა ფორმის კირქვა (35X19X7 სმ), რომელზეც გაკეთებულია ებრაული წარწერა. მასში მოხენიებულია ჭაბუკი მოსე, პატივცემულ რაბინის, აბრამის ძე, თარიღდება 1728 წლით. ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, ეს ქვა გადმოტანილია სხვა ადგილიდან (ბაბალიკაშვილი 1972: 55-57; ბერძენიშვილი 1985: 67). საკვირიკის ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა. დაზიანებულია. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ზოგიერთი მოსაზრებით ეს უნდა იყოს გიორგი მერჩულეს თანამოღვაწის, ქრისტეფორეს მიერ IX ს-ში აგებული კვირიკეშიდა (ბერძენიშვილი 1964: 250).

დვირის ხევის ქვემო წელზე მდებარეობს დვირის ციხე. შემორჩენილია ნანგრევები. (ბერძენიშვილი 1964: 252).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1956: 107-109; ბაბალიკაშვილი 1972: 55-57; ბერძენიშვილი 1971: 3-22; 1985: 7; ბერძენიშვილი 1964: 223, 247, 250-252; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 95; 1958: 127, 128, 145, 146, 319, 480; ზაქარაია 1977: 36; ლომოური 1938: 309; ლომსაძე 1975: 43, 273, 264, 330; მაკალათია 1957ა: 5, 9, 11; ნიორაძე 1944: 173-221; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 63; ქც 2: 349, 10, 28; ქც 4: 305, 22; 364, 17; 381, 25; 739, 6; ღამბაშიძე, კვიციანიძე 1982: 57-62; ღამბაშიძე, კვიციანიძე, აბრამიშვილი 1985: 31-36; ღამბაშიძე, ღამბაშიძე 1986: 21-29; 1987: 28-32; 1987ა: 36-43; 1995: 48-50; ღამბაშიძე ... 1991: 27-34; ჩილიდის ვილაიეთის ... 1979: 61; ჩხეიძე 1913: 43; ხუჯაძე 1969: 123; ჯალალანია 1972: 30; ჯალალანია 1979: 7.

ლიდუპა (ქვ 4: 177,5; 338,22; 524,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 177,5; 338,22; 524,3), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქვ 2: 47,9), ბასილი ეზოსმოდვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქვ 2: 122,6; 128,17), XI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 33; საქ. სიძ. 1909: 4; 1910: 455, 456; ისტ. საბ. 1913: 83; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 72; მასალანი საქ. სტატ. 1907: 3; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 74), იონანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 81), პაპუნა ორბელიანის „საქართველოს ცხოვრება“ (ორბელიანი 1913: 91), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 61).

ვახუშტი ბაგრატიონი ლიდუბის შესახებ გადმოგვცემს: „ტფილისის ჩდილოთ არს მინდორი ლიდუბისა“ (ქვ 4: 338,22).

მდებარეობს ქ. თბილისის ტერიტორიაზე, მის ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ლიდუბის ვაკეზე და მოიცავს ხევ-მხარის, ღრმა-ღელეს, ყვენის გორისა და ლოტიკინის გორის ტერიტორიას (ბაგრატიონი 1986: 81; ბერიძე 1971: 127-140; გიულდენშტედტი 1962: 61). ლიდუბე „ცხენის-ტერფის“ სახელითაც მოიხსენიება (ქვ 4: 338,22; ჩხუტია 1938: 61).

წყაროებში პირველად XI ს-ში იხსენიება (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 33), XII ს-ში იქ მდგარა მეფის სასახლე და კარის ეკლესია (ბერიძე 1971: 127). 1193 წ. თამარ მეფემ (1189-1207) დავით სოსლანზე ლიდუბეში იქორწინა (ქვ 2: 122,6). XIII ს-ის მეორე მეთოხედთან მონღოლებისა და ჯალალედინის შემოსევების შედეგად ტერიტორია გაუკაცრიელდა (ბერიძე 1977ა: 213). ლიდუბე ხელახლა დასახლებულა მეფე ვახტანგ V-ის (1658-1676) დროს (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 74). XVIII ს-ში მოზრდილი დასახლება და შედის ქართლის მეორე სასპასპეიტოში (დასტურლამილი 1886: 103; მასალანი საქ. სტატ. 1907: 3; ბერიძე 1971: 130). 1740 წ. თეიმურაზ II-მ (1744-1762) ლიდუბის მოურავობა გურგენიძეებს უბოძა (საქ. სიძ. 1910: 455, 456). ლიდუბეზე გადიოდა ქართლის უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარი. XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ოსმალთა-ყიზილბაშობისა და ლეკთა თარეშის შედეგად ლიდუბის მოსახლეობა ძალიან შემცირდა. გადარჩენილი ნაწილი კუკიასა და ჩულურეთში დასახლდა, ლიდუბეში კი ვერმანელთა კოლონია გაჩნდა (ბერიძე 1971: 127-140).

1926 წ. ნაძალადეგში, ყოფილი რუსთაველისა და ჩერქეზიშვილის ქუჩების კუთხეში შემთხვევით აღმოჩნდა სამარხი ბრინჯაოს 2 საბრძოლო იარაღით: მთლიანადსმული სატივარი ნახევარსფეროსებური დაფანჯრული თავით (სიგრძე 44,8 სმ) და მასრაგანსნილი, ფოთლისებურპირიანი შუბისპირი (სიგრძე 31,8 სმ). თარიღდება ძვ. წ. XIII-XI სს-ით (ქორიძე 1959: 39-41, 47). 1930 წ. ლიდუბეში აღმოჩნდა მალა-

ლი, ფართო ცილინდრულყელიანი თიხის ჭურჭელი, სადა, მონაცრისფრო ზედაპირით და მხართან პატარა ნახევარსფეროსებრი ყურებით. თარიღდება ადრე ბრინჯაოს პერიოდით (ჯავახრიძე 1991: 107). 1935 წ. ღრმა-ღელეში, №2 აკურის ქარხნის მიდამოებში აღმოჩნდა ბრინჯაოს ცული ადამიანის ჩონჩხსა და კერამიკასთან ერთად. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევარი (კუფტინი 1941: 18), შუაბრინჯაოს ან მასზე ოდნავ ადრეული პერიოდით (ქორიძე 1955: 75-79). 1955 წ. ლიდუბეში, ხიდთან აღმოჩნდა ორმოსამარხი, რომლის მასალა წარმოდგენილია მოშავო, პირგადაშლილი დაბალყელიანი თიხის ჭურჭლითა და მასრაგანსნილი შუბისპირით. თარიღდება გვიანბრინჯაოს ხანით (ქორიძე 1958: 86). მიწის სამუშაოების დროს ღრმა-ღელეში აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭედი, რომელსაც ამკობს ნარინჯისფერი მინის ბრტყელი ინტალიოლომის გამოსახულებით. თარიღდება ახ. წ. I ს-ით (ლორთქიფანიძე 1961: 18).

1930-1931 წწ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. ნიორაძე) შეისწავლა ლიდუბის ნამოსახლარი და სამაროვანი. 1949-1950 წწ. იმავე მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღ. დ. ქორიძე) ჩატარა სამუშაოები ღრმა-ღელეს სამაროვანზე. 1968-1969 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დიდიმის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. რ. აბრამიშვილი) ჩატარა დაზვერვები ლიდუბის ტერიტორიაზე.

ლიდუბის ნამოსახლარი მდებარეობს მექანიკური ქარხნის ტერიტორიაზე. დაზიანდა მშენებლობის დროს. ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, ოსიდიანისა და კაჟის იარაღებით, ქვისა და ძვლის ნივთებით. კერამიკა, რომელიც მასალის უმრავლესობას შეადგენს, სადაა, ხელით ნაქრწი, არათანაბრად გამოშვარი. მურა ფერის, შავი ან შავპირილა ვარდისფერი სარწმუნოა. არის ქვიშანარევი და ქსოვილის ანაბეჭდებიანი ჭურჭლის ფრაგმენტებიც. გამოიყოფა სქელკედლიანი ჯამები, ბადიები, ქოთნები, სასმისები, ფართოყელიანი დიდი ქილები ნახევარსფერული ყურებით, სარქველები, საცრისებურძირიანი ტანდაზვრეტილი ჯამი, მინიატურული შვერილებიანი კერა, საღვრის ფრაგმენტები. კაჟის იარაღი მხოლოდ ორია. შედარებით უხვადაა ოსიდიანის ლამელისებური, საჭრისისებური და სამწახანაგა ანატეკები. ძვლისა და ქვის ნაკეთობებიდან აღმოჩნდა სადგისები, კვირისტაველები და მრგვალი გაზვრეტილი ქვები. ნამოსახლარის ფაუნა წარმოდგენილია მსხველფეხა საქონლის, შვლისა და ჯვირანის ძვლებითა და რქებით. თარიღდება ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულითა და III ათასწლეულით (ქორიძე 1955: 6-75).

ღრმა-ღელის სამაროვანი მდებარეობს ავჭალის გზატკეცილიდან მახათა-ყვენის ქედისკენ 300-400 მ მანძილზე. შეისწავლეს შვიდი სამარხი.

ყველა ინდივიდუალური ორმოსამარხია, მოგროძო ოთხკუთხა ფორმის. სამარხებს აქვთ ძეგური გადახურვა, რომლის ზევით სხვადასხვა ზომის ქვაყრილებია გაკეთებული. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ. სამარხონის მასალა წარმოდგენილია თიხის ჭურჭლითა და ბრინჯაოს ნივთებით. შავებიალა, მონაცრისფრო ან ლევაფერის კერამიკა (ქოცოები, კოჭობები, ქოთნები, ქვაბქოთნები, ქილები, ბადიები, ჩაფი, სასმისები, ლანგრები, ჯამები, რიტუალური ჭურჭელი) ჩარჩნება დამზადებული. ისინი ორნამენტირებულია. გვხვდება ზომიერი ფული ჭურჭელიც. ბრინჯაოს იარაღი წარმოდგენილია 1 შედგენილტარნიანი, ფოთლისებურბირიანი სატყვერით და 2 მასრაგახსნილი ხელშუბისპირით. სამარხებში აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლისა და ღორის ძეგები. დიღუბის სამაროვანი მდებარეობს მექანიკური ქარხნის ტერიტორიაზე. დაზიანდა მშენებლობის დროს. კომპლექსების მიხედვით მასალის დაჯგუფება ვერ ხერხდება. მასალა წარმოდგენილია თიხის ჭურჭლითა და მიძე-სამკაულით. თიხის ჭურჭელი (კოჭობები, ფილები, ყურმილიანი დოქები, ქოთნები და სხვ.) გვხვდება მოწითალო ფერის, შავადნაპრიალები, წერნაქიანი, წითლად მოხატული და სხვ. ორნამენტში ჭარბობს კონცენტრული ხაზები, ზიგზაგები, წერტილები. სამკაული წარმოდგენილია ბრინჯაოს თავებგახსნილი ზურგშეწნეკლი სამაჯურით, სასაფეთქლე რგოლით, კასრისებურთავიანი საკინძით, ბეჭდით, ცხოველის ქანდაკება-საკიდით, ზარაკებით, ეყენებით; ვერცხლის (3 ბეჭდები) ნივთებით, მინის მიძეებით. თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრითა და ახ. წ. დასაწყისით (ქორიძე 1958: 47-74). დიღუბესა და ღრმა-ღელეში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

დაზვერვითი სამუშაოების შედეგად დიღუბეში, ღრმა-ღელესა და ნაძალადეგში აღმოჩნდა ადრე-ბრინჯაოს, შუაბრინჯაოს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკური ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები (აბრამიშვილი, რამიშვილი 1975: 16-24).

დიღუბის ტერიტორიაზე აღმოჩნდა რამდენიმე მონეტა: 1934 წ. სილიზონის ფელსი (1723-1724) (პახომოვი 1938: 60). 1938 წ. XI ს-ის ბიზანტიური უსახელო მონეტა, 1941 წ. XIII ს-ის მეორე ნახევრის ქართულ-ჰულაგუიდური ვერცხლის დრამა, 1958 წ. ძვ. წ. II-I ს-ის პართიის მეფის, ფრაატ IV-ის დროინდელი დრაქმა (ბერიძე 1971: 128, 130). მონეტები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

დიღუბეში მდებარეობს ლვთისმშობლის გუმბათიანი ეკლესია. აგებულია 1884 წ. ძველი ეკლესიის ადგილზე. ეკლესიაში არსებულ საფლავზე გაკეთებულ მხედრულ წარწერაში მოხსენიებულია ეკლესიის აშენებელი, ლეკანოზი ბესარიონ სიმონის ძე ზედგენიძე (ბერიძე 1977ა: 224). 1915 წ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით დიღუბის ეკლესიის ტერიტორიაზე გაიხსნა პანთეონი.

დიღუბეში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდგარა მოგროძო, სწორკუთხა ფორმის ციხე, ოთხივე კუთხეში ცილინდრული ფორმის კოშკებით. თარიღდება დაახლოებით XVIII ს-ის 40-იანი წლებით (ბერიძე 1971: 134).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი, რამიშვილი, 1975: 16-24; ბაგრატიონი 1986: 81; ბერიძე 1971: 127-140; 1977ა: 210-229; ბერიძენიშვილი 1964: 325; თბილისი 1978: 203; თბილისის ისტორია 1990: 34, 35, 37, 39, 122, 154, 163, 210, 342, 343; გიულდენშტედტი 1962: 61; დასტურლამალი 1886: 103; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 72; ოსტოიანი 1844: 122; 1866: 262; 1871ა: 77, 78; ისტ. საბ. 1913: 83; კუფტინი 1941: 27, 47, 106, 108, 115; ლორთქიფანიძე 1961: 18; მასალანი საქ. სტატ. 1907: 3; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 74; ორბელიანი 1913: 91; 1981: 82, 219, 238; პახომოვი 1938: 60; საქ. არქ. 1992: 160, 161; მუსხელიშვილი 1977: 17; საქ. სოც. 1909: 4; 1910: 455, 456; ქც 2: 47, 9, 122, 5, 128, 17; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 33; ქორიძე 1953: 127-155; 1955: 7-75; 1958: 47-74, 86; 1959: 39, 40, 41, 47; ქც 4: 117, 5; 338, 22; 524, 3; ჩხეტია 1938: 61, 63, 147, 163, 165, 202; ჯაფარიძე 1991: 105-107, 110, 111, 114.

ლიბო, ციხე, დაბა (ქც 1: 24, 11; ქც 4: 752, 7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 24, 11), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 752, 7), ქართული ისტორიული საბუთები (ბურჯანაძე 1959: 20; ქრონიკები 1967: 186; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 1130), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 165), ფრანსუა გამპას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამპა 1987: 166, 172, 173, 178). ვახუშტი ბაგრატიონი დიღუბის შესახებ გადმოგვცემს: „ხანის წყლის აღმოსავლეთ და ყვირილის მდინარის სამხრით, ფერსათის კალთას, არს დიმი, სადაცა ჰყო პირველმან მეფემან ფარნაოზ ციხე მტკიცე, და აწ არს დაბა“ (ქც 4: 752, 5-7).

მდებარეობს ბაღდათის მუნიციპ-ში, მდ. ხანისწყლის მარჯვენა ნაპირზე.

დიმი წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება: დიმნა (ქც 1: 24, 11), დიმი (ქც 4: 752, 7), დიმი (ქრონიკები 1967: 186). ძვ. წ. III ს-ში ფარნავაზს აუშენებია იქ ციხე. XVIII ს-ში ის დაბა იყო (ქც 4: 752, 5-7). დიმი არქეოლოგიურად შესწავლულია. დიღუბის ციხის აღმოსავლეთ ფერდობზე დაზვერვებისას აღმოჩნდა ჭურჭლის ფრაგმენტები, ქვევრების ნატეხები, დამწვარი ბათქაში, ალიზი, ამფორისკის ფრაგმენტი, ბრინჯაოს კილიტი. ანაკრეფი მასალა ელინისტური ხანით განისაზღვრა (ცქიტიშვილი 1964: 84). ციხის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, „ცეცხლოურის“ წყაროს მახლობლად შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი, ხოლო „ამი-

ლახვრისოულად – წოდებულ ადგილზე – ორმოსა-მარხები, რომლებშიც დაფიქსირდა რკინის შუბები, ისრისპირები, მძივები, სამკაული, თიხის ჭურჭელი – ჩაფები, ჯამები. სამარხები პირველი საუკუნეებით უნდა დათარიღდეს (ცქიტიშვილი 1964: 84). 1939 წ. სოფ. დიშში აღმოჩნდა ძვ. წ. XIV-XIII სს-ის კოლხური ცულების განძი, რომელიც 12 ცალისაგან შედგება (ქორნიკი 1965: 14). ნივთები ინახება ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

დიშის ციხე „ციხის ყელი“ (ხალხური) მდებარეობს ზემო დიშში, სოფლის აღმოსავლეთ განაპირას, მაღალ მთაზე. შემორჩენილია ნანგევები. წყობა მეტწილად ჰორიზონტალურია. აშენებულია უხეშად გათლილი კვადრებით კირხსნარზე. მის სამხრეთ კუთხეში დგას ოთხკუთხა კოშკის ნანგრევები. ციხის ნაშთები შუა საუკუნეებისაა (ცქიტიშვილი 1964: 83).

ბიბლიოგრაფია: ბურჯანაძე 1959: 20; გამბა 1987: 166, 172, 173, 178; გამყრელიძე 2010: 175; გიულდენშტედტი 1962: 165; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 1130; ქც 1: 24,11; ქც 4: 752,7; ქორნიკი 1965: 14; ქორნიკები 1967: 186; ცქიტიშვილი 1964: 83, 84.

ლირბი, მონასტერი (ქც 4: 374,18). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 374,18), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 42), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 23-29), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 25), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 104), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 213, 214, 241), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1913: 359), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 50), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1989: 55), ქართული ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 74; საქ. ისტ. ქორნიკები ... 1980: 104, 109; ქართლ-კახეთის ... 1903: 17; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 406, 427; 1972: 659; 1981: 81, 463, 785; 1985: 22, 231, 322, 456, 493, 495, 553; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 111, 146, 149, 151, 154, 156, 163, 173; საქ. სიძ. 1909: 233, 498), კასტელის „ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ“ (კასტელი 1977: 187), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 177; 1964: 155).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ბრეთის დასავლეთ წვერიდან ასტყდების მთა კვერნაქი და მივაღს ფიცის-წყლამდე, რომელსა ეწოდა ცეცხლის-ჯუარი. წვერს ქუეით, არადეთს, არს ჭია მარიაშული ... ამის ჩდილოთ და ამ წყლის დასავლეთ კიდესა არს დირბს მონასტერი, სადა ზის არქიმანდრიტი იერუსალიმის ჯუარის მონასტრისა“ (ქც 4: 374,14-19).

მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტში, მდ. დვანის ფრონეს ხეობაში, თანამედროვე სოფ. დირბის ტერიტორიაზე.

როსტომ მეფეს (1632-1658) დირბი ქრისტეს საფლავისათვის შეუწირავს (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 74). XVII ს-ში ის ქართლის მეორე სასპასპეტოს შემადგენლობაშია (გვასალია 1983: 34; ლომიჭაშვილი 1985: 44). 1736 წ. სოფელი ლეკებმა დაარბიეს (ჩხეიძე 1913: 50). 1754 და 1798 წწ. დირბთან მოხდა შეტაკებები ქართველებსა და ლეკებს შორის. (ბაგრატიონი დავით 1941: 25). 1810 წ. 14 აპრილს დირბში შეიპყრეს სოლომონ II (1789-1810) (ჩხეიძე 1913: 214; ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 104).

1955 წ. დირბის მიდამოებში დაზვერვითი სამუშაოები ჩატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შიდა ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღ. დ. მუსხელიშვილი). 1973-1974 წწ. იმავე ინსტიტუტის ეკსპის არქეოლოგებმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. ცქიტიშვილი).

დირბში სხვადასხვა პერიოდის რამდენიმე ძეგლია გამოვლენილი: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით ზენაჯვრის გორაზე, სადაც აღმოჩნდა შავბრიალა და ლევა ფერის თიხის ჯამები, ხელსაფქვავის ქვები; გვიანი შუა საუკუნეების ნასოფლარი და სამარხი სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ადგილ „ნაფუძნარებში“, სადაც აიკრიფა წითლად გამომწვარი უხეშკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტები. მასალა ინახება ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 187; სძა 1990: 368).

დირბში რამდენიმე ეკლესიაა. ღვთისმშობლის სამნავიანი ბაზილიკა (10,35X7,25 მ) მდებარეობს დირბის აღმოსავლეთით. სამივე ნაგვს წრის მეთიხედის ფორმის ფსიდა აქვს. ნაგებია კარგად დამუშავებული ბაზალტის კვადრებით. თავდაპირველად ის დარბაზული ტიპის ნაგებობა ყოფილა. გვიან შუა საუკუნეებში გაუკეთებიათ ორი მინაშენი სამხრეთიდან (3X7,25 მ) და ჩრდილოეთიდან (2,75X7,25 მ). შემორჩენილია შეღესილობისა და მოხატულობის ფრაგმენტები. საკურთხევლის ერთ პატარა ქვაზე ყოფილა 1815 წ. დათარიღებული ბერძულ-ქართული წარწერა, რომელიც ამჟამად დაკარგულია (ყაუჩიშვილი 1951: 188). სამხრეთ მინაშენის აღმოსავლეთ კედელში ჩასმულია ქვა-ჯვარი, ე. წ. ხაჩკარი, XV ს-ის მეორე ნახევრის სომხური წარწერით. ეკლესიაზე არსებული ასომთავრული წარწერა არ იკითხება.

ღვთისმშობლის ეკლესია იერუსალიმის ჯვრის მონასტერს ეკუთვნის. თარიღდება X ს-ით (მაკალათია 1963: 27, 28). ეკლესიის სამხრეთით, შესავლელის წინ არის აგურითა და რიყის ქვით ნაშენი სამსართულიანი სამრეკლო (4,95X3,55 მ). პირველი სართულის დასავლეთი ფასადის კუთხეში ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა. აღმოსავ-

ლეთისა და დასავლეთის კედლები შემკულია ორნამენტით. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით (მაკალათია 1963: 27, 28). წმინდა გიორგის, ანუ „ზედა ჯვრის“ დარბაზული ეკლესია (9,6X6,4 მ) მდებარეობს დირბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სასაფლაოზე. ნაგებია რიყის ქვით. შემორჩენილია საკურთხეველის მოხატულობის ფრაგმენტები, რომლის გარშემო დაზიანებული ასომთავრული წარწერაა. თარიღდება X ს-ით (მაკალათია 1963: 27).

წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია (11X5,9 მ) მდებარეობს სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ნაგებია ქვიშაქვითა და რიყის ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდანაა. შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით (სძა 1990: 369).

წმინდა თევდორეს დარბაზული ეკლესია (13,4X7,65 მ) მდებარეობს სოფლის ცენტრში. ნაგებია აგურით, რიყის და ბაზალტის ქვით. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდანაა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში სამ-სამი სარკმელია. შემორჩენილია შეღესილობისა და მოხატულობის კვალი. თარიღდება XIX ს-ის მეორე ნახევრით (ლომიტაშვილი 1985: 57). ყველაწმიდის დარბაზული ეკლესია (13,5X7,38) მდებარეობს დირბის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ნაშენია რიყის ქვითა და აგურით. კუთხეები ამოყვანილია შირიმისა და ბაზალტის ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაა (სძა 1990: 369).

დირბის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთაზე მდებარეობს XVIII ს-ის ციხე (30X10მ). აგებულია რიყის ქვით კირდულაბზე. სამსართულიანია. ციხეს შიდა ეზო (19X20მ) და რამდენიმე კოშკი აქვს. კედლებში გაჭრილია სათოფურები. შესასვლელი აქვს აღმოსავლეთიდან (ზაქარაია 1968: 115; მაკალათია 1969: 29; ლომიტაშვილი 1985: 44-59).

შიბლიორგავია: ბაგრატიონი 1986: 42; ბაგრატიონი 1983: 28, 29; ბაგრატიონი დავით 1941: 25; ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 104; ბარნაველი 1959: 110; ბაქრაძე 1875: 65; ვვასალია 1983: 113; 1989: 3-35; გვრიტიშვილი 1955: 300, 422; გიულდენშტედტის 1962: 177; გონიკიშვილი 1979: 161, 162; გორგიჯანიძე 1913: 359; ზაქარაია 1968: 115; თაყაიშვილი 1907: 131; კასტელი 1977: 187; ლომიტაშვილი 1985: 44-59; მაკალათია 1963: 27, 28; მასალები საქ. ისტ. კეოგ. 1964: 74; მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 187; ორბელიანი 1981: 213; სძა 1990: 368-370; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 101, 111, 146, 149, 151, 156, 163, 173, 184; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 104, 109; საქ. სიძ. 1909: 233, 498; ქართლ-კახეთის ... 1903: 17; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 406, 427; 1972: 659; 1981: 81, 463, 785; 1985: 22, 231, 322, 456, 493, 495, 553; ქც 4: 374, 18; ყაუხჩიშვილი 1951: 188; ჩხეიძე 1913: 50; ხერხეულიძე 1989: 55.

დილოში, დილუამი, დილვამი (ქც 4: 109,5; 157,18; 408,7; 412,18; 578,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 21,19), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 109,5; 157,18; 408,7; 412,18; 578,22), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 179,20), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 299,15), „ცხოვრება მეფეთა მეფისა დავითისა“ (ქც 2: 326,4), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 368,3,5, 372,31, 373,19, 444,6, 527,4,7, 528,7,9), „ძეგლი ერისთავთა“ (ქრონიკები 1897: 6; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 95, 287, 310, 357, 371, 401, 408, 419; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 280, 317, 318; 1970: 176, 191, 259, 264, 922; 1972: 252, 433, 441, 549; 1974: 644; 1985: 79, 80, 106, 162, 506, 507; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 341; საქ. სიძ. 1909: 23, 47, 65, 91, 93, 95, 524, 530; 1910: 115, 363; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 11, 183, 218; 1953: 166, 555; მასალები საქ. ისტ. კეოგ. 1964: 75; დოკ. თბ. ისტ. 1962: 182; სიგელები ... 1902: 250; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 161-163; ქართულ-სპარსული ... 1955: 3, 9, 40, 133, 134, 176), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 280, 317, 318), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 200, 203, 221), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1913: 297; 1981: 200, 203, 221), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 44), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 18, 19), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 40, 81), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 61, 85).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, საბურთალოს ველის „ზეით არს ტაა ლისისა, და მის დასავლეთ მთა სხალიდისა ... ამის სამხრით ხეობა დილმისა, გამოსდის ამისი წყალი სხალიდსა და სათოვლისა მთას და დის აღმოსავლეთი, მიერთვის მტკვარს დასავლეთითა და ... სამხრით არს ველი დიდი დილმისა“ (ქც 4: 339,3-8).

მდებარეობს თბილისის ჩრდილო-დასავლეთით მდ. მტკვრისა და დილმისწყლის შესართავთან, წარმოადგენს დედაქალაქის გარეუბანს.

წყაროებში პირველად იხსენიება ძვ. წ. IV-III სს-ში მეფე ფარნავაზის დროს (ქც 1: 21,19). დილომთან დაიბანაკა ვახტანგ გორგასალმა სპარსელებთან ბრძოლის წინ (ქც 1: 179,20). არაბობის დროს დილომი და დილმის ხეობა თბილისის სამხრეთში შედიოდა (მუსხელიშვილი 1967: 75). სიმონ I-ის (1558-1600) დროს სამეფო რეზიდენცია (ქც 2: 528,7,9; 373,19; 527,4). 1567 წ. დილომში ბრძოლა გაიმართა სიმონ მეფესა და დაუდ-ხანს შორის (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 341). 1632 წ. დილომში ოჯახით მდგარა თეიმურაზ I (1590-1663). 1811 წ. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა (1801-1825) დილომი ერეკლე II-ის (1744-1798) ასულს,

ქეთევან ბატონიშვილს გადასცა, რის შემდეგაც სოფელს მუხრანელი ბაგრატიონები დაუფლნენ (სონლულაშვილი 1985: 51). წყაროებში დილომი იხსენიება, როგორც „დიღვამი“ (ქვ 2: 372,31; 446,4; 512,23; 527,4; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 218; ისტ. საბ. 1913: 57; მასლები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 75; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 317; 1972: 433), „დიღუ-ამი“ (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 218; მასლები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 75; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106; ქრონიკები 1897: 6, 310, 357), „დიღუმი“ (მარტვილობაი რაჟდენისი 1946: 243).

1924 წ. დილომში, ადგილ „სქელჯავებში“ აღმოჩნდა სამარხი ბრინჯაოსა და მინის სამკაულებითა და ორი ვერცხლის მონეტით: ავეჯსტუსის დენარი (ძვ. წ. 44-ახ. წ. 14) და პართიის მეფის გოტარზეს დრაქმა (ახ. წ. 40-51). სამარხი თარიღდება ახ. წ. I ს-ით (მაკალათია 1928: 171). 1954 წ. ვაშლაჯვარში ერთ-ერთი მოსახლის ეზოში აღმოჩნდა ქვის ფილებით ნაგები სამარხი სამი ცალი მინის სანელ-საცხებლე ჭურჭლით. თარიღდება ძვ. წ. IV-V სს-ით (ტყეშელაშვილი 1966: 21). 1959 წ. დიღმისწყლის ხიდის მშენებლობისას გამოვლინდა ოქროს ბეჭედი, საკიდი, 3 რგოლი, ვერცხლის 2 აბზინდა, ფირფიტები, ბეჭედი, ბრინჯაოს 2 აბზინდა, რკინის ორპირ-ლესული მახვილი, მინისა და პასტის მძივები. მასალის ერთი ნაწილი თარიღდება II-III სს-ით, ხოლო ოქროს სამკაული IV ს-ით (ნიკოლაიშვილი 1978: 92, 93). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

1954 წ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სადაზვერვო ექსპედიციამ (ხელმძღ. ო. ტყეშელაშვილი) ჩაატარა დაზვერვები ვაშლაჯვარის სამაროვნის ტერიტორიასა და თრელიგორების ერთ-ერთ ბოცვზე. 1969 წ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩაატარა თრელიგორების ნამოსახლარზე. იმავე წელს, აღნიშნული ძეგლის შესწავლა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დიღმის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (1979 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თბილისის ექსპედიცია, ხელმძღ. რ. აბრამიშვილი), რომელიც ვაგარძელა 1970-1983 წწ. ექსპედიციამ შესწავლა შემდეგი ძეგლები: 1968-1983 წწ. თრელის სამაროვანი, 1972 წ. ვაშლაჯვარის სამაროვანი, 1972-1987 წწ. ნამგალა მიწის სამაროვანი, 1981 წ. სამარხი ადგილ საჯოგეში, 1982-1987 წწ. ჩალიბრაგორების ნამოსახლარი და სამაროვანი, 1985-1986 წწ. ზურგოვანის სამაროვანი, 1987 წ. ნამოსახლარი საჯოგეში. 1984-1989 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ჯ. სონლულაშვილი) შესწავლა დიღმისთავის ნამოსახლარი, სამლოცველო და სამაროვანი.

საჯოგეს ორმოსამარხი მდებარეობს დიღმის ველის ჩრდილო-დასავლეთით, ადგილ საჯოგეში. ქვამიწაყრილიანია. იატაკი მოგებულია ფილებით. ჩონჩხი ცუდადაა დაცული. სამარხში აღმოჩნდა ნაცრისფერი ორფურა თიხის ქოთანა, ბაღია და ფურიანი ტიველი. თარიღდება ადრებრინჯაოს პერიოდით (აბრამიშვილი ... 1984: 35). მასალა ინახება თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე. თრელიგორების ნამოსახლარი მდებარეობს მდ. დიღმისწყლის ორივე ნაპირზე, დიღმის ველის სამხრეთ ნაწილში, საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ არსებულ ბორცვებზე. ძველი მრავალფენიანია და რამდენიმე ჰექტარი უჭირავს. ყველაზე ადრეულია ადრებრინჯაოს პერიოდის ფენა, რომელიც 3 მ სიღრმეზეა გამოვლენილი. აქ აღმოჩნდა: 6 ორმო (სიმაღლე 1,1-2 მ, პირის დმ 0,5-0,6 მ, ძირის დმ 0,8-1,1 მ) და ქვის მშრალი წყობით ნაგები ოთხკუთხა ნაგებობების კედელი; თიხატყეპნილი იატაკი მასში ჩადგმული კერით (დმ 0,7 მ); ბათქაშის წითლად შეღებილი ხისნაბეჭდიანი ფრაგმენტები; ორმოები ამოვსებული იყო ნაცარ-ნაშშირთან მიწით, ძვლებით, ოპსიდიანისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით. კერამიკა მსხვილმარცვლოვანია, ქვიშანარევი ან ბუნნარევი, გამომწვარია არათანაბრად, მონაცრისფრო-მოყავისფრო, ღია ფერის ან ყავისფერლექებიანია. თარიღდება ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით (თბილისი 1978: 34-44). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ნამოსახლარი მჭიდროდაა დასახლებული და უჭირავს დაახ. 1,5 კმ სიგრძის ტერიტორია. შესწავლეს 100-ზე მეტი სათავსი. ისინი წარმოადგენენ რიგისა და ფლეთილი ქვით ტალახის ხსნარზე ნაგებ ნახევრად მიწურებს, რომელთა ბანური გადახურვა ხის სვეტებს ეყრდნობოდა. საცხოვრებელი ოთახების კედლები თიხითაა შელესილი. იატაკი თიხატყეპნილია, ზოგ შემთხვევაში ნაწილობრივ ქვითაა მოგებული. ყოველი საცხოვრებელი კომპლექსის მარცხენა კუთხეში ორგანოფილებიანი ლუმელია, რომელსაც ახლავს სანაცრე ორმო, თიხით შელესილი თარო და სხვადასხვა ფორმის სამსხვერპლო-საკურთხეველი. სათავსებში ჩნდება ქვით გადახურული ორმოები, იატაკში ჩადგმული კერები და სხვ. მასალა წარმოდგენილია მრავალგვარი ფორმისა და დანიშნულების თიხის ჭურჭლით, ბრინჯაოს ისრისპირებითა და საკინძებით, რკინის სამურნეო იარაღებით, თიხის საბეჭდავებითა და სხვ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის დასახლება არსებობას წყვეტს I ათასწლეულის შუა ხანებში, მტრის შემოსევის შედეგად (აბრამიშვილი ... 1971: 166-169; აბრამიშვილი ... 1974: 21-22; აბრამიშვილი ... 1975: 16-24, აბრამიშვილი ... 1984: 31-35). ნამოსახ-



არტეფაქტი თრელიგორიდან

ლარის ტერიტორია საცხოვრებლად გამოყენებულია გვიანანტიკურ პერიოდსა და ადრე შუა საუკუნეებშიც. ადრე შუა საუკუნეების შენობები ნაგებია რიყის ქვით თიხის ხსნარზე. ისინი ოთხკუთხა გეგმისაა, დაგრძელებული დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. იატაკი თიხატკეპნილია. აღმოჩნდა იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი მოთეთრო-მოვარდისფრო კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები (აბრამიშვილი, რამიშვილი 1976ა: 32). თრელივორების ნამოსახლარის მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). თრელის სამაროვანი მდებარეობს დიღმის ველზე, თრელივორების აღმოსავლეთით. სამაროვანი ფუნქციონირება ხანგრძლივი დროის მანძილზე: ადრებრინჯაოს ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით. შესწავლილია ადრებრინჯაოს 2, შუაბრინჯაოს 8, გვიანბრინჯაოს 105, ანტიკური ხანის 12 და შუა საუკუნეების 2 სამარხი. ადრებრინჯაოს სამარხები ყორღანებია. დასაკრძალავ ორმოებში (1,7X1,8 მ) აღმოჩნდა უწყსრივოდ მიმოფანტული ძელები და შავპრიალა ვარდისფერსარწულთან ჭურჭელი. თარიღდება ადრებრინჯაოს პერიოდის გვიანი საფეხურით (თბილისი 1978: 34-47). შუაბრინჯაოს სამარხები კუთხეებშიმრგვალებული მართკუთხა გეგმის ორმოსამარხებია (1,2-1,8X0,9-1,6 მ). სამარხი ორმოები გადახურულია ხის ძელებით. ისინი ინდივიდუალურია, ინჰუმაციური. გვხვდება კრემაციის შემთხვევაც. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილი, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარხული მასალის უმრავლესობა კერამიკაა. ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი ან ჩარხზეა დამზადებული. ორნამენტირებულია. გვხვდება მოშავო, მონაცრისფრო, აგურისფერი ჭურჭელი. სამკაულიდან გამოიყოფა ბრინჯაოს პირამიდისებურთავიანი საკინძი, სარდიონისა და პასტის მძივები. სამაროვანზე ყველაზე მრავალრიცხოვანია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები. მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა (მახაკები) ან ზარცხენა (ქალები) გვერდზე კიდურებმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ. სამარხული მასალა წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, საბრძოლო იარაღებით, მძივ-სამკაულითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით. გვხვდება საქონლის ძელებიც. თიხის ჭურჭელი (ჯამები, ფიალები, დოქები, ხელალები, ყურბანი და უფრო ქოთნები, ქილები, დერგები, პირმოყრილი ჭურჭელი, ბიკონოსური ფორმის ქვაბქოთნები, ღრუქუსლიანი სასმისები და სხვ.) დამზადებულია ჩარხზე. გამოშვარია შავად, ლეკად, მონაცრისფროდ. შემკულია გეომეტრიული ორნამენტით. ბრინჯაოს იარაღებიდან გვხვდება მთლიანადსამხული სატყვეები, მასრაგასნილი შუბისპირები. სამკაული წარმოდგენილია ბრინჯაოს ნივთებით (საკინძები, რომისისებური გარსაკრავები, ბეჭდები, რგოლები) და ბრინჯაოს, ოქროს, სარდიონის, კვარცის, ქალცედონის, პასტის, ქვის, ანთიმონის და სხვ. მასალის მძივებით. საყოფაცხოვრებო ნივთებიდან გვხვდება

ბრინჯაოს სადგისები და მახათები, კვირისტაგები და სხვა (თბილისი 1978: 86-158). ძვ. წ. VIII ს-ის სამაროვანზე ჩნდება სამარხები წარჩინებულ პირთათვის, რომელთა მასალა წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, მრავალრიცხოვანი ბრინჯაოსა და რკინის ნივთებით (ბოლოკვეთილი მახვილები, დანები, ოთხწახნაგა ისრისპირები, ცხენის ალკაზმულობა, ღვთაების ქანდაკება, შტანდარტის თავები, ორნამენტირებული სარტყელი, სადგისები), სარდიონისა და პასტის მძივებით (აბრამიშვილი ... 1971: 166-169; აბრამიშვილი, რამიშვილი 1975: 16-24). ელინისტური და რომაული პერიოდის სამარხები ქვევრსამარხები და ორმოსამარხებია. ისინი ძირითადად ინდივიდუალურია. გვხვდება ორი მიცვალებული ერთად დაკრძალვის შემთხვევაც. სამარხები ინჰუმაციურია, დასტურდება კრემაციაც. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე კიდურებმოკეცილი, თავით ჩრდილოეთით ან დასავლეთით (ქვევრსამარხებში). სამარხებში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი (ქუსლიანი და ბრტყელძირა ჯამები, კოჭობები, ცალფურა სასმისი, სამტუჩა ხელალები, წერნაქით მოხატული დოქი და სხვ.), საბრძოლო იარაღები (რკინის მახვილი, სატევარი, შუბისპირი, სამფრთიანი ისრისპირები, მოხრილი დანები), სამკაული (ოქროს ზურგჩაზნექილი, მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურები, რკინისა და ბრინჯაოს სამაჯურები, ბრინჯაოს საკინძები, სარდიონისთვლიანი რკინის ბეჭდები, მძივსაკიდი, ავგუსტუსის ორი ღენარი (ძვ. წ. 37-ახ. წ. 14), ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავი და სხვ. სამარხთა ეს ჯგუფი თარიღდება ძვ. წ. I ს-ის დასასრულითა და ახ. წ. III ს-ით (აბრამიშვილი ... 1971: 166-169; აბრამიშვილი, რამიშვილი 1975: 16-24; ნიკოლაიშვილი 1978: 96). თრელის სამაროვანის მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (თბილისის არქეოლოგიური მუზეუმ-საცავი). ნამგალამიწის სამაროვანი მდებარეობს დიღმის ველის ჩრდილოეთით, დიდი დიღმის მასივის IV მიკრორაიონის ტერიტორიაზე. მას უჭირავს 1,5 ჰა ტერიტორია. სამაროვანზე აღმოჩნდა ერთმანეთთან მჭიდროდ განლაგებული 50-მდე ყორღანი, რომელთა ყრილები წრიული ფორმისაა, დაზიანებული. მათი ცენტრალური ნაწილი შედგენილია რიყისა და კვარცის ქვით. სამაროვანზე ტიპურია მე-7 ყორღანი. დასაკრძალავი კამერა მდებარეობს რიყის ქვყარლის ქვეშ. მიცვალებული დაკრძალულია მარცხენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი, თავით ჩრდილო-დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა: 3 თიხის ჭურჭელი, 45 სარდიონის, 2 ბრინჯაოს, 13 პასტის, 1 მინის მძივი. სამაროვანი თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით (აბრამიშვილი ... 1982ა: 18, 19; აბრამიშვილი 1987: 14, 15; აბრამიშვილი ... 1995: 62). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (თბილისის არქეოლოგიური მუზეუმ-საცავი). საჯოგეს ნამოსახლარი მდებარეობს ადგილ საჯოგეში, დიღმის ველის ჩრდილო-დასავლეთით,

დიდი დილმის მასივის IV მიკრორაიონის ტერიტორიაზე, ფენის სიმაღლე 1,5-2 მეტრია. თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპით (აბრამიშვილი ... 1995: 60).

ზურგოვანას სამაროვანი მდებარეობს დილმის ველზე, დიდი დილმის მასივის II მიკრორაიონის ტერიტორიაზე. სამაროვნის საერთო ფართობია 1000 კვმ. შეისწავლეს ორი ყორღანი. I-ს აქვს ქვიშაქვისა და რიყის ქვისაგან გაკეთებული ყრილი, რომლის ქვეშ მდებარეობს მოგრძო ოთხკუთხა ფორმის სამარხი ორმო. მიცვალებული დაკრძალულია ზურგზე, მოკეცილი ქვედა კიდურებით, თავით ჩრდილოეთით. ყორღანში აღმოჩნდა კონცენტრული ღარები შექმნილი შავბრიალა და მოწითალოდ გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტები, კვრცხისებური ფორმის თიხის ჭურჭელი. თარიღდება ძვ. წ. XV-XIV სს-ით (აბრამიშვილი ... 1995: 58-60). სამაროვნის მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (თბილისის არქეოლოგიური მუზეუმ-საცავი).

ჩალისპირაგორების სამაროვანი მდებარეობს თრელიგორების ჩრდილოეთით მდებარე ბორცვის აღმოსავლეთ კალთაზე. სამაროვანი დაზიანებულია მოგვიანო პერიოდის ნასახლარით. შესწავლილია 80-ზე მეტი სამარხი. გვხვდება ორმოსამარხები წრიული ან მართკუთხა ფორმის ქვაყრილებით. ხშირ შემთხვევაში სამარხთა ცენტრალურ ნაწილში დასაკრძალავი კამერის თავზე გვხვდება კაჟის თეთრი ქვები. სამარხი ორმოები ოვალური ფორმისაა. სავარაუდოა ძეღური გადახურვა. სამარხები ინჰუმაციურია. მასალა წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით (მორუხო-მოყავისფრო, ლეგა-მოშავო ფერის, ჩარხზე დამზადებული, ორნამენტირებული), ბრინჯაოს ნივთები (ფოთლისებური შუბისპირები, ალისებური მახვილი, თავნავა საკინძები, ხეიბი) და მძივები (პასტის, სარდიონის, ანთიმონის). თარიღდება ძვ. წ. XV-XIV სს-ით (აბრამიშვილი ... 1986: 19; აბრამიშვილი ... 1995: 60-62).

ჩალისპირაგორების ნამოსახლარი მდებარეობს სამაროვანთან ახლოს. ნამოსახლარის ფართობია 3000 კვ მ. განლაგებულია ტერასულად. დაზიანებულია. შენობები ოთხკუთხა გეგმისაა. ნაგებია ფლეთილი და ქვიშაქვის ქვებით თიხის ხსნარზე. შელესილია თიხით, უკან კედლები ნაწილობრივ მიწაშია ჩამჯდარი. იატაკი თიხატკეპნილია. ზოგიერთი სათავისი იატაკის ნაწილი ფილაქვითაა მოგებული. საცხოვრებელ ნაგებობებში გაითხარა სამეურნეო ღუმლები. ნამოსახლარი ხანძრისა და ნგრევის კვალს ატარებს. გათხრებისას აღმოჩნდა მცირე რაოდენობის კერამიკის ფრაგმენტები. თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით. ნასახლარზე დაშენებულია ადრე შუა საუკუნეების ნაგებობა (აბრამიშვილი ... 1986: 19). ჩალისპირაგორების სამაროვნის და ნამოსახლარის მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (თბილისის არქეოლოგიური მუზეუმ-საცავი).

დილმისთავის ნამოსახლარი მდებარეობს სოფ. დილოში მდ. დილმისწყლის მარცხენა ნაპირზე. განლაგებულია ტერასულად. 30-50 სმ სისქის კედლები ნაგებია რიყის ქვით ტალახზე. იატაკები თიხატკეპნილია. საცხოვრებელი სათავსების ერთი ნაწილი ფილებითაა მოგებული. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში დაფიქსირდა პურის საცხობი ღუმლები. გადახურვა ბანურა და ხის სვეტებს ეყრდნობა. ნამოსახლარზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ნივთები, ქვისა და ძვლის სამეურნეო იარაღები, თიხის საბეჭდავები, სხვადასხვა ჯიშის მარცვლეულისა და ყურძნის წიწები. თიხის ჭურჭელი (სასმისები, ღოჭები, ლანგრები, ქვაბ-ქოთნები, დერგები, ქვევრები, საღვებლები) რუხი-მოშავო ფერისაა. დამზადებულია ჩარხზე, ორნამენტირებულია. ბრინჯაოს ნივთები წარმოდგენილია ისრისპირებით, სამაჯურებით, საკინძებით და ნემსებით. სამეურნეო იარაღებიდან გამოიყოფა ქვის სანაყები, რქისა და ძვლის იარაღები. თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (თბილისის არქეოლოგიური მუზეუმ-საცავი). სამლოცველო მდებარეობს დილმისთავის წმინდა გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთით, გალავნის გვერდით (სიგრძე 12 მ, სიგანე 8 მ, კედლის სისქე 2 მ). ნაგებობის ქვედა ფენაში აღმოჩნდა სამსხვერპლოს ნაწილი, რომელიც აღმართული უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთის კედელთან მდებარე საკურთხეველის წინ. ბომონი შექმნილია ღარებით. სამლოცველოს სვეტებზე მდგარი გადახურვა უნდა ჰქონოდა. თარიღდება ადრე ელინისტური ხანით.

ვაშლაჯვარის სამაროვანი მდებარეობს მდ. დილმისწყლის მარჯვენა ნაპირზე არსებული ქედის ფერდსა და თხემზე. შესწავლილია 24 სამარხი. მათ შორის 18 ქვის ფილებით ნაშენი სამარხი და 6 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი. სამარხი ორმოები ოვალურია. გადახურულია ქვიშაქვის ფილებით. ინდივიდუალურია. მიცვალებულები დაკრძალულია გულადმა, თავით დასავლეთით, მარჯვენა გვერდზე. კიდურებმოკეცილი დაკრძალვის მხლოდ ერთი შემთხვევაა. ქვის ფილებით ნაგები სამარხების უმრავლესობა საოჯახოა. მიცვალებულები ძირითადად ქრისტიანული წესითაა დაკრძალული. სამაროვნის ინვენტარის უმეტესი ნაწილი სამკაული და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებია. კერამიკა და ლითონის იარაღები არ გვხვდება. ექვსი სამარხი უინვენტაროა. თარიღდება IV-VII სს-ით. სამაროვანზე გამოიყოფა №8 სამარხი. ქვისსამარხი (2,6X1,4 მ) აგებულია კარგად გათლილი ქვიშაქვის ფილებით. დაკრძალულია ოთხი მიცვალებული, გულადმა, ვამოტილი პოხში. აღმოჩნდა ბრინჯაოს, რკინისა და ძვლის საკინძები, რკინის მშვილდსაკინძი, ბრინჯაოსა და ვერცხლის ბეჭდები. სამარხზე აღმართული ყოფილა კარგად გათლილი ქვიშაქვის ფილებისაგან აგებული სტელა (1,1X0,25X0,32 მ) ასომთავრული წარწერით. იკითხება მხოლოდ ხუთი ასო. თარიღდება VI-VII სს-ით (ტყემელაშ-

ვილი 1966: 20, 21; აბრამიშვილი ... 1973: 44, 45; აბრამიშვილი, რამიშვილი 1975: 23; ნიკოლაიშვილი 1978ა: 65). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

დიღმისთავის სამაროვანი მდებარეობს დიღმისთავის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში. შესწავლილია 11 ქვის სამარხი (ზომები: სიგრძე 1,8-2,4 მ, სიგანე 1,3-0,8 მ, სიღრმე 0,8-0,9 მ). სამარხები კოლექტიურია. მიცვალებულები დაკრძალულია ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. აღმოჩნდა ბრინჯაოს, რკინისა და მინის სამაჯურები, ბრინჯაოს გულსაკიდები, საყურეები, მინისა და პასტის მძივები, ტანსაცმელთა დაკავშირებული ნივთები. თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით.

1949 წ. მიწის სამუშაოების დროს დიღომში იპოვეს დემეტრე II-ის (1273-1289) სპილენძის მონეტა (პანომოვი 1954: 51). 1955 წ. აქ აღმოჩნდა სპილენძის მონეტების განძი (474 ც), რომელიც შედგება: გიორგი III-ის (1156-1184) 67 ც, თამარის (1184-1207) 203 ც, გიორგისა და თამარის 1 ც, ლაშა-გიორგის (1207-1222) 170 ც, ილდიგიზიდების, დარუბანდის ემირებისა და რუმის სელჩუკების მონეტებისაგან. თარიღდება XII ს-ითა და XIII ს-ის პირველი მეოთხედით (ჯალალანია 1979: 92). მონეტები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

1960 წ. დიღომში, თეთრ დუქანთან მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს ცულების განძი, რომელიც შედგება 3 ე. წ. აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცულისაგან. თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ის მიჯნით (ქორიძე 1965: 19, 109).

დიღომში რამდენიმე ეკლესიაა. მაჩხანის დარბაზული ეკლესია (7,4X4,6 მ) მდებარეობს სოფ. დიღმის სამხრეთ-დასავლეთით, მთის ფერდობზე. ნაგებია შირიმის ქვით. დაზიანებულია. აფსიდა ნახევარწრიულია. აქვს შესასვლელი სამხრეთიდან და ორი სარკმელი აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებში. შემკულია რელიეფური ორნამენტით. საკურთხეველში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. შესასვლელის თავზე ასომთავრული წარწერაა: „ქ. სახელითა ღმრთისაითა, მეოხებითა წმიდისა თევდორესითა ადიდენ ღმერთმან ქართლისა ამირასა ბედითა აჴმუნა ესე საყდარი ჰომად კითრისძისაობასა. უფალო, შეუნდვენ ცოდვანი“. წარწერის შუაში მოთავსებულია არაბული წარწერა: „ჰუმად იბნ“. აღმოსავლეთის სარკმლის თავზე მეორე ასომთავრული წარწერაა: „ქ. სახელითა ღმრთისაითა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაითა, შეწვევითა წმიდისა თევდორესითა, აჴმუნა საყდარი ესე დიდგორის ხელისუფლობასა გელსაბისა (გულსაბისა?), ქალაქის უფლობასა ამირასა ღივარისა(?). იოვანეს უფალო შეუნდვენ ამინ“. თარიღდება IX ს-ით (ჩუბინაშვილი 1952: 442, 444, 445; ბარნაველი 1962ა: 650, 652, 655).

ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (8,95X5,65 მ) მდებარეობს სოფ. დიღმის ჩრდილო-დასავლეთ-

ით, მთის ფერდობზე. ნაგებია ქვითა და აგურით. დაზიანებულია შესასვლელი სამხრეთიდან და სარკმელი აღმოსავლეთის კედელზე. შესასვლელის ზედა მხარეს წრეში ნაკვეთი ჯვარია გამოსახული. ეკლესია გადაკეთებულია. თარიღდება X ს-ით (შმერლინგი ... 1960: 61).

წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია (5,9X4 მ) მდებარეობს სოფლის სამხრეთით 2 კმ მანძილზე, ხევის მარცხენა მხარეს. აგებულია თლილი ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. ფასადები შემკულია რელიეფური ორნამენტით. თარიღდება IX-X სს-ით (შმერლინგი ... 1960: 56, 57).

დიღმისთავის წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია (8,1X5,6 მ) მდებარეობს სოფ. დიღმის აღმოსავლეთით. ნაგებია თლილი ქვითა და აგურით. აფსიდა ნახევარწრიულია. აქვს შესასვლელი სამხრეთიდან და სარკმელები აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლებზე. აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადები შემკულია რელიეფური ჯვრებით, ფრინველების, ღმრთების, ხელის მტევნისა და სხვ. გამოსახულებებით. ეკლესიის სამხრეთის კედელზე გაკეთებულია სამი, ხოლო აღმოსავლეთის კედელზე ოთხი შერეული, ასომთავრული და ნუსხური წარწერები. აღმოსავლეთის კედლის წარწერები ცუდად იკითხება. სამხრეთის კედელზე შვიდსტრიქონიანი წარწერაა: „ესე სარკმელი მე აჰმედ დინარისძემან შეექმენ ვინ წარითხონო, თოცვა ყავთ“. XVIII ს-ში დასავლეთიდან გაკეთებულია მიწაშენი (4,5X4,8 მ), რომელზეც მოთავსებულია ოთხ სვეტზე მდგარი სამრეკლო, ოთხკალთიანი გადახურვით. თარიღდება XI ს-ის პირველი მეოთხედით (ზაქარაია 1953ბ: 81-103; შმერლინგი ... 1960: 58-60).

წმინდა მარინეს ვეიანი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია (14,1X6,25 მ) მდებარეობს სოფლის ცენტრში. ნაგებია აგურით. აქვს შესასვლელი სამხრეთიდან და ხუთი სარკმელი. გადაკეთებულია XIX ს-ში (სმა 1990: 280).

თეთრი გიორგის დარბაზული ეკლესია (7,15X5 მ) მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, მთაზე. ნაგებია თლილი ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. აქვს შესასვლელი დასავლეთიდან. სარკმელები აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებშია გაჭრილი. შესასვლელში გაკეთებულია მხედრული წარწერა, რომელზეც მოიხსენიება ეკლესიის ამშენებელი ზაქარია. თარიღდება 1863 წლით (შმერლინგი ... 1960: 61-63).

კავთის წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია (12,25X7,85 მ) მდებარეობს სოფლის სამხრეთით. ნაგებია რიყისა და ქვიშაქვის ქვით. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. იატაკი მოკეპულია თლილი ქვით. თარიღდება XIX ს-ით (სმა 1990: 217).

კვირაცხოვლის დარბაზული ეკლესია (11,15X5,15 მ) მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ნაგებია ფლეთილი ქვით. კედლები შელესილი და შეეთეთრებულია. აფსიდა ნახევარწრიულია. აქვს შესასვლელი სამხრეთიდან და სარკმელები დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზე.

შემორჩენილია მონახულობის ფრაგმენტები. თარიღდება XIX ს-ით (შმერლინგი ... 1960: 63).

წერილობით წყაროებში შემორჩენილია ცნობები დიდმის ციხის შესახებ. ციხე მდგარა მდ. მტკვრისა და დიდმისწყლის შესართავთან. ამჟამად აღარ არსებობს (გოულდენშტედტი 1962: 61).


ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი ... 1971: 166-169; აბრამიშვილი ... 1971ა: 31-34; აბრამიშვილი ... 1973: 39-45; აბრამიშვილი ... 1974: 21-23; აბრამიშვილი, რამიშვილი 1975: 16-24; აბრამიშვილი რამიშვილი 1976: 27-32; აბრამიშვილი ... 1982ა: 13-24; აბრამიშვილი ... 1984: 31-35; აბრამიშვილი ... 1986: 17-20; აბრამიშვილი ... 1995: 55-62; პაგრატიონი დავით 1941: 24 პაგრატიონი 1983: 18, 19; პაგრატიონი 1986: 40, 81; პარნაველი 1959: 14, 15; 1962ა: 649-655; გვასალია 1983: 68, 97, 167; გიგუაშვილი 1977: 38-45; გოულდენშტედტი 1962: 61, 85; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 11, 183, 218; 1953: 115, 155, 166, 216; დოკ. თბ. ისტ. 1962: 182; ზაქარაია 1953ბ: 81-103; თბილისი 1978: 34-44; 86-158; თბილისის ისტორია 1990: 35, 38, 39, 45, 64, 94, 145, 220, 242, 335, 355; კილოსანიძე 1977: 46-54; მაკალათია 1928: 161-186; მარტვილობაი რაუდენისი 1946: 243; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 75; მუსხელიშვილი 1967: 75; 1980: 138; ნიკოლაიშვილი 1978: 91-104; 1978ა: 63-76; თბილისი 1981: 200, 203, 221; პახომოვი 1954: 51; სძა 1990: 276, 277, 279, 280; საქ. არქ. 1992: 70, 197, 157, 158; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 141; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 161-163; საქ. სიძ. 1909: 23, 47, 65, 91, 95, 524, 530; 1910: 363; სიგელები ... 1902: 250; სონღულაშვილი 1985: 34-55; ტყეშელაშვილი 1966: 20, 21; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106, 204, 280, 317, 318; 1970: 176, 191, 259, 264, 322; 1972: 252, 433, 441, 543; 1974: 106, 644; 1985: 79, 80, 162, 506, 507, 571; ქართულ-სპარსული ... 1955: 3, 9, 40, 133, 134, 176; ქორიძე 1965: 19, 109; ქრონიკები 1897: 6, 195, 287, 310, 357, 371, 401, 408, 419; ქც 1: 21,9; 179,20; 326,4; 299,15; ქც 2: 368,3,5; 372,31; 373,19; 444,6; 527,4,7; 528,7,9; ქც 4: 109,5; 157,18; 408,7; 412,18; 578,22; შმერლინგი ... 1960: 56, 57, 61, 63; ჩუბინაშვილი 1952: 441-447; ცხოვრება ... 1980: 44; ხერხეულიძე 1913: 297; 1981: 200, 203, 221; ჯვალანია 1979: 92; ჯავარიძე 1991: 14, 105, 107, 231, 240, 251.

დმანისი, დმანისი, ქალაქი (ქც 4: 161,27; 222,29; 224,13; 241,6; 313,8; 315,2; 316,21; 386,26; 411,22; 414,20; 514,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „მატიანე ქართლისა“ (ქც 1:257,1; 312,11; 317,8), „ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი“ (ქც 1: 340,10; 344,11), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 251,11; 298,18; 310,18; 322,8,9,); ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქც 2: 483,8; 530,22-23), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 130,21; 161,28; 165,12; 222,29; 224,13; 241,6; 313,8; 315,25; 316,21; 386,26; 411,22; 414,20; 514,19; 517,3),

წყალობის დაწერილი მიქაელ კათოლიკოსისა მსახურთუხუცეს ვაჩე გუარამისძისადმი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 130), 1586 წ. შეწირულობის წიგნი მიცემული სვიმონ I-ის (1556-1600) მიერ დმანისის ეკლესიისადმი (ქართულ-სპარსული ... 1955: 24-32), 1636 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის (1632-1658) მიერ მოლარეთუხუცეს შიომ ხმალასძისადმი (ქართულ-სპარსული ... 1955: 133, 134), 1662 წ. განჩინება ბარათაშვილების საქმეზე (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 121), 1732 წ. სახლი-კაცობისა და ერთობის წიგნი დიმიტრის ორბელიანისა ბიძამეფლისადმი (ქართ. სამართ. ძეგ. 1976: 706), 1758 წ. სამართალი თეიმურაზ II-ისა (1744-1762) ზაალ ყაფლანიშვილისა და დათის ამილახორიშვილის საქმეზე (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 55), 1766 წ. არზა, მიცემული ჰარხვერდიბეგის მიერ ერეკლე II-ისადმი (1744-1798) (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 63), 1793-1795 წწ. არზა ყაფლანიშვილებისა სამართლის მიცემაზე (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 929), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 13, 14, 19, 20, 43, 44, 66-69, 85-89, 95, 98, 112, 126, 132, 139, 220, 242), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 53), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 74), სტეფანოს ტარონელის (ასოლიკი) „ისტორია“ (ასოლიკი 1864: 184), მათე ქრისტოფოროს „ჟამთ აღწერილობა“ (ურპაელი 1966: 247), კირაკოს განძაკეცის „ისტორია“ (განძაკელი 1946: 18), სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“ (ორბელიანი 1978: 40), ვარდან არევალების (დიდი), „მსოფლიოს ისტორია“ (ვარდან 1861: 147, 148), ალ-ფარიკის „მაიაფარიკინის ისტორია“, (ალ-ფარიკი 1942: 139-143), იაკუთის ლექსიკონი (იაკუთი 1964: 57), ჰაჯი მეჰდი ყული ყაჯარი (ჰაჯი მეჰდი ყული ყაჯარი 1942: 92), ისკანდერ მუნშის ცნობები (მუნში 1969: 63), ქათიბ ჩელების ცნობები (ჩელები 1978: 252), მუსტაფა ნაიმა ცნობები საქართველოს შესახებ (მუსტაფა ნაიმა 1979: 21), დონ ქრისტოფოროს შესახებ“ (კანტონი 1976: 215), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1964: 81).

ვახუშტი ბაგრატიონი დმანისის შესახებ ვადმოგვემს: „დმანისი უდის ჩდილოთ მამავერი, სამხრით ფინეზაური“ (ქც 4: 315,5).

მდებარეობს დმანისის მუნიციპ-ში, მდ. მაშავერასა და მდ. ფინეზაურის შესართავს შორის, მალაღ კონცხზე. V-VIII სს-ში დმანისი მჭიდროდ დასახლებული პუნქტი იყო (მუსხელიშვილი 1938: 447; მესხია 1959: 35; ჭილაშვილი 1970: 111). 839 წ. ქალაქი ბულა თურქმა აიღო (ქც 1: 257,1). 989 წ. დმანისი სომეხთა კვირიკიანმა მეფემ, დავით გურგენის ძემ დაიმორჩილა (ბერძენიშვილი 1979: 70). XI ს-ის 80-იანი წლებიდან ის სელჩუკების ხელშია. 1123 წ. დავით აღმაშენებელმა (1089-1125) გაათავისუფლა და სამეფოდ დაიჭირა (ქც 1: 344,11). XII-XIII სს



დმანისის გენგეგმა

ქალაქის აყვავების ხანაა. იმ დროისათვის ის ვრცელი და მდიდარი სავაჭრო ქალაქია (ჯაფარიძე 1998: 19). XIII ს-ის 20-30-იან წლებში დმანისი ჯერ ჯალალედინმა, შემდეგ კი მონღოლებმა აიღეს (განძაკეცი 1946: 18). XIII ს-ის 70-იან წლებში დიდი საფასურის გაღების შემდეგ ქალაქს საღვრ მანკაბერდელი დაეპატრონა. სამეფო ხელისუფლებას დმანისი კვლავ დაემორჩილა დავით VIII-ის მეფობისას (1293-1311). თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად XIV ს-ის ბოლოდან იქ საქალაქო ცხოვრება შეწყდა (ჯაფარიძე 1998: 25). XV ს-იდან იგი ბარათაშვილებისა და მათი განაყარის, ორბელიშვილ-ყაფლანიშვილების საკუთრებად იქცა (ბერძენიშვილი 1979: 94). დმანისის დაქვეითებას ხელი შეუწყო 1485 წ. იაყუბ ყაენის შემოსევამაც, 1536 წლისათვის აქ მხოლოდ 700-მდე ადამიანი ცხოვრობდა (ჯაფარიძე 1998: 25). 1578 წ. ოსმალების მიერ აღებული დმანისი 1583 წ. დაიბრუნა სვიმონ I-მა (მუსხელიშვილი 1938: 333). XVII ს-ის დასაწყისში ირანის შაჰმა აბას I-მა იქ ყიზილბაში მეციხოვნეები ჩააყენა (შენგელია 1979: 21). XVII ს-ის მეორე ნახევრიდან XVIII ს-ის პირველ ნახევრამდე დმანისს ერთგვარი აღორძინების კვალი ამჩნევია. მიმდინარეობს ეკლესიების რესტავრაცია, თავს იჩენს ხელოსნობის ზოგიერთი დარგი, ძლიერდება ფულის ბრუნვა (ჯაფარიძე 1998: 25). XVIII ს-ის 20-იანი წლებიდან ჯერ ოსმალების, შემდეგ სპარსელების, მოგვიანებით კი ლეკთა თარეშების გამო ის მოსახლეობისაგან იცლება (ორბელიანი 1981: 91). XVIII ს-ის 70-იან წლებში იქ არსებობას განაგრძობს პატარა სოფელი (გიულდენშტედტი 1964: 81).

დმანისის ნაქალაქარისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური შესწავლა 1936-1937 წწ. დაიწყო საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ლ. მუსხელიშვილი). 1960 წ. ძველზე მუშაობა განაახლა ამავე მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღ. ვ. ჯაფარიძე, 1993 წლიდან ჯ. კობალიანი). 1972 წ. ძველის შესწავლა განაგრძო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღ. ვ. ჯაფარიძე, ჯ. კობალიანი). 1978-1987 წლებში დმანისის ახლომდებარე კლდეში ნაკვეთი ძეგლები შეისწავლა საქართველოს სახ. მუზეუმის ქვემო ქართლის კლდის ძეგლთა შემსწავლელმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ზ. თვალჭრელიძე, ნ. ბახტაძე). 1991 წლიდან არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და გერმანიის ქალაქ მაინცის რომაულ-გერმანული ცენტრალური მუზეუმის წინარე და ადრე ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფი

გათხრებს აწარმოებდა ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილ ქვის ხანის ძეგლზე. 2001 წლიდან დმანისში არქეოლოგიურ გათხრებს წარმართავს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბუნების ისტორიისა და გეოლოგია-პალეონტოლოგიის ჯგუფი (ხელმძღ. დ. ლორთქიფანიძე). 1983 წ. დმანისის ნაქალაქარის III უბნის XI ნაგებობის შიგნით, თიხატყეპნილ ატაკაში ჩატვირთილ საკონტროლო თხრილში აღმოჩნდა ადრეპალეოლითური ხანის ქვის იარაღები. ძეგლზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა ბაზალტის ლავებზე დაღექილი 3,5-4 მ სისქის, ერთმანეთისაგან ლითოლოგიურად განსხვავებული, სხვადასხვა სიმძლავრის დლეუიური, მდინელი და ვულკანური ქანის ქვის მასალა, რომელიც ვილაფრანკული ასაკის ფაუნისტურ ნაშთებსა და თავის ქალებსაც შეიცავდა (ჯაფარიძე, ბოსინსკი ... 1991: 1-34; ნიორაძე, იუსტუსი 1998: 141; გაბუნია, ვეკუა ... 2000: 5-14). დმანისის ადრეპალეოლითური სადგომი მდებარეობდა პატარა ტბის მახლობლად, რომელიც ლაგური ნაკადის მიერ მდინარის ჩაკეტვის შედეგად მოშავო-მოყავისფრო თიხნარისაგან, ალაგ-ალაგ ქვიშისა და ღია ფერის თიხნარი ლინზების ჩანართებისაგან შედგებოდა. ამ ფენაში გვხვდება გამარსებული ცხოველების ძვლებიც (გაბუნია, ვეკუა, ლორთქიფანიძე 1998: 164; გაბუნია, ვეკუა ... 2000: 5-14). ქვის ნივთების რაოდენობა იქ უმნიშვნელოა. IV ფენა წარმოადგენს მოყავისფრო თიხნარს, რომელშიც ძვლები და ქვის ნივთების მცირე რაოდენობაა მოპოვებული. III ფენაში, რომელიც მკვრივი კარბონატიზირებული კირქვისაგან შედგება, ნამარხი ძვლებისა და ქვის ნაწარმის რაოდენობა მცირეა. ქვის მასალისა და ნამარხი ძვლის სიუხვით გამოირჩევა II, ღია ყავისფერი თიხნარი ფენა. იგი შეიცავს სხვადასხვა ზომის ქვარგვალებს, ბუნებრივ ანამტგრეებს, საეჭვო არტეფაქტებს, აგრეთვე სხვადასხვა ანატყეცებს, მათ შორის, რეტუსირებულებს, ნუკლეუსებს, ქვარგვალეებზე დამზადებულ იარაღებს. იქ მოპოვებულ ქვის ხელნაქუჩებს ხანგრძლივი გამოყენების შედეგად დაჩქვილი ბოლოები აქვთ. ნუკლეუსები ძირითადად ერთფუძიანია, ცალმხრივი, განივი ან გრძივი ტიპის, გვხვდება აგრეთვე ორ ან მრავალფუძიანი, აგრეთვე მცირე ზომის ნუკ-



დმანისის ნაქალაქარი

ლუესებიც. იარაღად გამოიყენებოდა ანატკეცები. დიდი ანატკეცების ნაპირებს მჭრელი დანების ფუნქცია შეეძლოთ შეესრულებინათ, პატარა ანატკეცებს – ჭრისა და ამოკვეთის. იშვიათია რეტუშირებული ანატკეცები. ქვის იარაღის დასამზადებლად ძირითად მასალად ადგილობრივი ტუფია გამოყენებული, თუმცა გვხვდება კვარცისა და კვარციტის თითო-ორი ნაწარმიც. ძეგლის ასაკი 1,87-1,67 მილიონი წელია (ნიორაძე, იუსტუსი 1998: 140-148; მგელაძე, ლორთქიფანიძე ... 2009: 422-425). დმანისი, განმარტებული ჰომინიდების ძეგლებით, მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვედა პალეოლითური ადგილსაპოვებელია, რომელიც მოიცავს 40-ზე მეტ მონაპოვარს. მათგან აღსანიშნავია 4 თავის ქალა (ლოროთქიფანიძე, ჯაშაშვილი, ... 2007: 305-310). მოგვიანებით ჩატარებული კვლევების შედეგად დმანისის პალეოლითური ადგილსაპოვებელის სტრატეგრაფიაში გამოიყო ერთეულები, რომლებიც შედგებიან ვულკანური შემადგენლობის რამდენიმე ფენისაგან (მგელაძე, ლორთქიფანიძე ... 2009: 422-425), აქედან 1X (ჯაშაშვილი, პონსე დე ლეონი ... 2010: 705 715) ფენაშია აღმოჩენილი ადამიანის ნაშთები. დმანისის ადამიანი მიეკუთვნება ჰომო ერექტუსის სახეობას, რომელიც დაახლოებით 2,5 მილ.-750 000 წლის წინ ცხოვრობდა. ჰომო ერექტუსმა აფრიკა დაახლოებით 1,8 მილიონ წლის წინ დატოვა და აზიაში გაავრცელდა. მათი სიმაღლე არ აღემატებოდა 166 სმ. ხოლო წონა 50 კილოგრამს. დმანისელი ჰომინიდები ორ ფენზე თავისუფლად გადაადგილებოდნენ (პოზნერი, კემპელი ... 2010: 492-504).

სოფ. პატარა დმანისის ტერიტორიაზე, დაზვერვებისას, ნახნავეებში აღმოჩენილია ნუკლეუსი და ორი ანატკეცი, რომლებიც აშელის ეპოქას მიეკუთვნება, ხოლო დმანისის ნაქალაქარის მოპირდაპირე მხარეს, მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირის პლატოზე, სოფ. ვარდისუბნის სახნავ მიწაზე ნაპოვანია მუსტიეს ხანის ორი ანატკეცი (ბუგაიანიშვილი 1998: 119-120).

დმანისის ნაქალაქარსა და მის შემოგარენში მიკვლეულია ბრინჯაოს ხანის ძეგლები: გარეუბნის სამაროვანზე, შუა საუკუნეების სამარხების ქვეშ გამოვლენილია ადრე და შუაბრინჯაოს ხანის რამდენიმე (ჯაფარიძე, კოპალიანი ... 1997: 132) და გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები (ჯაფარიძე, კოპალიანი 1991: 108). ქალაქის შიდაცენტრზე აღმოჩენილია ამავე პერიოდის სამეურნეო ორმოები (ჯაფარიძე, კოპალიანი ... 1991: 104) და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის შემცველი 1,3 მ სიმაღლის ფენა (კოპალიანი 1996: 59). ნაქალაქარიდან 2 კმ-ში, მდ. მაშავერას მარცხენა კალთაში გამოკვეთილი ქვაბების კომპლექსში აკრფილია ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკა (ბახტაძე 1992: 100).

დმანისის ნაქალაქარის მახლობლად, სოფ. განთიადში, სოფ. აბულმუგში (იხ. აბულმუგე) და სოფ. ვარდისუბანში, ადგილ ღრმახევისთავში აღმოჩნდა

ბრინჯაოს, რკინისა და ანტიკური ხანის ძეგლები: ღრმახევისთავში შესწავლილია ე. წ. მტკვარ-არაქსული კულტურის ნასახლარი, რომელიც ძვ. წ. IV ათასწლეულის შუახანებიდან ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო მეოთხედამდე ფუნქციონირებდა. აქვე აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის 4 ღარიბული ორმოსამარხი (აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980: 11-17). სოფ. განთიადის მახლობლად, ადგილ ორწყელეზე შესწავლილია მტკვარ-არაქსის კულტურის ერთფენიანი ნასახლარი. მოპოვებული კერამიკა და ობსიდიანის ისრისპირები ძეგლს ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით ათარილებს (კახიანი ... 1991: 55). ამავე ტერიტორიაზე შესწავლილი ყორღანული ველი. ყორღანთა უმრავლესობა შუაბრინჯაოს ხანით თარიღდება, ერთი – გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპით (კახიანი ... 1991: 58). სოფ. განთიადის მახლობლად შესწავლილია ორი სამაროვანი – განთიადი I და განთიადი II. განთიადი I-ზე გაითხარა სხვადასხვა პერიოდის ორასზე მეტი სამარხი. უძველესია სამაროვნის დასავლეთი ნაწილი, რომელიც ძვ. წ. XV-XIV სს-ით თარიღდება. დანარჩენ ტერიტორიაზე მიკვლეულ სამარხთა დიდი ნაწილი ძვ. წ. VIII-VII სს-ის პირველი ნახევრით თარიღდება, ხოლო სამაროვნის გვიანდელ ქრონოლოგიურ ზღვარს ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრისა და ძვ. წ. VI ს-ის სამარხები განსაზღვრავენ (კახიანი ... 1991: 55). განთიადი II-ზე მიკვლეული სამარხები გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპს, კერძოდ, ძვ. წ. XV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ. წ. XIV სს მიეკუთვნება (კახიანი ... 1991: 54). ადგილ ღრმახევისთავში აღმოჩენილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი. იქ ყველაზე ადრეულია №95 სამარხი, რომელიც ძვ. წ. XIV-XIII სს-ით თარიღდება. შემდგომი პერიოდის სამარხები ძვ. წ. XIII-XII სს-საა. რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხებიდან ყველაზე ადრეულია №24 და 38 სამარხები, რომლებიც ძვ. წ. VIII-VII სს-ით თარიღდება. 45 სამარხი ძვ. წ. VII ს-ის ბოლო ხანებითა და ძვ. წ. VI ს-ით თარიღდება. აქემენიდური ხანის სამარხები 43-ია (აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980: 17-23), თუმცა რამდენიმე მათგანი შესაძლებელია პოსტაქემენიდურ და ადრეელისტურ ხანასაც ეკუთვნოდეს.

დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარი შედგება შიდა ციხის, უშუალოდ ქალაქის, გარეუბნებისა და სამაროვნებისაგან. ნაქალაქარი კარგადაა დაცული მდ. ფინეზაურისა და მდ. მაშავერას ღრმა ხეობებით. ქალაქს (ფართობი 13 ჰა) გარს ერტყა ბაზალტის ქვით ნაგები მაღალი გალავანი, რომელიც ალაგ-ალაგ კონტრფორსებით იყო გამაგრებული. მისი ერთადერთი მისადგომი მსაზრეთ-დასავლეთიდან არსებული ჭიშკარი იყო (ჯაფარიძე 1966: 32).

დმანისის შიდა ციხე მდებარეობს ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და გალავნითაა გამოყოფ-



ზეზვა და მზია

ფილი ქალაქისაგან. გალავანში დატანილია კარიბჭე. შიდა ციხის ფართობია 3250 კვ მ. გალავნის საერთო სიგრძეა 322 მ, მაქსიმალური სიმაღლე 10 მ. გალავანზე მიშენებულია ბურჯები და სამი კოშკი. საძირკველი კლდეზეა დაშენებული. გალავანი ნაგებია ქვიშაქვისა და ბაზალტის ფლეთილი ქვითა და კირის დუღბით. მას შიგნიდან ჰქონდა საბრძოლო ბაქნები, რომელთა სიგანეა 1 მ. ციხე თავდაპირველად IX-X სს-ში აშენდა, XI-XII სს-ში კი კედლები ხელმეორედ აღებული. გალავნის სამხრეთ-დასავლეთით ბორცვი ხელოვნურად იყო დაფერდებული და ქვით მოპირკეთებული, კედლიდან მასივებში კი თხრილები იყო ამოჭრილი, რომლებზეც კედლები იყო ამოშენებული. №1 კოშკი შიდაციხის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ მხარეს დგას. მისი ქვედა ფენა შეიცავს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალას. შემდეგ ფენაში აღმოჩენილია ალიზითა და ხით ნაგები შენობა. IX-X სს-ში ბაზალტის ქვით აგებულია ოთხკუთხა (6X6,6 მ) კოშკი, რომელიც XI-XII სს-ში ჩრდილოეთით გააფართოეს და კედლის ორი ძლიერი ბურჯი მიუშენეს. №2 კოშკი (4,1X3,2 მ) XVIII ბურჯშია მოთავსებული. მისი შემორჩენილი სიმაღლეა 2 მ და არქეოლოგიური მასალით XII ს-ით თარიღდება. №3 კოშკი გარეთ, აღმოსავლეთ გალავანსა და კარიბჭესთან მიმავალი გალავნის კედლების კუთხეებშია აშენებული (4,2X4,6 მ) და განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება (კოპალიანი 1996: 50-69). ნაგებობებიდან აღსანიშნავია სასახლეები, აბანო, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების შენობები. აბანო ნაგებია ბრტყელი აგურით, გალესილია ბათქაშით და ისრულ ტრომპებზე დაყრდნობილი გუმბათებითაა გადახურული. გუმბათები გარედან ქიმებიანი ბრტყელი აგურითაა დამაგრებული. თარიღდება XIII-XIV სს-ით (მუსხელიშვილი 1938: 352-360). ნაგებობა №5, ე. წ. „ქალაქის თავის სასახლე“ ნაგებია ქვიშაქვით (16,6X11,8 მ). მისი საძირკველი კლდეშია ჩაჭრილი. სასახლე შედგება ხუთი ოთახისაგან. გადახურული იყო კრამიტით, იატაკი კვადრატული აგურით იყო მოვებული. თარიღდება IX-X სს-ით, XII-XIV სს-ში იგი შეუკეთებიათ, XV-XVII სს-ში კი ახალი სათავსოები მიუშენებიათ (კოპალიანი 1996: 73) №6 ნაგებობაც სასახლეა (12,5X12,7 მ). იგი ორსართულიანი იყო. გადახურვა თაღოვანი ჰქონდა. არქეოლოგიური მასალა შენობას XIII ს-ით ათარიღებს (კოპალიანი 1996: 74). X ნაგებობის ქვედა დონე IX-XI სს-ისაა. ამ დონეზე მიკვლეულია XI ს-ის ბიზანტიური მონეტა და კერამიკა. მის ზემოთ XII-XIV სს-ის ფენაა, რომელშიც მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა, 15 თონე და თამარ მეფის მონეტებია აღმოჩენილი. ნაგებობის ზედა დონე XVI-XVIII სს-ით თარიღდება (კოპალიანი 1996: 75).

ქალაქის ქუჩები 2,5 მ სიგანისა და ქვაფენილითაა მოკირწყლული. საცხოვრებელი ნაგებობები ფლეთილი ქვითა და დუღბითააა ნაგები, მათ უმეტესობას ბანური გადახურვა ექნებოდა ოთა-

ხების იატაკი თიხითაა მოტყეპნილი, თუმცა გვხვდება ფილაქნებით მოფენილი იატაკიც. ზოგიერთი ოთახის ცენტრში შემორჩენილია კერა. სტრატეგრაფიული მონაცემების საფუძველზე გამოიყოფა XII-XIII, XIII, XIII-XIV სს-ისა და გვიანდელი შუა საუკუნეების ნაგებობები. შენობებს შორის აღსანიშნავია კერამიკული და მინის დასამუშავებელი სახელოსნოები, ქულბაქები, ზეთისახდელი, ბეღლები, მარნები (ჯავახრიძე 1966: 32-40).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980: 17-23; ალ-ფარიჯი 1942: 139-143; ასოლიკი 1864: 184; აფრასიძე 1984: 34-36; პაგრატიანი 1983: 74; პაგრატიანი 1986: 53; პახტაძე 1991: 100; ბერძე 1967ა: 36-38; 1974; ბერძენიშვილი 1965; ბერძენიშვილი 1964ა; 1979; 1998: 66-75; ბოსინსკი 1989: 111-113; ბრაიერი 1995; ბუგაიანიშვილი, მეგლაძე 1988; ბუგაიანიშვილი, ვეკუა, მეგლაძე 1990; ბუგაიანიშვილი 1998: 114-121; გაბაშვილი 1981: 30-32; გაბუნია 1992: 185-208; გაბუნია, ვეკუა, ბუგაიანიშვილი 1988; გაბუნია, ვეკუა 1993; გაბუნია, ვეკუა 1995: 509-512; გაბუნია, ვეკუა, ლორთქიფანიძე 1998: 16-170; გაბუნია, ვეკუა ... 2000: 5-14; განძაკელი 1946: 18; გიულდენშტედტი 1964: 81; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 55, 63; დოლაბერიძე 1985; ვარდანი 1861: 147, 148; ვეკუა 1996; ვეკუა, მეგლაძე 1990; ვეკუა, ლორთქიფანიძე ... 2005: 717-718; თავაიშვილი 1991; კასტელი 1976: 215; კახიანი 1965; კახიანი ... 1991: 51-57; კვერფელი 1938: 186-188; კოპალიანი 1996; 1998ა; ლომოური 1938; ლორთქიფანიძე 1935; ლორთქიფანიძე, ჯაშაშვილი ... 2007: 305-310; მაისურაძე 1953; 1954; მაისურაძე 1995: 25-49; მელიქიძე-ბევი 1954: 158-161; მეფისაშვილი 1971; მესხია 1959; მეგლაძე, ლორთქიფანიძე ... 2009: 1-4; მუსტაფა ნაიმა 1979: 21; მუსხელიშვილი 1938ს; 1940; 1941; მუსხელიშვილი 1995: 181, 182; ნიორაძე 1996; ნიორაძე, იუსტუსი 1997; 1998: 140-149; ორბელიანი 1978: 40; ორბელიანი 1981: 13, 14, 19, 20, 43, 44, 66-69, 85-89, 95, 98, 112, 126, 132, 139, 220, 242; ოთხმეზური 1981: 92-98, 109-111; სვანიძე 1971: 171; იაკუთი 1964: 57; პონტცერი, როლიანი ... 2010: 1-13 ტაბაძაძე 1974: 124; ურბაელი 1966: 247; ფერინგი, ფრიშერი, გაბუნია 1996: 5, 6; მუნში 1969: 63; ქართულ-სპარსული ... 1955: 24-32, 133, 134; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 130, 929; 1972: 121; 1976: 706; ქც 1: 257,1; 312,11; 317,8; 340,10; 344,11; 241,6; ქც 2: 251,11; 255,2; 298,18; 310,18; 322,8,9; 483,8; 530,22-34; ქც 4: 130,21; 161,28; 165,12; 222,29; 224,13; 241,6; 313,8; 315,25; 316,21; 386,26; 411,22; 414,20; 514,19; 517,3; ყვავაძე, ვეკუა 1993: 342-355; შელკონიკოვი 1965; ჩელები 1978: 252; ჩუბინაშვილი 1936; ჭილაშვილი 1970: 134-168; ჯალალანია 1979; ჯალალანია, ჯავახრიძე 1987: 16-52; ჯამბურია 1955: 38, 41; ჯავახრიძე 1966: 34-36; 1966ა: 32-40; 1969: 57-74; 1969ა: 53-79; 1971: 75-88; 1971ა: 221-223; 1971ბ: 221-223; 1972ა: 52-56; 1972ბ: 475-

476; 1973: 99-104; 1973ა: 84-88; 1973ბ: 423-424; 1974ა: 152-173; 1974ბ: 64-66; 1975ა: 454-455; 1976: 89-95; 1978: 120-123; 1980: 272-275; 1982; 1982ა: 44-65; 1984: 18-27; 1986: 396-397; 1988; *ჯეფარიძე 1998: 38-57; ჯეფარიძე 1998ა: 19-37; ჯეფარიძე, ართილაყვა 1971: 63-74; ჯეფარიძე, ბოსინსკი ... 1989: 67-116; ჯეფარიძე, ბოსინსკი ... 1991; ჯეფარიძე, კოპალიანი 1987: 105-119; ჯეფარიძე, კოპალიანი ... 1991: 102-110; ჯეფარიძე, კოპალიანი ... 1995: 131-134; ჯეფარიძე, კოპალიანი ... 1997: 106-108; ჯეფარიძე, ლამბაშიძე 1979: 204-214; ჯაშაშვილი ... 2010: 705-716; ჯღამაია 1980; ჰაჯი მექდი ყული ყაჯარი 1942: 92.*

დოლო, მონასტერი (ქვ 4: 529,16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 529,16), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართლ-კახეთის ... 1903: 13, 31, 96, 99; ისტ. დოკ. 1958: 153; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 448, 449; 1970: 180).

დოდოს მონასტერი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შემადგენელი ნაწილია. დარსებულია დავით გარეჯელის მოწაფის, დოდოს მიერ VI ს-ში. წყაროებში გვხვდება ამ მონასტრის მოხსენიების მეორე ფორმაც „დოდოს რქა“. დოდოს მონასტერი იცლება XVIII ს-ში. მის ყმებსა და მამულებს ერეკლე II და ანტონ I გარეჯის არქიმანდრიტს გადასცემენ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 448).

ვახუშტი ბაგრატიონი დოდოს შესახებ გადმოგვცემს: „გარეჯის მთასა შინა, ნათლისმცემელსა და დავით გარეჯას შუა, მონასტერი დოდო, რომელი ქმნა მამამან წმიდამან დოდომ, რომელიცა იყო ნათესავით და ქუეყნით კახი, მოწაფე დავით გარეჯელისა და დავთელია იგი მუნვე ... უზის წინამძღუარი“ (ქვ 4: 529,15-17; 530,1-3).

კლდეში ნაკვეთი ტაძრის კედლებზე შემორჩენილია მხატვრობის კვალი. მათში გამოირჩევა ქტიტორთა ფრაგმენტული გამოსახულებები, რომელთაგან ერთი ქალის პორტრეტია, მეორე გვირგვინოსანი მამაკაცის – მეფის. ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს გამოკვეთილი ეკვდრის აფსიდა ეკავა ვედრების გამოსახულებას, მისი ჭერი კი შემკულია ფერწერული ჯვრით. ნახატები შესრულებული უნდა იყოს XII ს-ის დასაწყისიდან XIII-XIV სს-ის მიჯნამდე (სხირტლაძე 1991: 49-54).

1980 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო ჯგუფმა აღმოაჩინა დოდოს რქის გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, რომელიც მდებარეობს ამავე სახელწოდების ქედის დასავლეთ ნაწილში, ყველაზე მაღალ და დავაკებულ თხემზე. ნამოსახლარის ცენტრალურ ნაწილში დგას შუა საუკუნეებში აგებული, თავმორღვეული საყარაულო კოშკი. მის ქვეშ ორი გამოქვაბული და ერთიც კოშკში ასასვლელი გვირაბია. ნამოსახლარის სამხრეთით მდებარე ღრმა ხევის ჩრდილო ფლატეში მრავალი გამოქვაბულია. ისინი პირდაპირ უყურებენ ხევს გაღმა არსებულ

ჩინხატურისა და დავით გარეჯის ლავრას. ნამოსახლარის ფართობია 160X40 მ (ვარაზაშვილი 1988: 40).

დოდოს რქის გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ჩრდილოეთით 100 მ-ის დაშორებით დაბლობში შემჩნევა ერთრიგად შემოიკლებული ქვის წრეები და მცირე ზომის ქვის ვროვები. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს ნამოსახლარის სამაროვანი. ძველის ანაკრეფი მასალა ფრაგმენტულია. ჭურჭლების უმეტესობა ნაძერწია განლექილი თიხისაგან და მონაცრისფროდაა გამოშვარი. ჭურჭელი დამზადებულია ჩარხზე. შემკულია ტალღისებური და ზიგ-ზავისებური ამოღარული ხაზებით. კერამიკულ ნაწარმში გამოიყოფა ორი ჯგუფი: 1. ჭურჭლისთვის დამახასიათებელია მტკიცე კვიშანარევი კეცი, მოვლუპებული რუხი ან ნაცრისფერი ზედაპირი, ყურები ლენტური და მრგვალია, კორპუსი დაფარულია კონცენტრული ხაზებით. ზოგიერთზე დატანილია ფართო ბადისებრი ორნამენტი. არის ძირდაკეცილი ჭურჭელიც. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის პირველი ნახევრით. 2. ამ ჯგუფში ჭურჭლის სულ რამდენიმე ნატეხია. დამზადებულია წმინდად განლექილი თიხისაგან, წვრილი თეთრი ჩანართებით. კეცი ფხვიერია. გამოწვა ძირითადად შავია. საფიქრებელია, რომ მეორე ჯგუფის მასალა, აქვე მიკვლეული ადრეული იერის მქონე, ნავისებური ფორმის ნამძვლის ჩასართთან ერთად, მიეკუთვნებოდეს შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს, ან უკიდურეს შემთხვევაში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს (ვარაზაშვილი 1988: 41).

ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ დოდოს მონასტერში ჩატარებული გათხრების შედეგად სხვა მასალებთან ერთად გამოვლინდა მოჭიქული კერამიკის ნიმუშები. მათ შორის გვხვდება IX-X სს-ის არტიფაქტები:

1. შიშველ კეცზე თეთრი ანგობით მონატული და უფერული ჭიქურით დაფარული. 2. შიშველ კეცზე თეთრი ანგობით მონატული და მწვანედ მოჭიქული. 3. ფერადი ხაზებით შემკული ჯამები. 4. ანგობის თეთრ ფონზე ფერადი ნაღვეთებით შემკული ჯამები. მასალა თარიღდება IX-X სს-ით. უფრო მრავალფეროვანია XI-XIII სს-ის მხატვრული კერამიკა. მათ შორის გვხვდება ამოკაწვრით შემკული და ერთფერად ან მრავალფერად მოჭიქული ჯამები, შემკული მცენარეულ-გეომეტრიული ორნამენტით, კუფური ორნამენტით, ჯვრისა და ფრინველის გამოსახულებებით. ამ პერიოდის ჯამებიდან აღსანიშნავია ბერძნული დამწერლობის იმიტაციით შემკული ჯამები. XIV ს-ით თარიღდება მოჭიქული ჯამების იმიტაცია, რომელთა შემკულობაში ჭიქური ძალზე ცოტა რაოდენობითაა გამოყენებული (თვალჭრელიძე 2003-2004: 110-126)

ბიბლიოგრაფია: *ვარაზაშვილი 1988: 40; თვალჭრელიძე 2003-2004: 110-126; ისტ. დოკ. 1958: 153; სხირტლაძე 1991: 49-54; ქართ. სამართ. ძეგ. 1965:448, 449; 1970: 180. ქვ 4: 529,16.*

დოესი (ქც 4: 441,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 342,13; 441,14), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 387,6), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 31), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 67), ლუარსაბ მეფის მარტვილობა (ბესარიონ კათოლიკოსი 1946: 409), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1909: 113; 1920: 163; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 157; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 76; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 373; 1972: 128, 436, 532; 1974: 117; 1977: 65, 179, 197, 229, 612, 615; 1981: 173, 189, 260, 528; 1985: 174), გიორგი XII-ის 1800 წ. წყალობის წიგნი (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 208), 1800 წ. განჩინებები ციციშვილების გაყრის საქმეზე (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 179, 197, 229), დავით მეშვიდის 1801 წ. არზა (ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 735), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 273).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „თეზმიდან დასავლეთ არს ხევი ხოვლესი ... თეზმიდან ატენის წყალმდე მინდორი დოესისა, რომელი ირწყვის თეზის რუთი“ (ქც 4: 342,13). მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, დღევანდელი სოფ. დოესის ტერიტორიაზე.

1615 წ. ლუარსაბ II-მ (1592-1622) დოესი ციციშვილებს უბოძა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 77; ვეკსალაია 1983: 126). 1638 წ. დოესის მინდორზე ერთმანეთს შეებრძოლნენ თეიმურაზ I-ისა (1605-1648) და როსტომ მეფის (1633-1658) მომხრეები (ქც 4: 441,14). წყაროებში დოესი იხსენიება „დოეზი“, „დოევი“, „დეესი“-ს ფორმებითაც (ბესარიონ კათოლიკოსი 1946: 409; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 76, 77; ცხოვრება ... 1980: 67).

1974 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავთისხევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. შატბერაშვილი) შეისწავლა დოესის ყორღანი.

ყორღანი (დმ 20 მ, ყრილის სიმაღლე 1,5 მ) მდებარეობს დოესიდან ხოვლესაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს. ყრილის ქვეშ, ყორღანის ცენტრში მდებარეობს ფლეთილი ქვით მშრალი წყობით ნაგები სამარხი კამერა (1,6X1,1 მ). მიცვალებული დაკრძალულია მარცხენა ვკერძზე ხელ-ფეხ მოკეცილი, თავით სამხრეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა შავპირილა ვარდისფერსარჩულიანი კერამიკის ორყურა ბადა და ტყავის ტანსაცმლის ნაშთები; გადახურვის თავზე კი კერამიკის ფრაგმენტები და ობსიდიანის ანატაკეები. თარიღდება ადრებრინჯაოს გვიანი საფეხურით. მასალა ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (შატბერაშვილი 1976: 55, 56; სძა 1990: 155; საქ. არქ. 1992: 212-213). დოესის სამხრეთ-დასავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით მდებარეობს „წეროანთ წმიდა გიორგის“ ეკლესია. ნაგებია ფლეთილი ქვით. დაზიანებულია.

შესასვლელი ჰქონია სამხრეთიდან (სძა 1990: 155). დოესში შემორჩენილია ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები (ვეკსალაია 1983: 126).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 31; ბერძენიშვილი 1966: 18, 20, 49, 92; ბესარიონ კათოლიკოსი 1946: 409; ვეკსალაია 1983: 120, 121, 126; გვრიტიშვილი 1955: 128; გიულდენშტედტი 1962: 273; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 142, 151, 208; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 76, 77; მანაგელი 1887: 149; სძა 1990: 155; საქ. არქ. 1992: 212, 213; საქ. სიძ. 1909: 113; 1920: 163; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 373; 1972: 128, 436, 532; 1974: 117; 1977: 65, 179, 197, 229, 612, 615; 1981: 173, 189, 260, 528; 1985: 174, 729, 735; ქც 2: 387,6; ქც 4: 342,13; 441,14; შატბერაშვილი 1976: 55, 56; ცხოვრება ... 1980: 67; ხარაძე 1992: 51.

დრანდა (ქც 4: 781,6,9,10,12; 845,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 781,6,9,10,12; 845,22), ლიხთ-იმერეთის 1737 წ. რუკა (ბურჯანაძე 1959: 193), ქრისტოფორო კასტელის „ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ“ (კასტელი 1976: 195, 180), არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ (ლამბერტი 1938: 120), პატრიარქი მაკარიოსი (ჟუზე 1905: 32, 46), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 171).

ვახუშტი ბაგრატიონი დრანდას შესახებ გადმოგვცემს: „მოქვის მდინარის დასავლეთ დის კოდორის მდინარე. ამ წყალზედ არს ეკლესია დრანდას, მთაში ...“ (ქც 4: 781,4,5).

დრანდა მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. კოდორის ნაპირას.

VIII-X სს-ში დრანდა აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაშია. XIV-XV სს-ში საბედიანოს საერისთავოში შედიოდა. XVI-XVII სს-ის პირველ ნახევარში ოდიშის სამთავროშია. XV-XVII სს-ში დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეობას წარმოადგენდა.

დრანდა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. დაფიქსირებულია მხოლოდ შუა საუკუნეების ნამოსახლარის ნაშთები (თრაფში 1969: 218).

დრანდას ტაძარი მდებარეობს მდ. კოდორის მარცხენა ნაპირას. ტაძარი (27,3X19,5 მ) გუმბათოვანია, უახლოვდება ჯვრის ტიპს. ნაგებია აგურისა და რიყის ქვით (ჩუბინაშვილი 1948გ: 57). ტაძარში აღმოჩენილია ადრებრინჯაოს ხანის ამფორები. ტაძრის აშენების თარიღის შესახებ განსახილველი მონაცემებია: VI ს (ხოტელაშვილი, იაკობსონი 1984: 200-207; ხრუშევილი 1985: 70), VI-VII სს (გორონოვი 1978: 105), VIII ს (მეფისაშვილი 1983: 10).

ბიბლიოგრაფია: ავაფაძე 1901; ბურჯანაძე 1959: 193; გიულდენშტედტი 1962: 171; დიუბუა დე მონპერე 1937: 149, 151; ვორონოვი 1978: 105; თრაფში 1969: 218; კასტელი 1976: 195, 180; ლამბერტი 1938: 120; მეფისაშვილი 1983; ჟუზე 1905: 32, 46; ქც 4: 781,6,9,10,12; 845,22; ჩუბინაშვილი

1948გ: 57; ცინცაძე 1979: 35-42; ხოტელაშვილი, იაკობსონი 1984: 45; ხრუშკოვა 1985: 70.

დრისის ციხე, დრის ციხე (ქც 4: 341,17) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 341,17; 342,17; 343,13).

ვახუშტი ბაგრატიონი დრისის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „ერთაწმინდის დასავლით არს ციხე დრისა, მალალს კლდესა ზედა, მაგარი, მდინარესა ზედა თემისასა“ (ქც 4: 341,17).

მდებარეობს კასპის მუნიციპ-ში, სოფ. ზენადრისისა და ჭყობიანას დასავლეთით 400 მ-ზე, მდ. თემის მარცხენა ნაპირზე.

დრისის ციხე და მდ. თემის ზემოწელი ჯავახიშვილების მფლობელობაში შედიოდა (მაკალათია 1959: 28).

ის არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

დრისის ციხის (იგივე ჯავახანთ ციხის) კომპლექსში შედის ციხე-გალავანი, ეკლესია, კოშკი, სასახლე. ყველა ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია. კომპლექსი თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. მდ. თემის პირას მდებარე რთული კონფიგურაციის კლდოვან კონცხს გარშემოყვება გალავანი. ციხე-გალავანი ორიარუსიანია, ზედა იარუსზე დგას კოშკი და ეკლესია, ქვედაზე – ორსართულიანი სასახლე და სხვა ნაგებობები.

ციხე-გალავნის ჩრდილოეთ კედელში ჩაშენებულია ოთხსართულიანი, გვერდით სწორკუთხა კოშკი (5,8X3,9 მ). ნაგებია ფლეთილი ქვიშაქვის ქვებით. კოშკიდან სამხრეთით დგას დარბაზული ეკლესია (6,35X4,65 მ), ნაგები მწვანე ტუფის თლილი ქვით. ეკლესიას შესასვლელი დასავლეთიდან აქვს, იგი გარედან არქიტრაველია, ოსტნიდან – თაღოვანი. ნახევარწრიული შვერილი აფსიდის ღერძზე ერთი შეისრული სარკმელია, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში გაჭრილია თითო სწორკუთხა, ხოლო დასავლეთ კედელში ორი თაღოვანი სარკმელი. საკურთხევლის იატაკში ამოჭრილია ქვევრის ფორმის სათავსო (მაკალათია 1959: 27, 28; სძა 1990: 219, 220).

ბიბლიოგრაფია: მაკალათია 1959: 27, 28; ქც 4: 341,17; 342,17; 343,13; სძა 1990: 219, 220.

ღუღი (ქც 4: 373,15). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 373,15).

ვახუშტი ბაგრატიონი ღუღეს შესახებ გადმოგვცემს: „ურბნისის დასავლით, ღუღეს, დის წყარო ფრიად დიდი კიდესა მტკურისასა“.

ღუღეს ლოკალიზება არ ხერხდება.
ბიბლიოგრაფია: ქც 4: 373,15.

ღურნუპი (ქც 4: 327,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 327,22), „დასტურამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965:

265, 315), XVII-XVIII სს-ის (საქ. სიძ. 1910: 45; ქართულ-სპარსული ... 1955: 121; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 247), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 140), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 47), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 62).

ვახუშტი ბაგრატიონი ღურნუკის შესახებ გადმოგვცემს: „ასურეთის ხეცს ქუევით, სამხრით, არს ღურნუკი. აქა არს კარკნალი და დარანნი დიდ-დიდნი“ (ქც 4: 327,22,23).

მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპ-ში, თეთრიწყაროდან 17 კმ-ის დაშორებით, მდ. ალგეთისა და ხრამის წყალგამყოფ ქედზე, დღევანდელი სოფ. დიდი ღურნუკის ტერიტორიაზე (ციციშვილი 1979ბ: 5). XVIII ს-ში ღურნუკი სამეფო საკუთრებაა (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 250, 315). ის რამდენჯერმე დაარბიეს ლეკებმა (ბაგრატიონი 1983: 62).

სოფ. ღურნუკსა და მის შემოგარენში 1950 წ. დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებდა ისტორიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია (ხელმძღ. ნ. პერძენიშვილი), რომელმაც მიაკვლია ნეოლითური ხანის სადგომს, „ციკლოპური“ ნაგებობის ნანგრევს, ანტიკური ხანის სამაროვანსა და შუა საუკუნეების ორ ნასოფლარს (ციციშვილი 1979ბ: 5). ნეოლითური სადგომია მიკვლეული სოფ. ღურნუკის სამხრეთ-აღმოსავლეთით (პერძენიშვილი ნინო 1963: 5-16). 1981-1989 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მარაბდა-ახალქალაქის ექსპედიციამ (ხელმძღ. ზ. შატბერაშვილი) ამავე ტერიტორიაზე შეისწავლა რამდენიმე გორასამარხი და ადრეელინისტორიის ხანის სამაროვანი. სოფ. დიდი ღურნუკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 3 კმ-ის დაშორებით, გათხრილია რამდენიმე გორასამარხი. ერთ-ერთი მათგანის ყრილის სიმაღლეა 2 მ, დმ-25 მ. ყრილის თავზე იდო ქვის ვეშაპი. მცირე ზომის ოთხკუთხა ორმოში აღმოჩნდა ერთმანეთში არეული ადამიანისა და ცხოველის ძვლები, აგრეთვე შავპირიანა და თხელკედლიანი, ე. წ. ბუდეური მცირე ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები. სამარხი თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით. მასალა ინახება თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

სოფ. ღურნუკიდან 4 კმ-ის დაშორებით, რკინიგზის სადგურ „ცხრა ძმის“ (სოფ. ქოთოში) ტერიტორიაზე შესწავლილია სამაროვანი, რომელიც სადგურის მშენებლობისას დაზიანდა. იქ გაითხარა 8 ქვის სამარხი. მიცვალებულები დაეკრძალათ მარჯვენა გვერდზე, მოკრუნწხულ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთით. №2 სამარხში, რომელიც ტიპურია ამ სამაროვანისათვის, აღმოჩნდა მსხლისებურტანინანი ხელადა, წითლად შეღებილი პირგადამშლილი ფიალა და რკინის სამაჯური. სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნით. მასალა ინახება თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

სოფლიდან ჩრდილოეთით, 2 კმ-ის დაშორებით,

მდ. ალგეთის მარჯვენა ნაპირზე, დაზვერვებისას აღმოჩენილია ახ. წ. დასაწყისის ქვის სამარხები და ნასახლარი. სოფლის ჩრდილო ნაწილში შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევია. სოფლის სამხრეთით შუა საუკუნეების ნასახლარია (ციციშვილი 1979ბ: 5). სოფ. ქოთოშის მახლობლად, ღურნუკიდან 5 კმ-ის დაშორებით, შუა საუკუნეების ნასოფლარი და დარბაზული ეკლესიის ნანგრევია. მისგან ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ-ის დაშორებით „ციკლოპურ“ შენობათა ნაშთები, მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის ნანგრევები და ქვაჯვრებია მიკვლეული (ციციშვილი 1979ბ: 5).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 47; ბაგრატიონი 1983: 62; ბერძენიშვილი 1963: 5-16; ლორთქიფანიძე 1935: 304; ორბელიანი 1981: 140; საქ. სიძ. 1910: 45; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 265, 315; 1974:247; ქართულ-სპარსული ... 1955: 121; ქვ 4: 347,22; ციციშვილი 1979ბ: 5-9.*

დუჟმითი (ქვ 4: 354,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 354,9; 424,3; 433,10; 435,25; 437,19; 439,25; 440,1,16; 422,26; 447,18; 448,5; 453,6,10; 459,1; 462,4,14; 467,18; 503,25; 505,13,17,24; 592,4; 593,24; 595,4,5,14,15; 624,4), ბერი ვენანტაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქვ 2: 391,5; 411,27,28; 415,9; 436,9; 438,9; 439,2), ხოფის მონასტრის 1251 წ. წარწერა; 1630 წ. მხედრული წარწერა ევგრემ სირინის წიგნზე, ათონის ივერთა მონასტერში (იოსელიანი 1860: 44), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 34), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 53, 69, 196, 216, 217), სენხია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრება“ (ჩხეიძე 1913: 212, 213), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1913: 259), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 81), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 42), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 79, 82, 94), იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“ (ბარათაშვილი 1950: 9, 26, 29, 36, 87), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 76), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 91; 1953: 1, 78, 255; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 548, 554, 555; 1974: 249; 1981: 183; 1985: 17, 310, 356, 455, 561, 911, 926; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 135; 1974: 30, 33, 107, 108, 118; ქრონიკები 1897: 449-451; სიგელები ... 1902: 221, 250; საქ. სიძ. 1910: 230, 294, 317; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 61, 75, 95, 100, 103, 127, 129, 193, 196, 207; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 78), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 3, 5, 7, 49, 95, 273; 1964: 127, 129), „მოგზაურობა რუსეთის ტრანსკავკასიის პროვინციებში“ (უილბრანკი 1990: 22), დე გრაი დე ფუას „ცნობები



დუჟმითი, ჭილაშვილების სასახლე

საქართველოს შესახებ“ (დე გრაი დე ფუა 1985: 28, 43, 44, 51, 57, 86, 95).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „არს აქა ტბა ბაზალეთისა, დუშეთის წინაშე მდებარე“ (ქვ 4: 354,9).

მდებარეობს მდ. არაგვის მარჯვენა მხარეს, ბაზალეთის ტბის მახლობლად, ქ. დუშეთის ტერიტორიაზე.

წყაროებში პირველად იხსენიება 1215 წ-ის წარწერაში (იოსელიანი 1860: 43, 44). XIII ს-მდე ქართლის საერისთავოში შედიოდა და სამეფო დომენში იყო გაერთიანებული. XIV ს-ში არაგვის საერისთავოშია. XVII ს-ის დასაწყისში დუშეთშია არაგვის ერისთავის რეზიდენცია და საბაჟო (იოსელიანი 1850: 85; მესხია 1983: 459). 1743 წ. თეიმურაზ II-მ (1744-1762) გააუქმა არაგვის საერისთავო და დუშეთი თავის შვილიშვილს – ვახტანგს გადასცა (იოსელიანი 1850: 85; ორბელიანი 1913: 194; გვასალია 1975: 78; მესხია 1982: 231). 1754-1755 წწ. დუშეთი ჯერ ნურსალ-ბეგმა, შემდეგ ომარ ხანმა დაარბია (ორბელიანი 1913: 212; ხერხეულიძე 1913: 250; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 103; მესხია 1986: 321). ერეკლე II-ის (1744-1798) 1784 წ. ბრძანებით დუშეთმა ქალაქის წოდება მიიღო (იოსელიანი 1850: 45). 1801-1803 წწ. დუშეთი სამაზრო ქალაქია. ამ წოდებას დროებით კარგავს 1821 წლამდე. შემდეგ კვლავ იბრუნებს სენატის ბრძანებით (იოსელიანი 1850: 45; მესხია 1986: 321). წყაროებში დუშეთი „კობას ციხედაც“ მოიხსენიება (ხერხეულიძე 1913: 259; მესხია 1986: 321).

1875 წ. კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ (ვირუბოვი, ბაიერნი) სამუშაოები ჩაატარა დუშეთის მახლობლად, ძველ სასაფლაოზე. 1971 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ფინგალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. რამიშვილი) დაზვერა სოფ. ვარსიმძანთკარი. 1972 წ. ექსპედიციამ ვარსიმძანთკარში დაიწყო სამაროვნის შესწავლა, რაც 1981-1985 წწ. დასრულდა. 1979-1982 წწ. ექსპედიციამ შეისწავლა ნამოსახლარები ვარსიმძანთკარსა და დუშეთში,

შამანაურის ქუჩაზე, ხოლო 1984-1985 წწ. მანგი-ანთხევში შესწავლა კოშკი.

ვარსიშამანთკარში ჩატარებული დაზვერვებისას აღმოჩნდა მონაცრისფრო-მოწითალო კაჟისაკან დაშვადებული ანატკეცი და სახოკები, რომლებიც მუსტიეს ხანით თარიღდება (რამიშვილი ... 1972: 44; წერეთელი 1983: 40-50).

ვარსიშამანთკარის ნამოსახლარი მდებარეობს ღუშეთის დასავლეთით, 3 კმ-ის დაშორებით, ვარსიშამანთქედების აღმოსავლეთ ფერდზე. ნამოსახლარის საერთო ფართობია დაახ. 700 კვ მ. საცხოვრებელი კომპლექსები ცუდადაა დაცული. შენობები ნაგებია ალიზის აგურით, რიყის ქვის საძირკველზე. კედლების სიგანე მერყეობს 0,5-1 მ-მდე. სათავსებში გვხვდება კერებისა თუ ღუმლების ფრაგმენტები. არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია სამურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლით, რომელთა უმრავლესობა გამომწვარია ლევა-მონაცრისფროდ, მოწითალოდ ან წითლადაა შეღებული. შემკულია გეომეტრიული ორნამენტით. თარიღდება ძვ. წ. VI-III სს-ით. ნამოსახლარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ადრე შუა საუკუნეების ქვის სამარხი (რამიშვილი ... 1986: 50; 1987: 77).

ვარსიშამანთკარის სამაროვანი მდებარეობს ვარსიშამანთქედებზე, ნამოსახლართან ახლოს. უჭირავს 1000 კვ მ-ზე მეტი ფართობი. შესწავლილია 166 ორმოსამარხი. მათი უმრავლესობა ინდივიდუალურია, ნაწილი წყვილია. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი, თავით დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით ან ჩრდილო-აღმოსავლეთით. მიცვალებულთან ერთად ცხენის დამარხვის შემთხვევა გვხვდება. სამაროვანზე აღმოჩნდა კერამიკა, იარაღ-საჭურველი, სამკაული, სამურნეო იარაღები. თიხის ჭურჭელი (ხელადები, ქოთნები, კოჭობები, სამფეხა ჯამები, ფინჯნები) შავი ან მოწითალო კეცისაა. ნაწილი წითლადაა მოხატული. გვხვდება წითელი ანგობით დაფარული ჭურჭელი. მასალაში იარაღ-საჭურველს წამყვანი ადგილი უჭირავს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა რკინის იარაღები. სამაროვანზე აღმოჩნდა 92 შუბისპირი, 2 აკინაკი, 91 დანა, 13 ისრისპირი, მათ შორის ე. წ. „სკვითური ტიპის“, 12 სატევარი, 2 ფარი, 2 მუზარადი. სამკაულიდან გვხვდება ოქროს სხივანა და პირამიდისებური საყურეები, ვერცხლის სასაფეთქელ რგოლები, ბრინჯაოს ცილინდრულ-თავიანი საკინძები, ბრინჯაოს ზურგჩახუნქილი და რკინის რკალდაკვეთილი სამაჯურები, საბეჭდის, სარდოინისა და მინის მიივები. სამურნეო იარაღები და საყოფაცხოვრებო საგნები წარმოდგენილია სალესი ქვებით, ილარებით (12 ც) და სხვ. სამაროვნი თარიღდება ძვ.



არტეფაქტები ნემიხიდან

წ. VI-III სს-ით. თუმცა, სამარხთა დიდი ნაწილი ძვ. წ. VI-V სს-საა (წითლანაძე 1983: 52-76; რამიშვილი ... 1984: 61; რამიშვილი ... 1986: 50; მუხიგულაშვილი 1986: 67-73). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯვანშიას სახ. საქართველოს მუზეუმი და ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიის ცენტრის ღუშეთის ბაზა).

ღუშეთში, ნამოსახლარის გათხრისას აღმოჩნდა მოჭიქული ჭურჭელი, მინის სასმისის ფრაგმენტები, კრამიტები და სპილენძის მონეტები (გიორგი III-ის, თამარის, ლაშა-გიორგისა და რუსუდანის). თარიღდება XII-XIII სს-ით. მასალა ინახება ღუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და ვ. ძიძიშვილის კერძო კოლექციაში.

მანგიანთხევის კოშკი მდებარეობს ღუშეთის ჩრდილო-დასავლეთით, მანგიანთხევის მარცხენა მხარეს. კოშკი ოთხკუთხაა. ნაგებია დიდი ზომის რიყისა და კლდის ფლეთილი ქვით. გათხრებისას აღმოჩნდა მცირე რაოდენობით თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით (რამიშვილი ... 1987: 89).

1905 წ. ღუშეთის მუნიციპ-ში აღმოჩნდა მონეტების განძი, რომელიც შეიცავდა 960 ვერცხლის მონეტას. განძი გაიფანტა. ცნობილია 4 მონეტა: ე. წ. „გიორგაული“, კირმანეული თეთრი, 2 ჯუჩიდური, თიხთამიშის სახელით ურდოში მოჭრილი. ერთ მათგანზე თარიღია ჰიჯრით 792 წ (1389-1390) (ღვაბერიძე 1986: 77).

1983 წ. სოფ. მილახვრიანთკარის ჩრდილო-დასავლეთით შემთხვევით აღმოჩნდა სამარხი, რომლის მასალა წარმოდგენილია ბრინჯაოს სამკაულით, მიივებით, სარკითა და სხვ. თარიღდება ახ. წ. III-IV სს-ით. მასალა ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ღუშეთის ბაზაზე (რამიშვილი ... 1987: 79, 80). ღუშეთსა და მის შემოგარენში შემორჩენილია რამდენიმე ეკლესია, კოშკი და ციხე-დარბაზი. წმინდა გიორგის განვითარებული შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია (15X6,45 მ) დგას გიორგი სააკაძის ქუჩაზე. ნაგებია ქვიშაქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი აქვს დასავლეთიდან და სამხრეთიდან. სარკმელები აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებზეა. სამხრეთის კარის თავზე ჯვრის გამოსახულებაა. ეკლესიაში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. გადაკეთებულია გვიანი შუა საუკუნეებში.

კობანთკარის გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია (9,1X5,65 მ) მდებარეობს ღუშეთის სამხრეთ-დასავლეთით. ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი დასავლეთიდანაა. სარკმელები აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებზეა. კარის ორივე მხარე შემკულია ჯვრის გამოსახულებებით. მილახვრიანთკარის დარბაზული ეკლესია (9,4X5,8 მ) ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. აქვს შესასვლელი დასავლეთის მხრიდან და სარკმელები აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე. ყარანგოზიშვილების XVII ს-ის ხუთსართულიანი

კოშკი „შეუპოვარი“ დვას დუშეთის ჩრდილოეთით. ნაგებია აგურითა და ფლეთილი ქვით. გვერდით ოთხკუთხაა. თავდაპირველად ჰქონია გალავანი, რომლის მხოლოდ აღმოსავლეთი კედელია შემორჩენილი. კედლებში დატანილია სარკმლები და სათოფურები. პირველი სართულის შესასვლელთან გვიანდელი მინაშენია (ბერიძე 1983: 60; ზაქარაია 1969: 80, 81).

წყაროებში შემორჩენილია ცნობები დუშეთის ციხესიმაგრის შესახებ, რომელიც მდებარეობდა ქალაქის ცენტრში, დაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის ნაგებობა შემორტყმული იყო გალავნით (124X96 მ), რომლის კუთხეებში იდგა სამსართულიანი ცილინდრული კოშკები. რიყის ქვით ნაგები კედლების სიმაღლე იყო 8,5 მ, სისქე 1,5 მ. ციხე-სიმაგრის შიდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე მდებარეული იყო უფლისწულ ვახტანგის მიერ XVIII ს-ის დასასრულს აგებული ორსართულიანი სახლი. მისგან ჩრდილოეთით კი წმინდა გიორგის კარის ეკლესია და სხვა სამეურნეო ნაგებობანი. ციხესიმაგრის აღმოსავლეთი კარის თავზე მარმარილოს ქვაზე გაკეთებული იყო წარწერა: „ქ. ზეცად ამაღლებულის ცხებულისა გვირგინისნისა საქართველოს მეფის თეიმურაზის აღზრდილმან და ძისა მისისა კახთა მეფის ირაკლის წყალობა განმრავლებულმან, ჩვენ ტომით ჩოლოყაშვილმან, არაგვის ერისთავმან ჯიმშერ, აღვაშენე დუშეთის სასახლე კოშკი გალავანიურთ და შევაძვევე რაოდენ ძალ-მედვა, და ვინცა აღმოკითხვადით ხსენებასა ჩემსა ჰყოფდეთ. განსრულდა თვესა მაისს კვ-სა. ქორნიკონს ყლოთ“ (23 მაისი 1751 წ.) (იოსელიანი 1860: 59; მესხია 1982: 616; ბერიძე 1983: 83). დუშეთის ციხესიმაგრე დღეს აღარ არსებობს.

მილახვრიანთკარის ციხე-დარბაზი ე. წ. „ჭილაანთ სასახლე“ მდებარეობს დუშეთის დასავლეთით, დაახლოებით 2 კმ-ის დაშორებით, სოფ. მილახვრიანთკარში. ის გვერდით კვადრატულია (26X26 მ) და შემოზღუდულია ოთხკოშკიანი გალავნით. გალავნის სიმაღლეა 5-5,5 მ, კედლებს სისქე 1,3 მ. გალავანი და კოშკები შემკულია ნახევარწრიული ქონგურებით. ციხე-დარბაზის საერთო ფართობია 700 კვ მ. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ორსართულიანი სახლია, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში გალავანზე მიშენებული ყოფილა დარბაზული ტიპის, რიყის ქვითა და აგურით ნაგები ეკლესია. ციხე-დარბაზი რამდენჯერმე გადაკეთებული. XIX-XX სს-ის მიჯნაზე ის თეთრად ყოფილა შეღებილი და ამიტომ „თეთრ სასახლესაც“ უწოდებდნენ. ციხე-დარბაზის კარზე მოთავსებული იყო კვადრატულ ფილაზე (38X38,5X5 სმ) გაკეთებული მხედრული წარწერა: „ქ. ყოვლისა საქართველოსა მეფისა ირაკლი მეორისა ძისა ვახტანგ აღმახანისა გულითადმან მონამან ჭილაქმან ბაბანას შვილ-

მან მილახვარმან სამთა თემთა მოურავმან და რუსეთის გზისმცველმან გლახამ აღვაშენე ციხე და გალავანი ესე და მას შინა სახლი ღ(ვთ)ისა და სახლნიც ჩემნი მოვამრგვალენ რათა მას შინა იდიღებოდეს ღ(მერთი) და მის მიერ იცვებოდნენ შვილნი და სახლეულნი ჩემნი. სრულ იქნა მაისს



არტეფაქტი ნემიხიდან

ლ წელსა ქესსა ჩყ, ქქსსა უზჯჰ“ (1800 წ 30 მაისი). თარიღდება XVIII-XIX სს-ით (საქ. სახ. მუზ. ეპიგრაფიკ. ძეგ. 1953: 26; ზაქარაია 1969: 80, 81; პრივალოვა 1977: 96-108; ბერიძე 1983: 83). წარწერიანი ქვა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: ბავრატიონი 1983: 81; ბავრატიონი 1986: 34; ბავრატიონი ბავრატი 1941: 79, 82, 94; ბავრატიონი დავით 1941: 42; ბარათაშვილი 1950: 9, 23, 26, 29, 36, 87; ბარნაველი 1959: 54; ბერიძე 1983: 78-83, 133; ბერძენიშვილი 1966: 13, 59, 60, 62; ვვასალია 1972: 30-44; 1975: 48, 67, 78; ვიულდენშტედტი 1962: 3, 5, 7, 49, 95, 273; 1964: 127, 129; დე ვრაი დე ფუა 1985: 28, 43, 44, 51, 57, 86, 95; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 91; 1953: 1, 78, 256; ვირაპოვი 1877: 5, 6; ზაქარაია 1969: 80, 81; ინანიშვილი, საყვარელიძე 1983: 77-80; იოსელიანი 1850: 45; იოსელიანი 1860; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 78; მესხია 1982: 391; 1983: 232, 458, 459; 1986: 320-323; მუხიგულაშვილი 1986: 67-73; 1990: 157-167; ორბელიანი 1913: 212, 213; 1981: 53, 69, 196, 216, 217; პრივალოვა 1977: 96-108; რამიშვილი ... 1972: 44, 45; რამიშვილი ... 1973: 77-89; რამიშვილი 1982: 45; რამიშვილი ... 1984: 61; რამიშვილი ... 1986: 50; რამიშვილი ... 1987: 77, 79, 80; რამიშვილი ... 1991: 91; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 135; 1974: 30, 33, 107, 108, 118, 189; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 61, 75, 95, 100, 103, 127, 129, 193, 196, 207; საქ. სოდ. 1910: 228, 230, 294, 317, 356, 392; საქ. სახ. მუზ. ეპიგრაფიკ. ძეგ. 1953: 26; სიგელები ... 1902: 121, 250; უილბრაჰიმი 1990: 22; ქც 2: 391,5; 411,27,28; 415,9; 436,9; 438,9; 439,2; ქც 4: 354,9; 424,3; 433,10; 435,25; 437,19; 439,25; 440,1,16; 422,26; 447,18; 448,5; 453,6,10; 459,1; 462,4,14; 467,18; 503,25; 505,13,17,24; 592,4; 593,24; 595,4,5,14,15; 624,4; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 548, 554, 555; 1974: 249; 1981: 183; 1985: 17, 310, 356, 455, 561, 911, 926; ქრონიკები 1897: 449, 450, 451; ღვაპეტიძე 1986: 77; ჩხეიძე 1913: 212, 213; ცხოვრება ... 1980: 76; წერეთელი 1983: 40-50; წითლანაძე 1983: 52-76; ხარაძე 1992: 75-78; ხერხეულიძე 1913: 259.



მგობისი, ეგრი, ქალაქი (ქც 1: 5,15; ქც 4: 775,24; 780,5; 784,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 5,15), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 775,24; 780,5; 784,1). ვახუშტი ბაგრატიონი ეგრის შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო ესე ოდნე ისახელა ორითა სახელითა: პირველად მეგრელნი, რამეთუ ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოლა ეგრი ... ხოლო ამ ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა, არს ეგრი, სადაცა მოვიდა პირველად ეგროს, ძე თარგამოსისა, და აქა აღაშენა ქალაქი ... შემდგომად უწოდეს ბეღია“ (ქც 4: 775,23,24; 780,5-8).

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ეგრი-ქალაქი ბედიასთანაა გაიგივებული (ქც 1: 5,15; ქც 4: 780,5; ბერაძე 1971: 63). იხ. პეღია.

ამავე სახელწოდების ნაქალაქევი („ეგრი“) მდებარეობდა გომარეთის ხეობაში (ბაგრატიონი 1986: 49).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 49; ბერაძე 1971: 60; ქც 1: 5,15; ქც 4: 775,24; 780,5; 784,1.*

ენაგეთი (ქც 4: 389,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 389,17), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტი (ქც 2: 345,6; 485,11), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 79; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 831; 1972: 10, 13, 33; 1981: 151, 152, 622; 1985: 391, 848, 849, 851, 852, 855; ქრონიკები 1897: 349-352; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 27, 28, 39, 67, 143, 153, 161, 281, 290, 348; 1953: 30, 123, 377, 379; საქ. სიძ. 1910: 143; 1920: 60, 71, 95, 100, 188; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1935:346), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962:67, 239). ვახუშტი ბაგრატიონი ენაგეთს მოიხსენიებს 1490 წლის მოკლევნების თხრობისას. იაყუბ ყაენისგან გამოგზავნილი ლაშქარი ხალილ-ბეგის სარდლობით კოჰრის ციხეს შემოურტყა. „ესე ყოველი მიესმათ ბარათიანთა, ენაგეთს მდგომთა, და მათ თანა ქაიხოსრო ციციშვილსა, თურმანიძეს ქაიხოსროს და თავსა მათსა სულხან ბარათაშვილსა, ესენი წაგიდნენ მსწრაფლად და მიეწვიენენ თათართა“ (ქც 4: 389,17-20).

მდებარეობს თეთრი წყაროს მუნიციპ-ში, მდ.ენაგეთის ხევის (აღგეთის მარცხენა შენაკადი) ნაპირზე, სოფ.

დიდი ენაგეთისა (აწინდელი ჯორჯიაშვილი) და პატარა ენაგეთის (ყოფილი ახალშენი) მახლობლად. 1513 წ. ქავთარ ბარათაშვილის შვილებს აქ ჰქონდათ სასახლე და ჰყავდათ ყმები (ქრონიკები 1897: 349). 1543-1756 წწ. ენაგეთის მეპატონეებად იხსენიებიან გერმანოზიშვილები (საქ. სიძ. 1920: 109, 305, 330). 1721 წ. აღწერით გერმანოზიშვილებს ენაგეთში ქონდათ 8 საკომლო მამული (გვრიტიშვილი 1955: 134). 1658-1713 წწ. გოსტაშაბიშვილებს ენაგეთში ჰყავდათ 4 კომლი ყმა (საქ. სიძ. 1920: 44, 50, 309, 344, 354, 356, 358, 369, 371). 1721 წ. ენაგეთში ითვლებოდა 15 მეპატონე, 1 უყმო აზნაური (სადუნიშვილი), 27 გამოძლები და 1 ამოწყვეტილი ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 305). იოჰან გიულდენშტედტი აღნიშნავდა, რომ ენაგეთი გაპარტახებული სოფელია (გიულდენშტედტი 1962: 67). აქ გადიოდა თბილისიდან ქვემო ქართლისაკენ მიმავალი გზა: თბილისი – ტაბახმელა – ვაშლოვანი – ასურეთი – ენაგეთი – ფარცხისი (ბერძენიშვილი 1966: 73).

1948-1950 წწ. ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი) ენაგეთის მიდამოებში მიაკვლია შემდეგ ძეგლებს: ენაგეთის ჩრდილო-დასავლეთით, 2 კმ დაშორებით გვიანი შუა საუკუნეების ნასოფლარი, სადაც 8 მცირე ზომის ეკლესია ყოფილა. ენაგეთის ჩრდილოეთით 500 მ დაშორებით, მაღლობზე შემორჩენილია ქვით ნაგები შენობებისა და ცალაენის ნაშთები; ენაგეთის აღმოსავლეთით 1 კმ-ზე ეკლესიის ნანგრევები; ენაგეთის დასავლეთით 1 კმ-ზე, მაღლობზე გვიანი შუა საუკუნეების სამების ეკლესიის ნანგრევი. მის ჩრდილოეთით XVIII-XIX სს-ის სასაფლაო და რამდენიმე ქვაჯვარია (ციციანიძე 1979: 11-17; 1980: 8-14; ლომთათიძე 1989: 325)

1983-1985 წწ. ენაგეთ-კიკეთის გზის გაყვანისას დაზიანდა ანტიკური ხანის რამდენიმე სამარხი. ადგილ „ნაკალოვარზე“ აღმოჩნდა შუა საუკუნეების ნასახლარის ნაშთი. საცხოვრებელი შენობები აგებულია რიყის ქვით თიხის ხსნარზე. შენობას (10X5X1მ) სამხრეთ-დასავლეთით ჰქონდა კარი. ჩრდილო-აღმოსავლეთით შეინიშნებოდა 0,7 მ სიგანის კორიდორი. აღმოსავლეთ კედელთან მოწყობილი იყო თიხის ღუმელი. დასავლეთის კედელთან აღმოჩნდა ხის გადახურვის დანახშირებული კონსტრუქცია (თუშიშვილი, მარლიშვილი 1987: 44-47; 1991: 340).

1988 წ. ენაგეთის სიახლოვეს, ადგილ „ნაკალოვ-

რებიდან“ 1,5 კმ-ის დაშორებით, სამხრეთით, სამელიორაციო სამუშაოებისას, გამოვლინდა ძვ. წ. IV-III სს-ის სამაროვანი, რომელიც შეისწავლა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ალგეთის ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. თუშიშვილი). სამაროვანზე გაითხარა ორმოსამრბი და ქვის სამარბი, რომელიც ნაგებია ქვიშაქვის ფილებისაგან. სახურავის დონეზე დაკრძალული იყო ალკაზმული ცხენი. ალკაზმულობა შედგებოდა ორწილადი ლავკისა და ბრინჯაოს მრგვალ-ბრტყელი ნივთისაგან. სამარბში დაკრძალული მამაკაცის ჩონჩხი ესვენა მარჯვენა გვერდზე, მკვეთრად მოხრდილი, თავით სამხრეთ-დასავლეთით. ენაგეთის სამაროვანზე მოპოვებული ნივთებიდან აღსანიშნავია: თიხის ხუთი დოქი, ქოთანნი, ჯამი, ვერცხლის ფიალის ფრაგმენტები, ცხოველისთავიანი ბრინჯაოს სამაჯური, ორნამენტირებული ილარი, ბურთულეებიანი საყურე, ბრინჯაოს ბეჭედი, შეწყვილებული მილაკი, ფიბულა, ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტები, გუმბათისებური ზარაკი, რკინის შუბისპირი, ძვლის 13 ისრისპირი, სარდლიონის, მინის, მინისებური პასტის მძივები (მარლიშვილი 1990: 46-51). ენაგეთის არქეოლოგიური მასალა ინახებოდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1966: 117; ბერძენიშვილი 1979: 93, 94; ვერტიშვილი 1955: 133-137; გიულდენშტედტი 1962: 67, 239; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 27-29, 67, 143, 153, 161, 281, 290, 348; 1953: 127, 281, 254, 251; თუშიშვილი, მარლიშვილი 1987: 44-47; 1991: 34-40; ლომთათიძე 1989: 325; ლორთქიფანიძე 1935: 305; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 79; მარლიშვილი 1990: 46-51; საქ. სიძ. 1910: 143; 1920: 18, 60, 71, 95, 100; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 831; 1972: 10, 13, 33, 377; 1981: 151, 152, 622; 1985: 391, 848, 849, 851, 852, 855; ქც 2: 345,6, 485,11; ქც 4: 389,17; ქრონიკები 1897: 349-352; ციციშვილი 1979: 11-17; 1980: 8-14.

ენისელი (ქც 4: 608,10,19), იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 544,სქ.2; 608,10,19), XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 361, 367, 368; ქრონიკები 1897: 492; 1965: 182, 184, 195; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 275; ქართულ-სპარსული ... 1984: 37, 38; საქ. სიძ. 1915: 134, 513; 1920: 172; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 381, 405, 497, 665, 666), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 83), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 33), კარლ კოხის „ბრძოლის ველზე ვასვლა“ (კოხი 1981: 233, 245).

მდებარეობს ყვარელის მუნიციპ-ში, მდ. ინწობას (მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადი) მარცხენა ნაპირზე, ყვარლიდან ჩრდილო-დასავლეთით, 16 კმ დაშორებით, თანამედროვე სოფ. ენისელის ტერიტორიაზე. სოფლის სახელწოდება – ენისელი, დაკავშირებულია საქართველოს ისტორიული მხარის, ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის, ელისენის სახელთან.

1976 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. კ. ფიცხელაური) სოფ. ენისელის მახლობლად, მდ. ინწობის მარჯვენა ნაპირზე, შესართავიდან 200 მ-ის დაშორებით, ადგილ „გრძელ გუბეებში“ შეისწავლა სამაროვანი. გაითხარა 18 ორმოსამარბი. დაკრძალვის წესი ვერ დადგინდა, რადგან ნიადაგმა არ შემოინახა მიცვალებულთა ძვლები. სამაროვანზე აღმოჩნდა: რკინის იარაღი – მოხრდილი დანა, მასრაგახსნილი და ქედანი შუბისპირები; სამკაული – ბრინჯაოს მრგვალგანიკვეთიანი სამაჯური წიწვოვანი ორნამენტით, სხვადასხვა ფორმის სარდლიონისა და პასტის მძივები; თიხის ჭურჭელს მოყავისფრო-მოშავო კეცი აქვს და ჩარხზეა დამზადებული. მათში გამოიყოფა: დოქები, ჯამ-ლანგრები, სასმისები, ქოთანნი, მათარა. სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებით (მაისურაძე 1993: 59-79).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 83; გიულდენშტედტი 1962: 33; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 361, 367, 368; კოხი 1981: 233, 245; მაისურაძე 1993: 59-79; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 275; საქ. სიძ. 1915: 134, 513; 1920: 172; ქც 4: 544,სქ.2; 608,10,19; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 381, 405, 497, 665, 666; ქართულ-სპარსული ... 1984: 37, 38; ქრონიკები 1897: 492; 1965: 182, 184, 195.

მრგმ (ქც 4: 676,7,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 676,7,8; 680,18; 792,13; 793,4), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 349,26), ჟან მურიეს „ბათუმი და ჭოროხის აუზი“ (მურიე 1962: 37). ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ზღვის შესართავზედ და ჭოროხის ჩდილოსავე კიდესა არს ბათომი ... ამას წიეთ, ჭოროხის ჩდილოსავე კიდესა ზედა, არს ერგე“ (ქც 4: 792,10-13).

მდებარეობს ხელგაჩაურის მუნიციპ-ში, მდ. ჭოროხისა და აჭარისწყლის შესართავთან, ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე. XV ს-ის მეორე ნახევრიდან ერგე გურიის სამთავროშია (ქც 2: 349,26). XIX ს-ში შედის ლაზისტანის სანჯაყის ბათუმის ნახიეში (ცინცაძე 1980: 58). ზოგიერთ წერილობით წყაროში მოიხსენიება როგორც „ელგე“ (მურიე 1962: 37).

1959 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საღაზვერო ჯგუფმა (ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, ა. ინაიშვილი, ა. რამიშვილი) ჩატარა სამუშაოები ერგესა და თხილნარის ტერიტორიაზე. 1964 წ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ერთობლივმა ექს-

პედიცია (ხელმძღვ. ი. გებელიშვილი) ჩაატარა არქეოლოგიური დაზვერვები ერგეს მახლობლად სოფ. მახოს ტერიტორიაზე. 1969-1971 და 1982-1983 წწ. ჯერ ბათუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. ინაიშვილი), შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის მახვილაურის ქვის ხანის ნამოსახლარის შემსწავლელმა რაზმმა (ხელმძღვ. ს. კოგიტიძე) შეისწავლა სხეინებული ნამოსახლარი.

მახვილაურის ნამოსახლარი მდებარეობს კახაბრის დაბლობის ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, მდინარის დონიდან 508 მ სიმაღლის ბორცვზე. მოპოვებულია დაახლოებით 2000 ერთეული იარაღი და იარაღის ფრაგმენტები. მათ შორის, 429 კეკელი, 98 ობსიდანის, 643 რიყის ქვის, 116 ბაზალტის იარაღი და 435 კერამიკის ფრაგმენტი. კერამიკა ხელითაა ნაძერწი. გამოიწვარია მოვარდისფრო-მოყვითალოდ. გამოიყოფა ანეობირებული და ორნამენტირებული ჭურჭლის ფრაგმენტები. თარიღდება განვითარებული ნეოლითური ხანით (გოგიტიძე 1977: 69-89; საქ. არქ. 1991: 255, 256). ნამოსახლარის ტერიტორია საცხოვრებლად გამოიყენებოდა ვვიანბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში (გოგიტიძე 1983: 3-24). მასალა ინახება ბათუმის ნ. ბერძენიშვილი სახ. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ერგესა და მისი შემოგარენში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა დაზვერვებმა გამოავლინა: სოფ. მახოს ტერიტორიაზე ვვიანბრინჯაოს პერიოდის ნამოსახლარი, ხოლო ერგესა და თხილნარში მარნისა და ქვევრების ნაშთები (ლორთქიფანიძე, მიქელაძე 1960: 763; ინაიშვილი 1974: 154).

ერგესა და მისი შემოგარენიდან ცნობილია რამდენიმე განძი: ერგეს განძი აღმოჩნდა 1936 წელს. შედგება ბრინჯაოს ათი ცულისაგან. მათგან ერთი დაკარგულია, ერთი კი შეცდომითაა ამ განძზე მიკუთვნებული. 2 ცული მიჩნეულია კოლხური ცულების პროტოტიპად. დანარჩენი კი კოლხური ცულების პირველ სახობას მიეკუთვნება (ჯავახიძე 1950: 50; ქორიძე 1965: 12; რამიშვილი 1966: 176-191; 1974: 608). თარიღდება ძვ. წ. XVII-XIV სს-ით (ქორიძე 1965: 103); ძვ. წ. XV ს-ის დასასრულითა და XIV ს-ის დასაწყისით (რამიშვილი 1974: 98). განძი ინახება ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.

ზემო ჯოჭოს განძი აღმოჩნდა 1960 წ. ადგილ სარახიაში. შედგება ბრინჯაოს ხუთი კოლხური ცულისა და ბრინჯაოს ზოდებისაგან. ცულები მასიურია. დამახასიათებელია გორდა, მაგრამ მკვეთრად ასიმეტრიული პირი, სატარის ძირზე ქიმისებური შერეობები, მახვილი ყუა და სწორი ტანი (სიხარულიძე 1962: 11; ქორიძე 1965: 13, 14; რამიშვილი 1974: 8, 9; ინაიშვილი 1975: 39). თარიღდება ძვ. წ. XVII-XIV სს-ით (ქორიძე 1965: 103); ძვ. წ. XIV ს-ით (რამიშვილი 1974: 99). განძი ინახება ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. „ჭოროხის“ განძი აღმოჩნდა 1953 წ. მდ. ჭოროხ-

ის ნაპირზე. მასში ყოფილა ბრინჯაოს 16 ცული. ცნობილია მხოლოდ ორი. მათგან ერთი ეკუთვნის კოლხური ცულის პროტოტიპს, მეორე კი პროტოტიპიდან პირველ ტიპზე გარდამავალი ფორმისაა. თარიღდება ძვ. წ. XV-XIV სს-ით (ქორიძე 1965: 103); ძვ. წ. XV ს-ით (რამიშვილი 1974: 9, 10, 96). განძი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ეკალაურის განძი აღმოჩნდა 1960 წ. სოფ. ერგეს ეკალაურის უბანში, ადგილ ხორჩენაზე. მის შემადგენლობაშია ბრინჯაოს 2 ცული, 4 თიხი, 2 წალდი და 1 ზოლი. თარიღდება ძვ. წ. XII-XI სს-ით (სიხარულიძე 1962: 11; რამიშვილი 1974: 9); XI ს-ით (ქორიძე 1965: 28, 113, 114, 123). ინახება ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. მახოს განძი აღმოჩნდა 1954 წ. მდ. მახოს წყლის მარჯვენა ნაპირზე. შედგება ბრინჯაოს 2 ცულისაგან. ორივე ეკუთვნის კოლხური ცულის პროტოტიპს. ერთი ინახება ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში, მეორე კი ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (რამიშვილი 1974: 10; ინაიშვილი 1975: 38) თარიღდება ძვ. წ. XV ს-ით (რამიშვილი 1974: 10, 97). 1972 წელს მახოსწყლის ნაპირას კიდევ ერთი განძი აღმოჩნდა. იგი შედგება ბრინჯაოს 11 ცულისაგან. უმრავლესობა კოლხური ცულისპირა პროტოტიპია. თარიღდება ძვ. წ. XV ს-ით (რამიშვილი 1974: 97). განძი ინახება ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (რამიშვილი 1974: 10; ინაიშვილი 1975: 21). მახუნცეთის განძი შედგება ორფერდა ყუამილიანი სწორი შუბლის მქონე ცულისა და ბართიხის ნატიხისაგან. თარიღდება ძვ. წ. XVI-XV სს-ით (რამიშვილი 1974: 24, 126). ინახება ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. სალორეთის განძი აღმოჩნდა 1960 წელს. შედგება 2 ცულისაგან. თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ის მიჯნით (ქორიძე 1965: 110). განძი ინახება ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში (რამიშვილი 1974: 24). ხელვაჩაურში აღმოჩნდა ცული და შუბისპირი. ცული ეკუთვნის ორფერდა ყუამილიან და სიგრძეზე ჩაღარულ სწორშუბლიანი ცულების ჯგუფს. თარიღდება შუა ბრინჯაოს პერიოდით (რამიშვილი 1974: 10, 41-42). ინახება ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ერგესა და მის შემოგარენში შემორჩენილია რამდენიმე ციხე და ხიდი. სალორეთის ციხე მდებარეობს ქობთვარის სერზე. აგებულია ფლეთილი ქვით კირხსნარზე. ციხის ფართობია 200 კვ მ. შემორჩენილია კოშკი, გალავნის კედლის ერთი ნაწილი და კოშკზე მინაშენი კედლის ნანგრევი. სამსართულიანი კოშკის ფართობია დაახ. 6 კვ მ, სიმაღლე 2,5 მ, კედლის სისქე 1,5-2 მ. სათოფურები არა აქვს. თარიღდება XIV-XV სს-ით (სიხარულიძე 1962: 45). ერგეს ციხე მდებარეობს მდინარეების - ჭოროხისა და ჭოროხისწყლის შესართავთან. დაზიანებულია. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით.

მანოს ერთთაღიანი ხიდი მდებარეობს მდ. მახსწყალზე (ჭოროხის მარცხენა შენაკადი). თალი წროული ფორმისაა, სიგრძე 15,8 მ, სიგანე – შუაში 2 მ, ნაპირებზე 2,15 მ. სიმაღლე წყლის დონიდან კამარის ზედაპირამდე 3, 6 მ, მოაჯირის სიგანე 0,5 მ. ბურჯების სიმაღლე 0,8 მ. ნაგებია თლილი ქვით (სიხარულიძე 1962: 37).

მახსენების ხიდი აჭარისწყალზეა, სოფლის ტერიტორიაზე. ნაგებია ფლეთილი ქვით. სიგრძე 24 მ-ია, სიგანე მერყეობს 2-2,5 მ-ს შორის. თალის სიმაღლე წყლის დონიდან 6 მ-ია. ბურჯებად გამოყენებულია ბუნებრივი კლდე, რომელიც ალაგ-ალაგ ქვებითაა ამოშენებული (სიხარულიძე 1962: 38).

ბიბლიოგრაფია: გოგიტიძე ... 1971: 60, 61; გოგიტიძე 1973: 57-73; 1977: 3-18; 1978: 69-120; 1978ა: 3-12; 1982: 19-43; 1988: 3-24; ინაიშვილი 1973: 18, 22; 1974: 154; 1975: 28, 36-40; ლორთქიფანიძე, მიქელაძე 1960: 761, 763; მურვი 1962: 37; რამიშვილი 1966: 178-180; 1974: 6, 8-10, 24, 46, 94-99; სახოკია 1950: 248; საქ. არქ. 1991: 255, 256; სიხარულიძე 1962: 11, 12, 37, 38, 45; უგაროვა 1891: 212; ქც 2: 349,26; ქც 4: 676,7,8; 680,18; 792,13; 793,4; ქორიძე 1965: 11-14, 28, 60, 101-104, 114, 123; ცინცაძე 1980: 58; ჯავახიძე 1950: 50; ჯავახიძე 1991: 194.

პრეზიდენტი, ციხე, ეკლესია (ქც 4: 370,12,14,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 370,12,14,15), XIV, XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 197, 439; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 184; 1953: 86; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 14; 1981: 229; 1985: 29), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 40), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 99, 177, 275; 1964: 153). ვახუშტი ბაგრატიონი ერედვის შესახებ გადმოგვცემს: „ქრცილოვანის აღმოსავლით, პატარა ლიანხვისკენ, არს ერედვის ციხე და ეკლესია მას შინა წმიდის გიორგის სასწაულოანი“ (ქც 4: 370,12-14). მდებარეობს ცხინვალის მუნიციპალიტეტში, ცხინვალიდან 7 კმ-ის დაშორებით, მდ. პატარა ლიანხვის მარჯვენა მხარეს, დღევანდელი სოფ. ერედვის ტერიტორიაზე. XIV-XVIII სს-ში ერედვი მცხეთის საკათალიკოსო მამულების სიაშია (ქრონიკები 1897: 197, 439; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 184). ერედვის ციხიდან აწარმოებდა თეიმურაზ II (1744-1762) ბრძოლას გვი ამილახვარის წინააღმდეგ (მაკალათია 1971: 82). ერედვი არქეოლოგიურად შესწავლელია. სოფლის ცენტრში დგას ბურჯებით გამაგრებული კოშკებიანი ციხე, რომლის გალავნის შიგნით ორი ეკლესიაა. გალავანი არასწორად მოხაზული მრავალკუთხედის ფორმისაა. მის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს 2 ოთხკუთხა კოშკია. ერთი მათგანი დანგრეულია, მეორე სამსართულიანია. კოშკები საცხოვრებლად გამოიყენებოდა. თარიღდება XIII-XIV სს-ით. XVIII ს-ში გალავანი შეუკეთებიათ (მეფისაშვილი 1955: 133).

გალავნის შიგნით დგას წმინდა გიორგის სამეკლესიანი ბაზილიკა (13X21 მ). ტაძარი მოპირკეთებულია თლილი ქვით. გადახურულია კრამიტით. მთავარი ეკლესია, მკვეთრად წამოწეული პილასტრების საშუალებით, ორ, თითქმის თანაბარ ნაწილად იყოფა. კამარა, რომლითაც შუა ეკლესიაა გადახურული, საბჯენი თაღებითაა შემაგრებული. ნახევარწრიული აფსიდის თალი ორსაფეხურიანია და ოდნავ ნალისებური მოხაზულობა აქვს. აფსიდა ცენტრალურ სივრცესთან შედარებით უფრო დაბალია. ეკლესიას ოთხივე მხრიდან გარშემოსავლელი აქვს. ეკლესიის მთავარი შესასვლელი სამხრეთიდანაა, მეორე დასავლეთიდან. ეკლესიის სამხრეთი ფასადის მრგვალ სვეტზე სამშენებლო წარწერაა: „სახელითა ღმრთისათა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისათა, შეწვევითა წმიდისა გიორგისათა, ხელმწიფობასა ღმრთივდამყარებულისა წმიდისა კონსტანტინე მეფისასა, რომელმან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს შიგან, ჰერთა მეფე გააქცია და მუნით მშუიღობით იქცა. ... განზრახვითა ნიქოზელისა სანატრელისა სტივანე ეპისკოპოსისათა, ძალითა შეწვევითა მოყუსთათა მე თეოდორე თავლასიძემან დავედ საძირკველი, წელნი იყვნეს ხვი ქრონიქი“. ეკლესია და წარწერა თარიღდება 906 წლით (მეფისაშვილი 1955: 101-139). მთავარი ეკლესიის სამხრეთით, 1,5 მ-ის დაშორებით პატარა დარბაზული ეკლესიაა, რომელიც წითელი ტუფითა და ფლეთილი ქვითაა ნაგები (მეფისაშვილი 1955: 112).

სოფ. ერედვსა და სოფ. ბერულას შორის, გორაკზე, დგას სამეკლესიანი ბაზილიკა. ძლიერ დაზიანებულია. ნაგებია რიყის ქვით. მოპირკეთებულია იყო მოწითალო ქვით. ეკლესია სამაფსიდიანია. გარშემოსასვლელი სამი მხრიდანაა. შესასვლელი სამხრეთით და დასავლეთითაა. შემორჩენულია გალავნით. ეკლესია ცნობილია „ბერის საყდრის“ სახელით. თარიღდება X ს-ით (მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 64-67). სოფლის განაპირას, „ბერის საყდრის“ მახლობლად დგას წმინდა ელიას დარბაზული ეკლესია. ნაგებია რიყის ქვით. მოპირკეთებულია თლილი, მოწითალო ქვით. აქვს ფართე აფსიდი. თარიღდება XIV ს-ით (მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 131).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 40; გოულდენშტედტი 1962: 99, 177, 275; 1964: 153; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 184; 1953: 86; მაკალათია 1971: 76-82; მეფისაშვილი 1955: 101-139; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 64-67, 131; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 14; 1981: 229; 1985: 29; ქც 4: 370,12,14,15; ქრონიკები 1897: 197, 439.

პრეზიდენტი, ეკლესია (ქც 4: 341,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 341,15,16; 422,9), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2:386,7,10), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 66), XVII-

XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 98; 1981: 28, 31; 1985: 217, 342, 399, 835, 879; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 19, 302; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 58; 1953: 15, 38; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 81), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 31), ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 63).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „თეძამზედ ... ზეით ეკლესია გუმბათიანი, ერთაწმინდისა, სასწაულთმოქმედი“ (ქც 4: 341,15).

ეკლესია მდებარეობს კასპის მუნიციპ-ში, მდ. თეძამის ხეობაში, მის მარჯვენა მხარეს, თანამედროვე სოფ. ერთაწმინდაში.

XVII ს-ის დასაწყისში ერთაწმინდა გიორგი სააკაძის მფლობელობაში შევიდა და ტაძარი საგვარეულო საძვალედ იქცა. გიორგი სააკაძის საქართველოდან გადახვეწის შემდეგ ერთაწმინდა სამეფო საკუთრება გახდა. 1652 წ. ქართლის მეფე როსტომმა (1632-1658) ერთაწმინდა ეკლესიითურთ დაუბრუნა იორამ სააკაძეს (მაკალათია 1959: 22-25).

ერთაწმინდა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ერთაწმინდის ეკლესია დგას შუა სოფელში. ტაძრისა და სოფლის სახელწოდება „ერთაწმინდა“ დაკავშირებულია წმინდა ესტატეს სახელთან (გომელაური 1976: 3). ისტორიულ საბუთებში ეკლესია მოიხსენიება „ესტაწმინდის“ სახელით (კაკაბაძე 1929ა: 72).

ერთაწმინდის გუმბათიანი ტაძარი (22,2X14,3 მ) ნაგებია კარგად გათლილი კვადრებით. ტაძარს აქვს 3 შესასვლელი – ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. დასავლეთიდან არსებული კარიბჭე მთლიანად დანგრეულია. აფსიდა ნახევარწრიულია. სამკვეთლო და საღვთისმშობლის ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ტაძრის ფასადები მიდირეულად მიჩუქურთმებული. ტაძარი თარიღდება XIII ს-ის პირველი ნახევრით. XIX ს-ის მერვე ნახევარში ის შეუკეთებიათ.

ეკლესია შემოზღუდულია გალავნით, რომელიც ნაგებია ფლეთილი და რიყის ქვით. გალავანს 7 კოშკი ჰქონდა. სამხრეთის კედლის გასწვრივ რამდენიმე შენობის ნანგრევია. გალავანი თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელში ჩართულია ორსართულიანი სამრეკლო, რომელიც ძველი სამრეკლოს ადგილზე აიგო იგივე მასლით XX ს-ის დასაწყისში (გომელაური 1976: 3-61).

წმინდა თევდორეს ეკლესია დგას სოფლიდან 1,5 კმ-ის დაშორებით, ცნირეთისაკენ მიმავალ გზაზე, „ცუცუბანში“ („ხუცუბანში“). ეკლესია დარბაზულია (8,2X4,5 მ). ნაგებია რუხი ფერის ფლეთილი ქვით. ნახევარწრიულ აფსიდაში ერთი თაღოვანი სარკმელია. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ეკლესია თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით (სმა 1990:156).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 31; ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 63; გომელაური 1976; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 19, 302; კაკაბაძე 1929ა: 72; მაკალათია 1959: 22-25; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 58; 1953: 15, 38; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 81; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 98; 1981: 28, 31; 1985: 217, 342, 399, 835, 879; ქც 2: 386,7,10; ქც 4: 341,15,16; 422,9; ცხოვრება ... 1980: 66.

პარამონი (ქც 4: 375,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 375:1), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 42), 1715, 1756 წწ. ისტორიული საბუთები (თავაიშვილი 1907: 130; ქართ. სამართ. ძეგ. 1865: 406).

მდებარეობს ზნაურის მუნიციპ-ში, მდ. აღმოსავლეთ ფრონეს (დვანის წყლის) მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. არკნეთის ტერიტორიაზე (მაკალათია 1963: 22; გვასალია 1989: 8).

ვახუშტი ბაგრატიონი ერკნეთის (არკნეთის) შესახებ გადმოგვცემს: „წუნარის ხეც ზეით არს ეკლესია ერკნეთის, დვანან მთაწმინდის მონაზონნი ბერძენნი“ (ქც 4: 375,1-2).

XVIII ს-ის დასაწყისში რუისის საეპისკოპოსოს არკნეთში ჰქონდა მამული (თავაიშვილი 1907: 130). აქ მამული ჰქონია იერუსალიმის ჯვრის მონასტერსაც, რომლის წარმომადგენლები სოფელში ღაღის ასაკრეფად მოდიოდნენ (მაკალათია 1963: 34).

1949-1950 წწ. ე. აჩელიანი და ზვერვეისას სოფ. არკნეთში მიაკვლია რამდენიმე არქეოლოგიურ ძეგლს. 1951 წ. სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ტ. ჩუბინიშვილი, ო. ჯაფარიძე) იქ შესწავლა ანტიკური ხანის ძეგლები და შუაბრინჯაოს ხანის ნაშთსახლარი (ჯაფარიძე 1956: 165). 1979 წ. სამხრეთ ოსეთის კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ბ. ტახოვი) გათხარა გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი (ტახოვი 1982: 63).

სოფლიდან 1 კმ-ის დაშორებით, ადგილ „გორებზე“ გამოვლენილია ფენა, რომელიც შეიცავს შავპრიალა კერამიკასა და კერის ნაშთს. ამავე ფენაში აღმოჩნდა უინვენტარო სამარხი (ჯაფარიძე 1956: 188).

მდ. ფრონეს მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „ტბის გზაზე“, აღმოჩენილია ნაცრიანი ორმო, რომელიც შეიცავდა კერის ნაშთს, ბრინჯაოს სატყეარს, რკინის დანასა და კერამიკის ფრაგმენტებს. მასალა თარიღდება გვიანბრინჯაოს ხანით (ჯაფარიძე 1956: 183-185).

სოფელში გათხარა ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო ხანებით დათარიღებული 5 ორმოსამარხი. მიცვალებულები იწვენენ კვერდზე, მოკრუნჩხულები. სამარხეული ინვენტარი შედგებოდა საძლევლების, ქოთნების, სატყერის, შუბისა და ბეჭდებისაგან (ტახოვი 1982: 63).

ადგილ „გორებზე“, შუაბრინჯაოს ფენის ზევით აღმოჩნდა ორმოსამარხი, რომლის ინვენტარი – შავად გამომწვარი ქოთანი, ბრინჯაოს სამკაულები

და სარდიონის მიძევბი, მას ძვ. წ. VII-VI სს-ით ათარილებს (ჯაფარიძე 1956: 185-186).

სოფლიდან 500 მ-ის დაშორებით, ადგილ „ვასას-წყაროზე“ გაითხარა 8 სამარხი, მათ შორის, 6 ორმოსამარხი, ერთი ქვევრსამარხი და ერთი ღერვსამარხი. მათგან უადრესია ქვევრსამარხი, რომელიც ქვედა ჰორიზონტშია აღმოჩენილი. წითლად მოხატულ, ჰორიზონტალურად ჩაფლულ ქვევრში ორი კიდურებმოკეცილი ჩონჩხი იყო. სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა: შავად გამომწვარი ქოთანის, კონუსურძირიანი დოქი, ზურგშეხევილი სამაჯურები, ლურჯი მინის სკარაბეოიდი და მრავალწახნაგა საბჭულავები, რომლებიც სამარხს ძვ. წ. II-I სს-ით ათარილებს (ჯაფარიძე 1956: 199-203).

ზედა ფენაში აღმოჩენილ ორმოსამარხებში მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში. თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამაჯურები და რგოლები, ბრინჯაოს ბუჭედი ლურჯი მინის გემით, ვერცხლის რგოლები, ვერცხლის პართიული მონეტები (სანატირუკი, ოროდ I, ფრაატი III) ორმოსამარხებს ძვ. წ. I-ახ. წ. I სს-ით ათარილებს (ჯაფარიძე 1956: 190).

სოფელში დგას ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (მაკალათია 1963: 34).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 42; გვასალია 1989: 3-36; თაყაიშვილი 1907: 130; თოლორდავა 1980: 53, 54; მაკალათია 1963; ტეხოვი 1982: 62-64; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 406; ქც 4: 375,1; ცხოვრებოვა 1979: 57, 72, 110; ჯაფარიძე 1956: 183-205.

მრუშეთი, ქალაქი, ეკლესია (ქც 1: 117,19, 131,16; ქც 4:56,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქც 1: 117,19; 131,16), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 198,4; 227,13), ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ქც 2: 52,8), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 56,23; 89,14; 113,25; 123,8; 178,11), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 22, 84, 144, 145), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 535).

ლოკალიზდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში.

წყაროებში პირველად მოხსენიებულია ძვ. წ. III-II სს-ის ამბების გამო (ქც 1: 56,23). IV ს-ში კონსტანტინე კეისრის მიერ გამოგზავნილი იოანე ეპისკოპოსი და ბერები მოდიან ერუშეთს და აშენებენ ეკლესიას (ქც 1: 117,19). მირდატ მეფემ (IV ს-ის 60-იანი წლები) შეამკო და შემატა შენობები ერუშეთს (ქც 1: 131,16). ვახტანგ გორგასალმა ერუშეთს დასვა ეპისკოპოსი (ქც 4: 113,25). 639 წ. ჰერაკლე კეისარმა დაარბია ქართლი. ერუშეთიდან წაიღო სამსჯავლი (ქც 4: 123,8). 1191 წ. თამარ მეფის (1184-1207) ლაშქარსა და გიორგი რუსის მომხრეებს შორის ბრძოლა გაიმართა ერუშეთსა და თმოგვს შორის, ნია-

ლის ველზე (ქც 2: 52,8). XVI ს-ში ერუშეთი სამხრეთ საქართველოს სხვა პროვინციებთან ერთად ოსმალებმა მიიტაცეს. 1878 წ. ბერლინის კონგრესის თანახმად ერუშეთი საქართველომ დაიბრუნა, მაგრამ მალე ისევ თურქებმა დაიპყრეს. ერუშეთზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სატრანზიტო გზები (ბერძენიშვილი 1966: 87, 92, 95, 103, 105).

ერუშეთი არქეოლოგიურად შეუსწაველია.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1966: 87, 92, 95, 103, 105; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 535; დადიანი 1962: 145; თაყაიშვილი 1960; სამხ. საქ. ისტ. 1961: 169; ქც 1: 117,19; 131,16; 198,4; 227,13; ქც 2: 52,8; ქც 4: 56,23; 89,14; 113,25; 123,8; 178,11.

მრუში (ქც 4: 157,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 157,2), „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“ (ქც 1: 328,12).

ერუშტი მდებარეობდა კახეთ-ჰერეთში. ზუსტი ლოკალიზება ვერ ხერხდება (ბერძენიშვილი 1964: 178). 1104 წ. მეფე დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125) ერუშთან დაამარცხა მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოების გაერთიანებული ლაშქარი და შემოიერთა ჰერეთ-კახეთი (ჯავახიშვილი 1983: 196).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1964: 178; ქც 1: 328,12; ქც 4: 157,2; ჯავახიშვილი 1983: 196.

მცმპრ (ქც 4: 787,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 261,16; 787,20, 787,სქ.2), „წიგნი საქმისა ბაღსაშემოთ სვანეთისა და თავად ჯაფარიძეთა შორის“ (სვანეთის საისტ. ძეგ. 1941: 32), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 325, 329). ვახუშტი ბაგრატიონი ეცერის შესახებ გადმოგვცემს: „ლენჩუშის სამხრით და ოდიშის აღმოსავლეთ არს ეცერი“ (ქც 4: 787,20).

მდებარეობს მესტიის მუნიციპ-ში, მესტიიდან 25 კმ-ის დაშორებით, ახლანდელი სოფ. ეცერის ტერიტორიაზე.

ეცერის მახლობლად, სოფ. ლადრელში 1932 წ. გზის გაყვანის დროს აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის სამარხი, რომელიც დაზიანდა. სამარხეულ ინვენტარში შედიოდა: ბრინჯაოს ორი მახვილი; ცილინდრული ჭურჭლის ფრაგმენტები (ჩართოლანი 1989: 89, 117). 1974 წ. გზის მშენებლობისას სოფ. ეცერში გამოვლინდა დაზიანებული სამარხები. სამარხეული ინვენტარის ერთი ნაწილი დაკარგულია. გადარჩენილ მასალაში შედიოდა: მოჭიქული ჯამი, მინის სასმისი, ვერცხლის მოსევადებული სათითური, ქამრის ნაწილები. სამარხეული ინვენტარი XVII ს-ის დასასრულით თარიღდება (ჩართოლანი 1976: 63).

სოფლის ცენტრში დგას XI ს-ის ბაზილიკა, ძველად „სუეტიად წოდებული, სახიზარი სუეტის ცხოველის სამკაული-საუნჯისა“ (ქც 4: 787,20). სამივე მხრეს აქვს XIV ს-ის მინაშენები. ინტერიერში შემორჩენილია XII ს-ის ფრესკები.

ბიბლიოგრაფია: გიულდენშტედტი 1962: 325, 329; სვანეთის საისტ. ძეგ. 1941: 32; ქც 4: 787,20; ჩართოლანი 1976: 63; 1989: 89, 117.

მძაბო (ქც 4: 319,1,3,18; 321,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 319,1,3,18; 321,17), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 48) XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 196, 202, 376; მასალანი საქ. სტატ. 1907: 7; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 177, 264; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 83), „დასტურამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 313), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 239). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ეძანს ქუევით და ახალქალაქს ზეთთ გარდმოდის ქცია მალლის კლდელამ, ვითარცა ღარიდამ“ (ქც 4: 319,3,4), „ეძანს ზეთთ ერთვის ქციას ბეშქენაშენის ხევი ჩდილოდამ“ (ქც 4: 319,18,19). ლოკალიზდება ქ. წალკის ტერიტორიაზე. მდებარეობს მდ. ხრამის მარჯვენა მხარეს, ახალქალაქის დასავლეთით (ბაგრატიონი 1986: 48; ლორთქიფანიძე 1935: 59).

ეძანი შუა საუკუნეებში სამეფო დომენია (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 313). 1392 და 1397 წწ. შეტანილია მცხეთის საეკლესიო მამულების სააში. 1559 წ. სიმონ მეფემ (1558-1600) სვეტიცხოველს განუახლა ეძანის შეწირულობის საბუთი (ქრონიკები 1897: 196, 202; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 83). 1707 წ. ვახტანგ VI-მ (1716-1724) ეძანი ნათლისმცემლის მონასტრის შესწირა. წყაროებში იხსენიება „ვეღზანი“ (გიულდენშტედტი 1962: 239), „ეძანი“ - „ეძალი“ - „ეძინის“ სახელებითაც (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 267, 327). XIX ს-ის 30-იანი წლების მიწურულს ეძანს ბარმაქსიზი, ხოლო XX ს-ის 20-იან წლებში წალკა უწოდეს (თაყაიშვილი 1913ა: 67; გაბუნია 1964: 158-59; ჩიქოვანი 1976: 16).

1924 წ. ეძანისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო წალკა-თრიალეთის მატერიალური კულტურის შემსწავლელმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ლ. მელიქსეთ-ბეგი), რომელიც გაგრძელდა 1929, 1932, 1935-1936 წწ. ეძანის (ბარმაქსიზის) მახლობლად, ტაშაშაში შეისწავლეს ციკლოპური ციხის ნაშთი. 1936, 1939 წწ. თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ბ. კუფტინი) მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩატარა ეძანის პალეოლითურ სადგომზე და შეისწავლა სამაროვნები ბარმაქსიზში, მანგლისიდან ბარმაქსიზისკენ მიმავალი გზის მახლობლად და ტაშაშაში. 1947 წ. ისტორიის ინსტიტუტის თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. გობეჯიშვილი) შეისწავლა ხადიკის ყორღანები, ხოლო 1949 წ. ჩატარა დაზვერვები წალკის შემოგარენში. 1963-1964 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ხრამის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ.

ნინო ბერძენიშვილი) გააგრძელა ეძანის პალეოლითური სადგომის შესწავლა. 1984-1987 წწ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქცია-ხრამის ხეობის ექსპედიციამ (1985 წლიდან ქვემო ქართლის კლდის ძეგლთა შემსწავლელი ექსპედიცია, ხელმძღ. ნ.ბახტაძე) შეისწავლა კლდის ძეგლები წალკის მიდამოებსა და ტაშაშაში. 1986 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიციამ (ხელმძღ. მ. გაბუნია) დაასრულა ეძანის სადგომის შესწავლა.

ეძანის პალეოლითური სადგომი მდებარეობს წალკის ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე, ეძანის ცნზე. სადგომის სიგანეა 6-7 მ, სიმაღლე დაახ. 1 მ. ერთფენიან ძეგლზე ძირითადად აღმოჩნდა ობსიდიანისა და ნაწილობრივ კაჟის იარაღები, წარმოების ნაშთები (სულ 31 630 ერთეულზე მეტი). ესენია: ნუკლეუსები, ლამელა, საფხეკები, საჭრისებები, სეგმენტები, ტრაპეციები და ტრაპეციისებური ჩასართები, სამკოთხა ჩასართები, სახვრეტები, ბურღები, ისრისპირები და შუბისპირისებური იარაღები. 1 ძვლის იარაღი - ჯეირანის რქის რეტუზორი, რიყის ქვის რამდენიმე ხელჩაქუჩი და სხვ. სადგომის ფაუნა წარმოდგენილია გარეული ცხენის, კეთილშობილი ირმის, კანჯარის, მსხვილფეხა საქონლისა და გარეული ღორის ძვლებით. ეძანის სადგომ-სახელოსნო თარიღდება მეზოლითით (კუფტინი 1941: 122), მეზოლითის შესაბამე მეთხედით (გაბუნია 1976: 68).

ხადიკის სამაროვანი მდებარეობს სოფ. ხადიკის მიდამოებში, ადგილ „ჯვარგალარში“, წალკის დასავლეთით, დაახ. 3-4 კმ მანძილზე. შეისწავლეს 3 ყორღანი. მათგან ერთი ადრეული ენეოლითით, ორი ძვ. წ. XIV-XII სს-ით თარიღდება. ადრეული ენეოლითით დათარიღებული ყორღანის ქვამიწაყრილის დმ 25 მ-ია, სიმაღლე - 2 მ. სამარხი ორმო მდებარეობს 2,1 მ სიღრმეზე, ცენტრიდან 3,3 მ მანძილზე. მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა ვკერძზე, ხელ-ფეხები მიცვალებული, თავით აღმოსავლეთით. მიცვალებულის ნეკნებს შუა წითელი საღებავის კვალაა. ყორღანში აღმოჩნდა ხელით ნაძერწი 3 თიხის ჭურჭელი. ყრილის ცენტრში 0,7 მ სიღრმეზე ძვ. წ. VIII ს-ის ჩამოვებული სამარხია (გძელიშვილი 1950: 703) მეორე და შესაძლო ყორღანები შედარებით პატარაა: სიმაღლე 0,8 მ, გარე წრის რადიუსი 6,7-7,7 მ. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა ვკერძზე ხელ-ფეხნიშკეცილი, თავით ჩრდილოეთით. ყორღანში აღმოჩნდა მოწითალო, მოყავისფრო-მოწითალო და შავპირილა თიხის ჭურჭელი, ცხვრისა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები. თარიღდება ძვ. წ. XIV-XII სს-ით (გძელიშვილი 1954ა: 49-55).

სამაროვანზე, რომელიც მდებარეობს მანგლისიდან ბარმაქსიზისკენ მიმავალი გზის ახლოს, ორი პერიოდის სამარხებია: ენეოლითური ქვის ფილებით ნაგებ სამარხში (1,05X0,73 მ) მიცვალებული

დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე ხელ-ფეხ მოკეცილი, თავით სამხრეთისაკენ. მასში აღმოჩნდა ხელთ ნაძერწი თიხის ქოთანა და კათხა (კუფტინი 1941: 117). ახ. წ. V-VII სს-ის ქვის სამარხებში (1,7-2X0,55 მ). მიცვალებულები დაკრძალულია მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთით. გვხვდება კოლექტიური სამარხიც (კუფტინი 1941: 21). ტაშაშის სამაროვანი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთ განაპირა მხარეს, ბარმაქსიზიდან 3-4 კმ მოშორებით. შესწავლილია ქვის ფილებისაგან ნაგები 4 სამარხი (1,1-1,2X0,7-1,5 მ). მიცვალებულები დაკრძალულია ხელ-ფეხმოკეცილი, თავით სამხრეთ-დასავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა: მოყავისფრო, ხელით ნაძერწი და მოწითალო ან-გობით დაფარული თიხის ჭურჭლები (დოქები, პირ-მოყრილი ჯამი და სხვ.); ლითონის იარაღი (მასრა-გახსნილი შუბისპირი, რკინის დანა); სამკაულები; 1 სამარხი თარიღდება ენეოლითური ხანით, 3 რომაული ან პართიული ხანით (კუფტინი 1941: 24, 25), ან ძვ. წ. V-IV სს-ით (გაგოშიძე 1982: 57). ციკლოპური ციხე მდებარეობს ტაშაშის ეკლესიასთან. შემორჩენილია მხოლოდ დასავლეთი ზღუდის ნაშთი. თარიღდება ძვ. წ. IX-VII სს-ით (მელიქიეთ-ბეგი 1938: 54).

წალკისა და ტაშაშის კლდის ძეგლები წარმოადგენს კლდის ბუნებრივ ან ხელოვნურ ტერასებზე ჯგუფ-ჯგუფად, ერთმანეთისაგან მოშორებით გამოკვეთილ კომპლექსებს. თითქმის ყველა მათგანთან შემორჩენილია ხეობიდან მისასვლელი გზები. უმრავლესობა თითო სათავსიანია, არასწორი ფორმის და უხეშად გამოკვეთილი. ფართობი 4-12 კვ მ. ჭერი კედლებისკენ ვიწროვდება და ღობით ტერასაზე გამოდის. კომპლექსები საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულებისაა. წალკის მიდამოებში არსებული კლდის ძეგლები ბრინჯაოს პერიოდით თარიღდება (ბახტაძე 1982: 8-13; 1991: 90-92).

ბარმაქსიზის სამაროვანი მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით. ქვის სამარხებში (1,7-2X0,55 მ) მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე ხელ-ფეხმოკეცილი ან ზურგზე, ფეხებმოკეცილი, თავით დასავლეთით. სამარხებში თიხის ჭურჭელი თითქმის არ გვხვდება, გარდა ერთი უხეშად ნაძერწი ჭრახისა. მამაკაცის სამარხები უინვენტაროა. თარიღება ახ. წ. V-VII სს-ით (კუფტინი 1941: 21). 1939, 1939, 1947, 1963, 1964, 1986 წწ. მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

1936 წ. წალკის მიდამოებში, ხრამის ხეობის ერთ-ერთ გამოქვაბულში აღმოჩნდა XVIII ს-ის თურქული ახჩა (ანთაძე 1982: 79). 1939 წ. წალკაში, ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ავგუსტუსის ვერცხლის დინარი. წალკაში ნაპოვნია ადრიაანეს (117-138) ვერცხლის დინარი. მონეტები ინახება საქართვე-

ლოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). 1949 წ. წალკის მიდამოებში ნაპოვნია გოტარზეს დრაქმა, რომელიც მპოვნელს დარჩა (აბრამიშვილი 1974: 107).

ემანში ორი ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი. წმინდა იოანეს დარბაზული ტიპის ეკლესია (8,5X5,5 მ) მოპირკეთებულია თლილი ქვით. აფსიდაში ორი ნიში და მოხატულობის ფრაგმენტებია. ეკლესია შემოღობილი ყოფილა. სამხრეთის კედელთან ჩამოვარდნილ ქვაზე გაკეთებულ ხუცურ წარწერაში მოხსენიებულია „არდაძელი“ (თაყაიშვილი 1913ა: 73; ლომთათიძე, გმელიშვილი 1951: 327).

ღვთისმშობლის ეკლესია აგებულია თლილი ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდან ჰქონდა. ამჟამად ამოშენებული დასავლეთის კარის თავზე გამოსახულია მფორედ მოსვლის სცენა. ანალოგიური გამოსახულება ეკლესიის გალავნის კარის თავზეც, თარიღდება VI ს-ის მეორე ნახევრით (თაყაიშვილი 1913ა: 73; ლომთათიძე, გმელიშვილი 1951: 327).

ემანთან, მდ. ხრამზე გადებული ხიდის მარცხენა საყრდენში ჩატანებულ ქვაზე არის ასომთავრული წარწერა: „სახელითა ღმრთისათა მე მირიან თარხონის ძემან აღვაშენე და ღირს ვიქმენ წმინდაი ესე ეკლესიაი, საყოფელი წმინდისა დემეტრე მოწამისა, სალოცავად, აცოცხლენ ღმერთმან, საგარესი (?) შინ(ა) ჟამთას ბაგრატ მეფეთა მეფე სევასტოსი ამინ“ (თაყაიშვილი 1913ა: 69). წარწერაში მოხსენიებული ბაგრატ სევასტოსი ბაგრატ IV-ეა (1027-1072). ეკლესია, რომელსაც ეს ქვა ეკუთვნოდა, აშენებული უნდა იყოს 1059-1072 წლებში. ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, ქვა კათედრალური ეკლესიისა და მოტანილია გუჩია ყალადან (თაყაიშვილი 1913ა: 73), რომელიც ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ წალკას წარმოადგენს. დღეს აღნიშნული ტერიტორია მოქცეულია წყალსაცავის ქვეშ.

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1974: 107; ანთაძე 1982: 79; აღადაშვილი 1972: 17-24; ბაგრატიონი 1986: 48; ბახტაძე 1982: 8-13; 1991: 90-92; ბერძენიშვილი ნინო 1963: 7; გაბუნია 1964: 158, 159; 1971: 8, 9; 1974: 52-68; 1976: გაგოშიძე 1982: 57; გიულდენშტედტი 1962: 239; გმელიშვილი 1950: 697-704; 1954ა: 49-55; თაყაიშვილი 1913ა: 73; კუფტინი 1941: 21, 24, 25, 117, 122; ლომთათიძე, გმელიშვილი 1951: 315-335; ლორთქიფანიძე 1935: 59; 1938: 58; მასალანი საქ. სტატ. 1907: 7; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 83; მელიქიეთ-ბეგი 1938: 54; საქ. არქ. 1991: 169, 202, 211, 212; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 313; 1970: 177; ქრონიკები 1897: 196, 202, 376; ქც 4: 319,1,3,18; 321,17; ყაუხჩიშვილი 1942: 227, 229; ჩიქოვანი 1976: 16; ჩუბინაშვილი, შმერლინგი 1948: 47-64; ხარაძე 1972: 65, 66; ჯავრიშვილი 1964: 35-41; ჯავარიძე 1991: 36, 44.



პალე (ქც 2: 526,6). ისენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქც 2: 526,6), XIII, XVI, XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (სამხ. საქ. ისტ. 1961: 53; 1982: 28, 30, 31; საქ. ისტ. ქრ. 1980: 289, 290, 297, 298, 301, 309, 324, 326, 336), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 61, 67, 71, 76, 90, 93, 94), ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 265, 349).

მდებარეობს ახალციხის მუნიცი-ში, ახალციხის ჩრდილოეთით, 12 კმ-ის დაშორებით, ქობლანის წყლისა და ფოცხოვის წყლის შესართავთან, დღევანდელი ვაღეს ტერიტორიაზე.

ვაღეზე გადიოდა სამცხედან არტაანისაკენ და ახალციხიდან ერევნისაკენ მიმავალი გზები (ბერძენიშვილი 1966: 92, 93). XIII ს-ის სამცხის მთავრებს, ჯაყელებს ვაღე შეუწირავთ ალის მთავარმოწამისადმი (სამხ. საქ. ისტ. 1982: 31, 33).

ის არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ვაღეს დასავლეთით შემორჩენილია ქვათილეობით ნაგები ღვთისმშობლის ბაზილიკური ეკლესია. აფსიდა ნახევარ-წრიულია. შუა ნაგი გვერდით ნავებთან შედარებით ფართოა. შესასვლელები აქვს სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. აფსიდის აქეთ-იქით სამკვეთლო და სადიაკვნეა. ეკლესია გადაუკეთებიათ XV ს-ის ახლო ხანებში, XVI ს-ში და XVIII-XIX სს-ში. ეკლესია თავიდან გუმბათიანი ყოფილა. შემდეგ სამნავიან ბაზილიკად გადაუკეთებიათ. აღმოსავლეთის კედელი და აფსიდა უცვლელადაა შემორჩენილი. აფსიდასთან მდგარ სამხრეთის სვეტზე 45 - სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა გვამცნობს, რომ ქართველთა მეფეთა-მეფის, კონსტანტინეს შვილიშვილმა, მეფე ბაგრატის ასულმა, ქაიხოსრო ათაბაგის მეუღლე დედისიმედმა, მეორედ ააშენა ეს ეკლესია. წარწერაში მოხსენიებულინი არიან აგრეთვე, დედისიმედის შვილები: ყუარყუარე, მზეჭაბუკი, მანუჩარი, თუალმშუენიერი, ივანე, თამარი და ელენე; დედისიმედის დედა ელენე, დედისიმედის და-ძმები: თეოდორა, ერეკლე, აშოთი, ვახტანგი, არჩილი. წარწერა თარიღდება XVI ს-ით (მეფისაშვილი 1950: 30; ზაქარაია 1977: 45,46).

ბიბლიოგრაფია: *ბარნაველი 1959: 29; ბაქრაძე 1875: 43; ბერძენიშვილი 1966: 92, 93; გამბა 1987: 265, 349; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 61, 67,*

71, 76, 90, 93, 94; ზაქარაია 1977: 45, 46; თაყაიშვილი 1907: 11-13; მეფისაშვილი 1950: 25-51; სამი ისტ. ქრ. 1890: სამხ. საქ. ისტ. 1982: 8, 28, 30, 31, 33, 52, 55; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 289, 290, 297, 298, 301, 309, 324, 326, 336; უვაროვა 1894: 69-74; ქც 2: 526,6.

პანათი, სოფელი, ციხე (ქც 4: 362,17; 369,21). ისენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 362,17,19,20 ; 363,8 ; 369,8,19,21,23; 424,6; 511,2; 624,9), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 390,სქ.1), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 44, 113, 114), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 38, 40), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 197; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 427; 1977: 256), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 99, 273).

ვახუშტი ბაგრატიონი ვანათის შესახებ გადმოგვცემს: „მერისხევს ზეით, ჩდილოთ კერძ, არს ვანათი, პატარა ლიახვის კიდეა. მალა გორასა ზედა არს ციხე, სნეკვიდამ წამოსულს მცირეს მთასა ზედა ... ვანათის ციხე შემუსრვილი განაახლა შანშემ. შემუსრეს კუალად ყიზილბაშთა. ციხის უკან, ჩდილოთ, არს კრდე მალაი ... მას შინა ქუახნი გამოკუეთილნი მრავალნი“ (ქც 4: 369,18-26).

მდებარეობს ცხინვალის მუნიცი-ში, ცხინვალიდან 15 კმ-ის დაშორებით, მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ვანათის ტერიტორიაზე.

ვანათი XIV ს-ში მცხეთის საკათალიკოსო მამულების სიაშია (ქრონიკები 1897: 197). გვიან შუა საუკუნეებში შედიოდა ქსნის საერისთავოში. აქედან ყოფილან წამოსულები არაგვის ერისთავები (გვასალია 1983: 78-80). 1739 წ. გივი ამილახვარი და შანშე ქსნის ერისთავი ვანათის ციხესთან შეებრძოლნენ ნადირ-შაჰის ჯარს. ამ ბრძოლის დროს ყიზილბაშებმა ციხე დაანგრიეს (ქც 4: 369,24). ვანათთან დაამარცხა თეიმურაზ II-მ (1744-1762) ოსთა რაზმები. XVIII ს-ის ბოლოს ვანათი სახაზინო სოფელი იყო (მაკალათია 1971: 57).

სოფ. ვანათი და მისი მიდამოები არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე, გორაზე

დგას ვანათის ციხე, რომელიც სამი მხრიდან მიუდგომელია. მის ჩრდილოეთ მხარეს, კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულებია. ციხის გეგმა სამკუთხედს უახლოვდება. ნაგებობა მშენებლობის სამ ჰორიზონტს შეიცავს. ქვედა ჰორიზონტის კედლები (სისქე 2-3 მ) და კვადრატული კოშკი აღმოსავლეთ მხარესაა შემორჩენილი. ნაშენია კლდის ფლეთილი და რიყის ქვით. კვადრატული კოშკი ოთხი ან მეტსართულიანი იყო. ეს ფენა განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება. შემდგომი პერიოდი წარმოდგენილია გალაგნის სამხრეთ კედელთან არსებული დანგრეული ზურგიანი კოშკით, რომელიც სამსართულიანი უნდა ყოფილიყო. ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით, თარიღდება XIV-XV სს-ით. სამხრეთ კედელთან XVIII ს-ის დანგრეული კვადრატული კოშკის ერთი სართულია შემორჩენილი, რომელშიც გალავანში შესასვლელი კარიბჭვა (ზაქარაია 1968: 58-60).

სოფელში დგას მოწითალო ტუფითა და შირიმით ნაგები X ს-ის დარბაზული ეკლესია (8,8X5,4 მ). ადრე მას გარსშემოსავლელი ჰქონია. აფსიდა ნახევარწრიულია. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები (მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 99-101).

სოფლის მახლობლად, გორაკზე დგას ღვთისმშობლის სრულიად დანგრეული ეკლესია (მაკალათია 1971: 57).

ამავე სახელწოდების სოფელს ვახუშტი ბაგრატიონი მოიხსენიებდა მდ. ვერეს ხეობაშიც (ქც 4: 329,10,12). **ბიბლიოგრაფია:** ბაგრატიონი 1986: 38, 40; გვახალია 1976-77: 27, 28; 1983: 78-80; გიულდენშტედტი 1962: 99, 273; ზაქარაია 1968: 58-60; მაკალათია 1971: 56-59; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 99-101; ორბელიანი 1981: 44, 113, 114; ქც 2: 390, სქ. 1; ქც 4: 362,17,19,20; 363,8; 369,8,19,21,23; 424,6; 511,2; 624,9; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 427; 1977: 256; ქრონიკები 1897: 197.

ჰანათი (ქც 4: 329,10,12). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 329,10,12), 1289 წ. სიველი მეფე დიმიტრი თავდადებულისა (1271-1289) (ქრონიკები 1897: 167), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30). ვახუშტი ბაგრატიონი ვანათის შესახებ გადმოგვცემს: ვერეს ხეობა „დიდორის მთის კერძო არს უვენანო, უხილო ვანათამდე, მას ქუეით ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნადირიანი, ფრინველიანი ვანათს ქუეით არს ციხე წვერისა“ (ქც 4: 329,10-12). მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპ-ში, მდ. ვერეს მარცხენა მხარეს, სოფ. ორბეთის მახლობლად. XIII ს-ში სოფელი სიონის ტაძრის საკუთრება იყო (ქრონიკები 1897: 167).

სოფ. ვანათი (ვანეთი) არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 30; ქც 4: 329,10,12; ქრონიკები 1897: 167.

ჰანათი იხ. სანგოსი

ვარლიანო (ქც 4: 611,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 611,21), სანარების 1310 წ. მინაწერი (ჯანაშვილი 1894: 205), 1579 წ. მამულეების მფლობელობის განახლების წიგნი ალექსანდრე II-ისა სვეტიცხოვლისადმი (ისტ. საბ. 1913: 51; საქ. სიძ. 1920: 471; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 86; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 199).

ლოკალიზდება ზაქათალის მუნიციპ-ში. მდებარეობს კანსა და ზაქათალას შორის, ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე, ელისენში, თანამედროვე სოფ. გულუგის ტერიტორიაზე. ამჟამად მოქცეულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში (ედილი 1947: 158; ბერძენიშვილი 1966: 271; პაპუაშვილი 1972: 21).

წყაროებში პირველად იხსენიება 1310 წელს (ჯანაშვილი 1894: 205). XVII ს-ში ლევაო შემოსევებით შეწუხებულმა კახეთის მეფე დავით II-მ (იმამყულიხანმა) (1703-1722) 1706 წ. განიზრახა ჭარის შემუსვრა. „შემოიკრიბნა სრულიად სპანი კახეთისანი თუშ-ფშავ-ხევსურთა, განვიდა და დადგა ვარდიანს“ (ქც 4: 611,17-21).

ჭარელთა წინააღმდეგ ვარდიანთან მომხდარ ბრძოლაში კახეთის მეფე დავით II-ის დამარცხების შემდეგ ქართული მოსახლეობის ადგილი აზერბაიჯანიდან გადმოსულმა მულალებმა დაიჭირეს და ვარდიანს გულუგის უწოდეს (ჯანაშვილი 1910ა: 28; ედილი 1947: 158, 159).

ვარდიანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

მის სამხრეთით არის დარბაზული ეკლესია (9X6 მ). სოფლის ახლოს, ქოშის მთაზე ეკლესიის ნანგრევებია (ედილი 1947: 158, 159).

ვარდიანის დასავლეთით, დაახლოებით 2-3 კმ-ის დაშორებით შემორჩენილია ე.წ. „კავკასიის დიდი კედლის“ ანუ „სანიკოების გრძელი გალავნის“ მცირე მონაკვეთი. გალავანი გადაჭიმული ყოფილა დაახლოებით 150 კმ მანძილზე, ნუხიდან სოფ. საბუემდე. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით დულაზე. კედლის სისტემაში ჩატანებული ყოფილა მრავალი სათვალთვალო და საბრძოლო დანიშნულების კოშკი, ჭიშკარი და სხვადასხვა სახის შენობა. სოფ. კატეხის დასავლეთით შემორჩენილია კედლის სისტემაში შემავალი ცილინდრული ფორმის ნაგებობის ნაწილი (დმ 33,2 მ, კედლის სისქე 80 სმ, სიმაღლე 2,4 მ). მისთვის მოგვიანებით გაუკეთებიათ ერთმანეთისგან 2,4 მ-ით დაშორებული სათოფურები. ნაგებობას ათარიღებენ IV-VII სს-ით (ჯანაშვილი 1901: 748), V-VII სს-ით (პახომოვი 1950: 90) ან V-VI სს-ის მიჯნით (აღამია 1979: 120).

ბიბლიოგრაფია: აღამია 1979: 71, 114-120, 142; ბერძენიშვილი 1953: 82; 1966: 271; ედილი 1947: 158, 159; ვოლკონსკი 1885: 182, 183; ისტ. საბ. 1913: 51; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 86; ნიკიტინი

1867: №29, №94; ომარაშვილი 1993: 86, 87, 89, 92, 99; პაპუაშვილი 1972: 21, 34; პახოშვილი 1950: 68-90; პოსერბსკი 1864: №48; საქ. სიძ. 1920: 9; საქ. ისტ. რუკა 1923; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 199; ქც 4: 611,21; ხახანოვი 1898: 37; ჯანაშვილი 1894: 205, 206; 1901: 745, 747, 748; 1910ა: 5, 9, 10, 28.

პარდისუბანო, მონასტერი (ქც 4: 321,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 321,20), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 51), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 326), ქართული ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 86). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით „მოდამნახეს ქუევით არს ვარდისუბანს მონასტერი უგუმბათო, შუენიერს ადგილს“ (ქც 4: 321,20,21).

მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპ-ში, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე, ლიპარიტის უბნის, დღევანდელი პედიანის ჩრდილო-დასავლეთით (ლორთქიფანიძე 1935: 308; ხარაძე 1985: 141; 1991: 77).

ვარდისუბანი ამჟამად ნასოფლარია; ზოგიერთ წერილობით წყაროში მოიხსენიება ვარდისჭალის სახელითაც (ბაგრატიონი 1986: 51).

ვარდისუბანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

აქ შემორჩენილია მონასტრის ნანგრევები, რომლებიც მდებარეობს მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე, მოდამნახეს (დღევანდელი ტყემლიანის) სამხრეთით, კლდეისის ხევის ზევით (ლორთქიფანიძე 1935: 308; ხარაძე 1985: 141). ბაზილიკა (ზომა დაახ. 18X21 მ) მოპირკეთებულია თლილი ქვით. ჩრდილოეთის მხარეს აქვს გარშემოსავლელი. შესასვლელი სამხრეთიდანაა. იატაკი მოვებულია ქვითა და კირხსნარით. კედლები შეღესილია. შესასვლელის თავზე ამოკვეთილია ჯვარი და პერძიანი წარწერა (თაყაიშვილი 1913: 121-123; ხარაძე 1985: 141).

ამ სახელოს სოფლები ცნობილია დმანისის, თელავის, ლავილდხის, მცხეთისა და ყაზბეგის რაიონებშიდანაც.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 51; თაყაიშვილი 1913: 121-123; ლორთქიფანიძე 1935: 57, 308; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 86; ქც 4: 321,21; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 326; ხარაძე 1985: 141; 1991: 77.

პარმნთა, ციხე (ქც 4: 667,5; 720,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 667,5; 720,6), ზერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ შესამე ტექსტი (ქც 2: 500,25; 519,13), მესხური დავითნის ქრონიკა (მესხური ... 1890: 91), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 184, 195, 426).

მდებარეობს ასპინძის მუნიციპ-ში, ასპინძის ზემოთ, მდ. ვარენთის წყალზე.

ზოგიერთი წყარო მას ვარენთის ფორმით მოიხსენიებს (ქც 2: 519,13). ვარენთა ამჟამად ნასოფლარია.

ის არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

XIX ს-ის 30-იან წლებში ვარენთის ნასოფლარზე შემორჩენილი იყო ციხე-კოშკი და ძლიერ დანგრეული დარბაზული ტიპის ეკლესია (7,6X3,9 მ), რომელსაც შესასვლელი ჰქონია სამხრეთიდან. კედლებზე შემორჩენილი ყოფილა წარწერების ფრაგმენტები (ბოჭორიძე 1992: 10, 210).

1970 წ. ვარენთის მახლობლად ხენის დროს მდ. მტკვრის ნაპირზე აღმოჩნდა ადრე შუა საუკუნეების ეკლესიის ქვები – ვოლუტებიანი სვეტისთავი და შესასვლელის საპირე ქვა (ქსე 1979: 305).

ბიბლიოგრაფია: ბოჭორიძე 1992: 10, 210; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 184, 195, 426; მესხური ... 1890:91; ქსე 1979: 305; ქც 2: 500,25; 519,13; ქც 4:667,5; 720,6.

პარმანო (ქც 4: 369,4,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 369,4,7), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 41), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართულ-სპარსული ... 1984: 25, 64; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 79, 80; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 208, 430, 522, 523; 1974: 167, 168, 310; 1981: 250, 338, 819; ქრონიკები 1967: 45, 105, 111, 115; საქ. სიძ. 1910: 61, 210, 526; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 87), იოჰანს გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 279).

ვახუშტი ბაგრატიონი ვარიანის შესახებ გადმოგვცემს: „რუისის მთის ძირს არს თელღწმინდა. მცირედ მას ზევით ერთვის დასავლეთიდან ლიახუს ვარიანის ფშანი“... „ვარიანს ზევით ერთვის ლიახუს აღმოსავლეთიდან პატარა ლიახვი“ (ქც 4: 369,3-7). მდებარეობს გორის მუნიციპ-ში, მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ვარიანის ტერიტორიაზე.

წყაროებში პირველად იხსენიება 1656 წ. საბუთში როსტომ მეფის (1632-1658) მიერ მაჩაბლებისათვის მამულის გადაცემის შესახებ (ქართულ-სპარსული ... 1984: 25). 1712 წ. ვახტანგ VI-მ (1716-1724) ურბნელ ეპისკოპოსს განუახლა ვარიანის შეწირულობის სიველი (ქრონიკები 1967: 45).

1973-1974 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კასპის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ცქიტიშვილი) დაზვერა ვარიანის მიდამოები. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთითა და ვარიანის კოშკის ახლოს ჩნდებოდა რიყის ქვით ნაგები შუა საუკუნეების კედლები და მოწითალო ფერის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (სძა 1990: 65-67).


ღვთისმშობლის დარბაზული ტიპის (12,3X6,8 მ) ეკლესია მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სასაფლაოზე. ნაგებია რიყისა და შირიმის ქვით. აფსიდა ნალისებურია. შესასვლელი აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდანაა. ჩრდილოეთის კედელზე შემორჩენილია დაზიანებული ასომთავრული წარწერა. თარიღდება X-XI სს-ით.

ღვთისმშობლის დარბაზული ტიპის (13,9X7,5 მ), ეკლესია, მდებარეობს სოფლის ცენტრში. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. აფსიდა ნახევარწრიულია. სამხრეთის კედელზე, შესასვლელის ზემოთ ქვიშაქვის ფილაზე არსებული მხედრული წარწერის მიხედვით ეკლესია ვარიანელებს 1835 წ. აუშენებიათ. ეკლესიის სახურავზე, დასავლეთით სამრეკლოა. სოფლის ცენტრში, ეკლესიის მახლობლად ყოფილა სამი მრგვალი კოშკი, რომლებიც ამჟამად დანგრეულია (მეგრელიძე 1984: 107; სძა 1990: 66, 67). საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) დაცულია თითბრის ზარი, 1777 წ. მხედრული წარწერით, რომლის მიხედვით, მეფის მგალობელ სოლომონსა და მის ძმა იოანე ნამორამეს ვარიანის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის შეუწირავთ ზარი, გარდაცვლილი ძმის, მიქაელის სულის მოსახსენიებლად (ცისკარიშვილი 1982: 160).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 41; გვასალია 1986: 19; ვიულენშტედტი 1962: 279; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 79; მაკალათია 1971: 84, 85; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 87; მარხბელი 1887: 159; მეგრელიძე 1984: 105-112; სძა 1990: 65-67; საქ. სოდ. 1910: 61, 210, 526; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 208, 430, 522, 523; 1974: 167, 168, 310; 1981: 250, 338, 819; ქართულ-სპარსული ... 1984: 25, 64; ქრონიკები 1967: 45; ქც 4: 369, 4, 7; ცისკარიშვილი 1982: 160.

პარცონი (ქც 4:751,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 751,17,20; 890,3; 891,11), იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“ (ბაგრატიონი 1948: 66), მესხურ-იმერული „დღიური წერილები“ (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 254, 267, 270), ლიხთ-იმერეთის 1731 წ. რუკა (ბურჯანაძე 1959: 193), იუსტინიანეს „ნოველები“ (იუსტინიანე 1965: 198), პროკოპი კესარიელის „ბრძოლა სპარსელებთან“ (პროკოპი კესარიელი 1965: 73, 156), სომხური გეოგრაფიის VII ს-ის ანონიმი ავტორი (ერემიანი 1963: 103), ბასილი სოფენელის „ნოტიციები“ (გეორგიკა 1952: 130, 140, 142, 144, 181, 187, 188), ალექსი იევლევის „იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა“ (იევლევი 1969: 86), ტოლოჩანოვის „იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა“ (ტოლოჩანოვი 1970: 266), 1731 წ. ოსმალური საბუთი (XVI-XVIII სს ოსმალური ... 1987: 148), რაინეგის „კავკასიის ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“ (რაინეგი 1796: 38), დიუბუა დე მონპერეს „მოგზაურობა კავკასიაში“ (დიუბუა დე მონპერე 1839: 222), ჟაკ ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 146, 166, 167, 169-170, 174). ვახუშტი ბაგრატიონი ვარციხის შესახებ გადმოგვცემს: ამაღლების ხევის ზევით რიონს ერთვის ნოღას ხევი. „ნოღას ზევით არს ვარციხე. ეს ყოფილ არს ციხე დიდი და დიდშენობა, და გამომდინარობს წყარო შიგ კეთილი“ (ქც 4: 751,17,18).

მდებარეობს ბაღდათის მუნიციპ-ში, მდ. რიონ-ყვირილასა და ხანისწყლის შესართავთან, ქუთაისიდან სამხრეთ-დასავლეთით, 12 კმ-ის დაშორებით, ახლანდელი სოფ. ვარციხის ტერიტორიაზე. ვარციხე წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება: „როდობოლისი“ (იუსტინიანეს „ნოველები“ XXX,1; პროკოპი კესარიელის „ბრძოლა სპარსელებთან“ II,29, VIII,13). „ვარციხე“ (ქც 4: 751,17,20), „ვარდისციხე“ (ბურჯანაძე 1959: 193), „ვარჩიხი“ (ტოლოჩანოვი 1970: 266). ახ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან VI ს-მდე ვარციხე ციხე-ქალაქია (ჯავახიანი 1989: 131-133). VI ს-ში იქ საქალაქო ცხოვრება შეწყვეტილი ჩანს. VII-X სს-ში საეპისკოპოსო ცენტრია. X ს-ის დასაწყისში მცხეთის საკათოლიკოსოს დაუკავშირდა. ახ. წ. XIV-XV სს-ში ვარციხეში საქალაქო ცხოვრების ერთგვარი გამოცოცხლება შეიმჩნევა. XVII-XVIII სს-ში რიგითი ციხე და დასახლებული პუნქტია. 1968-1969 და 1971 წწ. ვარციხეში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის ვარციხის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. გ. ლომთათიძე). 1972-1978 წწ. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ვ. ჯავახიანი.



ვენგევა

ციხე-ქალაქი შედგებოდა სამი ნაწილისაგან: ციხადელისა და ორ ნაწილად გაყოფილი „ქვედა ქალაქისაგან...“ ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილია ძლიერ დაზიანებული თავდაცვითი ნაგებობანი. საფორტიფიკაციო სისტემაში გამოიყოფა ზღუდის სამი, სხვადასხვა პერიოდის კედლები: პირველი პერიოდის ზღუდის კედლის წყობა პოლიგონალურია. ნაგებია რიყის ქვითა და კირქვით. კედლები შედგენილი ყოფილა კირხსნარით. ზღუდე

ვეგმით მომრგვალებულია. კედლებში ჩართულია მართკუთხა კოშკები, რომლებიც ნაგებია წყობაში რიყის ქვითა და ფასადში უპირატესად კირქვით. პირველი ზღუდე დათარიღებულია ახ. წ. IV-V სს-ით (ჯაფარიძე 1989: 115, 125, 126). მეორე პერიოდის ზღუდის კედლები (სისქე 2,3 მ) პირველის გარეთაა აღმართული. ნაშენია კირქვით. წყობა იზოდომურია. კედლის წყობაში ზოგან შეიმჩნევა აგურ-კრამიტის სამფენიანი სარტყელი. ზღუდე დათარიღებულია ახ. წ. V-VI სს-ის მიჯნით (ჯაფარიძე 1989: 128). მესამე პერიოდის ზღუდე მდებარეობს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და აშენებულია მეორის ნანგრევებზე. ნაგებია რიყის ქვით ღუღაბზე. ზღუდე გვიანი შუა საუკუნეების უნდა იყოს (ჯაფარიძე 1989: 115, 123).

ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია: ახ. წ. IV-VII სს-ის იმპორტული წითელლაკიანი ჯამები, ლანგრები, თევზები, ფინჯნები; წითელლაკიანი ჭურჭლის ადგილობრივი მინაბაძები – ჯამები, თევზები; ღია ფერის კეციანი და წითელ-ყავისფერკეციანი ამფორები; ქვევრები, დერგები, ჩაფები, დოქები, ხელალები, ლუთირები; მინის სასმისები, ფიალები; სარკმლის მინა; რკინის ცული, ისრისპირები, დანები, აბზინდები, საკინძის ფრაგმენტები; აგურისა და კრამიტის ნატყები; IX-XI სს-ის მოჭიქული კერამიკისა და ღია ფერის კეცის მქონე ჭურჭლის ფრაგმენტები; XIV-XV სს-ის მოჭიქული ჭურჭლის ნატყები (ჯაფარიძე 1989: 16, 17, 144).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1948: 66; პასილი სოფენელი 1952: 130, 140, 142, 144, 181, 187, 188; ბურჯანაძე 1959: 193; გამბა 1987: 146, 166, 167, 169-170, 174; დიუბუა დე მონპერე 1839: 222; ერემიანი 1963: 103; იველევი 1969: 86; იუსტიანიანე 1965: 198; ლომთათიძე ... 1971: 87-89; ლომთათიძე, XV-XVIII სს ოსმალური ... 1987: 148; მელითაური ... 1973: 89-95; მელითაური, ჯაფარიძე 1974: 81; პროკოპი კესარიელი 1965: 73, 156; რაინგისი 1795: 38; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 254, 267, 270; ტოლოჩანოვი 1970: 266; ქე 4: 751,17,20 890,3; 891,11; ჯაფარიძე 1972: 60-62; ჯაფარიძე 1974: 84-105; 30-34; 43-50; 53-67; ჯაფარიძე ... 1979: 214-223; ჯაფარიძე ... 1976: 79-81; ჯაფარიძე ... 1980: 251-262; ჯაფარიძე 1989.*

პარძია (ქე 4: 242,27; 243,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქე 4: 242,27; 243,2 ; 672,21), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქე 2: 90,23,24; 91,2,6,8; 94,16; 95,2; 97,13; 98,2; 99,11; 104,9; 134,11; 138,4), „ჟამთააღმწერელი“ (ქე 2: 224,13; 300,17,20; 301,1,2,4), პერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქე 2: 500,24,26), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 6), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 43), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 82), XIII-XVIII სს-ის

ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 135, 200, 226-228, 269, 315, 335, 396, 402; 1967: 42, 565, 567, 574-576; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 164; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 87, 88; ქართ. ისტ. საბუთ. კორპ. 1984: 148; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 183, 239, 244; 1985: 134; სამხ. საქ. ისტ. 1982: 47), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 253, 260-263), პასან რუმლუს ოხზულება (პასან რუმლუ 1966: 10, 29-30). მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, ასპინძიდან 30 კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ვარძიის მშენებლობა დაიწყო გიორგი III-მ (1156-1186) და დაასრულა თამარმა (1184-1207) (ქე 2: 91,2,6,8; მელითაური 1961: 14). 1203 წ. თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ საბრძოლველად შეკრებილი ქართველთა ლაშქარი თამარმა ვარძიაში დალოცა (ქე 2: 94,16, 95,2, 97,13, 98,2, 99,11). XII-XIII სს-ში ვარძია მნიშვნელოვანი პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრია (გაფრინდაშვილი 1975: 56). 1283 წ. ვარძიის გამოქვაბულთა დიდი ნაწილი მიწისძვრის შედეგად ჩამოიქცა. ბექა ჯაყელის ათაბაგობის დროს (1285-1306) მიწისძვრისგან დაზიანებული კომპლექსი სათანადოდ გაუმაგრებიათ და ზოგიერთი ახალი ნაგებობაც (სამრეკლო) აუშენებიათ (მელითაური ... 1955: 69; 1961: 23). XV ს-ში სამცხის ათაბაგებმა მოინდომეს მესხეთის ეკლესია-მონასტრების, მათ შორის, ვარძიის ჩამოშორება საქართველოს კათოლიკოსის დაქვემდებარებისაგან. მათი განზრახვა მარცხით დამთავრდა (ქრონიკები 1897: 269). 1551 წ. შაჰ-თამაზმა სასტიკად ააოხრა და გაძარცვა ვარძია (ქე 2: 500,24,26; ქე 4: 242,27). ის საბოლოოდ გაუკაცრიელდა 1578 წლიდან, როცა ოსმალებმა მესხეთი დაიპყრეს. 1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ვარძია კვლავ საქართველოს შემადგენლობაშია. 1938 წ. ვარძია გამოცხადდა მუზეუმ-ნაკრძალად (მელითაური 1961: 8). 1970-1971 წწ. ვარძიაში დაზვერვებსა და არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის გაერთიანებული ექსპედიცია (ხელმძღვ. ვ. ართილაყვა).

დაზვერვების შედეგად ვარძიის მიდამოებში გამოვლინდა სხვადასხვა ეპოქის (ქვის, ადრე. შუა და გვიანი ბრინჯაოს, ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების) 60-ზე მეტი ძეგლი. ვარძიაში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევები შედეგად გაიწმინდა 15 გამოქვაბული, რომელთაგან 6 მანამდე უცნობი იყო. გამოქვაბულების გათხრებისას აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმის, ზომისა და დანიშნულების წითელკეციანი კერამიკა. აგრეთვე ანგობით დაფარული და ამოკაწვრით შემკული ერთფერად და მრავალფერად მოჭიქული ჭურჭლები. მათგან ზოგიერთზე შემორჩენილია ქართული ასომთავრული ასოები.



ვარძია

გათხრებმა გამოავლინა ფაიანსისა და მინის ჭურჭლის ნაჭენები, ლითონის სხვადასხვა სახის ჯვრები, რკინის სამჭედლოს ნაშთები, კლდის საკვეთი იარაღები: ურო, ჩაქუჩი, წურაქვი, სატენი; XII-XVI სს-ით დათარიღებული სხვადასხვა ტიპის რკინის ისრისპირები და სხვ. (ლომთათიძე ... 1972: 59, 60). ვარძიის სამონასტრო კომპლექსი გამოკვეთილია ერუშეთის მთის კალთაზე, 100 მ სიმაღლის შვეულ კლდეში (სიგრძე 500 მ-მდე). განლაგებულია ცამეტ სართულად. ვარძიის მშენებლობაში გამოიყოფა რამდენიმე ეტაპი: I. გიორგი III-ის ზეობის პერიოდი, როცა შემუშავდა ვარძიის მშენებლობის გეგმა და გამოიკვეთა პირველი სენაკები ეკლესიითურთ. II. თამარის მეფობის ხანა, როცა სხვა ნაგებობებთან ერთად მონასტრის ცენტრში შეიქმნა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. III პერიოდი მოიცავს ხანას რატი სურამელის ინიციატივით ეკლესიის მოხატვასა და ბასიანის ბრძოლას (1203) შორის. ამ დროს დასრულდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის გარშემო მონაზონთა სენაკებისა და სათავსოების, თავდაცვითი ნაგებობების, წყალსადენის გვირაბისა და სარწყავი არხის გამოკვეთა. IV ეტაპი ათაბაგ ბექა ჯაყელის ზეობის პერიოდი, როცა მოხდა 1283 წ. მიწისძვრის შედეგად დაზიანებული ნაგებობების აღდგენა. კერძოდ, აღდგა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ორთაღიანი კარიბჭე, აიგო ორსართულიანი სამრეკლო. V ეტაპი ივანე ათაბაგის (1391-1444) ზეობის ხანაა, როცა გამოიკვეთა დიდი სატრაპეზო.

კომპლექსი გადაჭიმულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. 600-ზე მეტი სენაკი გამოკვეთილია კლდის სიღრმეში სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. პალატები ორი, სამი ან ოთხთაბანია. ისინი კართი უკავშირდება დერეფანს. სათავსოთა ჯგუფები ერთმანეთს უკავშირდება მათ წინ გამართული კორიდორით. ყველაზე გაგრძელებულია ოროთაბანი სენაკები. ოთახების კედლებში გამოკვეთილია დიდი (საწოლად) და მცირე (ჭურჭლის, წიგნების, ჭრაქებისათვის და სხვ.) თაღოვანი ნიშები. ზოგ

სენაკს ეკვრის მცირე სამლოცველო (ასეთი სულ თორმეტი). საცხოვრებელი სათავსების ზედაპირი სუფთადაა დამუშავებული. ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი სამეურნეო სათავსების კედლების დამუშავებას. ვარძიაში 120 საცხოვრებელი კომპლექსის 420 სათავსია. მათ შორის 28 მარანია 235 ქვევრით.

სამონასტრო კომპლექსის შუაგულში მდებარეობს ღვთისმშობლის მიძინების დარბაზული ეკლესია, რომელიც გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედიანია (სიგრძე 14,5 მ, სიგანე 8,25 მ, სიმაღლე 9,25 მ). აფსიდა ორი საფეხურითაა გამოყოფილი. დარბაზი ორდაა დანაწევრებული წვეილი პილასტრით. ეკლესიის კამარა, საკურთხეველი და იატაკი კლდეშია გამოკვეთილი. სამხრეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები ამოყვანილია თლილი ქვით კირხსნარზე. კედლების გასწვრივ თაღოვანი ნიშებია. სამხრეთიდან დიდი თაღოვანი სარკმლებია, ჩრდილოეთიდან – მცირე. ეკლესიას ეკვდერთან აერთებს სამი კარი. ქტიტორთა გამოსახულებების გარდა (გიორგი III, თამარი, რატი სურამელი), რომლებიც მოთავსებულია ჩრდილოეთ კედელზე, ინტერიერი მოხატულია რელიგიური ხასიათის კომპოზიციებით. თამარისა და გიორგი III-ის გამოსახულებების ქვევით წარწერაა: „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთა მეფე შვილი გიორგისა თამარ, რომელი მრავალჯამეულობსმცა“ და „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთა მეფე გიორგი, ძე დემეტრე მეფეთა მეფისა“. რატი სურამელის გამოსახულების ქვევით წარწერაა: „ჰოი ღმრთისა დედო მითუალე ... მსახურებაი ჩემ მიერ მონისა შენისა რატი ერისთავთ-ერისთავისა და ქართლისა ერისთავისაგან, რომელიმან ვიკულმოღვინე და მონატვით აღვამე ვშიდაი ესე ტაძარი“. ეკლესია მოუხატავს ვინმე გიორგის, რომლის დაქარაგმებული სახელი შემორჩენილია საკურთხეველის კონქის მხატვრობაში, ღვთისმშობლის გამოსახულების ქვევით. ფრესკებზე შემორჩენილია რელიგიური ხასიათის ქართული და ბერძნული წარწერები (ამირანაშვილი 1963: 222, 223; გელითაური 1961: 44-46; გაფრინდაშვილი 1975: 62, 63; ყაუხჩიშვილი 2000: 233-236). ეკლესიის სამხრეთი მინაშენი-კარიბჭე მოხატულია რელიგიური ხასიათის სცენებითა და წარწერებით. კარის თავზე ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ივანე ათაბაგს დაზიანებული კარიბჭის კედლის გასამკარებლად ბურჯი აუვია (ცისკარიშვილი 1959: 115, 116).

ანანაურის ეკლესია (ანანაური ადრე ცალკე სოფელს წარმოადგენდა) ვარძიის უკიდურესი დასავლეთით, ზემო ტურასაზე მდებარეობს. ანანაურს ეკავა გამოქვაბული კომპლექსი და ყოფილი ბადვენახების ჩამოწოლილი ტერასები. ეკლესია დარბაზულია (2,2X4,5 მ). შესასვლელი დასავლეთ კედელშია. საკურთხეველში გამოკვეთილია ტრაპეზი და ნიში. ეკლესიის წინ ეკვდრია. ეკლესია მოხატულია. ეკვდრის მოხატულობაზე ყველა წარწერა

რელიგიური ხასიათისაა, შესრულებული ქართული ასომთავრულით. ეკლესიაში ფრესკული წარწერები ბერძნულია. ეკლესიის მხატვრობა და წარწერები XIV-XV სს-ით თარიღდება (გაფრინდაშვილი 1975: 59, 60; ყაუხჩიშვილი 2000: 236-241).

ვარძიდან 3 კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ზედა ვარძია, სადაც შემორჩენილია XI ს-ის ეკლესია და კლდეში ორ იარუსად გამოკვეთილი სახლები (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 260, 361, 362; გაფრინდაშვილი 1960: 35).

გარდა „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ვარძიისა, ხარაგაულის მუნიცი-ში არსებობს სოფ. ვარძია, სადაც შემორჩენილია ეკლესია და სამრეკლო (მელითაური 1955: 73).

ბიბლიოგრაფია: ალიბეგაშვილი 1957: 20-22; ამირანაშვილი 1963: 222, 223; ბაკრატიონი 1986: 82; ბაქრაძე 1875: 19-178; გაფრინდაშვილი 1960; გაფრინდაშვილი 1975; გორგჯანიძე 1926: 6; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 253, 260-263; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 164; ლომთათიძე ... 1972: 59, 60; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 87, 88; მელითაური 1955; 1961; პრივალოვა 1086; სამხ. საქ. ისტ. 1982: 47; ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: 148; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 183, 239, 244; 1985: 134; ქრონიკები 1897: 135, 200, 226-228, 269, 315, 335, 396, 402; 1967: 42, 565, 567, 574-576; ქვ 2: 90, 23, 24; 91, 2, 6, 8; 94, 16; 95, 5; 97, 13; 98, 2; 99, 11; 104, 9; 134, 11; 138, 4; 224, 13; 300, 17, 20; 301, 1, 2, 4; 500, 24, 26; ქვ 4: 242, 27; 243, 2; 672, 21; ყაუხჩიშვილი 1951: 309-315; 2000: 233-241; ცისკარიშვილი 1959; ცხოვრება ... 1980: 43; ჰასან რუმელუ 1966: 10, 29-30.

პარხუნა, სოფელი (ქვ 4: 470, 30). ისხენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაკრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 470, 30), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქვ 2: 508, 17), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 395; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 120, 154; 1985: 843; ქართულ-სპარსული ... 1955: 90, 298, 299; 1984: 65; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 131; 1953: 2), იოანე ბაკრატიონის „ქართლ-კახეთ აღწერა“ (ბაკრატიონი 1986: 65). ვახუშტი ბაკრატიონი ვარხუნას (შესახებ გადმოგვცემს: „გამოვიდა ერეკლე მეფე (ერეკლე I) სომხისს, ესე სცნა კრკონს მდგომარ მგეგმან და აცნობა არჩილს, შეკრბნენ ძმანი და მოვიდნენ ვარხუნას“ (ქვ 4: 470, 28-30). სხვადასხვა წყაროებში მოიხსენიება როგორც ვარხუნა (ქრონიკები 1897: 397), ვარხონა, ვერხუნა (ქართული-სპარსული ... 1955: 17, 18, 298), ვარხუნო (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 120). მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიცი-ში, თეთრიწყაროდან ჩრდილო-დასავლეთით 0,5 კმ-ის დაშორებით, თანამედროვე სოფ. ვარხუნოს ტერიტორიაზე.

1583 წ. სვიმონ I-მა (1558-1600) სოფ. ვარხუნა უბოძა არიშაინთა საგვარეულოს (ქართულ-სპარსული

... 1955: 17, 18). XVII ს-ში სოფელი ეკუთვნოდა ბარათაშვილებს (ქართულ-სპარსული ... 1955: 90, 298). 1721 წ. აღწერით ის გერმანოზიშვილების საბატონო იყო (ლორთქიფანიძე 1935: 310).

1948 წ. ისტორიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი) შეისწავლა სოფ. ვარხუნოს შემოგარენი. 1949 წ. ექსპედიციამ აქ გათხარა ნაცარგორა (ლომთათიძე 1989: 40, 45). 1985 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მარაბდა-ახალქალაქის ექსპედიციამ (ხელმძღ. ზ. შატბერაშვილი) გამოიკვლია გორასამარხი. 1986-1988 წწ. იმავე ექსპედიციამ ვარხუნოს მახლობლად გათხარა ეცოს ელინისტური ხანის სამაროვანი (შატბერაშვილი 1997: 63, 64).

სოფ. ვარხუნოდან სამხრეთით, 0,5 კმ-ის დაშორებით მდებარეობს გორასამარხი (სიმაღლე 1,8 მ, დმ 30 მ, ოვალური ორმოს სიღრმე 1,7 მ). სამარხი გაძარცვული აღმოჩნდა. მასში ადამიანის ძვლები არ დადასტურდა. შემორჩენილი ინვენტარი – კერამიკის ფრაგმენტები და ბრინჯაოს კაუჭი სამარხს გვიანბრინჯაოს ხანით ათარიღებს.

სოფლის შუაგულში „ნაცარგორაზე“ წარმოებული მცირემასშტაბიანი გათხრების შედეგად გამოვლენილია ბათქაშისა და კერამიკის ფრაგმენტები. იქვე აღმოჩნდა პატარა ქვევრი, კოჭობი და თიხის ბატის ქანდაკება. მასალა თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო ხანებითა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით (ლომთათიძე 1989: 45, 47).

სოფლიდან დასავლეთით, 1 კმ-ის დაშორებით, ადგილ „ეცოზე“ შესწავლილია ელინისტური ხანის სამაროვანი, სადაც გაითხარა 120 სამარხი. მათი უმეტესობა ქვისაა. გვევლება ორმოსამარხებიც, რომელთა შორის ერთი ქვევრის ნატეხითაა გადახურული. სამარხებში დაკრძალული იყო ერთი, ორი ან სამი მიცვალებული, რომლებიც იწვნენ გვერდზე, მოკრუნჩხულ მდგომარეობაში. სამარხთა უმეტესობა დამხრობილია ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე. სამაროვანზე გამოიყოფა: ძვ. წ. IV ს-ის; ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნის; ძვ. წ. III ს-ის; ძვ. წ. II ს-ისა და ძვ. წ. I ს-ის სამარხები. ძვ. წ. IV და III სს-ის სამარხების ინვენტარიდან აღსანიშნავია წითლად მონახული დოქები, რკინის შუბები და ცულები, ბრინჯაოს საბეჭდავები. მასალა ინახება თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (შატბერაშვილი 1999: 57-61)

სოფლის ტერიტორიაზე შუა საუკუნეების ნასოფლარია. ზემოთ ნახსენებ „ნაცარგორაზე“ დგას მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, რომელიც არაერთგზისაა გადაკეთებული (ლომთათიძე 1989: 46).

ეცოს სამაროვნის მახლობლად, ფერდობზე შუა საუკუნეების ნასოფლარია. მის ცენტრში დგას თლილი ქვით ნაგები XI-XII სს-ის ამჟამად დანგრეული დარბაზული ეკლესია (ციციშვილი 1979: 16). შუა საუკუნეების ნასოფლარები დაფიქსირებულია ვარხუნოდან დასავლეთითა და ჩრდილო-

დასავლეთით მდ. ჭივჭავაძის ნაპირას. ვარზუნოდან სამხრეთ-დასავლეთით 1,5 კმ-ის დაშორებით 1948 წ. ექსპედიციამ აღწერა მენჯირი, რომლის სიმაღლე 2,5 მ იყო (ციციშვილი 1979: 11, 16).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 65; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 131; 1953: 32; ლომთათიძე 1989; ლორთქიფანიძე 1935: 310; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 120, 154; 1985: 843; ქტ 2: 508,17; ქართულ-სპარსული ... 1955: 90, 298, 299; 1984:65; ქრონიკები 1897: 395; ქტ 4:470,30; შატბერაშვილი 1997: 63-65; შატბერაშვილი 1997ა: 18, 19; 1999: 57-61; ციციშვილი 1979: 11,16.*

ჰაიბო (ქტ 4: 542, სქ.5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქტ 4: 542, სქ.5), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 68), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 135), XVI-II ს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 230; 1974: 356; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 265; ქრონიკები 1967: 527, საქ. სიძ. 1910: 505), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 23, 25, 257; 1964: 139).

ვახუშტი ბაგრატიონი ვაქირის შესახებ გადმოვცემს: „სიღნაღს დასავლეთ და ჩდილოთ აქვს ხევი ანავისა ... აღმოსავლით ვაქირი“ (ქტ 4: 542, სქ.5). მდებარეობს სიღნაღის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფელ ვაქირის ტერიტორიაზე.

XV ს-ის მეორე ნახევრიდან ვაქირი ქიზიყის სამოურავოშია და შედიოდა კახეთის მეწინავე, ბოდბელის სასარდლოში (თოდრია 1982: 81). ის, როგორც საუფლისწულო მამული, შეტანილია ბატონიშვილ დავითისა და მისი მეუღლის, ელენეს ქონების აღწერის დავთარში (აქტები ... 1868: 86).

ვაქირი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ვაქირის იოანე ნათლისმცემლის სახ. სამეკლესიანი ზაზილიკა ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. ის მეორე ალუდგენია 1555 წ. კახეთის მეფე ლევანს (1518-1574). კედლებზე გამოსახულია წრეში ჩასმული ბოლნური ჯვარი. თარიღდება VII-VIII სს-ით (ჩუბინაშვილი 1959: 186; თოდრია 1982: 89). კვირაცხოვლის სახ. მცირე ეკლესია ნაგებია შირიმისა და რიყის ქვით. გადაკეთებულია. დასავლეთის სარკმლის თავზე ბოლნური ჯვარია. სამხრეთის ფასადზე, კარის მარჯვნივ IX-X სს-ის შვიდსტრიქონიანი დაზიანებული ასომთავრული წარწერაა. ამავე ხანებში უნდა იყოს აგებული ეკლესიაც (თოდრია 1982: 89).

ბიბლიოგრაფია: *აქტები ... 1868: 81, 86, 152, 154; ბაგრატიონი 1986: 68; ბარნაველი 1959: 253; ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 135; გიულდენშტედტი 1962: 23, 25, 257; 1964: 139; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 265; თოდრია 1982: 76, 78, 85, 89; საქ. სიძ. 1910: 505; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 230; 1974: 356; ქრონიკები 1967: 527; ქტ 4: 543, სქ.5; ჩუბინაშვილი 1959: 186.*

ჰაიბა (ქტ 4: 376,24,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქტ 4: 376,24), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 43), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 131; 1985: 413, 932). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ფცის-წყლის დასავლეთით არს ალის-წყალი ... ერთგის მტკუარსა ჩდილოდამ ... ამ მტკურის კედლებდ, სამხრით არის სომანეთი. ამ სომანეთის სამხრით არს ვაყა“ (ქტ 4:376,21-25).

მდებარეობს ხაშურის მუნიციპ-ში, მდ. ალის ფრონეს, ანუ ჭერათხევის ხეობაში, სოფ. ვაყას ტერიტორიაზე (გვასალა 1989: 23, 24).

ვაყა მდებარეობდა ქართლიდან იმერეთში მიმავალ გზაზე (მაკალათია 1963: 65). შეტანილია რუისის საკათალიკოსო მამულების დავთარში (თაყაიშვილი 1907: 205). XVIII ს-ის მიწურულში ბეგთაბეგოვების ხელში გადადის (გვასალა 1989: 23, 24).

ვაყა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. აქ რამდენიმე ეკლესიაა: წმინდა გიორგის გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია (7,9X5,3 მ) დგას სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. ჭერათხევის მარცხენა ნაპირზე. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. აფსიდა ნახევარწრიულია. აქვს შესასვლელი დასავლეთიდან და თითო სარკმელი აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებზე. ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (8,5X5 მ) დგას სოფლის სამხრეთით, 200 მ-ის დაშორებით, სსაფლაოზე. ნაგებია ქვიშაქვით, რიყის ქვითა და აგურით. აფსიდა ნახევარწრიულია. აქვს ორი შესასვლელი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან. აგრეთვე სარკმლები აღმოსავლეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლებში. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. აღმოსავლეთის კედელზე დაშენებულია აგურის გვიანდელი სამრეკლო (სძა 1990: 432, 433).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 43; გვასალა 1989: 3-35; თაყაიშვილი 1907: 205; მაკალათია 1963: 67-72; ბარნაველი 1959: 131; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 131; 1985: 413, 932; ქტ 4: 376,24,25; ბარაძე 1992: 161.*

მავლოვაძე (ქტ 4: 179,5; 250,5,10,14,19,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქტ 4: 179,5; 250,5,10,14,19,20), „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი“ (ქტ 2: 55,16), ჟამთააღმწერელი (ქტ 2: 273,20; 311,7; 312,20,21; 313,7,9,12,14,17,18,22,23), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 113), „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 187, 478, 493).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით „ანდგა გუზან წარიტაცა ტაო, კარი, ვაშლოვანი და ციხენი მრავალნი“ (ქტ 4: 179,4,5).

ვაშლოვანის ზუსტი ლოკალიზება არ ხერხდება. სა-

ვარაუდოდ, ვაშლოვანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხსენიებული ხანძორეთია (ბერძენიშვილი 1960: 100; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 594). ზოგი მას აიგივებს სპერთან (ინგოროფვა 1959: 366, 537, 539). ხანძორეთიც და სპერიც ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

წყაროებში ვაშლოვანი პირველად XII ს-ის დასასრულისა და XIII ს-ის დასაწყისისათვის იხსენიება (ქვ 2: 55,16). XIII ს-ის პირველ ნახევარში თორის შემადგენლობაშია. იმავე საუკუნის 80-იან წლებში ბექა ჯაყელმა სამცხის სამთავროს შეუერთა (ბერძენიშვილი 1985: 49). XIII ს-ის მიწურულს სამცხის მთავარმა ბექამ ვაშლოვანიდან თურქები დაამარცხა (ქვ 4: 250,5). ვაშლოვანიდან და ბორჯომიდან მომავალი გზები შეიფერებოდა საღისე ციხესთან. ამ საციხისათაო ერთეულის ცენტრი უნდა ყოფილიყო ვაშლოვანის მონასტერი (ბერძენიშვილი 1985: 22, 45). ვაშლოვანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ამავე სახელწოდების სოფლები ცნობილია: დუშეთის მუნიცი-ში (მთიულეთის არაგვის მარცხენა ნაპირზე, ჭართლის მახლობლად); ახალგორის მუნიცი-ში (მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე, ახალგორიდან 4 კმ-ის დაშორებით); ხულოს მუნიცი-ში (მდ. აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე ბათუმ-ახალციხის გზაზე, ხულოდან 5 კმ-ის დაშორებით); გაგრის ტერიტორიაზე და თეთრიწყაროს მუნიცი-ში. თეთრიწყაროს მუნიცი-ის სოფ. ვაშლოვანი მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, ერტისის აღმოსავლეთითა და კუმისის დასავლეთით (ლორთქიფანიძე 1936: 309).

იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი დე მესამე ტექსტი (ქვ 2: 367,9, 511,3), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“, (ორბელიანი 1981: 98), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 47), გვიანი შუა საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 88; დოკ. საქ. ისტ. ისტ. 1940: 48, 327), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 67, 239).

1570 წ. სპარსთა ლაშქარი ჩუმად შემოვიდა საქართველოში, რადგან ხუნანი, ვაშლოვანი და თელეთები აოხრებული იყო (ქვ 2: 367,9, 511,3). თბილისიდან ქვემო ქართლისაკენ მიმავალი ერთ-ერთი გზა კოჯურის კარიდან ტაბანმელამდე მიდიოდა, აქ გაიყრებოდა, ვაშლოვანისკენ დაუხვევდა და ფარცხისისაკენ მიემართებოდა ასურეთ-ენაგეთზე გავლით (ბერძენიშვილი 1966: 73).

თეთრიწყაროს მუნიცი-ში მდებარე ვაშლოვანის ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 47; ბერძენიშვილი 1960: 100; 1964: 317; 1966: 73; ბერძენიშვილი 1975: 119; 1985: 21, 22, 45, 49, 106; გოულდენშტედტი 1962: 67, 239; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 187, 478, 493, 594; დადიანი 1962: 113;

დოკ. საქ. ისტ. ისტ. 1940: 48, 327; ინგოროფვა 1959: 366, 537, 539; ლორთქიფანიძე 1936: 309; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 88; ორბელიანი 1981: 98; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 166; სიხარულიძე 1964: 115, 131, 166; ქვ 2: 55,16, 273,20, 311,7, 312,20,21, 313,7,9,12,14,17,18,22,23, 367,9, 511,3; ქვ 4: 179,5; 250,5,10,14,19,20.

3ახან60 (ქვ 4: 758,22,23; 891,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 758,22,23; 891,3), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 45), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 59), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 17), ბაგრატიონის „ახალი მთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 107), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1989: 73, 100), იასე ბარათაშვილის „ცხოვრება ანდრეიძე“ (ბარათაშვილი 1950: 14, 105), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 88; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 161, 242, 255, 258, 259, 267, 269, 273, 275, 287, 295; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 106, 108; ისტ. დოკ. 1958: 118; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 453, 671, 758; ქრონიკები 1967: 630, 635, 636), ალექსი იველიძის იმერეთის სამეფოში ელჩობის „მუხლობრივი აღწერილობა“ (იველიძე 1969: 86, 166), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 7, 175, 309; 1964: 183).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ჩხერს ზვით არს გზა ქართლს მიმავალი, მოსაკიდელი სივიწროვისათვის წოდებული, ვახანამდის. მოსაკიდელს ზვით ერთვის ჩხერიმელას ვახანის ხევი ... ვახანს არს ციხე კარგი“ (ქვ 4: 758,21-24).

მდებარეობს ხარაგაულის მუნიცი-ში, მდ. ვახანისწყლის მარჯვენა მხარეს, სოფ. ვახანის ტერიტორიაზე (გოულდენშტედტი 1964: 183; ბერაძე, ცქიტიშვილი 1971: 49).

წყაროებში პირველად იხსენიება XVII ს-ში (იველიძე 1968: 86, 166). XVII-XVIII სს-ში ქართლიმერეთს შორის პოლიტიკური საზღვრის ხშირი ცვლუბადობის გამო ხან იმერეთის, ხან კი ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია (ბერაძე, ცქიტიშვილი 1971: 48, 49, 51; ბერძენიშვილი 1971: 14). ვახანი და ვახანის ციხე აბაშიძეთა საკუთრებაა (ბაგრატიონი 1986: 45; ბერძენიშვილი 1971: 143). 1785 წ. ხუნძახის გამგებელმა ომარ-ხანმა აიღო ვახანის ციხე (ქრონიკები 1967: 630; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 161).

ვახანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. XV-XVI სს-ის ვახანის ციხე ნაშენია ტლანქად დამუშავებული ქვით. გვემით კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედი. ერთადერთი კვადრატული კოშკი ციხის ზურგის კედელს ებჯინება (ბერიძე 1983: 104, 105). ციხის შინგით ჩრდილო-აღმოსავ-

ლეთ კუთხეში დარბაზული მცირე ზომის ეკლესიაა. **ბიბლიოგრაფია:** *ბაგრატიონი 1983: 59; ბაგრატიონი 1986: 45; ბარათაშვილი 1950: 14, 15; ბაგრატიონი დავით 1941: 17; ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 107; ბერძენი, ცქიტიშვილი 1971: 49-51; ბერიძე 1983: 104, 105; ბერძენიშვილი 1971: 13, 14; ბერძენიშვილი 1966: 87; ბოჭორიძე 1995: 249, 256; ვერიტიშვილი 1955: 379; გიულდენშტედტი 1962: 7, 179, 309; 1964: 183; იველიძე 1969: 86, 166; ისტ. დოკ. 1958: 118; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 88; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 106, 108; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 161, 242, 255, 258, 259, 267, 269, 273, 275, 287, 295; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 453, 671, 758; ქრონიკები 1967: 630, 635, 636; ქც 4: 758,22,23; 891,3; ხერხეულიძე 1989: 73, 100.*

პედაგოგია (ქც 4: 720,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 720,21), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქც 2: 520,2, 522,6), „მესხური დავითის ქრონიკა“ (სამი ისტ. ქრ. 1890: 93), მესხური მათიანე (სამხ. საქ. ისტ. 1961: 46, 47, 163, 169), მესხური იმერული დღიური (საქ. ისტ. ქრ. 1980: 278), იოანე ხუცესის წერილები (ახალციხური ქრონიკები 1979: 156-159, 165, 166, 180, 183), თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის (თურქული წყაროები ... 1983: 11), „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 464), იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს შესახებ (ფეჩევი 1964: 39, 112), „ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი“ (ჩილდირის ... 1979: 134).

ლოკალიზდება ჩილდირის ტბის მახლობლად, დიდი არტაანის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, თანამედროვე სოფ. ველის ტერიტორიაზე. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში (ლომსაძე 1968: 204).

XVI ს-ში ველი სამცხე-საათაბაგოს მნიშვნელოვანი პუნქტია. 1578 წ. ოსმალთა ხელში გადადის (ლომსაძე 1968: 204). 1595 წ. ველი არტაანის ლივანია (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 319). XVIII ს-ში ველში ახალციხის საფაშოს იმერხევის საწვავის ბეგი იჯდა (ლომსაძე 1975: 255). 1829 წ. ველის მცხოვრებნი ახალციხის გარშემო სოფლებში გადმოსახლდნენ (თამარაშვილი 1902: 476, 479; ლომსაძე 1968: 208).

არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ველის დასავლეთით შემორჩენილია ეკლესია და ციხესიმაგრე. ეკლესია (10,5X7,2 მ) მდებარეობს ციხესიმაგრის შიგნით ისე, რომ მისი ჩრდილოეთი კედელი ციხის კედელზეა მიბჯენილი. ნაგებია თლილი ქვით. საკურთხეველში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. აღმოსავლეთის კედელზე ორი დაზიანებული ხუცური წარწერაა. ერთში მოხსენიებულია ეკლესიის ამშენებელი

„გვარამი“. სამხრეთი კედლის კარის თავზე არსებული წარწერა არ იკითხება. ეკლესიიდან ჩამოვარდნილ რვაკუთხიან ქვაზე ხუცური წარწერაა: „მე გვარამ ავმართე წმიდა იოვანე ქორონიკონსა როდ (954 წ.) თვესა მასსა კურაპალატის ასული ქრისტე ადიდე გვარამ შეიწყალე“. ეკლესია თარიღდება X ს-ის მეორე ნახევრით (თაყაიშვილი 1909: 70, 72). ველის დასავლეთით, მდ. მტკვრის ნაპირზე მდებარეობს ველის ციხე, რომელიც დაზიანებულია. შემორჩენილია ციხის რვა კოშკი (თაყაიშვილი 1909: 70-72).

ბიბლიოგრაფია: *ახალციხური ქრონიკები 1979: 156-159, 165, 166, 180, 183; ბაგრატიონი 1885: 131; ბერძენიშვილი 1985: 12, 33, 112; გვარამაძე 1953: 176; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 464; 1958: 319; თამარაშვილი 1902: 476-479; თაყაიშვილი 1909: 70-72; თურქული წყაროები ... 1983: 11; ლომსაძე 1968: 204-208; 1975: 363; მამისთავალიშვილი 1981: 174, 175; სამი ისტ. ქრ. 1890: 93; სამხ. საქ. ისტ. 1961: 46, 47, 163, 168; ფეჩევი 1964: 39, 112; ქც 2: 520,2; 522,6; ქც 4: 720,21; ჩილდირის ... 1979: 134.*

პედაგოგია (ქც 4: 197,28; 545, სქ. 5; 546,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 197,28; 545, სქ. 5, 546,3), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 201,4), ჟამთაღმწერელი (ქც 2: 155,16), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 66), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 66, 86), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 132), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 49, 114, 139, 164; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 409; 1981: 282, 693; 1985: 34, 91, 219, 464, 474, 572; ქართლ-კახეთის ... 1903: 258; გუჯრები 1891: 101; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 148; 1974: 102, 128, 129, 148; დოკ. საქ. ისტ. 1953: 117, 188, 269; საქ. სიძ. 1910: 296, 319, 339, 367, 384; ქრონიკები 1967: 471, 625), ლეონდის „ისტორია“ (ლეონდი 1971: 464-495), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 29, 41, 43, 261).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: ჭერმის „წყალსა ზედა არს, ალაზნის დასავლით, ველსა ზედა, ველის ციხე, და აწ უქმი“ (ქც 4:546,2-4). მდებარეობს გურჯაანის მუნიციპ-ში, მდ. ალაზნის მარჯვენა შენაკად ჭერმისწყლის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ველისციხის ტერიტორიაზე.

პირველად იხსენიება ვახტანგ გორგასლის (V ს-ის მეორე ნახ.) ირანის წინააღმდეგ ბრძოლებთან დაკავშირებით (ქც 1: 204,1). 764 წ. ის ხაზარებმა დაარბიეს (ლეონდი 1971: 483). 1757 წ. შედიოდა ჭერმის საეპისკოპოსოში, შემდეგ ალავერდელს გადაეცა (გუჯრები 1891: 101; პაპუაშვილი 1970:

147). 1797 წ. გადაწვა ომარ-ხანმა (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 25). XVIII ს-ში დარეჯან დედოფლის საკუთრება (აქტები ... 1866: 207). ველისციხე „ველიცხე“-ს სახელითაც იხსენიება (მუსხელიშვილი 1980: 173).

ის არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ველისციხიდან ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს 2 სატივრისპირი, მასრაგახსნილი შუბისპირი, ბუნიკი, ეჟვანი, სატივრის ტარის ე. წ. დაფანჯრული ქუდი, 17 ოთხკუთხა და მრგვალგანიკვეთიანი, თავგახსნილი და თავებგადასული სამაჯური. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (არქ. მას. კატ. 1955: 78). ველისციხის ცენტრში მღებარეობს „ყველაწმიდის“ VI ს-ის სამეკლესიანი ბაზილიკა, აგებული რიყის ქვითა და აგურით. აქვს ნალისებური აფსიდა და გარშემოსავლელი სამი მხრიდან. შესასვლელი დასავლეთიდანაა. გადაკეთებულია XVII და XIX სს-ში. ეკლესიასთან ახლოს რიყის ქვით ნაგები ორსართულიანი სასახლეა. შემორჩენილია გარეთა კიბისა და კოშკის ფრაგმენტები. თარიღდება IX ს-ით (ჩუბინაშვილი 1959: 153, 154, 542; ჭილაშვილი 1968: 117, 118).

ბიბლიოგრაფია: *აქტები ... 1866: 195, 207, 214, 222, 291, 303, 472; არქ. მას. კატ. 1955: 78; ბაგრატიონი 1986: 66; ბაგრატიონი 1983: 66, 86; ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 132; ბარნაველი 1959: 46, 193; გიულდენშტედტი 1962: 29, 41, 43, 261; გუჯრები 1891: 101; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 117, 188, 269; ლევიანი 1971: 483; ლომთათიძე 1979: 513; მუსხელიშვილი 1977: 173, 176, 186, 194; 1980: 35, 36, 67, 100, 109, 120, 121, 123; პაპუაშვილი 1970: 147, 178, 196; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 148; 1974: 102, 128, 129, 148; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 49, 114, 139, 164; საქ. სოდ. 1910: 296, 319, 339, 367, 384; 1920: 165; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 409; 1981: 282, 693; 1985: 34, 91, 219, 283, 429, 464, 474, 572; ქართლ-კახეთის ... 1903: 258; ქრონიკები 1967: 471, 625; ქც 1: 204,1; ქც 2: 155,16; ქც 4: 197,28; 545, სქ. 5; 546,3; ჩუბინაშვილი 1959: 153, 154, 542; ჭილაშვილი 1968: 116-118.*

ჰიმნი, დაბა, ეკლესია, ციხე (ქც 4: 342,21; 343,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 342,21; 343,1; 405,1; 441,22), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტი (ქც 2: 365,2; 506,18), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1925: 215, 216), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 31), XVIII ს-ის ისტორიული საბუთი (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 616). მღებარეობს გორის მუნიციპ-ში, გორიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 7 კმ-ის დაშორებით, მდ. ტანას მარჯვენა შენაკადის, მდ. ვერეს ხეობაში. ვერე ეკუთვნოდა კლდეკარის ერისთავებს. XI

ს-ის შუა წლებიდან ვერე ატენის ხეობასთან ერთად იქცა სამეფო მამულად და მას მეფის მონღელ მირიან თარხუნის ძე მართავდა (ბაქრაძე 1959: 77; ბერძენიშვილი 1964: 38; ოთხმეზური 1981: 40). XVII-XVIII სს-ში ვერეს ციხეს ფლობდნენ ციციშვილები. 1638 წ. ქართლის მეფე როსტომის (1632-1658) წინააღმდეგ აჯანყებული ნოდარ ციციშვილი გამაგრდა ვერეს ციხეში. როსტომმა ციხე აიღო და დაანგრია. ნოდარ ციციშვილმა გაქცევით უშველა თავს (ქც 4: 441,22; გვასალია 1983: 120).

ვერეს ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ვერეს ღვთისმშობლის ეკლესია მღებარეობს სოფ. გარდატენის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 5,5 კმ დაშორებით, მდ. ვერეს მარცხენა ნაპირზე. ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა (10,7X7,5 მ). ნაგებია თლილი ქვით. თარიღდება VII ს-ით. გადაკეთებულია XI ს-ში. აფსიდაში შემორჩენილია მონატულობის კვალი. ეკლესიას აქვს სამი შესასვლელი. აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის ჩარჩოზე შემორჩენილია ასომთავრული წარწერა: „წმიდაო ღვთისმშობლო ვერისაო ადღე ერისთავი მირიან და მეფე ყვავ წინაშე ძისა შენისა“ (ბაქრაძე 1959: 77; სძა 1990: 52, 53).

ვერეს ციხე აღმართულია სოფ. გარდატენის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 3 კმ დაშორებით, მდ. ვერეს ნაპირზე მღებარე მალად ქედზე. ციხე ვეგმით არაწესიერი მართკუთხედის ფორმისაა (სიგრძე – 44,6, სიგანე – აღმოსავლეთით 14,8 დასავლეთით 6 მ). ნაგებია რიყის ქვით. შემორჩენილია მხოლოდ დასავლეთის კოშკი, რომელიც ვეგმით არაწესიერი ოვალის ფორმისაა. კოშკი თაღიანი კარით უკავშირდება ეზოს. აღმოსავლეთის კოშკიდან მხოლოდ საძირკველია დარჩენილი. ციხის ეზოში, გალავნის სამხრეთ კედლთან წყალსაცავია მოწყობილი. ციხე თარიღდება IX-X სს-ით (მაკალათია 1957: 23-25; სძა 1990: 53).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 31; ბაქრაძე 1959: 77; ბერძენიშვილი 1964: 38; გვასალია 1983: 120; გორგიჯანიძე 1925: 215, 216; მაკალათია 1957: 23-25; ოთხმეზური 1981: 40; სძა 1990: 52, 53; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 616; ქც 2:365,2; 506,18; ქც 4:342,21; 343,1; 405,1; 441,22.*

ჰიმნის ციხე (ქც 4:530,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:530,11), ალექსანდრე I-ის (1412-1442) შეწირულობის სიგელი სვეტიცხოვლისადმი; ალექსანდრე II კახთა მეფის (1574-1605) 1579 წ. შეწირულობის სიგელი სვეტიცხოვლისადმი (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 89).

ვერენის ციხის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ნინოწმინდას ზეით ერთვის იორს სამების ხევი ... ესევე ხევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა. ამ ხევედ არს ციხე ვერენისა, მაგარი და გარდავალს გზა შიგნით-კახეთს შუამთაზედ“ (ქც 4: 530,4-12).

მდებარეობს საგარეჯოს მუნიცი-ში, გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე, თანამედროვე სოფ. ვერონასთან.

ციხე უნდა ეკუთვნოდეს იმ პერიოდს, როცა ვახტანგ გორგასალი ქმნიდა საპლაცდარმო გზებს აღმოსავლეთისაკენ (ჭილაშვილი 1980: 207, 234). აქ გადიოდა ერთ-ერთი გზა სამების ხევით ვერონამდე, ხოლო იქიდან უღელტეხილი შიდა კახეთში, რომელიც ახლაც მოქმედებს (მუსხელიშვილი 1966: 44).

1950 წ. სოფლის ქვემოთ, ყანებში შემთხვევით აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ე. წ. „კახური ტიპის“ მახვილი (ლომთათიძე 1989: 139-141; ჯორბენაძე, გოგოჭური 1992).

1974 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. კ. ფიცხელაური) გათხრები ჩაატარა სოფლის განაპირას, გომბორ-ვერონის გზის მარცხენა მხარეს, სადაც მანამდე შემთხვევით აღმოჩნდა არქეოლოგიური ნივთები. გაითხარა სამი ქვაყრილიანი ორმოსამარბი, რომლებშიც გამოვლინდა თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს რგოლები, საკინძები (მათ შორის ერთი – ვედრების პოზაში მყოფი ადამიანის ფიგურით შემკული) და სხვ. ნივთები თარიღდება ძვ. წ. VIII-VI სს-ით (მაისურაძე 1976: 60; ფანცხავა, მაისურაძე 1982: 70-74).

1965 წ. ვერენის (ვერონის) ციხის ტერიტორიაზე დანგრეულ სამარხებში შემთხვევით აღმოჩნდა XII-XIV სს-ის სარდლიონის მძივები. მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის დუშეთის ბაზაში, გ. ჩუბინაშვილის სახ. თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და გომბორის საშუალო სკოლაში.

ვერენის ციხე მდებარეობს სოფელთან, მაღალ მთაზე, სადაც შემორჩენილია ქვითკირის კედლების, წრიული ბურჯებისა და კოშკების ნანგრევები. კოშკის კედლებში რამდენიმე ადგილზე დატანილია კერამიკული მილები. კედლის წყობაში გამოყენებულია სწორკუთხე კვადრები. კედლებში შიგნით გაფართოებულია ვიწრო სარკმელებია გაჭრილი. მშენებლობის ტექნიკა დამახასიათებელია ადრე შუა საუკუნეებისათვის. ციხის შუა ნაწილში მცირე დარბაზული ეკლესიის ნანგრევებია. ეს ნაგებობა დარაჯობდა ივრის ხეობიდან გომბორის უღელტეხილით ალაზნის ველზე გამავალ გზას (ლომთათიძე 1989: 141).

ბიბლიოგრაფია: *ლომთათიძე 1989: 139-141; ლორთქიფანიძე 1963: 145, 147; მაისურაძე 1976: 58-60; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 89; მუსხელიშვილი 1966: 44; ფანცხავა, მაისურაძე 1982: 70-74; ფიცხელაური 1959: 127; ქც 4: 530,11; ჭილაშვილი 1980: 207, 234; ჯორბენაძე, გოგოჭური 1992.*

319060ა, იხ. ბოჭორმა.

319060, ვეჯინი (ქც 4: 133,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:133,25; 155,10; 544, სქ. 2; 545,3, სქ. 1; 546,8; 557,8; 559,13; 561,18; 563,3; 618,23), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 264,11), „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1: 308,28; 321,22; 322,2), 906 წ. ერედვის ეკლესიის წარწერა (ქართ. წარწ. კორ. 1980: 170, 171), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 57), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 68), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 91; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 290, 402; 1953: 280; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 409; 1974: 246, 410, 732; 1981: 43; 1985: 145, 323; სიგელები ... 1891: 101, 102; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 102; ქრონიკები 1897: 301; 1967: 244; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 122, 149, 157), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 29, 227, 261, 273).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით „ალაზნის დასავლეთ, ცივის მთის ძირს არს ვეჯინი“ (ქც 4: 545,2,3). მდებარეობს გურჯაანის მუნიცი-ში, მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს, ცივ-გომბორის მთის ძირში, თანამედროვე სოფელ ვეჯინის ტერიტორიაზე.

წყაროებში პირველად X ს-ში იხსენიება აფხაზთა მეფე კონსტანტინეს (893-922) ჰერეთში ჩასვლასთან დაკავშირებით (ქც 1: 264,11). X ს-ში პერეთის, ხოლო XI ს-ში კახეთის სამეფოს მნიშვნელოვანი ცენტრია (მუსხელიშვილი 1967: 116). XI ს-ის 80-იან წლებში გიორგი II-მ (1072-1089) სცადა ვეჯინის ციხის აღება, მაგრამ ვერ შეძლო (პაპუაშვილი 1970: 233). 1455 წ. გიორგი VIII-მ (1446-1466) ვეჯინი და ვეჯინის პირის სოფლებს წყალობა განუახლა ასა ვაჩნაძეს (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 91). XVII ს-ში ვეჯინის ციხის მფლობელები ენდრონიკაშვილები (ანდრონიკაშვილები) არიან (მჭედლიშვილი 1985: 68). 1757 წ. თეიმურაზ II-მ (1744-1762) ვეჯინი ბოღბელ მიტროპოლიტს უბოძა (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 409; მჭედლიშვილი 1985: 69). 1776 წ. ვეჯინში ბატონიშვილმა გიორგიმ ჯვარი დაიწერა ქეთევან ანდრონიკაშვილზე (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 122). 1782 წ. 5 თებერვალს იქ გარდაიცვალა ლევან ბატონიშვილი (ქრონიკები 1967: 244). 1784 წ. ვეჯინში იქორწინა ბატონიშვილმა ვახტანგმა მარიამ ანდრონიკაშვილზე (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 157).

ვეჯინი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. 1960 წ. ვეჯინთან ახლოს, ბაქსის ხეობაში აღმოჩნდა გომბეშის ქვის ქანდაკება, რომელიც გადმოვარდნილია თავდაპირველი ადგილიდან, დაახ. 100 მ სიმაღლიდან. ქანდაკება აღმოჩენის ადგილზეა (მჭედლიშვილი 1985: 61).

1923 წ. მიწის სამუშაოებისას ვეჯინში აღმოჩნდა სპილენძის ქართული მონეტების განძი, რომელიც შედგება თამარისა (1184-1207) და დავით სოსლანის 2759 მონეტისაგან. აქედან 2556 თარიღდება 1200 წლით. 103 მონეტა უთარილოა. მონეტები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.

ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). (ლომოური 1936: 281-289; პახომოვი 1938: 32). 1980 წ. ვეჯინში გზის მშენებლობის აღმონდა რუსუდანის (1223-1245) სპილენძის მონეტა (აბრამიშვილი 1984:50). ვეჯინში რამდენიმე ეკლესიაა. ყველაწმინდა მდებარეობს ვეჯინის ქედზე, აშენებულია რიყის ქვითა და აგურით. XVII ს-ში გადაკეთებულია ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობად. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდანაა (ჩუბინაშვილი 1959: 467, 468). ამალეების ეკლესია მდებარეობს ციხესიმაგრის ტერიტორიაზე. აშენებულია რიყის ქვით. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა. აღმოსავლეთის კედელზე შემორჩენილია XVI-XVII სს-ის ასომთავრული წარწერისა და მონათულობის ფრაგმენტები, რომელთა ქვეშ XIV-XVII სს-ის რელიგიური შინაარსის ბერძნული წარწერებია (გორდევეი 1919: 9; ყაუხჩიშვილი 1951: 187, 188). ეკლესიის დასავლეთით რიყის ქვითა და აგურით აგებული, XV ს-ის ორსართულიანი სამრეკლოა. მასზე ჩრდილოეთი მხრიდან მიშენებულია ალდგომის მცირე ზომის ეკლესია, რომლის კედელზე XIX ს-ის სამრეკლოს მეორე სართულამდე გაუკეთებიათ კიბე. სამრეკლოს გვერდით წმინდა მარიაშის ეკლესიაა (ჩუბინაშვილი 1959: 492, 493; მჭედლიშვილი 1985: 81). მოციქულის ეკლესია მდებარეობს ციხისაკენ მიმავალი გზის აღმოსავლეთით. ის მცირე ზომისაა. აშენებულია რიყის ქვით. შესასვლელი ჩრდილოეთითა და დასავლეთითაა. XVI ს-ში გადაუკეთებიათ. მის მოპირდაპირე მხარეს

წმინდა გიორგის ეკლესიაა (მჭედლიშვილი 1985: 81).

ვეჯინის ციხის გალავანი და კოშკები ნაგებია რიყის ქვით. სავარაუდოდ, თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით (მუსხელიშვილი 1980: 109). ციხესიმაგრის მთელ კომპლექსს „ამალეებს“ უწოდებენ (მჭედლიშვილი 1985: 81).

სოფ. გლდანთან (თბილისის ახლოს) არსებობს ამავე სახელწოდების ხევი, რომელიც მდიდარია არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძეგლებით (სძა 1990: 272-274).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1984: 50; აქტები ... 1868: 81; ბავრატიონი 1986: 68; ბავრატიონი ბავრატი 1941: 51; ბარნაველი 1959: 46; ბერძენიშვილი 1964: 336; გიულდენშტედტი 1962: 29, 227, 261, 273; გორდევეი 1919: 9; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 290, 402; 1953: 280; თაყაიშვილი 1924: 77; თოდრია 1982: 77; ლომოური 1936: 281-289; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 91; მეფისაშვილი 1944: 1043-1045; 1955: 101-138; მუსხელიშვილი 1967: 95, 115, 116; მჭედლიშვილი 1985: 61-81; პაპუაშვილი 1970; პახომოვი 1938: 32; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 102; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 122, 149, 157; სძა 1990: 272-274; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 409; 1974: 246, 410, 732; 1981: 43; 1985: 145, 323; ქართ. წარწ. კორ. 1980: 170, 171; ქრონიკები 1897: 301; 1967: 244, 373; ქც 1: 264,11; 308,28; 321,22; 322,2; ქც 4: 133,25; 155,10; 544, სქ. 2; 545,3, სქ. 1; 546,8; 557,8; 559,13; 561,18; 563,3; 618,23; ყაუხჩიშვილი 1951: 187, 188; ჩუბინაშვილი 1959: 492-494.



ზადენი, ციხე (ქც 1: 29,3), მთა (ქც 1: 112,14; 208,20; ქც 4: 87,7; 535,18), კერპი (ქც 1: 85,13; 106,10,17; ქც 4: 16,22; 25,6; 76,25; 78,14; 85,9,12; 535,18). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 16,22; 25,6; 76,25; 78,14; 85,9,12; 535,18), ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 29,2; 39,25), ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქც 1: 85,13; 106,10,17; 112,14), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 208,20), „მოქცევაი ქართლისაი“ (ქრონიკები 1892: 14), „ეპისტოლეთა წიგნი“ (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 185), „ცხოვრება შიოსი და ევაგრესი“ (ცხოვრება შიოსი და ევაგრესი 1955: 26,10). ვახუშტი ბაგრატიონი ზადენის შესახებ გადმოგვცემს: იალნოს „მთის თხემსა ზედა ... ალაშენა ციხე ... მეფემან ფარნაჯომ და აღმართა მუნ კერპი ზადენი, და ამითი ეწოდა მთას მას ზედაზენი“ (ქც 4: 535,18).

მდებარეობს მცხეთის მუნიციპ-ში, მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, არაგვის მარცხენა ნაპირზე, ზედაზენის მთაზე, ახლანდელ სოფ. წიწამურთან (ავაქიძე 1963: 197).

სახელწოდება „ზადენი“ უკავშირდება იბერიის უზენაესი ღვთაების სახელს, რომლის კერპი აღმართა და მისი სახელობის ციხე ააშენა იბერიის ფარნავაზიანთა დინასტიის მეფე ფარნაჯომმა. ღვთაება ზადენის სახელით არის დაკავშირებული აგრეთვე სოფ. ზადენგორაც, სადაც შეჩერდა ანდრია პირველწოდებული (ქც 1: 39,25). სოფ. ზადენ-გორა მდებარეობდა მცხეთაში, დღევანდელი აბასთუმნის (ძველი ქალაქი თბრე) მახლობლად (ჭილაშვილი 1968: 33).

ზედაზადენი – ზედაზენი არქეოლოგიურად შეუსწავლელია (იხ. ზედაზადენი).

ბიბლიოგრაფია: ავაქიძე 1963: 197; გამყრელიძე 2010: 162; ეპისტოლეთა წიგნი 1968: 185; ქც 1:29,3; 39,25; 85,13; 106,10,17; 112,14; 208,20; ქც 4: 16,22; 25,6; 76,25; 78,14; 85,9,12; 535,18; ცხოვრება შიოსი და ევაგრესი 1955: 26,10; ჭილაშვილი 1968: 33, 35.

ზანაფი (ქც 4: 380,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 380,23), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 45), XVIII ს-ის ისტორიული საბუთი

(ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 744), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 332), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 177, 219).

მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, ბორჯომიდან ჩრდილოეთით, 9 კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, დღევანდელი სოფ. ზანავის ტერიტორიაზე.

ზანავი იყო ავალიშვილების საკუთრება (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 492, 493). XVIII ს-ის დასასრულისათვის ზანავი დაცლილი და განადგურებულია (ბერძენიშვილი 1985: 21).

ზანავი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 45; ბერძენიშვილი 1985: 21; გიულდენშტედტი 1962: 177, 219; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 332; 1958: 492, 493; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 744; ქც 4: 380,23.

ზარზმა, მონასტერი (ქც 4: 665,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 665,19; 676,12,18; 679,5; 680,1). ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ (ბასილ ზარზმელი 1963: 333, 336), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 22, 96, 101, 102, 104, 106, 107, 109, 112, 158, 159, 172, 432).

ვახუშტი ბაგრატიონი ზარზმის შესახებ გადმოგვცემს: „ყუელს ზეით, მთაში, არს ზარზმას მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, შუენიერს ადგილს და აწ უქმი“ (ქც 4: 665,18-20). „აღმოსავლით მთა აჭარასა და ზარზმას შორის, და გარდავალს მას ზედა გზა სამცხეს“ (ქც 4: 676,17-18). „აღმოსავლით მთა არსიანი, და გარდავლენან მას ზედა გზანი ერუშეთს, ფოცხვის ხეობას და ზარზმა-ყუელს“ (ქც 4: 679,24,25, 680,1).

მდებარეობს ადიგენის მუნიციპ-ში, ქვაბლიანის წყლის მარჯვენა ნაპირზე, სადაც მას მდინარე ძინძე მიერთვის.

ზარზმა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

აქ ეკლესია ადრე შუა საუკუნეებში ააშენა სერაპიონ ზარზმელმა (ბასილ ზარზმელი 1963: 333, 336). ამ შენობას ჩვენამდე არ მოუღწევია. არსებული დიდი ცენტრალურ-გუმბათიანი ეკლესია (20,5X17,5X24 მ) და სამრეკლო აგებულია XIV ს-ის დასაწყისში,

ბექა მანდატურთუხუცესის დროს. გუმბათი ევრდნობა ორ სვეტსა და აფსიდის კედლებს. ფასადები თლილი ქვითაა მოპირკეთებული. აღმოსავლეთი ფასადი და კერ-სარკმლის საპირები ჩუქურთმითაა შემკული. სამხრეთი ფასადის გაყოფებით არსებული ღია თაღოვანი სტოა-კარიბჭე შესაძლოა ადრინდელ ეკლესიას ეკუთვნოდეს. სამრეკლო ორიარუსიანია. ქვედა ნაწილი გალავანში შესასვლელს წარმოადგენდა, ზედა ნაწილი კი საკუთრივ სამრეკლოა. მისი წარწერა გვამცნობს, რომ 1577 წ. ხურციძეებმა სამრეკლოს პირველი სართულის თაღები ამოაშენეს და აქ ითანე მახარობლის ეკლესია გამართეს (ბერიძე 1955: 89; 1957: 38, 39; 1974: 161). უძველესი წარწერა X საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება. ის ჩაუშენებიათ სამრეკლოს გვერდით მდებარე სამლოცველოს შესასვლელის თავზე. წარწერაში მოთხრობილია დავით კურაპალატის დროს ქართველთა ლაშქრობის შესახებ ბარდა სელიაროსის წინააღმდეგ, ბიზანტიის იმპერატორის დასახმარებლად (ქართ. წარწ. კორ. 1980: 278-282). ზარზმის ეკლესიის ინტერიერში, სამხრეთ კედელზე შემორჩენილ ფრესკებზე გამოხატულია ჯაყელების – სარგის I-ის, ბექასა და მისი შვილების, ბექა II-სა და ყუარყუარეს პორტრეტები (თაყაიშვილი 1905ა: 45-70).



ზარზმა

ბიბლიოგრაფია: *ბასილ ზარზმელი 1963: 333, 336; ბერიძე 1955: 89-138; 1957: 38, 39; 1974: 161; ბოჭორიძე 1992: 142-152; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 22, 96, 101, 102, 104, 106, 107, 109, 112, 158, 159, 172, 432; ვაჩნაძე 1975: თაყაიშვილი 1905ა: 45-70; ქართ. წარწ. კორ. 1980: 278-282; ქც 4: 665,19; 676,12,18; 679,5; 680,1.*

ზარიშატი (ქც 4: 721,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 721,17), ბერი ევნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მე-სამე ტექსტი (ქც 2: 521,16), XI, XVI სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 154; 1897: 54; სამხ. საქ. ისტ. 1961: 47; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 245). „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 49, 145); პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 114).

ლოკალიზდება ისტორიულ ჯავახეთში, ყარსის მახლობლად; მდებარეობდა ჩილდირის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ყარსის გზაზე (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 414).

წყაროებში იხსენიება XI ს-იდან (ქრონიკები 1897: 54). XVI ს-ში ოსმალებმა გორი გადაწვეს და ზა-

რიშატი გამავრდნენ (ქც 4: 721,17; ქც 2: 521,16; სამხ. საქ. ისტ. 1961: 47). ზარიშატი მდებარეობდა ახალციხე-ერევნის გზაზე. ხეროვისიდან არტანანის მტკვრის ნაპირას წამოსული გზა ამოდიოდა ჯავახეთის პლატოზე. ის აქედან ორი მიმართულებით მიდიოდა. ერთ-ერთი იყო გზა ყარსისაკენ ზარიშატის გავლით (ბერიძე-შვილი 1966: 93, 102). ზარიშატი წერილობით წყაროებში სხვადასხვაგვარად მოიხსენიება: ზერიშატი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 414), ზარიშატი (ქც 2: 521,16; ორბელიანი 1981: 114).

ზარიშატი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბერიძე-შვილი 1966: 93, 102; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 414; ორბელიანი 1981: 114; სამხ. საქ. ისტ. 1961: 47; ქც 2: 521,16; ქც 4: 721,17; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 245; ქრონიკები 1892: 154; 1897: 54; ცხოვრება ... 1980: 49, 145.*

ზედაზადენი, ზედაძენი, ციხე, მონასტერი (ქც 4: 156,15; 535,18,19; 537,1; 563,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:156,15; 535,18,20; 537,1; 563,11), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითის“ (ქც 1: 326,8), „მოქცევაი ქართლისაი“ (ქრონიკები 1892: 14, 54, 73, 74, 78, 238), არსენ კათოლიკოსის „ცხოვრება იოანე ზედაზადენისა“ (ცხოვრება იოანე ზედაზადენისა 1955: 26), „ცხოვრება შიოსი და ევაგრესი“ (ცხოვრება შიოსი და ევაგრესი 1955: 21, 84, 111), „ძეგლი ერისთავთა“ (ქრონიკები 1897: 18; ძეგ. 1954: 361; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 117), XII-XVI სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 57, 101; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 16; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 281; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 99, 155).

ვახუშტი ბაგრატიონი ზედაზადენის (ზედაზენის) შესახებ გადმოგვცემს: იალონის „მთის თხემსა ზედა, მჭურეტელი არაგვისა, მუხრანისა, ხერკისა, მცხეთისა და ტფილისისა, აღაშენა ციხე ... მეფემან ფარნაჯომ და აღმართა მუნ კერპი ზადენი, და ამითი ეწოდა მთასა ამას ზედაზადენი. შემდგომად ... მამამან იოვანემ ჰყო აქა მონასტერი და ეკლესია“ (ქც 4: 535,16-20).

მდებარეობს მცხეთის მუნიციპ-ში, მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, საგურამოს ქედზე, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, ზედაზენის მთაზე.

ძვ. წ. II ს-ში ქართლის მეოთხე მეფე ფარნაჯომმა მთაზე აღმართა ღვთაება ზადენის კერპი და ააშენა ციხესიმაგრე. ამ მთას ზედა ზადენის ანუ ზედაზენის მთა ეწოდა (ქც 4: 535,16-20). VI ს-ში ასურელი მამა იოანე დამკვიდრდა ზედაზენის მთაზე, სადაც ააშენა ეკლესია და მონასტერი (ცხოვრება იოანე ზედაზადენისა 1955: 26). 1101 წ. დავით აღმაშენებელმა (1189-1125) კახეთის მეფე კვირიკეს წაართვა ზედაზენის ციხე (ქც 4: 156:15; ქრონიკები 1892: 238). მანვე 1103 წ. დაამარცხა მუხრანის მთავარი, ერისთავი ძაგანი და ზედაზენის ციხეს თვითონ

დაეპატრონა (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 57). 1479 წლიდან ზედაზნის მონასტერში ზედგინიძე-გურამიშვილების საგვარეულო საძვალე იყო. 1752 წ. ზედაზენში დაბანაკებული 60 ლეკი მცხეთელმა გოგია ხაშხაძემ ამოწვავიჭა (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 99). XVIII ს-ში ზედაზნის ეკლესია კათოლიკოსმა დომენტიმ განაახლა (ბაქრაძე 1875: 71). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული „სევსამორა“ („წიწამური“) იგივე ზედაზნის ციხე ანუ ზადენ-ციხეა და წიწამური-სევსამორა იმ ადგილის ძველი სახელია, სადაც ფარნაჯომის დროს აშენდა ზადენციხე (სინ 1970: 448) (იხ. წიწამური).

ზედაზნის სამონასტრო კომპლექსში შედის: ეკლესია, ციხე-გალავანი და კლდეში ნაკვეთი სენაკები. ზედაზნის ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა. გეგმით კვადრატულია (13,5X13,4 მ). ნაგებია ძირითადად რიყისა და ფლეთილი ქვით. შესასვლელი სამხრეთით და დასავლეთითაა. შუა ნავს ნახევარწრიული აფსიდა აქვს. აღმოსავლეთითა და დასავლეთით თითო თაღოვანი სარკმელია, სამხრეთით – ორი. შუა ნავი სამხრეთისა და ჩრდილოეთის ნაგებს თაღოვანი გასასვლელით უკავშირდება. ჩრდილოეთი ნავის აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც იოანე ზედაზნელი დაკარძალებული, დარბაზული ეკლესიაა. ნაგებია ქვიშაქვითა და შირიმის კვადრებით. აქვს ნაღისებური აფსიდა. აღმოსავლეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებში თითო ნიშია. ეკლესია თარიღდება VI-VII სს-ით (ჩუბინაშვილი 1971: 37). ჩრდილოეთი ნავის დასავლეთ ნაწილში წყლის აუზია. სამხრეთი ნავის აღმოსავლეთ ნაწილში სადიაკვნეა. ეკლესია მოხატულია რელიგიური ხასიათის ფრესკებით (შემორჩენილია ფრაგმენტულად). ეკლესიაში იყო X ს-ის კანკელის ფრაგმენტები, რომლებიც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (შემორჩენილი 1960: 48). სამნავიანი ბაზილიკა იოანე ნათლისმცემლის სახელობისაა. აგებულია VIII ს-ის მეორე ნახევარში კლიმენტი კათოლიკოსის მიერ. ეკლესიას სამხრეთიდან ეკვრის XVIII ს-ის კვადრატული ფორმის, თლილი ქვით ნაგები კარიბჭე, რომელზეც დგას სამრეკლოს რვაწახნაგა ფანჯატური (ჩუბინაშვილი 1959: 109; ვოლსკაია 1971: 15).

ეკლესია შემოსაზღვრულია XVII ს-ის ციხე-გალავნით, რომელიც ნაგებია რიყის ქვით, ქვათილიებითა და აგურით. გალავანს ჩრდილო-დასავლეთით კოშკითა და ბურჯებით შექმნილი შესასვლელი აქვს. აგურით ნაგები შესასვლელი შეისრულთაღიანია. მის დასავლეთით ჩასმულია ორი თლილი ქვა მხედრული წარწერით. ციხე-გალავნის შესასვლელთან დგას ორსართულიანი წრიული კოშკი. მასში შესასვლელი მეორე სართულზეა (ჩუბინაშვილი 1959: 109). გალავნის ჩრდილო-დასავლეთით დგას მართკუთხა ფორმის კოშკი, რომლის დასავლეთი მხარე მომრგვალებულია, აღმოსავლეთისა – სწორი. შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთითაა, ორ ბურჯს შორის. გა-

ლავნის დასავლეთსა და ჩრდილოეთ კედლებთან ნაგებობის ნაშთებია. გალავანზე გარედან მიდგმულია ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებული კონტრაფორსები. გალავნის აღმოსავლეთით ციტადელის ნანგრევებია. ციტადელის ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაგებობათა ნაშთებია. ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ციკაბო მთის ფერდობში გამოკვეთილია სენაკები. აღმოსავლეთის სენაკი (3,9X4,4 მ) ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი და სარკმელი სამხრეთ კედელშია. სენაკში ბუხარი და მაგიდის მაგვარი შევრილია. სენაკის აღმოსავლეთით აგურით ამოშენებული სურსათის შესანახი ორმოა (სიღრმე 2,5-3 მ). ორმოს დასავლეთით, 10 მ დაშორებით მცირე ზომის სენაკია (სმა 1990: 287).

ზედაზნის ეკლესიის ასასვლელთან, გზაზე შემორჩენილია „კასურ“ წმინდა გიორგის სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევები. ის იოანე ზედაზნელის მოწაფემ, თათემ ააშენა VI ს-ის მეორე ნახევარში (შემორჩენილი 1960: 49; ჩუბინაშვილი 1971: 35) (იხ. საგურამო).

ზედაზნის ეკლესიაში წარწერები შემორჩენილია: იოანე ზედაზნელის აკლდამის ფილაზე, ეკლესიის კანკელსა და ერთ-ერთ ქვაზე. IX ს-ის წარწერებში უპირატესად ქტიტორება მოხსენიებული. XI ს-ის წარწერებში წმინდანთა და მლოცველთა სახელები გვხვდება. ეკლესიის შესასვლელთან, მარჯვენა ქვაზე XV ს-ის შვიდსტრიქონიანი წარწერაა (ბარნაველი 1961: 61-65, 68, 75).

ბიბლიოგრაფია: აფაქიძე ... 1955: 4, 5; ბარნაველი 1961: 61-63, 65, 68-71, 73, 76; ბაქრაძე 1875: 71-72; ბერძენიშვილი 1990: 42, 118, 209, 335-336, 344-345, 347, 349, 352, 627; გვასალია 1975: 47-82, 60; ვოლსკაია 1971: 11-16; კანდელაკი 1959; მასალა საქ. ისტ. გეოგ. 1964: 281; სმა 1990: 284-287; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 99, 155; სინ 1970: 448; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 57, 101, 107; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 16, 117, 387; ქრონიკები 1892: 14, 73, 74, 78, 238; 1897: 18; ქც 1: 326,8; ქც 4: 156,15; 535,18,20; 537,1; 563,11; შემორჩენილი ... 1960: 46-49; შემორჩენილი 1962: 48; ჩუბინაშვილი 1959: 28, 97, 103, 106, 108, 109; ჩუბინაშვილი 1971: 27-66; ცხოვრება იოანე ზედაზნელისა 1955: 26; ცხოვრება შიოსი და ევაგერესი 1955: 21, 84, 111; ძე 1954: 361.



ზედაზნის მონასტერი

ზედა თმოგზი (ქც 2: 518,27,28). იხენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 518,28), უცნობი ავტორის „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 46), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 17, 246). მიღებარეობს ასპინძის მუნიციპ-ში, ციხე-ქალაქ თმოგ-

ვსა და ვარძიის მონასტრის შორის აღმართულ მთებში, ციხე-ქალაქიდან სამიოდე კმ-ის დაშორებით.

1576 წ. ზედა თმოგვი დაბანაკებულმა ყვარყვარე, მანუჩარ და ერეკლე ჯაყელეებმა გაილაშქრეს ციხე-ქალაქ თმოგვზე და ისევ ზედა თმოგვი ამოსულან (ქც 2: 518,26-28; ცხოვრება ... 1980: 46). ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ სოფ. ზედა თმოგვი შედიოდა ნიალისყურის ნაპიეში (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 17).

ზედა თმოგვი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფლის სამხრეთით, დაახ. 600 მ დაშორებით მდებარეობს სამოსახლო გორა, რომელსაც „კენჭი ყარას“ უწოდებენ. გორაზე ზედაპირულად იკრთვება ადრე ბრინჯაოს ხანის ვარდისფერსარჩულიანი, შავპირილა თიხის ჭურჭლის ნატყეხები და ობსიდიანის ანატაკეები, რომელთაგან ზოგიერთს ეტყობა დამუშავების კვალი.

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს „გუგუნიჯვარის“ სახელით ცნობილი ბორცვი. მის თავზე შემორჩენილია ფლეთილი ქვებისაგან შედგენილი წრეები, რომელთა დმ 6-7,5 მ-ია. წრეთა შიგნით აღმოსავლეთ-დასავლეთისაკენ დამხრობილი სათავსოების ნაშთებია. სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით, 500 მ დაშორებით მდებარეობს „ალაიათლის“ სერი, რომელზეც 23 დარანის ნაშთია შემორჩენილი. აქვეა „საჩენი თავის“ ბორცვი. ამ ბორცვსა და „ალაიათლს“ შორის დარანის ნანგრევია. თვით „საჩენი თავის“ ბორცვის თხემზეც ოთხი დარანის ნაშთია. „საჩენი თავის“ დასავლეთით, ადგილ „ვარძიის თავზე“ ხუთი დარანი აღმოჩნდა (ტატიშვილი 1970: 21).

ზედა თმოგვი მდებარეობს ნაცრისფერი ბაზალტის კვადრებისაგან ნაკები სამნავიანი ბაზილიკა. მისი მთავარი ნაწი უფრო განიერი და მაღალია, ვიდრე ორი დანარჩენი. აღმოსავლეთის ფასადს ამკობს ორი ნიში და სამი ორნამენტირებული სარკმელი. სამხრეთის შესასვლელს წარწერებითა და ორნამენტით შემკული პორტალი აქვს. ეკლესია მრავალჯერაა გადაკეთებული. ეკლესიაზე ასომთავრულით შესრულებული ცხრა წარწერაა, თუ არ ჩავთვლით მზის საათთან გამოსახულ ასოებსა და პატარა ქვას, რომელზეც ამოჭრილია სიტყვები „ქრისტე შეიწყალებ“. იგი რომელიღაც წარწერის დასაწყისი უნდა იყოს (გვერდწითელი 1947: 237). წარწერათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია პირველი, მესამე და მეოთხე. პირველი მოთავსებულია სამხრეთი ფასადის შესასვლელზე: „ქრისტე იესო, მეუფეო დიდებისაო, ადიღე ბაგრატ და მარია მ დედოფალი“. წარწერაში მოხსენიებულია ბაგრატ IV და მისი დედა მარია მ. მესამე წარწერა: „ქრისტე, შეიწყალებ სული ფარსმან ერისთავთ-ერისთავისაი იოანეს ძისაი ჭიმჭიმელისაი“. წარწერაში მოხსენიებულია ფარსმან თმოგველი, რომელიც ბაგრატ IV-ის თანამედროვე იყო. სამხრეთ ფასადზევეა წარმოდგენილი მეოთხე წარწერა: „ქრისტე, შეიწყალებ სული გიორგი აფხაზისა“. მასში მოხსენიებული

გიორგი შესაძლოა იყოს ბაგრატ IV-ის ძე გიორგი II, მეფე აფხაზთა და ქართველთა (ბოჭორიძე 1992: 215-218; გვერდწითელი 1947: 237-249).

ბიბლიოგრაფია: ბოჭორიძე 1992: 215-218, 221, 224, 246, 247, 264; გვერდწითელი 1947: 237-249; გურჯისტანის ვილაიეთის... 1941: 17, 246; ტატიშვილი 1970: 18-22; ქც 2,518,28; ცხოვრება... 1980: 46.

ზიკილია (ქც 4: 662,26). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 466,19; 467,3; 662,26), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 100). მდებარეობს ახალციხის მუნიციპ-ში, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადის, ზიკილიის ხევის ორივე ნაპირზე, დღევანდელი სოფ. ზიკილიის ტერიტორიაზე.

წყაროებში ზიკილია პირველად იხსენიება XVI ს-ში (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 100). XVIII ს-ის დასაწყისში ზიკილიაში მყოფ ქართლის მეფე გიორგი XI-ს (1676-1688, 1703-1709) ახალციხის ფაშამ ალყა შემოარტყა. დოღენჯი ხმალაძემ მეფე საბლით ჩამოუშვა ციხის ზღუდიდან. ზიკილიიდან წამოსულ მეფეს ქართლის დიდებულები დაეხმარნენ ტახტის ხელმოტოვებელ დაკავებაში (ქც 4: 466,19, 467,3).

ზიკილია არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფლის მახლობლად შემორჩენილია ციხისა და ეკლესიის ნანგრევები. ზიკილიის ხევის მარჯვენა ნაპირზე, სოფლის სამხრეთით, კლდეში გამოკვეთილი იყო რამდენიმე გამოქვაბული (ბოჭორიძე 1992: 40, 41), რომლებიც XX ს-ის 50-იან წლებში საავტომობილო გზის გაფართოებისას დაინგრა.

ბიბლიოგრაფია: ბოჭორიძე 1992: 40, 41; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 100; 1958: 136, 137; ქც 4: 466,19; 467,3; 662,26.

ზნაკვა, ციხე (ქც 4: 763,4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 763,4), ნიკორწმინდის XI ს-ის სიგელი (ქრონიკები 1897: 45-47; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 27, 28, 30; ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: 39-41), XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 652; ქრონიკები 1897: 452), იოანე გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 293).

მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპ-ში, რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, რიონის შენაკად მდ. ზნაკურას მარჯვენა ნაპირზე.

პირველად იხსენიება ნიკორწმინდის XI ს-ის შეწირულობის სიგელში (ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: 39-41). იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565) 1544 წ. ნიკორწმინდას შესწირა ზნაკვაში მცხოვრები სამი კომლი ეკლესია (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 652). 1637 წ. იმერეთის მეფე გიორგი III-მ (1605-1639) გელათს შესწირა ზნაკვაში მოსახლე

ერთი კომლი (ქრონიკები 1897: 452). ზნაკვას ციხე იყო წულუკიძეთა საგვარეულოს თავდაპირველი რეზიდენცია (ბერაძე 1975: 147).

ციხე მდებარეობს სოფ. ზნაკვას ზემოთ, მდ. ზნაკურას დასავლეთით, ამ მდინარის შენაკადების – ციფწყალასა და ურიის ღელეთა შესართავში. ციხე სამკოშკიანია (ბერაძე 1975: 147). მის მახლობლად დგას ერთი სათოფურებიანი კოშკი. ციხის ფერდობზე ზედაპირულად აკრეფილი კერამიკის ზოგიერთი ნიმუში ადრეანტიკური ხანის უნდა იყოს. ნაგებობის აღმოსავლეთით, მდ. ციფწყალის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ ნააგარევე იყო წულუკიძეთა სასახლე და ეკლესია. ამის გამო ზნაკვას ციხეს ხშირად ნააგარევის ციხეს უწოდებენ (ბერაძე 1975: 148).

ზნაკვას ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.
ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1975: 132-154; გიულდენშტედტი 1962: 293; ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: 39-41; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 27, 28, 30; 1977: 652; ქრონიკები 1897: 45-47, 452; ქც 4: 763,4;

ზრამაგა (ზემო), დაბა (ქც 4: 646,18), ზრამაგა (ქვემო) ციხე, დაბა (ქც 4:646,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 465,1,9; 491,11; 633,20; 644,24; 645,11,22; 646,6,10,15,18,20; 647,2,13), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 442,28), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1964: 61).

ვახუშტი ბაგრატიონი ზემო ზრამაგას შესახებ აღნიშნავდა: ზრამაგას ხევის „შესართავს ზეით არს ზემო ზრამაგა, დაბა კოშკოვანი და ეკლესია მცირე“ (ქც 4: 646,15,18). „ხოლო ქუეშო ზრამაგა არს კასრისა და ყელელის წყლების შესართავს შუა, და ციხე დიდი, ფრიად მაგარი ... და დაბა კოშკოვანი“ (ქც 4: 646,6).

ლოკალიზდება ჩრდილოეთ კავკასიაში. ისტორიული დვალეთის ნაწილი ამჟამად მოქცეულია ოსეთის (ჩრ. კავკასია) რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ბიბლიოგრაფია: გამრეკელი 1961: 85; გიულდენშტედტი 1964: 61; ქც 2: 442,28; ქც 4: 465,1,9; 491,11; 633,20; 644,24; 645,11,22; 646,6,10,15,18,20; 647,2,13.

ზუგდიდი (ქც 4: 450,3 ; 778,16,18,სქ.7; 817,3; 836,16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 450,3; 778,16,18,სქ.7; 817,3; 836,16), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 361,30; 503,13; 533,6; 534,20), ლიხთ-იმერეთის 1737 წ. რუკა (ბურჯანაძე 1959: 193), ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 419, 470; 1985: 766, 770, 773, 787, 788, 789, 793, 806; ქართ. დოკ. 1967: 84; ქრონიკები 1967: 645, 555, 638), დავით ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია“ (ბაგრატიონი 1971: 31), ნიკო დადიანის

„ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 144, 157, 162), ქრისტოფორო დე კასტელის „ცნობები და აღბოში საქართველოს შესახებ“ (კასტელი 1976: 172), არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ (ლამბერტი 1938: 32), ფეოდოტ ელჩინის „მუხლობრივი აღწერა“ (ლიხაჩოვი 1954: 222), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 325), დიუბუა დე მონპერეს „მოგზაურობა კავკასიაში“ (დიუბუა დე მონპერეს 1937: 116), ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 114). ვახუშტი ბაგრატიონი ზუგდიდის შესახებ გადმოგვცემს: მდ. ჭანისწყლის „ჩდილოთ კერძოდ დიდს ველსა ზედა არს ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ხლუდე-გოლიანი“ (ქც 4: 778,16,17).



დადიანების სასახლე

მდებარეობს ოდიშის დაბლობზე, მდ. ჩხორუმის ნაპირებზე, ახლანდელი ქ. ზუგდიდის ტერიტორიაზე. წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება: „ზუბდიდი“ (ბურჯანაძე 1959: 193; ლიხაჩოვი 1954: 222; გიულდენშტედტი 1962: 325), „ზუბდითი“ (ბაგრატიონი 1971: 31), „ზუგდიდი“ (ქც 2: 361,30; ქც 4: 450,3, 778,18; ლამბერტი 1938: 32).

სახელწოდება ზუგდიდი წარმოდგება „ზურგდიდიდან“ (ბაქრაძე 1875: 356; ტულუში 1983: 161, 162). სხვა მოსაზრებით – „ზუბი“-დან (დიუბუა დე მონპერე 1937: 116; მესხია 1967: 244-250). XVII-XVIII სს-ში ზუგდიდი მცირე ქალაქი და ოდიშის მთავართა რეზიდენცია იყო.

ის არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ქ. ზუგდიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით 6 კმ-ის დაშორებით, სოფ. ოდიშში, მდ. ჯუმის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს ნეოლითური ხანის ნამოსახლარი, რომელიც 1936 წ. აღმოაჩინა ალ. კალანდაძემ. ნამოსახლარის ქრონოლოგიაზე სხვადასხვა მოსაზრებაა: მას მეზოლითური და ნეოლითური ფენების შემცველ ძეგლად მიიჩნევენ (კალანდაძე 1939ა: 364-371). სხვები ადრენეოლითით ათარილებდნენ (ფორმაზოვი 1962: 147, 148) ან გვიანნეოლითური ხანის ერთფენიან ძეგლად მიიჩნევენ (ნებერიძე 1972: 81). ოდიშის კოლექციაში წარმოდგენილია კაჟის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ანატაკეც-ანამტვრევები, პრიზმისებური, კონუსისებური და ფანქრისებური ნუკლეუსები, ლამელები, საჭრისები, საფხეკები, რიყის ქვის ცულები, სატეხ-სათლელები, ხელჩაქურები, საბეგველები, სახეხები, სანაყები, ხელსაფქვაკები, წერაქვისებური და შუბისებური მაკროლითები; დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ქილისებური მოყვანილობის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (საქ. არქ. 1991: 248, 249).

სოფ. ოდიშში 1966 წ. შემთხვევით აღმოჩნდა თიხის

კოჭოპში ჩაყრილი ბიზანტიური ვერცხლის ჰექსაგრამების განძი, რომელიც 28 მონეტისაგან შედგებოდა. მონეტები ეკუთვნის ბიზანტიის კეისრებს: მავრიკ ტიბერიუსს (582-603) – 2 ც, ირაკლისა და ირაკლი-კონსტანტინეს (610-641) – 11 ც. ჰექსაგრამები მოჭრილია კონსტანტინოპოლში. განძი თარიღდება VII ს-ის 20-იანი წლებით (აბრამიშვილი 1970: 23-25; ჯვალანია 1975: 123-131). განძი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ზუგდიდის მუნიციპლის სოფ. მახარიაში, მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე, 1916 წ. მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს სამი ჭურჭელი მრავალრიცხოვანი ინვენტარით. ნივთების დიდი ნაწილი დაკარგულია. გადარჩენილია 4 მათგანი – კოლხური ცული, ბრტყელი ცული, თოხი და მოხრილი დანა (ქორიძე 1965: 28). განძი თარიღდება ძვ. წ. XII-XI სს-ით (ქორიძე 1965: 112). ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში.

ზუგდიდის მუნიციპლის სოფ. ორულეში შემთხვევით აღმოჩნდა ლითონის განძი. მის შემადგენლობაში ყოფილა 21 სეგმენტური იარაღი, პატარა ზოდი და ბრინჯაოს ჭურჭლის ნატეხი (ქორიძე 1965: 48).

ზუგდიდის მუნიციპლის სოფ. ახალსოფელში, 1913 წ. გზის გაყვანისას აღმოჩნდა მონეტების განძი, რომელიც შედგება კოლხური ნახევარდრაქმებისაგან, I და II ტიპის დიდრაქმებისა და ახალი ტიპის ნახევარდრაქმებისაგან. განძი თარიღდება ძვ. წ. V ს-ით (დუნდუა 1987: 16). მონეტები დაცულია ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ და საქართველოს ეროვნულ (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) მუზეუმებში.

ზუგდიდის ცენტრში მდებარეობს დადიანთა სასახლე (ქც 4: 778,17). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. ზუგდიდის ეკლესიიდან 300 მ-ის დაშორებით შემორჩენილია ციხესიმაგრის ნაშთები, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „ჯიხასს“ უწოდებენ (ტულუში 1983: 160).

ქალაქის განაპირას, მაცხოვრის გორაზე აღმართულია „მანცხვარკარის“ ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია. დასავლეთ კარიბჭეზე სამრეკლოა მიშენებული. ეკლესია ნაგებია რიყის ქვითა და კვადრებით. კარი და სარკმელი მოჩუქურთმებულია. ეკლესია XIII-XIV სს-ით თარიღდება (ტულუში 1983: 160).

ზუგდიდიდან 10 კმ-ის დაშორებით მდებარეობს სოფ. კორცხელის ღვთისმშობლის გუმბათიანი ეკლესია. ნაგებია რიყის ქვით. აშენებულია ლევან დადიანის მიერ XVII ს-ის პირველ ნახევარში (თაყაიშვილი 1914: 200-208). ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილია XIX ს-ის მხედრული წარწერა. დასავლეთ კედელზე დაცულია ბერძნული გვიანდელი წარწერები (ყაუხჩიშვილი 1951: 65, 66).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1970: 23-25; ბაგრატიონი დავით 1971: 31; ბაქრაძე 1875: 356; ბოროზდინი 1934: 3, 7-9, 16, 17, 25, 33-35, 37, 39,

41, 47, 48, 64, 68, 69, 120, 233; ბურჯანაძე 1959: 193; გამბა 1987: 114; ვიულენშტედტი 1962: 325; დადიანი 1962: 144, 157, 162; დიუბუა დე მონპერე 1937: 116; დუნდუა 1987: 16; თაყაიშვილი 1914: 200-208; კალანდაძე 1939: 364-371; კასტელი 1976: 172; ლამბერტი 1938: 32; ლიხაჩოვი 1954: 222; მაკალათია 1941: მესხია 1967: 244-250; ნუბიერიძე 1972: 81; საქ. არქ. 1991: 248, 249; ტულუში 1983: 160-162; ფორმაზოვი 1962: 147, 148; ქართ. დოკ. 1967: 84; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 419, 470; 1985: 766, 770, 773, 787, 788, 789, 793, 806; ქირია, სარია 1967: 97; ქორიძე 1965: 28, 48, 112; ქრონიკები 1967: 645, 555, 638; ქც 2: 361,30; 503,13; 533,6; 534,20; ქც 4: 450,3; 778,16,18,სქ.7; 817,3; 836,16; ყაუხჩიშვილი 1951: 65, 66; ჯვალანია 1975: 123-131.

ზუზუ (ქც 4: 784,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 784,14,16; 851,22), ლიხთ-იმერეთის 1737 წ. რუკა (ბურჯანაძე 1959: 193, 194), „იმერეთის ქრონიკები“ (ქრონიკები 1967: 642), ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 85, 87).

ვახუშტი ბაგრატიონი ზუფუს შესახებ გადმოგვცემს: „ანაკოფიის დასავლით დის ალაცოს წყლი ... ალაცოს წყლის დასავლით დის ზუფუს მდინარე ... არს ზუფუ მცირე ქალაქისაგან, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა“ (ქც 4: 784,11-15).

მდებარეობს გუდაუთის მუნიციპალიტეტში, გუდაუთიდან 4 კმ-ის დაშორებით, ახლანდელი სოფ. ლიხნის ტერიტორიაზე (მიძარია 1986: 9).


ზუფუ წერილობით წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება: „ლიხნი“ (ქრონიკები 1967: 642), სოუკ-სუ (გამბა 1987: 85). XVII-XVIII სს-ში აფხაზი მთავრების რეზიდენციას წარმოადგენდა (ანჩაბაძე 1959: 289).

ლიხნიში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია 1975-1976 წწ. (ხელმძღ. ლ. შერვაშიძე), 1977 წ. (ხელმძღ. გ. შამბა), 1978 წ. (ხელმძღ. ი. ცვინარია), 1981-1984 წწ. (ხელმძღ. ლ. ხრუშკოვა).

დაფიქსირებულია გვიანაშელური სადგომისა და ადრეელნისტორიული ხანის ნამოსახლარის ნაშთები (ზამიატინი 1961: 94). არქეოლოგიურად შესწავლილია ლიხნის სასახლის კომპლექსი და მისი მიდამოები. ორსართულიანი სასახლე (28,35X31,1 მ) მდებარეობს სოფლის შუაგულში. პირველი სართულის ძირითადი ნაწილი ეკავა საზეიმო დარბაზს, მეორე სართული საცხოვრებელ ოთახებს (ხრუშკოვა 1987: 102). ნაგებია თლილი რიყის ქვებით კირხსნარზე. სასახლის აშენების თარიღის



ლიხნის ტაძარი



ლიხნისი სასახლის გეგმა

შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია: IX-X სს (ხრუშკოვა 1987: 101), X-XI სს (გინკი, ტომპოსი 1978: 52, 53), XVI-XVII სს (ვორონოვი 1978: 68), XIX ს (ფაჩულია 1958: 107). სასახლის კომპლექსის ტერიტორიაზე აღმოჩნდა: IX-X სს-ის სვეტოსტები პითოსების, ოვალური ფორმის ყურბანი დოქების, სქელკედლიანი ჯამების, კრამიტების ფრაგმენტები; XVI-XVII სს-ის მოჭიქული კერამიკის, სარკმლის მინის, ფაიანსისა და მინის ჭურჭლის ნატყენები; XVII ს-ის 14 პითოსი (ხრუშკოვა 1987: 103). მასალა ინახება სოხუმში, აფნაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

1952 წ. სოფ. ლიხნში შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. XVII-XIV სს-ის ბრინჯაოს ცულების განძი, რომელიც 35 ეგზემპლარისაგან შედგება (თრაფუმი 1970: 174-183; ქორიძე 1965: 103).

1983 წ. ლიხნის სასახლის კომპლექსის პირველი ნახანძრავი ფენის ქვეშ აღმოჩნდა განძით სავსე დოქი. განძი შედგება შემდეგი ნივთებისაგან: სარდიონის მძივები, ვერცხლის ბეჭედი, ბიზანტიური ოქროს მონეტები (27 ც) დუკების დინასტიის იმპერატორთა სახელზე მოჭრილი (XI ს-ის მესამე მეოთხედი); ვერცხლის მონეტა კონსტანტინე მონომახისა (XI ს-ის შუა ხანები); ვერცხლის 43 მონეტა პაგრატი IV-ისა და გიორგი II-ისა (ხრუშკოვა 1987: 103). ორივე განძი ინახება სოხუმში, აფნაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

ციხესიმაგრე აბაათა მდებარეობს ლიხნში, მდ. ხიფსტას მარცხენა ნაპირზე. ნანგრევებია შემორჩენილი. ციხის სიგრძე 190 მ, სიგანე 110 მ. კედლის სისქე 3 მ. ნაგებია რიყის ქვითა და უხეშად თლილი

კვადრებით, კირხსნარზე. ციხესიმაგრე ახ. წ. VII ს-ით თარიღდება (შერვაშიძე 1979: 224).

ლიხნის ეკლესია მდებარეობს მდ. ხიფსტას მარცხენა ნაპირზე. ნანგრევებია შემორჩენილი. ნაგებია რიყისა და თლილი ქვებით. დარბაზული ეკლესიის აშენების თარიღის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია: VI ს. (რჩულიშვილი 1978: 24), VII-VIII სს (შერვაშიძე 1979: 224).

ლიხნის ღვთისმშობლის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი მდებარეობს სასახლის კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 150 მ დაშორებით. ნაგებია თლილი ქვებით. დასავლეთის მხრიდან ტაძარს მიშენებული აქვს კარიბჭე. გუმბათის ყელში რვა სარკმელია (ამირანაშვილი 1971: 245). ინტერიერი მოხატულია სხვადასხვა პერიოდის ფრესკებით (ვორონოვი 1978: 65, 66). ტაძრის კედლებზე შემორჩენილია ქართული და ბერძნული წარწერები. ქართული წარწერების ერთი ნაწილი XI ს-ით თარიღდება, ბერძნული XIX ს-ით (ყაუხჩიშვილი 1951: 8-10).

ბიბლიოგრაფია: ამირანაშვილი 1971: 245; ანჩაბაძე 1959: 289; ბურჯანაძე 1959: 193, 194; გამბა 1987: 85, 87; გინკი, ტომპოსი 1978: 52, 53; დიუბუა დე მონპერე 1937: 113, 116, 149; ვორონოვი 1978: 65, 66, 68; ზამიატინი 1961: 94; თრაფუმი 1970: 174-183; რჩულიშვილი 1978: 24; ტოლმაჩევსკაია 1931; ფაჩულია 1958: 107; ქორიძე 1965: 103; ქც 4: 784,14,16; 851,22; ქრონიკები 1967: 642; ყაუხჩიშვილი 1951: 8-10; შერვაშიძე 1979: 224; ძიძარია 1986; ხრუშკოვა 1983: 416; 1986: 409; 1987: 101-103.

ზღუდვები (ქც 4: 721,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი პაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 721,13), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქც 2: 521,13; 526,1), „მესხური მატიანე“ (სამხ. საქ. ისტ. 1961: 52), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 49, 55), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 134, 135).

ლოკალიზდება ახალციხის მუნიციპ-ში, სოფლების: ზიკილის, წინუბნისა და გიორგიწმინდის მიდამოებში (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 135).

ზღუდერი არქეოლოგიურად შეუსწაველია.

ამ სახელწოდებით რამდენიმე სოფელი და ადგილია ცნობილი: ცხინვალთან, მდ. ლიხვის ხეობაში (პაგრატიონი 1986: 41; გიულდენშტედტი 1962: 101, 277), მდ. ძამის ხეობაში (იხ. მძორეთი), გურჯაანთან (ჭილაშვილი 1968: 74).

ბიბლიოგრაფია: პაგრატიონი 1986: 41; გიულდენშტედტი 1962: 101, 277; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 134, 135; სამხ. საქ. ისტ. 1961: 52; ქც 2: 521,13; 526,1; ქც 4: 721,13; ცხოვრება ... 1980: 49, 55; ჭილაშვილი 1968: 74.



თაბორი, ციხე (ქც 4: 334,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 334,14; 501,18; 502,22,25), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 299,21), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 71, 137, 143, 144, 147, 197), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 47), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 23, 24), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1967: 91, 122, 162, 189, 194, 195, 431, 614, 627, 632), სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 36, 47).

მდებარეობს ქ. თბილისში, მდ. მტკვრისა და წავკისისწყლის მარჯვენა ნაპირზე, თაბორის მთაზე, რომელიც თრიალეთის ქედის ერთ-ერთი განშტოებაა.

თაბორის ციხე თბილისს სამხრეთიდან იცავდა. სახელწოდება თაბორი ბიბლიური წარმოშობისაა. ქართულ ისტორიულ წყაროებში ხშირად მის ნაცვლად მთაბორთა მოხსენიებული (ქც 4: 501,17, 502,22). 1045 წ. მეფე ბაგრატ IV-მ (1027-1072) თბილისის დაკავების შემდეგ აიღო თაბორის კოშკი და შიგთავისი მეციხოვნეები ჩააყენა (ქც 1: 299,21). 1723 წ. კახეთის მეფე კონსტანტინე II-სა (1722-1733) და ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს (1716-1724) შორის წარმოებული ბრძოლის დროს თაბორის ციხე ხელიდან ხელში გადადიოდა. 1735 წ. ირანის ჯარმა თამაზ-ხანის (შემდეგში ნადირ-შაჰი) მეთაურობით თაბორის ციხე დაიკავა. 1747 წ. ერეკლე II-მ (1744-1798) აიღო და განაახლა თაბორის ციხე. 1795 წ. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას ქართველთა ზარბაზნები იდგა თაბორზე, საიდანაც აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა დავით ბატონიშვილი. თბილისის აღების შემდეგ ალა-მაჰმად-ხანმა თაბორის ციხე დაანგრია. XVIII ს-ში თაბორის ციხეს ყორჩი-ყალა ანუ დამცველი ციხე ეწოდებოდა (ბერიძე 1977: 87-98). თაბორის ციხის ტერიტორიაზე იდგა ფერიცვალების ეკლესია (იოსელიანი 1866: 253; ჯანაშვილი 1899: 184; ბერიძე 1977: 96, 97).

1972 წ. ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თაოსნობით თაბორის მთაზე ჩატარდა დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები (ხელმძღ. ო. ტყეშელაშვილი). იქ გამოვლინდა თლილი ქვით ნაგები კედლის ნაშთი და შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის

ფრაგმენტები (ტყეშელაშვილი 1986: 1-10). მასალო იხახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი). **ბიბლიოგრაფია:** ბაგრატიონი 1983: 47; ბაგრატიონი დავით 1941: 23, 24; ბერიძე 1977: 87-98; იოსელიანი 1866: 253; ორბელიანი 1981: 71, 137, 143, 144, 147, 197; ტყეშელაშვილი 1986: 1-10; ქრონიკები 1967: 91, 122, 162, 189, 194, 195, 431, 614, 627, 632; ქც 1: 299,21; ქც 4: 334,14, 501,17; 502,22,24; ჩხეიძე 1913: 36, 47; ჯანაშვილი 1899: 184.

თააკვრი, ციხე (ქც 4: 748,26). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 57,12); ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 185,19; 241,6). ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 748,16,26,სქ.1; 749,5; 776,7,9), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 27,2; 33,21; 49,15; 65,16), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 349,18), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 150).

ვახუშტი ბაგრატიონი თავის შესახებ გადმოგვცემს: „გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ხეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკურად. არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსთა მთათავან, კუერსავით მდებარისა – იხილე ესე მთა კუერი, – ანუ ციხისაგან ფრიად მაგრისა, მუნვე თაკურისა ... ცხენისწყალს მოერთვის, გორდს ზეით, ჩდილოდამ, კავკასის გამომდინარე ხევი, და ამ ხევედ არს ციხე თაკური, მაღალს კლდესა ზედა, დიდშენი და ფრიად მაგარი“ (ქც 4: 748,15-26, 749,1).

ვახუშტი ბაგრატიონს თავის რუკაზე თაკურის ციხე მითითებული აქვს დღევანდელი ზუბის ციხის მიდამოებში, სადაც აღმართულია ადრე შუასაუკუნეების დიდი ციხესიმაგრის ნანგრევები. მკვლევართა აზრით, თაკურის ციხე უფრო ზუბის ციხეა, რომლის ირგვლივ მრავლადაა კვერ-ფუმიანი ტიპონიმები: მდ. კვერშულა; მთა კვერშიგვერდი; საკვერია, ასხის მთის მასივის დიდი ტერიტორია, სადაც სათავეს იღებს მდ. კვერეშულა; მთა და საბალახო თაკურა ასხის მთის მასივზე (შარაშიძე 1976: 29; მუსხელიშვილი 1977: 126; ბერიძე 1977: 96, 97).

თაკური წყაროებში იხსენიება II ს-ის ამბების აღწერისას, როდესაც ამაზასპს განუდგნენ ერისთავები

ეგრისისა, ოძრხისა, კლარჯეთისა და წუნდისა. მათ დასახმარებლად მიმართეს ოსებს, რომლებმაც გადმოვლეს გზა თავკერისა (ქც 1: 57,12). ვახტანგ გორგასალმა თავკერის ერისთავად დასვა ბაკური (ქც 1: 185,19). მეფე მირმა თავის ძმას, არჩილს მისცა ეგრისი, სვანეთი, თავკერი, არგვეთი, გურია (ქც 1: 241,5,6). თამარის მეფედ კურთხევას 1184 წ. ესწრებოდა კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თავკერისა (ქც 2: 27,2).

თავკერის ციხე იხსენიება VII ს-ში. აქ იმყოფებოდა ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, მაქსიმე აღმსარებლის ერთ-ერთი მოწაფე ანასტასი აპოკრისიარი, რომელიც თეოდოსი განგრელს 666 წ. სწერდა, თავკერის ციხეში ცოტაოდენი სიმშვიდე ვპოვეო (ავათია სქოლასტიკოსი 1936: 59, სქ.1).

თავკერის ციხედ მიჩნეული ზუბის ციხე მდებარეობს ცაგერტიდან სამხრეთით 14 კმ-ზე, ცხენისწყალ-კვერშოულას შესართავს ქვევით, მთებით შემოზღუდული ხეობის ცენტრში ამოზიდულ მაღალ კონცხზე. მდინარის კალაპოტი კონცხის გარშემო წრეს მონაზავს და ნაგებობას მოუხდის ხედას. სხვა მხრიდან ციხე ტერასულადაა ნაგები. გალავანი რელიეფს ეხამება და მრუდნაზოვანია. პირველ ტერასაზე აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან შემოსდევს გარედან თხრილით გამაგრებული, კლდის დიდრონი კვადრებით ნაგები საყრდენი კედელი. ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მას შემოსდევს ცხენისწყალი. შვეული ფრიალო კლდე სპეციალურ გამაგრებას არ საჭიროებს. მეორე ბაქანი ციხეს აღმოსავლეთიდან აქვს და სწორკუთხაა. იქ შემორჩენილია დიდრონი კვადრებით თარაზულად ნაგები საყრდენი კედლები, რომლებიც თავისი სტილით ადრე შუასაუკუნეებისაა. მესამე ზედა ბაქანზე, ბორცვის თხემზე დიდი მოცულობის ციხადგლია. შუაში დიდი ოთხკუთხა კოშკია, ყოველი მხრიდან – ბურჯებით. ნანგრევებში შეინიშნება ორბაგი კედლები. ციხის ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში დგას დიდი საბრძოლო ნახევარწრიული ბურჯი. აღმოსავლეთით კუთხეებში მრგვალი კოშკები უნდა ყოფილიყო. მის ძირში შემორჩენილია წყლის რეზერვუარი. კედლები ნაგებია უხეშად დამუშავებული კლდის ქვით. მათი წყობა სხვადასხვა ნაწილში განსხვავებულია. თუ ქვედა ციხე-ზღუდე ერთმანეთზე მორგებული დიდი ნათალი ქვითაა ნაგები, ზედა ნაწილში ქვების წყობა არეულია. ციხის მდებარეობა და მისი გრანდიოზულობა იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ იქ მჯდარა ხელისუფალი (მუსხელიშვილი 1977: 125, 126; ბერძენიშვილი ... 1983: 29-30).

ზუბის ციხე მდებარეობს გზასაყარზე. ციხის ძირში, სამხრეთით ცხენისწყალზე ხიდი იყო გადებული. ამ ადგილიდან გზები მიემართება სამეგრელოსა და იმერეთისკენ.

ზუბის ციხეზე 2003-2004 წწ. გათხრებს აწარმოებდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიცია ჯ. კობალიანის ხელმძღვანელობით. გათხრებისას მოპოვებულია სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური მასალა, ძირითადად კერამიკა.

ბიბლიოგრაფია: ავათია სქოლასტიკოსი 1936: 59, სქ. 1; ბერძენიშვილი ... 1983: 29-30; დადიანი 1962: 150; მუსხელიშვილი 1977: 91, 105, 118, 123, 126, 127, 128, 129, 135, 136, 209, 211, 215; 1980: 53, 77, 83, 84, 106, 107, 142, 154, 159; ქც 1: 57,12, 185,19, 241,6; ქც 2: 27,2; 33,21; 65,16; 68,1; ქც 4: 748,16,26, სქ.1; 749,5; შარაშენიძე 1976: 25-30.

თამარაშენი, მცირე ქალაქი (ქც 4: 370,23,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, (ქც 4: 370,23, 25), იონან ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 41, 43), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1910: 199; ქრონიკები 1967: 45 დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 56, 113, 190; ქართულ-სპარსული ... 1955: 316; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 105, 136; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 100; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 269; 1981: 466, 479, 545, 641), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 101, 279).

მდებარეობს ცხინვალის მუნიციპ-ში, დღევანდელ სოფ. თამარაშენის ადგილას.

ზოგი ავტორის მოსაზრებით თამარაშენი თამარ მეფეს დაუარსებია. XIII ს-ის დასაწყისში თამარაშენი დანგრეულა ჯვალაღედის შემოსევის დროს. XV ს-ში თამარაშენი მაჩაბლების საკუთრებაა (მეგრელიძე 1984: 195). XVIII ს-ის დასაწყისში ის მცირე ქალაქადაა მოხსენიებული (ქც 4: 370,23,25). XIX ს-ში, სამაჩაბლოს გაუქმების შემდეგ, მაჩაბლები აჩაბეთიდან თამარაშენში გადმოსახლდნენ (მაკალათია 1971: 29; გვასალია 1982: 48).


1954-1958 წწ. ისტორიის ინსტიტუტის სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის არქეოლოგიის ინსტიტუტის პალეოლითის რაზმთან ერთად (ხელმძღ. 1954 წ. ო. ჯავარიძე, 1955 წ. გ. ცაიტიშვილი, 1958 წ. აღ. კალანდაძე) შეისწავლა თამარაშენის მუსხეთის პერიოდის ღია სადგომი, რომელიც მდებარეობს სოფ. თამარაშენიდან დაახლოებით 900 მ-ის დაშორებით, მდ. ლიანვის მარჯვენა ნაპირზე, 600-700 მ სივანის ტერასაზე. ძველი წარმოადგენს დაზიანებულ სადგომ-სახელოსნოს. კულტურული ფენა მთლიანად განადგურებულია. განათხარ ტერიტორიაზე აღმოჩნდა: ნუკლეუსები, არალევალური ანატკეც-ლამელები, ლევალური ანატკეცები, დაკბილული ანატკეცები და ლამელები, სახოკები, საფხეკები, ჩოპერები, ჩოპინგები, ბიფასები და სხვა (ბუგაიანიშვილი 1991: 113; ლიუბინი 1958: 30-39; 1977: 96-98). თამარაშენში შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხე და XIX ს-ის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია (6,30X4 მ) (ბარნაველი 1959: 149).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 41, 43; ბარნაველი 1959: 149; ბერძენიშვილი 1966: 25, 30; ბუგაიანიშვილი 1991: 70-130, 113; გვასალია 1982: 29-56, 33, 37, 38; 1983: 19, 48, 107, 111, 134, 158; 1997:

21; გიულდენშტედტი 1962: 101, 279; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 56, 113, 190; ლიუბინი 1958: 28-40, 30, 39; 1977: 96-98, 100, 102, 130-139; მაკალათია 1971: 35; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 105, 136; მეგრულიძე 1984: 195-200; იოსელიანი 1850: 63; მესხია 1983: 226, 227; 1986: 292, 293; ოსეთის ისტ. 1962: 24; საქ. სიძ. 1910: 199; ტეხოვი 1971: 35; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 100; ქართულ-სპარსული ... 1955: 188, 189, 316, 317; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 269; 1977: 389; 1981: 466, 479, 545, 641; ქრონიკები 1967: 45; ქც 4: 370,23,25; ხარაძე 1992: 126, 130, 132; ჯავახიძე 1991: 22.


თბილისი, ტფილისი (ქც 1: 9,14). ოსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქც 1: 9,14; 10,5; 21,19; 24,15,24), მისივე „წინის მიერ ქართლის მოქცევა“ (ქც 1: 136,12,20), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 33,7; 50,6; 57,11; 96,22,26; 119,8; 121,28; 122,10; 127,6,18,23; 128,4, 7,12; 129,17,21,25; 130,3,4; 132,28; 145,15,21,22,26; 146,1,3,22,24; 147,4; 148,10; 150,25; 151,4,20; 157,9; 161,2; 163,11,12; 166,12; 170,1; 177,6; 188,5; 191, 4,20; 198, სქ. 3; 199,3,26; 202,15-18; 203,1,24; 204,3,10,18; 205,4-6; 207,8,25; 208,2; 212,27,28; 213,24; 214,19; 215,26; 216,23; 219,11; 220,6,8,30; 222,23; 223,18,19; 224,1,6,19; 227,1; 228,3; 232,13 ,26; 237,12,27; 240,1,8,17; 243,23; 244,26; 245,13; 247,23; 253,26; 254,1,25; 255,8,11; 257,2; 258,16,22; 259,9; 260,8; 262,12; 263,26; 264,4; 265,9; 266,27; 267,9; 275,26; 270,1; 279,18; 280,20; 281,16; 288,18; 309,სქ.1; 329,8,20; 330,14; 333,10,24,27-29; 334,1,2, 4,12,15,სქ.2; 335,9, სქ. 2; 337,3,8; 338,1-3,16,18,22-24; 345,17; 346,10; 349, სქ. 1; 357, სქ. 2; 369, სქ. 1; 382,7,9; 383,23; 384,3,10; 385,4,16,23; 386,18; 387, 26; 388,3,5; 389,10,13; 390,1,12; 392,11; 394,13; 396,11; 16,23; 398,1,27,28; 399,6,13,16,23, სქ. 1; 401,16; 402,9,12-15,28; 403,2,27,28; 404,2; 405,12, 15,16; 406,24,25; 407,6; 408,4,10,13,18,21; 409,8,15; 410,14,15; 411,19,29; 413,10,15,16,19; 414,1,4,6,20; 417,10; 419,9; 420,28; 426,21,22; 427,25; 428,2,10; 429,23; 431,2; 432,15,17; 434,4,5,17,25; 436,26; 438,16,17,19; 440,4; 441,6,9; 442,6,14; 444,1,22; 445,39; 447,12; 448, სქ. 2; 449,21; 450,10; 451,14; 452,20; 453,14; 454,10,18,21,24,25; 456,1,22; 457,7; 458,20; 464,6; 467,18,26; 468,6; 470,13,26; 471,15,25; 475,15; 476,20, სქ. 1; 478,9; 479,15,19; 481, სქ. 1; 482,6,11; 486,21; 488,3; 491,17; 492,20,23; 493,18; 495,16,21; 497,2,6,12, სქ. 1; 498,2,9,20; 499,22; 500, 17,22,24; 501,5,8,10; 502,4,8,9,20,22,30; 503,6,8,13, 15,26; 504,4,22; 505,21; 506,24; 507,1,8,12; 508,9,29; 510,17; 514,5,11,13,17,26; 515,2,4,5, სქ. 1-3; 516,1, სქ.2; 517,1,18, სქ. 1; 518,5,7,14; 519,9,11,14,25; 521, 1,13,16; 535,17; 562,14,16; 571,5; 572,4,19; 574,10; 578,9; 580,15,18; 588,17,22; 593,1; 594,24; 596,24; 600,25; 601,28; 603,16; 607,15,20; 608,8; 609,19; 610,7,8; 613,3,14,29; 615,7,28; 616,14; 617,8; 620,18;

621,6,11; 625,5,21; 626,1,2,13,28; 627,6,8,20; 628, 6,7,23; 630,3; 631,30; 656,10,13; 712,6; 715,21,22; 722,10; 723,5; 738,13; 739,9; 807,1,2,4; 808,27; 817,16; 874,14; 883,5; 889,7; 892,2,3); ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 181,21; 182,2; 200,6; 202,19; 205,6,7; 222,3,4; 223,11; 224,9; 225,3; 227,11; 242,8), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1:249,16; 250,17; 251,10; 252,10; 255,1,9; 256,3,4; 263,1; 297,3,4,10,13; 298,1; 300,11), „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1: 342,18), ლაშა-ვიორგის დროინდელი მემკვიდრე (ქც 1: 365,12), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქც 1: 373,23; 374,22), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანი“ (ქც 2: 5,19; 18,21; 24,8; 36,17;19, 38,8; 43,15; 47,9; 64,6; 65,13; 104,5; 109,7), ბასილ ეზოსმოდვარის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქც 2: 122,7; 128,11; 130,23; 140,3,9; 144,20), ჟამთააღმწერელი (ქც 2:154,12; 155,5; 156,8; 174,12,14,16; 177,2; 182,6,14; 183,5,13; 187,9,10,13; 191,3; 195,8,19; 196,1; 198,16; 205,19; 207,2,13; 226,6,8; 228,16; 230,4,19; 236,19; 238, 20,22; 240,6; 243,12; 244,19,21; 246,14,19,23; 251,4; 253,18; 254,23; 255,6,13; 256,10; 257,1; 270,4; 274,12; 277,10; 278,13; 297,3,18; 298,7; 302,11,14; 303,5,22; 304,20; 307,19; 308,11; 310,13; 316,25; 323,3,4; 324,14), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 342,16,25; 344,2,11,30; 345,1,23,24; 353,20; 356,2,7,24-26; 357,9,14,18-20; 363,27,28; 367,30,31; 368,4,7,13; 373,22; 374,8,15,16; 375,3; 385,13; 395,6,8; 409,13; 419,6; 423,4,16; 434, 2,5; 478,6; 479,14; 485,29,30; 493,9; 494,12,15; 495, 9,10,18; 496,25-28,30,31; 497,7; 505,13,14; 507,23, 2,5; 508,12; 510,26; 511,27; 512,15,18,20,23,28), „მოქცევაი ქართლისაი“ (მქ 1963: 92,4, 95,20,31,



თბილისის გეგმა ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, 1735

96,3,6,18,20, 97,5), ევსტათი მცხეთელის მარტვილობა (მარტვილობაი ევსტათი მცხეთელისაი 1963: 32,8,13,16,22, 34,22,29,33, 35,4,13, 44,32), იოანე საბანის ძის „მარტვილობაი ჰაბო ტფილელისა“ (იოანე საბანის ძე 1963: 62,12, 63,12,15, 64,2, 68, 10,17, 73,2,8,10,16, 75,17), შიო მღვიმელის ცხოვრება (თბრობაი სასწაულთათვის ... 1955: 210,28), არსენ ბერის „ცხოვრება ნინოსი“ (არსენ ბერი 1971: 48), კოსტანტი-კახას მარტვილობა (მარტვილობაი კოსტანტი-კახასი 1963: 167,8,20,38), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 45, 53, 57, 83, 89-91, 109, 117, 122-124), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 4, 5, 9-12, 22, 24, 25, 27, 28, 32, 35, 36, 39-41, 43, 44, 46, 48, 55, 56, 60, 68, 77-81, 83-85, 88, 91, 94, 104), სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ეგროპაში“ (ორბელიანი 1989: 287, 289), პესარიონ ორბელიშვილის „ლუაწლი ლუარსაბისი“ (ორბელიშვილი 1989: 40,22, 23,27), არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1989: 431, 450, 460, 466, 473, 477, 480, 481, 517), იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“ (ტფილელი 1989: 627, 629, 637), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 46-48, 50, 51, 55, 60, 72, 75, 82, 83, 89, 90, 95, 108, 118, 124, 126, 173, 175, 180, 182, 185, 188, 191, 194, 195, 198, 201, 203, 205-211, 219, 221-226, 228, 232, 235-237, 244, 245), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 5, 6, 8, 20, 25-27, 30,31, 34, 36, 37, 47, 50), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1913: 241, 242, 248, 250-253, 257, 259, 263, 264, 266, 271, 273, 276), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 29, 46, 56, 81), იესე ოსეს ძის „თავგადასავალი“ (თავგადასავალი ... 1913: 6, 7, 11, 14-17, 29, 37, 39, 40, 42, 44-46, 51-53, 60, 64, 67, 70, 76-79, 81, 81, 83, 87, 97, 100, 107, 112-114, 120, 121, 123, 125, 126, 133, 135, 136), სპირიდონ გეგელიშვილის „ცხოვრება ქრისტესია მონაზონისა“ (გეგელიშვილი 1989: 128,20), გაბრიელ მცირეს „ცხოვრება ონისიფორესი“ (გაბრიელ მცირე 1989: 110,21), შუა საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთები (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 55, სამხ. საქ. ისტ. 1982: 41; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 7, 15, 47, 66, 79, 117, 135, 185, 199, 200, 203, 208, 211, 214, 246, 271, 283, 324, 378, 401, 423; 1953: 22, 64, 69, 78, 111, 134, 159, 167, 168, 173, 176, 178, 179, 184, 193, 195-197; დოკ. თბ. ისტ. 1962: 8-10, 12, 15-17, 20, 23, 25-27, 30, 32, 35-37, 44-46, 61, 67, 78, 82, 84, 95, 98, 104, 108, 109, 112, 115, 121, 125, 135, 154, 158, 186, 210, 211, 213, 223, 224, 226, 233, 242, 246, 247, 251, 286, 289, 294, 303, 313, 322, 331; ისტ. დოკ. 1958: 79, 94; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 45, 47, 49-51, 53-56, 58, 59, 62, 65, 67, 69, 83, 86, 89, 100, 109, 112-123, 125, 126, 131, 132, 141-143, 145-147, 151, 154-161, 168, 173, 178, 181, 182, 185, 192, 193, 196-198, 204, 205, 209-213, 217, 219, 271, 274, 277, 284, 294, 297, 307, 310, 318, 334, 341, 342, 349; საქ. სოდ. 1909: 9,



თბილისის არქეოლოგიური ძეგლების სქემა
რ. აბრამიშვილის მიხედვით


348, 493, 527, 545; 1910: 62, 71, 109, 116, 124, 198, 225, 250, 286, 287, 289, 338, 350, 362, 363, 382, 383, 384, 403; 1920: 204, 205, 211, 219, 221, 241, 297, 309; ქართ. ებისტ. ... 1989: 95, 99; ქართლ-კახეთის ... 1903: 21, 154, 181, 212, 222; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 496, 512; 1970: 176, 803, 877, 980, 1037, 1098; 1970ა: 591, 593, 595, 596, 598, 601, 629, 637, 644, 647, 648, 687, 701, 709, 716, 717; 1972: 406, 441, 503; 1974: 15, 251, 307, 441; 1981: 16, 17, 19, 52, 58, 86, 95, 108, 122, 141, 155, 183, 196, 197, 199, 213, 270, 271, 323, 344, 363, 387, 398, 403, 432, 454, 455, 461, 485, 500, 508, 531, 533, 539, 540, 546, 555, 564, 574, 605, 616, 617, 654, 655, 665, 707, 722, 744, 748; 1985: 19-21, 38, 40, 69, 88, 95, 114, 115, 118, 157, 178, 208, 232, 245, 246, 256, 266, 295, 302, 303, 323, 344, 347, 349, 352, 358, 367, 371, 375, 379, 390, 391, 392, 395, 414, 444, 472, 479, 485, 503, 505, 507, 508, 561, 578, 594, 614, 623, 632, 651, 664, 697, 698, 704, 705, 740, 748, 749, 818, 830, 834, 850, 859, 865, 901, 902, 911, 921, 931, 933, 934; ქრონიკები 1892: 43, 44, 50, 57, 62, 64, 66-69, 71, 72, 111, 196-199, 246, 260, 261, 264, 276, 299, 303; 1897: 21, 55, 113, 118, 124, 162, 182, 191, 195, 199, 200, 201, 219, 247, 263, 284, 299, 301, 307, 345, 376, 382-385, 389, 393, 399, 401, 402, 417, 419, 421, 424, 441, 445, 450, 453, 458, 460, 462, 476, 479, 484, 507, 511, 512, 520; 1967: 9, 11, 27, 34, 36, 43, 44, 52, 53, 63, 69, 71-73, 78, 81-83, 87-93, 143-145, 156, 157, 159-161, 173, 182, 187, 194, 195, 206, 233, 235, 248, 253, 264, 270, 271, 274, 275, 280, 285, 287-289, 293, 295, 299-301, 304, 310-313, 315-318, 320, 324, 327-329, 332, 334, 346, 355, 388, 390, 392, 394, 397, 398, 406, 422-424, 426, 428-434, 444, 447, 455, 456; სიგელები ... 1891: 5, 9, 10, 21, 28, 29, 30, 33, 35, 36, 61, 76, 108-116, 118, 128, 129, 132, 138, 148, 150, 157, 161, 169, 172, 177, 191, 201, 204, 205, 301, 304, 308, 309, 311-315, 317, 327, 333, 334, 349, 350, 354, 355, 358, 360, 388, 404, 407, 409, 420-422, 425, 432, 444, 458, 463, 463, 478-481, 486, 487; 1898: 2-8, 19, 20, 24-27, 30, 33-38, 41, 47, 52, 53, 64, 73, 79,


81, 82, 84, 86, 90, 97, 98-100, 120, 127-133, 135, 136, 151, 166-170, 178, 180, 183, 190, 192; 1902: 14, 28, 40, 62, 67, 70, 77, 78, 94, 100, 104-110, 113, 121, 129, 135-137, 139, 143, 147, 151-154, 157-159, 161, 163, 165, 170, 171, 173, 174, 182, 188, 193, 198, 204, 205, 209-213, 215, 217-219, 221, 228, 229, 243, 244, 247, 252, 262, 265, 267, 269, 273, 276, 279, 286, 291, 297), ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთები (ქართულ-სპარსული ... 1955: 10, 148, 150, 151, 174, 180, 192, 211, 214, 244, 246, 247, 249, 250, 270, 285, 322, 325, 331, 333, 337, 338, 346, 356, 358, 364, 368, 376, 398, 424; 1984: 16, 34, 58, 59), ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი (ქართ. ცხ. 1953: 30, 34, 35, 133, 134, 184, 186, 189, 191, 212-214, 216, 225, 226, 230, 231).

წყაროებში პირველად XI ს-ში იხსენიება. კვირიკე III-ის დროს (1010-1037) თელავი კახეთ-ჰერეთის გაერთიანებული სამეფოს ცენტრი გახდა (ქც 4: 561,27). 1068 წ. განძის მმართველი ფადლონი ქართველებმა შეიპყრეს და თელავში მჯდომ აღსართანს მიჰკვარეს (ქც 1: 312,5). XII ს-ში თელავი სამეფო ქალაქია. XIII ს-ში მონღოლთა მიერ დაწინაურებულმა საღუნმა მანკაბერდელმა დემეტრე II-ის აგან (1271-1289) თელავი მიიღო (ქც 2: 276,6). XIII ს-ის მეორე ნახევრიდან თელავის ძლიერება ეცემა. XV-XVI სს-ში კახეთის მეფეებს პოლიტიკური ცენტრი თელავიდან გრემში გადააქვთ (ჩიკოიძე 1979: 69). XVII ს-ში კახეთში გამეფებულმა არჩილმა (1664-1675) რეზიდენცია თელავში გადაიტანა. ამასთან განაახლა თელავის სასახლე და ეკლესიები (ქც 4: 603,19; ჩიკოიძე 1979: 70). 1722 წ. თელავი რუსთავის სადროშოში შედიოდა (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 385). 1706 წ. დავით III იმამყულიხანმა (1709-1722) ლეკთა შემოტევების გამო კახეთის დედაქალაქი ყარაღაჯიდან თელავში გადმოიტანა (ქც 4: 612,26; ჩიკოიძე 1979: 70). 1723 წ. ლეკთა გააქტიურების გამო მაჰმადყულიხანმა (1722-1733) თელავი გაამაგრა (ქც 4: 622,25). 1731 წ. კახელებმა ფშავიდან თეიმურაზ II (1733-1744) ჩამოიყვანეს და თელავში გაამეფეს (ქც 4: 625,25). 1745 წ. ბაზიერთუხუცეს ყორჩიბაშიშვილის ვაჟებმა ზაალმა და ვახუშტიმ თელავში „ღვთაების ეკლესია“ ააშენეს. 1753 წ. ერეკლე II-მ (1744-1798) თელავის ციხე-სასახლის გალავნის შიშენებლობა დაასრულა. 1798 წ. თელავში გარდაიცვალა ერეკლე II (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 80, 102, 209). არსებობს მოსაზრება, რომ ახ. წ. II ს-ის ბერძენი გე-

ოგრაფის კლავდიოს პტოლემეისის „გეოგრაფიაში“ დასახელებული ქალაქი „თელავა-თელადა“ იგივე თელავია (რჩეულიშვილი 1963: 5; ყაუხჩიშვილი 1964: 73; ჩიკოიძე 1979: 10). თელავი „თუბლას“ სახელით მოხსენიებულია X ს-ის არაბულ წერილობით წყაროშიც (ჩიკოიძე 1979: 11). IX-X სს-ში უმოკლესი ვაზა თბილისიდან დარუბანდისაკენ გადიოდა თელავზე. X ს-ში ჰუევიდან შაქს მიმავალი ვაზა თელავს კვეთდა (ჭილაშვილი 1970: 77, 80). შირაქის ველი (კახეთ-ჰერეთის საძოვრები) კავკასიონის საზაფხულო საძოვრებს თელავის გავლით უკავშირდებოდა (მუსხელიშვილი 1980: 95).

1954 წ. თელავის ჩრდილო-დასავლეთით, „აჩინებულად“ წოდებული უბანში, მიწის სამუშაოებისას შემთხვევით აღმოჩნდა სხვადასხვა ხანის სამარხეული მასალა: ბრინჯაოს ჭვირულთავიანი სატევარი, საკინძები (მინისეური პასტისა და მარჯნის ორკაბა თავებით), გველსთავიანი სამაჯურები, ლურჯი მინისეური პასტის მივივები, ზარაკები (3 ც); 1957 წ. თელავის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირას, რკინიგზის სადგურთან, ადგილ კურდღელურში მშენებლობისას აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის ქოთანები. თელავის დასავლეთით, ზუზუმბოს გორაზე შემთხვევით გამოვლინდა: რკინის 2 მასრაგახსნილი შუბისპირი, სამაჯურები (7 ც), ბრინჯაოს რგოლები (15 ც), კონცენტრული ხაზებით შემკული შავად ნაპრალები ქოთანები და წებოვანი ჯამბი (ჩიკოიძე 1979: 7); ნივთები ინახება გ.ჩუბინაშვილის სახ. თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. 1960 წ. თელავში აღმოჩნდა განძი, რომელშიც დადასტურდა 80-ზე მეტი რკინის იარაღი. განძი ძვ. წ. VI ს-ით დათარიღდა (აბრამიშვილი 1961: 373). თელავში, ადგილ „ძველ გალავანში“ აღმოჩნდა 2 სამტუჩა დოქი და ჭინჭილა, ხოლო უბან „აჩინებულში“ – ყურიანი დოქი. ჭურჭელი გვიანანტიკური ხანისაა; ინახება გ. ჩუბინაშვილის სახ. თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ჩიკოიძე 1979: 8).

თელავისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1962 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. გ. ლომთათიძე). გაითხარა „ძველი გალავანის“ ტერიტორია, სადაც გამოვლინდა შუა საუკუნეების ნახსნარი (ლომთათიძე 1963ა: 68-72; ჩიკოიძე 1963: 141-150). 1965 წ. თელავსა და მის მიდამოებში დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებდა იმავე ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. კ. ფიცხელაური). 1966 წ. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შუა და განვითარებული ფეოდალური ხანის ძეგლების შემსწავლელმა რაზმმა (ხელმძღ. ც. ჩიკოიძე) თელავის შემოგარენში, ადგილ „ფოხორაულში“ გათხარა „მცირე ეკლესია“ და სამეკლესიანი ბაზილიკა (ბუგაიანიშვილი ... 1966: 7; ბუგაიანიშვილი ... 1967: 43, 44); 1967-1970 წწ. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თელავის რაზმმა (ხელმძღ. ც. ჩიკოიძე) არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა სოფ.

რუისპირთან, ნასოფლარ „ართოზანში“, სადაც გაითხარა VIII-IX სს-ის ეკლესია და შუა საუკუნეების ნამოსახლარი (ჩიკოიძე 1979: 9).

თელავის ცენტრალურ უბანში, „ღვთაების ბორცვზე“ გაითხარა შუა საუკუნეების სამარხები და „ღვთაების ეკლესია“. ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა. თარიღდება V-VI სს-ით. გადაკეთებულია XVI ს-ში. ძველი ფენებიდან შემორჩენილია შუა სვეტები და ნალისებრი კამარები (რჩეულიშვილი 1963: 46; ჩუბინაშვილი 1959: 67; ჩიკოიძე 1979: 13). თელავის შემოგარენში, სოფ. კურდღელურთან, ნასოფლარ ფოხორაულეში გამოვლინდა ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების ნასოფლარი და ოთხი ბაზილიკური ტიპის ეკლესია: „დიდი ეკლესია“, „პატარა ეკლესია“, „ყვავიჭამია“ და „ღვთის ეკლესია“. ეკლესიების ნანგრევებია შემორჩენილი. გაითხარა „პატარა ეკლესია“ – სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპისა. ნაგებია რიყის ქვით კირხსნარზე. გადახურული ყოფილა კრამიტით. თითოეულ ნავს ნალისებური აფსიდა აქვს. იატაკი მოლესილია კირხსნარით. ნაგები ერთმანეთს უკავშირდება თითო კარით. შუა ნავი ფართო და მაღალია. ჩრდილო და სამხრეთ ნავებს აქვს ორ-ორი ღია თაღოვანი შესასვლელი. ეკლესია VI-VII სს-ით თარიღდება. ეკლესიასთან აღმოჩნდა კერამიკული კარნისების 40-მდე ნატეხი, რომლებიც XI ს-ში უნდა იყოს დამზადებული. ეკლესიის სამხრეთ ნავში გამოვლინდა ორი სამკვლე, რომელშიც აღმოჩნდა: მინის სამაჯურები, მოჭიქული ჯამბები, შემკული მცენარეული და ვეომეტრიული ორნამენტით და მოუჭიქავი ჭურჭლის ნატეხები. ეკლესიის ჩრდილო ნავშიც გამოვლინდა ბრტყელი ფილებით გადახურული ორი სამკვლე, რომელშიც აღმოჩნდა: წითლად გამომწვარი ქოთანები, ხელადის ყური, მონაცრისფროდ გამომწვარი დერგი, ყავისფრად და წითლად გამომწვარი ჯამბები და სხვ. იქვე გამოვლინდა სადა და გრძელღეროვანი, მწვანე და ლურჯი მინის სამაჯურები. სამარხები XI-XII სს-ით თარიღდება. ეკლესიის ცენტრალურ ნავში იატაკის ორი დონე დაფიქსირდა. ნავის შუაში, ზედა იატაკის ქვეშ ჩადმული იყო გვიანდელი კერის ნაშთი. მის ქვეშ აღმოჩნდა ქვის ფილებით ნაგები სამარხი, რომელშიც დაუკრძალავთ ორი მიცვალებული. იქ აღმოჩნდა: მოწითალოდ გამომწვარი ჯამბების ნატეხები. სამარხი VII-VIII სს-ით თარიღდება (ჩიკოიძე 1979: 13-19).

თელავის შემოგარენში, სოფ. რუისპირთან, ნასოფლარ არტოზანში, სადაც მოღვაწეობდნენ სირიელი მამები – შიო და ანტონი, გაითხარა სამონასტრო კომპლექსი: „ყველაწმიდის“ ეკლესია, საცხოვრებელი ნაგებობა, სვეტებიანი შენობა და მარანი. „ყველაწმიდა“ სამეკლესიანი ბაზილიკაა. აქვს სამი აფსიდა. ნაგებია რიყისა და შირიმის ქვით კირხსნარზე. მთავარი ეკლესიის (9,5X4 მ) აფსიდა ნალისებურია, შუაში დატანილი აქვს ფართო სარკმელი, რომლის ორივე მხარეს ნიშებია. საკურთხეველი გამოყოფილია გვიანდელი კანკელით. ცენ-

ტრალური ნავის ოთხი კარი უკავშირდება სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაგებს, გარშემოსავლელს და სამსხვერპლოს. სამხრეთის ეკლესიას (13,5X2 მ) ნალისებური აფსიდა და ერთი სარკმელი აქვს. ჩრდილო ეკლესიას (6,5X9,6 მ) აღმოსავლეთ ნაწილში მართკუთხა ფორმის სენაკი – სამსხვერპლოა. სამხრეთით – ოთხკუთხა ნიში. სამსხვერპლოს აღმოსავლეთით გრძელი და ვიწრო სარკმელი აქვს. მასში დგას შირიმის ქვით აშენებული ოთხკუთხა კვარცხლბეგი. ჩრდილოეთის ნავს აქვს ნალისებური ფორმის აფსიდა და თითო კარით უკავშირდება ცენტრალურ ნავსა და დასავლეთის გარშემოსავლელს. დასავლეთის გარშემოსავლელი მოგობო დერეფანია, რომელიც სამივე ნავს ერთმანეთთან აკავშირებდა. მისი დასავლეთი კედელი ყრუა. ეკლესიის ცენტრალური ნავის საკურთხეველის სამხრეთ კედელზე შემორჩენილია მოხატულობის კვალი. გასასვლელის ერთ-ერთ ქვაზე ამოკაწრულია სამი ასომთავრული ასო, რომელიც არ იკითხება. არტოსნის „ყველაწმიდის“ ეკლესია VII-VIII სს-ით თარიღდება (ჩიკოიძე 1979: 20-23).

„ყველაწმიდის“ ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 10 მ დაშორებით გამოვლინდა მართკუთხა ფორმის შენობის ნაშთი, რომელიც ნაგები იყო საგანგებოდ შერჩეული რიყის ქვისგან. შენობაში აღმოჩნდა სამი პილონი. ნაგებობა რამდენჯერმე გადაუკეთებიათ. მეორე სართული დაუშენებიათ, ქვედა სართული კი მარნად გამოუყენებიათ. მარნში რიყის ქვითა და კირით ნაშენი სამი საწნახელი (2X0,8X0,7 მ) აღმოჩნდა. საწნახელის ორ მხარეზე რიყის ქვით აშენებული აუზებია (სიგანე 0,8 მ, სიმაღლე 0,7 მ). მარანი XVI-XVII სს-ით თარიღდება. მის გვერდით გამოვლინდა რიყის ქვითა და კირით ნაგები ოთხკუთხა ფორმის ორსართულიანი შენობა, რომელიც ოთხ სვეტზე იდგა. პირველი სართული სამეურნეო სათავსოები იყო, მეორე – საცხოვრებელი. სართულები ქვის კიბით იყო დაკავშირებული (ჩიკოიძე 1979: 23-25).

თელავში, მაწანწარისა და თელავის ხევეს შორის, ყადორის ბორცვზე და მის მიდამოებში მდებარე „ძველი გალავნის“ ტერიტორიაზე გაითხარა XI-XIII სს-ის ე. წ. ხელოსანთა უბანი (რიყის ქვითა და კირით ნაგებ შენობათა, კედლების, კერების, სამეურნეო ნაგებობებისა და სახელოსნოების ნაშთები), რომელიც ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარზე იყო გაშენებული. ფენები არეული და დაზიანებული იყო. კერამიკული მასალის (წითლად გაპრიალებული ჯამები, ბადიები, ტუჩიანი ლანგები, შავად და ნაცრისფრად გამოშვარი ორნამენტირებული ქოთნები, წიბოიანყელიანი დოქის ნატეხები და სხვ.) მიხედვით ქვედა ფენა დათარიღდა VI-VIII სს-ით (ჩიკოიძე 1979: 27-32).

„ძველი გალავნის“ დასავლეთ ნაწილში გაითხარა ციხე-დარბაზი (4403 კვ მ), რომელსაც შემოვლებული აქვს გალავანი, ნაგები თანაბარი ზომის რიყის ქვებით კირხსნარზე. მისი კედლები შიგნიდან სწორია, გარედან ერთმანეთისაგან თანა-

ბარი მანძილით დაშორებული ნახევარწრიული ბურჯები აქვს. გალავანი X-XI სს-ით თარიღდება (ჩუბინაშვილი 1959: 517, 519; ჩიკოიძე 1979: 39). ციხე-დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოვლინდა ნაგებობათა ნაშთები (3000 კვ მ). გამოიყო სამი ჯგუფი: 1. თანაბარი ზომის რიყის ქვითა და ოთხკუთხა აკურებით ღულაზე ნაშენი კედლები (სიგანე 1,3 მ) 2. რიყის ქვითა და აკურით, კენჭივანი ღულაბითა და ქვის თანაბარი წყობით ნაგები კედლები (სიგანე 0,9 მ) 3. თიხის ხსნარზე წვრილი რიყის ქვითა და ნახევარაკურით ნაშენი ნაგებობები. გამოიკვეთა მართკუთხა ფორმის დარბაზი სამი პილასტრითა და სამი ბურჯით. შენობა შესაძლოა ორსართულიანი იყო და თაღოვანი გადახურვა ჰქონდა. სავარაუდოა, ეს ნაგებობა ციხე-გალავნის სასახლის ნაშთია, რომელიც მოგვიანებით აღმართულ შენობებს დაუზიანებიათ. ციხე-დარბაზის მთავარი კარიბჭე გაჭრილი იყო სამხრეთ კედელში, რომლის გვერდით ოთხკუთხა ფორმის კოშკი იდგა. „ძველი გალავნის“ ციხე-დარბაზი, რომელიც X-XI სს-ით დათარიღდა, კახეთის ქორეპისკოპოსთა რეზიდენციას წარმოადგენდა. ნაგებობებში აღმოჩნდა XI-XIII სს-ის მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი, ფაიანსის ჭურჭლის ნატეხი, მინის სამაჯურები და თიხის სოლის ნატეხები (ჩიკოიძე 1979: 38-41).

ციხე-დარბაზის სამხრეთით გამოვლინდა საცხოვრებელი ნაგებობებისა და კერამიკული სახელოსნოს – ქურის ნაშთები. სამეთუნეო ქურის კედელი ნაგები იყო რიყის ქვითა და კირით; დადასტურდა კრამიტის ნატეხების ქვეშ ყვითელი, კირქვიანი და თიხანარევი, ოვალური ფორმის ნიჟადაგი, რომელსაც ამოჭრილი ფოსოები და პიტალო ქვით გადახურული „კარი“ ჰქონდა. ორი გვერდი რიყის ქვით იყო ამოშენებული. ის ამოვსებული იყო ცეცხლში დამწვარი ჭურჭლით, ნახშირითა და მიწით. მთელი ტერიტორია დანახშირებული ძვლებით იყო მოფენილი. ქურის განთხარა მასალაში ორი პერიოდის კერამიკა გამოიყო: 1. VIII-X სს-ის მრავალფეროვანი ორნამენტითა და ტექნიკით შემკული ჯამები, ლანგები, სამტუჩა და სწორპირიანი ხელადები, კოკები, ქოთნები, ჭინჭილები, ქილები, ბადიები, წერნაქიანი თევშები და სხვ. 2. XI-XIII სს-ის სამტუჩა დოქი, ქოთანი, ჯამი, ქოთნებისა და ბადის ნატეხები (ჩიკოიძე 1979: 42-44). „ძველი გალავნის“ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა XI-XIII სს-ის სხვადასხვა სახის კერამიკული ნაწარმი: სამშენებლო კერამიკა (აკური, კრამიტი), კერამიკული სოლები, ქოთნები, სასმისები, ხელადები, მოხატული ჭურჭელი, ანგობით დაფარული და ამოკაწრული ორნამენტით შემკული ჯამები, ფუნჯით მოხატული ჯამები, ფრინველის, ცხოველისა და ადამიანის გამოსახულებიანი ჯამები და სხვ. (ჩიკოიძე 1979: 46-64). „ძველი გალავნის“ ციხე-დარბაზში გამოვლინდა გვიან შუა საუკუნეების ნაგებობის ნაშთები (ჩიკოიძე 1979: 71, 72). ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალა ინახება



ბატონისციხე

გ.ჩუბინაშვილის სახ. თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

„ძველი გალავნის“ ციხე-დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს „გორიჯვრის“ წმინდა გიორგის XVI ს-ის ეკლესია, რომელიც XVIII ს-ში გადაუკეთებიათ (ჩიკოიძე 1979: 39, 71). „ძველ გალავანთან“ არის წყარო, რომელსაც ქვაზე სპარსულად წერია „ჰაჯი-ბენ-სალიან“ (თაყაიშვილი 1907: 248-253).

თელავის ცენტრალურ უბანში, კაკლის ხეგა და ბატონის წყაროს შორის მოთავსებულ პლატოზე მდებარეობს „ბატონის ციხის“ კომპლექსი, რომელიც შედგება: გალავნის, სასახლის, ორი კარის ეკლესიის, აბანოს, ვიწრობისა და გალავნის გარეთ მდებარე მრგვალი ბურჯისაგან. აქ XVII-XVIII სს-ში მეფეთა რეზიდენცია იყო. „ბატონის ციხის“ მშენებლობაში ორი ეტაპი გამოიყოფა: I. XVII ს-ის მეორე ნახევარი, არჩილ მეფის (1667-1675) მიერ აშენებული. II. XVIII ს-ის მეორე ნახევარი, ერეკლე II-ის (1744-1798) დროინდელი. „ბატონის ციხის“ გალავანი (2,5 ჰა) ნაგებია ქვითკირით. კედელი ქონგურებიანია, სათოფურებით. გალავნის კუთხეებში ოთხი მრგვალი ბურჯია. ჩრდილოეთ მხარეს გალავნის კუთხე ისეა შექმნილი, რომ „ბატონის ციხის“ ტერიტორიას თითქოს ორად ყოფს. გალავნის აღმოსავლეთით ორსართულიანი კარიბჭეა, რომელიც გადახურულია შეისრული კამარით. თარიღდება XVII ს-ით. გალავნის დასავლეთი კედლის შუაში მეორე შესასვლელია, ორსართულიანი. ქვედაში ფართო გასასვლელია. კვერღზე კიბეა მეორე სართულზე ასასვლელად. მეორე სართული გადახურავი ბაქანია, რომელიც შემოზღუდულია მაღალი, კბილანებით დაბოლოებული კედლებით. აქვს სათოფურები, სალოდეები. აგებულია XVIII ს-ში. სასახლესთან დგას არჩილის კარის ეკლესია – დარბაზული ტიპის მცირე სამლოცველო. ნაგებია რიყის ქვით კირხსნარზე. გვეგმით სწორკუთხაა. ამჟამად გადაკეთებულია.

„ბატონის ციხის“ ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარეობს ერეკლე II-ის კარის ეკლესია, ანუ „სობორო“. ეკლესია დარბაზულია. ნაგებია

აგურით. აფსიდა მომრგვალებულია. მასში ხუთი ღრმა ნიშია. შემოსასვლელი ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდანაა. დასავლეთ კედელთან მიდგმულია სათავსი. ეკლესიის სხვენში დაყოფებულია სათოფურები. ეკლესია აშენებულია 1758 წელს. შემდგომში კარის ეკლესია სამრევლო ეკლესიად გადაკეთდა. ეკლესიის მახლობლად გალავნის ბურჯზე დგას სამრევლო (რჩეულიშვილი 1963: 41). ერეკლე II-ის კარის ეკლესიაში ინახებოდა წარწერიანი ხატები და ნივთები: 1. მთავარანგელოზების – მიქაელისა და გაბრიელის ხატი, ოქროსი, 1589 წ. რელიგიური ხასიათის წარწერით. 2. მაცხოვრის ხატი (21,4X15,5 სმ), ოქროსი, 1574-1605 წწ. ხუცური წარწერით: „... მეფისა ალექსანდრეს და თანამეცხედრესა ჩუენსა დედოფალსა თინათინ რომელმან მოვჭედე ხატი ესე მაცხოვრისა ...“ 3. იოანე ნათლისმცემლის ხატი (33X24 სმ), ვერცხლისა, რელიგიური ხასიათის წარწერით. 4. ხომლი ვერცხლისა, 1783 წ. მხედრული წარწერით (თაყაიშვილი 1907: 241-243; ბარნაველი 1961: 82, 83). ხატები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი).

სასახლის ეზოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს „ერეკლეს აბანო“. შემორჩენილია ოთხკუთხა, გუმბათით გადახურული საბანაო ოთახი აუზითა და საქვაბით, რომლის ქვეშ ლუმეღია. აბანოს კედლები მოხატული ყოფილა, რომლის ფრაგმენტები შემორჩენილია ჩრდილო და აღმოსავლეთ კედლებზე.

სასახლე წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის დარბაზია, რომელსაც სამი მხრიდან კორილორი აკრავს. კორილორის კუთხეებში კვადრატული სადგომებია, რომელთაგან ხუთი კამარითაა გადახურული. დარბაზსა და ოთახებს სარკმლები აქვს. სასახლე აგებულია XVII ს-ში არჩილ მეფის დროს. გადაკეთებულია XVIII ს-ში ერეკლე II-ის დროს. ერეკლე II-ის სასახლის ოთახზე გაკეთებულია დარბაზის მემორიალური დავა, ქართული და რუსული წარწერით: „აქ აღესრულა საქართველოს მეფე ირაკლი თეიმურაზის ძე 1798 წლის 11 იანვარს. სასახლე ესე შეკეთებულია კავკასიაში მეფის ნაცვლის თავად კორნილოვის ბრძანებით 1845 წ.“. „ბატონის ციხის“ ჩრდილო-დასავლეთით გაჭრილია ვიწრობა – კირხსნარზე ქვით ნაგები დახურული დერეფანი, სადაც მოწყობილი იყო წყაროსთან ჩასასვლელი კიბე.

გალავნის გარეთ დგას „ბურჯი“ (ღმ 14 მ, კედლის სისქე 2,55 მ). „ბურჯი“ ცილინდრული ნაგებობაა, კირხსნარზე რიყის ქვით ნაგები. აქვს მიწატყეპნილი იატაკი. აშენდა XVIII ს-ის 70-იან წლებში ზარბაზნის დასადგმელად. იქ იდგა თეიმურაზ II-ის (1744-1762) და ერეკლე II-ის მიერ ყარაბაღის ხანთან 1750 წ. ბრძოლაში მოპოვებული ზარბაზანი – ჯეჟანშირ ფანა (რჩეულიშვილი 1963: 40-44).

„ბატონის ციხის“ სამხრეთ-აღმოსავლეთით დგას „ვახვახიშვილების ციხე“. შემორჩენილია ხუთი

ბურჯი და აღმოსავლეთი კედლის ნაწილი. ციხე ნაგებია ქვითა და დუღაბით. ბურჯები გადაუკეთებიათ და საცხოვრებლად გამოუყენებიათ. ციხის ეზოში იდგა ეკლესია, რომელსაც აღმოსავლეთ მხრიდან მიშენებული ჰქონდა ეკვდერი. მასზე იდგა სამრეკლო. ეკლესიის მახლობლად ედლო ქვა სამშენებლო წარწერით, რომლის მიხედვითაც ციხე აგებული ყოფილა 1743 წ. ბაზიერთუხუცესის ზაალისა და მისი ძმის, ვახუშტი ვახვახიშვილების მიერ. ამჟამად ქვა დაკარგულია. ეკლესიის სამრეკლოზე 2 ზარია მხედრული წარწერით: ვახვახიშვილ ბაზიერთუხუცესის და ზაალ მანდატურთუხუცესის შესაწირი (თაყაიშვილი 1907: 252; ზაქარაია 1962ა: 32; რჩეულიშვილი 1963: 44-45).

„ღვთაების ეკლესიის“ ნამოსახლარ ბორცვზე დგას ყორჩიბაშიშვილ-რუსიშვილების ციხე. შემორჩენილია 3 ბურჯი და სამხრეთი კედლის ნაწილი. ციხესთან აღმოჩნდა ნაგებობების ნაშთები – სათავსოები, რომლებიც ნაშენი იყო რიყის ქვითა და დუღაბით. ციხის დასავლეთით აგურის შეისრული კარია. მასთან ახლოს – გვიანი შუა საუკუნეების ნასახლარი. ყორჩიბაშიშვილების ციხე XVIII ს-ის ძეგლია (რჩეულიშვილი 1963: 45; ჩიკოიძე 1979: 75). ამ ციხეში იდგა ფერისცვალების სამნავიანი ბაზილიკა. ნაგებია ქვით კირხსნარზე. შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. შუა ნავი ამაღლებულია. დასავლეთით ეკლესიას მიშენებული აქვს ეკვდერი, რომელზეც სამრეკლო დგას. ეკლესიის კედლებში სათოფეებია. ეკლესია განუახლებია ბეჟან ყორჩიბაშს XVI ს-ში. ეკლესიაში იყო წარწერიანი ხატები და ნივთები: 1. ლეონიმშობლის ხატი (წარწერა შემოწირულობის შესახებ). 2. ვერცხლის ფეშუში, 1800 წ. (შეწირული). 3. ვერცხლის ფინჯანი მხედრული წარწერით: „მეფის ასულმან ვარვარამ ... შევწირე ...“. 4. ვერცხლის სურა, მხედრული წარწერით (შეწირული). 5. ვერცხლის ჯვარი მხედრული წარწერით (რამაზ ყორჩიბაშიშვილის ქვრივის შეწირული). 6. ვერცხლის სურა მხედრული წარწერით, ყორჩიბაშიშვილი დიმიტრის შეწირული. 7. ვერცხლის თევში მხედრული წარწერით (შეწირული) 8. ხელთუქმნელი ხატის ვერცხლის საბურველი. შეწირულია მარიამ დედოფლის მიერ 1897 წ. 9. ვერცხლის ფეშუში მხედრული წარწერით, ერეკლე II-ის ძის, გიორგის (1798-1800) შეწირული. 10. ვერცხლის კამარა მხედრული წარწერით: „საქართველის მეფის ირაკლის ძის გიორგისა ...“ (თაყაიშვილი 1907: 248-253).

ყორჩიბაშიშვილების ციხეზე, „ძველი გალავნის“ ციხე-დარბაზში, ერეკლე II-ის ციხე-გალავნის სამხრეთ კედელთან და სოფ. რუისპირში წარმოებულ გათხრების შედეგად აღმოჩენილი გვიანი შუა საუკუნეების კრამიკა გამომწვარია მოწითალოდ, ყავისფრად ან მონაცრისფროდ. მოუჭიქავი ჭურჭლიდან გვხვდება: ჯამები, თეფშები, ხელადები, სასმისები, ჭიქები, ფხიანის სასმისები, დერგები და სხვ. მოჭიქულ ჭურჭელში გვხვდება: თეთრი ანგობით დაფარული ჯამები და თეფშები (შავად

და ფირუზისფრად მონატული), რომლებიც XVII-XVIII სს-ით თარიღდება. მოვარდისფრო ანგობით დაფარული და ნაცრისფრად მოჭიქული ჭურჭელი: ჯამები, ხალადები, XVIII-XIX სს-ით თარიღდება. აქ გვიანი შუა საუკუნეების ფაიანსის 4 ნატეხი აღმოჩნდა (ჩიკოიძე 1979: 75-81).

თელავსა და მის მიდამოებში სხვადასხვა დროის მონეტებია აღმოჩენილი: სოფ. ვარდისუბანში, ორმოსამარხში, თიხის ჭურჭელთან ერთად 3 მონეტა დადასტურდა: პართიული, ოროდ I-ის (ძვ. წ. 57-38), რომაული, ავგუსტუსის (ძვ. წ. და ახ. წ. მიჯნა) და ნერონისა და აგრებიანს (ახ. წ. 44). თელავის მახლობლად, სოფ. რუისპირში აღმოჩნდა ოროდ I-ის მონეტა. სოფ. შალაურში აღმოჩნდა მითრიდატე პართიელის (ძვ. წ. 171-138) მონეტა. თელავში, ვარდისუბნის ქუჩაზე აღმოჩნდა თეოდოსი II-ის (408-450) ოქროს მონეტა (აბრამიშვილი 1965: 121; 1974: 102; ჩიკოიძე 1979: 33). მონეტები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

თელავში აღმოჩნდა XIII ს-ის 60-იან წლებში მოჭრილი ყაანური II ტიპის მონეტები. ჰულაგუიდ ოლჯაითუს (1304-1316), ქალაქ მახუდიაში მოჭრილი ორმაგი დირჰემი და ჰულაგუიდ მუჰამედის (1336-1338) მოჭრილი მონეტები (ჩიკოიძე 1979: 68).

თელავში გამოვლინდა გვიანი შუა საუკუნეების მონეტები: 1. სეფიანი აბას I-ის მიერ ისპაჰანში მოჭრილი. 2. XVII ს-ის სეფიანი სულეიმანის თბილისში მოჭრილი. 3. ვეროპული მონეტების განძი, რომელთაგან ყველაზე ადრინდელია კარლოს V-ისა (1519-1555) და ყველაზე გვიანდელი საქსონიის ჰერცოგ ავგუსტუსის სახელით მოჭრილი. 4. ერეკლე II-ისა და თეიმურაზ II-ის მონეტები, 1752-1755 წწ. მოჭრილი, 5. განჯური მონეტა ერეკლე II-ის დამალით, 6. გიორგი XII-ის სახელით მოჭრილი ქართული მონეტები (ჩიკოიძე 1979: 82); 1953 წ. თელავში, პირველი მასის ქუჩაზე გამოვლინდა კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტა. 1936 წ. სოფ. ვარდისუბანთან აღმოჩნდა ნიკიფორე III-ის ვერცხლნარევი ოქროს 11 მონეტა (აბრამიშვილი 1965: 133, 134). მონეტები ინახება გ. ჩუბინაშვილის სახ. თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. აქვე ინახება გულსაკიდი ხატი, რომელზეც ამოჭრილია სტეფანე პირველმოწამის გამოსახულება ბერძნული წარწერით: „პირველმოწამე სტეფანე“ (ყაუხჩიშვილი 1951: 326).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1965: 113, 121, 131, 134, 138; 1974: 102; 1989: 30; აბრამიშვილი 1961: 373; ბავრატაიონი 1983: 81, 82, 84; ბავრატაიონი 1936: 68-77; 1986: 68; ბავრატაიონი დავით 1941: 4, 42; ბავრატაიონი ბავრატი 1941: 49, 67, 69, 73, 79, 119, 120, 135, 154; ბარნაველი 1961: 81-86, 91, 103, 110; ბერძენიშვილი 1966: 13; ბუგაიანიშვილი ... 1966: 7; ბუგაიანიშვილი ... 1967: 38-45; ბუგაიანიშვილი ... 1969: 13-17; გიულდენშტედტი 1962: 37, 39, 41, 43, 67, 227, 245, 261; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1953: 70, 188, 192, 251; ზაქარაია 1962ა: 15-45; 1988: 38-

46; თავიშვილი 1907: 241-253; იოსელიანი 1850: 63; ლომთათიძე 1963ა: 68-72; მასალები საქ. ისტ. 1905: 4, 26, 51, 57; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 104; მესხია 1983: 101, 110, 148, 218, 219; მუსხელიშვილი 1980: 8, 95; ორბელიანი 1981: 61, 83, 89, 99, 178, 210, 214, 215, 227, 228, 250; პაპუაშვილი 1970: 10, 224, 232, 263, 345, 346, 355, 356, 362, 363, 365; რჩეულიშვილი 1963; 1966: 30-34; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 45, 49, 55, 56; ფიცხელაური, დედაბრინიშვილი 1969: 16, 17; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 385, 387, 511, 534; 1970: 718, 1001, 1110; 1972: 653, 655; 1974: 27, 454, 455, 511; 1977: 48, 291; 1981: 43, 49, 79, 106, 126, 171, 377, 381, 443, 486, 534, 600, 692, 712, 727, 765, 779; 1985: 93, 399, 231, 238, 256, 258, 290, 360, 364, 393, 430; ქრონიკები 1897: 309, 316; 1967: 284, 295, 317, 334, 336, 337, 351, 356, 379, 381, 387, 388, 392, 418, 419, 427, 439, 440, 443, 444, 450, 452, 453, 465, 634; ქც 1: 312,5; ქც 2: 272,6; ქც 4: 15116; 547,22; 548,3; 561,27; 603,19; 612,26; 614,31; 616,22; 618,22; 621,8; 622,1,10,25; 623,16,24; 624,8,13; 625,5,25,27; 626,4; 627,7; 629,33; 630,19; გაუხნიშვილი 1951: 326; გაუხნიშვილი 1964: 73; შარდენი 1975: 33, 394; ჩიკოძე 1963: 141-150; 1969: 27-45; 1969ა: 128-136; 1974: 68-83; 1979; ჩილდერის ... 1979: 47; ჭილაშვილი 1970: 15, 77, 78, 83; ხერხეულიძე 1989: 74, 102.

თელავი, თელეთები (ქც 4: 328,26). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 328,26; 398,7; 501,16; 502,6), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 356,8,15; 367,9; 494,16,27), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 143), სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 42), XVI-XIX სს-ის ისტორიული საბუთები (სიმონ მეფის არზა ... 1980: 161; საქ. სიძვ. 1909: 439; 1910: 425; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 337; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 105; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 173, 433, 521; 1981: 666; ქრონიკები 1967: 430, 431; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 55, 191, 192; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 189; 1955: 156; დოკ. თბ. ისტ. 1962: 85), იესე ოსეს ძის „თავგადასავალი“ (თავგადასავალი ... 1913: 74), ქვემო ქართლის სტატისტიკური აღწერის მასალები (მასალები საქ. სტატ. 1907: 18, 26), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 46), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 65). ვახუშტი ბაგრატიონი თელეთების შესახებ გადმოგვცემს: „კუმისის აღმოსავლით, მტკურისკენ, არს თელეთები და ეკლესია წმიდის გიორგისა სასწაულმოქმედი“ (ქც 4: 328,26,27). მდებარეობს გარდაბნის მუნიციპ-ში, თბილისის სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა მხარეს, კუმისის ახლოს. სოფ. თელეთი ორია, ზემო და ქვემო. ისინი ერთმანეთის მახლობლადაა განლაგებული. მკვლევართა აზრით, რომელი ვეოგრაფის კასტო-

რიუსის (ახ. წ. IV ს-ის მეორე ნახ.) რუკაზე აღნიშნული „თელედა“ შესაძლოა თბილისის სამხრეთით მდებარე თელეთს შეესატყვისებოდეს (ერემიანი 1939: 87; ჯავახიშვილი 1950: 23; ჭილაშვილი 1958: 45; 1970:78). 1522 წ. ქართლის მეფე დავით X-სა (1505-1525) და ყიზილბაშთა შორის თელეთთან გამართულ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ (ქც 4: 398,7,8). ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, ეს ბრძოლა მომხდარა ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის (1534-1556) დროს (ქც 2:356,7-16, 494,16-27). ქართლის მეფე სიმონ I (1556-1569) ქართლ-კახეთის გაერთიანებული ლაშქრით ემზადებოდა ყიზილბაშთაგან თბილისის გასანთავისუფლებლად. ამასობაში მტერს მიუვიდა მამულე ჯარი. მათ ისარგებლეს იმით, რომ თბილისისაკენ მიმავალ გზაზე არსებული დასახლებები, მათ შორის, თელეთები მოოხრებული, უკაცრიელი იყო და თბილისის ციხეში შეუქმნევლად შევიდნენ (ქც 2: 367,10-15). 1723 წ. კახეთის გამგებელი კონსტანტინე (მაჰმადფულისანი) (1722-1732) კახელების ჯარით, რომელშიც დაქირავებული ლეკებიც იყვნენ, თბილისს მოადგა. ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის (1716-1724) ძემ ბაქარმა ლეკთა მარბიელი ლაშქარი თელეთთან გაანადგურა (ქც 4: 501,6-16, 502,5,6). 1795 წ. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას დავით ბატონიშვილმა თელეთთან დაამარცხა მოლაღატე იაკობ ზებუთაშვილის რაზმი (ქრონიკები 1967: 431). თელეთები არქეოლოგიურად შეუსწავლელია. XX ს-ის 20-იან წლებში გეოლოგ ა. ფლორენსკის თელეთ-შავნაბადას მიდამოებში მოუკრებია ობსიდიანის იარაღები (ფლორენსკი 1925: 285-287). ისინი ენეოლითური ხანით თარიღდება (ლომთათიძე 1960: 161). 1957 წ. ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ენათმეცნიერული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ო. ტყეშელაშვილი) დაზვერვები აწარმოვა თელეთ-შავნაბადას მიდამოებში. ე. წ. „დათიკას გორაზე“ მიაკვლიეს გორანამოსახლარს, რომელიც მდებარეობს შავნაბადას ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, თრიალეთის ქედის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. იგი ბუნებრივ ბორცვზე გამართული ნასახლარია. ნაცროვან ფენებში მრავლად აღმოჩნდა თიხის ჭურჭლისა და ხელსაწვკვავის ნატეხები, ცხოველთა ძვლები. ნამოსახლარი მიეკუთვნება ვეიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას (ტყეშელაშვილი 1966: 48; ფიცხელაური 1973: 29). 1958 წ. თელეთის ველზე მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით გამოვლინდა ორმოსამარხი, რომელშიც აღმოჩნდა მიცვლებულის ჩონჩხი, თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ორი სამაჯური, რომელთა გახსნილი თავები ერთმანეთზე გადადის. თიხის ჭურჭელი ადგილზევე დაუმტვრევიათ. სამარხი ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება. სამაჯურები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი) (ტყეშელაშვილი 1966: 48).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 46; გიულდენ-შტედტი 1962: 67; დოკ. თბ. ისტ. 1962: 85; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 337; ერემიანი 1939: 87; თავ-გადასავალი ... 1913: 74; ლომთათიძე 1960: 161; ლორთქიფანიძე 1935: 313; მასალანი საქ. სტატ. 1907: 18, 26; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 189; 1955:156; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 105; ორბელიანი 1981: 143; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 55, 191, 192; საქ. სიძ. 1909: 439; 1910: 425; სიმონ მეფის არზა ... 1980: 161; ტყეშელაშვილი 1966: 48; ფიცხელაური 1973: 29; ფლორენსკი 1925: 285-287; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 173, 433, 521; 1981: 666; ქრონიკები 1967: 430, 431; ქც 2: 356,8,15, 367,9, 494,16,27; ქც 4: 328,26; 398,7; 501,16; 502,6; შმერლინგი ... 1960: 88; ჩხეიძე 1913: 42; ჭილაშვილი 1958: 45; 1970: 78; ხარაძე 1991: 95.*

თიბრო, მონასტერი (ქც 4: 370,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 370,25; 371,2; 374,9), XV, XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (გვასალია 1983: 111, 112; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 24, 25; 1977: 80), იონანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 41). თირის მონასტრის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: აჩაბეთის „დასავლეთით არს, მთაში, თირის მონასტრით, უგუშმათო, არამედ ფრიად კეთილშენი, კეთილს ადვილს. ზის წინამძღვარი“ (ქც 4: 371,2-4).

მდებარეობს ცხინვალის მუნიციპ-ში, მდ. თირისწყლის (მუმლის წყლის – მდ. დიდი ლიხვის მარჯვენა შენაკადი), მარჯვენა ნაპირზე, ცხინვალიდან ჩრდილო-დასავლეთით, 6 კმ-ის დაშორებით, თანამედროვე სოფ. ქვემო მონასტრის ტერიტორიაზე (ანდლულაძე 1976: 8, 9).

მონასტერმა სახელწოდება მიიღო კლდოვანი მასივის გამო, რომლის მახლობლადაც ის მდებარეობს. „თირი არს კლდე ლბილი და ადვილ სათლელი.“ (ორბელიანი 1991: 306, 376).

მონასტერი და იქვე მდებარე სოფ. თირი შედიოდა სამაჩაბლოში (გვასალია 1983: 102-112). XVII ს-ის ბოლოს თირს ქართლის მეფე ვახტანგ VI (1716-1724) ფლობდა (ანდლულაძე 1976: 46).

სოფ. მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,2 კმ-ის დაშორებით, ადგილ „ღეკი-ღეზარში“, სოფ. ქურთისკენ მიმავალ გზასთან 1972 წ. მიწის დამუშავების დროს დაზიანდა რამდენიმე სამარხი. 1975 წლიდან ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ბ. ტენოვი) დაიწყო სამაროვნის შესწავლა. ორმოსამარხები გამართული იყო 0,7-0,8 მ სიღრმეზე. მიცვალებულები ესვენა კიდურებმოხრილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთით. სამარხებში თიხის ჭურჭლის გარდა აღმოჩნდა ვერცხლის რკაკლასხნილი, ზოთმოზოფულთავებიანი სამაჯურები, ბეჭდები; ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, საბეჭდავი ირმის გამოსახულებით და ჭვირთული

ბალთები; ეგვიპტური ფაიანსის ამფორისკისებური საკიდი; გიშრის, სარდიონის, ქარვის, ეგვიპტური ფაიანსის მძივები და სკარაბები; პართიული და რომაული მონეტები: სინათურქის (ძვ. წ. 77-70), მითრიდატე III-ის (ძვ. წ. 57-54), ოროდ I-ის (ძვ. წ. 57-37), გოტარზეს (ახ. წ. 40-51), ოქტავიანეს (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14), ტიბერიუსის (ახ. წ. 14-37). სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. III-ახ. წ. III სს-ით (ვაგლოვე 1979: 77-79; ვაგლოთი 1980ა: 407).

თირის მონასტრის კომპლექსი მდებარეობს სოფ. ქვემო მონასტრის ტერიტორიაზე. კომპლექსში შედის ღვთისმშობლის ეკლესია ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიწაშენებით, სამრეკლო, სატრაპეზო და მღვიმეები, რომლებიც გარშემორტყმული იყო ვაგლავნით.

ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (15,7X8,8 მ) ნაგებია თლილი ქვით. აქვს ნახევრადოვალური აფსიდა. კანკელის წინ საფლავის ქვა მხედრული წარწერით: „ყოვლად ქებულის მეფის არჩილისა და დიდად სახელოვანის ქართლის მეფის გიორგის ძმის ყოვლად შემკულის ბატონის ლევანის ძე საქართველოს გამგებელი ბატონიშვილი ვახტანგ ვიყავ სამკვიდროსა მამულსა სოფელსა ამას რაოდენთამე წელთა და მიიცვალა ძე ჩემი პირშო ბატონიშვილი როსტომ და დავფალ ეკლესიასა ამას შინა სამკვიდროსა მამულსა ჩემსა, ქრისტეს აქეთ ჩქპთ (1689 წ)“. ეკლესია თარიღდება XIII ს-ის მეორე ნახევრით. ინტერიერში შემონახულია მოხატულობის ფრაგმენტები. თარიღდება XIV-XV სს-ის მიჯნით. ეკლესიაზე ჩრდილოეთიდან მიშენებულია წმინდა ნიკოლოზის სახელზე აგებული სამკაღე-სამარხი. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. დასავლეთის კარის თავზე მოთავსებულია მხედრული შესრულებული წარწერა: „ქ. შეწვენითა ღვთისათა, მეოხებითა თავდების ღვთისმშობლისათა, ჩვენ თავთაქიმემ, მროველ ეპისკოპოზმან ფილიპემ, არდაშელმა, ჩემან ელიზბარ აღვაშენეთ საყდარი ესე წმიდისა ნიკოლოზისა, სულისა ჩვენისა სახსრად, ოდეს ბედნიერის ხელმწიფისაგან ჩვენს ნათესავთა სასაფლაოდ, სამკვიდროდ, სამამულოდ მისცემოდა ესე მონასტერი, მამა-პაპანი მარხულ იყვნეს, მათი მოშლა აღარ იქნებოდეს, ეკვედრი აღვაშენეთ, სასაფლაოს შეუმატეთ, ქორონიკონს ტო (1682 წ)“. სამხრეთის მიწაშენი „ბორტის ღვთისმშობლის“ სახელზეა აგებული. აქვს სწორკუთხა აფსიდა. დასავლეთის კედელზე მოთავსებულია ასომთავრული შესრულებული წარწერა: „ქ. მოლარეთუხუცესისა ხელას ერთგულსა, მახტლიშვილსა ბევროზს შეუნდოს ღმერთმან“. სამხრეთის მიწაშენი კარიბჭით აგებულია XV ს-ის პირველ მეოთხედში. ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით, 6 მ დაშორებით დგას XIV ს-ის ბოლო მეოთხედის ორსართულიანი სამრეკლო. აღმოსავლეთის კარის თავზე ასომთავრული წარწერით: „თავხელისძე-თა სიაუშ და რატის და ასათის და ხელს და მაჩაბელსა და მშობელთა მათთა შეუნდვენ ღმერთმან ამინ“. ეკლესიის დასავლეთით დგას სატრაპეზო,

ძლიერ დაზიანებული. სამონასტრო კომპლექსს ჩრდილოეთიდან გასდევს კლდოვანი მასივი, რომელშიც მღვიმეები და სენაკები იყო მოწყობილი. დანარჩენი მხრიდან ძლიერ დაზიანებული გალავანი ზღუდავდა (ანდლულაძე 1976: 3-77).

ბიბლიოგრაფია: ანდლულაძე 1976; ბაგრატიონი 1986: 41; გავლოვი 1976: 484; 1977: 472; 1978: 480; 1979: 77-79; 1980: 227-239; გავლოთი 1980ა: 407; 1981: 159-170; გვასალია 1983: 102-112; ორბელიანი 1991: 306, 376; უვაროვა 1894: 175; ტეხთვი 1982: 63; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 24, 25; 1977: 80. ქც 4: 370,25; 371,2; 374,9.

თიღვა, მონასტერი (ქც 4: 165,25; 376,4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 165,25; 375,4), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 276,4), ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრე (ქც 1: 366,14), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 199), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30), XVIII ს-ის იტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 155, 600; 1977: 68, 88; 1981: 820; 1985: 307). ვახუშტი ბაგრატიონი თიღვას შესახებ გადმოგვცემს: „დასავლით მეტეხისა და ფცის წყლისა არს თიღვას ჯუარის მონასტერი, რომელი აღაშენა ასულმან აღმაშენებლისამან თამარ, გუმბათიანი, დიდშენიერი, კეთილად ნაშენი“ (ქც 4: 376,4-6). მდებარეობს ზნაურის მუნიციპ-ში, მდ. დასავლეთ ფრონეს მარჯვენა ნაპირზე, ყორნისიდან 2 კმ-ის დაშორებით, დღევანდელი სოფ. თიღვას მიდამოებში (გვასალია 1989: 21).

980 წ. ბაგრატი III აფხაზთა მეფედ კურთხევის შემდეგ ქართლში გადმოვიდა და თიღვაში დადგა (ქც 1: 274,4). 1152 წ. დავით IV-ის ასულმა თამარმა აქ ააგო მონასტერი (რჩეულიშვილი 1960). 1648 წ. როსტომ მეფემ (1632-1658) სოფელი ზაალ წერეთელს უბოძა (გვასალია 1989: 21). XVIII ს-ში სოფელი ამირეჯიბებს და მახანაბლებს ეკუთვნოდა. XVIII ს-ის 40-იან წწ. იქ გაიმართა ბრძოლა ქართველებსა და ლეკების მარბიელ ლაშქარს შორის, რომელიც პირველთა გამარჯვებით დამთავრდა (ორბელიანი 1981: 199)

1954 წ. სოფ. თიღვაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ო. ჯავახიძე, ვ. ლიუბინი) მიაკვლია ქვის ხანის სამოსახლოს. 1974-1975 წწ. თიღვაში გამოვლინდა შუა, გვიანბრინჯაოს და ანტიკური ხანის ფენები. სოფ. თიღვას მიდამოებში, თიღვასწყლის ხევში, დაახლოებით 2 კმ გაყოლებით, გაფანტულია ქვის აარალი. დაზვერვებისას აკრეფილი 28 ნივთიდან 8 დასრულებული იარაღია, 2 ნუკლეუსი, 18 ანატაკეცი. აღსანიშნავია ხელცულები, რომელთათვის დამახასიათებელია მასიურობა. მათი კონტურები ნუსისებრი, ოვალური ან სამკუთხაა. თარიღდება აშელური პერიოდით (ლიუბინი 1958: 30-33).

სოფელში დგას გალავნით შემოზღუდული მონ-

ასტერი. ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი გათლილი მოწითალო ქვითაა ნაგები. გვერით ის სწორკუთხედში ჩანახული ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა (15X24 მ). გააჩნია აფსიდისანი საკურთხეველი და სამი სწორკუთხა მკლავი. აფსიდები აქვს სამკვეთლოსა და სადიაკვნესაც. დასავლეთ მხარეს მოთავსებულია ნართექსი და პატრონიკე. ტაძრის გუმბათი საკურთხევის კუთხეებსა და თავისუფლად მდგომ ორ ბოძს ეყრდნობა. გუმბათის ყელი გადახურულია აგურის თორმეტწახანაგა პირამიდით. ეკლესიას შესასვლელი აქვს ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან. ჩრდილოეთ კარებთან ქტიტორის წარწერაა, რომელშიც დავით აღმაშენებლის ასული თამარია მოხსენიებული. ეკლესია თარიღდება 1152 წლით (რჩეულიშვილი 1960: 45). მონასტრის ტერიტორიაზე შემონახულია თამარის სასახლისა და სხვა ნაგებობების ნანგრევები (მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 108).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 30; ბერიძე 1974; გვასალია 1989: 21, 22; ლიუბინი 1958: 30-33; 1960; მაკალათია 1962: 54-57; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 108; ორბელიანი 1981: 199; რჩეულიშვილი 1960; ქც 1: 276,4; 366,15; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 155, 600; 1977: 68, 88; 1981: 820; 1985: 307; ქც 4: 165,25; 375,4; ჯღამაია 1980: 38.

თმთზ30, ციხე (ქც 4: 666,8,9), ქალაქი (ქც 4:719,25), დაბა (ქც 4:666,10). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 133,11; 178,12; 666,8,9; 700,16; 716,22; 719,25; 721,2,4-6,9; 722,8), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 263,15; 283,11; 316,6), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ქც 1: 323,11), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქც 1: 382,24,25), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 30,16, 51,6, 52,8, 55,5,10), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 500,27; 520,18,20; 521,2-4,8; 522,20,21), იოანე შავთელის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“ (შავთელი 1946: 384), XV-XVI სს-ის ისტორიული საბუთები (სამი ისტ. ქრ. 1890: 90; ქრონიკები 1897: 396; მასალების საქ. ისტ. გეოგ. 1964: 107), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 43, 48, 49, 51), არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1989: 489, 490), XVI ს-ის სომხურ ხელნაწერთა ანდერძები (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 45, 67, 71), XVI-XVIII სს-ის თურქული წყაროები (პასან რუმლო 1966: 20, 31; იბრაჰიმ ფენგი 1964: 41; თურქული წყაროები ... 1983: 55, 56; გურჯისტანის გილაიეთის ... 1941: 16, 240; ჩილდისის ... 1979: 106, 119, 124, 129, 154, 173, 179; მუნჯიმ ბაში 1968: 136), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 217).

მდებარეობს ასპინძის მუნიციპ-ში, ასპინძიდან სამხრეთით 25-ოდე კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

წყაროებში თმოგვის ციხე პირველად იხსენიება 914 წლისათვის. არაბთა სარდალი აბულ-კასიმი სამცხე-ჯავახეთში ლაშქრობისას თმოგვის ციხეს მიაღწა, მაგრამ იხილა რა მისი სიმტკიცე, აიყარა და ყველის ციხეზე გაილაშქრა (ქც 1: 263,15,16; ქც 4:133,11). ბაგრატ III-ს (975-1014) თავისი მამიდაშვილები, კლარჯეთის ხელმწიფეები სუმბატი და გურგენი შეუპყრია და გამოუმწყვდევია თმოგვის ციხეში, სადაც ისინი 1011-1012 წწ. გარდაიცვალნენ (ქც 1: 283,7-11, 382,24,25; ქც 4: 700,16). XI ს-იდან მოყოლებული საქართველოს მეფეები თმოგვს სხვადასხვა ფიცილებს გადასცემენ. XI ს-ში თმოგვის მფლობელია ფარსმან თმოგველი. ბაგრატ IV-ის (1027-1072) დროს, კლდეკარის ერისთავთ-ერისთავის ლიპარიტის განდგომისას, ფარსმან თმოგველს ლიპარიტის მხარე დაუჭერია და მასთან ერთად დამარცხებულა. მეფისა და ერისთავების შერიგების შემდეგ ფარსმანი კვლავ ფლობდა თმოგვს. ის 1065 წ. დაღუპულა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1073 წ. გიორგი II-მ (1072-1089) თმოგვი უბოძა განდგომილ ფეოდალ ნიანია ქვაბულის ძეს (ქც 1: 316,4-6). ნიანიას გარდაცვალების შემდეგ თმოგვს მისი შვილი კახაბერი განაგებდა. 1089 წ. მომხდარი მიწისძვრის დროს თმოგვი დაიქცა. კახაბერ ნიანიას ძე ცლოითურთ ნანგრევებში მოყოლილა (ქც 1: 323,11). 1178 წ. გიორგი III-მ (1156-1184) თმოგვი უბოძა მსახურთუხუცეს აფრიდონს (ქც 2: 30,15-17). დიდგვაროვანთა მოთხოვნით თამარმა (1184-1207) გადააყენა გიორგი III-ის დროს აღზევებული პირები, მათ შორის, აფრიდონიც. თმოგვის ახალი პატრონი ამირსპასალარი გამრეკელ-თორელი გახდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, 1191 წ. თამარმა თმოგვი გადასცა მხარგრძელთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელს, სარგის ვარამის ძეს (ქც 2: 55,10). სარგისი და მისი შთამომავლები ამიერიდან თმოგველებად იწოდებოდნენ. 1205 წ. რუმის სულთან რუქნადინის წინააღმდეგ ბასიანთან გამართული ბრძოლის დროს თმოგვის პატრონი თაყაიდინ თმოგველია. 1234-1235 წწ. თმოგველი ისევ სარგისია, რომელიც კონტასთავის შეთქმულებაშიც იღებდა მონაწილეობას. ის დავით ლაშას ძეს (ულუს) ახლდა ჯერ ვოლგისპირეთში, ბათო ყაენთან, შემდეგ ყარაყორუმში დიდ ყაენთან. 1283 წ. თმოგვი კვლავ მიწისძვრას დაუზღვრვია. XIV ს-ის შუა ხანებიდან თმოგველები იქიდან წასულელები ჩანან. 1350-1393 წწ. თმოგვს ფლობენ მურვან კვიციანის ძე და მისი შთამომავლები. შემდგომში თმოგვი ათაბაგივანეს, რჩეულაშვილებს ან ამატაკიშვილებს უკავიათ. ის XVI ს-ში ჯერ კიდევ ქალაქია. იმ პერიოდში თმოგვის მფლობელებად შალიკაშვილები გვევლინებიან. 1553 წ. შაჰ თამაზმა ილაშქრა რა სამცხე-ჯავახეთში, თმოგვი ქაიხოსრო ათაბაგს გადასცა (ქც 4: 500,23-25). შემდგომ მანუჩარ ათაბაგმა თმოგვი წაართვა განდგომილ ფეოდალ კიკოლა შალიკაშვილს. 1578 წ. ჩილდირის ტბასთან გამართულ ბრძოლაში ოსმალებმა დაამარცხეს

ქართველთა და ყიზილბაშთა ჯარი. ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო დაიკავეს. მანუჩარ ათაბაგი იძულებული გახდა თმოგვი ოსმალთათვის გადაეცა (ქც 4: 520,20, 522,20,21). ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის შემდეგ თმოგვი შედიოდა ახალქალაქის ლივიაში (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 16). XVIII ს-ის პირველი ნახევრისათვის თმოგვი უკვე დაბა იყო (ქც 4: 666,10). რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, 1829 წ. ადრიანოპოლის ზავით თმოგვი კვლავ საქართველოს შემოუერთდა (ცისკარიშვილი 1956: 97-105; გაფრინდაშვილი 1966: 41-46; ბერძენიშვილი 1988: 46-49).

თმოგვი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. 1953 წ. თმოგვის ციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შემთხვევით აღმოჩნდა XI ს-ის ბიზანტიური სპილენძის მონეტა, რომელიც მპონენლს დარჩა (აბრამიშვილი 1965: 136). 1962 წ. თმოგვის ნანგრევებთან ასევე შემთხვევით აღმოჩნდა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე IX-ს (1042-1055) სპილენძის მონეტა, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). (აბრამიშვილი 1989: 56).

ციხე-ქალაქი აგებულია ერუშეთის მთის ერთ-ერთ განშტოებაზე. სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან ციხე მიუღვრებელია. დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ჩამოულის ორი ხეობა. კლდის თავზე შემორჩენილია ციხის ნანგრევები და ზღუდე-ბურჯები. ფერდობი ნაქალაქარსა და სასაფლაოებს უკავია. რელიეფის შესაბამისად ზღუდეები სხვადასხვა სიმაღლეზეა აგებული. დასავლეთით კლდის დამრეც ფერდზე ციხის კედელ-ბურჯებია ამოშენებული. შუა კედელი საბრძოლო დანიშნულებისაა. ქვედა – რამდენიმე ნაგებობას საზღვრავს და სამხრეთ-აღმოსავლეთით მიბჯენილია გამოქვაბულთან, რომელიც გვირაბით დაკავშირებულია ციხის ზედა ნაწილთან და ქვემოთ მტკვართან (გაფრინდაშვილი 1966: 41). კლდის თხემის ცენტრი უკავია ნაგებობებს, რომელთა ნაწილი ციხის ზედა კედელზეა მიშენებული. ნაგებობები თხემის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარესაც გვხვდება. აქვეა შემორჩენილი ორი ღრმა ორმო წყლის მარაგისათვის. თხემის ცენტრში ბაზალტის ცოკოლზე ტუფის ვათილი კვადრებით ნაგები სწორკუთხა ნაგებობის ნანგრევებია, რომელიც დარბაზული ტიპის ეკლესია უნდა იყოს.



თმოგვის ციხე

ციხეს ორი შესასვლელი აქვს. ერთი სამხრეთიდან, მეორე ჩრდილოეთიდან, დასავლეთი და აღმოსავლეთი ხეობების შემაერთებელ უნაკირთან. კარიბჭე აქ ორსართულიანია. პირველი სართული შედგება გასასვლელისა და მის ვეერდით მოთავსებული ოთახისაგან, მეორე სართული პატარა საბრძოლო გოდოლია. თმოგვში ძირითადად ორი სამშენებლო პერიოდი გამოიყოფა. თავდაპირველი მშენებლობის ფენა ტუფის გათლილი კვადრების წყობა, ერთნაირი სიმაღლის რიგებით. ასეა აგებული ციხის კედლების მხოლოდ ქვედა ფენა. მეორე, მოგვიანო ხანის სამშენებლო ფენაში გამოყენებულია უხეშად დამუშავებული ფლეთილი ქვა. ნახევარწრიული მოყვანილობის მასიური ბურჯები ზღუდის კედლის გასწვრივ თანაბარი მანძილითაა ერთმანეთისაგან დაშორებული. ციხის ცენტრიდან მტკვრის ნაპირამდე გაყვანილია კამაროვანი ვიარაბი, რომელიც ციხესთან აერთებს მტკვრის ზემოთ, ძნელად მისადგომ სიმაღლეზე გამოკვეთილ ქვაბთა კომპლექსს (გაფრინდაშვილი 1966: 42).

ციხის კედლების გარეთ ორი ეკლესიაა. დასავლეთით, ხევში წმინდა ეფრემის კლდეში ნაკვეთი ეკლესიაა. მცირე ზომის ეკლესიის კედლებზე ჩაჭრილია თაღები. კანკელი კლდის მასივშია გამოკვეთილი. ეკლესიას აქვს ნახევარწრიული თაღოვანი სამრეკლო. მეორე ეკლესია გუმბათიანი ყოფილა. მორღვეულ საკურთხეველში XIII ს-ის კედლის მხატვრობის ფრაგმენტებია შემორჩენილი.

ნაქალაქარი მტკვრის ორივე მხარესაა, სადაც ვგვხვდება კლდისა და ქვის საცნოვრებელი ნაგებობების ფრაგმენტები. ნაქალაქარზე შემორჩენილია დანგრეული სასახლე. ნანგრევებში გამოირჩევა არქიტრაჟი, სარკმლის თავი მასზე ამოკვეთილი წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრით. სასახლე ნაგებია ტუფის გათლილი კვადრებით. ის თმოგვის ძველი კედლების მსგავსად უძველეს ფენას მიეკუთვნება. მტკვრის მარჯვენა მხარეს, მდინარიდან მაღლა, მოვაკებულ ფართობზე მეორე სასახლეა, რომელიც ოთხ ნაგებობას მოიცავს. სამი ნაგებობა ერთმანეთის ვეერდითაა განლაგებული. მათგან ჩრდილოეთით აბანოა. პირველი ნაგებობა სამოთახიანია, 100-120 კვ მ ფართობით. ოთახებს ცალკე შესასვლელები ჰქონია. მეორე შენობა 300 კვ მ ფართობის მქონე სასახლეა. ის ორსართულიანი ყოფილა. მესამე ნაგებობა ერთი ვრცელი სათავსოა, 300 კვ მ ფართობით. შენობები ნაგებია ფლეთილი ქვებით კირხსნარზე. სასახლის კედლების წყობა ანალოგიურია თმოგვის ციხის გვიანდელი წყობისა და XIV ს-ის შუა ხანებით თარიღდება (გაფრინდაშვილი 1966: 43). აბანო ნაგებია ქვითა და აგურით კირხსნარზე და სამი განყოფილებისაგან შედგება. მისი კამარები ჩამონგრეულია.

შუა მდინარეში, ლოდზე ხიდის ბურჯის ქვიტიკრის ფრაგმენტია შემორჩენილი. მისი ნანგრევები მდინარის ნაპირზეცაა. ხიდი გადებული ყოფილა ორ სასახლეს შორის და სასახლეს აკავშირებდა ციხესა და ქალაქთან. მეორე ხიდი ტრანსპორტისათვის

ყოფილა განკუთვნილი. ის ქვემოთაა და ქალაქის ორივე ნაწილს ერთმანეთთან აკავშირებდა (გაფრინდაშვილი 1966: 44). ნაქალაქარის თავზე, ციხის ძირში რამდენიმე გვიანდელი სამაროვანია.

1953 წ. თმოგვის აღმოსავლეთით, ზღუდის ქვემოთ აღმოჩნდა 1350 წ. დათარიღებული ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომლის მიხედვით 1350 წ. მეფეთ-მეფე დავით IX-ის (1346-1360) ბრძანებით თმოგვის ზღუდის მშენებლობა დაუწყია ვარძიელ საწოლის-მწიფნობარ მურვან კვიციანის ძეს (ციხკარიშვილი 1959: 107; გაფრინდაშვილი 1966: 46).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1965: 136; 1989: 56; ბაქრაძე 1875: 72; ბერძენიშვილი 1985: 70, 74, 78, 80, 90-93, 95, 96, 98, 102-104, 107, 110-113, 115, 116, 122, 123, 127, 129, 135; 1988: 46-54; გაბაშვილი 1985: 50; გაფრინდაშვილი 1966: 41-46; გოულდენშტედტი 1962: 217; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 16, 240; ზაქარაია 1977: 55-57; თურქული წყაროები ... 1983: 55, 56; იბრაჰიმ ფიჩვი 1964: 41; კაკაბაძე 1913: 10-12; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 107; მუნეჯიმ ბაში 1968: 136; სამი ისტ. ქრ. 1890: 90; სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 45, 67, 71; ქრონიკები 1892: 78, 150, 206, 207; 1897: 396; ქვ 1: 263,15; 283,11; 316,6; 323,11; 382,24,25; ქვ 2: 30,16; 51,6; 52,8; 55,10; 500,27; 520,18,20; 521,2-4,8; 522,20,21; ქვ 4: 133,11; 178,12; 666,8,9; 700,16; 716,22; 719,25; 721,2,4-6,9; 722,8; შავთელი 1946: 384; ჩილდირის ... 1979: 106, 119, 124, 129, 154, 173, 179; ცხოვრება ... 1980: 43, 48, 49, 51; პასან რუმლე 1964: 41.

თოთხაზი, ციხე (ქვ 4: 347,2). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 347,2).

ვახუშტი ბაგრატიონი თოთხაზის შესახებ გადმოგვცემს: „არს გუჯარეთის ჩდილოთ, მაღალს მთის თხემსა ზედა, ციხე თოთხაში, მჭვრეტელი ქართლი-მეფეთისა“ (ქვ 4: 347,2).

მდებარეობს ბორჯომის მუნიციპ-ში, მდ. გუჯარეთის ზემო წელზე, მდ. ძამისა და ტანას ხეობებისკენ მიმავალ გზაჯვარედინზე, თოთხაზის უღელტეხილზე (ბერძენიშვილი 1985: 30).

თოთხაზი საციხისთავოს ცენტრი იყო, რომელშიაც მის სიახლოვეს განლაგებული სოფლები გუჯარეთი და ბაგინეთი შედიოდა (ბერძენიშვილი 1985: 31).

ის არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

თოთხაზის უღელტეხილზე, თხემზე დგას სრულიად დანგრეული ციხე, რომლის ნანგრევებზე აშენებულია ღვთისმშობლის სამნავიანი ეკლესია (10X4 მ). ნაგებია ფლეთილი ქვით. ეკლესიას შვერილი აფსიდა აქვს. შესასვლელი აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდანაა. გადარჩენილია ჩრდილო და სამხრეთი კედლების ნაწილი. ძველი „მაღალჯვარის“ სახელითაა ცნობილი. თარიღდება X-XI სს-ით (ბერძენიშვილი 1985: 30).

თოთხაზის ნასოფლარი მაღალი მწვერვალის ძირში

ყოფილა გაშენებული. შემორჩენილია ქვაჯვარი და ხარობები (ბერძენიშვილი 1985: 30).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1985: 30; ქც 4: 347,2.

თორთოში, ციხე (ქც 4: 249,12; 686,28). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 249,12; 686,28), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 311,10), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქც 2: 526,5), მეჰმედ ბენ მეჰმედის თხზულება (საქ. ისტ. ოსმალ. წყ. 1974: 29), აინი ალის „რისალე“ (აინი ალი 1971: 228), ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ (ჩელები 1971: 303, 317, 321).

ვახუშტი ბაგრატიონი თორთომის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „თორთომის მდინარეზედ, არს ციხე თორთომისა, მაგარი, კლდესა ზედა დიდშენებული, ამის მიერ იწოდა ესე თორთომის ხეობად“ (ქც 4: 686,27,28).

ლოკალიზაცია მდ. თორთუმის (თორთუმ-ჩაი) ხეობის სათავეში. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

თორთომი სახელია ციხის, მდინარისა და პროვინციის. თორთომის პროვინცია X ს-ში დავით III-ის სამფლობელოში შედიოდა. XIV ს-ის დასაწყისში თორთომის ციხესთან გაიმართა ბრძოლა ქართველებსა და თურქებს შორის. ქართველთა ჯარმა ტაოს ერისთავის, თაყა ფანასკერტელის მეთაურობით მოიგერია თურქები (ქც 2: 311,10; ქც 4: 249,12). 1402 წ. თორთომის ციხეში 200 ქართველი იყო გამაგრებული. მის ასალტად თემურ-ლენგმა 25 ათასი კაცი გააგზავნა. მათ ციხე აიღეს და დაანგრიეს. XVI ს-ში თორთომი ოსმალეთის იმპერიის გურჯისტანის ვილაიეთის თორთომის ლივას ცენტრია. XVII ს-ში თორთომის სანჯაყი უკვე ერზურუმის ვილაიეთში შედის (საქ. ისტ. ოსმალ. წყ. 1974: 174, 178, 179). თორთომი არქეოლოგიურად შესწავლულია.

ციხე აგებულია მდინარის მაღალ კუნძულზე (თაყაიშვილი 1960: ტაბ. 149). მდინარის ქვემო წელზე კიდევ ორი ციხეა – აღჯაყალა და ერესყალა. ამავე ხეობაშია ექექის ეკლესია და ხახული. ექექის გუმბათიანი ეკლესია (9,7X6,7 მ) მდებარეობდა თორთომის ციხის სიახლოვეს. ნაგები იყო მუქი წითელი ქვათილით. გეგმაში ჯვრის მსგავს ნაგებობას წარმოადგენს. აღმოსავლეთით სამი აფსიდა, ხოლო კარები სამხრეთით და ჩრდილოეთით ჰქონდა. 1917 წ. სამხრეთის კარი ამოქოლეს და ეკლესია ჯამედ აქციეს. გუმბათი ეყრდნობოდა პილასტრებს. თარიღდება IX ს-ის ბოლო ან X ს-ის დასაწყისით (თაყაიშვილი 1960: 70). შემონახულია ქართული და ბერძნული ლაპიდარული წარწერები. ეკლესია 1958 წ. ააფეთქეს.

ბიბლიოგრაფია: აინი ალი 1971: 228; თაყაიშვილი 1960: ტაბ. 149; საქ. ისტ. ოსმალ. წყ. 1974: 174, 178, 179; ქც 2: 311,10; 526,5; ქც 4: 249,12; 686,28; ჩელები 1971: 303, 317, 321.

თორი, დაბა (ქც 4: 149,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 149,19; 201,სქ.1; 333,23; 341,9; 346,14; 381,5), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 306,11), ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე (ქც 1: 370,23), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 229,7), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 45), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 131, 134), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 329; 1958: 470, 473, 479, 481, 485), სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 69, 71), იოჰან გოულდენშტედტი „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 177, 219).

ვახუშტი ბაგრატიონი თორის შესახებ გადმოგვცემს: „სადგერს ზეით, დასავლით, არს დაბა თორი, მას ზეით ციხის-ჯუარი, და ციხე მისი შავს-წყალსა ზედა დასავლისაკენ“ (ქც 4: 381,4-6).

მდებარეობს ბორჯომის მუნიციპ-ში, მდ. შავწყალას სათავეებთან, მარცხენა მხარეს, სადაც მას ერთვის პატარა ხევი – თორულა (მაკალათია 1957: 33).

წყაროებში მოიხსენიება XI ს-იდან. თორი წარმოადგენდა თორელთა საგვარეულოს რეზიდენციას. თორელები იყვნენ სამცხის სანაპიროს მფლობელი. მათი ციხესიმაგრე ციხის-ჯუარი იყო. თორში მათ ჰქონდათ გალავნით შემოზღუდული დარბაზი და კოშკები. თორელებს მეფის კარზე ეჭირათ ამირსპასალარობა და XII-XIII სს-ში დიდ მხედართმთავრებად ითვლებოდნენ (მაკალათია 1957: 34). 1064 წ. მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072) დროს სულთანმა ალ ფარსლანმა დაარბო კანგარი, თრიალეთი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო ფანასკერტამდე და უწია თორს (ქც 1: 306,11; ქც 4: 149,19). დავით რუსუდანის ძე განერიდა მონღოლებს და მივიდა თორს ლიპარიტ თორელთან, რომელმაც ის წაიყვანა ქუთაისს (ქც 2: 229,7). მონღოლთა შემოსევის შემდეგ თორელთა საგვარეულო ეცემა. 1595 წ. სამცხე თურქებმა დაიპყრეს. თორი შევიდა ჰეტრეს ლივანში. სოფელი თანდათან გაპარტახდა. 1578 წ. თორი მუსტაფა ლალა ფაშას დაუპყრია (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 470). „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედგენისას თორი თითქმის გაპარტახებულია. მასზე შეწერილი იყო 4500 ახნა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 479). ქართველები სოფლიდან აყრილან და სხვაგან გადასახლებულან. 1770 წ. თორზე გავლით საკირეს ციხესთან შეხვდა გენ. ტოტლებენი მეფე ერეკლე II-ს (1744-1798). 1772 წ. აღწერით თორი შედიოდა საავალიშვილოში (გოულდენშტედტი 1962: 219). თორი მრავალი გზით უკავშირდებოდა საქართველოს სხვადასხვა მხარეს. აწყური – თისლი – დგვარი, საკირე – დაბაძველი – თორი – სადგერი; თორი – თრიალეთი – მანგლისი, ეს გზა აღმოსავლეთ საქართველოს მესაქონლეობის საფუძველი იყო; შიდა ქართლში თორი – თრიალეთი – მანგლისიდან უფრო მოსახერხებელი გზები შემოდიოდა ძამა – ტანა – თემამი – კავთურას ხეო-

ბით (ბერძენიშვილი 1966: 66, 68). დღეისათვის თორი ნასოფლარია და მისი ტერიტორია სათიბადა გამოყენებული (მაკალათია 1957: 34).

თორის ნასოფლარი მალღობზეა, სადაც შეინიშნება სხვადასხვა შენობათა და ეკლესიების ნანგრევები. შენობები ნაგებია დიდრონი ლოდებით, მშრალად. სახლები დარბაზული ტიპისაა. თორის ბორცვის თავზე არსებული ნასახლარი გამოირჩევა დანარჩენი ნაგებობებისაგან თავისი გეგმარებით. ის შემოზღუდულია გალავნით, რომლის შიგნით, ცენტრში შეინიშნება ციხე-კოშკი, ვარშემო სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთებით. იქვე უნდა იყოს კარის ეკლესიაც (მაკალათია 1957: 34). იქვე აღსანიშნავია კონუსური ფორმის სახლები, რომლებსაც საერთო გალავანი ზღუდავდა. ესაა სხვებზე უფრო მცირე ფართობის მქონე, მაგრამ შემადღებული მრგვალი ან მომრგვალებული სენაკი, რომელსაც ფილაქვებითა თუ ბრტყელი ლოდებით ამოყვანილი გვირგვინი ახურავს, რაც უნდა მივიჩნიოთ თორი-ბორჯომის რაიონის ნასოფლართა თავისებურებად (საქ. არქ. 1959: 379).

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თორი-ლიკანის ექსპედიციის (ხელმძღვ. გ. ლომთათიძე, გ. ნასიძე) მიერ თორის ნასოფლარზე 1968-1969 წწ. ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. გამოვლინდა ადრე შუა საუკუნეების შენობათა ნანგრევები და ძირითადად იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი კერამიკა. სოფლები მშვიდობიანობის დროსაა მიტოვებული, რის გამოც მასალა მცირეა. კერამიკაში მოჭიქული ჭურჭელი არ ჩანს. ნაგებობათა აღნაგობა არქაულია. ისინი ნაშენია დიდრონი ქვებით. კარგად ჩანს მიბაძვა ხის ერდო-ვირგვინიანი დარბაზებისა (ნასიძე 1969: 34; ნასიძე, კალანდაძე 1971: 109-111). თორის ნასოფლარზე არის ეკლესიის ნანგრევებიც. თორში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება თორი-ლიკანის ექსპედიციის ბაზაში.

თორში შემორჩენილია დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელიც წარწივის მიხედვით აგებულია მეფე გიორგი V ბრწყინვალეს დროს (1314-1346). ეკლესია ნაწილობრივ კლდეშია ჩაშენებული (მაკალათია 1957: 7). სავარაუდოდ, იმ პერიოდისათვის თორი სამეფო (სახსლო) ქვეყანაა. დღეისათვის თორში შემორჩენილი კომპლექსი: დარბაზული ეკლესია, სასახლისა და სხვ. ნაგებობათა ნაშთები განვითარებული შუა საუკუნეებისაა (ბარნაველი 1959: 40, 41).

ბიბლიოგრაფია: აბულაძე 1983: 13-18; ბაგრატიონი 1986: 45; ბარნაველი 1959: 40, 41; ბერძენიშვილი 1966: 44, 66, 68, 74, 81, 96, 100-103; გიულდენშტედტი 1962: 177, 219; გურიჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 470, 473, 479, 481; დადიანი 1962: 131, 134; მაკალათია 1957: 5, 7, 33; ნასიძე 1969: 34; ნასიძე, კალანდაძე 1971: 109-111; რჩელიშვილი 1994: 118, 131; საქ. არქ. 1959: 379; სიკელეები ... 1898: 27-30; სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 68-71; ქც 1: 306, 11; 370, 23; ქც 2: 229, 7; ქც 4: 149, 19; 201, სქ. 1; 333, 23; 341, 9; 346, 14; 381, 5.

თორღა, ციხე (ქც 4: 451, 5, 7, 13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 451, 5, 7, 13; 548, 14-16; 553, 23; 554, 3; 576, 19; 581, 3; 584, 8; 601, 22, 24), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 369, 16; 382, 6; 393, 3; 515, 12; 538, 21), არჩილ მეფის (1664-1698) „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1989: 387), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 65), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 60, 79, 113-115), სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 3), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 481; საქ. სიძ. 1920: 169; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 518), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 73).

ვახუშტი ბაგრატიონი თორღას ციხის შესახებ გადმოგვცემს: „თურღოს ხევის შესართავს ზეით ალაზანს მოერთვის შტორის ხევი ... თორღის ციხესთან ერთვის ამ ხეფს სხუა ხევი ... თორღის ციხე არს მაგარი და კლდეა ზედა ნაშენი, არამედ აწ უქმი“ (ქც 4: 548, 12-16), „ჩადმიდამ გარდავალს გზა თორღისა და ლოპოტის ხეფზედ“ (ქც 4: 554, 3). თორღას ციხეს ხალხურ მეტყველებაში „თორღას გალავანს“ უწოდებენ (მუსხელიშვილი 1980: 89). მღებარეობს ანმეფის მუნიცი-ში, სტორის ხეობაში (მუსხელიშვილი 1980: 88).

ლევან კახთა მეფის (1520-1574) გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს შორის ტახტისათვის ამტყდარი გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა თორღას ციხესთან, სადაც ალექსანდრემ გაიმარჯვა და კახეთის სამეფო ტახტი დაიკავა (ქც 2: 369, 16, 20, 21, 515, 12; ქც 4: 576, 19). 1601 წ. ალექსანდრე II (1574-1605) დასწეულდა. ამით ისრაგებლა მისმა ვაჟმა დავითმა და მამას ტახტი წაართვა. დავითის ძმამ გიორგიმ შეთქმულება მოუწყო მეფეს, მაგრამ დამარცხდა. დავითმა ის თორღას ციხეში განაშტყვდია (ქც 2: 382, 6, 538, 21; ქც 4: 581, 3). 1605 წ. ირანიდან შაჰ-აბასის მიერ გამოეზავნა უფლისწულ კონსტანტინეს მამამისი ალექსანდრე II შეწყვეტა. ამის შემდეგ ისინი თორღას სასახლეში წასულან (ცხოვრება ... 1980: 6). კახთა მეფე თეიმურაზ I-მა (1606-1648) ქორწილი თორღას ციხეში გადაიხადა (ქც 4: 584, 8). 1614 წ. ირანის შაჰმა აბას I-მა (1587-1629) დიდი ბრძოლის შემდეგ აიღო თორღას ციხე და ხელში ჩაივლო იქ შენახული სამეფო განმელობა (ქც 2: 393, 3; ცხოვრება ... 1980: 79). 1664 წ. კახეთის სამეფო ტახტისათვის მებრძოლი თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე (შემდგომში კახეთის მეფე ერეკლე I – ნაზარაღიანი, 1688-1703) თავს დაესხა ქართლის მეფე ვანტანგ V შაჰნავაზს (1658-1675) და კახეთის მეფე არჩილს (1664-1675), მაგრამ დამარცხდა და დედამისთან ერთად თორღას ციხეში გამაგრდა. შვიდთვიანი ალყის შემდეგ ვანტანგ V-ში შეიწყნარა ერეკლეს დედის თხოვნა და დედა-შვილი ციხიდან გააპარა. თვითონ კი ციხე დაიჭირა (ქც 4: 601, 22, 24; ცხოვრება ... 1980: 113, 114; გორგიჯანიძე 1926: 65; ჩხეიძე 1913: 3).

თორღას ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ის წარმოადგენს ფოლადლის რეზიდენციას საცხოვრებელი კომპლექსით, ეკლესიითა და გალავნით. სტორის ხეობაზე, სადაც ციხე მდებარეობს გადიოდა თუშეთის, კერძოდ გომეწრისა და ჩაღმის თემების კახეთის ბართან დამაკავშირებელი ერთ-ერთი გზა. ციხის ძირითადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო მთისა და ბარის შემაერთებელი გზის კონტროლი. თორღას ციხე ადრე შუა საუკუნეებში ჩანს აგებული (მუსხელიშვილი 1980: 88-92, 109).

ბიბლიოგრაფია: *არჩილი 1989: 387; ბაგრატიონი 1986: 73; ვორგიჯანიძე 1926: 65; მუსხელიშვილი 1980: 88-92, 109; საქ. სოდ. 1920: 169; ქრონიკები 1897: 481; ქვ 2: 369,16,20,21; 382,6; 393,3; 515,12; 538,21; ქვ 4: 451,5,7,13; 548,14-16; 553,23; 554,3; 576,19; 581,3; 584,8; 601,22,24; ჩხეიძე 1913: 3; ცხოვრება ... 1980: 60, 79, 113-115.*

თოლა (მაჭი) (ქვ 4: 543,16,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 543,16,17), 1606 წ. ისტორიული საბუთი (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 107), არჩილ მეფის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1989: 403), XVI-XVII სს-ის რუსი ელჩების ცნობები (რუს. ურთ. კავკ. 1889: 124, 156, 170-173, 186, 190-192, 300, 312, 388, 416, 418, 424, 483, 487, 488, 493), თეიმურაზ I-ის მოსკოვში ელჩობის საოქმო ჩანაწერები (ჩანაწერები ... 1965: 447; მასალები რუსეთ-საქართველოს ... 1965: 462).

ვახუშტი ბაგრატიონი თოლას შესახებ გადმოგვცემს: „ბელაქნის წყლის შესართავს ზეით მოერთვის ალაზნანს მაწის წყალი ... ამ ხევზედ არს, მთასა შინა, თოლა, სასახლე მეფეთა, ფრიად მშუენვარე ზაფხულს. ამას ეწოდა მაჭი“ (ქვ 4: 543,13-17).

მდებარეობს ლაგოდეხის მუნიციპ-ში, ლაგოდეხ-ბელაქნის გზატკეცილიდან ჩრდილოეთით, 5 კმ-ის დაშორებით მდ. მაწიმის წყლის ხეობაში, მაღალ, ფლატენაირებადი ხერთვისზე (მელითაური 1972: 20; მუსხელიშვილი 1980: 94; ჭილაშვილი 1980: 224).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით მაჭის წყლის (მაწის წყლის) ხეობა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული (ქვ 4: 543,20). ამ ხეობით ჰერეთის ბარიდან გზა გადადიოდა შუა დაღესტანში, ხუნზახში. ამდენად თოლას ციხე მდებარეობდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილას და კონტროლს უწევდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის გარკვეულ ნაწილს (მუსხელიშვილი 1980: 94, 126). წყაროების მიხედვით, მაჭი საერისთავო ცენტრი ჩანს VII ს-ის ბოლოდან. ჯუანშერის სიკვდილის შემდეგ (787 წ.) განდგომილმა გრიგოლ მთავარმა კახეთ-გარდაბანი დაიმორჩილა. ჰერეთში გაბატონდნენ ადარნასე ბრმის ძმისწულეები. მათ ჰერეთი დაეყვს ოთხ საერისთავოდ, რომელთაგან ერთი მაჭის საერისთავო იყო (ქვ 4: 557,8). მაჭის საერისთავო არსებობდა XI ს-ის დასაწყისშიც. 1010 წ. ახლო ხანებში

ბაგრატი III-მ (1001-1014) კახეთი შემოიერთა. ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ კვირიკე III კახთა მეფემ (1010-1037) კვლავ დაიბრუნა კახეთ-ჰერეთი. გაატარა რა ადმინისტრაციული რეფორმები, ერთ-ერთი ერისთავი დასვა მაჭის საერისთავოში, რომელიც მოიცავდა ტერიტორიებს მაჭის წყლის ქვევით, ალაზნის აღმოსავლეთით შაკიხითურთ და ხუნზახითურთ (ქვ 4: 561,1-22). 1040 წ. ახლო ხანებში ბაგრატი IV-მ (1027-1072) კახეთში ილაშქრა. სხვებთან ერთად ბაგრატი IV-ს შეუპყრია მაჭის ერისთავი დაჯე (ქვ 1: 298,8; ქვ 4:146,7). გვიან შუა საუკუნეებში მაჭის საერისთავო ქრება, ხოლო მისი ცენტრი მაჭი, რომელსაც ამი-ერიდან თოლა ეწოდა, კახეთის მეფეთა ერთ-ერთ რეზიდენციად იქცა (ჭილაშვილი 1980: 222). 1589 წ. კახთა მეფე ალექსანდრე II-ეს (1574-1605) რუსი ელჩები მიუწვევია თოლაში, რომელიც ლაშქრის შეყრისა და წვრთნის ადგილიც ყოფილა (რუს. ურთ. კავკ. 1889: 171, 172). ალექსანდრეს თხოვნით რუს მხატვრებს მოუხატავთ ალექსანდრეს მიერ აგებული თოლას ეკლესია (რუს. ურთ. კავკ. 1889: 124). რუს ელჩებს უარი ეთქვათ ზაგვიმის ეკლესიის კურთხევაზე, ვინაიდან ის უკვე ნაკურთხი ყოფილა. სამაგიეროდ შესთავაზეს თოლას მახლობლად, ალექსანდრეს მიერ აგებული ეკლესიის კურთხევა, რაზეც რუსებმა უარი განაცხადეს (რუს. ურთ. კავკ. 1889: 191, 192). 1596-1599 წწ. ჩამოსული რუსი ელჩები ალექსანდრე მეფესთან შესახვედრად თოლაში მიუყვანიათ. 1605 წ. აქვე შეხვედრია რუს ელჩებს მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინე (რუს. ურთ. კავკ. 1889: 487, 488). 1606 წ. თეიმურაზ I-მა (1606-1648) ლუარსაბ მეფინიბეთუხუცესს თოლაში უბოძა იოსაფათის სამოურავო და უზუქანთის მოურაობა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 107). ვახუშტი ბაგრატიონი თოლას ციხის დაცემას შაჰ-აბასისა (1587-1629) და ლეკების შემოსევებს უკავშირებდა (ქვ 4: 543,20). კმელითაურის აზრით, ციხეზე ინტენსიური ცხოვრება XI ს-ის შემდეგ წყდება (მელითაური 1972: 27), რაც არ უნდა იყოს მართებული. წერილობით წყაროებისა თუ სხვა მონაცემების მიხედვით, ციხის ტერიტორიაზე ინტენსიური ცხოვრების კვალი შემდგომშიც დასტურდება (ჭილაშვილი 1980: 299).

თოლას ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

1978-1979 წწ. ჯ. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ლ. ჭილაშვილი) დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები აწარმოვა თოლას ციხის ტერიტორიაზე (ჭილაშვილი ... 1980: 76). ზედაპირულად აკრეფილი მასალიდან საინტერესოა მრავალფერად მოჭიქული ჯამის ძირის ნატეხი, რომელზეც ფრინველი და მცენარეული ორნამენტია გამოსახული. ჯამი თარიღდება XII-XIII სს-ით (ჭილაშვილი 1980: 230). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

თოლას ციხე დგას მაღალ კონცხზე. მას სამკუთხა მოყვანილობის გვემა აქვს და დაახლოებით 3

ჰა ფართობი უკავია. რელიეფი დაქანებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ფლატეებითაა დაცული. ჩრდილოეთი მხრიდან კონცხის ყელი გადაჭრილია და თხრილითაა გამოყოფილ-გამაგრებული. ციხადელი ციხის სამხრეთ ნაწილშია, რომელიც ძნელად მისასვლელ ფერდს წარმოადგენს. შიდა ციხის სისტემაში შედიოდა: კარიბჭე, ზღუდის კედელ-ბურჯები, მასში ჩაშენებული სწორკუთხა და წრიული გეგმის კოშკებით, დარბაზული ეკლესია, წყლის რეზერვუარი(?), სწორკუთხა გეგმის მქონე მოზრდილი შენობისა და ზოგიერთი სხვა ნაგებობის ნაშთები. საკუთრივ ციხის ტერიტორიაც ზღუდის კედლითაა გამაგრებული. განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ ციხის ჩრდილოეთი ნაწილის გამაგრებისათვის. ამ მხარეს შემორჩენილია კარიბჭე და კედელში ჩაშენებული ოთხკუთხა გეგმის მქონე ეკესი კოშკი (ჭილაშვილი 1980: 225, 226). კედლები ნაგებია რიყის ქვებით კირხსნარზე. გამოყენებულია აგურიც, განსაკუთრებით კოშკის კუთხეებში. ციხეზე შეიმჩნევა რამდენიმე სამშენებლო ფენა. წყლის რეზერვუარი მდებარეობს ზედა ციხის მახლობლად, ციხის კედლიდან ჩრდილოეთით, 20 მ-ის დაშორებით. სწორკუთხედის ფორმის ნაგებობა (10X7,2X3,4 მ) დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. ნაგებობა ორ მრგვალ სვეტზე დაყრდნობილი სამი თაღით ორ თანატოლ სივრცედაა გაყოფილი. შენობის დიდი ნაწილი მიწის ზედაა. შესასვლელი არ ჩანს. ჩრდილოეთ კედელში აქვს ხერხელი. ორივე სათავსო გადახურულია შეისრული თაღით. ნაგებია რიყის ქვით კირხსნარზე. ინტერიერი შელესილია. სახურავზე შუა კედლის ცენტრში ორი მხრიდან თანაბარი ზომის ღიობებია. კ. მელითაურს ნაგებობა მიაჩნდა წყლის ცისტერნად (მელითაური 1972: 25). სხვა მოსაზრებით ნაგებობა აბანოს ელემენტებს შეიცავს. თუმცა მისი ფუნქციის საბოლოოდ გარკვევა არქეოლოგიურ გათხრებამდე შეუძლებელია (ჭილაშვილი 1980: 226). ნაგებობის აღმოსავლეთით 7,5 მ-ის დაშორებით შემორჩენილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი სწორკუთხა ნაგებობა, რომლის კედლების სიმაღლე 3 მ-ს აღწევს, სიგრძე 11 მ-ია, სიგანე 7,3 მ. ნაშენია რიყის ქვით კირხსნარზე. შიგნიდან კირხსნარითვეა შელესილი. სარკმელი ან კარი არ შეინიშნება (ჭილაშვილი 1980: 226). კ. მელითაურის აზრით, ის ღია ცისტერნა უნდა იყოს (მელითაური 1972: 26). მაგრამ ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ მიუთითებს მისგან ჩრდილოეთით მდებარე ჭა, ზედა ნაწილში ქვით ამოყვანილი კედლებით (ჭილაშვილი 1980: 228). „ციტერნის“ ჩრდილო-დასავლეთით შემორჩენილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი მოგრძო შენობის ნანგრევები, რომელიც ყველაზე მოზრდილი ნაგებობაა და შესაძლოა სასახლე იყოს (ჭილაშვილი 1980: 228). მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით 25-ოდე მ-ზე მდებარეობს დარბაზული ეკლესია (7,3X5,3 მ). ნაშენია

რიყის ქვებით კირხსნარზე. შესასვლელი ჰქონია სამხრეთიდან და დასავლეთიდან. სამხრეთი კარის ორივე მხარეს თითო სარკმელია. ერთი სარკმელი და ორი ნიშია აფსიდში. ეკლესიისა და, საერთოდ, ციხის აგების თარიღად მიჩნეულია IX ს (მელითაური 1972: 25, 27). საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) ინახება ქვა შვიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერით, რომელიც თოლას ციხიდან უნდა იყოს. „... ესე ქვა ... დასუეს ქალწულისი წმიდის ... ღმრთისა მშობელი გამოგუბრწეინდა ... ივ. მოვიდა მახარობელი. ახსართან ქორებისკობის (?) და რანთა და კახთა მფლობელი, ციხისთავობასა და ერისთავისა გიორგისა, ხელთა გიორგი ვარდანის (?) ... ძენი (?) ...“. წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XII ს-ის ჩანს. მასში მოხსენიებული უნდა იყოს კახთა მეფე აღსართან II (1102-1105). ციხისთავი ყოფილა გიორგი (ბარნაველი 1962: 94, 95). საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) ინახება ოქროს ხატი, რომლის წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ ალექსანდრე II კახთა მეფესა და მის მეუღლე თინათინს თოლასში აუგიათ წმინდა ნიკოლოზის ეკლესია და მისთვის ეს ოქროს ხატი შეუწირავთ (ბარნაველი 1962: 95, 96). ციხის სამხრეთით, მდინარის მარცხენა მხარეს, დაახლოებით 350 მ დაშორებით მდებარეობს რიყის ქვით კირხსნარზე ნაგები დარბაზული ეკლესია. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. შვერილი აფსიდა ნაღისებურია, გარედან ხუთკუთხა. დასავლეთ კედელსა და საკურთხეველში თითო სარკმელია. თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით (ჭილაშვილი 1980: 22, 230). ციხიდან 4 კმ-ის დაშორებით, ხეობის გამოსასვლელთან, სადაც ალაზნის ველი იწყება, შემორჩენილია ქარვასლისა და აბანოს ნაშთები (ჭილაშვილი ... 1978: 108, 109; ჭილაშვილი 1980: 229). რუსი ელჩების ცნობით ალექსანდრე II-ს 1590 წ. თოლასიდან „ორ ვერსზე“ აუგია ეკლესია (რუს. ურთ. კავკ. 1889: 191, 192). დღეისათვის ხეობაში ამ ეკლესიის კვალი აღარაა შემორჩენილი (ჭილაშვილი 1980: 231).

ბიბლიოგრაფია: არჩილი 1989: 403; ბარნაველი 1962: 94-96; გორგიძე 1995: 59-70; მასალები რუსეთ-საქართველოს ... 1965: 462; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 107; მელითაური 1972: 20-27; მუსხელიშვილი 1980: 94, 109, 125, 126; რუს. ურთ. კავკ. 1889: 124, 156, 170-173, 186, 190-192, 300, 312, 388, 416, 418, 424, 483, 487, 488, 493; ქც 1: 298,8; ქც 4: 543,16,17; 561,20; ჩანაწერები ... 1965: 447; ჭილაშვილი 1980: 22, 219-231; ჭილაშვილი ... 1978: 108, 109; ჭილაშვილი... 1980: 76.

თჴალიზი (ქც 4: 341,5; 531,21,24). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრა-

ტიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 341,5, 531,21,24), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 65), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქართლ-კახეთის ... 1903: 232-234; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 38).

ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა: „ჟალეთს ზეით იორს მოერთვის თიანეთის წყალი, რომელი გამოზღის თუალივს ქუეთი ხერკის მთას და აწ თიანეთისას, და მოდის აღმოსავლეთს-სამხრეთ შუა, და მოერთვის იორს დასავლეთიდან. ხოლო ამ წყლის სათავისა და საშიშის თუალივის იქით, თეთრის არაგვის მჭურეტად არს ხარჭაშოს ეკლესია გუშბათიანი, კეთილშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშეგ-ხეცსურისა და თუშეთისა ...“ (ქც 4: 531,21-26, 532,1).

მდებარეობს დუშეთის მუნიციპ-ში, დუშეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. ფშავის არაგვის მარცხენა ნაპირზე, თიანეთისკენ მიმავალ გზაზე, დღევანდელი სოფ. თვალის ტერიტორიაზე.

XVIII ს-ის დასაწყისში თვალის ტერიტორიაზე ხარჭაშენის კუთვნილი 50 ყმა გლეხი (საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 38). 1721 წ. ალავერდის ტაძრის სიგელში მოიხსენიება თვალის (ქართლ-კახეთის ... 1903: 232-234). იოანე ბაგრატიონი მას თიანეთის სოფლებში ასახელებდა (ბაგრატიონი 1986: 65).

თვალის არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ფშავის არაგვის მარცხენა ნაპირზე, ტყეში, შემორჩენილია ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომელიც შედგება წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესიისა, მცირე ეკლესიისა და სხვა შენობათა ნანგრევებისაგან. წმინდა გიორგის ეკლესიას აქვს წრიული გალავანი, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჩაშენებულია ოთხსართულიანი კოშკი, შესასვლელით. ეკლესიას აქვს ნახევარწრიული შვერილი აფსიდა. შესასვლელი ჰქონია დასავლეთით და სამხრეთით. ნაგებია კლდის დამუშავებული ქვითა და შირიმის ქვათილებით. ეკლესია თარიღდება V-VI სს-ით. გადაკეთებულია XV ს-ში. გადაკეთებისას დასავლეთის კართი ამოუქოლავდა, სამხრეთის კართან მიუშენებიათ შესასვლელი სამრეკლოთი. შესასვლელის თავზე ჩასმულია დიდი ქვიშაქვა ასომთავრული წარწერით, რომლიდანაც იკითხება რამდენიმე სიტყვა. წარწერაში მოხსენიებულია ვინმე „ედი-შერ“ (ბარნაველი 1961: 147). საკურთხევის წინ აღმართულია ავურის კანკელი, რომლის არქიტრაზე გამოსახულია 15 წმინდანი. მონასტერი ხარჭაშენელ ეპისკოპოსთა რეზიდენცია ყოფილა.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 65; ბარნაველი 1961: 147; რამიშვილი 1983: 9-19; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 38; ქც 4: 341,5; 531,21,24; ქართლ-კახეთის ... 1903: 232-234; ცისკარიშვილი 1950: 211-215.

თუშალო30, სოფელი (ქც 4: 341,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 341,5), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (დოკ.

საქ. სოც. ისტ. 1940: 7, 27), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30). ვახუშტი ბაგრატიონი თუალივის შესახებ გადმოგვცემს: „გუდარეხის ხეგზედ (თანამედროვე მდ. გუდალურა) არს თუალივის სასახლე, მეფეთა, ნაშენობა დიდი“ (ქც 4: 341,5,6).

მდებარეობს კასპის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. თვალადის ტერიტორიაზე.

წყაროებში ცნობილია, როგორც: თუალივი (ქც 4: 341,5), თვალი (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 27), თვალთ-უბანი (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 7). სოფ. თუალივს ვახუშტი ბაგრატიონი მოიხსენიებს არაგვის ხეობაშიც (ქც 4: 531,21,24) (იხ. თუალივი). სოფ. თუალივიმ მეფე როსტომს (1632-1658) სასახლე ჰქონია (მაკალათია 1960: 16).

თუალივი (თვალადი) არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფელში და მის შემოგარენში დგას რამდენიმე ეკლესია (სძა 1990: 163, 164; მაკალათია 1960: 16).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 30; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 7, 27; მაკალათია 1960: 16; სძა 1990: 163, 164; ქც 4: 341,5.

თუშალო30 (ქც 4: 319,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 319,21), „დასტურდამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 314), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 48).

მდებარეობს წალკის მუნიციპ-ში, წალკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 23 კმ დაშორებით, თრიალეთის ქედის სამხრეთი კალთის ძირას, წალკის წყალსაცავის ჩრდილოეთით, დღევანდელი სოფ. თეჯისის ტერიტორიაზე (თაყაიშვილი 1913: 58, 59; ჩარკვიანი 2002: 90).

XVIII ს-ში სოფ. თურანი შედიოდა სამეფო საკუთრებაში (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 314; ბაგრატიონი 1986: 48).

თურანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფ. თეჯისის რამდენიმე ძლიერ დაზიანებული ეკლესიაა. ერთი მათგანი XIX ს-ში აღადგინეს იქ მცხოვრებმა ბერძნებმა (თაყაიშვილი 1913: 58, 59).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 48; თაყაიშვილი 1913: 58, 59; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 314; ქც 4: 319,21; ჩარკვიანი 2002: 88-100;

თუშაროსი, ციხე-ქალაქი (ქც 1: 9,24; 12,2; 17,19; 18,6), ციხე (ქც 1: 131,14; 171,12; 177,8,18; ქც 4: 679,18). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქც 1: 9,24; 12,2; 17,19; 18,6), მისივე „წინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქც 1: 131,14; 137,1), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 171,12; 177,8,18), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 679,18), 1392 წ. საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 178).

ვახუშტი ბაგრატიონი თუხარისის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „ტბეთის პირის-პირ, ჩდილოთ კერმ, მდინარის გაღმა, არს ციხე თუხარისი ...“ (ქც 4: 679,18).

ლოკალიზდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მდებარეობს ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე, მდ. ჭოროხის ნაპირზე. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

ციხე-ქალაქი აუგია ქართველთა ლეგენდარულ ეთნარქს ოძროხს (ქც 1: 9,24; ქც 4: 679,18). „ნაზართა“ შემოსევისას თუხარისი მტერს ვერ აუღია (ქც 1: 12,2). ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარს ქართლში სხვა ძლიერ ციხე-ქალაქებთან ერთად დაწვედრია თუხარისიც (ქც 1: 17,19). პირველი ეკლესია თუხარისში ააშენა მეფე მირდატმა (ქც 1: 131,14; ქც 4: 679,20). IV ს-ში თუხარისი ბერძნებმა მიიტაცეს (ქც 1: 137,1). V ს-ის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასალმა ციხე-ქალაქი კვლავ ქართლის სამეფოს შემოუერთა (ქც 1: 177,8). მურვან ყრუს შემოსევას შეეწირა მირდატის მიერ აშენებული თუხარისის ეკლესია, რომელიც ტბეთის ეპისკოპოსს განუახლებია (ქც 4: 679,20,21). IX-XI სს-ში ციხე-ქალაქი ჯაყელთა საგვარეულოს რეზიდენციაა. „მატიანე ქართლისა“ ბაგრატ IV-ის მეფობისას (1027-1072) თუხარისის ერისთავად მოიხსენიებდა ბეშქენ ჯაყელს (ქც 1: 298,18). საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ თუხარისი სამცხე-საათაბაგოს ერთ-ერთი ცენტრია. XVI ს-ში თუხარისი ოსმალებმა მიიტაცეს.

ის არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 178;

ქც 1: 9,24; 12,2; 17,19; 18,6; 131,14; 137,1; 171,12; 177,8,18; 298,18; ქც 4: 679,18-22; ჭილაშვილი 1968: 20, 21, 30, 31, 66, 82, 110.

თხმელის ციხე (ქც 4: 735,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 735,13; 751,23,სქ.2; 880,13). XVIII ს-ის სიგელ-გუჯრები (სიგელები ... 1898: 47, 48, 56).

ვახუშტი ბაგრატიონი თხმელის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „ვარციხეს ზეით ერთვის რიონს ხანის წყალი ... მოდის ჩდილოთ და მიერთვის რიონს სამხრდამვე. ამაზედ აღაშენეს ოსმალთა ციხე თხმელის ხისგან ... ამისათვის უწოდეს იმერთა თხმელის ციხე და პირველ ეწოდა ადგილსა ამას ბაღდადი“ (ქც 4: 751,20-24).

მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდ. ხანისწყლის მარცხენა ნაპირზე, ქ. ბაღდადში.

1703 წ. ოსმალები დასავლეთ საქართველოში შეიჭრნენ და თხმელის ციხე დაიკავეს (ქც 4: 735,13). ის ტყვეთა გასაყიდ ბუნქტს წარმოადგენდა (ბერძენიშვილი 1966: 86; 1990: 470). 1770 წ. თხმელის ციხეში მდგომი თურქთა გარნიზონი სოლომონ I-სა (1752-1784) და რუსთა ჯარს დანებდა. თხმელის ციხე ბაღდადის ციხის სახელითაც არის ცნობილი (ბერძენიშვილი 1966: 86).

ის არქეოლოგიურად შეუსწავლელია. შემორჩენილია ოთხკუთხა კოშკის ნანგრევები.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1966: 86; 1990: 470; სიგელები ... 1898: 47, 48, 56; ქც 4: 735,13; 751,23,სქ.2; 880,13.



იანგოთი (ქც 4: 816,2). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 816,2).

მდებარეობს სამტრედიის მუნიციპ-ში, მდ. გუბისწყლის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. იანგოთის ტერიტორიაზე.

1568 წ. იანგოთში მდგარ იმერეთის მეფე გიორგი II-ს (1565-1585) თავს დაესხა დადიანი, ჭილაძე და ლიპარტელიანი. სასტიკი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა მეფემ (ქც 4: 816,2).

იანგოთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ქც 4: 816,2.

ილი, დაბა (ქც 4: 684,2,5,8,13,16). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 684,2,5,8,13,16).

ვახუშტი ბაგრატიონი იდის შესახებ გადმოგვცემს: „ჭოროხის აღმოსავლის კიდეზედ, არის დაბა დიდი ილი“ (ქც 4: 684,2).

ლოკალიზდება ისტორიულ ტაოში. მდებარეობს მდ. თლითისის წყლის ზემო წელზე, მარცხენა ნაპირზე. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

იდი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ინგოროევა 1959:438; მუსხელიშვილი 1980:162, 167, 169; ქც 4: 684,2,5,8,13,16;

იკორთა (ქც 4: 362,1; 368,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 362,1; 368,3), ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 259; 1897: 13, 23, 24, 25, 257, 258, 488).

ვახუშტი ბაგრატიონი იკორთის შესახებ გადმოგვცემს: „ორბოძლის მთის სამხრით არს, მთის კალთასა შინა, იკორთას, მონასტერი დიდი, გუმბათიანი, კეთილად ნაშენი, კარგს ადგილს; ზის არქიმანდრიტი“ (ქც 4: 361,25; 362,1-2).

მდებარეობს ცხინვალის მუნიციპ-ში, გორიდან 25 კმ დაშორებით.

იკორთა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

იკორთის ეკლესია აგებულია 1152 წელს. XIV ს-ში აღადგინა ქსნის ერისთავმა იოვანემ. XVII ს-ში ეკლესია შეაკეთა იესე ქსნის ერისთავმა. იქ არიან დაკრძალულნი 1659 წ. აჯანყების გამომწვევით, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები. ახალგორის დაწინაურების შემდეგ იკორთის ეკლესია

ქსნის ერისთავთა საგვარეულო საძვალედ იქცა (მენაბდე 1962: 222). იკორთის საგანეში მოღვაწეობდნენ მწიგნობარნი: წინამძღვარი იოაკიმე თითასმანელიძე (ქრონიკები 1897: 258), გამალიელ გამრეკელი, დიმიტრი ოქრიაძე (მენაბდე 1962: 222).

იკორთის ეკლესია გუმბათიანი ნაგებობაა (19X14X20 მ). გუმბათი ემყარება საკურთხევლის კუთხეებსა და ორ სვეტს. დასავლეთის მკლავი და პატრონიკე წყვილი სვეტით სამად იყოფა. ეკლესია თლილი ქვის პერანგით არის მოპოკეთებული. ეკლესიის მახლობლად შემორჩენილია ძველი ციხე-დარბაზის ნაშთი (ბერიძე 1974: 151).

ბიბლიოგრაფია: ბერიძე 1974: 151; თაყაიშვილი 1924: 54, 55; მენაბდე 1962: 222, 223; უფაროვა 1894: 154-158; ქრონიკები 1892: 259; 1897: 13, 23, 24, 25, 257, 258, 488; ქც 4: 362,1; 368,3.

ილორი (ქც 4: 779,16,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 779,16,17; 780,3; 886,24; 888,1), ქართული ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 501; დას. საქ. საბ. 1921: 41; ბურჯანაძე 1959: 193), დონ ქრისტოფორო დე კასტელის „ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ“ (კასტელი 1976: 179), არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ (ლამბერტი 1938: 141-145, 158), ჟან შარდენის „მოგზაურობა“ (შარდენი 1975: 154, 185, 196), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1964: 53), დიუბუა დე მონპერეს „მოგზაურობა კავკასიაში“ (დიუბუა დე მონპერე 1937: 139, 146, 164, 165), სპენსერის „მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ“ (სპენსერი 1981: 137), ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 88, 91, 92, 94).

ვახუშტი ბაგრატიონი ილორის შესახებ გადმოგვცემს: „ზღვის კიდეზედ, ამ წყლის (ეგრისწყლის) დასავლითს კიდეზედ, არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა“ (ქც 4: 779,16,17).

მდებარეობს ოჩამჩირის მუნიციპ-ში, ოჩამჩირიდან 3 კმ-ის დაშორებით, ახალანდელ სოფ. ილორის ტერიტორიაზე.

ილორი მუა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს სალოცავ ადგილს წარ-



ილორის ტაძარი

მოადგენდა. XVII ს-ში ილორში არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა. 1733 წ. ილორი ოსმალებმა გადაწვეს. 1748 წ. ის აღადგინეს. ილორში დაფიქსირებულია მუსტიეური ხანის „ღია სადგომი“ (ზამიატინი 1961: 71; ვორონოვი 1969: 16). 1971 წ. ილორში სა-

დაზვერვო ხასიათის გათრები აწარმოვა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გუდავის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. პ. ზაქარაია). იქ გამოვლინდა გვიანბრინჯაოს ხანის ფენა. აღმოჩნდა ქსოვილიანი კერამიკის ნაჭეხები, ორკაპა კერამიკული სადგრები; ზღვიდან 100-ოდე მ დაცილებით გამოვლინდა რომაული ხანის ფენისა და თავდაცვითი კედლის ნაშთები. კედლები აგურითაა ნაგები; ამავე ტერიტორიაზე აღმოჩნდა XII-XIII სს-ის მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები (ზაქარაია, ლექქინაძე 1974: 147).

ილორის წმინდა გიორგის XI ს-ის დარბაზული ტიპის ეკლესია მდებარეობს სოფლის შუაგულში. ნაგებია რიყის ქვებით კირხსნარზე (კაცია 1963: 48, 49). ინტერიერი მოხატულია. ფრესკები ახალია. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩენილია XI-XII სს-ის პირველი ნახევრის ქართული ასომთავრული წარწერები (სილოგავა 1980: 159-161).
ბიბლიოგრაფია: აძინა 1958; ბურჯანაძე 1959; დიუბუა დე მონპერე 1937: 139, 146, 164, 165; გამბა 1987: 88, 91, 92, 94; ვიულდენშტედტი 1964: 53; გრიგოლია 1942: 146, 147, 157, 158; დას. საქ. საბ. 1921: 41; ვორონოვი 1969: 16; ზამიატინი 1961: 71; ზაქარაია, ლექქინაძე 1974: 147; კასტელი 1976: 179; კაცია 1963; ჰენსერი 1981: 137; ლამბერტი 1938: 141-145, 158; სილოგავა 1980: 159-161; ტარნავა 1917; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 501; ქც 4: 779, 16, 17; 780, 3; 886, 24; 888, 1; შარდენი 1975: 154, 185, 196.

ოსანო (ქც 4: 666, 20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 666, 20). 1775 წ. საბუთი (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 100), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 40; 1958: 190, 194, 196, 235).

ვახუშტი ბაგრატიონი ინდუსას შესახებ გადმოცემს: „ოშორას ხევის შესართავის ზეით, ინდუსას, არს ხიდი მტკუარზედ“ (ქც 4: 666, 20). მდებარეობს ასპინძის მუნიციპ-ში, ასპინძის ჩრდილოეთით, მტკვრის მარჯვენა შენაკადის, ოშორის წყლის შესართავთან, ოშორას ხევის მარჯვენა ნაპირზე.

1595 წ. ინდუსაში ცხოვრობდა 9 კომლი, რომელთაც უნდა გადაეხადათ 1400 ახნა და ნატურით ხორ-

ბალი, ფეტვი, გამოსაღები ფუტკარზე, საქონელზე, თივაზე და სხვ. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, ინდუსას სხვა სოფლებთან ერთად უნდა გადაეხადა 32 ქესა (1600 მანეთი ვერცხლის ფული) (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 191, სქ. 5). ინდუსას ერთი ნაწილი სახასო იყო, მეორე ნაწილი მემამულისა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: სქ. 10). ინდუსასთან, ახალციხე-ხერთვისის შორის, უნდა ყოფილიყო ხიდი მტკუარზე (ბერძენიშვილი 1966: 96). 1932-1933 წწ. სოფ. ინდუსაში ცხოვრობდა 100 კომლი მაჰმადიანი ქართველი (ბოჭორიძე 1992: 17, 18).

ინდუსა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფლის თავზე მდებარეობს დარბაზული ეკლესიის ნანგრევები (9X4,5 მ), რომლის კედლებს პერანგი შემოდარცული ჰქონდა. ქვები გამოიყენეს მიზიგითისა და საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად. მეორე ეკლესიის ნაშთი სოფლის დასავლეთით 0,25 კმ დაშორებითაა. ის მთლიანად დანგრეულია (ბოჭორიძე 1992: 17, 18).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1966: 96; ბოჭორიძე 1992: 17, 18; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 40; 1958: 94, 190, 191, 193, 194, 196, 235; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 100; ქც 4: 666, 20.

ოსანო, ისნი, ისნის ციხე (ქც 4: 336, 12) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: მატიანე ქართლისა (ქც 1: 300, 1, 4; 310, 7); ჟამთააღმწერელი (ქც 2: 175, 8; 177, 5; 187, 11, 13; 230, 5; 238, 7; 272, 11), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 24, 8; 31, 14), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 145, 23; 146, 24, 27; 151, 6; 202, 25; 217, 17; 333, 29; 334, 1; 336, 12; 337, 2, 4, 5, 8; 439, 13; 580, 16).

ვახუშტი ბაგრატიონი ისნის ციხის ადგილმდებარეობის შესახებ გადმოცემს: „ტფილისი არს სამი ქალაქი – ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკუარი კალას, ტფილისს და ისნს ... კალას უდის ჩდილოთა აღმოსავლეთ, ტფილისს – ჩდილოთ და ისნს – დასავლეთ და სამხრით“ (ქც 4: 333, 29; 334, 1). „ისნს არს, კიდესა მტკვრისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა ეკლესია მეტეხი“ (ქც 4: 336, 12). „აქ განკალს ხიდი კალიდამ ისნს, ციხილამ ციხესა“ (ქც 4: 337, 2). ისანი, ისნის ციხე მდებარეობს თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე ავღაბურის ტერიტორიაზე. ტოპონიმი ისნი, ისანი არაბული წარმოშობისაა და ციხესიმაგრეს ნიშნავს (ცქიტიშვილი 1963: 158-160; ბერაძე 1977: 123-125).

ისანი თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანია. ისნამდე ამ ადგილს სოლდებილი ეწოდებოდა (არაბული წყაროების მიხედვით). სახელწოდება სოლდებილი საკოდებლიდან უნდა იყოს წარმოშობილი (ლორთქიფანიძე 1954: 159-161; ცქიტიშვილი 1963: 143, 144; ბერიძე, 1977: 123-125; ჯავახიშვილი 1983: 33, 34). ქართულ საისტორიო წყაროებში ისანი, ისნი იხსენიება XI ს-დან. 1046 წ. თბილელი უხუცესების მიწვევით ქალაქში შესულ მეფე

ბაგრატ IV-ს (1027-1072) წინააღმდეგობა გაუწიეს „ისნელთა“, მათ „ჩაადგეს ხიდი და არა მოსცეს ისნი“. XII ს-ის ბოლოს ისანში საქართველოს მეფეთა სასახლე იდგა. 1226 წ. ჯვალაღმდინის ლაშქარი თბილისს შემოესია. ციხისთავი ბოცო ქალაქის მცველებთან ერთად ისნის ციხეში გამაგრდა. რუსუდანმა (1223-1245) წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებლად ჩათვალა და ციხისთავს უბრძანა, კალასა და ისნის ციხის დატოვება (ქც 2: 175,8, 177,5; ქც 4: 202, 25; ჯვავახიშვილი 1982: 12). XIII ს-ის 40-იანი წლების დასაწყისში მონღოლების შემოსევის დროს ქალაქის ციხისთავმა მუხას ძემ გადაწვა თბილისის ციხეები და სამეფო სასახლე (ქც 2: 187,13). დავით VI ულუს (1247-1270) მეფობის დროს „მეტუმრე ჯიქურმა“ სამეფო სასახლე ააგო ისანში (ქც 2: 230,5). XIII ს-ის 80-იან წლებში მეფე დემეტრე II თავდადებულმა (1271-1289) ისანში მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი ააგო (ქც 2: 272,11). XIV ს-დან „ისნის“ სინონიმად „ავლაბარი“ დამკვიდრდა. ავლაბარი სპარსულ-არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს სასახლის მიდამოს ან გარეთუბანს (ბერიძე 1977: 132-135). ქართლის მეფე როსტომმა (1632-1658) სამეფო სასახლე ისნის ციხიდან გადაიტანა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, აწიხსხატის ეკლესიასა და სიონის ტაძარს შორის მდებარე ტერიტორიაზე (ქც 4: 439,13). ისანი-ავლაბარი შუა საუკუნეების თბილისის არსებობის მანძილზე გალავნით შემოზღუდული დამოუკიდებელი ნაწილი იყო (ბერიძე 1977: 123-146; ბერიძე 1983: 52). ისანი არქეოლოგიურად შეუსწავლილია. 1926 წ. აქ შემთხვევით აღმოჩნდა თიხის 17 ჭურჭელი. მათ შორის გვხვდება როგორც მოჭიქული, ისე სადა კერამიკული ნაწარმი. 1929 წ. სომხური დრამის თეატრის საძირკვლის ამოღებისას გამოვლინდა: ჯამები, ხელადა, ჭრაქი, კოტოში და სხვ. რომლებიც XI-XIII სს-ის ნიმუშებადაა მიჩნეული (ჯვავახიშვილი 1950: 145, 146, 159-162), თუმცა ისინი უფრო მოგვიანო ხანის არტიფაქტებია. ცალკეული შემთხვევითი მონაპოვრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ისნის ტერიტორიაზე არსებობს გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკური და შუა საუკუნეების ძეგლები (თბილისი 1978: 203).

ბიბლიოგრაფია: ბერიძე 1977: 123-146; ბერიძე 1983: 52; თბილისი 1978: 203; ღორთქიფანიძე 1954: 159-161; ქც 1: 300,1,4; 310,7; ქც 2: 24,8; 31,14; 175,8; 177,5; 187,11,13; 230,5; 238,7; 272,11; ქც 4: 145,23; 146,24,27; 151,6; 202,25; 217,17; 333,29; 334,1; 336,12; 337,2,4,5,8; 439,13; 580,16; ცქიტიშვილი 1963: 142-160; ჯვავახიშვილი 1982: 12; 1983: 33, 34; ჯვავახიშვილი 1950: 145, 146, 159-162.

ოსპირა, სპერი ქალაქი (ქც 4: 250,8 ; 251,5; 685,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 162,4; 168,26; 189,15; 250,8; 251,5; 255,20; 260,12; 657,13; 681,10,11; 685,7,14; 686,4; 687,19;

688,21; 700,8; 701,სქ.1), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 170,14; 203,2; 226,4; 238,15), „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1: 344,10,16), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 34,15), „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქც 2: 130,1; 144,5), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 304,8; 313,4,18; 315,8,15), ნიკო ლაღიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 146), ფრანსუა გამბას „მოგზაურობა“ (გამბა 1987: 276, 351). ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „თორთომის მდინარის შესართავს ზეით, ისპირის მდინარის კიდეზედ, არს ქალაქი მცირე ისპირა“ (ქც 4: 685,13,14). სპერი-ისპირა ლოკალიზდება უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ისტორიულ პროვინცია სპერში. მდებარეობს მდ. ჭოროხის ზემო წელზე, მდინარის მარცხენა ნაპირზე. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში. წყაროებში ისპირი იხსენიება ძვ. წ. IV-III სს-ის ამბების თხრობისას. ფარნავაზმა აზოს საკვიდილის შემდეგ დაიპყრო: თორთომი, ხახული, ისპირი, ფორხჩა, ბაიბურდი და ჭანეთი (ქც 4: 657,12,13). ძვ. წ. II ს-ში ის არმენიამ მიიტაცა. შემდგომ ქართველებმა ისევ დაიბრუნეს. VI ს-ში ქართლის საგამებლოა. VII ს-ში ბიზანტიამ დაიპყრო. 1123 წ. დავით აღმაშენებელმა (1089-1125) დაიბრუნა (ქც 4: 162,4). ბექა ჯაყელმა სპერთან დაამარცხა თურქთა ლაშქარი აზატ-მოსეს წინამძღოლობით. 1334 წ. მეფე გიორგი V ბრწყინვალემ (1314-1346) დასვა ერისთავი სპერს (ქც 4: 258,12). XV-XVI სს-ში სპერი ოსმალებმა მიიტაცა. 1820-1824 წწ. აქ იმოგზაურა ჟაკ ფრანსუა გამბამ. „სპერი ამავე სახელწოდების ოლქის მთავარი ქალაქია, მას ექვემდებარება 15 სოფელი დასახლებული თურქებით (გამაჰმადიანებული ქართველები) ან მეტწილად სომხებით. თვით სპერი წარმოადგენს დაბას, სადაც 100-მდე სახლი დგას. სპერს ზევიდან დაჰყურებს კარგად შემორჩენილი ციხე, სადაც 30-მდე კაცი ცხოვრობს და რამდენიმე საწყობია. სპერის ოლქში შემავალი სოფლებს განაგებენ ალები, რომლებიც ემორჩილებიან მემედ-ოლლუს, რომლის რეზიდენცია სპერის ციხეშია“ (გამბა 1987: 276). ისპირა-სპერის ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: გამბა 1987: 276, 351; დადიანი 1962: 146; მუსხელიშვილი 1977: 58-60, 69, 79, 80, 95, 146, 162, 163; 1980: 101, 163, 201, 243; ქც 1: 170,14; 203,2; 226,4; 238,15; 344,10,16; ქც 2: 34,5; 130,1; 144,5; 304,8; 313,4,18; 315,8,15; ქც 4: 162,4; 168,26; 189,15; 250,8; 251,5; 255,14; 260,12; 657,12; 681,10,11; 685,7,14; 686,4; 687,19; 688,21; 700,8; 701, სქ. 1.

ობრია (ქც 4: 377,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 377,25), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრა-

ტიონი 1986: 44), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (სამი ისტ. ქრ. 1890: 30-33, 38; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 114), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 117, 279).

ვახუშტი ბაგრატიონი იტრიის შესახებ გადმოგვცემს: „სურამს ზეით, სამხრილამ, მიერთვის ამ წყალს (ქემერტის წყალს) უთხვის-ხევი, მას ზეით არს იტრიას მონასტერი ყოვლადწმიდისა, უგუმბათო, დიდშენი, აწუხუცის ამარად“ (ქც 4: 377,25).

მდებარეობს ხაშურის მუნიცი-ში, ხაშურიდან 6 კმ-ის დაშორებით, მდ. სურმულას ხეობაში, სოფ. იტრიას ტერიტორიაზე.

ის არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფ. იტრიას მიდამოებში გვიანდელი შუა საუკუნეების რამდენიმე არქიტექტურული ძეგლია (სმა 1990:434-436).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 44; გიულდენშტედტი 1962: 117, 279; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 114; სამი ისტ. ქრ. 1890: 30-33, 38; ქც 4: 377,25.

იყალთო (ქც 4: 548, 7,9, სქ. 2,3) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 548,7,9, სქ.2,3), XVI და XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 362; 1953: 180; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 337; 1972: 483; 1977: 233; 1981: 630; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 56), ქართულ-სპარსული საბუთები (ქართულ-სპარსული ... 1955: 405). მდებარეობს თელავის მუნიცი-ში, ქ. თელავიდან 7 კმ-ს დაშორებით, სოფ. იყალთოსთან.

იყალთოს მონასტრის დამაარსებელია ერთ-ერთი ასურელი მამა ზენონ იყალთოელი. XII ს-ში აქ იხსენება აკადემია არსენ იყალთოელის ხელმძღვანელობით.

იყალთოში არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა ძირითადად ძველის სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებით 1966 წელს. გათხრების დროს (ხელმძ. რ. რამიშვილი) გამოვლინდა დაზალტანიანი, ძირზეზნევილი, ბრტყელგანივკვეთიანი ყურების მქონე სასმისები, რომლებიც შემ-

კულია კობებითა და კანელურებით. ჭურჭლის კედლები თხელია და მკვრივი. თიხა წმინდადაა განლევილი; აქვე აღმოჩნდა შიშველ კეცზე ანგობით მოხატული და მოუჭიქავი ჯამები; მინის ჭურჭლის პირ-გვერდისა და ძირის ნატყეხები, რომლებიც უნდა ეკუთვნოდეს ძაბრისებურპირიან სასმისებს მალალი, ვიწრო ტანიითა და ბრტყელი ქუსლით. არქეოლოგიური მასალა თარიღდება XIII-XIV სს-ით (რამიშვილი, ჭეიშვილი 1967: 85-89).

2007 წელს იყალთოში დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოების ახალი ეტაპი, რომლის პირველ სტადიაზე ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები (ხელმძღ. კ. წერეთელი). გათხრების შედეგად აღმოჩნდა VIII ს-ის 5 საწნახელი, ღვთისმშობლის შობის მცირე დარბაზული ეკლესია, მოპოვებული მასალიდან აღსანიშნავია განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკა და არაბული ვერცხლის მონეტები.

სოფელში შემორჩენილია XVIII ს-ის ციხე გალავანი (ზაქარაია 1988: 123-132).

ბიბლიოგრაფია: დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 362; 1953: 180; ზაქარაია 1988: 123-132; თაყაიშვილი 1907; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 56; რამიშვილი, ჭეიშვილი 1967: 85-89; შვერლინი 1957; ჩუბინაშვილი 1936; ქც 4: 548,7,9, სქ. 2,3; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 337; 1972: 483; 1977: 233; 1981: 630; ქართულ-სპარსული ... 1955: 405.

იზხანო ციხე, ეკლესია (ქც 4: 681,8,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 235,24; 681,8; 701,3), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 288,25), გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (მერჩულე 1963: 248-319).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ართვანს ზეით მოერთვის ჭოროხს დასავლეთიდამ ხევი ... ამ ხეზედ არს იზხანს ციხე ფრიად მაგარი, დიდშენი და ეკლესია გუმბათიანი, დიდ-შუენიერად ნაგები. აქ იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ისპირისა, თორთომისა, ბაიბურდისა, ვიდრე ტრაპაზონის მთამდე, და აწ ცალიერ არს“ (ქც 4: 681,6-11).

ლოკალიზდება ისტორიულ პროვინცია ტაოში. მდებარეობს მდ. ოლთისსა (ოლთუ ჩაი) და ტაოსკარს შუა. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სოფელი იზხანი ცნობილია უხვი და გემრიელი წყაროებით, ჯანსაღი კლიმატით. დღევანდელ მოსახლეობას წარმოადგენს გამაჰმადიანებული ქართველები. იზხნის მონასტრის ისტორია იწყება VII ს-ის შუა წლებიდან, სომეხთა კათოლიკოსი ნერსეს III მართლმადიდებლობის აღიარების გამო თავს აფარებს იზხანს და აკებს იქ ტეტრაკონქის ტიპის ეკლესიას (ჯობაძე 1992: 191). ამ ეკლესიის მცირე ნაწილია შემორჩენილი. ეკლესია ძლიერ დაზიანდა მურვან ერუს ლაშქრობებისას 736-738 წწ. IX ს-ში იზხნის ეკლესია ისე იყო იავარქმნილი, რომ გრიგოლ ხანძთელმა და მისმა ბიძაშვილმა საბამ გაჭირვებით მიაკვლიეს ნაეკლესიარს (მერჩულე



იყალტო

1963: 265). IX ს-ის 20-იან წწ. ეკლესია ხელმოწერულ ააგო საბამ. ის ვახდა იშხნის ეპისკოპოსი. ტაძარი კვლავ განახლდა X ს-ის მეორე ნახევარში. ეკლესია საფუძვლიანად შეაკეთეს გიორგი I-ის (1014-1027) დროს. სამხრეთის შესასვლელი ააგეს ბაგრატ IV-ის ხანაში – 1032 წ. ანტონ კათოლიკოსის თაოსნობით ხუროთმოძღვარმა ივანე მორჩაისძემ განაახლა იშხნის ეკლესია და ორნამენტით შეამკო ფასადები. 1006 წ. დიდი ტაძრის ახლოს, მისგან 25 მ დაშორებით, მეფეთ-მეფე გურგენს აუგია მცირე სამლოცველო. მეფე დემეტრე II-მ (1270-1289) იშხნის ციხეში გაიხიზნა თავისი მცირეწლოვანი შვილი გიორგი (ქც 2: 288,25; ქც 4: 235,24, 701,4). XVII ს-ში თურქების მიერ ტაო-კლარჯეთის დაპყრობის შემდეგ იშხანში შეწყდა სამონასტრო ცხოვრება. XVIII ს-ში ტაძარი მიტოვებული და ცარიელი იყო (ქც 4: 681,12).

იშხანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. მონასტერს ჰქონდა დიდი ეზო, რომლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მოწყობილი იყო ოთხკუთხა ცისტერნა ირიგაციის მიზნით. 1973 წ. ახალი აბანოს ფუნდამენტის გაჭრისას ეკლესიის ეზოს დასავლეთ მხარეს, ცისტერნასა და სკოლის შენობას შორის, ადგილობრივი მოსახლეობა წააწყდა თლილი ქვის კედლის ნაშთს, რომელიც ტაძრის თანადროულია. შესაძლოა ის წარმოადგენდა ეპისკოპოსის სასახლეს ან სხვა მონასტრული კომპლექსების შემადგენელ სათავსოს (ჯობაძე 1992: 191).

თავდაპირველი ეკლესია დაარსებული VII ს-ში ნერსეს III-ის მიერ, წარმოადგენდა ტეტრაკონქს, მრგვალი გარსშემოსავლელით. გადაკეთების შემდეგ ეკლესიის არსებულ გეგმარებაში შემორჩენილია აღმოსავლეთი აფსიდის ნახევარწრიული ექვსკუთხედიანი აფსიდის ნაწილი, მათზე გადაყვანილი ნაღისებური თაღებით. ძნელი სათქმელია, როგორ გამოიყურებოდნენ საბაზის მიერ აგებული იშხნის ტაძარი IX ს-ის 30-იან წლებში. XI ს-ში ეკლესია წარმოადგენდა ჯვრის ფორმის გუმბათიან ნაგებობას, წაგრძელებული დასავლეთის მკლავით. ტაძრის ზომებია 36,6X18,4 მ; გუმბათი აღმართულია ოთხ თავისუფლად მდგომ სვეტზე. იგი პირვანდელი სახით არის შემორჩენილი. გუმბათი ვარდის თექვსმეტკუთხაა, შიგნიდან – წრიული. კათედრალი აღმართულია ორსაფეხურიან პლატფორმაზე. ტაძარი აგებულია მოყვითალო ქვიშაქვით. ეკლესიის საკურთხეველი სამხაწილიანია. სადავითო და სამკვეთლო ვიწრო აფსიდებიანი სათავსოებია (თაყაიშვილი 1960: 7-31). ტაძრის ინტერიერი მორთულია ჩუქურთმით და პროფილირებული არქიტექტურული დეტალებით. კედლის მხატვრობის მხოლოდ მცირე კვალია შემორჩენილი. თარიღდება XI ს-ის პირველი ნახევრით. ჩრდილოეთი კედლების ქვედა ნაწილის მონათულობა XII ს-ს მიეკუთვნება (ბერიძე 1974: 143, 144; ჩუბინაშვილი 1936: 169-179; ჯობაძე 1992: 191-195).

იშხნის კათედრალის ფასადებზე ისტორიული მნიშვნელობის სამშენებლო წარწერებია შემორჩენილი.

სამხრეთ კედელზე შესრულებულ ასომთავრულ წარწერაში ნათქვამია, რომ ქართველთა მეფე ადარნასემ (889-923) 917 წ. იშხნის ეპისკოპოსობა უბოძა ბასილის. ის გარდაიცვალა 936 წელს, როდესაც ტაოს განაგებდნენ ადარნასეს ოთხი ვაჟი: დავით II (937), ბაგრატ II მაგისტროსი (945), აშოტ IV კურაპალატი (954) და სუმბატ I კურაპალატი (958). მათ გაგზავნეს ტრაპიზონს სვეფვანე, სადაც კვირა დღეს, 1 მარტს ის აკურთხა იშხნის ეპისკოპოსად ბერძენთა პატრიარქმა ბასილიმ. წარწერა შესრულებული უნდა იყოს 954-955 წწ. (ჯობაძე 1992: 211).

სამხრეთ ფასადზე მოთავსებულია ორი ასომთავრული წარწერა, რომლებიც ტაძრის შეკეთების ორ სამშენებლო ეტაპზე მოგვიხსნის. ნახევარწრიული წარწერა კარის ტიმპანზე გვამცნობს, რომ ეკლესიის სამხრეთი კარიბჭე შეუბოძა მეფე გიორგი I-ის (1014-1027) დროს, სალოცველად გიორგი მეფისა და მისი შვილებისა და სულის მოსახსენიებლად ბაგრატ III კურაპალატის (975-1014). ამავე XI ს-ს ეკუთვნის ერთსტრიქონიანი წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ვინმე მორბედ. სამხრეთ ფასადის სარკმლის წარბზე მოთავსებულია ქტიტორის წარწერა, რომლის მიხედვით, ბაგრატ IV-ის მეფობისას (1027-1072), 1032 წ. იშხნის ეპისკოპოს ანტონის სახსრებითა და მისი დავლებით ხუროთმოძღვარმა ივანე მორჩაისძემ განაახლა იშხნის ტაძარი (თაყაიშვილი 1960: 29, 30; ჯობაძე 1992: 209-215).

ტაძრიდან 25 მ დაშორებით, მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით დგას მცირე სამლოცველო, აგებული მეფეთ-მეფე გურგენის მიერ 1006 წ. საყდრის გარე ზომებია 10,35X5,65 მ. ის შედარებით კარგადაა შემონახული. დაზიანებულია სამხრეთის კედელი. ნაგებობა დარბაზულია, ცილინდრულ-კამარინი გადახურვით, რომელიც პილასტრებზე გადაყვანილ ორ თაღს ეყრდნობა. შენობა აგებულია მოყვითალო და მოწითალო ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებით. მაღალმხატვრული არქიტექტურული ორნამენტით შემკულია სამხრეთ კარის ტიმპანის წარბი და აღმოსავლეთის სარკმლის სართავი, რომლებზეც წნულ გეომეტრიულ დეკორში ჩასმულია ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებანი. ჩრდილოეთი კარის ტიმპანში მოთავსებულია სამშენებლო შინაარსის ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოხსენიებული მეფე გურგენი იყო ძე ბაგრატ II-ისა, მამა ბაგრატ III-ისა, რომელმაც 978 წ. აფხაზთა მეფის ტიტული მოიპოვა.

სოფელ იშხნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირას შემორჩენილია ოდესღაც დიდი ციხესიმაგრის მცირე ნაშთი (ჯობაძე 1992: 191).

ბიბლიოგრაფია: ბერიძე 1974: 143, 144; 1981: 150-153; თაყაიშვილი 1960: 7-33; კადროლო 1991; მერჩულე 1963: 248-319; პიგეტ-პანაოტოვა 1991; ტიერი 1960: 34, 35; ქც 2: 288,25; ქც 4: 235,24, 681,8; 701,4; ჩუბინაშვილი 1936: 169-179; ჯობაძე 1992: 191-217.



კ



კაპნო, მონასტერი (ქვ 4: 359,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 359,15), XII ს-ის წარწერები კაბენის სახარებაზე (ქრონიკები 1897: 25), 1290-1300 წწ. ყანჩაეთის სახარება (ქრონიკები 1897: 171), „ძველი ერისთავთა“ (ქრონიკები 1897: 13), 1669 წ. წილკნის ღვთისმშობლის სამწყსოს სიგელი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 588), 1698 წ. ყანჩაეთის გულანი (ქრონიკები 1897: 577).

ვახუშტი ბაგრატიონი კაბენის შესახებ გადმოგვცემს: „წირქვალს ზეით, ჩდილოთ, არს მონასტერი კაბენი, გუმბათიანი, ყანჩეთს, კეთილად ნაშენი, შუენიერს ადვილს და აწ ხუცის სამარ“ (ქვ 4: 359,15-17).

მდებარეობს ახალგორის მუნიციპ-ში, ახალგორიდან 7 კმ-ის დაშორებით, მდ. ქსნის მარჯვენა მხარეს, სოფ. ყანჩაეთთან.

XII ს-ში ქვენიფნეველმა კაბენის მონასტერს შესწირა ჯირღინაული მამული (ქრონიკები 1897: 25). XIII-XIV სს-ში კაბენში რატიშვილთა საგვარეულო საძვალეა (ქრონიკები 1897: 171). XIV ს-ში ერისთავმა იოანემ განაახლა კაბენის მონასტერი (თაყაიშვილი 1915: 114). კაბენის ეკლესია „გეთსამანიის“, „გესამანიისა“ და „ყანჩაეთის“ სახელწოდებითაც არის ცნობილი (ქრონიკები 1897: 25; ჩუბინაშვილი 1942: 19; მაკალათია 1968: 65; გავთომიძე 1964: 7).

კაბენი არქეოლოგიურად შესუსწავლეულია. კაბენის ღვთისმშობლის ძველი ეკლესია გუმბათიანია (7,5X10,5X12,5 მ). კვებაში ჯვრისებური ნაგებია თარაზულად დაწყობილი რივის ქვებით კირხსნარზე. აფისდა ნალისებურია. შესასვლელი დასავლეთიდანაა. გუმბათის ყელი რვაწახნაგაა. იატაკი წვრილი ქვითა და ზაზაღვითაა მოპირკეთებული. ფასადებზე თითო სარკმელია. შესასვლელი და სარკმლები მოჩუქურთმებულია. საკურთხეველში ორი ნიშია. ქვის კანკელს ძველი ჩუქურთმიანი ქვები აქვს ჩართული. მოხატულობა ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ძველი ეკლესია თარიღდება: VIII ს-ით (ჩუბინაშვილი 1942: 27); IX ს-ის პირველი მეოთხედით (ცინცაძე 1971: 78); IX ს-ით (მაკალათია 1968: 67); XII-XIII სს-ით (თაყაიშვილი 1915: 114). XIV ს-ში ეკლესია განაახლეს და გადააკეთეს: აამაღლეს გუმბათის ყელი; ეკლესია გააფართოეს და შირიმის კვადრებით მოაპირკეთეს; მიაშენეს დამატებითი სათავოსები და გარშემოსავ-

ლელი. ეკლესიის დასავლეთით სატარაპეზო იდგა. ეკლესია გალავნით იყო შემოსაზღვრული (თაყაიშვილი 1915: 108-116; ჩუბინაშვილი 1942: 19-27; ცინცაძე 1971: 68-83).

ეკლესიის სამხრეთ კედელზე შემორჩენილია წარწერა, რომელშიც ნახსენებია „ადარნარსეს ასული ლატავრა“ (ცინცაძე 1971: 72-78). ფრესკების ფრაგმენტებზე შემორჩენილია XVI-XVII სს-ის ქართული ასომთავრული წარწერების ნაშთები. წარწერაა გუმბათის ყელის ფასადზე (ცინცაძე 1971: 83). სამხრეთის თაღში, ღვთისმშობლის გამოსახულების ქვევით ორი ბერძნული ასოა შემორჩენილი. ეკლესიის სამხრეთი მკლავის სვეტზე გამოსახული ფიგურის ქვევით, რელიეფური ხასიათის ბერძნული წარწერაა, რომელიც XII-XIII სს-ით შეიძლება დართარიდეს (ყაუხჩიშვილი 1951: 200). ეკლესიაში წარწერიანი საფლავის ქვა გვაუწყებს, რომ 1756 წ. იქ დაუკრძალავთ რატიშვილი ფაზია (თაყაიშვილი 1915: 111).

კაბენის მახლობლად, სოფ. ყანჩაეთთან, მდ. ყანჩაეთის მარჯვენა მხარეს, ადგილ „ნიშაკაეში“ 1960 წ. აღმოჩნდა ძვ. წ. IV ს-ის მდიდრული სამარხი (იხ. ყანჩაეთი).

ბიბლიოგრაფია: *ბაქრაძე 1875: 1036-1037; გავთომიძე 1964: 6, 7; თაყაიშვილი 1901; თაყაიშვილი 1915: 108-116; მაკალათია 1968: 65-68; მეფისაშვილი 1968: 9-13; ქვ 4: 359,15; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 548; ქრონიკები 1897: 25, 171, 517; ყაუხჩიშვილი 1951: 200; ჩუბინაშვილი 1942: 19-27; ცინცაძე 1971: 67-90; ხარაძე 1992: 99.*

კაპნო, მონასტერი (ქვ 4: 327,14). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 327,14).

ვახუშტი ბაგრატიონი კაბენის შესახებ გადმოგვცემს: „კიკეთის ქუეით, ხევსა შინა, არს მონასტერი კაბენისა. ყოფილ არს დედათა, გუმბათიანი, შუენიერი, აწ არს ხუცის სამარ. აღაშენა მეფემან თამარ“ (ქვ 4: 327,14-16).

მდებარეობს გარდაბნის მუნიციპ-ში, ასურეთისწყლის ხეობაში, კოჯრის სამხრეთ-დასავლეთით, 3 კმ-ის დაშორებით.

მონასტრის აღმოსავლეთი კედლის წარწერის მიხედვით, ეკლესია თამარ მეფის დროს (1184-1207) აუშენებიათ და თამარის სახელობის ყოფილა (ქვ 4: 327,14; ბაქრაძე 1875: 76; შმერლინგი ... 1960:

73). მონასტრის კომპლექსი ამჟამად განადგურებულია (ციციშვილი 1980: 9).

კაბენი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბაქრაძე 1875: 76; ბერძენიშვილი 1964: 304, 324; ქც 4: 327, 14; შმერლინგი ... 1960: 72-74; ციციშვილი 1980: 9; ხარაძე 1991: 89.*

პაპმრო, ეკლესია, ციხე (ქც 4: 365,26). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 365,26), XVII ს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 115), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 31).

ვახუშტი ბაგრატიონი კაბერის შესახებ გადმოგვცემს: „უსანეთის მთის თხემს არს ეკლესია წმიდის გიორგისა, უგუმბათო. ამის აღმოსავლით, ზემორ, არს ზახორი, ზახორს ზეით ციხე კაბერი“ (ქც 4: 365,26).

მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, თეძმის შენაკად მდ. გოსტიბესწყლის (ანუ შაბიწყლის) ხეობაში, სოფ. გოსტიბესთან, ნასოფლარ კაბერის ტერიტორიაზე (მეფისაშვილი 1979: 47).

წყაროებში იხსენიება XVII ს-იდან. როსტომ მეფეს (1632-1658) სოფელი კაბერი იორამ სააკაძისათვის უბოძებია. აქ სოლოლაშვილების საგვარეულო სასაფლაო იყო (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 115).

კაბერის ნასოფლარში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად დადასტურდა განვითარებული შუა საუკუნეების ნასახლარები და კერამიკის ფრაგმენტები (იხ. გოსტიბე).

გოსტიბეს აღმოსავლეთით, სოფლის განაპირას, ფერდობზე დგას რივისა და ფლეთილი ქვით ნაგები გვიანი შუა საუკუნეების ოთხსართულიანი კოშკი (8,3X9 მ). კოშკის კუთხეები მომრგვალებულია. პირველი სართული ყრუა და მიწითაა ამოვსებული. შესასვლელი დასავლეთი კედლის მეორე სართულშია. მესამე სართულზე ბუხარი, სათოფურები და სწორკუთხა სარკმლებია. მეოთხეზე მხოლოდ სარკმლებია. სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა (სძა 1990: 150).

კაბერის ნასოფლარის ტერიტორიაზე, გზიდან 20-30 მ დაშორებით მდებარეობს კაბერის წმინდა გიორგის სახ. ეკლესია (12,7X11,9 მ). ეკლესია დარბაზული ტიპისაა. ნაგებია უხეშად გათლილი სხვადასხვა ზომის ქვებით. კედლებში გაჭრილია თაღოვანი სარკმლები და ნიშები. შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ეკლესიას ორი მინაშენი აქვს: ჩრდილოეთიდან სამსხვერპლო, სამ-ხრეთიდან ეკვდერი. სამსხვერპლოს აფსიდა ნალისებურია. აფსიდაში სარკმელი და ორი ნიშია. სამსხვერპლო ეკლესიას უკავშირდება სამხრეთ კედელში არსებული კართი. ეკვდერი მოგვიანო მინაშენია. ეგვტერის აფსიდა ნახევარწრიულია. სამხრეთ კედელში თაღოვანი შესასვლელია.

ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის თავზე გამოსახულია სამი რელიეფური ჯგარი. ერთ-ერთი ჯგარის მკლავზე ასომთავრული წარწერაა: „ქ.

წმიდაო შიო“. ფასადის ქვედა ნაწილში ამოკვეთილია შეღრმავებული ჯგრები. ეკლესიის დასავლეთი ფასადის ცენტრში ჩანდგმულია ოთხკუთხა ქვა შვიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერით: „... აღვაშენე ... ეკლესია მე ასად სანივაჯის ძმამან ბედიელ მთავარ ეპისკოპოსი სამან ზე გიორგი მეფისა და მეღქმისედეკ კათალიკოზისა ...“. ეკლესია აშენებულია გიორგი I-ის (1014-1027) ზეობისას. წარწერიანი ქვის ჩარჩოს სამ მხარეს შემოუყვება წარწერა: „ოდეს ესე დავეწერე მე ასად ვიყავი წლის 67. ადიდონ ღმერთმან სოფრომ ბედიელი ეპისკოპოსი წლისა 59 და მე მისი ...“ (მეფისაშვილი 1979: 47-57). შემორჩენილია კაბერის საკურთხეველის 3 ფილა. ერთ-ერთ ფილაზე, რომელიც პაზადაა მიჩნეული, რელიეფური ხასიათის წარწერაა. საკურთხეველის ფრაგმენტები X ს-ით თარიღდება (შმერლინგი 1962: 54, 93-96).

კაბერის გვიანი შუა საუკუნეების ეკლესია მდებარეობს მდ. გოსტიბესწყალსა და გოსტიბესაკენ მიმავალ გზას შორის, ფერდობზე. ეკლესია დარბაზულია (5,3X3 მ). ნაგებია დიდი ქვათოლებით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ეკლესია დაზიანებულია (სძა 1990: 150).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 31; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 115; მეფისაშვილი 1979: 46-63; სძა 1990: 150; ქც 4: 365,26; შმერლინგი 1962: 54, 86, 89, 93-96, 98, 281; ჩუბინიშვილი 1950: 9-34.*

პაპოა, ციხე (ქც 4: 340,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 340,22; 341,1), XIII-VII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ., 1966: 36, 59, 78; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 138, 148, 165; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 115).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „დიდგორის კალთას, არს ციხე კავთისა, მაღალს კლდესა ზედა შენი“ (ქც 4: 340,22; 341,1).

მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. კავთურასა და ბოტისისწყლის გამოყოფი ქედის კონცხზე, თანამედროვე სოფ. წინარეხის სამხრეთით, 7 კმ-ის დაშორებით. კავთის ციხეს დღეს თავკავთას უწოდებენ.

ციხის (70X25 მ) გალავანი კონცხის რელიეფს მიჰყვება. ნაგებია ფლეთილი ქვიშაქვითა და აგურით. გალავანი გამაგრებულია ნახევარწრიული კონტრფორსებით. ნაგებობა შედგება ზედა და ქვედა ციხისაგან, რომელთა ტერიტორიაზე შეიმჩნევა სხვადასხვა შენობის კვალი. ციხე თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით.

ციხე-გალავანის აღმოსავლეთით, კონცხის ციცაბო კალთაზე ამოყვანილია საყრდენი კედელი ნახევარწრიული კონტრფორსებით. შექმნილ ბაქანზე დგას წმინდა გიორგის XIII ს-ის დარბაზული ეკლესია (14,5X8,5 მ). ნაგებია ქვიშაქვის კვადრებითა და აგურით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ნახევარწრიულ აფსიდაში ერთი თაღოვანი სარკმელია. თითო სარკმელია დასავლეთისა და ჩრდილოეთის

კედლებში. ორი – სამხრეთ კედელში. XIV-XV სს-ში ეკლესია შეუკეთებიათ და მოუხატავთ. ეკლესია სამხრეთიდან შემოზღუდული ყოფილა გალავნით, რომელშიც გვეგმით კვადრატული კარიბჭე იყო ჩართული (სდა 1990: 212, 213).

ბიბლიოგრაფია: *მაკალათია 1960: 33-35; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 115; თხზულებანი 1981: 34, 35; სდა 1990: 212, 213; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 138, 148, 165; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 36, 59, 78; ქც 4: 340,22; 341,1.*

კახთიხსნის (ქც 4: 409,22; 416,27). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 340,11,12; 341,8; 409,22; 416,27), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 369,25; 378,1; 506,24; 515,17; 534,22), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 79, 106; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 251, 260, 278, 279, 280, 305, 329, 330; 1970: 191, 215, 217, 783; 1972: 59, 255; 1974: 676, 678; 1981: 33, 488, 644, 684; 1985: 217, 401; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 11, 18, 21, 64, 95, 184, 198, 204, 342; საქ. სიძ. 1909: 55; 1915: 184, 259, 261; 1920: 156; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 115, 116; ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: 510, 524, 532, 597, 599, 600, 678, 684-686, 693), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1925: 247-248), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 229), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 93, 135), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 273).

მდებარეობს კასპის მუნიციპ-ში, მდ. კავთურას (მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ნაპირებზე, კასპიდან

სამხრეთით 7 კმ-ზე, თანამედროვე სოფ. კავთისხევის ტერიტორიაზე.

სოფ. კავთისხევი დღეს რამდენიმე უბნისა და სოფლის გაერთიანებისაგან შედგება: თხრინვალიანთ უბანი, ციხის უბანი, შუაუბანი; ადრე დამოუკიდებელი სოფლები იყვნენ: ჩოჩეთი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 217), იღლეო (ბაგრატიონი 1986: 30), თვალადი (იხ. თვალადი, თუალივი). XV-XVII სს-ში კავთისხევი მამულებს ფლობდნენ მალაქაძეები, ციციშვილები, სააკაძეები. 1569 წ. ქართლის მეფე სვიმონ I (1556-1569; 1578-1600) ირანელებმა შეიპყრეს და ტახტი დავით XI-მ (1569-1578) დაიკავა. კავთისხევიში მყოფ დედოფალ ნესტან-დარეჯანს (სვიმონ I-ის მეუღლე) თავს დაესხნენ ამილახორი, ქსნის ერისთავი და წაართვეს მთელი ქონება (ქც 4: 409,22; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 115, 116).


1932 წ. სოფლის სამხრეთ ნაწილში, დამპალის ქედზე მიწის სამუშაოების დროს დაინგრა სამართავანი. აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები: ე. წ. წინააზური მახვილი; აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ცული და სატყეო. თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით. ნივთები ინახება საქართველოს ეროვნულ (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). (ქორიძე 1954: 166; ფიცხელაური 1973: 66).

1971 წლიდან კავთისხევის მიდამოებში არქეოლოგიურ გათხრებსა და დაზვერვებს აწარმოებს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კასპი-კავთისხევის ექსპედიცია (ხელმძღ. 1971-1994 წწ. გ. ცქიტიშვილი; 1995 წლიდან – ზ. მახარაძე). გათხრები მიმდინარეობს ნამოსახლარზე „ციხიაგორა“, სამართავნებზე „საყარაულო სერი“, „დაჭრილები“, „ქასრანთ მიწები“, „იორამის გორასთან“.

1981 წ. სოფლის ჩრდილოეთით, კავთისხევის ცემენტის კარიერისაკენ გადასასვლელი გზის მოპირდაპირე მხარეს, ადგილ „ლოდების მიწებზე“ შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ქითანში მოთავსებული ბრინჯაოს ნივთების განძი: აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ცული (2 ც), თიხი, სახოკი, ბრინჯაოს ზოდები (40 კგ.). თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით. ნივთები ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (გვეტაძე 1985ა: 46, 47).

ნამოსახლარი „ციხიაგორა“ მდებარეობს სოფ. კავთისხევიდან ჩრდილოეთით, კავთისხევიდან კასპისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს 500 მ-ზე, მდინარეების კავთურასა და შავწყალას შესართავთან. ნამოსახლარი გორის სიმაღლე 12 მ-ია, თხემის ფართობი 0,5 ჰა. გორაზე დადასტურდა 4 კულტურულ-ქრონოლოგიური ფენა: ადრე ბრინჯაოს, შუა ბრინჯაოს, გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის და ანტიკური ხანის.

ადრე ბრინჯაოს ხანის ფენა 1 მ-ისაა; გამოიყო 2 დონე, რომელიც შეიცავს 5 სამშენებლო ჰორიზონტს; თარიღდება მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური ეტაპით – ძვ. წ. XXIII-XXI სს-ის პირველი ნახევრით. ამ ფენაში აღმოჩნდა რამდენიმე ნაგებობის ნაშთი. შენობები ორთოხანია (დაახლ.



არქეოლოგიური კვლევა-ძიების უბნის სოფ. კავთისხევიში:
1. სატაძრო კომპლექსი „ციხიაგორა“;
2. ნამოსახლარი; 3. სამართავანი;
4. ოქრომიწები.

სიტუაციური გეგმა

66 კვმ). კედლები ნაგებია სარ-ლასტი და ორივე მხრიდან შეღესილია თიხით; იატაკი მოლესილია თიხით. ერთ-ერთი ნაგებობის ცენტრალური ოთახის იატაკში ჩადგმული იყო შვერილებიანი კერა, რომლის მახლობლად იატაკში ჩაჭრათ მართკუთხა ფორმის დედაბოძის ორმო (30X20 სმ). უკანა კედელთან გამართული იყო თაროსებური შემადგენლობა, რომელზეც აღმოჩნდა სპეციალურ ფოსოებში ან ნაცაროვებზე დადგმული თიხის ჭურჭელი (მახარაძე 1994: 3-76).

შუა ბრინჯაოს ხანის ფენა წარმოდგენილია 2 მცირე ზომის ყორღანული სამარხით. №1-ს ჰქონდა წრიული ქვაყრილი (დმ 6 მ, სიმაღლე 0,5 მ), რომელიც დაფარული იყო თიხაყრილით (დმ 10 მ, სისქე 0,2-0,3 მ). მართკუთხა დასაკრძალავი ორმო (1,3X1X1,2 მ) გადახურული იყო ხის ძელებით. მიცვალებული იწვა მარჯვენა კვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ, კიდურებმოხრილი. სამარხში აღმოჩნდა ხელით ნაძერწი ქილა და წვრილფეხა საქონლის ძელები. თარიღდება ძვ. წ. XVII-XVI სს-ით (კახელიშვილი 1990: 1-6).

გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენაში გაითხარა რამდენიმე ნაგებობის ნაშთი. შენობები ნაგებია რიყის ქვის საძირკველზე, ხის ძელებით და თიხითაა შეღესილი. ერთ მათგანში აღმოჩნდა თიხით ნაგები სამეურნეო ლუმელი და თიხის ჭურჭელი: დერეგები, სადღვებლები, ჯამები, კათხები, ქოთნები.


ანტიკური ხანის ფენა წარმოადგენს სატაძრო კომპლექსს, რომელსაც გორის მთელი თხემი უკავია. თარიღდება ძვ. წ. IV-III სს-ით. კომპლექსში შედის ტაძარი, ბეღელი, მარანი, ხელსაფქვავეებიანი ოთახი, სათონე, სატრაპეზო და საცხოვრებელი შენობები. ნაგებობები შემოზღუდულია რიყის ქვის საძირკველზე ალიზით ნაგები კონტრაფორსებიანი და კომპლექსის გალავნით (სივანე 2,2 მ).

სატაძრო კომპლექსის ძირითად ნაგებობას შეადგენს №1 სათავსო, ტაძრის შიდა ეზო, №2 და №10 სათავსოები. ყველა ეს სათავსო ერთ მთლიან შენობას წარმოადგენს; ნაგებია მშრალი წყობით, ორპირად. საპირე ქვები სივრცითაა გადაბმული. მათ შორის წვრილი ფლეთილი ქვა ჩაყრილი. ქვის წყობის სიმაღლე 2 მ-ია (№10 სათავსოში 3,5 მ). შემდეგ კედლები ამოყვანილია ალიზის აგურით თიხის ხსნარზე.

ტაძარი (№1 სათავსო) თითქმის კვადრატულია (8X7,5 მ), დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებში სარკმელებია, კარი სამხრეთ კედელშია. ტაძრის იატაკად დადგმული იყო ხის ძელები ჭადრაკულად, დაახლ. 2,5X2,5 მ ფართობის უჯრებად. აქ აღმოჩნდა ოთხკუთხა სვეტის მსგავსი თიხის საკურთხევლის ფრაგმენტი. ტაძარი დგას კვადრატულ ეზოში, ისე რომ ეზოს ზღუდისა და ტაძრის ჩრდილოეთი კედელი საერთოა. ეზოში, ტაძრის სამხრეთით დგას ქვით ნაგები საკურთხეველი (2,5X3 მ, სიმაღლე 2 მ), რომელზეც აღმოჩნდა რკინის დანა და ცხვრის დამწვარი ძელები. ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ

კუთხეში მოწყობილია რიყის ქვითა და თიხით ნაგები მოედანი-სამსხვერპლო (3,5X3,5 მ). ტაძრის ეზოში შესასვლელი კარი გალავნის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებშია.

ტაძრისა და ეზოს ზღუდის დასავლეთ კედლებს შორის ალიზით ნაგები ტიხრით იქმნება პატარა სათავსო (№2). მასში შესასვლელი კარი სამხრეთ კედელში, ტიხარშია მოწყობილი. №2 სათავსოში აღმოჩნდა თიხის სამი დისკო ჯვრის რელიეფური გამოსახულებით.



ციხიაგორის გვერდი

№1-ს ჩრდილოეთიდან აკრავს №10 სათავსო (18X4,5 მ), რომელსაც შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. შენობა ორსართულიანი ყოფილა. ამ სათავსოში აღმოჩნდა თეთრი კირქვისაგან გამოთლილი აქემენიდური სტილის კაპიტელი - ორი, ერთმანეთთან ზურგშექცეული ნახევარხარი.

ტაძრის გალავნის აღმოსავლეთ კედელზე მიშენებულია ალიზით ნაგები ბეღელი, რომელიც რვა სათავსოსაგან შედგება. აქ აღმოჩნდა დამწვარი მარცვლეული და სამეურნეო თიხის ჭურჭელი.

ტაძარი და ბეღელი გადახურული იყო წითლად შეღებილი ბრტყელი და ღარიანი კრამიტით. ზოგიერთ მათგანზე დატანილია ბერძნული ასო-ნიშნები, რომლებსაც რიცხვითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ და აღნიშნავენ ოსტატის მიერ დამზადებული კრამიტების რაოდენობას.

ტაძრის გალავნის დასავლეთით გაითხარა ალიზით ნაგები და თიხით შეღესილი სამოთახიანი შენობა, რომელსაც შესასვლელი ტაძრის მხრიდან აქვს. პირველ ოთახში, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში სამეურნეო ლუმელია, შუაში - ორი ხელსაფქვავე.

სამოთახიანი ნაგებობის დასავლეთით მდებარეობს მარანი (22X7,5 მ). ნაგებია ალიზით რიყის ქვის საძირკველზე. შესასვლელი სამხრეთიდანაა. მარანში აღმოჩნდა ხუთ რიგად მიწაში ჩადგმული, წითელი საღებავით მოხატული 48 სხვადასხვა ზომის ქვევრი. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ძელებით ნაგებ საწინახელში (2X2 მ), აღმოჩნდა საფერავის ჯიშის ყურძნის წიწვნები. ჩრდილოეთის კედელზე მიდგმულია ორი საკურთხეველი. ერთზე აღმოჩნდა თიხის დამწვარი რქები, მეორეში ჩადგმული იყო თიხის სამი ჯამი (საცეცხლური), ნაცრით საყვ. სამხრეთ კედელზე მიდგმულია კერასაკურთხეველი, რომელზეც თიხით გამოყვანილია ჯვრის რელიეფიანი დისკო.

მარნის დასავლეთით გაითხარა ხელსაფქვაებიანი ოთახი. იგი გალავანზეა მიშენებული და ალიზითაა ნაგები. დასავლეთ კედლის გასწვრივ ალიზით ამოყვანილ მერხზე ხელსაფქვაები ელავა. ამ რიგის წინა მხარეს იატაკზე საფქვილეა მოწყობილი ალიზის სარტყლით. ხელსაფქვაებიანი ოთახს დასავლეთიდან აკრავს ერთი საცხოვრებელი ოთახი, სადაც აღმოჩნდა პურის საცხობი ლუმელი, ორი ხელსაფქვაი თავისი საფქვილეთი და საკურთხეველი. მარნის სამხრეთით გაითხარა კრამიტით გადახურული სათონე და სატრაპეზო. სათონეში დაფიქსირდა ოთხი თონე. მარანს, ხელსაფქვაებიანი ოთახსა და საცხოვრებელ ნაგებობებს ბანური გადახურვა ჰქონდა, იატაკი – თიხატეხნილი.

სამოთახიანი ნაგებობის სამხრეთით და ტაძრის დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირდა ტაძრის გარე ეზო. მისგან დასავლეთით მდებარეობს ქვის საძირკველზე ნაგები 1 მ-ის სიმაღლის ალიზის კედელი, რომელიც ქმნის ტერასას. გარე ეზო მას უკავშირდებოდა ორსაფეხურიანი კიბით. ტერასაზე იდგა სატრაპეზო. მათ ქვეშ გაითხარა ხუთი სამშენებლო ჰორიზონტი, რაც არის იმ ინტენსიური მშენებლობის კვალი, რომელიც მიმდინარეობდა ციხიანის დასავლეთ ნაწილში ტაძრის არსებობის დროს.

აღწერილ სატაძრო კომპლექსის ნაგებობებში მრავალად აღმოჩნდა ღიაფრად გამოშვარი სამეურნეო და სუფრის ჭურჭელი, რომელთაგან დიდი ნაწილი წითლად შეღებილ-მოხატულია. იშვიათად გვხვდება შავპირადა კერამიკის ფრაგმენტები. სხვადასხვა ნაგებობების გათხრისას მრავლად აღმოჩნდა ალიზის შეღესილობის ფრაგმენტები, რომლებზეც მრავალი, ოთხკუთხა, ოვალური ფორმის ანაბეჭდები დადასტურდა. მათში გამოსახულია ჯვარი, ფსკურჯი, მზე, მხედარი, ფრთოსანი ირემი ან ცხენი, ძაღლი, სტილიზებული ხარისთავი და სხვ.

ძვ. წ. III ს-ის შუა ხანებში სატაძრო კომპლექსი ხანძარს გაუნადგურებია. მის ნანგრევებზე დადასტურდა ფრაგმენტულად შემორჩენილი ორი ფენა, რომლებიც თარიღდება ძვ. წ. III-I ს-ით (მახარაძე 1999: 57-66; მახარაძე, ნარიშკინი 2001: 47-63; ცქიტიშვილი ... 1974ა: 32-34; ცქიტიშვილი ...

1976: 60, 61; ცქიტიშვილი 1977: 51-55; ცქიტიშვილი 1977ა: 87-93; ცქიტიშვილი ... 1991: 65-67; ცქიტიშვილი 1995: 83-98; ცქიტიშვილი 2001: 41-46; ცქიტიშვილი 2003; ხაზარაძე, ცქიტიშვილი 1980: 146-163).

ციხიანის ადმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან აკრავს ვრცელი ნამოსახლარი (დაახლ. 3 ჰა). იქ გამოვლენილია სამი ფენა, რომელიც თარიღდება ძვ. წ. VI-I სს-ით. ფენები მიწის ზედაპირიდან 20-25 სმ-ზეა განლაგებული, ამიტომ ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია ნასახლართა მცირე ნაშთები. უკეთაა შემონახული ერთი ბანურსახურავიანი ორთახიანი სათავსო, რომელიც ნაგებია რიყის ქვის საძირკველზე ალიზით. დიდ ოთახში დადასტურდა ალიზით ნაგები პურის საცხობი ლუმელი, საკურთხეველი-სამსხვერპლო და კერა, მეორე მომცრო ოთახში აღმოჩნდა სამეურნეო თიხის ჭურჭელი და რკინის ნაშთები. ნაგებობა თარიღდება ძვ. წ. III ს-ით (გვეტაძე 1979: 15-17).


ციხიანის ჩრდილოეთით 200 მ-ზე, ადგილ „საყარაულო სერზე“ მდებარეობს სამაროვანი, თარიღდება ძვ. წ. XIII-ახ. წ. IV სს-ით. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორმოსამარხებში მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ან აღმოსავლეთისაკენ, კიდურებმოხრილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. სამარხებში აღმოჩნდა მოშავო-ლევანფერად გამოშვარი თიხის ჭურჭელი: დერგები, ქოთნები, ქილები, კოჭობები, სასმისები, ტოლჩები, ლანგრები. ისინი შეკულია ამოღებული ტაღლისებრი და ირიბი ნაჭდეების სარტყლებით. სამკაული: ბრინჯაოს მრგვალთავიანი საკინძები, სარდიონისა და პასტის სხვადასხვა ფორმის მიძივები. საბრძოლო იარაღი: ბრინჯაოსა და რკინის ისრისპირები, ძვლის ორფრთიანი ისრისპირი. გარდა ამისა, აღმოჩნდა ბრინჯაოს მახათი და ძვლის სავარცხელი (გვეტაძე 1980: 6-13).

სამაროვანზე გაითხარა ანტიკური ხანის ორმოსამარხები და ქვაყუთები. ორმოსამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია თავით ჩრდილო-დასავლეთით ან ჩრდილო-აღმოსავლეთით, კიდურებმოხრილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. ქვაყუთების კედლები შედგენილია რამდენიმე ქვის ფელისაგან, გადახურულია ქვევრის ნატივებით ან ქვის ფილებით. მათში დაკრძალული იყო ერთი ან რამდენიმე მიცვალებული, თავით სამხრეთ-დასავლეთით ან დასავლეთით, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი; სამარხებში აღმოჩნდა ლევა-მოშავოდ და ვარდისფერად გამოშვარი თიხის ჭურჭელი: მსხლისებურტანიანი ღოჭები, წითელი საღებავით მოხატული ხელაღები, პირმოყრილი ქუსლიანი შავპირადა ჯამები, პირმოყრილი ფიალები; სამკაული: ბრინჯაოს რგოლი, დაფანჯრული ბრინჯაოს ზარაკები, მინის, პასტის, სარდიონისა და ძვლის მიძივები.

ორი ქვაყუთი, რომელშიც მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ გამოტოვნი, თარიღდება ადრე შუა



ციხიანის



არტეფაქტი ციხიაგორიდან

საკუთრებით. მათში აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ბრინჯაოს მშვილდაკინძი, მინისთვალის რკინის ბეჭედი, რკინის საკინძი, პასტისა და ნიჟარის მიღები (ყაზახიშვილი 1980: 60-67).

საყარაულო სერის სამაროვნის განაპირას, დასავლეთით აღმოჩნდა ორი ქვევრსამარხი, რომლებიც თარიღდება ძვ. წ. IV-III სს-ით.

მიცვალებულები დაკრძალა თავით სამხრეთით, მარცხენა გვერდზე, კიდეებშიხრილნი. სამარხებში აღმოჩნდა: სამტუჩა დოქი, კანელურებით შემკული დოქი, წითლად შეღებილი ჯამები, შავპირილა ფიალა და კოჭობები; ბრინჯაოს საბეჭდავი, რომელზეც გამოსახულია ადამიანის ხელებგაშლილი ფიგურა, სკარაბეოიდი მამაკაცის გამოსახულებით, მრგვალფარაკიანი ბრინჯაოს ბეჭედი და სხვა (ნაკაიძე 1980: 38-40).


გარდა ამისა, საყარაულო სერზე გაითხარა 30 ქვევრსამარხი, რომელთაგან ინვენტარი აღმოჩნდა 17-ში. ქვევრსამარხები სამაროვნის ტერიტორიაზე ცალკეულ ჯგუფებადაა განლაგებული სხვა ტიპის სამარხთა შორის. სამარხად იხმარებოდა ვარდისფრად გამოშვარი სამეურნეო დანიშნულების ქვევრები (სიმაღლე 1,30-1,50 მ, დმ 0,5-0,8 მ, პირის დმ 0,30-0,35 მ, ძირის დმ 0,15 მ), რომლებიც პორიზირებული იყო მიწაში ჩაფლული და პირებზე აფარებული ჰქონდა კრამიტი, ბრტყელი ქვა ან ქვევრის ნატეხი. ქვევრსამარხებში მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ თავით ნებისმიერი მიმართულებით, კიდეებშიხრილნი, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე. სამარხებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლები ძირითადად მოწითალოდაა გამოშვარი; მათ შორის გამოიყოფა შემდეგი ტიპები: ყელწიბოიანი და სამტუჩა დოქები, სფერულმუცლიანი და მსხლისებურმუცლიანი კოჭობები, ქოთნები, ქუსლიანი და ბრტყელი ჯამები, მინის სანელსაცხებლები. სამკაულიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოს ზურგშეზნექილი და კოპებიანი რკინის სამაჯურები; ბრინჯაოსა და რკინის ფარაკიანი ბეჭდები; ბრინჯაოს თავებგახსნილი მავთულის რგოლი-საყურები; კონუსისებური, ნახევარსფეროსებრი და დაფაჯრული ზარაკები; სარდონის, ვოშრისა და მინისებრი პასტის სხვადასხვა ფერისა და ფორმის მიღები; აქვე აღმოჩნდა ორი მონეტა: პართიის მიფეების – არტაბან II-ის (ძვ. წ. 88-77) სპილენძის დრჰმა და გოტარზეს (ახ. წ. 40-51) ვერცხლის დრჰმა. ეს ქვევრსამარხები თარიღდება ძვ. წ. I-ახ. წ. I სს-ით (ჯინჯიხაშვილი 1980: 42-59).

საყარაულო სერის ჩრდილოეთით 150 მ-ზე, ადგილ „დაჭრილებზე“ მდებარეობს სამაროვანი, სა-

დაც დაკრძალვა ხდებოდა მხოლოდ ქვევრებში. სამარხებად გამოყენებული იყო მოვარდისფროდ გამოშვარი ქვევრები; გვხვდება როგორც სადაზე-დაპირიანი, ისე წითელი საღებავებით მოხატული (შევრონებით). (საშუალო ზომა: 0,80-1,35 მ). გაითხარა 24 ქვევრსამარხი. უმრავლესობა მიწაში პორიზირებულად ჩაუფლავთ, პირით აღმოსავლეთისაკენ. მათში დაკრძალული იყო ერთი ან ორი მიცვალებული. 3 ქვევრსამარხი ვერტიკალურად იყო ჩადგმული მიწაში; ერთ მათგანში 7 მიცვალებული აღმოჩნდა, ხოლო მე-8 მიცვალებული ქვევრის პირზე იყო დაკრძალული. თანმხლები ინვენტარი – ყურიანი თიხის ჯამი და დოქი – ქვევრსამარხის გარეთ იდგა. სამარხებში მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ კიდეებშიხრილნი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხებში აღმოჩნდა: სადა, წითელი საღებავით მოხატული ან შეღებილი თიხის დოქები, კოჭობები, წითლად შეღებილი, პირმოყრილი, ბრტყელი ან ფეხიანი ჯამები. სამკაული: ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მავთულისაგან დამზადებული სადა რგოლები, ბრინჯაოს ზურგშეზნექილი და სადა სამაჯურები, რკინის კოპებიანი სამაჯურები, ბრინჯაოსა და რკინის ფარაკიანი ბეჭდები, ცილინდრულ და კონუსურთავიანი ბრინჯაოს საკინძები. ერთი საკინძის თავი შემკულია ფრინველის გამოსახულებით. „დაჭრილების“ ქვევრსამარხები თარიღდება ძვ. წ. IV-III სს-ით. მასალა ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ნაკაიძე 1980: 28-41).

ციხიაგორას ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადგურ კავთისხევიდან სოფ. კავთისხევიში მიმავალი სამანქანო გზის მე-3 კმ-ზე, ადგილ „ქასრანთ მიწებზე“ მდებარეობს ადრეანტიკური ხანის სამაროვანი, რომელიც 600 კმ ვართობს მოიცავს. გაითხარა 30 ორმოსამარხი, მათგან 12 გადახურული იყო ფილაქებით. სამარხები ინდივიდუალურია. მხოლოდ №12 სამარხში იყო დაკრძალული ორ-ორი მიცვალებული. №15 და №22 სამარხების გადასახურავ ფილებზე აღმოჩნდა თითო მიცვალებული ინვენტარის გარეშე.

„ქასრანთ მიწების“ სამაროვანზე მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ კიდეებშიხრილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით ან აღმოსავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა: ქოთნები, დოქები (მათ შორის: ყურმილიანი დოქები, სამტუჩა დოქი), ჯამები, კოჭობები. ლითონის ნივთებიდან აღსანიშნავია: რკინის მოხრილი დანები, მასრაგახსნილი შუბისპირები, კოპებიანი სამაჯურები; ბრინჯაოს რკალგახსნილი სამაჯურები, რომელთა ბოლოები შემკულია სტილიზებული გველისა და ვერძის თავებით, რკალგახსნილი რგოლები-საყურები, ცილინდრულთავიანი საკინძები, ჯაჭვის ფრაგმენტები და სხვ.



არტეფაქტი ციხიაგორიდან

„ქასრანთ მიწების“ სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. VI-IV სს-ით (ბერაძე 1980: 14-27).

სოფ. კავთისხევის ჩრდილო-დასავლეთით 1,5 კმ-ზე, ნამოსახლარ იორამის გორასთან მდებარე მინდორზე გაითხარა ორი ყორღანი და ოთხი ქვაყრილიანი ორმოსამარხი. №1 ყორღანი თარიღდება ადრეყორღანული პერიოდით. №2 ყორღანი (8X2,5 მ) და ქვაყრილიანი (დმ 5-6 მ) ორმოსამარხები კი - შუაბრინჯაოდან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდით - ძვ. წ. XVI ს-ის ბოლო XV ს-ის დასაწყისით. №2 ყორღანს მართკუთხა ფორმის ქვაყრილი ჰქონდა, ხოლო ორმოსამარხებს - წრიული ფორმის. უდიდესი ორმოსამარხის ზომაა 2,2X1,3X0,7 მ, უმცირესისა - 0,95X0,4X0,4 მ. №2 ქვაყრილიანი ორმოსამარხში დაკრძალული იყო მოზარდი თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ძლიერ მოხრილი კიდურებით, მარცხენა გვერდზე, უინვენტაროდ. №3 ქვაყრილიანი სამარხი კენტაფს წარმოადგენდა. დანარჩენ სამარხებში მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ თავით ჩრდილოეთისაკენ ან ჩრდილო-დასავლეთისაკენ, კიდურებმოხრილნი, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე. სამარხებში აღმოჩნდა: მოყავისფროდ გამომწვარი ქოთნები და ღერები, რომელთა ზედაპირი ხაოიანია და დაფარულია ჩარხისეული ნახეობი, შემკულია ამოღარული ტალღისებური და ნაჭდევი ორნამენტით; ქილები და ბადიები, რომელთაც აქვთ კარგად ნაპრიალები ზედაპირი, შემკულია ნაჭდევი და ნაპრიალები ორნამენტით; ოვალური, დახეტილი და ექვსწახნაგა სარდიონის მძივები, ცისფერი პასტისა და ბრინჯაოს მძივები (კვაჭაძე 1999: 23-28).

ნამოსახლარი იორამის გორა მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 1,5 კმ-ზე, ქასრანთ ხევის მარცხენა ნაპირზე. თარიღდება ანტიკური და ადრე შუა საუკუნეებით.

სოფ. კავთისხევაში, მონასელიანთ უბანში, მდ. კავთურის მარჯვენა ნაპირზე 1963 წ. მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა აკლდამა. თარიღდება XVI-XVIII სს-ით. აკლდამის დასაკრძალავი კამერა (2,85X2,70X3,0 მ) და დროშისი (1,5X0,9-1,1X1,0 მ) ნაგებია ფლეთილი ქვითა და ბრტყელი აგურით დულაზე. დროშისი კამერას უკავშირდება აღმოსავლეთიდან ისრულთაღიანი შესასვლელითა და ოთხსაფეხურიანი კიბით. საკანს აქვს ვუმბათოვანი გადახურვა, რომელსაც ზემოდან ეწყო ფილაქვები, შემდეგ ქვაყრილი და მიწაყრილი; საკნის კედლები და იატაკი კირითაა შელესილი; სამხრეთისა და დასავლეთის კედლების ზედა ნაწილში ჩაშენებულია შიდა სივრცისკენ დაქანებული თიხის მილები, რომლებიც გარედან დახშულია. აკლდამაში არეულანდ ეყარა მიცვალებულის ძელები, როგორც ჩანს, იგი ადრევე გაუძარცვავთ (ჯორბენაძე 1970: 68-71). მონასელიანთ უბანში დგას კატაულას წმინდა გიორგის სამეკლესიანი ბაზილიკა (10,8X7,65 მ). თარიღდება VII-IX სს-ით. ნაგებია ფლეთილი ქვით; ძლიერ დაზიანებულია. ეკლესიას აქვს ნა-

ხევარწრიული აფსიდა და ორივე მხრიდან არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდან. ეკლესია მოგვიანებით შეუღესავთ. შემორჩენილია მონატულობის ფრაგმენტები. საკურთხეველის წინ იღა სტელა, რომლის დასავლეთ ფასადზე გამოკვეთილია წმინდანთა ფიგურები, ხოლო ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფასადებზე - საერთო პირთა ფიგურები; ერთ მათგანს ახლავს ასომთავრულით შესრულებული წარწერა: „წმიდაო თევდორე და ილარიონ შეიწყალე გრიგოლ ვპატოსი“. დანარჩენი წარწერები ძლიერ ფრაგმენტულია. სტელა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). (ჩუბინაშვილი 1972ა: 76-78; ქართ. წარწ. კორ. 1980: 118-123). თხინვალიანთ უბანში დგას ლომისის დარბაზული ეკლესია (8,8X8,7 მ). თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით. ნაგებია დიდი ზომის ფლეთილი ქვით. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა. მოგვიანებით ეკლესიის კედლები შეუღესათ.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 30; ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 93, 135; ბერაძე 1980: 14-17; კვაჭაძე 1979: 15-17; 1980: 6-13; 1985ა: 46, 47; გიულდენშტედტი 1962: 273; გორგიჯანიძე 1925: 247-248; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 11, 18, 21, 64, 95, 184, 198, 204, 342; კახელიშვილი 1990; კვაჭაძე 1999: 23-28; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 79, 106; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 115, 116; მახარაძე 1994; 1999: 57-66; მახარაძე, ნარიშანიშვილი 2001: 47-63. ნაკაძე 1980: 28-41; ორბელიანი 1981: 229; საქ. სიძ. 1909: 55; 1915: 184, 259, 261; 1920: 156; ფიცხელაური 1973: 66; ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: 510, 524, 532, 597, 599, 600, 678, 684-686, 693; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 251, 260, 278, 279, 280, 305, 329, 330; 1970: 191, 215, 217, 783; 1972: 59, 255; 1974: 676, 678; 1981: 33, 488, 644, 684; 1985: 217, 401; ქართ. წარწ. კორ. 1980: 118-123; ქც 2: 369,25; 378,1; 506,24; 515,17; 534,22; ქც 4: 340,11,12; 341,8; 409,22; 416,27; ქობრი 1954: 166; ცაზანიშვილი 1980: 60-67; ჩუბინაშვილი 1972ა; ცქიტიშვილი ... 1974ა: 32-34; ცქიტიშვილი 1976: 60-61; 1977: 51-55; 1977ა: 87-93; ცქიტიშვილი ... 1991: 65-67; ცქიტიშვილი 1995: 83-98; 2001: 41-46; 2003; ხაზარაძე, ცქიტიშვილი 1980: 146-163; ჯინჯიხიაშვილი 1980: 42-59; ჯორბენაძე 1970: 68-71.

პაზრობი (ქც 4: 311,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 311,25; 316,5), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 95), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1920: 430, 437, 478; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 22, 58, 61; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 116), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 53), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 223).

მდებარეობს ბოლნისის მუნიცი-ში, ბოლნისიდან 18 კმ დაშორებით, მდ. მაშავერას მარჯვენა ნაპირზე. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, XIV ს-ში თემურ-ლენგის ერთ-ერთი შემოსევის დროს, მეფე ვაჰრაგი VII (1393-1407) კაზრეთის ციხეში ყოფილა გამაგრებული. თემურ-ლენგს კაზრეთი დაურბევია და ამის შემდეგ სამცხეში გადასულა (გორგიჯანიძე 1926: 95). 1721 წ. აღწერით კაზრეთს ბარათაშვილების განაყოფები – ზურაბიშვილები ფლობდნენ (ჯამბურია 1955: 58-63).

1957 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ბრამის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნინო ბერძენიშვილი), სოფ. კაზრეთის მიდამოებში, მდ. მაშავერას მარჯვენა ტერასაზე, დაზვერვების დროს მიაკვლია ნეოლით-ენეოლითური ხანებისა და უფრო მოგვიანო პერიოდის არქეოლოგიურ ნივთებს. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 1 კმ მანძილზე მდ. მაშავერას მარჯვენა ნაპირზე მდინარის დონიდან 30-35 მ სიმაღლეზე მდებარე გამოქვაბულებიდან ერთ-ერთში აღმოჩნდა პალეოლითური ფენის ნაშთები (ბერძენიშვილი 1963: 10, 11). 1959 წ. იმავე ინსტიტუტის ბოლნისის მუნიცი-ის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაბა კაზრეთის მახლობლად, მადნეულის გორასთან მიაკვლია რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთებს, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულით თარიღდება (გძელიშვილი 1964: 186-188). იმავე ექსპედიციამ 1963-1964 წწ. დაზვერვები და გათხრები ჩაატარა კაზრეთის მიდამოებში, სადაც შეისწავლა სხვადასხვა ხასიათისა და პერიოდის ძეგლები: ნასოფლარები, ეკლესიები. მადნეულის გორის სამხრეთ კალთაზე გათხარა XI-XIII სს-ის რკინის სადნობი ორი სახელოსნო (გძელიშვილი, ამირანაშვილი 1965: 53-56). ექსპედიციამ 1965-1966 წწ. ნასოფლარ მონასტერსა და ბუჩურაშენთან გამოავლინა XIII-XIV სს-ის საცხოვრებელი ნაგებობებისა და რკინის სადნობი სახელოსნოების ნაშთები (გძელიშვილი ... 1966: 32, 33; 1967: 83-85). 1969-1981 წწ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. მ. სინაურიძე) სისტემატურ დაზვერვებსა და არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა კაზრეთის ხეობაში, სადაც გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი (სინაურიძე 1977; 1985).

დაბა კაზრეთის მიდამოებში, მდ. მაშავერას ფართო ტერასაზე მიკვლეული ქვის ხანის მასალებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გვიან მუსტიეს ხანის ობსიდიანის წვეტანა. მას განეიერ დარტყმის სიბრტყე აქვს, რომელზეც მსხვილფაცტებიანი რეტუშით ტაღისებური ზედაპირია გამოყვანილი. რეტუშით დამუშავებული აქვს ორივე გვერდი, რომელიც ზურვზე თითქმის 1 სმ სიგანის ზოლად გასდევს. დაბის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. მაშავერას მარჯვენა ნაპირზე, მდინარის დონიდან 30-35 მ სიმაღლეზე განლაგებული გამოქვაბულებიდან ერთ-ერთში, რომელიც შუა საუკუნეებშიც ყოფილა

გამოყენებული, აღმოჩნდა ობსიდიანის მოგრძო, ორფერდა ლამელა და ნუკლეუსის დიდი ანამტვრევი. ჩანს, გამოქვაბული პალეოლითის ხანაში საცხოვრებლად ყოფილა გამოყენებული (ბერძენიშვილი 1963: 10-12). დაბა კაზრეთში, რკინიგზის სადგურის მახლობლად, მშენებლობის დროს შემთხვევით აღმოჩნდა ადრე ბრინჯაოს ხანის ნასახლარის ნაშთები. ფენა შეიცავდა ნაცარ-ნახშიროვან მიწას, საქონლის დამწვარ ძეგლებსა და თიხის ჭურჭლის ნატყეებს, რომელთა შორის აღსანიშნავია შავპირილა ზედაპირის მქონე ვარდისფერსარჩულიანი კერამიკა. ერთ-ერთ ძეგალზე შემორჩენილი იყო მომწვანო ლაქა – ბრინჯაოს ნივთის კვალ. ჭურჭელი მდგარა თიხატყეპნილ პატაკზე. ერთ-ორ შემთხვევაში დიდში ჩადგმული აბატარა ჭურჭლით. იქვე აღმოჩნდა თიხის შვერილიანი კერის ფრაგმენტი. ერთ ადგილას თიხატყეპნილზე შემონახული იყო ალიზის ნარჩენები. აქ გამოვლენილი კერამიკული ნატყეებიდან 4 ჭურჭელი აღდგა: 1. მაღალი და ფართოყელიანი, მხრებს ქვემოთ ნახევარსფერული ყურებით შემკული რუხი ფერის დიდი ჭურჭელი 2. შავპირილა ზედაპირიანი, ვარდისფერსარჩულიანი ქილისებური ჭურჭელი ფართო ყელით, გამობერილი მუცლით, ყელსა და მხარზე დაძვრწილი ორი ყურითა და ვიწრო, ბრტყელი ძირით 3. რუხი ფერის პატარა ქოთანის ერთი ნახევარსფერული ყურით 4. რუხი ფერის ზედაპირნაპირილაზე ჯამი მომრგვალებული გვერდებითა და მათზე სიმეტრიულად მიძვრწილი ორ-ორი კოპით. ნასახლარი თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულით (სინაურიძე 1975: 83; 1985: 11, 12).

კაზრეთსა და მის მიდამოებში გვიანი ბრინჯაოს ხანის სახვადასხვა ხასიათის არაერთი ძეგლი აღმოჩენილი. კაზრეთის მახლობლად, მადნეულის გორის სამხრეთ კალთაზე და გორის თავზე მიკვლეულია ნასახლარები, სადაც გვხვდება ფლეთილი ქვებითა და თიხით ნაშენი სხვადასხვა ზომის სწორკუთხა გეგმის მქონე ნაგებობები. აქ გამოვლენილი თიხის ჭურჭლის ნატყეების მიხედვით, ნასახლარები ძვ. წ. XIII-IV სს-ის თარიღდება. მადნეულის გორის სამხრეთ კალთის ძირზე აღმოჩნდა რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთი. ნატყეი ქვებით თიხაზე ნაგები პრიზმული მოყვანილობის ქურა (3X1,25X1 მ) სახელოსნოს ერთ კუთხეში მდგარა. ცენტრალურ ნაწილში მდებარე სადნობი ქურა (0,6X0,55X0,75 მ) თიხით ყოფილა ამოღესილი. ის შედგებოდა ზედა და ქვედა სექციებისაგან. ზედა სექციაში წარმოებდა რკინის დაწურვა, ქვედაში – რკინის ნაწურის ნახშირში აღდგენა და დაგროვება. ქურას წინ წიდის შესაკრები ორი პატარა ორმო ჰქონია. გათხრებისას აღმოჩენილი კერამიკის მიხედვით სახელოსნო ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულით თარიღდება.

მადნეულის გორის სამხრეთი ფერდობის ძირზე აღმოჩნდა სამარხები, რომლებიც ინვენტარის მიხედვით ძვ. წ. XIII-XII სს-ს მიეკუთვნება (გძელიშვილი 1964: 186-188). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი).

1962 წ. კაზრეთის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამარხები (გველიშვილი 1965: 507). მასალის შენახვის ადგილი უცნობია.

„თელეების ველის“ სამაროვანი მდებარეობს დაბა კაზრეთის პარკის ტერიტორიაზე. იქ მშენებლობის დროს შემთხვევით აღმოჩნდა რამდენიმე სამარხი. მათგან საინტერესო გამოდგა ქვის სამარხი, რომელშიც მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი. მასში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ისრისპირი, შუბისპირი, 8 მასიური რტოლი, ქარქაში, რკინის მახვილი, სარდიონის მძივები და ინკრუსტირებული მძივი. სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გათხრებით სამარხები წარმოადგენს წორული და ოთხკუთხა ქვაყრილებით შემოსაზღვრულ ფართობებს, რომელთა სიღრმეში (1-2 მ) მასიური ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები ან ქვის სამარხებია გამართული. სამარხეული ინვენტარი შეიცავს შავად და ნაცრისფრად გამომწვარ ზედაპირნაპრიალებ კერამიკას. ბრინჯაოსა და რკინის იარაღ-სამკაულებიდან აღსანიშნავია ისრისპირები, შუბისპირები, ცული, კვერთხის თავი, მახვილი, სამაჯურები, დიდი ზომის კონუსური საკინძები, სარდიონის მძვები და სხვ. სამარხეული ინვენტარი თარიღდება ძვ. წ. IX-VII სს-ით (სინაურიძე 1985: 27). სამაროვნის სამხრეთ ნაწილში გაითხარა 4 ორმოსამარხი, რომლებიც დამხრობილია სამხრეთ-ჩრდილოეთ ხაზზე. №3-ს აქვს მცირე ქვაყრილი, ორმოს თავსა და ბოლოში კი იდო თითო ქვა. სამარხები ინდივიდუალურია. მიცვალებულები ესვენა მარცხენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით. სამარხეული ინვენტარის უმეტესობა თიხის ჭურჭელია: დოქები, ხელალები, ჯამბი, ფიალები, ყურბანი კოჭობები. ბრინჯაოს ნივთებიდან გვხვდება საკინძები. სამარხები თარიღდება ძვ. წ. VIII-VII სს-ით (სინაურიძე, ვერტიშვილი 1986: 72). „თელეების ველის“ სამაროვნის მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

მდ. მავავერას მარჯვენა ნაპირზე, დაბა კაზრეთის რკინიგზის სადგურის მახლობლად, იმ ადგილას, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ველებს“ უწოდებს, მშენებლებს დაუზიანებიათ 5-6 სამარხი, რომელთა ინვენტარის ერთი ნაწილი მაშინვე დაკარგულა. „ველების“ სამაროვანს უკავია 1,5 ჰა ფართობი. არქეოლოგიურად შესწავლულია 4 ქვაყრილიანი და მიწაყრილიანი ორმოსამარხი. №1 დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე, თავით აღმოსავლეთით; №2 - ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე, თავით ჩრდილოეთით; №3, 4 სამარხები სამხრეთ-აღმოსავლეთ-ჩრდილო დასავლეთ ხაზზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით. №2-ში მიცვალებული ესვენა ძელებით შეკრულ და გადახურულ ყუთში. №4-ის ორმო ხის ძელებით ყოფილა გადახურული. სამარხები ინდივიდუალურია. მიცვალებულები დასვენებულია მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით. №1, 4 სამარხებში აღმოჩნდა

კვერი, რომელიც ვერტიკალურად იყო ჩადგმული ორმოში. სამარხეული ინვენტარის დიდი ნაწილი თიხის ნაწარმია. მათ შორის გამოიყოფა სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი. სამზარეულო ჭურჭლიდან გვხვდება ქოთანი, კოჭობები. სუფრის ჭურჭლიდან აღსანიშნავია: დოქები, ხელადა, ჭინჭილა, სასმისი, ჯამი, ლანკარი. კერამიკის ნაწილი მორგეზება დამზადებული, ნაწილი ხელით. ჭურჭლის ნაწილი ანგობირებული და ზედაპირნაპრიალებია. კეცის ფერის მიხედვით ისინი რუხია, უმეტესად შავი ლაქებით. გვხვდება შავი და მოვარდისფრო კეცის მქონე ჭურჭელიც. კერამიკული ნაწარმი შემკულია კოპებით, ამოღარული სარტყლებით, პრიალა ხაზებით შედგენილი რომბისებური ბადეებით, სამკუთხედებით და სხვ. რკინის ნივთებიდან გვხვდება მასრაგასნილი მალაქქედიანი შუბისპირები, მოხრილი დანა და სატეგარი. სამარხებში აღმოჩენილია ბრინჯაოს 3 სამაჯური და ფიბულა, სარდიონის, ცისფერი და თეთრი მინის, აგრეთვე ერთი ქარვის მძივი. „ველების“ სამაროვანი ძვ. წ. VII-VI სს-ით თარიღდება (სინაურიძე 1985: 13-22). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

მადნეულის გორის ტერიტორიაზე შესწავლილია 21 ქვისა და 1 ორმოსამარხი, რომლებიც ინვენტარის მიხედვით ძვ. წ. VI-IV სს-ს მიეკუთვნება (გველიშვილი 1964: 186-188). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). კაზრეთის კარიერზე შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს კასრისებური ფორმის ყუნწიანი ზარი. ზედაპირი შემკულია რელიეფური და ამოკაწრული წიწვოვანი ორნამენტით. თარიღდება ძვ. წ. VI-V სს-ით (სინაურიძე 1985: 30).

„თელეების ველის“ სამაროვანზე გვიანბრინჯაოს ხანის სამარხებთან ერთად გამოვლინდა ანტიკური ხანის ათამდე სამარხი. ისინი მეტწილად დაზიანებული იყო. მათგან საინტერესოა №5 და №14 სამარხები. №5 აღმოჩნდა პარკის შადრევანის აღმოსავლეთით. წარმოადგენს კლდის დიდი ფლეთილი ქვებით ნაგებ სამარხს. ის თავახილი იყო. სამარხში გამოვლინდა სამი მიცვალებულის ჩონჩხი. მათგან ორი დაკრძალულია ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ თავით აღმოსავლეთით. მათი ჩონჩხები დაზიანებულია, რის გამოც დაკრძალვის პოზი დადგენა არ ხერხდება. მესამე მიცვალებული დაკრძალულია სამარხის სამხრეთი კედლის გასწვრივ მარცხენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა წითლად შეღებილი ხელადის ნატეხები, რკინის შუბისპირი, მოხრილი დანა, ბრინჯაოს პატარა ზარაკი და კვერცხის 2 რტოლი, მინის ანთროპომორფული მძივი, მინის რამდენიმე ცალი შავი მძივი. სამარხი №14 მდებარეობს შადრევანის სამხრეთით 50-ოდ მეტრზე. ის გადახურულია მასიური ქვით. ორმო ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრულია ფლეთილი ქვებით, რომლებიც გვეგმაში მართკუთხედს ქმნიან.

დამსრობილია ჩრდილო-დასავლეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე. მასში დაკრძალული იყო სამი მიცვალებული თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით, სამივე მარცხენა მხარეს, ფეხებმოკეცილი. სამარხში აღმოჩნდა: წითლად შეღებილი, სფერულტანიანი დოქი. სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივები. სამარხში გამოვლინდა ლურჯი მინის ორი მრავალ-წახნაგა საბეჭდავი. ერთ მათგანზე ამოკვეთილია ტანის გამოსახულება, მეორეზე – ცხოველისა და მამაკაცის ბრძოლის სცენა. აქვე აღმოჩნდა რკინის დანა, აგრეთვე რკინის ღერო და სფერულბოლოიანი სამაჯური. სამარხები თარიღდება ძვ. წ. IV-II სს-ით (სინაურიძე 1985: 33-38).

1951 წ. კაზრეთის კარიერზე შემთხვევით აღმოჩნდა ქალცედონის გემა, რომლის ცენტრში გამოსახულია რომაელი მეომარი ჯაჭვის პერანგითა და მუზარადით. მხრებზე წარმოსმული აქვს ქლამიდა. მარჯვენა ხელში უჭირავს ფარი, მარცხენათი ეყრდნობა შუბს. გვერდებზე ალაფია, რომელთა წინ გამოსახულია არიანი დატყვევებული, ხელბეშვრული ბარბაროსები. თარიღდება ახ. წ. II ს-ით (ლორთქიფანიძე 1961: 66).

1972 წ. კაზრეთის №1 მიკრორაიონის მშენებლობის დროს შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ოინოხოია. მისი ერთი გვერდი შეჭყლეტილია. ყური მოტეხილია. ჭურჭელს აქვს სამტუჩა პირი, დაბალი ყელი, კვერცხისებური ტანი და პატარა ბრტყელი ძირი. ზომები: სიმაღლე 17,5 სმ, ტანის უდღესი სიგანე მხრებთან 40 სმ, ძირის დმ 6 სმ. ოინოხოიას მხრებსა და ყელზე შემოუყვება გრავირებული ორმაგი სარტყელი, რომელიც ყურძნის მტევნების, ვაზის ფოთლებისა და მსხვილი წუნლებისაგან შედგება. ტანის ქვედა ნაწილში თოკისებური სარტყელია ამოკაწრული. სარტყლებს შორის, ჭურჭლის ტანზე მთლიანად გრავირებული ნახატი ყოფილა ამოტვიფრული. ბევრგან დაზიანებულია. ერთ ადგილას ჩანს მამაკაცის ფიგურის ზედა ნაწილი. მას მკერდი და მუცელი შიშველი აქვს. ერთი ხელი მოხრილი და ზემოთ აწეულია, მეორე წინ გაშვებული. თავი მობრუნებული აქვს მარჯვნივ. თმები მხრებამდეა ჩამოშვებული. აქვე, გარკვეული ინტერვალით მოჩანს ქალის გაფრიალებული ტანსაცმლის ნაწილი. შემდეგ გამოხაზულია სვეტი (საკურთხეველი?), რომელიც მთავრდება კონცენტრული ხაზებით შევსებული სფეროთი ან მენორით. საკურთხეველის მეორე მხარეს მოჩანს მოცეკვავე ფიგურები. კაზრეთის ენოხოია უცხოური ნაწარმია (სინაურიძე 1985: 31-33; გამყრელიძე 1995: 124-129).

გვიანანტიკური ხანის მასალებიდან აღსანიშნავია №1 მიკრორაიონის მშენებლობისას შემთხვევით აღმოჩენილი მინის კოლბისებრი სანელსაცხებლე მსხლისებური ძირითა და მაღალი ყელით, რომელიც I-II სს-ით თარიღდება. მეორე კოლბისებრი სანელსაცხებლე ნატენების სახითაა შემორჩენილი და III-IV სს-ს მიეკუთვნება. I-III სს-ით თარიღდება ვარდისფერკეციანი დოქი (სინაურიძე 1975: 83). კაზრეთში შემთხვევით აღმოჩენილი და გათხრებით

გამოვლილი ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

1945 წ. კაზრეთში, მდინარის პირას მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ლეონ I-ის ბიზანტიური ოქროს სოლიდი (457-474). მონეტა მპოვნელს დარჩა (აბრამიშვილი 1965: 122).

დაბის ცენტრში, მშენებლობის დროს აღმოჩნდა ქვის სამარხების ფილები. აქვე გამოვლინდა ლერო-მოტენილი ბრინჯაოს საკინძი სარდიონის თავით, რომელიც აქეთ-იქიდან დამაგრებულია ბრინჯაოს ვარდულებით. თარიღდება V-VII სს-ით (სინაურიძე 1978: 124).

შუა საუკუნეებს განეკუთვნება „თელების ველის“ სამაროვანზე მშენებლებისაგან დაზიანებული №6 ქვის სამარხი, რომელიც დამსრობილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. მასში აღმოჩნდა ადამიანის რამდენიმე ძვლის ფრაგმენტი, რკინის დაჭანგული ნივთის ნატეხი, შავი და ლურჯი ფერის მინის რამდენიმე მძივი (სინაურიძე, ვერიტიშვილი 1986: 72). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ნასოფლარი ბუჩურაინი-ბუჩურაშენი მდებარეობდა კაზრეთის კარიერზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ტყით დაფარულ ფერდობზე. ბუჩურაშენის ეკლესია წარმოადგენდა დარბაზული ტიპის მცირე ნაგებობას (3,2X2,2 მ). კლდის ფლეთილი ქვებით ნაგები ტაძრის კედლებს პერანგი შემოცლილი ჰქონდა. კედლებში ჩაშენებული იყო ორნამენტირებული ქვები. აქვე აღმოჩნდა შუაზე გაჭრილი სტელის ბაზა VII-IX სს-ის ბერძნული წარწერით: „სალოცველად სიმენონისა და ავლიანოსისა ყოველთა მათითა სახლითურთ. უფალთ შეეწიე თვლითოსეს“ (ყაუხჩიშვილი 1967: 152-165). 1970 წ. ეკლესია მშენებლებმა ააფეთქეს. ნაეკლესიარის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ძველი ნაგებობის ნაშთი – ერთ რიგად დაწყობილი 4 გათლილი ქვა. აქ მიკვლეული არქეოლოგიური მასალა ძირითადად წარმოდგენილია ქვის ჯვრებითა და სტელებით. კერამიკა მცირერიცხოვანია. სტელები და ჯვრები შემკულია მცენარეულ-გეომეტრიული მოტივებით. ნანგრევების გროვაში აღმოჩნდა მომწვანო ტუფის სტელის ფრაგმენტი. ვაზის ფოთლებს, მტევნებსა და სპირალურად დახვეულ ვაზის უღვამებს შორის მოთავსებულია ფრინველი და რომელიც ცხოველი (მელა?), რომლებიც ყურძნის ჭამენ. ერთ-ერთი სტელის ფრაგმენტზე წარმოდგენილია მედალიონში მოთავსებულია ცხოველის სტილიზებული გამოსახულება. ამავე ფრაგმენტს უნდა ეკუთვნოდეს მეორე ნატეხი, რომელზეც ამოკაწრულია ბერძნული ასოები ალფა და სიგმა. საყურადღებოა სტელის ფრაგმენტები წმინდანთა გამოსახულებებით, რომელთაც ხელში ჯვარი უჭირავთ. ქვის ერთ-ერთი ჯვრის მკლავზე წარმოდგენილია გადაწულ მედალიონებში გამოსახული მწოლიარე შველი და წმინდანი. ეკლესიის დასავლეთი კედლის მახლობლად აღმოჩნდა აკროტირიუმის ნაწილები.

აკროტირიუმს თავზე აზის უხეშად გამოთლილი კოპი, რომელიც თაღს გადმოგვეცემს. გვერდები გაფორმებულია, როგორც ეკლესიის ფასადები. ვ. ჯაფარიძის აზრით, ეკლესია განვითარებულ შუა საუკუნეებში აუცილებელი უფრო ძველი ეკლესიის ნანგრევებზე, რომელიც V-VI სს-ით შეიძლება დათარიღდეს (ჯაფარიძე 1975: 73-78). მ. სინაურიძის მიხედვით, რომ ბუჩურთანის ეკლესიის მიდამოები VI-VII სს-ში იყო საკულტო ადგილი, რაზეც მიუთითებს ამ ადგილებში მრავალად აღმოჩენილი სტელები და ჯვრები. VII-X სს-ში იქ უნდა აეგოთ ეკლესია, რომლის წყობაში გამოუყენებიათ ადრე შუა საუკუნეების სტილა-ჯვრები. განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში ეკლესია არაერთხელ შეუკეთებიათ (სინაურიძე 1985: 43). ბუჩურთანის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩნდა თითბრის საბეჭდავი, მრავალწახნაგა რგოლითა და ფარაკზე არწივისა თუ შევარდნის გამოსახულებით. ბეჭედი VI-VII სს-ით თარიღდება. ეკლესიის მახლობლად გამოვლინდა XII-XIII სს-ის მრავალფერად მოჭიქული კერამიკის ნატეხები და კრამიტის ფრაგმენტები, რომლებზეც ქართული ასომთავრული ასოებია (ლ, ი, მ) გამოსახული. იმავე პერიოდით თარიღდება იქვე აღმოჩენილი მშვილდის დასაჭიმი ბრინჯაოს რგოლი. ეკლესიის დანგრევის შემდეგ ფერდობზე გამოვლინდა შუა საუკუნეების უინვენტარო ქვის სამარხები (სინაურიძე 1985: 42, 43). ბუჩურთანის არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

მდ. კაზრეთულას მარჯვენა ნაპირზე, ტყიან ფერდობზე მდებარეობს ნახევრად დანგრეული ეკლესია და სამაროვანი. ეკლესია დარბაზული ტიპისაა (3,3X4,8 მ). გათხრებამდე თითქმის მთლიანად მიწით იყო დაფარული. ჩანდა მხოლოდ ქვის საკურთხეველი, სტელის ბაზის ზედა ნაწილი და ფორებიანი ოთხკუთხა ქვა. გათხრების შემდეგ აღმოჩნდა ეკლესიის ერთ-ერთ კუთხეში ჩაშენებული ქვა. მსგავსი ქვა გამოვლინდა კედლის გაგრძელებაზე, მეორე კუთხეშიც. თითოეულ წარმოდგენილი იყო წრეში გამოსახული ტოლმკლავა ჯვარი. რელიეფები V-VII სს-ით თარიღდება. ისინი სტელის ბაზებია, რომლებიც შემდეგ ეკლესიის მშენებლობაში გამოყენებიათ. შემადგებელ აფსიდაში ქვის საკურთხევლისა. კედლები შემორჩენილია 1-1,2 მ სიმაღლეზე. კარის თავზე ჩაშენებულია ორი ადრეული ხანის რელიეფი ჯვრის გამოსახულებით. შესასვლელი კარის მარჯვნივ აღმოჩნდა ქვის ოთხკუთხა ემბაზი. ეკლესიის გათხრებისას გამოვლინდა ქვის ჯვრებისა და რელიეფური ფილების ფრაგმენტები. მათ შორის, აღსანიშნავია ჯვრის ქვედა მკლავი ორი ერთმანეთზე გადაწეული რელიეფური მედალიონით, რომელთაგან ერთში ტოლმკლავა ჯვარი, მეორეში ღვთისმშობელია გამოსახული. ეკლესიის კედლებში და მის გარშემო აღმოჩენილი ქვები ადრე შუა საუკუნეებისაა. განვითარებულ შუა საუკუნეებში ძეგლის გარშემო ტერიტორია ეკავა სამოსახლოებს,

რაზეც მიუთითებს იქ აღმოჩენილი კედლის ნაშთები, მოჭიქული კერამიკისა და კრამიტის ნატეხები. ეკლესია დანგრეული ჩანს XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისში. გვიან შუა საუკუნეებში ეკლესია კვლავ აუშენებიათ. მის გარშემო კი გაჩენილა სამაროვანი, რომელშიც გამოვლინდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი უინვენტარო ქვის სამარხები. ეკლესია და სამაროვანი დაახლოებით თანადროულია და შეიძლება დათარიღდნენ არა უადრეს XIII და არა უგვიანეს XVI-XVII სს-სა (სინაურიძე 1985: 45-47). განათხარი მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

სამაროვნის მახლობლად, 2,5 ჰა ფართობზე განფენილია რკინის წარმოების ნაშთები. იქ ხელოვნური ბაქნის სახმრეთ ნაწილში აღმოჩნდა რკინის სადნობი სახელოსნო, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში ხელსაწი და დროებითი საცხოვრებლის ნაშთები. სახელოსნოში იატაკის დონეზე სამ ადგილას გამოვლინდა დამცვერი თიხის ლაქები, რომელიც რკინის სადნობი ცილინდრული ქურების საცეცხლურების კვალს წარმოადგენდნენ. თითოეული მათგანის წინ გამართული იყო საწიდე ორმოები. საცხოვრებელ ნაგებობაში აღმოჩნდა კერის, თიხის ოთხკუთხა ღუმლისა და თიხის ნაშთები. ნაგებობაში გამოვლინილი მოჭიქული და მოუჭიქავი, აგრეთვე აბუ-საიდის (XIV ს.) სპილენძის მონეტის მიხედვით რკინის სადნობი სახელოსნოები და საცხოვრებელი ნაგებობები XIII-XIV სს-ით თარიღდება (გძელიშვილი ... 1966: 32, 33). ამ მიდამოებში რკინის სადნობი სახელოსნოს სხვა ნაშთებიცაა მიკვლეული. მესამე ტერასაზე გამოვლინდა ქურის ფრაგმენტები. ქურის თავზე, კლდეში ამოკვეთილი იყო პატარა „თაროები“, რომლებზეც ეყარა მანძის ფხვნილი და ხის ნახშირი. ქურის კედლები ნაშენი იყო კლდის ფლეთილი ქვით თიხაზე. საწიდე ორმოები ოვალურია. ქურები კონსტრუქციით ორმოს ტიპიდან შახტური ტიპის ქურებზე გარდამავალი ელემენტებით ხასიათდება. მათში ჩატვირთვა ზემოდან წარმოებდა. საბერველი მიწები ქურის წინა კედლის კუთხეებიდან შედიოდა. გათხრებისას აღმოჩენილი მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის მიხედვით რკინის სადნობი სახელოსნო XI-XIII სს-ით თარიღდება (გძელიშვილი ... 1967: 83-85). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი).

კაზრეთის სამების ეკლესია დგას მდ. კაზრეთის მარჯვენა ნაპირზე. ის დარბაზული ტიპისაა, (15,97X9,43 მ) მინაშენებით. გეგმით სწორკუთხაა, ნახევარწრიული ღრმა აფსიდით. შესასვლელი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდანაა. დასავლეთისა და ჩრდილოეთის ფასადები შემკულია მდიდრული დეკორით. ინტერიერში მოხატულობის კვალიაა შემორჩენილი. ეკლესია გადახურული ყოფილა კერამიკული ლორფინის ორფერდა სახურავით. თარიღდება XIII ს-ის პირველი მეოთხედით

(დოლიძე 1970: 4-10). 1846 წ. აღ. ჯამბაკურ-ორბელიანს გადმოუწერია ტაძრის ინტერიერზე შავი მელნით შესრულებული 1672 წ-ის წარწერა, რომელიც მთავარებისკოპოს ნიკოლოზ ბოლნელს ეკუთვნის. წარწერაში ტაძარი მონასტრადაა მოხსენიებული (თაყაიშვილი 1951: 155-157). მისი ეზო შემოსაზღვრულია ქვითა და აგურით ნაშენი გალავნით, მარანისა შიგნით რამდენიმე ნაგებობა დგას. მათ შორის, ერთი საოსტატინია. გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან შემორჩენილია ორსართულიანი სასახლის ნანგრევები, სარკმელების, ბუხრისა და სართულშუა გადახურვის ნაშთებით. მონასტრის გარშემო რამდენიმე ნასოფლარია. კაზრეთიდან კარიერისაკენ მიმავალი გზის გაყვანის დროს მშენებლებს დაუჩრდილოეთი მონასტრის ზღუდის ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთი ნაწილი, აგრეთვე საცხოვრებელი ნაგებობები, რომლებიც ეკლესიის გარშემო ყოფილა განლაგებული. ეკლესიის დასავლეთით, ზღუდიდან 10 მ-ის დაშორებით გაითხარა ერთი საცხოვრებელი ნაგებობა. იმ ადგილას უნდა ყოფილიყო სოფელი ისპიანი. ითანვე ბაგრატიონი „ქართლ-კახეთის აღწერაში“ ისპიანს უწოდებდა მთელი კაზრეთის ხეობას, მაგრამ ხეობის სოფლების ჩამოთვლისას ისპიანის სახელით ცალკე სოფელსაც მოიხსენიებდა (ბაგრატიონი 1986: 53). ნაგებობა მოიცავდა წინკარს, დარბაზს, სამზარეულოს, მარანსა და ბოსელს. სახლი ნაშენია ქვითა და ალიზით. კედლების სისქე 1 მ აღწევდა. წინკარი (30 კვ მ) ერთი მხრიდან ღიაა. სამი მხრიდან კი სამზარეულოს, დარბაზისა და ბოსლის კედლები ესაზღვრება. წინკარში გავლით შეიძლება შესვლა დარბაზსა და ბოსელში. წინკარში აღმოჩნდა ქვიშაქვის ორი ბრტყელი ლოდი – ხის ბოძების საყრდენი ბალიშები. დარბაზი (56 კვ მ) გვეგმით ოთხკუთხაა. დარბაზში აღმოჩნდა თონე და კერა. ამ უკანასკნელის გარშემო გამოვლინდა ქვის ოთხი ბალიში – დედაბოძის დასაყრდენი. სამზარეულო (26 კვ მ) გვეგმით ოდნავ წაგრძელებულია. ცენტრში გამოვლინდა ქვეშემოწყობილი კერა. სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში – თონე, მარანში (18 კვ მ) გაიწმინდა 14 სხვადასხვა ზომის ქვევრი, რომელთა პირები იატაკს ყოველთვის არ უსწორდება. იატაკის დონიდან ზევით აწეული ქვევრები ჩაკირულია, დანარჩენები – ჩაუკირავია. ქვევრებს თავებზე ეფარა ბრტყელი ფილაქვა. ბოსელი (66 კვ მ) მოგრძობა. რამდენიმე ადგილას, კედლების გასწვრივ დამოწმებული იქნა ქვაფენილი. იატაკი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ოდნავ დამრეცია. ბოსელში აღმოჩნდა კერა, სანაჯრე ორმო და თონე. კედლებთან გამოვლინდა ხის ბოძების საყრდენი ქვიშაქვის ბალიშები. ნაგებობის გათხრებისას აღმოჩნდა სადა, გრებილი და დაკბილული სარტყლებით შემკული ქვევრები, დერგები, რომელთაგან ერთი შემკულია მამალი ხოხობის გამოსახულებით. განათხარ მასალაში გვევლება: დოქები, ქოთნები, ჯამები, ჭრატები, მოჭიქული ჯამები, ფაიანსის ნატეხი, მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, რკინის მოხრილი

დანა (სასხლავი), ნალი, საღვსი ქვა და სხვ. ნაგებობა იქ აღმოჩენილი მასალის მიხედვით XI-XIII სს-ით თარიღდება. ნასახლარი XIII-XIV სს-ის მიჯნაზე მიუთვლებიათ (ნასიძე 1969ა: 74-84). საცხოვრებელი ნაგებობა გაითხარა სვიას ნასოფლარზეც. ის წარმოადგენდა ოთხბოძიან დარბაზს (6,5X8 მ), რომლის ცენტრში გამართული იყო კერა. შენობა მოიცავდა აგრეთვე წინკარს, სამზარეულოს, ლუმლიან სენაკს, მარანს, საკუჭნაოსა და ბოსელს. ნაგებობა, იქ აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმის მიხედვით, გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება (გებელიშვილი ... 1967: 83-85). ისპიანისა და სვიას ნასოფლარის არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). კაზრეთის ცენტრში მშენებლობის დროს აღმოჩნდა შუა საუკუნეების სამაროვანი, რომელშიც გამოვლინდა უინვენტარო ქვის სამარხები. მიცვალებულები დაუკრძალავთ ზურგზე გამოტილინი, თავით დასავლეთით, გულხელდაკრეფილები (სინაურიძე 1978: 124). დაბიდან კარიერისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს მდებარეობს სამაროვანი. უინვენტარო ქვის სამარხებში მიცვალებულები ესვენა ზურგზე, გამოტილილი თავით დასავლეთით (სინაურიძე 1974: 102). კაზრეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. კიანეთსა და მუშევანს შორის, მდ. მასვეერას მარჯვენა ნაპირზე, ტყიან ფერდობზე მდებარეობს დავით გარეჯელის ნახევრად დანგრეული დარბაზული ტიპის ეკლესია. ნაგებობა დგას მაღალ ცოკოლზე. ეკლესია გვეგმით მოგრძო ოთხკუთხედიანია. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. შესასვლელი სამხრეთიდანაა. კონქში დიდი სარკმელი და ორი ნიშია, ერთი შეისრული, მეორე ოთხკუთხა. სარკმლებია სამხრეთ და დასავლეთ კედლებშიც. კედლები მოპირკეთებულია მოყვითალო ქვათილილებით. აღმოსავლეთი ფასადი მდიდრულადაა მორთული. ეკლესიის შესასვლელის თავზე ყოფილა მხედრული წარწერა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ამათა ვითარებისაგან დანგრეული 1709 წ. აღუდგენია ერასტი მდივანბეგსა (ორბელიანს) და მის მეუღლე ანახანუმს (თაყაიშვილი 1951: 165). წარწერა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). ეკლესიის დასავლეთით მდებარე მოგრძო ოთხკუთხა ეკვდერი ნახევრად დანგრეულია. ნაგებობას სამხრეთიდან ფართო შესასვლელი და კედელში გამოჭრილი ოთხკუთხა თარო აქვს. გადახურული ყოფილა კამარით. ეკვდერსა და ეკლესიის ეზოში თავის დროზე შემორჩენილი იყო საფლავის ქვები მხედრული წარწერებით, რომლებიც თარიღდება XVIII ს-ის პირველი მესამედით (სინაურიძე 1986: 98-102).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1965: 122; ბაგრატიონი 1986: 53; ბერძენიშვილი 1963: 10-12; ბერძენიშვილი 1979: 58-63; გამყრელიძე 1995: 124-

129; გიულდენშტედტი 1962: 223; ვტელიშვილი 1960: 20-33; 1964: 186-192; 1965: 507-512; 1966: 174; 1966ა: 19-21; 1967: 145, 146; 1968: 268; 1969: 87, 88; ვტელიშვილი, ამირანაშვილი 1965: 53-56; ვტელიშვილი ... 1966: 32, 33; 1967: 83-85; ვორგიჯანიძე 1926: 95; თაყაიშვილი 1924: 34, 40; 1951: 155-157; ლომთათიძე 1977: 138; ლორთქიფანიძე 1935: 317; ლორთქიფანიძე 1961: 66, ტაბ. IV,17; მასალები საქ. ისტ. კვლევა. 1964: 116; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 22, 58, 61; ნასიძე 1969ა: 67-84; საქ. სიძ. 1920: 430, 437, 478; სინაურიძე 1972: 64, 65; 1974: 92-105; 1974ა: 437; 1975: 75-88; 1977: 129-141; 1977ა: 2-25; 1978: 124-133; 1985; 1985ა: 36, 37; 1986: 98-102; სინაურიძე, ბერაძე 1971: 46-49; სინაურიძე, ვკრტიშვილი 1986: 68-75; სინაურიძე, გიუნაშვილი 1976: 96-105; ქც 4: 311,25; 316,5; ღვაპერძე 1986: 81; ყაუხჩიშვილი 1967: 152-165; ჩუბინაშვილი 1972: 48; ხარაძე 1991: 38; ჯამბურია 1955: 58-63; ჯავახიძე 1970: 52-63; 1975: 73-78; 1982: 79.

კალა (ქც 1: 136,13,20; ქც 4: 119,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქც 1: 136,13,20), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 181,21; 223,12,13; 225,4,8,9), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქც 1: 373,23; 374,23; 375,8), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 119,9; 146,24; 202,25; 333,28,29; 334,2,4,6,17,19-22,სქ.2; 335,1; 337,2,8,9,14; 338,1; 385,9; 402,18; 406,27; 426,24; 432,15; 434,17,18; 463,20; 465,25), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 328,7,9,11,14,16,18; 323,15-17; 344,3,11,30,31; 345,1; 365,15; 367,10; 374,14,16; 410,24,26; 413,8,9; 449,23,32; 450,6,18,21-23; 462,25,26,29-31; 485,2,4,6), „სოქცევაი ქართლისაი“ (მქ 1963: 92, 95, 96), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 57, 62, 67, 68; 1967: 194, 431; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 86, 91; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 512; სიმონ მეფის არზა ... 1980:1 61; დღკ. თბ. ისტ. 1962: 7, 11, 48, 53, 68, 80, 86, 111, 124, 167, 265, 291, 295), არჩილის „ვაბასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1989: 466), იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“ (ტფილელი 1989: 627), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 4, 9, 10, 11, 25, 27, 28, 42, 78-81, 83, 84, 88, 94), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 141, 146, 148, 157), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 5, 6, 35-37, 50, 56), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1913: 250, 251), იესე ოსეს ძის „ქორონიკონი“ (იესე ოსეს ძე 1940: 132), ბაგრატი ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 88); ქართულ-სპარსული ორენოვანი ისტორიული საბუთები (ქართულ-სპარსული ... 1984: 34), „სამყაროს საკვირველებანი“ („სამყაროს საკვირველებანი“ 1978: 28), ჰაჯი მეჰდი ყული ყა-

ჯარის „უკეთესთაგან უკეთესი (ისტორია)“ (ჰაჯი მეჰდი ყული ყაჯარი 1942: 94, 96), სპარსული ისტორიული საბუთები (საქ. მუზეუმის ... 1949: 30, 38, 90; სპარ. ისტ. საბ. 1962: 72, 73; 1965: 4); მუსტაფა ალის (მუსტაფა ალი 1962: 256), იბრაჰიმ ფეჩევის (ფეჩევი 1964: 41), ისქანდერ მუნშის (მუნში 1969: 24, 30, 33, 34, 62, 64, 91, 95, 101, 124-126; 1981: 54, 60), ქაიხი ჩელების (ჩელები 1978: 117, 118, 134, 248, 253), ევლია ჩელების (ჩელები 1971: 292-295, 335), ჩელები ზადეს (ჩელები-ზადე 1973: 327), მოჰამედ თაჰერის (მოჰამედ თაჰერი 1954: 381), მუსტაფა სელიანიქის (სელიანიქი 1960: 263, 268, 269) თხზულებები; თურქული ისტორიული საბუთები (სამი თურქული საბუთი ... 1987: 76, 78, 86, 90-92; ორი თურქული ფირმანი 1993: 260, 261, 263); ამბროზი კონტარინის (კონტარინი 1894: 55), დონიჯო კარლის (დონიჯო კარლი 1951: 170, 173-175), ჯოვანი მარია ანჯოლელოს (ანჯოლელო 1981: 78), ჟან შარდენის (შარდენი 1975: 313, 319, 389, 397), ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორის (ტურნეფორი 1988: 65) თხზულებები; იოჰან გულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 87). ვახუშტი ბაგრატიონი კალას შესახებ გადმოგვცემს: „კალას არს ციხე, ნაშენი მალაღს კლდესა ზედა, და ჩამოზღუდვილი სალალაკის-ხევი მტკვრამდე ... მალაღს ციხეში არს ეკლესია გუმბათიანი წმინდის ნიკოლაოზისა და სასახლე მეფისა, პალატინი დიდ-დიდნი და შუენიერი“ (ქც 4: 334,17-21). ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის არშიაზე მინაწერის განმარტებით, კალა იგივე ტფილისის ციხეა, „რომელსა უწოდებენ ნარიყალად“ (ქც 4: 334, სქ. 2). მდებარეობს თბილისში. მტკვრის მარჯვენა ნაპირის შემადლებულ კლდეზე, მეტეხის ტაძრის მოპირდაპირედ. წარმოადგენდა თბილისის დედა ციხეს – ციტადელს. წყაროებში კალა უკვე IV ს-ის პირველი ნახევრის ამბების თხრობისას იხსენიება (მქ 1963: 92, 95, 96; ქც 1: 136,13,20). ის სპარსელებს აუშენებიათ მცხეთის მეტოქედ – შურის ციხედ (ქც 4: 334,6). IV-V სს-ში იქ ირანელთა მოხელე იჯდა. თბილისის დედაქალაქად გადაქცევის შემდეგ კალას მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება (ქც 1: 233,12; ქც 4: 119,9). ირანელთა განდევნის შემდეგ კალა ჯერ ქართლის მეფეების, შემდეგ ქართლის ერისმთავართა რეზიდენცია იყო. 628 წ. ბიზანტიელებმა და მათმა მოკავშირე ხაზარებმა აიღეს (ქც 1: 225,7-9; ქც 4: 334,8,9). არაბთა მიერ ქართლის დაპყრობის შემდეგ კალა არაბებმა დაიკავეს. XI ს-ის შუა ხანებისათვის ბაგრატი IV (1027-1072) მცირე ხნით დაეუფლა „კალა-ტფილისს“ (ქც 4: 146,24). დავით აღმაშენებელმა (1089-1125) 1122 წ. დაიბრუნა თბილისი. 1226 წ. მარტვი თბილისი და კალა დაიპყრო ჯალალედინმა (ქც 4: 202,25). თემურლენგმა 1386 წ. სასტიკი ბრძოლების შემდეგ აიღო თბილისის ციხე და დაატყვევა იქ მყოფი ბაგრატი V (1360-1393). 1541 წ. თბილისი და მისი ციხე შაჰ-თამაზმა (1524-1576) დაიპყრო. ქართლის მეფე

სვიმონ I (1556-1600) შეეცადა მის დაბრუნებას, მაგრამ ციხე ვერ აიღო (გორგჯიანიძე 1926: 25). ქართლის მეფე როსტომმა (1632-1658) კალას ციხის სამეფო სასახლე ყიზილბაშებს დაუთმო, თვითონ კი სასახლე სიონსა და ანჩისხატს შორის აიშენა (ქც 4: 334,21-24). 1748 წ. 10 აგვისტოს ერეკლე II-მ (1744-1798) ნარიყალას ციხე გაათავისუფლა ყიზილბაშებისაგან (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 86). ნარიყალასთან უკანასკნელი ბრძოლა მოხდა 1795 სექტემბერში ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს. ციხის სახელი კალა, შემდგომ მის მიმდებარე უბანზეც გავრცელდა. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით „ტფილისი არს სამი ქალაქი – ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს ჩტკუარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის მრდლიოთ-აღმოსავლით, ტფილისს – ჩილიოთ და ისნს – დასავლით და სამხრით. ხოლო კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკის წყალი“ (ქც 4: 333,28,29; 334,1-3). კალას ციხე, თბილისის ციტადელი (მოგვიანო ხანის ნარიყალა სპარსულად შიდა ციხე) წყაროებში იხსენიება როგორც შურის ციხე (ქც 4: 334,6), თბილისის ციხე (ქც 4: 385,9).

1954 წ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ოთ. ტყემელაშვილი) ნარიყალაზე ჩაატარა მცირე დაზვერვითი სამუშაოები (ტყემელაშვილი 1966: 17, 18). 1956-1957 წწ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთობლივი ექსპედიცია (ხელმძღ. ი. ვძელიშვილი, ო. ტყემელაშვილი) გათხრებს აწარმოებდა ერეკლე II-ს მოედანზე (გძელიშვილი, ტყემელაშვილი 1961). ამ მიდამოებში 1975 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გლდანის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ვ. ართილაყვა) სწავლობდა გიორგი XII-ის სასახლესა და მასთან მდებარე კარის ეკლესიას (ართილაყვა ... 1978: 85, 86). 1966, 1967, 1969 წწ. ნარიყალაზე გათხრებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთობლივი ექსპედიცია (ხელმძღ. ო. ტყემელაშვილი) (ლომთათიძე ... 1967: 77-83; ლომთათიძე ... 1969: 38, 39; ლომთათიძე ... 1971: 99-104). ერეკლე II-ეს მოედანზე 1988 წ. გათხრები განაახლა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ (ხელმძღ. ო. ტყემელაშვილი). იქ გამოვლინდა შუა საუკუნეების სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები და სარკოფაგები (ტყემელაშვილი 1997: 118-120).

თბილისის ციტადელის (ნარიყალას) ძირითადი ნაწილი დღევთა ხევის შესართავთან, სოლოლაკის ვიწრო ქედის კლდოვან კონცხზეა აღმართული. ნაგებობა შედგება ციხე-კოშკებისა და ზღუდეების რთული სისტემისაგან, რომელიც მრავალჯონის დანგრეული, აღდგენილი და გადაკეთებულია. კალას ერთი კედელი წავისის წყლის (ახლანდელი დაბა-

ხანის) პარალელურად გადიოდა და მთავრდებოდა სოლოლაკის ქედზე ციტადელით. ციხის მეორე კედელი ეშებოდა მტკვრის ნაპირამდე. დასავლეთიდან კალას იცავდა ე. წ. „შაჰის ტახტი“, რომელიც ციტადელთან კედლით იყო შეერთებული.

კალას მიდამოებიდან ყველაზე ადრეული ნივთი 1948 წ. შემთხვევით აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის შედგენილტარიანი სატევარია. ტარის თავი წარმოადგენს დაფანჯრულ ნახევარსფეროს. პირი შემკულია რელიეფური ხაზოვანი ორნამენტით. სატევრის სიგრძეა 35,3 სმ (ფიცხელაური 1959: 110). ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ციხის გათხრებისას ქვედა ტერასაზე გამოვლინდა გუმბათიანი ეკლესიის (10,4X17,5 მ) ნანგრევები. ეკლესია ნაშენი ყოფილა აგურითა და დაკუთხული ქვებით. იატაკი აგურისა ჰქონია. გარედან კედლები და გუმბათი ღია ფერის ქვათილივითი ყოფილა შემოსილი. გათხრებისას აღმოჩნდა XII-XIII სს-ის ჩუქურთმიანი ქვები. ეკლესიის შიგნით გაიწმინდა აგურის ორი მრგვალი სვეტი, რომელთაგან ერთზე შეიმჩნეოდა შეღესილობისა და მოხატულობის კვალი. ეკლესიას შესასვლელი სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ჰქონია. ეკლესიას ეკუთვნის რამდენიმე ჩუქურთმიანი ქვა, რომლებიც ციხის ზღვის გარეთა პერანგშია ჩაშენებული. ეკლესიის დანგრევის შემდეგ მისი ორი კარი აგურით ამოუქოლა. საკუთხვევლი შუაში გაუჭრიათ და ახალი კარი მოუწყვიათ. ნაგებობის დასავლეთი კედლის ნანგრევებზე მცირე აბანო გაუმართავთ. ეკლესია თარიღდება XIII ს-ის მეორე ნახევრით. ეს უნდა იყოს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მითითებული კალას ტერიტორიაზე აღმართული წმინდა ნიკოლოზის ეკლესია (ქც 4: 334,17-21). ვახუშტი ბაგრატიონი ეკლესიაზე მსჯელობდა, როგორც ჯერ კიდევ მთელზე. ეკლესია დანგრეულა XVIII ს-ის მეორე ნახევარში, რასაც მისი გადაკეთება მოჰყოლია. დასავლეთი ფასადის წინ აუგიათ აგურის კედელი, ხოლო სივრცე ფასადსა და კლდე შორის ამოუყვიათ. ამგვარად წარმოქმნილ მოედანზე გაუმართავთ აგურის აბანო, რომლისაგანაც შემორჩენილია საცეცხლური, აბაზანა და საკანალიზაციო სისტემა. პლატონ იოსელიანის ცნობით გენერალ ერმოლოვს სასახლის კარის წმიდა ნიკოლოზის ეკლესია თოფის წამლის საწყობად უქცევია, ხოლო სასახლის ნანგრევები დაურღვევია (იოსელიანი 1866: 251, 252). სხვა ცნობით 1827 წ. საწყობად ქცეულ ეკლესიას მეხი დასცემია და აფეთქებულია (ლომთათიძე ... 1971ა: 27-30). 1997 წ. ეკლესია აღადგინეს და ამჟამად მოქმედია.

ეკლესიის ნანგრევების თხრისას მრავლად ჩნდებოდა მოუჭიქავი და ცისფრად მოჭიქული კრამიტი, მოჭიქული შორენკეციები. ეკლესიის ირგვლივ გაითხარა რამდენიმე ნაგებობა. ერთი მათგანი მდებარეობს ბოტანიკური ბაღის ფლატის პირას. მისი გათხრებისას მიკვლეული კერამიკის უმრავლესობა განვითარებულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება და

ნაგებობაც ასე დათარიღდა. შენობის გათხრებისას აღმოჩნდა ორნამენტით შემკული ქვის ფრაგმენტი, რომელიც განსხვავდება დიდი ტაძრის ნანგრევებიდან მომდინარე ორნამენტური ქვებისაგან. სხვა თხრილში აღმოჩნდა ეკლესიის ტიმპანის რუხი ქვა, რომელზეც ჯვარია გამოსახული. თვით დიდი ეკლესიის ზემოთკვლის ქვემოთ გაიწმინდა რუხის ფერის გათლილი ქვები. შესაძლოა, გუმბათიანი ეკლესია დაფუძნებული იყო უფრო ადრეულ, ალბათ უკუმბათო ეკლესიის ნაშთზე. არაა გამორიცხული, რომ იმ ძველი ნაგებობის ნაშთი იყოს ის დიდი ქვათილები, რომლებიც შიდა ციხის კარიბჭის კოშკის წახნაგებზეა შემორჩენილი.



ნარიყალა

კარიბჭესა და ეკლესიას შორის გამოვლინდა 17 მ სიგრძისა და 14 მ სიგანის ნაგებობა, რომლის კედლების სიმაღლე შემორჩენილია საშუალოდ 3 მ-ზე. მათი სისქეა 0,7-0,9 მ. კედლებზე ორი სამშენებლო ფენა შეიმჩნევა. ქვედა ნაწილის წყობა მსგავსია ეკლესიის წყობისა (დაკუთხული და აგურით „შემოწარმოებული“ ქვები და აგურები). კედლის ზედა ნაწილი მხოლოდ აგურითაა ნაგები. ქვედა ფენა განვითარებული, ხოლო ზედა – გვიანი შუა საუკუნეებისაა. ამას ადასტურებს ნაგებობის გათხრებისას აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალაც, რომელთა ნაწილი განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება. უმრავლესობა კი გვიანი შუა საუკუნეებისაა. ქვედა ფენას მიეკუთვნება მარანი, რომელიც ციხის ქართველ მფლობელთა საკუთრება იქნებოდა. შენობას სამხრეთიდან მიდგმული აქვს აგურის ნაგებობა და მასთან დაკავშირებული წყალსადენის ნაშთი. აქ აღმოჩენილი მონეტის მიხედვით შენობა XV ს-ით თარიღდება (ლომთათიძე ... 1971ა: 30, 31). ციხე სასმელი წყლით მარაგდება თიხის მიღებით შედგენილი წყალსადენით, რომელიც სათავეს იღებდა 5 კმ-ის დაშორებით, სოფ. ოქროყანის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და პირდაპირ ციტადელში შედიოდა (მინდაძე 1977: 11-15).

ნარიყალას განათხარი მასალის უმრავლესობა კერამიკაა. მათ შორის გამოირჩევა ვანკითარებული და გვიანი შუა საუკუნეების მოუჭიქავი თუ მოჭიქული მასალა: სამურნეო და სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელი, ჭრატები, ჩიბუხები და სხვ. მოჭიქული კერამიკა, რომელშიც IX-XIV და XVII-XVIII სს-ის ნიმუშებია, მეტწილად ადგილობრივია და ისევე, როგორც მოუჭიქავი კერამიკის გარკვეული ნაწილი, ციხის ტერიტორიაზე ჩანს დამზადებული. ფაიანსი და ფაიფური, რომელიც XVII-XVIII და XVI-XVIII სს-ით თარიღდება, იმპორტულია და დამკრობელ მეციხოვნეთა კუთვნილება იყო. მათი თანადროულია იმპორტული მინის ნაწარმი.

განათხარ კერამიკაში წარმოდგენილია ცისფრად მოჭიქული ღარიანი კრამიტები. სხვადასხვა ნივთებიდან აღსანიშნავია გვიანი შუა საუკუნეების ნალები, ლურსმნები და სხვ. მონეტებიდან გვხვდება თამარის სპილენძის ფული, XVII ს-ის თურქული ახჩა, 1784 წ. მოჭრილი ეკატერინე II-ის სპილენძის ფული და სხვ (ლომთათიძე ... 1971: 32).

ციტადელზე აღმოჩენილი მოუჭიქავი კერამიკის დიდი ნაწილი წერნაქით შეღებილი ჭურჭელია, რომლის ერთი ჯგუფი წითელი საღებავითაა მოხატული. სუფრის ჭურჭელი წარმოდგენილია კოკების, დოქების, ხელალების, ჯამების, თევშების, სურებისა და სხვ. სახით. კოკებში ოთხი ტიპი გამოიყოფა. I ტიპის კოკებისათვის დამახასიათებელია დაბალი ყელი, ვიწრო და მრგვალი პირი, განიერი მხრები. მსგავსი ფორმის უწერნაქო ნიმუშებიც გვხვდება. II ტიპის კოკები მრგვალიპირიანია, დაბალი, ცილინდრული ყელით. მათ ფართო პირი და ბრტყელი ბაკო აქვთ. ზოგი მათგანი ზედაპირნაპრიალებია. III ტიპის კოკები ტუჩიანია, ცილინდრულყელიანი. წერნაქიანი ზადაპირი გაპრიალებულია. IV ტიპის კოკები ფართოყელიანია, მაღალტანიანი, მუცელგამობერილი. მხარი შემკულია ამოკაწრული „თევზიფხური“ ორნამენტით. ზედაპირზე დაუყვება პრიალა ზოლები. კოკურები კოკებთან შედარებით მცირე ზომისაა. ჭურჭელს მრგვალი პირი და დაბალი ყელი აქვს. შეღებილების გარდა, მათში გვხვდება მოხატული ნიმუშებიც (არჩვაძე 1974: 174-176). ხელალებში სამი ტიპი გამოიყოფა. I ტიპის ხელალები მაღალყელიანია. ყელზე შემოუყვებათ რელიეფური სარტყელი, რომელზეც დამერწილია ყური. ისინი XVII ს-ით თარიღდება. II ტიპის ხელალებში ერთიანდება რელიეფური სარტყლით შემკული, მაღალყელიანი, ვიწრომხრებიანი ჭურჭელი, რომელშიც რამდენიმე ქვეტიპი გამოიყოფა. ა) ყელმაღალი ხელალები ორბავი ყურით. ყელის შუა ნაწილზე შემოუყვება მაღალი ლილვაკი. ყელი ტანისაგან დაბალი ნაწიბურებითაა გამოყოფილი. ხელადა შემკულია „თევზიფხური“ ორნამენტით. ბ) მაღალ და ვიწროყელიან მხრებაქანებულ ხელალებს ყელზე შემოუყვება წიბო. ისინი ზედაპირ-ნაპრიალებია. III ტიპის ხელალები ტუჩიანია, მაღალყელიანი, მრგვალმუცლიანი. დოქებში სამი ტიპი გამოიყოფა. I ტიპის დოქები ოღნავ პირიდან დაბალყელიანი, მრგვალმუცლიანია. II ტიპში ერთიანდება მილნისკარტიანი დოქები. ამ ტიპის უწერნაქო ნიმუშებიცაა აღმოჩენილი. მილნისკარტიანი ჭურჭელი მუსლიმური სამყაროსთვისაა დამახასიათებელი. ციტადელზე მისი აღმოჩენა იქ ირანელ და თურქ მეციხოვნეთა ხშირ დგომას უკავშირდება (XVI-XVIII სს-ის პირველი ნახევარი). III ტიპის დოქები ვიწროპირიანია, ყელმაღალი, მხრები-განიერი. სუფრის ჭურჭელს შორის საინტერესოა მოყავისფრო წერნაქით დაფარული, ზედაპირ-ნაპრიალები ფრაგმენტები. გამოწვამდე ხაზოვანი ორნამენტია ამოკაწრული. გრავირებულია და მო-

თეთრო ანგობით ინკრუსტირებული. ორნამენტი კეცთან შედარებით ამაღლებულია. ისინი იმპორტული ნიმუშები უნდა იყოს. სურებისათვის დამახასიათებელია მაღალი, რელიეფურსარტკლიანი ვიწრო ყელი და გამობერილი მუცელი. ყელი ტანისაგან წიბურითაა გამოყოფილი. მუცელზე შემოუყვებათ კონცენტრული ღარი და კანელურები. წერნაქიანი ზედაპირი სახებითაა ნაპრიანები (არჩვამე 1974: 176-181). ჯამებში სამი ტიპი გამოიყოფა. I ტიპს მიეკუთვნება წერნაქით ორმხრივ შეღებილი სწორქიმიანი ჯამები. მათ დაბალი, ამოღარული ქუსლი და დაქანებული კალთები აქვთ. ერთ-ერთი ჯამის ქუსლზე გამოწვამდე დამლა ამოტვიფრული. ჯამის ერთ ნატეხზე გამოწვის შემდეგ ამოუკაწრავთ რვიანი და ჯვარი. II ტიპის ორმხრივ წერნაქით შეღებილი ჯამებისათვის დამახასიათებელია ძირისაგან მკვეთრად გამოყოფილი ქიმი, ბრტყელი ბაკო და დაქანებული კალთები. III ტიპის ჯამებს ახასიათებს მაღალი კედლები, ვიწრო ძირი და ამოღარული ქუსლი. პირის კიდე თითქმის ყოველთვის შივნიითაა დაქანებული. თევშებს აქვს ვიწრო, ბრტყელი ძირი, დაქანებული კალთები, გადაშლილი პირი. ორმხრივ დაფარულია წერნაქით. ჭიქები ორი ცალია. მათ ახასიათებს ბრტყელი, ოდნავ გამოყოფილი ძირი და პირისაკენ გაფართოებული კედლები.

სამზარეულო კერამიკა ცოტაა. ქოთნები ვიწროპირიანია, მხრებგანიერი. ერთი ტუჩიანია. სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი წარმოდგენილია ქილების, დერგებისა და ქვევრების ფრაგმენტებით. ნარიყალას წერნაქიანი კერამიკა XVI-XVIII სს-ით თარიღდება. ჭურჭლის უმეტესობა ცხტადელზეა დამზადებული, რაზეც მიუთითებს იქ აღმოჩენილი წერნაქიანი წუნდებული ნიმუშები (არჩვამე 1974: 181-186).

მოუჭიქავ კერამიკაში მრავლადაა XV-XVIII სს-ის საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთები. ჭრაქებში ფორმების მიხედვით გამოიყოფა ნიჟარისებური და ვაზისებური ნიმუშები. ნიჟარისებური ჭრაქები თავის მხრივ ორ ქვეტიპად იყოფა. პირველი ქვეტიპის ნიჟარისებური ჭრაქებისათვის დამახასიათებელია სწორი პირი, დაქანებული კალთა, ბრტყელი ძირი და მოგრძო ტუჩი. პირი კალთისაგან მკვეთრი წიბოთია გამოყოფილი. მეორე ქვეტიპის ჭრაქებში პირი კალთისაგან მკვეთრი წიბოთი არაა გამოყოფილი. ვაზისებური ჭრაქებიც ორ ქვეტიპად იყოფა: დაბაფხიან, ყურიან ჭრაქებად, რომელთაგან ზოგი მოჭიქულიცაა და მაღალფხიან, უყურო ჭრაქებად. სასანთლეებისათვის დამახასიათებელია მაღალი, ვიწრო ფეხი და ლამბაქისებური ძირი. ფეხს ნაწიბურიათი ლილვაკი შემოუყვება. სასანთლის ჩასაქრობების სამი ერთეულია. მათ წაკვეთილი კონუსის ფორმა აქვთ. დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ჩიბუხები, რომლებიც გამოირჩევა ორნამენტისა და ფორმათა მრავალგვარობით. მათ შორის გვხვდება წერნაქიანი ნიმუშებიც. ჩიბუხებთან ერთად აღმოჩენილია ფალიონებიც,



ნარიყალა

რომელთაგან ზოგიერთი ცისფრადაა მოჭიქული. გვხვდება ფაიფურისა და ქვისაგან დამზადებული ფალიონებიც. ჩიბუხების უმრავლესობა, როგორც პირადი მოხმარების საგნები, თან უნდა მოეტანათ დამყრობლებს. ფალიონებიც მუსლიმური სამყაროსათვისაა დამახასიათებელი და ჩვენში ნაკლებადაა გავრცელებული. ნარიყალაზე მათი აღმოჩენა ციტადელში ხანგრძლივი დროით მდგარ ირანელ და თურქ დამყრობლებს უკავშირდება (არჩვამე 1978: 111-131).

ნარიყალას გვიანი შუა საუკუნეების მოჭიქულ კერამიკაში გამოიყოფა ორი ძირითადი ჯგუფი და რამდენიმე ქვეჯგუფი. I, 1. თეთრი ანგობით დაფარული და ფერადი საღებავით მოხატული მოჭიქული კერამიკის უმრავლესობა სუფთად განლექილი მოყვითალო, მოვარდისფრო თიხისაა. ჯამები დაბალია, გაშლილი, გამოყვანილი ქუსლითა და ბრტყელი ძირით. ჭურჭელი ორმხრივ თეთრი ანგობით დაფარული და მოჭიქულია. ორნამენტი გამოყვანილია ჯამის შუა ნაწილზე. კიდე თავისუფალია. პირსა და გარეპირს შემოუყვება ფერადი სახეები. ორნამენტი გამოყვანილია ერთი (ლურჯი, მწვანე, სოსნისფერი) ან რამდენიმე (ცისფერი და მწვანე, ცისფერი და ყვითელი და სხვ.) ფერის საღებავით. ორნამენტის კონტურები ზოგჯერ შავი საღებავითაა მოხატული. ა) მოჭიქული კერამიკა, რომლის ორნამენტიც გამოყვანილია ერთი ფერის საღებავით. მათ შორის აღსანიშნავია ცხოველის სკულპტურული გამოსახულება, დაფარული თეთრი ანგობითა და შემკული ლურჯი ლაქებით. ციხეზე აღმოჩნდა თეთრი ანგობზე მწვანე, სოსნისფერი, მოშავო-მონაცრისფრო საღებავით მოხატული ჭურჭელიც. ბ) მოჭიქული კერამიკა, რომლის ორნამენტიც მრავალფერადია. გათხრებისას გამოვლინდა სხვადასხვა ფერის საღებავებით მოხატული ჭურჭელი, რომლებზეც შეიმჩნევა მცენარეული ორნამენტი. ფერებში გამოირჩევა ცისფერი და ყვითელი, ცისფერი და მწვანე, ცისფერი და ყავისფერი საღებავები. ზოგჯერ ორნამენტის კონტურები შავი საღებავითაა გამოყვანილი (მიწიშვილი 1974: 189-193). I, 2. თეთრი ანგობით დაფარული და ერთფერად მოჭიქული ჭურჭელი. ა) შტამპური ორნამენტით შემკული მოჭიქული ხელადების გარეპირი დაფარულია თეთრი ანგობით და გადავლებული აქვს ერთი ფერის (მწვანე, ცისფერი და სხვ.) ჭიქური. ხელადები შემკულია შტამპით შესრულებული წვეროსანი მამაკაცის რელიეფური სახით. ხელსაწინ

რამდენიმე სხვადასხვა შტამში ჰქონია. ბ) ფირუზისფერად მოჭიქული ჭურჭელი წარმოდგენილია ჯამებით, დერგებით, ხელადებით, ქილებით, კოჭბებითა და სხვ. ისინი სუფთად განლექილი მოწითალო თიხისაა, დაფარულია თეთრი ანგობით. ჯამები ორმხრივ ანგობირებული და მოხატულია. II. ყვითელი ანგობით დაფარული მოჭიქული ჭურჭლისათვის დამახასიათებელია სუფთად განლექილი მოყვითალო ან მოწითალო კეცი. უმრავლესობა დიდი ზომისაა. მათ ბორბლისებური ქუსლი და ბრტყელი ძირი აქვთ. შიდა და გარეპირის ნაწილი დაფარულია ყვითელი ანგობით. ა) მარმარილოსებური ორნამენტით შემკულ ჭურჭელში გამოყენებულია ყვითელი და მწვანე, წითელი და ყვითელი, მწვანე და ყავისფერი და სხვ. საღებავები. ბ) ყვითელი ანგობით დაფარული და ერთფერად (მწვანედ) მოჭიქული ჭურჭლის უმრავლესობა მცირე ნატყეხებითაა წარმოდგენილი. შიდა და გარეპირის ნაწილი დაფარულია ყვითელი ანგობით და მოჭიქულია მწვანედ. გ) მწვანე „ძარღვებით“ შემკული ლანგარი კეცით, ჭიქურით, ყვითელი ანგობით და სხვ. ემსგავსება მწვანედ მოჭიქულ ჭურჭელს. აღწერილი მოჭიქული კერამიკა XVII-XVIII სს-ით თარიღდება (მიწიშვილი 1974: 193-197).

ნარიყალას არქეოლოგიურ მასალაში განვითარებული შუა საუკუნეების ფაიანსის ორი ნატყეხია. ისმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა ირანის სეფიანთა ხანის (1502-1722) ნაწარმი. მცირე რაოდენობით გვხვდება თურქული ფაიანსიც. ირანულ ნაწარმში გამოიყოფა მთელი რიგი ჯგუფები. I. ჭურჭელი დაფარულია კობალტის ან სპილენძის გამჭვირვალე თუ გაუმჭვირვალე ჭიქურით. გვხვდება მოყავისფროდ და მწვანედ მოჭიქული ნატყეხებიც. ზოგიერთი ჭურჭლის ჭიქური სელადონის მონაცრისფრო-მომწვანო ფერსაც ჰბაძავს. ნატყეხები უფრო მეტად თევშებისა და თასებისაა. გვხვდება ლანგარის ნატყეხებიც, ასევე, დაძვრული რელიეფური ორნამენტით შემკული და ფარად ჭიქურით დაფარული ჭურჭელი. მათი ზედაპირი შემკულია რელიეფური ორნამენტით, რომელიც დაფარულია ლურჯი ან ფირუზისფერი გაუმჭვირვალე ჭიქურით. ამ ჯგუფის ფაიანსი XVII ს-ით თარიღდება (მაზიაშვილი 1974: 201-204). II. მოხატული და გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭელი დიდი რაოდენობითაა. 1. ლურჯად მოხატული, უფერული ჭიქურით დაფარული ჭურჭელი მრავალრიცხოვანია. წარმოდგენენ თეთრი, ლურჯად მოხატული ჩინური ფაიანსის მინაბამებს. მათ შორის გამოიყოფა ქ. ეზიდის, ქერმანისა და ქაშანის ნაწარმი. გამოირჩევა ფაიანსის დიდი ჯგუფი, რომლის კეცი მოვარდისფრო-მოყვითალო და ნასვრეტებიანია. ჭურჭელი დაფარულია თეთრი ანგობის სქელი ფენით და გადავლებული აქვს უფერული, გამჭვირვალე ჭიქური, რომელიც დამსკდარია და მეტწილად ირიზებული. ამგვარი კეცი დამახასიათებელია „ყუბაჩური“ ნაწარმისათვის. თეთრ, ლურჯად მოხატულ ირანულ ჭურჭელს შორის გვხვდება ნატყეხები, რომელთა წარმოების ცენტრის დადგენა ჭირს. ცალკე გამოიყოფა ამოკარული კონტურითა და კობალტით მოხატული უფერული ჭიქურით დაფარული ჭურჭელი. მათი უმეტესობა სხვადასხვა მოყვანილობის თევშები, ლამბაქები, ღრმა თასები და ჯამებია. მოხატულობაში ვხვდებით ჩინურ მოტივებს. ისინი XVII ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. 2. მრავალფერად მოხატულ, უფერული ჭიქურით დაფარულ ჭურჭელში გამოიყოფა: ა) თეთრანგობიანი ლურჯი, მომწვანო და მოყავისფრო საღებავით მოხატული XVII ს-ის ჭურჭელი (1 ც). ბ) ნაცრისფერანგობიანი, მწვანე, ყვითელი, წითელი და თეთრი საღებავით მოხატული ჭურჭელი (1 ც). შესაძლოა ის „ყუბაჩური“ ნაწარმი იყოს. გ) კობალტითა და წითელი ანგობით მოხატული ჭურჭელი. ზედაპირი თუ შიდაპირი (ფორმის მიხედვით) მთლიანადაა დაფარული მცენარეული ორნამენტით. დ) ლურჯი, მწვანე საღებავებითა და წითელი ანგობით მოხატული ნიმუში, რომელიც ერთი ერთეულია, თარიღდება XVII ს-ის მეორე ნახევრით. ვ) შავი საღებავით მოხატული და ფირუზისფერი გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭელი. ისინი უანგობაა. კერამიკა მოხატულია შავი, ზოგჯერ მწვანე საღებავით და გადავლებული აქვს გამჭვირვალე ფირუზისფერი ჭიქური. ამ ჯგუფის კერამიკა XVII ს-ის დასაწყისითაა დათარიღებული (მაზიაშვილი 1974: 204-216). III. ლუსტრით მოხატული ფაიანსი კეცით, ლუსტრის ფერით, ორნამენტითა და ჭიქურით სეფიანთა ირანის ნაწარმია და XVII ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. ჭურჭელი ფაქიზია, თხელკედლიანი და გამჭვირვალე. კეცი თეთრია. დაფარულია გამჭვირვალე, მომწვანო ელფერის ჭიქურით. ამგვარი ნაწარმი წარმოდგენილია თევშებითა და თასებით. შემკობის ტექნიკის მიხედვით, გვხვდება სადა, ამოკარული ორნამენტით შემკული და კობალტით მოხატული ჭურჭელი, რომელიც თარიღდება XVII ს-ის მეორე ნახევრით. განათხარ მასალაში მცირე რაოდენობით გვხვდება თურქული ფაიანსიც. მათში გამოიყოფა იზნიკისა და ქუთაჰის ჭურჭლის ნატყეხები. პირველი XVI ს-ის მეორე ნახევრით, მეორე კი XVIII ს-ით თარიღდება (მაზიაშვილი 1974: 216-219).

განათხარ მასალაში მინის ჭურჭელი და სარკმლის მინა გვიანი შუა საუკუნეებისაა. სითხის შესწავლად დიდი ზომის ჭურჭელში ხუთი ტიპი გამოიყოფა. I-ში ერთიანდება სურები (50 ც). ისინი მალაყელიანია, ტანგამობერილი, მაღალი კონუსური ძირით. ყელს სარტყელი ამკობს. დამზადებულია მოყვითალო, მომწვანო, მოცისფრო, ლურჯი, შაბიამისფერი, ზურმუხტისფერი და თაფლისფერი კრიალა მინისაგან. II ტიპის სურები (4 ც) პირგადაშლილია, მაღალყელიანი, დაბალი ტანითა და კონუსურად შედრეკილი ძირით. ყელზე შემოყვებათ წიბო. ზოგს პირის კიდზე ლურჯი მინის ძაფი აქვს დადნობილი. ნაკვეთბია მომწვანო მინისაგან. III ტიპის ჭურჭელს (6 ც) შედარებით დაბალი და განიერი ყელი აქვს. ძირი მცირედ შედრეკილია.

მათ ყელზე შემოყვება კბილანებიანი სარტყელი. დამზადებულია ცისფერი, მწვანე და მოყვითალო მინისაგან. IV ტიპის ჭურჭელი მალაყელიანი ბოთლებია (15 ც). ყელი უშუალოდ გადადის მსხლისებურ ტანში. ძირი შედრეკილია. ზოგიერთ მათგანს პირზე ლურჯი მინის ძაფი აქვს დადნობილი. ნაკეთებია თეთრი ან მოყვითალო მინისაგან. V ტიპი პირი ყურჭლითაა წარმოდგენილი. მისი სქელი ზირი ჭურჭლიანი გამოიყოფა. ტანი მსხლისებურია. ძირი მცირედ შედრეკილი. ნაკეთებია მოცისფრო, სქელკედლიანი მინისაგან (ჩხატარაშვილი 1974: 221-223). ქილისებური ჭურჭელი 12 ერთეულია. ისინი სწორკვერდიანია, პირგადაშლილი, შედრეკილიანია. დამზადებულია მომწვანო, თეთრი ან იასამნისფერი მინისაგან. მინის მათარის ტანი ორმხრივ დაბრტყელებულია. ძირი ოვალურია, მცირედ შედრეკილი. მინის ნაწარმში მათარის ძირების 9 ფრაგმენტია გამოვლენილი. ისინი დამზადებულია მომწვანო, მოცისფრო, მოყვითალო მინისაგან. ცალკე ჯგუფად გამოიყოფა თეთრი ან მოყვითალო მინისაგან ნაკეთი ჭურჭელი. ისინი რამდენიმე ტიპად იყოფა. I ტიპს აქვს მცირედ შედრეკილი ძირი, რომელიც გადადის დაბალ ფენში. ტანი მცირედაა გამოხედილი. ყელი მაღალი და ვიწროა, პირი სწორი. ტანი და ყელის ნაწილი მდიდრულადაა შემკული ლურჯი მინის დაკეჭნილი სარტყლებით (5 ც). II ტიპის ჭურჭელი 1 ერთეულია. აქვს მაღალი, ძაბრივით გადაშლილი ყელ-პირი, რომელიც შემკულია წვრილი ლურჯი ძაფებით. III ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტები მაღალია, ცილინდრულყელიანი. პირზე და ყელზე ლურჯი მინის ძაფები და თავისივე ფერის მსხვილი, დაკეჭნილი სარტყელი შემოყვება. ყელზე ვერტიკალურად დადნობილია ოთხი ზამბარისებური რელიეფური ლურჯი ძაფი, რომელიც დაბრტყელებული ლილაკით ბოლოვდება (2 ც). IV ტიპის ჭურჭელის ცილინდრული ყელი III ტიპისაგან განსხვავებით ჰორიზონტალურადაა შემკული ლურჯი ძაფებითა და დაკეჭნილი სარტყლებით. ცალკე გამოიყოფა დეკორატიული ჭურჭლის ძირ-ქუსლები. ა) ძირ-ქუსლი (8 ც) ფართოა, ორმაგკედლიანი. ქუსლი ტანისაგან გამოყოფილია ამოზიდული „კოპით“. ბ) დაბალი, გამოძერწილი ფუფე ფეხი, რომელიც სრულდება შიგნიდან შედრეკილი ქუსლით. ფეხი ორგვლივ შემკულია ლურჯი მინის ტალღისებური ხეყულებით. გ) დაბალი ფეხი შედგება ერთიმეორეზე გადაბმული ორი დაღარული ბურთულისაგან და სრულდება შედრეკილი ქუსლით. დ) იმეორებს აღწერილ ნიმუშს, ოღონდ დამატებითაა შემკობილი ლურჯი მინის ძაფებით. ჭურჭელი დამზადებულია ჩაბრვით (თავისუფლად და ფორმად). შესამკობად გამოყენებულია როგორც ცივი, ისე ცხელი დამუშავება. ციტადელზე აღმოჩენილი მინის ჭურჭლის უმრავლესობა ადგილობრივი ნაწარმია. ზოგიერთი იმპორტულია. მინის ჭურჭელი ძირითადად XVII ს-ის მეორე ნახევრითა და XVIII ს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება (ჩხატარა-

რაშვილი 1974: 223-229). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი).

კალას ტერიტორიაზე, კერძოდ, ერეკლე II-ის მოედანზე ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლენილია სხვადასხვა პერიოდისა და დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები. განათხარ მასალაში წარმოდგენილია ადრე, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების მრავალრიცხოვანი თიხის, მინის, ძვლის, ლითონის ნაწარმი. მოუჭიქავი კერამიკიდან გვხვდება: თინეები, ქვევრები, ღერვები, ქოთნები, ქვაბქოთნები, ქილები, ხელალები, დოქები, ჯამები, ლანგრები, ხუფები, ჭრაქები, სფეროკონუსები. იქვეა გამოვლენილი სამეთუნეო საქმისათვის განკუთვნილი თიხის სამეფეხები. მოჭიქული კერამიკა ძირითადად ერთფრად და მრავალფრად მოჭიქული ჯამებია. მათ ვარდა გვხვდება სამაროლები, ჭრაქები. გათხრებისას აღმოჩენილია ფიანისის ფრაგმენტებიც. მინის ჭურჭლიდან აღსანიშნავია სანელსაცხებლე, ჭიქები, ფიალები და სხვ. მინის სამკაულები სხვადასხვა ფერის სამაჯურებია. ძვლის ნივთებს შორის გამოიყოფა: ტყავის დასამუშავებელი იარაღები, კვირისტაფები, ბეჭედი და სხვ. ლითონის სამკაულებიდან აღსანიშნავია ადრე შუა საუკუნეების ბრინჯაოს ორი აპზინდა, თვალბუდიანი ბეჭედი, აქატის ქვის გემით, რომელზეც „მტრისული მანერით“ შესრულებულია მამაკაცის პორტრეტი (გმელიშვილი, ტყემელაშვილი 1961: 44-55). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი).

გათხრებისას გამოვლენილი ქართული მონეტებიდან ყველაზე ადრეულია დემეტრე I-ის (1125-1156) ხუთი მონეტა; გიორგი III-ის (1156-1184) ოთხი მონეტა. მათგან ორი თამართან ერთადაა მოჭრილი. იქვეა აღმოჩენილი თამარის (1184-1207) და გიორგი-ლავას (1207-1222) მონეტები. სამი მათგანი განისაზღვრა როგორც XV ს-ის ფული. ერეკლე II-ის (1744-1798) სახელით სამი მონეტაა მოჭრილი. ოთხი რუსულ-ქართული სპილენძის ფულია. უცხოური მონეტებიდან თორმეტის განსაზღვრა ჭირს. ყველაზე ადრეულია V-VI სს-ის სასანური მონეტა. VIII-IX სს-ის ქუფური ფელსები 24 ერთეულია. ბიზანტიური მონეტა წარმოდგენილია იმპერატორ კონსტანტინე X-ის (1059-1067) სპილენძის ფულით. გათხრებისას აღმოჩენილია XII ს-ის ოთხი შირვანული და დარუბანდის ამირების სპილენძის ორი მონეტა. სამი ცალია XIII ს-ის თბილურ-მონღოლური სპილენძის ფული. იქვეა აღმოჩენილი XIV ს-ის ჰულაგუიდური, აგრეთვე XVII-XVIII სს-ის ირანული, XVIII ს-ის თურქული და რუსული მონეტები (ჯვალაღანი 1974: 108-114). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი).

ერეკლე II-ის მოედანთან მდგარი „გიორგი XII-ის სასახლის“ კარის ეკლესიის ეზოს გათხრებისას გაირკვა, რომ ეკლესია XVIII ს-ზე ადრეული ძეგ-

ლია. მის დასავლეთ კედელზე მიწნებული იყო აგურით ნაგები სამარხები, რომლებშიც გამოვლინდა XIII-XIV სს-ის ნივთები: მწვანედ მოჭიქული ჯამი, მინის სამაჯურები და სხვ.

განათხარ ფართობზე გამოვლინდა ოთხი ფენა. ზედა ორი XVIII-XX სს-შია წარმოქმნილი, მესამე ფენა – XVI-XVII სს-ში. მეოთხეში გამოვლენილია სასახლის ნანგრევები. იმავე ფენაში აღმოჩენილი განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მოჭიქული კერამიკის ნიმუშები (ართილაყვა ... 1978: 85, 86). შემდგომში, სასახლის ნანგრევების გარდა, იქ აღმოჩნდა აგურით ნაგები, აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი 14 სარკოფაგი. თითოეულ მათგანში ესვენა რამდენიმე მცველებული. სამარხებში აღმოჩნდა კერამიკული ნაწარმი, სამკაულები და მონეტები. სარკოფაგები თარიღდება IX-XIV სს-ით (ტყეშელაშვილი 1997: 118-120). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი).

კალას ტერიტორიიდან ცნობილია შემოხვევითი აღმოჩენები. 1904 წ. მაიდანთან ქარვასლის მშენებლობისას აღმოჩნდა 700-800 ცალი სასანური და ბიზანტიური მონეტისაგან შემდგარი განძი. სასანური მონეტები უპირატესად შედგებოდა ხოსრო II-ის (590-628) დრაქმებისაგან. განძში იყო პორმიზდ IV-ის (579-590) დრაქმა. ბიზანტიური მონეტების უმრავლესობა ეკუთვნოდა ჰერაკლე კეისარს (610-641), ნაწილი ირაკლი-კონსტანტინეს (ჯალალანია 1979: 19, 20).

1953 წ. მეტეხის ხილთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, შპ ისმაილის მეჩეთის ნანგრევების ვაჭმენდისას აღმოჩნდა განძი, რომლიდანაც 411 მონეტა მოხვდა ს. ჯანაშიას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. აქედან ერმიტაჟსა და ს. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმს გადაეცა ორ-ორი, მოსკოვის ისტორიულ მუზეუმს – სამი მონეტა. ამავე განძს უნდა ეკუთვნოდეს შემდგომში მუზეუმში შემოსული 6 მონეტა. მათ შემდეგ მიემატა იმავე ადგილას ნაპოვნი 12 მონეტა, რომლებიც ტფილისის ამირა ალი იბნ ჯაფარისაა (XI ს) (ჯალალანია 1979: 65, 66).

ბიბლიოგრაფია: *ანჯლოლო 1981: 78; ართილაყვა ... 1978: 81-86; არჩვაძე 1974: 174-188; 1978: 112, 115, 117, 118, 120, 121, 124, 126, 129, 130; არჩილი 1989: 466; ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 88; ბერიძე 1960: 14; გვრიტიშვილი 1958: 7; გიულდენშტედტი 1962: 87; გორგიჯანიძე 1926: 4, 9-11, 25, 27, 28, 42, 78-81, 83, 84, 88, 93; გბელიშვილი, ტყეშელაშვილი 1960: 175-182; 1961; დოკ. თბ. ისტ. 1962: 7, 11, 48, 53, 68, 80, 86, 111, 124, 167, 265, 291, 295; დონიჯი კარლი 1951: 170, 173-175; ელიზბარაშვილი, თუმანიშვილი 1975: 10-13; თბილისის ისტორია 1990: 50, 51; იესე ოსეს ძე 1940: 134; იოსელიანი 1844: 117; 1866: 249-252; კვიციანი 1985: 48-50; კიპაროძე 1975: 14-21; კონტარინი 1894: 45-61; ლომთათიძე 1960ა: 161, 162, 170; 1968: 42-44; 1977: 100; ლომთათიძე,*

გბელიშვილი 1956: 21-23; ლომთათიძე ... 1967: 77-83; ლომთათიძე ... 1969: 38-39; ლომთათიძე ... 1971: 99-104; ლომთათიძე ... 1971ა: 27-32; 1971ბ: 236-242; ლორთქიფანიძე 1955; მაიააშვილი 1974: 201-220; მესხია ... 1958: 166; მინდაძე 1977: 8-15; მიწიშვილი 1974: 189-200; მოპაძე თაჭერი 1954: 381; მუნში 1969: 24, 30, 33, 34, 62, 64, 91, 95, 101, 124-126; მუნში 1981: 54, 60; მუსტაფა ალი 1962: 256; მქ 1963: 92, 95, 96; სელიანიძე 1960: 263, 268, 269; სამი თურქული საბუთი ... 1987: 76, 78, 86, 90-92; საქ. მუზეუმის ... 1949: 30, 38, 90; სამყაროს საკვირველებანი 1978: 28; სიმონ მეფის არხა ... 1980: 161; ორბელიანი 1981: 141, 146, 148, 157; ორი თურქული ფირმანი ... 1993: 260, 261, 263; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 86, 89, 91; სპარ. ისტ. საბ. 1962: 72, 73; 1965: 4; ტურნეფორი 1988: 65; ტფილელი 1989: 627; ტყეშელაშვილი 1966: 13-64; 1997: 118-120; ფეჩვი 1964: 41, 54, 78; ფიცხელაური 1959: 110; ჩელები 1978: 117, 118, 134, 248, 253; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 512; ქართულ-სპარსული ... 1984: 34; ქრონიკები 1892: 57, 62, 67, 68; 1967: 194, 431; ქც 1: 136,13,20; 181,21; 223,12,13; 225,4,8,9; 373,23; 374,23; 375,8; ქც 2: 328,7,9,11,14,16,18; 323,15-17; 344,3,11,30,31; 345,1; 365,15; 367,10; 374,14,16; 410,24,26; 413,8,9; 449,23,32; 450,6,18,21-23; 462,25,26,29-31; 485,2,4,6; ქც 4: 119,9; 146,24; 202,25; 333,28,29; 334,2,4,6,17,19-22,სქ.2; 335,1; 337,2,8,9,14; 338,1; 385,9; 402,18; 406,27; 426,24; 432,15; 434,17,18; 463,20; 465,25; შაიშველაშვილი 1987: 43-59; შარდენი 1975: 313, 319, 389, 397; ჩელები 1971: 292-295, 335; ჩელები 1978: 117, 118, 134, 248, 253; ჩელები ზადე 1973: 327; ჩხატარაშვილი 1974: 221-233; ჩხვიძე 1913: 35-37, 50-56; ჭილაშვილი 1968: 15, 77, 89; 1970: 52, 56, 58; ხერხეულიძე 1913: 250, 251; ხვედელიძე 1981: 92-101; ჯალალანია 1974: 106-119; 1979; ჯანაშია 1949: 11-13; პაჯი მეჰდი ყული ყაჯარი 1942: 94, 96.

პალმახი, ციხე (ქც 4: 126,9; 147,27; 683,1,4, 695,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 126,9; 147,27; 683,1,4; 695,17), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 244,12), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 304,22), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქც 1: 379,24), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 213,14), „ნოტიცია ანტიონისა“ 1055 წ. იერუსალიმურ-ბერძნული ხელნაწერი, ვატიკანისა და ენმინდინის ორი სომხური ხელნაწერი (ბენეშევიჩი 1927: 106; კონიბერი 1896: 125, 126; ფინკი 1902: 16). კალმახის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „არტანუჯის მდინარის შესართავს ზეით, ჭოროხს მოერთვის თორთომის მთიდან გამომდინარე წყალი, რომელი მოდის აღმოსავლეთად. ამ ხევზედ არს ციხე კალმახისა, რომელი ალაშენეს პიტიახშთა, დიდ-შენი, მაგარი და შუვალი. იყო საერისთაო ტაოსი“ (ქც 4: 683,2-8).

ლოკალიზდება ქართულ ისტორიულ პროვინცია ტაოში. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში. ციხის ადგილმდებარეობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ვახუშტი ბაგრატიონი მას მართებულად არ განსაზღვრავდა. კალმახის ციხეს აიგივებენ ქაჯის ციხესთან (შაითანკალე) (ტიერი 1960: 58, 59); ვანქის (ვანქეთის) ეკლესიის მაღლა არსებულ ციხესთან (თაყაიშვილი 1938: 15); არსებობს კალმახის ციხის ლოკალიზაციის მცდელობა მდ. ოლოუ ჩაის ნაპირთან იშნანსა და ფანასკერტს შორის; ფენიქის (ოლთუ-ფენიქის) ველის მაღლა, მდ. ოლოუჩაის ნაპირას, ოლურსა და ოლანს შორის (ედვარდსი 1985: 32). კალმახის ციხე იდენტიფიცირებულია კამხის კალესთან (ბაუმგარტნერი 1993). კამხის კალე ანუ კალმახ-ციხე აგვირგვინებს მთას, რომელიც კუმურლუს ველზეა აღმართული, ზღვის დონიდან 1650 მ სიმაღლეზე, ჰარავ კილისეს ნანგრევებიდან 8 კმ-ის მანძილზე.

IX ს-ში ტაო და კალმახის ციხე ქართველი მეფეების სამეფოდ იყო. XI ს-ში ის განსაკუთრებულ როლს თამაშობდა მეფე ბაგრატ IV-ისა (1027-1072) და დიდმოთავარ ლიპარიტს შორის ურთიერთობაში. მას შემდეგ, რაც ლიპარიტმა ბიზანტიის დანხარებით ტაო-კლარჯეთი დაიპყრო, მას აუჯანყდა სულა, კალმახის ერისთავი. სულამ ის შეიპყრო, კალმახის ციხეში გამოამწყვდია და ციხე აშენებდა ბაგრატ IV-ს ამცნო. ამისათვის მეფემ სულა კალმახელი გულუხვად დააჯილდოვა (ქც 4: 147,22; 148,28). რუსუდან დედოფლის გარდაცვალების შემდგომ ერზინკის სულთანმა და სხვა ემიგრებმა გამოილაშქრეს საქართველოსაკენ. მათ წინააღმდეგ ყუარყუარე ციხისჯვარელ-ჯაყელი, რომელიც ლაშქრით „მოვიდეს თავსა კალმახისასა“ (ქც 2: 213,14).

კალმახის ციხე (კამხის კალე) არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

კამხის კალე აგებულია მთის წვერზე. მთის მასივი ხელოვნურადაა ჩაკეტილი მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ციხე იყო აღმართული. ჩრდილოეთ მხარეს დაახლ. 30 მ სიგრძეზე შემორჩენილია გალავნის ნაწილი, შუაში ორი წრიული კოშკით. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში განიხრევა მესამე კოშკის ფუნდამენტი. გალავანი აგებულია უხეში ფლეთილი ქვით დულაბზე. გალავნის შიდა სივრცე შედგებოდა ორი თავდაცვითი ზონისაგან. სამხრეთის მხარე უფრო ცუდად იყო დაცული. იქ კლდე ჩამოშლილია. კარიბჭე უნდა ყოფილიყო შუამდებარე ორ კოშკს შორის. კალმახის ციხე XVII ს-ში მიატოვეს ქართველებმა (ბაუმგარტნერი 1993: 325, 326).

ბიბლიოგრაფია: *ბაუმგარტნერი 1993: 315-327; ბენეშევიჩი 1927: 106; ედვარდსი 1985: 15-37; თუმანოვი 1881; თაყაიშვილი 1938: 15; კონიბერი 1896: 125, 126; ტიერი 1960: 58, 59; ტიერი 1968; ფინკი 1902: 16; ქც 1: 244,12; 304,22; 379,24; ქც 2: 213,14; ქც 4: 126,9; 147,27; 683,1,4; 695,17.*

კამბეჩოანი, ქალაქი (ქც 1: 201,3). იხსენიება ჯუანშერის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 201,3).

ჯუანშერი კამბეჩოანის შესახებ ვაძვინებდა ვახტანგ გორგასლის მეფობისას „მოვიდა ხუასრო მეფე და შემუსრნა ქალაქი კამბეჩოანი, და ჭერემისა და ველის-ციხე“ (ქც 1: 201,3,4). ჯუანშერის გარდა, არც ერთი ქართული თუ უცხოური წყარო კამბეჩოანს ქალაქად არ მოიხსენიებს. იგი ყველგან მხარეა. ქალაქ კამბეჩოანში ამ შემთხვევაში იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარის კამბეჩოვანის ცენტრი ხორნაბუჯი (მუსხელიშვილი 1967: 119) (იხ. ხორნაბუჯი).

ბიბლიოგრაფია: *მუსხელიშვილი 1967: 119; ქც 1: 201,3; შაიშელაშვილი 1969: 40-49.*

კაპოეტი, ციხე (ქც 4: 133,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 133,20), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 264,4,6), სტეფანე მტკეპეარის „გობრონის მარტვილობა“ (მარტვილობაი გობრონისი 1946: 82).

მდებარეობს მდ. ბზიფის (მდ. კაპოეტის წყლის) ხეობაში. ციხის ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დგინდება. შესაძლოა, ის წარმოადგენდეს მდ. ბზიფის მარჯვენა ნაპირზე, გაგრის მუნიციპში მდებარე სოფ. ბზიფის IX-X სს-ის ციხესიმაგრეს.

ციხე წყაროებში პირველად იხსენიება X ს-ში. 914 წ. სომხეთსა და საქართველოში აბულ-კასიმის შემოსევების გამო კაპოეტის ციხეს თავი შეაფარა დგინიდან გამოქცეულმა სომეხთა მეფე სუმბატმა. ის შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს (მარტვილობაი გობრონისი 1946: 82).

კაპოეტის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბერძენიშვილი 1966: 278; მარტვილობაი გობრონისი 1946: 82; ქც 1: 265,4,6; ქც 4: 132,20.*

პარაღმთი (ნაჭარმაგვეი) (ქც 4: 368,24,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 152,6; 156,3; 157,22; 166,23; 170,20; 177,23; 178,28; 191,19, სქ. 1; 204,5; 368,24,სქ.3; 369,2), „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1: 324,19; 332,18), „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“ (ქც 2: 7,8; 20,7,10; 51,2; 54,12,19), ბასილი ეზოს-მოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქც 2: 144,12), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 183,2), ხელმწიფის კარის გარეგება (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 89), ნიკო დადიანი „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 99), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 40), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 240), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 6, 20; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 270, 315, 685; საქ. სიძ. 1920: 91, 95; მასალები ქართ. სამეფოს ... 1964: 5, 143; მასალები

საქ. ეკ. ისტ. 1955: 104, 137), ჩილდირის ვიალეთის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ... 1979: 192), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 279).

ვახუშტი ბაგრატიონი კარალეთ-ნაჭარმაგვეის შესახებ გადმოგვცემს: „გორს ზეით ლიახეს ერთის გორისავე ჭალისა და ნაჭარმაგვეისა წყალნი. ნაჭარმაგვეი იყო საღურთ მუფეთა და კეთილსანადირო, და აწ კარალეთად წოდვილი, ადგილი ტურფა, ჭალიან-მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინველიანი“ (ქც 4:3 68,23-26).

მდებარეობს გორის მუნიციპ-ში, გორიდან 8 კმ-ის დაშორებით, გორი-ცხინვალის საავტომობილო გზაზე, სოფ. კარალეთის ტერიტორიაზე. ნაჭარმაგვეი წარმოადგენს კარალეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ნაწილს. გადმოცემით ნაჭარმაგვეი სოფელს დარქმევია. იმის გამო, რომ აქ ამოუკვლია ცხინვალს მიმავალ თამარ მეფეს (1184-1207) ცხენით, რომელსაც ნაჭარმაგვეი რქმევია. ცხენი ამ ადგილზე მომკვდარა და მასაც ნაჭარმაგვეი დაერქვა. სხვა ვერსიით „ნაჭარმაგვი“ ნაშრომს ნიშნავს (მეგრელიძე 1984: 35).

დავით აღმაშენებლის გამეფების დროს (1089-1125) მეფეთა სანადირო ნაჭარმაგვეს ყოფილა (ქც 1: 324,19). 1115 წ. დავითი ნაჭარმაგვეს იღვა, როცა თრიალეთის მხრიდან საქართველოს თურქები შემოესივნენ. დავითი ნაჭარმაგვეიდან ტანას ხეობით ერთ დღეში გადავიდა თრიალეთს და მტერი დაამარცხა (ბერძენიშვილი 1966: 21-24). 1178 წ. მეფე გიორგი III-მ (1156-1184) თამარი მეფედ გამოაცხადა ნაჭარმაგვეს (ქც 2: 20,9-12). 1191 წ. თამარ მეფის წინააღმდეგ აჯანყებული გიორგი რუსის მომხრე დიდებულებმა მოაოხრეს ნაჭარმაგვეი გორამდე (ქც 2: 51,1,2). თამარი ნაჭარმაგვეს დასწულდა (ქც 2: 144,10-18). 1234 წ. ნაჭარმაგვეში შეიკრება ჯალალედინის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველთა ლაშქარი (ქც 4: 204,4,5). კონსტანტინე II-მ (1478-1505) კარალეთი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი უბოძა (გვრიტიშვილი 1955: 12; გვასალია 1983: 75,სქ.40). 1703 წ. საბუთით კარალეთის ჭალა ნაკოშკარისა და მეფის წყაროს ზევით ეკუთვნოდა ქსნის ერისთავებს, ქვეითი – თუმანიშვილებს (გვასალია 1983: 76). 1756 წ. ივლისში ლეკის ჯარი თავს დაესვა კარალეთის ციხეს. მათ აიღეს ქვედა გალავანი და წაიღეს ალაფი. თეიმურაზ II (1744-1762) და ერეკლე II (1744-1798) ლეკებს დაეწვივნენ და დაამარცხეს (ორბელიანი 1981: 240). XVIII ს-ის ბოლოს კარალეთი ერისთავების კუთვნილებდა (გვასალია 1983: 76). ნაჭარმაგვე-კარალეთზე მნიშვნელოვანი გზები გადიოდა: ნაჭარმაგვეი – მუხრანი; კახეთი – მუხრანი – ნაჭარმაგვეი; ნაჭარმაგვეი – გორი – ტანას ხეობა – თრიალეთი (ბერძენიშვილი 1966: 21-24, 27, 33, 46, 47).

კარალეთში შემთხვევით აღმოჩენილია ბრინჯაოს ყუამილიანი ცული. 1955 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. ბერძენი-

შვილი) კარალეთში მიაკვლია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორა-ნამოსახლარს, სადაც ზედაპირულად აიკრიფა: კაჟის ნამგლის ჩასართები; კაჟის ლამელა; ბრინჯაოს მძივის ნატეხი; სარდინონის კასრისებრი მძივი; შავად და წითლად გამოწვარი თიხის პრიალაზედაპირიანი ჭურჭლის ნატეხები, შემკული ირიბი შტრიხების სარტყლით, რელიეფური ხაზებითა და რომბებით (მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 192, 193; სძა 1990: 73). კარალეთში შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები (გვასალია 1983: 52).

ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (7,9X5,3 მ) დგას სოფლის ჩრდილოეთით სასაფლაოზე. თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. ნაგებია რიყის ქვით კირხსნარზე, აქვს თლილი ქვის ლავგარდანი და კრამიტის სახურავი. შესასვლელი სამხრეთითაა. აფსიდა ნახევარწრიულია. საკურთხევლის წინ დგეს განიერი სატრაპეზო ქვა (სძა 1990: 74).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 40; ბერძენიშვილი 1966: 21, 23, 24, 27, 33, 46, 47; გვასალია 1967: 57-120; 1982:29-57; 1983: 73, 75-77, 117, 120; გიულდენშტედტი 1962: 279; დადიანი 1962: 99; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1953: 6, 20; მასალები ქართ. სამეფოს ... 1964: 5, 143; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 104, 137; მეგრელიძე 1984: 35-44; მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 185-196; ორბელიანი 1981: 240; საქ. სიძ. 1920: 30, 31; სძა 1990: 73, 74; ქც 1: 324,19; 332,18; ქც 2: 7,8; 20,7,10; 51,2; 54,12,19; 144,12; 183,2; ქც 4: 152,6; 156,3; 157,22; 166,23; 170,20; 177,23; 178,28; 191,19,სქ.1; 204,5; 368,24, სქ. 3; 369,2; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 89; 1981: 68, 514; ჩილდირის ... 1979: 192.

პარბი (ქც 4: 412,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 412,8), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 309,19), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 98, 99; 1972: 434, 521; 1974: 259; 1981: 179, 351, 369, 397; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 118; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 83, 155; 1955: 63, 107, 137), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1989: 54), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 40), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 271).

მდებარეობს გორის მუნიციპ-ში, მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე, გორიდან ჩრდილოეთით, 25 კმ-ის დაშორებით, თანამედროვე სოფ. კარბის ტერიტორიაზე.

1068 წ. საქართველოს შემოესია თურქ-სელჩუკთა სულთანი ალფ-არსლანი (1063-1072) რომელიც სოფ. კარბში დაბანაკდა (ქც 1: 309,17; ჯავახიშვილი 1983: 39). XIV ს-ში კარბი ეკუთვნოდა ქვენიფ-ნეველებს (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 118). XVI ს-ის მეორე ნახევარში მითვისებული კარბი

ბარძიმ ამილახვარმა დაუბრუნა ქართლის მეფე სიმონ I-ს (1556-1569; 1578-1600) (ქც 4: 412,8).

კარბი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

მის ტერიტორიაზე რამდენიმე ეკლესიაა: გვიანი შუა საუკუნეების ღვთისმშობლის სახ. დარბაზული ეკლესია (8,3X4,8 მ) დგას სოფლის ცენტრში. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. სწორკუთხა საკურთხეველში ერთი სარკმელია. სახურავზე, დასავლეთით, აგურის მცირე სამრეკლოა (სმა 1990: 75).

წმინდა მარინეს სახ. დარბაზული (6,7X4,6 მ) ეკლესია დგას სოფლის განაპირას, სამხრეთით, მდ. პატარა ლიანვის მარცხენა ნაპირზე. ნაგებია რიყის ქვით. სწორკუთხა აფსიდაში ერთი სარკმელი და ერთი სწორკუთხა ნიშია. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა.

წმინდა სამების სახ. დარბაზული (11X8 მ) ეკლესია დგას სოფლის განაპირას, სამხრეთით. ნაგებია ტუფის ქვათილებით. აფსიდა ნახევარწრიულია. სამხრეთის ფასადზე ქტიტორის რელიეფური გამოსახულებები და ძლიერ დაზიანებული ასომთავრული წარწერაა. ეკლესია თარიღდება XVI-XVII სს-ით. XIX ს-ის ბოლოს ეკლესიის სახურავზე, დასავლეთით დაუდგამთ ოთხსვეტიანი სამრეკლო (სმა 1990: 75).

სოფელში სამი კოშკია: ერთი (დავითაშვილების ციხე) დგას სოფლის ცენტრში, გვემით ოთხკუთხაა (7,9X9,8 მ). ნაგებია რიყის ქვით. კოშკს ოთხივე კედელზე თითო ნახევარწრიული კონტრაფორსი აქვს. შემორჩენილია ოთხი სართული. ყველა მათგანის კედლებში სათოფურებია. კოშკი თარიღდება XVII-XVIII სს-ით. მეორე (გნოლიძეების ციხე) დგას სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში. გვემით გარედან წრიულია (დმ 7,8 მ), შიგნიდან სწორკუთხა (4,8X4,4 მ). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. თარიღდება XVI-II ს-ით. მესამე კოშკი (ზუბაშვილების ციხე) დგას სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში. გვემით მრგვალია (დმ 8 მ), შიგნით სწორკუთხა (4,4X3,9 მ). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. თარიღდება XVIII ს-ის შუა ხანით (სმა 1990: 74, 75).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 40; ბერიძე 1983: 176; გიულდენშტედტი 1962: 271; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 83, 155; 1955: 63, 107, 137; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 118; სმა 1990: 74, 75; 412,8; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 98, 99; 1972: 434, 521; 1974: 259; 1981: 179, 351, 369, 397; ქც 1: 309,17; ქც 4: ხერხეულიძე 1989: 54; ჯავახიშვილი 1983: 39.*

პარლანახი (ქც 4: 543,10; 544,8; 617,29). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 543,10; 544,8; 617,29), XV, XVII-XIX სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1920: 14, 16; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 398; 1953: 268, 275; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 118; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 230; 1974: 47, 306, 356, 385, 421, 422; 1977: 50; 1981: 72, 78, 454, 625; 1985: 69, 78; საქ. ისტ. ქრონიკები

... 1980: 51, 107; ქართულ-სპარსული ... 1955: 379; 1984: 42, 44), იესე ოსეს ძის „თავგადასავალი“ (თავგადასავალი ... 1913: 38, 45), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 68), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 29, 261). მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, გურჯაანიდან 14 კმ-ის დაშორებით, დღევანდელი სოფ. კარდანახის ადგილზე.

არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

კარდანახიდან ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები. 1924 წ. სოფელში მშენებლობის დროს გამოვლინდა ვერცხლის მონეტების განძი. შედგება შვიდი ყაენური და ერთი ქართულ-ჰულაგუიდური დირჰემისაგან, რომელიც მოჭრილია აბალა ყაენის სახელზე XIII ს-ის 80-იან წლებში (ჯვალაღანია 1979: 130). მონეტები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

აქვე ინახება 1932 წ. კარდანახში აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის ბრინჯაოს ე. წ. „კახური ტიპის“ სატევარი (ფიცხელაური 1959: 10; 1973: 180).

კარდანახში, საბაწმიდის ეკლესიიდან ჩრდილო-დასავლეთით ასილივ მეტრზე მდებარეობს VI ს-ის დარბაზული ეკლესია. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. ნაგებია რიყის ქვებით კირხსნარზე. გამოყენებულია შირიმის ქვებიც (ჩუბინაშვილი 1959: 143-147). საბაწმიდის ეკლესია გუმბათიანია. ნაგებია აგურით. აქა-იქ გამოყენებითაა რიყის ქვა. ფასადი შემოსილია შირიმით. გვემით სწორკუთხაა, რამდენადმე მოგრძო აღმოსავლეთ და დასავლეთი მკლავებით. შესასვლელი დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. თორმეტსარკმლიანი ცილინდრული გუმბათი ეყრდნობა საკურთხევის აფსიდის შევრილებს და დასავლეთის ორ სვეტს. საკურთხეველი კარებებით უკავშირდება ვიწრო და დაბალ სამკვეთლოსა და სალიაკუნს. საკურთხეველში სამი სარკმელია. მათ ქვეით ზეით მცირე ზომის ნიშია. ეკლესიას აქვს ზედა სართულიც. ფასადები ორნამენტირებულია. ჩრდილოეთი შესასვლელისათვის მოუშენებიათ ორსართულიანი აგურის სამრეკლო. სამხრეთი მხრიდან მოუშენებიათ პატარა ეკლესია. საბაწმიდის ეკლესია – XIII, სამრეკლო კი XVI ს-ით თარიღდება. აქ მონასტერი უნდა ყოფილიყო, რაზეც მოუთითებს მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნანგრევები (ჩუბინაშვილი 1959: 426-429, 494, 495).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 68; გიულდენშტედტი 1962: 29, 261; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 398; 1953: 268, 275; თავგადასავალი ... 1913: 38, 45; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 118; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 51, 107; საქ. სიძ. 1920: 14, 16; ფიცხელაური 1959: 110; 1973: 180; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 230; 1974: 47, 306, 356, 385, 421, 422; 1977: 50; 1981: 72, 78, 454, 625; 1985: 69, 78; ქართულ-სპარსული ... 1955: 379; 1984: 42, 44; ქც 4: 543,10; 544,8;*

617,29; ჯგალანია 1979: 130; ჩუბინაშვილი 1959: 143-147, 426-429.

პართუზნის ციხე (ქვ 4: 544,10, სქ. 2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 544,10, სქ. 2), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 71, 79).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ხოლო ნენის წყლის ზეით (მდ. ალაზნის შენაკადი), ჩდილოთ კერძ, ველსა ზედა, არს ციხე კართუზნისა და აწ ცალციხე“ (ქვ 4: 544,10). „არს მთაში ეკლესია წმიდისა გიორგისა, უგუმბათო, კეთილს ადგილას. ამის ზეით არს ზეიფო მცირე კართ-უზნისა ანუ გურჯაანისა“ (ქვ 4: 544,10, სქ. 2).

კართუზნის ციხე ლოკალიზდება გურჯაანის მუნიციპალიტეტში. ალაზნის ვალში.

იოანე ბაგრატიონი კართ-უზანს მოიხსენიებს, როგორც ალაზნანგაღმა სამეფო, სათავადო, საეკლესიო სოფელს (ბაგრატიონი 1986: 71). აგრეთვე სამოვარ, სათიბსა და სამეფო სანადირო ადგილებს შორის (ბაგრატიონი 1986: 79).

კართუზნის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. **ბიბლიოგრაფია:** ბაგრატიონი 1986: 71, 79; ქვ 4: 544,10, სქ. 2.

პარწახი, სოფელი (ქვ 4: 719,28). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 719,28), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქვ 2: 519,24), „მესხური მატთანე“ (მესხური მატთანე 1961: 44).

მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, საქართველო-თურქეთის თანამედროვე საზღვრის პირას, ხოზაფინის (კარწახის) ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე, თანამედროვე სოფ. დიდი კარწახის ტერიტორიაზე.

1576 წ. 19 ივლისს ყვარყვარე ათაბაგი თავისი ჯარით კარწახს დაბანაკებულა (ქვ 4: 719,28). ამავე საუკუნიდან თურქების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ, კარწახი შედის ახალქალაქის ლივანში (ბერძენიშვილი 1985: 113). XIX ს-ის 30-იან წლებში ის კარწახის სანჯაყის ცენტრია (ლომსაძე 1975: 268).

1979 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ქვის ხანის ექსპედიციამ (ხელმძღვ. მ.გაბუნია) დაზვერა სოფელი დიდი კარწახი და მისი მიდამოები, სადაც აღმოჩნდა გვიანბრინჯაოსა და შუა საუკუნეების ნამოსახლარები (ვაბუნია, კალანდაძე ... 1982: 23, 24).

კარწახის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე რამდენიმე ნასოფლარია, სადაც ადრე შუა საუკუნეების ეკლესიები და ქვაჯვრება დადასტურებული. სოფ. დიდი კარწახის მაღალ მთაზე მშრალი წყობით ნაგები ციხე-გალავანია (30X50 მ), რომელ-

იც ბუნებრივი ლოდოვანის ათვისებითაა შექმნილი. ციხე კონტროლს უწყვედა ტაო-კლარჯეთიდან თრიალეთისაკენ მიმავალ გზას (ბერძენიშვილი 1985: 85).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1985: 85; გაბუნია, კალანდაძე ... 1982: 23, 24; ლომსაძე 1975: 268; მესხური მატთანე 1961: 44; ქვ 2: 519,24; ქვ 4: 719,28.

პასპი, ქალაქი, დაბა (ქვ 1: 143,18; 145,23; ქვ 4: 364,28; 365,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქვ 1: 10,6; 17,20; 109,10; 121,8), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 86,9; 100,5; 101,4; 348,6; 352,21; 364,9,27,28; 365,1, სქ. 2; 366,8; 412,8), „მოქცევაი ქართლისაი“ (მქ 1963: 81, 82), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქვ 1: 143,18; 145,23), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქვ 2: 524,23), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 57), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 39), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 79,10, 133,12,13), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 195, 326, 332, 356; საქ. სიმ. 1910: 9; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 42; 1953: 220; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 104, 138; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 119, 120; 1970: 179, 266, 991; 1972: 433, 470, 520, 598; 1981: 757; 1985: 273, 374, 743; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 119), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 189, 275).

მდებარეობს შიდა ქართლში, მდ. ლეხურას ნაპირებზე, დღევანდელი ქ. კასპის ტერიტორიაზე.

ისტორიული ტრადიციის თანახმად კასპი ალაშენა ქართველთა ეთნარქის, მცხეთოსის ძემ, უფლოსმა (ქვ 4: 10,6). ძვ. წ. IV ს-ში კასპი იხსენიება შიდა ქართლის ოთხ უმთავრეს ქალაქთა შორის (მქ 1963: 81). კასპისაკენ მიმავალ მეფე მირიანს დაუბნელდა მზე, რის შემდეგაც მან ქრისტიანობა იწამა (ქვ 1: 109,10). წყაროში მოხსენიებული „კასპის გარდასავალი“ (ქვ 1: 121,8) დღევანდელი ალაიანის გადასასვლელია, რომელიც კასპს აკავშირებდა მურან-მცხეთის ქვეყანასთან (მუსხელიშვილი 1977: 51-53). ვახტანგ გორგასლის დას, მირან-ლუხტს, ზრდიდა კასპის სპასალარი. მოგვიანებით ჩრდილო კავკასიელებმა ქართლი ააოხრეს, კასპი დაარბიეს და მირანლუხტი ტყვედ წაიყვანეს (ქვ 1: 143,18, 145,23). მურვან-ყრუს შემოსევების შემდეგ კასპი დაკნინდა და დაბად გადაიქცა (ქვ 4: 365,1,2). XV ს-ში კასპს ფლობდნენ ზედგინიძე-ამილახვრები (გვასალია 1983: 89, 94).

1928 წ. კასპის რკინიგზის მახლობლად, ადგილ „მჭადას“ ტერიტორიაზე გაითხარა სამარხები, რომლებშიც აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი, მძივები და პართიის მეფის გოტარხეს (40/41-51) დრაქმა. სამარხები თარიღდება ახ. წ. I ს-ით (ჭილაშვილი 1968: 38; აბრამიშვილი 1974: 104). 1934 წ. კასპ-

ში შემთხვევით აღმოჩნდა მოჭიქული ჯამები, რომელთაგან ერთი ლომის გამოსახულებითაა შემკული, მეორე – მცენარეული ორნამენტით. თარიღდება XI-XIII სს-ით (ჯაფარიძე 1956: 63, 64). 1936 წ. კასპის საკრებულოს შენობის საძირკვლის ამოღების დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს მთლიანად დანახული, დაფანჯრულთავიანი სატევარი (ჭილაშვილი 1968: 38). 1937 წ. კასპში მდ. ლეხურას მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „ქეჩარუხზე“ გაითხარა ადრე შუა საუკუნეების სამი სამარხი, რომლებშიც მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ ხელფეხმოკეცილნი. სამარხებში აღმოჩნდა რამდენიმე თიხის ჭურჭელი (ნორბაძე 1937: 362). 1959 წ. აქვე გამოვლინდა პართიის მეფის, ვოლოგუზ I-ის (51-77/78) დრაქმა (აბრამიშვილი 1974: 108). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). 1962-1963 წწ. კასპის ცენტრში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ტერიტორიაზე ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კასპის რაზმმა (ხელმძღ. ალ.კაიანაძე) შეისწავლა გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი. გაითხარა სწორკუთხა და ოვალური ფორმის ქვყრილიანი და მიწყრილიანი ორმოსამარხები, რომლებიც უმეტესად გადახურული იყო ხის ძელებით, ორი კი ქვის ფილებით. სამარხები ძირითადად ინდივიდუალური, იშვიათად წყვილადი. მიცვალებულები დაკრძალულია ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა (მამაკაცები) ან მარცხენა (ქალები) გვერდზე, თავით ჩრდილოეთით. იშვიათი გამონაკლისის სახით გვხვდება ქალების მარჯვენა გვერდზე ან გაშლილი დაკრძალვა. ზოგიერთ სამარხში აღმოჩნდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძელები. სამაროვანზე გამოიყო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ოთხი ეტაპის სამარხები: 1. ძვ. წ. XIV-XIII სს-ის დასაწყისის სამარხებში აღმოჩნდა ჩარხზე დამზადებული ლევა-მოშავოდ გამოშვარი კერამიკა: დერგები, საღვებლები, ქოთნები, ქილები, სასმისები, პირობური ჭურჭელი, ლანგრები; საბრძოლო იარაღიდან გვხვდება: ბრინჯაოს ფოთლისებური ფორმის ყუნწიანი და უყუნწო სატევრები, მასრაგახსნილი შუბისპირები; სამკაულებიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოს თავგვია, სადა ან გრეხილდეროიანი საკინძები, მრგვალთავიანი საკინძები ოთხი კოპით. 2. ძვ. წ. XIII-XII სს-ის სამარხებში აღმოჩნდა კერამიკა ხასიათდება დახვეწილი ფორმებითა და მრავალფეროვანი ორნამენტით. იარაღიდან ამ სამარხებში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ე. წ. „კახური“ ტიპის სატევარი, რელიეფურსარტყლიანი შუბისპირი, ფოთლისებური სატევარი. 3. ძვ. წ. XI-X სს-ის სამარხებში აღმოჩნდა ლითონის ჭურჭლის მიზამდით დამზადებული თიხის ჭურჭელი და მილიანი ბადიები. ლითონის ნივთებიდან გვხვდება: ბრინჯაოს მთლიანად დანახული მახვილები, ყალიბში ჩამოსხმული ორნამენტირებული შუბისპირები, მრგვალთავიანი საკინძები, რკინის დანისპირი, აპზინდა რ. პირობი. 4. ძვ. წ. IX-VII სს-ის სამარ-

ებში მრავალფეროვანი თიხის ჭურჭლის ვარდა აღმოჩნდა: რკინის მასრაგახსნილი შუბისპირები, სატევარი ბრინჯაოს ქარქაშით, რკინის მოხრული დანები, ბრინჯაოს გრძელყუნწიანი, ორფორტიანი ისრისპირები, საკინძები. მასალა ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ბარამიძე 1965: 31-66). კასპში კოსმონავტიების ქუჩაზე, ადგილ „მილხანათ ვენახში“, შემთხვევით გამოვლინდა სამაროვანი, რომელიც თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ით. ქვყრილიანი ორმოსამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი და სარდიონის ექვსწახნაგა მიძეები. მასალა ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (სმა 1990: 135). ქალაქის ცენტრში არსებული გორანამოსახლარი (კასპის გორა) თარიღდება გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანით. იქვე შემორჩენილი გვიანი შუა საუკუნეების ფენები (სმა 1990: 131). ნამოსახლარი „წითლობის გორა“ მდებარეობს მდ. ლეხურას მარცხენა ნაპირზე, კასპის სამაროვნიდან 1 კმ-ის დაშორებით. ზედაპირული მასალებით ძველი თარიღდება გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანით (ბარამიძე 1965: 59). ადრერკინის ხანით თარიღდება კოწახურას ხევის დასავლეთით 700-800 მ დაშორებით აღმოჩენილი ნამოსახლარები „ნამგალა გორა“ და „ხვავია გორა“ (სმა 1990: 133). კასპიდან სოფ. კავთისხევისაკენ მიმავალი გზის პირას მდებარეობს ადრერკინის ხანით დათარიღებული ნამოსახლარი „ნავარგორა“ (სმა 1990: 133). 1979-1989 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კასპის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. გ. ცქიტიშვილი) გათხრებს აწარმოებდა კასპის დასავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით მდებარე ნაქალაქარზე (ფართობი 60 ჰა), რომელსაც დასავლეთიდან ესაზღვრება კოწახურას ხევი, სამხრეთიდან კასპი-მეტეხის საავტომობილო გზა, ჩრდილოეთიდან კი წლევის ქედი. ნაქალაქარი დასახლებული ყოფილა უზუნუნად. გაითხარა სამხრეთი უბნის ერთი კომპლექსი (ფართობი 750 კვმ). გაითხარა საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო დანიშნულების სათავსოები. კედლები ნაგებია ალიზით, რიყის ქვის საძირკველზე. საცხოვრებელი ნაგებობები გადახურული იყო წითლად შეღებილი კრამიტით. იატაკი ქვითაა მოკეცილი. სათავსოებს ჰქონდა ბანური გადახურვა. იატაკი თიხატყობილია. სამეურნეო სათავსოებიდან აღსანიშნავია მარანი (ფართობი 50 კვ მ). მასში აღმოჩნდა 6 წითლად გამოშვარი და რელიეფური სარტყლებით შემკული ქვევრი. ნაქალაქარზე ჩნდებოდა მოჩალისფრო-მოწითალოდ გამოშვარი თიხის ჭურჭელი: ყელწიბიანი ხელალები, სამტუჩა დოქები, ქოთნები და სხვ. ნაქალაქარი თარიღდება IV-V სს-ით (სმა 1990: 134). მის სამხრეთ ნაწილში, კოწახურას ხევის აღმოსავლეთით, 800 მ დაშორებით აღმოჩნდა III-IV სს-ით დათარიღებული სამაროვანი, სადაც გაითხარა 11 ქვის სამარხი. თითოეულში დაკრძალული იყო 3-4 მიცვალებული. გვხვდება როგორც გაშლილი, ისე გვერდზე, კიდურებმოხრული დაკრძალვის ფაქტები.

სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს სარკე, მინის გვერდებზეზნეკილი სანელსაცხებლე, ოქროსა და გიშრის მიძეები (სძა 1990: 134).

კასპის დასავლეთით, 1 კმ-ის დაშორებით, მტკვრის ხეობაში, კირქვის კლდეებში გამოკვეთილია აკლდამების რამდენიმე ჯგუფი. შედარებით უკეთაა შემორჩენილი ოთხი აკლდამა. №1 (2,5X2,3, სიმაღლე 1,6 მ) და №2 აკლდამების (2,4X2,3, სიმაღლე 1,6 მ) კამერები გვეგმით კუთხეებშიმრგვალებული კვადრატია. ჭერი შეისრულია. დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლებში გამოკვეთილია მიცვალებულთა დასასვენებელი ნიში-თაროები. სამარხი კამერების წინ გამოკვეთილია კარიბჭე, რომელშიც კარია. ასეთივე კარიბჭე აქვს №3 აკლდამას (2,5X2,5, სიმაღლე 1,4-1,6 მ), მაგრამ მას აქვს ბრტყელი ჭერი და არა აქვს ნიში-თაროები. №4 აკლდამას (1,6X1,32, სიმაღლე 1,8 მ) კარიბჭე არა აქვს. ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლებში გამოკვეთილია ნიში-თაროები. აკლდამები თარიღდება გვიანი ანტიკური ან ადრე შუა საუკუნეებით (სძა 1990:130).



ამილახვარების ციხე

კასპში, მდ. ლეხურის მარცხენა ნაპირზე, რკინიგზის ხაზთან აღმოჩნდა ადრე შუა საუკუნეების ნასახლარი, სადაც ზედაპირულად იკრიფება წითლად შეღებილი, ყელწიბოიანი კერამიკის ფრაგმენტები. კასპის სამხრეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ცემენტის კარიერის დასავლეთით, 4 კმ-ის დაშორებით, წყალსაქანთან აღმოჩნდა შუა საუკუნეების ნასახლარი და სამაროვანი. კასპის დასავლეთით 3 კმ-ის დაშორებით მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მთავარანგელოზის ეკლესიის მახლობლად მდებარეობს შუა საუკუნეების ორფენიანი ნასახლარი. კასპში სტალინის ქ. №116 აღმოჩნდა გვიანი შუა საუკუნეების მარანი, რომელშიც გამოვლინდა 9 ქვევრი (სძა 1990: 133, 134).

კასპში ყაზბეგის ქუჩაზე რამდენიმე ეკლესიაა. დარბაზული ტიპის ეკლესია „შუბნიშანი“ (6,5X5 მ) ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვათილილებით, ფლეთილი ქვითა და აგურით. თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. მთავარანგელოზის

დარბაზული ტიპის ეკლესია (16,65X7,3 მ) ნაგებია აგურით, შირიმისა და რიყის ქვით. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით (სძა 1990: 130, 132).

წმ. თევდორეს ეკლესიის კომპლექსი შედგება დარბაზული ტიპის ეკლესიის, კოშკისა და გალავნისაგან. ეკლესია (13,4X6,3 მ) ნაგებია ფლეთილი ქვითა და აგურით. მოპირკეთებულია თლილი ქვით. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან. აფსიდა ნახევარწრიულია. ეკლესიას ჰქონდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის მინაშენები. მას შემოუყვებოდა გალავანი, რომელიც ამჟამად დაზიანებულია. გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დგას რიყის ქვით ნაგები მრგვალი კოშკი (დმ 3,8 მ). ორივე გვიანი შუა საუკუნეებისაა (ხმადამწვილი 1969: 35-39; სძა 1990: 135, 136).

კასპის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ლეხურას მარცხენა ნაპირზე დგას მაცხოვრის დარბაზული ეკლესია (7,9X5 მ). ნაგებია რიყის, ფლეთილი ქვითა და აგურით. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით (სძა 1990: 133).

ქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით, 3 კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მთავარანგელოზის დარბაზული ეკლესიაა (10,7X5 მ). ნაგებია ფლეთილი ქვით. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. აფსიდა ნალისებურია. ინტერიერში შემორჩენილია მონასტულობის ფრაგმენტები. ეკლესიაზე სამხრეთიდან მიშენებულია ოთხსართულიანი კოშკი (9,9X3,35 მ) (სძა 1990: 133).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1974: 104; ბაგრატიონი 1986: 39; ბარამიძე 1965: 31-66; გამყრელიძე 2009: 54; გვასალია 1983: 89,94; გვეტაძე 1985: 41-46; გიულდენშტედტი 1962: 189, 275; დადიანი 1962: 79,10, 133,12,13; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 42; 1953: 220; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 104, 138; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 119;ქქ 1963: 81, 82; მუსხელიშვილი 1977: 51-53; ნიორაძე 1937: 361-363; ობეულიანი 1981: 57; სძა 1990: 130-136; საქ. სოდ. 1910: 9; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 119, 120; 1970: 179, 266, 991; 1972: 433, 470, 520, 598; 1981: 757; 1985: 273, 374, 743; ქრონიკები 1897: 195, 326, 332, 356; ქც 1: 10,6; 17,20; 109,10; 121,8; 143,18; 145,23; ქც 2:524,23; ქც 4: 86,9; 100,5; 101,4; 348,6; 352,21; 364,9,27,28; 365,1, სქ. 2; 366,8; 412,8; ჭილაშვილი 1968: 38; ხმადამწვილი 1969: 35-39; ჯაფარიძე 1956: 63, 64.

კასპის ციხე (ქც 4: 365,სქ.2). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 365,სქ.2).

მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, კასპიდან ჩრდილოეთით, 5 კმ დაშორებით, მდ. ლეხურას მარჯვენა ნაპირის მალაქ მთაზე.

ვახუშტი ბაგრატიონი მამათა მონასტრის აღწერის შემდეგ აღნიშნავს: „მას ზევით არს ციხე, სადითგან გამოიყვანეს ოფსთა გორგასლის დაი“ (ქც 4: 365,6,7). არშიაზე კი მიწერია: „კასპის ციხე“ (ქც 4: 365,სქ.2). კასპის ციხეს კლდემაღალას ან არსენას ციხის სახელითაც მოიხსენიებენ.

კასპის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ის იცავდა ჩრდილოეთიდან კასპისაკენ მომავალ გზას. ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია მართკუთხა გეგმის მქონე კოშკის ერთი კედელი, ნაგები ფლეთილი ქვით. ციხე თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით. ფუნქციონირებდა გვიან შუა საუკუნეებშიც (მაკალათია 1964: 13, 14; სბა 1990: 132).

ბიბლიოგრაფია: მაკალათია 1964: 13, 14; სბა 1990: 132; ქც 4:365, სქ. 2.

პასრო (ქც 1: 243,19; 244,15). იხსენიება ჯუანშერის თხზულებაში ჩართულ VIII ს-ის ანონიმ ავტორთან და დაკავშირებულია ერისმთავარ არჩილის მოღვაწეობასთან: „მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრულთა მისთა მოუბოძა კახეთი და აზნაურნი ყვნა იგინი ... და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი“ (ქც 1: 243,14,15).

მდებარეობდა დაბა კახის (აზერბაიჯანი) ტერიტორიაზე. შესაძლებელია კასრი კახის უძველესი სახელწოდება იყოს.

კასრი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ნანგრევების სახით შემორჩენილია კასრის წმინდა სამების ეკლესია, რომელიც მოიხსენიება მალაშვილისეული ოთხთავის 1310 წ. მინაწერში. აღნიშნული მინაწერი წარმოადგენს ქურმუხის მთავარეპისკოპოსის, კირილა დონაურის ანდერძს. მასში დაცულია ცნობა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ექვთიმეს XIV ს-ის პირველ ნახევარში სხვა ეკლესია-მონასტრებთან ერთად მოუნახულებია კასრის წმინდა სამების ტაძარიც (ჯანაშვილი 1885: 205, 206; კეკელიძე 1945: 314, 315). დარბაზული ტიპის ტაძარი ნაგები ყოფილა შირიმისა და რიყის კვადრებითა და ფლეთილი ქვით. შემორჩენილია 1,5 მ სიმაღლის კედლები და ნახევარწრიული აფსიდა. ტაძრის მიახლოებითი ზომებია 8X6 მ, კედლის სისქე – 80 სმ. ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში შემორჩენილია თაღი, რომელიც შესაძლოა სიძვალე ყოფილიყო. ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1,5 მ-ზე შეჭრილი ყოფილა აკლდამის მსგავსი ქვის ვიწრო ნაგებობა. აკლდამა გამარცვლია და იქ აღარაფერია დარჩენილი (ჭილაშვილი 1980: 196). ეკლესია 1912 წ. განუახლებია საინგილოში მოღვაწე მღვდელ მ. ყულოშვილს (პაპუაშვილი 2008: 122).

ბიბლიოგრაფია: კეკელიძე 1945: 314, 315; პაპუაშვილი 2008: 122; ჭილაშვილი 1980: 196; ქც 1: 243,19;244,15; ჯანაშვილი 1885: 205, 206.

პატრონი, სოფელი (ქც 1: 295,18). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 295,18), XI ს-ის ისტორიული საბუთი (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26).

მდებარეობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქნის მუნიციპალიტეტში. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკს XI ს-ში აქ დაუარსებია მონასტერი, რომელიც ერთ-ერთ მსხვილ საეკლესიო

სიო ცენტრად გადაქცეულა (ქც 1: 295,18). XVIII ს-ში ირან-ოსმალეთის აგრესიისა და დაღესტნელი ფეოდალების გამუდმებული თავდასხმების შედეგად კახეთის სამეფოს ჩამოსცილდა აღმოსავლეთი ნაწილი, რომელშიც კატეხიც შედიოდა და ჩამოყალიბდა ჭარ-ბელქნელ ლეკთა ე. წ. უბატონო თემები (პაპუაშვილი 2008: 23-46).

კატეხი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. **ბიბლიოგრაფია:** პაპუაშვილი 2008: 23-46; ქც 1: 295,18.

პაჭოი (ქც 4: 670,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 670,23), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 200), XVIII ს-ის ოსმალური დოკუმენტი (ოსმალ. დოკ. წყარ. 1987: 149). მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, დღევანდელი სოფ. კოჭიოს ტერიტორიაზე.

1595 წ. კაჭოი შედიოდა ხერთვისის ლივიაში. სოფელი თურქების სასარგებლოდ იხდიდა 13 000 ახჩას. XVIII ს-ის დასაწყისში სოფელს ფლობდა ვინმე მუსტაფას ძე და შეწერილი ჰქონდა 12 500 ახჩა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 211; ბერძენიშვილი ... 2000: 79, 80).

კაჭოი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფელში დგას თლილი ქვით ნაგები, XI ს-ის დასაწყისის დარბაზული ტიპის ეკლესია. აფსიდა ნახევარწრიულია. ფასადზე სარკმლები და ინტერიერში სვეტისთავები მოჩუქურთმებულია. ეკლესია აშენებულია უფრო ადრეული ეკლესიის ადგილზე (ბერძენიშვილი ... 2000: 79, 80).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი ... 2000: 79, 80; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 200; 1958: 211; ოსმალ. დოკ. წყარ. 1987: 149; ქც 4: 670,23.

პატრონი, მონასტერი, ციხე (ქც 4: 149,15; 416,6; 759,6,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 149,15; 416,6; 759,6,8; 820,10; 822,12; 836,8; 868,24; 869,10; 870,4; 880,16; 881,13; 883,6), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 306,2), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტი (ქც 2: 376,26; 533,2), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 191, 192, 194, 203, 204, 206; 1897: 197, 343, 427; 1967: 28, 74; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 190; საისტ. კრ. 1928: 42-46, 50-53, 61-64; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 432; ისტ. დოკ. 1958: 38, 53, 54; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 253), იოჰან ვიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 299, 309), იევლევისა და ტოლოჩანოვის იმერეთის სამეფოში ელჩობის მუხილობრივი აღწერილობა (იევლევი 1969: 86, 166; ტოლოჩანოვი 1970: 152, 265, 266).

ვახუშტი ბაგრატიონი კაცხის შესახებ გადმოგ-



კაცხის ტაძარი

ვცემს: ბოსლებს „ზეით მოერთვის ყვირილას კაცხის წყალი ... ყვირილის შესართავს ზეით ამ წყალზედ არს კაცხს ეკლესია მაცხოვრისა. გუმბათიანი, დიდფრიად კეთილშენი. ზის არქიმანდრიტი. ამის დასავლით არს ციხე კაცხისა, მთის

ძირად, კლდესა ზედა, მაგარი. ციხის აღმოსავლით არს კლდე, ხრამსა შინა აყვანილი, ვითარცა სუეტი, ფრიად მაღალი. მის კლდის თხემზედ არს ეკლესია მცირე, არამედ ველარა აღვალს კაცი, არცა უწყყინ ხელოვნება აღსლვისა“ (ქც 4: 759,5-13).

მდებარეობს ჭიათურის მუნიციპ-ში, ჭიათურიდან 11 კმ-ის დაშორებით, მდ. კაცხურას (მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადი) მარცხენა ნაპირზე, სოფ. კაცხის ტერიტორიაზე.

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI ს-ში. საბერძნეთში გარდაცვლილი ლიპარიტი ლიპარიტის ძე გადმოსაყვინეს და დაკრძალეს კაცხს, მისი წინაპრების საძვლეში (ქც 1: 306,2). 1587 წ. იმერეთის მეფე ლევანმა თავის ბიძას წაართვა კაცხის ციხე (ქც 4: 820,10; ქრონიკები 1897: 427). 1589 წ. ქართლის მეფე სიმონ I-მა (1556-1600) აიღო სკანდის, კვარას, კაცხისა და სვერის ციხეები (ქც 4: 822,11,12). 1660 წ. ვახტანგ V შაჰნავაზმა (1658-1675) აიღო სვერისა და კაცხის ციხე (ქც 4: 836,6,7). 1709 წ. იმერეთის მეფე გიორგი მიაღმა კაცხს, რომელიც ალექსანდრეს ეპისკოპოსს (ქც 4: 868,24). პაატა აბაშიძემ კაცხის ციხე მეფეს გადასცა (ქც 4: 869,10-12). 1710 წ. ქველი წერეთელმა აიღო ნავარძეთის ციხე და მისი ზარბაზნები მეფემ კაცხის ციხეში გააგზავნა (ქც 4: 870,4). 1720 წ. სვიმონ აბაშიძემ იმერეთის მეფე გიორგი VI (1703-1750) მოაკვლევინა. იმერეთში გამეფდა ალექ-სანდრე V (1720-1752), რომელსაც სვიმონ აბაშიძემ მისცა კაცხის ციხე და საგანძურს (ქც 4: 880:11-19).

1957 წ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კაცხის ტერიტორიაზე მიაკვლია ქვის ხანის ძეგლებს ადგილ „საქორიასა“ და „სარბე-ში“. საქორია მდებარეობს სოფ. კაცხის სამხრეთ განაპირა მხარეს, მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე. ის წარმოადგენს წყალგამყოფს ყვირილას, კაცხურასა და უსახელო მდინარეს შორის. შემოზღუდულია ღრმა ხეობებით. 4-4,5 ჰა ფართობზე ზედაპირულად იკრიფება კაჟის იარაღ-ანატკეცები. მასალაში გამოირჩევა: ხელცულები, საჩენი იარაღი, წვეტანები, საფხეკები, სახვრეტები. ძეგლზე მრავლადაა ანატკეცები. უძველესი იარაღები მიეკუთვნება ადრე აშელურ ხანას, დანარჩენი გვიან აშელური პერიოდისა (თუშაბრამიშვილი 1962: 28). საქორიაზე უნდა ყოფილიყო პირველყოფილი ადამიანის როგორც სადგომ-საცხოვრებელი, ასევე

დიდი სახელოსნოც. ჭიათურის მუნიციპ-ში, კაცხ-შალიეთის მდამოებში დიდი რაოდენობითაა კაჟის ბუდობები (გამყრელიძე, ჩიხლაძე 1937: 94). ადგილი „სარბები“ მდებარეობს საქორიიდან 500 მ დაშორებით, სოფ. კაცხის სამხრეთ-დასავლეთით, სალიეთის მარმარილოს საბადოს ზემოთ, პლატოზე. სარბებზე მოპოვებული მასალა – ნუკ-ლეუსები, ანატკეცები, იარაღები შედარებით გვიანდელია და მიეკუთვნება გვიან აშელურ ხანას (თუშაბრამიშვილი 1962: 28, 29).

კაცხის ტერიტორიაზე გამოვლენილია ქვედა პალეოლითური ძეგლები. იქ მოპოვებული 2300 ნივთიდან აღსანიშნავია ცალმხრივი და ორმხრივი დისკოიდური ნუკლეუსები; კუს ჯავშნის ფორმის ერთფუძიანი და ორფუძიანი ნუკლეუსები; ხელცულის ნატეხები; წვეტანები; სწორპირიანი სახოკები; უხეში საჩხე-სახოკები; დიდი რაოდენობითაა რეტუშირებული ანატკეცები და ლამელები. ძეგლი თარიღდება ადრეული მუსტიეს ეპოქით (თუშაბრამიშვილი, ნებეირიძე 1974: 12, 13).

1971 წ. კაცხის სვეტის მდამოებში გზის გაყვანისას დაზიანდა ენოლით-ადგბრინჯაოსა და რკინის ხანის ნამოსახლარი და რკინის მეტალურგიის წარმოების ნაშთები. გადარჩენილ მცირე ფართობზე აიკრიფა: კაჟის ისრისწვერები; ისრისპირის ნაშაღები; ნამგლის ჩასართები; ანატკეც-ანამიტ-ვრეები; თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები; მადნის ნატეხები; რკინის წიდეები და სხვა (თუშაბრამიშვილი, ნებეირიძე 1974: 11).

1972 წ. კაცხის სვეტის სამხრეთ-დასავლეთით, რამდენიმე მეტრზე ძლიერი ქარიშხლის შედეგად წაქცეული ცაცხვის ხის ქვეშ აღმოჩნდა აკლდამა, რომელსაც ჰქონდა თალოვანი გადახურვა. შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. ნაგებია თლილი ქვითა და აგურით. კედლები შებათქაშებულია. აკლდამაში ძვლები არეული იყო, რის გამოც დაკრძალვის წესი ვერ დადგინდა. ნაყარ მიწასა და ძვლებში გამოვლინდა სხვადასხვა ეპოქის კერამიკის ნატეხები: არქაული პერიოდის შავი და გავრავლებული სქელ-კედლიანი ჭურჭელი, ანტიკური და შუა საუკუნეების ჭურჭლის ნატეხები. აკლდამა გამართული იყო გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე (ჯავახიანი 1974: 62-64; თუშაბრამიშვილი, ნებეირიძე 1974: 14).

კაცხის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

სოფ. კაცხის ცენტრში აღმართულია X-XI სს-ის ე. წ. ექვსაფსიდიანი ტაძრი (13,5X12 მ; სიმაღლე 17,5 მ). სამხრეთ დასავლეთის ტიპ-პანის წარწერით მისი აშენება დამთავრებულია 1010-1014 წწ. (ბერიძე 1971: 124).



კაცხის სვეტი

წარწერაში მოხსენიებულია მეფე ბაგრატ III (975-1014). ეკლესიას აქვს სამხმრეო გარსშემოსავლელი. სიმაღლეზე ტაძარი ვითარდება სამსაფეხუროვან კომპოზიციად: გარსშემოსავლელი, ტაძრის კორპუსი და გუმბათი. შიგნიდან კედლები მოპირკეთებული ყოფილა სუფთად გათლილი და ჩუქურთმებით შექმნილი ქვებით, რომელთა ნაწილი 1854 წ. ტაძრის შეკეთების დროს განადგურდა. აღსანიშნავია რელიეფური ქანდაკება გარსშემოსავლის აღმოსავლეთ სადგომში. არშიაშემოვლებულ მრგვალ არეში გამოსახულია ოთხი ანგელოზის მიერ ჯვრის ამალგების სცენა. ტაძარი აგებულია რატი ერისთავთ-ერისთავის მიერ. ტაძარი ბაღვაშთა ძლიერი ფეოდალური გვარის საკუთრება იყო. XVII-XVIII სს-ში თავად აბაშიძეებს ეკუთვნოდათ. 1804 წ. ის სოლომონ II-ემ (1789-1810) იმერეთში გადახვეწილ სოლომონ ლიონიძეს უბოძა (ბერიძე 1950: 53-95).

კაცხის მონასტრის მახლობლადაა შემორჩენილი ციხის ნანგრევები. მდ. კაცხურას მარცხენა ნაპირზე, ტყიან ფერდობზე აღმართულია ქვის გიგანტური „კაცხის სვეტი“ – სიმაღლე 40 მ. კაცხის სვეტზე 1944 წ. ავიდა ჯგუფი ალბინისტ ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. „კაცხი“, აკ. შანიძის განმარტებით, სვანური სიტყვაა და მწვერვალს ნიშნავს (ცინცაძე 1964: 52). კაცხის სვეტს უწოდებენ აგრეთვე „ძეღეცხოველს“ – „სვეტიცხოველს“. სვეტის აღმოსავლეთის გვერდზე ამოკვეთილია ბოლნური ჯვარი, შესრულებული V-VI სს-ში (ცინცაძე 1964: 53). სვეტის თხემი სწორკუთხაა, ფართობი 10X17 მ. შემოვლებული აქვს ქვის გალავანი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, კლდეში გამოკვეთილია დარბაზული ეკლესიის აფსიდა. დანარჩენი კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით კირხსნარზე. კლდეში ნაკვეთი ეკლესიის აფსიდა უფრო ადრეული – V სს-ის უნდა იყოს. თხემის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მეორე დარბაზული ეკლესიაა, ნაგები კლდის ფლეთილი ქვითა და შირიმით, რომელიც ქვეყიდან ამოუხიდავთ. ეკლესიას აქვს კრიპტა, რომელიც ასევე თლილი ქვითაა ნაგები. აფსიდა ნალისებურია. ეკლესია VI სს-ით თარიღდება.

კაცხის სვეტის ძირში მცირე დარბაზული ეკლესიაა, რომელიც გვიან უნდა იყოს აგებული (ცინცაძე 1964: 52-55).

სოფ. კაცხი ზაფხვარედინზე მდებარეობს. აქ გადის გზები: ქუთაისი – თბილისი; შირაპანი – კაცხი – ხრეთი – რაჭა; კაცხი – ნავარძეთი – ჭიათურა; შუქრეთი – კაცხი – კალუათა – კორბოული; ზესტაფონი – საქარა – დილიკაური – ჯგოფეთი – კაცხი – ნავარძეთი – ჭიათურა (ბერძენიშვილი 1964: 12, 19, 22). **ბერძენიშვილი:** *ბერიძე 1950: 53-95; 1974: 124; ბერძენიშვილი 1964: 17, 19, 22; 1966: 34; გამყრელიძე, ჩხილაძე 1933: 94; გიულდენშტედტი 1962: 299, 306; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 432; 1953: 291; თუშაბრაშიშვილი 1962: 23-25; თუშაბრაშიშვილი, ნებიერიძე 1974: 5-27; იველიძე 1969: 86, 166; ისტ. დოკ. 1958: 38, 53, 54; მასალები საქ. ისტ. გეოგ.*

1964: 119, 120; საისტ. კრ. 1928: 42-46, 50-53, 61-64; სოსელია 1966: 109, 148, 198; 1981: 88, 122; ტოლჩანოვი 1970: 152, 265-266; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 273; ქრონიკები 1892: 191, 192, 194, 203, 204, 206; 1897: 197, 343, 427; 1967: 28, 74; ქც 1: 306,2; ქც 2: 376,26; 533,2; ქც 4: 149,15; 416,6; 759,6,8; 820,10; 822,12; 836,8; 868,24; 869,10; 870,4; 880,16; 881,13; 883,6; ცინცაძე 1946: 557-564; 1964: 52-55; 1974: 58-61; წერეთელი 1898: 82-92; ჯაფარიძე 1974: 62-64.

კახინაური, საღვთო მეფეთა (ქც 4: 761,4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 747,21,23; 753,8; 761,4; 773,21; 775,1,4), 1377 წ. ლიხთ-იმერეთის რუკა (ბურჯანაძე 1959: 193), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 143).

ვახუშტი ბაგრატიონი კახინაურის შესახებ გადმოგვცემს: გეგუთს „ზეით არს, რიონის კიდეზედ, კახინაური აღმოსავლით“ (ქც 4: 761,4).

ლოკალიზდება ქუთაისის მახლობლად. ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრა არ ხერხდება.

XVIII ს-ში კახინაური იმერეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია ყოფილა (ქც 4: 761,4). კახინაურში მდგარა პატარა, დანგრეული ციხე (გიულდენშტედტი 1962: 143).

ბიბლიოგრაფია: *ბურჯანაძე 1959: 193; გიულდენშტედტი 1962: 143; ქც 4: 747,21,23; 753,8; 761,4; 773,21; 775,1,4.*

კახი, ციხე (ქც 4: 371,4,6,9,14; 433,22, 520,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 371,4,6,9,14; 433,22; 520,5), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქც 2: 524,26), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1967: 45; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 113, 687; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1953: 110), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 72, 92, 97), იოჰან ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 41), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 52), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 101, 279; 1964: 65). მდებარეობს ცხინვალის მუნიციპ., მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირას, ცხინვალის დაი 10 კმ-ის დაშორებით, თანამედროვე სოფ. კეხვის ტერიტორიაზე.

ვახუშტი ბაგრატიონი კეხვის შესახებ გადმოგვცემს: „აჩაბეთს ზეთი, კეხვს, არს მთის კალთას ციხე კეხვისა“ (ქც 4: 371,4).

კეხვის ციხეში დაამყვდა ქართლის მეფე სვიმონ I-მა (1556-1600) თურქების მომხრე ვახტანგ მუხრანბატონი. 1625 წ. ვიორგი სააკაძემ ციხე გაამაგრა (ქც 4: 433,21-23), XVIII ს-ის 40-იან წწ. ციხე ეკავა აჯანყებულ გივი ამილახვარს (გვასალია 1983: 142). 1745 წ. თეიმურაზ II-მ (1744-1762)



კეხვი, ციხე

ციხეს ალყა შემოარტყა და დაანგრია. 1763 წ. ერეკლე II აქ ლეკთა ჯარს შეებრძოლა და გაიმარჯვა (მაკალათია 1971: 25). კეხვზე გადიოდა გზა გორიდან ცხინვალის გავლით ზემო იმერეთისა და რაჭისაკენ (მაკალათია 1971: 6).

კეხვის ციხე არქეოლოგიურად შესწავლელია. სოფლის დასავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით, მალალოზე, დგას ციხე. მას გარშემო ხევი უფლის და ძნელი მისადგომია. გალავანი ნაგებია ფლეთილი ქვითა და დულაბით. კედლის ზედა ნაწილი რიყის ქვით გვიან შუა საუკუნეებშია განახლებული. შესასვლელი დასავლეთიდანაა. შემორჩენილია ორი კოშკი – ოთხკუთხა და წრიული. პირველი მათგანი 4-5 სართულიანი უნდა ყოფილიყო. გადარჩენილია 3 სართული (მაკალათია 1971: 24). წრიული კოშკის დიამეტრია 9 მ. შესასვლელი 4 მ სიმაღლეზეა. პირველ სართულზე კედლები გვიან შუა საუკუნეებში დაუშენებიათ (მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 161). კეხვის ციხესთან არის დღღავლისას ნიში. ხევისგალმა, მთაზე წმინდა გიორგის პატარა საყდრია (მაკალათია 1971: 26).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1983: 52; ბაგრატიონი 1986: 41; გვასალია 1983: 142; გოულდენშტედტი 1962: 101, 279; 1964: 65; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 110; მაკალათია 1971: 6, 24-26; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 161 ორბელიანი 1981: 72, 92, 97; ქც 2: 524,26; ქც 4: 371,4,6,9,14; 433,22; 520,5; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 113, 687; ქრონიკები 1967: 45.

ჰჰანჯღა, იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ოხზულებებში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 663,12-14).

ვახუშტი ბაგრატიონი კვანჯღას შესახებ გადმოგვცემს: „ახალციხის წყალი ეწოდების კვანჯღამდე ამ წყალსა“ (ქც 4: 663,12-14).

ლოკალიზდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება.

ბიბლიოგრაფია: ქც 4: 663,12-14.

ჰჰარა, კუარა, დაბა, ციხე (ქც 4: 416,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 416,6; 643,16,17, სქ. 4; 764,19, სქ. 8; 822,12; 840,26; 841,6; 843,3; 867,1; 879,9; 885,5,20,21,25; 889,21,25; 890,2), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტი (ქც 2: 376,26; 533,1), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 164, 175), ალექსი იეგლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა (იეგლევი 1969: 86, 166), ტოლჩანოვის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში

ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა (ტოლჩანოვი 1970: 143, 152), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 115, 169, 293).

კვარას ციხის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ოხის კავკასის მთის ჩამოსავალზედ არს კუარა, დაბა კეთილი, კოშკოვანი, და ციხე დიდი და მაგარი, შენი მეფეთა“ (ქც 4: 643,15-17). „სხოვის სამხრით და კრიხის პირისპირ, აღმოსავლეთ კიდურს, მაღალს კლდიანს გორასა ზედა არს ციხე კუარასი მტკიცე“ (ქც 4: 764,17-19). ტოლჩანოვის აღწერით „ქვის ციხე კვარა მთლიანად ქვაზეა აგებულია მთებს შორის. ციხეს ერთი შესასვლელი-გასასვლელი აქვს“ (ტოლჩანოვი 1970: 143). იოჰან გოულდენშტედტი აღნიშნავდა, რომ ახალსოფლიდან „დაახლოებით 4 ვერსზე, მწვერვალზე ჩანს კვარას ციხე“ (გოულდენშტედტი 1962: 115).

მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მდ. კრიხულას მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ზემო სხვაგადან 1,5 კმ-ის დაშორებით, ბაბანის ხევისთან, მაღალი კლდის ოთხეშე (ცინცაძე 1968: 31, 32).

ციხე წყაროებში პირველად იხსენიება XVI ს-ის 90-იანი წლების მოვლენების თხრობით. ქართლის მეფე სვიმონ I-მა (1556-1600) გაილაშქრა იმერეთის მეფე როსტომის (1590-1604) წინააღმდეგ და დაიპყრო ციხეები: კვარა, კაცხი, სკანდა (ქც 2: 376,26.; 533,1, ქც 4: 416,6; 822,12). XVII ს-ის 70-იან წლებში ოსმალებმა იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ის (1660-1678) წინააღმდეგ გაილაშქრეს. მათ კვარას ციხეს ალყა შემოარტყეს, მაგრამ ვერ აიღეს (ქც 4: 840,26, 841,6). 1703-1704 წწ. ის იაშვილების საკუთრებაა (ქც 4: 867,1). 1717-1718 წწ. გიორგი გურიელმა კვარას ციხიდან განდევნა იაშვილები და რაჭაში მათ მამულებს დაეუფლა (ქც 4: 879,9). 1730-იან წლებში ოტია დადიანმა თავისი ძმა კაცო ჩამწყვდია კვარას ციხეში, საიდანაც კაცო 1732 წ. გაიქცა (ქც 4: 885,5-25). 1735 წ. იაშვილებმა კვლავ დაიბრუნეს კვარას ციხე (ქც 4: 889,21,25). გურიელმა მცირე ხნით ხელახლა აიღო ის (ქც 4: 889,21,25, 890,2). 1786 წ. კვარას ციხეში თავს აფარებდა იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის (1784-1789) წინააღმდეგ მებრძოლი უფლისწული დავით არჩილის ძე (ლორთქიფანიძე 1940: 53).

კვარას ციხე არქეოლოგიურად შესწავლელია. ის აგებულია კლდოვანი მასივის თავზე. მისასვლელი მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთით ჰქონდა. ორ ბურჯს შორის იყო შესასვლელი, სადაც მისადგმელი კბით ადიოდნენ. ციხეს შემოუყვება 6-7 მ სიმაღლის ქვითკირის გალავანი. ციხის შიდა ფართობია 2000 კვ მ. გალავანი დაყოფილია ტერასებად, რომლებზეც განლა-



კვარა ციხე

გებულა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. შესასვლელის დონეზე გალავნის ცენტრალური ნაწილი ეკავა სასახლეს. მის ჩრდილოეთით აღმართული იყო მცირე ზომის ორსართულიანი ნაგებობა (საყარაულა), რომლის ზედა სართული უკავშირდებოდა გალავნის კედლის საბრძოლო ბაქნებს. ქვედა სართული საცხოვრებელი ყოფილა. თხემის აღმოსავლეთ ნაწილში, უმაღლეს წერტილზე აღმართული იყო მრგვალი გოდოლი. მისგან სამხრეთით ქვათილებით ნაგები მცირე ზომის დარბაზული ეკლესიაა (4,3X3 მ). იქვე იყო ქვითა და დუღაბით ნაგები წყლის აუზი. ციხე აგებული ჩანს XI-XIII სს-ში. ზემო კრინის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე გამოსახული ერისთავების რეზიდენცია კვარას ციხე უნდა ყოფილიყო (ცინცაძე 1968: 31-34; ბოჭორიძე 1994ა: 186). დ.მუსხელიშვილის ვარაუდით, რაჭის „თაკვერის ციხე“ შესაძლოა კვარას ციხე იყოს (მუსხელიშვილი 1977: 129, სქ. 199, 200). ციხე დაზიანდა 1991 წ. 29 აპრილის მიწისძვრის დროს (გიორგაძე 1991: 69, 70).
ბიბლიოგრაფია: ბარსველი 1959: 20; ბერაძე 1975: 132-152; 1983; ბოჭორიძე 1933-1934: 289-338; 1994ა: 186, 270; გიორგაძე 1991: 69, 70; გიულდენშტედტი 1962: 115, 169, 293; დადიანი 1962: 164, 175; იველიძე 1969: 86, 116; კაკაბაძე 1928ა: 50, 49; ლორთქიფანიძე 1940: 53; მუსხელიშვილი 1977: 129; საქ. საზ. მუხ. ისტ. დოკ. 1953: 121; ტოლჩანოვი 1970: 143, 152; უჯაროვა 1894:121; ქც 2: 376,26; 533,1; ქც 4: 416,6; 643,16,17, სქ. 4: 764,19, სქ. 8; 822,12; 840,26; 841,6; 843,3; 867,1; 879,9; 885,5,20,21,25; 889,21,25; 890,2; ცინცაძე 1968: 31-34.

კვანძუმი (ქც 4: 731,17,22, სქ. 1; 753,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 731,17,22,სქ.1; 753,2), 1776 წ. საკათალიკოსო, საეკლესიო და სასოფლო მიწების ნუსხა (დას. საქ. საბ. 1921: 56), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 113, 291).
 ვახუშტი ბაგრატიონი კვაცხუთის შესახებ გადმოგვცემს: წყალწითელა „გამოსდის გაჭრილის მთას და მოდის ჩდილოდამ სამხრით. სად მოერთვის ყვირილას, მის ჩდილოთ ერთვის ამ წყალწითელას, კვაცხუთის ზეით მთაში, ცუცხვათის ხევი“ (ქც 4: 753,1-3).
 მდებარეობს ამბროლაურის მუნიცი-ში, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. კვაცხუთის ტერიტორიაზე. იოჰან გიულდენშტედტი კვაცხუთს ონს ქვემოთ, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირის სოფლებს შორის ასახელებდა (გიულდენშტედტი 1962: 291).
 1676 წ. არზრუმის ფაშა იდგა კვაცხუთს. 1677 წ. იქ თავი მოჰკვეთეს ასლან-ფაშას (ქც 4: 731,23,24). კვაცხუთი მეფე სოლომონ I-მა (1752-1782) და მისმა ძმამ, კათოლიკოსმა იოსებმა უბოძეს ზაქარია მოძღვარსა და მის შვილს იოსებს (ქც 4: 731,სქ.1). რაჭის

საერისთავოს გაუქმების შემდეგ (1769) სოლომონ I-მა რაჭის ერისთავთან ბრძოლაში დაზარებისათვის კვაცხუთი წერეთლებს უბოძა (სოსელია 1981: 86, 87,სქ.29)

კვაცხუთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.
ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1983: 12, 26; გიულდენშტედტი 1962: 113, 291; დას. საქ. საბ. 1921: 56; სოსელია 1981: 86, 87,სქ.29; ქც 4: 731,17,22,სქ.1; 753,2.

კვიციანთა (ქც 1: 256,5; ქც 4:797,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: მათიანე ქართლისა (ქც 1:256,5), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 797,6).
 კვერცხობის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: თეოდოსი შეება „ბუღა თურქს კვერცხობს სპითა თვისითა“ (ქც 4: 797,6).
 კვერცხობი არაა ლოკალიზებული.
 პირველად იხსენიება IX ს-ში საქართველოში ბუღა თურქის წინააღმდეგ აფხაზთა მეფის თეოდოსის გამოსვლასთან დაკავშირებით (ქც 1: 256,5). 1685 წ. გიორგი მეფემ კვერცხობი დაუმტკიცა ბეგთაბეგ შანშეან მარტიროზიშვილს (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 123).
 კვერცხობის შესახებ სხვა წერილობითი, ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემები არ არსებობს.
ბიბლიოგრაფია: მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 123; ქც 1: 256,5; ქც 4: 797,6.

კვიციანთა ციხე (ქც 4: 764,3,სქ.1). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:7 64,3,სქ.1).
 ვახუშტი ბაგრატიონი კვიციანთა ციხის შესახებ გადმოგვცემს: „კრიხულასა და ხოტვეის წყლის შესართავს ზეით, ხოტვეის წყლის აღმოსავლეთით კიდისა, მაღალს გორას კლდესა ზედა არს ციხე კვიციანთა, ფრიად მაგარი“ (ქც 4: 764,1-3).
 მდებარეობს ამბროლაურის მუნიცი-ში, ამბროლაურიდან 8 კმ დაშორებით, მდ. ხოტვეისწყლის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. კვირიკეში (1924-1992 წწ. სოფელს კორტი ეწოდებოდა) ტერიტორიაზე (ბერაძე 1983: 20; ჩაჩუნაშვილი 1996: 15, 16).
 მდ. ხოტვეის წყლის ხეობაზე გადიოდა ქვემორაჭისა და იმერეთის დამაკავშირებელი გზა(ბერაძე1983: 41).
 კვიციანთა ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.
 სოფელში დგას წმინდა კვირიკეს სამნავიანი ბაზილიკა. აქვს ნახევარწრიული აფსიდა, რომელიც ხუთწახნაგა შვერილის სახით გამოდის აღმოსავლეთის ფასადზე. ეკლესია ნაგებია ქვიშაქვისა და შირიმის თლილი ქვით. სამხრეთისა და დასავლეთის ფასადებზე ამოკვეთილია XVI-XVII სს-ის წარწერები. ეკლესია თარღიდება X-XI სს-ის მიჯნით. XVI-XVII სს-ში ის განაახლეს (ბერაძე 1983: 130, 131; ბოჭორიძე 1933: 233; ჩაჩუნაშვილი 1996: 15-25). ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით,

კლდოვან ბორცვზე დგას ნატეხი ქვით ნაგები, გვე-
მით სწორკუთხა კოშკი - კვიტაშვილების ციხე.
ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია (ბიჭორიძე 1933:
232).

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1983: 130, 131; ბიჭორიძე
1933: 232; ქც 4: 764,3,სქ.1; ჩაჩუნაშვილი 1996: 15-25.

პიპიძე-პიპიძე, ციხე (ქც 4: 343,21; 433,21; 435,8).
იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშ-
ტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველო-
სა“ (ქც 4: 343,21, 433,21, 435,8), 1652 წ. მამულის
ბოძების სიგელი (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964:
124).

ვახუშტი ბაგრატიონი კიკანათბერის ციხის შესახებ
გადავცემს: „ბობნავს ზეით, ჩიდილოთ კერძ, არს
ციხე კიკანათ-ბერი, კლდით მოზღუდვილი, და წყარ-
ო შიგ გადმომდინარე, და ფრიად მაგარი“ (ქც 4:
343,20-22).

მდებარეობს გორის მუნიციპ-ში, გორიდან სამხრეთ-
დასავლეთით, სოფ. ბობნავს ზემოთ, ტანას ხეობასა
და რაჭმათის მთას შორის.

კიკანათბერი სამეფო აზნაურების - სააკაძეთა
რეზიდენცია იყო. ტანას ხეობის ზემო წელში,
სოფელ ფელთან ერთად, მათ აქ ჰქონდათ ციხეები,
სასახლე და ეკლესია (ჯამბურია 1964: 20, 21, 28).
1624 წ. გიორგი სააკაძე ამაგრებს ციხეებს: ალს,
სურამს, კეხვსა და კიკანათბერს (ქც 4: 433,21,22). მან
ამ ციხეში გამოამწყვდია ხოსია ბარათაშვილი (ქც
4: 435,8). გიორგი სააკაძის საქართველოდან გადამ-
ხვეწის შემდეგ (1625) კიკანათბერის ციხე სახასია.
1652 წ. სიგელით ქართლის მეფე როსტომმა (1632-
1658) გიორგი სააკაძის შვილიშვილს იორამ სააკა-
ძეს დაუბრუნა კიკანათბერის ციხე სოფ. ლვედრეთ-
თან ერთად (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 124).

ტანას ხეობაში მდებარე სხვა ციხეებთან ერთად კი-
კანათბერი წარმოადგენდა ხეობაზე გამავალი გზის
მაკონტროლებელსა და დამცავ ნაგებობას (ბერ-
ძენიშვილი 1966: 47). კიკანათბერის ციხისაგან ნან-
გრევებილაა შემორჩენილი.

ის არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1966: 47; გვასალია
1983: 147; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 124; ქც 4:
343,21; 433,21; 435,8; ჯამბურია 1964: 20-33.

პიპიძე (ქც 4: 327,14). იხსენიება შემდეგ წერილო-
ბით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა
სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 327,14), XVII-
XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები
საქ. სტატ. 1907: 114, 116; მასალები საქ. ისტ.
გეოგ. 1964: 124; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 90, 91;
ქართულ-საბრძოლო ... 1955: 157), 1459 წ. სომხური
ხელნაწერი (სომხ. ხელნაწერთა ... 1978: 76).

მდებარეობს გარდაბნის მუნიციპ-ში, თრიალეთის ქე-
დის სამხრეთ-აღმოსავლეთ განშტოებაზე, ასურე-
თის ხევის მარჯვენა მხარეს. დიდების სამხრეთით,
კაბენის მონასტრის ჩრდილოეთით (ლორთქი-
ფანიძე 1935: 319).

1641 წ. სოფელი როსტომ მეფემ (1632-1658) უბოძა
თავის დისწულს სუარეშან ბატონიშვილს (ქარ-
თულ-სპარსული ... 1955: 157).

1921-1923 წწ. კიკეთის მიდამოებში დაზვერვები
და გათხრები ჩაუტარებია ე. პჩელინსს. კიკეთის მახ-
ლობლად, კოჯორ-მანგლისის გზასთან ე. პჩელინსს
გაუთხრია სამარხი, სადაც აღმოჩნდა თიხის რამ-
დენიმე ჭურჭელი, რომელთაგან განსაკუთრებით
საინტერესო იყო ფრინველის გამოსახულებითა და
სპირალური ორნამენტით შემკული მოზრდილი
ჭურჭელი. სამარხი ეკუთვნოდა ენეოლითურ ხანას
(პჩელინა 1930: 156-159; კუფტანი 1944: 86-89).

ე. პჩელინსს კიკეთის მიდამოებში სამ ადგილას
დაუმოწმებია ქვის სამარხები. პირველ პუნქტში
გათხრილია ჩრდილო-დასავლეთ-სამხრეთ-აღ-
მოსავლეთ ხაზზე დამხრობილი 4 სამარხი. დაკრ-
ძალვის წესის დადგენა მხოლოდ ერთ მათგანში
მოხერხდა. მიცვალებული ესვენა მოხრილი კიდურე-
ბით, მარცხენა გვერდზე. მეორე პუნქტში იმგვა-
რადვე დამხრობილი ერთი ქვის სამარხი შეუსწავ-
ლია. მიცვალებული ესვენა მარცხენა მხარეს, ძლიერ
მოკეცილი ფეხებით. მესამე პუნქტში გაუთხრია ქვის
სამარხი, რომელიც აღნაგობითა და დამხრობით
აღწერილ სამარხებს იმეორებდა. ძვლების ცუდად
დაცულობის გამო, მიცვალებულის დაკრძალვის
პოზის დადგენა არ მოხერხდა. ქვის სამარხები ყვე-
ლა უინვენტარო გამოდგა. ადგილობრივ მოსახ-
ლეობას ე. პჩელინსსათვის კიდევ ოთხ ადგილას
მიუთითებია კიკეთში ქვის სამარხების არსებობა.
ე. პჩელინსს მოსახლეობისაგან შეუძენია ბრინჯაოს
ხვეული საკიდები, საკინძი, მსხვილი მავთულისაგან
დამზადებული სამაჯური, თიხის ჭურჭელი და სარ-
ღონის მძივები. დაზვერვებისას მიუკვლევიან ყორ-
ღანებისათვის. მანგლისის ძველი გზის მიმდებარე
მიწებზე, სადაც ობსიდიანის უამრავი ანატექც-ანა-
მტვრეები იყო გაფენილი, შეუკრებია იარაღების
მცირე კოლექცია, რომელთაგან 38 ცალი გადაყვია
მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმისათ-
ვის. გათხრებისა და დაზვერვების დროს აღმოჩე-
ნილი დანარჩენი მასალა ინახება საქართველოს
ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს
მუზეუმი). (პჩელინა 1930: 147-162).

1948 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არ-
ქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ბ. კუფტანი)
ე. პჩელინსს განათხარ სამარხთა შესწავლა 7 სა-
მარხი და სამეურნეო დანიშნულებს 2 ორმო. სოფ-
ლის ტერიტორიაზე კი გაითხარა ძვ. წ. V ს-ის 6 ქვის
სამარხი.

1961 წ. ენეოლითური ხანის სამაროვანზე გათხრებს
აგრძელებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არ-
ქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თეო-
რი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ.
გ. გობეჯიშვილი), რომელმაც გამოავლინა რამდენ-
იმე სამარხი და ნამოსახლარის ნაშთები (ფხაკაძე
1963: 17).

კიკეთის ენეოლითური ხანის სამაროვანი მდებარე-
ობს კოჯორიდან კიკეთისაკენ მიმავალი გზატკეცი-

ლის მარცხენა მხარეს, ფერდობზე, წყნეთისა და კოფრის გზისსაყაროდან 1,6 კმ მანძილზე, სამაროვანზე სხვადასხვა დროს შეისწავლეს სულ 21 სამარხი და 6 სამურნეო ორმო. ცალკეული სამარხების ქვეშ, ან მათ გვერდით აღმოჩენილია უფრო ძველი ქვის წყობები და მრგვალი ორმოები. ჩანს, სამაროვანი უფრო ადრეული ნასახლარის ერთ-ერთ უბანზე გაუმართაობა. სამარხები სამი ტიპისაა. 1. ნალისებური მოყვანილობის ქვის სამარხები ხუთია. ისინი დამხრობილია ჩრდილო-სამხრეთით, ან მცირე გადახრით ჩრდილო-დასავლეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე. სამარხების ჩრდილოეთი კედელი მიომრგვალებულია, სამხრეთისა სწორხაზოვანი და ღია, რაც აქ შესასვლელის არსებობაზე მიუთითებს. ერთ შემთხვევაში შესასვლელში დირვა დატანებული. ქვემო ერთმანეთზე დევს ჰორიზონტალურ ფენებად და ქვევიდან ზევით ამცირებს გადასახურავ ფართობს, რაც თაღოვანი გადახურვის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. №№7, 12 სამარხებში შეიმჩნევა კედლიდან თაღზე გარდამავალი მორკალულობაც, ნალისებური სამარხებიდან ერთი (№7) ინდივიდუალურია, დანარჩენები (№№8, 9, 12, 14) კოლექტიური. 2. სამარხთა უმრავლესობა (№№2, 3, 4, 5, 10, 13) ქვაყრილიანი ორმოსამარხებია. ისინი წარმოადგენენ ოთხკუთხა ან ოვალურ ორმოებს, რომლებშიც მიცვალებულის ჩასვენების შემდეგ უსისტემოდ ჩაუყრიათ სხვადასხვა ზომის ქვები, რის გამოც ჩონჩხები დაზიანებული და კერამიკა ძალზე დამტვრეულია. ქვაყრილიანი ორმოსამარხები კოლექტიურია. მათში ასვენია 2-იდან 7-მდე მიცვალებული. ნალისებურ თუ ქვაყრილიან ორმოსამარხებში დაკრძალვის დადგენილი წესი არ შეიმჩნევა. მიცვალებულები დაკრძალულია კიდურებმოკეცილი ან ზურგზე გაშლილი. ზოგჯერ მიცვალებულთა ძვლები კედლიდანაა მიხვეტილი. სხვადასხვაგვარია მიცვალებულთა დამხრობაც. ქვაყრილიანი ორმოსამარხებიდან საყურადღებოა №№2, 3, 4, 5. მათში დაკრძალულ მიცვალებულებს თავის ქალა და კისრის ძვლები არ გააჩნიათ. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თავები მოკვეთილი აქვთ. არც ერთ მათგანს ინვენტარი არ ახლავს, მაშინ როცა სხვა სამარხები მდიდარია კერამიკით მაინც. 3. სამარხთა მესამე ტიპი გარკვეულწილად არ განსხვავდება ქვაყრილიანი ორმოსამარხებისაგან. ძირითადი განსხვავება შეიმჩნევა სამარხ ორმოებში, რომლებიც ყოველთვის ოთხკუთხა მოყვანილობისა და ყოველ მხრიდან შემოწყობილი აქვთ ცერად ჩადგმული ქვები, ისე რომ ისინი ქვის სამარხის შთაბეჭდილებას ტოვებენ. მიცვალებულებს ზევიდან ჯერ ქვის ბრტყელი ფილები ადევთ სახურავივით, ხლო შემდეგ ჩაუყრიათ სხვადასხვა ზომის ქვები. ასეთი სამარხი სამია №№1, 6, 11. ერთსა და იმავე სამარხში დასტურდება როგორც სხვადასხვა მხარეს დასვენებული მოკურნული ჩონჩხები, ისე გულაღმა მწოლიარე მიცვალებულები (ფხაკაძე 1963: 72-75). სამარხებში უხვად იყო წარმოდგენილი კერამიკა. ლითონის ნივთები საერთოდ არ აღმოჩენილა. კერამიკა ნაძერწია ხელით. თიხას ურევია ქვიშა,

ობსიდანი, ქარსი და ზოგჯერ კვარცი. კერამიკა უმეტესად მონაცრისფრო-ვარდისფერია მუქი ლაქებით. გვხვდება შავად გამომწვარი, ვარდისფერსარჩულიანი რამდენიმე ნიმუშიც. ნაწილი კერამიკისა ანგობირებული და სუსტად ნაპრიალებია. თითქმის ყველა ჭურჭელი ფენებად შენების გზითაა დამზადებული. ძირი, ყური, ყელი, ცალკეა გამოშრალი. შემდეგ ერთმანეთზე დადგმული და ორივე მხრიდან შემოლესილია თიხის უფრო თხელი ფენით. ფორმისა და დანიშნულების მიხედვით მათში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა: 1. ჯამები, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ; 2. სხვადასხვა ფორმის სასმისები; 3. დიდი ზომის ქოთნისებური ჭურჭელი. ჯამებში სამი ტიპი გამოიყოფა: I ტიპის ახასიათება სწორი ან ქობიანი პირით, მომრგვალებული მუცლითა და ფართო, ბრტყელი ძირით. ყელიდან მუცელზე გადასვლა თანდათან ხდება. ჯამებს დაძერწილი აქვთ კოპები და შვერილები. ისინი სადაა, მხოლოდ ერთ მათგანზე შეიმჩნევა ამოკაწრული გეომეტრიული ორნამენტი. II ტიპის ჯამებს ახასიათებთ ტანთან შედარებით ოდნავ შევიწროებული პირი, ცილინდრული ყელი, გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი. ჭურჭლის ყელიდან მუცელზე გადასვლა მკვეთრი ტენილით ან წიბოს საშუალებით აღინიშნება. კოპებისა და შვერილების გარდა, თითქმის ყველა მათგანს პირსა და ყელზე დაძერწილი აქვს თითო ყური. ერთ მათგანს ამკობს რელიეფური წყვილი ხაზი. III ტიპის ჯამები მცირერიცხოვანია. ახასიათებთ მრგვალქობიანი პირი, შედარებით კარგად გამოსახული ოდნავ დაქანებული მხრები. მუცელთან შეერთებისა ქმნიან წიბურს. პირსა და წიბოზე დაძერწილი აქვთ თითო ყური, რომლის მოპირდაპირე მხარეს ჰქონდათ კოპი და შვერილი. ერთ მათგანზე რელიეფურად გამოსახულია წყვილი რკალური თავჩახვეული ფიგურები. სამარხებში აღმოჩენილია ე. წ. ჯამ-ქოთნებიც. მათ აქვთ ბრტყელი ძირი. სწორი პირი და ცილინდრული ფორმის ტანი. ერთ მათგანს აქვს ყური და შვერილი. მეორეს კი ორივე ყური პირზე აქვს დაძერწილი (ფხაკაძე 1963: 77-81). ჭურჭლის მეორე დიდ ჯგუფს სასმისები შეადგენს. მათში სამი ტიპი გამოიყოფა. I ხასიათდება სწორი, ქობიანი პირით, მაღალი ცილინდრული ყელით, მომრგვალებული მუცლითა და ბრტყელი ძირით. ყველა მათგანი ცალყურაა. II ტიპის ჭურჭლები აქვთ ცილინდრული ყელი და ბრტყელი ძირი. III ტიპში ერთიანდება ჭურჭელი, რომელსაც ახასიათებს ცილინდრული ყელი, მკვეთრად გამოხატული წიბო და ვიწრო, ზოგჯერ შეზნეილი ძირი. მათ აქვთ თითო ყური. კერამიკის III ჯგუფში ერთიანდება დიდი ზომის ქილები თუ ქოთნები. ყველა მათგანს აქვს შეტანაკლებად მაღალი, ცილინდრული ყელი, დაბრტყელებული პირი, ბრტყელი ძირი. ყელსა და მხარზე დაძერწილია ყურები. ქოთნისებური ჭურჭლიდან ცალკე გამოიყოფა დიდი ზომის პითოსები. ასეთი ნიმუში რამდენიმეა. მათგან 3 შავპრიალაა, ვარდისფერი სარჩულით. და-

ნარჩენები მოვარდისფროა. ყველა ყურიათა. ჭურჭლის უმრავლესობა ორნამენტირებულია. მათი სახურავები დისკოსებურია. სახურავის შუა ნაწილში დაძვრულია პატარა ყური. ჭურჭლის ორნამენტი სხვადასხვა სახისაა. რელიეფური ორნამენტის უმრავლესობა პითოსისებური ჭურჭლის მხარსა და ყელზეა გამოსახული. ზოგჯერ მათზე დაძვრულია ნალისებური ფორმის ორნამენტი ან წვეილი რკალინებური სახეები. ყველაზე დამახასიათებელია ორმაგი სპირალი. ერთ-ერთი პითოსის ყელზე წარმოდგენილია რელიეფური ხაზებით შესრულებული ფრინველის გამოსახულება (ფხაკაძე 1963: 82-89, 90, 99). სამარხებში აღმოჩენილი არაკერამიკული მასალიდან გვხვდება ქვის სალუსავი, წაკვეთილი კონუსის ფორმის ძვლის კვირისტავები. მძივები მინისებური პასტისაა. ცილინდრული ფორმის 31 მძივი თეთრი ფერისაა.

მთელი ფართობი, სადაც სამაროვანი მდებარეობს, მოფენილია ობსიდიანის უამრავი ნატებით, რომელთა შორის ბევრი დამუშავებულია. ზედაპირული მასალა: როდანი, ხელსაფქვავე, ნამგლის ჩასართები, კაჟის ლამელა, ბათქაშის ნატებები და სხვა, ამ ტერიტორიაზე საცხოვრებლის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ფერდობზე გაითხარა მრგვალი ფორმის 6 ორმო, რომლებიც საცვ იყო ნაცრით, ნახშირით, ხელსაფქვავეის ნატებებით, რიყის ქვის სალუსებით, ცხოველთა ძვლებით, კერამიკის ფრაგმენტებით. ზოგიერთ ორმოში შეიმჩნეოდა ბათქაშის სქელი ფენა, წნულის ანაბეჭდებით. ორმოებში აღმოჩნდა თიხის ორი სადგარი. ერთი მათგანი კოჭისებური ფორმისაა, გაფართოებული და დაბრტყელებული თავებით. მეორე რქისებურშვერილიანი სადგარია (ფხაკაძე 1963: 60, 61, 100). ორმოებიდან მომდინარე მასალები (ჯამები) უფრო არქაული ჩანს და შესაძლოა ისინი ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღდეს. სამარხეული კერამიკის თარიღი ძვ. წ. IV-III ათასწლეულის მიჯნით შეიძლება განისაზღვროს (საქ. არქ. 1992: 163). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი). სოფლის ტერიტორიაზე 1948 წ. ბ. კუფტინმა შეისწავლა 6 ქვის სამარხი. ისინი ინდივიდუალურია. მიცვალებულები ესვენა თავით ჩრდილოდასავლეთისაკენ, ძლიერ მოხრილი კიდურებით. ქალები მარცხენა, მამაკაცები კი მარჯვენა გვერდზე. სამარხებში აღმოჩნდა თიხის 8 ჭურჭელი, რომლებიც ძირითადად მოწითალოდაა გამომწვარი. 3 მათგანი წითლადაა შეღებილი. დოქებს ახასიათებს ოდნავ გამწვანებული პირი, ფართო, საშუალო სიმაღლის ყელი, სფერული ტანი და ფართო ძირი. ყური მიძვრულია პირისა და მხარზე. კოჭობები უყურია. გარდა კერამიკისა სამარხებში აღმოჩნდა: რკინის მასრაგახსნილი შუბისპირი, რკინის ცალპირლესული 3 დანა, ბრინჯაოსა (3 ც) და რკინის (3 ც) სამაჯური. ბრინჯაოს სამაჯურებიდან ორი შემკულია ქვეწარმავლის თავის სტილიზებული გამოსახულებით, რკინის სამაჯურების რკალი -

ბურთულისებრი შემსხვილებით. სამარხებში გამოვლინდა: ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები; საყურე რგოლი; რკინის საკინძი; ბრინჯაოს ძეწკვი; 3 ცალი მძივი. №2 სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ზარი. სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. V ს-ის პირველი ნახევრით. შედარებით ახალგაზრდა ჩანს ზურგდაკეჭნილი სამაჯურების შემცველი სამარხები, რომლებიც ძვ. წ. IV ს-ის მიწურულითა და III ს-ის დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს (დავლიანიძე 1983: 109-115). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ამავე მუზეუმში ინახება კიკეთსა და მის მიდამოებში სხვადასხვა დროს შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები. 1936 წ. მეტეხის ხელოვნების მუზეუმს სახელმწიფო მუზეუმისათვის გადაუცია თიხის შავად გამომწვარი ქოთანის და ჯამის ფრაგმენტი. 1958 წ. მუზეუმში მოხვდა ბრინჯაოს ვიწროპირიანი სატევარი წაწვეტებული ბოლოთი. პირი შემკული აქვს ამოღარული ხაზებით. სატევრის შემორჩენილი სიგრძე 27,2 სმ-ია. სატევართან ერთად მუზეუმს შეუძენია რკინის ორფრთიანი ისრისპირი. აღწერილი ნივთები მიეკუთვნება ვვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას. 1977 წ. მუზეუმმა შეიძინა კიკეთში შემთხვევით აღმოჩენილი სამარხეული ნივთები: ბრინჯაოს რომბისებური მოყვანილობის ინკრუსტირებული ვიბულა, დათარიღებული II-III სს-ით (აფხაზავა 1979: 11); სხვადასხვა ფორმის 6 ზარაკი, მავთულით შედგენილი 2 სპირალი, წრიული მოყვანილობის, ნაპირებთან გახვრეტილი ფორფიტა, ზურგჩანჩქელი, რკალგახსნილი სამაჯური, გახვრეტილი ფალანის ძვალი, სარდონის (21 ც), ვიშრის (1 ც), ქარვის (1 ც), მინის (26 ც) მძივები, რკინის დანა, თიხის წითლად გამომწვარი სამტუჩა დოქი, რომლის მუცელი შემკულია კოპებით, სპილენძის გახვრეტილი მონეტები (3 ც), რომლებიც დავთრის ჩანაწერის მიხედვით ყალბი უნდა იყოს. კოლექციაში შემავალი ნივთები გვიანი ანტიკური ხანისაა.

ბიბლიოგრაფია: აფხაზავა 1979: 11; დავლიანიძე 1983: 4, 7-10, 13, 15, 17, 21, 30, 31, 38, 45, 46, 57, 60-62, 68, 71, 81, 82, 86, 89, 107, 109-115; ლორთქიფანიძე 1935: 319; მასალანი საქ. სტატ. 1907: 114, 116; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 124; საქ. არქ. 1992: 161-163; სომხ. ხელნაწერთა ... 1978: 76; ფხაკაძე 1963: ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 124; ქართულ-სპარსული ... 1955: 157; ქვ 4: 327,14; ჯგაფარიძე 1991: 105-107; კუფტინი 1940: 22; 1944ა: 86-89; პჩელინა 1930: 147-162.

კიბოთისმანო (ტიმოთესუბანი), მონასტერი (ქვ 4: 346,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 346,23), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 46). მდებარეობს ბორჯომის მუნიციპ-ში, გუჯარეთისწყლის მარჯვენა ნაპირზე, წაღვერიდან 3 კმ-ის დაშორებით, სოფ. ტიმოთესუბანთან.

წერილობით წყაროებში ტიმოთესუბანი იხსენიება კომითისმანად (ქც 4: 346, 23; ბაგრატიონი 1986: 46). ის არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სამონასტრო კომპლექსი მოიცავს გუმბათიან ეკლესიას, დარბაზული ტიპის მცირე სამლოცველოს, სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებს. მონასტრის მთავარი ნაგებობა ღვთისმშობლის მიძინების XII-XIII სს-ის გუმბათიანი ტაძარია. აგებულია აგურით. ტაძრის გეგმის სამი მხარე სწორხაზოვანია, მეთხე შევრილი. საკურთხევლის სამივე აფსიდა სწორხაზოვნად გარეთ გამოდის. ცენტრში აღმართულია გუმბათი, რომელიც ეყრდნობა საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთის პილონებს. ტაძრის გვერდითი მკლავები მოკლეა, ორი დანარჩენი – შედარებით გრძელი. საკურთხეველი სამნაწილიანია. შუა ნაწილი მიღებულია აფსიდისა და ბემის შეერთებით. გვერდითი სათავსოებიც აფსიდით მთავრდება. საკურთხეველსა დასავლეთით საფეხური. საკურთხევლის



ტიმოთესუბანი

გვერდითი სათავსოები ორ-ორ სართულიანია. ქვემოთ მოთავსებულია სამკვეთლო და სადიაკვნე. სამკვეთლოში შემორჩენილია ერთი მთლიანი ქვისგან გამოკვეთილი ტრაპეზი. ქვედა და ზედა სართულებს აქვთ თითო სარკმელი. ასასვლელი ორივე სათავსოს ცალ-ცალკე აქვს კამარების დასავლეთი მონაკვეთი. სადიაკვნესა და სამკვეთლოში შედიოდნენ დასავლეთის კარით. ტაძარს შესასვლელი აქვს დასავლეთ და სამხრეთ კედელში. ტაძარი ნათლება გუმბათის – 12 და ქვედა კორპუსში განლაგებული სარკმლებით. ინტერიერში შემორჩენილია კედლის მხატვრობა. ფასადები სადაა. ლორწინების სახურავი არ უნდა იყოს თავდაპირველი, რადგან ეზოში და ტაძრის ირგვლივ ბლომად გვხვდება მოჭიქული კრამიტები. გუმბათის ყელს შემოუყვება ცისფერად მოჭიქული შორენკეცები (ზაქარაია 1978: 101-103).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 46; ბაქრაძე 1875: 83; ზაქარაია 1961: 71-102; 1978: 99-111; მაკალათია 1957; პრივალოვა 1975: 56-64; ქც 4: 364,23; გაუხნიშვილი 1951: 303.

კლდეისი (ქც 4: 318,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 318,17; 321,22), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 50), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 74; მასალანი საქ. ისტ.გეოგ. 1964: 125; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 33; ქართულ-სპარსული... 1955: 133, 134). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „მოდამნახეს ქუეით არს ვარდისუბანს მონასტერი ... მას ქუეით ერთვის ქციას ხევი კლდეისისა ...“ (ქც 4: 321,20-22).

მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიცი-ში, მდ. ხრამის ხეობაში, კლდეისის წყლის მარჯვენა მხარეს, სოფლებს – დიდი და პატარა კლდეისის ტერიტორიაზე (ლორთქიფანიძე 1935: 320; ხარაძე 1991: 71, 72).

კლდეისზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზა, რომელიც თრიალეთს სამშვილდეს უკავშირებდა (ბერძენიშვილი 1966: 72). წყაროებში მოხსენიებულია „კლდეისას“ სახელითაც (მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 74; ქართულ-სპარსული ... 1955: 133, 134; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 33).

კლდეისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. კლდეისში შემორჩენილია ეკლესია და ციხესიმაგრის ნანგრევები. ღვთისმშობლის X-XI სს-ის დარბაზული ტიპის ეკლესია (16X18 მ) დგას სოფლის ცენტრში. ნაგებია თლილი ქვის პერანგით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. თითო ფანჯარაა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ კედლებზე. სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან აქვს გვიანდელი მინაშენები. ეკლესია დაზიანებულია (თაყაიშვილი 1913ა: 116; ხარაძე 1991: 71, 72). ეკლესიაზე და მისგან ჩამოყრილ ქვებზე შემორჩენილია ასომთავრული წარწერები, რომლებშიც მოხსენიებულია: „ქავთარ ტბელი“, „ივანე ერისთავი“, „ერისთავი ვაჩე“, „კვირიკე მცირე“ და სხვ. (თაყაიშვილი 1913ა: 116).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 50; ბერძენიშვილი 1966: 72; თაყაიშვილი 1913ა: 116; ლორთქიფანიძე 1935: 320; 1938: 91, 395; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 74; მასალანი საქ. ისტ. გეოგ. 1964: 125; მესხია 1982: 199; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 33; ქართულ-სპარსული ... 1955: 133, 134; ქც 4: 318,17; 321,22; ხარაძე 1972: 63; 1991: 71, 72; ჯავახიშვილი 1965: 20.

კლდეკარი (ქც 4: 139,4). კლდეკარი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 139,4; 144,7; 149,2,7; 153,9; 170,19; 214,26; 318,14; 324,25; 325,7,8,10,14, სქ. 1; 326,3; 333,21; 346,2; 608,7), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 258,13; 277,19; 276,17,21; 278,17; 292,2; 304,21; 305,8,10,13; 307,9; 316,15), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ქც 1: 324,14; 331,15), ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე (ქც 1: 367,3; 385,32), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 231,12), XI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 160, 233; 1897: 515; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 154; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 10; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 49), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 279, 280), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 129,11), არისტაკაეს ლასტივერტცის „ისტორია“ (ლასტივერტცე 1974: 141), ტოხის „ბრძოლის ველზე გასვლა“ (ტოხი 1981: 237).

მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიცი-ში, ალგეთის ხეობის ზემო ნაწილში, კლდეკარის ციხის ტერიტორიაზე.

კლდეკარის ციხე ააშენა ლიპარტ ბაღვაშმა 876 წ-ის ახლო ხანებში. IX-XII სს-ში კლდეკარის ერისთავ-

თარეზიდენციაა (კობალიანი 1951: 16). კლდეკარის ციხესთან გადიოდა მანგლისიდან თრიალეთისაკენ მიმავალი შთავარი სავაჭრო გზა და ბიზანტიიდან ქართლ-კახეთისა და სომხეთიდან ქართლში მიმავალი გზები (ბერძენიშვილი 1966: 68). 989 წ. კლდეკარის ციხეს დროებით იკავებს ბაგრატ III (975-1014). ბაგრატ IV-ის (1027-1072) დროს კლდეკარის ციხე ბაღვაშს ეკუთვნის. 1103 წ. დავით აღმაშენებელმა (1089-1125) გააუქმა კლდეკარის საერისთავო და ის გიორგი ჭყონდიდელის დისწულ თევდორეს გადასცა (ბერძენიშვილი 1979: 75). ამის შემდეგ ციხე კარავს ადრინდელ მნიშვნელობას. 1177 წ. კლდეკარის ციხეში თვალები დასთხარეს უფლისწულ დემნას. წყაროებში ციხე მოიხსენიება „კლდეკარის“ სახელითაც (ქც 2: 231,12; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 49). წალკელი ბერძენები მას ყაშაყაას უწოდებენ.

კლდეკარი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ციხესთან შემორჩენილია დარბაზული ტიპის ეკლესია (სომეხები დაახ. 9X5 მ). ნაგებია თლილი ქვით. კარი სამხრეთიდანაა. ეკლესიის ეზოში სასაფლაოა (თაყაიშვილი 1913: 65).

კლდეკარის ციხე მდებარეობს არჯვეანის ქედის ორ უმაღლეს მწვერვალზე. ნაგებია ფლეთილი ქვით კირხსნარზე. გეგმით ოთხკუთხაა. შესასვლელი დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდანაა. თარიღდება IX ს-ით (თაყაიშვილი 1913: 65; მელიქსეთ-ბეგი 1924: 170, 171).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1968ა: 107; 1975: 83-128; 1979: 42, 56, 57, 67, 68, 70, 74, 75, 129, 130; 1985: 93, 94, 97, 101, 102; ბერძენიშვილი 1966: 16, 36, 43, 44, 45, 49, 50, 51, 53, 65, 68, 70, 72, 109, 113; ვვასლია 1983: 36, 61, 127, 129, 163; დადიანი 1962: 129,11; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 154; ზაქარაია 1957ა: 176; 1960: 27; 1988: 59-62; თაყაიშვილი 1913: 65; კობალიანი 1951: 242, 243, 274, 275; კობი 1981: 237; ლასტივერტეცი 1974: 141; ლორთქიფანიძე 1938: 395; მაკალათია 1957: 7; მელქისეთ-ბეგი 1924: 167-172; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 6, 53, 54; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 10, 279, 280; ქრონიკები 1892: 160, 233; 1897: 515; ქც 1: 258,13; 277,19; 276,17,21; 278,17; 292,2; 304,21; 305,8,10,13; 307,9; 316,15; 324,14; 331,15; 367,3; 385,32; ქც 2: 231,12; ქც 4: 139,4; 144,7; 149,2,7; 153,9; 170,19; 214,26; 318,14; 324,25; 325,7,8,10,14, სქ. 1; 326,3; 333,21; 346,2; 608,7; ციხეკარიშვილი 1959: 36, 92; ხარაძე 1972: 63; 1991: 58, 59, 80.

კლდისუბანო (ქც 4: 501,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 501,11), 1660 წ. საბუთი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 528), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 228).

მდებარეობს თბილისში, ახლანდელი ბეთლემის ქუჩის ბოლოს, მაღალ, დამრეც ფერდობზე (კვიციანი 1985: 51; ზარდლაშვილი 1978: 38).

1722 წ. კახეთის მეფე კონსტანტინე II-მ (მაჰმადფელიხანმა) თბილისის კლდისუბანი დაიკავა. უფლისწულმა ბაქარმა მალევე განდევნა იქიდან კონსტანტინე და იქ თავისი ჯარი ჩააყენა (ქც 4: 501,11-13).

კლდისუბანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. 1981 წ. კლდისუბანში, ბეთლემის ქუჩაზე შემთხვევით აღმოჩნდა ჯალალედინის (1221-1231) 3 ცალი, თითო ელხანთა ირანის მფლობელი ოლჯათიუსა (1304-1316) და ქართლის მეფის, ბაქარის (1716-1719) მონეტები (ბერძენიშვილი 1982: 51). ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1982: 51-55; ზარდლაშვილი 1978: 38; კვიციანი 1985: 51; ორბელიანი 1981: 228; ქც 4: 501,11; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 528.

კოდისწყარო (ქც 4: 328,20). ლეონტი მროველი „ნინოს მიერ ქართლის მოქცევაში“ ახსენებდა კოდისწყაროელ მწიგნობრებს (ქც 1: 98,4). ვახუშტი ბაგრატიონი იხსენიებს როგორც წყაროს: „არს ტბა კუმისისა, მლაშე, შესდის წყარო კოდისა“ (ქც 4: 328,20). დასახლებული პუნქტი „კოდისწყარო“ იხსენიება XV-XVIII სს-ის წერილობით წყაროებში (ქორდანია 1896: 72, 80; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 241; 1970: 546, 1059; 1972: 523; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 126; კლიმათიშვილი 1964: 133), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 34, 39), დღეისათვის კოდისწყაროს სახელით საქართველოში სამი სოფელია ცნობილი: 1. კოდისწყარო – კასპის მუნიციპ-ში, მდ. ლეხურას მარჯვენა მხარეს, კასპიდან ჩრდილოეთით, 22 კმ-ის დაშორებით, სხვილოს ციხის დასავლეთით.

თავა ზევდგენიძემ 200 წლის ვაპარტახებული სოფელი კოდისწყარო ააღორძინა და შესწირა შიომღვიმის მონასტერს 1433 წ. (ქორდანია 1896: 72). XVII ს-ში კოდისწყარო ზემო ქართლის საეროშიში შედიოდა (კლიმათიშვილი 1964: 133). XVIII ს-ის მეორე ნახევარში საამილახვროს მიეწერებოდა (ბაგრატიონი 1986: 39).

კასპის მუნიციპ-ის კოდისწყარო არქეოლოგიურად შეუსწავლელია. 1938 წ. სოფელში შემთხვევით აღმოჩნდა თიხის უინვენტარო სარკოფაგი. 1982 წ. სოფლის აღმოსავლეთით შემთხვევით ნაპოვნია ვერცხლით ინკრუსტირებული დიონისეს ბრინჯაოს ქანდაკება (სიმაღლე 0,2 მ). ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. დაზვერვებისას სოფლის განაპირას, ადგილ ხრიაკებში, მიკვლევულია ადრე შუა საუკუნეების ნასანლარი და სამაროვანი. მასხლარზე აკრეფილია წითლად გამომწვარი კერამიკის ფრაგმენტები. სამაროვანზე ჭრილში ჩანს თიხის დაზიანებული სარკოფაგები (სძა 1990: 173). სოფლის სასაფლაოზე დგას რიყის ქვით ნაგები XVIII-XIX სს-ის წმინდა თევდორეს დარბაზული (7,5X5,1 მ) ეკლესია. ცალკეულ დეტალებზე გამოყენებულია კვადრატული აგური.



არტეფაქტი
კოდისწყაროდან

აფსიდა ნახევარწრიულია. აქვს მთლიან ქვაში ამოკვეთილი თაღოვანი სარკმელი (გვიან ამოუქოლავთ). ამოქოლილია დასავლეთის კედლის თაღოვანი სარკმელიც. სამხრეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. აღმოსავლეთის ფასადის კენზე დგას ორმხრივ გახსნილი აგურის დაბალი სამრეკლო (სძა 1990: 173).

2. ღუშეთის მუნიცი-ის სოფ. კოდისწყარო (ზედა და ქვედა კოდისწყარო). მდებარეობს ღუშეთიდან სამხრეთით, მდ. ნარეკვავის

სათავეებთან.

1669 წ. სიგელით სოფ. კოდისწყარო წილკნის სამწყსოში შედიოდა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 546). ის მუხრანბატონის საკუთრება იყო (ბაგრატიონი 1986: 34). სამთავნელს კოდისწყაროში ყმები ჰყავდა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 1059). ნარეკვავის ხეობაში ბაზალეთიდან მომავალი გზა კოდისწყაროზე გაივლიდა და ქსნის ხეობას გრემისხევთან აკავშირებდა (ბერძენიშვილი 1964: 388), ქსნისა და არაგვის სერისთავოს შორის საზღვარი კოდისწყაროზე გადიოდა (გვასალია 1983: 77).

ღუშეთის მუნიცი-ის სოფ. კოდისწყარო არქეოლოგიურად შეუსწავლელია. 1971 წ. კოდისწყაროში შემთხვევით აღმოჩნდა ორი ფურცლისაგან შეკერილი ბრინჯაოს ორფურა ქვაბი, მრგვალი ძირით (საინვ. №3577). ქვაბში იდო ბრინჯაოს ორი, ე. წ. იბერიულ-კავკასიური ცული (საინვ. №№3555, 3556) და ბრინჯაოს აბზინდა (საინვ. №3578). ნივთები ინახება ღუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

კოდისწყაროს ნასოფლარზე, დიდ ტერიტორიაზე განლაგებულია ციხე-დარბაზის ნანგრევები; საყარო კოშკი; სასახლისა და ეკლესიის ნანგრევები. კოშკი ოთხსართულიანია. ჰქონია ორფერდა სახურავი. ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით ღულაბზე. ჩრდილოეთიდან აქვს შესასვლელი პირველ სართულზე. სართულში ერთმანეთს უკავშირდება კედლების გასწვრივ მიმდებარეული ქვის კიბით. მათ შორის გადახურვა ხის იყო. კედლებში კარ-სარკმლები და სათოფურებია. ყველა სართულზე თითო ბუხარია. სასახლე დიდი ზომის უნდა ყოფილიყო. მთავარი შესასვლელი აღმოსავლეთიდან ჰქონია. შენობის ძლიერი დაზიანების გამო გვემა კარგად არ იკითხება. კომპლექსი ამუნებული უნდა იყოს XVIII ს-ში და ეკუთვნოდა მუხრანბატონებს (ზაქარაია 1965: 133-137; 1988: 117-119).

3. სოფელი კოდისწყარო მდებარეობს თეთრი წყაროს მუნიცი-ში, ალგეთის ხეობაში, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, თეთრი წყაროდან 54 კმ-ის დაშორებით.

თეთრი წყაროს მუნიცი-ის სოფ. კოდისწყარო არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 34, 39; ბერძენიშვილი 1964: 398; 1966: 68; გამყრელიძე 2009: 54; გვასალია 1983: 77, 94, 97, 99; ზაქარაია 1965: 133-137; 1988: 117-120; კლიმაშვილი 1964: 121-151; მასალეები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 124; ჟორდანიას 1896: 72, 80, 82; სძა 1990: 173; ქც 1: 98, 4; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 280, 546, 1059; 1972: 523; ქც 4: 328, 20.

კოლორი, დაბა (ქც 4: 781,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 781,11), „მესხურ-იმერული დღიური წერილები“ (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 315), ლიხთ იმერეთის 1737 წლის რუკა (ბურჯანაძე 1959: 194), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1964: 53), სპენსერის „მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ“ (სპენსერი 1981: 137).

ვახუშტი ბაგრატიონი კოდორის შესახებ გადმოგვცემს: „მდინარე კოდორი დრანდამდის დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდინარე კავკასიიდან ... მოივლ სახელი დაბის კოდორისაგან, რომელ არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში“ (ქც 4: 781,9-12). მდებარეობს გულრიფშის მუნიცი-ში, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირას, ახლანდელ სოფ. კოდორის ტერიტორიაზე.

კოდორი შუა საუკუნეებში ეპისკოპოსთა რეზიდენციაა (გიულდენშტედტი 1964: 53). XVIII ს-ში ის დაბა იყო (ქც 4: 781,11).

სოფ. კოდორი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ანასტასიევკასთან ფიქსირებულია აშელისა და მუსტიეს ხანის სადგომის ნაშთები (ვორონოვი 1969: 15). მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ზუპინას მღვიმეში აღმოჩნდა ზედაპალეოლითური ხანის ნუკლეუსები, ფირფიტები, მიკროლითები, სეგმენტები, სახვრეტები, დათვის, ქურციკის, ჯიხვის, ირმის ძვლები, მეზოლითური პერიოდის ძვლის ჰარპუნები, მაკროლითები, კაჟის ფირფიტები, საფხეკები (სოლოვიოვი 1960: 191-195). მდ. კოდორთან, სოფ. აძიუჭაში შემთხვევით აღმოჩნდა ანტიკური ხანის ბრინჯაოს სამაჯურები, რკინის შუბისპირები (ვორონოვი 1969: 64). მდინარის მარჯვენა ნაპირზე დადასტურებულია ნამოსახლარი, სადაც აღმოჩნდა პითოსების ფრაგმენტები და ახ. წ. III-IV სს-ის მინის ჭურჭლის ნატეხები. ნამოსახლარი ზოგადად რომაული ხანით თარიღდება (ვორონოვი 1969: 64, 65). ნამოსახლარის სამხრეთით მდებარეობს ციხესიმაგრე, რომლისგან ნანგრევებია შემორჩა. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 2,5-4 მ-ია, სიგანე 2 მ. ნაგებია ლოდებისაგან კირხსნარზე. ციხე რომაული ხანითაა დათარიღებული (ვორონოვი 1969: 64).

ბიბლიოგრაფია: ბურჯანაძე 1959; გიულდენშტედტი 1964: 53; ვორონოვი 1969: 15, 64, 65; სპენსერი 1981: 137; სოლოვიოვი 1960: 191-195; ქც 4: 781,11.

კოლა, მცირე ქალაქი (ქვ 4: 658,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 658,13; 674,15,16,17,სქ.3; 735,22), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქვ 2: 111,1).

ვახუშტი ბაგრატიონი კოლას შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო არტანისა და კოლის საზღვარს ზეით, მტკურის კიდის დასავლეთით, არს მცირე ქალაქი კოლა“ (ქვ 4: 674,15).

ლოკალიზდება ისტორიულ კოლას მხარეში. ე.თაყაიშვილის მოსაზრებით, ის მდებარეობდა მდ. მტკურის სათავეში, სოფ. ოკამის მიდამოებში (თაყაიშვილი 1938: 9). კოლა, იგივე გიოლეა, რომელიც მდებარეობს მტკურის სათავეებთან (გუგუნავა 1996: 27). ის ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

კოლა არქეოლოგიურად შესწავლელია.

ბიბლიოგრაფია: გუგუნავა 1996:27; თაყაიშვილი 1938:9; მესხია 1983:233; ქვ 2:111,1; ქვ 4:658,13; 674,15,16,17,სქ.3; 735,22; ჭილაშვილი 1968:93.

კონდოლი, სოფელი (ქვ 4: 542,6,8; 547,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 542,6,8; 547,2), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 68), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 492; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 331; 1953: 274; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 409; 1972: 216, 653; 1974: 648; 1981: 59, 742, 1985: 487, 661, 662), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1964: 41-43, 263).

ვახუშტი ბაგრატიონი კონდოლის შესახებ გადმოგვცემს: „ბოღებს ... ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ქისიყისა ვიდრე კონდოლამდე... და არიან სადროშონი მისნი ქისიყით კონდოლამდე და მანავამდე“ (ქვ 4: 542,6-8). მდებარეობს თელავის მუნიციპ-ში, თელავიდან 6 კმ-ის დაშორებით, მდ. კისისხევის მარცხენა ნაპირას, თანამედროვე სოფ. კონდოლის ტერიტორიაზე. XVII-XVIII სს-ში ეკუთვნოდა ალავერდის ტაძარს (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 312). კონდოლი ყმები ჰყავდათ ანდრონიკაშვილებს (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 331; 1953: 274).

კონდოლი არქეოლოგიურად შესწავლელია.

სოფლიდან ჩრდილოეთით, გზის პირას, დგას იოანე ნათლისმცემლის სამნავიანი ბაზილიკა (19,5X9,5მ). ნაგებია რიყის ქვით. ნაგები ერთმანეთისაგან გამოყოფილია სვეტების ორი რიგით. ცენტრალური ნავის აფსიდა ნაღისებურია. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა. ნაგებობა შეკეთებულია XVII და XIX სს-ში. თარიღდება VI სს-ის დასაწყისით (ჩუბინაშვილი 1959: 68, 69). ეკლესიის მახლობლად კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 68; გიულდენშტედტი 1964: 41-43, 263; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 331; 1953: 274; ქრონიკები 1897: 492; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 409; 1972: 216, 653; 1974: 648; 1981: 59,

742, 1985: 487, 661, 662; ქვ 4: 542,6,8; 547,2; ჩუბინაშვილი 1959: 68, 69; ჯაბუა 1985: 37-41.

კორტანეთი (ქვ 4: 662,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 662,2), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 272), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 68), იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“ (ტფილელი 1934: 10), 1697 წ. ერეკლე I-ის (1688-1703) სიგელი (აბულაძე 1983: 79, 97), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (1986: 45), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 21, 332), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 177, 219).

მდებარეობს ბორჯომის მუნიციპ-ში, მდ. მტკურის ნაპირზე, ბორჯომიდან 9 კმ-ის დაშორებით, ყვიბისის ჩრდილოეთით.

ოსმალთა მიერ დაპყრობილი სამცხე-საათაბაგოსთვის 1595 წ. შედგენილი გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, სოფ. კორტანეთი შედიოდა პეტრეს ლივაში – თურქულ სამმართველო ოლქში და შეწერილი ჰქონდა 11 000 ახნა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 493). 1609 წ. ქართლში შემოჭრილ ყირიმელ თათრებს კორტანეთთან გზა მოუჭრა გიორგი სააკაძემ (ცხოვრება ... 1980: 68; ტფილელი 1934: 10). 1697 წ. ქართლის მეფე ერეკლე I-მა ზაალ ავალიშვილსა და მის შვილებს სიგელით დაუმტკიცა ქავთარაძეების მამული ნეძესა და კორტანეთში (აბულაძე 1983: 79, 97).

კორტანეთი არქეოლოგიურად შესწავლელია.

ბიბლიოგრაფია: აბულაძე 1983: 79, 97; ბაგრატიონი 1986: 45; ბაქრაძე 1878: 81; გიულდენშტედტი 1962: 177, 219; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 21, 332; 1958: 493; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 272; ტფილელი 1934: 10; ქვ 4: 662,21; ცხოვრება ... 1980: 68.

კონტა, ციხე (ქვ 4: 209,27,30). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 209,27,30; 210,4; 254,19; 279,6,8; 672,7; 667,9,10), ფამთაალმ-წერელი (ქვ 2:215,1,13; 324,9), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტი (ქვ 2: 474,1), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 48). XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 221, 222; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 34; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 127; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 133, 135), 1403-1414 წწ. სომხურ ხელნაწერთა მინაწერები (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 121, 138, 151).

ვახუშტი ბაგრატიონი კონტას შესახებ გადმოგვცემს: „მტკვარს მოერთვის აღმოსავლიდამ კონტას ხევი ... კონტას ამ ხევს მოერთვის სხუა ხევი ... ამ ორ ხევს შორის არს ციხე კონტისა, დიდშენი და მაგარი“ (ქვ 4: 667,6-10).

მდებარეობს ასპინძის მუნიციპ-ში, ასპინძიდან 5 კმ-ის

დაშორებით, ჯავახეთისა და სამცხის საზღვარზე, მტკვრის მარჯვენა შენაკად კობტასხევიში. წყაროებში პირველად იხსენიება XIII ს-ში. 1246 წ. მონღოლთა წინააღმდეგ შეთქმული დიდებულები კობტასთავს შეიკრიბნენ (ქც 2: 215,1,13). 1310 წ. კობტასთავს შედგა ქართველ დიდებულთა კრება მცირეწლოვან გიორგი V-ის გასამეფებლად (ქც 2: 324,9). 1414-1415 წწ. კობტასთავთან მომხდარ ბრძოლაში მეფე ალექსანდრე I-მა (1412-1442) დაამარცხა ივანე ათაბაგი (ქც 2: 474,1; ქრონიკები 1897: 221, 222; ბერძენიშვილი 1985: 109). XVI ს-ში კობტა ახალციხის ლივის, ასპინძის ნაპივეში შედიოდა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1953: 194, 195), XVII ს-ში კობტა პარათაშვილებს ეკუთვნოდა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 127). XVIII ს-ში ის დედოფლის სახასო სოფელია (მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 133, 135). ამჟამად კობტა ნასოფლარია. კობტასთავი და კობტას ციხე ერთი და იგივე პუნქტია. ციხე მდებარეობდა თრიალეთიდან ასპინძაში მიმავალ გზაზე (ბერძენიშვილი 1966: 96, 97, 100). კობტას ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ის მდებარეობს ჭობარეთის ქედის კლდოვან ქიშზე. ციხეს უჭირავს 260 კვ მ ფართობი. გვემით სწორკუთხაა. გალავანი 10 მ სიმაღლისაა. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დგას ოთხსართულიანი, კვადრატული გვემის კოშკი (8X7,7 მ). ნაგებია ფლეთილი ქვით დულაზე. კოშკს კარი აქვს მე-4 სართულზე. ფანჯრები მხოლოდ მეორე და მეოთხე სართულზეა. ეზოს მხრიდან კოშკის სიმაღლე შენარჩუნებულია 16,1 მ-მდე. პირველი სართულის კედლის სისქე 2,3-1,9 მ-ია. სხვა სართულებზე კედლები შედარებით ვიწროა. კოშკს სამხრეთით მიდგმული ჰქონია დარბაზული ტიპის ეკლესია (12X4,4 მ). ამჟამად, კოშკიცა და ეკლესიაც დაზარეულია (მელითაური 1971: 46-48; ზაქარაია 1977: 52; ბოჭორიძე 1992: 21).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 48; ბერძენიშვილი 1985: 70, 100, 106, 109; ბერძენიშვილი 1966: 96, 97, 98, 100, 103; 1990: 296, 608; ბოჭორიძე 1992: 21, 263; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1953: 195; ზაქარაია 1977: 52; ლორთქიფანიძე 1938: 321; მაკალათია 1938: 49; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 127; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 133, 135; მელითაური 1972: 46-48; სამხ. საქ. ისტ. 1961: 87; სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 121, 138, 151; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 34; ქრონიკები 1897: 221, 222; ქც 2: 215,1,13; 324,9; 474,1; ქც 4: 209,27,30; 210,4; 254,19; 279,6,8; 672,7; 667,9,10.*

კოჯორი, კოჯორი, ციხე (ქც 4: 327,17; 389,5), სასახლე (ქც 4: 327, 18). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 344,22; 379,3; 408,3; 484,28; 515, 29), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 327,17,18; 389,5), XIV და XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგლ. 1966: 97, 258, 298, 300, 302, 312, 315; 1970: 590; 1985: 376; 1970ა: 253, 294, 295,

398, 399, 521, 580, 582, 585, 590, 596, 616, 633, 634, 670, 709, 716; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 127; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 172, 340; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 129), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 144), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 46, 81), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 129, 26), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 67, 93, 239; 1964: 177).

ვახუშტი ბაგრატიონი კოჯორის ციხისა და სასახლის ადგილმდებარეობის შესახებ გადმოგვცემს: „კიკეთს ქუეით, ხევსა შინა, არს მონასტერი კაპენისა ... სამხრით, მას ზემოთ, არს ციხე აზუელასი და აწ კოჯორისა, თხემსა ზედა კლდისასა. ამ ციხის სამხრით არს სასახლე მეფისა კოჯორი“ (ქც 4: 327,17,18).

კოჯორის ციხე და სასახლე მდებარეობს გარდაბნის მუნიციპ-ში, თანამედროვე დაბა კოჯორის სამხრეთით, თრიალეთის ქედის განშტოებაზე. ციხე გაბატონებულია ალგეთის ხეობაზე და მიხერხებული სტრატეგიული მდებარეობა აქვს. აკონტროლებდა გარდაბნიდან შიდა ქართლში და თბილისიდან თრიალეთში მიმავალ გზებს (შმერლინი... 1960: 70-72). კოჯორის ციხე ცნობილია აზუელას ციხის სახელითაც (ქც 4: 327,16). არსებობს მოსაზრება, რომ ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული აგარა, აგარანი, აგართა ციხე (ქც 1: 312,13, 313,4, 331,15, 335,2, 369,22, 370,31) იგივე კოჯორის ციხეა (ბერძენიშვილი 1964: 314). კოჯორი წყაროებში იხსენიება XIV ს-დან. 1338 წ. დათარიღებული სიგელით მეფე გიორგი V ბრწყინვალემ (1299, 1314-1346) ივანე თორელ-ჯავახიშვილს უბოძა „კოჯორის ძირისა მონასტერი ათენაუენი“ (ქართ. სამართ. ძეგლ. 1966: 97). 1488 წ. ირანის ლაშქარი კოჯორის ციხეს მიაღდა. ქართველებმა მაშველი ჯარის მოუსვლელობის გამო ღამით იქაურობა მიატოვეს. სპარსელებმა ციხე დაანგრიეს და შემდეგ თბილისისაკენ გაემართნენ (ჯავახიშვილი 1982: 370). 1625 წ. მარაბდის ომის წინ ქართველთა ჯარი კოჯორისა და ტაბახმელას მიდამოებში დაბანაკდა. მარაბდის ველზე დამარცხების შემდეგ ბრძოლა გაგრძელდა კოჯორის ციხის მახლობლად. XVII ს-ის პირველ ნახევარში კოჯორის ციხის სამხრეთით ქართლის მეფემ როსტომმა (1633-1658) ააგო სამეფო სასახლე, რომელიც შემდგომ წარმოადგენდა მეფე-



კოჯორის ციხე

თა საზაფხულო რეზიდენციას (ქვ 4: 327,18; ბაგრატიონი 1986: 46; ქართ. სამართ. ძეგლ. 1966: 258, 298, 300, 302, 312, 315). XVII ს-ის 80-იან წწ. ნიკოლოზ კათოლიკოსმა კოჯორში ერთი კარის ეკლესია და საზაფხულო სასახლე ააგო (ქართ. სამართ. ძეგლ. 1970: 390). 1721 წ. აღწერით კოჯორი ქართლის მეფის მფლობელობაში შედიოდა (ლორთქიფანიძე 1935: 93, 321). ქართლში თურქების ბატონობის პერიოდში (1723-1735) კოჯორის ციხემ ქორთლლის სახელი მიიღო.

ის და სასახლე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. კოჯორის ციხე ძლიერ დაზიანებულია. გალავნის შემორჩენილ კედელში ჩართულია ორი ცილინდრული კოშკი – სამხრეთ-დასავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ციხე აიგო არაუგვიანეს IX ს-ისა, გადაკეთებულია მრავალჯერ. სამხრეთ-დასავლეთის კოშკი აგებულია ფლეთილი ქვით, ხოლო ჩრდილო-დასავლეთის კოშკი და გალავანი აგურითა და ფლეთილი ქვით (შემრლინგი... 1960: 70-72).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი, 1986: 46, 81; ბერძენიშვილი 1964: 314; ვიულდენშტედტი 1962: 67, 93, 239; 1964: 177; დადიანი 1962: 129; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 172, 340; ლორთქიფანიძე 1935: 93, 321; მასალები საქ. ისტ. ვიგორ. 1964: 127; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 129; ორბელიანი 1981: 144; ქართ. სამართ. ძეგლ. 1966: 97, 258, 298, 300, 302, 312, 315; 1970: 590; 1985: 376; 1970ა: 253, 294, 295, 398, 399, 521, 580, 582, 585, 590, 596, 616, 633, 634, 670, 709, 716; ქვ 2: 344,22; 379,3; 408,3; 484,28; 515,29; ქვ 4: 327,17,18; 389,5; შემრლინგი... 1960: 70-72; ჯავახიშვილი 1982: 370.

პრობი, დაბა (ქვ 4: 763,15). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 763,15,17; 764,12,18). მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპ-ში, რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდ. კრიხულის (რიონის მარცხენა შენაკადი) მარცხენა მხარეს.

კრინი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფლის განაპირას აღმართულია X ს-ის მთავარანგელოზის ეკლესია (ბერაძე 1982: 132, 133; ბოჭორიძე 1996: 157-165). ტაძარი მდიდრულადაა მორთული ჩუქურთმებით (ცინცაძე 1963: 57-102). შემონახულია ქრისტეს ამაღლების მხატვრული კომპოზიცია (ვირსალაძე 1966: 15-17; პრივალოვა 1995: 9-26).


ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1982: 132, 133; ბოჭორიძე 1996: 157-165; ვირსალაძე 1966: 15-17; პრივალოვა 1995: 9-26; ქვ 4: 763,15; 764,12,18; ცინცაძე 1963: 57-102.

პრობი, იხ. რკონი.

კუქტერა, ციხე (ქვ 4: 549,13-16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 532,7; 549,13-16,23; 561,11), „მატიანე ქართლისა“ (ქვ 1: 306,5), 1775 წ. ისტორიული საბუთი (ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 316).

ვახუშტი ბაგრატიონი კვეტერის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „ახმეტის ხეცს ზეით ერთვის ალაზანს უტოს ხევი, გამომდინარე კახეთის მთისა და მარილის – პანკისის შუათის მთის, მომდინარე კუქტერის ციხემდე ჩდილოდამ სამხრით, მერმე დასავლიდამ აღმოსავლეთად. ამ ხეცს კუქტერის ციხესთან მოერთვის სხუა ხევი... ამ ორს ხეცს შორის არს ციხე კუქტერისა, ფრიად მაგარი და დიდშენი“ (ქვ 4: 549,10-16).

მდებარეობს ახმეტის მუნიციპ-ში, მდ. ილტოს ნაპირზე, ახმეტა-თიანეთის დამაკავშირებელ მაგისტრალთან. კვეტერის დაწინაურებას დიდად შეუწყო ხელი ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. მასზე გადიოდა კახეთ-თიანეთის დამაკავშირებელი უძოკლესი და უმნიშვნელოვანესი გზები. ციხე კონტროლს უწევდა ივრის ხეობის ზემო წელის მთიანეთს, ილტოს ხეობასა და ხეობის წინ გაშლილ ველს (მუსხელიშვილი 1980: 100). კახეთის მეფე კვირიკე III-მ (1010-1037) გაატარა რა ადმინისტრაციული რეფორმები, ერთ-ერთი ერისთავი დასვა კვეტერაში და დაუმორჩილა მას ერწო-თიანელნი, ფხოველნი, ღურბუკნი და ლლიღნი (ქვ 4: 561,10,11). ბაგრატ IV-მ (1027-1072) XI ს-ის 40-იან წლებში შემოიერთა კახეთ-ჭრეთი, მაგრამ კვეტერის ციხის აღება ვერ შეძლო (ქვ 1: 306,4-6). XIII ს-ის შემდეგ, მონღოლთა დაპყრობისა და თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად, კვეტერის ციხეზე ცხოვრების ინტენსიური კვალი ქრება (ლომთათიძე, რამიშვილი 1969: 30; მინდორაშვილი 2010). XVI ს-ში აქ ცხოვრება კვლავ გამოცოცხლებულა, თუმცა ადრინდელი მასშტაბებისათვის ვეღარ მიულწევია.



კვეტერის ციხის გეგმა

1968 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. ლომთათიძე) შეისწავლა კვეტერის ციხის ტერიტორია (ლომთათიძე, რამიშვილი 1969: 29, 30). იმავე პერიოდში სპეციალურმა სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნომ (არქიტ. თ. თორთლაძე) კვეტერის ციხეზე დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოები, რომლებიც რამდენიმე წელს გაგრძელდა.


მაღალ მთაზე აღმართული ციხის ტერიტორია შემოსაზღვრულია რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებით კირხსნარზე ნაგები გალავნით, რომელშიც

ჩაშენებულია კონტრფორსები, მრგვალი და ოთხკუთხა კოშკები. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ყველაზე მაღალ ადგილზე შიდა ციხის ნანგრევებია სასახლითა და ეკლესიით. გათხრები რამდენიმე უბანზე წარმოება: სასახლეში, შიდა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან, ეკლესიასთან, წყალსაცავთან, რვაწახნაგა კოშკსა და ჭიშკართან. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გამოვლინდა ადრე შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესიის ნაშთი, რომლის აფსიდაზე დაშენებული იყო ზღუდის კედელი. ეკლესია გათხრების შედეგად აღმოჩენილი ყველაზე ადრეული ნაგებობაა (ლომთათიძე, რამიშვილი 1969: 29).

ორსართულიანი სასახლე გვეგვით წაგრძელებული სწორკუბიანი (16,5X9,2 მ). ნაგებია რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებით კირსნარზე. შესასვლელი სამხრეთიდანაა. სასახლის შიდა სივრცე დაუნაწევრებელია. პირველი სართულის სამხრეთ და დასავლეთ კედლებში შიგნიდან გარეთ მკვეთრად დავიწროებული თითო სარკმელია, ჩრდილოეთ კედელში – ფართო თაღოვანი ბუხარი. სართულებს შორის გადებული ყოფილა ხის ძელები. მეორე სართულზე შესასვლელი სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ კიდეშია. განივ კედლებში ორ-ორი, ხოლო სამხრეთ კედელში სამი ფართო და მაღალი თაღოვანი სარკმელია. შესასვლელს ჰქონია სწორკუთხა ბაქანი, რომელიც ამავე დროს პირველი სართულის კარიბჭის გადახურვაც იყო. ბაქანზე შემორჩენილია ასასვლელი კიბის კვალი. მეორე სართულის დარბაზის მცირე კარი ჩრდილოეთითაცაა. ორფერდა სახურავი კრამიტით ყოფილა დახურული. სასახლის გათხრებისას მრავლად აღმოჩნდა განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა, უმეტესად კერამიკა. სასახლე X ს-ზე ადრეულ ნაგებობადაა მიჩნეული (ჩუბინაშვილი 1959: 546; მუსხელიშვილი 1980: 102). სხვა მოსაზრებით ის თარიღდება XI ს-ის დასაწყისით (გაჩნაძე 1989ა: 45). სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაშენებულია სწორკუთხა კოშკი (6X5 მ), რომლისგანაც შემორჩენილია ორი სართული. პირველ სართულზე შესასვლელი სამხრეთიდანაა. სასახლეს ჩრდილოეთიდან ეკვრის ერთსართულიანი დამხმარე ნაგებობა, რომელიც შედგება ორი მოზრდილი სწორკუთხა ოთახისაგან.

გუმბათიანი ეკლესია (10,5X9,8მ) მდებარეობს შიდა ციხის ცენტრში. ფსაღი და ინტერიერი მობრკეპებულია შირიმის ქვათილებით. ეკლესიის ოთხივე მკლავი ბოლოვდება ნახევარწრიული აფსიდებით. ოთხივე აფსიდის წინ ბემაა. შესასვლელი სამხრეთ და დასავლეთ აფსიდებშია. ორივე კარი გარედან სწორკუთხაა, შიგნიდან თაღოვანი. საკურთხეველში სამი თანაბარი სიმაღლის თაღოვანი სარკმელია. დანარჩენ აფსიდებში და მკლავებს შორის მოქცეულ ნიშებში – თითო. გუმბათქვეშა კვადრატისგან გუმბათის ყელის წრეზე გადასვლა განხორციელებულია სხვადასხვა სიბრტყეში მდებარე თაღების სისტემით. გუმბათის აქვს ექვსი თაღოვანი სარკმელი. აფსი-

დის ოთხივე შვერილი მოქცეულია ხუთწახნაგოვან აბრისში. აფსიდათა შორის ნიშების გვემა გარედანაც შიდა მოხაზულობას იმეორებს. ყველა ნიშს დამოუკიდებელი გადახურვა აქვს. ხოლო შვერილების წიბოებს მთელ სიმაღლეზე გასდევს ნახევარწრიული თაღებით დასრულებული სამი ლივვისაგან შედგენილი კონა. სარკმლების მოჩარჩოების ქვემოთ თითო შეწყვილებული ლივვის კონაა. გუმბათის ყელზე 12 ნახევარწრიული თაღია, რომლებიც ეგრდნობა შეწყვილებულ ნახევარსვეტებს. ეკლესიისა და გუმბათის ყელის ლავგარდანის პროფილს ორ ლივვს შორის მოქცეული ირიბი სიბრტყე ქმნის. ეკლესია გადახურულია ცისფრად მოჭიქული ღარიანი და ბრტყელი კრამიტით. ეკლესია თარიღდება X ს-ის პირველი ნახევრით (ჩუბინაშვილი 1959: 415). ეკლესიის გარშემო თხრისას ძირითადად გამოვლინდა ღარიანი და ბრტყელი კრამიტები (ლომთათიძე, რამიშვილი 1969: 29, 30).



სასახლის გეგმა

შიდა ციხის წყალსაცავი მოზრდილი ნაგებობაა (6X3,4X83,5 მ), შუაში ქვევრისძირისებური ღრმულით. წყალსაცავის გათხრებისას მრავლად ჩნდებოდა განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების სადა და მოჭიქული კერამიკა. გათხრები შეეხო ქვემო კარიბჭეს, იქვე მდგომ რვაწახნაგოვან ხეველიკბიან კოშკსა და მათ მიმდებარე ფართობს, სადაც განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა სპილენძის მონეტაც. ეკლესიის აღმოსავლეთითა და კარიბჭესთან შესწავლილია გვიანი შუა საუკუნეების უინვენტარო ქვის სამარხები (ლომთათიძე, რამიშვილი 1969: 29, 30).

კვეტერის განათხარი მასალის უდიდესი ნაწილი მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკაა. მცირერიცხოვანია ფაიანსის ჭურჭელი, მინის, ლითონის, ქვისა და ძვლის ნივთები. მოუჭიქავ ნაწარმში გამოიყოფა სამეურნეო, სამზარეულო, სუფრის, სამშენებლო და სხვადასხვა დანიშნულების კერამიკა. სამეურნეოს მიეკუთვნება: თონეები, ქვევრები, დერგები, სადღვებელი. თონეების შიდაპირი შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზებით, წრეებითა და ნახევარწრეებით. ქვევრები ხასიათდება მომაღლო ყელით, უფრო მრავალრიცხოვანი ქვევრები მასიური სამკუთხაგანივკვეთიანი პირითა და დაბალი ყლით. ჭურჭელი ბრტყელია. გვხვდება ქვევრები კონოსური მოყვანილობის ქუსლითა და ბრტყელი ძირით. განათხარ კერამიკაში წარმოდგენილია დერგები და ფართო ნახვრეტის მქონე სადღვებლის ნატეხი (მინდორაშვილი 2007: 90-108).

სამზარეულო კერამიკას მიეკუთვნება: კოკები, კეცები, ქოთნები, ქვაბქოთნები, ქილები, ბადიები, ტაფები, ჯამები, საწური. კოკები დიდი ზომისაა. აქვს მრგვალი ან სამტუჩა პირი. ზოგიერთი კოკა ანგობირებულია და შემკულია წნევით დატანილი ზოლებით. რამდენიმე მათგანს ყურები შემკული აქვს რელიეფური შვერილებით. განათხარ კერამიკაში მრავლადაა სხვადასხვა ზომის კეცი. უმეტესობა სადაა. ნაწილი შემკულია პირზე შემოვლებული ნაჭდეგებითა და ფსკერზე გამოსახული ჯვრებით. ერთ მათგანზე გამოწვამდე ამოკაწრულია ორი ქართული ასომთავრული ნიშანი. სამზარეულო კერამიკის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია ქოთნები, რომელთაც აქვთ ოდნავ გაშლილი პირი და დაბალი ყელი. გვხვდება ქოთნები ტუჩიანი პირით. ზოგიერთ ქოთანს მხარზე აქვს მოკლე და ფართო მილი. ქვაბქოთნები ხასიათდება გაშლილი ან მოყრილი პირით, განზიდული მხრებითა და ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული კალთით. მხარზე დაძერწილი აქვთ ზემოთ აწეული სამკუთხა მოყვანილობის ბრტყელ-განივკვეთიანი ყურები. ქოთნებისაკენ განსხვავებით, ისინი უფრო მრავალფეროვანი ორნამენტითაა შემკული. ქილები პირგადაშლილია, მაღალი ან დაბალი ყელითა და ვიწრო მხრებით. ბადიები ხასიათდება ფართოდ გაშლილი ტუჩიანი პირით, მკვეთრად დაქანებული კალთით. ტუჩის ორივე მხარეს დაძერწილი აქვთ კოპები. კალთა შემკულია რელიეფური სარტყელისა და მორგვისეული ხაზებით. გვხვდება სადა, უორნამენტო ნიმუშებიც. ტაფებს შორის გვხვდება ყურიანი და მოგრძო სახელურის მქონე ნიმუშები. სამზარეულო კერამიკას მიეკუთვნება ყურიანი ჯამები, მომრგვალებული ბაკოთი და გაშლილი ტუჩიანი პირით. სამზარეულო კერამიკის ჯგუფში გამოირჩევა ხელით ნაძერწი საწური (მინდორაშვილი 2007: 90-108).

სუფრის ჭურჭელი გამოიყოფა ხელადები, ჯამები, თხელკედლიანი სასმისები. ხელადებიდან ნაწილი მრგვალიპირიანია, სამტუჩა ან ტუჩაზნექილი. ერთ მათგანს ყელის შიდა ნაწილზე აქვს საწური. გვხვდება სამეფხა ძირის მქონე ხელადაც. გათხრებისას აღმოჩენილია მილიანი ხელადებიც. ხელადების ნაწილი ანგობირებული და ნაპირალებია. შემკულია ამოღარული მოკლე ხაზებით, კოპებით, რელიეფური ხეობით, მორგვისეული ხაზებით, წნევით დატანილი ზოლებით. იშვიათია მოხატული ნიმუშები. ჯამები სწორპირიანია. მხრები კალთისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. გვხვდება პირმოყრილი, ოვალურმხრებიანი ან სწორპირიანი ჯამები ჩაღარული ბაკოთი და აწეული ქიმით. მოჩაღისფროდ გამოწვარი თხელკედლიანი სასმისების ოდნავ გაშლილ პირზე დაძერწილია ოვალურგანივკვეთიანი ყური. ძირები ბრტყელია ან შედრეკილი. ზედაპირი შემკულია შიგნიდან დატანილი კოპებითა და კანელურებით (მინდორაშვილი 2007: 90-108).

სხვადასხვა დანიშნულების კერამიკიდან აღსანიშნავია ოთხსაპატრუქიანი და მილიანი ჭრაქები.

სამეთუნეო წარმოებასთან დაკავშირებული ნივთებიდან გვხვდება თიხის სოლები. ზოგიერთ მათგანზე შემორჩენილია სოსნისფერი და მწვანე ჭიქურის კვალი.

სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია კრამიტებით, აგურითა და წყალსადენის მილებით. კრამიტები ორგვარია: ღარიანი და ბრტყელი. ბრტყელი კრამიტები ნაკლებად ტრაპეციულია. ვიწრო თავთან მცირედ ამოჭრილი მუხლით. აკეცილი გვერდები დაბალია, ბოლოში აქვს გარდიგარდმო „ღობე“. ზოგი მათგანის ბოლოში დაძერწილია საბჯენი შვერილები. ორი კრამიტი შემკულია ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. ღარიანი კრამიტების გარკვეულ ნაწილს ვიწრო თავთან დაძერწილი აქვთ საბჯენი შვერილები. წყალსადენის მილებს ტანზე შემოუყვება ამოღარული სარტყლები.

განათხარ მასალაში დიდი რაოდენობით გვხვდება მოჭიქული კერამიკა. მათი უმრავლესობა ჯამებია, რომელთა შორის აღსანიშნავია ამოკაწრით მოხატული და ერთფრად (მწვანედ, ცისფრად, სოსნისფრად) მოჭიქული ჯამები; მოვარდისფრო ანგობით დაფარული, ამოკაწრით მოხატული და ფერადი ლაქებით შემკული ჯამები. აგრეთვე ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამები. მრავალფრად მოჭიქული კერამიკიდან აღსანიშნავია გეომეტრიული (ფერადი სამკუთხედებით, ოთხკუთხედებით, მრავალკუთხედებით) და მცენარულ-გეომეტრიული ორნამენტით შემკული ჯამები. გათხრებისას აღმოჩენილია რადიალური ხაზებით შემკული ჯამები. ზოგიერთ მათგანზე წარმოდგენილია „გ“-ს მსგავსი ამოკაწრული ორნამენტი. ჭურჭლის გარკვეულ ნაწილზე ამოკაწრულია ყვითელი და მწვანე ჯვრები. ჯამებზე ხშირად ამოკაწრულია ფრინველები, რომლებშიც გაირჩევა ბელურის, მტრედის, იხვის, შევარდენის, ყანჩას გამოსახულებები. ჭურჭლის ნატეხებზე შემორჩენილია ჩლიქოსანი და მტაცებელი ცხოველების ფრაგმენტები. ერთ-ერთ ჯამზე ხვადი ლომია წარმოდგენილი. სამი ერთეულია ქალის გამოსახულებით შემკული მრავალფრად მოჭიქული ჯამები. მრავლადაა აღმოჩენილი ფუნჯით მოხატული ჯამები, რომელთა ფსკერზე წარმოდგენილია გეომეტრიული ორნამენტი თუ ფრინველისა და ცხოველის გამოსახულებები. რეზერვაციის (ამოფხევის) წესით შემკული ჭურჭელი ერთი ნატეხია. ე. წ. კუფური ორნამენტით შემკული ჯამიც ერთი ცალია. საკმაო რაოდენობით გვხვდება ორმხრივ მოჭიქული ჯამები. მათგან რამდენიმეზე დაძერწილია ყურები. ზოგიერთ ჯამზე ამოკაწრულია ხელისნისა თუ სახელისნის ნიშნები. ჯამების ერთი ნაწილი იმპორტულია (მინდორაშვილი 2010: 30-59).

სხვადასხვა სახის მოჭიქული ჭურჭლიდან ყველაზე მრავალრიცხოვანია სამარლებები, რომელთაგან 1 ცისფრად, 67 მწვანედ, 3 მრავალფრადაა მოჭიქული. სამეღნეები 2 ცალია. გვხვდება მწვანედ მოჭიქული მილიანი ჭურჭლის ნატეხები და საყვავილები. მწვანედ მოჭიქული ნიჟარისებური

ჭრატა ერთია. მოზრდილი ჭურჭლიდან აღსანიშნავია მწვანედ მოჭიქული ხელადის ფრაგმენტები. მათ შორის, ერთი სამფეხა ხელადის ნატეხია. ქილები ცისფრად ან მწვანედ, კოლომები კი მწვანედაა მოჭიქული (მინდორაშვილი 2010: 58, 59).

მოჭიქული სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია კრამიტებითა და შორენკეცებით. კრამიტები ბრტყელი და ღარიანია. ბრტყელი კრამიტების მხოლოდ საფასადო მხარეა ცისფრად მოჭიქული. მათ ერთ ნაწილს ფართო ბოლოზე აქვს ორ-ორი შვერილი. მწვანედ მოჭიქული ბრტყელი კრამიტები ცოტაა. ცისფრად მოჭიქული ღარიანი კრამიტების ნაწილს ვიწრო თავთან აქვს ფართო და მოგრძო შვერილი. ზოგიერთი კრამიტის ზურგზე სალურსმეი ნახვრეტია. ამგვარი კრამიტებიდან ერთი სოსნისფრად, რამდენიმე მწვანედ, უმრავლესობა კი ცისფრადაა მოჭიქული. შორენკეცები ცისფრადაა მოჭიქული.

ლითონის ნაწარმიდან აღსანიშნავია: რკინის ცალპირღესული დანები სწორი პირითა და მოხრილი ზურგით, თონიდან პურის ამოსაღები ხელსაწყო ასტამი, რკინის სამართებელი ძვლის ბუდით, ნალები, ლურსმნები და სხვ. მინის ნაწარმში გამოიყოფა სამკაულები და ჭურჭელი. სამკაულების უმრავლესობა ცისფერი, მწვანე, შავი და ლურჯი მინის მრგვალგანიკვეთიანი სადა და გრებილი სამაჯურებია. ლურჯი მინის ბეჭდის ერთი ნატეხია აღმოჩენილი. განათხარ მასალაში გვხვდება ბრინჯაოს საყურე, რომლის ღეროზე წამოცმულია ოვალური, გამჭვირვალე მინის მძივი. მინის ჭურჭლიდან გვხვდება თხელკედლიანი, მწვანე მინის სასმისების ნატეხები. ქვის ნივთებიდან აღსანიშნავია შურდულისა და სალესავი ქვები. განსაკუთრებით საინტერესოა შავი ფერის (სტეატიტის) ქვის ჭურჭლის პირგვერდის ნატეხი, შემკული ამოდარული ხაზებით (მინდორაშვილი 2010: 60-65).

ოსტეოლოგიური მასალა წარმოდგენილია მსხვილფეხა (ძროხა) და წვრილფეხა (ცხვარი, ღორი) საქონლის ძვლებით, გარეული ტახის ეშვებითა და ირმის რქებით. კვეტერის განათხარი მასალა, რომელიც თარიღდება განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებით, ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დუშეთის ბაზაზე. კვეტერაში აღმოჩნდა სპილენძის ორი მონეტა, მანგუყანისა (1251-1259) და აბუ-საიდის (1316-1335) (ღვაბერძე 1968: 71; აბრამიშვილი 1984: 142). მონეტები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1984: 142; ვაჩნაძე 1989ა: 37-45; თაყაიშვილი 1924: ტაბ.80; ლომთათიძე, რამიშვილი 1969: 29, 30; მინდორაშვილი 2007: 90-108; 2010; მუსხელიშვილი 1980: 100, 102, 109; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 316; ქც 1: 306,5; ქც 4: 532,7; 549,13-16; 561,11; ღვაბერძე 1968: 71; რამიშვილი, ჯორბენაძე 1985: 37, 38; ჩუბინაშვილი 1959: 411-415, 519-521, 543-546.

კულაბიძე, ციხე (ქც 4: 369,14,15,21,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 369,14,15,21,23; 843,23, 844,19), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 295,15), XI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 185; 1897: 33; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 22, 191, 990; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 48; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 69; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 107, 137; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 129), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 40), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 44, 199, 200), სენია ჩხეიძის „საქართველოს ცხოვრება“ (ჩხეიძე 1913: 51), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 277).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „არბო-წმიდის ზეით ერთვის პატარა ლიახუს აღმოსავლიდამ მერისხევი. ამ ხევზე აღმოსავლით არს ორბოძის მთის კალთასა ზედა, კულბითის ციხე. კულბითს ქუევით მოურთის ამ ხევს ლაფაჩების ხევი“ (ქც 4: 369,12-16). მდებარეობს ცხინვალის მუნიციპ-ში, მდ. პატარა ლიახვის ხეობაში, სადაც ლიახვს ერთვის მერიისა და ლაფაჩების ხევი, თანამედროვე სოფ. კულბითის ტერიტორიაზე (გიულდენშტედტი 1962: 277; მაკალათია 1971: 17; გვასალია 1982: 50).

წყარებში პირველად იხსენიება XI ს-ში (ქრონიკები 1897: 33). XVIII ს-ში ქსნის საერისთავოშია და შედის ზემო ქართლის სადროშოში (საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 48; გვრიტიშვილი 1955: 322). 1737 წ. კულბითის ციხე დაარბია სეფი ხანმა (ჩხეიძე 1913: 51; ორბელიანი 1981: 94). წყაროებში მოხსენიებულია „კურბთის“ სახელითაც (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 22; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26).

კულბითი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. აქ შემორჩენილია ეკლესია და ციხე. მარიამ ღვთისმშობლის გუმბათიანი ეკლესია (7,3X5,2 მ) ნაგებია ტუფისა და ფიქალი ქვისაგან. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან. დასავლეთი ფასადი შემკულია ფერის, ადამიანისა და ცხოველების პრიმიტიული გამოსახულებებით. აღმოსავლეთის ფასადზე ფერის გამოსახულებაა. თარიღდება X ს-ით (გვასალია 1982: 50).

ციხე მდებარეობს ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით (ფართობი დაახ. 0.5 ჰა). ციხიდან ნანგრევებია შემორჩენილი (მაკალათია 1971: 65, 66; გვასალია 1982: 50).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 40; ბერძენიშვილი 1967: 221, 283, 287; გვასალია 1967: 51; 1982: 37, 50; 1983: 19, 78; გვრიტიშვილი 1955: 322; გიულდენშტედტი 1962: 277; მაკალათია 1971: 17, 63; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 107, 137; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 129; მუსხელიშვილი, ციტიშვილი 1960: 193; ორბელიანი 1981: 199, 200; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 48; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 69; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 191, 265, 990; ქრონიკები 1892: 185; 1897:

33; ქვ 1: 195,15; ქვ 4:369,14,15,21,23; ჩხეიძე 1913: 51; ხარაძე 1992: 138.

კუმისი, დაბა (ქვ 4: 328,21,24,26). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 325,5; 328,20,21,-24,26, 329,2; 333,25; 388,5; 398, სქ. 1), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქვ 2: 344,12; 484,18), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 4, 142, 146, 147, 148; საქ. სიძ. 1909: 406, 408, 411; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 137, 249, 251, 252; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 129; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1967: 179, 180; 1974: 161; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 99; 1981: 254; 1985: 390, 392, 393, 395), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 47), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 2), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 129,29), პაპუაზა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 70, 129, 131, 235), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 67, 85, 93, 239, 273).

ვახუშტი ბაგრატიონი კუმისის შესახებ გადმოგვცემს: „ხოშაგერძას იქით, არს თობს-ცინე ... ამის ჩიღოლოთ კერძ ტა კუმისისა ... ამ ტბის დასავლით არს კუმისი, დაბა დიდი“ (ქვ 4: 328,18-22).

მდებარეობს გარდაბნის მუნიცი-ში, თანამედროვე სოფ. კუმისის ტერიტორიაზე (ბაგრატიონი დავით 1941: 2; გიულდენშტედტი 1962: 239).

წყაროებში პირველად იხსენიება XV ს-ში. 1462 წ. ქართველებმა კუმისთან დაამარცხეს თურქმანთა ჯარი ხალივ ბეგის მეთაურობით (ქვ 2: 344,11). 1657 წ. კუმისი როსტომ მეფემ (1633-1658) ელიზბარ და ზურაბ სოლოლაშვილებს უბოძა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 129). XVIII ს-ში კუმისი შედიოდა ქვემო ქართლის მეწინავე სადროშოში (მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 4, 142, 146). კუმისზე გადიოდა თბილისიდან მარნეულისაკენ და შემდეგ ხუნანისაკენ მიმავალი გზა (ბერძენიშვილი 1966: 115).

კუმისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

აქ შემორჩენილია XIX ს-ის სამების ეკლესია და შუა საუკუნეების კოშკი.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1983: 46; ბაგრატიონი 1986: 47; ბაგრატიონი დავით 1941: 2; ბერძენიშვილი 1979: 7, 8; ბერძენიშვილი 1966: 115; გიულდენშტედტი 1962: 67, 85, 93, 239, 273; დადიანი 1962: 129,29; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 137, 249, 251, 252; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 129; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 4, 142, 146, 147, 148; მესხია 1986: 114; ორბელიანი 1981: 70, 129, 131, 235; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 179, 180; 1974: 161; საქ. სიძ. 1909: 406, 408, 411, 510; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 99; 1981: 254; 1985: 390, 392, 393, 395; ქვ 2:

344,12; 484,18; ქვ 4: 325,5; 328,19,21,24,26; 329,2; 333,25; 388,5; 398, სქ. 1.

კუმურლო (ქვ 4: 670,15, სქ. 2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 670,15, სქ. 2), ქართული ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 315; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 48, 400), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 168, 261, 309, 314, 316, 317, 329, 367).

ვახუშტი ბაგრატიონი კუმურლოს შესახებ გადმოგვცემს: „წუნას ზეით, ხრამის თავს, მინდორზედ, სამხრით კერძოდ, არს კუმურლოს ეკლესია, გუმბათიანი, ფრიად დიდშენი, შუენიერად ნაშენი, რომელი აღაშენეს კონსტანტინეს მოგზავნილთა ჟამსა მირიანისასა. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი სრულიად ჯავახეთისა, ხერთვისის ზეითისა“ (ქვ 4: 670,14-18). მდებარეობს ახალქალაქის მუნიცი-ში, ახალქალაქიდან 12 კმ-ის დაშორებით, მაღალ პლატოზე.

კუმურლოს ეკლესია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

კუმურლოს გუმბათიანი ეკლესია აგებულია 964 წელს. XI ს-ში მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072) დროს, სამხრეთიდან ეკლესიას მიაშენეს ღია ეკვდერი, რომელიც მოგვიანებით ამოქოლეს. XVI ს-ში ეკლესიის შენობა გადააკეთეს. შემდგომში ტაძარი ძლიერ დაზიანდა, შესაძლოა მიწისძვრისაგან, ჩამოინგრა გუმბათი. ეკლესიის დასავლეთი მხარე გვიან ხანაში რიყის ქვით არის ჩაშენებული. დასავლეთის მკლავი ბოძებით სამ ნავად იყოფა. ეკლესია გვემით წაგრძელებული სწორკუთხედიან ეკლესია მოპირკეთებულია მოვარდისფრო თლილი ქვის პერანგით. აქა-იქ ჩართულია მუქი წითელი შეფერილობის ქვის ფილები. ფასადებს ამშვენებს სამკუთხა ნიშები და ჩუქურთმა. ინტერიერში, გუმბათის აფრებში აღმოსავლეთით რელიეფურად არიან გამოსახული ღმერთი მეფე და მისი და გუარანდუხტი, ბაგრატ III-ის (975-1014) დედა. ეკლესიის ზომებია: 29X20X15,3 მ, გუმბათის დმ - 9 მ.

სამხრეთის შესასვლელის თავზე მოთავსებული სამშენებლო წარწერა გვამცნობს, რომ ეკლესია აუგია იოანე ეპისკოპოსს ღმერთ მეფის ზეობისას, 964 წელს. სხვა წარწერებში მოხსენიებულია ეკლესიის მუშაქანი და მაშენებელი. მათგან ზოგი ალაპის დადებდა და ხატების შემკობას ვაგმცნობს. სამხრეთი სტოას თაღებს ზემოთ ამოკვეთილ წარწერაში მოხსენიებულია ბაგრატ IV, დედამისი მარია და მღვდელმთავარი ზოსიმე კუმურლოელი. დასავლეთის შესასვლელთან არსებული წარწერა მოწმობს, რომ ეკლესია XVI ს-ში შეუკეთებიათ და გადააკეთებიათ.

ბიბლიოგრაფია: ბერიძე 1964: 26, 27; 1974: 49, 50, 129, 130; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 168, 261, 309, 314, 316, 317, 329, 367; თაყაიშვილი 1909: 35-44; ქვ 4: 670,15, სქ. 2.



ლაგოდნო, ლაკუათი, ლაგოეთი (ქც 1: 295, 17; ქც 4: 544,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 295, 17), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 544,1), XI ს-ის ისტორიული საბუთი (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984:26).

ლაგოდნოში ციხესიმაგრე აუგია არჩილს (ქც 4: 544,1). XI ს-ში აქ იყო ჰერეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონასტერი, რომელიც დაარსა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ I-მა. „კათოლიკოს-პატრიარქმან მელქისედეკ მოიგო ... ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა და ლავოდნო“ (ქც 1: 295,17; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984:26). ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით: ტრაპიზონის ციხის ზევით, ჩრდილოეთით „ველსა ზედა“ არის „ციხე ლაკუათისა ... მეფის არჩილისაგან ქმნული, და აწ ლაგოეთად წოდებული; მაგარი, დიდშენი, გარნა აწ ოხერი“ (ქც 4: 543,22, 544,1,2). მდებარეობს ისტორიულ ჰერეთში, წარმოადგენს რაიონულ ცენტრს.

1937 წ. ლაგოდნოს მიდამოებში აღმოჩნდა ომეიდური დირჰემი, მოჭრილი ბარსაში 718/19 წლებში (ჯვალაღანია 1979: 47).

ლაგოდნო არქეოლოგიურად შეუსწავლელია.
ბიბლიოგრაფია: ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984:26; ქც 1: 295, 17; ქც 4: 544,1; ჯვალაღანია 1979: 47.

ლალისყუბო, ციხე (ქც 4: 548,17; 549,21; 618,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 548,17; 549,21; 618,22), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 57, 61, 243), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 331; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 361; 1977: 70; 1985: 312), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 70), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 84), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 33, 35, 37, 263), კ. კოხის „ბრძოლის ველზე გასვლა“ (კოხი 1981: 248).

ვახუშტი ბაგრატიონი ლალისყურის შესახებ გადმოცემებს: სადაც მიერთვის შტორის „ხევი ალაზანს, მუნ არს ლალისყურის ციხე“ (ქც 4: 548,16,17). მდებარეობს თელავის მუნიციპ-ში, ალაზნის ვაკეზე, მდ. ალაზნის მარცხენა შენაკად სტორის (შტორის)

მარჯვენა ნაპირას, თანამედროვე სოფ. ლალისყურის ტერიტორიაზე.

ლალისყური არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ლალისყურის ციხე ააგო კახეთის მეფე დავით II-მ (იმამ-ყულიხანმა) (1703-1722). ციხე დგას სოფელში. გეგმით კვადრატულია. ნაგებია რიყის ქვით. კედლების სიმაღლე 4-5 მ-ს არ აღემატებოდა. კედლების ზედა ნაწილს გასდევს ხის კოჭებზე დაყრდნობილი საბრძოლო ბილიკი. გალავნის კარიბჭე სამხრეთ კედელშია. ციხის კუთხეებში წრიული, მათ შორის კი ნახევარწრიული კოშკებია განლაგებული (ზაქარაია 1962: 45). ციხის შიგნით დარბაზული ეკლესიაა, რომელსაც დასავლეთით სამრეკლო აქვს მიდგმული. სამრეკლოს პირველი სართული ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებდა, მეორეზე საცხოვრებელი იყო, მესამეზე – ფანჯატური. XIX ს-ში ჩოლოყაშვილებმა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში სასახლე ჩადგეს და ამ კუთხის კოშკი საცხოვრებლად გადააკეთეს. სოფლის მახლობლად შემორჩენილია წყაროსთავის წმიდა გიორგის სახ. ეკლესია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1983: 84; ბაგრატიონი 1986: 70; გიულდენშტედტი 1962: 33, 35, 37, 263; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 331; ზაქარაია 1962: 45; კოხი 1981: 248; ორბელიანი 1981: 57, 61, 243; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 361; 1977: 70; 1985: 312; ქც 4: 548,17; 549,21; 618,22; ჩუბინაშვილი 1959: 32; ჯვალაღანია 1980: 42.

ლანჩხუთი, ლანჩხუთი, (ქც 4: 790,2; 827,5, 9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 790,2; 827,5, 9), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 419,26, 27), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 481, 733), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 313).

ვახუშტი ბაგრატიონი ლანჩხუთის შესახებ გადმოცემებს: „ფოთის აღმოსავლეთ, რიონის კიდესა ზედა არს ლანჩქუთი. ამ ლანჩქუთის სამხრით წარმოვალს მთა საჯავახოს“ (ქც 4: 790,1-3).

მდებარეობს ახლანდელი ქალაქ ლანჩხუთის ტერიტორიაზე.

წყაროებში პირველად იხსენიება XVII ს-ში. გურიელის შვილის კათოლიკოს მალაქიას მილაშქრეთა

რიგებში ლანჩხუთის მცხოვრებნიც შედიოდნენ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 481). XVII ს-ის პირველ ნახევარში ლევან დადიანი ლანჩხუთში თავს დაესხა გურიის მთავარს — სიმონს, რომელმაც მოკლა თავისი მამა და თვითონ გამთავრდა. ლევანმა სიმონი შეიპყრო და მისი ცოლ-შვილი სამეგრელოში წაიყვანა (ქც 2: 419,26, 27; ქც 4: 827,5, 9). XVIII ს-ის დასასრულს მცირეწლოვან მამია V გურიელის დროს დიდგვაროვნებმა გურიის ციხეები, მათ შორის, ლანჩხუთის ციხეც დაისაკუთრეს. 1804 წ. მამია გურიელის მეურვემ ქაიხოსრომ სხვა ციხეებთან ერთად ლანჩხუთის ციხეც გამოიხსნა და ლანჩხუთის მოურავობა თავის სიძეს — ალექსანდრე მაჭუტაძეს გადასცა (ჩხატარაიშვილი 1985: 16)

ლანჩხუთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 10 კმ-ის დაშორებით, მდ. სუფსის მარჯვენა ტერასაზე, სოფ. მამათში, 1960-1963 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შავიზღვისპირეთის ქვის ხანის არქეოლოგიური ექსპედიციის ნეოლითური რაზმის მიერ (ხელმძღ. ლ. ნებეირიძე), გაითხარა ნეოლითური ხანის, ე. წ. ოდიშის ტიპის ძეგლი, რომელშიც აღმოჩნდა: კაჟის საფხეკები, საჭრისები, სახვრეტები, ორფერდა დამუშავებული ტრაპეციები, ნუკლეუსები და სხვ., რიყის ქვის იარაღები: გახეხილ-გაპარიალებული ცულის ნაწილები, სახეხასარეები, შურდულის ქვები, სალესები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ნებეირიძე 1961: 11-13; 1966: 65).

ლანჩხუთიდან ჩრდილო-დასავლეთით, 3 კმ-ის დაშორებით, მდ. ლაშიფსუს მარცხენა ნაპირზე, ჭოლიპას ტბის ამომშრალ ფსკერზე, ადგილ „ჯიგორფშაზე“ დაზვერვითი სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ადრეპრინჯაოს ხანის ნამოსახლარი („ჭოლიპას ნამოსახლარი“), სადაც აღმოჩნდა მონაცრისფროდ ან ლევა-ყავისფროდ გამოშვარი, კობისებური დანამერწყობით შემკული დერგის, ქილის, სასმისებისა და ჯამების ნატეხები (სადრადე, ძნელაძე ... 1996: 24, 25). მასალა ინახება ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ლანჩხუთიდან აღმოსავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით სოფ. შუხუთში რომაული აბანოს ჩრდილოეთით, ერთ-ერთ ეზოში, აღმოჩნდა განძი, რომელიც შედგებოდა: ბრინჯაოს 12 კოლხური და 1 ბრტყელი ცულისაგან, შუბისპირისა და სატყერისაგან. განძი ძე. წ. I ათასწ. დათარიღდა (სადრადე, ძნელაძე ... 1996: 25). მასალა ინახება ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

სოფ. ქვემო შუხუთის თავზე, ნაციხვარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახ. 150 მ დაშორებით, გამოვლინდა რკინის ფართო ათვისების ხანის ნამოსახლარის ნაშთები, რომელშიც აღმოჩნდა: კანელურებით შემკული ქვევრისა და დერგის, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის თიხის ჭურჭლის ნატეხები (სადრადე, ძნელაძე ... 1996: 31).

ლანჩხუთის დასავლეთით, 3 კმ-ის დაშორებით, სოფ. გვიმბრალაურში, 1991-1994 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გურიის არქეოლოგიური

ექსპედიციის (ხელმძღ. ვ. სადრადე) მიერ ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების შედეგად დადასტურდა გორანამოსახლარი და რკინის სადნობი სახელოსნოები (სადრადე, ძნელაძე ... 1996: 31).

1961-1962 წწ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. პ. ზაქარაია) სოფ. შუხუთში გაითხარა რომაული ტიპის აბანო (17X9 მ), რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წარგდებულ ხუთსათავიანი შენობაა. აბანო ნაგები იყო დამუშავებული ბაზალტითა და აგურით. წყობა ნარეგია. სათავსები განლაგებულია ანფილადურად. შუაში მოთავსებული იყო გასახდელი ოთახი (2X3,5 მ). ის გასასვლელით უკავშირდებოდა, ერთი მხრივ, თბილ ოთახს (ტეპიდარიუმს), რომელიც ცხელ აბანოში (კალდარიუმში) გადადიოდა და, მეორე მხრივ, ცივ აბანოს (ფრიგიდიუმს), რომელსაც მოზრდილი საცურაო აუზი ჰქონდა. გასახდელ ოთახს (აპოლიტერიუმს) გეომეტრიული ნაზებით, ჯვრებით, კვადრატებით, რომლებთან და სხვ. ორნამენტით შემკული მოზაიკური იატაკი (2X3,5მ) ჰქონდა. შუხუთის აბანო რომაული მცირე „კასტელუმის“ აბანოების რიგს მიეკუთვნება და IV ს-ის დასასრულით თარიღდება (ზაქარაია, ლექქვიანაძე 1966: 120-135; 1968: 225-237; ოდიშელი 1995: 27-29; გამყრელიძე 2012: 194-208). მოზაიკა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).



შუხუთის აბანოს მოზაიკა

აბანოს გვერდით გამოვლინდა მისივე თანადროული ორსართულიანი ნაგებობა (შემორჩენილია პირველი სართულის კედლები), რომლებიც დარბაზისა და რამდენიმე ოთახისაგან შედგებოდა. ნაგებობაში აღმოჩნდა: ამფორები, სამზარეულო ჭურჭელი და სხვ. ნაგებობა შესაძლოა დიდებულის ე. წ. „ვილა რუსტიკას“ წარმოადგენდა (ზაქარაია, ლექქვიანაძე 1966: 120-135; 1968: 225-237).

ლანჩხუთიდან დასავლეთით, 4,5 კმ დაშორებით, სოფ. ჩიბათში, საკარმიდამო ნაკვეთზე 1958 წ. აღმოჩნდა 122 ბიზანტიური მონეტით სავსე თიხის ქილა. მონეტები კონსტანტინეპოლის ზარაფხანიდანაა გამოსული და სხვადასხვა სახელოსნოებშია მოჭრილი. მონეტები ეკუთვნოდა: ტიბერიუს

II-ს (578-582) – I ც, მავრიკის (582-602) – I ც, ფოკას (610-641) – 106 ც, ირაკლის (610-641) – 14 ც, განძი დაუფლიათ VII ს-ის 20-იან წლებში (აბრამიშვილი 1968: 159-176).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1968: 159-176; გიულდენშტედტი 1962: 313; დუნდუა 1996: 104, 105; ზაქარაია, ლექსინაძე 1966: 120-135; 1968: 225-237; ნებეირიძე 1961: 11-13; 1996: 64; ოდიშელი 1995: 27-29; საღრაძე, ძნელაძე ... 1996: 22-40; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 481, 733; ქც 2: 419, 26, 27; ქც 4: 790, 2; 827, 5, 9; ჩხატარაიშვილი 1985: 16; ჭანიშვილი, საღრაძე 1996: 47.

ლარგვისი, მონასტერი (ქც 4: 359, 27; 360, სქ. 2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 359, 27; 360, სქ. 2), „ძეგლი ერისთავთა“ (ძე 1954: 346, 348, 349, 352, 355), ქართული ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 4, 7, 8, 10, 13, 204, 205, 278-280; საქ. სიძ. 1910: 555-563).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „სამეგრესის ჩდილოთ არს მონასტერი ლარგვისი, წმიდის თევდორესი, აღმოსავლით უდის ქსანი, სამხრით ჭურთის წყალი, უგუმბათო, შემკული ყოვლითა, აწ ხუცის სამარ; აქა ჰყო შანშემ ციხე არამედ ურგებად თვისად“ (ქც 4: 359, 27-29, 360, 1).

მღებარეობს ახალგორის მიუნიცი-ში, მდ. ქსნისა და ჭურთის წყლის შესაყართან.

XIV ს-ის დამდეგიდან მონასტერს დიდ დახმარებას უწევდნენ ქსნის ერისთავის ოჯახის წევრები, რომლებიც ქვენიფნეველებად იწოდებოდნენ. შალვა ერისთავმა, ვირშელ I-ის ძემ, შესწირა ლარგვისის მონასტერს საბოძარი და მოჭვდა ხატები (ქრონიკები 1897: 7; ძე 1954: 348). მონასტერს დახმარებია მისი ძე ლარგველ II-ც. მისმა ვაჟმა ქვენიფნეველ I-მა (გარდ. 1373 წ.) ააშენა მონასტრის ზღუდე და სამრეკლო. ეკლესიას უბოძა სამკაული და შეკრიბა მღვდელ-მონაზონნი (ქრონიკები 1897: 10; ძე 1954: 352). XIV ს-ში ქსნის ადიდების შედეგად წყალდილობამ ორჯერ დიდი ზიანი მიაყენა ლარგვისის მონასტერს. ერისთავმა იოვანემ, ქვენიფნეველ I-ის ძმამ, სამ წელიწადში ააშენა ზემო ეკლესია, ბჭე, სამრეკლო და იწყო ეკლესიის მოხატვა (ქრონიკები 1897: 8, 13; ძე 1954: 349, 355). იოვანე ერისთავის მიერ აშენებული ეკლესია დაიქვა 1400 წ. თემურლენგის ლაშქრობისას. ამის შემდეგ აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაატარა ლარგველმა მოღვაწემ გრიგოლ ბანდასიძემ, ავგაროზის ძემ (XV ს.), რომელსაც აუშენებია და თავის ხელით მოხატავს კარიბჭე. მანვე მოხატა ეკლესია, შეამკო ხატები, მონასტერს შესწირა ხელნაწერები, გამართა სამონასტრო მეურნეობა (ქრონიკები 1897: 204, 205). 1470 წ. შალვა ერისთავმა განაახლა მონასტერი, საძვალე. შემოავლო ზღუდე, რომლის კარზე ააშენა სამრეკლო. ააგო სატრაპეუო. მოახატვინა კამარა. მონასტერს უბოძა დიდი შეწირულობა. წინამძღვრად დაუდგინა გიორგი ჟურული (საქ. სიძ.

1910: 555-561). XVI ს-ში იესე ერისთავმა ლარგვისის მონასტერს უბოძა სოფ. ქურთა და ციხია (საქ. სიძ. 1910: 561-563). 1750 წ. ერისთავმა შანშემ თევდორე ტირონის ხატი შესწირა ამავე სახელობის ლარგვისის ეკლესიას. ვიდრე ქსნის ერისთავთა რეზიდენცია ქვენიფნევი იყო, ერისთავთა საძვალე ლარგვისში ყოფილა. XVI ს-ის 50-იან წლებში უგუმბათო ეკლესია დანგრეულა. ხოლო 1759 წ. ლარგვისში წმინდა თევდორეს ეკლესია ააგო დავით ერისთავმა და მისმა დედამ ქეთევანმა (თაყაიშვილი 1952: 89-91). ეს ფაქტი აღნიშნულია ლარგვისის წმინდა თევდორეს ეკლესიის ღვთისმშობლის ხატის ასომთავრულ წარწერაში (თაყაიშვილი 1952: 95, 96). ეკლესია მთლიანად თავიდან აშენდა და იგი დღესაც კარგადაა შემონახული (ზაქარაია 1981: 273; ბერიძე 1994: 101-107).

ლარგვისის მონასტერი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ლარგვისის წმინდა თევდორეს ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა 1975 წ. ძეგლთა დაცვის სპეციალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მიერ (არქიტექტორი გ. ნიკოლაიშვილი). ეკლესია ცენტრალურ-გუმბათოვან ტიპს განეკუთვნება. ეკლესიის ზომებია დაახლ. 20X12 მ. გვეგით საგრძნობლადაა წარბეჭედილი დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. ოთხივე მკლავი შეისრული ფორმის კამარით არის გადახურული. ტაძარს შესასვლელი აქვს დასავლეთით და სამხრეთით. გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის კუთხეებსა და ორ სვეტს. საკურთხევლის გვერდებზე ორი ორსართულიანი სათავსო, სადიაკვნე და სამკვეთლოა, ზემოთ სამაღავებით. ეს ოთხკუთხა სათავსოები ერთმანეთთან ვიწრო ტალანთაა დაკავშირებული. ეკლესიის კედლები ნაგებია რიყის ქვითა და აგურით (22X22X4 სმ) დულაბზე. კედლები შეღესილი იყო. უკანასკნელ პერიოდში ის კირით შეუთეთრებიათ. საკურთხევლი დარბაზისაგან ხის კანკლით ყოფილა გამოყოფილი. ტაძარი აგებულია ორსაფეხურიან, მარტივპროფილიან ზეძირკველზე. ფასადები სადა კარნიშებითაა დაგვირგვინებული. ისინი რიყექვისაა. უსწორო ზედაპირი შეღესილია და შემდეგ კირით შეთეთრებული. კედლების კუთხეები, ზეძირკველი, კარნიში და კარ-სარკმლების საპირეები თლილი მოყავისფრო კვადრებითაა მოპირკეთებული. დასავლეთის სარკმლის თავზე, მარჯვენა გამოსახულია ოსტატის მარჯვენა ხელი და სამუშაო იარაღები, ჩაქუჩი და გონიო (ზაქარაია 1956: 47-56).

ლარგვისის ციხე აგებულია მაღალი მთის ფერდობზე. ის ეზოსა და მაღალი გალავანით გამოყოფილი ციტადელისგან შედგება. ეზო თითქმის ორჯერ აღმატება ციტადელის გალავანს. მასში განლაგებულია ჭიშკრიანი კოშკი, ეკლესია და საცხოვრებელი სახლების ნანგრევები. აქ ციტადელი უფრო მაღალია. ციხე გვეგით უწესო მრავალგვერდაა, რომლის კედლები სხვადასხვა სიმაღლისაა. კუთხეებს კოშკები ამაგრებს, კედლებს – ბურჯები. ჭიშკრიან კოშკს კვადრატული ფორმა აქვს. მის ქვედა სართულში

კამარით გადახურული გასასვლელია. ზედა სართულის კედლებში სათოფურებია. მთავარი შესასვლელის დაცვას ემსახურებოდა გალავნის გარეთ მდგომი სადარაჯო კოშკი, რომელიც მდინარეთა შეერთების ადგილზე იყო აღმართული.

ციტადელის კოშკისაგან დარჩენილია სამი სართული. ეზოდან 4 მ სიმაღლეზე შესასვლელია. გარედან კოშკი კვადრატულია. შიგნით კი აქვს გვერდით ტოლმკლავა ჯვრის ფორმა, რომლის კუთხეებში სხვადასხვა სადგომია. კოშკი საცხოვრებელი იყო (ზაქარაია 1950: 181)

ბიბლიოგრაფია: ბერიძე 1994: 101-107; ზაქარაია 1950: 181; 1956: 47-56; 1973: 111; 1981: 271-281; მენაბდე 1962: 217-221; საქ. სობ. 1910: 555-563; ქრონიკები 1897: 4, 7, 8, 10, 13, 204, 205, 278-280; ქც 4: 359,27; 360, სქ. 2; ჩუბინაშვილი 1942: 27; ძე 1954: 346, 348, 349, 352, 355.

ლასტის ციხე (ქც 4: 329,14). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 329,14).

ვახუშტი ბაგრატიონი ლასტის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „ვერეს ... ხევის თავს, მთაში, ჩდილოთკენ, არს ციხე ლასტისა“ (ქც 4: 329,14).

მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპ-ში, ვერეს ხევის სათავეში.

გადმოცემის თანახმად, ლასტის ციხე აუცილებლად გორის ბრძოლაში (1121 წ.) დატყვევებულთათვის, რადგან არსებულ ციხეებს ისინი ვეღარ დაუტყვევია. შუა საუკუნეებში ლასტის ციხესთან გადიოდა ე. წ. „სამცხეთო გზა.“ ციხის ადგილას შემორჩენილია წმინდა სამების ეკლესიის ნანგრევები (თოდრია 1983: 134).

ლასტის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: თოდრია 1983: 134; ქც 4: 329,14.

ლაში, მლაშე, სოფელი (ქც 4: 758,17,სქ.1). იხსენიება შემდეგ წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:768,17, სქ. 1). იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44), XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (დას. საქ. საბ. 1921: 25, 26; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 509), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 309).

ვახუშტი ბაგრატიონი მლაშეს შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო ხარაგაულის ზეით არს, ჩხერიმელაზედ, მლაშე, ჩდილოდ“ (ქც 4: 758,17, სქ. 1).

მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპ-ის სოფ. ლაშეს ტერიტორიაზე, ხარაგაულიდან ჩრდილოეთით 5 კმ-ზე. პირველად მოხსენიებულია XV ს-ში (დას. საქ. საბ. 1921:25, 26). XVIII ს-ის მეორე ნახევრის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ ხეფინის ხევის სოფლების სიაშია და მირიან პატონიშვილის საკუთრებაა (ბაგრატიონი 1986: 44). იოჰან გიულდენშტედტი სოფ. მლაშეს იმერეთის მეფის საკუთრებად მოიხსენიებს (გიულდენშტედტი 1962: 309).

სოფ. ლაშეს ტერიტორიაზე დგას გვიანი შუა საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესია (აბაშიძისა) და ციხე-დარბაზის ნანგრევები (ბარნაველი 1959: 96).

სოფ. ლაშეს ტერიტორია არქეოლოგიურად შესასწავლია.

მლაშეს სახელწოდებით სოფლები მდებარეობს ადიგენისა და ღუშეთის მუნიციპ-ებში. ადიგენის მუნიციპ-ის სოფ. მლაშე მდებარეობს მდ. ქვაბლიანის მარცხენა ნაპირზე, ხულო-ადიგენის გზაზე, ადიგენიდან 3 კმ-ზე. მოხსენიებულია გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 8, 9; 1958: 100, 101, 106, 107, 158), ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარში (ჩილდირის ... 1979: 194, 199, 202). 1932-1933 წწ. ადიგენის მუნიციპ-ის სოფ. მლაშე ინახულა გ. ბოჭორიძემ, რომელმაც მლაშეს ეილების (ბინების) გადღმა, მიაკვლია დარანებს (ბოჭორიძე 1992: 71).

ადიგენის მუნიციპ-ის სოფ. მლაშეს ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ღუშეთის მუნიციპ-ის სოფ. მლაშე მდებარეობს ბაზალეთის პლატოზე, ბაზალეთის ტბის მახლობლად, ღუშეთიდან 9 კმ-ზე. იხსენიება შემდეგ წყაროებში: იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 34), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 509; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 200), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 273).

ღუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია 1968 წ. სოფ. მლაშეში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები: თიხის წითელკვციანი, ღრუქუსლიანი ჯამი (საინ. №911) და წითელკვციანი, ვიწრომუცლიანი სასმისი (საინ. №992).

1974 წ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ნარეკვავის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ლ. წითლანაძე) სოფლის გარეთ, არაჩაანი უბნის მახლობლად ადგილ ორხევეში მდებარე სამაროვანი შესწავლა. ის თარიღდება V-VI სს-ით. გამოვლინდა კოლექტიური სამარხები – ბრტყელი ქვებით ნაგები ქვაყუთები. დამხრობა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. დაკრძალვა ქრისტიანულია. სამაროვანზე გამოვლინდა: გვიანსასანური ხანის საბეჭდავი, ფალაური წარწერით და ცხოველის გამოსახულებით, ბრინჯაოს ქინძისთავი ბროწეულის ყვავილის ფორმის მარგალიტით შემკული, ბრინჯაოს ბეჭედი, მინისა და თიხის სასმისის ფრაგმენტები (წითლანაძე 1975: 46).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 34, 44; ბარნაველი 1959: 96; ბოჭორიძე 1992: 71; ვერიტიშვილი 1955: 242; გიულდენშტედტი 1962: 273, 309; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 8, 9; 1958: 100, 101, 106, 107, 158; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 200; დას. საქ. საბ. 1921: 25, 26; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 509; ქც 4: 758,17,სქ.1; ჩილდირის ... 1979: 194, 199; წითლანაძე ... 1975: 41-46.

ლაშხნაძე (ქც 4 787,19, სქ.1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 787,19, სქ.1), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 78), ალექსანდრე მეფის 1432 წ. სიგელი (წერილები ... 1914:1 26-131), წიგნი სასისხლო საქმეთა ბაღს ზემო სვანეთისა და თავად ჯაფარიძეთა შორის (სვანეთის საისტ. ძეგ. 1941: 31-34), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 325, 329, 331; 1964: 31, 183).

ვახუშტი ბაგრატიონი ლაშხნეთის შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო რაჭა-ლეჩხუმის სამხრით არს ლაშხნეთი“ (ქც 4: 787,19).

მდებარეობს ლენტეხის მუნიციპალიტეტში და წარმოადგენს თემს. იოჰან გიულდენშტედტის აღწერით მდ. ლაშხურაზე მდებარეობს სოფ. ლაშხნეთი (გიულდენშტედტი 1962: 329).

რაჭის თავად ჯაფარიძესა და სვანთა შორის მომხდარი უთანხმოება მიზეზი გახდა ალექსანდრე I-მა (1412-1442) მოაგვარა. სვანებმა ჯაფარიძეს მისცეს ლაშხნეთის სოფელი და ციხე (მაკალათია 1987: 18). ლაშხნეთში ცხოვრობდა 545 კომლი (ბაგრატიონი 1986: 78). XVIII ს-ის ბოლოს სვანეთის ტერიტორია გავლენის ორ სფეროდ იყოფოდა, სამეგრელოს მთავარ დადიანს ემორჩილებოდა ლენტეხის, ჩოლურისა და ლაშხნეთის თემები (სინ 1973: 430). იოჰან გიულდენშტედტი სვანეთის სხვა ციხეებთან ერთად ასახელებს ლაშხნეთის ციხეს (გიულდენშტედტი 1962: 325,სქ.2). ლაშხნეთთან, ლეჩხუმის საზღვართან, მოიპოვება მზრწყინავი ტყვიის კრიალა. ვებვლება უხეშწვეტიანი ტყვიის კრიალაც, რომლისგანაც სვანები საფანტის ამზადებდნენ. სოფელთან ახლოს, მდ. ცხენისწყალზე არის კარგი ხარისხის სპილენძის მადანი (გიულდენშტედტი 1964: 31, 183). ლაშხნეთი „ჯვრის“ გადასასვლელით, ლაჯანურას გაყოლებით მიმავალი გზით უკავშირდებოდა ლეჩხუმის ორბელის ციხეს. სხვადასხვა საუღელტეხილო გზებით კი უმჯობეს (მუსხელიშვილი 1977: 124; 1980: 148).


ლაშხნეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია
ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 78; ვაბლიანი 1927: 12-18; გიულდენშტედტი 1962: 167, 325, 329, 331; 1964:31, 183; სვანეთის საისტ. ძეგ. 1941: 31, 32, 34; წერილები ... 1914: 126-131; მაკალათია 1987: 18-20; მუსხელიშვილი 1977: 124; 1980: 148; სინ 1973: 470; ქც 4: 787,19, სქ.1.

ლენტეხი (ქც 2: 349,18). იხსენიება ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტში (ქც 2: 349,18).



ლენტეხი ლობაში.

მდებარეობს ქვემო სვანეთში. წარმოადგენს რაიონულ ცენტრს. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ ლენტეხი მოექცა იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში.



ლენტეხის ციხის გეგმა

1980-1981 წწ. ლენტეხის ციხეზე არქეოლოგიური გათხრები ჩატარა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სვანეთის ექსპედიციამ (ხელმძღ. შ. ჩართოლანი). ციხეზე გამოვლინდა გვიანი შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა – ძირითადად ჩიხბუხები. აგრეთვე XVII-XVIII სს-ით დათარიღებული სამი უნივერსიტარო სამარხი (ჩართოლანი ... 1984: 38-39).
ბიბლიოგრაფია: ქც 2: 349,18; ჩართოლანი ... 1984: 38-39.

ლილი (ქც 4: 292,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 292,8; 330,20; 333,13,16; 413,14; 455,1; 468,11,25; 500,22; 523,3; 527,15; 537,6,12,19; 561,9; 603,30; 616,27), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 348,24; 349,1,5; 373,21; 391,9; 476,3; 528,9) XIII, XVI, XVI-II სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 167; 1967: 86, 172, 173, 327; საქ. სოდ. 1910: 52; 1920: 11; მასალანი საქ. სტატ. 1907: 5, 12, 46; სიგელები ... 1902: 251; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 246; დოკ. 1953: 106; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 75; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 54, 129, 176, 182, 211; ქართ. ეპისტ. წყარ. 1989: 64, 69, 70; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 200, 260, 271, 306, 363, 364, 372, 374, 529; 1970: 511, 515, 601, 700; 1977: 221; 1981: 17, 686), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 52), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 82, 113, 114, 175), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 76, 100), იოსებ ტფილელის „დღემოურავანი“ (ტფილელი 1989: 619), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 7), იესე ოსეს ძის „თავგადასავალი“ (თავგადასავალი ... 1913: 70) იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრა-

ტიონი 1986: 46, 66, 79, 81), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 65).

ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში იხსენიებს ორ ლილოს, შარობისა და ქვიტიკრის (ქც 4: 333, 13, 537, 6). მისსავე შედგენილ რუკაზე კი გარდა შარობისა და ქვიტიკრის ლილოსი, აღნიშნულია ბაგრატიის, თბილელისა და კოდის ლილო (ლორთქიფანიძე 1935: 322, 323). სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილია სააკას ლილო (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 306; 1970: 601, 700) და მალაღი ლილო (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 271; 1970: 515). იოანე ბაგრატიონი ლილოს აშკარეთად მოიხსენიებდა (ბაგრატიონი 1986: 66). წყაროების ლილოებიდან ლილოებიდან დღეისათვის მხოლოდ ორი მათგანია შემორჩენილი. ვახუშტისეული ლილოსა და ბაგრატიის ლილოს უნდა შეესაბამებოდეს დღევანდელი დიდი ლილო და პატარა ლილო (ხარაძე 1991: 112). ეს სოფლები ლოკალიზდება გარდაბნის მუნიციპ-ში. მდებარეობენ თბილისის აღმოსავლეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ივრის ზეგანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ერთმანეთის გვერდით.

კვირიკე კახეთის ქორეპისკოპოსს (1010-1037), ჩაუტარებია რა ადმინისტრაციული რეფორმები, კახეთის ერთი ერისთავი დაუსვია რუსთავს და მისთვის სხვა პუნქტებთან ერთად მიუცია ლილოც (ქც 4: 561, 8-10). ის იხსენიება მეფე დიმიტრი თავდადებულის (1271-1289) 1289 წ. შეწირულობის წიგნში (ქრონიკები 1897: 167). გვიან შუა საუკუნეებში ქართლისა და კახეთის სამეფოების საზღვარი გადიოდა ლილოზე (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 200). ის შედიოდა რუსთველი ეპისკოპოსის სამწყსოში. ადმინისტრაციულად ექვემდებარებოდა მარტყოფის სამოურავოს (ქრონიკები 1967: 86; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 372). ქართლის მეფე სიმონ I-ს (1556-1600) ლილოს ტბასთან დაუმარცხებია ოსმალები (ქც 2: 373, 19-28). ლილოში გადაუხდია ქორწილი ვახტანგ V-ის (1658-1675) შვილს ლუარსაბს (ქც 4: 455, 1). გვიან შუა საუკუნეებში ლილო ქართიელთა ჯარის შეყრის ადგილი ყოფილა (ქართ. ეპისტ. წყარ. 1989: 64, 69, 70; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 529). იოჰან გიულდენშტედტს საქართველოში მოგზაურობისას უნახავს ლილოს დანგრეული ციხე (გიულდენშტედტი 1962: 65).

1962-1963 წწ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ე. გოგაძე) რკინიგზის სადგურ ლილოს მიდამოებში შეისწავლა შუა ბრინჯაოსა და შუადან გვიან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის გორასამარხები (გოგაძე 1976: 223-238). 1971 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. კ. ფიცხელაური) სოფ. პატარა ლილოს მიდამოებში გათხარა გვიან ბრინჯაოს ხანის სამარხი (ბუგაიანიშვილი ... 1972: 16).

სადგურ ლილოსთან გათხრილი 9 გორასამარხიდან

ერთი, №1 ქვაშიწყარილიანია. მისი დასაკრძალავი ორმო, რომელიც კვადრატული მოყვანილობის უნდა ყოფილიყო, მშენებლებს დაუზიანებიათ. გორასამარხში დაკრძალვის კრემაციულ წესთან უნდა ვეჭონდეს საქმე. მასში აღმოჩნდა: შავპირ-ალაზედაპირიანი, ვარდისფერსარწულიანი ჭურჭელი და ჭურჭლის ფრაგმენტები, შემკული კოპებითა და წერტილოვანი ორნამენტით; ბრინჯაოს ნივთებიდან აღსანიშნავია ეგეოსური ტიპის გრძელი მახვილი, სატევარი, დისკოსებური მოყვანილობის ფარის უმბონი, ოთხწახნავოვანი ისრისპირი, საკინძის სფერული ფორმის თავი, მრგვალგანიკვეთიანი საკინძის ღერო. სამარხში აღმოჩნდა მივიის ოქროს გარასკრავის ფრაგმენტი, მძივები და სხვ. სამარხი თარიღდება ძვ. წ. XVII-XVI სს-ით.

№№2-9 გორასამარხები ქვაყარილიანია (დმ 10-12 მ). ყრილის ქვეშ გამართულია ოთხკუთხა ორმო, რომელშიც მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდილოეთით ან სამხრეთ-დასავლეთით. ზოგიერთი გორასამარხი (№№2, 3, 4) უინვენტარია. დანარჩენებში აღმოჩნდა თიხის შავპირალა ჭურჭელი, შემკული ამოღარული ჰორიზონტალური ხაზებით; ბრინჯაოს სატევრები (2 ც), ოქროს ხვია, ქვისა და პასტის მძივები, წვრილფეხა საქონლის ძვლები და სხვ. სამარხები თარიღდება ძვ. წ. XV-XIV სს-ით (გოგაძე 1976: 238).

1969 წ. მშენებლობის დროს აღმოჩნდა პატარა ლილოს სამაროვანი. დაზიანდა სამი სამარხი, რომლებშიც გამოვლინდა თიხის ჭურჭელი, ე. წ. კახური მთლიანადსხმული ბრინჯაოს სატევრები და მასრაშეკრული შუბისპირები, მასრაზე ორი რელიეფური სარტყლიანი (ფიცხელაური 1973: 71). სამაროვანზე 1971 წ. გაითხარა ერთი ქვაყარილიანი ორმოსამარხი. ის წარმოადგენდა მოგრძო ოთხკუთხედს, რომელშიც მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე კიდურებმოხრილი, თავით სამხრეთ-დასავლეთით. მიცვალებულის თავთან იყო თიხის ექვსი ჭურჭელი, მაჯაზე ეკეთა ბრინჯაოს სამაჯური. სამარხში აღმოჩნდა ანთიმონისა და სარდიონის მძივები. პატარა ლილოს სამაროვანი თარიღდება გვიან ბრინჯაოს ხანით (ფიცხელური 1973: 171). არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

დიდი ლილოს მიდამოებიდან ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალებიც. 1970 წ. სოფ. დიდ ლილოში, გრ. გაბათაშვილის ეზოში აღმოჩნდა სამარხეული ნივთები: ბრინჯაოს სამფრთიანი, დეზიანი ისრისპირები, ხვიები, ჭვირული საკიდი, საკინძები, გველის თავის სტილი-ზებული გამოსახულებით შემკული თავგახსნილი სამაჯურები, რგოლები, ჩქიფი, რკინის შუბისპირი, ხელშუბისპირი, ყუნწიანი ოთხწახნავა ისრისპირი, წერაქვისებური იარაღი, დანის ფრაგმენტები, ლაგმები, ბეჭედი, სამაჯური, ვერცხლის რგოლი, ძვლის ოთხწახნავა ისრისპირები, სალესი ქვები,

სარდიონის, მთის ბროლის, მინის ინკრუსტირებული მძივები, წითლად, მოჩაღისფროდ და მოშავოდ გამოშვარი თიხის ჯამები, კოჭობები, ქოთნები, ხელაღების, ბადის ნატეხები. კოლექციის ცალკეული ნივთები: რკინის შუბისპირი, ბრინჯაოს სამფრთიანი დეზებიანი ისრისპირები, გველის თავის სტილოზებული გამოსახულებებით შემკული სამაჯურები, საკინძები, ვერცხლის საკიდები, მძივები ძვ. წ. V ს-ით დათარიღებულ ნივთებთან ამჟღავნებს მსგავსებას (დავლიანიძე 1983: 43, 55, 63, 74, 85, 94). ამავე პერიოდით შეიძლება დათარიღდეს დიდ ლილოს 1975 წ. აღმოჩენილი ბრინჯაოს თავგახსნილი სამაჯური, საკინძები, ხეიბი, რგოლები, რკინის მასრაგასხნილი შუბისპირი, სატფერის ფრაგმენტი, სარდიონის მძივები და თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები. 1977 წ. დიდ ლილოში გრ. გაბათაშვილის საკარმიდამო ნაკვეთზე აღმოჩნდა ორი ფილაქვით გადახურული ქვაყრილიანი ორმო. სამარხში სამი მიცვალებული ესვენა. მასში გამოვლინდა: რკინის ცალპირლესული დანა, ფუნჯიანი ოთხწახნაგა ისრისპირი, ბრინჯაოს რგოლი, კილიტი, მოწითალოდ გამოშვარი ჯამი, შემკული ცხვრის თავის სქემატური გამოსახულებით და სხვ. 1969 წ. სოფლის განაპირას, ჩრდილო აღმოსავლეთით აღმოჩნდა ელინისტური ხანის თიხის შავპრიალა, ვიწროფელიანი, სფერულ-მუცელიანი ხელადა. ახ. წ. II ს-ით თარიღდება დიდი ლილოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სარდიონის ინტალიო, რომელიც კაბადოკიურ ნაწარმადაა მიჩნეული (ლორთქიფანიძე 1961: 11, 12). დიდი ლილოს მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი), აქვეა დაცული პატარა ლილოში 1937 წ. აღმოჩენილი სპილენძის მონეტების განძი, რომელიც შედგება: გიორგი III-ის (1156-1184) 44 ც, თამარის (1184:1207) 90 ც, ლაშა-გიორგის (1207-1222) 100ც, ილიგიზიდების 15ც, რუმის სელჯუკური 1 ც, დერბენდის ემირის 2 ც, 27 მონეტა არ ისაზღვრება. მონეტები XII ს-ის მეორე ნახევრისა და XIII ს-ის პირველი მეოთხედის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა. განძის დაფლავა უნდა მოხდარიყო რუსუდანის (1222-1245) გამეფებაამდე (ჯვალაღანია 1979: 91). დიდ ლილოში 1941 წ. აღმოჩნდა ავეუსტუსის ვერცხლის დენარი, მოჭრილი კალიაში ძვ. წ. 2 – ახ. წ. 4 წ. და გოტარზეს ვერცხლის დრაქმა, მოჭრილი ახ. წ. 40-51 წწ. (აბრამიშვილი 1974: 106).

ბიბლიოგრაფია: *აბრამიშვილი 1974: 106; ბავრაციონი 1986: 46, 66, 79, 81; ბუგაიანიშვილი ... 1972: 16; გიულდენშტედტი 1962: 65; გორგიჯანიძე 1926: 52; დავლიანიძე 1983: 43, 55, 63, 68, 74, 85, 94, 101; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 246; 1953: 106; თავგადასავალი ... 1913: 251; თბილისი 1978: 203; ლორთქიფანიძე 1961: 11, 12; ლორთქიფანიძე 1935: 313, 321-323, 326, 340; მასალანი საქ. სტატ. 1907: 5, 12, 46; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 75; ორბელიანი 1981: 82, 113, 114, 175; საქ. ისტ. ქრონიკები ...*

1980: 54, 129, 176, 182, 211; საქ. სიძ. 1910: 52; 1920: 11; სივლეები ... 1902; ტფილელი 1989: 619; ფიცხელაური 1973: 57, 71; ქართ. ეპისტ. წყარ. 1989: 64, 69, 70; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 200, 260, 271, 306, 363, 364, 374, 372, 374, 529; 1970: 511, 601, 700; 1977: 221; 1981: 17, 686; ქრონიკები 1897: 167; 1967: 86, 172, 173, 327; ქც 2: 348,24; 349,1,5; 373,21; 391,9; 476,3; 528,9; ქც 4:292,8; 330,20; 333,13,16; 413,14; 455,1; 468,11,25; 500,22; 523,3; 527,15; 537,6,12,19; 561,9; 603,30; 616,27; ჩხეიძე 1913: 7; ცხოვრება ... 1980: 76, 101; ხარაძე 1991: 112, 113; გოგაძე 1976: 112, 113; გოლენკო 1964: 83, 87; ჯვალაღანია 1979: 91, 95, 105, 135.

ლისი, სოფელი (ქც 2: 409,13,14,სქ.4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ბერი ევნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 409,14), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 11, 70; 1981: 671; 1985: 217; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 11, 12; ქართულ-სპარსული 1955: 90, 92, 121, 319).

მდებარეობს ქ. თბილისის სამხრეთ-დასვლეთით 10 კმ-ზე. XVII ს-ის ოციან წლებში გიორგი სააკაძის სამოურავო სოფელი იყო.

ლისში და მის სიახლოვეს შემორჩენილია წმინდა ესტატესა და წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესიები, რომლებიც XVII-XVIII სს-ს მიეკუთვნება. წმინდა გიორგის ეკლესიის სიახლოვეს არის ნამოსახლარი და სამაროვანი (შმერლინგი, დოლიძე 1960: 79, 80).

ლისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.
ბიბლიოგრაფია: *მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 11, 12; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 11, 70; 1981: 671; 1985: 217; ქართულ-სპარსული 1955: 90, 92, 121, 319; ქც 2: 409,14; შმერლინგი, დოლიძე 1960: 79, 80.*

ლომსიათი, ციხე (ქც 4: 132,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 132,8; 658,1; 663,21,23; 668,17, სქ. 1; 772,10), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 261,10), ნიკო ლაღიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დაღიანი 1962: 144,31). ლოკალიზდება ქ. ახალციხის ტერიტორიაზე. მდებარეობს მდ. ოძრხის წყლის სამხრეთით (ჯვანავიშვილი 1965: 57).

წყაროებში მოიხსენიება „ლომსიანთას“ სახელითაც (ქც 1: 261,10). ლომსიათის ციხე IX ს-ში აუშენებია გუარამ მამფალს (ქც 1: 261,10). ციხის ალება უცდია მის შვილს ნასრს, რომლისთვისაც ჯარი ბაგრატ III-ს (975-1014) მიეცია, მაგრამ დამარცხებულა (ჯვანავიშვილი 1965: 102; ბერძენიშვილი 1966: 97). მკვლევართა ვარაუდით, „ლომსიათი“ ქალაქ ახალციხის ადრინდელი სახელია. XI-XII სს-ში „ლომსიათი“ „ახალციხემ“ შეცვალა (აფრასიძე 1974: 182; მესხია 1983: 90).

ბიბლიოგრაფია: *აფრასიძე 1974: 182; ბერძენიშვილი 1964: 226; 1966: 97; 1975: 73, 74, 648; დალი-*

ანი 1962: 144; ზაქარაია 1977: 39; ლომსაძე 1975: 448; მესხია 1983: 90; ქც 1: 261,10; ქც 4: 132,8; 658,1; 663,21,23; 668,17,სქ.1; 772,10; ჯავახიშვილი 1965: 57, 102.

ლორა, ციხე (ქც 4: 158,24). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 158,24; 170,3,11; 180,16; 280,11,17,18; 307,16,23; 308,16; 312,18; 411,29; 413,3,4,21,28; 414,11,22; 417,7,9; 418,21,23; 419,10,27; 420,2,4; 508,23; 514,26; 723,4), „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1: 335,1), ლაშა-ვიორგის დროინდელი მემკვიდრე (ქც 1: 367,2), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 19,1,5,18; 20,2,5; 30,13,31,10; 33,3; 55,7; 60,7; 109,20), პერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი, მეორე და მესამე ტექსტი (ქც 2: 342,4; 349,15; 372,20; 373,31; 374,2,5,6; 375,6; 378,17,21,22; 379,33; 380,1,16,17; 381,6,8; 417,25; 474,21; 477,11; 522,22; 526,10; 529,5,11,12,14,28; 535,6,10-12; 536,18,21; 537,9,10,25-27), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 19, 67, 69, 82, 89, 90, 95, 97, 98, 112, 122, 125, 134, 237), ითანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 59, 80), XII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 262, 264; 1897: 196, 229, 236, 420, 423, 427, 430, 432, 439; 1967: 188; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 92, 123; 1970: 178, 749; 1972: 104, 105, 164; 1974: 148; 1977: 590; სამხ. საქ. ისტ. 1961: 53; სამი ისტ. ქრ. 1890: 109, 112; საქ. სიძ. 1909: 461, 550; 1910: 2; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 55, 107, 116; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 134), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 127, 126), ბარბაროს „მოგზაურობა“ (ბარბარო 1981: 60, 62), ჰასან რუმელს „ჰასან ათ-თავრიხი“ (რუმელი 1966: 59), XVI ს-ის თურქული წყაროები (თურქული წყაროები ... 1983: 3, 45), ღონ კრისტოფორო დე კასტილის „ცნობები და აღბოთი საქართველოს შესახებ“ (კასტილი 1977: 215), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 75). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ხოლო ლოქის მთის სამხრით კერძოს მდინარენი, რომელნი დიან და მიერთვიან ტაშირის წყალსა, იგი ერთვის ლორის ციხეთან მდინარეს დებდას“ (ქც 4: 312,16-18). მდებარეობს ისტორიულ ტაშირში, მდ. დებდას მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ლორიბერდის ტერიტორიაზე. ამჟამად მოქცეულია სომხეთის რესპუბლიკის სტეფანავანის მუნიციპლის ფარგლებში. ციხე-ქალაქი ლორე დაარსდა X ს-ში. 1065 წლიდან ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ცენტრია (ბერძენიშვილი 1979: 73, 129). 1118 წ. დავით აღმაშენებელმა (1089-1125) ლორე საქართველოს შემოუერთა და ივანე ორბელს გადასცა (ქც 1: 335,1). სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ლორე საქართველოს სანაპირო საერისთავოს ცენტრი და ამირსპასალა-

რთა რეზიდენცია გახდა. XII ს-ში სახელი ლორე მთელ ტაშირზე გავრცელდა (ბერძენიშვილი 1979: 51, 77). 1177 წ. გიორგი III-ს (1156-1184) წინააღმდეგ მოწყობილ ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ ლორე ყუბასარს გადაეცა. 1186 წ. ის მხარგრძელთა საგვარეულოს საკუთრებაში გადადის. 1236 წ. ლორე მონღოლებმა დაარბიეს. 1400 წ. თემურ-ლენგმა ააოხრა (ბერძენიშვილი 1979: 79, 84, 87, 90). XIV ს-ის მეორე ნახევარში თურქმანმა ტომებმა დაიკავეს. XV ს-ში ქართველებმა ლორე უკან დაიბრუნეს. XIV-XV სს-ში ლორე დაკნინდა და მხოლოდ ციხესიმაგრის ფუნქციები შეინარჩუნა. XVII ს-ში მაჰმადიანურ სახანოდ გადაიქცა. XVII-XVIII სს-ში ირან-ოსმალთა და ლეკთა შემოსევების შედეგად გაუკაცრიელდა (ბერძენიშვილი 1979: 52, 114). 1968 წ. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღ. ო. ლარიბაიანი) გათხრები აწარმოა ციხე-ქალაქ ლორეს ტერიტორიაზე. 1969-1973 წწ. იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ს. დევუჯიანი) შესწავლა ლორიბერდის ნამოსახლარი და სამაროვანი. ლორიბერდის ნამოსახლარი მდებარეობს სოფ. ლორიბერდში, მდ. მისხანის მარცხენა ნაპირზე და რამდენიმე ჰა ტერიტორიაზეა გავრცელებული. ნამოსახლარის დიდი ნაწილი განადგურებულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს. შესწავლეს გეგმით არასწორი ოთხკუთხედის ფორმის ერთი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ნაგებია ციკლოპური წყობით. ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის სიგრძეა 24 მ, სამხრეთ-აღმოსავლეთის – 26 მ, კედლების სისქე — 2,5 მ. შიდა სივრცე 1,2 მ სისქის კედლით ოთხ ოთახადაა გატანებული. იატაკი რიყის ქვითაა მოგებული და თიხით გადალესილი. აღმოსავლეთი კედლის ცენტრში მოწყობილია წრის მქონე ფორმის მოედანი. ნამოსახლარს გარშემო აქვს 7 მ სიგანის ციკლოპური კედელი. ნამოსახლარზე აღმოჩნდა: შავპირილა ან მონაცრისფერი, ჩარხზე დამზადებული თიხის ჭურჭელი (გეომეტრიული ორნამენტითა და მეანდრებით შემკული ქოთნები და ჯამები), ოსიდიანის ისრისპირები, კაყის ნამგლის ჩასართები, სალესი ქვები (5 ც), საფეკვავეები და სხვ. მასალა თარიღდება ძვ. წ. XVII-XV სს-ით. ნამოსახლარზე ხელახლა სახლდებთან ძვ. წ. VIII-VI სს-ში, მაგრამ ამ პერიოდის ფენა მთლიანად განადგურებულია. აღმოჩნდა მხოლოდ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. შუა საუკუნეებში იმავე ადგილზე აუშენებიათ ციხე-ქალაქი ლორე (დევუჯიანი 1981: 17, 18). სამაროვანი მდებარეობს სოფ. ლორიბერდის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამაროვნის უდიდესი ნაწილი განადგურებულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შედეგად. შესწავლილია 13 სამარხი, რომლებიც წარმოდგენილია ყორღანებით (№№7, 9, 10), კრომლეხებით (№№4, 8, 13), ქვის სამარხებით (№3) და ორმოსამარხებით (№№11, 12). ყორღანების ღმ 1-2 მ-ია, სიმაღლე – 0,5-2 მ. კრომლეხების

დმ მერყეობს 4-15 მ-ს შორის. სამარხების დამბრობა სხვადასხვაგვარია: ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (№№2, 6, 7), ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (№8) ან აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (№12). მიცვალებულის პოზის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთ სამარხში, რომელშიც მიცვალებული დაკრძალულია მარცხენა გვერდზე კიდურებმოკეცილი, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხთა ერთი ნაწილი კრემაციულია. დადასტურებულია მათი მეორადი გამოყენების შემთხვევაც (№2). სამაროვანზე მიცვალებულთან ერთად გვხვდება ცხენისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დასაფლავების ფაქტებიც. სამარხთა უმრავლესობა გაძარცვულია. სამაროვნის მასალა წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, ბრინჯაოს, რკინის, ქვისა და ძვლის საყოფაცხოვრებო ნივთებით, ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის სამკაულით. თიხის ჭურჭელი სარიტუალო ან სამზარეულო დანიშნულებისაა. გვხვდება შავპირიანი, სადაზღვეპირიანი, ორნამენტირებული ან წითელი და თეთრი საღებავით მოხატული ჭურჭელი (დაბალყელიანი, მრგვალმუცლიანი, პირგადმოკეცილი ქოთნები, ბიკონუსური, დაბალყელიანი დოქები; ინკრუსტირებული ჯამები; ღია წითლად ანგობირებული სანელსაცხებლე და სხვ.) ბრინჯაოს ნივთებიდან აღსანიშნავია სოლისებურლეროიანი ფინიკელის ფიგურები, ეტლის მოდელი, რომისეპური ორნამენტით შემკული ხარის თავი, ცხენის მორთულობის ფრაგმენტები, ფოთლისეპური ფორმის გრძელფუნჯიანი ისრისპირები, დანები, ლურსმნები, სხვადასხვა ფორმის ეყვნები, ბალთები და სხვ. სამაროვანზე რკინის ნივთები (მონხრილი დანები, ლაგამი და ავგარის ფრაგმენტები) მცირე რაოდენობითაა და მხოლოდ №2 და №4 სამარხებში გვხვდება. სამკაულიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოს (90 ც), ვერცხლის (3 ც) სადა ან დაკბილულზედაპირიანი, თავებგახსნილი, გველისთავებიანი სამაჯურები, რგოლები, ფიბულები, ოქროს დაიდმა წერტილოვანი ორნამენტითა და ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებით, ოქროს სამკუთხა ფირფიტაზე დამზადებული ნახევარწრეებით, სამკუთხედებითა და ცვარათი შემკული საყურე; სხვადასხვა ფორმის ბრინჯაოს, სარდიონის, აქატის, იასპის, ქარვის, თეთრი და ცისფერი პასტის მძივები, ძვლისა და ქვის იარაღებიდან გვხვდება კაჟისა და ოსიდიანის ისრისპირები (8 ც), ფიქალის ქვის ყალიბი მძივებისათვის, ძვლის გრავირებული ბალთა, კონუსური ფორმის ქვიშაქვის საბეჭდავი და სხვ. სამაროვანი ფუნქციონირებდა ხანგრძლივი დროის მანძილზე და თარიღდება ძვ. წ. XVI-VI სს-ით (დევეჯიანი 1981: 24, 50, 62, 149). 1830-1831 წწ. ლორეში, ციხის ნანგრევებთან აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც 2430 მონეტისაგან შედგება. მათ შორის, 600 ბიზანტიურია და, სავარაუდოდ, ტრაპიზონის ასპერების მინაბაძს უნდა წარმოადგენდეს. 503 აღმოსავლური მონეტაა; მათგან 13 ჯუჩილური, 22 ჰულაგუილური,

9 ჯვლიაირთა, 16 თემურ-ლენგის, 47 თემურიდების, 50 შირვანშაჰების, 8 ოსმანიდების, 3 მამელუქების, 90 ყორა-ყონილუ, 9 აკ-ყონილუ და 67 ქართული მონეტა. განძი თარიღდება XV ს-ით. ის დაცულია სანკტ-პეტერბურგის აზიურ მუზეუმში (დუნდუა 1964: 37, 81, 82).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 59, 80; ბერძენიშვილი 1966: 47, 72, 78, 79; ბერძენიშვილი 1979; გიულდენშტედტი 1962: 75, 243; დადიანი 1962: 127, 126; დევეჯიანი 1981; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 55, 107, 116; დუნდუა 1964: 37, 66, 81, 82; თურქული წყაროები ... 1983: 3, 45; ბარბარო 1981: 16, 60, 62, 71; კასტელი 1977: 215; მასალები საქ. ისტ. კეოვ. 1964: 134; მელიქსეთ-ბეგი 1928ა: 33-36; მცირე ქრონიკები 1968: 25; ორბელიანი 1981: 19, 67, 69, 82, 89, 90, 95, 97, 98, 112, 122, 125, 134, 237; რუმლე 1966: 59, 60; სამი ისტ. ქრ. 1890: 109, 112; სამხ. საქ. ისტ. 1961: 53, 170; საქ. სოდ. 1909: 461, 550; 1910: 2; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 92, 123; 1970: 178, 749; 1972: 104, 105, 164; 1974: 148; 1977: 590; ქრონიკები 1892: 262, 264; 1897: 196, 229, 236, 420, 423, 427, 430, 432, 439; 1967: 188; ქც 1: 335,1; 367,2; ქც 2: 19,1,5,18; 20,2; 30,13; 31,10; 33,3; 55,7; 60,7; 109,20; 342,4; 349,15; 372,20; 373,31; 374,2,5,6; 375,6; 378,17,21,22; 379,33; 380,1,16,17; 381,6,8; 417,25; 474,21; 477,11; 522,22; 526,10; 529,5,11,12,14,28; 535,6,10,11,12; 536,18,21; 537,9,10,25-27; ქც 4: 158,24; 170,3,11; 180,16; 280,11,17,18; 307,16,23; 308,16; 312,18; 411,29; 413,3,4,21,28; 414,11,22; 417,7,9; 418,21,23; 419,10,27; 420,2,4; 508,23; 514,26; 723,4; ხარაძე 1991: 96, 114.

ლურჯი მონასტერი (ქც 4: 329,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 329,9; 338,25), სიმონ I-ის (1556-1569, 1578-1600) არზა სულთან მურად III-ისადმი (სიმონ მეფის არზა ... 1980: 161), იესე ოსეს ძის „თავგადასავალი“ (თავგადასავალი ... 1913: 49, 50, 67). მდებარეობს თბილისში, ვერის ბაღის განაპირას. ეკლესია თავდაპირველად აუგიათ წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელზე, რასაც მოწმობს ტაძრის სამშენებლო წარწერა (ბერიძე 1948: 97). ვახუშტი ბაგრატიონი მას წმინდა გიორგის ტაძრად მოიხსენიებდა (ქც 4: 338,25). ბოლო ხანებში ტაძარი იოანე დვთისმეტყველის სახელს ატარებდა. ამგვარი ცვლილებები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა დროს ტაძრის აღდგენასა და ხელახლა კურთხევასთან. „ლურჯი მონასტერი“ ტაძარს შეერქვა იმიტომ, რომ თავის დროზე ის დახურული იყო ცისფრად მოჭიქული კრამიტით (ბერიძე 1948: 100). 1948 წ. ლურჯი მონასტრის ეზოს თხრისას შემთხვევით აღმოჩნდა კერამიკული მილსადენი, ცისფრად მოჭიქული კრამიტის ნატეხები და ქვითა და აგურით ნაგები გვიანი შუა საუკუნეების უინვენტიარო აკლადამა (მშენებარეობა 1949: 34-54).

XII-XIII სს-ის მიჯნით დათარიღებული ლურჯი მონასტერი გუმბათიანი ტაძარია. გუმბათი ეყრდნობა საკუთრხევის კედლებს და დასავლეთით თავისუფლად მდგომ ორ რვაწახნაგა სვეტს. აფსიდა შვერილია. აფსიდასა და გუმბათქვეშა კვადრატს შორის ღრმა ბემაა. მის ორსვე მხარეს სადიაკვნე და სამკვეთლოა, ორივე სწორკუთხაა, უაფსილო. მეორე სართული მარტო პასტოფორიების თავზეა მოწყობილი. შენობას შესასვლელი აქვს დასავლეთიდან და სამხრეთიდან. ბემა და შუა ნავი გუმბათისა და დასავლეთ კედელს შორის ცილინდრული კამარებითაა გადახურული. გვერდით ნაგებში ისრული ნახევარკამარებია. ინტერიერში მხატვრობის კვალი აღარ ჩანს. ეკლესია ნაგებია ქვითა და აგურით. ნაგებობაში გამოირჩევა სხვადასხვა დროის სამშენებლო ფენები. სამხრეთი კედლის კარის ტიმპანზე XII ს-ის ცხრასტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა, რომელშიც მოხსენიებულია ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ამირთ-ამირა აბულასანი, ძმა ქართლის მთავარბისკოპოსოფიფილი ბასილ იობის ძისა და აბულასანის შვილი დავითი. ტაძარი ბასილს თავის საგვარეულო საძვალედ აუგია (ბერიძე 1948: 92-100).

ბიბლიოგრაფია: ბაქრაძე 1875: 91, 92; ბერიძე 1948: 91-110; 1977: 60, 61; თავგადასავალი ... 1913: 49, 50, 67; თავაიშვილი 1913: 144-154; იოსელიანი 1866: 34-39; მშენებარძე 1949: 34-54; სიმონ მეფის არხა ... 1980: 152-166; ქც 4: 329,9; 338,25; ყაუხჩიშვილი 1951: 291.

ლოჭიბანი, ციხე (ქც 4: 549,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 135,21; 153,7; 549,19), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 265,13; 268,14,15; 269,12; 316,5), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტი (ქც 2: 444,11), „ძველი ერისთავთა“ (ძე 1954: 6, 14), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 273).

ლოჭიბანის ციხის ლოკალიზაციის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ვახუშტი ბაგრატიონი ციხის მდებარეობას ბახტრიონთან ვარაუდობდა (ქც 4: 549,18-20). გარკვეული ეჭვით იმავე ადგილას ვარაუდობს ციხის არსებობას მ. ლორთქიფანიძე (ლორთქიფანიძე 1963: 163). პ. ინგოროყვას მიაჩნდა, რომ ლოჭიბანი იგივე ლოჯიბანი, ლოჭინის უბანია და ციხე ლოჭინის ხეობაშია საგულვებელი (ინგოროყვა 1963: 101, 102). იოჰან გიულდენშტედტი ლოჭიბანის ადგილმდებარეობას განსაზღვრავდა სოფ. იკოთისა და ტონჩის მახლობლად (გიულდენშტედტი 1962: 49, 97). სხვა მოსაზრებით, ლოჭიბანის ციხე ლოკალიზდება ახალგორის მუნიციპ-ში. მდებარეობს მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე, სოფ. იკოთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 4 კმ-ის დაშორებით (გვერტიშვილი 1955: 69; მუსხელიშვილი 1967: 80, 81; გვასალია 1967: 42). ციხე X ს-ში აუგია კახეთის ქორეპისკოპოსის ფალ-

და II-ს (ქც 1: 265,12,13). კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკე II-სა (929-976) და გიორგი აფხაზთა მეფეს (922-957) შორის ბრძოლის დროს ლოჭიბანის ციხე დაიკავა კვირიკეს მოლაღატე ფეოდალმა ივანე არშის ძემ (ქც 1: 268,15). გიორგის აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ კვირიკე II ქართლისა და კახეთის აზნაურების დახმარებით კვლავ დაუფლა ციხეს და იგი დაანგრია (ქც 1: 269,11-13), რათა აფხაზთა მეფისათვის გამოეცალა მნიშვნელოვანი დასაყრდენი ქართლში გასაბატონებლად (გვასალია 1967: 43). გიორგი II-მ (1072-1089) ლოჭიბანი გადასცა აჯანყებულ კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ივანეს ძეს (ქც 1: 316,5,6). მალე ციხე კახეთის მეფე ალასართან I-მა (1058-1084) მიიტაცა (ქც 4: 153,7). XIV ს-ის დასაწყისში ლოჭიბანის ციხეს ბრძოლით იკავებს ქსნის ერისთავი შალვა ქვენიფნეველი (ქც 2: 444,11; ძე 1954: 6, 14). ლოჭიბანის ციხე გაბატონებული იყო მდ. ქსანსა და არაგვს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე. მასზე გადიოდა კახეთიდან მდ. ქსნის შუა წელისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი გზა (გვასალია 1967: 42). ვახუშტი ბაგრატიონი ლოჭიბანის ციხეს ლორჭიბანის სახელით იცნობდა (ქც 4: 135,21, 153,7, 549,19); იოანე ბაგრატიონი მთას, რომელზეც ლოჭიბანის ციხე ყოფილა აშენებული, ლორჭიბანის მთის სახელით მოიხსენიებდა (ბაგრატიონი 1986: 81). ლოჭიბანის მთას იოჰან გიულდენშტედტიც აღწერდა (გიულდენშტედტი 1964: 29, 63).

ლოჭიბანის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ციხე აგებული ყოფილა ამავე სახელწოდების ქარაფოვან კლდეზე. იგი ძნელად მისადგომია. ციხის კედლები ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. კედლები უკეთაა დაცული კლდის ჩრდილოეთ ნაწილში. კედლებზე შეიმჩნევა ორგვარი წილობა, რაც ციხის ორ სამშენებლო პერიოდზე უნდა მიუთითებდეს (გვასალია 1967: 42). ლოჭიბანის ჩრდილოეთით 200-300 მ-ზე, მთის მეორე კონუსზე მდებარეობს ალევის წმინდა სამების ეკლესია (იხ. ალევ). ციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,5-2 კმ დაშორებით, ტყიან გორაკზე, რომელსაც „თელადგორს“ უწოდებენ, შემორჩენილია ადრე შუა საუკუნეების ზურგიანი კოშკის ნანგრევები და სხვა ნაგებობათა ნაშთები (გვასალია 1967: 43).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 81; გვასალია 1967: 42, 43; გვასალია 1983: 26, 60, 77; გვერტიშვილი 1955: 69; გიულდენშტედტი 1962: 49, 97, 273; 1964: 29, 63; ინგოროყვა 1963: 101, 102; ლორთქიფანიძე 1963: 163; მუსხელიშვილი 1967: 71, 78-81; ქრონიკები 1897: 7; ქც 1: 265,13; 268,14,15; 269,12; 316,5; ქც 2: 444,11; ქც 4: 135,21; 153,7; 549,19; ძე 1954: 6, 14.

ლოჭიბოს ხაზი (ომანის ხევი) (ქც 4: 331,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 331,19; 333,17; 429,26; 537,18; 538,16), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ქც 1: 349,19),

ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 405,22), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 271), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 78), პაპუნა ორბელიანის „აბზავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 238), იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“ (ტფილელი 1989: 619, 626), 1738 წ. ისტორიული საბუთი (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 277), იესე ოსეს ძის „თავგადასავალი“ (თავგადასავალი ... 1913: 98, 135), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 29, 79), 1462 წ. სომხური ანდერძი (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 78), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 261).

მდებარეობს გარდაბნის მუნიციპ-ში, თბილისიდან სამხრეთით, 20-ოდე კმ-ის დაშორებით.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ლოჭინის ხევის ძველად ომანის ხევი ეწოდებოდა (ქც 4: 537,17,18). მის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ეს ადგილები ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ჩანს ათვისებულად. მოსახლეობას აქ ანტიკურ და ადრე შუა საუკუნეებშიც უცხოვრია (აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962: 203). ლოჭინის მიდამოები განთქმული ყოფილა, როგორც კარგი სანადირო და სამოვარი ადგილები (ქც 1: 349,17-20; ქც 2: 405,22-28; ორბელიანი 1981: 238). დავით აღმაშენებლის (1089-1125) ბრძანებით, ქართველებს ლოჭინში მობალახე თურქების ნახირი გაურეკავთ. საქონლის დასაბრუნებლად გამოსული თურქთა რაზმი ქართველებს ერთიანად ამოუწყვეტიათ (ქც 1: 349,17-20). 1462 წ. თურქთა ლაშქარი ლოჭინში შეჩერდა. აქედან ოცი მხედარი გლდანში გადასულა ნახირის მოსატაცებლად. თურქთა მცირერიცხოვან რაზმს თბილისიდან 200 კაცი დასდევნებია. ლოჭინს მისულებს იქ მთელი ჯარი დახვედრიათ. უთანასწორო ბრძოლაში დახოცილ ქართველებს თურქებმა თავები მოჰკვეთეს და თან წაიღეს (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 78). ლოჭინის ხევი მონადირე გიორგი სააკაძემ შეიპყრო შაჰ-აბასის (1587-1629) შიკრიკი საიდუმლო წერილით, რომლითაც შაჰი ყორჩიხა-ხანისაკან მოითხოვდა კახეთის აოხრების შემდეგ ქართლის მოსახლეობის აყრასა და ირანში გადასახლებას; გიორგი სააკაძის მოჭირილი თავი კი შაჰისათვის უნდა გაეგზავნათ (ქც 2: 405,22-28; ქც 4: 429,26-28). თემურლანგ II-მ (1744-1762) და ერეკლე II-მ (1744-1798) მამია გურიელის პატივსაცემად ლოჭინის მინდორზე დიდი ნადირობა მოაწყვეს (ორბელიანი 1981: 238).

1933 წ. ლოჭინის მიდამოებში მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ქვის სამარხები, რომელთაგან ორის ინვენტარი წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, მძივებითა და ლურჯი მინის მრავალწახნაგა სამაჯურებით (აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962: 203). 1952 წ. მიწის სამუშაოების დროს ლოჭინის ხევის მარცხენა ნაპირზე, სოფ. გამარჯვების ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩნდა

შენობის ნანგრევები და თიხის ჭურჭლის ნატყეხები. ძეგლის გათხრა დაეწალა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტს რ. აბრამიშვილს (აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962: 197). 1967 წ. ლოჭინის ხევის მიდამოებში, ვაზიანის ხიდთან შემთხვევით აღმოჩნდა ორი ქვის სამარხი. სამარხეული ინვენტარი შეიცავდა ბრინჯაოს სამაჯურებს, რკინის ბეჭდების ნატყეხებს, სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივებს. 1981 წ. ლოჭინის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმის თიხის ჭურჭლის ნატყეხები.

1981 წ. აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია კერამიკით. ესენია: მოზრდილი ღერგების პირ-გვერდის ნატყეხები, შემკული ამოღარული კონცენტრუსი ხაზებითა და ირიბი ნაჭდევებით, ქოთნების პირ-ყელის ფრაგმენტები, ჯამის პირ-კალთისა და სასმისის ძირის ნატყეხები. ჭურჭელი გამოიწვევარია შავად და მონაცრისფროდ. თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით.

1998 წ. ახალმშენებლობის გამო დაკავშირებით არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გარდაბნის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. გ. ფხაკაძე) სამუშაოებს აწარმოებდა ლოჭინის ხევიში გამოვლენილი სამაროვნის შესასწავლად (ფხაკაძე 1999: 27-31). 1998 წ. ლოჭინის ხევიში გაითხარა 4 დან-გრეული სამარხი, რომლებიც ქვაყრილიან ორ-მოსამარხთა ტიპს უნდა ეკუთვნოდნენ. არც ერთ მათგანში მიცვალებულის ძვლები არ აღმოჩენილა. არქეოლოგიური ნივთები მხოლოდ ჩარხზე დაშხადებული მოშვო-მონაცრისფროდ გამოიწვევარი კერამიკითაა წარმოდგენილი. თიხა წვრილ-მარცვლოვანია, ქვიშანარევი. ღერგები ხასიათდება სფერული ტანიოთ, ჩაღარული ყელით, ვადმოკეცილი მომრგვალებული პირითა და ოდნავ გამოყოფილი ბრტყელი ძირით. მხრებზე შემოუყვება ღარები. პროფილის მიხედვით ღერგებთან ახლოს დგას ქოთნები. განსხვავება იმაშია, რომ ქოთნების ზედაპირი დაღარულია კონცენტრული წრეებით და ზოგიერთ მათგანს უნდა ეკუთვნოდნენ, ნაჭდევებით შემკული ძირი. ლანგრებში გამოიყოფა ორი ტიპი. პირველი ტიპი ხასიათდება მრგვალქობიანი მოკეცილი პირით, სწორი მხრით, რომელიც ტანზე მკვეთრი წიბურით გადადის. მეორე ტიპის ლანგრები ხასიათდება უქობო, გარეთ გაწილი პირითა და ჩაღარული მხრით. ლოჭინის ხევის №№1, 4 სამარხი ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო მეოთხედით, №№2, 3 სამარხი – ძვ. წ. VIII-VII სს-ით თარიღდება (ფხაკაძე 1999: 27-29).

1933 წ. ლოჭინში აღმოჩენილი მასალებიდან აღსანიშნავია: 1. წითლად გამოიწვევარი თიხის მცირე ზომის სასმისი, ვაშლით პირითა და ვიწრო, დაბალი ყელით. მკვეთრად გამოხატულია მუცლით. ყური დაძვრწილია მხარზე. ტანი მოხატული აქვს წითელი საღებავის ჰორიზონტალური ზოლებით. 2. ჭინჭილა პირაშლილია, დაბალყელიანი. ყური დაძვრწილია პირსა და მუცელზე. ყურზე აქვს კობი. მხრები შემკულია მოკლე ირიბი ნაჭდევებით.

გამომწვარია მოწალისფროდ. 3. კოჭობი დაბალ-ყელიანია, სფერული ტანით. გამომწვარია წით-ლად. 4. მეორე კოჭობის გამოხერხებულ მუცელზე და-ძერწილია თანაბარი მანძილით დაშორებული სამი კობი. 5. ჯამი პირმოყრილია, პირზე დაძერწილი თანაბარი მანძილით დაშორებული ოთხი კობით. აქვს სამი ხვეული ფეხი. გამომწვარია წითლად.

კოლექციაში ნიჟარების, სარდონისა და თეთრი მინის მძივების გარდა, გვხვდება 3 ლურჯი მინის მრავალაწახნავა საბეჭდავი. ერთზე გამოსახულია მხედარი, მეორეზე ცხენი. ფრაგმენტულობის გამო მესამე საბეჭდავის გამოსახულება (ცხენი?) ძნელად გასარკვევია. მათგან ერთი საბეჭდავი გამოქვეყნებულია (ლორთქიფანიძე 1969: 105, 106). ი. გაგოშიძე ლოჭინის საბეჭდავს ნერონ დერეის 183 სამარხის მრავალაწახნავა საბეჭდავების თანადროულად (ძვ. წ. I ს.) მიიჩნევს (გაგოშიძე 1982: 34).

1967 წ. ლოჭინის მიდამოებში აღმოჩენილი სამარხული ნივთებიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოს წვრილი მათულისაგან დამზადებული 3 ზურგჩაზ-ნეკილი სამაჯური, რომელთა თავები ბოლოვდება სფერული ბურცობებით; ბრინჯაოს წვრილი რგოლები; რკინის ბეჭდის ნაჭეხები და თიხის ორი-ოდე ჭურჭელი. 1933 და 1967 წლებში ლოჭინის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის თარიღი ზოგადად ძვ. წ. III-I სს-ით შეიძლება განისაზღვროს.

ლოჭინის ნასოფლარი მდებარეობს ლოჭინის ხევის მარცხენა ნაპირზე, სოფ. გამარჯვების ტერიტორიაზე. ნასოფლარი განლაგებული ყოფილა ბორცვზე (ბორცვის დაახლოებითი ზომები: 100X50X4 მ). ნასოფლარს დასავლეთიდან ხევი ჩამოუდის. დანარჩენი მხრიდან დაახლოებით 2 მ სიღრმის ხელოვნური თხრილი შემოუყვება. აქ გათხარა ერთი ნაგებობის ერთი ოთახი, მეორე შენობის სამი ოთახი და მათ შორის არსებული გასასვლელი. ოთახების ზომებია: პირველი ნაგებობის ოთახისა 7X4 მ, მეორე ნაგებობის პირველი ოთახისა 4X2 მ, მეორე ოთახისა 4X4 მ, მესამე ოთახისა 4X2 მ. ოთახები გვემით სწორკუთხაა. ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით თიხის ხსნარზე. კედლები თიხითაა შელესილი (აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962: 197). თიხის იატაკი ზოგჯერ მოგებულია ქვიშაქვის ფილებით. ნაგებობები კრამიტით ყოფილა გადახურული. სამეურნეო დანიშნულების ერთ-ერთ სა-თავსოში აღმოჩნდა მარცვლეულის შესანახი ორი ხარო. გათხრებისას გამოვლინდა რამდენიმე მოზრდილი ქვევრიც. არქეოლოგიური მასალა ძირითადად კერამიკაა. ქვევრები ხასიათდება დიდი ზომებით. აქვე დაბრტყელებული პირი, დაბალი

ყელი. კონუსური მოყვანილობის ქვედა ნაწილი ბოლოვდება ბრტყელი ძირით. გამომწვარია ღია მოწითალოდ. ჩაფები მოზრდილებია. ყელის წიბოზე მიერთებული აქვთ ერთი ან ორი ყური. თიხა წვრილმარცვლოვანია. გამომწვარია მოწალისფროდ. კეცი მკვრივია (აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962: 198). მოწითალოდ გამომწვარი ზედა-პირნაპრიალები თიხის ჭურჭლიდან საინტერესოა მცირე ზომის ხელადა, რომელსაც ყელზე ამოკაწრული აქვს დაქარაგმებული ორი ასომთავრული ასო „ძე“. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია ამოკაწრული, ტალღოვანი კონცენტრული ხაზებით შემკობა. დოქის ყელ-გვერდის ერთ-ერთ ნაჭეხზე ამოკაწრულია ე. წ. „ბოლნური“ ჯვარი და ქართული ასომთავრული წარწერა, რომლისგანაც მხოლოდ „კ“ და „ო“ ასო იკითხება. ცალკე ჯგუფად გამოიყოფა მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული კერამიკის ფრაგმენტები. ჭრაქები ორი ტიპისაა: ვერტიკალურშვერილიანი და მალაღტანიანი, წელში გამოყვანილი ჭრაქები. კრამიტები ბრტყელია. მათი სიგრძე 42 სმ-მდე აღწევს. აქვეა აღმოჩენილი სალესი ქვები. გათხრებისას მრავლად გამოვლინდა წვრილფეხა საქონლის ძვლები. ნასოფლარი ერთფენოვანია. თარიღდება IV-VI სს-ით. სოფელი განადგურებულა უცარი კატასტროფის შედეგად. რაზეც მიუთითებს ცეცხლის კვალი (აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962: 198, 200-202).

გათხრების პარალელურად წარმოებული დაზვერვებით გაირკვა, რომ ლოჭინის ხევი ადრე შუა საუკუნეებში მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ხევის მიდამოებში აღმოჩნდა სამაროვანი და ორი ნასოფლარი, - ერთი - გათხრილი ნასოფლარის პირდაპირ, ხევის მარჯვენა ნაპირზე, მეორე - ნასოფლარიდან სამხრეთით, სამიოდე კმ-ის დაშორებით, ლოჭინის ხევის მარცხენა ნაპირზე (აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962: 203).

ლოჭინის ხევიდან მომდინარე შემთხვევით აღმოჩენილი და გათხრებით მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962: 197-206; ბავრატიონი 1986: 29, 79; გაგოშიძე 1982: 34; ვიულდენშტიდტი 1962: 261; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 277; თავგადასავალი ... 1913: 98, 135; ლომთა-თიძე 1977: 107; ლორთქიფანიძე 1969: 105, 106, 108; ორბელიანი 1981: 238; სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 78; ტფილელი 1998: 619, 626; ფხაკაძე 1999: 27-31; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 271; ქც 1: 349,19; ქც 2: 405,22; ქც 4: 331,19; 333,17; 429,26; 537,18; 538,16; ცხოვრება ... 1980: 76.



მაკააფლი, ციხე (ქც 4: 540,22,სქ.5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 540,22,სქ.5), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1981: 72).

ვახუშტი ბაგრატიონი მაკაბელის შესახებ გადმოგვცემს: „კავკასს ... მთის კალთას, არს ციხე მაკაბელი და სასახლე მეფეთა, რომელსა ეწოდა პირველ ნონპატო“ (ქც 4: 540,22,სქ.5).

მაკაბელის ციხის ლოკალიზება ვერ ხერხდება. შესაძლოა, მაკაბელი მდებარეობდა ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე, ნონპატოს (ახლანდელი ნუხას) მახლობლად, რომელიც ამჟამად მოქცეულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. იხ. ნონპატო.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 72; ქც 4: 540,22,სქ.5.

მაიშაა, მონასტერი (ქც 4: 365,2). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 365,2).

ვახუშტი ბაგრატიონი მამების შესახებ გადმოგვცემს: „კასპის ზეით, წლევის მთაში, არს მონასტერი მამებას“ (ქც 4: 365,2). აუგია თათე სტეფანწმინდელს, ერთ-ერთს ცამეტ ასურელ მამათაგანს. თათე სტეფანწმინდელი მის მიერ აგებულ მონასტერში დაუკრძალავთ (ქც 4: 365,3).

მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, კასპიდან ჩრდილოეთით, 8 კმ-ის დაშორებით, თეთრახევის სათავეში, წლევის მთაში (იოსელიანი 1876: №6).

მონასტრის იოანე ნათლისმცემლის დარბაზული ეკლესია (6X4 მ) ნაშენი ყოფილა თლილი ქვითა და აგურით კირხსნარზე. სამხრეთიდან მიშენებულ კარიბჭეს აქვს თაღოვანი შესასვლელი. აქედან ერთი კარი შედის ეკლესიაში, მეორე კი მინაშენში (4X3 მ). ეკლესიას აღმოსავლეთ ფასადზე ჰქონია ასომთავრული წარწერა: „ქრისტე, სახელითა ღვთისაითა, მე ილარიონ სამთავნელმა, ძემან ვაჩე ყანჩაელისამან აღვაშენე წმინდა ესე ეკლესია საყოფელად წმიდისა ნათლისმცემელისა, ზრძანებითა ფასის მიღებითა სულკურთხეულისა მამისა ჩემისა ქორნიკონსა სნბ (1032) ვინ რაითაცა მიზეზითა ესე უდაბნო წმიდასა საყდრისა ამოხუას, კრულ იყოს სიტყუითაი ღვთისაითა“ (ბროსე 1851: 125, 126). წარწერაში მოხსენიებულია იოანე სამთავნელი, რომელსაც 1030 წ. აუშენებია სამთავისის ტაძარიც

(ქრონიკები 1892: 171). წარწერა ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (მაკალათია 1964: 15). ეკლესიის სამხრეთ კედელზე, კართან ყოფილა მეორე წარწერა: „ქრისტე, ადიდე შენ მიერ დამყარებული, უძლეველი ბაგრატი კურაპალატი, რომელისათა ზე აღეშენა წმინდა ესე ეკლესიაი, სახლი წმიდისა ნათლის მცემლისა, სალოცველად მეფობისა მათისა ხელითა ჩემ გლახაკისა ილარიონ სამთავნელისა ძისა ვაჩე ყანჩაელისა“ (ბროსე 1851: 126). წარწერაში იხსენიება ბაგრატი IV კურაპალატი (1027-1072) და ილარიონ სამთავნელი. წარწერა ინახება ს. მაკალათიას სახ. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (მაკალათია 1964: 15).

მამების მონასტრის ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაქრაძე 1875: 33; ბროსე 1851: 125, 126; იოსელიანი 1871: №6; მაკალათია 1964: 15; ქრონიკები 1897:171; ქც 4: 365,2,3.

მანაპი (ქც 4: 528,20,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 528,20,21; 529,7; 542,8; 546,8; 612,26; 614,1,31), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქართლ-კახეთის ... 1903: 132; საქ. სიძ. 1920: 476; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 134; 1953:60; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955:46; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 532; 1972: 461, 515; 1974: 198; 1981: 331, 334; 1985: 869; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 45, 48, 91), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 52), არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1989: 373), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 182), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 66), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 43), ბაგრატი ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 131), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 82, 86), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 19, 41, 43, 261).

ვახუშტი ბაგრატიონი მანაპის შესახებ გადმოგვცემს: „დამპალას აღმოსავლეთ-ჩრდილოთ არს, ჰერეთის მთის ძირს, მანავი, სადაცა აღაშენა სასახლე იმამყულიხან. მთის ძირად არს ძუელადი ციხე და აწ შემუსვრილი“ (ქც 4: 528,19-21).



მანავის ციხე

მდებარეობს საგარე-
ჯლოს მუნიციპალიტეტში, საგარე-
ჯლოდან 15 კმ-ის დაშორებით,
გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთი კალთის ძირას,
დღევანდელი სოფ. მანავის ადგილზე.

მეფე დავით II-ს (იმამ-ყულიხანის) (1709-1722) მანავში აუგია სასახლე (ქვ 4: 528,19-21, 612,26). ბოლდეს მჯდარ ქიზიყის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა სადროშო ქიზიყიდან კონდოლამდე და მანავამდე (ქვ 4: 542,8). 1712 წ. კახეთის მეფის ერეკლე I-ის (1688-1703) ვაჟმა თეიმურაზმა (შემდგომში თეიმურაზ II-მ, 1744-1762) ცოლად შეირთო ვახტანგ VI-ის ქალიშვილი თამარი. ქორწილი მანავში გადაუხდიათ (ქვ 4: 614,1). თეიმურაზს თელავისა და მადაროს გარდა რეზიდენცია მანავშიც ჰქონია (ქვ 4: 614,32). აჯი-ჩალაბათი გამართული ბრძოლის შემდეგ, ერეკლე II-ს მანავთან ლეკები დაუმარცხებია (ორბელიანი 1981: 182). ერეკლე II-ის დროს მანავ-საგარეჯლოს მიდამოები ქართველთა ჯარის შეყრის ადგილი ყოფილა (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 532). 1812 წ. კახეთის აჯანყების დროს რუსებისა და ქართველების რაზმმა აჯანყებულები მანავთან დაამარცხა (ბაგრატიონი 1983: 86).

მანავის ციხე დგას მაღალ მთაზე. ის ორი ნაწილისაგან შედგება. შიდა ციხეს აღმოსავლეთიდან ეკვრის რიყის ქვით კირსნარზე ნაგები კოშკებიანი გალავანი, რომელიც სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენებს შეიცავს. ზღუდის კედელს აქვს ნახევარწრიული, ზემოთ დავიწროებული კონტრფორსები. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, ზღუდის კედელზე შეიმჩნევა მოკვიანო ადღენის კვალი. ციხეზე შემორჩენილია სხვადასხვა პერიოდის ნაგებობათა ნაშთები და სამი ეკლესია (ჩუბინაშვილი 1959: 524).

2007 წ. მანავის ციხის გაწმენდითი სამუშაოების დროს (ხელმძღ. ელ. ლილივაშვილი) ციხის ტერიტორიაზე გამოვლინდა განვითარებული და გვიანდელი შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის მრავალრიცხოვანი ნატეხები. მათ შორის გვხვდება სხვადასხვა ფორმა-ზომისა და დანიშნულების სადა და მოტიქული კერამიკის ნიმუშები.

ციხის ქვემოთ ლეიონშობლის მცირე ზომის ეკლესიაა. ნაგებია რიყისა და შირიმის ქვებით. ეკლესია შიდა სივრცის მიხედვით დარბაზული ტიპისაა, რომელზეც აკურის ვუმბათი გაუმართავთ. ეკლესიის სამხრეთის შესასვლელის თავზე მარმარილოს ქვაზე მხედრული წარწერაა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ეკლესია აუშენებია 1794 წ. დავით გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარს ევთიმს (ბარნაველი 1962: 111, 112).

ბიბლიოგრაფია: არჩილი 1989: 373; ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 131; ბაგრატიონი დავით 1941: 43; ბაგრატიონი 1983: 82, 86; ბაგრატიონი 1986: 66; ბარნაველი 1962: 111, 112; გიულდენშტედტი

1962: 19, 41, 43, 261; გორგიჯანიძე 1926: 52; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 134; 1953: 60; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 546; ორბელიანი 1981: 182; საქ. არქ. 1992: 209; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 45, 48, 91; საქ. სიძ. 1920: 476; ქართლ-კახეთის ... 1903: 132; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 532; 1972: 461, 515; 1974: 198; 1981: 331, 334; 1985: 869; ქვ 4: 528,20,21; 529,7; 542,8; 546,8; 612,26; 614,1,31; ჩუბინაშვილი 1959: 523, 524.

მანგლისი (ქვ 1: 118,1, ქვ 4: 89,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქვ 1: 118,1), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 89,14; 113,27; 123,8; 160,17; 271,10,15,27; 272,14; 325,15,22; 422,1), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქვ 1: 198,16; 227,13), „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქვ 1:341,2), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მეორე ტექსტი (ქვ 2: 334,1,18,32; 335,22; 385,31; 466,5,24; 467,22), „მოქცევა ქართლისაი“ (მქ 1963: 87), 1047-1053 წწ. „მათესა და იოანეს სახარების თარგმანი“ (ქრონიკები 1892: 191-193, 195), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 47), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 110), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 82, 84, 129), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 136; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 515, 693, 694, 928; 1981: 13; ქრონიკები 1897: 395, 495; ქართლ-კახეთის ... 1903: 227, 263; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 82, 83; 1953: 7, 8, 175; საქ. სიძ. 1920: 189, 305, 306), ეპისტოლეტა წიგნი (ეპისტოლეტა წიგნი 1968: 1, 134), მოგსეს კალანკატუაცის „აღვანთა ქვეყნის ისტორია“ (კალანკატუაცი 1985: 128), უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ (უხტანესი 1975: 139, 173, 203), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 207).

ვახუშტი ბაგრატიონი მანგლისის შესახებ გადმოგვცემს: მდ. ალგეთისა და მჟვის ხევის შესართავს „ქუეით არს მანგლისი, ეკლესია გუმბათიანი, აღაშენა დიდმა კონსტანტინემ მირიან მეფის ჟამს და დაასუენა აქა ფერხის ფიცარი უფლისა; აროდეს შემუსვრილ არს. სამხრით გუმბათსა შინა არს მაჰმად, ლომსა ზედა მჯდომარე დახატული. იტყვიან ამის გამო მოჰმადიანთა არა შეუშუსრავთ. ზის დასმული გორგასლისაგან ეპისკოპოზი, მწყემსი ალგეთის ხეობისა და ქციის ზემოთისა თრიალეთამდე“ (ქვ 4: 325,15-21).

მდებარეობს თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში, მდ. ალგეთის მარცხენა მხარეს, სოფ. მანგლისის ტერიტორიაზე.

წყაროებში მოიხსენიება ქართლში ქრისტიანობის გავრცელებისა და პირველი ეკლესიების მშენებლობის შესახებ თხრობისას. მირიან მეფემ საბერძნეთი-

დან მოიწვია „კირითხურონი და ქვისმთლენი“, რომლებმაც ააშენეს მანგლისში ეკლესია და დაასვენეს კეისრის მიერ გამოგზავნილი ფიცარი, რომელზეც უფლის ფეხი იყო მიღურსმული (მქ 1963: 87; ქც 1: 118,1). VI ს-ში მანგლისში საეპისკოპოსოა (ქც 1: 198,16; ქც 4: 113,27). ქალკედონის 506 წ. კრების მონაწილე ეპისკოპოსთა შორის მოხსენიებულია ალაგრეს მანგლელი (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 97; უხტანესი 1975: 139). მანგლისის ეკლესიაში სალოცავად მოდიოდნენ მეზობელი ქვეყნების ქრისტიანები. ქართველ-სომეხთა განხეთქილების შემდეგ აბრამ კათოლიკოსი მოუწოდებდა ალბანელებსა და სომეხებს, არ წასულიყვნენ მანგლისს ჯვრის თავყანისსაცმად (უხატანესი 1975: 173; კალანკატუაცი 1985: 128). 639 წ. პერაკლე კეისარმა (610-641) წაიღო მანგლისიდან ფიცარი, რომელზეც უფლის ფეხი იყო მიღურსმული (ქც 4: 123,8). 1121 წ. 18 აგვისტოს თურქთა ჯარი შემოესია თრიალეთს, მანგლისს, დიდგორს. დავით აღმაშენებელმა მტერი დიდგორთან დაამარცხა (ქც 1: 341,2; ქც 4: 160,17). 1396 წ. მანგლისში ორი თვე იდგა თემურ-ლენგი. 1397 წ. ის კვლავ მისულა მანგლისს (ქც 2: 334,1,18,32, 335,22). 1609 წ. თათართა ჯარმა გადაწვა მანგლისი და კველთა (ქც 2: 385,31). ჯავახეთიდან გადმოსულ ლეკთა ჯარს თეიმურაზ II-მ (1744-1762) დაადევნა ლაშქარი, რომელმაც მანგლისთან დაამარცხა მტერი (ორბელიანი 1981: 110). 1721 წ. აღწერილ მანგლისში ითვლებოდა 1 მეპატონე და 27 გამოძლები ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 325).

მანგლისში შემთხვევით აღმოჩნდა განძი, რომელიც შედგება ბრინჯაოს ბალთების, ზარაკების, ირმისა და სხვა ცხოველის ქანდაკებების, ხეივებისა და მძივებისაგან.

1923 წ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა მანგლისში გათხარა ქვის სამარხები. ისინი ინდივიდუალურია. სამარხებში მიცვალბულები ჩაცმუნილი მძივით მოხრილ ზოზუნა მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით ნებისმიერ მხარეზე (მელიქსეთ-ბეგი 1924: 77-79; საქ. არქ. 1959: 283). სამარხული მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

მანგლისის განაპირა, ძველ მანგლისში აღმართულია გუმბათიანი ტაძარი (ტეტრაკონქი, 22,5X16X23,5 მ). IV ს-ში იქ პირველად აუშენებიათ ქვის ეკლესია. V ს-ში ააგეს ახალი აკლესია, ხოლო XI ს-ში ის გადააკეთეს და გააფართოეს. მიაშენეს სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები. ჩასვეს ახალ პერანგში და მოაჩუქურთმეს. გუმბათში შემორჩენილია კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. შესასვლელი აქვს სასვლეთიდან და დასავლეთიდან. სარკმლები თითო-თითოა ყველა აფსიდაში. გუმბათის ყელში ექვსი ფართო სარკმელია. აფსიდები ნახევარწრიულია. ტაძარს აქვს სამკვეთლო და სადიაკვნე. ძველი გადახურულია წითელი კრამიტით. სამხრეთი კარიბჭის აფსიდაში სარკმელთან მოთავსებულია წარწერა, რომელზეც მ. ბროსე

და ექ. თაყაიშვილი კითხულობდნენ „ბალუაშ“-ს. აკ. შანიძე – „ბალათურ“-ს. შემორჩენილი წარწერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სამხრეთი კარიბჭის შესასვლელის თაღზე გარედან მოთავსებული, რომელშიც მოხსენიებულია მეფე გიორგი I (1014-1027).

ტაძარს გარს უვლის მაღალი გალავანი, რომელსაც შესასვლელი აქვს აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან. გალავანს ჩრდილო-აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში აქვს ცილინდრული კოშკები. გალავანი მრავალჯერაა შეკეთებული. ნაგებია ფლეთილი ქვით კირხსნარზე. შიგადაშიგ დიდი ქვათილი ზოგადაა აღმოსავლეთ კარებთან მოთავსებული წარწერის მიხედვით, გალავანი 1667 წ. აუგია არსენ ეპისკოპოსს. გალავანის შიგნით სხვადასხვა შენობების ნაშთებია (დვალი 1974).

ბიბლიოგრაფია: ბავრატიონი 1986: 47; ბარნაველი 1961; ბერიძე 1974: 145; ვიულდენშტედტი 1962: 207; დვალი 1974; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 82, 83; 1953: 7, 8, 175; ეპისტოლეთა წიგნი 1968: 115, 135; თოდრაი 1970: 48-53; კალანკატუაცი 1985: 128; ლორთქიფანიძე 1935: 325; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 136, 137; მქ 1963: 87; ორბელიანი 1981: 110; საქ. არქ. 1959: 283; საქ. სიძ. 1920: 189, 305, 306; სამი ისტ. ქრ. 1890: 1-35; უხტანესი 1975: 139, 173, 203; ქართლ-კახეთის ... 1903: 263; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 515, 693, 694, 928; 1981: 13; ქრონიკები 1892: 191-193, 195; 1897: 395, 495; ქც 1: 118,1; 198,16; 227,13; 341,2; ქც 2: 334,1,18,32; 335,22; 385,31; 466,5,24; 467,22; ქც 4: 89,14; 113,27; 123,8; 160,17; 271,10,15,27; 272,14; 325,15,22; 422,1.

მარაბლა (ქც 4: 38,4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბავრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 38,4, სქ. 1; 431,27, სქ. 3; 446,12; 591,17; 725,9), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 314,6), იოანე ბავრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბავრატიონი 1986: 47), თეიმურაზ ბავრატიონის „ახალი ისტორია“ (ბავრატიონი 1983: 48), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 210), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 446; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 169, 170; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 24, 34, 203, 204, 405; 1981: 160, 161, 640; 1985: 816; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 137; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 301, 826; 1953: 37, 74, 132; საქ. სიძ. 1920: 291, 390; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 252; 1953: 224; 1955: 76, 124, 241, 252, 256, 346; აქტები ... 1866: 461), ისქანდერ მუნის ცნობები საქართველოს შესახებ (მუნში 1969: 126).

ვახუშტი ბავრატიონი მარაბლას ახსენებს 1625 წ. ქართველებსა და სპარსელებს შორის მომხდარ ბრძოლასთან დაკავშირებით (ქც 4: 38,4, სქ. 1, 431,27, სქ. 3, 446,12, 591,17, 725,9).

მდებარეობს თეთრი წყაროს მუნიციპ. მდ. ალგეთის მარცხენა მხარეზე, ძველი მარაბლის ტერიტორიაზე.

რიაზე, ასურეთის ხევის აღმოსავლეთით, ჭანდრის დასავლეთით (ლორთქიფანიძე 1938: 325, 326). 1072 წ. მარაბდაში ბაგრატ IV (1027-1072) დასწევულა და ვარდაიცივალა. 1536 წ. საბუთით მარაბდა იოთამ ბარათაშვილის საკუთრებაა. 1625 წ. ივლისში მარაბდასთან გაიმართა ბრძოლა სპარსეთისა და საქართველოს ლაშქარს შორის, რომელშიც ქართველები დამარცხდნენ. იოანე ბაგრატიონი მარაბდას ბოგვის ხევის სიაში ასახელებს (ბაგრატიონი 1986: 47). 1543 წ. საბუთით მარაბდა ნასოფლარია (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 137). 1721 წ. აღწერით მარაბდაში 4 მემატონე, 2 მემამულე, 12 გამომღებო, 5 ბოვანო და 1 აყრილი ყმა (ლორთქიფანიძე 1938: 325, 326). 1751 წ. მარაბდასთან თეიმურაზ II-მ (1744-1762) და ერეკლე II-მ (1744-1798) დაამარცხეს ლეკთა ჯარი (ორბელიანი 1981: 210; ბაგრატიონი 1983: 48). მარაბდაზე გავლით თბილისიდან გზა გადიოდა წინწყარო-სამშვილდეზე. მოკლე გზით – ნახიდურზე (ბერძენიშვილი 1966: 74, 76). სოღანლულზე გავლით, მარაბდის ხილით გზა გადაივლიდა ალგეთს (ბერძენიშვილი 1966: 115). მარაბდა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფ. ძველი მარაბდის განაპირას დგას წმინდა მარინეს XVI-XVII სს-ის ეკლესია. გადმოცემით მის მახლობლად დაკრძალულია ცხრა ძმა ხერხეულიძე.

ბიბლიოგრაფია: აქტები ... 1866: 461, 764; ბაგრატიონი 1983: 48; ბაგრატიონი 1986: 47; ბერძენიშვილი 1964: 40, 308, 317; 1966: 23, 53, 71, 72, 76, 115; ვერტიშვილი 1955: 134, 139, 371, 401, 451; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 301, 826; 1953: 37, 74, 132; ლორთქიფანიძე 1935: 329-233, 386; 1938: 159, 349; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 137; მასალები საქ. ისტ. 1938: 252; 1953: 124, 224, 256; 1955: 76, 124, 241, 252, 256, 346; მუნში 1969: 282, 309; ორბელიანი 1981: 210; საქ. ეკ. ისტ. ძველ. 1967: 169, 170; საქ. სიძ. 1920: 291, 390; ქართ. სამართ. ძველ. 1972: 24, 34, 203, 204, 405; 1981: 160, 161, 640; 1985: 816; ქრონიკები 1897: 446; ქც 1: 314,6; ქც 4: 38,4, სქ. 1: 431,27, სქ. 3: 446,12; 591,17; 725,9.

მარანო, ციხე (ქც 1: 268,16). იხსენიება „მატიანე ქართლისაში“ (ქც 1: 268,16). მატიანეს მიხედვით, მარანის ციხე მდებარეობს კახეთში. ციხის უფრო ზუსტი ლოკალიზაცია არ ხერხდება.

X ს-ში გიორგი აფხაზთა მეფე ცდილობდა კახეთის დაკავებას, მას ეწინააღმდეგებოდა მარანის ციხის მფლობელი ხაზუა არმის ძე. თუმცა ციხე ხერხით აიღეს და მისი მფლობელი დაატყვევეს. ამის შემდეგ მარანის ციხე წყაროებში აღარ გვხვდება.

ბიბლიოგრაფია: ქც 1: 268,16.

მარიამ-ჯვარი (ქც 4: 34,4). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 34,4). „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული მარიამ-ჯვარი არ არის ლოკალიზებული. ამავე სახელის

მქონე სოფელი მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე, საგარეჯოდან 7 კმ-ზე. ის მოიხსენიება XVI-XVIII სს-ის ისტორიულ საბუთებში (ქართ. სამართ. ძველ. 1965: 198; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 138; ბაგრატიონი 1986: 66). XVI ს-ში მარიამ-ჯვარი სვეტიცხოვლის მფლობელობაში შედიოდა. აღნიშნული სოფელი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 66; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 138; ქართ. სამართ. ძველ. 1965: 198; ქც 4: 34,4.

მარილისი (ქც 4: 135,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 135,22; 549,12; 550,1,2,9; 561,14), გრიგოლ სახლთუხუცესის არზა მამულის თაობაზე (ქართ. სამართ. ძველ. 1981: 229), განიხილება სახლთუხუცეს ქაიხოსროსა და კობი-აშვილების მამულის საქმეზე (ქართ. სამართ. ძველ. 1974: 288-292), ფშველების არზა ბეგარის თაობაზე (ქართ. სამართ. ძველ. 1985: 607). ვახუშტი ბაგრატიონი მარილისის შესახებ გადმოგვცემს: „უტოსხვეს ზეით ერთვის ალაზანს ხევი, გამომდინარე პანკის-კუეტურას შორის მცირე მთისა. ამ ხევის სამხრით არს მარილისი“ (ქც 4: 549,22,23, 550,1).

მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტში. მარილისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ქართ. სამართ. ძველ. 1974: 288-292; 1981: 229; 1985: 607; ქც 4: 135,22; 549,12; 550,1,2,9; 561,14.

მარნეული (ქც 4: 325,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 325,2; 327,24,25; 496,15-17), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 55, 157, 174, 175), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 46), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. სტატ. ... 1907: 12; საქ. სიძ. 1920: 127; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 71; 1953: 28; 1955: 141; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 17; ქართ. სამართ. ძველ. 1974: 45, 46; ქრონიკები 1967: 64, 631; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 50, 90, 94, 159), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 83, 245). მდებარეობს ქვემო ქართლში, მდ. ალგეთის ნაპირებზე, თოფრაცვალს ჩრდილო-დასავლეთით, ლლოვანას აღმოსავლეთით (ლორთქიფანიძე 1935: 326). წარმოადგენს რაიონულ ცენტრს.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, მარნეულის ძველი სახელწოდებაა ლომთა გორა (ქც 4: 325,2). XVII ს-ში ირანის შაჰმა აბას I-მა (1587-1629) აქედან აყარა ქართველები და მათ ნაცვლად ბორჩალოს თურქმანული ტომები დასახლდა. 1717 წ. მარნეულიდან მოხდა ბრძოლა ლეკის ჯარსა და ქართველებს

შორის (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 50). 1721 წ. მარნეულში 58 კომლს უცხოვრია (მასლანი საქ. სტატ. ... 1907: 12). 1750 წ. თეიმურაზ II-ის (1744-1762) ბრძანებით დიმიტრი ორბელიანმა ააშენა მარნეულის ციხე (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 94). სახელწოდება მარნეული XIX ს-ში თანდათან გამოსულა ხმარებიდან და მისთვის სარვანა უწოდებოდა. 1932 წ. სოფ. სარვანას ბორჩალო შეარქვეს. 1947 წ. ბორჩალოს დაუბრუნდა ძველი სახელწოდება მარნეული (ხარაძე 1991: 92, 93).

მარნეულის ველზე 1965-1968 წწ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ო. ჯაფარიძე) შეისწავლა 9 ყორღანი. მათგან ყველაზე ადრეულია შულავერსა და შაუმიანს შორის, გზასთან მდებარე, წრიული მოყვანილობის, მიწაყრილიანი, კოლექტიური დაკრძალვისათვის განკუთვნილი მესამე ყორღანი (სიმაღლე 2 მ, დმ 20 მ). ცენტრალური ორმო (სიღრმე 1 მ, დმ 1,20 მ), ცარიელი აღმოჩნდა.

ყორღოში გამოვლინდა 2 სამარხი, რომელთაგან ერთი ადამიანის დაშლილ ძვლებთან ერთად შეიცავდა თიხის ტოლჩას, ბადიას, ძვლის კვირისტაფს და ხარის ძვლებს.

მეორე სამარხში მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოკეცილი ფეხებით. ჩატანებული პქონდა თიხის 5 ჭურჭელი. ყორღანი თარიღდება ადრეული ბრინჯაოს ხანით (ჯაფარიძე 1975: 137-158). იმავე პერიოდით თარიღდება, ოღონდ რამდენადმე უფრო მოგვიანო ჩანს მარნეულის ველის 4-ე-9-ე ყორღანები. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა მეცხრე, რომელიც ზედ სოფ. ქვემო სარალთან მდებარეობს. ყორღანის ზომებია: სიმაღლე 2 მ, დმ 34 მ. ოთხკუთხა ორმო ყორღანის ცენტრალურ ნაწილშია. სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ყუამილიანი ცული, ბრტყელი ცული, სატყერის პირი, სადგისი, სატეხი, ოსიდიანის ისრისპირი და თიხის ჭურჭლები. ყორღანი თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო ხანებით. ყორღანებში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). (ჯაფარიძე 1975: 137-158).

მარნეულიდან ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები. 1959 წ. მარნეულის ჩრდილოეთ საზღვართან აღმოჩნდა ბრინჯაოს მთლიანადსმული მახვილი ფრაგმენტი. დაფანჯრულთავიანი ტარი შემკულია კოპებით. პირზე შეიმჩნევა ქედის კვალი. მახვილი თარიღდება ძვ. წ. XI-X სს-ით (ფიცხელაური 1973: 189).

1968 წ. მარნეულის მიდამოებში აღმოჩნდა ბრინჯაოს მრგვალგანიკვეთიანი თავგახსნილი სამაჯური და ლევა ფერის დოქის ყელ-პირის ნატეხი. 1970 წ. მარნეულში „ლომთა გორაზე“ მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს ცულები. მათგან 2 ბრტყელი ცულია, რომელთაგან ერთი ცალი მხრიდან ოდნავ ამობურცულია. აქვს სიმეტრიული პირი და სამკაპა თავი (სიღრმე 18 სმ); მეორის

პირი გაცვეთილია. თავთან აქვს ორ-ორი შვერილი (სიღრმე 14,7 სმ); ბრინჯაოს კოლხური ტიპის ცული ყუამაღალია. სატარე ზერელი დაწახნაგებულია. სატარის კედლებს გარედან სამი წიბური დაუყვება. პირი ასიმეტრიულია (სიღრმე 18,6 სმ). ბრინჯაოს ე. წ. „აღმოსავლურ-ამიერკავკასიური“ ტიპის ცული მასიურია. ყუაზე აქვს შვერილი. სატარე ზერელი ოვალურია. პირი სვემენტისებურია (სიღრმე 17,6 სმ). ამავე ტიპისაა ბრინჯაოს 7 პატარა ზომის ცული. აღწერილ ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს მრგვალგანიკვეთიანი 5 სხვადასხვა ზომის სამაჯურის ნატეხი. ერთი მათგანი გრებილია და საკისრე რგოლი უნდა იყოს. აქვეა გამოვლენილი ბრინჯაო, თხელი ფირფიტისაგან დამზადებული ჭურჭლის ფრაგმენტები. ნივთები თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით. ნივთების აღმოჩენის ადგილას გამოვლენილია სადნობი ქურის ნაშთიც. მარნეულში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

მარნეულის ტერიტორიაზე შემორჩენილია მეგალითური ციხის ნაშთები და ადრე შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის ეკლესია.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 46; გიულდენშტედტი 1962: 83, 245; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 17; ლორთქიფანიძე 1935: 326; მასლანი საქ. სტატ. ... 1907: 12; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 71; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 28; 1955: 141; ორბელიანი 1981: 55, 157, 174, 175; საქ. არქ. 1992: 171, 202-204; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 50, 90, 94, 159; საქ. სოდ. 1920: 127; ფიცხელაური 1973: 189; ქრონიკები 1967: 64, 631; ქვ 4: 325,2; 327,24,25; 496,15-17; ჯაფარიძე 1975: 137-158; ხარაძე 1991: 92, 93.*

მარტვილი, მარტვირი (ქვ 4: 154,22; 776,18,19, სქ. 2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 154,22; 776,18,19, სქ. 2; 777,19; 883,1), „მატიანე ქართლისა“ (ქვ 1: 265,10; 303,26; 315,2), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქვ 1: 319,18), ბასილი ეზოსმოდგერის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქვ 2: 123,4), ქართული ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 413; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 198; 1970: 580; დას. საქ. საბ. 1921:2, 13-16, 20, 34, 113; ბურჯანაძე 1959: 194), არქანჯელო ლამპერტის „სამეგრელოს აღწერა“ (ლამპერტი 1938: 120), პავლე ალექსოვის „საქართველოს აღწერილობა“ (მასალები XVII საუკუნის ... 1973: 71), პატრიარქი მაკარიოსი (ყუზე 1905: 46, 61), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 149, 323).

ვახუშტი ბაგრატიონი მარტვილის შესახებ გადმოგვცემს: „ბანძას ზეით და ცხენისწყლის დასავლეთით, და მისი მჭურჭტი, მალაღს ადგილზედ, არს ჭყონდიდი ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, მარტვირისა“ (ქვ 4: 776,17-19).

მდებარეობს ოდიშის დაბლობზე, მდ. ინჩხიას მარჯვენა ნაპირზე, ახლანდელ ქ. მარტვილის ტერიტორიაზე.

წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება: „ჭყონდიდი“ (ქც 1: 265,10; 319,18; ქც 2: 123,4), რაც კოლხურ „დიდი მუხას“ ნიშნავს; „მარტვირი“ (ქც 4: 776,19); „მარტვილი“ (დას. საქ. საბ. 1921: 16; გიულდენშტედტი 1962: 149, 323), რაც ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „წამებულს“.

მარტვილი შუა საუკუნეებში საეპისკოპოსო ცენტრი იყო და საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა.

ის არქეოლოგიურად შესწავლელია.

მარტვილის მიდამოებში 1966 წ. სადაზვერვო ხასიათის სამუშაოები ჩატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს სამიზნე-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. გრიგოლია). 1974-1976, 1979-1981 წწ. არქეოლოგიური გათხრები აწარმოვა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოსიური-მუხურჩის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ე. გოგაძე). 1977-1982 წწ. იმავე მუზეუმის ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. პ. ზაქარაია).

მარტვილის ტაძართან დადასტურებულია ადრეანტიკური ხანის კოლხური ქვევრების, ამფორების ფრაგმენტები (გრიგოლია ... 1973: 17). მარტვილში, მდ. ინჩხიას მარჯვენა ნაპირზე შემთხვევით აღმოჩნდა აბანოს ნანგრევები. მისი გეგმა არ იკითხება. გადარჩენილია მცირე მასალა: კალორიფერის კერამიკული სადგრები, კერამიკული ფილისა და სვეტის ფრაგმენტები (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 125, 126). ზოგადად თარიღდება IV-VIII სს-ით.

მარტვილის ტაძარი მდებარეობს მარტვილის ცენტრში. ჯვრის ტიპის ნაგებობაა (სიგრძე 21 მ, სიგანე 17,5 მ, სიმაღლე 23 მ). ნაშენია რივისა და თლილი ქვით. ტაძარში მრავალჯერაა გადაკეთებული. აგებულია VII ს-ში. საფუძვლიანად განუხლებიათ X ს-ში (ჩუბინაშვილი 1936: 115-128; ბერიძე 1974: 108). ინტერიერში ყოფილა ასომთავრული წარწერა: „(დმერთო შეიწყალე) მეფე აფხაზთა (და ქართველთა ორთავე შინა) ცხოვრებათა აღაშენა წმიდა ესე სანათლა(ვი) ... დასაბამითგან წელთა ქ (?) ქორნიკონსა სიგ“. წარწერა 996 წ. შესრულებულია (თაყაიშვილი 1993: 4). ტაძრის ზედა ნაწილში, თაღზე, ფრესკებს შორის XV-XVII სს-ის ბერძნული წარწერებია (ყაუხჩიშვილი 1951: 91-104). ტაძარში დაცულ ნატეხზე შემორჩენილია XV-XVIII სს-ის ასომთავრული და მხედრული წარწერები (თაყაიშვილი 1993: 7-27). ტაძრის მხატვრობა XVI-XVII სს-ს განე-



მარტვილი

კუთვნება (ბერიძე 1974: 108). ჩრდილოეთის კარის თავზე გამოსახულია კაცია ჩიქოვანი ოჯახთან ერთად (XVII ს) (თაყაიშვილი 1993: 69).

მარტვილის მუნიცი-ის სოფ. აბედათი მდებარეობს ქ. მარტვილის დასავლეთით, მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირზე. იქ დადასტურებულია მუსტიესა და ზედაპალეოლითური მასალა (გრიგოლია ... 1973: 17). გამოვლენილია ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, რომელშიც აღმოჩნდა ჯამისებური ჭურჭლის ნატეხები, ცილინდრულყელიანი და სწორკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, რივის ქვისაგან დამზადებული ნატეხები, ხელჩაქეჩი, თინა-ფიქალის სამაჯურის ნატეხები, კაჟის ისრისპირები, ნამგლის ჩასართები, სახვრეტები, ანატექცები, ლამელები (გრიგოლია ... 1973: 25, 26).

სოფ. სერგოეთის ჩრდილო ნაწილში, მდ. ისკიას მარჯვენა ნაპირზე აღმოჩნდა ენეოლითური ხანის ნამოსახლარი. არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილი იყო ცილინდრულყელიანი ჭურჭლის პროფილირებული, თხელკედლიანი და სქელკედლიანი ნატეხებითა და ბათქაშებით (გრიგოლია ... 1973: 22).

სოფ. ნავაზაოში, მდ. ნოლელას მარცხენა, 10 მ სიმაღლის ტერასაზე აღმოჩნდა ნეოლით-ენეოლითის ხანის ფოროვანი და თინა-ფიქლის ქვისაგან დამზადებული ნატეხები, კაჟის საფხეკები, ანატექცები, ლამელები; სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ნამოსახლარი „ზურგა“, სადაც აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის ცილინდრული ფორმის ჯამის, ცილინდრულყელიანი ჭურჭლის ფრაგმენტები; კაჟის ისრისპირის ნატეხები; გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ჯამის, სასმისებისა და კანელურებიანი ჭურჭლის ნატეხები (გრიგოლია ... 1973: 22, 23, 27).

სოფ. საელიაოში, მდ. ინჩხურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს ნამოსახლარი ბორცვი – „კურზია“, სადაც აღმოჩნდა დერვის ფრაგმენტები, ცილინდრული ფორმის, თხელკედლიანი ჭურჭლის ნატეხები, კაჟის ისრისპირები, ნამგლის ჩასართი, ქვიშაქვის კვირისტავი, ხელსაფქვაკი, კაჟის სახოკები, ლამელები, ანატექცები, ნუკლეუსები, ბრტყელძირა სასმისების, მრგვალმუცლიანი ჭურჭლის ფრაგმენტები; ნამოსახლარი ადრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით თარიღდება (გრიგოლია ... 1973: 23-25, 28).

სოფ. ლეხანდრაოში, „გოგიაშ ნოხვამუ“ I-ის ბორცვზე აღმოჩნდა ცილინდრული ფორმის ჯამის ნატეხები; ნამოსახლარი გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისით თარიღდება (გრიგოლია ... 1973: 28); „გოგიაშ-ნოხვამუ“ II-ის ბორცვზე დადასტურებულია ანტიკური ხანის სინოპური ამფორის ყურები; ადგილობრივი ამფორის ნატეხები, სამწარულო კერამიკის ფრაგმენტები; ქვის არქიტექტურული დეტალი, ხელსაფქვაკის ფრაგმენტები (გრიგოლია ... 1973: 36);

სოფ. მუხურჩის დასავლეთ მხარეს 1974-1976 და 1979-1981 წწ. გაითხარა ნამოსახლარი ბორცვები –

„კეკელიური ზურგა“ და „ნაჭვის ზურგა“. „კეკელიური ზურგას“ საერთო ფართობი შეადგენს 1200 კვ მ-ს, სიმაღლე 3 მ-ია. დადასტურებულია 4 ფენა. აღმოჩენილია კრამიტისებურპირიანი და მოყავისფრო პირგადაშლილი ჭურჭლის ნატეხები, ღარებიანი, ქილისებური და მრგვალბაკოიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, შავბრიალა და კანელურებიანი ჭურჭლის ნატეხები, რიყისა და ქვიშაქვის ხელსაფქვაები, სანაყები, კვირის საცხობები, ყალიბები, ბათქაშების ფრაგმენტები, საქონლის ძვლები (გოგაძე 1982: 25-33, 57). ნამოსახლარის ფენები სინქრონულია ნოსირის ნამოსახლარის II-III ფენებისა, რომელიც ძვ. წ. XV-XII სს-ით თარიღდება (გოგაძე 1982: 29, 67); „ნაჭვის ზურგა“ ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვია. მისი ფართობია 1500 კვმ, დმ 40 მ, სიმაღლე 4,5-5, მ. ნამოსახლარი ერთფენიანია. ფენაში აღმოჩნდა: ძელური და თიხალესილი ნაგებობების (ფართობი დაახ. 5X5 მ ან 6X5 მ) ნაშთები; ბათქაშები; შავბრიალა და კანელურებიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, ყალიბები, ხელსაფქვაები, ქვასანაყები, კაუის ანატაკები, საქონლის ძვლები. ნამოსახლარი და-თარიღებულია ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანით და მეორე ნახევრით (გოგაძე 1982: 35, 36). სოფ. მუსურჩის მახლობლად, მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირას გამოვლინდა სამაროვანი. სამარხების დიდი ნაწილი დაზიანებულია. გადარჩენილია ათიოდე კოლექტიური ორმოსამარხი. დადასტურებულია კრემაცია და მეორადი დაკრძალვის წესი. სამარხეული ინვენტარი შედგება შემდეგი ნივთებისაგან: ბრინჯაოსა და რკინის ცულები; ბრინჯაოსა და რკინის სატყერები; ბრინჯაოს თოხები, სეგმენტები, ფიბულები, ზარაკები, ისრისპირები, უმბონები, ხრამჯურები, ბალთები; რიყის ქვის სალესები, ვერცხლის ბეჭდები, კერამიკის ნატეხები; სარდიონის, ქარვის, ფერადი მინის, გიშრის მძივები; ბრინჯაოს ხარ-ჯიხვის, თევზის, ხარის, მამაკაცის ანთროპომორფული ქანდაკებები (ელიავა 1987: 30-72); სამაროვანი ძვ. წ. VIII-VI სს-ით თარიღდება (გოგაძე 1982: 48; ელიავა 1987: 5). განათხილველი მასალები ინახება მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. სოფ. ნოჯიხევში, მდ. აბაშის მარცხენა ნაპირზე 1977. წ გამოვლინდა შუა საუკუნეების ნამოსახლარი, რომელიც V-XVIII სს-ში ფუნქციონირებდა. აღმოჩნდა აბანოს ნაშთები (5,5X10,1 მ). ზედა სართული აღარაა შემორჩენილი. პირველი სართულიდან კალორიფერისა და საცეცხლე განყოფილების ნანგრევებილია. მისი გეგმა მთლიანობაში არ იკითხება. ნაგებობა დაახ. V-VI სს-ს უნდა განეკუთვნებოდეს (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 122-125). აბანოს სამხრეთ-დასავლეთით, ოციოდე მ-ზე გამოვლინდა საძირკვლამდე დანგრეული ტეტრაკონქის ტიპის ეკლესია. გეგმით ოთხი ნახევარწრისაგან შედგება. მცირე ზომისაა. ნაგებია თლილი კირქვითა და შირიმით (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 237). ეკლესია V ს-ის ბოლო მესამედით ან VI ს-ის პირველი ოთხი ათეულით თარიღდება (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 241); ეკლესიის სამხრეთით, 30-ოდე

მ-ზე 1978 წ. გამოვლინდა კიდევ ერთი ეკლესია. ის ძლიერაა დაზიანებული. დარბაზული ტიპისაა, ნაგებია თლილი კირქვითა და შირიმით. მის ნანგრევებში აღმოჩნდა კირქვის ფილაზე ამოკვეთილი ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები. ეკლესია XI-XII სს-ის მიჯნით თარიღდება (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 241-243; 254); ნამოსახლარის ტერიტორიაზე მდებარეობს ციხესიმაგრის ნაშთები. ციხე ოვალური გეგმისაა (სიგრძე 145 მ, სიგანე 70 მ, კედლის სისქე 1 მ). ნაგებია რიყისა და ყორე ქვით. თარიღდება გვიან შუა საუკუნეებით (ზაქარაია 1987: 63); ციხის შიგნით, რვააფსიდიანი ეკლესიის ნანგრევებზე გამოვლინდა გვიანი შუა საუკუნეების კარის ეკლესია. მისგან ნანგრევებილია შემორჩენილი. ნაგებია ყორე ქვით. ციხის ტერიტორიაზე გამოვლინილია XVI-XVIII სს-ის სასახლის ნაშთები, რომელიც გეგმით კუთხოვანი ფორმისაა. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით (ზაქარაია 1987: 63-64). ნოჯიხევის რვააფსიდიანი ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა XIII ს-ის მონეტების განძი. მის შემადგენლობაშია ტრაპიზონის კეისრის, მანუელ I-ის (1238-1263) სახელზე მოჭრილი 6 მონეტა; 5 მონეტა რუმის სელჩუკური დირჰემებია (ქაიხოსრო II-ის, ქაიქაუს I-ისა და ქაიქაუს II-ის, ყილიჩ-არსლან IV-ის) (აბრამიშვილი 1987: 280-283). სოფ. კურზუში შემთხვევით აღმოჩნდა ლითონის განძი, რომლის შემადგენლობაშია: სპილენძის უფორმო ზოდი, რკინის ცული, ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხი, ჭურჭლის ნატეხები, სპირალური ხვია. ბრტყელფორფიტოვანი ნივთი, უმბონი. განძი ძვ. წ. VIII-VII სს-ით თარიღდება (ქორიძე 1965: 44, 120). ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშვიას სახ. საქართველოს მუზეუმი). სოფ. აბედათის ჩრდილო განაპირას, მთაზე მდებარეობს აბედათის ციხის ნანგრევები. ის გაიგივებულია ონოგურისის ციხესთან (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 129). ნაგებობის მშენებლობის სამი ეტაპია დადასტურებული. პირველი პერიოდის ციხის გეგმა არ იკითხება. ნაგებია კირქვითა და რიყის ქვით. ვალავნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ჩართულია კვადრატული გეგმის კოშკი. მეორე პერიოდის ციხის გეგმა ტრაპეციისებურია. ვალავნის სამხრეთით კვადრატული გეგმის კოშკია ჩართული. ის ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. კედლები და კოშკი ნაგებია ფლეთილი ქვით. ციხე V-XVIII სს-ში ფუნქციონირებდა (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 132-136). ეზოს აღმოსავლეთ მონაკვეთში დგას ღვთისმშობლის დარბაზული ტიპის ეკლესია. გეგმით ვარდნან სწორკუთხედიან, ნაგებია კირქვით. ეკლესია IX ს-ით თარიღდება (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 229-231). სოფ. კოწიაში, მაღალ, ვრცელ სერზე დგას ნილას XVI ს-ის ციხე. ის წრიული ფორმისაა, ორგალავნიანი. ოთხივე მხარეს ჩართულია ცილინდრული ფორმის სამხარეთულიანი კოშკები. ნაგებია რიყის ქვით (ელიავა 1971: 78, 79). სოფ. ნაჯანავოში გამოვლინდა X ს-ის ეკლესიის

ნანგრევი. შემორჩენილია ქვედა ნაწილი. ეკლესია (8,3X11,8 მ) დარბაზულია, ნაგებია კირქვისა და შირიმის თლილი ქვებით. წყობაში გამოყენებულია აგური. ეკლესია მოხატული ყოფილა. სამხრეთის მხარეს შემორჩენილია ჯვრის გამოსახულება (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 254-260). სოფლის ცენტრში დგას XVIII ს-ის მცირე ზომის გუმბათიანი ეკლესია. ნაგებია ქვიტიკირითა და რიყის ქვებით (ელიავა 1971: 34).

სოფ. სალხინოს ჩრდილო-დასავლეთით აღმართულია წაჩხურხუს XVII ს-ის დარბაზული ტიპის მთავარანგელოზის ეკლესია. ნაგებია თლილი და რიყის ქვებით. ფრესკები ნაწილობრივია შემორჩენილი (ელიავა 1971: 85, 86).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1987: 280-283; ბერიძე 1974: 108; ბოროზდინი 1934: 255; ბურჯანაძე 1959: 194; გიულდენშტედტი 1962: 149, 323; გოგაძე 1982: გრიგოლია ... 1973: 17-38; დას. საქ. საბ. 1921: 2, 13-16, 20, 34, 113; დიუბუა დე მონპერე 1937: 149; ელიავა 1962; 1971; 1987; 1997; ზაქარაია 1987ა: 47-89; ზაქარაია, კაპანაძე 1991; თავაიშვილი 1993; ლამბერტი 1938: 120; მასალები XVII საუკუნის ... 1973: 71; ქრონიკები 1967: 413; ყუზე 1905: 46, 61; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 198; 1970: 580; ქრონიკები 1965: 44, 120; ქც 1: 265,10; 303,26; 315,2; 319,18; ქც 2: 123,4; ქც 4: 154,22; 776,18,19, სქ. 2: 777,19; 883,1; ყუბინიშვილი 1951: 91-104; ჩუბინაშვილი 1936: 115-128.

მარტოშუაბა60, სოფელი (ქც 4: 759,3). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 759,3).

მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპ-ში, მდ. ყვირილას ხეობაში. ვახუშტი ბაგრატიონი მარტოტუბნის შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო ყვირილას შორაპანს ზეით არს მარტოტუბანი“ (ქც 4: 759,3).

მარტოტუბანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ქც 4: 759,3.

მარტყოფი, მონასტერი, სოფელი (ქც 4: 267,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 267,7; 330,20; 383,26; 470,4; 479,15; 503,3,7; 524,2; 537,12,16,17,20; 538,3,6,8,15; 561,9; 567,19; 568,4,18; 609,20; 611,10; 615,27; 621,7,10), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 349,1; 373,4; 476,4; 527,12), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 462; 1967: 59, 84-86; საქ. სიძ. 1910: 304, 452, 511; 1920: 102, 173, 174; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 138; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 352, 353, 362-365, 369, 372; 1970: 1114; 1974: 504, 565; 1981: 73, 506; 1985: 80; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 331; 1953: 58, 156, 175; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 152, 288; 1953: 39, 117, 118; ქართ. ებისტ. ... 1989: 49; საბუთები ... 1947: 292-296, 298-301; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 45, 54, 55, 57, 91, 94, 100, 105, 139, 141, 145, 156, 182,

188, 189, 195, 205, 215; ქართულ-სპარსული ... 1955: 410, 411, 413, 447), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 56, 80, 113, 114, 124), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 65), არჩილის „გაბასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1989: 455), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 78, 86, 125, 136, 146, 148, 153, 182, 190, 206, 208, 211, 212, 224, 228, 231), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 30, 36), იესე ოსეს ძის „თავგადასავალი“ (თავგადასავალი ... 1913: 125), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 3), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 133), იოანე ბაგრატიონის „ქართულ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 66, 81), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 46), XVII ს-ის რუსი ელჩების მუხლობრივი აღწერები (მიშეცკი, კლუჩარევი 1928: 158; მასალები საქართველო-რუსეთის ... 1937: 289, 290, 294, 331) იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 17, 227; 1964: 15).

მდებარეობს გარდაბნის მუნიციპ-ში, იანლოს ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. ალიხევისა და ტევალის ხეობებში.

ისტორიული ტრადიციის თანახმად, ცამეჭ ასურელ მამათაგან ერთ-ერთს, ანტონს, VI ს-ში ამ მიდამოებში დაუარსებია ღვთაების მონასტერი. თვითონ ცოტა მოშორებით, გამოქვაბულში მარტო ცხოვრობდა. რის გამოც მარტომყოფელის (მარტყოფელის) ზედწოდება მიუღია. აქედან წარმოდგება ადგილის სახელიც – მარტყოფი (ქც 4: 538,1-3). VIII ს-ის 80-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა კახეთის დამოუკიდებელ სამთავროს. კახეთის მთავრის გრიგოლის (787-827) ძალაუფლება ვრცელდებოდა კუხეთზეც, რომლის შემადგენლობაში შედიოდა მარტყოფი (ქც 4: 330,19,20; 524,2). XI ს-ში მარტყოფი კვლავ კუხეთის შემადგენლობაშია (ქც 4: 561,9). 1265 წ. ბერქა ყაენის მიერ ქ. რუსთავის განადგურების შემდეგ, რუსთაველი ეპისკოპოსის რეზიდენცია გადაიტანეს მარტყოფში, წმინდა ანტონის მონასტერში (ქც 4: 538,4-6). თემურ-ლენგის ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ქართველთა ჯარი ბაგრატ V-ის (1360-1393) მეთაურობით მარტყოფა-აგჭალას შორის დაბანაკებულია (ქც 4: 267,7). კახეთის მეფე ვიორგი VIII-მ (1466-1476) გააუქმა საერისთავოები და შექმნა სამოურავოები, მათ შორის, მარტყოფისა (ქც 4: 568,4). 1477 წ. ირანის შაჰმა უზაუნ-ჰასანმა მარტყოფი მოაოხრა (ქც 4: 568,18). 1582 წ. კახეთის მეფე ალექსანდრე II-სა (1574-1605) და ქართლის მეფე სიმონ I-ს (1556-1600) შორის ბრძოლა გაიმართა მარტყოფის მახლობლად (ქც 2: 373,4). 1614 წ. მარტყოფი შაჰ-აბას I-მა (1587-1629) მოაოხრა (ცხოვრება ... 1980: 80). 1625 წ. 25 მარტს მარტყოფის ველზე გამართულ ბრძოლაში ქართველებმა ვიორგი სააკაძის მეთაურობით სასტიკად დაამარცხეს ყიზილბაშები



მართყოფი

(ქრონიკები 1897: 462). 1664 წ. თეიმურაზ I-ის (1606-1648) შვილიშვილი ერეკლე მართყოფში თავს დაესხა ვახტანგ V შაჰნავაზსა (1658-1675) და მის შვილს არჩილს (ცხოვრება ... 1980: 113). 1703 წ. იმამ-ყულიხანმა (დავით II-მ, 1709-1722), ზაალ ანდრონიკაშვილს უბოძა მართყოფის მოურავობა (ქართულ-სპარსული ... 1955: 410, 411, 413). 1715 წ. ქართლის მეფე იესემ (1714-1716; 1724-1727) ქორწილი მართყოფში გადაიხადა (ქვ 4: 615,27). 1724 წ. მართყოფი ოსმალებმა მოაოხრეს (ქვ 4: 621,11). 1750 წ. ერეკლე II-მ (1744-1798) ნორიოსა და მართყოფში ციხეები ააგო (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 94). 1752 წ. ლეკთა თარემის გამო წმინდა ანტონის მონასტერი დაცარიელებულია და რუსთაველი ეპისკოპოსი იოსებ ჯანდღირიშვილი (1746-1756) სოფ. მართყოფში გადასულა თავისი კრებულებით (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 100). 1795 წ. მართყოფს ლეკები შემოსევდნან, მაგრამ მოურავ ზაალ ანდრონიკაშვილს ისინი დაუმარცხებია (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 195). 1971 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. კ. ფიცხელაური) სოფ. მართყოფის ჩრდილო-დასავლეთით შეისწავლა გორასამარხები ე. წ. „წითელი გორა“ და „ჭიანჭველას გორა“. სამარხები გაძარცვული აღმოჩნდა (ბუგაინიშვილი ... 1972: 16). 1978-1979 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ო. ჯავახიშვილი) დაზვერვით და გათხრით სამუშაოებს აწარმოებდა სოფ. მართყოფის მიდამოებში. მართყოფის ჩრდილოეთით, 2 კმ დაშორებით გამოვლინდა დიდი ზომის ქვამიწაყრილიანი ყორღანი. აღმოვაჩინა 2 კმ-ის დაშორებით, ადგილ უღევარში, რომელსაც ორგორებსაც უწოდებენ, გამოვლინდა ერთმანეთისაგან 160 მ-ით დაშორებული 2 ქვამიწაყრილიანი ყორღანი. ერთი, შედარებით პატარა ყორღანი აღმოჩნდა უღვეარიდან აღმოსავლეთით, ახალსოფლისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, გზიდან ასიოდრე მ-ის დაშორებით. ექსპედიციამ მართყოფის მიდამოებში შუა საუკუნეების რამდენიმე ნამოსახლარსაც მიაკვლია. ამავე წლებში ექსპედიციამ ადგილ უღევარში არქეოლოგიურად შეისწავლა ადრე ბრინჯაოს ხანის 2 (№1, 2) ყორღანი (ჯავახიშვილი ... 1980: 35-39). 1980 წ. ექსპედიციამ მართყოფიდან ახალსოფელში მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, გზიდან 100 მ-ის დაშორებით, ადგილ შინდათხევში გათხარა ადრე ბრინჯაოს ხანის (№3) ყორღანი. 1981 წ. დაიწყო შესწავლა (№4) ყორღანისა, რომელიც მართყოფიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,5 კმ-ზე მდებარეობს და „გრაკლიანთ გორის“ სახელწოდებით

ისხენიებენ (ჯავახიშვილი ... 1986: 29, 35). 1980 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კუხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ც. ჩიკოძე) მართყოფ-ნორიოს მიდამოების დაზვერვებისას მიაკვლია შუა საუკუნეების ნასახლარს. სოფლის ჩრდილოეთით, ტყეში აღმოჩნდა საწინახელი. ტყისპირა ზოლზე ჩნდებოდა ქვით ამოყვანილი სამეურნეო ორმოები და ქვევრები. ნასახლარზე აიკრიფა განვითარებული შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის ნატყეხები. ექსპედიციამ მართყოფ-საცხენისის გზასთან გათხარა რამდენიმე უინვენტარო სამარხი. ნორიშვილთან, ადგილ „ლაგანში“ შეისწავლა ადრე შუა საუკუნეების ქვის სამარხები. მართყოფ-ვაზიანის გზაზე, ადგილ „ნარისგორეში“ მიაკვლიეს ქვევრსამარხის ნაშთს (ჩიკოძე ... 1988: 61). 1981-1982 წწ. ექსპედიცია აგრძელებდა დაზვერვებსა და გათხრებს სოფ. მართყოფის მიდამოებში (ჩიკოძე ... 1985: 63, 64). 1985 წ. ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა მართყოფის სამონასტრო კომპლექსის მიდამოებში. „მამა ანტონის“ მთის დასავლეთ ფერდზე, მონასტრის კომპლექსიდან 150 მ-ის დაშორებით ტრაქტორმა დააზიანა აკლდამა, წყალსადენი და ნამოსახლარი. ექსპედიციის მიერ შესწავლილია იქნა განვითარებული შუა საუკუნეების აკლდამა (ჩიკოძე ... 1987: 93). მართყოფის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის ყველაზე ადრეული ყორღანული სამარხებია. შესწავლილი ოთხი ყორღანის ყრილი სტრუქტურის მიხედვით თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სამარხთა ყრილი ზემოდან მიწისაა, ქვეშ – ქვისა. დასაკრძალავი კამერები მოწყობილია მიწის ზედაპირზე, ყორღანის ცენტრში. ისინი ქვის ფილებით (№1 ყორღანი) ან ხის ძეგლებითაა ნაგები (№2, 3, 4). კამერის იატაკი მოგებულია ქვის ფილებით (№1, 4), ხის ძეგლებით (№3) ან თიხატყეპნილია (№2). №1 ყორღანში მიცვალებულის ძვლები არ დადსტურდა. სხვა ყორღანებში დაკრძალულია ერთი (№2), ორი (№3) ან რამდენიმე (№4) მიცვალებული. ისინი დაუმარხავთ კიდურებმოკვლილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. №2 ყორღანში მიცვალებულის ძვლებზე და დასაკრძალავი კამერის მთელ იატაკზე წითელი ოქრის კვალია შემორჩენილი. მრავალფეროვანი სამარხული ინვენტარი. კერამიკული ნაწარმი უპირატესად შავბრიალია, ხელით კარგად ნაძერწი. ჭარბობს მოზრდილი ქილისებრი, ბიკონუსური ფორმის ან ყელდაბალი, მუცელგამობერილი ჭურჭელი. ერთი ტოლიჩისებური ჭურჭლის გარდა, მომცრო ზომის კერამიკა თითქმის არ გვხვდება. მასზე ძირითადად ნაკაწრი, იშვიათად რელიეფური ორნამენტია გამოყენებული. მრავალადალითონის იარაღები და სამკაული. ყორღანებში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ოთხი ყუადაქანებული ცული, ოთხწახნაგა გრძელყუნწიანი ისრისპირები, ღარიანი სატყეხი, სადგისი, ბრინჯაოსა და ვერცხლის სატყვირისპირი. №1 ყორღანში გამოვლინდა ქვის გახვრეტილი ცული. ლითონის სამკაულებიდან

აღსანიშნავია: ბრინჯაოს და ვერცხლის კასრისებური მძივები, ოქროს წახნაგოვანი მძივები, ოქროს ხეიბი და ორი ფართო რგოლი; ბრინჯაოს ხეიბი. სხვა მასალისაგან დამზადებული სამკაულებიდან გვხვდება: პასტისა და სარდიონის მძივები, სდაფის საკიდები, ძელის ბრტყელი მძივები, ცხოველის კბილებისა და ეშვებისაგან ნაკეთები საკიდები. ყორღანები თარიღდება ძვ. წ. XXIV-XXIII სს-ით (ჯაფარიძე 1991: 139-143). მარტყოფის ყორღანებიდან აღსანიშნავია №3, რომელიც მდებარეობს ახალსოფელში მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, გზიდან 100 მ-ის დაშორებით. ყორღანის ზომებია: სიმაღლე 1,75 მ, დგ 30 მ. მისი კორდოვანი ფენის ქვეშ გამოვლინდა ქვაყრილის თხელი ფენა, რომლის ქვეშ 8 მ დმ-სა და ცენტრალურ ნაწილში 0,7 მ სისქის მოყვითალო თიხის ზვინული აღმოჩნდა. ყორღანის ცენტრში გამოვლინდა სწორკუთხა ორმო, რომელშიც შვეულად დაყენებული ხის ძელებისაგან შეკრული და ასეთივე ძელებით გადახურული ნაგებობა იყო გამართული. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ორმოს თავთან აღმოჩნდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი, ჩაშვებული სამარხი (1,7X0,85 მ). მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით დასავლეთისაკენ. თავის ქალასთან აღმოჩნდა ოქროს ხვია. ქვედა კიდურებთან იღო ბრინჯაოს ისრისპირი და პატარა სასმისი. სამარხში გამოვლინდა ბრინჯაოს დისკო – „კვერთხის თავი“. აქვე აღმოჩნდა თიხის შავი ჭურჭელი. ძირითადი სამარხი დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. ორმოს ძირზე დაგებული ხის ძელებისაგან შედგენილი მდენის ზომებია 2,85-1,57 მ. ხის მოედანის კიდებზე ჩანდა ღარისებრი ღრმულები – ხის ეტლის თვლების ნაკვალევი. ორმოც ცენტრალურ ნაწილში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული. ერთი ესვენა დასავლეთ ნაწილში, ფეხებმოკეცილი, მარცხენა გვერდზე. ჩონჩხი დამხრობილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. თავით დასავლეთით. მიცვალებული მამაკაცი უნდა ყოფილიყო. თავის ქალასთან აღმოჩნდა გიშრის რგოლი, მენჯის ძვალთან – ოქროს მასიური ხვია და ბრინჯაოს კასრისებური მძივი, მუხლებთან – თხელკედლიანი, ნაკაწრი ორნამენტით შემკული სასმისი, ფეხებთან – სარდიონის სამკუთხა მოყვანილობის ბრტყელი საკიდები და ორი მძივი. მეორე მიცვალებული ესვენა აღმოსავლეთ ნაწილში, მარჯვენა გვერდზე, მოხრილი ფეხებით. ჩონჩხი დამხრობილი იყო ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე, თავით სამხრეთით. მისი თავის ქალა პირველი მიცვალებულის ფეხებთან იღო. მიცვალებული ქალი უნდა ყოფილიყო. თავის ქალას ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს ოთხი ხვია, სახის წინ თიხის ბრტყელი ღარნაკი, რომელშიც სარდიონის სამი ბრტყელი სამკუთხა მძივი იღო. ორი ასეთი საკიდი გამოვლინდა მიცვალებულის მუცლის არეში. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს მოგრძო სადგისი და ისრისპირი. ფეხებთან გამოვლინდა ბრინჯაოს სატყეი და ცული, აგრეთვე ბრინჯაოს

„შტანდარტი“. ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთით კუთხეში, ხის მოედნის გარეთ იდგა ორი ღერგი, მათ გვერდით ორი ჭურჭელი. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კიდევ ორი ჭურჭელი აღმოჩნდა. მიცვალებულები ერთდროულად ჩანდნენ დაკრძალულნი. სამარხში საკონლის ძელები არ აღმოჩენილა, რაც იშვიათი შემთხვევაა. ჩაშვებული სამარხი ძირითადად სამარხებთან შედარებით მოგვიანოა, მაგრამ მათ შორის დიდი ქრონოლოგიური სხვაობა არ ჩანს. მარტყოფის №3 ყორღანი ძვ. წ. XXIV-XXIII სს-ით თარიღდება (ჯაფარიძე ... 1986: 29-34; საქ. არქ. 1992: 211-212). მარტყოფის ყორღანების არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

სოფ. მარტყოფის მიდამოებში, ნორხევთან, ადგილ „ლაგანში“ მდებარეობს ადრე შუა საუკუნეების სამაროვანი. ქვის სამარხთა უმრავლესობა დაზიანებულია. სამარხები კოლექტიურია. სამარხებში აღმოჩნდა: ბრინჯაოს აბზინდები, საკინძები; რკინის, ბრინჯაოსა და მინის რგოლები; ბრინჯაოსა და რკინის საყურეები; ვერცხლის ბეჭდები მოლქრული თვალბუდით; რკინის სამფრთიანი ისრისპირები და სხვ. სამაროვანი თარიღდება VI-VIII სს-ით (ჩიკოიძე ... 1982: 61; 1985: 63, 64).

სამონასტრო კომპლექსიდან 150 მ-ის დაშორებით, მიწის საშუქაობის დროს გამოვლინდა აკლდამა, წყალსადენი და ნასახლარის ნაშთები. აკლდამა შეჭრილია კლდოვან მასივში. აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით კედლები ნაგებია კლდის ნატეხი ქვებით კირხსნარზე. გვერდით სწორკუთხა (4,25X2,75X2,25 მ). გადახურვა თაღოვანია. შესასვლელი აქვს დასავლეთით კედლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. აკლდამის ცენტრში ამოკვეთილია კამერა (1,7X0,7X1,3 მ). მასში მოხვედრა შეიძლებოდა კლდეში გამოკვეთილი 2,4 მ სიგრძისა და 0,6 მ სიგანის ჩასასვლელით. კამერისა და აკლდამის იატაკზე აღმოჩნდა 50-მდე ჩონჩხი. მიცვალებულები დაკრძალა თურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით, მკერდზე გადაჯვარედინებული ხელებით. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, რომელთა შორის დავით VIII-ისა (1293-1313) და ყაზან-ყაენის სახელით მოჭრილი მონეტებიცაა (1297), აკლდამა IX-XIII სს-ით თარიღდება (ჩიკოიძე ... 1987: 93). მასალა ინახება რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ვათხრებით გამოვლენილი მასალების გარდა, მარტყოფიდან ცნობილია შემთხვევითი აღმოჩენებიც: გვიან ბრინჯაოს ხანის სატყეარი, ამავე პერიოდის ორი ცალი ხელშუბისპირი; პართიის მეფეების ოროდ II-ისა (ძვ. წ. 57-37) და გოტარზის (ახ. წ. 40-50) ვერცხლის მონეტები; გვიანანტიკური თუ ადრე შუა საუკუნეების მოჩაღისფროდ გამოშვარი ყელწიბოიანი ხელადა; განვითარებული შუა საუკუნეების ლულიანი ჭრახვი. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

სოფ. მარტყოფში გვიანი შუა საუკუნეების სამი კოშკია: შინჯიკაშვილების, ძამაშვილებისა და თუმანიშვილების. მათგან ყველაზე უკეთ თუმანიშვილების კოშკია შემორჩენილი. ის ცილინდრულია, ოთხსართულიანი, ქონგურებანი. ნაგებია რიყის ქვით კირხსნარზე. წყობაში გამოყენებულია აგურებიც, რომელთა საშუალებით კედლებზე გამოყვანილია ორმბები და ჯვრები (შმერლინგი ... 1960: 104, 105).

სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით, ვიწრო ხეობაში, მთის წვერზე მდებარეობს ღვთაების მონასტერი. გუმბათიანი ეკლესიის კედლებზე შემორჩენილი იყო ფრესკები და ბერძნულ-რუსული წარწერები, რომლებიც ევამცნობდა XVI ს-ში რუსეთის მეფის, თევდორე ვიანეს ძის ელჩების ჩამოსვლას საქართველოში. გუმბათქვეშა სვეტებზე გამოსახული იყო ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის გამოსახულებები, ქართული წარწერებით. ვახტანგ გორგასალი ითვლება მონასტრის ამშენებლად, დავითი მის განმანათლებლად. ჩვენამდე მოღწეული ეკლესიის XIX ს-შია აგებული ძველი ტაძრის ადგილას. რუსული წარწერის თანახმად, ის 1856 წ. მოუხატავს მიხეილ ტროშინსკის პოლტავის გუბერნიიდან (შმერლინგი ... 1960: 108). მონასტრის სამრეკლო აგებულია 1699 წ. ქიზიყის მოურავის შვილის ზაქარია ანდრონიკაშვილის მიერ. კალატოზი ყოფილი ვინმე ახვერდი. ამის შესახებ გვამცნობს სამრეკლოს ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე შემორჩენილი მხედრული წარწერები (ბარნაველი 1962: 112, 113).

ბიბლიოგრაფია: არჩილი 1989: 455; ბაგრატიონი 1983: 46; ბაგრატიონი 1986: 66, 81; ბარნაველი 1962: 112-114; ბაგრატიონი დავით 1941: 3; ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 133; ბაქრაძე 1875: 97-98; ბუგაიანიშვილი ... 1972: 16; გიულდენშტედტი 1962: 17, 227; 1964: 15; გორგჯჯანიძე 1926: 65; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 331; 1953: 58, 156, 175; ზაქარია 1988: 174; თავადასავაძე ... 1913: 125; იოსელიანი 1847; მათიაშვილი 1963: 98-130; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 152, 288; 1953: 39, 117, 118; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 138; მასალები საქართველო-რუსეთის ... 1937: 289, 290, 294, 331; მიშეცკი, კლუჩარევი 1928: 158; ორბელიანი 1981: 78, 86, 125, 136, 146, 148, 153, 182, 190, 206, 208, 211, 212, 224, 228, 231; საბუთები ... 1947: 292-296, 298-301; საქ. არქ. 1992: 210-212; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 45, 54, 55, 57, 91, 94, 100, 105, 139, 141, 145, 156, 182, 188, 189, 195, 205, 215; საქ. სოდ. 1910: 304, 452, 511; 1920: 102, 173, 174; ქართ. ებისტ. ... 1989: 46; ქართულ-სპარსული ... 1955: 410, 411, 413, 447; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 352, 353, 362-365, 369, 372; 1970: 1114; 1974: 504, 565; 1981: 73, 506; 1985: 80; ქრონიკები 1897: 462; 1967: 59, 84-86; ქვ 2: 349,1; 373,4; 476,4; 527,12; ქვ 4: 267,7; 330,20; 383,26; 470,4; 479,15; 503,3,7; 524,2; 537,12,16,17,20; 538,3,6,8,15; 561,9; 567,19; 568,4,18; 609,20; 611,10; 615,27; 621,7,10; ყაუხჩიშვილი 1951: 318; შმერლინგი ... 1960: 104, 105, 108-110; ჩიკობიძე

... 1982: 61; ჩიკობიძე ... 1985: 63, 64; ჩიკობიძე ... 1987: 93; ჩხეიძე 1913: 30, 36; ცხოვრება ... 1980: 56, 80, 113, 114, 124; ჯაფარიძე 1988: 30-33; 1991: 137-143, 145, 147, 149, 150, 152; ჯაფარიძე ... 1980: 35-41; ჯაფარიძე ... 1986: 29-35.

მალარო, სასახლე, ციხე (ქვ 4: 442,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 442,13; 443,15,19; 498,17; 542,10,სქ.4; 571,3; 579,1; 596,20; 597,20; 612,27; 615,1; 616,3; 618,15,17; 623,29), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მეორე ტექსტი (ქვ 2: 423,13; 444,14), „მეგლი ერისთავთა“ (ძე 1954: 349; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 331; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 45, 60; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 30; 1981: 166; 1985: 562), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 174, 179, 182), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1989: 40), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 13), სუხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 32), ქრისტოფორო დე კასტელის „ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ“ (კასტელი 1976: 80), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 21, 23, 27, 259, 261).

ვახუშტი ბაგრატიონი მალაროს შესახებ გადმოგვცემს: ბოღბის „ხევედ არს მალაროს სასახლე მეფეთა საზაფხულოდ“ (ქვ 4: 542,10,სქ.4).

მდებარეობს სიღნაღის მუნიციპ-ში, სიღნაღიდან 7 კმ-ის დაშორებით, თანამედროვე ზემო მალაროს ტერიტორიაზე.

სახელწოდება „მალარო“ სოფელს დაერქვა ფშავის მთა მალაროსაგან, საიდანაც XV ს-ში ჩამოსახლეს მოსახლეობა. სოფლის ადრეული სახელი ცნობილი არ არის (თორღანი 1982: 90). 1329 წ. გიორგი VI-მ (1311-1313) მალაროზე გაილაშქრა (ქვ 2: 444,41; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106). XV ს-ში ალექსანდრე I-მა (1412-1442) მონღოლთა შემოსევების შედეგად დაცარიელებულ ადგილებში მთებიდან ხალხი ჩამოსახლდა და ახალი სოფლები, მათ შორის, მალარო გააშენა. 1520 წ. ქართლის მეფე დავით X-მ (1505-1525) კახეთზე გაილაშქრა. ბრძოლა გაიმართა მალაროსთან, სადაც გამაგრებული იყო კახეთის მეფე ავგიორგის ძე ლევანი (1520-1574). ლევანმა გაიმარჯვა და დავითი იძულებული გახდა თბილისს დაბრუნებულიყო (ქვ 4: 571,3). XVI ს-ში ქართლის მეფე სიმონ I-სა (1558-1600) და კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს (1574-1605) შორის შეტაკება მოხდა მალაროში (ქვ 4: 679,1). 1643 წ. ქართლის მეფე როსტომი (1632-1658) თავს დაესხა მალაროში გამაგრებულ თეიმურაზ I-ს (1605-1648) (ქვ 2: 423,13; ქვ 4: 596,20). 1648 წ. როსტომ მეფის ვაგზავნილმა ყიზილბაშებმა მალაროში მოკლეს თეიმურაზის ძე დათუნა (ქვ 4: 443,15,19, 597,20; კასტელი

1976: 80). კახთ ბატონმა დავით II-მ (იმამ-ყულიხანო – 1709-1722) 1708 წ. ყარაღაჯიდან რეზიდენცია თელავში გადაიტანა. ზაფხულობით სამეფო ცენტრი მალარო იყო (ქც 4: 612,27; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980:45). 1721 წ. ვახტანგ VI (1716-1724) თავისი ლაშქრით მივიდა იმამყული-ხანთან მალაროში გამაგრებულ ლეკებთან ბრძოლაში დასასმარებლად (ქც 4: 498,17, 618,15,17). XVIII ს-ის დასაწყისში საბარათიანოსა და კახელების გაერთიანებული ლაშქარი მალაროში შეჩერდა ჭარისკენ გალაშქრების წინ (ქც 4: 616,3). 1725 წ. კახელებმა ლეკები გააძევეს, მაგრამ მორიგი შემოსევებისაგან თავდაცვის მიზნით ციხეებს აგებდნენ. ქიზიყელები მალაროს ციხეში გამაგრებულან (ქც 4: 623,29). 1729 წ. ოსმალების ლაშქარი ქიზიყეში შემოვიდა და მალაროში გამაგრდა. თეიმურაზ I ოსმალებს თავს დაესხა და იქიდან განდევნა (ხერხეულიძე 1989: 242, 243; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 60). 1735 წ. ლეკების მორიგი შემოსევასა და ქიზიყის მორბევის შემდეგ 15 წლის ერეკლე II (1744-1798) ლეკებს დაედევნა და ნადავლი დააყრდენა. გამარჯვებული ერეკლე მალაროში დაბრუნდა (ხერხეულიძე 1989: 40). 1772 წ. მოურავი რევაზ ანდრონიკაშვილი ქიზიყელების ლაშქრით მალაროდან ბოღბეში მივიდა და იქ დაბანაკებული ლეკები განდევნა (ბაგრატიონი დავით 1941: 13).

მალარო არქეოლოგიურად შეუსწავლელია. მის მახლობლად, სამხრეთით, ადგილ ოლეში, 1987 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ვიცხელაური) გაითხარა ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულისა და III ათასწლეულის დასაწყისის დანგრეული ყორღანი (დმ 10 მ, სიმაღლე 0,5 მ). მას შემოუყვებოდა ქვის წრე. ყორღის ქვეშ აღმოჩნდა კუთხეებმომრგვალებული დროშის (3X1 მ), რომელშიც მიცვალებული დაეკრძალათ კიდურებმოხრილი, მარცხენა ვკერძზე. მისთვის ჩაუტანებიათ თიხის 2 ჭურჭელი და ძვლის კვირისტავი. სამარხ კამერაში აღმოჩნდა მიცვალებულის 18 ჩონჩხი, 14 თიხის ჭურჭელი და 6 კვირისტავი (ერთი ინკრუსტირებული იყო პასტის მძივით) (ვიცხელაური ... 1995: 76).

1951 წ. მალაროში ნინო ბერძენიშვილმა გათხარა 2 ორმოსამარხი, რომლებშიც აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს სამკაული. სამარხები თარიღდება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით (ვიცხელაური 1973: 71).

ქვემო მალაროში შემთხვევით გამოვლინდა ოთხწახნაგა, ორმხრივ წაწვეტებული სადგისი და ვოლუტებიანთავიანი, ბადური ორნამენტით შემკული ბრინჯაოს საკინძი. ნივთები თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულით (დედაბრძივილი 1969: 37, 38). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (სიღნაღის მუზეუმი).

ზემო მალაროს სამხრეთით, გორაკზე, რომელსაც ზღუდერს უწოდებენ დგას ზღუდერის წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია. მალაროსთან და-

ვით გარეჯის ეკლესია (თოდრია 1982: 85). მალაროდან 0,5 კმ დაშორებით, ადგილ „ციხითინში“ მდგარა ციხე. სოფლის სამხრეთით მდგარა კოშკი, ე. წ. „ნაცვალთან ციხე“ (თოდრია 1982: 90).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი დავით 1941: 13; ვიულენშტედტი 1962: 21, 23, 27, 259, 261; დედაბრძივილი 1969: 35-75, 37, 38; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 331; თოდრია 1982: 85, 89, 90; კასტელი 1976: 80; მესხია 1983: 221, 338; მუსხელიშვილი 1980: 95; ორბელიანი 1981: 174, 175, 177, 179, 182; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 45, 60; ქც 2: 423,13; 444,14 ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106; 1974: 30; 1981: 166; 1985: 562; ; ქც 4: 442,13; 443,15,19; 498,17; 542,10,სქ.4; 571,3; 579,1; 596,20; 597,20; 612,27; 615,1; 616,3; 618,15,17; 623,29; ვიცხელაური 1962: 25; 1973: 71; ვიცხელაური ... 1995: 76-78; შაიშვილაშვილი 1969: 40-49; ჩუბინაშვილი 1959: 32; ჩხეიძე 1913: 32; ძე 1954: 349; ხერხეულიძე 1989: 40.

მაღლაკი, მალარი (ქც 4:773,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 773,22), დავით ნარინის (1245-1293) სიგელი (ქრონიკები 1897: 128, 129), 1259-1293 წწ. დაწერილი იაკობ დეკანოზისა ხახულის ღვთისმშობლისადმი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 173, 174; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 143, 148), XVI-XVIII სს-ის სიგელები (ქრონიკები 1897: 339; 1967: 29; საქ. სიძ. 1920: 19; ისტ. დოკ. ... 1958: 19, 144; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 139; მცირე ქრონიკები 1968: 59; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 430; 1970: 285), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 76), იოჰან ვიულენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (ვიულენშტედტი 1962: 307), ფრანსუა გამბას „მოგზაურობა“ (გამბა 1987: 334).

მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მდ. რიონსა და მდ. გუბას შორის არსებულ დაბლობზე, სოფ. მაღლაკის ტერიტორიაზე (ვიულენშტედტი 1962: 307).

მაღლაკი წყაროებში პირველად იხსენიება XIII ს-ში (ქრონიკები 1897: 128, 129). 1709 წ. მაღლაკთან მოხდა ბრძოლა იმერეთის მეფე გიორგი VI-სა (1703-1720) და დედიანა შორის, რომელიც გიორგი VI-ის გამარჯვებით დამთავრდა (ქრონიკები 1967: 29). 1773 წ. სოლომონ I-მა (1752-1784) მაღლაკი შესწირა ქუთაისის ღვთისმშობლის ტაძარს (ისტ. დოკ. ... 1958: 144). წყაროებში მოხსენიებულია მაღლაკის სახელითაც.

1948 წ. მაღლაკში შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. VI ს-ის ქვევრსამარხი, რომლის მასალა წარმოდგენილია თიხის ოთხი ჭურჭლით: შავად გამომწვარი ქუსლიანი სასმისით, შავპრიალა პირგადაშლილი მათარით, შემკული მზის დისკოს გამოსახულებით; ზედაპირგაპრიალებული დოქითა და მონაცრისფრო ყურმილიანი დოქით; რკინის ცულით.

1970 წ. მაღლაკში შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ.

III ს-ის ქვეერსამარხი, რომელსაც ჰქონდა ჰორიზონტალური მდებარეობა. სამარხში გამოვლინდა პირგადამოვლილი, წითელი საღებავით მოხატული დოქი და კოლხური ამფორის ქვედა ნაწილი, რომლითაც დაზურული ყოფილა ქვეერის ყელი. 1973 წ. მალაკაში შემთხვევით აღმოჩენილი ძვ. წ. III ს-ის ქვეერსამარხი, შეიცავდა რკინის ინვენტარს (წერაქვი, დანა, მარწუხი) და თიხის ქითანს. ქვეერსამარხი, რომელსაც ჰქონდა ჰორიზონტალური მდებარეობა თარიღდება ძვ. წ. IV-III სს-ით. სამარხი ქვეერი ვარდისფერსარჩულიანი და შავზედაპირიანია. მასში აღმოჩნდა ბრინჯაოს ზურგშეზნეტილი სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები და თიხის ჭურჭელი. მალაკაში შემთხვევით ნაპოვნი მასალა დაცულია ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (ჯიქია 1971: 23; 1977: 26-29; 1993: 70-74; თოლორდავა 1980: 31-35; გამყრელიძე 1992: 16).

1963-1964 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღ. თ. ლორთქიფანიძე) მალაკაში ჩაატარა დაზვერვითი სასიათის სამუშაოები. 1977 წ. მალაკის მიდამოებში დაზვერვებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიცია. 1981-1982 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ (ხელმძღ. თ. ჯავახიშვილი) დაზვერვების შედეგად გამოავლინა 2 გორანამოსახლარი. ზედაპირულად შეგროვდა ადრეანტიკური, ელინისტური და ადრე შუა საუკუნეების კერამიკული მასალა.

მალაკაში შემორჩენილია XIX ს-ის ეკლესია. **ბიბლიოგრაფია:** ბაგრატიონი 1983: 76; ბერძენიშვილი 1964: 195-202, 252; 1966ა: 125; 1975: 460; გამბა 1987: 334; გამყრელიძე 1992: 16; გიულდენშტედტი 1962: 307; თოლორდავა 1980: 31, 34, 35; ისტ. დოკ. 1958: 19, 144; ლორთქიფანიძე 1964ა: 27; 1966: 42; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 139; მცირე ქრონიკები 1968: 59; ნონეშვილი 1983: 5, 19; საქ. სიდ. 1920: 19; ქართ. სამართ. ძეგ 1965: 186, 430; 1970: 173, 174, 285; ქრონიკები 1897: 128, 129, 339; 1967: 29; ქც 4: 773,22; ჯავახიშვილი 1996: 94, 103; ჯავახიშვილი 1976: 108-111; ჯიქია 1971: 23; 1977: 28, 29; 1984: 65; 1993: 11, 42, 57, 70, 71, 74.

მ ა შ რ ა ა ნ ი (ქც 4: 542, სქ. 5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 542, სქ. 5), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 68), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 25, 27, 257, 259). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „სიღნაღს დასავლით და ჩდილოთ აქვს ხევი ანავისა ... აღმოსავ-

ლეთით ვაქირი, მაშრაანი ...“ (ქც 4: 542, სქ. 5). მდებარეობს სიღნაღის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. მაშრაანის ტერიტორიაზე.

მაშრაანი შედიოდა ბოდბელის სადროშოში (თოდრია 1982: 81). წყაროებში მოიხსენიება მაშრაანის სახელითაც (გიულდენშტედტი 1962: 25, 27).

1961 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. კ. ფიცხელაური) მაშრაანის მიდამოებში ჩაატარა არქეოლოგიური დაზვერვები. იმავე ექსპედიციამ 1961-1964 წწ. შესწავლა ორი ყორღანი.

ყორღანები მდებარეობენ მაშრაანიდან ჩრდილოეთით, 2 კმ-ის დაშორებით, ადგილ „ნაბადრებში“. მათგან ერთი მოსახლეობას დაუნგრევია. მეორე ყორღანს გაკეთებული ჰქონდა წრიული ქვყირილი, რომლის სიმაღლე დაახლოებით 0,5 მ, ხოლო დმ 5 მ-ია. ქვყირილს გარშემო შემოსდევდა რიყის ქვების წრე. ყირილის ცენტრში იყო ძაბრისებრი ჩაღრმავება. ყორღანს არ ჰქონდა სამარხი კამერა. მიცვალებულები დაკრძალულნი უნდა ყოფილიყვნენ უშუალოდ მიწის ზედაპირზე. სავარაუდოა მიწისზედა ხის კონსტრუქციის არსებობა. აღმოჩნდა დაახლოებით ათი მიცვალებულის ძვლები და ექვსი ცალი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. კერამიკა დამზადებულია ხელით. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ზოგიერთი შავადაა გამოშწყარი. თარიღდება ადრე ბრინჯაოს ხანით (ფიცხელაური 1965: 30-31; დედაბრიშვილი 1979: 7; საქ. არქ. 1992: 174).

მაშრაანში შემორჩენილია ღვთისმშობლისა და გიორგიწმიდის ეკლესიები.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 86; გიულდენშტედტი 1962: 25, 27, 257, 259; დედაბრიშვილი 1979: 56-58, 68; თოდრია 1982: 77, 89; საქ. არქ. 1992: 174; ფიცხელაური 1962: 25; 1965: 31, 32; ქც 4: 542, სქ.5; შაიშველაშვილი 1973: 103.

მ ა შ ი, იხ. თოლა.

მ ა შ უ ლ ა უ რ ის ც ი ხ ე (ქც 4: 756,5). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებასში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 756,5).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით „ჩხარს ზეით ჩხარულაზედ, არს ციხე მაჭუტაური, მთაში“ (ქც 4: 756,5).

მაჭუტაურის ციხის ლოკალიზება არ ხერხდება. **ბიბლიოგრაფია:** ბოჭორიძე 1995: 250; ქც 4: 756,5.

მ ა ნ ა რ ი შ ა ნ ი (ქც 1: 290,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 290,21), ბაგრატ კურაპალატის გუჯრის ნაწყვეტი (ქრონიკები 2004: 185), 1029-1033 წწ. „დაწერილი მელქისედეკ კათოლიკოსისა სვეტიცხოვლისადმი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 20).

ლოკალიზდება ახალქალაქის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფელ ვლადიმეროვკის მახლობლად, ფარავნის ტბის დასავლეთ ნაპირზე. სოფელი მა-

ნაროვანი გვხვდება „მასარონის“ ფორმითაც. XI ს-ის მეორე მეოთხედში მასაროვანს აშენებს მელქისედეკ კათოლიკოსი.

მასაროვანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. დღევანდელი სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 0,5 კმ-ზე მდებარეობს ნასოფლარი და ეკლესია. ეკლესიის გარშემო შუა საუკუნეების სასაფლაოა. ეკლესიიდან 70 მ-ის დაშორებით აღმართულია 1,1 მ სიმაღლის მენპირი. დარბაზული ეკლესია დაზიანებულია (ჯავახეთი 2000: 16).

ბიბლიოგრაფია: ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 20; ქრონიკები 2004: 185; ქც 1: 290,21; ჯავახეთი 2000: 16.

მანხილის ციხე. იხ. ხორჯის ციხე.

მგელ-ციხე (ქც 4: 719,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 719,9; 720, 5,7,9,24,26; 666,26; 721,24), „მესხური დავითნის ქრონიკა“ (სამი ისტ. ქრ. 1890: 88, 98), „მესხური მატანე“ (სამხ. საქ. ისტ. 1961: 38, 43-47). „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 46-48, 50, 57, 142, 144), XVI ს-ის პირველი მეოთხედის თურქული წყაროები (თურქული წყაროები ... 1983: 56, 58, 68), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 32, 426, 427, 531), ჩილდირის ეიალეის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ეიალეის ... 1979: 54, 175, 252, 255, 297, 393, 569, 701, 713, 754), 1731 წ. ქერის შესყიდვის ახალქალაქის ლივას დავთარი (ოსმალური დოკუმენტური ... 1987: 150).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ასპინძას ზეით, ჩილდოთ კერძოთ, არს მგელ-ციხე.“ (ქც 4: 666,26). ლოკალიზდება ჩილდირის მუნიციპ-ში. მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სოფ. წყაროსთავის ახლოს (თაყაიშვილი 1909: 59; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 426, 427; თურქული წყაროები ... 1983: 68). ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

მგელ-ციხე თურქულ წყაროებში კურთ-კალედ იწოდება (თურქული წყაროები ... 1983: 68). XVI ს-ში მგელ-ციხე სამცხე-საათაბაგოს მნიშვნელოვანი და კარგად გამაგრებული ციხეა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 426). იმ პერიოდში ციხე ჯაყელთა საკუთრებაა. მასზე გადიოდა ახალციხე-არტანუჯიდან ანისისაკენ მიმავალი გზა (ბერძენიშვილი 1985: 111). 1578 წ. თურქთა ლაშქარმა ლალა-ფაშას მეთაურობით ციხეს ალყა შემოარტყა, მაგრამ ვერ აიღო (სამხ. საქ. ისტ. 1961: 163; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 426, 427). XVII ს-ის 20-იანი წლებიდან სამცხე-საათაბაგოს სხვა ციხეებთან ერთად მგელ-ციხე ოსმალთა ხელში გადადის (ცინცაძე 1974: 294).

მგელ-ციხეში შემორჩენილია კოშკებისა და საცხოვრებელი ნაგებობების ნანგრევები. მთავარ კოშკთან თლილი ქვით ნაშენი ეკლესიაა (ზომები დაახ. 10X7 მ). შესასვლელია აქვს დასავლეთიდან და

სამხრეთიდან. სარკმლები აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებზეა. კარებების თავზე რელიეფური ჯვრებია. ეკლესია დაზიანებულია (თაყაიშვილი 1909: 59, 60; ბერძენიშვილი 1975: 124).

მგელ-ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1996: 54-56; ბერიძე 1955: 19, 20; ბერძენიშვილი 1966: 92, 93; ბერძენიშვილი 1975: 124; 1985: 110-112, 115, 118; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 32, 426, 427, 531; თაყაიშვილი 1909: 59, 60; თურქული წყაროები ... 1983: 56, 68; ოსმალური დოკუმენტური ... 1987: 150; სამი ისტ. ქრ. 1890: 88, 98; სამხ. საქ. ისტ. 1961: 38, 43-47, 162-164, 169; ქც 4: 719,9; 720,5,7,9,24,26; 666,26; 721,24; ჩილდირის ეიალეის ... 1979: 54, 175, 252, 255, 297, 393, 569, 701, 713, 754; ცინცაძე 1974: 290-296; ცხოვრება ... 1980: 46-48, 50, 57, 142, 144.

მერის დაბა, მონასტერი (ქც 4: 682,3, სქ. 1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ჯვანშიერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 178,4), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 682,3, სქ. 1), XIII-XV სს-ის ალის მონასტრის საბუთები (სამხ. საქ. ისტ. 1982: 32, 43, 47).

ვახუშტი ბაგრატიონი მერის მონასტრის შესახებ გადმოგვცემს: „აქავე არტანუჯს ალაშენა გორგასლან მონასტრის მერისა, შინდობისა და ახიზისა“ (ქც 4: 682,3, სქ. 1).

ლოკალიზდება კირჩხალის წყლის (მდ. იმერხევის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში (ინგოროყვა 1954: 344). ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

წყაროები მერის მონასტრის აგებას მიაწერენ ვახტანგ გორგასლანს (ქც 1: 178,4; ქც 4: 682,3, სქ. 1). VIII ს-ის 30-იან წლებში მურვან ყრუს შემოსევის შედეგად მერე, ისევე როგორც მთელი კლარჯეთი, განადგურდა. IX ს-ის დასაწყისში, აშოტ კურაპალატის (გარდაიცვალა 826 წ.) დროს კლარჯეთში დაიწყო სამონასტრო აღმშენებლობა. მერის ღვთისმშობლის განახლებულ ეკლესია დღეათა მონასტრად იქცა. მისი პირველი წინამძღვარი ფებრონია ყოფილა (ინგოროყვა 1954: 343, 344; მერჩულე 1963: 261, 263, 277, 278, 284-286).

მერის მონასტრის ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ინგოროყვა 1954: 343, 344; მერჩულე 1963: 261, 263, 277, 278, 284-286; სამხ. საქ. ისტ. 1982: 32, 43, 47; ქც 1: 178,4; ქც 4: 682,3, სქ. 1.

მეტეხი, მეტეხთა ეკლესია (ქც 4: 336,13), ციხე (ქც 4: 439,16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე (ქც 1: 367,8), ბასილი ეზოსმოდგრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქც 2: 126,14), ყამთაალმწერელი (ქც 2: 247,13; 272,11), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 182,16; 183,23; 212,27; 439,16), პაპუნა ორბელი-

ანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელანი 1981: 61, 141, 142, 143, 146, 173, 197), თემურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 46, 47), XIV, XVI-XVII სს-ის ისტ. საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 176; მასალები საქ. ისტ. გეოგრ. 1964: 14; ფურცელაძე 1881: 108; კაკაბაძე 1924გ: 65-67; ქრონიკები... 1897: 40, 376, 383, 428, 472, 473), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 31), ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ (ჩელები 1971: 295), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 318, 320).

ვახუშტი ბაგრატიონი მეტეხის შესახებ გადმოგვცემს: „... ისნი არს, კიდესა მტკურისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა ეკლესია მეტეხი, ღვთისმშობლისა, გუმბათიანი, დიდ შეენიერნაშენი ...“ (ქც 4: 336,13).

მეტეხის ეკლესია და ციხე მდებარეობს ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე მეტეხის ტაძრის ტერიტორიაზე.

ისტორიული ტრადიციით მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის აგება ვახტანგ გორგასალს მიეწერება (ქც 4: 336, სქ. 4), ხოლო წერილობით წყაროებში იგი XII ს-იდან იხსენიება. 1145 წ. მეფე დემეტრე I-მა (1126-1156) სიკვდილით დასაჯა ივანე აბულეთის ძე, შემდეგ კი მეტეხთა ღვთისმშობლის ტაძარში დაასვენა „ოცისა არ გატეხისათვის“ (ქც 1: 367,8). გიორგი III-ის (1156-1184) მეფობის პერიოდში მეტეხთან მდებარეობდა მეფეთა სასახლე, ხოლო თამარის დროიდან ეკლესიაც იხსენიება.

მეტეხის ტაძარში წირვის დროს ახარეს თამარ მეფის (1189-1207) შამქორის ოში გამარჯვება (ქც 2: 126, 14). დღეს არსებული მეტეხის ტაძარი აიგო მეფე დემეტრე II თავდადებულის (1271-1289) დროს. XIV ს-ში ტაძარი საკათალიკოსო მამულების ნუსხაში შედიოდა (ქართ. სამართ. ძეგლ. 1970: 176). XVI ს-ის მეორე ნახევარში ქართლის მეფემ, სიმონ I-მა (1556-1569; 1578-1600) მეტეხის ტაძარს შესწირა სოფლები შინდისი და წავკისი (ფურცელაძე 1881: 108). 1629-1640 წწ. ტაძრის წინამძღვარი იყო ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჩოლოყაშვილი-ირბახი (ბერიძე... 1969: 15). XVII ს-ის პირველ ნახევარში ქართლის მეფემ როსტომმა (1632-1658) მეტეხს შემოავლო გალავანი და შიგ ყიზილბაშებში ჩააყენა (ქც 4: 439,16). 1673 წ. მეფე ვახტანგ V შაჰნავაზმა (1658-1675) მეხის დაქვითი დანგრეული ტაძარი აღადგინა და თოფის წამლის საწყობად აქცია. მეტეხის ტაძრის პირველი გრაფიკული გამოსახულება ეკუთვნის ფრანგ მისიონერს, ჟან შარდენს, რომელმაც 1672 წ. იმოგზაურა საქართველოში (შარდენი 1975: 318, სურ. 3, 320; ბერიძე ... 1969: ტაბ. 1). 1748 წ. მეფე ერეკლე II-მ (1744-1798) სასტიკი ბრძოლის შემდეგ ყიზილბაშებისაგან გაათავისუფლა თბილისის ციხეები. ამ ფაქტის აღსანიშნავად მეტეხის ტაძარზე ამოკვეთილია წარწერა (ბერიძე ... 1969: 18). 1748-1755 წწ. ერეკლე II-მ აღადგინა ტაძარი და აქვე დააარსა

სკოლა, ნაწილობრივ შეაკეთა ციხეც (ბერიძე ... 1969: 19,20). 1795 წ. ალა-შაჰმად-ხანის შემოსევის დროს დაზიანდა მეტეხის ტაძარი. იმავე დროს დაიკარგა მეტეხის ღვთისმშობლის ხატი (ბაგრატიონი 1941: 66). XVIII ს-ის ბოლოს მეფე გიორგი XII-მ (1798-1800) შეაკეთა ტაძარი. 1819 წ. მთავარმართებელ ერმოლოვის დროს, რუსებმა მეტეხის ციხის გალავანი დაანგრიეს და მის ადგილას საპრობოლის კორპუსები ააგეს. 1933 წ. ტაძრის ტერიტორიაზე არსებული 3 კორპუსი შეაკეთეს და მუზეუმად აქციეს, ხოლო დანარჩენი ნაგებობები აიღეს. 1958 წ. თბილისის 1500 წლის იუბილეს გამო მოხდა ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია: მუზეუმი გადაიტანეს, ხოლო საპრობოლის კორპუსები დაანგრიეს – ტაძარი სრულიად გაათავისუფლეს XIX ს-ის უსახური ნაგებობებისაგან (ბერიძე ... 1969: 21-25).

მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი გუმბათიანი ნაგებობაა (21,5X15,5 მ). აღმართულია ორი ტერასისაგან შედგენილ მოედანზე. აქვს სამი შესასვლელი: ჩრდილოეთით მდებარე თავისბიანი კარიბჭიდან, სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში გაჭრილი კარიდან. ტაძრის კედლები ნაგებია ორპირად: შიდა პირი აგებულია ძირითადად აგურით, გარედან მოპირკეთებულია მოყვითალო-რუხი ფერის ქვიშაქვის თილით კვადრებით. ტაძრის გუმბათი იყრდნობა ოთხ თავისუფლად მდგომ სვეტს, რომელიც გეგმით ჯვრის ფორმისაა. ტაძარს აქვს ნახევარწრიული აფსიდა, რომლის ჩრდილოეთით და სამხრეთით სამსხვერპლო და სადიაკვნეა ნახევარწრიული აფსიდებით, მათ ზემოთ, მეორე სართულზე ასეთივე ზომის სადგომებია გამართული. ტაძრის დასავლეთით კედლის გასწვრივ პატრონიკე მდებარეობს. შიდა სივრცე განათებულია მაღალი და ვიწრო სარკმლებით. ტაძარი შექმნილია ჩუქურთმებით, რომლებიც ძირითადად თავმოყრილია კარებისა და სარკმლების ლიბების მოჩარჩოებაზე.

მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი აიგო XIII ს-ის ბოლოს. შემდგომში მრავალჯერ შეაკეთეს. შიდა კედლების წყობაში სამი განსხვავებული ფენა შეიმჩნევა: I ფენა თარიღდება XIII ს-ის დასასრულით, II – XVI-XVII სს-ით, III – XVIII ს-ით (ბერიძე ... 1969: 26-95).

მეტეხის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე XX ს-ის 30-იან წლებში ჩატარებული რეკონსტრუქციის დროს ანტიკური ხანის ნაგებობათა ნაშთები დადასტურდა.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1983: 46, 47; ბერიძე ... 1969: 18-20, 21-25, 26-95; დადიანი 1962: 31; ჩელები 1971: 295; კაკაბაძე 1924გ: 65-67; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 14; ორბელიანი 1981: 61, 141-143, 146, 173, 197; ფურცელაძე 1881ა: 103; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 176; ქრონიკები 1897: 40, 376, 383, 428, 472, 473; ქც 1: 367,8; ქც 2: 126,14; 247,13; 272,11; ქც 4: 182,16; 183,23; 212,27; 439,16; შარდენი 1975: 318, სურ. 3, 320.

მეტიზი, მონასტერი (ქც 4: 182,16; 183,26; 341,12, სქ. 1; 342,7; 376,4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 182,16; 183,23; 341,12, სქ. 1; 342,7; 376,4), იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“ (ბაგრატიონი 1948: 24), მისივე „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30, 43), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 65), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 96, 131), XI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 148; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 141; ქრონიკები 1892: 209, 226, 309, 320, 324; 1897: 134, 196, 200, 389, 401, 472, 473, 490; 1967: 14, 194; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 176, 177, 191, 212, 215, 264, 591, 707, 781, 889, 931, 966, 985, 992, 1018, 1026, 1110; 1972: 295, 577; 1974: 65, 197, 223; 1980: 930; 1981: 243, 245, 386; 1985: 871, 226, 343, 503, 617, 689, 729; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 214; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 162, 163, 184, 192, 204, 205, 280; ქართ. ეპისტ. 1989: 106; საქ. სიძ. 1910: 50, 165), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 61, 273).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „დასავლეთით კავთისხევისა დის მდინარე თემისა ... მიერთვის მტკუარს სამხრეთად. აქ მტკუარის კიდეს არს მონასტერი ყოვლადწმიდისა, გუმბათიანი, დიდი მეტეხი კეთილშენი გორგასლისაგან, საარქიმანდრიტო“ (ქც 4: 341,8-13).

მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში. მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. მეტეხის ტერიტორიაზე. წყაროებში „მეტეხის“ სახელითაც იხსენიება (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 191, 264).

წყაროებში პირველად გვხვდება XI ს-ში (ქრონიკები 1892: 209). შედიოდა ქსნის საეროსთავოში (გვრიტიშვილი 1955: 77). 1742 წ. აჯანყებულ გივი ამილახვრის წინააღმდეგ საბრძოლველად მეტეხში დაბანაკებული ფათალი ხანი (ორბელიანი 1981: 61). მეტეხში „გუგულაიანი უბანში“ მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა სამარხის ინვენტარი: სამი ცალი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ორი ცული, ბრინჯაოს ფოთლისებური სატევარი, მასრაგანსნილი შუბისპირი და ბრინჯაოს სატეხის მასრა. თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ით. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). (ბარამიძე 1965: 57; სძა 1990: 179). 1958-1959 წწ. აგურის ქარხნის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა ყორღანი, სადაც აღმოჩნდა თიხის ხუთი ჯამი და ხუთი ქილა. თარიღდება შუა ბრინჯაოს ხანით. მასალა ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ბარამიძე 1965: 57).

1951 წ. ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღ. ე. შჩელინა) ჩაატარა არქეოლოგიური დაზვერვა მეტეხში, სადაც ზედაპირულად შეგროვდა აშელური პერიოდის იარაღები (ლიუბინი 1960: 20). 1958-1959 წწ. ივ. ჯავა-

ხიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთმა რაზმმა (ხელმძღ. ა. კალანდაძე) შეისწავლა ყორღანი. 1963 წ. იმავე ინსტიტუტის მთა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის კასპის რაზმმა შეისწავლა ნამოსახლარი. 1965, 1966, 1968 წწ. თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის კასპის რაზმმა (რაზმის ხელმძღ. ზ. შატბერაშვილი) ჩაატარა სამუშაოები სამაროვანზე.

მეტეხის ნამოსახლარი მდებარეობს აგურის ქარხნიდან დაახ. 70-80 მ მანძილზე. ფენის სისქე 0,2-0,5 მ-ია. აღმოჩნდა მრგვალი ფორმის თიხატყეპნილი იატაკი, რომლის ცენტრში ჩადგმული იყო თიხის მრგვალი, უშემიერო კერა, ძირში დატანებული ნახვრეტით (დმ 7 სმ, სიმაღლე 25 სმ). ნაგებობის კედლები მოწვული და შელესილი უნდა ყოფილიყო. ნამოსახლარზე აღმოჩნდა ხელით ნაქერწი, არათანაბრად გამოშვარი სქელკეციანი მოვარდისფრო და მონაცრისფრო უორნამენტო ჭურჭლის (ქოთნის, დერგის, ქილის, სამყურა ჭურჭლის და სხვ.) ფრაგმენტები. თარიღდება ადრეული ბრინჯაოს ხანით. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). (ფხაკაძე 1967: 318-326; საქ. არქ. 1992: 189, 190). მეტეხის სამაროვანი მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, აშურიანის ველზე.

მეტეხში რამდენიმე ეკლესიაა. XIII ს-ის ღვთისმშობლის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია (15X20 მ) მდებარეობს სოფლის ცენტრში. ნაგებია ბაზალტის კვადრებით. გუმბათი თორმეტწახნაგაა. ეკლესიას აქვს ფლეთილი ქვით ნაგები გალავანი. წიგნბაზი გამოყენებულია აგურით. გალავანს ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს აქვს კოშკები. ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით აგურით ნაგები სამრეკლოა. კოშკები და სამრეკლო XIX ს-ით თარიღდება. ეკლესია რამდენჯერმეა გადაკეთებული (სძა 1990: 179).

ამაღლების დარბაზული ტიპის (5X4 მ) გვიანი შუა საუკუნეების ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთით. ნაგებია რიყისა და შირიმის ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. აქვს შესასვლელი სამხრეთიდან და სარკმელი დასავლეთი მხრიდან (სძა 1990: 177). კვირაცხოვლის გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის (9,7X6 მ) ეკლესია დგას სოფლის დასავლეთით. ნაგებია რიყისა და შირიმის ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. აქვს შესასვლელი სამხრეთიდან და სარკმლები აღმოსავლეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლებზე. აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლებზე ჯვრება გამოსახული (სძა 1990: 177).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1957: 115-140; ბაგრატიონი 1948: 24; 1986: 30; ბაგრატიონი 1983: 65; ბარამიძე 1964: 14-15; 1965: 57; ბაქრაძე 1875: 102; ბერძენიშვილი 1975: 25; გვრიტიშვილი 1955: 77, 149, 419; გიულდენშტედტი 1962: 61, 273; დადიანი 1962: 96, 132; თაყაიშვილი 1907: 205; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 162, 163, 184, 192, 204, 205, 280;

მაკალათია 1959: 11, 12; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 106, 139, 447; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 141; ორბელიანი 1981: 61, 141, 197; სძა 1990: 177, 179; საქ. არქ. 1992: 189, 190; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 88, 91, 214; საქ. სიძ. 1910: 50, 165; ფხაკაძე 1967: 318-326; ქართ. ებისტ. 1983: 106; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 148; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 176, 177, 191, 212, 215, 264, 591, 707, 781, 889, 931, 966, 985, 992, 1018, 1026, 1110; 1972: 295, 577; 1974: 65, 197, 223; 1980: 930; 1981: 243, 245, 386; 1985: 871, 226, 343, 503, 617, 689, 729; ქრონიკები 1892: 209, 226, 309, 320, 324; 1897: 134, 196, 200, 389, 401, 472, 473, 490; 1967: 14, 194; ქც 4: 182,16; 183,26; 341,12,სქ.1; 342,7; 376,4; შატერვაშვილი 1967: 36-38; 1969: 6, 7; ხარაძე 1992: 51.

მეღვრეპოსო, მონასტერი (ქც 4: 369,27; 370,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 369,27; 370,1), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179, 265, 277, 780; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 141; საქ. სიძ. 1899: 268; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 184), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 41), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 277, 279).

ვახუშტი ბაგრატიონი მეღვრეკისის შესახებ ვაღმოგვცემს: „დიდ ლიახუზედ არს მეღვრეკისის მონასტერი უგუმბათო“ (ქც 4: 369,27).

მღებარეობს გორის მუნიციპ-ში, გორიდან 30 კმ-ზე, მდ. ლიახვის მარცხენა ნაპირზე.

წერილობით წყაროებში მეღვრეკისი პირველად იხსენიება XIV ს-ის ქართლ-კახეთ-მცხეთის საკათალიკოსო მამულების სიაში (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179, 265, 277, 780).

მეღვრეკისში დგას რიყის ქვით ნაგები იოანე ნათლისმცემელის გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია (9,8X6,3 მ). სამხრეთით კარი და ორი სარკმელია, აღმოსავლეთით და დასავლეთით თითო სარკმელი. სახურავი ორფერდაა. სამხრეთით და დასავლეთით აქვს მინაშენები (სძა 1990: 79)

სოფლის დასავლეთ ნაწილში დგას რიყის ქვით ნაგები ორსართულიანი ცილინდრული კოშკი (დმ 7 მ). შესასვლელი ჩრდილოეთითაა. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია კედელში დატანებული კიბით. მეორე სართულის კედელში სათოფურებია. კოშკი თარიღდება XVII-XVIII სს-ით (სძა 1990: 79).

მეღვრეკისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. **ბიბლიოგრაფია:** გიულდენშტედტი 1962: 277, 279; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 184; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 141; სძა 1990: 79; საქ. სიძ. 1899: 268; 370,1; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179, 265, 277, 780; ქც 4: 369,27.

მეჯუღა, დაბა (ქც 4: 361,10; 368,3; 412,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი

ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 361,10; 368,3; 412,7), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 39), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 133,11), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 434; 1967: 317; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 142; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 62, 342; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 208; 1953: 20, 105, 138, 183; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 140; 1972: 304, 433, 521, 571; 1981: 159, 391; 1985: 127, 179, 190, 576; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 103, 107, 108; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 192, 358; 1953: 170; 1955: 63, 106, 137), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 97, 177, 223, 275, 277, 279).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „არის მეჯუღაზედ იკორთისა და კირბალის მთის ძირს, დაბა მეჯუღა...“ (ქც 4: 368,2,3).

მღებარეობს გორის მუნიციპ-ში, მდ. მეჯუღას მარცხენა ნაპირზე, სოფლების მეჯვრისხევისა და პატარა მეჯვრისხევის ტერიტორიაზე (თაყაიშვილი 1951ა: 67; ხარაძე 1992: 109; სძა 1990: 61).

მეჯუღა მღებარეობდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე (სძა 1990: 61). შედიოდა მეორე სასპასპეტოში (დადიანი 1962: 133,11). XVI ს-ში სამეფო დომენის შემადგენლობაშია (ნინიძე 1993: 65). 1605 წ. იქ გარდაიცვალა ქართლის მეფე გიორგი X (1600-1605). წყაროებში მოიხსენიება მეჯუღის ხევის, მეჯვრისხევის, მეჯუღის სახელებითაც (დადიანი 1962: 133,11; ბაგრატიონი 1986: 39, ქრონიკები 1967: 317).

მეჯუღა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

მისი ტერიტორიიდან ცნობილია შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები: ორი ორწახნაგა ცული დაქანებული ყუით, მრგვალი სატარე ხერხელით, თხელი ტანითა და მომრგვალებული ფხით; სპილენძის ოვალური ფორმის თასი ზედაპირზე ფრინველის გამოსახულებით. ნივთები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). (ქრონიკები 1965: 50, 51; კუფტინი 1941: 16, 17; 1950: 221).

1947 წ. მეჯვრისხევში შემთხვევით აღმოჩნდა სამარხი, რომელშიც მიცვალებულის ჩონჩხთან ერთად იყო შემდეგი ნივთები: თიხის ჭურჭელი, ოქროს ბეჭედი, სამი ვერცხლისა და ერთი ოქროს მონეტა. ვერცხლის მონეტები დაკარგულია. ოქროსი კი ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძია. თარიღდება I-III სს-ით (პახომოვი 1949: 11; 1957: 9; დონდუა 1987: 81, 85). მასალის ნაწილი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი), ნაწილი – ს.მაკალათიას სახ. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. მეჯვრისხევის ტერიტორიაზე შემორჩენილია რამდენიმე ეკლესია და ერისთავების სასახლე. ღვთისმშობლის ადრე შუა საუკუნეების ჯვარ-გუმბათოვანი (8,2X8 მ) ეკლესია დგას ჩალისუბანში. ნაგებია რი-

ყის ქვით. ღვთისმშობლის IX-X სს-ის დარბაზული (9,35X5,35 მ) ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთით. ნაგებია ქვიშაქვითა და შირიმის ქვით. აქვს შესასვლელი სამხრეთიდან და ფანჯრები აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლებზე. ღვთისმშობლის გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული (7,9X5,13 მ) ეკლესია დგას სოფლის ჩრდილოეთით. ნაგებია ქვიშაქვით, რიყის ქვითა და შირიმის ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. აქვს შესასვლელი დასავლეთიდან და სარკმელები აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლებში. დაზიანებულია. კვირაცხოვლის გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული (5X3,2 მ) ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთით. ნაგებია რიყისა და შირიმის ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. წმინდა გიორგის გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული (5,9X3,95 მ) ეკლესია დგას სოფ. პატარა მეჯვრისხევის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ნაგებია ქვიშაქვითა და შირიმის ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი დასავლეთიდანაა. წმინდა გიორგის გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული (7X4,7 მ) ეკლესია დგას სოფ. პატარა მეჯვრისხევის ჩრდილო-დასავლეთით. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. აქვს შესასვლელი სამხრეთიდან და სარკმელები აღმოსავლეთის, დასავლეთით და სამხრეთის მხრიდან. ღვთისმშობლის 1819 წ. აგებული დარბაზული (8,8X5,3 მ) ეკლესია დგას სოფ. პატარა მეჯვრისხევის ცენტრში. ნაგებია რიყის ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. აქვს შესასვლელი სამხრეთიდან და თითო სარკმელი სამხრეთიდან და დასავლეთიდან. სამხრეთის კედელზე გაკეთებულია მხედრული სამშენებლო წარწერა. „უსანეთის“ 1851 წ. აგებული დარბაზული (12X7 მ) ეკლესია დგას სოფ. დიდი მეჯვრისხევის ცენტრში. ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. აქვს შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდან და სარკმელები ოთხივე მხრიდან. მინაშენი დასავლეთიდანაა (სძა 1990: 63, 64, 81, 82).

ერისთავების XVII-XVIII სს-ის სახლი ორსართულიანია (17,5X15 მ). შესასვლელი აღმოსავლეთიდანაა. პირველი სართული დასავლეთ ნაწილში მარანია. გადაკეთებულია XIX ს-ში. მირმანოზ ერისთავის XVII-XVIII სს-ის ციხე-სასახლე დგას სოფ. დიდი მეჯვრისხევის ცენტრში. შემორჩენილია გალავნის ნაწილი, ცილინდრული კოშკის ორი სართული და კარიბჭე. გადაკეთებულია XVIII ს-ის შუა წლებში და XIX ს-ის დასაწყისში (სძა 1990: 62, 63).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 39; გიულდენშტედტი 1962: 97, 177, 223, 275, 277, 279; გვასალია 1967: 50; 1983: 25, 26, 60, 76, 95, 165, 169, 170; გვრიტიშვილი 1955: 171, 172, 272; დადიანი 1962: 133, 11; დონდუა 1987: 85; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 208; 1953: 20, 105, 138, 183; თაყაიშვილი 1951ა: 67; კუკუტინი 1941: 16, 17; 1949: 35; 1950: 221; მასალე-ბი საქ. ეკ. ისტ. 1938: 192, 358; 1953: 170; 1955: 63, 106, 137; მასალე-ბი საქ. ისტ. გეოგ. 1964: 142; ნინიძე 1993: 62-81; პახომოვი 1949: 11; 1957: 9; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 103, 107, 108, 182; საქ. ისტ. ქრონი-

კები ... 1980: 62, 342; სძა 1990: 62, 63; უვაროვა 1894: 189; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 140; 1972: 304, 433, 521, 571; 1981: 159, 391; 1985: 127, 179, 190, 576; ქრონიკები 1897: 434; 1967: 317; ქვ 4: 361, 10; 368, 3; 412, 7; ქორიძე 1965: 50, 51; ყაუხჩიშვილი 1951: 281; ხარაძე 1992: 106, 109; ჯვარციხე 1991: 123.

მთაწმინდა (ქვ 4: 338, 14). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 338, 14).

ლოკალიზდება თბილისში. წარმოადგენს თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ განშტოებას. გადმოცემის თანახმად მთაწმინდის აღმოსავლეთ კალთაზე VI ს-ში სენაკი გამოქუჩავას ერთ-ერთ ასურელ მამას – დავითს, რის გამოც ამ მიდამოებს მამა დავითის სახელი შეერქვა. დავითის სამლოცველოს ადგილას IX ს-ში მდგარა ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია. 1542 წ. აქ ბერად შემდგარმა ძმებმა დავით და ნიკოლოზ გაბაშვილებმა ააგეს წმინდა დავითის ახალი ეკლესია. XVI ს-ის ბოლოს ის ხელახლა აუშენებიათ ათონის წმინდა მთის სახელით (აქედან – სახელწოდება მთაწმინდა). შემდომში ეს ეკლესია დიდხანს მდგარა დანგრეული. 1810 წ. ანტონ II-მ აქ ააგო ფერისცვალების ეკლესია. მეორე უფრო მოზრდილი ეკლესია აშენებულია 1871 წ. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონია (კვირკველია 1985: 56, 57).

მთაწმინდა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. მთაწმინდის მიდამოებიდან ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი მინის საწელსაცხებლე (არქ. მას. კატ. 1955: ტაბ. 44, 2). მთაწმინდის მუნიციპის მიდამოებში, გრიბოლევის ქ. №20-თან გამოვლენილია გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანის სამართავანი (თბილისი 1978: 202). 1930 წ. ბესიკის ქუჩაზე, სახლის მშენებლობისას აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი. მათგან ერთი დოქის თარიღი განისაზღვრა ანტიკური ხანით. მასალის უმრავლესობა შუა საუკუნეებისაა (ქორიძე 1958: 77). ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები მიკვლეულია მთაწმინდის აღმოსავლეთ ფერდობზე (თბილისი 1978: 202).

ბიბლიოგრაფია: არქ. მას. კატ. 1955: ტაბ. 44, 2; ბაქრაძე 1875: 104; თბილისი 1978: 202; იოსელიანი 1866; კვირკველია 1985: 56, 57; ქვ 4: 338, 14; ქორიძე 1958: 77; ჩორგოლაშვილი 1979: 105;

მინდა ციხე (ქვ 4: 766, 1, 4; 811, 18). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 766, 1, 4; 811, 18). იმერეთის მეფე სოლომონ II-ის 1804 წ. სიგელი ბოძებული სოლომონ ლიონიდისადმი (საქ. სიძ. 1910: 569), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტის 1962: 109, 291; 1964: 153, 223, 259), იევლევისა და ტოლოჩანოვის იმერეთის სამეფოში ელჩობის „მუხ-



მინდა ციხე, დიუხუა დე მონაერეს მიხედვით

ლობრივი აღწერილობა“ (იველვი 1969: 86, 166; ტოლოჩანოვი 1970: 152, 265).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ლუხუნის აღმოსავლით კიდის მაღალს კლდის გორასა ზედა და რიონს ჩდილოთ არს ციხე მინდა, მაგარი და აულე-

ბელი მტრისაგან, და ვის უპყრავს ციხე ესე, არს ერისთავი რაჭისა. ამ ციხისავე ძირს კოშკი დგას ლუხუნის კიდესა ზედა მცველად წყლისათვის“ (ქც 4: 765,21, 766,1-4).

მდებარეობს ამბროლაურის მუნიცი-ში, მდ. რიონისა და ლუხუნის შესართავთან, ლუხუნის მარცხენა ნაპირზე, სოფ. წყის ტერიტორიაზე (გიულდენშტედტი 1962: 109; ბერაძე 1975: 146).

მინდა ციხე რაჭის საერისთავოს მნიშვნელოვანი ციხე იყო. მასზე გადიოდა ონიდან ქვემო რაჭაში და ქვემო სვანეთიდან რაჭაში მიმავალი გზები (ბერაძე 1975: 141-145). შედიოდა იმერეთის სამეფოს მესამე სადროშოში (სოსელია 1973: 146). XIII-XIV სს-ში მინდა ციხე სამეფო ხელისუფლებას ეკუთვნოდა. იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565) ის რაჭის ერისთავს გადასცა (სოსელია 1973: 75; ბერაძე 1983: 142). 1769 წ. რაჭის ერისთავის დასჯის შემდეგ სოლომონ I-მა (1752-1784) მინდა ციხე თავის საკუთრებად გამოაცხადა (ბურჯანაძე 1961: 113). სოლომონ II-მ (1789-1810) ციხე სოლომონ ლიონიძეს გადასცა, ხოლო იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ის რუსეთის ხელისუფლებამ როსტომ ერისთავის შთამომავლებს დაუბრუნა (ბერაძე 1983: 142).

მინდა ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ციხე დგას სოფ. წყის აღმოსავლეთით. შემორჩენილია გალავანი და სამი კოშკი, რომელთაგან დასავლეთის ცილინდრულია, ჩრდილოეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის – ოთხკუთხა. შესასვლელი სამხრეთიდანაა. თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით. ის რამდენჯერმე გადაუკეთებიათ (ბერაძე 1989: 142).

ციხის აღმოსავლეთით ადრე შუა საუკუნეების მცირე ზომის დაზიანებული ეკლესიაა (ბერაძე 1989: 142).

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1975: 132-152, 141, 145, 146; 1983: 78, 141; ბურჯანაძე 1960: 87; 1961: 113; გიულდენშტედტი 1962: 109, 291; 1964: 153, 223, 259; გონიკიშვილი 1979: 57, 71, 164, 221; იველვი 1969: 86, 166; რეგვიაშვილი 1982: 79; 1989: 199; 1992: 48, 53; საქ. სოდ. 1910: 569; სოსელია 1973: 75, 77; ტოლოჩანოვი 1970: 152, 265; უვაროვა 1894: 106, 107; ქც 4: 766,1,4; 811,18.

მისამცემლო, სოფელი (ქც 4: 351,15; 353,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“

(ქც 4: 351,15, 353,9), ბერი ვენატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 391,4), XIV-XVIII სს-ის ისტორიული დოკუმენტები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179, 257, 549; 1974: 627; 1985: 518; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 143), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 15), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 34). ვახუშტი ბაგრატიონი მისაქციელის შესახებ გადმოგვცემს: „ნარეკუავის ჩდილოთ, არაგვის პირს, არს საფურცლუ და საფურცლის ჩრდილოთ მისაქციელი, მთის ძირს“ (ქც 4: 351,13-15).

მდებარეობს მცხეთის მუნიცი-ში, მდ. არაგვის მარჯვენა მხარეს, თანამედროვე სოფ. მისაქციელის ადგილას.

XIV ს-ში ის სვეტიცხოვლის კუთვნილებაა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 143). 1612 წ., ირანში გადახვეწის წინ, გიორგი სააკაძე ნუგზარ არაგვის ერისთავს მისაქციელში შეხვდა (ქც 2: 391,4). 1778 წ. ლევან პატონიშვილმა მისაქციელში დაამარცხა ლეკები (ბაგრატიონი დავით 1941: 15). XVIII ს-ის მეორე ნახევარში სოფ. მისაქციელი მუხრან-პატონებს ეკუთვნოდა (ბაგრატიონი 1986: 34). მისაქციელზე გადიოდა შიდა ქართლის (ძალისა-წილენის) მთავარი გზა, რომელიც არაგვისპირისაკენ ან ნატახტარ-მცხეთისაკენ უხვევდა. სოფლის სახელწოდებაც გზის მიმართულებაზეა მიუთითებდა (ბერძენიშვილი 1960: 163; 1964: 421).

მისაქციელი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. 1982-1983, 1988 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ცენტრის მცხეთის ექსპედიციამ სოფლის დასავლეთით, მუხრანის ველზე შეისწავლა გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარი; რიყის ქვით ნაგები და თიხით მოლესილი მარნის კედლის ნაშთი. ნამოსახლარის სამხრეთ-დასავლეთით, 400მ დაშორებით გამოვლინდა ქვაყრილიანი ყორღანი (დმ 30 მ) (აფაქიძე...1997:68).

სოფლის დასავლეთით, ახალუბანში გვიანი შუა საუკუნეების ნასოფლარზე ვაითხარა ფურნის კომპლექსი, ნაგები რიყისა და ფლეთილი ქვებით კირხსნარზე. შენობა ოთხკუთხა (44 კვ მ). მასში გამართული იყო რვა ცილინდრული ფორმის ლემელი და კერა. ნასოფლარზე აღმოჩნდა დარბაზული ტიპის ეკლესია ნახევარწრიული აფსიდით (4X2,6 მ) და ორი დანგრეული სამარხი. ერთ მათგანში გამოვლინდა ბრინჯაოს ბეჭედი არაბული წარწერით (აფაქიძე ... 1986: 31).

მისაქციელის სამხრეთ-დასავლეთით ავურითა და რიყის ქვით ნაგები ღვთისმშობლის XIX ს-ის დარბაზული (12,4X7,5 მ) ეკლესიაა. სწორკუთხა საკურთხეველი დარბაზისაგან ორი პილასტრითაა გამოყოფილი. შესასვლელი დასავლეთით მიშენებული კარიბჭიდანაა. აღმოსავლეთი კედლის ღერძზე ერთი სარკმელია. სამ-სამი სარკმელია

გრძივ კედლებში. ინტერიერი შელესილია. ეკლესიას დასავლეთით მიშენებული აქვს სამრეკლო, რომელიც სამ მხარეს ნახევარწრიული თაღებითაა გახსნილი. ეკლესიას შემოვლებული აქვს აგურის საფეხურიანი ლავგარდანი (სძა 1990: 295).

ბიბლიოგრაფია: *ავაქიძე ... 1986: 31-37; ავაქიძე ... 1997: 65-70; ბაგრატიონი დავით 1941: 15; ბაგრატიონი 1986: 34; ბერძენიშვილი 1960: 140, 162, 163; 1966: 16, 60; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 143; სძა 1990: 294, 295; ქც 2: 391,4; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179, 257, 549; 1974: 627; 1985: 518; ქც 4: 351,15; 353,9.*

მიტლოკინის ციხე (ქც 4: 754,17). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონი თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 754,17).

ვახუშტი ბაგრატიონი მიტლოკინის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „საწირის წყალზე არს ციხე მიტლოკინისა, ვით სახელი, ეგრეთ მტკიცე“ (ქც 4: 754,17). ლოკალიზდება იმერეთში. მდებარეობის ზუსტი განსაზღვრა ვერ ხერხდება.

ბიბლიოგრაფია: *ქც 4: 754,17.*

მლაშე, მლაშე (ქც 4: 758,17,სქ.1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 758,17,სქ.1), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44), XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (დას. საქ. საბ. 1921: 25, 26), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 309).

ვახუშტი ბაგრატიონი მლაშეს შესახებ გადმოგვცემს: „ხარაგეულს ზეით არს, ჩხერიმელაზედ, მლაშე, ჩილით“ (ქც 4: 758,17,სქ.1).

მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპ-ში, ხარაგაულიდან ჩრდილოეთით, 5 კმ დაშორებით, სოფ. მლაშეს ტერიტორიაზე.

პირველად მოიხსენიება XVI ს-ში (დას. საქ. საბ. 1921: 25, 26). XVIII ს-ის მეორე ნახევრის წყაროებით ხევიანის ხევის სოფლების სიაშია და მირიან ბატონიშვილის საკუთრებაა (ბაგრატიონი 1986: 44). იოჰან გიულდენშტედტი აღწერდა რა მდ. ჩხერიმელას ვაკეს, აღნიშნავდა, რომ ზედა ნაწილი ეკუთვნოდა ქართლის მეფეს, ქვედა – იმერეთის მეფეს. მლაშე იმერეთის მეფის საკუთრებაა (გიულდენშტედტი 1962: 309).

სოფ. მლაშეს ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფლის ტერიტორიაზე დგას გვიანი შუა საუკუნეების დღისმშობლის ეკლესია და ციხე-დარბაზის ნანგრევები (პარნაველი 1959: 96).

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული მლაშეს გარდა, ამავე სახელწოდების სოფლები არის ღუშეთსა და ადიგენის რაიონებში.

ღუშეთის მუნიციპ-ის სოფ. მლაშე მდებარეობს ღუშეთიდან 9 კმ-ის დაშორებით, ბაზალეთის ტბის მახლობლად. იხსენიება შემდეგ წყაროებში: იოანე

ბარატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 34), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 509; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 200), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 273).

გვიანი შუა საუკუნეებში სოფ. მლაშე შედიოდა არაგვის საერისთავოში და ეკუთვნოდა ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილს (ბაგრატიონი 1986: 34). იოჰან გიულდენშტედტიც მას არაგვის საერისთავოს სოფლებს აკუთვნებდა (გიულდენშტედტი 1962: 273).

ღუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია სოფ. მლაშეში 1968 წ. შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები: თიხის წითელკეციანი ჯამი (საინვ. №911) და ვიწროყელიანი, სფერულმუცლიანი სასმისი (საინვ. №992).

1974 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ნარეკავის არქეოლოგიურმა ექსპლდიცამ (ხელმძღ. ლ. წითლანაძე) სოფ. მლაშესთან, ადგილ ორხევეში შესწავლა VI-VIII სს-ის სამაროვანი, სადაც გამოვლინდა კოლექტიური ქვისსამარხები. მათში აღმოჩნდა სასაწურის გემა ცხოველის გამოსახულებით, ბრინჯაოს ქინძისთავი, შექმული ბროწეულის ყვავილის ფორმის მარგალიტით, ბრინჯაოს ბეჭედი, მინისა და თიხის სასმისები (წითლანაძე ... 1975: 46; წითლანაძე ... 1975ა: 49-50).

ადიგენის მუნიციპ-ის სოფ. მლაშე მდებარეობს მდ. ქვაბლიანის მარცხენა ნაპირზე, ხულო-ადიგენის საავტომობილო გზაზე, ადიგენიდან 3 კმ-ის დაშორებით. მოხსენიებულია შემდეგ წერილობით წყაროებში: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 8, 9; 1958: 100, 101, 106, 107, 158), ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ... 1979: 194, 199, 202). ადიგენის მუნიციპ-ის სოფ. მლაშე შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 34, 44; პარნაველი 1959: 96 ბოჭორიძე 1992: 71; გვრიტიშვილი 1955: 242; გიულდენშტედტი 1962: 273, 309; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 8, 9; 1958: 100, 101, 106, 107, 158; დას. საქ. საბ. 1921: 25, 26; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 200; ქც 4: 758,17, სქ. 1; ჩილდირის ... 1979: 194, 199; წითლანაძე ... 1975: 46; წითლანაძე ... 1975ა: 49, 50.*

მოზუთა, მოგვთაკარი, მოგუეთი (ქც 1: 29,7; 101,5; 116,12; 145,5; 180,2; ქც 4: 100,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 29,7), მისივე „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქც 1: 101,5; 116,12; 145,5), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 180,2), ვახუშტი ბარგატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 100,21), „მოქცევა ქართლისაი“ (მატებრდის კრებული 1979: 325, 334, 347).

ლონტი მრევლი მოგვთაკარის შესახებ ვადმოგ-
ვცემს: ქართლის მეფე ფარნაჯომმა „მოიყვანა
სპარსეთით ცეცხლმსახური და მოგუნი და დასხა
ივინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვიან
მოგუთა“ (ქც 1: 29,7).

მოგვთაკარი („მოგუთა“) მდებარეობს მცხეთაში,
რკინიგზის სადგურის წინ, სამხრეთით (აფაქიძე ...
1981: 126), მცხეთის თანამედროვე ხიდის დასავ-
ლეთით (ბერძენიშვილი 1964: 402).

წყაროებში პირველად IX ს-ში იხსენიება. ის მცხე-
თის უბანია, სადაც ცეცხლთაყვანისმცემელი მოგ-
ვები დასახლდნენ (მატებრდის კრებული 1979:
325, 334, 347). ძვ. წ. II ს-ში იბერიის მეოთხე მეფე
ფარნაჯომმა სპარსეთიდან ჩამოყვანილი ცეცხლ-
თაყვანისმცემლები (მოგვები) მცხეთის ერთ-ერთ
უბანში – მოგუთაში (მოგვთაკარი) დაასახლა (ქც
1: 29,7). ახ. წ. I ს-ში მაცხოვრის კვართის მცხეთაში
ჩამოშტანი ელიოზი მცხეთის უბანში – მოგუთაში
ცხოვრობდა (ქც 1: 101,5; 116,12). V ს-ის ქართლში
ირანელთა დანიშნულმა ერისთავმა პარზაბოდმა
ცეცხლმსახურნი და მათი ეპისკოპოსი ბინქაპოსი მო-
გუთას დაასახლა (ქც 1: 145,5).

მოგვთაკარში – მცხეთის რკინიგზის სადგურის
მიდამოებში, 1926 წ. შემთხვევით აღმოჩნდა სხვა-
დასვა პერიოდის (ძვ. წ. V-ახ. წ. III სს) სამარხეული
ინვენტარი. 1937 წ. სადგურის უკან, ბაღში გამოე-
ლნდა კრამიტსამარხი, რომელიც I-III სს-ის ინვენ-
ტარს შეიცავდა. 1943 წ. მცხეთის არქეოლოგიური
ექსპედიციის მიერ მცხეთის სადგურთან გაითხარა
რამდენიმე კრამიტსამარხი (აფაქიძე ... 1955: 6, 12).
1951 წ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ
(ხელმძღვ. გ. ლომთათიძე) რკინიგზის სადგურის მახ-
ლობლად გაითხარა ახ. წ. I ს-ის მავზოლეუმის ტიპის
აკლადამა (იხ. არმაზი). შემთხვევითი მონაპო-
ვარი და აკლადამის მასალა ინახება საქართველოს
ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშვიას სახ. საქართველოს
მუზეუმი). 1975 წ. მოგვთაკარზე (რუსთაველის ქ.
54) არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის
ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე) გაითხარა ვი-
ანანტიკური ხანის ორმოსამარხი (აფაქიძე ... 1981:
126). მასალა ინახება მცხეთის არქეოლოგიური
ექსპედიციის ბაზაში. 1976-1978 წწ. მოგვთაკარში –
მცხეთის რკინიგზის სადგურის მახლობლად, სადაც
გათხრებს აწარმოებდა მცხეთის არქეოლოგიური
ექსპედიცია, გამოვლინდა რომაული ხანის სამარო-
ვანი და ნაგებობის ნაშთები.

მოგვთაკარის სამაროვანზე გაითხარა 13 სამარხი,
რომელთაგან 10 კრამიტებითაა შედგენილი, სამი –
ქვის ფილებითა და კრამიტით ნაგები სამარხებია.
კრამიტსამარხები ჩაჭრილ ორმოში ჩადგმული,
ღარიანი და ბრტყელი კრამიტებითაა ნაგები,
რომელთა სახურავი ბანური ან ორფერდაა. ძირი
თიხატკეპნილია ან კრამიტით მოგებული. მიცვალე-
ბულები დაუკრძალავთ კიდურებმოკეცილი, მარ-
ჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით. ზოგიერთ
მიცვალებულს პირსა და ხელში ჰქონდა მონეტები
(„ქარონის მონეტა“). სამარხებში აღმოჩნდა: თიხის

სადა ან კოპებით შემკული ხელაღები და კოჭოპები,
სირიული წარმოშობის მინის სანელსაცხებლები,
ავგუსტუსის (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14) და გოტარხეს (ახ.
წ. 10/11-38) მონეტები, ვერცხლისა და რკინის გემი-
ანი ბეჭდები (მათ შორის, ერთი რკინის ბეჭდის
სარდიონის თვალზე ამოკვეთილია ორსიტყვიანი,
პოზიტორი ბერძნული წარწერა: „მშვენიერი ქალ-
ბატონი“ ან „ქალბატონი კალე“). იქვეა აღმოჩე-
ნილი: მძივები, რკინის დანისპირი, სამფრთიანი
ისრისწვერი, ბრინჯაოს ზარაკები, რკინის ძეწკვი,
ბრინჯაოს სარკე, ფერუმარილის სასრესი ნიჟარა
კოვზითურთ და სხვ. სამაროვანი თარიღდება I-
III სს-ით (აფაქიძე ... 1981: 130). სამარხებს შორის
გამორჩევა წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის
№6 კრამიტსამარხი (1,82X1,26X0,54 მ), რომლის
კედლები ვერტიკალურად ჩადგმული გვერდებაკე-
ცილი კრამიტებითაა ნაგები. სახურავი ორფერდაა.
სამარხის ასაგებად გამოყენებული იყო 35 კრამიტი.
მიცვალებული დაუკრძალავთ კიდურებმოხილი
მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით. სამარხში
აღმოჩნდა: ჩალისფრად გამოშწვარი თიხის ხელაღა,
მინის სანელსაცხებლე, რკინის დანა, სამფრთიანი
ისრისპირი, ჯავჯვი, ბრინჯაოს ზარაკი, ბურთულა,
ფერუმარილის სასრესი ნიჟარა, სარდიონის, ქალცე-
დონის, გიშრისა და სხვ. მძივები, ეგვიპტური ფიან-
სის მიფსაკიდი, ძვლის ავგაროზი (2 ც), სირიული
პასტის მიფსაკიდი გომბეშოს გამოსახულებით,
ავგუსტუსის ვერცხლის დენარი, სპილენძის მონ-
ეტა, რკინის ბეჭედი (2 ც), რკინის ბეჭედი, რომლის
თვალბუდეში ზის სარდიონი, მასზე ამოკვეთილი
ბერძნული ორსიტყვიანი წარწერით, ქალცე-
დონის ბეჭედი (2 ც), ვერცხლის რგოლი, ოქროს სამ-
წილადი საყრდენი (სიხარულიძე, 1985: 121-131).

მოგვთაკარის სამაროვნის სამხრეთით გამოვლინდა
ნაგებობათა ნაშთები – კედელი – ზოლუე (შემორ-
ჩენილი სიმაღლე 1,2 მ, სიგრძე 80 მ, სისქე 1,05 მ),
რომელიც სამხრეთით გრძელდება და ებჯინება
ქართლის ქედს. კედელი ნაგებია ფლეთილი ქვით
და ტლახით. მისგან აღმოსავლეთით აღმოჩნდა
ოთხკუთხა ფორმის ნაგებობის ნაშთი (შემორჩე-
ნილი სიმაღლე 1, 12 მ, სისქე 0,8 მ). სახლი ნაგებია
ფლეთილი და რიყის ქვით. შესასვლელი ჰქონდა
ჩრდილოეთიდან. შენობაში აღმოჩნდა: თიხის ხე-
ლაღებისა და ქოთნების ნატეხები; დანახშირე-
ბული ძვლები და ბათქამის გამოშწვარი ნატეხები.
სახლის გარეთ იყო თიხი ქვევსი. ნამოსახლარის
ნაშთები III-IV სს-ით დათარიღდა (აფაქიძე ...
1981: 158, 159). მოგვთაკარის სამაროვნისა და ნა-
მოსახლარის მასალა ინახება მცხეთის მუდმივმოქ-
მედი არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაში.

ბიბლიოგრაფია: აფაქიძე... 1955: 6, 12; აფაქიძე ...
1980: 132, 133; აფაქიძე... 1981: 119-159; ბერძენიშ-
ვილი 1964: 402; კვეზერელი-კობაძე 1968: 61-65;
რჩულიშვილი 1990: 224-232; სიხარულიძე, აბუთიძე
1980: 505-508; 1985: 109-131; სურგულაძე 1978: 501-
504; ქც 1: 29,7; 101,5; 116,12; 145,5; 180,2; ქც 4: 100,21;
მატებრდის კრებული 1979: 325, 234, 347.

მოდამანახე, ციხე (ქვ 4: 760,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4:7 60,14), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 176), ქართული ისტორიული საბუთები (სიგელები 1891: 1, 2; კაკაბაძე 1914: 92; ქრონიკები 1967: 367; ისტ. ლოკ. 1958: 44), იოჰან გიულდენ-შტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენ-შტედტი 1962: 301).



მოდამანახე

ვახუშტი ბაგრატიონი მოდინახეს (მოდამნახეს) შესახებ გადმოგვცემს: „საჩხერის პირისპირს, ყვრილის ჩიღლით არს, მაღალს კლდესა ზედა, ციხე მოდამნახე, მოზღუდ-ვილი კლდითა, მაგარი და უბრძოლველი

მტრისაგან“ (ქვ 4: 760,13-15). მდებარეობს საჩხერის მუნიციპ-ში, საჩხერიდან ჩრდილოეთით, 1 კმ-ის დაშორებით, საჩხერესა და სოფ. ღუნთას შორის, რაჭის ქედის დაბალ ქიმზე. ციხე იყო ფალავანდიშვილებისა და შემდეგ საჩხერელი წერეთლების რეზიდენცია. 1735 წ. მოდინახეს ციხეში თავს აფარებდა მეფე ალექსანდრე V-ის (1720-1740, 1741-1752) უპირატესად აჯანყებული პაპუნა წერეთელი. ალექსანდრემ ციხე რამდენჯერმე უშედეგოდ დალაშქრა. 1766 წ. იმერეთში ოსმალთა ლაშქრობისას მეფე სოლომონ I (1752-1784) თავის ოჯახით მოდინახეს გაიხიზნა. 1767 წ. წერეთლების საგვარეულომ „სამძო ციხე“ მოდინახე მეფეს გადასცა (კაკაბაძე 1914: 92). 1776 წ. წერეთლების გაყრისას მოდინახეს ციხე პაპუნა წერეთელს დარჩა (სოსელია 1966: 120). 1779 წ. რუხის ბრძოლაში მოპოვებული ნადავლი – ორი ზარბაზანი, სოლომონ I-მა მოდინახეს ციხეს უძღვნა (ქრონიკები 1967: 367). 1810 წ. იმერეთის აჯანყების დროს მოდინახეს ციხე ამბოხებულებს ეკავათ. აჯანყების დამარცხების შემდეგ ციხეში რუსის ჯარი ჩადგა. მოდინახეს შესახებ არსებობს ლეგენდა. თავად პაპუნა წერეთელს მოსწონებია თავად აბაშიძის ასული და მისთვის დამოყვრების სურვილი შეუთვლია. დავით აბაშიძემს უპირატესობისთვის დაცინვით უთქვამს უცხოო წვიგშიაიძეს ქალს როგორ მიეცემო. გაბრაზებულთ თავად ზნაურობას დავითზე გალაშქრება შეუთავაზებია პაპუნასათვის, მაგრამ პაპუნამ ძმათა სისხლის ღვრას ოფლის ღვრა ამჯობინა და დაუწყია ციხის შენება. როცა დაუმთავრებია, დავითისათვის შეუთვლია „მოდი, ნახეო“ და დარქმევია ციხეს მოდინახე (სოსელია 1981: 84, სქ. 21). 1961 წ. მოდინახეს ციხის სამხრეთ ფერდზე გზის გაყვანის დროს დაზიანდა სხვადასხვა ეპოქის ფენები. იქ აკრეფილი მასალის ნაწილი დაიკარგა, ნაწილი ინახება საჩხერისა და სოფ. ქორეთის საშუალო სკოლების მუზეუმებში. მანამდე, ხენის დროს სოფ.

ღუნთის მცხოვრებლები პოულობდნენ კერამიკის ფრაგმენტებს, ლითონის იარაღსა და სამკაულებს. 1966-1970 წწ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ჯ. ნადირაძე) მოდინახეს ციხის სამხრეთი ფერდის გათხრებისას გამოავლინა სამი ფენა: პირველ ფენაში მოპოვებულია ძირითადად ხელით ნაძერწი, სქელკედლიანი, ორ-სამფენიანი კეცის მქონე, მონაცრისფრო ან ვარდისფერსაჩქელიანი ზედაპირანგობრივული და გაპრიალებული დიდი ზომის ჭურჭლის ნატეხები და მასიური ყურები. ფრაგმენტების ნაწილი შემკულია ტალღისებური სარტყლებით ან ჩაღრმავებული ნახებისაგან შედგენილი სპირალებით. კერამიკა თარიღდება ადრებრინჯეოს ხანით (ნადირაძე 1975: 13, 14). მეორე შეიცავდა ნახშირ-ნაცროვან შრეებს. მათ შორის თინახტეპნილი იატაკების ნაშთია. ფენაში უხვადაა კერამიკული ფრაგმენტები, ლითონის ნაწარმი, სამკაული და ცხოველთა ძვლები. აღსანიშნავია სიუხვე სხვადასხვა ზომის ზოომორფულიყურებიანი კერამიკისა, რომლებიც დამზადებულია ჩარხზე მსხვილმინარევიანი თიხისაგან და გამოშვარია მოშავოდან მუქ წითლად. ზოგიერთის ზედაპირი ნაპიალებია. აღნიშნული კერამიკა დამახასიათებელია საჩხერის რეგიონის გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის და ატარებს როგორც კოლხური, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს თანადროული ძეგლების კერამიკისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. მასალა თარიღდება ძვ. წ. I ათაწლეულის პირველი ნახევრით. უფრო ადრეულია (ძვ. წ. II ათაწლეულის მეორე ნახევარი) ლითონის ნივთები – ბრინჯაოს ორფრთიანი ისრისწვერები და მასიური მავთულისაგან დამზადებული თავხვია საკინძები (ნადირაძე 1975: 21). მესამე ფენა მეორისაგან გამოყოფილია თიხნარი შრით. ფენაში უხვადაა კერამიკის ფრაგმენტები, ლითონის ნაწარმი და ოსტეოლოგიური მასალა. თიხის ჭურჭელი დამზადებულია ჩარხზე, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. ჭურჭლის პირის ვარეთა სიბრტყე შემკულია ეგომეტრიული და მცენარეული მოტივებით (რომბები, წიწვოვანი, თევზიფხური). გვხვდება კარგად განლექილი თიხისაგან დამზადებული მოყვისფროდ ან მოშავოდ გამოშვარი პირშენქეილი ან პირგადაშლილი უქუსლო ღრმა ჯამები; პირბაკიანი და ფართოფლანი დიდი ზომის ჭურჭლის ნატეხები; ყურმილიანი ღიქის ფრაგმენტები; წითლად მოხატული ჭურჭლის ნატეხები და ბერძნული შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები; ძვ. წ. VII-VI სს-ით დათარიღებული სკვითური ისრისპირები და სხვ. (ნადირაძე 1975: 24). მოდინახეს სამხრეთ ფერდზე გამოვლენილი და შესწავალილია ადრეანტიკური, ელინისტური, გვიანანტიკური ხანის სამარხები. ადრეანტიკური და ელინისტური სამარხებისათვის დამახასიათებელია ოვალური ორმოსამარხი, ზოგჯერ გვერდზე შემოწყობილი ქვებითა და დაფარული ქვყარილით. მიცვალებული დაკრ-

ძალუღია ძლიერ მოხრილ პოზაში მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით ან სამხრეთით. ადრეანტიკურ სამარხებში გამოვლენილია პირმოყრილი და პირგადაშლილი ბრტყელ-ძირიანი ფილები, ცალყურა ხელადები, ფართოკორპუსიანი ხელადები, ყურმილიანი დოქები, ყურიანი ქოთნები, სარძევეები, ხელადები, დიდი ზომის ჩაფები, ვერცხლის საკისრე რკალი, თავგახსნილი სამაჯური, ოქროს სხივანა საყურეები, ოქროს მიძივები და ვერცხლის კოლხური მონეტები.

სამარხი №4 მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 1,6 მ სიღრმეზე. ოვალური ფორმის ორმოს იატაკი მოკირწყლული იყო კირქვის მცირე ნატეხებით. მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე ძლიერ მოხრილ პოზაში, თავით დასავლეთით. მარჯვენა ხელის მტევანი იდო მუცლის არეში, მარცხენა გაშლილი ჰქონდა ბარძაყის გასწვრივ. სამარხში აღმოჩნდა: თიხის შავად და რუხად გამოშვარი ჯამები, ლეგა-მოწითალო ფერის ყურიანი ქოთანი და ყურმილიანი ხელადა, მოყვითალო კეციანი დოქი, რკინის ბურთულეებიანი სამაჯური, ოქროს სხივანა საყურეები, ოქროს 36 მიძივი. ვერცხლის 4 კოლხური მონეტა მიცვალებულს პირში ჰქონდა ჩადებული.

ელისტური ხანის სამარხებში გამოვლენილია: წითელპირიანი დოქები მსხლისებური ტანით; ბრინჯაოს ზურგშენიქილი სამაჯურები, რკინის ბურთულეებიანი სამაჯურები; ბრინჯაოს ორწილადი მშვილდსაკინძი; ვერცხლის თხელფურცლოვანი ფილა; ოქროს რგოლები. ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან დამზადებული საბეჭდავი ბეჭედი, ფარაკზე ამოკარული ფრინველის გამოსახულებით.

მოდინახეს სამხრეთ გვერდზე გათხარა 40-მდე გვიანანტიკური ხანის სამარხი, ჩამოვლული გვიანბრინჯაოს ხანის ფენაში. სამარხები მართკუთხა ფორმის ორმოვება ან ორმოსამარხები, ცალპირა ქვის მშრალი წყობით შემოზღუდული. მიცვალებულთა დაკრძალვის პოზა სხვადასხვაა: ძლიერ მოხრილ-მოკრუნჩხული პოზა მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით; გულაღმა გაშოტილი და ფეხებმოხრილი; გაშოტილი, თავით დასავლეთით. ერთი შემთხვევაა წყვილადი დაკრძალვისა, სადაც ერთი მიცვალებული დამარხული იყო გაშოტილი, მეორე მოკრუნჩხული, მარცხენა გვერდზე თავით დასავლეთით.

ორმოსამარხი №36 აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,9 მ სიღრმეზე. სამარხი დიდი ფლეთილი ქვებით იყო შემოზღუდული. მიცვალებული დაკრძალული იყო გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთით. თავი იდო ვერცხლის თასზე. ორმოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იდგა ვერცხლის სურა. ცენტრში, მიცვალებულის მარჯვენა მკლავსა და ნეკნებს შორის 2 ოქროს მონეტა იდო. ორმოს სამხრეთ კედელთან, მიცვალებულის მარჯვენა ბარძაყის ძვალთან, ოქროთი გაწვობილი სატევარი და რკინის დანა იდო. მარცხენა ხელის თითზე ჰქონდა სარდონის თვლიანი ოქროს ბეჭედი. წელის არეში ოქროს

2 ბალთა აღმოჩნდა. მიცვალებულს ფეხებთან ეწყობ ვერცხლის 3 კოჭსაფარი და რკინის სამწახნაგა ისრისპირი. სამარხში გამოვლინდა თიხის ჭურჭელიც (ნადირაძე 1975: 56).

სამაროვანზე გამოვლენილი სამარხული ინვენტარი მრავალფეროვანია. კერამიკა წარმოდგენილია: კარგად განლექილი თიხისაგან დამზადებული ზედაპირნაპირილები, მრგვალპირიანი და სამტურა დოქებით, აგრეთვე მსხლისებურტანიანი დოქებით; დიდი ზომის მრგვალმუცლიანი, დაბალყვლიანი ორყურა ჩაფებითა და სხვ. საომარი იარაღიდან გვხვდება: ორპირლესული სატევრები; მასრაგახსნილი შუბისპირები; ოდნავ მოხრილი დანები და ისრისპირები. ლითონის ჭურჭლიდან აღსანიშნავია: ვერცხლის სურა და სხვადასხვა ორნამენტით შემკული თასები. სამკაულები რკინის, ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროსია. საყურეებში 7 ტიპი გამოიყოფა, ბეჭედებში 4 ტიპი. გემებზე გამოსახულია: არწივი, თხა, გორგონას თავი და მონადირე. გვხვდება ბრინჯაოს მშვილდსაკინძები, ქინძისთავები, ოქროს ღილები, კილიტები. მიძივები მინის, პასტის, გაშრისა და სარდიონისაა. ოქროს მონეტები ეკუთვნის კონსტანტინე დიდს (306-337) და კონსტანციუს II-ს (337-361).



არტეფაქტები მოლამანახედან

ციხის შიდა ტერიტორიაზე გაჭრილ სადაზვერვო თხრილებში 3 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ადრეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი პირმოყრილი ჯამები და კოლხური სასმისების ფრაგმენტები. აგრეთვე კარგად გათლილი ქვის კვადრები. ჩანს, ადრეანტიკურ ხანაში ამ ადგილზე იდგა ქვათილებით აგებული შენობა – სავარაუდოდ, საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომლის ადგილზე მოგვიანებით აიგო მოდინახეს ციხე (ნადირაძე 1975: 43-79). არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). ციხის შემორჩენილი კედლები საფუძვლამდე დაინგრა 1991 წ. 29 აპრილის მიწისძვრის შედეგად (გიორგაძე 1991: 86, 87).

ბიბლიოგრაფია: *ბოჭორიძე 1995: 250; ბურჯანაძე 1961: 132; ვიორგაძე 1991: 86, 87, ტაბ. XIII, XIV; გიულდენშტედტი 1962: 301; დადიანი 1962: 176; ისტ. დოკ. 1958: 44; კაკაბაძე 1914: 92; ნადირაძე 1975: 72-75; 1971ა: 185-187; 1972: 38-40; 1972ა; 1975: 11-79; ნადირაძე 1990: 110-127; ნიკოლეიშვილი 1978: 102, 103; სიველები ... 1891: 1, 2; სოსელია 1966: 126, 191; 1981: 84; ქც 4: 760,14; ქრონიკები 1967: 367.*

მოსაპანო, ქალაქი (ქც 1: 5,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქც 1: 5,6), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 526,18).

ლოკალიზდება მტკვრისა და ალაზნის შესართავთან. დაფარულია მინერალური წყალსაცავით (ჭილაშვილი 1968: 61). ამჟამად მოქცეულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში.

ქართული ისტორიული ტრადიციის თანახმად ქალაქის დაარსება მიეწერება თარგამოსის ძეს, მოვაკანს, რომელმაც მამისაგან მიიღო ამიერკავკასიის გარკვეული ნაწილი – მდ. მტკვრისა და ალაზნის ქვემო წელი (ქც 4: 48,23). 1289 წ. მოვაკანში მონღოლებმა თავი მოჰკვეთეს მეფე დემეტრე II თავდადებულს (1271-1289). წყაროებში მოვაკანი უფრო ხშირად ქვეყანას აღნიშნავს (ქც 1: 67,20; 70,20; 136,14,20; 140,7; 141,2,6; 146,2; 217,2,6; ქც 2: 223,8; ქც 4: 52,5; 98,21; 118,22; 259,10,14; 286,12). VII ს-ის სომხურ გეოგრაფიაში მოვაკანი მუკანის სახელითაა წარმოდგენილი (პაპუაშვილი 1970: 56). X ს-ის არაბულ წყაროებში მოხსენიებული მუკანია მოვაკანი უნდა იყოს (მუსხელიშვილი 1980: 234).

მოვაკანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბერძენიშვილი 1966ა: 584, 607; მუსხელიშვილი 1980: 234; პაპუაშვილი 1970: 56; ქც 1: 5,6, 67,20, 70,20, 136,-14,20, 140,7, 141,2,6, 146,2, 217,2,6; ქც 2: 223,8; ქც 4: 52,5; 98,21; 118,22; 259,10,14; 286,12; ჭილაშვილი 1968: 61.*

მომწვარა, ციხე, ეკლესია (ქც 4: 347,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 347,3), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 33).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „არს გუჯარეთის ჩდილოთ, მაღალს მთის თხემსა ზედა, ციხე თოთხამი მჭვრეტი ქართლ-იმერეთისა. ამას ქუეით არს ციხე მომწვარას, და ეკლესია მცირე, და შენობანი დიდნი“ (ქც 4: 347,1-3).

მდებარეობს ისტორიული თორის ტერიტორიაზე, ბორჯომის მუნიციპ., მდ. გუჯარეთისწყლის შუა წელზე, გუჯარეთის ჩრდილოეთით (ბერძენიშვილი 1985: 31).

მომწვარას ციხეზე გადიოდა ქართლიდან თრიალეთსა და ჯავახეთში მიმავალი გზები (ბერძენიშვილი 1966: 45). მომწვარას ციხე საციხისთავო ერ-

თეულის ცენტრი უნდა ყოფილიყო (ბერძენიშვილი, ვიორგაძე ... 1987: 31, 64).

მომწვარას ადრე შუა საუკუნეების ციხეზე შემორჩენილია გალავნის ნაწილი და შენობის ნანგრევები. მათ შორის გვხვდება წრიული ფორმის წყალსაცავი. ციხის ფართობია 50X30 მ. კედლების სისქე დაახ. 2 მ-ია. გალავნის აღმოსავლეთ ნაწილში ოთხკუთხა კოშკია (2X3 მ). ეკლესია, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონთანაა მოხსენიებული, აღარ არსებობს (ბერძენიშვილი 1985: 31-33; ბერძენიშვილი, ვიორგაძე ... 1987: 31).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 33; ბერძენიშვილი 1985: 10, 46; ბერძენიშვილი, ვიორგაძე ... 1987: 31; ბერძენიშვილი 1966: 45; მაკალათია 1957: 18; ქც 4: 347,3.*

მოსაბრუნო (ქც 4: 594,27). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 594,27), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1925: 242-244). მდებარეობდა ქიზიყში, ყარაღაჯის ახლოს. ვახუშტი ბაგრატიონი მოსაბრუნის შესახებ გადმოგვცემს: „არს ალაზანი ყურედ და მომდინარე მომრგვალივით და დაუტყვევს შიგნით ადგილსა ზედა, ვითარცა კარით შესავალსა და მორტყმული არს წყლითა. აქ ჭარის პირისპირ ყარაღაჯის ბოლოს აღაშენეს ხანთა სასახლენი დიდშენნი, არამედ აწ არს ოხერ“ (ქც 4: 594, 20-22).

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, მოსაბრუნში სასახლე სელიმ ხანმა ააშენა XVII ს-ის 50-იან წლებში (გორგიჯანიძე 1925: 242- 244).

მოსაბრუნი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *გორგიჯანიძე 1925: 242-244; ქც 4: 594,27.*

მომწვ30 (ქც 4: 780,22; 781,4, სქ. 1; 845,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 780,22; 781,4, სქ. 1; 845,23), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 270,6), მოქვის სახარება (ქრონიკები 1897: 172, 173), მარტვილის მეტაფრასი (ქრონიკები 1897: 435), გელათის წმინდა ვიორგის სახ. მონასტრის ხელნაწერი (ქრონიკები 1897: 436), ლიხთიმერეთის 1737 წ. რუკა (ბურჯანაძე 1959: 194), თეოდოსი განგრელის „მოგონებები“ (ვეორგია 1941: 50), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 147), არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ (ლამბერტი 1938: 120), დონ ქრისტოფორო დე კასტელის „ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ“ (კასტელი 1975: 176), პავლე ალუპოელის „საქართველოს აღწერილობა“ (მასალები XVII საუკუნის ... 1973: 71), ელჩინის „მუხლობრივი აღწერილობა“ (ლიხაჩოვი 1954: 214), პატრიარქი მაკარიოსი (ყუზე 1905: 32, 46), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 171, 325; 1964: 49, 53, 201, 215).



მოქვის

ვახუშტი ბაგრატიონი მოქვის შესახებ გადმოგვცემს: „ეგრისის მდინარის დასავლეთ დის მოქვის მდინარე ... ამ მდინარის ზედა, მთაში, არს მოქუს ეკლესია“ (ქც 4: 780,20-22).

მდებარეობს ოჩამჩირის მუნიციპ-ში, ქ. ოჩამჩირის დასავლეთით, მისგან 17 კმ-ის დაშორებით, მდ. მოქვის ნაპირზე.

აფხაზთა მეფის ლეონ III-ის დროს (957-967) მოქვი საეპისკოპოსო ცენტრი გახდა. XIII-XVIII სს-ში ის დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო და კულტურული ცენტრი იყო. მოქვის არქეოლოგიური ძეგლები 1934 წ. მოიხილა ვ. სოლოვიოვმა (სოლოვიოვი 1950: 273, 274). 1978 წ. სადაზვერვო ხასიათის სამუშაოები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. მ. ბარამიძე).

სოფ. მოქვიში დადასტურებულია მუსტიეური ხანის „ლია“ სადგომი (საქ. არქ. 1991: 86). მდ. მოქვის შესართავში, მის მარჯვენა ნაპირზე, ზღვიდან 200 მ დაცილებით, ბუნებრივი ბორცვის თხემზე მდებარეობს ძვ. წ. VIII-VII სს-ის ნამოსახლარი (ფართობი 1 ჰა). ფენებში აღმოჩნდა ხის დანახშირებული ფრაგმენტების, ზოგჯერ მთლიანი მორების ნაშთები და ბათქაშების ფრაგმენტები, რიყის ქვის ფენილები, ნახევარმიწურები (4X1,5 მ); ქვევრებისა და ქოთნების პირები, ზუფები, ზოომორფული ყურები, ჯამები, ბრინჯაოს სეგმენტური იარაღი, ქვის სახეხები და ქვის უროს ნაშაღი (კვირკველია 1981: 8-10; ფხაკაძე ... 1981: 85-87).

ზღვისპირას, მდ. მოქვის მარცხენა ნაპირზე, დაფიქსირებულია ქსოვილის ანაბეჭდიანი კერამიკის შემცველი დიუნური ტიპის სადგომი (ბარამიძე ... 1982: 85, 86). ბორცვის აღმოსავლეთ მონაკვეთზე აღმოჩნდა ამფორის ძირები, საყურეები, სამაჯურები, რომლებიც ელინისტურ პერიოდს განეკუთვნება (ბარამიძე ... 1982: 96).

მოქვის მიდამოებში გამოვლინდა ქვის ფილაზე ამოკვეთილი XII ს-ის სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (სილოგავა 1980: 147, 148). ზუგდიდში ინახება მოქვის ხატი მხედრული წარწერით: „მოქვისა ღვთისმშობელი, ჩვენ აფხაზეთისა კათოლიკოსმა ვფთიმი საყვარელიძემ მოვაჭვდინე ხატი და დავასვენე ტაძრისა შენსა მოქვს“ (ქრონიკები 1897: 435, 436).

მოქვის ტაძარი მდებარეობს ამაღლებულ, მოვაკეპულ ადგილზე, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთით ჩამოვლის მდ. მოქვი, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. დვაბი. ტაძარი წაგრძელებული ფორმის გუმბათოვანი ნაგებობაა. ნაგებია თლილი ქვებით. აშენებულია აფხაზთა მეფის, ლეონ II-ის მიერ (957-967) (ციციშვილი 1955: 64). ფრესკები და წარწერები აღარაა შემორჩენილი. სამეცნიერო ლიტერატურაში

რამი დაცული ცნობების მიხედვით ტაძარში ასეთი ბერძნული წარწერა ყოფილა: „მოხატა მეფე ალექსი კომნენისა და დავით ...“. ის შესრულებული უნდა ყოფილიყო 1089-1118 წწ. (პომიალოვსკი 1881: 42; ბაქრაძე 1875: 103; ყაუხჩიშვილი 1951: 30, 31).

ბიბლიოგრაფია: ბარამიძე ... 1982: 64-68; ბაქრაძე 1875: 103; ბურჯანაძე 1959: 194; გეორგიკა 1941: 50; გიულდენშტედტი 1962: 171, 325; 1964: 49, 53, 201, 215; დიუბუა დე მონპერე 1937: 149, 160; კასტელი 1976: 176; კვირკველია 1981; ლამბერტი 1938: 120; ლიხაჩოვი 1954: 214; მასალები XVII საუკუნის ... 1973: 71; პომიალოვსკი 1881: 42; ჟუზე 1905: 32, 46; საქ. არქ. 1991: 86; სილოგავა 1980: 147, 148; სოლოვიოვი 1950: 273, 274; ფხაკაძე ... 1981: 85-87; ქრონიკები 1897: 172, 173, 435, 436; ქც 1: 270,6; ქც 4: 780,22; 781,4,სქ.1; 845,23; ყაუხჩიშვილი 1951: 30, 31; შარდენი 1975: 147; ციციშვილი 1955: 64.

მონისი, დაბა (ქც 4: 302,26; 376,26; 393,10; 396,22; 810,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 302,26; 376,26; 393,10; 396,22; 810,22), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 145; საქ. სიმ. 1899: 310; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 177, 179, 264, 529, 530, 591, 776, 866, 987; 1972: 521, 554; 1974: 383; 1981: 508; 1985: 319, 932; ქრონიკები 1897: 196, 197, 327, 331, 348, 368, 420; მცირე ქრონიკები 1968: 38; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 133, 184), ცხოვრება საქართველოს (ცხოვრება 1980: 40, 74, 153), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 40, 43, 47, 48), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 17), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 59), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 279).

ვახუშტი ბაგრატიონი მოხისის შესახებ გადმოგვცემს: „ვაყას ზეით არს ნაბახტვი და ნაცხვარი. სომანეთსა და ქუენა-ტკოცას შუა არს მოხისი, დაბა დიდი“ (ქც 4: 376,26).

მდებარეობს ქარელის მუნიციპ-ში, მდ. დასავლეთ ფრონესა და სურამელას შორის, ქარელიდან 21 კმ-ზე.

წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება 1392 წ. მცხეთის საეკლესიო მამულების სიაში (ქრონიკები 1897: 196, 197). 1512 წ. მოხისთან იმერეთის მეფე ბაგრატმა დაამარცხა თავისი ურჩი ძმა ვახტანგი. 1520 წ. მოხისთან მამია გურიელმა დაამარცხა ქართლის მეფე დავით X (1505-1525). XVII-XVIII სს-ში მოხისი მცხეთის საპატრიარქოს სფეროშია. მოხისი შედიოდა ზემო ქართლის საღრბოში, რომელსაც ამილახვრები სარდლობდნენ. 1785 წ. მოხისთან ქართველთა და რუსთა გაერთიანებულმა ლაშქარმა უკუავადო თურქ-ლეკთა მოთარეშე რაზმები (სინ 1973: 99; გვასალია 1989: 80; სძა 1990: 378, 379). მოხისში გადიოდა მნიშვნელოვანი გზა - გორი -

რუისი – საღლაშენი – არადეთი – მოხისი – ვაყა – ბორჯომის ხეობა (კახაძე 1990: 378).

მოხისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

მოხისიდან 1,5 კმ-ზე, ადგილ ნაომრების ფერდზე აღმოჩნდა ადრე შუა საუკუნეების სამაროვანი. გაითხარა ერთი დაზიანებული ქვაყუთი (სძა 1990: 379).

მოხისის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დგას აგური-თარ და ფლეთილი ქვით ნაგები, წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია (15X9 მ), რომელსაც სამხრეთითა და დასავლეთით თაღოვანი შესასვლელები აქვს. საკურთხეველი სწორკუთხოვანია, რომლის წინ მოხატული კანკელია. აღმოსავლეთ კედელში სარკმელია, ხოლო გვერდით კედლებში – თაღოვანი ნიშები. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ზემოთ ჩასმულ ქვაზე ამოკვეთილია შვიდსტრიქონიანი მხედრული წარწერა და ქვის ჯვრის რელიეფური გამოსახულება. ეკლესიას დასავლეთიდან სამრეკლო აქვს მიშენებული, სამხრეთიდან – კარიბჭე. სამრეკლო ორსართულიანია. გადახურულია გუმბათოვანი კამარით. აგებულია 1811 წ. (სძა 1990: 379; გვასალია 1989: 18, 19)

მოხისში ეკლესიასთან დგას რიყის ქვით ნაგები XVII ს-ის ორსართულიანი კოშკი. ორივე სართული გადახურულია კამარებით. ნაგებობა დაზიანებულია. კოშკსა და ეკლესიას გარს უვლის გალავანი (სძა 1990: 379; გვასალია 1989: 18, 19).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1983: 59; ბაგრატიონი 1986: 40, 43, 47, 48; ბაგრატიონი დავით 1941: 17; გიულდენშტედტი 1962: 279; გვასალია 1989: 18, 19; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 133, 184; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 145; მცირე ქრონიკები 1968: 38; სძა 1990: 378, 379; საქ. სიძ. 1899: 310; სიძ 1973: 99; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 177, 179, 264, 529, 530, 591, 866, 987; 1972: 521, 554; 1974: 383; 1981: 508; 1985: 319, 932; ქრონიკები 1897: 196, 197, 327, 331, 348, 368, 420; ქც 4: 302,26; 376,26; 393,10; 396,22; 810,22; ცხოვრება ... 1980: 40, 74, 153.

მრავალძალი (ქც 4: 765,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 765,9), „ამირეჯიბთა სიგელი“ (ქრონიკები 1897: 211), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 107, 119, 293; 1964: 301).

ვახუშტი ბაგრატიონი მრავალძალის შესახებ გადმოგვცემს: „ბარის წყალს ზევით არს მთაში მრავალძალს ეკლესია წმინდის გიორგისა და ჯუარი დიდი ოქროსი, სასწაულთმოქმედი“ (ქც 4: 765,8-10). მდებარეობს ონის მუნიციპ-ში, სოფ. მთისკალთის მიდამოებში. მრავალძალი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

მრავალძალის წმინდა გიორგის XI ს-ის დარბაზული ეკლესია (11X6,5 მ) დგას სოფლის გარეთ, მთის კალთაზე. ნაგებია თლილი ქვით. დაზიანებულია. შემორჩენილია აღმოსავლეთი ფასადი, ნახევარწრიული აფსიდი და ნიშები. ეკლესიის აღ-

მოსავლეთ და სამხრეთ კედელზე შერჩენილია XI ს-ის ნუსხანუცური, ასომთავრული წარწერები და ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტები (ბოჭორიძე 1994: 202, 203).

ბიბლიოგრაფია: ბოჭორიძე 1994: 202, 203; გიულდენშტედტი 1962: 107, 119, 293; 1964: 301; სხირტლაძე 1982: 40-49; უვაროვა 1894: 122-127; ქც 4: 765,9; ქრონიკები 1897: 211.

მტკვრის ციხე (ქც 4: 352,1; 394,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 352,1; 394,10), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მეორე ტექსტი (ქც 2: 350,28,31; 351,16; 488,26,27,29), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 132).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ციხისძირის სამხრით არის ციხე მტკვრისა, სარკინეთის მთასავე ზედა, რომელი აღაშენა მეფის კონსტანტინეს ძემან ბაგრატ“ (ქც 4: 352,1-3). ვახუშტი ბაგრატიონი მტკვრის ციხეს მოიხსენიებს მდ.მტკვრისა და ქციის შესართავშიც (ქც 4: 324,10-14) (იხ. ხუნანი).

მდებარეობს მცხეთის მუნიციპ-ში, სარკინეთის მთაზე, სავანეთის ქედის ზოლო მწვერვალზე, მდ. ქსნის მარცხენა მხარეს, მტკვართან შეერთების ადგილზე, სოფ. ციხისძირის პირდაპირ.

წყაროებში ციხე ვახუშტი XVI ს-იდან. ბერი ეგნატაშვილი მას მოიხსენიებდა როგორც მტკვრის ციხეს (ქც 2: 350,28,31; 351,16; 488,26,27,29). მოსახლეობა მას ქსნის ციხეს უწოდებს. 1513 წ. კახეთის მეფე ავგიორგიმ (1511-1513) ალყა შემოარტყა მტკვრის ციხეს, მაგრამ ვერ აიღო და უკან გაბრუნდა. ავგიორგი მალევე მობრუნებულია. როცა ის მცირე ამალით ნადირობდა, ქართლის მეფე დავით X-ის (1505-1525) ძმამ, ბაგრატმა დაატყვევა და მტკვრის ციხეში დაამწყვდია. ავგიორგი იქვე მოკლეს 1513 წელს (ზაქარაია 1973: 107). მტკვრის ციხის სიმტიცეცა და გამძლეობაზე არსებობს თქმულება: სამთვიანი ალყის დროს ავგიორგის ბაგრატისათვის ღვინო გაუზავნია და შეუთვლია, რამდენი ხანია, ღვინო არ დაგილევი და გასინჯეო. ბაგრატს ჭაში ცოცხალი ორაგული ჰყოლია, გაუზავნია და შეუთვლია: სამ თვეს ქსანზე დგახარ და ორაგული არ გიგემია, აჰა, და იგემეო. ავ-გიორგი დაწრწუნებულია, რომ ციხე უზრუნველყოფილი იყო სურსათ-სანოვაგით, ალყა მოუსნია და გაბრუნებულია (ზაქარაია 1965: 143). XVIII ს-ში ციხე იმდენად ყოფილა დაზიანებული, რომ მის მაგიერ ნანგრევებზე 1746 წ. მუხრან-ბატონს, სახლოუხუცეს კონსტანტინეს ხელახლა აუგია ის, რის შესახებაც სამშენებლო წარწერა ვგამცნობს. მას ციხისათვის „კონსტანტიანობათი“ უწოდებია.

მტკვრის ციხე დგას მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილზე, გზაჯვარედინზე. ის აკონტროლებდა ქსნისა და მტკვრის ხეობებს. მისი კედლები რელიეფს მიუყვება. შიდა ტერიტორია სწორი ზედაპირია. ციხის გვემა არაწესიერი მრავალგვერდია.

გალავანი სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბურჯებით ყოფილა გამაგრებული. ციხეს ჰქონია ორი კოშკი – წირული გეგმისა ჩრდილო-აღმოსავლეთით, სწორკუთხა – ჩრდილო-დასავლეთით. შესასვლელი დასავლეთიდან უნდა ჰქონოდა. კედლები შემორჩენილი იყო 7-8 მ სიმაღლეზე. მეორედ აგებისას კედლები დაუმატებიათ აღმოსავლეთითა და სამხრეთით. აგრეთვე ოთხი სხვადასხვა ზომისა და ფორმის კოშკი. მათგან ყველაზე დიდი მოთავსებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. სწორკუთხა კოშკი დასავლეთის კედლის ცენტრშია აღმართული. მესამე, ცილინდრული ჩრდილო-დასავლეთ კუთხეშია. მეოთხე, ცილინდრული აღმოსავლეთი კუთხის ძველ კოშკზეა მიშენებული. კოშკების პირველი სართულები ყრუა, ზედა გამოყენებულია საცხოვრებლად. დატანებული აქვს ბუხრები, სარკმლები, სალოდებები და სათოფურები. პირველი ფენის ციხის კედლები ნაგებია რიყის ქვით კირის სქელ დუღაბზე. წყობაში დაცულია ჰორიზონტალური რიგები. მეორე ფენის კედლები ნაგებია რიყის ქვისა და აგურის წყობის მონაცვლეობით. აგურისაა წითლხლები და ქონგურები. ციხეში მოწყობილია წყალსაცავი, მარანი და სხვა (ზაქარაია 1950: 174-180).

ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1966: 21; კვრიტიშვილი 1955: 106, 359, 360, 363; დადიანი 1962: 132; ზაქარაია 1950: 165-202; 1965: 140-146; 1973: 106-111; მაკალათია 1968: 41, 42; ქც 2: 350,28,31; 351,16; 488,26,27,29; ქც 4: 324,12; 352,1; 394,10; ციციშვილი 1955: 80-86.

მტკვრის ციხე, იხ. ხუნანი.

მტკვრის ციხე, იხ. ხუნანი.

მუკუზანი (ქც 4: 368,16; 372,12; 511,6,7; 624,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 368,16; 372,12; 511,6,7; 624,9), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალანი საქ. ისტ. გეოგ. 1907: 160, 333, 335, 336; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 146; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 61), სენიანის „საქართველოს ცხოვრება“ (ჩხეიძე 1913: 41), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 201), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 42). ვახუშტი ბაგრატიონი მუკუზის შესახებ გადმოგვცემს: „გორიდან ღიახევის მდინარის სიგრძე არს მალრან-დვალეთამდე და დის მალრან-დვალეთიდან, აღმოსავლეთიდან დასავლეთად, მუგუთამდე; მუგუთიდან დის სამხრეთი გორამდე“ (ქც 4: 368,14-16). მდებარეობს ჯავის მუნიციპალიტეტში, ჯავიდან 6 კმ-ის დაშორებით, მდ. მუგუთის (დიდი ღიახევის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირას, თანამედროვე სოფ. მუგუთის ტერიტორიაზე. 1729-1731 წწ. კივი ამილახვარი მაჰმადყული-ხან-

სა (1722-1733) და ოსმალია ჯართან ერთად თავს დაესხა მუგუთში მყოფ თეიმურაზ მანაბელს და რაჭაში გააძევა (ქც 4: 511,6,7; ჩხეიძე 1913: 41; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 61; მაკალათია 1971: 22); XVII-XVIII სს-ში მუგუთი სამაჩაბლოში შემავალი სოფელია (გვასალია 1983: 113). XVIII ს-ში მუგუთში შემოსული ლეკები ქართველებმა გააძევეს (ორბელიანი 1981: 201). XVIII ს-ის მეორე ნახევარში ის ღიახევის ხეობაში შემავალი სოფელია (ბაგრატიონი 1986: 42).

მუგუთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

აქ მდგარა ციხე-კოშკი, რომელიც ამჟამად დანგრეულია (მაკალათია 1971: 20).

ამავე სახელწოდების („მუგუთი“) სოფლები მდებარეობს: ზნაურის მუნიციპალიტეტში (იხ. ავნიკი) და მდ. ქციის მარცხენა მხარეს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში (ლორთქიფანიძე 1935: 331; ხარაძე 1991: 76).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 42; გვასალია 1982: 29-57; ლორთქიფანიძე 1935: 331; მაკალათია 1971: 5, 7, 19, 20, 22; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 146; ორბელიანი 1981: 201; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 61; 624,9; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 28, 31; ჩხეიძე 1913: 41; ქც 4: 368,16; 372,12; 511,6,7; ხარაძე 1991: 76; 1992: 120.

მუკუზანი (ქც 4: 587,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 587,3), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 66), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (საქ. ისტ. ძეგ. 1967: 82, 83; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 511; 1977: 61; 1985: 464, 474).

ვახუშტი ბაგრატიონი მუკუზანს მოიხსენიებს კახეთის შაჰ-აბას I-ის წინააღმდეგ მეფე თეიმურაზ I-ის (1606-1648) საბრძოლო მზადებასთან დაკავშირებით: „შემოიკრიბნა თეიმურაზ სპანი კახთანი და გაავლო მუკუზნიდან გაღმა მხრამდე ჯებირი და დაღვა“ (ქც 4: 587,2-4).

მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტში, გურჯაანიდან 12 კმ-ის დაშორებით, სოფ. მუკუზანის ტერიტორიაზე. მუკუზანი წყაროებში პირველად იხსენიება XVII ს-ის ამბების თხრობისას (ქც 4: 587,2-4). 1797 წ. ომარხანმა გადაწვა მუკუზანი (ბაგრატიონი 1983: 66). XVIII ს-ის პირველ მეოთხედში მუკუზანში ცხოვრობდა 23 ყმა-გლეხი (საქ. ისტ. ძეგ. 1867: 83). 1812 წ. კახეთის აჯანყების დროს აქ იდგა 3000 მემკვიდრე (ბერძენიშვილი 1965: 454).

მუკუზანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) მიერ ჩატარებული დაზვერვითი ხასიათის სამუშაოებისას მუკუზანის ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე გამოვლინდა ქვევრსამარხებით წარმოდგენილი ძვ. წ. III ს-ის სამაროვანი. სოფლის მიწებზე მიკვლეულია შუა საუკუნეების ნასახლარი (ფიცხელაური, დედაბრიშვილი 1969: 8).

მუკუნის მიდამოებში შემორჩენილია: 1. ზეგანი მონასტერი – VII ს-ის სამეკლესიანი ბაზილიკა. 2. V ს-ის წმიდა მარინეს ეკლესია. 3. განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია. 4. შუა საუკუნეების გალავანი და სხვა ნაგებობათა ნაშთები (ბარნაველი 1956: 47).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1983: 66; ბარნაველი 1956: 47; ბერძენიშვილი 1965: 454; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 82, 83; ფიცხელაური, დედაბრიშვილი 1969: 8; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 511; 1977: 61; 1985: 464, 474; ქც 4: 587,3.*

მურის ციხე (ქც 4: 749,12). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:749,12), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 80), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 190, 191, 206), იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“ (1948: 31), თეოდოსი განგრელის „მოგონებები“ (განგრელი 1941: 51, 52, 55, 56), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 327).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ცხენისწყლის აღმოსავლეთ არს ცაგერის ეკლესია დიდშენი ... ამას ზეით არს მონასტერი, წოდებული მაქსიმე აღმსაარებელისა ... ამას ზეით ცხენისწყალზედ, არს კავკასის ძირს მურის ციხე“ (ქც 4: 749,7-13).

მდებარეობს ცაგერის მუნიციპ-ში, ცაგერის ჩრდილოეთით, მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ლეჩხუმ-სვანეთის საზღვარზე (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 80; დადიანი 1962: 179; ბერაძე 1976: 71-72; სულავა 1996: 58).

ციხე აგებულია ადრე შუა საუკუნეებში და მოქმედებდა XIX ს-ის პირველ ნახევარშიც (ბერაძე 1976: 63-74). უჭირავს მოხერხებული მდებარეობა. ის კეტავდა ლაჯანურის ხეობიდან ცხენისწყლის ხეობაში გადასასვლელ გზას. გვიან შუა საუკუნეებში იქ იყო დადიანების სასახლე (დადიანი 1962: 179; ბერძენიშვილი ... 1983: 20). ზოგიერთი ავტორი მურის ციხეს ბერძნულ წყაროებში მოხსენიებულ სხიმარსკიომართან აიგივებდა (განგრელი 1941: 54; ბრილიანტოვი 1917: 28; ბერძენიშვილი ... 1983: 18).

ციხეზე შემორჩენილია ოთხი კოშკი. შესასვლელი აქვს სამხრეთ-დასავლეთიდან. აღმოსავლეთ ნაწილში დაზიანებული ორნარითეულიანი სახლია, რომელიც დადიანების სასახლე უნდა ყოფილიყო. ფრაგმენტულადაა შემორჩენილი გალავანი. ციხის ტერიტორიაზე სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობებია. ციხე თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით. აღდგენილია გვიან შუა საუკუნეებში (ბერაძე 1976: 63-74; ბერძენიშვილი ... 1983: 19).

1914 წ. ზაფხულში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. მარი) მურის ციხეზე ჩაატარა დაზვერვები. ფოტომასალა დაცულია სანკტ-პეტერბურგის არქეოლოგიის ინსტიტუტში (ბერძენიშვილი ... 1983: 67-68; ბერაძე 1976: 71-73).

მურის ციხიდან ცნობილია შემთხვევითი აღმოჩენები: 1976 წ. გზის გაყვანისას გამოვლინდა ქვევრ-სამარხი, რომელშიც ნაპოვნია ოქროს სასაფეთქლე, ოქროს 2 მძივი და გამჭვირვალე მინის 13 მძივი. ქვევრსამარხი თარიღდება ძვ. წ. IV ს-ის დასასრულითა და III ს-ით. იმავე ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აღმოჩნდა: ვერცხლის სასაფეთქლე რეოლი; ბურცობებით შემკული რკინის სამაჯური, რომლებიც თარიღდება ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებითა და მეორე ნახევრით. IV ს-ის მეორე ნახევრითაა დათარიღებული აბზინდა; ძვ. წ. IV ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება „კოლხური თეთრი“, გვიანანტიკური ხანისაა 2 დანა მოხრილი პირით; შუბისპირი, ისრისწერი, ლურჯი მინის გამჭვირვალე, დაწახნაგებული მძივი (სულავა 1996: 58-61), მასალა ინახება ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

მურის ციხესთან, ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე შემორჩენილია მცირე ზომის დარბაზული ტიპის დაზიანებული ეკლესია, რომელსაც მაქსიმე აღმსარებლის სახელს უკავშირებენ (ბერაძე 1976: 71-73).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1948: 31; ბაგრატიონი დავით 1941: 80; ბაქრაძე 1875: 161; ბერაძე 1976: 63-74; ბერძენიშვილი 1966: 73; ბერძენიშვილი ... 1983: 17-20; განგრელი 1941: 51-56; ბოროზდინი 1885: 39, 40, 51, 105, 208; ბრილიანტოვი 1917: 6, 28, 29, 34, 38, 39, 46, 58, 59, 60, 61; გიულდენშტედტი 1962: 327; დადიანი 1962: 184, 190, 191, 193, 206; მუსხელიშვილი 1975: 20; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 358; სულავა 1996: 58-65; ტულუში 1988: 79; ქც 4: 749,12; ჩიჭიაია 1944: 261, 267; ჩიქოვანი 1971: 67, 68, 70-72, 80, 81, 84, 85.*

მურჯანაშვილი (ქც 4: 712,25 ; 811,24). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 712,25; 811,24), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 354,20, 497,27), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 48), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 381, 382; მცირე ქრონიკები 1968: 30, 33, 39, 46, 47, 50, 55) გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 15, 236), XVII ს-ის ოსმალური დოკუმენტები (XVI-XVIII სს ოსმალური ... 1987: 150), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 217).

მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპ-ში, მურჯახეთის წყლის მარცხენა ნაპირზე, ახალქალაქიდან ოთხი-ოლე კმ-ის დაშორებით, დღევანდელი სოფ. მურჯახეთის ტერიტორიაზე.

1535 წ. იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565) გაილაშქრა სამცხის ათაბაგ ყვარყვარე III-ის (1515-1535) წინააღმდეგ, ბრძოლა გაიმართა მურჯახეთთან. დამარცხებული ათაბაგი ტყვედ ჩავარდა და მალე გარდაიცვალა (ქც 2: 354,17-24 ;

497,27; ქც 4:712,25; 811,24). გვიან შუა საუკუნეებში არსებობდა სამი მურჯახეთი: დიდი, შუა და პატარა. ოსმალების მიერ დაპყრობილი სამცხე-საათაბაგოსათვის 1595 წ. შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, სოფლები შედიოდა ახალქალაქის ლივაში – თურქულ სამმართველო ოლქში. დიდ მურჯახეთში 9 კომლს უცხოვრია, პატარაში 6-ს. შუა მურჯახეთი დავთრის შედგენის დროს უკვე გაუკაცრიელებული ყოფილა. ჩვენს დრომდე მხოლოდ ერთმა მურჯახეთმა მოაღწია (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 334, 335). 1937 წ. მურჯახეთში შემთხვევით აღმოჩნდა თურქული მონეტების განძი (ანთაძე 1982: 83). 1969-1973 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. დ. ბერძენიშვილი) მურჯახეთის მიდამოებში მიაკვლია წინაფეოდალური ხანის გორანამოსახლარს (ტატიშვილი 1976-1977: 29). მურჯახეთის განძში 355 ვერცხლის, მონეტაა. ისინი მოიცავენ 1687-1730 წლების პერიოდს და წარმოადგენილია შემდეგი მონეტებით: სულეიმან II-ის (1687-1691), აჰმედ II-ის (1691-1695), მუსტაფა II-ის (1695-1703), აჰმედ III-ის (1703-1730), მეჰმედ I-ის (1730-1754). განძში წარმოდგენილია შემდეგი ნომინალები: ყურუში, ნახეგარყურუში, ონქილი და აზჩა. ყველაზე ადრეულია 1687 წ. სულეიმან II-ის სახელით მოჭრილი მონეტა, ყველაზე გვიანდელია მეჰმედ I-ის სახელით 1730 წ. მოჭრილი. მონეტები მოჭრილია კონსტანტინეპოლის, ედირნეს, არზრუმის, თბილისის, განჯისა და გუმუშაჰანეს ზარაფხანებში. განძი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (ანთაძე 1982: 83-98).

მურჯახეთში შემორჩენილია XI ს-ის დარბაზული ტიპის ეკლესია, ნაგები ფლეთილი ქვებით კირხსნარზე. გრძივი კედლები გაყოფილია სამი თაღით. ეკლესიის ოთხივე კედელში თითო სარკმელია. საკურთხეველოში რელიეფური ხასიათის XVII ს-ის მხედრული წარწერაა (მასალები კავკ. არქ. 1909: 28). ეკლესიის დასავლეთით აღმართულია მონოლითური სალოცავი ქვა. მოსახლეობა მას „ძიქვას“ უწოდებს. ქვის სიმაღლეა 3,2 მ. მასზე გამოსახულია ფალოსი და კტეისი განაყოფიერების დროს. ნახევრად მიწაში ჩაფლული მთიერ ასეთი ქვა, რომელსაც „ცლაღას“ სახელით მოიხსენიებენ, იქვე მახლობლადაა. ხალხური რწმენით, ქვები უშიგლო ქალებს ნაყოფიერებას ანიჭებდა (მასალები კავკ. არქ. 1909: 28; მაკალათია 1938: 114).

1985-1986 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ო. ღამბაშიძე) დაზვერვების დროს სოფ. მურჯახეთში მიაკვლია მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილ ბაზალტის მოგრძო მონოლითს, რომლის სიგრძე 2 მ-ზე მეტია, სიგანე 0,4 მ, სისქე 0,35

მ. სოფ. მურჯახეთის ტერიტორიაზე ეს უკვე რიგით მესამე ქვაა, რომელიც სალოცავი ობიექტს წარმოადგენდა (ღამბაშიძე ... 1991: 34).

ბიბლიოგრაფია: ანთაძე 1967: 195-200; 1969: 132-147; 1982: 83-98; ბერძენიშვილი 1964: 58-60; გიულდენშტედტი 1962: 217; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 15, 236; 1958: 334, 335; მაკალათია 1938: 114; XVI-XVIII სს-ის ოსმალური ... 1987: 150; მცირე ქრონიკები 1968: 30, 33, 38, 39, 46, 47, 50, 55; ტატიშვილი 1976-1977: 29-33; ქც 2: 354,20; 497,27; ქც 4: 712,25; 811,24; ქრონიკები 1897: 381, 382; ცხოვრება ... 1980: 48; მასალები კავკ. არქ. 1909: 27, 28; ღამბაშიძე ... 1991: 34.

მუსის ციხე (ქც 4: 317,20). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 317,20).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ყარაბულახის „სამხრით არს ციხე მაღალი, კლდის ზღუდით მოზღუდვილი, წოდებული მუსის ციხე-ყალა“ (ქც 4: 317,19,20).

მდებარეობს დმანისის მუნიციპალიტეტში, ზურტაკეტში, მდ. ყარაბულახის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ქარიანთან, სუკალას ტერიტორიაზე (ხარაძე 1979: 219).

1986 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მაშაფერას ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. კახიანი) დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა მუსის ციხის ტერიტორიაზე, სადაც აიკრიფა გვიანი ბრინჯაოს პერიოდისა და ანტიკური ხანის კერამიკის ფრაგმენტები, ხოლო ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი. ციხე მდებარეობს მდ. ყარაბულახის მარჯვენა ნაპირზე. ციხედ გამოყენებულია ბუნებრივი მღვიმე. აქვს სამი სათოფური და ერთი სარკმელი. მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით უხეშად დამუშავებული ქვით ნაგები შენობაა, რომელსაც შესასვლელი აქვს დასავლეთიდან, სარკმელი – სამხრეთიდან.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1982: 3-28, 27; გულისაშვილი 1900: №156; ქც 4: 317,20; ხარაძე 1979: 211-200, 219; 1991: 57.

მუხათაშვილი, მუხათაშვილი, სოფელი (ქც 4: 145,12). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:145,12 ; 339,11, 407,9), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 296,28), ბერი ვენანტაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტი (ქც 2: 367,12,13; 511,8,10), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ლოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 183; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 176, 191, 264, 532; 1974: 544; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 147), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 532), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1981: 30), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 61).

ვახუშტი ბაგრატიონი მუხათგვერდის შესახებ გადმოგვცემს: „ნაქულბაქევის ზეით არს დევის-ნამუნლი-კლდე, გაჭრილი გზად. მას ზეით მუხათგვერდი“ (ქც 4: 339,11).

მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, მცხეთიდან 6 კმ დაშორებით, სოფ. მუხათგვერდის მიდამოებში. არსებობს მოსაზრება, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული „მუხათგვერდი“, შესაძლოა, თბილისის სამხრით, კოდას მახლობლად მდებარე „მუხათს“ წარმოადგენდეს (ჯავახიშვილი 1965: 36).

1032 წ. კლდეკარის ერისთავმა ლიპარტ ლიპარიტის ძემ და ქართლის ერისთავმა ივანე აბაზასძემ მუხათგვერდში შეიპყრეს თბილისის ამირა ჯავახრი, რომელიც შემდგომ ბაგრატ IV-მ შეიწყალა და გაათავისუფლა (ქც 1: 296,28; ქც 4: 145,12). XIV-XVI სს-ში მუხათგვერდი მცხეთის საკათალიკოსო მამულებში შედიოდა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 176, 191, 264), 1561 წ. თბილისში მდგარ ყოზილბაშებთან ბრძოლის წინ, სვიმონ I-ისა (1556-1660) და ლევან კახთა მეფის (1520-1574) შვილის, გიორგი ბატონიშვილის გაერთიანებული ლაშქარი ციხედიდში (მეგვის მახლობლად) დაბანაკდა. ყოზილბაშების მოულოდნელი თავდასხმის ასაცილებლად ქართველებმა მუხათგვერდი-დევის ნამუხლართან მოდარაჯეთა რაზმი დააყენეს. ყარაულის უფროსი – გერმანოზიშვილი თავისი რაზმით მუხათგვერდში სააღდგომო წირვის მოსასმენად ავიდა. მტერმა ამით ისარგებლა, შეუმჩნევლად გადალახა საყარაულო და მოულოდნელად თავს დაესხა ქართველთა ბანაკს (ქც 2: 367,12,13; ქც 4: 407,9; 511,8,10). XVIII ს-ში მუხათგვერდში ცხოვრობდნენ კათოლიკოსის ყმები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 183). თბილისიდან მცხეთაში გზა გადიოდა მთებზე, ნაქულბაქევის გავლით და ეშვებოდა მუხათგვერდთან (ოსელები 1971: 88). დიღმის ველიდან მუხათგვერდის გავლით გზა მიდიოდა შიდა ქართლში (ბერძენიშვილი 1990: 213).

1937 წ. მუხათგვერდის მიდამოებში არქეოლოგიური დაზვერვით ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (აფაქიძე ... 1955: 5). 1975-1976 წწ. იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის ექსპედიციამ (ხელმძღ. ა. აფაქიძე) მუხათგვერდის მიდამოებში შეისწავლა ადრე შუა საუკუნეების სამაროვანი – მუხათგვერდი I (აფაქიძე ... 1978: 96-99). 1979-1983 წწ. ექსპედიციამ სოფ. მუხათგვერდთან გამოავლინა და შეისწავლა მრავალფენიანი ძველი – მუხათგვერდი II (აფაქიძე ... 1982: 208-211).

მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, საქართველოს სამხედრო გზის მე-19 კმ-ზე, სოფ. მუხათგვერდთან მდებარე მრავალფენიან ძველზე – მუხათგვერდი II, გაითხარა 1760 კვმ ფართობი. გათხრების შედეგად აღმოჩნდა: ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარის ნაშთები და ოთხი სამეურნეო ორმო; გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა და ელინისტური ხანის სამაროვნები. ადრებრინჯაოს ხანის სახლები წრი-

ულია; მათ სამირკველს წარმოადგენს ერთ რიგად ჩადგმული ფლეთილი ქვისაგან შეკრული წრეები (დმ 5,6 მ). ერთი სახლის (№3) ძირზე დადასტურდა თიხატექნიკის იატაკი, რომელზეც აღმოჩნდა: ბათქაშის დამწვარი ნაშთები, ალიზ-აგურისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები. შუასახლში გამართული ყოფილა სამშენილიანი, ოვალური კერა (დმ 0,6X0,7 მ), რომელიც ამოვსებული იყო დამწვარი ნახშირითა და თიხის ჭურჭლის ნატეხებით. სამეურნეო ორმოები (დმ 1,4-1,5 მ) ამოვსებული იყო თიხის ჭურჭლის ნატეხებით (შაებრიალა, ვარდისფერსარჩულიანი, ნახევარსფერული, ზურგწიბოიანი ყურიანი ქილები, სასმისები და სხვ.), ობსიდინის ანატაკეციბითა და წვრილფენა თუ მსხვილფენა ცხოველების ძვლებით. სახლებისა და ორმოების მასალა დამახასიათებელია მტკვარ-არაქსული კულტურის მოგვიანო საფეხურისათვის და ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება. ადრებრინჯაოს ხანის ძველი დაზიანებული იყო გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და ელინისტური ხანის სამაროვნები.

მუხათგვერდი II-ის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის 31 სამარხი წარმოდგენილი იყო: ქვყრილიანი, ქვაწრიანი, ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხებითა და ერთი ძელსამარხით. მიცვალებულები დაუმორჩილები კიდურებმოსორილი, მარჯვენა (მამაკაცები) ან მარცხენა (ქალები) გვერდზე, უმეტესად თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამაროვანზე აღმოჩნდა 7 სამარხი – კენოტაფი. ზოგიერთ მათგანში დადასტურდა სარეცლისა თუ საფენის ნაშთები და სასთუმლად გამოყენებული რიყის ქვები. სამაროვანზე გავრცელებული იყო ცხოველთა ძვლების (აღაბი) ჩატანების წესი; სამარხებში აღმოჩნდა: შავად და ნაცრისფრად ნაპირიანები ღერგები, ქოთნები, ღოჭები, ლანგრები, ჯამები, სასმისები, ტოლჩეები და სხვ., შემკული ჩალარული სარტყლებით, ტალისებური ღერებით, კანელურებით, ნაპირიანები ხაზებითა და სხვ. იარაღიდან გვხვდება: ბრინჯაოს სატყვარები, შუბისპირები, დანისპირები. სამკაულიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, საკისრე რკალები, ბეჭდები, საკინძები და სხვ. სარდიონის, ანთიმონისა და პასტის მძივები, კილიტები და სხვ. სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. XIV-VII სს-ით (აფაქიძე ... 1982: 208, 209). მასალა ინახება მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე. სამარხი №59 (2X1,7 მ) წარმოადგენს კარგად დამუშავებული, ორი მასიური ქვის ფილით გადახურულ ორმოსამარხს, რომლის დასაკრძალავი ორმო შეკრული ყოფილა ხის ძელებით. დადასტურდა ძელთა წყობის ორი რიგის ნაშთი. ძელების გარდა აღმოჩნდა ქვის ფილები ნატეხები, შესამლოა, სახურავის (ქვის ფილების) დასაკავებლად. მიცვალებული დაუკრძალავთ კიდურებმოსორილი, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამარხში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი: ლეკად ან მონაცრისფროდ გამომწვარი გვერდებჩალარუ-

ლი ლანგარი, ჯამი, ყურიანი ქოთანნი, დერგი, იარალ-სამკაულიდან აღსანიშნავია: რკინის მახვილი ბრინჯაოს ტარით, სატყეარი ბრინჯაოს ტარით, მასრაგახსნილი შუბისპირი, მოხრილი დანა, ორფრთიანი ისრისპირები, ღარისებური ნივთი, ბრინჯაოს სარტყელი, თხელფირფიტოვანი ქარქაში, სამაჯურები, ლილები, მინისა და პასტის მძივები. სამარხი თარიღდება ძვ. წ. VIII-VII სს-ით.

სოფ. მუხათგვერდის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა ბორცვზე, საქართველოს სამხედრო გზის მე-15 კმ-ზე მდებარე სამაროვან მუხათგვერდ I-ზე გათხარა 360 კვმ ფართობი. იქ აღმოჩნდა შუა ბრინჯაოს ხანის ერთი ქვაყრილიანი სამარხი-კენოტაფი, სადაც დამასტურდა მოყავისფრო-მონაცრისფრო გამოწვარი 3 ქოთანნი, 2 ჯამი, სამარილე და ობსიდიანის ანატკეცი (საღრაძე 1993: 63, 64).

სამაროვანზე გათხარა ქვის ფილებით შედგენილი 56 სამარხი და 1 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი. ისინი წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა, ბანურსახურავიანი. სამარხებში ესვენა ერთიდან სამამდე მიცვალებული. ისინი დაუკრძალავთ ზურგზე გამოტოლნი, თავით დასავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა: რკინისა და ბრინჯაოს მთლიანადსხმული ან ძოწის, მარჯნისა თუ ძვლის თავებით შემკული საკინძები, იქვეა გამოვლენილი მინის, პასტის, სარდიონის, ძოწის, გიშრის, ქარვისა თუ სხვ. მასალისაგან დამზადებული მძივები, ბრინჯაოს ეფენები, მშვილდსაკინძები, საბეჭდავი, აპზინდა, რკინის ქამრის ფრაგმენტები და სხვ. სამაროვანი თარიღდება ახ. წ. IV-VIII სს-ით (აფაქიძე ... 1978: 96-99). მასალა ინახება მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაში.

სამარხი №68 შეკრული იყო უხეშად დამუშავებული ხუთი ქვის ფილით. გადახურათ სამი ასეთივე ფილით. მიცვალებული დაკრძალათ ზურგზე გამოტოლი, თავით სამხრეთ-დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა: ძოწის, გიშრის, ქარვის, სარდიონის 69 მძივი; ბრინჯაოს სამაჯური, ეფენი, საბეჭდავი, მშვილდსაკინძი, საყურე; რკინის რგოლებით შედგენილი სარტყელი. სამარხი თარიღდება VI-VIII სს-ით (აფაქიძე ... 1978: 98, 99).

სოფ. მუხათგვერდის აღმოსავლეთით, რადიოტექნიკური ინსტიტუტის ტერიტორიაზე გამოვლინდა რიყის ქვით ნაგები, თიხით შელესილი კედლის ფრაგმენტები და პატარა სათავსოები. იქ აღმოჩნდა გვიანი შუა საუკუნეების თიხის ჭურჭელი და 1872 წ. მოჭრილი იმპერატორ ალექსანდრე II-ის სპილენძის მონეტა. კედლებისა და სათავსოების ფუნქცია გაურკვეველია (აფაქიძე ... 1995: 88).

სოფლის თავზე დგას XIII-XIV სს-ის დარბაზული ტიპის, წმინდა გიორგის ეკლესია. გეგმით სწორკუთხაა. მოპირკეთებულია თლილი ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. სარკმლები საკუთხეველში, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებშია (შემერლინგი ... 1960: 64-65). სოფელთან, მტკვრის ტერასაზე, საქართველოს

სამხედრო გზასა და მდინარეს შორის შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ცილინდრული კოშკის ნაშთები (აფაქიძე ... 1955: 5; შემერლინგი ... 1960: 8).

ბიბლიოგრაფია: აფაქიძე ... 1955: 5; აფაქიძე ... 1978: 96-99; აფაქიძე ... 1982: 208-211; აფაქიძე ... 1982ა: 68, 69, 77, 78; აფაქიძე 1982ბ: 38; აფაქიძე ... 1984: 49-50; აფაქიძე ... 1989: 6-39; აფაქიძე ... 1995: 83-89; ბაგრატიონი 1986: 30; ბერძენიშვილი 1966: 18, 20, 59; 1990: 213, 224, 327; გვრიტიშვილი 1965: 207; გიულდენშტედტი 1962: 61; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 183. იოსელიანი 1871ა: 88; კალანდაძე 1979: 151, 152; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 147; საღრაძე 1993: 63, 64; სძა 1990: 296-297; ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 532; 1974: 554; 1974: 176, 191, 264; ქც 1: 296,28; ქც 2: 367,12,13; 511,8,10; ქც 4: 145,12; 339,11; 407,9; შემერლინგი ... 1960: 8; ჭანიშვილი 1985: 117-179; ჭანიშვილი ... 1985: 657-659; ხეცურიანი 1980: 418; 1981: 411; ჯავახიშვილი 1965: 36, 140.

მუხრანო, მუხნარი (ქვ 4: 350,1, 351,27, 352,26,27) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქვ 1: 43,20; 55,10; 109,9), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქვ 1: 150,17; 202,21; 212,10), მათიანე ქართლისა (ქვ 1: 270,11; 310,18, 311,1), ფავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ქვ I: 361,18), ყამთააღმწერელი (ქვ 2: 296,19; 303,8; 305,12; 309,1), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქვ 2: 332,19; 342,17; 350,25,28,29; 351,9,16; 355,25; 359,1; 373,17; 387,2; 391,5; 392,27; 405,12; 407,17; 413,2-4; 414,22; 415,9,14; 417,7-15; 418,22; 422,23; 433,18; 443,12; 462,32; 478,5; 488,25-27; 494,1-4; 528,1-5), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 102,14; 136,7; 164,28; 239,22,23; 244,15; 258,20; 270,3; 339,სქ.1; 340,9,10; 347,26; 348,3; 350,1; 351,27; 352,26,27; 354,12; 359,9; 364,18; 382,8; 385,12; 393,17,22,23; 396,25; 402,24; 407,18,20; 411,8,28; 413,5,9; 425,16; 429,24; 433,10; 436,18,28; 439,21; 495,24; 497,22; 500,10; 502,16; 506,25; 507,12; 510,4; 511,21; 512,7; 535,16; 571,11; 578,17; 587,13; 596,11,15; 623,1,2; 709,12; 722,12; 828,1), IX-XVIII სს-ის ისტორიული დოკუმენტები (ქრონიკები 1897: 6, 148, 182, 197, 204, 217, 320, 324, 332, 395, 428, 445, 446, 462; 1967: 90, 598; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 16, 272, 276, 334, 398; 1970: 190, 257, 348; 1974: 147, 152, 653; 1977: 690, 692, 693, 711; 1981: 142, 143, 384, 385, 657; 1985: 44, 371, 372, 544, 545, 637, 692, 693; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 69, 110, 135; დოკ. საქართველოს სოც. ისტ. 1940: 153, 184; 1953: 135, 158, 176, 235; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 56, 60, 64, 78, 89, 143, 161; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 146, 147; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 60, 170, 215; 1953: 262, 305; 1955: 59; ქართულ-სპარსული ... 1955: 137), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 48), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 47, 57, 90, 96, 97, 139, 146, 199,

200, 228, 244), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 50), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 34, 80), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 5, 7, 53, 57, 95, 275; 1964: 129, 131, 145, 227, 229), დე გრაი დე ფუას რელაცია (დე გრაი დე ფუა 1985: 44, 46, 51), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 350), კოხისა და სპენსერის ცნობები საქართველოს შესახებ (კოხი და სპენსერი 1981: 248, 258).

მუხრანი (მუხნარი) აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, მხოლოდ XVI-II ს-ის 70-იან წლებიდან მუხრანი აღნიშნავს ერთ დასახლებულ პუნქტს – ძველ სოფელ შიოსებას. სახელწოდება წარმოდგება „მუხნიდან“. მუხრანის მხარე ძირითადად მოიცავდა მუხრანის ველს. ვახუშტი ბაგრატიონი სამუხრანოში 56 სოფელს ასახელებს. ანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში მუხრანი ქართლის მეფეთა მფლობელობაში შედიოდა. VIII-IX სს-ში ის კახეთის ხელში გადადის და ზედაზნის ციხის მეპატრონენი, ძაგანისძენი ეუფლებიან. 1123 წ. დავით აღმაშენებელმა (1089-1125) ძაგანისძეებს მუხრანი ჩამოართვა და სამეფო საკუთრებად აქცია. 1512 წ. ქართლის მეფის დავითის (1505-1525) უმცროსმა ძმამ ბაგრატმა საუფლისწულოდ მუხრანი მიიღო და ასე შეიქმნა ერთ-ერთი ყველაზე დიდი სათავადო ქართლში – სამუხრანბატონო (გვასალია 1983: 106, 107).

მუხრანის ველზე მრავალი არქეოლოგიური ძეგლია: ნარეკვავის სამაროვანი და ნამოსახლარი (იხ. ნარეკვავი), ჩარდახის სამაროვანი, წეროვნის სამაროვანი და ნამოსახლარი (იხ. მცხეთა), ქანდის სამაროვანი (იხ. ქანდა) და სხვა.

სოფ. მუხრანის ტერიტორიაზე მცირემასშტაბიანი გათხრები ჩაატარა ნასტაკისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ა. ბოხოჩაძე). 1973 წ. სოფლის აღმოსავლეთით 1 კმ-ზე, ადგილ ჭაპურში ექსპედიციამ მიაკვლია გორანამოსახლარს, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „მელიების გორას“ უწოდებენ. ნამოსახლარზე ზედაპირულად აიკრიფა მტკვარ-არაქსისა და გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალები (ბოხოჩაძე 1974: 54-59). 1983 წ. მუხრანში გზის მშენებლობის დროს გამოვლინდა გვიანი ანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარი და სამაროვანი. მშენებლებმა არქეოლოგებს გადასცეს 2 ყელწიბოიანი დოქი, რომლებიც დამზადებული იყო კარგად განლექილი თიხისგან და გამოშვარი იყო მოვარდისფროდ. ნამოსახლარზე გაითხარა ნაგებობების ნაშთი, მარანი 6 ქვევრით და სამეურნეო ორმოები, რომლებშიც აღმოჩნდა მდიდარი არქეოლოგიური მასალა. სამარხების ნაწილი მშენებლობის დროს დაზიანდა, აქვე აღმოჩნდა ერთი დაზიანებული ქვევრ-სამარხი. ნამოსახლარი და სამაროვანი თარიღდება ახ. წ. I-VI სს-ით (ბოხოჩაძე 1986: 42-48). 1990 წ. „მამულაანთ მიწებზე“ გაიწმინდა ადგილობრივი

მოსახლეობის მიერ დანგრეული ყორღანი, რომლის დმ 52 მ იყო, ხოლო წრიული ფორმის დასაკრძალავი კამერის დმ 8 მ-ს უდრიდა. ყორღანი გაპარცული იყო და თარიღის დადგენა ვერ მოხერხდა. 1991 წ. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანში გაითხარა ყორღანი, რომელსაც „ნატივგორას“ უწოდებენ. ყორღანის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ნაწილი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ჩამოჭრეს. მისი დმ 50 მ, ხოლო სიმაღლე 5 მ იყო. ყორღანის ყრილი მდინარეული ხრეშის (0,3-0,8 მ), სუფთა მიწის (0,3-0,6 მ), მოზრდილი რიყის ქვებისა და ისევ მიწის (1,5-2,0 მ) შემცველი ფენებისგან შედგებოდა. მის ქვეშ, ყრილის ცენტრში, დაფიქსირდა წრიული ფორმის დასაკრძალავი ნაგებობა. მას საფეხურებისა და წაკვეთილი კონუსის ფორმა ჰქონდა. დასაკრძალავი ნაგებობის დმ მიწის ზედაპირზე 14 მ, ხოლო წაკვეთილი კონუსის თავთან 9 მ იყო; საფეხურის სიგანე 2 მ-ს, სიმაღლე კი 1 მ-ს უდრიდა. ყორღანის ყრილში მხოლოდ ობსიდიანის რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა, მის ტერიტორიაზე დაფიქსირდა მოგვიანარ ხანის ჩამოშენებული სამარხი (ბოხოჩაძე, მირიანაშვილი 2004: 104-108).

მუხრანის ციხე-გალავანი მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე. ციხე-გალავანი შედგება ციტადელისა და მასზე



მუხრანის ციხე-გალავანი

მიშენებული გალავნისაგან. ყველა ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია. ციტადელი გვეგვით თითქმის კვადრატულია (56X54 მ), კუთხეებში ცილინდრული კოშკები დგას. ციტადელზე ჩრდილოეთიდან და აღმოსვლეთიდან მიშენებულია გვეგვამი ოთხკუთხა გალავანი (155X160 მ). ციტადელის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დგას კარის ეკლესია (13X7,5 მ), რომელიც დარბაზული ტიპისაა, ხოლო სამხრეთ კედელთან სასახლე იდგა. გალავანში დგას ორი ეკლესია: გრივოდ განმანათლებლის გუმბათიანი ტაძარი (19,6X11,5 მ) და დარბაზული ეკლესია (14,1X5,8 მ). ციტადელის ჭიშკრის თავზე არსებული წარწერის თანახმად მუხრანის ციხე-გალავანი XVIII ს-ის 30-იან წლებში აუგია მამუკა მუხრანბატონის ლევან მუხრანბატონის დახმარებით. 1756 წ. ძლიერ დაზიანებული ციხე-გალავანი კონსტანტინე მუხრანბატონის განუახლება (ზაქარაია 1964: 150-156; 1973: 139-140; სძა 1990: 297-302).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი, 1983: 50; ბაგრატიონი, 1986: 34, 80; ბოხოჩაძე 1974: 54-59; 1986: 42-48; ბოხოჩაძე, მირიანაშვილი 2004: 104-108; გვასალია 1983: 106, 107; გოულდენშტედტი 1962: 5, 7, 53, 57, 95, 275; 1964: 129, 131, 145, 227, 229; დე გრაი დე ფუა 1985: 44, 46, 51; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 153, 184; 1953: 135, 158, 176, 235; ზაქარაია 1954: 150-156; 1973: 139-140; კოხი 1981: 248, 258; მასალია 1983: 60, 170, 215; 1953: 262, 305; 1955:

59; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 146, 147; ორბელიანი 1981: 47, 57, 90, 96, 97, 139, 146, 199, 200, 228, 244; შარდენი 1975: 350; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 56, 60, 64, 78, 89, 143, 161; წხეიძის 1913: 48; სძს 1990: 297-302; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 69, 110, 135; ქართულ-სპარსული ... 1955: 137; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 272, 276, 334, 398; 1970: 190, 257, 348; 1974: 147, 152, 653; 1977: 690, 692, 693, 711; 1981: 142, 143, 384, 385, 657; 1985: 44, 371, 372, 544, 545, 637, 692, 693; ქრონიკები 1897: 6, 182, 204, 217, 320, 324, 332, 395, 428, 445, 446, 462; 1967: 90, 598; ქც 1: 43,20; 55,10; 109,9; 150,17; 202,21; 212,10; 270,11; 310,18; 311,1; 361,18; ქც 2: 296,19; 303,8; 305,12; 309,1; 332,19; 342,17; 350,25,28,29; 351,9,16; 355,25; 359,1; 373,17; 387,2; 391,5; 392,27; 405,12; 407,17; 413,2-4; 414,22; 415,9,14; 417,7-15; 418,22; 422,23; 433,18; 443,12; 462,32; 478,5; 488,25-27; 494,1-4; 528,1-5; ქც 4: 102,14; 136,7; 164,28; 239,22,23; 244,15; 258,20; 270,3; 339,სქ.1; 340,9,10; 347,26; 348,3; 350,1; 351,27; 352,26,27; 354,12; 359,9; 364,18; 382,8; 385,12; 393,17,22,23; 396,25; 402,24; 407,18,20; 411,8,28; 413,5,9; 425,16; 429,2; 433,10; 436,18,28; 439,21; 495,24; 497,22; 500,10; 502,16; 506,25; 507,12; 510,4; 511,21; 512,7; 535,16; 571,11; 578,17; 587,13; 596,11,15; 623,1,2; 709,12; 722,12; 828,1.

მუხურა, დაბა (ქც 4: 755,6; 756,19,27,29). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 755,11; 756,19,27,29), XI, XIII, XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 48, 129; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 43, 143; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 179; 1970: 426, 481; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 147; საქ. ისტ. ქრონიკები... 1980: 266), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 53, 63, 82, 99), პროკოპი კესარიელის „საისტორიო თხზულება“ (პროკოპი კესარიელი 1965: 208), ალექსი იველევის იმერეთის სამეფოში ელჩობის „მუხლობრივი აღწერილობა“ (იველევი 1969: 86, 166), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 133, 169, 303). ვახუშტი ბაგრატიონი მუხურის შესახებ გადმოგვცემს: ჩიხორისა და სკანას „ზეით, ზუსაზედ არს დაბა მუხური“ (ქც 4: 756,26,27). მდებარეობს ტყიბულის მუნიციპ-ში, ტყიბულიდან 9 კმ-ის დაშორებით, მდ. მუსის ზემო წელში. მუხურა შესაძლოა VI ს-ში ბიზანტიურ წყაროებში არსებულ გეოგრაფიულ პუნქტს – მოზრის წარმოადგენდეს (პროკოპი კესარიელი 1965: 208). მუხურა ქართულ წყაროებში პირველად XI ს-ში მოიხსენიება (ქრონიკები 1897: 48; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 43), 1246-1250 წწ. მუხურის ორი გლეხი გელათს ეკუთვნოდა (ქრონიკები 1897: 129), XVIII ს-ში მუხურიდან 30 მცხოვრები კათოლიკოს მალაქიას ლაშქარში შედიოდა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970:

481), 1664 წ. გედეონ ლორთქიფანიძემ მუხურასთან მიწა შეისყიდა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 147), 1768 წ. სოლომონ I-მა (1752-1784) დაამარცხა ტახტის მამიებელი თავის ბიძაშვილი თეიმურაზ მამუკას ძე და მუხურის ციხეში დაატყვევა. 1791 წ. სოლომონ I-მა ერთგულების სანაცვლოდ მძევლად აიყვანა კონსტანტინე დავითის ძე და მუხურის ციხეში დაატყვევა (ბაგრატიონი 1941: 63). 1796 წ. სოლომონ II-მ (1789-1810) მუხურის ციხეში დააპატიმრა შეთქმულების მონაწილე, თავისი შვილიშვილი გიორგი. დაპატიმრებული გიორგი 1806 წ. გათავისუფლდა (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 67, 99).

მუხურა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფ. მუხურის ჩრდილოეთით დგას შუა საუკუნეების ციხესიმაგრე „მოდამნახე“, რომელიც „მუებოვარის“ სახელითაცაა ცნობილი.

სოფ. მუხურას მახლობლად, მთაწავაზე შემორჩენილია განვითარებული შუა საუკუნეების ელდათის წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევები.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 63, 67, 99; გიულდენშტედტი 1962: 133, 169, 303; იველევი 1969: 86, 166; პროკოპი კესარიელი 1934: 208; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 147; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 266; ქც 4: 755,11; 756,19,27,29; ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: 43, 143; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 179; 1970: 426, 481; ქრონიკები 1897: 48, 129; ხახანაშვილი 1911: 8, 14.

მცხეთა, (იხ. აგრეთვე სტატია არამაზი), დედაქალაქი, ქალაქი, დიდი ქალაქი, შიდა-ქალაქი, სამეფო ქალაქი. იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 3,19; 9,13; 10,4; 11,3-6; 13,10; 15,10; 11,15; 17,21; 18,4; 19,3,4-6,8; 20,17,23; 23,10,26; 25,6,17; 27,12,14; 28,16; 29,6; 30,19; 33,4; 34,20; 35,12,16,17; 37,3,14,23; 38,24; 43,20; 44,5, სქ. 1,2; 47,8; 48,8,12; 51,12; 52,11; 55,6,11; 58,4; 62,12; 63,16,20; 64,5,22; 71,5; 79,4; 86,3,7,12; 88,4,6; 93,8; 95,12,19; 97,11; 98,4; 99,15; 100,4; 101,1; 106,19; 111,8; 114,22; 116,5,13; 121,17; 122,8; 123,7; 125,7; 128,1; 129,1; 132,14; 136,13), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (139,11; 140,20; 142,5; 145,4; 151,11; 157,20; 178,6; 180,3,5,6; 198,10; 200,19; 202,20; 204,11; 205,9; 208,19; 218,7; 223,11; 227,5; 229,8; 232,4; 233,7; 241,8,11; 243,7), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 265,15; 279,2; 282,18,19; 290,22; 296,8), „ცხოვრება დემეტრე მეფისა“ (367,4), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“ (ქც 1: 373,22; 374,1,11,12,16,19,21; 375,17), ბასილი ეზოსმოდღრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქც 2: 146,10; 224,3; 237,4), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 254,21; 257,3; 267,20; 278,8; 292,7; 323,10), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 328,29; 346,24; 350,3; 351,20,21; 357,13; 366,26,29; 373,11; 390,26; 424,8; 452,4,20; 473,14; 474,20; 475,4,5; 488,8; 490,2; 493,5,9; 496,29; 508,28;

510,13,17; 527,24; 537,4), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 7,13,15; 14,27; 25,29; 34,5; 50,19,27,28; 51,8,25; 53,3,5,6,17; 53,3; 55,9,13; 56,2,15; 57,1; 58,19; 59,4,12; 62,17; 63,1,10,20; 64,3,20; 65,3,20; 65,2,24,28; 66,22; 67,25; 68,2,6,9,11; 70,19; 71,2; 72,6; 74,19; 77,4,5,6,10; 78,14,15; 80,16,22,25; 81,10,27,30; 82,5; 83,12; 119,8; 124,3; 134,7; 137,4; 140,19; 170,20; 223,29; 230,27; 267,3; 279,22; 281,26; 282,4; 288,29; 294,22; 295,20; 297,21,27; 299,17; 303,17; 303,9,13; 333,17; 334,6,10; 338,23; 339,11; 340,1; 347,24; 348,7,8; 349,2,სქ.1; 350,2,16,18; 351,6; 357,23; 399,28; 402,11; 406,15,18; 412,29; 419,6; 420,15,19; 424,3; 431,სქ.1; 434,15,16; 446,21; 468,26; 470,5,14; 482,13; 495,16; 501,9; 502,10,12,14,16,19; 535,17; 536,14,სქ.2; 556,10; 564,19,25; 565,7; 566,11,19; 584,4; 606,5; 611,7,9; 612,21; 620,14; 620,14; 621,6; 522,9; 654,4,16; 657,21,22, სქ. 2; 691,6; 794,7,15), „მარტვილობაი ევსტათი მცხეთელისაი“ (მარტვილობაი ევსტათი მცხეთელისაი 1946: 45, 47, 53, 54), „ნინოს ცხოვრება“ (ნინოს ცხოვრება 1946: 218, 220, 221, 225, 227-229), გიორგი მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაი“ (ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაი 1946: 114, 120, 154), „მოქცევაი ქართლისაი“ (მქ 1979: 320, 326, 334, 339-341, 345, 347, 349), არსენ II კათოლიკოსის (?) „ცხოვრება იოანე ზედაზნელისა“ (ცხოვრება იოანე ზედაზნელისა 1955: 12, 22-25, 39, 66), „წამებაი აბიბოს ნეკრესელისა“ (წამებაი აბიბოს ნეკრესელისა 1955: 191, 210), „ცხოვრება გიორგი ათონელისა“ (ცხოვრება გიორგი ათონელისა 1946: 203), „მარტვილობაი რაჟდენ პირველმოწამისაი“ (მარტვილობაი რაჟდენისი 1946: 243), „ცხოვრება შიოსი და ევაგრესი“ (ცხოვრება შიოსი და ევაგრესი 1955: 92, 112), „ცხოვრებაი პეტრე იბერიელისაი“ (ცხოვრებაი პეტრე იბერიელისაი 1946: 257); IX-XIX სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 6, 11-13, 15-19, 28-30, 36, 37, 39, 43, 45, 48-51, 57, 58, 61, 66-68, 74, 77-78, 93, 168, 175, 182, 186; 1897: 34, 58, 127, 164, 184, 185, 187, 188, 192, 185, 197, 198, 202, 204-207, 212-214, 217-221, 224, 226-228, 231, 232, 235, 239-245, 247-250, 253-255, 259-261, 270-273, 277, 282, 285-290, 300, 306, 310, 316, 317, 319, 320, 323, 325, 330, 332, 335, 345, 346, 368-371, 373-376, 386, 390-395, 401, 408, 413, 416, 418, 423, 424, 430, 439, 441, 444, 453, 456, 457, 460-462, 464, 466, 469, 473, 481, 484, 486, 487, 489-491, 493, 496, 497, 504-506, 514, 515, 520; 1967: 21, 22, 25, 61-63, 73, 98, 115, 158, 168, 173, 174, 176, 183, 222, 243, 266, 398, 444, 457, 599, 606, 634; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 73, 77, 99, 140; 1953: 1-3, 14, 49, 146, 159, 200; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 20-31, 21, 37, 46, 57, 81, 11, 119, 125, 130, 132, 171, 177, 184; ქართ. სამართ. ძეგ. 1963: 478; 1965: 47, 126, 128, 136, 199-201, 304; 1970: 24, 110, 170, 176, 177, 179, 182-184, 189-195, 212, 215, 219, 237, 238, 251, 580, 567, 588, 590, 756, 786; 1972: 77, 252, 255, 441; 1977: 371; 1981: 274, 561, 636, 7748

1985: 94, 581, 582, 686, 756; საქ. სიძ. 1899: 8, 9, 239, 240, 241, 244, 246, 248, 280, 345; 1909: 145, 204, 274, 402, 441; 1910: 327, 481; სამხ. საქ. ისტ. 1961: 7, 11, 23, 25-27, 29, 31-32, 86, 89; ქართლ-კახეთის ... 1903: 188, 195, 197, 200, 209; მასალები საქ. ისტ. 1905: 34, 44, 58; მცირე ქრონიკები ... 1968: 32, 34; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 54-55, 59, 61, 65, 75, 80, 93, 99, 108, 118, 124, 136, 167, 173, 193, 209, 210, 214, 343, 351, 355-356; ქართ. ეპისტ. 1989: 85), XV ს-ის სომხური ხელნაწერები (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 130, 142, 151), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 18, 20-23, 38, 41, 63, 75, 83, 91, 97), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (საქართველოს ცხოვრება 1913: 302), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 701), XVIII ს-ის საისტორიო საბუთები (ქართ. ხელნაწ. აღწ. 1949: 21, 22, 29), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 34, 35, 52, 53, 59, 60, 78-80, 84, 86, 88, 102, 107, 111, 164, 235, 243, 244), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 30, 35, 38, 46), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 67), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 26, 47, 62, 70, 76, 111), კლავდიოს პტოლემეისის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ (პტოლემეისის 1955: 46, 60), მოსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“ (ხორენაცი 1984: 170), ავათია სქოლასტიქოსის თხზულება (ავათია სქოლასტიქოსი 1936: 41-42), ეპისტოლეთა წიგნი (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 66, 79, 87, 97, 122, 152, 155, 160, 161, 168, 170, 174, 175, 185, 187, 191, 226, 231, 234, 249-251), ჟან შარდენის „მოგზაურობა“ (შარდენი 1975: 389, 393), დე გრაი დე ფუას „ცნობები საქართველოს შესახებ“ (დე გრაი დე ფუა 1985: 86), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 5, 59, 61, 67, 93, 95, 111, 141, 147, 187, 207, 273; 1964: 129, 131, 145, 175). ვახუშტი ბაგრატიონი მცხეთის შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო მცხეთა არს ორს მდინარეს შორის: სამხრით უდის მტკვარი, აღმოსავლით არაგვი, და მუნ შეკრებიან“ (ქც 4: 348,7,8).



მცხეთის საერთო ხედი

მდებარეობს მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესართავთან, მტკვრის ორივე და არაგვის მარჯვენა ნაპირზე ახლანდელი ქ. მცხეთის ტერიტორიაზე (გამყრელიძე 2010: 69).


ძვ. წ. VI-V სს-ში მცხეთა ქალაქური ტიპის სამოსახლო იყო. ქართული წყაროების მიხედვით, მცხეთა დაკავშირებულია ლევანდარული ეთნარქის – მცხეთოსის სახელთან (ქც 1: 9,13). ქალაქს თავდაპირველად ეწოდებოდა „ქართლი“, ხოლო ფარნავაზის დროს, არმაზის კერპის აღმართვის შემდეგ – „არმაზი“. მცხეთა-ქალაქის მშენებლობას იწყებს ფარნავაზიანთა მერვე მეფე ბარტლომი. ადერკის მეფობის დროს, ჩნდება დედაქალაქის ორი ნაწილი: „არმაზით კერძო ქალაქი“ და „მუხნარით კერძო ქალაქი“ (ქც 1: 43,20; მქ 1979: 321; გრიგოლია 1954: 70, 74; აფაქიძე 1959: 51; ბერძენიშვილი 1990: 221, 222). მცხეთა რამდენიმე დამოუკიდებელი უბნისაგან შედგებოდა: საკუთრივ მცხეთა, არმაზი, მოგვთაკარი, სარკინე, წიწაშური და სხვა (აფაქიძე 1959: 7). ძვ. წ. 65 წ. პომპეუსის იბერიაში ლაშქრობისას იბერთა მეფე არტუცი (არტაგი) არმაზის დაცემის შემდეგ მტკვრის მეორე მხარეს (მცხეთას) გადავიდა და ხიდი დაწვა. ახ. წ. I ს-ის 70-80-იან წლებში ქართამის მეფობის დროს სომეხთა ლაშქარი 5 თვე იდგა მცხეთის გალავანთან (ქც 1: 48,12). ახ. წ. II ს-ში ფარსმან I-ის (II-ის?) მეფობის დროს სპარსელები მცხეთას მოადგნენ, მაგრამ მცხეთელებმა ისინი განდევნეს (ქც 1: 52,11). ახ. წ. I-II სს-ში რომაელებმა იბერიის სამეფოსადმი კეთილგანწყობის ნიშნად მცხეთის გალავანი გაამაგრეს, რის აღსანიშნავადც კედელში ჩასვეს წარწერა (ჯავახიშვილი 1960: 172). ახ. წ. IV ს-ის 30-იან წლებში წმინდა ნინო იბერიაში ჯვავახეთიდან ურბნისის გამოვლით მცხეთაში შემოვიდა (მქ 1979: 322; ქც 1: 88,4,6; ხორენაცი 1980: 170). 460 წ. ირანელების ქართლის სამეფოში შემოჭრის დროს ვახტანგ გორგასალი და ჯუანშერ სპასპეტი მცხეთაში გამაგრდნენ. ოთხთვიანი ბრძოლა მცხეთის მისადგომებთან ზავით დამთავრდა (ქც 1: 180,3,5,6; გოილაძე 1991: 152-154). 487 წ. ვახტანგ გორგასალმა სვეტიცხოველი აღადგინა და საეკლესიო რეფორმების შედეგად მცხეთის ეპისკოპოსად სამოელი დანიშნა (გოილაძე 1991: 195, 196). 554 წ. მცხეთაში გარდაიცვალა ბიზანტიის წინააღმდეგ მებრძოლი სპარსეთის ჯარის სარდალი მერმეროე (ავათია სქოლასტიკოსი 1936: 41, 42; ჯავახიშვილი 1960: 255). VI ს-ის დამდეგს აღმოსავლეთ საქართველოს მართვა-გამგეობა მცხეთიდან თბილისში გადავიდა და თბილისი ქართლის სამეფოს დედაქალაქი გახდა (ქც 1: 223,11; 373,22; გოილაძე 1991: 196-201). 628 წ. ჰერაკლე კეისარმა სპარსელებზე გამარჯვების შემდეგ თბილისსა და მცხეთაში ცეცხლთაყვანისმცემლების მოსანათლად ქრისტიანი მოქალაქეები გაგზავნა. 735-736 წწ., მურვან-ყრუს ქართლში ლაშქრობისას, ქართლის მმართველი მირი ბრძოლაში დაიჭრა და გარდაიცვალა. იგი მცხეთაში „ზემო ეკლესიაში“ დაკრძალეს (ქც 1: 241,11,12; გოილაძე 1991: 47).

მურვან-ყრუს ლაშქრობის შემდეგ მცხეთა ქალაქად აღარ იხსენიება.

მცხეთა მდებარეობდა სხვადასხვა მხრიდან მომავალი გზების გადაკვეთაზე. აქედან მუხრანზე გადიოდა სავაჭრო გზა. მცხეთაში მდებარეობდა „საბა-ყო“. მუხრანიდან ლართისკარის ვავლით გზა ასევე გადიოდა მცხეთაში და მცხეთის ხიდის ვავლით მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ხვდებოდა. მცხეთის ხიდი, რომელიც მტკვრის ორივე მხარეს აერთობდა, ელინისტიური ხანიდანაა (ძვ. წ. IV-III სს) ცნობილი. ის წყაროებში იხსენიება „პომპეუსის ხიდისა“ და „მოგვთა ხიდის“ სახელით. შემდგომში მისი მშენებლობა ვახტანგ გორგასლის სახელს დაუკავშირდა (ბერძენიშვილი 1966: 22). მცხეთიდან ლართისკენ მიმავალ გზას ბელტის (ბებრის) ციხე დარაჯობდა. მცხეთის ვავლით დვალეთისკენ გზა გადიოდა შემდეგი მარშრუტით: მუხრანი, რუხი (ნაჭარმაგვეი), ნიქოზი, ცხინვალი, კეხვი, გუმთა; ასევე მცხეთაზე გადიოდა თრიალეთიდან კახეთისკენ მიმავალი გზა; თბილისი-მცხეთის გზა ჟინვალთანაც იყო დაკავშირებული. მცხეთის საშუალებით ქართლი უკავშირდებოდა დასავლეთ საქართველოს, ჩრდილო კავკასიას, აზერბაიჯანსა და სომხეთს. აქ გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო გზებიც: სამხრეთიდან (არტაშატიდან) ჩრდილოეთ კავკასიაზე მიმავალი; აბრეშუმის დიდი გზა, რომელიც ძვ. წ. II ს-დან მოქმედებდა, იწყებოდა ჩინეთიდან და საქართველოს (კერძოდ, მცხეთის) ვავლით შავი და ხმელთაშუა ზღვების ნაპირებისკენ მიემართებოდა (ბერძენიშვილი 1966: 20-23, 27, 51).

მცხეთაში პირველი არქეოლოგიური სამუშაოები XIX ს-ის 70-იან წლებში დაიწყო. 1871 წ. საქართველოს სამხედრო გზის გაფართოებისას, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, მცხეთაში, სამთავროს მონასტრის სამხრეთით აღმოჩნდა სამარხები (შემდგომში „სამთავროს სამაროვანი“). მის შესასწავლად „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ“ გაგზავნა თავისი წევრი ფ. ბაიერნი, რომელიც გათხრებს აწარმოებდა 1871-1877 წლებში (ლომთათიძე 1945: 7, 8). 1902 წ. მცხეთაში, სვეტიცხოვლის გალავანში აღმოჩნდა ანტიკური ხანის თიხის 2 ფილასამარხი, მინის 2 ჭურჭლის ნატყეხებთა და ვერცხლის ჭურჭლის ყურებით (აფაქიძე 1955: 3). 1920 წ. სამთავროს მონასტერთან შემთხვევით აღმოჩნდა ქვის სამარხი, რომელშიც გამოვლინდა ანტიჩოეს (117-138) ბრინჯაოს მედალიონი ბერძნული წარწერით, ოქროს თხელი ფოთლები, ღილი, მინის ჭურჭელი, ოქროს გვირგვინი, სარდიონის მიძვები, ვერცხლის 2 რგოლი, სამტყუჩა დოქი, ხელადა და სხვ. სამარხი ახ. წ. II ს-ით დათარიღდა (მაკალათია 1928: 161-188). 1924 წ. რამდენიმე სამარხი გაითხარა ავჭალაში (იხ. ავჭალა); ამავე წელს სამარხები გაითხარა საგურამოსა და წიწაშურის ველზე (იხ. საგურამო, წიწაშური). 1937 წ. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა (ენიმკი) დაზვერვები ჩაატარა მცხეთის მუნიციპალიტეტში (ხელმძღვ.

ალ. კალანდაძე), რის შედეგადაც მცხეთის დასავლეთით, არმაზისხევის შესართავთან გამოვლინდა აბანოს ნანგრევები (იხ. არმაზისციხე), სამთაროს ველზე – ქვის სამარხები. 1938 წ. სამთავროს ველზე, ბებრისციხის მახლობლად გამოვლენილი ქვის სამარხების ორ ფილაზე აღმოჩნდა ბერძნული და ებრაული წარწერები (ლომთათიძე 1945: 14); ბერძნული წარწერა 15-სტრიქონიანია და იკითხება: „აქ განისვენებს მხატვართ-უხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელი აქოლოსი – ჩემი მეუღლითურთ, ბებრაზურიათურთ. ვთხოვ მეგობრებსა და გამგლელებს ყური უკდონ (...), რათა არავინ დააზიანოს?...“. წარწერა ახ. წ. IV ს-ით დათარიღდა. ებრაული წარწერა ხუთსტრიქონიანია. წარმოადგენს საფლავის სახელობით სტელას. წარწერა IV-V სს-საა (აფაქიძე 1963: 137, 138).



მცხეთის სივრცითი გეგმა-რეკონსტრუქცია
გ. გამყრელიძის მიხედვით

1938 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილიალსა და კულტურის დაცვის განყოფილებასთან ჩამოყალიბდა მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიცია (საერთო ხელმძღ. ივ. ჯავახიშვილი; მისი გარდაცვალების შემდეგ ს. ჯანაშია). 1939 წ. ექსპედიცია გადავიდა ენიშკი-ს დაქვემდებარებაში. ის მუშაობდა 1938-1940 წლებში. 1939 წ. ექსპედიცია კვლევას აწარმოებდა სოფ. დამპალსა და ნარეკვავთან. მან მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შეწყვიტა მოქმედება. სამუშაოები განახლდა 1946 წ. (ხელმძღ. ალ. კალანდაძე). ექსპედიციის დაზვერვითმა ჯგუფმა (ხელმძღ. ნ. დამპაშიძე) მცხეთის კალაუბნის დასავლეთით, სვანეთის ქედსა და კრძელ მინდორზე მდებარე „ქალაქ სარკინეთში“ მიაკვლია რკინის წარმოებისა და

ნაგებობათა ნაშთებს (იხ. სარკინე). რაზმმა სამუშაოები ჩაატარა კალაუბნის ფრესკებიან საყდარსა და კოშკის ნანგრევებთან; დაიზვერა კოლმანის სამი საყდარი, ნასახლარები, ნამარნევი და სამარხები (აფაქიძე 1955: 4); 1948 წ. სამთავროს სამაროვნიდან 300-400 მ-ზე, წყალთა მეურნეობის შენობის საძირკვლის ამოღებისას, გაითხარა 5 კრამიტსამარხი, 2 აგურითა და კრამიტით ნაგები სამარხი და 1 ორფერდასახურავიანი ქვის სამარხი. სამარხები ინდივიდუალურია; მიცვალებულები დაუკრძლავთ გულაღმა გამოტოვნილი, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხებში აღმოჩნდა: თიხის სამტუჩა წითლად შეღებილი ხელაღები, მინის სახელსაცხებლები, ოქროს ფურცლები, კამეებით შემკული საყურეები, ვერცხლის ბეჭდები, ბრინჯაოს საკინძი და ზარაკები, რკინის ცალპირლესული დანა, გიშრის ფიგურული მძივი (შეკაზმული ცხენის გამოსახულება); მძივები: ქარვის, მინისებური პასტის, სარდიონის, გიშრისა და სხვ. სამარხები ახ. წ. I-II სს-ით დათარიღდა (კალანდაძე 1949: 259-287). პარალელურად, მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ალ. კალანდაძე) 7 წლის მუშაობის შედეგად (1938-1941; 1946-1948 წწ.) სამთავროს ველზე შეისწავლა ბრინჯაო-რკინის ხანის 550-მდე ორმოსამარხი (კალანდაძე 1980: 22). 1950 წ., სვეტიცხოვლის ეკლესიის შესწავლისას, ერთ-ერთი სვეტის ძირში აღმოჩნდა სვეტიცხოვლის თავდაპირველი ნაგებობის არქაული ორნამენტული არქიტექტურული დეტალი. ამავე წელს სვეტიცხოვლის მახლობლად აღმოჩნდა შუა საუკუნეების ხანის ქვის სამარხი მინის სამაჯურითა და სპილენძის მრგვალი ლილებით (აფაქიძე 1955: 3); 1953 წ. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მცირე სამუშაოები ჩაატარა კოლმანის ნასახლარსა და სამაროვანზე (აფაქიძე 1955: 4). ამავე წელს მცხეთის მახლობლად, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, წიწამურის თავზე, ექსპედიციამ (ხელმძღ. ა. აფაქიძე) მიაკვლია ძველი ციხე-ქალაქის „სევსამორას“ ნაშთებს (იხ. წიწამური). ექსპედიციის სადაზვერვო რაზმმა მცხეთა-შიომღვიმის გზის მარცხენა მხარეზე აღმართულ ბორცვზე, ე. წ. ტუიაქორთაზე, IV-VIII სს-ის სამაროვანზე გათხარა 14 ქვის სამარხი (ნიკოლაიშვილი 1978ბ: 157-167). 1958 წ. ექსპედიციამ (ხელმძღ. ალ. კალანდაძე) არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა: 1. სამთავროს სამაროვანზე, სადაც წრიულქვაყრილიანი სამარხის ზედა ფენაში აიკრიფა ადრებრინჯაოს ხანის ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. გაითხარა ორი – ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის სამარხი და გვიანდინისტური ხანის 1 ქვევრსამარხი; 2. ქალაქში, უნივერსიტეტის მიწებულობის ადგილზე გაითხარა კრამიტით, აგურით, კერამიკული ფილებითა და ქვით ნაგები სამარხები, აგრეთვე 1 სარკოფაგი, რომელშიც აღმოჩნდა: თიხისა და მინის ჭურჭელი; ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის გემიანი ბეჭდები; საყურეები, საშუბლე

გვირგვინები (ქოირები), ვერცხლის კალამი და ძეგლის სტილოსი; გოტარზეს დრაქმები და ავეგუსტეს დენარები. სამარხი ახ. წ. I-III სს-ით დათარიღდა; 3. არაგვის ქუჩის დასაწყისში აღმოჩნდა ახ. წ. I ს-ის მეთუნეთა უბანი; ახ. წ. I-II სს-ის სამაროვანი; ახ. წ. IV ს-ის მარანი (კალანდაძე 1959ბ: 14-17). 1962-1963 წწ. მონასტრისა და უსახელო ხეებს შორის, „გალობლიანი ეკლესიის“ მახლობლად გაითხარა კოდმანის შუა საუკუნეების ნასახლარის ნაშთები: ფლეთილი ქვით ნაგები სახლები (ერთი დარბაზული ტიპის), მარანი და საწნახელი; სვეტიცხოვლის სამხრეთით, გალავნის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლინდა სასახლის ტიპის შენობის ნანგრევები (V-VI სს.), მასზე მიშენებული სათავსი (XI ს.), სასახლის ფრაგმენტები (XVIII ს.) და დარბაზული ტიპის რამდენიმე სახლი (XVII-XVIII სს.) (კალანდაძე 1963: 37-43; კალანდაძე, ბოხოჩაძე 1964: 13-17). 1965 წ. მცხეთის კინოთეატრის მშენებლობის ადგილას, ქალაქის ჩრდ. ნაწილში, შშრალ მონასტრად წოდებულ ხევის ნაპირზე, გაითხარა ალიოზი ნაგები გალავნის კარიბჭე (სიმაღლე 2,5 მ, სისქე 6,5 მ). ის წარმოადგენს ალიოზის კედელში დატანილი ქვიშაქვის ქვათილილებით მოპირკეთებულ შესასვლელს, რომლის ორივე მხარეს მიშენებულია ალიოზის ბურჯები (დმ 7 მ). კარიბჭის წინ გამოვლინდა სათავსოს კედლის ფრაგმენტები (საყარაულო). ამ ნაგებობის ქვეშ იდო გვიანანტიკური ხანის (I-III სს.) ფენა (კალანდაძე ... 1966: 29-31). 1968 წ. მცხეთის ბანკის ტერიტორიაზე გაითხარა ფლეთილი და რიყის ქვით ნაგები მრავალსენაკიანი შენობა, რომელიც VIII ს-ის 30-იან წლებში განადგურებულა (ბოხოჩაძე 1969ა: 26, 27). 1975 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან შეიქმნა მცხეთის მუდმივმოქმედი ექსპედიცია (ხელმძღ. ა. აფაქიძე), ხოლო 1994 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი (ხელმძღ. ა. აფაქიძე). ამ ორგანიზაციებთანაა დაკავშირებული არქეოლოგიური სამუშაოები მცხეთისა და მის მიდამოებში 1975 წლიდან 2007 წლამდე. 1975 წ. მუშაობა განახლდა სამთავროს სამაროვანზე (ხელმძღ. ალ. კალანდაძე), სადაც 1871 წლიდან დღემდე დადასტურებულია 4400 სამარხი. მათგან 660-მდე ბრინჯაო-ადრერკინის ხანისაა (სადრადე 1997: 4). გარდა ამისა, გათხრები წარმოებდა ექსპედიციის სხვადასხვა რაზმის მიერ ე. წ. დიდი მცხეთის ტერიტორიაზე: 1975-1976 წწ. გათხრები მიმდინარეობდა: კარსნისხევიში, ბაგინეთზე, მუხათვერდთან, ახალ არმაზში (იხ. არმაზციხე), ქ. მცხეთაში, მცხეთის გორაზე, ნარეკვავში, ფიქრის გორასა და სამადლოზე (აფაქიძე ... 1978: 8-77). 1977-1978 წწ. სამთავროს ველზე გრძელდებოდა გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ხანის სამარხების შესწავლა, ხოლო სამთავროს ბორცვზე ითხრებოდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი. გათხრები წარმოებდა წეროვანის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნებზე (წეროვანი I, II) და ნარე-

კვავზე – კალანდაძის გორაზე. მცხეთაში, სვეტიცხოველთან (სვეტიცხოველი II) მიწის სამუშაოებისას გამოვლინდა IV-VIII სს-ის რიყის ქვით თიხაზე ნაგები შენობების კონტურები, კრამიტები, გვიანანტიკური ხანის (II-III სს.) 2 აგურფილასამარხი; იქვე ახლოს გამოიკვეთა ორი ფენა: ელინისტური ხანის ქვევრსამარხები და გვიანანტიკური ხანის კრამიტსამარხი (აფაქიძე ... 1981: 119-152, 157, 158). 1979 წ. გათხრები მიმდინარეობდა: სამთავროს სამაროვანზე (დადასტურდა სხვადასხვა ხანის ნამოსახლართა ნაშთები); სოფ. წილკანთან, სადაც აღმოჩნდა სამონასტრო კომპლექსი – ეკლესია, ქვათილილებით ნაგები აკლამა, სამაროვანი და ნამოსახლარი; წეროვანში, ნარეკვავსა და სათოვლე-ნაბახტარში (ამ პუნქტებში ითხრებოდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები), კოდმანზე (გამოვლინდა ალიოზი ნაგები სასიმაგრო ზღუდე, გვიანანტიკური ხანის კრამიტსამარხები); მცხეთის გორაზე აღმოჩნდა გვიანანტიკურ-ადრე შუა საუკუნეების ხანის სამაროვანი (აფაქიძე ... 1982: 191-218). 1980 წ. სამთავროს ველსა და საკუთრივ მცხეთა-ქალაქის ტერიტორიაზე გამოვლინდა სხვადასხვა ხანის ნამოსახლართა ნაშთები, გვიანანტიკური და ელინისტური ხანის ფენები. მცხეთისგორაზე აღმოჩნდა ახ. წ. IV ს-ისა და შემდგომი ხანის ქვის სამარხები. წეროვან-ნარეკვავზე გაითხარა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი სამეურნეო ორმოები და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები; ნარეკვავზე გაითხარა რიყის ქვით თიხაზე ნაგები ერთოთახიანი სახლი (აფაქიძე ... 1989: 35-39). 1981 წ. ექსპედიცია გათხრებს ატარებდა მ.ამოლასეილის ქუჩაზე (ყოფილი არაგვის ქუჩა), სადაც ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარის ნაშთებთან ერთად აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის სამაროვნის ნაწილი. ქალაქის ტერიტორიაზე (სვეტიცხოვლის უბანზე) ნამოსახლარის ნაშთებთან ერთად აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის სამარხები: 11 ქვის სამარხი, 5 თიხის ფილასამარხი, სამი კრამიტსამარხი და ორი ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი. ინვენტარის სიუხეითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ქვიშაქვის ფილებით ნაგები ორფერდასახურავიანი სამარხი-აკლამა (№25), რომელშიც 18-20 წლის ქალი დაუკრძალავა. სამარხში აღმოჩნდა: ყელსაბამის ნაწილები, საკივები, მიძივები, ბეჭდები, ლილაკები და სხვ. მათ შორის: ბრინჯაოს სარკე, ოქროს მონეტა არდაშირ I-ისა (226-242), გიშრის მასიური სამაჯური, შემკობილი ოქროს ფურცლისაგან დამზადებული ხუთი დატინრული სარტყლით. სამარხი ახ. წ. III ს-ის მეორე ნახევრით ან III ს-ის ბოლოთი დათარიღდა; ექსპედიციამ აღმოაჩინა გვიანანტიკური ხანის 16 სამარხი, რომლებიც ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარის ქვეშ გამოვლინდა (აფაქიძე ... 1989: 41-45). 1981 წ. ქალაქის ტერიტორიაზე ერთ-ერთი სახლის ქვაბულში აღმოჩნდა შუა საუკუნეების ხანის საცხოვრებელი კომპლექსი,

რომელიც სახლის, დერეფნისა და მარნისავან შედგებოდა (აფაქიძე ... 1989: 49-52). სამთავროს ველზე გრძელდებოდა ნამოსახლარებისა და სამაროვნის შესწავლა; წეროვან-ნარეკვავის რაზმი „წეროვან IV“ სამაროვანზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქვის სამარხების შესწავლას განაგრძობდა; მუშაობა დაიწყო ნატახტრის შუა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანზე და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანსა და ნამოსახლარზე (აფაქიძე ... 1989: 59-65). 1982 წ. ექსპედიცია გათხრებს აგრძელებდა მცხეთასა და მის შემოგარენში: სამთავროს ველზე, ნარეკვავზე, ნატახტარში, მცხეთაში, მიწის სამუშაოებისას დადასტურდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის შემოგარენში შექცეული ფენები, რომელთაგან აღსანიშნავია შუა საუკუნეების ხანის ფაიანსის ჯამის ფრაგმენტი. ქალაქის ტერიტორიაზე და მის დასავლეთ შემოგარენში – კოდმანში აღმოჩენილ კრამიტსამარხებში I-II სს-ის მასალა დადასტურდა: თიხის ჭურჭელი, მინის სახელსაცხებლები, რომაული მონეტები, მძივები, რკინის ბეჭდები სარდლონის გემა-ინტალიობით. სამთავროს სამაროვანზე შესწავლეს გვიანბრინჯაო-ადრერკინის (ორმოსამარხები, ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები, ქვის სამარხები, კრამიტსამარხები და თიხის ფილამარხი; მათ შორის, ქვათილილებით ნაგები 597-ე სამარხი ელინისტური ხანისათვის დამახასიათებელი ოქროსა და ბრინჯაოს სამკაულით, სპირფარეშო საგნებით და სხვ. და ადრე შუა საუკუნეების სამარხები (ქვის სამარხები და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები). ნარეკვავში გრძელდებოდა ადრერკინის ხანის ნამოსახლარისა და სამაროვნის შესწავლა. სოფ. ნატახტართან, თბილისი-დუშეთის გზის 34-ე კმ-ზე, გამოვლინდა ე. წ. მტკვარ-არაქსის პერიოდის ნამოსახლართა ნაშთები (აფაქიძე ... 1995: 6-67). 1992 წ. სვეტიცხოვლის მახლობლად ექსპედიციის მიერ გათხრილი ნასახლარის ერთ-ერთი მერხებიანი სახლის ოთახის კუთხეში აღმოჩნდა ხელადა, რომელშიც ოქროს დავრავანილი ფირფიტა (სიგრძე 5,8 სმ, სიგანე 2,8 სმ) იღო. მასზე 29-სტრიქონიანი მაგიური ხასიათის V-VI სს-ის ებრაული წარწერაა (წერეთელი 1996: 95-132). 1998-1999 წწ. მცხეთის არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა (ხელმძღ. ა. აფაქიძე) ბაქო-სუფსის მილსადენის ტრასის გაყვანისას არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა ნარეკვავის ველზე, სადაც გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი (აფაქიძე ... 1993: 3; აფაქიძე ... 2000: 3). 2000 წ. კი გათხრები განახლდა სამთავროს ველზე (აფაქიძე... 2001: 24-29).

მცხეთასა და მის შემოგარენში სხვადასხვა ხანის ძეგლებია აღმოჩენილი. ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები: 1. გასული საუკუნის 40-იან წლებში, სამთავროს სამაროვნის გათხრისას, რამდენიმე ადგილას დაფიქსირდა მტკვარ-არაქსული ხანის ძეგლები (სადრამე 1997: 9-11). 2. მრეველიშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩაზე IV-VIII სს-ის სამაროვანზე

გაითხარა 2 ქვაყრილიანი სამარხი, რომელშიც მიცვალებული დაუკრძალავთ კიღურებმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით. სამარხში აღმოჩნდა: ბაღია, ტოლჩა, ძვლის ისრისწვერი; მიორე – წრიულქვაყრილიან ორმოსამარხში აღმოჩნდა ბაღია. სამარხები ადრებრინჯაოს ხანით დათარიღდა (ნიკოლაიშვილი ... 1985: 149, 150). 3. სხალტბის ქედის ჩრდილო კალთის ქვედა ტერასაზე მდებარე წეროვან II სამაროვანზე, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნის გათხრისას აღმოჩნდა ამ სამაროვნის მიერ დაზიანებული ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, რომელიც წარმოდგენილი იყო 24 სამეურნეო ორმოთი და 3 ორმოსამარხით. სამარხებში მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, ხელემოკეცილი. მათში აღმოჩნდა: ბაღია, პითოსისა და ქოთნების ფრაგმენტები, თიხის შვერილიანი სადგარი, ტაფისებური ჭურჭელი (სადრამე 1989: 78-90). 4. სოფ. ნატახტართან, თბილისი-დუშეთის გზის 34-ე კმ-ზე გამოვლინდა მტკვარ-არაქსის პერიოდის ნამოსახლართა ნაშთები (სამეურნეო ორმოები), სადაც დადასტურდა ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭელი (აფაქიძე ... 1995: 9). 5. მდ. არაგვის მარცხენა ნაპირას, ადგილ ნაბარებთან გამოვლინდა მტკვარ-არაქსის ეპოქის მასალები (აფაქიძე ... 1995: 10). 6. წიწამურის მიდამოებში, არაგვის მარცხენა ნაპირივხე, საგურამოს ქედის დასავლეთ კალთის დასასრულს, გაითხარა მრავალფენიანი ძეგლი, სადაც პირველი ფენა ადრებრინჯაოს ხანის ორმოებს (დმ 0,2-0,3 მ) წარმოადგენდა. ორმოებში და მის გარშემო აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც მტკვარ-არაქსის ადრეული ეტაპის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი (ნიკოლაიშვილი, ნარიშვილი 1995: 58, 59).

შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები: 1. სამთავროს სამაროვანზე უძველესი სამარხები შუა ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის (მათ შორის, კრემაციული გორასამარხი №243 და სამარხი-კენოტაფი №43). სამარხებში მიცვალებული დაუკრძალავთ უმთავრესად მარჯვენა გვერდზე, კიღურებმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისკენ. სამარხებში აღმოჩნდა: ქილები, ქოთნები, დერეგები, ტოლჩები და სხვ. ბრინჯაოს ორსწახნაგა მახვილი (სამარხი №243), სამკუთხა ფორმის სატყერები, დანები, საღვსი; ძვლის ბიკონოსური ისრისპირი; მძივები: ბრინჯაოსი, სერდოლიკის; ოქროს ფირფიტოვანი მძივსაკიდი, ობსიდიანის ნატეხები და სხვ. სამარხები თარიღდება ძვ. წ. XVII-XVI სს-ით (კალანდაძე 1980: 33-38); ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით (ლომთაიძე 1944: 24-25); ძვ. წ. XVI-XV სს-ით (სადრამე 1993: 4-23). სამთავროს ველის სამხრეთ უბანზე



მცხეთა, სამთავრო

გაითხარა შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთები, რომლებშიც აღმოჩნდა: შავპრიალა თიხის ჭურჭლის ნატყები, ობსიდიანის ქუსლამოლარული ისრისპირი, ქვის ჯამები (აფაქიძე ... 2001: 25, 26). 2. 1938-1941 წწ. მცხეთის ჩრდილოეთით, 5 კმ-ზე, ნარეკავში, რომელსაც ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით ესაზღვრება მდ. ნარეკავი, დასავლეთით ჭინჭრინანის ხევი და მამულაშვილების გორები, სამხრეთით – წისქვილის ხევი, გაითხარა 6 ორმოსამარხი (შესადლოა ძელებით გადახურული). სამარხებში მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, ძირითადად თავით აღმოსავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა: მორგვე დაძნალებული (იშვიათად ხელით ნაძერწი) თიხის ჭურჭელი; იარაღი: ბრინჯაოს სატყვერისპირები; რკინის მახვილი, აკინაკი, კოლხური ცული, ბრინჯაოს სატყეხი, ნემსები; ბრინჯაოს სამაჯურები; მძივები (სარდიონის, მთის ბროლი, პასტის), ბრინჯაოს წვეილი ლაგამი; კვერთხისთავი, ეფენები და სხვ. სამარხების ინვენტარი თავსდება შუაბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ქრონოლოგიურ ჩარჩოში (ოქროპირიძე 1963: 183-220). 3. სოფ. ნატახტრის მახლობლად თბილისი-დუშეთის ტრასის 34-ე კმ-ზე, ნატახტარ I-ის სამაროვანზე გაითხარა კატაკომბური სამარხი – ოვალური ფორმის ორმო. ჩრდილოეთ თუ სამხრეთ შესასვლელიდან მოწყობილი იყო ოვალური დასაკრძალავი კამერა, ასეთივე კონფიგურაციის თაროთი. გაითხარა ოთხი სამარხი, რომელთაგან მხოლოდ ერთში გამოვლინდა მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ დაკრძალული მიცვალებული. სამარხში აღმოჩნდა: ცუდად გამოწვარი თიხისაგან დაძნალებული ჯამები, თასები, დერგები, ხელადა, ტოლჩა, სარქველი. სამარხები თარიღდება შუა ბრინჯაოს ხანის შუა საფეხურით – ძვ. წ. 1800-1600 წლებით (სადრამე 1993: 24-38). 4. სოფ. ნატახტართან, გაითხარა 2 გორასამარხი, 2 კატაკომბური და 2 ქვაყრილიანი ორმოსამარხი (ნატახტარი III). გორასამარხებს (№№7, 28) ჰქონდათ მრგვალი ან ოვალური ფორმის ქვაყრილი, ხოლო დასაკრძალავ ორმოებს ჰქონდათ მომრგვალებული კუთხეები. დაკრძალვა ინჰუმაციური იყო, თუმცა პოზა და ორიენტაცია ვერ დაფიქსირდა. კატაკომბური სამარხები მსგავსია ნატახტარი I-ის თარიანი სამარხებისა. მიცვალებული ერთ სამარხში დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ; მეორეში აღმოჩნდა რამდენიმე მიცვალებულის ძვლები, დამწვრობის ნიშნით. სამარხები შუა ბრინჯაოს შუა ხანებით დათარიღდა (სადრამე 1993: 38-55, 61). 5. წეროვნის მინდორზე, სოფ. ძველი ქანდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაითხარა ორი ყორღანი, სადაც აღმოჩნდა: თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანით – ძვ. წ. XVII-XIV სს-ით დათარიღდა (ოქროპირიძე 1965: 28). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები აღმოჩნდა: 1. მცხეთის ჩრდილო ნაწილში, სამთავროს

ველზე, რომელსაც აღმოსავლეთით ესაზღვრება მდ. არაგვი, დასავლეთით – კოდმანის მალღობი, სამხრეთით – მონასტრის ხევი, ჩრდილოეთით – ბაიათხევი (ლომთათიძე 1944: 7). სამაროვანს დაახლ. 18 კმ უჭირავს; 1938-1941 და 1946-1948 წწ. აქ გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის 550-მდე სამარხი, რომლებიც სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდებად დაიყო. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ სამარხთა უმეტესობა სამთავროს ჩრდილოეთ უბანზე იყო შეჯგუფული, ნაწილი – სამხრეთ უბანზე. ისინი ძირითადად მიწაყრილიანი ორმოსამარხებია, ან სამარხის თავზე ქვაყრილი წრიულად, ოვალურად და სწორკუთხთხონად იყო შემოწყობილი. ზოგჯერ სამარხს ქვაყრილის მაგივრად ფლეთილი ქვები ესურა. ისინი უმთავრესად ინდივიდუალურია; იშვიათად გვხვდება კოლექტიური (№8 სამარხში 33 მიცვალებული დაუკრძალავთ). სამარხები ინჰუმაციურია. გვხვდება კენოტაფებიც. მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა (მამაკაციები) ან მარცხენა (ქალები) გვერდზე, ხელფეხმოკეცილი. თავით ძირითადად აღმოსავლეთით ან დასავლეთით დამხრობილი (კალანდაძე 1980: 22-32; ჩუბინიშვილი 1957: 20-51; ლომთათიძე 1945: 26-27). სამარხებში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი (სადღვებელი, საწურავი, დერგი, ქილა, ქოთანის, ქვაბ-ქოთანის, ხელადა, ბაღია, ჯამი, კოჭობი, სასმისები და სხვ.); სპილენძ-ბრინჯაოსა და ძვლის იარაღები: ბრინჯაოს ფოთლისებური სატყვერისპირები, მასრაგასნისი შუბისპირები, ქუსლამოლარული ისრისპირები, ლახტისთავები, უმბონები და სხვ. სამკაულები და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნაკეთობანი: ბრინჯაოს საღვინები, ნემსები, საკინძები (თავხვია, ლურსმინისებური, ბრტყელთავიანი, დაწანავებული და სხვ.), რგოლები, სამაჯურები, ბეჭდები, საკიდები და სხვ. მძივები: სარდიონის, მინისებური პასტის, ანთიმონის და სხვ. (კალანდაძე 1980: 38-136; ჩუბინიშვილი 1957: 53-97). სამთავროს სამაროვნის უფრო გვიანდელ (ძვ. წ. X-VI სს-ის) სამარხებში ჩნდება: ბრინჯაოს ფართოქედიანი სატყვერები, რკინის ბრინჯაოსტარიანი მახვილები, ბრინჯაოს მასრაშეკრული შუბისპირები, ცულები (აღმოსავლური, კოლხური), ნადირობისა და მითოლოგიური სცენებით შემკული სარტყლები, სატყვერები, ე. წ. სკეთური ისრისპირები, ბრინჯაოს ქანდაკებები და სხვ. სამთავროს გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის სამარხები დათარიღდა: ძვ. წ. XV-XIII სს-ით (კალანდაძე 1980: 38-136); ძვ. წ. XV-XIV სს-ით (ჩუბინიშვილი 1957: 53-97); ძვ. წ. XIV-XIV სს-ით (აბრამიშვილი 1957: 138); ძვ. წ. XIV-XIII სს-ით (რამიშვილი 2000: 37); ძვ. წ. XIV-XIII სს-ით (სადრამე 1997: ტაბ. XLII). სამთავროს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის შემდგომი ეტაპის სამარხები დათარიღდა: ძვ. წ. XII-XI სს-ით; ძვ. წ. XIII-X სს-ით (კალანდაძე 1980: 137-172; კალანდაძე 1981: 7-118); ძვ. წ. X-VIII სს-ით (გობეჯიშვილი 1952: 78); ძვ. წ. XIII-VI სს-ით (აბრამიშვილი 1957: 139).

2. სამთავროს ველის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე გორაზე, რომელიც კოდმანის პლატოსაგან ხევებითაა გამოყოფილი, გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი. სახლები ტერასულადაა გორაზე გამართული. ისინი წარმოადგენენ ერთთაიხიან ნაგებობებს, რომელთა ერთი მხარე მიწაშია. გადახურვა ბანურია. კედლების ნაწილი ფლეთილი ქვითა და ტალახითაა ნაშენი. კედლის შიდაპირი თიხაღესილია. იატაკი – თიხატყეპნილი. სახლებში აღმოჩნდა დედაბოძისა და ბანური სახურავის მზიდი სვეტებისათვის ამოთხრილი ფოსოები. სახლის მარჯვნივ, კუთხეში ზურგიანი სამსხვერპლო-საკურთხეველია თიხის ანთროპომორფული კერპითურთ. მარცხენა კუთხეში – პურის საცხობი ლუმელი. ჩრდილოეთი კედლის ვასწვრივ, სახლის წინა ნაწილში, საქონლის სადგომი. სახლის დასავლეთ ნაწილში, კონგლომერატში გამოკვეთილი თაროა. სახლებში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი (ქოთნები, ჯამები, კოჭობი და სხვ.), თიხის დისკო, მრგვალ-ბრტყელი ბორბლები, საბუჭდავები, ციცხვი, ხელსაწვეავისა და სალესი ქვები, რკინის დანა, შუბისპირი, ობსიდიანის ნამგლისპირი და სხვ. სახლები დათარიღდა ძვ. წ. VIII-VII სს-ით (აფაქიძე ... 1978: 109-119; აფაქიძე ... 1981: 133-137).

3. სხალტის ქედის ჩრდილოეთი კალთის ქვედა ტერასაზე, თბილისი-გორის სამხედრო გზის 31-ე კმ-ზე, კალანდაძის ვორების თავზე მდებარეობს სამაროვანი – წეროვანი II. ის ადრეპრინჯაოს ხანიდან იყო ათვისებული (იხ. ზემოთ). სამაროვანზე გაითხარა გვიანბრინჯაოს ხანის 64 სამარხი, აქედან 8 – ადრერკინისა და რკინის ფართო ათვისების ხანის. გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანზე გაითხარა ქვაყრილიანი, მიწაყრილიანი ორმოსამარხები და კატაკომპური ტიპის სამარხები. დაეკრძალათ როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად (ორი ან მეტი მიცვალებული). გვხვდება კენოტაფებიც. მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთით (ოდნავი გადახრით) დამხრობილი. სამაროვანზე არსებობდა ცხოველების შეწირვის ტრადიცია (ალაპი). სამარხებში აღმოჩნდა: იარაღი – ბრინჯაოს შედგენილტარბიანი სატევარი (უქულო, დაფანჯრული ტარბით, რომელიც წელში გამოყვანილია და თერთ პასტითაა ინკრუსტირებული); ბრინჯაოს დანისმაგვარი იარაღი, რკინის დანა; სამკაული – ბრინჯაოს სადა და გრენილდეროიანი კისრის რკალები, სამაჯურები, საკიდები, თავზეთა საკინძი, სასაფეთქელ რგოლები და სხვ. მძივები (ბრინჯაოს, სარდიონის, პასტისა და სხვ.); თიხის ჭურჭელი – დერგები, ქილები, სადღვებლები, სასმისები, ჯამები, ლანგრები. სამარხები ძვ. წ. XIV-XIII სს-ით დათარიღდა (სადრამე 1989: 77-144). წეროვანი II სამაროვნის ადრერკინისა და რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხებში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი (ქოთნები, დერგები, კოჭობები, კათხები, სასმისები, ლანგრები), რკინის მახვილი, ბრინჯაოს მასრაშეკრული შუბისპირი,

ბრინჯაოს სამკუთხა ისრისპირები, ბრინჯაოს სვერულთავიანი საკინძები; მძივები (სარდიონის, პასტის და სხვ.) (სადრამე 1989: 144-154).

4. მუხრანის ველზე, სოფ. ჩარდახში შემთხვევით აღმოჩნდა სამი სამარხი, რომლებიც ხის ძელებით ყოფილა გადახურული. სამარხებში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ე. წ. კახური ტიპის მთლიანადსხელი სატევარი, მასრაგახსნილი შუბისპირი, თიხის ჭურჭელი (სარქველიანი დერგი, დერგი, ქოთანი, კოჭობი, ტოლჩა). სამარხები ძვ. წ. XIII-XII სს-ით დათარიღდა (ოქროპირიძე 1965: 16-28).

5. მცხეთიდან ჩრდილო-დასავლეთით, 5 კმ-ის დაშორებით, მდ. ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე, მუხრანის ველის დასასრულს, გაითხარა ნამოსახლარი და სამაროვანი. ნარეკვავის ნამოსახლარი 7 ბუნებრივი ბორცვისაგან შედგება. ყველა ბორცვი წაგრძელებული ოვალის ფორმისაა და მიმართულია ჩრდილოეთისაკენ. ვორებს შორის გაითხარა მე-3, რომელიც სამოსახლოდ ათვისებულია გვიანბრინჯაოს ხანაში. ტერასებზე გაუმართავი წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის, ბანურსახურავიანი ნახევრადმიწური – ერთსენაკიანი სახლები, რომელთა საფასადო მხარე, ძირითადად, მიმართული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთით. სახლები რიგის ქვით, ხის ძელებითა და ალიზით იყო ნაგები. გადახურვა ყვერნობოდა დედაბოძა და პილასტრებს. სახლებში დადასტურდა ალიზითა და რიგის ქვით ნაგები პურის საცხობი ლუმელი (სიგრძე 1,30-1,45 მ, სიგანე 2,20-2,35 მ), რომელიც შედგება: საცხობი, სანაცრე და საცეცხლე განყოფილებისაგან და სხვადასხვა ფორმის 11 საკურთხეველი. ნარეკვავის გორანამოსახლარზე გამოიყო სამი სამშენებლო ჰორიზონტი, რომელიც რკინის ფართო ათვისების ხანას ეკუთვნის. I სამშენებლო ჰორიზონტი წარმოდგენილია 12 სახლით, სადაც დადასტურდა: რკინის დანა, ცულ-წერაქვები, ე. წ. სკვითური ისრისპირები, ბრინჯაოს გველისთავებიანი სამაჯური, თიხის ჭურჭელი (დოქი, ხელადა, კოჭობი, ჯამები). I სამშენებლო ჰორიზონტი ძვ. წ. VI ს-ის მიწურულითა და V ს-ის დასაწყისით დათარიღდა; II სამშენებლო ჰორიზონტი – ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ის პირველი ნახევრით; III ქვედა ჰორიზონტის არქეოლოგიური მასალა ძვ. წ. VIII ს-ის მიწურულითა და VII ს-ის პირველი ნახევრით. ამრიგად, ნარეკვავის გორანამოსახლარი ძვ. წ. VIII ს-ის ბოლოდან – ძვ. წ. V ს-ის დასაწყის-შიც ფუნქციონირებდა (დავლიანიძე, სადრამე 1993: 8-65). გორანამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთით გაითხარა 43 ორმოსამარხი. მოგვრძო, კუთხეებშიმრგვალებულ ორმოსი დაუკრძალავთ თითო მიცვალებული მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა: მორგვზე დამზადებული თიხის ჭურჭელი (ჩაფები, დოქები, ხელადები, დერგები, ჯამები და სხვ.);

რკინის ნივთები – მასრაგახსნილი შუბისპირები, ვიწროქედიანი მახვილები, სამკუთხაპირიანი სა-



სვეტიცხოველი

ტევარი, კოლხური ცული, ორფრთიანი ისრისპირები და სხვ. სამკაული – ბრინჯაოს ზურგდაკეცილი და სადაზღვევითიანი სამაჯურები, სასაფეთქელ რგოლები, მახათები, საკინძები, ბალთა და სხვ. ბრინჯაოს 2 სარტყელი;

ირმის რქისაგან დამზადებული ლანტისთავი და სხვ. მძივები – სარდიონის, პასტის, ანთიმონის, ნიჟარების. სამაროვანი ძვ. წ. VIII-VI სს-ით დათარიღდა (დავლიანიძე, სადრაძე 1993: 6-42).

6. მდ. ნარეკავის მარჯვენა ნაპირზე, მდ. არავგის შესართავთან ახლოს, ნარეკავის გვიანბრინჯაო-ადრერკნის ხანის ნამოსახლარებისა და სამაროვნის სიახლოვეს, იქ, სადაც მილსადენი ტრასა გადის, გაითხარა 42 ქვაყრილიანი ორმოსამარხი. ისინი ინდივიდუალურია (გარდა №№3, 32 სამარხებისა). მიცვალებულები დაუკრძალავთ, უმთავრესად ხის სარეცელებზე, ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით ან ჩრდილო-აღმოსავლეთით დამხრობილი. სამარხებში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი (მათ შორის, მოჭიქულიც); ბრინჯაოსა და რკინის იარაღი (მახვილები, სატყვრები, ცულები, შუბისპირები, ისრისპირები), სამკაული (მათ შორის, ოქროსიც), სარიტუალო ნივთები და ინსიგნიები (შტანდარტის თავები, სარტყლები), ცხენის ალკაზმულობის საგნები. ნარეკავის ამ სამაროვნის თარიღი ძვ. წ. XI-IX სს-ითა და VI-V სს-ს შორის პერიოდით განისაზღვრა (აფაქიძე ... 1993: 3-4; აფაქიძე ... 2000: 3-5).

გვიანელინისტური და გვიანანტიკური ხანის სამარხები მცხეთაში გვხვდება: 1. სამთავროს სამაროვანზე, სადაც გაითხარა 150-მდე ქვევრსამარხი. სამარხები ცალკეულ ბუდეებად იყო განლაგებული. ქვევრსამარხთა უმრავლესობა დამხრობილი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. ისინი ძირითადად მიწაში ჰორიზონტალურად იყო ჩაფლული. გვხვდება ვერტიკალურად ჩადგმული ქვევრებიც. ქვევრში თითო მიცვალებულს ასვენებდნენ. არის წყვილის დაკრძალვის შემთხვევებიც. მიცვალებული ქვევრში ჩაუსვენებიათ ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. სამარხულ ინვენტარს წარმოადგენს: მცირე ზომის თიხის ჭურჭელი (ღია მოწითალო ან ლეკად გამოშვარი, წითელი საღებავით დაფარული, იშვიათად წითელი საღებავით მოხატული დოქები, ქოთნები, ჯამები, ლანგრები, კოჭობები, კანთაროსისებური ორფურა სასმისები); სამკაული (რკინისა და ბრინჯაოს ზურგშედრეკილი სამაჯურები; ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს მავთლისგან დამზადებული საყურე-რგოლები; ზარაკები); მონეტები – ძვ. წ. I სს-ის არშაკიდული დრაქმები; რკინის დანები (5ც), მძივები და მძივსაკიდები და სხვ. სამთავროს ქვევრსამარხების ინვენტარი ძვ. წ. II-I სს-თა და ახ. წ. I სს-ით დათარიღდა (თოლორდავა 1980: 47-56).

2. სამთავროს ველის სამხრეთ უბანზე, მცხეთის ყოფილი რესტორნისა და მარნის ტერიტორიაზე გაითხარა 7 ქვევრსამარხი, რომლებშიც აღმოჩნდა: წითლად გამოშვარი და ანგობირებული ქუსლიანი ჯამები, მოწითალოდ გამოშვარი, მხლისებურტანიანი ხელალები და ბრინჯაოს ზურგჩაზნექილი, ძვლისთავიანი სამაჯურები, ერთი ველწიბოიანი ხელადა. სამარხები ძვ. წ. I და ახ. წ. I სს-ით დათარიღდა. (აფაქიძე ... 2001: 26); ქვევრსამარხები კი ძვ. წ. I სს-ით (აფაქიძე ... 1978: 75-77).

3. აქვე, გვიანანტიკური ხანის 3 კრამიტსამარხი გაითხარა. სამარხები ნაგებია ღარისებური და ბრტყელი კრამიტებისაგან. სახურავი ორფერდაა. დამხრობილია აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეებს შორის. სამარხები გაძარცვული იყო. მათში აღმოჩნდა: მინის სანელსაცხებლე, ვერცხლის პართიული მონეტა; ვერცხლის ჭურჭლის ყური (ფაფრისანი დრაკონის მორკალული ტანით); მინის ოთხკუთხა კორპუსიანი სირთული ბოთლი; სირთული წარმომავალი მინის ორფურა სანელსაცხებლე; ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერის მინაბაძი; ბრინჯაოს ზარაკი, მძივები (სარდიონის, ოპალის, გიშრის); თიხის სამტუჩა, ყელწიბოიანი ხელალები, ჭრაქი; საწერი მოწვობილობის კომპლექსი (სამარხი №6), რომელიც შედგება: ბრინჯაოს სამელნისაგან სახურავით, ბრინჯაოს ოთხი წკერისაგან (სიგრძე 4-5-5,2 სმ) და ძვლის მრგვალგანივკვეთიანი სტილოსისაგან (სიგრძე 16,5 სმ). ასეთივე სამელნე აღმოჩნდა მცხეთაში ქალაქის ტერიტორიაზე (უნივერსიტეტის მშენებლობის ადგილას 1958 წ. გათხრების შედეგად). სამარხები ახ. წ. I-II სს-ით დათარიღდა (აფაქიძე ... 1978: 68-75).

4. სამთავროს სამაროვანზე, ჩრდილო და სამხრეთ უბანზე გაითხარა 131 ქვის სამარხი, კრამიტსამარხები, თიხისფილასამარხები და ორმოსამარხები. ისინი, ძირითადად ინდივიდუალური იყო. მიცვალებულის დაკრძალვის პოზსასა და ორიენტაციაში ცვლილებები შეინიშნება. უფრო ადრეულია – ხელფეხმოკეცილი, გვერდითი პოზსა. შემდეგ ჩნდება ზურგზე გაშობილი. დამხრობა უმეტესად თავით დასავლეთით ან ჩრდილოეთით იყო მიმართული. ახ. წ. II სს-ში ჩნდება ქვის სამარხები და თიხის ფილასამარხები, ასევე – ქვის სამარხის სტელები ბერძნული და არამეული ეპიტაფიებით. სამარხებში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი – ქოთნები, ხელალები შემკული ამოხრეცილი კოპებით, ყელწიბოიანები, სამტუჩები და სხვ. ჭრაქები); მონეტები – რომაული და პართიული, ძირითადად გოტარხეს (41-51) დრაქმები და ავგუსტუსის დენარები (ძვ. წ. 30-ახ. წ. 14); სამკაული – ბრინჯაოს ბეჭდები, გემები, ბრინჯაოს, ვერცხლის ან ოქროს საყურეები; ლითონის ჭურჭელი – ბრინჯაოს ჭურჭელი და ვერცხლის ფიგურული თევში, კოვჩები; ტუალეტისა და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები – ბრინჯაოს სარკე, ზარაკები, ბრინჯაოსა და რკინის საკინძები; მძივები – ალმადინის, სარდიონის, კვარცის, ქარვის, მინისა და სხვ.). სამარხები ახ. წ. I-II სს-ით დათარიღდა (ივაშჩენკო 1980).

5. მცხეთაში, მონასტრისხევის მარჯვენა ნაპირზე, გაითხარა კრამიტსამარხები, რომლებშიც დადასტურდა: მოწითალო-მოვარდისფროდ და ჩალისფრად გამოშვარი თიხის ჭურჭელი, მინის სანელსაცხებლეები, რომაული მონეტები, სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივები, რკინის ბეჭდები სარდონის გემა-ინტალიოებით, რომლებზეც გამოსახულია ფორტუნა, აფროდიტე, შინაური ცხოველები და ფრინველები. სამარხები I-II სს-ით დათარიღდა (აფაქიძე ... 1995: 7, 13, 15, 16).


6. სამთავროს ველის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ახალციხის ხევთან, გაითხარა ქვის სამარხები და ორმოსამარხი, რომლებიც ჩამოვლებული იყო ძვ. წ. I ათასწლეულის ფენაში (ქვის სამარხები, ორმოსამარხები, ქვის ფილებით გადახურული სამარხები, თიხის ფილასამარხები, კრამიტსამარხები, კომპინირებული სამარხები. სულ - 201). ნივთები აღმოჩნდა 97 სამარხში, დანარჩენი 104 უინვენტარო იყო. მათ შორის გამოიყო II-III და III-IV სს-ის სამარხები. II-III სს-ის სამარხებში მიცვალებულები დაუკრძალავთ გულაღმა, გაშოტილნი. სამარხებში აღმოჩნდა: მინის სანელსაცხებლეები, ჩალისფრად გამოშვარი ამობურცულკოპებანი ხელაღები, ვერცხლის ბეჭდები, ოქროს საშუბლე ფურცლები, მინის მძივები; მონეტები ვერცხლისა, ავგუსტუსის დენარები, არტემან II-ის დრაქმა (ძვ. წ. 10-38) და სხვ. (აფაქიძე ... 1978: 122-131); III-IV სს-ის სამარხები ძირითადად ინდივიდუალურია, მაგრამ III ს-იდან ჩნდება კოლექტიური (საკვარეულო) სამარხებიც. მიცვალებულები დაუკრძალავთ გაშოტილნი, გულაღმა, თავით დასავლეთის ან აღმოსავლეთისკენ. სამარხებში აღმოჩნდა: მინის სანელსაცხებლეები (მაღალყელიანი, მინის ძაფების სპირალით შემკული; კოლბისებრი, შეზნექილ-ძირიანი და სხვ.); ჭვინტიანი მშვილდსაკინძები; ოქროს საშუბლე ფურცლები, საყურები; ბრინჯაოს ზარაკები, სარკე; მძივები: (მწვანე პასტის, სარდონის, გიშრის, ლურჯი მინის, ინკრუსტირებული და სხვ. (მანჯგალაძე 1985: 43-108).

7. სამთავროს დედათა მონასტრის წინ, გზის პირას, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,60 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ვაგრძელებული ოთხკუთხა მოყვანილობის ორფერასახურავიანი ქვის სამარხი - აკლდამა (№905), რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ იყო დამხრობილი. სამარხში ორი მიცვალებული (ქალი) დაუკრძალავთ, ხელფხმოკეცილი, ერთმანეთისკენ პირისპირ, თავით აღმოსავლეთისკენ. სამარხში აღმოჩნდა 32 დასახელების ნივთი: ბრინჯაოს 2 პატერა და ენოზია (საღვინე ჭურჭელი); ვერცხლის ლანგარი (ზედ ილო ცხერის კოჭი), კოლოფი, 2 სინი, 3 პინაკი, 2 ჯამი, 2 სურა, სარკე, პართიული წერტილოვანი წარწერით შემკული ლანგარი, კილიკი, 2 კოვზი, 5 აბზინდა; რკინის ლამპარი და ლურსმანი; ბრინჯაოს 3 ზარაკი, 2 მძივი; ოქროს 5 მასიური ბეჭედი, 2 წყვილადი საყურე, ყელსაბამი ძეწვეთი, ოქროს შუბლსამკაული (ქიორი) - 40 ფურცელი, აქატის

ორი ამფორისკი - სანელსაცხებლე, ქალცედონის და ქვის საბეჭდავები; მძივები - მინის, ქარვის, გიშრის, მარგალიტის და სხვ. ოქროს 3 და ვერცხლის 31 მონეტა და სხვ. აკლდამა ახ. წ. II ს-ის მეორე ნახევრითა და III ს-ის პირველი ნახევრით ან შუა ხანებით დათარიღდა (აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996: 7-79).

8. სვეტიცხოვლის უბანზე, ნამოსახლარის ნაშთებთან ერთად აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის სამარხები: 11 ქვის სამარხი, 5 თიხის ფილასამარხი, 3 კრამიტსამარხი და 2 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი. მათ შორის ინვენტარის სიუხეით გამოირჩევა ორფერდასახურავიანი ფილებით ნაგები სამარხი აკლდამა №25, რომელშიც წარჩინებული ფენის წარმომადგენელი 18-20 წლის ქალი დაუკრძალავთ, გაშოტილი, გულაღმა. სამარხში აღმოჩნდა: მინის, ვერცხლისა და ოქროს ნივთები - ყელსაბამის ნაწილები, საკიდები, მძივები, ღილები, ბრინჯაოს მრგვალი სარკე, ოქროს მონეტა არდაშირ I-ისა (226-242); გიშრის მასიური სამაჯური 42 პირობის თვლით. სამარხი დათარიღდა ახ. წ. III ს-ის მეორე ნახევრით ან III ს-ის ბოლოთი (აფაქიძე ... 1989: 41).

9. სამთავროს ველის ჩრდილოეთით მდებარე ბაიათხევის მარცხენა ნაპირზე, საცხოვრებელი სახლისათვის გაჭრილ ქვაბულში გაითხარა გვიანანტიკური ხანის სამარხები და ნამოსახლარი, სადაც აღმოჩნდა ჭრაქის ნატეხი და ახ. წ. I-II სს-ის მიჯნით დათარიღებული მცირერიცხოვანი მასალა. ნასახლარი დანგრეული იყო გვიანანტიკური ხანის კრამიტსამარხებით, კრამიტითა და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხებით, ქვის სამარხებითა და თიხის ფილასამარხით. მათში მიცვალებულები დაუკრძალავთ გულაღმა, გაშოტილი (გარდა ერთი სამარხისა), ძირითადად თავით აღმოსავლეთისკენ



აკლდამა

დამზობილი. სამარხებში აღმოჩნდა: მინის სანელ-საცხებლები (კონუსურტანინი, ცილინდრული ყელით), თიხის ორსართულიანი ჭურჭელი, რკინის ბეჭდები, ოქროს შუბლსამკაული (ქოირი), ბრინჯაოს ჭვინტიანი შვილდსაკინძი, მძივები – ქვის, მინის, გიშრის, სარდლინის; მონეტები – ავეუსტუსის ვერცხლის დენარები; გემიანი რკინის ბეჭდები; ოქროს საკიდები, კილიტები, ვარდული; ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავი, თიხის სამტუნა ხელაღები და სხვ. სამარხები დათარიღდა ახ. წ. III ს-ითა და IV ს-ის პირველი ნახევრით (ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი 1995: 97-134). 10. სამთავროს ველზე გაითხარა სამარხი-აკლამა (№970) და გვიანტიკური ხანის ფენის ნაშთები. აკლამაში აღმოჩნდა კერამიკა, ოქროსა და ბრინჯაოს საკიდები, ვერცხლის მხარწობიანი გემიანი ბეჭედი, თევზის გამოსახულებიანი რკინის გემიანი ბეჭედი, პართიული და ავეუსტუსის მონეტები. სამარხი ახ. წ. III ან IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღდა (აფაქიძე ... 2001: 25-26). 11. მცხეთაში, მრეველიშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩებზე გამოვლინდა 58 ქვის სამარხი და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები (მათ შორის 2 ორმოსამარხი ადრებრინჯაოს ხანის. იხ. ზემოთ). სამარხები ორ იარუსად იყო გამართული: ქვედა IV-V სს-ით თარიღდება, ზედა VI-VII სს-ით. სამარხებში მიცვალებულნი დაუკრძალავთ გულაშა გაშთილინი, თავით დასავლეთისკენ დამზობილი. სამარხები საოჯახოა. დაკრძალულია ერთიდან ექვსამდე მიცვალებული. სამარხებში აღმოჩნდა ტანსაცმელსა და სამკაულთან დაკავშირებული ნივთები: დილები, მშვილდსაკინძები, საკინძები, ბეჭდები, საყურები, მძივები და მინის სხვადასხვა ფორმის ჭურჭელი (ნიკოლაიშვილი ... 1985: 132-135).

ადრე შუა საუკუნეების ძეგლები მცხეთასა და მის შემოგარენში ვგზვდება: 1. მცხეთა-შიომღვიმის გზის მარცხენა მხარეზე აღმართულ ბორცვზე (ე. წ. ტუიუქოჩორაზე) გაითხარა 14 ბანურსახურავიანი ქვის სამარხი. ისინი საოჯახოა. სამარხებიდან №4 გამოირჩევა ინვენტარის სიმდიდრით. მასში აღმოჩნდა: ოქროს საყურე, ბეჭდები, საკინძი (?), ბრინჯაოს მარჯნისთავიანი საკინძი, გემიანი ბეჭედი; რკინის ბეჭდები, მაღალმშვილდიანი ჭვინტიანი მშვილდსაკინძები; ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავი. ტუიუქოჩორას სამარხებიანი IV-VIII სს-ით დათარიღდა (ნიკოლაიშვილი 1978ბ: 157-167). 2. სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთით, 30-40 მ-ის მანძილზე გამოვლინდა შუა საუკუნეების ნამოსახლართა 3 ფენა (რომლის ქვეშ იყო მოქცეული ელინისტური და გვიანანტიკური ფენები იხ. ზემოთ). შუა საუკუნეების ნამოსახლარში შემდეგი სტრატეგორაფიული სურათი დადასტურდა: ზედა პირველი – გვიანი შუა საუკუნეების ფენა; შუა – XI-XIV სს-ის ფენა, რომელშიც აღმოჩნდა რიყის ქვით ნაგები სწორკუთხა ფორმის სათავსი, პურის საცხობი თიხის ლუმელი, ქვევრები, კერები, თიხის წყალსადენი მილები, მიწაში ვერტიკალუ-

რად ჩადგმული მოგრძო, ბრტყელი ქვა, რომელზეც წამოცმული იყო ქვევრის ყელ-პირის ფრაგმენტი; ქვედა მესამე – ადრე შუა საუკუნეების – VI-X სს-ის ფენა, რომელშიც აღმოჩნდა: ფლეთილი ქვისგან ნაგები კედლის ფრაგმენტი, თხელკედლიანი მინისა და წითლად თუ ჩალისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატენები (ქოთანი, ჭრაქი და სხვ.); ბრინჯაოს ზარაკი, ოქროს ბეჭედი სარდლიონის თვლით, რომელზეც ამოკვეთილია ინტალი – მორბენალი ქურციკის პროფილი (აფაქიძე ... 1978: 64-67, 79). 3. სოფ. წილკნის აღმოსავლეთით გაითხარა გვიანანტიკური-ადრე შუა საუკუნეების ხანის ძეგლები: სამაროვნის, ნამოსახლარისა და ეკლესიის ნაშთები (იხ. წილკანი). მცხეთის და მისი შემოგარენის არქეოლოგიური ნივთები ინახება მცხეთის არქეოლოგიურ ბაზაზე, დიდი მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) ფონდებში და გამოფენაზე.

მცხეთის ცენტრში დგას სვეტიცხოვლის კომპლექსი, რომელშიც შედის: ეკლესია, გალავანი, კარიბჭე, სამრეკლო, სასახლეები, საეკლესიო პირთა საცხოვრებლები. სვეტიცხოვლის პირველი ეკლესია აშენდა IV ს-ის 30-იან წლებში მირიან მეფის დროს, ქართლის სამეფოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებით. პირველი ეკლესია ხის ნაგებობა იყო. ის აშენდა იმ ადგილას, სადაც დაკრძალული იყო მცხეთელი სიღონია ქრისტეს კვართთან ერთად. V ს-ში, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს ხის შენობის ნაცვლად აშენდა ქვის ბაზილიკური ტიპის ეკლესია. 1010-1029 წწ. ქართლის კათოლიკოსის, მელქისედექ I-ის თაოსნობით, ხუროთმოძღვარმა არსუკიმეძე ააგო ახალი დიდი ეკლესია და სხვა ნაგებობები ეკლესიის გარშემო. 1283 წ. სვეტიცხოველი მიწისძვრისგან დაზიანდა. XIV ს-ში გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346) აღადგინა ტაძრის გუმბათი. XIV ს-ში სვეტიცხოველი თემურ-ლენგმა გაანადგურა. XV ს-ში ტაძარი კაპიტალურად შეაკეთა ალექსანდრე I-მა (1412-1442). 1556 წ. სვეტიცხოვლის გუმბათის ყელი აღადგინეს როსტომ მეფემ (1632-1658) და მარიამ დედოფალმა. ნიკოლოზ ამილახორის (ნიკოლოზ VIII) კათოლიკოსობის დროს (1678-1688; 1691-1696) ეკლესიაში, სიღონისა საფლავზე, რომელზეც იდგა „სვეტიცხოველი“ აღმართეს მართკუთხა კოქსიგური ნაგებობა, რომელიც მოხატა მხატვარმა გრიგოლ გულჯავარასშვილმა. 1787 წ. ერეკლე II-მ (1744-1798) სვეტიცხოვლის ტაძრის გალავანი განაახლა. V ს-იდან სვეტიცხოველი კათოლიკოს-პატრიარქთა საკათედრო ტაძარი და მეფეთა განსასვენებელია. აქ დაკრძალულია: ვახტანგ გორგასალი, დავით-უღუ (1247-1270), ლუარსაბ I (1527-1556); სვიმონ I (1556-1600), ალექსანდრე I, ერეკლე II და სხვ.

სვეტიცხოვლის ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (გარე ზომები: 57,7X27 მ, სიმაღლე 49 მ).



არტეფაქტები სვეტიცხოვლის ეზოდან

გვემით აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ წაგრძელებული სწორკუთხედიანია. ეკლესია სამნავიანია. ჯვრის გამოსახულება შექმნილია გუმბათის ოთხივე მხარეს გაწვდილი ოთხი მკლავით. თექვსმეტსარკმლიანი გუმბათი ოთხ მძლავრ ბოძს ეყრდნობა. აფსიდა ნახევარწრიულია. ეკლესიას სამი კარიბჭე ჰქონდა. ამჟამად შესასვლელი დასავლეთიდანაა. ეკლესია ნაგებია კარგად თლილი ნაცრისფერ-მოყვითალო და მომწვანო ქვიშაქვისა და ტუფის კვადრებით. ძეგლის შემორჩენილი წყობა სწორი, პორიზონტალური რიგებისაგან შედგება. ვაზე და შიდა თლილ საპირე ქვებს შორის ჩასმულია კირხსნარისა და ნაყარი ქვების მასა. ეკლესიის საკურთხევლის ორივე მხარეს აფსიდიანი ეგვტერებია: ჩრდილოეთით წმინდა ნიკოლოზისა, სამხრეთით – წმინდა ელია წინასწარმეტყველისა. დასავლეთ ნაწილში დგას XVII ს-ში აგებული პირამიდული ფორმის სახურავიანი კოშკისებური ნაგებობა – „სვეტიცხოველი“, სადაც სასწაულომოქმედი სვეტი ინახებოდა. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, კედელთან დგას მცირე ზომის გუმბათიანი ეკლესიის მოდელი – საბლოცველო. სამხრეთის გუმბათიქვეშა ბურჯთან ოთხ სვეტზე მდგარი ნაგებობა სვერული გადახურვით – საკათალიკოსო კათედრა. ადრე დასავლეთ მხარეს მეორე სართულის დონეზე გაღებულა – პატრონიკე უღლიდა, რომლის მცირე ნაწილი გადარჩა. აფსიდის ქვედა ნაწილში სასულიერო პირთათვის განკუთვნილი სამსაფეხურიანი ჩამოსაჯდომია. საკურთხეველს და ეგვტერებს თითო სარკმელი აქვთ. აღმოსავლეთ და დასავლეთ მკლავებში ასევე თითო სარკმელია, ხოლო გვერდით მკლავებში – სამ-სამი. XI ს-ის ეკლესია მთლიანად მოხატული იყო. ამ ხანის მოხატულობის ფრაგმენტები შემორჩენილია: დასავლეთ მკლავის დასავლეთ კედელზე, შუა ნავის სამხრეთ-დასავლეთ თაღზე და სამხრეთი ნავის კამარაში. დანარჩენი მოხატულობა გვიანდელია. XVI, XVII და XVIII სს-ის მოხატულობა ძირითადად რელიგიური ხასიათისაა. შემორჩენილია ისტორიული პირების გვიანდელი (XVII ს.) გამოსახულება: სამხრეთ-დასავლეთ გუმბათიქვეშა ბოძზე – როსტომ მეფის – მეუღლე, ოდიშის მთავრის, ლევან დადიანის და

მარიამ დედოფალი და მისი შვილი ოტია. „სვეტის“ ქვედა ნაწილში გამოსახული არიან: წმინდა ნინო არმაზის მთასთან; ნანა დედოფალი და მირიან მეფე ამალით. სვეტიცხოვლის ფასადი მორთულია დეკორატიული თაღებით, ქვაზე ნაკეთები ჩუქურთმებით, რომლებიც შემოუყვება სარკმელებს; დასავლეთის ფასადზე სარკმლის გარშემო ვაზის რტოების რელიეფური გამოსახულებაა, ფასადის წვეროში – რელიეფური ქანდაკება – განკითხვის დღე და სხვ. ტაძარში შემორჩენილია ქართული და ბერძნული წარწერები. ქართული წარწერები გვხვდება: 1. აღმოსავლეთის ფასადზე, დეკორატიული თაღის ქვემოთ, თორმეტ დისკოზე სამშენებლო წარწერა: „აღიღწე ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქისედეკ ქართლისა კათალიკოსი ამენ. აღუშენა ესე წმიდაი ეკლესიაი ხელითა გლახაკთა მონისა მათისა არსუკიდისაითა და ღმერთმან განუსვენენ სულსა მისსა“; და ჩრდილოეთის ფასადზე, მთავარი სარკმლის ზემოთ, ორ ქვაზე: „ხელი მონისა არსუკიდისაი შეუნდევით“. მათ შორის ჩასმულია მესამე ქვა ხელისა და გონიოს რელიეფით. ასომთავრული და მხედრული რელიგიური ხასიათის წარწერებია: ეკლესიის დასავლეთ მკლავის დასავლეთ კედელზე, სარკმლის სამხრეთით, საკურთხევლის კონქის თაღის საფეხურის სიბრტყეზე; სამხრეთი მკლავის კედელზე, გუმბათიქვეშა ჩრდილო-დასავლეთ ბოძის აღმოსავლეთ მხარეზე, ჩრდილო კედელზე თაღის აღმოსავლეთით და სხვ. ბერძნული წარწერებია: ჩრდილოეთის ცენტრალური სვეტის სამხრეთ წახნაგზე, ჩრდილო-აღმოსავლეთის სვეტზე, სამხრეთ წახნაგზე. ამ სვეტების შემაერთებელ თაღზე გამოსახული წმინდანების მედალიონებზე, გუმბათში შემორჩენილ ფრესკაზე, საკურთხევლის ცენტრალური სარკმლის მარცხნივ, სამხრეთის კედელზე; ეკლესიის შუაში – სამხრეთის ორ სვეტს შორის, „სვეტიცხოვლის“ სვეტის გარეთა მხარეზე და სხვ. წარწერები ძირითადად XVI ს-სა (ბერიძე 1948ა: 135-164; შმერლინგი 1960: 16-19; სძა 1990: 261-269; ყაუხჩიშვილი 1951: 209-221).

მცხეთაში მდებარეობს სამთავროს კომპლექსი: დიდი ეკლესია, წმინდა ნინოს ეკლესია, სამრეკლო, გალავნის ნაწილი, კოშკი და საცხოვრებელი და სამსახური შენობები. ამ ადგილას ყოფილა ერისმთავრის სამყოფელი და სასახლის ბაღი,



ვერცხლის ჭურჭელი II-III სს.

საიდანაც წარმოდგა მისი სახელი. აქ უცხოვრია წმინდა ნინოს. სამთავროს ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (27X23 მ). ეკლესიას სამხრეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ მხარეს აქვს მინაშენები. ნაგებია მოყვითალო-მოყავისფრო თლილი კვადრებით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. გუმბათი ეყრდნობა ბურჯს. საკურთხევლის ორივე მხარეს სადიაკვნე და სამკვეთლოა. მონასტრის სამხრეთ-დასავლეთით, გუმბათქვეშა ბოძთან დგას მიტროპოლიტის კათედრა. ცამეტწახნაგა გუმბათის ყელში ვაჭრილია 13 სარკმელი, რომლებითაც ხდება ეკლესიის განათება. ეკლესიაში შემორჩენილია რელიგიური ხასიათის მონატურლობა და ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები. სამთავროს დიდი ეკლესია XI ს-ის 30-იან წლებს განეკუთვნება. წმინდა ნინოს ეკლესია დგას დიდი ეკლესიის აღმოსავლეთით. ამ ადგილას IV ს-ში მირიან მეფეს აუგია ეკლესია. ის გუმბათოვანი ნაგებობაა (6,2X3,9 მ). ნაგებია რიყის ქვით. შეკეთების დროს გამოყენებით თლილი ქვა და აგური. აღმოსავლეთით ნაღისებრი აფსიდა აქვს. აფსიდაში 3 თაღოვანი სარკმელია.



ართყვაქტი მცხეთიდან

ქვეშ სატრაპეზო ქვა დგას. ჩრდილოეთით აფსიდის კედელში კონქით გადახურული ნახევარწრიული ნიშია. გუმბათის რვაწახნაგა ყელი სწორკუთხედზეა აღმართული. გუმბათის ყელში ოთხი სარკმელია. ეკლესია მონატურულია წმინდა ნინოს ცხოვრების კომპოზიციებით. მონატურლობა გვიანდელია.

XV-XVI სს-ის სამრეკლო დგას დიდი ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, 20 მ-ის დაშორებით. ნაგებია თლილი მოყვითალო-მონაცრისფრო კვადრებით (სძა 1990: 253-257).

„ანტიოქია“ მდებარეობს ქ. მცხეთის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, მტკვრისა და არაგვის შესართავში შეჭრილი კლდოვან მასივზე. ნაგებობა სამნავიანი ბაზილიკა ყოფილა. შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთის ნაგი. ბაზილიკა შვერილ-აფსიდიანი ყოფილა. საკურთხევლის აფსიდა ნაღისებურია. ძეგლი VII-VIII სს-აა (ყიფიანი 1999: 18-25). მცხეთის ანტიოქიის ეკლესიის ზღუდეზე აღმოჩნდა ქვიშაქვის სტელა ბერძნული სამშენებლო წარწერით: „მე ვარ ანი და ოპი - გააკეთა აქილევსმა ხუროთა (უფროსი) რომ არის. ავრელიოს აქოლოსი მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი ... ზღუდით გამაგრება ... საბოლოო (ან საუკუნო) სსოვნა. არსაკორესი“. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, წარწერა II-VI სს-ით თარიღდება (ყაუჩიშვილი 2000: 230).

ჯვრის ეკლესია მდებარეობს მცხეთის აღმოსავლეთით, მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესართავთან აღმართულ მაღალ მთაზე. აგებულია 584-604 წლებში. ამ ადგილას წმინდა ნინოს მიერ აღმართული ჯვარი მდგარა. VI ს-ში ამ ჯვრის

გვერდით მცირე ეკლესია აუგიათ. ჯვრის ეკლესია ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა. ცენტრალური ნაწილი, რომელზეც გუმბათია აღმართული, ორივე მხარეს ნახევარწრიული აფსიდებით იხსნება. კუთხეებში კვადრატული სათავსოებია. გუმბათის ყელი რვაწახნაგაა. აღმოსავლეთის ფასადზე სარკმლების ზევით ეკლესიის ქტიტორთა გამოხატულებაა: შუაში ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ პატრიკოსი, ხოლო გვერდებზე დემეტრე და ადარნერსე ვიპატოსები. რელიეფს ახლავს ასომთავრული წარწერები. სამხრეთის ფასადზე ერისმთავართა კიდევ ერთი ჯგუფია გამოსახული. რელიეფით არის შემკული სამხრეთის ორივე შესასვლელი. გუმბათის ყელზე გამოსახულია მუხლმოყრილი ფიგურა (სანიკიძე 1981; შვერლინიგი ... 1960: 12-16).

ბიბლიოგრაფია: აგათია სქოლასტიკოსი 1936: 41, 42; აბრამიშვილი 1957: 115-139, 138; ავაქიძე 1959: 7, 51; ავაქიძე 1963: 137, 138; ავაქიძე ... 1978: 81-156; ავაქიძე ... 1978ა: 8-80; ავაქიძე ... 1981: 119-152; ავაქიძე ... 1981ა: 153-169; ავაქიძე ... 1982: 191-218; ავაქიძე ... 1989: 35-39; ავაქიძე ... 1989ა: 41-45; 49-52, 59-65; ავაქიძე ... 1995ა: 6-57; ავაქიძე ... 1999: 3, 4; ავაქიძე ... 2000: 3; ავაქიძე ... 2001: 25, 26; ავაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996: 7-79; ბაგრატიონი 1989: 67; ბაგრატიონი 1986: 30; ბაგრატიონი დავით 1941: 26, 47, 62, 70, 76, 111; ბერძენი 1948ა: 134-164; ბერძენიშვილი 1966: 20-23, 27, 51; 1990: 221, 222; ბოხორაძე 1969ა: 26, 27; გამყრელიძე 2010: 69, 162-165; გობეჯიშვილი 1952: 78; გიულდენშტედტი 1962: 5, 59, 61, 67, 93, 95, 111, 141, 147, 187, 207, 273; 1964: 129, 131, 145, 175; გოთლაძე 1991: 47, 152-154, 195-201; გრიგოლია 1954: 70, 74; დავლიანიძე, სადრაძე 1993: 66-92; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 73, 77, 99, 140; დე გრაი დე ფუა 1985: 86; ეპისტოლეთა წიგნი 1968: 66, 79, 87, 97, 122, 152, 155, 160, 161, 168, 170, 174, 175, 185, 187, 191, 226, 231, 234, 249-251; თოლორდავა 1980: 47-56; ივანეშენკო 1980; კალანდაძე 1949: 259-287; 1959ბ: 14-17; 1963: 37-43; 1980: 22-38, 38-136; კალანდაძე, ბოხორაძე 1964: 13-17; კალანდაძე ... 1966: 29-31; ლომთათიძე 1945: 7, 8, 15, 16, 24-27; მაკალათია 1928: 161-188; მანჯგალაძე 1985: 43-108; მასალები საქ. ისტ. 1905: 34, 44, 58; მარტვილობაი ვესტათი მცხეთელისაი 1946: 45, 47, 53, 54; მარტვილობაი რაუდენისი 1946: 243; მქ 1979: 320, 326, 334, 339-341, 345, 347, 349; მცირე ქრონიკები 1968: 32, 34; ნიკოლაიშვილი 1978ბ: 157-169; ნიკოლაიშვილი ... 1985: 132-135; ნიკოლაიშვილი, ნარიშკინიშვილი 1995: 58, 59; ორბელიანი 1981: 34, 35, 53, 55, 59, 60, 78-80, 84, 86, 88, 102, 107, 111, 164, 235, 243, 244; ოქროპირიძე 1963: 183-220; 1965: 15-30; პტოლემეაიოსი 1955: 46, 60; რამიშვილი 2000: 28-37; სადრაძე 1989: 78-80, 144, 154; 1993: 4-38, 38-55, 61; 1997: 4, 9-11; სამხ. საქ. ისტ. 1961: 7, 11, 23, 25-27, 29, 31-32, 86, 89; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 54, 55, 59, 61, 65, 75, 80, 99, 108, 118, 124, 136, 167,

173, 193, 209, 210, 214, 343, 351, 355-356; საქ. სოდ. 1909: 145, 204, 274, 402, 441; 1910: 324, 481; 1920: 8, 9, 239, 240, 241, 244, 246, 248, 280, 345; სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 130, 142, 151; სძა 1990: 131, 253-257, 261-269; ქართლ-კახეთის ... 1903: 188, 195, 197, 200, 209; ქართ. ხელნაწ. აღწ. 1949: 21, 22, 29; ქართ. ენისტ. 1989: 85; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 20-31, 37, 46, 57, 81, 116, 119, 125, 130, 132, 171, 177, 184; ქართ. სამართ. ძეგ. 1963: 478; 1965: 47, 126, 128, 136, 199-201, 304; 1970: 24, 110, 170, 176, 177, 179, 182-184, 189-195, 212, 219, 237, 238, 251, 580, 587, 588, 590, 756, 786; 1970ა: 47, 50, 72, 23, 701; 1972: 77, 252, 255, 441; 1976: 371; 1981: 277, 561, 636, 774; 1985: 94, 581, 582, 686, 756; ქრონიკები 1892: 6, 11-13, 15-19, 28-30, 36, 37, 39, 43, 45, 48-51, 57, 58, 61, 66-68, 74, 77-78, 93, 168, 175, 182, 186; 1897: 34, 58, 127, 164, 184, 185, 187, 188, 192, 185, 197, 198, 202, 204-207, 212-214, 217-221, 224, 226-228, 231, 232, 235, 239-245, 247-250, 253-255, 259-261, 270-273, 277, 282, 285-290, 300, 306, 310, 316, 317, 319, 320, 323, 325, 330, 332, 335, 345, 346, 368-371, 373-376, 386, 390-395, 401, 408, 413, 416, 418, 423, 424, 430, 439, 441, 444, 453, 456, 457, 460-462, 464, 466, 469, 473, 481, 484, 486, 487, 489-491, 493, 496, 497, 504-506, 514, 515, 520; 1967: 21, 22, 25, 61-63, 73, 98, 115, 158, 168, 173, 174, 176, 183, 222, 243, 266, 398, 444, 457, 599, 606, 634; ქც 1: 3,19; 9,13; 10,4; 11,3-6; 13,10; 15,10,11,15; 17,21; 18,4; 19,3,4-6,8; 20,17,23; 23,10,26; 25,6,17; 27,12,14; 28,16; 29,6; 30,19; 33,4; 34,20; 35,12,16,17; 37,3,14,23; 38,24; 43,20; 44,5,სქ.1,2; 47,8; 48,8,12; 51,12; 52,11; 55,6,11; 58,4; 62,12; 63,16,20; 64,5,22; 71,5; 79,4; 86,3,7,12; 88,4,6; 93,8; 95,12,19; 97,11; 98,4; 99,15; 100,4; 101,1; 106,19; 111,8; 114,22; 116,5,13; 121,17; 122,8; 123,7; 125,7; 128,1; 129,1; 132,14; 136,13; 139,11; 140,20; 142,5; 145,4; 151,11; 157,20; 178,6; 180,3,5,6; 198,10; 200,19; 202,20; 204,11; 205,9; 208,19; 218,7; 223,11; 227,5; 229,8; 232,4; 233,7; 241,8,11; 243,7; 265,15; 279,2; 282,18,19; 290,22; 296,8; 367,4; 373,22; 374,1,11,12,16,19,21; 375,17; ქც 2: 146,10; 224,3; 237,4; 254,21; 257,3; 267,20; 278,8,292,7; 323,10; 328,29; 346,24; 350,3; 351,20,21; 357,13; 366,26,29; 373,11; 390,26; 424,8; 452,4,20; 473,14; 474,20; 475,4,5; 488,8; 490,2; 493,5,9; 496,29; 508,28; 510,13,17; 527,24; 537,4; ქც 4: 7,13,15; 14,27; 25,29; 34,5; 50,19,27,28; 51,8,25; 53,3,5,6,17; 53,3; 55,9,13; 56,2,15; 57,1; 58,19; 59,4,12; 62,17; 63,1,10,20; 64,3,20; 65,3,20; 65,2,24,28; 66,22; 67,25; 68,2,6,9,11; 70,19 71,2; 72,6; 74,19; 77,4,5,6,10; 78,14,15; 80,16,22,25; 81,10,27,30; 82,5; 83,12; 119,8; 124,3; 134,7; 137,4; 140,19; 170,20; 223,2; 230,27; 267,3; 279,22; 281,26; 282,4; 288,29; 294,22; 295,20; 297,21,27; 299,17; 303,17 303,9,13; 333,17; 334,6,10; 338,23; 339,11; 340,1; 347,24; 348,7,8; 349,2, სქ. 1; 350,2,16,18; 351,6; 357,23; 399,28; 402,11; 406,15,18; 412,29; 419,6; 420,15,19; 424,3; 431, სქ. 1; 434,15,16; 446,21; 468,26; 470,5,14; 482,13;

495,16; 501,9; 502,10,12,14,16,19; 535,17; 536,14, სქ. 2; 556,10; 564,19,25; 565,7; 566,11,19; 584,4; 606,5; 611,7,9; 612,21; 620,14; 620,14; 621,6; 522,9 654,4,16; 657,21,22, სქ. 2; 691,6; 794,7,15; ყაუხჩიშვილი 1951: 209-221; 2000: 230; ყიფიანი 1999ა: 18-25; შმერლინგი ... 1960: 12-16; შარდენი 1975: 389, 393; ჩუბინიშვილი 1957: 20-51, 53-97; ჩხეიძე 1913: 30, 35, 38, 46; ცხოვრება ვითრე ათონელისა 1946: 203; ცხოვრება ვითრე ნანძოელისა 1946: 114, 120, 154; ცხოვრება იოანე ზედაზნელისა 1955: 12, 22-25, 39, 66; ცხოვრებაი ნინოსი 1946: 218, 220, 221, 225, 227-229; ცხოვრება პეტრე იბერელისა 1946: 257; ცხოვრება შიოსი და ევაგერსი 1955: 92, 112; ცხოვრება ... 1980: 18, 20-23, 38, 41, 63, 75, 83, 91, 97; ძეგობნი, გამყრელიძე, თოდუა 2012: 111-120; წამებაი აბიბოს ნეკრესელისა 1955: 191, 210; წერეთელი 1995: 95-132; ხორენაცი 1984: 170; ჯავახიშვილი 1960: 172, 255.

მძორაში, მცირე ქალაქი (ქც 4: 344,23,26; 345,10; 346,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 344,23,26; 345,10; 346,15), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 32), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1925: 240, 247-248, 249), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 66, 68), XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 158; ქრონიკები 1897: 349; 1967: 86; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 364, 374; 1972: 34, 130, 131; 1974: 209, 210; 1977: 612, 613; 1981: 50, 157, 535; 1985: 887; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 241, 241; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 254), ისქანდერ მუნშის „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია“ (მუნში 1969: 20). მდებარეობს ქარელის მუნიციპ-ში, მდ. ძამის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ორთუბნის ტერიტორიაზე (მაკალათია 1961: 31).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ძამაზედ არს მძორეთი, მცირე ქალაქი“ (ქც 4: 344,23). მძორეთი მოიხსენიება მძორეთი-ზოვრეთის სახელითაც (ქრონიკები 1897: 349; გორგიჯანიძე 1925: 249). მძორეთს ჰქონდა მოხერხებული მდებარეობა: მასზე გადიოდა ზემო, ქვემო და შიდა ქართლის შემაერთებელი გზები (გეოტიმოლოგი 1955: 173; ბერძენიშვილი 1966: 45, 63). მძორეთში უძველესი დროიდან უნდა არსებულებოდა საბაჟო. მძორეთი X ს-ის მეორე ნახევარში ძამელი მთავრის, ადარნერსეს რეზიდენციაა (გვასალია 1983: 153, 154). XVI ს-ში საციციანოს ცენტრი გახდა. XVIII ს-ში მძორეთი დაქვეითდა (მესხია 1983: 227). XIX ს-ში არსებობას წყვეტს და მის ადგილზე სოფ. ორთუბანი ჩნდება.

მძორეთი არქეოლოგიურად შესუსწავლელია. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. ზოვრეთის ტერიტორიაზე 1964-1965 წწ. ჯ. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზღუდერის



არტეფაქტი ზღუდერიდან

არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელმა ნემსაძემ) შეისწავლა სამაროვანი, ე. წ. „გალავანი“ და ნამოსახლარი. სამაროვანი მდებარეობს სოფ. ზღუდერში, ადგილ გოჩანთკარში, მდ. ძამის მარცხენა ნაპირზე არსებულ ორ ბორცვზე. იქ შეისწავლეს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის 10 ორმოსამარხი და 6 ყორღანი. აგრეთვე გვიანანტიკური ხანის 5 სამარხი. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორნამო-სამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი. ყორღანები დაზიანებულია. მათი ყრილების დმ დაახ. 5 მ-ია. ყველა მათგანს შემოუყვება ქვის წრე. ყორღანებში დაკრძალული იყო ერთი (№1) ან ორი (№4) მიცვალებული. ორმოსამარხებსა და ყორღანებში აღმოჩნდა ჩარხზე დამზადებული, მოშავო და მონაცრისფრო თიხის ჭურჭელი (ქოთნები, ლანგრები, საღვებელი). ზოგიერთი მათგანი ორნამენტირებულია. ლითონის ნივთებიდან გვხვდება ბრინჯაოს ისრისპირები, რკინის მასრაგახსნილი შუბისპირი, თავხვია საკინძი, მხანათი, ბეჭდები და სხვა (ნემსაძე 1969: 53, 54).

გვიანანტიკური ხანის სამარხები დაზიანებულია. მათგან 3 მდიდრული ინვენტარის შემცველი წყვილადი სამარხებია. მიცვალებულები დაკრძალულია ზურგზე გაშლილი, თავით დასავლეთით. ორ მათგანში იყო ხის სარკოფაგი. ღარიბული ინვენტარის შემცველი სამარხები ინდივიდუალურია. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი. სამარხეული მასალა წარმოდგენილია ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს სარიტუალო დანიშნულების საგნებით, სუფრის ჭურჭლით, სამკაულით, ოქროსა და ვერცხლის მონეტებით. მათგან აღსანიშნავია: მასიური ოქროს ბეჭედი, რომლის ძოწის თვალზე ქალისა და მამაკაცის პორტრეტებია ამოკვეთილი. გამოსახულების ქვეშ ბერძნული წარწერაა: „მატრონა“, „კაბრია“; ოქროს ბეჭდის გემაზე გამოსახულია არწივის კლანჭებში ჩაჭერილი კურდღელი; ყელსაბამი შემკული აიგუნდის ინტალიონით, რომელზეც გამოსახულია დელფინზე მჯდარი ნიმფა-ნერეიდა; ოქროს ვარდულებისაგან შედგენილი ლალისა და მარგალიტის თვლებით შემკული სამაჯურები; ოქროს სხივანა საყურეები; ოქროს კილიტები; ოქროთი დაფერილი გირჩებითა და დაფნის ფოთლის არშიით შემკული ვერცხლის ლანგარი, რომლის შუაგულში ჩასმულია ელვისმჭერობელი არწივი-ზევსი; ვერცხლის ლანგარი, დაზიანებული ბერძნული წარწერით: „მიუქლენი“, „ვაჩუქებ“; ვერცხლის პინაკი, რომლის ძირზე გამოსახულია ცეცხლოვანი ბომონის წინაშე მდგარი, ტორაწეული მოთქრული ცხენი; ვერცხლის პინაკი ძაღლისა და ტახის გამოსახულებით, 2

ვერცხლის კოვზი, ერთ-ერთ მათგანზე ბერძნულ-არამეული წარწერით, ვერცხლის ინკრუსტირებული იტალიური პატერა და ონიოხოია, ვერცხლის აბზინდები, სარეცლის ვერცხლის გარსაკრავები, ბრინჯაოს საცეცხლური, გრიფონის ბრინჯაოს ფიგურა, რკინის ისრისპირი, დანის ფრაგმენტი, მინის სანელსაცხებლე, მძივები და სხვ. სამარხებში აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის 58 მონეტა. მათგან 46 რომაულია (13 აურეუსი, 33 დენარი) და 12 პართული დრამა არტაბან II-ისა. თარიღდება II-IV სს-ით (გოლენკო, კაპანაძე 1968: 160-166; ნემსაძე 1977: 110).

სოფ. ზღუდერში, მდ. ძამის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს მონრდელი ნაგებობის ე. წ. „გალავნის“ საძირკველი, ნაშენი რიყისა და კლდის ფლეთილი ქვით. სიგანე 1,5 მ. მიემართება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 20,9 მ სიგრძეზე. შემდეგ სამხრეთისაკენ უხვევს. თარიღდება გვიანანტიკური ხანით (ნემსაძე 1969: 55).

გვიანი შუა საუკუნეების ნამოსახლარი მდებარეობს ადგილ გოჩანთკარში არსებულ ორივე ბორცვზე. ნამოსახლარი წარმოდგენილია: სამეურნეო ნაგებობებით, სწორკუთხა ფორმის 2 საწახელით, ქვევრებით, თონითა და წყლის მილებით (ნემსაძე 1969: 54).

მძორეთის ტერიტორიაზე შემორჩენილია ეკლესია და ციხე-დარბაზი. ლვთისმშობლის სახ. გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია (7,7X5,2 მ) დგას სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ნაგებია რიყის ქვით, ქვიშაქვითა და აგურით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. დაზიანებულია (სძა 1990: 382).

მძორეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ციციშვილების ციხე-დარბაზი, რომლის საერთო ფართობია 1 ჰა. შემორჩენილი ყოფილა გალავნით, რომლის მხოლოდ ჩრდილოეთი კედლის ნაწილია შემორჩენილი. გალავანს დასავლეთი და აღმოსავლეთი მხრიდან ჰქონია 2 კარი. ერთსართულიანი სასახლე გვემთო თოხკუთხაა. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. კედლები შეღესილია. გალავნის შიგნით, აღმოსავლეთ მხარეს დგას ფლეთილი ქვით ნაგები, დარბაზული (9X5,8 მ) ეკლესია. აფსიდა ნახევარწრიულია; შესასვლელი აქვს დასავლეთიდან. შემორჩენილია მონატულობის კვალი. ეკლესიის დასავლეთ კედელზე მიშენებულია XVII ს-ის სამსართულიანი სამრეკო (5,8X5,9 მ). ნაგებია რიყის ქვით, ქვათლილებითა და აგურით (ზაქარაია 1969: 194-198; 1988: 96-98).

ციხე-დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში მდებარე XVII ს-ის შეიდსართულიანი კოშკი გვემთო თოხკუთხაა (7,1X6,9 მ, სამალღე 22,3 მ). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი ჩრდილოეთიდან და



არტეფაქტი ზღუდერიდან

სამხრეთიდანაა. ზედა სართულზე სათოფურებია (ზაქარაია 1969: 194-198; 1988: 96-98). ჩრდილოეთის მხრიდან კოშკზე მიდგმულია საცხოვრებელი ნაგებობა.

მხორეთში შემორჩენლია XVII ს-ის აბანო (14,8X11,7 მ). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი აღმოსავლეთიდანაა. აბანოს აქვს საქვაბე; საბანო სათავსი, სადაც აუზებია მოწყობილი; გასახდელი; ტალანი; გათბობისა და წყალმომარაგების სისტემა (ზაქარაია 1969: 144-198; 1988: 96-98).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 32; ბერძენიშვილი 1964: 193-194; 1966: 45,63; ბერძენიშვილი 1985: 60; გვასალია 1983: 94, 118, 120, 143, 151-154, 164; კვრიტიშვილი 1955: 123, 128, 137, 173, 268, 421, 443, 444, 446, 447; ვოლენკო, კაპანაძე 1968: 160-166; ვორგიჯანიძე 1925: 249; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 254; ზაქარაია 1957: 767-774; 1957ა: 169-249, 173, 174, 236; 1969: 194-198; 1988: 96-98; ოსელიანი 1850: 52, 53; მაკალათია 1961: 9; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 241, 242; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 158; მესხია 1983: 226, 227, 234, 235; მუნში 1969: 20; ნემსაძე 1969: 45-55; 1977: 108-114; ორბელიანი 1981: 66, 68; სძა 1990: 373, 380, 382, 383; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 224, 225, 364, 374; 1974: 209, 210; 1981: 50, 56, 157, 370, 535; 1985: 887; ქრონიკები 1897: 349; 1967: 86; ქც 4: 344,23,26; 345,10; 346,15; ხარაძე 1992: 64.*

მფეფრის ციხე (ქც 4: 758,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 758,3), XVII ს-ის რუსი ელჩის, ალექსი იველივის საანგარიშო მოხსენება (იველვი 1969: 166).

მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპ-ში, დღევანდელ სოფ. მწყერის ციხიდან 1 კმ-ის დაშორებით, მდ. ბორიშელას შენაკადის – თურნას შესართავთან, ბორიშელას მარცხენა ნაპირზე.

შესაძლოა მწყერის ციხე გვიანანტიკურ ხანაში იყო რეზიდენცია გამდიერებული ქართლის სამეფოს მონაპირე ერისთავისა, რომელსაც სახელმწიფო საზღვრის დაცვა ევალებოდა.

მაღალ კონცხზე აგებულია ციხე ძლიერ დაზიანებულია. ნაგებობებში მრავალფენიანობა არ შეიმჩნევა (ცქიტიშვილი 1955: 309, 310).

მწყერის ციხე არქეოლოგიურად შესწავლულია.

ბიბლიოგრაფია: *იველვი 1969: 166; ქც 4: 758,3; ცქიტიშვილი 1955: 305, 309, 310; 1964: 71, 73, 75.*

მჭადისჯვარი, მონასტერი (ქც 4: 351,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 351,23), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 34), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 41, 49), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 216, 217, 226),

XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 544; 1981: 273, 274; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 59; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 134, 164, 165, 692; 1953: 135), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 53, 273).

ვახუშტი ბაგრატიონი მჭადიჯვრის შესახებ აღნიშნავს: „ტყევილიანის ჩდილოთ არს მონასტერი მჭადისჯვარისა, საბურდიანოსა შინა, გუმბათიანი და აწ უქმი“ (ქც 4: 351,22-24).

მდებარეობს ღუშეთის მუნიციპ-ში, მდ. ნარეკავის მარცხენა მხარეს, სოფ. მჭადიჯვრის ტერიტორიაზე.

XVII ს-ში სოფელი სამუხრანბატონოში შედიოდა (ბაგრატიონი 1986: 34). იოჰან გიულდენშტედტის მიხედვით, ლეკების ზუა ქსანსა და ნარეკავს შორის გადიოდა მჭადიჯვარზე გავლით ლამისყანამდე და ცხინვალამდე (გიულდენშტედტი 1962: 530). მჭადიჯვრის ციხესთან 1754 წ. 16 აგვისტოს ერეკლე II-მ (1744-1798) და თეიმურაზ II-ემ (1744-1762) სასტიკად დაამარცხა ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი (ბაგრატიონი 1983: 49).

1955 წ. სოფ. მჭადიჯვრის ტერიტორიაზე ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი) მიაკვლია რამდენიმე გორანამოსახლარს (ბერძენიშვილი 1966: 163, 164; მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 188). 1969, 1974-1977, 1984 წწ. იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ნარეკავის ექსპედიციისა (ხელმძღ. ლ. წითლანაძე) და ჭინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. რ. რამიშვილი) შეისწავლეს მჭადიჯვრის გორა ნამოსახლარი. გათხრების შედეგად გამოვლინდა 9 ფენა. მათ შორის, მე-8 და მე-9 (ქვედა ფენები) განეკუთვნება ადრე ბრინჯაოს ეპოქას. იქ აღმოჩენილი მასალის უმეტესობა კერამიკაა. ჭურჭელი შავადაა გამოშვარი, ზედაპირი ნაპრიალებლია. შემკულია გეომეტრიული და რელიეფური ორნამენტით. გვხვდება „ლურსმული“ ორნამენტით შემკული ნიმუშები. ცალკე ვხვდებით შეადგენს უხეშეკეციანი, დაძვრწილორნამენტაინი მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტები. ადრე ბრინჯაოს ფენაში გამოვლინდა სარ-ლასტზე ნაგები ოთხკუთხა შენობის ნაშთები – კერები, იატაკში ჩაჭრილი ორმოები, კერამიკის ფრაგმენტები, ქვასა და ძვლის იარაღი, ცულის ყალიბი, ოთხკუთხა სადგრები. შუა ბრინჯაოს ხანის ფენაში გამოირჩევა ორი ჰორიზონტი. ქვედაში აღმოჩნდა მიწურის ტიპის შენობის ნაშთები, სამეურნეო ორმოები, შავად გამოშვარი კერამიკა. ზედა ჰორიზონტში გამოვლინდა ხის მორებით ნაგები ორმხრივ შეღვსილი შენობების ნაშთები, წითლად გამოშვარი კერამიკა, ანთროპომორფული ქარდაკებები, ძვლისა და ლითონის ნივთები. ნამოსახლარზე გვიანი ბრინჯაოს პერიოდის სამი შრეა. ზედა შრის შენობები შელესილკვდილიანია, იატაკი თინატკეპნილია. ქვედა ორი შრის საცხოვ-

რებელი შენობები ნაგებია ალიზით. იატაკი მოტკეპნილია. თიხის ჭურჭელი შავპირიალა. დიდი რაოდენობითაა ხელსაფქვავის ქვები, სასრესები, საპრიალებლები. თიხის ჭურჭელში გამოირჩევა დერგები, ქვაბქონები, ხელადები, სასმისები და სხვ. აღსანიშნავია თიხის ორი საბეჭდავი სვასტიკისა და ჯვრის გამოსახულებით. მსხვილფენა საქონლის ძვლებში მრავლადაა ირმის რქები. ფენა თაროდება ძვ. წ. XIV-XIII სს-ით. ზედა – ადრე შუა საუკუნეების ხანის ფენაში გამოვლინდა: ქვითა და კირხსნარით ნაგებ სათავსოთა კედლების ნაშთი, სამეურნეო სათავსო, ქვევრებიანი მარნის საძირკვლის ნაშთი. შენობები კრამიტით ყოფილა დახურული. ფენაში გამოვლინდა კერამიკული მასალა და მინის ჭურჭლის ნატეხები.

გორის მახლობლად გაითხარა ძვ. წ. IV-III სს-ის დაზიანებული ორმოსამარხი. ჩონჩხი დაშლილი იყო. სამარხში აღმოჩნდა წითლად გამომწვარი მოხატული ხელადა, შავად გამომწვარი, პურცობებით შემკული კოჭობი, რკინის მოხრილი დანები, გრძელმასრიანი ხელშუბისპირი, რკინის ცული, სატევარი, რკალშესქელებული სამაჯური, ფარაკიანი ბეჭედი, მძივი (წითლანაძე ... 1975: 41-46). მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიის ცენტრში, დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და არქეოლოგიის ცენტრის დუშეთის ბაზაზე.

სოფ. მჭადიჯვარში, მდ. ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე დგას გუმბათიანი ტაძარი და ციხე-გალავანი. სამშენებლო წარწერის მიხედვით ტაძარი 1668 წ. აუგია დომენტი კათოლიკოსს, ხოლო ციხე-გალავანი 1746 წ. კონსტანტინე მუნრანბატონს. ციხე-გალავნის დიდი ნაწილი ამჟამად დანგრეულია და მის ადგილზე საცხოვრებელი შენობები დგას.

ტაძარი (17X20,7 მ) ნაგებია აგურით. შესასვლელი სამი მხრიდანაა. მოგვიანებით ამოუქოლავთ ჩრდილოეთის შესასვლელი. ეკლესიის შიდა სივრცეს ქმნის ოთხი მკლავი და მათ გადაკვეთაზე აღმართული გუმბათი. აქვს კანკელით გამოყოფილი ღრმა ნახევარწრიული აფსიდა, რომლის ორივე მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნა. ისინი თაღებით უკავშირდებიან საკურთხეველს. გუმბათის ყელში 12 სარკმელია, ჯვრის მკლავებში – სამ-სამი. ფასადებს ამკობს აგურების წყობა და თაღები. სამხრეთი

კარის ტიპპანზე მხედრული სამშენებლო წარწერაა.

ციხე-გალავანი გეგმით სწორკუთხაა (49,5X34,3 მ). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. კუთხეებში კოშკებია. გალავნის ძირითადი ნაწილი დანგრეულია. ქვედა ნაწილი ყრუ კედლები ყოფილა. ზედა ნაწილში გამართულია სათოფურები და სალოდეები. 1,2 მ სიგანის შესასვლელი სამხრეთიდანაა. კარის თავზე ჩადგმულ ორ ქვაზე მხედრული წარწერაა, რომლის მიხედვით, ციხე-გალავანი 1746 წ. აუშენებია კონსტანტინე მუნრანბატონს (გვრიტიშვილი 1955: 380). კოშკებიდან ყველაზე დიდაა ეკლესიაზე მიშენებული ჩრდილოეთის ცილინდრული კოშკი. პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისაა. მეორე სართულზე 2 კარია. ერთი ეკლესიას უკავშირდებოდა, მეორე გალავნის გარეთ გადიოდა. კოშკში ბუხარი, სარკმლები, სათოფურები და სხვადასხვა ზომის ნიშებია. მესამე სართული საბრძოლო ბაქინანია. კედლებში 6 სალოდე, 2 საზარბაზნე და 25 სათოფურია. დანარჩენი კოშკებიც სამართულიანია. შესასვლელი პირველ სართულზეა, ზოს მხარეს (ზაქარაია 1957ა: 185, 207, 208, 217, 218, 230-234).

ღვთისმშობლის IX-X სს-ის დარბაზული ეკლესია (12,6X6 მ) დგას სოფლის სამხრეთ ნაწილში, ძველ სასაფლაოზე. ნაგებია რიყის ქვით. კონსტრუქციული ნაწილი და კარ-ფანჯრები გათლილი შირიმი და ქვიშაქვაა. აფსიდა ღრმაა, ნალისებური. შესასვლელი სამხრეთიდანაა. სარკმლის ქვეშ მიშენებულია ტრაპეზი. ეკლესია ძლიერ დაზიანებულია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1983: 41, 49; ბაგრატიონი 1986: 34; ბერძენიშვილი 1960: 141-184; ბერძენიშვილი 1964: 363, 398, 399, 408; 1966: 60; გვრიტიშვილი 1955: 380, 382; გიულდენშტედტი 1962: 53, 213; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 134, 164, 165, 692; 1953: 135; ზაქარაია 1957ა: 185, 207, 208, 217, 218, 230-234; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 304; 1955: 59; მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 187, 188; ორბელიანი 1981: 216, 217, 226; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 544; 1981: 273, 274; ქც 4: 351,23; წითლანაძე ... 1975: 41-46; წითლანაძე, მენაბდე 1976: 494; წითლანაძე, ბუჩუკური 1987: 542, 543; წითლანაძე 1977: 484; 1980: 55-60; 1985: 16-19; წითლანაძე ... 1978: 29, 30; წითლანაძე ... 1979: 88-91.



ნაბახტევი (ქვ 4: 376,25,28). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 376,25, 28), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44), XV ს-ის ამირეჯიბთა სიგელი (ქრონიკები 1897: 207-213), XVII ს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 228, 229; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 159, 160) ვახუშტი ბაგრატიონი აღის-წყლის ხეობის აღწერისას მოიხსენიებს ნაბახტევს: „ვაყას ზეით არს ნაბახტევი და ნაციხვარი ... ნაბახტევს ზეით ერთვის აღის-წყალს ბრილის წყალი“ (ქვ 4: 376,25, 28). მდებარეობს ხაშურის მუნიციპ-ში, ხაშურიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 9 კმ-ზე, თანამედროვე სოფ. ნაბახტევის ტერიტორიაზე.

ისტორიულ წყაროებში ნაბახტევი XV ს-იდან იხსენიება. XV ს-ის დასაწყისში ქუცნა ამირეჯიბმა და მისმა მეუღლე რუსამ ააგეს და მოხატეს ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესია. 1609 წ. ქართლის მეფე ლუარსაბ II-მ (1606-1615) ნაბახტევი უბოძა გიორგი სააკაძეს, რომლის საქართველოდან წასვლის შემდეგ სოფელი სახასო მფლობელობაში გადავიდა. 1652 წ. როსტომ მეფემ (1632-1658) ნაბახტევი იორამ სააკაძეს გადასცა. 1676 წ. თარხან მოურავიშვილმა ნაბახტევი მდივან შანშეან-მარტიროზიშვილს მიჰყიდა. XVII ს-ის ბოლოდან ნაბახტევი ქვათახევის საწინამძღვროში შედიოდა. ნაბახტევი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფლის განაპირას, სამხრეთით დგას დარბაზული ეკლესია (5X3,8 მ), რომელსაც დედაღვთისას უწოდებენ. თარიღდება XVIII-XIX სს-ის მიჯნით. ნაგებია ფლეთილი ქვითა და აგურით. ოთხკუთხა საკურთხევლის იატაკი 0,5 მ-ით ამაღლებულია. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს.

იოანე ნათლისმცემლის დარბაზულია ეკლესია (13,7X6,3 მ) სოფლის დასავლეთით, შემადგენულ ადგილზეა. თარიღდება XVIII ს-ით. ნაგებია ქვიშაქვის ტლანქად დამუშავებული სხვადასხვა ზომის კვადრებით. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. ეკლესია დაზიანებულია.

სოფელში, მდ. ჭერათხევის მარცხენა მხარეს კვერცხობის დარბაზული ეკლესიაა (10,35X5,56 მ). თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. კარის ღიობი გადახურულია ნახევარწრიული ქვით, რომელსაც პროფილირებული

არქივოლტი აქვს შემოვლებული. მის შუაში ტოლმკლავა ჯვარი გამოსახული. ნახევარწრიული აფსიდის ლერძზე ერთი სარკმელი და ორი ნიშია, მეორე სარკმელი სამხრეთის კედელშია გაჭრილი. ეკლესია დაზიანებულია.

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთაზე დგას ღვთისმშობლის ეკლესია. თარიღდება XV ს-ის დასაწყისით. ეკლესია დარბაზულია (14,50X9,35 მ). ნაგებია თლილი ქვით. ეკლესიას აღმოსავლეთით აქვს შიგნით ნახევარწრიული და გარეთ ცხრაკუთხა შვერილი აფსიდა. საკურთხეველში ერთი სარკმელი და ორი ნიშია. დასავლეთ კედელში ერთი სარკმელია გაჭრილი, გრძივ კედლებში – თითო. ინტერიერში აფსიდის წინ აღმართულია კედელი, რომელიც მთლიანად ფარავს საკურთხევის ჩრდილოეთ ნაწილს, ხოლო სამხრეთით გადადის სატრიუმფო თაღში. ეკლესიის დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რომელიც ეყრდნობა სამ წყვილ პილასტრზე გადასულ საბჯენ თაღებს. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს – დასავლეთით, რომელიც ამჟამად ამოშენებულია და ჩრდილოეთით. ამ უკანასკნელზე მიშენებულია გეგმით ოთხკუთხა ორსართულიანი სამრეკლო (4,5X4,85 მ), რომლის ქვედა სართული კარიბჭეს წარმოადგენს. ეკლესია ძლიერ დაზიანებულია. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. XX ს-ის 70-იან წლებში ფრესკების ნაწილი – მეფე ალექსანდრე I დიდი (1412-1442) დედაფალთან ერთად, ქუცნა ამირეჯიბი და მისი მეუღლე რუსა, იოანე ნათლისმცემლის გამოსახულება – საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გადაიტანეს. მოხატულობა თარიღდება 1412-1431 წლებით და სტილისტურად უახლოვდება ბიზანტიურ მხატვრობას.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 44; ლორთქიფანიძე 1973; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 159, 160; სძა 1990: 438-440; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 228, 229; ქრონიკები 1897: 207-213; ქვ 4: 376,25, 28.*

ნაშპი, იხ. რუსთავი.

ნადაზური (ქვ 4: 379,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 379,15), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44, 45), XVII- XVIII სს-ის ის-

ტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 160; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 321; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 571), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 303).

ვახუშტი ბაგრატიონი ნადაბურს ახსენებს ხევისის ხევის აღწერისას: „არს ვერტყვილამდე ქართლისა, და უწოდებენ ვერტყვილიდამ ნადაბურამდე ხევისის-ხევისა“ (ქ 4: 379,15).

მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპ-ში, ლიხის ქედის დასავლეთ კალთაზე მდ. ძირულას მარცხენა მხარეს, ხარაგაულიდან 53 კმ-ის დაშორებით.

წყაროებში ნადაბური პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 160). XVIII ს-ში ნადაბური მირიან ბატონიშვილის საგამებლოა (ბაგრატიონი 1986: 44, 45). აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოსაკენ ერთ-ერთი გზა რიკოთის გადასასვლელით ნადაბურზე გაივლიდა: სურამი – ჩუმათელეთი – რიკოთის გადასასვლელი – ნადაბური – ძირულას ხეობა – ამაშუკეთი – უბისა – შროშა – შორაპანი (ბერძენიშვილი 1964: 2, 252).

ნადაბური არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფელში შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ოთხკუთხა კოშკის ნანგრევები, რომელსაც მოსახლეობა ღლანდიძეების ციხეს უწოდებს.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ნადაბურის გარდა, ამავე სახელწოდების სოფელი ახალგორის რაიონშიცაა, მდ. ლეხურას (მტკვრის მარცხენა შენაკადი) ხეობაში, ახალგორიდან 19 კმ-ის დაშორებით.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 44, 45; ბერძენიშვილი 1964: 2, 252; გიულდენშტედტი 1962: 303; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 321; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 160; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 571; ქ 4: 379,15.

ნაღარბაზეშვიძე (ქვემო ქართლის) (ქ 4: 323,10). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ 4: 323,10), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 50).

ვახუშტი ბაგრატიონი ნაღარბაზეშვიძის შესახებ გადმოგვცემს: „ჭივიჭვიის წყალის ღრის ბუნდრის მთასა და მოდის სამხრით; არს ვენახოვანი, ხილიანი, არამედ მთისკენ არა. ამის საღინს არს ნაღარბაზევი, თამარ მეფის ნასახსელი. აქა არს ტბა მცირე“ (ქ 4: 323,8-11).

მდებარეობს თეთრი წყაროს მუნიციპ-ში, თეთრი წყაროს ჩრდილო-დასავლეთით, 11 კმ-ის დაშორებით, თეთრი წყარო-ივანოვკის გზაზე.

1948-1949 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი) თეთრი წყაროს მუნიციპ-ში აწარმოებდა ფართო დაზვერვით და გათხრით სამუშაოებს. ნაღარბაზევისა და მის მიდამოებში ექსპედიციამ გამოავლინა

სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის მრავალი ძეგლი (ლომთათიძე 1989: 22-45). ნაღარბაზევის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1,5 კმ-ის დაშორებით, გზის პირას მიაკვლიეს პატარა ყორღანს, რომლის სიმაღლეა 0,7 მ, დმ 50 მ. ნაღარბაზევის მახლობლად, ნასოფლარ ტყემლარადან აღმოსავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით, ე. წ. უნავირა გორაზე, ტყის კორდზე გამოვლინდა 3 მცირე ზომის ყორღანი, რომელთა სიმაღლეა 0,7 მ, დმ 6 მ. ნაღარბაზევიდან 200-ოდე მ-ის დაშორებით მდებარეობს ნასოფლარი, რომლის დასავლეთით, 800 მ-ის დაშორებით მცირე სოფლის ნაშთები და დარბაზული ტიპის პატარა ეკლესიაა, ნაშენი მოზრდილი, კარგად გათლილი კვადრებით. სავარაუდოდ, ეს სოფ. ავაზანი უნდა იყოს. ნასოფლარ ნაღარბაზევის ჩრდილო-დასავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით, მდ. ტორნეს შენაკადის მალაღ ნაპირზე განფენილია დიდი ნასოფლარი. შენობათა შორის შეიმჩნევა ძველი ეკლესიის ნანგრევი. შესაძლოა ეს სოფ. გვარეთი იყოს. ნაღარბაზევის სასახლის ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ-ზე, ხშირ მუხნარში დიდი ნასოფლარია. იქ შეიმჩნევა საცხოვრებელი შენობების ნაშთები და გალავანში მოქცეული შენობა, ალბათ ადგილობრივი ფეოდალის სასახლე. მის მახლობლად დგას დარბაზული ტიპის ეკლესია. სასახლე და ეკლესია XIV ს-ზე გვიანი არ ჩანს. ნასოფლარი სავარაუდოდ ძველი ტყემლარა უნდა ყოფილიყო. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. ჭივიჭივის ნაპირზე შემორჩენილია ნასოფლარის ნაშთები და სასაფლაო. ნაღარბაზევის სამხრეთ-დასავლეთით, 1 კმ-ის დაშორებით, ე. წ. უნავირა გორაკზე, ტყეში დიდი ნასოფლარია, რომელიც თითქოს გალავნითაც ყოფილა გამაგრებული. ნაღარბაზევის დასავლეთით, 1,5 კმ-ზე, მდ. ტორნეს შენაკადის მარჯვენა მხარეს მონასტრის ნანგრევებია, რომლებიც IX-X სს-ის უნდა იყოს. ეკლესიის ირგვლივ შემორჩენილია საცხოვრებელი შენობები და გალავნის ნაშთები. ერთი ნაგებობა სამშენებლო წარწერის მიხედვით სატრაპეზოს წარმოადგენს. ნასოფლარ ტყემლარას (?) აღმოსავლეთით, მდ. ჭივიჭივის ნაპირას გამოკვეთილია მცირე გამოქვაბული, რომლის ზომებია: სიგრძე 6 მ, სიგანე 2,5 მ, სიმაღლე 2 მ (ციციშვილი 1979: 47; 1979ა: 5).

ნაღარბაზევის ახლომახლო, დაზვერვების შედეგად მიკვლეული ძეგლებიდან ზოგიერთი არქეოლოგიურადაა შესწავლილი. 1949 წ. ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა თამარ მეფის ნასახსლევიდ მიჩნეული ნაღარბაზევის სასახლე და მისგან ორასიოდე მ-ით დაშორებული ნასოფლარი, რომელსაც პირობითად „ნაღარბაზევის ნასოფლარი“ ეწოდა (ლომთათიძე 1974: 120-134).

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი) 1949 წ. მცირე მასშტაბის, ხოლო 1953-1956 წწ. სისტემატურ გათხრებს აწარმოებდა ნაღარბაზევის მახლობლად, მდ.


ჭიჭკავას მარჯვენა ნაპირზე მდებარე ნასოფლარ „ნაჭიჭკავებზე“ (გმელიშვილი 1964ა: 731). 1957-1959 წწ. იმავე ინსტიტუტის თეთრი წყაროს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ. ვობეჯიშვილი) გათხარა ჯერ კიდევ 1952 წ. დაზვერვების შედეგად მიკვლეული №2 ყორღანი. სამარხის მახლობლად გამოვლინდა კიდევ 6 ყორღანი, რომელთაგან ერთი (№4), ექსპედიციამ 1961 წ. შეისწავლა. ერთი ყორღანი განის მამიებლებს გაუთხრიათ (გობეჯიშვილი 1980: 15-33).

ნადარბაზევის ყორღანი №2 მდებარეობს თეთრი წყაროდან ივანოვიკისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, ლოგრაშენის სათიბ-სამოვრებში, უსახელო ტიპის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირის ზემოთ, ნადარბაზევის მახლობლად. ყორღანის სიმაღლეა 4 მ, დმ 70 მ-მდე. ყრილი წაგრძელებული იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ყრილი დასაკრძალავი კამერის თავზე შედგებოდა კულტურული ნაშთების შემცველი ქვის ე. წ. „ჯგვინისაგან“, რომლის შუაგული ჩაწოლილი იყო სამარხ კამერაში (8,6X5,4X2,2 მ). ამ ქვაყრილის ზემოთ დაზვინული იყო 3 მ სისქისა და 10-12 მ დმ-ის კულტურული ნაშთების შემცველი შავი ჰუმუსური თიხის ყრილი. ყორღანის ყრილის გარეთა ნაწილი შედგებოდა თითქმის უმინარეგო მოწითელო-მოოქროსფრო თიხისაგან. ყრილში ჩაშვებული იყო შუა საუკუნეების 3 უინფენტარო სამარხი. ყორღანის დასაკრძალავი კამერა სწორკუთხა ორმოა, რომლის იატაკი მოსწორებულია ქვის წვრილი ნატეხებითა და მიწით. წაბლისფერი თიხით მოლესილ-მოსწორებულ ბაქნებზე, სამარხეული ნივთების ქვეშ ჭილოფის ფრაგმენტები და მისი ანაბეჭდები აღმოჩნდა. სამარხის ჩრდილო კედლის შუა ნაწილიდან 1 მ-ის დაშორებით გამოვლინდა მიცვალებულის თითქმის მთლიანად დაშლილი ჩონჩხი, რომელსაც არ ახლდა კისრის ძაღვისა და თავის ქალის ძვლები. მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი, ფეხებით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ძვლები ემწიწოდა წითელი საღებავის კვალს. კერამიკული მასალა სამ ჯგუფად იყო გაბნეული სამარხის დასავლეთ ნაწილში. თიხის ნაწარმი წარმოდგენილია შავპირილა ზედაპირისა და ვარდისფერი სარჩლის მქონე დერგებით, მცირე ზომის ზედაპირნაპირალები თხელკეციანი ჭურჭლის ნატეხებით. იქვე აღმოჩნდა ძვლის ისრისწერის ნატეხი და ბრინჯაოს სამჯვრადი ხვია-რგოლის ფრაგმენტი. გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა: ობსიდიანისა და მოთეთრო კაჟის ისრისწერები, შურდულის ქვები; რქის, ძვლისა და თეთრი პასტისებური მასალის მინიატურული ნივთები, რომლებზეც სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურებია ამოღებული: ჯვარი, რომბები, სწორკუთხედებით შედგენილი ბადეები, ღარები და სხვ. ერთმანეთზე მიჟანგებული სპილენძის მცირე საგნების ჯგუფი; ძვლის სამი ისრისწერი, ჰემატიტის ბირთვი, სპილენძის ყუამილიანი ცული; ბრტყელი ცული, სატეხი, სადგარი, სატეგვარისპირი, ვერცხ-

ლის სატეგვარისპირი; ძვლის სამი ცილინდრული მოყვანილობის ნივთი; ქვის საელესი; საბეგველი და სხვ. ყორღანი თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულით ან ძვ. წ. III-II ათასწლეულის მიჯნით (გობეჯიშვილი 1980: 133).

აღწერილი სამარხიდან აღმოსავლეთით, 1 კმ დაშორებით მდებარეობს ყორღანი №4, რომელიც №2 ყორღანთან ქვის ბილიკით იყო დაკავშირებული. სამარხის ქვამიწაყრილის სიმაღლეა 1,5 მ, დმ 28-31 მ. კრატერისებული ღრმულის ქვემოთ მდებარეობდა დაუმუშავებელი ქვის ფილებით შეკრული უსახურავო დიდი სამარხი, რომელიც ყრილის ლოდებითა და მიწით იყო ამოვსებული. კედლები შედგენილია 4-6 ლოდითა და წვრილი ქვებით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. მისი ზომებია: სიგრძე 3,5 მ, სიგანე 2,5 მ. სამარხის შუაგულში ამოღებულია კუთხეებმომრგვალებული ორმო, რომლის სიგრძეა 1,1 მ, სიღრმე 0,6 მ. არც ორმოში და არც მის გარეთ მიცვალებულის ჩონჩხი არ აღმოჩნდა. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან გამოვლინდა მორგვზე გამოყვანილი ნაცრისფერკეციანი პატარა ქოთანის. მასთან ერთად აღმოჩნდა ცილინდრული ფორმის სასმისის ქვედა ნაწილი. ცოტა მოშორებით გაფანტული იყო სარდიონის 40 მძივი. ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, იატაკის დონესთან შედარებით 10 სმ-ით მაღლა აღმოჩნდა მრგვალ-ბრტყელი მოყვანილობის ტალკის მძივი, რომლის ორივე გვერდზე ამოკვეთილია ოთხ-ოთხი წრე, შუაგულში წერტილით. აღწერილი მასალიდან სრულიად განსხვავდება შავპირილა, ვარდისფერსარჩულიანი კერამიკის წვრილი ნატეხები, რომლებიც ეკუთვნის რამდენიმე სხვადასხვა ჭურჭელს. მათ არ ემჩნევა მორგვზე დამზადების კვალი. ორმოს ძირზე ნაპოვნია გიშრის მძივი. სამარხში აღმოჩნდა სამი ცალი ოქროს მრგვალი მძივი, ობსიდიანის ფრაგმენტები, ხის დამუშავებული ფრაგმენტები, ურმის ხის დეტალები (ღერძი, თვალი, უღლის რიკი და სხვ.), ჭილოფის ფრაგმენტები და მისი ანაბეჭდები. სამარხის ზედა ღონის თხრისას გამოვლინდა ბრინჯაოს ღერო. სამარხეული მასალა ორი სხვადასხვა პერიოდისაა. პირველი ჯგუფი გვიანბრინჯაოს ხანისაა და ეკუთვნის იმ მიცვალებულს, რომლის სამარხისთვისაც გამოუყენებიათ უფრო ადრინდელი ყორღანი. მეორე ჯგუფის ნივთები შუა ბრინჯაოს ხანისაა და თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით (გობეჯიშვილი 1980: 30-33). ყორღანების არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ნადარბაზევის სასახლის კომპლექსი მდებარეობს თეთრი წყაროს ჩრდილო-დასავლეთით, 11 კმ-ის დაშორებით, შემადგენლად ადგილზე, რომელიც 4-5 მ სიმაღლის, ამჟამად საკმაოდ დანგრეული გალავნითაა შემოზღუდული და მოიცავს 2,8 ჰა ფართობს. გალავნის კედლების ორივე პერანგი თლილი ქვია, რომელთა შუა ქვალორღი და სქელი დუღაბია. გალავანს ოთხი თუ არა, სამი ჭიშკარი მაინც უნდა



ნადარბაზეშვიძის გეგმა

ჰქონდა. მთავარი ჭიშკარი, რომლის სიგანეა 2,9 მ, სამხრეთიდანაა, სასახლის მთავარი ფსადის პირდაპირ. სასახლისაკენ მიმავალი გზა მოკერწყულულია ნაპირებზე მსხვილი და შუაში წვრილი ქვებით. გალავნის შიგნით არაერთი ნაგებობა ყოფილა. მათგან მხოლოდ ორია შედარებით უკეთ შემორჩენილი. პირველი შენობა სასახლეა. ის გეგმით მოგონოთხეხილია (17,77X12,8 მ), რომელსაც ოთხი კარი აქვს. სამი კარი დარბაზს გარეთა სივრცესთან აკავშირებდა, მეოთხე გადიოდა დამხმარე სადგომში. შესასვლელებს თაღოვანი ტიპიანი ჰქონიათ. დარბაზი ნათღებოდა ექვსი სარკმლით, რომლებიც განლაგებულია სამივე შესასვლელის ორივე მხარეს. სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლების კუთხეებში წყვილ-წყვილად დატანებულია ოთხი სწორკუთხა ნიში. სასახლის კედლები ამჟამად 5-6 მ სიმაღლისაა, მაგრამ თავდაპირველად სასახლე გაცილებით მაღალი ყოფილა. კედლების შიდაპირი ნაშენი ბაზალტის დიდი ქვებით, რომელთა ზედაპირი კარგადაა გათლილი, მაგრამ კიდევ უსწორმასწოროა და ერთმანეთთან მჭიდროდ ვერაა მიჯრილი. საფიქრებელია, რომ დარბაზი შეღესილი და შესაძლოა მოხატულიც ყოფილიყო. დარბაზში გამოვლინდა სვეტის ოთხი ბალიში. სამი მათგანი ბაზალტის გათლილი მსხვილი კვადრია, მეოთხისთვის გამოყენებიათ ბუნებრივი კლდე, რომლის ზედაპირი ოდნავ გათლილია და მიცემული აქვს ბალიშის ფორმა. დარბაზის შიდა გადახურვა, ეჭვობა, ჰორიზონტალური იყო. სასახლის ზედა სართულის კვალი არ ჩანს, თუმცა არაა გამორიცხული, ის ორსართულიანი ყოფილიყო. დარბაზის გარეთ, გალავნის ტერიტორიაზე და ზოგიერთი გვიანდელი შენობის კედლებში აღმოჩნდა ოთხი მოზრდილი ბაზისი, რომლებიც თავის დროზე დარბაზის სვეტებს უნდა ჰკუთვნებოდა. სვეტების ფრაგმენტები არ შემორჩენილა. დარბაზის ფსადები შემოსილია დამუშავებული

ბაზალტის ქვებით, ჰორიზონტალური რიგების ნაწილობრივ დაცვით. დარბაზს დასავლეთიდან ეკვრის დამხმარე სადგომები, რომელთაგან იგი დაბალი კართაა დაკავშირებული. შესასვლელი აქაც სწორკუთხა ფორმისაა, ტიპიანით. სადგომის ზომებია 7,2X6,4 მ. დამხმარე სადგომის კედლები დარბაზის კედლებთან კონსტრუქციულად არაა დაკავშირებული, მაგრამ ორივე ერთდროულადაა აგებული. სასახლის კედლებზე მორთულობის ელემენტები არ შეინიშნება, თუ არ ჩავთვლით მთავარი კარის თაღის მარტივ პროფილიან იმპოსტებსა და აღმოსავლეთის ფსადზე მარჯვენა სარკმლის დაბალი რელიეფით შესრულებულ თავსართს. სახურავი ორფერდა ჰქონია. გადახურული ყოფილა ბრტყელი კრამიტით, რომელთაგან ზოგიერთზე რელიეფური სტილიზებული ყვავილია გამოსახული. სასახლე IX-X სს-ით თარიღდება და მიჩნეულია მეფის ან რომელიმე დიდი ფეოდალის საზაფხულო რეზიდენციად. ის XI-XIII სს-ში ინტენსიურად ყოფილა გამოყენებული (ციციშვილი, ზაქარაია 1955: 101-106).

სასახლის დასავლეთით, ოციოდე მ-ის დაშორებით მეორე ნაგებობაა, რომელიც გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედიანია (17,05X6,12 მ). კედლები ოთხიოდე მეტრ სიმაღლეზეა შემორჩენილი. შენობის შესასვლელი სამხრეთიდანაა. ის სწორკუთხაა და შიგნიდან ტიპიანიც ახლავს. შესასვლელში მოწყობილი ყოფილა საკეცის სისტემა, კედელში დატანებული სპეციალური მრგვალი ქვით, რომელშიც მაგრდებოდა კარის ჩარჩოს თავი. გვერდით კედლებში შემორჩენილია ურდულის ბუდეები. შენობის სარკმლებიდან ორი შემორჩენილია შესასვლელის ორივე მხარეს. ნაგებობის კედლებში დატანებულია სხვადასხვა ზომის თაღოვანი მაღალი ნიშები. მათგან ხუთი დასავლეთის, სამი აღმოსავლეთის და ორი ჩრდილოეთის კედელშია. იატაკი მოგებული ყოფილა მომწვანო ფერის თხელი ქვის ფილებით. კედლების გარეპირი ისევეა შემოსილი, როგორც სასახლის კედლები. გარედან შენობის კედლებს შემოვლებული ჰქონია თლილი ქვის ერთსაფეხურიანი ცოკოლი. შენობა სასახლის დამხმარე ნაგებობას წარმოადგენდა. ამ შენობასა და სასახლეს შორის სწორკუთხა გეგმის (5,1X2,77 მ) აგურის ნაგებობის ნანგრევია. შესასვლელი დასავლეთიდანაა. შენობა აბნოს ან წყლის აუზს წაავაგას. სასახლის ტერიტორიაზე შემჩნევა სხვა ნაგებობებიც, მაგრამ მათი ფუნქციის განსაზღვრა არ ხერხდება (ციციშვილი, ზაქარაია 1955: 107, 108).



ნადარბაზეშვიძის სასახლე

ლის სათავე მდებარეობს სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ექვსიოდე კმ-ის დაშორებით. ტრასა ჩამოდის მთის ფერდობზე, გადის დაბლობზე და ამოდის ბორცვზე, რომელზეც განლაგებულია სასახლის ნაგებობები. მილსადენი ადგება სასახლის გალავანს ჩრდილოეთიდან, გადის მის ქვეშ და მიემართება ზევით, უვლის სასახლეს სამხრეთი მხრიდან 15 მ-ის მანძილზე და იკარგება ახლოს მდებარე აგურის შენობასთან. მილსადენი შედგენილია ცალკეული კერამიკული მილებისაგან (სიგრძე 45 სმ). წყალსადენი აგებულია მძლავრი ჭავლის პრინციპზე, რაც მიღწეულია მილსადენის კვეთის თანდათანობით შემცირებით. შესაბამისად წყლის წნევის გასაძლევად იზრდება მილების კვეთის სისქე. მილსადენის მოსაწყობად ნადავსა და კლდეში გაჭრილია ქვის ფილებით შემოღობილი 18 სმ-ის სივანის არხი, რომელიც ღუდაბის სქელი ფენითაა ამოლესილი. მილებს ზემოდან ფარავდა 8 სმ სისქის ქვიშის ფენა, რომელიც გადახურულია მომწვანო ფერის ფილაქნით. წყალსადენის მიმართულების შესაცვლელად ადგილ-ადგილ გამოყენებულია მკლავები – სპეციალურად დამზადებული მოლუნული თიხის მილები. წყალსადენი აგებული უნდა იყოს XII-XIII სს-ის მიჯნაზე (ციციშვილი 1950: 527-534).

ნასახსაბლევის ტერიტორიაზე გათხრები რამდენიმე ადგილას წარმოება: საკუთრივ სასახლეში, მასთან ახლოს მდგარ დამხმარე ნაგებობაში, აბანოსა თუ აუზში, მოგრძო სვეტებიან ნაგებობაში, გალავნის აღმოსავლეთ ნაწილში, მთავარ ჭიშკართან, გალავნის ჩრდილო ნაწილთან. გათხრები შეეხო წყალსადენსაც. სასახლის ვაჭმურისაგან გამოვლინდა სამი ფენა, მათგან ზედა ორი XIX-XX სს-შია წარმოქმნილი და ამდენად ინტერესმოკლებულია (XIX ს-ში ნასახსაბლევით რუსის ჯარს ყაზარმად გამოუყენებია. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ნანგრევებს დღესაც „ყაზარმებს“ უწოდებს). სულ ქვედა, მესამე ფენის არქეოლოგიური მასალა XI-XIII სს-ს განეკუთვნება. სასახლისა და დამხმარე ნაგებობების გათხრებისას აღმოჩნდა ვერცხლის გაცვეთილი მონეტა და ლაშა-გიორგის (1207-1222) სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტა. მოუჭიქავ თიხის ჭურჭელს შორის გვხვდება: წითლად გამომწვარი, რელიეფური სარტყლებით შემკული ქვევრებისა თუ ქოცოების ნატყები, დერგების ფრაგმენტები, ჯამბი და სხვ. მოჭიქული ჯამბების ნატყებში სჭარბობს ცისფრად მოჭიქული ნიმუშები. არის მწვანედ და სოსნისფრად მოჭიქული ცალებიც, რომელთა ორნამენტი წარმოდგენილია ამოღარული მარტივი გეომეტრიული სახეებითა და კლაკნილი ხაზებით. შედარებით ნაკლებია მრავალფერად მოჭიქული ჯამბები. განათხარ კერამიკაში გვხვდება კრამიტები, რომელთა საშუალო ზომაა 20X35 სმ. კრამიტები მოყვანილობით ნაკლებტრაპეციულია. აკეცილი გვერდები მცირედაა შემადლებული. ფართო ბოლოში აქვთ დაბალი, გარდიგარდმო ღობე. კრამიტების ერთი ნაწილის

ფართო ბოლოზე წარმოდგენილია ძლიერ სტილიზებული სამყურა ყვავილისა თუ ფოთლის რელიეფური გამოსახულება. ამგვარი კრამიტი უნდა დაწყობილიყო მხოლოდ სახურავის გამოსაჩენ, განაპირა ნაწილებში. გათხრებისას აღმოჩნდა მინის სხვადასხვა ფერის (მეტწილად შავი) სადა და გრებილი სამაჯურები, აგრეთვე სარტყლის მინის ფრაგმენტები (ლომთათიძე 1989: 34-37).

სასახლის გალავანიდან 200-ოდე მ-ის დაშორებით მდებარეობს ნასოფლარი, სადაც 1949 წ. გაითხარა მისგან ჩრდილო-დასავლეთით, განაპირას მდებარე სწორკუთხა ნაგებობა, რომლის ყველაზე უფრო მაღალი კედელი შემორჩენილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთით. განივი კედელი თანდათან დაბლდებოდა და სამხრეთ-დასავლეთ ბოლოში მიწასთან იყო გასწორებული. კედლები ნაშენია მოშავო-რუხი ანდეზიტ-ბაზალტის დიდი დაუმუშავებელი ლოდებით, რომლებიც ერთმანეთზე ცუდად იყო შორგებული. წყობა მშრალია. ფართო შესასვლელი შენობას გრძივ კედელში ჰქონია. ნაგებობის გათხრებისას გამოვლინდა კერამიკის ნატყები, რომელთა შორის მოუჭიქავი ჭურჭელი სჭარბობდა. აქვე აღმოჩნდა ორი აგური (30X30X3 სმ; 25X25X4 სმ). შენობის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან გამოვლინდა მოჭიქული ჯამბი და მომწვანო მინის სუსტად გრებილი სამაჯურის ნატყები. ნაგებობაში აღმოჩნდა მინის ჭურჭლის ნატყები და ხელსაფეკვავის ზედა ქვის ფრაგმენტი. ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელთან ჩადგმული იყო თონე, რომელსაც გარშემო წიბო შემოუყვებოდა (თონის ზომებია: სიმაღლე 0,67 მ, დმ 0,7-0,8 მ, კედლის სისქე 3-5 სმ). სოფლად არსებობა უნდა შეეწყვიტა XIII ს-ის მეორე ნახევარში ან XIV ს-ში (ლომთათიძე 1989: 40-42).

ნასოფლარი „ნაჭიფკავები“ მდებარეობს მდ. ჭიფკავას მარჯვენა ნაპირზე, ნადარბაზვიდან 6 კმ-ის დაშორებით. „ნაჭიფკავები“ ნასოფლარის პირობითი სახელია. ნასოფლარზე გათხრილი ერთი ნაგებობა შედგება ხუთი ოთახისაგან. მათგან ერთი დარბაზია, რომელშიც კერა იყო გამართული. დანარჩენები დამხმარე სათავსოებია, სადაც აღმოჩნდა კერები, თონეები, სამეურნეო დანიშნულების ორმოები, ქვევრები. ნაგებობა ერთსართულიანია, ბანური გადახურვით. კედლები ქვის მშრალი წყობითაა ნაშენი. ნაგებობას წინ დერეფანი ჰქონია. შენობის გათხრებისას გამოვლინდა მოუჭიქავი ხელალები, დოქები, ყურიანი და უყურო ქოთნები, ფიალები, ჯამბები, აგრეთვე ერთფრად და მრავალფრად მოჭიქული ჯამბები.

აღნიშნული ნასახლარის ჩრდილოეთით, 20 მ-ის დაშორებით გაითხარა მეორე ნასახლარი, რომელიც მშენებლობის ტექნიკით არ განსხვავდება აღწერილი ნაგებობისაგან. დაქანებული რელიეფის გამო დარბაზში კიბით შედიოდნენ. მის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ქვევით შედგენილი ოთხკუთხა კერა. დარბაზი სამეურნეო დანიშნულების სათავსოებს უკავშირდებოდა შიდა კა-

რით. დამხმარე ნაგებობებში გამოვლინდა ქვებით შედგენილი ოთხკუთხა კერები და სხვადასხვა ზომის თონეები. ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა თონე. რამდენიმე ადგილას გამოვლინდა სვეტის ქვის ძირები. ნაგებობის შესასვლელ კართან უყვსრივოდ იყო დაფლული ორი მოზრდილი და ორი ბავშვის ჩონჩხი. განათხარი მასალა წარმოდგენილია მოუჭიქავი ჭურჭლის ფრაგმენტებით. მინის ნივთებიდან გვხვდება სამაჯურის ნატეხები, ძვლის ნივთებიდან – სადგისი. რკინის ნივთებში გამოირჩევა: ლურსმნები, დანის, აბზინდისა და ნამგლის ფრაგმენტები.

ნასოფლარის დასავლეთ უბანში გაითხარა ერთი ნა-სახლარი და ორი ეკლესია. ნასახლარი შედგებოდა ნარბაზისა და დამხმარე სათავსოებისაგან, სადაც აღმოჩნდა სვეტის ქვის ძირები. არქეოლოგიური მასალა ფორმა-ზომებითა და შემკულობით ძირითადად სხვა ნაგებობებიდან მომდინარე მასალას იმეორებს. ეკლესია ნაგებია ქვით. წყობა მშრალია. აფსიდაში აღმოჩნდა ყვითელი ტუფის პრიზმული მოყვანილობის სატრაპეზო ქვა. ოქვე გამოვლინდა ანდეზიტის პატარა სტელა, რომელზეც ხელებია გამოსახული და ყვითელი ტუფის კანკელის მრგვალი სვეტის ფრაგმენტი. ნასოფლარის ცენტრში მდებარეობს მეორე ეკლესიის ნაშთი (2,8X5,05 მ), რომლის კედლები კირის დუღაბითაა ამოყვანილი და ანდეზიტის გათლილი კვადრებით ყოფილა მოპირკეთებული. საკურთხეველი იატაკიდან ორი საფეხურით იყო ამადლებული. იატაკი მოგებული ყოფილა ქვის ფილებით. ეკლესიის სამხრეთით, კედლის წინ აღმოჩნდა ყვითელი ტუფის ოციოდე დამუშავებული ფრაგმენტი, აგრეთვე ღარიანი და ბრტყელი კრამიტის ნატეხები. კანკელის ორნამენტის მსხედვით, ეკლესია XIII ს-ით თარიღდება. კანკელის ფრაგმენტის ქვეშ აღმოჩნდა ანდეზიტის ქვა, რომელზეც ადამიანების, ცხოველების, ფრინველებისა და ჯვრის სქემატური გამოსახულებებია წარმოდგენილი.

მდ. ჭივჭავას მარცხენა ნაპირზე გამოვლინდა წისქვილის ნაშთები. ნასოფლარის ამ უბანზე, ეკლესიის გათხრებისას აღმოჩნდა ქვის კანკელის ფრაგმენტები. ერთ-ერთი ქვა შემკულია რელიეფური ჯვრითა და მის აქეთ-იქით გამოსახული წმინდანებით. კედლის სამხრეთ კედელთან გამოვლინდა ორი უინვენტარო სამარხი. ეკლესიის გათხრებისას აღმოჩნდა: ქვევლების, ქილების, დოქების, ხელადების, ქოთნების, ქვაბქოთნების, ხუფების ნატეხები. აგრეთვე მოჭიქული ღარისებური კრამიტის ნატეხები, მინის სამაჯურები, რკინის ნაღ, ლურსმანი, კავი, სალესი ქვები, მსხვილ-ფენა და წვრილფენა საქონლის ძვლები. ნასოფლარი XI-XIII სს-ით თარიღდება. ნასოფლარის თხრისას სხვადასხვა ადგილას, ქვედა ფენებში ხშირად ჩნდებოდა შავპირილა ჭურჭლის ნატეხები, ნავისებური ხელსაწვკვავები, ოსიდიანის ანაკრეცები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ განვითარებული შუა საუკუნეების ნასოფლარი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე

ყოფილა გაშენებული (გძელიშვილი 1954: 311-319; 1956: 89; 1956ა: 667-672; 1964ა: 731-736).

ნასოფლარის სამაროვანზე, რომელიც იქვე მდებარეობს, გვხვდება ბრტყელი და ქანდაკოვანი საფლავის ქვები, მათგან ერთი საფლავი 1940 წ. შეისწავლეს. მასიური ქვის ბრტყელ ზედაპირზე გამოსახულია ორი ადამიანი. მათ შორის ამოღარულია სამი შეუღლი, პარალელური ხაზი. მარცხნივ გამოსახული ადამიანი გულხელდაკრევილია, მის მარჯვნივ კომპალი, ყელთან კი ხელადის მსგავსი ჭურჭელია წარმოდგენილი. მარჯვნივ მდგარს, მარჯვენა ფეხთან აქვს ერთი სატევარი, მარცხენა ფეხთან გუთანა, ზემოთ კი ისევ სატევარი, კულა და ორი მრგვალი საგანი. საფლავის ქვას აღმოსავლეთით ედგა სწორკუთხად ამოკვეთილი ქვა, რომელშიც, როგორც ჩანს, ქვისავე ჯვარი მდგარა. თითქმის უშუალოდ ლოდის ქვეშ აღმოჩნდა რკინის ცული. სამარხში აღმოჩნდა ორი მიცვალებული, რომელთაგან ერთი ქრისტიანული წესით იყო დაკრძალული, მეორე მიცვალებულის მხოლოდ თავი იყო ჩასვენებული. სამარხი უინვენტაროა. საჯარაუდოდ, თარიღდება XIV-XV სს-ით (ლომთათიძე 1989: 43, 44). „ნაჭივჭავების“ არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილი სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი).

ნადარბაზნაძე (შიდა ქართლის) (ქც 4: 511,26). ისენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 511,26), მატიაზე ქართლისა (ქც 1: 313,14), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (სიმონ მეფის არზა ... 1980: 161; ქრონიკები 1897: 332; საქ. სიძ. 1909: 297; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 160; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 119-121; 1970: 617, 692, 1058, 1061, 1062; 1972: 522), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 39). მდებარეობს გორის მუნიციპ-ში, უფლისციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კვერნაქის თავზე. მეფე ბაგრატ IV (1027-1072) ოსთა მეფე დურღულელს ნადარბაზნაძეს შეხვედრია „დიდი ზეიმითა და პატივითა“ (ქც 1: 313,14). XVIII ს-ის 30-იან წლებში ნადარბაზნაძეთან ქართველ-ოსმალთა და ლეკთა რაზმებს შორის ბრძოლა ქართველ-ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა (ქც 4: 511,20-27).

ნადარბაზნაძე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ რამდენიმე ნადარბაზნაძეა ცნობილი. კერძოდ: სამუხრანბატონოში (ბაგრატიონი 1986: 33); მდ. თემის ხეობაში (ბაგრატიონი 1986: 31); ხაშურის მუნიციპ-ში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ მთისწინეთში (სძა 1990: 440); ჯავის მუნიციპ-ში, მდ. ჯეჯორის ხეობაში (ციულდენშტედტი 1962: 105; 1964: 67; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 79, 80) და სხვ.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 31, 33, 39, 50, 78; ციულდენშტედტი 1962: 105; 1964: 67; გობეჯიშვილი 1980: 15-30; გძელიშვილი 1954: 311-319; 1956: 89-96; 1956: 667-672; 1964ა: 731-736;

ლომთათიძე 1966ა: 7; 1974: 120-131; 1977: 128, 133; 1989: 30-45; ლორთქიფანიძე 1935: 333; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 160; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 79, 80; საქ. არქ. 1992: 200, 201; სძა 1990: 440; საქ. სიძ. 1909: 297; სიმონ მეფის არხა ... 1980: 161; ქართლ-კახეთის მონასტრების ... 1903: 68; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 119-121; 1970: 617, 692, 1058, 1061, 1062; 1972: 522; ქრონიკები 1897: 332; ქც 1: 313,14; ქც 4: 323,10; 511,26; ციციშვილი 1950: 527-534; 1979: 47; 1979ა: 5; ციციშვილი, ზაქარაია 1955: 101-114; ჯავახიშვილი 1991: 145.

ნაზარძე, ციხე (ქც 4: 752,14,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 752,14,15; 759,18,19; 869,21,24,26; 870,3; 891,2,18), XI, XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ისტ. საბ. 1913: 42-44, 61; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 160, 161; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 40; პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 45), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 177), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 301). ვახუშტი ბაგრატიონი ნავარძეთის შესახებ გადმოგვცემს: „სუერის ხევის შესართავს ზეით, ყვირილის ჩდილოთ კიდურსა ზედა, არს ნავარძეთის ციხე“ (ქც 4: 759,17-19).

მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ჭიათურიდან 4 კმ-ის დაშორებით, მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ნავარძეთის ტერიტორიაზე. წყაროებში მოხსენიებულია XI ს-იდან (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 40). 1709 წ. იმერეთის მეფე გიორგი VI-მ (1703-1711) ნავარძეთის ციხე აიღო (ქც 4: 870,3). 1740-1741 წწ. იმერეთის მეფე ალექსანდრე V-მ (1720-1752) ვახუშტი აბაშიძე ნავარძეთის ციხეში გამოამწყვდია (ქც 4: 891,2,3; ორბელიანი 1981: 45; დადიანი 1962: 177). ნავარძეთზე გადიოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოსკენ მიმავალი ერთ-ერთი გზა (ბერძენიშვილი 1964: 17, 19, 22).

ნავარძეთის ტერიტორიიდან ცნობილია რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლი. 1958 წ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. დ. თუშაბრამიშვილი) სოფ. ნავარძეთში „სამეფო კლდეში“ მიაკვლია ქვის ხანის ძეგლს (თუშაბრამიშვილი 1959: 8, 9).

1964 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არგვეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი) „სამეფო კლდის“ გამოქვაბულებში აღმოაჩინა რკინის გამოწამყვანებები. გამოქვაბულის წინ გამოვლინდა რკინის საწური ქურის ნაშთი, რომელიც ადრეკინის ხანით თარიღდება. ქურის ქვეშ აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ზოომორფული ყური. დაზვერვებმა გამოავლინა რკინის წიდები, თიხის საბერველი მილის ნატეხები; ანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი

კონუსისებრი სასმისისა და პირშეზნექილი თიხის ჯამის ნატეხები (აბრამიშვილი 1965: 34-41).

საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმის საირხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ჯ. ნადირაძე) დაზვერვების შედეგად ნავარძეთის ბორცვზე მიაკვლია I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნა-სახლარს (ნადირაძე 1990: 9).

1964-1967 წწ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. დ. თუშაბრამიშვილი) შეისწავლა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლი „სამეფო კლდე“, სადაც გამოვლინდა 2,5 მ სისქის ფენა, რომელშიც გამოიყო სამი ჰორიზონტი. არქეოლოგიური მასალიდან აღსანიშნავია კაჟის პრიზმული ნუკლეუსები, დანისებური ლამელები, საფხეკები, ფოთლისებური ისრისპირები, შუბისპირები. სადღისები და მახათები ლულოვანი ძვლისგანაა დამზადებული. იქვე აღმოჩნდა რქის თიხისმაგვარი მიწის საჩიქქნი იარაღი. კერამიკის ნატეხები ძირითადად მსხვილმინარევიანი თიხისაგან დამზადებული ქოთნისებური და ქილისებური ჭურჭლებისაა. გამოვლენილი მასალა მიეკუთვნება ნეოლითს, ენეოლითსა და ადრებრინჯაოს ხანას. ძეგლი თარიღდება ძვ. წ. VI-IV ათასწლეულით (ჯავახიშვილი 1971). ნავარძეთის ძეგლებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიის ცენტრი).

მდ. ყვირილას მარცხენა ნაპირზე შემორჩენილია ციხის ნანგრევები. ციხე გვირგვინით მდინარესთან ყოფილა დაკავშირებული. მის ტერიტორიაზე მდგარა ეკლესია და სასახლე. სოფელში შემორჩენილია მიძინების – „თირის ეკლესია“. მის მახლობლადაა გამოქვაბულები და ნანგრევები. ნავარძეთიდან 3 კმ-ის დაშორებით, სოფ. რგანთან მდებარეობს დარბაზული ეკლესია, ნაგები შირიმის თლილი ქვით. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდანაა. სამხრეთის სარკმლის თავზე არსებულ მხედრულ წარწერაში მოიხსენიება ერისთავი აბუხანასრი. აღნიშნული ეკლესია აუგიათ ნავარძეთის მოსახლეობას, რაც აღნიშნულია ასომთავრულ წარწერაში (ბოჭორიძე 1995: 207-209). ნავარძეთის ამჟამად დანგრეულ წმინდა გიორგის ეკლესიაში ინახებოდა ეტრატულ ნუსხასხუცურით ნაწერი სახარება. სოფელში დგას გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის ეკლესია.

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1965: 39-42; ბერძენიშვილი 1964: 17, 19, 22; ბოჭორიძე 1976: 207, 208, 250, 258, 278; გიულდენშტედტი 1962: 301; დადიანი 1962: 177; თუშაბრამიშვილი 1959: 8, 9; ისტ. საბ. 1913: 42-44, 61; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 160, 161; ნადირაძე 1990: 9, 20, 140; ორბელიანი 1981: 45; საქ. არქ. 1992: 230, 251, 252; ქც 4: 752,14,15; 759,18,19; 869,21,24,26; 870,3, 891,2,18; ჯავახიშვილი 1971.

ნახილული (ქც 4: 338,16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 338,16), XVI-II ს-ის ისტორიული საბუთები (სიგელები ... 1891: 128; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 50, 341, 342; 1981: 821; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 67, 130, 241, 242; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 157-159), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 29, 79, 81), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 17, 65). ვახუშტი ბაგრატიონი ნავთლუდის შესახებ გადმოცემს: „ტფილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ არს ნავთლუხი. მუნ დის ნავთი კიდესა მტკურისასა, არამედ წყლის სიხლოვით მრავალი არ აიღების“ (ქც 4: 338,16).

მდებარეობს ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დედაქალაქის ერთ-ერთი უბნის – ნავთლუდის ტერიტორიაზე.

ნავთლული და „ნავთის ადგილს“, „სანავთეს“ ნიშნავს (გამყრელიძე 2001: 26-39). სოფ. ნავთლული ქალაქისპირა დასახლება იყო. XVIII ს-ის 60-იან წლებში ერეკლე II-მ (1744-1798) გაპარტახებული სოფელი ხელმეორედ დაასახლა. ააგო ციხე-გალავანი, რის შემდეგ ნავთლულს ერეკლეს ციხე ეწოდა (ბერიძე 1977: 149-153).

1950 წ. ნავთლულში, მდ. მტკვარსა და ორხეცს შორის, ნავთიჭალაში, გზის მშენებლობის დროს აღმოჩნდა გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. დ. ქორიძე) გათხარა რვა ორმოსამარხი. 1955 წ. იმავე სამაროვნის ტერიტორიაზე, თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სადაზვერვო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ო. ტყეშელაშვილი) გათხარა ერთი გვიანი ბრინჯაოს ხანის ორმოსამარხი. ყველა სამარხი ინდივიდუალურია. მიცვალებულები დაკრძალულია ორმოსამარხებში, კიდურებმოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა კვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ. ზოგიერთი სამარხი გადახურული იყო ფილაქვებით. სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს საბრძოლო იარაღი: ფოთლისებური სატევარი, შედგენილტარიანი ე. წ. „კახური ტიპის“ სატევარი; მასრაგახსნილი, მასრაზე რელიეფურ-სარტყელებიანი და მთლიანმასრაანი შუბისპირები; ბრტყელი ცული; ნესტრისებური ისრისპირები, ცხენის ალკაზმულობა; ბრინჯაოს ლავები (2 ც). საყოფაცხოვრებო ნივთებიდან გვხვდება სპილენძის ქვაბი; ბრინჯაოს მახათი. სამკაული ბრინჯაოსია: საკისრე რკალი; მრგვალგანივკვეთიანი სამაჯური; ნახევარსფერული და ზუთოპოიანი საკინძი; თავხეია საკინძი; ცხვრის თავის სტილიზებული გამოსახულებით შემკული საკინძი; ბრინჯაოს მილაკისებური, ძვლის მრგვალი და სარდიონის ნაპობი მიივები. თიხის ჭურჭელი ლევა-მონაცრისფროდ და მოწავოდაა გამოშვარი. ესენია: დერგები, ქოთნები, დოქები, სასმისები, ლანგრები და ჯამები. სა-

მაროვანი თარიღდება ძვ. წ. XIII-XI ს-ით (ქორიძე 1955: 152-209; ტყეშელაშვილი 1966: 34-40).

ნავთლულში დგას წმინდა ბარბარეს XIX ს-ის ორი ეკლესია. ერთი ნაგებია ქვით, მეორე – აგურით (ბერიძე 1977: 152, 153).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 29, 79, 81; ბერიძე 1977: 149-153; გამყრელიძე 2001: 26-39; გიულდენშტედტი 1962: 17, 65; თბილისის ისტორია 1990: 339, 340; მასალები საქ. ეკ. ისტ., 1938: 67, 130, 241, 242; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 157-159; სიგელები ... 1891: 128; ტყეშელაშვილი 1966: 34-40; ფიცხელაური 1973: 62; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 50, 341, 342; 1981: 821; ქორიძე 1954: 6-56; 1955: 152-209; ქც 4: 338,16.

ნაზარა, სოფელი (ქც 4: 324,2; 496,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 324,2; 496,11). XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (სმ 1924: 187; მასალანი საქ. სტატ. 1907: 21), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 46).

მდებარეობს მარნეულის მუნიციპ-ში, მარნეულის ვაკეზე, მდ. ხრამის მარცხენა მხარეს, ახლანდელი ხულორ-ლეგზადინის ტერიტორიაზე (ხარაძე 1991: 93). 1717 წ. ბაქარ ვახტანგის ძემ (1716-1719) ჭარელების წინააღმდეგ სოფ. ნაზარას ბოლოს გააგზავნა თავისი ბიძა სვიმონი სამსაკაციანი რაზმით (ქც 4: 496,11; დონდუა 1967: 165). 1721 წ. სოფ. ნაზარა ბატონიშვილ ვახუშტის ეკუთვნოდა. ამასთანავე ის დედოფლის სახასო სოფელიცაა (მასალანი საქ. სტატ. 1907: 21; ლორთქიფანიძე 1938: 36).

ნაზარა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 46; დონდუა 1967: 146-191; სმ 1924: 173-192; ლორთქიფანიძე 1935: 36; მასალანი საქ. სტატ. 1907: 21; ქც 4: 342,2; 496,11; ხარაძე 1991: 93.

ნაოხარი (ქც 4: 664,29). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 664,29), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 75), XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 161).

ვახუშტი ბაგრატიონი ნაოხარის შესახებ გადმოცემს: „ბოცოს წყალზედ არს ნაოხარს სასახლე თამარ მეფისა, დიდშენი ... აწოხერ“ (ქც 4: 664,29, 665,1). ლოკალიზდება ისტორიულ სამცხეში, ქვაბლიანის ხეობაში. ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა ვერ ხერხდება. შესაძლოა, ნაოხარი გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენიებული (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 75) ახ-ალციხის მუნიციპ-ის სოფელი „ნაოხრებია“.

ბიბლიოგრაფია: ბერტენიშვილი 1966: 89; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 75; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 161; ქც 4: 664,29.

ნარეკვაპი. იხ. მცხეთა.

ნარეკვაპი, ნარეკვაპი, დაბა (ქც 4: 683,16, 22; 684,1,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 683,16, 22; 684,1,13), XVI ს-ის კათალიკოსის ხელქვეშეთი მღვდელმთავარი და სამწყსონი სამცხე-საათაბაგოსი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 245); იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 82), XVI ს-ის პირველი მეთხედის თურქული წყაროები (თურქული წყაროები ... 1983: 30, 32, 54, 62, 65, 66), ევლია ჩელების „მოგზაურობების წიგნი“ (ჩელები 1971: 303), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 145, 254, 258, 260, 576, 593, 595, 597), ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ვილაიეთის ... 1979: 100, 101, 109, 114, 116, 117, 121, 122, 124, 125, 130, 131, 132, 134, 136, 137, 140, 143, 146, 147, 148, 152, 153, 154, 155, 156, 157, 168, 171, 172, 178, 180, 182, 185, 187, 188, 191, 192, 195, 197, 198, 200, 202, 204), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 315).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ოლთისის ზეით, ჭოროხის აღმოსავლის კიდეზედ, არს ნარეკვაპი და აწ ნარიმანი, დაბა დიდი“ (ქც 4: 683,21-23).

ლოკალიზაცია ისტორიულ ოლთისში, არზრუმის ოლქში. მდებარეობს მდ. ჭოროხის სათავესთან, თანამედროვე ქალაქ ნამირვანის ტერიტორიაზე. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში (თურქული წყაროები ... 1983: 65; გიულდენშტედტი 1962: 315; მუსხელიშვილი 1980: 164-167).


ნარიმანი წყაროებში ნარეკვაპის, ნარმანის, მამირვანის სახელითაცაა ცნობილი. XVI ს-ში ნარიმანი/ნარეკვაპი ნამურაკანის სახელწოდებით შედიოდა ბანელი ეპისკოპოსის სამწყსოში (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 245; მუსხელიშვილი 1980: 166-167). თურქების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ, ნარიმანი XVI-XVIII სს-ში შევიდა ჩილდირის ვილაიეთის მამირვანის ლივას, მამირვანის ნაპიეში (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 593; ჩილდირის ვილაიეთის ... 1979: 100, 101, 109, 114, 157, 171, 197, 200).

ნარიმანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 82; გიულდენშტედტი 1962: 315; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 145, 254, 258, 260, 576, 593, 595, 597; თურქული წყაროები ... 1983: 30, 32, 54, 62, 65, 66; მუსხელიშვილი 1980: 164-167; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 245; ქც 4: 683,16, 22; 684,1,13; ჩელები 1971: 303; ჩილდირის ვილაიეთის ... 1979: 100, 10 ბ, 109, 114, 116, 117, 121, 122, 124, 125, 130, 131, 132, 134, 136, 137, 140, 143, 146, 147, 148, 152, 153, 154, 155, 156, 157, 168, 171, 172, 178, 180, 182, 185, 187, 188, 191, 192, 195, 197, 198, 200, 202. 204.

ნასტაკისი, ნასტაკისი (ქც 1: 18,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 18,5), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ბაგრატიონი 1941: 199), „მოქცევაი ქართლისაი“ (მქ 1963: 81; ქრონიკები 1892: 12), XVI ს-ის ისტორიული საბუთი (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 54, 55), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 55, 189). მდებარეობს თანამედროვე ნასტაკისის ველზე, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მდ. ქსნის შესართავთან. ნასტაკისის ველს ჩრდილოეთიდან საზღვრავს სავანეთის ქედი, სამხრეთიდან მდ. მტკვარი, დასავლეთიდან მდ. ქსანი, აღმოსავლეთიდან ნასპარსევის ხევი.

არსებობს მოსაზრება, რომ ნასტაკისი, ნასტაკისი წარმოიშვა სიტყვიდან დასტაკირი, რაც ირანული წარმოშობისა უნდა იყოს და ნიშნავს დამხმარეს, შემწეს. ზოგი მეცნიერი ნასტაკისს ქალაქ სარკინეს ერთ-ერთ უბნად, მის სამეურნეო რაიონად მოიაზრებს (ჭილაშვილი 1968: 91-101), ზოგი კი - მცხეთის სასოფლო გარეუბნად (ბერძენიშვილი 1964: 318). ერთი მოსაზრებით ელინისტურ ხანაში ნასტაკისი დაკავშირებული იყო სამადლოსთან და ერთ ქალაქს წარმოადგენდა (გაგოშიძე 1967: 81-86; 1970: 41-46). ალ.ბოხოჩაძის აზრით კი, ნასტაკისი-სამადლოს ნაქალაქი არის „ძველი მცხეთა“ (ბოხოჩაძე 1978: 5-26).



ნასტაკისის გენგეგმა

ისტორიულ წყაროებში ნასტაკისი პირველად იხსენიება ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შესახებ თხრობისას: „... დასცა ვენანი და რუი გამოილო ქსნით, და დასხნა კაცნი მერუვენი დასტაკითა რუსიათა. და ჰრქვან ადგილსა მას ნასტაკისი“ (მქ 1963: 81). XVI ს-ში ნასტაკისი შიომღვიმის მონასტრის მფლობელობაში შედიოდა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 54, 55). 1771 წ. მდ. მტკვრისა და ქსნის შესართავთან იოჰან გიულდენშტედტი სოფ. ნასტაკისს იხსენიებს (გიულდენშტედტი 1962: 55).

ნასტაკისის ველზე 1952 წ. ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვები ჩაატარა ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით (ბერძენიშვილი 1960: 173-176). 1964-1972 წწ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ჯ. ჭილაშვილი, ი. გაგოშიძე) ჩაატარა დაზვერვები და მცირემასშტაბიანი გათხრები. იგივე ტერიტორიაზე 1972-1996 წწ. მუშაობდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ალ. ბონიჩაძე).

მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე, რკინიგზის სატვირთო სადგურის მშენებლობის დროს დაინგრა შუაბრინჯაოს ხანის ყორღანი. შემორჩენილია მხოლოდ თიხის შავბრინჯაო ჭურჭლისა და ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები (ბონიჩაძე ... 1973: 76).

ველის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმართულია ნასტაკისის გორა, რომლის აღმოსავლეთ კალთასა და მიმდებარე ტერიტორიაზე შეისწავლეს ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის ნამოსახლარი. აქ გაითხარა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართული, გვერდით სწორკუთხა საცხოვრებელი ნაგებობები. სათავსოები ნახევრადმიწურს წარმოადგენს, ქვედა ნაწილი ქვიშაქვის ფილებითა და ფლეთილი ქვითაა ნაგები, ზედა – თიხით შელესილი წნულია. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. შენობებს ჰქონდა ბანური გადახურვა. იატაკი თიხატკეპნილია, აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ, 2,6 მ-ის სიგანეზე, მოგებულია ქვიშაქვის ფილებით. სახლების ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში სამნაწილიანი სამეურნეო ლემედი ყოფილა, ხოლო ლემდის სამხრეთით კვრა იყო გამართული. ძვ. წ. IV ს-ის დასასრულს ნამოსახლარზე გაჩნდა ქალაქური ტიპის დასახლება, რომელმაც ახ. წ. VIII ს-მდე იარსება. ძვ. წ. IV-II სს-ის ნაგებობები გვერდით სწორკუთხაა, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ წაგრძელებული. ნაგებია რიყისა და ქვიშაქვის ფლეთილი ქვით თიხის ხსნარზე. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. იატაკი თიხატკეპნილია. ნაგებობების ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ორგანოფილებიანი პურის საცხობი ლემელია გამართული. აქ აღმოჩნდა მოწითალოდ გამომწვარი, წითელი და თეთრი საღებავებით მოხატული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. შემდეგ ეტაპზე, გვიანანტიკურ ხანაში აუცილებლად მოგვალსენაკიანი ნაგებობები. მათი საძირკველი ქვიშაქვისა და ტუფის დიდი ზომის ქვებითაა გამართული, რომელზეც კედლები ალიზის აგურითაა ამოყვანილი და თიხითაა შელესილი. IV-VII სს-ით დათარიღებულ ფენაში კი შემორჩენილია რიყის ქვით ნაგებ შენობათა ნაშთები, წითლად გამომწვარი და წითლად ანგობირებული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ნასტაკისის ველის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გაითხარა I-III სს-ის 2 ნაგებობა. გვერდით სწორკუთხა შენობების საძირკველი გამართულია დაუმუშავებელი ქვიშაქვის კვადრებით, კედლები



ნასტაკისის გათხრები

ამოყვანილია ალიზის აგურით. გადახურული ყოფილა წითლად შეღებილი ღარიანი და ბრტყელი კრამიტით. ამ ნაგებობების მახლობლად გამოვლინდა ქვიშაქვაში გამოკვეთილი საკურთხევლები და ბომონი. აქვე აღმოჩნდა ეკლესია, რომელიც III ს-ით თარიღდება. ეკლესიის საძირკველი ნაგებია რიყის ქვითა და ფლეთილი ქვიშაქვით, ხოლო კედლები ალიზითაა ამოყვანილი. შესასვლელი ჩრდილოეთის კედელშია. აღმოსავლეთით აქვს ნალისებრი აფსიდა. ეკლესია გადახურული ყოფილა წითლად შეღებილი კრამიტით.

IV-VIII სს-ის ფენაში გაითხარა ე. წ. სპასპეტის სასახლის ნაშთები. სამნაგვიანი ბაზილიკის ნანგრევები და სამაროვანი. სასახლის კომპლექსში შედის მრავალსენაკიანი შენობა, დარბაზი და აბანო. ნაგებია რიყის ქვითა და თიხით. თარიღდება IV-V სს-ით. მრავალსათავისიანი შენობა 15-მდე გვერდით ოთხკუთხა სენაკისაგან შედგება. მათ ცენტრში ოთხკუთხა კვრა იყო გამართული. ამავე შენობაშია მარანი 20 ქვევრით და ეკლესია. აბანო გვერდით სწორკუთხაა, აქვს ჰიპოკაუსტი. შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჰქონდა.

სამნაგვიანი ბაზილიკა (16,7X10 მ) თარიღდება V-VI სს-ით. საძირკველი, რომლის სიგანე 1 მ-ია, ნაგებია ქვიშაქვის დიდი ზომის ქვებით, კედლები ამოყვანილია ალიზით (შემორჩენილია 0,5 მ-ის სიმაღლეზე). ნაგები ერთმანეთისაგან გამოყოფილია 3 სვეტით. შუა ნავის აფსიდაში აღმოსავლეთ კედელთან მიდგმული იყო ალიზით ნაგები, თიხითა და ვაჯვით შელესილი ტრაპეზის ქვა (0,4X0,4 მ). მოგვიანებით ეკლესიისათვის ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მინაშენები აუკიათ. VI ს-ში ამ ტაძრის ნანგრევებზე აუშენებიათ სამეკლესიანი ბაზილიკა (13,5X9,8 მ), რომლის კედლები აგებული იყო რიყის, ქვიშაქვის, კრამიტის ნატეხებითა და ალიზის აგურით. იატაკი კრამიტით ყოფილა მოგებული. მოგვიანებით ბაზილიკისათვის ჩრდილოეთიდან მოუშენებიათ სამსათავსიანი შენობა. VIII-IX სს-ში სამხრეთი კედელი დაუნგრევიათ და ქვაყუთები ჩაუდგამთ.

ნასტაკისის ველზე 200-ზე მეტი სამარხია გათხრილი. თარიღდება ანტიკური ხანითა და ადრე შუა საუკუნეებით. ანტიკურ ხანაში გავრცელებული ყოფილა ქვაყრილიანი და მიწაყრილიანი ორმოს-

მარხები, ქვევრსამარხები, რიყის ქვით ნაგები სამარხები და ქვაყუთები. სამარხებში აღმოჩნდა შავად და წითლად გაომწვარი, სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების წითლად ან თეთრად ანგობირებული, წითელ საღებავით მოხატული თიხის ჭურჭელი, სამკაული: სამაჯურები, გემიანი ბეჭდები, საყურეები, სასაფეთქელ რგოლები და სხვადასხვა მასალისგან დამზადებული მძივები და მძივსაკიდები. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოსა და ვერცხლის ზარაკები, მონეტები და სხვ.

ადრე შუა საუკუნეებში მიცვალებულები იკრძალებოდნენ ქვაყუთებში, კრამიტსამარხებში. აქვე აღმოჩნდა ფლეთილი ქვითა და ღულაბით ნაგები აკლდამა (2,4X1,55მ), რომელსაც შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. იატაკი ქვითა და კირხსნარითაა მოსწორებული. კედლების გასწვრივ ქვით ნაგები სასთუმალიანი დასასვენებლებია მოწყობილი. აკლდამაში აღმოჩნდა 30 ჩონჩხი, 4 ზეგედი და 2 რგოლი.

ნასტაკის უსახელო მთის ჩრდილოეთით, ქსნის ციხის ხევიში, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე, 200 მ-ის აღმორბით გაიხსნა კერამიკის გამოსაწვავი ქურები. აგებულია აგურით. შემორჩენილია მხოლოდ ქვედა განყოფილება. ერთ-ერთი ქურის ფართობია 8,4 კვ მ (ბოხოჩაძე ... 1973: 75-77; ბოხოჩაძე ... 1974: 54-59; ბოხოჩაძე ... 1976ა: 66-78; ბოხოჩაძე 1978: 5-26; ბოხოჩაძე ... 1980: 187-209; ბოხოჩაძე ... 1981: 143-159; ბოხოჩაძე ... 1982: 93-106; ბოხოჩაძე ... 1982ა: 44-51; ბოხოჩაძე ... 1982ბ: 111-118; ბოხოჩაძე, მირიანაშვილი 1984: 53-59; ბოხოჩაძე, მირიანაშვილი 1985: 51-53; ბოხოჩაძე ... 1995: 110-113; ნარიშანიშვილი 1990ა: 85-110)

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1941: 199; ბერძენიშვილი 1960: 173-176; 1964: 318; ბოხოჩაძე ... 1973: 75-77; ბოხოჩაძე 1974: 54-59; ბოხოჩაძე ... 1976ა: 66-78; ბოხოჩაძე 1978: 5-26; ბოხოჩაძე ... 1980: 187-209; ბოხოჩაძე ... 1981: 143-159; ბოხოჩაძე ... 1982: 93-106; ბოხოჩაძე ... 1982ა: 44-51; ბოხოჩაძე ... 1982ბ: 111-118; ბოხოჩაძე, მირიანაშვილი 1984: 53-59; ბოხოჩაძე, მირიანაშვილი 1985: 51-53; ბოხოჩაძე ... 1995: 110-113; გავრშიძე 1967: 81-86; 1970: 41-46; გამყრელიძე 2010: 175; გიულდენშტედტი 1962: 55, 189; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 54, 55; მქ 1963: 81; ნარიშანიშვილი 1990ა: 85-110; ქრონიკები 1892: 12; ქც 1: 18,5; ჭილაშვილი 1968: 91-101.

ნაქალაქმშობი, სოფელი, ქალაქი, დაბა (ქც 4: 673,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 290,22), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 673,1), XI, XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. დოკ. 1967: 329; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 22; 1972: 325, 521; 1974: 674; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26; ქრონიკები 1892: 185; 1897: 33; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 162; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 57, 400; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 278, 279, 280), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 56, 81), XVII ს-ის

ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ეიალეთის ... 1979: 111), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 217).

ვახუშტი ბაგრატიონი ნაქალაქევის შესახებ გადმოგვცემს: „ვარძიას ზეით, ხრამის თავს, სამღერეთს მტკვარს მოერთვის ერუშეთის მდინარე ... ამ წყალზედ არს სამღერეთის დასავლეთი, ნაქალაქევი, სადაც იყო ქალაქი, და აწ არს დაბა“ (ქც 4: 672,21-24; 673,1).

ლოკალიზდება სამხრეთ საქართველოში, ერუშეთში, მდ. მტკვრისა და ერუშეთის წყლის შესართავთან (ბაქრაძე 1875: 110). ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში. ნაქალაქევის ზუსტი ლოკალიზაცია ვერ მოხერხდა. ამ სახელით ცნობილი პუნქტი კიდევ ჩანს ჯავახეთში. ნაქალაქევი წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება IV ს-ის ამბების თხრობისას. იქ აუშენებიათ ეკლესია მირიან მეფის თხოვნით იმპერატორ კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილ ოსტატებს (ქც 4: 673,1-5). ამ ეკლესიაში მჯდარა ეპისკოპოსი, მწყემსი ერუშეთისა და არტაანისა, მტკვრის დასავლეთისა (ქც 4: 673,5,6). მეღქისედეკ კათოლიკოსმა XI ს-ში ააშენა სოფ. ნაქალაქევი და მცხეთის სვეტიცხოველს შესწირა (ქც 1: 290,22; ქართ. დოკ. 1967: 329). 1543 წ. ნაქალაქევი გერმანოზომილებს ეკუთვნოდა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 162), XVII ს-ში სოფ. ნაქალაქევი არტაანის ლივაში შედიოდა (ჩილდირის ეიალეთის ... 1979: 111). XVIII ს-ში იქ ეკლესია კიდევ მდგარა, თუმცა უკვე ცარიელი ყოფილა (ქც 4: 673,6,7). ნაქალაქევი მდებარეობდა ჯავახეთიდან არტაანისაკენ მიმავალ გზაზე (ბერძენიშვილი 1966: 103, 105). ნაქალაქევი არქეოლოგიურად შესწავლულია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 56, 81; ბაქრაძე 1875: 110; ბერძენიშვილი 1966: 103, 105; ბერძენიშვილი 1985: 80, 81, 113, 115; გიულდენშტედტი 1962: 217; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 313; ლორთქიფანიძე 1938: 335; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 57, 400; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 162; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 278, 279, 280; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26; ქართ. დოკ. 1967: 329; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 22; 1972: 325, 521; 1974: 674; ქრონიკები 1892: 185; 1897: 33; ქც 1: 290,22; ქც 4: 673,1; ჩილდირის ეიალეთის ... 1979: 111; ხარაძე 1991: 103, 104.

ნაქალაქმშობი (ქც 4: 339,10,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 339,10,23), XIV, XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 195; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 176, 191, 264, 987; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 163; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 156), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 532), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30).

ვახუშტი ბაგრატიონი ნაქულბაქევის შესახებ გადმოგვცემს: „სამხრით არს ველი დიდი დიდმისა ... ნაქულბაქევს ზეით არს დევისნამუხლი – კლდე გაჭრილი გზად“ (ქც 4: 339,8-10).

ლოკალიზდება მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სადგურ ზაპქისის გაღმა, დიდმის მინდვრის დასასრულს, შემადლებულ ზეგანზე.

წყაროებში პირველად იხსენიება XIV ს-ში. XIV-XVI სს-ში სოფ. ნაქულბაქევი იყო მცხეთის საეკლესიო მამული (ქრონიკები 1897: 195; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 176). ნაქულბაქევს შეწყვილი ჰქონდა გზის გადასახადი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 532). XVIII ს-ში ნაქულბაქევი თბილისის კუთვნილ სოფლად ითვლებოდა (ბაგრატიონი 1986: 30). 1789 წ. ნაქულბაქევის მორავად სახლთუხუცესი ამილბარ მაღალაძე (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 987). 1784 წ. ერეკლე II (1744-1798) ნაქულბაქევთან შეეგება რუსეთის გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინს (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 156). სახელწოდება „ნაქულბაქევი“ სავაჭრო პუნქტის არსებობაზე მიუთითებს (ავაქიძე 1963: 40). ნაქულბაქევი მნიშვნელოვან გზაზე მდებარეობდა: თბილისიდან გორისაკენ მიმავალი გზა გაივლიდა დიდმის კარს, დიდმის ველს, ნაქულბაქევს, დევისნამუხლარს, მუხათგვერდს ... (ბერძენიშვილი 1966: 18).

1937 წ. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღ. ალ. კალანდაძე) არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა ნაქულბაქევის მიდამოებში. 1941 წ. ისტორიის ინსტიტუტის მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის არმაზის რაზმმა (ხელმძღ. ა. ავაქიძე) დაზვერა ნაქულბაქევის მიდამოები (ავაქიძე ... 1958: 9, 12).

ამ მიდამოებში, ზემო ავჭალის ახალი ხიდის მახლობლად, სამხედრო გზის გაფართოებისას, 1867 წ. აღმოჩნდა ქვიშაქვის ფილა ახ. წ. 75 წლისა, 17-სტრიქონიანი ბერძნული წარწერით (ავაქიძე 1963: 134). წარწერის აღმოჩენის ადგილის განსაზღვრაზე სხვადასხვა მოსაზრებებია (ბართოლომი 1869: 5; ბაქრაძე 1875: 107; მელიქსეთ-ბეგი 1937ა: 28; ავაქიძე 1963: 131-134). წარწერით ირკვევა, რომ „იმპერატორმა კეისარმა ვესპასიანე ავგუსტოსმა ... ტიტე კეისარმა ... იბერთა მეფეს, მითრიდატეს, მეფე ფარსმანის და იამასპოლის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს, და ხალხს, ეს კედლები განუმტკიცეს“ (ავაქიძე 1963: 126, 127). წარწერის თარგმანსა და ინტერპრეტაციაზეც სხვადასხვა მოსაზრებებია (ბართოლომი 1869: 5; ამირანაშვილი 1928: 193; ჯავახიშვილი 1928: 158; მელიქსეთ-ბეგი 1937ა: 28; ყაუხჩიშვილი 1951: 238; წერეთელი 1958: 19). წარწერა დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

1938 წ. ნაქულბაქევის მიდამოებში, ზაპქისის ახალი ხიდის თავში აღმოჩნდა 13 მონრდელი ქვა, რომლებზეც თითო-ორთა ბერძნული ასო იყო ამოკვეთილი. ეს ქვები, შესაძლოა, „ვესპასიანეს ზღუდის“ –

გამაგრებული კედლის ნაწილი იყოს. ცალკეული ასოებით აზრის გამოტანა ვერ მოხერხდა, თუმცა მონაზულობის მიხედვით, ისინი ვესპასიანეს შემდგომი ეპოქისა უნდა იყოს (ყაუხჩიშვილი 1951: 239, 240). ქვები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: ავაქიძე ... 1955: 5, 9, 12; ავაქიძე 1963: 126-134; ამირანაშვილი 1927; 1928: 191-196; 1938: 161-174; ბაგრატიონი 1986: 30; ბართოლომი 1869: 5; ბაქრაძე 1875: 107; ბერძენიშვილი 1966: 18; ლატიშვილი 1904: 103-105; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 163; მელიქსეთ-ბეგი 1937ა: 28; პომიალოვსკი 1881: 66-69; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 156; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 176, 191, 264, 987; 1970ა: 532; ქრონიკები 1897: 195; ქც 4: 339,10,23; ყაუხჩიშვილი 1951: 234-240; წერეთელი 1958; ჯავახიშვილი 1928: 158.

ნაღვარამი, სოფელი, აგარა (ქც 1: 290,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 290,19), 1031-1033 წწ. მელქისედეკ კათოლიკოსის საბუთი (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 22).

მდებარეობს ახალციხის მუნიციპ-ში, ყიზილის ხევის მარცხენა მხარეზე, ხეთის სამხრეთ-დასავლეთით 3,5 კმ-ის დაშორებით (სიხარულიძე 1964: 149).

წყაროებში პირველად იხსენიება XI ს-ში (ქც 1: 290,19). ნაღვარევი დიდი სოფელი ყოფილა. ნასოფლარზე შეიმჩნევა ნამოსახლარები, ნაეკლესიარი. ამჟამად ეს ტერიტორია სატყეო მეურნეობის კუთვნილებაა (ურავლის უბანი) (სიხარულიძე 1964: 149). ნაღვარევის სახელით ცნობილი სოფლებია: 1. დუშეთის მუნიციპ-ში, მთიულეთის არაგვის მარჯვენა ნაპირზე, დუშეთიდან ჩრდილოეთით, 65 კმ-ის დაშორებით. 2. შუახევის მუნიციპ-ში, მესხეთის ქედის სამხრეთ კალთაზე. ჭვანის წყლის ხეობაში, შუახევიდან 35 კმ-ის დაშორებით. სოფ. ნაღვარევის ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: სიხარულიძე 1964: 149; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 22; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26; ქც 1: 290,15;

ნაღვარამი (ქც 4: 355,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 355,7), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 35).

მდებარეობს დუშეთის მუნიციპ-ში, არაგვის ხეობაში, დღევანდელი სოფ. ნაღვარევის მახლობლად. სოფლის აღმოსავლეთით, შემორჩენილია კვიანი შუა საუკუნეების მცირე ზომის (7X8 მ) დარბაზული ეკლესია. დასავლეთ ფასადზე მიშენებულია სამრეკლო (სძა 2004: 284).

ნაღვარევი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 35; სძა 2004: 284; ქც 4: 355,7.

ნახშირბა (ქც 2: 387,16) იხსენიება ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველ ტექსტში (ქც 2: 387,16).

ლოკალიზდება ტაშისკარის მახლობლად. 1609 წ. ქართლში შემოჭრილი ოსმალებისა და ყირიმელი თათრების ლაშქარი ახალციხეში გადასვლას მტკვრის ნეოპის გავლით ცდილობდა. სოფ. ბრბონაში ხის სახლები დაშალეს, მტკვარზე ხიდი გადეს, მდინარეზე გადავიდნენ და „დადგნენ ტაშისკარის ბოლოს ნახევტაში“ (ქც 2: 387, 16; სინ 1973: 256).

ბიბლიოგრაფია: სინ 1973: 256; ქც 2: 387,16.

ნახშირბა, ქალაქი (ქც 1: 29,4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქც 1: 29,4; 33,10; 65,15; 137,16), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 114,9; 545,10-12, სქ. 2.3), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 199,15), „მოქცევა ქართლისაი“ (მქ 1963: 91), აბოზის ნეკრესელის მარტვილობა (მქალმ 1963: 241, 241), ცხოვრება შიოსი და ევაგერესი (მქალმ 1971: 123, 124). XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქართლ-კახეთის ... 1903: 253; საქ. სიძ. 1910: 512; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 395), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 71), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 31).


მდებარეობს ყვარლის მუნიციპ-ში, ყვარლის დასავლეთით, 8 კმ-ის დაშორებით, ყვარელ-თელავის შარავხის მარჯვენა მხარეს.

ძვ. წ. II ს-ში ნეკრეს აშენებს მეფე ფარნაჯომი (ქც 1: 29,2-4). იმავე საუკუნის ბოლოს არშაკმა „განაშუენა“ ქალაქი ნეკრესი (ქც 1: 33,10,11). ახ. წ. IV ს-ში ნეკრესის ზღუდე გაამაგრა მირიან მეფის მამამძემემ, მირვანოზმა (ქც 1: 65,14). IV ს-ის ბოლოს მეფე თრდატი ნეკრესში აშენებს ეკლესიას (ქც 1: 137,16; მქ 1963: 91). ვახტანგ გორგასალმა თავის მემკვიდრე დაჩის მისცა ქალაქი (ქც 1: 199,15). V ს-ის ბოლოს ნეკრესი სპარსელებმა დალაშქრეს (ჭილაშვილი 2000: 8). VI ს-ში ქალაქში ცხოვრება კვლავ გამოცოცხლდა. აბიბოს ნეკრესელმა ეპისკოპოსმა, რომელიც აქტიურად იბრძოდა ცეცხლთაყვანისმცემელთა წინააღმდეგ, ქალაქში მდგარ მაზღენანთა ტაძარში წყლის დასხმით ჩააქრო წმინდა ცეცხლი, რის გამოც რანელებმა ის სიკვდილით დასაჯეს (მქალმ 1963: 245). საქალაქო ცხოვრება აქ მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა თემურ-ლენგის შემოსევებამდე (XIV ს). გვიან შუა საუკუნეებში ნეკრესი კვლავ ფუნქციონირებს, მაგრამ არა როგორც ქალაქი, არამედ როგორც საეპისკოპოსო ცენტრი, რომელიც ფლობდა სასპასპეტო დროშას. ნეკრესის სადროშოში შედიოდა ვაღმა მხარე ელისენიურთ (ქც 4: 545,17,18). ნეკრესის მონასტერში სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა განსაკუთრებით გამოცოცხლდა XVIII ს-ის 40-50-იანი წლებიდან და არ

შეწყვეტილა XIX ს-ის ათიან წლებამდე. ამ პერიოდში ნეკრესში მოღვაწეობდნენ: ივანე ჯორჯაძე, ნიკოლოზ ნეკრესელი, დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, ამბროსი მიქელაძე და სხვა (ბეჟანიშვილი 1976: 67). წყაროებში ნეკრესი ზოგჯერ ნელქარადაა მოხსენიებული (ქც 1: 29,4, 33,10).

1984, 1986-1989, 1996-1998 წწ. ნეკრესის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ლ. ჭილაშვილი, ხოლო ამჟამად ხელმძღ. ნ. ბახტაძე).

ნაქალაქარს უკავია კავკასიონიდან გამომავალ ორ კონცხს შორის არსებული ვაკე და ნაწილობრივ დღეს ტყით დაფარული ფერდობი. კონცხებს შორის მანძილი 1,2 კმ-ია. აღმოსავლეთ კლდოვან კონცხზე – „ნაზვრე ვორაზე“ განლაგებულია ნეკრესის ადრექრისტიანული ხანით დათარიღებული არქიტექტურული ანსამბლი (ჭილაშვილი 2000: 6). ნაქალაქარის ტერიტორიაზე საგულვეტულია ადრე ბრინჯაოს ხანის სამოსახლოს ნაშთები. ამაზე მიუთითებს შემთხვევით აღმოჩენილი სამარხეული მასალა – მომცრო ზომის ქილები (ჭილაშვილი 1968: 63-65). შემდგომი პერიოდი უკავშირდება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს (იხ. შილდა).



ნეკრესის გეგმა

ნაქალაქარის დასავლეთით, ნაქალაქარსა და სოფ. შილდას შორის მდებარეობს მაღალი კლდოვანი სერი „ქალიაყვანა“, სადაც შემორჩენილია თითქმის კვადრატული მოყვანილობის (4,6X4,9 მ) ნაგებობის ქვედა ნაწილი. დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები მონგრეულია. შემორჩენილი კედლების სისქეა 1,15 მ. ისინი ნაგებია დიდრონი ფლეთილი ქვებით. შესაძლოა ნაგებობის ნაშთის სახ-ით საქმე გვექნდეს რომელიღაც წარმართულ (მაზდეანურ?) გოდოლთან. ტოპონიმ „ქალიაყვანას“ უკავშირებენ ინდური პანთეონის ქალღმერთის – „ქალის“ სახელს. ამ კულტის ჩვენში შემოსვლას კი არიელების მოძრაობას (ჭილაშვილი 2000: 35-37).

ნაქალაქარის ტერიტორიის გარეთ, „ნაზვრე ვორის“ ქვეშ, გაშლილი ველის ცენტრში, რომელსაც მოსახლეობა „საკირეებს“ უწოდებს, ექსპედიციამ

შეისწავლა ცეცხლის ტაძარი. ძველი საძირკვლის ღონეზე იყო შემორჩენილი. ნაგებობაში გამოიყო ორი სამშენებლო ფენა. ზედა წარმოდგენილია ციხე-სასახლის სახით. ქვედა კი რთული გეგმარების ცეცხლის ტაძარია. ორივე ფენის ნაგებობების სამშენებლო მასალაა რიყის დიდრონი ქვები და ფლეთილი ლოდები კირხსნარზე. აგური გამოყენებულია მხოლოდ ზედა ფენის ნაგებობაში. ქვედა ფენის მოწყობიდან გამოსვლის შემდეგ მას დააშენეს ციხე-სასახლე (ჭილაშვილი 2000: 61).


ქვედა ფენის ნაგებობის არქიტექტურული სივრცე ვითარდება ანსამბლის ცენტრში არსებული ოთხკუთხა ნაგებობის ირგვლივ. მის ოთხივე კედელს ებჯინება აფსიდიანი ნაგებობები. ოთხკუთხა შენობა თითქმის კვადრატულია (9,5X8 მ). მის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში შემორჩენილი იყო ბაქანი (2,8X1,6 მ). იატაკი მოგებულია აგურით. მთლიანად ანსამბლი კვადრატული გეგმისაა 50X50 მ.

აღმოსავლეთის აფსიდიან ნაგებობაში კარი აღმოსავლეთ კედელშია. შენობის სამხრეთითა და ჩრდილოეთით განლაგებულია ორ-ორი სათავსი და ერთი კორიდორი ჩრდილოეთით მდებარე სათავსებს შორის. ნაგებობის სამხრეთითა და ჩრდილოეთით მოწყობილია თანატოლი სათავსები. სამხრეთით მდებარე მეორე ოთახს პირველთან საერთო აქვს ჩრდილოეთის კედელი. შესასვლელი ოთახებს შორის დატანებული კორიდორიდანაა. ჩრდილოეთით მდებარე მეორე სათავსი იზოლირებულია მეზობელი ოთახისაგან კორიდორით. შესასვლელი აქვს დასავლეთიდან. სათავსების ფართობია 7X4 მ.

დასავლეთის აფსიდიან ნაგებობაში მანძილი აფსიდის რკალის წვერიდან კარის ღიობამდე 9,5 მ-ია. ნაგებობის სიგანეა 6,8 მ. აფსიდის სამხრეთით ორი სათავსია მოწყობილი. ერთი მას უშუალოდ ებჯინება. კარი აფსიდიანი ნაგებობის სამხრეთის და სათავსის დასავლეთის კედელს შორისაა. ღიობის სიგანეა 1,5 მ. ოთახის ფართობია 6X3 მ. მეორე ოთახისაგან ის გამოყოფილია 1,5 მ სიგანის დერეფნით. ამ ოთახში მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ აღნიშნული კორიდორის მეშვეობით, სადაც ისეთივე სიგანის (1,5 მ) კარის ღიობია, როგორცაა კორიდორისა და პირველი ოთახის კარი. ოთახის ფართობია 6X4 მ. დასავლეთის აფსიდიან ნაგებობას ჩრდილოეთითაც ეკვრის ორი სათავსი. პირველი ანალოგიურია აფსიდიანი ნაგებობის სამხრეთით არსებული სათავსისა (6X3 მ). კარი აქვს დასავლეთის კედელში. მეორე ოთახი დიდაა (9X6 მ). კარი აქვს აღმოსავლეთი კედლის ბოლოს. ოთახებს შორის კორიდორია.

სამხრეთის ნაგებობას აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მოწყობილი აქვს თანაბარი სიდიდის სათავსები კარის ღიობით, პირველ შემთხვევაში ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, მეორეში სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში.

ჩრდილოეთის აფსიდიანი ნაგებობაც მსგავსი გეგმარებისაა, იმ განსხვავებით, რომ აფსიდი მიმართულია სამხრეთისაკენ. მასაც აღმოსავლეთისა და



წარწერები ნეკრესიდან

დასავლეთის მხარეს მიწნებული აქვს დამოუკიდებელი სათავსები. ოთხივე აფსიდიანი ნაგებობის ჯვრისებური განაწილებით ოთხკუთხა ნაგებობის ირგვლივ, მიღებულია ერთი მთლიანი არქიტექტურული სახე. ტაძარი ნაგებია მსხვილი ფლეთილი ქვით კირხსნარზე. კედლების სიგანეა 1,5-1,55 მ. ასევე სტანდარტულია კარის ღიობების სიგანე, გარდა აფსიდიან ნაგებობაში შესასვლელებისა და განისაზღვრება 1,5 მ-ით. ასეთივე სიგანისაა ყველა დერეფანი და ირგვლივი კორიდორი. ოთხკუთხა ცენტრალურ ნაგებობაში დადასტურებული ბაქანი მიუთითებს მის საკურთხევლობაზე. აფსიდიანი ნაგებობებისა და დერეფნების გარდა ყველა კარის ღიობი მოწყობილია ოთახის კუთხეში. ასეთი 10 ღიობია. ანსამბლის ნებისმიერ ოთახში მოხვედრა შეიძლებოდა გარე დერეფნის კარებიდან და აფსიდიანი ნაგებობების ირგვლივ მოწყობილი კორიდორიდან. გარდა ცენტრალური ოთხკუთხა ნაგებობისა, არსად იატაკზე აგურფენილი არ შემორჩენილია.

განათხარი მასალა ცოტაა, ძირითადად თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. მათგან გამოიყოფა წითელპირი-ალა ნატეხები, აგრეთვე მოთეთროდ გამოშვარი ყელწიბოიანი და ყურაინი დოქების ფრაგმენტები. არქეოლოგიური მასალა თარიღდება ახ. წ. პირველი საუკუნეებით, ვიდრე IV-V სს-მდე. ზედა ფენის შენობა, ციხე-სასახლე აგებული უნდა იყოს IV ს-ის დასაწყისში. ის მტრის ხელითაა დანგრეული V ს-ის ბოლოს. დანგრევა შეიძლება სპარსელთა შემოსევას უკავშირდებოდეს. რაც შეეხება ქვედა ფენის, ცეცხლის ტაძარს, ის უნდა აეგოთ ახ. წ. II ს-ში, ხოლო IV ს-ის დასაწყისში ის ქრისტიანების მიერ ჩანს დანგრეული (ჭილაშვილი 2000: 60-72).

მაზღენური ტაძრის გათხრებისას გამოვლენილ მცირერიცხოვან არქეოლოგიურ მასალას შორის აღსანიშნავია თიხის ქილის ქვედა ნაწილი ფსკერზე სამფეხა სადგრის ნაშთით. ჭურჭელი გამოყენებული უნდა ყოფილიყო რომელიღაც რიტუალის

შესასრულებლად. იმავე დანიშნულებისა ჩანს რკინის ორკაბი და ნალისებური მოყვანილობის ნივთი მოკაუჭებული ბოლოებით (ჭილაშვილი 2000: 73-75).

ნაქალაქარის დასავლეთ ნაწილში ადგილ „ნაგებებთან“, რომელსაც მეორენაირად „სამარხების სერსაც“ უწოდებენ, გაითხარა მრავალფენიანი ძეგლი, წარმოდგენილი სასახლის, მარტინის, საცხოვრებლისა და ეკლესიის სახით. ექსპედიციამ პირველ რიგში შეისწავლა ვრცელი სათავსი, რომელიც ნაგები იყო ფლეთილი ქვებით. წყობაში აგური არ დასტურდება. არ აღმოჩენილა კრამიტიც. ეს არის ოთხკუთხა ნაგებობა, რომლის კედლების პერიმეტრზე (გარდა სამხრეთი კედლისა) განლაგებულია საწინააღმდეგობის და ცისტერნები. ძეგლი წარმოდგენილია რამდენიმე სამშენებლო ფენით. ყველაზე ქვედა ფენა ოთხკუთხა ნაგებობაა, რომელიც პირობითად შეიძლება სასახლე-დარბაზს მიეკუთვნოს. მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ ის მარნად უქცევიათ და მასში საწინააღმდეგობის-ცისტერნები აუშენებიათ. მესამე ფენა უფრო ვრცელ არეს მოიცავს. არსებულ ნაგებობას დასავლეთი მხრიდან მთელ სიგრძეზე მიაშენეს თაღდანი და მშენებლებული და კამარულად გადახურული პორტიკო, რომლის იატაკის დონე გაცილებით მაღლაა, ვიდრე მარნისა. სასახლე-დარბაზი მოიცავდა 400 კვმ ფართობს. სახურავი ეყრდნობოდა ქვით ნაგებ სვეტებს. შესასვლელი ჰქონდა დასავლეთიდან, რომელიც ქვით ნაგებ ორ სვეტზე მდგარა. რამდენიმე ნასვეტარი გამოვლენილია ინტერიერშიც. სვეტები ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვებით და გადაღესილია მტკიცე ხსნარით. ერთი კარი ჰქონია ჩრდილოეთ კედელშიც. სასახლე-დარბაზის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ აქ მარანი მოუწყვიტათ. ჩრდილოეთის კარი ამოუქოლავთ და კედლებზე საწინააღმდეგობის-ცისტერნები მიუშენებიათ. სულ გამოვლენილია ხუთი საწინააღმდეგობის-ცისტერნა. საწინააღმდეგობის-ცისტერნები ნაშენია დიდრონი ფლეთილი ქვებით კირხსნარზე. გადაღესილია მტკიცე ხსნარით. ჭრილში თითქმის ნახევარწრიულია. დატანებული აქვს რკინისა და თიხის მილები. საწინააღმდეგობის სიგრძეა 6-6,5 მ (ჭილაშვილი 1990: 118-120). ცისტერნა №1 ჩრდილოეთიდან ეკვრის მეორე საწინააღმდეგობის-ცისტერნისა და საწინააღმდეგობის-ცისტერნის მსგავსადა ნაგები. კედლები შეიგნადა გადაღესილია. იატაკი მოგებული ყოფილა ქვის ფილებით. ცისტერნის ჩრდილოეთ კედელში დატანებულია ორმხრივ ქვებით შემოღობული არხი, რომლითაც თიხის მილები შემოდიოდა ჩრდილოეთით მდებარე სათავსოდან. მეორე ცისტერნა მდებარეობს პირველის ვეგრდით. მათ შორის არსებულ კედელზე ღარიანი კრამიტებით არხია მოწყობილი. მეორე ცისტერნა პირველზე დიდია. გათხრებისას გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის – ძირითადად კრამიტის ცალკე შრეებად წარმოდგენა ვერ ხერხდება. თიხის ნაწარმში ჭარბობს წითელპირი და ჩალისფრად გამო-



ნეკრესის მონასტერი

წვარი ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც ზოგადად ადრე შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. აქ გამოვლინდა IV-V სს-ის კრამიტული ნაწარმიც. კორდოვან ფენაში აღმოჩნდა მოჭიქული კერამიკის ნიმუშებიც (ჭილაშვილი 1990: 123).

ყველაზე მნიშვნელოვანია აქ გამოვლენილი ქვაზე ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერები. წარწერა №1 აღმოჩნდა 1986 წელს. სასახლე-დარბაზის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთი მონაკვეთის ქვედა ნაწილში. წარწერის ქვა (სიგრძე 46 სმ, სიგანე 17,5 სმ, სისქე 7-7,5 სმ) ჩაშენებული იყო კედელში მეორადი გამოყენებით. ამდენად, ქრონოლოგიურად წინ უსწრებს სასახლე-დარბაზის ფუნქციონირებას. წარწერა ამოკვეთილია ოთხ რიგად. იკითხება „აბაზა გივ ჩ“. პირველი ორი ასო შეიძლება გადმოცემდეს საკუთარ სახელს „აბაზა“. წარწერა №2 ამოჭრილია ქვაზე (სიგრძე 68 სმ, სიგანე 12-14,5 სმ). წარწერა ერთსტრიქონიანია. იკითხება „ლევაკი“. წარწერაში გადმოცემულია საკუთარი სახელი. ის აღმოჩნდა 1986 წელს. №1 საწინააღმდეგობის სამხრეთი კედლის თავზე. ის ქვა-სტელა უნდა ყოფილიყო. წარწერა №3 აღმოჩნდა 1987 წელს. შესრულებულია ამოკვეთით, სტელაზე, რომელიც ჩაშენებული იყო №1 საწინააღმდეგობის დასავლეთ კედელში (ქვის სიგრძე 69 სმ, სიგანე 20-23 სმ). წარწერა ოთხსტრიქონიანია. იკითხება „თოხლ(ა) სამანი“. პირველ სიტყვაში ალბათ საკუთარი სახელი უნდა ამოვიცნოთ. მეორე შეიძლება იყოს რიცხვითი სახელი ან „სამანი“, მიჯნის აღმნიშვნელი სიტყვა. წარწერა №4 აღმოჩნდა 1987 წელს ნამარნალის წმინდისას. ის ქვის სტელის ნატეხია (შემორჩენილი ნაწილის ზომაა 35X19 სმ). ორსტრიქონიანი წარწერა დაზიანებულია და მხოლოდ ცალკეული ასოები ვარჩევია. წარწერა №5 აღმოჩნდა 1987 წელს ნამარნალის თხრისას. ესეც სტელის ნაწილია (33X21 სმ). ის დაზიანებულია და მხოლოდ რამდენიმე ასოს მოხაზულობა შეიმჩნევა. წარწერა №6 აღმოჩნდა 1987 წელს ნამარნა-

ლის თხრობას. ის შესრულებულია ქვევრის პირზე, გამოწვამდე. შემორჩენილია მხოლოდ წარწერის ნაწილი ორ სტრიქონად. იკითხება „მე ესე ჭური დავრგე“ (ჭილაშვილი 1990: 124-129). წარწერებზე არაა გამოსახული ქრისტიანული სიმბოლო-ჯვარი ან ვედრება-შეწყალება მოხსენიების თაობაზე. ისინი სხვადასხვა დროს ჩანს შესრულებული. ქვევრის წარწერა მარნის ფუნქციონირების დროისა და ის შეიძლება VI ს-ს მიეკუთვნოს. რაც შეეხება დანარჩენ წარწერებს, ძეგლის გამთხრელი ლ. ჭილაშვილი მათ მიიჩნევდა წინაქრისტიანული ხანისად (ჭილაშვილი 1990: 133,134). სასახლე-დარბაზი მწყობრიდან გამოსულა V-VI სს-ის მიჯნაზე, „საკირების“ ციხე-დარბაზთან ერთად. VI ს-ში სასახლე-დარბაზი მარნად გადაუკეთებიათ. მარნის მახლობლად ექსპედიციამ 1988-1989 წწ. გათხარა სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც დათარიღდა VI ს-ით. ეკლესია ფუნქციონირებდა განვითარებულ შუა საუკუნეებშიც (ჭილაშვილი 1990: 135).

1998-1999 წწ. ნაქალაქარის ცენტრალურ უბანში, ადგილ ჭაბუკაურში გათხარა ხუთი წყვილი სვეტით შედგენილი სამნავიანი უაფსილო ბაზილიკა სამკვეთლოთი და სადიაკვნეთი. ეკლესიას დასავლეთიდან მიშენებული აქვს პორტიკო. ეკლესიაში აღმოჩნდა ჭრაქი, რომელიც მაზღეანური ტაძრიდან უნდა იყოს წამოღებული. არაა გამორიცხული, რომ ეს სწორედ ის ეკლესიაა, რომლის აგება წერილობითი წყაროების ცნობით მეფე თრდატს მიეწერება IV ს-ის ბოლოსათვის (ქც 1: 137,16; ჭილაშვილი 2000: 72).

ექსპედიციამ 1986 წ. შეისწავლა ქალაქის ზღუდის მონაკვეთი, რომლითაც გამოიკვეთა მისი სამხრეთის ნაწილის ფარგლები. ზღუდის მონაკვეთი გამოვლენილია დაახლოებით 260 მ მანძილზე, ნაწილი დასავლეთის მონაკვეთში, ნაწილი აღმოსავლეთის მხარეს ვიდრე „ნაზვრევი გორამდე“. ზღუდის საძირკველი მსხვილი ქვებით, შშრალი წყობითაა ნაშენი. შემორჩენილია ქვების ერთი ან ორი რიგი. კედლის სიგანეა 1,8 მ. ზღუდის გასწვრივ აღმოჩენილი წითელკვციანი კერამიკული ნატეხების მიხედვით, შეიძლება ის ძვ. წ. II ს-ით დათარიღდეს, რასაც წერილობითი წყაროებიც ადასტურებს (ქც 1: 29,4; ჭილაშვილი 2000: 9). ნეკრესის არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ნეკრესის წინაქრისტიანული სამლოცველოების რიგში ექცევა „ნაზვრევი გორაზე“ არსებული სამონასტრო კომპლექსის IV ს-ით დათარიღებული მცირე ბაზილიკად წოდებული ძეგლის ქვედა ფენის ნაგებობა, რომელიც ქრისტიანობის დამკვიდრების ჟამს ეკლესიად გადაუკეთებიათ. ქრისტიანობამდე ეს ნაგებობა მითრეუმი უნდა ყოფილიყო (ჭილაშვილი 2000: 45). მცირე ბაზილიკა (4,6X3,8 მ) გამოირჩევა ბევრი თავისებურებით. ის მინიატურულია და არა აქვს შიდა, თავისუფლად

მდგარი ბოძები. შესასვლელი გვერდით ნაგებშია აღმოსავლეთიდან. შუა ნავი ძლიერ ვიწროა, მოკლე და მაღალი. ის კოშკის შთაბეჭდილებას ტოვებს. ნაგებობის ქვეშ ცარიელი სივრცეა, რომელიც კრიბტადაა მიჩნეული. მცირე ბაზილიკა ნალისებური აფსიდით აღმოსავლეთითაა დამხრობილი, მაგრამ ასეთი დამხრობა მეორადი, ე.ი. გადაკეთების შემდგომი პერიოდის უნდა იყოს. ქვედა ფენის მთლიანი არქიტექტურული სივრცე თავდაპირველად წარმოდგენილი იყო ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე დამხრობილი ნაგებობის სახით, რაც გამოირიცხავს, რომ ის ეკლესია იყო. ნეკრესობის დღესასწაული იმართება 25 დეკემბერს, მითრას დაბადების დღეს (შემდგომ ეს თარიღი ქრისტეს შობას დაუკავშირდა). ამასთანავე, ნეკრესობის დღესასწაულს, როგორც აუცილებელი ატრიბუტი, თან სდევს ღორების შეწირვა, რაც არ შეიძლება ქრისტიანობის რიტუალში ჩათვალოს. ტახი „ავესტას“ მიხედვით მაზღეანურ სარწმუნოებას უკავშირდება. საინტერესოა ადგილის სახელიც, „ნაზვრევი გორა“. „ნაზვრევი“ „ზორვიდან“ მიღებული სიტყვაა. „ზორვა“ კი სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „კერპთა მიმართ შეწირვაა, კმევაა“. „ნაზვრევი გორა“ მაზღეანთა მთავარი შესაკრები ადგილი, ხოლო IV ს-ში ბაზილიკა, წინაქრისტიანულ ხანაში მაზღეანური სამლოცველო უნდა ყოფილიყო (ჭილაშვილი 2000: 44-48).

IV ს-ის ბაზილიკის აღმოსავლეთით VI-VII სს-ის მიჯნაზე აუცილებლად მონასტრის მთავარი ტაძარი, რომელიც წარმოადგენს სამეკლესიან ბაზილიკას. თითოეული ნავი ერთმანეთისაგან კედლითაა გამოყოფილი. ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვებით. კუთხეებსა და ყველა კონსტრუქციულ ნაწილში შირიმია გამოყენებული. ფასადები სადაა. საკურთხეველი ღრმაა. მის ორივე მხარეს სწორკუთხა სამკვეთლო და სადიაკვნეა. ხოლო მათ გაგრძელებაზე მოცემულია აფსიდებით დასრულებული გვერდითი „ეკლესიები“, რომლებიც გაერთიანებულია დასავლეთის მინაშენით. ამგვარად, ცენტრალური ეკლესიის ირგვლივ იქმნება სამხრეთი გარშემოსავლელი, რომლის სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები ეზოსკენ გახსნილი იყო მრგვალ სვეტზე დაფუძნებული თაღებით. მოგვიანებით სამხრეთის თაღები და მთავარ ეკლესიაში გამავალი სამხრეთის კარი ამოუქოლავთ. ეკლესია აგებულია ღვთისმშობლის მიძინების სახელზე. მოუნატავთ XVI ს-ში. ინტერიერის სამხრეთი კედელი დასავლეთ ნაწილში გამოსახულნი არიან მხატვრობის დამკვეთები - კახეთის მეფე ლეონი (1520-1574) და მისი მეუღლე თინათინი (ელიზბარაშვილი 1986: 10).



ნეკრესის კოშკი



ეპისკოპოსის სასახლის მარანი

კომპლექსს ჩრდილო-დასავლეთიდან IX ს-ში დაემატა გუმბათიანი ეკლესია, რომელიც ნაგებია ფლეთილი ქვით. კონსტრუქციულ ნაწილებში გამოყენებულია შირიმი. სახურავი კრამიტისაა. მცირე ზომის გუმბათქვეშა კვადრატი სრულდება მაღალი გუმბათით. საკურთხეველი ხუთწახნაგაა. დანარჩენი სამი მხრიდან ეკლესიას აქვს ვიწრო გარშემოსავლელი (ელიზბარაშვილი 1986:12).

VIII-IX სს-ის მიჯნით დათარიღებული ეპისკოპოსის სასახლე მდებარეობს გუმბათიანი ეკლესიის აღმოსავლეთით, ხევის პირას. სასახლე გვერდით გრძელი სწორკუთხედიანია. ის შედგება სამი ნაწილისაგან. ამთავან პირველი საცხოვრებელია, მეორე ე. წ. „მარანი“, მესამე კვლავ საცხოვრებელი თუ მისაღები კამაროვანი დარბაზია. სასახლის ორსართულიანობა ჩანს დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან. პირდაპირ მეორე სართულზე მოხვედრა შეუძლებელია ჩრდილოეთის ტერასიდან. ამ მხრიდან სასახლე ერთსართულიანად აღიქმება. სამხრეთი ფასადის ორივე სართულზე მაღალი, თაღოვანი სარკმელებია. პირველი სართულის მთავარ დარბაზში შემორჩენილია რვაწახნაგა სვეტი, რომელსაც ყვრდნობოდა ზედა სართულის იატაკის სისტემის მთავარი კოჭები. სასახლის კედლებში მოწყობილია მრავალი ნიში და დიდი ბუხრები (ელიზბარაშვილი 1986: 13; ვაჩნაძე 1989: 111-121). სასახლის გაგრძელებაზე, აღმოსავლეთით მარანია. მის შემდეგ, იმავე ღერძზე დამხმარე სათავსოა. მარნის თავზე XVI ს-ში ააშენეს ოთხკუთხა გეგმის მქონე ოთხსართულიანი კოშკი, რომელშიც მოხვედრა შეუძლებელია მარნიდან. სართულშუა გადახურვა ხისაა. მხოლოდ ქვედა, ძალიან მაღალ სართულს აქვს კამაროვანი გადახურვა. კოშკის ოთხივე კედელს ზედა სართულზე ფართო თაღოვანი სარკმელები დაუყვება. ანსამბლი გარშემორტყმულია ქვის ვალაზნით, რომელშიც შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთ მხარესაა. გვიან შუა საუკუნეებში კომპლექსს შეემატა მცირე ზომის დარბაზული სამლოცველო (ელიზბარაშვილი 1986: 13, 14).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 71; ბაქრაძე 1875: 112; ბეჟანიშვილი 1976-1977: 64-68; ბერიძე 1974; ბახტაძე 2009: 21; გიულდენშტედტი 1962: 31;

ელიზბარაშვილი 1986; ვაჩნაძე 1989: 111-121; მქ 1963: 81-163; საქ. სიძ. 1910: 512; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 395; ქართლ-კახეთის ... 1903: 253; ქც 1: 29,4, 33,10, 65,15, 137,16, 199,15; ქც 4: 114,9; 545,10; ყაუხჩიშვილი 1951; ჩუბინაშვილი 1959: 37-45, 173-176, 321-325, 531, 532; ძქაძე 1963: 240-248; 1971: 123, 124; ჭილაშვილი 1968; 1990: 103-138; 2000.

წილობრივ, იხ. ნეკრესი.

ნიკოლაშიძე (ნიკორწმინდა) (ქც 4: 638, სქ.1: 764,8, სქ. 4: 824,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 638, სქ. 1: 764,8, სქ. 4: 824,11), ნიკორწმინდის XI ს-ის სიგელი (ქრონიკები 1897: 43, 44, 46, 49), პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 41, 45), იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის 1534 წ. გუჯარი (ქრონიკები 1897: 379), შეწირულობის სიგელი ბაგრატ III-ისა ნიკორწმინდისადმი (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 651), 1696-1700 წწ. მერაბ წულუკიძის შეწირულობის წიგნი (დას. საქ. საბ. 1921: 85), ლიხთ-იმერეთის 1737 წ. რუკა (ბურჯანაძე 1959: 194), სოლომონ I-ის განჩინება (ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 275), 1778 წ. სოლომონ I-ის საბუთი (დას. საქ. საბ. 1921: 67), 1792 წ. შეწირულობის წიგნი სარდლის გიორგი წულუკიძისა (დას. საქ. საბ. 1921: 100), სოლომონ II-ის 1794 წ. შეწირულობის წიგნი (დას. საქ. საბ. 1921: 104), ალექსი იველიძის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა (იველიძე 1969: 167), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 115, 131, 133, 209, 293; 1964: 25, 27, 155).

ვახუშტი ბაგრატიონი ნიკორწმინდის შესახებ გადმოგვცემს: „ხოტეცს ზეით, ამის წყალსვე, ერთვის აგარის ხევი. ამ ხევზედ არს ნიკოლაწმიდა ეკლესია გუმბათიანი, კეთილ-დიდშენი“ (ქც 4: 764,7-9).

მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპ-ში, რაჭის ქედის ჩრდილო კალთაზე, ახლანდელ სოფ. ნიკორწმინდის ტერიტორიაზე.

ნიკორწმინდა წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება: „ნიკოლაწმიდა“ (ქც 4: 764,8), „ნიკოლაოსწმიდა“ (ქრონიკები 1897: 43, 44, 46, 49), „ნიკორწმიდა“ (გიულდენშტედტი 1962: 115). ის XI-XVIII სს-ში ეპისკოპოსო (ცენტრი იყო).

ნიკორწმინდა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ნიკორწმინდის ტაძარი ექვსაფსიდიანი ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობაა (სიგრძე 17,3 მ, სიგანე 13,3 მ, სიმაღლე 22 მ). ტაძარი XI ს-ის დასაწყისშია აშენებული (ბერიძე 1974: 145; ბოჭორიძე 1994: 94). ზოგიერთი მკვლევარი მის აშენებას ბაგრატ IV-ეს მიაწერს (ბროსე 1851: 55), ზოგი კი XV ს-ით ათარიღებს (უგაროვა 1894: 136). ტაძარი XVI ს-ში იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის (1510-1565) მიერაა განახლებული. ტაძრის ინტერიერი მოხატულია. განსაკუთრებით აღსანი-



ნიონოწმინდა

იმწვანია ჩრდილო აფსი-
დაში შემორჩენილი წუ-
ლუკიტოთა საკვარეულოს
პორტრეტები, რომ-
ლებიც XVII ს-ის მეორე
ნახევარშია შესრულე-
ბული (ბოჭორიძე 1994:
103). ტაძრის დასავლე-
თის შესასვლელის ტიმ-
პანზე ამოკვეთილია ასო-

მთავრული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია მეფე ბაგრატ III (957-1014). წარწერა 1010-1014 წწ. თარიღდება (ბოჭორიძე 1994: 95; სილოგავა 1980: 55). ტაძრის ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ კედლებზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერები, რომლებიც XI, XII-XIII და XIII სს-ის პირველი ნახევრით თარიღდება (სილოგავა 1980: 98-102, 168-170). ტაძრის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ კუთხეში ამოკვეთილია XVI ს-ის ასომთავრული წარწერა: „წმიდაო ნიკოლაოზ, მეოხ ყვეა მეფეს გიორგის მის მ(ოწყალებით?) ჭელოში ავაშენე ნიკოლაოზწმინდელმან საყვარელიძემან მელქისედეკ ამინ“ (ბოჭორიძე 1994: 98, 99). ტაძრის კედლებზე შემორჩენილია მხედრული წარწერები (ბოჭორიძე 1994: 108), აგრეთვე XVII ს-ის რელიგიური ხასიათის ბერძნული წარწერები (ყაუხჩიშვილი 1951: 169-182).

ბიბლიოგრაფია: ალადაშვილი 1957; ბერიძე 1959ა; 1974: 145; ბოჭორიძე 1994: 95, 98, 99, 103, 108; ბროსე 1851: 55; ბურჯანაძე 1959: 194; გიულდენშტედტი 1962: 115, 131, 133, 209, 293; 1964: 25, 27, 155; დას. საქ. საბ. 1921: 67, 85, 100, 104; ივლევი 1969: 167; სილოგავა 1980: 55, 98-102, 168-170; უჯაროვა 1894: 136; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 41, 45; 1974: 275; 1977: 651; ქრონიკები 1897: 43, 44, 46, 49, 379; ქც 4: 638, სქ. 1; 764,8, სქ. 4; 824,11; ყაუხჩიშვილი 1951: 169-182.

6060ას ციხე (ქც 4: 765,6,სქ.3; 848,14,18). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 765,6, სქ. 3; 848,14,18). ვახუშტი ბაგრატიონი ნინიას ციხის შესახებ გადმოგვცემს: „რიონის კიდეზე ... არს წესი ... აქავ, რიონის კიდეზე, არს ნინიას ციხე, კლდესა ზედა შენი“ (ქც 4: 765,6).

ნინიას ციხის ლოკალიზება ვერ ხერხდება. შესაძლოა, ის იყოს რაჭის სოფელ წესის (ამბროლაურის მუნიცი.) მთავარ უბანში, რიონის ნაპირზე მდგომი უსახელო ციხის ნანგრევები (ბოჭორიძე 1994: 178). 1683 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრე IV (1683-1690) რაჭის ურჩი ერისთავის, პაპუნას დასამორჩილებლად ნინიას ციხეს მიაღდა (ქც 4: 848,14,18).

ნინიას ციხე (წესის ციხე) არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბოჭორიძე 1994: 178; ქც 4: 765,6, 848,14,18.

6060წმინდა (ქც 1: 199,1; ქც 4: 114,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 199,1), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 114,1; 468,13,23; 529,12; 607,7), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 512; 1967: 205; ქართლ-კახეთის ... 1903: 123, 142; საქ. სიძ. 1910: 208; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 91; მცირე ქრონიკები 1968: 43; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 113; 1981: 332), სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 7), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 66), XVII ს-ის რუსული დოკუმენტი (მასალები ... 1937: 413), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 19, 21, 23, 57, 259, 261).

ვახუშტი ბაგრატიონი ნინოწმინდის შესახებ გადმოგვცემს: „დასავლით ერთვის იორს ნინოწმინდის ხევი ... ამ ხევზედ არს ნინოწმინდა, ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი, რომელი აღაშენა გორგასალ და დასუა ეპისკოპოზი, და ზის აწამდე, მწყემსი ამ ქვეყნისა ქისიყადმდე“ (ქც 4: 529,10-14).

მდებარეობს საგარეჯოს მუნიცი-ში, გომბორის ქედის სამხრეთ მთისწინეთზე, დღევანდელი სოფ. ნინოწმინდის ადგილას.

ბ. მჭედლიშვილის აზრით, სოფელს ამ სახელის შერქმევამდე უნდა რქმეოდა ბოდი და წმინდა ნინოც აქვე უნდა დაეკრძალათ (მჭედლიშვილი 1986: 54). ვახტანგ გორგასალმა V ს-ის მეორე ნახევარში ერთ-ერთი საეპისკოპოსო ცენტრი ნინოწმინდაში დააარსა (ქც 4: 529,10-14). 1693 წ. ნინოწმინდასთან გაიმართა ბრძოლა კახელებსა და ქართლებს შორის. გამარჯვება კახელებს დარჩათ (ქც 4: 607,5-9; მცირე ქრონიკები 1968: 43).

ნინოწმინდა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) ინახება 1932 წ. აქ შემოსული, ნინოწმინდაში აღმოჩენილი გვიანის ბრინჯაოს ხანის ბრინჯაოს ე. წ. „კახური ტიპის“ სატევარი (ფიცხელაური 1956: 121; 1973: 186). იმავე წელს მუზეუმს შეუძენია ბრინჯაოს თავგახსნილი სამაჯურების კოლექცია ნინოწმინდიდან. სამაჯურების უმრავლესობა შემკულია გველის თავის გამოსახულებებით. ისინი ძვ. წ. VII-VI სს-ს მიეკუთვნება (დავლიანიძე 1983: 64-66). ძვ. წ. VI-IV სს-ით თარიღდება 1953 წ. მუზეუმში შემოსული ნინოწმინდაში აღმოჩენილი წითლად გამომწვარი ფიალა (დავლიანიძე 1983: 29). მისი თანადროული უნდა იყოს ამავე კოლექციაში შემავალი შავად გამომწვარი ხელადა, წითლად გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტი და ცისფერი მინის მძივი. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში) ინახება ნინოწმინდაში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ბრინჯაოს ბალთა, რომლის ჩარჩო შემკულია წნული ორნამენტით. კუთხეებში მოთავსებულია დაბალი კოპები. ბალთაზე გამოსახულია ფანტასტიკური თავმობრუნებუ-

ლი ირემი და ირმის თავი (ხიდაშელი 1972: 87). საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება ნინოწმიდაში, ადგილ „კოშკისგვერდაზე“ ნაპოვნის ახ. წ. III ს-ის ვარახარნ I-ის ვერცხლის დრაქმა (ჯალალანია 1979: 11). საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) ინახება ოქროს ხატი, რომელიც მეფე არჩილს (1664-1675) შეუმოკა და შეუწირავს წმინდა ნინოს ეკლესიისათვის 1677 წელს. ხატი 1795 წ. განუახლებია ნინოწმიდელ მიტროპოლიტსაბა ტუსისძეს, რაზეც მიგვითითებს ხატის ზურგზე არსებული წარწერა (ბარნაველი 1962: 112, 123).

სოფელში შემორჩენილ სამონასტრო კომპლექსს შემოუყვება ხუთკუთხა გალავანი, რომელშიც ხუთი ნახევარწრიული კოშკია ჩაშენებული. გალავანის ორ ორსართულიან კოშკს შორის მოქცეული შესასვლელი სამხრეთიდანაა. შესასვლელის კოშკების ქვედა სართულები გრუა, მეორე სართულზე სათოფურებია მოწყობილი. გალავანის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან სამეგრელო. აქვე მდგარა ეპისკოპოსის სასახლე. ჩრდილოეთ კედელთან სხვადასხვა ნაგებობის ნაშთებია (სასახლე, მარანი). კომპლექსის ცენტრში შემორჩენილია VI ს-ის ტაძრის ნანგრევები. კერძოდ, ნაგებობის აღმოსავლეთი მხარე და დასავლეთი კედლების ნაწილი. ინტერიერი მოხატული ყოფილა. ტაძრის რამდენჯერმე შეუკეთებიათ (XI-XII, XVI-XVII, XVIII ს-ის მეორე ნახევარი). ტაძარი საბოლოოდ დანგრეულია 1824 და 1848 წელს მიწისძვრის დროს. ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ხუთი წარწერაა. მათგან ოთხი ასომთავრულია. ერთი შესრულებულია უცნობი დამწერლობით, რომელსაც ა. შანიძე „ჰერულს“ უწოდებდა (შანიძე 1938: 54). ამ წარწერის ცალკეული ასოები მიაგავს ბერძნულს (ყაუხნიშვილი 1951: 318, 319). ასომთავრულით შესრულებულ X ს-ის წარწერებში მოხსენიებულნი არიან მლოცველები: კაცია, თევდორე, სტეფანე და მამია, ბაკურდუხტი (ქართ. წარწ. კორ. 1980: 313-316). ტაძრის დასავლეთის შესასვლელ კარში აშენებულ კარბზეში 1617 წ. დათარიღებული მხედრული წარწერაა: „განვაახლე ანდრონიკაშვილმა ნინოწმიდელმა ნიკოლოზ გარე აგურთა, დავახატინე კანკელი და შევამკე და აღვაშენე კარის ბჭე“ (ბარნაველი 1962: 112).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 66; ბარნაველი 1962: 112, 117-121, 123, 124; ბაქრაძე 1875: 114; გიულდენშტედტი 1962: 19, 21, 23, 57, 259, 261; გულისაშვილი 1884: №225; დავლიანიძე 1983: 29, 64; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 91; მასალები ... 1937: 413; მცირე ქრონიკები 1968: 43; მჭედლიშვილი 1986: 51-57; საქ. სოდ. 1910: 208; ფიცხელაური 1959: 121; 1973: 186; ქც 1: 199,1; ქართლ-კახეთის ... 1903: 123, 142; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 1113; 1981: 332; ქართ. წარწ. კორ. 1980: 313-316; ქრონიკები 1897: 512; 1967: 205; ქც 4: 114,1; 468,13,23; 529,12; 607,7; ყაუხნიშვილი 1951: 318, 319; ჩხეიძე 1913: 7; ხიდაშელი 1972: 87; ჯალალანია 1979: 11; ჩუბინაშვილი 1959: 232-246, 497-500, 524, 525; შანიძე 1938: 54, 55.

601030 (ქც 4: 175,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 114,6; 175,21; 370,1,6; 374,2), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 199,6), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 38,4), „წმიდა რაჟდენის წამება“ (წამებაი რაჟდენისი 1946:246), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 80), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 21), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 246), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 165; ქართულ-სპარსული ... 1955: 343-345; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 8, 109, 184, 326; 1953: 113; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 154; 1953: 92, 93; 1955: 105, 136; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 977, 979, 991, 1115; 1972: 362, 470, 523; 1974: 40, 41, 326; 1981: 137, 245, 299, 309, 479, 567, 613, 653; 1985: 109, 160, 510, 620), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 41), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 177, 207, 279).

მღებარეობს ქ. ცხინვალის სამხრეთით, 3 კმ-ის დაშორებით, მდ. დიდი ლიახვის ნაპირზე. სოფელი იყოფა ზემო და ქვემო ნიქოზად.

ვახტანგ გორგასალს (V ს.) ნიქოზში აუშენებია ვითაბების ეკლესია. იქვე დაუსვამს ეპისკოპოსი, რომლის სამწყსო სხვა ტერიტორიებთან ერთად დვალეთსა და გლოლალებსაც მოიცავდა. ეკლესიაში დაუკრძალავთ წმინდა რაჟდენის ნეშტი. წარმოშობით ის სპარსი იყო, ცეცხლთაყვანისმცემელი. ქრისტიანობის მიღებისათვის სპარსელებმა აწამეს (ქც 1: 199,6-8; ქც 4: 370,1-5; წამებაი რაჟდენისი 1946: 246). ნიქოზში გარდაცვლილა და იქვე დაუკრძალავთ თამარ მეფეზე უიმედოდ შეყვარებული ოსთა ერთ-ერთი მეფე (ქც 2: 38,1-5; ქც 4: 175,21). 1614 წ. შაჰ-აბასი (1587-1629) კახეთის აზრების შემდეგ ქართლში გადმოვიდა და ნიქოზს მიაღდა (ცხოვრება ... 1980: 80). ქართლში მოთარეშე ლეკებს თეიმურაზ II-მ (1744-1762) და ერეკლე II-მ (1744-1798) ბრძოლა გაუმართეს ცხინვალთან. ღამით ლეკის ჯარი ნიქოზში გამაგრდა. მეორე დღეს აიყარნენ და ახალციხისაკენ წავიდნენ (ორბელიანი 1981: 246).

ნიქოზი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯვანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) ინახება 1914 წ. შემოსული ნივთები, აღმოჩენილი ნიქოზის მიდამოებში: 1. ბრინჯაოს ოვალურგანიკვითიანი სამაჯური, რომლის გახსნილი თავები ერთმანეთზე გადადის. შემკულია ამოღებული გეომეტრიული ორნამენტით. 2. სამაჯური, მრგვალოწერტიანი, გახსნილი თავები ერთმანეთზე გადადის. 3. სახელურის ნატეხი ღეროზე რელიეფური სარტყლითა და მომრგვალებული თავით. 4. რკინის ბოძალი (არქ. მას. კატ. 1955: 47). ბრინჯაოს სამაჯურები და სახელურის ნატეხი კვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას განეკუთვნება.

რკინის ბოძალი განვითარებული შუა საუკუნეების უნდა იყოს. გვიან შუა საუკუნეებს მიეკუთვნება ამავე კოლექციის ბრინჯაოს ფირფიტა (28-14:5), წმიდანის გამოსახულებით.

ზემო ნიქოზის ცენტრში, მდ. ლიანვის მარჯვენა ნაპირზე აღმართულია ღვთაების ეკლესიის კომპლექსი, რომელშიც შედის ეკლესია, სამრეკლო და ეპისკოპოსის სასახლე. ღვთაების გუმბათიანი ეკლესია (16,7X11,5 მ), ჯუანშერისა და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ვახტანგ გორგასლის ბრძანებით აუგიათ (ქც 1: 199,6-8; ქც 4: 370,2-5). ეკლესია რამდენჯერმე ისეა გადაკეთებული, რომ მასში V-VI სს-ის სამშენებლო ფენების დადგენა გამწვანებულია. თავდაპირველად ის დარბაზული ყოფილა. ეკლესია შიგნით და ვარდნიდან შემოსილია თიხის ქვებით. მოგვიანებით შიგნიდან შეუღესავთ. შესასვლელი ჰქონია დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. აღმოსავლეთი და დასავლეთი მკლავები შედარებით დაგრძელებულია. ოთხივე მკლავში სარკმელია. გუმბათი ეგრძობა აღმოსავლეთი კედლების კუთხეებსა და დასავლეთი კედლის შვერილ პილონებს. გუმბათის ყელში რვა სარკმელია. ეკლესიის ფასადი ორნამენტირებულია. ნაგებობა გადახურულია ლორფინით. მოგვიანებით ეკლესიის ოთხივე კენზე ქვისგან გამოკვეთილი ცხვრის თავები დაუდგამთ (მაკალათია 1971: 45-49; სძა 1990: 68, 69). ეკლესია თარიღდება V-XI სს-ით (მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 12). მის ფასადზე ძნელად გასარჩევი ასომთავრული, ნუსხური და მხედრული წარწერებია. სამხრეთ ფასადზე X სს-ის სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა: „ქრისტე ამენ. მიქაელ ეპისკოპოზმან აღვაშენე წმიდა ეკლესია“ (მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 12; ქართ. წარწ. კორ. 1980: 188).

სამრეკლო მდებარეობს კომპლექსის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. ნაგებობა ორსართულიანია (5,45X5,35 მ). ფასადები შემოსილია რუხი ფერის გათლილი ქვებით. სამრეკლოს პირველი სართული ჭიშკარია, დასავლეთის კედელზე ჯვრის სამი გამოსახულებით. ფასადებზე რამდენიმე გაურკვეველი ასომთავრული წარწერაა. ზოგიერთში მოხსენიებულია სამრეკლოს ამშენებელი კალატოზები. მეორე სართული ზარების ჩამოსაკიდი ფანჩატურია. სართული ოთხივე მხარეს გახსნილია ორ-ორი შეისრული თალით. ოთხივე ფასადის ფრონტონის კენზე დგას ქვისგან გამოკვეთილი ცხვრის თავის გამოსახულება. თარიღდება XVI-XVII სს-ით. სამრეკლოს ორივე მხრიდან ებჯინება ქვის გალავანი (სძა 1990: 69).

ეპისკოპოსის სასახლე გალავნის გარეთაა, სამხრეთ-აღმოსავლეთით. კეგმით სწორკუთხა (11,2X21მ), ორსართულიანი. ნაგებია რიყის ქვითა და აკურით. შესასვლელი ჰქონია ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. პირველი სართულის სამხრეთ კედელში სარკმელი და ბუხარია. მეორე სართული განათებული ყოფილა თაღოვანი სარკმლებით. სამხრეთ კედელში შემორჩენილია ბუხარი. სასახლე

თარიღდება IX-X სს-ით (მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 74), სხვა მოსაზრებით X-XI სს-ით (სძა 1990: 69).

მთავარანგელოზის გუმბათიანი ეკლესია (8,5X5,3 მ) აღმართულია სოფლის ცენტრში, ძველ სასაფლაოსთან. ნაშენია ფლეთილი ქვით კირხსნარზე. შესასვლელი აქვს დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. აფსიდაში, სამკვეთლოსა და სადიაკვნეში თითო სარკმელია. დასავლეთი მკლავი შედარებით მოგრძობა. გუმბათი ეგრძობა გრძივი კედლებიდან გამოწვეულ პილონებს. გუმბათის ყელში ოთხი სარკმელია. ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადზე გამოსახულია გველშაბათან მებრძოლი, ცხენზე ამხედრებული წმიდა გიორგი. გუმბათის ყელზე, ჩრდილოეთით, სამი ლომია გამოსახული. ფასადზე აქა-იქ ჩუქურთმიანი ქვებია ჩადგმული. ეკლესია გადახურული ყოფილა ლორფინით. თარიღდება X სს-ით (მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 70-72; სძა 1990: 68). ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადზე X სს-ის ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა: „ქრისტე, სახელითა ღმრთისათა, მე მიქაელ ნიქოზელ ეპისკოპოზმან აღვაშენე წმიდა ეკლესია, რომელ არს სახელი ღმრთისაი და ბჭეი ცათაი, საყოფელი წმიდისა ღმრთისმშობელისაი და წმიდათა მთავარანგელოზთაი სალოცველად სულისა ჩემისათვის“. მის ზემოთ ამოკვეთილი ყოფილა კიდევ ერთი წარწერა, რომელშიც მოხსენებოდა მიქაელ ეპისკოპოსი. წარწერის ნაწილი ამჟამად გადაშლილია. გუმბათის ჩრდილოეთი სარკმლის ზემო ქვაზე, ლომის ორ გამოსახულებას შორის ამოღებულია ოთხ-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია მიქაელ ეპისკოპოსის დისწული იოვანე (ქართ. წარწ. კორ. 1980: 186, 187).

ქვემო ნიქოზის ჩრდილო-აღმოსავლეთით დგას რიყისა და ტუფის ქვით კირხსნარზე ნაგები კვირაცხოვლის დარბაზული ეკლესია (8X5,5 მ). შესასვლელი სამხრეთიდანაა. აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით თაღოვანი სარკმლები ჰქონია. ნახევარწრიული აფსიდის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. გრძივი კედლები დანაწევრებულია პილასტრებით. აღმოსავლეთ ფასადზე სამმაგი რელიეფური წრე და მათ ზემოთ ჯვარია გამოსახული. ეკლესია თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით (სძა 1990: 114).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესიაა (8,5X6 მ). ნაგებია რიყისა და ტუფის ქვით კირხსნარზე. შესასვლელი სამხრეთიდანაა. აღმოსავლეთით, დასავლეთითა და სამხრეთით აქვს თაღოვანი სარკმლები. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო ნიშია. დარბაზის გრძივი კედლები შირიმის ქვის პილასტრებით ორდაა გაყოფილი. აღმოსავლეთის ფასადზე გამოსახულია ჯვარი და დაზიანებული ასომთავრული წარწერა. ეკლესიის ლავგარდანი შირიმის ქვისაა. ეკლესია თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით (სძა 1990: 115).

ბიბლიოგრაფია: არქ. მას. კატ. 1955: 47; ბაგრატიონი 1986: 41; ბაქრაძე 1875: 112, 113; გიულდენ-შტედტი 1962: 177, 207, 279; გორგჯიანიძე 1926: 21; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 8, 109, 184, 326; 1953: 113; მაკალათია 1971: 45-49; მასალები კავკ. არქ. 1894: 179-182; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 154; 1953: 92, 93; 1955: 136; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 165; მეგრული 1952: 279, 280, 291; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 11, 12, 70-74; ორბელიანი 1981: 246; რჩეულიშვილი 1946: 6, 7; სძა 1990: 68, 69, 114, 115; ქც 1: 199,6; ქც 2: 38,4; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 977, 979, 991; 1972: 362, 470, 523; 1974: 362, 470, 523; 1981: 137, 245, 299, 309, 479, 567, 613, 653; 1985: 109, 160, 510, 620; ქართულ-სპარსული ... 1955: 343-345; ქართ. წარქ. კორ. 1980: 71, 186, 187; ქც 4: 114,6; 175,21; 370,7 374,2; ცხოვრება ... 1980: 80; წამებათ რაუდენისი 1946: 246.

606010 (ქც 4: 340,5,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 340,5,8,12; 389,11; 396,26; 512,4), XI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 47, 68; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 10, 21; 1970: 569; 1977: 607, 614, 634; 1985: 738; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 165; საქ. სიძ. 1910: 260; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 125, 184, 372), სუხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 43), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 239), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 29), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 51), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986:34, 44), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 134), იოჰან გიულდენ-შტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენ-შტედტი 1962: 55, 273).

ვახუშტი ბაგრატიონი ნიჰისის შესახებ გადმოგვცემს: „ხევი ნიჰისისა, კამოდის დიდგორს, დის ჩდლოთ, ერთვის მტკუარს სამხრიდამ. ნიჰისს არს შენობა დიდი და მონასტერი მცირე ... ამ ნიჰისის წყლის შესართავზედ, მტკუარზედ. არს კოწახურას ფონი, მუხრანს გამსვლელი“ (ქც 4:340,5,8). მდებარეობს მცხეთის მუნიციპ., მცხეთიდან სამხრეთ-დასავლეთით 12 კმ-ზე, მდ. ნიჰისწყლის (მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ნაპირებზე, თანამედროვე სოფ. ქვემო ნიჰისის ტერიტორიაზე. ისტორიულ წყაროებში ნიჰისი მოიხსენიება XI ს-იდან. 1072 წ. გიორგი II-მ (1072-1089) სოფ. ნიჰისი შიომღვიმის მონასტერს შესწირა. 1170 წ. გიორგი III-მ (1156-1184) განუახლა მონასტერს შეუკალობის სივრცე ნიჰისზე. 1490 წ. ქართლის მეფე კონსტანტინე II (1478-1505) ნიჰისში იდგა და პარათაშვილებს ენმარებოდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1520 წ. მუხრანში დაბანაკებული კახეთის მეფის, ლევანისა (1520-1574) და მამია გურიელის წინააღმდეგ საბრძოლველად მიმავალი ქარ-

თლის მეფე დავით X (1505-1525) ნიჰისში დადგა. 1615 წ. ქართლის მეფემ ლუარსაბ II-მ (1606-1615) ნიჰისი ქაიხოსრო და მერაბ ციციშვილებს გადასცა. XVIII ს-ში ნიჰისმა მრავალჯერ განიცადა ლეკების შემოსევა. ამავე საუკუნის ბოლოს სოფელში 7 კომლიდა ცხოვრობდა (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 10,21; ქც 4: 389,1; 396,26; გვასალია 1983: 123).

1914 წ. კავკასიის მუზეუმში (შემდგომში საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) ჩააბარეს ნიჰისის ხეობაში შემთხვევით მოპოვებული ბრინჯაოს სამაჯურები გველისთავისებური დაბოლოებებით. თარიღდება I ათასწლეულის შუა ხანებით (ირემაშვილი 1967: 63). 1936 წ. სოფ. ნიჰისის განაპირას მიწის დამუშავების დროს დაზიანებულ სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს იტალიკური სურები (2 ც), მინისა და ვერცხლის რგოლები (4 ც), ვერცხლის აბზინდა არწივის თავის გამოსახულებით, პართის მეფეების გოტარზეს (40/41-51) 6 დრაქმა და მითრიდატე IV-ს (130-147) 1 დრაქმა, რომის იმპერატორის ავგუსტუსის (ძვ. წ. 63-ახ. წ. 14) 2 დენარი. მასალა ინახება. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (აბრამიშვილი 1974: 74, 79, 90, 104, 108; ლორთქიფანიძე 1964: 243-250). 1957 წ. სოფ. ახალი ნიჰისის განაპირას, მიწის დამუშავებისას დაინგრა გვიანანტიკური ხანის მდიდრული სამარხები. მასალის ერთი ნაწილი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი), მეორე ნაწილი – დიდი მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში (ირემაშვილი 1967: 63).

1957-1960 წწ. სოფ. ქვემო ნიჰისის სამხრეთით 5 კმ-ზე, წიწილასწყაროს ხევიში, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. უგრელიძე) გათხარა ნატბურის მინის საწარმო. სახელოსნო მიწებზე იყო კლდეზე. შენობის აღმოსავლეთ კედელთან გაითხარა მინის საღრობი ქუჩა – შემორჩენილი იყო საცეცხლე, ჰაერსადენი საკანი, მინის საღრობი აბაზანა და საკვამლე ხერელი. აქვე აღმოჩნდა ქვასანაყი, რკინის კავი და დანა, ნედლეული – კაჟი და მარგანცი; გადანაყარში დაფიქსირდა მინის ჭურჭლისა და სამაჯურების ფრაგმენტები, მინის წვეთები. აქ აღმოჩენილი მონეტების მიხედვით ნატბურის სახელოსნო თარიღდება XIII ს-ის მეორე ნახევრითა და XIV ს-ის დასაწყისით (უგრელიძე 1961: 11-14).

1961 წ. სოფ. ქვემო ნიჰისის მახლობლად, ნასოფლარ ზეუბანში აღმოჩნდა განვითარებული შუა საუკუნეებით დათარიღებული მონეტების განძი (1460 ც). ქართული მონეტები მოჭრილია მეფეების – დემეტრე I-ის (1125-1156), გიორგი III-ის (1156-1184), გიორგი III-ისა და თამარის (1184-1207), ლაშა-გიორგის (1207-1223) სახელით. 15 ქართული მონეტის ატრიბუცია ვერ მოხერხდა. გარდა ქართული მონეტებისა ნიჰისის განძში აღ-



ნიჩბისი

მოჩნდა შირვანული, ილდიგიზიდური და დარუ-ბანდული მონეტები (34 ც). განძი დაფლულია რუსუდანის მეფობის (1223-1245) დროს, სავარაუდოდ, 1122-1126 წლებში (კაპანაძე 1969: 80-96).

1971 წ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქსნის ექსპედიციამ (ხელმძღ. ი. გაგოშიძე) სოფ. ქვემო ნიჩბისში გათხარა გვიანი შუა საუკუნეებით დათარიღებული ციხე-დარბაზი. იგი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით, მდ. ნიჩბისისწყლის მარჯვენა ნაპირზე. თარიღდება XVII ს-ით. კომპლექსში შედიოდა კოშკებიანი გალავანი, სასახლე, ეკლესია და აბანი. ამჟამად, შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული გალავნისა და აბანოს ნანგრევები. გალავანი გვემით მართკუთხაა, ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებში ჩართულია კოშკები; გალავნის სამხრეთი კედელი შემორჩენილია 7-8 მ-ის სიმაღლეზე, ქვედა ნაწილი ყრუა, ზედას საბრძოლო ბილიკის დონეზე აქვს სათოფურები და სალოდეები. ეზოში დგას სამართლიანი კოშკი, რომელიც გვემით ოთხკუთხაა. გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს აბანი (7,8X13,3 მ). იგი შედგება გასახდელის, საბანაო ოთახისა და საქვაბე განყოფილებისაგან. აბანოში კერამიკული მიღებით შეყვანილი იყო წყაროს წყალი (გაგოშიძე 1972: 36).

1983 წ. მდ. მტკვრისა და ნიჩბურას შესართავთან, ადგილ „ბორნისთავზე“, მდ. ნიჩბურას მარჯვენა ნაპირზე, შშენებლობის დროს დაზიანდა მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც ვრცელდება 7 კა-ზე. 1984 წ. მცხეთის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ა. აფაქიძე) დაიწყო ძეგლის შესწავლა. გაითხარა ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარის ფრაგმენტები, ბაზალტისა და რიყის ქვისაგან დამზადებული შრომის იარაღები, მოყავისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი მცენარეული ჩანარებით. ნამოსახლარი თარიღდება ძვ. წ. IV ათასწლეულით (აფაქიძე ... 1997: 65-70). იქვე აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ფრაგმენტები და სამეურნეო ორმოები, რომლებშიც დაფიქსირდა კერამიკის ფრაგმენტები, ობსიდიანის ანატექციები, მსხვილფენა რქოსანი და წვრილფენა საქონლის ძვლები (აფაქიძე ... 1995: 88).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანზე გაითხარა რამდენიმე ათეული ქვაწრიანი და წრიულქვაყრილიანი ორმოსამარხები. თარიღდება

ძვ. წ. XIV-XII სს-ით. მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ თავით ჩრდილოეთისაკენ, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, კიდურებმოკეცილნი. სამარხებში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრები, შუბისპირები, ისრისპირები, ირმის რქის ძირის კვერთხისთავი და სხვა (აფაქიძე ... 1987: 51; აფაქიძე ... 1995: 85-89; აფაქიძე ... 1997: 65-70).

იმავე ტერიტორიაზე გაითხარა გვიანანტიკური ხანის სამაროვანი და ნამოსახლარი. ორმოსამარხებში აღმოჩნდა მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი და სხვადასხვა მასალის სამკაული. სამაროვანი თარიღდება II-III სს-ით (აფაქიძე ... 1987: 49; აფაქიძე ... 1995: 88; აფაქიძე ... 2004: 77). სოფ. ქვემო ნიჩბისის განაპირას, სამხრეთით, მთის ფერდობზე დგას „კიკოლაანთ საყდარი“. ეკლესია დარბაზულია (5,8X4,3 მ). თარიღდება X ს-ით. ნაგებია ფლეთილი ქვით, აქვს ნახევარწრიული აფსიდა. ინტერიერი შელესილი და მოხატული იყო. სოფლის სამხრეთით მდ. ნიჩბურას მარჯვენა ნაპირზე დგას წმინდა ნიკოლოზის გუმბათიანი ეკლესია (16,7X15 მ). თარიღდება XVI-XVII სს-ით. ძლიერ დაზიანებულია. ნაგებია ფლეთილი და თლილი ქვით, აგურით. აქვს ნახევარწრიული აფსიდა, რომლის ორივე მხარეს განლაგებულია გვემით მართკუთხა სამკვეთლო და სადაიაკვენი. XVIII ს-ში ეკლესიის ქვედა ნაწილს გასამაგრებლად შემოავლეს თლილი ქვის კედელი.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) დაცულია ხატი, რომლის პირი მოხატული იყო, მაგრამ დღეს აღარაფერი შემორჩა; ზურგი ვერცხლითაა მოჭედილი და ზედ ასომთავრულით შესრულებული წარწერაა: „... დღო მღვდელით მიძღვარო ნიკოლოზ, შემწვე გვეყავენ სარდალ-სახლთუხუცესის შვილს ზაალს და თანამეცხედრესა ჩემსა მარიაძს, რომელთა მოვაჭვდინეთ ოქროთა და თვალმარგალიტით ცოდვითა ჩვენთა მისატეველად და ძეთა ჩვენთა წარსამართებლად და მშობელსა ჩემისა, ქართლთა და კახთა მფლობელსა, მფვის შაჰნავაზის დის, ბატონის შვილის დედისიმედის სულის სათხად აღვაშენეთ საყდარი წმიდის ნიკოლოზისა სახეხესა ქართლისა ნიჩბისის სახლთუხუცესსა ზაზამ და ზაალ. ქორონიკონსა ტ-გ (1675 წ.)“. წარწერაში მოხსენებულია ზაზა და ზაალ ციციშვილები (საყვარელიძე 1975: 27, 28; მისურაძე 1990: 67-75).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1974: 74, 79, 90, 104, 108; აფაქიძე ... 1987: 49-51; აფაქიძე ... 1995: 83-89; აფაქიძე ... 1997: 65-70; აფაქიძე ... 2004: 70-80; პაგარტიონი დავით 1941: 29; პაგარტიონი 1983: 51; პაგარტიონი 1986: 34, 44; გაგოშიძე 1972: 36, 37; კვასალია 1983: 123; ვოულდენშტედტი 1962: 55, 273; დადიანი 1962: 134; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 125, 184, 372; კაპანაძე 1969: 80-96; ლორთქიფანიძე 1964: 243-250; მისურაძე 1990: 67-75; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 165; ორბელიანი 1981: 239; საქ. სიძ. 1910: 260; საყვარელიძე 1975: 27, 28; უგრელიძე 1961: 11-14; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 47,

68; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 10, 21; 1970: 569; 1977: 607, 614, 634; 1985: 738; ქც 4: 340,5,8,12; 389,11; 396,26; 512,4; ჩხეიძე 1913: 43.


ნოჯგობრი (ქც 4: 667,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 667,14; 671,27; 672,4,8; 675,16), XVI ს-ის თურქული ისტორიული საბუთი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 180, 181), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 217). ვახუშტი ბაგრატიონი ნიჯგორის შესახებ გადმოგვცემს: დადემის ხევის „შესართავს ზეით, ნიჯგორის პირისპირ, მტკუარს მოერთვის შულავრის ხევი, გამოიმინარე ერუშეთის მთისა“ (ქც 4: 667,14). „ხოლო დასავლეთ მზღვრის ჯვავახეთს ძუელად მტკუარი, და აწ ნიჯგორს ხერთვისს ზეითი, და წყაროსთავის დასავლეთ წარსული მცირე გორანი“ (ქც 4: 671,27). მღებარეობს ასპინძის მუნიციპ-ში, ხერთვისის ციხის ჩრდილოეთით. წყაროებში იხსენიება XVI საუკუნიდან (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 251, 252). XVIII ს-ში იქ იჯდა ჯვავახეთისა და კოლას ფაშა (ქც 4: 675,16). ნიჯგორი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: გიულდენშტედტი 1962: 217; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 180, 181; 1958: 251, 252; ქც 4: 667,14; 671,27; 672,4,8; 675,16.

ნოკორნა, ნოტკორა, ნადოკრა, ნოდოკრა, ნაკორნა (ქც 4: 532,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „წამება არჩილისი“ (ქც 1: 248,7), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 532,7; 534,20, სქ. 5; 536,7), XII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 264; 1897: 197, 244, 319, 375, 413; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 151; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 197, 387; 1970: 235; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 51; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 73-75), იონანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 65, 66), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 139). ვახუშტი ბაგრატიონი ნოკორნის შესახებ გადმოგვცემს: არაგვსა წირდალის ხევის შესართავის „ქუთეთ ერთვის არაგვის ნოკორნის ხევი ... ამის თავს არს ნოკორნა, მონასტერი გუმბათიანი, კეთილმენი, დიდი. ესე აღაშენა ... მეფემან არჩილ და ვო მონასტრად. შემდგომად წამებისა მისისა ცოლმან მისმან დაფლა წმიდა ვუამი მისი მუნ“ (ქც 4: 534,16-22). მღებარეობს თიანეთის მუნიციპ-ში, თიანეთიდან 29 კმ-ის დაშორებით, ერწოს ველის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სოფ. სიონთვორთან. წყაროებში პირველად მოხსენიებულია VIII ს-ის ამბების თხრობისას (ქც 1: 248,7). ის წყაროებში სხვადასხვა ფორმითაა მოხსენიებული: ნოკორნა, ნოტკორა, ნადოკრა, ნოდოკრა, ნაკორნა. სოფ. ნოკორნა მცხეთის სვეტიცხოვლის კუთვნილება იყო (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 199). ის შედიოდა ერწო-თიანეთის საეპისკოპოსოში (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 235). ნოკორნა-ნოტკორა ძვეს ერწოს საზღვარზე. აქ გადიოდა არაგვიდან ერწოში შემავალი ერთ-ერთი გზა (ბერძენიშვილი 1964: 177). ნოკორნის ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია. არჩილის სამონასტრო კომპლექსი დგას მადლოზზე. შედგება ორი ეკლესიისაგან, კოშკის, მარნისა და საცხოვრებელი სათავსოს ნანგრევებისაგან. პირველი ეკლესია დარბაზულია. მოპირკეთებულია შირიმის კვადრებით. შესასვლელი სამხრეთ კედელშია. ტრაპეზის შირიმის ქვაზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. ეკლესიის შიგნით სამარხია, რომელსაც მიაკუთვნებენ მეფე არჩილ II-ს (719-745). პ. უვაროვას აღწერით სამარხს ევარა ქვის ფილა, რომელზეც ამოკვეთილი იყო სამშკლავა ჯვარი. ქვას ვინაობის აღმნიშვნელი წარწერა არ ჰქონია (უვაროვა 1904: 125, 126). მეორე ეკლესია, რომელიც ამჟამად ძლიერ დაზარებულია, იდგა პირველისაგან ჩრდილო-აღმოსავლეთით. ის დარბაზული ტიპის უნდა ყოფილიყო. ჰქონია შირიმის ქვის კარნიზი. XVII-XVIII სს-ის სწორკუთხა კოშკი დასავლეთი კედლით მიდგმულია პირველი ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე, ხოლო ჩრდილოეთი კედლით მეორე ეკლესიაზე. კოშკი ხუთსართულიანია. ნაგებია რიყის ქვით დუღაბზე. შესასვლელი სამხრეთის მხრიდან, მეორე სართულზეა. მეორე სართულზე შეისრული თაღებია. კოშკს აქვს სათოფურები (უვაროვა 1904: 125, 126; ჯორბენაძე 1981: 20-23). მარანი ეკლესიების ჩრდილოეთითაა. აქვს საწნახელის განყოფილება და გუმბათიანი სათავსო, სადაც რვა ქვევრი იყო შემორჩენილი. აგებულია რიყის ქვით. საცხოვრებელი კომპლექსი პირველი ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთითაა. მისგან შემორჩენილია საძირკველი. სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე შეინიშნება გალავნის ნაშთები (ჯორბენაძე 1981: 22). სოფ. სიონთვორსა და არჩილის მონასტრის შორის ნასოფლარია (რამიშვილი, ჯორბენაძე 1978: 149, 150).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 65, 66; ბერძენიშვილი 1964: 177, 179; დადიანი 1962: 139; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 166; რამიშვილი, ჯორბენაძე 1978: 149, 150; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 51; უვაროვა 1904: 6, 7, 125, 126; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 197, 387; 1970: 235; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 73, 75; ქრონიკები 1892: 264; 1897: 197, 244, 319, 375, 413; ქც 1: 248,7; ქც 4: 532,7; 534,20, სქ. 5; 536,7; ჯორბენაძე 1981: 20-23.

ნოსტამ, ნოსტევი (ქც 4: 423,32; 424,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 423,32; 424,1), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 390,21,23; 409,12), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1909: 54; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 171; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 15; 1955: 469; მასალები საქ. ისტ. გეოგ.



სააკადემების რეზიდენციის გეგმა

1964: 166), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30).

მდებარეობს კასპის მუნიციპ-ში, მდ. თემძის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ნოსტეს ტერიტორიაზე.

XV ს-ის დასაწყისში სოფ. ნოსტეში ივანე სააკაძემ მიიღო მამული. 1603 წ. გიორგი სააკაძემ რეზიდენცია სოფ. ფელიდან (მდ. ტანას ხეობა) ნოსტეში გადაიტანა. 1611 წ. ნოსტეში სტუმრობის დროს ქართლის მეფე ლუარსაბ II (1606-1615) გიორგი სააკაძის დაზე დაქორწინდა. დიდი მოურავის აღზევებით განაწყენებულმა თავადებმა ნოსტე რამდენჯერმე დაარბიეს (მაკალათია 1959: 20; ჯამბურია 1964: 21, 28, 32).

სოფ. ნოსტეში მიწის დამუშავების დროს დაზიანდა სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ბრინჯაოს ფოთლისებური სატევარი და დაკუთხულდროიანი საკინძის ფრაგმენტი. ნივთები თარიღდება ძვ. წ. XIII ს-ით (ბარამიძე 1965: 58; ფიცხელაური 1973: 66).

1965-1967 წწ. ნოსტეში სააკაძეთა ნასახლარზე არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. პ. ზაქარაია). 1972-1973 წწ. ნოსტეს მიმდებარე ტერიტორია დაზვერა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კასპის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. ცქიტიშვილი).



ნოსტეს კოშკი

სოფლის ჩრდილოეთით, 4 კმ-ის დაშორებით, ლაჯიანხევის მარცხენა ნაპირზე აღმოჩნდა პალეოლითის ხანის სადგომი (ცქიტიშვილი ... 1974: 41).

სააკაძეთა XV-XVIII სს-ის ნასახლარი მდებარეობს სოფლის სამხრეთით, ფერდობზე. ნახევარწრიული კონტრფორსებით გამაგრებული გალავნის შიგნით იდგა კოშკი, სასახლე, საცხოვრებელი ნაგებობები, აბანო. კოშკი (5,5X5,5 მ) ექვსსართულიანია. აქვს სათოფურები და სალოდები. სასახლე (13,5X18,5 მ) ორსართულიანი იყო. კოშკის აღმოსავლეთით გაითხარა აბანო. გალავნის გარეთ ჩრდილო-დასავლეთით აღმოჩნდა საჯინბო (13,3X11,2 მ) (ზამთარაძე 1973: 89-107).

ნოსტეს მიდამოებში რამდენიმე ნასახლარი და ეკლესიაა (სძა 1990: 181-183).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 30; ბარამიძე 1965: 58; ბერძენიშვილი 1990: 27; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 171; ზამთარაძე 1973: 89-107; ზაქარაია 1973: 115, 116; მაკალათია 1959: 20; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 15; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 166; საქ. სიძ. 1909: 54; სძა 1990: 181-183; ქც 2: 390,21,23; 409,12; ქც 4: 423,32; 424,1; ფიცხელაური 1973: 66; ცქიტიშვილი ... 1974: 41; ჯამბურია 1964.

ნოლა (ქც 4: 751,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:751,17; 889,24), XVII ს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 478; ისტ. დოკ. 1958: 32; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 509), ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა (ბურჯანაძე 1957: 194), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 137, 297). ვახუშტი ბაგრატიონი ნოლას შესახებ გადმოგვცემს: „ამაღლების ხევს ზეით მოერთვის რიონს ნოლის ხევი, მომდინარე ფერსათის მთიდან სამხრით“ (ქც 4: 751,17).

მდებარეობს სამტრედიის მუნიციპ-ში, სამტრედნიდან 15 კმ-ის დაშორებით, მდ. ხევისწყლის ხეობაში.

სოფ. ნოლა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

1925 წ. სოფ. ნოლაში შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. XII-XII სს-ით დათარიღებული ბრინჯაოს 3 სეგმენტური იარაღი (ქროიძე 1965: 89; 94). ნივთები ინახება ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

სოფ. ნოლაში დგას შუა საუკუნეების ციხე, რომლის მხოლოდ ნანგრევებელია შემორჩენილი.

ბიბლიოგრაფია: ბურჯანაძე 1957; გიულდენშტედტი 1962: 137, 297; ისტ. დოკ. 1958: 32; ქრონიკები 1897: 478; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 509; ქც 4: 751,17; ქროიძე 1965: 89, 94.

ნოხაბო, ნუხაბატი, ნოპატი, ციხე-ქალაქი, ეკლესია (ქც 4: 540,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 244,1), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 540,23). ვახუშტი ბაგრატიონი ნუხაბატის შესახებ გადმოგვცემს: „ბელაქნის წყალი გამოსდის ხუნჯახსა და ამათ შორის კავკასს ... აქ მთის კალთას, არს ციხე

მაკაბელი და სასახლე მეფეთა, რომელსა ეწოდა პირველ ნოხპატო. აქ აღაშენა ... მეფემან არჩილ ცხე და ეკლესია“ (ქც 4: 540,20-23).

ნოხპატოს ლოკალიზაციის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული: 1. ნოხპატო მდებარეობს ბელაქანში და ლეკეთის ნაწილს შეადგენს (ბროსე 1849ა: 201, 250). 2. ნოხპატო ახლანდელი ნუხია და მდ. გიმისწყალზე მდებარეობს (ბაგრატიონი 1904: 147, შენ. 262; 150, შენ. 274; ბერძენიშვილი 1953: 68; 1965: 254). 3. ნოხპატო ჰერეთის მთიანეთი იყო, რომელიც ქართლის სახელმწიფოში შემავალ ქვეყანას წარმოადგენდა. ნოხპატო მდებარეობდა მდ. ბელაქანის წყლის აუზში, მის შუა დინებაზე, კავკასიონის ერთ-ერთ სამხრეთ კალთაზე (პაპუაშვილი 1970: 150). 4. ნოხპატო მდებარეობდა დაღესტანსა და საინგილოს შორის, შაქის ანუ ნუხის მიდამოებში (ომარაშვილი 1999: 129).

ცხე-ქალაქი ნოხპატო VIII ს-ის შუა ხანებში დაარსა ქართლის მეფე არჩილმა (VIII ს-ის 40-50-იანი წლები).

ნუხის მუნიცი-ის არქეოლოგიური შესწავლა 1925-1926 წწ. მიმდინარეობდა (ხელმძღ. დ. შარიფოვი). გაითხარა ძველი ალბანეთის დედაქალაქის – კაბალას ნანგრევები და სამარხები, სადაც ძვ. წ. I-ახ. წ. I სს-ის იალიოლუ-თეფეს კულტურის კერამიკა და ძველი ალბანეთის დედაქალაქ კაბალას ნანგრევები დადასტურდა (ტრევერი 1959: 34, 47, 74).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1904: 147, შენ. 262; 150, შენ. 274; ბერძენიშვილი 1953: 67-86; 1965: 254; ბროსე 1849ა: 201, 250; ომარაშვილი 1999: 115-133; პაპუაშვილი 1970: 150; ტრევერი 1955: 34, 47, 79, 158, 166, 257, 261; ქც 1: 244,1; ქც 4: 540,23; ჯანაშვილი 1910ა: 7.

წმკ (ქც 4: 381,18). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 381,18), XIV-XV სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 177, 191), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 45), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 328).

ვახუშტი ბაგრატიონი ნუას შესახებ გადმოგვცემს: ემშაკო-უბნის ხევს „ზეით, ნუას, მოერთვის შავწყალი. ნუას ზეით, ჭალის პირისპირ, სამხრიდამ, მოერთვის მტკუარს დღვამის-ხევი“ (ქც 4: 381,18,19). მდებარეობს დაბა ბორჯომის ტერიტორიაზე, დაბის ერთ-ერთი უბნის, ფაფის მახლობლად, მდ. შავწყალის მტკვართან შეერთების ადგილას (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 477; მაკალათია 1957: 50).

XIV-XV სს-ის ქართლ-კახეთის კათოლიკოსი სოფ. ნუაში მამულეებს ფლობდა. აქ გადიოდა სამხრეთ საქართველოდან შიდა ქართლში მიმავალი გზა (ბერძენიშვილი 1985: 22, 23; მაკალათია 1957: 6; ხუჯაძე 1969: 5-7, 14-16).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 45; ბერძენიშ-

ვილი 1985: 22, 23; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 328; 1958: 477; მაკალათია 1957: 6, 50; ქც 4: 381,18,19; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 177, 191; ხუჯაძე 1969: 5-7, 14-16.

ნუპრია60 (ქც 4: 542,სქ.5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:542,სქ.5), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 73; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 131, 166; 1985: 47), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 68), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (1983: 86), იოჰან ვიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (ვიულდენშტედტი 1962: 27, 259, 261), კ. კოხის „ცნობები საქართველოს შესახებ“ (კოხი 1981: 231). მდებარეობს სიღნაღის მუნიცი-ში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, სიღნაღიდან 5 კმ-ის დაშორებით.

1950 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნინო ბერძენიშვილი) სოფ. ნუკრიანის მახლობლად ალანის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „აღექსანთ ყურეში“ შეისწავლა ორმოსამარხი, რომელიც მასში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის მიხედვით, ძვ. წ. XI-X სს-ით დათარიღდა. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (სიღნაღის მუზეუმი) (ფიცხელაური 1965: 23).

1961 წ. იმავე ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. კ. ფიცხელაური) სხვა პუნქტებთან ერთად დაზვერვებს აწარმოებდა სოფ. ნუკრიანის მიდამოებშიც. ექსპედიციამ ნუკრიანის მახლობლად, მინდორში მიაკვლია წყელში გამოფენილ რიყის ქვის იარაღებს, „ქვის თოხებს“. სოფლის სამხრეთით, ადგილ „ნახაზინარში“ შეისწავლა დანგრეული ყორღანი, სადაც 1954 წ. ბრინჯაოს სატევარი იყო აღმოჩენილი. ექსპედიციამ გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანის სამაროვნებს მიაკვლია ნუკრიანის მახლობლად ადგილ „ჭოტორსა“ და „ბასკოლიანთან“. ამავე პერიოდის ნამოსახლარები დადასტურდა ადგილ „ნაქალაქართან“ (ფიცხელაური 1962: 25, 26).

1975-1976 წწ. ექსპედიციამ სოფ. ნუკრიანის მიწებზე შეისწავლა სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის არქეოლოგიური ძეგლები: ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის ყორღანები, გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები, შუა საუკუნეების ნამოსახლარი (ფიცხელაური ... 1979: 18-21; ფიცხელაური ... 1979ა: 39, 43, 44).

სოფ. ნუკრიანის მინდვრებში ადგილ „დიდსერებსა“ და „ხრამებზე“ აღმოჩნდა პალეოლითური ხანის ქვის იარაღები (ფიცხელაური ... 1979: 18).

სოფლის სამხრეთით, ადგილ „ნახაზინარში“ 1954 წ. მეცხვარეებს დაუნგრევიათ ქვაყრილიანი სამარხი აკლდამა. კამერა ნაგები იყო ფლეთილი ქვებით მშრალად. გადახურვა ხის უნდა ჰქონოდა. სამარხში აღმოჩნდა ადამიანისა და მსხვილფეხა

საქონლის ძვლები. აგრეთვე ბრინჯაოს ბრტყელი სატყვერის პირი, მრგვალი მხრებითა და გახვრეტილი ყუნწით. სამარხი თარიღდება ადრეული ბრინჯაოს ხანის დასასრულით. სატყვეარი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (ფიცხელაური 1965: 36; საქ. არქ. 1992: 176).

„ხრამების“ №1 ყორღანის მიწაყრილის სიმაღლე 1 მ, დმ 20 მ. ორმოში ჩაშვებული იყო ძირითადი სამარხის თითქმის თანადროული სამარხი რამდენიმე ჭურჭლითა და ბრინჯაოს ნივთებით. ძირითად სამარხ ორმოში აღმოჩნდა ოთხთავა ეტლზე ჭილობში გახვეული კრემირებული მიცვალებულის ფერფლი და თიხის ჭურჭელი. სამარხი გაძარცვული იყო. თარიღდება ადრე ბრინჯაოს ხანით. №2 ყორღანი, რომლის სიმაღლე 2 მ, დმ კი 40 მ იყო, გაუძარცვათ მასზე შუა საუკუნეების სამარხების გამართვისას.

„დიდებების“ №1 ქვაყრილიანი ყორღანის სიმაღლე 0,75 მ, დმ 15 მ. ყორღანის ორმოში მიცვალებული ამოღებულ პოზაში დაუკრძალავთ. სამარხში აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის მთლიანი ჩონჩხი, წვრილფეხა საქონლის ძვლები, თიხის ათამდე ჭურჭელი, საკინძის ქვის თავი და ბრინჯაოს სატყვერისპირი. №2 ქვაყრილიანი ყორღანის სიმაღლე 0,5 მ, დმ 20 მ. უორმო ყორღანი კოლექტიური გამოდგა. შეიცავდა ადრებრინჯაოს ხანის ღარიბულ ინვენტარს (ფიცხელაური ... 1979: 18, 19; საქ. არქ. 1992: 207).

სოფლის კუთვნილ მიწებზე, ადგილ ვაისწყალთან მდებარე დანგრეული ქვაყრილიანი ყორღანის სამარხი ორმოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა დიდი ჭურჭლის ნახევარი და რამდენიმე მცირე ზომის ჭურჭელი, რომლებიც შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება (ფიცხელაური ... 1979ა:39). ადგილ ჩალიანისთავის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე და მის მიმდებარე ვაკეზე მდებარეობს ნასახლარი, რომელსაც 9-10 ჰა ფართობი უკავია. იქ აიკრფა ზედაპირული მასალა და ჩატარდა მცირე მასშტაბის გათხრები. ნასახლარის ზედა ფენა დაზიანებულია სამიწათმოქმედო სამუშაოების შედეგად. ზედა ფენის შენობები ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით. ზედაპირულ მასალაში გამოირჩევა ქვის თოხები, კაჟის ნამგლის ჩასართები და სხვ. ყველაზე მრავალრიცხოვანია წვრილმარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული, შავად და მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირნაპირი კერამიკის ფრაგმენტები, შემკული ამოკაწრული კონცენტრული წრეებით, სოლისებური ნაჭდევებითა და სხვ. გვხვდება მსხვილმარცვლოვანი კვცის მქონე ჭურჭელი, რომელთა მხრები შემკულია ამოკაწრული კონცენტრული ხაზებით, ძირზე შემოუყვებათ ღრმა ნაჭდევები. ნაცროვანი ფენის ქვეშ, რომელიც აღწერილ მასალას შეიცავდა, გამოვლინდა უფრო ძველი, ქვედა ფენა. მასზე გაიწმინდა მოვავანო სამეურნეო ორმოებითა და ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის ორმოსამარხებით ნაწილობრივ და-

ზიანებული ნაგებობა, რომლის კედლები თიხით მოლესილი სარ-ლასტისა ყოფილა. ნაგებობის ჩრდილოეთი კედელი ნახევარწრიულია. ქვედა ფენაში გამოვლინდა შუა ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის ნატყხები. ჩანს, ნასახლარის რომელიღაც ნაწილი ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანაში ყოფილა ათვისებული. ზედა ფენის №1 ნაგებობაში გამართულია საკურთხეველი, რომლის შიდა ნაწილი ქვებითაა შევსებული. საკურთხეველის კედლები აწეულია. ერთ მხარეს გააჩნია ღარი, რომელიც უერთდებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე თიხის „ბორდიურის“ მქონე ნაცროან ორმოს. საკურთხეველის სამხრეთ-აღმოსავლეთით ფართო და ღრმა ნაცროანი ორმოა. მის ფსკერზე აღმოჩნდა ქვის ხელსაფეკვაი, ობსიდანის მოზრდილი ანამტრევი და თიხის ჭურჭლის გვერდის ნატყხები. ნაცროთ შევსებული ორმოები საკურთხეველის სხვა მხარესაც გამოვლინდა. ზოგიერთ მათგანში მიკვლეულია ხელსაფეკვაები. ნაგებობის დასავლეთ ნაწილში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატყხები, სამხრეთ ნაწილში კი თიხის შელესილობის ფრაგმენტები, ქვის ხელსაფეკვაები, კაჟის ნამგლის ჩასართები. შედარებით მცირე მასალა გამოვლინდა ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. შენობა თარიღდება შუა ბრინჯაოდან გვიან ბრინჯაოზე გარდამავალი ხანით. ვაკე ადგილას განლაგებულ ნასახლარზე გვიან ბრინჯაოს პირველ ეტაპზე ცხოვრება წყდება. ახალი ნასახლარები ჩნდება ორ, ერთმანეთისაგან 700 მ-ით დაშორებულ ბორცვზე, რომელთაც პირობითად ეწოდათ B და C სხვა ნასახლარები. ნასახლარისაგან განსხვავებით ისინი თავდაცვისათვის გამაგრებული ნასახლარებია. მიკვლეულია მათი სამაროვნებიც, რომელთაც შესაბამისად მიეცათ ინდექსი B1 და C1 (ფიცხელაური ... 1979: 19-21).

ნასახლარის სამაროვანზე შესწავლეს სამ იარუსად განლაგებული 16 ორმოსამარხი. ზედა ფენის სამარხები სამიწათმოქმედო სამუშაოების ვამო დაზიანებულია. ისინი დიდი ზედაპირიდან 0,1-0,3 მ სიღრმეზეა განლაგებული. მეორე იარუსის სამარხები 0,8 მ, მესამე იარუსისა კი 1,6 მ სიღრმეზე მდებარეობენ. ქვედა იარუსის სამარხები ნასახლარის ზედა ფენის თანადროულია და მიეკუთვნება გვიან ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს. სამაროვნის მასალებს შორის საინტერესოა ქვედა იარუსის №2 სამარხში აღმოჩენილი ცილინდრული მოყვანილობის პასტის საბეჭდავი სიცოცხლის ხის გამოსახულებით. ჩალიანთხევის C სამაროვანზე, რომელიც მდებარეობს ვაისწყლის „ნაქალაქარის“ მახლობლად, გაითხარა 41 სამარხი. ზოგიერთ ადგილას ისინი სამ იარუსად იყო განლაგებული. ზოგ სამარხში მიცვალებული დაუკრძალავთ ხის სარეცელზე, რაზეც მიუთითებს ის გარემოება, რომ მიცვალებულის ჩონჩხი დაფიქსირდა სამარხეული ინვენტარის ზემოთ. სამარხებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი და სამკაულები, ბრინჯაოს შუბისპირები და სატყვერები. სამაროვანი თარიღდება

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით (ფიცხელაური ... 1979ა: 43; კობაიძე 1984: 108-132).

ჭოტორის სამაროვანი მდებარეობს ნუკრიანის მახლობლად ადგილ ჭოტორში. 1962 წ. წვიმისაგან ჩამორეცხილ ფლატეში შემთხვევით აღმოჩნდა ორმოსამარხი, რომელშიც გამოვლინდა ბრინჯაოსტარიანი და რკინისპირიანი „კახური ტიპის“ სატევარი. ნივთი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (სიღნაღის მუზეუმი) (ფიცხელაური 1973: 70).

ნუკრიანის მიდამოებიდან ცნობილია სხვა შემთხვევითი აღმოჩენებიც. 1958 წ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა ნუკრიანის მახლობლად სხვადასხვა დროსა და ადგილას აღმოჩენილი ნივთები: მოწითალოდ გამომწვარი ქილა და ორყურა კოჭობი; მონაცრისფროდ გამომწვარი ქვაბქოთანი, რომელსაც ყურები დაძვრული აქვს პირსა და მუცლის ზედა ნაწილზე; ბრინჯაოს ბოლომომრგვალებულ სატევარს პირის ორივე მხარეს დაუყვება დაბალი ქედი. ტარი ბოლოვდება დაფანჯრული თავით. სატევრის სიგრძეა 33 სმ. თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით (ფიცხელაური 1973: 180). იმავე მუზეუმში ინახება 1972 წ. ნუკრიანთან აღმოჩენილი ბრინჯაოს შუბისპირი, რომელსაც პირზე ქედი დაუყვება. მასრა შემკულია რელიეფური სარტყელით. შუბისპირი თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1983: 86; ბაგრატიონი 1986: 68; გიულდენშტედტი 1962: 27, 259, 261; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 73; კობაიძე 1984: 108-131; კობი 1981: 231; საქ. არქ. 1992: 176, 207; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 131, 166; 1985: 47; ქც 4: 514, სქ. 5; ფიცხელაური 1959: 117; 1962: 25, 26; 1965: 23, 36, 39, 43; 1973: 71; ფიცხელაური ... 1979: 18-21; ფიცხელაური ... 1979ა: 39, 43, 44.*

ნული (ქც 4: 375,2,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 375,2,3), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1909: 231, 427, 481-483, 494; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 352; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 136, 161, 162; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 167; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 50, 146, 262; 1977: 25, 96; 1981: 516, 629; 1985: 623; ქართულ-სპარსული ... 1955: 49, 51), ფარსადან გოგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 92), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 42).

მდებარეობს ზნაურის მუნიციპ-ში, მდ. ფრონეს მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ნულთან.

1931 წ. ე. პჩელინამ და ა. სმირონოვმა სოფ. ნულის მახლობლად ე. წ. „ხევის მიწაზე“ გათხარეს 5 კოლექტიური სამარხი, რომელშიც ბრინჯაოს ინვენტართან ერთად აღმოჩნდა ობსიდიანის ისრისპირები (პჩელინა, სმირონოვი 1933: 287-297). 1945 წ. ბ. კუფტინმა ამ ადგილებში შეისწავლა ექვსი კოლექტიური სამარხი (კუფტინი 1949: 48-51). 1954

წ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. თ. ჯაფარიძე) გათხრებს აწარმოებდა სოფ. ნულის მახლობლად, ადგილ „ლაშეებში“, სადაც გამოვლინდა გვიანი ბრინჯაოს ხანის ორი სამარხი, რომელთაგან ერთი წყვილადი იყო, მეორე ინდივიდუალური (ჯაფარიძე 1966: 21). ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება ე. პჩელინასა და ა. სმირონოვის მიერ გათხრილი ერთი ქვაყრილიანი ორმოსამარხი, რომელშიც მიცვალებული ესვენა მოხრილი კიდურებით, მარცხენა გვერდზე. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილი იყო ერთადერთი შავზედაპირიანი, ვარდისფერსარწულიანი ჭურჭლით (ჯაფარიძე 1961: 210). შუა ბრინჯაოს ხანის მოგვიანო ეტაპს (ძვ. წ. XVI-XV სს-ს) განეკუთვნება კოლექტიური სამარხები, რომელშიც დაკრძალული იყო 4-6 სხვადასხვა მხარეს დამხრობილი მიცვალებული, მოხრილი კიდურებით, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა: სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების შავპირიან თიხის ჭურჭელი; ბრინჯაოს საკნემები დაბრტყელებული, პირამიდისებური და დისკოსებური მოყვანილობის თავებით; თავგახსნილი სამაჯურები, სატევრები, შუბისპირები, საკიდები; ობსიდიანის ფუძემოძირებული ისრისპირები, ქვის ლახტისთავები და სხვ. (კუფტინი 1949: 31-34). მასალა ინახება ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს მიეკუთვნება ნულის ორი სამარხი, რომელთაგან ერთი ინდივიდუალურია, მეორე წყვილადი. №1 სამარხი აღმოჩნდა 0,6 მ სიღრმეზე. მის ზომებია 1,3X0,8 მ; დამხრობილი იყო ჩრდილო-სამხრეთით. სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს 2 სამაჯური, 2 სასაფეთქლე რგოლი, მოზრდილი ქილა, ჯამი და სასმისი. №2 სამარხს ჰქონდა 1, 4 მ სიმაღლის ქვაყრილი. სამარხში აღმოჩნდა ერთიმეორეზე დასვენებული 2 მიცვალებული. ზედა ჩონჩხი ძლიერ იყო დაშლილი. ქვედა დამხრობილი იყო ჩრდილო-სამხრეთით, მოკერუნხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე. ხელები სახესთან ჰქონდა მიტანილი. სამარხში აღმოჩნდა: 2 სამაჯური, 2 ქინძისთავი ბრტყელი, დისკოსებური მოყვანილობის თავით; 2 სასაფეთქლე რგოლი; ფრინველის ლულოვანი ძვლისაგან დამზადებული საკიდი; ცხოველის ძვლის დამუშავებული ნატეხი და თიხის ჭურჭლის ნატეხები (ჯაფარიძე 1966: 21-22).

სოფ. ნულში მიკვლეულია შუა ბრინჯაოდან გვიან ბრინჯაოზე გარდამავალი პერიოდის ფენები, სადაც უფრო გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალები ჭარბობდა. ნულის მიდამოებში, იქ, სადაც თავის დროზე აღმოჩნდა ბრინჯაოს კოლხური ტიპის ცული, 1945 წ. გაითხარა ოვალური მოყვანილობის ორმოსამარხი, რომელშიც მიცვალებული დაკრძალული იყო მჯდომარე პოზაში. სამარხში აღმოჩნდა: 3 ძვლის, 1 რკინისა და 5 ბრინჯაოს ისრისპირი; ბრინჯაოს წვრილი მავთულისაგან დამზადებული გველის თავის გამოსახულებებით შემკული სამა-

ჯურები; თიხის ჭურჭელი და მიძეები. სამარხი და-
თარიღდა ძვ. წ. VII ს-ით (კუფტინი 1949: 48, 49).
მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში
(ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

სოფ. ნულიდან ცნობილია ცხინვალის მხარეთმ-
ცოდნეობის მუზეუმში დაცული მრგვალობიანი
ხელადა და ბრინჯაოს 2 რკალჩაზნექილი სამა-
ჯური, რომლებიც ძვ. წ. IV-III სს-ს მიეკუთვნება
(რამიშვილი 1959: 48).

ნულის ციხე, რომელიც ამჟამად დანგრეულია, გეგ-
მით სწორკუთხაა. ციხის ტერიტორიაზე სხვადასხვა
ნაგებობათა ნაშთებია შემორჩენილი. შუა ადგილას
მდგარა ორსართულიანი დარბაზი. ციხეში შემორ-
ჩენილია დარბაზული ტიპის ეკლესია – წმინდა მა-
რინე. ციხის კედლები რამდენჯერმე განუახლებია-
თ. ის თარიღდება XVII-XVIII სს-ით (მაკალათია
1963: 33).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 42; გვასალია
1989: 12; გორგიჯანიძე 1926: 92; დოკ. საქ. სოც.
ისტ. 1940: 352; კუფტინი 1949: 18, 31-35, 48-51;
მაკალათია 1963: 5-7, 32, 33; მასალები საქ. ეკ.
ისტ. 1955: 136, 161, 162; მასალები საქ. ისტ. გეოგ.
1964: 167; რამიშვილი 1959: 48; საქ. არქ. 1959: 103;
საქ. სიძ. 1909: 231, 427, 481-483, 494; პჩელინა,
სმირნოვი 1933: 287-297; ქართ. სამართ. ძეგ. 1972:
50, 146, 262; 1977: 25, 26; 1981: 516, 629; 1985: 623;

*ქართულ-სპარსული ... 1955: 49, 51; ქც 4: 375,2,3;
ჯაფარიძე 1961: 210; 1966: 21-26; 1968: 7.*

ნუნოსი (ქც 4: 379,6; 893,13). იხსენიება შემდეგ
წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის
„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 379,6;
893,13), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის
აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 45), XVIII ს-ის ის-
ტორიული საბუთი (ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 929),
იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართ-
ველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 309).

მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპ-ში, მდ. ზღვარუ-
ლას (მდ. ჩხერიმელას მარცხენა შენაკადი) ხეობა-
ში, დღევანდელი სოფ. ნუნისის ტერიტორიაზე.

ნუნისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ნუნისში დგას ღვთისმშობლის სამნავიანი ბაზი-
ლიკა (17X10 მ). ნაგებია კლდის ფლეთილი ქვე-
ბითა და შირიმით. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან
და დასავლეთიდან. ეკლესია განუახლებიათ 1900-
იან წლებში. ეკლესიას ჰქონდა ოთხკუთხა გალა-
ვანი. მის გარეთ შემორჩენილი იყო შენობების ნან-
გრევები და ორი აკლდამა, რომელთაც მოსახლეობა
„ეკედერს“ უწოდებდა (ბოჭორიძე 1995: 256).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 45; ბოჭორიძე
1994: 256; გიულდენშტედტი 1962: 309; ქართ.
სამართ. ძეგ. 1985: 929; ქც 4: 379,6, 893,13.



ოპის ციხე (ქც 4: 50,3; 328,18; 331,2). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 50,3; 328,18; 331,2). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, იაღლუჯის მთის „დასავლით, ხოშაგერმას იქით, არს ოპის-ციხე ველსა ზედა, და აწ შემეხვრილი, და ამის ჩდილოდ კერძ არს ტბა კუმისისა“ (ქც 4: 328,18,20). მდებარეობდა მარნეულის მუნიციპ-ში, სოფ. ამბაროვკას სამხრეთით, იაღლუჯის მთის დასავლეთითა და კუმისის ტბის სამხრეთით ადგილ ხოშაგერმასთან (ხარაძე 1991: 93). მოიხსენიება „ორბის ციხის“ სახელითაც (ქც 4: 50,3), რომელსაც ზოგიერთი წყარო სამშვილდესთან აიგივებს (ქც 1 :8,12,13). (იხ. სამშვილდე). ოპის ციხე ამჟამად აღარ არსებობს.

ბიბლიოგრაფია: ქც 1: 8,12,13; ქც 4: 50,3, 328,18, 331,2; ხარაძე 1991: 93.

ოზურგათი (ქც 4: 791,9,10,სქ.4 ; 818,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 791,9,10,სქ.4; 818,23), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტი (ქც 2: 362,22, 504,10), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 471; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 667), 1780 წ. გულანი (ხელნაწერთა აღწ. 1964: 226), დონ ქრისტოფოროს დე კასტელის „ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ“ (კასტელი 1976: 48, 148), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 315). ვახუშტი ბაგრატიონი ოზურგეთის შესახებ გადმოგვცემს: „შემოქმედს ქუეით, არს ოზურგეთი, სასახლე დიდშენი“ (ქც 4: 791,9,10). მდებარეობს მდ. ნატანგისა და მის შენაკად ბუჯუის ნაპირებზე. წარმოადგენს მუნიციპალურ ცენტრს. წყაროებში პირველად იხსენიება XVI ს-ის 70-იან წლებში, დასავლეთ საქართველოში სამეფოსამთავროებს შორის მიმდინარე ბრძოლების აღწერისას: გიორგი გურიელმა (1564-1583) ოზურგეთში დაატყვევა გიორგი დადიანის (1572-1582) ბიძა – დათულია (ქც 2: 362,22, 504,10). 1660 წ. დადიანის ლაშქარმა დაიკავა ოზურგეთის სასახლე (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 667), XVII-XVIII სს-ში ოზურგეთი ქალაქია. 1790 წ. მის მოურავად გურიელმა როსტომ ნაკაშიძე დანიშნა (მესხია 1983: 403; 1986: 370, 371).

1958-1962 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ნეოლითის ხანის შემსწავლელმა რაზმმა (ხელმძღ. ლ. ნებეირიძე) დაზვერვები და საცდელი გათხრები აწარმოვა ოზურგეთიდან სამხრეთ-დასავლეთით, 1 კმ-ის დაშორებით მდებარე სოფ. ანასეულის ბორცვზე (ნებეირიძე 1953: 151-181). 1953 წ. ოზურგეთში, საბავშვო სახლის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩნდა სპილენძის ჭურჭელში ჩაყრილი ევროპული (იტალიური, ავსტრიული, ესპანური) მონეტები. საერთო წონით 8,5 კგ. ყველაზე ადრეული მონეტა, ერცჰერცოგ ფერდინანდის ტალერი, 1564-1595 წლებშია მოჭრილი. ყველაზე გვიანდელია 1628 წ. მოჭრილი ფილიპე IV-ის პესო. განძი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (270 ც) და ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში (114 ც) (ქებულაძე 1971: 55; ლუნდუა 1996: 109, 110). 1957 წ. ოზურგეთის ცენტრში, მოედნის კეთილმოწყობის დროს აღმოჩნდა აბანოს ნაშთი. გათხრები არ ჩატარებულა (ჭანიშვილი, სადრაძე 1996: 46).

სოფ. ანასეულში ერთმანეთისაგან 1 კმ-ით დაშორებულ ბორცვებზე აღმოჩნდა ორი ნეოლითური ნამოსახლარი – ანასეული I და II. ნასახლარები 1-1,5 ჰა ფართობს მოიცავდა. ფენა ანასეულის ბორცვების ჩრდილო-აღმოსავლეთით 0,5 კმ-ის მანძილზე მდებარე სოფ. ექადაშიც ვრცელდებოდა. ანასეულის ნამოსახლარებზე იარაღის და-სამზადებელ ნედლეულად გამოიყენებოდა კაჟი, ობსიდიანი და რიყის ქვა. ანასეულ I-ში აღმოჩნდა 4044 ერთეული ნაკეთობა. აქედან 3160 ობსიდიანისაა, 600 კაჟის, 59 რიყის ქვის. ანასეულ II-ში 8610 ერთეული ნაკეთობიდან 7252 კაჟისაა, 1090 ობსიდიანის, 170 რიყის ქვის. ანასეულის ნამოსახლარებზე აღმოჩნდა როგორც მზა იარაღები, ასევე დაუმთავრებელი და დაზიანებული ცულები, ნაშაადები და წარმოების ნარჩენები, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ნედლეულის დამუშავება და იარაღის დამზადება ადგილზე წარმოებდა. ნამოსახლარების იარაღთა წამყვანი სახეა თხელ და დანისებურ ლამელზე დამზადებული საჭრისები, საფხეკები; ჩნდება ახალი სახის იარაღები – რიყის ქვისაგან დამზადებული ცულები, სატეხ-სათლელები, საპრიალებლები, თონისებური იარაღები, ხალსაფქვაკები და სამკელი დანის ჩასართები, რომლებიც იხმარებოდა მარცვლეულის ასაღებად. ანასეულ I-ში რიყის

ქვის იარაღები შედარებით მარტივი ფორმისა და ერთფეროვანია; ანასეული II-ის კოლექცია კი ქვის იარაღების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ანასეული I-ის ნამოსახლარზე სამეთუნეო ნაწარმი არ ჩანს, მაშინ როცა ანასეული II-ზე იგი დიდი რაოდენობით (3700 ერთეული) აღმოჩნდა. კერამიკული ფრაგმენტების მიხედვით დადგინდა, რომ ქილისებური მოყვანილობის ჭურჭელი იყო სწორკედლა, ბრტყელობისა, უყურო, ხელით ნაძერწი. კვებში ურევია კვარცის, ქარსის და კირის ნაწილაკები. ჭურჭლები არათანაბრადაა გამოწვარი; მისი ნაწილი შემკულია „წიწვისებური“ და „თავთავისებური“ სახეებით. ანასეული I-ის სახით დასავლეთ ამიერკავკასიაში აღმოჩნდა მანამდე უცნობი უკერამიკო, ადრენეოლითური ხანის ძეგლი, ხოლო ანასეული II ოდისისა და კისტრიკის ანალოგიური, კვიანეოლითური ძეგლია (ნებიერიძე 1996: 61-63).

ქ. ოზურგეთში ყოფილა სასახლე (ქც 4: 791,9,10; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 667), რომელიც აღარ შემორჩენილა.

ბიბლიოგრაფია: *ბაქრაძე 1987: 15; გოულდენშტედტი 1962: 315; დუნდუა 1996: 109, 110; კასტელი 1976: 48, 148; მესხია 1983: 243, 244, 403; 1986: 294, 298, 299, 364, 370; ნებიერიძე 1953: 151-181; 1972; სახოკია 1950: 24; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 667; ქებულაძე 1971: 55; ქრონიკები 1897: 471; ქც 2: 362,22; 504,10; ქც 4: 791,9,10,სქ.4; 818,23; ჭანიშვილი, საღრაძე 1996: 46; ხელნაწერთა აღწ. 1964: 226.*

ოთხა (ქც 4: 666,26,28; 720,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 666,26,28; 720,3), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 8, 9; 1958: 185, 186, 189, 201, 202, 204, 207).

ვახუშტი ბაგრატიონი ოთას შესახებ გადმოგვცემს: „ასპინძას ზეით, ჩიღლოთ კერძით, არს მგელ-ციხე, მაგარი, დიდშენი, ამავე ხევზედ, ოთას არს კლდესა შინა გამოკუყვითილი ქუაზნი დიდ-დიდნი, სახიზრად. ოთას ამ ხევს ერთვის ჯაბოეთის ხევი“ (ქც 4: 666,25-28).

მღებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. ოთას (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ნაპირზე, ასპინძიდან 8 კმ-ის დაშორებით.

1577 წ. შალიკაშვილმა ზემბრის ძემ სამეფო ხელისუფლებისგან დაიბრუნა მათივე ნაქონები ოთას ციხე (ქც 4: 720,4). 1595 წ. აღწერით ოთასში ცხოვრობდა 6 კომლი, რომელთაც ევალებოდათ განსაზღვრული გადასახადი ნატურით, რაც 2300 ახჩას უდრიდა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 185-188). XX ს-ის დასაწყისისთვის ოთასში 60-მდე ოჯახი მუსულმანი ქართველი ცხოვრობდა (თაყაიშვილი 1909: 9).

ოთა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფელსა და მის შემოგარენში აღრიცხულია რამდენიმე ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი. ოთას

ციხის ნანგრევები განვითარებული შუა საუკუნეებისაა. XX საუკუნის 30-იან წლებში მისი საპირე ქვები შემოდარცული იყო (ბოჭორიძე 1992: 25).

ბეთლემის ეკლესია მღებარეობს სოფ. ოთადან ჩრდილოეთით, 4-5 კმ-ის დაშორებით, ჯაბოეთის წყლის მარჯვენა მხარეს, პატარა ხევზე. ნაგებია კლდის ნატეხი ქვით, ქვათილებითა და კირსნარით. ეკლესია დარბაზულია (7,3X4,2 მ). აქვს შებრტყელებული აფსიდა. შესასვლელი სამხრეთითაა. შემორჩენილია მოხატულობის ნაშთი და დაზიანებული წარწერა. ჩრდილოეთის კედლის დასავლეთის კუთხესთან ორი წმინდანის თავია შარვანდდით, დასავლეთის კედელზე – განკითხვის დღე (თაყაიშვილი 1909: 9; ბოჭორიძე 1992: 25). ეკლესიის ჩრდილოეთით სხვადასხვა შენობების ნანგრევებია.

ღართას ორეკლესიანი ბაზილიკა (8X7 მ) ოთადან ზემოთ, 2-3 კმ-ის დაშორებითაა. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. ნაგებია მოყავისფრო და ღია ფერის ქვათილებით. კარი სამხრეთითაა. თითო სარკმელია აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში. ეკლესიის ირგვლივ შენობების ნანგრევებია (თაყაიშვილი 1909: 9, 10; ბოჭორიძე 1992: 26).

შორეთის ტაძარი ძნელად მისასვლელ ადგილზეა, ოთას ზემოთ ტყეში, 6-ოდე კმ-ის დაშორებით. ეკლესია (14,4X8 მ) ნაგებია ქვათილებით. ეკლესია მოხატულია და მოზაიკით შემკული ყოფილა (თაყაიშვილი 1909: 11, 12; ბერიძე 1955: 211; ბოჭორიძე 1992: 26). სამხრეთის კედელთან მიწენებულია სამრეკლო, ოთხკუთხა საფუძვლითა და ღია თაღებით. ორი შესასვლელი აქვს სამხრეთით; ორი სარკმელი აღმოსავლეთით, ორი დასავლეთით; სამხრეთი კარის მარჯვნივ დგას წარწერისანი ქვა: „ქრისტე, ორბიძეს ნიკოლოზს გალატოზუხუცესს შეუნდვან ღმერთმან, ამენ“. ეკლესია და სამრეკლო ძლიერ დაზიანებულია (ბერიძე 1955: 211; ბოჭორიძე 1992: 26).

ოთადან ქვევით, 3,5 კმ-ის დაშორებით, ასპინძის წყლის ნაპირზე დგას ე. წ. ყიზილ-დერესის ეკლესიის ნანგრევები (9,5X7,7 მ). ნაგებია უხეშად გათლილი ქვებით. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან. სარკმლები ყველა კედელშია. საკურთხეველში შემორჩენილია ფრესკის ნაშთი. ეკლესია დაზიანებულია (თაყაიშვილი 1909: 12, 13).

ბიბლიოგრაფია: *ბერიძე 1955: 211; ბოჭორიძე 1992: 10, 25, 26, 213, 217; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 8, 9; 1958: 185, 186, 189, 201, 202, 204, 207 თაყაიშვილი 1909: 9-13; ქც 4: 666,26,28; 720,3.*

ოკაში (ქც 4: 352,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 352,15), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1989: 45), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 34, 80), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 205, 617, 1060).

მდებარეობს კასპის მუნიც-ში, დღევანდელი სოფ. ოკამის ტერიტორიაზე.

XV ს-ში ოკამი შედიოდა სამთავნელის სამწყსოში (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 205, 617).

სოფ. ოკამი არქეოლოგიურად შესუსწავლელია.

სოფლის დასავლეთით, თანამედროვე სასაფლაოსთან ადრერკინის ხანის ნასახლარია, სადაც ზედაპირულად იკრებოდა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები (სძა 1990: 183).

სოფლის განაპირას, ჩრდილოეთით დგას XVIII-XIX სს-ის ლეთისმშობლის დარბაზული ეკლესია (12X7,6 მ). ნაგებია აგურით, რიყისა და ფლეთილი ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან (სძა 1990: 183).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ძველ სასაფლაოზე დგას წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. ნაგებია რიყის ქვით. განახლების დროს გამოყენებითაა აგური. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან (სძა 1990: 183).

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ოკამის გარდა, ცნობილია ამავე სახელწოდების სოფელი ქ. ახალქალაქის მახლობლად (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 178; ოსმალ. დოკ. წყარ. 1987: 150).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 34, 80; ოსმალ. დოკ. წყარ. 1987: 150; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 205, 617, 1060; სძა 1990: 183; ქვ 4: 352,15; ხერხეულიძე 1989: 45.*

ოლთისი, ქალაქი, ციხე (ქვ 4: 169,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4:169,3; 209,20; 589,21,29; 590,19; 657,1; 683,11,16,18,19,21,23, სქ. 4: 684,16; 725,2; 729,24; 835,14), მათიანე ქართლისა (ქვ 1: 284,13), სუმბატ დავითისძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთან“ (ქვ 1: 383,10), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქვ 1: 318,19; 344,18), ფამთაღღმწერელი (ქვ 2: 213,12; 214,13), ბერი ევნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტი (ქვ 2:402,30; 403,12; 437,12; 519,10; 524,17; 525,4; 526,7), XI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 152; 1897: 54, 453; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 313; 1970: 245; სამი ისტ. ქრ. 1890: 104; სამხ. საქ. ისტ. 1961: 48, 51, 53; მასალანი საქ. სტატ. 1907: 5, 37), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 82), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 86, 142), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 146,21, 162,20), XVI ს-ის თურქული წყაროები (თურქული წყაროები ... 1983: 13, 14, 23, 30, 42, 44, 50, 55, 62, 66), ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ... 1979: 100, 103, 104, 108, 113, 114, 117-131, 137, 138, 141-145, 148, 149, 157, 169, 171, 173, 174, 177, 180, 182-184, 188-190, 198, 200-202), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 18, 38, 505, 561-573, 576-579, 583-590, 593, 595-

603), ჰასან რუმელუს თხზულება „აჰსან ათთავრიხი“ (ჰასან რუმელუ 1966: 24).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ჭოროხის აღმოსავლეთის კიდეზედ არს ოლთისი, ქალაქი კარგი და კეთილ-პოვანი. აქ არის ციხე მაგარი და დიდ-შენი. არს მეორე საჯდომი ათაბაგისა, ვითარცა ახალციხე“ (ქვ 4: 683,19-21),

ლოკალიზდება არზრუმის ოლქში. მდებარეობს იმიერ ტაოში, მდ. ოლთისისწყლის შუა წელზე, თანამედროვე ქალაქ ოლთუს ტერიტორიაზე. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

ოლთისი, როგორც ქალაქი, IX-X სს-ში წარმოიშვა (მესხია 1983: 90). X ს-ში ოლთისი ქართველთა საკურაპალატოში შედიოდა და დავით III კურაპალატის საკუთრებაში იყო. დავითის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიამ ჩაიგდო ხელში (ჯავახიშვილი 1983: 30). 1021 წ. ბიზანტიასთან ომის დროს გიორგი I-მა (1014-1027) გადაწვა (ჯავახიშვილი 1983: 134). XI ს-ის 70-იან წლებში ოლთისს განაგებდა ბიზანტიის მოხელე გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელმაც ქალაქი გიორგი II-ს (1072-1089) გადასცა (ჯავახიშვილი 1983: 207). XIV ს-ში თემურლენგმა ააოხრა. ეკლესიურად ბანელის სამწყსოში შედიოდა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 245). XVI ს-ის მეორე ნახევრიდან ოსმალებმა დაიკავეს (მესხია 1983: 143). წყაროებში იხსენიება „ოლთისნი“-ს, „ოლთი“-ს სახელებითაც.

ოლთისი არქეოლოგიურად შესუსწავლელია.

იქ შემორჩენილია ორი დაზიანებული ეკლესია. ორივე ოლთისის ციხის ტერიტორიაზე მდებარეობს. ერთი მათგანი, წმინდა გიორგის ე. წ. ექსკავსიდიანი ეკლესია, ნაგებია თლილი ქვით. შემორჩენილია რელიგიური ხასიათის მოხატულობის ფრაგმენტები, რომელზეც რამდენიმე ბერძნული ასოა. თარიღდება X ს-ით. ეკლესიის ტერიტორიაზე ნაპოვნია ბრტყელი ქვა, რომლის ორივე მხარეზე გაკეთებულია ასომთავრული წარწერა: I. „უფალო ღმერთო ძლიერო ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ, რომელმან ადიდა წმიდა გიორგი და აღმართა წმიდაი გიორგის საკურთხეველი“. II. „ქ. დავითმა შექმნა ხელთაგან ქრისტე შეიწყალე გაბრიელ“ (ქვა ინახებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში). მეორე ეკლესია დარბაზული ტიპისაა. აქვს შესასვლელი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან და რამდენიმე სარკმელი. გადაკეთებულია (თაყაიშვილი 1938: 48, 49).

ოლთისის ციხე გვემით ოთხკუთხაა. აქვს მაღალი გალავანი, მრგვალი კოშკებითა და სათოფურებით. დაზიანებულია (თაყაიშვილი 1938: 49).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 82; ბაქრაძე 1882-1883: 194-197; ბერძენიშვილი 1985: 3, 93; ბერძენიშვილი 1966: 92, 93, 104; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 18, 38, 505, 561-573, 576-579, 583-590, 593, 595-603; დადიანი 1962: 146,21, 162,20; თაყაიშვილი 1909: 80, 92, 93; 1924: 26; 1938: 3, 5, 46-51; 1960: 1-6; თურქული წყაროები*

... 1983: 13, 14, 23, 42, 44, 50, 55, 62; *მაკალათია* 1938: 29, 31; *მეხხია* 1982: 188; 1983: 91, 92, 123, 143, 233, 234; 1986: 169, 294; *მეხუთე არქეოლოგიური ...* 1882: 75; *პასან რუმლუ* 1966: 24; *სამი ისტ. ქრ.* 1890: 104; *სამხ. საქ. ისტ.* 1961: 48, 51, 53; *ქართ. წარწ. კორ.* 1980: 259-261; *ქართ. სამართ. ძეგ.* 1965: 313; 1970: 245; *ქრონიკები* 1892: 152; 1897: 54, 453; *ქც* 1: 284,13; 318,19; 344,18; 383,10; *ქც* 2: 213,12; 214,13; 403,3,5,12; 437,12; 519,10; 524,17; 525,4; 526,7; *ქც* 4: 169,3; 209,20; 589,21,29; 590,19; 657,1; 683,12,16,18,19,21,23, სქ. 4: 684,16; 725,2; 729,24; 835,14; *ჩილდირის ...* 1979: 100, 103, 104, 108, 113, 114, 117, 118, 125, 127-131, 137, 138, 141-145, 148, 149, 157, 163, 166, 169, 171, 173, 174, 177, 180, 182-184, 188-190, 198, 200-202; *ცხოვრება ...* 1980: 53-55, 86, 142; *ჯავახიშვილი* 1983: 66, 71, 134, 160, 207; *ჯანაშვილი* 1915: 8, 17.

1060, დაბა (ქც 4: 747,19; 767,14; 16, 20, სქ. 2; 768,9; 850,12). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 747,19; 767,14; 16, 20, სქ. 2; 768,9; 850,12), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (სვანეთის ... 1986: 113; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 907, 969; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 253, 257; მასალანი საქ. სტატ. 1907: 104), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 103, 105, 107, 109, 123, 125, 127, 153, 291, 293).

ვახუშტი ბაგრატიონი ონის შესახებ გადმოგვცემს: „ჯავჯორის შესართავს ზეით და რიონის სამხრით არს ონი“ (ქც 4: 767,14,16).

მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე.



ონი, დოუბუა დე მონპერეს მიხედვით

წყაროებში პირველად იხსენიება 1503 წ. ალექსანდრე მეფის სვანურ საბუთში, სვანთა მიერ ჯავჯორიძეთა სასიხლოს გადასახადზე (სვანეთის ... 1986: 113). XVIII ს-ის პირველ ნახევარში ონი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სავაჭრო პუნქტი იყო (სინ 1973: 478). 1784 წ. დიდ ფეოდალებს, პაპუნა და ზურაბ წერეთლებს რუსების დანმარებით გადაეცათ ქალაქი ონი ვაჭრებითურთ (სინ 1973: 741). რაჭის მნიშვნელოვანი გზა ონზე გადიოდა. ლებიდან საგლოლოს გზა ჭიდროთას ციხის გავლით, რიონის მარცხენა ნაპირზე გადადიოდა, რომლის გადალახვის შემდეგ ონამდე აღწევდა. აქედან

გზა ქვემო რაჭის სოფლებისკენ მიემართებოდა (ბერაძე 1975: 145). ონში იყრიდა თავს ჩრდილო კავკასიიდან, ქართლიდან, იმერეთიდან და ქვემო რაჭიდან მიმავალი გზები.

ონის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ცულები და კოლხური თეთრის განძი.

ონში დგას XIX ს-ის ორი დარბაზული ეკლესია: „საჯანის კარისა“ და წერეთლების კარისა (ბოჭორიძე 1994: 244-248). ასევე შემორჩენილია შუა-საუკუნეების ციხის გალავნის ნანგრევები და სინაკოვა.

ონი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბერაძე* 1975: 145; *ბოჭორიძე* 1994: 244-248; *გამყვრიძე* 2002: 39-49; *გიულდენშტედტის* 1962: 103, 105, 107, 109, 123, 125, 127, 153, 291, 293; *მასალანი საქ. სტატ.* 1907: 104; *სინ* 1973: 741; საქ. ისტ. *ქრონიკები ...* 1980: 253, 257; *სვანეთის ...* 1986: 113; *ქართ. სამართ. ძეგ.* 1970: 907, 969; *ქც* 4: 747,19; 767,14; 16, 20, სქ. 2; 768,9; 850,12.

1061 (ქც 4: 376,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 376,15), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 43).

მდებარეობს ზნაურის მუნიციპ., ზნაურიდან ჩრდილოეთით, 6 კმ-ის დაშორებით, მდ. ლისის (მდ. შუა ფრონეს მარცხენა შენაკადი) ხეობაში, დღევანდელი სოფ. ოჟორას ტერიტორიაზე.

1951 წ. ოჟორას მახლობლად ადგილ „ზემო ლისას“ ტერიტორიაზე აღმოჩნდა სამაროვანი. იგ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთობლივმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ო. ჯავარიძე) სამაროვანზე შეისწავლა 8 სამარხი და 6 სამარხის ნაშთი. №1 სამარხი თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურით. მასში აღმოჩნდა ლევა-მთშავოდ გამომწვარი თიხის 4 ჭურჭელი, ბრინჯაოს ალისებური სატევარი, მასრაგახსნილი შუბისპირი, 3 სამაჯური, დილი, ბრინჯაოსა და სარდიონის რამდენიმე მძივი. №№2-14 სამარხები თარიღდება ძვ. წ. VII ს-ით. მათში გამოვლინდა რკინის იარაღები: შუბისპირები, ხიშტიცებური იარაღები, მოხრილი დანები, სატევრები. ბრინჯაოს ნივთებიდან აღსანიშნავია: ორნამენტირებული კოლხური ცული, ყუაზე ხარის სკულპტურული გამოსახულებით; ბალთა ვველის გამოსახულებით; ფიბულა რკინის ენით; ჩქიფი, საკინძები, რგოლები; სატევრის ფორმის საკიდი; ფრინველის ქანდაკება; სარდიონისა და ქარვის მძივები (ჯავარიძე 1957: 181-216).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი* 1986: 43; *ქც* 4: 376,15; *ჯავარიძე* 1957: 181-216.

1062 (ქც 4: 377,17,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღ-

წერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 377,17,19), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1989: 66, 88), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 449; საქ. სიძ. 1910: 128; ისტ. საბ. 1913: 13; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1953: 125, 151; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 170; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 405; 1970: 355; 1972: 594; 1974: 606; 1981: 293, 619, 817; 1985: 169, 202, 203, 522, 715; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 89, 100), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 279). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ალის-წყლის დასავლეთით არს წყალთ სურამისა. გამოსდის ლიხის მთას, მიერთვის ჩდილოდამ მტკუარს, ოსიაურს ზეით“ (ქც 4: 377,15-17).

მდებარეობს საშურის მუნიციპ-ში, მდ. სურამისწყლის ხეობაში, თანამედროვე სოფ. ზემო ოსიაურის ტერიტორიაზე.

1629 წ. ხორეშან დედოფალს ოსიაური სვეტიცხოვლისთვის შეუწირავს (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 170; ისტ. საბ. 1913: 13). 1772 წ. ოსიაურის ციხე ლეკებმა აიღეს (ხერხეულიძე 1989: 66, 88).

ოსიაური არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ზღუდერის წმინდა გიორგის დარბაზული (10,3X5,8 მ) ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთით. ნაგებია ფლეთილი ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. აღმოსავლეთის კედელზე, სარკმლის ზემოთ რელიეფური ჯვრისა და ცხვრის თავის გამოსახულებაა. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით დგას ქვათილებით ნაგები, გვიანი შუა საუკუნეების სამრეკლო (3,9X3,9 მ), რომელსაც აღმოსავლეთი და დასავლეთი მხრიდან აქვს თაღოვანი შესასვლელები (სძა 1990: 434).

ოსიაურის XVII-XVIII სს-ის ციხე დგას სოფლის ცენტრში. ნაგებია ფლეთილი ქვით. გეგმით კვადრატულია (10X10 მ). გალავანში სათოფურები და ოთხი კოშკია. შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა (სძა 1990: 434).

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ოსიაურის გარდა, ამავე სახელწოდების სოფელი არის ახმეტის რაიონშიც.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 44; გიულდენშტედტი 1962: 279; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1953: 125, 151; ისტ. საბ. 1913: 13; სძა 1990: 434; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 170; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 89, 100; საქ. სიძ. 1910: 128; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 405; 1970: 355; 1972: 594; 1974: 606; 1981: 293, 619, 817; 1985: 169, 202, 203, 270, 522, 715; ქრონიკები 1897: 449; ქც 4: 377,17,19; ხარაძე 1992: 162; ხერხეულიძე 1989: 66, 88.

ოფრამიო (ქც 4: 416,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 416,8; 773,22; 822,16), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 376,28; 533,4), XVII-XVIII სს-ის

ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 427; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. 1953: 102; ისტ. დოკ. ... 1958: 131; მცირე ქრონიკები 1968: 61, 71; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 431; 1970: 291, 502; 1974: 690; 1977: 430), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962:307).

მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპ-ში, წყალტუბოდან 65 კმ-ის დაშორებით, ახლანდელი სოფ. ოფშკვიტის ტერიტორიაზე.

1593 წ. ოფშკვიტში ქართლისა და იმერეთ-ოდიშის მმართველთა შორის გამართული ბრძოლა ქართლის მეფის დამარცხებით დამთავრდა (ქც 4: 822,10-16). ოფშკვიტით წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება: ოფიშკვიტით (ქც 2: 376,28; ქც 4: 416,8), ოფისკუჭი, ოფიშკვიდი (მცირე ქრონიკები 1968: 61, 71), ოფიშუჭი (ქრონიკები 1897: 427), ოფშკვიტით (გიულდენშტედტი 1962: 307), ოფისკვიტით (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 502).

ოფშკვიტით არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

აქ აღმოჩნდა ბრინჯოსი განძი, რომლის შემადგენლობაში იყო 15 კოლხური ცული, 25 სეგმენტი, ნამგლის 5 ნატეხი, ბრტყელი ცულისა და თოხის ნატეხი, მასიური რგოლი, ზოდის 2 ნატეხი. განძი თარიღდება ძვ.წ XII-XI სს-ით (ქორიძე 1965: 23, 113).

ბიბლიოგრაფია: გიულდენშტედტი 1962: 307; ისტ. დოკ. ... 1958: 131; მცირე ქრონიკები 1968: 61, 71; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. 1953: 102; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 431; 1970: 291, 502; 1974: 690; 1977: 430; ქრონიკები 1897: 427; ქც 2: 376,28; 533,4; ქც 4: 416,8; 773,22; 822,16; ქორიძე 1965: 23, 113;

ოფრამიო, მცირე ქალაქი, ციხე (ქც 4: 150,3; 310,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 150,3; 310,22), მატთანე ქართლისა (ქც 1: 307,14), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 57), ნიკო ლაღიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 127,9), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 280), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 507; მასალანი საქ. სტატ. 1907: 6, 245; ქართულ-სპარსული ... 1984: 63).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „შულავერის სამხრით კვირ არს ვორულის ხევი, ეგრების შულავერის ხევეს. ამას ზეით ოფრეთი, მცირე ქალაქი და ციხე მისი“ (ქც 4: 310,20-22).

მდებარეობს მარნეულის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. ოფრეთის ტერიტორიაზე (ხარაძე 1991: 104). სხვა მოსაზრებით ლოკალიზდება სოფ. ოფრეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 3 კმ-ის დაშორებით (ბერძენიშვილი 1964: 32, 33).

წყაროებში პირველად იხსენიება XI ს-ის ამბების თხრობისას, როცა ტყვედ ჩავარდნილ სომხეთის მეფე კვირიკეს ოფრეთის ციხე ბაგრატ IV-ისთვის (1027-1072) გადაუცია (ქც 4: 150,3; ბერძენიშვილი 1968: 59). შედიოდა ქვემო ქართლის მეწინავე სად-

როშოში (მასალანი საქ. სტატ. 1907: 6, 245). ოფრეთზე გადიოდა წოფიდან ტაშირში მიმავალი გზა (ბერძენიშვილი 1964: 21). ზოგიერთი ცნობით, V ს-ში ქართლის პიტიახში ვარსკენს ოფრეთის ციხეში ჰყავდა გამომწვევდელი თავისი მეუღლე დედოფალი შუაშანიკი (ბერძენიშვილი 1968: 59).

ოფრეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. 1960 წ. სოფ. ოფრეთიდან აღმოსავლეთით, 5 კმ-ის დაშორებით შემთხვევით აღმოჩნდა ენეოლითური ხანის ქვის სწორკუთხა დანისპირი (6,3X3,5 სმ). ფხა ცალ მხარეს გამოყვანილია რეტუშით (გრიგოლია, ტატიშვილი 1960: 72).

ოფრეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით დგას ადრეული შუა საუკუნეების მცირე ზომის დარბაზული ეკლესია. ნაგებია თანაბარი ზომის კვადრებით. აფსიდა ნალისებურია (ბერძენიშვილი 1968: 59).

ოფრეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შულავერის ხევის ზემო წელში, მის მარჯვენა ნაპირზე დგას ადრე შუა საუკუნეების ციხე. ნაგებია საშუალო ზომის კვადრებით კირსნარზე. ციხის ზღუდეში მრგვალი კოშკებია. ზღუდის შიგნით სხვადასხვა ნაგებობათა ნანგრევებია (ბერძენიშვილი 1968: 58, 59; მუსხელიშვილი 1960ა: 24, 30).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 57; ბერძენიშვილი 1966: 72, 78, 79; ბერძენიშვილი 1964: 14, 21, 26, 30; 1968: 58, 59; 1979: 48, 73; გრიგოლია, ტატიშვილი 1960: 72; დადიანი 1962: 127,9; ლორთქიფანიძე 1935: 338; მასალანი საქ. სტატ. 1907: 6, 245; მესხია 1983: 226, 227; მუსხელიშვილი 1960ა: 24, 30; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 280; 1981: 507; ქართულ-სპარსული ... 1984: 63; ქც 1: 307,14; ქც 4: 150,3; 310,22; ხარაბე 1991: 104.

ოქონა, მონასტერი (ქც 4: 375,25, სქ. 2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:375,25, სქ. 2), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 43), XV, XVII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 107).

მდებარეობს ზნაურის მუნიციპ-ში, მდ. შუა ფრონეს ხეობაში, ზემო და ქვემო ოქონას ტერიტორიაზე. ოქონაზე გადიოდა გზა ქართლიდან ზემო იმერეთში (ბერძენიშვილი 1966: 31).

ოქონა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ქართლის ცხოვრებაში მოხსენიებული ოქონას გარდა, ამავე სახელწოდების სოფელი ცნობილია თერჯოლის მუნიციპ-ში (ქსე 1984: 609).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 43; ბერძენიშვილი 1966: 31; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 107; ქსე 1984: 609; ქც 4: 375,25, სქ. 2.

ოშორა (ქც 4: 666,17,18) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ჟამთააღმწერელი (ქც 2: 252,15); ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 466,5,9; 666,17,18), XIV ს-ის შეწირულობის წიგნი (სამ. საქ. ისტ. 1982: 47).

ვახუშტი ბაგრატიონი ოშორას შესახებ გადმოგვცემს: „მტკუარს მოერთვის, წითელ კლდეს ზეით, ღობიეთის პირისპირ, ოშორის ხევი. ამ ხევზედ, ზემო ოშორას ზეით, არს მონასტერი გუმბათიანი, დიდკეთილად ნაგები და აწ ცარიელი“ (ქც 4: 666,17,18).

მდებარეობს ასპინძის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. ოშორას ტერიტორიაზე.

წყაროებში მოიხსენიება XIV ს-იდან (სამ. საქ. ისტ. 1982: 47).

სოფელში დგას XIV ს-ის დარბაზული ეკლესია. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. XX ს-ის დასაწყისში ეკლესიაზე იყო წარწერა, რომელშიც იხსენიებოდა აწყური (ბოჭორიძე 1992: 27).

ბიბლიოგრაფია: ბოჭორიძე 1992: 27; სამ. საქ. ისტ. 1982: 47; ქც 2: 252,15; ქც 4: 666,17,18.

ოჩანო, ციხე (ქც 4: 394,27; 532,3; 570,18). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 394,27; 532,3; 570,18), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 352,3; 490,25).

ვახუშტი ბაგრატიონი ოჩანის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „თიანეთის წყლის შესართავს ზეით, იორზედვე არს მთაში ციხე ოჩანისა, მაგარი და შეუალი, და შენი არს ორთა მდინარეთა შორის“ (ქც 4: 532,2-4).

მდებარეობს თიანეთის მუნიციპ-ში, ივრის ხეობის ზემო წელზე, მდ. ივრის პირას.

ქართლის მეფის დავით X-ის (1505-1525) ძმის, ბაგრატის მიერ კახეთის მეფის, ავგიორგის (1511-1513) მოკვლის შემდეგ დავით X-მ 1513 წ. კახეთზე გაილაშქრა და ის ქართლის სამეფოს შემოუერთა. მაშინ გარსევან ჩოლოყაშვილმა ავგიორგის შვილი ლევანი ოჩანის ციხეში გადაძალა (ქც 2: 352,3). 1518 წ. ოსმალეთის სულთანმა ისმაილ I-მა გორი და სურამი დაიკავა. დავით X-მ მორჩილება ამჯობინა. ამით ისრაგებლეს კახეთის ფეოდალებმა, უფლისწული ლევანი გამოიყვანეს ოჩანის ციხიდან და კახეთში გაამეფეს (ქც 4: 570,18).

ოჩანის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ქც 2: 342,3; 490,25; ქც 4: 394,27; 532,3; 570,18.

ოძისი (ქც 4: 351,27; 352,15; 353,22; 359,6,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 351,27; 352,1,15; 353,22; 359,6,9), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 22, 287; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 560; 1974: 57; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 171), იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“ (ტფილელი 1989: 597), სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 41), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 36), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 51, 53, 275; 1964: 29).

მდებარეობს დუშეთის მუნიციპ-ში, დუშეთიდან 18 კმ-ის დაშორებით, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე. ოძისიდან იღებს სათავეს თელავანის არხის ერთი რუ, რომელიც ადრე შუა საუკუნეებში უნდა იყოს გაყვანილი (გვასალია 1983: 17, 18). XVIII ს-ის პირველი ნახევრისათვის ქსნის საერისთავოს სამხრეთი საზღვარი გადიოდა ოძისზე და იგი წარმოადგენდა სასაზღვრო სოფელს სამუხრანბატონოსა და ქსნის საერისთავოს შორის (ქც 4: 351,27; მაკალათია 1968: 53). 1955 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შიდა ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი) დაზვერვების შედეგად სოფ. ოძისში მიაკვლია ნამოსახლარ გორის (მუსხლიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 193). „საქართაოდ“ წოდებული გორანამოსახლარი მდებარეობს ე. წ. „ყვავების საყდრის“ ჩრდილოეთით 200-250 მ-ზე, გზის პირას. ნამოსახლარი დაბალი ბორცვია, სადაც ზედაპირულად აიკრიფა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის შავპირილა თიხის ჭურჭლის ნატყეხები და საქონლის ძეგლები (ფიცხელაური 1973: 27). სოფლის მახლობლად, იმავე „ყვავების საყდრის“ მიდამოებში, „ქასრანთ ველებზე“ ბაქაქურის ხეგში სხვადასხვა დროს ადგილი ჰქონდა შემთხვევით აღმოჩენებს. ნივთების უმრავლესობა თიხის ჭურჭელია. მათ შორის საინტერესოა გვიანბრინჯაოს ხანის ე. წ. აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტიპის ბრინჯაოს ცული (ფიცხელაური 1973: 167). მასალა ინახება დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. 1975 წ. „ყვავების საყდრის“ ფერდზე შემთხვევით აღმოჩნდა ნივთები: 6 შავად გამომწვარი ჭურჭელი, ბრინჯაოს 1 სატყეარი, 2 ბალთა, 2 სამაჯური, 7 ღილაკი, 2 ბეჭდი, საკინძი, სარდლიონისა და მინისებური პასტის მიძივები. კერამიკა წარმოდგენილია შემდეგი ფორმებით: ქილები, ქოთანნი, სასმისი. ქილები შემკული ამოღარული კონცენტრული ხაზებით, წნეგით დატანილი ვერტიკალური პრილა ზოლებით. მუცელზე შემოუყვება ამოღარული ხაზი. ჭურჭელს ადებრწილი ჰქონია ბრტყელგანვითიანი ყური, სასმისი ხასიათდება წიბოიანი ტანიითა და მალალი ქუსლით. წიბოსთან და ქუსლზე შემოუყვება ამოღარული კონცენტრული ხაზები. ზედაპირი ნაპრილალება. ბრინჯაოს სატყეარისპირს მხრებზე აქვს ორი სამანჭვლე ნახვრები (სიგრძე 17 სმ). ბალთები შიგნიდან ფუჟა, შუა ნაწილში საკიდი ფუნჯით. ზედაპირი შემკულია კონცენტრული ღარებით. სამაჯურები მასიურია, მრგვალგანივიკვეთიანი. შემკულია ჭდეული, „წიწვისებური“ და განივი ხაზებით. ღილები ნახევარსფერულია, ყუნჯიანი. ბეჭდები დამზადებულია თხელი ფურცლისაგან. ზედაპირზე შემორჩენილი აქვთ ამოკაწრული და წერტილოვანი ორნამენტი. სარდლიონის მიძივები ოვალური და ცილინდრული ფორმისაა. ნივთები თარიღდება გვიანბრინჯაოს ხანით (წითლანამე, გორიანშვილი 1976-1977: 69-73). მასალა ინახება დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული, ქსნის

ხეობაში მდებარე ოძისის გარდა, აღმოსავლეთ საქართველოში ოძისის სახელით ცნობილია კიდევ რამდენიმე სოფელი. ოძისი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: 1731 წ. ისტორიული საბუთი (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 62), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44), იოჰან გოულდენ-შტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 177), მდებარეობს ხაშურის მუნიციპ-ში, ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ხაშურიდან 12 კმ-ის დაშორებით. არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ოძისი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1909: 38, 47, 48, 89, 90, 164, 309; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 171; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 40, 41; 1985: 217), XVII ს-ის ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთი (ქართულ-სპარსული ... 1955: 37, 227, 229; 1984: 33, 34). მდებარეობს კასპის მუნიციპ-ში, სოფ. ნოსტეს სამხრეთით. ამჟამად ნასოფლარია, რომლის ტერიტორიაზე ერთ-ერთი ჭრილი შეინიშნება ქვაყრილი. სავარაუდოა ამ ადგილებში ბრინჯაოს ხანის სამაროვნის არსებობა. ნასოფლარი გაშენებული ყოფილა ტერასაზე. შემორჩენილია რიყის ქვით კირხსნარზე ნაგები შენობების ნაშთები. ნასოფლარზე დგას წმინდა გიორგის სამშვიანი ბაზილიკა (11,4X8,2 მ). ნაგებია დიდი ზომის ფლეთილი ქვებით კირხსნარზე. ისრული თაღებით გადახურული შესასვლელი ჰქონია სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. შუა ნავის ნახევარწრიულ აფსიდაში, რომელიც გარედან ხუთწახნაგაა, სარკმელი და სამი ნიშაა. საკურთხეველთან დგას ტრაპეზის ქვა. შუა ნავს კიდევ ორი სარკმელი აქვს სამხრეთით. გვერდით ნაგებში თითო სარკმელია. შუა ნავი გვერდით ნაგებზე ორჯერ უფრო განიერია და მათგან გამოყოფილია სამ-სამი ისრული თაღით (მაკალათია 1956: 19; სძა 1990: 181). ნასოფლარი ოძისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ოძისი (ზემო და ქვემო) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 395; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 171; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 620), XVIII ს-ის ქვემო ქართლის სტატისტიკური აღწერის მასალები (მასალანი საქ. სტატ. 1907: 39, 44, 76, 119), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 47), XVII ს-ის ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთი (ქართულ-სპარსული ... 1955: 90, 92). სოფლები მდებარეობენ თეთრიწყაროს მუნიციპ-ში, მანგლისის მახლობლად. ქვემო ოძისი მანგლისის ჩრდილოეთით, ზემო – მანგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით (ლორთქი-ვანიძე 1935: 338; ციციშვილი 1980ა: 7). 1948-1954 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი) სხვა პუნქტებთან ერთად დაზვერვები აწარმოვა ქვემო და ზემო ოძისის მიდამოებშიც. ქვემო ოძისში

მიკვლეულია შუა საუკუნეების ნასოფლარი, სადაც შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. ეკლესიის ახლოს სამაროვანია, რომელშიც გამოვლინდა ქვის სამარხები. ნასოფლარის ნაშთები აღმოჩნდა ზემო ოდისშიც. სოფელში შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია (ციციშვილი 1980ა: 7). ქვემო და ზემო ოდისი არქეოლოგიურად შესწავლულია.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 36, 44, 47; გვასალია 1983: 17, 18, 63, 77, 78; გიულდენშტედტი 1962: 51, 53, 177, 275; 1964: 29; ლორთქიფანიძე 1935: 338; მაკალათია 1959: 19; 1968: 52, 53; მასლანი საქ. სტატ. 1907: 44, 76, 119; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 171; მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 193; სძა 1990: 181; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 62; საქ. სიძ. 1909: 38, 47, 48, 89, 90, 164, 309; ტფილელი 1989: 597; ფიცხელაური 1973: 27, 167; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 560, 620; 1972: 40, 41; 1974: 57; 1985: 217; ქრონიკები 1897: 22, 287; ქართულ-სპარსული ... 1955: 90, 92; 1984: 33, 34; ქც 4: 351,27; 352,1,15; 353,22; 359,6,9; წითლანძე, ვიხიაშვილი 1976-1977: 69-73; ჩხეიძე 1913: 41; ციციშვილი 1980ა: 7.*

ომრახმე, ქალაქი, ციხე (ქც 4: 658,2; 664,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 185,25; 204,4; 205,2; 234,8), ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 9,24; 17,19; 24,20; 39,24; 47,11,13,21; 57,8), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 261,19; 305,3), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 51,3; 95,5), ბასილი ეზოსმოდვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქც 2: 138,9), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 420,26), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 64,27; 68,14; 110,17; 132,7; 187,4; 188,4; 658,2; 664,9), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 84), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 45), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 82,2, 144,33), XIII-XIV სს-ის კინკლოსური ქრონიკა (მცირე ქრონიკები 1968: 28, 30, 33), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 11; 1897: 415, 463; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 249, 252, 295, 298, 302, 305-307, 311, 322, 326-329; ახალციხური ქრონიკები ... 1979: 126, 144, 149, 150, 151, 175, 182, 184, 187, 188, 198, 204, 218-220, 222, 229, 240; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 64, 69, 75, 94, 118, 150, 155, 162-167, 168, 169, 172, 174, 478, 593; ჩილდირის ... 1979: 286, 377, 748, 757), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 189).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ოცხის წყალს ერთვის ვაშლობს, პანტნოვანის ხევი, გამომდინარე ფერსათისა, და მოდის ჩდილოდამ სამხრით. ამ ხევის ზეით, მთის ძირში არს ომრახე, რომელი აღა-

შენა ომრახოს ქალაქი და ციხე და უწოდა სახელი თვისი“ (ქც 4: 664,6-10).

მდებარეობს ადიგენის მუნიციპ-ში, მდ. ოცხის წყლის ნაპირზე, თანამედროვე დაბა აბასთუმნის ტერიტორიაზე (ჩიქოვანი 1987: 19).

ომრახე აუშენებია ომრახოსს (ქც 4: 664,9). მეფე ფარნავაზის დროს (ძვ. წ. III ს-ის პირველი ნახევარი). ომრახე სერისთავის ცენტრი და სამცხისა და აჭარის ერისთავის რეზიდენციაა. IV ს-ში სამცხის მნიშვნელოვანი ქალაქია (მუსხელიშვილი 1977: 61, 194). მდებარეობდა არტაშატიდან სებასტოპოლისაკენ მიმავალ გზაზე (ცქიტიშვილი 1964: 85). ვახტანგ გორგასლის (V ს.) სიკვდილის შემდეგ სამეფო ოჯახის საზამთრო რეზიდენცია ყოფილა (ქც 1: 205,2). 735 წ. მურვან-ყრუს ლაშქრობის დროს დანგრეულა (ჩიქოვანი 1987: 21). ბაგრატ IV-ს (1027-1072) სულა კალმახელისთვის უბოძებია. 1191 წ. ის გადაწვეს თამარ მეფის წინააღმდეგ აჯანყებულებმა (ჯავახიშვილი 1983: 166, 261). მონღოლთა პატრონობის პერიოდში ომრახე დაქვეითების გზას დაადგა. XVI ს-ში გაუკაცრევლდა (ბერძენიშვილი 1964: 139, 142). წყაროებში მოიხსენიება „ოცხე“-„ომრხე“-ს სახელებითაც.

დაბა აბასთუმანში 1973 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული-გეოგრაფიის ექსპედიციის (ხელმძღვ. მუსხელიშვილი) აბასთუმნის ჯგუფმა დაიწყო „ყანობილის“ ნამოსახლარის შესწავლა, რომელიც 1977, 1980 წწ. გააგრძელა იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აბასთუმნის ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ. ფხაკაძე). ნამოსახლარი მდებარეობს აბასთუმანში მდ. ოცხის მარჯვენა ნაპირზე, ყანობილის მთის ჩრდილოეთ ფერდობზე. ის ტერასულადაა განლაგებული და უჭირავს დაახლოებით 1 ჰა ფართობი. სწორკუთხა შენობები ნაგებია ქვის მშრალი წყობით. იატაკი თიხააკეპნილია და მოწითალოდ შეღებილი. სავარაუდოა ბანური გადახურვის არსებობა. იატაკის ცენტრში თიხაფენილი კერაა. ნამოსახლარზე აღმოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები, ქვის იარაღები და ძვლოვანი მასალა. კერამიკა ორი ჯგუფისაა. პირველი წარმოდგენილია შავპირიალა, ვარდისფერსარჩულიანი უორნამენტო დერგების, ქოთნის, კათხის და სხვ. ჭურჭლის ფრაგმენტებით. მეორე - ქილისეული ბრტყელობიანი, მომრგვალებულიძირიანი, მოწითალო ფერის ჭურჭლის ფრაგმენტებია. ზოგიერთი ორნამენტირებულია. ქვის ინვენტარი წარმოდგენილია კაჟისა და ობსიდიანის ანატაკეცებითა და იარაღით. გვხვდება საფხეკები, დანები, სახერგებები, ნამგლის ჩასართები, შუბისა და ისრისპირები, ოვალური ფორმის ხელსაფეკავები, საჩიჩქინი იარაღები, სატყეები და სხვ. ნამოსახლარი განადგურებულია თავდასხმის ან ხანძრის შედეგად. თარიღდება ენეოლით-ადრებრინჯაოს პერიოდით (კალანდაძე 1976: 375-381; ჯავახიშვილი 1991: 155; საქ. არქ. 1992: 194). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ივ.ჯავახიშვილი-

ლის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი და ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიის ცენტრი).

აბასთუმანში შემორჩენილია ორი ეკლესია და ციხე. ერთი ეკლესია დგას მდ. ოძრახის ანუ აბასთუმნის წყლის მარცხენა ნაპირზე. გადაკეთებულია. დასავლეთის ფასადზე აქვს ჩუქურთმით შემკული სარკმლები და ჯვრის გამოსახულება. შესამდებელია დათარიღდეს XIV ს-ით (ბერიძე 1957: 69). ეკლესიასთან ახლოს ნაპოვნია ორი ქვა ასომთავრული წარწერით. ერთი მათგანი უკეთაა დაცული: „...ბრძანებითა ღვთივ დაცულისა მამფლისა არ-შუშა პატრიკისა და ნებითა ღვთისათა ქავთარ ერისთავისა ქორეპიზკოპოზის ცხისთავობასა მოწვეულ ვიყავ და ავმართევ პატიოსანი ჯუარი წმიდისა ღვთის მშობლისა სახელსა, სალოცველად ჩემდა და ძმათა ჩემთა მეოხებისათვის. შევწირე საყდარსა ამას საწუთროსა, რათა საუკუნოდ ავაგ კუნის ლოცვა მოიხსენიონ“. ზოგიერთი მკვლევარი წარწერას VII ს-ით ათარიღებს (თაყაიშვილი 1905: 65, 66). აბასთუმნის ცენტრში დგას ეკლესია „ახალი ზარზმა“, რომელიც აგებულია 1899-1904 წლებში. აბასთუმანში, მდ. აბასთუმნის წყლის მარჯვენა ნაპირზე შემორჩენილია „თამარის ციხე“. ნაგებია ფლეთილი ქვით კირხსნარზე. აქვს ორი კოშკი სამხრეთითა და ჩრდილოეთით. ჩრდილოეთი კოშკის პირველ სართულზე შემორჩენილია პატარა ოთახი. თარიღდება შუა საუკუნეებით (ბერიძე 1957: 69; ჭილაშვილი 1968: 33).

ბიბლიოგრაფია: ახალციხური ქრონიკები 1979: 126, 144, 149, 150, 151, 175, 182, 184, 187, 188, 198, 204, 218, 219, 220, 222, 229, 240; პაგრატიონი 1986: 84; ბერიძე 1955: 200; 1957: 67-69; ბერძენიშვილი 1966: 80-82, 84-87, 89, 90, 97; ბერძენიშვილი 1985: 4, 75, 77, 79; ბოჭორიძე 1992: 261, 263; ვიულდენშტ-

ედტი 1962: 189; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 64, 69, 75, 94, 118, 150, 155, 162-167, 168, 169, 172, 174, 478, 593; დადიანი 1962: 82,2, 144,33; თაყაიშვილი 1905: 63-66; იოსელიანი 1850: 58; კლანდაძე 1974: 11, 12; 1976: 371-381; მაკალათია 1938: 33, 37; მუსხელიშვილი 1977: 51, 61, 194, 198, 215; 1980: 177; საქ. არქ. 1992: 194; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 249, 252, 295, 298, 302, 305-307, 311, 322, 326-329; ფხაკაძე ... 1982: 20, 21; ქრონიკები 1892: 11; 1897: 415, 463; ქც 1: 9,22; 17,19; 24,20; 39,24; 47,11,13,21; 57,8; 185,25; 204,4; 205,2; 234,8; 261,10; 305,3; ქც 2: 51,3; 95,5; 138,9; 420,26; ქც 4: 64,27; 68,14; 110,17; 132,7; 187,4; 188,4; 658,2; 664,9; ჩილიდისი ... 1979: 286, 377, 748, 757; ჩიქოვანი 1979: 22, 53, 63; 1987: 19-21, 23, 26, 50; ცქიტიშვილი 1964: 85, 88, 90; ჭილაშვილი 1968: 5, 19-21, 25, 30-35, 68, 82, 93, 110, 125, 126; 1970: 10, 16, 60, 61, 83, 89, 128; ჯავახიშვილი 1983: 17, 18, 35, 55, 56, 57, 71, 102, 166, 261, 275; ჯანაშია 1952: 127, 283, 284, 288; ჯანაშვილი 1915: 17; ჯავახიძე 1991: 155.

ონმრ-ხიდა (ქც 4: 353,7,10). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ოხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 353,7,10).

ვახუშტი ბაგრატიონი ოხერ-ხიდას შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო კუალად არაგვის პირს არს ოხერ-ხიდა, რომელსა ეწოდა პირველ ხილარი, სადაცა აღაშენა ვარზაბაქარ ციხე და უკუჯდა ხევსა კახეთისასა და არაგვის პირს. მისაქციელიდამ და ოხერხიდიდამ ანანურამდე არს ვენახოვანი, ხილიანი და ოხერ-ხიდის ჩდილოთ არს ბოდორნას ქუაზნი გამოკუეთილნი და ციხე მაგარი“ (ქც 4: 353,7-12) (იხ. ხილარი).


ბიბლიოგრაფია: ქც 4: 353,7,10.



პალაზრა, მონასტერი (ქც 1: 295,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 295,14), XI ს-ის ისტორიული საბუთი (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26). მდებარეობს შიდა ქართლში, მდ. ტანას ხეობაში (ჯავახიშვილი 1983: 38), ზუსტი ლოკალიზება ვერ ხერხდება. „მატიანე ქართლისა“ პალავრის შესახებ გადმოგვცემს: „შემდგომ ამისა წმინდამან მეუფემან კათოლიკოს-პატრიარქმან მეღქისედეგ მოიგო ქართლს: მონასტერი პალავრა ოთხითა სოფლითა“ (ქც 1: 295,13-14).

ბიბლიოგრაფია: ქც 1: 295,14; ჯავახიშვილი 1983: 38.

საგვიბო (ქც 4: 523,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 523,17; 532,7; 549, 12; 550,10,23; 551,3,6,19; 553,23; 554,1; 561,13; 568,4; 617,7; 652,22; 653,3), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 230,19), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 301; საქ. სიძ. 1910: 148, 208, 511, 513; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 172; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 199, 386, 387; 1974: 288-292; 1977: 43; 1985: 411; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 50; ქართულ-სპარსული ... 1955: 417, 418), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 144), იონანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 70).



პანკისის ციხის გეგმა

წყაროებში პანკისი ძირითადად ხეობის ან საერისთავოს სახელწოდებაა. პანკისის ციხეს იხსენიებს „ჟამთააღმწერელი“ და ზოგიერთი ისტორიული საბუთი (ქც 2: 230,19; ქრონიკები 1897: 301).

დავით II იმამყული ხანის (1709-1722) სიგელში მითითებულია სოფ. პანკისი (ქართულ-სპარსული ... 1955: 417, 418). ფიქრობენ, რომ მალრანის ხევის სათავეში მდებარეობის გამო გვიანი შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში მოხსენიებული „მალრანის ციხე“ (ქც 2: 352,8, 490,19, 491,1; ქც 4:395,25; 570,23) პანკისის ციხე უნდა იყოს (მუსხელიშვილი 1970: 28). თუმცა, იონანე ბაგრატიონი პანკისსა და მალრანს სხვადასხვა ადგილას მოიხსენიებს (ბაგრატიონი 1986: 70).

მდებარეობს ანშეტის მუნიციპ-ში, პანკისის ხეობაში, ალაზნის შენაკად ხალაწის ხევისა და მალრანის ხევის (მდ. მაჭარეული) წყალგამყოფ მაღალ, ტყით დაფარულ კლდოვან მთაზე (მუსხელიშვილი 1970: 28).

ციხე შუა საუკუნეებში პანკისის საერისთავოს ცენტრი იყო. საერისთავო დააარსა კახეთის მეფე კვირიკე III დიდმა (1010-1039) (ქც 4: 561,14). ციხესიმაგრე უფრო ადრეული ჩანს. 1040 წ. ბაგრატ IV-მ (1027-1072) აიღო ციხე და პანკელი ერისთავი სტეფანოზ ვარჯანის ძეც შეიპყრო, მაგრამ კახეთი ვერ შეინარჩუნა (ქც 4: 146,6,10). XIII ს-ის 40-იან წლებში ციხეზე დიდი სამუშაოები ჩაატარა პანკისის ერისთავმა თორღუა პანკელმა. ის მონაწილეობდა მონღოლთა წინააღმდეგ მოწყობილ კოხტასთავის შეთქმულებაში (ქც 2: 215,3). მეფე დავით ულუს (1247-1270) ურდოში ყოფნისას თორღამ თავი კახეთის სრულუფლებიან გამგებლად გამოაცხადა და პანკისის ციხეში გამაგრდა. დავით ულუს საქართველოში დაბრუნების შემდეგ ის მოტყუებით გა-მოიყვანეს ციხიდან, მეფეს ტაბახმელაში მიჰგვარეს და მოკლეს (ქც 4: 214,12-26). XVI ს-ში პანკისის ციხე საერისთავოს ნაცვლად შექმნილი სამოურავოს ცენტრია. პანკისის ციხე აკონტროლებდა იმ მაგისტრალურ გზებს, რომლებიც კახეთის მთასა და ბარს აკავშირებდა.

1965 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. კ. ფიცხელაური) დაზვერვები აწარმოვა პანკისის ციხის ტერიტორიაზე (ბუგაინიშვილი ... 1966: 11), სადაც მოხვედრა შეიძლება თაღით გადაყვანილი კლდეკარით. მთის თხემზე აგებულია კოშკი, რომლის ქვედა ნაწილში გამოკვეთილია წყლის რეზერვუარი. თვით ციხესიმაგრე, რომელიც კოშკიდან ასიოდ

მეტრითა დაშორებული, ნაგებია კლდის ფლეთილი ქვებით სქელ დულაბზე. ცხე იყოფა ერთმანეთისაგან შიდა გალავნით ოზოლირებულ ორ ნაწილად: შიდა ცხე და მასთან მჭიდროდ მიდგმული ოთხკუთხა გალავნით შემოსაზღვრული არე. შიდა ცხეში ჩანს სასახლის(?) ნანგრევი და პატარა „კარის ეკლესია“. გალავნის შიგნითაც შეინიშნება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები. მთლიანად კომპლექსი გარედან გამაგრებულია ოთხკუთხა და ოვალური კოშკებითა და ასეთივე ბურჯებით. ნაგებობა თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით, თუმცა ის გვიან შუა საუკუნეებშიც გამოიყენებოდა (მუსხელიშვილი 1970: 28, 29).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 70; ბუვიანიშვილი ... 1966: 11; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 172; მახაბელი 1887: 328; მუსხელიშვილი 1969: 137-159; 1970: 28, 29; 1980: 87, 88, 102, 109, 135; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 50; საქ. სიძ. 1910: 148, 208, 511, 513; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 199, 387, 386; 1974: 288-292; 1977: 43; 1985: 411; ქართულ-საბრძანო ... 1955: 417, 418; ქრონიკები 1897: 301; ქც 1: 298,6; ქც 2: 230,19; 352,8; 490,19; 491,1; ქც 4: 523,17; 532,7; 549,12; 550,10,23; 551,3,6,19; 553,23; 554,1,3; 561,13; 568,4; 617,7; 652,22; 653,3; ცხოვრება ... 1980: 114;

პატარძელთა (ქც 4: 616,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 616,20), XIV ს-ის 90-იანი წლებისა და XVII-XIX სს-ის დასაწყისის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 197, 434, 453; 1967: 61, 598, 605; ქართლ-კახეთის ... 1903: 34, 63, 69, 73, 91, 95; საქ. სიძ. 1910: 208; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 294; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 331; 1953: 108; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 172; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 180, 689, 693; 1972: 371; 1977: 314; 1981: 128, 333; 1985: 538; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 49, 79, 110, 111), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1913: 276), იესე ოსეს მის „თავგადასავალი“ (თავგადასავალი ... 1913: 37), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 66), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 43), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 51, 82), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 19, 261). მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, საგარეჯოდან 8 კმ-ის დაშორებით, გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ მთისწინეთში.

სოფელი პირველად იხსენიება 1392 წ. საკათალიკოსო მამულების გუჯარში (ქრონიკები 1897: 197). XVII ს-ის დასაწყისში კახეთის მეფე დავით I-მა, მისმა მეუღლემ ქეთევანმა, მათმა შვილებმა თეიმურაზმა და ვახტანგმა ნინოწმინდის მონასტერს პატარძელში შესწირეს ოთხი კომლი გლეხი (ქრონიკები 1897: 453). 1716 წ. პატარძელ-

ში გარდაცვლილა კახეთის მეფე ერეკლე I-ის (1688-1703) მეუღლე ანა ჩოლოყაშვილი (ქც 4: 616,19-21). 1744 წ. აქ გარდაიცვალა ერეკლე II-ის (1744-1798) პირველი მეუღლე ქეთევან ორბელიანი (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 79). 1756 წ. თეიმურაზ II (1744-1762) და ერეკლე II პატარძელში იწყებენ ციხის მშენებლობას. 1758 წ. ციხის მშენებლობის დროს თეიმურაზ II-ს თავს დასხმთან ლეკები, რომლებიც ერეკლე II-ს დაუმარცხებია (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 110, 111). 1812 წ. კახეთის აჯანყების დროს რუსებმა აიღეს სოფელი პატარძელი (ბაგრატიონი 1983: 82).

1953 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიულ-არქეოლოგიურმა დაზვერვითმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი) სოფ. პატარძელის განაპირას, აღმოსავლეთით, მიაკვლია ნამოსახლარ გორას, რომელსაც მოსახლეობა „მახარიკაანთ გორის“ ან „ბუქიტაანთ გორის“ სახელით მოიხსენიებს (ბერძენიშვილი 1960: 152). ნამოსახლარი გორა წარმოადგენს ბუნებრივ ბორცვს, რომელსაც თხემი მოსწორებული აქვს და გარშემო შემოუყვება ხელოვნური ტერასა. გორანამოსახლარი გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანით თარიღდება (ფიცხელაური 1965: 26). გორის სამხრეთით, რამდენიმე ასეულ მეტრზე „წითლობის გორაზე“ მდებარეობს ნამოსახლარი. მის დასავლეთ კალთაზე კი ნამოსახლარის თანადროული სამაროვანია (გიუნაშვილი 1985: 38).

1974 წ. ნარიშანიშვილების საკარმიდამო ნაკვეთში ჭის ამოღების დროს, მიწის ზედაპირიდან 2,2 მ სიღრმეზე თავი იჩინა თიხის ჭურჭელმა. ის სამარხიდან მომდინარეობდა (ნარიშანიშვილი 1999: 68). 1975 წ. პატარძელის მდამოკეპში, მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა გვერდიგვერდ მდებარე ორი სამარხი, რომლებშიც აღმოჩნდა: სარდიონის მძივი, ბრინჯაოს თხელი ფირფიტის ნატეხები, ყალიბში ჩამოსხმული ბრინჯაოს მხედარი; ცხენს აქვს მაღალი ფეხები, სწორი, ვიწრო წელი და მოკლე კუდი. ყელსა და მკერდს ჯავშანი უფარავს. მხედარს წელზე მარცხენა მხრიდან მხსვილი თასმით შემოკრული აქვს კაპარტი ან ქარქაშიანი მახვილი. თასმაზე მოკლე სატევარი კიდაა. ზურგზე გამოსახულია მშვილდის რკალი. მხედარს თავი მოტეხილი აქვს (ზომები: სიგრძე 3,8 სმ, სიმაღლე 4,8 სმ, სისქე 1, 3 სმ); ბრინჯაოს მთლიანადსხმული სატევარი პირზე ნაკაწრი ორნამენტით შემკული, ბრინჯაოს ხელშუბისპირი, მასრაზე სამანჭვლე ნახვრეტებით, რკინის მასრაგანსხმული მაღალქედიანი შუბისპირი, რკინის მახვილი ბრინჯაოს ქარქაშის წვერი, ბრინჯაოს ლუგმა. აღნიშნული სამარხებიდან ჩრდილოეთით, 50-60 მ-ის დაშორებით, 1977 წ. დაზიანდა რამდენიმე სამარხი. ინვენტარის ნაწილი დაიკარგა. გადარჩენილი ნივთებიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოს მასრიანი შუბისპირები (3 ც). მასრა და ქედი შემკულია ნაკაწრი ორნამენტით; ბრინჯაოს მთლიანადსხმული მახვილი. პირი და ვადა შემკულია ნაკაწრი ორნამენტით. ბრინჯაოს

ბრტყელი ფირფიტისაგან დამზადებული სამაჯური, ბრინჯაოს სამაჯური, რომლის ზედაპირი შემკულია ხუთი ამოღარული გრძივი ხაზით, ბრინჯაოს სარტყლის ფრაგმენტები, რომლის ზედაპირი შემკულია ნაკაწრი „თევზიფხური“ ორნამენტითა და ზომომარფული გამოსახულებებით, სარდიონის მძივები, თიხის ქილა, შემკული ნაკაწრი ორნამენტით, ქოთანის და ლანგარი.

პატარაქმულის მიდამოებში, ე. წ. „წითლობის გორიდან“ სამხრეთ-დასავლეთით, 700-ოდე მ-ის დაშორებით მდებარეობს გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი, რომლის სამართავანიც მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით 300-ოდე მ-ის დაშორებით მდებარეობს. მოსახლეობა ამ ადგილს „ჭუკიანთ გორად“ და „ჭუკიანთ მიწებად“ მოიხსენიებს. 1975-1976 წწ. მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა ნამოსახლარი ფენები და სამარხები. ფენას ეტყობოდა ნახანძრალის კვალი. მასში გამოვლინდა: ბათქაშის ფრაგმენტები, თიხის ჭურჭლის ნატყეპი, კაჟისა და ობსიდიანისაგან დამზადებული ნამტყლის ჩასართები. იქვე აღმოჩნდა რიყის ქვისაგან დამზადებული პირწამახვილებული თიხი. იქვეა მოპოვებული: ბრინჯაოს მთლიანადსხმული მახვილი. პირი და ვადა შემკული აქვს ნაკაწრი ორნამენტით, ბრინჯაოს მახვილი, ბრინჯაოს მალაქქედანი მახვილი, შემკული ნაკაწრი ორნამენტით; ბრინჯაოს სამაჯური.

„ჭუკიანთ გორიდან“ სამხრეთ-აღმოსავლეთით, „იფინანის ხევის“ მარჯვენა ნაპირზე, ე. წ. „ყარადალში“ მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა რამდენიმე სამარხი. ერთ-ერთში აღმოჩნდა ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატყვარი. ქუდის ზედა მრგვალი ფანჯარა ტიხრით ორადა გაყოფილი. პირი შემკულია ნაკაწრი ორნამენტით. „ყარადალის“ სამარხისა და „წითლობის ფერდის“ სატყვარი, აგრეთვე „წითლობის ფერდის“ სამაროვანზე გამოვლენილი შუბისა და ხელშუბისპირები თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ით. ძვ. წ. XII-XI სს-ს მიეკუთვნება „წითლობის ფერდის“ აღმოჩენილი ბრინჯაოს სარტყელის ფრაგმენტები. „ჭუკიანთ მიწების“ სამარხისა და „წითლობის ფერდის“ სამარხის მახვილები XI-X სს-ით თარიღდება. „წითლობის ფერდის“ რკინის შუბისპირი ძვ. წ. VIII-VII სს-ს მიეკუთვნება. ძვ. წ. VIII-VI სს-ით თარიღდება თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამაჯურები, ქარქაშის ბოლი, დუგმა და სხვა (გიუნაშვილი 1985: 38-44).

1974 წ. ნარიმანიშვილების კარმიდამოში აღმოჩენილი სამარხი ეკუთვნოდა მიწაყრილიანი ორმოსამარხების ჯგუფს. მასში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, ძლიერ ხელფენმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. მიცვალებულის ზურგის მხარეს ელაგა თიხის ჭურჭელი, გულ-მკერდის არეში გამოვლინდა მძივები, ხელებზე ეკეთა ბრინჯაოს და რკინის სამაჯურები. თიხის ჭურჭელი წარმოდგენილია 3 კოჭლით, ფიალითა და ხელალით. ამ უკანასკნელს ყურის ზედა

ნაწილზე დასმული აქვს დამდა. სამაჯურებიდან სამი ბრინჯაოსაა, ერთი რკინის. სასაფეთქელ რგოლებიდან ერთი ვერცხლისაა, მეორე ბრინჯაოსი. პასტის მძივებში გამოირჩევა: ცისფერი, მოყავისფრო, მწვანე, თეთრი, ლურჯი, ყვითელი ნიმუშები. იქვეა აღმოჩენილი ერთი მოზაიკური საკიდი. სამარხი თარიღდება ძვ. წ. I-ახ. წ. I სს-ით (ნარიმანიშვილი 1999: 68, 69). მასალა ინახება საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

გარდა აღნიშნული მასალებისა, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) ინახება პატარაქმულსა და მის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები: ძვ. წ. VIII-VII სს-ით დათარიღებული რკინის სატყვარის ბრინჯაოს ტარი (გიუნაშვილი 1985: 44), ბრინჯაოს საკიდი (უვაროვა, რადღე 1902: 97). 1930 წ. მუზეუმს შეუძენია პატარაქმულიდან მომდინარე სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ნივთები: ბრინჯაოს თხელი ფირფიტებისაგან დამზადებული ჭურჭელი, რკინის მახვილი, რკინის შუბისპირი, რკინისსანათური, ზედჩამოკიდული ძეწკვითი. ამავე კოლექციაში შემავალი ბრინჯაოს ე. წ. „კახური ტიპის“ 2 სატყვარი თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ით (ფიცხელური 1959: 110). ბრინჯაოს ორთითი ძვ. წ. XI-X სს-ს მიეკუთვნება (გიუნაშვილი 1985: 43). თიხის ჭურჭელი ძვ. წ. IV-III სს-ით თარიღდება (რამიშვილი 1959: 44). 1932 წლიდან მუზეუმში დაცულია პატარაქმულში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჯაჭვი. 1938 წ. მუზეუმს შეუძენია: ბრინჯაოს 2 მასრიანი, ქედანი შუბისპირი, მასრაზე სამი სამანჭვლე ნახვრეტი და ორი რელიეფური ხაზით, თიხის შავადგამომწვარი, წელით გამოყვანილი ტოლჩა და თიხის ჭურჭლის ნატყეპი. მასალა აღმოჩენილია პატარაქმულის მახლობლად, რკინიგზის სადგურ იორიდან 4 კმ-ის დაშორებით, შემთხვევით გამოვლენილ სამარხში. ნივთები თარიღდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით. 1958 წ. მუზეუმში მოხვდა პატარაქმულიდან მომდინარე რკინის შუბისპირის მასრის ნატყეპი, სამანჭვლე ნახვრეტები. 1970 წ. მუზეუმს შეუძენია სადგურ იორთან აღმოჩენილი ბრინჯაოს მთლიანადსხმული სატყვარი, რომელსაც პირის მთელ სივრცეზე გაუყვება ოთხი ჩაღარული ზოლი. სატყვარი თარიღდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით. მუზეუმში ინახება 1965 წ. პატარაქმულში შემთხვევით აღმოჩენილი პოლანდიური ოქროს დუგატი. მონეტის შუბლზე გამოსახულია მარცხნივ მიმართული აბჯარასხმული მეომარი, რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს მხარზე გადაებული მახვილი. წინ ვაწვედელ მარცხენა ხელში კი – ზავითი შეკრული ისრების კონა. გამოსახულების გვერდებზე თარიღია 1752. ორგვლივ ლათინური ზედწერილი: „თანხმობის მცირე საქმენი დიდდება, პოლანდია“. მონეტის ზურგზე ოთხკუთხედი კარტუშია, რომლის შიგნით ხუთსტრიქონიანი ლათინური ზედწერილია: „მოკავშირე პროვინციის ბელგიის მთავრობის მონეტა, იმპერიის კანონის თანახმად“. მონეტის ზომაა 23

მმ, წონა 3,45 გრ (ქებულაძე 1971: 40).

პატარძელში შემორჩენილია XVIII ს-ის ორი ცილინდრული კოშკი, ერთი – სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. კოშკის ირგვლივ სხვადასხვა ნაგებობათა ნანგრევებია. ის ხუთსართულიანია. შესასვლელი აქვს მეორე სართულზე. პირველს ერთი სარკმელი ჰქონია. ზედა სართულებზე სათოფურებია. პირველი, მესამე და მეხუთე სართულების გეგმა წრიულია. მეორე სართული შვიდგვერდაა. მეოთხის გარდა, სართულებს გუმბათიანი გადახურვა აქვთ (ზაქარაია 1988: 175, 176). მეორე კოშკი სოფლის სამხრეთ-დასავლეთითაა. ისიც საბრძოლო-საცხოვრებელი დანიშნულებისაა. შესასვლელი მეორე სართულზეა. სოფლის ჩრდილოეთით, გორაკზე ციხის ნანგრევებია. სოფელში შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ეკლესია.



პატარძელის კოშკი

ბიბლიოგრაფია: აბარშიშვილი 1957: ტაბ. I, №111; 1961: 370; ბაგრატიონი დავით 1941: 43; ბაგრატიონი 1983: 51, 82; ბაგრატიონი 1986: 66; ბერძენიშვილი 1960: 152; გიულდენშტედტი 1962: 19, 261; გიუნაშვილი 1985: 38-44; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 331; 1953: 108; ზაქარაია 1988: 175, 176; თავგადასავალი ... 1913: 37; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 294; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 172; მენაბდე 1988: 61-71; ნარიშკინიშვილი 1999: 68, 69; ნიორაძე 1940: 36; რამიშვილი 1959: 44; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 49, 79, 110, 111; საქ. სოდ. 1910: 208; უვაროვა, რადე, 1902: 97; ფიცხელაური 1959: 110; 1965: 26; 1973: 25, 180; ქართლ-კახეთის ... 1903: 34, 63, 69, 73, 91, 95; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 180, 689, 693; 1972: 371; 1977: 314; 1981: 128, 333; 1985: 538; ქებულაძე 1971: 40; ქრონიკები 1897: 197, 434, 453; 1967: 61, 598, 605; ქც 4: 616,20; ხერხეულიძე 1913: 276, 283.

პატრასი, პატრიანი, სოფელი (ქც 4: 326,2,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 326,2,5), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 47), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 129), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სოდ. 1920: 141, 383; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 33; ლორთქიფანიძე 1935: 539).

ვახუშტი ბაგრატიონი ალგეთის მიდამოების აღწერისას აღნიშნავდა: „პატრიანს ზეით კლდეკარდიდგორამდე არა არს ვენახნი და ხილნი ... პატრიანს ქუეით ვაკეს არს ლოდი, რომელი გუაღვასა თუ გარდაბარუნო და შენამო მოვალს წვიმა“ (ქც 4: 326,2-6).

მდებარეობს თეთრი წყაროს მუნიციპ-ში, მდ. ალგე-

თის ხეობაში, ლაკვის წყლისა და ალგეთის შესართავთან, ლაკვის წყლის მარჯვენა ნაპირზე (ლორთქიფანიძე 1935: 306, 309; 1938: 37).

1721 წ. აღწერით პატრიანში იყო ორი მებატონე (ქაიხოსრო და დემეტრე თაყაიშვილები) და ორი გამოძღვნი ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 539).

პატრიანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 47; დადიანი 1962: 129; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 33; ლორთქიფანიძე 1935: 306, 309, 539; 1938: 37; საქ. ისტ. რუკა 1923; საქ. სოდ. 1920: 141, 383; ქც 4: 326,2,5.

პატრას ციხე (ქც 4: 381,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 381,21), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 80), ბაგრატი ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 117), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 330), ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ... 1979: 81), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 219).

ვახუშტი ბაგრატიონი პეტრეს ციხის შესახებ გადმოგვცემს: „მტკვრის კიდეა ზედა, სამხრით, პეტრეს-ციხე, ფრიად მაკარი და შეუაღლი მტრისაგან. ამ ციხეს დასავლეთ უდის ყვერბლის-ხევი ... პირისპირ ციხისა მოერთვის მტკუარს ჩდილოდამ ლიკანის-ხევი“ (ქც 4: 381,20-24).

მდებარეობს ბორჯომის მუნიციპ-ში, მტკვრის მარჯვენა ნაპირის მაღალ კლდეზე, სოფ. ლიკანის პირდაპირ.

პეტრეს ციხის ადრინდელი სახელი უნდა იყოს ყვერბლის ციხე. ახლანდელი კი უკავშირდება მის მფლობელ პეტრე ავალიშვილს. ციხე სდარაჯობდა ლიკანიდან მტკვარზე გადაშავალ ხილსა და გზას (ბერძენიშვილი 1985: 22). შემდეგ ციხე თორის ოსმალური აღმინისტრაციის ცენტრად იქცა. თორის კი პეტრეს ლივა ეწოდა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 330). 1639 წ. ზავით პეტრეს ციხე ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა (ბერძენიშვილი 1985: 60). XVIII ს-ში ის ავალიშვილთა საყრდენს წარმოადგენდა. 1742 წ. ციხე გივი ამილახვარს ეჭირა. 1744 წ. აქ ქართველებმა ოსმალთა ჯარს დაამარცხეს (ორბელიანი 1981: 80). 1772 წ. პეტრეს ციხე და მისი მიმდებარე მხარე მოსახლეობისაგან დაცლილია (გიულდენშტედტი 1962: 219). 1812 წ. აქ მოუკლავთ პატრიანიშვილი ლეონი (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 117).

პეტრეს ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ის შედგება ციტიადელისა და მასთან დაკავშირებული ეზოსაგან. შიდა ციხეში არის საცხოვრებელი ნაგებობების, ხარობისა და მარნის ნაშთი. გალავანში დატანებულია სათოფურები და სალოდეები. ციხის ქვედა, XI-XII სს-ის ფენა გამოირჩევა თარაზული წყობით. შემდგომ ნაგებობა მრავალგზისაა გადაკეთებული. ციხის ძირში არის ყვერბლის

ნასოფლარი XI-XII სს-ის ეკლესიითა და სასაფლაოთი (ბერმენიშვილი 1985: 22).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 117; ბერმენიშვილი 1985: 22, 60; გიულდენშტედტი 1962: 219; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 330; მაკალათია 1957; ქც 4: 381,21; ჩილდირის ... 1979: 81.

პირღმუპულო, მონასტერი (ქც 4: 322,18). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 322,18).

ვახუშტი ბაგრატიონი პირღმუპულის შესახებ გადმოგვცემს: გვიანას მონასტრის „ქუემორ მონასტერი ქციას ხრამსა შინა პირღმუპულ, კლდე გამოკუეთილი, დიდითა შენობითა და ყოვლით შემკული, ზის არქიმანდრიტი. იტყვიან თამარ მეფის ქმნულსა“ (ქც 4: 322,18).

პირღმუპულის მონასტერი მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპ-ში, სამშვილდის სამხრეთ-დასავლეთით,

3 კმ-ის დაშორებით, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე.

კომპლექსში შედის მდიდრულად მოჩუქურთმებული ეკლესია, რომელიც თარიღდება XIII ს-ის პირველი ნახევრით. XVII ს-ის მეორე მეოთხედში ეკლესია შეაკეთეს. მიაშენეს კარიბჭე, რომლის თავზე დაცული წარწერის მიხედვით მონასტრის მეორედ აღშენება ეკუთვნის თბილელ ეპისკოპოსს ელისე საგინაშვილს. იმავე დროისაა ეკლესიის მახლობლად მდებარე ორსართულიანი სამრეკლო და წინამძღვრის პალატი. ეკლესიას ირგვლივ არტყია გალავანი. ეკლესიის მახლობლად მრავალი საცხოვრებელი, სამეურნეო ნაგებობა და ერთი მცირე ეკლესიაა (ციციშვილი 1979ა: 5). XVIII ს-ში პირღმუპული მონასტერი აბაშიშვილების (ბარათაშვილთა განაყარი) მფლობელობაში შედიოდა (ბერმენიშვილი 1979: 97, 117)

ბიბლიოგრაფია: ბერმენიშვილი 1979: 97, 117; ქც 4: 322,18; ციციშვილი 1979ა: 5.



უ



ქალთბი (ქც 1: 126,1; ქც 4: 525,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქც 1: 126,1), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 525,1; 531,9,10,14,21; 587,11), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 311,22), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 392,23,24), „მოქცევაი ქართლისაი“ (სამი ისტ. ქრ. 1890: 18; მქ 1963: 89), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 65), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 350, 401, 402).

ვახუშტი ბაგრატიონი ჟალეთის შესახებ გადმოგვცემს: ერწოს წყლის „შესართავს ზეით, იორის პირზედ, არს, აღმოსავლეთი კერძ, ყალეთი, შენობა დიდი და შემუსრვილი. ვგონებთ ამას ჩელებად, რომელი აღაშენა კახოს ქალაქი, რომელსა პირველ ბერ ერქუა. შემდგომ გორგასალ აღაშენა ეკლესია კეთილშუენიერი, გუმბათიანი და დასუა ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-ხევსურისა და ხერკისა“ (ქც 4: 531,8-14).

მდებარეობს თიანთის მუნიციპ-ში, მდ. იორის შუა წელზე, დღევანდელი სოფ. საყარაულოს პირისპირ, ივრის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ჭიოტიანთ-კარის აღმოსავლეთით აღმართულ, ტყით დაფარული მცირე მთის თავზე. ამ ადგილს დღესაც ჟალეთს ეძახიან (მუსხელიშვილი 1966: 26).

პირველად იხსენიება IV ს-ის ამბების თხრობისას. წობენიდან წმინდა ნინო გადავიდა ჟალეთს და ქრისტიანობა უქადაგა ერწო-თიანელთ (სამი ისტ. ქრ. 1890: 18; ქც 1: 126,1). 1032 წ. ბაგრატ IV-სთან (1027-1072) დამარცხებული განძის ამირა ფადლონი ჟალეთში მიიყვანეს ისაკ ტლოხელიძესთან (ქც 1: 311,22). 1614 წ. ჟალეთის მიდამოებში გაიმართა ბრძოლა მეფე თეიმურაზ I-სა (1606-1648) და შაჰ-აბასს შორის (ქც 2: 392,23,24; ქც 4: 587,11).

1949, 1951 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი) ივრის ხეობაში მიაკვლია ჟალეთის ციხესა და ეკლესიას (ბერძენიშვილი 1964: 181, სქ. 5). 1951 წ. უჯარმის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღ. გ. ლომთათიძე) ერთ-ერთმა რაზმმა შეისწავლა V-VI სს-ის სიონის ბაზილიკა (ციციშვილი 1955: 49). 1958-1960 წწ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა და საქართველოს კულტურის სამინისტროს

ბეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სამმართველოს ერთობლივმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. ჩუბინაშვილი) სოფ. საყარაულოსთან, მდ. ივრის მარჯვენა ნაპირზე შეისწავლა IX-X სს-ის ჟალეთის სამნავიანი ბაზილიკა. ეკლესია რესტავრირებულია 1961-1962 წლებში (ქალდიშვილი 1966). 1962 წ. სიონის წყალსაცავის მშენებლობის გამო შეიქმნა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სიონის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. რ. რამიშვილი), რომელმაც იქ გამოავლინა ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლები. სოფ. სიონის ტერიტორიაზე გაითხარა ბაზილიკა და მასთან მიმდებარე სამართავანი (რამიშვილი, ჯორბენაძე 1963: 79-84; 1964: 13-22; რამიშვილი 1970).

სიონის ტაძარი გვემაში სწორკუთხაა, რომელიც ორი წყვილი მრგვალი სვეტით გაყოფილია სამ ნავად. ცენტრალური გვერდით ნაგებზე განიერია. ღრმა, ნალისებური, შვერილი ხუთწახნაგა აფსიდა, შიდა სივრცისაგან გამოყოფილია თაღებით. ეკლესია აგებულია შირიმის კვადრებით. სვეტები და კედლები შემკულია მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით, აგრეთვე ცხოველთა გამოსახულებით. ნაგებობა გარედან სადაა. ეკლესია თარიღდება V-VI სს-ით (ციციშვილი 1955: 49). სხვა მოსაზრებით VIII-IX სს-ით (ჩუბინაშვილი 1959: 132-159).

სიონის სამართავანზე გაითხარა ადრე, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების 100-მდე სამარხი. ადრეული სამარხებიდან აღსანიშნავია აკლდამა (სიგრძე 8,75 მ), რომელიც მდებარეობდა ეკლესიის ჩრდილოეთი მინაშენის აღმოსავლეთით 1 მ სიღრმეზე. ნაგებია შირიმის ქვათილებით. მას აქვს დასაკრძალავი საკანი და ტალანი (შესასვლელი) აღმოსავლეთიდან. დასაკრძალავი დარბაზი სწორკუთხაა (3,7X3,45 მ). აღმოსავლეთით დაბალი კარი და სამსაფეხურიანი კიბეა. იატაკი მოგებულია შირიმისავე ქვით. კარი იკეტებოდა დიდი ქვათილით. აკლდამის თალიც შირიმის უნდა ყოფილიყო. იატაკზე ორი საცხენდრეა. მათ შორის ვიწრო გასასვლია. აკლდამის ორფერდა სახურავი პირდავლიკული ხსნარით იყო გადაღესილი და დაფარული ბრტყელი და ღარიანი კრამიტით. კამარის საძვალეში აღირიცხა 40 ინდივიდის ძვლები. აკლდამა გამარცვლი იყო. მისი გასუფთავებისას აღმოჩნდა: 3 ვითლად გამომწვარი თიხის ჯამბი, რომელთაგან ერთზე ამოკაწრულია სვასტიკა; 2 ან-

გობით მოხატული და ჭიქურის ლაქებით შემკული ჯამი; 3 ვერცხლის ბეჭედი; ვერცხლის სამაჯურის ნატეხი; ვერცხლის დილები; ბრინჯაოს დილი; რგოლი; ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის (1478-1505) სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა. აკლდამა თარიღდება VI ს-ით (რამიშვილი 1970: 52).

ჩუქურთმისანი სამარხი მდებარეობდა აკლდამის შესასვლელის სიახლოვეს. ნაგები იყო ქვიშაქვის დიდი ფილებით. სამარხი შირიმის ქვით ორად იყო გაყოფილი. ჩრდილოეთით მდებარე განყოფილება მშენებლებმა მოანგრეს. იატაკი ქვითაა მოკეპული. შიგნიდან ორივე განყოფილებას კედლების ზედა ნაწილში 15 სმ სიგანის ჩუქურთმისანი ფრიზი შემოუყვება, რომელზეც ამოკვეთილია გეომეტრიული ორნამენტები – წრეებში ჩასმული ფოთლისებური მოყვანილობის ჯვარედინი ნაჭდეგები. სამარხში გამოვლინდა: თიხის ორფურა ჭურჭელი, მინის სასმისი, ბრინჯაოს საყურეები, დილები (3 ც), ბეჭედი, რკინის სამაჯურები, მინის მძივები. მასალა ძირითადად XI-XIII სს-ით თარიღდება, მაგრამ სამარხი გაცილებით ადრეულია და მასში დაკრძალვა მიმდინარეობდა დიდი ხნის მანძილზე (რამიშვილი 1970: 56-58). სიონის ბაზილიკა, აკლდამა და ჩუქურთმისანი სამარხი ვადატანია საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის მუზეუმში ღია ცის ქვეშ.

სიონის ბაზილიკის ირგვლივ გაითხარა შუა საუკუნეების ვრცელი სამაროვანი, რომელშიც გამოვლინდა იარუსებად განლაგებული 100-მდე სამარხი. მათ შორის გვხვდება: 1. შირიმის კარგად გათლილი ფილებით ნაგები სამარხები. 2. ქვიშაქვის, იშვიათად, კირქვის, უხეშად დამუშავებული, დიდორნი ფილებით შედგენილი ქვის სამარხები. 3. ნატეხი ქვით ამოშენებულკედლიანი სამარხები. 4. დიდი ზომის კოლექტორული ქვის სამარხები. 5. ორმოსამარხები. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია. სიონის სამაროვანზე მოპოვებულია მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა: თიხის სუფრის ჭურჭელი. მოუჭიქავი ჭურჭლიდან აღსანიშნავია კარგად განლექილი თიხისაგან დამზადებული, ჩალისფრად ან ვარდისფრად გამომწვარი პირფალიანი ცალფურა ან ორფურა სასმისები, შემკული კანელურებით, ირიბი რელიეფებითა და კოპებით, მრგვალობრიანი და სამტურა საღვინე ხელალები. მოჭიქული ჯამები დამზადებულია მსხვილმიწარევიანი თიხისაგან. გამომწვარია წითლად. მათში გვხვდება ერთფრად (მწვანე, ცისფერი) და მრავალფრად მოჭიქული ნიმუშები, რომლებშიც დეკორად გამოყენებულია მცენარეული და გეომეტრიული სახეები, ფრინველისა და ცხოველთა გამოსახულებები. ზოგიერთი ჯამი ანგობითაა მოხატული. სხვა სახის კერამიკიდან გვხვდება: ქოთნები, ხელალები. მინის ნაწარმიდან აღსანიშნავია: ძაბრისებური მაღალი სასმისები; პირფართო ქუსლიანი და ჭიქისებური სასმისები; ხელადის მსგავსი „ფლაკონის“ ფრაგმენტები; სანელსაცხებლეები. მინის სამკაულიდან გვხვდება მრავალფეროვანი სამაჯურები; სხვა-დასხვა ფორმის მძივები; სამარხებში აღმოჩნდა: ბრინჯაოს

ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, დილები, სასაფეთქელ რგოლები, ჯვარი; ვერცხლის თვალბუდიანი და ფარაკიანი ბეჭდები, სამაჯურები, ჯვარი; რკინის სამაჯურები, ბეჭდები, ჯვარი. ზოგიერთ სამარხში შემორჩენილი იყო ქსოვილის ნაშთი. სამაროვანზე მოპოვებულია 12 მონეტა. მათგან უძველესია XIII ს-ის მანგუ ყაენის სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა; ორი ჰულაგუიდურია, ერთი ჯუჩიდურია XIV ს-ის (რამიშვილი 1970: 86-129).

1962-1963 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ყალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. დ. მუსხელიშვილი) შეისწავლა „ყალეთის მთა“. მას უკავია სტრატეგიული ადგილი იმ გზაზე, რომელიც კახეთის მთიანეთისაკენ მიემართება ბართან. იქ გადის უმოკლესი გზა მცხეთისა და არაგვისპირისა ერწოზე გავლით შიგნით კახეთისაკენ და „ცხერის გზის“ ძველი ტრასა (მუსხელიშვილი 1966: 3-6). ექსპედიციამ შეისწავლა მთის თხემი, რომლის დასავლეთ ფერდზე გამოვლინდა ფლითით ქვევით კირსნარზე ნაგები შენობის ნაწილი და სამეურნეო ნაგებობები, ეკლესია და კოშკი, რომელიც XIX ს-ში იწინაშეა პ. უვაროვამ (უვაროვა 1904: 4, 5). განათხარ ფართობზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის უმეტესობა კერამიკაა. მათგან აღსანიშნავია: ქოთნები, ბადიები, ხელალები, ჯამები; სამეურნეო ჭურჭელი წარმოდგენილია ჩაფების, დერგების, ქვევრებისა და სადღვევლების ფრაგმენტებით. სამშენებლო კერამიკიდან გვხვდება რელიეფური ორნამენტით შემკული ბრტყელი და ღარიანი კრამიტები. ბრტყელი კრამიტის ორ ნატეხზე შემორჩენილია ხუცურით შესრულებული წარწერა: „სტეფა“ და „სტ“. მოჭიქული კერამიკიდან აღსანიშნავია ერთფრად და მრავალფრად მოჭიქული ჯამები. შემკულობაში გამოყენებულია ყლორტისებრი ორნამენტი და ფრინველის გამოსახულებები. განათხარ მასალაში გვხვდება ფაიანსის ნატეხებიც. გათხრებისას აღმოჩნდა აგრეთვე: ძვლის კვირტისავი, მინის მძივი, მინის სამაჯურებისა და ჭურჭლის ფრაგმენტები, რკინის დანები, რგოლი, აბზინდა, შვლისა და ირმის დამუშავებული რქები (მუსხელიშვილი, რამიშვილი 1964: 43-46; ჯორბენაძე 1982: 148-150).

გაიწმინდა ყალეთის მთის ციხესიმაგრის გალავანი, რომელსაც სამხრეთით და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აქვს კარიბჭეები. გალავნის კედლები მცირედლაა შემორჩენილი. ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით. გალავნის შიგნით ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დგას წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია, სამხრეთის მინაშენით. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ერთი სარკმელია აფსიდაში და ერთი სამხრეთის მინაშენის აღმოსავლეთ კედელში. გადახურულია რელიეფური დეკორით შემკული კრამიტით. გალავნის დასავლეთ კედელში ჩაშენებულია სწორკუთხა კოშკი. ციხესიმაგრის შიგნით გაითხარა 14 სამარხი. სამარხები ოთხი ტიპისაა: 1. ორმოსამარხები. 2. ქვის სამარხები. 3. ამოშენებულკედლიანი

სამარხები; 4. აკლდამა. სამარხები დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია. სამარხები სავგარეულოა. მხოლოდ ერთში (№6) აღმოჩნდა XI-XIII სს-ის დამახასიათებელი მინის მოლურჯო სადაზედაპირიანი სამაჯურის ნატეხი და რკინის სამაჯურის ნატეხი (ჯორბენაძე 1982: 148-152).

გალავნის შიგნით გამოვლინდა განძი, რომელიც შედგება ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭდების, საყურეების, რგოლების, ყელსაბამისა და ღილებსაგან; ჯვრებისა და მონეტებისაგან რუსულენოვანი წარწერით. განძი თარიღდება XVI-XVIII სს-ით (ჯორბენაძე 1982: 152).

ჟალეთის მთაზე მდებარეობდა განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ციხესიმაგრე. გორგასლის დროინდელი ჟალეთი კი სავარაუდოა სოფ. სიონის ტერიტორიაზე, სადაც სიონის ბაზილიკის მიდამოებში მშენებლების მიერ განადგურდა მრავალი შენობის ნაშთები და, სავარაუდოდ, სასახლის ნანგრევებიც.

ექსპედიციის მიერ სოფ. კუპრიანთკარში მიკვლეულია (ამჟამად დატბორილია) ადრე ბრინჯაოს ხანის მასალის შემცველი ფენა, რომელიც შემდგომ დააზიანა იქ გამართულმა გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანმა (რამიშვილი 1970: 11). ივრის სიონის ტერიტორიაზე და ჟალეთის მთაზე მოპოვებული მასალა ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე.

ივრის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. საყარაულოსთან, მეორე ეკლესიაა, რომელიც წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას (17X11 მ). გეგმაში წაგრძელებული ოთხკუთხედიანა. ნაგებია რიყის ქვით. კედლებში დატანებულია ხის ბოძები, ცალკეულ კონსტრუქციებსა და დეკორატიულ ელემენტებში გამოყენებულია შირიმის ქვაც. ბურჯების ორი წყვილით გაყოფილია სამ ნაგად. აქვს ნახევარწრიული აფსიდა, რომლის წინ ღრმა ბემაა. აფსიდის ორივე მხარეს საღიაკენე და სამკვეთლოა, რომლებიც ვიწრო კარით უკავშირდებიან შესაბამის ნაგებს. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა. ამავე მხრიდან აქვს მიშენებული ვიწრო გარსშემოსავლელი. აღმოსავლეთ ბურჯებს შორის რიყის ქვით ამოშენებული სექსაგონია, რომლის კუთხეები შირიმის ქვისაგან გათლილი მრგვალი სვეტებია. მას აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მიდგომული აქვს ქვის საფეხურები. ძველი ადღეენილია 1961-1962 წლებში (ქადეიშვილი 1964).


ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 65; ბერძენიშვილი 1964: 346-367; მქ 1963: 89; მუსხელიშვილი, რამიშვილი 1964: 43-46; მუსხელიშვილი 1966: 26; რამიშვილი, ჯორბენაძე 1963: 79-84; 1964: 13-22; რამიშვილი 1970; სამი ისტ. ქრ. 1890: 18; უგაროვა 1904: 4-6; ქადეიშვილი 1964; შარდენი 1975: 350, 401, 402; ქც 1: 126,1; 311,22; ქც 2: 392,23,24; ქც 4: 525,1; 531,9,10,14,21; 587,11; ჩუბინაშვილი 1959: 132, 133; ციციშვილი 1955: 49; ჯორბენაძე 1982: 168, 169.*

ჰ063A60, ქალაქი, ციხე (ქც 4: 222,29). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 222,29; 243,18; 244,6; 247,13; 532,9,20,23; 534,8,სქ.2; 535,4; 561,10), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 55,9), ჟამთაღმწერელი (ქც 2: 251,11; 302,6; 308,1), XII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 260, 264, 277; 1897: 182, 196, 293, 408, 182; 1967: 384; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 73, 96, 183-185; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 29; 1970: 234, 558, 559; 1985: 746; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 173, 174; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 122; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 2; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 310; საბუთები ... 1947: 308, 309), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთისა აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 35, 65), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 47, 49, 273).

ვახუშტი ბაგრატიონი ჟინვალის შესახებ გადმოგვცემს: „ჟინვანი არს შავისა და თეთრის არაგვის შესაკრებელს შორის ციხე შენი და მაგარი, და იყო ქალაქი და აწ უქმ არს“ (ქც 4: 534,8-10).

მდებარეობს დუშეთის მუნიციპ-ში, ორი არაგვის შესართავთან, მდინარის ორივე ნაპირზე, სოფ. ჟინვალის ტერიტორიაზე. ამჟამად მოქცეულია ჟინვალის წყალსაცავის ფსკერზე.

როგორც ქალაქი, მოხსენიებულია XII ს-ში. თამარ მეფემ (1184-1207) მანდატურთუხუცეს ჭიაბერს უბოძა „ჟინვანი, ქალაქი და ციხე მრავლითა მთიულეთითა“ (ქც 2: 55,8,9). ჭიაბერამდე ჟინვანის პატრონი უნდა ყოფილიყო ქართლის ერისთავთ-ერისთავი და თბილისის ამირა აბულასან იოზის ძე, რომელიც „ლურჯი მონასტრის“ წარწერის მიხედვით, იყო პატრონი „შვიდთა მთიულთა“ (რატინი 1975: 6). 1189-1190 წწ. საბუთით ჭიაბერის შემდეგ ჟინვანის პატრონია ვინმე შოთა (ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: 97). 1298 წ. საბუთით ქალაქს ჰყავდა ამირა, რომელსაც ემორჩილებოდა გარშემო არსებული სოფლები. იქვეა მოხსენიებული ქალაქის მოურავი და სხვა მოხელეები (ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: 183-185). მეფე დავით VII ულუმ (1247-1270) ყაენის გამოგზავნილი ოსი ლტოლვილები დაასახლა ჟინვანს (ქც 2: 251,11). ყაზან ყაენისაგან ლტოლვილმა მეფე დავით VIII-მ (1298-1313) ჟინვანში შეკრა სიბა და თვითონ მთიულეთში გაიხიზნა (ქც 2: 302,6). მისი ძმა ვახტანგი დაპატიმრებული იყო ჟინვანის ციხეში (ქც 2: 308,1). მეფე გიორგი V ბრწყინვალეს (1314-1346) ჟინვანში ჰქონდა სასახლე (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 29). 1474 წ. საბუთში ჟინვანი თბილისისა და გორის გვერდით ქალაქად იხსენიება (გვასალია 1975: 74, სქ. 98). 1494 წ-ის სიგელით ერისთავთ-ერისთავი ვამიყ შაბურგისძე ხანდაკელებს ათავისუფლებს ჟინვანის გამოსადგებისაგან, რაც ჟინვანის, როგორც ქალაქის, დაცემის საბუთია (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 174). 1498 წ. მეფე ალექსანდრემ სვეტიცხოველს განუახლა ჟინვანს მცხოვრები შვიდი კომლი კაცის შეწირუ-



ჟინვალის ნაქალაქარის ერთ-ერთი უბნის გეგმა

ლობა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 174). 1569 წ. წილკნის საეპისკოპოსოს სიგელში ჟინვანი მოხსენიებულია სოფლად (ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 558). XVIII ს-ში ჟინვანი მეფე ერეკლე II-ის (1744-1798) ძის, ვახტანგის სამეგვიდროა (ბაგრატიონი 1986: 35). XVIII ს-ის აღწერის ნუსხით ჟინვანში 15 კომლი ესახლა (საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 122).

1875 წ. ჟინვალში ცოლ-ქმარმა უვაროებმა რამდენიმე სამარხი გათხარეს (უვაროვა 1904: 1, 2). 1964 წ. ჟინვალის პირობოპოლიტიკის მშენებლობის გამო ჟინვალის ტერიტორიაზე სადაზვერვო სამუშაოები ჩატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ლ. წითლანაძე) (წითლანაძე, შატბერაშვილი, კახიძე, 1965: 21-23). ძეგლის ფართობსშატაბიანი და სისტემატური არქეოლოგიური შესწავლა მიმდინარეობდა 1971-1985 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. რ.რამიშვილი). გამოვლენილია ძეგლები ენეოლითური ხანიდან ვიდრე გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით.

ხერთვისის ენეოლითური ხანის ნასახლარი მდებარეობდა სოფ. ჟინვალიდან ჩრდილოეთით 1 კმ-ის დაშორებით, მდ. ფშავის არაგვის მარჯვენა ნაპირზე. იქ გაითხარა მრგვალი ორმო 1,8 მ სიღრმისა, რომელშიც გამოვლენიდა ნაცრისფერკეციანი, უხეშად ნაძერწი, მსხვილმინარევიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, პირზე ნაჭდევებით; აგრეთვე

კაყის რამდენიმე ანატაკეცზე დამზადებული იარაღი (რამიშვილი 1981: 54).

ენეოლითური ხანის მეორე ნასახლარი მდებარეობდა სოფ. ჟინვალის სამხრეთ ნაწილში, ჟინვალის სამარონის ქვეშ 2,5-3 მ სიღრმეზე, სადაც გამოვლენიდა ნახანძრავი ფენა. ძეგლი

ერთფენიანია. არქეოლოგიური მასალიდან აღსანიშნავია მოწითალოკეციანი, ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ცილინდრული ყელით, ოდნავ გადაშლილი პირით. პირზე შემოუყვებათ დაკბილული და ტალღოვანი ორნამენტი. იქვე გამოვლენიდა ობსიდიანის ლამელა – ანატაკეცებზე ჩამოყალიბებული იარაღი და იარაღის ნაშუადი; რიყის ქვის ცულები; რქის თიხები. მასალა თარიღდება ძვ. წ. IV ათასწლეულით (ჩიქოვანი 1996: 5-11; ჭელიძე, ჩიქოვანი 1991: 4).

ადრებრინჯაოს ხანის საკულტო ძეგლი მდებარეობდა მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, ხევსურეთის ხიდიდან აღმოსავლეთით 100-ოდე მ-ზე, მთის დაძვრეც ფერდზე. 3 მ სისქის ფენაში გამოვლენიდა: არქაული იერის მქონე ნაცრისფერკეციანი, ხელით ნაძერწი, ბზე და ობსიდიანის მინარევიანი თიხისაგან დამზადებული ჭურჭლის ნატეხები. იქვეა გამოვლენილი ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკა. ზედა ფენაში ელინისტური, გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების კერამიკის ფრავმენტები ჩნდებოდა. ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა მოვარდისფრო-მოწაბლისფროა, ზედაპირნაპრი-ალები, შემკულია კოპებით, ნაკაწრი ორნამენტით, გველისა და ჯიხვის ფიგურების რელიეფური დანაძერწებით. შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკის ზედაპირი შავბრიალაა. შემკულია მდიდრული გეომეტრიული ორნამენტით. გამოვლენილ მასალაში უნიკალურია შენობის კედლის ძირთან აღმოჩენილი უხეში თიხისაგან ნაძერწი, რელიეფური სპირალეებით შემკული ღვთაების სტილიზებული გამოსახულება. შენობის წინ, შემადლებულ მოედანზე ეწყობ კერამიკული ჭურჭლის ნატეხები: სხვადასხვა ზომის სასმისები; ქოთნის, კერისა და დიდი ზომის ჭურჭლის ნატეხები; ძეგლისა და ობსიდიანის ისრისპირები, სახვრეტები; სპილენძის ხიშტისმაგვარი იარაღი და სხვ. ძეგლი თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულით (რამიშვილი 1982: 30, 31).

ხერთვისის ენეოლითურ ნასახლარზე გაითხარა ელინისტური და გვიანი რომაული ხანის სამარხები. ოთხ ქვყყირიდან ორმოსამარხში მიცვალებულები დაეკრძალათ ხელფენბოკეცილი, გვერდზე, თავით სახრეთით. სამარხეული ინვენტარი: თიხის ნაცრისფერკეციანი ჭურჭელი; ბრინჯაოს ცილინდრული, გვერდებშეჭრილი ზარაკი; სამაჯურები; მინის მიძეები; მრგვალი საბეჭდავი ფრინველების გამოსახულებით. სამარხები თარიღდება ძვ. წ. V-III სს-ით. მეხუთე ორმოსამარხი იყო. მიცვალებული დაეკრძალათ კიდურებმოხრილი, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთით. სამარხეული ინვენტარი: ვარდისფერკეციანი ხელადა, ბრინჯაოს აბზინდები, რკინის მასრაგახსნილი შუბისპირი, მოხრილი დანა, სალესი ქვა და სხვ. თარიღდება ახ. წ. II-III სს-ით (რამიშვილი ... 1980: 414). გვიანრომაული ორი ორმოსამარხი გაითხარა სოფ. ჟინვალის ჩრდილო-დასავლეთით. მიცვალებულები დაეკრძალათ კიდურებმოხრილი, მარცხენა გვერდზე თავით სამხრეთით. სამარხეული ინვენტარი:



არტფაქტი ჟინვალიდან

სამტყუა ხელადა კოპებით დაფარული ტანით; რკინის შუბისპირი, ბრინჯაოსა და რკინის რგოლები, რკინის საკინძის ნატეხები, მოოქრული მინის მრავალწახნაგა მძივები, რკინის დანა, გახვრეტილი ეშვისებრი საკიდი. სამარხები თარიღდება გვიანანტიკური ხანით (რამიშვილი ... 1974: 65). გვიანრომაული-ადრე შუა საუკუნეების ვრცელი სამაროვანი გაითხარა 1974-1985 წწ. სოფ. ჟინვალში, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, სოფლის სამხრეთ ნაწილში, ადგილ „ნაფუძვრებში“. სამაროვანს ეკავა დაახლოებით 1 ჰა ფართობი. შესწავლილი 556 სამარხიდან გვიანრომაული ხანისაა 269, ადრე შუა საუკუნეების – 287 სამარხი. სამარხები შემდეგი ტიპისაა: ქვევრსამარხი – 1, ორმოსამარხი – 301, ქვამიწაყრილიანი ორმოსამარხი – 13, ყორეკელიანი სამარხი – 5, ხის ძელებით გადახურული ორმოსამარხი – 20, ქვისწრიანი ორმოსამარხი – 6, ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი – 29, კატაკომბა – 51, ქვის ფილებით შედგენილი სამარხი – 127. 246 სამარხი წინაქრისტიანული ხანისაა. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. მიცვალებულები დაკრძალულია თავით დასავლეთით. 3 მათგანი – თავით აღმოსავლეთით. 9 სამარხი დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთით. მიცვალებულები დაკრძალულია თავით ჩრდილოეთით. 19 სამარხი დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთით. მიცვალებულები დაკრძალულია თავით სამხრეთით. არქეოლოგიური მასალა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია: კერამიკა – სასმისები, ხელადები, კოჭობები; მინის ჭურჭელი; რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღი; ბრინჯაოს მუსიკალური ინსტრუმენტები – წინწილები; ვერცხლის მონეტები: პართიული, რომაული, სასანური. მრავალრიცხოვანია ნივთ-სამკაული: 637 ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინისა და მინის ბეჭდები, რომელთაგან 140 გემიანია (სამზე ბერძნული წარწერაა, ერთზე იკითხება „ბაკური“); საყურეები, სასაფეთქლე და საკისრე რგოლები, მშველდასკინძები, საკინძები, გულქანდები, ყელსაბამები, აბზინდები, ავგაროზები, ამულეტები, მძივები (16000 ც) და სხვ. მოპოვებული მასალის მიხედვით, სამაროვანი და იქვე არსებული ნამოსახლარის ნაშთი თარიღდება ძვ. წ. I-ახ. წ. VIII სს-ით (რამიშვილი ... 1976: 71, 72; რამიშვილი, ჯგორბენაძე 1982: 106-108; ჩიხლაძე 1977: 95-101; 1982: 92-103; 1984: 159-160; 1985: 544; 1990: 184-196; 1990ა; 1993).

ადგილ „კვირაცხოველზე“, ადრე შუა საუკუნეების 11 სამარხი გაითხარა, რომლებიც სხვადასხვა დონეზე მდებარეობდნენ. ქვედა დონეზე გამოვლინდა 1 ორმოსამარხი. მიცვალებული დაკრძალული იყო გაშლილი, თავით დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა რკინის ღეროს ნატეხები. დანარჩენი სამარხები ქვისაა. 11-დან სამში მიცვალებული დაკრძალულია კიდურებმოხრილი, თავით აღმოსავლეთით. დანარჩენში – ქრისტიანული წესით. სამარხებში გამოვლენილია მინის 2 სამაჯური; ბრინჯაოს 2 ბეჭედი;

რკინის ღეროს ნატეხები. ზოგიერთი უინვენტარო იყო. სამარხები თარიღდება VI-VIII სს-ით. გაითხარა „კვირაცხოველის“ ეკლესიის ნანგრევებიც, კლდის ქანში შექმნილ ბაქანზე დაშენებული იყო მცირე ზომის ძლიერ დანგრეული დარბაზული ეკლესია. არქეოლოგიური მასალის (მოჭიქული ჭურჭლის მცირერიცხოვანი ფრაგმენტები, ღია ფერის თიხისაგან დამზადებული სასმისები) მიხედვით, ეკლესია განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება (რამიშვილი ... 1976: 76; რჩეულიშვილი 1975: 48, 49; 1977: 121-125; 1982: 155-158).

ჟინვალის ნაქალაქარი მდებარეობდა მთიულეთისა და ფშავის არგვის შესართავთან, მდინარის მარცხენა ნაპირზე, ხევსურეთის ხიდასა და ლალაურის ხევის შორის. მოიცავდა დაახლოებით 12 ჰა ფართობს. ნაქალაქარის შენობები განლაგებულია მთის ფერდზე, რომლის წვერზეც აშენებულია ყელის (თამარის) ციხე. ყველაზე მჭიდროდ დასახლებულია ნაქალაქარის ცენტრალური ნაწილი, სადაც გაითხარა დაახლოებით 4 ჰა ფართობი. შენობები განლაგებულია ფერდზე ხელოვნურად გაჭრილი 7 ტერასაზე. ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით კირხნარზე და თიხაზე. შენობათა ზურგის კედელი უმეტესად მიწაშია ჩაშენებული. კედლები უსაძირკველოდაა ნაგები მოწორებულ მიწაზე. კედლებში დატანებული ყოფილა ხის ბოძები, ან ისინი კედლის წინ, ქვის ბალიშებზე იყო განლაგებული და წარმოადგენდნენ ბანური გადახურვის საყრდენებს. შენობათა იატაკი თიხატკეპნილია ან ნაწილობრივ მოფილაქნებულია ბრტყელი ქვებით. ცენტრში მოწყობილია ოთხკუთხა ან მომრგვალებული კერა, აგურის ან ბრტყელი კრამიტის იატაკით. კარის აღმოსავლეთით ქვის ბალიშია დედაბოძისათვის. ერთ-ერთ კუთხეში ან რომელიმე ნაწილში დიდპატარა ოთნეებია. უმეტეს შემთხვევაში იატაკში, კუთხეში, ჩაფლულია ქვევრი ან ქვითა და დუღაბით ამოშენებულია სამეურნეო ორმო (ხარო). შესასვლელი უმეტესად დასავლეთ კედელშია. გვხვდება ჩრდილოეთის და სამხრეთის კედელშიც. გადახურვა ბანურია. ტერასაზე განლაგებული შენობათა ბანები წარმოადგენდა მათ ურთიერთ დამაკავშირებელ საშუალებას (წინა ტერასის შენობის ბანი მომდევნოსათვის ეზოს როლს ასრულებდა). ცალკეულ საცხოვრებელ სათავსებში სპეციალურად გამოყოფილია ცალპირი წყობის კედლით მცირე ფართობი, სადაც წმინდა ნარკით მოღესილ იატაკზე იდგა ნალის ფორმის თიხის მცირე ზომის კერა, რომლის წინ ეწყობა ჭურჭელი. იქვე ჩაფლული იყო სახედაშე ქვევრი, პირსა და ვერდზე ჯვრის გამოსახულებით. ყველა ასეთი საცხოვრებელი სათავსო ნახანძრალია. ნაქალაქარის პირველ ტერასაზე გაიწმინდა მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ორსართულიანი ქურა და მოჭიქული ჭურჭლის გამოსაწვავი ქურის საცეცხლურის ნაშთი. ნაქალაქარს სამხრეთიდან ზღუდავდა გალავანი (სიგანე 0,9 მ). კედელი გაუყვებოდა მთის ფერდს მდინარის პირიდან ყელის (თამარის) ციხის კედლებამდე. გალავ-

ნის ცენტრში მოწყობილი იყო 3 მ სივარდის კარიბჭე საყარაულო კოშკით. ის იკეტებოდა ჩამოსაშვები კარით. ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში ყელის (თამარის) ციხის ქვემოთ გაიწმინდა დარბაზული ტიპის ეკლესია „ჯვარი პატიოსანი“ (9X12,5 მ), მიმდებარე საცხოვრებელი შენობებით. ეკლესია აგებულია მოსწორებულ ტერასაზე ფლეთილი ქვითა და კარხსნარით. შირიმის კვადრები გამოყენებულია კარნიზსა და სარკმელზე. გადახურულია ფიქალის ფილების ორფერდა სახურავით. აფსიდის იატაკი ოდნავ შემალბებულია. აღმოსავლეთ კედელთან მონოლითური ქვის საკურთხეველია. კანკელი შირიმის ქვისაა. იატაკი მოლესილია დუღეთით. შესასვლელი სამხრეთ კედელშია. აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში თითო სარკმელია. ეკლესიის აღმოსავლეთით და დასავლეთით გაიწმინდა თითო აკლამა. ისინი ნაგებია ფლეთილი ქვითა და დუღებით. აკლამები საგვარეულოა, უინვენტარო. დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ქვის ფილებით შედგენილი 4 სამარხი. ეკლესიის სამხრეთ კედელთან გაიწმინდა 2 სათავსოს ნაშთი. ეკლესიას სამხრეთ-დასავლეთით აქვს მცირე მიწაშენი, რომლის აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებში კარია. აღმოსავლეთის კარით უკავშირდებოდა 2 სათავსოს.

ქვედა ტერასაზე, ჩრდილოეთ ნაწილში ამოშენებულია ზედა ტერასის შემამარებელი კედელი და 2 დიდი საცხოვრებელი სათავსო კერით, ქვევრებითა და თონეებით. არქეოლოგიური მასალა ძირითადად წარმოადგენს გვიანი შუა საუკუნეების შენაწირ განძებს, რომლებიც შედგება გვიანდელი მოჭიქული ჯამების, სპილენძის, ვერცხლის თასებისა და თევზებისაგან; ვერცხლის კოვზის, ბეჭდის, ფირფიტოვანი ვარდულებისა და გვიანდელი მონეტებისაგან. ეკლესია თარიღდება XI-XIII სს-ით. გალავნის კედლის გარეთ – სამხრეთით გასუფთავდა მცირე ზომის (2,5X3 მ) გეგმით ოთხკუთხა ეკლესია, მონოლითური ქვის ტრაპეზით. შესასვლელი დასავლეთიდანაა. სამლოცველოს წინა ფართობი მოეპყრება დიდი ზომის ბრტყელი ქვებით.

გალავნის გარეთ, სამხრეთ-დასავლეთით გაითხარა საქარავნო სახლის ნაშთი (8X10 მ). შესასვლელი ჩრდილოეთ კედელშია. ყინვალის ნაქალაქარს აღმოსავლეთიდან, მთის წვერიდან დაჰყურებს ყელის (თამარის) ციხე, რომელსაც ორივე არავგის ხეობაში გაბატონებული ადგილი უჭირავს. ციხის კედლები ნაგებია მეტ-ნაკლებად დამუშავებული კლდის ქვით დუღაბზე. ციხეს ორმაგი კედელი აქვს. შენობები ორ ტერასაზეა განლაგებული.

ქვედა ტერასაზე გაიწმინდა კლდოვან ქანში ამოჭრილი ქვაბულში ჩაშენებული ორსართულიანი შენობა (ქვედა სართულის ფართობია 6,3X5,75 მ), მასზე მიშენებული მცირე სათავსოთი. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ზედა ტერასაზე დასავლეთ მონაკვეთში გაიწმინდა დარბაზული ტიპის მცირე ეკლესია (6X5 მ), რომელსაც ოდნავ შემალბებული აფსიდა აქვს. ნაგებია ფლეთილი ქვით დუღაბზე.

შესასვლელი სამხრეთიდანაა. ციხის შიდა ტერიტორია ნაწილობრივია გაწმენდილი. ციხის დასავლეთ კედელთან ქვითა და დუღაბით ამოშენებულია სამეურნეო ორმო.

ნაქალაქარის განათხარი მასალის უმეტესობა მოჭიქული და მოუჭიქავი კერმიკაა. მათ შორის გვხვდება: ერთფერად და მრავალფერად მოჭიქული ჯამები, თევზები, ხელალები, ქილები, სამარილები, ჭრაქები, კრამიტები, შორენკეცები; მოუჭიქავი ჯამები, ხელალები, თევზები, დოქები, სასმისები, ჩაფები, კოჭობები, ქოთნები, ქილები, სადღვევბლები, ხუფები, დერგები, ქვევრები, ტაფები, კეცები, ჭრაქები, ბრტყელი და ღარიანი კრამიტი, წყალსადენის მილები, თიხის სამაფხვას სადერგები, სოლები და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ღია ფერის თხელკედლიანი ჭურჭლის სიმრავლე. ლითონის ნაწარმიდან აღსანიშნავია რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღები: მახვილები, ისრისპირები, ცული, სატეხები, დანები, სამართებელი, გუთნის საკვეთელი, ლურსმნები. დიდი რაოდენობითაა რკინის წილები. აღმოჩენილია ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები; ბრინჯაოს მედალიონი მთავარანგელოზის გამოსახულებით, რომელიც გამოყენებულია მატრიცად. გვხვდება მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, ქვისა და ძვლის ნაკეთობანი. სამკაულიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს ბეჭდები, საკიდები, ლილები, მინის ბეჭდები და სამაჯურების ფრაგმენტები. ნაქალაქარზე გამოვლინდა მონეტების 2 განძი. ვერცხლის მონეტების განძი შედგება ქართულ-ჰულაგუიური 243 ერთეულისგან და სპილენძის ქართული მონეტების განძი, რომელიც შედგება 1050 რომელიც მოჭრილია ქართულ მეფეთა (დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, გიორგი III-ისა და თამარის, თამარის, ლაშა გიორგის), ილდიგიზიდებისა და ჯალალედინის სახელით. გარდა განძებისა, გამოვლენილია ქართველ მეფეთა სახელით მოჭრილი ცალკეული მონეტები – გიორგი III-ის, თამარის, ლაშა-გიორგის, რუსუდანის, დემეტრე II-ის. ნაპოვნია აგრეთვე ჰულაგუიური მონეტები; ბიზანტიური ოქროს მონეტა იმპერატორ იოანე II-ის (1118-1143) სახელით მოჭრილი.

ყინვალის ნაქალაქარი, მოპოვებული მასალის მიხედვით, თარიღდება ორი პერიოდით: XI-XII და XIII-XIV სს (რამიშვილი 1982ა: 73).

ნაქალაქარის გარეუბანი მდებარეობდა ნაქალაქარის ჩრდილოეთით და გამოიყოფოდა მისგან დაბალი, კლდოვანი ქედით. გარეუბნის დასახლებების ტიპი და სამშენებლო მასალა ნაქალაქარის ანალოგიურია. გამოვლენილია საცხოვრებელი და დამხმარე სათავსოები (მარანი, სახელოსნო). გარეუბანზე გამოიყო 3 სამშენებლო დონე: XI-XII სს-ის, XIII ს-ის, XIII ს-ის მეორე ნახევარი – XIV ს. პირველი დონის შენობებიდან აღსანიშნავია საკულტო ოთახები წარმართული საკურთხეველებითა და მრავალრიცხოვანი შეწირული ნივთებით. ესენია: მოჭიქული ჯამები; მოუჭიქავი, თხელკედლიანი,

ლია ფერის სასმისები; ხელაღები, მოხატული დოქები; სამხარეულო ჭურჭელი; თიხისა და ბრინჯაოს ჭრაქები, ტიგლები, სალესი ქვები. საკულტო ოთახი საიდუმლო შესასვლელით უკავშირდებოდა გარეუბნის დასახლებას. ის განადგურებული იყო ძლიერი ხანძრისგან.

გარეუბანზე მოპოვებული მასალიდან აღსანიშნავია ბიზანტიური ოქროს მონეტა მოჭრილი კონსტანტინე X-ის სახელით (1057-1059); თამარისა და რუსუდანის მონეტები; მინის წიდეები; ვერცხლისა და სპილენძის ჩამონაჭრები. გარეუბნის მასალები თარიღდება XI-XIV სს-ით (რამიშვილი ... 1981: 129-143; რჩეულიშვილი 1989: 63).

ნაქალაქარის ჩრდილოეთით 1982-1984 წწ. შესწავლეს სამაროვანი, რომელიც გამართული იყო მდინარისპირა დაბლობზე. სულ გაითხარა 681 სამარხი. მათგან ინვენტარიანია 314. გამოიყოფა 4 ტიპი: ორმოსამარხები, ქვის ფილებით შედგენილი, ამოშენებულკედლიანი და აკლდამები. ორ-სამ იარუსად განლაგებული სამარხები დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია. სამარხთა უმეტესობა საოჯახოა. ბოლო მიცვალებული ასენია ზურგზე გაშთილი თავით დასავლეთით, წინა მიცვალებულთა ძვლები მიხვეტილია აღმოსავლეთ კედლისკენ. სამარხებში აღმოჩნდა თხელკედლიანი, ღია ფერის სასმისები; მინის ჭურჭლის ფრაგმენტები; მინის სამაჯურები, მძივები; ლითონის ნივთებიდან გვხვდება: რკინის, ბრინჯაოს, ვერცხლის, ოქროს ბეჭდები, საყურეები, ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები. მონეტებიდან აღმოჩენილია XI-XIII სს-ის ქართულ-მონღოლური ფული.

სამაროვანზე გამოვლენილია დარბაზული ტიპის 3 ეკლესია. ორს სამხრეთიდან აქვს მინაშენი. მათში მოწყობილი იყო სამარხები.

სამაროვნის ჩრდილოეთ ნაწილში გაითხარა მიწისქვეშა კამაროვანი გადახურვის მქონე აკლდამა, რომელსაც ქვის ექვსსაფეხურიანი ჩასასვლელი დასავლეთიდან აქვს. აკლდამას არაგვის ერისთავთა განსასვენებლად მიიჩნევენ. სამაროვანი თარიღდება XI-XIV სს-ით (ჯორბენაძე 1983: 134-168; 1984: 39-42; 1991). მის ტერიტორიაზე გამოვლენილია ადრეული პერიოდის არქეოლოგიური მასალა: კაჟისა და ობსიდიანის ანატეკები და იარაღი, რომელიც თარიღდება ძვ. წ. V ათასწლეულით. იმევა აღმოჩენილი შავბრიალა ჭურჭლის ფრაგმენტები, ბრინჯაოს სატყერისპირი, რომელთა თარიღი განისაზღვრა ძვ. წ. III ათასწლეულით. ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება შავეციანი ჭურჭლის ნატეხები და მასრაგახსნილი შუბისპირი (ჯორბენაძე ... 1996ა: 115-122).

ნაქალაქარდან 1,5 კმ-ის დაშორებით, ჩრდილოეთით, ფშავის არაგვის მარჯვენა ნაპირზე, წინ წამოწეულ კონცხზე, გაითხარა ხერთვისის ზურგიანი კოშკის კომპლექსი (გადატანილია ჟინვალ-პესის სამმართველოს ეზოში). გალავნით შემოზღუდულ ფართობში გამოვლინდა ხუთსართულიანი

ზურგიანი კოშკი, მასზე მიშენებული სამეურნეო შენობებით: ოთხი საწნახელი, დიდი მარანი 50-მდე ქვევრით, სამეურნეო ხარო, დარბაზული ტიპის ეკლესია სამხრეთი მინაშენითა და შებრტყელებული აფსიდით. გამოიკვთა 2 სამშენებლო დონე. შენობები და გალავნის კედელი ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით დულაბზე. გამოყენებულია რივის ქვაც, მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ძირითადი ნაწილი მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკაა: ჯამები, ხელაღები, დოქები, ქოთნები, ფაიანსის ფიალა, ბრინჯაოსა და ვერცხლის ნაკეთობანი და სხვ. მასალა თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით (რჩეულიშვილი 1984: 148-154).

სოფ. ჟინვალის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე 1972-1974 წწ. გაითხარა დიდი ზურგიანი კოშკის კომპლექსი – ჟინვალის ციხე. კოშკი იდგა ზედა ტერასაზე. ქვედა ტერასაზე გაიწმინდა გვიანი შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები და დიდი მარანი (22X8,5 მ) 20-მდე დიდ-პატარა ქვევრით. ზურგიანი კოშკი ხუთსართულიანი იყო (კოშკის ქვები გადატანილია ახალი ჟინვალის მიდამოებში). შემორჩენილი სიმაღლე 18,7 მ აღწევდა. კედლები და გალავანი ნაგები იყო ფლეთილი ქვით დულაბზე. კოშკის შიგნით გაიწმინდა 3 მ სისქის ფენა. გამოვლინდა სამეურნეო სართული, სადაც ზურგიან კედელთან ჩადგმული იყო სამი ქვევრი. აღმოსავლეთი კედლის ქვეშ კი ხვრელი (არაგვზე ჩასასვლელი?). კოშკში შესასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან მეორე სართულზე იყო, მიწის ზედაპირიდან 4 მ-ზე. მე-3 და მე-4 სართულს ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით თითო სარკმელი ჰქონდა. მე-5 სართულზე კი, ზურგის კედლის გარდა ყველა კედელში იყო თითო სარკმელი. არქეოლოგიური მასალა მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკაა. იმპორტული ფაიანსის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები (40-დე სახეობა), მინის ჭურჭლისა და სარკმლის მინის ფრაგმენტები, ბრინჯაოს, რკინისა და ძვლის ნივთები. ზურგიანი კოშკი თარიღდება XI-XIV სს-ით (კვლანდაძე 1977: 139-144).

მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ჟინვალის დასავლეთით, მაღალ, კლდოვან მასივზე მდებარეობს წმინდა გიორგის ციხე, რომელსაც სამკუთხედის მოყვანილობა აქვს. ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან გამაგრებულია ძლიერი კედლებით, და კონტრაფორსებით. კლდის წვერზე დაშენებულია კოშკი-ციტადელი, რომლის ძირზეც, ქვედა ორ ტერასაზე განლაგებულია ციხის შენობები. პირველ ტერასაზე გამოვლინდა დარბაზული ტიპის მცირე ეკლესიის ნანგრევები, შესასვლელით სამხრეთიდან. ეკლესია აგებულია წმინდა გიორგის სახელზე. მეორე ტერასაზე გამოვლინდა 2 შენობის ნაშთი. ამავე ტერასის დასავლეთ ნაწილში, კლდეში გამოჭრილია საფეხურები, რომლითაც მეორე ტერასა უკავშირდება კოშკ-ციტადელს. ციხე თარიღდება განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებით (რამიშვილი ... 1979: 113-114).

მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ხევსურეთის ხიდის

ყურესთან 1973 წ. გაითხარა ძველი ხიდის ყური – თაღის საბჯენი ბურჯისა და ოთხკუთხა კოშკის ნაშთები. ნაგებობები დაფუძნებულია კლდოვან ქანზე. ბურჯის ფასადები ნაგებია კლდის ქვის კვადრებითა და აგურით ღულაბზე. ბურჯის აღმოსავლეთის კედლის მიხედვით, ხიდის სიგანე 4,1 მ უნდა ყოფილიყო (რამიშვილი ... 1974:70).

მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, ადგილ „წობენთან“ 1973 წ. გაითხარა არაგვის ხეობაში შექმავლი გზის ჩამკეტი გალანის კედელი კარიბჭით. კედელი მიემართება მდ. არაგვის პირიდან – დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და გუჯინება მდგომის მაღალ ქედს. კედელში დატანებულია კოშკისებური ნაგებობა, რომლის პირველ სართულში გაშლილი იყო 1,5 მ სიგანის კარიბჭე. გალანის კედლის სიგრძეა 13,5 მ, სიგანე – 1,3-1,6 მ. ნაგებია კლდის გათლილი და გაუთლელი ქვებით მტკიცე ღულაბზე. კარიბჭის წინა კედელში შემორჩენილი იყო ჩამოსაშვები კარის ფოსო. არქეოლოგიური მასალა მცირერიცხოვანია: მოჭიქული ჯამის ნაჭებები; თეთრანგობიანი ხელაღის ფრაგმენტები; ქოთნის, ქვევრის, დოქის ნაჭებები. ძველი თარიღდება XI-XIV სს-ით (რამიშვილი ... 1974: 70; ლომიძე 1975: 45-47).

ფშავის არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ხერთვისის კომპლექსის ჩრდილოეთით, ადგილ „დეგვიანზე“ გაითხარა ნასოფლარი. „დეგვიანიდან“ დასავლეთით მეორე ნასოფლარი „დიდრუვი“ შეისწავლეს. ორივე ნასოფლარზე გამოვლინდა საცხოვრებელი კომპლექსები: „დეგვიანზე“ სამი, „დიდრუვი“ ოთხი. შენობები განლაგებულია ორ ტერასაზე. ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით კირხსნარზე. კომპლექსები შედგება საცხოვრებელი დარბაზისა და დამხმარე სათავსოებისაგან – მარანი, ბოსელი. მათგან საცხოვრებელი დარბაზი და მარანი გამართულია ზედა ტერასაზე, ბოსელი კი ქვედაზე, რომლის ბანიც საცხოვრებლის ეზოს წარმოადგენს. ბოსლის ატაკი ბრტყელი ქვებითაა მოფილაქებული. თითოეულ საცხოვრებელ შენობაში კერა, ოთნე, ტახტებია კედლების გასწვრივ. ატაკი თხატკეპნილია. გადახურვა ბანურია. კომპლექსები შემოზღუდული ყოფილა დიდი ქვების მშრალი წყობით (ყორეკედელი). მარნებში ქვითა და ღულაბით მოწყობილია საწინახელები. იქვეა ქვევრები. ნასოფლარები თარიღდება XI-XIV სს-ით (რამიშვილი ... 1976: 77-78; რჩეულიშვილი 1981: 57-66).

მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, „მღვიმის“ გორაზე, პლატოზე გაითხარა ნასოფლარი „მღვიმე“. გამოვლინდა შენობათა 3 სახეობა: ზურგიანი კოშკის ნაშთი, საცხოვრებელი სათავსები და დარბაზული ტიპის ეკლესია ოდნავ ნალისებური აფსიდით. საკურთხევის წინ ამოშენებულია ოთხკუთხედი – ცენტრში ღრმულით (გვრის აღსამართავი ბაზისი). შენობათა კედლები ნაგებია კლდის ქვით ღულაბზე. არქეოლოგიური მასალა ძირითადად მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკაა: ჯამები, სასმისები, ხელაღები, დოქები, ქოთნები, ქილები. გვხვდება მინის ჭურჭლისა და სამაჯურის ფრაგმენტები; რკინის

დანა, ნამკლისპირი, ისრისპირი, წაღი, საღესი ქვები, შურდულის ქვები. ძველი თარიღდება XII-XIV სს-ით (რამიშვილი ... 1979: 108-120; ლომიძე 1981: 52-57). აღნიშნული ნასოფლარის ფუნქცია იყო „მღვიმეზე“ გამავალი დამხმარე გზის დაცვა და კონტროლი.

ხერთვისზე, ზურგიანი კოშკის კომპლექსის სამხრეთ-დასავლეთით გაითხარა განვითარებული შუა საუკუნეების ნამოსახლარის ნაშთი, დარბაზული ტიპის მცირე ეკლესია და რამდენიმე ქვის სამარხი (ბუჩუკური 1986: 404).

სოფ. ჟინვალის ჩრდილო-დასავლეთით, ახალ სასაფლაოსთან გაითხარა გვიანი შუა საუკუნეების ეკლესიის ნაშთი და რამდენიმე უინვენტარო სამარხი.

მთიულეთის არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ჟინვალის ჩრდილოეთით, 5 კმ-ის დაშორებით, ჟინვალსა და ანანურს შორის 1975 წ. გაითხარა ბებრის ციხე. ის მიშენებული იყო კლდის მასივზე. შედგებოდა 2 კოშკისა და სხვადასხვა ნაგებობათა ნანგრევებისაგან. ორსართულიანი დიდი კოშკის ერთ-ერთ კედლად გამოყენებული იყო კლდე. მასში გამოკვეთილი იყო 3,15 მ სიღრმის ჭა (არაგვზე გასასვლელი?). ციხე განვითარებული შუა საუკუნეებიდან გვიან შუა საუკუნეებზე გარდამავალი ხანის ძველი უნდა იყოს. ამჟამად მოქცეულია წყალსაცავის ფსკერზე (რამიშვილი ... 1979: 116-117; კალანდაძე 1982: 143).

ჟინვალში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის დუშეთის ბაზაში, საგამოფენო დარბაზებში. კერამიკული მასალის ნაწილი, ძვირფასი ლითონების ნაკეთობანი და მონეტები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). 1971 წ. ფშავის არაგვის მარჯვენა ნაპირზე ადგილ „დეგვიანზე“ აღმოჩნდა ვერცხლის მონეტებით სავსე თიხის კოჭობი. ისინი მოსახლეობამ დაინაწილა. შეგროვდა 74 მონეტა, რომელთაგან უაღრესია 1261-1264 წწ. მოჭრილი ნიმუშები. უკვიანესი 1290 წლამდეა მოჭრილი. განმში 23 ყანური მონეტაა (მონეტები განსაზღვრა ირ. ჯვალაღანიამ).

ბიბლიოგრაფია: ასლანიშვილი 1975: 61-66; ბაგრატიონი 1986: 35; ბერძენიშვილი 1966: 60; ბუჩუკური 1986: 404; ვვასალია 1975: 48-80; ვიულდენშტედტი 1962: 47, 49, 273; გოგოჭური 1996: 18-21; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 2; ვაჩნაძე 1975: 50-52; ზაქარაია 1972ა: 20-21; იოსელიანი 1874; კალანდაძე, ჯვახიანიშვილი, 1975: 34-36; კალანდაძე 1977: 179-184; 1982: 143-147; ლომიძე 1975: 45-46; 1981: 52-56; საბუთები ... 1947: 281-352; მარგველაშვილი 1975: 37-41; 1977: 116-121; 1981: 29-42; 1982: 139-143; 1984: 426-427; 1986: 92-102; 1990: 196-212; 1996: 32-35; მარგველაშვილი, რჩეულიშვილი 1985: 472-473; 1986: 402-403; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 310; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 174; მუხიგულაშვილი 1985: 63-67; ნიკოლაიშვილი,

ჩიხლაძე 1981: 16-22; რამიშვილი 1978: 11-18; 1980: 414; 1982: 25-46; 1982ა: 66-77; 1983: 415; რამიშვილი ... 1972: 117-118; რამიშვილი ... 1973: 77-89; რამიშვილი ... 1973ა: 428; რამიშვილი ... 1974: 65-74; რამიშვილი ... 1975: 458; რამიშვილი ... 1976: 70-79; რამიშვილი ... 1977: 499; რამიშვილი ... 1978: 487; რამიშვილი ... 1979: 108-120; რამიშვილი ... 1979ა: 185-198; რამიშვილი 1979ბ: 505; რამიშვილი ... 1980: 170-187; რამიშვილი ... 1981: 129-143; რამიშვილი ... 1982: 52-59; რამიშვილი ... 1984: 59-68; რამიშვილი ... 1985: 55-60; რამიშვილი ... 1986: 48-53; რამიშვილი ... 1987: 74-89; რამიშვილი, ჯორბენაძე 1976: 491; 1976ა: 30-41; 1982: 106-117; რამიშვილი, ჯორბენაძე, მარგველაშვილი 1987: 535-537; რატიანი 1975: 5-10; რჩეულიშვილი 1975: 43-45; 1977: 101-105; 1981: 57-66; 1982: 148-155; 1983: 415; 1985: 124-129; 1986: 103-108; რჩეულიშვილი 1988: 61, 62; რჩეულიშვილი მ. 1975: 48-50; 1977: 121-125; 1981: 49-52; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 122; უვაროვა 1904: 2-4; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 29; 1970: 179, 234, 558; 1985: 746; ქართ. ისტ. საბ.

კორ. 1984: 73, 96, 183, 184; ქრონიკები 1892: 266; 1897: 182, 196, 293, 408, 182; 1967: 384; ქც 2: 55,9; 251,11; 302,6; 308,1; ქც 4: 222,29; 243,18; 244,6; 247,13; 532,9,20,23; 534,8, სქ. 2: 535,4; 561,10; ღლონტი 1975: 15-17; 1977: 12-19; 1996: 15-17; ჩიქოვანი 1985: 5-8; 1986: 5-7; 1996: 11-15; ჩიხლაძე 1975: 41-43; 1977: 95-101; 1982: 417-418; 1982ა: 92-103; 1983: 423-430; 1990: 184-196; 1990ა; 1993; ჩიხლაძე, რობაქიძე 1986: 412; 1987: 544; ჩხატარაიშვილი 1978ა: 69-96; წითლანაძე 1975: 17-19; წითლანაძე, შატბერაშვილი, კახიძე 1965: 21-23; წიკლაური 1977: 105-112; 1982: 121-128; ჭელიძე, ჩიქოვანი 1991; ჯალალანია 1975: 54-57; 1983: 167-181; ჯორბენაძე 1978: 19-22; 1981ა: 42-47; 1983: 134-168; 1983ა: 48; 1984: 39-42; 1984ა: 75-78; 1985: 535; 1986: 413; 1988: 62-63; 1988ა: 25-26; 1989: 99-100; 1991; 1992; 1996: 35-37; ჯორბენაძე, მარგველაშვილი, რჩეულიშვილი 1985: 21-25; 1987: 54-58; ჯორბენაძე, გოვოჭური, ჩიქოვანი 1996: 115-122; ჯორბენაძე, წიკლაური 1975: 28-34; ჯორბენაძე, წერეთელი 1979: 8-14.



რწმინდა, დაბა (ქც 1: 54,4; ქც 4:67,7; 129,25; 365,16,20,27). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (რეხაი) (ქც 1: 54,4), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:67,7; 129,25; 365,16,20,27), მათიანე ქართლისა (ქც 1: 255,9,11), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 39), XIV, XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179, 257, 890; 1972: 116, 433, 470, 520, 522, 554; 1974: 69; 1977: 311, 632; 1981: 40, 689, 699, 735; 1985: 168, 242, 386, 387, 587; ქრონიკები 1897: 197, 332; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 6, 182, 183; საქ. სიძ. 1910: 550; 1920: 95; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 112, 116, 117; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 154; 1955: 138).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ხოლო სამთავისის ჩდილოთ, ჭალას, შენობა დიდი სასახლეთა ... ჭალას ზეით არს დაბა რეხი, რომლისა გამო იწოდა მდინარე ესე“ (ქც 4: 365,12-16).

წყაროებში პირველად IX ს-ში იხსენიება. 842 წ. აქ მოხდა ბრძოლა ბაგრატ კურაპალატსა და თბილისის ამირა საპაკს შორის (ქც 1: 255,9,11). IX ს-ის 40-იან წლებში რეხი ამირას მფლობელობაშია. XIV ს-ში ამილახვრის მფლობელობაში (ბერძენიშვილი 1964: 138; მაკალათია 1964: 7). XVIII ს-ში ლეკთა ხშირი შემოსევების შედეგად რეხის მოსახლეობა შეიხვლდა. მათი ადგილი ქსნის ხეობიდან გადმოსულმა კორინთელებმა დაიკავეს და ამ ადგილს საკორინთლო უწოდეს (მაკალათია 1964: 42).

მდებარეობს კასპის მუნიციპ-ში, მდ. ლეხურას მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. საკორინთლოს ტერიტორიაზე (მაკალათია 1964: 42).

სოფ. საკორინთლო არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

საკორინთლოში XVIII ს-ის დარბაზული ტიპის ორი ეკლესიაა. „ნანაანთ წმიდა ნიკოლოზის ეკლესია“ (6,5X4,4 მ) დგას სოფლის სამხრეთ-დასავლეთით. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. აქვს შესასვლელი სამხრეთიდან და სამი სარკმელი აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლებზე. „ქარის საყდარი“ (7,3X4,95 მ) დგას სოფლის ჩრდილო-დასავლეთით. ნაგებია რიყისა და თლილი ქვით. სამხრეთიდან აქვს მინაშენი (3,8X4,9 მ) და შესასვლელი. თითო სარკმელია აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებზე (სმა 1990: 191).

ამავე სახელწოდების სოფლები დასტურდება მდ.

მეჯულის ხეობაში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 39; ბარნაველი 1959: 125; ბერძენიშვილი 1985: 102, 103; ბერძენიშვილი 1964: 33; 1966: 21-25, 27, 98, 113; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 6, 182, 183; მაკალათია 1964; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 104, 138, 512; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 175; მუსხელიშვილი 1977: 90; 1980: 137, 138; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 112, 116, 117, 189; საქ. სიძ. 1910: 550; 1920: 95; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179, 257, 890; 1972: 116, 433, 470, 520, 522, 554; 1974: 69; 1977: 69, 632; 1981: 40, 689, 699, 735; 1985: 168, 242, 386, 387, 587; ქრონიკები 1897: 197, 332; ქც 1: 54,4; 255,9,11; ქც 4:67,7; 129,25; 365,16,20,27; ხარაძე 1992: 103, 105.

როზა, რიზე, მცირე ქალაქი (ქც 4: 689,15,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 689,15,21), „ორენტიოსისა და მძათა მისთა მარტვილობა“ (კეკელიძე 1957: 301, 320), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 146,39), ფლავიუს არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (არიანე 1961: 25, 36, 64-66, 77), V ს-ის „ნუსხა ყველა თანამდებობისა და მმართველობისა, როგორც სამოქალაქო ისე სამხედრო აღმოსავლეთსა და დასავლეთის მხარეებში“ (გეორგიკა 1961: 173, 178), პროკოპი კესარიელის „ომები“ (პროკოპი კესარიელი 1965: 33, 102, 110, 121, 123, 219, 221), აგათია სქოლასტიკოსის „ისტორია“ (აგათია სქოლასტიკოსი 1936: 182), ბასილი სოფენელის „კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სამიტროპოლიტიკო და ავტოკეფალური ეკლესიები“ (ბასილ სოფენელი 1952: 192), XVII-XVIII სს-ის ოსმალური წყაროები (ოსმალური დოკუმენტური ... 1982: 23, 99, 166; 1989: 137), კ. კონის „მოგზაურობა“ (კონი 1981: 200, 204), ფრანსუა გამბას „მოგზაურობა“ (გამბა 1987: 266, 267, 269, 322, 332-334, 336, 338, 339).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „კუალად მთავრის ზღუასა მდინარე, ხოფჯას იქით გამომდინარე ჭანეთისავე მთისა, რომელი არს ბაიბურდსა და ჭანეთს შორის, და მომდინარე ჩრდილოთ კერძოდ. ამ მდინარის დასავლით არს ქალაქი მცირე რიზა, ზღვის კიდულად“ (ქც 4: 689,12-16).

ლოკალიზდება ტრაპიზონის ლივანში (თურქეთის

რესპუბლიკა). მდებარეობს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ისტორიული ჭანეთის ტერიტორიაზე (გამბა 1987: 350).

წყაროებში იხსენიება „რიზონ“, „რეზონ“, „რი-ზუს“, „რიძოს“ სახელებითაც (კეკელიძე 1957: 320; სიხარულიძე 1979: 46; არიანე 1961: 25).

წყაროებში პირველად II ს-ში იხსენიება (არიანე 1961: 25, 36, 64-66, 77). 556 წ. რიზასთან მომხდარა ბრძოლა რომაელებსა და აჯანყებულ ჭანებს შორის (ავათია სქოლასტიკოსი 1936: 182). VI ს-ში შედიოდა ბიზანტიის შემადგენლობაში. იუსტინიანე კეისარს ზღუდით გაუმარგებია (პროკოპი კესარიელი 1965: 102, 219). რიზაში არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა (პასილ სოფენელი 1952: 192). 1547 წ. რიზა ოსმალებმა დაიპყრეს.

რიზა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

რიზაში შემორჩენილია დაზიანებული ციხე, რომელსაც ოთხი მრგვალი და ხუთი ოთხკუთხა კოშკი ჰქონია (გამბა 1987: 266).

ბიბლიოგრაფია: ავათია სქოლასტიკოსი 1936: 182, 186; არიანე 1961: 25, 36, 64-66, 77; პასილ სოფენელი 1952: 192; გამბა 1987: 266, 267, 269, 322, 332-334, 336, 338, 339; გეორგიკა 1961: 168-179, 173, 178; დადიანი 1962: 146, 39; კეკელიძე 1957: 301, 320; პროკოპი კესარიელი 1965: 33, 102, 110, 121, 123, 219, 221, 223; კოხი 1981: 200, 204; ოსმალი დიკომენტური ... 1982: 23, 99, 166; 1989: 137; პანატეოლის 1960: 55, 77, 80; სიხარულიძე 1979: 46, 47; ქც 4: 689, 15, 21.

რიშ-ყალა, იხ. რუსთავი.

რკონის ციხე (ქც 4: 329, 17). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 329, 17).

მდებარეობს გარდაბნის მუნიციპ-ში, სამადლოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით რკინის ციხე უქეტიკირო, კლდისაგან მოზღუდელი ყოფილა (ქც 4: 329, 17). იმ ადგილას ახლა შემორჩენილია ნანგრევები, რომელთაც აკურისის სახელით იხსენიებენ (ხარაძე 1991: 110).

რკინის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ქც 4: 329, 17; ხარაძე 1991: 110.

რკონი, მონასტერი (ქც 4: 341, 19, 20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 341, 19, 20; 342, 1; 470, 29; 471, 26; 473, 21), XIII, XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 133, 137, 140, 142-145, 149; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 57-68; 1970: 701; 1972: 38, 39; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 146; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 39; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 42; მასალების საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 127, 128), „დასტურამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 279), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 31).

რკონის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ზემოთ თემის მდინარესა ზედა, არს კრკონს მონასტერი გუმბათიანი, ფრიად მაგარსა და შეუვალს ადგილს. აქა არს ლითონი ბრპენისა მრავალი, იტყვიან ვერცხლსაცა. ზის წინამძღვარი“ (ქც 4: 341, 20-23).

მდებარეობს კასპის მუნიციპ-ში, მდ. თემის მარჯვენა ნაპირზე, ნასოფლარ რკონის ტერიტორიაზე.

1259-1260 წწ. მეჭურჭლეთუხუცესმა კახა თორელმა შეიძინა სოფ. ხოვლე და რკონის მონასტერს შესწირა (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 146). 1400 წ. თემურ-ლენგის ჯარებმა დაარბიეს რკონის ეკლესია-მონასტრები. XVII ს-ის ბოლოს რკონში იდგა ქართლის მეფე გიორგი XI (1676-1688; 1703-1709) ოჯახით და ებრძოდა ტახტის მოცილე ერეკლე I-ს (1688-1703). დამარცხებული გიორგი XI რკონიდან გაიქცა და იმერეთს შეაფარა თავი (ქც 4: 470, 29, 471, 26, 473, 21). XVIII ს-ის ბოლოს სოფ. რკონში, ჯავახიშვილების მამულში, მიმდინარეობდა ვერცხლის საბადოების ძიება (სინ 1973: 549). კრკონის სახელწოდებით სოფლები არსებობდა ძამისა და ბალიჭის ხეობებში (ბაგრატიონი 1986: 32, 52).

რკონი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

რკონის მონასტრის კომპლექსში, რომელიც მდებარეობს ნასოფლარ რკონის ტერიტორიაზე, შედის ღვთისმშობლის ეკლესია კარიბჭით, ეგვტერი, სამლოცველო, ნათლისმცემლის ეკლესია კარიბჭით, სატრაპეზო, კოშკის სამრეკლო, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების შენობები და ხიდი. ეკლესიებსა და სამრეკლოს გალავანი ჰქონდა შემოვლებული.

ღვთისმშობლის ეკლესია (18,2X12,1 მ) სამნავიანი ბაზილიკაა. თარიღდება VII ს-ის მეორე მეოთხედით. შესასვლელი აქვს დასავლეთიდან და სამხრეთიდან. ნახევარწრიული აფსიდის გვერდებზე სადიაკვნე და სამკვეთლოა. სამივეს თითო სარკმელი აქვს. მოვიანებით კედლები მოუხატავთ. ეკლესიისა და სადიაკვნეს მოხატულობა თარიღდება XII ს-ით, სამკვეთლოს მოხატულობა - XVII ს-ით. XVIII ს-ის მეორე ნახევარში ღვთისმშობლის ეკლესიას დასავლეთიდან მიაშენეს კარიბჭე და ეგვტერი. ინტერიერში შემონახულია განვითარებული შუა საუკუნეების მოხატულობის ფრაგმენტები. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ასომთავრული წარწერაა: „ქ. აქა მოვიდა ლანგდემორ და დაქცივნა ეკლესიანი და რკონი და დაქცია“. ეკლესიაზე სამხრეთიდან მიშენებულია დარბაზული ეკლესია-სამლოცველო (5,8X3,6 მ). აგებულია XIII ს-ის მეორე ნახევარში. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. მოხატულობის ფრაგმენტები თარიღდება XIII-XIV სს-ით.

ნათლისმცემლის XIII-XIV სს-ის მიჯნის დარბაზული (7,3X4,3 მ) ეკლესია დგას ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრეთით, რამდენიმე მეტრზე. ნაგებია თლილი და ფლეთილი ქვით. შესასვლელი დასავლეთიდანაა. ნახევარწრიულ აფსიდში და დასავლეთ კედელში თითო სარკმელია, სამხრეთისაში -

ორი. მოგვიანებით ეკლესიისათვის დასავლეთიდან კარიბჭე (4,8X4,8 მ) მიუშენებიათ.

სატრაპეზო (5,2X16,6 მ) დგას ღვთისმშობლის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით 10 მ-ის დაშორებით. თარიღდება XIII-XIV სს-ის მიჯნით. ნაგებია ფლეთილი ქვით. XVII-XVIII სს-ის სამრეკლო დგას ღვთისმშობლის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით ორიოდე მეტრზე.

გვიანი შუა საუკუნეების კოშკი მდებარეობს სატრაპეზოს სამხრეთ-დასავლეთით, 40 მ-ის დაშორებით. ნაგებია ფლეთილი ქვით. შემორჩენილია სამი სართულის კედლები. სამონასტრო კომპლექსში შემავალი სამეურნეო და საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობები ძლიერ დაზიანებულია (სძა 1990: 184-188).

მდ. თეძამზე გადებული XII-XIII სს-ის ერთმალეანი ხიდი (12,5 მ) მდებარეობს სამონასტრო კომპლექსის ჩრდილო-დასავლეთით 500 მ-ის დაშორებით. ნაგებია ფლეთილი ქვით დუღაბზე. ხიდზე გადიოდა გზა, რომელიც შიდა ქართლს თრიალეთთან და ჯვახეთთან აკავშირებდა (კვეზერელი-კობაძე 1972: 24-26).

რკონის ციხის კომპლექსი მდებარეობს სამონასტრო კომპლექსიდან ჩრდილოეთით 1,5 კმ-ის დაშორებით, მდ. თეძამის ხეობაში, მთის ფერდობზე. სამხრეთიდან ჩამოედის მდ. თეძამი, ჩრდილოეთიდან – უსახელო ხევი. ციხე თარიღდება XVIII ს-ის შუა წლებით. ნაგებია ფლეთილი ქვით. კომპლექსში შედის: ეკლესია, კოშკი, სასახლე, რომლებიც კონტრაფორსებთან გალაგნილია გარშემორტყმული. მოშორებით დგას სადაზვერვო კოშკი.

XIII ს-ის ეკლესია დარბაზულია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ნახევარწრიულ აფსიდში, სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში თითო სარკმელია. ინტერიერში შემორჩენილია XIII ს-ის მეორე ნახევრის მოხატულობის ფრაგმენტები. კოშკი დგას ვალავანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კუთხეში. სასახლე სამხრეთიდანაა ყოფილი. სადაზვერვო კოშკი დგას ციხის დასავლეთით, მთის წვერზე. გვეგითი კვადრატულია. შემორჩენილია სამი სართული (სძა 1990: 189).

სამოჭალოს წმინდა გიორგის დარბაზული (8,5X5,4 მ) ეკლესია დგას რკონის სამონასტრო კომპლექსის აღმოსავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით, ნასოფლარ სამოჭალოს ტერიტორიაზე. ნაგებია ფლეთილი ქვით. ნახევარწრიულ აფსიდსა და სამხრეთის კედელში თითო სარკმელია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. ინტერიერში შემონახულია XII ს-ის დასასრულის მოხატულობის ფრაგმენტები (სძა 1990: 189, 190).

სვიმონ მესვეტის საკანე მდებარეობს რკონის მონასტრის სამხრეთ-დასავლეთით 400 მ-ის დაშორებით, მთის ფერდობზე. ნაგებობა (5,6X3,8 მ) სამხრეთიდანაა. ნაშენია რიყისა და ფლეთილი ქვით. პირველ სართულზე ჭა იყო ამოჭრილი; მეორე სართული საცხოვრებელია; მესამე სარ-

თული სამლოცველოა, რომელსაც აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდა აქვს. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. საკანე და მოხატულობა თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით (სძა 1990: 190).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 31; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 42; კვეზერელი-კობაძე 1972: 24-26; მაკალათია 1959: 28-34; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 127, 128; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 39; სძა 1990: 189, 190; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 146; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 57-68; 1970: 701; 1972: 38, 39; ქრონიკები 1897: 133, 137, 140, 142-145, 149; ქც 4: 341,19,20; 342,1; 470,29; 471,26; 473,21; შევიაკოვა 1983: 119; ჩუბინაშვილი 1936: 198-203; ჯვახიშვილი 1979: 134; 1982: 204.

როპოთი (ქც 4: 459,16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 459,16; 751,10,12; 847,17; 849,23), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 499; 1967: 45; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 431; 1970: 299; ისტ. დოკ. 1958: 129), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 163, 309).

მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ბაღდათიდან 10 კმ დაშორებით, მდ. ხანისწყლის მარცხენა ნაპირზე. 1684 წ. როკითან გამართულ ბრძოლაში, იმერეთის მეფე ალექსანდრე IV-მ (1683-1690) დაამარცხა გურიის მთავარი გიორგი III (ქც 4: 847,14-27). როკითი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: გიულდენშტედტი 1962: 163, 309; ისტ. დოკ. 1958: 129; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 431; 1970: 299; ქრონიკები 1897: 499; 1967: 45; ქც 4: 459,16; 751,10,12; 847,17; 849,23.

როპისი (4: 148,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 148,21; 280,5; 303,9; 373,18,20,ქც.4: 374,5,9; 467,15; 472,25; 851,1; 857,25), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 304,7), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1: 327,13), ბერი ევნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქტ 2: 329,6; 340,14; 453,18,22), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 41), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 78), პაპუნა ორბელიანის „ამბეანი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 78-80), XI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 198, 208, 209, 268, 280; 1897: 54, 55, 61, 197, 252, 373, 438, 511, 515; საქ. სოც. 1909: 237, 452, 486; 1910: 475; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 25, 65, 133, 138, 281, 282, 370; 1953: 76, 77, 110, 153, 156, 207-209; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 74; 1955: 63, 107, 218, 423; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 177; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 274, 308, 406, 408; 1970: 113, 114, 179, 191, 265, 591, 753, 778, 991,

1066, 1113; 1972: 132, 263, 302, 319, 432, 435, 470, 531, 607, 613; 1974: 64, 162, 188, 460, 468, 469; 1977: 88, 131, 194, 210, 297, 468, 469, 591, 620; 1981: 15, 37, 38, 129, 131, 171, 188, 189, 215, 278, 291, 296, 302, 363, 562, 580, 616, 811, 812, 829; 1985: 15, 20, 51, 66, 67, 77, 84, 114, 115, 201, 388, 389, 913, 933, 427, 428, 590, 618, 708, 725), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 279).

ვახუშტი ბაგრატიონი რუისის შესახებ გადმოგვცემს: „სამხრით ურბნისისა არს რუისის მთის ძირს, დაბა დიდი რუისი და ეკლესია ღვთაებისა, გუმბათიანი, დიდი, დიდშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ რუისისა ზეითის ქართლისა, ლიხ-ჭამისკარამდე ... შემუსრა ლანგთემურ“ (ქც 4: 373,18-22).

მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტში, გორი-ხაშურის საავტომობილო გზაზე, ქარელიდან 5 კმ-ის დაშორებით, სოფ. რუისის ტერიტორიაზე.

სოფლის სახელწოდება უნდა წარმოდგებოდეს სიტყვა „რუ“-დან. 1055 წ. მცირეწლოვანი მეფე გიორგი II (1072-1089) ლიპარიტ ბაღვაშმა ქუთაისიდან წამოიყვანა და ხელახლა აკურთხა მეფედ რუისში (ქც 1: 304,7). 1103 წ. დავით აღმაშენებელმა (1089-1125) რუისში მოიწვია რუისურბნისის საეკლესიო კრება (ქც 1: 327,13). 1961 წ. თრეისის ქვაბებში აღმოჩნდა სტელა ასომთავრული წარწერით, სადაც მოხსენიებულია XI ს-ის რუისის ეპისკოპოსი ლეონტი მროველი (გაფრინდაშვილი 1961: 239-260). 1400 წ. თემურ-ლენგის ლაშქარმა ააოხრა სოფ. რუისი. მათ მთლიანად დაანგრიეს რუისის დიდი ეკლესია ღვთაებისა (ქც 2: 453,18-22). აჯანყებულმა იმერეთის დიდებულებმა შეიპყრეს მეფე ალექსანდრე IV და გადასცეს ქართლის მეფე გიორგი XI-ს (1677-1688) რუისში. მან ალექსანდრე რუისში დაახრწობინა და იქვე, ეკლესიაში დაამარხვინა (ქც 4: 472,25). რუისში იყო დაბანაკებული ურუმთა ჯარი უსუფ-ფაშას მეთაურობით, რომელიც ერეკლე II-მ (1744-1789) დაამარცხა (ორბელიანი 1983: 78-80).

სოფ. რუისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. დაზვერვებით მიკვლეულია გვიანი შუა საუკუნეების ნასოფლარი სოფლის ჩრდილოეთით 1 კმ-ის დაშორებით, ადგილ სერებზე. იქ აკრფილია წითლად გამომწვარი კერამიკის ფრაგმენტები. შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები შენობების საძირკვლის ნაშთი (სმა 1990: 385).

სოფლის ცენტრში აღმართული ღვთისმშობლის ტაძრის კომპლექსი შედგება საკუთრივ ტაძრისაგან, კოშკ-სამრეკლოსა და გალავნისაგან. ტაძარზე რამდენიმე სამშენებლო ფენა გაირჩევა. უძველესია VIII-IX სს-ის ფენა, რომელიც X ს-ში შეუკეთებია. XI ს-ში გიორგი ეპისკოპოსს განუახლებია ტაძარი და ის მდიდრული დეკორით მოურთავს, რასაც გვაუწყებს ჩრდილოეთის კარიბჭის აფსიდის კონქის ქუსლთან არსებული ასომთავრული წარწერა. 1400 წ. ტაძარი თემურ-ლენგის შემოსევისას საფუძვლამდე დაანგრეს. ტაძარი აღადგინა

მეფე ალექსანდრე I-მა (1412-1442), რომელმაც სპეციალური ვადასახადი შემოიღო რუისის ტაძრისა და მცხეთის აღსადგენად (ქც 4: 303,9). ამაზე მოგვითხრობს დასავლეთის ფასადის წარწერა. სამხრეთის ფასადის წარწერაში მოხსენიებულია კალატოზი შალვა. XVI ს-ში ეკლესია განუახლებია მროველ ეპისკოპოსს დიონისე ლარაძეს. XVII ს-ში ის განუახლებია და შეუქმნა როსტომ მეფის (1632-1658) მეუღლეს მარიამ დედოფალს. 1920 წ. თებერვლის მიწისძვრამ ეკლესია ძლიერ დააზიანა. ის აღადგინეს 1936-1938 და 1950-1953 წლებში.

ტაძარი ჯვარტუმბათოვანი ნაგებობაა (27,3X19,6 მ). ეკლესია პირველად ნაგები ყოფილა გათილი და თანაბარი ზომის მოფითალო-მომწვანო და იასამნისფერი ქვიშაქვის კვადრებით. აღდგენისას გამოყენებულია მოშავო ბაზალტის კვადრები, შირიმი და აგური. ტაძარს აქვს 3 შესასვლელი. თორმეტწახნაგა გუმბათში 12 სარკმელია (6 გვიან ამოუქოლავთ). ნაღისებური აფსიდის წინ ღრმა ბემაა. საკურთხევლის გვერდებზე საღიაკვნი და სამკვეთლოა, რომლებიც დასავლეთით თაღოვანი დიობით უკავშირდებიან შესაბამის ნაგებს. კანკელი მოხატულია. XI ს-ში ტაძარს ჩრდილოეთით და სამხრეთით მიაშენეს კარიბჭე, ეკვდრები. ტაძარი შემკულია მდიდრული ორნამენტებით. გუმბათი ამჟამად გადახურულია თუნუქით. დანარჩენი სახურავი კრამიტისაა.

კოშკი-სამრეკლო ტაძრის დასავლეთითაა ჩამუნებული გალავანში. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. შენობა სამსართულიანია (7,4X6,8 მ). ნაგებია ქვიშაქვისა და შირიმის კვადრებით, ნატეხი ქვით, რიყის ქვითა და აგურით. კომპლექსს გვიან შუა საუკუნეებში შემოვლებული აქვს 1,5 მ სიმაღლის რიყის ქვით ნაგები გალავანი.

კვირაცხოვლის XVIII-XIX სს-ის დარბაზული (7,43X4,47 მ) ეკლესია დგას სოფლის ჩრდილოეთით, სასაფლაოზე. ნაგებია რიყის ქვითა და ქვიშაქვით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. აქვს ნახევარწრიული აფსიდა სარკმლით, რომლის ორივე მხარეს თითო ნიშაა. სამხრეთის კედელში ერთი სარკმელია (სმა 1990: 384).

კვირიკე წმინდის დარბაზული (10,5X6,3 მ) ეკლესია სოფლის ჩრდილოეთ ნაწილშია. ნაგებია რიყის ქვით. შეკეთებულია XIX ს-ში. კედლები ორივე მხრივ შეღესილია. კარ-სარკმლის ვარჯთა პირი თლილი ქვისაა. შესასვლელი სამხრეთითაა. დასავლეთის შესასვლელი ამოშენებულია. აქვს ნახევარწრიული აფსიდი თაღოვანი სარკმლით. ნაგებობას შემოვლებული აქვს შირიმის ლავგარდანი. დასავლეთის ფასადის ფრონტონის კეხზე დაშენებულია აგურის ოთხბოძიანი სამრეკლო. ეკლესია გადახურულია კრამიტით (სმა 1990: 385).

ღვთისმშობლის დარბაზული (8,35X5,8 მ) ეკლესია დგას სოფლის წინუბნის ჩრდილო-აღმოსავლეთით. თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. შეკეთებულია XIX-XX სს-ში. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. ფასადები მოპირკეთებულია შირი-

მის კვადრებით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. აქვს ნახევარწრიული აფსიდა სწორკუთხა სარკმლით, რომლის ორივე მხარეს თითო ნიშაა. დასავლეთის კედელში ერთი სარკმელია. დასავლეთის კედლის ფრონტონის კვხზე დაშენებულია ოთხბოძიანი ოთხმხრივ გახსნილი თაღებიანი სამრეკლო. გადახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით (სძა 1990: 385).

ღვთისმშობლის XIX ს-ის ეკლესია დგას შუაუბანში. ის ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (14,15X9,2 მ). ნაგებია აგურისა და რიყის ქვის რიგების მონაცვლეობით. შესასვლელი სამხრეთიდან (ამოშენებულია) და დასავლეთიდანაა. აქვს პატარა ნახევარწრიული აფსიდა. საკურთხეველი ამალეულია. აფსიდში ერთი ფართო სარკმელი და სამი თაღოვანი ნიშაა. გვერდებზე საღიაკვნი და სამკვეთლოა. მათ ზევით სამალავი საკნებია. ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე, აფსიდის კედლებსა და დასავლეთით მდგომ ორ თავისუფალ ბურჯზე აღმართულია დაბალი, უსარკმლო გუმბათი. ჯვრის ყველა მკლავში თითო სარკმელია. შემკულია დეკორით (სძა 1990: 385).

წმინდა მარინეს დარბაზული (5,6X4,5 მ) ეკლესია დგას სოფლის ცენტრში, გზის პირას, სასაფლაოზე. თარიღდება შუა საუკუნეებით. ნაგებია შირიმის კვადრებით, რიყის ქვითა და ქვიშაქვის ლოდებით. თაღოვანი შესასვლელი დასავლეთითაა. აქვს ღრმა, ნალისებური აფსიდი, სწორკუთხა სარკმლით. გადახურული ყოფილა ლორფინით, რომელიც გვიან შეუცვლიათ კრამიტით (სძა 1990: 388).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1983: 78; ბაგრატიონი 1986: 41; გაფრინდაშვილი 1961: 239-260; გვასალია 1983: 19, 48, 58, 110, 121, 134; გიულდენშტედტი 1962: 279; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 25, 65, 133, 138, 281, 282, 370; 1953: 76, 77, 110, 153, 156, 207-209; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 74; 1955: 63, 107, 423; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 177; ორბელიანი 1981: 78-80; საქ. სიძ. 1909: 237, 452, 486; 1910: 475; სძა 1990: 384, 385; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 274, 308, 406, 408; 1970: 113, 114, 179, 191, 265, 591, 753, 778, 991; 1972: 132, 263, 302, 319, 432, 435, 470, 531, 607, 613; 1974: 64, 162, 188, 460, 468, 469; 1977: 88, 131, 194, 210, 297, 468, 469, 591, 620; 1981: 15, 37, 38, 129, 131, 171, 188, 189, 215, 278, 291, 296, 302, 363, 562, 580, 616, 811, 812, 829; 1985: 15, 20, 51, 66, 67, 77, 84, 114, 115, 201, 388, 389, 427, 428, 590, 618, 708, 725, 913, 933; ქრონიკები 1892: 198, 208, 209, 268, 280; 1897: 54, 55, 61, 197, 252, 373, 438, 511, 515; ქც 1: 304,7; 327,13; ქც 2: 329,6; 340,14; 453,18,22; ქც 4: 148,21; 280,5; 303,9; 373,18,20, სქ. 4: 374,5,9; 467,15; 472,25; 851,1; 857,25; ჩუბინაშვილი 1940ა: 428-468.*

რუსთაშვილი, ქალაქი (ქც 1: 331,14; ქც 4: 331,10,12,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქც 1: 8,20; 9,4; 18,1), მისივე „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“

(ქც 1: 131,7; 137,15), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 113,29; 115,4; 151,21; 157,9,27; 331,10,12,13; 538,4), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 159,11; 181,20; 199,1; 202,16), მატიანე ქართლისა (ქც 1: 310,2,4; 312,13, 316,6), „ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი“ (ქც 1: 331,14; 333,6), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 55,8), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 252,21), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 42), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 61), დავით გარეჯელის ცხოვრება (ცხოვრება დავით გარეჯელისა 1963: 234), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 119), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 82, 91, 130, 134), თბილისის ლურჯი მონასტრის წარწერა (ბერიძე 1948: 97), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 45, 46; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 178; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 198, 364, 374), ეპისტოლეთა წიგნი (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 97), უხტანესი „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ (უხტანესი 1975: 139), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 67, 189, 207).

მდებარეობს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელი ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე. ისტორიული ტრადიციის თანახმად, ციხე-ქალაქი რუსთავი ააშენა ქართველთა ეთნარქის, ქართლოსის ცოლმა. მეფე თრდატს (IV ს.) იქ აუგია ეკლესია და გაუყვანია რუ (აქედან ქალაქის სახელი რუსთავი). ვახტანგ გორგასალმა (V ს-ის მეორე ნახევარი) რუსთავში დასვა ეპისკოპოსი. თბილისის საამიროს დაარსების შემდეგ, რუსთავი მის შემადგენლობაშია. 1070 წ. მეფე ბაგრატ IV-მ (1027-1072) დაამარცხა განძის ამირა ფადლონი და რუსთავი აიღო (ქც 4: 115,4). 1115 წ. რუსთავი თურქებისაგან ათავისუფლოა გიორგიმ ჭყონდიდელმა (ქც 4: 157,9,27). XII ს-ის 60-იან წლებში რუსთავს განაგებდა ამირთ-ამირა აბულასანი (ბერიძე 1948: 97). XII ს-ის 90-იან წლებში რუსთავი გადაეცა ზაქარია მხარგრძელს (ქც 2: 55,8). რუსთავი მოხსრდა 1265 წ. ბერქა ყაენის შემოსევის შედეგად. ერეკლე I-მა (ნაზარალიხანმა) (1688-1703) რუსთავში ააგო სასახლე, რომელიც ვახტანგ VI-მ (1716-1724) დაანგრა (ქც 4: 331,10-12). წყაროებში რუსთავი ზოგჯერ ბოსტან-ქალაქად (ქც 4: 331,10,12) ან ნაგებად (ქც 4: 331,13) მოიხსენიება. ბოსტან იგივე ვუსტანია, რაც სპარსულად ნიშნავს საუფლისწულო დომენს, ამ შემთხვევაში საუფლისწულო ქალაქს (ჭილაშვილი 1958: 45, 46). რაც შეეხება ნაგებს, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ნაგები ნიშნავს სამხრეთით მდებარე (იგულისხმება თბილისის სამხრეთით მდებარე) (ორბელიანი 1949: 242). ქართლის ცხოვრების სომხურ თარგმანში რუსთავი მოიხსენიება რიშად, რიშ-ყალად (ქართ. ცხ. 1953: 021).

რუსთავის არქეოლოგიური შესწავლა, რომელიც დაკავშირებული იყო იქ მეტალურგიული ქარხნის მშენებლობასთან, 1944 წ. დაიწყო ისტორიის ინსტიტუტის რუსთავის ექსპედიციამ (ხელმძღვ. 1944-1948 წწ. მ. ივაშჩენკო, ნ. ლამბაშიძე, 1949-1951, 1959-1961, 1965 წწ. გ. ლომთათიძე, 1972 წ. მ. მიწიშვილი, 1973-1976 წწ. ნ. უგრელიძე, 1977 წლიდან ც. ჩიკოძე).

რუსთავის ნაქალაქარიდან ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი: შუა ბრინჯაოს ხანის წითლად გამომწვარი და შავი საღებავით მოხატული ქოთანის და ვიწროპირიანი, გრძელი სატევარი; II-III სს-ით დათარიღებული შავპირილა პირმიწერილი ჯამები, კოპებები შემკული სამტუჩა ხელადა და სხვ.

გათხრების შედეგად ნაქალაქარზე გამოიყო 6 სხვადასხვა პერიოდის ფენა. I ფენა თარიღდება გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანით. II-VI ფენები მიეკუთვნება ადრე, განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებს.

I ფენა, როგორც ნამოსახლარების, ისე სამარხების სახით, დამოწმებულია ნაქალაქარის რამდენიმე უბანზე. განათხარი მასალა წარმოდგენილია შავად გამომწვარი ორნამენტებული დერგით, ნაცრისფერკვციანი ქოთნით, ყურიანი სასმისებით, სპილენძის ქვაბით და სხვ.

ამავე პერიოდის ორმოსამარხებში გამოვლენილია ბრინჯაოს დაფანჯრულთავიანი სატევრები, რკინის მახვილი, ბრინჯაოს ქედიანი შუბისპირები, სხვადასხვა ტიპის ისრისპირები, სამკაულები, სარდიონისა და პასტის მძივები.

II ფენა, რომელიც თარიღდება IV-V სს-ით, დაფიქსირდა ნაქალაქარის ყველა უბანზე. ეს ფენა წარმოდგენილია საცხოვრებელი და სამეურნეო შენობების ფრაგმენტებით. ისინი ნაგებია რიყის ქვის საძირკველზე ალიზის აგურებით. განათხარი მასალის უმეტესობა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებია. ესენია: წითლად ნაპრიალები ხელალები, ჭინჭილები, მოჩაღისფროდ გამომწვარი ყელწიბოიანი ხელალები, ორფურა ჩაფები, დერგები და სხვ. ამავე ფენაში გვხვდება მინის ადგილობრივი და იმპორტული (სირიული) ნელსაცხებლები, მინის წიდეები, ბრინჯაოს საკინძები (მათ შორის ჯინჯისთავიანები, მარჯნისთავიანები), სამაჯურები, სარდიონის ბეჭედი სასანური გემით და სხვ.

III ფენა თარიღდება VI-VIII სს-ით და საკმაოდ მძლავრი ფენაა. მოიცავს ნაქალაქარის ყველა უბანს და წარმოდგენილია რამდენიმე სამშენებლო დონის სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი და სამეურნეო შენობების ფრაგმენტებით. ძირითადად გავრცელებულია რიყის ქვის საძირკველზე ალიზით ნაგები ბანურსახურავიანი ნაგებობები. გვხვდება აგრეთვე ქვიშაქვის დიდი კვადრებითა და რიყის ქვის მონაცვლეობით ნაგები შენობებიც. აღნიშნულ ფენაში არქეოლოგიური მასალა უხვადაა წარმოდგენილი. მათი უმრავლესობა წითლად და ჩალისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭელია (ხელალები, სასმისები, ჭინჭილები, ყელწიბოიანი დო-

ქები). მინის ნაწარმიდან გვხვდება: ხალიანი მინის ჭურჭლის ნატყები, მინის ბეჭედები. მონეტებიდან აღსანიშნავია ოუსტინე I-ისა (518-527) და კონსტანტინე II-ის (641-668) მონეტები და სხვ. აღნიშნული ფენა დაფარულია მძლავრი ნაცროვან-ნახშიროვანი ნაგებობით. ამ პერიოდში ინგრევა ციხის I ზღუდე, არსებობას წყვეტს ქალაქის მარჯვენა ნაპირის უბნები. ეს მოვლენა უკავშირდება მურვან ერუს ლაშქრობას 736-738 წლებში.

IV ფენა თარიღდება IX-X სს-ით. ეს ფენა შემორჩენილია მარცხენა ნაპირის ზოგიერთ უბანზე. იმ პერიოდის ფენები ყველაზე მძლავრდაა წარმოდგენილი რუსთავის ციხეზე. იმ დროსაა აღდგენილი ციხის ზღუდე. ზღუდის შიგნით, ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე, მიუშენებიათ პილონებიანი სასახლე.


V ფენა თარიღდება XI-XIII სს-ით. მოიცავს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის ყველა უბანს. შენობები ნაგებია რიყის ქვის ბალიშზე თიხით ამოყვანილი კედლებით. ისინი ნახევრადმიწერილ დედაბოძიანი ნაგებობებია, ბანური გადახურვით. გვხვდება რიყის ქვით თიხის ხსნარზე „თევზიფხური“ წყობით ნაგები, მრავალსენაკიანი შენობები ბანური ან ფერდიანი გადახურვით. გათხრებისას ჩნდებოდა ქვიშაქვის კვადრებითა და რიყის ქვის მონაცვლეობით თიხის ხსნარზე ნაგები შენობები. აღნიშნული ფენა გამოირჩევა არქეოლოგიური მასალის განსაკუთრებული სიუხვით. მათში გვხვდება: სხვადასხვა ფორმა-ზომისა და დანიშნულების თიხის, ბრინჯაოსა და მინის ჭურჭელი, სამკაულები, მონეტები (მათ შორის განძები). მონეტებიდან აღსანიშნავია: დემეტრე I-ის (1125-1156), გიორგი III-ის (1156-1184), თამარის (1184-1207), ლაშა-გიორგის (1207-1223), რუსუდანის (1223-1245), ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები და სხვ.

XI-XIII სს-ის ფენებში დაფიქსირდა ორი ძლიერ დამწვარი შრე და ნგრევის კვალი. პირველი მიეკუთვნება XI სს-ს და უკავშირდება თურქ-სელჯუკთა ლაშქრობას. მეორე შრე უკავშირდება 1265 წ. ბერქა ყაენის შემოსევას, რომლის შემდეგაც ქალაქმა არსებობა შეწყვიტა.

XIV-XVII სს-ის ფენები მხოლოდ ციხეზეა დაფიქსირებული. ეს ფენა ზემოდან ადევს განვითარებული შუა საუკუნეების ნაყარ-ნანგრევ ფენას. ფენა წარმოდგენილია დარბაზული ტიპის ეკლესიის საძირკველითა და შესაბამისი სამაროვით. არქეოლოგიური მასალა ძალზე მცირეა. ძირითადად გვხვდება წერნაქით შეღებილი თიხის დოქებისა და თევზების ფრაგმენტები. ამავე ფენას მიეკუთვნება ციხის ჩრდილო-დასავლეთ ზღუდეზე მიდგმული ორსენაკიანი ნაგებობა, ე. წ. სასახლე, რომელიც, წყაროთა ჩვენებით, ერეკლე I-ის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო.

1996 წ. ნაქალაქარის ტერიტორიაზე ვახტანგ გორგასლის ეკლესიის ეზოში აღმოჩნდა მრავალფენიანი ძეგლი, სადაც გამოვლინდა: ადრე შუა საუკუნეების სასახლის ნაშთები, რომელიც რუსთავის

ეპისკოპოსის რეზიდენცია უნდა იყოს; IX-X სს-ში საწარმოო უბანი, კრამიტის გამოსაწვავი სამი ქურთია და დამხმარე ნაგებობებით; განვითარებული შუა საუკუნეების საცხოვრებელი ნაგებობები და სამარხები (არჩვამე, ჩხატარაშვილი 1998: 67-72). 1950 წ. მედქალაქის ტერიტორიაზე გაითხარა ნაგებობა, სადაც დაფიქსირდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული სვეტების ორი ბაზა და ქვის ფილებით მოვებული იატაკი. ნაგებობა სამნავიანი ბაზილიკის შთაბეჭდილებას ტოვებს (ჭილაშვილი 1958: 91, 92; ლომთათიძე 1988: 23, 24).



რუსთავის ციხის გენგეგმა

რუსთავის ნაქალაქარზე სხვადასხვა პერიოდის რამდენიმე სამაროვანია მიკვლეული. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, მიკვლეულია IV-V სს-ის სამაროვანი. სამაროვანზე ვგვხვდება ორი ტიპის სამარხები. ორმოსამარხები ინდივიდუალურია, ქვის სამარხები – საოჯახო. ორმოსამარხებში მიცვალებულები დასვენებულია ზურგზე გაშოტილი, ხელები ტანის გასწვრივ ან გულხელდაკრეფილი, გულაღმა გაშოტილი და ფეხებმოკეცილი. დამხრობა სამხრეთ-დასავლეთით, სამხრეთით ან დასავლეთითაა. ქვის სამარხებში მიცვალებულები დაკრძალულნი არიან თავით დასავლეთით, ზურგზე გაშოტილი, ხელები ტანის გასწვრივ ან გულხელდაკრეფილი. სამარხეული მასალა უმთავრესად სამკაულითაა წარმოდგენილი. ესენია: ოქროს ორწილადი მძივასმული საყურეები; ბეჭდები, ბრინჯაოს საკინძები, მინის ადგილობრივი და სირიული წარმომავლობის სანელსაცხებლები და სხვ.


რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება ნაქალაქარის მარჯვენა ნაპირის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი V ს-ით დათარიღებული თიხის სარკოფაგი.

1986 წ. ნაქალაქარის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანზე, V-VI სს-ის ეკლესიის მახლობლად, აღმოჩნდა მოყვითალო-მონაცრისფრო ქვისაგან გამოკვე-

თილი რელიეფური ჯვრით შემკული სარკოფაგები. მათში ჩასვენებული იყვნენ ქალები. პირველ სარკოფაგში მიცვალებული ესვენა ხელფეხმოკეცილი მარცხენა გვერდზე. მეორე სარკოფაგში კი ე. წ. ვედრების პოზაში. მიცვალებულებს ემოსათ აპლიკაციებით შემკული შალის ქსოვილის გრძელი კაბა. მიცვალებულები განკურული იყვნენ სელის სუ-დარაში. სარკოფაგები თარიღდება VII-VIII სს-ით (პაჭიკაშვილი 2000: 22, 23).

VI-VIII სს-ით თარიღდება სამაროვანი, რომელიც მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეს. სამარხები შედგენილია ქვიშაქვის გათლილი ფილებით. სამარხები კოლექტიურია. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. მიცვალებულები დაკრძალული არიან ქრისტიანული წესით. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია ოქროს ორწილადი საყურით, ბრინჯაოს მძივასმული საყურეებით, ბრინჯაოს და რკინის საკიდით, მარგალიტისა და პასტისთავიანი საკინძებით, მინის ბეჭდებით, ბრინჯაოს და რკინის სამაჯურებით, გიშრისა და პასტის მძივებით და სხვ.

XI-XIII სს-ის სამაროვანი, რომელიც გამართულია ადრე შუა საუკუნეების ქვის სარკოფაგებზე, მდებარეობს ნაქალაქარის ცენტრალურ უბანზე (თანამედროვე მედქალაქის ტერიტორიაზე), ციხიდან 300 მ-ის დაშორებით. სამაროვანზე გაითხარა 3 ტიპის სამარხები: ორმოსამარხები, ქვის სამარხები და ალიზის სამარხები. უმრავლესობა ორმოსამარხებია. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია. სამარხთა ნაწილი ინვენტარიანია. სამარხეული ნივთები, ძირითადად, სამკაულები და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებია: ბრინჯაოს დაფანჯრული ბურთულა ღილები და ფაიანსის ღილები; რკინის აპზინდები, მძივები, მინისა და ბრინჯაოს სამაჯურები; ფაიანსის გულსაკიდები; იშვიათად ვგვხვდება ჭურჭელი: წითლად და შავად მოხატული თიხის ჭინჭილები, მოჭიქული ჯამები, ჩაიღნისე-ბური ლითონის ჭურჭელი, მინის სასმისები, დოქი და სხვ.



რუსთავის ციხის სასახლის გეგმა



რუსთავის ციხე

რუსთავის ციხე მდებარეობს მდ. მტკვრიდან გამოყვანილი არხის სათავესთან. ციხეს უკავია 1,5 ჰა ფართობი. ციხე გაშენებულია გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის გორანამოსხლარზე. ციხეზე გაითხარა შუა საუკუნეების ზღუდეების სასახლეების, აბანოების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ნაშთები.

ციხეს ჰქონია სამი სხვადასხვა პერიოდის, განსხვავებული სამშენებლო ტექნიკითა და კონსტრუქციით ნაგები ზღუდე. პირველი ზღუდე, ოთხკუთხა კოშკებითა და პილონებით, აგებულია IV-V სს-ში, ქვის კვადრებითა და აგურის მონაცვლეობით გაჯის ხსნარზე. ზღუდის სისქეა 0,8 მ. პილონებს შორის მანძილია 4,2-5 მ. სიმაღლე, სავარაუდოდ, 7 მ-ს აღწევდა. ზღუდე დაინგრა 736-738 წწ. მურვან ყრუს შემოსევის შედეგად. VIII-IX სს-ით დათარიღებული მეორე ზღუდე იმეორებს პირველი ზღუდის პერიმეტრს. შედგება 16 დიდი და პატარა ნახევარწრიული კოშკისა და ბურჯისაგან. ზღუდის ქვედა ნაწილი 3-4 მ სიმაღლეზე ნაგებია ქვიშაქვის თლილი ქვებით, აგურის ე. წ. „ჭადრაკული“ წყობის მონაცვლეობით. ზედა ნაწილი კი გაჯის ხსნარზე ნაგები ალიზის კედელია. მისი სისქეა 1,2 მ, სავარაუდო სიმაღლე – 11 მ. მეორე ზღუდე დაინგრა XI ს-ში თურქ-სელჯუკთა შემოსევების დროს. მესამე ზღუდე თარიღდება XII-XIII სს-ით. ნაგებია რიყის ქვით, კირხსნარზე. გარედან მოპირკეთებული ყოფილა ქვიშაქვის კვადრებითა და აგურით. შემორჩენილია მხოლოდ მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები. სამხრეთ-დასავლეთ მხარეს ჩაშენებულია აგურით ნაგები გვირაბიანი კარიბჭე. ზღუდე განადგურდა XIII ს-ის მეორე ნახევარში მონღოლთა ლაშქრობების დროს.

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ სექტორში გაითხარა IX-XIII სს-ის სასახლის კომპლექსი. შემორჩენილია 13 მასური პილონი. სავარაუდოდ, სასახლე და მეორე ზღუდე ერთდროულად IX ს-ში უნდა იყოს აგებული. სასახლე XI ს-ში გადაუკეთებიათ. ორსართულიან სასახლეში აღმოჩნდა ფიგურული კარნიზები, სარკმლის მინა ალუბასტრის ჩარჩოებით, ჰორელიეფი ადამიანის გამოსახულებით, კედლის მოხატული ფრაგმენტები, ბრინჯაოს შტანდარტი და სხვ. იქვე გაითხარა ორ ზღუდეს შორის მოქცეული აბანო.

რუსთავის ნაქალაქარსა და ციხეზე აღმოჩენილია მონეტების რამდენიმე განძი. მედქალაქის

ტერიტორიაზე აღმოჩენილ განძში შედიოდა 395 სპილენძის მონეტა (წონა 8,2 კგ). მათ შორის იყო: დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, გიორგი III-ისა და თამარის, თამარის, ლაშა-გიორგის, ჯალალედინის და გაურკვეველი მონეტები. ციხის სასახლის ეზოში აღმოჩნდა რუსუდანის მონეტების განძი, რომელშიც შედიოდა 76 მონეტა: 1 დემეტრე I-ის, 1 ილდიგიზიდურის, 2 ჯალალედინის, დანარჩენი ეკუთვნოდა რუსუდანს. მეორე „მცირე განძი“, რომელიც შეიცავს 15 მონეტას, აღმოჩნდა ციხის I თხრილში (ჯალალანია 1978: 46-68).

ნაქალაქარზე აღმოჩენილია ორი წარწერიანი საფლავის ქვა, რომლებიც თარიღდება X-XI სს-ით (ჭილაშვილი 1958: 148, 149). წარწერები გვხვდება თიხის ჭურჭელზე (ხელადაზე – „თეფაღე“, ჯამზე – „ესე ამისა დამწერი შეიწ ...“, კრამიტებზე და სხვ.). განათხარი მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი), რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და რუსთავში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიის ცენტრის კუხეთის ექსპედიციის ბაზაზე.

ბიბლიოგრაფია: არჩვაძე 1966: 21, 22; 1969: 126-135; 1970: 223-237; 1978: 111-130; არჩვაძე ... 1984: 49-54; არჩვაძე, ჩხატარაშვილი 1998: 67-72; ბაგრატიონი 1983: 61; ბაგრატიონი 1986: 42; ბერიძე 1948: 97; გვეგენავა, პაპუაშვილი ... 1979: 32-48; დადიანი 1962: 82, 91, 130, 134; თეღიშვილი ... 1977: 73-77; გიულდენშტედტი 1962: 67, 189, 207; ეპისტოლეთა წიგნი 1968: 97; ივანეშვილი 1988: 62-70; 1988ა: 71-86; ლომთათიძე 1950: 15-17; 1950ა: 43, 44; 1952: 190-194; 1955: 171-210; 1960: 50-55; 1961: 50-53; 1962: 51-56; 1963: 73-76; 1966: 38, 40; 1968: 35-44; 1969: 3-19; 1988: 6-61; ლორთქიფანიძე 1958: 321-324; მამიაშვილი 1961: 343-346; 1966: 180-199; 1969: 106-124; 1976: 101, 102; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 178; მელითაური 1979: 24-31; მიწიშვილი ... 1973: 95-98; მიწიშვილი ... 1973ა: 82-84; 1978: 25-30; მიწიშვილი 1985: 42-45; 1998: 45-66; მქ 1963: 91; ორბელიანი 1981: 119; პაპუაშვილი ... 1978: 98-100; პაჭიაკაშვილი 1995: 20; 2000: 22, 23; უგრელიძე 1953: 52; 1978: 35-40; უგრელიძე ... 1974: 75-77; უგრელიძე ... 1976: 95-98; უგრელიძე ... 1978: 86-89; უგრელიძე ... 1979: 242-247; უხტანესი 1975: 139; ქართ. ცხ. 1953: 021; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 198, 364, 374; ქრონიკები 1892: 45, 46; ჩიკოძე 1988: 47, 48; ქც 1: 8,20; 9,4; 18,1; 131,7; 137,15; 159,11; 181,20; 199,1; 202,16; 310,2,4; 312,13; 316,6; 331,14; 333,6; ქც 2: 55,8; 252,21; ქც 4: 113,29; 115,4; 151,21; 157,9,27; 331,10,12,13; 538,4; ჩიკოძე ... 1978: 492; 1980: 275-281; 1981: 186-192; 1982: 59-61; 1985: 61-65; 1987: 89-93; 1999: 99-102; ჩხატარაშვილი 1964: 165-177; 1966: 27, 28; 1968: 267-273; 1969: 136-153; 1973: 31-34; 1978; 1978ა: 69-97; 1988: 26, 27; 1998: 4-41; ცხოვრება დავით გარეჯელისა 1963: 234; ჭილაშვილი 1958; 1961: 399-402; ჯალალანია 1978: 46-67; ჯანდიერი 1962: 46-49; ჯღამაია 1964: 61-64; ჯღამაია 1982: 99-102.

რუხი, ციხე (ქც 4: 779,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 779,5,8,9, სქ. 3,4; 864,11, 883,21), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქც 2: 533,6), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 33), კინკლასური ქრონიკა (მცირე ქრონიკები 1968: 60), ქართული ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1967: 312, 321, 366, 517, 622, 637, 639; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 255, 670; სიგელები ... 1891: 382; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 255), 1770 წ. კაცია II დადიანის სიგელი იმპერატორ ეკატერინე II-ისადმი (ბროსე 1861: 228), ლიხთ-იმერეთის 1737 წ. რუკა (ბურჯანაძე 1959: 195), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 180), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 115, 230, 248-250), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 325), ნიკოლაე ვიტსენის „მოგზაურობა ჩრდილო და აღმოსავლეთ აზია-ევროპაში“ (ვიტსენი 1705: 616), XVIII ს-ის თურქული წერილობითი წყაროები (ოსმალური დოკუმენტური ... 1982: 23-27; 30-40, 45-52, 60-67, 69-73, 79, 80, 84-87, 90-95, 97, 99, 100, 106, 107, 114, 115, 117-121, 126, 127, 129-133, 145-149), ბოროზდინის „სამეგრელო“ (ბოროზდინი 1934: 20).

რუხის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: ენგურის მდინარეზე „ანაკრიის აღმოსავლით ... არს რუხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინარე“ (ქც 4: 779,4-6).

მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპ-ში, მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე, ქ. ზუგდიდიდან 8 კმ-ის დაშორებით, ახლანდელ სოფ. რუხის ტერიტორიაზე. XVII ს-ში რუხი სამეგრელოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი იყო. ამავე დროს, ის საქალაქო ცენტრიცაა. ლევან II დადიანის დროს რუხში დაასახლეს ებრაელი და სომეხი ვაჭარ-ხელოსნები. 1725 წ. ოსმალებმა რუხი დაარბიეს და მისი ციხესიმაგრეც დაანგრიეს. ამის

შემდეგ რუხმა დაკარგა საქალაქო ცენტრის ფუნქცია და მხოლოდ სიმაგრეს წარმოადგენდა (პაჭკორია 1974: 45, 46). სოფ. რუხი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.



რუხის ციხე

1920 წ. რუხის ციხის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერი და ლისიმაქეს ოქროს სტატერის მინაბაძი. 1930 წ. იქ შემთხვევით ნაპოვნია კოლხური მონეტა (პახომოვი 1940: 5, 7).

რუხის ციხე მდებარეობს მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე. აგებულია 1647 წ. ლევან II დადიანის მმართველობისას (ქც 4: 779,6). ციხის ფართობია 1 ჰა. გალანისა და კოშკების ზედა ნაწილი დაზიანებულია. ციხესიმაგრე შედგება ციხადელისა და ქვედა ეზოსაგან. ციხადელს უკავია ციხის ჩრდილოეთი მონაკვეთი. გვერდში მოგრძოა, ელიფსს მიახლოებული. კედლის ქვედა ნაწილის სისქე 4-6 მ შორის მერყეობს, ზედა ნაწილი 3-5 მ-ია. ნაგებია რიყის ქვით. ციხადელის გალანაში ჩაშენებულია ოთხკუთხა გვერდის კოშკები (ზაქარაია 1970ა: 167-169).

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1971: 62; ბოროზდინი 1934: 20; ბროსე 1861: 228; ბურჯანაძე 1959: 195; გიულდენშტედტი 1962: 325; გორგიჯანიძე 1926: 33; დადიანი 1962: 180; ვიტსენი 1705: 516; ზაქარაია 1970ა: 167-169; მცირე ქრონიკები 1968: 60; ოსმალური დოკუმენტური ... 1982: 23-27; 30-40, 45-52, 60-67, 69-73, 79, 80, 84-87, 90-95, 97, 99, 100, 106, 107, 114, 115, 117-121, 126, 127, 129-133, 145-149; პაჭკორია 1974: 45, 46; პახომოვი 1940: 5, 7; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 255; სიგელები ... 1891: 382; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 255, 670, 677; ქრონიკები 1967: 312, 321, 366, 517, 622, 637, 639; ქც 2: 533,6; ქც 4: 779,5,8,9, სქ. 3,4; 864,11; 883,21; შარდენი 1975: 115, 230, 248-250.



საბატო (ქც 4: 319,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 319,22), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 113; საქ. სიძ. 1909: 124, 125), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 325, 326; 1970ა: 621, 624, 625, 700), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 48), 1721 წ. აღწერის მასალები (მასალანი საქ. სტატ. 1907: 39).

ვახუშტი ბაგრატიონი საბატეს შესახებ გადმოგვცემს: „ერთვის ქციას ხევი ვრან-თურანისა, გამოსდის ერჯენის მთასა, მორთვის ჩდილოდამ, საბატეს, ქციას“ (ქც 4: 319,21-23).

მღებარეობს თრიალეთში, მდ. ქციის მარცხენა ნაპირზე, ვრან-თურანისა და ბეშთაშენის ხევეებს შორის, ეძანის დასავლეთით (ლორთქიფანიძე 1938: 340). „საბატე“ ორი სოფელი იყო. მათგან ერთს „პატარა საბატე“ ერქვა (ლორთქიფანიძე 1938: 340; ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 625). საბატეს თანამედროვე შესატყვისი შეპიაკი უნდა იყოს (მელიქსეთ-ბეგი 1934: 34).

XVII ს-ში საბატე დედოფლის სახასო სოფლად ითვლებოდა (მასალანი საქ. სტატ. 1907: 390). XVIII ს-ში ის მუსხელიშვილების სამოურავო სოფელია. XVIII ს-ის მეორე ნახევარში საბატე მუსხელიშვილებისა და თურქესტანიშვილების სოფელი იყო (ლორთქიფანიძე 1938: 340).

საბატე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 48; ბერძენიშვილი 1964: 141; ლორთქიფანიძე 1935: 60; 1938: 340; მასალანი საქ. სტატ. 1907: 39; მელიქსეთ-ბეგი 1934: 26-44; საქ. სიძ. 1909: 124, 125; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 325, 326; 1972: 113; 1970ა: 621, 624, 625, 700; ქც 4: 319,22.*

საბაწმიდა, მონასტერი (ქც 4: 370,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 370,17), XV-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1920: 8; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 179; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 321), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 41).

ვახუშტი ბაგრატიონი საბაწმინდის შესახებ გადმოგვცემს: „ერედვის ჩდილოთ ... ქრცხილვანისა-

კენ, მონასტერი გუმბათიანი ... საბაწმიდა“ (ქც 4: 370,15-17).

მღებარეობს ცხინვალის მუნიცი-ში, მდ. ლიახვის მარცხენა მხარეს, ცხინვალიდან 4 კმ-ის დაშორებით, სოფ. საბაწმინდაში.

საბაწმიდა XVI ს-ში სვეტიცხოვლის საკათალიკოსო სოფელია (საქ. სიძ. 1920: 8). XVIII ს-ის მეორე ნახევარში ის სამეფო-სახასო სოფელია (ბაგრატიონი 1986: 41)

საბაწმინდა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

საბაწმინდის ეკლესია მღებარეობს სოფ. საბაწმინდაში, შემადგენულ ადგილას. ეკლესია დარბაზულია (6X12მ). ნაგებია დუღაბით. მოპირკეთებულია რუხი ფერის ქვათილებით. გადახურულია ღარიანი კრამიტით. აქვს სარკმლები. სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მინაშენებია. დასავლეთის მინაშენის კარის თავზე ორნამენტებული როზეტა ჩასმული. კარის ორივე მხარეზე მოთავსებულია მკრთალი ხუცური წარწერა. სამხრეთ ფასადზე თალიანი ფანჯარაა. აქვეა ამოჭრილი გაურკვეველი წარწერა. ეკლესია აგებულია X ს-ში. აღდგენილია XIV ს-ში. ინტერიერი მოხატული ყოფილა. ამჟამად შემორჩენილია ეკლესიისა და გალავნის ნანგრევები (მაკალათია 1971: 38, 39).

საბაწმინდის სამონასტრო კომპლექსს ეკუთვნის მის სამხრეთით, ორსართულიანი, მრგვალი საცხოვრებელი კოშკი, რომელიც სოფ. ხეითში დგას და „ხეითის კოშკის“ სახელითაა ცნობილი. კოშკი ნაგებია სიბი და ფლეთილი ქვით. კედლის პირი შიგნიდან ნაღესი ყოფილა. კოშკის კარი მეორე სართულზეა. კარის წინ ორ კოჭზე გამართული ბაქანია, სადაც მისადგმელი ან ასაზიდი კიბით აღიოდნენ. მეორე სართულის ოთახის, რვაგვერდა დარბაზის ორგვლივ მცირე სადგომები იყო განლაგებული. ოთახის ერთ-ერთ კედელში ბუხარია. მისი მარჯვენა და მარცხენა გვერდის მთელ სივანეზე შეისრული თაღით გადახურული ღრმა ნიშებია. დარბაზს ოთხი სარკმელი აქვს. კამარით გადახურულ კოშკში გამართული იყო სათოფურები. მეორე სართული წარმოადგენდა საცხოვრებელ და სადარბაზო ოთახს. პირველი სართული – დამხმარე სადგომს, სადაც ოთახის შუაგულში 7 ქვევრი იყო და ერთ-ერთ მონრდელ თახჩაში მონასტრიდან გამოყვანილი მილებით წყალი შემოდოდა. თახჩების მაღლა, ოთახის კამარაში 4 სარკმელია. სადგომი სამურნეთ და იარაღის შესანახ ოთახს წარმოადგენდა

(ცინცაძე 1955: 233-235). კოშკი XVII-XVIII სს-ის მიჯნაზეა აშენებული და მისი აგება ვახტანგ VI-ს (1716-1724) უკავშირდება (ცინცაძე 1955: 234). კოშკის აგებას ზაალ მაჩაბლის სახელსაც უკავშირებენ (მაკალათია 1971: 39).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 41; ბაქრაძე 1875: 125; მაკალათია 1971: 38, 39, 40; მასალები საქ. ისტ. კვებ. 1964: 179; საქ. სიძ. 1920: 8; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 321; ქც 4: 370,17; ცინცაძე 1955: 233-255.*

საბჭოთაობა (ქც 4: 351,23). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 351,23, 462,6).

ვახუშტი ბაგრატიონი საბურდიანოს შესახებ გადმოგვცემს: „ტყვილიანის ჩდილოთ არს მონასტერი მჭადის-ჯუარისა, საბურდიანოსა შინა, გუმბათიანი და აწ უქმი“ (ქც 4: 351,22-24).

სავარაუდოდ, ლოკალიზდება მჭადის-ჯვრის მონასტრის მიდამოებში.

ბიბლიოგრაფია: *ქც 4:351,23, 462,6.*

საბჭოთაობა (ქც 4: 339,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 339,1), სიმონ მეფის (1556-1600) 1589 წ. საბუთი (სიმონ მეფის არზა ... 1980: 161), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 598,3), XVIII ს-ის ნასყიდობის სიგელი (ბერიძე 1977: 64), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 81). მდებარეობს თბილისში, წარმოადგენს დედაქალაქის ერთ-ერთ რაიონს.

საბურთალო, როგორც სოფელი, ერთადერთხელ იხსენიება ქართლის მეფე სიმონ I-ის მიერ ოსმალეთის სულთან მურად III-ისადმი 1589 წ. მიწერილ არზაში (სიმონ მეფის არზა ... 1980: 161). მოგვიანო წყაროებში საბურთალო იხსენიება როგორც ველი, ზვარი ან მინდორი (ქც 4: 339,1; ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 598,3; ბა-გრატიონი 1986: 81). საბურთალოს ველი ირწყვებოდა მდ. ვერედან გამოტანილი რუს მეშვეობით, რომელიც XVIII ს-ის პირველი ნახევრისათვის უკვე აღარ მოქმედებდა (ქც 4: 339,1,2). საბურთალო იყო გაბაშვილების მამული. XIX ს-ში საბურთალოს ტერიტორიაზე ჩნდება სოფლური ტიპის დასახლება. საბურთალო დედაქალაქს შეუერთდა 1917 წელს (ბერიძე 1977: 66, 67).

1962 წ. საბურთალოზე, მიცკევიჩის ქუჩაზე შემთხვევით აღმოჩნდა კაჟის ხელ-შუბისპირი, რაც ამ ტერიტორიაზე ქვის ხანის ადამიანის არსებობას გვაგვარაუდებინებს (ტყემელაშვილი 1966: 51, 52).

1972, 1976 წწ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თბილისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. რ. აბრამიშვილი) საბურთალოზე, ნასოფლარ დელისის მახლობლად (ვაჟა-ფშაველას გამზირი №45) შეისწავლა სოფლის მეურნეობის მშენებლობის სამინისტროს საძირკვლისათვის

ქვაბულის ამოღების დროს დაწვრიული ენეოლითური ხანის ნასახლარის ერთი ნაწილი (აბრამიშვილი ... 1973: 39-45; აბრამიშვილი ... 1979: 48-50). ნასოფლარს ეკავა 4500 კვმ-ზე მეტი ფართობი. მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 5 მ სიღრმეზე გამოვლენილ ფენაში აღ-



არტეფაქტი დელისიდან

მოჩნდა ნაცრისა და ნახშირის შემცველი 10-15 სმ სისქის შრე. არქეოლოგიური მასალის უდიდესი ნაწილი მოპოვებულია სწორედ ამ ნახანძრალ ფენაში. მასალა შეიცავს თიხის ჭურჭლის ნატყეხებს, ბაზალტის იარაღს, შურდულის ქვას, ობსიდიანის ანატაკეცებს, ცხოველის ძვლების ფრაგმენტებს. კერამიკა ძალზე ფრაგმენტულია. ნაძერწია ხელით. თიხა შეიცავს ობსიდიანის, ბაზალტის, ქარსის, კაჟისა და სხვ. მინარევებს. ფრაგმენტები ძირითადად მორუხო-მოვარდისფროა, ხაოიანი ზედაპირით. ზოგიერთ ნატყეხზე და შიდაპირზე ეტყობა მოსწორების კვალი. ზოგიც გაპრიალებულია. ერთ ნატყეხზე შემორჩენილია უნაგირისებური შვერილი.

1976 წ. გამოვლენილი კერამიკა უფრო მუქი ფერისაა, ზედაპირი მორუხო-მონაცრისფროა, შიდაპირი და კეცი - მოშავო. კერამიკა აღარ შეიცავს ობსიდიანის, ბაზალტისა და კაჟის მინარევებს, მაგრამ გვხვდება შამოტის ჩანართები. ამ მასალასთან ერთად გამოვლინდა შედარებით განლექილი თიხისაგან დამზადებული შავპირილაზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ორი ფრაგმენტი. ერთი ვარდისფერსარჩულიანია, მეორეზე შემორჩენილია კოპისეპური დანაძერწი. იქვეა აღმოჩენილი ობსიდიანის ქუსლამოღარული ისრისპირი. აღნიშნული მასალა გამოვლინდა ძლიერ დაზიანებულ ფართობზე, რის გამოც რომელიმე ფენისადმი მისი მიკუთვნება ჭირს. შავპირილა ზედაპირიანი კერამიკა და ობსიდიანის ქუსლამოღარული ისრისპირი დამახასიათებელია ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის. სავარაუდოა, რომ, დელისის ნასახლარზე არსებობდა მოგვიანო პერიოდის ფენაც. ნასახლარი მიჩნეულია ადრესამიწათომოქმედო კულტურის იმ საფეხურის ძეგლად, სადაც თავს იჩენს მტკვარ-არაქის კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ნასახლარი თარიღდება ძვ. წ. V ათასწლეულის დასასრულითა და IV ათასწლეულის პირველი ნახევრით. დელისის ნასახლარის არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (თბილისის არქეოლოგიური მუზეუმსაცავი) (თბილისი 1978: 28-33).

საბურთალოს ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებიდან აღსანიშნავია ენეოლითური ხანის ძეგლი მდ. ვერეს მარცხენა ნაპირზე, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მახლობლად (თბილისი 1978: 201).

1952 წ. ლისის ტბისკენ მიმავალი გზის ჩრდილო-დასავლეთით, გორის თხემზე გამოვლინდა მო-

ვარდისფრო, ლევა და მონაცრისფრო თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ვარდისფერი სარჩულით. კერამიკული ნაწარმი ენეოლითიდან ადრე ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ ან ადრე ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (ქორიძე 1958: 84-86; ტყემელაშვილი 1966: 21, 22).

ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლები მიკვლეულია აგრეთვე ანაგის ქუჩაზე და ბაქტერიოფაგის მიდამოებში (თბილისი 1978: 201).

გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები აღმოჩენილია ლისის ტბისაკენ მიმავალი გზის პირას, ნანეიშვილის ქუჩასთან, ადგილ დამპალწყლის მიდამოებში. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (თბილისის არქეოლოგიური მუზეუმ-საცავი) (ტყემელაშვილი 1966: 21-24; თბილისი 1978: 201). 1940 წ. პირველი ახალშენის ქუჩაზე შემთხვევით აღმოჩნდა სამაროვანი. №1 სამარხი გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე. მისგან 3 მ-ის დაშორებით აღმოჩენილია სხვა სამარხი. ჩონჩხთან ერთად სამარხში უპოვიათ თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს ისრისწვერები. იმ მიდამოებში მიწის სამუშაოების დროს თიხის ჭურჭელი სხვა ადგილებშიც ჩნდებოდა. სამარხეული ინვენტარის ნაწილი დაიკარგა. №1 სამარხის ინვენტარი შედგება შავად გამომწვარი თიხის ჭურჭლის (ქოთანი, ხელადა, სასმისები, ჯამები), ბრინჯაოს მახათის, სამაჯური-სა და პასტის მძივებისაგან. №2 სამარხიდან მომდინარეობს მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის 4 ჭურჭელი და ბრინჯაოს ისრისწვერები. №3 სამარხიდან მხოლოდ მოშავო-მონაცრისფრო კოჭობია შემორჩენილი. ნივთები თარიღდება ძვ. წ. XI-IX სს-ით. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (ქორიძე 1958: 25-33).

1949 წ. ვიპურის ქუჩაზე ბინის მშენებლობის დროს აღმოჩნდა რამდენიმე სამარხი. №1 სამარხში გამოვლინდა ლევა ფერის 4 ჭურჭელი (ყურანი ჩაფი, შემკული ამოღარული სამკუთხედებით; დერგი, შემკული ირიბი ნაჭდევებით; სასმისი და კოჭობი), ბრინჯაოს თავგახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი სამაჯური, სარდიონის მძივები. №2 სამარხის ინვენტარს შეადგენდა ლევა ფერის თიხის ლანგარი პირთან საწური მილით, ჭურჭლის ფრაგმენტები, ბრინჯაოს 5 სამაჯური, შემკული გველის თავების სქემატური გამოსახულებით. №3 სამარხში აღმოჩნდა: ლევა ფერის ყურანი, ძირდაკეჭნილი ქოთანი; ლანგარი; წელში გამოყვანილი ყურანი სასმისი, თიხის ჭურჭლის სხვა ნატყენები. იქვე გამოვლინდა სატყევისა თუ მახვილის რკინის ნატყენები. აღნიშნული სამარხებიდან 100-120 მ-ის დაშორებით შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს საკინძი. ნივთების დიდი ნაწილი დაიკარგა. შემორჩენილია მხოლოდ შავად გამომწვარი ყურანი დოქი. ნივთები თარიღდება ძვ. წ. VIII-VI სს-ით. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზე-

უმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (ქორიძე 1958: 35-38).

ანტიკური ხანის სამაროვანი მიკვლეულია ვაჟა-ფშაველას გამზირზე, I კვარტალში. ანტიკური ხანის მონეტა აღმოჩნდა ნუცუბიდის ქუჩის №21 სახლის მახლობლად. შუა საუკუნეების ნასახლარები გამოვლილია ლისის ტბის სამხრეთით, საბურთალოს III, IV, V კვარტალებში. აგრეთვე ვაჟა-ფშაველას გამზირის დასასრულთან. იმავე მიდამოებშია აღმოჩენილი სამაროვანი. შუა საუკუნეების სამაროვანი აღმოჩენილია უნივერსიტეტის მალღვივ კორპუსთან (ტყემელაშვილი 1966: 49; თბილისი 1978: 201).

1940 წ. საბურთალოზე შემთხვევით აღმოჩნდა მონღოლური ანონიმური მონეტა მოისარი მხედრის გამოსახულებით (ჯალალანია 1958: 114). მონეტა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი ... 1973: 39-45; აბრამიშვილი ... 1979: 48-50; აბრამიშვილი ... 1980: 39-44; აბრამიშვილი ... 1982a: 13-15; ბაგრატიონი 1986: 81; ბერიძე 1977: 64, 66, 67; თბილისი 1978: 28-33; სიმონ მეფის არზა ... 1980: 161; ტყემელაშვილი 1966: 13-64; ქართ. სამართ. ძეგ. 1970a: 598,3; ქვ 4: 339,1; ქორიძე 1958; ჯალალანია 1958: 114;

საბარძო (ქვ 4: 396,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 396,13; 495,8; 500,14; 525,12; 528,12; 529,10; 616,16; 618,23; 622,23; 630,8), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქვ 2: 353,3; 491,28), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 197, 231, 338, 416, 453, 464, 465, 516; 1967: 205, 519, 600, 601, 603; საქ. სიძ. 1909: 531; 1910: 23, 73, 304, 505; ქართლ-კახეთის ... 1903: 19, 34, 35, 39, 83, 96, 105, 106, 139, 147, 150, 159; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 7; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 180; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 53, 54, 79, 91, 96, 114, 116, 163, 217; ქართ. ეპისტ. ... 1989: 46; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 399, 402; 1970: 180, 596, 697, 758, 854, 896, 898, 956, 986, 1022, 1042, 1051; 1972: 96, 97, 366, 371, 425; 1974: 166, 424, 474; 1977: 14, 325, 371; 1981: 42, 44, 49, 116, 223, 224, 358, 823, 824; 1985: 57, 520, 557, 616, 701, 702; ქართლ-საბარძო ... 1955: 139, 365, 366, 448). ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 52), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 80, 101), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 80, 83, 87, 144, 146, 177, 228, 231), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 35, 46), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 66), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 43), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 74), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი

1983: 81, 82), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტ 1962: 19, 37, 41, 43, 195, 257, 261).

მდებარეობს გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთი კალთის მთისწინეთში, მდ. ივრის მარცხენა შენაკადის თვალახევის ნაპირას. წარმოადგენს რაიონულ ცენტრს.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, დაბას საგარეჯო უწოდეს მას შემდეგ, რაც იგი გარეჯის მონასტერს შესწირეს (ქც 4: 529,9,10). წყაროებში პირველად იხსენიება 1392 წ. ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 180). 1575 წ. კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605) სვეტიცხოველს უბრუნებს საგარეჯოს (ქრონიკები 1897: 416). 1614 წ. შაჰ-აბას I-მა (1587-1629) დაარბია საგარეჯო (ცხოვრება ... 1980: 80). 1721 წ. ლეკებისაგან შეწყუხებული კახელები საგარეჯოში გამაგრდნენ (ქც 4: 618,22-24), 1740 წ. თეიმურაზ II-მ (1744-1762) საგარეჯოსთან დაამარცხა თბილისის ხანი (ქც 4: 630,8). 1749 წ. ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად მიმავალ ერეკლე II-ს (1744-1798) კახელების ჯარის ნაწილი საგარეჯოში შეუერთდა (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 91), 1797 წ. ლეკიანობის გამო კაკაბეთიდან მარტყოფამდე მოსახლეობა უნდა აყრილიყო და თბილისში ჩასულიყო. საგარეჯოელებს ამაზე უარი უთქვამთ, ჩვენ ქალაქს ვერ ჩავალთ (საქ. სიძ. 1910: 304). 1800 წ. 6 ნოემბერს დაღესტნელი ომარ-ხანი და ალექსანდრე ბატონიშვილი საგარეჯოსა და მისი სოფლების დასაპყრობად გაემართნენ. 7 ნოემბერს რუს-ქართველთა რაზმმა ივრის ნაპირას, ნიახურად აღდებულ ადგილას დაამარცხეს ომარ-ხანი და ალექსანდრე ბატონიშვილი (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 74). 1812 წ. კახეთის აჯანყების დროს რუსებმა დაიკავეს საგარეჯო და მის ახლომხლო მდებარე სოფლები (ბაგრატიონი დავით 1941: 43). 1823 წ. ძლიერი ქარის გამო საგარეჯოში წმინდა ნინოს ეკლესია დაქცეულა (ქრონიკები 1967: 519).

1940 წ. გ. გოზალიშვილმა საგარეჯოში გათხარა გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის, აგრეთვე უფრო მოგვიანო რამდენიმე სამარხი. გათხრების დოკუმენტაცია არ შემორჩენილა, რის გამოც სამარხების მიხედვით ნივთების განაწილება არ ხერხდება. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (ფიცხელაური 1965: 23). 1955 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ვარე კახეთის დაწვევითმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნინო ბერძენიშვილი), საგარეჯოდან სამხრეთით 2 კმ-ის დაშორებით, თვალახევის მარცხენა ნაპირზე მიაკვლია ნამოსახლარ გორას – „კუს თაფა“. ის კონუსისებრი მაღალი სერია, რომლის მოსწორებულ თხემს ფართო ტერასა შემოსდევს და წარმოადგენს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარს. 30 სმ ღორღოვანი ფენის ქვეშ, ნაცროვან-ნახშიროვანი ფენა შეიცავს თიხის ჭურ-

ჭლის ნატყებს (ფიცხელაური 1973: 29). 1979 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ვ. ფიცხელაური) საგარეჯოში, საავადმყოფოს ეზოში შეისწავლა ძვ. წ. VIII-VII სს-ის ქვაყრილიანი ორმოსამარხები, სადაც გამოვლინდა მრავალრიცხოვანი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის იარაღები, ბრინჯაოს სამკაული (ფიცხელაური, მამიაშვილი, კაპანაძე ... 1982: 33). საგარეჯოს სამაროვანი მდებარეობს ქალაქის საავადმყოფოს ეზოს ტერიტორიაზე. იქ გაითხარა 10 ქვაყრილიანი ორმოსამარხი, რომელთა უმრავლესობა დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. გამოთავის წარმოადგენს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილი №8 და №2 სამარხები. სამარხები ინდივიდუალურია. მიცვალებულები დასვენებულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით. №7 სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი არ გამოვლენილა. №№2, 10, სამარხებში მიცვალებულები დაკრძალული ყოფილან ხის სარეცელზე (მამიაშვილი 1988: 102). სამარხებში მრავლადაა აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი. დერგები (11 ერთეული) ფორმის მიხედვით ორ ტიპად იყოფა. I ტიპის დერგებს ახასიათებს ბრტყელბაკოვანი პირი, დაბალი ყელი, ფართო მრგვალი ტანი და ვიწრო ძირი. შემკულია ამოღარული ან რელიეფური ორნამენტით. II ტიპის დერგი ორფურიანია, ვიწრო, გადაშლილი პირით, საშუალო სიმაღლის ყელით, ფართო, მრგვალი, ძირისაკენ მკვეთრად შევიწროებული ტანითა და ვიწრო ძირით. მუცლის შუა ნაწილი 2 ყური აქვს მიძერწილი. ყელს შემოუყვება ტალღოვანი ზოლი, მუცელზე კი სწორ, კონცენტრულ ხაზებს შორის მოქცეული ტალღოვანი სარტყელი. საღვეებლებს (4 ერთეული) აქვთ გადაშლილი პირი, გამოყვანილი ყელი, ფართო, ქვემოთ თანდათან შევიწროებული გრძელი ტანი და ვიწრო ძირი. მუცელზე პირიზონ-ტალღურადაა დამერწილი რკალური ყური. ყურთან აქვთ დაბალი მილი. ყელი და მუცლის ზედა ნაწილი შემკულია ამოღარული ტალღოვანი სარტყლებით. დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი დოქები და ხელადები, რომელთაც აქვთ „ფიალისებური“ პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, მრგვალი მუცელი და ფართო ძირი. ყური დამერწილი აქვთ პირსა და მხარზე. ჭურჭლები შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზებითა და ნაჭდვეი წერტილების სარტყლით. ჩაფები მოზრდილია. აქვთ ფართო, გადაშლილი, ზოგჯერ „ფიალისებური“ პირი, ვიწრო, დაბალი ყელი, ძალიან ფართო სფერული მუცელი და საშუალო სივანის ძირი. პირსა და მხარს ებმის კოპებით შემკული გრეხილი ყური. ყელი და მხარი ამოღარული ან რელიეფური ნაჭდვეი სარტყლებითაა შემკული. საგარეჯოს სამაროვნისათვის ძალზე დამახასიათებელია ცალყურა ქილები, რომელთაც ახასიათებთ ფართო, გადაშლილი,



საგარეჯო

„ფიალისებური“ პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, მცირედ გაფართოებული ტანი. პირსა და მხარზე დაძვრული აქვთ ყური. ჭურჭლები შემკულია ნაჭდევი წერტილების ან მოკლე ხაზების სარტყელით. კათხები ერთი ფორმისაა: ფართო „ფიალისებური“ პირით, ვიწრო წყლით, ქვემოთ გაფართოებული მუცლითა და ბრტყელი ძირით. პირსა და მუცელზე დაძვრული აქვთ ყური. სასმისები გადაშლილპირიანია, თითქმის ცილინდრული, წელში უმნიშვნელოდ გამოყვანილი მაღალი, ვიწრო კორპუსითა და ოდნავ გამოყოფილი ქუსლით. პირი შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზებით. ცალკე სახეობად გამოიყოფა ჭურჭლები, რომლებსაც ახასიათებს ვიწრო და სწორი პირი, დაბალი ყელი, ფართო, მრგვალი მუცელი და ვიწრო ძირი. ერთი მათგანი სამფეხაა. მუცლის ზედა ნაწილზე ერთმანეთის საპირისპიროდ მიძვრული აქვთ ორი პატარა ყური. სარქველები ორგვარია: გადაბრუნებული თასის ფორმისა, თავზე ნახევარწრიული, შვერილი მრგვალნახევრტიანი ყურით. სხვა სარქველებიც ისეთივე ფორმისაა, ოღონდ ფართო პირზე ორი ჰორიზონტალური, მრგვალნახევრტიანი ბრტყელი ყურით. ლანგრებს ახასიათებს ბრტყელიპირიანი პირი, დაბალი, სწორი ან ოდნავ გარეთ გაზიდული ქიმი, დაქანებული კალთა და ბრტყელი ან ქუსლიანი ძირი. ზოგიერთს პირსა და ქიმზე დაძვრული აქვს ყური. ქოთნებიდან გვხვდება როგორც უყურო, ისე ყურიანი ნიმუშები. მათ აქვთ ფართო, გადმოწეული პირი, გამოყვანილი დაბალი ყელი, მრგვალი მუცელი და ფართო ძირი. მხარი შემკულია მოკლე, ირიბი ნაჭდევებით. ზოგჯერ ზედაპირზე შემოყვებათ მორგვისებური კონცენტრული ხაზები. ჭურჭლების უმეტესობა წითლად გამომწვარი. კეცი თხელია, თინა – წმინდად განლექილი. იშვიათად წვრილლილანარევი. კერამიკის დიდი ნაწილი ზედაპირი მონაღლისფრო-მოვარდისფროა და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მათ ასეთი ფერის ანგობის თხელი ფენა აქვთ გადავლებული. გამონაკლისს წარმოადგენს მოყავისფრო-რუხად გამომწვარი წმინდასილანარევი ჭურჭლები, რომლებიც კეცი, გამოწვით, ფორმებითა თუ ორნამენტით ძველ ტრადიციებს აგრძელებენ (მაზიაშვილი 1988: 103-107).

ლითონის ნივთებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს სამი შუბისპირი. ისინი ჩამოსხმულია ყალიბში. მასრები მრგვალია. მახვილები სამია. მათგან ორი ბრინჯაოსია, მთლიანადსხმული. ერთი ბოლოკვეთილია, მეორე – ბოლომომრგვალებული. აქვთ დაფანჯრული ქელი. ტარები შემკულია წერტილოვანი, რელიეფური, შვეული ხაზებით. პირზე დაუყვებათ ქედი, რომლის ორივე მხარე შემკულია ამოღარული, ერთმანეთთან კამართ დაკავშირებულ ხაზებს შორის მოქცეული ირიბი ნაკაწრებით. რკინის მახვილს აქვს ბრინჯაოს ტარი და ქარქაში.

გვერგვი ორია. ისინი გრებილია, მასური ღეროთი და დაბრტყელებული ჩახვეული ბოლოებით. მახვილებს აქვთ გრძელი წვერი და სამკუთხა მრგვალნახევრტიანი დაბრტყელებული ყუნწი. რკინის დანები ხასიათდება გრძელი, ოდნავ მოხრილი ყუითა და მოკლე სატარე ყუნწით. ბრინჯაოს ჩქიფი მხოლოდ ერთ სამარხშია აღმოჩენილი. სამაროვანზე გამოვლინდა ნალისებური ფორმის ბრინჯაოს საკიდები, წრიული ფირფიტები ორი ნახევრით, დედალი ღუგმები. ბრინჯაოს სამაჯურებში გვხვდება როგორც ჭდეულზედაპირიანი, ისე მრგვალგანივკეთიანი მავთულისაგან დამზადებული სამაჯურები გახსნილი ბოლოებით. სხვადასხვა ფორმისა და ზომის მძივები სარდლიონის, გიშრის, მინისა და ფაიანსისაა. ლითონის ნივთებში გამოირჩევა ბრინჯაოს ოთხი სარტყელი. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია №3 სამარხის სარტყელი. ის დამზადებულია ბრინჯაოს თხელი ფურცლისაგან, ფართო მომრგვალებული ბოლოებით, რომლებშიც სამ-სამი ნახევრტია. სარტყელი გრავირებული დეკორითაა შემკული. მონარჩოვებულია ხვეული ორნამენტის ორი მწკრივით. სარტყელზე ორ ფრიზად წარმოდგენილია ნადირობა ირმებზე, ტახსა და ფანტასტიკურ ცხოველებზე. ცხოველთა გამოსახულებებს შორის ჩართულია მშვილდისრიან მონადირეთა ფიგურები. სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. VIII-VII სს-ით (მაზიაშვილი 1988: 107-111).

საგარეჯოდან ცნობილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) დაცული შემთხვევითი აღმოჩენებიც: ბრინჯაოს მრგვალმასრიანი შუბისპირი. ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების რკინის ისრისპირი, ბრინჯაოს ძეწკვი და სარდლიონის მძივები. საგარეჯოდან ცნობილია მოჭიქული ჭურჭლის ნატყეხებიც. საგარეჯოში შემთხვევით აღმოჩნდა სპილენძის თურქული მონეტა, მოჭრილი აბდალ ჰამიდის სახელით. მონეტა მპოვნელს დარჩა (ანთაძე 1982: 81, 82).

ბიბლიოგრაფია: ანთაძე 1982: 81, 82; ბაგრატიონი ბაგრატიონი 1941: 74; ბაგრატიონი დავითი 1941: 43; ბაგრატიონი 1983: 81, 82; ბაგრატიონი 1986: 66; ბარნაველი 1962: 128; გიულდენშტედტი 1962: 19, 37, 41, 43, 195, 257, 261; გორგჯანიძე 1926: 52; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 7; მაზიაშვილი 1988: 72-112; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 119; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 180; ორბელიანი 1981: 80, 83, 87, 144, 146, 177, 228, 231; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 53, 54, 79, 91, 96, 114, 116, 163, 217; საქ. სიძ. 1909: 531; 1910: 23, 73, 304, 505; ფიცხელაური 1959: 114; 1965: 23, 27; 1973: 29, 180; ქართ. ეპისტ. ... 1989: 46; ქართლ-კახეთის ... 1903: 19, 34, 35, 39, 83, 96, 105, 106, 139, 147, 150, 159; ქართულ-სპარსული ... 1955: 139, 365, 366, 448; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 399, 402; 1970: 180, 596, 697, 758, 854, 896, 898, 956, 986, 1022, 1051; 1974: 166, 424, 474; 1977: 14, 325, 371; 1981: 42, 44, 49, 116, 223, 224, 358, 823, 824; 1985: 57, 520, 557, 616, 701, 702; ქრონიკები 1897: 197, 231, 388, 416, 453, 464, 465, 516; 1967: 205,

519, 600, 601, 603; ქვ 2: 353,3; 491,28; ქვ 4: 396,13; 495,8; 500,14; 525,12; 528,12; 529,10; 616,16; 618,23; 622,23; 630,8; ჩხეიძე 1913: 35, 46; ცხოვრება ... 1980: 80, 101; ხიდაშელი 1982: 147; ფიცხელაური, მამიაშვილი, კაპანაძე ... 1982: 33.

საგურამო (ქვ 4: 383,24). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 383,24; 385,14; 500,23; 506,26; 523,22; 535,5; 537,7,8; 538,6,15; 567,19; 568,18; 617,25; 620,15), XIV, XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 198; 1967: 403, 423; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 200, 364; 1970: 181, 957; ვეგო, 1964: 227; 1977: 371; 1985: 504; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 181; საქ. სიძ. 1910: 503; 1920: 10; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 54, 81, 92; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 98), „ცხოვრება საქართველოსი“ (ცხოვრება ... 1980: 76), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 62), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 53, 59, 273).

ვახუშტი ბაგრატიონი საგურამოს შესახებ გადმოგვცემს: „ავგვლის ბოლოს არს ხევძმარი, ჩამოვარდების შშრალი ხევი ქვიტიკირის-ლილოდამ მტკურამდე. და ეს არს საზღვარი აწინდელი ქართლ-კახეთისა. აქამდე უწოდებენ საგურამოს ხერკითურთ გურამთისი გამო. გარნა არს ესე საგურამო ნაყოფიერი ხილით, ვენახით, მარცვლით“ (ქვ 4: 537,5-9).

მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, მდ. არაგვის მარცხენა მხარეს, მცხეთიდან 10 კმ დაშორებით, სოფ. საგურამოს ტერიტორიაზე.

საგურამო შედიოდა ისტორიულ ხერკში, რომლის ნაწილი გუარამ ზევდგინიძესა და მის ძმებს ეკუთვნოდა. ამიტომ ეწოდა მას საგურამო. XV ს-ში ხერკი კახეთის სამეფოს შემადგენლობაშია. XIV-XVII სს-ში საგურამო მცხეთის საეკლესიო მამულს წარმოადგენდა (ქრონიკები 1897: 198; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 181; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 181) 1719 წ. საგურამოში დავით II-ს (იმამ-ყულიხანს) (1703-1722) შეხვდა ვახტანგ VI (1716-1724), ლეკთა თარეშის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების თაობაზე (ქვ 4: 617,25). 1744 წ. ერეკლე II (1744-1798) საგურამოში შეხვდომლა ოსმალებს (ორბელიანი 1981: 70). 1745 წ. სომხეთიდან წამოსულ ლეკებს თეიმურაზ II-მ (1744-1762) საგურამოსთან ნადავლი დააყრდინა (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 810). 1749 წ. ლეკებისაგან შეწუხებული ქართლისა და კახეთის მეფეები საგურამოში შეხვდნენ ერთმანეთს და ლეკებისგან თავდასაცავად გადაწყვიტეს ციხეების აგება (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 82; ორბელიანი 1981: 158). 1789 წ. საგურამოში ათასამდე ლეკი შემოვიდა და პირუტყვი წაასხა. დავით ბატონიშვილი 100-მდე ახმეტელით მდ. ილტოსთან დახვდა ლეკებს და ამოწყვიტა (ბაგრატიონი დავით 1941: 21; მასალები საქ. ისტ. 1905:

38; ბაგრატიონი 1983: 62). XVIII ს-ის პირველ მეოთხედში საგურამო და ხერკი რუსთავის სადროშოში შედიოდა (ქვ 4: 538,6,15; ბერძინიშვილი 1982: 100). არაგვის ხეობიდან თიანეთისაკენ მიმავალი ერთ-ერთი გზა საგურამოდან გადიოდა (ბერძინიშვილი 1964: 179).

სოფ. საგურამო არქეოლოგიურად შეუსწავლელია. საგურამოს მიდამოებში, სოფლიდან 2 კმ-ის დაშორებით, მდ. არაგვის მეორე ტერასაზე 1920 წ. არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ე. ჰჩელინამ. გათხრებისას გამოვლინდა ქვაყრილიანი ორმოსამარხები, სადაც მიცვალებულები დაუკრძალავთ მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ოდნავ ხელფეხმოკეცილი. სამარხებში აღმოჩნდა უხეშად ნაძერწი მოშავო-მონაცრისფროდ, ან ღიაფრად გამომწვარი თიხის ჭურჭელი (ტოლჩეი, ხელადები, ქოთნები), სამკაული (ოქროს, მინის მინისებური პასტის, ვიშრისა და სერდოლიკის მძივები) და შრომის იარაღები (სადგისი, ქვის სანაყები). სამარხები I-III სს-ით თარიღდება (პჩელინა 1926: 9-163).

სოფ. საგურამოსთან, ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის სამხრეთით, 3-4 კმ-ის დაშორებით, მთის ფერდობზე დგას ე. წ. აგურის საყდარი, რომელიც ორი ნაგებობისაგან შედგება: დარბაზული ეკლესიისა და სამეკლესიანი ბაზილიკისაგან.

დარბაზული ეკლესია (5,6X3,5 მ) ადრე შუა საუკუნეების ძეგლია. ნაგებია ქვიშაქვით, ფლეთილი ქვითა და იშვიათად აგურით. ფასადი მოპირკეთებულია. შესასვლელი დასავლეთითაა. აფსიდა ნახევარწრიულია. აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. ჩრდილო კედლის თაღში სამეკლესიანი ბაზილიკაში გასასვლელი კარია. შემორჩენილია შელესილობის კვალი და დამუშავებული ქვის ლავგარდნის ფრაგმენტები.

სამეკლესიანი ბაზილიკა (12X10,7 მ) IX-X სს-ის ძეგლია. ნაგებია აგურით. შუა ეკლესია გვერდითეთან შედარებით ფართო და მაღალია. არქიტრავით გადახურული შესავლელი სამხრეთითაა. აღმოსავლეთით მდებარე ნალისებური აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. ორი სარკმელია სამხრეთ კედელში. ჩრდილო ეკლესიაში ორი თანაბარი სწორკუთხა სათავსია. ერთი, აღმოსავლეთის სათავსი – საკვეთლოა. სამხრეთ ეკლესიას ნალისებური აფსიდა აქვს.

დარბაზული (4,8X3,9 მ) ეკლესია მცხეთა-საგურამოს გზის მარჯვენა მხარეს, წიწამურის ობელისკიდან 3 კმ-ის დაშორებითაა. ეკლესია დარბაზულია (4,8X3,9 მ). ნაგებია რიყის ქვით. შესასვლელი სამხრეთითაა. აღმოსავლეთით მდებარე ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელი და ნიშია (სძა 1990: 305).

ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს სოფ. საგურამოს სამხრეთით, 300-400 მ-ის დაშორებით, სასაფლაოზე. ეკლესია დარბაზულია (9,6X5,7 მ). თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. ნაგებია რიყის ქვით, გამოყენებულია შირიმის ქვაც.

შესასვლელი სამხრეთიდანაა. აღმოსავლეთით აქვს ნახევარწრიული აფსიდა, რომლის ღერძზეც სარკმელია. მოგვიანებით ეკლესია გადაუხურავთ ხის ნახევარწრიული კამარით. ეკლესია შელესილია. შელესილობის ქვეშ ჩანს მოხატულობის კვალი. სამხრეთ-დასავლეთით გვიანდელი მინაშენია (სძა 1990: 304).

ქასური გიორგის ეკლესია დგას საგურამოდან ზედაზნისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს. აშენებულია იოანე ზედაზნელის მოწაფის, თათეს მიერ VI ს-ში. სამეკლესიანი ზაზილიკა (10,5X12,9 მ) ნაგებია ქვით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე სარკმელი და ნიშა. დარბაზის კრძივ კედლებზე წყვილ-წყვილი პილასტრია. სამხრეთ ეკლესიაში აღმოსავლეთით კვადრატული სათავსია, რომელიც ეკლესიას კართით უკავშირდება. დასავლეთით მდებარე სათავსი მისგან თალითაა გამოყოფილი. ჩრდილო ეკლესია გაყოფილია ორ ნაწილად, რომელთაც ცალ-ცალკე შესასვლელი აქვთ შუა ეკლესიიდან. ეკლესიას გარს არტყია ლავგარდანი (ჩუბინაშვილი 1959: 158; შმერლინგი ... 1960: 49). ეკლესიასთან 1922-1923 წწ. აღმოჩნდა წარწერიანი ქვა. მასზე მხოლოდ ცალკეული ასოების გარჩევა შეიძლებოდა (ჩუბინაშვილი 1959: 159; ბარნაველი 1961: 128).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1983: 62; ბაგრატიონი 1986: 64; ბაგრატიონი დავით 1941: 21; ბარნაველი 1961: 128; ბერძენიშვილი 1964: 174-185; ბერძენიშვილი 1982: 94-101; გვასალია 1975: 47-80; ვიულდენშტედტი 1962: 53, 59, 273; მასალები საქ. ისტ. 1905: 38; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 181; ორბელიანი 1981: 22, 70, 78, 79, 107, 158, 183; პჩელინა 1926: 9-163; სძა 1990: 302-304; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 54, 81, 92; საქ. სიძ. 1920: 10; 1920: 503; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 98; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 200, 364; 1970: 181, 957; 1972: 227; 1977: 371; 1985: 504; ქრონიკები 1897: 198; 1967: 403, 423; ქც 4: 383,24; 385,14; 500,23; 506,26; 523,22; 535,5; 537,7,8; 538,6,15; 567,19; 568,18; 617,25; 620,15; შმერლინგი ... 1960: 49; ჩუბინაშვილი 1959: 159; ცხოვრება ... 1980: 76.

საღმპრო (ქც 4: 346,18,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 346,18,19; 333,23; 373,21,სქ.5; 380,25,27; 381,2,4,6,10; 382,4; 412,13; 456,27; 722,18), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქც 2: 525,2), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 46), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 54), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 134,7), სენია ჩხეიძის „საქართველოს ცხოვრება“ (ჩხეიძე 1913: 43), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 181; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 272; 1970: 244, 744, 747, 762; 1972: 239, 240; ქრონიკები 1897: 418; 1967: 88; საქ. ისტ.

ქრონიკები ... 1980: 63), გურჯისტანის ვილაიეთის იდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 112, 471, 473, 478, 481, 489-491), XVI ს-ის პირველი მეოთხედის თურქული წყაროები (თურქული წყაროები ... 1983: 40).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ჭვარების დასავლით და მძოვრეთის სამხრით არს მდინარე და ხეობა თორისა, რომელი გამოსდის ჭვარებსა და ამას შუათს მთასა და მდინის დასავლით, მერმე მომგრეულდების ჩდილოთ სადგერს ზეით და მიერთვის მტკუარს სამხრითა“ (ქც 4: 346,15-18).

მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდინარეების წყვიწყლის ანუ ბორჯომულას და გუჯარეთის წყალს შორის, თანამედროვე სოფ. სადგერის ტერიტორიაზე.

წყაროებში პირველად XV ს-ში იხსენიება (აბულაძე, შარაშიძე 1941: 681-688). XVI-XVII სს-ში სადგერსა და მის ხეობას ფლობდა სამხედროთა ფეოდალური სახლი (ბერძენიშვილი 1985: 52). XVIII ს-ში მეფე თეიმურაზ II-მ (1744-1762) ის ავლიშვილებს უბოძა, რომელთაც სადგერი თავიანთ რეზიდენციად გაიხადეს (მაკალათია 1957: 31). სადგერზე გადიოდა ჯვანეთიდან შიდა ქართლში მიმავალი გზა. XVII-XVIII სს-ში იქ არსებობდა საბაჟო (ბერძენიშვილი 1966: 41, 42). სადგერი ეკლესიურად XVI ს-ის დასაწყისში მასწვერელს ემორჩილებოდა. XVIII ს-ში ურბნელის სამწყსოშია (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 244, 747). ოსმალეთის მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ სადგერი პეტრეს ლივას ქაშვეთის ნაპიეს ცენტრია (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 489, 490). 1639 წ. ირან-ოსმალეთის ზავის შემდგომ კვლავ ქართლის მეფეს დაემორჩილა (ბერძენიშვილი 1985: 55, 56). 1732 წ. სადგერი ლეკებმა დაარბიეს (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 63). XVIII ს-ის მიწურულს ადგილობრივი მოსახლეობა სადგერიდან გაიხიზნა. XIX ს-ში მეფის რუსეთის მთავრობამ იქ უკრაინელები ჩაასახლა (მაკალათია 1957: 31).

სადგერი არქეოლოგიურად შესწავლულია. XX ს-ის დასაწყისში იქ ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად აღმოჩნდა XIV ს-ის სამაროვანი და ნამოსახლარი (ნიორაძე 1944: 182). სადგერში წმინდა გიორგის XV ს-ის დარბაზული ტიპის უაფსილო ეკლესიაა. შესასვლელი აქვს დასავლეთით და ჩრდილოეთით, თითო სარკმელი – ვევა კედელში. აღმოსავლეთ კიბოზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. გადაკეთებულია XVIII ს-ის დასაწყისში (ბაქრაძე 1875: 126; ბერიძე 1955: 196-200; ბერძენიშვილი 1985: 53). საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) დაცულია ჭედური ჯვარი (სიმაღლე 2,3 მ), რომელიც ცნობილია სადგერ-ჩხარის ჯვარის სახელით. რელიეფური სცენების გარდა, ჯვარი შემკულია გვიანი შუა საუკუნეების ისტორიული ხასიათის წარწერებით (თაყაიშვილი 1948: 164-179; ჩხარტიშვილი 1978: 5-29).

ბიბლიოგრაფია: აბულაძე, შარაშიძე 1941: 681-688; ბაგრატიონი 1986: 46; ბარნაველი 1959: 40; ბაქრაძე 1875: 126; 1987: 76; ბერიძე 1955: 196-199; ბერძენიშვილი 1985: 12, 16, 27, 28, 34, 35, 53-56, 60, 63, 68; ბერძენიშვილი, ვიორგაძე ... 1987: 53, 61; ბერძენიშვილი 1966: 41, 42; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 112, 471, 473, 477, 478, 481, 489-491; დადიანი 1962: 134,7; ზაქარია 1977: 34; თაყაიშვილი 1948: 164-179; თურქული წყაროები ... 1983: 40; მაკალათია 1957: 9, 12, 26, 31; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 181; ნიორაძე 1944: 182; პრევალოვა 1987: 48, 53; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 63; ქრონიკები 1897: 53, 418; 1967: 87, 88; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 272; 1970: 244, 744, 747, 762; 1972: 239, 240; ქც 2: 525,2; ქც 4: 346,18,19; 333,23; 373,21,სქ.5; 380,25,27; 381,2,4,6,10; 382,4; 412,13; 456,27; 722,18; ჩხარტიშვილი 1978: 5-29; ჩხეიძე 1913: 43, 48; ჩიქოვანი 1987: 9; ცხივრება ... 1980: 54; ხუჯაძე 1969: 11, 62.

სადმელო, სადგელი (ქც 4: 763,7,8,11, სქ. 6; 765,16; 770,5; 885,8,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 763,7,8,11, სქ. 6; 765,16; 770,5; 885,8,15), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 175,10), ტოლოჩანოვის იმერეთის სამეფოში ელჩობის „მუხლობრივი აღწერილობა“ (ტოლოჩანოვი 1970: 152, 265), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 113, 127, 291).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ზნაკვის-ხევის ზეთ მოერთვის რიონს ჩდილოდამ სადმელის-ხევი. გამოსდის კაკვასს რაჭა-სუანთ შორის და მოდის ჩდილოდამ სამხრეთად. სადმელს არს ციხე კლდესა ზედა შენი, შუალი მტრისა“ (ქც 4: 763,5-8).

მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. სადმელისა და კლდისუბნის ტერიტორიაზე (გიულდენშტედტი 1962: 291; ბერაძე 1975: 148).

სადმელი გვიან შუა საუკუნეებში იაშვილების სათავადოში შედიოდა (ბერაძე 1975: 148).

სადმელი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სადმელში, მდ. რიცეულას მარჯვენა ნაპირზე, შემორჩენილია ციხე და ეკლესია. ციხე დაზიანებულია. უკეთაა დაცული 2 სამსართულიანი კოშკი, რომლებიც ციხიდან დაახლოებით 100 მ მანძილზე მდებარეობს. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. ღვთისმშობლის X ს-ის ეკლესიაც დაზიანებულია (ბერაძე 1983: 97, 98).

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1975: 148; 1983: 23, 93, 94; გიულდენშტედტი 1962: 113, 127, 291; დადიანი 1962: 175,10; ტოლოჩანოვი 1970: 152, 265; ქც 4: 763,7,8,11,სქ.6; 765,16; 770,5; 885,8,15.

საზანოს ციხე (ქც 4: 756,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 756,20),

1619 წ. შეწირულობის წიგნი ვიორგი მეფისა გოლგოთის მონასტრისადმი (ისტ. დოკ. 1958: 22), ლიხთ-იმერეთის 1737 წ. რუკა (ბურჯანაძე 1959: 195), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 279), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 167, 303, 1964: 15).

ვახუშტი ბაგრატიონი საზანოს ციხის შესახებ გადმოგვცემს: „საზანოს წყალზედ არს საზანოს ციხე, კლდესა ზედა შენი, კარგი“ (ქც 4: 756,20,21).

მდებარეობს თერჯოლის მუნიციპ-ში, თერჯოლიდან 15 კმ-ის დაშორებით, მდ. ზუსის ხეობაში.

ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ციხის ნანგრევებია შემორჩენილი.

ბიბლიოგრაფია: ბურჯანაძე 1959: 195; გიულდენშტედტი 1962: 167, 303, 1964: 15; ისტ. დოკ. 1958: 22; ქც 4: 756,20; შარდენი 1975: 279.

სათლგ, ქალაქი მცირე (ქც 4: 679,10,12,სქ.1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 679,10,12,სქ.1), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 106, 238).

ვახუშტი ბაგრატიონი სათლგს შესახებ გადმოგვცემს: მდ. სათლგს წყალზე „არს სათლგ, ქალაქი მცირე, და მოსახლენი ვაჭარნი მას შინა“ (ქც 4: 679,10,11).

ლოკალიზდება ისტორიულ შავშეთში. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში. 1923 წ. რუკაზე აღნიშნულია წყფთის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შავშეთის წყლის სამხრეთით (საქ. ისტ. რუკა 1923).

XVI ს-მდე წარმოადგენდა დიდ დასახლებულ პუნქტს. XVI ს-ში თურქებმა მიიტაცეს და გაუკაცრიელდა. 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ დაუბრუნდა საქართველოს. 1878 წ. აღწერილი სათლგში მხოლოდ 12 კომლი ცხოვრობდა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 106). სათლგ შემდგომ ისევ მიიტაცეს თურქებმა.

სათლგს სახელით ისტორიული ფოცხოვის მხარეში ცნობილი იყო დიდი დასახლებული პუნქტი, რომელიც დაიკავეს თურქებმა 1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს. 1829 წ. ადრიანოპოლის ზავით ის საქართველოს დაუბრუნდა, მაგრამ კვლავ მიიტაცეს თურქებმა. ყველის ციხის სანახებიდან გზა სათლგზე გადიოდა: სხლობანი-ტბეთი-სათლგ (ბერძენიშვილი 1966: 95).

შავშეთისა და ფოცხოვის სათლგს ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1966: 95; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 105, 106, 238, 596; მესხია 1986: 294; საქ. ისტ. რუკა 1923; ქც 4: 679,10,12,სქ.1.

სათხე (ქც 2: 349,12). იხსენიება ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველ ტექსტში (ქც 2: 349,12).

მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდ. კაზრეთულას მარცხენა ნაპირზე, შემადგენულ ტყიან ფერდობზე.

სათხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სათხე ადგილის სახელია, რომელიც შემდგომ ეკლესიის სახელს დაუკავშირდა. სათხის ეკლესია დარბაზული ტიპისაა (15X6,7მ). დგას ორსაფეხურიან საძირკველზე. ნაგებია მოყვითალო ქვის დიდი ქვათილებით. სამი მხრიდან აქვს სხვადასხვა დროის მინაშენები: ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ეკვდერი, სამხრეთიდან სტოა კარიბჭით. ჩრდილოეთის ეკვდერი უფრო ძველია. ნაგებობის ძირითადი ნაწილი წაგრძელებული სწორკუთხედაა, ღრმა ნახევარწრიული აფსიდით, რომლის ორივე მხარეს, კედელში სამკვეთლო და საღვთისმეტყველო მოწყობილი. ნაგებობა გადახურულია ცილინდრული კამარით. დაბურული ყოფილა კრამიტის ორფერდა სახრავით. ეკლესიას შესასვლელი აქვს დასავლეთიდან და სამხრეთიდან. მოგვიანებით ეკლესიას სტოა მიუშენეს და შესასვლელი სტოაში მოექცა. ეკლესიის კანკელი ამჟამად ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შამშირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). კანკელი საინტერესოა როგორც მხატვრული დეკორით, ისე წარწერით, რომელშიც მფეფ ლაშა-გიორგია (1207-1223) მოხსენიებული. ეკლესია თარიღდება X ს-ის დასასრულით. გადაკეთებულია XIII ს-ის პირველ მეოთხედში. ბოლოს XVII ს-ში გადაუკეთებიათ. ეკლესიის კედლებში აქა-იქ ჩაშენებულია უფრო ადრეული სტელების ფრაგმენტები, რომლებიც V-VI სს-ით თარიღდება (ჯაფარიძე 1976: 93-95; ჯაფარიძე 1980: 273). ეკლესიის ფასადებზე X-XI სს-ის ასომთავრული წარწერებია, სადაც ეკლესიის კალატოზი და მშენებლები უნდა იყვნენ მოხსენიებული. ჩრდილო-აღმოსავლეთი საღვთისმეტყველო ფასადზე 1662 წლის მხედრული წარწერაა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ XVII ს-ში ეკლესია გადაუკეთებიათ. ეკლესიას გარს არტყია მშრალი წყობით ნაგები ქვის გალავანი, რომელსაც შესასვლელი აქვს დასავლეთიდან (თაყაიშვილი 1951: 161; დოლიძე 1971: 131-159; ქართ. წარწ. კორ. 1980: 255-258).

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული სათხის გარდა, ცნობილია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. სათხე, რომლის მახლობლად 1991, 1993 წწ. საქართველო-აშშ-ს ერთობლივმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ზ.ქიქოძე, ფ. კოლი) მიაკვლია ადრეული ბრინჯაოს ხანის ტერასულად განლაგებული ნასახლარი, რომელსაც ეკავა მთის თხემი და კალთები. იქ რამდენიმე უბანზე ჩატარდა მცირე მასშტაბის გათხრები. სათხის ნასახლარის A1 უბანზე, ისევე როგორც ძველის სხვა უბანზე აღმოჩენილი კერამიკა შავად და მოწაბლისფეროდაა ნაპრალები. ზოგიერთი ფრაგმენტი შემკულია

ჭრილი ორნამენტით. A2 და A3 უბნების თიხის ჭურჭელში გამოირჩევა პირმოყრილი ღრმა ჯამები და მომრგვალებულტანიანი კოჭობები, რომელთაც პირთან ზოგჯერ კოპი ან ყური აქვთ დაძერწილი. ზოგჯერ კოპი მოზრდილ ჭურჭელსაც აქვს მუცელზე. ერთ ფრაგმენტს შემოუყვება ამოკარული სამკუთხედი. ყურები ძირითადად მრგვალ-ბრტყელი განიკვეთისაა. გვხვდება „მენისკური“ ტიპის ყურიც, ერთ შემთხვევაში გვაქვს ამგვარი ტიპის ორმაგი ყურიც. B1 უბანზე კერამიკული ნაწარმის გარდა აღმოჩნდა ქვის სამეურნეო დანიშნულების იარაღები და ლითონის თიხწანადაც ისრისპირი. თიხის ჭურჭლიდან აღსანიშნავია პირმოყრილი ღრმა ჯამები და ტაფები, მომრგვალებული და ბიკონუსურტანიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელთა ნაწილი შემკულია ჭრილობაზოვანი, ჩაღარულ-ამობურცული, რელიეფური და სხვ. სახის ორნამენტით. გვხვდება გვერდებში შედრეკილი ჭურჭლისა და მრგვალი სარქველების ფრაგმენტები, შუაგულამოღარული გადასატანი კერის ნაწილები, თიხის ცხვრის ფიგურები და სხვ. ქვის ნაწარმი წარმოდგენილია ნავისებური ხელსაფქვაკებით, სანაყებით, სარქველებით, კაჟის ნამკლის ჩასართებით. ნამოსახლარი თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებით (აიზევი, ქიქოძე ... 1993: 22-29; ქიქოძე ... 1998: 42-44). სათხის არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: აიზევი, ქიქოძე ... 1993: 22-29; ბერძენიშვილი 1964: 11; დოლიძე 1970: 4-18; 1971: 131-159; თაყაიშვილი 1951: 161; სინაურიძე 1985: 7, 8; ქართ. წარწ. კორ. 1980: 255-258; ქც 2: 349,12; ქიქოძე ... 1998: 42-51; ხარაძე 1991: 39; ჯაფარიძე 1976: 93-95; 1980: 273, 274.

საკანაფი, ციხე (ქც 4: 724,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 724,2), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში (ქც 2: 525,19; 531,6), მესხური დავითის ქრონიკა (მესხური ... 1900: 213), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 140, 141).

ვახუშტი ბაგრატიონი საკანაფის ციხეს მოიხსენიებდა 1587 წ. მოვლენებთან დაკავშირებით: მანუჩარ ათაბაგი „ახალდაბას ჩავიდა, დედისიმედი და ყუარყუარე ძე ქაიხოსრო საკანაფის ციხეში დადგენ“ (ქც 4: 724,1-3).

მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, აჭყურის მიდამოებში.

1579 წ. მაისში, ჟამიანობის დროს, საკანაფის ციხეში ავად გახდა ყვარყვარე ათაბაგის შვილი ხოსიტა (ქც 2: 525,19).

ციხე შემორჩენილია ნანგრევების სახით.


საკანაფის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 140, 141; მესხური ... 1900: 213; ქც 2: 525,19; 531,6; ქც 4: 724,2.

საკუროდლო (ქვ 4: 745,9; 751,10). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 745,9; 751,10). ვახუშტი ბაგრატიონი საკუროდლოს შესახებ გადმოგვცემს: „ამ საჩინოს შესართავს ზეით, საკუროდლოს პირისპირ და როკითს ქუეით, მოერთვის რიონს ... სალომიანოს ხევი“ (ქვ 4: 751,10-12). საკუროდლოს ლოკალიზაცია ვერ ხერხდება.
ბიბლიოგრაფია: ქვ 4: 745,9; 751,10.

სამადლო (ქვ 4: 325,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 325,6; 327,12; 329,17; 408,15), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქვ 2: 513,19,20), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 327), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 44, 73), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 51; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 183), იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“ (ტფილელი 1989: 612), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 48). მდებარეობს გარდაბნის მუნიციპ-ში, მდ. ასურეთის ხევის სათავესთან, სოფ. კიკეთის მახლობლად. ამჟამად წარმოადგენს ნასოფლარს. ვახუშტი ბაგრატიონი სამადლოს შესახებ გადმოგვცემს: „ფარცხის ქუეით ერთვის ალგეთს ხევი ზოგიუსა... მას ქუეით ერთვის ალგეთს ხევი ასურეთისა, გამოსდის სამადლოს“ (ქვ 4:327,12). 1568 წ. სამადლოსთან მოხდა ბრძოლა ქართლის მეფე სვიმონ I-სა (1556-1600) და მის გამაჰმადიანებულ ძმას – დაუთ-ხანს შორის. ბრძოლა სვიმონ მეფის გამარჯვებით დამთავრდა (ქვ 2: 513,21-24; ქვ 4: 408,14-16). მეთრევიდან სამადლოზე გავლით თბილისისკენ გზა მიდიოდა (ლორთქიფანიძე 1935: 342). სამადლოში მდგარა ფუნდუკი – სასტუმრო სახლი (ქვ 4: 372,12). სამადლო არქეოლოგიურად შესუსწაველია. „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული სამადლოს კარდა, ცნობილია სხვა სამადლოც. ელინისტური ხანის ნაქალაქარი სამადლო მდებარეობს მცხეთის მუნიციპ-ში, რკინიგზის სადგურ ქსნის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ორ მაღალ ბორცვზე. 1912 წ. იქ შემთხვევით აღმოჩნდა მდიდრული სამარხეული ინვენტარი. იმავე წელს ე.თაყაიშვილის ნაქალაქარის ტერიტორიაზე შეუკროვებია ზედაპირული არქეოლოგიური მასალა. 1962-1964 წწ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ი. გაგოშიძე) ნაქალაქარზე ჩაატარა დაზვერვითი სამუშაოები. 1966-1975 წწ. ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა ნაქალაქარის ორივე ბორცვზე (სძა 1990: 334). 1984 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ა. ავაქიძე) ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთით გათხარა ძვ. წ. II ს-ის საკულტო ნაგებობა.

სამადლოში პირველი დასახლება გაჩენილა ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (ძვ. წ. XIV-VII სს) ნაქალაქარის აღმოსავლეთ ბორცვზე მდგარა თიხით შეღესილი ძეგური ნაგებობები, სადაც აღმოჩნდა: თიხის მინიატურული ჭურჭლი, საბეჭდავები, შესაწირი „ბორბლები“ და სხვ. უძველეს ფენაში გამოვლინდა ამოღარული ორნამენტით შემკული შავი და რუხი ფერის ზედაპირნაპირიალე კერამიკა. შენობები, შესაძლოა, საკულტო ნაგებობები იყო. მათ შორის გამოირჩევა კოშკი (14X14 მ), რომლის საძირკველი ქვითაა ნაგები, კედლები – ალიზით. კოშკი მსგავსია აქემენიდური ხანის ირანის კოშკური ტიპის ტაძრებისა. შენობა დამწვარა ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნაზე, მაგრამ მაშინვე აღუდგენიათ და უარსებია ძვ. წ. II ს-ის ბოლომდე. ნაქალაქო ცხოვრება სამადლოზე იწყება ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარში და გრძელდება ძვ. წ. II ს-ის დასასრულამდე. ელინისტურ ხანაში სამადლო ორჯერ დანგრეულა და დამწვარა. პირველად ძვ. წ. III ს-ის დასაწყისში, მეორედ ძვ. წ. II ს-ის 70-იან წლებში, რის შედეგადაც ცხოვრება აქ თანდათან შეწყვეტულა და საბოლოოდ ჩამკვდარა ძვ. წ. II ს-ის დასასრულს. ელინისტურ ხანაში ნაქალაქარის ორივე ბორცვი მჭიდროდა ათვისებული. დასავლეთის ბორცვზე ნაგებობები განლაგებულია ტერასებზე, რომელთა საყრდენი კედლები აგებულია რიფის ქვით, ფლეთილი ქვითა და თიხის ხსნარით. კედლებს სიმაგრეს მატებს გასწვრივ და გარდიგარდმო დატანებული ძეგლები და ოთხკუთხა კონტრაფორსები. კედლები შეღესილია ბუნარევი თიხით. თიხით გადაღესილ სუბსტრუქციებზე აგებულია სხვადასხვა დანიშნულების ალიზის შენობები. სუბსტრუქციებში ზოგჯერ სარდაფის მსგავსი სათავსოები მოუწყვიათ. ნაგებობები მეტწილად ალიზითაა ნაშენი. გადახურულია დიდი ზომის წითლად შეღებილი ღარიანი და ბრტყელი კრამიტით, რომელთაგან ზოგიერთზე გამოსახულია რიცხვის აღმნიშვნელი ბერძნული ასო-ნიშნები. სამადლოზე გვხვდება თლილი ქვით ნაშენი ნაგებობებიც. კირქვის მცირე არქიტექტურული დეტალებიდან აღსანიშნავია კირქვის რელიეფის ორი ფრაგმენტი, რომლებზეც გამოსახულია ცხენოსნის ნადირობა გარეულ თხაზე.



სამადლოს ვეგმა

ნაქალაქარის მრავალრიცხოვან კერამიკულ ნაწარმში გამოირჩევა მოხატული კერამიკა. მოხატულობა შესრულებულია წითელი ან მოყავისფრო წერნაქით, ანგობით დაფარულ და გაპირიალებულ ზედაპირზე. მხატვრობა ფრინებადაა განლაგებული. პატარა ჭურჭლებზე ძირითადად გეომეტრიული ორნამენტია გამოხატული. დიდი ზომის ჭურჭლებზე წარმოდგენილია მხედართა და ქვეითთა ბრძოლები, მხედართა ნადირობა ძაღლებით ირემსა და სხვა ცხოველებზე, მამაკაცთა ფერხული, ცხოველთა მსვენლობა.

სამადლოს ერთ-ერთ ტერასაზე გაითხარა ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნის აკლამა (5,5X3,5 მ). აკლამის კედლები 2 მ სიმაღლემდე აგებულია რიყისა და ნატეხი ქვით და შეკრულია ხის ძეგლებით. ზედა ნაწილი ალიზისაა. გადახურვა ძეღური ყოფილა, სახურავი - კრამიტის. აკლამაში იდგა ხის ორი სარკოფაგი (3X2X0,6 მ; 3X1,17X0,6 მ). ერთ სარკოფაგში შვიდი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა, მცირეოდენი ინვენტარით: ვერცხლის საყურე, სათითე რგოლები, თიხის მოხატული ჯამი, ბრინჯაოს ისრისპირი. მეორე სარკოფაგი გაძარცვული იყო. აკლამის მახლობლად, 1912 წ. შემთხვევით აღმოჩნდა სხვა სამარხებიც, რომლებშიც თაბაშირით შეღესილი ხის სარკოფაგები იდგა. ერთ-ერთ სამარხში ზუთასამდე ოქროს ნივთი გამოვლინდა. ამ სამარხების ინვენტარის ნაწილი: რკინის სარეცელი, ბრინჯაოს ლანგარი, ზარაკები, ვერცხლის გვერგვი, სარეცლის ფეხების გარსაკრავები, ოქროს სამკაული (სულ 499 ერთეული), მინისა და ქვის მძივები, სარდ-ბინის სკარაბეიდი და სხვ. ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) და სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟში. 1966-1975 წწ. გათხრებით გამოვლენილი სამადლოს ნაქალაქარის არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: ავაქიძე ... 1979: 40; ავაქიძე ... 1987: 49; ბაგრატიონი 1986: 48; ბოხიჩაძე 1978: 5-26; ვაკოშიძე 1967: 53-93; 1969: 40-44; 1969ა: 23, 24; 1970: 41-46; 1971: 75-77; 1971ა: 53-59; 1972: 36-38; 1974: 79-84; 1975: 59-63; 1979; 1981; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 51; მასალაზე საქ. ისტ. გეოგ.



სამადლოზე აღმოჩენილი არტეფაქტი

1964: 183; სძა 1990: 334; ტფილელი 1989: 621; ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 327; ქც 2: 513,19,20; ქც 4: 325,6; 327,12; 329,17; 408,15; ცხოვრება ... 1980: 44, 73; ხარაძე 1991: 110.

სამზღორო (ქც 4: 333,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 333,14; 524,3; 528,6; 538,16,17,20; 561,9), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 349,5,11), არჩილ მეფის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1989: 395): XV, XVI, XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 412; საქ. სიძ. 1910: 511; 1920: 8; მასალაზე საქ. ისტ. გეოგ. 1964: 183; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 198, 371, 385; 1970: 190; 1985: 428; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 51, 120, 134), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 52), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 101), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1913: 263, 269), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 79), ბესარიონ ორბელიშვილის „ლუაწლი რაჟდენისი“ (ორბელიშვილი 1989: 79).

ლოკალიზდება ივრის ზეგანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მდებარეობს მტკვარსა და იორს შორის. მოიცავს ლოჭინისა და გლდანის ხევის აუზებს. წყაროებში სამგორი პირველად იხსენიება 1447 წ. ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარში (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 190). 1579 წ. ალექსანდრე კახთა მეფემ სვეტიცხოველს განუახლა სამგორის შეწირულობის სიგელი (საქ. სიძ. 1920: 8). 1720 წ. სამგორს მოსული ლეკები დაამარცხა თეიმურაზ ბატონიშვილმა (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 51). 1722 წ. საბუთით სამგორის მიდამოები რუსთაველი ეპისკოპოსის კუთვნილებაა (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 385). 1765 და 1773 წწ. ერეკლე II-მ სამგორთან დაამარცხა ლეკები (ხერხეულიძე 1913: 263, 269).

1948-1951 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამგორის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. ნიორაძე) სამგორის ველზე შეისწავლა ადრე ბრინჯაოს ხანის ერთი ყორღანი. სამგორის ველზე, დაახლოებით ერთ ხაზზე განლაგებულია სამი ყორღანი. ვათხრილი ყორღანის დმ 51 მ-ია. ზემოდან ყორღანის ყრილი მიწისა იყო. მის ქვეშ გამოვლინდა რიყის ქვის ნაყარი. ყორღანის ცენტრში, ყრილის ქვეშ აღმოჩნდა სწორკუთხა გვერგვის მქონე, ხის ძეგლებით ნაგები ორმაგკედლიანი შენობა. კედლებს შორის არსებული სივრცე ამოვსებული იყო ლორღითა და მიწით. შენობის მორგბს ბოლოებზე ტღეკები ჰქონდათ და ერთმანეთზე გადაბმული იყვნენ ნახევარი ხით. შენობას გარს უვლიდა რამდენიმე წყება წრისებურად განლაგებული მსხვილი ხის მორგბი. შენობის იატაკზე აღმოჩნდა თიხის შავბრიალა ჭურჭლის ნატეხები, სპილენძის ბრტყელი სატვერისპირი, ქვის ცული, ცხვრის

კოჭის ძეგლები. იატაკის ზედა ფენის აღების შემდეგ შენობაში გამოვლინდა ორმოში საგანგებოდ ჩადგმული თიხის ჭურჭელი. მასში აღმოჩნდა ფერფლის კვალი. შესაძლოა, აქ მიცვალებულის კრემაციასთან ვეჭვონდეს საქმე. ყორღანი თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით (საქ. არქ. 1959: 92, 93). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის მიდამოებიდან ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის „კახური ტიპის“ სატყეარი, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (ფიცხელაური 1959: 122). 1950 წ. სამგორის ველზე, არხის გაყვანისას აღმოჩნდა 774-775 წწ. მოჭრილი ქუფური ფელები, რომლებიც იმხანად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი-სათვის ჩაუბარებიათ (ჯვალაღანია 1972: 6).

ბიბლიოგრაფია: არჩილი 1989: 395; ბაგრატიონი 1986: 79; გოგაძე 1984: 710; გორგიჯანიძე 1926: 52; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 183; ორბელიანი 1989: 79; საქ. არქ. 1959: 92, 93; საქ. არქ. 1992: 209, 210; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 51, 120, 134; საქ. სოდ. 1910: 511; 1920: 8; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 198, 371, 385; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 190; 1985: 428; ქრონიკები 1897: 412; ქც 2: 349,5,11; ქც 4: 333, 14; 524,3; 528,6; 538,16,17,20; 561,9; ფიცხელაური 1959: 122; 1965: 35; ცხოვრება ... 1980: 101; ხერხეულიძე 1913: 263, 269; ჯვალაღანია 1972: 6; ჯავარბიძე 1991: 139.

სამთავისი, ეკლესია (ქც 4: 288,23; 365,9,12,სქ.3). ისენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 288,23; 365,9,12,სქ.3), ბასილი ეზოსმოდღარის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქც 2: 122,12; 123,4), იოანე ბაგრატიონის „კალმასობა“ (ბაგრატიონი 1948: 49), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 62), ქართული ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 171, 201; 1897: 272-277, 332, 333, 486; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 66; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 522; 1974: 393, 394; 1981: 212, 279, 471; 1985: 328; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 104, 138).

სამთავისის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გვამცნობს: „ხოხებეთიან ერთვის რეხულას ხევი უსისტყისა და გამოსდის მხურვალეთის მთას. ამის ზეით არს, რეხულას აღმოსავლით, სამთავისი, ეკლესია დიდი, გუმბათიანი, დიდმუენიერად შენებული. ზის ეპისკოპოზი, მწეყმისი კნისისა და ლეხურას ხეობისა, ქმნული არს იგ (13) მამათაგანისა ისიდორესგან, და დაფლული არს იგი მუნვე“ (ქც 4: 365,7-11).

მღებარეობს კასპის მუნიცი-ში, კასპიდან 11 კმ-ის დაშორებით, მდ. ლეხურის მარცხენა ნაპირზე, სოფელ სამთავისის ტერიტორიაზე.

სამთავისის ეკლესიის დამაარსებლად მიიჩნევენ ასურელ მამა ისიდორეს (VI ს 50-ანი წლები) (ქც 4: 365,11; ბაგრატიონი 1948: 48). ისიდორე უნდა

იყოს იოანე ზედაზნე-ლის მოწაფე ეზდერი-ოსი, რომელიც, იოანეს ცხოვრების აღმწერის ცნობით, „ქალაქისა სამთავისასა“ დამკვიდრა (ასურელ მოღვაწეთა ... 1955: 38). VI ს-ის დასაწყისიდან სამთავისში არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა. სამთავისის ახლანდელი ეკლესია აგებულია 1030 წ. ილარიონ ყანჩაელის მიერ.



სამთავისის ტაძარი

მასვე აუკავა ეკლესიისათვის მარანი და საწინაეღი (ქრონიკები 1892: 171, 201). 1168 წ. მეფე გიორგი III-ის დროს, იოანე სამთაველმა ააგო კარიბჭე (ქრონიკები 1892: 259). XV-XVI სს-ში ეკლესია აღუდგენია ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ VI-ის (1466-1478) დასაინახს, რომელიც აირენდო ზედგენიძე-ამილახორის მეუღლე იყო (კარბელაშვილი 1913: 109; ქრონიკები 1897: 354; ბარნაველი 1951: 571-578). სამთაველი ეპისკოპოსი მღვდელმთავართა ნუსხაში 23-ე ადგილზე მოიხსენიებოდა. სამთავისი ჯერ ქართლის კათოლიკოსის, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცეს მიქაელის საკუთრება იყო. შემდეგ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცეს ანტონ გელმისთავისძეს მისცეს (ქც 2: 122,12; 123,4). გიორგი ბრწყინვალის დროიდან ის ამილახორთა დასაკრძალავა (მენაბდე 1962: 233). სამთავისი ძლიერ და მდიდარ ეპარქიას წარმოადგენდა (ქრონიკები 1897: 272-277; კაკაბაძე 1929ა: 5-15). XVIII ს-ის 30-იან წლებში შანშე ქსნის ერისთავი, გივი ამილახორი, ვახუშტი აბაშიძე და სხვ. ყიზილბაშებს დაუპირისპირდნენ. 1736 წ. მტერმა მცირე ხნით დაიკავა სამთავისი, მაგრამ მალე ქართველებმა განდევნეს ყიზილბაშები (სოხაშვილი 1973). 1811 წ. სამთავისის ეპარქია გაუქმდა. სამთავისის ეკლესია ცენტრალურ-გუმბათიანია ნაგებობაა. არქიტექტურულ კომპლექსში შედის: გალავანი, დიდი ტაძარი, სამრეკლო, ეპისკოპოსის პალატი, მცირე ეკლესია. დიდი ტაძარი გეგმით სწორკუთხედში ჩაწერილი ჯვარია (25X18X37 მ). გუმბათი ეყრდნობა ოთხ თავისუფლად მდგომ სვეტს. საკურთხეველს ემიჯნება აბსიდითანი სა-დიაკვნე და სამკვეთი. XV ს-ში აღუდგენიათ გუმბათის ყელი, დასავლეთის ფასადი. ტაძარი მოპირკეთებულია თლილი ქვის პერანგით. ტაძარს ამჟამად შესასვლელი აქვს დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. საკურთხეველის მოხატულობა 1679 წელსაა შესრულებული (ბერიძე 1974: 142, 143; ზაქარაია 1975: 7-25).

გალავანი გეგმით მრავალწახნაგაა (200X70 მ, კედლების სიმაღლე 3-5 მ). თარიღდება XVII ს-ის მეორე ნახევრითა და XVIII ს-ის პირველი მესამედით. ნაგებია რიყის ქვით. გამოყენებულია აგურიც. კედელი ორიარუსიანია და ქონგურებით მთავრდე-

ბა. გალავანს ორი ჭიშკარი ჰქონდა – ჩრდილოეთით და დასავლეთით. ჩრდილო-დასავლეთით დგას კოშკი.

ეპისკოპოსის პალატი დგას დიდი ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჩართულია გალავანში. მისი პირველი ფენა თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით, მეორე – XVIII ს-ით. შენობა ორსართულიანია (8,4X15,2 მ). ნაგებია რიყის ქვით. გამოყენებულია აგურიც. ძლიერ დაზიანებულია. ჩანგრეულია ხის სახურავი. პირველი სართული რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ჩრდილოეთ კედელში ჩაშენებულია მხედრულწარწერიანი ქვა. პალატს გარსემოვლებული აქვს პარაპეტი, რომელიც საბრძოლო ქონებებით მთავრდება. მცირე ეკლესია დგას დიდი ტაძრის სამხრეთით. მისი სამხრეთის კედელი გალავანს ეკვრის. ეკლესია დარბაზულია (5,8X3,2მ). ნაგებია რიყისა და თლილი ქვით.

XVIII ს-ის პირველი ნახევრის სამხრეთულიანი სამრეკლო (5,7X7,3მ) დგას ტაძრის ჩრდილოეთით. ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. ინტერიერი რვა-წახნაგოვანია, ჭერი – ნახევარსფერული. კედლებში ღრმა ნიშები და ბუხრებია. მესამე სართული შვიდი შესივლი თაღით გახსნილი ფანჩატურია. გადახურულია სფერული კამარით (ბერიძე 1974: 142, 143; ზაქარაია 1968: 15). ეკლესიას ამკობს რამდენიმე სამშენებლო წარწერა.

ბიბლიოგრაფია: *ასურელ მოღვაწეთა ... 1955: 38; ბაგრატიონი 1948: 48; ბარნაველი 1951: 571-578; ბერიძე 1974: 142, 143; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 66; ზაქარაია 1968: 15; 1975: 7-25; კაკაბაძე 1929ა: 5-15; კარბელაშვილი 1913: 109; მაკალათია 1964: 18-25; მახალაძე საქ. ეკ. ისტ. 1955: 104, 138; მენაბდე 1962: 231-236; ორბელიანი 1981: 62; სძა 1990: 191-198; სოხაშვილი 1973; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 522; 1974: 393, 394; 1981: 212, 279, 471; 1985: 328; ქრონიკები 1892: 171, 201; 1897: 272-277, 332, 333, 486; ქც 2: 122,12; 123,4; ქც 4: 288,23; 365,9,12, სქ. 3.*

სამღმრომთო (ქც 4: 322,16). იხენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 322,16), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 456, 461), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 127, 235).

ვახუშტი ბაგრატიონი სამღერეთის შესახებ ვაღმოვცემს: ტორნეს „ხეგზედ, სამღერეთს ზეით, გვიანას, არს მონასტერი მცირე“ (ქც 4: 322,16,17).

მღებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპ-ში, თეთრიწყაროდან დასავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, თანამედროვე სოფ. სამღერეთის მიდამოებში.

სოფელი XVII-XVIII სს-ში ორბელიანთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. XVII ს-ში სამღერეთში სასახლე ჰქონდათ აბაშიშვილებს (ბერძენიშვილი 1979: 97). 1747-1748 წწ. ნადირ-შაჰისაგან შევიწროებული ბორჩალოს სულთანმა სამღერეთში გაიხიზნა (ორბელიანი 1981: 127).

1987-1988 წწ. ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ექსპედიციამ (ხელმძღ. მ.პოჭოიძე) სოფ. სამღერეთის მახლობლად მღებარე მონასტერი გაწმინდა და ჩაატარა მცირე არქეოლოგიური გათხრები.

სოფელში დგას XI ს-ის დარბაზული ეკლესია, რომელიც მრავალჯერად გადაკეთებული და დანგრეულია (ლომთათიძე 1989: 57, 58). სოფლის გადაღმა, მდ. ხრამის მარცხენა შენაკადის მდ. ტრონეს შესართავთან, ღრმა ხეგში დგას მონასტერი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა საბეროს უწოდებს. მონასტერს ერტყა მაღალი, ამჟამად დანგრეული ქვის გალავანი, რომელსაც შესასვლელი დასავლეთიდან ჰქონდა. გალავანში მოქცეულია ეკლესია, სამრეკლო, სატრაპეზო და სენაკები. ნაგებობების ქვის პერანგი XX ს-ის 30-იან წლებში სოფელში გაუხიდავთ (ციციშვილი 1951: 277, 278). ეკლესია დარბაზულია (11,9X8,1 მ), ნახევარწრიული აფსიდით. აფსიდის მხარეს, სარკმლის მარჯვნივ, ნიშში მოწყობილია სხვენში ასასვლელი. ეკლესიის შესასვლელი სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. ეკლესიის გრძივი ნაწილი ორ ნაწილად იყოფა კედლის სვეტებით, რომელთაც თაღის საშუალებით გადახურვის ცილინდრული კამარა ეყრდნობა. საკურთხეველი ნავისაგან მაღალი კანკელით უნდა ყოფილიყო გამოყოფილი. ეკლესიას კრამიტით გადახურული ორკალთიანი სახურავი ჰქონდა. ეკლესია გარედან მდიდრულად იყო მოჩუქურთმებული. სამხრეთით აქვს მინაშენი, რომელიც ორი ნაწილისაგან – კარიბჭისა და მცირე ეკლესიისაგან – შედგება. კვადრატული გეგმის კარიბჭე დიდი ეკლესიის სამხრეთ პორტალს ებჯინება. მინაშენი ეკლესიის მცირე ზომისაა. აფსიდა ნახევარწრიულია. თარიღდება XIII ს-ის პირველი ნახევრით (ციციშვილი 1951: 278-287).

ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 მ-ში დგას სამრეკლო, რომელიც გალავანის სისტემაშია ჩართული. ის ეკლესიის თანადროულია (ციციშვილი 1951: 287-288).

ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით ათილდე მ-ში, დგას მონასტრის სატრაპეზო. ის მართხუთხა გეგმისაა (14,68X8,20მ), ორსართულიანი. პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისა იყო. იქ აღმოჩენილია მარანი. შესასვლელი სამხრეთით აქვს. სართულშორისი გადახურვა პირიზონტალური იყო – ხის, ან ქვის სვეტებზე დაყრდნობით. მეორე სართული სასადილოა. მას შესასვლელი აქვს დასავლეთითა და ჩრდილოეთით. სატრაპეზოს კედლები შელესილი და შესაძლებელია, მოხატული იყო. დარბაზის გადახურვა კამაროვანი იყო, სახურავი – ორკალთიანი. სატრაპეზოში ორი წარწერაა, რომლებზეც მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იკითხება (ციციშვილი 1951: 288-295).

ბიბლიოგრაფია: *ბერძენიშვილი 1979: 97; ლორთქიფანიძე 1935: 343; ორბელიანი 1981: 127, 235; ქრონიკები 1897: 461; ქც 4: 322,16; ციციშვილი 1951: 278-297.*

სამეცნიერო (ორბეთი, ორბი), ციხე (ქც 1: 8,12,13; 307,15; ქც 4:322,21; 323,1; 414,7), ციხე-ქალაქი (ქც 1:12,2; 18,1), ქალაქი (ქც 4:322,21). ისენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:57,12; 58,22; 61,7; 95,9; 97,17; 98,18; 110,19; 134,21; 145,25; 149,29; 150,2-4; 152,10; 153,8,9,13,26,29; 157,9,14; 199,6; 322,22-26; 323,1-5,13; 330,23; 411,20-22; 414,7,9; 562,12), ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქც 1:8,12,13; 12,2; 18,1; 24,16; 27,19; 33,3; 55,8; 64,6; 130,24), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1:142,6,13; 185,7), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1:307,7,9-12,15,16; 314,5; 316,10,11,14,16; 317,1,2; 318,2,4), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ქც 1:331, 15,20,22; 333,16), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2:24,14), „ჟამთააღმწერელი“ (ქც 2: 165,16; 196,1, 310,13, 322,9), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 425; 1967: 188; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 185; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 594; 1981: 716; 1985: 354; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 56, 62, 85-87, 89, 90, 93, 98; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 224; საქ. სიძ. 1909: 542; ქართულ-სპარსული ... 1955: 133, 134, 180, 181, 363, 364), არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1989: 414), XVIII ს-ის ქვემო ქართლის სტატისტიკური აღწერის მასალები (მასალები საქ. სტატ. ... 1907: 24, 52, 88), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 99, 124-135, 138-141, 144, 147, 151, 152, 158, 176, 196, 197, 244), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 38, 42), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1913: 250, 251), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 50), VII ს-ის სომხური გეოგრაფია (სომხ. გეოგ. 1877: 40), იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“ (დრასხანაკერტელი 1965: 224, 227, 251), თომა არწრუნის „არწრუნთა სახლის ისტორია“ (არწრუნე 1975: 269), სტეფანოს ტარონელის „მსოფლიო ისტორია“ (ტარონელი 1864: 184, 203), ვარდან დიდის „მსოფლიო ისტორია“ (ვარდან 1861: 126), სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“ (ორბელიანი 1978: 25, 28, 39, 47), მხითარ აირივანეცის „ქრონოგრაფიული ისტორია“ (აირივანეცი 1990: 81), ანონიმი ისტორიკოსის თხზულება (ანონიმი ჟამთააღმწერელი 1949: 273), XIV-XV სს-ის სომხური ანდერძები (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 61-63, 65, 67, 68, 79), თომა მეწოფელის „ისტორია ლანგთემურისა“ (მეწოფელი 1937: 27, 29), მისივე „მეშარბები“ (მეწოფელი 1937ა: 33), არაქელ დავრეჟიციის თხზულება (დავრეჟიცი 1974: 54), იაკობის „ისტორია“ (იაკობი 1927: 5), ოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 79, 189).

ვახუშტი ბაგრატიონი სამეცნიერო შესახებ გადმოგვცემს: პირდებულის „ქვემოთ არს ციხე ორბეთი, აწ წოდებული სამეცნიერო, აღაშენა ქართლოს, და

პირველმან მეფემან ფარნაოზ ჰყო საერისთოდ და ქალაქი. არამედ იყო პე (ოთხმოდცამეერთე) მეფის სვიმონისამდე ქალაქი. არს ფრიად მაგარი, სამხრით უდის ქცია, ჩდილოთ უდის ჭივჭავა; საშორისსა ზედა არს გარდავლებული ხრამით ხრამამდე ზღუდე განიერი და მაღალი. კუალად გარე მის ქალაქისა ზღუდე გარდავლებული, ეგრეთვე დიდროვანითა ლდიითა. ციხესა შინა აღაშენა ეკლესია გუმბათიანი ლბ (ოცდამეთორმეტე) მეფემან მირდატ, შემუსრა ლანგთემურ, მერმე ოსმალოთა ... ამის ძირს, ქციის პირს არს მონასტერი მცირე, აწ ხუცის სამარ“ (ქც 4: 322,22-26, 323,1-5).

მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, დღევანდელი სოფ. სამეცნიეროს მახლობლად. თეთრიწყაროდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 4 კმ-ის დაშორებით, მდ. ქციისა და ჭივჭავის შესართავს შორის წარმოქმნილ მაღალ კონცხზე.

ისტორიული ტრადიციის თანახმად ქართველთა ლეგენდარულმა ეთნარქმა ქართლოსმა ააშენა „ციხე ორბისა“, რომელსაც შემდგომ სამეცნიერო ეწოდა (ქც 1: 8,12,13; ქც 4: 322,21). სამეცნიერო, როგორც ერთ-ერთი ძლიერი ციხე-ქალაქი, მოხსენიებულია ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობასთან დაკავშირებით (ქც 1: 18,1). ქართლის პირველი მეფის, ფარნავაზის (ძვ. წ. IV-III სს) დროიდან ის ქალაქი და საერისთავოს ცენტრია (ქც 1: 24,16; ქც 4: 57,12, 322,23). ვახტანგ გორგასალის (V ს) დღეს, დედოფალ საგლუხტს, აუშენებია სამეცნიეროს სიონი (ქც 1: 142,13). ვახუშტი ბაგრატიონი ტაძრის მშენებლობას საგლუხტის მეუღლეს, მეფე მირდატს მიაწერდა. VIII-IX სს-ში სამეცნიერო თბილისის საამიროს შემადგენლობაშია. IX ს-ის ბოლოდან X ს-ის შუა ხანებამდე სამეცნიერო სომეხ ბაგრატიონთა მფლობელობაშია (დრასხანაკერტელი 1965: 224, 227). გურგენ ერისთავთ-ერისთავი X ს-ის 20-იან წლებში შეეცადა სამეცნიეროს დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ (დრასხანაკერტელი 1965: 251). XI ს-ის 60-იან წლებში ბაგრატ IV-მ (1027-1072) შეიპყრო სომეხთა მიერ დატოვილი II და სამეცნიერო დაიბრუნა (ქც 1: 307,9-12). გიორგი II-მ (1072-1089), შერიგებისა და პატიების ნიშნად, სამეცნიერო კლდეკარის ერისთავ ივანე ლიპარიტის ძეს უბოძა (ქც 4: 153,8,9). მალე სამეცნიერო თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს (ქც 1: 318,2-4; ქც 4: 153,13,14,26-29). 1110 წ. დავით აღმაშენებელმა (1089-1125) სამეცნიერო თურქ-სელჩუკებისაგან გაათავისუფლა (ქც 1: 331,18-20; ქც 4: 157,9-14). დავით აღმაშენებელმა ამირსპასალარ ივანე ორბელს დიდი დამსახურებისათვის უბოძა სამეცნიერო (ორბელიანი 1978: 39). 1177 წ. სამეცნიერო გიორგი III-ის (1156-1184) წინააღმდეგ აჯანყებული დემნა უფლისწულის, მისი სიმამრის, ამირსპასალარ იოანე ორბელისა და მათი მომხრეების ერთ-ერთ დასაყრდენს წარმოადგენდა (ორბელიანი 1978: 47). აჯანყების ჩახშობის შემდეგ სამეცნიერო უშუალოდ სამეფო კარს დაუმორჩილეს. XIII ს-ში სამეცნიეროს მონღოლები იპყრობენ (ქც 2: 196,2). მონღოლთა ბატონობის

დროსაც სამშვილდე კვლავ ქართველი მეფეების მფლობელობაშია (ქც 2: 310,3, 322,9). სამშვილდე დაარბია თემურ-ლენგმა (ქც 4: 323,2). 1440 წ. შავ-ბატკნიან თურქმანთა ჯარმა, ჯეჰან შაჰის მეთაურობით, სამშვილდე აიღო და იქ სასტიკი ხოცვა-ჟლეტა მოაწყო (მეწოფელი 1937: 27, 29; 1937ა: 33; დავრევიცი 1974: 54). 1578 წ. ოსმალებმა მუსტაფა ლალა ფაშას მეთაურობით თბილისის აღების შემდეგ სამშვილდე დაიკავეს (ქც 4: 411,19-22). 1583 წ. ქართლის მეფე სვიმონ I-მა (1556-1600) სამშვილდე ოსმალებისგან გაათავისუფლა (ქც 4: 414,7-9). გვიან შუა საუკუნეებში სამშვილდე, როგორც ქალაქი, თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას და ციხის მდგომარეობაშიღვე ქვეთდება (ქც 4: 322,23). 1636 წ. ქართლის მეფე როსტომმა (1632-1658) სამშვილდის სასახლე უბოძა მოლარეთუხუცეს შიომ ხმალადეს (ქართულ-სპარსული ... 1955: 133, 134). 1693 წ. ერეკლე I-მა (ნაზარალი-ხანი) (1688-1703) სოფ. სამშვილდე მისცა ავთანდილ ბარათაშვილს (ქართულ-სპარსული ... 1955: 363, 364). ისარგებლა რა ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის (1744-1762) ირანში ყოფნით 1747 წ. იესე მეფის (1714-1716, 1724-1727) ძემ აბდულა-ბეგმა ქართლის სამეფო ტახტის მიტაცება განიზრახა და სამშვილდე საიმედოდ გამაგრა. ამის შემდეგ სამშვილდის ციხე ლეკთა მოთარეშე რაზმების დასაყრდენი და თავშესაფარი გახდა (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 85-87, 89). 1749 წ. ერეკლე II-მ (1744-1798) სამშვილდის ციხე ბრძოლით აიღო. ტყვედ ჩაგარდნილ აბდულა-ბეგს ნება მიეცა თავრიზში წასულიყო. სამშვილდეში დარჩა აბდულა-ბეგის ძმა უსეინ-ბეგი, რომელიც 1751 წ. ერეკლე II-მ სამშვილდისგან თბილისში გადმოიყვანა (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 93, 98).

1948 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნაბერძენიშვილი) ფართო დაზვერვითი სამუშაოები აწარმოა ნაქალაქარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც გამოვლინდა რამდენიმე ნასოფლარი და ეკლესია (ციციაშვილი 1979: 13, 14; ლომთათიძე 1989: 24). 1957 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნინო ბერძენიშვილი) დაზვერვა ჩაატარა მდ. ქციის ხეობის შუა წელზე. სოფ. სამშვილდესთან, მდ. ჭივჭავას მარცხენა ნაპირის ფერდობზე ზედაპირულად აიკრიფა ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები, რომლებიც ქვედა პალეოლითის განეკუთვნება (ბერძენიშვილი 1963: 8, 9). 1968 წ. ს. ჯვანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამშვილდის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ლ. ჭილაშვილი) სამშვილდის ნაქალაქარზე ჩაატარა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები. სადაზვერვო თხრილები გავლენებულ იქნა შიდა ციხეზე, ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში და ციხის გარეთ მდებარე ტერიტორიაზე. ექსპედიციამ დაზვერა ნაქალაქარის ახლომდებარე ტერიტორიები (ჭილაშვილი 1969: 32, 33). 1968-

1970 წწ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თეთრიწყაროს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ.გობეჯიშვილი) სოფ. სამშვილდის მახლობლად გათხარა ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი (მირცხულავა 1969: 5, 6; 1971: 16, 18). 1974 წ. იმავე ინსტიტუტის ალგეთის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. თუშიშვილი) მუშაობა განაახლა სამშვილდის ადრე ბრინჯაოს ხანის ნასოფლარზე. ტერასულად განლაგებული ნასოფლარის ტერიტორია შუა საუკუნეებშიც ინტენსიურად ყოფილა ათვისებული (თუშიშვილი, ამირანაშვილი, მირცხულავა 1976: 46, 47; მირცხულავა 1979: 79-81). 1978-1987 წწ. ს. ჯვანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპელიტიკის ლაბორატორიის ქცია-ხრამის ხეობის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ზ. თვალჭრელიძე 1978-1979 წწ.; ნ. ბახტაძე 1980-1987 წწ.), რომელსაც 1985 წლიდან ქვემო ქართლის კლდის ძეგლთა შემსწავლელი ექსპედიცია ეწოდა, სამშვილდის მიდამოებში, მდ. ქციისა და ჭივჭავას ხეობებში დაზვერვების შედეგად გამოავლინა გამოქვაბულთა კომპლექსები, რომელთაგან ზოგიერთი არქეოლოგიურად იქნა შესწავლილი (ბახტაძე 1991: 16, 17).

1968 წ. ნაქალაქარის ტერიტორიაზე სადაზვერვო თხრილების სულ ქვედა ფენაში აღმოჩნდა ადრე ბრინჯაოს ხანის ვარდისფერსარჩულიანი და შავზე-დაპირიანი სქელკედლიანი ჭურჭლების ნატყეხები, რომელთა ნაწილი შემკულია ხაზოვანი ორნამენტით. კერამიკის ზოგიერთი წითლად გამომწვარი ფრაგმენტი შავი საღებავითაა მოხატული (ჭილაშვილი 1969: 32). გამოირიცხული არაა ნაქალაქარზე ადრე ბრინჯაოს ხანაზე უძველესი სამოსახლოების არსებობაც, ამაზე მიუთითებს ობსიდიანის უამრავი დამუშავებული იარაღის აღმოჩენა თვით ნაქალაქარის ტერიტორიაზე (ჭილაშვილი 1970: 118). ნაქალაქარზე გამოვლენილი ნაცრისფრად გამომწვარი კერამიკის რამდენიმე ნატყეხის მიხედვით სავარაუდოა აქ კვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენის არსებობაც. სადაზვერვო თხრილებში აღმოჩენილი შავპირილა ჭურჭლის ნატყეხები ძვ. წ. IV-III სს-ით თარიღდება (ჭილაშვილი 1969: 32). განათხარი მასალის უდიდესი ნაწილი შუა საუკუნეებისაა და ძირითადად X-XIII სს-ით თარიღდება. მათ მიეკუთვნება: სქელკედლიანი სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი, წითელი და შავი საღებავით მოხატული თხელკედლიანი კერამიკა; ერთფერად და მრავალფერად მოჭიქული ჯამები, რომელთა შორის გვხვდება უანგობო, ანგობით მოხატული, ამოკაწვრით მოხატული და სხვ. ნიმუშები. ნაქალაქარზე აღმოჩენილია ფაიანსის ფრაგმენტებიც. ზოგიერთი ჭურჭელი ნახევრადნაშადაია. მათი მიხედვით სამშვილდეში კერამიკის ადგილობრივი წარმოებაა საკულისხმებელი (ჭილაშვილი 1969: 33). სამშვილდის ნაქალაქარის არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯვანაშიას სახ. საქართველოს

მუზეუმი). სამშვილდის მიდამოები ჯერ კიდევ ქვედა პალეოლითში ჩანს ათვისებული. ნაქალაქარის მახლობლად, მდ. ჭივჭავას მარცხენა ნაპირის ფერდობზე, მრავლადაა აღმოჩენილი ობსიდიანის ანატკეც-ანამტკერეები, რომლებიც უმეტესად ფერდობის ქვემო და შუა წილზეა გამოვლენილი. ობსიდიანის შედარებით მცირერიცხოვანი მასალაა აღმოჩენილი ხეობის ფლატზე არსებული გამოქვაბულების ახლოს. დაზვერვის შედეგად გამოვლენილი ქვის ხანის ნივთებიდან ყურადღებას იქცევს ობსიდიანის სამკუთხა ფორმის წვეტანა, დამზადებული მოგრძო და განიერი ლამელისაგან (სიგრძე 3,7 სმ, სიგანე 3,3 სმ, სისქე 1 სმ-მდე). იარაღის ერთ მხარეს, ნაპირების გასწვრივ, მოყვება ფაქიზი რტუქში, მთორე მხარეს ობსიდიანისაგანის დამახასიათებელი ნიჟარისებური ზედაპირი აქვს. დამზადების ტექნიკის მიხედვით ის გვიან მუსტიეს ეპოქას განეკუთვნება. იარაღის აღმოჩენის ადგილიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით გამოვლინდა მუსტიეს ეპოქის განიერ სამუშაოპირიანი საფხევი და რამდენიმე ლამელა. იარაღების თავდაპირველი ადგილსამყოფელი ფერდობის თავზე განლაგებული, დღეისათვის უკვე დანგრეული გამოქვაბულები უნდა ყოფილიყო (ბერძენიშვილი 1963: 8, 9).

სამშვილდის ადრე ბრინჯაოს ხანის ნასოფლარი მდებარეობს სოფ. სამშვილდის მახლობლად, სამშვილდე-დაღეთის გზასთან, კარკანლის მთის სამხრეთ კალთაზე. ნამოსახლარი განლაგებულია 100-150 მ სიგრძის 20-ზე მეტ ტერასაზე, სადაც დიდი რაოდენობითაა გაბნეული ობსიდიანის ანატკეცები, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ნამოსახლარი ორფენიანია. ზედა II ფენაში გამოვლინდა წითელი გვემის შენობის (თუ შენობების) სამი პარალელური კედლის ნახევარწრიული ქვის საძირკველი. ქვის საძირკველი მრგვალი ნაგებობის მხოლოდ ჩრდილოეთ ნახევარს უნდა ჰქონოდა. სამხრეთი მხარე კი ხის ბოძებზე ბათქაშით შეღესილი ხის წრულისა იყო. იქვე აღმოჩნდა ბათქაშის ნატყენი, რომელსაც წრულის ანაბეჭდები ეტყობათ. ნახევარწრიულ ნაგებობას გათხრილ კომპლექსში ცენტრალური მდებარეობა უკავია. აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს მას მიდგმული აქვს სწორკუთხა ნაგებობები (3,5X3 მ დასავლეთ მხარეს; 3X4მ აღმოსავლეთ მხარეს). ნამოსახლარზე გამოვლინდა 2 სამეურნეო ორმო, რომლებიც სასეე იყო თიხის ჭურჭლის ნატყენებით (მირცხულავა 1975: 10, 11). დასახლარის ტერიტორიაზე აქა-იქ ჩნდებოდა ადრე ბრინჯაოს ხანის სამარხებიც (თუშიშვილი, ამირანაშვილი, მირცხულავა 1976: 46, 47).

ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალის უმრავლესობა თიხის ნაწარმია. ქვედა I ფენის კერამიკისათვის დამახასიათებელია ალა ფერი, დამზადებულია ხელით. თიხა უმეტესად მსხვილმარცვლოვანია კვარცის, ქვიშისა და შამოტის მინარეებით. კეცი ძირითადად ერთფენიანია. უმეტესად გარედან, ხშირად კი ორმხრივ, ჭურჭელი ანგობირებული და გაპირილებულია. ორნამენტის წარმოდგენილია

ამოკაწრული ხაზების სახით. სამ შემთხვევაში ჭურჭლები ქსოვილზეა დამზადებული. სამივე ქვედა I ფენაში აღმოჩნდა. ამ ფენის ჭურჭლები უფრო სადაა. კერამიკა ძირითადად უყუროა. ნამოსახლარის II, ზედა ფენის კერამიკა ძალზე ფრაგმენტულია და წარმოადგენს სამაროვანზე გამოვლენილი ჭურჭლების ზუსტ ანალოგს (მირცხულავა 1975: 20-23). ქვის ნაწარმიდან აღსანიშნავია ზედა ფენაში აღმოჩენილი ობსიდიანის ორმხრივ მცოცავი რტუქშით დამუშავებული ყუნწიანი ისრისპირი. ზედა ფენაშივეა გამოვლენილი ნავისებური ფორმის ქვის რამდენიმე ხელსაფეკავი. ორივე ფენაში მრავლად ჩნდებოდა ობსიდიანის ანატკეცები, რომელთა უმრავლესობას ეტყობა გამოყენების კვალი. ქვედა I ფენაში გვხვდება საფხევისმავარი ანატკეცები, თუმცა არც ერთი მათგანი ტიპური საფხევი არაა. ქვედა ფენაშია აღმოჩენილი ორიოდე ლამელა და ერთი სანაყი (მირცხულავა 1975: 23, 24).

სამაროვანი მდებარეობს ნამოსახლარის სამხრეთით 600-700 მ-ის დაშორებით. სამარხები დიდი ზომის ბრტყელი დაუმუშავებელი ლოდებით ნაგები და ასეთივე ლოდებით გადახურული აკლდამებია. ისინი გვერდში სწორკუთხა მოყვანილობისაა (საშუალო ზომა 2X1 მ), შუაში ოდნავ გაგანიერებული. დამხრობილია აღმოსავლეთ ან ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე. სამარხთა განლაგებაში გამოიყოფა მეტწილად ერთ სწორ ხაზზე გამართული 4 მწკრივი. გვხვდება როგორც დიდი ზომის საოჯახო აკლდამები, ისე მცირე ზომის ბაგშვის სამარხები. საოჯახო აკლდამები მასური ნაგებობებია. მათი გვერდითი კედლები შედგენილია დიდი ზომის ბრტყელი, დაუმუშავებელი ლოდებით. ქვემო ერთმანეთს კარგადაა მორგებული. კედლების ზედა მხარე სახურავის უკეთ მორგების მიზნით მცირე ზომის მშრალად ნაგები ბრტყელი ქვებით არის მოსწორებული. აკლდამების იატაკი მიწატკეპნილია. გამონაკლისს წარმოადგენს №3 და №10 სამარხები, რომელთა იატაკი ქვის ფილებით არის მოვებული. 36 სამარხიდან 25 აღმოსავლეთ-დასავლეთ, 7 ჩრდილო-სამხრეთ, 2 სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთ ხაზზეა დამხრობილი. 2 მრგვალი სამარხია. აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილ სამარხებს აღმოსავლეთიდან, ხოლო ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე დამხრობილებს სამხრეთიდან აქვთ შესასვლელი, სადაც დღეს ზღერბლის ქვა. მასზე დაყრდნობილია ქვის „კარი“, რომელიც შესასვლელს კეტავს. „კარი“ გარედან გამაგრებულია მომცრო ქვებით. 3 სამარხს შესასვლელთან აქვს 2-3 საფეხურიანი კიბე. ზოგიერთ სამარხს მცირე ქვარილი ჰქონდა. საოჯახო აკლდამებში მიცვალებული დასვენებულია კიდურებმოხრილი მარჯვენა ან მარცხენა კვერდაზე, თავით შესასვლელისაკენ. თავთან იდგა ჭურჭელი. მიცვალებულებს ატანდნენ ძროხის, ცხვრის, ღორისა თუ თხის ხორცს. მიცვალებულის ფეხებთან მიხვტილია ადრე დაკრძალულთა ჩონჩხი და სამარხეული ინვენტარი. მხოლოდ №7 სამარხში შეინიშნება 3 მიცვალებულის ერთმანე-



სამშვილდე

თის გვერდზე დაკრძალვა. 36 სამარხში დაკრძალული იყო 125 მიცვალებული (მირცხულავა 1975: 25-42). სამარხეული ინვენტარის უდიდესი უმრავლესობა თიხის ჭურჭელია. ისინი დამზადებულია ხელით. თიხაში

მრავლად ურევია ქვიშა, ქარსი, დანაყილი ოხსიდიანი და კვარცი. კეცი ორი და ზოგჯერ სამფენიანია. ჭურჭლები მონაცრისფრო ყავისფერია, მუქი და ღია ფერის ლაქებით. ყველა ზედამპრნაპრიალებია. ჭურჭლები შემკულია შვერილებით, კოპებით, რელიეფური მოგრძო ხაზებით, წყვილად განლაგებული ნახევარმთავრისებრი დანაძერწებით. ნაკაწრი ორნამენტი ძირითადად ორმაგი ტეხილი ხაზებითაა წარმოდგენილი. 3 ჭურჭელი შემკულია ცხოველისა და ფრინველის დაბალრელიეფური გამოსახულებით. ფორმების მიხედვით თიხის ნაწარმი 5 ჯგუფად იყოფა: ბადიები, სასმისები, თუნგულები, ჯამები, ქოთნები. პრაქტიკული დანიშნულების მქონე ჭურჭელს შორის გვხვდება მინიატურული ჭურჭელიც (მირცხულავა 1975: 45-51). ძვლისა და ქვის ნივთები სამაროვანზე ცოტაა. ცენინა: 3 კაჟისა და 4 ოხსიდიანის ოხსიპირი, ქვის 1 კვირისტავი. ძვლის კვირისტავები 2 ათეულზე მეტია. მათი უმრავლესობა ბადიებსა და სასმისებში იყო ჩალაგებული. ლითონის სულ 5 ნივთია. 2 ერთნახევრიანი სასაფეთქლე რგოლი, 2 ზამბარისებური ხვია და 1 თავგვია საკინძი (მირცხულავა 1975: 45-60). სამშვილდის ნამოსახლარის ქვედა I ფენა თარიღდება ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებით, ზედა II ფენა ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულით. სამაროვანი ნამოსახლარის ზედა II ფენის თანადროულია (მირცხულავა 1975: 60). სამშვილდის ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარისა და სამაროვნის არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). ადრე ბრინჯაოს ხანის ნასოფლარისა და სამაროვნის ტერიტორია შუა საუკუნეებშიც ინტენსიურად ყოფილა ათვისებული. ნასოფლარიდან დასავლეთით 100-150 მ-ის დაშორებით შუა საუკუნეების ნასოფლარის ნაშთებია. მთის წვერზე სასახლის მსგავსი ნაგებობის, ეკლესიისა და მიწისქვეშა ნაგებობის - დარანის ნანგრევებია. დარანის ამჟამად ჩანგრეული შესასვლელი კარგად დამუშავებული ქვებით ყოფილა ამოშენებული კირხსნარზე. უძველესი ნასოფლარის ტერიტორიაზე მრავლად იკრთება შუა საუკუნეების, მათ შორის მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები (თუშიშვილი, ამირანაშვილი, მირცხულავა 1976: 46). უძველესი სამაროვნის ტერიტორიაზე გაითხარა შუა საუკუნეების 5 სამარხი. ისინი მოზრდილებია. უმეტესად ნაგებია გათლილი ქვის ფილებით. თითოეულში 2-3 მიცვალებული იყო დაკრ-

ძალული. სამარხები უინვენტაროა (მირცხულავა 1975: 26).

ნაქალაქარის სიახლოვეს, ქციის ხეობის ორივე კალთაზე, მრავალი გამოქვაბულია გამოკვეთილი. უშუალოდ ნაქალაქართან კი გამოქვაბულთა მოზრდილი კომპლექსები გვხვდება. გამოქვაბულები გამოკვეთილია როგორც საკუთრივ ნაქალაქარის კონცხის ქარაფებში, ისე მის მოპირდაპირე კალთების ქარაფებში. ისინი პირობითად 4 კომპლექსად იყოფა - ქციის ხეობის მარჯვენა და მარცხენა, ჭივჭავას ხეობის მარჯვენა და მარცხენა კომპლექსები. ქციის ხეობის მარჯვენა კომპლექსი შედგება 3 იარუსად გამოკვეთილი 70-მდე გამოქვაბულისაგან. ხეობას დაახლოებით 400 მ-ზე გაუყვება და ძირითადად ციცაბო ქარაფის ქვედა რეგისტრშია გამოკვეთილი. მის მოპირდაპირედ, მარცხენა კომპლექსი კონცხის კალთაში 3 იარუსად გამოკვეთილ 45-მდე გამოქვაბულს მოიცავს, რომელთა დიდი ნაწილიც ასევე ქვედა რეგისტრშია განლაგებული. ჭივჭავას მარცხენა კომპლექსი ციხადელის გასწვრივ ხეობის კალთას ორიოდ კმ-ზე გაუყვება ქციის შესართავამდე. შედგება 3-5 იარუსად გამოკვეთილი ერთმანეთისაგან დაშორებული რამდენიმე ჯგუფისაგან. გამოქვაბულების რაოდენობა 80-მდეა. ჭივჭავას მარჯვენა კომპლექსი ნაქალაქარის კონცხის კალთებში მეჩხრად განლაგებული 30-მდე გამოქვაბულს მოიცავს. გამოქვაბულების უმრავლესობა ძლიერაა დაზიანებული (ბახტაძე 1991: 83). მათი უმრავლესობა სხვადასხვა პერიოდში მრავალჯერაა აღდგენილ-გადაკეთებული. ჭივჭავას მარცხენა კომპლექსის გამოქვაბულთა ერთი ჯგუფის გათხრებისას გამოვლინდა XI-XIV სს-ის სადა და მოჭიქული კერამიკის ნატეხები. ზოგიერთი ქვაბის იატაკის ქვეშ, კლდის ჩაღრმავებებში, ჩნდებოდა გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი შავპრიალა ჭურჭლის თითო-ოროლა ფრაგმენტი. გათხრები შეეხო ქციის მარცხენა კომპლექსის ზედა იარუსის ქვაბებს, რომლებიც ნაქალაქარის კონცხს პლატოვსად რამდენიმე მეტრით დაბლა შემოუყვება. გამოქვაბულთა გათხრებისას აღმოჩნდა XI-XIV სს-ის მოჭიქული კერამიკა. თეთრ ანგობზე მრავალფერად მოჭიქული ჯამების, სამარილისა და ჭრახის ფრაგმენტებია. იქვე გამოვლინდა თეთრანგობიან ზედამპრზე შივად და წითლად მოხატული დოქის პირი და დიდი რაოდენობა სადა კერამიკული ნაწარმისა: ჯამები, დოქები, ქოთნები, ქილები და სხვ. მათ შორის გვხვდება წერნაქით შეღებილი და წიწვოვანი ორნამენტით შემკული ნიმუშები. თითქმის ყველა ქვაბში შუა საუკუნეების თიხით მოტკეპნილი იატაკის ქვეშ, კლდოვან ფოსოებში აღმოჩნდა მცირე რაოდენობის ბრინჯაოს ხანის კერამიკის ნატეხები (ბახტაძე 1991: 85, 86). საყურადღებოა ამ კომპლექსის №2 გამოქვაბული. ის ხელოვნურადაა გამოკვეთილი. შესასვლელი დაახლოებით 1,5 მ სივანისაა. ცენტრალური ნაწილის სიმაღლე 2 მ-ზე მეტია. გამოქვაბულის გათხრებისას ზედა

შრეში აღმოჩნდა განვითარებული შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის ორიოდე ნატყეხი. 50-70 სმ სიღრმეზე თავი იჩინა გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტებმა (მათ შორის გამოვლინდა ერთი მთელი ქოთანიც) და ობსიდიანის ანატყეცებმა. განათხარ მასალაში გვხვდება შავი და მონაცრისფრო ქოთნების, დერეპების, ჯამბების და სხვ. ნატყეხები. ჭურჭლები შემკულია ტალოვანი, რელიეფური და გრენილი ორნამენტით. ქოთნების ყურები ზომიორფულია. ჭურჭლებს აქვთ გადმოკეცილი დაკეჭნილი პირები და ძირები (ბახტაძე 1991: 86, 87). გვიანბრინჯაოს ეპოქის იატაკის მოტყეპნილობის ქვეშ მოქცეულ ღრმულეში კიდევ უფრო არქაულად, ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპებისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტებიც აღმოჩნდა. მათ შორის აღსანიშნავია შტამპისებური ორნამენტით შემკული შავპირილა ჭურჭლის ნატყეხები, რომლებიც შუაბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. ადრე ბრინჯაოს ხანას ჩანს მორუხო-წაბლისფრად წყაღმწვარი ქოთნის ფრაგმენტები, შემკულია ვევილ-წვევილი შვერილებით. იქვე გამოვლინდა თიხის შვერილებიანი კერის ფრაგმენტი. ამდენად, სათავისა და კომპლექსის შემადგენელი უძველესი ქვაბების გამოკვეთის თარიღად შუა ბრინჯაოს ხანის დასაწყისი მაინცაა სავარაუდო (ბახტაძე 1991: 87, 88). სამშვილდის ქვაბთა კომპლექსის არქეოლოგიური მასალის ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). გარდა გათხრებით მოპოვებული არქეოლოგიური მასალებისა, სამშვილდიდან ცნობილია შემთხვევითი აღმოჩენები. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) ინახება სამშვილდეში 1909 წ. აღმოჩენილი ნივთები: ცისფერი მინის სამკუთხაგანიკვეთიანი სამაჯური, ბრინჯაოს 2 ბეჭედი ბრტყელგანიკვეთიანი რკალითა და ოვალური მოყვანილობის ფარაკით, ცისფერი მინის 2 მთვრდო ოთხწახნაგა მძივი, ვიშრის ცილინდრული ფორმის მძივი და რკინის ორფრთიანი, გრძელყუნწიანი ისრისპირი. კოლექციაში შემავალი ნივთები XII-XIII სს-ის თარიღდება. 1935 წ. მუზეუმმა შეიძინა ბრინჯაოს ცილინდრული მოყვანილობის მცირე ზომის ზარი, რომელიც ყუნწთან ერთად ორ ადგილას გახვრეტილია. ენა დაკარგულია. ზარზე გამოხატულია რელიეფური ჯვარი. საინვენტარო კატალოგის მიხედვით, ზარი აღმოჩენილია სამშვილდის გამოქვაბულში. სამშვილდის ნაქალაქარი გაშენებულია მდ. ქციისა და ჭივჭავას შორის მდებარე კონცხზე. ნაქალაქარი გეგმაში სამკუთხა მოყვანილობისაა. სამი მხრიდან ნაქალაქარს ციცაბო ფლატე შემოუყვება. დასავლეთი მხარე კი დაცულია ხევიდან ხევაძლე გადაჭიმული 4-5 მ სისქის გალავნით. ქალაქის საერთო სიგრძეა 2,5 კმ, სიგანე საშუალოდ 400 მ. ქალაქი იყოფა სამ ნაწილად. აღმოსავლეთით, კონცხის ბოლოს შიდა ციხეა განლაგებული. შუა ნაწილი კედლებით შემოსაზღვრული ციხეა, დასავლეთით საკუთრივ

ქალაქია, სადაც შემორჩენილია სახლები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები. მის უკან სამაროვანია, სადაც დგას საფლავის ქვები მწყემსების, მხედრებისა თუ ხელოსანთა გამოსახულებებით. გზის მახლობლად თლილი ქვით შემოსილი წმინდა გიორგის პატარა დარბაზული ეკლესიაა (ციციშვილი 1993: 14). სამხრეთით მდებარე შესასვლელთან ამოკვეთილი ხუცური წარწერა ე. თაყაიშვილს თავის დროზე უკვე გადაშლილი დახვედრია. მის ქვეშ შემორჩენილი ყოფილა მხედრული წარწერა: „ნებითა ღვთისათა ბრძანებითა მეფისა ვახტანგისა და ხელისა პერობითა თანა მეცხედრისა მისისა დედუფლის ელენესითა მე მისმა გამზრდელმან ზილიხან ადგაშენე საყდარი ესე წმიდისა გიორგისა...“ წარწერა დათარიღებულია 1672 წლით. აქ მოხსენიებული მფევე ვახტანგი არის ვახტანგ V შაჰნავაზი (1658-1776) (თაყაიშვილი 1905: 41). წარწერა დღეისათვის აღარაა შემორჩენილი. ქალაქის შუა ნაწილი გაყოფილია გალავნით, რომლის კარის უკან იწყება ქვის ფილებით მოკირწყლული 3 მ სიგანის მთავარი ქუჩა. მის ახლომახლო შენობათა ნანგრევებია. შემორჩენილია რამდენიმე ორსართულიანი სასახლის ნანგრევი, რომელთა პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისაა, მეორე სართულზე საცხოვრებელი ოთახებია ნიშებითა და ბუხრებით.

გალავნის მახლობლად დგას ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. ინტერიერში დიდი შავი მენპირია ჯვრის გამოსახულებითა და სომხური წარწერით „სუმბათ ერისთავთა ერისთავი“. წარწერა XI ს-ით თარიღდება. ეკლესია უფრო მოგვიანებით ჩანს აშენებული (ციციშვილი 1993: 14). ქციის მხარეს ეკლესიაა „თეოგონიდა“, რომელიც სავარაუდოდ XII-XIII სს-ს მიეკუთვნება. ეკლესიის მახლობლად ყრია ქვის ბორბლები და საწახელის ღარიანი ქვები. შიდა ციხე მძლავრი გალავნითაა გამოყოფილი. მისი ძველი, დასავლეთის კედლის სისქეა 6 მ. კედლების შემორჩენილი სიმაღლეა 10-12 მ. კედლის ზედა, გვიანდელი ფენები ქმნიან გალავნის საბრძოლო ნაწილის განიერ ტალანს. გვიან შუა საუკუნეებში ციხის კედლი სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში აუგიათ დიდი ზომის კოშკები. შიდა მიმოსვლისათვის ერთ მათგანში ჭიშკარია დატანებული. შესასვლელის თავზე გაჩნდა სათოფურები და სალოდებები. კედლები გაგრძელებულია ხეების პირების გასწვრივ. ციხის შიგნით აუგიათ ორსართულიანი სასახლე და აგურის ოთხგანყოფილებიანი აბანო, ტრომპეზე ამოყვანილი გუმბათით. გვიან შუა საუკუნეებისაა ქვითა და კირხსნარით ნაშენი ორი წყალსაცავი, რომელთა ფსკერი კირხსნარითაა მოლესილი. აუზების სიღრმე ორ მეტრს აღემატება (ციციშვილი 1993: 15; ზაქარაია 1988: 22).

შიდა ციხის ტერიტორიაზე სამი ეკლესიაა. ვახტანგ გორგასლის დედის, საგულხტის მიერ აშენებული ეკლესია დღეისათვის არ შემორჩენილია. მის ადგილას უნდა იდგეს VIII ს-ში აგებული გუმბათიანი ტაძარი, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. ტაძრის

სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლების ფასადზე თითქმის მთელ სიგრძეზე ამოღარულია ერთ-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. შემორჩენილია მხოლოდ 10 მ სიგრძის ტექსტი: „ქრისტე, აღეშენა შეწვევითა ქრისტესითა კაცთმოყუარებითა, საყოფელი ესე წმიდისა ღმრთისა მშობელისაი სალოცველად ... ქრისტე შეიწყალენ ... ნათესავით პიტიახში. წელსა კ მეფობისა კონსტანტინისა დაიდვა საძირკველი ხელითა მათითა ... იყო ამის სტოვისა შენებაი. ვარაზ-ბაკურ შეისუენა და მისი უკუან ის ... იოვანე ისწრაფდის. აესრულა იგიცა ... იქმნა სრულიად აღშენებაი წმიდისა ამის ეკლესიისაი ... და სტოვათა. და წელსა გ ლეონ მეფისა, დღესა ენკენისა ყო სატფურებაი სამი დღე დიდითა კრებითა, განშეუენებად ...“ (ქართ. წარწ. კორ. 1980: 235, 236). მ.ბროსე წარწერას 1313 წლით ათარიღებდა (ბროსე 1856: 99-102), ექ. თაყაიშვილი 958 წლით (თაყაიშვილი 1905: 42, 43), ს. კაკაბაძე 778 წლით (კაკაბაძე 1924: 108). ტაძრის აშენებისა და წარწერის თარიღი ყველაზე მართებულად განსაზღვრა მუსხელიშვილმა, რომლის აზრით, წარწერაში მოხსენიებული კონსტანტინე და ლეონი ბიზანტიის იმპერატორები კონსტანტინე (740-775) და ლეონია (775-780). ტაძრის მშენებლობა დაუწყია 759 წელს ერისთავ ვარაზ-ბაკურს. მისი სიკვდილის შემდეგ მშენებლობა გაუგრძელდება იოვანეს, მაგრამ ისიც გარდაიცვლია. ტაძრის მშენებლობა დასრულებულა 777 წელს (მუსხელიშვილი 1942: 85-106). სხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ ტაძრის მშენებლობა დაუსრულებია დედოფალ დებორას (აღექსიძე 1991: 229-234). სამხრეთის ფასადზე ერთი ქართული წარწერის ფრაგმენტი. მის ქვეშ კი მოთავსებულია სომხური წარწერა, რომელიც სომეხთა კათოლიკოსი გიორგია მოხსენიებული. წარწერა XI ს-ით თარიღდება (მუსხელიშვილი 1942: 100). სამშვილდის სიონის ტაძარი დანგრეულია თემურ-ლენგისა და ოსმალთა შემოსევების შედეგად (ქე 4: 323,2,3). სიონის დასავლეთით დგას მუქი ბაზალტის კვადრებით აგებული IX-X სს-ის დარბაზული ეკლესია შვერილი აფსიდით. ნაგებია უხეშად გათლილი ქვით. ინტერიერში შემორჩენილია ფრესკებისა და ფრესკული წარწერების კვალი. დასავლეთი კარის კედლის თავზე შემორჩენილი ასომთავრული ფრესკული წარწერები 1905 წ. გამოაქვეყნა ექ.თაყაიშვილმა. წარწერები იმყამად დაზიანებული იყო ყოფილა. წარწერის ფრაგმენტების მიხედვით, რომელიც ერისთავთ ერისთავსა და მის მეუღლე დარეჯანს სამშვილდეში აუგიათ წმინდა თევდორეს ეკლესია. ერისთავთ ერისთავმა და ავაგ ხორისიძემ აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კანთა მეფეთა მეფის დავითისა და მისი ძის ზეობისას ეკლესიას შესწირა მამული. ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, კარის თავზე მოთავსებული დაზიანებული წარწერის ფრაგმენტი ასე იკითხება: „სახელითა ღვთისათა ბრძანებითა დავით (მეფისა) ...“ ექ.თაყაიშვილმა სამივე წარწერა დავით აღმაშენებლის (1089-1125) დროს მიაკუთვნა (თაყაიშვილი 1905: 43-45).

ფრესკულ წარწერათაგან ერთ-ერთი ხელახლა იქნა შესწავლილი. ძველ და ახალ წაკითხვას შორის საგრძნობი განსხვავებაა, თუმცა ცხადია, რომ წარწერა სამშენებლო ხასიათისაა და შეეხება სამშვილდის ციხეში ეკლესიის აგებას. მშენებლები ყოფილან ერისთავთ ერისთავი და მისი მეუღლე. წარწერის თარიღი უცვლელი დარჩა (ბარამიძე 1983: 25; სხირტლაძე 1987: 54; ციციშვილი 1993: 16). ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით 500 მ-ის დაშორებით, მდ. ქციაზე 2 ძველი ხილია. პირველი ხიდის 2 ბურჯია შემორჩენილი. მეორე ორმალიანი, სამბურჯიანი ყოფილა. სამშვილდთან სამხრეთ-დასავლეთით 2 კმ-ის დაშორებით მდ. ქცის ნაპირზე მდებარეობს მონასტერი. კალაგის შინგით ორი გვიანი შუა საუკუნეების ეკლესია და შენობების ნაშთებია შემორჩენილი. შენობათა კედლებში გამოყენებულია პირღებულის მონასტრის ჩუქურთმიანი ქვები. ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთით, ორიღვე კმ-ის დაშორებით ნასოფლარია გვიანი შუა საუკუნეების დანგრეული დარბაზული ეკლესიით, რომლის ირგვლივ ასევე გვიანი შუა საუკუნეების სასაფლაოა. იქ უნდა ყოფილიყო სოფ. კრწანისი. სოფ. სამშვილდის დასავლეთით 1,5 კმ-ის დაშორებით შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევი. მის გვერდით გვიან შუა საუკუნეებში შეკეთებული წმინდა გიორგის ეკლესიაა. სოფ. სამშვილდის ჩრდილოეთით, 500 მ-ის დაშორებით მდ. ჭიჭკავას მარცხენა ნაპირზე კიდევ ერთი ნასოფლარია, სადაც შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების მცირე ზომის დარბაზული, შვერილაფსიდიანი ეკლესია. მის ირგვლივ სასაფლაოა (ციციშვილი 1979: 14).

სოფ. ორბეთთან დაზღვევის დროს ტყეში მიკვლეულ იქნა მინის საწარმოს ნაშთები. ძველი შეისწავლა ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ნატბურ-ორბეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. უგრელიძე). 1958-1961 წწ. გამოვლინდა მინის საწარმოს სამი უბანი, რომლებიც ერთმანეთისაგან 500 მ-ით იყო დაშორებული. უბნებზე ნეოთხარა ჩაქცეული და ჩაშლილი თაკარები – მინის საღობო ქურები. 244 კვმ ფართობზე შესწავლილ იქნა საწარმოს გადანაყარი. პირველი უბნის გადანაყარში დიდი რაოდენობით გამოვლინდა მოზაიკის კენჭები, სარკმლის ფერადი მინის ნატხები, ყალიბში ჩაბერეთი მიღებული სხვადასხვა სისქის ფერადი მინის ჭურჭლები. იქვე დიდი რაოდენობით უმზადებიათ შავი მინის ბეჭდები. მცირე რაოდენობითაა ღვინისფერი, ლურჯი, ყვითელი და მწვანე ფერის ბეჭდები. ცოტაა სამაჯურებიც. მეორე უბანზე მხოლოდ შავი მინის ბეჭდები და სასმისები გამოვლინდა. მესამე უბანზე გაითხარა ალიონი მოფენილი და მინის წვეთების ნალენთიანი მოედანი (4X2 მ). გადანაყარში მოპოვებული მასალის მიხედვით იქ ამზადდებდნენ მინის ჭურჭელსა და სამაჯურებს. გათხრებისას არაა მიკვლეული ტიგლები, სამაგიეროდ ბევრია სხვადასხვა ზომისა და ფორმის აბაზანის ძირი, რაც

მოუთითებს მინის ღღობაზე თაკარის აბაზანაში. საწარმო თარიღდება VIII-IX სს-ით. მესამე უბანზევეა აღმოჩენილი რკინის ლანცეტისებური დანა, ბრინჯაოს ბრტყელი, ჭვინტიანი შვილიდსაკინძი, მინანქრის საღებავით მოხატული ჭურჭელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოზაიკის სხვადასხვა ფერის კენჭების გამოვლენა (უგრელიძე 1960: 61, 62; 1961ა: 59-61; 1962: 56-59).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1989: 61, 62; აიოი-ვანცი 1990: 81; ალექსიძე 1991: 229-234; ანონიმი ჟამთააღმწერელი 1949: 273; არჩილი 1989: 414; არსრუნი 1975: 269; აფრასიძე 1984: 36, 37; ბაგრატიონი 1986: 50; ბარამიძე 1983: 25; ბაქრაძე 1875: 130-131; პასტაძე 1991: 16, 17, 83-90; ბერძენიშვილი ნინო 1963: 8, 9; ბროსე 1856: 99-102; გიულდენშტედტი 1962: 79, 189; დავრეჯიცი 1974: 54; დრასხანაკერტელი 1965: 224, 227, 251; ვარდან 1861: 126; ზაქარაია 1988: 21-23; თაყაიშვილი 1905: 40-46; თუშიშვილი, ამირანაშვილი, მირცხულავა 1976: 46, 47; იაკუბი 1927: 5; იოსელიანი 1844: 415; კაკაბაძე 1924: 108; ლომთათიძე 1989: 24; ლორთქიფანიძე 1935: 343; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 24, 52, 88; მასალეები საქ. ეკ. ისტ. 1955: 224; მასალეები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 185; მასალეების კავკ. არქ. 1898: 62-63; მესოფილი 1937: 27, 29; 1937ა: 33; მირცხულავა 1969: 5, 6; 1970: 47-53; 1971: 16-18; 1971ა: 245-248; 1975; 1979: 78-81; მუსხელიშვილი 1942: 85-106; ნარსიძე 1996: 22-26; ორბელიანი 1981: 99, 124-135, 138-141, 147, 151, 152, 158, 176, 196, 197, 244; ორბელიანი 1978: 25, 28, 39, 47; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 56, 62, 85, 86, 87, 89, 90, 93, 98; საქ. სიძ. 1909: 542; სომხ. გეოგ. 1877: 40; სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 61-63, 65, 67, 68, 79; სხირტლაძე 1987: 52-57; უგრელიძე 1960: 61, 62; 1961: 8-11; 1961ა: 59-61; 1962: 56-59; ქართულ-სპარსული ... 1955: 133, 134, 180, 181, 363, 364; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 594; 1981: 716; 1985: 354; ქართ. წარწ. კორ. 1980: 235, 236; ქრონიკები 1897: 425; 1967: 188; ქც 1: 8,13; 12,2; 18,1; 24,16,27,19; 33,3; 55,8; 64,6; 130,24; 137,11; 142,6,13; 185,17; 307,7,9-12,15,16; 314,5; 316,10,11,14,16; 317,1,2; 318,2,4; 331,15,20,22; 332,16; ქც 2: 24,14; 165,16; 196,1; 310,13; 322,9; ქც 4: 57,12; 58,22; 61,7; 95,9; 97,17; 98,18; 110,19; 134,21; 145,25; 149,29; 150,2-4; 152,10; 153,8,9,13,26,29; 157,9,14; 199,6; 322,22-26; 323,1-5,13; 330,23; 411,20-22; 414,7,9; 562,12; ჩუბინაშვილი 1969; ჩხეიძე 1913: 38, 42; ციციშვილი 1979: 13, 14; 1993: 13-16; ჭილაშვილი 1969: 32, 33; 1970: 117-124; ხარაძე 1991: 75; ხერხეულიძე 1913: 250, 251.

სამწვერისი, ციხე, ეკლესია (ქც 4: 344,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 344,20), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 449,24). 1392 წ. მცხეთის საეკლესიო მამულების სია (ქრონიკები 1897: 196; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 177), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 95), პაპუნა

ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 139, 211, 234), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 32), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართლ-კახეთის ... 1903: 8; საქ. სიძ. 1920: 299, 302, 304, 305; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 11, 120, 121; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 77, 80, 129; 1977: 618; 1985: 732; საქ. ისტ. ქრ. 1980: 102, 107), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 117, 217, 279).

მდებარეობს ქარელის მუნიციპ-ში, მტკვრისა და ძამის შესართავთან, ამავე სახელწოდების სოფლის მახლობლად.

სამწვერისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) ინახება სამწვერისში მდ. ძამის შესართავთან, ძამის მარცხენა და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სკრა-ქარელის არხის ტრასის წმენდისას შემთხვევით აღმოჩენილი, სამარხიდან მომდინარე თიხის მონაცრისფროდ გამომწვარი ალაგ-ალაგ ყვითელი ლაქებით დაფარული დერგი. ჭურჭლის ყელი ტანთან შედარებით ვიწროა. მუცლის ზედა ნაწილი გამობერილია (საინგ. №85-64). ამავე მუზეუმშია დაცული სამწვერისიდან მომდინარე თიხის ფილა, რომელზეც გამოსახულია ფეხზე მდგომი ხუთი გულხელდაკრეფილი ადამიანი. მეორე ფილაზე გამოსახულია ადამიანის ექვსი ფიგურა. ფილები მოჩუქურთმებულია (საინგ. №7-20/8-9).

სოფლის დასავლეთით მდებარე ციციშვილების საგვარეულო ციხის კომპლექსში შედის დიდი კოშკი (10,2X11,2 მ), დარბაზული ეკლესია (13,2X8,8 მ), გალავანი, სამსართულიანი სასახლე და სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები. გვემით ციხე მოგრძო მრავალწახნაგაა (82X42,3 მ). კომპლექსში გამოიყოფა ხუთი ძირითადი სამშენებლო ფენა. ადრე შუა საუკუნეებში აქ მდგარა დიდი კოშკი. ცოტა მოგვიანებით მას მოაშენეს გალავანი და ეკლესია. მშენებლობის მესამე პერიოდს განეკუთვნება გალავნის ნაწილი, რომელიც კოშკს ეკვრის სამხრეთ-დასავლეთიდან. ყველაზე გვიანდელია XVI-XVIII სს-ის სამშენებლო ფენები. ნაგებობათა უმეტესობა მიეკუთვნება მესუთე ფენას (ზაქარაია 1988: 73-75; სძა 1990: 389, 390).

ციხიდან ნახევარი კმ-ის დაშორებით, სოფლის თავზე, მდ. ძამის მარცხენა ნაპირის მაღალ გორაკზე აღმართულია წმინდა გიორგის VII ს-ის პირველი მეოთხედი დათარიღებული ჯვრის ტიპის ეკლესია (9,6X8,8მ; გუმბათქვეშა სიმაღლე 10,6 მ). ნაშენია მონაცრისფრო-მოყვითალო ქვიშაქვის ქვათილებით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. კვადრატული გუმბათზე გადასვლა განხორციელებულია ტრომპების სისტემით. ეკლესია გადახურულია კრამიტით. ეკლესია თავდაპირველად იყო წმინდა ჯვრის სახელობისა. გვიან შუა საუკუნეებში



სამწვერისის ტაძარი

მერაბ ფანასკერტელის მიერ ეკლესიის შეკეთების შემდეგ ის წმინდა გიორგის სახელზე უკურთხებიან (სძა 1990: 390-392).

ეკლესიაზე შემორჩენილია ორი ასომთავრული წარწერა. აღმოსავლეთის ფასადზე 912/913 წლის წარწერა გვაუწყებს სამწვერისში სარწყავი რუს გაყვანას. „ქ. ზ(ედ)ა წელსა კ-ს კონსტანტინე მეფისა <ესე რუ[ვი]>მე, დომინოს, სამწვერის ჯუარისა მამასახლისმან და გიორგი თუალოს ძემან მოვიღეთ რუვი ესე ჯუარად. არავინ არს სხუი მომხუმარე და უფალი რუვისა ამის, გარნა პატისანი ჯუარი და გიორგი. ვინ ესე აღმოვიტხოთ მე დომ(ნი)ნოს, მონაი ჯუარისაი [ლოცვასა მომიხსენეთ და თუალოს] ძეცა გიორგი ქრისტემან შეიწყალენ. ამენ იყავნ“ (ქართ. წარწ. კორ. 1980: 222, 223). სამხრეთ ფასადზე მერაბ ფანასკერტელის წარწერაა: „მეორედ მაშენებელსა ფანასკერტელს მერაბს შეუნდუნეს ღმერთმან. ზედამდევს ცოდვილს საბას შეუნდუნეს ღმერთმან“. მერაბ ფანასკერტელი იყო ზაზა ფანასკერტელის შვილი. ცხოვრობდა XV ს-ის ბოლოსა და XVI ს-ის დასაწყისში (ჩუბინაშვილი 1948: 25).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 32; გიულდენ-შტედტი 1962: 117, 217, 279; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 11, 120, 121; გორგჯანიძე 1926: 95; ზაქარაია 1957: 767-774; 1988: 73-75; მაკალათია 1961: 20-23; ობპელიანი 1981: 139, 211, 234; სძა 1990: 389-392; საქ. სოდ. 1920: 299, 302, 304, 305; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 102, 107; სვერდოვი 1948: 2-11; ქართლ-კახეთის ... 1903: 8; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 177; 1972: 77, 80, 129; 1977: 618; 1985: 732; ქართ. წარწ. კორ. 1980: 222, 223; ქრონიკები 1897: 196; ქც 2: 449,24; ქც 4: 344,20; ჩუბინაშვილი 1948: 12-26; ჩუბინაშვილი 1970: 116-124.*

სანადირო, ქალაქი (ქც 1: 9,3; ქც 4: 310,სქ.2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 9,3), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 310,სქ.2).

ვახუშტი ბაგრატიონი სანადიროს შესახებ აღნიშნავს: „არქევანი პირველ იყო გაჩიანი და სანადირო ქალაქი, მერმე ქაოზიანი“ (ქც 4: 310,სქ.2). არქევანისა და გაჩიანის ზუსტი ადგილმდებარეობაც ცნობილია მისთვის. გაჩიანის ადრეული სახელი X ს-ის სომეხი ისტორიკოსი უხტაქესის გადმოცემით ცურტავი იყო, რომელიც მდებარეობდა ქართველთა ველზე (უხტანესი 1975: 67). ი. ლორთქიფანიძის დაკვირვებით, სანადირო ქალაქი, იგივე არქევანი-გაჩიანი-ქაოზიანი, მდებარეობდა მდ. ქციის მარჯვენა ნაპირზე, დურღაის აღმოსავლეთით. ის იყო დაბა დიდი შენობებით (ლორთქიფანიძე 1935: 284) (იხ. სტაქტ. არქევანი, გაჩიანი, ქაოზიანი).

წყაროებში სანადირო ქალაქი პირველად იხსენიება ლეონტი მროველთან. ქართლოსის ერთ-ერთ ვაჟს გაჩიოსსა დედამ „მისცა ორბის ციხე და სკვირეთის მდინარითგან ვიდრე თავადმდე აპოცისა. და ამან გაჩიოს აღაშენა ქალაქი გაჩიანი, რომელსა მაშინ

ერქუა სანადირო ქალაქი“ (ქც 1: 9,1-3). ის მეფე ფარნავაზის (ძვ. წ. III-II სს) საზამთრო სადგომია (ქც 1: 25,18).

ქალაქი სანადირო არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბერძენიშვილი 1979: 10, 23, 26, 29; ლორთქიფანიძე 1935: 284; უხტანესი 1975: 67; ქც 1: 9,3; 25,18; ქც 4: 310,სქ.2.*

სართიჭალა, სათის-ჭალა (ქც 4: 333,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 333,15; 527,14; 538,18,19; 578,11), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 523,22), ფარსადან გორგჯანიძის „ისტორია“ (გორგჯანიძე 1926: 52), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სოდ. 1920: 418, 419; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 819; 1985: 630), სპირიდონ გრძელიშვილის „ცხოვრება ქრისტეფორესი“ (გრძელიშვილი 1989: 133), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 66).

მდებარეობს გარდაბნის მუნიციპ-ში, ივრის ზეგანზე, მდ. ივრის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. სართიჭალის ადგილზე.

1876 წ. ფ. ბაიერმა სართიჭალაში გათხარა რამდენიმე ქვის სამარხი. მათში ესვენა ორი-სამი მიცვალებული, თავით დასაფლავით. ადრე დაკრძალული მიცვალებულების ძვლები მიხვეტილი იყო ერთ ადგილას. სამარხებში აღმოჩნდა: ბრინჯაოს საკინძები, სამაჯურები, საყურეები, მძივები, რკინის ნივთის ფრაგმენტები (ვირუბოვი 1877: 5). სამარხეული ნივთებიდან აღსანიშნავია IV-V სს-ით დათარიღებული ვერცხლის ბეჭედი. მასზე გამოსახულია დიდებულის პორტრეტი, რომელსაც თავსაბურავი და ყელსაბამი ამკობს (ლომთათიძე 1973: 224, 225).

სართიჭალასთან გათხრილ სამარხში აღმოჩენილი იყო ფაიანსის ჭურჭელი უკანასკნელი ჰუნაგუილების 243 ვერცხლის მონეტით. მათ შორის გვხვდება სათი ბეგის (1338-39) სახელით არდებილში, ბაზარში, ბაილაქანში, ხოში და უცნობ ზარაფხანებში მოჭრილი მონეტები; სულეიმანის (1339-40) სახელით არდებილში, ბაზარში, ბაქოში, ბაიბურთში, ბარდაში, ბაილაქანში, ქაშანში, კალისტუქანში, ნახჭევანში, ჰამადანში, თავრიზში, მარალაში, სულტანიაში, ხოში, სალმასში, სავეში მოჭრილი მონეტები (ღვაბერიძე 1986: 71). სართიჭალის არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 66; გორგჯანიძე 1926: 52; გრძელიშვილი 1989: 133; ვირუბოვი 1877: 5; ლომთათიძე 1973: 224, 225; საქ. სოდ. 1920: 418, 419; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 819; 1985: 630; ქც 2: 523,22; ქც 4: 333,15; 527,14; 538,18,19; 578,11; ღვაბერიძე 1986: 71.*


სარკმ (ქც 4: 344,16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 344,16), ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები (ქართლ-კახეთის ... 1903: 198).

მღებარეობს ქარელის მუნიც-ში, სოფ. საღლა-შენთან. ვახუშტი ბაგრატიონი სარკის შესახებ გადმოგვცემს: „არს სარკეს მონასტერი უგუმბათო, ფრიალ კეთილნაშენი და აწ უქმი“ (ქც 4: 344,16).


სარკის წმინდა გიორგის XVII ს-ის ეკლესია, დაშენებულია ჯვრისებრი გეგმის ძველი ეკლესიის საძირკველზე. ის ჯვარ-გუმბათოვანი, თავისუფალი ჯვრის ტიპის ნაგებობაა (12,6X9 მ). ნაშენია აგურით. შესასვლელი სამხრეთით და დასავლეთითაა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მკლავები წაგრძელებულია. ნახევარწრიულ აფსიდში მოსაზღვრე სათავსებში გასასვლელია. მკლავებში თითო სარკმელია, გუმბათის ყელში – რვა. გუმბათქვეშა კვადრატი შეისრულ თაღებს ეყრდნობა. ეკლესიის ფასადები დასრულებულია თაროსებრი ლავგარდანით. დაბალი გუმბათის ყელი გარედან რვაკუთხა და შემკულია დეკორატიული ნახევარწრიული თაღებით. ეკლესია გადახურულია თუნუქით. მოხატულობა ახალია (სძა 1990: 352).

სარკე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.
ბიბლიოგრაფია: სძა 1990: 352; ქც 4: 344,16.

სარკინე, სარკინეთი, ქალაქი, მცხეთის უბანი (ქც 1: 15,18; 17,21; 18,10; ქც 4: 350,2; 364,24; 552,24). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქც 1: 15,18; 17,21; 18,10), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 350,2; 364,24; 552,24), „მოქცევაი ქართლისაი“ (შატბერდის კრებული 1979:



სარკინეს გენგეგმა



სარკინეს ერთ-ერთ ტაძრის რეკონსტრუქცია
გ. ლეჟავას მიხედვით

320), ცხოვრება შიოსი და ევაგრესი (ცხოვრება შიოსი და ევაგრესი 1955: 69, 113), IX-XIV სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 186; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 3; 1970: 179; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 18; ქრონიკები 1892: 6, 11, 12, 60, 88), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 189, 273).

ლოკალიზდება მცხეთის დასავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, შიომღვიმის მიდამოებში, ჯოჯოხეთის ხევიდან მდ. ქსნამდე და ნასტაკისამდე, სავანეთის ქედსა და გრძელ მინდორზე (აფაქიძე 1963: 206).

სარკინეში არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები ჩატარდა 1946 წ. ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლის ნ. ლამაშიძის მიერ, რომელმაც მიაგნო ანტიკური ხანის ნაგებობებისა და რკინის დასამუშავებელი სახელოსნოების ნაშთს. ამ მიდამოებში 1953 წ. დაზვერვებს, ხოლო 1954-1956 წწ. გათხრებს აწარმოებდა ისტორიის ინსტიტუტის მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ა. აფაქიძე). გამოვლინდა ციხესიმაგრის ნანგრევები, ლითონის საწარმოთა ნაშთები და არქიტექტურული დეტალები. 1971-1975 წწ. სარკინეში გათხრები ჩატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ნასტაკის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ა.ბონოჩაძე). 1979-1980 წწ. იქ სამუშაოები აწარმოა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის მუდმივმოქმედმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ა. აფაქიძე). შესწავლილ იქნა ნაქალაქარის დასავლეთით მდებარე კარიბჭის კომპლექსი (აფაქიძე ... 1982: 211-212).

სარკინეს არქეოლოგიური ძეგლები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ციხესიმაგრის ნანგრევები, რომლებიც ძირითადად სავანეთის ქედთანაა დაკავშირებული და სახელოსნოს ნაშთები, რომლებიც გრძელ მინდორზე დადასტურდა. თუმცა, ორივე ამ ადგილას გვხვდება როგორც ნაგებობების, ისე სახელოსნოს ნაშთები. სარკინეს ამ



სარკინეს გათხრები

ორ უბანზე აღმოჩნდა: რკინის საწური ბრძმედის ნანგრევები, ლითონის გამოსადნობი სახელოსნო, რომელიც რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება, საოქრომჭედლო სახელოსნო; ამ სახელოსნოდან მომდინარეობს ნივთები: რკინის ცულები, რკინის-ტარიანი ნიჩაბი, რკინის ისრისპირები, შუბისპირი, ქვის სათლელი იარაღების ნამზადები, ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთი (ჭურჭლის ყური, ხელოსნის ხელსაწყო და სხვ.). გრძელ მინდორზე გამოვლინდა კირქვის არქიტექტურული დეტალები. მათ შორის ორვოლუტიანი სვეტისთავი, ორნამენტირებული სვეტის, ნახევარსვეტისა და ლავგარდანის ფრაგმენტები (ავაქიძე 1959: 71-75; 1963: 206-214).

სარკინეში გამოვლინდა ტერასულად განლაგებული, ქვათლილებით, ალიზის აგურითა და ხის მასალით ნაგები საკულტო და საცხოვრებელი შენობის ნანგრევები, რომელიც დახურული იყო წითლად შეღებილი ბრტყელი და ლარიანი კრამიტით. იატაკი მოგებული ყოფილა თიხის ფილებით. ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა: მინის



სარკინეს ნაქალაქარის რეკონსტრუქცია

ჭურჭელი, წითელლაკიანი ჯამები, ძვლის სამკაულები, ოქროს მძივები, სხვადასხვა ფორმის საკიდები, ვერცხლის ზარი, რკინის ლურსმნები, ბრინჯაოს ანჯამები და სხვ. აგრეთვე ქვიშაქვის ბაზის ფრაგმენტი, ხოლო იატაკის დონეზე გამოვლინდა თიხის ნიღბები, დიონისესა და არიდანას ქანდაკებები. ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოპოვებული მასალა თარიღდება ძვ. წ. II-I სს-ით (ბოხჩაძე 1973: 37-44; 1977ა: 95, 96).

ბიბლიოგრაფია: ავაქიძე 1959: 71-75; 1963: 206-214; ავაქიძე ... 1982: 211-212; ბოხჩაძე 1973: 37-44; 1977ა: 95, 96; გამყრელიძე 2009: 82; გიულდენშტედტი 1962: 189, 273; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 186; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 18; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 3; 1970: 179; ქრონიკები 1892: 6, 11, 12, 60, 88; ქც 1: 15,18; 17,21; 18,10; ქც 4: 350,2; 364,24; 552,24; შატბერდის კრებული 1979: 320; ცხოვრება შიოსი და ევავრესი 1955: 69, 113.



არტეფაქტები სარკინედან

სასირამო (ქც 4: 147,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 147,15), მათიანე ქართლისა (ქც 1: 301,5), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 187; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 220, 353; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 106), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 108), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 273).

მდებარეობს კასპის მუნიც-ში, კასპიდან სამხრეთ-დასავლეთით 18 კმ-ის დაშორებით, მდ. თეძმის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. სასირეთის ტერიტორიაზე.

სოფლის სახელწოდება სასირეთი წარმოიშვა სირთა (ჩიტთა) გორიდან (ბერძენიშვილი 1990: 28). 1047 წ. სასირეთის მახლობლად ჭალაში კლდეკარის ერისთავმა ლიპარტ ბაღვაშმა დაამარცხა საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027-1072).

1930 წ. სასირეთში, წმინდა გიორგის ეკლესიასთან, სასაფლაოზე, აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთების განძი. განძში შედის: 1 კოლხური, 3 ე. წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიური და 2 ბრტყელი ცული; 2 ფოთლისებრი, 2 ჩარჩოიანი შედგენილტარიანი

და 2 სხვადასხვა ტიპის სატევარი; 4 ლავამი კაუჭებიანი საცხურებით; 1 სატეხი; 1 ჭვირულტანიანი ფრინველის ქანდაკება; ბრინჯაოს სამფეხა ჭურჭელი, ფრინველის ქანდაკებიანი სახურავით. განძი თარიღდება ძვ. წ. XIII-XII სს-ით. ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (აბრამიშვილი 1961: 318; ქორიძე 1965: 17).

1982 წ. იმავე სასაფლაოზე გაითხარა ორმოსამარხი, სადაც აღმოჩნდა მცენარეული ორნამენტით შემკული ვერცხლის მოთქროული დისკო და ვერცხლის საკისრე რკალი. სამარხი თარიღდება ძვ. წ. IV-III სს-ით. ნივთები ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (სძა 1990: 198).

1984-1986 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კასპის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ.ციციტიშვილი) გაითხარა „ჭოტია-გორის“ ნამოსახლარი, რომელიც მდებარეობს სოფლის საშუალო სკოლის დასავლეთით 100 მ-ის დაშორებით. ნამოსახლარ გორას გარს უვლიდა ხელოვნური თხრილი, ხოლო გორის ზედაპირი შემოზღუდული იყო გალავნით. გაითხარა ძლიერ დაზიანებული გვიანი ბრინჯაოს ხანის სამლოცველო. სამლოცველოს გვერდით აღმოჩნდა ქვაყრილიანი ორმოსამარხი, რომელიც თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულით (ჭელიძე 1986: 37-44).

სოფლის ცენტრში, ძველ სასაფლაოზე, დგას წმინდა გიორგის დარბაზული ტიპის (14,5X8,5 მ), რიყის ქვითა და აგურით ნაგები XIX ს-ის მეორე ნახევრის ეკლესია. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან. ნახევარწრიულ აფსიდში 1 სარკმელია. თითო სარკმელია ჩრდილო და დასავლეთ კედლებში, 2 – სამხრეთისაში (სძა 1990: 198). სოფლის ზემო უბანში დგას რიყის ქვით ნაგები, გვემით წრიული (დმ 9,2 მ) კოშკი. შესასვლელი მეორე სართულზეა. სართულშორისი გადახურვა გუმბათოვანია. მეორე სართულის სათოფურები გადაკეთებულია სარკმლებად. კოშკი თარიღდება XVI-XVII სს-ით (სძა 1990: 198).


ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1957:138; 1961:291-379; ბაგრატიონი ბაგრატი 1941:108; ბაგრატიონი 1986:30; ბერძენიშვილი 1990:28; გიულდენშტედტი 1962:273; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940:22, 353; მაკალათია 1959:9, 10; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955:106; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964:187; ნიოპაძე 1932:82-97; სძა 1990:198; ქც 1:301,5; ქც 4:147,15; ქორიძე 1955:165, 204; 1965:17; ჭელიძე 1986:37-44.

სატრემლო (ქც 4: 316,8,სქ.1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 316,8,სქ.1; ბაგრატიონი 1941: 40), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 425; 1967: 149, 150; საქ. სიძ. 1909: 216, 384), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 54). ვახუშტი ბაგრატიონი სატრედოს შესახებ გადმოგ-

ვცემს: „სატრედოს, მაშავერაზედ, შენი არს ხიდი ქვიტკირისა ზ(7)-თუალი წყალდიდობისათვის“ (ქც 4: 316,8,9).

მდებარეობდა ქვემო ქართლში, მდ. მაშავერის მარცხენა მხარეს. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ აღნიშნული ხიდი სატრედოსთან დღეს აღარაა შემორჩენილი (ლორთქიფანიძე 1938: 342, 344; კვეზერელი-კობაძე 1972: 73).

ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. მ. სინაურიძე) კაზრეთის მახლობლად, სამების ეკლესიის პირდაპირ, მდ. კაზრეთულას მარცხენა ნაპირზე, გათხარა ტერასებზე განლაგებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსი – „სამტრედო“ ანუ „ბაბილაშენი“. ის წარმოადგენდა სათავადო რეზიდენციას და ეკუთვნოდა ბარათაშვილების განაყოფ ზურაბიშვილებს. სამტრედოს კომპლექსი შეიცავს ორ სასახლეს, კარის ეკლესიას, საცხოვრებელ და სამეურნეო სათავსებს. ერთი ქვითკირით ნაგები ორსართულიანი სასახლე დგას ზემოდან მეორე ტერასაზე. შედგება ორი დიდი ოთახისაგან. სასახლის გათხრებისას აღმოჩნდა კერა და ბუხარი. კერამიკული მასალიდან გვხვდება წითლად შეღებილ-ნაპრიალები დოქები, ხელალები, თასები და თევზები; შავად გამომწვარი ტოლჩები, ჭრაქები; ორმხრივ მოჭიქული დოქები, ჯამები; ფაიანსის ნაჭებები. მასალა თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით.



სასახლის ვგება

სასახლის ჩრდილოეთით, მისგან ოდნავ მოშორებით აღმოჩნდა მეორე, აგურით ნაგები სასახლე. გაიწმინდა სამი ანფილადურად განლაგებული სათავსო. ნიშებისა და კარ-ფანჯრების მახლობლად აღმოჩნდა აგურის იატაკის ფრაგმენტები. აღმოსავლეთით მიწნებულ კორიდორში მოწყობილი იყო ბუხარი. სასახლეში აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი თარიღდება XVII ს-ის მეორე ნახევრითა და XVIII ს-ით.

დარბაზული ტიპის ეკლესია (6X1,5 მ) ქვედა



რკინის სადნობ ქურასთან აღმოჩენილი არტეფაქტები

ტერასაზე მდებარეობს. ნაშენია ფლეთილი ქვით. თალი ჩამოქცეულია. საკურთხეველი გამოყოფილია პილასტრებით. საკურთხეველში იდგა ქვის ოთხკუთხა ტრაპეზი. შესასვლელი დასავლეთიდანაა. თავის დროზე ეკლესიის კარებზე იყო წარწერა, რომელიც ჯერ ვაჟამბაკურ-ორბელიანმა, შემდეგ ექ.თაყაიშვილმა გადმოწერა. მისი მიხედვით ეკლესია აუშენებიათ 1697 წელს (თაყაიშვილი 1951: 163). წარწერა ამჟამად დაკარგულია. ეკლესიის განათხარი მასალა უმთავრესად გვიანი შუა საუკუნეების კერამიკაა.

სასახლისგან მოშორებით, სამეურნეო ნაგებობათა აღმოსავლეთით, ხრამის ნაპირას აღმოჩნდა დიდი რაოდენობით შლაკი. იქვე, მახლობლად, გაითხარა ბუხრიანი ნაგებობა (7X7,1 მ) კედლებში ოთხკუთხა ნიშებითა და ჩრდილოეთიდან არსებული შესასვლელით. შენობის ცენტრში აღმოჩნდა ნათალი ოთხკუთხა ქვებითა და აგურით ნაშენი რკინის სადნობი ლუქელი, რომელიც შეიცავდა გამოსაწვავ კამერას, ქურას და მასთან დაკავშირებულ კერამიკულ მილებს. ოთახში აღმოჩნდა რამდენიმე ორმო, ქვით მოგებული პატარა მოედნები და ქვის რამდენიმე „კრდემლი“. ქურის ახლოს მეორე ქურაც დაფიქსირდა. სახელოსნოში გამოვლენილი კერამიკა სასახლეში აღმოჩენილი კერამიკის იდენტურია და თარიღდება XVII ს-ის მეორე ნახევრით და XVIII ს-ით (სინაურიძე 1985: 53-59).

ბზლითვარაფია: ბაგრატიონი 1986: 54; ბაგრატიონი 1941: 40; თაყაიშვილი 1951: 163; კვ.ზერელი-კობაძე 1972: 73; ლორთქიფანიძე 1938: 342, 384; საქ. სიძ. 1909: 216, 384; სინაურიძე 1985: 53-59; ქრონიკები 1897: 425; 1967: 149, 150; ქვ 4: 316,8, სქ. 1.

საფარა, მონასტერი (ქვ 4: 666,1). ოხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 666,1,სქ.1), XIII-XVI სს-ის ისტორიული საბუთები

(ქართ. სამართ. ძეგ. 1963: 425; 1970: 219; ქრონიკები 1897: 267-269), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 156). ვახუშტი ბაგრატიონი საფარის შესახებ გადმოგვცემს: ღრელის „ხევზედ არს საფარას მონასტერი, შუენიერად დიდშენი, გუმბათიანი, ყოვლადწმიდისა“ (ქვ 4: 666,1).

მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, ახალციხიდან სამხრეთით, სოფ. ღრელის სამხრეთ-დასავლეთით 7-8 კმ-ის დაშორებით.

სამონასტრო კომპლექსი შეიქმნა X ს-ში. იყო სამცხის ათაბაგების – ჯაყელების – რეზიდენცია და საგვარეულო საძვალე (ქვ 4: 666,3, სქ. 1; დალიანი 1962: 144).

საფარის მონასტერი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

კომპლექსი შემორჩენილი იყო გალანით, რომლის შიგნით არსებული ნაგებობებიდან ყველაზე ადრეულია ღვთისმშობლის მიძინების X ს-ის დარბაზული ეკლესია. ნაგებია თლილი ქვით. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. დასავლეთი კედლის გასწვრივ მოწყობილია პატრონიკე. შესასვლელი აქვს დასავლეთის მინაშენიდან და ჩრდილოეთით მდებარე წმინდა საბას ტაძრიდან. საკურთხეველის წინ იატაკის ქვეშ მოწყობილია ორი აკლამა. XIV ს-ში სარგის II-ის მთავრობის დროს ეკლესია განაახლეს და მიხატეს. XIX ს-ში რუსმა ბერებმა მოხატულობა შელესეს და შეღებეს. კანკელის ფრაგმენტები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შამიანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). მიძინების ეკლესიას ჩრდილოეთიდან ეპყინება XIII ს-ის დასასრულისა და XIV ს-ის დასაწყისის წმინდა საბას გუმბათიანი ტაძარი. ნაგებია თლილი ქვით. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. სადიაკვნე და სამკვეთლო ბოლოვდება ნახევარწრიული აფსიდით. ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში პატრონიკეებია. სადიაკვნის ქვეშ კრიბტაა. ტაძრის შესასვლელი დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. თექვსმეტწახნაგა გუმბათზე რვა-რვა ნამდვილი და ცრუ სარკმელია. კარ-სარკმელი მდიდრულადაა მოჩუქურთმებული. ინტერიერი მოხატულია რელიგიური სიუჟეტებითა და ქტიტორთა გამოსახულებებით. ტაძარს ამკობს მრავალი ქტიტორული წარწერა. მოხატულობა თარიღდება XIV ს-ის პირველი ნახევრით.

წმინდა საბას ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით 4 მ-ის დაშორებით დგას XIII-XIV სს-ის ორსართულიანი სამრეკლო. წარმოადგენს ლასურიძეთა ეკდერს. წმინდა საბას ტაძრის დასავლეთ კარიბჭესა და მიძინების ეკლესიას შორის აგებულია წმინდა პეტრე-პავლესა და წმინდა გიორგის მცირე სამლოცველოები. მიძინების ეკლესიის აღმოსავლეთ კე-



საფარა

დელსა და წმინდა საბას ტაძრის სამხრეთ კედელს შორის აგებულია წმინდა დიმიტრის მცირე დარბაზული ტაძრის სამლოცველო. წმინდა გიორგის ეკლესიაზე ჩრდილოეთიდან მიწებებულია იოანე ოქროპირის მცირე სამლოცველო. სამრეკლოს მახლობლად დგას იოანე ნათლისმცემლის დარბაზული ეკლესია. გალავანში შესასვლელის მახლობლად დგას წმინდა სტეფანეს დარბაზული ეკლესია. კომპლექსში შემავალი ეკლესიები და სამლოცველოები ზოგადად თარიღდება XIV-XVI სს-ით.

წმინდა საბას ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით 30 მ-ის დაშორებით დგას ციხე. მის მახლობლად შემორჩენილია სასახლას და საჯინიბოების ნანგრევები (ბერიძე 1955: 25-87; ხუციშვილი 1988).

1873 წ. საფარის მონასტრის მახლობლად აღმოჩნდა ბიზანტიის იმპერატორ ნიკეიფორე III ბოტინატის (1078-1081) ოქროს მონეტა. 1890 წ. – იმავე იმპერატორის ვერცხლის მონეტების განძი (13 ც). მონეტები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (აბრამიშვილი 1965: 137-139; პახომოვი 1926: 42, 49).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1965: 137-139; ბერიძე 1955: 18-33; 1974: 62, 63, 159; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 156; დადიანი 1962: 144; პახომოვი 1926: 42, 49; უფროსი 1894: 86, 87; ქართ. სამართ. ძეგ. 1963: 425; 1970: 219; ქრონიკები 1897: 267-269; ქც 4: 666,1, სქ. 1; ხუციშვილი 1988.

საფორმითი (ქც 4: 353,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 353,20), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 34), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 95; 1964: 63).

საფერშეთის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ვეძათხევის დასავლით არს საფერშეთი და ალევი, მოასა ზედა“ (ქც 4: 353,20).

საფერშეთი არ არის ლოკალიზებული.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 34; გოულდენშტედტი 1962: 95; 1964: 63; ქც 4: 353,20.

საფორმითი (ქც 4: 351,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 55,16), მისივე „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქც 1: 85,18), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 67,26; 77,3; 86,13; 351,14; 406,28; 430,21; 437,18; 438,5; 569,20; 590,26; 593,23,25,27; 594,17; 617,23), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და შესაბამისი ტექსტი (ქც 2: 350,14; 415, სქ. 2,3; 417,7; 425,29; 487,29,30), „მოქცევაი ქართლისაი“ (ძქალმ 1964: 115, 116), 1392 წ. ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179), 1618, 1622, 1628 წწ. სიგელები (ქრონიკები 1897: 442, 444,

447), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 33).

ვახუშტი ბაგრატიონი საფურცლის შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო ნარეკუავის ჩრდილოთ, არაგვის პირს, არს საფურცლე და საფურცლის ჩდილოთ მისაქციელი, მთის ძირს“ (ქც 4: 351,14).

მდებარეობს მცხეთის მუნიციპ-ში, მცხეთიდან ჩრდილოეთით 14 კმ-ზე, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ნატახტარის ტერიტორიაზე (გვასალია 1983: 15).

წყაროებში საფურცლე მოიხსენიება II ს-იდან. მეფე ამაზასპმა აქ დაამარცხა დავლითის გზით შემოსული ოსთა ლაშქარი (ქც 1: 55,16; ქც 4: 67,26). IV ს-ში ქართველთა განმანათლებელს, წმინდა ნინოს, საფურცლის ერთი მიეგება (ქც 1: 85,18; ქც 4: 77,3, 86, 19). XVI-XVII სს-ში საფურცლე იყო ქართლ-კახეთის მეფეთა სადგომი. 1511 წ. საფურცლეში მდგომი კახეთის მეფე ალექსანდრე I (1476-1511) მოკლა მისმა შვილმა გიორგიმ (გიორგი II, ავ-გიორგი 1511-1513). 1560 წ. თბილისის ციხიდან გამოსულმა ყიზილბაშებმა საფურცლესთან გამართულ ბრძოლაში შეიპყრეს ბაგრატი მუხრანბატონის შვილი არჩილი (ქც 4: 406,28). 1630 წ. თეიმურაზ I-მა საფურცლეში მოიწვია და შემდეგ მოაკვლევინა ზურაბ არაგვის ერისთავი (ქც 4: 437,18).

1981 წლიდან სოფ. ნატახტარის სამხრეთით მდებარე ველზე არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ა.აფაქიძე). გათხრები მიმდინარეობდა რამდენიმე უბანზე – ნატახტარი I, II, III, IV.

ნატახტარი I სამაროვანს წარმოადგენს და 3 ფენას შეიცავს. I ფენა შუაბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. აქ გაითხარა კატაკომპური ტიპის 4 სამარხი. თითოეული კატაკომპური სამარხი წარმოადგენს ოვალური ფორმის ორმოს, რომელსაც ჩრდილოეთით ან სამხრეთით აქვს თახჩის ფორმის დასაკრძალავი კამერა. 4 სამარხიდან მხოლოდ ერთში დადასტურდა მიცვალებული, რომელიც დაკრძალული იყო მარცხენა ვევრღზე, კიდურებმოკვეცილი, თავით აღმოსავლეთისაკენ. დანარჩენი სამარხები კრემაციულია, ან კენოტაფს წარმოადგენს. სამარხებში აღმოჩნდა წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ძვლები. საქონლის თავთან ან კისრის არეში ობსიდიანის ანატაკეცები დადასტურდა. მიცვალებულისა და საქონლის ძვლების გარშემო თიხის ჭურჭელი იყო თავმოყრილი. კერამიკა ძირითადად მოყავისფროდ და ლეგა-მონაცრისფროდაა გამოშფვარი, შექცულია ე. წ. „მარგალიტისებრი“ და ამოზურცული კოპებით, ამოკაწრული გეომეტრიული სახეებით. II ფენაში გაითხარა ძვ. წ. I-ახ. წ. I სს-ით დათარიღებული ორმოსამარხები. III ფენა ადრე შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი წითლად გამოშფვარი ქვევრებისა და მცირე ზომის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი (აფაქიძე ... 1989ა: 64; სადრამე 1993: 24-38; სადრამე 2002: 66-76).

ნატახტარი II სამაროვანი მდებარეობს ნატახტარი III-ის სამხრეთ-დასავლეთით 800-850 მ-ის დაშორებით. სამაროვანი ორიარუსიანია, სულ გაითხარა 139 სამარხი – გვიანბრინჯაოს ხანის 28 და ელინისტური ხანის 111 სამარხი. გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები ქვაყრილიანი იყო, მაგრამ ყრილები განადგურდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს. სამარხებში მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, კიდურებმოსხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ. №70 სამარხი კენტაფს წარმოადგენს. ამ სამარხებისათვის დამახასიათებელია ცენტრალურ-ამიერკავკასიური და სამთავროული კულტურებისათვის დამახასიათებელი კომპლექსების თანაარსებობა. თარიღდება ძვ. წ. XV-XIII სს-ით. ელინისტური ხანის ზოგიერთ ორმოსამარხს გარშემოყვება რიყის ქვები, დანარჩენი კი მიწაყრილიანია. ყველა სამარხი ინდივიდუალურია, გარდა ერთისა (№62), სადაც 3 ინდივიდი ერთმანეთზეა დაკრძალული. ამ ხანის სამარხებში მიცვალებულები ძირითადად დაკრძალულია თავით აღმოსავლეთისაკენ, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, კიდურებმოსხრილი. მიცვალებულთა ნაწილს თავი ქვის პალიშზე ედო. სამარხებში აღმოჩნდა მოწითალოდ, შავად და ლეგაფრად გამოშვარი თიხის ჭურჭელი, რკინის მოხრილი დანები, ფოთლისებრი ვრძელმასრიანი შუბისპირები, რკინისა და ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, სარდიონისა და პასტის მძივები (ავაქიძე ... 1987: 47-51; ავაქიძე ... 2004: 73-75; სადრაძე 1991: 16, 17; 2002: 111).

ნატახტარი III მდებარეობს თბილისი-დუშეთის გზის 25-ე კმ-თან. იქ დადასტურდა 3 ფენა. I ფენაში დაფიქსირდა ადრებრინჯაოს ხანის სამეურნეო ორმოები, რომლებშიც აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი მასალა: სადგარი, ბაღია, ქოთანა, ხელსაფეკვაი და სხვა. II ფენა წარმოადგენს შუაბრინჯაოს ხანის სამაროვანს. გაითხარა 6 სამარხი – მათ შორის 2 კატაკომბური სამარხი, 2 ყორღანი და 2 ორმოსამარხი. III ფენა წარმოადგენს სამაროვანს. გაითხარა შუადან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ხანის 2 სამარხი, რომლებშიც აღმოჩნდა ე. წ. ბაიბურთის ტიპის თიხის ჭურჭელი. აქვე გაითხარა გვიანი ბრინჯაოს ხანით დათარიღებული 19 სამარხი, რომლებშიც წარმოდგენილია სამთავროული კულტურისათვის დამახასიათებელი კომპლექსები (ავაქიძე ... 1991: 83, 84; ავაქიძე ... 1995ა: 9, 10; სადრაძე 1993: 16, 17; 2002: 111).

ნატახტარი IV წარმოადგენს გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანის სამაროვანს, გაითხარა რამდენიმე სამარხი (ავაქიძე ... 1986: 34-35).

სოფლის სამხრეთით, საქართველოს სამხედრო გზის მარცხენა მხარეს, დგას კვირაცხოვლის დარბაზული ეკლესია (5,1X4,1 მ). თარიღდება შუა საუკუნეებით. ნაღისებრი აფსიდის ღერძზე აქვს ერთი სარკმელი; კედლებში მთელ სიგრძეზე ხის ძელები ყოფილა ჩატანებული.

ბიბლიოგრაფია: ავაქიძე ... 1986: 34, 35; ავაქიძე ... 1987: 47-51; ავაქიძე ... 1989ა: 64; ავაქიძე ... 1991: 83, 84; ავაქიძე ... 1995ა: 9, 10; ავაქიძე... 2004: 73-75; ბავრაციონი 1986: 33; გვასალია 1983: 15; სადრაძე 1991: 16, 17; 1993: 16, 17, 24-38; 2002: 66-76, 111; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179; ქრონიკები 1897: 442, 444, 447; ქც 1: 55,16; 85,18; ქც 2: 350,14; 415,სქ.2,3; 417,7; 425,29; 487,29,30; ქც 4: 67,26; 77,3; 86,13; 351,14; 406,28; 430,21; 437,18; 438,5; 569,20; 590,26; 593,23,25,27; 594,17; 617,23; ტქალძე 1963:115, 116.

საღამო, სოფელი (ქც 2: 349,12). იხსენიება ბერი ევანტაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველ ტექსტში (ქც 2: 349,12).

მდებარეობს ჯავახეთში, საღამოს ტბასთან.

საღამოს ტბის მიდამოები არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ერთიანი საქართველოს დამლის შემდეგ აღნიშნული სოფელი ქართლის მეფის, დავით X-ის (1505-1525) მფლობელობაში იყო (ქც 2: 349,12).

ტბის გასწვრივ, სატრანზიტო გზის გაყოლებით, მდებარეობს სამი ეკლესია, ხოლო მეოთხე მალალ მთაზეა აღმართული. ეკლესიიდან ყველაზე ადრინდელი და გამორჩეულია უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარე X ს-ის მოხრილი დარბაზული ეკლესია, მისი შესასვლელი მოწყობილია შედარებით მოგვიანო ხანის სამხრეთის მინაშენიდან, რომლის ერთი მხარე შუა სვეტზე დაყრდნობილი ორი თალითაა გახსნილი. ნაგებობა თავდაპირველად კამარით იყო გადახურული, ახლა ხის ბრტყელი სახურავი აქვს. კედლები შემოსილია კარგად გათლილი, სწორად ნაწყობი კვადრებით, ხოლო კარ-სარკმელთა სათაურები შემკულია ჩუქურთმებით, სიუჟეტური სტილებისა და ადამიანთა ფიგურების გამოსახულებებით. თლილი ქვით ნაგები მეორე ეკლესიაც დარბაზულია. მიეკუთვნება XIII ს-ს. აქაც კამარა ხის ბანური გადახურვითაა შეცვლილი. მორთულობა ძუნწია. მესამე, სამხრეთის ეკლესიაც XIII ს-ს მიეკუთვნება. თითქმის თავდაპირველი სახითაა შემონახული. მთაზე აღმართული ეკლესია ზოგადად განვითარებულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება და ძლიერ დანგრეულია (მეფისაშვილი 1985: 199). ცნობილია საღამოს ტბის სტელა, რომელზეც შემორჩენილია დავით VII ულუს (1247-1270) წარწერა: „აღიღენ და დაამყარენ ღმერთმან, ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმწყობელი, მეფეთა მეფე დავით“ (სილოგავა 2001: 54).

ბიბლიოგრაფია: მეფისაშვილი 1985: 199; სილოგავა 2001: 54; ქც 2: 349,12.

საღირაშენი (ქც 4: 418,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბავრაციონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 326,26; 418,8), ბერი ევანტაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 379,15, 536,2), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალანი საქ. სტატ. 1907: 112, 114,

120; საქ. სიძ. 1909: 305; 1920: 427, 431), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 50).

მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ალგეთის ხეობაში, საღირაშენის ხევის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. საღირაშენის მიმდებარე ტერიტორიაზე.

XVII-XVIII სს-ში სოფ. საღირაშენი ბარათაშვილების სამფლობელოში შედიოდა (ლორთქიფანიძე 1935: 345).

საღირაშენი არქეოლოგიურად შესწავლელია.

1948-1950 წწ. ისტორიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ.ბერძენიშვილი) დაზვერა სოფ. საღირაშენის მიმდებარე ტერიტორია. სოფლის ჩრდილოეთით 3 კმ-ის დაშორებით აღმოჩნდა ნასოფლარი. სოფელში იდგა სამი ეკლესია (ციციშვილი 1980: 10, 11).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 50; ლორთქიფანიძე 1935: 345; საქ. სიძ. 1909: 305; 1920: 427, 431; მასალანი საქ. სტატ. 1907: 112, 114, 120; ქც 2: 379, 15, 536, 2; ქც 4: 326, 26; 418, 8; ციციშვილი 1980: 8-14.

საჩინო (ვანი) (ქც 4: 428, 22; 747, 11; 751, 4, 11, 12; 772, 7; 773, 5; 821, 24; 847, 14). მოხსენიებულია ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

ვახუშტი ბაგრატიონი საჩინოს შესახებ გადმოგვცემს: „და გამოვლის (რიონი) რაჭას, ლეჩხუმს, ოკრიბას, ვაკესა და სალომინაო-საჩინოს შუა, და განწყოვს ოდიშსა და გურიას; და სიგრძე აქუს კავკასიიდან ზღუამდე, ესრეთ გრვებს დინებითა“ (ქც 4: 747, 11). „ხოლო მსღვდრის საჯავახოს: აღმოსავლეთით მთა მცირე, ფერსათიდან ჩამოსული ჩრდილოთ კერძოდ, საჯავახოსა და საჩინოს შორისი“ (ქც 4: 751, 12). „არამდე განწყოვს საჩხეიდოსა და არგუეთს ჩდილოთ ჩხერიმელა, ძირულა და ყვირილა, მერმე საჩხეიდოსა და ვაკეს – მდინარე რიონი საჩინომდე“ (ქც 4: 772, 7).

მდებარეობს ვანის მუნიციპალიტეტში, ქ. სამტრედიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 25 კმ-ის დაშორებით, მდ. რიონის მარცხენა შენაკადის, მდ. სულორთან, თანამედროვე ქ. ვანის ტერიტორიაზე.

ვანში სიძველეთა აღმოჩენის ფაქტები ჯერ კიდევ XIX ს-ის შუახანებიდანაა ცნობილი; პირველი ცნობები ადგილობრივ პრესაში 1876 წ. გამოქვეყნდა. პირველი მეცნიერული გათხრები კი აქ ექთავიშვილიმა ჩაატარა 1896 წ. 1936, 1938 და 1946 წწ. ვანსა და მის მიდამოებში ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა დაზვერვები ჩაატარა ნ.ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. ვანის ნაქალაქარისა და ძველი ქალაქის ირგვლივ მდებარე ტერიტორიის („ვანის ქვეყნის“) სისტემატურ გათხრებს 1947 წ-დან აწარმოებს იმავე ინსტიტუტის, 1977 წ-დან კი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ვანის არქეოლოგიური

ექსპედიცია (ხელმძ. ნ.ხომტარია 1947-1966 წწ.; ო.ლორთქიფანიძე 1966-2002 წწ.; დ. კაჭარავა 2002 წ-დან).

წლების მანძილზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ვანში გამოვლენილია ნაქალაქარი. ნაქალაქარის ფართობია 18 ჰა. ის განლაგებულია ქალაქის დასავლეთ განაპირას მდებარე ბორცვზე, რომელიც ახვლედიანების ბორცვის სახელითაა ცნობილი, რადგანაც აქ XVIII ს-ში დასახლდნენ ლეჩხუმიდან გადმოსახლებული ახვლედიანები. სამკუთხა მოყვანილობის ბორცვი სამ ტერასადაა დაყოფილი. ბორცვს სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან საქვაბიასა და კაპრანის საკმაოდ ღრმა ხევიები იცავს. ძველ დასახლებას სამივე ტერასა ჰქონდა დაკავებული.

მოპოვებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ძველი ვანის ისტორიაში ოთხი პერიოდი გამოიკვეთება.


პირველი პერიოდი ძვ. წ. VIII-VII სს-ით თარიღდება. ეს ეტაპი წარმოდგენილია შედარებით მცირერიცხოვანი მასალით. ზედა ტერასაზე ამ ხანას თითო-ორი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი და ბრინჯაოს ისრისპირი მიეკუთვნება, რომლებიც აღმოჩნდა ადრეანტიკური ხანის ხის ტამარ-სამლოცველოს ქვეშ (კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურაძე 1979: 37, სურ. 123).

ამ ეტაპზე ათვისებული ჩანს ცენტრალური ტერასაც, კერძოდ, მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდობი. აქ განსახილველ პერიოდს მიეკუთვნება საკურთხეველი და საკულტო კომპლექსი.

აქვე გათხრილი ძვ. წ. VIII-VII სს-ის საკულტო კომპლექსი (90 კმ) წარმოდგენილია ნაგებობათა ნაშთებით.

მეორე პერიოდი ძვ. წ. VI-IV სს-ის პირველ ნახევარს მოიცავს. ეს ეტაპი წარმოდგენილია კულტურული ფენებით, არქიტექტურული ძეგლებით, სამარხებით, რიტუალური მოედნით.

ძვ. წ. VI-IV სს-ის პირველი ნახევრის ფენები გამოვლენილია ნაქალაქარის ზედა და აგრეთვე ცენტრალურ ტერასებზე, კერძოდ, ტერასის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ამ ფენებში, რომელთა სიდიდე საშუალოდ 1-1,5 მ-ია, უპირატესად კერამიკული მასალაა დაფიქსირებული. ამ ხანის არქიტექტურა წარმოდგენილია როგორც ხის, ასევე ქვის ნაგებობებით. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ხის ტამარ-სამლოცველო, გათხრილი ზედა ტერასაზე. ესაა თიხით შელესილი ნაგებობა, რომელიც აღმოსავლეთისაკენ ღიაა. მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები, რომელთა სიგანე 2,5 მ-ია, ერთნაირი კონსტრუქციისაა: კედლების შიდა და გარეთა პერანგები ამოყვანილია ხის ძელებით, რომელთა შორის სივრცე ამოვსებული იყო რიყის ქვებზე დაყრილი თიხით; კედლის შიდა სივრცე შეკრული იყო ხის ძელებითვე ამოყვანილი ტიხრებით. ორივე კედელი 8 მ სიგრძეზეა შემორჩენილი. დასავლეთ კედელში არაა დადასტურებული ხის ტიხრები; ფართობი ბუდეების ორ პარალელურ რიგს შორის ნიველირებულია.



ვანის ნაქალაქარის გენგეგმა
1:1000 მ

ივარაუდება, რომ დასავლეთ კედელს დერეფნის სახე ჰქონდა. კედლებს შორის ფართობზე (9,5 X 9 მ) იატაკის მოშადება გაიწმინდა ყვითელი თიხნარის სახით. ნაგებობის გარშემო არე საგანგებოდ იყო ნიველირებული – სამხრეთითა და დასავლეთით არსებული არხი ამოვსებული იყო ხის ძელებით გამაგრებული ქვაყრილით, რომელიც თიხით იყო გადალესილი (კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 30-33, სურ. 133).

ხის ტაძარ-სამლოცველოს ჩრდილო-დასავლეთით თიხით შელესილი ხის კიდევ ერთი ნაგებობა გაითხარა. ნაგებობა დანგრეულია ძვ. წ. V ს-ის მიწურულში ან IV ს-ის დასაწყისში.

ზედა ტერასაზე ქვის ორი ნაგებობაცაა აღმოჩენილი, რომლებიც წინარეელისტურ ხანას განეკუთვნებიან. ორივე თეთრი კირქვისა და თირის ქვებითაა ნაგები.

ქვით ნაგები ორი ნაგებობა, რომელთა ნაშთები ცენტრალურ ტერასაზეა გამოვლენილი, ძვ. წ. IV ს-ს მიეკუთვნება (ლორთქიფანიძე 1972: 8, 9).

ძვ. წ. V-IV სს-ით თარიღდება ცენტრალურ ტერასაზე 1970-1971 წწ. გათხრილი თეთრი ქვის ნაგებობა, რომელიც გეგმაში ოთხკუთხაა. მისი აღმოსავლეთი კედელი მონგრეულია, რაც აძნელებს ნაგებობის სივანის დადგენას; სიგრძე კი 14 მ-ია. ნაგებობის სამიერკველი რივის ქვითაა ნაგები, იატაკი თიხატყეპნილია (ლორთქიფანიძე ... 1976: 26,

27, სურ. 41-44).

ვანში გათხრილი 22 სამარხიდან მეორე პერიოდს განეკუთვნება №11, 8, და 11. მათგან ყველაზე ადრეულია №11 სამარხი, რომელიც ძვ. წ. V ს-ის შუახანებით თარიღდება. ამავე დროს, ესაა ყველაზე მდიდრული სამარხი ვანში დღემდე აღმოჩენილთაგან (მასში 1700-ზე მეტი ოქროს ნივთია აღმოჩენილი). სამარხი კლოვან დედაქანში ამოჭრილ ოთხკუთხა ორმოში (3 X 3,70 მ) იყო გამართული. ორმოში, როგორც ჩანს, იდგა ხის სარკოფაგი თუ კუბო, რისი მოწმობაცაა რკინის დიდი ზომის ლურსმნების აღმოჩენა. ამ კონსტრუქციას რივის ქვაყრილი ფარავდა. სამარხ ორმოში ოთხი ადამიანისა და ერთი ცხენის ნაშთი დადასტურდა. ცხენი სარკოფაგის გარეთ იყო დასვენებული, იქვე იყო რკინის ლაგამი. ორმოში დაკრძალულ ოთხ მიცვალებულს შორის გამოკვეთილია მთავარი, რომელსაც მეტად მდიდრული ინვენტარი ჰქონდა ჩატანებული: ოქროსა და ვერცხლის სამკაული (დიადემა, სასაფეთქლეები და საყურეები, ყელსაბამები, სამაჯურები, მშვილდსაკინძი, ბეჭდები), ტანსაცმლის მოსართავი ოქროს ფირფიტები, ბრინჯაოს, ვერცხლისა და მინის ჭურჭელი, ოქროს ზოდი. გარდაცვლილისთვის საგზალიც გაუტანებათ – თიხის ჯამებსა და შავლაკიან კილიკზე ეწყო საქონლისა და ფრინველის ძეგლები. მიცვალებულს გადაფარებული ჰქონდა სუდარა, რომელიც ოქროს

ლილაკებით, მილაკებითა და ორნამენტირებული ფირფიტებით იყო გაწყობილი. დანარჩენ დაკრძალულებს გაცილებით ღარიბული ინვენტარი ახლდათ. ერთ მათგანს ჩატანებული ჰქონდა ვერცხლის ორი დიადემა, ოქროს სხივანა საყურეები, ვერცხლის სამაჯურები; მეორეს – ვერცხლის დიადემა, ოქროს სხივანა საყურეები, აგრეთვე ოქროსა. მესამეს კი ერთადერთი ოქროს საყურე ამკობდა. სამარხი ძვ. წ. V ს-ის შუახანებით თარიღდება (ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, თოლორაძე, ჭყონია 1972: 212, 213, სურ. 183-225).

№8 სამარხი, რომელიც ასევე თირში ჩაჭრილ სწორკუთხა ორმოში (3 X 4 მ) იყო გამართული, გაძარცვული აღმოჩნდა. ინვენტარიდან შემორჩა მხოლოდ ოქროს ერთი საყურე, მინისა და პასტის მძივები და შავფიგურული კილიკი. შემორჩენილი ნივთების განლაგების მიხედვით, მიცვალებული დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (ფუთურიძე, ხოშტარია, ჭყონია 1972: 120, სურ. 34, 67, 68). სამარხი ძვ. წ. V ს-ის მეორე მეოთხედით თარიღდება (კაჭარავა 1983: 29, სურ. 11, კატ. №108).

№6 სამარხი უფრო გვიანდელია – მას ძვ. წ. IV ს-ის პირველ ნახევარს აკუთვნებენ (ლორთქიფანიძე 1972: 9). სამარხი თირში ჩაჭრილ მიედანზე იყო გამართული. მიცვალებული ამ მოედნის დასავლეთ ნახევარში იყო დასვენებული. მიცვალებული 25-ოდე წლის ქალი ყოფილა. ინვენტარი, რომელიც ძირითადად სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში იყო განლაგებული, შედგებოდა ოქროს სამკაულების (დიადემა, საყურეები, კისრის რკალი, ყელსაბამები, პექტორალი, სამაჯურები, საბეჭდავი ბეჭდები, დასაკერებელი ფირფიტები, მშვილდსაკინძი, საკიდეები, მძივები და მილაკები, კილიტები), ოქროს (ფიალა), ვერცხლის (ფიალა, სასმისი, სარწყულა, მათარისებური ჭურჭელი), მინისა (ამფორისკოსები, ოინოხოა) და თიხის (ცალყურა დიქი) ჭურჭლის, რიტუალური ნივთის (ოქროს საავგაროზე), ქარვისა და ოქროს საბეჭდავებისა და ოქროს ზოდისაკან (ფუთურიძე, ხოშტარია, ჭყონია 1972: 113-117, სურ. 35-65). შესაძლოა, იმავე პერიოდს მიეკუთვნებოდა №7 სამარხი, რომელიც №6 სამარხის პარალელურად ორი მ-ის დაცილებით აღმოჩნდა. ის გაძარცვულია (ფუთურიძე, ხოშტარია, ჭყონია 1972: 119, სურ. 34). ე. წ. დახურული კომპლექსებიდან, რომლებიც ადრეანტიკურ ხანას მიეკუთვნებიან, საგანგებო ყურადღებას იქცევს ზედა ტერასაზე გათხრილი რიტუალური მოედანი, მოგებული თირის ქვებით. მოედნის ფართობი დაახლოებით 12 კვ მ უნდა ყოფილიყო. ის გამართული იყო საგანგებოდ გაფხვიერებული თირის 0,20-0,25 მ სისქის ფენაზე. თირის ქვები ადგილზევე იყო გაწითლებული ცეცხლის ზემოქმედების შედეგად. რიტუალში გარკვეულ როლს ცეცხლი თამაშობდა.

იმავე პერიოდს მიეკუთვნება მონუმენტური საკურთხევლის ქვეშ აღმოჩენილი თირში ნაკვეთი კომპლექსი, რომელიც შედგება ღრმულის, ორი ურთიერთგადამკვეთი არხისა და ორი ორმოსაკან. ივა-



ნაქალაქარის რეკონსტრუქცია გ. გამყრელიძის მიხედვით


რუდება, რომ ეს კომპლექსი ქტიონურ ღვთაებებთან იყო დაკავშირებული. ადრეანტიკურ ხანას უნდა უკავშირდებოდეს ორმო, რომელიც ზედა ტერასის სამხრეთ-დასავლეთ კიდეში გაითხარა (კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 37). ვანის არქეოლოგიურ მონაპოვარში განსაკუთრებული სიმრავლითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება ძვ. წ. VI-IV სს-ის ადგილობრივი კერამიკა. კოლხური კერამიკის შემცველი ფენები აღმოჩენილია ნაქალაქარის სამივე ტერასაზე, თუმცა შედარებით ნაკლებად ქვედაზე გვხვდება. დანიშნულების მიხედვით თიხის ჭურჭელში განასხვავებენ ხუთ ჯგუფს: სამეურნეო (ქვევები და დერგები), სამზარეულო (ქოთნები, ქვაბები, ხუვები და საწურები), სუფრის (დოქები, სასმისები და ჯამები), სამკვარვრო (მათარები) და დეკორატიული ჭურჭელი (ლარნაკები). გარდა ამისა, აღმოჩენილია თიხის მცირე ქანდაკებები. მიუხედავად ტიპოლოგიური მრავალფეროვნებისა (15 სახეობა გამოიყოფა), ვანის თიხის ჭურჭელი გარკვეული ერთიანობით ხასიათდება, რაც ვლინდება როგორც მოყვანილობასა და ორნამენტში, ასევე ორნამენტის დეტანის ტექნიკასა და დამზადების ტექნოლოგიაში. ჯერ ერთი, ჭურჭლის მოყვანილობაში შეიმჩნევა ერთგვარი გეომეტრიზმი, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჭურჭლის ცალკეული სვემენტების გამოყვანაში; ყველა ფორმისთვის დამახასიათებელია უქუსლო ბრტყელი ძირი. ყურები, როგორც წესი, ვერტიკალურია; მეორე, სხვადასხვა დანიშნულებისა და მოყვანილობის ჭურჭელს აერთიანებს ორნამენტი: წამყვანი ორნამენტული სახეები (ტალღისებური და წიწვისებური ორნამენტი, რომლებიც ბადე, ჯვარედინი და მერიდიანული ხაზები,

ირიბი ნაჭდევები, ირგვლივი ღარები და ღილაკები) გვხვდება ერთდროულად სხვადასხვა კერამიკულ ფორმაზე. ერთგვაროვანია ორნამენტის დატანის პრინციპიც – ორნამენტის სარტყელბად განლაგება, მერიდიანული და ირგვლივი სახეების მონაცვლეობა; მესამე, თიხის ნაწარმს აერთიანებს ორნამენტირების ტექნიკაც. სხვადასხვა ტექნიკით (წინება, ამოკვეთა, დაძერწვა, ტვიფრვა) გამოყვანილი ორნამენტი ხშირად ერთდროულად გვხვდება ერთსა და იმავე ჭურჭელზე. როგორც წესი, ყველა ჭურჭელს ზედაპირი მოსწორებული აქვს, მოსწორების კვალი კი ორნამენტის ორგანულ ნაწილს ქმნის; მეოთხე, საერთოა კეცი – რუხი ან ყავისფერი, რასაც ხსნიან გამოწვების ერთნაირი რეჟიმითა და თიხის ერთგვაროვანი შედგენილობით; მეხუთე, თიხის ყველა ჭურჭელი სწრაფმბრუნავ ჩარხზე არის დამზადებული (ლორთქიფანიძე 1972: 22, 23, სურ. 217-223; ლორთქიფანიძე ... 1981). აღსანიშნავია, რომ ვანში მოპოვებული ადრეანტიკური ხანის თიხის ნაწარმი ანალოგებს პოულობს კოლხეთის სინქრონულ ძეგლებზე, თუმცა გარდა საერთო კოლხურისა, ვანში მხოლოდ მისთვის სპეციფიკური ფორმები (ბიკონუსურტანაინი დოქები, ორფურა ღერგები, ღარნაკები), მორფოლოგიური ნიშნები (ჯამისებური ხუფების პირები, ყურმილიანი დოქების გამოზიდული ძირი) თუ ორნამენტული მოტივები გამოიკვეთება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოლხური კერამიკა ვანში, ისევე როგორც კოლხეთის სხვა ძეგლებზე, ბევრად სჭარბობს იმპორტულს. ერთი სიტყვით, ვანის მონაპოვარი ადასტურებს, რომ მეთუნეობა ძვ. წ. VI-IV სს-ის კოლხეთის ხელოსნობის ერთ-ერთ მეტად დაწინაურებულ დარგს წარმოადგენდა.

იმ პერიოდის ოქრომჭედლობის ძეგლები წარმოდგენას გვიქმნიან საზოგადოების მაღალი ფენის მორთულობის შესახებ. ირკვევა, რომ თავსამკაულის ძირითადი ელემენტებია დიადემა და სასაფეთქლები. ვერცხლისა და ოქროსაგან დამზადებული დიადემები გრეხილკალიანია, დაბოლოებულია რომბისებური ფირფიტებით და შეკრულია კაუჭებით. პორიზონტალური ხაზით ორ სამკუთხედად გაყოფილი რომბისებური ფირფიტები ორნამენტირებულია. თითოეულ სამკუთხედში სამ-სამი ელემენტია გამოსახული: ვერცხლის ნიმუშებზე – ვარდულა და თითისტარისებური ბურცოლები, ხოლო ოქროსაზე – სამი ცხოველის ბრძოლის სცენა. სასაფეთქლებებისა თუ საყურეების რამდენიმე სახეობაა ამ ხანაში გავრცელებული: სხივებიანი, ბურთულიანი, ფიგურულგამოსახულებიანი, ნავისებური ანუ ნახევარმთვარისებური, ძეწკებიანი. ზოგიერთ სახეობაში ქვესახეობებიცაა გამოყოფილი. მაგ. ბურთულიან სასაფეთქლებში განასხვავებენ ჭვირულბურთულიან, დაღარულ-ბურთულიან და დაცვარულბურთულიან ქვესახეობებს. ამავე ჯგუფში ერთიანდება ბიკონუსურსაკიდიანი საყურეები (ჭყონია 1977: 81-100, სურ. 65-90). ძვ. წ. IV ს-ის პირველ ნახევარში

ჩნდება ოთხკუთხაგანიკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული საყურე რგოლები. მათაც, სასაფეთქლებების ანალოგიურად, თავები დაბრტყელებული და გახვრეტილი აქვთ. ყელის სამკაული სხვადასხვა სახის საკიდებითა (კუს, ჩიტისა და ვერძის, ხბოს თავის, სიმინდის ტაროსებური, წვეთისებური, დოლისებური) და მძივებით შედგენილი ყელსაბამებიაა წარმოდგენილი. ამ ეტაპის დასასრულისკენ წნდება ფუფე მძივ-ბურთულებსაგან შედგენილი სამკუთხა საკიდებიანი ყელსაბამები. აღნიშვნის ღირსია შემკრები მძივები, რომლებიც ასევე მოვვანიო საფეხურზე იჩენს თავს. სამარხი №22-ში აღმოჩენილი ერთი ამგვარი მძივი სვასტიკის ფორმისაა, მეორეს კი წაგრძელებული ოთხკუთხედის მოვვანიოა აქვს. ხელის სამკაულია, სამაჯურებს გარდა, მძივების (ოქროს, სარდიონის) ასხმებიცაა დადასტურებული. ამ რიგის სამკაულია ბეჭდებიც. ოქროს სამაჯურები, ჩვეულებრივ, ცხოველთა (ჯიხვის, ლომის, ხბოს, ვერძისა და ტახის) თავებითაა დამშენებული. ვანში აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნიმუშების უდიდესი ნაწილის ადგილობრივი წარმომავლობის დამადასტურებლად მიჩნეულია მხატვრული ფორმის ორიგინალობა, სხვადასხვა სახის სამკაულის (მათ შორის შემოტანილი ფორმის) მხატვრულ-სტილისტური ერთიანობა, ფორმათა ერთგვაროვნება სხვადასხვა ლითონისგან (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო) დამზადებულ ნიმუშებზეც, ტექნოლოგიური ნიშნების ერთიანობა სხვადასხვა ფორმის, დანიშნულებისა და ლითონის ნივთებზე (ლორთქიფანიძე 1972: 11-21; ჭყონია 1983: 92-97; ლორთქიფანიძე 1991: 164-171). ივარაუდება ვანში ოქრომჭედლობის სახელოსნო ცენტრის არსებობა. ამის საბუთად მიჩნეულია ოქროს ჩამოსხმული ზოდების არსებობა სამარხებში (№№6, 11), ოქროს ნალევენთებისა და ნამზადების აღმოჩენა (ჭყონია 1976: 205-214). საყურადღებოა, რომ სამარხებში აღმოჩენილი ოქროს სამკაულების გარკვეული ნაწილი ატარებს შეკეთების კვალს. ზოგიერთი სამკაული ხმარების შედეგად დამტვრეული არის ჩატანებული სამარხში. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ისინი მხოლოდ დაკრძალვის რიტუალისთვის არ იყო დამზადებული, მათ სიცოცხლეში ატარებდნენ.

ამ ეტაპის დასასრულს ჩნდება ვერცხლის საკისრე რგოლები, დამზადებული ვერცხლის მრავალკუთხა ღეროსაგან, შეკრული კაუჭებით. პირველად ისინი თავს იჩენენ №22 სამარხში. ამგვარი საკისრე რგოლები აღმოჩენილია, ვანს გარდა, ითხვისში (სამარხი №2 – ძვ. წ. IV ს-ის მეორე



ერთ-ერთი სვეტის რეკონსტრუქცია

ნახევარი), მოდინახესა (სამარხი №3 – ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარი) და შრომისუბანში (სამარხი №2 – ძვ. წ. V ს-ის მიწურული).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვერცხლის სარტყელი, აღმოჩენილი №22 სამარხში. ის ფურცლოვანი ვერცხლისგან არის დამზადებული და შემკულია მარტივი დეკორატიული მოტივებით: სამკუთხედიანი წერტილოვანი ტექნიკით. სარტყელის კიდეებს ნახვრეტები გასდევს. როგორც ჩანს, თავის დროზე მას ქსოვილის ან ტყეაის სარჩული ჰქონდა. ვერცხლისა და ბრინჯაოს ზარაკების, აგრეთვე მიივების განლაგება ვერცხლის სარტყელის კიდეების გაყოფაზე საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ნახვრეტების ნაწილი მაინც გამოყენებული იყო ზარაკებისა და მიივების ჩამოსაკიდებლად. ცნობილია ოქროს ქამრის აღმოჩენის ფაქტი ახალგორის განძში, ბრინჯაოს ქამრის ფრაგმენტი შედის ყაზბეგის განძში.

ვანში აღმოჩენილი კოლხური ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ნიმუშებიდან აღსანიშნავია სიტულები. ისინი ძვ. წ. V ს-ის შუახანების კომპლექსშია აღმოჩენილი (სამარხი №11) (ლორთქიფანიძე 1991: 163-165). აღსანიშნავია მცირე ზომის სიტულა, რომლის სახურავი ცხოველთა გრაზირებული გამოსახულებებითაა შემკული (ლორთქიფანიძე 1972: 22, სურ. 224, 225).

ვანის გლიპტიკურ ნაწარმში, კერძოდ, №9 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭდები, რომელთა ფარაკზე გამოსახულია ცხოველები (ჯიქისა და ხარის ბრძოლის სცენა, დედალი და მამალი), აგრეთვე ოქროს საბეჭდავი-ბეჭედი დედატოსის წარწერითა და ცხენოსნის გამოსახულებით (ლორთქიფანიძე 1976: 116-166), ოქროს საბეჭდავი-ბეჭედი №22 სამარხიდან, რომლის ფარაკზე სასიყვარულო სცენაა გამოსახული.

უცხოური ნაწარმი ძვ. წ. VI-IV სს-ის პირველ ნახევარში წარმოდგენილია როგორც ლითონის, ასევე თიხის ნივთებით, უპირატესად, ჭურჭლით. იმპორტული ნაწარმი, როგორც წესი, მდიდრულ სამარხებშია დადასტურებული. თიხის ჭურჭლის ცალკეული ფრაგმენტები ფენებსა და ხის ტაძარ-სამლოცველოში და სხვა (ქვის) ნაგებობებშიც არის აღმოჩენილი. უადრესი იმპორტული ამფორებია (ძვ. წ. VI-V სს) – ლესოსური ნაქრისფერკეციანი და ქიოსური ამფორები. ქიოსური ამფორების უადრესი ნიმუშები ძვ. წ. VI ს-ის დასასრულს, V ს-ის დასაწყისსა და ძვ. წ. V ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება (ფუთურბიძე 1983: 9, ტაბ. I, კატ. №№3-6). სამარხებში ამფორები პირველად გვხვდება ძვ. წ. IV ს-ის შუახანებით დათარიღებულ №22 სამარხში (ქიოსური ე. წ. ჩაჩისებურმიძის ანა და მენდეს ამფორები). ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევრის ამფორებში განისაზღვრა ქიოსური, თასოსური, მენდეს ნაწარმი (ფუთურბიძე 1976: 79-82, სურ. 120; 1983: 9, ტაბ. I-II, კატ. №№9-11).

კერამიკული იმპორტის მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნის

მოხატული და შავლაკიანი ჭურჭელი. მოხატული კერამიკიდან ერთადერთი ფრაგმენტი – ძვ. წ. VI ს-ის პირველი ნახევრის ქიოსური თასი გახლავთ. იმავე დროს, ესაა უადრესი იმპორტი ვანის კერამიკულ მონაპოვარში (კაჭარავა 1983: 26, სურ. 11, კატ. №101). დანარჩენი ნიმუშები მოხატული კერამიკისა, როგორც შავფიგურული, ისე წითელფიგურული, ატიკაშია დამზადებული. შავფიგურული კერამიკიდან ყველაზე ადრეულია წვრილ-ფიგურული კილიკები; ყველაზე გვიანდელი კი – ბელდამის მხატვრის სახელოსნოში დამზადებული ლეკითოსი. აღსანიშნავია ჰაიმონის ჯგუფის ლანკუტის ქვეჯგუფის სკიფოსი №8 სამარხიდან, რომელზეც კენტავრია გამოსახულია. ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარს მიეკუთვნება ვანში აღმოჩენილი ატიკური მოხატული კერამიკა (კაჭარავა 1977: 115-118, სურ. 113; კაჭარავა 1983: 30-31, კატ. №№112-117, სურ. 12; 1983: 31-32, კატ. №№121-122, სურ. 13). წითელფიგურული ატიკური კერამიკის ყველაზე გვიანდელი ნიმუშები წარმოდგენილია ე. წ. ბადი-სეზურორნამენტური ლეკითოსებით, რომლებზეც გამოსახულია სცენები გინეკეიონის ცხოვრებიდან და ტალღოვანი ორნამენტით შემკული სათევზე ლანგრებით. ეს ნიმუშები ატიკური ვაზათმხატვრობის უკანასკნელ ეტაპს მიეკუთვნება – ძვ. წ. IV ს-ის შუახანები, მიწურული (კაჭარავა 1983: 32-34, კატ. №№123-127; 135-137, 147, სურ. 14-16). რაც შეეხება სადა, შავლაკიან თიხის ჭურჭელს, ის მხოლოდ და მხოლოდ ატიკური ნაწარმითაა წარმოდგენილი. ჯერჯერობით მხოლოდ სუფრის ჭურჭელია დადასტურებული ნაქალაქარზე, უპირატესად სასმისები: სკიფოსები, კილიკები, ბოლსალები, კანთაროსები და ჯამები. სუფრისთვის განკუთვნილი სხვა ჭურჭელი თევშებითაა წარმოდგენილი. შედარებით იშვიათია სუფრის სხვა ჭურჭელი, კერძოდ, სათევზე ლანგრები. ჩამოთვლილი შავლაკიანი ნიმუშებიდან ყველაზე ადრეულია ძვ. წ. V ს-ის მეორე მეოთხედის აკროპოლისის ჯგუფის კილიკი (№11 სამარხიდან), საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი ნატიფი კლასის კილიკები დათარიღებული ძვ. წ. 420 წლით (კაჭარავა 1983: 35-42, კატ. №№152-183, სურ. 17-19).

იმპორტული ლითონის ჭურჭელი არამასობრივი ხასიათის იმპორტს განეკუთვნება. ესენია: ბრინჯაოს ანთროპომორფულტარიანი პატირა და ოინონოა, ვერცხლის არიბალოსი, კილიკები და სარწყულეები, კოვზი (№№ 11, 6 სამარხებიდან). ყველა ეს ნივთი ძვ. წ. V ს-ის მეორე მეოთხედის პირველი ნახევრის ატიკურ ნაწარმადაა მიჩნეული (ლორთქიფანიძე 1983: 89-91, კატ. 402-414, სურ. 39-41). ვანში აღმოჩენილი განსახილველი პერიოდის გლიპტიკური ძეგლები ნაწილი იმპორტულია. მათგან ყველაზე ადრეული ნიმუშები (№№6, 11 სამარხებში აღმოჩენილი) არქაულ ხანას (ძვ. წ. 600-480 წწ.) მიეკუთვნება. ესაა ოქროს ფარაკიანი ინტალიო-ბეჭდები. №6 სამარხის ერთი ოქროს ბეჭდის ფარაკზე მტაცებელი ცხოველია გამოსახული;

მეორეზე – ნამორი, მესამეზე – გარეული თხა. პირველი ორი თარიღდება ძვ. წ. V ს-ის დასაწყისით, მესამე – ძვ. წ. VI ს-ის დასასრულით. ეს საბეჭდავი-ბეჭდები იონიელი ოსტატების ნახელავადაა მიჩნეული. №11 სამარხში აღმოჩენილი ოქროს ფარაკიანი ბეჭედი შემოკულია ცხოველისთავიანი ადამიანის გამოსახულებით. ცალკე აღნიშვნის ღირსია შესაკიდი საბეჭდავი – ქარვის ორმხრივი ინტალიო, აღმოჩენილი №8 სამარხში, რომლის ერთ პირზე ირემია გამოსახული, მეორეზე – კურდღელი. ის მიეკუთვნება ბერძნული ორიენტალიზებული სტილის გემების ჯგუფს (ლორთქიფანიძე 1976: 109-115, სურ. 130, 131; 1983: 91-94, კატ. №№415-418, სურ. 44, 45).

ყურადღებას იქცევს პოლიქრომიული მინის კოლექცია ვანის ნაქალაქარიდან (ფირცხალავა 1983: 79-86, კატ. №№392-398, სურ. 37).

ვანში ადრეანტიკურ ხანაში შემოქონდათ სხვადასხვა ქვის მძივები – სარდონის, ქარვის, შესაძლოა, ვიროსის (გიგოლაშვილი 1983: 96-89, კატ. №№423-425, 449-450, სურ. 46).

განხილულ ეტაპზე ვანი მიჩნეულია ადგილობრივი მმართველი ზედაფენის (საგვარეულო არისტოკრატის) რწმუნდენად და კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად. ითვლება, რომ ის იყო ცენტრი კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისა (ლორთქიფანიძე 1979: 16).

მესამე პერიოდი ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედსა და III ს-ის დასაწყისს მოიცავს (ლორთქიფანიძე 1977: 14), ან დაახლოებით ძვ. წ. 350-250 წლებს (ლორთქიფანიძე 1991: 177). ამ პერიოდს მიეკუთვნება თიხაზეინული ზედა ტერასაზე, მონუმენტური კედელი და რიყის ქვის კომპლექსი ცენტრალურ ტერასაზე, აგრეთვე ქვის ნაგებობა, რომლის ადგილას გვიან-ელნისტურ ხანაში მრგვალი ტაძარი აიგო.

ზედა ტერასაზე გამოვლენილი წაგრძელებული ოვალის ფორმის (13 მ X 17 მ) თიხა-ზეინული, რომელსაც ნაპირები თავის დროზე თირის ბრტყელი ქვათილებით ჰქონდა შემოზღუდული, სტრატოგრაფიული მონაცემებით ძვ. წ. III ს-ის პირველ ნახევარში მაინც უკვე არსებობდა. რაც შეეხება მის ფუნქციას, შესაძლოა, ის სამსხვერპლოს თუ საკურთხევის როლს ასრულებდა (კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 2-25, სურ. 100, 101).

ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და III ს-ს მიეკუთვნება რიყის ქვის კომპლექსი, გათხრილი ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე. ის შედგება ქვაფენილისაგან, რომელიც სამი მხრიდან შემოსაზღვრულია რიყის ქვების მძლავრი (3 მ-მდე სისქის) კედლებით. ქვაფენილის ფართობი 40 კვმ-ს აღწევს. ქვაფენილში რიყის ქვებით გამოყვანილია ოთხი მრგვალი ორმო (დმ 0,3-0,4 მ). ივარაუდება, რომ ეს კომპლექსი საკულტო ხასიათისა იყო (ჭყონია 1986: 97-99, სურ. 82).

განსახილველი პერიოდის სამარხები აღმოჩენილია ნაქალაქარის ზედა და ცენტრალურ ტერასებზე. სამარხთა ერთი ნაწილი დაზიანებულია. №9 სამარხი თირში ამოკვეთილ ორმოში იყო გამართული. ორმო სწორკუთხაა, 4 მ სიგრძისა და 2 მ სიგანის, ორიენტირებული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ცენტრალურ ნაწილში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, ზურგზე ვაშოტილი, თავით ჩრდილოეთით; ხელები მენჯის ძვალებზე ეწყობოდა. როგორც ჩანს, მიცვალებული დაკრძალული იყო ხის სარკოფაგში ან ხის სარეცელზე. ამას უნდა მოწმობდეს რკინის ლურსმნების არსებობა, თუმცე საკუთრივ ხის ნაშთები არ არის შემორჩენილი. მიცვალებულს საკმაოდ მდიდრული ინვენტარი ჰქონდა ჩატანებული: თავს უმკობდა თავსაბურავი, შედგენილი საკიდების, მძივებისა და მილაკებისაგან. ყელზე ეკეთა ნახევარმთვარისებური საკიდებისა და მძივებისაგან შედგენილი ყელსაბამი, მაჯებზე – ოქროს ორი და ვერცხლის სამი სამაჯური; ხოლო თითებზე – ოქროს (2), ვერცხლისა (2) და რკინის ბეჭდები. თავის ქალასთან აღმოჩნდა ერთი ბურთულიანი საყურე, ოქროს კლაკილი მავთული. კისრის არეში დადასტურდა ოქროს მონეტა – ფილიპე II მაკედონელის ოქროს სტატერი. გარდა სამკაულისა, მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა ოქროს ვარსკარავიანი სალესი ქვა, ბრინჯაოს ლანგარი და თიხის ჭურჭელი (ადგილობრივი ჯამი, მოხატული დოქი, შავლაკიანი კანთაროსი, სოლოხა I ტიპის ამფორა). განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩეოდა იარაღი (მახვილი, შუბისპირები, ისრისპირები და ფარი). გარდა ამისა, მთელ სამარხში მიმოფანტული იყო ბრინჯაოსა და რკინის ისრისპირები; ორ ადგილას კი ისრისპირები მიჯრით იყო ჩაწყობილი (ტყაყის ან ხის კაპარჭში ჩადებული?). აღმოჩნდა, აგრეთვე, კისრის საფარი – პექტორალი, ხოლო მიცვალებულის ფერხითი ფარის ფრაგმენტები დაფიქსირდა. მიცვალებულის ქვედა კიდურები დაფარული იყო საწვივეებითა და საბარკოლებით.

დამატებითი სამარხი ცენტრალურ სამარხზე 10 სმ-ით მაღლა იყო მოწყობილი. აქ ქალის, მამაკაცისა და ძაღლის ჩონჩხები გაიწმინდა. მხოლოდ ერთ მიცვალებულს ჰქონდა ჩატანებული ინვენტარი პასტის მძივების სახით. დამატებითი სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ხის ბორბლის ანაბეჭდი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იდგა 5 ამფორა – 2 სოლოხა I ტიპისა, 2 კოლხური და 1 სინოპური. სინოპური ამფორა დამიანი აღმოჩნდა. ამ დამდით, ფილიპე მაკედონელის სტატერიითა და შავლაკიანი კანთაროსით შემოსილი სამარხი ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით თარიღდება (ლორთქიფანიძე 1972: 25, 26, სურ. 163, 164 174, 175; ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, თოლორდავა, ჭყონია 1972: 202, 203, სურ. 160-177). ძვ. წ. IV ს-ის მიწურულს მიეკუთვნება სამარხი №10 (ბავშვისა), გამართული თირში ამოკვეთილ ოვალურ ორმოში (1,4X0,9 მ). ინვენტარი წარ-

მოდგენილია სამკაულით (ოქროს საყურე რგოლები, ოქროს 1, ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 2 სამაჯური, ვერცხლისა და ბრინჯაოს თითო-თითო ფარაკიანი ბეჭედი, პასტისა და გიშრის მძივები); მონეტებით (3 ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლი); თიხის ჭურჭლით (4 დოქი, თითო სასმისი, სანელსაცხებლე და ქოთანა) (ლორთქიფანიძე, ფუთურძე, თოლორდავა, ჭყონია 1972: 211-213, სურ. 179-181; თოლორდავა 1986: 89-92, სურ. 75-78).

სამარხი №19 ასევე გამართულია კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ ოთხკუთხა (2,5 X 1,7 მ) ორმოში, რომელიც აღმოსავლეთიდან სამხრეთისკენ არის დამხრობილი. შემორჩენილი ძვლოვანი მასალა საფუძველს ვეაძლევს ადვადგინოთ მიცვალბულის პოზა: ზურგზე, თავით აღმოსავლეთით, ხელის მტევნები თემოებზე ეწყო. პირთან ახლოს აღმოჩნდა 2 კოლხური თეთრი – ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლი. თავის არეში განლაგებული იყო ოქროს 2 ბიკონუსურბურთულიანი სასაფეთქლე, თავსამკაული, რომელიც შედგება ნახევარმთვარისებური საკიდებისა და სფერული მძივებისაგან; ყელსაბამი, რომელიც შედგება სფერული მძივების, ორი ნახევარმთვარისებური საკიდისა და ბურთულასაკიდისაგან. ბურთულასაკიდიში ჩასმულია მთის ბროლის კენჭი. აქვე აღმოჩნდა ოქროს საკიდი მსხლისებური ფორმისა, ყვითელი მინის მძივი. მაჯებზე დადასტურდა თითო-თითო ვერცხლისა და რკინის სამაჯური. როგორც ვერცხლის, ასევე რკინის სამაჯურები მრგვალგანიკვეთიანი მავთულისაა, თხელი, თავგახსნილი. 2 ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭედიდან ერთზე ტახია გამოსახული, მეორეზე – ჩიტი და რტო. ტახი მოოქრულია. ინვენტარი განლაგებული იყო ორმოს ჩრდილოეთი კიდის გაგრძელებაზე, მიცვალბულის მარჯვნივ. ბრინჯაოს წრიულქუსლიანი ლანგარი ძლიერ ფრაგმენტულია. ბრინჯაოს კიდევ რაღაც ნივთი, ისევე როგორც რკინის გაურკვეველი ნივთი, ამოღებისას დაიშალა. თიხის ჭურჭელი ექვსი ნიმუშით იყო წარმოდგენილი: წითელი საღებავით მოხატული დაბალყელისა და ჭურჭელი, რომლის ტახი შევრონებთანაა მოხატული; ოინოხოსის ტიპის დოქი, მორუნოზედაპირიანი, ფავისფერკეციანი, შემკული ნაკვეთი და დანაძერწი ორნამენტით (ტალღები, თევზიფხური ორნამენტი, კოხები); სფერულტახიანი და ძაბრისებურყელისა და დოქი; ორყურა ქოთანა; პირმოყრდინი ჯამები. ჭურჭელიდან აღმოჩნდა საგაზალი – ძროხის ძვლები. სამარხი თარიღდება ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრით (ლორთქიფანიძე... 1995: 95-97).

სამარხი №15 რივი თავისებურებებით ხასიათდება. თირში ამოჭრილი სამარხი ორმო (3 X 2,6 მ), დამხრობილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, შიგნით შემორჩენილი ყოფილა ხის წნულით, რომელიც შელესილი იყო ნაშალი თირისა და თიხის ნაერთით. ფიქრობენ, რომ წნული სარკოფაგის დანიშნულებას ასრულებდა, რადგან სამარხში არც რკინის ლურსმნები და არც თავად ხის ნაშთები აღმოჩენილია. ასეთივე წნულით იყო გამოყოფილი



თავდაცვითი კედელი

სამარხი ალაპის ნაშთისგან, რომელშიც თიხის ჭურჭელი, მათ შორის კოლხური ამფორა და ცხოველთა დამწვარი ძვლები აღმოჩნდა. სამარხი ორმოს ერთი მონაკვეთი ჩრდილოეთი მხრიდან კრამიტებით იყო შემოსაზღვრული. მცირე ძვლოვანი ნაშთებისა და ინვენტარის განლაგების მიხედვით მიცვალბული თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ უნდა ყოფილიყო დამხრობილი. კოლხური ამფორა იდგა სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში; აღმოსავლეთი კედლის გაყოლებაზე ჩამწკრივებული იყო ბრინჯაოს სარკე, 2 სტრებილი, ლანგარი და ოინოხოა, თიხის 2 სანელსაცხებლე (იმპორტული) და 2 ადგილობრივი ქოთანა; ჩრდილოეთ კედელთან აღმოჩნდა ვერცხლის კოვზი. ცენტრალურ ნაწილში მიმოხედილი იყო ყელსაბამის ნაწილები (ოქროს, მინისა და სარდიონის მძივები, მინის თვლიანი ოქროს საკიდი), ოქროს საავგაროზე, ოქროს 2 მონეტა – ალექსანდრე მაკედონელისა (ძვ. წ. 356-323) და ფილიპე III მაკედონელის (ძვ. წ. 323-316) სტატერები, აგრეთვე 2 კოლხური ტრიობოლი ჩვეულებრივი ტიპისა. ატიკური ფიალის, იმპორტული სანელსაცხებლეებისა და მონეტების საფუძველზე სამარხი ძვ. წ. III ს-ის დასაწყისს განეკუთვნება (თოლორდავა 1986: 83-89, სურ. 64-71).

ზედა ტერასაზე რამდენიმე სამარხი მიეკუთვნება

აღნიშნულ ხანას. №12 სამარხი დაზიანებულია. შემორჩენილია სამარხის მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილი. ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ წავრძელებულ სწორკუთხა ორმოსამარხში (6,8X3,8 მ) 7 ინდივიდი, 4 ცხენი და 1 ძალი იყო დაკრძალული. სამარხი ძვ. წ. III ს-ით თარიღდება (კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 25-27, სურ. 103-106). სავარაუდოდ, ამ სამარხს უკავშირებენ იქვე ახლოს აღმოჩენილ ოქროს მონეტასა და რქოსანი ღომის თავებით დაბოლოებულ წნულ ძეწვეს. მონეტა სირაკუზის ტირან პიერონ II-ის (ძვ. წ. 275-216) სტატერია (დუნდუა, ლორთქიფანიძე 1977: 132, №31), ხოლო ძეწვი ძვ. წ. III-II სს-ით თარიღდება (ჯყონია 1981: 72, 73, 115, №90, სურ. 46).

№13 სამარხი გამართული იყო კვლავან დედაქანში ამოკვეთილ ოვალურ ორმოში (3,10X2,60 მ), რომელიც გადახურული უნდა ყოფილიყო ხის ძელებით, რისი მანიშნებელიცაა ორმოს დასავლეთ კედელში არსებული ფოსოები. ხის კონსტრუქციის არსებობის დამადასტურებელია სამარხში აღმოჩენილი რკინის ლურსმნები. როგორც ჩანს, სამარხის თავზე თირის ქვების ყრილი იყო გამართული, რომლის ნაშთია ორმოში დადასტურებული თირის ქვების ამორფული მასა. ორმოს სიღრმე 0,60-1,50 მ-ია. სამარხი ინდივიდუალურია. მიცვალებულის ჩონჩხიდან მხოლოდ ყბის ძვლები და კბილები გადარჩა. მიცვალებულთან ერთად დაკრძალული იყო ცხენი (ორმოს დასავლეთ ნაწილში). სამარხი ასევე ძველად დაზიანებულია. ინვენტარიდან შემორჩენილი იყო ბრინჯაოს ხუფიანი სიტულა, ბრინჯაოს ომფალოსიანი ფიალა, თიხის 2 ჯამი, რკინის ოთხკუთხა ბალთა, რკინისავე რაღაც გაურკვეველი ნივთები, მინის მძივები. სავარაუდოდ, ამავე სამარხს მიეკუთვნებოდა სამარხიდან ოდნავ დაცილებით ფენაში აღმოჩენილი ნივთები: ვერცხლის სამკაულები – ყუარუნა, სასაფეთქლე რგოლი და საკიდები, შედგენილი ვარდულის, შეწყვილებული მძივების, ყუენჭების, რგოლებისა და საკიდებისაგან; ოქროს მძივები, აქატისა და სარდიონის მძივები, აქატის საკიდი, რომლებიც შესაძლოა ერთ ყელსაბამს ქმნიდა (ჯყონია 1981: 71, 115, №88, სურ. 45, 53). აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ჯავშნის ფრაგმენტი და ბრინჯაოსავე ისრისპირი. სამარხი ძვ. წ. III ს-ს მიეკუთვნება (კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 27, სურ. 108-111).

№14 სამარხი იმდენად დაზიანებულია, რომ არც სამარხი ნაგებობის შესახებ შეიძლება მსჯელობა, არც მიცვალებულის პოზაზე და არც ინვენტარზე. სამარხი ძვ. წ. III ს-ით თარიღდება (კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 27, სურ. 113, 114).

№16 სამარხი გამართული იყო თირში სავანებოდ ამოკვეთილ ოთხკუთხა ორმოში (2,5X1,80 მ). სამარხის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი კიდე დაზიანებული იყო. სამარხში რკინის დიდი ზომის ლურსმნებისა და კავების აღმოჩენის ფაქტი იმაზე

მიუთითებს, რომ მიცვალებული დასვენებული იყო ხის რაღაც კონსტრუქციაზე (სარეცელი, კუბო). საკმაოდ მდიდრული ინვენტარი წარმოდგენილია სამკაულით, ცხენის აღკაზმულობით, იარაღით, მონეტებით, ჭურჭლით. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს სამკაული ქმნის, რომელიც შედგება თავის, ყელისა და ხელის სამკაულისგან, აგრეთვე ტანსაცმლის მოსართავი დეტალებისგან. თავსამკაულში შედის 5 საყურე, რომელთაგან 3 ბურთულიანია (2 დაღარულბურთულიანი და 1 ჭვირულბურთულიანი), დანარჩენი 2 ოთხკუთხაგანიკვებითანი მავთულისგან დამზადებულ მარტივ რგოლს წარმოადგენს. ყელის სამკაულს მიეკუთვნება ადამიანის თავის გამოსახულებიანი ელექტრუმის საკიდები, ოქროს მძივები და მილაკები, აგრეთვე ვერცხლისა და ბრინჯაოს თითო ხატისუღელი. უთუოდ ყელის სამკაულს ეკუთვნოდა მძივებისა და საკიდების ერთი ნაწილი მაინც, დამზადებული სერდოლიკის, გიშრის, აგრეთვე მინისაგან. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა სხვადასხვა ლითონისაგან (ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა) დამზადებული 27 სამაჯური და 10 ბეჭედი, რომლებიც 8 გროვად იყო განლაგებული. თითოეულ გროვაში სამივე ლითონის სამაჯური შედიოდა, როგორც წესი, და ხშირად მძივები ახლდა თან. გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა რაღაც სამკაულის ქარვის ჩასართავები. ტანსაცმლის მოსართავად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი ოქროს ფირფიტები (გრიფონისა და ტახის გამოსახულებიანი) და ლილაკი, აგრეთვე ვერცხლის ფიბულა. აღსანიშნავია, რომ გარდა 80 კოლხური თეთრისა (ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლები), რომლებიც სამაჯურების ორ გროვას შორის დაფიქსირდა, სამარხის ინვენტარი შეიცავს ოქროს ზოდსაც. იარაღი წარმოდგენილია ვერცხლის ისრის პირით, რკინის შუბისპირის, სატევრის, ქარქაშის ფრაგმენტებით, დანებით, ე. წ. ქერცლისებური ბექთარის ფრაგმენტით. ორ გროვად გაიწმინდა ცხენის აღკაზმულობა, რომელშიც შედიოდა ბრინჯაოს ლაგამი სამყურწიანი საყბურით, ვერცხლის ნახევარმათავარისებური საკიდები და კონუსური ბალთები, ვერცხლის ექვსწახანგაღერო, ვერცხლისა და რკინის რგოლები, ბრინჯაოს



ქვედა ტერასის გათხრები



სასაფოქლე

საშუბლე ფირფიტა და სხვ. ჭურჭლიდან სამარხულ ინვენტარში შედიოდა ბრინჯაოს სიტულა, სინოპური ამფორა და ადგილობრივი თიხის ჭურჭელი. აღსანიშნავია, რომ სამარხში ორი ძველადვე შეკეთებული ნივთი არის ჩადებული – ოქროს ჭვირულბურთულიანი სასაფოქლე და ვერცხლის ნახევარმთვარისებური საკიდი.

პარალელური მასალებით №16 სამარხი მიეკუთვნება ვანში გამოვლენილი სამარხების იმ ჯგუფს, რომელიც ძვ. წ. IV ს-ის დასასრულს-III ს-ის დასაწყისისა უნდა იყოს (კაჭარავა, მჭავანაძე 1986: 15-25, ტაბ. 7-15).

№16 სამარხის სინქრონულია მის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმოჩენილი სამარხი №17, რომელიც ასევე კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ სწორკუთხა ორმოში (6X2 მ) იყო გამართული. ორმოს იატაკი დამუშავების კვალს ატარებს. ეს სამარხიც დაზიანებულია. მისი ინვენტარიდან მხოლოდ ადგილობრივი წარმოების ღერგი და ჯამი, სინოპური ამფორა, რკინის შუბისპირის ფრაგმენტები, 2 კოლხური თეთრი, ბრინჯაოს ბეჭედი, 4 ცილინდრული ზარაკი და მინის 7 მძივი შემორჩა. როგორც ჩანს, აქაც ხის კონსტრუქცია იყო, რასაც მოწმობს რკინის ლურსმნების აღმოჩენის ფაქტი და იატაკის დამუშავების სტილი (გრძობი ღარები ძელების ჩასადებად) (კაჭარავა, მჭავანაძე 1986: 25, 26, სურ. 17). №18 სამარხი გამართულია კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ მოედანზე, რომელიც დია სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან. მოედანი სამი მხრიდან შემორაგულია თირის კედლებით. მოედნის შემომრაველი ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის სიმაღლე 1 მ-დან ნულზე დადის სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით, სიგრძე კი 5 მ-ია. მოედანზე, კედლების პარალელურად, მათგან 1-1,75 მ-ის დაცილებით გაითხარა ნაგებობა, რომლის კედლები დაზიანებულია, ზოგჯერ მხოლოდ ბუდეებია შემორჩენილი. მაგრამ მაინც შეიძლება გვემის აღდგენა. ესაა სწორკუთხა (2,5X9,10 მ) ნაგებობა,

ღია სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან. მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ნაგებობასა და მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელს შორის, აღმოჩნდა თირში ამოკვეთილი ორმო, რომელიც ამოვსებული იყო თიხანარევი სილით. ორმოში გამართული იყო ქვევრსამარხი. ქვევრი ჰორიზონტალურად იდგა, მაგრამ გადახერხილი იყო არა სიგრძეზე, არამედ სიგანეზე (მაქსიმალური დიამეტრის ადგილას). პირი დაფარული იყო სინოპური კალიბტერის ფრაგმენტით და შევსებული იყო რიყის ქვებით. სამარხი ბაგშვისაა – შემორჩა სარძევე კბილი. ინვენტარი შეიცავდა თიხის ჭურჭელს (ღოქები, ჯამები, ამფორისკოსი), ოქროს სამკაულებს (წვეილი საყურე, სფერული მძივები, ცვარასგა შედგენილი მძივი), რკინისა და ბრინჯაოს სამაჯურებს, რკინის ბეჭედს. სამარხი ძვ. წ. III ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნა (ლორთქიფანიძე ... 1991: 73-74, ტაბ. 177, 178).

ცალკე ჯგუფს ქმნის როგორც ტიპოლოგიური, ასევე ტოპოგრაფიული თვალსაზრისით სამარხების ჯგუფი, გამართული ზედა ტერასის იმ მონაკვეთზე, რომელზეც ორი სამლოცველოა გათხრილი. აქ ჯერჯერობით 5 სამარხია აღმოჩენილი. ერთი მათგანი ქვაყუთს წარმოადგენს, დანარჩენი სამარხები კი გამართულია კლდეში ნაკვეთ ოთხკუთხა ორმოებში. ოთხივე ერთი კონსტრუქციისაა – ორმოს დასავლეთი კედლის გაყოლებაზე პლატფორმაა გამართული. პლატფორმა, ჩვეულებრივ, კლდეშია ამოკვეთილი. ყველა სამარხი დაზიანებულია, როგორც ჩანს, იმ კომპლექსის მშენებლობისას, რომელსაც ეკუთვნის კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი არხი და ამ არხიდან გამოსული, არხისკენ, დია ბუდეები.

სამარხი №21 ძლიერაა დაზიანებული. სამარხის შევსებაში აღმოჩენილი ნივთები, როგორიცაა ვერცხლის მონეტები, ოქროს, მინისა და კვარცის მძივები, იოტები, რკინის იარაღი (მახვილი, ისრისპირი, დანა, აბჯარი) და ბრინჯაოს ზარაკები, სამარხის ინვენტარის ნაშთად შეიძლება ჩაითვალოს. მონეტა შეიძლება. შეიძლება კოლხური თეთრია – ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლი.

სამარხი №23 გამართულია ოთხკუთხა ორმოში, რომელიც კლდოვან დედაქანშია ამოკვეთილი. სამარხი ორმოს სამხრეთ კედელს 2 მ-ის სიგრძეზე გასდევს ასევე კლდეში ამოკვეთილი პლატფორმა, რომლის სიგანე 1 მ-ია. პლატფორმა ორმოს ზედაპირიდან 1,20 მ-ის სიღრმეზე მდებარეობს. ორმოს აღმოსავლეთი კედელი არ არის შემორჩენილი. ის, შესაძლოა, არხის გაჭრის დროს დაზიანდა, ისევე როგორც მთელი სამარხი. პლატფორმაზე არაფერი არ აღმოჩენილა. ძირითადი სამარხიც დაზიანებული ჩანს. ჩონჩხიდან მხოლოდ ადამიანის თავის ქალის ნაშთები და კბილები, აგრეთვე ცხენის ჩონჩხის ნაწილი შემორჩა, რომელიც ადგილიდან დამრული ჩანს. ინვენტარიდან შემორჩენილია თიხის ჭურჭელი – 2 ღოქი, და 1 ჯამი, სამკაულები – ვერცხლის საყურეები, რკინისა და ბრინჯაოს სამაჯურები,



ღიადგმა

რკინის ხატიუსულელი, მინისა და მინისებური პას-ტის მიივები. ორივე დოქი მხლსისებურტანინანია, ოლონდ ერთი შავზედაპირიანია, მეორე – ჩალის-ფერკეცვანი, მოყვითალო ანგობით დაფარული, მოხატულია წითელი საღებავით გამოყვანილი შვერონებით. სარტუალო ნივთებიდან ზარაკებია წარმოდგენილი. სამარხში აღმოჩენილი ნივთებიდან დასათარიღებლად გამოდგება მხოლოდ დოქი, მოხატული წითელი საღებავით. ამგვარი დოქები აღმოჩენილია №9 სამარხში, რომელიც ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედს მიეკუთვნება და №19 სამარხში, რომელიც ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება.

სამარხი №22 ოდნავ აქვს დაზიანებული გვიანდელ კლდეში ნაკვეთ კომპლექსს, რომელმაც ჩამოჭრა მისი დასავლეთი კედელი და დაზიანა ამფორები. სამარხი გამართულია კლდეში ნაკვეთ თითქმის კვადრატულ ორმოში (4X3,80 მ), რომლის კუთხეები მომრგვალებულია. ორმო ამოვსებული იყო დიდი ზომის რიყის ქვებით. მისი ოთხივე კედლის გაყოლებაზე თირის ბელტების ზოლი გამოიკვეთა, რომლის სიგანე 0,50-0,70 მ-ია. ბელტების ზოლს რიყის ქვების ვერტიკალურად ჩადგმული რიგი გასდევდა. ორმოს სამხრეთ კედელზე გასდევს თორში ნაკვეთი ბაქანია გამართული, რომელზეც დასვენებული იყო ცხენი და ერთი ინდივიდი, თავით აღმოსავლეთით, მუხლომკვეცილი. მიცვალებულს საკმაოდ მწირი ინვენტარი ახლდა (ოქროს 2 საყურე, ვერცხლის, რკინისა და ბრინჯაოს საკისრე რგოლები, რკინისა და ბრინჯაოს სამაჯურები, მინის მიივები). ცხენი ბაქანზე გარდივარდმო იწვა, სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთ ღერძზე, მარცხენა გვერდზე, ფეხებმოკეცილი. საკუთრივ ორმოსამარხში რამდენიმე მიცვალებული დაფიქსირდა. ოთხი მათგანის ჩონჩხიდან ძირითადად მხოლოდ კბილებია შემორჩენილი. ოთხივე შემთხვევაში კბილები სამარხი ორმოს აღმოსავლეთ კედელთან იდო, ერთმანეთისგან 0,20-0,40 მ-ის დაცილებით. ამრიგად, ამ ოთხ შემთხვევაში დაკრძალულებს თავი აღმოსავლეთით ედოთ. ინვენტარის განლაგება და შემორჩენილი ძვლების მდებარეობა გვიჩვენებს, რომ ერთი მიცვალებული გვერდზე იწვა, მეორეს თავი მარცხენა მხარეზე ედო, ერთი ხელი მას სახესთან ახლოს ჰქონდა, მეორე – ოდნავ ქვემოთ (ე.ი. მოკუნტული პოზა ჰქონდა), მესამე მიცვალებული ზურგზე გაშლილი, გაშლილი ხელებით იწვა; მეოთხე მიცვალებულს თავი სწორად ედო (და არა გვერდზე). ამ ოთხი მიცვალებულის გარდა, თითქოს კიდევ ერთი (თუ ორი) ინდივიდი იკვეთება სამარხის დასავლეთ ნაწილში. აქ აღმოჩნდა ცალკეული ძვლების ფრაგმენტები. თუ ეს მართლაც ცალკე ინდივიდია, მას განსხვავებული ორიენტაცია აქვს – თავით სამხრეთისაკენ, ფეხებმოკეცილი. მიცვალებულები, როგორც ჩანს, ხის კონსტრუქციაზე იყვნენ დასვენებული, რასაც უნდა მოწმობდეს ორმოს კედლების გაყოლებაზე რკინის ლურსმნების აღმოჩენა. მიცვალებულებს შედარე-

ბით ღარიბული ინვენტარი აქვთ ჩატანებული: ერთ მიცვალებულს უკავშირდება ოქროს ჭვირულბურთულიანი სასაფეთქლე, ოქროს, მინის, სარდიონისა და ქარვის მიივები, პასტის იოტები, 4 კოლხური ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლები და ვერცხლის ფიბულა, აგრეთვე რკინის სამაჯურები. მეორის კუთვნილია რკინისა და ვერცხლის სამაჯურები, ოქროს დაღარულბურთულიანი 2 სასაფეთქლე, ოქროს ჭვირულბურთულიანი საყურე, ოქროს ნახევარმთვარისებური საკიდები, ოქროს, ქარვის, სარდიონისა და მინის მიივები, პასტის იოტები და რკინის ხატიუსულელი. მესამე მიცვალებულს ეკუთვნოდა ოქროს 2 საყურე რგოლი, ვერცხლისა და რკინის საკისრე რგოლები, თვალადი მიივები, აგრეთვე ტყავის (?) ზონარი და რკინის სამაჯურების 2 გროვა; მეოთხე მიცვალებულს თან ახლდა 2 საყურე რგოლი, ვერცხლისა და რკინის საკისრე რგოლები, მინის თვალედი მიივები, ვერცხლის ნახევარმთვარისებური საკიდი, ვერცხლის თავგანსნილი რგოლი, ბრინჯაოს გვერდშეჭრილი ზარაკი, პასტის იოტი, ოქროს 2 საყურე. სამარხი ორმოს კუთხეებში თითო ამფორა იდგა: ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებში მენდეს ამფორები, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში და დასავლეთი კედლის თითქმის შუაში – ქიოსური ჩახისებურიძირიანი ამფორები. სამარხი ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან აღმოჩნდა წითელიფიგურული არიბალური ლეკითოსის ფრაგმენტები. მიცვალებულებს შორის არეზე ცალკეული ნივთები თუ სხვადასხვა ნივთის გროვები დაფიქსირდა, მათ შორის ოქროს სამკაულები – ჭვირულბურთულიანი სასაფეთქლე, სამკუთხა საკიდი ახალგაორული ტიპისა, ე. წ. ნესვისებური მიივი, სფერული მიივი, დილაკები, მარცვლისებურძეწკვიანი საკიდი, ვერცხლის ვაზა და მინის სანელსაცხებლე, ბრინჯაოს ოინოხოა და ფიალა; ვერცხლის სარტყელი, ბრინჯაოს და ვერცხლის გვერდშეჭრილი ზარაკები, ოქროვადკრული ბრინჯაოს 2 ბალთა, ქარვის, მინისა და პასტის მიივები, პასტის იოტები, ვერცხლის მილაკები, მიივები, ნახევარსფერული და ჩაზნექილგვერდებიანი პირამიდის ფორმის სამკაულები, რკინის ლაგმები, ვერცხლის მონეტები (81 კოლხური ტრიობოლი). სამარხი ორმოს ცენტრალურ ნაწილში თიხის 3 ჭურჭელი აღმოჩნდა – 2 ორფურა დერგი და დოქი. ერთ-ერთ დერგში ოქროს სამკაულები, ვერცხლის ფიალა და ვერცხლის მონეტები იყო ჩაყრილი. ოქროს სამკაულები წარმოდგენილია სასაფეთქლეებით, ძეწკვით, საბეჭდავი-ბეჭდით, მიივებით, საკიდებით, დილაკებითა და დასაკერებელი ფორფიტებით, რაღაც სამკაულების ფრაგმენტებით). სასაფეთქლეებში წარმოდგენილია წინარე-ელინისტური ხანის კოლხური ოქრომჭედლობისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა სახეობა: სხივებიანი, ბურთულიანი, დაცვარულბურთულიანი, ჭვირულბურთულიანი, ნახევარმთვარისებური და ძეწკვებიანი. მონეტა ხუთია, ხუთივე ერთი ტიპისაა – ჩვეულებრივი ტი-



არტეფაქტი ვანიდან

პის ტრიოლოგები. ოქროს წვრილმა ნივთებმა და ცალკეულმა დეტალებმა იჩინა თავი თიხის ჭურჭლის ქვეშ. სამარხი №22 ძვ. წ. IV ს-ის შუახანებს უნდა მიეკუთვნოს.

სამარხი №24 ასევე კლდეში ამოკვეთილ ორმოშია გამართული (2X1,80 მ). ორმოს სამხრეთი კედლის გასწვრივ პლატფორმა იყო გამართული, რომელიც თიხის ბელტებთანაა ნავეთი. მისი სიგანე 0,50 მ იყო, ხოლო სიმაღლე – 1 მ. სამარხის ძირითადი ნაწილი ქვეყრილით იყო ამოვსებული. როგორც ჩანს, სამარხში იდგა ხის რაღაც კონსტრუქცია – კუბო, სარეცელი თუ სარკოფაგი, რომელიც არ შემორჩენილა. მის არსებობას ადასტურებს ორმოს პერიმეტრზე აღმოჩენილი რკინის ლურსმნები. სამარხში 5 მიცვალებული და 1 ცხენი იყო დაკრძალული. მთავარი მიცვალებული ორმოს ცენტრალურ ნაწილში იყო დასვენებული. ორმოშივე იყო დაკრძალული სამი მსახური და ცხენი. ერთი მსახური პლატფორმაზე ესვენა. პლატფორმაზე დასვენებული იყო ერთი მიცვალებული (მსახური). ინვენტარი ღარიბულია (ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ბეჭდები), მაგრამ ყველა მსახურს ჩატანებული ჰქონდა ერთი ტიპის ვერცხლის ხატისფორმა. მსახურებისთვის ჩატანებული საკისრე რეგლები იმ ტიპისაა, რომელიც საკმაოდ კარგადაა ცნობილი და ჩვენში გვხვდება ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევრის – IV ს-ის მეორე ნახევრის კომპლექსებში.

მთავარი მიცვალებულის ჩონჩხი არ შემორჩენილა, მაგრამ სამარხეული ინვენტარის განლაგება საშუალებას გვაძლევს, აღვადგინოთ მისი ორიენტაცია და პოზა. აშკარაა, ის დასვენებული იყო თავით სამხრეთით, იწვა ზურგზე გამოტოლი. მიცვალებულის სქესი არაა დადგენილი, თუმცა არის იმის მიმანიშნებელი მომენტები სამარხეულ ინვენტარში, რომ დაკრძალული ქალი უნდა იყოს. მთავარ მიცვალებულს გადაფარებული უნდა ჰქონოდა სუდარა, რომლისგან მხოლოდ ათასობით მინის მძივი შემორჩა, ხოლო მისი ტანსაცმელი უხვად იყო შემკული ოქროს დასაკრებელი ფირფიტებით, რომლებიც არწივებისა და იხვების გამოსახულებებს წარმოადგენდა. მხარსა და მკლავებს გასდევდა არწივების რიგი, იხვების რიგი იყო გაწყობილი საყელი; მკერდზე იხვების გამოსახულებები რაღაც ორნამენტულ სახეს ქმნიდა; ზურგზეც იყო დაკრებული არწივების ერთი რიგი (ეს რიგი უკუღმა იდო სამარხის იატაკზე). მიცვალებულს ამკობდა თავსაბურავი, ყელსაბამები, სამაჯურები, ბეჭდები.

მის პირთან ვერცხლის მონეტა აღმოჩნდა. ინვენტარის დიდი ნაწილი კონცენტრირებული იყო მთავარი მიცვალებულის თავის მახლობლად, მისგან მარცხნივ. აქ აღმოჩნდა თიხის 4 ამფორა, 2 ზადისე-ბურორნამენტაინი ლეკითოსი, ვერცხლის ფიალა, ვერცხლის ჩამწა. ვერცხლის სარწყულა და სანელ-საცხებლე, ბრინჯაოს ჭურჭელი – დოქი, ფიალა და ლანგარი, ბრინჯაოსავე სარკე, ადგილობრივი კერამიკა – ჯამი და 3 დოქი. სამარხი ორმოს დასავლეთი კედლის გასწვრივ 2 იმპორტული თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა – წითელფიფურული სკიფოსი და შავლაკიანი ჯამი. მთავარი მიცვალებულის არის აღმოსავლეთ კიდესთან ვერცხლის სამკაულის გროვა აღმოჩნდა. ინვენტარი შეიცავს 1000-ზე მეტ ოქროსა და ასობით ვერცხლის სამკაულს, თიხის 12 ჭურჭელს, ვერცხლის 8 და ბრინჯაოს 2 ჭურჭელს, ბრინჯაოს სარკეს, 15 000-ზე მეტ მინის, ეგვიპტური ფაიანსის, სარდიონის, ქარვისა და გიშრის მძივს, ვერცხლის მონეტას, ქალცედიონის საბეჭდავს, ბრინჯაოს ზარაკებს, რკინის მუხისპირს. ყველზე ადრეული ნივთი სამარხიდან ასურული თუ ახალ-ბაბილონური საბეჭდავია. ყველაზე გვიანდელი ნივთი კი მონეტაა – პანტიკაპეონის მონეტა, დათარიღებული ძვ. წ. 340-330 წლებით.

დაკრძალვის წესებში თანაარებობს ტრადიციული ელემენტები (სამარხის აღნაგობა, სამკაული) და ახალი წესები. ამ უკანასკნელთაგან აღსანიშნავია მონეტისა (ქარონის ობოლი) და ამფორების ჩატანების წესი. ქვევრსამარხი ასევე სიახლეა საკუთრივ ვანის ნაქალაქარისთვის, თუმცა მის მახლობლად ქვევრსამარხების შემცველი სამაროვნები კარგადაა ცნობილი (დაბლაგომი, დაფნარი). სიახლეა აგრეთვე ქვეყნობაში დაკრძალვა. სიახლეებს ბერძნულ და სკივთურ-ირანულ სამყაროსთან კონტაქტით ხსნიან (ლორთქიფანიძე 1979: 19, 20). სამარხში ბექთარის ჩატანების წესი ვანში ადრეელისტურ ხანაში არის დადასტურებული (კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 27, 79, კატ. №501; გვ. 117, სურ. 186; კაჭარავა, მჟავანაძე 1986: 23, 31, კატ. №5ნ, სურ. 15,4).

ვანსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რკინისა და ბრინჯაოს ფიგურები, რომელთა რაოდენობა ექვსს აღწევს. მათგან 3 რკინისაა, 3 – ბრინჯაოსი. ქანდაკებები მცირე ზომისაა: ბრინჯაოს ქალის ქანდაკება 16 სმ სიმაღლისაა, მისი წველი – 18 სმ სიმაღლის. რკინის ქანდაკებებიდან ყველაზე მაღალია მამაკაცის ითიფალური ფიგურა (30 სმ). ყველა ფიგურა მდგარ პოზაშია გამოსახული, შიშველი; ხელები წინა აქვთ გაშვებული. ყველა ნაქალაქარის



არტეფაქტი, გამარჯვების ქალღმერთი

ზედა ტერასაზე აღმოჩენილი. ოთხი მათგანი (რკინის 3 ფიგურა და ბრინჯაოს 1 ფიგურა) კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოკვეთილ ორმოში ჩადგმულ ღარიან კრამიტზე იყო დასვენებული და ღარიანი კრამიტზე ეხურა ზემოდან. უკლებლივ ყველა ფიგურა ოქროს სამკაულებს ატარებს. რკინის კაცი შემკულია ოქროს საყურებით, საკისრე რგოლით. საყურეებისა და საკისრე რგოლების ბოლოები მომრგვალებულია და შემკულია ღარებით. ფიგურის მახლობლად აღმოჩნდა ღილაკები - 13 პალმეტისებური, 9 მრგვალი, 2 კონუსის ფორმის ფიჩქების სამავარი. ფიგურა ნაჭვდაა ორ ნაწილისაგან - ცალკე გამოჭედილი ტანი თავთან და ფეხებთან ერთად, ხოლო მკლავები და მხრები - ცალკე. სხეულზე შეიმჩნევა ქსოვილის ანაბეჭდები, ტანსაცმლისა თუ სუღარისა (კაჭარავა 1983: 33, 34; ხოშტარია 1979: 115, 116, სურ. 183-185).

ადგილობრივი კერამიკა, ერთი მხრივ, ორგანული ნაწილია წინა პერიოდის კოლხური მეთუნეობისა, შენარჩუნებულია ადრეანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი ისეთი ფორმები, როგორიცაა ქვევრები, ყურმილიანი დოქები, ბრტყელძირა ჯამები, ჯამისებური ხუფები; კეცის დამუშავებაცა და ორნამენტულ ძველ ტრადიციებს აგრძელებს. მეორე მხრივ კი, ჩნდება ახალი ტიპის ჭურჭელი. პირველ ყოვლისა აღვნიშნავთ დერგისებურ ჭურჭელს, რომელიც მიუღია ნიმუშები აღმოჩენილია №12 სამარხში. მათ ბრტყელი ძირი, კვერცხისებური ტანი, დაბალი, შეზნექილპროფილიანი და ზემოთკენ გაფართოებული ყელი, სადა გარეთ გადახრილი პირი აქვთ. ახალ ფორმად გვევლინება ბადიები, რომელთა დამახასიათებელი ნიშანია თარაზული, ფართოდ (2,5-6 სმ სიგანის) გადაშლილი პირი, გამოხედილი კალთა. სუფრის ჭურჭელში ახალი ფორმებია კონუსური და შედგენილტანიანი სასმისები. ახალი კერამიკულ ფორმებს მიეკუთვნება აგრეთვე ე. წ. დაფანჯრული ჭურჭელი. სიახლე ჯამებში გამოიხატა გამოყოფილი ქუსლით. ყველაზე დიდი სიახლე მეთუნეობაში ბერძნული კერამიკული ფორმის, ამფორების დამზადებაა. სიახლე ძველ ფორმებშიც აღინიშნება: მათ ახალი მორფოლოგიური ნიშნები უჩნდებათ. მაგ.: მართალია, ქვევრები ზედმიწევნით იმეორებენ ძვ. წ. VI-IV სს-ის პირველი ნახევრის ნიმუშებს, მაგრამ ოთხკუთხეაგანივკვეთიან პირის ფორგვინებში ზოგჯერ იცვლება კვერდების თანაფარდობა. სიახლე ვიქსირდება ორნამენტულ: ქვევრების ტანზე მერიდიანულ ქედებს შორის ზედაპირზე ტრადიციული ღარების ნაცვლად პრიალა ზოლები ჩნდება (ჭყონია 1986: 100, სურ. 84-86; ლორთქიფანიძე 1991: 178). სიახლე დაფიქსირებულია კოლხურ ოქრომჭედლობაშიც. ქრება წინა პერიოდისთვის დამახასიათებელი სამკაულები, როგორებიცაა რომბულ-ფირფიტისა და დიადემები, ფიგურული საკიდებით შედგენილი ყელსაბამები. დიადემებს ცვლის რთული თავსაბურავები, რომლებიც სხვადასხვა სახის დეტალებისგან არის შედგენილი. ამის მაგალითია

დედატოსის სამარხისა და №24 სამარხის ნიმუშები. დედატოსის თავსამკაული შედგება ცხენოსნისა და ფრინველის გამოსახულებიანი საკიდების, მძივებისა და მილაკებისაგან, ხოლო №24 სამარხის თავსამკაულის ნაწილებია: ჭვირული ნივთი, ტე-



არტიფაქტი ვანიდან

ნია, გრიფონის სტილიზებული გამოსახულებიანი დასაკრებელი ფირფიტები, გრანულაციით შემკული მილაკები. უნიკალური ჩანს აყურული ნივთი, რომელიც ავთორგვინდება თავსამკაულს. მის ორივე მხარეზე ერთი და იგივე გამოსახულებაა - ირემი და 3 შველი, ხოლო თავზე ჩიტების 2 რიგია, რომელთა ბოლოში თითო ლომია. გვხვდება გაცილებით მარტივი თავსაბურავიც. ამის მაგალითია №4 სამარხის თავსაბურავი, რომელიც ვარდულუბისგან შედგებოდა. კვლავ იხმარება ისეთი სამკაული, როგორიცაა სასაფეთქლე. სიახლეა მათი უფრო რთული შედგენილობა - საკიდი წარმოადგენს ჭვირულ ბურთულას, რომელიც შემკულია ჩიტების 2 რიგით, ძეწკვებით, რომლებიც ბოლოვდება რკოსებრი საკიდებით. სასაფეთქლის საყურე რგოლი კი ხასიათდება ყველა იმ ნიშნით, რაც ჩვეული ამპივიან ადრეანტიკური ხანის საყურეების ყველა ტიპისათვის - საყურე რგოლის წინა მხარის შემკობა ორნამენტული სარტყლით, ვარდულის არსებობა რგოლის ზედა კიდეზე, მინიატურული ჩიტის სკულპტურული გამოსახულება ვარდულაზე, რგოლის ბოლოების დაბრტყელება და გახვრეტა. სამაგაიეროდ, ჩნდება ახალი სახეობანი, რომლებიც უფრო ბერძნულ სამყაროსთან სიახლოვეს ავლენენ. ტენიასმაგვარი სამკაული №24 სამარხიდან წარმოადგენს მილაკების, ბიკონუსური საკიდებისა და ძეწკვების ერთობლიობას. სიახლეა საყურეებში - ჩნდება მოძრავსაკიდიანი საყურე და გახსნილი რგოლები. მოძრავი საკიდი ელისინტური ხანის სათიველირო ხელსაწყოების ნაკადის შემოჭრის მანიშნებელია (ჭყონია 1981: 69). საყურე რგოლები თავდაპირველად ადრეანტიკური ხანის სასაფეთქლეების ნიშანს იმეორებენ, კერძოდ, მათი ბოლოები დაბრტყელებული და გახვრეტილია. შემდეგ კი, როგორც ეს ჩანს №16 სამარხის საყურეებზე, ეს ნიშანი ქრება (კაჭარავა, მჟავანაძე 1986: 17, 27, კატ. №3, სურ. 9,3). ყელსაბამებზეც აისახა ბერძნულ სამყაროში ამ დროს გავრცელებული მხატვრული ხერხები და ფორმები: ჩნდება მცირე ზომის ჟღარუნა საკიდები, ნახევარმთვარისებური მოყვანილობის საკიდები; ყელსაბამის ცენტრალური ნაწილის აქცენტირება ხდება მიივსაკილით. ამავე დროს, შენარჩუნებულია წინარე ეპოქის კოლხური ოქრომჭედლობის ისეთი ნიშნები, როგორიცაა გრანულაციის გამოყენება სხვადასხვა გეომეტრიული სახის გამოსაყვანად, დაკეჭნილი მავთულით კიდების შემოსაზღვრა. ამ ეტაპზე სამაჯურების-

თვის დამახასიათებელია ზურგშედრეკილობა, განსხვავებული რკალი, მრავალკუთხაგანისფერობიანი ღერო, ბოლოების შეშვება ირგვლივ ღრმა ღარებით, რომელთა შორის ზედაპირი ირიბი ნაჭდევებით არის დაფარული. ამგვარი სამაჯურები ოქროსიცაა და ვერცხლისაც. სიახლეა წნული ძეწკვი და სხვ. წინა ეპოქისაგან განსხვავებით, როდესაც ცვარა, როგორც წესი, სამტყელებადია განლაგებული, მიივებს მთელი ზედაპირი იფარება მავთულშემოვლებული ცვარათი. აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. IV-III სს-ში ვანში საოქრომჭედლო სახელოსნოს არსებობა ივარაუდება (ჭყონია 1986: 54-91).

ბრინჯაოს ჭურჭლიდან აღსანიშნავია სიტულები. თითო სიტულაა აღმოჩენილი №2 და №13 სამარხებში. დამზადების ტექნიკით ისინი წინარეელნისტური ხანის კოლხური სიტულების ანალოგიურია – თარგზე გამოჭრილი ფურცლებისგანაა შეკერილი; ფორმით კი განსხვავებულია – სფერულია. სიტულებს სხმული ყურები აქვთ, რომლებიც ჭურჭელზეგანა ჩამოსხმული. №13 სამარხის სიტულა ქუსლი არა აქვს, პირ-ყელიც არ არის გამოკვეთილი. უფრო ადრეული ჩანს №13 სამარხის სიტულა (ძვ. წ. III ს-ის დასაწყისი), რომელსაც ზომორფული ყურები აქვს, ჭურჭელზეგანა ჩამოსხმული, რითაც უფრო მეტად უახლოვდება წინარეელნისტური ხანის სიტულებს (მათიაშვილი 1977: 101-103, სურ. 92, 93, 97).

ადგილობრივად დამზადებულიადაა მიჩნეული №2 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ფიალა, რომელიც, მართალია, მოყვანილობით ემსგავსება ირანულ ფიალებს, ირანულ სამყაროსვე უკავშირდება ორნამენტის ნაწილი – ნუშისებური ბურცოები და ლოტოსის ყვავილი, მაგრამ ორნამენტის თავისებური ელემენტია ცხოველთა გამოსახულებები, რომლებიც ამკობენ ფიალის ცენტრალურ ნაწილს – ომფალისის გარშემო განლაგებულია ერთმანეთის საპირისპიროდ ცხოველთა წყვილები (ლომი და ტახი, ავზა და ირემი). საქმე ისაა, რომ ჩვეულებრივ ირანულ ფიალებზე ცხოველთა გამოსახულებები არ გვხვდება. ამ თავისებურების საფუძველზე ივარაუდება ფიალის ადგილობრივ დამზადება. აღმოჩენის პირობებით ეს ფიალა ძვ. წ. III ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება (მათიაშვილი 1977: 105, 106, სურ. 101ა,ბ).

ბრინჯაოს ფიალა, აღმოჩენილი №13 სამარხში, ე. წ. ბერძნული ტიპის ფიალაა, მაგრამ პირზე წიბოს არსებობით განსხვავდება ამგვარი ფიალებისაგან. მისი წარმომავლობის ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება, თუმცა ივარაუდება ადგილობრივ დამზადება. კონტექსტი ფიალას ძვ. წ. III ს-ის დასაწყისის მიაკუთვნებს (მათიაშვილი 1977: 107, სურ. 103). ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევენ №3 სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს თასსაც. ის კოლხური ტორეგტიკისთვის დამახასიათებელი წესითაა დამზადებული – ორი ორმაგი ფურცლისაგან ნაწილ-ნაწილაა გამოკვეთილი, ცალკეული ნაწილები კი ერთმანეთზე სამაგრებითაა გადაკერებული. ქუსლი გარეთა ფურცელშია გამოყვანი-

ლი, შიდა ფურცელი კი მომრგვალებულია და ფსკერს ქმნის (მათიაშვილი 1977: 107, სურ. 98, 102).

ამ ეტაპზე ბერძნული იმპორტი წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, ტორეგტიკის ნიმუშებით, მინერალებით. თიხის ჭურჭელში რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოიყოს – ამფორები, მოხატული ჭურჭელი, შავლაკიანი და სადა კერამიკა. ამფორებიდან ვანში აღმოჩენილია მენდეს, ქიოსური (ე. წ. ჩაჩისებურძირიანი) და კონუსურიძირიანი, სინოპური, სოლოხა I ტიპის, ჰერაკლეს ამფორები. მათ შორის არის დამიანი ნიმუშებიც. მაგალითად, დედატოსის სამარხში აღმოჩენილი სინოპური ამფორა, რომელსაც I ქრონოლოგიური ჯგუფის (ფაბრიკანტ ჰისტორიისა და ასტიონოს კიროსის) დამადა აქვს (ფუთურიძე 1976: 83; 1983: 20, 21, კატ. №49). აგრეთვე ამავე სამარხში აღმოჩენილი სოლოხა I ტიპის ამფორები, რომელთაც მრგვალი დამები აქვთ ყურზე (ფუთურიძე 1976: 87); ჰერაკლეს ამფორის პირ-ყელის ფრაგმენტი მეთუნე კალიასის ენგლიფური დამით ძვ. წ. IV ს-ის; მეორე ფრაგმენტზეც ენგლიფური დამადა – I (ძვ. წ. IV ს-ის დასასრული – III ს-ის დასაწყისი); №24 სამარხში აღმოჩნდა ფაბრიკანტ არხელასის დამიანი ნიმუში (ძვ. წ. IV ს-ის 90-80-იანი წლები). გვაქვს ქიოსური დამიანი ყურებიც (ფუთურიძე 1983: 10, ტაბ. II, კატ. №№12-15). ძვ. წ. IV ს-ის ატიკურ ამფორებს უნდა ეკუთვნოდეს რამდენიმე ფრაგმენტი (ფუთურიძე 1983: 10, ტაბ. 2, კატ. №№27-28). შემოტანილი კერამიკის ერთ ნაწილს შეადგენს მოხატული კერამიკა. მოხატული კერამიკის ერთი ჯგუფი ატიკური წარმომავლობისაა და წარმოდგენილია წითელფიგურული ნიმუშებით, რომელთა შორისაა ამფორისკოსები, დაფნის ფთოლის გირლანდით შემკული ლუკანიდები, ლუკანიდების ხუფები, მოხატული სცენებით გინეკეიონის ცხოვრებიდან; ბადისებურორნამენტის ლეკითოსები, სათევზე ლანგრები, გნათიას სტილის კერამიკა (კაჭარავა 1983: 33; მათიაშვილი 1983: 51). №22 სამარხში აღმოჩენილი წითელფიგურული არიბალურ ლეკითოსზე გამოსახულია ქალისა და მამაკაცის თავები, ერთმანეთის პირისპირ. არიბალური ლეკითოსები, შემკული ქალის თავებით ან მთელი ფიგურებით, ფართოდაა გავრცელებული ე. წ. გვიანკლასიკურ I ეტაპზე (ძვ. წ. V ს-ის უკანასკნელი მეოთხედი – 370-იანი წლები). პირის გვირგვინის მოყვანილობა ამ ნიმუშს ძვ. წ. 400-375 წლებით ათარიღებს. მეორე ჯგუფს ქმნის მოყვითალო-თეთრ ანგობზე წითელი საღებავით მოხატული ჭურჭელი (ჭყონია 1986: 109). წამყვანია მსხლისებურძირიანი დოქები, რომელთაც ყურის ზედა ბოლო ზედ პირის კიდზე აქვთ მიდრეწილი. მსხლისებურძირიანი ნიმუშებთან ერთად გვხვდება ასე მოხატული ფიგურული ჭურჭელიც – ღორის ფორმის, ხარის ფორმის. შავლაკიანი კერამიკა წარმოდგენილია ძვ. წ. IV ს-ის შუახანების, მეორე ნახევრისა და უკანასკნელი მეოთხედის ჯამებისა და იხთიების თითო-ორთა ფრაგმენტით (კაჭარავა



სარტყლის ფრაგმენტი

1983: 40-42). იმპორტული კერამიკიდან აღსანიშნავია სანელსაცხებლების მცირერიცხოვანი ჯგუფი. მათ შორის უძველესია წითელი საღებავის ზოლებით მოხატული სანელსაცხებლე ძვ. წ. IV-III ს-ის მიჯნით დათარიღებული №10 სამარხიდან; 2 სანელსაცხებლე №15 სამარხიდან ძვ. წ. III ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება (თოლორდავა 1983: 75, 76, კატ. №№357-358). სადა იმპორტული კერამიკის არცთუ მცირე ჯგუფს ქმნიან სინოპური წარმოების ლუთერიები, უფრო სწორად, მორტარიუმები, რომლებიც ძვ. წ. IV-III ს-ით თარიღდება (თოლორდავა 1983: 78, 79, კატ. №№386-391, სურ. 36).

ოქროს ნივთების იმპორტიც ხდებოდა ამ დროს. ამისი ნიმუშებია რქიანი ლომის თავებით დაგვირგვინებული ძეწკვი, ჰერაკლეს კვანძის გამოსახულებიანი დიადემის ნაწილები.

იმპორტული ბრინჯაოს ნაწარმიდან აღსანიშნავია იტალიური სიტულა, №2 სამარხში აღმოჩენილი (მათიაშვილი 1977: 101, 102, სურ. 91); №4 სამარხში აღმოჩენილი ატიკური ვერცხლის კილიკი, რომელსაც ფსკერი შემკული აქვს როულლეტინგის სარტყლებით შემორჩენილი ვარდულითა და მის ირვვლივ რადიალურად განლაგებული ვადაბმული პალმეტებით. ის ძვ. წ. III ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება ათენში აღმოჩენილი ანალოგიების საფუძველზე (მათიაშვილი 1977: 108, 109, სურ. 105-108; ლორთქიფანიძე 1983: 91, კატ. №411, სურ. 42); ბრინჯაოს ლანგრებიც, №9 და №15 სამარხებიდან, კონტექსტის მიხედვით თარიღდება, შესაბამისად, ძვ. წ. IV ს-ის შუახანებითა და ძვ. წ. III ს-ის პირველი ნახევრით; ბრინჯაოს ოინოსი და სარკე №15 სამარხიდან, რომლებიც თანხლები მასალით ძვ. წ. III ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება (ლორთქიფანიძე 1983: 91, კატ. №№412, 414, სურ. 43).

ირანული წარმომავლობის ნივთებიც იჩენს თავს ვანის ისტორიის ამ ეტაპზე. ესაა პირველ ყოვლისა ტორეკტიკის ნიმუშები, კერძოდ №2 (ქალის) სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ფილა, შემკული ცენტრალური ვარდულის გარშემო განლაგებული ნუშისებური ბურცოებითა და ლოტოსის ყვავილებით. ის ზოგადად ირანულ სამყაროს უკავშირდება და გვიანაქემენიდური ხანით თარიღდება. აღსანიშნავია ორმაგპროტომიანი კაპიტელის აღმოჩენა.

იმპორტულ ნაწარში გარკვეულ ჯგუფს ქმნის ნახევრადმეორეხანა ქვები – სარდონი, აქატა, გიშერი, ქარვა, რომელთაგან მძიმეები მზადდებოდა ადგილობრივ. შემოტანილი ჩანს მინისა და მთის ბროლის მძიმეებიც – პოლიქრომიული და ერთფერი (გიგოლაშვილი 1983: 96-112, კატ. №№424, 426, 428-430, 433-437, 444, 446-448 451-457 და შემდ.).

დიდ ინტერესს იწვევს ვანში (სამარხი №9) ფილიპე II-ის (ძვ. წ. 359-336) სტატერის აღმოჩენა, რადგან, სხვა რომ არა იყოს რა, ის ერთადერთია მთელი საქართველოს მასშტაბით (დუნდუა, ლორთქიფანიძე 1977: 121, კატ. №25, სურ. 114). სირაკუზის ტირანის ჰეირონის (ძვ. წ. 275-216) ნახევარსტატერი ჩვენში უნიკალური აღმოჩენების რიცხვს განეკუთვნება. თითო ნიმუშითაა წარმოდგენილი ვანის ნუმიზმატიკურ მონაპოვარში ალექსანდრე მაკედონელისა (ძვ. წ. 336-327) და ბიზანტიონში მოჭრილი ლისიმაქეს სტატერები (ძვ. წ. 306-282), თუმცა ასევე ცნობილია ამ ტიპის მონეტების სხვა დროს აღმოჩენის შემთხვევები ვანში (დუნდუა, ლორთქიფანიძე 1977: 121, 122, კატ. №29).

დიდად მნიშვნელოვანია ვანში აღმოჩენილი ბერძნული წარწერა ბრინჯაოს ფირფიტაზე. წარწერის აღმოჩენის კონტექსტი დაკავშირებულია ქალაქის ნგრევასა და, შესაბამისად, სტელის გატეხის დროსთან. პალეოგრაფიული კი მას ძვ. წ. IV ს-ის მიწურულსა და III ს-ის დასაწყისს აკუთვნებენ. სტელის შუა ნაწილის ფრაგმენტი გვაქვს ხელით, რომელზეც წარწერის 28 სტრიქონის ნაწილებია შემორჩენილი. რაც შეეხება წარწერის ხასიათს, ის მიეკუთვნება საზოგადოებრივი დოკუმენტების რიგს. თ. ყაუჩიშვილი წარწერას ძვ. წ. III ს-ით ათარიღებს და ტაძრის საკანონმდებლო აქტად მოიხსენებს.

კარიბჭის კომპლექსი განლაგებულია ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში. ის შედგება დიპილონის ტიპის კარების, მასზე მიშენებული სამლოცველოს, ორი (ოვალური და მრავალკუთხა) კოშკისა და მათ შორის არსებული კურტინისაგან. ის რუსტებიანი, კარგად გათლილი ქვებითაა ნაგები. წყობა ფსევდო-ისოდომეური, პერანგული. კედლის შიდა და გარეთა პერანგებს შორის სივრცე შევსებულია უწყსრივად გათლილი სხვადასხვა ზომის ქვებით, რომლებიც ერთმანეთთან თიხითაა დაკავშირებული. აქვე დაფიქსირებული ხის ძელების ფრაგმენტებიც კი სასტრუქტურის მორისი და დახურვის არსებობის დამატურებულს უნდა იყოს – ე. ი. ორსართულიანი მაინც იყო ეს ნაგებობა. სამლოცველოს თიხატკეპნილი იატაკი აქვს. მის დასავლეთ კედელზე საკურთხეველია მიდგმული. სამლოცველოს იატაკზე შეწირულობა აღმოჩნდა: ადგილობრივით თიხის ჭურჭელი.

კარიბჭის ჩრდილოეთ კედელზე მიშენებულია კვარცხლბეკი, რომელზეც მარმარილოს ქანდაკება უნდა ყოფილიყო ჩამაგრებული. კვარცხლბეკის გვერდით, სამლოცველოს ჩრდილოეთ კედელზე, ბერძნული წარწერაა: „გვედრები, მეუფო ქალმერთო“. ყოველივე ზემოთაღნიშნული საფუ-

ძველსიძლევა იმის დასამტკიცებლად, რომ ქალაქის მზარევი ქალღვთაების მარმარილოს ქანდაკება იყო აღმართული ქალაქის შესასვლელთან (ყაუხჩიშვილი 1967: 253-258). ორმაგი კარები შედგება კატარაქტისაგან, რომლისთვისაც ჩრდილოეთ კედელში საგანგებო ნიშაა ამოკვეთილი, და ე. წ. ცოტა კარისაგან, რომლის საყრდენი გამოწვეული ბურჯის სახითაა გაფორმებული. ბურჯის შიდა კუთხეში შემორჩენილია კარის ჩასადგმელი ღერძისათვის განკუთვნილი ოთხკუთხა ფოსო. კარიბჭეს აღმოსავლეთით ოვალური კოშკი ედგმის, რომლის დასავლეთი ნაწილი მთლიანადაა მონგრეული. ოვალური კოშკი კურტანით ებმის მრავალკუთხა კოშკს. თავდაცვითი კედლის მიღმა გამოვლენილია ფაზარმა თუ არსენალი – წაგბრძელებული ნაგებობა, რომელიც კრამიტით იყო გადახურული.

კარიბჭის კომპლექსი და საერთოდ, მთელი სისტემა ქალაქის გამაგრებისა გარკვეულ მსგავსებას ავლენს ელინისტურ საფორტიფიკაციო სისტემასთან სამშენებლო ტექნიკისა და კონსტრუქციის თვალსაზრისით (ხომშტარია, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ლეჟავა 1972: 153-160, სურ. 99-117).

თავდაცვითი სისტემის ნაწილი გაითხარა ზედა ტერასის სამხრეთ კიდეზე საქვაბაის ღელის გაყოფაზე – სასიმაგრო კედლების ორი პარალელური რიგი, რომლებიც ერთმანეთს დაცილებული იყო არანაკლებ 5 მ-ისა; კედლებს შორის არსებული ტიხრები ქმნიდნენ სათავსოებს, რომლებიც კრამიტით იყო გადახურული (კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 14, სურ. 43, 46-56).

ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილი ნაგებობანი, რომლებიც ძვ. წ. III-I სს-ს მიეკუთვნება, საკულტო ან საზოგადოებრივი დანიშნულებისაა. ტერასის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში 3 სამშენებლო პერიოდი დადასტურებული. ადრეელინისტური ხანის რაღაც ნაგებობას, რომლის კედლებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მიეკუთვნება რიგის ქვებით მოკირწყლული იატაკის ფრაგმენტი (2,20X1,70 მ). ამ ნაგებობას ჰქონდა სხვადასხვაფერად შეღებილი ბათქაშის კედლები.

არხი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართება, 18 მ სიგრძისაა. ის იწყება საკულტოდ გააზრებული ორმოების ჯგუფიდან და გადადის საკურთხევის კედელზე. მისთვის კედელში განკუთვნილია დიაფორა დატოვებული. საკურთხევის ორმოვანი კედელი ფასადი კორინთული კაპიტელებით შემკული სვეტებით იყო გაფორმებული. საკურთხევე სვეტები მუხისა იყო, დაგვირგვინებული თეთრი კირქვის კაპიტელებით. აქ 3 კაპიტელი აღმოჩნდა, სამივე კორინთული ორდერისა. მათგან 1 ქალღვთაების მკერდზედა გამოსახულებითაა შემკული ოთხივე მხარეზე; დანარჩენ 2 სვეტისთავზე კი ქალის ბიუსტს ვარდულა ცვლის. საკურთხეველთან ორსაფეხურიანი კიბე იყო გამართული (ფუთურიძე 1986: 38-39). კაპიტელები ძვ. წ. II ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება (ყიფიანი 1983: 43).

ამ სახეიმი საკურთხევის სამხრეთ-აღმოსავ-



ქვედა ტერასის ნაგებობების ნაშთები

ლეთით 6 მ-ის დაცილებით გაითხარა ნაგებობა, რომელსაც ე. წ. მოზაიკურიატაკიანი ნაგებობა ეწოდებოდა. ეს ნაგებობა რამდენიმე სათავსოიანია. ყველაზე დიდ დარბაზში იდგა საკურთხეველი – ოვალურგანივკვეთიანი სვეტი (0,70 მ სიმაღლისა და 0,50 მ სიგანის), აღმართული ორი კვადრისგან შედგენილ ბაზისზე. არის მოსაზრება, რომ სვეტზე თავის დროზე ფილა იდო, ე.ი. საქმე გვაქვს ე. წ. მაგიდისებურ საკურთხეველთან. ტაძარში მდიდრული შეწირულობა აღმოჩნდა – კოლხური ქვევრი და 40-მდე ამფორა, 120 სპილენძის მონეტა, კისტოფორი, რკინის სასაკმეველე, ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელი. ტაძარი მეღვინეობა-მევენახეობის კულტს უკავშირდება (ლორთქიფანიძე 1972: 30-34, სურ. 120-143). ის ძვ. წ. I ს-შია დაანგრეული, აგებული კი უნდა იყოს არა უადრეს ძვ. წ. II ს-ის მეორე ნახევრისა (ხომშტარია, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე 1972: 179).

ქალაქის არსებობის უკანასკნელ საფეხურს მიეკუთვნება ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში გათხრილი 12-საფეხურიანი საკურთხეველი, საგანბური და მრგვალი ნაგებობა. ნაგებობის გარე დიამეტრი 17,5 მ-ის ტოლია, ხოლო შიდა – 16 მ. ივარაუდება, რომ ნაგებობა მთლიანად ქვისა იყო (ფირცხალავა, ყიფიანი 1986: 53, სურ. 34). ნაგებობიდან ორიოდე მ-ის დაცილებით განლაგებულია 2 სამსხვერპლო. მრგვალი ნაგებობისა და სამსხვერპლოების თარიღი ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ. წ. II ს-ის პირველ ნახევარს შორის თავსდება (ფირცხალავა, ყიფიანი 1986: 53-55, სურ. 35, 36). საკურთხევის განმთსაცავი – თიხით შეღესილი ხის ნაგებობა, კვადრატული გეგმისა (5X5 მ) – შეიცავდა შეწირულობებს: თიხის ჭურჭელს, მათ შორის თიმიატერიონებს; 150-მდე საწაფს; 2 კვირისტავს; მრავალრიცხოვან მძივებს, რომელთა შორისაა გაუმჭვირვალე ლურჯი მინის, ოქროფენილი, თვალეპიანი, აგრეთვე სარდინის; რკინის იარაღს (3 შუბისპირს, 3 სატევარს), ფარის ბრინჯაოს უმბონებს; ბრინჯაოს სარკეს; ვერცხლის მონეტას (პართულ დრაქმას ოროდ II-ისა – ძვ. წ. 57-38/37); აბოლონის ვერცხლის მცირე ზომის 2 ქანდაკე-

ბას; ვერცხლის მოოქრულ ემბლემას ქალღმერთის პორელიეფური გამოსახულებით; ოქროს 2 ფირფიტას ქალღმერთის გამოსახულებით. განმოსაცავი საკურთხეველთან ერთად უნდა დანგრეულიყო ძვ. წ. I ს-ის შუახანებში (ფირცხალავა, ყიფიანი 1986: 63-78, სურ. 48-58).

ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილი მრგვალი ტაძარი ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევარში უნდა აღემატათ ადრე არსებული სწორკუთხა შენობის საფუძველზე. მრგვალი ტაძრის დმ 10 მ-ია (შიდა დმ – 5,40 მ), კედლების სისქე 2,40 მ-ს აღწევს (ლორთქიფანიძე, ფუთურიძე 1972: 201, სურ. 157). ე.წ. აფსიდიანი ნაგებობა, რომლის საძირკველი თირის ქვათილილებითაა ამოყვანილი, სწორკუთხა სათავსოა და ნახევარწრიული მინაშენისაგან შედგება. სტრატეგრაფიული მონაცემებით, ის აგებულია ძვ. წ. IV ს-ის მიწურულს, ან III ს-ში და დანგრეულია ძვ. წ. II ს-ის დასაწყისში (ლორთქიფანიძე ... 1976: 25).

მრგვალი ტაძრის (გარე დმ 10 მ, შიდა დმ 5,4 მ) ადგილას წინა პერიოდში სწორკუთხა ნაგებობა იდგა, რომლის საძირკველი ამ გვიანდელი ნაგებობისთვის გამოყენებიათ. მრგვალი ტაძარს უნდა უკავშირდებოდეს ტრაპეციის ფორმის ფილები (10-12 სმ სისქის), რომლებსაც კვსონური გადახურვის ელემენტებად მიიჩნევენ (ლორთქიფანიძე 1972: 36). ამავე პერიოდს მიეკუთვნებოდა ნაგებობა, უდავოდ სატაძრო ხასიათისა, რომლისგან მხოლოდ დეტალებია შემორჩენილი, როგორცაა დეკორატიული ლომის თავი და წვიმის წყლის სადინარი სიმის დამაგვირგვინებელი ლომის თავები.

ძვ. წ. II-I სს-ს მიეკუთვნება ალიზის კედლებიანი ნაგებობა ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ქვით შემორჩენილი ზღურბლი გამოიკვეთა. ნაგებობა ალიზის ტიხრით ორ ნაწილადაა გაყოფილი. მის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა 40 კოლხური ამფორა. ზოგიერთ მათგანში ხორბლისა და ფეტვის ნაშთები დაფიქსირდა.

ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილია რვაკუთხა კოშკი (დმ 13 მ) და კურტიანის ერთი მონაკვეთი, რომლებიც ქალაქის ისტორიის უკანასკნელ ეტაპს მიეკუთვნება. კურტიანა შედგება ძირითადი კედლისა და 2 ტიხრისაგან (სიგრძე 3,80 მ; 4,10 მ). ტიხრებს შორის სივრცე ყვითელი თიხნარით არის ამოყვებული (ახველიანი 2003: 8, ტაბ. III).

ზედა ტერასაზეც არის გამოვლენილი ქალაქის ისტორიის უკანასკნელ ეტაპთან დაკავშირებული ძეგლები. უპირველეს ყოვლისა, ესაა საფეხურებიანი საკურთხეველი – ქვათილილებით მოგებული სწორკუთხა მოედანი, რომელსაც აღმოსავლეთიდან ზუსტად შუაში ედგებოდა 8-საფეხურიანი კიბე. სტრატეგრაფიული მონაცემებით საკურთხეველი აგებულია არა უადრეს ძვ. წ. III ს-ის დასასრულისა ან II ს-ის დასაწყისისა. კიბეებიანი საკურთხეველი დანგრეულია ქალაქის სხვა ნაგებობებთან ერთად ძვ. წ. I ს-ის შუახანებში. საკურთხეველის ადგილზე

დადასტურდა უფრო ადრეული ნაგებობის ნაშთები ბუდეებისა და კედლის ფრაგმენტის სახით (კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 21-23, სურ. 69-96).

ქალაქის ისტორიის გვიანდელ ეტაპს განეკუთვნება რამდენიმე მცირე ზომის ნაგებობა ზედა ტერასაზე. ერთი მათგანია თითქმის კვადრატული (4,2X4,6 მ) ნაგებობა №2, რომელიც საფეხურებიანი საკურთხეველის ჩრდილოეთით 0,85 მ-ის დაცილებით გაითხარა. ნაგებობა ქვიშაქვის ფილებით; გამოყენებულია უფრო ძველი ნაგებობის კვადრებიც. ქვის კედლებზე ამოყვანილი ყოფილა ალიზის აგურის კედელი. №2 ნაგებობა გადახურული ყოფილა ბრტყელი და ღარიანი კრამიტით (კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 23, 24, სურ. 70, 91). ამავე ხანისაა ნაგებობა №3, რომელიც ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ის ნაგებობა თლილი ქვით, ორსათავსოიანია, თხაბტყეპნილი იატაკი აქვს. ივარაუდება, რომ ეს ნაგებობა უფრო ძველის თავზე იყო აგებული (კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 24, სურ. 97, 98).

ქალაქის ისტორიის უკანასკნელი პერიოდის მასალა წარმოდგენილია არქიტექტურული ძეგლებით, კულტურული ფენებით.

ადგილობრივ კერამიკული ჭურჭლის მცირე ჯგუფს ქმნის საკულტო დანიშნულების ჭურჭელი: თიმი-ატერიონები და რიტონისმაგვარი ჭურჭელი, რომლებიც ძვ. წ. II-I სს-ის ფენებსა და კომპლექსებშია აღმოჩენილი (ფირცხალავა 2003: 86-97).

უნდა ვიფიქროთ, რომ ქალაქი შემკული იყო ბრინჯაოს ქანდაკებებით და, შესაძლოა, მთელი კომპოზიციებით. ბრინჯაოს ქანდაკებების ფრაგმენტები მრავლადაა აღმოჩენილი ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში. ფრაგმენტების რაოდენობა ათასამდე აღწევს. მათ შორისაა ადამიანის სხეულის ნაწილები (მხრისა და მკლავის, ფაფარნი ჩაფრენილი მარცხენა ხელის მტევანი, მარჯვენა ხელის მტევანი, ცერი, კულულები), ასევე ცხოველთა ნაწილები (ყურები, ცხენის ჩლიქები, გველის თავი და ტანი), დრაპირების ფრაგმენტები, მოოქრული ფირფიტები, ე. წ. ჩასართები (ბრინჯაოს სხმული ქანდაკების ზედაპირზე არსებული დეფექტების დასაფარავად) (ფირცხალავა, ყიფიანი 1986: 60-63, სურ. 43-46). ბრინჯაოს ქანდაკებებს შორის გამოირჩევა ჭაბუკის ტორსი, რომელიც ძვ. წ. I ს-ის შუახანების ნანგრევებს შორის აღმოჩნდა, ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე. ის ადგილობრივ უნდა ყოფილიყო ჩამოსხმული ძვ. წ. II ს-ის დასასრულს, ან I ს-ის დასაწყისში (ლორთქიფანიძე 1991: 189-191).

რკინის ნაწარმის ერთ ჯგუფს ქმნის საბრძოლო იარაღი. ცენტრალურ ტერასაზე ორ ნაგებობას შორის მდებარე თიხნარ ფენაში აღმოჩნდა რკინის ურნალის პირი. ქვედა ნაგებობა ძვ. წ. IV-III სს-ით თარიღდება, ის II ს-ის დასასრულსაა დანგრეული; მეორე ნაგებობა (ე. წ. მოზაიკურიატაკიანი) ძვ. წ. I

ს-ის შუახანებშია დანგრეული. ურნალის პირი 1,04 მ სიგრძისაა.

რაც შეეხება თავდაცვით იარაღს, მრავლად გვხვდება განსახილველი ხანის ფენებსა და კომპლექსებში ე.წ. ქერცლისებური ბექტორის ფირფიტები, რკინისა და ბრინჯაოსი. ამგვარი ბექტორის ფრაგმენტები უკვე აღმოჩენილია ხანის ფენაშია აღმოჩენილი (ლორთქიფანიძე გ. 1976: 167-184, სურ. 134-139).

დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ამ პერიოდის ნანგრევებსა თუ კულტურულ ფენებში ჭურვები. მათი ნაწილი დამზადებულია ადგილობრივი ბიოტიტური ტუფისაგან, რომლის კარიერი ვანისგან მოშორებით მდებარე სოფელ მიქელეფონთან უნდა ყოფილიყო. ჭურვების უმეტესობა ძვ. წ. I ს-ის ფენებშია აღმოჩენილი. უკანასკნელ წლებში დიდი რაოდენობით ჭურვები (რიყის ქვისა) აღმოჩნდა ზედა ტერასაზე ასევე ნგრევის ფენაში.

საშურდულე ქვები (რიყის ქვები, 4-6 სმ დმ-ის) დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი კარიბჭის კომპლექსში. რამდენიმე ათეული მრგვალი კენჭი დაახლ. 5 სმ დმ-ისა აღმოჩნდა №3 სამარხთან გამოვლენილ კრემაციულ მოედანზე.

იშვიათი აღმოჩენების რიგს განეკუთვნება სამეურნეო იარაღი, პირველ ყოვლისა სახნისის მსგავსი იარაღი. სამჭედლო იარაღიც არის ვანში აღმოჩენილი, კერძოდ, რკინის მარწუხი (სიგრძე 58 სმ) ძვ. წ. I ს-ის ნგრევის ფენაში (ლორთქიფანიძე გ. 1976: 184-187, სურ. 140,2-3, 141).

არქიტექტურული დეტალებიდან ყურადღებას იმსახურებს კირქვის აკროტიერიუმი, შემკული მცენარეული ორნამენტით (ჭყონია 1986: 95-96).

ამ ეტაპის იმპორტული ნაწარმი წარმოდგენილია ამფორებით, მხატვრული კერამიკით, წითელლაკიანი ნიმუშებით, ტორევეტიკის ძეგლებით.

კერამიკული ტარა გვხვდება როდოსის, სინოპის, თასოსის, კნიდის, კოსის ამფორების სახით. ამ ეტაპზე სინოპური ამფორების დამლევი წარმოდგენილია II, III და V ქრონოლოგიური ჯგუფების ნიმუშებით (ფუთურიძე 1983: 21, 22, კატ. №52-60, სურ. 5). როდოსის ამფორების ფრაგმენტებს შორის (ფუთურიძე 1983: 13-14, კატ. №60-83, სურ. 5-8) არის დამდიანი ყურებიც. უძველესი დამლა ძვ. წ. 280-275 წწ. თარიღდება. დამლების უმრავლესობა კი ე. წ. პერგამონული კომპლექსის ჯგუფს ეკუთვნის (ძვ. წ. 220-180). კნიდის ამფორები ძვ. წ. III-II სს-ის ძირებითაა უპირატესად წარმოდგენილი, ერთი დამდიანი ყურია მხოლოდ (ფუთურიძე 1983: 15, კატ. №84, 85, სურ. 8, 10). კოსის ამფორები წარმოდგენილია როგორც ძვ. წ. IV-III სს-ის, ასევე უფრო გვიანდელი (ძვ. წ. III-I სს-ის) ნიმუშებითაც (კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 19, სურ. 64, 67, კატ. №405-407; ფუთურიძე 1983: 15, კატ. №92-94, სურ. 10). ორად-ორი ფრაგმენტი, სავარაუდოდ, მიეკუთვნება ძვ. წ. III ს-ის ქერსონესულ ამფორებს (ფუთურიძე 1983: 26, კატ. №99-100). ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია ძვ. წ. II-I სს-ის იტალიკური ამფორების ფრაგმენტებიც (კა-

ჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 19, სურ. 66, კატ. №403). ძვ. წ. IV ს-ს მიეკუთვნება ქიოსური ამფორის ერთი ძირი (ფუთურიძე 1983: 10, ტაბ. I2, კატ. №17).

მართალია, განსახილველი პერიოდის მხატვრული კერამიკა იმპორტის მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნის, მაგრამ მასში გაერთიანებულია იმ დროისთვის დამახასიათებელი თითქმის ყველა სახეობა, რომლებიც გამოიყოფა მცირეაზიური, პერგამონული, დელოსური, ატიკური, და ბოსფორული ნაწარმით (მათიაშვილი 1983: 51-53, კატ. №184-252, სურ. 22-25). სადა შავლაკიანი კერამიკა ასევე მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნის. მასში გაერთიანებულია მხოლოდ სუფრის ჭურჭელი – თანგრები, რომელთა შორისაა იხთიები, ჯამები, თევშები, თასები. მათში გამოიყოფა ატიკური, მცირეაზიური და პერგამონული ნაწარმი (მათიაშვილი 1983: 60-63, კატ. №253-75, სურ. 26-33).

ელისისტური ხანის იმპორტულ კერამიკაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი წითელლაკიან კერამიკას უჭირავს. მასში ორ ჯგუფს გამოყოფენ: პირველ ჯგუფში აერთიანებენ ჩალისფერკეციან წითელლაკიან კერამიკას, რომელიც უპირატესად ლანგრებითა და ნახევარსფერული თასებითაა წარმოდგენილი. არის აგრეთვე რელიეფური კერამიკაც, ყალიბში დამზადებული. ჩალისფერკეციან წითელლაკიან კერამიკას უკავშირებენ ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს და ვანში მის შემოტანას ძვ. წ. II ს-ის დასაწყისსა და ძვ. წ. I ს-ის დასაწყისს შორის პერიოდში ათავსებენ. ვანში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკის მეორე ჯგუფი – წაბლისფერკეციანი კერამიკა – პირველთან შედარებით გაცილებით მრავალრიცხოვანია და, ამავე დროს, მრავალფეროვანაც. წამყვანი კერამიკული ფორმებია ლანგრები და ნახევარსფერული თასები, ორყურა ჯამები; გვხვდება აგრეთვე ამფორისკოსები და დოქები. ივარაუდება მეორე ჯგუფის წითელლაკიანი კერამიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრიდან მომდინარეობა. ეს ჯგუფი გვიანელისტურ ხანას მიეკუთვნება (მათიაშვილი 1976: 91-102, სურ. 123-129).

იმპორტულ ნაწარმს შორის აღსანიშნავია ტერაკოტები, რომლებიც თავს იჩენს კულტურულ ფენებში. მათ შორის ყურადღებას იქცევს დიონისეს ნიღბის ნაწილი. აღმოჩენილია ნიღბების ცალკეული ფრაგმენტებიც – ყურძნის მტეხილი, თმის, ცხვირის ჩამონატეხები, აგრეთვე ყმაწვილი დიონისეს გამოსახულებიანი ნიღბის ფრაგმენტი. სხვა ტერაკოტებიდან, რომლებიც ძვ. წ. III-I სს-ის ფენებიდან მომდინარეობს, აღსანიშნავია მაღალ თავსაბურავიანი ლემეტრეს წრის ქალღმერთის თავი (რამიშვილი 1976: 191-204, სურ. 145-150).

მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნის იმპორტული ოქროს ნივთები – პერაკლეს კვანძის გამოსახულებიანი 2 პოლიქრომიული ბალთა და რქებიანი ლომის თავებით დაბოლოებული ძეწკვი. სამივე სამკაული ძვ. წ. III-II სს-ით თარიღდება (ჭყონია 1983: 86-



ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების ხედი

88, კატ. №№399-401, სურ. 38). იმპორტულ ნაწარმად მინეული ფირფიტა (ქურუმის გვირგვინის შემადგენელი ნაწილი), რომელიც ხარის თავის გამოსახულებით არის შემკული (მათიასვილი 2003: 59, 60, ტაბ. I).

მცირერიცხოვანი ჩანს შემოტანილი ტორვეტიკული ნაწარმი. მათგან აღსანიშნავია ბრინჯაოს ჭურჭელი ცენტრალური ტერასის ტაძრიდან, შემკული დიონისეს წრის ღვთაებების პორელიფეური თავებითა და ნიკეს ქანდაკებებით. ისინი ძვ. წ. II ს-ის 60-იანი წლების შემდგომი ხანით თარიღდება (ხოშტარია, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე 1972: 177, სურ. 129).

რაც შეეხება მონეტებს, ვანში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მინაბადები ძვ. წ. II ს-ზე ადრეულბად არაა მინეული. ლისიმაქეს სტატერების 2 მინაბადია ვანში აღმოჩენილი (დუნდუა, ლორთქიფანიძე 1977: 122, კატ. №29). ამ პერიოდის ვერცხლის მონეტებს შორის ყველაზე ადრეულია ე. წ. ახალი სტილის ათენური ტეტრადრაქმა, მოჭრილი ძვ. წ. 125-124 წწ. ათენური ტეტრადრაქმები ძვ. წ. 120 წ-მდე ინტენსიურად მიმოიქცეოდა მცირე აზიაში და ვანში აქედანვე შემოსულად არის მიჩნეული (დუნდუა, ლორთქიფანიძე 1977: 124). ვანში კაპადოკიური მონეტებიცაა აღმოჩენილი (დუნდუა, ლორთქიფანიძე 1977: 124, კატ. №№36-41). რომის რესპუბლიკის ხანის რომაული მონეტები წარმოდგენილია 2 დენარით, რომლებიც მოჭრილია ძვ. წ. 119-110 ან 90-80 წლებში, და 1 კვინარუსით (ლორთქიფანიძე, დუნდუა 1977: 124, კატ. №№42, 43, 216). პართიული მონეტების ცირკულაციაც ხდებოდა ვანში – სინათუქის (ძვ. წ. 77-70) დრაქმაა აღმოჩენილი. სპილენძის მონეტები წარმოდგენილია პონტოს ქალაქების (უპირატესად ამისოს) მონეტებით (დუნდუა, ლორთქიფანიძე 1977: 124-125, კატ. №№43-213). სპილენძის ანონიმური მონეტები სტილიზებული ლოტოსისა და რვაქმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით ვანში მოჭრილად ითვლება ძვ. წ. 83-80 წლებში მითრიდატე უმცროსის მიერ. ასეთი 122 მონეტაა აქ აღმოჩენილი. წარმოდგენილია უკინენსი ნომინალებით – ხალკითა და ჰემისალკით (დუნდუა, ლორთქიფანიძე 1977: 126-127, კატ. №№92-213).

ამ ეტაპზე გრძელდება ბერძნული კულტურის გავლენა სამშენებლო საქმეში (კრამიტები ბასილიკეს წარწერით, სამშენებლო ქვების დაშუშავება რუსტირებით), კერამიკულ წარმოებაში (ამფორების, იხთიების დამზადება). თუმცა ამჟამად, რომ ამ ეტაპზეც ბერძნული გავლენა უფრო ეხება საზოგადოების ელიტას და არ მოიცავს ფართო მასებს. ამას უნდა მოწმობდეს პირველ ყოვლისა გრაფიტოების სიმცირე.

ვანის ანტიკური ხანის ნაქალაქარი სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტებთან არის გაიგივებული: აიასთან (კაკაბაძე 1959ა: 65 და შემდგ.), სურიუმთან (ხოშტარია 1960: 47), კუტაიასთან (ბონოჩაძე 1967: 547-552), ლეკოთეასთან (ლორთქიფანიძე 1972: 38; 1972ა). აქედან ყველაზე ფართოდ მიღებულია იგივეობა სტრაბონთან (XI, 2, 17) მოხსენიებულ ლეკოთეასთან (ლორთქიფანიძე 1972: 38).

ძვ. წ. I ს-ის შუახანებში ქალაქის დანგრევის შემდეგ, როგორც ჩანს, ცხოვრება აქ მაინც არ შეწყვეტილა საბოლოოდ. ნაქალაქარზე აღმოჩენილია გვიანნატიკური ხანის მასალები. პირველ ყოვლისა ესაა მონეტები – მარკუს ავრელიუსის (ახ. წ. 161-180) რომაული დენარი და კარაკალას სახელით 197 წ. კესარიში მოჭრილი დრაქმა (დუნდუა, ლორთქიფანიძე 1977: 127, კატ. 218, 219). გვიანანტიკური ხანისაა ბრინჯაოს სარკოფაგში ჩადებული ქვაყუთი. ქვაყუთის ზომებია: 0,61X0,58X0,41 სმ (ხოშტარია 1979: 133-135, სურ. 18-25).

ადრე შუა საუკუნეების ძეგლებს მიეკუთვნება ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა, რომელიც ნაქალაქარის ზედა ტერასაზეა გათხრილი. ქურა მრგვალია (დმ 2,15 მ), 1 მ სიმაღლის. საცეცხლე არხი, რომელიც ქურის შუაგულიდან იწყება, 3,75 მ სიგრძისაა. ის ელინისტური ხანის ბრტყელი კრამიტების ნატეხებითაა შემოშენებული და თიხით გალესილი. ქურაში აღმოჩნდა წითელკეციანი ქვევრების ფრაგმენტები. გამოირჩევა მასური, სამკუთხა განივკვეთიანი პირის გვირგვინები, რომელთაგან ერთზე ჯვარია გამოტვიფრული. ქურა უკვე არსებულ ქვაყრღში იყო გამართული. მას ჩაჭრილი ჰქონდა ადრეანტიკური ხანის ფენები. არქეომაგნიტური მეთოდით ქურის შელესილობის ფრაგმენტები ახ. წ. VII ს-ს მიეკუთვნა (კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 9, სურ. 9-16).

განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებიც არის ვანში აღმოჩენილი. ესენია: მეომრის სამარხი, ეკლესია და უინვენტარო სამარხები; საკირე ქურა. მეომრის სამარხი, რომელიც X ს-ით თარიღდება, კლდეში ნაკვეთ ორმოშია გამართული (0,75X1,5 მ). ინვენტარი წარმოდგენილია იარაღით (რკინის მახვილი, ისრისპირები, შუბისპირები, დანა) და სამკაულით (რკინის აბზონები, ვერცხლის საკიდი, ოქროს ფირფიტით დაფარული) (ხოშტარია 1979: 133, სურ. 8).

ვანის ქვეყანაში სხვადასხვა პერიოდის არაერთი ძეგლია გამოვლენილი. დაბა ვანის დაბლობ ნაწილში, ადგილ საყანჩიაზე, გამოვლენილია ელინისტუ-

რი ხანის ნამოსახლარი (ლიჩელი 1977: 52-57, სურ. 21-24; 1991); ვანის ჩრდილო-დასავლეთით 3-4 კმ-ის დაცილებით სოფელ ციხესულოში გაითხარა შუა საუკუნეების ნაციხარი, სადაც ელინისტური და ადრეანტიკური ხანის მასალამაც იჩინა თავი (მიწიშვილი 1976: 32-47, სურ. 53-65).

ვანის დასავლეთით გკმ-ზე, სოფ. მთისძირში, ადგი-შიველების გორაზე არქეოლოგიურად გაითხარა ძვ. წ. VI-ახ. წ. VIII სს. ნამოსახლარი (ნაგებობები, სამარხები) (გამყრელიძე 1982: 29-121).

ვანში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი და ოთ. ლორთქიფანიძის სახ. ვანის არქეოლოგიური მუზეუმი). ქვის ჭურჭლები დაცულია ნ.ბერბერიშვილის სახ. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია: ახვლედიანი 2003; პოხოჩაძე 1967: 547-552; გამრეკელი 1979; გამყრელიძე 1977: 58; გამყრელიძე 2010: 93-96; გამყრელიძე 1982: 29-45; გამყრელიძე 2010ა: 176-189; გიგოლაშვილი 1983; 2003; გიგოლაშვილი, კაჭარავა, ფირცხალავა, ფუთურიძე, ჭყონია 1979; დუნდუა, ლორთქიფანიძე 1977; ვინოგრადოვი 1997: 577-601; თავაძე, საყვარელიძე, ინანიშვილი 1976; თოლორდავა 1977; 1983; 1983ა; 1986: 79-92; 2001: 37-47; კაკაბაძე 1959ა; კაჭარავა 1977; 1983; 1983ა; კაჭარავა, მკავანაძე 1986: 9-33; კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 7-37; ლიჩელი 1977; 1991; ლორთქიფანიძე გ. 1972: 135-146; 1976; ლორთქიფანიძე 1976; 1976ა; ლორთქიფანიძე 1972; 1972ა; 1977; 1977ა; 1983; 1990; 1991: 151-153; ლორთქიფანიძე ... 1974; 1974ა; 1978: 64-75; 1979: 137-149; 1980: 146-155; 1981: 111-119; 1981ა; 1982: 80-86; 1982ა: 40-44; 1984: 50-53; 1985: 46-48; 1986: 37-40; 1987: 51-55; 1991: 70-74; 1995: 93-100; 1997: 70-76; ლორთქიფანიძე, მიქელაძე 1972: 96-110; ლორთქიფანიძე, ფუთურიძე 1972: 186-197; ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, თოლორდავა, ჭყონია 1972: 198-242; მათიაშვილი 1976: 1977; 1983; 2003; მიწიშვილი 1976; რამიშვილი 1976; ფირცხალავა 1983; 2003; ფირცხალავა, ყიფიანი 1986: 52-78; ფუთურიძე 1976; 1983; 1986: 34-51; ფუთურიძე, ხოშტარია, ჭყონია 1972: 111-134; ქვ 4: 428,22; 747,11; 751,4,11,12; 772,7; 773,5; 821,24; 847,14; ყაუხჩიშვილი 1967ბ; ყიფიანი 1983; ჩარკვიანი 2002ა: 57-61; ჭყონია 1976; 1977; 1983; 1986: 93-115; ხოშტარია 1972: 81-95; 1977; 1979; ხოშტარია, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე 1972: 175-185; ხოშტარია, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ლექავა 1972: 147-174.

საჩხმომო (ქვ 4: 449,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 449,13; 752,18,21; 760,1,11,13,15; 836,3; 858,3; 888,19,22), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქვ 2: 442,19), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 136,36, 162,28, 176,25-27, 186,1,6),

იოპან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 299-301), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 393), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ისტ. დოკ. 1953: 28, 30, 31; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. 1953: 92, 94, 95, 98, 101, 115, 123, 124, 149; მასალები საქ. ისტ. კეოგ. 1964: 189; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 324; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 924), ვახუშტი ბაგრატიონი საჩხერის შესახებ გადმოგვცემს: „ჯრუჭის შესართავს ზეით, ყვირილას სამხრით კიდევად, არს საჩხერე. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ“ (ქვ 4: 760,9-11).

მდებარეობს ზემო იმერეთში, მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე, ქ. საჩხერის ტერიტორიაზე.

გვიან შუა საუკუნეებში საჩხერე წარმოადგენდა წერეთლების სათავადო ცენტრს. XII ს-ში ზემო იმერეთის ტერიტორია რაჭის ერისთავს ეკუთვნოდა. XVII ს-ში აქ გაძლიერდა აბაშა აბაშიძე. XVIII ს-ში აბაშიძეთა გავლენა დაეცა და გაძლიერდა საჩხერელი წერეთლების შტო, რომლის წარმომადგენელს, პაპუნა წერეთელს მიაწერს ლეგენდა მოდინახეს ციხის აგებას 1710 წლისათვის. 1614 წ. შაჰ-აბასისაგან ღვენილ ქართლ-კახეთის მეფეებს თეიმურაზ I-ს (1606-1648) და ლუარსაბ II-ს (1606-1614) საჩხერეში, წერეთლების სასახლეში შეხვდა იმერეთის მეფე გიორგი III (1605-1639). 1695 წ. ქართლის მეფე გიორგი XI (1676-1688, 1703-1709) მივიდა საჩხერის წერეთლების სასახლეში (ქვ 2: 442,19). 1738 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრე V-მ (1720-1740, 1741-1752) მოინდომა საჩხერისა და მისი ციხის „მოდინახეს“ ხელში ჩაგდება, რისთვისაც პაპუნა წერეთელი და მისი სიმამრი დავით აბაშიძე ვარციხეში მუხანათურად დახლცა, მაგრამ საჩხერე თავისი ციხით ისე გაამაგრეს პაპუნას ძემ და სახლიკაცებმა, რომ მეფემ ის ვერ აიღო (სოსელია 1981: 102). 1766 წ. წულუკიძეებისა და აბაშიძეებისაგან შევიწროვებული და თურქთაგან ღვენილი იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784) თავს აფარებდა საჩხერეში, წერეთლების ციხესიმაგრეში (სოსელია 1981: 104, სქ. 121). 1790 წ. საჩხერეში წერეთლებთან, მოდინახეს ციხეში თავს აფარებდა იმერეთის მეფე სოლომონ II (1789-1810).

საჩხერესა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალი საინტერესო ძეგლია გამოვლენილი. XIX ს-ის 70-იან წლებში საჩხერის მუნიცი-ის შემთხვევით აღმოჩენებს ყურადღება მიაქცია დ.წერეთელმა (აკ. წერეთლის ძმამ). 1904 წ. სოფ. არგვეთში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ქამრის ოთხკუთხა ბალთა (12X12 სმ). მასთან იყო ცხენის თავებით შემკული ბრინჯაოს სამკაული და დღემისებური რგოლი. ბალთა დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). (ქორიძე 1961: 85; კოლ. №2-36). 1909 წ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ილ.გამყრელიძემ გადასცა საჩხერეში

აღმოჩენილი სპილენძის ცული. 1910 წ. საჩხერეში გ.გამყრელიძის ვენახში აღმოჩნდა სპილენძის ნივთები. აღმოჩენის ადგილი იმავე წელს შეისწავლა ექ.თაყაიშვილმა. ნივთები მომდინარეობდა ქვაყრილიანი ყორღანიდან. ქვაყრილში გამოვლინდა შავზედაპირიანი, ვარდისფერსარჩულიანი კერამიკის ფრაგმენტები. სპილენძის ნივთები შედგებოდა: 8 სპილენძის ცულის, 8 სპილენძის დანის, 5 სპირალური სამაჯურის, 2 ფირფიტოვანი სამაჯურის, 1 ფიბულის, ქინძისთავების რგოლების, სამაჯურის ნატეხების, სპილენძის 6 კვერცხისებრი საკიდისა და სხვადასხვა საკიდისაგან. ექ.თაყაიშვილმა აღნიშნული ნივთები სპილენძის ხანით დაათარღლა და აღნიშნა, რომ ის წინ უსწრებდა უბანურ კულტურას (თაყაიშვილი 1913: 167-172). ნივთები გადაეცა კავკასიის მუზეუმს. საჩხერის ტერიტორიიდან აღსანიშნავია შემთხვევით მოპოვებული ბრინჯაოს ერთწილადი ფიბულა (ქორიძე 1961: 120). 1938 წ. სოფ. კალვათაში აღმოჩნდა ვანძი, რომელიც შედგებოდა ბრინჯაოს 6 თიხის, 2 „კოლხური ცულის“, 1 „აღმოსავლურ-ქართული ცულის“, 20 კგ. ბრინჯაოს ზოდებისაგან (დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში). 1950 წ. სოფ. საირხეში აღმოჩნდა კირქვაში გამოქანდაკებული ლომის თავი. 1951 წ. სოფ. დარყაში აღმოჩნდა ბრინჯაოს ქანდაკებები ცხოველის ფიგურების გამოსახულებით (ცხენი, თხა) და ბრინჯაოს რგოლი (ქორიძე 1961: 118). სოფ. ქორეთში, სხვადასხვა უბანში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები: 1952 წ. შარვაძეების უბანში მასრაგახსნილი შუბისპირი ბრინჯაოსი, სკვითური ისრისპირები (2ც), ორწილადი ბრინჯაოს ფიბულა, კოლხური ცულის იმიტაცია, ბრინჯაოს რგოლი. 1957 წ. „ოთხზიარას“ ფართობში დანგრეულ სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს 2 ტარშეურჩენელი სატევარი, მასრაშეკრული შუბისპირი, 2 თავხვია საკინძი, ქამრის ბალთა, საკიდი, წვრილი მავთულის სამაჯური, 22 სხვადასხვა ფორმის ნაპობი სარდლიონის მძივი. 1956 წ. სოფელში აღმოჩნდა ბრინჯაოს სატევარი (ქორიძე 1961: 13-15). სოფ. ღურევიში, ადგილ „ნავენახარში“ ნაპოვნია სხვადასხვა ეპოქის იარაღი და სამკაული (კოლ. №27-44), ბრინჯაოს 2 შუბისპირი, 4 ხელშუბისპირი, სატევარი, კოლხური ცული, სპილენ-



საჩხერე დიუბუა დე მონპერეს მხედვით

ძის ყუამილიანი ცულები, გრძელი თ-ს მაგვარი საკინძები და სხვ. (ქორიძე 1961: 7-36). 1954 წ. სოფ. პერევიში აღმოჩნდა ვანძი (კოლ. 13-54), რომელიც შედგება 2 ბრინჯაოს „კოლხური ცულისაგან“ და 1 „აღმოსავლურ-ქართული“ ცულისაგან, მასური რგოლისაგან. სოფ. ჯრიაში აღმოჩნდა ბრინჯაოს თიხი (ქორიძე 1961: 37-78). 1955 წ. ჭალაში ხიდის მშენებლობისას გამოვლინდა ბრინჯაოს კვერთხი, დამუშავებული რქის ძირი, თიხის სასმისი. შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს 2 რგოლი, ოთხბურთულათაყიანი საკინძი, მინის 6 მძივი. 1956 წ. საირხეში, ადგილ სახოველში მეწყრით ჩამოხვავებულ ფენაში აღმოჩნდა ირმის 2 სქემატური ქანდაკება, 2 ზარაკი, ზანზალაკი, სპირალური ხვია. 1957 წ. სოფ. სპეთში აღმოჩნდა ცხოველის თავის ქანდაკება დიდრონი რქებით. საჩხერის მუნიციპ-ში შემთხვევით აღმოჩენილია 7 ბრინჯაოს ბრტყელი სწორკუთხა ბალთა, შემკული ცხოველის ფიგურებით. აქედან 1 არგვეთში, 3 ქორეთში, 1 ჭალაში, 1 საჩხერეში, 1 სპეთში (ქორიძე 1961: 85-106). შემთხვევითი აღმოჩენებია სოფ. ბაჯეთში (ყორღანი), ივანწმინდაში და სხვ (კუფტინი 1949: 64-82).

სოფ. სარეკის ტერიტორიაზე, რომელიც საჩხერეიდან 4 კმ-ის დაშორებით, ყვრილა-ჯრეჭის შესართავთან მდებარეობს, 1959-1960 წწ. გაითხარა სარეკის ეხი. ის წარმოადგენს კლდოვან ფარულს, რომელშიც პირველყოფილ ადამიანს უცხოვრია სეზონურად. ფენა პალეოლითურ ნაშთებს შეიცავს. აქ აღმოჩნდა კაჟის ნივთები: ზურგმორკალური დანები, საფხეკები. ფაუნდანი აღსანიშნავია: ღომბის, შვლის, თხის, კეითილშობილი ირმის, მურა დათვის ნაშთები (თუშაბრამიშვილი 1963: 167-182; წერეთელი, თუშაბრამიშვილი 1975: 58-64).

საჩხერის შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლებიდან აღსანიშნავია: 1910 წ. ექ.თაყაიშვილის მიერ გათხრილი ყორღანი, ნაჩერქეხვისა და ცარცის გორის ყორღანული სამარხები, მოდინახეს სამხრეთ ფერდზე ნამოსახლარის პირველი ფენა (იხ. მოდინახე), ქორეთის ყორღანები და სოფ. არგვეთის ნამოსახლარი.

ნაჩერქეხვეი მდებარეობს საჩხერის ჩრდილოდასავლეთ მხარეს, წარმოადგენს ხელოვნურ დაბალ ბორცვს. მისი ზედაპირი დაფარული იყო ქვაყრილით, რომელშიც გაითხარა სხვადასხვა დონეზე განლაგებული 26 სამარხი. დაზიანების გამო მიცვალებულთა დაკრძალვის პოზის დადგენა ძნელი იყო. ბორცვის ძირზე გამოვლინდა ქვებით ამოვსებული თიხკუთხა ორმოსამარხი ერთი მიცვალებულით, რომელიც ესვენა მარჯვენა გვერდზე ძლიერ მოხრილ პოზაში. ხელები გულმკერდის არეში ეწყო. სამარხში აღმოჩნდა თიხის 9 ჭურჭელი – შავპირადა ვარდისფერსარჩულიანი ხელადები, ქილები, ქოთნები, ბადიები, დერგები, სპილენძის უქედო ყუნწიანი სატევრისპირები, სასაფეთქლე რგოლები, თ-ს მაგვარი ქინძისთავები, მარყუჯისებრთაყიანი ქინძისთავები, საკიდები ნიჩბისებური და ცხერის რქისებურად დახვეული თავით, თეთრი

ქვის მძივები, სერდოლიკის საკიდი, კაჟის ყუნწიანი და ფუქამოლარული ისრისპირები, შუბისპირი და სხვ. (კუფტინი 1949: 64-70).

ცარცის გორა მდებარეობს საჩხერის აღმოსავლეთ ნაწილში. შესწავლილ იქნა 1945-1946 წწ. ბ.კუფტინის ხელმძღვანელობით. წარმოადგენს ბუნებრივ ბორცვს, საიდანაც მოსახლეობა იღებდა ცარცს და პოულობდა სხვადასხვა ნივთსა და ადამიანთა ძვლებს. ბორცვის თხემზე მოწყობილი იყო 1 მ სიმაღლის ქვაყრილი, სადაც გამოვლინდა ჩაშვებული სამარხები. ბორცვის ქვაყრილების ქვეშ, ცარცოვან გრუნტში, ამოჭრილი იყო 2 ორმოსამარხი თითო მიცვალებულით, დაკრძალული მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ პოზაში. ერთი დამხრობილი იყო თავით დასავლეთით, მეორე – თავით სამხრეთით. სამარხებში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები: სპილენძის 4 ყუამილიანი ცული, 4 ყუადაქანებული ცული, ტართან ერთად ჩამოსხმული სატევარი, უტარო სატევარი, ოთხწახნაგა ხიშტი, ქინძთავები ბრტყელი (1 ც), მარყუჟისებური (6 ც), თ-ს მაგვარი (3 ც) და ქოლგისებური თავებუთ (3 ც); მსხლისებური საკიდი, სასაფეთქელ რგოლები, ოქროს რგოლი, ქვის ცულის ნატეხი, კაჟის ფუქამოლარული ისრისპირი, შუბისპირი, ნიჟარა-საკიდები, თიხის შავპირიალაზედაპირიანი, ვარდისფერსარჩულიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, ცალფურა ქოთნები, პადიები, დერგი. ყორღანები თარიღდება ძვ. წ. XXIV-XXII სს-ით (კუფტინი 1949: 64-82; ჯაფარიძე 1961: 131-135).

1945-1946 წწ. ბ.კუფტინის ხელმძღვანელობით 2 ყორღანი გაითხარა ქორეთში. 1955 წ. იქ მუშაობდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ოთ.ჯაფარიძე). საჩხერის მსგავსად, ყორღანები აქაც ქვაყრილიანია, შედარებით მცირე ზომის. ქორეთის ყორღანში აღმოჩნდა ქვის მშრალი წყობა, რომელიც არ იკვრებოდა. ყორღანის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა დაზიანებული სამარხები, სადაც მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ ძლიერ მოხრილი პოზით, მარჯვენა გვერდზე.

ქორეთიდან 1 კმ-ის დაშორებით ადგილ პასიეთში გათხრილი ყორღანის სიმაღლე 3 მ-ია, დმ 30 მ. ქვაყრილი ფლეთილი ქვებით იყო გამართული. სამარხები ყორღანის ყრილში ერთმანეთის ახლოს იყო განლაგებული სხვადასხვა დონეზე. ძვლები ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. დამხრობა განისაზღვრა 3 სამარხში, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ; ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ; ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ყორღანის ძირზე, ქვაყრილის ქვეშ რამდენიმე სამარხი იყო განლაგებული, ისეთივე დამხრობით. ხოლო ძირითადი სამარხი თავის დროზე გაუძარტვავთ. ქვაყრილში მიმოფანტული იყო ნივთები. ყორღანებში გამოვლინდა შემდეგი ნივთები: 1945 წ. სპილენძის 2 ყუადაქანებული ცული, მარყუჟისებურთავიანი ქინძისთავი, ორფოლუტიანი საკინძი, ცილინდრული მძივი, თეთრი ქვის გახვრეტილი რგოლი; 1946 წ. სპილენძის

სატევრის პირები (2 ც, სიგრძე 14,3 და 14,6 სმ), 2 მარყუჟისებურთავიანი ქინძისთავი, 1 მორკალურთავიანი, ოქროს რგოლი, ქვის კვერი, თიხის მოშავო კოჭობი, პადის ნატეხები. 1955 წ. გამოვლინდა სპილენძის 2 ყუამილიანი ცული, 2 ყუნწიანი სატევრისპირი (სიგრძე 19,8 და 19,5 სმ), ცხვის-რქისებურთავიანი ქინძისთავი; საკიდები: მრგვალი, ჯვრის ფორმის, ლუწის ფორმის, პირამიდისებური თავებით, სპილენძის მრგვალი მძივები, 4 ნიჟარა, ღორის გახვრეტილი ეშვი, სპილენძის 1,5 ხვია, სარდიონის 3 მძივი. ყორღანის ქვაყრილში გამოვლინდა: სპილენძის 3 ყუნწიანი სატევრისპირი (სიგრძე 13, 20,5, 23,8 სმ), თ-ს მაგვარი, გადალუნულთავიანი, მარყუჟისებურთავიანი ქინძისთავები, რგოლები, ოთხი 1,5 და ერთი 2,5 ხვია; 2 სპილენძის მავთულის სპირალი; ღორის ეშვი. სამარხებში გამოვლინდა შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი. ქვაყრილში – შავი და ღია ფერის ვარდისფერსარჩულიანი ჭურჭლის ნატეხები: დერგები, ქილები, კოჭობი, ქილა, ქოთანი, პადია. ყორღანები თარიღდება ძვ. წ. XXIV-XXII სს-ით (ჯაფარიძე 1961: 122-205).

ადგილ „კარახტინზე“ 1955 წ. შესწავლილ იქნა ნამოსახლარის ნაშთი. ამ ადგილზე მოპოვებული შემთხვევითი ნივთები დაცულია ქორეთის საშუალო სკოლის მუზეუმში. ნასახლარზე სხვადასხვა ეპოქის ნივთები ერთმანეთშია არეული.

ადრებრინჯაოს ხანის ნივთებიდან აღსანიშნავია: ქვის 2 ცულის ნატეხები; ძვლის იარაღი – ღერო; საკინძის ნატეხი; ცხოველის თიხის ქანდაკება; კაჟის ხელშუბისპირი და 2 ისრისპირი, ერთი თიხის შავზედაპირიანი ჭურჭლის ნატეხები (ჯაფარიძე 1961: 196-203).

ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი გაითხარა საჩხერის მუნიციპლის სოფ. არგვეთში. ძველი მდებარეობს მდ. ლაშურას მარცხენა ნაპირზე, ბორცვ „გორაკის“ დასავლეთ ფერდზე. 1963-1964 წწ. ძველს სწავლობდა ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არგვეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. რ.აბრამიშვილი). 1981-1987 წწ. კი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის საჩხერის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. გ. ფხაკაძე). ნამოსახლარის უმეტესი ფართობი მდინარისგანაა გადავრცხილი. განათხარ ფართობზე გამოვლინდა სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელი მასალა: ვეიანბრინჯაოს, ელინისტური და შუა საუკუნეებისა, რომლებიცგან დაზიანებული იყო ადრეული ფენა. ადრებრინჯაოს ეპოქის ფენაში, რომელიც 1,5-1,7 მ სისქისაა, გამოვლინდა 2 სამშენებლო ჰორიზონტი. ორივე შეიცავს შენობათა საძირკვლის ნაშთებს, რომელზეც დაფუძნებული იყო ორმხრივ თიხით შელესილი ხის წნული კედელი. ზედა ჰორიზონტის შენობები გეგმაში ოთხკუთხაა. იატაკი თიხატკვანილია, ნაცრისა და ნახშირის მინარევებით. კედლის წყობაში გამოყენებულია ხელსაფქვავის ქვები. კედელთან გაიწმინდა ოთხკუთხა მოკირწყლულიატაკიანი მოედანი,

რომელზეც ჩამსხვრეული იყო მტკვარ-არაქსული ვარდისფერსარწულთან კერამიკა: პითოსი, ჯამი, ქოთანა და სხვ. ზედა სამშენებლო ჰორიზონტზე გამოვლინდა კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ნასახლარებისათვის დამახასიათებელი თიხის ნაწარმი, მურა-მოშავო და მონაცრისფრო კეციანი ღერგების, ქილების, ქოთნების ფრაგმენტები, შემკული ქიმისებრი შევრილებითა და მოგრძო ლენტისებური ყურებით. ქვედა სამშენებლო ჰორიზონტის შენობები გეგმაში მრგვალია. თიხით შელესილი წნული კედელი ქვის კედელს ეფუძნება. იატაკი თიხატკეპნილია, დიდი რაოდენობით ნაცარ-ნახშირით შერეული. გამოვლინდა ნაცროვანი ორმოები და შევრილიანი თიხის კერები. კერის ირგვლივ ეწყო: ორმის რქის სახვნელი, კაჯის ყუნწიანი ისრისპირი, მომწვანო კაჯის სატენი, კერამიკა, მოწითალო ქვიშაქვის ყალიბის ნატეხები, ცხოველების ძვლები.

არგვეთის ნამოსახლარის ზედა ფენაში და მის ახლო ტერიტორიაზე გამოვლინდა ელინისტური და შუა საუკუნეების ძეგლები: ნასაყდრალი, ლაბაძისეული და ნამარნევი. ლაბაძისეულსა და ნამარნევეზე გაითხარა ქვითა და კირხსნარით ნაგები შენობები, გამოვლინდა ქვითკარის საწნახლები. გორაკზე გამოვლინდა აგრეთვე გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკა, ფოთლისებური სატევარი და სხვ. შუა საუკუნეების ფენაში გამოვლინდა მასალა ზოგადად თარიღდება X-XIII სს-ით. არგვეთის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულით (აბრამიშვილი 1965: 39, 40; ფხაკაძე, ორჯონიკიძე 1984: 15, 16; ფხაკაძე 1986: 29-30; ფხაკაძე, გაბიაშვილი 1995: 19-21; საქ. არქ. 1992: 266-268).

სოფ. საირხეში, რომელიც საჩხერიდან სამხრეთით 3 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, 1950 წ. ადგილ „ლომინაურში“ აღმოჩნდა კირქვისაგან დამზადებული ლომის თავის ქანდაკება, რომელიც 1951 წ. გადასცეს ბ.კუფტინს. 1957 წ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა ნ.ლამბაშიძემ აჩვენეს იმავე ადგილიდან მომდინარე კირქვისაგან დამზადებული სვეტის ბაზები (ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში). 1957-1958 წწ. აღმოჩენის ადგილზე ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა შენობის ნაშთები და კირქვისაგან დამზადებული ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული ნივთები. 1966-1968 წწ. იქ გათხრები ჩატარა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საჩხერის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ჯ.ნადირაძე). გათხრებისას გამოვლინდა ორი შენობის ნაშთი. შენობის ირგვლივ აღმოჩნდა ცხოველის ქანდაკების თავის ფრაგმენტი – ანალოგიური 1950 წ. აღმოჩენილია. გამოკვეთილი იყო იმავე ჯიშის ქვისაგან. შენობის შიგნით გამოვლინდა ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული ქვაში გამოკვეთილი საგნები, რაც მიუთითებს იმაზე,

რომ აღნიშნული შენობა წარმოადგენდა ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ ტაძრის ნაშთს (ნადირაძე 1975: 80-100).

ექსპედიციამ სატაძრო ნაგებობის დასავლეთით მიაკვლია ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის დასაწყისის ნამოსახლარ და სახელოსნო უბანს, რომელიც ვრცელდება დაახლოებით 10 ჰა ფართობზე.

1966-1968 წწ. ვეშაპიძისა და საბადურის გორაკზე გაითხარა ძვ. წ. I ათასწლეულის ნამოსახლარები: წინარეანტიკური, ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ნაშთებით. ადგილ „სახოველში“ გამოვლინდა ლითონის შეღარბო უბანი. გაითხარა სამი სათავსოგან შედგენილი შენობა, ქურის ნაშთი. გათხრებისას აღმოჩნდა: თიხის ტიგელები, საქშენის მილები, ბრინჯაოს ზოდები, რკინისა და ბრინჯაოს წილები და სხვ. (ნადირაძე 1972ა: 56-77). 1982-1986 წწ. საირხეში მიმდინარეობდა საბადურის გორის დასავლეთი ფერდის არქეოლოგიური გათხრები. გამოვლინდა სამი ფენა: წინარეანტიკური, ადრეანტიკური და ელინისტური. იმის გამო, რომ იქ ადრე ადგილი ჰქონდა მიწის მასივის გადაადგილებას, სტრატეგრაფია შედარებით დარღვეული იყო. წინარეანტიკურ ფენაში გამოვლინდა ქვის ცალპირი წყობის კედლების ფრაგმენტები, რომელთა იატაკზე დაფიქსირდა ბრინჯაოს კოლხური ცული, წრიული ფორფიტა, ლევა და შავი ფერის კერამიკის ნატეხები, შემკული გეომეტრიული სახეებითა და ზომორფული ყურებით. ადრეანტიკურ ფენაში გამოვლინდა დანახშირებულ ძელებიანი შენობის ქვის საძირკველი. ხის კედლები შებათქაშებული ფოფოა ორმხრივ. დაფიქსირდა სხვადასხვა ტიპის თიხის ჭურჭლის ნატეხები, გამოშვარი შავა და წაბლისფრად. აღსანიშნავია: პირმოყრილი და პირგადაშლილი ბრტყელძირიანი ჯამები; ცილინდრულტანიანი სასმისის ნატეხები; ჭიქისებური სასმისები; ქოთნების, ღერგებისა და ქვევრების ფრაგმენტები; ბერძნული შავლაკიანი ფიალის ფრაგმენტები. სამეურნეო დანიშნულების ნივთებიდან აღსანიშნავია: რკინის ლურსმნები, თიხი, ცული და სხვ. ზედა მესამე ფენა – ელინისტური ფენა და 3 მ სისქისა. ის ნახანძრალია. ფენაში გამოვლინდა სუფრის, სამზარეულო და სამეურნეო ჭურჭელი; წითლად ანთიბირებული დოქები; ზედაპირნაპირალები, მსხლისებურტანიანი დოქები, ხელალები; მონასტული სამტუჩა ხელალები; ჩალის-ფერკეციანი ყელწიბოიანი დოქები; პირმოყრილი დაბალქუსლიანი ჯამები; პირგადაშლილი ქოთნები; ღერგებისა და ქვევრების ნატეხები.

საბადურის გორის დასავლეთი ფერდზე გაითხარა 10 სამარხი. მათგან 3 გამარცული იყო. სამარხები ორი ტიპისაა: ორმოსამარხი და ხის ძელებითა და ქვით ამოშენებული აკლდამისებური ორმოსამარხი. აკლდამისებური სამარხები ორკამერიანია. მათზე მოწყობილი იყო ქვაყრილები. ისინი კოლექტიურია. დამახასიათებელია მიცვალებულებთან ერთად ცხენებისა და ძაღლების დაკრძალვა. მიუხედავად

იმისა, რომ აკლდამები გამარცხი იყო, ისინი გამოირჩეოდა სამარხული ინვენტარის სიუხვით. სამარხი №5 მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 5,6 მ სიღრმეზე. ორკამერიანია, დამწვარძელებიანი კამერა, რომელსაც ფარავდა ქვაყრილის სქელი ფენა და უქვაყრილო კამერა, სადაც დაკრძალული იყო 3 მიცვალებული და 5 ცხენი. კამერის ზომა 5X4 მ. მიცვალებულთა ძვლების ცუდი დაცულობის გამო დაკრძალვის პოზის დადგენა ჭირს. გაირჩეოდა ჩრდილოეთ კედელთან დაკრძალულის პოზა. ის იწვა მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ პოზაში, თავით ჩრდილო-დასავლეთით. ასეთივე პოზა შეიმჩნეოდა დანარჩენებთანაც. მიცვალებულეში შეიმჩნეოდა ქონებრივი დიფერენციაცია. ასეთივე დიფერენციაცია შეიმჩნეოდა ცხენების ალკაზმულობაშიც. დამწვარძელებიანი კამერა მოწყობილი უნდა ყოფილიყო ძირითადი მიცვალებულისათვის, რომელიც თავის დროზე გაუძარცვავთ.

სამარხი №10 მიწის ზედაპირიდან 6 მ სიღრმეზე მდებარეობდა. წარმოადგენდა მართკუთხედის ფორმის ორმოს, რომელიც ამოშენებული იყო ხის ძელებით და გარს შემოვლებული ჰქონდა მშრალად ნაწყობი ქვის კედელი. სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული, მარცხენა გვერდზე ძლიერ მოხრილ პოზაში, თავით აღმოსავლეთით. სამარხში დაკრძალული იყვნენ 20-25 და 25-30 წლის ასაკის ქალები (ნადირაძე 1990: 87).

საბადურის გორის დასავლეთ გვერდზე გათხრილ სამარხებსა და ქვაყრილებში გამოვლენილია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა, ძირითადად თიხის ჭურჭელი და ძვირფასი ლითონის ნაწარმი. თიხის ნაწარმიდან გამოირჩევა იმპორტული ბერძნული კერამიკა: შავფიგურისანი და შავლაკიანის ლეკითოსები, შავლაკიანი ფიალები. ადგილობრივი ნაწარმიდან აღსანიშნავია ყურმილიანი ხელადა; შავპირილა მუცელგამოხერხილი და პირგადაშლილი დოქები; რუსხედაპირიანი, მსხლისებურტანიანი ხელადაები; პირმოყრილი მსხლემძირიანი ჯამები; შავი და ლევა ზედაპირნაპირალები კოჭები; ვიწროფლანიანი დერგები და სხვ. სამკაული გამოირჩევა სიუხვითა და მრავალფეროვნებით. მათ შორისაა: ბრინჯაოს საბეჭდავი ბეჭდები, რომელთა ფარაკზე გამოსახულია გრიფონი; ირემზე მონადირე გრიფონი; თავმობრუნებული არწივის გამოსახულება; შვლისა თუ კურდღლის ფიგურა და სხვ. ვერცხლის დადებები; საკისრე რკალები; გლუვ ზედაპირიანი და ზურგჩანჩქილი სამაჯურები; ოქროს სამკაულიდან გვხვდება: სხვადასხვა ფორმის, ზომისა და შემკულობის საყურები, ყელსაბამები; ვერძის თავებით დაბოლოებული სამაჯურები; ქამრის ბალთა და მასრები; ბეჭდები, რომლის ფარაკზე ამოტივიფურულია ხარის თავი; შედალიონი, ამოტივიფურული მრავალფიგურიანი კომპოზიციით. ცენტრალური ფიგურაა ხარის თავი. მის რქებს შორის მოთავსებულია არწივის ფიგურა. მრავალადა სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფირფიტები, დილები, კილიტები, მძივები. გარდა ამისა, გამოვლენი-

ლია ლითონის სხვა ნაწარმიც: ბრინჯაოს ილარები, მშვილდაკინები, სარკე, ვერცხლის სურა, ფიალა, ჩაჩა, ოქროს ციციები. №№5, 8 აკლდამებში აღმოჩნდა ბრინჯაოს ქვებები და სამფენა სადგარი.

სამარხებსა და ქვაყრილებში გამოვლინდა ცხენის ალკაზმულობაც, მათგან აღსანიშნავია ვერცხლისა და ოქროს საშუბლები, სამკერდულები, ბრინჯაოს ლაგმები ვერცხლის საყურებზე, რგოლები, ავშარის მოსართავები და ეშვისებრი ოქროს საკიდები, არწივისა და იხვის ფირფიტოვანი გამოსახულებები. დიდი რაოდენობითაა ავშარის ოქროს ბალთები. აღსანიშნავია №5 სამარხში აღმოჩენილი მინის იმპორტული სანელსაცხებლე – ალაბასტრონი და მინის ფიალა. სამარხებში აღმოჩნდა: მონეტები – კოლხური ვერცხლის ნახევარდრამები; ბრინჯაოს ისრისპირები სამწახნავა პირით; ბექტორის ნაწილები; სიტულის ფრაგმენტები და სხვ. საბადურის გორაზე გამოვლენილი სამარხები დათარიღებულია ძვ. წ. V-III სს-ით.

სამაროვანზე გაითხარა საკულტო მოედანი – დაწინაშობილი 4 კმ ფართობი, სადაც მიმოფანტული იყო ოქროს ნივთები, ოქროს არწივის გამოსახულებები, მინის თასის ფრაგმენტები. იქვე გაიწმინდა საკულტო ორმო (სიღრმე 11 მ, დმ 2 მ), ამოვსებული ქვებით, თიხის ნაწარმით, სამკაულითა და მიწით. ორმოში აღმოჩნდა ადგილობრივი და იმპორტული კერამიკის ნატყები. რკინის ლურსმნები და კვები, აბჯრის ნაწილები, თიხი, ოქროს მძივები, საკიდები, ბეჭედი, საკისრე რგოლი (ნადირაძე 1990: 20-97).

1986 წელს საირხეში ადგილ „კარახტინში“ გაითხარა ბრინჯაოსა და რკინის სახელოსნოს ნაშთები და I საუკუნის სამარხები. სახელოსნოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის ზოდები, ტიგლის ფრაგმენტები, თიხის საქმენი მილები, ასევე ძვ. წ. VIII-VI საუკუნეების კოლხური კერამიკის ფრაგმენტები (დოქები, ჯამები, დერგები, ზოომორფული ყურებით შემკული ტოლჩები), ხოლო სამარხებში გამოვლინდა ვერცხლისა და ბრინჯაოს ბეჭდები, ფიგურები, აბზინდები, საკრებელი ფირფიტები, მინის საკინძისთავები და შავად, მოწითალოდ და ჩალისფრად გამომწვარი დოქები (მახარაძე, ბრავაძე 1990:32-38).

1988 წელს საირხეში, წყაროსთავის გორაზე, გაითხარა ექვსფენიანი ნამოსახლარი. სტრატეგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე, ფენები შემდეგნაირად დათარიღდა: I ფენა-ძვ. წ. I-ახ. I სს; II ფენა-ძვ. წ. II-I სს; III ფენა-ძვ. წ. III-II სს; IV ფენა-ძვ. წ. IV-III სს. მიჯნა; V ფენა-ძვ. წ. VI-IV სს-ის I ნახევარი; VI ფენა-ძვ. წ. VIII-VII სს (ბრავაძე 1997: 32-34). განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს III ფენა, სადაც აღმოჩნდა კვადრებით ნაგები შენობის ნაშთები, ე. წ. ქერჩის სკოლის კრატისისა და ატიკური სკიფოსის ფრაგმენტები (ბრავაძე 1997: 32-34).

საჩხერისა და მის მახლობელ ტერიტორიაზე შესწავლილ ძეგლებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი და

შ.ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1965: 39, 40; არქ. მას. კატ. 1955: 9-20; ბრავაძე 1997: 32-34; გიულდენშტედტი 1962: 299-301; დადიანი 1962: 136, 162, 176, 186; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 445; თაყაიშვილი 1913: 167-172; თუშაბრამიშვილი 1963: 167-182; ისტ. დოკ. 1958: 28, 30, 31; კუფტინი 1940: 8; 1949: 62-82; 1974: 131-153; ლეჟავა 1962: 49, 50; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 189; მახარაძე, ბრავაძე 1990: 32-38; ნადირაძე 1967: 68; 1971: 72-75; 1971ა: 185-187; 1972ა: 56-77; 1975: 1990; საქ. არქ. 1992: 266-268; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. 1953: 92, 94, 95, 98, 101, 115, 123, 124, 149; სოსელია 1966: 196, 198; 1981: 79-148; ფხაკაძე 1978: 3-13; 1986: 29, 30; ფხაკაძე, ორჯონიძე 1984: 15-17; ფხაკაძე, ვაბიძაშვილი 1995: 19-21; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 924; ქც 2: 442,19; ქც 4: 449,13; 752,18,21; 760,1,11,13,15; 836,3; 858,3; 888,19,22; ქორიძე 1961; ყიფიანი 1993: 34-47; შარდენი 1975: 393; წერეთელი, თუშაბრამიშვილი 1975: 58-64; ჯავახიშვილი 1950: 69, 70; 1961: 122-203.

სახეწილი (ქც 4: 538,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 538,15), იონე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 66), XVIII ს-ის ისტორიული საბუთი (მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 155).

ვახუშტი ბაგრატიონი საცხენისის შესახებ გადმოგვცემს: „საცხენისის და ლოჭინის სამხრით არს სამგორის ველი და ჩადვარი“ (ქც 4: 538,15-17).

მდებარეობს მდ. ლოჭინის ზემო წელზე, თანამედროვე სოფ. საცხენისის ტერიტორიაზე.

საცხენისი არქეოლოგიურად შესწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 66; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 155; ქც 4: 538,15; ჯავახიშვილი 1983: 47.

სახეწილი (ქც 4: 362,16,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 362,16,20), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 23, 258; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 427; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 107), იონე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 38), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 277).

ვახუშტი ბაგრატიონი საცხენისის შესახებ გადმოგვცემს: „გამოსდის პატარა ლიახვი ქნოლის ზეით მცირეს ტბას და მოდის ფოტორისამდე სამხრეთად, მერმე საცხენის ქუემოთამდე დასავლეთად, მერმე კიდევ სამხრით“ (ქც 4: 362,14-17).

მდებარეობს ცხინვალის მუნიციპალიტეტში, ცხინვალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 17 კმ-ის დაშორებით, მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა მხარეს, თანამედროვე სოფ. საცხენეთის ტერიტორიაზე.

XVIII ს-ის დასაწყისში ქართლის მეფე ვახტანგ

VI-მ (1716-1724) დასვა საცხენისში მღებავი, რომლის შემოსავალი შესწირა იკორთის ეკლესიას (გვასალია 1983: 75).

საცხენისი არქეოლოგიურად შესწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 38; გვასალია 1983: 75; გიულდენშტედტი 1962: 277; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 107; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 427; ქრონიკები 1897: 23, 258; ქც 4: 362,16,20.

სამეზღვრო (ქც 4: 359,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 359,25,27; 360,სქ.2), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 190; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 198; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 194, 216, 238), იონე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 36), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 95, 275; 1964: 29).

ვახუშტი ბაგრატიონი საძეგურის შესახებ გადმოგვცემს: ზებეგურის მთა „ჩამოდადგების ცხვირად კსანს დასავლიდამ და აღმოსავლეთიდან ალევის მთის ცხვირი, და დაავიწროვებს კსანსა კლდითა ... ამავე კლდის ჩდილოთ, საძეგურს, ერთვის კსანსა აღმოსავლეთიდან ხევი, ალევის მთის გამომდინარე“ (ქც 4: 359,19-27).

მდებარეობს ახალგორის მუნიციპალიტეტში, მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე, ახალგორიდან ჩრდილო-დასავლეთით 12 კმ-ის დაშორებით, თანამედროვე სოფ. საძეგური პირველის ტერიტორიაზე.

1777 წ. ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, საძეგური გადაეცა იონე ბაგრატიონის (ბაგრატიონი 1986: 36).

1908 წ. სოფ. საძეგურთან შემთხვევით აღმოჩნდა ქალის მდიდრული სამარხი. მოსახლეობაში გაბნეული ნივთები შეაგროვა და კავკასიის მუზეუმისათვის შეიძინა ექ.თაყაიშვილმა. საძეგურთან აღმოჩენილი მდიდრული ინვენტარი ცნობილია „ახალგორის განძის“ სახელით. სოფ. საძეგურში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები, სამკაული: ოქროს საკისრე რკალები; ყელსაბამი გომბეშოს გამოსახულებიანი საკიდები; მძივები; სხვადასხვა ფორმის საკიდები; სარდიონის, მთის ბროლის, ძვლის, მინის მძივები; სასაფეთქლები შეწყვილებული ცხენების გამოსახულებით; სამაჯურები; ფარაკიანი ბეჭდები; სხვადასხვა ფორმის საყურები; ვერცხლის სამაჯურები; ფარაკიანი ბეჭედი, რქოსანი ცხოველის გამოსახულებით; ბეჭდის ფარაკი, ფრთოსანი ცხოველის გამოსახულებით. ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები: სხვადასხვა ფორმის ოქროს პალთები; ზალთა გრიფონების გამოსახულებითა და ზარისებური საკიდებით; დილები; საკიდები; მილაკები; საკიდი ორი ფრთოსანი ცხოველის გამოსახულებით; ოქროსა და სარდიონის მძივ-საკიდები; ზარისებური ფორმის საკიდები; ზარაკები; ფირფიტა პალმეტების გამოსახულებით. ჭურჭელი: ვერცხლის პატერა და ფიალები ძირზე

ომფალოსის გამოსახულებით; ნახევარსფეროსებური ფორმის ჯამი; დოქისა და სფერულტანიანი ჭურჭლების ფრაგმენტები; ირმის თავის გამოსახულება – ვერუხლი; ბრინჯაოს დოქი; ცილინდრული ფორმის ჭურჭლის ფრაგმენტი; თიხის სასმისის ფრაგმენტი. ცხენის ალაკაშულა: ოქროს ბალთავარდული, შემკული პალმეტებისა და ჩიტების გამოსახულებით; სხვადასხვა ფორმის ბალთები მრავალი, ნუშისებური ბურცოებითა და პალმეტებით შემკული; ბრინჯაოს ლაგემები და საყბურები; დაფანჯრული და გვერდნაჭრილი ზარაკები; საკიდი ჩიტისა და შვლის გამოსახულებით. რიტუალური დანიშნულების ნივთები: ბრინჯაოს შტანდარტი ჯინვის თავების გამოსახულებით; შტანდარტი ჯინვის თავებისა და ადამიანის გამოსახულებით. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები: ბრინჯაოს სარკე (სმირნოვი 1934). ე. წ. „ახალგორის განძი“ თარიღდება ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ. წ. III ს-ის დასაწყისით (ლორთქიფანიძე 1989: 323, სქ.13). ნივთები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი და შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: ამირანაშვილი 1971: 80; საქ. არქ. 1959: 267; ბაგრატიონი 1986: 36; გავლიძე 1964: 83, 84; 1981: 172-174; გამყრელიძე 2009: 26; გიულენშტედტი 1962: 95, 275; 1964: 29; გოგიბერიძე 1988: 98, 109; 1989: 73, 75, 80; კუფტინი 1941: 34-41; ლორთქიფანიძე 1961: 87-91; 1969: 87, 88, 90, 127; ლორთქიფანიძე 1989: 323, სქ.13; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 190; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 194, 216, 238; სიმონოვი 1934: ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 198; ქც 4: 359,25.

სამშორი, ციხე, ეკლესია (ქც 4: 544,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 544,2), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 243,17), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 140).

ვახუშტი ბაგრატიონი სამშორის შესახებ გადმოგვცემს: მეფე არჩილმა „აღაშენა სამშორის ციხე და ეკლესია. კუალად მაწის წყლისა და ამ ციხეთა ზეით მოერთვის ალაზანს ნეინის წყალი“ (ქც 4: 544,2-4). სამშორის ციხე და ეკლესია არ არის ლოკალიზებული.

ბიბლიოგრაფია: დადიანი 1962: 140; ქც 1: 243,17; ქც 4: 544,2.

საწიში, ციხე (ქც 4: 754,18; 875,19). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 754,18). XI ს-ში საწირე გელათის მონასტრის კუთვნილი სოფელი იყო (ქრონიკები 1892: 307; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 43).

მდებარეობს ტყიბულის მუნიციპ-ში.

ვახუშტი ბაგრატიონი საწირის შესახებ გადმოგვცემს: „საწირის წყალზედ არს საწირე. ამის გარე-

მოს ითხრების რკინა და არს ლითონი მრავლად“ (ქც 4: 754,15).

საწირე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 43; ქრონიკები 1892: 307; ქც 4: 754,18; 875,19.

სახარია, ციხე (ქც 4: 776,25, სქ.4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 776,25, სქ.4).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, მდ. აბაშაზე „არს სახარია, ციხე და სასახლე დადიანისა“ (ქც 4: 776,25). ზუსტი ლოკალიზება ვერ ხერხდება. სავარაუდოდ, სახარია შესაძლოა იყოს ნასოფლარი მარსილი, რომელიც მდებარეობს მარტვილის მუნიციპ-ში, მდ. ცივის მარცხენა მხარეს (ჯღარაკავა 1965: 285-287; ბერაძე 1971: 56).

ნასოფლარი მარსილი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1971: 56; ქც 4: 776,25, სქ.4; ჯღარაკავა 1965: 286, 287.

სამა (ქც 4: 884,3). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 884,3).

მდებარეობს ონის მუნიციპ-ში, ონის დასავლეთით 9 კმ-ის დაშორებით, რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, დღევანდელი სოფ. სევას ტერიტორიაზე. 1725 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრე V (1720-1752) და ბუქან დადიანი შეიჭრნენ რაჭაში, სოფ. სევამდე. დანგრეეს კოშკები და დაარბიეს რაჭის საერისთავო (ქც 4: 884,3).

სევა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ქც 4: 884,3.

სამიდალაძი, იხ. ტფილისი.

სანაკი (ქც 4: 777,10,11, სქ. 3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 777,10,11, სქ. 3), XVII-XIX სს-ის ისტორიული საბუთები (კაკაბაძე 1921: 59, 155; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 665; 1985: 309, 793; ისტ. დოკ. 1959: 106), ლიხთ იმერეთის 1737 წ. რუკა (ბურჯანაძე 1959: 193), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 34, 150), არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ (ლამბერტი 1991: 162), იოჰან გიულენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულენშტედტი 1962: 325), ბოროზდინის „სამეგრელო“ (ბოროზდინი 1934: 325).

ვახუშტი ბაგრატიონი სენაკის შესახებ გადმოგვცემს: „ტყუბურისავ კიდევად არს სენაკს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი, საყოფელი აფხაზთა კათალიკოსისა“ (ქც 4: 777,10,11, სქ.3).

მდებარეობს ოდიშის დაბლობზე, მდ. ტყუბურის მარჯვენა ნაპირას, ახლანდელი ქ. სენაკის ტერიტორიაზე.

ქ. სენაკის ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ქ. სენაკიდან 8 კმ-ზე, აღმოსავლეთით, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირას, სოფ. მესამე ნოსირში 1967-1981 წწ. არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოსირ-მუხურჩის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ელ. გოგაძე). გამოვლინდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სოფლური ტიპის დასახლების ნაშთი. ძველი ოთხფენიანია: I ფენაში დაფიქსირდა ოთხკუთხა გეგმის ნაგებობები; პირმოყრილი და მუცელგამობერილი ნახევარსფერული და მომრგვალო თავები, ჯამები, ქოთნები, კოჭბები, ტოლჩები, ქილები. უდიდესი ნაწილი შავთიხიანია, პრაილა ან გლუვი ზედაპირით, ღარული ორნამენტით. თარიღდება ძვ. წ. XVIII-XVI ან XIX-XVII სს-ით (გოგაძე 1982: 16, 51, 52). II ფენა ძირითადად წარმოდგენილია ნახანძრალი ნაშთებისაგან; გამოვლენილია ნახევარსფერული მოზრდილი ბადიები, მოზრდილი და საშუალო ზომის სუფრის ჭურჭელი შეზნექილ-ცილინდრული ყელით. ჭურჭელთა ნაწილი შავთიხიანია, გვხვდება, ასევე, მოყავისფრო, მოწითალო, მოვარდისფრო ჭურჭელი. II ფენა ძვ. წ. XV-XIV სს-ით დათარიღდა (გოგაძე 1982: 53, 54). III ფენაში მრავლდება მრგვალბაკოიანი ჭურჭელი; მკვეთრად იზრდება ყელ-პირგადაშლილი ჭურჭლის რიცხვი. ორნამენტის წამყვანი სახეებია: ღაროვანი ფესტონები, გრავირებულ ხაზოვანი სახეები და სხვ. ამავე ფენაში წარმოდგენილია ლითონის ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბი, პატარა ზომის ციცხვები, ბრინჯაოს ცული, სატევარი, მძივი, სალესი ქვები. III ფენა ძვ. წ. XIII-XII სს-ით თარიღდება (გოგაძე 1982: 55, 67). IV ფენაში ძირითადად წარმოდგენილია: კანელურებიანი ჭურჭელი, ქვისა და თიხის კვირისტავები, საწაფები, ძვლის ნემსები, სალესი ქვები და სხვ. IV ფენა ძვ. წ. X-IX სს-ით თარიღდება (გოგაძე 1982: 66).

სენაკიდან 4 კმ-ის დაშორებით, სოფ. ოფაიაფუში, გამოვლენილია ქვევრსამარხები. დაფლული იყვნენ პორიზონტალურად. №2, 3 ქვევრსამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს 2 ბეჭედი, ბრინჯაოს 17 სამაჯური, ვერცხლის წყვილი საყურე რგოლი, ბრინჯაოს რგოლი, მინის 5 მძივსაკიდი, მინის 40 მძივი, ბრინჯაოს მძიველი, რკინის ნაუბისპირები და ხანჯლისპირები, 15 კოლხური ნახევარდრაქმა (გვინჩიძე 1987: 257-262). ქვევრსამარხები თარიღდება ძვ. წ. III-II სს-ით (გვინჩიძე 1987: 262).

სოფ. ბატნაოხორუში 1966 წ. დასავლეთ საქართველოს სამიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. გრიგოლია) გამოვლინა ორი ერთმანეთისგან შეერთებული ხელოვნური ბორცვი. ჩრდილოეთ ბორცვზე დადასტურდა ძვ. წ. IV-III სს-ის ადგილობრივი და იმპორტული მასალა, ხოლო სამხრეთ ბორცვზე კოლხური ქვევრების ფრაგმენტები. ბორცვის ჩრდილოეთ ფერდზე გამოვლინდა 2 ქვევრსამარხი. ორივე მათგანი დაფლული იყო პორიზონტალურად, პირით აღმოსავლეთისაკენ.

ქვევრსამარხებში აღმოჩნდა თიხის ხელადები, ბრინჯაოს სამაჯურები, მძივები და მძივსაკიდები (გრიგოლია ... 1973: 32). ქვევრსამარხების თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: ძვ. წ. IV-III სს (გრიგოლია ... 1973: 33); ძვ. წ. III-II სს (თოლორდავა 1980: 36); ძვ. წ. II სს-ის დასასრული (გვინჩიძე 1987: 268).

1971 წ. სოფ. ეკში შემთხვევით აღმოჩნდა სამონეტო განძი, 907 მონეტით. ამათგან 771 კაპადოკიის კესარიასი მოჭრილი დიდრაქმებია. ამავე ზარაფხანაშია მოჭრილი 4 დრაქმაც. 774 ცალიდან 712 მოჭრილია იმპერატორ ადრიანეს (117-138) სახელით, ხოლო 55 – ანტონინე პიუსისა (138-161). დენარებია საერთო რიცხვი 131 ვეზიმპლარს შეადგენს. აქედან 101 ცალი მოჭრილია სეპტიმიუს სევერუსის (193-211) სახელით; 84 ცალი აღმოსავლეთის ზარაფხანის პროლუქციას მიეკუთვნება და მოჭრილია 194 წ. ეკის განძი დამარხულია 222 წელს, ან 222 წლის შემდეგ (დუნდუა 1979: 4-6, 25-106).

ნოსირის განძი შემთხვევითი მონაპოვარია. განძის შემადგენლობაშია ზოლიანი ბრინჯაოსი, მძივები სარდიონისა, გველის ქანდაკება ოქროსი, საკიდი ოქროსი, ნივთი ოქროსი, ღილები ვერცხლისა, ნატეხი ოქროსი ლომის გამოსახულებით, ნატეხი ვერცხლისა წნული ორნამენტით შემკული (ქორიძე 1965: 46). თარიღდება ელინისტური ხანით. დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). „საკალანდარიშვილოს“ ციხე მდებარეობს ქ. სენაკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთაზე. ციხე შედგება კოშკისა და ორი გალავნისაგან. გალავანი (23X26 მ) წრიულია, კოშკი – კვადრატული (7X7,2 მ). კოშკი და გალავანი კირქვითაა ნაგები. ფასადები თლილი ქვითაა მოპირკეთებული. თარიღდება IV-V სს-ით (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 150-152).

ეკის ციხე მდებარეობს სენაკიდან 10 კმ-ზე, მაღალი მთის წვერზე. ციხე შედგება გალავნისა და ოთხკუთხა (8,8X5,25მ) კოშკისაგან. შემორჩენილია სამი სართული. კოშკს უფლად გალავანი, რომელიც დარღვეულია. კოშკი და გალავანი რიყისქვით და კირქვითაა ნაგები. ციხე IV-V სს-ით თარიღდება (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 153).

ბიბლიოგრაფია: ბოროზდინი 1934: 325; ბურჯანაძე 1959: 193; გვინჩიძე 1987: 257-262, 268; გიულენშტედტი 1962: 325; ვიგაძე 1982: 16, 51-67; გრიგოლია ... 1973: 32, 33; დვინი 1962: 34, 150; დუნდუა 1979: 4-6, 25-106; ზაქარაია, კაპანაძე 1991: 150-153; თოლორდავა 1980: 36; ისტ. დოკ. 1959: 106; კაკაბაძე 1921: 59, 155; ლამბერტი 1991: 162; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 665; 1985: 309, 793; ქორიძე 1965: 46; ქვ 4: 777,10,11,სქ.3.

სპირის ციხე (ქვ 4: 371,10,11,14,19; 372,20; 511,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 371,10,11,14,19; 372,20; 511,6), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრა-

ტიონი 1986: 41), 1779, 1795 წწ. ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 321, 440).

ვახუშტი ბაგრატიონი სვერის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო ამილახორმან წარმოიყვანა მაჰმად-ყულიხანითურთ ოსმალთა სპანი დაესხა მაჩაბელს მუგუთს, შემუსრეს ციხე სვერისა, რომელი აღაშენა თეიმურაზ მაჩაბელმან“ (ქც 4: 511,4-7).

მდებარეობს ცხინვალის მუნიციპალიტეტში, დღევანდელი სოფ. სვერის ტერიტორიაზე.

ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 41; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 321, 440 ; ქც 4: 371,10,11,14,19; 372,20, 511,6.

სპმრო, სვერის ციხე (ქც 4: 150,18; 759,15,17) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 150,18; 416,6; 759,15,17; 822,12; 836,8; 857,24; 867,1; 869,9,12,13; 870,14; 872,5,7,8; 878,19, 893,6,8), მათიანე ქართლისა (ქც 1: 309,11), „დასტურამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 279) ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 150,4, 173,24), ქართული ისტორიული საბუთები (კაკაბაძე 1929ა: 82; ფურცელაძე 1881: 18; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 89; ისტ. დოკ. 1958: 46, 55, 74, 78, 107; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 44, 61; ქრონიკები 1967: 635, 637; ბურჯანაძე 1959: 189, 197), 1650-1652 წწ. ტოლოჩანოვისა და იველვის ელჩობის აღწერილობა (პოლიევქტოვი 1926: 113, 116, 184), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 301).

სვერის ციხის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „კაცხის წყლის ზევით ყვირილას უერთდება აღმოსავლეთიდან სვერის ხევი. ამ ხეზედ არს ციხე სუერი, არაოდეს ძალით აღებული. ესე დგას კლდესა ზედა და გარემოს მისსა ფრიად დიდხრამოვანსა“ (ქც 4: 759,14-16).

მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ჭიათურიდან სამხრეთით 7 კმ-ის დაშორებით, სოფ. სვერის განაპირას.

1068 წ. თურქ-სელჩუკთა მარბიელი ლაშქარი გადავიდა არგვეთს და დაარბიეს ქვეყანა სვერის ციხემდე (ქც 1: 309,11). 1590 წ. ქართლის მეფე სვიმონმა (1556-1600) ილაშქრა იმერეთში და სვერის ციხე აიღო (ქც 4: 822,12). 1661 წ. ქართლის მეფე ვახტანგ V-მ (1658-1675) აიღო სვერის ციხე და აბაშიძეების საგვარეულოს გადასცა (ქც 4: 836,8). 1744 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრე V-მ (1720-1752) აიღო სვერის ციხე. ორი წლის შემდეგ ციხე აბაშიძეებმა დაიბრუნეს. 1757 წ. ხრესილის ომის შემდეგ ციხე იმერეთის სამეფოს კუთვნილებაა. 1763 წ. ოსმალებმა აიღეს და დაანგრიეს. ციხე მომდევნო წლებში აღუდგენიათ.

ციხე შემორჩენილია ნანგრევების სახით (ცქიტიშვილი 1970: 34). იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის 1737 წ. რუკაზე ის გამოსახულია ქონგურებითა და სათოფურებით. იოჰან გიულდენშტედტი მას მოინ-

სენიებს როგორც განადგურებულ ციხეს (გიულდენშტედტი 1962: 301). 1810 წ. იმერეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ სვერის ციხე რუსეთის იმპერიის ხელშია. ამის შემდეგ მან დაკარგა თავისი ფუნქცია. ციხე იმერეთ-ამერეთის მნიშვნელოვან გზასაყარზე იდგა. საბაჟო იყო სოფ. ბერეთისა და ნიგოზეთის საზღვარზე. იქ სვერის ბატონს სასახლე ჰქონია. ტყემლოვანასა და სვერის შორის გადიოდა გზა, რომელიც ძველ ბოსლევში უერთდებოდა შორაპან-სახეურის გზას. ბოსლევში გზა მეორე მხრივ მიდიოდა საზანო-ბოსლევ-ამაშუკეთისაკენ (ბერძენიშვილი 1966: 19-22). შუა საუკუნეებში ქართლიდან იმერეთში გადადიოდა რამდენიმე გზა, რომლებიც აღწევდნენ სვერის ციხემდე, აქედან კი - ქუთაისამდე. ალი - ჭერათხევი - ჯვარი - კორბოლი - სვერი - წინსოფელი - ნავარძეთი - კაცხი - სკანდა - ჩხარი - ქუთაისი; სვერი - თვალუეთი - ჩხირაული - გეზრული - სანანშირე - შორაპანი (ცქიტიშვილი 1970: 36). ციხე აგებულია ციცაბო ფერდზე ამოზიდულ კლდეზე. ჩრდილოეთ ფერდზე გამოქვაბულებია. ციხის შიდა ფართობია 50X15მ. შესასვლელი აღმოსავლეთიდანაა. ციხის კედლებში შეინიშნება სამი სამშენებლო დონე: 1. ადრე შუა საუკუნეების დონე ნახევრად გათლილი მცირე კვადრებითაა ნაშენი, რიგების ჰორიზონტალური წყობით, 2. განვითარებული შუა საუკუნეების დონე მოზრდილი გათლილი კვადრებითაა აგებული, 3. გვიანი შუა საუკუნეების დონე რიგის ქვითა და ფლეთილი ქვებით ნარევი წყობით აუგიათ (ცქიტიშვილი 1970: 34-38). ვახუშტი ბაგრატიონი მისი აშენების თარიღად ასახელებდა VIII ს-ის 30-იან წლებს, მურვან ყრუს საქართველოში ლაშქრობის ხანას (ქც 4: 759,15,17). 1969 წ. ს.ჯანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. დ.თუშაბრამიშვილი) სოფ. სვერის ტერიტორიაზე მდებარე კოწიას კლდის მღვიმეში დაზვერვითი ხასიათის სამუშაო ჩაატარა. განადგურებულ ფენაში გამოვლინდა გახეხილ-გაპრიალებული ქვის სატეხი, ნავისებური ფორმის ხელსაფეკავის ნატეხი, თიხის ჭურჭლის ნატეხი. მასალა თარიღდება ადრეული ბრინჯაოს ხანით (თუშაბრამიშვილი 1971: 5-7).

სვერის ციხეზე დაზვერვებისას ზედაპირულად აკრეფილ მასალაში გამოირჩევა გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ადრენანტიკური და შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ნივთები (ცქიტიშვილი 1970: 35).

ციხეზე დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებდა საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ჯ.ნადირაძე). სადაზვერვო თხრილებში დაფიქსირდა ზოომორფული კერამიკის შემცველი ნასახლარის ფენები. ციხის სამხრეთით მდებარე ტერიტორია I ათასწლეულის პირველ ნახევარში აუთვისებთათ კოლხური კულტურის მატარებელ ტომებს. რაზეც მიუთითებს იქ გამოვლენილი კერამიკის ნატეხები. ციხის აღმოსავლეთ ფერდზე, სამარხში აღმოჩნდა

მოყვითალო თიხის მსხლისებურტანინი ხელადა, რაც ადასტურებს იქ გვიანანტიკური ხანის სამარონის არსებობას (ნადირაძე 1990: 9, 129, 130). სვერის ციხესა და სოფლის მიდამოებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი და შ.ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1966: 28-37; ბურჯანაძე 1959: 177-198; ბოჭორიძე 1996: 142, 144, 207, 208, 256, 263; გიულდენშტედტი 1962: 301; დადიანი 1962: 150, 176; თუშაბრამიშვილი 1971: 5-7; იველიძე 1969: 86, 166; ისტ. დოკ. 1958: 46, 55, 74, 78, 107; კაკაბაძე 1929ა: 82; ნადირაძე 1990: 9, 129, 130; პოლივექტოვი 1926: 113, 164, 184; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 44, 61; ტოლოჩანოვი 1970: 143, 158; ფურცელაძე 1881: 18; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 279; ქრონიკები 1967: 635, 637; ქც 1: 309,11; ქც 4:150,18; 416,6; 759,15,17; 822,12; 836,8; 857,24; 867,1; 869,9,12,13; 870,14; 872,5,7,8; 878,19; 893,6,8; ცქიტიშვილი 1970: 34-38.

ს3060 (ქც 4: 756,31; 757,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 756,31; 751,1; 772,14), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ისტ. დოკ. 1958: 71; დას. საქ. საბ. 1921: 81, 83), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 165).

ვახუშტი ბაგრატიონი სვირის შესახებ გადმოგვცემს: „უკუალად ყვირილასვე მოერთვის სვირის ხევი“ (ქც 4: 756,31).

მდებარეობს ზეგტაფონის მუნიციპ-ში, სოფლებს პირველი, მეორე და ახალი სვირის ტერიტორიაზე. სვირი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფ. სვირში დაფიქსირებულია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საცხოვრებელი გორა და ანტიკური ხანის ნამოსახლარი (ცქიტიშვილი 1964: 75).

ბიბლიოგრაფია: გიულდენშტედტი 1962: 165; დას. საქ. საბ. 1921: 81, 83; ისტ. დოკ. 1958: 71; ქც 4: 756,31, 751,1, 772,14; ცქიტიშვილი 1964: 75.

სიხონეთი (ქც 4: 755,1; 877,3,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 755,1; 877,3,5), XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 191; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 195), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 303).

მდებარეობს თერჯოლის მუნიციპ-ში, დღევანდელი სოფ. სიმონეთის ტერიტორიაზე.

სიმონეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული სიმონეთის გარდა, ამავე სახელწოდების სოფელი ცნობილია ხელვაჩაურის მუნიციპ-იდან (ქსე 1985: 352).

ბიბლიოგრაფია: გიულდენშტედტი 1962: 303; მა-

სალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 191; ქსე 1985: 352; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 195; ქც 4: 755,1; 877,3,5.

სიღნაღი, ქალაქი (ქც 4: 542, სქ. 5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 542, სქ. 5), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 161, 165-167, 169-171, 190, 192, 193, 195, 198, 208, 228), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1989: 73, 74, 100), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 68), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 13, 41), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 79, 119), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1967: 84, 188, 189).

მდებარეობს გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე, დღევანდელი ქ. სიღნაღისადგილზე. სიღნაღი ააშენა და 1762 წ. ქალაქისათვის ზღუდის შემოვლება დაასრულა მეფე ერეკლე II-მ (1744-1798). მასში ეტეოლა მთელი ქიზიყის მოსახლეობა (ქც 4: 542, სქ. 5). „სიღნაფი“ თურქულად ნიშნავს წყლიანი თხრილითა და მიწაყრით გამაგრებულ ადგილს. არსებობს მოსაზრება, რომ სიღნაღს ძველად ეწოდებოდა ქიზიყი (შაიშმელაშვილი 1969: 40-49).

სიღნაღი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სიღნაღი წარმოადგენს გალავნით შემოსაზღვრულ 40 ჰა ფართობს. გალავნის მთელ სიგრძეზე განლაგებულია მრგვალი ვეგმის მქონე 23 კოშკი და 6 კარი: მალაროს კარი და მისი დამცავი 2 კოშკი, სამეფო ანუ ჯუგაანის კოშკი, კახეთის კოშკი (I-II), შილდის კოშკი და კარი, ნარიყალას კოშკი, ზიარფხველის კოშკი და კარი, უსახელო კოშკი (I-II), ვაქირის კოშკი და კარი, კარდანახის კოშკი, პაკურცისის კოშკი, მაშნარის კარი და მისი დამცავი 2 კოშკი, ანაგის კოშკი, საქობოს კოშკი, მაჩხაანის კოშკი (I-II), ქიზიყის ანუ გორის კოშკი, ბოღბის კარი და კოშკი, ველისციხის კოშკი. კოშკების უმეტესობა ორსართულიანია, საბრძოლო ბანით. გალავანს კოშკებს შორის აქვს კონტოფორსები. გალავანი აგებულია რიყის ქვით. აქა-იქ ურევია აგურიც. გა-



სიღნაღი

ლანის კედელი ორიარუსიანია. ქვედა ყრუ კედელი 1,5 მ. ზედა კი 70-80 სმ სივანისაა. ზედა და ქვედა იარუსის კედლებს შორის მოწყობილია საბრძოლო ბილიკი, რომელზეც ადიოდა ქვის კიბეები. ზედა იარუსის კედლებში სათოფურებია (ზაქარაია 1962ა: 61-69; 1988: 141-144; შაიშველაშვილი 1973: 64-68). **ბიბლიოგრაფია:** *ბაგრატიონი 1986: 68; ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 79, 119; ბაგრატიონი დავით 1941: 13, 42; გვასალია 1986: 66, 67; ზაქარაია 1962ა: 61-69; 1988: 141-144; მესხია 1983: 234; ორბელიანი 1981: 161, 165-167, 169-171, 190, 192, 193, 195, 198, 208, 228; ქრთინევი 1967: 84, 188, 189; ქც 4: 542, სქ.5; შაიშველაშვილი 1969: 40-49; 1973: 64-68; ხერხეულიძე 1989: 73, 74, 100.*

სპანდა, ციხე (ქც 4: 416,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 416,6; 449,19; 600,21; 756,26; 820,10; 822,11; 836,9; 857,23; 883,16,17), ბერი ევნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტი (ქც 2: 376,26; 436,15; 533,2), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 174), XIII-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 143; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 56), ოუსტინიანეს „ნოველები“ (ოუსტინიანე 1965: 31-37), პროკოპი კესარიელის „ომი ვუთებთან“ (პროკოპი კესარიელი 1965: 96, 97, 101, 181, 185, 186), მენანდრე პროტიქტორის „ორმოცდაათ-წლიანი ომი“ (მენანდრე პროტიქტორი 1936: 222), ტოლოჩანოვის იმერეთის სამეფოში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა (ტოლოჩანოვი 1970: 121), ჟან შარდენის „მოგზაურობა“ (შარდენი 1975: 281). ბარბაროსა და კონტარინის „მოგზაურობა“ (ბარბარო 1981: 59-62; კონტარინი 1894: 48-51), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 109, 309). ვახუშტი ბაგრატიონი სკანდას შესახებ გადმოგვცემს: ჩიხორის „სამხრით, არს, მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“ (ქც 4: 756,25-27).

მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში, თერჯოლიდან 15 კმ-ის დაშორებით, სოფ. სკანდას ჩრდილოეთით მდ. ჩხარის მარცხენა ნაპირზე, მაღალ, კლდოვან გორაკზე.

წყაროებში ციხე მოიხსენიება VI ს-დან. „სკანდა და სარაპანისი მდებარეობს იბერიის საზღვრებისკენ“ (პროკოპი კესარიელი 1965: 101). „ლაზთა ორი ციხეა ზედა იბერიის საზღვართან, სკანდა და სარაპანისი. ისინი მდებარეობენ მკაცრსა და მეტად ძნელად სავალ ადგილებში. ციხეებს ლაზები ძველად დიდი გაჭირვებით იცავდნენ, რადგან იქ საზრდო სრულიად არაფერი მოდის და ადამიანებს ზურგიით უხდებთ სურსათის მიტანა“ (პროკოპი კესარიელი 1965: 185, 186). წყაროების მიხედვით სკანდას ციხე IV ს-ში ააგო ეგრისის სამეფო ხელისუფლებამ ქართლის საზღვარზე, მნიშვნელოვან გზასაყარზე,

რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს აკავშირებდა იმერეთსა და შავი ზღვისპირეთთან. VI ს-ის პირველ ნახევარში სკანდაში ბიზანტიის გარნიზონი იდგა, მაგრამ მათ ციხე დატოვეს სურსათის უქონლობის გამო. სკანდას ციხე ირანელებმა უომრად ჩაიგდეს ხელში (პროკოპი კესარიელი 1965: 186). 532 წ. ეგრისის ხელისუფლებამ ციხე დაანგრია, მაგრამ ირან-ბიზანტიის ომის განახლებისას, 540 წ. სპარსელებმა ის განაახლეს და 562 წლამდე ეყურათ. XV ს-ში იტალიელი მოგზაური ჯოსაფატ ბარბარო წერდა: „სკანდას საკმაოდ მტკიცე ციხესიმაგრე, გორიდან ოთხი დღის სავალზეა, რომელსაც საკმაოდ დიდი მდინარე ჩაუდის“ (ბარბარო 1981: 62). XV ს-ში ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-ეს (1466-1478) იქ ციხე-დაბაზი ჰქონია (ბერძენიშვილი 1964: 7). 1583 წ. იმერეთის მეფე გიორგი II-ის (1565-1583) მემკვიდრის, 12 წლის ლევანის წინააღმდეგ გაილაშქრა მისმა ბიძამ კონსტანტინემ და დაიპყრო სკანდა. შემდგომ ლევანმა დადიანის დახმარებით დაიბრუნა ციხე. 1590 წ. ქართლის მეფე სიმონ I (1556-1600) გადავიდა იმერეთში და დაიპყრო სკანდა. თუმცა, ციხე მალევე დაკარგა (ქც 2: 533,2). 1646 წ. ლევან დადიანმა გაილაშქრა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის (1639-1660) წინააღმდეგ, მაგრამ სკანდას ციხე ვერ აიღო. 1650-1652 წწ. ალექსანდრე III-ის კარზე იყვნენ რუსეთის ელჩები ტოლოჩანოვი და იველივი, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ იმ დროისათვის სკანდა ერთერთი კეთილმოწყობილი ციხესიმაგრე იყო, აშენებული მაღალ მთაზე და მის გარშემო დიდი ხრამები იყო, რომლებსაც მტრის ლაშქარი ვერ მიუღებოდა. ციხესიმაგრე შემოწოდული იყო 20 მ სიმაღლისა და 600 მ სიგრძის ქვის კედლით. მასში დატანებული იყო კოშკები, რომლებზეც ზარბაზნები იდგა. გალავანში არსებული ნაგებობები შედგებოდა რამდენიმე ოთახისა და დარბაზისაგან. იქვე ინახებოდა სამეფო განძეულობა. სამეფო დარბაზი და ოთახები კარგად იყო მორთული. ციხის შიგნით იდგა წმინდა გიორგის ეკლესია, სასახლე, ხორბლით სავსე ბელედი და სარდაფი (ტოლოჩანოვი 1970: 121). 1659 წ. სკანდას ციხეში ცხოვრობდა მეფე თეიმურაზ I (1606-1648). 1660 წ. მეფე შაჰნავაზმა აიღო ციხე და თეიმურაზ I მისი საპატიო ტყვე გახდა. XVIII ს-ში იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ს (1720-1752) თავს დაესხა რაჭის ერისთავი, მაგრამ მან ციხე ვერ აიღო. ციხეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმერეთის მეფე სოლომონ I-ის (1752-1784) დროს. რუსეთის იმპერიის მიერ იმერეთის სამეფოს ვუქმების შემდეგ სკანდას ციხემ მნიშვნელობა დაკარგა. ციხე აგებულია სოფ. სკანდას ჩრდილოეთით, ორ ღელეს შორის მაღალ ბორცვზე. ციხის ფართობია 7000 კვმ. შიდა ნაგებობებიდან შედარებით უკეთაა შემორჩენილი სასახლის აღმოსავლეთი კედელი და ეკლესიის ფრაგმენტები, რომლის ერთი თაღის თლილ ქვაზე შეინიშნება ხუთსტრიქონიანი მხედრული წარწერის ფრაგმენტები. გაირჩევა „ვინც“ და „მობრძანებაი“. ეკლესია აგებული ყოფილა

თლილი ქვით. ზღუდის კუთხეებში იდგა კოშკები. დასავლეთის კოშკთან იწყება გვირაბი, რომლის სიგრძე 64 მ, სიგანე 2 მ და ჩადის ღელეში (ლექვიანაძე 1961: 147). ციხის მშენებლობაში გამოყენებულია გვიანრომაულ და ბიზანტიურ არქიტექტურაში მიღებული წვობა – კედლები იგება შედარებით უხეშად გათლილი საშუალო ზომის ქვის კვადრებით. რიგებს შორის მიგანდობა დატანებული აქვს ბრტყელი აგურის რამდენიმე რიგისაგან შედგენილი სარტყელი (ოთხი რიგი). საფორტიფიკაციო ნაგებობების ანალიზის საფუძველზე ციხე აგებულია IV ს-ში (ლექვიანაძე 1961: 146-150).

1949 წ. ციხის ტერიტორიაზე ჩატარდა მცირე სადაზვერვო სამუშაო, რომელიც გამოავლინა კედლის ადრეული ფენები (ლექვიანაძე 1961: 167).

1995 წელს სკანდის ციხეზე გათხრებს აწარმოებდა შ.ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია (ხელმძღვანელი ზ.ბრაგვაძე). გაითხრა წმ.გიორგის ეკლესიის ინტერიერი და მარანი. არქეოლოგიური მასალა ძირითადად წარმოდგენილია არქიტექტურული დეტალებით და გვიან შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტებით, რომლებიც ინახება ჩხარის მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია: ბარბარო 1981: 62; ბერძენიშვილი 1964: 7, 10, 16, 18; გიულდენშტედტი 1962: 169, 303; დადიანი 1962: 174; თუსტინაძე 1965: 30-37; კონტარინი 1894: 17, 48, 51; ლექვიანაძე 1961: 148-167; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 56; მენანდრე პროტიქტორი 1936: 22, 23; მუსხელიშვილი 1977: 54, 105, 113; 1980: 12, 85; პროკოპი კესარიელი 1965: 118-212; საითიძე 1990: 54-61; ტოლოჩანოვი 1970: 121, 152; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 143; ქვ 2: 376,26; 436,15; 533,2; ქვ 4: 416,6; 449,19; 600,21; 756,26; 820,10; 822,11; 836,9; 857,23; 883,16,17; შარდენი 1975: 281.

სპრად (ქვ 4: 344,9), იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 344,9), XIV, XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 305; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 37, 403, 567; 1974: 118, 467; 1977: 107; 1981: 236; 1985: 468, 834, 838; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 15, 105, 346; 1953: 16; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 193), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 241), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 32).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „დასავლეთი გორიჯურისა არს ხევი სკრისა, და მიერთვის სამხრიდამ მტკუარს“ (ქვ 4: 344,9,10).

მდებარეობს გორის მუნიციპ-ში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, გორიდან დასავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, თანამედროვე სოფ. სკრის ტერიტორიაზე. წყაროებში იხსენიება XIV ს-დან (ქრონიკები 1987: 192). XVII ს-ში ციცივილითა მფლობელობაშია (გვასალია 1983: 75). 1756 წ. კახეთში დამარცხებუ-

ლი ავარიის ხანის, ნურსალბეგის ლაშქრის ერთ-ერთი რაზმი ქართლს შეესია. ქართლის მეფის თეიმურაზ II-ისა (1744-1762) და კახეთის მეფის ერეკლე II-ის (1744-1798) ჯარი მათ სკრასთან დაეწია და სასტიკად დაამარცხა (ორბელიანი 1981: 241).

სკრა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფლის ჩრდილოეთით დგას ორსართულიანი ცილინდრული კოშკი (დმ 10,6 მ, სიმაღლე 8,2 მ, კედლის სისქე 2,4 მ). ნაგებია ორდრის ქვით. კარსა და სარკმლებზე გამოყენებულია თლილი ქვა. შესასვლელი მეორე სართულზეა. პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისაა (ზაქარაია 1959ა: 201-204).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 32; გვასალია 1983: 75; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 15, 105, 346; 1953: 16; ზაქარაია 1959ა: 201-232; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 193; ორბელიანი 1981: 241; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 37, 403, 567; 1974: 118, 467; 1977: 107; 1981: 236; 1985: 468, 834, 838; ქრონიკები 1897: 305; ქვ 4: 344,9.

სლმსა (ქვ 4: 467,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 467,2), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 143, 144, 150, 549), ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ... 1979: 176).

მდებარეობს ახალციხის მუნიციპ-ში, ბორჯომ-ახალციხის გზაზე, მტკვრის მარცხენა მხარეს, სლესის ხევიდან, სოფ. აწყურის მახლობლად (მაკალათია 1957: 45).

სლესა სოფელიც იყო და ციხეც. სოფელი სლესა ციხესთან ივარაუდება (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 144). XVI ს-ში სლესის ციხე შედიოდა თორელთა მამულში, რომლის მფლობელები ავალიშვილები იყვნენ (შოშიაშვილი 1966: 52; ბერძენიშვილი 1985: 52). სოფ. სლესა წყაროებში პირველად XVI ს-ში იხსენიება, როგორც 16 კომლიანი სოფელი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 143). XVII ს-ში სლესა შედიოდა ახალციხის ლივის, აწყურის ნაპიეში (ჩილდირის ... 1979: 176). XVII ს-ის დასასრულისათვის ირანის შაჰის მიერ ქართლის ტახტიდან გადაყენებული გიორგი XI (1677-1688) სლესას შეჩერდა (ქვ 4: 467,2). XIX ს-ში სლესა ნანოფლარია.

სლესა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სლესას ციხე დგას კლდოვან გორაკზე. შემორჩენილია ერთი კოშკი. ზღუდე-გალავნისა და მის შიგნით არსებული ნაგებობების მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი. კოშკი ნაგებია კლდის დამუშავებული ქვით. წვობა პორიზონტალურია (მაკალათია 1957: 45; ზაქარაია 1977: 36).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1985: 52; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 143, 144, 150, 549; ზაქარაია 1977: 36; მაკალათია 1957: 45; ქვ 4: 467,2; შოშიაშვილი 1966: 7-77; ჩილდირის... 1979: 176.

სომაანეთი (ქც 4: 376,24,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 376,24,25), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 43), 1633 წ. როსტომ მეფის სიგელი ბოძებული ზაქარია ავალიშვილისადმი (საქ. სიძ. 1910: 542, 543; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 194).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „მტკურის კიდევდ, სამხრით, არს სომაანეთი. ამ სომაანეთის სამხრით არს ვაყა“ (ქც 4: 376,24,25).

მღებარეობს ზაშურის მუნიციპ-ში, მდ. აღისწყლის ხეობაში, თანამედროვე სოფ. ვაყის სამხრეთით 1,5 კმ-ის დაშორებით.

სომაანეთი ამჟამად ნასოფლარია. 1633 წ. როსტომ მეფეს (1632-1658) სომაანეთი ზაქარია ავალიშვილისათვის უბოძებია (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 194).

სომაანეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სომაანეთის ნასოფლარზე დგას ქვიშაქვით, რიყის ქვითა და აგურით ნაგები XIX ს-ის დარბაზული ეკლესია (7,8X5,3 მ). აფსიდა ნახევარწრიულია. აქვს შესასვლელი დასავლეთიდან და სამი სარკმელი აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებზე. აღმოსავლეთის ფასადზე აგურით გამოყვანილი ჯვრის გამოსახულებაა. ეკლესია ძველ ნაეკლესიარზე დგას (სძა 1990: 432, 433).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 43; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 194; საქ. სიძ. 1910: 542, 543; სძა 1990: 432, 433; ქც 4: 376,24,25.

სოლანლუდი, სოლანლუდი (ქც 4: 329,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 329,1), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 37), ომან ხერხეულიძის „მეფობა არაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1989: 54), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 133, 143, 203, 244, 243), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 65, 70), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 46), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 24, 29, 67), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 65), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 30, 129), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1981: 76, 113), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1967: 92, 430; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 241, 242; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 181, 182), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 17, 65, 67, 83, 85; 1964: 19), რიჩარდ უილბრაჰიმის „ცნობები საქართველოს შესახებ“ (უილბრაჰიმი 1990: 16).

ვახუშტი ბაგრატიონი სოლანლუდის შესახებ გადმოგვცემს: „კუმისის აღმოსავლეთით, მტკურისაკენ არს თელეთები და ეკლესია წმიდის გიორგისა

სასწაულთმოქმედი. მტკურის კიდევდ არს ჭალა ყურყუთა და აწ სონლალულად წოდდელი, ნაყოფიერი ყოვლითავე“ (ქც 4: 328,26,27, 329,1,2).

ლოკალიზდება თბილისის ერთ-ერთი თანამედროვე უბნის, ფონიჭალის ტერიტორიაზე, მდ. მტკურის მარჯვენა ნაპირზე (ბერიძე 1977: 110).

სოლანლუდი თურქული წარმოშობის სიტყვაა და ქართულად „სახახვეს“; „სახახვეს“ ნიშნავს (იოსელიანი 1850: 4). წყაროებში სოლანლუდის სახელწოდება სხვადასხვა ფორმით გვხვდება: „ყურყუთა“ (ქც 2: 391,9; ქც 4:461,14, 504,23, 620,11, 627,7; ხერხეულიძე 1989: 38); „სოლანლუნი“ (ხერხეულიძე 1989: 54; ბაგრატიონი 1983: 65, 70), „სონლალუდი“ (ქც 4: 329,1), „სოლალუდი“ (ბაგრატიონი 1986: 46). სოლანლუდი (ყურყუთა) წყაროებში იხსენიება XVII ს-დან. ის იყო თბილისის ერთ-ერთი საგარეუბნო სოფელი. სოლანლუდზე გადიოდა განჯის გზა, რომლის საშუალებით თბილისის უკავშირდებოდა აღმოსავლეთისა და სამხრეთის ქვეყნებს. 1658 წ. ქართლის მეფე ვახტანგ V-მ (1658-1675) სოლანლუდში მიიღო ირანის შაჰის მიერ გამოგზავნილი რაყამი და ხალათი. 1663 წ. იქვე შეხვდა ვახტანგ V ირანიდან დაბრუნებულ თავის შვილს, კახეთის მეფეს არჩილს (1664-1675). სოლანლუდში რამდენჯერმე შეჩერდნენ ქართლ-კახეთის მეფეები თეიმურაზ II (1744-1762) და ერეკლე II (1744-1788). XVIII ს-ის 60-იან წლებში ერეკლე II-მ თავისი კუთვნილ სოფ. სოლანლუდში ააგო ციხე, რომლის ასაშენებელი თანხის ნაწილი გაიღო თავადმა ამილახვარმა. სანაცვლოდ მეფემ მას გადასცა სოფლის ნაწილი. ციხესიმაგრის აგების შემდეგ სოფელს ერეკლეს ციხე ეწოდა. XVIII ს-ის ბოლოს სოლანლუდი ხან იულონ, ხან ფარნაოზ ბატონიშვილს ეკუთვნოდა (ბერიძე 1977: 108-123). დღევანდელი ფონიჭალის ტერიტორია, სადაც ლოკალიზდება „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული სოლანლუდი, არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ამ ტერიტორიაზე ცნობილია მხოლოდ შუა ბრინჯაოს ხანის სამაროვანი და გვიანი ბრინჯაოს ხანით დათარიღებული რამდენიმე შემთხვევითი მონაპოვარი (თბილისი 1978: 202).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1983: 65, 70; ბაგრატიონი 1986: 46; ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 65; ბაგრატიონი დავით 1941: 24, 29, 67; ბერიძე 1977: 108-123; გიულდენშტედტი 1962: 17, 65, 67, 83, 85; 1964: 19; დადიანი 1962: 30, 129; თბილისი 1978: 202; იოსელიანი 1850: 4; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 241, 242; ორბელიანი 1981: 133, 143, 203, 244, 243; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 181, 182; უილბრაჰიმი 1990: 16; ქრონიკები 1967: 92, 430; ქც 4: 329,1; ჩხეიძე 1913: 37; ცხოვრება ... 1980: 76, 113; ხერხეულიძე 1989: 54.

სორო (ქც 4: 766,4,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 766,4,6), ქართული ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ.

გეოგ. 1964: 195), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 109, 113, 291).

ვახუშტი ბაგრატიონი სორის შესახებ გადმოგვცემს: „მინდას ზეით მოერთვის რიონს ჩდილოეთი-დამსორის ხევი. ამახედ არს მონასტერი უგუმბათო, დიდი, კეთილშენი, აწუხვის ამარად. ამ სორს ზეით მოერთვის რიონს სამხრდიამ ხევი ხეოი“ (ქც 4: 766,4-7).

მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტის მდ. რიონის მარჯვენა შენაკადის სონატრულას შესართავთან, თანამედროვე სოფ. სორის ტერიტორიაზე.

სორი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სორიდან 5 კმ-ის დაშორებით, მდ. სონატრულას მარცხენა ნაპირზე, დგას წმინდა გიორგის დარბაზული ტიპის IX-X სს-ის ეკლესია. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულია რაჭის ერისთავი ქველი ჭარბლიძე. იქვე XV ს-ის მხედრული წარწერაა: „წმიდაო გიორგი მრავალძალისაო, მეოხ და მფარველ ექმენ წინაშე ღმრთისა ჭარელისძესა ქველსა.“ XVIII ს-ში ეკლესია ნაწილობრივ ხელახლა მოიხატა. სამხრეთ კედელზე გამოსახულები არიან რაჭის ერისთავი შოშიტა III და მისი ოჯახის წევრები. საკურთხეველში შემორჩენილია წარწერა: „ქ. მაცხოვარო პირმდთისა, მეერისთავი შოშიტა შემეწყალე“ (ბერაძე 1983: 113, 115). XX ს-ის დასაწყისში სორის ეკლესიაში ინახებოდა მრავალი ხატი და სხვა საეკლესიო ნივთები (ბოჭორიძე 1935: 314-322; თაყაიშვილი 1963: 24-38).

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1983: 113,115; ბოჭორიძე 1935: 289-339; ბროსი 1851: 65, 66; გიულდენშტედტი 1962: 109, 113, 291; თაყაიშვილი 1963: 24-38; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 195; ქც 4: 766,4,6.

სონუში, ცხუმი ქალაქი (ქც 1: 42,29; 235,5), სავრისთავო, დაბა (ქც 4: 781,15), იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 42,29), ჯუანშერის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 34,1; 111,2), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 156,7), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 172,7; 258,7,8; 269,2; 284,9; 780,10,12; 781,სქ.3; 796,10; 801,11; 864,სქ.1), 1737 წ. ლიხთიმერეთის რუკა (ბურჯანაძე 1959: 194), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 180, 183, 184, 194, 197, 200, 120, 123, 153, 154, 181), სკლაქს კარიანდელის „მოგზაურობა“ (ყაუხჩიშვილი 1967ა: 48), სტრაბონის „გეოგრაფია“ (ყაუხჩიშვილი 1957: 86), 91-93, 120-123, 125, 126, 140), პლინიუს გაიუს სეკუნდუს უფროსის „ბუნების ისტორია“ (ლატიშვილი 1948: 186, 187), პომპონიუს მელას „ქვეყნიერების აღწერილობა“ (გამყრელიძე 1965: 29, 31), ფლავიუს არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (კეჭელაძე 1961: 41-43, 51), აპიანეს „მითრიდატიკა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 195),


კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ (ლომური 1955: 45), იპოლიტე რომაელის „დიამერისოსის“ (გეორგიკა 1961: 20), ამიანე მარცელინუსის „ისტორია“ (გეორგიკა 1961: 112), ვესევი კესარიელის „ქრონიკები“ (გეორგიკა 1961: 32), ანონიმი ავტორის „ექსინის პონტოს პერიპლუსი“ (კეჭელაძე 1961: 88, 90, 91), სტეფანე ბიზანტიელის „ეთნიკა“ (გეორგიკა 1934: 277), ეპიფანე მონაზონის „ანდრია მოციქულის ცხოვრება“ (გეორგიკა 1967: 113, 114), კატერინო ძენოს „შენიშვნები რაინდ კატერინო ძენოს სპარსეთში მოგზაურობისა და სპარსელთა ომების შესახებ“ (მამისთავალაშვილი 1981: 33), ჯოსაფატ ბარბაროს „მოგზაურობა ტანასა და სპარსეთში“ (მამისთავალაშვილი 1981: 55), არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ (ლამბერტი 1991: 11, 107), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 259), ივანე შილტბერგერის „მოგზაურობა ევროპაში, აზიასა და აფრიკაში“ (შილტბერგერი 1867: 45, 46), ათანასე ნიკიტინის „მოგზაურობა ინდოეთში“ (ბარანოვი 1939: 74), ჟან დე-ლუკის „აღწერა პერეკოპისა და ნოღაის თათრების, ჩერქეზების, მეგრელებისა და ქართველებისა“ (ლუკი 1879: 422), რაინეგის „კავკასიის ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერილობა“ (რაინეგის 1797: 3), პეისონელის „სავაჭრო ურთიერთობათა აღწერა“ (პეისონელი 1927: 29), ჟოზეფ ჩელდის „ჯიჰან ნუმა“ (ჩელდები 1978: 132-135), ბოროზდინის „სამეგრელო“ (ბოროზდინი 1934: 18,60), კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოს შესახებ (კოხი 1981: 120, 123, 130), ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს „მოგზაურობა კავკასიაში“ (დიუბუა დე მონპერე 1843: 316, 317), ალექსანდრე დიუმას „კავკასია“ (დიუმა 1964: 412), ჟაკ ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 84-87, 92-94, 105, 106, 260-275), ტრაპიზონის ფაშას სეიდ-სულიმანის 1813 წ. წერილი (საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. 1953: 139).

ვახუშტი ბაგრატიონი ცხუმის შესახებ გადმოგვცემს: „კოდორის დასავლეთად დის მდინარე ცხომისა, გამომდინარე კავკასიისა და მოერთვის ზღუას ჩრდილოდამ. ამ წყალზედ, მთაში, არს ცხომი, და ისახელების მდინარე ესე ამისგან. იყო ცხომი ქალაქი და სავრისთავო და აწ დაბა“ (ქც 4: 781,15).

ლოკალიზდება დღევანდელი ქ. სოხუმის ადგილზე. ცხუმი სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა სახელით იხსენიება: დიოსკურია (სტრაბონის „გეოგრაფია“ XI, II,16; პლინიუსის „ბუნების ისტორია“ VI, 15-16), სებასტოპოლისი (კატერინო ძენო, შარდენი და სხვ.), ცხუმი (ლეონტი მროველი, ვახუშტი და სხვ.). სოხუმი თავდაპირველად დიოსკურიად იწოდებოდა. დიოსკურიის ეტიმოლოგიის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: მკვლევართა ერთი ნაწილი სახელწოდებას „დიოსკურია“ ადგილობრივი ტოპონიმის გრეციზირებულ ფორმად მიიჩნევს (ორბელი 1911: 195-215; შენგელია 1963: 826);

მეორენი – ადგილობრივ ტოპონიმად (ჯანაშია 1952: 16; მიქელაძე 1974: 105). მესამენი – ბერძნულ სახელწოდებად (თრაფში 1969: 219).

დიოსკურიის ლოკალიზაციის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრით, ის ლოკალიზდება მდ. კოდორის შესართავთან, ისკურიას კონცხთან (უსლარი 1881: 390-391; ივაშჩენკო 1926ა: 93-103); მეორენი ვარაუდობენ, რომ დიოსკურია მდ. ბესლეთის შესართავთან მდებარეობდა და სოხუმის ყურეშია ჩაძირული (სოლოვიოვი 1947: 99; თრაფში 1969: 212; ვორონოვი 1980: 22-24).



დიოსკურია-სებასტოპოლისის გეგმა

დიოსკურიის სტატუსის შესახებაც სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მკვლევართა ერთი ნაწილი მას პოლისად მიიჩნევს (ბოლტუნოვა 1979: 259; ლორთქიფანიძე 1979: 325); მეორენი ემპორიონად (ლორთქიფანიძე 1978: 134-143); მესამენი – ძვ. წ. VI-V სს-ის ემპორიონად, ხოლო ძვ. წ. IV ს-დან ბუფერული, შერეული, პოლისური ტიპის ქალაქად (გამყრელიძე 1993: 57-64).

ძვ. წ. VI-I სს-ში დიოსკურია კოლხეთის მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრია. ძვ. წ. II-I სს-ის მიჯნაზე პონტოს მეფის მითრიდატე ვეპატორის რეზიდენციაა. აღნიშნულ ხანაში აქ იჭრებოდა მონეტები დიოსკურიის სახელით. ახ. წ. I ს-დან სებასტოპოლისი ეწოდა. I-VI სს-ში რომაელ-ბიზანტიელთა მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული ციხე-ქალაქია. XI ს-დან ცხუმად იწოდება. 737-738 წწ. მურვან ყრუმ დალაშქრა. XII-XIII სს-ში საქართველოს სამეფოს მნიშვნელოვანი ზღვისპირა ქალაქი და მეფეთა საზაფხულო რეზიდენციაა. იმავე ხანებში, ის ცხუმის საერისთავოს ცენტრადაც ითვლებოდა. XIV ს-ის დასაწყისში სამეგრელოს მთავარმა გიორგი დადანმა ცხუმის საერისთავოს ძირითადი ნაწილი დაიკავა. 1330 წ. გიორგი ბრწყინვალემ ცხუმი დაიბრუნა და ბედიელს გადასცა. XIV ს-დან ცხუმი გენუელთა ფაქტორიაა. 1473 წ. გენუელებმა ცხუმი დატოვეს (ანნაბაძე 1959: 248). XV ს-ის დასაწყისში სოხუმი აფხაზეთის მთავარი ქალაქი იყო. XV ს-ის მეორე ნახევარში კი მხოლოდ დიდი ციხესიმაგრეა. XVI-XVII სს-ში მცირე ქალაქია (მესხია 1983: 142).

1724 წ. სოხუმში თურქების გარნიზონი ჩადგა. 1733 წ. აფხაზებმა ისინი განდევნეს, მაგრამ მალე თურქებმა სოხუმი ისევ დაიკავეს. 1806 წ. თურქებმა სოხუმი დატოვეს. 1810 წლიდან სოხუმში რუსული გარნიზონი განლაგდა.

სოხუმი და მისი მიდამოები არქეოლოგიურად მეტ-ნაკლებად შესწავლილია. 1886 წ. სოხუმში, მდ. ბესლეთის სანაპიროზე, არქეოლოგიური გათხრები ვ.სიზოვმა აწარმოა (სიზოვი 1889: 14). 1925 წ. კი ა. ბაშკიროვმა (ბაშკიროვი 1926: 16). 1922-1926 წწ. სოხუმსა და მის შემოგარენში სადაზვერვო სამუშაოები მ.ივაშჩენკომ ჩაატარა (ივაშჩენკო 1926: 101); 1935 წ. წითელ შუქურაზე სადაზვერვო ხასიათის სამუშაოები ჩაატარა მატრიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა.იესენი). 1938 და 1940 წწ. სოხუმის ცენტრში და სოხუმის მთის სამხრეთ ფერდობზე არქეოლოგიური გათხრები აწარმოა ლ. სოლოვიოვმა. 1951 წ. სოხუმის მთაზე არქეოლოგიური გათხრები ჩაატარეს ალ.კალანდაძემ და მ.თრაფშმა. 1958-1959 წწ. სოხუმის ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებს აწარმოებდა ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ა. აფაქიძე). 1971-1980 წწ. ეშერის ნაქალაქარზე მუშაობდა აფხაზეთის ენისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. გ. შამბა).

ქ. სოხუმში, სოხუმის მთაზე დაფიქსირდა აშელის ხანის იარაღები (ზამიატინი 1961: 76). სოხუმიდან 2-5 კმ-ის დაშორებით, სოფ. ქველა და ზედა იაშთხაზე აღმოჩნდა შელი-აშელის დროის დისკოსებური და კუბოსებური ნუკლეუსები, წვეტანები, საფხეკები; მუსტიეს ეპოქის წვეტანები, საფხეკები, ნუკლეუსები. აგრეთვე ზედაპალეოლითის ეპოქის ნუკლეუსები, ანატკეცები, წვეტანები (ზამიატინი 1961: 76-82, 120, 169-180). სოხუმიდან 6 კმ-ის დაშორებით გვარდას მთაზე აღმოჩნდა შელი-აშელის ხანის ანატკეცები, სახოკები, წვეტანები (ზამიატინი 1961: 91).

ქველა ეშერაში, ვერეშჩაგინის ბორცვზე, აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, სადაც დაფიქსირებულია კანელურებიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. ბორცვის ჩრდილოეთ ნაწილში დადასტურებულია 4 ურნასამარხი მეორედი დამარხვის წესით. პირველი და მეორე სამარხების ინვენტარში შედიოდა: ბრინჯაოს ცული, ხანჯალი, მასური რგოლები, ბრინჯაოს სარტყლის ფრაგმენტები, სერდოლიკის მძივები (100გ), პირამიდული ფორმის საკიდი. მესამე უინვენტარო სამარხში დაფიქსირდა ადამიანის ჩონჩხი. მეოთხე სამარხში გამოვლინდა: ბრინჯაოს ცული, მუხისპირი, რკინის შუბისპირი, ბრინჯაოს ხანჯალი, ყელსაბამი, ბრინჯაოს მძივი (კუფტინი 1949ა: 178-200).

ქველა ეშერაში, კიურ-დერეს დასახლებაში, გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის დოლმენების ჯგუფი. პირველი დოლმენის ზომები: 2,1X2,93X3,68მ.

ინვენტარი: ბრინჯაოს სფერული დილები, კასრისებური მძივები, სფერული ფორმის საკინძი, სპირალური სამაჯურის ფრაგმენტი; მოწითალო და მოშავო ფერის ჭურჭლის ნატეხები (კუფტინი 1949ა: 266-268). მეორე დოლმენი გაპარცულია. ზომები: 2,5X2,55X2,02 მ. ინვენტარიდან შემორჩენილია ბრინჯაოს შუბისპირი (კუფტინი 1949ა: 272, 273). მესამე დოლმენის ინვენტარი: ბრინჯაოს ცული, ანკეი, შუბისპირები, მძივები, მოწითალო კეცის ჭურჭელი (კუფტინი 1949ა: 276-277). მეოთხე დოლმენში გამოვლინდა: სპილენძის ცული, ფირფიტები, კასრისებური და მრგვალი მძივები, საკიდი, სპირალური საყურეები, სფერული დილები, მოწითალო ფერის ჭურჭლის ფრაგმენტები (კუფტინი 1949ა: 269-270). მეხუთე დოლმენში აღმოჩნდა: ბრინჯაოს შუბისპირი, სარტყელი, ბიკონუსური მძივები, საკიდები, თიხის ჭურჭელი (ჯაფარიძე 1959: 79-92). მეექვსე დოლმენის ინვენტარი: ბრინჯაოს შუბისპირი, კაჟის ისრისპირები, თიხის კვირისტავი, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. დოლმენი თარიღდება ძვ. წ. 2400-2200 წწ. (ჯაფარიძე 1959: 95-100).

სოხუმის დასავლეთით, წითელ შუქურაზე გამოვლენილია გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, სადაც დადასტურებულია ე.წ. ქსოვილიანი კერამიკა (თრაფში 1955: 185-188). წითელ შუქურაზე გათხარა 131 სამარხი (მეორეული დაკრძალვა ურნებში, ორმოსამარხები). მიცვალებულები დაკრძალულია მოხრილ პოზაში, ზოგიერთი მათგანი თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ ან სამხრეთ-აღმოსავლეთით. ინვენტარი: თიხის ქოთნები, ფილები, სასმისები, ბრინჯაოს ცულები, რკინის ცულები, შუბისპირები, ისრისპირები, მახვილები, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ფიბულები, ბალთები, მძივები. ისინი ზოგადად ძვ. წ. VIII-III სს-ით თარიღდება (თრაფში 1969: 82-208). მათში გამოყოფილია ორი ჯგუფი: ე. წ. „უფროსი ასაკის“ სამარხები, რომლებიც ძვ. წ. VIII-VI სს-ით თარიღდება და „უმცროსი ასაკისა“, რომლებიც ძვ. წ. V, IV-III, III-II სს-ით თარიღდება (ლორთქიფანიძე 1978: 46-51).

სოხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ე. წ. „სოხუმის მთაზე“ გამოვლენილია ნამოსახლარი და სამაროვანი. ნამოსახლარის ფენებში დადასტურებულია თიხის ქილები, ქვაბ-ქოთნები, კოჭბები, დოქები, ხელადები, კრამიტები, რკინის წალი. მასალა თარიღდება ძვ. წ. V-II სს-ით (კალანდაძე 1953ა: 35-52). სამაროვანზე წარმოდგენილია კრემაციული და ინჰუმაციური სამარხები. ინჰუმაციური სამარხების ინვენტარი: შავლაკიანი ამფორისკის ძირი, საბრძოლო ცული, მახვილები, შუბისპირები. კრემაციული სამარხების ინვენტარი: ბრინჯაოს სამაჯურები, ვერცხლის შვილდსაკინძები. ინვენტარი თარიღდება ძვ. წ. V-II სს-ით (კალანდაძე 1953ა: 54-55).

„სოხუმის მთის“ ჩრდილოეთით, ქ. სოხუმისა და სოფ. ბირცხას საზღვარზე მდებარეობს გუადინუს

სამაროვანი. გათხრილია 91 სამარხი. გამოყოფილია სამარხთა „უფროსი“ და „უმცროსი“ ასაკის ჯგუფები. „უფროსი ასაკის“ სამარხთა ჯგუფში წარმოდგენილია 17 ინჰუმაციური და 15 კრემაციული სამარხი. ინვენტარი წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, რკინის საბრძოლო ცულებით, შუბისპირებით, ისრისპირებით. თარიღდება ძვ. წ. VII-VI სს-ით (ლორთქიფანიძე 1978: 55). „უმცროსი ასაკის“ სამარხთა ჯგუფში წარმოდგენილია 48 კრემაციული და 12 ინჰუმაციური სამარხი. კრემაციული სამარხების ინვენტარში ძირითადად წარმოდგენილია: სამკაულები – სამაჯურები, შვილდსაკინძები, ყელსაბამები, მძივები; ინჰუმაციურში – რკინის საბრძოლო ცულები, შუბისპირები, ისრისპირები, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაულები – სამაჯურები, ფიბულები, მძივები; ადგილობრივი და იმპორტული კერამიკა – სიფოსები, ქოთნები, თასები, ჯამები, ლანგრები და სხვ. ერთ სამარხში (№39) აღმოჩნდა კოლხური თეთრი – ნახევარდრამაქმა. სამარხები ძვ. წ. V-II სს-ით თარიღდება (თრაფში 1969: 45-77).

ქ. სოხუმში, პუშკინის ქუჩაზე დადასტურებულია ძვ. წ. V-II სს-ის ფენა, სადაც წარმოდგენილია შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხი, შავლაკიანი ლეკითოსისა და მეგარული თასის, ამფორებისა და ადგილობრივი კერამიკის ფრაგმენტები, პირამიდული საწაფი (ვორონოვი 1969: 51); სასტუმრო „რიწასთან“ დაფიქსირდა ძვ. წ. III-II სს-ის ფენა, სადაც აღმოჩნდა ამფორების, შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხები, ამფორისკი, პირამიდული საწაფი (სოლოვიოვი 1947: 121).

ქ. სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით, 15 კმ-ის დაშორებით, შემთხვევით აღმოჩნდა კერამიკული წარმოების ნაშთი. იქ გამოვლინდა ადგილობრივი დამლიანი ამფორის ფრაგმენტი დიოსკურიის შემოკლებული სახელით (ლორთქიფანიძე 1978: 43; შამბა 1976: 77-80).

ქ. სოხუმის ყურის ფსკერზე აღმოჩნდა მარმარილოს რელიეფური სტელა, რომელიც ძვ. წ. 430-420 წწ. თარიღდება (ლორთქიფანიძე 1966: 166-168; გამყრელიძე 1997: 3-19).

ქ. სოხუმიდან 10 კმ-ის დაშორებით, სოფ. ქვედა ეშერაში აღმოჩენილია ცალკეული სამარხები და ნაქალაქარი. გათხრილია ძვ. წ. VI ს-ის მდიდული სამარხი. მასში გამოვლინდა: შავფიფურული თასი, საბეჭდავი-ბეჭედი (შამბა 1983: 33-37).

ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილია საფორტიფიკაციო ნაგებობის სისტემა – კედლები, თხრილები, კოშკები, „ჯაზარმული“ ტიპის ნაგებობები, რომლებიც ნაგებია თლილი ქვებით; კერა-



ე. წ. სოხუმის სტელა

მიკული ნაწარმი – პითოსები, ჯამები, თასები, ამფორები, დოქები. მათ შორის ადგილობრივი და იმპორტული ჭურჭლის – როდოსულ-იონიური, ატიკური შავფიგურული, სინოპური, მცირეაზიური კერამიკის ფრაგმენტები, ჭრაქები, წყალსადენის მილები, კრამიტები, სამკაულები, რკინის შუბისპირები, ისრისპირები. ნაქალაქარი ძვ. წ. VI-I სს-ში ფუნქციონირებდა (შამბა 1980: 10-60).

სოხუმის სანაპიროზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად, 3 სხვადასხვა დროის ციხესიმაგრე გამოვლინდა. პირველი ციხესიმაგრე ნაგებია გრანიტის ლოდებით, კირხსნართა და აგურის ორფენიანი სარტყლით (1 ჰა). ნაწილობრივ შემორჩენილია 7 ოთხკუთხა ფორმის კოშკი, ხოლო მთლიანად – ჩრდილოეთის მხარის კედელი (სიგრძე 80 მ). ის განეკუთვნება კასტელუმის ტიპის ციხესიმაგრეს და ახ. წ. I-II სს-ით თარიღდება. მეორე ციხესიმაგრე (2-2,5 ჰა) ნაგებია „ოპუს მიქსტუმ“-ის წესით – გრანიტის ქვებითა და აგურის სარტყლებით კირხსნარზე. ციხის აღმოსავლეთ კედელზე შემორჩენილია 2 სწორკუთხა კოშკი. ისიც კასტელუმის ტიპის ციხესიმაგრეა და თარიღდება ახ. წ. III-IV სს-ით. მესამე ციხესიმაგრე კვადრატული

გეგმისაა (0,6-0,8 ჰა). ნაგებია „პოუს ინცერტუმ“-ის ტექნიკით, გრანიტის ქვებითა და აგურით კირხსნარზე. ნაწილობრივ შემორჩენილია 2 ოთხკუთხა კოშკი. სანუემრო ტიპის კასტელუმს განეკუთვნება და თარიღდება ახ. წ. VI ს-ის პირველი ნახევრით (თრაფში 1969: 298-315; თოღუა 2003: 95-98).

სოხუმის ყურედან 2 კმ-ის დაშორებით მდებარეობს ცალკე მდგომარეობის სადარჯლო კოშკი სწორკუთხა გეგმის (6,30X6,45 მ). ნაგებია რიყის ქვებითა და კირხსნარით. კოშკი სებასტოპოლისის ერთიან თავდაცვით სისტემაში შედიოდა. ფუნქციონირებდა II-VI სს-ში.

აღნიშნული ციხესიმაგრეების ტერიტორიაზე აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა – აგურები, კრამიტები, წყალსადენის მილები, ამფორები, ქვევრები, წითელლაკიანი ჯამები, ლანგრები; ლუთერიები, ბრინჯაოს ოინხოთა, პატერები, რკინის შუბისპირები, დანები, მინის ჭურჭელი, ძვლის სტილოები; ბრინჯაოსა და რკინის ფიბულები, სამაჯურები, მძივები და სხვ. (თრაფში 1969: 318-351). განსაკუთრებით აღსანიშნავია ლათინურწარწერიანი კირქვის ფილა, რომლის პირველ სტრიქონში იმპერატორ ადრიანეს სახელია შემორჩენილი, მეორეში ფლავიუს არიანეს, მესამეში კი მითითებულია მისი ტიტული – ლეგატი (ელნიცკი 1964: 203-210; გამყრელიძე 2012: 153-161, 265).

VIII-X სს-ის მატერიალური კულტურის ნაშთები სოხუმში მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. XI-XIII სს-ის არქეოლოგიური ძეგლები წარმოდგენილია მდ. ბესლეთის მარცხენა ნაპირზე. დადასტურებულია ხის ნაგებობათა ნაშთები, ქვევრები, დოქები, ხელსაწყოები, ჭრაქები, ლანგრები. ბაგრატიის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია XII-XIV სს-ის საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაშთები, ქვევრები, დოქები, მოჭიქული კერამიკა და სხვ. (თრაფში 1975: 131-171).


სოხუმის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს ბაგრატიის ციხე (55X27 მ). ვეგმაში ოვალური ფორმისა. ნაგებია რიყისა და კირქვის თლილი ქვებით. შემორჩენილია ოთხკუთხა გეგმის 2 კოშკი. შიდაციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სამი სამარხი. აღნიშნულ ფართობზე დადასტურებულია მრავალრიცხოვანი სუფრისა და სამზარეულო დანიშნულების კერამიკა, მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, ხელსაფქვავეები, საწაფები და სხვ. ციხე XII-XIV სს-ში ფუნქციონირებდა (ვორონოვი 1980: 104, 105).

სოხუმიდან 4 კმ-ის დაშორებით, მდ. კელასურის ხეობიდან იწყება აფხაზეთის დიდი კედელი ანუ კელასურის კედელი, რომლის მშენებლობა ახ. წ. VI ს-ში უნდა დაწყებულიყო (ივაშენკო 1926ა: 30-36). სოხუმსა და მის მიდამოებში აღმოჩენილია ბერძნული (ათენის ტეტრადრაქმა ძვ. წ. II-I სს-ის; ამისოს ბრინჯაოს მონეტა ძვ. წ. II-I სს-ის) და რომაული (მარკუს ანტონინუსისა და ავეუსტუსის ძვ. წ. I-ახ. წ. I სს; გალბას, კომოდუსის, კარაკალას) ხანის მო-



სოხუმის არქეოლოგიური გათხრები

ნეტები. აგრეთვე ადგილობრივი მონეტები – კოლხური თეთრი და არისტარქეს ძვ. წ. 52-51 წწ. დრაქმა.



ბაგრატის ციხის გეგმა

სოხუმსა და მის მიდამოებში აღმოჩენილია შემდეგი განძები: სოხუმის მთის განძი, რომელიც შედგება 12 დიდი და 1 მომცრო კოლხური ცულისაგან, გაურკვეველი დანიშნულების ორი ნივთის (შესამლოა ცულის) ფრაგმენტის, ბარის მოყვანილობის სეგმენტური იარაღის ნატეხისა და სპილენძის 3 ზოდისაგან. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულითა და I ათასწლეულის დასაწყისით (კალანდაძე 1953: 12-21); სოხუმში მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა თიხის ჭურჭელში ჩაწყობილი ძვ. წ. XIII-XII სს-ის სეგმენტური იარაღები (ქორიძე 1965: 25, 26, 94). განძი ინახება სოხუმის მუზეუმში; ლექსოვის განძი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა, შედგებოდა 15 ცულისაგან. მათგან ნაწილი დაკარგულია. 2 ცული სოხუმის მუზეუმშია დაცული. თარიღდება ძვ. წ. XIV-XIII სს-ით (ქორიძე 1965: 48, 59); ლურჯულის სამონეტო განძში 469 ეგზემპლარია. განძის შემადგენლობაშია კესარიული დიდრაქმები. განძი თარიღდება ახ. წ. II ს-ით.

ბიბლიოგრაფია: ანჩაბაძე 1959: 248; ბარანოვი 1939: 74; ბაშკიროვი 1926: 16; ბოლტუნოვა 1979: 259; ბოროზინი 1934: 18, 60; ბურჯანაძე 1959: 194; გამბა 1987: 84-87, 92-94, 105, 106, 206-275; გამყრელიძე 1993: 57-64; გამყრელიძე 1997: 3-19; გამყრელიძე 2012: 152-162; გეორგიკა 1934: 277; 1961: 112; 1967: 113, 114; დადიანი 1962: 180, 183, 184, 194, 197, 200, 120, 123, 153, 154, 181; დიუბუა დე მონპერე 1843: 316, 317; დიუმა 1964: 412; ელნიცკი 1964: 203-210; ვორონოვი 1969: 51; 1980: 22-24, 104, 105; ზამიატინი 1961: 76-82, 91, 120, 169-180; თოდუა 2003: 95-98; თრაფში 1955: 185-188; 1969: 45-77, 82-208, 212, 219, 298-315, 318-351; 1975: 131-171; იესენი 1937: 1926ა: 30-36; კალანდაძე 1953ა: 12-21, 35-52, 54, 55; კეჭალაძე 1961: 41-43, 51, 88, 90, 91; კოხი 1981: 120, 123, 130; კუფტინი 1949ა: 178-200, 266-277; ლამბერტი 1991: 11, 107; ლატიშვი 1948: 186, 187; ლომოური 1955: 45; 1958ა: 195; ლორთქიფანიძე 1966: 166-168; 1979: 325; ლორთქიფანიძე 1978: 43, 46-51, 134-143; ლუკი 1879: 422; მამისთვალიშვილი 1981: 33, 55; მესხია 1983: 142; მიქელაძე 1974: 105; ორბელი 1911: 195-215; პეისონელი 1927: 29; რაინეცი 1797: 3; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. 1953: 139; სიზოვი 1889: 14; სოლოვიოვი 1947: 99, 121; უსლარი 1881: 390, 391; ქც 1: 42, 29; 235, 5; 238, 14; ქც 2: 34, 1; 111, 2; 156, 7; ქც 4: 172, 7; 269, 2; 258, 7, 8; 284, 9; 780, 10, 12; 781, 3, სქ. 3; 796, 10; 801, 11; 864, სქ. 1; ქორიძე 1965: 24, 25, 48, 59, 94; ყაუხჩიშვილი 1957: 86, 91-93, 120-123, 125, 126, 140; 1959: 195; 1967ა: 48; შამბა 1976: 77-80; 1980: 10-60; 1983: 33-37; შარდენი 1975: 259; შენგელია 1963: 826; შილტბერგერი 1867: 45, 46; ჩელები 1978: 132-135; ჯანაშია 1952: 16; ჯავარიძე 1959: 79-100.



ბაგრატის ციხე

ივაშჩენკო 1926: 93-103;

სტეფანწმინდა (ყაზბეგი), დაბა (ქც 4: 357, 21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა საქართველოსა“ (ქც 4: 357, 21), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 305, 10, 13, 14), „ვერგეტის სულთა მატთანე“ (ვერგეტის ... 1954: 272, 2-5), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 6), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (სიგელები ... 1902: 115, 135; საქ. სიძ. 1910: 85, 359; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 65; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 196; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 922; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 197), XVIII ს-ის ხვეის სტატისტიკური აღწერის მასალები (მასალანი საქ. სტატ. 1907: 409), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 36), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 49), იოჰან გიულდენ-შტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 5, 7, 179, 331; 1964: 31, 33, 63, 157, 159, 181, 229, 263, 265, 267), დე გრაი დე ფუას „ცნობები საქართველოს შესახებ“ (დე გრაი დე ფუას 1985: 39, 40), რიჩარდ უილბრაჰიმის „მოგზაურობა საქართველოში“ (უილბრაჰიმი 1990: 25). ვახუშტი ბაგრატიონი სტეფანწმინდის შესახებ გადმოგვცემს: აჩხოტის ხევის „ჩდილოთ არს სტეფანწმინდა, დაბა კარგი. ამის კარავლით არს გერგეთი, არაგუს იქით კიდესა“ (ქც 4: 357, 21, 22). მდებარეობს მდ. თურგის მარჯვენა ნაპირზე, დაბა ყაზბეგის ადგილას, თანამედროვე – სტეფანწმინდა. XIII ს-ის მიწურულს აჯანყებულ მეფე დავით VIII-ის (1293-1311) დასასჯელად ხეშში გადასული მონღოლთა ლაშქარი სტეფანწმინდასთან დიდ წინააღმდეგობას შეხვდა და უკან გაბრუნდა (ქც 2: 305, 8-14). XV ს-ის საბუთის მიხედვით სტეფანწმინდელები მძევლებს აძლევდნენ ვერგეტის სამების ტაძარს (ვერგეტის ... 1954: 272, 2-5). სტეფანწმინდას ყაზბეგი შეარქვეს რუსებმა. აღ. ყაზბეგის პაპის – გა-

ბრიელ ყაზიბეგის ძე ჩოფიკაშვილის – პატივსაცემად, ვინაიდან ის რუსეთის ხელისუფლების ერთგული მოხელე გამოდგა 1804 წ. ქართველ მთიელთა აჯანყების ჩახშობის პერიოდში (მაკალათია 1934: 52; ითონიშვილი 1971: 104).

1852 წ. სტიფანწმინდაში მიწის სამუშაოს დროს შემთხვევით აღმოჩნდა ნივთები, რომელთა შორის თითქოს ხარის ოქროს (?) ქანდაკებაც ყოფილა. ნივთები უკვალოდ დაიკარგა (წითლანაძე 1976: 5). 1871 წ. პატარა სამლოცველოსთან გზის გაყვანისას გამოვლენილა რამდენიმე სამარხი, რომელთაც ფ. ბაიერნი სამთავროს ზედა სართულის სამარხების თანადროულად მიიჩნევდა (ანუჩინი 1882: 208). სამარხეული მასალიდან დაკარგვას ვადაურჩა მხოლოდ მამაკაცის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც ფ. ბაიერნი ერთიგვარად აღიარებდა. 1874 წ. მიწის სამუშაოების დროს, ახლანდელი ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოს გვერდით, აღმოჩენილა ბრინჯაოს ნივთები, რომელიც გ. ხატისოვს შეუსყიდა. კოლექცია შეიცავს: ბრინჯაოს მშვილდსაკინძებს; სამაჯურებს; უმბონებს; ქოლგისებურ ჟღარუნებს. ნივთები ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში (წითლანაძე 1976: 5). 1877 წ. ამ ადგილას გათხრები ჩაატარა გ. ფილიმონოვმა. გათხრებისას აღმოჩნდა: ოქროს ხუთსხივიანი საყურე; ოქროს ბალთა და ცისფერი პასტის მძივები; ბრინჯაოს ჯაჭვის ფრაგმენტები; უმბონის თასი; ბრინჯაოს 2 მათარა; სპილენძის სიტულა; ოთხივე ჭურჭელს ჯაჭვი ჰქონდა შემოხვეული და შიგ ვლავა ლითონის ორასამდე სხვადასხვა ნივთი. გათხრების პროცესში გ. ფილიმონოვს დაუღამდა. უმთავრესად მითოვებული ადგილი მეორე დღეს გაძარცვული დახვდა (ფილიმონოვი 1878: 26-33). ნივთების ერთი ნაწილი დაიკარგა, ნაწილი სხვადასხვა მუზეუმსა და კერძო კოლექციაში მოხვდა. გ. ფილიმონოვის მონაპოვარმა შემდგომში „ყაზბეგის განძის“ სახელწოდება მიიღო (წითლანაძე 1976: 6). „განძის“ აღმოჩენის ადგილას 1878 წ. გათხრები ჩაატარა ფ. ბაიერნმა. მან აქ აღმოაჩინა ოქროსა და ვერცხლის ნივთები; ნახევრად ძვირფასი ქვებით შემკული სამკაულები; ბრინჯაოს სამაჯურები; ბეჭდები და რკინის შუბისპირები (ბაიერი 1885: 41-45). 1879 წ. მკვლევართა ჯგუფს ს. უვაროვს, პ. უვაროვას, ვ. ანტონოვიჩს, კ. ლმუხევიჩს, სოფელში მცირე მასშტაბის გათხრები ჩაუტარებიათ. ფ. ბაიერნის განათხარი ფართობის სამხრეთით გამოვლენილა ცალკეული ნივთების შემცველი კულტურული ფენა და 3 სამარხი, რომლებშიც მიცვალებულთა ძვლები ცუდად ყოფილა შემონახული. განათხარი მასალა წარმოდგენილია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის ნივთებით, რომლებიც „ყაზბეგის განძზე“ შედარებით გვიანდელია (ანტონოვიჩი 1882: 253-255). 1888 წ. სტიფანწმინდაში გათხრებს აწარმოებდა ა. პობრინსკი. მან ძირითადად შეისწავლა ყაზბეგების ეზოს გალავნის გარეთ მდებარე ფართობი. საძიებო თხრილი გაუჭრა იათ საკუთრივ ეზოშიც, სადაც რკინის უფორმო ნატყნები და ცხოველთა

ძვლები გამოვლინდა. ა. პობრინსკიმ სოფლის შარავჯასთანაც გაჭრა თხრილი, სადაც აღმოჩნდა: ოქროს ორნამენტული ფირფიტა; ავეუსტეს (ძვ. წ. 97 – ახ. წ. 14) ვერცხლის დენარი; ბეჭდის 2 თვალი, რომელთაგან ერთზე მხედარი იყო ამოკვეთილი; 140 მძივი; ბრინჯაოს 4 ბეჭედი; ჟღარუნა; ჯაჭვი; ბრინჯაოსა და ვერცხლის სამაჯურები; ზამბარაიანი ფიბულის ნატყნი; რკინის ისრისწვერები; შუბისა და ლავგის ფრაგმენტები. ავეუსტეს დენარი, ზამბარაიანი მშვილდსაკინძი და გემები მასალას კარგად ათარილებენ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით (არქ. კომ. ანგ. 1891: 299). 1934-1935 წწ. ნ. მარის სახ. მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. აკრუცლოვი) „განძის“ აღმოჩენის ადგილას ჩაატარა მცირე მასშტაბის გათხრები, მაგრამ საყურადღებო ვერაფერი გამოავლინა (კრუცლოვი 1937: 248). 1960 წ. ყაზბეგში მივლინებულმა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ი. გ. ძეგლიშვილმა სადაზვერვო თხრილი გაავლო ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმსა და იქვე მდგარ ეკლესიას შორის. თხრილში კულტურული ფენა არ დადასტურდა (წითლანაძე 1976: 10). 1962 წ. იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. გობეჯიშვილი) განაახლა გათხრები ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოში, ძველი აღმოჩენების ადგილას. აქ თხრილში გამოვლინდა გვიანი შუა საუკუნეების უინვენტარო ქვის სამარხები (წითლანაძე 1963ა: 31). 1963 წ. იმავე ექსპედიციის მიერ სახლ-მუზეუმის ეზოს ჩრდილოეთი ნაწილის გათხრებისას მხოლოდ სარდლიონის მრგვალი მძივი და ქარვის რომბისებური მძივი აღმოჩნდა (წითლანაძე, გობეჯიშვილი 1964: 24).

სტიფანწმინდაში (ყაზბეგში) აღმოჩენილი სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური მასალიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ყაზბეგის განძი“. მასში შედის მრავალრიცხოვანი ნივთები: ლითონის ჭურჭლები; ზარები; შტანდარტები; ცხენის ალკაშმულობა; იარაღსაჭურველი; ვეფნები; სამაჯურები; მშვილდსაკინძები; ჩქიფები; ბალთები; საყურე; საკიდები და სხვ. ლითონის ჭურჭელი წარმოდგენილია ვერცხლის პირგამილი ღრმით თასით. შემკულია წვერით ომფალისსაყვენ მოქვეული ექვსი ნუშისებური ბურცობით, რომელთა შორის ერთმანეთისაგან პირშექცევით გამოსახულია წყვილი ვედის თავ-



არტეფაქტი სტიფანწმინდიდან

ყელი. გედების გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ შვიდი და ხუთფურცლიანი პალმეტია. ხუთფურცლიანი პალმეტის ზემოთ მოთავსებულია ლოტოსის თითო სამკვირტიანი ყვავილი. გარებირზე ამოკარულია ხუთასობიანი არამული წარწერა. ბრინჯაოს მათარები დამზადებულია სპილენძის თხელი ფირფიტისაგან. ისინი შემკულია ჭდეული წრეებითა და წერტილებით გამოყვანილი ცხოველთა გამოსახულებებით. ერთ მათგანზე გამოსახულია თევზი და ჩლიქოსანი ცხოველის სამი ფეხია შემორჩენილი. მეორე მათგანზე წარმოდგენილია ფანტასტიკური ცხოველის მკერდისა და ფრთის ნაწილი, შემკული პალმეტებითა და ზოლებით. ბრინჯაოს სიტულა პირგაშლილია, დაბალმუცლიანი, ძირქუსლიანი. ჭურჭელს ახლავს ყუნწიანი ხუფი, რომლის კიდები ტეხილი ხაზებითა და წერტილებითაა შემკული. „განმში“ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სხვადასხვა ზომის ბრინჯაოს ზარები. ბრინჯაოს მცირე ზომის ითიფალურ ქანდაკებებს ხელები წინა აქვთ გაწვდილი. მარცხენა ხელში, ორ შემთხვევაში კი მარჯვენაში ყანწი უკავიათ. წელზე შემოუყვებათ სარტყელი. აცვიათ ყელიანი ფეხსაცმელი. ახურავთ ოდნავ წვერაწეული ქუდები. ერთი თავშიშველია. ქანდაკებებს ზურგზე რგოლის საშუალებით მიერთებული აქვთ ძეწკვი. „განმის“ ნივთებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს შტანდარტები თუ ბუნიკის ბოლოები. ისინი წარმოადგენდნენ სამ სართულად განლაგებულ ჯიხვის თავებს, რომელთაგან ზოგიერთი ბოლოვდება შიშველი მამაკაცის ქანდაკებებით. მათ ხელში კვერთხი ან ჩაქუნისებური იარღი უკავიათ. შტანდარტების ერთ ნაწილს გააჩნია ცილინდრული მოყვანილობის მილი, რომლის ორი შვერილი დაბოლოებულია ფუყე ბურთულებით ან ცხვრის თავების სქემატური გამოსახულებით. რამდენიმე შტანდარტის ცხვრის დაგრეხილ რქებზე წარმოდგენილია შიშველი, წვერიანი, თავსაბურავიანი მამაკაცის ქანდაკებები. ერთ შემთხვევაში მამაკაცს მარცხენა ხელი მეორე აღმანისათვის თავში ჩაუვლია, მარჯვენაში კი დანა მსხვერპლისათვის ყელზე მიუბჯენია. სხვა შტანდარტზე ერთ მხარეს გამოსახულია ჩანჯზე დამკვრელი, მეორე მხარეს კი – ფარიანი მამაკაცი. ერთ-ერთ შტანდარტზე წარმოდგენილია წელში მოხრილი მამაკაცი, რომლის კისერზე მოხმული თოკი უკან მდგომ ფარიან მამაკაცს მხარზე აქვს გადადებული. გვხვდება შტანდარტები წვერილი მხედრის გამოსახულებით. ცხოველთა ბრინჯაოს ქანდაკებები მცირე ზომისაა. არჩვის ორი ქანდაკება ღრუა, ქვედა მხარეს გახსნილი. ზურგზე გააჩნიათ საკიდი ყუნწი. ირმის ქანდაკებებს განტოტვილრქებიანი თავი მაღლა აქვთ აწეული. ზურგზე აქვთ ყუნწი. ვერძის ქანდაკება შიგნიდან ღრუა. სხეული დაფარულია მცენარეული ორნამენტით, მხარზე გამოსახულია ვარდული. ქანდაკება ნაკლებია. ტახის (?) გამოსახულებიანი ბრინჯაოს გარსაკრავი აქა-იქ დახვრეტლიან სამანჭვლე ნახვრეტებით. „განმის“

შემადგენელი ნაწილია ეშვის ფორმის ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც შემკულია რელიეფური ორნამენტით. „განმში“ გამოიყოფა ბრინჯაოს ეყვნები. ისინი ოთხ ჯგუფად იყოფა: 1. ცხენის თავის გამოსახულებიანი ეყვნები, 2. ეყვნები ითიფალური მხედრების გამოსახულებით, 3. ცხოველთა ქანდაკებებით შემკული, 4. სადა ეყვნები. „განმში“ აღმოჩენდა ბრინჯაოს 3 ცალი ცხენის ლაგვის ფრაგმენტი. იარაღ-საჭურველი უმთავრესად რკინისაა. გამოწკლის შეადგენს ბრინჯაოს სატყერის 5 ტარი, 1 ისრისპირი და ქარქაში. სატყერის ტარები მილიანადსმულია. ბრინჯაოს ტარები მორგებული უნდა ყოფილიყო რკინის პირებზე, რომლებიც აღარ შემორჩენილა. რკინის შუბისპირები გრძელმასრიანია. ფართო ფრთებს შუაში დაუყვება მაღალი ქედი. ბრინჯაოს სამაჯურებიდან ერთი დამზადებულია ფართო და ბრტყელი ფურცლისაგან. თავები გახსნილია. ფირფიტას ორივე ნაპირზე შემოუყვება ჭდეული წერტილებით შევსებული ამოღარული სამკუთხედების რიგი. გვხვდება ბრინჯაოს მავთულისაგან დამზადებული სამაჯურებიც. განივკვეთში ისინი მრგვალი ან ოთხკუთხაა. თავები გახსნილი აქვთ. ზოგიერთის ზედაპირი შემკულია განივი ჭდეული ხაზებით ან ბურცობებით. გახსნილი თავები ბოლოვდება ზომორფული გამოსახულებით. მშვილდსაკინძებისათვის დამახასიათებელია მაღალი მშვილდი და ფართო ბუდე. განივკვეთში უმეტესად მრგვალია (ზოგჯერ კრეხილი) და შემკულია განივი ნაჭდევი ხაზებით, იშვიათად, სამკუთხედებით. ერთი საკინძის მშვილდზე ცხვრის თავის სამი სკულპტურული გამოსახულებაა წარმოდგენილი. მშვილდსაკინძის ბუდეს სვასტიკის გამოსახულება ამკობს. ზოგიერთ მშვილდსაკინძზე შემორჩენილია ჯაჭვი. ბრინჯაოს ჩქიფები 5 ერთეულია. შემკულია წიწვისებური ორნამენტით, წერტილებით შევსებული სამკუთხედებით. ერთ მათგანზე გამოსახულია ირემი. ორს თავთან გაყრილი აქვს რგოლი. ერთ-ერთ რგოლზე ჯაჭვია ჩამოკიდებული. ვიწროგვერდიანი ჩქიფი სადაა. საინტერესოა ბრინჯაოს ცხოველები (ძაღვების) სტილიზებული გამოსახულებები, რომლებიც საკიდეები უნდა იყოს. ცხოველებს თავი დახრილი აქვთ, პირი ღიაა, ყურები – უკან გადაწეული, კისერი და გავა ამოხეჩილი, კუდი მოკლე და ზევით აპრეხილი. ფეხები ტანის გასწვრივაა გამოსახული. კუდს ქვემოთ აქვთ ჩამოსაკიდი ყუნწი. ტანი სამ ადგილას გამჭოლი სამკუთხედებითაა შემკული. ერთი მათგანის ყუნწზე ჯაჭვია მიერთებული. პალთები წარმოადგენს ბრტყელ ფირფიტას, რომელთაც მომრგვალებული კიდეები აქვთ. შემკულია გამჭოლი, წრიული და სამკუთხა მოყვანილობის ნახვრეტებით, კონცენტრული წრეებით, ტეხილი ხაზებით, სიმეტრიულად განლაგებული კოპებით. გვხვდება წრიული მოყვანილობის პალთებიც, რომლებიც ერთი მხრიდან ამოწეულია. ცენტრში აქვთ ბურთულა. „განმის“ ნივთებიდან საინტერესოა ოქროს შვიდსხივიანი საყურე. საკიდეებიდან აღსანიშნავია გულის ფორმის ორნამენტირე-

ბული ფირფიტა. საკიდებს შორის გამოირჩევა ნივთი, რომლის მასურ ღერძს ხუთი კონუსივარი თავით დაბოლოებული შვერილი ახლავს. ყოველი კონუსი ხუთი კობითაა შემკული. ღერძი ყუნწიანია, რომელსაც ვერძის თავის წვეილი გამოსახულება ამკობს. გარდა აღწერილი ნივთებისა, „განძის“ შემადგენლობაში გვხვდება ბრინჯაოს ჯაჭვები, სხვადასხვა ფორმის გარსაკრავები, სარდიონისა და მინის მიძივები და სხვ. „ყაზბეგის განძი“ ძვ. წ. VI-V სს-ით თარიღდება. „განძის“ დიდი ნაწილი ინახება მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში, სანკტ-პეტერ-ბურგის ერმიტაჟსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (წითლანაძე 1976: 12-94).

სტეფანწმიდიდან ცნობილია სხვადასხვა პერიოდის ცალკეული ნივთები. ახ. წ. I ს-ის პირველი ნახევრითაა დათარიღებული ბრინჯაოს ფიბულა. I-II სს-ს მიეკუთვნება ბრინჯაოს ორწილადი აბზინდა. ფარაკი მოგრძოა, ტრაპეციის ფორმის. საქამრე რგოლი ნახევარწრიულია, ენა – მოკლე. მასთან ერთადაა სარტყელის ბლოზეც აღმოჩენილია, რომელიც წარმოადგენს ერთ ადგილას გახვრეტილ მოგრძო, ბრტყელ ფირფიტას. ამავე ხანებით თარიღდება ბრინჯაოს აბზინდა წრიული მოყვანილობის შუაში გახვრეტილი ფარაკით, ნახევარწრიული საქამრე რგოლითა და მოკლე ენით. III ს-ს მიეკუთვნება ბრინჯაოს ქამრის დეტალები, მოგრძო, სწორკუთხა ფორმის ფირფიტა. IV-V საუკუნეებისაა ბრინჯაოს აბზინდა ნახევარწრიული რგოლითა და მოგრძო ენით. სტეფანწმიდიდან (?) უნდა მომდინარეობდეს ბრინჯაოს მუხლზამბარანი შშვილდაკინძი, რომელსაც ბრტყელი და ვიწრო, თანაბრად მორკალული მშვილდი აქვს. თარიღდება V ს-ის მიწურულითა და VII ს-ის დასაწყისით. სტეფანწმიდიდან ცნობილია VII ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული ბრინჯაოს აბზინდები და ბალთები (აფხაზავა 1979: 11, 15, 39; ტაბ. XVII,44, XXV,41-45,54, XXVI,15, XXXII,24,25,-38,47,48,58,67). ნივთების ნაწილი დაცულია ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული სტეფანწმიდის გარდა, ამავე სახელითაა ცნობილი სოფელი სამცხე-ჯავახეთში, სოფ. ღვიმეცა და ჭილვანას ახლოს. ის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავითის (1595 წ.) მიხედვით შედიოდა ფოცხოვის ლივანში. სოფელში 25 კომლს უცხოვრია და შეწერილი ჰქონდა 10 000 ახნა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 19, 308; 1958: 449). სამცხე-ჯავახეთის სოფ. სტეფანწმიდა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. **ბიბლიოგრაფია:** *ალექსევა 1949: 191-257; ანუჩინი 1884: 208; არქ. კომ. ანუ. 1891: CCLXXIX-CCLXXXI; აფხაზავა 1979: 11, 15, 39; ტაბ. XVII,44, XXV,41,45,54, XXVI,15, XXXII, 24,25, 38,47, 48,58,67; ბაგრატიონი დავით 1941: 6; ბაგრატიონი 1983: 49; ბაგრატიონი 1986: 36; ბაქრაძე 1875: 137; ბაიერი 1885: 41-45; გერგეტის ... 1954: 272,2-5; გოულდენშტედტი 1962: 5, 7, 179, 331; 1964: 31, 33,*

63, 157, 159, 181, 229, 263, 265, 267; გობეჯიშვილი, წითლანაძე 1964: 24; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 19, 308; 1958: 449; დეგრაი დე ფუა 1985: 39, 40; ითონიშვილი 1957: 165-172; 1971: 104; კრუგლოვი 1937: 248; კრუპნოვი 1960: 214; ლორთქიფანიძე 1969: 85, 86; მაკალათია 1934: 52; მასალანი საქ. სტატ. 1907: 409; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 196; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 65; საქ. არქ. 1959: 199-202; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 197; საქ. სიძ. 1910: 85, 359; სიგელები ... 1902: 115, 135; სულავა 2003: 83-85; უვაროვა 1900: 139-155; უვაროვა, რადლე 1902: 11-19; უილბრაჰიმი 1990: 25; ქც 2: 305,10,13,14; ქც 4: 357,21; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 922; წითლანაძე 1963: 39-58; 1963ა: 33; 1976: 1977: 93; 2004; ფილი-მონოვი 1878: 26-33; ჯალალანია 1979: 56.

სურამი (ქც 4: 377,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 377,21,24; 378,27; 379,10; 422,29; 433,21; 438,21; 457,15; 476,2; 478,12; 520,5; 842,24), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 240,15; 387,3,26; 417,24; 493,8; 521,23), XVIII-XIX სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1909: 30, 58, 354, 489; 1910: 11, 53, 59, 125, 127, 130, 171, 175, 182, 321, 322; 1920: 205, 317, 344, 476; მასალანი საქ. ეკ. ისტ. 1938: 155; 1953: 210, 252, 262-267; 1955: 70, 135, 147, 278, 344, 351, 352, 371, 473; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 155, 185, 230, 231, 325, 328, 436, 441; 1953: 75, 151, 163, 169; ისტ. დოკ. 1958: 56, 57; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 405, 420, 546; 1970ა: 686; 1972: 61, 62; 1974: 208, 547, 637; 1977: 20, 25, 91; 1981: 42, 44, 57, 123, 127, 177-179, 213, 214, 218, 220, 258, 259, 275, 336, 350, 391, 413, 439, 455, 522, 632, 671, 761; 1985: 32, 49, 183, 185, 216, 264, 270, 364, 490, 517, 521, 663, 927; ქართლ-კახეთის ... 1903: 15; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 44, 64, 68, 69, 80, 96, 103, 110, 113, 125, 127, 130, 131, 156-158, 161, 178, 184, 210, 213, 256, 263, 266), ქართლ-სპარსული და სპარსული ისტორიული საბუთები (ქართულ-სპარსული ... 1955: 6, 15, 16, 62, 105, 142, 189, 190, 191; სპარ. ისტ. საბ. 1961: 32, 33), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 33, 34, 38, 66, 67), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 41, 50, 68), ჰაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 50, 56, 57, 64, 66-68, 72, 73, 76-78, 80, 88, 90, 93, 94, 96, 94, 149, 180, 189, 212, 221, 241), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 54, 59, 75, 76), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 11, 17, 35, 36), ბაგრატი ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 92), ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ... 1979: 192), ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ (ჰასან რუმელი 1966: 21, 32), ისკანდერ მუნშის ცნობები საქართვე-



სურამის ციხე

ველოს შესახებ (მუნში 1969: 90), ევლია ჩელეების „მოგზაურობის წიგნი“ (ჩელეები 1971: 296), დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ (დე გრაი დე ფუა 1985: 52-54, 55, 57, 59).

მდებარეობს ქართლში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ხაშურიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდ. სურამულას ნაპირას.

სურამი, როგორც ქალაქი, XII ს-დან მოიხსენიება (მესხია 1959: 144; ბერძენიშვილი 1964: 73). 1526 წ. იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565) ლუარსაბ I-თან შეთანხმებით მიიღო ქართლის დასავლეთი ნაწილი – არადეთის წყლის გამოღმა ალი, სურამი და ახალდაბა (სინ 1973: 102). XVIII ს-ში სურამი სამეფო ქალაქია და მას მოურავი მართავს (მესხია 1959: 143).

სურამი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სურამის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის ნივთები: ბრინჯაოს საკინძი, რკოლი, სამაჯური და საკიდი; სურამის მახლობლადაა მიკვლეული გვიანანტიკური ხანის ჭვირული ბალთა (არქ. მას. კატ. 1955: 32). შემთხვევით აღმოჩენათა რიცხვს მიეკუთვნება ვერცხლის აქემენიდური მონეტა (პახომოვი 1926: 14).

სურამის ციხე მდებარეობს დაბის სამხრეთ ნაწილში, მდ. სურამულას მარჯვენა ნაპირზე, კლდოვან გორაკზე. კომპლექსში შედის გალავანი, ციხე, წმინდა გიორგის ეკლესია, სასახლე. ციხე აგებულია XII-XIII სს-ში. კაპიტალურად შეკეთდა XVI ს-ის პირველ ნახევარში. ამ პერიოდის გალავანი შემორჩენილია ციხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. დანარჩენი ნაწილები აღდგენილია XVII-XVIII სს-ში (სდა 1990: 446).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1983: 54, 59, 75, 76; ბაგრატიონი 1986: 44; ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 92; ბაგრატიონი დავით 1941: 11, 17, 35, 36; ბერძენიშვილი 1964: 73; გორგიჯანიძე 1926: 33, 34, 38, 66, 67; დე გრაი დე ფუა 1985: 52-54, 55, 57, 59; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 155, 185, 230, 231, 325, 328, 436, 441; 1953: 75, 151, 163, 169; ისტ. დოკ. 1958: 56, 57; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 155; 1953: 210, 252, 262-267; 1955: 70, 135, 147, 278, 344, 351, 352, 371, 473; მესხია 1959: 143, 144; მუნში 1969: 90; ჩელეები 1971: 296; ორბელიანი 1981: 50, 56, 57, 64, 66-68, 72, 73, 76-78, 80, 88, 90, 93, 94, 96, 94, 149, 180, 189, 212,*

221, 241; პახომოვი 1926: 14; სინ 1973: 102; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 44, 64, 68, 69, 80, 96, 103, 110, 113, 125, 127, 130, 131, 156-158, 161, 178, 184, 210, 213, 256, 263, 266; საქ. სოც. 1909: 30, 58, 354, 489; 1910: 11, 53, 59, 125, 127, 130, 171, 175, 182, 321, 322; 1920: 205, 317, 344, 476; სდა 1990: 446; სპარ. ისტ. საბ. 1961: 32, 33; ქართლ-კახეთის ... 1903: 15; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 405, 420, 546; 1970ა: 686; 1972: 61, 62; 1974: 208, 547, 637; 1977: 20, 25, 91; 1981: 44, 57, 123, 127, 177-179, 213, 214, 218, 220, 258, 259, 275, 336, 349, 350, 391, 413, 439, 455, 522, 632, 671, 761; 1985: 32, 49, 183, 185, 216, 217, 230, 364, 490, 517; ქართულ-სპარსული ... 1955: 6, 15, 16, 62, 105, 142, 189, 190, 191; ქც 2: 117,25; 119,7; ქც 4: 377, 21,24; 378,27; 379,10; 422,29; 457,15; 476,2; 721,12; 842,24; ჩილიდორის ... 1979: 192; ცხოვრება ... 1980: 41, 50, 68; პასან რუმლუ 1966: 21, 32.

სურამი (ქც 4: 791,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 790,20; 791,1,7), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 315).

ვახუშტი ბაგრატიონი სურების შესახებ გადმოგვცემს: „ბახვის წყლის შესართავს (მდ. სუფსასთან) ზეით არს ციხე ბერიძისა, სამხრითკენ მას ზეით ხეობა სურები, ვენახ-ხილიანი, მოსავლიანი, მოსახლენი მხნენი“ (ქც 4: 790,20). შემოქმედის ეკლესიასთან „დის მცირე მდინარე, გამოსდის სურებსა და ხინოს შუას მთას, და დის გრენით, მიერთვის ხინოს წყალს ჩდილოდამ“ (ქც 4: 791,7).

მდებარეობს ჩონხატაურის მუნიციპალიტეტში, მდ. სუფსის ზემო წელზე, მის მარჯვენა ნაპირზე თანამედროვე სოფ. ზემო და შუა სურების ტერიტორიაზე. ზემო და შუა სურები არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბაქრაძე 1987; გიულდენშტედტი 1962: 315; ქც 4: 791,7; ლლონტი 1993: 164.*

სხალტბა (ქც 4: 350,4; 470,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 350,4; 470,8), XII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 21, 22, 31-33; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 59), იოჰან ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 33), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 53, 275).

მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, თანამედროვე სოფ. სხალტბიდან დასავლეთით 1,5 კმ-ის დაშორებით, ნასოფლარ სხალტბის ტერიტორიაზე (ხიდაშელი 1938: 232, 233).

VI ს-ში სხალტბა შიომღვიმის მონასტრის საკუთრებაა. 1202 წ. ანტონ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის თაოსნობითა და სახსრებით სოფ. სხალტბიდან მონასტრისათვის გაიყვანეს წყალსადენი. XIV ს-ში შიომღვიმე გადავიდა

ამილახორ-ზედგენიძეთა მგლობლობაში. XVII ს-ში ზედგენიძეებმა სხალტაში აავეს ეკლესია (გვასალია 1983: 97, 103, 105).

1937 წ. სოფ. სხალტბის მიმდებარე ტერიტორიაზე სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენის შესასწავლად არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა შოთა რუსთაველის სახელობის მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ივ.ჯავახიშვილი). ნასოფლარის მახლობლად გამოვლინდა წყალსაცავი, საიდანაც სამი წყალსადენი იყო გაყვანილი. ერთი მიემართებოდა მონასტრისკენ, მეორე სოფლისკენ, მესამის მიმართულება გაურკვეველია. წყალსადენის თიხის მილები (საშუალო დმ 11 სმ, გამტარუნარიანობა 2,82 ლ/წ, დღე-ღამეში 243000 ლ.) ერთმანეთზე გადაბმული იყო უდულაბოდ. წყალსადენის მთელ ტრასაზე (7 კმ) აგებულია აუზები და საკონტროლო ჭები (თანვირები) (ხიდაშელი 1938: 231-264; მესხია 1982: 154).

ნასოფლარის ტერიტორიაზე დგას კვირაცხოვლის აუვრით ნაგები ნახევარწრიულ აფსიდიანი, დარბაზული ეკლესია (9X7,8 მ). სამხრეთით მდებარე შესასვლელის თავზე არსებული წარწერით, ეკლესია 1669 წ. აუვრით სახლთუხუცეს შიო ზედგენიძესა და მის მეუღლეს თამარს. კარის სვეტის შიდა მხარეს, მეორე წარწერაში მოხსენიებულია მშენებელი მელქან ფურცვანიძე (ხიდაშელი 1938: 233; შმერლინივი ... 1960: 53, 54).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 33; გვასალია 1983: 97, 103, 105; გიულდენშტედტი 1962: 53, 275; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 59; მესხია 1982: 154; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 21, 22, 31-33; ქც 4: 350,4; 470,8; შმერლინივი ... 1960: 53, 54; ხიდაშელი 1938: 231-264.

სხვადასვა, სხოვი (ქც 4: 764,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 764,17; 870,20), XVIII ს-ის საბუთი (ქრონიკები 1967: 635), ალექსი იველივსა და ნიკიფორე ტოლოჩანოვის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა (იველივი 1969: 86, 166; ტოლოჩანოვი 1970: 152, 265), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 293).

ვახუშტი ბაგრატიონის სხოვის შესახებ გადმოგვცემს: „კრიხულას ერთვის, კრიხს ზეით, სხოვის ხევი, დის სამხრიდამ ჩდილოთ ... სხოვის სამხრით და კრიხის პირისპირ, აღმოსავლით კიდურს, მაღალს კლდიანს გორასა ზედა არს ციხე კუარასი მტიციც“ (ქც 4: 764,12-19).

მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპ-ში, სოფლებს ზემო და შუა სხვადასვა ტერიტორიაზე. 1786 წ. 26 იანვარს იმერეთის მეფე დავით II-მ (1784-1789; 1792) და დადიანის ლაშქარმა დაამარცხეს რაჭაში შემოჭრილი ლეკთა და თურქთა რაზმები, რომლებსაც ბერი წულუკიძე და წერეთელი მეთაურობდნენ. დამარცხებულები სხვადასვა და კვარას

ციხეში გამაგრდნენ. მეფის ჯარმა სხვადასვა ციხეს ცეცხლი წაუკიდა. შიგ შეფარებული მტრები გაწყვიტა (სინ 1973: 747).

სოფლების ზემო და შუა სხვადასვა ტერიტორია, სადაც ლოკალურდებ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული სხოვი, არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფ. ზემო სხვადასვა იდგა რამდენიმე ეკლესია. სოფ. შუა სხვადასვა XIX ს-ის გუმბათიანი ეკლესიაა. მასში ინახებოდა საკურთხეველის წინ აღსამართი XI ს-ის ხის ჯვარი, შემკული მოთქრული ვერცხლის ფირფიტებით, რომელზეც გამოსახულია სცენები ქრისტეს ცხოვრებიდან. ჯვარზე ამოკვეთილია მხედრული წარწერები: „ქ. უხორცოთა მთავარო გაბრიელ, მეოს და მფარველ ევაგ ორთავე შინა ცხოვრებათა მამკობსა შენსა რაჭის, რაჭის ერისთავსა, და ძესა მისსა კახაბერს და ააშენენ აზნაური, ეკლესიასა შენსა შემავალნი, და მოხევენი და ხევი და ეკლესიისა შვილინი ...“; „ქ. წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, შეიწყალე ვახტანგ ... ისძე, მოიჭედა მისსა ნაცვლობასა შიგან ...“. ჯვარი ინახება ქუთაისის ნ.ბერძენიშვილი სახ. სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (ბოჭორიძე 1935: 289-292; უჯაროვა 1894: 125-127; ჩუბინაშვილი 1959ა: 489-493).

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1983: 20; ბოჭორიძე 1935: 289-338; გიულდენშტედტი 1962: 293; თაყაიშვილი 1963: 44-47; იველივი 1969: 86, 166; სინ 1973: 747; ტოლოჩანოვი 1970: 152, 265; უჯაროვა 1894: 125-127; ქრონიკები 1967: 635; ქც 4: 764,17; 870,20; ჩუბინაშვილი 1959ა: 489-493.

სხვადასვა, ცხვილს ციხე, (ქც 4: 365,13,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 365,13,21; 437,7; 442,10), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1920: 241; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1953: 27; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 1058; 1972: 470, 520, 522; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 309), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 56, 57, 62, 70, 72, 79), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 39), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 275).

მდებარეობს კასპის მუნიციპ-ში, სოფ. ჭალის აღმოსავლეთით, სამიოდე კმ-ის დაშორებით, მაღალი მთის კალთაზე.

XIV ს-დან ციხის ისტორია უკავშირდება ზევდგენიძე-ამილახვართა გვარის აღზევებას. კვიან შუა საუკუნეებში ცხვილს ანუ სხვილს ციხე საამილახვროს ცენტრია. 1629 წ. შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ, თეიმურაზ I-მა მონიღომა სხვილს ციხეში გამაგრებული სიმონ II-ის თავიდან მოშორება. დავალება შეასრულა ზურაბ ერისთავმა, რომელიც ციხეში შეიპარა და სიმონ II მოკლა (ქც 4: 437,5-9). 1636 წ. როსტომ მეფემ

(1632-1658) თეიმურაზ I-ის მომხრეები, მათ შორის იოთამ ამილახვარიც რომ ვერ გადმოიბირა, ციხე ეიერიშით აიღო (ქც 4: 442,9,10). 1742 წ. სხვილოს ციხე ყიზილბაშების წინააღმდეგ აჯანყებული გივი ამილახვარის დასაყრდენს წარმოადგენდა.

სხვილოს ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ციხე გეგმით სწორკუთხაა. კედლების სიმაღლე ზოგან 10 მ-ს აღწევს, სისქე 2 მ-ია. ციხის კოშკები ხუთსართულიანი ყოფილა. კოშკები და კედლები თანადროულია. ეზოში შემორჩენილი შენობები სხვადასხვა დროსაა ნაგები. ციხეს შესასვლელი ჰქონდა დასავლეთიდან. ციხის კედლების ზედა ნაწილზე მებრძოლთა სამოდრო იარუსია მოწყობილი. იქვეა გამართული სათოფეები და სალოდეები. ციხის ეზოში გვხვდება ეკლესია, წყალსაცავი, ბეღელი, საცხოვრებელი და სხვა ნაგებობათა ნაშთები. მოგვიანებით მცირე ზომის დარბაზული ეკლესიისათვის დაუშენებიათ მეორე ეკლესია (ზაქარაია 1988: 85, 86).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 39; გვასალია 1983: 86, 88, 90, 94; გიულდენშტედტი 1962: 275; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 27; ზაქარაია 1957ა: 176; 1988: 85-88; მაკალათია 1964: 25-35; ორბელიანი 1981: 56, 57, 62, 70, 72, 79, 97; საქ. ისტ. ქრონიკები... 1980: 309; საქ. სიძ. 1920: 241; ქც 4: 365,13,21; 437,7; 442,10; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 1058; 1972: 470, 520, 522.*

სხლგზი (ქც 4: 372,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 372,5), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 216; საქ. სიძ. 1915: 447), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 41), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 97, 99, 101, 103, 275; 1964: 67).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „პატარა ჯაგასა და ხწვეს შუა არს მთა ტყიანი, დუალთ-გორილამ ფაწამდე სამხრით მდებარე. ფაწის შესართავს ზეით არს სხლები და ჯაგა“ (ქც 4:3 72,3-5).

მდებარეობს ჯაგის მუნიცი-ში, მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, ჯაგვიდან სამხრეთ-დასავლეთით 2 კმ-ის დაშორებით, თანამედროვე სოფ. მსხლების ტერიტორიაზე.

სოფელი სხლები მაჩაბელთა მფლობელობაში შედიოდა (გვასალია 1983: 113).

სოფელ სხლების ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფელი სხლების სახელწოდებით არსებობდა მდ. ძამის ხეობაშიც (ბაგრატიონი 1986: 32).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 41; გიულდენშტედტი 1962: 97, 99, 101, 103, 275; 1964: 67; გვასალია 1983: 133; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 216; საქ. სიძ. 1915: 447; ქც 4: 372,5.*



ტაბაკი (ქც 4: 757,2,4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 757,2,4), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 299).

ვახუშტი ბაგრატიონი ტაბაკინის შესახებ გადმოგვცემს: „სვირის ხევს ზეით მოერთვის სამხრიდამეფე ყვირილას ტაბაკინის ხევი. გამოსდის ფერსათსავე, მოდის სამხრიდაჲ ჩიდილოთ. ტაბაკინს ამ ხევს ერთვის გენგებრულის ხევი. სდის ფერსათს. და ტაბაკინს არს მონასტერი, კეთილს შუენიერს ადგილს და აწუქმად“ (ქც 4: 757,1-5).

მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ზესტაფონიდან სამხრეთით 7 კმ-ის დაშორებით, მდ. აჯამურის (მდ. ყვირილას მარცხენა შენაკადი) მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ტაბაკინის ტერიტორიაზე.

XVIII ს-ში ტაბაკინი შედიოდა ისტორიულ ლომისეთხევში (ცქიტიშვილი 1964: 72).

სოფ. ტაბაკინის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. კინოფის ტერიტორიაზე აღმოჩნდა შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისის ბრინჯაოს ყუამილიანი ცული. ტაბაკინის ჩრდილოეთით 2 კმ-ის დაშორებით მდებარე სოფ. ზემო კლდეეთში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭვირული ბალთა. იმავე სოფელში 1941 წ. მიწის დამუშავების დროს დაზიანდა რამდენიმე სამარხი.

1941 წ. დეკემბერსა და 1942 წ. იანვარში კლდეეთში მოეწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების ერთობლივი ექსპედიცია (ხელმძღ. დ.ლომაძე). შემთხვევით აღმოჩენილი ნივთების ადგილზე გაითხარა 6 ქვაყრილიანი ორმოსამარხი. №1, 2 სამარხებში დაკრძალული იყო თითო მიცვალებული, №4 სამარხში – ორი. მიცვალებულები ესვენა კიდურებმოხრილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით. №3 სამარხში დაკრძალათ შეკაზმული ცხენი, №6 სამარხში – ძალი და შეკაზმული ცხენი (ლომთათიძე 1957ა: 5).

კლდეეთის სამარხოვანზე აღმოჩნდა მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა: I. ჭურჭელი: ვერცხლის პატერა, რომლის ტარი შემკულია ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებით; პინაკი; ფინჯნები და ლანგრის ფრაგმენტები. მინის სანელსაცხებლე და სასმისის ფრაგმენტები. II. საბრძოლო იარაღი: ბრინჯაოს კვერთხისთავი,

ვი, აბჯრის ფრაგმენტები, რკინის შუბისპირები, სამფრთიანი ისრისპირები, სატევარი, მახვილი, რომელსაც ახლავს ვერცხლის ბუდეში ჩასმული სარდიონის გემა არწივისა და ქალღმერთის გამოსახულებით. III. სამეურნეო იარაღი: რკინის დანა, ნამგალი, ცული. IV. სამკაული: ოქროს საკისრე რკალი, აგრაფი სარდიონის გემით, რომელზეც გამოსახულია თავსაბურავიანი მამაკაცის პორტრეტი, მთივალური მართკუთხა ბალთები, შემკული ფრინველების გამოსახულებებითა და ძეწვეზე დამაგრებული მრგვალი ფირფიტებით, სხვადასხვა ფორმის საკიდები, ვარდულები, საფურე მტევნის გამოსახულებით, ორწილადი სამაჯური, სამაჯური გველისთავისებური დაბოლოებებით. ვერცხლის საკისრე რკალი, ორწილადი სამაჯური, ბეჭედი სარდიონის გემით, რომელზეც გამოსახულია ლომის ნადირობა ირემზე. ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი ფრინველის გამოსახულებით, სხვადასხვა ფორმის საკიდები, რკინის ბეჭედი სარდიონის გემით, რომელზეც გამოსახულია მეომარი ხელში ქალღმერთ ნიკეს ფიგურით, ბეჭედი სარდიონის გემით, რომელზეც გამოსახულია ათენა პალადა. მინის სხვადასხვა ფორმის მძივები, ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავი მხედრის გამოსახულებით, მინისებური პასტის, ქარვის, სარდიონის, ოპალის, ამეთვისტოს მძივები. V. ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები: ოქროს მშვილდსაკინძი ამვანდინის თვლით, ვერცხლის მშვილდსაკინძები, აბზინდები, ბრინჯაოს ბალთა ცხენოსნის გამოსახულებით, მშვილდსაკინძები. VI. მავიური და საკულტო დანიშნულების ნივთები: ვერცხლის ბუდეში ჩასმული ავგაროზი-კბილი, ზარაკი, ბრინჯაოს ორმის ქანდაკება ოთხი ზარაკით, საკიდები: შგლის, ძაღლის, ცხვრის, ხარის თავის, ჯიხვის თავის, ფრინველის გამოსახულებით. VII. ცხენის აღკაზმულობა: ბრინჯაოს სალტე, ბალთა, ჭვირული საყბური, აბზინდები, ექვნები, რკინის ლაგამი და აბზინდები (ლომთათიძე 1957: 13-92). VIII. მონეტები: ოქროს სტატერი – 13 ცალი, ვერცხლის დრამაქმა პართისის მეფეების გოტარზუს 9 ცალი და ვოლოგეზ I-ის 2 ცალი, რომის იმპერატორების: ავგუსტუს 11 ცალი დენარი; თითო დიდრამაქმა ნერვას, ადრიანუს, ანტონინე პიუსისა და მარკუს ავრელიუსის (ლომთათიძე 1957ა: 92-98; აბრამიშვილი 1974: 75-78, 85, 108). კლდეეთის სამარხიანი თარიღდება ახ. წ. II ს-ით. მასალა ინახება საქართველოს



ოქროს აგრაფი
კლდეითდან

ველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). იმავე 1941 წ. სოფ. კლდეეთის მახლობლად აღვლილ „ქურდულაზე“ მიწის დამუშავების დროს აღმოჩნდა ბიზანტიური სპილენძის მონეტა, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (აბრამიშვილი 1989: 129).

სოფ. ტაბაკინში დგას ძველის წმინდა გიორგის ორნავიანი ეკლესია. აქვს ნახევარწრიული აფსიდა ერთი სარკმლით. სამხრეთის მხარეს სტოაა. ჩრდილოეთის ნავი და სტოა აღმოსავლეთით ბოლოვდება ნახევარწრიული აფსიდით. ეკლესიის ქვეშ საძვალეა. ინტერიერი მოხატულია რელიგიური სიუჟეტებითა და ქტილოთა პორტრეტებით. სამხრეთის კედელზე შემონახულია ქუთაისის ეპისკოპოსის გერმანე ჩხეტიძის გამოსახულება, რომელსაც ახლავს მხედრული წარწერა: „აქა წმინდა გიორგის მონასტერი ძლევისა და ყოლა წმიდისა ღვთისმშობლისა დაკინებული დაორბეული აღვამენე მე, ჩხეტიძემა ქუთათელმა გერასიმე ...“ ეკლესია აიგო VI-VII სს-ში. ხელმეორედ აშენდა X ს-ში. განახლდა და მოიხატა XVI ს-ში (გაფრინდაშვილი, ჩუბინაშვილი 1969: 28-33; მამაიაშვილი 1991: 3-13).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1974: 75-78, 85, 108; 1989: 129; გამყრელიძე 2009: 79; გაფრინდაშვილი, ჩუბინაშვილი 1969: 28-33; გიულდენშტედტი 1962: 299; ლომთათიძე 1957ა; მამაიაშვილი 1991; ცქიტიშვილი 1964: 72; ქც 4: 757,2,4.

ტაბანამელა, სოფელი (ქც 4: 214,24; 408,14,17; 413,29; 414,4; 501,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 214,24; 408,14,17; 413,28; 414,4; 501,19), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 56,16; 73,11;), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 231,10; 316,28), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ პირველი და მესამე ტექსტი (ქც 2: 356,16; 368,14,15; 374,11; 494,28), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 215, 219, 220), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 46), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (აქტები ... 1866: 461; ქრონიკები 1897: 515; საქ. სიძ. 1909: 414, 440, 443, 444, 512; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 257, 349, 353; საბუთები ... 1947: 334; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 198; მასალები ქართ. სამეფოს ... 1964: 27; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 165, 166; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 86; 1977: 312; 1985: 349, 353), ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ (მუნში 1969: 126, 127).

მდებარეობს გარდაბნის მუნიციპ-ში, თბილისიდან 15 კმ-ის დაშორებით, დღევანდელი სოფ. ტაბანამელას ტერიტორიაზე.

წყაროებში იხსენიება XII ს-დან. 1195 წ. ტაბანამელაში დაიბადა ლაშა-გიორგი (ქც 2: 56,16). იქმყოფ თამარ მეფის მანდატურთუხუცესმა ჭიაბერმა ახარა მტერზე გამარჯვება (ქც 2: 73,11). ტაბანამელაში გარდაიცვალა თამარ მეფე (ქც 2: 112,19). 1568 წ. სიმონ მეფესა (1556-1600) და დაუთ-ხანს შორის (1559-1578) ბრძოლა მოხდა ტაბანამელასთან (ქც 2: 368,14,15; ქც 4: 408,14,17). 1583 წ. სიმონ მეფემ ტაბანამელასთან დამარცხა მეჰმად-ფაშა (ქც 2: 374,11; ქც 4: 414,4). 1625 წ. საქართველოში შემოჭრილი ირანელების ლაშქარი მარაღაში, ქართველები კი გოჯორ-ტაბანამელაში მიდამოებში დაბანაკდნენ (მუნში 1969: 126). 1721 წ. აღწერით ტაბანამელაში ითვლებოდა 6 მეზატონე, 19 გამოძღვლები და 1 ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 347). 1785 წ. ლეკის ჯარი თავს დაესხა ტაბანამელას, სადაც იღვა რევავ სარდალი. მას მიეშველნენ თეიმურაზ II (1744-1762) და ერეკლე II (1744-1798 წწ.) (ორბელიანი 1981: 215, 219, 220). 1795 წ. 10 სექტემბერს ალა-მაჰმად-ხანის ლაშქარი ტაბანამელი-სა და შინდისის ხევებით მოიწვევდა თბილისისაკენ. სოფ. ტაბანამელა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფლის ტერიტორიაზე დგას წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია.

ბიბლიოგრაფია: აქტები ... 1886: 461; ბაგრატიონი 1986: 46; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 257, 349, 353; ლორთქიფანიძე 1935: 347; მასალები ქართ. სამეფოს ... 1964: 27; მუნში 1969: 126, 127; ორბელიანი 1981: 215, 219; საბუთები ... 1947: 281-334; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 165, 166; საქ. სიძ. 1909: 414, 438, 443, 444, 512; ქც 2: 56,16; 73,11; 112,19; 231,10; 316,28; 356,16; 368,14,15; 374,11; 494,28; ქც 4: 214,24; 408,14,17; 413,28; 414,4; 501,19.

ტაბნაგაპიო (ქც 1: 8,სქ.3; ქც 4: 330,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლენონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 8,სქ.3), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 330,4), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 47), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 199; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 313; 1981: 581; 1985: 826; საქ. სიძ. 1909: 421; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 26; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 280). ვახუშტი ბაგრატიონი ტაბანაგეთის შესახებ ვადმოკვეცმს: „გარდაბანი არს საზღვრით ... ჩდილოთ მტკურიდამ ტფილისის გორაები ტაბანაგეთამდე“ (ქც 4: 330,11-14).

მდებარეობდა ალგეთის ხეობაში, ღოუბნის ხევის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელ სოფელ ერტისთან (ლორთქიფანიძე 1935: 347, 348; საქ. ისტ. რუკა 1923; მუსხელიშვილი 1980: 47, 48). 1721 წ. აღწერით ტაბანაგეთში ითვლებოდა 2 მეზა-

ტონე – სოლოღაშვილები, 1 მემაჟულე – აზნაური ტუსაშვილი, 2 უყმღ აზნაური, 12 გამომღლები და 10 ზოგანო გჳა (ლორთქიფანიძე 1935: 348).

ტანჯანგეთი არქელოლოგიურად შუესწავლეღია. **ბიბლიოგრაფია:** ბაგრატიონი 1986: 47; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 280; ლორთქიფანიძე 1935: 347, 348; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 26; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 199; მუსხელიშვილი 1980: 47; საქ. ისტ. რუკა 1923; საქ. სიღ. 1909: 421; ქც 1: 8, სქ. 3; ქც 4: 330,4; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 313; 1981: 581; 1985: 826.

ტანძია, სოფელი (ქც 4: 316,12). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 316,12), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 52, 53), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 443, 497, 508; საქ. სიღ. 1909: 209; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 37; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 199; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 26, 91; 1985: 910).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს, რომ აკაურთა-სა და ტანძიაში ყოფიღა ქვიტიკირით ნავები მრავალი შენობა (ქც 4: 316,12).

მღებარეობს ბოლნისის მუნიც-ში, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. ტანძიის ტერიტორიაზე.

სოფ. ტანძია XIV ს-ის პირველ ნახევარში შუესყიღია ქავთარ ქაჯვადქეს და შუესწირავს ფიტარეთის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის (თაყაიშვილი 1929: 84-94). 1559 წ. სიმონ მეფემ (1556-1600) განუახლა სვეტიცხოველს ძველად შეწირული ტანძიელნი მათი მამულითურთ (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 199). 1721 წ. აღწერით ტანძია საყავღლანიშვილოს სოფელია და იქ იყო მათი ზვრები. ცხოვრობდა 39 კომღი (გვრიტიშვილი 1955: 140, 175). 1658 წ. ტანძიაში დაიბადა სულხან-საბა ორბელიანი.

ტანძია არქელოლოგიურად შუესწავლეღია. სოფელში დგას სასახლის ნანგრევები და ორი ეკლესია. ღვთისმშობლის ეკლესია დარბაზულია. შესასვლელი დასავლეთიდანაა. კარის თავზე არსებულ 1670 წ. მხედრულ წარწერაში მოხსენიებულია ეკლესიის ამშენებელი პაპუნა ორბელიანი (ქრონიკები 1897: 508; თაყაიშვილი 1929: 94). მეორე ეკლესიაც დარბაზულია (8X5მ). ნაგებია ალგეთის მოწითალო თიღიღი ქვით. აფსიღა ნახევარწრიულია. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდანაა. კარ-სარკმელები მოწუქურთმებულია. ფასადებს ამკობს ჯვრების, ლომების, არწივისა და ქერები-მების რელიეფური გამოსახულება. სამხრეთ კედელზე გამოსახულია მშის საათი. შემორჩენიღია წარწერები: „წმიღა ნიკოლოზ მეობ ექმენ პატრონს ორბელს“. ტანძიის ეკლესიის სვინაქსარის წარწერების ცნობით, ეკლესია 1683 წ. ააშენა მდივანბეგმა ვახტანგ ორბელიანმა (ქრონიკები 1897: 497; თაყაიშვილი 1929: 93, 94; თუმანიშვილი 1979: 24-

30). ტანძიაში შემორჩენიღია კიღვე რამდენიმე ეკლესიის ნანგრევი.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 52, 53; გვრიტიშვილი 1955: 140, 175; თაყაიშვილი 1929: 88-95; თუმანიშვილი 1979: 24-30; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 199; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 37; საქ. სიღ. 1909: 209; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 26, 91; 1985: 910; ქრონიკები 1897: 443, 497, 508; ქც 4: 316,12.

ტაშისკარი, ტასისკარი, დაბა (ქც 1: 9,23; ქც 4:50,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 9,23; 10,5,6,სქ.1; 24,20,25,სქ.3), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 203,19; 205,17), ჟამთაღღმწერელი (ქც 2: 240,17; 273,19; 292,21; 299,12; 304,8; 312,15), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 50,15; 57,15; 116,3; 229,9; 245,7; 250,1; 333,11; 373,20; 378,8,9; 380,8,12; 382,2,7; 422,24; 472,22; 656,14,15,19; 692,3; 701,13; 857,10), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 387,16), იოსებ ტფიღელის „დიღმორავიანი“ (ტფიღელი 1934: 10), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 45), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 403; 1972: 241; 1985: 921; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 174; საქ. სიღ. 1909: 36, 340-347), „დასტურღამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 271, 272), გურჯისტანის ვიღაიეთის დიღი დავთარი (გურჯისტანის ვიღაიეთის ... 1958: 469, 485, 486, 492, 495), ისქანდერ მუნშის „ცნობები საქართველოს შესახებ“ (მუნში 1969: 73), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართვეღოში“ (გიულდენშტედტი 1962: 189).

ვახუშტი ბაგრატიონი ტაშისკრის შესახებ გადმოგვცემს: „ქვიშეთის სამხრით არს, მთის ძირს, მტკურის ახლო, დაბა ტაშისკარი“ (ქც 4: 378,7,8). „აქ, მოვიწროებულსა შინა, არს განსავალი კარი და კომღი მას ზეღად, ქართღღამ ნეობასა შინა სავალი. ამის მიერ ეწოღა ტაშისკარი“ (ესე არს ქვისკარი) (ქც 4: 380,10-13).

მღებარეობს ხაშურის მუნიც-ში, ხაშურიღან 10 კმ-ის დაშორებით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. ტაშისკრის ტერიტორიაზე. წყაროებში პირველად იხსენიება ლეონტი მროვეღთან, ქართლისის მექვეღღებთა შორის ქვეყნის დანაწიღებასთან დაკავშირებით. მცხეთოსის შვიღს ოძრზოსს „მისცეს ქვეყანა ტაშისკარიღან ვიღრე ზღვამღე სპურისა“ (ქც 1: 9,23). მეფე ფარნავაზმა (ძვ. წ. III ს) შიღა ქართღღის სპასპეტს მისცა „ქვეყანა ტფიღლისიღან და არავიღღან ვიღრე ტასისკარამღე და ფარავანამღე“ (ქც 1: 24,24,25). ტაშისკარი იყო საზღვარი შიღა და ზემო ქართღღს შორის (ქც 1: 10, სქ. 1, 24, სქ. 3). 1456 წ. უზუნ-პასანმა მოღობრა ქართღღი ტაშისკარამღე (ქრონიკები 1897: 271). 1609 წ. იენისში გიორგი სააკაქემ ოსმღღლთა და ყირიმელ თათართა მრავღღრიცხოვან ჯარს

ბრძოლა გაუმართა სხერტის ჭალაში. დამარცხებული მტერი ტაშისკარში დაბანაკდა. ქართველებმა მტერი იქაც დაამარცხეს (ქც 2: 387,16-29). 1723 წ. ქართლი ოსმალებმა დაიპყრეს და ქვეყანა საგამგებლობად დაყვეს. ერთ-ერთი საგამგებლო იყო მდ. მტკვრის მარჯვენა მხარე – მცხეთიდან ტაშისკარამდე (გვრიტიშვილი 1955: 446). XVIII ს-ის მეორე ნახევარში ტაშისკარი სააბაშოს სოფლების სიაშია (ბაგრატიონი 1986: 45). ტაშისკარში იყო საბაჟო, რომელიც აბაშიძეებმა ბეჟან ნახუცრიშვილს მიაბარეს (საქ. სიძ. 1909: 36; სოსელია 1951: 37-40).

ტაშისკარი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ტაშისკარი წარმოადგენდა ბუნებრივ სიმაგრეს, რომელსაც მარცხნიდან იცავდა მაღალი კლდე, მარჯვნივ ჩამოყვანილი მდ. მტკვარი. შუაში იყო ვიწრო გასასვლელი გზა. კლდეზე მდგარა გზის დამცველი ციხესიმაგრე და მაღალი კოშკი. რკინიგზის გაყვანისას ამ ადგილზე გზა გაფართოვდა, კლდე ჩამოინგრა და ციხესიმაგრეც განადგურდა (მაკალათია 1957: 56).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით ძველ სასაფლაოზე დგას XVIII-XIX სს-ის ჩიკორის დარბაზული ეკლესია (7X4,9მ). ნაგებია რიყის ქვით, ქვიშაქვის კვადრებითა და აგურით. ძლიერ დაზიანებულია. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. შესასვლელი სამხრეთიდანაა. აფსიდის სარკმლის გვერდებზე თითო თაღოვანი ნიშაა. დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში თითო სარკმელია. დარბაზი ცილინდრული კამარით ყოფილა გადანაწილებული (სძა 1990: 447, 448).

წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია (ტაუხას ეკლესია) (11X6,2 მ), დგას სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, აკვანას სერის ძირში, სასაფლაოზე. აგებულია ძველ საშენიანო ეკლესიის ადგილზე. ნაშენია ფლეთილი ქვითა და ქვიშაქვის კვადრებით. შესასვლელი დასავლეთით და სამხრეთითაა (დასავლეთის ამოქოლილია). აფსიდა ნახევარწრიულია. თითო სარკმელია აღმოსავლეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის, ორი სამხრეთის კედელში. აფსიდის სარკმლის გვერდებზე თითო თაღოვანი ნიშაა. საკურთხეველი იატაკიდან ერთი საფეხურიითაა ამოღებული. საკურთხელის სარკმლის წინ სატრაპეზო ქვაა. აღმოსავლეთის ფასადზე არსებული წარწერით ეკლესია აგებულია 1897 წ. წარწერასთან გამოსახულია ხელის მტევანი (სძა 1990: 448).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 45; ბერძენიშვილი 1985: 18; გვასალია 1983: 32, 33; გვრიტიშვილი 1955: 129, 441, 446; გოულდენშტედტი 1962: 189; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 469, 485, 486, 492, 495; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 174; მაკალათია 1957: 55-57; მუნში 1969: 73; საქ. ისტ. რუკა 1923; საქ. სიძ. 1909: 36, 340-347; სძა 1990: 447, 448; სოსელია 1951: 37-40; ტფილელი 1934: 9, 10; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 271, 272, 403; 1972: 241; 1985: 921; ქრონიკები 1897: 271; ქც 1: 9,23; 10,5,სქ.1; 24,20,25,სქ.3; 203,19; 205,17; ქც 2: 240,17; 273,19; 292,21; 299,12; 304,8; 312,15; 387,16; ქც 4: 50,15; 57,15; 116,3;

229,9; 245,7; 250,1; 333,11; 373,20; 378,8,9; 380,8,12; 382,2,7; 422,24; 472,22; 656,14,15,19; 692,3; 701,13; 857,10; ჯამბურია 1964: 62-65.

ტბაშო (შავშეთის) (ქც 4: 673,12; 679,12,14,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 673,12; 679,12,14,17), მატთანე ქართლისა (ქც 1: 260,1; 292,9), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონისა“ (ქც 1: 380,10; 386,1,2,9,10), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 247,8; 483,23), ჩილდირის ეიადეთის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ... 1979: 119), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 212, 220, 221, 223; 626, 227, 230, 232, 237, 240, 542), გვიანი შუა საუკუნეების თურქული წყაროები (თურქული წყაროები ... 1983: 67).

ვახუშტი ბაგრატიონი შავშეთის აღწერისას ტბეთის შესახებ გადმოგვცემს: „სათლეს ზეით არს ტბეთი, სამხრით ამ მდინარის კიდესა, რომელმან მოიგო სახელი მუნ მყოფთა მცირეთა და მრავალთა ტბათაგან. ტბეთს არს ეკლესია გუმბათიანი, მდიდრად ნაგები, და დიდშენიერი. ... იჯდა აქ ეპისკოპოზი, მწყემსი ანაკერტს ზეითისა, სრულიად შავშეთისა და არტანუჯისა. ტბეთის პირისპირ, ჩილით კერძ, მდინარის გაღმა, არს თუხარისი“ (ქც 4: 679,12-18). „ერუშეთს მშობის ... დასავლეთით მთა არსიანი, სადაცა გარდავლენან გზანი შავშეთს და ტბეთს“ (ქც 4: 673,8-12).

ლოკალიზდება ისტორიულ შავშეთში. სოფ. ტბეთი ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში, ართვინის ოლქში. ცნობილია ჯეგოზლის სახელით (თურქული წყაროები ... 1983: 67, შენ.89). აშოტ კუხმა X ს-ის დასაწყისში იქ ააგო საეპისკოპოსო ტაძარი და დასვა ეპისკოპოსად სტეფანე მტბევალი (ქც 1: 260,1, 380,10). საბა მტბევალი ბიზანტიის აგრესიისაგან თავდასაცავად ტბეთის თავს, ეკლესიის მახლობლად, ააგო ციხესიმაგრე და უწოდა „სუეტი“ (ქც 1: 386,1,2,9,10). X ს-ში ტბეთი წარმოადგენდა კულტურის მნიშვნელოვან კერას. მეფე დავით VII ულუმ (1247-1270) სარგის ციხის-ჯვარელ-ჯაყელს სიგელით უბოძა საყდარი ტბეთი შავშეთში (ქც 2: 247,7,8). XVI ს-ში შავშეთი დაიპყრეს ოსმალებმა, რის გამოც ზემო ტბეთი გაუკაცრიელეულა. ქვემო ტბეთში კი 12 კომლი ცხოვრობდა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 159).

შავშეთის ტბეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. **ბიბლიოგრაფია:** ბოჭორიძე 1992: 100; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 212, 220, 221, 223, 226, 227, 230, 232, 237, 240, 542; თურქული წყაროები ... 1983: 67; ქრონიკები 1897: 25, 275; ქც 1: 260,1; 292,9; 380,10; 386,1,2,9,10; ქც 2: 247,8; 483,23; ქც 4: 673,12; 679,12,14,17; ჩილდირის ... 1979: 119.

ტბაშო (ქართლის) (ქც 4: 221,6; 372,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:

221,6; 372,25), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 200; საქ. სიძ. 1920: 135; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 204; 1981: 26, 140, 360, 420, 453, 479, 522, 524, 549, 567; 1985: 70, 160, 419; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 113; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 136; აქტები ... 1856: 469), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 39, 41), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 277, 293). ვახუშტი ბაგრატიონი დიდი და პატარა ლიახვის მიდამოების აღწერისას გადმოგვცემს: „ტბეთს ზეით არს ნაცისარი. ამას ზეით ითხრების ქვა შავი დუღეთს“ (ქც 4: 372,25,26).

მდებარეობს ცხინვალის მუნიციპ-ში, ცხინვალიდან 3,5 კმ-ის დაშორებით, სოფ. ერედვის მახლობლად (მაკალათია 1971: 80, 81).

იოჰან გიულდენშტედტი სოფელ ტბეთს ორგან ასახელებდა: პატარა ლიახვის მარჯვენა მხარეს და რაჭაში – რიონზე, კრისულას ქვემოთ (გიულდენშტედტი 1962: 277, 299). იოანე ბაგრატიონი ტბეთის სახელით ორ სოფელს იცნობდა: საამილახვროსა და ცხინვალის სოფელ ტბეთს (ბაგრატიონი 1986: 39, 41).

ცხინვალის მუნიციპ-ის სოფ. ტბეთიდან ვარაუდობენ ცნობილი ქართული ფეოდალური გვარის – მტბე-ვარის წარმოშობას (მაკალათია 1971: 80, 81). IX-X სს-ში მათ ტბეთში ჰქონიათ სასახლე და ციხესიმაგრე. დღეისათვის იქ შემორჩენილია: X-XI სს-ის ეკლესია ბორცვის ჯვარი; გვიანი შუა საუკუნეების მაცხოვრის ეკლესია ციხესიმაგრისა და სხვა შენობათა ნანგრევები (ბარნაველი 1959: 150). ტბეთის ტაძარს ამკობდა ჩუქურთმისი და წარწერიანი ქვები. ჩუქურთმისანი ქვები შემდგომში გამოუყენებიათ ცხინვალის საავადმყოფოს აგებისას. წარწერიანი ქვები დაკარგულია. შემორჩენილია ტაძრის არქიტრავის ქვა წარწერით: „ქ. სახელითა ღმრთისათა ესე ბალაჰვარი მე ტბელმან პატრიკმან ძემან ქავთარისამან დადევდ სალოცავად სულსა ჩემსა და შეილთა ჩემთა. ჯვარო ბორცვისათ მეფს გვექმენ.“ დანარჩენ წარწერებში მოხსენიებულია ქავთარ, ივანე, ოქროპირ და დავით ტბელები (მაკალათია 1971: 80, 81; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 68, 69).

ცხინვალის მუნიციპ-ის სოფ. ტბეთი არქეოლოგიურად შესწავლულია.

ამბროლაურის მუნიციპ-ის სოფ. ტბეთი მდებარეობს რაჭისქედისჩრდილოეთ კალთაზე, ამბროლაურიდან 28 კმ-ის დაშორებით. სოფელში დგას XI-XII სს-ის მთავარანგელოზის დარბაზული ეკლესია (6X3,45მ). ნაგებია შირიმის გათლილი და კლდის ქვით. შესასვლელი ჰქონია სამი მხრიდან. მათგან ჩრდილოეთის კარი მოკვიანებით ამოუქოლავთ. სამხრეთის ფასადზე ჰქონია დაზიანებული წარწერები, რომლებიც ასე იკითხება: „წმიდაო სამებაო,“ „წმიდაო გიორგი შეიწყალე“ (ბოჭორიძე 1994: 61-63).

ტბეთი არქეოლოგიურად შესწავლულია. გარდა აღნიშნულისა, ტბეთის სახელწოდების სოფლები საქართველოში დღეისათვის არის: ჯავის,

გულრიფშის, შუახევისა და ახალგორის რაიონებში. **ბიბლიოგრაფია:** *აქტები ... 1866: 469; ბაგრატიონი 1986: 39, 41; ბარნაველი 1959: 150; ბოჭორიძე 1994: 61; გიულდენშტედტი 1962: 271, 293; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 20, 419; 1953: 113; დადიანი 1962: 106, 146; მაკალათია 1971: 80, 81; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 200; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 136; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 68-69; საქ. სიძ. 1920: 135; ქართ. სამართ. ძეგ. 1979: 204; 1981: 26, 140, 360, 420, 453, 479, 522, 549, 567; 1985: 70, 160, 419; ქართ. წარწ. კორ. 1980.*

ტბისი (ქც 4: 326,17; 435,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 326,17; 435,5), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 140), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 350, 351; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 200, 221; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 11, 13, 33, 147, 219; 1985: 848, 851, 852, 855; საქ. სიძ. 1909: 120, 122; 1920: 68; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 67; 1953: 8, 9, 30; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 22, 346).

ვახუშტი ბაგრატიონი ტბისის შესახებ გადმოგვცემს: „ბუჟღულეთს ქუეით იწყებს ალგეთი აღმოსავლეთით დინებასა, და ტბისის უკან, ჩდილოთ ვერძ, არს ციხე ბირთვისი (ქც 4: 326,16,17). მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპ-ში, მდ. ალგეთის ხეობაში, თეთრიწყაროდან 15 კმ-ის დაშორებით, სოფელ ტბისის ტერიტორიაზე.

XVI ს-ში ტბისი ბარათაშვილებისა და მათ განაყოფთა სამკვიდრო იყო. 1721 წ. აღწერით ტბისში გერმანოზიშვილებს ეკუთვნოდათ 40 კომლი, გოსტაშაბიშვილებს – 10 კომლი, ბარათაშვილებს – 8 კომლი ყმა (გვრიტიშვილი 1955: 113-137). 1625 წ. გიორგი სააკაძემ ტბისში შეიპყრო ქაიხოსრო ბარათაშვილი და მისი ძმა ხოსია. ქაიხოსროს ბირთვისიდან გამოაყვანია 500 ყიზილბაში და ამოწყვიტა (ქც 4: 435,4-8). ტბისთან მოხდა ბრძოლა ერეკლე II-სა (1744-1798) და ბარათაშვილებს შორის (ორბელიანი 1981: 140).

ტბისი არქეოლოგიურად შესწავლულია. ტბისის მიდამოებში – აშლევში – არის 1683 წ. აშენებული ეკლესია გალავნით, სამრეკლოთი, სასახლით, კოშკით, საცხოვრებელი და სხვ. დანიშნულების ნაგებობებით (ბარნაველი 1959: 62).

ბიბლიოგრაფია: *ბარნაველი 1959: 62; გვრიტიშვილი 1955: 133-137; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 67; 1953: 8-10, 30; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 22, 346; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 200, 201; ორბელიანი 1981: 140; საქ. სიძ. 1909: 120, 122; 1920: 68; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 11, 13, 33, 147, 203, 204; 1985: 848, 849, 851, 852, 855; ქრონიკები 1897: 350, 351; ქც 4: 326,17; 435,5.*

ტფჰარი, ტფერი (ქც 4: 377,28; 890,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრა-

ტინის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 377,28; 890,22), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 45), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 51), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ისტ. დოკ. 1958: 46, 47; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 138, 371).

ვახუშტი ბაგრატიონი ტემერის შესახებ გადმოგვცემს: „სურამის ბეკმიდან ასტყდების მაღალი ვორა ... ამ მთის სამხრით არს ბეკამი, ტემერი, ვიდრე შოლამდე“ (ქც 4: 377,26-29).

მდებარეობს ხაშურის მუნიციპ., ხაშურიდან 7 კმ-ის დაშორებით, დღევანდელი სოფ. ტეზერის ტერიტორიაზე.

1735 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრე V-მ (1720-1752) ტემერს მყოფი ვახუშტი აბაშიძის წინააღმდეგ გააგზავნა თავისი ძმა გიორგი და ლევან აბაშიძე, რომლებმაც მას სახლი დაუწვეს, თვითონ კი ნავარძეთის ციხეში დაამწყვდიეს (ქც 4: 890,20-23; 891,1,2). 1759 წ. მეფე თეიმურაზ II-მ (1744-1762) ტემერთან დაამარცხა ლეკები (ბაგრატიონი 1983: 51). XVIII ს-ის მეორე ნახევრის აღწერით, ტემერი საბაშოში შედიოდა (ბაგრატიონი 1986: 45).

ტემერი (ტეზერი) არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფელში, მჭედლიშვილების უბანში, მდებარეობს გვიანი ბრინჯაოს ხანის პატარა გორანამოსახლარი (25X12 მ), სადაც ზედაპირულად აიკრიფა შავად გამომწვარი, უხეშკენიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, კაჟის ნამკლის დაკბილული ჩასართები, ხელსაფქვავის ქვა და სხვ. (სძა 1990: 448).

სოფლის სასაფლაოზე დგას ლეონტიძის XIX ს-ის დარბაზული ეკლესია (13,5X8 მ). ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით. კამარა, კონქი და საბჯენი თალები ხისაა. სამხრეთით და დასავლეთით თაღოვანი შესასვლელია. აფსიდი ნახევარწრიულია. აფსიდის სარკმლის მარცხნივ ორი თაღოვანი ნიშაა. საკურთხეველის იატაკი შემადლებულია, შუაში ნახევარწრიული არდაბავით. დარბაზის დასავლეთ ნაწილში პატრონიკვა. იატაკი მოგებულია ქვის ფილებით. სამხრეთის შესასვლელს შემოვლებული აქვს პროფილირებული ჩარჩო. მოგვიანებით ეკლესიისთვის მიუშენებიათ სამრეკლო, რომელიც დაზიანებულია (სძა 1990: 448).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1983: 51; ბაგრატიონი 1986: 45; ისტ. დოკ. 1958: 46, 47; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 138, 371; სძა 1990: 448; ქც 4: 377,28; 890,22.

ტიფისი (ქც 4: 373,5, სქ. 2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 373,5,სქ.2), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 313,14), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 40), პაპუნა ორბელიანის „ამბავანი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 109, 213), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 202; ქრონიკები 1967: 45; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 23, 30, 195; მასალები საქ. ეკ. ისტ.

1955: 136, 176; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 101, 105, 109; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 406; 1981: 348, 813; ქართულ-სპარსული ... 1984: 27, 28, 64), XVI ს-ის თურქული წყაროები (თურქული წყაროები ... 1983: 39), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 279).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „გორის დასავლეთით არს მთა რუბისისა, ტინის ხიდი“ (ქც 4: 373,5). მდებარეობს გორის მუნიციპ.-ში, დიდი ლიახვის ხეობაში, სოფ. ტინისხიდის ტერიტორიაზე (ხარაძე 1992: 139). წერილობით წყაროებში მოიხსენიება „დინისხიდი“ - „ტინისხიდის“ სახელებითაც (მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 136, 176, 419, 433; ქართულ-სპარსული ... 1984: 64).

ტინის ხიდი შედიოდა ქართლის მეორე სადროშოში. 1657 წ. როსტომ მეფეს (1632-1658) ის მანუჩარ თუმანიშვილისათვის უბოძებია (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 302). მასზე გადიოდა გორიდან აწყურისაკენ მიმავალი გზა (ბერძენიშვილი 1966: 40). ტინისხიდთან იწყებოდა სამილახგორის დასავლეთი საზღვარი. XVII ს-ში ამილახგვართა საკუთრებაა (გვრიტიშვილი 1955: 120).

ტინის ხიდის მიდამოებიდან ცნობილია სამაროვანი და ნამოსახლარი. სამაროვანი მდებარეობს სოფლის ცენტრში, ადგილ „ჭანდარგორასთან.“ უინვენტარო ქვის სამარხები ინდივიდუალურია. მიცვალებულები დაკრძალულია ქრისტიანული წესით. გვიანი შუა საუკუნეების ნამოსახლარი მდებარეობს ადგილ „გრძელებში.“ შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები შენობათა სამირკვლები. ზედაპირულად აიკრიფა მოწითალო ფერის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (სძა 1990: 85).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 40; ბერძენიშვილი 1966: 16, 40; ბერძენიშვილი 1985: 55; გვასალია 1982: 54; გვრიტიშვილი 1955: 120, 274, 275; გიულდენშტედტი 1962: 279; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 23, 30, 195; თურქული წყაროები ... 1983: 39; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 62, 136, 176, 419, 433; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 202; ორბელიანი 1981: 109, 213; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 101, 105, 109; სძა 1990: 85; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 406; 1981: 348, 813; ქართულ-სპარსული ... 1984: 27, 28, 64; ქრონიკები 1967: 45; ქც 1: 313,14; ქც 4: 373,5,სქ.2; ხარაძე 1992: 138, 139.

ტოლა, ციხე (ქც 4: 749,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 749,22; 762,22; 763,9; 770,5), 1793 წ. შეწირულობის წიგნი (დას. საქ. საბ. 1921: 95), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 119, 291).

ვახუშტი ბაგრატიონი ტოლას შესახებ გადმოგვცემს: ტოლას „ხევი მოერთვის რიონს ჩდილოდამ. ამ ხეზედ, დასავლის კიდზედ, არს, კაკკასი დამ ჩამოსულს მთის კლდეზედ, ციხე ტოლა, შენი ფრიად მაგარი“ (ქც 4: 762,18-22).

მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპ-ში, მდ. როინის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. პირველ და მეორე ტოლას ტერიტორიაზე (ბერაძე 1983: 12).

სოფელი და ციხე წარმოადგენდა რაჭის უკიდურეს სოფელს რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე. იოჰან გიულდენშტედტის აღწერით, ციხე ტოლა მდებარეობს ონს ქვემოთ, როინის მარჯვენა მხარეს და აქვს დიდი ვაშლილი სოფელი (გიულდენშტედტი 1962: 291). XVIII ს-ის დასასრულისათვის პირველი ტოლა ეკუთვნოდათ გელოვანებს, რომლებსაც იქ ჰქონდათ ციხე-დარბაზი და სასახლე. მეორე ტოლა საციფიანო იყო (ბერაძე 1975: 148, სქ. 39). 1793 წ. მანუჩარ ყიფიანმა სოფ. ტოლაში მცხოვრები გლეხები შესწირა გელათის მონასტერს (დას. საქ. საბ. 1921: 95). სოფ. ტოლაში ყმა-მამულები ჰქონდა ველტყევის ნათლისმცემლის ეკლესიას (ბერაძე 1975: 150). შქმერის ქედის გადასასვლელი ტოლა უკავშირდებოდა ცხენისწყლის სათავეებში მდებარე სოფლებს, უმოკლესი გზით კი – ჭყვიშის ციხეს (ბერაძე 1983: 143).

სოფელი ტოლა და ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფ. პირველ ტოლაში არის ციხის ნანგრევები და მაცხოვრის ეკლესია; მეორე ტოლაში წმინდა სამების ეკლესიაა. ორივე ეკლესია დაზიანებულია (ბოჭორიძე 1994: 124, 269).

მაცხოვრის ეკლესია დარბაზულია (6,3X4,7 მ). ნაგებია შირიმისა და რიყის ქვით. იატაკი ქვისაა. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა. თითო სარკმელია აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში. დასავლეთის კარის გასწვრივ, გარედან, ჯვრის გამოსახულებაა (ბოჭორიძე 1994: 124).

სამების ეკლესია დარბაზულია (5X3,8 მ). ნაგებია კლდის ფლეთილი ქვებით. შესასვლელი დასავლეთით, ჩრდილოეთი და სამხრეთი მხრიდანაა. თითო სარკმელია აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში. დაზიანებული ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია. საკურთხეველში პატარა თახჩებია. ჩრდილოეთი კედლის ცენტრში მოზრდილი თახჩაა. დასავლეთის კედლის თავზე ჯვრის გამოსახულებაა (ბოჭორიძე 1994: 124).

ბიბლიოგრაფია: ბარნაველი 1959: 20; ბერაძე 1975: 132-153; 1983: 12, 143; ბოჭორიძე 1934: 204; 1994: 124, 269; გიულდენშტედტი 1962: 113, 291; დას. საქ. საბ. 1921: 95; საქ. ისტ. რუკა 1923; ქც 4: 749,22; 762,22; 763,9; 770,5.

ტონთიო (ქც 4: 367,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 367,5), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 233,4), მათიანე ქართლისა (ქც 1: 290,20), მელქისედეკ კათოლიკოსის 1020 და 1031-1033 წწ. სიგელები (ქრონიკები 1897: 33; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 22; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26), 1040 წ. ბაგრატ კურაპალატის გუჯარი (ქრონიკები 1892: 185).

მდებარეობს ნინოწმინდის მუნიციპ-ში, მდ. ფარავნის ორივე ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ყაურმის ტერიტორიაზე (თაყაიშვილი 1909: 33, 34; ბერძენიშვილი 1985: 79, 80, 94; ვაჩიშვილი 1996: 26).

წყაროებში პირველად იხსენიება XI ს-ში (ქრონიკები 1897: 33). შუა საუკუნეებში აქ გადიოდა თრიალეთში, აღმოსავლეთ საქართველოსა და ირანში მიმავალი გზები (ბერძენიშვილი 1985: 98). აქვეა ტონთიოს ხიდი



ტონთიოს ხიდი

XVI ს-ის ბოლოს გაუკაცრიელდება. XIX ს-ის 30-იანი წლებიდან კი სომეხები ჩამოსახლებულან (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 330, 331). წყაროებში მოხსენიებულია ტონთოს სახელითაც. ტონთიო არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ყაურმის შემოგარენში, კერძოდ სოფ. ჯიგრაშენსა და ყაურმას შორის, 1970-1971 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ო.ჯაფარიძე) ჩატარა არქეოლოგიური დაზვერვა, რომლის დროსაც ამ ტერიტორიაზე აიკრიფა ადრებრინჯაოს პერიოდის კერამიკის ფრაგმენტები (ჯაფარიძე ... 1974: 41).

1987 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჯავახიშვილის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ა. ორჯონიკიძე) შეისწავლა ნამოსახლარი და სამაროვანი: დიგაშენი I და II, დიგაშენი II-დან 1,5 კმ-ის მანძილზე გამოავლინა გორანამოსახლარი დიგაშენი III. 1989 წ. იმავე ექსპედიციამ შეისწავლა სამაროვანი დიგაშენი IV, ხოლო დაზვერვებისას აღმოაჩინა გორანამოსახლარი.

ნამოსახლარი დიგაშენი I მდებარეობს სოფლების ყაურმასა და ჯიგრაშენს შორის, მდ. ფარავნის მარჯვენა ნაპირზე. ორფენიანი ნამოსახლარის საერთო ფართობია 100 კვმ. გამოვლინდა ადრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს პერიოდის ფენები. ორივე ფენის შენობები ოთხკუთხა გეგმისაა. ნაგებია ბაზალტის ფლეთილი ქვით. წყობა მშრალია. აღმოჩნდა 18 კვმ ფართობის სათავსი თიხატყეპნილი იატაკით, რომლის ცენტრში არის ოვალური ფორმის ნაწარით, კერამიკის ფრაგმენტებითა და ოსიდიანის ანატაკეცებით ამოვსებული ორმო. მასალა წარმოდგენილია ბრინჯაოს საკინძით, ძელის ნემსით, კერის სადგრის ძირის ფრაგმენტებით, რელიეფური და სხვა ორნამენტით შემკული კერამიკის ფრაგმენტებით. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებით. გვიანბრინჯაოს პერიოდის ფენის მასალა შედარებით მცირერიცხოვანია და მხოლოდ კერამიკითაა წარმოდგენილი. თარიღდება ძვ. წ. XIV-XIII სს-ით. დიგაშენი I-ის ჩრდილო-აღმოსავლეთით 600 მ მანძილზე მდებარეობს დიგაშენი II, სადაც გაითხარა ერთი ყორღანი 0,5 მ სიმაღლისა და 10 მ დიამეტრის

ყრილით. სამარხი კამერა ოთხკუთხაა (ფართობი 5 კვმ). მიცვალებულის ძვლები ვაბნეული იყო სხვადასხვა ღონეზე, რის გამოც დაკრძალვის წესი ვერ დადგინდა. აღმოჩნდა ხელით ნაძერწი მოშავო-მონაცრისფრო გეომეტრიული ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭელი; ბრინჯაოს იარაღი; სხვადასხვა ფორმის (მრგვალი, ოვალური, ბიკონოსური) მარმარილოს, სარდიონის, პასტის, ბრინჯაოს მძივები. ყორღანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ჩაშვებული სამარხი. თარიღდება ძვ. წ. XIV-XIII სს-ით (ორჯონიკიძე 1995: 80-82). მასალა ინახება ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

სამაროვანი დიგაშენი IV მდებარეობს სოფ. ყაურმადან დასავლეთით 5-6 კმ მანძილზე, მდ. ფარავნის მარცხენა ნაპირზე. შესწავლილ იქნა 4 ორმოსამარხი და 1 ყორღანი. ორმოსამარხები ინდივიდუალურია, ოთხკუთხა ან მრგვალი ფორმის ქვამიწაყრილით, რომელსაც დაახლოებით 5 მ დიამეტრის ქვის წრე შემოუყვება. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე კიდურებშოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ. სამარხი ორმოები მოზრდილი ქვის ფილებითაა გადახურული. თითოეულ სამარხში აღმოჩნდა ორი-სამი მოშავო, მონაცრისფრო და შავი ფერის ვარდისფერსაჩრულიანი, ორნამენტირებული თიხის ჭურჭელი. თარიღდება ძვ. წ. XIV-XIII სს-ით. ყორღანს აქვს ოთხკუთხა ფორმის დაბალი ქვაყრილი (9X10 მ). ყრილის ცენტრში დასაკრძალავი კამერაა (31X0,9 მ), რომელიც დიდი ზომის ქვებითაა გადახურული. ყორღანში დაკრძალულია რამდენიმე მიცვალებული, რომელთა ძვლები ერთმანეთშია არეული. აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ისრისპირები, საკინძები, სასაფეთქელი გზოლი, ღლი, ქვის საკიდი, სარდიონისა და პასტის მძივები. თარიღდება ძვ. წ. XIV-XIII სს-ით. მასალა ინახება ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (მუმლაძე, ორჯონიკიძე 1997: 1-6).

ყაურმაში შემორჩენილია ეკლესია და ციკლოპური ციხის ნანგრევები. ეკლესია დარბაზულია (ზომა დაახ. 9X6 მ). ნაგებია თლილი ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. დასავლეთისა და სამხრეთის კედლებზე გაკეთებულია ოთხი ასომთავრული წარწერა: რომელთაგან ორი საამშენებლო ხასიათისაა: „ქრისტე აღიდე გიორგი მეფე და შეილნი მათნი,“ „ქრისტე აღიდე მელქისედეკ ქართლის კათალიკოზი და შეეწიე დღეს ამას ამინ“. წარწერებში მოხსენიებულია მეფე გიორგი I (1014-1027) და მელქისედეკ კათალიკოსი (1010-1033). თარიღდება XI ს-ით (თაყაიშვილი 1909: 33; ცისკარიშვილი 1959: 29-31; ვაჩეიშვილი 1996: 27).

ყაურმის ციხე მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით მთაზე. ციკლოპური ნაგებობაა. ციხის ფართობია

დაახ. 50X20 მ. შემორჩენილია ნანგრევები (მელიქსეთ-ბეგი 1938: 61, 62; ბერძენიშვილი 1985: 94).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1985: 79, 80, 94, 95, 99; ბოჭორიძე 1992: 257; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 330, 331; ვაჩეიშვილი 1996: 26-30; 1997: 14-24; თაყაიშვილი 1909: 33, 34; მელიქსეთ-ბეგი 1938: 61, 62; მუმლაძე, ორჯონიკიძე 1997; ორჯონიკიძე 1995: 80-83; 1997: 6; როსტომიშვილი 1898: 8, 9, 69-72; საქ. არქ. 1992: 70-146; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 22; ქრონიკები 1892: 185; 1897: 33; ქც 1: 233,4, 290,20; ქც 4: 367,5; ცისკარიშვილი 1959: 29-31; ჯავახიძე ... 1974: 41.

ტრაფაყალა, ციხე (ქც 4: 543,21,სქ.2). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 543,21,სქ.2). ვახუშტი ბაგრატიონი ვადმოგვეცხს: „მაწის წყლის ჩიდილოეთ არს ველსა ზედა ციხე ტრაფაყალისა და აწუქში“ (ქც 4: 543,21,სქ.2). ლოკალიზდება ლავოლების მუნიციპ-ში. ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ქც 4: 543,21,სქ.2.

ტვილისი. იხ. თბილისი.

ტვილისის ციხე. იხ. კალა.

ტყვილიანი (ქც 4: 351,9,18,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 351,9,18,22), 1660 წ. წილკნელის სარგოს გარიგების წიგნი (წილკნელის სარგოს ... 1925: 15). ლოკალიზდება მცხეთის მუნიციპ-ში. სავარაუდოდ უნდა მდებარეობდეს სოფ. ძალისას ჩრდილოეთით 5-6 კმ-ის დაშორებით (გვასალია 1983: 98).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთს, ისე წილკნელს ტყვილიანიდან წილკნამდე გამოუყვანია რუ (ქც 4: 351,18-20). გვიან შუა საუკუნეებში ტყვილიანი შედიოდა სამუხრანბატონოში. დღეისათვის სოფელი აღარაა შემორჩენილი. სოფლის სახელი შემოუნახავს ძალისის ჩრდილოეთით 5-6 კმ-ით დაშორებულ ეკლესიას, რომელსაც მოსახლეობა ტყვილ ხატს ან ტყვილ ღვთისმშობელს უწოდებს (გვასალია 1983: 98). წილკნელის სარგოს გარიგების წიგნში სოფელი „იტყვილიანის“ სახელით მოიხსენიება (წილკნელის სარგოს ... 1925: 15).

ტყვილიანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: გვასალია 1983: 18, 97, 98; ქც 4: 351,9,18,22; წილკნელის სარგოს ... 1925: 15.



უ



უდაბნო (ქც 4: 370,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:370,19), XVIII ს-ის ისტორიული საბუთი (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 276).

ვახუშტი ბაგრატიონი უდაბნოს შესახებ გადმოგვცემს: ცხინვალისკენ, საბაწმინდის მონასტრის „ზეით ამავე მთაში, არს აღმოსავლისკენ, უდაბნო, მაღალის კლდეა შინა გამოკუეითლინი ქუაბნი ეკლესიით“ (ქც 4: 370,18-20).

ლოკალიზდება ცხინვალის მუნიციპ-ში.

უდაბნო არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ქც 4: 370,18-20; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 276.

უღე (ქც 4: 665,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 665,2), XVII-XVIII სს-ის ქრონიკები (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 224, 226, 230, 236, 249, 250, 286, 336; ლომსაძე 1979: 123, 124, 125, 168, 201), XVI ს-ის თურქული წყაროები (თურქული წყაროები ... 1983: 34, 56, 69), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 61, 84, 86, 88, 90, 93, 95, 97, 101, 105, 108, 113, 178, 242, 286, 354, 492, 603), ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ეიალეთის ... 1979: 112, 119, 122), ფრანსუა გამბას „მოგზაურობა“ (გამბა 1987: 265, 349).

მდებარეობს ადიგენის მუნიციპ-ში, მდ. ქვაბლიანის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. უდეს ადგილას.

უღე ახალციხის ფაშების სახასო სოფელი იყო (ლომსაძე 1975: 381). სამცხეში თურქთა ბატონობის დროს შედიოდა ახალციხის ლივას უდეს ნაპიეში (ჩილდირის ეიალეთის ... 1979: 79).

1970-1977 წწ. თბილისის სახ. უნივერსიტეტისა და ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მესხეთ-ჯავახეთის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ უდეს მიდამოებში დაზვერვების დროს მიაკვლია ადრე ბრინჯაოს პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს. 1977 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ო.ღამბაშიძე) დაზვერვებისას მიაკვლია გვიან-ბრინჯაოს ხანის ყორღანთა ჯგუფს.

1983 წ. უღეში, გორა „ნამონასტრალზე“ შემოხვევით აღმოჩნდა V-VII სს-ის სამარხი.

1937 წ. უღეში, ადგილ „ვერდივეში“ მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ბასილი II-ისა და კონსტანტინე VIII-ის სპილენძის მონეტა. თარიღდება 976-1025 წწ. ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (აბრამიშვილი 1965: 130).

1956 წ. უღეში აღმოჩნდა განძი, რომლის შემადგენლობაში იყო ბრინჯაოსა და რკინის 100-ზე მეტი ნივთი: 4 ე. წ. „კოლხური ტიპის“ ცული, 12 შუბისპირი, რომელთა ერთი ნაწილის მასრა გრავირებულია, 12 ისრისპირი, 4 ლახტისთავი, 8 აბზინდა, საკინძები, ორნამენტირებული ფართო სარტყლეტი, პინცეტები, რგოლები და სხვ. თარიღდება ძვ. წ. XI-X სს-ით (ჯავახიშვილი, ჩუბინიშვილი 1959: 59; ჯაფარიძე 1991: 218) ძვ. წ. XIII-XII სს-ის მიჯნით (ქორიძე 1965: 19, 20, 110).

უღეში შემორჩენილია რამდენიმე ეკლესია: წმინდა გიორგის ეკლესია, დარბაზული ტიპისაა (6,5X3,6 მ). ნაგებია თლილი ქვით კირხსნარზე. აქვს შესასვლელი სამხრეთიდან და თითო სარკმელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებზე. დასავლეთისა და სამხრეთის კედლებზე ჯვრის გამოსახულებებია. გადაკეთებულია 1842 წელს (ბოჭორიძე 1992: 65). ღვთისმშობლის ეკლესია გუმბათიანია. თარიღდება XIV-XVI სს-ით. 1886 წ. ეკლესიის დასავლეთ კართან აღმოჩნდა სტელა, რომელიც ჩამოტანილია ფოცხოვის ხეობის სოფ. ფეტობიდან. სტელა წარმოადგენს შავი ქვის ოთხკუთხა სფეტს (63X31X31 სმ), რომლის ოთხივე მხარეს რელიგიური შინაარსის რელიეფებია. სტელაზე გაკეთებულია ასომთავრული წარწერა: „წმიდაო ღმრთი-სმშობლო მარიამო, დედაო ღმრთისაო მეოხ ეყავ სულსა ფარსამანის და სულსა მანანისა, ესეა გაბრიელ – ანგელოზისაგან მაშია“. თარიღდება VI ს-ის მეორე ნახევრით (ბოჭორიძე 1992: 65, 66); IX ს-ით (ქართ. წარწ. კორ. 1980: 138). ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). სოფ. უდეს ჩრდილო-დასავლეთით შემორჩენილია ეკლესიის საძირკველი (6,2X3,5მ), რომელიც ნაგებია ქვითა და დულაბით (ბოჭორიძე 1992: 67).

ბიბლიოგრაფია: აბესაძე, პახტაძე, დვალი 1961: 166-177; აბრამიშვილი 1961: 349; 1965: 93, 130, 138; ბერიძე 1957: 53; ბერძენიშვილი 1975: 56; ბერძენიშვილი 1985: 66; ბოჭორიძე 1992: 12, 61,

63-64, 67-69, 71, 121, 128, 177, 244, 245, 249-251, 253, 255, 259; გამბა 1987: 265, 349; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 61, 84, 86, 88, 90, 93, 95, 97, 101, 105, 108, 113, 178, 242, 286, 354, 492, 603; თურქული წყაროები ... 1983: 56, 68; ქართ. წარწ. კორ. 1980: 138; ლომსაძე 1975: 186, 381, 388, 407; 1979: 122-206; სანაძე 1993: 82-98, 84, 86, 88, 95; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 224, 230, 249, 250, 286, 326, 336; უვაროვა 1894: 68, 69; ქც 4: 665,2; ქორიძე 1965: 19, 20, 109, 110, 147; ლამბაშიძე, კვიციანიძე, ორჯონიკიძე 1980: 84; ლამბაშიძე ო., ლამბაშიძე ირ. 1986: 27; ჩილიდის ვილაიეთის ... 1979: 112, 119, 122; ჩიქოვანი 1979: 73, 90, 105; ჩუბინიშვილი, ტატიშვილი, ლამბაშიძე 1957: 116, 117; ჯავახიშვილი, ჩუბინიშვილი 1959: 59-64; ჯავახრიძე ... 1981: 15; ჯავახრიძე 1991: 218.

უზნარიანო (ქც 4: 320,10). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 320,10), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 327), ქვემო ქართლის სტატისტიკური აღწერის მასალები (მასალები საქ. სტატ. 1907: 49), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 48).

მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპ-ში, კარწახის ხევში, თეთრიწყაროს აღმოსავლეთითა და კვირიკეთის დასავლეთით (ლორთქიფანიძე 1935: 350). მტრისგან მოხრეხული უზნარიანი განუახლებია ვახტანგ VI-ს და იოანე ნათლისმცემლის მონასტრისათვის შეუწირავს (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 327). ამჟამად ნასოფლარია.

უზნარიანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. **ბიბლიოგრაფია:** ბაგრატიონი 1986: 48; ლორთქიფანიძე 1935: 350; მასალანი საქ. სტატ. 1907: 49; ქც 4: 320,10; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 327.

უზნარიანო (ქც 4: 381,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 381,14), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 46).

მდებარეობს ბორჯომის მუნიციპ-ში, გუჯარეთის წყლის ქვემო წელზე, მდინარისპირა მარცხენა კლდოვან ბორცვზე.

1911 წ. პროფ. ვ. გოროდცოვს გათხრები უწარმოებია უზნარიანის ციხის ტერიტორიაზე, სადაც გამოუვლენია შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა (ნიორაძე 1944: 182). მასალის შენახვის ადგილი უცნობია.

უზნარიანის ზედა ციხე სამი მხრიდან მიუვალა. ჩრდილოეთიდან კედლების ორი რიგი გასდევს. დიდი და საშუალო ზომის ქვები თარაზულადაა ნაწყობი კირხსნარზე. შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. შიდა ციხეში ოვალური კოშკია ოთხი ქვევრითა და სამეურნეო დანიშნულების ორმოებით. იქვეა ოროთახიანი ნაგებობა. სახელი უზნა-

რიანი უნდა უკავშირდებოდეს მცენარის სახელს „უზანი“, „უზნი“ (ბერძენიშვილი 1985: 34). სხვა მოსაზრებით, ციხის სახელი უზნაძეთა გვარიდან უნდა მომდინარეობდეს (მაკალათია 1957: 25), რაც ნაკლებ სარწმუნოა (ბერძენიშვილი 1985: 34).

ბიბლიოგრაფია: არქ. კომ. მაცნე 1911: 107; ბაგრატიონი 1986: 46; ბერძენიშვილი 1985: 34; მაკალათია 1957: 25, 26; ნიორაძე 1944: 182; ქც 4: 381,14.

ულუმბო, მონასტერი (ქც 1: 273,24). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 273,24), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 377,11, სქ. 1; 379,15), XIII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 208; ისტ. დოკ. 1958: 55; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 561; ქართულ-სპარსული ... 1984: 45, 47), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44).

მდებარეობდა ხაშურის მუნიციპ-ში სოფ. ალის დასავლეთით, მდ. ჭვრათხევის ხეობაში. ვახუშტი ბაგრატიონი ულუმბოს შესახებ გადმოგვცემს: ჭვრათხევის „ზეით არს მონასტერი ულუმბას, უგუნბათო, დიდი დიდშენი, მიქელ ივ (13) მამათაგანის ქმნული, და დაფლულ არს მიქელ მუნვე, ზის წინამძღვარი“ (ქც 4: 377,9-13).

ალიდან ლიხთიმერეთში გადასასვლელი ერთი გზა მიემართებოდა ულუმბა – დედაბერა – ლოდორა – ლიჩი – ნადაბურის მიმართულებით. გზა ძირულის ხეობით გადიოდა შორაპნისაკენ (გვასალია 1989: 6).

ძველი მონასტრის ადგილას ახლა აღმართულია 1871 წ. ალექსი კველიევის (კველიშვილის) შემწეობით აგებული ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც დაშენებულია ძველი ეკლესიის კედლებზე. ძველი ეკლესია საკმაოდ დიდი ყოფილა – სიგრძით დაახლ. 24 მ. ეკლესია მონახული ყოფილა (კიპაროიძე 1974: 36). მონასტერი ერთ-ერთ ასურელ მამათაგანს, მიქაელ ულუმბოელს დაუარსებია (დასაფლავებულია იქვე). აქ მოღვაწეობდა იოანე მთაწმინდელი (ქც 1: 273,24). XIV ს-ში მონასტერი თემურ-ლენგის ლაშქარს დაუნგრევია. ამ ადგილის მფლობელს, ქუცნა ამირეჯიბს, მონასტერი აღუდგენია 1400-1415 წლებში (ქრონიკები 1897: 78) XVIII ს-ის პირველ ნახევარში ულუმბოს მონასტერი ისევ მოქმედი იყო – „ზის წინამძღვარი“ (იოსელიანი 1936: 274). XIX ს-ში დაზიანებულია მონასტრის ნაგებობები, რომლის კედლებზე შემორჩენილი იყო ქუცნა ამირეჯიბისა და მისი ოჯახის წევრების პორტრეტები. შემდგომ დაუნგრევიათ და მის საძირკველზე ახლანდელი ეკლესია აუშენებიათ. ეკლესია დაზიანებულია (16X9,30 მ). ნაგებია ფლეთილი ქვითა და ქვათლილებით. შესასვლელი სამხრეთითა და დასავლეთით აქვს. სამხრეთის კარი ძველი ეკლესიისაა. აფსიდა ნახევარწრიულია. აფსიდსა და დასავლეთ კედელში თითო სარკმელია, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში – ორ-ორი. XX ს-ის 70-იან წლებში ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე აღმოჩ-

ნდა XI ს-ის ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი: „ქრისტე აღიდე შენ მიერ დამყარებული შენ მიერ გოვირგოვინოსანი სამოთხველად ცამდე ამაღლებული უძლეველი გიორგი მეფე ყოვლისავე აღმოსავლისავე ...“ (კიპარიძე 1974: 45-46).

უღუმბო არქეოლოგიურად შეესწავლეოდა.
ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 44; პაქრაძე 1875: 151; გვასალია 1989: 6; იოსელიანი 1936: 274; ისტ. დოკ. 1958: 55; კიპარიძე 1974: 36-47; სძა 1990: 412-414; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 561; ქართულ-სპარსული ... 1984: 45, 47; ქრონიკები 1897: 208; ; ქც 1: 273,24; ქც 4: 377,11,სქ.1; 379,15.*


ურბნისი, ქალაქი (ქც 4: 373,10). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქც 1: 10,6; 17,20; 87,17), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 78,10,13, 373,10), „მოქცევაი ქართლისაი“ (მქ 1963: 81, 117; ქრონიკები 1892: 11), 1103 წ. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 106-114; ქრონიკები 1897: 54-72), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 407; 1967: 27, 44-46, 67, 68, 414-415; საქ. სიძ. 1909: 266, 323, 324, 326; საეკლესიო გუჯრები 1881: 25; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 176; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 72, 425, 433; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 1114; 1977: 134; 1981: 811; 1985: 598), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 274), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 78), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 41), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 274, 392), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 189, 207, 279).

ვახუშტი ბაგრატიონი ურბნისის შესახებ გადმოგვცემს: რუისის მთის „დასავლით, მტკვრის კიდესა ზედა, არს ურბნისი. აღაშენა ქალაქი უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ყრუსადმდე, ხოლო აწ არს ეკლესია დიდი, უგუმბათო, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი დიდის ღიახვისა, და რომელი ირწყვის ღიახვითა მით“ (ქც 4: 373,9-13).

მდებარეობს ქარელის მუნიციპ-ში, ქარელიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ურბნისის ტერიტორიაზე.

ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ქალაქი დააარსა ქართველთა ეთნარქის, ქართლოსის შვილმა უფლოსმა (ქც 4: 373,10). ელინისტურ ხანაში ურბნისი ქართლის ერთ-ერთი ქალაქად მოიხსენიება. ახ. წ. IV ს-ში ურბნისში ჩამოვიდა ქართველთა გან-მანათლებელი წმინდა ნინო და ერთი თვის შემდეგ სავაჭროდ მიმავალ ურბნისელებს მცხეთაში გაკვეცა (მქ 1963: 81, 117). ვახტანგ გორგასლის ზეობისას (457-502) დაარსდა ურბნისის საეპისკოპოსო და აიგო საკათედრო ტაძარი

(გვასალია 1983: 58). VIII ს-ის 30-იან წლებში, მურვან ყრუს შემოსევის დროს, ურბნისი დაინგრა და განადგურდა (ქც 4: 373,11,12). ამის შემდეგ ის ქალაქად აღარ მოიხსენიება. 1103 წ. მეფე დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125) რუისსა და ურბნისში მოიწვია საეკლესიო კრება. 1745 წ. ურბნისი დაარბია თურქეთის ჯარმა იუსუფ-ფაშას მეთაურობით (ორბელიანი 1981: 78). XVIII ს-ის ბოლოს ურბნისი კათოლიკოსის სამწყსოში შედიოდა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 1114).



ურბნისის ნაქალაქარის გენგეგმა

1893 წ. ურბნისის სიძველეებით დაინტერესდა პ.უვაროვა და სოფლის ტერიტორიაზე სასინჯი თხრილები გაავლო. მის მიერ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში. იქვე მოხდა ურბნისში აღმოჩენილი რამდენიმე ნივთი პ.შჩუკინის კოლექციიდან (უვაროვა 1894: 141, 142).

1953 წ. ნამოსახლარ „ხიზანანთ გორაზე“ არქეოლოგიური გათხრები დაიწყო გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღ. ს. ნადიმაშვილი). ამ ძეგლსა და ურბნისის ტერიტორიაზე იმავე წლიდან 1963 წლამდე მუშაობა გააგრძელა ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღ. 1953-1956 წწ. გ.ლომთათიძე; 1957-1963 წწ. ნ. ბერძენიშვილი; გათხრებს „ხიზანანთ გორასა“ და „ქვაცხელებზე“ ხელმძღვანელობდა ალ. ჯავახიშვილი).

ნამოსახლარი გორა „ქვაცხელები“ („ტვლეპია ქოხი“) მდებარეობს სოფ. ურბნისის აღმოსავლეთით 2,5 კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. გამოვლენილია 3 ფენა 7 სამშენებლო დონით. ნამოსახლარის ფართობია 3,500 კვმ. თარიღდება ძვ. წ. III ათასწ. პირველი ნახევრითა (C ფენა) და შუა ხანებით (B ფენა), გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეებით (A ფენა) (ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: 1, 2, 54-59).

უძველეს C და B ფენებში გამოვლინდა კუთხეებ-მომრგვალებული, გვემით ოთხკუთხა ორ სათავს-



ქვაცხელების ნასოფლარის რეკონსტრუქცია

იანი ნაგებობები, რომლებიც ნაგებია რიყის ქვის სამირკველზე სარ-ლასტით და თიხით ორმხრივია შელესილი. იატაკი თიხაბეჭეპნილია. გადახურვა ბანური ჰქონია. იქ აღმოჩნდა: ხელით ნადერწი შავბრიალა ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭელი, რომელთა ზედაპირი ვარდისფერი ორნამენტითაა შემკული ან მოხატული; კაჟის

ნამგლის ჩასართები; ქვის ხელსაფქვაები; სადგარები; შვერლიანი სტაციონარული და გადასატანი კერები; კვირისტავები; სპილენძის ისრისპირი; ძვლის ბიპირამიდული მოყვანილობის ისრისპირები; ზოომორფული და ანთროპომორფული ქანდაკებები. იქვე აღმოჩნდა ხორბლის, ქერის მარცვლები და ყურძნის წიპწები (ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: 4-22, 26-41, 44-53).

გორანამოსახლარის ჩრდილოეთ ნაწილში გამოვლინდა ორ იარუსად განლაგებული სამარხები. ზოგ სამარხში ერთი მიცვალებული ესვენა, ზოგში – წყვილი. მიცვალებულები დაკრძალა თ კიდურებმოხრილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. სამარხებში აღმოჩნდა: ირმის რქის სახნისი; სპილენძის დიადემა, რომელზეც პუნსონით გამოსახულია ირმები, წყლის ფრინველები და ასტრალური ნიშნები; ორხვია სამაჯური; სარდლიონისა და პასტის ბეკონუსური და სფერული ფორმის მძივები (ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: 24, 25, 41, 42).

ნამოსახლარის ზედა ფენა ძლიერ დაზიანებულია მიწის სისტემატური დამუშავების გამო. გაითხარა რიყის ქვით ნაგებ შენობათა ნაშთები და კერამიკა, რომელიც თარიღდება გვიანანტიკური ხანით. იქვე აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების უინვენტარო სამარხები (ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: 2-4).

ნამოსახლარ „ქვაცხელას“ ჩრდილო-აღმოსავლეთით 200 მ-ის დაშორებით მდებარეობდა „ტყვებია წყაროს“ სამაროვანი. გაითხარა 4 ქვყრილიანი ორმოსამარხი. მათში აღმოჩნდა: ხელით ნადერწი შავბრიალა და ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს შუბისპირი, სპილენძის მსხლისებური ფორმის საკიდები, სარდლიონის მძივები. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით (ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: 22-24, 42, 43).


ნამოსახლარი „ხიზანანთ გორა“ მდებარეობს სოფ. ურბნისის სამხრეთ ნაწილში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. გორას აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ხევები ჩაბოლდის, სამხრეთიდან – მდ. მტკვარი, ჩრდილოეთიდან ხელონური თხრილითაა გამოყოფილი. გორაზე (ფართობი 348 კვმ, ფენების

სიმძლავრე 8 მ) გაითხარა 5 ფენა 13 საამშენებლო დონით. უძველესი ფენები (B, C, D, E) თარიღდება ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრული – ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებით. ამ ფენაში აღმოჩნდა ნაგებობათა ნაშთები. გვემით წრიულ ან ოთხკუთხა შენობებს წინ გამართული ჰქონდა დერეფანი, კედლები ნაგებია სარ-ლასტით და ორმხრივ თიხითაა შელესილი. იატაკი მოლესილია ნაცრით ან თიხით. ოთახის შუაში შვერილებიანი კერაა მოწყობილი, რომლის უკან დედაბობის ორმოა. უკანა კედელთან 4,5 სმ სიმაღლის თაროა გამართული, რომელზეც თიხის ჭურჭელია დალაგებული. ამ ფენებში აღმოჩნდა: ხელით ნადერწი, მონაცრისფროდ გამოწვყარი და მიყვითალოდ გაპრიალებული თიხის ჭურჭელი, თიხის ტიგელი და ურმის თვლის მოდელები, ბრინჯაოს ნამკალი, სატყვარი, ოთხწახნაგა ისრისპირი, კაჟის ისრისპირი, კაჟის ნამგლის ჩასართები, თიხის ზოომორფული ფიგურები (კიკვიძე 1972: 3-93).

„ხიზანანთ გორის“ ზედა ფენაში (A ფენა) გაითხარა ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარი ფენა და ადრე შუა საუკუნეების ციტადელი (ზაქარაია 1965ა: 12-22).

ნაქალაქარ ურბნისის დასავლეთ ნაწილში გაითხარა ადრე ბრინჯაოს ხანის 7 სამარხი. ორმოსამარხებში დაკრძალული იყო თითო მიცვალებული თავით სამხრეთისაკენ, ძლიერ მოხრილი კიდურებით, მარჯვენა გვერდზე. სამარხებში აღმოჩნდა შავზედაპირიანი და ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს რგოლხვია და მძივები, სპილენძის საკინძი ორგოლუტანი თავით და სამაჯური (ჭილაშვილი 1964: 8-24).

ნაქალაქარის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები და სამარხთა ნაშთები. მათში აღმოჩნდა ლეგა-მოშავოდ ან წაბლისფრად გამოწყარი თიხის ჭურჭელი, რომლის ზედაპირი შემკულია გრავირებული ორნამენტით; ბრინჯაოს ლაგმის ნაწილები და რგოლები, სპილენძის მახათი, სარდლიონის მძივები, ძვლის დაკბილული ნივთი (ჭილაშვილი 1964: 25-28).



ზლდის რეკონსტრუქცია ნ. ზაქარაიას მიხედვით

ნაქალაქარს ირგვლივ გალავანი ჰქონდა შემოვლებული. გათხრებმა გამოავლინა ქალაქის გამაგრების სისტემის სამი პერიოდი. ძვ. წ. IV-III სს-ის ქალაქს გარს უვლიდა რიყის ქვით ნაგები ზღუდე (სიგანე 4 მ), რომლის გარე პირი ვერტიკალურია, ხოლო შიდა – დაქანებული. გალავანი ძლიერ ხანძრითაა განადგურებული. ახ. წ. VI ს-ის მეორე ნახევარში აგებული გალავანი აღიზისაა (აღიზის

ზომები 0,52X0,52X0,12 მ; კედლის სისქე 4,5 მ; პერიმეტრი 2 კმ; შემოსაზღვრულია 23 ჰა). ქალაქს სამხრეთიდან, მდ. მტკვრის ნაპირის გასწვრივ, მხოლოდ კედელი გასდევდა, დანარჩენი სამი მხრიდან გალავანი გამაგრებული იყო გვემით ნახევარწრიული ფორმის კოშკებით (18 ერთეული). მათგან სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კოშკებს ჰქონდა 5-5, დანარჩენებს 2-2 სათავსო. გალავანს გასდევდა საბრძოლო ბილიკები. მურვან ყრუს შემოსევის დროს დანგრეული ალიზის გალავნის ირგვლივ VIII ს-ის მეორე ნახევარში შემოუვლიათ თხრალი (სიღრმე 8-10 მ; სიგანე 30-40 მ) და აქედან ამოღებული მიწით დანგრეული ალიზის ზღუდე დაუფარავთ (ზაქარაია 1965ა: 22-57).

ნაქალაქარის ტერიტორიაზე და მის გარეთ გაითხარა ძვ. წ. IV-III სს-ის ნამოსახლარები, ელინისტური ხანის ნამოსახლარები და კერამიკის გამოსაწვავი საწარმოს ნაშთები. ახ. წ. I-III სს-ის ნაგებობების მცირერიცხოვანი ნაშთებია შემორჩენილი. ამ ფენაში გაითხარა III ს-ის აბანო (18,2X11,4 მ), რომელიც ნაგებობები ფლეთილი ქვითა და აგურით. შედგება ცივი, თბილი და ცხელი განყოფილებებისაგან. იატაკის ქვეშ კალორიფერების სისტემა იყო მოწყობილი. აბანოს კამაროვანი გადახურვა ჰქონდა. IV ს-ის მეორე ნახევრიდან ნაქალაქარის ტერიტორიაზე ჩნდება მასიური დასახლებები. IV-V სს-ში ნაგებობები ძლიერი ხანძრითაა განადგურებული. ამ ფენაში აღმოჩნდა ოთხთახიანი დამწვარი ნაგებობა, რომლის ერთ სათავსოში თონე იყო გამართული. აქვე აღმოჩნდა რკინის მახვილისა და აბჯრის ნაწილები. ნაგებობის მახლობლად გამოვლინდა ქსოვილში შეხვეული ლითონის ნივთების განძი: რკინის ვარცლი და მახვილი, სპილენძის ორი ქვაბი და ორი თევზი.

ნაქალაქარზე VI-VIII სს-ის ნაგებობები წარმოდგენილია საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობების სახით. ამ ფენაში გაითხარა რამდენიმე მარანი. ერთი მათგანი გამართულია III ს-ის აბანოს თავზე (ზაქარაია 1965ა: 69-80; ჭილაშვილი 1964: 29-59).

გარდა ნამოსახლარებისა, ურბნისის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ანტიკური ხანის რამდენიმე სამაროვანი და ცალკეული სამარხი. ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გაითხარა ძლიერ დაზიანებული ორმოსამარხი, რომელშიც აღმოჩნდა შავპრიალი თიხის ჭურჭელი; ღანგარი; ნაპრიალები რადიალური ზოლებით შემკული ცალყურა ღოჭი; ნახევარსფერული და მრგვალი თავებით შემკული ოქროს საკინძები. სამარხი თარიღდება ძვ. წ. VI-V სს-ით (ჭილაშვილი 1964: 29-32).

ნაქალაქარის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში გაითხარა ძვ. წ. III - ახ. წ. V სს-ის სამარხი ურნები, ორმოსამარხები, ხისა და თიხის სარკოფაგები, ალიზით ნაგები სამარხები. მათში დაეკრძალათ თითო ან რამდენიმე მიცვალებული, ძირითადად გამოტლილი პოზით, თავით აღმოსავლეთით ან დასავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა მოწითალო-

მოვარდისფროდ და შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, ოქროს ბეჭდები და საყურები, სარდიონის, ვიშრის, მინისეური პასტის მიწვები; 200-მდე სხვადასხვა ფორმის მინის ჭურჭელი; 133 ანტიკური და აღმოსავლური გეგმა, რომელთა უმრავლესობა ბეჭდებშია ჩასმული (ჭილაშვილი 1964: 33-54; სავინაშვილი 1970: 5-86; ჯავახიშვილი 1972: 5-85). ურბნისის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში აღმოჩნდა პართიის მეფეების, ოროდ I-ის (ძვ. წ. 57-38/37) და გოტარზეს (ახ. წ. 40-51), თითო ვერცხლის დრაქმა; რომის იმპერატორ ავგუსტეს (ძვ. წ. 27 - ახ. წ. 14) ვერცხლის 5 დენარი; ბიზანტიის იმპერატორ თეოდოსი II-ის (408-450) ოქროს სოლიდი; იუსტინე I-ის (518-527) სპილენძის მონეტა; სასანიდური ირანის მეფეების, კავად I-ის (488-497) 4, ხოსრო I-ის (531-579) 3 და ხოსრო II-ის (590-628) 1 ვერცხლის მონეტა; მონგოლთა დიდი ყანის, მანგუს (1251-1259) ვერცხლის მონეტა; XVI ს-ის თურქული ვერცხლის მონეტა; XVIII ს-ის ბაგრატიონთა 1 ვერცხლისა და 1 სპილენძის მონეტა (აბრამიშვილი 1965: 42, 121, 123; 1974: 45, 75, 101, 107; აბრამიშვილი, ჯალალანია 1968: 151-157; დუნდუა 1987: 52).

ნაქალაქარის ტერიტორიაზე გაითხარა წყალსადენი და სარწყავი წყლის 3 არხი-გვირაბი. წყალსადენი ნაგებია სხვადასხვა ზომის კერამიკული მილებით, რომლებიც კირის დულაბშია ჩასმული. სამივე არხი-გვირაბი გალავნის ქვეშ გადიოდა. წყლის გვირაბები ნაგებია დიდი ზომის თლილი ქვებით, აგურით (0,3X0,3X0,06 მ) ან ბრტყელი კრამიტით, რომელიც გადახურულია ქვის ფილებით (ზაქარაია 1965ა: 81-85).

ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში დგას V ს-ის სამწავიანი ბაზილიკა ურბნისის სიონი (32,1X22,4 მ). ტაძარი თავდაპირველად აუცილებლად თანაბარი სიდიდის თლილი ქვით. X ს-ში შეუკეთებიათ სხვადასხვა ზომის ქვათილებით. XVII-XVIII სს-ში ტაძრის ზედა ნაწილი, სვეტები და პილასტრები აგურით აღუდგენიათ. ტაძარს აქვს სამი შესასვლელი. ნაგები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ოთხი წყვილი, ჯვრისებური გეგმის სვეტით, რომელზეც ეყრდნობა ნახევარწრიული თალები. გვერდითი ნაგები აღმოსავლეთით ბოლოვდება სამკვეთლოთი და სადიკვნეთი. ტაძარს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ჰქონდა მინაშენები. ჩრდილოეთ ფასადზე V ს-ის პირველი ნახევრის ასომთავრული წარწერაა: „უფალო იესუ ქრისტე კოსტანტი მამაი მიქაელ შეიწყალენ ამის სიონისა მაშენებლენი“. სამხრეთის კარის თავზე შემორჩენილია ასომთავრული წარწერა: „უფალო ღმერთო შეიწყალე თევდორე ებისკოპოსი, ძეი ლუკასი, მაშენებელი ამის სიონისა. ოდეს ღმერთმან ღირსმყო ამის სიონისა ებისკოპოსად, იყო ესე სიონი დაძულებულ უფროს ზომასა“. აღმოსავლეთის ფასადზე რამდენიმე ასომთავრული წარწერაა: „დიდებაი შენდა ქრისტე, რამეთუ მომზადლე თეოდორე ებისკოპოსსა ამის სიონისა აღშენებაი, თანაშეწვენითა მიქელ,

ძისა კოსტანტინესითა, ქრისტემან შეუნდვენ. ესე მე აბითარ დავწერე“: „სამებაო წმიდაო, შეიწყალე მონაი შენი ქავთარ, შუშან და ნაშობნი მათნი, შემწენი ამის სიონისანი. ქრისტემან შეუნდვენ, ამინ“: „აბითარ დეკანოზი უფალო შეიწყალე“. წარწერები X ს-ით თარიღდება. აღმოსავლეთის კედელზე ამოკვეთილია შემწირველთა და მლოცველთა სხვადასხვა დროის მონასტრები, შესრულებული ასომთავრული და მხედრული დამწერლობით (შოშიაშვილი 1965: 131-145; ქართ. წარწ. კორ. 1980: 62, 196-200).

ტაძრის დასავლეთით 15 მ-ის დაშორებით დგას ფლეთილი ქვითა და აგურით ნაგები სამსართულიანი სამრეკო (9,1X10,2მ). პირველი და მეორე სართული გეგმით მართკუთხაა, მესამე – თაღოვანი რვაგვერდა ფანჩატურია. დასავლეთის ფასადზე მოთავსებულია 1706 წ. მხედრული წარწერა: „ქ. ჩვენ, დიდის მეფისა შახნავაზის ძის ლევანის ძემან და საქართველოს ბრძანებელმან და კეთილად განმგებან ბატონისშვილმან ვახტანგ და თანამეცხედრემან ჩვენმან, დიდის ჩერქეზის ბატონის ასულმან, დედოფალმან რუსუდან აღვაშენე სამრეკლო ესე, გალავანი, პალატითა და სხვა სახლებითა სულისა ჩვენისა საოხად და ძისა ჩვენისა ბაქარისა აღსაზრდელად ...“ (შოშიაშვილი 1965: 140-145; სეხნიაშვილი 1982: 55-60).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1965: 42, 121, 123; 1974: 45, 75, 101, 107; აბრამიშვილი, ჯალალანია 1968: 151-158; ბაგრატიონი 1986: 41; ბროსე 1851: 179-209; ვვასალია 1983: 58; გიულდენშტედტი 1962: 189, 207, 279; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 176; დუნდუა 1987: 52; ზაქარაია 1965ა; თაყაიშვილი 1907: 41-59; კიკვიძე 1972; ლომთათიძე 1964: 87-109; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 72, 425, 433; მქ 1963: 81, 117; ნარიშკინი 1990: 50-57; ორბელიანი 1981: 78; სავინაშვილი 1970; საქ. სოდ. 1909: 266, 323, 324, 326; სეხნიაშვილი 1982: 55-60; საეკლესიო გუჯრები 1881: 25; უგაროვა 1894: 141, 142; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 274; 1970: 106-114, 1114; 1977: 134; 1981: 811; 1985: 598; ქართ. წარწ. კორპ. 1980: 62, 196-200; ქრონიკები 1892: 11; 1897: 54-72, 407; 1967: 27, 44-46, 67, 68, 414, 415; ქც 1: 10,6; 17,20; 87,17; ქც 4: 78,10,13; 373,10; შარდენი 1975: 274, 392; შოშიაშვილი 1965: 131-145; ჯავახიშვილი, ლლონტი 1962; ჯავახიშვილი 1972; ჭილაშვილი 1964.

ურთა, ციხე (ქც 4: 720,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 720,22), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქც 2: 520,3), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 379, 381, 406), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 143). მესხური დავითნის ქრონიკა (სამხ. საქ. ისტ. 1961: 169).

ლოკალიზდება სამხრეთ საქართველოში. მდებარე-

ობს ისტორიულ არტანუში, ჩრდილის (ჩილდირის) ტბის დასავლეთით, 3-4 კმ-ის დაშორებით, სოფ. ურთის ტერიტორიაზე. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

წყაროებში იხსენიება XVI ს-ში, ირან-ოსმალეთის ომებთან დაკავშირებით. 1577 წ. ქაჯთა ციხის წინ მომხდარი ბრძოლისას ურთას ციხე დაინგრა (ქც 2: 520,3). ქაჯთა ციხეს და ურთის ციხეს ზოგიერთი წყარო აიგივებს (სამხ. საქ. ისტ. 1961: 169). ოსმალების მიერ სამხრეთ საქართველოს მიტაცების შემდეგ ურთა ჩილდირის ლივიაში შედიოდა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 379).

ურთა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ურთას VII ს-ის სამნავიანი ზაზნაიკა მდებარეობს ჩილდირის ტბის დასავლეთით, 3-4 კმ-ის დაშორებით. გეგმით სწორკუთხაა. ნაგები და მოპირკეთებულია თლილი ქვით. ეკლესიას სამ ნავად ყოფს ექვსი მასიური კოლონა. შუა ნავი შედარებით მაღალია. შუა ნავის აფსიდა ნახევარწრიულია, კვერდითუბის – ოთხკუთხა. აფსიდის კვერდებზე სწორკუთხა გეგმის საღიაკვნი და სამკვეთლოა. შესასვლელი სამხრეთიდანაა (შემდგომში დასავლეთიდანაც გაუკეთებიათ). სამხრეთით ეკლესიას აქვს გვიანდელი მინაშენი. ჩრდილოეთ კედელზე ამოკვეთილია ასომთავრული „გ“ (თაყაიშვილი 1909: 52-55; ზაქარაია 1990ა: 12). ზოგიერთი მოსაზრებით, ეკლესია თარიღდება X ს-ის მეორე ნახევრით (ბერიძე 1981: 178). XVI ს-ში ეკლესია გადააკეთეს ციხისიმაგრედ და თავდაცვით ნაგებობად გამოიყენებოდა. შემდგომში ის მეჩეთად აქციეს. 1992 წ. აღმოსავლეთიდან ნაგებობას მინარეთი მიაშენეს (გუგუნივა 1996: 20).

ბიბლიოგრაფია: ბერიძე 1981: 384; ბერიძე 1981: 178, 179; გუგუნივა 1996: 20; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 379, 381, 396, 406; ზაქარაია 1990ა: 10-13; თაყაიშვილი 1905: 111, 112; 1909: 52-55; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 156; საქ. სოდ. 1920: 63; ქც 2: 520,3; ქც 4: 720,22; ცხოვრება ... 1980: 143.

ურთა (ქც 4: 353,12). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 353,12), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 35).

ვახუშტი ბაგრატიონი ურთას შესახებ გადმოგვცემს: „ოხერ-ხიდის ჩდილოთ არს ბოდორნას ქუაზნი გამოკუეთილნი და ციხე მავარი. ამის ჩდილოთ ურთა, მოსახლენი ვაჭარნი“ (ქც 4: 353,10-12).

მდებარეობს დუშეთის მუნიციპ-ში, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. არაგვისპირის ზემო უბანში, „ინიანთკარში“.

სოფ. არაგვისპირის ტერიტორიაზე 1973-1977 წწ. არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. რ.რამიშვილი). იქ გაითხარა გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარი და

სამაროვანი. ნამოსახლარზე დაფიქსირდა 2 ფენა. ზედა ფენა ძლიერ იყო დაზიანებული მიწის საშუალოების გამო. ქვედა ფენაში გამოვლინდა შენობათა ნაშთები, რომელთა საძირკველი ნაგებია რიყის ქვით, კედლები ალიზისაა. ორივე ფენაში აღმოჩნდა კარგად განლაგებული თიხისაგან დამზადებული ჭურჭელი, ბრტყელი და ლარისებური კრამიტები. ქვედა ფენის კრამიტი უფრო დიდი ზომისაა და შედგება წითლად (რამიშვილი ... 1974ა: 55, 56). ნამოსახლარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაითხარა სამაროვანი, სადაც აღმოჩნდა 94 სამარხი. ისინი ძირითადად ორმოსამარხები და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხებია. აქვე აღმოჩნდა 4 ქვის სამარხი და 1 ქვევრსამარხი. სამარხების უმეტესობა ინდივიდუალურია, იშვიათად – წყვილად. მიცვალებულები დაეკრძალათ კიდურებმოხრილი ან ზურგზე გამოტოვილი, თავით დასავლეთით ან სამხრეთით. რიგით სამარხებში აღმოჩნდა ჩალისფრად გამომწვარი 1 ან 2 თიხის ჭურჭელი და რამდენიმე სამკაული. იქვე გაითხარა 3 მდიდრულად ინვენტარიანი სამარხი (№№9, 10, 13), რომლებშიც აღმოჩნდა: ვერცხლის მოთქროული თასი, ძირზე არწივის გამოსახულებით; ვერცხლის ფაღალა სამსხვერპლოსთან მდგარი ცხენის გამოსახულებით; 2 ვერცხლის სურა ნადირობის სცენების რელიეფური გამოსახულებით; ძოწით შემკული ოქროს საყურეები; გემიანი ბეჭდები; ძოწით, მარგალიტითა და მინით შემკული ოქროს ძეწკვიანი ყელსაბამი; ოქროს ბალთა და აბზინდა, შემკული ძოწითა და მინით; 3 ოქროს აურეუსი და 8 ვერცხლის მონეტა. ნამოსახლარი და სამაროვანი თარიღდება ახ. წ. III ს-ის ბოლო-IV ს-ის დასაწყისით (რამიშვილი 1982: 32-34).

სოფ. არაგვისპირის ტერიტორიაზე გაითხარა XVIII ს-ის მრგვალი კოშკის ნაშთი, რომელიც ნაგებია რიყის ქვით დულაბზე. შემორჩენილია ორი სართული. იატაკზე აღმოჩნდა უანგობოდ მოჭიქული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. კოშკი შიდა კარით დაკავშირებული იყო წისქვილთან.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 35; გაგოშიძე 1981: 179, 180; რამიშვილი ... 1974ა: 54-61; რამიშვილი ... 1976: 70, 79; რამიშვილი, ჯორბენაძე 1976: 30-44; რამიშვილი ... 1979: 108-120; რამიშვილი ... 1980: 169-187; რამიშვილი 1982: 25-46; ქც 4: 353, 12.*

ჰრიათუბანი (ქც 4: 451,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 451,3; 601,20), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 69), XVIII ს-ის პირველი მეოთხედის კახეთის აღწერის დავთარი (ჯავახიშვილი 1967: 82, 83), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 410; 1977: 61), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 41, 43).

მდებარეობს გურჯაანის მუნიციპ-ში, გურჯაანიდან ჩრდილო-დასავლეთით 14 კმ-ის დაშორებით,

ბაკურციხე-თელავის საავტომობილო გზაზე, დღევანდელი სოფ. ვაზისუბნის ტერიტორიაზე. 1949 წ. სოფ. ურიათუბანს სახელი შეუცვალეს და ვაზისუბანი დაარქვეს.

1664 წ. ქართლის მეფე ვახტანგ V-ს (1658-1675) ურიათუბანთან შეებრძოლა ბატონიშვილი ერეკლე (შემდგომში ერეკლე I, 1688-1703), რომელიც დამარცხდა და თორღას ციხეს შეაფარა თავი (ქც 4: 451,3, 601,20). XVIII ს-ში ურიათუბანი შედიოდა ნინოწმინდელი ეპისკოპოსის სამწყვსოში (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 410).

ურიათუბნიდან (ვაზისუბნიდან) ცნობილია გვიანი ბრინჯაოს ხანის მცირე ზომის ბრინჯაოს ნამგალი (კუფტინი 1944: 325). დაზვერების შედეგად სოფლის სტადიონზე მიკვლეულია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი (ფიცხელაური, დედაბრიშვილი 1969: 18).

სოფელში დგას ღვთისმშობლის მიძინების სამნავიანი ბაზილიკა ვარსაშემოსავლელით (23,5X19,5 მ). თარიღდება VI ს-ის მეორე ნახევრით. ნაგებია რიყის ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. გვერდითი ნაგების აღმოსავლეთ მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნა. ეკლესიას შესასვლელი აქვს ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან (ჩუბინაშვილი 1959: 79-83).

„დავითიანი“ უბანში, მდ. წილიანასხევის მარჯვენა ნაპირზე, დგას ორმოცმეცამეტა გუმბათიანი ეკლესია (6,5X6,5 მ). თარიღდება VII ს-ით. ეკლესია გვერდით რვაკუთხედიანაა. ნაგებია რიყის ქვით. კუთხეები ამოყვანილია შირიმის ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. გუმბათის ყელი რვაწახნაგაა (ჩუბინაშვილი 1959: 264, 265; ქუფარაშვილი 1987: 15-19).

„სანასტირეს“ სამონასტრო კომპლექსი დგას სოფლიდან 2-3 კმ-ის დაშორებით, წილიანასხევის ნაპირზე, ტყეში. კომპლექსში შედის ღვთისმშობლის IX-X სს-ის სამნავიანი ბაზილიკა, რომელსაც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მიშენებული აქვს მცირე ეკლესიები. ღვთისმშობლის ეკლესია ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. აქვს ნახევარწრიული შევრილი აფსიდა. გვერდითი ნაგების აღმოსავლეთ მხარეს არის ნახევარწრიული აფსიდებით დაბოლოებული სამკვეთლო და სადიაკვნე. ეკლესიას შესასვლელი აქვს ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიწაშენებიდან და დასავლეთის კედელზე მიშენებული ორსართულიანი კარიბჭიდან. ეკლესიას შემოუყვება გალავანი, რომლის გარეთ სხვადასხვა ნაგებობისა და მარნის ნანგრევებია (ჩუბინაშვილი 1959: 123-129).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 69; გიულდენშტედტი 1962: 41, 43; კუფტინი 1944: 325; ფიცხელაური, დედაბრიშვილი 1969: 18; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 410; 1977: 61; ქუფარაშვილი 1987: 15-19; ქც 4: 451,3; 601,20; ჩუბინაშვილი 1959: 79-83, 123-129, 159, 264, 265; ჯავახიშვილი 1967: 82, 83.*

უსანეთი, ეკლესია (ქც 4: 365,23; 368,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრა-

ტიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 361,23, 365,15,23, 368,5), 1731 წ. მორიგების წიგნი შანშე ქსნის ერისთავისა გვი ამილახვარისადმი (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 325).

ვახუშტი ბაგრატიონი უსანეთის შესახებ გადმოგვცემს: „წოდისხევი გამოსდის უსანეთის მთას, უსანეთის მთის თხემს არს ეკლესია წმიდის გიორგისა, უგუმბათო“ (ქც 4: 365,23). „გორიდან ჩდილოთკენ მეჯვდას ზეით არს, უსანეთის მთის ძირში, მონასტერი წმიდის თევდორესი, აწ ხუცის სამარ“ (ქც 4: 368,5).

ლოკალიზდება ცხინვალის მუნიციპ-ში, ხარულის ქედის სამხრეთ განშტოებაზე – მდინარეების, მეჯუდისა და ლეხურის წყალგამყოფზე.

წყაროებში იხსენიება XVIII ს-დან. ის საამილახვროში შედიოდა (გვასალია 1983: 73).

უსანეთიდან ცნობილია სტელა (26X26X100 სმ), რომლის ოთხივე წახნაგი შემკულია ქრისტეს ცხოვრების ამსახველი სცენებით, წმინდანთა და საერო პირთა რელიეფური გამოსახულებებით. უმრავლესობას ახლავს ამოღარული ასომთავრული წარწერები. სტელა თარიღდება VIII-IX სს-ით (ქართ. წარწ. კორ. 1980: 123-130; ჯავახიშვილი 1998: 38, 39).

ბიბლიოგრაფია: გვასალია 1983: 73; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 325; ქართ. წარწ. კორ. 1980: 123-130; ქც 4: 361,23, 365,15,23, 368,5; ჯავახიშვილი 1998: 38, 39.

უფლისციხე, ციხე-ქალაქი (ქც 1: 17,20), ქალაქი (ქც 4: 366,14), ციხე (ქც 1: 262,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 10,6; 17,20; 33,11), მისივე, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქც 1: 109,10), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 132,22,23; 135,2,9; 137,11,19; 138,2,7-9,28; 366,10,12,21; 560,5,14; 799,8), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 262,5; 263,14; 272,8,18; 274,5,14; 275,1,2; 276,10; 302,14; 305,8), ბერი ევნათაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 423,1), „მოქცევაი ქართლისაი“ (მქ 1963: 81, 82), ანტიოქიის მსოფლიო საეკლესიო კრების ძეგლისდების ქართული თარგმანის მინაწერი (ხელნაწერთა აღწერილობა 1902: 200), ბესარიონ კათოლიკოსის „ლუარსაბ მეფის მარტივლობა“ (ბესარიონ კათოლიკოსი 1946: 409), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 197; 1967: 330; სასისხლო სიკვლეების ... 1924: 30; საქ. სიძ. 1910: 95, 265; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 528, 530, 779, 989; 1970: 706; 1981: 242, 253; 1985: 368, 600; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 184; 1953: 151; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 155; 1955: 138; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 207), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1913: 268), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 39), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 12), თეიმურაზ ბაგრა-

ტიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 54), ატენის სიონის სომხური წარწერა (ალექსიძე 1978: 50-61), სომხურ ხელნაწერთა ანდერძები (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 33).

ვახუშტი ბაგრატიონი უფლისციხის შესახებ გადმოგვცემს: „აშურიანს ზეით არს უფლის-ციხე, კუერნაქის გადმოკიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკურის კიდესა ... შენობა უცხო, კლდისაგან გამოკუეთილი; პალატი დიდ-დიდნი, ქანდაკებულნი კლდისაგანვე; გვირაბი ჩხვრეტი ჩაკაფული მტკურამდე, დიდი. დასავლით აქუს ქარაფი მალა-ლი, და მას შინა გამოკუეთილნი ქუაბნი მრავალიდნი, არამედ აწ შეუვალ არს ... ამის დასავლით არს ქალაქი გორი“ (ქც 4: 366,12-22).


მდებარეობს გორის მუნიციპ-ში, გორიდან აღმოსავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, სოფ. ქვახვრელის მოპირდაპირედ, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

ისტორიული ტრადიციის თანახმად, უფლისციხე ალაშენა უფლოსმა (ქც 1: 10,6). ლევანდის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელს ქართლში ლაშქრობისას სხვა ქალაქებთან ერთად უფლისციხეც დახვედრია (ქც 1: 17,18-20). იმავე ამბის გადმოცემისას „მოქცევაი ქართლისაი“ უფლისციხეს ქალაქ კასპის ციხედ მიიჩნევს (მქ 1963: 81). ძვ. წ. I ს-ში მეფე არსუკს (არშაკს) უფლისციხეში დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარებია (ქც 1: 33,10,11; მქ 1963: 82). უფლისციხე იხსენიება მირიან მეფის გაქრისტიანების ამბავთან დაკავშირებით (ქც 1: 109,9-11). წყაროთა ცნობით, შუა საუკუნეების უფლისციხეში ძლიერი სამონო ცენტრი ყოფილა (ხელნაწერთა აღწერილობა 1902: 200; ქც 4: 366,19-21). IX-X სს-ში უფლისციხე შიდა ქართლის პოლიტიკური ცენტრია. X სს-ის 70-იან წლებში ქართველ მეფე-მთავართა შორის ბრძოლას ქართლში გაბატონებისათვის „მატიანე ქართლისა“ უფლისციხისათვის წარბეზულ ბრძოლად მიიჩნევდა (ქც 1: 272,8-16). 842 წ. თბილისის ამირა საპაკის დასასჯელად ქართლში შემოვიდა არაბთა სარდალი მუჰამედ იბნ-ხალიდი, რომელსაც მიემხრო ბაგრატ კურაპალატი. მათ ერთობლივი ძალებით აიღეს უფლისციხე. მუჰამედმა ქართლი და უფლისციხე ბაგრატ კურაპალატს უბოძა (ქც 1: 255,2-10). 904 წ. აფხაზთა მეფე კონსტანტინემ ქართლი დაიკავა, რასაც მოჰყვა სომეხთა მეფის სუმბატ ტიეზერაკალის ლაშქრობა უფლისციხეში. შემდგომში სუმბატმა კონსტანტინეს დაუბრუნა ქართლიცა და უფლისციხეც (ქც 1: 262,4-7); 914 წ. არაბთა სარდლის აბულ კასიმის სამხრეთ კავკასიაში ლაშქრობისას უფლისციხელებმა თვითონ მოარღვიეს ციხე-ქალაქის ზღუდეები, რათა არაბებს იქ დაჩრენის სურვილი არ განჩინოდათ (ქც 1: 263,14). 923-924 წწ. მეფე გიორგიმ ქართლის გამგებლობა ჩააბარა თავის უფროს შვილს კონსტანტინეს, რომელმაც სამი წლის შემდეგ თვითონ მიიწვია ქართლში გაბატონება და უფლისციხეში გამაგრდა (ქც 1: 267,1-3). გიორგი აფხაზთა მეფე ბრძოლით რომ ვერაფერს გახდა, კონსტანტინე მოტყუებით

გამოიყვანა უფლისციხიდან. უფლისწული ღამე ტივით გამოსულა „ერთგული“ აზნაურებთან შესახვედრად. შემდგომ მიმხვდარა, რომ ღალატობდნენ, მაგრამ ვეღარ დაიმორჩილა ტივი. ნაპირზე გადასული უფლისწული გათენებისას შეიპყრეს (ქც 1: 267,12-16, 268,1). 975 წ. ქართლის ერისთავმა იოანე მარუშის ძემ დანმარებისათვის დავით კურაპალატს მიმართა. დავითმაც არ დააყოვნა და ქართლში თავისი შვილობილი ბაგრატი (შემდგომში ბაგრატ III) გაამეფა (ქც 1: 272,8-19). ამით უკმაყოფილო ქართლის აზნაურებმა კახელები მოიწვიეს და უფლისციხე აიღეს, ბაგრატი და მისი მშობლები კი ტყვედ წაიყვანეს (ქც 1: 274,14,15). შემდგომ კახელებმა ზავი ამჯობინეს. გაათავისუფლეს ტყვეები და უფლისციხეც დაუბრუნეს. ამის შემდგომ უფლისციხეს ბაგრატის დედა გუარანდუხტი ვანაგებდა (ქც 1: 275,1-3). 978 წ. ბაგრატი აფხაზეთში გამეფების შემდეგ ქართლში გადმოვიდა, დაამარცხა მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგე აზნაურები, მოვიდა უფლისციხეში, მოაგვარა ქართლის საქმეები და ისევ აფხაზეთს დაბრუნდა (ქც 1: 276,10-12). XI ს-ში უფლისციხე კვლავ ითვლებოდა ქართლის მნიშვნელოვან სიმაგრედ, რომელიც ბაგრატ IV-სა (1027-1072) და ლიპარიტ კლდეკარის ერისთავს შორს ატეხილი ბრძოლების დროს ხელიდან ხელში გადადიოდა. ლიპარიტის დამარცხების შემდეგ ბაგრატ IV-მ კვლავ დაიბრუნა უფლისციხე (ქც 1: 392,14, 305,7,8). XI-XII სს-ის მიჯნაზე თანდათან წინაურდება ქ. კორი, რომელიც პირველობას ართმევს და ენაცვლება უფლისციხეს. დაქვეითების გზაზე დამდგარ უფლისციხეს ბოლო მოუღო მონღოლთა ლაშქრობებმა (ქც 4: 366,14). 1392 წ. საბუთით, უფლისციხე მცხეთის საეკლესიო მამულებს ეკუთვნოდა (ქრონიკები 1987: 197). 1412 წ. შედგენილ ერთ-ერთ ანდერძში უფლისციხე დაბა-ქალაქად იხსენიება (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 33). 1467 წ. ქართლის მეფე კონსტანტინე II-მ (1478-1505) უფლისციხე ზაზა ფანასკერტელს უბოძა (სასისხლო სიგელების ... 1924: 30). გვიან შუა საუკუნეებში უფლისციხე საამილახვროში შედიოდა (ბაგრატიონი 1986: 39).

1852 წ. უფლისციხეში პირველი გათხრები ჩაუტარებია დ.მელვინეთუხუცესისშვილს, რომელსაც აუგვემავს ნაგებობანი, გაუთხრია ორსვეტიანი დარბაზი, სადაც აღმოჩენილა სვეტიას ფრაგმენტები და კერამიკის ნატეხები. გვერდით სათავსოში კი მოუკვლევია ქვევრებისათვის. მისი აზრით, ორსვეტიანი დარბაზი და მიმდებარე ნაგებობები წარმოადგენდა წარჩინებული პირის სასახლეს. ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებულ ტერასაზე დ.მელვინეთუხუცესისშვილს აღმოუჩენია ძველი ნეკროპოლი (ხახუტაიშვილი 1964: 9). ნაქალაქარისა და მისი შემოგარენის სისტემატურ გათხრებს 1957 წლიდან აწარმოებდა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. შ.ამირანაშვილი, თ.სანნიკიძე). ამ წნის მანძილზე თითქმის მთლიანად

გათხარა შიდა ქალაქის ტერიტორია. იქ გამოვლენილი მასალებიდან ყველაზე ადრეული ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისით, ყველაზე გვიანდელი კი გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება. უფლისციხის შემოგარენში შესწავლილ იქნა არაერთი ძველი: ლაშთიხევის ადრეული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, ყათნალიხევის გვიანი ბრინჯაოს ხანის სამლოცველო, ბამბების ანტიკური ხანის სამოსახლო და სამაროვანი, ყათნალიხევის გვიანანტიკური ხანის სამარხები და სხვ. (ხახუტაიშვილი 1989: 25-78).



უფლისციხის გეგმა

უფლისციხე წარმოადგენს დაქანებული რელიეფის მქონე ქვიშაქვის მასივში ამოკაფულ-გაშენებულ კომპლექსს, რომელიც აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან კლდეში ნაკვეთი თხრილითა და თხრილის მიდევნებით აგებული კედლითაა გამაგრებული. დასავლეთი და სამხრეთი მხარე ბუნებრივადაა დაცული შეფული კლდოვანი კედლით. თხრილის აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით დასტურდება კლდეში ნაკვეთი კომპლექსები, რომლებიც შიდა ქალაქის (ციხის) ცენტრალური უბნის კომპლექსებისაგან გამოირჩევა შედარებითი სიმცირითა და აღნაგობა-გაფორმების სიმარტივით. ქალაქს გააჩნდა სამი შესასვლელი: სამხრე-დასავლეთი მხრიდან ე. წ. „მცირე კლდეკარი“; სამხრეთიდან 3 მ დიამეტრის მქონე გვირაბი,

რომელიც მტკვრის პირას გადაიღო; სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან მდებარეობდა მთავარი შესასვლელი, რომელიც ქალაქის ცენტრალურ ქუჩას უკავშირდებოდა (ხახუტაიშვილი 1966: 115). უფლისციხის შიდა ქალაქის ცენტრალური უბნის კლდეში ნაკვეთი კომპლექსების გეგმის ერთიანი პრინციპი, ერთი არქიტექტურული თემა, დეკორის და მონუმენტურ-სიბრტყობრივი სტილის ერთიანობა, კლდის ზედაპირის ერთგვაროვანი დამუშავება მიუთითებს უფლისციხის კლდის ნაგებობათა ერთდროული მშენებლობის შესახებ. კომპლექსები, რომლებიც მიჰყვებიან უფლისციხის ძირითად არქიტექტურულ თემას, შემდეგნაირია: ფასადის მხრიდან ღია, უმეტეს შემთხვევაში კამარით დაკავშირებული სათავსი, როდესაც უკან ან სამ მხარეს განლაგებულია გაცილებით დაბალი, ბრტყელჭერიანი ოთახები. ხშირად კამაროვანი სათავსის უკან მდებარე ოთახის ჭერი შემკულია კლდეში ნაკვეთი ხის გადახურვის კონსტრუქციის იმიტაციით ან კესონებით. ნაგებობის წინ ეზოა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ქუჩას (ხიმშიაშვილი 1986: 59). კლდეში ნაკვეთი კომპლექსების თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მკვლევართა ნაწილი მათ ძვ. წ. V-IV სს-ს მიაკუთვნებს (ხახუტაიშვილი 1964: 61, 62; ლეჟავა 1971: 26; მელითაური 1969: 21). ზოგიერთ მკვლევარს კომპლექსების გამოკვეთის თარიღად ძვ. წ. IV-III სს მიაჩნია (სანიკიძე 1983: 3). კესონური ჭერის მქონე დარბაზების ერთი რიგი II-III სს-ით თარიღდება (ამირანაშვილი 1944: 123, 124). სხვა მოსაზრების მიხედვით, ელინისტური ხანის უფლისციხეში წამყვანი ადგილი ეკავა ალიზის ნაგებობებს, ხოლო ცენტრალური უბნის ძირითადი კომპლექსები ახ. წ. I ს-ის მიწურულსა და II ს-შია გამოკვეთილი (ხიმშიაშვილი 1988: 12). ზოგიერთი მოსაზრებით, რადგან თითქმის ყველა მნიშვნელოვანი კლდეში ნაკვეთი კომპლექსი წარმართულ ტაძარს წარმოადგენს, წინაქრისტიანული ხანის უფლისციხე საკულტო ქალაქი უნდა ყოფილიყო (სანიკიძე 1987: 41).

ნაქალაქარის გათხრებისას რამდენიმე უბანზე აღმოჩნდა ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისის კერამიკა. ჩანს, უფლისციხის გორანა-მოსახლარი უკვე ძვ. წ. XV-XIV სს-ში წარმოქმნილა (ხახუტაიშვილი 1989: 21). კლდეში ნაკვეთი კომპლექსის II უბანზე უფლისციხის არსებობის ყველა პერიოდის არქეოლოგიური მასალაა წარმოდგენილი, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისიდან გვინი შუა საუკუნეების ჩათვლით. აქ შედარებით უკეთაა შემორჩენილი ელინისტური ხანის ქვათილებით ნაკვეთი ხელების კედელი და კოშკი (ხახუტაიშვილი 1970: 58). II უბნის ჩრდილოეთით ოცდაათიოდე მ-ის დაშორებით აღმოჩნდა ადრეელ-ინისტური ხანის „სახელოსნო“, რომელიც ხანძარში დაღუპულა ძვ. წ. III ს-ში. „სახელოსნოს“ გათხრებისას გამოვლინდა: ოქროთი მოვარაყებული ტერაკოტის ფიგურა, ოქროს ვარდულები,

მილაკები, ბურთულები, მათ შორის ნახევარფაბრიკატებიც; ბრინჯაოს ზარაკები, რკინის ბორბლები, თიხის ბურთისებური ჟღარუნა, თიხის ხელალები, ფიალები, იმპორტული ამფორესკა, რკინის შუბისპირები, ისრისწვერები და სხვ. (ხახუტაიშვილი 1989: 25-28). სხვა მოსაზრებით, აღნიშნული მასალა სამარხეული ინვენტარი უნდა იყოს (ყიფიანი 2000: 95). ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე აღმოჩნდა ძვ. წ. IV-III სს-ის კლდეში ნაკვეთი ნაწინალები. ჩრდილოეთ უბანზე გამოვლინდა შუა საუკუნეების დიდი მარანი. ორი მარანია აღმოჩენილი ცენტრალურ უბანზე. შუა საუკუნეებს განეკუთვნება ნაქალაქარის აღმოსავლეთით, საღვინის ხევიში მდებარე კლდეში ნაკვეთი 3 საწინაელი. გარდა ამისა, ნაქალაქარის გათხრებმა გამოავლინა საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო დანიშნულების არაერთი კომპლექსი, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა – ანტიკური ხანიდან მოყოლებული გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით.



უფლისციხე

განათხარი მასალის უდიდეს ნაწილს კერამიკა წარმოადგენს. შედარებით მცირერიცხოვანია ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისის შავი და ლეგაკეციანი ძირდაკეჭნილი, აგრეთვე სოლისებური ორნამენტით შემკული კერამიკა (ხახუტაიშვილი 1970: 67, 68). VI-IV სს-ის კერამიკულ ნაწარმში ყურადღება იქცევს მოწითალოკეციანი ანგობით მონახტული დოქებისა და ხელალების ნატეხები. ჭურჭლების დიდ ნაწილს შეადგენს შავპირილა ფიალები და ჯამები (ხახუტაიშვილი 1970: 73). ელინისტური ხანის კერამიკაში გვხვდება როგორც სამეურნეო, ისე სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი, წარმოდგენილი სადა, გაპირილებული, შეღებილი, მონახტული, აგრეთვე რელიეფური და ნაკაწრი სახეებით შემკული ნაწარმის სახით. შედარებით ნაკლებია ახ. წ. პირველი საუკუნეების მასალები, რომელთაგან აღსანიშნავია დაკბილულსარტყლიანი, წითელკეციანი 2 ქვევრი არამეული წარწერით (ხახუტაიშვილი 1970: 77, 87). შუა საუკუნეების კერამიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. მათ შორის გვხვდება: თონეები, ქვევრები, დერგები, სადღვებლები, ჩაფები, ქოთნები, ხელალები, ჯამები, ჭრაქები, კრამიტები. ნაქალაქარზე აღმოჩენილია მოჭიქული კერამიკის თითქმის ყველა სახეობა. მათი უმრავლესობა ჯამებია. არაკერამიკული მასალა წარმოდგენილია რკინის ისრისპირებით, ნამგლებით, ცულებით, საკინძმებით, ბეჭდებით; მინის სასმისებით, სამაჯურებით, მძივებითა და სხვ. ძვლის ნივთებიდან გვხვდება ინკრუსტირებული და სადა ფორფიტები, ბეჭედი, სადგისები, აგრეთვე ძვლის ნახევარფაბრიკატები (მინდორაშვილი 2008).

კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორიაზე რამდენიმე ეკლესიაა. მათ შორის ყველაზე ადრეულია სამნავიანი ბაზილიკა (ფართობი 360 კვმ), რომელიც მდებარეობს ნაქალაქარის ცენტრალურ უბანზე. თავის დროზე ამ ადგილას წარმართული ტაძარი უნდა არსებებოდა. ეკლესია კლდეშია გამოკვეთილი. შემორჩენილია ჩრდილოეთი კედელი და მცირე სათავსი, აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების ქვედა ნახევარი, სამხრეთი კედლის ზემოთკველი. ეკლესიის ინტერიერს ქმნის კლდის დამუშავებული კედლები, რომლებსაც ფასადები არა აქვთ. ეკლესიის დასავლეთი მონაკვეთის ცენტრში ოთხი ბურჯის ბაზისებია გამოკვეთილი. დარბაზის ჩრდილოეთი კედელი ბაზისების შესატყვისად დანაწევრებულია არათანაბარი ზომის 3 დეკორატიული თაღით. ნაწილობრივ შემორჩენილია პილასტრისა და თაღების კლდეში ჩაჭრილი პროფილი. დარბაზს აღმოსავლეთით იატაკიდან ერთი საფეხურით ამაღლებული დრმა ნაღისებური აფსიდა აქვს. აფსიდის ორივე მხარეს მცირე სათავსებია. ეკლესიას შესასვლელი აქვს სამხრეთი კედლიდან, რომელიც ქვათილებითაა ნაგები. ეკლესია VI ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. ის მრავალჯერაა გადაკეთებული. გვიან შუა საუკუნეებში ეკლესიის ადგილას სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა იყო გამართული, რაზეც მეტყველებს იქ აღმოჩენილი 7 თონე და საკურთხევლის წინ ამოკვეთილი მოზრდილი ხარო (ჩუბინაშვილი 1961: 13; ხიმშიაშვილი 1988: 15; ხახუტაიშვილი 1989: 38).

„უფლისწყლის“ ეკლესია მდებარეობს ნაქალაქარის ცენტრალურ უბანზე, ამაღლებული კლდის მასივზე. აშენებულია წარმართული ტაძრის ადგილზე. სამეკლესიანი ბაზილიკა (18,5X13,8 მ) ნაგებია აგურით. გადაკეთებულია მრავალჯერ. სამხრეთი შესასვლელის თავზე XVIII ს-ში დაუშენებიათ მცირე გუმბათოვანი სამრეკლო. აფსიდა ნაღისებურია. გრძივი კედლები დანაწევრებულია სამ-სამი მაღალი თაღით. სამხრეთი კედლის სამივე თაღში, ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ თაღსა და აფსიდაში სარკმელებია. აღმოსავლეთი ფასადის ფრონტონში აგურით შეღრმავებული ჯვარია გამოსახული. გადახურულია ღარიანი კრამიტით. მათ შორის რამდენიმე მწვანედ და ფირუზისფრადაა მოჭიქული. ეკლესიას სამი მხრიდან ეკვრის დაბალი მინაშენი. ჩრდილოეთ მინაშენში შემორჩენილ თხელ შეღვსილობაზე ატყვია მოხატულობის მკრთალი კვალი. ეკლესია IX-X სს-ით თარიღდება (ჩუბინაშვილი 1961: 14).

გვიან შუა საუკუნეებს მიეკუთვნება ღვთისმშობლის კლდეში ნაკვეთი ეკლესია (3,4X2,8 მ), რომელიც მდებარეობს ნაქალაქარის დასავლეთით. ნაგებობის თაღოვანი კარი დასავლეთითაა. კარის თავზე მრგვალი სარკმელია. აფსიდის აღმოსავლეთი კედელი სწორხაზოვანია, კუთხეებმომრგვალებული. მის ცენტრში ამოკვეთილია მაღალი სწორკუთხა საკურთხეველი, რომლის ზემოთ მთელ სივანეზე თაღოვანი ნიშია. მეორე ნიში ჩრდილოეთ

კედელშია. კედლების ზედაპირი უხეშადაა დამუშავებული.

ნაქალაქარის შემოგარენში არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლია შესწავლილი. კლდეში ნაკვეთი კომპლექსის აღმოსავლეთით, ე. წ. ყვავის საყდრის მიდამოებში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ლაშეთხევის დასასრულს, მის მარჯვენა მხარეს, განკიდულ გორაზე აღმოჩნდა ძვ. წ. IV ათასწლეულის მიწურულითა და III ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებული სამოსახლო. არქეოლოგიურმა დაზვერვებმა იქ გამოავლინა სხვადასხვა პერიოდის სამეურნეო ორმოები, ადრებრინჯაოს, გვინბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის სამეთუნეო ნაწარმი, ხელსაფეკვაები, კაჟის ნამდლის ჩასართები და სხვა (ხახუტაიშვილი 1988: 77, 78).



უფლისციხის ეკლესია

ნაქალაქარის დასავლეთით, ე. წ. ყათლანის ხევში, მეზობელი მასივისაგან თხრლით გამოყოფილ ბორცვზე გაითხარა ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისით დათარიღებული სამოსახლო, რომლის ზედა ფენა წარმოადგენდა წარმართულ სამლოცველოს. სამლოცველოში, რომელიც 4 ძეგურ ნაგებობასა და ბეღელს მითოვლიდა, გამოვლინდა ხარის თაგებით შემკული საკურთხევლები, „ხოვლური“ ტიპის ღუმელი, თიხის ღვთაების ჰორელიეფი. ერთ-ერთი ნაგებობის იატაკზე, საკურთხევის გარშემო ამოკვეთილი იყო სხვადასხვა ზომის თხუთმეტიოდ ორმო და ცხოველთა სილუეტური გამოსახულებები, შევსებული მითითრო ფერის დამწვარი მასით. სამლოცველოში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლები და ჭურჭლის ნატყვებისაგან დამზადებული დისკოები, თიხის საბეჭდავები, ცხოველთა ფიგურები, ურმის თვლის მოდელეები, ქვასანაყები და სხვა (ხახუტაიშვილი 1989: 61, 62).

ძვ. წ. XIV-XIII სს-ს მიეკუთვნება ნაქალაქარის დასავლეთით, სოფელ უფლისციხის მიდამოებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნამგლები და ბრტყელი ცული. იმავე ტერიტორიაზე გამოვლინდა ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულისა და I ათასწლეულის დასაწყისის ორმოსამარხები, სადაც აღმოჩნდა ღვგაპრიალა დერგები, საღვებლები, ქოთნები, დოქები, სასმისები და სხვა (ხახუტაიშვილი 1964: 51, 52).

ძვ. წ. V-IV სს-ით თარიღდება კლდეში ნაკვეთი კომპლექსის დასავლეთით, ადგილ „ბამბებში“ გამოვლენილი ორმოსამარხები. მათგან აღსანიშნავია №10 ორმოსამარხი, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს მხატვარ-გრაფორს. სამარხში აღმოჩნდა ძვლის ორნამენტირებული პინაკი, ძვლის ფირფიტები შემკული ცხოველთა გამოსახულებებით, აგრეთვე ცხოველთა ნაწილობრივ დამუშავებული და დაუმუშავებელი ძვლები (ხახუტაიშვილი 1970: 35).

ნეკროპოლის თავზე გამართულია ძვ. წ. III-II სს-ის ნასახლარი. ძველური ნაგებობები პანური ჭვრით ყოფილა გადახურული. საცხოვრებელი ოთახებიდან ცალკეა გამოყოფილი მარანი. ნასახლარზე მრავალად აღმოჩნდა მისხატული, შეღებილი და სადა კერამიკული ნაწარმი. ნამოსახლარ ფენაში, რომელიც ხანძრითაა განადგურებული, ჩაჭრილია ძვ. წ. II ს-ის მიწურულისა და I ს-ის ორმოსამარხები. „ბამბებში“ გამოვლენილია ახ. წ. I-III სს-ის სამარხებიც (ხახუტაიშვილი 1964: 70-82; 1970: 30, 31).

ნაქალაქარის აღმოსავლეთით, 300 მ-ის დაშორებით გამოვლენილია ძვ. წ. IV-II სს-ის ნამოსახლარი და სამაროვანი. ნამოსახლარზე აღმოჩნდა შავპირილა ჯამები, წითლად შეღებილ-მონატული საოჯახო და სამეურნეო ჭურჭელი. სამარხებიდან 2 ორმოსამარხია, 3 ურნასამარხი, 1 ქვევრსამარხი (სანიკიძე ... 1987: 8).

ყათლანიხევის ნამოსახლარი და სამაროვანი გაშლილია ამავე სახელწოდების ხევის ორივე მხარეზე, მდ. მტკვრის ნაპირთან. ყათლანიხევის მარცხენა ნაპირზე გაითხარა ძვ. წ. III-I სს-ის ორმოსამარხები, სადაც აღმოჩნდა: ბრინჯაოს წელშეზნექილი სამაჯურები, ვერცხლის საყურეები, ვერცხლისა და რკინის ბეჭდები, ლეგაპირილა თიხის ჭურჭელი და სხვ. დაზვერვებისას ამ მიდამოებში აღმოჩნდა III ს-ის მიწურულისა და IV ს-ის პირველი ნახევრის სასანური ბულა ფალაური წარწერით (ხახუტაიშვილი 1964: 83, 84).

ყათლანიხევის მარჯვენა ნაპირის მრავალფენიანი სამოსახლოს ზედა ფენაში, რომელიც ახ. წ. პირველ საუკუნეებს მიეკუთვნება, ნაპოვნია რკინის სახნისი. ამავე უბანზე გამოვლინდა სინქრონული ნეკროპოლი, რომელიც განლაგებულია ძველ ნამოსახლარზე. ორმოსამარხების ინვენტარიდან აღსანიშნავია: ოქროს დეკანები, ვერცხლის ბალთები, სარდონის გემები თევზის გამოსახულებით, იმპერატორ ტიტუს ოქროს აურეუსი, ავგუსტუს 9 ვერცხლის დენარი, გოტარხეს დრაქმები, თიხის დოქები, მძივები და სხვა (ხახუტაიშვილი 1964: 86-91).

ყათლანიხევის ადრე შუა საუკუნეების ნასახლარი გამართულია უფრო ადრეულ შენობათა ნაშთებზე. ალიზის კედლები ნაშენია ფლეთილი და რიყის ქვის ცოკოლზე. ძირითადი შენობა ერთმანეთზე მიბმული სწორკუთხა სათავსოებისაგან შედგენილი მოგრძო ნაგებობაა, რომელშიც გამოირჩევა სწორკუთხა დარბაზი. მისი იატაკი ფილებითაა მოვ-

ბული. ერთ-ერთ სათავსოში გამოვლინდა ღუმელი, რომელიც შემოსაზღვრულია რიყის ქვებით, შუაში კი ხანძრისაგან დამსკდარი და გაწითლებული ქვის ფილები აფენია. აქვე ჩანდა სანაცრე რეზერვუარიც, რომლის ფსკერი თხინთაა გადალესილი და სავსე იყო მიწით. განათხარი მასალა ძირითადად მოწითალო და მოწაღისფროკვანი კერამიკაა. მათ შორის გვხვდება: ქვევრები, დერგები, ქოთნები, ბადიები, დოქები, ხელაღები, ჯამები და სხვა (ახალია 1996: 173-175).

ყვაეების საყდარი და ნამოსახლარი მდებარეობს ნაქალაქარის აღმოსავლეთით ექვსიოდე კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ლაშეთხევის სათავესთან. დარბაზული ეკლესია, რომელსაც შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია, ნაგებია თლილი ქვებით. ძლიერ დაზიანებულია. ნახევარწრიულ აფსიდში 2 სარკმელია. გრძივი კედლები დანაწევრებულია წყვილი პილასტრით. ეკლესიის ირგვლივ შუა საუკუნეების ნამოსახლარია.

უფლისციხის არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) და უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში (არქ. მას. კატ. 1955: 55, 56).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი, ვაჩიშვილი 1964: 28-34; ალექსიძე 1978: 50-61; 1983: 21-36; ამირანაშვილი 1944: 123, 124; არქ. მას. კატ. 1955: 55, 56; ახალია 1996: 173-175; ბაგრატიონი დავით 1941: 12; ბაგრატიონი 1983: 54; ბაგრატიონი 1986: 39; ბერძენიშვილი 1982; ბესარიონ კათოლიკოსი 1946: 409; გაგარინი 1847: ტაბ.74, 75; გამყრელიძე 2010: 172-173; გვრიტიშვილი 1954: 10-12; დიუბუა დე მონპერე 1843: 197-210; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 184; 1953: 151; ზაქარაია 1988: 13-15; იოსელიანი 1850: 65, 66; კაკაუზი 1852: №43, 66, 70; კიზირია 1976: 44-46; ლეშან-პაუპტი 1910: 95-103; 1926: 19; 1937: 43; 1938: 257-263; ლუკავა 1971: 21-28; 1978: 7, 8; მაისურაძე 1998: 3-14; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1938: 155; 1955: 138; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 207; მეღთიაური 1953: 313-319; 1969: 16-36; მეღთიაური-ბევი 1937: 521; მინდორაშვილი 1983: 49-51; 1984: 48-51; 1984ა: 60-63; 1984ბ: 19, 20; 1985: 57-59; 1985ა: 41, 42; 1988: 30-32; 1990: 62-66; 1992: 42-46; 2002: 80-87; 2002ა: 162-168; 2007ა: 22-28; 2008; მქ 1963: 81, 82; მურავიოვ-აპოსტოლი 1848: 94-101; მშენიერიძე 1952: 59; ნიკოლაიშვილი 1997: 65-74; სანიკიძე 1982; 1983; 1984: 27-31; 1984ა: 104-113; 1987; 1987ა: 6, 7; 1998: 19-24; 1999: 22-26; 2000: 170-187; 2002; სანიკიძე ... 1987: 7-9; სანიკიძე ... 1989: 10, 11; სასიხლო სიკვლების ... 1924: 30; საქ. სოდ. 1910: 95, 265; სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 33; უვაროვა 1894: 59; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 528, 530, 779, 989; 1970ა: 706; 1981: 242, 253; 1985: 368, 600; ქარუმიძე 1959: 19; 1960: 57-60; 1961: 37-39; 1966: 24-26; 1971: 84-86; 1971ა: 187-190; ქრონიკები 1897: 197; 1967: 330; ქე 1: 10,6; 17,20; 33,11;

109,10; 262,5; 263,14; 272,8,18; 274,5,14; 275,1,2; 276,10; 302,14; 305,8; ქც 2: 423,1; ქც 4: 132,22,23; 135,2,9; 137,11,19; 138,2,7-9,28; 366,10,12,21; 560,5,14; 799,8; ლუდუშაური 1979: 30-34; ყიფიანი 1990: 1990; 1999: 4-6; 2000: 74-95; 2000ა: 261-272; 2001: 91-93; 2001ა: 98-106; 2001ბ: 23-28; ყიფიანი, ხუნდაძე 1996: 39, 40; ჩუბინაშვილი 1959: 55-64; ჩუბინაშვილი 1961; ციციშვილი 1955: 26, 27; ჭილაშვილი 1968: 19-21, 37, 39, 40, 49, 68, 99, 101, 110, 112-114; ხახუტაიშვილი 1958: 369-375; 1959: 18, 19; 1959ა: 499-504; 1960: 55-57; 1960ა: 183-196; 1961ა: 306-333; 1963: 113-127; 1964; 1964ა: 19-27; 1965; 1966; 1968: 14; 1970; 1970ა: 136-146; 1976: 60-69; 1989; ხელნაწერთა აღწერილობა 1902: 200; ხერხეულიძე 1913: 268; ხიმშიაშვილი 1985: 44-65; 1985ა: 16; 1986: 59-63; 1987: 22-24; ხუნდაძე 1979: 50-56; 1984: 36, 37; 1996: 12, 13; 1996ა: 169-172; 2000: 96-102; 2000ა: 39-48; ჯავახიშვილი 1882: 62, 63; ჯანაშვილი 1904: 176; 1910: №88; ჯანელიძე 1959: 89-91.

უფრა, დაბა (ქც 4: 747,5,6; 768,4; 850,16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 747,5,6; 768,4; 850,16), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 150,21), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 107, 123, 125, 291, 295; 1964: 27, 259).

ვახუშტი ბაგრატიონი უწერას შესახებ გადმოგვცემს: „სქორიას ხევის შესართავთან, რიონის კიდეზედ, არს ციხე მაგარი ფრიად. ამას ზეით არს დაბა უწერა რიონის ორსაჲ კიდესა ზედა“ (ქც 4: 768,4).



უწერა, დღეუბა დე მონპერეს მიხედვით

მდებარეობს ონის მუნიციპლის სოფ. უწერას ტერიტორიაზე.

შუა საუკუნეებში უწერა შედიოდა რაჭის საერისთაოში. 1687 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრე IV-მ (1683-1690; 1691-1695) რაჭაში ილაშქრა და უწერა გადაწვა (ქც 4: 850,16).

უწერა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1983: 27, 82, 97; ბოჭორიძე 1994: 252; გიულდენშტედტი 1962: 107, 123,

125, 291, 295; 1964: 27, 259; დადიანი 1962: 150,21; უვაროვა 1894: 107, 108; ქც 4: 747,5,6; 768,4; 850,16.

უფლავი, სოფელი (ქც 4: 377,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 377,7), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 210, 212; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 591; 1985: 932; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 207; ქართულ-სპარსული ... 1984: 45), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44). ვახუშტი ბაგრატიონი უწლავის შესახებ გადმოგვცემს: „აღს ზეით არს ლიხის მთის კალთას, ციხე აღისა, ციხე უკან არს სოფელი უწლავი მთაში“ (ქც 4: 377,7).

მდებარეობს ხაშურის მუნიციპ-ში, ხაშურიდან ჩრდილოეთით 29 კმ-ის დაშორებით, მდ. ჭერათხევის (მდ. სურამულას მარცხენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. უწლავის ტერიტორიაზე.

XVI ს-ის დასაწყისში სოფ. უწლავი ამირჯიბებმა შესწირეს ულუმბოს ღვთისმშობლის ეკლესიას (ქრონიკები 1897: 210, 212). XVII ს-ის ბოლოს იგი სვეტიცხოვლის მფლობელობაში გადავიდა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 591). უწლავში აშენდებდნენ ქვევრებს „ყოველთა უმჯობესსა“ (ქც 4: 377,7).


უწლავი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფლის ტერიტორიაზე დგას რამდენიმე ეკლესია: დარბაზული ეკლესია (7,8X5,3მ) მდებარეობს სოფლის დასავლეთით 2 კმ-ის დაშორებით, ფურნების ღელის პირას. ნაგებია ფლეთილი ქვით. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (9X5,6 მ) მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით 200 მ-ის დაშორებით, სასაფლაოზე. ნაგებია ქვიშაქვით. აქვს არაწესიერი ფორმის ნახევარწრიული აფსიდა, ორი შესასვლელი – სამხრეთიდან და დასავლეთიდან. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით (სძა 1990: 449).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 44; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 207; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 591; 1985: 932; ქართულ-სპარსული ... 1984: 45; ქრონიკები 1897: 210, 212; ქც 4: 377,7.

უჯარმა, ციხე-ქალაქი, ქალაქი, დაბა (ქც 1: 59,5; 121,14; ქც 4: 530,12). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 59,5; 71,1,2), „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქც 1: 121,14; 126,11; 128,1), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 90,26; 114,10,20; 124,4; 133,1; 135,19; 151,18; 169,22; 527,7; 530,12,18,19; 531,18; 532,16; 536,9; 538,10; 559,3; 561,9,11; 618,12), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 185,20; 199,1,17; 200,18; 201,21; 202,1,17; 219,3; 233,2; 236,12), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 263,2,5,8; 268,13; 312,8), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და

უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქც 1: 375,17), უცნობი ავტორის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 17,19), ჟამთააღმწერლის თხზულება (ქც 2: 253,6,9), მოქცევაი ქართლისაი (მქ 1963: 89, 90, 96, 150), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 440; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 207; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 509, 510; 1977: 237; 1985: 428; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 219; ქართ. ეპისტ. 1989: 46), „დასტურდამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 371), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 65), ბესარიონ ორბელიშვილის „ლუაწლი რაჟდენისი“ (ორბელიშვილი 1989ბ: 79), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 66). მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპ., მდ. ივრის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. უჯარმის მახლობლად.

უჯარმის დაწინაურება დიდად იყო განხირობებული ივრის ხეობის ბუნებრივი და ეკონომიკური პირობებით, მისი მდებარეობით კახეთ-კუხეთ-პერეთის საზღვრების შესაყართან. უჯარმა კონტროლს უწყევდა ივრის ხეობის ზემო წელის ბართან დამაკავშირებელ, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთიდან მცხეთა-თბილისისაკენ მიმავალ გზას (მუსხელიშვილი 1966: 46, 52-55). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ძვ. წ. III ს-ში უჯარმა აუმენებია ფარნავაზის მეშვეობით საურმაგს (ქც 4: 530,13,14). ლეონტი მროველი უჯარმის აშენებას ახ. წ. III ს-ში ასფარუგს მიაწერდა (ქც 1: 59,5). მირიან მეფემ უჯარმა საუფლისწულოდ მისცა თავის მემკვიდრე რეგსა და მის ცოლს სალომეს (ქც 1: 71,1). წმინდა ნინოს ბრძანებით, ერთი ჯვარი აღმართეს თხოსს, მეორე უჯარმას (ქც 1: 121,14). უჯარმის მშენებლობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ვახტანგ გორგასალს, რომელიც იქვე გარდაცვლილა (ქც 1: 199,17; ქც 2: 17,19,20). ერისმთავრობის ხანაში უჯარმას განაგებდნენ დაჩი ვახტანგის ძის ნათესავეები, რომლებიც ქართლის ერისმთავარს ემორჩილებოდნენ (ქც 1: 219,1-3). VIII ს-ის მეორე ნახევარში არჩილ მეფემ უჯარმის მახლობლად გადამალა სახელმწიფო საგანძური (ქც 1: 233,1,2). 914 წ. უჯარმა, რომელშიც 300 მეციხოვნე იყო გამაგრებული, ბრძოლით აიღო და დაანგრია არაბთა სარდალმა აბულ-კასიმმა (ქც 1: 263,2-8). კვირიკე კახეთის ქორეპისკოპოსის ძმამ, შურტამ, უჯარმა გადასცა აფხაზთა მეფე გიორგი II-ს (ქც 1: 263,13). ბაგრატ IV-ემ (1027-1072) განძის ამირა ფალონის გადაცემის სანაცვლოდ კახეთის მეფე აღსართანს უჯარმა უბოძა (ქც 4: 151,18,19). გიორგი III-ის (1156-1184) დროს სახელმწიფო საგანძური ინახებოდა უჯარმის ციხეში (ქც 4: 169,22). მონღოლთა ბატონობის პერიოდში, უჯარმა თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას. გვიან შუა საუკუნეებში უჯარმას კახეთის ძლიერი ფეოდალები ჩოლოყაშვილები ფლობდნენ. XVIII ს-ის პირველ ნახევარში უჯარმა დაბადა ქვეული (ქც 4: 530,15). ახლომახლო სოფლების მცხოვრებლები



უჯარმის რეკონსტრუქცია ირ. ციციშვილის მიხედვით

უჯარმის მთელ კომპლექსს, ციხის შიგნით მდგარი ეკლესიის სახელის მიხედვით „ჯვარი პატიოსანს“ უწოდებს. ქალაქ უჯარმის ადგილმდებარეობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული: ქალაქი უჯარმა უნდა არსებებოდა დღევანდელი სოფ. უჯარმის ტერიტორიაზე, რომელიც ციხიდან დაშორებულია 5 კმ-ით (მუსხელიშვილი 1966: 74); ქალაქის ძირითად ნაწილად ქვედა ციხეა მიჩნეული (მელითაური 1972: 67); სხვა მოსაზრებით, ქალაქი უნდა მდებარეობდეს კაწარეთის სამების მიდამოებში, რომელსაც მოსახლეობა დღეს ნაქალაქანს უწოდებს (მჭვლედიშვილი 1986: 56). უჯარმის ნაქალაქარი ჯერჯერობით მიკვლეული არაა.

1934 წ. მდ. ივრის მარჯვენა ნაპირზე სოფ. უჯარმის მახლობლად შემთხვევით აღმოჩენილა ქვევრს-მარხები (ცქიტიშვილი 1959: 77). 1949 წ. ციხის მახლობლად აღმოჩნდა მონეტების განძი (კაპანაძე 1955: 83). 1950-1952 წწ. ივჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტისა და თბილისის სახ. უნივერსიტეტის იორ-უჯარმის არქეოლოგიური ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი) გათხრებს აწარმოებდა უჯარმის ციხის ტერიტორიაზე. ციხის გათხრებისას გამოვლინდა 3 სამშენებლო პერიოდი. ციხის ძირითადი ნაგებობები ახ. წ. IV-V სს-სა. კედლების ერთი ნაწილი გადაუკეთებიათ XII-XIII სს-ში. III სამშენებლო პერიოდი გვიან შუა საუკუნეებს განეკუთვნება. I პერიოდის ფენები სუსტადაა შემორჩენილი. ყველაზე მრავალრიცხოვანია II პერიოდის ფენებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა. III პერიოდს მიეკუთვნება „ჯვარი პატიოსანის“ გალავანი გათხრისთანავე გამოვლინდა სამარხი. სოფ. უჯარმის ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა რამდენიმე ქვის სამარხი, რომელიც შეიცავდა XII-XIII სს-ის მინისა და ბრინჯაოს სამაჯურებს, ბრინჯაოს ბეჭდებს და სხვა (ლომთათიძე 1953: 11, 12).

ციხე-ქალაქი შედგება 2 ნაწილისაგან. მდინარის გასწვრივ, სერზე, მდებარეობს შიდა ციხე. მას სამხრეთიდან ეკვრის ქვედა ციხე, რომელიც დამრეც კლდოვან ფერდობზეა გაშენებული და მდინარის ნაპირებამდე ჩადის. ქვედა ციხის სიგრძეა 95-105 მ, სიგანე – 99 მ. მდინარისაკენ მიმართულ ორივე

გალავანს აქვს ოთხ-ოთხი კოშკი. ერთი კოშკი მოთავსებულია მდინარის გასწვრივ მდებარე გალავანის ცენტრში. V ს-ის ყველა ნაგებობა ნაშენია ქვის წესიერი კვადრებით. ქვები დაწყობილია ზუსტ პირიზონტალურ რიგებად კირხსნარის თხელ ფენაზე. ქვები წყობაში გულდასმითაა გადაბმული. გალავანისა და კოშკების კედლების სისქე 1,4-1,45 მ-ია. კოშკები კვადრატული ფორმისაა. ყველა მათგანი სამხართულიანია. მათი გარე კედლები ყრუა. ეზოს მხარეს თაღოვანი კარ-სარკმელებია მოთავსებული. კოშკებს ჰქონიათ კრამიტით დახურული სახურავი და ქონგურები. სართულშუა გადახურვა ყვრდნობობაა ხის ძელებს. გალავანის კედელში კოშკებს შორის მონაკვეთებზე გვიან შუა საუკუნეებში გაუჭრიათ სათოფურები (ციციშვილი 1982: 15-26). შიდა ციხე გაშენებულია მაღალი სერის შედარებით სწორ პლატოზე, რომლის სიგრძეა 140 მ. სიგანე მერყობს 17-31 მ-ის ფარგლებში. შესასვლელი დასავლეთიდანაა. შიდა ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აგებულია შედარებით დიდი ზომის (10,3X11,8 მ) შენობა, რომელიც კუთხის კოშკის როლს ასრულებდა. შენობაში ჩრდილოეთის მხარეს, პირველ და მეორე სართულებში მოთავსებულია ორ-ორი მცირე ზომის ოთახი, ხოლო სამხრეთით დიდი ოთახი, რომლის დასავლეთ მხარესა და სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხეში გამართული ყოფილა მოზრდილი ჩაკირული ქვევრები. ქვევრები ჩაშვებულია იატაკის დონიდან 1,5 მ-ზე მაღლა, რაც მათი გვიანდლობის მაჩვენებელია. ქვევრების დონეზე აღმოჩენილი მასალა XI-XIII სს-ს განეკუთვნება. აღნიშნული შენობა მიჩნეულია V ს-ის სასახლედ, რომელიც მოგვიანებით სამეურნეო დანიშნულების ნაგებობად გადაუკეთებიათ. შიდა ციხის ნაგებობებს შორის ყურადღებას იმსახურებს ეკლესია „ჯვარი პატიოსანი“. ტაძრის პირველი სართული წარმოადგენს შენობის უძველეს ნაწილს. ის კოშკზე მიუშენებიათ ისე, რომ კოშკის შესასვლელი თავისუფალი რჩებოდა. ეკლესია დარბაზულია, განიერი აფსიდით, რომელიც მოქცეულია კედლების სწორკუთხედში. შესასვლელი ჰქონია ჩრდილოეთიდან. ეკლესიის ნავი გადახურულია ცილინდრული კამარით. შიგნიდან კედლები შემოსილია მსხვილი, კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით, ხოლო გარედა მომცრო კვადრებით. ეკლესია აგებულია გალავანის კოშკის შემდგომ, შესაძლოა, იმავე V ს-ში (ციციშვილი 1982: 27-37). IX-X სს-ში ეკლესიას დაამენეს მაღალი, ცალნავიანი ეკლესია, რომელსაც სარკმელები ჰქონია აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს. შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა, მაღალი თაღოვანი კარის სახით. სამხრეთის მხარეს, ეკლესია გახსნილია 2 თაღით, რომლებიც წრიულ სვეტს ყვრდნობობდა. ეკლესია ნაგებია ქვის მსხვილი ფილებითა და ნაწილობრივ ძველი წყობის კვადრებით სქელ დუღაბზე. ქვედა სართულის სარკმლის თავზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი და წარწერა „წმიდა თევდორე“. გვიან შუა საუკუნეებში ეკლესიას

ჩრდილოეთიდან მიუშენეს სათავსი, რომელიც კარიბჭის როლსაც ასრულებდა. ის უაფსილოა, დახურულია შეისრული კამარით, აქვს ერთი სარკმელი. ჩრდილოეთის მხარეს შესასვლელი მოწყობილია დასავლეთიდან. კარის წირთხლები აგურითაა ამოყვანილი. შესასვლელის თაღიც შეისრულია. ამ სუბსტრუქციაზე დაშენებულია არსებული ეკლესიის სამხრეთისა და ჩრდილოეთის ნაწილი ისე, რომ მან სამეკლესიანი ბაზილიკის სახე მიიღო. სამხრეთის მხარეს გამოიყენეს უკვე გადაკეთებული და ამოყვებული კოშკი. ცენტრალურ ნავს ამ გვერდითი, მიშენებული ნაწილისაგან ყოფს ფართო თაღი, აგებული მტკიცე ქვიშაქვის კვადრებით, რომელიც დაყრდნობილია პროფილირებულ იმპოსტებზე. კედლები აგებულია კლდის ფლეთილი ქვებით. ჩრდილოეთი მხრიდან ცენტრალურ ეკლესიაზე მიუშენებიათ კიდევ ერთი ეკლესია ან ერთი ნავი. მას ახლავს განსხვავებული ფორმის ოთხკუთხა სარკმელი აღმოსავლეთით და კარი ჩრდილოეთის მხრიდან. ამ ადგილსა შიდა ციხეში მიწის დონე ეკლესიის მეორე სართულის დონეს უსწორდება და ამიტომ პირდაპირ მოუწყვიათ ეკლესიაში თაღზე დაყრდნობილი ბოგირის სახის შესასვლელი. ეკლესიისათვის ერთიანი სახის მინიჭების მიზნით ქვედა სართულის აღმოსავლეთ ფასადს მიუშენეს 90 სმ სისქის შეისრული თაღი, რომელმაც დაფარა ძველი ეკლესიის ფასადი. თაღმა თითქმის ბოლომდე ამოქოლა კოშკის კარი. თაღის ზემოთ, სარკმლის ორივე მხარეს, მოწყობილია თითო სამკუთხა ფორმის ნიში თაღოვანი ზედნადებით. გვიან შუა საუკუნეებისა ეკლესიის ირგვლივ ფლეთილი ქვით აგებული გალავანი. ეზოს გათხრებისას აქ გამოვლინდა 6 საზედაზე ქვევრი, თონე და სამარხები (ციციშვილი 1982: 37-44).

ციხის ჩრდილოეთ კედელზე მიდგმულია დიდი ოთხკუთხა შენობა (5,05X10,5 მ). სავარაუდოდ, ის საცხოვრებელი ნაგებობა უნდა იყოს. პირველ სართულში აღმოჩნდა ქვევრები. მის ჩრდილოეთით მდებარეობს წყალსაცავი (16,1X6,6 მ), რომლის ჩრდილოეთის კედელი წარმოადგენდა შიდა ციხის გალავანსაც, ხოლო დასავლეთის კედელი – კოშკის კედელს. წყალსაცავი გადახურულია კამარით, რომელიც ყვრდნობობდა 3 ნალისებური მოხაზულობის თაღს. თაღები ამოყვანილია შირიმის თლილი კვადრებით. პირვანდელი გრძელი შენობა გადაუკეთებიათ. მასში მოუწყვიათ 2 აუზი – ერთი დიდი (3,72X6,9 მ), მეორე მომცრო (3,72X4,27 მ). მათ შორის დატოვებულია 2 მ სისქის კედელი. აუზის გვერდები 0,5 მ სისქის აგურითაა ამოყვანილი და შელესილია ჰიდრავლიკური ხსნარით. აგურის კედელში შეყვანილია კერამიკული წყალსადენი მილი. შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლები ქმნიან ციხეში გასასვლელ ვიწრო დერეფანს, რომელიც შემდგომში ამოუქოლავთ. კიდევ ერთი წყალსაცავია მოწყობილი დიდი წყალსაცავის დასავლეთი მხრიდან მომიჯნავე კოშკის ქვედა სართულში. წყალსაცავი აქ განვითარებულ შუა საუკუნეებში

მოუწყვიათ. წყალსაცავის თავზე გვიან შუა საუკუნეებში დაუშენებიათ ოთხკუთხა კოშკი (ციციშვილი 1982: 44-46).

უძველესი პერიოდის (V ს-ის მეორე ნახევარი და მომდევნო წლები) ნაგებობები აშენებულია თანაბარი სიმაღლის, სწორკუთხა მოყვანილობის, წყობაში გულდასმით გადაბმული კვადრებით. დულაბი ძუნწადაა გამოყენებული. ყველა ნაგებობის კედლის სისქე თანაბარია (140-145 სმ). ფართო კარ-სარკმლები ნალისებურთაღიანია. შენობები გადახურული ყოფილა დიდი ზომის ბრტყელი და ღარისებური კრამიტით. უძველეს ნაგებობებს მიეკუთვნება შიდა და ქვედა ციხის გალავანი, ოთხკუთხა კოშკები, შიდა ციხის სასახლე, წყალსაცავი და ეკლესია. ეს ორი უკანასკნელი აგებულია იმავე პერიოდში, მაგრამ რამდენადმე მოგვიანებით. IX-XIII სს-ში შიდა ციხეში აღუდგენიათ და ბურჯებით გაუმაგრებიათ მორღვეული ზღუდე-კოშკები. აუცილებელია ახალი საცხოვრებელი და დამხმარე შენობები; განუახლებიათ წყალსაცავი; შეუქმნიათ ახალი აუზები, მათ შორის შიდა ციხის ერთ-ერთ კოშკში; ძველ ეკლესიაზე დაუშენებიათ მეორე სართული; ჩნდება მარნები, თონეები. კედლები აგებულია სხვადასხვა ზომის ქვებით, კირხსნარის ჭარბი გამოყენებით. წყობაში ჰორიზონტალური რიგები აღარაა დაცული. აქა-იქ გამოყენებიათ აგური. გვიან შუა საუკუნეებში გრძელდება მორღვეული ზღუდე-კოშკების შეკეთება. შენდება ახალი ოთხკუთხა კოშკი წყალსაცავის თავზე. გალავანში ეწყობა სათოფურები. ძველი შესასვლელები ამოქოლილია. შენდება ეკლესიის ქვედა სართულის ჩრდილოეთის სათავსო და მეორე სართულის ეკლესიის გვერდებზე ემატება თითო სათავსო. იგება ეკლესიის გალავანი. კედლები ნაშენია კლდის ფლეთილი და რიყის ქვით. გალავანში გვხვდება ქვისა და აგურის შერეული წყობა. მშენებლობისას ფართოდაა გამოყენებული აგური (ციციშვილი 1982: 46-49).

უჯარმის განათხარბი მასალა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, თუმცა ციხის მშენებლობის პირველი პერიოდის მასალა მხოლოდ რამდენიმე ნივთით შემოიფარგლება. ესაა საკინძი, შემკული ბროწეულის ყვავილის მოყვანილობის ლაჟვარდის თავით, რომელიც V ს-ის მიწურულითა და VI ს-ის



უჯარმა. ზედა ციხე

დასაწყისითაა დათარიღებული და სასანური ვერცხლის მონეტა, მოჭრილი ფეროზ მეფის (458-499) სახელით (ლომთათიძე 1989: 122). განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია XI-XIII სს-ით დათარიღებული არქეოლოგიური მასალა. მათ შორის გამოირჩევა სადა და მოჭიქული კერამიკა. სადა კერამიკის ჯგუფიდან აღსანიშნავია: ქვევრები, ღერვები, საღვებულები, ქითნები, ქილები, ხელალები, ბადიები, ხუფები, ნიჟარისებური და მილიანი ჭრაქები, სფეროკონუსები და სხვ. მოჭიქული თიხის ნაწარმიდან უმრავლესობა ჯამებია. მათ შორის გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი: შიშველ კეცზე თეთრი ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამები; ფერადი ნახუთი შემკული ჯამები; თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ფერადი ნაღვენთებით შემკული ჯამები; მოვარდისფრო ანგობით დაფარული, მკრთალი ნაკაწრებითა და ფერადი ლაქებით შემკული ჯამები. უჯარმის ამგვარად მოჭიქული ჯამები IX-X სს-ით თარიღდება (მიწიშვილი 1969: 14, 17, 19). XI-XIII სს-ს განეკუთვნება ამოკაწვრით მოხატული, მწვანე, ცისფრად და სოსანისფრად მოჭიქული ჯამები. იქვეა აღმოჩენილი ჯამი, რომელზეც ამოკაწვრით მოხატულია ფრინველის გამოსახულება და მოჭიქულია ცისფრად. ცალკე გამოიყოფა თეთრი ანგობით მოხატული და მოჭიქული ჯამები (მიწიშვილი 1969: 24, 25, 28, 29). XII-XIII სს-ით თარიღდება მრავალფერად მოჭიქული ჯამები, რომელთა შორის გვხვდება: ჯვრისებური ორნამენტითა და რტო-ყლორტებით შემკული ნიმუშები; სამკუთხედებითა და რტო-ყლორტებით შემკული ჯამები; ფრინველისა და ცხოველის გამოსახულებით შემკული ჯამები; ფერადი ოთხკუთხედებით, მწვანე საღვებებით შედგენილი ორნამენტით, ფერადი საღვებებით მოხატული ჯამები (მიწიშვილი 1969: 34, 39, 41, 49). გარდა ჯამებისა, უჯარმის მოჭიქულ კერამიკაში გვხვდება: საწვანები, ნიჟარისებური ჭრაქები, სამარილები, სარქველები, კოტოში. მოჭიქულ კერამიკაში 6 ერთეული ნახევრად ნაშაღია, რაც უჯარმაში მოჭიქული კერამიკის ადგილობრივ წარმოებაზე მიუთითებს (მიწიშვილი 1969: 55, 57-59, 61). განათხარბი მასალაში ფაიანსის რამდენიმე ნიმუშიცაა. სამშენებლო კერამიკის ჯგუფს განეკუთვნება აგურები, ღარიანი და ბრტყელი კრამიტები. ზედა ციხეში აღმოჩენილ ერთ-ერთ ღარიან კრამიტზე რელიეფურად გამოყვანილია სამი ქართული ასომთავრული ასო.

მინის მრავალრიცხოვანი ნაწარმიდან აღსანიშნავია განვითარებული შუა საუკუნეების ქუსლიანი სასმისების, „ფლაკონებისა“ და სხვ. ნატეხები; მწვანე, თაფლისფერი, შავი და ლურჯი ფერის სადა და გრებილი სამაჯურები. ძვლის ნივთებიდან გვხვდება ლულოვანი ძვლის დაუმუშავებული ოთხწახნავა ნატეხები, კვირისტავისებური მოყვანილობის ღილი და სხვ. ლითონის ნაწარმი წარმოდგენილია რკინის წიღებით, ნალებით, ლურსმნებით, სამფრთიანი ყუნწიანი ისრისპირით,

ძეღისტარიანი სამართებლით, სპილენძის ჩამჩით, კოვზით, ბრინჯაოს სამაჯურით, აბზინდით, რკინის ფარაკიანი ბეჭდით და სხვ. ქვის მასალიდან აღსანიშნავია: ხელსაფქვავის ქვები, შურდულის ქვები, კვირისტავები. 4 მონეტიდან 2 თამარისაა, 1 რუსუდანის, მოჭრილი 1230 წელს, ერთი კი XII-XIII სს-ის სელჩუკური მონეტაა.

გვიან შუა საუკუნეებს მიეკუთვნება რამდენიმე ორმოსამარხი, რომლებიც გაითხარა „ჯვარი პატიოსნის“ გალავანში. მათგან მხოლოდ ერთში აღმოჩნდა ვერცხლის პატარა გულსაკიდი ჯვარი.

გვიანდლებია ეკლესიის გვერდით გათხრილი მოზრდილი ჩაკირული ქვევრები და ქოცო. იმავე პერიოდისაა ძეგლის ზედა ფენებში აღმოჩენილი თითბრის თასი, რკინის ჯაჭვიანი სასწორი, რკინისაგან გამოჭედილი ადამიანის ხელის ორი გამოსახულება, ჩიბუნის ფრაგმენტი (ლომთათიძე 1989: 121-124).

სოფ. უჯარმის კვირაცხოვლის ეკლესიასთან გათხრილ რამდენიმე საოჯახო ქვის სამარხში აღმოჩნდა XII-XIII სს-ით დათარიღებული მინისა და ბრინჯაოს სამაჯურები, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები, ბურთულა დილები (ლომთათიძე 1989: 124).

1949 წ. უჯარმის ციხის მახლობლად აღმოჩნდა მონეტების განძი, რომელშიც შედიოდა დავით VIII-ის (1293-1311) 120-ზე მეტი ვერცხლის მონეტა (ჯალალანია 1958: 116). უჯარმის არქეოლოგიური

მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: ამირანაშვილი 1944: 154-156; ბაგრატიონი 1986: 66; ბარნაველი 1961: 129; ბერიძე 1974: 115; ბიულეტენი 1929: 24-26; გაბაშვილი 1976: 3-17; გორგიჯანიძე 1926: 65; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 219; ზაქარაია 1988: 27-29; იოსელიანი 1846: 19; 1850: 67, 68; კაკაბაძე 1959: 74, 75; კახანაძე 1955: 83; ლომთათიძე 1950ბ: 39, 40; 1953: 11, 12; 1957: 270-289; 1959: 303, 304, 351-353, 375-377; 1961ა; 1968: 36-38; 1977: 103, 124; 1989: 107-264; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 207; მელთაური 1972: 5-15; მიწიშვილი 1969: 14, 16, 17, 19, 24, 25, 28, 29, 34, 39, 41, 49, 55, 57, 58, 59, 61; მქ 1963: 89, 90, 96, 150; მუსხელიშვილი 1964: 59-70; 1966: მჭედლიშვილი 1986: 51-57; ორბელიშვილი 1989ბ: 64-79; ქართული ეპისტ. 1989: 46; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 371; 1974: 509, 510; 1977: 237; 1985: 428; ქრონიკები 1897: 440; ქც 1: 59,5; 71,1,2; 121,14; 126,11; 128,1; 185,2; 199,1,17; 200,18,19; 201,21; 202,1,17; 219,3; 233,2; 236,12; 263,2,5,8; 268,13; 312,8; 375,17; ქც 2: 17,19; 253,6,9; ქც 4: 90,26,27; 114,10,20; 124,4; 133,1; 135,19; 151,18; 169,22; 527,7; 530,12,18,19; 531,18; 532,16; 536,9; 538,10; 559,3; 561,9,1 ; 618,12; ჩუბინაშვილი 1959: 514-516; ციციშვილი 1955: 50, 51; 1966: 26-29; 1982; ცქიტიშვილი 1959: 77; 1981: 91, 230; ჭილაშვილი 1970: 35-43; ჯალალანია 1958: 116; 1979: 106.



ფ



ფანასკრტი, ფანასკრტი (ქც 4: 34,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 34,6; 657,1; 674,23; 682,9; 683,6,10), მათიანე ქართლისა (ქც 1: 283,9,18; 306,11), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქც 1: 382,23; 383,1,9), ბასილი ეზოსმოდღვარის „ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისი“ (ქც 2: 130,1), 1259 წ. კახა თორელის სიგელი (ქრონიკები 1897: 135), სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სია (ქრონიკები 1897: 54), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 581).

ვახუშტი ბაგრატიონი ფანასკრტის შესახებ გადმოგვცემს: „ჭოროხის აღმოსავლით, არს ციხე ფანასკრტისა, კლდესა ზედა, დიდ-შენი, მაგარი. აქ იჯდა ერისთავი ფანასკრტ-ოლთისისა და აწ არს დაბა“ (ქც 4: 683,10-12).

ლოკალიზდება ისტორიულ ამიერტაოში. მდებარეობს ფანასკრტის წყლისა და ალაბულახის წყლის შესართავში. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში (თაყაიშვილი 1991: 273). ბაგრატი III-მ (975-1014) ფანასკრტის ციხეში შეიპყრო კლარჯი ხელმწიფეები (ქც 1: 283,9). იმ დროიდან ფანასკრტი სამეფოს დომენია (ბერძენიშვილი დ. 1960: 99). თამარის (1184-1207) დროს მისი მფლობელი იყო ზაქარია ასპანიძე, რომელიც მეფემ შავშეთ-კლარჯეთ-ტაოს მონაპირე ერისთავად დაამტკიცა. ფანასკრტი მონაპირე საერისთავოს ცენტრი გახდა (ბერძენიშვილი დ. 1960: 100-102). ფანასკრტი შედიოდა ბანელი ეპისკოპოსის სამწყსოში (ქრონიკები 1897: 54). ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ ფანასკრტი ფანაკის ლივიაში შედიოდა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 581). XVIII ს-ში ფანასკრტი დაბაა (ქც 4: 683,12).

1907 წ. ე.თაყაიშვილმა მონიხნულა და აღწერა ფანასკრტი. ციხე ამ დროისათვის სრულიად განადგურებული იყო. სოფლის ერთ-ერთი სახლის კედელში ჩაყოლებულ IX-X სს-ის წარწერიან ქვაზე იკითხებოდა სუმბატ ერისთავის სახელი. სოფელში შემონახული ეკლესიებიდან ორის მხოლოდ სამირკველი იყო დარჩენილი. მესამე ეკლესიისაგან შემორჩენილი იყო დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეები და აფსიდის მცირე ნაწილი. ეკლესია მოხატული ყოფილა. აქვე იდგა ჯამედ

გადაკეთებული სამაფსიდიანი სომხური ეკლესიაც (თაყაიშვილი 1991: 372, 373).

ფანასკრტი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი დ. 1960: 95-110; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 581; თაყაიშვილი 1991: 372, 373; ქრონიკები 1897: 54, 135; ქც 1: 283,9,18; 306,11; 382,23; 383,1,9; ქც 2: 130,1; ქც 4: 34,6; 657,1; 674,23; 682,9; 683,6,10.

ფარცხანაყანევი (ქც 4: 750,21; 869,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 750,1; 869,1), გენათის სამწყსოსა და საეპისკოპოსოს განაჩენისა და სამზღურის საბუთი (ქრონიკები 1897: 339), შეწირულობის წიგნი გელათის დეკანოზ იაკობისა ხახულის ღმრთისმშობლისადმი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 173), 1260-1267 წწ. დაწერილი თამარ დედოფლისა გელათისადმი (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 162), ქუთაისის საყდრის გამოსავალის ბეგრის დავთარი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 288), აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალის მოსაკრებლობის დავთარი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 406), კათოლიკოს მალაქიას მოლაშქერე კაცთა ნუსხა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 481), დავთარი აფხაზეთის საკათალიკოსო სამწყსოს მეკოშურთა აღწერისა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 614), შეწირულების სიგელი კათალიკოს ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 730), განჩინება როსტომ იაშვილისა და იოვან მესხის საქმეზე (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 745), სოლომონ I-ის შეწირულების წიგნი (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 430), ბიჭვინტის გუჯრები (დას. საქ. საბ. 1921: 147, 148), 1773 წ. შეწირულობის წიგნი სოლომონ მეფისა ქუთაისის ტაძრისადმი (საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. 1953: 131), იმერეთის მეფის დავითის (1784-1792) სიგელი (აქტები ... 1868: 372), იოჰან გოულდენშტედტის „მოგაზურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 307).

მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპ-ში, წყალტუბოდან 15 კმ-ის დაშორებით, ახლანდელი სოფ. ფარცხანაყანევის ტერიტორიაზე.

ფარცხანაყანევი სხვადასხვა სახელით იხსენიება: „ფარსმანაყანევი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 173), „ფარცმანაყანევი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 288), „ფარცხანაყანევი“ (დას. საქ. საბ. 1921: 147, 148). 1937 წ. მივაშენეკომ ფარცხანაყანევიმ გათხარა

14 ქვევრსამარხი. ქვევრები ჩაფლული იყო ჰორი-ზონტალურად, ორიენტირებული სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. სამარხი ქვევრები გადახერხილი იყო სივრცეზე. ქვევრებს გასამაგრებლად ქვე-ბი ჰქონდა შემოწყობილი. ზოგს თიხის ჭურჭელი ევარა, ზოგიერთს კი – ამფორის ქვედა ნაწილი. სამარხულ ინვენტარში შედიოდა: კოლხური ტიპის ხელაღები, კოჭები, ქუსლიანი ჯამები, ბრინჯაოს ზურგშენეკილი სამაჯურები, ჭრილფარაკიანი ბეჭდები, ცილინდრული, გვერდშეჭრილი ზარაკები, ბრინჯაოსა და ვერცხლის საყურე-რგოლები, მინისა და პასტის სხვადასხვა ფერისა და ფორმის მძივები, კოლხური მონეტები. მკვლევართა ერთი ნაწილი სამარხებს ძვ. წ. III ს-ით ათარიღებდა (ივ-აშენკო 1951: 320-328), სხვები ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევრით (თოლორდავა 1980: 31).

სოფელში შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი. სამარხი ქვევრი ჩაფლული ყოფილა ყელით დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა კოლხური სამტუჩა დოქი, ქუსლიანი ჯამები, კანთაროსისებური ჭურჭელი, კოჭოები, ქითანი, ბრინჯაოს ზურგ-შენეკილი სამაჯურები, სამარხული კომპლექსი თარიღდება გვიანელინისტური ხანით (მაჭულაძე 1979: 85-89).

1868 წ. სოფ. ფარცხანაყანევში შემთხვევით აღმოჩნდა განძი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: ოქროს სასაფეთქლე ხვიები, სარდიონის მძივები, ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები, ოქროს მრგვალი, აჟურული მძივები და ერთი სფერული მძივი. განძი თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით (კუფ-ტინი 1941: 134, 135).

1929 წ. სოფ. ფარცხანაყანევში შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. XIV ს-ის ბრინჯაოს კოლხური ცული და 4 სეგმენტისებური იარაღი (ქორიძე 1965: 14, 92). განძი ინახება ნ.ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

პბლიოგრაფია: *აქტები ... 1868: 372; გამყრელიძე 1982: 17; გოულდენშტედტი 1962: 307; დას. საქ. საბ. 1921: 147, 148; თოლორდავა 1980: 31; ივანეშვილი 1951: 320-328; კუფტინი 1941: 134, 135; მაჭულაძე 1979: 85-89; ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: 162; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 430; 1970: 173, 288, 406, 486, 614, 730; 1977: 745; საქ. სახ. მუხ. ისტ. დოკ. 1953: 131; ქორიძე 1965: 14, 92; ქრონიკები 1897: 339; ქვ 4: 750,1; 869,1.*

ვარცხისი, ციხე (ქვ 4: 145,28). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 145,28; 151,21; 153,20; 327,4,10; 408,27; 409,1; 418,16), მატიანე ქართლისა (ქვ 1: 297,14; 312,13; 317,11), „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქვ 1:318,5), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქვ 2: 368,25, 369,1, 379,24, 536,13), არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1989: 415), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1925: 222, 223), „ცხოვრება

საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 44), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 140), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 413; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 341; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 25; 1985: 843; მასალანი საქ. სტატ. 1907: 112, 114, 116), ვახუშტი ბაგრატიონი ფარცხისის შესახებ გადმოგვცემს: „სად ერთვის ალგეთს ხევი ესე (საღირაშენის ხევი), მუნ არს ციხე ფარცხისი – ფარი ბირთვისის ციხისა, აწ შემუსრვილი“ (ქვ 4: 327,4-5).

მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. ფარცხისის ტერიტორიაზე.

XI ს-ის 30-იან წლებში ბაგრატ IV-მ (1027-1072) თბილისის ამირას წაართვა ფარცხისის ციხე (ქვ 1: 297,14). 1074 წ. გიორგი II-მ (1072-1089) ფარცხისთან დაამარცხა განძის ამირა სარანგი (ქვ 1: 317,7-12). 1569 წ. ფარცხისთან ვიზილბაშუმის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში ქართლის მეფე სიმონ I (1556-1600) ტყვედ ჩავარდა (ქვ 2: 369,1-6). XVI ს-ში ფარცხისს ბარათაშვილები ფლობენ (ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 843). XVIII ს-ში ფარცხისის ციხე უკვე დანგრეული იყო (ქვ 4: 327,4-5).

1948 წ. ისტორიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ.ბერძენიშვილი) დაზვერვები და მცირე მასშტაბის გათხრები ჩატარა სოფ. ფარცხისსა და ფარცხისის ციხის მიდამოებში. ექსპედიციის წევრებმა კლომათიძემ და ი.გემელიშვილმა სოფ. ფარცხისის დასავლეთით, 0,5 კმ-ის დაშორებით, ადგილ „ფორქალისებში“ სადაც ფარცხისელები სხვადასხვა საჭიროებისათვის თიხას იღებდნენ, დარღვეული ფენიდან გამოკრებიეს კერამიკის ნატეხები, ცხოველთა ძვლები და ობსიდიანის დიდრონი ნატეხები. „ფორქალისების“ არქეოლოგიური მასალა თარიღდება ადრებრინჯაოს ხანით. გორა, რომელზეც ფარცხისის ციხეა აღმართული, თავისი მოყვანილობითა და ზედაპირზე მიმოხრეული არქაული კერამიკის ნატეხებით წაავსებს ე. წ. ნაცარგორათა ტიპის ძველ ნამოსახლარ ბორცვს. ჩანს, ციხე ალუმარათივთ ძველ გორანამოსახლარზე (ლომთათიძე 1989: 28).

1982 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ალგეთის ხეობის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. თუშიშვილი) ფარცხისის ციხის ტერიტორიაზე შეავარაზა ზედაპირული მასალა, რომლის ერთი ნაწილი ანტიკურ ხანას, მეორე ნაწილი კი ადრე შუა საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს (თუშიშვილი, ამირანაშვილი 1985: 28). სოფელში, მდ. ალგეთის მარცხენა ნაპირზე, გორაკზე დგას ციხე. ის გვეგმით წარტყელებული და ბოლომდომორგვალეული ნაგებობაა, რომლის შუაში ციტადელი იყო. შესასვლელი აქვს ჩრდილოეთიდან. ციტადელის დასავლეთ მონაკვეთში სამსართულიანი კოშკი იდგა. კედლები ნაგებია რიყის ქვით. თაღოვან ჭიშკართან გამოყენებულია აგურებიც. ზოგან გამოყენებულია თლილი ქვაც. ციტადელის დასავლეთი მონაკვეთი შემოზღუდულია

ორმაგი კედლით. ჭიშკრის აღმოსავლეთით პატარა სათავსია, საიდანაც იწყება ვვირა-ბი, რომელიც მდ. ფარცხისწყალთან ჩადიოდა. ციხე წყაროებში პირველად XI ს-ში იხსენიება, მაგრამ ის გაცილებით ადრე ჩანს აგებული (ზაქარაია 1970: 44, 45; ციციშვილი 1979ბ: 8).

ადგილ „ფორქალისებში“ დგას გომჭაშაბიშვილების სასახლე საბრძოლო კოშკებით. სასახლის სამხრეთით შეინიშნება სამეურნეო ნაგებობათა ნაშთები. ეზოში ორი ეკლესიაა. ერთი ბაზალტის ქვებით ნაგები მცირე ზომის XVII ს-ის მეორე ნახევრის დარბაზული ეკლესიაა. მეორე სრულიად დანგრეულია. მისი კედლების ნანგრევებში შეინიშნება რელიეფური ჯვარი (ციციშვილი 1979: 8).

სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით, 1 კმ-ის დაშორებით, ბორცვზე დგას კოჯორების X ს-ის დარბაზული ეკლესია, ნაგები ბაზალტის ქვებით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ეკლესიის კედლებში ჩატანებულია VI-VII სს-ის სტელები. ეკლესია მოხატული ყოფილა. კამარისა და კონქის ისრული ფორმის მიხედვით ეკლესია მოგვიანებით ჩანს შეკეთებული (ბერძენიშვილი 1976: 109, 110; ციციშვილი 1979: 7).

ბიბლიოგრაფია: არჩილი 1089: 415; ბერძენიშვილი 1976: 112; 1979: 44, 66, 67, 73, 92, 93; ბოჭოიძე 1994: 60; ვორციჯანიძე 1925: 222, 223; ზაქარაია 1970: 44-51; თუშიშვილი, ამირანაშვილი 1985: 28; ლომთათიძე 1989: 28; ლორთქიფანიძე 1935: 353; მასალანი საქ. სტატ. 1907: 122, 114, 116; ორბელიანი 1981: 140; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 341; ქრონიკები 1897: 413; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 25; 1985: 843; ქვ 1: 297,14; 312,13; 317,11; 318,5; ქვ 2: 368,25; 369,1; 379,24; 514,6; 536,13; ქვ 4: 145,28; 151,21; 153,20; 327,4,10; 408,27; 409,1; 418,16; ციციშვილი 1979ბ: 5-9; ცხოვრება ... 1980: 44; ხარაძე 1991: 88.

ფიტარაში (ქვ 4:322,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 322,7), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 492; 1967: 185, 186; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 888, 910; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 467), პაპუნა ორბელიანის „ამბიანი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 139, 200, 211), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 50).

ვახუშტი ბაგრატიონი ფიტარეთის შესახებ გადმოგვცემს: დაბა ქციას „ქუემორ ... არს მონასტერი ფიტარეთს, შეუნიერნაშენი; გუმბათიანი, შეუნიერს ადგილს. ზის წინამძღუარი“ (ქვ 4: 322,7,8).

მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთით 26 კმ-ის დაშორებით, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირას, თანამედროვე სოფ. ფიტარეთის მიდამოებში.

სოფელი და მონასტერი პირველად XIII ს-ში იხსენიება (ზაქარაია 1978: 117). მისი მშენებელი და

პატრონი ბარათაშვილთა წინაპარი ქავთარ ქავციავის ძე ამირეჯიბი იყო. XVI ს-ში ის ბარათაშვილების, შემდეგ მათი განაყარის ორბელიანების, ყაფლანიშვილებისა და იოთამიშვილების საძეგლი იყო (ბერძენიშვილი 1979: 94-96). XVIII ს-ის შუა ხანებში ქვემო ქართლი და განსაკუთრებით ორბელიანთა მამული დაიცალა. მცირე მოსახლეობა მხოლოდ დმანისსა და ფიტარეთში შემორჩა (ორბელიანი 1981: 139).

ფიტარეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფლის მახლობლად დგას ფიტარეთის ღვთისმშობლის გუმბათიანი ეკლესია. ტაძრის გეგმა თითქმის კვადრატულია (13,1X14,8მ). სიმაღლე 18,3 მ-ია. აფსიდით დასრულებული ბემიანი საკურთხევის ორივე მხარეს ორ სართულად განლაგებულია სათავსები. გუმბათი საკურთხევის კედლებსა და ორ თავისუფლად მდგარ ბოძს ეყრდნობა. საყრდენი თალები და კამარები ისრული ფორმისაა. კარიბჭე სამხრეთიდანაა (ზაქარაია 1978: 119-130). კარიბჭის შიგნით სამშენებლო წარწერაა: „ქ. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა შეწყვნითა და მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღმთისმშობლისა და წმიდათა რომელნი საუკუნითაგან სათნო ეყვნეს ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, ღირს ვიქმენ მომადლებითა ღმრთისათა ძე ქავთარ ქაჩიფაის ძე ამირეჯიბ თვითმწყობელსა ძე მეურისა მეფეთ-მეფის გიორგისი აღშენებად ამის მონასტრისა და საყდრისა დედის ღმრთისა“ (თაყაიშვილი 1929: 87). წარწერა და ძეგლი თარიღდება ლაშა-გიორგის მეფობის (1207-1222) ხნით (ზაქარაია 1978: 117). ეკლესია მოხატულია. მას გარშემორტყმული აქვს სათოფურებიანი გალავანი. გალავნის შესასვლელში დგას დანგრეული სამრეკლო. ეზოში შესაძლებელია და სხვა ნაგებობების ნანგრევები (ზაქარაია 1978: 115). ტაძრის გარშემო არის XVII-XVIII სს-ის წარწერიანი საფლავის ქვები, სადაც იხსენიება მონასტრის წინამძღვრები იობი და ორბელიანიშვილთა საგვარეულოს წევრები (ჩიტიანი 1927: 118; თაყაიშვილი 1929: 86-89).

ეკლესიიდან სამხრეთით, 2 კმ-ის დაშორებით, დგას ისტორიულ საბუთებში მოხსენიებული დარბაზ-ჭალის სასახლე. ნაგებია ყორე ქვით, მთავარი ფასადი მოპირკეთებულია ვარდისფერი და რუხი ტუფის ქვით. შედგებოდა რამდენიმე ოთახისა და დიდი დარბაზისაგან. ნაგებობა XVI-XVIII სს-ით თარიღდება. სასახლის გარშემო შემორჩენილია ნასოფლარი და მცირე ზომის უაფსიდო ეკლესია. სასახლის დასავლეთით 500 მ-ის დაშორებით, მდ. ხრამზე ჩანს ხიდის ბურჯები (ციციშვილი 1979ა: 9). მდ. ხრამის ხეობაში, ფიტარეთიდან დასავლეთით 3 კმ-ის დაშორებით არის სოფ. ცხნარი. სოფლის განა-



ფიტარეთი

პირას დგას დარბაზული ეკლესია (ბერძენიშვილი 1976-1977: 14), რომელსაც სამხრეთიდან გვიანი მინაშენი აქვს. ნაგებია თლილი ლოდებით. მინაშენი ფლეთილი ქვისაა. სამხრეთით აქვს 2 სარკმელი და შესასვლელი. მინაშენი სამხრეთი კედლის მთელ სიგრძეზე მიუყვება და სიმაღლით მას ნახევრამდე სწვდება. ის ფარავს ბალავრის ქვას, რომელზეც წარწერაა: „სახელითა ღმრთისათა ესე ეკლესიაი დავითის მეფობასა ვაჰრამის პატრონობასა (ვაშენეთ) ყოველმან და წელიწადამდის ბალავარი დავსვით. ქრისტე შეიწყალე ამის მოქმედი ...“. ეკლესიის გვიანდელ მინაშენზე პილასტრად გამოყენებულია ქვაჯვარა თავისი კუბური ბაზისით. სტილასა და ბაზისზე წარწერაა: „პაპისა აკითხება: „სახელითა ღმრთისათა ესე ჯვარი აღმართეს კოჟოლის ძეთა მამის ძმისა და ძისა ... რს ზედავით შე (ცვალოს)“. წარწერა X ს-ით თარიღდება (ბერძენიშვილი 1976-1977: 19).

სოფელთან 1,5 კმ-ის დაშორებით დგას ცხნარის ციხე (25X10 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის ლოდებით. კედლებს 5 ნახევარწრიული ბურჯი ამაგრებს (ბერძენიშვილი 1976-1977: 18).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 50; ბაქრაძე 1975: 91; ბერძენიშვილი 1976-1977: 13-19; ბერძენიშვილი 1979: 94-96; ბოჭორიძე 1993: 36-47; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 467; ზაქარაია 1978: 119-130; ლორთქიფანიძე 1935: 353; ორბელიანი 1981: 139, 200, 211; ქრონიკები 1897: 492; 1967: 149, 185, 186; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 888, 910; ქც 4: 322,7; სვეტიცხოველი 1947: 181; ჩიტაია 1927: 109-128; ციციშვილი 1979ა: 5-10.*

ფილოლოგი (ქც 4: 539,18,20, სქ. 6: 575,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 539,18,20, სქ. 6: 575,2), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 72), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 41, 48, 55), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 45, 53, 65, 133, 160, 167, 170, 179-181, 189, 204, 210, 227, 231, 239), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 4, 13, 17), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 47, 68, 73, 75, 83), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 139,39,40). XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 358; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 209; საქ. სოდ. 1910: 186; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 203, 411; ქრონიკები 1967: 21, 88, 144, 154, 158, 168, 210, 211, 218, 220, 221, 246, 614, 615, 617, 628, 630; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 49, 55, 67, 73, 75, 87, 95, 110, 168, 213).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ხორანთას ზეით ალაზანს ერთვის წყალი ფიფინეთისა; გამოსდის იმასვე კაკასს, მოდის ფიფინეთამდე ... ხოლო მისი ძირს არს ფიფინეთი, სადა დახსნა მეფე ლეონ ლეკნი ... შემდგომად იწოდა ჭარი“ (ქც 4: 539,17-22).

მდებარეობს ზაქათალის მუნიციპ-ში, მდ. ფიფინეთის წყლის (თანამედროვე თალაჩაის) მარცხენა ნაპირზე, სოფ. თალის მახლობლად არსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე. ამჟამად მოქცეულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში (ედილი 1997: 57; ომარაშვილი 1993: 97). წყაროებში იხსენიება ფიფინეთისა და ჭარის სახელებითაც. ფიფინეთი, როგორც დასახლებული პუნქტი, აღარ არსებობს. შემორჩენილია მხოლოდ ტოპონიმი. წყაროებში პირველად XVI ს-ში იხსენიება საქართველოს პატრიარქის ექვთიმეს მოგზაურობის მარშრუტში, კაკ-ელისენის მხარეში (ჯანაშვილი 1894: 205). ფიფინეთზე გადიოდა ალაზნის ველიდან დაღესტნისაკენ მიმავალი გზა (პაპუნაშვილი 1970: 357). 1549 წ. კახთა მეფე ლევანს (1518-1574) იქ დაღესტნიდან ლეკები ჩაუსახლებია (პაპუნაშვილი 1972: 9). XVIII ს-ში ფიფინეთის ჭარი ეწოდა (აღამია 1979: 71).

ფიფინეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.
ბიბლიოგრაფია: *აღამია 1979: 71; ბაგრატიონი 1983: 41, 48, 55; ბაგრატიონი 1986: 72; ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 47, 68, 73, 75, 83; ბაგრატიონი დავით 1941: 4, 13, 17; ბერძენიშვილი 1953: 75; ბერძენიშვილი 1975: 429; დადიანი 1962: 139,39,40; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 358; დუმბაძე 1953: 34, 35, 63; ედილი 1997: 3, 26, 57, 58, 178; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 209; ომარაშვილი 1993: 86, 97; ორბელიანი 1981: 45, 53, 65, 133, 160, 167, 170, 177, 179-181, 204, 210, 227, 231, 239; პაპუნაშვილი 1970: 357; 1972: 9; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 49, 55, 67, 73, 75, 87, 95, 110, 168, 213; საქ. სოდ. 1910: 186; ქრონიკები 1967: 21, 88, 144, 154, 158, 168, 210, 211, 218, 220, 221, 246, 614, 615, 617, 628, 630; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 203; ქც 4: 539,18,20,სქ.6: 575,2; ჯანაშვილი 1894: 205, 1910ა: 8, 39.*

ფოთი, ქალაქი, ნავსაყუდელი, ციხე (ქც 4: 747,10; 777,24; 789,23; 790,10; 814,20; 883,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 747,10; 777,24; 789,23; 790,10; 814,20; 883,20), 1071 წ. დაწერილი ნიკოლას წმიდის წინამძღვრისა (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 15; ქრონიკები 1897: 45), ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპები (ათონის ივერიის ... 1901: 319), დიდი სჯულის კანონი (დიდი სჯულის კანონი 1975: 407), 1628 წ. ბიჭვინტისათვის შეწირულობის საბუთი (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 210), 1712 წ. ისტორიული ცნობა (ქრონიკები 1967: 105), გ. წ. ფურცელანთეული ქრონიკა (ქრონიკები 1967: 629), 1737 წ. ლიხთ-იმერეთის რუკა (ბურჯანაძე 1959: 188, 195), ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“ (გაბაშვილი 1956: 54), თეიმურაზ ბაგრატიონის ახალი ისტორია (ბაგრატიონი 1983: 54, 74), ციციანოვის 1803 წ. წერილი (საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. 1953: 30), 1811 წ. დოკუმენტი (საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. 1953:132, 139, 144), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“

(დადიანი 1962: 153, 174, 179, 199, 200, 201), ბაგრატი ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 64, 86, 103, 104), ქათიბ ჩელების „ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“ (ჩელები 1978: 134), ვაკ ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 71, 82, 104, 105, 135, 139). ქ. ქუთაისის მიტროპოლიტი მაქსიმე 1769 წ. ჩანაწერები (სიგელები 1898: 3), კაპიტან იაზიკოვის 1770 წ. ჩანაწერები (სიგელები 1891: 261), კ.პოროზდინის „სამეგრელო“ (პოროზდინი 1934: 308), კ.კონისა და ო.სენენერის „ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“ (კონი, სენენერი 1981: 139, 165, 168-173), ალ. დიუმას „კავკასია“ (დიუმა 1964: 445-449), იოჰან ვიულენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (ვიულენშტედტი 1962: 371), კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები (აქტები 1866-1904: 510-512).

მდებარეობს მდ. რიონის შესართავთან (დეტაში), შავი ზღვის ნაპირზე, ტბა პალიასტომის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, დღევანდელი ქ. ფოთის ადგილზე.

ვახუშტი ბაგრატიონი ფოთის შესახებ გადმოგვცემს: „... სადაცა ერთვის რიონი ზღვას, აქა არს ფოთი“ (ქც 4: 777,24). „ხოლო რიონის თუალზედ სამხრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე ... ნავსადგურობისათვის“ (ქც 4: 789,23). „კუალად ფოთის სამხრეთით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა დიდი. ამ ტბიდან შესდის ზღუას მდინარე ამისივე. აქიდან შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსუენებისათვის“. „ამას იტყვიან ნაქალაქებს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან. კუალად ამ ტბისა და ჯუმათის მთის სამხრით დის მდინარე სუფიანი...“ (ქც 4: 790,10).

დღევანდელ ფოთთან და მის შემოგარენში ლოკალიზდება ანტიკურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ძვ. წ. VI ს-ის ქალაქი ფასისი-ფაზისი (გამყრელიძე 2003: 170-189). ბერძნული წერილობითი წყაროების ტოპონიმ ფასისს ქართველური ენების საფუძველზე მიღვეულ ფოთის სახელწოდებად მიიჩნევენ – ფოთ-ფათ-ფას (მელიქიშვილი 1965: 50-59; გორდეზიანი 1971: 181-185; ფოგტი 1964: 96). ამ მოსაზრებას გარკვეულწილად ზურგს უმაგრებს ფოთის ტერიტორიაზე ტბა პალიასტომში აღმოჩენილი გრაფიტი (ფი, ომევა – Φი), რომელიც რქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილ VI ს-ის ამფორაზე დადასტურდა და იშოფრება – „ფასისში ვიყიდე“ (გამყრელიძე 2011: 283; გამყრელიძე 1987: 115).


ქ. ფასისი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: პინდარე (ძვ. წ. V ს.), II პითიური, IV, 210 (ურუშაძე 1964: 213), ფსევდო-სკილაქსი (ძვ. წ. IV ს.), აზია, 81 (ვახუშტი 1967: 48), არისტოტელე (ძვ. წ. IV ს.). ფრაგმენტები 46 (ვახუშტი 1969: 73), პლატონი (ძვ. წ. 427-347), „ფედონი“ 109 (ბ) (პლატონი 1970: 109), ფსევდო-ჰერაკლიტე (ძვ. წ. IV ს.), „ფასისელთა პილიტია“ XVIII (ვახუშტი 1969ა: 195), პიპოკრატი (ძვ. წ. IV ს.), „პერთა,

წყალთა და ადამიანთა შესახებ, 15 (ვახუშტი 1965: 45), თეოკრიტე (ძვ. წ. IV ს.) „იდილია“ სქოლიოები, XIII, 24 (ურუშაძე 1964: 316), სტრაბონი (ძვ. წ. I ს.), „გეოგრაფია“, XI, 2 თ., 16, 17; 3 თ., 4 (ვახუშტი 1957: 122, 123, 128), ფსევდო-პლუტარქე, „მდინარეებისა და მთების სახელების შესახებ ...“, ფასისი, V, 1 (ლატიშვილი 1948: 223), პლინიუსი გაიუს სეკუნდუსი (უფროსი) (I ს.) „ნატურალური ისტორია“, VI, 1, 13, 52, (პლინიუსი 1904ა: 178, 179, 185), პომპონიუს მელა (I ს.), „ქვეყნიერების აღწერილობა“ I, 108 (პომპონიუს მელა 1965: 29), ფლავიუს არიანე (II ს.) „მოგზაურობა შავი ზღვის ვარშეში“, 9,10 (არიანე 1961: 40), კლავდიუს პტოლემეოსი (II ს.), „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ V, 9 თ., 2 (პტოლემეოსი 1955: 45), ფსევდო-ორფეუსი (III ს.) „არგონავტიკა“ გვ. 3 (მელაშვილი 1977: 89), კასტორიუსი (IV ს.) ე. წ. ტაბულა პეგტინგერისა, X-XI (ლომოური 1958: 109, ტაბ. 2), ამიანე მარცელინუსი (IV ს.), „ისტორია“ XXII, 8 თ., 24 (ამიანე მარცელინე 1961: 112); ანონიმი ავტორი (V ს.) „ეგქსინის პონტოს პერიპლუსი ...“ 44 (3), (ლატიშვილი 1949: 229), ზოსიმე (VI ს.) „ახალი ისტორია“ I, 32 (ზოსიმე 1961: 268), სტეფანე ბიზანტიელი (VI ს.) „ეთნიკა“, ფასისი (სტეფანე ბიზანტიელი 1936: 286), ავათია (VI ს.) „ოუსტინიანეს მეფობის შესახებ“, III, 19, 20, 21; IV, 23 (ავათია სქოლასტიკოსი 1936: 97, 98, 102, 179), მენანდრე (VI ს.), „ისტორია“ ფრაგმენტი 3 (მენანდრე პროტიქტორი 1936: 209), ეპიფანე კონსტანტინეპოლელი (VIII ს.) „ანდრიას ცხოვრება“ თავი – „სვანეთი, ფუსტა, აბაზგია, ჯიქეთი“ (ეპიფანე კონსტანტინეპოლელი 1941: 58), თეოფანე ქრონოგრაფი (IX ს.) „ქრონოგრაფია ...“, ფასისის ეპისკოპოსი კვიროსის შესახებ (ვახუშტი 1941ა: 101), გიორგი კედრენე (XI ს.) „ისტორიული მიმოხილვა ...“ ფასისი ეპისკოპოსი კვიროსის შესახებ (კედრენე 1963: 28), ბასილი სოფენელი (XI ს.) „უწმინდესი პატრიარქების სუსხა“ (ვახუშტი 1952: 128, 130, 139), ნიკეტა ხონიატი (XII ს.) „ქრონიკა ...“, ფასისი სანავსადგურო ქალაქი (ნიკეტა ხონიატი 1966: 132), ამბროზიო კონტარინი (XV ს.) „მოგზაურობა კავკასიაში ...“ (კონტარინი 1894: 49, 50), არქანჯელო ლამბერტის (XVII ს.) „სამეგრელოს აღწერა“ (ლამბერტი 1938: 172), ჟან შარდენი (XVII ს.) „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 108, 258), ფერდერიკ დიუბუა დე მონპერე (1798-1850 წწ.) „მოგზაურობა კავკასიაში ...“ (დიუბუა დე მონპერე 1839-1843: 63; 1937: 11, 145, 148).

მდინარით (რიონი), ტბითა (პალი-ასტომი) და ზღვით“. (სტრაბონი, XI, 2 თ., 17). აღწერილობა ზედმიწევნით ესადაგება დღევანდელი ქ. ფოთის მდებარეობას. საყურადღებოა აგრეთვე ქ. ფასისის თვითმხილველის, II ს-ის ავტორის, ფლავიუს არიანეს საინსპექციო აღწერაში „პერიპლუსი შავი ზღვის გარშემო“ ცნობა: „ფასისში რომ შედისარ, მარცხნივ აღმართულია ქალღმერთ ფასიანეს ქანდაკება...“ „თვით ციხესიმაგრე, რომელშიც თავსდება ოთხასი რჩეული მეომარი, მე მეჩვენა მეტად მიუღვამლად ადგილის ბუნების მიხედვით, უშიშროების თვალსაზრისით მეტად მონერჩებულ ადგილზე მოთავსებულად აქ მომსგულთათვის. ორმაგი თხრილი ერთმანეთს კედელს, ორივე ფართია, წინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი ავურისგანაა გაკეთებული. სამირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ იმდაგვარადაა მოწყობილი, რომ ვერაფერს მიუახლოვდეს და რომ ალყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველთ. ხოლო, რადგან ნავსადგური უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდთათვის, აგრეთვე ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც, რომლებიც დასახლებულია სამსახურიდან გამომდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით“ (არიანე „პერიპლუსი“, 9).

ქ. ფასისიდანაა გატანილი ყუბანში ე. წ. შუბოვის ყორღანში აღმოჩენილი ძვ. წ. V ს-ით დათარიღებული ვერცხლის ფილა, რომელზეც ბერძნულის იონიურ დიალექტზე შესრულებული წარწერაა. მასში ნახსენებია ქ. ფასისში მდებარე აპოლონის ტაძარი, რომელსაც ეკუთვნოდა ეს ფილა (ყაუჩიშვილი 1976: 235-237). ფასისი ძველთაგანვე ქართველური მოსახლეობით დასახლებულ მიწაწყალზეა დაფუძნებული იონიიდან გამოსვლის მიხედვების მიერ ძვ. წ. VI-V სს-ში ადგილობრივ მოსახლეობასთან საკონტაქტოდ, სავაჭრო ცენტრად, კოლონია-ემპორიონად (ლორთქიფანიძე 1979: 187-256; 1997: 15-34). ფსევდო-ჰერაკლიდეს ცნობის მიხედვით (ყაუჩიშვილი 1969ა: 189, 190), დაახლოებით ძვ. წ. III ს-დან ფასისი პოლისური ტიპის სტრუქტურულად შერეულ ქალაქად გარდაიქმნა (გამყრელიძე 1993: 47, 48, 57, 58).

მიუხედავად იმისა, რომ ძველი ფასისის ადგილმდებარეობა ანტიკური წერილობითი წყაროების მიხედვით ზოგადად განსაზღვრულია (იხ. სტრაბონი, არიანე), დღეისათვის მეცნიერების წინაშე ისევ დგას მისი ზუსტი ლოკალიზების პრობლემა, რადგან ქალაქი არქეოლოგიურად არ არის დადასტურებული. ფასისის ლოკალიზება-ტოპოგრაფიის შესახებ გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებები: ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე თვლის, რომ რომაული ხანის ფასისი მდებარეობდა სოფ. ჭალადიდ-



რუკა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მიხედვით

სა და ფოთის შორის. ხსენებულ მონაკვეთზე, ფოთის აღმოსავლეთით (დღევანდელი აეროდრომის ტერიტორიაზე) მან აღმოაჩინა ნაციხარის ნაშთები, რომელიც არიანესეულ ფასისად მიიჩნია (დიუბუა დე მონპერე 1839: 63-80); თ. ბრუნის აზრით, ფასისი პალიასტომის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში მდებარეობდა (ბრუნი 1880: 250); ნ. შაფრანოვის მოსაზრებით, ფასისი პალიასტომის ტბის სამხრეთ ნაპირზე, მდ. სუფსის შესართავთან იყო განლაგებული (შაფრანოვი 1880: 3). ლ. ელინიცკის აზრით, ფასისი უნდა მდებარეობდეს მდ. რიონის შესართავის მარცხენა ნაპირზე, დაახლ. იქ, სადაც დღეს საზღვაო პორტი მდებარეობს (ელინიცკი 1938: 307-320); მ. ბერძნიშვილის მოსაზრებით, ფასისი მდებარეობდა მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე პატარა ფოთთან, ხოლო არიანეს დროინდელი კი იქ, სადაც დიუბუა დე მონპერე მიუთითებდა (ბერძნიშვილი 1942: 19, 20); ბ. კუფტინის აზრით, არიანეს დროინდელი ფასისი მდებარეობდა პალიასტომის ტბის შენაკადის მდ. ფიჩორის ნაპირებზე (კუფტინი 1950: 116); ნ. ხოშტარია თვლიდა, რომ ძველი და რომაულ-ბიზანტიური ხანის ფასისი დღევანდელი ქ. ფოთის ადგილზე მდებარეობდა (ხოშტარია 1953: 33); ნ. ლომოური იზიარებს დიუბუა დე მონპერეს მოსაზრებას, ოღონდ თვლის, რომ ის აგათიას (ახ. წ. VI ს.) დროინდელი ნაქალაქარია (პტოლემეაიოსი 1955: 96-110; ლომოური 1957: 96-99); გ. გრიგოლია ფიქრობს, რომ ფასისი სამეზობლო პალიასტომის აღმოსავლეთ მხარეს, სადაც მდ. ფიჩორი ერთვის ტბას (გრიგოლია 1973: 54); ჯ. ჯანელიძის აზრით, ქ. ფასისი მდ. რიონის ხეობის გასწვრივ, სადაც 6 კმ-ზე, პატარა ფოთისა და სოფ. ჭალადიდის ირგვლივ ტერიტორიაზე უნდა ვეძებოთ (ჯანელიძე 1973: 5-16); თ. ლორთქიფანიძე და თ. მიქელაძე წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების შეჯერების შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „ფასისის სახელით ცნობილი სხვადასხვა ეპოქის ქალაქები უნდა ვიკვლიოთ იმ არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის გზით, რომლებიც განლაგებულია მდ. რიონის შესართავის აუზში, ქვემო-ჭალადიდის და ზღვის სანაპიროზე გრიგოლეთ-ყუფევს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე“ (ლორთქიფანიძე, მიქელაძე 19673:

33); გ.გამყრელიძის მოსაზრებით III-VII სს-ში ფასისია ვ. წ. „ნატეხების“ ნამოსახლარი, რომელიც აღმოჩნდა ქ. ფოთის სამხრეთ ნაწილში, პალიასტომის ტბის დასავლეთ მონაკვეთში, მალთაყვის ზღვასთან შეერთების ადგილიდან 1,5 კმ-ზე, ტბაში. ის თვლის, რომ ლოკალური გეომორფოლოგიური ცვლილებების გამო, მდ. რიონის, ფიჩორისა და სუფსას შორის მდებარე მონაკვეთში ფასისის ნაწილი ხშირად ხედებოდა წყალში (ან ტორფიან ჭაობში). ამიტომ, ქალაქი მოცემული მონაკვეთის ფარგლებში, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ადგილზე ინაცვლებდა (გამყრელიძე 1987: 97-117; 1987: 215-219; 1990: 223-226; 1992: 42, 43; 1992ა: 101-109; 2003: 170-189; 2009: 175-194).

ქ. ფასისი, შემდგომში ფოთი, ევროპა-აზიის საზღვაო-სამდინარო-სახმელეთო სატრანზიტო მაგისტრალის მთავარი პუნქტი იყო (ლორთქიფანიძე 1957ა: 377-384). ძირითადად ქ. ფასისის საშუალებით უცხოეთში გადიოდა ოქრო, რკინა, საამშენებლო ხე, სელი, სელის ზეთი, თაფლი, ღვინო და სხვ. ფასისის სახელით არის ევროპულ ენებში ცნობილი „ფასისური ხოხობი“ (ფაზანი), რომელიც აგრეთვე დიდი რაოდენობით გაჰყავდათ ქალაქის სანახებიდან. ელინისტურ და რომაულ ხანაში კიდევ უფრო გაიზარდა ფასისის, როგორც სატრანზიტო-სავაჭრო ქალაქის მნიშვნელობა. ძვ. წ. 66 წ. ფასისთან შეხვედნენ ერთმანეთს იბერიიდან გადმოსული პომპეუსი და რომაელების სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელი სერვილიუსი, რომლის ფლოტიც ზღვიდან კეტავდა და აკონტროლებდა ქალაქს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაელების გავლენის გაძლიერების შემდეგ ფასისში ჩადგა რომაული სამხედრო გარნიზონი. სწორედ ამ გარნიზონის სამხედრო-საფორტიფიკაციო მზადყოფნას ფასისში აღწერდა 134 წ. იმპერატორ ადრიანეს ინსპექტორი ფლავიუს არიანე (იხ. ზემოთ). ამ მხრივ საყურადღებოა სოფ. ციხისძირში აღმოჩენილი ლათინურ დამდიანი თიხის ფილა, რომელიც ფასისში განლაგებული სამხედრო ნაწილის სახელოსნოში დამზადებული უნდა იყოს (შპაიდელი 1985: 134-140). ციხისმაგრე ფასისი იმპერატორ კონსტანტინე I-ის ადმინისტრაციული მოღვაწეობისას იხსენიება. IV ს-ში ფასისში უმაღლესი რიტორიკული სკოლა არსებობდა. IV ს-თვის ფასისი ლაზიკის (ახალ კოლხური სამეფოს) შემადგენლობაში შედიოდა. 542-562 წწ. ბიზანტია-ირანის ომის დროს ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ფასისთან, რომელშიაც ბიზანტია-ლაზიკის გაერთიანებულმა ჯარმა დაამარცხა ირანელები. VI-VIII სს-ში ფასისში იყო კონსტანტინეპოლზე დაქვემდებარებული საეპისკოპოსო. ფასისელ ეპისკოპოს თეოდორეს ხელმოწერა შემორჩენილია 553 წ. მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებაზე. ერთ-ერთი ფასისელი ეპისკოპოსი კვირისი დაწინაურებულ იქნა ალექსანდრიის პატრიარქად. შემდგომში ფასისში რეზიდენცია ჰქონდა ლაზიკის მიტროპოლიტს, რომელსაც სამი საეპისკოპოსო ექვემდებარებოდა. X ს-დან ფა-



სისის მიტროპოლიტი საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მცხეთის კათოლიკოსს დაექვემდებარა. XIV-XV სს-ში ფასისში მდებარეობდა გენუის სავაჭრო ფაქტორია. 1578 წ. ფოთი დაიპყრეს ოსმალებმა და თავიანთ ერთ-ერთ სამხედრო ფორპოსტად აქციეს. 1640 წ. დასავლეთ საქართველოს სათავადოების გაერთიანებულმა სამხედრო რაზმებმა დაიბრუნეს ქ. ფოთი. 1723 წ. ქალაქი ისევ დაიპყრეს ოსმალებმა. 1809 წ. თავად ნ.დადიანის ხელმძღვანელობით ფოთი ისევ დაიბრუნეს ქართველებმა. 1828 წ. ფოთი გადავიდა რუსების ხელში და დაექვემდებარა ქუთაისის საგუბერნატოროს. 1872 წ. ფოთში გაიყვანეს რკინიგზა. 1878 წ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს ქალაქი კიდევ ერთხელ დაინგრა. 1894 წ. ფოთის მერად აირჩიეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნ. ნიკოლაძე. მისი პროექტით დაიგეგმა დღევანდელი ფოთი; აიგო სამოქალაქო და სახელმწიფო შენობები, ხიდები, სასტუმროები, საავადმყოფოები, ეკლესია; მოხდა საზღვაო პორტის რეკონსტრუქცია-გაფართოება. ფოთი იქცა შავი ზღვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სატრანზიტო ნავსადგურად.

ფოთი-ფასისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიურ კვლევას კარგა ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1834 წ. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ ფოთის აღმოსავლეთით (დღევანდელი აეროდრომის ტერიტორიაზე), ადგილ „ნაჯიხურთან“, ციხისმაგრის ნაშთები აღმოაჩინა, რომელიც არიანეს დროინდელ ფასისად მიიჩნია. მან ამ ციხის ნანაზიკ დავითოვა (დიუბუა დე მონპერე 1939: 63-80). 1953 წ. ნ.ხოშტარია მცირე არქეოლოგიური დაზვერვები ჩატარა ქ. ფოთის მიდამოებში (ხოშტარია 1953: 30-33). 1961-1965 წწ. ივ. ჯვახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ფოთის არქეოლოგიური ექსპედიცია

(ხელმძღვ. თ. მიქელაძე, ოთ.ლორთქიფანიძე) იკვლევდა ქ. ფოთის შემოგარენს; არქეოლოგიურთან ერთად ჩატარდა გეოლოგიური ბურღვებიც. 1969 წ. ამავე ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაზვერვები აწარმოა ადგილ ნაჯიხურის ახლოს (ხელმძღვ. გ. გრიგოლია). 1971 წ-დან ფასისის არქეოლოგიის საკითხებს იკვლევს ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. თ. მიქელაძე), რომელიც 1977 წ-დან არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ეგიდით მუშაობს. 1985 წ-დან ფოთში კვლევა-ძიებას აწარმოებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. გ. გამყრელიძე), რომელმაც ტბა პალიასტომში III-VII სს-ის ნამოსახლარის ნაშთებს მიაკვლია.

დღევანდელი ფოთის ტერიტორიაზე ყველაზე ძველი არქეოლოგიური მონაცემი ადგილ „ნატენებთან“ პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თიხა-ტორფიან ფენებში დადასტურდა. აქ აღმოჩნდა ძვ. წ. IV ს-ის შავლაკიანი ჭურჭლის პროფილირებული ქუსლი და ძვ. წ. III ს-ის როდოსული ამფორის ძირი (გამყრელიძე 1992: 35, სურ. 5, 6). ქ. ფოთის მიდამოებში (ზუსტი ტოპოგრაფია უცნობია) აღმოჩნდა ძვ. წ. V ს-ის კოლხური თეთრის 2 დიდრაქმა (II ტიპის) და რამდენიმე სხვა უფრო მცირე ნომინალი (ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (პახომოვი 1926: 37; დუნდუა 1987: 14, 15). ქ. ფოთში კი პირველი მასის და კავკასიის ქუჩების გადაკვეთაზე გეოლოგიური ბურღვის შედეგად 6 მ-მდე სიღრმეზე აღმოჩნდა სინოპურის მსგავსი ძვ. წ. II-I სს-ის კერამიკის ნაშთები (მიქელაძე 1978: 18, 19). ფოთის შემოგარენში ყველაზე ადრეული სამოსახლოს კვალი აღმოჩნდა სოფ. ქვემო ჭალადილში, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს (1,5 კმ-ზე ჩრდილოეთით), სოფლის საბავშვო ბაღთან, ფოთისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, ადგილ ზურგაზე. ბორცვის ფართობია დაახლ. 1800 კვმ; სიმაღლე ზღვის დონიდან – 5,04 მ. ბორცვზე, ზემოდან ქვევით აღმოჩნდა შემდეგი ფენები: I – მოყვითალო ქვიშანარები თიხნარი; II – მოყვითალო თიხნარი; III – დამწვარი შიგადაშიგ მოშავო ბათქაშებიანი და ძელებიანი მოყვითალო ნიადაგი. დამწვარი ძელების თარიღი რადიოკარბონული C14-ის მეთოდით არის განსაზღვრული (ანალიზი ჩატარა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ლაბორატორიამ; ხელმძღვ. ა. ბურჭულაძე). ბორცვის შუა და ქვედა ფენა განისაზღვრა კვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით (მიქელაძე 1978: 40). ეს ფენები ძირითადად წარმოდგენილია კერამიკით: ქოთნები, ტოლჩები, თასები. ისინი შემკულია შვერილებიანი ყურებით, რომლებიც განიც კრილში ოვალურია; თუშცა არის ოთხკუთხა განიც კრილ-იანი ყურებიც. კერამიკა ძირითადად მოშავოდ და

მოწითალოდ არის გამოწვვარი. უმეტესად აღმოჩნდა საშუალო და მცირე ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები. ისინი შემკულია ღაროვანი და ჭდეებიანი, წიწვისებური, შვერონებიანი, ირიბჭდეებიანი და ტალღოვანი ორნამენტით. ამ ფენაშივე დადასტურდა შავპირალა, ზოლებიანი და რომბისებური ორნამენტიანი კერამიკაც. აქვე აღმოჩნდა ქვის ყალიბი, ოვალური ფორმის ქვის ხელსაფქვავე, კონუსისებრი კვირისტავი, ნამგლის კაჟის ჩანართავები. ზურგას ზედა ფენა ქვედა ფენებთან შედარებით არქეოლოგიური მასალის მხრივ უფრო მწირია. ამ ფენაში შეიმჩნევა ქვედა ფენების ტრადიციის გავრცელება (მიქელაძე 1978: 32).

სოფ. ქვემო ჭალადილის საბაჟოს უბანზე, ზურგას გარდა, სადაზვერვო თხრილები გავლებულ იქნა მოსახლეების ა. ბერიძისა და ნ. კორტის კარმიდამოებში. პირველი ზურგას სამხრეთითაა, მეორე – სახრეთ-აღმოსავლეთით 200 მ-ზეა დაცილებული. ნამოსახლარების კვალი დადასტურდა მოყვითალო ფერის თიხა-მიწის ფენაში. მის ქვემოთაც მონაცრისფრო წმინდა თიხა-სილის ფენაა, ხოლო ქვემოთ ტორფიანი ნიადაგია. განათხარში აღმოჩნდა დამწვარი ძელების და ბათქაშების ნატეხები. კერამიკიდან დადასტურდა სუფრის და სამზარეულო ჭურჭელი. კერამიკა გამოწვით და ორნამენტით ზურგას ნამოსახლარის მავგარია. აღმოჩნდა მეტალურგიული ქურის საბერველი მილი და კოლხური მინიატურული ცულის დასამზადებელი ყალიბი (მიქელაძე 1978: 33-37).

მეორე სამოსახლო, რომელიც უნდა მივიჩნიოთ ძველი ქ. ფასისის (ძვ. წ. VI-V სს) სასოფლო გარემოცვად, აღმოჩნდა სოფ. საქორქიოს აღმოსავლეთ ნაწილში სიმაგრეს სახელწოდებით ცნობილ უბანში, ფ.ჯავახიას საკარმიდამოსთან, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, 200-ოდე მ-ზე, ზღვიდან დაახლოებით 13 კმ-ზე. სიმაგრეს ბორცვის სიმაღლე 1,25 მ-ია, ხოლო ფართობი რომელიც ნახევარსფეროს მოყვანილობისაა დაახლოებით 3225 კვმ-ს მოიცავს. აქედან არქეოლოგიურად შესწავლილია 255 კვმ. ფართობი. ბორცვი ძირითადად შედგება მოყვითალო ფერის თიხნარისაგან; ჭრილი 1,50 მ-მდეა. მის ქვეშ მონაცრისფრო, კულტურული მონაცემე-



ფოთი, პალიასტომი, ჰიდროარქეოლოგიური კვლევა

ბით სტერილური (30 სმ-მდე) ფენაა, ხოლო სულ ქვემოთ მოშავო ფენაა (60 სმ-მდე), რომელშიც აღმოჩნდა გვემარების მქონე ხის ნაგებობები. აქ შეიმჩნევა რამდენიმე სამშენებლო დონე. ბორცვ-სიმაგრის არქეოლოგიური მასალა ძვ. წ. VI-V სს-ით თარიღდება.

სიმაგრის ბორცვის ნაგებობები ოთხკუთხა ფორმისაა და ძელებს წყობითაა ჯარგვალურად ნაგები. დადასტურებულია წნული ღობეების ნაშთები. აღმოჩნდა ნაგებობების იატაკები, რომელიც შესრულებულია თიხატკეპნილი მიწით და ზედ ფიცარ-ნაგით ან ლასტისნაირი წნულით. ერთ-ერთი ნაგებობის ნაშთები 112 კვმ-ს უდრის. ნაგებობაში არის ტინრები; დადასტურდა აგურები ძირების ნაშთები. ნაგებობის კედლების ძელები ძირითადად ერთმანეთში ჩაჭდომის წესით არის ნაგები. აღმოჩნდა ასეთი კედლის ძელების ექვსი რივი.

სიმაგრის ნამოსახლარებზე აღმოჩნდა ძვ. წ. VI-V სს-ის მრავალფეროვანი კერამიკა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი დიდად ლჭარბობს უცხოურ არქეოლოგიურ მასალას. აღმოჩენილი ადგილობრივი, კოლხური კერამიკა ყველა ფენაში ტოპოლოგიურად ერთნაირია. კერამიკა ტიპურია VI-V სს-ის კოლხეთისათვის და ცნობილია ე. წ. კოლხური კერამიკის სახელით. აღმოჩნდა – სამეურნეო: ქვევრები, დერგები; სამზარეულო: ქოთნები, ქოთნის სარქველები, სასმისები, ყურმილიანი ხელაღები, კოჭბები, ლანგრები, ჯამები, ჭრაქები. დადასტურდა – კონუსური ფორმის კვირისტაგები; ბრინჯაოს დანა; რკინის ყუნწიანი და მასრიანი შუბისპირები; რკინის თოხი; რკინის დანები; ანკესები; რკინის ლაგამი; ვერცხლის რგოლი; წვარძელეული ფორმის ქვის ხელსაფქვავეები; კაჟის ხელშუბისპირი; ძვლის მახათი; ხის ციხეები; ხის სავარცხელი; სარდინის სფერული და კონუსური მძივები; გომრის კვერცხისებური ფორმის მძივი; შავი მინის პასტის მძივები; ოქროს სამკუთხა საკიდი, რომელზეც ცვარათი შესრულებულია მენანდრის ორნამენტი. უცხოური კერამიკიდან აღსანიშნავია ამფორების – ქოთსური, ლეგოსური, სამოსური; სუფრის ჭურჭელი წარმოდგენილია იონური კერამიკით – ჯამების, ჭრაქების და კილიკების ფრაგმენტები; შავლაკიანი და შავფიგურული ატიკური ჭურჭელი – კილიკების, ჯამების ნატეხები.

ძვ. რომის მარცხენა ტერასის გაყოფებით ზღვიდან დაახლოებით 9-12 კმ-ზე, აღმოჩნდა ძვ. წ. VI-IV სს-ის ძეღურ-ბათქაშიანი ნაგებობების ფრაგმენტები. არქეოლოგიური მასალა აქ წარმოდგენილია კოლხური კერამიკით – ქოთნები, კოჭბები, სარქველები, ყურმილიანი დოქები და სხვ. ელინისტური ხანის არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა სიმაგრის ნამოსახლარის სამხრეთით დაახლოებით 1 კმ-ზე. აქ დადასტურდა კოლხური ქედებიანი ქვევრების და მოყავისფრო კეციანი კოლხური ამფორების ნატეხები. აღმოჩნდა, აგრეთვე, სინოპური ამფორის ძირი.

ქ. ფოთის საქალაქო სანერგის ნაკვეთზე, რომელიც

ფოთის აეროპორტის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის, აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების 2 წელშეზნექილი ადგილობრივი ამფორა. აქვე დადასტურდა ოთხკუთხა დიაგონალურად ურთიერთ-მკვეთი 2 ღარიანი აგური. არქეოლოგიური მასალა ადრეულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

სიმაგრის ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 300 მ-ზე, მდ. რინის მარცხენა ნაპირზე აღმოჩნდა სამაროვნის ნაშთები (ძვლოვანი მასალა). აქვე დადასტურდა ქვით, აგურითა და კირხსნარით აგებული შენობის ნაშთები (გვემა არ იკითხება). აღმოჩნდა ურთიერთმკვეთღარიანი აგურები, ხელაღები, ჭინჭილები, კათხები, ორყურა ქილები, ჯამები, ჭურჭელი დამზადებულია კარვად განლექილი თიხისაგან და ღია მოყავისფროდაა გამოშვარი. არქეოლოგიური მასალა ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეებისაა (მიქელაძე 1978: 78-81).

ქ. ფოთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, პალიასტომის ტბასთან, ქალაქის შემოსავლელი გზის კაპარჭინაზე ახალი ხიდის მშენებლობის ადგილზე აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები (ქვევრის წვეტიანი ძირები, ჯამები, წელშეზნექილი ამფორის ნატეხები). პალიასტომის ტბის სამხრეთ ნაწილში, ადგილ „ნაეკლე-სიარზე“, წყალში, 2 მ-მდე სიღრმეზე, რიყის ქვებით და კირხსნარით ნაგები კედლები აღმოჩნდა. კედელი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული და დაახლ. 20 მ-ზეა შემორჩენილი. მისი სიგანე 1 მ-ია. კედელთან შუა საუკუნეების უსახო კერამიკის რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა. პალიასტომის სამხრეთ-აღმოსავლეთ შენაკადის თხორინას შესართავთან ნაპოვნია საშუალო ზომის მთლიანი გოფირებული ამფორა. ადრეული შუა საუკუნეების ამფორების ნატეხები ნაპოვნია აგრეთვე მდ. ფირორის პალიასტომთან შერთვის მონაკვეთშიც (გამყრელიძე 1987: 98-104; 1992: 33, 34). ადრეული შუა საუკუნეების კერამიკა აღმოჩნდა ქ. ფოთის დღევანდელი აეროდრომის ტერიტორიაზე, ადგილ „ნაჯიხურში“ (დოუბუა დე მონპერეს მიკვლეული). კერძოდ: ურთიერთგადამკვეთღარიანი აგურები, გოფირებული კერამიკის ნატეხები. „ნაჯიხურიდან“ სამხრეთ-დასავლეთით მდ. შავის პალიასტომთან შესართავთან აგრეთვე აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები (ქვევრი, გოფირებული ამფორის ნატეხები და სხვ.). ქ. ფოთის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, პალიასტომის ტბაში, ზღვის შესართავიდან (მალთაყვა) დაახლ. 1,5 კმ-ზე კაპარჭინას გადმოღმა, ტბაში და ნაპირებზე აღმოჩნდა III-VIII სს-ის ნამოსახლარის ნაშთები – ადგილი „ნატეხები“ (გამყრელიძე 1987: 98-116). აქ არქეოლოგიური მონაცემები ტბაში დაახლ. 900 კვმ-ზე, ხოლო ნაპირზე 500 კვმ-ზე ვრცელდება. ტბის ფსკერი აქ ქვიშიანი და თიხიან-ტორფიანია. მოცემულ მონაკვეთში ნაპირიდან ტბის ცენტრისაკენ, დაახლ. 300 მ სილა-ქვიშიანია, ხოლო შემდეგ ტორფიანი თიხის ფენები იწყება. სა-

მოსახლეობა სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია ბრტყელი გვერდებაკეცილი (გადანაკეცი 3,5 სმ, სისქე 2 სმ-მდე) კრამიტითა და აგურით (30X25X4 სმ; არის აგრეთვე ურთიერთგადამკვეთლარებიანი 25X25 სმ აგურიც). აქ აღმოჩნდა უცხოური ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის 14 ფრაგმენტი. თიხა მონაცრისფრო-მოიისფროა და შერეული აქვს პიროქსენის ნამცეცები. სამშენებლო მასალიდან, აგურის და კრამიტის გარდა ნამოსახლარზე ხის ძელებისა და დამწვარი თიხის (ბათქაშის) ნაშთები აღმოჩნდა. ნამოსახლარის ჭურჭლის უმეტეს ნაწილს შეადგენს ადგილობრივი წარმოების კერამიკული ტარა – ამფორები. ისინი მოყავისფროდ არის გამოწვარი, წაგრძობილია წელშეზნეპილი ფორმა აქვთ და კონუსისებური ძირით ბოლოვდება. სამოსახლოს ადგილობრივი წარმოების სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქოთნებით, ჯამებით, ლუთერებებითა და დოქებით. სამეურნეო კერამიკა წარმოდგენილია ბრტყელიძირა (დმ 12-16 სმ) ქვევრებით. „ნატეხების“ არქეოლოგიური მასალის დაახლ. 25% უცხოური ნაწარმია. კერძოდ: სინოპური თიხის მაგვარი კეციანი გოფირებული ამფორები; ღია მოყავისფრო-მოწითალო, კარგად განლექილი თიხის გოფირებული ამფორები; სამოსური ამფორის ძირები; სამოსური ამფორისკი (სიმაღლე 17 სმ); წითელლაკიანი ჯამის ნატეხები. ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალის კიდევ ერთ ჯგუფს ქმნის მინის ნაწარმი; მათ ძირითადად ბაცი-მომწვანო ელფერი დაჰკრავთ, მაგრამ მოცისფრო და მოყვითალო ფერის ფრაგმენტებიც გვხვდება. არის მინის ფეხიანი სასმისებისა და ლამპრების ნატეხები. „ნატეხებშივე“ აღმოჩნდა სამარხის ნაშთები. აქ დადასტურდა ძირით ქვემოთკენ ჩადგმული წელშეზნეპილი ამფორა (მხართან გრაფილი აქვს. აღწერა იხ. ქვემოთ), რომელსაც თავი წატეხილი და ზემოდან მეორე ღარებიანი ამფორის ქვედა ნაწილი ჰქონდა დამხობილი. ამფორაში ფრინველისა და ცხოველის (ლორი?) დამწვარი ძვლები იყო. ამფორასთან აღამიანის ძვლები, ბრინჯაოს 3 ფიბულა (სიგრძეები – 4,3 სმ; 4,3 სმ; 5,2 სმ), ბრინჯაოს ქინძისთავი (სიგრძე 7,7 სმ), მინის სასმისის ფეხი (დმ 4,3 სმ) და ბიზანტიური, კერძოდ იუსტინე II-ის (565-578) ოც ნუმიანი სპილენძის მონეტა აღმოჩნდა. ამრიგად, „ნატეხების“ ნამოსახლარის თარიღი III-VIII სს-ით უნდა განისაზღვროს, ხოლო სამარხი – VI სს-ით. „ნატეხების“ არქეოლოგიური მასალა სიახლოვეს იჩენს გუდავის, ნოქალაქევის, ოჩამჩირის, მთისძირის, ვაშნარისა და დასავლეთ საქართველოს სხვა თანადროულ არქეოლოგიურ ძეგლებთან (გამყრელიძე 1987: 116). „ნატეხების“ არქეოლოგიურ მასალა ინახება გ. ჩიტაიას სახ. ფოთის კოლხური კულტურის ისტორიის მუზეუმში. დღესდღეობით ქ. ფოთის ცენტრში შემორჩენილია მხოლოდ XVI სს-ის თლილი ქვით ნაგები ოთხკუთხა კოშკი, რომელსაც (პირობითად ნიკოლაძისას ეძახიან) ციხესიმაგრის ნაშთად მიიჩნევენ. დანარჩენი ციხესიმაგრის ქვები კი გამოყენებული იყო საზ-

ღვაო პორტის მშენებლობისას (პაჭკორია 1974: 16).

ფოთ-ფასისთან დაკავშირებული რამდენიმე ეპი-გრაფიკული ძეგლია შემორჩენილი: ბერძნულ წარწერაიანი ვერცხლის ფილა, რომელიც აღმოჩნდა ყუბანში, ზუბოვის ყორღანში (ინახება ს. – ჰეტერბურგის „ერმიტაჟში“). ფილის დმ 21 სმ-ია; ფსკერი ამობურცულია; შემკულია ხაზოვანი და წერტილოვანი ორნამენტით; გამოსახულია გველი და ირმის თავები; პირზე აქვს ერთსტრიქონიანი წარწერა – „აპოლონ წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფასისშია“. შესრულებულია ბერძნული ენის იონიურ დიალექტზე, პალეოგრაფიულად ძვ. წ. V-IV სს-ით თარიღდება (ყაუხჩიშვილი 1976: 235, 236). სოფ. ციხისძირის ნავიზარზე აღმოჩნდა აგური (ფილა) ლათინურწარწერაიანი დამლით – „ვექსი-ლაციო ფასიანა“ (ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). მას ქ. ფასისში II სს-ში მდგარი სამხედრო ნაწილის სახელისწილი დაშობადებულად მიიჩნევენ (შაიადელი 1985: 134-140).

ქ. ფოთში, პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, ადგილ „ნატეხებში“ აღმოჩნდა ადგილობრივი წარმოების წაგრძელებულტანიანი წელშეზნეპილი ამფორა. ამფორა VI სს-ით თარიღდება. ამჟამად ინახება გ. ჩიტაიას სახ. ფოთის კოლხური კულტურის ისტორიის მუზეუმში (გამყრელიძე 1987: 115).



პალიასტომის ტბის მიდამოებიდან უნდა იყოს ქართულ (მხედრულ) პალიასტომიდან წარწერაიანი XVII სს-ის ბარძიმი, რომელიც ამჟამად ნ.ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ინახება (ინგ. №3788). „ქ. ჩვენ ცვა ფარვანთა მონღოლიმან თქვენმან ხელმწიფემა დადიანმა პატრონმა ლევენ თქვენ ქუთათისა და პალიასტომისა ღვთისა მშობელსა შამოგწირთ ბარძიმი ესე მკამსა ოდეს შევებენით მეფესა ბაღდადსა ქ. გაგვემარჯვა მაშინ ომში და ...“ (ნიკოლეიშვილი 1971: 151-157).

პალიასტომის ტბის ნაპირზე ნაპოვნია 2 ბრტყელი ოვალური ქვა, რომლებზეც ბერძნული წარწერებია (ინახება გ. ჩიტაიას სახ. ფოთის კოლხური კულტურის ისტორიის მუზეუმში) ინგ. №77, შუაში ამოკვეთილია ჯვარი, ქვემოთ ბერძნული წარწერა „კონსტანტინე“, „ელენე“; ინგ. №80 – გამოსახულია კაცი პროფილში. ირგვლივ ბერძნული წარწერაა; თარგმანი – „ანტიოქიელთა მეფის ნათელი, ნიკიფორე ...“ ქვები გაკეთებულია XIX (?) სს-ში (ყაუხჩიშვილი 1951: 88).

ბიბლიოგრაფია: ათონის ივერიის ... 1901: 319; აგათია სქოლასტიკოსი 1936: 97, 98, 102, 179; ამიანე მარცელინი 1961: 112; არიანე 1961: 40; აქტები 1866-1904: 510-512; ბაგრატიონი 1983: 54, 74; ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 64, 86, 103, 104; ბერძნიშვილი 1942:

3-21; 1969; ბოლგუნოვა 1979: 256-274; ბოროზდინი 1934: 308; ბრუნი 1880: 250; ბურჯანაძე 1959: 195; გაბაშვილი 1956: 54; გამბა 1987: 71, 82, 104, 105, 135, 139; გამყრელიძე 1987: 97-117; 1990: 223-236; 1990ა: 215-219; 1992: 42, 43; 1992ა: 101-119; 1993; გამყრელიძე 2003: 170-189; გამყრელიძე 2001: 26-39; გამყრელიძე 2011: 172-181; გამყრელიძე 2012: 38-74; გიულდენშტედტი 1962: 371; გორდენზიანი 1971: 181-185; გრიგოლია 1973: 36-55; დადიანი 1962: 153, 174, 179, 199, 200, 201; დიდი სჯულისკანონი 1975: 407; დიუმა 1964: 445-449; დიუბუა დე მონპერე 1839-1843: 67-71; 1937; დუნდუა 1987: 14, 15; ელინციკი 1938: 309-315; ებიფანე კონსტანტინეოპოლი 1941: 58; ინ-ვაი 1982: 119-124; კაჭკაჭავა 1991: 1-14; კედრენე 1963: 28; კეკელია 1981: 505-508; კონტარინი 1894: 45-61; კობი, სპენსერი 1981: 139, 165, 168-173; კუფტინი 1950: 116; ლამბერტი 1938: 172; ლატიშვილი 1904ა: 178, 179, 185; 1949: 223-315; ლომოური 1957: 96-110; ლორთქიფანიძე 1957ა: 377-384; 1979: 187-256; 1997: 15-34; 1979ა: 25-33; ლორთქიფანიძე, მიქელაძე 1973: 17-36; მასალეები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 210; მელაშვილი 1977; მელიქიშვილი 1965: 50-59; მიქელაძე 1965: 48-51; 1978; ნაჭყებია 1957; ნიკოლეიშვილი 1971: 151-157; პაჭკორია 1967; 1974: 16-21; პახომოვი 1926: 37; პომპონიუს მელა 1965: 29; მენანდრე პროტიქტორი 1936: 209; პტოლემეოსი 1955: 45; საქ. სახ. მუზ. ისტ. დოკ. 1953: 132, 139, 144; სიველები 1891: 261; სიველები 1898: 3; სტეფანე ბიზანტიელი 1936: 286; ურუშაძე 1964; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 15; ქრონიკები 1897: 45; 1967: 629; ქც 4: 747,10; 777,24; 789,23; 790,10; 814,20; 883,20; ყაუხჩიშვილი 1941ა: 101; 1952: 128, 130, 139; 1961; 1963; 1966: 132; ყაუხჩიშვილი 1951: 88; 1965; 1967ა; 1969: 73; 1969ა: 189, 190; 1976: 235-236; შარდენი 1975: 108, 258; შაფრანოვი 1880: 3; 1885: 51-56; შპაიდელი 1985: 134-140; ჩქელები 1978: 134; ხოშტარია 1953: 3-32; ჯანაშია 1952; ჯანელიძე 1973: 5-16.

ფოკა, ფოკანი, (ქც 1: 300,16; ქც 4: 147,6; 507,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: მათიანე ქართლისა (ქც 1: 300,16), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:147,6; 507,8), XIV-XV სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 196, 229), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაფთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 181), გურჯიზადეს „თბილისის დაპყრობის წიგნი“ (გურჯიზადე 1975: 30). ვახუშტი ბაგრატიონი ფოკას შესახებ გადმოგვცემს: „ლიპარიტ მოვიდა კახითურთ ფოკას და მიერთო მაწყვერელიცა ფოკას“ (ქც 4: 147,6). „წარავლინა ბაქარ სპანი, ამათ მისწყვიდეს თრიალეთს მყოფნი ოსმალნი და ფოკას მოსპეს (500) მხედარნი ტფილისიდან მომავალინი“ (ქც 4: 507,7-8). მდებარეობს ნინოწმიდის მუნიციპ-ში, ნინოწმიდიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 28 კმ-ის დაშორებით, ფარავნის ტბის სამხრეთ ნაპირას, თანამედროვე სოფ. ფოკას მიდამოებში.

ფოკა იყო ფარავნის ტბის ვარშემო არსებული სოფლებით (გასადინი, მახარონი, შაორი, ფოკა, ასფარა, ფარავანი) შექმნილი ერთეულის, ფარავნის ქვეყნის ადმინისტრაციული ცენტრი (ბერძენიშვილი 1985: 96), რომელიც უმეტეს შემთხვევაში ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ეს პუნქტი IV ს-ში დაფიქსირებულია კასტორიუსის რუკაზე (ერემიანი 1939: 91, 92), რომლის მიხედვითაც აქ გადიოდა გზა, რომელიც არტაშატს სეზასტოპოლისთან აკავშირებდა.

IV ს-ში სოფ. ფოკას მიდამოებში, ფარავანთან შეჩერებულია მცხეთისაკენ მიმავალი წმინდა ნინო (ქც 1: 85,7). ბაგრატ IV-ის (1027-1072) მეფობისას ლიპარიტ პალეაშვილმა მეფის წინააღმდეგ გამოყვანილი ლაშქარი ფოკას დაიყვანა (ქც 1: 300,16). XIV-XV სს-ში ფოკაში ყმა-მამული ჰქონია მცხეთის საკათალიკოსოს (ქრონიკები 1897: 196, 229). 1723 წ. ვახტანგ VI-ის ძე ბაქარმა ფოკასთან ოსმალთა 2000-ანი ჯარი გაანადგურა (ქც 4: 507,8; გურჯიზადე 1975: 30). XVI ს-ის ბოლოს ფოკა დაცარიელებულია (ჯავახეთი 2000: 14).

ფოკა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. 1979 წ. სოფელში აღმოჩნდა მონეტების განძი, რომელიც შეიცავს ილხანების 155 ვერცხლის დირჰემსა და ორიან დირჰემს. მონეტებს შორის ყველაზე ადრეული 1310 წლისა, უგვიანესი კი 1316 წლისაა. განძი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (ღვაბერიძე 1986: 81-85).

სოფლის შუაგულში დგას დარბაზული ეკლესია. მოპირკეთებულია ვარდისფერი კვადრებით. არსებული წარწერების მიხედვით, ტაძარი 1030-1040-იან წწ. აუგია ქართლის კათოლიკოს იოანე ოქროპირს, ხუროთმოძღვარი კი მიქელ „ქართლისა ბანაქსალარი“ (სავარაუდოდ, ქართლის ხუროთმოძღვართუხუცესი) ყოფილა (ბერძენიშვილი 1967: 248). მეორე ეკლესიაც სოფელში დგას. გადაკეთებულია XIX ს-ში თუმცა, სამხრეთის ფასადზე შემორჩენილი დეტალების მიხედვით XI-XII სს-ით თარიღდება (ჯავახეთი 2000: 15).

ფარავნისწყლის მარჯვენა ნაპირზე შემორჩენილია ძველი ციხის ნანგრევები და ეკლესია. ნაციხარი მშრალი წყობითაა ნაგები. კედლების სისქე 4,2 მ-ია. ციხე ორ ნაწილადაა გაყოფილი. ორივეში შეინიშნება სახედასხევა ზონის სათავსოები. ნაციხარის ტერიტორიაზე იკრეფება ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკა, მათ შორის მოჭიქულიც. ციხის გარეთ ეკლესიის ნანგრევია, სადაც ორნამენტური ქვაჯვარი დგას (ჯავახეთი 2000: 14). სოფელში ამჟამად საპატრიარქოს რეზიდენცია, აგრეთვე მამათა და დედათა მოქმედი მონასტრებია. ფოკას მახლობლად, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ფარავნის ტბის ნაპირზე სოფ. ვლადიმეროვკაა. მის ჩრდილო-დასავლეთით, 0,5 კმ-ის დაშორებით ნასოფლარია, რომელიც შესაძლოა ისტორიული სოფელი მახარონი იყოს. იქვეა ნაეკლესიარი. ეკლესია დარბაზულია. დანგრეულია. თარიღდება XIV

ს-ით. ეკლესიიდან 70 მ-ის დაშორებით 1,1 მ სიმაღლის მენპირია (ჯგავახეთი 2000: 16).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1975: 82-131; 1985: 96; ბერძენიშვილი 1967: 248; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 181; გურჯიზადე 1975: 30; ერემიანი 1939: 91, 92; ქრონიკები 1897: 196, 229; ქც 1: 300,16; ქც 4: 147,6; 507,8; ღვაპერიძე 1986: 81-85; ჯგავახეთი 2000: 16.

ფონა, დაბა (ქც 4: 378,28; 379,10,26). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 378,28; 379,10,26), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 27; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 264), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 309).

ვახუშტი ბაგრატიონი ფონას შესახებ გადმოგვცემს: „სურამის დასავლეთი, ლიხის მთის საშუალს შინა, არს დაბა ფონა. ამ ფონას გასდის ჩხერიმელის მდინარე“ (ქც 4: 378,27,28).

მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპ-ში, რიკოთის უღელტეხილის დასავლეთ კალთაზე, ჩხერიმელის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელ სოფ. ფონას ტერიტორიაზე.

XVIII ს-ში ფონა აბაშიძეების მამული ყოფილა. შემდგომ ქართლის მეფეს დაუმორჩილებია. იოანე ბაგრატიონი სოფ. ფონას აღწერდა ხეფინისხევის სოფლებს შორის, რომლებიც მირიან ბატონიშვილს ეკუთვნოდა (ბაგრატიონი 1986: 44). იოჰან გიულდენშტედტი ლეკებისაგან დარბეულ სოფელ ფონას მოიხსენიებდა მდ. ჩხერიმელის ზედა წელის სოფლებს შორის (გიულდენშტედტი 1962: 309). ამჟამად ორი ფონა – ზედა ანუ სარეკლა და ქვედა ფონა.

ფონას ტერიტორიაზე დაცულია „ზასტავის“ ნანგრევები, სადაც ძველი გზა გადადიოდა სურამიდან დასავლეთ საქართველოსკენ: სურამი – ფონა – წიფა – ნებშიძი და მდ. ჩხერიმელის ჩაყოლებით შორაპანში ჩადიოდა (ბერძენიშვილი 1964: 2; 1966: 36).

ფონა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ფონას სახელწოდებით ცნობილია სოფელი ლავოლენის მუნიციპ-ში, მდ. კაბალას (ალაზნის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს. ლავოლენიდან 18 კმ-ის დაშორებით. ლავოლენის ფონა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 44; ბერძენიშვილი 1964: 2; 1966: 36; გიულდენშტედტი 1962: 309; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 27; საქ. ისტ. რუკა 1923; ქც 4: 378,28; 379,10,26; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 264.

ფორნა, დაბა (ქც 4: 657,13; 677,10; 686,5; 689,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 657,13; 677,10; 686,5; 689,5), ნიკო

დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 145,24, 146,1), XVI ს-ის პირველი მეოთხედის თურქული წყაროები (თურქული წყაროები ... 1983: 67), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 45, 46, 214, 542, 545). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ფორნის ხევის მდინარეზე „არს, ჭოროხის დასავლეთად, დაბა დიდი ფორნა“ (ქც 4: 677,9,10).

ლოკალიზდება ისტორიული ლივანის ტერიტორიაზე. მდებარეობს მდ. ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ბორჩხის ტერიტორიაზე. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

ფორნაზე გადიოდა ბათუმიდან ართვინში, არზრუმსა და ყარსში მიმავალი გზა (ბაქრაძე 1987: 35). წყაროებში მოიხსენიება ბორჩხის სახელითაც. ფორნა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაქრაძე 1987: 35, 41; დადიანი 1962: 145,24, 146,1; თურქული წყაროები ... 1983: 67; ქც 4: 657,13; 677,10; 686,5, 689,5.

ფონა, დაბა (ქც 4: 376,13; 448,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 376,13; 448,1), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 437,16), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 43), XVII-XVIII სს-ის ქართული ისტორიული საბუთები (საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 54, 55; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 142, 213, 282; 1953: 107; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 309; 1974: 101; 1977: 23, 29, 96; 1981: 425; 1985: 372, 497, 498, 610; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 71, 138, 162, 375; საქ. სიძ. 1910: 173-175, 177, 179; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 167, 169, 171, 173; მასალები საქ. ისტ. ვეფ. 1964: 211; ქართულ-სპარსული ... 1984: 45, 47).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ფცისა და დვანის წყალს ჰყოფს მთა ლებური, რომელი ასტყელების დაბის ფციდამ და მდებარეობს ხტანამდე სამხრითამ ჩდილოთ“ (ქც 4: 376,12-14).

მდებარეობს ქარელის მუნიციპ-ში, მდ. ფცის ფრონეს მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ფცის ტერიტორიაზე.

XVII ს-ში შედიოდა ზემო ქართლის სადროშოში (საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 54, 55). ეკლესიურად ემორჩილებოდა რუისის საეპისკოპოსოს (გვასალია 1989: 35). 1797 წ. ფცა შანშე ამილახვარს ამირეჯიბისაგან უყიდა (საქ. სიძ. 1910: 173-180; გვასალია 1989: 19). ლეკთა შემოსევების გამო მოსახლეობა ფციდან განიზნულა და მოგვიანებით იქ დასახლებულა იმერეთიდან ჩამოსული მოსახლეობა (მაკალათია 1963: 44). წყაროებში მოიხსენიება „ფცის“ სახელითაც (მასალები საქ. ისტ. ვეფ. 1964: 211; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 425).

ფცა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ფცის საშუალო სკოლის მშენებლობისას შემთხ-

ვევით აღმოჩნდა გვიანი შუა საუკუნეების რიყის ქვით ნაგები შენობის საძირკველი, წყალსადენის თიხის მიღები, წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლისა და ქვევრების ფრაგმენტები (სძა 1990: 403).

ფცის ტერიტორიაზე შემორჩენილია რამდენიმე ეკლესია და კოშკი. ღვთისმშობლის XVIII-XIX სს-ის დარბაზული (6X10 მ) ეკლესია დგას სოფლის ქვედა უბანში. ნაგებია ქვიშაქვით. გადაკეთებულია. ჰქონია ორი შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდან და სარკმლები აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებზე. წმინდა ნიკოლოზის გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული (9,2X5,8 მ) ეკლესია დგას სოფლის ჩრდილოეთით, სასაფლაოზე. ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. აქვს შესასვლელი სამხრეთიდან და თითო სარკმელი ოთხივე კედელზე (სძა 1990: 403).

ფცის სამსართულიანი, ცილინდრული კოშკი (დმ

10,2 მ) დგას სოფლის ცენტრში, მდ. ფრონეს მარცხენა ნაპირზე. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისაა, მეორე – საცხოვრებელი და თავდაცვითია. აქვს ორი სარკმელი, ბუხარი და სათოფურები. კარის თავზე ჯვრის გამოსახულებაა. კოშკს ჰქონია ხის გადახურვა. თარიღდება 1799-1800 წწ. (ზაქარაია 1973: 156, 157).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 43; ბერიძე 1983: 25, 109; ბერძენიშვილი 1966: 31; გვასალია 1989: 18; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 142, 213, 282; 1953: 107; ზაქარაია 1968: 128-130; 1973: 156, 157; მაკალათია 1963: 441; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 71, 138, 162, 375; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1974: 54, 55, 167, 169, 171, 173; სძა 1990: 403; საქ. სოდ. 1910: 173-175, 177, 179; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 309; 1974: 101; 1977: 23, 29, 96; 1981: 425; 1985: 372, 497, 498, 610; ქართულ-სპარსული ... 1984: 45, 47, 68; ქც 2: 437,16; ქც 4: 376,13; 448,1; ხარაძე 1992: 147, 148.



ქ



ქალაქა, დაბა (ქც 4: 645,18). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 645,18), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1964: 61).

ვახუშტი ბაგრატიონი ქალაქას შესახებ გადმოგვცემს: „კასრის კარს ზეთი მოერთვის, ქვემო ზრამაგას, ყდელის ხეობის წყალი დასავლეთიდან ... არს ხეობა ესე შენობიან-დაბნებანი. აქა არს ქალაქას დაბას წყარო დიდი“ (ქც 4: 645,11-18).

მდებარეობს ჯავის მუნიციპ-ში, მდ. მამისონისწყლის (ყდელის ხევის) ხეობაში. მსგავსი სახელის მქონე დასახლებული პუნქტები ცნობილია ზემო რაჭაში, სოფ. გლოლასთან – ზედა ქალაქი (გამრეკელი 1963: 96); მდ. ქსნის ზემო წელზე, ჭურთის (ჟამურის) ხეობაში XVIII ს-ში დამოწმებულია სოფ. ქალაქა (გიულდენშტედტი 1962: 275); მდ. დიდი ლიახვის ზემო წელზე, მადრან-დვალეთში სოფ. ედისის მახლობლად ნაქალაქარი ქალაქა (კუფტინი 1949: 40); დუშეთის მუნიციპ-ში, ხადას ხეობაში ცნობილია ნასოფლარი ქალაქეთი (გვასალია 1983: 37, 39, 40); კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დიდილოეთში, სოფელი თლიადალი ცნობილია ქალაქის სახელით (ბაგრატიონი 1986: 73).

XVIII ს-ში დაბა ქალაქა შედიოდა ისტორიული დვალეთის შემადგენლობაში.

1974 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ჩრდილოეთ ოსეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ერთობლივმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ვ. კუზნეცოვი) ჩაატარა დაზვერვები ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე. ყდელის ხეობის ქალაქაში დადასტურდა სხვადასხვა ნაგებობის ნანგრევები. აქვე დგას სალოცავი (ძღვეის ჯვარი – გამრეკელი 1963: 97), რომელიც აგებულია ფიქალის, რიყისა და ტუფის ქვებისაგან. წყობა მშრალია. შემორჩენილია აღმოსავლეთის კედელი ორი ნიშით, რომელთა ქვევით ჩადგმულ ფიქალის ფილებზე შემორჩენილია ასომთავრულითა და ნუსხური შესრულებული წარწერების ფრაგმენტები. ერთი მოსაზრებით, ეს წარწერები თარიღდება XIII-XIV სს-ით (დამბაშიძე 1976: 99), მეორე მოსაზრებით – XVIII ს-ით (გამრეკელი 1963: 95-103).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 73; გამრეკელი 1963: 91-104; გვასალია 1983: 37, 39, 40; გიულდენ-

შტედტი 1962: 275; 1964: 61; კუფტინი 1949: 40; ქც 4: 645,18; დამბაშიძე 1976: 98-100.

ქალის ციხე, იხ. ხუნანი.

ქანდა (ქც 4: 351,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 351,25), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 33), 1170 წ. სიგელი მეფე გიორგი III-ისა (1156-1184) შიო მღვიმისადმი (საქ. სიძ. 1910: 5; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 215; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 23; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 69), 1260-1270 წწ. დაწერილი შიო მღვიმის კრებულისა ზოსიმე ტოხაისძისადმი სამწირველოს ბოძების შესახებ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 167), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 55, 273).

ვახუშტი ბაგრატიონი ქანდას მოიხსენიებს მუხრანის ველის აღწერისას: „კუალად ნარეკუავის შესართავის დასავლეთ, სარკინეთის მთის ჩდილოს გუერდი, ვიდრე ქანდა-ციხის ძირამდე, არის ვენახოვანი, ხილიანი, ბალახიანი და ტყიანი“ (ქც 4: 351,24-26).

მდებარეობს მცხეთის მუნიციპ-ში, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ძველი და პატარა ქანდის ტერიტორიაზე.

მეფე გიორგი III-მ განუახლა შიომღვიმის მონასტერს მამულების მფლობელობის სიგელი (საქ. სიძ. 1910: 5; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 23). XVIII ს-ის მეორე ნახევრისთვის ქანდა მუხრანბატონთა საკუთრებაა (ბაგრატიონი 1986: 33). ძველი ქანდის ტერიტორიაზე XIX ს-ში თურქეთიდან ჩამოსახლებიანთ ურმიდან წამოსული აისორები. მუხრან ბატონს იქ 20 ოჯახი დაუსახლებია, სოფლის ნაწილი კი მიუყვლია გერმანელი კოლონისტებისათვის, რომლებიც 1944 წ. გაუსახლებიან. ამჟამად სოფელში ცხოვრობენ ქართველები და აისორები (მაკალათია 1968: 36).

ძველი ქანდის ტერიტორიაზე გამოვლენილია რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლი. 1962 წ. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ალ. კალანდაძე) გათხარა ძვ. წ. XVII-XIV სს-ის 2 ორმოიანი ყორღანი, რომლებიც გაძარცული აღმოჩნდა. სამარხებში გამოვლინდა შავბრიალა, ტენილხაზოვანი ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლის ნა-

ტენები (კალანდაძე 1963: 39, 40; ოქროპირიძე 1965: 29). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

1983-1984 წწ. საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის დროს, ძველი ქანდის ტერიტორიაზე გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის ძეგლები ბრინჯაოს ხანიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ნასტაკისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვან. ბოხოჩაძე) შეისწავლა შუა ბრინჯაოს ხანის სამაროვანი. გათხარა 61 ორმოსამარხი და 1 ყორღანი. ორმოსამარხები მიწაყრილიანი და ქვაყრილიანია. სამარხთა უმრავლესობას მიწის პირზე ნახევარწრივ შემოუყვება რიგის ქვები. დასაკრძალავი ორმოები ოთხკუთხა ან ოვალური ფორმისაა. დამხრობა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით ან აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზეა. ორმოები გადახურული იყო ქვის ფილებით ან ძელებით, ერთ შემთხვევაში, კვრით. მიცვალებულები დაკრძალულია ხელფეხმოკეცილი მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით ან ჩრდილო-აღმოსავლეთით. ზოგ სამარხში გვხვდება მეორეული დაკრძალვა. დადასტურებულია სარეცელსა და დიდ ლანგარზე დაკრძალვა.

ყორღანის დმ-ია 12 მ. მიცვალებული დაუკრძალავთ თავით სამხრეთ-დასავლეთით. ყორღანში აღმოჩნდა თიხის 20 ჭურჭელი, ზღვის ნიჟარის 2 მძივი, სარდინის 3 მძივი, საქონლის მთლიანი ჩონჩხი. ძველი ქანდის სამაროვნის ინვენტარის უმეტესობა ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭელია: მაღალტანიანი ჯამები, ცილინდრულედიანი ქილები, დიდი ზომის ლანგრები, ქოთნები, კოჭობები, სადღებლები, დერგები, წელში გამოყვანილი და ბიკონუსურტანიანი დიდი და პატარა სასმისები, კათხები, სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის ღოჭები. კერამიკა შემკულია ამოღარული კონცენტრული და ტალღოვანი ხაზებით, წიწვივებური ორნამენტით. იშვიათია სამკუთხედი და სოლისებური ნაჭდევი. ლითონის ნაწარმიდან გვხვდება ბრინჯაოს სატვერისპირები; მასრაგახსნილი და მასრაშეკრული შუბისპირები; სხვადასხვა ფორმის ისრისპირები; საკინძები; მახვილი რკინის პირით. სამკაულებიდან აღსანიშნავია სარდინის თეთრი და ცისფერი პასტის, აგრეთვე ბრინჯაოსა და ძვლისაგან დამზადებული მძივები. ქანდის სამაროვნის არქეოლოგიური მასალა ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ნასტაკისის ექსპედიციის ბაზაზე (ბოხოჩაძე, ზანგური 1987: 40-44).

ქანდიდან ქსნის რკინიგზის სადგურისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს მდებარეობს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ნამოსახლარი ე. წ. „ფარეხების გორა“, რომელიც ფორმით ამოზიდული გორაა. მიწის სამუშაოების დროს გორის ჩრდილოეთ ფერდზე გამოვლინდა 1 მ სიძმაღვრის ფენა, სადაც საყურადღებოა რიყის ქვის საფუძველზე თიხით შეღესილი მშრალი წყობის ქვის კედლების ნაშთი. იქ მოპოვებულია ჯამების, სასმისების, კოჭობების,

ქოთნების, დერგებისა და ქვევრების ფრაგმენტები. გორის ძირში შემთხვევით ნაპოვია ბრინჯაოს ცულები და სხვადასხვა ნივთი, რომლებიც ინახება ქანდის საშუალო სკოლაში. ამავე გზის მარცხენა მხარეს, ადგილ „ნაზვრევში“ გამოვლინდა გვიანი შუა საუკუნეების ნამარნალი. შემორჩენილია ქვითკირით ნაგები საწნახლები (სძა 1990: 337).

„ფარეხების“ გორის ჩრდილო-აღმოსავლეთით 100-ლდე მ-ის დაშორებით გორაზევე მდებარეობს ნამოსახლარი. გორის ზედაპირზე აკრეფილია სხვადასხვა პერიოდის თიხის ჭურჭლის ნატეხები (სძა 1990: 337).

ძველი ქანდის ტერიტორიაზე რამდენიმე ეკლესიაა (მაკალათია 1968: 37; სძა 1990: 337).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 33; ბოხოჩაძე, მირიანაშვილი, ზანგური 1987: 69-73; ბოხოჩაძე, ზანგური 1987: 40-44; გიულდენშტედტი 1962: 55, 273; კალანდაძე 1963: 39, 40; მაკალათია 1968: 35-38; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 215; ოქროპირიძე 1965: 15-29; საქ. სტ. 1910: 5; სძა 1990: 337; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 497; 1970: 167; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 67-70; ქც 4: 351,25.*

ქაოზიანი, ქავაზიანი, ციხე, დაბა, სანადირო ქალაქი (ქც 1: 312,13; ქც 4:151,22,27). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 151,22,27; 310,სქ.2; 311,1; 387,22; 390,11), მატიანე ქართლისა (ქც 1: 312,13; 313,3), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1: 344,15), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 343,29), ვარდან დიდის „მსოფლიო ისტორია“ (ვარდანის 1861: 190), უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ (უხტანესი 1975: 14, 25, 67, 89), სომხურ ხელნაწერთა მიწაწერები (სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 50, 149, 150).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოცემს: „ჭაპალის ჩდილოთ, ქციის კოდლეზდ, არს არქევიანი. ამას ეწოდა ქაოზიანი, სადაცა არს დიდ-დიდნი ნაშენებნი. ესევე არს გაჩიანი“ (ქც 4: 311,1,2).

ქაოზიანის ლოკალიზაციის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული: ჰინგლორეცას აზრით, ქაოზიანის ციხე მტკვრისა და ქციის შესართავთან მდებარეობდა (ინგლორეცა 1926: 175). ი. ლორთქიფანიძის თვალსაზრისით, „არქევანი-გაჩიანი-სანადირო ქალაქი-ქაოზიანი სომხითშია, მდ. ქციის მარჯვენა მხარეზე“ (ლორთქიფანიძე 1935: 269). დ.ბერძენიშვილის დაკვირვებით, შუა საუკუნეების ჭაპალას ციხე და ქაოზიანი უნდა მდებარეობდეს აღჯაყალისა და კოჯრის ციხეებს შორის (ბერძენიშვილი დ. 1964: 42-44). XV-XVI სს-ის ერთ საბუთში სხვა სოფლებთან ერთად მოხსენიებულია „ქაოზიანთ ნახევარი.“ მის მეზობლად ჭაპალაა (ბერძენიშვილი 1979: 42-44).

ბაგრატ IV-მ (1027-1072) ფალდონის დამარცხების შემდეგ აიღო ციხეები: რუსთავი, ფარცხისი, ავარა,

გრიგოლ-წმინდა, ქავაზანი (ქც 1: 312,13, 313,3; ქც 4: 151,22,27). დავით აღმაშენებელმა (1089-1125) 1121 წ. აიღო სომხეთის ციხეები: ვაგი, ტერუნაკალი, ქავაზანი (ქც 1: 344,15). ქაოზიანი ვარამ გაგელის სამფლობელოა (ვარდან 1861: 190). XV ს-ის 90-იან წლებში ირანელთა სარდალმა იაყუბ ყაენმა გაამაგრა ციხე ქაოზიანი (ქც 2: 343,29). ორი წლის შემდეგ ქართლის მეფე კონსტანტინე (1479-1505) ანგრევს ციხეებს ქაოზიანსა და აღჯაყალას (ქც 4: 387,22).

ქაოზიანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი დ. 1964: 42-44; 1979: 27, 36, 73, 78, 83, 109; ბერძენიშვილი 1964: 308, 336; ვარდან 1861: 190; ინგოროვა 1926: 195; ლორთქიფანიძე 1935: 269, 284; სომხურ ხელნაწერთა ... 1978: 50, 149, 150; უხტანესი 1975: 14, 25, 69, 89; ქც 1: 312,13, 313,3, 344,15; ქც 2: 343,29; 486,6; ქც 4: 151,22,27; 163,3; 319,სქ.2; 311,1; 387,22; 390,11; ჯავახიშვილი 1984: 370.

ქარჩოხი (ქც 4: 359,7,8; 360,4,7; ქც 2: 443,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: „ძეგლი ერისთავთა“ (ძე 1954: 347), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 359,7,8; 360,4,7), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტი (ქც 2: 443,15).

მდებარეობს ახალგორის მუნიციპ-ში, მდ. ქსნის კლდოვან კონცხზე – იქ, სადაც ოხირისხევი მდ. ქსანს უერთდება.

ვახუშტი ბაგრატიონი ქარჩოხის შესახებ გადმოგვცემს: ცხრაზმის ხევის „ზეით, ჩდილოთკენ, არს ციხე ქარჩოხისა, ქსნის პირსა ზედა, ლომისიდამ ჩამოსულს კლდესა ზედა. უდის სამხრით ქსანი და აღმოსავლით ხევი, ლომისის მთის გამომდინარე, და აღვალს აქედამ გზა ლომისის ეკლესიისა თანა და შთავალს მთიულეთს“ (ქც 4: 360,3-7).

აქ უძველესი დროიდან გადადიოდა გზები მთიულეთიდან ქსნის ხეობაში, რამაც განაპირობა ციხესიმაგრის დაარსება (მაკალათია 1968: 58). XIV ს-ის დასაწყისში მეფე დავით VIII-მ (1293-1311) შალვა ქსნის ერისთავის წინააღმდეგ ლაშქრობისას სცადა ქარჩოხის ციხის აღება, მაგრამ უშედეგოდ (ქც 2: 443,15). XVIII ს-ის დასასრულს, ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, ქარჩოხის ციხე ერეკლე II-ის შვილს, ოულონს გადაეცა (სინ 1973: 681). ქარჩოხის ციხის კომპლექსში თავდაპირველია ადრეული შუა საუკუნეების ზურგიანი კოშკი და უაფსიდო ბაზილიკური ეკლესია, ხოლო გალავანი და რეკონსტრუირებული კოშკი ზოგადად გვიან შუა საუკუნეებს მიეკუთვნება (ზაქარაია 1950: 73). ქარჩოხის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: გვასალია 1970: 16; ზაქარაია 1950: 73; მაკალათია 1968: 58; სინ 1973: 681; ქც 2: 443,15; ქც 4: 359,7,8; 360,4,7; ძე 1954: 347.

ქადა, დაბა (ქც 4: 676,14,სქ.1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრა-

ტიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 676,14,სქ.1), გვიანი შუა საუკუნეების ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 220).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ჭოროხს მთერთვის აჭარის წყალი ... ამ წყლისა კიდევად ამ ხეობის საშუალს, არს მცირე ქალაქის მზგავსი დაბა, ქედა. მოსახლენი არიან ვაჭარნი“ (ქც 4: 676,11-14). მდებარეობს მდ. აჭარისწყლის ორივე ნაპირზე, თანამედროვე დაბა ქედის ტერიტორიაზე.

ქედა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

2001 წ. ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. შ. მამულაძე) ქედას ჩრდილოეთით მიმდებარე სოფ. ზენილში შეისწავლა ბუფანიძეების საგვარეულო ციხე, რომელიც გვიან შუა საუკუნეებშია აგებული. ციხიდან ჩრდილო-დასავლეთით გაიხარა დარბაზული ტიპის მცირე ეკლესია და ეკლესიის გარშემო არსებული განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ორმოსამარხები. სამარხეულ ინვენტარს ძირითადად შეადგენს მოჭიქული და სადა კერამიკა, იშვიათად მინისა (სასმისი) და ლითონის (ბრინჯაოს სამაჯური, რკინის ჯვარი) ნივთები. სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩნდა შუა საუკუნეების მარანი. ექსპედიციამ დაზვერვითი ხასიათის გათხრები აწარმოა გულების, ძენწმანის, ცივასულას ციხეებზე, სოფ. ზვარემი და სხვ.

ბიბლიოგრაფია: ბაქრაძე 1987: 35; თაყაიშვილი 1907: 26-28; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 200; სახოკია 1985: 308-311; ქც 4: 676,14,სქ.1.

ქვაბი, დაბა (ქც 4: 758,24). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 758,24), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 175).

მდებარეობს ხარაგაული მუნიციპ-ში, მდ. ჩხერიმელას ხეობაში.

ქვაბი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: გიულდენშტედტი 1962: 175; ქც 4: 758,24.

ქვანახევი, ქუაბთახევი, მონასტერი (ქც 4: 340,13, 14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 267,25; 340,13,14; 341,2), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 328,30,31; 452,25; 453,7), XIII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 35, 43, 78, 79, 261; 1970s: 215; 1985: 829, 830; ისტ. საბ. 1913: 10, 20-24, 29-31, 46; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 6, 7; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 221, 222; საქ. სიძ. 1910: 412; 1920: 156; ქრონიკები 1967: 437-439), ნიკო დადიანის „ქართველი ცხოვრება“ (დადიანი 1962: 131).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ნიზისის დასავლით ხევი კავთისა. გამოსდის დიდგორს, დის ჩდილოთ, ერთვის მტკუარს სამხრიდამ. ქვაბთ-



ქვათახევი

ხევამდე ვენახოვანი, ხილიანი. ქვათახევს არს მონასტერი ყოვლადწმიდისა, გუმბათიანი, შუენიერნაშენი. ზის არქიმანდრიტი. და არს ადგილი შემკული, ზაფხულს გრილი, წყაროიანი; ზამთარ თბილი“ (ქც 4: 340,12-16).

მღებარეობს კასპის მუნიც-ში, სოფ. წინარების სამხრეთით 5 კმ-ის დაშორებით, მდ. კავთურას მარცხენა ნაპირზე.

ქვათახევი, ქვაბთახევი სხვა წყაროებში იხსენიება ქოთახევის (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 6, 7), ქვათახევის სახელით (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 221, 222). 1400 წ. გაზაფხულზე თემურ-ლენგმა გადაწვა ქვათახევის ღვთაა მონასტერი. 1600 წ. ქვათახევის მონასტერმა დიდი რაოდენობის ძვირფასი ნივთები გაიღო ქართლის მეფის, სვიმონ I-ის (1556-1569, 1578-1600) თურქთა ტყვეობიდან გამოსასყიდად.

ქვათახევის მონასტერი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

მონასტრის კომპლექსში შედის: გალავნით გარშემორტყმული ღვთისმშობლის ტაძარი (55,4X59,2 მ), სამრეკლო, სატრაპეზო, საცხოვრებელი სენაკები და კოშკი. ღვთისმშობლის გუმბათიანი ტაძარი (20,7X13,5 მ) თარიღდება XII-XIII სს-ის მიჯნით. ნაგებია ფლეთილი ქვით. ფასადები მოპირკეთებულია ქვათილილებით. აფსიდა ნახევარწრიულია. ფასადები და კარ-სარკმლის საპირეები მდიდრულადაა მოჩუქურთმებული. სამხრეთის კარი ეკლესიის თანადროულია, ხოლო დასავლეთისა XVII ს-ის მეორე ნახევარში მიუშენებია წინამძღვარ ნიკოლოზ ჩხვიძეს. ფლეთილი ქვით ნაგები სატრაპეზო (6,7X10,2 მ) დგას გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. 1872 წ. ქვათილილებით ნაგები, გვემით ხუთწახნაგა სამრეკლო ტაძრის დასავლეთით, ორიოდე მეტრზეა. კოშკი ტაძრის სამხრეთით გალავანშია ჩართული. ნაგებია ფლეთილი ქვებით (ბერიძე 1974: 153; ზაქარაია 1978: 41-75).

ბიბლიოგრაფია: ბერიძე 1974: 153; დადიანი 1962: 131; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 6, 7; ზაქარაია 1978: 41-75; ისტ. საბ. 1913: 10, 20-24, 29-31, 46; მაკალათია 1960; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 221, 222; მელიქიეთ-ბევი 1925: 129-145; საქართველოს სამოთხე 1882; საქ. სოდ. 1910: 412; 1920: 156; სვევრო-

ვი 1947: 47-49; ქრონიკები 1967: ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 35, 43, 78, 79, 261; 1970ა: 215; 1985: 829, 830; 437-439; ქც 2: 328,30,31; 452,25; 453,7; ქც 4: 267,25; 340,13,14; 341,2; ხახანოვი 1898: 61.

ძვანხვრამლი, სოფელი (ქც 1: 272,17, 307,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: მატიანე ქართლისა (ქც 1: 272,17, 307,8), ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომზე „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დართული სოფლების სია (ბაგრატიონი 1941: 198), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 68), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 31), XV, და XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (სასისხლო სიგელების ... 1924: 30; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 151; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 993; 1972: 436; 1977: 179, 180, 229, 607; 1981: 696, 779; სიმონ მეფის არზა ... 1980: 161; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 75, 79), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 273).

მღებარეობს გორის მუნიც-ში, ქ. გორიდან აღმოსავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელ სოფ. ქვანხვრელთან.

წყაროებში პირველად იხსენიება 975 წლისთვის, ქართლის ერისთავ იოანე მარუშის ძის მიერ დავით კურაპალატისათვის უფლისციხის გადაცემასთან დაკავშირებით (ქც 1: 272,8-19). 1064 წ. ბაგრატ IV-ის (1027-1072) ბრძანებით შეიპყრეს კვირიკე სომეხთა მეფე და მისი ძმა სუმბატი. როცა ამის შესახებ ბაგრატს შეატყობინეს, იგი ქვანხვრელში გადასულა. ტყვეები მეფისათვის კლდეკართან მოუგვრიათ (ქც 1: 307,1-9). ქართლის მეფე კონსტანტინე II-ს (1478-1505) ზაზა ფანასკერტელისა და მისი შვილებისათვის უბოძებია ქვანხვრელი, უფლისციხე და კარაღეთი თავისი მამულებით (სასისხლო სიგელების ... 1924: 30).

ქვანხვრელი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

1978 წ. ქვანხვრელის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების (დირჰემების) განძი, რომლიდანაც 10 მონეტა ს.ჯანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოხვდა. დანარჩენი მონეტები დაიკარგა. 1027 წ. მოჭრილი მონეტები ეკუთვნოდა თბილისის ამირა ალი იბნ ჯაფარს (ანთაძე 1986: 122-124).

ნასოფლარის ტერიტორიაზე შემორჩენილია ქვიშაქვის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი, რომელიც მოიცავს: სამრეკლოს, დერეფნებს, ეკლესიასა და ერლიან სადგომებს. სამრეკლო, რომელიც კომპლექსის შესასვლელზე მოგვიანებითაა მიშენებული, არაწესიერი სწორკუთხედის ფორმისაა (4,2X2,7X4,6 მ). ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით კირხსნარზე. აქვს თაღოვანი შესასვლელი. ნაგებობა დასრულებულია გუმბათით. სამრეკლო უკავშირდება (I) დერეფანს (19X2X2,5 მ), რომლის აღმოსავლეთი კედლის ცენტრში ეკლესიის შესასვლელია. მოპირდაპირე მხარეს გამოკვეთილია რამდენიმე საფხურით ამაღლებული ერლიანი

სადგომი, რომელიც, თავის მხრით, უკავშირდება ღია (III) დერეფანს. I დერეფნის ბოლოს, მარცხნივ, მიემართება II დერეფანი, რომელიც დამხმარე სადგომებს უერთდება. III დერეფანი დანარჩენ ორს უკავშირდება მათი გადაკვეთის ადგილთან. ეკლესია კომპლექსის სხვა სადგომებთან შედარებით დიდაა (10X4,5X7,6 მ). მისი ერთი კარი ჩრდილოეთი კედლის შუა ნიშნადაა და წარმოადგენს დარბაზის განათების ძირითად წყაროს. მეორე სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთშია. აფსიდი ნახევარწრიულია. საკურთხეველი იატაკის დონიდან შემადგენელია 1 მ-ით. საკურთხეველში ორი თაღოვანი გასასვლელია. საკურთხეველი კანკლთი ყოფილა გამოყოფილი. ეკლესიის კედლები დანაწევრებულია თაღოვანი ნიშებით. დამხმარე სადგომებიდან ერთი სწორკუთხაა. მის ცენტრში მოწყობილია პატარა საკურთხეველი. გადახურვა ბრტყელია. ეკლესიის შესასვლელის პირდაპირ გამოკვეთილია წრიული მოყვანილობის ერდოიანი სადგომი, რომელიც გადახურულია გუმბათოვანი კამარით. დასავლეთით კედლე ერთი ერდოიანი დაუმთავრებელი სადგომია. კედლეში ნაკვეთი კომპლექსი ადრე შუა საუკუნეების ძეგლია, რომელიც შემდგომში არაერთხელ გადაუკეთებიათ (ჩუბინაშვილი 1961: 19; სძა 1990: 113, 114).

კედლეში ნაკვეთი კომპლექსის ირგვლივ შეინიშნება გვიანი შუა საუკუნეების სამარხები. ნასოფლარის აღმოსავლეთით, შემადგენელ ბორცვზე, რიყის ქვით კირხსნარზე ნაგები XVIII ს-ის დასაწყისის პატარა დარბაზული ეკლესიაა. საკურთხეველის კედლის ქვაზე ამოკვეთილი მხედრული წარწერა გვაუწყებს, რომ ეკლესიის მშენებლობა 1716 წლის 1 აპრილს დასრულებულა. წარწერა იმითაა საინტერესო, რომ მასში ქვახერხლის კედლეში ნაკვეთი კომპლექსი მონასტრადაა მოხსენიებული.

ბიბლიოგრაფია: *ალექსიძე 1984: 14; ანთაძე 1986: 122-124; ბაგრატიონი 1941: 198; ბაგრატიონი 1986: 31; გიულდენშტედტი 1962: 273; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 151; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 75, 79; მასიურაძე 1998: 15-20; მელიქიძე-ბეგი 1918: 216-218; მურადიანი 1985: 77; პანტუხოვი 1896: 34; სასისხლო სიგელების ... 1924: 30; სძა 1990: 113, 114; სიმონ მეფის არზა ... 1980: 152-166; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 993; 1972: 436; 1977: 179, 180, 229, 607; 1981: 696, 779; ქც 1: 272, 17; 307, 8; ცხოვრება ... 1980: 68; ხახუტაიშვილი 1966: 155; ჩუბინაშვილი 1961: 19; ჯანაშვილი 1910: №88.*

ქვეყნის ციხე (ქც 4: 316, 3; 409, 14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 316, 3; 409, 14), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 49, 12), XV და XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 174; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 21, 59, 62, 64, 67, 69, 70, 74; საქ. სიძ. 1909: 40, 536, 540; 1920: 295, 448; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 295; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 532; 1985: 349, 352,

354; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 85), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 67, 121, 197, 224), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 37, 53), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 81).

მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ბოლნისიდან 7 კმ-ის დაშორებით მდ. მავავერას მარცხენა ნაპირზე, სოფ. ქვეყნის მახლობლად, იქ, სადაც მამავერას უერთდება პატარა შენაკადი გეტი.

VII ს-ის „სომხურ გეოგრაფიაში“ მოხსენიებულია „ქვეშაფორი“ ანუ ქვეყნის ხევი (სომხ. გეოგრ. 1877: 40). მისი ადმინისტრაციული ცენტრი უნდა ყოფილიყო ქვეში. IX ს-ში დმანისის გაქაღაქების შემდეგ ქვეშია დაკარგა ხევის ცენტრის სტატუსი (ბერძენიშვილი 1986: 519). 1065 წ. სულთანმა ალფარსლანმა საქართველოში ლაშქრობის დროს ბაგრატ IV-ს (1027-1072) ცოლად სთხოვა მისი დისწული, რომელიც კვირიკე სომეხთა მეფის ძმისწულიც იყო. ამაზე ბაგრატმა კვირიკიანთაგან უარი მიიღო. მამინ ბაგრატმა კვირიკე და მისი ძმა სუმბატი ქვეშის ჭალაში შეაპყრობინა (ქც 1: 307, 4-8). თამარის მეფობის პირველ ხანებში ქვეშის ციხეს ფლობდა მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი. იქვე ყოფილა მისი რეზიდენციაც (ქც 2: 49, 12). 1191 წ. ვარდანი თამარის წინააღმდეგ აჯანყებულ გიორგი რუსს მიემხრო, რის გამოც მას ჩამოართვეს ქვეშის ციხე. 1468 წ. საბუთით თორელთა განაყოფმა შტომ, ჯავახიშვილებმა ბაგრატ VI-ისგან (1466-1478) გამოისყიდეს, როგორც სიველშია აღნიშნული, ჯერ კიდევ თამარის მიერ თორელებისადმი ბოძებული ქვეშის მამული. მეფემ ჯავახიშვილებს დაუმტკიცა „ქვეში ციხითა, ბაჟითა და მისთა მიმდგომთა“ (საქ. სიძ. 1909: 40). XV ს-ის ბოლოსათვის ქვეშს ბართაშვილები ფლობდნენ (ჯამბურია 1955: 11). 1487 წ. იაყუბ-ყაენმა სხვა ადგილებთან ერთად დალაშქრა ქვეშის ხევიც (ქც 2: 343, 17-19, 483, 5, 6; ქც 4: 386, 27). სვიმონ I-ის ირანელთაგან დატყვევების შემდეგ (1569 წ.) ქართლის სამეფო ტახტს დაეუფლა მისი გამაჰმადიანებული ძმა დაუთხანი, რომელმაც თავის რეზიდენციად აქცია ქვეშის ციხე (ქც 4: 409, 14). 1741 წ. ქვეში ქართლის სარდალმა ქაიხოსრო ორბელიანმა ზურაბ ყაფლანიშვილისაგან შეისყიდა ქვეშის მამული თავისი ციხითა და მიმდებარე ტერიტორიებით (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 295). მანვე აღადგინა და გაამაგრა ქვეშის ციხე (თაყაიშვილი 1951: 153, 154). ქვეშის ციხეში მდგარი ქაიხოსრო ორბელიანი თავისი ჯარით ლეკებს დაედევნა და სასტიკად დაამარცხა (ორბელიანი 1981: 67). შემდგომში ლეკებმა მაინც მოახერხეს ქვეშის ციხის დარბევა (ორბელიანი 1981: 197). 1748 წ. ერეკლე II-ის (1744-1798) წინააღმდეგ აბდულა-ბეგის გამოსვლის დროს, ქვეშის ციხეში გამაგრებულია მეფის ერთგული ქვეშელი მღვდელი გიორგი ლარაძე. აბდულა-ბეგმა ლარაძის დამორჩილება ვერ შეძლო (საქ. სიძ. 1920: 448). ციხე და სოფელი წყაროებში მოხსენიებულია „ქვეშის“


ფორმით. იოჰან გიულდენშტედტი მას „გუეჩი“-ს ფორმით იხსენიებდა (გიულდენშტედტი 1962: 81). 1989-1990 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ვ.ჯაფარიძე) გათხარა ციხის ტერიტორია და ახლომასშტაბი მდებარე ზოგიერთი ძეგლი (კოპალიანი 1998: 33-37).

ქვეშის ციხე აღმართულია სოფ. ქვეშის ჩრდილო-დასავლეთით, ცალკე მდგომ მთაგრეხილზე. ჩრდილო-დასავლეთიდან მთაგრეხილი ადვილად მისადგომია და შესაბამისად, ციხე ამ მხრიდან უფრო კარგადაა გამაგრებული. ციხე გეგმაში არაწესიერ მართკუთხედს წააგავს. ციხეში შესასვლელი კლდეში გამოკვეთილი ყოფრო და მოგრძო (10 მ) ტალანია. გალავანი რამდენჯერმეა აღდგენილ-გადაკეთებული. ძირითადად შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების კედლები, რაზეც მეტყველებს მასში დატანილი სათოფურები. გალავნის კედლის საერთო სიგრძეა 220 მ. კედლები შემორჩენილია 1-8 მ სიმაღლეზე. კედლების საშუალო სისქეა 0,9-1,2 მ. გალავანი ნაგებია ქვიშაქვითა და ბაზალტით დუღაბზე. კედლები უშუალოდ კლდეზე გამართული საძირკვლის გარეშე. ციხეს აქვს 14 სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბურჯი. კოშკებში გამართულია ბუხრები. ციხის შესასვლელის თავზე გარედან კლდეში ამოკვეთილია მართკუთხედი, რომელშიც თავის დროზე ჩადგმული ყოფილა მარმარილოს ფილა მხედრული წარწერით. ფილა უკვე ნამტვრევების სახით უნახავს ექ.თაყაიშვილს ამავე ციხის ეკლესიაში. წარწერის მიხედვით, ქაიხოსრო ორბელიანს უყიდა ქვეში, მოუზღუდავს ციხე და გაუკაფავს კლდე (თაყაიშვილი 1951: 153, 154). წარწერაში საუბარი უნდა იყოს შესასვლელი გვირაბის გამოკაფვაზე. შესასვლელის თავზე აღმართული ყოფილა კოშკი, რომლის ზედა ნაწილი მთლიანად მონგრეულია. გვირაბის გავლის შემდეგ ჩრდილოეთის მიმართულებით ადის 32 საფეხურიანი ქვის კიბე (კოპალიანი 1999: 58-63). ციხის ტერიტორიაზე ნაგებობები ცოტაა შემორჩენილი. გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია (5,6X3,6 მ) აგებულია ციხის დასავლეთ, ყველაზე ამალეულ ნაწილში. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ფასადები ნაგებია სხვადასხვა წყობით. კედლებში დატანებულია V-VI და განვითარებული შუა საუკუნეების ჩუქურთმიანი ქვები. აფსიდი ნახევარწრიულია. კამარა უშუალოდ ეყრდნობა გრძივ კედლებს. ეკლესიას აქვს 2 სარკმელი: ერთი - საკურთხეველში, მეორე - კარის თავზე (კოპალიანი 1999: 66-69). გათხრების შედეგად აღმოსავლეთ გალავნის კედელში გამოვლინდა კოშკი, რომლის მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი. გათხრებისას არქეოლოგიური მასალა თითქმის არ აღმოჩენილა (კოპალიანი 1999: 64). გათხრები შეეხო ციხის ერთ-ერთ საცხოვრებელ ნაგებობას, რომელიც მდებარეობს შესასვლელ გვირაბსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ გალავანს შორის. ნაგებობას საცხოვრებელთან ერთად თავდაცვითი ფუნ-

ქციაც უნდა ჰქონოდა. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ნაგებობის კედლებად გამოყენებულია გალავნის კედლები. ნაგებობა ორსართულიანია. პირველი სართულის ფართობია 5,85X2 მ. სამხრეთიდან ჰქონია 1 მ სივანისა და 1,6 მ სიმაღლის შესასვლელი ორი საფეხურით, რომლებიც ოთახში ჩაიღოდა. იატაკი თიხატყეპნილია. მეორე სართულზე მოწყობილია ბუხარი და სათოფური (კოპალიანი 1999: 66).

ციხის ტერიტორიაზე გაიწმინდა კლდეში ამოკვეთილი წყლის რეზერვუარები. აქ წყლის გარედან შემოყვანა შეუძლებელია. ამიტომ ციხის ტერიტორიაზე ამოუკვეთია რამდენიმე ორმო, რომლებიც გროვდებოდა წვიმის წყალი. №1 ორმო ყველაზე დიდია (სიღრმე 4 მ, პირის დმ 1 მ, ძირის დმ 3,7 მ). მდებარეობს ციხის დასავლეთ ნაწილში. ორმოს თავზე დაქანებულ კლდეში გამოკვეთილია სპეციალური ღარები, რომლებიც ორმოში იყრიან თავს. მათი მეშვეობით ხდებოდა ორმოში წვიმის წყლის დაგროვება. №2 ორმო მდებარეობს №1 ორმოს აღმოსავლეთით (სიღრმე 4 მ, პირის დმ 1,4 მ, მუცლის დმ 3,4 მ, ძირის დმ 2,8 მ). ასეთივე №3 ორმო ამოკვეთილია ეკლესიის აღმოსავლეთით (სიღრმე 2,5 მ, პირის დმ 1 მ, ძირის დმ 3 მ). განათხარი მასალა წარმოდგენილია ღარიანი და ბრტყელი კრამიტების ფრაგმენტებით, ხელსაფეკავის ქვის ნატეხით, ლითონის ნივთებიდან გვეზღება: ბალთები, ლურსმნები, სასაფეთქლები, რგოლები. კერამიკული ნაწარმიდან აღსანიშნავია ჭურჭლის ყურის ნატეხები, ჯამების, თევზების, ღოჭების ფრაგმენტები; მწვანედ მოჭიქული პატარა სასმისი; მინის ჭურჭლის ნატეხები, ძვლის ნივთების ორნამენტული ნატეხები და სხვ. არქეოლოგიური მასალა თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით (კოპალიანი 1999: 69-71).

არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები ჩატარდა ქვეშის ციხის შემოგარენში. ციხის ჩრდილოეთით დგას წმინდა ნიკოლოზის პატარა დარბაზული ეკლესია, შვერილიანი აფსიდით. ნაგებია მოყვითალო ფერის მხოვრდილი კვადრებით. ფასადზე აქა-იქ ჩატანებულია ჯვრის გამოსახულებიანი ქვები. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოებია (კოპალიანი 1999: 69).



ქვეშის ციხის გეგმა

ვათხრები ჩატარდა ციხის გარეუბანში (აკაურთა), სადაც აღმოჩნდა ადრე შუა საუკუნეების სამაროვანი (კობალიანი 1999: 72).

ქვეშის ციხეზე და მის შემოგარენში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დმანისის ბაზაზე.

გარდა ქართლის ცხოვრებაში მოხსენიებული ბოლნისის მუნიცი-ში მდებარე ქვეშის ციხისა და სხვადასხვა საბუთებში აღნიშნული, ციხის მახლობლად არსებული ამავე სახელწოდების სოფლისა, სოფელი ქვეში ცნობილია აგრეთვე გორის მუნიცი-ში (ქრონიკები 1897: 19, 197, 272, 373). მოიხსენიება 1392 და 1447 წწ. საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179, 191). „ძველი ერისთავთა“-ს მინაწერის მიხედვით, მათიანე გადაუწერიათ სოფელ ქვეში (ქრონიკები 1897: 19, 197, 272). გორის მუნიცი-ის სოფ. ქვეში არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 37, 53; ბერძენიშვილი 1979: 38, 44-46, 80, 95; გიულდენშტედტი 1962: 81; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 295; თაყაიშვილი 1951: 153-175; კობალიანი 1998: 33-37; 1999; ლორთქიფანიძე 1935: 356; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 21, 59, 62, 64, 67, 69, 70, 74; მუსხელიშვილი 1941: 34, 35; ორბელიანი 1981: 67, 121, 197, 244; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 85; საქ. სიდ. 1909: 40, 536, 540; 1920: 295, 448; სომხ. გეოგ. 1877: 40; ქრონიკები 1897: 19, 174, 197, 272, 373; ქც 1: 307,8; ქც 2: 49,12; 343,18; 483,5; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 532; 1985: 349, 352, 354; ქც 4: 315,23; 316,3; 386,27; 409,14; ხარაძე 1991: 37; ჯამბურია 1955: 10, 11.*

ქპიტრი, ქუტირი, სოფელი (ქც 4: 750,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 750,21), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 404, 539; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 229; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 187-188; 1970: 283, 307, 470), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 307).

ვახუშტი ბაგრატიონი ქუტირის შესახებ გადმოგვცემს: გუბისწყალზე „არს ფოკე. ამას ზედვე, ამასა და ხონს იქით, ქუტირ-ფარცხანაყანევამდინ, არს აოჭორაური“ (ქც 4: 750,20-22). მდებარეობს ქუთაისი-სამტრედიის საავტომობილო გზაზე, ქუთაისიდან 3 კმ-ის დაშორებით.

წყაროებში ქვიტირი მოხსენიებულია XVI ს-დან. ქვიტირი ლოლბერიძეთა საგვარეულო საკუთრება იყო. იქვე ყმასა და მამულებს ფლობდნენ ნიჟარაძეები (სოსელია 1981: 91, 152). იოჰან გიულდენშტედტი სოფ. ქვიტირს ვაკის სოფლების სიაში ასახელებდა (გიულდენშტედტი 1962: 307).

ქვიტირი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *გიულდენშტედტი 1962: 307; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 229; საქ. ისტ. რუკა 1923; სოსელია 1981: 31, 151; ქართ. სამართ. ძეგ.*

1970: 283, 307, 470; ქრონიკები 1897: 404, 539; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 283, 307, 470; ქც 4: 750,21.

ქპიშილი, ციხე (ქც 4: 761,25, სქ. 4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 761,25,სქ.4), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 305). ვახუშტი ბაგრატიონი ქვიშილითის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „ქუთათისის ჩდილოთ და რიონის დასავლით არს ქვიშილითის ციხე ფრიად მაგარი“ (ქც 4: 761,24,25).

სავარაუდოდ ლოკალიზდება წყალტუბოს მუნიცი-ის სოფელ ქვილიშორის ტერიტორიაზე, ქვილიშორის მღვიმესთან.

იოჰან გიულდენშტედტი „მხარე სალორთქიფანდის“ სოფლების ჩამონათვალში ასახელებს სოფ. ქვილიშას (გიულდენშტედტი 1962: 305). ნ.ბერძენიშვილის აღნიშვნით, ტალონიძე ქვიშილითი შესაძლოა შეცვალა ქვილიშორმა. ქვილიშორში მოსახლეობა ციხის არსებობას მიუთითებს ქვილიშორის გამოქვაბულთან ახლოს, სადაც ნანგრევებია შემორჩენილი (ბერძენიშვილი 1990: 355). სოფ. ქვიშილით-ქვილიშორი და ციხის ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბერძენიშვილი 1990: 453-455, 519, 520; გიულდენშტედტი 1962: 305; ქც 4: 761,25, სქ. 4.*

ქპიხი (ქც 4: 237,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 237,21; 378,5-7; 380,3), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 246,16; 292,21), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 45), პაპუნა ორბელიანის „ამბაგანი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 93-95, 147, 213, 245), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 157), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1953: 129; ისტ. დოკ. ... 1958: 46, 87; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 61, 63, 79, 91), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 469, 494, 495), ჩილდირის ეილაეთის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ეილაეთის ... 1979: 110).

ვახუშტი ბაგრატიონი ქვიშიეთის შესახებ გადმოგვცემს: „შოლის პირის დასავლით, შოლისავ კიდევედ, არს ქვიშიეთი“ (ქც 4: 378,5-7).

მდებარეობს ხაშურის მუნიცი-ში, მტკვარსა და სურამისწყალს შორის, თანამედროვე სოფ. ქვიშიეთის ტერიტორიაზე.

წყაროებში პირველად იხსენიება XIII ს-ში. 1289 წ. აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულები ქვიშიეთში შეხვდნენ ქუთაისიდან მომავალ დავით ნარინსა (1247-1293) და მის შვილს ვახტანგს (ქც 2: 292,21). ქვიშიეთზე გადიოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში და სამხრეთ საქართველოდან შიდა ქართლში მიმავალი გზები (მაკა-

ლათია 1957: 6; ბერძენიშვილი 1966: 37). 1711 წლიდან ქვიშხეთის ფლობდა ვახუშტი აბაშიძე (ისტ. დოკ. ... 1958: 46). 1744 წ. ერეკლე ბატონიშვილმა აქ დაიწერა ჯვარი ზაალ აბაშიძის ქალ ანაზე (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 79; ორბელიანი 1981: 94). XVIII ს-ის შუა ხანებში ქვიშხეთი რამდენჯერმე დაარბიეს ლეკებმა (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 61, 63, 91; ორბელიანი 1981: 147).

ქვიშხეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ნამოსახლარი გალანძირი მდებარეობს ჭალისუბანში, 10 მ სიმაღლის ბორცვზე. ნამოსახლარზე აიკრიფა შავად და ნაცრისფრად გამომწვარი უხეშკვდიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ბრინჯაოს 2 ჭვირული ბალთა. თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით. მასალა დაცულია ქვიშხეთის საშუალო სკოლაში. ნამოსახლართან ახლოს აღმოჩნდა გვიანი შუა საუკუნეების ციხე-დარბაზის ნანგრევები (სმა 1990: 451).

ქვიშხეთში შემორჩენილია რამდენიმე დარბაზული ეკლესია, ციხე და 2 კოშკი (სმა 1990: 451, 452).
ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 45; ბერძენიშვილი 1964: 2; 1966: 37, 41; ბერძენიშვილი 1985: 9, 52, 55, 57; გვასალია 1989: 6, 8, 32; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 469, 494, 495; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 129; ზაქარაია 1968: 108-112; ისტ. დოკ. ... 1958: 46, 87; მაკალათია 1957: 6; ორბელიანი 1981: 93, 95, 147, 213, 245; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 61, 63, 79, 91; ქვ 2: 246, 16; 292, 21; ქვ 4: 273, 21; 378, 5-7; 380, 3; ჩხეიძე 1913: 1-54, 41-43; ცხოვრება ... 1980: 157; ხარაძე 1992: 164.

ქობულეთი, მცირე ქალაქი (ქვ 4: 792, 5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 792, 5), დონ ქრისტოფორო დე კასტელის „ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ“ (კასტელი 1976: 117, 147, 171), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 259, 262), ლიხთ-იმერეთის 1737 წ. რუკა (ბურჯანაძე 1959: 196), ქართული ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1967: 490, 492, 517). მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. კინტრის შესართავთან, დღევანდელი ქ. ქობულეთის ადგილზე.

ვახუშტი ბაგრატიონი ქობულეთის შესახებ გადმოგვცემს: „კულად ალამბრისა და აჭვის სამხრით დის მდინარე ქობულეთისა ... მიერთვის ზღუასა ვერეთვე. ზღვის პირს ამ წყალზედ არს ქობულეთი, მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი“ (ქვ 4: 792, 2-5).

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, წინარე ანტიკურ და ანტიკურ ხანაში იქ მნიშვნელოვანი დასახლებები უნდა ყოფილიყო. შუა საუკუნეებში ქობულეთი შედიოდა გურიის სამთავროში. 1723 წ. ის ოსმალებმა დაიპყრეს და იქ თავისი გარნიზონი ჩააყენეს. ქობულეთის მხარე თავდგობიძეების საგვარეულოს ეკუთვნოდა. 1784 წ. იმერეთის მეფე სოლომონ I-მა ქობულეთი ოსმალთაგან გაათავისუ-


ფლა. შემდგომ ოსმალებმა ქობულეთი კვლავ დაიპყრეს. ხოლო 1878 წ. მოხდა მისი საბოლოო გაათავისუფლება.

ქობულეთ-ფიჭვნარის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1953 წლიდან. 1953-1965 წწ. იქ მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია და ლ. ხაზუქაიშვილის ხელმძღვანელობით; 1965 წლიდან – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, შემდგომ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპედიცია აკახიძის ხელმძღვანელობით.

დღევანდელი ქობულეთის ტერიტორიაზე ყველაზე ძველი არქეოლოგიური ძეგლები, მის ჩრდილოეთ ნაწილში, ფიჭვნარში, მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის ხერთვისთან აღმოჩნდა. იქ ნამოსახლარების ნაშთები გაითხარა თიხა-ტორფიან მონაკვეთში, სადაც განლაგებულია ბორცვები. მათგან არქეოლოგიურად შესწავლილია ნამჭედურის, ნაპურვალას, ისპანის ბორცვები და ზღვისპირა ტერასის დიუნური სამოსახლოები.

ისპანის ნამოსახლარის ქვედა ფენაში გამოვლენილია ძველი ნაგებობების ნაშთები. ნასახლარზე შემორჩენილია კერა, რომელთანაც აღმოჩნდა: თხილის, რკოს, წაბლისა და წიწიბოს ნაშთები. იქვე აღმოჩნდა ფუამილიანი ცულის ყალიბი; მეტალურგიული ქურის საქშენი მილი; თიხისაგან ნამეწი ადამიანის გამოსახულება. ნამოსახლარზე აღმოჩენილია ქვის იარაღები: ხელსაფეკავები, ფილთაქვები, შურდულის ქვები, საწაფები, ცულები, როდინები და სხვ. იქვე გვხვდება: კაჟის ისრისპირები, მამლის ჩასართები და მრავალნაირი ანატაკეები. დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი ხელით ნამეწი ქარსის მინარევიანი კერამიკა: ქოთნები, ჯამები, დერგები. ისინი შემკულია ამოღარული, აგრეთვე, რელიეფური ორნამენტით. გვხვდება შავპირილა კერამიკაც, რომელიც გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული. ნამოსახლარი თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით (ინაიშვილი 1977: 5-15). ისპანის არქეოლოგიური მასალა ინახება ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდებში.

ფიჭვნარის ძეგლებიდან აღსანიშნავია ნამჭედურის ნამოსახლარი, სადაც აღმოჩენილია ადრე, შუა და გვიანდელი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა; ადრეული რკინისა და ანტიკური ხანის სამოსახლოს ნაშთები. ნამოსახლარი განლაგებულია დაახლ. 5 მ სიმაღლის ბორცვზე. მას გაბატონებული მდგომარეობა უკავია მახლობლად მდებარე სხვა მცირე გორანამოსახლარებზე. ნამოსახლარის ქვედა ფენაში აღმოჩნდა: კაჟის ისრისპირები, სადგრები, ჯამები, ქოთნები, კოჭბები, დერგები და სხვ. გამოვლინდა ღარებით, წიწვოვანი ჭლებითა და გეომეტრიული ხაზებით (სამკუთხედები, რომბული ბადე და სხვ.) შემკული ე. წ. ზომომორფულურებიანი კერამიკაც. ნამოსახლარის შუა ფენაში აღმოჩნდა კოლხეთისათვის დამახასიათებელი ორნა-



ფიჭვნარის გენგეგმა

მენტით შემკული ქვევრების, დერგების, ქოთნების, ჯამების ნატეხები. აქვეა აღმოჩენილი თიხის მილები, ლითონის ზოდები, წიდეები. მრავლადაა ნანახი საწაფების, ხელსაფქვეების, კვირისტაყების ფრაგმენტები (მიქელაძე, ხახუტაიშვილი 1985: 9-31). ფიჭვნარის ტერიტორიაზევე, მდ. ჩოლოქის მარცხენა ნაპირზე, გაითხარა ე. წ. „ჩოლოქის მეორე თხრილი“, სადაც აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანისა და ანტიკური პერიოდის ფენები, ძეღური ნაგებობების ნაშთებით. კერამიკული ნაწარმიდან აღსანიშნავია: ქოთნების, ჯამების, დერგების ნატეხები. ქვედა ფენის კერამიკა მოშავოა და ახასიათებს ზედაპირის კოპებით შემკობა. შუა ფენაშიც ასეთივე კერამიკაა, თონდ ისინი შემკულია კონცენტრული წრეებით, წიწვოვანი, ტალღოვანი და ზიგზაგისებური ორნამენტით. ადრეული რკინის ხანის დასაწყისისათვის ჩნდება ჭურჭლის ახალი ფორმები, რომლებსაც ე. წ. ზომიორფული ყურები აქვთ. ოსტეოლოგიური მასალა წარმოდგენილია ძროხის, ღორის, თხის, ცხვრისა და დელფინის ძვლებით. იქვეა ნაპოვნი შურდულის ქვები, კაჟის ისრისპირები, საწაფები. აღმოჩნდა აგრეთვე ცულის ყალიბები, რქიანი სადგრები და სხვა (ჩაველიშვილი 1987: 21-32). ნამჭედურის ნამოსახლარიდან 800 მ-ის დაშორებით, ზღვის სანაპიროზე, დაახლ. 2 კმ-ზე, ტერასაზე განლაგებულია ე. წ. „ქსოვილიანი კერამიკის“ შემცველი ზღვისპირა ქვიშნარ დონებზე განლაგებული ძვ. წ. VIII-VII სს-ის სადგომები, სადაც აღმოჩნდა: ქოთნები, კოჭები, ქილები, დერგები, ცილინდრული სასმისები. კერამიკა შემკულია ამოღარული სარტყლებით, პრიალა ზოდებით, კოპებითა და ე. წ. ზომიორფული ყურებით. იქვე გვხვდება ყურმილიანი დოქები და თიხის შვერილებიანი სადგრებიც. ნამოსახლარზე აღმოჩნდა ლითონის წარმოების ნაშთებიც (რამიშვილი 1974ა: 104-111).

ქობულეთიდან აღმოსავლეთით, სოფ. ხუცუბანში, მდ. კინტრის შესართავის ლელესთან, გაითხარა გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის 8 ორმოსამარხი. სამარხებში აღმოჩნდა: რკინის შუბისპირი, სატევრისპირი, მახვილი, ფიბულა; ბრინჯაოს ცული, სეგმენტური იარაღი, სამაჯური, ბალთა, რგოლები, კაჟის ისრისპირები, კერამიკის ნატეხები, გიშრისა და სარდიონის მძივები (იოსელიანი 1973: 110-112).

სოფ. ხუცუბანის მიდამოებიდან ცნობილია შემთხვევითი აღმოჩენები: ბრინჯაოს ცულები, სატევრები, მახვილყუანი ცული, ისრისპირი, ფიბულები, ბალთა, საკინძები, ონიქსის, სარდიონისა და მინის მძივები (რამიშვილი 1974: 17-20). ნივთები ინახება აჭარის სახელმწიფო და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ქობულეთ-ფიჭვნარის ანტიკური ხანის ქალაქური ტიპის ნამოსახლარი განლაგებულია ზღვიდან დაახლ. 700 მ-ზე. ჩრდილოეთით მას ჩამოუდის მდ. ჩოლოქი, აღმოსავლეთით საზღვრავს ისპანის ტორფიანი დაბლობი. ქალაქური ტიპის ამ ნამოსახლარის ძირითადი უბანი უნდა ყოფილიყო ბორცვი „ნამჭედური“, რომლის გარშემო აღმოჩენილია სამოსახლო უბნების მთელი წყება. არქეოლოგიურად შესწავლილ მონაკვეთებში შეიმჩნევა შემდეგი სტრატეგრაფია: I. ჰუმუსური ფენა დაახლ. 25 სმ სიმძლავრის; II. თიხნარი ფენა დაახლ. 40 სმ სიმძლავრის, სადაც გამოვლინდა ელინისტური ხანის არქეოლოგიური მასალა კრამიტები, ამორები, ქვევრები, საწაფები და სხვ. III. ადრეანტიკური ხანის ფენა, სადაც აღმოჩნდა – ქვევრების, კვირისტაყების, პირამიდული საწაფების, ხელსაფქვეების, ფერადი მინის, შავლაკიანი ჭურჭლის, ამფორების (ადგილობრივი და იმპორტული) ნატეხები. იქვე აღმოჩნდა ძეღებიანი ნაგებობებისა

და ბათქაშების ფრაგმენტები; IV. წინარე ანტიკური ხანის ფენაზე უკვე გვქონდა საუბარი ნამჭედურის ადრეული რკინის ხანის სამოსახლოს განხილვისას (კახიძე 1971: 36, 37).



ფიჭვნარის ნამოსახლარტიფაქტი ფიჭვნარიდან რის III უბნად ითვლება ნამჭედურიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდ. თჩხამურის მარცხენა მხარეს მდებარე ბორცვი „ნაპურვალა“; სადაც წარმოდგენილია წინარეანტიკური, ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური მონაკვეთები. ბორცვი „ნაპურვალა“ ზედაპირულადაა შესწავლილი, ხოლო მის სამხრეთით გამოვლენილია ადრეელინისტური ხანის სამაროვანი. „ნაპურვალადან“ სამხრეთ-დასავლეთით IV უბანია, სადაც ადრეანტიკური ხანის ბერძნული სამაროვანი გაითხარა (კახიძე 1971: 39).

ფიჭვნარის ნაქალაქარზე ძირითადი საშენი მასალა ხის ძეგლებია, რომლებიც ბათქაშით იყო შეღესილი. ნაქალაქარზე მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი კრამიტები. იქ გვხვდება როგორც ადგილობრივი, ისე სინოპური ნაწარმი. გამოვლენილია აგრეთვე თიხის მილები; საკულტო დანიშნულების თიხის რქისებური სადგრები; თიხის პირამიდული საწაფები; თიხის კვირისტაგები და სხვ. ადგილობრივი კერამიკული ნაწარმიდან აღმოჩნდა: კოლხური ქვევრები, ქოთნები, დოქები, სასმისები, კოჭობები, თასები, ლანგრები, ჯამები, ყურმილიანი დოქები. იმპორტული ნაწარმიდან აღსანიშნავია: იონური კერამიკა (თასები, კილიკები, სკიფოსები, ლეკითოსები, ლანგრები და სხვ.). სამოსახლოზე დიდი რაოდენობით გამოვლინდა ათენიდან შემოტანილი სადა შავლაკიანი კერამიკისა და მონატული ჭურჭლის ფრაგმენტები. არის წითელლაკიანი და წითელფიფიგურული ჭურჭელიც (კახიძე 1971: 80-109).

ნაქალაქარზე აღმოჩნდა: ე. წ. კოლხური თეთრი; აგრეთვე ე. ქიზიკში, სინოპსა და ამისოში მოჭრილი მონეტები; ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მინაბაძები და სხვ. (კახიძე 1971: 116-140). ნაქალაქარზე ჯერ კიდევ 1948 წ. აღმოჩნდა ძვ. წ. IV ს-ის მონეტების განძი, რომლიდანაც 102 მონეტა სინოპური დრაქმაა, 58 - კოლხური ნახევარდრაქმა (გოლენკო 1961: 105-108).

ფიჭვნარში „ნაპურვალასთან“ გაითხარა ძვ. წ. V ს-ის კოლხური სამაროვანი. ორმოსამარხების ფართობი დაახლ. 2,6X1,6 მ-ია. მიცვალებულები დაუკრძალავთ მოხრილ მდგომარეობაში. სამარხეული ინვენტარის დიდი ნაწილი კერამიკაა. მათი უმრავლესობა ადგილობრივი ნაწარმია (ჯამები, მათარები, ყურმილიანი დოქები, კოლხური სასმისები, ქოთნები, კანთაროსისებური ჭურჭლები და სხვ.). იმპორტული ნაწარმიდან აღსანიშნავია: ამფორები (თაზოსური, ქიოსური და სხვ.); ლეკი-

თოსები (ხშირად წითლად მოხატული), შავლაკიანი კილიკები, სკიფოსები და სხვ. სამარხებში აღმოჩენილია კოლხური თეთრები (ტრიობოლები) და ერთი სინოპური დრაქმა. სამარხებში გვხვდება სხვადასხვა ფორმის მინის მძივები. ოქროს სამკაული მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. ესენია: რგოლები, საყურეები, მძივები. გვხვდება ვერცხლის სხივანა საყურეები; კისრის რკალები; ბრინჯაოს ზარაკები; საყურეები, ფიბულები, ბალთები; რკინის ნივთებიდან აღმოჩნდა: ლურსმნები, ისრისპირები, დანები და სხვ. (კახიძე 1981: 34-58). ფიჭვნარის ძვ. წ. V ს-ის ბერძენ მოახალშენეთა სამაროვანი მდებარეობს IV უბნის დასავლეთ მოსაკვეთზე. ორმოსამარხები განლაგებულია ქვიშის ფენაში, ზედაპირიდან დაახლ. 60 სმ სიღრმეზე. სანიშნოდ აღვწერთ I სამარხს, რომლის ზომებია 5X3 მ. მასში აღმოჩნდა: 4 ქიოსური ამფორა, შავლაკიანი ჭურჭლები - ჯამი, მეორე ჯამი, ცენტრში პალმეტებით, ცალყურა თასი, გრაფიტოიანი სამარილე, ამფორისკი, 3 კოტილა; წითელფიფიგურული კრატერი (სიმაღლე 49,5 სმ), რომლის ერთ-ერთ ფრინზე თეზევსის მიერ ელენეს მოტაცების სცენაა აღბეჭდილი; წითელფიფიგურული ასკოსი, ბრინჯაოს ოინოხოია, ჩამწა, საწურ; რკინის ლურსმნები, ვერცხლის პატარა რგოლი.

სხვა სამარხებიდან მომდინარე მასალიდან აღსანიშნავია: ოქროს საყურეები, შავლაკიანი ლეკითოსები, არიბალოსები, სამარილეები, ამფორისკები; ყურმილიანი დოქები; თაზოსური ამფორები; ვერცხლის თასი, ფინიკიური მინის ამფორისკები; მძივები; რკინის ლურსმნები; ბრინჯაოს ზარაკები; სამაჯურები; პანტიკაპონის მონეტა და სხვა (კახიძე 1975: 11-82).

ქობულეთ-ფიჭვნარში „ნაპურვალას“ (III უბანი) ანტიკური ხანის ფენების ზემოთ გამოვლინდა ადრეული შუა საუკუნეების ფენაც, სადაც აღმოჩნდა ქვის ნაგებობის ნაშთები (12X12 მ). წყობაში გამოყენებულია რიყისა და ფლეთილი ქვა, კირხსნარზე. იატაკზე მოსხმულია პიდრავლიკური ხსნარი. ნაგებობასთან ნაპირიდან მარმარილოს ჯვარი, ჯვარცმის სცენის გამოსახულებით. ნაგებობაში აღმოჩნდა მინის საკმეველის ნატყნები. ნაგებობასთან გამოვლინდა თიხის, მინისა და რკინის ნაწარმი. ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი ძირითადად წარმოდგენილია ქვევრებითა და წელშენქელი ამფორებით. იმპორტული ნივთებიდან გვხვდება გოფრიტბულტიანი ამფორები, პირგადამილილი ჯამები, ქოთნები, დოქები, წითელლაკიანი ჯამები, მინის სასმისების ძირები, ე. წ. ხალიანი მინის ნაწარმი და სხვ. სამშენებლო კერამიკიდან გვხვდება ღარიანი და ბრტყელი კრამიტები, აგური. ვარაუდობენ, რომ იქ უნდა მდგარიყო ზაზილიკური ტიპის ნაგებობა (ჩხაიძე 1980: 39-54).

ქობულეთ-ფიჭვნარის განათხარი მასალა ინახება ფიჭვნარის არქეოლოგიური ფიჭვნარიდან





არტევაქტი ფიჭვნარიდან

ოლოგიურ ბაზაზე, ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმსა და ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია: ბურჯანაძე 1959: 177-198; ვოლენკო 1961: 203-215; ვაშაკიძე, კახიძე 1978: 42-56; ინაიშვილი 1977: 54-85; იოსელიანი 1973: 110-120; კასტელი 1976: 117, 147, 171; კახიძე 1965: 67-93; 1971; 1971ა; 1974: 49-101; 1975; 1981; 1985: 53-62; 1987: 47-49; კახიძე, ვაშაკიძე 1977: 25-51; მიქელაძე, ხახუტაიშვილი 1985; რამიშვილი 1964: 119-125; 1974: 104-111; ქრონიკები 1967: 490, 492, 517; ქვ 4: 792,5; შარდენი 1975: 259, 262; ჩავლიეშვილი 1987: 21-33; ჩხაიძე 1980: 39-54; ხახუტაიშვილი 1987.

ქოზივა (ქვ 4: 345,7). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 345,7).

მდებარეობს ქარელის მუნიციპ-ში, ძამის ხეობის სიღრმეში. ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით: „აბუხალოს დასავლეთ გარდავალს გზა გუჯარეთს. ამ გზის დასავლეთ და ქოზივას ზეით არს კლდე ფრიად შეუენიერი, ყვითელი და ბრწყინვალე, ვითარცა ოქრო და მის ქუეით არს მონასტერი ქოზივას, უგუნბათო, კეთილნაშენი, აწ უქმი“ (ქვ 4: 345,6,7). მონასტრის მთელი კომპლექსი, რომელშიც სუთი ეკლესია შედის, განლაგებულია მაღლობ ადგილზე, შუაგულ ტყეში. ტაძრები აგებულია სხვადასხვა პერიოდში. პირველი ეკლესია VI-VII სს-ით თარიღდება. აღმშენებლობა განსაკუთრებით XIII ს-ში გაძლიერებულია. ტაძართა შორის ყველაზე დიდი ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიაა. ნაგებია ბაზალტის კარგად დამუშავებული ქვით. თავის დროზე მონატული ყოფილა, რომლის კვალი დღესაც შეიმჩნევა. ეკლესია შემკულია მოჩუქურთმებული კანკელის ქვით. სამონასტრო კომპლექსში

ასევე შედის წმინდა შიო მღვიმელის, წმინდა გიორგისა და მართალი ლაზარეს მკვდრებით აღდგინების სახელზე აგებული ეკლესიები. უკანასკნელი ტაძრის ქვეშ მიწის სიღრმეში საძვალეა მოწყობილი. მონასტერი გაუქმებულია XVII ს-ში. სამონასტრო კომპლექსს გარს ვალავანი ერტვა, შიგნით კი ბერების სადგომები და პატარა-პატარა სენაკებიც ყოფილა. ვალავანის შიგნით თავის დროზე კარგად შეიმჩნეოდა წყლის მიღები. აქვე ყოფილა ჩაფლული დიდი ქვევრებიც (მაკალათია 1971: 102-103).

ქოზივა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: მაკალათია 1971: 102, 103; ქვ 4: 345,7.

ქსოვრისი (ქვ 4: 352,12; 506,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 352,12; 506,9), სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 43), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 34), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 548; 1974: 202), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 51, 53, 275; 1964: 29).

მდებარეობს მცხეთის მუნიციპ-ში, მუხრანის ვაკეზე, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე.

გვიან შუა საუკუნეებში წარმოდგენდა სამუხრანბატონოს სოფელს ქსნის საერისთავოს საზღვართან. შედიოდა წილკენელის სამწყსოში (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 548). ქსოვრისზე გადიოდა საქალაქო გზა (მაკალათია 1968: 49). აქ იღებდა სათავეს ე. წ. საგლახაო რუ, რომელიც რყავდა სარკინეთსა და ციხე ბოდავის მთათა შორის ტერიტორიებს. რუ მოქმედებდა XVIII ს-შიც (ქვ 4: 352,12-15). 1723 წ. ქსოვრისში დაბანაკებული ვახტანგ VI აქედან ხელმძღვანელობდა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლას (ქვ 4: 506,9,10).

1974 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ნასტაკისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. აღ. ბოხოჩაძე) დაზვერვების დროს ქსოვრისის მიწებზე მიაკვლია ორ ნამოსახლარს. ნამოსახლარი „გოხები“ დანგრეულია მიწის სამუშაოების შედეგად. იქ აიკრიფა თიხის მოზრდილი ჭურჭლის ნატყეხები, რომლებიც ანტიკური ხანის უნდა განეკუთვნებოდეს. მეორე ნამოსახლარი, რომელიც „ფშუტიანთ ქედზეა“ განლაგებული, მდებარეობს „გოხების“ ჩრდილო-აღმოსავლეთით. „ფშუტიანთ ქედი“ მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული. ნასოფლარის მთელ ტერიტორიაზე მიმოფანტულია კრამიტისა და სხვადასხვა კერამიკული ნაწარმის მრავალი რიცხოვანი ნატყეხი. ნასოფლარი თარიღდება გვიან ანტიკური ხანითა და ადრე შუა საუკუნეებით (ბოხოჩაძე 1976: 69; სძა 1990: 318).

სოფლის ცენტრში მდებარეობს რატიშვილების XVIII ს-ის ციხე-დარბაზი, რომელსაც შემოუყვება ოთხკუთხა გეგმის (30X38 მ) რიყის ქვით დულაბზე

ნაგები გალავანი. საშუალოდ 1 მ სივანის მქონე კედლების ზედა ნაწილში სათოფურებია. გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეზე მიშენებულია რიყის ქვით ნაგები ოთხსართულიანი ცილინდრული კოშკი (დმ 5 მ). კარისა და სარკმლების ჩარჩოები აგურისაა. კარის თავზე აგურით გამოყვანილია ჩაღრმავებული ჯვარი. სართულშუა გადახურვა თაღოვანი ყოფილა. პირველ სართულზე სამეურნეო დანიშნულების 4 ნიშია. აქვეა ჭაბ. მეორე და მესამე სართულზე გამართულია ბუნჩები. მეოთხე სართული საბრძოლო დანიშნულებისაა (მაკალათია 1968: 49; ზაქარაია 1988: 125, 126).

გალავნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჩართულია დარბაზული ტიპის (9,8X6,2 მ) აგურით ნაგები ეკლესია. დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან აქვს შესასვლელი. აფსიდა ნახევარწრიულია. გადახურულია საბჯენ თაღზე დამაგრებული შეისრული კამარით. აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე გამოყვანილია ჯვარი. სამშენებლო წარწერის მიხედვით, ეკლესია 1712 წ. აუცილებლად რატიშვილსა და მის მეუღლე ანა სოლოღაშვილს. რატიშვილების თავდაპირველი სასახლიდან აღარაფერია შემორჩენილი (მაკალათია 1968: 50; ზაქარაია 1988: 126).

ქსოვრისის აღმოსავლეთით 2-3 კმ-ის დაშორებით, მთის ფერდზე აღმართულია VIII-IX სს-ის გუმბათიანი ეკლესია (9,7X10,5 მ). ნაგებია რიყის ქვით. კუთხეებში, კონტრაფორსებისა და დეკორატიული ელემენტებისათვის გამოყენებულია კირქვისა და შირიმის ქვათილები. ეკლესიის დასავლეთი მკლავის სამივე კედელში თითო კარია. საკურთხევლის შგერელ აფსიდში ერთი სარკმელია. თითო სარკმელი აქვს სამკვეთლოსა და სადაიკვნეს. ინტერიერში შემორჩენილია IX-X სს-ის მონასტულობის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები. ეკლესია გადაუკეთებიათ XVIII ს-ში. 1952-1954 წწ. რესტავრირებულ იქნა სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს მიერ (არქიტ. ვ.ცინცაძე).

ეკლესიასთან ადრე შუა საუკუნეების ნასოფლარია, სადაც შეინიშნება ნაგებობათა ნაშთები, სხვადასხვა დანიშნულების კერამიკის ფრაგმენტები. ნასოფლარის ცენტრში შემორჩენილია მარნის ნანგრევები (სძა 1990: 316-318).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 34; ბოხოჩაძე 1976: 61-70; ვიულენდშტედტი 1962: 51, 53, 275; 1964: 29; ზაქარაია 1950: 165-202; 1988: 125, 126; მაკალათია 1968: 47-52; სძა 1990: 316-318; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 548; 1974: 202; ქც 4: 352,12; 506,9; ჩხეიძე 1913: 43.

ქუთაისი-ტატიანი, სოფელი (ქც 4: 375,13,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 375,13,14), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 43), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 208, 209; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 224).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „დვანის-წყლის დასავლეთ არს ფცისწყალი და დის ლოხიოს-პერანგას მთათაგან, მოდის სამხრით და მიერთვის მტკუარს ჩდილოდამ. კიდესა მტკუარისასა არს ქუენა-ტკოცა“ (ქც 4: 375,13,14).

მდებარეობს ხაშურის მუნიციპ-ის სოფ. ტკოცის ტერიტორიაზე.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია პალეოლითური ხანის იარაღები სოფ. ტკოციდან (გვასალია 1983: 43).

სოფლის ტერიტორიაზე ჩატარებული დაზვერების შედეგად გამოვლენილია „გორგოტის ძირების“ ნამოსახლარი და სამაგრიანი. „გორგოტის ძირების“ ნამოსახლარი მდებარეობს სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით 600 მ-ის დაშორებით, ხელოვნურად მოსწორებულ გორგოტის ბორცვზე (27X14 მ). შავად და ნაცრისფრად გამომწვარი ანაკრეფი თიხის ჭურჭლის ნატყეხების მიხედვით, ძველი თარიღდება გვიანდელი ბრინჯაოს ხანით (სძა 1990: 448). გორგოტის ძირების სამაროვანი მდებარეობს ნამოსახლარის სამხრეთ-დასავლეთით, 100 მ-ის დაშორებით. ანაკრეფი არქეოლოგიური მასალის (წიწვოვანი ორნამენტით შემკული ბრინჯაოს მასრავახსნილი შუბისპირი, თავებუახსნილი მასიური სამაჯურები, კერამიკის ფრაგმენტები და სხვ.) მიხედვით, ძველი თარიღდება გვიანდელი ბრინჯაოს ხანით. ნამოსახლარისა და სამაროვანის არქეოლოგიური მასალა ინახება ფლევის სკოლაში (სძა 1990: 448).

სოფლის ჩრდილოეთით, 1 კმ-ის დაშორებით, დგას გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია (9,8X7 მ). ნაგებია დიდრონი ქვათილებით. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა. ნახევარწრიული აფსიდის თაღოვანი სარკმლის გვერდებზე ღრმა ნიშებია. ანალოგიური სარკმლებია სამხრეთ და დასავლეთ კედლებში. კონქში 3 სარეზონატორო ქვევრია ჩადგმული. დარბაზი გადახურულია აგურის კამარით, რომელიც დაფრინობილია გრძივი კედლების პროფილირებულ კაპიტელებთან პილასტრებზე. აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის თავზე, ქვაში ამოკვეთილი რელიეფური ჯვარია. ეკლესიაზე დასავლეთიდან მიდგმულია მაღალი სამრეკლო.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 43; გვასალია 1983: 43; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 208, 209; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 224; სძა 1990: 448; ქც 4: 375,13,14.

ქუთაისი, ციხე, ქალაქი (ქც 2: 533,2, 4: 796,22), საყდარი მეფისა (ქც 4: 796,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 235,16; 241,9; 242,16), „მატიანე ქართლისა“ (ქც 1: 303,6; 304,13; 313,12; 316,2; 291,5; 295,3), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქც 1: 319, 20; 345,16), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 174,13; 179,18; 187,9,18; 229,8; 242,25; 243,12;



ქუთაისი დოუბუა დე მონპერეს მიხედვით

250,20; 261,12; 269,7; 293,8), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 359,8; 376,17,23,26; 428,8; 486,20; 532,19,20,28; 533,2), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 124,18; 144,25; 148,16; 152,28; 158,4; 213,29; 257,17; 265,15; 278,21; 285,23; 387,15; 388,20; 415,28,30; 416,3,7; 449,23; 450,5,7; 730,15; 733,19; 761,6,24; 762,5; 773,22; 774,14; 775,11,17; 796,20,22,23; 799,19; 800,14; 803,12,18; 806,5,25; 808,15,23,24,26; 809,3; 810,11; 812,30; 817,23; 820,2; 821,7,22; 822,2,12; 823,2; 824,4; 825,1,18; 828,2; 829,6,12; 832,4; 833,7; 834,11,25; 835,21; 836,10,25; 838,21; 840,8,27; 867,22; 868,7,20; 871,19; 874,1; 877,2,6; 879,18; 880,7; 881,23; 886,3,9; 892,18,20), იმერეთის მეფის, ალექსანდრე V-ის რუკა (მათურელი 1949: 211), 1737 წ. ლიხთიმერეთის რუკა (ბურჯანაძე 1959: 187), XVI-XVIII სს-ის კინკლოს ფრაგმენტის მინაწერები, 1703 წ. ჟამნგულანის (მცირე ქრონიკები 1968: 37, 55, 56, 68, 69), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 54, 75, 76), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 53, 54, 59, 67, 85, 87, 92, 99, 106, 107), აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიოები, ორფიკული არგონავტიკა, ლიკოფრონ ქალიქიდელის „ალექსანდრა“, „ალექსანდრას“ ძველი სქოლიონები, კალიმაქე კვირენელის „მიზეზნი“ I, სექსტუს პროპერციუსის „ელეგიები“, გაიუს ვალერიუს ფლავუსის „არგონავტიკა“ (ურუშაძე 1993: 58, 60, 69, 74-76, 82, 86; 1970: 129, 165, 173, 277), პომპონიუს მელას „ქვეყნის აღწერილობა“ (გამყრელიძე 1965: 30), პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“ (ურუშაძე 1993: 89), პროკოპი კესარიელის „გუთებთან ომისათვის“ (გეორგიკა 1934: 163-164), ავათია სქოლასტიკოსის „ოუსტინიანეს მეფობის შესახებ“ (გეორგიკა 1936: 30, 54, 61, 123, 159), სტეფანე ბიზანტიელის „ეტიკა“ (გეორგიკა 1936: 278), სვიდას „ლექსიკონი“ (გეორგიკა 1952: 78), იოანე ცეცეს „სქოლიოები ლიკოფრონის კასანდრასათვის“ (გეორგიკა 1967: 32, 37, 38), კასტორიუსის „ტაბულა პეგტინგერისა“

(ლომოური 1958ა: 109), ანონიმი ავტორის „აშხარ-აცუიცუ“ (ერემიანი 1963: 10), ამბროზიო კონტარინის „მოგზაურობა კავკასიაში“ (კონტარინი 1894: 48), ჯოსაფატ ბარბაროს „მოგზაურობა ტანასა და სპარსეთში“ (ბარბარო 1981: 62), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 66-70, 72-75), დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი „წერილები საქართველოზე“ (მილანელი 1964: 79), არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ (ლამბერტი 1991: 17, 87), პავლე ალუპოელის „საქართველოს აღწერილობა“ (ალუპოელი 1973: 72), ნიკოლაეს ვიტსენის „მოგზაურობა“ (ვიტსენი 1705: 516), ტლოჩანოვის „იმერეთში ელჩობის მუხლობრები აღწერილობა“ (ტლოჩანოვი 1970: 80, 152, 232), იევლევის „იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა“ (იევლევი 1969: 135, 141, 166), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 5, 7, 101, 129, 135, 137, 147, 159, 161, 163, 173, 175, 187, 209, 287, 297, 307, 309, 325), ვგლია ჩელევის „მოგზაურობის წიგნი“ (ჩელევი 1971: 301), გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 114, 129-134, 145-148, 156, 164-168, 175-176, 178, 182-184, 186, 188, 189, 194, 197, 199, 200, 207, 212, 214, 216-218, 220, 223, 225, 228-230), ფრედერიკ დოუბუა დე მონპერეს „მოგზაურობა კავკასიაში“ (დოუბუა დე მონპერეს 1843: 339), ალექსანდრე დოუმას „კავკასია“ (დოუმა 1964: 411-419), კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის „აქტები“ (აქტები ... 1866: 407). მდებარეობს მდ. რიონის შუა წელზე, ვაკისა და მთაგორიანი ადგილის გარდამავალ ზონაში, დღევანდელი ქ. ქუთაისის ადგილზე. ქუთაისი სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა სახელით იხსენიება: კუტაისი, კუტაია, კუტაიონი, კუტა, კოტაიონი, კოიატონ, ქუთაისი, ქუთაისი (ურუშაძე 1964: 192, 295-296, 301-311). მკვლევართა ნაწილის აზრით, სახელწოდება ქუთაისი შეიძლება წარმოშობილი იყოს საკუთარი სახელიდან, ქუთათისაგან (ჟორდანიას 1956: 168-173). მეორე ნაწილის მიხედვით, შეიძლება ნიშნავდეს გამოცარიელებულ ადგილს მთებს შორის (გორდუზიანი 1985: 117, 118). ძვ. წ. VII-V სს-ში ქუთაისი ქალაქური ტიპის დასახლებაა (ლორთქიფანიძე 1988:172). ძვ. წ. IV-ახ. წ. III-IV სს-ში საქალაქო დასახლება დაცემას განიცდის და ცხოვრების ცენტრი ქუთაისის „ქვეყნის“ ვაკე ნაწილში გადადის. ახ. წ. III-IV სს-დან კვლავ ხდება ძველი სამოსახლოს ერთი ნაწილის გამოცოცხლება და იწყება „ახალქალაქობის“ ხანა. IV ს-ში ქუთაისი ფერისის სამეფოს მთავარი ქალაქია. V ს-ში ქუთაისის აღმავლობა გრძელდება. VI-VII სს-ში ქუთაისი თმობს პოლიტიკურ პრიორიტეტს, მაგრამ ის წინანდებურად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ციხე-ქალაქია. VIII ს-ის დასაწყისიდან იწყება ქუთაისის ხელახალი აღმავლობა. ის ჯერ ქართლის ერისმთავართა რეზიდენციად იქცა, შემდეგ ეგრის-აფხაზთა სამეფოს დედაქალაქად



ძველი ქუთაისის გეგმა

გამოცხადდა. X ს-ის ბოლოს სრულიად საქართველოს დედაქალაქია. XII-XIII სს-ში დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ცენტრია. XV ს-ის 70-ანი წლებისათვის ქუთაისი მცირე ქალაქად იქცა (მესხია 1983: 137). მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო შემცირდა XVI-XVII სს-ში. XVIII ს-ში დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი და იმერეთის სამეფოს დედაქალაქი ხდება. ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური ძეგლებისადმი მეცნიერული ინტერესი XIX ს-ის დასაწყისიდან ჩნდება, რაც დიუბუა დე მონპერეს სახელს უკავშირდება. მან დაგვიტოვა ქუთაისისა და მისი ციხესიმაგრის აღწერილობა. XIX ს-ის 80-იან წლებში ბაგრატიის ტაძრის მიდამოებში არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა ქუთაისის გიმნაზიის დირექტორმა ა.სტოიანოვმა (ლანჩავა 1996: 73). ამის შემდეგ პერიოდულად მიმდინარეობდა სხვადასხვა ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა გამოვლენა-შესწავლა (ლორთქიფანიძე 1994: 8, 9). ახალი ეტაპი ქუთაისის არქეოლოგიურ შესწავლაში იწყება 1963 წლიდან, როდესაც ქუთაისისა და მის მიდამოებში ფართო სადაზვერვო სამუშაოები და საცდელი ვატირები ჩაატარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნო-გრაფიის ინსტიტუტისა და თსუ-ს გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ოთ. ლორთქიფანიძე).

ქუთაისისა და მისი მიდამოების გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა განახლდა 1984 წლიდან.

მას ანხორციელებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიცია ოთ.ლორთქიფანიძის საერთო ხელმძღვანელობით, ხოლო 1986 წლიდან ო.ლანჩავას ხელმძღვანელობით (ლანჩავა 1996: 76).

ქუთაისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 4 კმ-ის დაშორებით, ჭახათის მღვიმეში აღმოჩნდა პალეოლითური ხანის ორფენიანი სადგომი. I ფენის იარაღთა ძირითად ტიპებს საჭრისები და საფხეკები წარმოადგენს. აღმოჩენილია ასევე კაჟის ისრისპირი, მიკროლამელები, ნუკლეუსები, ოსტეოლოგიური მასალა. ფენა მეზოლითის ადრინდელ საფეხურს განეკუთვნება. II ფენის იარაღები სამი ტიპისაა: წვეტანები, სახოკები და დანები. თარიღდება გვიან მუსტიეს ხანით.


მდ. წყალწითელას ტერასაზე, დაზვერვების (ხელმძღ. ნინო ბერძენიშვილი) შედეგად, აღმოჩნდა მუსტიეს ხანის იარაღ-ანატკეცები.

მდ. წყალწითელას ხეობის ჩრდილოეთით, მოწამეთას მონასტრიდან 1 კმ-ზე, საკაჟიას მღვიმეში აღმოჩნდა კაჟისა და ობსიდიანის საჭრისები, საფხეკები, დანები, სახვრეტები; ძვლის სადგისები, ირმის რქის ნაშთები; ადამიანის ზედა ყბის ფრაგმენტი. ძეგლი თარიღდება ზედა პალეოლითის შუა საფეხურით (ნიორაძე 1953: 90; ნიორაძე 1973: 21-26).

მდ. წყალწითელას ხეობის ჩრდილო ნაწილში, მოწამეთას მონასტრის მახლობლად მდებარე ორთავალა მღვიმეში, აღმოჩნდა ძვლოვანი მასალა, რომელიც შეიცავდა მღვიმის დათვის, ბიზონის, ირმის, ჯიხვის ნაშთებს. ძეგლი მუსტიეს ხანით თარიღდება (ნიორაძე 1976ა: 502-504).

ქუთაისიდან ჩრდილო-დასავლეთით 20 კმ-ის დაშორებით, მელოურში აღმოჩენილია მრავალფენიანი ღია სადგომი, სადაც გამოვლინდა კაჟის იარაღები. ძეგლი თარიღდება ქვედა პალეოლითითა და ნეოლითის ხანით (ჯიქია 1993: 34).

თეთრიმიწის ნამოსახლარზე აღმოჩენილია: კაჟის საფხეკები, საჭრისები, სახვრეტები, ხელსაფქვავეები, სალესი ქვეები, სატყეხები, საჭრეთლები; კაჟისა და კირქვის მაკროლითები, ნამგლის ჩასართები. მსხვილმარცვლოვანი კვარციანი უხეში თიხის ჭურ-



ქუთაისის სასახლის გეგმა

ჭლის ნატეხები. მკვლევართა ნაწილი თეთრიმიწის ნამოსახლარს ნეოლითის შუა საფეხურით (კილაძე 1951: 330) ან ენეოლითის ხანით ათარიღებენ.

ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთით, წყალტუბოს ზონის სოფ. ხომულის ტერიტორიაზე მდებარეობს ორფენიანი ნამოსახლარი „თეთრი მღვიმე“. I ფენაში აღმოჩნდა: ობსიდიანის საფეხეები, სამკუთხა მიკროლითი, უსახო კერამიკული ნატეხები, რომლებიც თარიღდება ზედაპალეოლითის ხანით (ჯიქია 1993: 38). II ფენაში დადასტურებულია კაჟის, ძელისა და ქვის იარაღები, ხელით ნაძერწი ჭურჭლის ნატეხები, თიხის კვირისტავები, ანთროპო და ზოომორფული თიხის გამოსახულებები. ფენა თარიღდება ენეოლითის ხანით (ჯიქია 1993: 38). ქუთაისის ცენტრალურ ნაწილს ემიჯნება ნამოსახლარი „დათეშიძის გორა“. არქეოლოგიური მასალა უპირატესად კერამიკითაა წარმოდგენილი. გვხვდება აგრეთვე თიხის კვირისტავი, ხელსაფქვავის ფრაგმენტი, ხის წნულის ანაბეჭდიანი ბათქაშები და თიხის უფორმო ნატეხები, რომლებიც თარიღდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით (სახაროვა 1970: 89).

„დათეშიძის გორას“ და ნაწილობრივ მის დასავლეთით მდებარე ტერიტორიას მოიცავს ნამოსახლარი „გაბაშვილის გორა“. მასზე არქეოლოგიური მონაპოვარი წარმოდგენილია კოლხური კერამიკით, ძვ. წ. V ს-ის ატიკური შავლაკიანი კერამიკის ფრაგმენტებით. დადასტურებულია ასევე რკინის თონი, თიხის საბერველის მილი, კოლხური ტიპის მინიატურული ცული, სატეხის ფალიბის ფრაგმენტები. ნამოსახლარის ეს ფენა ძვ. წ. V ს-ით თარიღდება (ლორთქიფანიძე 1964ა: 7).

ქუთაისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 7 კმ-ზე მდებარეობს სოფ. ჭოგნარის „ნასაჯვრების“ გორა-ნამოსახლარი. მასზე 3 პერიოდის ფენა გამოვ-

ლენილი: I ფენაში წარმოდგენილია დიდი ზომის დერგები, კანელურებიანი ქოთნები, ტალღისებური ორნამენტით შემკული ჭურჭლის ფრაგმენტები და ზოომორფული ყურები. ისინი თარიღდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით (ჯიქია 1993: 48). II და III ფენაში გამოვლენილია კოლხური ქვევრების, ბრტყელძირიანი ჯამების, ყავისფერკეციანი ამფორების ძირები, სინოპური ამფორის ყური. ფენები ადრეანტიკური და ელინისტური ხანით თარიღდება (ჯიქია 1993: 48-49).

ქუთაისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 კმ-ზე მდებარეობს მრავალფენიანი ნამოსახლარი „ფარნალის გორა“. I ფენაში გამოვლინდა: შავპრიალა კანელურებიანი დერგები, ქოთნები, თიხის 2 საბეჭდავი და კაჟის ნამკლის ჩასართები. მასალა თარიღდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით (სახაროვა 1970: 90). II ფენა მთლიანად კერამიკითაა წარმოდგენილი – ყავისფერკეციანი ამფორის ქუსლი, ძვ. წ. V ს-ის ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, მათ შორის ერთი კილიკისაა. ნივთები ადრეანტიკური ხანით თარიღდება (ლორთქიფანიძე 1964ა: 7).


ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთით, 6 კმ-ზე, სოფ. ბანოჯაში დაფიქსირებულია მრავალფენიანი გორა-ნამოსახლარი. მასზე გამოიყო 4 ფენა, რომელთა ასაკი ძვ. წ. II ათასწლეულიდან შუა საუკუნეებამდე აღწევს. ნამოსახლარზე აღმოჩენილია ლომის მარცვლები, ხელსაფქვავის ფრაგმენტები, კერამიკის ნატეხები, კაჟის შუბისპირი, ანატაკეები, რკინის ლახტის თავი (ჯიქია 1993: 52).

ქუთაისის სამხრეთით, 18 კმ-ზე მდებარეობს პატრიკეთის „გორიკა“ – მრავალფენიანი ძველი, სადაც გამოვლენილია მასალები ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან ვიდრე შუა საუკუნეების ჩათვლით.


ქუთაისის სამხრეთით, 25 კმ-ზე მდებარეობს საყულიის „გორიკა“, სადაც აღმოჩენილია ადრეანტიკური ხანის პირმოყრილი ბრტყელძირიანი ჯამის პირ-ყელის ნატეხი, მორუხო-ჩალისფერი ჭურჭლის ნატეხები შემკული ნაპრიალები ზოლებით, კაჟის ნამკლის ჩასართი, სალესი ქვები, საავგაროზეები, კოლხური ამფორებისა და ქვევრების ფრაგმენტები (ჯიქია 1993:34).

ქუთაისის დასავლეთით მდებარეობს კობიტნარის „გორიკა“, რომელზეც გამოვლინდა ადრეანტიკური ხანის სქელკედლიანი დერგის, შავპრიალა და კანელურებიანი ჭურჭლის ნატეხები, თიხის ბათქაშები. ქუთაისის სამხრეთ-დასავლეთით, 5 კმ-ზე მდებარეობს ქვეტირის გორა-ნამოსახლარი. მასზე გამოვლენილია ადრეანტიკური ხანის ჭურჭლის ფრაგმენტები. ქვეტირში დადასტურებულია ქვევრ-სამარხის ნაშთი. გააღწერილია ინვენტარის ნაწილი – თიხის ჯამი, დოქის ნატეხები, ბრინჯაოს ზურგ-შეზნექილი სამაჯური, ბეჭედი-ინტალიო (ჯიქია 1993: 57).

ქუთაისის დასავლეთით, 15 კმ-ზე მდებარეობს სოფ. მალლაკის „გორიკა“, სადაც აღმოჩნდა ადრეან-



მეფეთა რეზიდენციის გეგმა



ძველი ქუთაისის ერთ-ერთი მონაკვეთის გეგმა

ტიკური და ელინისტური ხანის კოლხური და იმპორტული კერამიკის ფრაგმენტები; შემთხვევით აღმოჩენილია 2 ქვევრსამარხი. ერთ მათგანში დადასტურდა თიხის სასმისი, ღოჭები, მათარა, რკინის ცული და სატევრის ფრაგმენტები. მასალა თარიღდება ელინისტური ხანით. მეორეში დაფიქსირდა – რკინის წვრთქვი, დანა, მარწუხი და თიხის ქთანა. თარიღდება გვიანელინისტური ხანით (თოლორდავა 1980: 34, 35).

ქ. ქუთაისში ე. წ. არქიელის გორაზე, „ცაცხვების“ ქუჩაზე შემთხვევით აღმოჩნდა დაზიანებული ორმოსამარხების კომპლექსები. სამარხეული ინვენტარიდან გადარჩენილია: რკინის თოხები, ყურმილიანი ღოჭის ფრაგმენტები, სალესი ქვები, მძივეები – მინის, პასტის, სარდიონის, ქალცედონის და სხვ., საყურეები ელექტრონისა და ბრინჯაოსი, ბეჭედი ვერცხლისა, ჯაჭვი ბრინჯაოსი, მონეტები – კოლხური თეთრი. სამარხეული ინვენტარი ძვ. წ. V-IV სს-ით თარიღდება (ჯიქია 1993: 62).

ქუთაისის ცალკეულ უბნებში შემთხვევით აღმოჩენილია: კოლხური ცულები, სვემენტები ბრინჯაოსი, თოხები რკინისა, ძვ. წ. II ს-ის შავლაკიანი ამფორისკის ძირი; ძვ. წ. IV ს-ის მუზარადი ბრინჯაოსი, ატიკური ტიპისა; ძვ. წ. IV ს-ის წითელფიფურული ლეკითოსი და შავლაკიანი ლარნაკი.

ქუთაისსა და მის მიდამოებში დადასტურებულია კოლხური მონეტები – აღექსანდრე მაკედონელის ტეტრადრამა და მითრიდატე VI-ის სტატერი.

„არქიელის გორაზე“ მიკლეულია ახ. წ. III ს-ის ნამოსახლარის ნაშთები – ხის საცხოვრებელი ნაგებობანი თიხატყპნილი იატაკით, მასზე გამართული კერები, რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩებისა

და მოედნების ფრაგმენტები (ლანჩავა 1996: 79). მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, მთის კლდოვან ბორცვზე გამოვლენილია ახ. წ. IV ს-ის დასაწყისის შიდაციხის ნანგრევები. შიდაციხის თავდაპირველი გეგმა არასწორი ექვსკუთხა ფორმისაა. ციხეს დასავლეთიდან იცავდა 2 სწორკუთხა კოშკი. ზღუდე-გალავნის კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით ღულაბზე. გალავნის კედლის სიგანე 1,4 მ-ია; შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლეა 4 მ.


შიდაციხეს 2 კარიბჭე ჰქონდა: მთავარი „ბჭისკარი“ და „ცოტა კარი“. შიდაციხეში გამოვლენილია წყალმომარაგების სისტემა, ხის საცხოვრებელი სახლების ნაშთები თიხატყპნილი იატაკებით; იქვეა დადასტურებული ხელსაფქვავის ქვები, დერგები, საყოფაცხოვრებო კერამიკა. გამოვლენილია, ასევე, რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩებისა და მოედნების ფრაგმენტები (ლანჩავა 1996: 87).

IV ს-ის შუა ხანებში ციხე-ქალაქი ორნაწილიანი (შიდაციხე და შიდაქალაქი) ხდება. შიდაქალაქის სამხრეთი კედელი გამაგრებული იყო ე. წ. გოდოლების სისტემით. შიდაციხეში აღმოჩნდა მართკუთხა ფორმის საკულტო დანიშნულების ნაგებობა (სიგრძე 26 მ, სიგანე 12 მ). ნაგებია კირქვისაგან. შიდაციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ორსართულიანი სასახლის ნანგრევები (35X20 მ). ნაგებია კირქვისა და ფლეთილი ქვისაგან. ქვედა სართული რამდენიმე განყოფილებისაგან შედგებოდა: „დიდი დარბაზი“, „მცირე დარბაზი“, „მისაღები“ და „გარე სათავსები“. იატაკი მოკირწყლული იყო აგურის ფილებით (ლორთქიფანიძე, ლანჩავა 1990: 47).

ციხე-ქალაქის IV ს-ის ფენებში აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი და მრავალკუთხედიანი ადგილობრივი თუ იმპორტული კერამიკული ნაწარმი: ქვევრები, ამფორები, დერგები, ქოცოები, ღოჭები, ხელაღები, ფიალები, მინის სასმისები, რკინის თიხი, ურო-ჩაქუჩი.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილია მონუმენტური საფორტიფიკაციო სისტემა (გალავნის საერთო პერიმეტრი 2 კმ). ყოველ 40-50 მ-ში გამაგრებულია სწორკუთხა კოშკებით (8X12 მ). ნაგებია რბილი ჯიშის კირქვისაგან. კედლის პერანგი „იზოდომური“ წყობით, საშუალო ზომის კვადრებითაა ნაგები. თავდაცვითი სისტემა ახ. წ. V ს-ით თარიღდება (ლანჩავა 1996: 126). შიდაციხეში გამოვლენილია სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევები. გეგმაში უახლოვდება კვადრატს (სიგრძე 11,45 მ, სიგანე 7,8 მ). ნაგებია კარგად გათლილი კვადრებით ღულაბზე. თარიღდება V ს-ით (ლანჩავა 1996: 137). შიდა ქალაქში, აბანოს უბანთან აღმოჩნდა ორნავიანი, მვერილაფსილიანი ეკლესიის ნანგრევები (სიგრძე 7,2 მ). ნაგებია კირქვისა და რიყის ქვებით ღულაბზე. ფუნქციონირებდა VI-VII სს-ში.

ეკლესიის გვერდით, შიდაქალაქის სამხრეთ ნაწილში, გამოვლინდა აბანოს კომპლექსი, რომელიც შედგება 3 ნაწილისაგან: საკუთრივ აბანო, აუზირეზერვუარი, შუშის საწყობი (19X10,5 მ). აბანო



ძველი ქუთაისის ერთ-ერთი მონაკვეთის გეგმა

ქვითკირის ნაგებობაა. პერანგი საშუალო ზომის კირქვის კვადრებითაა ამოყვანილი დულაბზე. აბანო 10 განყოფილებისაგან შედგებოდა: გასათბობი, აბანანა (3), საქვაბე, ცხელი, თბილი, ცივი, გასახდელი. აბანო ფუნქციონირებდა V ს-ის ბოლოდან VII ს-ის დასაწყისამდე (ლანჩავა 1996: 148-155).

V-VI სს-ის ნაგებობისა და ფენების გათხრისას აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ადგილობრივი თუ იმპორტული კერამიკული ნაწარმი – ქვევრები, ამფორები, ქოთნები, დოქები, წითელლაკიანი ჯამები, ლანგრები და მათი მინაბადები; სამშენებლო კერამიკა – კრამიტები, კალიორიფერები; მინის ჭურჭელი – ფიალა, კოლბისებური სანელსაცხებლე, სასმისები, სასარკმლე მინა. შიდაციხის ტერიტორიაზე გამოვლენილია სასახლის კომპლექსი, რომელიც 4 კომპონენტითაა წარმოდგენილი: სასახლე, აბანო, წყალსადენის სისტემა, ეკლესია. სასახლე სწორკუთხა ფორმისაა (21X18,5 მ). ნაგებია აგურით. ფუნქციონირებდა VIII ს-ის დასასრულიდან X ს-ის მეორე ნახევრამდე. შიდაციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა აბანოს ნაშთები. ნაგებია კარგად გათლილი, ზედაპირდაკეჭნილი კვადრებითა და აგურით დულაბზე. შედგებოდა 4 განყოფილები-საგან: საცეცხლე, ფიალა, აბანანა, გასახდელი. ფუნქციონირებდა VIII-X სს-ში. წყალსადენის მაგისტრალი თეთრამიწას გორის ძირიდან იწყებოდა, გადიოდა შიდა ქალაქის ტერიტორიაზე და შიდაციხეში შემოდიოდა. ციტადელში გამოვლინდა სამაფსიდიანი ეკლესიის ნანგრევები. ნაგებია კვადრებით. ჩრდილოეთით ორგანყოფილებიანი სათავსოა მიშენებული. ფუნქციონირებდა VIII-X სს-ში (ლანჩავა 1996: 198-201).

VIII-X სს-ის ფენებში აღმოჩენილია სამეურნეო დანიშნულების – ქვევრების, დერგების, ამფორების, სუფრის – დოქების, ჯამების, სასმისების; სამზარეულო – ქოთნების, ფიალების ფრაგმენტები. სამშენებლო კერამიკა – კრამიტები, აგური და სხვ. ციტადელში, აგურის სასახლის ჩრდილოეთით, გამოვლენილია მართკუთხა გეგმის სასახლე, ნაგები გათლილი სანაპირე ქვებით. სასახლე მრავალჯონს გადაუკეთებიათ. ფუნქციონირებდა X ს-დან XVI ს-მდე (ლორთქიფანიძე, ლანჩავა 1990: 53).

ფენებში დადასტურებულია მონეტები: ხოსრო I-ის (531-579), ანასტასი I-ის (491-518), იუსტინე I-ის (518-527), იუსტინიანე I-ის (527-565), მავრიკიუსის (582-602), ფოკას (602-610), რომანოზ I-ის (919-921), იოანე ციმისხის (969-975), ბასილი II-ისა და კონსტანტინე VIII-ის (976-1025), მიხეილ IV პაფლაგონიელის (1034-1041), თეოდორას (1055-1056), კონსტანტინე X დუკას (1059-1067), რომანოზ II-ის (1067-1071) სახელზე მოჭრილი (ლანჩავა 1996: 176, 213).

ქუთაისში, „უქიმერიონის გორაზე“ აღმართულია ღვთისმშობლის მიძინების ტრიკონქი, იგივე ბაგრატის ჯვარგუმბათიანი ტაძარი. გუმბათი 4 ბურჯს ეყრდნობა. ჯვრის მკლავები გარედან სწორკუთხაა, შიგნით ნახევარწრიული აფსიდებით. მდიდრულად მორთული: ფასადების გასაფორმებლად გამოყენებული თაღების სისტემა ფასადებს ერთმანეთთან აკავშირებდა. მორუქურთმებულია კარიბჭეები. კედელ-კამარებსა და იატაკს მოზაიკა ამკობდა. სამხრეთ კარიბჭეში შემორჩენილია ღვთისმშობლის გამოსახულების ფრაგმენტი. ინტერიერის ჩრდილოეთ კედელზე წარწერაა: „ქ. ოდეს განმტკიცნა იატაკი, ქორონიკონი იყო 223“ (1003 წ.). ტაძარი აგებულია X-XI სს-ის მიჯნაზე, ბაგრატი III-ის დროს (ცინცაძე 1964ა: 15-23).

2003-2009 წლებში ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ტაძრის ინტერიერსა და მიმდებარე ტერიტორიაზე 90-მდე სამარხი გაითხარა. მათ შორის აღმოჩნდა ქალის მდიდრული სამარხი (50-ე), რომელიც ტაძრის იატაკის ქვეშ VIII ს-ით დათარიღებული ბაზილიკის ნართექსის იატაკში იყო ჩაშვებული. სამარხში აღმოჩნდა ოქროს სასაფეთქლეები (2 ც.), ბეჭდები (2 ც.), სამაჯურები (9 ც.), საკიდები (3 ც.) და კილიტები: ვერცხლისა (1 ც.) და მინის (4 ც.) სამაჯურები (ლანჩავა, ისაკაძე, ქარცივაძე, 2009: 17-20).

ქუთაისის სამხრეთით, 7 კმ-ზე მდებარეობს გეგუთის ციხე-დარბაზის ნანგრევები (2000 კვ მ). ციხე-დარბაზში რამდენიმე სამშენებლო ჰორიზონტი



ბაგრატის ტაძარი აღდგენამდე



ბაგრატიის ტაძარი აღდგენის შემდეგ

ფიქსირდება. ყველაზე ადრეული ნაწილი გეგმაში მარტივი, ერთოთახიანი, დიდბურხიანი, სანადირო სახლია. მეორე ჰორიზონტის ნაგებობა XII ს-ის ადრეული ნაშენი ოთხიარუსიანი ციხე-დარბაზია. მთავარი ნაგებობის დასავლეთით მდებარეობს ეკლესია, აშენებული XIII-XIV სს-ში (ჩაკვეტაძე 1958: 6-18).

გეგმაში შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. V ს-ის ქალის ქანდაკება ითიფალური, ბრინჯაოსი (ჯიქია 1993:78). (იხ.გეგმით).

„ჭუთაისის ქვეყანაში“, სოფ. ზემო სიმონეთში, შემთხვევით აღმოჩენილია განძი, რომელიც შედგება ე. წ. აღმოსავლურ ქართული ცულის, მახვილის ფრაგმენტის, ისრისპირის ნატეხის, სატყერის პირის ფრაგმენტის, სვემენტური იარაღების – 6 ცალი (დაზიანებული), თხელფირფიტაიანი ბრინჯაოს ჭურჭლის ნატეხებისა და უფორმო ზოდებისაგან. განძი ინახება ნ. ბერძენიშვილის სახ. ჭუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. თარიღდება ძვ. წ. XII-XI სს-ით (ქორიძე 1965: 24). სოფ. ოჯოლაში (წყალტუბოს მუნიცი.) აღმოჩენილია განძი. მის შემადგენლობაშია: თიხები (23 ც), ხელეჩო, სვემენტები (5 ც), ცულები (2 ც), ისრისპირები (3 ც), სამაჯურები, მშვილდსაკინძი, ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები და ზოდები. განძი თარიღდება ძვ. წ. X-VIII სს-ით (ქორიძე 1965: 38, 39). სოფ. დღნორისაში (წყალტუბოს მუნიცი.) შემთხვევით ნაპოვნია განძი, რომლის შემადგენლობაშია: ცული და თიხი. თარიღდება ძვ. წ. X-VIII სს-ით (ქორიძე 1965: 40, 41). სოფ. საქარაში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთების კოლექცია: ცული, თიხები (3 ც), ე.წ. სვემენტისებური. თარიღდება ძვ. წ. XII-XI სს-ით (ქორიძე 1965: 23-24).

ბიბლიოგრაფია: *აღუბოელი 1973: 72; აქტები ... 1866: 407; ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 53, 54, 59, 67, 85, 87, 92, 99, 106, 107; ბაგრატიონი 1983: 54, 75, 76; ბარბაქო 1981: 62; ბურჯანაძე 1959: 187; გაბუნია 1993; გამბა 1987: 114, 129-134, 145-148, 156, 164-168, 175-176, 178, 182-184, 186, 188, 189, 194, 197, 199, 200, 207, 212, 214, 216-218, 220, 223, 225, 228-230; გამყრელიძე 1965: 30; გამყრელიძე 1982:*

17-18; გეორგია 1934: 163, 164; 1936: 30, 54, 61, 123, 159, 278; 1952: 78; 1967: 32, 37, 38; გიულენ-შტელტი 1962: 5, 7, 101, 129, 135, 137, 147, 159, 161, 163, 173, 175, 187, 209, 287, 297, 307, 309, 325; გორდუზიანი 1985: 117, 118; დიუბუა დე მონპერე 1843: 339; დიუმა 1964: 411-419; ერემიანი 1963: 10; ვიტსენი 1705: 516; თოლორდავა 1980: 35; ივლევი 1969: 135, 141, 166; ინაძე 1984; კილაძე 1951: 330; კონტარინი 1894: 48; ლანჩავა 1996; ლანჩავა 2007; ლანჩავა ... 2009: 1-20; ლამბერტი 1991: 17, 87; ლომოური 1958ა: 109; ლორთქიფანიძე 1964ა: 7; 1988: 172; 1994; ლორთქიფანიძე, ლანჩავა 1990; მათურელი 1949: 211; მილანელი 1964: 79; მესხია 1983: 137; მცირე ქრონიკები 1967: 37, 55, 56, 68, 69; ნიორაძე 1953; ნიორაძე 1973: 21-26; 1976ა: 502-504; უორდანი 1956: 168-173; სახაროვა 1970: 89; ტოლოჩანოვი 1970: 80, 152, 232; ურუშაძე 1964: 192, 295-296, 301-311; 1993: 58, 60, 69, 74-76, 82, 86, 89; 1970: 129, 165, 173, 277; შარდენი 1975: 66-70, 72-75; ქც 1: 235,16; 241,9; 242,15; 291,5; 295,3; 303,6; 304,13; 313,12; 316,2; 319, 20; 345,16; ქც 2: 174,18; 179,18; 187,9,18; 229,8; 242,25; 243,12; 250,20; 261,12; 269,7; 293,8; 359,8; 376,17,23,26; 486,20; 428,8; 532,19,20,28; 533,2; ქც 4: 124,18; 144,25; 148,16; 152,28; 158,4; 213,29; 257,17; 265,15; 278,21; 285,23; 387,15; 388,20; 415,28,30; 416,3,7; 449,23; 450,5,7; 730,15; 733,19; 761,6,24; 762,5; 773,22; 774,14; 775,11,17; 796,20,22,23; 799,19; 800,14; 803,12,18; 806,5,25; 808,15,23,24,26; 809,3; 810,11; 812,30; 813,14; 817,23; 820,2; 821,7,22; 822,2,17,12; 823,2; 824,4; 825,1,18; 828,2; 829,6,12; 832,4; 833,7; 834,11,25; 835,21; 836,10,22,25; 838,21; 840,8,27; 867,22; 868,7,20; 871,19; 874,1; 877,2,6; 879,18; 880,7; 881,23; 886,3,9; 892,18,20; ქორიძე 1965: 23, 24, 38-41; ჩაკვეტაძე 1958; 1960; ჩელები 1978: 301; ცინცაძე 1964ა: 15-23; ჯიქია 1993.

ჟამბურლუს ცინცა, იხ. ბეჭის ციხე.

ჟამბურსი (ქც 4: 539,13; 540,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 539,13; 540,11), „არჩილიანი“ (არჩილიანი 1937: 82, 83). ვახუშტი ბაგრატიონი ქურმუხის შესახებ გადმოგვცემს: „ვიმის წყალს მივერთის ჩდილობამ ქურმუხის წყალი ... ამ წყალზედ აქს ქურმუხი, სიმაგრე დიდშენი, აწ სახლი ალისულტისა“ (ქც 4: 539,11-14).

ლოკალიზდება ისტორიულ ჰერეთში, ქურმუხის ხეობაში. ამჟამად მოქცეულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში. მდებარეობს დაბა კახის სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 კმ-ის დაშორებით (აღამია 1979: 137).

ქურმუხი შედიოდა ისტორიულ ჰერეთში, წუქეთის საერისთავოში. XIII-XIV სს-ში ქურმუხის მონასტერს ჰყოლია საქართველოს კათოლიკოსს დაქვემდებარებული მთავარეპისკოპოსი, რომლის

გამგეობაში შედიოდა მთიულეთისა და წა-ხურის ეკლესიები (ჯანაშვილი 1895: 315). 1604 წ. ლაშქრობის შემდეგ შაჰ-აბას I-მა კახეთს აღმოსავლეთი მხარეები ჩამოაჭრა, რის შედეგადაც ქურმუხის ხეობა ელისუს სასულთნოს შემადგენლობაში აღმოჩნდა (ქც 4: 539, 13). XVII ს-ის დასასრულს ელისუს სულთნის რეზიდენციამ სოფ. ელისუში (მდ. ქურმუხის ხეობა) გადმოინაცვლა (პაპუაშვილი 1970: 51). ქურმუხის ხეობაზე გადიოდა გზა, რომელიც ალაზნის ველს წახურის ხეობასთან აკავშირებდა (პაპუაშვილი 1970: 358). ამ გზით ილაშქრა კახთა მეფე თეიმურაზ I-მა (1606-1648) წუქეთის სულთნის წინააღმდეგ (არჩილიანი 1937: 82, 83).

ქურმუხი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ქურმუხის წმინდა გიორგის გუმბათიანი ტაძარი ნაგებია აგურით. კედლებში გამოყენებულია „ტინისა“ და „სიპის“ ქვებიც. ტაძრის სწორკუთხა შიდა სივრცე შედგება სამი ნაწილისაგან. შუა ნავი სამი კვადრატისაგან შედგება და აღმოსავლეთით

ნახევარწრიული მოხაზულობის სამკუთხედით მთავრდება. ამ ნავის ცენტრში მოქცეული კვადრატის კუთხეებში ერთ რიგად გამართულ ტრომპებზე აყვანილია რვაწახნაგოვანი ყელი, რომელიც კონუსური ფორმის გუმბათითაა დაგვირგვინებული (აღამია 1979: 139). ეზოში ჩანს ძველი ტაძრის საძირკველი და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნანგრევები (ედილი 1947: 164; აღამია 1979: 138). ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია თარიღდება XIII ს-ის დასასრულითა და XIV ს-ის პირველი ნახევრით (აღამია 1979: 141). 1968 წ. ეკლესია დაინგრა. შემდგომ ის აღადგინეს.

ბიბლიოგრაფია: აღამია 1979: 137-141; არჩილიანი 1937: 82, 83; გვასალია 1971: 23-40; ედილი 1947: 164; კაზიევი 1956; ლინევიჩი 1873: 19; პაპუაშვილი 1970: 51, 358; 1982; ქც 4: 539, 13; 540, 11; ჯანაშვილი 1895: 315; 1902.

ქცხილვა60, ქცხინვალი იხ. ცხინვალი.



ღართა, ღართისკარი (ქც 1: 110,16; ქც 4: 351,7; 432,19; 470,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქც 1: 110,16), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 351,7; 432,19; 470,8), მათიანე ქართლისა (ქც 1: 311,7), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 405,13; 409,17), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 117, 143, 151, 342; საქ. სიძ. 1920: 276; ქრონიკები 1892: 264; 1967: 225, 244, 245, 627, 632; მასალები საქ. ისტ. 1905: 9, 23, 25; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 407; 1977: 189; 1981: 533), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 210, 211, 243), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1989: 33, 34, 57), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 7), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 50, 56, 57), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 59, 273, 275).

ვახუშტი ბაგრატიონი ღართისკარის შესახებ გადმოგვცემს: „მცხეთის ჩდილოთ არს ციხე ბელტისა ... ამის ჩდილოთ არს ღართის-კარი, ხევი ღრმა და მშრალი“ (ქც 4: 351,6-8).

ღართისკარი მშრალი ხევია, რომელიც მცხეთის ჩრდილოეთით მდებარეობს. ის მდ. არაგვის მარჯვენა მხრიდან ერთვის. სახელწოდება „ღართისკარი“ გზას, გასავალს ნიშნავდა. შესაძლოა, ხევის სახელწოდება ნატახტრის წყალსადენის მახლობლად მდებარე სოფელ ღართიდან მოდის, რომელიც ხშირად წყაროებში ღართისკარის სახელწოდებით იხსენიება (ბერძენიშვილი 1966: 22; ხარაძე 1992: 74). ამავე სახელწოდების სოფლები გვხვდება: ხაშურის მუნიციპ-ში (სძა 1990: 453), ახალციხის მუნიციპ-ში „ყაროას“ სახელით (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 187; როსტომოვი 1898: 62) და სხვ.

ღართა პირველად იხსენიება მირიან მეფის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით. ნადირობიდან დაბრუნებულ მირიანს ღართასთან შეეგება ნანა დედოფალი და მთელი ერი (მქ 1979: 342; ქც 1: 110,16). 1068 წ. განძის ამირა ფადლონი ბაგრატ IV-მ (1027-1072) ღართასთან დაამარცხა (ქც 1: 311,7). 1625 წ. მარაბდის ომის შემდეგ ყიზილბაშთა მოთარეშე რაზმი გიორგი სააკაძემ ღართისკარში ამოხოცა (ქც 2: 409,17). 1756 წ. მუხრანის ბატონი კონსტან-

ტინე ლეკებთან ბრძოლისას ღართისკარში დაიღუპა (ორბელიანი 1981: 243). 1778 წ. ერეკლე II-ემ ლეკებისაგან თავდასაცავად ღართისკარში ჯარი ჩააყენა (ორბელიანი 1981: 211). 1778 წ. მუხრანიდან მომავალმა ბატონიშვილ გიორგის მეუღლემ ქეთევანმა ღართისკარში 500-მდე მოთარეშე ლეკთა რაზმი 300 მხედრით მოიგერია (ბაგრატიონი 1983: 56).

ღართისკარი სავაჭრო გზების შესაყარში მდებარეობდა: თბილისიდან დარიალისაკენ მიმავალი გზა ღართისკარის გავლით (ღართა-საფურცლემისაქციელი) მიდიოდა. მუხრანიდან მცხეთას მიმავალი გზა ასევე ღართისკარზე გადიოდა. აქ იყო ძველი „საბაჟო“ (ბერძენიშვილი 1966: 21, 60). ანტიკურ ხანაში ღართისკარში მდებარეობდა მცხეთაში შემოსასვლელი ჩრდილოეთის მთავარი კარიბჭე (აფაქიძე ... 1982: 199).

ღართისკარში არქეოლოგიური გათხრები 1980-1988 წწ. მიმდინარეობდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. ა.აფაქიძე). შესწავლილ იქნა ღართისკარის ხევის მარცხენა ნაპირი, მდ. არაგვის მარჯვენა სანაპირო; ჩრდილოეთით, პარალელურად მდებარე მეორე მშრალი ხევის – ბრინჯილეულსა და ღართისკარის ხევის შორის მდებარე ტერიტორია (30 ჰა).

გამოვლინდა საფორტიფიკაციო სისტემა: ზღუდე-გალავანი, რომელიც გასდევს ბრინჯილეულს მარჯვენა ნაპირს ღართისკარის ზედა თხემიდან არავამდე და არაგვის მარცხენა ნაპირიდან საგურამოს ქედამდე. ზღუდე-გალავანი გამოვლენილია 0,5 კმ სიგრძეზე. ზღუდეში ჩადგმულია 6 ოთხკუთხა კოშკი (გარე ზომები: 7X7 მ; შიდა – 4,5X4,5 მ), რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებულია 50-60 მ-ით. კოშკები კონტრფორსების მსგავსად 1 მ-ითაა გამოწეული გალავნიდან. ზღუდე-გალავანი და კოშკები აგებულია ფერდზე, ხელოვნურად მოსწორებულ ტერასაზე, სადაც ხის ძელებით გაბარებული ორგის ქვით შექმნილია საძირკველი, რომელზეც ამოყვანილია ალიზის კველი (სისქე 3 მ). კოშკები, რომლებიც სამსართულიანი უნდა ყოფილიყო, ამოგსებულია დამწვარი ძელებით, ალიზის აგურებითა და მცირეოდენი ინვენტარით (წითლად ანგობირებული ქუსლიანი ჯამბი, თეთრი ანგობით მოხატული ორფურა ღერგი, კოჭობი, სამფრთიანი ისრისპირი, ბრინჯაოს ანჯამა, რკინის

ლურსმანი და სხვ.) ღარ-
თისკარის საფორტიფი-
კაციონაგებობა ძვ. წ. IV-
III სს-ით თარიღდება.
ის ანტიკური მცხეთის
ჩრდილოეთ კარიბჭეს
წარმოადგენდა და იდენ-
ტიფიცირებულია სტრა-
ბონის ცნობასთან – არაგ-
ვის გზის დასასრულს
მიუდგომელი სიმაგრის
არსებობის შესახებ (ნი-
კოლაიშვილი 1990: 2-4).
ღართისკარის შიდა
ტერიტორიაზე, მდ.



ღართისკარის გათხრები

არაგვის მარჯვენა ნაპირზე რამდენიმე ძველი და-
დასტურდა: 1. სამლოცველო (ტაძარი), რომელ-
იც ცენტრალურ ნაწილში, ტერასაზე, 100 კვმ
ფართობზე გამოვლინდა. ის სამი ნაწილისაგან
შედგება. ნაგებია ქვითა და ალიზით. კედელზე
ალიზით ნაგები რაკურთხეველია მიშენებული.
გადახურვა შესაძლოა ბანურ-გვირგვინოვანი ჰქონ-
და. თიხატყეპნილ იატაკზე დიდი რაოდენობით
აღმოჩნდა თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა;
2. ელინისტური ხანის სამაროვანი სამლოცველოს
ჩრდილოეთით მდებარეობს. იქ გაითხარა 3 ორ-
მოსამარხი და 1 ქვევრსამარხი. სამარხებში ბავშ-
ვები დაუკრძალავთ მოხრდილი კიდურებით, თავით
დასავლეთითა და ჩრდილოეთით. სამარხებში აღ-
მოჩნდა: ქუსლიანი ჯამები, პითოსის იმიტაცია,
ყურიანი ჭრაქი; ბრინჯაოს თავებუკანხილი, მაგ-
თულოვანი საყურე. სამარხები ძვ. წ. I ს-ით თარიღ-
დება (აფაქიძე ... 1997: 65); 3. შენობათა კომპლექსი
არაგვის ხიდთან, 220 კვმ ფართობზეა განფენილი.
შენობები ნაგებია რიყის ქვით, ერთრიგა წყობით
და გადახურულია წილიად შეღებილი ბრტყელი და
ღარისებური კრამიტით (ნიკოლაიშვილი 1990: 5);
4. წისქვილი აღმოჩნდა შენობათა კომპლექსის სიან-
ლოცვე. მისგან სამი კედლითაა დარჩენილი (სისქე
0,8-0,9 სმ). ისინი რიყის ქვითაა ამოყვანილი და
თიხითაა შელესილი. ინტერიერში კედლებიდან 75
სმ-ის დაცილებით განლაგებულია საფეკავი მოწყო-
ბილობანი: რიგები, რომლებზეც ერთდროულად 12
მეწიქვილეს შეიძლება ემუშავა. იატაკზე ხორბ-
ლის, თუ ფქვილის შესანახი 2 დიდი ზომის ჭურ-
ჭელი – თაღარი – იდგა. იქვე აღმოჩნდა დამაღარ-
ტყეპული თიხის გუნდა, რომლითაც ფქვილით სავსე
ჭურჭელს ბუჭდავდნენ (ნიკოლაიშვილი 1990: 5).
ზღუდე-გალავნის IV კოშკის სამხრეთ-დასავლეთ
კუთხეში აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის ორმოსა-
მარხი (აფაქიძე ... 1985: 84). ღართისკარის არქე-
ოლოგიური მასალა ინახება მცხეთის არქეოლოგი-
ური ექსპედიციის ბაზაში.

ბიბლიოგრაფია: აფაქიძე ... 1982: 191-218; აფა-
ქიძე ... 1989: 6-35; აფაქიძე ... 1995ა: 6-57; აფაქიძე
... 1982ა: 68-79; აფაქიძე ... 1982ბ: 35-39; აფაქიძე
... 1985: 44-46; აფაქიძე ... 1986: 31-37; აფაქიძე ...

1987: 47-51; აფაქიძე ... 1995: 83-89; აფაქიძე ... 1997:
65-70; ბაგრატიონი 1983: 50, 56, 57; ბაგრატიონი
დავით 1941: 7; ბერძენიშვილი 1966: 22, 23, 59, 60;
გიულდენშტედტი 1962: 59, 273; გურჯისტანის
ვილაიეთის ... 1958: 187; მასალები საქ. ისტ. 1905:
9, 23, 25; მქ 1979: 320-355; ნიკოლაიშვილი 1990:
ორბელიანი 1981: 210, 211, 243; როსტომოვი 1989:
62; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 117, 143, 151; საქ.
სიძ. 1920: 276; სძა 1990: 453; ქრონიკები 1892: 264;
1967: 225, 244, 245, 627, 632; ქართ. სამართ. ძეგ.
1972: 407; 1977: 189; 1981: 533; ქც 1: 110,16; 311,4;
ქც 2: 405,13; 409,17; ქც 4: 351,7; 432,19; 470,8;
ხარაძე 1992: 74; ხერხეულიძე 1989: 3, 34, 57.

ღარი, დაბა (ქც 4: 767,19). იხსენიება შემდეგ წერი-
ლობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწე-
რა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 767,19), XVII
ს-ის ისტორიული საბუთი (მასალები საქ. ისტ.
გეოგ. 1964: 230), იოჰან გიულდენშტედტის „მოგ-
ზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი
1962: 107, 291).

ღარის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვ-
ცემს: „ამ ონს ზეით მოერთვის რიონს ღარულას
ხევი სამხრდიამ ... ამან მოიგო სახელი დაბისაგან
ღარისა, მუნ რიონის კიდესა დაშენებულისაგან“
(ქც 4: 767,16-19).

მდებარეობს ონის მუნიციპ-ში, მდ. ღარულასა და რი-
ონის შესართავთან, სოფ. ღარის ტერიტორიაზე.
მამისონის უღელტეხილზე სოფ. ღარიდან ამოდის
გზები (ბერაძე 1983: 29). სოფ. ღარში მდებარე მთა-
ვარანგელოზის საჯვარისას დარბაზული ეკლესია
(ბოჭორიძე 1944: 329, 351).

ღარი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1983: 6, 10, 29, 30; ბოჭ-
ორიძე 1994: 329, 351; გიულდენშტედტი 1962: 107,
291; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 230; ქც 4: 767,19.

ღვაი (ქც 4: 370,5). იხსენიება შემდეგ წერილობით
წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამე-
ფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 370,5; 649,5; 650,11,15;
651,2; 747,2; 769,1,სქ1; 770,4), ბაგრატ ბაგრატიო-
ნის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941:
60), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადი-
ანი 1962: 143), XV, XVII-XVIII სს-ის ისტორიული
საბუთები (კაკაბაძე 1914: 126-131; მაკალაია 1987:
16-22; ბურჯანაძე 1959: 186, 196; ქართ. სამართ. ძეგ.
1977: 243), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა
საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 105, 107,
125, 289, 291; 1964: 29, 31, 189, 217, 259).

ვახუშტი ბაგრატიონი ღვის შესახებ გადმოგვცემს:
„გლოლის ხევის შესართავს ზეით რიონის სამხრით
არს ჭიორა, დაბა მოზღუდვილი და კოშკოვანი გოდ-
ლოვანი. ამას ზეით, ჩდილოთ კერძოდ დაბა არს
ღები, ვგრეთვე ნაშენი“ (ქც 4: 768,19,20, 769,1,2).

მდებარეობს ონის მუნიციპ-ში, ონიდან 35 კმ-ის და-
შორებით, მდ. რიონის სათავეებთან, მის მარცხენა
მხარეს.



ღები, დიუბუა დე მონპერეს მიხედვით

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XV ს-ში მეფე ალექსანდრე I დიდის (1412-1442) სიკელში (კაკაბაძე 1914: 126-131; გაბლიანი 1927: 12-18; მაკალათია 1987: 16-22). რიონის სათავეებიდან კავკასიონის მთავარ ქედზე ღებ-გლოლადან გზა გადადიოდა არდონის ხეობაში. ღებიდან და გლოლა-ჭიორიდან საცალფეხო ბილიკები გადადის დიგორში (მაკალათია 1987: 12).

ღებსა და მის მიდამოებში ადრინდელი იქცევა ფურადღებსა შემთხვევითი მონაპოვრები. ღების ახლოს, ბრილში, ხენის დროს მოსახლე ოფა ლობჯანიძეს რამდენჯერმე გაუხსნია ქვის სამარხები. ერთი ასეთი სამარხიდან ამოუკრეფია თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამკაულები, მცირე ქანდაკებები და მიიღებინა. ნივთების უმეტესობა კავკავში გაუყვია. ამ ნივთებიდან საქართველოს სახ. მუზეუმში მოხვედრილია ბრინჯაოს სამაჯური და მიიღებინა (მაკალათია 1987: 14, საინვ. №18-26-1). 1928 წ. ღების მცხოვრებ ვასილ გობეჯიშვილს ადგილ „შოშეთში“ უპოვია ბრინჯაოს ბალთა, რომელიც მიცვალებულს წელზე ჰქონია. ბალთა საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) დაცული (ინვ. №13-28-1). ღებში შემთხვევითი მოპოვებული ანალოგიური ბალთები შეუძენია პ.უგაროვას (უგაროვა 1900: 349-355).

ღებსა და მის მიდამოებში სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლებია გამოვლენილი. 1936-1938 წწ. ღების ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,5 კმ-ის დაშორებით, ადგილ „შოშეთში“ გაითხარა ძვ. წ. III-I სს-ის სამაროვანი, 19 სამარხი. სამარხებში გამოვლინდა: კერამიკული ნაკეთობანი; ხარის ვერცხლის ქანდაკება, ბრინჯაოს ბალთები ცხოველთა სტილზეებული გამოსახულებით, ოქროს ბეჭდები, საყურე, სარდიონის, მინისა და პასტის მიიღები, ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტის მინაბაძი და სხვ.

ღების ჩრდილოეთით 10-ოდე კმ-ის დაშორებით მდებარეობს ბრილის ნასოფლარი, სადაც 1939-1961 წწ. (შეგადამიგ შესვენებით) არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ისტორიის ინსტიტუტის რაჭის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ.გობეჯიშვილი). იქ გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლარი და სამაროვანი. აგრეთვე მეტალურგიული წარმოების ნაშთები.

შუა ბრინჯაოს ხანიდან ანტიკური ხანის დასასრულამდე (ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი – ძვ. წ. III ს) გამოვლინდა შემდეგი ტიპის სამარხები: ორმოსამარხები, ქვის სამარხები, თხრილებით გარშემორტყმული მოედნები. მიცვალებულები დაკრძალულია კიდურებმოხრილი. ვახვდება წვეილადი დაკრძალვა. კრემაციულ მოედნებზე 100-მდე ინდივიდი აღინიშნა. ყველაზე ადრეულია ძვ. წ. XVIII-XIV სს-ის სამარხები, სადაც აღმოჩნდა ბრინჯაოს ყუამილიანი ცულეები, მასრაგახსნილი შუბები, ფოთლისებური სატევრები, ცხოველთა ქანდაკებები, საკინძები, სასაფეთქლეები, ღუმისებრი კავეები, ჭვირული მიივსაკადები, რქებდახვეული ცხვრის თავის გამოსახულება, ცხვრის თავებით შემკული ცულეები, წვეილი დათვის ქანდაკება და სხვ. ძვ. წ. XIII-VIII სს-ის სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს ნაკეთობანი: კოლხური ცულეები, ფართოქუდიანი სატევრები, სწორკუთხა აბზინდები, ხვეული სამაჯურები, საკისრე რგოლები, თიხი, ნამგალი, ლითონისა და თიხის ჭურჭელი, ვერძისა და ძაღლის ქანდაკებები და სხვ. ძვ. წ. VII-VI სს-ის სამარხებში გამოვლენილი მირითადად რკინის იარაღია: ცულეები, დანები. გამოირჩევა წარჩინებული პირის სამარხი, სადაც აღმოჩნდა: 7 ცული, 14 შუბისპირი, 8 სატევრისპირი, 26 საკინძი, 12 სამაჯური და სხვ. (სინ 1970: 230, 231). ძვ. წ. VI-IV სს-ის სამარხებში გამოვლენილია ჭვირული აბზინდები, ქარვისა და ფერადი მინის მიიღები, რკინის მახვილები, სატევრები, აკინაკები, ბრინჯაოს ე. წ. სკვიტური ისრისპირები, ოქროსა და ვერცხლის საკისრე რგოლები, სხივანა საყურეები. აღსანიშნავია მინის ამფორისკის, მინის არიბალოსის, ბერძნული შავლაკიანი სიფოსის ნატეხების, ალექსანდრე მაკედონელის მონეტების ოქროს მინაბაძისა და სხვ. აღმოჩენა (სინ 1970: 230-233, 235, 266, 268, 288-290, 293, 686-687).

1960 წ. გაითხარა აკლდამა, რომელიც ამოშენებული იყო ცალპირად ნაწყობი ქვებით. იატაკი დედაქანია. სახურავი ძეგლებზე დაყრდნობილი ქვის ფილებია. გეგმაში სწორკუთხაა. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. შესასვლელი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეშია. სამხრეთი კედლის გასწვრივ გამართული იყო ქვის მერხი. სამარხის ცენტრში შუაში ჩაჭრილი მცირე ორმო (სამსხვრბლო) მოფლავსებულია. აკლდამაში რამდენიმე ათეული ჩონჩხი იყო უწყსრივოდ ჩასვენებული. ნივთები მიმოფანტული იყო. ესენია: ბრინჯაოს სამკაულები, მიიღები, ხეიბი, სასაფეთქლეები, ძეღის ნივთები, მინიატურული ყუამილიანი ცულის იმიტაცია, სხვადასხვა ქანდაკება, კერამიკის ნატეხები. აკლდამა თარიღდება შუა ბრინჯაოს ხანით (ბარამიძე 1961: 23, 24).

იქვე, სამაროვნის ჩრდილოეთით, გაითხარა ძველი სამოსახლოს ნაშთი, რომელიც წარმოდგენილია ნაგებობათა საძირკვლების სახით – ქვის ორპირი



ბრინჯაოს არტეფაქტი ბრილიდან



არტეფაქტები ბრილიდან

წყობა შუაში შევსებულ ხურდა ქვით. ხის კედლები შელესილი ყოფილა ბათქაშით. გამოვლინდა დანახშირებული ხის მასალა; გამომწვარი ბათქაშის ნატეხები, თიხის ჭურჭლის ნატეხები; ქვისა და რკინის იარაღები, კვირისტავეები, მინის მივივები, ცხოველთა

ძვლები. ნანგრევებში აღმოჩნდა მადნის დასამუშავებელი ქვები, მადნის ნატეხები. ნამოსახლარი განეკუთვნება ძვ. წ. VI-IV სს-ს (ღამბაშიძე 1960: 22, 23). ღების და ურავის მიდამოებში წლების მანძილზე რაჭის არქეოლოგოურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ.გობეჯიშვილი) გამოავლინა 100-ზე მეტი გამონამუშევრები, საიდანაც რამდენიმე ათასი ტონა მადნია გამოტანილი (გობეჯიშვილი 1952ა: 75-78). ჩვეურობა მიკვლეულია 18 მღვიმე-მალარო. მოიპოვებდნენ ანთიმონის, ქალკოპირიტის, პიროტინის, კობალტის შემცველ სპილენძის მადანს. დამოწმებულია სუფთა სპილენძის მადანიც. გამონამუშევრების სიგრძე 2 მ-დან 100 მ-დეა. ზოგიერთი მალაროს კედლებზე ეტყობა ლითონის იარაღის კვალი. მალაროებში გამოვლენილია მადნის სამტვრევი გრანიტის ქვის უროები, სასრესები, როდინები. გამდინარე წყალში შემონახული იყო ნახშირი, ძვლები, ნაპობები, ყავრები, ღარები, გობები, კვარის ნატეხები, რაც მადნის ადგილზე, პირველდამუშავებაზე მიუთითებს. ჩვეურობა ხეობაში უამრავი გამონამუშევარი, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ნადირის ხერვლს“ უწოდებს (გობეჯიშვილი 1961: 20, 21). ჩვეურობა ფუჭ ქანებში აღმოჩნდა II ათასწლეულის დასასრულის ბრინჯაოს სატევარი, რომელიც დადასტურება იმისა, რომ რიონის სათავეებში სამთამადნო საქმესა და მეტალურგიას მისდევდნენ.

1961 წ. ექსპედიციამ მიაკვლია ანთიმონის გამოხურვებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ფენას, სადაც გამოვლინდა კვარცის გამომწვარი ნატეხები, ქვის სამუშაო იარაღი, ხის ნაშთი, ტიგელებად ნახმარი ლითონით გაუფრთხილი თიხის ჭურჭლის ნატეხები. გადამაყარში აღმოჩნდა სპილენძის მადნისა და თვითნაბადი სპილენძის ნატეხები, დამტვრეული ქვის იარაღები. ჩვეურობა ხეობაში დადასტურდა ორი ტიპის გამონამუშევრები – ღია და დახურული (გობეჯიშვილი 1962: 21-23). XIX ს-ში რაჭაში იმოგზაურა პ.უვაროვამ, რომელმაც აღწერა ღებები. ის მიუთითებდა ღებისათვის დამახასიათებელ ქვიტიკირის სახლებს თავისებურ ტიპზე (დუროიანი სახლი). ღების ეკლესიაში ინახებოდა ვერცხლისა და ოქროს ჯვრები, წიგნები და სხვა საეკლესიო ნივთები. ხატების უმეტესობა ეკუთვნოდა XII-XIII სს-ს. 1911-1912 წწ. ეკლესია გაიმარცხა და საუკეთესო ნივთები გაიტაცეს

(თაყაიშვილი 1963: 8-19). ეკლესიაში დაცული ხატ-ჯვრების უმეტესობაზე ასომთავრული წარწერებია (ბოჭორიძე 1994: 258-260).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 60; ბარამიძე 1961: 21, 22; ბერაძე 1983: 33, 34, 49-58; ბოჭორიძე 1994: 258-268; ბურჯანაძე 1959: 177-197; გაბლიანი 1927: 12-18; გამყრელიძე 2002: 39-49; გიულდენშტედტი 1962: 105, 107, 125, 289, 291; 1964: 29, 31, 153, 189, 217, 259; გობეჯიშვილი 1952: 53-60; 1952ა: 183; 1960: 19-22; 1961: 19-22; 1962: 21-24; 1966: 16-20; დადიანი 1962: 143; თაყაიშვილი 1963: 8-19; კაკაბაძე 1914: 126-131; მაკალათია 1987: 16-22; უვაროვა 1894: 109-120; 1900: 349-355; საქ. არქ. 1959: 109-112; სიმონი 1960: 73, 230, 231, 253, 266, 278, 279, 731; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 243; ქც 4: 370,5; 649,5; 650,11,15; 651,2; 747,2; 769,1,სქ.1; 770,4; ღამბაშიძე 1961: 22, 23.

ლოპიითი, სოფელი (ქც 4: 666,16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 666,16), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 177, 180, 183, 211).

ვახუშტი ბაგრატიონი ლობიეთს მოიხსენიებს სამცხე-საათაბაგოს აღწერისას: „კულად მტკუარს მიერთვის, წითელ-კლდეს ზეით, ლობიეთის პირისპირ ოშორის ხევი“ (ქც 4: 666,16). მდებარეობს ასპინძის მუნიციპ-ში, სოფ. ზველთან, როგორც მისი უბანი. ლობიეთი გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის შედგენისას ყოფილა სოფ. ზველის ვენახოვანი ადგილი, რომელიც შემდგომში დამოუკიდებელი სოფლად ჩამოყალიბებულა ზველის დასავლეთით. ლობიეთი არქეოლოგოურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 177, 180, 181, 183, 211; ქც 4: 666,16.

ლოღორა (ქც 4: 379,13) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 379,13), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 349,8,9), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 210, 212; მასალები საქ. ისტ. კვლე. 1964: 232; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 476), 1737 წ. ლიონ-იმერეთის რუკა (ბურჯანაძე 1959: 186, 196), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 301).

ვახუშტი ბაგრატიონი ლღორას შესახებ აღნიშნავდა: „ძირულა გამოსდის მთასა პერანგას და დის ლღორამდე სამხრით და მუნიდამ მომტრგვალვით დასავლეთად“ (ქც 4: 379,12-14).

მდებარეობს საჩხერის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. ლღორას ტერიტორიაზე. ქართლის მეფე დავით X-ს (1505-1525) ეპყრა ქვეყანა, რომლის საზღვარი იყო გორაძირი, ლიჩი, ლღორა (ქც 2: 349,8,9). ლღორას ულუმბოს

ღვთისმშობლის ეკლესიის სასარგებლოდ ეკისრებოდა მუშაობა და აღაპი (ქრონიკები 1897: 210, 212). XVIII ს-ში ლოდორა საწერეთლოში შედიოდა (სოსელია 1981: 86). ქართლიდან იმერეთში გადასასვლელი ერთ-ერთი გზა ულუმბოს მონასტერს ჩაუვლიდა და შორაპანში ჩავიდოდა ლოდორა-ლიჩი-ამაშუკეთზე გავლით. ამ გზით უნდა ესარგებლათ სელჩუკებს 1068 წ. დასავლეთ საქართველოში გადასასვლელად. თემურ-ლენგიც ამ გზით უნდა გადასულიყო იმერეთში.

ლოდორა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.
ბიბლიოგრაფია: *ბოჭორიძე 1996: 138, 278; ბურჯანაძე 1959: 177-197; გიულდენშტედტი 1962: 301; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 232; სოსელია 1981: 86; ქრონიკები 1897: 210, 212; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 476; ქც 2: 349,8,9; ქც 4: 379,13.*

ღრტილა (ქც 1: 300,14; 305,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: მათიანე ქართლისა (ქც 1: 300,14; 305,1), ქართული ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 126), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 199).

მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპ-ში, მისგან ჩრდილო-დასავლეთით, თანამედროვე სოფ. მერენიას უბან იხტილაში.

ღრტილა XI ს-ში მეფე ბაგრატ IV-ის რეზიდენციად იქცა (ბერძენიშვილი 1984: 100). 1046 წ. აქ მომხდარა პაექრობა ქართველ და სომეხ მოძღვართა შორის (კეკელიძე 1960: 495). 1046-1047 წწ. ბაგრატ მეფე ლიპარიტთან საბრძოლველად ქართლიდან ღრტილას გადმოსულა (ბერძენიშვილი 1985: 100). XVI ს-ის ბოლოს ოსმალთაგან დაპყრობილ ჯავახეთში, სოფელი ხერთვისის ლივაში ითვლებოდა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 199). XVIII ს-ში სოფელი თანდათან დაკნინებულია (ჯავახეთი 2000: 70).

ღრტილა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფელში დგას გალავნით შემოზღუდული, თლილი ქვით ნაგები თავისუფალი ჯვრის ტიპის უგუმბათო ტაძარი, რომელიც არაერთხელაა განახლებული (ბერძენიშვილი 1984: 100). თავდაპირველად, VII-IX სს-ში, შესაძლოა, აქ გუმბათიანი ეკლესია მდგარიყო, რომელიც შემდგომ უგუმბათოდ გადაუკეთებიათ (ჯავახეთი 2000: 70). ეკლესიის საამშენებლო წარწერა თარიღდება 1308 წლით (ბერძენიშვილი 1985: 106).

ბიბლიოგრაფია: *ბერძენიშვილი 1975: 82-128; 1985: 100, 106; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 199; კეკელიძე 1960ა: 495; ქრონიკები 1892: 126; ქც 1: 300,14; 305,1; ჯავახეთი 2000: 70.*

ლუღუშაურების ციხე (ქც 4: 357,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 357,19). XVIII ს-ის ისტორიული საბუთი (მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 65).

ვახუშტი ბაგრატიონი ლუღუშაურების ციხის შესახებ გადმოგვცემს: „აღმოსავლეთიდან არაგუს ერთვის, არმაქ ქვეით აჩხოტის ხევი. აქა არს ციხე ლუღუშაურისა მცირე, არამედ ფრამდ მაგარი. ამ ხევიდამ გადავალს გზა გუდამაყარს“ (ქც 4: 357,18-20). ხეობიდან გზა გადადის მთიულეთსა და ხევსურეთშიც (ითონიშვილი 1971: 150).

მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპ-ში, სოფ. სნოში, მდ. სნოსწყლის (არაგვის) მარჯვენა ნაპირზე. სოფ. სნო ზოგიერთ წყაროში ლუღუშაურების სახელითაცაა მოხსენიებული (ბაგრატიონი 1986: 36).

ლუღუშაურების ციხის შესახებ მდიდარი ფოლკლორული მასალაა შემონახული. გადმოცემის თანახმად ციხე აუგია ხევში აღზევებულ შიოლა ლუღუშაურს, რომელსაც აზნაურობა მიუღია და ზოგიერთი სოფელიც დაუბევრავს. თემი წინ აღუდგა ხევზე გაბატონების მოსურნეს და მას იზიკურად გაუსწორდა (შანიძე 1931: 337; მაკალათია 1934: 43, 44).

ლუღუშაურების ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ვაკე ფართობზე ამოზიდულ პატარა კლდოვან ბორცვზე აღმართულია სწორკუთხა სამსართულიანი კოშკი, რომელსაც თითქმის წრიული გალავანი შემოუყვება. ციხეს შესასვლელი აღმოსავლეთიდან ჰქონია. საკუთრივ კოშკში შესასვლელი 6 მ სიმაღლეზე მდებარეობს. კოშკი და გალავანი ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით. თლილი ქვა გამოყენებულია კოშკის კუთხეებში და კარ-ფანჯრების ირგვლივ. ციხე თარიღდება XVI ს-ის მეორე ნახევრით ან XVII ს-ის დასაწყისით (ბერძენი 1983: 114; ზაქარაია 1988: 113).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 36; ბერძენი 1983: 114; ზაქარაია 1988: 113; ითონიშვილი 1971: 150; მაკალათია 1934: 43, 44; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 65; ქც 4: 357,19; შანიძე 1931: 337.*



ყამსას ციხე (ქვ 4: 756,22). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 756,22).

ვახუშტი ბაგრატიონი ყამსას ციხის შესახებ აღნიშნავს: „ზუსა გამოსდის გარჯილას მთასა და დის ყამსას ციხემდე ჩდილოდამ სამხრით, და ყამსას ციხიდან აღმოსავლეთ-სამხრეთს შუა და მიერთვის ბუჯას. ამ ციხეს ზეით, ზუსას მდინარის დასავლეთით, არს ჩიხორი, ქალაქი მცირე“ (ქვ 4: 756,21-25). მდებარეობს თერჯოლის მუნიციპ-ში. 1923 წ. საქართველოს ისტორიულ რუკაზე აღნიშნულია სოფ. ტელეფასა და საზანოს შორის (საქ. ისტ. რუკა 1923). ყამსას ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: საქ. ისტ. რუკა 1923; ქვ 4: 756,22.

ყანჩაყაო (ქვ 4: 359,16,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 359,16,17), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტი (ქვ 2: 444,5), „ძველი ერისთავთ“ (ქრონიკები 1897: 6, 13, 172; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106, 112), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 273; 1967: 10, 11; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 126).

ვახუშტი ბაგრატიონი ყანჩაყაოს შესახებ გადმოგვცემს: „წირქუალს ზეით, ჩდილოთ, არს მონასტერი კაბენი, გუმბათიანი, ყანჩიყოს, კეთილად ნაშენი, შუენიერს ადგილს და აწ ხუცის სამარ“ (ქვ 4: 359,16,17).

მდებარეობს ახალგორის მუნიციპ-ში, ახალგორიდან 6 კმ-ის დაშორებით, მდ. ყანჩაყარას ხევის ნაპირებზე, თანამედროვე სოფ. ყანჩაყაოს მიდამოებში.

IX ს-ში ყანჩაყაო საერისთავოს ცენტრია. მისი მფლობელები იყვნენ ერისთავთ-ერისთავები ბაკურ და იოანე ყანჩაყალები. X ს-ში ყანჩაყაო საერისთავოს ცენტრის ფუნქცია დაკარგა (გვასალია 1983: 25). XIV ს-ის დასაწყისში მეფე ვახტანგ III-მ (1302-1308) ყანჩაყაო ქსნის ერისთავ შალვა ქვენიფნეველს უწყალობა (გვასალია 1983: 68). XV ს-ში აქ ყმა-მამული ჰქონია სამთავისის მონასტრის (ქრონიკები 1897: 273). ყანჩაყაოს კაბენში საძვალე ჰქონდათ ქსნის ერისთავთა განაყოფ აზნაურ რატიშვილებს (გვასალია 1983: 74). ისინი ფლობდნენ ამ სოფელს XVIII ს-შიც (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 126). სოფელზე გადიოდა ქსნისა და ლეჩხურის ხეობების შუამავრთებელი უძველესი გზა (გაგოშიძე 1964: 7).

1960 წ. სოფლის მახლობლად, ადგილ „ნიში-ვაკეზე“, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აღმოაჩინეს სამარხი, რომელიც აღნუსხა კულტურის სამინისტროს მიერ მივლინებულმა ექსპედიციამ (ო.ტყეშელაშვილი, გ. მიქაძე). 1977 წ. ადგილ „ოთარაანთ მიწებზე“ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ნასტაკისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ა.ბოხრაძე) გამოავლინა ადრე შუა საუკუნეების ეკლესია და სამაროვანი. 1979 წ. ამავე ექსპედიციამ იქვე მოაკვლია ანტიკური ხანის სამაროვანსა და შუა საუკუნეების ნასახლარს.

მდ. ყანჩაყარასა და დაკიდული ხევის შესართავში, სოფ. ყანჩაყაოს ზემოთ, ადგილ „ნიშივაკეზე“ აღმოჩენილი სამარხი დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მიცვალებულის ძვლები დაშლილი იყო. ინვენტარის გადარჩენილი ნაწილი 38 დასახელების 79 ნივთისაგან შედგება. აქედან ვერცხლისა 33, ბრინჯაოსი 31 და რკინის 13 ნივთი. სამარხში აღმოჩნდა: თიხის რუხი ფერის კოჭბისა და წითლად გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტები; მიცვალებულის ტურქებსა და თვალებზე დასაფარებელი ფირფიტები (3 ც); ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 1 ზურგშენიჭილი სამაჯური; ვერცხლის ოვალურ-ფარაკიანი საბეჭდავი ბეჭდები (3 ც); ბრინჯაოს ჭვირული შტანდარტი; ნამგალა მთვარისებური ჭვირული ფირფიტა; ცხვრის ქანდაკება; ზარაკები; რკინის ცალპირა მახვილი; ლურსმანი; ბრინჯაოს 3 ლაგამი; ცხენის ავშარის შესამკობი ვერცხლის ფირფიტები; ვერცხლისავე პირგადაშლილი თასი; ბრინჯაოს სურა და სხვ. (გაგოშიძე 1964: 12-68). სამარხი ძვ. წ. V ს-ით დათარიღდა (გაგოშიძე 1964:77). სხვა მოსაზრებით, მისი თარიღი ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანების შემდგომი პერიოდიტაა განსაზღვრული (ლორთქიფანიძე 1985: 161).

ადგილ „ოთარაანთ მიწებზე“ მიკვლეულია ანტიკური ხანის სამაროვანი (ბოხრაძე ... 1982: 106). აგრეთვე ადრე შუა საუკუნეების ეკლესია, რომლის გარშემოც კირხსნარითა და ფლეთილი ქვებით ნაგები აკლდამები იყო. ზოგიერთ მათგანში დაკრძალული იყო ათზე მეტი მიცვალებული. ეკლესიის მიდამოებში ადრე შუა საუკუნეების ნასახლარია (ბოხრაძე ... 1980: 209).

ბიბლიოგრაფია: ბოხრაძე ... 1980: 209; ბოხრაძე ... 1982: 106; გაგოშიძე 1964; გვასალია 1967: 9-54; 1983: 13, 26, 51, 66, 68, 71, 74, 77, 78; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 126; ლორთქიფანიძე 1985: 141-162;

მაკალათია 1968: ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 106, 112; ქრონიკები 1897: 6, 13, 172, 273; 1967: 10, 11; ქც 2: 444,5; ქც 4: 359,16; 514,20.

მარაბულახო, დაბა (ქც 4: 317,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 317,15; 318,1; 472,18), 1701-1711 წწ. ქვემო ქართლის აღწერა (ლორთქიფანიძე 1935: 360), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 314), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 49), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 128,15).

მდებარეობს დმანისის მუნიციპ. მდ. შავწყაროსწყლის ორივე ნაპირზე, თანამედროვე სოფლების ზემო და ქვემო ყარაბულახის ტერიტორიაზე. წყაროებში ყარაბულახი იხსენიება XVII ს-ის ბოლოდან. 1695 წ. ერეკლე I (1688-1703) ირანის ჯართან ერთად, რომელსაც სათავეში ედგა ქალბალიხანი, შემოვიდა ქვემო ქართლში და ყარაბულახში დაბანაკდა (ქც 4: 472,18; ბერძენიშვილი 1966: 47). XVIII ს-ის დასაწყისში ზურტაკეტის ხეობაში 3 ყარაბულახი მოიხსენიება — ზემო, ქვემო და სასახლის ყარაბულახი. ამ სოფლებში ყმა-მამულს ფლობდნენ ყაფლანიშვილები, იარაღიშვილები და სამეფო ოჯახის წევრები (ლორთქიფანიძე 1935: 106-108, 360; 1938: 159-174, 220-223, 175-189, 234-237).

სოფ. ზემო ყარაბულახში 1945 წ. გეომორფოლოგიური დაკვრვების დროს ლ.მარუაშვილმა აღმოაჩინა პალეოლითის ხანის სადგომი – ზურტაკეტის ენი, რომელიც 1966-1967 წწ. შეისწავლა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ხრამის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძ. ნინო ბერძენიშვილი). 1959-1961 წწ. თბილისის სახ. უნივერსიტეტისა და საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმის თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძ. ო. ჯავახიძე) გათხარა და შეისწავლა სოფ. ყარაბულახის მახლობლად ადგილ „ორთაშუაზე“ მდებარე ყორღანული ველი.

ზურტაკეტის ენი მდებარეობს სოფ. ზემო ყარაბულახში, მდ. შავწყაროსწყლის მარჯვენა ნაპირზე, გომართის (წალკის) პლატოს ძირში. სადგომი გაჭრილია დილონტებში. 43-80 სმ სიმაღლის ფენაში აღმოჩნდა 386 ერთეული ქვის ნაწარმი. უმეტესი ნაწილი შავი ფერის ობსიდიანისაა. 8 წითელმარლვიანი ობსიდიანისაა, 9 სხვადასხვა ფერის კაჟის, 4 ბაზალტის და 1 რქეულას ჯიშის ქვისაგანაა დამზადებული. ამ სადგომში ყველაზე დიდი სერთიაა წარმოდგენილი ლამბები – 162 ერთეული. მათ შორის 70 მიკროლაშქაა. აქვე აღმოჩნდა 15 ნუკლეუსი – პრიზმული, კონუსური, ბრტყელი და მიღებული ფორმის; 21 სამუშაო იარაღი: საფხეკი – 12, საჭრისი – 2, სახვრეტი – 2, ხვეწი – 2. გარდა ამისა, ზურტაკეტის ენში აღმოჩნდა მრავალფეროვანი

ფაუნა: კეთილშობილი ირემი, ბიზონი, კავკასიური ჯიხვი, შველი, მუფლონი, კულანი, კურდღელი, ყურებიანი ზღარბი, მემინდვრია, გარეული ცხენი. ზურტაკეტის სადგომი ქვის ინვენტარის ხასიათის მიხედვით სეზონურ სადგომს წარმოადგენს და თარიღდება მეზოლითური ეპოქის შუა ხანით (საქ. არქ. 1991: 207-209; გაბუნია 1975: 21-28).

ყორღანული ველი მდებარეობს მდ. ხრამისა და მისი მარჯვენა შენაკადის მდ. შავწყაროსწყლის აუზში, ადგილ „ორთაშუაზე“, სოფ. ახას, ყარაბულახსა და უსეანქენდს შორის. გათხარა 9 ყორღანი. თარიღდება ძვ. წ. XVII ს-ის შუა ხანებით – ძვ. წ. XVI ს-ის დასაწყისით.

ყორღანთა ქვყაროები ძირითადად გამართულია ქვამიწყაროიან ფუძეზე. უდიდესი ყორღანის (№4) ზომებია: დმ 100 მ, სიმაღლე 8 მ; უმცირესის (№5) დმ 32X22 მ, სიმაღლე 1,5 მ. ყორღანებში მიცვალებულთა დასაკრძალავად აგებულია ოთხკუთხა ნაგებობები – „დარბაზები“, რომლებიც ნაგებია ფილაქვებით, წყობა მშრალია. გამონაკლისი წარმოადგენს №№8, 9 ყორღანები, რომელთა დარბაზები რიყის ქვითაა ნაგები. №5 ყორღანს „დასაკრძალავი დარბაზი“ არ ჰქონდა. მიწის პირზე მოწყობილი იყო დასაკრძალავი მოედანი. №№3, 4, 6 ყორღანების „დასაკრძალავი დარბაზებს“ აღმოსავლეთიდან აქვს დროშოსები. დარბაზისა და დროშოსის კედლების ზოგადი ქვეზე ნაკაწრი ნიშნების გამოყვანილი. №№1, 2, 7 სამარხების კედლებში მცირე ზომის სათავსოებია მოწყობილი. გარდა ამისა, ზოგიერთ ყორღანში (№№1, 2, 4, 7) ჩამყვებულია მოგვიანო ხანის სამარხები. ყორღანები გაძარცვულია.

ზურტაკეტის ყორღანებიდან ყველაზე ადრეულია №4 ყორღანი. თარიღდება ძვ. წ. XVII ს-ის შუა ხანებით. ყორღანის (დმ 100 მ, სიმაღლე 8 მ) თავზე მდებარე კონუსისებური ჩაღრმავების დმ 30 მ-ია, სიმაღლე – 2,60 მ. ყორღი შედგება დიდი ზომის რიყის ქვებისაგან. „დასაკრძალავი დარბაზი“ (დაახ. 11X9მ) ნაგებია ფილაქვებით, მშრალი წყობით. იატაკზე თანაბარი დაშორებით ბრტყელი ქვები ელავა, რომლებიც ხის სვეტების საყრდენად გამოიყენებოდა. „დასაკრძალავი დარბაზს“ აღმოსავლეთიდან დროშოსი (სიგრძე 5 მ, სიგანე 4 მ, კედლების სიმაღლე 1,5 მ) უერთდება. მიცვალებული დარბაზის დასავლეთ ნაწილში იყო დაკრძალული. სამარხში აღმოჩნდა: შავბრიალა ვარდისფერსარჩულიანი და მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, შემკული ამოღარულ-ამოკაწრული და ნაპრიალები (წიწვისებური და ტენილხა-ზოვანი) ორნამენტებით; ოქროს ფორფიტისაგან დამზადებული მილაკები (4 ც) და მძივი; ვერცხლის კასრისებური მძივები და უმბონი, რომლებიც შემკულია ამობურცული წერტილოვანი ორნამენტით. გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა სარდიონის ბიკონუსური მძივი, ობსიდიანის ქუსლამოღარული ისრისპირები და სხვ.

№4 ყორღანის ქვყაროლის კიდეზე, ქვამიწყაროიანი

ფუძევე ჩაშვებულია სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ცხენის რამდენიმე კბილი, რკინისაგან დამზადებული ლაგამი, აბჯრის ნატყეხები, ისრისპირი, ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე X-ის (1059-1067) მონეტა.

ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრიდან ყორღანს ეკვრის ნასოფლარი, რომლის შენობები აგებულია ყორღანის ყრილიდან აღებული ქვებით (ჯავახარიძე 1969: 5-147; აბრამიშვილი 1989: 133).

ბიბლიოგრაფია: *აბრამიშვილი 1989: 133; ბაგრატიონი 1986: 49; გაბუნია 1975: 21-28; დადიანი 1962: 128,15; ლორთქიფანიძე 1935: 106-108, 360; 1938: 159-174, 220-223, 175-189, 234-237; საქ. არქ. 1991: 207-209; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 314; ქვ 4: 317,15; 318,1; 472,18; ჯავახარიძე 1969: 5-147.*

მარალაჟი (ქვ 4: 524,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერის სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 524,3; 540,7; 541,5,6,9,14,20,სქ.1; 599,22; 604,28; 605,3; 606,20; 607,13; 610,15; 611,10; 612,7,20,26; 624,16; 626,28,29), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქვ 2: 434,18; 438,27; 439,9), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 60), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 61 82), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 67, 79), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 7, 42, 43), ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 74), ქათბო ჩელების ცნობები საქართველოს შესახებ (ჩელები 1978: 61), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 25, 259).

მდებარეობს სიღნაღის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირას, თანამედროვე სოფ. ყარალაჯიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1 კმ-ზე. ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით: „ალაზნის დასავლეთი არს ყარალაჯი, სასახლე, რომელი ჰყვეს ხანთა, ვითარცა მცირე ქალაქი და შემდგომად ოსმალთა ამ უამთა ჰყვეს ციხე და აწ ჯერეთ ოხერ არს“ (ქვ 4: 541,5,6). ყარალაჯში აღმოჩენილი არს კედლებისა და სასანიდების დრამები მკვეფერებს ამ ადგილას თავის დროზე მჭიდროდ დასახლებული პუნქტის არსებობას ავარაუდებინებს (მესხია 1959: 101). ყარალაჯი ხორნაბუჯის ერთ-ერთ უზნადაა მიჩნეული (ჭილაშვილი 1968: 63). შაჰ-აბას II-ის (1642-1666) მითითებით, ალავერდი-ხანმა კახეთში სამი ციხე ააგო: ზახტიონის ციხე, ალავერდის მონასტერი ციხესიმაგრედ გადააკეთა, ხოლო მესამე ციხე უნდა ყოფილიყო ყარალაჯის ციხე. 1657-1703 წწ. ის კახეთის მმართველი ყიზილბაში ხანების რეზიდენციაა. 1703 წ. დავით იმამყული-ხანი დაჯდა ყარალაჯს, მაგრამ გახშირებული ლეკიანობის გამო მალე რეზიდენცია თელავში გადაიტანა (გვასალია 1986: 58-68). 1723 წ. ყარალაჯში ოსმალები გაბატონდნენ. 1729 წ. მათ აქ ააგეს ციხე, რომელიც

1734 წ. კახელებმა დაანგრიეს. ამჟამად შემორჩენილია კედლების უსახური ნაშთები და ნაგებობათა საძირკვლები. ყარალაჯზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც შაქსა და შირვანს, სიღნაღი – თელავი – ახმეტა – თიანეთი – ჟინვალისა და შემდეგ დარიალის ხეობის გავლით, ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა (გვასალია 1986: 59).

1938-1939 წწ. სოფ. ყარალაჯში ძველი ანაგის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სამარხში აღმოჩენილ იქნა შაპურ I-ისა და არტაბან II-ის დრამები (ჯვალაღანია 1979: 11).

1940 წ. სოფ. ყარალაჯში აღმოჩნდა 200-ოდე ვერცხლის მონეტისაგან შემდგარი განძი, რომელიც შეიცავდა ჰულაგუიდ სულემანისა (1339-1344) და ანუშირვანის (1344-1355) ერთიან დირჰემებს. განძი უნდა დაეფლათ XIV ს-ის მესამე მეოთხედის დასაწყისში. სავარაუდოდ იმავე განძს უნდა ეკუთვნოდეს 11 ჰულაგუიდური, მონეტა, რომელიც სომხეთის ისტორიულ მუზეუმში ჯერ კიდევ 1938 წ. მოხვედრილა.

1949 წ. ყარალაჯში კიდევ უპოვიათ ჰულაგუიდური ვერცხლის მონეტების განძი (24ც). მონეტები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯვანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (ღვაბერიძე 1986: 90). 1338-1359 წწ. ყარალაჯში მოქმედებდა ზარაფხანა, რომლის პროდუქციაც მრავლადაა ცნობილი ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში (ღვაბერიძე 1976: 196-208; 1986: 90).

1962 წ. მიწის სამუშაოების დროს ყარალაჯში ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახ. 1 კმ-ის დაშორებით აღმოჩნდა ფაიანსის მრავალრიცხოვანი მასალა. იქვე, შედარებით მცირე რაოდენობით თავი იჩინა მინის ჭურჭლისა და წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატყეხებმა. აღნიშნული მასალა შეგროვდა ერთი შენობის ნანგრევებს შიგნით (ფიცხელაური 1963: 25). აქ გამოვლენილი ფაიანსი XVII ს-ის მეორე ნახევრითა და XVIII ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. ფაიანსის ჭურჭლები რამდენიმე ჯგუფად იყოფა. მათში გამოირჩევა: იეზიდის, მეშქედის, ქერმანის, ქაშანის საწარმოო ცენტრებში დამზადებული ნიმუშები. მასალა დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (სიღნაღის მუზეუმი და შამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) (მაგიაშვილი 1965: 52; 1976: 64-82).

ყარალაჯში მოპოვებულია გვიანი შუა საუკუნეების მინის ნაწარმი. სუფრის ჭურჭელში გამოიყოფა ხუთი ტიპი. გარდა ამისა, იქ აღმოჩენილია დეკორატიული ჭურჭელიც (ჩხატარაშვილი 1978: 4, 49, 50, 52, 53, 59).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1983: 61 82; ბაგრატიონი 1986: 67, 79; ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 74; ბაგრატიონი დავით 1941: 7, 42, 43; გვასალია 1986: 58-62; გიულდენშტედტი 1962: 25, 259; კახ-ანაძე 1959: 509; მაგიაშვილი 1965: 52; 1976: 64-82; მესხია 1959: 101; ორბელიანი 1981:60; ფიცხელაუ-*

რი 1962: 25; ქც 2: 434,18; 438,27; 439,9; ქც 4: 524,3; 540,7; 541,5,6,9,14,20,სქ.1; 599,22; 604,28; 605,3; 606,20; 607,13; 610,15; 611,10; 612,7,20,26; 624,16; 626,28,29; ლვაბერძენი 1976: 196-208; 1986: 90; ჩელეები 1978: 61; ჩხატარაშვილი 1978: 4, 49, 50, 52, 53, 59; ჭილაშვილი 1968: 63; ჯვალაღანია 1979: 11.

ყაყიდური, დაბა (ქც 4: 642,20,სქ.6). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 642,20,სქ.6).

ვახუშტი ბაგრატიონი ყაყიდურის შესახებ გადმოგვცემს: თავაურის წყალზე, ჯიბლიზის „ზეით არს ყაყიდური, დაბა დიდი, კეთილი, კომკოვანი და ხოხის კავკასიის ჩამოსულს მიერში, გორა-კლდესა ზედა, ციხე, აღშენებული მეფეთაგან, ფრიად მაგარი“ (ქც 4: 642,20, 643,1,2).

ლოკალიზდება ჩრდილოეთ კავკასიაში. მდებარეობს ოსეთში, თავაურის ხეობაში.

ყაყიდური არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ქც 4: 642,20.

ყვარელი (ქც 4: 545,10). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, (ქც 4: 545,10; 552,8; 568,4; 616,28; 618,22; 625,7), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1967: 231, 246; საქ. სიძ. 1910: 505, 512; 1920: 14, 72; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 203, 332; 1953: 108, 188; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 386; 1970: 951, 974, 1051; 1974: 631; 1977: 709, 732; 1981: 323; 1985: 170, 225, 312, 429, 443, 460, 535; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 105-107, 206), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 227, 229, 230, 233), ოპან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1913: 259, 260), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 71), მისივე „კალმასობა“ (ბაგრატიონი 1990: 300, 303), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 51), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 6), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 49, 85), რუსი ელჩების ე. წ. მუნ-ლობრივი აღწერები (მასალები ... 1937: 297), იოპან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 31, 33, 41, 207, 261). მდებარეობს ალაზნის ველზე, მდ. ბურსისა და დურუჯის შუამდინარეთში. წარმოადგენს რაიონულ ცენტრს.

კახეთის დამოუკიდებელი სამეფოს პირველმა მეფემ გიორგი VIII-მ (1446-1476) კახეთ-ჰერეთში გააუქმა საერისთავოები და შექმნა სამოურაოები, მათ შორის ყვარლის (ქც 4: 568,4). 1716 წ. შილდა-ყვარელს შემოესივნენ ლეკები (ქც 4: 616,28). ლეკიანობის გამო მოსახლეობა სწორად აფარებდა თავს ყვარლის ციხეს (ქც 4: 618,22). XVIII ს-ის 30-იან წლებში ყვარელი ოსმალებმა ააოხრეს (ქც 4: 625,7). 1755 წ. ყვარლის ციხეს ალყა შემოარტყა ავარიის ხანმა



ყვარლის ციხე

ნურსალ-ბეგმა. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ენერგიული მოქმედების შედეგად ნურსალ-ბეგი იძულებული გახდა ციხისათვის ალყა მოეხსნა და გაბრუნებულიყო (ორბელიანი 1981: 227-233).

ყვარელი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ყვარლის მიდამოებიდან ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა: ხოსრო II-ის 1 დრაქმა, 29 არაბული დირჰემი, 1 ვახტანგ III-ის მონეტა, 3 აღმოსავლური და 2 ევროპული მონეტა, 1 თბილური ორბაზიანი, 3 თბილური ფული, 44 რუსული მონეტა, 7 საბჭოთა ფული, 2 პოლონური ზლოტი და 1 მისიონერთა ორდენი. ნუმიზმატიკური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯვანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (აბრამიშვილი 1981: 104).

ყვარლის ციხე გვემთხვევა უახლოვდება კვადრატს. ციხის კუთხეებში წრიული კოშკებია. მათ შუა, სამხრეთი გალავნის გარდა, გამართულია კოშკები. მათგან ჩრდილოეთისა და დასავლეთის, ნახევარწრიულია, აღმოსავლეთისა – სწორკუთხა. ციხეში შესასვლელი ამ კოშკის ქვედა სართულშია. ჭიშკრის თაღოვანი შესასვლელი დაბალი და ვანიერია. კედლებსა და კოშკებში მოწყობილია სათოფურები. ციხე ნაგებია რიყის ქვით დუღაბზე, წყობა „თევზიფურია“. აგური გამოყენებულია მცირე რაოდენობით. ქალაქის მჭიდრო დასახლების გამო თითქმის წაშლილია მეორე გალავნისა და მის ირგვლივ არსებული არხის კვალი. ციხე თარიღდება XVIII ს-ით (ზაქარაია 1988: 149, 150).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1981: 104; ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 51; ბაგრატიონი დავით 1941: 6; ბაგრატიონი 1983: 49, 85; ბაგრატიონი 1986: 71; 1990: 300, 303; გიულდენშტედტი 1962: 31, 33, 41, 207, 261; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 203, 332; 1953: 108, 188; ზაქარაია 1988: 149; მასალები ... 1937: 297; ორბელიანი 1981: 227, 229, 230, 233; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 105-107, 206; საქ. სიძ. 1910: 505, 512; 1920: 14, 72; ქრონიკები 1967: 231, 233, 246; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 386; 1970: 951, 974, 1051; 1974: 631; 1977: 709, 732; 1981: 323; 1985: 170, 225, 312, 429, 443, 460, 535; ქც 4: 545,10, 552,8; 568,4; 616,28; 618,22; 625,7; ლვაბერძენი 1986: 70; ხერხეულიძე 1913: 259, 260.

ყვიზისი (ქც 4: 662,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღ-

წერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 662,21), XII, XV, XVI, XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 53, 255; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 244; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 110), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 245), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 45), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 328), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 177, 219).

მღებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადის ყვიბისწყლის ნაპირებზე. ყვიბისი პირველად იხსენიება დავით აღმაშენებლის (1089-1125) ანდერძში (ქრონიკები 1897: 53). გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, გვიან შუა საუკუნეებში შედიოდა პეტრეს ლივანში და შეწერილი ჰქონდა 10000 ახნა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 328). 1757 წ. ათასი ლეკი თავს დაესხა და აიღო ყვიბისის ციხე. ქართლის მეფე თეიმურაზ II-მ (1744-1762) ჯვარს სათავეში ჩაუყენა ამირინდო ამილახვარი. ლეკები უომრად გაეცალნენ ყვიბისს (ორბელიანი 1981: 245).

ყვიბისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. XX ს-ის დასაწყისში ყვიბისში შემთხვევით აღმოჩნდა 3 ცალი ბრინჯაოს რგოლი. ყვიბისის ტერიტორიიდან ცნობილია აგრეთვე შემთხვევით აღმოჩენილი ლითონის საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, სამკაულები, შუა საუკუნეების თიხის ძილები, XII-XIII სს-ის ქართული მონეტები. ნივთები ინახება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ნოთრადე 1944: 183; ხუჯაძე 1969: 88).

ბიბლიოგრაფია: აბულაძე 1983: 27; ბაგრატიონი 1986: 45; ბერძენიშვილი 1985: 22, 60; გიულდენშტედტი 1962: 99; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 328; ნოთრადე 1944: 183; ორბელიანი 1981: 245; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 110; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 244; ქრონიკები 1897: 53, 255; ქც 4: 662,21; ხუჯაძე 1969: 88.

მეცნიერება, იხ. ხუნანი

მონასტერი, მონასტერი (ქც 4: 344,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბარათიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 344,13), მატეარს ქართლისაის ჩანართი – მექიქსედე კათოლიკოსის სვეტიცხოვლისადმი შეწერილობის სიგელი (ქც 1: 295,14; ქრონიკები 1892: 185; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 22), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 33; 1967: 217, 218; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 146; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 569; 1972: 132, 417; 1977: 607, 630, 631; მასალები XVIII საუკუნის ... 1988: 552), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 32).

ყინწყისის სამონასტრო კომპლექსში შედის: წმინდა ნიკოლოზისა და ღვთისმშობლის ეკლესიები;



ფრესკის ფრაგმენტი

აგრეთვე მცირე ეკლესიები, გალავანი, კოშკი-სამრეკლო. წმინდა ნიკოლოზის ეკლესია ვუშბათიანი ნაგებობაა (19,7X14 მ). ნაშენია აგურით. თარიღდება XII-XIII სს-ის მიჯნით. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარიბჭეები მიშენებულია XIV ს-ში. ეკლესიას შესასვლელი აქვს დასავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით. აფსიდს ნახევარწრიულია. ღრმა ბემა გადახურულია ისრული კამარით. აფსიდაში 3 სარკმელი და 1 ნიშია. კანკელი ნაგებია XV-XVII სს-ში. საკურთხევლის ორივე მხარეს ორსართულიანი სათავსებია. პირველ სართულზე საღიაკვე და სამკვეთლოა. ეკლესიის ჩრდილო და სამხრეთი მკლავები მოკლეა. დასავლეთის მკლავი რამდენადმე წაგრძელებულია. მკლავები გადახურულია ისრული კამარით.

ეკლესიამოხატულია XIII ს-ის დასაწყისში. სცენების შინაარსს განსაზღვრავს ქართული ასომთავრული წარწერები. რამდენიმე ადგილას შემორჩენილია ბერძნული წარწერა. დასავლეთი მკლავისა და კამარების მოხატულობის დიდი ნაწილი არ შემორჩენილია. შემორჩენილი სცენებიდან აღსანიშნავია ვედრების, მოციქულთა ზიარების, ღვთისმშობლის შობის, ტაძრად მიყვანების, ქრისტეს შობის, სულიწმინდის მოყვანის, ღვთისმშობლის მიძინების, საიდუმლო სერობის, ლაზარეს აღდგენების, ნათლისღების, იერუსალიმად შესვლის, ფერისცვალების, ჯვარცმის, ღებუბი მაცხოვრის საფლავთან და სხვ. კომპოზიციები. დასავლეთ მკლავში წარმოდგენილია წმინდა ნიკოლოზის ცხოვრების სცენები. ჩრდილოეთი მკლავის ქვედა რეგისტრში გამოსახულია ისტორიული პირები: გიორგი III, თამარი და ლაშა-გიორგი. ტაძრის მოხატულობაში დიდი ადგილი ეთმობა დეკორატიულ ელემენტებსაც. მოხატუ-

ლობას განუმეორებელ იერს ანიჭებს ოქროსფერ და მოწითალო ოქრასთან, ღია მწვანე, ცისფრისა და თეთრ ფერებთან შეხამებული ლაქვარდი. ყინვების მოხატულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოს, არამედ საერთოდ შუა საუკუნეების მონუმენტური მხატვრობის ისტორიისათვის. სამი სათავისსაგან შედგენილი ნართექსის მოხატულობა გვიანდელია. შუა სათავის კედელზე გამოსახულია XV ს-ის მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწე ზაზა ფანასკერტელი.

ღვთისმშობლის ეკლესია დარბაზულია (11,2X7,8 მ). აგებულია წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, თარიღდება XII-XIII სს-ით. ეკლესიისად შემორჩენილია საკურთხევლისა და გრძივი კედლების ნაშთები. საკურთხეველში შემორჩენილია ღვთისმშობლის გამოსახულება ყრმით და მთავარანგელოზები. აგრეთვე მაცხოვრის სასწაულის სცენები და სხვ. მოხატულობა თარიღდება XIII ს-ის მეორე ნახევრით.

წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთით დგას გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული (5,1X4,5მ) ეკლესია (სძა 1990: 404-409).

ბიბლიოგრაფია: ალიბეგაშვილი 1966: 13-17; 1979; ამირანაშვილი 1971: 270-274; ბაგრატიონი 1986: 32; ბერიძე 1974: 156; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 146; ვაჩიშვილი 1963: 745-752; ზაქარაია 1961: 71-102; 1978: 77-96; მაკალათია 1961: 24-27; მასალები XVIII საუკუნის ... 1988: 552; სიმონიშვილი 1994; სძა 1990: 404-409; ტოლმაჩეცკაია 1931: 12, 13; ფირალიშვილი 1976: 46-56; 1979; ქრონიკები 1892: 185; 1897: 33; 1967: 217, 218; ქც 4: 344,13; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 22, 569; 1972: 132, 417; 1977: 607, 630, 631; ქც 1: 295,14; ყაუხჩიშვილი 1951: 188-190.

ჟორანთა (ქც 4: 316,7; 756,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 316,7; 756,2), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 54), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 237), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 136, 320, 373, 401, 591; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 150, 237, 238; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 71, 72, 190; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 183; აქტები ... 1866: 3), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 81).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ჟორანთას არს ეკლესია, სასუენი ატოცის წმიდის გიორგის ჯუარისა“ (ქც 4: 316,7,8).

ნასოფლარი ჟორანთა მდებარეობს დმანისის მუნიციპ-ში, მდ. მაშავერას მარცხენა მხარეს, დისველის სამხრეთით, რატეკვანის აღმოსავლეთით (ლორთქიფანიძე 1935: 362). იოჰან გოულდენშტედტი ჟორანთას უწოდებს ორანტას და აღნიშნავს, რომ ის მდებარეობს მდ. მაშავერას ჩრდილოეთით. „სიმაგრე ორანტა, სადაც არის აგრეთვე ქვის ხიდი“ (გოულდენშტედტი 1962: 81).

1392 წ. ჟორანთა საკათალიკოსო მამულია. XV ს-ში ბარათაშვილები ფლობენ და სწორავენ სვეტიცხოველს. სოფელი 1449-1490 წწ. გაპარტახდა თურქმანული ტომებისა და იაყუბ-ყანის შემოსევების შედეგად. XVII ს-ის დასაწყისში სოფელი განაახლა ნიკოლოზ კათოლიკოსმა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 589-591). XVIII ს-ის 20-იან წლებში კათოლიკოსს ჟორანთაში 12 ყმა ჰყოლია (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 183). 1721 წ. აღწერაში სოფელი არაა მოხსენიებული (ლორთქიფანიძე 1938: 129). ჟორანთას გაპარტახება უნდა გამოეწვიოთ ოსმალეთის მიწების და ლეკთა თარეშს (გვრიტიშვილი 1980: 136). XIX ს-ის პირველ ნახევარში ჟორანთას მიწებზე ვითუტერბერგელმა გერმანელმა დააარსეს კოლონია ე. წ. ეკატერინენბერგელი (მანჯგალაძე 1974: 30; აქტები... 1874: 350).

ჟორანთა არქეოლოგიურად შესწავლულია. დაზვერვითი სამუშაოებისას იქ დადასტურდა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი გორა (მუსხელიშვილი 1977: 72). 1960 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ.ფხაკაძე) გორის სამხრეთ-დასავლეთ ფერდზე გააკეთა სადაზვერვო თხრილი, სადაც გამოვლინდა 5 მ დიამეტრის წრიული ნაგებობის ქვის საძირკველი. ცერად ჩადგმულ ნაფლეთი ქვების ორმაგ წყობას შორის ჩაყრილი იყო წრიული ქვა. თხრილში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ანაბეჭდებიანი ბათქაშის ნატეხები, ხელსაფეკვავის ქვა, ნამკლის კაჟის ჩასართები. აგრეთვე თიხის რუხი ფერის ბადისა და დიდი ზომის ჭურჭლის ნატეხები, ნახევარსფერული ფორმის ყურით. მასალა ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არმაზის ბაზაზე (ფხაკაძე 1963: 16; საქ. არქ. 1992: 169).

ჟორანთას ნასოფლარი მდებარეობს ბოლნისის ჩრდილოეთით აღმართულ მთის წვერზე არსებულ ციხესიმაგრის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე, სადაც მოჩანს შენობათა კონტურები. ფერდობის ძირში შემორჩენილია წყალსატევი. მართკუთხედის ფორმის აუზი გადახურულია ცილინდრული კამარით. გარედან მოპირკეთებული ყოფილა თლილი ქვით. (3,1X1,8X2,3 მ). აუზის სამხრეთ-დასავლეთ კედელში დატანებული თიხის მილით წყალი შემოდიოდა აუზში. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში უფრო დაბლა, მეორე მილია, რომელიც წყალზე გადიოდა აუზიდან (გვრიტიშვილი 1980: 137).

ციხის გალავანი სხვადასხვა სიღრმის 13 ყრუ ბურჯითაა გამაგრებული. შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდანაა. ციხე-გალავანში დგას მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესია, სამხრეთის მინაშენით. ნაგებია უხეშად გათლილი სხვადასხვა ზომის ქვით. ინტერიერი შეღვსილია. ეკლესიის პერანგი თლილი ქვისაა. კარ-სარკმელი მოწიქურთმებულია. ეკლესია და ციხე-გალავანი თარიღდება XIII-XIV სს-ის მიჯნით (გომელაური 1966ა: 262-264).

ნასოფლარზე ჩანს ნაგზაურები, რომელიც იტოტება. ერთი მიდის დასავლეთით, მეორე მამაკერის ხეობისაკენ – ბონისისაკენ (გვრიტიშვილი 1980: 137). სახელწოდება „ყორანთას“ შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვორას ეწოდა ეს სახელი ფრინველ ყორნისაგან, იმ დროს, როცა მოსახლეობა თავყანს სცემდა ცხოველებსა და ფრინველებს (მუსხელიშვილი 1977: 71, 72; ბერძენიშვილი 1990: 125, 518).

ბიბლიოგრაფია: აქტები ... 1866: 3; 1874: 350; ბაგრატიონი 1986: 54; ბერძენიშვილი 1979: 13, 38; ბერძენიშვილი 1990: 58, 125; გვრიტიშვილი 1980: 133-139; 1981: 64, 65; გიულენშტედტი 1962: 81; გომელაური 1966ა: 262-264; დადიანი 1962: 237; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 183; ლორთქიფანიძე 1935: 362; 1938: 129; მანჯგალაძე 1974: 30; მუსხელიშვილი 1977: 71, 72; საქ. არქ. 1992: 169; საქ. ისტ. რუკა 1923; ფხაკაძე 1963: 16; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 178, 191, 591; ქრონიკები 1897: 196, 271, 360, 373, 401, 425, 505; ქვ 4: 316,7; 756,2.

ჟორნილი (ქვ 4: 375,3,4,5; 463,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „ადწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 375,3,4,5; 463,22), სენიანა ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 5), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1913: 261), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1967: 45; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 555; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 112), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 42).

მდებარეობს ზნაურის მუნიციპ-ში, მდ. ფრონეს ხეობის სათავეში, ფრონეს მარცხენა ნაპირზე. 1688 წ. ქართლის მეფე გიორგი XI-მ (1676-1688) შეიტყო, რომ ირანელებმა მეფედ დანიშნეს ერეკლე I ნაზარალიხანი (1688-1703). გიორგი XI ზემო ქართლისკენ გაემართა და ყორნისს დადგა (ჩხეიძე 1913: 5). 1758 წ. ლეკთა რვათასიანი ჯარი ქართლს შემოესია. თეიმურაზისა და ერეკლეს დასახმარებლად მოვიდა იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784). ისინი ერთმანეთს ყორნისში შეხვდნენ და აქედან შეუტყეს ლეკებს (ხერხეულიძე 1913: 261). გვიან შუა საუკუნეებში ყორნისი მაჩაბელთა საკუთრება იყო.

1922 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ალ.კალანდაძე) სოფ. ყორნისის მიდამოებში მიაკვლია პალეოლითური და ენეოლითური ხანის ქვის იარაღებს. ყორნისის მიდამოებში გამოვლინდა ბრინჯაოს ხანის ძეგლებიც (კალანდაძე 1952: 9). 1986-1987 წწ. იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წირობისის ექსპედიცია (ხელმძღ. ო.ტყეშელაშვილი) დაზვერვებს აწარმოებდა ყორნისის მიდამოებში. სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ექსპედიციამ აღმოაჩინა მინის საწარმოს ნაშთები. ყორნის-წორბისის საზღვართან გამოვლინდა ქვევრსამარ-

ხის ნაშთები და ყორნანები (ტყეშელაშვილი 1991: 98, 99; 1995: 135). მდ. ფრონის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ყორნისის და ბეგმარის გამოყო პატარა ქედის ჩრდილო-დასავლეთ ბოლოზე შეგროვებულ იქნა მუსტიერური ხანის რამდენიმე ათეული მსხვილი ანატაკეცი და ანამტერევი, რომელთაგან ზოგიერთი უშუალოდ კაჟის კაკარიდანაა ახეთქილი. სხვები მეტ-ნაკლებად სწორად ჩამოყალიბებული ნუკლეუსებიდან. საყურადღებოა დისკოსებური ნუკლეუსები, რომელთაგან მიღებულია სასურველი ფორმისა და ზომის ანატაკეციები თუ ლამელები. ანატაკეციები უმრავლეს შემთხვევაში უახლოვდება სამკუთხედს ან ოვალს. ყორნისის კაჟის ინვენტარში შემავალი ფართო ორფერად ლამელისებრი ანატაკეციები წარმოადგენდნენ ნამზადებს წვეტანებისა და მსხვილი საფხევი იარაღისათვის (კალანდაძე 1953: 9; საქ. არქ. 1959: 31). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). ყორნისიდან ცნობილია შემთხვევითი აღმოჩენილი, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ყორნისიდან მომდინარე პალეოლითური ხანის ქვის იარაღები. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) ინახება ყორნისში შემთხვევით აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის ნივთები: მასრავახსნილი შუბისპირები (3ც), „კახური ტიპის“ სატყვარი, შავბრიალა ჭურჭელი. ამავე კოლექციაში შედის მოგვიანო ხანის ე. წ. „სკვითური ტიპის“ 2 დუზიანი ისრისპირი, რომელთაგან ერთი სამფრთიანია, მეორე ორფრთიანი (კუფტინი 1949: 27). ამავე მუზეუმშია დაცული ყორნისიდან მომდინარე ბრინჯაოს მასური საკიდი – ცხვრის ქანდაკება, რომელიც ხასიათდება სქემატური თავით, წინ გაშვერილი დაგერხილი რქებითა და მოკლე ფეხებით. ზურგზე აქვს პატარა ყუნწი (არქ. მას. კატ. 1955: 49).

ყორნისის სწორკუთხა კოშკები (8 ერთეული) ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით ღულაბზე. მათგან საყურადღებოა ერთი შეიღსართულიანი კოშკი, რომელიც სასახლესთან ყოფილა დაკავშირებული. სასახლიდან ამაჟამად მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. კოშკის პირველი სართული ყრუ კედლებია. მეორე სართულიდან დაწყებული ყველა სართულს თითო ბუხარი და სათოფეები ჰქონია. სართულშუა გადახურვა ხის ყოფილა. მეშვიდე სართული გადახურულია შეისინარა კამარით. ყორნისის კოშკები თარიღდება XVII ს-ით. კოშკის მახლობლად დგას პატარა დარბაზული ეკლესია – ლევისმშობელი. სოფლის ბოლოს, მაღალ გორაკზე კარასეთის წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესიაა, ნაშენი კლდის დიდი ღობებით. ეკლესიას შემოუყვება კირხსნარზე ნაგები გალავანი. შესასვლელში გალავანს აქვს სათოფეები (მაკალათია 1963: 34, 35; ზაქარაია 1988: 168, 169; გვასალია 1989: 14).

ბიბლიოგრაფია: არქ. მას. კატ. 1955: 49; ბაგრატიონი 1986: 42; გვასალია 1983: 48, 113; 1989: 14; ზაქარაია 1958: 125; 1988: 168, 169; კალანდაძე

1953: 9; კუფტინი 1949: 27, 28; მაკალათია 1963: 34, 35; საქ. არქ. 1959: 29, 31; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 112; ტყეშელაშვილი 1991: 98, 99; 1995: 135; ფიცხელაური 1959: 117; 1973: 180; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 555; ქრონიკები 1967: 45; ქც 4: 375,4,5; 463,22; ჩხვიძე 1913: 5; ბერბეულიძე 1913: 261.

ყველი, ციხე (ქც 4: 133,12,15; 154,12; 665,18,19; 668,3; 679,5; 721,3,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, (ქც 4: 133,12,15; 154,12; 665,18,19; 668,3; 679,5; 721,3,6), მატიაზე ქართლისა (ქც 1: 263,16; 305,7; 306,10; 310,21), „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისა“ (ქც 1: 319,3), ჟამთააღმწერელი (ქც 2: 260,18,19), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ შესამე ტექსტი (ქც 2: 520,19,20; 521,2,4), „მესხური მატიაზე“ (სამხ. საქ. ისტ. 1961: 46, 47, 161), მესხური დავითის ქრონიკა (სამი ისტ. ქრ. 1980: 95, 96), „მარტვილობაი გობრონისი“ (მარტვილობაი გობრონისი 1963: 172, 176, 180), „ცხოვრება სერაპიონისი“ (ცხოვრება სერაპიონისი 1963: 338), „საქართველოს ცხოვრება“ (ცხოვრება ... 1980: 48, 49), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 82), კონსტანტინე პორფიროგენეტის „სკვითების ქვეყნის გეოგრაფიული აღწერა“ (პორფიროგენეტი 1952: 276), მისივე „ბიზანტიის სამეფო კარის ცერემონიებზე“ (პორფიროგენეტი 1952: 291), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 22, 432, 440, 441, 447, 448), ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ... 1979: 151, 174).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „წურწყუმს ზეით, ჯაყის წყალზედ, არს ყველის ციხე, მრავალჯერ შემუსრვილი და აწ ოხერი“ (ქც 4: 665,17-19).

ლოკალიზდება ისტორიულ სამცხეში. მდებარეობს მდ. ფოცხოვისწყლის ხეობაში, თანამედროვე ყალა ბოინის ტერიტორიაზე. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში (ბერძენიშვილი 1985: 91; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 440, 447). წყაროებში იხსენიება „ყველის ციხედ“,

„ყველის ციხედ“, ან „ტეროკასტრონის“ სახელით (პორფიროგენეტი 1952: 276).

IX ს-ის ბოლოსა და X ს-ის პირველ ნახევარში ყველის ციხეს გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავი ფლობდა (ცისკარიშვილი 1958: 48). ყველის ციხეზე გადიოდა ახალციხე-არტანანის გზის ერთი შტო, რომელიც იმერხევის ხეობაში შედიოდა (ბერძენიშვილი 1966: 92). X ს-ში ყველის ციხე არაბებმა აიღეს (ბერძენიშვილი 1985: 90). 1074 წ. ციხესთან მოხდა ბრძოლა გიორგი II-ესა (1072-1089) და თურქებს შორის (ჯავახიშვილი 1983: 160). XVII ს-ში ყველის ციხე მიტოვებულია (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 441).

ციხე მდებარეობს მდ. ფოცხოვისა და ჯაყის წყლის შესართავთან. ის დაზიანებულია. ციხის ტერიტორიაზე ნაპოვანია ქვის რვაწახნაკოვანი სტელა (სიმაღლე 170 სმ, დმ ქვედა ნაწილში 45 სმ, ზედა ნაწილში 36 სმ). სვეტის ორ წახნაკზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერები. პირველი წარწერა ხუთსტრიქონიანია: „საყდარი იოვანე ერისთავისა. სახელითა ღმრთისათა იოვანე ერისთავისა ესე ჯუარი ჩვენ ყვავას ძეთა ავჰმართეთ“. თარიღდება IX ს-ით. სტელა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (ქართ. წარწ. კორ. 1980: 134, 135).


ყველის ციხე არქეოლოგიურად შესწავლულია.

ბიბლიოგრაფია: აბუსერისძე ტბელი 1941: 19; ბაგრატიონი 1986: 82; ბერძენიშვილი 1975: 102-104; 1985: 40, 90-92, 101; ბერძენიშვილი 1966: 90, 92, 94, 95, 98, 103, 105, 107, 108, 117; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 22, 432, 440, 441, 447, 448; მაკალათია 1938: 29, 33; მარტვილობაი გობრონისი 1963: 172, 176, 180; პორფიროგენეტი 1952: 276, 291, 301; სამი ისტ. ქრ. 1890: 95, 96; სამხ. საქ. ისტ. 1961: 46, 47, 61; ქართ. წარწ. კორ. 1980: 134-136; ქც 1: 263,16; 305,7; 306,10; 310,21; 319,3; ქც 2: 260,18,19; 520,19,20; 521,2,4; ქც 4: 133,12,15; 154,12; 665,18,19; 668,3; 679,5; 721,3,6; ჩილდირის ... 1979: 124, 151, 174; ცისკარიშვილი 1959: 8, 9, 48, 49, 74; ცხოვრება ... 1980: 48, 49; ცხოვრება სერაპიონისი 1963: 319-347; ჯავახიშვილი 1983: 55, 59, 114, 150, 151, 160, 161; ჯანაშვილი 1915: 17.



შაორი (ქც 4: 320,22,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 320,22,23; 321,1; 764,10; 869,15), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 56), XV ს-ის ისტორიული საბუთი (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 241).

ვახუშტი ბაგრატიონი შაორს ასახელებს თრიალეთსა და რაჭაში (ქც 4: 320,22,23; 321,1; 764,10). „შაორის მთის თხემსა ზედა დვას ციხე დიდროვანის ლოდითა ნაშენი“ (ქც 4: 320,23,24); „კუალად არს შავნაბადი შაორსა და თავკუეითლს შუა“ (ქც 4: 321,1).



შაორის გეგმა

თრიალეთის შაორი მდებარეობს ფარავრის ტბის ჩრდილო-დასავლეთითა და ბარძიმის ჩრდილო-აღმოსავლეთით (ლორთქიფანიძე 1935: 364). 1721 წ. აღწერით, ის ნასოფლარია (ლორთქიფანიძე 1938: 128). იოანე ბაგრატიონი შაორს ბოლნისის ხეობის სოფლებს შორის ასახელებს (ბაგრატიონი 1986: 56). რაჭაში აგარის ხევის „შესართავს ზეით არს შაორი. აქა ყოფილა საზაფხულო სასახლე აწინდელთა მეფეთა, ადგილის შუენიერობისათვის, კეთილ-აგარაკოვანი“ (ქც 4: 764,9-12). მდებარეობდა ამ-

ბროლაურის მუნიციპ-ში, სოფ. ონჭიორსა და პატარა ონს შორის. 1709 წ. იმერეთის მეფე გიორგი VI (1703-1711) წავიდა რაჭას და დადგა შაორს (ქც 4: 869,15). დღეისათვის სოფელი აღარ არსებობს.

თრიალეთისა და რაჭის შაორი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 56; ლორთქიფანიძე 1935: 364; 1938: 128; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 241; ნარიშკინი 2009: 46-54; ქც 4: 320,22,23; 321,1; 764,10; 869,15.

ფაქტობრივი (ქც 4: 791,4,8,14,სქ.3; 874,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 791,4,8,14,სქ.3; 874,17), ბერი ვენატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტი (ქც 2: 361,3; 502,23), XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 303-307; 1897: 471; 1967: 117, 196, 204, 260, 280, 284, 304, 311, 389, 490-492, 596, 606, 641, 645; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 241), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 129, 311-313, 315).

მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპ-ში, მდ. ბჟუჟის მარცხენა ნაპირზე, ახლანდელი სოფ. შემოქმედის ადგილას.

შემოქმედის კათედრალი დაარსდა XV ს-ში და შედიოდა ქუთაისის სამწყსოში (ბერძენიშვილი 1971: 114). 1572 წ. შემოქმედის ზარზმის ეკლესიის აშენება მიეწერება ვახტანგ გურიელს. 1654 წ. შემოქმედში დაკრძალეს როსტომ გურიელი (ქც 2: 361,3). 1714 წ. იქვე დაუკრძალავთ მამია გურიელი (1701-1714) (ქც 4: 874,17).

1991-1994 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ვ.სადრაძე) სოფ. შემოქმედსა და მის მიდამოებში (გორიფერდის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე) ჩატარა არქეოლოგიური დაზვერვები. შემოქმედის ეკლესიასთან, მაღალი გორის ფერდზე, აღმოჩნდა ადრე ბრინჯაოს ხანის ნასახლარი, სადაც აიკრიფა მტკვარ-არაქსის ტიპის თიხის ჭურჭლის ნატეხები (სადრაძე, ძნელაძე ... 1996: 23). შემოქმედის სამონასტრო კომპლექსი შედგება ღვთაების, მაცხოვრისა და ზარზმის (ფერისცალების) ეკლესიებისაგან. ღვთაების ეკლესია (10X13 მ) ბაზილიკური ნაგებობაა. მოპირკეთებულია ცის-

ფერი ქვით. იატაკი მარმარილოსია. შესასვლელი ორი აქვს. დასავლეთი ფასადი შემკულია სარკმლის ირგვლივ შემოვლებული ორნამენტით. ინტერიერში შემორჩენილია XVII-XVIII სს-ის მოხატულობის, აგრეთვე ქართული და ბერძნული ფრესკული წარწერების კვალი (ბაქრაძე 1987: 100, 105, 106; ყაუხჩიშვილი 1951: 105, 106).

ზარზმის ანუ ფერისცვალების ეკლესია გუმბათიანია (9X7 მ). ეკლესია მოპირკეთებულია აგურითა და თლილი ქვით. თარიღდება XVI ს-ით. ეკლესია მოხატულია. კედლებზე შემორჩენილია ქართული ასომთავრული და ბერძნული წარწერების ნაშთები (ბაქრაძე 1987: 104; ყაუხჩიშვილი 1951: 105, 106). ეკლესიის ქვის გალავანზე დაშენებულია სამრეკლო.

შემოქმედის ეკლესიაში ინახებოდა ხატების, ჯვრების, საეკლესიო ნივთებისა და წიგნების უმდიდრესი კოლექცია (ბაქრაძე 1878: 108-132), რომელთაგან ბევრი ნივთი 1889 წლისათვის უკვე დაკარგული იყო.

გორიფერდის ეკლესია მდებარეობს შემოქმედის კათედრალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახ. 1,5 კმ-ის დაშორებით, მდ. ბუჟუის მარჯვენა მხარეს. ეკლესია დარბაზულია (16X8მ). აფსიდა ნახევარწრიულია. ეკლესია მრავალჯერ გადაუკეთებიათ. ეზოში მიმოფანტულია ეკლესიის დეკორატიული ფრაგმენტები (თაყაიშვილი 1907ა: 33-34; საღრაძე, ძნელაძე... 1996:34).

ბიბლიოგრაფია: *ბაქრაძე 1878: 114, 368; 1987; ბერძენიშვილი 1971: 114; 1990: 479; გიულდენშტედტი 1962: 129, 311-313, 315; თაყაიშვილი 1907; 1907ა: 31-34; კონდაკოვი 1890: 102-110; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 241; საღრაძე, ძნელაძე ... 1996: 22-40; ქრონიკები 1892: 303-307; 1897: 471; 1967: 117, 196, 204, 260, 280, 284, 304, 311, 389, 490-492, 596, 606, 641, 645; ქც 2: 361,3, 502,23; ქც 4:791,4,8,14,სქ.3; 874,17.*

ფართული, დაბა (ქც 4: 369,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 369,8,11,27), მატიანე ქართლისა (ქც 1: 309,20), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 615; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 106, 137; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 241), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 40), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 277).

ვახუშტი ბაგრატიონი შერთულის შესახებ გადმოგვცემს: „ვარიანს ზეით ერთვის ღიახუს აღმოსავლეთიდან პატარა ღიახვი. ამის გამო ეწოდა დაბასა ამას შერთული“ (ქც 4: 369,8).

მდებარეობს გორის მუნიციპ-ში, გორიდან ჩრდილო-დასავლეთით 15 კმ-ზე, მდინარეების დიდი და პატარა ღიახვის შესართავთან, თანამედროვე სოფ. შერთულის ტერიტორიაზე.

XVIII ს-ში შერთულს ჯერ ოულონ ბატონიშვილი

ფლობდა, შემდეგ ქსნის ერისთავის მფლობელობაში გადავიდა (ბაგრატიონი 1986: 40).

დღევანდელი სოფ. შერთული არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 40; გიულდენშტედტი 1962: 277; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 106, 137; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 241; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 615; ქც 1: 309,20; ქც 4: 369,8,11,27.*

ფიოსუბანო, შიოს-უბანი (ქც 4: 352,9,10) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 352,9,10; 505,15; 506,10,16; 511,22), 1170 წ. მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმისადმი (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 21, 22), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 34), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 199).

ვახუშტი ბაგრატიონი შიოსუბნის შესახებ გადმოგვცემს: „ციხისძირს ზეით ერთვის კსანს შიოსუბნის წყაროს-წყალი აღმოსავლეთიდან. არამედ შიოს-უბანს არს შენობა დიდი სასახლეთა. ხოლო ოსმალთა აღაშენეს ციხე ქრისტესა C ლლ. (1730 წ.) აწ არს სახიზრად. ამის ჩდილოთ ქსორისი“ (ქც 4: 352,9,10).


ლოკალიზდება მცხეთის მუნიციპ-ში, მცხეთიდან ჩრდილო-დასავლეთით 20 კმ-ზე, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. მუხნარის ტერიტორიაზე (გვასალია 1983: 106) (იხ. მუხნანი).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 34; გვასალია 1983: 106; ორბელიანი 1981: 119; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 21, 22; ქც 4: 352,9,10; 505,15; 506,10,16; 511,22.*

შილდა (ქც 4: 552,8; 568,3; 618,22; 616,28). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 552,8; 568,3; 618,22; 616,28), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 242; ქართ. სამართ ძეგ. 1965: 199; 1970: 180, 955, 1036, 1114; 1977: 59, 111-113, 122; 1981: 123, 664; 1985: 312, 346, 429), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 214), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 71), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 86), კ. კოხის „ბრძოლის ველზე გასვლა“ (კოხი 1981: 224, 238).

მდებარეობს ყვარლის მუნიციპ-ში, მდ. ჩელთის (ალაზნის მარცხენა შენაკადი) მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. შილდის ტერიტორიაზე.

წყაროებში იხსენიება XIV ს-დან (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 180). XV ს-ის მეორე ნახევარში კახეთის მეფე გიორგი I-მა (ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი VIII - 1446-1466 წწ. კახეთის მეფე - 1466-1476 წწ.) გააუქმა ერისთავობა და მათ აღვიდას



შილდის სამლოცველოს გეგმა

მოურავები დანიშნა. ერთ-ერთი მოურავი შილდა-ვეარელში დასვა (ქვ 4: 568,3). XVIII ს-ში შილდას ხშირად ესწმოდნენ თავს ლეგები (ქვ 4: 616,28, 618,22, 625,7). XVIII ს-ის ბოლოს შილდაში ცხოვრობდა ნეკრესის მიტროპოლიტი ამბროსი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 1114).

1936 წ. სოფ. შილდაში შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. VII ს-ის ქვის სამარხი, რომელშიც გამოვლინდა: ბრინჯაოს „კახური ტიპის“ სატყვერისპირები (2ც); „ცენტრალურ-ამიერკავკასიური“ ცულის მგავსი საკიდი; წალდის ფორმის რკინის საკიდი. ნივთები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). (ჯაფარიძე 1957: 203, 204).

1976 წ. სოფ. შილდის მახლობლად, აღმოჩნდა ძვ. წ. XIV-XII სს-ის სამლოცველო, სადაც ზედაპირულად აიკრიფა დიდი რაოდენობის ბრინჯაოს ნივთები. 1976-1978 წწ. სამლოცველო შეისწავლა ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ვ.კვიციანი).

შილდის სამლოცველო მდებარეობს ალაზნის ველზე, ვნისელი-ვეარლის გზის მარჯვენა მხარეს, „ქალიაყვანას“ მთის სამხრეთით, ადგილ „ბურჟიანთ ნავენახარის“ ტერიტორიაზე. იქ გაითხარა ოვალური გეგმის ნაგებობა (34X32 მ). კედელი ნაგები იყო მშრალი წყობით, ფლეთილი ქვით, ორპირად, რომელთა შორის ჩაყრილი იყო წვრილი ქვა (შემორჩენილი სიგრძე 26 მ, სიგანე 1,5-2,1 მ). სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი განადგურებულია. ნაგებობას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჰქონდა შესასვლელი – რივის ქვების ორი პარალელური რიგი (სიგრძე 3,4 მ. მათ შორის მანძილი 4 მ). შესას-

ვლელში ჩაფლული იყო ნაცრით საგვ თიხის ჭურჭელი. სამლოცველოს სამხრეთ ნაწილში დაფიქსირდა 3 ორმო. №1 ორმოში აღმოჩნდა ასზე მეტი თიხის ჭურჭელი (მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი ქოთნები, ქილები), ბრინჯაოს შუბისპირი და შუბისპირის იმიტაცია. №2 ორმოში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ბრინჯაოს მახვილის იმიტაციები (9 ც). №3 ორმოში გამოვლინდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. სამლოცველოს ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა დერგი, რომელშიც იდო ბრინჯაოს 72 შუბისპირი, შედგენილტარიანი სატეგარი, უმბონები. სამლოცველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რომელიც საგვ იყო ერთმანეთზე შედუღებული ბრინჯაოს ნივთები: „ცენტრალურ-ამიერკავკასიური“ ცულის იმიტაცია (3 ც), საკიდები – ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულებით, ღილები, სარდიონის, მინისა და ბრინჯაოს მძივები. სულ სამლოცველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა 3457 ნივთი (მაისურაძე 1993: 12-34; მაისურაძე, ფანცხავა 1984). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

შილდის სამლოცველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა ბიზანტიის იმპერატორ ირაკლის (610-641) ოქროს მონეტა (აბრამიშვილი 1989: 25).



არტეფაქტი შილდიდან

შილდაში დგას ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსი, რომელშიც შედის სამეკლესიანი ბაზილიკა, კოშკი, გალავანი და საცხოვრებელი ნაგებობები. ეკლესია თარიღდება V-VI სს-ით. ნაგებია ფლეთილი ქვით. აქვს ნახევარწრიული აფსიდა. შესასვლელი სამი მხრიდანაა (ჩუბინაშვილი 1959: 157). ეკლესიას შემოუყვება გეგმით მრავალკუთხედი, ორიარუსიანი გალავანი. ქვედა იარუსი ყრუა, ზედა – საბრძოლო. გალავნის დასავლეთით, კედელში დგას კოშკი, რომლის ქვედა სართულში შესასვლელია. შესასვლელის ჩრდილოეთით და სამხრეთით რამდენიმე საცხოვრებელი ნაგებობა იდგა. ეკლესიასა და გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს შორის სამსართულიანი, ოთხკუთხა კოშკია. გალავანი, საცხოვრებელი ნაგებობები და კოშკი თარიღდება XVII-XVIII სს-ით (ზაქარაია 1962: 54-61).

შილდაში კიდევ რამდენიმე ეკლესიაა: „შალუანთ“ X ს-ის ეკლესია და წმიდა გიორგის განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესია. ამავე ეკლესიასთანაა გვიანი შუა საუკუნეების კოშკი (ბარნაველი 1959: 118).

შილდაში დგას XVIII ს-ის მეორე ნახევრის ციხე-გალავანი, რომლის კუთხეებში მრგვალი კოშკებია ჩართული. უკეთაა შემონახული სამხრეთ-დასავლეთი კუთხის კოშკი. მისგან შემორჩენილია 4 სართული. შესასვლელი აქვს პირველ და მეორე სართულზე ცალ-ცალკე. მეორე და მესამე სართულებს

კედლებში სათოფურებია, მეოთხეზე – სალოდებები. გალავნის დასავლეთ და სამხრეთ კედლებში ჩართულია ოთხკუთხა კოშკები, რომელთა პირველი სართული ციხე-გალავანში შესასვლელებს წარმოადგენს. გალავნის აღმოსავლეთ კედელში კიდევ ერთი კარია (ზაქარაია 1962: 128-132).

შილდაში გვიანი შუა საუკუნეების კიდევ რამდენიმე კოშკია: „ბეჟიკელაანთ ციხე“, „ბუშელაანთ ციხე“, „მამუკელაანთ ციხე“, „უთურაანთ ციხე“ (ბარნაველი 1959: 118).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1989: 25; ბაგრატიონი 1983: 86; ბაგრატიონი 1986: 71; ბარნაველი 1959: 118; ზაქარაია 1962: 54-61, 128-132; კონი 1981: 224, 238; მასიურაძე 1993; მასიურაძე, ფანცხავა 1984; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 242; ორბელიანი 1981: 214; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 199; 1970: 180, 955, 1036, 1114; 1977: 59, 111-113, 122; 1981: 123, 664; 1985: 312, 346, 429; ქც 4: 552,8; 568,3; 618,22; 616,28; ჩუბინაშვილი 1959: 157; ჯავახიშვილი 1957: 203, 204.

შინდობი (ქც 4: 682,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 682,3), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 178,4). ლოკალიზდება ნაქალაქარ არტანუჯის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

ვახტანგ გორგასალმა (V ს-ის მეორე ნახევარი) არტანუჯის ერისთავად დანიშნა თავისი ძუძუმტე არტავაზი, რომელსაც ებრძანა არტანუჯის ციხისა და მონასტრის აგება. არტავაზს აუშენებია არტანუჯის ციხე, ოპიზის მონასტერი, აგრეთვე სამი ეკლესია: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა (ქც 1: 177,20-22, 178,1-4).

ვახუშტი ბაგრატიონი შინდობის ეკლესიას მონასტრად იხსენიებდა (ქც 4: 682,3).

შინდობის დაბა და ეკლესია არქეოლოგიურად შუესწავლელია.


ბიბლიოგრაფია: ქც 1:178,4; ქც 4:682,3.

სიომღვიმე, მონასტერი (ქც 4: 350,7,8, სქ. 1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 350,7,8,სქ.1), IX-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 3-5, 10, 20, 28, 30, 35, 37, 44, 69; 1970: 127, 128, 160, 165, 174; 1981: 792; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 36, 47, 53, 55, 58, 99-104, 109, 130, 140; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 243, 244; ქრონიკები 1897: 79, 80, 81, 95, 149-153, 156, 180, 189, 355, 357), ცხოვრება შიოსი და ევაგერესი (ცხოვრება შიოსი და ევაგერესი 1955: 107, 113, 114).

ვახუშტი ბაგრატიონი შიომღვიმის შესახებ გადმოკვცემს: „ხოლო სარკინეთი არს მცხეთის დასავლეთ ... არს აქა მონასტერი დიდი გუმბათიანი და მღვიმე მას შინა“ (ქც 4: 350,1,5-8,11, 12, სქ. 1).

მღებარეობს მცხეთის მუნიც-ში, მცხეთიდან დასავლეთით 9 კმ-ის დაშორებით. მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სარკინეს (სხალტბის) ქედის სამხრეთ კალთაზე.

VI ს-ის მეორე ნახევარში ასურელი მამა შიო დამკვიდრებულია სარკინეს მთის ერთ-ერთ მღვიმეში (ცხოვრება შიოსი და ევაგერესი 1955: 107, 113, 114). შემდგომში შიომღვიმე სამონასტრო ცენტრად იქცა. ის მრავალ სოფელს ფლობდა. XI ს-ის შუა წლებში შიომღვიმე თურქ-სელჩუკებმა დაარბიეს (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 36). 1103-1123 წწ. დავით აღმაშენებელმა (1089-1125) აქ ააგო ღვთისმშობლის ეკლესია და მის წინამძღვრად დანიშნა სვიმონ არქიეპისკოპოსი ბედიელ-ალა-ვერდელი (ლომინაძე 1953: 14; მენაბდე 1962: 187). 1202 წ., თამარის მეფობისას (1184-1207), ანტონ ჭყონიდიელ-მწიგნობართუხუცესის ინიციატივით შიომღვიმეში სოფ. სხალტბიდან წყალსადენი გამოიყვანეს (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 244; ლომინაძე 1953: 26). XIII-XIV სს-ში შიომღვიმე ხვარაზმელებმა დაარბიეს (მენაბდე 1962: 187). XIV ს-ში გიორგი V-მ (1314-1346) მონასტერი დიდგვაროვან ფეოდალს ზევდგენიძე-ამილახორს გადასცა (ქრონიკები 1897: 355). XV ს-ში თავა ზევდგენიძემ შიომღვიმეში საგვარეულო საძვლე-ეკვდერი ააგო (მენაბდე 1962: 187; ბულია, ჯანჯალია 2000: 83). 1614-1616 წწ. მონასტერი ააოხრა შაჰ-აბასმა. XVII ს-ში გივი ამილახვარმა და მისმა მუელლე თამარმა შიომღვიმის ღვთისმშობლის ეკლესია აღადგინეს (მენაბდე 1962: 187). XVIII ს-ში მონასტერი ჯერ ყოზილბაშებმა შემდეგ კი ლეკებმა რამდენჯერმე დაარბიეს. ამის შემდეგ მონასტერი დაცარიელდა. შიომღვიმეში მოღვაწეობდნენ კათოლიკოსი ბასილი (XI ს), არსენ იყალთოელი (XI-XII სს), არსენ საღირისძე (XII ს) (მენაბდე 1962: 187). მონასტრის უძველესი (VI ს-ის 50-60 წწ.) ნაგებობაა იოანე ნათლისმცემლის ჯვარგუმბათიანი ეკლესია (13,5X7,8X13,6მ), რომელიც საგანგებოდ გამოკვეთილ კლდესა ამოყვანილი. ნაგებია ფლეთილი ქვით. ცენტრალურ კვადრატზე აღმართული რვაწახნაგა გუმბათის ყელი დასრულებულია



შიომღვიმე

რვაწახნაგა შეკრული კამარით. გადახურულია კონუსისებური სახურავით. საკურთხეველსა და სამხრეთის მკლავში თითო სარკმელია, გუმბათის ყელში – ოთხი. შემონახულია ეკლესიის ქვის კანკელი (XI ს.), რომელზეც ამოკვეთილია რელიგიური ხასიათის სცენები, ასეთივე ხასიათის ასომთავრული ქართული და ბერძნული წარწერებით. ეკლესიაში შემორჩენილია XIX ს-ის 90-იანი წლების მოხატულობა. ეკლესიის მრავალი მინაწინიდან ყველაზე ადრეულია დასავლეთი მკლავის სამხრეთით მდებარე მართკუთხედის ფორმის სათავსო და სამხრეთ-დასავლეთის აფსიდიანი სამლოცველო.

ნათლისმცემლის ეკლესიის დასავლეთით, წმინდა შიოს მღვიმის თავზე აშენებულია ეგვტერი (1,85X1,77 მ), რომლის ცენტრშიც არის წმინდა შიოს საფლავი. მღვიმეს შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. დასავლეთის ფასადში ჩადგმულია რელიეფური ჯვარი, რომლის მკლავებზე რელიგიური ხასიათის XI-XII სს-ის წარწერებია. ჩრდილოეთიდან ეგვტერს აქვს სტოა-კარიბჭე, რომლის ჩრდილოეთით XV ს-ში შევლენიძებს საგვარეულო საფლავი – აფსიდიანი ეგვტერი მიუშენებიათ.

ნათლისმცემლის ეკლესიის ჩრდილოეთით ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, ე. წ. ზემო ეკლესია დგას. ეკლესია „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის გუმბათიანი ნაგებობაა. აშენებულია 1103-1123 წწ. განახლდა 1678 წელს, როგორც სამნავიანი ბაზილიკა. დასავლეთი კარის ზემოთ მოთავსებულია გივი ამილახორის 1733 წ. წარწერა ეკლესიის განახლების შესახებ. ამავე შინაარსის წარწერაა ეკლესიის სტოაზე მიშენებული კოშკის ასასველელში.

ნათლისმცემლის ეკლესიის სამხრეთით, 10 მ-ის დაშორებით აგურით ნაგები, თაღებიანი, წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის შენობა – სატრაპეზოა, რომლის ძველი ნაწილი XII ს-ით თარიღდება. გადაკეთებულია XVII ს-ში. სატრაპეზო მოხატული ყოფილა. შემორჩენილია ფრაგმენტები.

ნათლისმცემლის ეკლესიის ჩრდილოეთით, სარკინეს (სხალტბის) ქედის შვეულ კალთაზე ასზე მეტი გამოქვაბულია.

კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1 კმ-ის დაშორებით, მთის წვერზე დგას ჯვრის ამბლების XII ს-ის დარბაზული ეკლესია (8,5X5 მ). ნაგებია აგურით. XVII ს-ში ეკლესიას მიაშენეს აგურის ორ-სართულიანი სამრეკლო, რომლის პირველი სართული კარიბჭის ფუნქციას ასრულებდა (ლომინაძე 1953: 20, 21; ბულია, ჯანჯალია 2000: 82-84).

შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. მხოლოდ 1937 წ. შოთა რუსთაველის მეზემის ექსპედიციამ (ხელმძღ. ივ.ჯავახიშვილი) ჩაატარა სხალტა-შიომღვიმის წყალსადენის გათხრები (ხიდაშელი 1938: 231). წყალსადენის სათავე მდებარეობდა თანამედროვე სოფ. სხალტბის წყაროდან სამხრეთ-დასავლეთით 10-12 მ-ის დაშორებით. იქ აღმოჩნდა თიხის მილები (დმ 18 სმ) და არხის ნაწილი, რომელიც მიედინებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ორი მიმა-

რთულებით: შიომღვიმის მონასტრისაკენ და სხალტბის ციხესიმაგრისაკენ. მილსადენს გარკვეულ მანძილებზე გაკეთებული ჰქონდა საკონტროლო ჭა. მილსადენი შედიოდა მონასტრის სატრაპეზოს დასავლეთ კედელში. მილსადენის სიგრძე 2 კმ-ია (ხიდაშელი 1938: 213-264; ლოსაბერიძე 1938: 194-228). შიომღვიმის მონასტრის ეზოში აღმოჩნდა ზარხუფისებური ფორმის აქემენიდური ბაზის ზედა ნაწილი (ლეჟავა 1978: 11).

ბიბლიოგრაფია: ბულია, ჯანჯალია 2000: 82-84; ლეჟავა 1978: 11; ლომინაძე 1953; ლოსაბერიძე 1938: 194-228; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 243, 244; მენაბდე 1962: 187; ქორდიანი 1896: 1-90; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 36, 47, 53, 55, 58, 99-104, 109, 130, 140; ქართ. სამართ. ძეგ., 1965: 3, 4, 5, 10, 20, 28, 30, 35, 37, 44, 69; 1970: 127, 128, 160, 165, 174; 1981: 792; ქრონიკები 1897: 79, 80, 81, 95, 149-153, 156, 180, 189, 355, 357; ქც 4: 350,7,8,სქ.1; ხიდაშელი 1938: 231-264; ცხოვრება შიოსი და ევაკრესი 1955: 107, 113, 114.

შორაპანი, ქალაქი, ციხე (ქც 1: 24,11; 243,4; ქც 4: 757,6,7,9,21,23,სქ.1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 24,11), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასანოს“ (ქც 1: 243,4), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 57,9; 258,1; 667,1; 752,15,16,18,19; 757,6,7,9,21,23,სქ.1; 758,4; 759,1,3; 770,19; 771,7,22; 802,17; 865,4; 884,6; 885,5,7), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 71, 149, 153, 174, 176, 179), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 54), 1258 წ. დავით მეფის მამულის ბოძების სიგელი ზარდახნის უხუცესს ვახტანგ თულაისძისადმი (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 245), ლიხთ-იმერეთის 1737 წ. რუკა (ბურჯანაძე 1959: 186, 196), 1742-1743 წწ. კაცხის წინამძღვრის სამუელ კათოლიკოსის შეწირულობის წიგნი (კაკაბაძე 1928: 57), 1770 წ. მეფე სოლომონ I-ის სიგელი (ფურცელაძე 1881: 4, 6, 46, 47; სიგელები ... 1898: 2-5, 22-23, 47-48), მცირე ქრონიკები (მცირე ქრონიკები 1968: 59), სტრაბონის „გეოგრაფია“ (სტრაბონი 1957: 123, 128), ოუსტინიანეს „ნოველები“ (ოუსტინიანე 1965: 36), პროკოფი კესარიელის „ბრძოლა სპარსელებთან“ (პროკოფი კესარიელი 1965: 51, 101, 185-186, 203-204), მენანდრე პროტიქტორის „დავა სვანების შესახებ“ (მენანდრე პროტიქტორი 1936: 222), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 5, 7, 299; 1964: 227), დე გრაი დე ფუას თხზულება (დე გრაი დე ფუა 1985: 35, 45, 57, 58, 88, 89).

ვახუშტი ბაგრატიონი შორაპნის შესახებ გადმოგვცემს: „ყვირილასა და ძირულას შორის შესართავს შინა არს შორაპანი, რომელი აღაშენა პირველმან მეფემან ფარნაოზ ქალაქი და ციხე, და ჰყო საერისთოდ და არს დიდშენობა ფრიადი. ამას ჩდილო-


დასავლით უდის ყვირილა, აღმოსავლით-სამხრით ძირულა. აღმოსავალ-ჩრდილოით შუა აქუს კლდე გორა მცირე და გვირაბი დიდი, ჩასული წყლამდე“ (ქც 4: 757,9-14).

მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპ-ში, მდ. ყვირილა-სა და ძირულას ხეობებში, მათ ხერთვისთან, დღევანდელი დაბა შორაპნის ტერიტორიაზე.

წყაროებში პირველად მოხსენიებულია სტრაბონთან (ძვ. წ. I-ახ. წ. I სს). „ფაზისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე. ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა. შორაპნიდან საურმე გზით 4 დღის სავალია მტკვრამდე“ (სტრაბონი 1957: 137). „ქვეყანაში (იბერიაში) არის ოთხი შესასვლელი: ერთი არის კოლხეთის ციხესიმაგრე შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომელზედაც ფაზისი მომდინარეობს“ (სტრაბონი 1957: 128). პროკოპი კესარიელის ცნობით, ლაზთა ორი ციხეა იბერიის საზღვართან – „სკანდე და სარაპანისი“. ციხე „მეტად ძნელად სავალ ადგილშია და ძნელად თუ მიუღდება იმას კაცი“ (პროკოპი კესარიელი 1965: 101, 185-186). VI ს-ში კოლხეთის ტერიტორიაზე ერთმანეთს ებრძოდა ბიზანტია და ირანი. შორაპანი ხან ბიზანტიელების ხელშია, ხან ირანელების. ლაზებმა შორაპნისა და სკანდეს ციხეები დაანგრეს, რომ ის სპარსელებს არ ჩაეგდოთ ხელში. სპარსელებმა შემდგომ კვლავ განაახლეს შორაპნის ციხე (პროკოპი კესარიელი 1965: 185-186, 203-204). 1330 წ. მეფე გიორგი V ბრწყინვალემ (1314-1346) შორაპნის საერისთავო გადასცა დავით ნარინის შთამომავალ ბაგრატს (ქც 4: 802,17). 1702 წ. ციხე დაიკავა გიორგი აბაშიძემ და განაახლა ის (ქც 4: 865,4). 1726 წ. იბერიის მეფე ალექსანდრე V-მ და დადიანმა გაილაშქრეს შორაპნის წინააღმდეგ. აიღეს ციხე და ზურაბ აბაშიძეს გადასცეს (ქც 4: 884,6). 1732 წ. ზურაბ აბაშიძემ ალექსანდრე მეფის წინააღმდეგ იქ ოსმალები ჩააყენა (ქც 4: 885,5,7). 1769 წ. შორაპნის ციხე თურქების ხელშია (დე გრაი დე ფუა 1985: 3). 1770 წ. სოლომონ I-მა (1752-1784) ვენერალ ტოტლებენთან ერთად აიღო შორაპნის ციხე და დაანგრია, რათა თურქებს კვლავ ხელთ არ ეგდოთ ის. იოჰან გიულდენშტედტის ცნობით, „პატარა ციხე შორაპანი, ამჟამად დარბეული, ყვირილასა და ძირულას შუა“ (გიულდენშტედტი 1962: 299). 1810 წ. ფუნქციონირებულ ციხეში რუსის ჯარი ჩადგა.

ციხის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1949 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. ს. ყაუნჩიშვილი). შემდგომში იქ ჩატარდა სადაზვერვო სამუშაოები (ცქტიშვილი 1964: 80; ჯაფარიძე 1983: 49-54). 1980 წ. ციხეზე მუშაობა განახლდა სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებით და მიმდინარეობდა 1986-1987 წლებში. გაირკვა ციხის კედლებში ორი სამშენებლო ფენის არსებობა: 1. ადრე შუა საუკუნეებისა – უხეშად გათლილი კვადრების წყობა კირხსნარზე, ოთხი რიგის შემდეგ ხუთრიგანი აუზრის წყობის შენაცვლებით; 2. გვი-

ანი შუა საუკუნეების სამშენებლო ფენა რიგის ქვის წყობით კირხსნარზე (ცქტიშვილი 1964: 79). უხეშად გათლილი კვადრებითაა ნაშენი წყალზე ჩამავალი გვირაბიც, რომელიც გვიან ჩანს განახლებული. მშენებლობის ტექნიკის მიხედვით, შორაპნის ციხე V-VI სს-ში უნდა იყოს აგებული (ლექციონაძე 1961: 46-150). წერილობითი წყაროების მიხედვით, ის უფრო ადრეა აგებული.



შორაპნის გენგეგმა

ციხეზე გამოვლენილია წყალმომარაგების ქსელი, რომელიც ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სერის წყაროდან მომდინარეობდა. ბორცვზე მდებარეობს ციხადელი. დაბლობზე გაშენებული იყო ქალაქი. ციხადელში გამოვლინდა მარცვლეულის შესანახი 5 დიდი ორმო და 10-მდე ქვევრი. ციხისა და ქალაქის ტერიტორიაზე გამოვლინდა ანტიკური ხანის ძეგლებისათვის დამახასიათებელი ქვიშაქვის კვადრები, ამოჭრილი ფოსოებით („მერცხლის კუდი“), რაც მიუთითებს ამ ადგილზე ციხის არსებობას უფრო ადრეულ პერიოდში, ვიდრე ადრე შუა საუკუნეებია. მსგავსი ქვები მოსახლეობას სახლების მშენებლობისას გამოუყენებია. მსგავსი კვადრებისა და ალიზის კედლის ფრაგმენტები, მთელ ფართობზე, ფლატეების გასწვრივაცაა. ის ციხე-ქალაქის ზღუდის კედლის ნანგრევები უნდა იყოს. ტერიტორია, რომელსაც გალავანი ზღუდავდა, 25 ჰექტარია (ცქტიშვილი 1964: 82; ჯაფარიძე 1983: 51). ანაკრეფი მასალა სხვადასხვა პერიოდისაა. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 2,5 მ სიმაღლის ფენაში აღმოჩნდა გვიანი ბრინჯაოს, ადრეანტიკური, ადრე შუა საუკუნეების კერამიკა (ჯაფარიძე 1983: 52). ციხეზე გვხვდება განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების მასალაც. ციხის გვიანდელმა განახლებამ დააზიანა ადრეული ფენები.

IV-VI სს-ის ფენა და მასალა მეტ-ნაკლები სისრულით ციხის თითქმის მთელ ტერიტორიაზეა გამოვლენილი. შუა და ქვედა ტერასაზე აღმოჩენილია ძვ. წ. მიწურულისათვის დამახასიათებელი წითელი საღებავით მოხატული ზედაპირნაპრალები კერამიკის ნატეხები (ჯაფარიძე 1990: 3). მეორე ტერასაზე მძლავრი ფენაა ბათქაშებისა, რომელიც ზღუდის გარეთაც გადის. კოლხური კერამიკის მიხედვით, ის გვიანელებისტური ხანისაა (ძვ. წ. I

ს). ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით (კერძო მოსახლის ეზოში) ნახანძრული ფენა კრამიტების შემცველია. ნაქალაქარის ძვ. წ. VI-IV სს-ის მასალებში გამოირჩევა: კირქვის ოთხკუთხა პირონებიანი ქვები, ხის ანაბჭვლიანი ბაიქაშის ნატეხების დიდი რაოდენობა, ბრტყელი და ღარიანი კრამიტები, კოლხური ამფორებისა და სხვა ადგილობრივი კერამიკის ნატეხები, ბერძნული შავლაკიანი ჭურჭლის მცირე ნატეხები და სხვ. ციხის აღმოსავლეთით აღმოჩნდა ქვევრი და კოლხური მონეტები (ჯაფარიძე 1990: 4). 1949 წ. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა IX ს-ის არაბული მონეტა (ჯაფარიძე 1990: 5). გასული საუკუნის 30-იან წლებში შემთხვევით უპოვიათ თიხის ქოთანნი, რომელშიც იყო ვერცხლის სამკაული და სხვა ნივთები (მაგ. მშვილდაკინძი ზურგზე წარწერით). მასალა I ს-ით თარიღდება. ანტიკურ ხანაში შორაპანზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზები გადიოდა (ლორთქიფანიძე 1957: 377-379). ციხეზე შემდგომაც გადიოდა, მაგრამ უკვე ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. ციხეს შესასვლელი კარი ჩრდილოეთიდან უნდა ჰქონოდა (მონგრეულია). გზა შემოდის შროშიდან მდ. ძირულა-რიკოთულას აყოლებით და რიკოთის უღელტეხილით გადადის სურამში. მეორე გზა ამ გზას გამოეყოფა და საღვინე-წიფლავაკე-სანახშირე-საწაბლე-სვერის გავლით საირხე-საჩხერეში გადადის. ნაქალაქარის სამხრეთიდან გზა გადადის ხიდს მდ. ძირულას მარცხენა ნაპირზე, გაივლის ფუთს, გადავა ბორილელს ხეობაში, გაივლის მწყურის ციხეს, ბორს, კაცხს და ხარაგაულის ციხესთან ჩავა ჩხერიმელას ხეობაში და ფონას გავლით უღელტეხილით ჩავა სურამში (ცქიტიშვილი 1964: 80-87). შორაპანიდან 7-8 კმ-ის დაშორებით, ბორში, 1900 წ. აღმოჩნდა მდიდრული სამარხი. მასში გამოვლინდა: ვერცხლის პინაკი სამსხვერპლოსთან ტორაწუელი ცხენის გამოსახულებით; პატერა; სარეცლის ფეხების ვერცხლის ჩუქურთმიანი გარსაკრავი; ვერცხლის საღვინეები; კოვრები და სხვ. სავარაუდოა, რომ აქ იყო ერისთავთა რიგის მდიდრული სამაროვანი (აფაქიძე 1944: 441-444).

ბიბლიოგრაფია: აფაქიძე 1944: 441-444; ბაგრატიონი 1983: 54; ბერძენიშვილი 1966: 36; ბოჭორიძე 1996: 72, 169, 255, 257, 276; ბურჯანაძე 1959: 119-197; კოულდენშტედტი 1962: 5, 7, 299; 1964: 227; დადიანი 1962: 71, 149, 153, 174, 176, 179; დე გრაი დე ფუა 1985: 35, 45, 57, 58, 88, 89; კაკაბაძე 1924: 30; 1928: 57; ლექინაძე 1961: 46-150; ლომოური 1958ა: 99-117; ლორთქიფანიძე 1957: 377-383; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 245; მენანდრე პროტოკოტორი 1936: 223-228; მცირე ქრონიკები 1968: 59; პროკოპი კესარიელი 1965: 203-204; სიველები ... 1898: 2-5, 22-23, 47-48; სტრაბონი 1957: 123, 128; ფურცელაძე 1881: 46-47; ქც 1: 24,11; 243,4; ქც 4: 57,9; 258,1; 667,1; 752,15,16,18,19; 757,6,7,9,21,23,სქ.1; 758,4; 759,1,3; 770,19; 771,7,22; 802,17; 865,4; 884,6; 885,5,7; ცქიტიშვილი 1955: 303; 1964: 73-106; 1968: 222-

227; ჯაოშვილი 1979: 31-35; ჯაფარიძე 1983: 49-54; 1988: 444; 1990; 1991; 1991ა; 1995: 26-28; ჯაფარიძე, ჭელიძე, კვირიკაძე 1990; ჯაფარიძე, ძნელაძე 1991: 74-77; ჯაფარიძე, ძიძიგური, კალანდაძე 1995: 103-110; ჯაფარიძე, ძიძიგური 1997: 82-89.

შტორი, ტური (ქც 1: 298,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 549,5; 557,7; 561,22) მატიაზე ქართლისა (ქც 1: 298,8). შტორი-ტური ლოკალიზდება ყვარლის მუნიციპ-ში, ალაზნის პირას, მდ. ჩელთის შესართავის მახლობლად (მუსხელიშვილი 1967: 108). ქართულ ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება ტურის, ანუ იგივე შტორის ერისთავი. მეფე ბაგრატ IV-მ (1027-1072) რანთა და კახთა მეფის დიდ-მოხელეები შეიპყრო. მათ შორის იყო „დისაწული გოდერძისა, შტორის ერისთავი და მაჭელისა“ (ქც 1: 298,8; ქც 4: 549,5, 557,7, 561,22). მდ. ჩელთის შესართავის ტერიტორია, სადაც ლოკალიზდება „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული შტორი-ტური არქეოლოგიურად შეუსწავლელია. იქ შემორჩენილია ნასოფლარი „ტურის ციხე“, ხოლო მდინარის პირას დგას ძლიერ დაზიანებული ციხესიმაგრე (მუსხელიშვილი 1967: 107, 108).

ბიბლიოგრაფია: მუსხელიშვილი 1967: 107, 108; ქც 1: 298,8; ქც 4: 549,5; 557,7; 561,22.

შუამთა, მონასტერი (ქც 4: 547,13,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 547,13,21; 571,23; 572,10; 576,2), პერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 353,12,14; 492,15,22), არჩილ მეფის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1989: 397, 398), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 20), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1967: 24, 387; ქართლ-კახეთის ... 1903: 234; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 246; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 536), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 68). შუამთა მოხსენიებულია რუსი ელჩების მუხლობრივ ჩანაწერებშიც (რუს. ურთ. კავკ. 1889: 382, 397, 460, 464; მიშეცკი, ტატიშჩევი 1935: 51, 52, 65; მიშეცკი, კლუჩარევი 1928: 121, 122, 127-129, 139-142, 156, 160; მასალები საქართველო-რუსეთის ... 1937: 290, 291). ვახუშტი ბაგრატიონი შუამთის შესახებ გადმოგვცემს: თურდოს „ხევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა. ამ ხევის სათავეს ზეით, მთაში, არს შუამთას მონასტერი კეთილი, გუმბათიანი, რომელ აღაშენა ე (მეხუთე) მეფის ლევანის ცოლმან, გურიელის ასულმან თინათინ, და დაეფლა მუნვე ... შუამთა ეწოდა საშუალობისათვის გზისა გარდასულთა სამებიდამ თელავს“ (ქც 4: 547,10-15,21,22). მდებარეობს თელავის მუნიციპ-ში, თელავიდან ორი-ოდე კმ-ის დაშორებით. ახალი შუამთის მონასტერი ააშენა ლევან კახთა


მეფის (1520-1574) მეუღლემ, გურიელის ასულმა თინათინმა XVI ს-ის 30-იან წლებში. დედოფალს მონასტრისათვის დაუდგენია მოძღვართ-მოძღვარი და შეუწირავს მის მიერვე ნაყიდი დაბები. თინათინი იქვე დაუკრძალავთ (ქც 4: 547,10-13, 577,10-13). XVI ს-ის ბოლოს თინათინის ასულს თეკლე მონაზონს, ეკლესიისათვის მიუშენებია ეგვიპტეში. 1603 წ. თეკლე მონაზონს შუამთისათვის შეუწირავს გერემში მოსახლე ნადირა სახლითა და მამულითურთ. 1637 წ. შუამთაში მოსახლე ვაჭრების ბაჟი თეიმურაზ I-მა (1606-1648) მონასტერს შესწირა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 246). ეკლესია, მასზე არსებული წარწერის მიხედვით, შეუკეთებია ერეკლე II-ს (1744-1798) (ბარნაველი 1961: 136).

შუამთა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ახალი შუამთის ეკლესია გუმბათიანი ნაგებობაა (18X13X24 მ), აფსიდიანი საკურთხევლითა და ორი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა სვეტით. შესასვლელი დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. გუმბათი რვასარკმლიანია. ნაშენია აგურით. ფასადები დამუშავებულია ბრტყელი ისრულ-თაღოვანი ნიშების სისტემით. აგურის წყობით ფასადზე გამოყვანილია ჯვრები. ინტერიერში შემორჩენილია აშენების დროინდელი მხატვრობის ფრაგმენტები და სხვადასხვა ხასიათის წარწერები. მათ შორის რელიგიური ხასიათის ბერძნული წარწერებაცაა. XIX ს-ის შუა წლებში ეკლესია და სამრეკლო შეუთეთრებიათ. მონასტერს შემოუყვება ქვით ნაშენი გალავანი (ჩუბინაშვილი 1959: 246-255; ბერიძე 1974: 127-130; ყაუხჩიშვილი 1951: 322-326). ახალი შუამთიდან დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით მდებარეობს ძველი შუამთა, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული არაა. ძველი შუამთა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. იქ სამი ეკლესიაა. V ს-ის ეკლესია დარბაზულია (10,8X8,9X5,7მ), VII ს-ს მიეკუთვნება ჯვრის ტიპის (11,5X9,2X12მ) და მცირე გუმბათიანი ეკლესია (7,5X7,0X7,5მ). ეკლესია ნაშენია რიყის ქვით. შირიმის ქვები კუთხეებზეა გამოყენებული (ბერიძე 1974: 109, 110). ჯვრის ტიპის ეკლესიის კარზე შემორჩენილია ასომთავრული წარწერები: „ღმერთო შეიწყალე პატია რაშავულ, ესე კარი მან ქნა“; „წმიდაო ღმერთო და ყოვლადწმიდაო შეიწყალე მოძღვარი ნიკოლოზ და ზურთინი მიქელ და დემეტრე“; „წმიდაო ღმერთო შეიწყალე ბიჭიკური შიო, ამინ“. ეკლესიის საკურთხეველში მარცხნივ წარწერაა: „ქრისტე შეიწყალე ამშენებელი იოვანე თემას ძეი (?)“. ალექსატრის კანკელზე – „ღმერთო შეიწყალე ფრიად ცოდვილი ალავერდელი არსენი“ (ბარნაველი 1961: 144, 145).

სოფ. შუამთა, რომელიც არ მოიხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“ და არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ცნობილია აგრეთვე ვანის რაიონიდან. შუამთაში შემთხვევით აღმოჩნდა ტრაპეზონის ფული იოანე მეორისა. მონეტა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯვანაშვილის სახ. საქართვე-

ლის მუზეუმი) (აბარამიშვილი 1959: 113, 117).
ბიბლიოგრაფია: აბარამიშვილი 1959: 113, 117; არჩილი 1989: 397, 398; ბაგრატიონი 1986: 68; ბარნაველი 1961: 136, 137, 144, 145; ბაქრაძე 1875: 167, 168; ბერიძე 1974: 109, 110, 171; 1994: 127-130; გორგიჯანიძე 1926: 20; თაყაიშვილი 1902: 1-18; მასალები კავკ. არქ. 1898: 4-7; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 246; მასალები საქართველო-რუსეთის ... 1937: 290, 291; მიშენკო, კლუჩარევი 1928: 121, 122, 127-129, 139-142, 156, 160; მიშენკო, ტატიშჩევი 1935: 51, 52, 65; რუს. ურთ. კავკ. 1889: 382, 397, 460, 464; ქრონიკები 1967: 24, 387; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 536; ქართლ-კახეთის ... 1903: 234; ქც 2: 353,13,14: 492,15,22; ქც 4: 547,13,20; 571,23; 572,10; 576,2; ყაუხჩიშვილი 1951: 322-326; ჩუბინაშვილი 1959: 246-255; გილაშვილი 1980: 206-211.

შულავერი, დაბა (ქც 4: 125,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 125,23; 310,18,20,23; 330,13; 501,24,25,26; 842,7), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 243,15), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 263, 297, 299, 315, 318), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1967: 91; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 296; 1953: 259; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 111), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 174, 175), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 63), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 56), იოჰან გიულდენ-შტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 79, 81, 83). ვახუშტი ბაგრატიონი შულავერის შესახებ გადმოგვცემს: „ხეობა შულავერისა არს ლეღვარის მთის წაკვრით, იმიერ და ამიერ დაბნები. შულავერი არს დაბა დიდი. ქუემორ მისსა ნაქალაქევი არს, შენობა დიდი, და წყარო ფრიად დიდი დის, ზეით მცირე ციხე“ (ქც 4: 310,17-20). მდებარეობს მარნეულის მუნიციპ-ში, მარნეულიდან 15 კმ-ის დაშორებით, მდ. ხრამისა და დებედის შუამდინარეთში, თანამედროვე დაბა შულავერის მიდამოებში. VIII ს-ში შულავერის ხეობა მეფე არჩილმა ადარნასე ბაგრატიონს უბოძა (ქც 1: 243,15). X-XI სს-ში ეს მხარე ტაშირ-ძორავეტის სამეფოში შედიოდა (ბერიძე 1979: 33). XVII-XVIII სს-ში შულავერი სომხითში შედის. შულავერლები იმ პერიოდში გადასახადს იხდიან სომხითის მელიქის სასარგებლოდ (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 111). იქ ყმა-მამულს ფლობდნენ ორბელიანები, ყაფლანიშვილები, ზურაბაშვილები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 296; ქრონიკები 1967: 91). შულავერი შედიოდა ბოლნისის ეპისკოპოსის სამწყსოში (ბერიძე 1964: 20, 21). 1964 წ. ქვემო შულავერის მიდამოებში მიწის სა-მუშაოების დროს დაზიანდა რამდენიმე არქე-




ქვემო შულავერის ნამოსახლარების ჯგუფის განლაგება

ოლოგიური ძეგლი. 1965-1971 წწ. ეს ადგილები შეისწავლა ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და თბილისის სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელები, აღ.ჯავახიშვილი), რომელმაც გამოავლინა და გათხარა ენეოლით-ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაოს, ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ძეგლები (ქვემო ქართლის ... 1975). შულავერის გორა (დმ 100 მ, სიმაღლე 6 მ) მდებარეობს სოფ. იმირის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე. ფენა ველის თანამედროვე ზედაპირიდან 2 მ სიღრმეზე ჩადის. ძეგლზე გათხრილია 252 კვმ ფართობი, სადაც გამოვლენილია 32 ნაგებობა, რომელთა კედლები ამოყვანილია ხელით დაყალიბებული ალიზის აგურით და ორივე მხრიდან თიხის ხსნართაა შელესილი. ნაგებობები გვემთო წრიული ან ელიფსური და კონუსურგუმბათიანი მოყვანილობა აქვს. საცხოვრებელი ნაგებობებისათვის დამახასიათებელია კედლთან გამართული თიხის კვერცხისებური ფორმის კერები. ძეგლზე გამოიყოფა ცხრა სამშენებლო ჰორიზონტი. ქვედა ფენებში კერამიკა იშვიათია. ძელისა და რქის იარაღი IX-VII ჰორიზონტებზე წარმოდგენილია სადგისების, რქის თიხისა და მიწის საჩიქქნი იარაღით. VI ჰორიზონტზე გვხვდება მრგვალღეროიანი საპირალბლები. V ჰორიზონტზე გვხვდება რომბული ისრისპირი, ეშვის ოთხკუთხა ფირფიტისაგან ნაკეთები საკიდი, სატარე ნახერგტიანი საჩიქქნი და თიხისმაგვარი იარაღი. ძეგლის ცხრა სამშენებლო ჰორიზონტზე აღმოჩენილია 1895 ანატაკცი ობსიდიანი და 216 სხვა ქანის ქვა. იარაღებიდან აღსანიშნავია: გვერდამოღარული იარაღები, საჭრისები, საფხეკები, ბურღისებური იარაღი, სახოკები, დანისებური ფირფიტები, ნამგლის ჩასართები,

ხელსაფქვაკები, სანაყები, ხელნაქუჩები, სახენი ქებები, ლახტისთავის ფრაგმენტი. მასალა მიეკუთვნება შულავერ-შომოთეფეს კულტურას. IX-IV სამშენებლო ჰორიზონტების მასალა განეკუთვნება ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეულ, პირველ პერიოდს, III-I ჰორიზონტებიდან მომდინარე მასალა კი - ამ კულტურის მეორე საფეხურს (საქ. არქ. 1992: 35-38). ძეგლი თარიღდება ძვ. წ. VI-V ათასწლეულით (საქ. არქ. 1992: 27).

სოფ. იმირის განაპირას, სამხრეთ-დასავლეთით, შულავერის ღელის მარცხენა ნაპირზე შესწავლილია იმირის გორა. ის წარმოდგენილია ოვალის ფორმისაა (ფართობი 90X80 მ, სიმაღლე 4 მ). ძეგლზე გაითხარა 300 კვმ ფართობი. გორანამოსახლარი გარედან თხრილით იყო შემოზღუდული. სამოსახლოს ნაშთები გორის გარეთაცაა გამოვლენილი. გორაზე გამოვლენილია შვიდი სამშენებლო ჰორიზონტი, სადაც აღმოჩნდა ალიზის 80 შენობა, რომლებიც შულავერის გორის ნაგებობებს ემსგავსება. შულავერთან შედარებით სოფლის განაშენიანება უფრო თავისუფალია. შენობები განლაგებულია გარკვეული წესის მიხედვით: საცხოვრებელი კომპლექსი წარმოდგენილია წრიული საცხოვრისით და ასეთივე ფორმის რამდენიმე დამხმარე სათავსით, რომლებიც წრიული ეზოს გარშემო შემოვლებულ გალავანშია ჩართული. ეზოში, ზღუდის კედლთან, გამართულია კერები. ბორცვის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილია წრიული მოედანი, სადაც ნაგებობები არ აღმოჩენილია. წრიულ-გუმბათიანი შენობებისაგან განსხვავდება №8 ნაგებობა. მას ოღნავ წარმოდგენილი, ოვალური ფორმა და მიშენებული დერეფანი - სათავსო - აქვს. შენობის ცენტრში აღმოჩნდა ოვალური მოყვანილობის კერა, კედლის ძირში კი მუდმივი ცეცხლის შესანახი კერა. №9-10 შენობა ხანძრითაა განადგურებული. იგი შედგება ოვალური მთავარი ნაგებობისა და მასზე მიდგმული ე. წ. აფსიდისა-



შულავერის გვერდი

გან. შენობას აქვს საფუძველი და დგას მოტკეპნილ ბაქანზე. ალზის მცირე ზომის სვეტი მიდგმულია ჩრდილოეთ კედელზე. მთავარი სათავსოს ცენტრში, იატაკში გამართულია კერა. კერის აღმოსავლეთით, წირულ ორმოში აღმოჩნდა ორმხრივ ზედაპირმოსწორებული სვერული ქვა. სათავსოს მცირე ნაწილის ცენტრში, იატაკში ჩადგმული იყო სწორკუთხა, ბრტყელი ქვა, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო საყრდენი ზომის ბალიშად. სათავსო გადაწურული უნდა ყოფილიყო ბანური სახურავით (ქვემო ქართლის ... 1975: 60-73). ბორცვის VII-VI ჰორიზონტებში აღმოჩენილია სამი სახის კერამიკა: შედარებით სქელკედლიანი, უხეშზედაპირიანი, მოშავო-მოყვითაფროდ გამომწვარი მსხვილმინარევიანი თიხის ჭურჭელი, რომლებსაც ქუსლიანი ძირი აქვთ; კარგად მოგლუვებული, ღია ფრად, მტკიცედ გამომწვარი ჭურჭელი, რომელსაც გაპრიალებული ზედაპირი და სარჩული აქვთ. ამავე ჰორიზონტებზე აღმოჩენილია ძვლის სადგისები, საპრიალებლები, ოხსიდანისა და კაჟის საჭრისები, საფხეკები, სახოკები, ბურღები, რეტუშორები, გახეხილ-გაპრიალებული კირქვის დანისებური იარაღი და სოლისებური მოყვანილობის ცულები. V ჰორიზონტში აღმოჩენილია სამი სახის კერამიკა: 1. უხეშზედაპირიანი, მოყავისფრო-მოშავო; 2. მოგლუვებულზედაპირიანი, ღია ფერის, ერთფენიანი; 3. შედარებით თხელკედლიანი ორმხრივ გაპრიალებული, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან ნამერწი ჭურჭელი. ფორმის მიხედვით გამოიყოფა: ა. პირფართო, ოდნავ მუცელგამობერილი, ძირისაკენ შევიწროებული; ბ. პირმოყრილი, კასრისებური მოყვანილობის; გ. დაბალყელიანი, პირგადმოკეცილი, პროფილირებული; დ. პირფართო, თითქმის სწორკედლიანი; ე. პირფართო, პროფილირებული, ცილინდრული ან კონუსურყელიანი ჭურჭელი. კერამიკა შემკულია რელიეფური ორნამენტით: კონუსური კოკებით, სარტყლებით, ნალისებური დანამერწებით, ნუშისგულისებრი რელიეფებით. ამ ჰორიზონტზე ქვის მასალა ყველაზე მრავალრიცხოვანია (1851 ერთეული). ქვის მზა იარაღებიდან აღსანიშნავია: სხვადასხვა ტიპის საჭრისები, სახოკები, ბურღები, ნამგლის ჩასართები, გახეხილ-გაპრიალებული სოლისებური ცულისპირი, ხელჩაქეჩები და სხვ. ძვლის ნაწარმი შედგება: სადგისების, საპრიალებლების, დანისებური ნივთის, რომლებიც მოყვანილობის ისრისპირის, ფიგურული საკიდის, საკინძისაგან. რქისაგან დამზადებულია თიხები (ქვემო ქართლის ... 1975: 77-83). IV-I სამშენებლო ჰორიზონტის კერამიკა დამუშავებისა და ფორმის მიხედვით V ჰორიზონტის კერამიკის ანალოგიურია. ძვლოვანი მასალაც თითქმის იგივეა, აღარ ჩანს ლულოვანი ძვლის „დანა-საპრიალებლები“. IV ჰორიზონტზე პირველად ჩნდება საქონლის ბეჭის ძვლის სატარენახვრტიანი თიხი და მსხვილფეხა საქონლის მეტაპოლიუმზე ნაკეთები მრვადასატარენახვრტიანი იარაღი. ქვის იარაღიდან აღსანიშნავია: ნამგლის ჩასართები, საჩეხი ია-

რადები, სახოკები და საჭრისები, ბურღისებური იარაღი, გახეხილ-გაპრიალებული ორმხრივლესილი ცული და სატეხი, სალესი ქვეები, ხელსაფქვაკები და სხვ. (ქვემო ქართლის ... 1975: 83-92). იმირის გორიდან მომდინარე მასალა ძვ. წ. V ათასწლეულით თარიღდება (საქ. არქ. 1992: 27). ქვემო ქართლის ადრე სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების მეორე საფეხურს მიეკუთვნება იმირის გორის VII-VI, მესამე საფეხურს V, მეოთხე საფეხურს IV-I ჰორიზონტები (საქ. არქ. 1992: 22). გადაჭრილი გორა მდებარეობს იმირის გორის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მას კვეთს შულავგორის ღელე. სამშენებლო ჰორიზონტების სიმძლავრე 4-5 მ-ია. სამოსახლის ცენტრალურ ნაწილში ჩანს ალზის ნაგებობა, რომელსაც მთლიანად შემორჩენილი აქვს გუმბათი. ძველი არ გათხრილა. ანაკრეფი მასალის მიხედვით, კერამიკას შულავგორის გორის კერამიკული ნაწარმისათვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს (საქ. არქ. 1992: 45). დანერგული გორა მდებარეობს შულავგორის გორიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. ძველი განადგურებული იყო. მოხერხდა ადრესამიწათმოქმედო და მტკვარ-არაქსული კულტურის ფენების გამოყოფა. დაფიქსირდა ერთი სამეურნეო ორმო, რომლის კედლებიც თიხით იყო შელესილი. მის ძირზე მცენარეთა თესვები და ყურძნის წიპწები აღმოჩნდა. დანერგული გორის კერამიკა ემსგავსება იმირის გორის VII-VI ჰორიზონტების კერამიკას და ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების მეორე საფეხურს მიეკუთვნება (საქ. არქ. 1992: 22, 44, 45). გორის ზედა ფენა ადრე-ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. ის მთლიანად დანერგული და ვაფანტული იყო. ეს ფენა, საკარაულოდ, სამართავანს წარმოადგენდა. აღმოჩენილი იყო მხოლოდ კერამიკა, რომელიც ოთხ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: დიდი ზომის ქილები, პატარა ღრმა ჯამები, სარტყლები და ჭურჭლის სადგარი. მასალა მტკვარ-არაქსის კულტურისთვისაა დამახასიათებელი და ადრე-ბრინჯაოს ხანით თარიღდება (ქვემო ქართლის ... 1975: 130, 131). მტკვარ-არაქსული კერამიკა აღმოჩენილია შულავგორის გორისა და იმირის გორის ზედა ფენებში (ქვემო ქართლის ... 1975: 129). ქვემო შულავგორის მიდამოებში, შულავგორისა და დანერგული გორის მახლობლად, მათგან ჩრდილოეთით 1 კმ-ის დაშორებით, მდ. ხრამის ძველი კალაპოტის მარჯვენა მალა ნაპირზე ხეყვებით გამოყოფილ ორ ფართობზე – ლაითმაზ I-სა და ლაითმაზ II-ზე აიკრიფა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი მასალა და გაკეთდა სადაზვერვო თხრილები. ლაითმაზ I-ზე გავლებულ 6 თხრილში გამოვლენილი იქნა მტკვარ-არაქსული კერამიკა, ბრინჯაოს ვოლუტებიანი საკინძები. 2 დაზიანებულ სამარხში აღმოჩენილია ჭურჭლის სადგრები და კერამიკა. ლაითმაზ II-ის 5 თხრილში გამოვლინდა ადრე-ბრინჯაოს ხანის შავპრიალა, ვარდისფერ და ნაცრისფერსარჩულიანი კერამიკა,

ნანგეარსფერული ყურები, რელიეფური და ჭდეუ-
ლორნამეტრის კერამიკის ფრაგმენტები (საქ.
არქ. 1992: 171, 172).

შულავერის მიდამოებში შესწავლილია 9 გორასა-
მარხი. მათგან უადრესია №3, რომლის ყრილის
სიმაღლე 2 მ-ია, დმ 20 მ. ყრილის ქვეშ გამოვლენი-
ლი ორმო ცარიელი აღმოჩნდა. ყრილში ჩაშვებული
იყო 2 სამარხი. ერთი სამარხი შეიცავდა ადამიანის
დაშლილ ძვლებს, თიხის ცალყურა ტოლნას, ღრმა
ბადიას, კვირისტავსა და ხარის ძვლებს. მეორე სა-
მარხში მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე,
ფეხებმოკეცილი. მას ჩატანებული ჰქონდა 3 ცალ-
ყურა ტოლნა და 2 ღრმა ბადია. ყორღანი ადრე-
ბრინჯაოს ხანისაა (საქ. არქ. 1992: 171).

იმირის გორის ცენტრალურ ნაწილში გამართული
იყო ქვაყრილიანი ყორღანული სამარხი. მის ქვაყ-
რილში, ორმის თავზე აღმოჩნდა მტკვარ-არაქსული
ტიპის კერამიკა. იქვე იყო კიდევ ერთი ჩაშვებული
სამარხი, რომელშიაც ადამიანის ძვლებთან ერთად 4
თიხის ჭურჭელი და ბაკქის ძვლები ეწყო. ყორღანის
ოთხკუთხა ორმოში იყო ნაქსოვი ჭილღის ანაბეჭდი,
დაშლილი ხის კვალი და დიდი ზომის შავპირი
ჭურჭელი (ქვემო ქართლის ... 1975: 149).


შულავერის მახლობლად გამოვლენილია ბედენ-
ის კულტურის დროინდელი ყორღანებიც (№№4-
8). ყველა მათგანში შედარებით პატარაა, ქვამი-
წაყრილიანი (სიმაღლე 2 მ, დმ 20-30 მ). მათი
უმეტესობა ორმოიანია. ინვენტარი შედგებოდა
მცირე ზომის, შავპირი ჯამების, ქოთნებისა და
სასმისებისაგან. ლითონის ნივთებიდან აღსანიშ-
ნავია სატვერის პირები და ოთხწახანა სადგისი.
აღმოჩნდა ობსიდიანისა და კაჟის ფუძემოლარული
ისრისპირები. ყორღანები ადრეობრინჯაოს ხანით
თარიღდება და ბედენურ კულტურას მიეკუთვნება
(საქ. არქ. 1992: 133).

№№1-2 ყორღანები ქვამიწაყრილიანია (სიმაღლე
1,5-1,6 მ, დმ 13-17 მ). ორივე ორმოიანია. მიცვალე-
ბულები სამარხის კიდეში იყვნენ დაკრძალული.
სამარხებში ხარისა და ცხვრის ჩონჩხებია აღმოჩე-
ნილი. ინვენტარიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს
მოგრძო, სამკუთხაპირიანი სატვეარი, ქილები,
ქოთნები, ბადია და სამარილე (ქვემო ქართლის ...
1975: 138, 139). ყორღანები შუაბრინჯაოს ხანისაა
(ქვემო ქართლის ... 1975: 158).

იმირის გორაზე აღმოჩნდა ფენაში ჩაჭრილი სა-
მარხები. ისინი მოგრძო ფორმისაა. მიცვალებულე-
ბი ესვენა სამხრეთ ნაწილში, ჩრდილოეთ ნაწილში
კი ინვენტარი ელაგა. ინვენტარი შედგებოდა დერ-
გის, ჯამების, ქილების, ქოთნების, ბრინჯაოს საკ-
ინძებისა და მიივებისაგან. თარიღდება ძვ. წ. XIV
ს-ით (ავალიშვილი 1975: 29-31, 36).

შულავერის გორაზე აღმოჩნდა ანტიკური ხანის 5 სა-
მარხი. ყველა მცირე ზომის ორმოსამარხია. სამარხ-
ებში მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, მარჯვენა ან
მარცხენა გვერდზე დაკრძალული იყო თითო ან ორი
(№2) მიცვალებული. ინვენტარიდან აღსანიშნავია:
ხელაღები, ტოლჩისეური ჭურჭელი, ჯამი, ფიალა,

ჭინჭილა, კოჭბები, ორყ-
ურა ხელადა, სამაჯურე-
ბი, საყურეები, ფიბულე-
ბი, ბეჭდები, აგრეთვე
ოროდ I-ის (ძვ. წ. 57-37)
პართული დრაქმა და რო-
მაული ლენარი. სამარხ-
ები ძვ. წ. I ს-ის მეორე
ნახევრით თარიღდება
(ქვემო ქართლის ... 1975:
173-181).



არტეფაქტები
შულავერიდან

იმირის გორაზე გაითხარა შუა საუკუნეების სამარ-
ხები, რომელთა შორის ინვენტარის თავისებურე-
ბითა და სიმდიდრით გამოირჩეოდა №№10, 17, 18
სამარხები. მიცვალებულები დაეკრძალათ გამო-
ტილ მდგომარეობაში, ხის კუბოებში. ჩატანებული
ნივთები მრავალფეროვანია: ოქროს, ვერცხლისა
და ბრინჯაოს სამაჯურეები, ბეჭდები, საყურეები,
მარგალიტის, მარჯნისა და მინის მიივები, ხის
სავარცხელი, პინცეტი, მაკრატელი, დანები, კვე-
სი, ისრისპირი, უხანგი, ცხენის ალკაზუმულობის
ნაწილები. სამარხები ყიფიანურია და XIII-XIV სს-
ით თარიღდება (ქვემო ქართლის ... 1975: 186-195).
შულავერის მიდამოებში მოპოვებული არქეოლოგი-
ური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზე-
უმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

შულავერის მიდამოებში დგას შუა საუკუნეების
ციხე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა და-
ლიგთაშს უწოდებს.

ბიბლიოგრაფია: ავალიშვილი 1974: 29-31, 36;
ბაგრატიონი 1983: 63; ბაგრატიონი 1986: 56; ბერ-
ძენიშვილი 1964: 20, 21; 1979: 33; გიულდენშტედტი
1962: 79, 81, 83; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 296; 1953:
259; კუშნარიოვა, ჩუბინიშვილი 1970: კილურაძე
1976; ლორთქიფანიძე 1935: 366, 367; ორბელიანი
1981: 174, 175; საქ. არქ. 1992; ქვემო ქართლის ...
1975; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 263, 297, 299, 315,
318; 1972: 111; ქრონიკები 1967: 91; ქს 1: 243,15;
ქს 4: 125,23; 310,18,20,23; 330,13; 501,24,25; 842,7;
ღლონტი, კილურაძე 1972: 50-57; ჩუბინიშვილი,
კუშნარიოვა 1967: 537-541; ჯავახიშვილი 1973;
ჯავახიშვილი 1967: 292-298; ჯავახიშვილი 1971.

შპრის-ცხემ (ქვ 4: 135,21). იხსენიება შემდეგ
წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის
„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 135,21),
მატიანე ქართლისა (ქვ 1: 268,16).
ლოკალიზდება ახალღორის მუნიციპ-ში. სავარაუ-
დოდ, მდებარეობდა ლოწობანის ციხის სამხრეთ-აღ-
მოსავლეთით 1,5-2 კმ-ის დაშორებით, სადაც ტყიანი
გორაკის თხემზე შემორჩენილია ზურგეანი კოშკისა
და სხვა ნაგებობათა ნანგრევები (გვასალია 1967:
43).

X ს-ში კვირიკე კახთა მეფესა და გიორგი აფხაზ-
თა მეფეს შორის ბრძოლის დროს, აფხაზთა მეფე
დაეუფლა მნიშვნელოვან სიმაგრეებს აღმოსავლეთ

საქართველოში, გარდა ნახჭევნისა, ბოჭორმისა და ლოწობანისა. უკანასკნელის წინააღმდეგ აფხაზთა მეფემ ააგო შურის ციხე. მეფის აფხაზეთში წასვლის შემდეგ კვირიკემ დაიბრუნა ციხეები, შურის ციხე და ლოწობანი კი დაანგრია (ქც 1: 268,12-16, 269,9-13).

შურის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. შურის ციხის სახელით ცნობილია ციხე კახეთშიც, რომელიც მდებარეობს მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე სოფ. საბუეს „ბოლოებზე“.

ბიბლიოგრაფია: გვასალია 1967: 43; ქც 1: 268,16, 269,12; ქც 4: 135,21.

შურის ციხე, იხ. კალა.

შაშირი, დაბა (ქც 4: 766,13,სქ.3; 770,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 766,13,სქ.3; 770,2), 1071-1080 წწ. ნიკორწმინდის იადგარი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 32), 1494 წ. მამულის ბოძების სიგელი თეიმურაზ მეფისა ბაქარ ბაქრაძისადმი (საისტ. კრ. 1928: 54), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 107, 119, 121, 133, 293). შქმერის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: ხეორისა და ბოყის ხეყების „შესართავს ქუეით არს შქმერი, დაბა დიდი, უყენახო, უხილო, მგზავსი სხუათა მითის ადგილთა და შუენიერ ზაფხულის ფრიად“ (ქც 4: 766,13-15).

მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში, ონიდან 25 კმ-ის დაშორებით, მდ. ხეორის (რიონის მარცხენა შენაკადი) ნაპირას, თანამედროვე სოფ. შქმერის ტერიტორიაზე.


წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI ს-ში (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 32). იმერეთის მეფე სოლომონ I-მა (1752-1782) შქმერი უბოძა წერეთლებს რაჭის ერისთავ როსტომის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერისათვის (სოსელია 1981: 87, სქ.29). 1769 წ. რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ შქმერი საწერეთლოში შედიოდა (სოსელია 1981: 86, 87). სოფლის მახლობლად არის კასტრული მღვიმე. სოფელი შედგება სამი უბნისაგან: უშოლთა – ქვემო უბანი, შუა მთავარი უბანი და ხარისთვალი (ზემო უბანი). თითოეულ უბანში დარბაზული ტიპის თითო ეკლესიაა (უვაროვა 1894: 122; ბოჭორიძე 1994: 232). შქმერის უღელტეხილი აკავშირებს მდ. რიონისა და მდ. ყვირილას აუზებს. შქმერიდან გადასასვლელია საჩხერის რაიონში (ბერაძე 1983: 7, 10).

შქმერი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1983: 7, 10; ბოჭორიძე 1994: 232-238; გიულდენშტედტი 1962: 107, 119, 121, 133, 293; საისტ. კრ. 1928: 54; მასალები საქ. ისტ. კეოგ. 1964: 247; სოსელია 1981: 86, 87; უვაროვა 1894: 122; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 32; ქც 4: 766,13, სქ. 3; 770,2.

შხევის ციხე, შხეთის ციხე (ქც 4: 777,8; 819,14; 821,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 777,8; 819,14; 821,11), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 504, 16), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 118), 1733 წ. შეწირულობის სიგელი კათოლიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი (ქრონიკები 1897: 426; ქართ. სამართ. ძეგ. 1973: 731), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 323, სქ. 10). ვახუშტი ბაგრატიონი შხევის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო ტეხურისა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ, არს შხევის ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა“ (ქც 4: 777,7-9).

მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში, სენაკიდან 5 კმ-ის დაშორებით, სენაკი-ნოქალაქევის გზაზე (ბერაძე 1967: 131; მელითაური 1972: 38-41).



შხევის ციხის გეგმა

1582 წ. მამია დადიანმა გიორგი დადიანის მცირეწლოვანი შვილი ლევანი მოიტაცა და დაამწყვდია შხევის ციხეში, საიდანაც ლევანი გადმოხტა და მოკვდა (ქც 2: 504,16; ქც 4: 819,14). 1590 წ. მამია დადიანმა შეიპყრო იმერეთის მეფე ლეონი და პატიმარყო შხევის ციხეში, სადაც ის გარდაიცვალა (ქც 2: 532,17; ქც 4: 819,14). შხევის ციხეს აიგივეებენ ონოგურისის ციხესთან, რომელიც არქეოპოლისის ახლოს მდებარეობდა (ლექვიანაძე 1965: 94; ბერაძე 1967: 167, 168). მკვლევართა ნაწილი უარყოფს ამგვარ ვარაუდს (გეორგიკა 1936: 61).

შხევის ციხის სიგრძეა 58 მ, სიგანე 20 მ. ციხისიშმაგრის შიდა ფართობია 700 კვმ. ციხეს დასავლეთიდან ორმაგი კედელი და შესასვლელი აქვს. ციხეს აქვს 4 კოშკი, ქვედა და ზედა ეზო. ზედა ეზოში შემორჩენილია ეკლესიის კედლები და წყლის ცისტერნა. დასავლეთით დგას კვადრატული გეგმის (4,2X4,7 მ) კოშკი. სამხრეთ-დასავლეთით ოვალური ფორმის კოშკია, მის მოპირდაპირედ – სწორკუთხა კოშკი (4,25X6,5 მ). კოშკების შემორჩენილი სიმაღლეა 15 მ.

ციხის კედლებს მრავალჯერ განუცდიათ ნგრევა და განახლება. ყველაზე ადრეული წყობა შემორჩენილია ჩრდილოეთის კედელში. წყობა შესრულებულია ქვის კვადრებით (22X18 სმ). მშენებლობის



შხეფის ციხე

ტიქნიკის მიხედვით, შხეფის ციხე მოქმედი ყოფილა VI-XVIII სს-ში.

ზედა ეზოში მოწყობილია წყლის ცისტერნა (3,4X4,7 მ). გეგმაში სწორკუთხაა, გადახუ-

რული ორფერდა სახურავით. ცისტერნა ისეა

ჩამჯდარი მიწაში, რომ მხოლოდ სახურავი ჩანს. მისი სიღრმეა 3 მ, ტევადობა დაახ. 50 კუბ. მ-ია. შიგნიდან შელესილია.

შხეფის ციხე აკონტროლებდა კოლხეთის დაბლობის უმეტეს ნაწილს. ერთ-ერთი კოშკის კედელზე ყოფილა წარწერა, რომლის პირსაც მარი ბროსე ასე კითხულობდა: „კოშკი ესე კარის თვალი შედან აღაშენა, შეუნდონ ღმერთმან“. ბროსეს აზრით, შედან უნდა იყოს XIII ს-ის მოღვაწე ბედან დადიანი და გადმოწერის დროს დაშვებულია შეცდომა (ბროსე 1851: 48). იმავე აზრისაა მოსე ჯანაშვილიც. შედანნი უნდა იყოს ბედან, რაც სამეგრელოს ერისთავების

ტიტულია (ჯანაშვილი 1907: 23; ბერაძე 1967: 167). 1978-1979 წწ. შხეფის ციხეზე გათხრები ჩაატარა ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. პ.ზაქარაია). გაიწმინდა წყალსაცავი წყალსადენით. მთავარი კოშკის იატაკის ქვეშ ჩაფლულ დერგში იღო კაჟიანი თოფის 543 ჩასართი. გათხრებისას აღმოჩნდა აგრეთვე ქვა ასომთავრული წარწერით, რომელიც თავის დროზე წაიკითხა მარი ბროსემ და რომელიც დაკარგულად ითვლებოდა (ზაქარაია ... 1980: 61). განათხარი მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1967: 131-183; 1970: 42, 43; ბერძენიშვილი 1990: 467; ბროსე 1851: 48; გიულდენშტედტი 1962: 323; გეორგიკა 1936: 59-61; დადიანი 1962: 158; ზაქარაია 1965: 66; 1973: 52; ზაქარაია ... 1980: 61; ლეჭენაძე 1965: 94; მელითაური 1972: 38-41; ქც 2: 504,16; 532,17; ქართ. სამართ. ძეგ. 1973: 731; ქრონიკები 1897: 426; ქც 4: 777,8; 819,14; 821,11; ჯანაშვილი 1907: 23.



ნაჰ30 (ქც 4: 792,10). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 792,10).

მდებარეობს მდ. ჩაქვისწყლის ნაპირზე, დღევანდელი დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე.

სოფ. ჩაქვთან, ბორცვოვან ზოლში, გამოვლენილია ენეოლითური ხანის ნამოსახლარი. დადასტურებულია ნახევრადმიწურების ნაშთები, რიყის ქვის ცულები, სატეხები, სათლელები, ანატაკეცები, ლამელეები, მოგრძობიანი ქილები, ყელიანი ქოთნები, პირმოყრილი ჯამები და სხვ. (ფხაკაძე 1993: 21, 22).

ჩაქვის დიუნური ნამოსახლარი ერთფენიანია. აღმოჩენილია სქელკედლიანი ჭურჭლის ნატეხები; თიხის რქისებური სადგრები, საყოფაცხოვრებო ჭურჭლის ფრაგმენტები. საღვთო ძვ. წ. VIII-VII სს-ით თარიღდება (რამიშვილი 1964: 119-131).

ჩაქვის განძი შემთხვევითაა აღმოჩენილი. განძში წარმოდგენილია 5 ცული, ასეთივე ცულის ნატეხი, 6 სამაჯური, სამაჯურის 14 ფრაგმენტი (ქორიძე 1965: 41). თარიღდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით. დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში. ჩაისუბნის განძი შემთხვევითაა აღმოჩენილი. განძის შემადგენლობაშია 3 ცული, 3 თიხი, მასიური რგოლი, ვერტიკალურხვრელიანი ცული. თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: ძვ. წ. XII-XI სს (ქორიძე 1965: 104, 105); ძვ. წ. XIII-XII სს (რამიშვილი 1974: 99). დაცულია ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.

ზედა ულიანოვკის განძიც შემთხვევით აღმოჩნდა ჩაქვის მახლობლად, ბუკნარს ზემოთ. განძი შედგება 2 ნაკლები კოლხური ცულისაგან (რამიშვილი 1974: 14). დაცულია ხ. ახვლედიანის სახ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია: რამიშვილი 1964: 119-131; 1974: 14,99; სურმანიძე 2002; 2005; ფხაკაძე 1993: 21, 22; ქორიძე 1965: 41, 104, 105; ქც 4: 792,10.

ნელში, ქალაქი (ქც 1: 9,7,8,9; ქც 4: 530,24). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქც 1: 9,7,8,9), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 530,24 ; 531,1,10 ; 532,1,2), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქც 1: 199,3), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 82,34), VII ს-ის სომხური გეოგრაფია (სომხ. გეოგრ. 1877: 17).

ვახუშტი ბაგრატიონი ჩელეთის შესახებ გადმოგვცემს: ერწოს წყალის „შესართავს ზეით, იორის პირზედ, არს, აღმოსავლით კერძ, ჟალეთი, შენობა დიდი და შემუსრვილი. ვგონებ ამას ჩელეთად, რომელი აღაშენა კახოს ქალაქი, რომელსა პირველ ბერ ერქუა“ (ქც 4: 531,9-11).

ჩელეთის ლოკალიზაციის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული: ივ.ჯავახიშვილის ვარაუდით, შეიძლება ჩელეთი იყო ჩელთის წყალზე, რომელიც მდ. ალაზანს ერთვის ენისელთან (ჯავახიშვილი 1983: 49). ნ.ბერძენიშვილს სწორად მიაჩნდა ვახუშტი ბაგრატიონის ვარაუდი, რომ ჩელეთი იგივე ჟალეთია (ბერძენიშვილი 1964: 180). დ.მუსხელიშვილის გამოკვლევით, ჩელეთი ლოკალიზდება მდ. ივრის ზემო წელზე, სავარაუდოდ, ჟალეთთან. ჟალეთი კი მდებარეობდა სოფ. საყარაულოს პირდაპირ, მდ. ივრის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ჭოტხანთკარის აღმოსავლეთით აღმართულ, ტყით დაფარულ მცირე მთაზე (მუსხელიშვილი 1966: 26; 1977: 176) (იხ. ჟალეთი).

ლეონტი მროველის მიხედვით ჩელეთი, რომელიც ადრე იყო ქალაქი ბერი, აღაშენა კახოსმა (ქც 1: 9,7,8,9). ვახტანგ გორგასალმა ჩელეთში ააშენა ეკლესია და დასვა ეპისკოპოსი, მწყემსი ერწოთიანეთისა, ფშავ-ხევსურეთისა და ხერკისა (ქც 4: 531,10-14). სავარაუდოა, რომ ჩელეთი განადგურდა 764 წ. ხაზარების შემოსევისას (ჯანაშია 1936: 36). ჩელეთი არქეოლოგიურად შესწავლულია.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1964: 180, 334; დადიანი 1962: 82; მუსხელიშვილი 1966: 26-27, 101-102; 1977: 176; სომხ. გეოგრ. 1877: 17; ქც 1: 9,7,8,9, 199,3; ქც 4: 530,24; 531,1,10; 532,1,2; ჩუბინაშვილი 1959: 132, 133.

ნონა (ქც 4: 131,11; 797,11,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: მათიანე ქართლისა (ქც 1: 258,6,9), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 131,1; 797,11,19), 1071-1080 წწ. ნიკორწმინდის იადგარი (ქრონიკები 1892: 48; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 32), 1272 წ. სიველი (ლოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 460), სოლომონ II-ის განწინება პაპუნა და ბეჟან წერეთლების გაყრის საქმეზე (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 428), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 301).

მდებარეობს საჩხერის მუნიციპ-ში, მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ჩიხას ტერიტორიაზე.

876 წ. აფხაზთა მეფე გიორგიმ დაიპყრო ქართლი და დასვა ერისთავად ჩიხას ტინენ ძე დემეტრესი (ქც 1: 258,5,6). ნ.ბერძენიშვილის ვარაუდით, ჩიხა არგვეთის საერისთავოა, რომელიც მდებარეობდა ამერ-იმერის შემაერთებელ გზაზე. იმავე დროს, ის IX ს-ის პირველ ნახევარში აფხაზთა მეფეების რეზიდენციად ჩანს (ბერძენიშვილი 1964: 21).

ჩიხას საერისთავოს ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო ჩხვიძეების სათავადო არგვეთში. ჩიხაში ყმა-გლეხები ჰყავდათ წერეთლებს (სოსელია 1966: 37; 1981: 88). ჩიხაზე გადიოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი გზა მარშრუტით ბრეთი-დვანი-ავნევი-ერკნეთი-წორბისი-ყორნისი-პერანგა-დარყა-ჭალა-ჩიხა. მეორე გზა ფცას წყლით მიდიოდა და გაივლიდა მარშრუტით ატოცი - ოქონა - თიღვა - ძაღინა - ოჟორა - ხტენა - გომარეთა - ლომისი - მთა პერანგა - ჭალა - ჩიხა - საჩხერე (ბერძენიშვილი 1966: 30, 31).

სოფ. ჩიხა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფლის ეკლესიის სამხრეთით, ადგილ „გობი-ნარში“, მცირე სადაზვერვო სამუშაო ჩატარდა 1982-1986 წწ. საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძ. ჯ.ნადირაძე) მიერ. იქ მიკვლეულია ნასახლარი. სადაზვერვო თხრილში გამოვლინდა ადრეანტიკური და ელინისტური ხანისათვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის შემცველი ფენები. აღმოჩნდა წითლად მოხატული ან შეღებილ-ნაპირიალები ჭურჭლის ნატყეხები. აღნიშნული ფართობი წლების მანძილზე მუშავდებოდა და ძველი ძლიერ დაზიანებულია (ნადირაძე 1990: 135-136). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ.ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი).

სოფელში მაღალი მთის კალთაზე შემორჩენილია XII ს-ის ციხე, რომლის გალავნის შიგნით კოშკია აღმართული. გალავანი გვერდში ოვალურია. დღეისათვის შემორჩენილია ნანგრევების სახით. დაზიანებულია ოთხკუთხა კოშკიც, რომელსაც სქელი კედლები ჰქონია. გალავნის კედლები და კოშკი ნაგებია მუქი რუხი ქვით კირხსნარზე. გალავნის წყობაში ქვაყორც ურევია. გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთით კუთხეში დგას მცირე ზომის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია. გალავანშიც და ეკლესიაშიც შესასვლელი გზა სამხრეთ-დასავლეთითაა. ეკლესიაში რამდენიმე კაცი თუ დაეტევა. მისი გეგმა კვადრატს უახლოვდება და მთავრდება ბრტყელი ნახევარწრიული, იატაკის დონეზე ოდნავ შემალეებული აფსიდით, სადაც სწორკუთხა სარკმელი და თახჩებია დატანილი. საკუროთხველში მოზრდილი ქვის ტრაპეზია. ეკლესიას შესასვლელი აქვს დასავლეთიდან და სამხრეთიდან. იატაკი უხეშად გათლილი ქვისაა. კედლები შელესილია კირით. მხატვრობა არ ჩანს. კედლები გარედან მოპირკეთებულია მოყვითალო რუხი ქვით, რომელიც მოგვიანებით შეუღლესავთ. კარნიში მოჩუქურთმებული ყოფილა. ეკლესიის

ჩრდილოეთის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლები სადაა. დასავლეთის ფასადი შემკულია ჩუქურთმებით. მდიდრულადაა მოჩუქურთმებული დასავლეთის კარიც. ტიმპანის ცენტრალურ ნაწილში, მედალიონში, ჩასმულია ჯვარი, რომლის ორივე მხარეს და ქვემოთ ასომთავრული წარწერაა ამოჭრილი: „ქწ. ჯვარი ქრისტეისი წმინდა ბარბარე“. ქვემოთ: „ქწ მრავალმოწვეო ღმერთო შეუნდეს ცოდვანი შერაზატს და განუსკვნე (სულსა) მამისსა მისსა იოვანესსა“. ჩიხას ღვთისმშობლის ეკლესიას სახურავი ამჟამად თუნუქისა აქვს (გომელაური 1966: 69-78).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1964: 17, 19, 21; ბერძენიშვილი 1966: 30, 31; პოჭორიძე 1996: 199, 241, 243, 251, 235, 261, 263, 278, 279; გომელაური 1966: 69-78; გიულდენშტედტი 1962: 301; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 460; მუსხელიშვილი 1980: 184; ნადირაძე 1990: 135-136; სოსელია 1966: 37; 1981: 88; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 32; 1977: 428; ქრონიკები 1892: 177; 1897: 48; ქც 1: 258,6,9; ქც 4: 131,11; 797,11,19.

ჩიხორი, ქალაქი მცირე (ქც 4: 285,20). იხსენიება შედეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 285,20; 299,5; 566,22; 756,24; 806,3; 829,4; 888,6), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 420,29; 478,13), სეხნია ჩხვიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხვიძე 1913: 60), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 124, 160, 176), XV ს-ის ისტორიული საბუთი (ქრონიკები 1897: 281), XVI-XVIII სს-ის მეორე ნახევრის მცირე ქრონიკები (მცირე ქრონიკები 1968: 37, 59), 1703 წ. „ჟამგულანი“ (მცირე ქრონიკები 1968: 70), ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 55), 1737 წ. ლიხთ-იმერეთის რუკა (ბურჯანაძე 1959: 184, 194), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 169, 303), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 246, 285).

ვახუშტი ბაგრატიონი ჩიხორის შესახებ გადმოგვცემს: ყამსას „ციხეს ზეით ზუსას მდინარის დასავლეთით, არს ჩიხორი, ქალაქი მცირე. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი“ (ქც 4: 756,23-25).

მდებარეობს თერჯოლის მუნიციპ-ში, მდ. ზუსას (მდ. ჩოლაბაურის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. ჩიხორის ტერიტორიაზე. 1462 წ. ჩიხორთან შეებრძოლნენ სამცხის ათაბაგი ყვარყვარე და უზუნ ჰასანი საქართველოს მეფე გიორგი VIII-ს (1446-1466) (ქრონიკები 1897: 280). 1463 წ. მეფე გიორგისა და იმერეთში ახლად გამეფებულ ბაგრატი II-ს (1462-1466) შორის მოხდა ბრძოლა ჩიხორთან, რომელიც ბაგრატი II-ის გამარჯვებით დამთავრდა (ქც 2: 478,12,13; ქც 4: 806,1-4; მცირე ქრონიკები 1968: 87). 1732 წ. ჩი-

ხორთან დაამარცხა ოტია დადიანი იმერეთის მეფე ალექსანდრე V-მ (1720-1752) (მცირე ქრონიკები 1968: 59, 70). 1768 წ. ჩიხორს შეიბნენ სოლომონ I და ქაიხოსრო აბაშიძე (ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 55). ჩიხორის ტერიტორიაზე შემორჩენილია ძველი ხიდის ნანგრევები მდ. ზუსსაზე, სკანდასა და ჩიხორს შორის. ამ ხიდზე უნდა გაეგვლო გზას ჩიხორზე: საზანო - ძველი პოსტები - შროშა - ამაშუკეთი - ძირულას ხეობა - რიკოთის უღელტეხილი - სურამი (ბერძენიშვილი 1964: 16). ჩიხორი ლევან დადიანის ბრძანებით 1644 წ. მოჭვილი ხატის წარწერაში მოხსენიებულია, როგორც ქალაქი (მესხია 1986: 299, სქ. 183). ჩიხორი 1737 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის დღის შედგენილ რუკაზე აღნიშნულია როგორც ქალაქი. ჩიხორი განეკუთვნებოდა მეოთხე ტიპის ქალაქს, რომელსაც არა ჰქონდა დამცავი ციხე და კოშკი (მესხია 1986: 299). 1981-1986 წწ. ჩიხორის ტერიტორიის შესწავლას აწარმოებდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თერჯოლის ექსპედიცია (ხელმძღ. ლ. ნებეიძე). შესწავლილ იქნა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, რომელიც მდებარეობს მდ. ზუსსა მარჯვენა ნაპირზე, ჩორჩიგვარის გორის თხემზე, ნასახლარიდან 50 მ-ის დაშორებით, გორის აღმოსავლეთ ფერდზე მდებარეობს კაჟის დამამუშავებელი სახელოსნო. ნამოსახლარზე გამოვლინდა უშუალოდ გრუნტზე დაშენებული კირქვის ღოდებისა და რიყის ქვის უხსნარო საფუძვლიანი შენობების ნაშთები, კერები, სანაცრე და სამეურნეო ორმოები. არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებით. ჭურჭელი ნაძერწია ხელით. თხა ქარსის, კირისა და კვარცის მინარევიანია. გამოწვია არასრულია. ზედაპირი შავპირალია, ვარდისფერი სარჩულით. ჭურჭლები წარმოდგენილია: ჯამების, ქოთნების, ქილების, ლანგრების სახით. მცირე რაოდენობითაა კაჟის იარაღი. ნასახლარზე სულ მოპოვებულია 928 ნივთი, მათ შორის 360 ქვის იარაღი, 415 კაჟის იარაღი და ცხოველთა ძვლები. არქეოლოგიური მასალაში გვხვდება: კაჟის ნუკლეუსები, ანატკეც-ანამტვრევები, დაზიანებული იარაღი, ფირფიტები, ნახევარფაბრიკატები. სულ მოპოვებულია 7703 კაჟის ნივთი, რომელთა შორის წამყვანია კაჟის ნამგლის ჩასართები. არის საფხველები, სახვრეტები, საჭრისები, ისრისპირები, შუბისპირები, ძვლის რამდენიმე იარაღი, ირმის რქის ნამზადი, ძვლის თოხი, ისრისპირები, სპილენძის ოთხწახნაგა სადგისი და საკიდი, ნავისებური ხელსაფქვავეები. დიდი რაოდენობითაა შინაური ხარისა და წვრილფეხა საქონლის ძვლები. გარეული ცხოველებიდან აღნიშნავია კეთილშობილი ირმისა და ჯიხვის ძვლები. ძველზე დიდი რაოდენობით კაჟის ნამგლის ჩასართების არსებობა მიუთითებს იმ პერიოდისათვის მიწათმოქმედების განვითარებაზე (ნებეიძე 1984: 9, 10; 1985: 8, 9; 1986: 8-10; 1986ა: 404; 1990: 5-7; ნებეიძე, თორთლაძე 1991: 14, 15). განათხარი მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზე-

უმში (ოთ.ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიის ცენტრი).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი ბაგრატი 1941: 55; ბერძენიშვილი 1964: 16, 18, 20; ბოჭორიძე 1996: 250, 258; ბურჯანაძე 1959: 177-196; გიულდენშტედტი 1962: 162, 303; დადიანი 1962: 124, 160, 176; მესხია 1986: 294, 299, სქ. 183, 363, 370; მცირე ქრონიკები 1968: 37, 59, 70; ნებეიძე 1984: 9, 10; 1985: 8, 9; 1986: 145-147; 1986ა: 8-10; 1986ბ: 404; 1987: 5-7; ნებეიძე, თორთლაძე 1991: 14, 15; სოსელია 1966: 34; ქრონიკები 1897: 280, 739; ქც 2: 420, 29; 478, 13; ქც 4: 285, 20; 299, 5; 566, 22; 756, 24; 806, 3; 829, 4; 888, 6; შარდენი 1975: 246.

ჩუნიჭი (ქც 4: 761, 25; 762, 1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 761, 25; 762, 1), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 409, 412; 1958: 131; სოფ. ისტ. 1940: 473; ისტ. დოკ. ... 1958: 131; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 179, 431; 1970: 614; 907; 1977: 261), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 305). ვახუშტი ბაგრატიონი ჩუნიჭის შესახებ გადმოგვცემს: „ქუთათისის ჩდილოთ და რიონის დასავლით არს ქევილიეთს ციხე ... ქევილიეთის ჩდილოთ არს ჩუნიჭი“ (ქც 4: 761, 25; 762, 1). მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, წყალტუბოდან აღმოსავლეთით 3 კმ-ის დაშორებით, ახლანდელი სოფ. ჩუნიჭის ტერიტორიაზე. 1568 წ. იმერეთის მეფე გიორგი II-მ (1565-1585) ჩუნიჭში მოსახლე რამდენიმე კომლი გელათის წმინდა გიორგის ეკლესიას შესწირა (ქრონიკები 1897: 409; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 249). 1647 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრეს (1639-1660) მიერ აზნაურ იოსელიანისთვის ნაბობები სოფ. გომტიბის მიწა-წყლის საზღვარი ჩუნიჭამდე აღწევდა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 249; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 473). 1773 წ. სოლომონ მეფემ (1752-1784) ქუთათისის ტაძარს შესწირა ჩუნიჭელი გლეხები (ისტ. დოკ. ... 1958: 131). XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე ლორთქიფანიძეებსა და იოსელიანებს დავა ჰქონდათ ჩუნიჭისათვის (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 261). 1975 წ. სოფ. ჩუნიჭსა და მის მეზობელ სოფლებში არქეოლოგიური დაზვერვები ჩატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყალტუბოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ალ. კალანდაძე). ჩუნიჭის გორაზე გამოვლინდა ენეოლითური ხანის ქვის იარაღები და შუა საუკუნეების ნაგებობა. სოფ. ჩუნიჭის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. სემის ხეობაში, სოფ. კუმისთავთან აიკრიფა ენეოლითური, ბრინჯაოს ხანისა და შუა საუკუნეების მასალა. ჩუნიჭის აღმოსავლეთით, დაახლოებით 3 კმ-ის დაშორებით სოფ. ხომულის ციხესთან აღმოჩნდა ქვის ხანის კაჟის ინვენტარი და გვიანი შუა საუკუნეების კერამიკა (კალანდაძე ... 1978: 8, 9).

1974-1976 წწ. სოფ. ხომულში, კარსტული წარმოშობის მღვიმეში, რომელიც თეთრი მღვიმის სახელითაა ცნობილი, არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქუთაისის მხარის ქვის ხანის ისტორიის შემსწავლელმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ალ. კალანდაძე). 1976-1985 წწ. იქ გათხრებს წყარმოებდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წყარმოებდა არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. კ. კალანდაძე). 1987-1988 წწ. იმავე ექსპედიციამ ჩუნიშვილის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 7 კმ-ის დაშორებით, სოფ. ყუმისთავის ტერიტორიაზე, შეისწავლა საწურბლეს მღვიმე.

თეთრი მღვიმე მდებარეობს სოფ. ხომულში, ლექვთაძეების ბორცვზე, კურორტ წყალტუბოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით, 100 მ სიმაღლეზე. მღვიმის საერთო ფართობია 2500 კვმ. მღვიმე შედგება სტალაგმიტებისა და სტალაქტიტების სამი დიდი დარბაზისაგან (I დარბაზი საცხოვრებელია, II საკულტო, III სათავსია). მღვიმის წინა ტერიტორიის ნაწილიც (50 კვმ) გამოყენებული ყოფილა საცხოვრებლად. მღვიმეში დადგინდა ორი ფენა: ზედა პალეოლითური და ენეოლითური. ზედა პალეოლითურ ხანაში მღვიმე სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან ღია იყო. ენეოლითში ადამიანს ამოუქოლავს შესასვლელი (შესაძლოა, თავდაცვის მიზნით) და მღვიმეში ჩასვლა ვერტიკალური ხვრელით (დმ 2 მ, სიღრმე 7-8 მ) ხორციელდებოდა. ზედა პალეოლითური და ენეოლითური ფენები ერთმანეთისაგან 1,5 მ სისქის სტერილური ფენით იყო გამოიჯნული. ორივე ფენაში მოპოვებულ იქნა 15 ათასზე მეტი ნივთი. აქედან პალეოლითური 1138, ენეოლითური კი 14152 ცალია (კალანდაძე 1994: 22-32). ზედა პალეოლითური ფენის სიმძლავრეა 40-50 სმ. ფენაში აღმოჩნდა: 1. ქვის (კაჟის) იარაღები: ნუკლეუსები (კონუსური, სოლისებური, პრიზმული), საჭრისები, საფხეკები, წვეტანისებური იარაღი, დუბლირებული იარაღი (საფხეკ-საჭრისი), ლამელები. 2. გრდემლად გამოყენებული რიყის ქვები. 3. ძვლის იარაღები, სადგის-სახვრეტები და ფაუნისტური მასალა (ნანადირევე ცხოველთა ძვლები). ძვლოვანი მასალაში აღმოჩნდა პალეოლითური ადამიანის იმეფის ძვალი (კალანდაძე 1994: 33-38).

ენეოლითური ფენის მასალა ძირითადად მოპოვებულია მღვიმის II დარბაზში და მღვიმის წინა ტერიტორიაზე. ფენაში აღმოჩნდა კაჟის იარაღები: საჭრისები, სახვრეტები, ლამელები, საფხეკები, ხერხისებური იარაღი, ნუკლეუსები, ისრისპირები, შუბისპირები, წვეტანისებური იარაღები და სხვ. რიყის ქვის მასალიდან აღსანიშნავია: ხელსაფეკვები, ვარცლისებური ქვები, შურდულის ქვები, ჭურვები, ცულები, ხელნაქუჩები, ავგაროზები და ა. შ. ძვლოვანი მასალიდან გვხვდება: სადგის-სახვრეტები, მახათები, ავგაროზები, სამკაულები, საქსოვი ჩხირები და სხვ. ენეოლითურ ფენაში მრავალრიცხოვანია კერამიკული მასალა (9741 ერთეული). ესენია: 1. ხელით ნაძერწი, სქელკედლიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (დერვისებური, ქილისებური, ჯამისებური). თიხა კვარცის, ქარსისა და ქვიშის მინარევანია. ზოგიერთი ჭურჭელი ორნამენტირებულია. 2. თიხის კვებისტავეები: კონუსური, ბიკონუსური. მათგან 6 ცალი ორნამენტირებულია. 3. ცხოველებისა (ხარი, ცხვარი, თხა, დათვი და სხვ.) და ადამიანების ქანდაკებები. 4. სარიტუალო „კვერები“ – მრგვალი ან ელიფსური. ზოგიერთს ემჩნევა ნამჯის ან თითის ანაბეჭდები. თეთრი მღვიმის ენეოლითურ მასალაში აღმოჩნდა ტირიფის ფოთლის ფორმის ლითონის ყუნწიანი ისრისპირი, ბრტყელი, ოღნავ შესამჩნევი ქედით, თხელი, ბასრი ნაპირებითა და მახვილი წვერით. იარაღს ეტყობოდა ცივად ჭედვის კვალი (კალანდაძე 1994: 39-62). თეთრი მღვიმის განათხარი მასალა ინახება წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

საწურბლეს მღვიმე მდებარეობს მდ. სემის ხეობაში, სოფ. ყუმისთავის ტერიტორიაზე. მღვიმეში გამოვლინდა ორი ფენა: ზედა პალეოლითური და ენეოლითური. ისინი ერთმანეთისაგან გამოიჯნულია სტერილური შრით. საწურბლაში სულ აღმოჩნდა 916 ნივთი. მათგან ზედა პალეოლითური 436, ხოლო ენეოლითური 480 ერთეულია. ზედა პალეოლითური ფენის ნივთებიდან აღსანიშნავია: კაჟის დანები, წვეტანისებური იარაღი, საფხეკები, საჭრისები, ნუკლეუსები და სხვ. ენეოლითურ ფენაში აღმოჩნდა: არგილიტის სატეხი, კაჟის საჭრისები, საფხეკები, ნუკლეუსები, ანატაკეები, რიყის ქვის სახეხ-საპრიალებელი, სალესი; თიხის ჭურჭლის ყელისა და ჯამის ფრაგმენტები. იქვე აღმოჩნდა მოვკიანი ხანის კერამიკის ფრაგმენტებიც. საწურბლეს მღვიმის ზედა პალეოლითური ფენის ქრონოლოგიური საზღვრები გვიან ზედა პალეოლითის უახლოვდება; ენეოლითის – ენეოლითური ხანის მეორე ნახევარს. საწურბლეს მღვიმის აღმოსავლეთ კედელთან ენეოლითურ ფენაში აღმოჩნდა ამავე ხანის ორმოხამარი კიდურებმოხრილი ჩონჩხი (კალანდაძე 1997: 10-12).

სოფ. ყუმისთავში 1918 წ. აღმოჩნდა თიხის ქოთანის 83 კოლხური თეთრით. განმი დაიფანტა. ვადარჩა მხოლოდ 13 მონეტა, რომელთაგან ათზე ამოკვეთილია ასოები „ქ“.

სამზე ადამიანის თავია გამოთხარული (პახომოვი 1938: 7). ხომულის ციხის საოთავთავლო კოშკის კარნიშზე აღმოჩნდა თერთმეტსტრიქონიანი ქართული წარწერა, სადაც მოხსენიებული არიან ციხის აღმშენებლები: ზაალ და ვიორგი დოღობერიძეები (კალანდაძე ... 1978: 9).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1964: 195-207; გიულდენშტედტი 1962: 305; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1940: 473; ისტ. დოკ. ... 1958: 131; 1987: 6-10; 1994; 1995: 15-19; 1997: 10-12; კალანდაძე, ბერძენიშვილი 1986: 6, 7; კალანდაძე, კალანდაძე 1975: 67-72; კალანდაძე ... 1976: 7-10; კალანდაძე ... 1978: 8, 9; კალანდაძე ... 1979ა: 15-17; კალანდაძე ... 1981: 19-

28; კალანდაძე ... 1982: 25-29; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 249; პახომოვი 1938: 7; საქ. არქ. 1991: 188, 189; ქრონიკები 1897: 409-412; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 179, 431; 1970: 614, 907; 1977: 261; ქც 4: 761,25; 762,1.

ჩხარბი, ქალაქი, დაბა (ქც 4: 755,28-30). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 755,28-30; 771,11; 774,23,24; 840,1; 871,21,22; 875,12,16), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 149, 160, 176, 192), მცირე ქრონიკები (მცირე ქრონიკები 1968: 28, 29), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 339, 342, 343, 610, 649, 908, 971; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 250), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტ 1962: 159, 303), დე გრაი დე ფუას „ცნობები საქართველოს შესახებ“ (დე გრაი დე ფუა 1985: 80), ჟაკ ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 188-190).

ვახუშტი ბაგრატიონი ჩხარის შესახებ გადმოგვცემს: „კულად ჩხარს მოერთვის მეორე ჩხარულა ... ამ ხეზედ არს მთის ძირს ჩხარი, ეს ყოფილა ქალაქი, არამედ ახორდა ლევან დადიანისგან. აწ არს დაბა“ (ქც 4: 755,28-32).

მდებარეობს თერჯოლის მუნიციპ-ში, თერჯოლიდან 9 კმ-ის დაშორებით, თანამედროვე სოფ. ჩხარის ტერიტორიაზე.

1578 წ. ქუთაისელმა მიტროპოლიტმა დოსითეოსმა ჩხარში იყიდა სამი მოსახლე (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 342, 343). ჩხარი მიეკუთვნებოდა მეოთხე ფეოდალს ქალაქს, რომელსაც თავისი დამცავი ციხესიმაგრე არ ჰქონოდა (მესხია 1983: 622). ის იყო სავაჭრო ქალაქი, სადაც ცხოვრობდნენ ვაჭარ-ხელოსნები. 1634 წ. ლევან დადიანმა დაამარცხა იმერეთის მეფე გიორგი III (1605-1639) და ტყვედ ჩაიგდო. 1669 წ. ჩხართან ბრძოლა მოხდა სენია ჩხეიძესა და იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ს (1660-1681) შორის (ქც 4: 840,1). 1646 წ. ლევან დადიანმა გადაწვა ქ. ჩიხორი და დაანგრია ჩხარი (სინ 1973: 337). 1712 წ. ჩხართან ბრძოლა მოხდა მამია გურიელსა და იმერეთის მეფე გიორგი VI-ს (1703-1711, 1716-1720 წწ.) შორის (ქც 4: 871,21,22). იმერეთის მეფე ალექსანდრე V-მ (1720-1752) განაახლა ჩხარის წმინდა გიორგის ეკლესია (სინ 1973: 515), 1768 წ. ჩხარის მახლობლად ცნრაწყაროსთან ბრძოლა მოხდა მეფე სოლომონ I-სა (1752-1784) და თეიმურაზ მამუკას ძეს შორის (გოულდენშტედტი 1962: 169; სინ 1973: 646).

ჩხარის ტერიტორიაზე, ოქონას გორაზე, 1994-1995 წწ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ზ.პრაგვაძე) შეისწავლა გვიანანტიკური ხანი სამაროვანი (ბრაგვაძე 1997). ოქონას გორა მდებარეობს სოფ. ჩხარის ჩრდილო საზღვარზე. წარმოადგენს ბუნებრივ მასივს, სადაც შემორჩენილია ციხის ნან-

გრევები. ციხის აღმოსავლეთით დამრეც ფერდზე 40-ოდე წლის წინ შემთხვევით აღმოჩნდა მდიდრული სამარხი, რომლის ნივთების ნაწილი მოხვდა ჩხარის მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის მუზეუმში. მუზეუმი გაიჭურდა. დიკარვა ოქროს საყურეები და მონეტები (ბრაგვაძე 1997: 3, 4). ძველი აღმოჩენის ადგილას გამოვლინდა სამაროვანი, სადაც ექსპედიციამ შეისწავლა 15 ორმოსამარხი. სამარხები ინდივიდუალურია. მხოლოდ ერთშია წყვილადი დაკრძალვა. სამხრეთ-დასავლეთით ორიენტირებული მიცვალებულები დაკრძალულია ხელფეხმოკეცილი. სამარხთა სიახლოვეს ვერტიკალურად ჩადებული ქვევრებია შემორჩენილი ნახევარი ტანით. სამაროვანზე მოპოვებულია თიხის 11 სქელკედლიანი, მოწითალო და მოშავოდ გამომწვარი ჭურჭელი (ჯამები, დოქები). ისინი დამზადებულია განულებქავი უხეში თიხისაგან, რომელშიც დიდი რაოდენობით ურევია ქარსი. დოქები სამტურია, ორყურა. ჯამები ქუსლიანია, შავად გამომწვარი. იარაღ-საჭურჭელიდან აღსანიშნავია რკინის 3 ორღესული მახვილი, 3 სატყვარი, 2 შუბისპირი, სამფრთიანი ისრისპირები, 1 დანა. ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებია: რკინის, ბრინჯაოსა და ვერცხლის აბზინდები, ბალთები, მშვილდსაკინძები, ქამრის ნაწილები და ფირფიტები. სამკაულიდან გვხვდება: ოქროსა და ბრინჯაოს მტევნისებური საყურეები; სხვადასხვა ფორმის ვერცხლისა და ბრინჯაოს საკიდები; ბრინჯაოს სამაჯურები; ვერცხლის 3 ბეჭდიდან ერთ-ერთის სარდიონის თვალზე ამოკვეთილია პროფილში მდგომი მარსი. სამი მონეტიდან ორი ავეუსტუსისაა, ერთი სეპტიუს სევერიუსს ეკუთვნის. სამაროვანი თარიღდება II-III სს-ით (ბრაგვაძე 1997). სამაროვნის მასალა ინახება ჩხარის მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის მუზეუმში, ხოლო წყვილი ოქროს საყურე დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი).

სოფ. ჩხარში დგას წმინდა გიორგის ეკლესია და სამრეკლო. წმინდა გიორგის ძველი, დარბაზული (14,4X8 მ) ეკლესიისაგან გადარჩენილია საძირკველი. მის აღმოსავლეთით ქვიტიკირის ორსართულიანი სამრეკლოა. კარი დასავლეთითაა, რომლის თავზე გამოქანდაკებულია ჯაჭვით დაბმული ლომი. ეკლესიისა და სამრეკლოს გარშემო ქვიტიკირის გალავნის ნაშთია (ბოჭორიძე 1996: 199).

ჩხარის ოქონას ეკლესია დგას ჩხარის ზევით, გორაკზე. ის დარბაზულია (8,8X4 მ). აგებულია თლილი ქვით. აფსიდა გარეთაა გაწეული. კარი სამხრეთით და დასავლეთითაა. დასავლეთის კარსა და აღმოსავლეთის სარკმელს ამკობს ჩუქურთმები. ეკლესია მოხატული ყოფილა. ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია გრიგოლ კალატოზი (ბოჭორიძე 1996: 199, 200).

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1964: 5, 8-10; 1990: 58, 467; ბრაგვაძე 1997; ბოჭორიძე 1996: 21, 197, 198, 250, 257, 267, 279; ბურჯანაძე 1959: 186, 196; გამბა 1987: 188-190; გოულდენშტედტი 1962:

159, 303; დადიანი 1962: 149, 160; დე ვრაი დე ფუა 1985: 80; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 250; მესხია 1983: 191, 237, 241-43, 274, 622, 623; 1986: 294, 296, 299, 363, 370; მუსხელიშვილი 1977: 113; მცირე ქრონიკები 1968: 28, 29, 70; საქ. ისტ. რუკა 1923; სინ 1973: 334; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 342, 343, 399, 610, 649, 671, 908; ქრონიკები 1897: 265, 281, 451; ქც 4: 755,28-30; 756,11; 771,11; 774,23,24; 820,4; 840,1; 871,21,22; 875,12,16.

ჩხმარი, ციხე (ქც 4:758,18,20,21,სქ.2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:758,18,20,21; 758,სქ.2, 844,20), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 349,9), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 50), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 76), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 36), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1909: 136; ქრონიკები 1897: 498; 1967: 51, 330, 333, 622, 637, 639, 643; ისტ. დოკ. ... 1959: 69; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 140; მცირე ქრონიკები 1968: 60, 131), ტოლჩანოვის იმერეთში ელჩობის „მუხლბერივი აღწერილობა“ (ტოლჩანოვი 1970: 152, 265), იოჰან გოულდენ-შტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენ-შტედტი 1962: 7, 173, 175, 309; 1964: 19, 155, 261).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „მლაშეს ზეით ჩხერიმელაზედვე, არს სამხრით ჩხერის-ციხე, მაგარი და მტრისაგან აუღლებელი ... ჩხერის ზეით არს გზა ქართლს მიმავალი“ (ქც 4: 758,17-21).

მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპ-ში, მდ. ჩხერიმელას მარჯვენა მხარეს, თანამედროვე სოფ. ჩხერის ტერიტორიაზე.

1738 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრემ (1720-1751) ჩხერის ციხე ნიკოლოზ აბაშიძეს უბოძა (ისტ. დოკ. ... 1959: 69). 1762 წ. ნიკოლოზ აბაშიძემ ჩხერის ციხე სოლომონ I-ს (1735-1784) მიჰყიდა (ბერაძე, ცქიტიშვილი 1971: 48). 1774 წ. ჩხერთან ბრძოლაში იმერეთის ლაშქარმა სოლომონ I-ის მეთაურობით დაამარცხა ოსმალები (ქრონიკები 1967: 622; ბერძენიშვილი 1966: 87).

ჩხერი არქეოლოგიურად შესწავლელია. ჩხერის ტერიტორიაზე შემორჩენილია შუა საუკუნეების დაზიანებული ციხე (ბარნაველი 1959: 97).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1983: 76; ბაგრატიონი დავით 1941: 36; ბარნაველი 1959: 97; ბერაძე, ცქიტიშვილი 1971: 48, 49; ბერძენიშვილი 1965: 220, 221, 388, 390; 1966: 36, 37, 87; ბოჭორიძე 1995: 249, 256; გვასალია 1989: 6; გოულდენ-შტედტი 1962: 7, 173, 175, 309; 1964: 19, 155, 261; ისტ. დოკ. ... 1959: 69; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 250; მცირე ქრონიკები 1968: 60, 131; ორბელიანი 1981: 50; ტოლჩანოვი 1970: 152, 265; საქ. ისტ. ძეგ. 1984: 57; საქ. სიძ. 1909: 136; ქრონიკები 1897: 498; 1967:

51, 330, 333, 622, 637, 639, 643; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 140; ქც 2: 349,9; ქც 4: 758,18,20,21; 758, სქ. 2; 844,20.

ჩხიკვთა, ჩხიკვთა (ქც 4: 326,20; 517,10). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 326,20; 517,10), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 197; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 6, 122, 151-154, 158, 160; საქ. სიძ. 1920: 76, 86, 88; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 165, 261; 1953: 33; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 250; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 33, 386; 1981: 66; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 102; ქართულ-სპარსული ... 1984: 17), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 708), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 139).

ვახუშტი ბაგრატიონი ჩხიკვთას შესახებ გადმოგვცემს: „ჩხიკუთის სამხრით არს ეკლესია სამება ... ამას ქუეით ერთის ალგეთს ხევი საღირაშენისა“ (ქც 4: 326,20-26).

მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპ-ში, თეთრიწყაროდან 7 კმ-ის დაშორებით, მდ. ალგეთის მარჯვენა მხარეს, ახლანდელ სოფ. ჩხიკვთას ტერიტორიაზე.

წყაროებში პირველად იხსენიება XIV ს-ში. 1392 წ. ჩხიკვთა წარმოადგენდა მცხეთის საეკლესიო მამულს (ქრონიკები 1897: 197). 1543 წ. ლუარსაბ I-მა (1534-1556) ბარათაშვილების საგვარეულოს გაყოფისას ნახევარი ჩხიკვთა ბარათაშვილებს, მეორე ნახევარი კი გერმანოზოვილებს არგუნა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 250; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 33; ლორთქიფანიძე 1935: 369). 1753 წ. ლეკები ჩხიკვთას ციხეში დაბანაკდნენ. შემდეგ ის გადაწვეს და მიატოვეს (ქც 4: 517,10; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980:102).

1973 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ალგეთის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნ. თუშიშვილი) არქეოლოგიური დაზვერვები ჩატარა სოფ. ჩხიკვთასა და მის მიდამოებში. სოფ. ჩხიკვთას სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლ. 200 მ-ის დაშორებით, გამოვლინდა რამდენიმე ჰა ფართობზე განლაგებული ე. წ. ციკლოპური ტიპის ნაგებობათა კომპლექსი: დიდი ზომის ქვებისაგან შემდგარი ვალავანი, აგროთევე დიდი ქვებით მოზღულული გზა, ოთხკუთხა და წრიულ ნაგებობათა ნაშთები და სამკუთხა კანელურებით შემკული მრგვალი სვეტის ფრაგმენტი (წინაქრისტიანული ხანის). იქვე აიკრიფა შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები, მათ შორის მოჭიქულიც.

ჩხიკვთას შორიანბლი, ტბისის ხევში, აღმოჩნდა ქვითკირის ჯვების ნანგრევები, რომელიც, შესაძლოა, ხეობის ყელის ჩასახერგად-საგუბრად გამოიყენებოდა. მის გვერდით ალგეთის წყალსაცავის ადმინისტრაციული სახლების მშენებლობისას აღმოჩნდა შუა საუკუნეების ნასოფლარი, რომელსაც,

შესაძლოა, მიეკუთვნებოდეს კოჭრების ეკლესია. ეკლესიის ეზოში გამოვლინდა VI-VII სს-ის ქვა-ჯვარის ოთხკუთხა ბაზა, ბოლნური ჯვრის გამოსახულებითა და რვასტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერით.

ტბისის ხევის მარჯვენა ნაპირზე გამოვლენილია შუა საუკუნეების სამაროვანი. ჩხიკვაში აღნუსხულია აგრეთვე გორანამოსახლარი და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი (თუშიშვილი 1973: 63).

სოფელში შვიდი ეკლესიის ნანგრევია. შედარებით უკეთაა შემორჩენილი ჩხიკვთას სიონი, ღვთისმშობლის სახ. ეკლესია და სამება.

ჩხიკვთას სიონი მდებარეობს სოფლის სამხრეთით 2,5 კმ-ის დაშორებით. ეკლესია დარბაზულია. ნაგებია თლილი, მონაცრისფრო ქვებით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა. აქვს გვიანდელი შესასვლელი ჩრდილოეთიდან. სარკმელი ოთხია, ნიში – ორი. სამხრეთი კარის თავზე სამშენებლო ხასიათის მხედრული წარწერაა: „მოიხსენიე ... რუსთველი მთავარებისკობოში ქრისტეფორე საგინაშვილი, რომლისა მიერ აღეშენა საყდარი ესე 1679“. საკურთხეველის ერთ-ერთი ქვის ნატეხზე ორი რელიგიური ხასიათის წარწერაა (თაყაიშვილი 1905: 10, 11).

ჩხიკვთას სიონის მაღლა, სამების სამხრეთით, შარავზაზე ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევებია. ეკლესია (10X7მ) თლილი ქვითაა ნაგები. სა-

ხურავი ქვისაა. შესასვლელი სამხრეთიდანაა. გარდა ჩრდილოეთისა, ყველა კედელს თითო სარკმელი აქვს. სამხრეთ კედელზე ასომთავრული წარწერაა: „მღვდელი მიქაელი“. ეკლესია „მწვანე მონასტრის“ სახელითაც არის ცნობილი (თაყაიშვილი 1905: 13). ჩხიკვთას დასავლეთით, კონურის მთაზე, სამების ეკლესიაა (7,5X5 მ). ნაგებია თლილი ქვით. გადახურულია ქვის ფილებით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. საკურთხეველი ქვისაა, ოთხკუთხა. ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე ხუცური წარწერაა: „ქვის ოსტატი (?) გიორგი, შვილისა ჩუენისასა გაკეთებული არის“. ეკლესიას აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ქვის ლოდებით ნაგები გალავანი აკრავს, რისთვისაც „გმირ-ნაკვეთს“ უწოდებენ. ადრე აქ ციხე ყოფილა, შემდეგ აუგიათ ეკლესია. (თაყაიშვილი 1905: 10-15). სამების ეკლესია გვიანი შუა საუკუნეებისაა (ლორთქიფანიძე 1938: 479). **ბიბლიოგრაფია:** ბაქრაძე 1875: 163; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 165, 261; 1953: 33; თაყაიშვილი 1905: 10-15; თუშიშვილი ... 1974: 60-64; ლორთქიფანიძე 1935: 268, 369; 1938: 73, 74, 479; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 6, 122, 151-154, 158, 160; მასალები საქ. ისტ. კეოგ. 1964: 250; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 102; საქ. სიდ. 1920: 76, 86, 88, 368, 370; ქრონიკები 1897: 197; ქც 4: 326, 20; 517, 10; ქართულ-სპარსული ... 1984: 17; ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 708; 1972: 33, 386; 1981: 66.



გაგამი (ქც 4: 749,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 749,7), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 193), XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 250), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 327, 331).

მღებარეობს ლენჩუშში, დღევანდელი რაიონული ცენტრის, ცაგერის ტერიტორიაზე. ცაგერი წარმოადგენდა საეპისკოპოსო ცენტრს, სადაც იჯდა ლენჩუშ-სვანეთის ეპისკოპოსი (ქც 4: 749,7-9).

ცაგერი არქეოლოგიურად შესუწავლელია. ცაგერის ცენტრში დგას ღვთისმშობლის ეკლესია, ორქანობიანი სახურავის მქონე დიდი შენობა, რომელიც თავდაპირველად წარმოადგენდა სვეტების ორი წყვილით სამ ნავად გაყოფილ ბაზილიკას. აღმოსავლეთით აქვს სამი შვერილი აფსიდა. შესასვლელი სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. სამხრეთის კარს ამკობს მოჩუქურთმებული ჩარჩო, რომლის გული ვაზის მერქნისაგანაა დამზადებული (ბოჭორიძე 1994ა: 308). ეკლესია მრავალჯერაა გადაკეთებული. 1910 წ. ექ.თაყაიშვილს ეკლესიის მახლობლად უნახავს ორსართულიანი საეპისკოპოსო სასახლის ნანგრევები, რომლებიც დღეისათვის აღარაა შემორჩენილი (თაყაიშვილი 1937: 48, 49). 1770 წ. ცაგერის ეკლესიაში დაკრძალეს მეფე ერეკლე II-ის (1744-1798) და ელისაბედი, კაცია დადიანის მეუღლე (ბერძენიშვილი ... 1983: 18). 1867 წ. დ.ბაქრაძეს ეკლესიის ინტერიერში უნახავს მოხატულობის კვალი, სადაც თითქოს თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის სახეებთან იკითხებოდა „თამარ“, „გიორგი“ (ბაქრაძე 1875: 109). 1871 წ. ეკლესია განუახლებიათ ნიკოლოზ დადიანსა და დედამის ეკატერინეს (თაყაიშვილი 1937: 48, 49).

ცაგერის ეკლესიაში ინახებოდა ჯვარ-ნატებისა და საეკლესიო სიწმინდეების დიდი რაოდენობა, რომელთაგან ზოგიერთი იქ სხვა ადგილებიდან იყო მოხვედრილი. მათ შორის აღსანიშნავია 976 წ. დამზადებული იშხნის საწინამძღვრო ჯვარი, რომელიც განუახლებია იმერეთის მეფე გიორგი III-ს (1605-1639) (თაყაიშვილი 1937: 52). ჯვრის წარწერაზე მოხსენიებულია პირველი ცაგერელი ეპისკოპოსი ანტონი (XI ს), რომელიც შემდგომ

იშხნის ეპისკოპოსი გამხდარა და იშხნის ეკლესიისათვის ჯვარი შეუწირავს. ჯვრის წარწერით ცნობილია XVII ს-ის მოღვაწენი: სერაპიონ ცაგარელი-აბაშიძე და ნიკოლოზ ცაგარელი-კუჭაიძე. XVII ს-ის მეორე ნახევრიდან ცაგერის საეპისკოპოსო კათედრაზე უმეტესად ჩანან ჩიქოვანთა საგვარეულოს წარმომადგენლები (თაყაიშვილი 1937: 286).

ბიბლიოგრაფია: *ბაქრაძე 1875: 109; ბერძენიშვილი ... 1983: 18; ბოჭორიძე 1994: 308; გიულდენშტედტი 1962: 327, 331; დადიანი 1962: 139; თაყაიშვილი 1937; კაკაბაძე 1929: 9; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 250; ქც 4: 749,7; ჩუბინაშვილი 1958: 61, 68.*

ცნობილი, მცხეთის უბანი (ქც 1: 17,21), დაბა (ქც 1: 117,2). „ციხედიდი სარკინისაი“ (მქ 1964: 81). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 17,21), მისივე „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქც 1: 117,2), მათიანე ქართლისა (ქც 1: 296,8), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტები (ქც 2: 367,5,7; 510,28,29; 511,6), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 407,4); „მოქცევაი ქართლისაი“ (მქ 1964: 81, 147), XI-XV სს-ის ისტორიული დოკუმენტები (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 10, 21, 44; 1970: 23, 180, 191; ქრონიკები 1897: 34, 122, 195; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 27, 47, 68, 70, 130, 133; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 251), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 264, 540, 570, 571, 588, 591, 600, 601, 622, 753, 785; 1972: 252-256, 304, 441, 442; 1977: 371; 1981: 34; ქრონიკები 1897: 320, 324, 401, 506; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 185; 1953: 14, 17) ითანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 55, 189).

ციხედიდის ლოკალიზაციის შესახებ რამდენიმე მოსაზრებაა. ერთი ვარაუდით, იგი მღებარეობდა ციხედიდისხევის შუაწელზე, მდინარის მარცხენა ნაპირას (ცაგოშიძე 1979: 14, 22); მეორე მოსაზრებით კი ძველთანაა გაიგივებული (ჭილაშვილი 1968: 103-105; ბერძენიშვილი 1966: 116).

წყაროებში ციხედიდი პირველად იხსენიება ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობასთან დაკავშირებით: ციხედიდი ქალაქ სარკინეს ციხეა (მქ 1964: 81). ლეონტი მროველი ციხედიდს ქალაქმცხე-

თის ერთ-ერთ უზნად მოიხსენიებდა (ქვ 1: 17,21). IV ს-ის დასაწყისში მეფე მირიანმა გაქრისტიანებული ებრაელები დაბა ციხელიძეში დაასახლა (მქ 1964: 147). XI-XV სს-ში ციხელიძე შიომღვიმის მონასტრისა და სვეტიცხოვლის მფლობელობაშია (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 27, 47, 68, 70, 130, 133; ჭილაშვილი 1968: 87). 1561 წ. ციხელიძეთან დადგა ქართლის მეფე სიმონ I-ისა (1556-1569; 1578-1600) და კახეთის მეფის ლევანის (1520-1574) შვილის გიორგის გაერთიანებული ჯარი, ისინი თბილისზე გასალაშქრებად ემზადებოდნენ. სპარსელთა მოულოდნელი თავდასხმის შემდეგ, ბრძოლა ქართველთა დამარცხებით დამთავრდა. ბრძოლაში დაიღუპა უფლისწული გიორგი. XVII-XVIII სს-ში ციხელიძის მალაშვილები ფლობდნენ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 753, 785; 1972: 252-256, 304, 441, 442; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 14, 17).

ციხელიძისხევი და მისი მიმდებარე ტერიტორია მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. 1944 წ. ციხელიძისხევის მარცხენა ნაპირზე შემთხვევით აღმოჩნდა ელინისტური ხანის მასალა: ოქროს საყურე მამაკაცის სკულპტურული საკიდიო, ვერცხლის ფიალა, ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები და მოყვითალოდ გამომწვარი თიხის სამტუჩა ღოჭი. ნივთები თარიღდება ძვ. წ. I ს-ით. 1946 წ. ციხელიძისხევის შესართავთან მცხეთის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ალ. კალანდაძე, არმაზისხევის რაზმის უფრ. გ. ლომთათიძე) ჩაატარა მცირემასშტაბიანი სადაზვერვო გათხრები. აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის 3 ორმოსამარხი და 4 ქვის სამარხი. 1970-1972 წწ. ციხელიძისხევის მარცხენა ნაპირზე მშენებლობის დროს დაინგრა ქვის მასიური კედლების საძირკველი. ასეთივე ნაშთები ქვის კედლებისა დაფიქსირდა ხევის მარჯვენა ნაპირზე მდებარე გორის ძირას. გორაზე დგას X ს-ით დათარიღებული „ბორას საყდარი“, რომლის მახლობლად შემთხვევით აღმოჩნდა ელინისტური ხანით დათარიღებული ნივთები. განათხარი მასალები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (აფაქიძე ... 1955: 4; გაგოშიძე 1979: 22, 23).

1982 წ. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ა. აფაქიძე) განაახლა მუშაობა ციხელიძისხევაზე და მისგან დასავლეთით მდებარე ბარგიყარას მინდორზე. საძიებო გათხრები ჩატარდა რამდენიმე უბანზე (ბარგიყარა I, II, III, IV, V). ბარგიყარა I-ზე აღმოჩნდა 3 სამურნეო ორმო გვიანანტიკური ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებითა და ცხოველთა ძვლებით. აქვე აღმოჩნდა 1 კრამიტსამარხი და 2 ორმოსამარხი, რომლებშიც დადასტურდა მოვარდისფრო-მოჩაღისფროდ და შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს კონუსისებრი ფორმის ზარბეგები და პასტის მძივები. სამარხები თარიღდება ძვ. წ. I-ახ. წ. I სს-ის მიჯნით (აფაქიძე ... 1995ა: 49-51). ბარგიყარა II წარმოადგენს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის

სამაროვანს. გაითხარა ქვეყრილიანი ორმოსამარხები; სამარხი კამერები ვადაზურულია ქვის ფილებით. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილოეთისაკენ ან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. სამარხებში აღმოჩნდა მოშავო-მონაცრისფროდ და მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი კერამიკა; ბრინჯაოს ნივთები: საკინძები, მახათი, სატყვარი; სარდიონისა და მინისებრი პასტის მძივები (აფაქიძე ... 1995ა: 51-53; აფაქიძე ... 1987: 51). ბარგიყარა III-ზე აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარი. გაითხარა 30 კმ ფართობი, გამოვლინდა ფილაქებით მოგებული იატაკი (4X2მ) და რიყის ქვით ნაგები კედლების ფრაგმენტები. აქვე აიკრიფა გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები (აფაქიძე ... 1995ა: 53-54). ბარგიყარა IV-ზე გაითხარა ქვაყუთი, რომელშიც დაკრძალული იყო 2 მიცვალებული, კიდურებმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა შავად და წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სასაფეთქელ რგოლი, რკინის ისრისპირი, მინისა და პასტის მძივები, პართის მეფის ოროდ I-ის (ძვ. წ. 57-38/37) ვერცხლის მონეტა. სამარხი თარიღდება ძვ. წ. I სს-ის მეორე ნახევრით (აფაქიძე ... 1986: 36). ბარგიყარა V-ზე გაითხარა 14 ქვის სამარხი. მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი, დამხრობა ნებისმიერია. სამარხებში აღმოჩნდა წითლად ან-გობირებული კერამიკა, ვერცხლისა და ბრინჯაოს ზურგშეზნექილი სამაჯურები, საკინძები, ილარები, მძივები და სხვ. თარიღდება ძვ. წ. IV-III სს-ით (აფაქიძე ... 1987: 51; აფაქიძე ... 2004: 76).

ციხელიძისხევის შუაწყელზე, მარცხენა ნაპირზე მდებარეობს შუა საუკუნეების ნასოფლარი (15 პა). შემორჩენილია კოშკი, წმინდა მარიამის ეკლესია, სამრეკლო, ფლეთილი ქვით ნაგები შენობააიანაშეთები. კოშკი ოთხსართულიანია (4,9X7,3 მ), ნაგებია ფლეთილი ქვით. ჩრდილოეთ ფასადზე მთავსებული მხედრული წარწერის მიხედვით, იგი 1680 წ. აუგია დეკანოზ ათანასე დეკანოზისძეს. კოშკის პირველ სართულზე მარანია გამართული. წმინდა მარიამის ეკლესია დარბაზულია (7,5X5 მ), ნაგებია ფლეთილი ქვიშაქვით. აქვს ნახევარწრიული აფსიდის. ინტერიერი შეთეთრებულია. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. სამრეკლო დგას ეკლესიის დასავლეთით. შემორჩენილია პირველი სართული (3,25X3,50 მ), ნაგებია ფლეთილი და თლილი ქვით (აფაქიძე ... 1995ა: 10; ზაქარაია 1975ა: 53).

ციხელიძისხევის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს ბორას საყდარი (ბომის საყდარი). თარიღდება X ს-ით. ეკლესია დარბაზულია (7,5X4,5 მ). ნაგებია ფლეთილი ქვიშაქვით. ნახევარწრიული აფსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით მცირე ზომის სამკვეთლო და საღიაკვანია. ეკლესიის ინტერიერი შელესილი და მიხატულია. საკურთხეველში შემორ-

ჩენილია XI-XII სს-ის მონასტულობის ფრაგმენტები (შმერლინგი ... 1960: 36-37).

ბიბლიოგრაფია: ავაქიძე ... 1955: 4; ავაქიძე... 1986: 36; ავაქიძე... 1987: 51; ავაქიძე... 1995ა: 10, 49-54; ავაქიძე... 2004: 76; ბაგრატიონი 1986: 30; ბერძენიშვილი 1966: 116; გავოშიძე 1979: 14, 22, 23; გიულდენშტედტი 1962: 55, 189; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 185; 1953: 14, 17; ზაქარაია 1975ა: 53; მქ 1964: 81, 147; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 251; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 27, 47, 68, 70, 130, 133; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 10, 21, 44; 1970: 23, 180, 191; 1970ა: 264, 540, 570, 571, 588, 591, 600, 601, 622, 753, 785; 1972: 252-256, 304, 441, 442; 1977: 371; 1981: 34; ქრონიკები 1897: 34, 122, 195, 320, 324, 401, 506; ქც 1: 17,21; 117,2; 296,8; ქც 2: 367,5,7; 510,28,29; 511,6; ქც 4: 407,4; შმერლინგი 1960: 36-37; ჭილაშვილი 1968: 103-105.

ციხის-ჯუარი, ციხეჯუარი (ქც 4: 147,2; 715,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 147,2; 218,27; 381,5; 715,11; 813,2), მათიანე ქართლისა (ქც 1: 300,9; 305,3), „ისტორიანი და აზნანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 51,3), უამათაღმწერელი (ქც 2: 242,6,9), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 500,12; 501,1), XVI, XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 387; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 251; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 100), მეფე არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1989: 488, 489), იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“ (ტფილელი 1989: 634), იონანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 45), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 328). მდებარეობს ბორჯომის მუნიციპ-ში, თორის ქვაბულში, მდ. შავწყალას მარჯვენა ნაპირზე. მეფე ბაგრატი IV-მ (1027-1072) ლიპარიტის შეპყრობისათვის სულა კალმახელს უბოძა ციხისჯუარი (ქც 1: 305,3,4). 1259 წ. მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებულმა ულუ-დავითმა (1247-1270) მხედართმთავრად დანიშნა სარგის ჯაყელი (ქც 2: 240,10). მონღოლები არღუნის მეთაურობით ციხისჯუარს მოადგნენ, მაგრამ ვერ აიღეს და უკუიქცნენ (ქც 2: 242,5-10). 1191 წ. თამარის ქმარყოფილი გიორგი რუსის მომხრე აჯანყებულ ქართველთა ერთი ნაწილი ციხისჯუარს გადავიდა და ოძრხე გადაწვა (ქც 2: 51,3). 1546 წ. იმერეთის მეფე ბაგრატი III-მ (1510-1565) აწყურის ღვთისმშობლის ხატი ციხისჯუარს წაასვენა (ქც 2: 500,12). თურქების მიერ სამცხის დაპყრობის შემდეგ ციხისჯუარი შედიოდა პეტრეს ლივანში. იქ 10 კომლ უცხოვრია და შეწერილი ჰქონიათ 5000 ახჩა (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 328). 1861 წ. რუსეთის მთავრობამ სოფ. ციხისჯუარში ტრაპიზონის ვილაიეთიდან გადმოსული ბერძენები დაასახლა. ციხისჯუარი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ციხისჯვრის ციხე მდებარეობს მდ. შავწყალას მარჯვენა ნაპირის კლდოვან ბორცვზე. ამჟამად ნანგრევებია შემორჩენილი. ციხის გალავანში ყოფილა ეკლესიაც, რომელიც აქ ჩამოსახლებულ ბერძნებს ახალი ტაძრის ასაგებ მასალად გამოუყენებიათ. ბერძნების მიერ ციხისჯვრის ეკლესიის ნანგრევზე აშენებული ახალი ეკლესიის კარის მარცხენა მხარეს, ქვემოთ, ჩატანებულია ხუცურწარწერიანი ორნამენტირებული ქვა. წარწერიდან მხოლოდ ბოლო სტრიქონებია შემორჩენილი (მაკალათია 1957: 36). **ბიბლიოგრაფია:** არჩილი 1989: 488, 489; ბაგრატიონი 1986: 45; ბერძენიშვილი 1987: 238; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 328; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 100; მაკალათია 1957: 34-37; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 251; ტფილელი 1989: 634; ქრონიკები 1897: 387; ქც 1: 300,9; 305,3; ქც 2: 51,3; 242,6,9; 500,12; 501,1; ქც 4: 147,2; 218,27; 381,5; 715,11; 813,2.

ციხისძირი, ქალაქი, ციხესიმაგრე, ციხე ქაჯეთისა (ქც 4: 792,8). ვარაუდობენ, რომ ციხისძირი ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში იხსენიება როგორც „ციხე ქაჯეთისა“ (ქც 4: 792,8; ჯანაშია 1949: 39). ციხისძირს იხსენიებს კარლ კოხი თავის „მოგზაურობაში“ (კოხი, სპენსერი 1981: 176, 184). ვახუშტი ბაგრატიონი ციხისძირ – ციხე ქაჯეთისას მდებარეობის შესახებ გადმოგვცემს: „ზღვის პირს ამ წყალზედ არს ქობულეთი, მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი. ამის სამხრით დის ჩაქვის-წყალი. გამოსდის აჭარის მთას, მოდის დასავლით, ერთვის ზღუას სხუეპრთაებრ. ამ წყალზე, ზღვის კიდეს, არს ციხე ქაჯეთისა, მაგარი, მაღალსა კლდესა ზედა შენი. აქუს გვირაბი-კლდე, გამოკუეითი გზად“ (ქც 4: 792,4-9). ციხისძირის ნაცეხარი ლოკალიზდება ქ. ქობულეთთან. მდებარეობს ქობულეთიდან სამხრეთით, 8 კმ-ის დაშორებით, შავი ზღვის კლდოვან ნაპირზე, დღევანდელ სოფ. ციხისძირში. არსებობს მოსაზრება, რომ დღევანდელი ციხისძირის ტერიტორიაზე ბიზანტიურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ციხე-ქალაქი პეტრას მდებარეობდა. პირველი, ვინც ციხისძირი პეტრასთან გააიგივა, იყო იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი, რომელმაც 1670-1677 წწ. კავკასიაში და კერძოდ, საქართველოს ზღვისპირეთში იმოგზაურა (სელეზნიევი 1847: 36, 37). ციხისძირის პეტრასთან აიგივებდნენ: კ. კოხი, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ი. კალფოლი, ე. კვიციანიძე, ფ. ბრუნი და სხვა მოგზაურ-მკვლევრები (იხ. გრიგოლია 1989: 37-81; ინაიშვილი 1993: 3-5). პეტრას ციხისძირში ლოკალიზების პირველი მეცნიერული დასაბუთება მოგვცა ს. ჯანაშიამ (ჯანაშია 1949: 30-33). ეს მოსაზრება მაშინ გაიზიარეს ნ. ბერძენიშვილმა, პ. ინგოროყვამ, ნ. ხოშტარამ, ნ. ლომოურმა, ა. ინაიშვილმა, ვ. სიჭინავამ, მ. სულიმიანოვმა, კ. მელითაურმა, ი. სიხარულიძემ, ვ. ლექვიანიძემ (გრიგოლია 1989:

37-81). მოსაზრება ციხისძირისა და პეტრას იგივეობის შესახებ არ გაიზიარეს ს. ყაუხჩიშვილმა და გ. გრიგოლიამ (ყაუხჩიშვილი 1965: 34, 35; გრიგოლია 1989: 37-81). სადღესოდ ციხისძირის ციხე-ქალაქ პეტრასთან გაიგივების საკითხი ისევ გადაუწყვეტი რჩება (ინაიშვილი 1993: 5). ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ციხისძირი შესაძლოა იყოს II ს-ის გეოგრაფის კლავდიოს პტოლემეაიოსის მიერ მოხსენიებული სებასტოპოლისი (გრიგოლია 1994: 78-144). გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ ციხისძირი „Notitia dignitatum“-ში (V ს) მოხსენიებული მოხორას ციხეა (ინაიშვილი 1993: 115). ქ. პეტრა პირველად მოხსენიებულია იუსტინიანე კესარის თხზულებაში 535 წ. (იუსტინიანე 1965: 32-36). ციხე-ქალაქ პეტრას შესახებ წერილობითი ცნობები შემონახულია VI ს-ის ბიზანტიელი ავტორის პროკოფი კესარიელის თხზულებაში „ომი სპარსელებთან.“ „პეტრა ზღვისპირა ქალაქია კოლხეთში ... ხოლო იუსტინიანე მეფემ გარეზღედისა და სხვა მიწაწმენების საშუალებით გაამაგრა და ყოველმხრივ გაამშვენირა კიდეც“ (პროკოპი კესარიელი 1965: 83). „ქალაქი პეტრა მიუვალაა ზღვის მხრივ, ციცაბო კლდეები იქ ყოველმხრივ არის აღმართული ... მხოლოდ ერთი შესავალი აქვს მას დაბლობში“ (პროკოპი კესარიელი 1965: 85). ციხისძირის იდენტიფიცირებისას, სავარაუდოდ, გასათვალისწინებელია აგრეთვე ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ციხისძირი – ციხე ქაჯეთისას მდებარეობის გადმოცემა (ქც 4: 792,4-10), სადაც „ციხე ქაჯეთისა“ თითქოს „მცირე ქალაქ“ ქობულეთის ნაწილად აღიქმება. მით უმეტეს, რომ დღევანდელი ქობულეთის ახლომახლო შუა საუკუნეების სხვა არანაირი ციხის ნაშთები ჯერჯერობლივ არქეოლოგიურად არ დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ ციხისძირი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლია, სადაც აღმოჩენილია მასალა გვიანბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით, დღეისათვის მეცნიერების წინაშე ისევ დგას მისი იდენტიფიცირების საკითხი (პეტრასა, მოხორასა, სებასტოპოლისია თუ ქობულეთის ციხე).


XIX ს-ის 70-იან წწ. ჯარისკაცების მიერ ციხისძირში სანგრების თხრის დროს სხვადასხვა ნივთის შემცველი ძველი სამარხები აღმოჩენილა. მათ შესახებ ცნობები დაცულია გ. ვერეთელთან, არქეოლოგის V ყრილობის (1881 წ.) მონაშაბადებელი კომიტეტის გამოქვეყნებულ მასალებში (არქ. ყრილობის ... 1882: 37-51). XIX ს-ის დასაწყისში ციხისძირში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არა ერთი და ორი არქეოლოგიური ნივთი და მრავალი მონეტა აღმოჩნდა, რომლებიც ინახება: სახელედიანის სახ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) და ერმიტაჟში (ინაიშვილი 1993: 5-14). 1934 წ. ს. ჯანაშიამ მცირე არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა ციხისძირში (ინაიშვილი 1974: 115). 1953 წ. ნ. ხოშტარიას ხელმძღვანელო-

ბით ციხისძირში კვლავ ჩატარდა არქეოლოგიური დაზვერვები (ინაიშვილი 1974: 117). ციხისძირში 1962-1966 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აწარმოა ფართო არქეოლოგიური კვლევა-ძიება (ხელმძღ. ა. ინაიშვილი). 1983-1987 წწ. ციხისძირში კვლევა-ძიებას აწარმოებდა ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. დ. ხაზუტაიშვილი, ნ. ინაიშვილი). 1988 წ. ციხისძირთან, ზღვაში, მცირე წყალქვეშა არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შავი ზღვისპირეთის პილდოარქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. გამყრელიძე) (გამყრელიძე 1997: 79-82).

დღევანდელი სოფ. ციხისძირის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში ყველაზე ძველი არქეოლოგიური მონაცემები განეკუთვნება გვიანდელ ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანას. ციხისძირში სამების ფერდობზე და პომპონონცევის ნაკვეთზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები: სემენტური იარაღები, თოხები, რგოლების ნატყეხები, ღობის თავის გამოსახულება, სპილენძის ზოდები და სხვ. სულ 96 ერთეული. ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ციხისძირის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს (ზუსტი აღმოჩენის ადგილი უცნობია) აღმოჩნდა ბრინჯაოს ცულები, შუბისპირი, საკინძი, სპილენძის ზოდები და სხვ. (რამიშვილი 1974: 14-17). ე. წ. დიუნური სადგომის ნაშთები აღმოჩნდა ციხისძირის ჩრდილოეთით ბობოყვასაში, ზღვის ნაპირიდან 200-ოდე მ-ის დაშორებით. სადგომი ძვ. წ. VIII ს-ის ბოლოთი თარიღდება. მოცემულ ქვიშაზვიანულზე (დიუნებზე) ნაკვებობათა ნაშთები არ არის გამოვლენილი. იქ აღმოჩნდა მოტკეპნილი მოედნები; ბაზალტის ქვისაგან ნაკვები წყობის ნაშთები; მოედნებზე შეიმჩნევა ნის ძელების ჩასამაგრებელი ბუდეები; დადასტურდა სამხსვერპლოები, რომელთა მოსაწყობად რქისებურშვერილიანი სადგარებია გამოყენებული. გამოიყოფა სადგართა 3 ტიპი. იქვე აღმოჩნდა მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხის, კუთხეებმომრგვალებული ფილები (28X15X2 სმ); ნამოსახლარზე გამოვლინდა ე. წ. აბაზანისებური ჭურჭლის ნატყეხები; ქვევრების ნატყეხები ფართო კანელურებით; ყავისფრად გამომწვარი ქოთნები, რომლებსაც ტანზე მკრთალი ვერტიკალური ზოდები დაუყვებათ; დოქის რამდენიმე ფრაგმენტი; ნაპოვნია სადა და ე. წ. ზომორფული ყურების ნატყეხები; ბრტყელი ქვის პადის საძირავენი; რიყის ქვის ურო და სხვა (თავამაიშვილი 1987: 34-43).

ციხისძირიდან საყურადღებოა მდიდრული სამარხების ინვენტარი, რომელიც „ციხისძირის განძის“ სახელითაა ცნობილი. ნივთები შემთხვევითაა ნაპოვნი და ინახება სანკტ-პეტერბურგის ერმიტა-



ციხისძირის გეგმა

ჟის ანტიკურ და აღმოსავლეთის განყოფილებებში. „განძი“ II-III სს-ით თარიღდება. ნივთები: ოქროს საყურე გრანატის ქვით (დმ 5 მმ); ოქროს აგრაფი შემკული, მთის ბროლის ინტალითი, რომელზეც მამაკაცია გამოსახული (აგრაფი 70X58 მმ); ოქროს ყელსაბამი (170 მმ) ფოთლისებური საკიდებით (21 საკიდი); წრიული ოქროს ბალთა-მედალიონი; ოქროს ბალთა-მედალიონი მოწითალო-მოყავისფრო მინის თვლით შემკული; ოქროს ყელსაბამის შესაკრავი ცხოველის თავის გამოსახულებით; ოქროს თვალბუდე შემკული მინის თვლით; ოქროს ფირფიტა რელიეფურგამოსახულებიანი მამაკაცის ბიუსტით (ზომები 11X9 მმ); ოქროს ბეჭედი მამაკაცის პორტრეტით (ინტალიის ზომები 18X14 მმ); ოქროს ბეჭედი ინტალითი (ზომები 9X6 მმ), რომელზეც გამოსახულია მამლები და თავი; თვლებით შემკული ოქროს ბუნიკა; რელიეფური ორნამენტით შემკული, ოთხკუთხა ოქროს ფირფიტა-გარსაკრავი; ფორტუნას გამოსახულებით შემკული ვერცხლის ლანგარი (დმ 28,5 სმ); ორნამენტირებული ვერცხლის ჭურჭლის ნატეხი; შუბიანი მამაკაცის გამოსახულებიანი ვერცხლის და ბრინჯაოს ჩაშის ტარის ნატეხი; ბრინჯაოს დოქის ყურის ნატეხი; ბრინჯაოს პატერის ტარი ვერძის სკულპტურული თავით; ბრინჯაოს პატერის ტარი ცხოველის თავის სქემატური გამოსახულებით; ბრინჯაოს თევზის რელიეფურხაზებიანი ფრაგმენტი (ძირის დმ 9,5

სმ); ბრინჯაოს კოვზის ფრაგმენტი; ბრინჯაოს 26 რგოლიანი ძეწკვი; ბრინჯაოს ფიბულის ნატეხი; მძივები; 35 ცალი ვერცხლისა და სპილენძის მონეტა (ფარმაკოვსკი 1910: 117, 118; ხოშტარია 1962: 2-28; ინაიშვილი 1993: 17-41).

ციხისძირის ნაცხარზე აღმოჩენილია ლათინურ წარწერიანი, დამლიანი ფილა, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (არქ. განკ. ინვ. №5-29:2). მის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება (ჯანაშია 1949: 43; ხოშტარია 1962: 80; ლექვიანიძე 1967: 798-800). საყურადღებოა მოცემული დამლის ბოლოდროინდელი გაშიფრვა. კერძოდ – VEX[illatio]FA[siana], „ვექსილაციო ფასიანა“, რომელსაც ქ. ფასისში II ს-ში მდგარი სამხედრო ნაწილის სახელით დამზადებულ აგურად მიიჩნევენ (შპაიდელი 1985: 134-140).

ციხისძირის ციხესიმაგრე განლაგებული იყო ორ ბორცვზე. ჩრდილო-დასავლეთ ბორცვზე მდებარეობდა დედაციხე, რომლის ფართობიც იყო დაახლოებით 1,5 ჰა. სამხრეთ-დასავლეთ, შედარებით მომცრო ბორცვზე მდებარეობდა ბასტიონი. ჩრდილოეთი და სამხრეთი ბორცვების საფორტიფიკაციო ნაგებობები ორმაგი კედლებით იყო დაკავშირებული. ციხესიმაგრის მშენებლობაში ძირითადად ორი სამშენებლო პერიოდი გამოიყოფა – ადრეული და გვიანდელი შუა საუკუნეების. ციხისძირის თავდაცვითმა და საზოგადოებრივმა ნაგებობებმა მრავალჯერ განიცადეს მნიშვნელოვანი გადაკეთება. ციხესიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს კარიბჭე, რომლის სიგანეა 1,2 მ. კედლის სისქე აქ 1,3 მ. დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან კარიბჭეს დაუყვება კონტრფორსები. იქვე, კედელში აღმონდა კრამიტებით გაკეთებული ბოლოებგაფართოებული ჯვრის გამოსახულება. სამხრეთ-დასავლეთ ბორცვზე არსებული კოშკი წრიული ფორმის უნდა ყოფილიყო. იქვე, კარიბჭესთან, აღმონდა სწორკუთხა კოშკის ნაშთები. დედაციხის კედლები დაზიანებულია, შერჩენილია მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლისა და კოშკების (სულ 4) ნაშთები.

დედაციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან, შიგნიდან აღმონდა გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობის ნაშთები. სამხრეთ კედელთან აღმონდა 25X5 მ ფართობის ნაგებობა; კედლის სისქე 1 მ. ნაგებობის შიდა ნაწილში შემორჩენილია კირხსნარის შელესილობის ფრაგმენტები. ციხესიმაგრის მშენებლობაში გამოყენებულია ბრტყელი აგური, ბრტყელი და ღარიანი კრამიტი, რიყისა და ფლეთილი ქვა, ხის ძელები და კირხსნარი.

დედაციხის ტერიტორიაზე გაითხარა: სამნავიანი ბაზილიკა, აბანო, ცისტერნა და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები. ყველაზე ძველი ფენა იქ VI ს-ს განეკუთვნება და შეიცავს: წელშენეწილ და გოფირებულ ამფორებს; წითელლაკიან თევშებს; წითლად გაპირალებულ დოქებს, ქოთნებს;

ბრტყელ აგურს, კრამიტს; ქუსლიანი მინის სას-
მისებს და სხვ. მეორე ფენა შუა საუკუნეებისა და
შეიცავს: კირხსნარში ჩასმულ ქვევრებს; ღერებს;
მოჭიქულ ჭურჭელს; სარკმლის მინას და სხვ. მე-
სამე ფენა XVIII-XIX სს-ს განეკუთვნება და ძირი-
თადად შეიცავს აგურისა და კრამიტის, ფაიფურისა
და მოჭიქული კერამიკის ნაშთებს, თიხის ჩიბუხებს
და სხვ. (მელითაური 1972: 16-19; ინაიშვილი 1974:
118-153; 1993: 8-14).

დედაციხის ცენტრში აღმოჩნდა VI ს-ის სამნავიანი
ბაზილიკის ნაშთები. ბაზილიკას წაგრძელებული
ფორმა და ნალისებური ხუთწახნაგა აფსიდა აქვს.
მისი ზომები ექსტერიერში 33X17,80 მ-ია, კედლე-
ბის სიგანე 1,1-1,2 მ-ია. ბაზილიკის შიდა ფართში
თითო რიგში ხუთ-ხუთი ბოძი იყო განლაგებული.
გადახურული უნდა ყოფილიყო ხის კოჭებითა და
ნივნივებით. კედლები გაუთლელი ქვებითა და
კირხსნართაა ნაგები. აფსიდა გარედან მოპირკე-
თებულია თლილი ქვით.

ბაზილიკის სამხრეთი ნავის ქვეშ აღმოჩნდა უფრო
ძველი ეკლესიის კედლების ნაშთები. ბაზილიკის
ადგილზე დადასტურდა მცირე ზომის ნახევარწრი-
ულ აფსიდიანი დარბაზული ეკლესიის ნანგრევებ-
ი. ნაგებობის ზომებია 9X9,75 მ. შემორჩენილია
ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის 3 მ სიმაღლის მო-
ნაკვეთი. ჩრდილო და სამხრეთ კედლებთან შეიმჩ-
ნევა პილასტრები. ეკლესია აგებულია გაუთლელი
ქვებით კირხსნარზე. დადასტურდა კედლის მოხა-
ტულობის ფრაგმენტები. ეკლესია ზოგადად X-XIV
სს-ით თარიღდება.

ციტადელში სამნავიანი ბაზილიკის სამხრეთ-
დასავლეთით აღმოჩნდა VI ს-ის აბანო, რომელიც
სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთი-
საკენ არის მიმართული. აბანო (9,2X6,5 მ) შედგება
ხუთი განყოფილებისაგან: გასახდელი, ცივი, თბი-
ლი, ცხელი და საქვაბე განყოფილებები (მელითაუ-
რი 1972: 16-19; ინაიშვილი 1974: 118-153; ლეკვი-
ნაძე 1973ა: 169-187; ინაიშვილი 1993: 10, 11;).


ციტადელის ჩრდილოეთით დაბლობში, ზღვას-
თან, ადგილ ბობოყვათში ნაწილობრივ გაითხარა
VI ს-ის მეორე სამნავიანი ბაზილიკის ნაშთები.
მისი შესწავლისას აღმოჩნდა: კაპიტელი, იატაკის
მოზაიკის ფრაგმენტები, მარმარილოს არქიტექ-
ტურული დეტალები. არქეოლოგიური მასალიდან
საყურადღებოა სასარკმლე მინის, მინის ქუსლიანი
სასმისებისა და სანათების, ამფორების, წითელლა-
კიანი თევშების, აგურების, კრამიტების ფრაგმენ-
ტები და სხვ. (ინაიშვილი 1974: 147, 148).

ციტადელის ჩრდილოეთითვე, დაახ. 500 მ-ის და-
შორებით, ზღვის სანაპირო ზოლში, ბობოყვათში,
ყოფილი სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე
(ფართობი დაახ. 700X300 მ), გათხრების შედეგად
აღმოჩნდა წინარე ანტიკური ხანიდან ადრეული
შუა საუკუნეების ჩათვლით (გარკვეული ტენ-
ილებით) არქეოლოგიური ძეგლები. ეს ადგილი
ითვლება ციხისძირის ნაქალაქარის ერთ-ერთ
მთავარ საცხოვრებელ უბნად. მოცემული ტერი-

ტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ზღვის ნა-
პირიდან 25 მ-ის დაშორებით, აღმოჩნდა აბანო,
რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-
დასავლეთისკენაა დამხრობილი. აბანოს სიგრძეა
20 მ, უდიდესი სიგანე – 10 მ. ის შედგება 6 განყო-
ფილებისაგან – აპოდიტერიუმი, ფრივიდარიუმი,
ტივიდარიუმი, კალდარიუმი, პრეფუნიუმი და
გაურკვეველი დანიშნულების სათავსი. აბანოს
საძირკველი და კედლები აგებულია გაუთლელი
ბაზალტის ქვით; შემაკავშირებლად გამოყენებუ-
ლია კირხსნარი. კედლების შუა ნაწილი ამოე-
სებულია რივის, ბაზალტის ქვისა და აგურების ნა-
ტეხებით. კედლის წყობაში დასტურდება აგურის
პორიზონტალური რიგებიც, ე. წ. opus mixtum.
აბანოს საკვანძო, ძირითადი ადგილები აგურითაა
შესრულებული. აპოდიტერიუმი სხვებთან შედა-
რებით მოზრდილია (8,6X4,25 მ) და დასავლეთით
აფსიდა აქვს. ფრივიდარიუმის აუზის იატაკი ჰი-
დრაულიკური ხსნარით იყო მოლესილი; ზოგან
აგურით მოვებული იატაკიც დასტურდება. აბანოს
კედლები სხვადასხვა სიგანისაა 0,65-0,7, 0,75-0,8
მ. მისი გადახურვის კონსტრუქცია ძირითადად
ხის კოჭებითა და ნივნივებით იყო შესრულებული.
აბანოში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბრტყელი
გვერდებუკვეთი კრამიტის ნატეხები. ნაგებობაში
აღმოჩნდა ლითონის 2 ქაფა.

მოცემული აბანოდან აღმოსავლეთით 70 მ-ის დაშ-
ორებით აღმოჩნდა მეორე აბანო. მისი სიგრძე 13
მ-ია, უდიდესი სიგანე – 8 მ. აბანო სამხრეთ-აღ-
მოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთითაა მიმა-
რთული. შედგება ხუთი სათავსისაგან – აფსიდიანი
ფრივიდარიუმი (4,2X2,3 მ), სათავსი (2,9X1 მ),
ტივიდარიუმი (2,5X2 მ), ორაფსიდიანი კალდარ-
იუმი (6,5X2 მ), საცეცხლე სათავსი. მეორე აბანო,
პირველს ჰგავს თავისი სამშენებლო წყობით.
ციხისძირის აბანოები გარკვეულ არქიტექტურულ
მსგავსებას იჩენენ შუხუთის აბანოსთან და IV ს-ით
თარიღდებიან (ინაიშვილი 1993: 44-51).

ნაქალაქარზე გათხრილი გვიანანტიკური-ადრეუ-
ლი შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალის
უმეტეს ნაწილს წარ-
მოადგენს თიხის ჭურ-
ჭელი. სამეურნეო კე-
რამიკის დიდ ჯგუფს
შეადგენს ქვევრები, რომ-
ლებიც შემორჩენილია
ფრაგმენტებით. მრ-
ვალრიცხოვანია ტარა,
რომელიც ამფორები-
თაა წარმოდგენილი.
აქ ძირითადად ვხვდები-
ვარქეოლოგიური ძეგლები
წელშეზნექილი კოლ-
ხური ამფორები. შედარე-
ბით მცირე რაოდენობი-
თაა უცხოური წარმოების
ამფორები. ნაქალაქარზე
დადასტურებულია მო-



ციხისძირის აბანოს გეგმა

ყავისფროდ გამოშვარი დოქების ფრაგმენტები. აღმოჩენილია აგრეთვე ლუთერების ნატყები. სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ჯამებით, ქოთნებით. სუფრის ჭურჭლიდან გვხვდება წითელწერნაქიანი ხელაღები და ჯამები; წითელლაკიანი ჯამები და თევზები. მინის ნაწარმიდან აღსანიშნავია: სარკმლის მინა; ფეხიანი სასმისების, ცილინდრული ჭრაქების, ნახევარსფერული ჯამების, ფიალების, სანელსაცხებლების, სანათებისა და ბოთლების ფრაგმენტები. ციხისძირის ამ ფენის ასაკი ზოგადად IV-VI სს-ით განისაზღვრება (ინაიშვილი 1993: 51-80). ნაქალაქარის ფენებში აღმოჩენილია პართული, რომული და ბიზანტიური მონეტები (იაშვილი 1988: 72-75; ინაიშვილი 1993: 98-113). ციხისძირის ბოლოფენის უბანზე აღმოჩენილია 300-მდე ადრეანტიკური და ელინისტური ხანის სამარხი (მასალები ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია). იქვე გათხარა გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების 14 ინჰუმაციური სამარხი. ისინი ორი ტიპისაა: ორმოსამარხები და ამფორასამარხები. ორმოსამარხები აღმოსავლეთიდან დასავლეთითაა მიმართული. ამფორასამარხების დამხრობაში რაიმე კანონზომიერება არ ჩანს. სამარხებში ძირითადად წარმოდგენილია თიხის ჯამები, ქოთნები, დოქები; მინის სანელსაცხებლები, ფიალები; ბრინჯაოს ფიბულები, აბზინდები; რკინის სატყვარი, დანები, ცული, შუბისპირი და სხვ. სამარხები III-VI სს-ს მიეკუთვნება (ინაიშვილი 1993: 81-98). ციხისძირში III ს-ის ბოლოდან VI ს-ის დასასრულამდე არსებობდა სტრატეგიული პუნქტი, სადაც IV ს-ის მეორე ნახევარში ყალიბდება მნიშვნელოვანი ქალაქური ტიპის დასახლება, განვითარებული სახელისწილი წარმოებით. ქალაქი აღზევებულია IV-V სს-ში (ინაიშვილი 1993: 114). IV ს-ში იქ გავრცელებული ჩანს ქრისტიანული სარწმუნოება. **ბიბლიოგრაფია:** არქ. ყრილობის ... 1882: 37-51; გამყრელიძე 1997: 79-82; გრიგოლია 1989: 37-81; 1994; ვეილენბაუმი 1901: 10-18; თავაძიშვილი 1987: 34-43; 1988: 42-46; იაშვილი 1985: 117-119; 1988: 72-75; იაშვილი 1991: 67-78; ინაიშვილი 1971: 74-90; 1971ა: 90-109; 1974: 102-153; 1981: 122-136; ინაიშვილი 1987: 118-146; 1988: 76-85; 1990; 1993; ინაიშვილი., *ოუსტინიანე 1965: 32-36; კობი, სენსერი 1981: 176, 184; ლექციაზე 1967: 797-800; 1973ა: 169-186; მელიქიანი 1972: 16-19; პროკოპი კესარიელი 1965: 83, 85; რამიშვილი 1974; სილუზნიევი 1897: 31-40; სიჭინავა 1957: 42-60; ფარმაკოვსკი 1910: 117, 118; ფუთურძე 1963: 54-94; ქვ 4: 792,8; გაუხჩიშვილი 1965: 34, 35; შპაიდელი 1985: 134-140; ჩხაიძე 1978: 59-66; ხოშტარია 1962; ჯანაშია 1949: 30, 33, 39, 43.*

ცურტაპი, ცორტავი (ქვ 4: 118,12; 120, სქ. 2; 310, სქ.1) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 118,12; 120,სქ.2; 310,სქ.1), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქვ 1:

216,17), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 83), იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ (იაკობ ცურტაველი 1960: 14), უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ (უხტანესი 1975: 43, 47, 49, 54, 53, 57, 63, 67, 69, 73, 89, 103, 115, 117, 119, 123-127, 133-135, 141, 149-153, 157, 161, 169, 173, 183, 199, 203, 211), არსენ საფარელის „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ (არსენ საფარელი 1980: 32-35, 49, 73, 74, 82, 132).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ბაკურ მეფის მიერ ვარსკენ პიტიახშის დასჯის შემდეგ მეფემ „გუამი შუშანიკისა წარმოიღო და დადგა ცორტავს“ (ქვ 4: 118,11,12). მას მოიხსენიებდა აგრეთვე ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივი განხეთქილების გადმოცემისას: „კვირიონ ანუ სვიმეონ კათოლიკოსმან ქართლისამან განდევნა ცორტავის ეპისკოპოსი შუშანიკის საფლავისაგან“ (ქვ 4: 120,სქ.2).

იაკობ ცურტაველის მიხედვით, ცურტავი იყო ქართლის პიტიახშის რეზიდენცია ჰერეთის საზღვართან. სპარსეთიდან მომავალმა ვარსკენ პიტიახშმა „ვითარცა მოიწია საზღვართა ქართლისათა, ქვეყანასა მას ჰერეთისასა ... წარმოჰმართა სადიასპანითა ცხენითა მონაი თვისი, ვითარცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰქვია ცურტავ“ (იაკობ ცურტაველი 1960: 14). X ს-ის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი ცურტავს მოიხსენიებდა, როგორც ყოფილ დიდ და სახელოვან დედაქალაქს. „ცურტავს ეს სახელი, რომელსაც ისტორიაში მუდამ და ყოველთვის ვახსენებდით და მოვიხსენიებთ, მაშინ ერქვა, ხოლო ეხლა ეწოდება გაჩიანი. მაშინ საგვ და ცორტავი, დიდი და სახელოვანი დედაქალაქი იყო, ხოლო ახლა შემცირებული და ზომიერი დაბა-ქალაქია მდინარის პირზე, რომელსაც ეწოდება გაჩენაგეტ, მხარეში, რომელსაც „ვრაც დაშვი“ (ქართველთა ველი) ჰქვია, რომელიც შუა საზღვარია სომეხთა და ქართველთა ქვეყნებს შორის ... ცურტავი სამკვიდრებელი იყო ეუგარქთა დიდი პიტიახშისა“ (უხტანესი 1975: 67).

ლ. მელიქსეთ-ბეგის ვარაუდით, ცურტავი (იგივე გაჩიანი), უნდა ყოფილიყო ახლანდელ არუხლოსთან, ძველ ნახიდურთან (მელიქსეთ-ბეგი 1934: 41-43). მდ. დებეღას ქვემო დინებაზე, სოფ. ქაჩაგანში მდინარის მარჯვენა მხარეს შემთხვევით აღმოჩნდა ქვავჯარი ჯვრის ამადლების გამოსახულებით, რომელსაც ათარიღებენ VIII ს-ით (ჩუბინიშვილი 1963: 3). აღნიშნული სოფელი მდებარეობს ქვემო ქართლში, ისტორიულ ქართველთა ველზე. ნ.ბერძენიშვილის ვარაუდით, ეს ადგილი „ცურტავია, ესაა გაჩიანი, ესაა სანადირო ქალაქი, ესაა საზამთრო ადგილი, ესაა ჰერეთის გვერდში ... ესაა ზაფხულის გაუსამღისი, აქაა ცენტრალური მნიშვნელობის ციხე – პიტიახშების ციხე“ (ბერძენიშვილი 1979: 29). ს. კაკაბაძის ვარაუდით, ცურტავი იგივე გაჩიანია ... სომხურად ცურტავი ციხის ნიშნავს. ეს ადგილი ციხია (კაკაბაძე 1924: 1-120).

წყაროებში ცურტავი იხსენიება V ს-დან. ის იყო ქართლის პიტაიანის რეზიდენცია (იაკობ ცურტაველი 1960: 14; უხტანესი 1975: 67). ცურტავში დაკრძალეს წმინდა შუშანიკი. ცურტავში საეპისკოპოსო იყო. აქ იყო როგორც ქართული, ასევე სომხური ეკლესიები და ლოცვა ორივე ენაზე მიმდინარებდა (უხტანესი 1975: 69).

ცურტავის ზუსტი მდებარეობა დღემდე დაუდგენელია.

ბიბლიოგრაფია: *არსენ საფარელი 1980: 32-35, 49, 73, 74, 82, 132; ბერძენიშვილი 1979: 29; დადიანი 1962: 198; იაკობ ცურტაველი 1960: 13-27; კაკაბაძე 1924: 1-120; მელიქიეთ-ბეგი 1934: 38-43; უხტანესი 1975: 43, 47, 49, 54, 53, 57, 63, 67, 69, 73, 89, 103, 115, 117, 119, 123-127, 133-135, 141, 149-153, 157, 161, 169, 173, 183, 199, 203, 211 ქც 1: 216,17; ქც 4: 118,11; 120,სქ.2; 310,სქ.1; ჩუბინიშვილი 1963: 9.*

ცუქითი, სოფელი (ქც 1: 295,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: მატიანე ქართლისაი (ქც 1: 231,3), XI და XVII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 131).

მდებარეობს შიდა ქართლში, მდ. ტანას ხეობაში (ჯავახიშვილი 1983: 38).

ცუქითი არქეოლოგიურად შესწავლულია.

ბიბლიოგრაფია: *ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 26; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 131; ქც 1: 231,3; ჯავახიშვილი 1983: 38.*

ცუცხვათი, ციხე (ქც 4: 753,4; 755,1; 881,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 753,4; 755,1; 881,15), 1737 წ. ლიხთ-იმერეთის რუკა (ბურჯანაძე 1959: 183, 188, 197), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 11), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 54), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 149, 174, 178, 179), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 54), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 252, 253; სიგელები ... 1891: 47, 48, 71, 72; მცირე ქრონიკები 1988: 54-60), დე გრაი დე ფუას „ცნობები საქართველოს შესახებ“ (დე გრაი დე ფუა 1985: 86, 96).

ვახუშტი ბაგრატიონი ცუცხვათის შესახებ გადმოგვცემს: ცუცხვათის „ხეზედ გოდოვანს ზეით არს ცუცხვათის ციხე, რომელი შეთხრით აღილეს ოსმალთა“ (ქც 4: 753,4-6).

მდებარეობს ტყიბულის მუნიცი-ში, სოფ. ცუცხვათისა და ოხომორის ახლოს.

1721 წ. ციხე აიღეს ოსმალებმა (ქც 4: 753,4-6). მათ ციხე ეპყრათ 1770 წლამდე, სანამ იმერეთის მეფე სოლომონ I-მა (1752-1784) არ გაათავისუფლა ის ოსმალთაგან (სიგელები ... 1891: 47, 48; ბაგრატიონი 1983: 54). ციხე თავად ავიაშვილების აღმი-

ნისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი იყო (სოსელია 1966: 196). 1810 წ. რუსეთის იმპერიის მიერ იმერეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ ციხის მნიშვნელობა დაეცა და ის დაანგრეს. ცუცხვათის ციხე თავის დროზე კონტროლს უწყვედა ქუთაისიდან აღმოსავლეთისკენ და ოკრიბას გავლით რაჭისკენ მიმავალ გზებს. ქუთაის-მოხირისიდან გზა ნააგარე-ნაბოსლევეზე (გოდოვანზე) გადმოდიოდა და ცუცხვათის გავლით ახალსოფელ-საწირეთით ჩადიოდა ტყიბულში, საიდანაც გზა რაჭაში გადადიოდა (ბერძენიშვილი 1990: 519, 521).

ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფ. ცუცხვათის მიდამოებში ცნობილია პალეოლითური ხანის მრავალფენიანი მღვიმური კომპლექსი, რომელიც მდებარეობს შაბათა ღელის ორივე ნაპირზე, ოკრიბა-არგვეთის სერზე. კომპლექსი 1974-1978 წწ. შეისწავლა ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. დ. თუშაბრამიშვილი). მალრანის კომპლექსი შედგება რამდენიმე მღვიმისაგან: ბიზონის, ბრინჯაოს, ღამურების, მოაჯირბიანი, ზედა მღვიმისა და ორმაგი ეხისგან. ფენები შეიცავენ მუსტიეს, ენეოლით-ადრებრინჯაოსა და შუა საუკუნეების მასალებს. ბრინჯაოს მღვიმეში (სიგრძე 100 მ) გაითხარა 12 მ სიმაღლის 24 ფენა. მათგან 5 მუსტიეს ხანისაა. მოპოვებულია 10000 ერთეული ქვის ნივთი და მშენებლური ქვის გაპოვის ტექნიკით. მესამე ფენაში აღმოჩნდა ნეანდერტალის საძირე კბილი. ბრინჯაოს მღვიმე ბიზონის მღვიმეს უკავშირდება ხვრელით. ამ უკანასკნელში ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის 2 მ სიმაღლის ფენაა, სადაც აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოს მღვიმური ნაბინჯვებისათვის დამახასიათებელი კერამიკა; გახეხილ-გაპრიალებული ქვის ცულეები; სახეხები; ქვის სამაჯურები; ხელსაფქვავის ქვები; კაჟის ისრისწყვრები; რქის თონისნაირი იარაღი. მასალა თარიღდება ძვ. წ. IV-III ათასწლეულით.

„ზედა მღვიმეები“ მდებარეობენ შაბათა ღელის მარჯვენა ნაპირზე, სიგრძით ისინი 3,2 მ-ია. იქ გაითხარა 2 მ სიმაღლის 8 ფენა, სადაც აღმოჩნდა გვიანდელი მუსტიეს ხანის კაჟის იარაღები და ცხოველების ძვლები. მღვიმის ორივე კედლის გასწვრივ დალაგებული იყო ცხოველების თავის ქალები ქვედა ყბის გარეშე. სავარაუდოა, რომ პირველყოფილი ადამიანები ამ მღვიმეში ატარებდნენ ნადირობასთან დაკავშირებულ რიტუალებს. კაჟის იარაღებიდან მოპოვებულია: ნუკლეუსები, ანატაკეც-ანამტვრევები, ლამელები, წვეტანები. იარაღის 90% დამუშავებულია დაკბილული რეტუშით. არის ორმხრივ დამუშავებული იარაღები, მინიატურული საჩენი იარაღი და სხვ. მღვიმეთა კომპლექსში მოპოვებულია ფაუნისტური მასალა წარმოდგენილია შემდეგი ცხოველებით: თრია, ზაზუნა, მგელი, ტურა, მღვიმის დათვი, მღვიმის ლომი, გიგანტური ირემი, კეთილშობილი ირემი, დასავლურ-კავკასური ჯიხვი, ბიზონი. ცუცხვათის მღვიმეების არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვ-

ნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი და ოთ.ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური ცენტრი) (თუშაბრამიშვილი, ნებერიძე 1974: 5-13; თუშაბრამიშვილი 1975: 5-17; 1978: 5-18).

ცუცხვათის უნაგრეთის მთაზე დარბაზული ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი. ხალხური გადმოცემით, ეკლესია აუგია დავით აღმაშენებელს (ბოჭორიძე 1996: 81).

ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (13,8X6,4 მ) დგას სოფ. ცუცხვათისა და ჭალისთავის საზღვარზე, მალაროს ხევის მარჯვენა ნაპირის ბორცვზე. ეკლესიას ჩრდილოეთით და დასავლეთით აქვს გალერეები. ჩრდილოეთის გალერეა მცირე ეკლესიაა, კარებთან ჩუქურთმიანი ქვებით. ეკლესია ნაგებია თლილი ქვით კირხსნარზე. შესასვლელი სამი მხრიდანაა. სარკმლები აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 2, დასავლეთით 1 და ჩრდილოეთით 2 აქვს. დასავლეთის კარის თავზე ქვაზე ამოკვეთილ მხედრულ წარწერაში მოხსენიებულია სოლომონ მეფის ქემიკოთუხუცესი ციხის თავი ქაიხოსრო, რომელმაც ეს ეკლესია ააშენა (ბოჭორიძე 1996: 77-79).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1983: 54; ბაგრატიონი დავით 1941: 11; ბაგრატიონი ბაგრატ 1941: 54; ბერძენიშვილი 1990: 453-455, 488, 513, 519, 521-524; ბოჭორიძე 1996: 77, 79, 81, 246, 254, 281; ბურჯანაძე 1959: 177-198; დადიანი 1962: 174, 178, 179; დე გრაი დე ფუა 1985: 86, 96; თუშაბრამიშვილი, ნებერიძე 1974: 5-13; თუშაბრამიშვილი 1977: 5-17; 1978: 5-18; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 252, 253; მცირე ქრონიკები 1968: 59, 60; საქ. არქ. 1991: 95-98; საქ. ისტ. რუკა 1923; სიკვლეები ... 1891: 71, 72; სიხელია 1966: 183-196; ქც 4: 753,4; 755,1; 881,15.*

ცხილოს ციხე, იხ.სხვილოს ციხე

ცხივალა (ქც 4: 370,7,10,11,16,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 370,7,10,11,16,23; 371,5,8; 372,2,3; 421,1; 455,5,6; 470,22; 504,11; 505,21; 506,21; 507,13; 872,10), პერი ევნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 385,12; 386,11), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 197, 1967: 45; ქართულ-სპარსული ... 1984: 115; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 65, 140, 201, 326; 1953: 22, 111; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 308, 338, 334; 1983: 388; 1985: 22, 24, 113, 172, 183, 419, 440; ჯიქია 1965: 243-247), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 56, 70, 72, 73, 213, 246), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 41), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 50, 45- 56 66, 77), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 5, 53, 85, 99, 101, 111, 113, 121, 127, 177, 227, 267, 279; 1964: 27, 131, 153, 155, 175, 223, 227, 257), დე გრაი დე ფუას რედაციები

(დე გრაი დე ფუა 1985: 25, 44,48, 52, 83, 93, 98). ვახუშტი ბაგრატიონი ცხივალის შესახებ გადმოგვცემს: „ნიქოზის ჩდილოთ, დიდის ლიახვის კედელზედ არს მცირე ქალაქი ქციხილვანი, კეთილპაოვანი, მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი (ქც 4: 370,6-8).

XIV-XVI სს-ში ცხივალა დასახლებული იყო სვეტიცხოვლის ყმებით (გვასალია 1983: 84). XVII ს-ის დასაწყისში ცხივალის მოურავი იყო გიორგი სააკაძე (ქც 4: 872,10). XVIII ს-ში მოხსენიებულია, როგორც მცირე ქალაქი (ქც 4: 370,6-8). აქ განვითარებული ყოფილა ვაჭრობა და ხელოსნობა. ცხივალში მდებარე სამღებროები ერეკლე II-ის მეუღლის, დარეჯანის საკუთრება ყოფილა (მაკალათია 1971: 42). 1751 წ. მეფეებმა თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ ცხივალთან უკუაქციეს ნურსალ ბეგისა და ჩონჩოლ მუსას ჯარი. 1772 წ. ლეკებმა სასტიკად დაარბიეს ქალაქი (მაკალათია 1971: 42, 43). 1909 წ. ცხივალში აღმოჩნდა ე. წ. „ცხივალის განძი“, რომელიც, სავარაუდოდ, სამარხული ინვენტარია. 1945-1948 წწ. ცხივალის სამხრეთ-დასავლეთით, ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ვ.გობეჯიშვილი) შეისწავლა მრავალფენიანი საკულტო და სამოსახლო ბორცვი ნაცარგორა. 1949 წ. ცხივალში, სატყეო კომბინატის ტერიტორიაზე, გამოვლენილ იქნა ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების 4 კოლექტიური სამარხი. 1950 წ. ნაცარგორის ჩრდილოეთით, ადგილ ზღუდრის გვერდასა და ზღუდრის ბორცვზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღ. ბ.კუფტინი) შეისწავლა ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლები. 1949-1954 წწ. ცხივალის ქულბაქებზე შესწავლილ იქნა ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ფენები. იმავე წლებში ადგილ „კულოზომზე“ აღმოჩნდა ადრე ბრინჯაოს ხანის ნივთები, ცხივალის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კი, კვასის ბაზის მშენებლობის ტერიტორიაზე, „მტკვარ-არაქის“ კულტურის კერამიკა (ხელმძღ. ბ.კუფტინი). 1959 წ. ცხივალის ამბლობად, სოფ. ოსერისთან შესწავლილ იქნა ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნის სამარხი (ხელმძღ. ბ.ტეხოვი). 1961 წ. ცხივალის მიდამოებში, სოფ. ვორეთში, აღმოჩნდა ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრულის სამარხული კომპლექსი. 1963 წ. ცხივალში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ყუამილიანი ცული. 1975-1976 წწ. ცხივალის №2 აგურის ქარხნის ტერიტორიაზე დაზიანდა ბრინჯაოს ხანის სამაროვანი. 1977 წ. ტრიკოტაჟის ფაბრიკის მშენებლობისას აღმოჩნდა შუა საუკუნეების ეკლესიის ნაშთი.

ცხივალის ნაცარგორა მდებარეობს ცხივალის სამხრეთ-დასავლეთით, გორი-ცხივალის რკინიგზის ხაზთან, მდ. ლიახვის მარცხენა ტერასაზე. ბორცვი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენაა წაგრძელებული (სიგრძე 100 მ-დე, ნამოსახლარი ფენის სიმაღლე 5 მ). ძეგლის ქვედა, ნახანძრავი ფენა შეიცავდა ხუთ სამარხს, რომლებშიაც თითო

მიცვალებული იყო დაკრძალული. ინვენტარი შედგებოდა: კაჟის ქუსლამოდარული ისრისპირის, ქვის კერის, სპილენძის სამჭკვალისა და კერამიკის ფრაგმენტებისაგან. სამარხების თავზე, ნახანძრალ ფენაში აღმოჩნდა ოსიდიანის, ძელისა და კერამიკის ფრაგმენტები. ფენა 0,5-0,8 მ სიმაღლისაა და ენეოლითური ხანით თარიღდება (გობეჯიშვილი 1951: 242-248). მეორე ფენაში (სიმაღლა 0,5-1,2 მ) წარმოდგენილია თიხით შელესილი ერთ-სენაკიანი ნაგებობების რიყის ქვის საძირკვლები. შენობების ზედა ნაწილი ხის უნდა ყოფილიყო. ზოგიერთ ნაგებობასთან აღმოჩნდა თიხით შელესილი საკურთხევლები და სამსხვერპლოები. საკურთხევლები ორგვარია: მრგვალი და ოთხკუთხედი. იქ მოპოვებული კერამიკა თხელკედლიანი და შავპირალა (დერგები, სადღვებლები, ქოთნები, ბადები, ჯამები და სხვ.). ორნამენტი ამოკაწრული ან ნაპრიალებია. კერამიკის გარდა, იქ აღმოჩენილია კაჟის ნამგლის პირები, ტუფის ხელსაფეკვაები, თიხის მცირე ზომის ქანდაკებები - ქალის ქანდაკება, ურმის თვლის მოძლებები. ძვლისა და რქის ნაწარმი წარმოდგენილია საკინძითა და ირმის რქის კვერთხისთავით. იქვეა აღმოჩენილი ბრინჯაოს სასაფეთქლები; ჯვრისებური ნივთების ფრაგმენტი; ფოთლისებური სატყერისპირები; აგრეთვე თიხის ყალიბები (გობეჯიშვილი 1951: 246-251).

მესამე ფენის სიმაღლა 0,5-2,5 მ. იქ აღმოჩენილი კერამიკა შავპირალა ან მოწითალოა. მეორდება პირველი ფენისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ფორმები. თუმცა ჩნდება ახალი ფორმებიც: სარქველიანი ჭურჭელი და სასაკმევლები. ჭურჭლის ყურებზე ჩნდება ზომიერი ფული - ლომის, ხარისა და სხვა გამოსახულებები. ფენისთვის დამახასიათებელი ორნამენტია სპირალი, დაშტრიხული რომბები, სამკუთხედები, გველის რელიეფური გამოსახულებები, ამოკაწრული ფრინველები. ფენაში გამოვლენილი ნაგებობების საძირკველი რიყის ქვითაა ნაგები, ზედა ნაწილი - ხით. კედლები შელესილია ბუნებრივი თიხის ბათქაშით. ნაგებობები ჯარგვლისა და ფაცხის ტიპისაა. სავარაუდოა ყავრის სახურავები. თითოეულ სენაკში იდგა ერთი ან მეტი საკურთხეველი. №5 სენაკში (7X3,5 მ) აღმოჩნდა: კერამიკა, ხორბლის ნაშთები, ხელსაფეკვაო, ძელის სადგისი. შენობა ქვითაა ნაგები, იატაკი თიხატყეპნილია. ნაგებობის კუთხეებში მოწყობილი იყო საკურთხეველი და სამსხვერპლო. აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა „რქებიანი“ საკურთხეველი. მას პრიზმული ფორმა ჰქონდა და სკამის ზურგისებური კედლით ნაგებობის კედელზე იყო მიბჯენილი. საკურთხევლის ზედაპირი იყო ჩაზნექილი, სადაც ნაღისებრი, ორკოპიანი კერა იყო მოთავსებული. სენაკს თიხისაგან გამოემრწოლი ხარის ქანდაკებები ამშვენებდა. სენაკის ჩრდილოეთ კუთხეში იყო მეორე ასეთივე საკურთხეველი. სამხრეთ კუთხესთან იდგა ოთხკუთხედიანი სამსხვერპლო, რომელიც ხის ჩარჩოზე ამოყვანილი თიხისაგან იყო ნაგები. სამსხვერპლოს შუა ნაწილში იდგა თიხის

ოთხკუთხედი (სიმაღლე 0,4 მ). №2 სენაკში, ე.წ. მთავარ სამლოცველოში იდგა საფეხურებიანი საკურთხეველი (3X2,5 მ). იქ აღმოჩნდა ჭურჭელი, კაჟის ნამგლები, ირმის რქის კვერთხისთავი, თიხის ანთროპომორფული ქანდაკებები (გობეჯიშვილი 1951: 252, 253). მესამე ფენა თარიღდება II ათასწლეულის ბოლო ხანებითა და I ათასწლეულის პირველი ნახევრით (გობეჯიშვილი 1951: 269). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

აღრე ბრინჯაოს ხანის ნაშთები გამოვლენილია ცხინვალის ქულბაქების ნასახლარზე, რომელიც სოფ. ოსფრისთან მდებარე ბორცვზეა განლაგებული. ბორცვი 3 მ სიმაღლისაა, მისი სიგრძე 58 მ, სიგანე კი 45 მ-ია. ქვედა ფენაში, რომელიც ქვაყრილით იყო დაფარული, აღმოჩნდა თიხატყეპნილი მოედანი, რომელზეც ადამიანის დამწვარი ძვლები, აგრეთვე მრგვალი, შვერილებიანი კერა იყო. კერის გარშემო ჭურჭელი იყო შემოწყობილი.

ოსფრისის ხევის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „კულხომზე“, გამოვლენილია აგრე ბრინჯაოს ხანის სუსტი ფენა. აღმოჩენილი მასალა შედგება კერამიკის, მრგვალი კერის ფრაგმენტისა და რქისებრი სადგარისაგან. ხევის მარცხენა ნაპირზე, ზღუდრის ბორცვზე აღმოჩნდა მოზრდილი ქვებით ნაგები გრძელი კედლის ნაშთი. ქვებს შიგნით გამოვლენილია „მტკვარ-არაქსული“ კულტურის კერამიკა, თიხის კერები, ქვის იარაღი. საცხოვრებელი ნაგებობა ხის უნდა ყოფილიყო. ოსფრისის ხევის პირას, ზღუდრის გვერდზე, თიხის კარიერის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მცირეოდენი მასალიდან აღსანიშნავია კერის ნაღისებრი სადგარი და კერამიკის ნატყეპი. თარიღდება აგრე ბრინჯაოს ხანით (საქ. არქ. 1992: 187). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

სოფ. ოსფრისში შემთხვევითაა აღმოჩენილი ბრინჯაოს სატყეპარი (ტეხოვი 1971: 72). ინახება ცხინვალის მუზეუმში. იქვეა მიკვლეული დიდი ლოდებით შემოსაზღვრული, ქვაყრილიანი, კოლექტიური სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა თიხის 5 ჭურჭელი და სპილენძის სატყეპარი. სამარხი III-II ათასწლეულების მიჯნით თარიღდება (ტეხოვი 1971: 90-92). მასალა ინახება ცხინვალის მუზეუმში.

ცხინვალის სატყეპო კომპლანტის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების 4 კოლექტიური სამარხი. მისცვალებულია დაუკრძალავთ მოკრუნხულ მდგომარეობაში. სამარხების ინვენტარი შედგებოდა კერამიკისა და მძივებისაგან.

ცხინვალის №2 აგურის ქარხნის ტერიტორიაზე, მდ. ლიანხის მარჯვენა ნაპირზე, მშენებლების მიერ დაზიანდა სამაროვანი. იქ აღმოჩენილია გვიანბრინჯაოს ხანის მასალა: ლანგრები, ჯამები, ქოთნები, ბრინჯაოს მრავალრიცხოვანი ინვენტარი. მასალა ინახება ცხინვალის მუზეუმში.

ცხინვალის მახლობლად აღმოჩენილი ე.წ. „ცხინვალის განძი“ სამარხის ინვენტარი უნდა იყოს. ის

შედგება: რგოლის, 2 ხელწიხის, სატეხისა და ნაკლული ცელნამკვლავსაგან. თარიღდება გვიან ბრინჯაოს ხანით (ჯაფარიძე 1950: 99-107).

ცხინვალის მიდამოებში, სოფ. გორეთში შემთხვევით აღმოჩნდა სამარხი, რომელშიც გამოვლინდა: ბრინჯაოს მშვილდაკანიძი და რგოლები, ვერცხლის ბრტყელფარაკიანი ბუჭვი, საკანიძი, ბრინჯაოს მინიატურული, ფრინველის ფორმის საკიდები და მძივები. თარიღდება ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრულით (ტეხოვი 1971: 231, 232). მასალა ინახება ცხინვალის მუზეუმში.

ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკის ტერიტორიაზე შემთხვევითაა აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის რამდენიმე ნივთი. იქ გაითხარა XVIII ს-ის სამაროვანი. იქვე მცირე ეკლესიაც უნდა ყოფილიყო (ჯატიყვი 1980: 239-244).

ცხინვალში, ტელმანის ქუჩაზე დგას კავთის წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია. ნაგებია რიყის ქვითა და შინდისფერი ტუფით. ეკლესიას სამხრეთითა და დასავლეთით მინაშენები ჰქონდა. შესასვლელი დასავლეთითა და სამხრეთითაა. თარიღდება VII-X სს-ით (მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 33).

ცხინვალის შესასვლელში, გზის მხარეს დგას ორი დარბაზული ეკლესია – ზღუდერის წმინდა გიორგი და ამაღლება. ზღუდერის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე ასომთავრულით შესრულებულია წარწერა: „...ხო ახოვანო მოწამეთა შორის მთავარმოწამელო წმიდაო გიორგი (მწე და) მფარველ გვექმენ ორთავე შინა ცხოვრებასა მადიდებელსა დედოფალთ დედოფალსა ხელმწიფის დადიანისა დასა) მარიამს ნაცვალ გვაგე მადლი დაფარვა შენ მიერი დღესა მას დიდისა განკითხვისასა ამინ“. წარწერა ეკუთვნის ქართლის მეფეებს, როსტომისა (1632-1658) და ვახტანგ V-ის (1658-1675) მეუღლეს, მარიამ დადიანს. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე შესრულებულია წარწერა მოხსენიებს: „...ტაძრისა ზედა მდგომელსა მიქაელსა“. წარწერის მიხედვით ეკლესია XVII საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება (მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 138).

ქალაქის ცენტრში, მთიდანზე დგას ღვთისმშობლის გუმბათიანი ეკლესია. ნაგებია აგურითა და ქვით. სახურავის დასავლეთ მხარეს გამართულია სამრეკლო. სამხრეთ ფასადზე, კარიბჭის გვერდით არის მხედრული წარწერა: „ქ. ალვაშენთ მღვთის მწუწენითა საყდარი ესე ყოვლადწმინდის ჩვენ გიორგის შვილმან ქაიხოსრომან და ჩემმან შვილმან გიგმან ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად ... მეფობასა ვახტანგისა, ქორინიკონსა უე“. წარწერა თარიღდება 1717 წლით (მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 139).
ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 41; ბაგრატიონი 1983: 50, 54-56, 66, 77; კვასალია 1983: 76, 94; ვიულენშტედტი 1962: 5, 53, 85, 99, 101, 111, 113, 121, 127, 177, 227, 267, 279; 1964: 27, 131, 153, 155, 175, 223, 227; ვობჟეიშვილი 1951: 242-248, 1952: 41-45, 92-96; დე გრაი დე ფუა 1985: 25, 44, 48, 52, 83, 93, 98; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 65, 140, 201, 326; 1953: 22, 111; კუფტინი 1947: 67-88; ლიუბინი

1958: 21-40; მაკალათია 1971: 42, 43; მეფისაშვილი, ცინცაძე 1975: 33, 138, 139; ორბელიანი 1981: 56, 70, 72, 73, 213, 246; საქ. არქ. 1992: 187; ტეხოვი 1971: 71, 72, 90-92, 231, 232; ქრონიკები 1897: 197, 1967: 45; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 308, 338, 334; 1983: 388; 1985: 22, 24, 113, 172, 183, 419, 440; ქართულ-სპარსული ... 1984: 115; საქ. ისტ. ოსმალ. წყ. 1974; ქც 2: 385, 19; 386, 11; ქც 4: 370, 7, 10, 11, 16, 23; 371, 5, 8; 372, 2, 3; 421, 1; 455, 5, 6; 568, 4; 470, 22; 504, 11; 505, 21; 506, 21; 507, 13; 872, 10; 920, 28; ცოტნიაშვილი 1986; ჯაფარიძე 1950ა: 99-107; ჯაფარიძე 1968: 3-8; ჯატიყვი 1980: 232-244; ჯიქია 1965: 243-247.

ცნობილი, ციხე, ნასასახლევი (ქც 4: 341, 16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 341, 16; 421, 21; 422, 10; 441, 9, 25), ბერი ევნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 385, 27; 386, 7, 10, 11; 422, 19), XI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 97; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 83; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 253; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 10, 21, 135; 1972: 40, 41; 1985: 217, 831; ქართული ისტ. საბუთ. კორ. 1984: 47, 49, 68, 70), თიანეთ ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 31).

ვახუშტი ბაგრატიონი ცხირეთის შესახებ გადმოგვცემს: ერთაწმინდის ეკლესიის „აღმოსავლეთ არს ციხე ცხირეთისა, ნასასახლევი მეფეთა“ (ქც 4: 341, 15, 16).

მდებარეობს კასპის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. ერთაწმინდიდან სამხრეთ-დასავლეთით 3 კმ-ის დაშორებით.

XI-XII სს-ში ცხირეთი ეკუთვნოდა შიომღვიმის მონასტერს (კვასალია 1983: 103; ლომინაძე 1953: 36). XV-XVI სს-ში ცხირეთი ჯავახიშვილების კუთვნილებაა (ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 135; 1972: 40, 41; 1985: 831). 1608 წ. ქართლის მეფე ლუარსაბ II-მ (1606-1615) ცხირეთი უბოძა გიორგი სააკაძეს (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 253). 1609 წ. ოსმალთა ლაშქარი შიდა ქართლში შემოიჭრა და ცხირეთში მეფე ლუარსაბ II-ზე თავდასხმა სცადა. კველიელმა მღვდელმა თევდორემ მტერი სხვა გზით წაიყვანა და ცხირეთის ციხეს დააშორა. მღვდელი ოსმალებმა სიკვდილით დასაჯეს. 1652 წ. ქართლის მეფე როსტომმა გიორგი სააკაძის მემკვიდრეებს დაუბრუნა ცხირეთი (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 253).

1974-1975 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კასპის რაიონის ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ. ცქიტიშვილი) ცხირეთის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაატარა არქეოლოგიური დაზვერვები. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,5 კმ-ის დაშორებით აღვილ „ურბუხანზე“ აღმოჩნდა პალეოლითის ხანის სადგომი. იქ აიკრიფა კაქის იარაღები და წარმოების ნაშთები. ცხირეთის ციხის მახლობლად, ხევის პირას აღმოჩნდა გორანამოსახლარი, სადაც

დადასტურდა გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის ფენები. ცხირეთის ციხის ძირას მდებარეობს განვითარებული შუა საუკუნეების ნასოფლარი.

ცხირეთის ციხე დვას ცხირეთის გორაზე. გალავანი ვეგმით ოვალურია (54X26 მ) და გამაგრებულია კონტრფორსებით. ნაგებია რიყის ქვით. ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია ნაგებობათა ნაშთები (სძა 1990: 210, 211).

ბიბლიოგრაფია: პაგრატიონი 1986: 31; გვასალია

1983: 103; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 83; ლომინაძე 1953: 36; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 253; სძა 1990: 210, 211; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 47, 49, 68, 70; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 10, 21, 135; 1972: 40, 41; 1985: 217, 331; ქრონიკები 1897: 97; ქც 2: 385,27, 386,7,10,11, 422,19; ქც 4: 341,16; 421,21; 422,10; 441,9,25.

ცხუმო იხ. სოხუმი.



ძალისი (ქც 4: 394,5). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 394,5), ბერი ევნათაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტები (ქც 2: 351,10; 489,14,18), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 56), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 34), XV-XVII სს-ის ქართული ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 332; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 255; მცირე ქრონიკები 1968: 39; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 544; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 340; ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: 111), კლავდიოს პტოლემეაოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ (პტოლემეაოსი 1955: 46).

მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, მუხრანის ვაკეზე, მდ. ნარეკვავის ორივე ნაპირზე, ახლანდელი სოფ. ძალისას ტერიტორიაზე.

1513 წ. კახეთის მეფე ავგიორგი (1511-1513) და ბაგრატი მუხრანბატონი ძალისაში შეიბნენ. ავგიორგი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს (ქც 2: 351,10, 489,14,18; ქც 4: 394,5). 1582 წ. მუხრანის ველზე, ძალისასთან დაბანაკებულ ოსმალთა 20-ათასიან ლაშქარს თავს დაესხა სვიმონ მეფე (1556-1569, 1578-1600) და სასტიკად დაამარცხა (ცხოვრება ... 1980: 56). გვიან შუა საუკუნეებში სოფ. ძალისა შედიოდა სამუხრანბატონოში (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 544). თბილისიდან დღემდე მის მავალი გზა მუხრანიდან მდ. ნარეკვავის გასწვრივ ძალისა – მჭადიჯვარ – ბაზალეთზე გადიოდა (ბერძენიშვილი 1966: 60). ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში მოხსენიებულია „ძალისი“, სხვა წყაროებში იხსენიება „ძალისა“-ს ფორმით (ქც 2: 351,10, 489,14,18).

ძალისასა და მის მიდამოებში 1971-1975 წწ. არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ა.ბოხრაძე). 1975-1985 წწ. ამ მიდამოებში გათხრებს აგრძელებდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ა.ბოხრაძე).

1971-1976 წწ. ახლანდელი ძალისას მიდამოებში გამოვლინდა ანტიკური ხანის ნაქალაქარი (1 კვ კმ). აღმოჩნდა სასახლისა და ტაძრის ნაშთები, მოზაიკიანი იატაკის მქონე აბანო, ტაძარ-სასახლის

კომპლექსი, საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთები, კოლექტორები, ტყვიის მილებით შედგენილი წყალსადენის ქსელი, აგურით მოკირწყელებული ქუჩებისა და მოედნების ნაწილი, მოზაიკური იატაკები, შემკული მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებითა და წარწერებით, არქიტექტურული დეტალები, თიხისა და მინის ჭურჭელი და სხვ. ნაქალაქარის ტერიტორიაზე სამშენებლო მასალად გამოყენებულია ალიზი აგური, რიყის ქვა, ტუფისა და ქვიშაქვის ქვათილები, აგური, კერამიკული ფილები, ბრტყელი და ღარიანი კრამიტები. ნაგებობათა ერთი ნაწილის ინტერიერი შელესილია გავით ან კირხსნარით, კედლები მოხატულია.

ძალისის ტაძარ-სასახლე რთული კომპლექსია. ტაძარი ვეგმით სწორკუთხაა. შედგება მოზაიკური იატაკიანი დარბაზისა და რამდენიმე სენაკისაგან. ტაძარს შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. ზღურბლის წინ ტუფისა და ქვიშაქვის თლილი ქვებით მოგებული მოედანია (4,9X2,75 მ). დარბაზის (48 კვმ) იატაკის მოზაიკა 12 ფერის ქვის კენჭებითაა შედგენილი. კედლებს გასწვრივ, შედარებით მსხვილი კენჭებით გაკეთებული არშიის შიგნით, ცენტრალურ ნაწილში, კომპოზიციანად: ხეივანის ქვეშ მსხლმომი მუყანახეობისა და მეღვინეობის მფარველი ღვთაება დიონისე და არიადნა თავიანთი ატრიბუტებით (პანი, ღვინის ჭურჭლები, კილიკები, ოინოხოია და სხვ.). დიონისესა და არიადნას თავზე ჯვრისმაგვარი ფიგურაა, რომლის მარცხენა კუთხეში ფრთოსანი ჭაბუკისა და ქალის გამოსახულებაა. მოზაიკის ნაწილი შეესებურება გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით. მოზაიკაზე წარმოდგენილია ბერძნული წარწერები: „არიადნე“, „დიონისე“, „ავლაია ქარიტი“ (დიონისეს მხლებლები). ბერძნული წარწერაა საკრავიან ქალთა გამოსახულებებს შორის: „მოსხენებული იქნას პრისკოსი ამის გამკეთებელი“ (ყაუხჩიშვილი 2000: 215). მოზაიკის ფართობი 90 კვმ-ია. ნაგებობა, რომელიც თარიღდება ახ. წ. II ს-ით, მიჩნეულია დიონისეს სახლად-ტაძრად. ტაძარში კიდევ ოთხი დიდი დარბაზია, რომელთა კედლები გავით შელესილი და მოხატულია. ყველა დარბაზს ჰქონდა სამსხვერპლო-საკურთხეველი. ტაძარ-სასახლის კომპლექსში შემავალი სასახლიდან შემორჩენილია ფასადის კოლონები და ბაზალტის ქვის ბაზისები. ტაძარ-სასახლის კომპლექსში შემავალი აბანო რომაული აბანოს ტიპისაა. ვეგმით ოვალურია.

შედგება 3 განყოფილებისაგან, რომლებიც ერთმანეთს კარით უკავშირდება. აბანოს ცხელი და თბილი განყოფილების იატაკი კალორიფელზე გამართული, სადაც სიგრძეზე 9, ხოლო სიგანეზე 5 კალორიფელის სვეტი დგას. თითო სვეტი შედგება კირხსნარით შეკავშირებული 19-21 მრგვალი ან ბრტყელი, ერთმანეთზე დადებული აგურისაგან. კალორიფელის სვეტის თავზე კერამიკული ფილებია (0,58X0,05 მ), რომლებზეც 0,12-0,15 სმ სისქის ჰიდრაგლიკური ხსნარია დასხმული და ფერადი მოზაიკით შემკული იატაკია გამართული. იატაკზე ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერის („ლაიდას“ და „პრისკოსი“) ნაშთებია შემორჩენილი (ყაუხჩიშვილი 2000: 215). ცივ განყოფილებაში (16 კვმ) მოთავსებულია აბაზანა. იატაკი აქაც მოზაიკურია, რომელზე გამოსახულია მცენარეული მოტივები და ზღვის ფაუნა (დელფინის თავი, ზღვის ნიჟარა, თევზები, ბადე). ცივი აბანო კარით უკავშირდება დერეფანს (22,7 კვმ), საიდანაც შეიძლება მოხვედრა გასახდელში, რომლის იატაკიც მოზაიკურია, შემკული რომბებით, ვარდლებით, წრებსაზებით და ა. შ. გასახდელი კარით უკავშირდება ტაძრის დარბაზს.

აბანოს კომპლექსში შემავალი ატრიუმი (ღია ეზო) გეგმით ოთხკუთხაა (7,75X6,95 მ). იატაკი მოფენილია ტუფისა და ქვიშაქვის თლილი ქვებით. ატრიუმის ცენტრში 51-52 სმ სიგანის ბორდიურით შემოვლებული შადრევნის აუზია (2X1,8 მ, სიღრმე 17 სმ), რომლის კუთხეებში აღმართული ყოფილა ოთხკუთხა კოლონები. ატრიუმს დასავლეთით მიშენებული აქვს გეგმაში სწორკუთხა მოყვანილობის საკურთხეველიანი სატაძრო განყოფილება (9,95X2,6 მ), რომელიც 15 სმ-ით მაღლაა ატრიუმის იატაკზე და რომლის ჩრდილო ნაწილში მდგარ კვარცხლბეკზე კოლონებით დამშენებული რომელიც ღვთაება ყოფილა აღმართული. ატრიუმის აღმოსავლეთით აბანოს გასახდელია მიშენებული. თვით აბანო რომაული ტიპისაა და შედგება 3 (ცივი, თბილი, ცხელი) განყოფილებისაგან. სამივე განყოფილება ერთმანეთს კარით უკავშირდება. სამხრეთით სამივე განყოფილებას აქვს ნახევარწრიული აფსიდა. აბანოს გასათბობი სისტემა-ჰიპოკაუსტი ამოყვანილია რიყის ქვით დულაბზე. ცივი აბანოს (6,3X3,65 მ) ნახევარი აფსიდის მხარეს მდებარე აბაზანას (სიგრძე 2,75 მ) უჭირავს. იატაკში თიხის მილია დატანილი. თბილი (6,5X3,95 მ) და ცხელი (6,4X3,8 მ) აბანოს იატაკი გამართულია კალორიფელზე, რომელიც კირხსნარით შეკავშირებულ სხვადასხვა ზომის ოთხკუთხა და მრგვალი აგურით ნაგები სვეტების (სიგრძეზე 11, სიგანეზე 7) რიგს წარმოადგენს. სვეტების თავზე ეწყობა კერამიკული ფილები, რომელზეც გადასხმული იყო 0,12-0,15 სმ სისქის ჰიდრაგლიკური ხსნარის ფენა. აბანოს კედლებში ვერტიკალურად ჩადულაბებულია თიხის მილები (დმ 0,15 მ), რომლებითაც ჰიპოკაუსტიდან მოედინებოდა ცხელი ჰაერი და მთელ აბანოს ათბობდა. აბანოს ცხელ განყოფილებას ჩრდილოეთ-

ით მიშენებული აქვს რიყის ქვით დულაბზე ნაგები ცეცხლფარემის სენაკი (4X2,8 მ). სენაკს ვარდნან მიშენებული აქვს საკვამლე მილი (დმ 2,7 მ), რომლის ჩრდილოეთით სწორკუთხა აუზია (4,4X3,3 მ). აუზს ჩრდილოეთიდან უერთდება რიყის ქვით, ტუფითა და დულაბით ნაგები ორმაგი წყალსადენი. აბანოს თბილ და ცივ განყოფილებებს ჩრდილოეთიდან მიშენებული აქვს გაურკვეველი დანიშნულების ორი სენაკი. აბანოს გასახდელი გეგმაში ოთხკუთხაა (8,1X7,7 მ). გასახდელის ჰიპოკაუსტის კედლები ამოყვანილია რიყის ქვით დულაბზე. იატაკი გამართულია კალორიფელზე. გასახდელს აკრავს ცეცხლფარემის (2,8X1,9 მ), მოსაცდელი (6,5X5,2 მ) და სხვ. დანიშნულების სენაკები. აბანოს კომპლექსში შემავალი ატრიუმი და სატაძრო განყოფილება თარიღდება ახ. წ. I-II სს-ით. აბანოს კომპლექსი მიეკუთვნება ახ. წ. II-IV სს-ს. აბანო ქალაქთან ერთად ნადგურდება IV ს-ში (ბოხოჩაძე 1977: 17-24; 1981: 36-85).

ტაძარ-სასახლისა და აბანოს კომპლექსის ქვეშ გამოვლინდა ძვ. წ. I ს-ის დასახლების ნაშთები, სადაც დადასტურდა წითელპირაღა და შავპირაღა პირმოყრილი ჯამის ნატეხები; სამი სახის აგურები; ბრტყელი და ღარისებური კრამიტები. ღარისებური კრამიტები ქიმიური და ყველა წითლადაა შეღებილი. კრამიტებზე გვხვდება სხვადასხვა სახის ნიშნები. ნაქალაქარზე გამოვლენილია კიდევ ერთი სასახლე, აფსიდის ნაგებობა და საცურაო აუზი.

სასახლე შედგება 30-მდე სხვადასხვა სიდიდის, ფორმისა და დანიშნულების ოთახისაგან. სასახლის ცენტრში მოთავსებულია გეგმაში ოთხკუთხა მოყვანილობის ატრიუმი (8,35X8,35 მ), რომელიც ქვიშაქვისა და ტუფის ქვათილებითაა ნაგები. ატრიუმს ჩრდილოეთით შემორჩენილი აქვს კარის ორი ზღურბლი. ცენტრში მოთავსებულია ბორდიურებით შემოვლებული შადრევნის ოთხკუთხა აუზი (28,5 კვმ). აუზის ცენტრში ოთხკუთხა კვარცხლბეგიდან გადმოდიოდა წყალი. აუზის იატაკის ქვეშ გამოყვანილი ყოფილა თიხის მილები (გამოვლინდა 45 მ სიგრძეზე), რომლებიც დასავლეთით მდებარე წყალგამყოფი ჭიდან მოედინებოდა. ატრიუმის დასავლეთით ქვათილებით ნაგები სატაძრო განყოფილებაა (196 კვმ), რომლის ჩრდილო ნაწილში მრგვალი კვარცხლბეგზე აღმართული ყოფილა რომელიც ღვთაება.

სასახლის ატრიუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს სასახლის ცენტრალური გათბობა-ჰიპოკაუსტი, რომელიც გეგმაში კვადრატს (11,8X11,8 მ) წარმოადგენს. ჰიპოკაუსტში სიგრძეზე კალორიფერებს 13 ძირითადი რიგია, რომლებსითვისაც გამოუყენებიათ სპეციალურად დამზადებული თიხის მილები (დმ 16-30 სმ). ჰიპოკაუსტის კედლები ამოყვანილია ოთხკუთხა აგურით, რომლის 18 რივი ერთმანეთზე კირხსნარით არის შედულაბებული. კედლები დამრეცია და ბოლოვდება 25 სმ დაშორებული კბილანებით.

კვილანებს შორის ჩადუღაბებული ყოფილა თიხის მიღები, საიდანაც ჰაბოკაუსტიდან ფილებსა და კედლებს შორის დარჩენილ სივრცეში მოედინებოდა ცხელი ჰაერი. კალორიფილებს თავზე დახურული ჰქონდა კერამიკული ფილები (60X60X5 სმ), რომლებზეც ზემოდან დასხმული იყო 10-15 სმ სისქის ჰიდრაგლიკური ხსნარი და იატაკი იყო გამართული. საცეცხლე არხი ჰაბოკაუსტს ჰქონია ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.

სასახლის კომპლექსში შედიოდა საძინებელი ოთახები, სათათბირო დარბაზი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ოთახები, ორგანოფილებიანი საპირფარეო კანალიზაციითა და წყალსადენით.

აფსიდიანი ნაგებობა (703,7 კვმ) მიშენებულია საცურაო აუზის აფსიდაზე. აფსიდიანი ნაგებობა დაუზიანებია სასახლის ატრიუმში მიმავალ წყალსადენს. ამდენად, ნაგებობა აუზთან და სასახლესთან შედარებით მოგვიანო ხანისაა და V ს-ით უნდა დათარიღდეს. აფსიდიანი ნაგებობაში ყოფილა 7 დარბაზი. ნაგებობების კედლები სხვადასხვა სისქისაა (1,2-1,7 სმ). ჩრდილოეთის კედელში დატანილია გამჭოლი თაღები.

საცურაო აუზი გვეგმაში წესიერი სწორკუთხედი (ფართობი 395,6 კვმ). დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. ოთხივე მხარეს შუა ნაწილში აქვს აფსიდები. აუზის კედლები ამოშენებულია ორის ქვით კირხსნარზე. კედლები მოპირკეთებულია თლილი, ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ქვიშაქვის ფილებით. ჩრდილოეთ მხარეს აფსიდაში, რომლითაც ის აბანოს კომპლექსს უკავშირდება, 9 საფეხურიანი კიბეა გამართული. კუთხეებში მოწყობილია დასასვენებელი მერხები. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, იატაკის დონეზე ტრაპია (დმ 0,2 მ). ჰიდრაგლიკური ხსნარით გაკეთებული იატაკი დამრეცია. აუზი წყლით ივსებოდა აბანოს კომპლექსში დასავლეთის მხარეს შემოყვანილი ორი ორმაგი წყალსადენის საშუალებით. სასახლის აფსიდიანი ნაგებობისა და საცურაო აუზის კომპლექსი თარიღდება ახ. წ. I-III სს (ბოხოჩაძე 1987: 25-30).

ქალაქმა იარსება ძვ. წ. II ს-დან ახ. წ. VIII ს-ის 30-იან წლებამდე. განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია ახ. წ. I-III სს-ში. IV ს-ში აქ ცხოვრება დროებით შეფერხდა. VI-VII სს-ში ძალისა კვლავ გამოცოცხლდა. VIII ს-ის 30-იან წლებში ქალაქი საბოლოოდ განადგურდა მურვან-ყრუს შემოსევის შედეგად.

ძალისას მიდამოებში გამოვლენილია 3 სამაროვანი. ერთი მდებარეობს მდინარე ნარეკავის მარჯვენა ნაპირზე. დაზვერვების შედეგად გაირკვა, რომ სამაროვანზე ძირითადად გვხვდება ორმოსამარხები. იქ გამოვლენილია ხის სარკოფაგები და კრამიტსამარხები. ინვენტარის მიხედვით სამაროვანი უნდა ეკუთვნოდეს არისტოკრატიულ ფენას.

სოფ. ძალისას გორაზე, რომელიც ძალისას შიდაციხეს წარმოადგენდა, გამოვლინდა ალიზით ნაგები გალავანი, აგრეთვე ალიზით ნაგები და წითლად შეღებილი კრამიტით გადახურული სხვა-

დასხვა შენობის ნაშთები. გორის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა ქვათილებით ნაშენი თაღოვანი აკლდამა (4X4,7X4 მ), რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე იყო დამხრობილი. შესასვლელი აღმოსავლეთიდანაა. დროშის კედლები ნაგებია ქვათილებით. იატაკი მოგებულია თლილი ქვით. აკლდამაში გამართულია მიცვალებულთა დასაკრძალავი 2 ტახტი-სარეცელი, თუმცა დაკრძალული აღმოჩნდა 3 მიცვალებული. აკლდამაში აღმოჩნდა ბრინჯაოს 3 საკინძი. ოქროს ცილინდრული ჩარჩო, თიხის ჭრატქი. მასალა თარიღდება ახ. წ. II-IV სს-ით. თვით აკლდამა IV-V სს-ით (ბოხოჩაძე 1990: 1-4). ძალისას ნაქალაქარის არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი და ოთ.ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიის ცენტრის ნასტაკისის ბაზა).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1941: 194; ბაგრატიონი 1986: 34; ბერძენიშვილი 1966: 60; ბოხოჩაძე 1977: 17-25; 1977ა: 93-102; 1978: 41-54; 1979: 3-24; 1981; 1981ა: 23-24; 1983: 67-76; 1987: 25-30; ბოხოჩაძე ... 1973: 75-77; ბოხოჩაძე ... 1982: 93-106; ბოხოჩაძე, მირიანაშვილი 1989: 22-24; 1990; ვვასალია 1983: 17, 56, 97-99, 107; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 255; მცირე ქრონიკები 1968: 39; ოდიშელი 1995: 11-26; პტოლემეოსის 1955: 46; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 340; ქრონიკები 1897: 332; ქც 2: 351,10; 489,14,18; ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: 111; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 544; ქც 4: 394,6; ძეგბინი, გამყრელიძე, თოდუა 2012: 118; გაუხნიშვილი 2000: 215; ცხოვრება ... 1980: 56.

ძამის ციხე, მონასტერი (ქც 4: 344,22,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 136,19,21,სქ.1; 344,22,25), მატთანე ქართლისა (ქც 1:2 71,1,3) ჟამთააღმწერელი (ქც 2: 317,12), 1701-1703 წწ. განჩინება ციციშვილების გაყრის საქმეზე (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 622), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 32).

ვახუშტი ბაგრატიონი ძამის ციხისა და მონასტრის შესახებ გადმოგვცემს: „სამწვერისის სამხრით მორეთვის ძამას იმერვეის-ხევი, გამოსდის საცხენისის მთას. აქა არს მონასტერი ძამისა, და აწ ხუცის სამარს. იმერხევის დასავლით, ძამაზედ, არს მძორეთი, მცირე ქალაქი. მოსახლენი სომეხნი, ურიანი, ციხე არს მაღალს კლდესა ზედა ნაშენი. ესე არს ძამის ციხე. ამ ციხის ქუეშ სასახლე ციციანთა“ (ქც 4: 344,20-26).

ერთი მოსაზრებით, ძამის ციხე ლიკალიზდება ქარელის მუნიციპ-ში, ქარელიდან სამხრეთ-დასავლეთით 14 კმ-ის დაშორებით მდებარე თანამედროვე სოფ. ორთუბნის ტერიტორიაზე. დღეს ეს ციხე ცნობილია ორთუბნის ციხის სახელით (სძა 1990: 383). მეორე მოსაზრებით, ძამის ციხე მდებარეობს მდ. ძამის სათავესთან, მთაზე, სადაც შემორჩენი-

ლია ციხის ნანგრევები და ნასოფლარი (მაკალათია 1962: 32, 41).

წყაროებში ძამის ციხე იხსენიება X ს-ში, როცა აფხაზთა მეფის დემეტრეს დამარცხებულმა ძმამ თეოდოსმა თავი შეაფარა ადარნერს ძამელის რეზიდენციას – ძამის ციხეს (გვასალია 1983: 152-154). 1300 წ. ოსთა მთავარმა პაყატარმა ძამის ციხე წაართვა გამრეკელ კახას ძეს (მაკალათია 1962: 41). XIV ს-ის დასაწყისში ციხე ჯავახიშვილებს ეკუთვნოდათ. შემდეგ ის ციციშვილების ხელში გადადის (გვასალია 1983: 120).

ძამის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ძამის ციხე (ორთუბნის ციხე) მდებარეობს სოფ. ორთუბნის სამხრეთით 2 კმ-ის დაშორებით, მაღალ მთაზე, მდ. ძამის ხეობაში. ციხე შედგება შიდა ციხისა და გალავნისაგან. ნაგებია ფლეთილი ქვით. გალავანი გვემით მართკუთხაა (22X18 მ). ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩართულია ოთხკუთხა კოშკი, რომლის კედლები გამაგრებულია ნახევარწრიული ბურჯებით. შემორჩენილია 3 სართული. შიდა ციხის ჩრდილოეთ კედელში ჩართულია მრგვალი და ოთხკუთხა კოშკები. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დგას ნაგებობა, რომლის ქვედა სართულზე 2 დარბაზული ეკლესიაა. ზედა სართულზე სხვადასხვა დანიშნულების სათავსოებია. ეზოში დგას რამდენიმე საცხოვრებელი ნაგებობა. ციხე თარიღდება შუა საუკუნეებით. ციხეზე გაირჩევა რამდენიმე სამშენებლო ფენა (სძა 1990: 383).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი, 1986: 32; გვასალია 1983: 120, 152-154; მაკალათია 1962: 32, 41; სძა 1990: 383; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 622; ქც 1: 271,1,3; ქც 2: 317,12; ქც 4: 136,19,21,სქ.1; 344,22,25.*

ბალონა, ციხე, სასახლე (ქც 4: 376,8,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 376, 8, 11), 1797 წ. განჩინება შანშე ამილახვისა და ზაალ დავითაშვილის მამულის საქმეზე (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 25), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 43), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 279; 1964: 31, 183).

ვახუშტი ბაგრატიონი ძალიან შესახებ გადმოგვცემს: თიღვას „ჩილითო კერძ არს ძალიან. აქა არს ლითონი ვერცხლისა, არამედ უსარგებლობისათვის დაუტყვის ... ძალიანს არს ციხე და სასახლე“ (ქც 4: 376,8,11).

მდებარეობს ზნაურის მუნიციპ-ში, ზნაურიდან ჩრდილო-დასავლეთით 5 კმ-ზე, მდ. შუა ფრონეს (დას. ფრონეს მარცხენა შენაკადი) ხეობაში, თანამედროვე სოფლების ქვემო და ზემო ძალიანს ტერიტორიაზე.

ისტორიულ საბუთებში იხსენიება XVIII ს-დან. მდ. ფციასა და ფრონეს შორის, სოფ. ძალიანს მიდამოებში მოაპოვება ტყვიის კრიალა და აღმადანი (გოულდენშტედტი 1962: 279; 1964: 183). XVIII ს-ის ბოლოს ძალიანს ფალავანიშვილები ფლობდნენ.

სოფ. ძალიანსთან, ცხინვალის ზნაურისკენ მიმავალი გზის პირას 1951 წ. ბ.კუფტინმა შეისწავლა სამაროვანი, რომლის ტერიტორიაზე გაჭრილი იყო არხი. სამარხები არხის ორივე მხარეს იყო გამართული. არხის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს 6-6 სამარხი გაითხარა. 1953 წ. იმავე ტერიტორიაზე ო.ჯავახარიძემ გათხარა 1 სამარხი.

სამაროვნის დასავლეთ უბანზე მიცვალბულები დაკრძალული იყვნენ ორმოსამარხებში, რომლებზეც გამართული იყო მცირე ქვაყრილები. მიცვალბულები ესვენა მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდილოეთით ან დასავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა თითო-ორთა, ძირითადად, შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, რომელსაც მოვარდისფრო შიდაპირი აქვს; სპილენძის მარწყუისებრთავიანი საკინძი; თიხის კონუსისებრი კვირისტავი. სამარხები თარიღდება ძვ. წ. XXIV-XXIII სს-ით.

სამაროვნის აღმოსავლეთ უბანზე მიცვალბულები დაკრძალული იყვნენ მიწის ზედაპირზე და ზემოდან მცირე ქვაყრილი ჰქონდათ. მიცვალბულები ესვენა მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით დასავლეთით. სამარხებში, გარდა მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი კერამიკისა, აღმოჩნდა სპილენძის ნივთები: მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგან დამზადებული სპირალური სამაჯურები (2 ც), სასაფეთქლე რტოლური 1,5 ხვიისა (2 ც), საკინძი ბრტყელი თავით, რომლის ორივე ბოლო ვოლუტებით სრულდება, უქედო სატყვერისპირი, კავისებრი ნივთი. სამარხები თარიღდება III ათასწლეულის დასასრულითა და III-II ათასწლეულების მიჯნით.

სამაროვნის დასავლეთ უბნიდან დაახლოებით 13 მ-ის დაშორებით აღმოჩნდა 1 მ-მდე დიამეტრისა და 2 მ-მდე სიღრმის ორმოები, რომლებშიც გამოვლინდა დამწვარ მიწაში შერეული ნახშირის, ბათქაშისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ერთერთი ორმოს ძირზე დამტვრეული თიხის ჭურჭლის ქვეშ გაიწმინდა თიხით მოლესილი და გაპრიალებული იატაკი, რომელზეც დასაბამი რელიეფით გამოყვანილი ფერისებრი გამოსახულება იყო დანახილი. ბ.კუფტინის მოსაზრებით, ეს ორმოები დაკრძალვის რიტუალს უკავშირდებოდა (კუფტინი 1974: 150-152; ჯავახარიძე 1961: 203-211).

სოფლების ქვემო და ზემო ძალიანს მახლობლად შემორჩენილია შუა საუკუნეების ორი არქიტექტურული კომპლექსი: ციხესიმაგრე და ციხე-დარბაზი. ციხესიმაგრის გალავანი გვემაში ოვალური ფორმისაა. გალავანში ჩაშენებულია ოთხსართულიანი კოშკი. შეინიშნება სხვადასხვა დროის რამდენიმე სამშენებლო ფენა. უძველესი ფენა ცვეცხლსართლი იარაღის შემოღობამდე, XVI ს-დეა აგებული. მოგვიანებით, XVI-XVII სს-ის მიჯნაზე, სიმაგრე სამხრეთით გაუფართოვებიათ და მისთვის ოთხსართულიანი ნაგებობა მიუშენებიათ.

სიმაგრის მახლობლად დგას ციხე-დარბაზი. მასში შედის სასახლე, კოშკი და ეკლესია. აგურით ნაგები

სასახლე ერთსართულიან შენობას წარმოადგენდა. მასში შედიოდა ორ რიგად განლაგებული 5 ოთახი და მათ წინ მდებარე ლოჯია. სასახლეზე მიშენებულია ქვითკირით ნაგები ხუთსართულიანი კოშკი. სართულებს ერთმანეთთან აკავშირებს კედელში მოთავსებული ქვის კიბე. პირველ სართულზე მარანია, II-IV სართულები საცხოვრებელს წარმოადგენს. პირველ და მეორე სართულებს კოჭოვანი გადახურვა ჰქონდა, დანარჩენებს – კამაროვან-გუმბათოვანი. მეხუთე სართული სამი მხრიდან თაღებითაა გახსნილი. ციხე-დარბაზი თარიღდება XVI-XVII სს-ით (ზაქარაია 1988: 88-90)

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 43; გიულდენშტედტი 1962: 279; 1964: 31, 183; ზაქარაია 1988: 88-90; კუჭუტინი 1974: 150-152; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 25; ქვ 4: 376,8,11; ჯავახიძე 1961: 203-211.

ძმგპ, ძეგუ (ქვ 4: 575,24). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 575,24), XII, XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 74; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 177, 191, 264, 504, 505, 540; 1972: 252, 264, 265, 441; 1985: 635; ქრონიკები 1897: 195, 320, 324; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 256; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 56, 185, 197; 1953: 206; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 81), „დასტურდამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 532), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 108), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 55).

მდებარეობს მცხეთის მუნიციპ-ში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, მდ. მტკვრისა და ხეკორძის შესართავთან, სოფ. ძეგვის ტერიტორიაზე.

ძეგვი XII ს-ში საკათალიკოსო სოფელია (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 74). 1447 წ. გიორგი მეფემ (1446-1476), ხოლო 1559 წ. სვიმონ მეფემ (1556-1569; 1578-1600) სვეტიცხოვლის განუახლეს ძეგვის შეწირულობა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 191; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 256). 1561 წ. ლევან კახთა მეფის (1520-1574) ძე გიორგი სოფ. ძეგვთან ყიზილბაშებთან ბრძოლაში დაიღუპა (ქვ 4: 575,24). 1640 წ. ძეგვის მოურაობა ქართლის კათოლიკოსმა ქრისტეფორემ დაეთქვედინა უბოძა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 505; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 256). 1687 წ. ნიკოლოზ კათოლიკოსმა ძეგვის თავს ეკლესია ააშენა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 591; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 256). 1720 წ. ძეგვიდან 50 გლეხი-მეთოფე გამოდიოდა (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 185). 1744 წ. თეიმურაზ II-მ (1744-1762) ძეგვთან დაამარცხა ლეკები (ორბელიანი 1981: 108). 1783 წ. კათოლიკოსმა ანტონ I-მა ძეგვის მოურაობა იოანე გედონის ძეს უბოძა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 945). ძეგვზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზები, რომლებიც აკავშირებდა ქვემო ქართლს ზემო ქართლთან, ბარს მთასთან.

ამავე დროს, ძეგვი „დიდ მცხეთაში“ შესასვლელ სამეთვალყურო და საბაჟო პუნქტს წარმოადგენდა. მონღოლთა ბატონობის დროს აქ იამი (საგზაო სადგური) იყო (ბერძენიშვილი 1960: 169). ძეგვზე გადიოდა სასოფლო გზებიც: ქვათახე-კავთისხევში და ქვათახე-ნიჩბის-ძეგვში (ბერძენიშვილი 1964: 141). შიდა ქართლიდან მანგლისისკენ გზები ძეგვის ხევით გადიოდა (ბერძენიშვილი 1966: 51).

საკუთრივ სოფ. ძეგვი არქეოლოგიურად შესწავლილი არაა. ძეგვის მიდამოებში კი მრავალი არქეოლოგიური ძეგლია გათხრილი (იხ. სარკინეთი, ციხედიდი, სათოვლე-ნაბაღრები და სხვ.) სოფლის ცენტრში დგას ფლეთილი ქვით ნაგები სათოფურებიანი მრგვალი კოშკი მარნით, რომელიც ერთდროულად საცხოვრებელ და თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენდა (შემერლინგი ... 1960: 38). შუა სოფელში, შემადლებულ ადგილზე, მთავარი გზის პირას დგას გვიანი შუა საუკუნეების კარის ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (13,5X6,25 მ). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, რომლის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშია. დასავლეთ კედელში ერთი, ხოლო გრძელ კედლებში ორ-ორი თაღოვანი სარკმელია (სმა 1990: 334).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,5 კმ-ის დაშორებით, მდ. ძეგვისწყლის მარჯვენა ნაპირზე, მდებარეობს ბორას (ბოისი) დარბაზული ეკლესია (7,5X4,5 მ), ნაგები ქვიშაქვის მოზრდილი ფილებით. შესასვლელი სამხრეთითაა. კარის აღმოსავლეთით ერთი სარკმელია. ნახევარწრიული აფსიდის ორივე მხარეს მცირე ზომის სამკვეთლო და სადიაკვნა. ეკლესიაში შემორჩენილია XI-XII სს-ის მონატულობის ფრაგმენტები. ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან შემორჩენილია ლავარდნის ფრაგმენტი. ნაწილობრივ შემორჩენილია ეკლესიის რიყის ქვით ნაგები გალავანი. ეკლესია თარიღდება X სს-ით (შემერლინგი ... 1960: 35; სმა 1990: 333, 334).

სოფლის სასაფლაოს აღმოსავლეთით, ბორცვზე დგას გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია (4,34X3,28 მ), ნაგები ფლეთილი და რიყის ქვით. შესასვლელი ჩრდილოეთითაა. აღმოსავლეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლებში თითო სარკმელია (სმა 1990: 334).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, ბორცვის ფერდზე, წმინდა გიორგის ხევის მარცხენა ნაპირზე დგას დარბაზული ეკლესია (6,5X4,25 მ) ფვლაწმინდა. ნაგებია ფლეთილი, რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ერთი სარკმელია და ნიშიები. სამხრეთისა და დასავლეთის კედლებშიც თითო სარკმელია. კამარა ნახევარწრიულია. შიგნიდან ეკლესია შელესილი იყო. აღმოსავლეთის ფასადის სარკმლის ზემოთ, ფილაზე მხედრული წარწერაა, რომლის მიხედვითაც ეკლესია აუკია კათოლიკოს-პატრიარქს დომენტის 1716 წელს (სმა 1990: 334).

სოფლის განაპირას, ჩრდილოეთით, სასაფლაოზე დგას სამების გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული (12,2X6,7 მ) ეკლესია, ნაგები თლილი ქვიშაქვის კვადრებით. შესასვლელი სამხრეთით (ამოშენებულია) და დასავლეთითაა. აღმოსავლეთით ღრმა საკურთხეველია; აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელი და ნიშებია. საკურთხეველში სწორკუთხა სატრაპეზო ქვაა. დარბაზი გადახურულია კამარით. ფასადები თლილი ქვითაა მოპირკეთებული. აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის მარცხნივ, შვიდსტრიქონიანი მხედრული წარწერაა, რომელშიც მოხსენიებულია კათოლიკოსი ნიკოლოზ ამილახვარი, რომელმაც ეს ეკლესია ააგო. შემორჩენილია აუვრით ნაგები გვიანდელი ხანის სამრეკლოს ნაწილი (სძა 1990: 336).

ძეგვის სამხრეთით, სასაფლაოზე, დგას ფლეითი ქვით ნაგები და თლილი ქვით მოპირკეთებული, ღვთისმშობლის დარბაზული (10,37X6,8 მ) ეკლესია. შესასვლელი ჩრდილოეთით და სამხრეთითაა, აფსიდი ნახევარწრიულია; აფსიდაში ერთი პროფილირებული საპირიანი სარკმელი და ნიშებია. ფასადი შელესილია. ფასადზე ყოფილა ფილა მხედრული სამშენებლო წარწერით, რომლის მიხედვით ეკლესია აუგიათ ნადირ მჭედლიძესა და მის შვილს პეტრეს, ნიკოლოზ ამილახვარის კათოლიკოსად ყოფნის (1676-1700) დროს (შმერლინგი ... 1960: 38).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 30; ბერძენი-ვილი 1960: 169; 1964: 141; 1966: 51; გიულდენშტედტი 1962: 55; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 56, 185, 197; 1953: 206; ობელეანი 1981: 108; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 81; სძა 1990: 333-336; ქრონიკები 1897: 195, 320, 324; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 177, 191, 264, 504, 505, 540; 1970ა: 532; 1972: 252, 264, 265, 441; 1985: 635; ქც 4: 575,24; შმერლინგი ... 1960: 35-38; ხარაძე 1992: 39, 40.*

ამპრო, დაბა (ქც 4: 767,21, სქ. 4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 767,21, სქ. 4). იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 107, 123; 1964: 29, 31, 259).

ვახუშტი ბაგრატიონი ძეგლს შესახებ გადმოგვცემს: „ონის პირისპირ, როინის ჩდილოთ, მის კალთასა შინა, მაღლად, არს დაბა ძეგლევი. აქა ეკლესიასა შინა არს ზეთი ჭიქითა და მღუღარებს მარადის და, რაოდენ იღებენ, არ აკლს ჭიქასა მას“ (ქც 4: 767,20,21, 768,1,2).

მდებარეობს ონის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. ძეგლვის ტერიტორიაზე.

ძეგლვი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ძეგლვში დგას წმინდა გიორგის ხის ეკლესია, რომელიც აშენებულია ქვიშაქვის მცირე ეკლესიის საძირკველზე (ბოჭორიძე 1994: 251). იოჰან გიულდენშტედტი სოფელთან მიუთითებს ცხელი წყაროების არსებობაზე (გიულდენშტედტი 1962: 107).

ძეგლვის სახელით ცნობილი ერთი სოფელი მდებარეობს ახალგორის მუნიციპ-ში, ახალგორიდან 5 კმ-ის დაშორებით.

ახალგორის სოფ. ძეგლვი მოიხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 36), 1781 წ. ქსნის ხეობის აღწერის დათვრები (საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 223), 1801 წ. მოხსენება წილკნის არქივისკოპოს იოანესი ანტონ კათოლიკოსისადმი (აქტები ... 1866: 534), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 51, 275). ძეგლვში შემორჩენილია განვითარებული შუა საუკუნეების საქორის ციხე. იოჰან გიულდენშტედტი მას იხსენიებდა როგორც განადგურებულ სოფლის ნაშთს (გიულდენშტედტი 1962: 51). ახალგორის სოფ. ძეგლვი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *აქტები ... 1866: 534; ბაგრატიონი 1986: 36; ბერაძე 1983: 5, 10, 123, 124; ბოჭორიძე 1994: 251, 265; გიულდენშტედტი 1962: 51, 107, 123, 275; 1964: 29, 31, 259; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 223; საქ. ისტ. რუკა 1923; ქც 4: 767,21,სქ.4.*

ამპრო, დაბა (ქც 4: 755,6-8,11,21). ძეგრი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 755,6-8,11,21), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 430; ისტ. დოკ. 1958: 70; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 926), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 303).

ვახუშტი ბაგრატიონი ძეგრს შესახებ გადმოგვცემს: „აჯამეთის წყალს ზეთი ერთვის ძეგრის წყალი, დაბის ძეგრისაგან სახელდებული ... ძეგრს არს ხიდი ქვიტიკრისა ... ხიდს ზეთი არიან ქუაბნი დიდ-დიდნი, გამოკუეთილნი, მრავალნი, კლდესა შინა, დასავლით“ (ქც 4: 755,6-13).

მდებარეობს თერჯოლის მუნიციპ-ში, ახლანდელი სოფ. ძეგრის ტერიტორიაზე.

ძეგრში მცხოვრები ერთი კომლი იმერეთის მეფე ბაგრატ IV-მ (1660-1661) წერეთლებს გადასცა (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 430). 1739 წ. ძეგრში ჭიჭინაძეების მამული ავაიშვილებმა მიიტაცეს. ალექსანდრე V-მ (1720-1752) ეს მამული გელათის წმინდა სახულის ღვთისმშობლის შესწირა და ჭიჭინაძეებს დაუბრუნა (ისტ. დოკ. 1958: 70). XVIII ს-ში ძეგრი არგვეთის სოფელია (გიულდენშტედტი 1962: 303).

1951-1952 წწ. სოფ. ძეგრში არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ძეგრის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ნინო ბერძენიშვილი). სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. ძეგრულასა და შავი წყლის სამხმრივ ჩაკეტილ კარსტული ხეობის შუა წელზე, მდ. ძეგრულას კალაპოტიდან 18,5 მ სიმაღლეზე, ზღვის დონიდან 220 მ სიმაღლეზე გაითხარა მრავალფენიანი ძეგლი – საგვარჯილეს მღვიმე,

რომლის სიგანე შესასვლელთან 37 მ, სიგრძე 13 მ. მღვიმეში და მღვიმის წინ გამოვლინდა რამდენიმე ფენა: ზედაპალეოლითური, მეზოლითური, ენეოლითურ-ადრებრინჯაოსი, ადრე შუა საუკუნეების. ზედაპალეოლითურ ფენაში გამოვლინდა ხუთი დონე, რომლებიც სტერილური შრეებით იყო ერთმანეთისაგან გამოყოფილი. უძველეს V დონეში, 13 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ზედაპალეოლითის ყველაზე ადრინდელი საფეხურისათვის დამახასიათებელი კაჟის იარაღები და მუსტიური ტექნიკით ნაკეთები იარაღები: სახოკები, წვეტანები, ნუკლეუსები, საჭრისები, საფხეკები, მოგრძო, გვერდდაბლაგვებული ფირფიტები და სხვ. ძვლის იარაღებთან ერთად აღმოჩნდა ცხოველთა ძვლოვანი მასალაც: გარეული თხა, კეთილშობილი ირემი, ბიწური, ველური ცხენი და სხვ. საგვარჯილეს მღვიმის ზედაპალეოლითის ყველა დონეზე დადასტურდა იმ დროის კერა და მინერალური საღებავების ნაშთები (კილაძე 1953: 5, 6; საქ. არქ. 1991: 157).

მეზოლითურ ფენაში მოპოვებულ იქნა კაჟის ნაწარმი (18480 ერთეული) და პალეონტოლოგიური მასალა. იარაღის საერთო რაოდენობა 1107 ერთეულია, დანარჩენი წარმოების ნაშთებია. ფენაში აღმოჩნდა: ნუკლეუსები (კონუსური, პრიზმული, ბრტყელი და სოლისებური); სხვადასხვა ზომისა და ფორმის ანატკეც-ანამტგრევეები; ლამელები (ნაწილობრივრეტუშიანი, გვერდდაბლაგვებული და დაკბილული); საფხეკები, საჭრისები და გრავეტები. აღნიშნული მასალა მეზოლითის საწყისი საფეხურით თარიღდება (საქ. არქ. 1991: 198, 199). საგვარჯილეს მღვიმის კოლექცია დაცულია ნ.ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (თუშაბრამიშვილი, ნე-ბიერიძე 1971: 76-84).

მღვიმის ზედა ფენებში გამოვლინდა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ფენა, რომელიც მღვიმის გარეთ, ფერდობზეც ვრცელდებოდა. ენეოლით-ადრებრინჯაოს ფენა 3 პორიზონტითაა წარმოდგენილი. V (ზედა) პორიზონტის ნაწილი გვიანბრინჯაოს ხანის ჩაშვებული სამარხებითაა დაზიანებული. იატაკზე „საკურთხეველი“ კერა (დმ 1 მ) გამართული. იატაკზე აღმოჩნდა: ირმის რქის სახენელი, რქის გახვრეტილი თოხი, ძვლის სახვრეტები, სადგისები, რიყის ქვისა და ქვის გახეხილ-გაპრი-ალბული ცულები, სატყეები, სათილელები, კაჟის ორმხრივ დამუშავებული ისრისპირები, შუბისპირები, საფხეკები და საჭრისები, სერპანტინისა და მერკელისაგან დამზადებული სამაჯურები, ქილის, დერგის, ქოთნისა და სხვა ფორმის თიხის ჭურჭელი. II პორიზონტის იატაკზე აღმოჩნდა I პორიზონტის მსგავსი ქვის იარაღები, სამაჯურები, ისრისპირი და შუბისპირები, ხელსაფქვავეები, რქის თოხები, ტაფისებური, ქილისებური და ქოთნისებური თიხის ჭურჭელი და ერთი ორმო-კერა. გარდა ამისა, აღმოჩნდა: ქვისა და კაჟის საფხეკები, საჭრისები, მიკროსაფხეკები, ლამელები, ნახეხ-ნაპრი-

ალები ცულები, სატყვერისებური იარაღები; ძვლის სადგისები, ირმის რქის თოხი; ბრტყელიძირიანი (იშვიათად ქუსლიანი) თიხის ჯამები, ტაფისებური და ქილისებური ჭურჭელი.

მღვიმის გარეთ, ფერდობზე, აღმოჩნდა ლითონის ნივთები, ოთხწახანა სადგისი, ანკესები და ღერაკები. იქვე გაითხარა ორმოსამარხი, სადაც მიცვალებული დაუკრძალავთ კიდურებმობირილი, მარცხენა გვერდზე. სამარხში აღმოჩნდა: თიხის ჯამი, სანელსაცხებლის ფორმის ჭურჭელი, ბიკონუსური კვირისტავი და ქვის ცული (საქ. არქ. 1992: 252-254).

საგვარჯილეს მღვიმის დასავლეთით, 40 მ-ის დაშორებით, ზედაპირიდან 0,9 მ სიღრმეზე აღმოჩნდა პორიზონტალურად ჩაფლული ქვევრსამარხი (სიმაღლე 1 მ, დმ 0,7 მ), სადაც მიცვალებული დაუკრძალავთ კიდურებმობირილი, მარცხენა გვერდზე. სამარხში გამოვლინდა: რკინის სატყვარი რკინისავე აბზინდით; შუბისპირი; ორწილადი მშვილდსაკინძი; ვერცხლის ვარდულები; მინის მძივები (მრგვალი, ცილინდრული, ბიკონუსური და სხვ.). სამარხი ახ. წ. I-III სს-ით დათარიღდა (ფუთურიძე 1959: 62).

მღვიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1 კმ-ის დაშორებით, მდ. ძვერულას მარცხენა ნაპირას, აღმოჩნდა პორიზონტალურად დაფლული, პირით დასავლეთისკენ მიმართული ქვევრსამარხი, რომელიც დამწვარ ძვლებს შეიცავდა. სამარხში გამოვლინდა: თიხის ჭურჭელი, რკინის შუბისპირი, რკინის სამაჯური, ბრინჯაოს საკინძი, ოქროს ფირფიტა, მინისა და პასტის მძივები და სხვ. სამარხი თარიღდება ახ. წ. II ს-ით (ფუთურიძე 1959: 62).

საგვარჯილეს მღვიმეში და მღვიმის წინ, ზედა ფენებში (37X13მ) გაითხარა 90 ორმოსამარხი. 31-ში მიცვალებული დაუკრძალავთ კიდურებმობირილი, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე. სამარხებში აღმოჩნდა: ბრინჯაოსა და რკინის ბუღაბმული ორწილადი მშვილდსაკინძები, ბრინჯაოს ბეჭდები, ვერცხლის საყურე, რკინის შუბისპირები და სხვ. სამარხები თარიღდება ახ. წ. III-IV სს-ით. 45-ში მიცვალებული დაუკრძალავთ გულადმა გაშოტილი და გულხელდაკრეფილი. სამარხებში ინვენტარი თითქმის არ აღმოჩენილა. სამარხები შუა საუკუნეებისაა (ცეტიშვილი 1953: 7, 8).

მღვიმესთან ნაყარ ნიწაში აღმოჩნდა ვერცხლის ბეჭდი სარდიონის გემით, რომელზეც გამოსახულია კრატერი (ლორთქიფანიძე 1969: 149). ბეჭდი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ძვერში, მდ. ძვერულას მარჯვენა ნაპირზე, ე. წ. კორტების ვორაზე, 1997-1998 წლებში გათხრებს აწარმოებდა შ.ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის აღმოსავლეთ კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ზ. ბრაგვაძე). გათხრების შედეგად აღმოჩნდა ძვ. წ. I ათასწლეულის ორფენიანი ნამოსახლარი და გვიანანტიკური ხანის სამარხები. ნამოსახლარი ორფე-

ნიანი ძეგლია. ქვედა ფენა ზედასგან გამიჯნულია 40 სმ-ის სისქის სტერილური შრით. ქვედა ფენის სისქე 80 სმ-ია და იგი შეიცავს ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებისთვის დამახასიათებელ ტიპურ კოლხურ კერამიკულ ნაწარმს. ზედა ფენა სისქეში 120 სმ-ს აღწევს. მასში გამოვლინდა ფლეთილი ქვებით ნაგები შენობის ნაშთები, რკინის თოხი, კოლხური კერამიკისთვის დამახასიათებელი ნიმუშები (ჯამები, სასმისები, ღოჭები, დერვის ფრაგმენტები) და ატიკური შავლაკიანი კილიკის ყური (ბრაგვაძე 1998: 17-18). კორტების გორაზე სახლის მშენებლობის დროს დაუნგრევიათ ძვ. წ. IV საუკუნის სამახები. გადარჩენილია მხოლოდ 2 წითელი სამკუთხედებით მოხატული ღოჭი, რომელთაგან ერთი ინახება ჩხარის მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის მუზეუმში, ხოლო მეორე – ადგილობრივი მკვიდრის გ.მეფარიძის ოჯახში. 1996 წელს ძვერის ერთ-ერთი მკვიდრის, ჯ.ფხალაძის ეზოში შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი, რომლის ინვენტარი (ბრინჯაოს ზარაკები, ბრინჯაოს საკიდები, ვერცხლის ბეჭდის თვალბუდე, ვერცხლის ვიშრისთვლიანი ბეჭედი, ვერცხლის საკერებლები, სარდიონის თვალი, ბრინჯაოს სამაჯური და სეპტიმუს სევერუსის ვერცხლის მონეტა) არქეოლოგმა რ.ისაკაძემ გადასცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს (ბრაგვაძე 2003: 89). 1997 და 1998 წლებში ექსპედიციის მიერ კორტების გორაზე გაითხარა 8 სამარხი. მათგან 3 ორმოსამარხია, ხოლო 5 – ქვევრსამარხი. სამარხეული ინვენტარიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოს მშვილდსაკინძები, ბრინჯაოს სასფეთქლე რკოლები, ვერცხლისა და ბრინჯაოს საყურეები და საკიდები, საკერებელი ფირფიტები, ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭდები, ინტალიონები, სხვადასხვა სახის მძივები და ყელწიბოიანი, სადა და კოპებით შემკული ღოჭები. ძვერის სამარხები II-III საუკუნით თარიღდება (ბრაგვაძე 2003: 89-92). კორტების გორის ნამოსახლარისა და სამარხების არქეოლოგიური მასალა დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ.ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი), ხოლო შემთხვევით აღმოჩენილი ოქროს წყვილი მტევნისებური ფორმის

საყურე ინახება ნ.ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი ნინო 1964; ბერძენიშვილი, ფხაკაძე 1976; ბრაგვაძე 1998: 17-18; ბრაგვაძე 2003: 89-92; გიულდენშტედტი 1962: 303; გბელიშვილი 1953: 7; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 430; თუშაბრამიშვილი, ნებეირიძე 1971: 76-84; ისტ. დოკ. 1958: 70; კილაძე 1953: 561-568; 1953ა: 5, 6; კუფტინი 1950: 198, 199; ლორთქიფანიძე 1969: 149; საქ. არქ. 1959: 38, 45, 48, 58; საქ. არქ. 1991: 155-157; საქ. არქ. 1992: 252-254; ფუთურიძე 1959: 54-94; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 926; ქც 4: 755,6-8,11,21; ცქიტიშვილი 1953: 7, 8.

ქუმბანო (ქც 4: 721,26). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 721,26), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი (ქც 2: 522,8), სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (სამხ. საქ. ისტ. 1961: 48, 163), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 29, 381, 382, 396). ლოკალიზდება ყარსის ოლქის ჩილდირის მუნიციპალიტეტის მდებარეობს ჩილდირის ტბის ჩრდილოეთით, სოფ. ზურზუნას ტერიტორიაზე. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 29, 381). 1578 წ. 9 აგვისტოს ტურმანის ახლოს ბრძოლა მოხდა ირანსა და ოსმალეთს შორის (ქც 2: 522,8; სვანიძე 1971: 108). შედიოდა ჩილდირის ლივას ჯანბაზის ნაპიეში. XIX ს-ში ჩილდირის საბოლქაულოს ცენტრი იყო (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 381, 382). წყაროებში იხსენიება „ტურმანა“, „ზურზუნა“, „ზინზალ“, „ზურზუნას“ სახელითაც (სამხ. საქ. ისტ. 1961: 48, 163; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 381). ტურმანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. **ბიბლიოგრაფია:** გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 29, 382, 382, 384, 396; სამხ. საქ. ისტ. 1961: 48, 163; საქ. ისტ. რუკა 1923; სვანიძე 1971: 108; ქც 2: 522,8; ქც 4: 721,26.



ფაშკისი (ქც 4: 423,27; 514,14), იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 423,27; 514,14), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 390,9), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 46), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 21, 37), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 73), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 176; 1972: 79; 1974: 56, 119, 120, 416; 1977: 84, 607; 1981: 249, 781; 1985: 178; ქრონიკები 1897: 195, 428, 491; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 257; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 164, 165; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 143, 167; მასალანი საქ. სტატ. 1907: 5, 36; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 141).

მდებარეობს გარდაბნის მუნიციპ-ში, სოლოლაკის ხევის მარცხენა მხარეს, თანამედროვე სოფ. წავკისის ტერიტორიაზე (ლორთქიფანიძე 1935: 93).

წყაროებში პირველად XIV ს-ში იხსენიება. XV ს-ის 70-იან წლებში შედიოდა ქვემო ქართლის მეწინავე სადროშოში. წავკისი შეწირული ყოფილა ჯერ მეტენის ღვთისმშობლის ტაძრისათვის, შემდეგ მცხეთისათვის (ქრონიკები 1897: 195, 428, 491; ბერძენიშვილი 1979: 94).

წავკისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. წავკისში შემორჩენილია რამდენიმე ეკლესია. XVI-XVII სს-ის ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვითა და აგურით. XVIII ს-ით თარიღდება „კვირაცხოვლის ნიში“ (ბარნაველი 1959: 16).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 46; ბარნაველი 1959: 16; ბერძენიშვილი 1979: 94; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 85, 143, 167; ლორთქიფანიძე 1935: 93, 94, 99, 371; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 141; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 257; მასალანი საქ. სტატ. 1907: 5, 36; მესხია 1983: 659; ორბელიანი 1981: 21, 137; საქ. ეკ. ისტ. ძეგ. 1967: 164, 165; ქრონიკები 1897: 195, 428, 491; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 176; 1972: 79; 1974: 56, 119, 120, 416; 1977: 84, 607; 1981: 249, 781; 1985: 178; ქც 2: 390,9; ქც 4: 423,27; 514,14; ცხოვრება ... 1980: 73; ხარაძე 1991: 95.

ფალნეჯისა, ჭვლეწიხა (ქც 4: 778,18). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც

ტიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 778,18), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (დას. საქ. საბ. 1921: 26, 84), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 151), დონ ქრისტოფოროს დე კასტელის „ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ“ (კასტელი 1976: 176), არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ (ლამბერტი 1991: 107), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 323). ვახუშტი ბაგრატიონი ჭვლეწიხის (წალენჯიხის) შესახებ გადმოგვცემს: „ზუგდიდის აღმოსავლით, მთის ძირზედ, არს ჭვლეწიხი. ეკლესია გუმბათიანი, დიდშენობა, შუენიერი, კეთილს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიანამ ზღუამდე“ (ქც 4: 778,18-21).

მდებარეობს სამეგრელოში, მდ. ჭანისწყლის ნაპირებზე, ახლანდელი ქ. წალენჯიხის ტერიტორიაზე. წალენჯიხა შუა საუკუნეებში ოდიშის საეპისკოპოსო ცენტრი იყო (ბერაძე 1971: 55). წყაროებში იხსენიება სხვადასხვა სახელით: „ჭვლეწიხი“ (ქც 4: 778,18), „ჭალენჯიხე“ (გიულდენშტედტი 1962: 323). ხალხურ მეტყველებაში იხსენიება როგორც „წენდისა“.

წალენჯიხა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. წალენჯიხის XII ს-ის გუმბათიანი ტაძარი მდებარეობს მდ. ჭანისწყლის მარცხენა ნაპირზე. ფასადებს ამშვენებს მდიდრული ჩუქურთმები. ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მიშენებული აქვს თაღოვანი ეკვდრები. ჩრდილოეთის თაღოვანი კედლის მოვლ არშიაზე ტაძრის მშენებლების, ქრისტეს და წმინდანების ფრესკებია. XIV ს-ის ბოლოსაა მოხატული სამლოცველო დარბაზის შიდა კედლები. მხატვრობა შესრულებულია ვამეყ დადიანის მითითებით. მთავარი დარბაზის მარჯვენა სვეტზე აღნიშნულია: „ქ. პატრონისა ერისთავთ-ერისთავისა და მანდატურთუხუცესისა და დადიანისა ვამეყის“ (მიქავა 1964: 55).

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1971: 55; გიულდენშტედტი 1962: 323; დადიანი 1962: 151; დას. საქ. საბ. 1921: 26, 84; კასტელი 1976: 176; ლამბერტი 1991: 107; მიქავა 1964: 55; ქც 4: 778,18.

ფალკა, ეკლესია (ქც 4: 319,23, სქ. 1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც

4: 319,23, სქ. 1), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 70, 77), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 49), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 200, 214, 215, 219, 220), დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი დავით 1941: 29, 37, 113), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 128,23), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 257; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 103; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 929; მასალანი საქ. სტატ. 1907: 48), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 26, 282, 288, 597), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 239).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ქციის კიდევ არს ეკლესია გუმბათიანი, წალკას“ (ქც 4: 319,23, სქ. 1).

მდებარეობს თრიალეთში, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. გუნია-ყალას ჩრდილოეთ ნაწილში (ლორთქიფანიძე 1935: 103, 371; ხარაძე 1972: 70; ჩიქოვანი 1976: 34). XX ს-ის 20-იან წლებში სახელი „წალკა“ დაერქვა ხრამის ხეობაში მდებარე ეძანს. „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული წალკა ამჟამად წყალსაცავის ტერიტორიაზეა (იხ. ეძანია).

XX ს-ის 30-იან წლებში ძველი წალკის მიმდებარე ტერიტორიაზე გაითხარა რამდენიმე ყორღანი (I-XI) (იხ. აგრეთვე – ბეშთაშვინი); მათ შორის აღსანიშნავია V ყორღანი, რომელიც თარიღდება შუაბრინჯაოს ხანით. ყორღანის დიამეტრი დაახლოებით 60 მ-ია, მაქსიმალური სიმაღლე 1,5 მ. სამარხი კამერაში აღმოჩნდა ძირითადად შუაბრინჯაო ხედაპირიანი კერამიკა, ოხსიდანის ისრისპირი, სპილენძის ქვაბი, ვერცხლის თასი, სარდონისა და ე.წ. პასტის მძივები, ოქროს სამკაულების ფრაგმენტები (კუფტინი 1941; ყორჟიკაშვილი, გოგაძე 1974).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1983: 70, 77; ბაგრატიონი 1986: 49; ბაგრატიონი დავით 1941: 29, 37, 113; ბერძენიშვილი 1979: 57, 58, 121, 130; 1966: 67, 69, 70; გიულდენშტედტი 1962: 239; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 26, 282, 288, 597; დადიანი 1962: 128; ლორთქიფანიძე 1935: 103, 371; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 267; მასალანი საქ. სტატ. 1907: 48; ორბელიანი 1981: 200, 214, 215, 219, 220; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 103; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 929; ქც 4: 319,23, სქ. 1; ჩიქოვანი 1976: 34; ხარაძე 1972: 70.

წიგნები, წალკის თავი, სადგური მეფეთა (ქც 4: 156,2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 156,2), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ქც 1: 324,19), XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 210, 212;

ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 591; 1981: 103; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1970: 258; ქართულ-სპარსული ... 1984: 45), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 43).

მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტში, ლოპანისწყლის (მდ. დასავლეთ ფრონეს მარჯვენა შენაკადი) ხეობაში, თანამედროვე სოფ. წალკის ტერიტორიაზე. წალკის ისტორიულ წყაროებში იხსენიება XI ს-ის დასასრულიდან. მეფე დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) დროს წალკაში იყო „სადგომი სამეფო“ (ქც 1: 324,19). XV ს-ში ამირეჯიბებმა თავის საკუთრებაში მყოფი წალკის ულუმბის ღვთისმშობლის ტაძარს შესწირეს (ქრონიკები 1897: 210, 212). XVII ს-ში ნიკოლოზ კათოლიკოსმა წალკის სვეტიცხოველის სამწყვსოს შემაჯავრა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 591). XVIII ს-ში სოფელს ისევ ამირეჯიბები დაეუფლნენ (ქართულ-სპარსული ... 1984: 45; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 103).

სოფ. წალკის შემოგარენი მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. ამ ტერიტორიაზე შემთხვევით მოპოვებულია ბრინჯაოს 54 ნივთი: გრავირებული კოლხური ცული ყუაზე სკულპტურული გამოსახულებით; მასრაგასნილი შუბისპირი, რომლის მასრა გრავირებულია; მასრაგასნილი კავი და ორთითი; დისკოსებურთავიანი საკინძი; მასრაგასნილი შუბისპირები; სხვადასხვა ტიპის სატყერებები; ჭვირული ბალთა და სხვ. ამ ნივთებიდან 11 ერთეული დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სხვები ინახებოდა წალკის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტში. XX ს-ის 90-იან წლების დასაწყისში კაბინეტი გაიძარცვა და აქ განთავსებული ნივთები დაიკარგა (რამიშვილი 2004: 20-30).

1977 წლიდან სოფ. წალკაში არქეოლოგიური გათხრებს ატარებდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხაშურის მუნიციპალიტეტის ექსპედიცია (ხელმძღვან. რამიშვილი). დაზვერვების შედეგად გამოვლენილია რამდენიმე სამაროვანი და ნამოსახლარი. მათგან სოფ. წალკაში შესწავლილია ადგილი „მიქელაანთ ვერხვებში“ მდებარე სამაროვანი და საციხურისგორის ნამოსახლარი და სამაროვანი. სოფ. წალკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 კმ-ზე, მდ. წალკურას მარცხენა ნაპირზე, ადგილი „მიქელაანთ ვერხვებში“ მდებარე სამაროვანზე გაითხარა 150 ქვეარტილიანი ორმოსამარხი. თითოეული სამარხი გეგმაში კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმისაა. სამარხები გადახურული იყო ხის ძეგლებით. 100 სამარხი ინჰუმაციურია, 46 – კენოტაფი, 4 – დანგრეულია. სამარხები ძირითადად ინდივიდუალურია, მხოლოდ 3 სამარხში აღმოჩნდა დაკრძალული 2-2 მიცვალებული. 5 სამარხში დადასტურდა მიცვალებულთა დაკრძალვის მჯდომარე პოზიცია.

სამაროვანზე აღმოჩნდა 450-მდე სხვადასხვა ტიპის თიხის ჭურჭელი. საბრძოლო იარაღი: ბრინჯაოს სატყერები და მასრაგასნილი შუბისპირები, ობ-

სიდიანის ქუსლამოლარული ისრისპირები; ბრინჯაოს სამკაული: სხვადასხვა ტიპის საკინძები (112 ც), სამაჯურები (21 ც), სხვადასხვა ფორმის საკიდეები (90 ც), სარდიონის, გიშრის, ანთიმონის, პასტის მძივები (900 ც).

„მიქელანტი ვერხვების“ სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხებიდან 94 თარიღდება შუაბრინჯაოს ხანის დასასრულით, 52 შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ხანით, 4 გვიანი ბრინჯაოს ხანით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამაროვანზე აღმოჩენილი კვერთხის სამარხი (№94), სადაც მიცვალებული დაკრძალული იყო კვერთხის ქვეშ, თავით აღმოსავლეთისაკენ, კიდურებში თხრილი, მარცხენა ვერხვზე. სამარხში აღმოჩნდა: ორყურა და უყურო ქოთნები, კოჭობი, ბაღია და ცალყურა სასმისი; ბრინჯაოს ნივთები: რომისებურ-განიკვეთიანი ბოლოებგახსნილი სამაჯურები (2 ც), ანთიმონისთავიანი საკინძები (2 ც), ნაპირებზე ცრუგავარსაყოლებული საყურები (2 ც), ელიფსური ფორმის 1,5 ზვისებური საკიდეები (7 ც), სარდიონის, გიშრის და პასტის სხვადასხვა ფორმის რამდენიმე ათეული მძივი. სამარხი თარიღდება შუაბრინჯაოს ხანის დასასრულით (ცქიტიშვილი ... 1979: 117-130; რამიშვილი 1980: 60-67; 1981: 52-56; 1983: 5-10; 1987: 31-33; 2004).

ნამოსახლარი „საცხილის გორა“ მდებარეობს სოფ. წაღვლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კმ-ზე. იგი ხელოვნური თხრილითაა გამოყოფილი სოფლის ჩრდილოეთით მდებარე ქედისაგან. გორის სიმაღლეა 20 მ, ფართობი 30X10 მ. გაითხარა ბორცვის თხემი და გაკეთდა სადაზვერვო თხრილები გორის მიმდებარე ტერიტორიაზე. ნამოსახლარი თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით (რამიშვილი 1982: 36-378; 2004: 17).

წაღვილიდან სამხრეთით სოფ. ნაცარგორის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. ფლეულას ნაპირზე გაითხარა მრავალფენიანი ნამოსახლარი. დადასტურდა ადრებრინჯაოსა და გვიანი ბრინჯაოს ხანის ფენები. ადრე ბრინჯაოს ხანის ფენაში გამოიყო 4 სამშენებლო ჰორიზონტი, რომლებიც ძლიერ იყო დაზიანებული და მხოლოდ თიხატკეპნილი იატაკის ფრაგმენტებს შეიცავდა. I-II სამშენებლო ჰორიზონტი შეიცავდა მხოლოდ ე. წ. „მტკვარ-არაქისის კულტურისათვის“ დამახასიათებელ კერამიკას, ხოლო III-IV ჰორიზონტებში მტკვარ-არაქისის კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა ბედენური კერამიკაც. გვიან ბრინჯაოს ხანის ფენაში გამოიყო 5 სამშენებლო ჰორიზონტი. ნაგებობები ნაწილობრივად შემორჩენილი, ატარებენ ძლიერი ხანძრის კვალს. III სამშენებლო ჰორიზონტში დადასტურდა ნახევრადმიწურის ტიპის ნაგებობა, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში საკურთხეველი გაითხარა. ამავე ფენაში აღმოჩნდა ჯარგვალის ტიპის ნაგებობა.

ნამოსახლარი ვრცელდება გორის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ველზეც. გორის სამხრეთით გაივლი რამდენიმე სადაზვერ-

ვო თხრილი. ფენების სიმძლავრე 4-6 მ-ს აღწევს; ყველაზე ქვედა ფენა თარიღდება ადრე ბრინჯაოს ხანით, აქ აღმოჩნდა მტკვარ-არაქისისა და ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა. შემდეგი ფენა თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით, შეიცავს 7 სამშენებლო ჰორიზონტს. მათგან I-II ჰორიზონტი თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით. გორა ნამოსახლარის ძირთან გაგლეხულ სადაზვერვო თხრილში დადასტურდა ანტიკური ხანის ნასახლარის ფრაგმენტი (რამიშვილი 1987: 33-35; 1991: 22-25; 1995: 72-74).

ნაცარგორას ნამოსახლარის სამხრეთით აღმოჩნდა მრავალფენიანი სამაროვანი. შესწავლილია 514 სამარხი. მათგან 20 სამარხი თარიღდება ადრე ბრინჯაოს ხანით, 5 სამარხი - გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით, 151 სამარხი - გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით, 338 სამარხი - წინარე ანტიკური და ანტიკური ხანით, ძვ. წ. VIII-IV სს-ით (რამიშვილი 1995: 72-74; 2004: 18; ნარიძე 1995: 74-75).

სოფ. წაღვლასა და სოფ. ნაცარგორაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

სოფ. წაღვლის სამხრეთ-დასავლეთით 1,5 კმ-ზე, მდ. წაღვლურას მარჯვენა ნაპირზე, ადგილ გალავნებში, ნასოფლარ წაღვლისთავის ტერიტორიაზე მდებარეობს ციხე-დარბაზის ნანგრევები. თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. ციხე-დარბაზი გეგმით სწორკუთხა ნაგებობაა (40X30მ), რომელსაც ოთხივე კუთხეში ცილინდრული კოშკები ჰქონდა. შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კოშკების საძირკვლები.

1965 წ. წაღვლ-საჩხერის გზის პირას მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა სპილენძის მონეტების განძი (21 ც). მონეტები მოჭრილია მეფე ვახტანგ VI-ისა (1703-1714; 1716-1724) და ბაქარის (1717-1719) დროს. განძი ინახება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ჯვალაღანია, ღუნღუა 1974: 56-68).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 43; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1970: 258; ნარიძე 1995: 74, 75; რამიშვილი 1980: 60-67; 1981: 52-56; 1982: 60-65; 1983: 5-10; 1987: 31-33; 1991: 22-25; 1995: 69-74; 2004; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 591; 1981: 103; ქართულ-სპარსული ... 1984: 45; ქც 1: 324,19; ქც 4: 156,2; ცქიტიშვილი ... 1979: 117-130; ჯვალაღანია, ღუნღუა 1974: 56-68.

წმინდა (ქც 4: 342,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერის სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 342,20; 344,1; 466,7; 854,5), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 349,7,17, 506,17), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 7), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1909: 129; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 258; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 247, 275; მასალები საქ. ეკ. ისტ.

1955: 214; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 22, 680; 1985: 136), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 31).

მდებარეობს გორის მუნიციპ-ში, მდ. ათრევას ნაპირზე.

წედისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. წედისი ამჟამად ნასოფლარია, სადაც შემორჩენილია ნამოსახლარები და ეკლესიის ნანგრევები. წედისის ციხეს უკავია მოზრდილი ფართობი. ციხის კედლები ნაგებია კლდის დიდი ლოდებით კირხსნარზე. ციხის სამხრეთი ნაწილი დანგრეულია. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედელი მომრგვალებულია. ეტყობა იგი საბრძოლო კოშკს წარმოადგენდა. კოშკს აქვს კარი, რომელიც ციხის ეზოში გადის. ციხის მოედანი შემოზღუდული ყოფილა ქვიტიკრის მაღალი გალავნით. გალავანში მდებარეობს წმინდა გიორგის ეკლესია (მაკალათია 1957: 13).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 31; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 247, 275; ვორგიჯანიძე 1926: 7; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 258; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 214; მაკალათია 1957: 13; საქ. სიძ. 1909: 129; 854,5; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 22, 680; 1985: 136; ქც 2: 349,7,17, 506,17; ქც 4: 342,20; 344,1; 466,7.

წედისი, დაბა, ციხე (ქც 4: 766,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 766,21), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 78), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 105, 107, 121, 291; 1964: 29, 153, 183, 259).

მდებარეობს ონის მუნიციპ-ში, კუდაროს ქედის დასავლეთ კალთაზე, მდ. ჯეჯგორის ხეობაში.

1958 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ზემო რაჭისა და სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ალ.კალანდაძე) დაზვერვები ჩაატარა სოფ. წედისის მიდამოებში. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, წედისის ბორცვზე შევსრვილ იქნა კაჟისა და ობსიდიანის მრავალრიცხოვანი ინვენტარი. მათში გამოირჩევა საფხეკები, საჭრისები, მიკროლაშქლები და ანატაკ-ანამტივრეები. მასალის თარიღი განისაზღვრა ადრეული ნეოლითით (კალანდაძე 1959: 5).

წედისიდან ცნობილია ანტიკური ხანის ბრინჯაოს ბალთა, რომლის ჩარჩო შესრულებულია წნული ორნამენტით. ბალთაზე გამოსახულია ჯიხვი, რომელსაც კედზე აზის ფრინველი და გველი. ბალთის ზომაა 13X12,5 სმ. ნივთი ინახავდებოდა წედისის ეკლესიაში. ბალთა ინახება ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ხიდაშელი 1972: 113).

წედისის ციხე დღეისათვის მთლიანად დანგრეულია. სოფლის განაპირას დგას ადრე შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 78; გიულდენშტედტი 1962: 105, 107, 121, 291; 1964: 29, 153, 183,

259; კალანდაძე 1959: 5; ქც 4: 766,21; ხიდაშელი 1972: 113.

წვეპა, ეკლესია (ქც 4: 758,4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 758,4), XVIII ს-ის ქართული ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 258; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 263, 378), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 299, 303).

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ძირულას ჩდილოთ და შორაპნის აღმოსავლით, არს წევას ეკლესია წმინდისა გიორგისა, სასწაულთ-მომქმედი“ (ქც 4: 758,3-5).

მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპ-ში, მდ. ძირულას მარჯვენა მხარეს, სოფ. ზედა წევასა და ქვედა წევას ტერიტორიაზე (ცქიტიშვილი 1964: 72).

XV ს-ში სოფელს მაჭავარიან-სიქლურიშვილები ფლობდნენ (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1964:258).

წვეპა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

წვეპაში შემორჩენილია წმინდა გიორგის დარბაზული (14,9X10,65 მ) ეკლესია. ნაგებია თლილი ქვით. შემორჩენილია ასომთავრული წარწერისა და მოხატულობის ფრაგმენტები. ეკლესია განახლებულია 1863 წელს.

ბიბლიოგრაფია: ბოჭორიძე 1995: 145, 146, 248; გიულდენშტედტი 1962: 299, 303; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 258; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 263, 378; ქც 4: 758,4; ცქიტიშვილი 1964: 72, 73.

წვისი, დაბა (ქც 4: 765,4,16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 765,4,16), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 150), 1737 წ. ლიხთ-იმერეთის რუკა (ბურჯანაძე 1959: 197), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 109, 111, 113, 121, 127, 291; 1964: 25, 223), ტოლოჩანოვისა და იველევის იმერეთის სამეფოში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა (პოლიევქტოვი 1926: 184), ჟაკ ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 197).

ვახუშტი ბაგრატიონი წვისს შესახებ ვადმოგვეცემს: ხიდისკარის „ნეთი არს წვისი, დაბა კარგი. აქა იტყვიან ვერცხლის ლითონს. აქავ რიონის კიდეზედ, არს ნინიას ციხე, კლდესა ზედა შენი“ (ქც 4: 765,4-6).

მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპ-ში, ამბროლაურიდან 5 კმ-ის დაშორებით, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. წვისის ტერიტორიაზე.

განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში წვისი იყო რაჭის ერისთავთა რეზიდენცია, სადაც იდგა სასახლე, ციხე და კარის ეკლესია (ბერაძე 1983: 7, 11). 1768 წ. იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784) წვისიდან მინდა ციხეში მყოფ რაჭის ერისთავ როსტომს ეომებოდა (გიულდენშტედტი 1964: 223). სოფ. წვისი XVIII ს-ში საწერეთლოში შედი-

ოდა. 1769 წ. რაჭის საერისთაოს გაუქმების შემდეგ სოლომონ I-მა წესი წერეთლებს უბოძა (სოსელია 1981: 86, 87).

წესი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. XX ს-ის 20-იან წლებში სოფ. წესის მიდამოებში გ. ბოჭორიძემ აღწერა ხუთი ეკლესია: 1. სოფლის დასავლეთით დგას ველეთის წმინდა გიორგის დარბაზული ტიპის ეკლესია (5,7X7 მ). ეკლესიის ვარცხლილი მოჭედილ წმინდა გიორგის ჯვარზე წარწერაა: „წმ. გიორგი შეიწყალე ხევი წესისაი“ (ბოჭორიძე 1994: 169); 2. კვარაცხის მთავარანგელოზის ეკლესია ადრე ხის იყო (უვაროვა 1894: 120), შემდეგში ქვითკირით აუშენებიათ. 1991 წ. მიწისძვრის შედეგად კლდე, რომელზედაც იდგა კვარაცხის და ეკლესიის მთლიანად დაიშალა (გიორგაძე 1991: 69, 70); 3. სოფ. წესის ვარდისუბანში ანუ სავარდუ გორაზე დგას წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია (5X3 მ). კარი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. დასავლეთის კარის თავზე, ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებულია პაატა გოცირიძე, როგორც ეკლესიის შემამკობელი. წარწერა XVI-XVII სს-ით თარიღდება. ეკლესიაც ამ პერიოდშია აშენებული (ბოჭორიძე 1994: 170); 4. ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესია დგას ერისთავების ეზოში. ეკლესია გუმბათიანია. ნაგებია თლილი ქვით. გვერდში სწორკუთხედიან (ბერიძე 1974: 174). აგებულია 1753 წ. როსტომ რაჭის ერისთავის დაკვეთით, ხუროთმოძღვარ ავთანდილ შულავრელის მიერ. ამას გვაუწყებს აღმოსავლეთის სარკმელის თავზე ჯვრის ქვეშ ამოკვეთილი მხედრული წარწერა (ბოჭორიძე 1994: 171-174). ეკლესიას კარი აქვს დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. აღმოსავლეთ კედელზე გამოკვეთილია ჩუქურთმიანი ჯვარი. კანკელი ხისაა. სამივე კარის თავზე ამოკვეთილია ასომთავრული და მხედრული წარწერები, სადაც მოხსენიებულია როსტომ რაჭის ერისთავი, რომელმაც 1753 წ. აღაშენა ბარაკონის ეკლესია. ეკლესიის შიგნით კანკელის წინ, სამხრეთის მხარეს ჩუქურთმებით შემკული საფლავის ქვაა. მისი მხედრული წარწერა იუწყება, რომ იქ განისვენებს 1766 წ. გარდაცვლილი ეკლესიის ამშენებელი როსტომ რაჭის ერისთავი (ბოჭორიძე 1994: 174); 5. ბარაკონის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით კუთხის გასწვრივ ძველი ბარაკონის ნანგრევებია, რომელიც აშენებული ყოფილა შირიმის ქვით. ეკლესია დარბაზული იყო (6,4X3,2 მ).

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1983: 7-11; ბერიძე 1974: 174; ბოჭორიძე 1994: 168, 177, 184, 270; ბურჯანაძე 1959: 177-179; გამბა 1987: 197; გიორგაძე 1991: 69, 70; გიულდენშტედტი 1962: 109, 111, 113, 121, 127, 291; 1964: 25, 273; დადიანი 1962: 150; პოლიევქტოვი 1926: 184; სოსელია 1981: 86, 87; უვაროვა 1894: 120, 121; ქც 4: 765,4,16.

წიგნების ციხე (ქც 4: 139,13; 144,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც

4: 139,13; 144,8), მატიანე ქართლისა (ქც 1: 277,8; 292,7), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქც 1: 385,34), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 127). ლოკალიზდება ისტორიულ შავშეთში. მდებარეობს შავშეთის წყლისა და შავშურის შესართავიდან დასავლეთით (საქ. ისტ. რუკა 1923). ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში. 988 წ. დავით III კურაპალატთან დამარცხებული ბაგრატ III-ის (975-1014) მამა გურგენი შეეხიზნა წყფთის ციხეს (ქც 1: 277,8; ქც 4: 139,13). 1028 წ. ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე VIII-მ დიდძალი ლაშქარი გამოგზავნა საქართველოს წინააღმდეგ ნიკიტა პარკიმანოსის ხელმძღვანელობით. ქართველმა აზნაურებმა უღალატეს მეფე ბაგრატ IV-ს (1027-1072) და მტერს გადასცეს წყფთის ციხე (ქც 1: 292,7, 385,34). მატიანე ქართლისა ციხეს ერთ ადგილას „წერეთის ციხის“ სახელით მოიხსენიებს (ქც 1: 292,7). წყფთის ციხესთან გაივლიდა შავშეთის წყლის ხეობაში მიმავალი გზა, ამდენად მას სტრატეგიული ადგილი ეჭირა (ბერძენიშვილი 1966: 92). წყფთის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. **ბიბლიოგრაფია:** ბერძენიშვილი 1966: 92, 95, 107; დადიანი 1962: 127; საქ. ისტ. რუკა 1923; ქც 1: 277,8, 292,7, 385,34; ქც 4: 139,13, 144,8; ჯავახიშვილი 1983: 64, 127, 138.

წიგნების ციხე (ქც 4: 374,14,16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 374,14,16), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 138; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 444, 511), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 42). მდებარეობს ქარელის მუნიციპ-ში, ქარელიდან 7 კმ დაშორებით, მდ. აღმოსავლეთის ფრონის მარჯვენა ნაპირზე. წვერი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. წვერთან, კვერნაქის სერზე ყორღანია. ამ ადგილს სისხლის ჯვარს უწოდებენ. ბორცვს შემოვლებული აქვს რიყის მოზრდილი ქვებით ნაგები წრიული ზღუდე. მდინარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შემალდებულ ადგილზე შუა საუკუნეების ნასახლარია, სადაც ზედაპირულად იკრებება თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატყეხები. თხემის თავზე წვერის სამების ეკლესიის ნანგრევებია. ეკლესია გალავნით ყოფილა შემოზღუდული (სძა 1990: 411). **ბიბლიოგრაფია:** ბაგრატიონი 1986: 42; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 272; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 138; მასალები საქ. ისტ. ველო, 1964: 259; სძა 1990: 411; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 444, 511; ქც 4: 374,14,16.

წიგნების ციხე (ქც 4: 329,12). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 329,12), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 67), XVIII ს-ის ქვემო ქართლის სტატისტიკური აღწერის მასალები (მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 119, 120), იესე ოსეს ძის „თავგადასავალი“ (თავგადასავალი ... 1913: 6). მდებარეობს თეთრი წყაროს მუნიციპ-ში, მდ. ვერეს მარჯვენა მხარეზე, დრეს აღმოსავლეთით და კვერეთის დასავლეთით (ლორთქიფანიძე 1935: 371). წვერის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: თავგადასავალი ... 1913: 6; ლორთქიფანიძე 1935: 371; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 119, 120; ორბელიანი 1981: 67; ქვ 4: 329,12; ხარაძე 1991: 109.

წილკანო, სოფელი, მონასტერი (ქვ 1: 125,17; ქვ 4: 117,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქვ 1: 125,17, 131,10), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქვ 1: 212,10,17, 21, სქ. 2), მატჩანე ქართლისა (ქვ 1: 311,10), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 117,14; 351,16, 20,სქ.2; 506,4,5), მოქცევაი ქართლისაი (მქ 1963: 91), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 34) ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 132,14), XII, XV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 259; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 16, 396; 1970: 560, 563; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 57), ეპისტოლეთა წიგნი (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 97), გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 207).

მდებარეობს მცხეთის მუნიციპ-ში, მდ. ნარეკვავის მარცხენა ნაპირზე დღევანდელი სოფ. წილკანის ტერიტორიაზე. წილკანი აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სოფელია. მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, აქ თავს იყრიდა ქართლ-კახეთისა და ერწოს გზები (ბერძენიშვილი 1964: 421). 506 წ. დვინის საეკლესიო კრებას ესწრებოდა წილკანის ეპისკოპოსი ენოქეი (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 97). წილკანში მოღვაწე ეპისკოპოსთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ისე წილკნელი (VI ს), რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის მთიელთა ეპარქიისტიანების საქმეში. მასვე მიეწერება წილკანის რუს გამოყვანა (ქვ 1: 212,10,17,21). 1069 წ. ბაგრატ IV-მ (1027-1072) წილკანთან დაამარცხა განძის ამირა ფალღონი (ქვ 1: 311,10). 1723 წ. ვახტანგ VI წილკანთან შეებრძოლა ლეკთა ჯარს (ქვ 4: 506,4,5).

1951 წ. წილკანში შემთხვევით აღმოჩნდა სამარხი, რომელშიც სხვა ნივთებთან ერთად გამოვლინდა ოქროს გულსაკიდი ამეთვისტოს თვალით. თვალზე გამოსახულია მენადის ბოუსტი პროფილში, ხოლო ამოწმებულ ქვედაპირზე ჩაჭრილია ბერძნული მთავრული ასოებით შესრულებული ვრცელი წარ-

წერა, რომლისგან მხოლოდ მცირე ნაწილი იკითხება: „უფალო ქტიროსი, მატარებელი (ამ ნივთისა) შეიწყალე სასიკეთოდ და საბედნიეროდ.“ წარწერა თარიღდება III-IV სს-ით (ყაუხჩიშვილი 1955: 211-218). სოფლის ტერიტორიაზე გამოვლენილია სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები. მდ. ნარეკვავის მარცხენა ნაპირზე, ე. წ. „წილკანის გორაზე“ აღმოჩნდა გვიანი ბრინჯაოს ხანის ქვამიწაყრილიანი ყორღანი (სმა 1990: 342).

1979 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ა. აფაქიძე) სოფლის აღმოსავლეთით, 1,5 კმ-ის დაშორებით შე-ისწავლა IV-V სს-ის აკლდამა. აკლდამა გვეგვით ოთხკუთხაა. ჩადგმულია საგანგებოდ ამოჭრილ ქვაბულში. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. ნაგებია გათლილი ქვიშაქვის ქვებით კირხსნარზე. შედგება დასაკრძალავი დარბაზისა და დრომოსისაგან. შემოვლებული აქვს რიყის ქვითა და კირხსნარით ნაგები სამაგრი კედელი. დასაკრძალავ დარბაზში (3,45X3,25X2,88 მ) შესასვლელი აღმოსავლეთიდანაა. 13 საფეხურიანი კიბე ჩადის 2,2 მ სიგრძის დერეფანში. დასაკრძალავ დარბაზს აქვს თლილი ქვით ნაგები ნახევარწრიული თალი. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების გასწვრივ ტახტრეგნებია. მასზე ერთმანეთისაგან ბორღით გამოყოფილი სამარხებია, სადაც ქრისტიანული წესით (გულაღმა გაშთობილი, თავით დასავლეთით) დასვენებული იყო სულარაში ვახვეული 8 მამაკაცის ჩონჩხი. აკლდამა გამარცხვულია. აკლდამის კედლებზე შემორჩენილია ჯვრის გამოსახულებები, აგრეთვე წითელი და შავი საღებავით შესრულებული ოთხწკარანი ბერძნული წარწერა: „მე ტიკასმა და ბერმა, ჩემმა ამაზ ფარანუს-ესმა გავაკეთეთ ეს აკლდამა თლილი ქვებისაგან ჩვენთვის. პაპროუპასი (?) ისდიგერდესი (?) ასევე აქ განისვენებენ“ (ყაუხჩიშვილი 1982: 134-148). აკლდამის გვერდით გამოვლინდა გვიანანტიკური ხანის ორმოსამარხები და ქვის სამარხები, რომლებშიც მიცვალებულები დაკრძალული იყო ქრისტიანული წესით, თიხის სარეგულზე. აკლდამის დასავლეთით 3 მ-ის დაშორებით აღმოჩნდა ეკლესიის (7,15X5,5 მ), ხოლო ჩრდილოეთით, 22 მ-ის დაშორებით რიყის ქვით ნაგები ზღუდის ნაშთი (აფაქიძე ... 1982: 199-202; ნიკოლაიშვილი 1983: 35-41).

სოფლის ცენტრში დგას ელვისმშობლის ტაძრის კომპლექსი. მასში შედის ეკლესია და ციხე-გალავანი. ლეონტი მროველის ცნობით, IV ს-ში მეფე ბაქარ მირიანის ძემ აქ ააგო ეკლესია, რომელიც შემდგომ გახდა საეპისკოპოსო ცენტრი (ქვ 1: 131,10, სქ. 1). დარბაზული ტიპის ეკლესია V-VI სს-ში გადაუკეთებიათ სამნავიან ბაზილიკად, რომელიც განვითარებულ შუა საუკუნეებში გადაუკეთებიათ გუმბათიან ეკლესიად. შემდგომში (XVI-XVII, XIX სს) მან რამდენჯერმე განიცადა გადაკეთება (ბერიძე 1982: 111). დღეისათვის შემორჩენილი ტაძარი ნაგებია გათლილი ქვიშაქვის კვადრებით. ზოგიერთ მონაკვეთში გამოყენებულია რიყის ქვა, აკური და ორნამენტირე-

ბული ქვათილები, რომლებიც ჩამწეპული უნდა იყოს გადაკეთება-აღდგენის დროს. ტაძარს აქვს 3 შესასვლელი. აფსიდა ნახევარწრიულია. გუმბათის ყელი ებჯინება 4 თავისუფლად მდგარ ბურჯს. გუმბათში 12 სარკმელია. სამხრეთის კარიბჭეს აღმოსავლეთიდან ეკვრის მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, ნახევარწრიული აფსიდითა და 2 ნიშით. ეკლესია კარით უკავშირდება ტაძრის სამხრეთ ნაეს. ტაძარში შემორჩენილია XV-XVIII სს-ის მხატვრობის ფრაგმენტები. გალავანი (58X72 მ) ნაგებია რიყის ქვით. წყობაში გამოყენებულია აგური და ტაძრის ორნამენტირებული ქვები. კედლებში დატანებულია სათოფურები. კუთხეებში დგას წრიული კოშკები, რომელთაგან სამხრეთისა სამხრეთულისაა, დანარჩენები - ორსართულიანი. ყოველ სართულზე ნიშები, სათოფურები და ბუნარია. კოშკებში შესასვლელი ეზოს მხრიდანაა. სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკზე XIX ს-ში დაუშენებიათ სამრეკლოს ექვსწახანა ფანჯატური. აგურის თაღიანი შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთიდანაა. აგებული უნდა იყოს XVIII ს-ის მეორე ნახევარში.

ბიბლიოგრაფია: *ანდლულაძე 1984: 67-74; ავაქიძე ... 1982: 199-218; ბაგრატიონი 1986: 34; ბერიძე 1982: 109-119; ბერძენიშვილი 1964: 367-426; გიულდენშტედტი 1962: 207; დადიანი 1962: 132; ეპისტოლეტა წიგნი 1968: 97; იოსელიანი 1843: 43; ლორთქიფანიძე 1961: 25-29; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 259; მენაბდე 1962: 218-236; მესხია 1983: 232, 234; 1986: 300, 370; მქ 1963: 91; ნიკოლაიშვილი 1980: 411, 412; 1983: 35-41; რჩულიშვილი 1985: 116-123; სძა 1990: 342; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 16, 396; 1970: 560, 563; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 57; ქს 1: 125,17, 131,10; 212,10,17,21,სქ.2; 311,10; ქს 4: 117,14; 357,16,18,20,21; 506,4,5; ყაუხჩიშვილი 1955: 211-218; 1982: 134-148; ცერაძე 1990: 48-58; 2001; ცხვილოვ-კარბელაშვილი 1894: №6.*

წინარეხი (ქვ 4: 341,2,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 341,2,3), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30), XI, XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 195, 450; დოკ. საქ. ისტ. 1940: 184; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 11, 13, 21; 1955: 353; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 260; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 10; 1970: 177, 217, 783; 1972: 252, 348, 441; 1974: 368; 1985: 875), „დასტურლამალი“ (ქართ. სამ. ძეგ. 1965: 278). მდებარეობს კასპის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. წინარეხის ადგილზე. წინარეხი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. წინარეხში შემორჩენილია რამდენიმე ეკლესია, ციხე და კოშკი: წმინდა თევდორეს დარბაზული (6,75X4,3მ) ეკლესია დგას სოფლის ჩრდილოეთით. ნაგებია ქვისა და აგურის შერეული წყობით. აფსიდა ნახევარწრიულია. აქვს შესასვლელი სამხრეთიდან და 2 სარკმელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის

კედლებზე. თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით (მგალობლიშვილი 1990:219).

ელიას დარბაზული ეკლესია (7X5 მ) დგას სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 2 კმ მანძილზე. ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. თარიღდება X-XI სს-ით (მარჯანიძე 1990: 212). მალაანთ ეკლესია, ბეთლემის ღვთისმშობელი, დარბაზულია (12,2X10,6 მ). დგას სოფლის სამხრეთით 2,5 კმ-ის დაშორებით. ნაგებია ქვათილებით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. სამხრეთ-დასავლეთით მიშენებული აქვს ეგვტერი. შემორჩენილია 2 სხვადასხვა პერიოდის რელიგიური შინაარსის მოხატულობის ფრაგმენტები და ნიკოლოზ მაღალაძის ღვთის, ელენეს გამოსახულება. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ორი მხედრული წარწერაა. მათგან ერთი სამშენებლო ხასიათისაა: „ქ. მე მონამან [ლთ] სამან ნიკოლოზ ქადაგმან მაღალაძემ ვიწყე შენებად მეოხედ წმიდისა ამის ტაძრისა ყოვლად წმიდისა დედაშულისა ღვთისა ჩემის ელენეს შესანდობლად და მამის ჩემის მოსახსენებლად ქორონიკონსა ტნიე ივლისსა ვ.“ მეორე წარწერა პირველის ქვემოთაა: „დამბადებელი შეიწყალე ნიკოლოზ მაღალაძის დედა ელენე და მამა პაპუა, ქორონიკონი ტნიზ“ (1679 წ.) (ბერიძე 1947: 199; მაკალათია 1960: 23, 24). კანკელზე XVII ს-ის ბერძნული წარწერებია, რომელთაგან ერთში მოხსენიებულია ნიკოლოზ მაღალაძის დედა ელენე (მელიქსეთ-ბეგი 1925: 137; ყაუხჩიშვილი 1951: 202, 203). ეკლესია თარიღდება XII-XIII სს-ით (ბერიძე 1959: 212).

ეკლესიის სამხრეთით მდგარი სამსართულიანი სამრეკლო ვეგმაში კვადრატულია (5X5 მ). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. სამხრეთ ფასადზე არსებული წარწერის მიხედვით, სამრეკლო აგებულია 1716 წ. რევავ სახლთუხუცესის შვილის, სოლომონ მაღალაძის მიერ. კომპლექსი შემოსაზღვრულია გალავნით, რომელში შესასვლელიც სამრეკლოს პირველი სართულია. გალავნის შიგნით ორსართულიანი მეორე სამრეკლოცაა (3,72X3,7 მ). შესასვლელი აღმოსავლეთიდანაა. ინტერიერში შემორჩენილია რელიგიური შინაარსის მოხატულობის ფრაგმენტები, შესასვლელის თავზე კი მაღალაძეთა დაზიანებული პორტრეტებია. სამრეკლო თარიღდება XVI-XVII სს-ით (დედარიანი, ჭვიშვილი 1990: 216, 217).

პაპუა მაღალაძის კოშკი დგას „მალაანთ ეკლესიის“ კომპლექსის ტერიტორიაზე. კოშკი ოთხსართულიანია (სიმაღლე 13 მ), ვეგმაში კვადრატული (6X6 მ). ნაგებია ფლეთილი ქვითა და აგურით. შესასვლელი აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ყველა სართულზე გაკეთებულია სათოფურები, ხოლო I, II და IV სართულებზე ბუნრებია. კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფასადზე სამშენებლო წარწერაა, რომლის მიხედვით, კოშკი 1679 წ. აუგია მამა-შვილ პაპუა და ნიკოლოზ მაღალაძეებს (ბერიძე 1947: 197).

ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (8,42X5,5 მ) დგას სოფლის ცენტრში. აფსიდა ნახევარწრიულია. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. აღმოსავლეთის ფასადზე ასომთავრული წარწერაა: „სახელითა ღმრთისათა და მეოხებითა წმიდისაი სიონისა ღმრთისმშობელისათა, ღირს ვიქმენ მე ცოდვილი ტფილელ მთავარეპისკოპოზი ბარნაბა ფავლენიშვილი აღშენებად წმიდისა ამის ეკლესიისა სალოცველად და სადიდებლად მეფეთ მეფისა სვიმეონისთვის და საღმრთოდ ცოდვილისა სულისა ჩემისათვის ქორონიკონს სოფ დასაბამითგან კობ“ (1588 წ.) (ბერიძე 1943: 606). სამხრეთის კედლის წარწერა ძნელად იკითხება. ეკლესიაში შემორჩენილია მიხატულობის ფრაგმენტები. ეკლესიის დასავლეთ კედელზე მიდგმულია კოშკი. ორივე ნაგებობა საერთო ორფერდა სახურავითაა გადახურული. ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით დგას სამრეკლო. ეკლესიას შემოვლებული ჰქონია გალავანი, რომლის მხოლოდ სამხრეთი ნაწილია შემორჩენილი. თარიღდება XVI ს-ით (დვალა 1990: 218, 219).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 30; ბარნაველი 1959: 74; ბაქრაძე 1875: 149; ბერიძე 1943: 605-612; 1947: 195-217; 1959: 205-219; ბერძენიშვილი 1966: 50; ბოჭორიძე 1936: 56; გვასალია 1983: 21; დედარაიანი 1978: 90-96; დედარაიანი, ჭვიშვილი 1990: 216-218; დვალა 1990: 212, 213; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 184; იოსელიანი 1848: 118-121; კანდელაკი 1898: 89-91; მაკალათია 1960: 19-23; მარჯანიძე 1990: 212; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 11, 13, 21; 1955: 353; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 260; მგალობლიშვილი 1990: 212, 219; მელიქიეთ-ბეგი 1925: 129-145; სტრელეცკი 1917: 133; ქრონიკები 1897: 195, 450; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 10, 278; 1970: 177, 217, 783; ქვ 4: 341,2,3; ყაუხჩიშვილი 1951: 200-208; ხარაძე 1992: 44.*

წიგნები, ციხე (ქვ 4: 360,19, სქ. 3). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 360,19, სქ. 3). მდებარეობს ახალგორის მუნიციპ-ში, მდ. ჭურთის-ხევისა და ცხრაწყაროს შესართავთან (ხარაძე 1992: 96). სხვა მოსაზრებით, წინკიბე მდ. ჭურთის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ვაგვიან მდგარი ციხე უნდა იყოს (ზაქარაია 1962: 69, 70). ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, წინკიბე „ფრიად მაგარი“ ციხე ყოფილა (ქვ 4: 360,19). წინკიბე შედიოდა ქსნის საერისთავოში და ეკუთვნოდა იმ გზას, რომელიც ლომის-ოხირის გადმოსასვლელით ქსანზე გადმოდიოდა (გვასალია 1967: 32). წინკიბეში ვამაგრებულია 1720 წ. გაზაფხულზე ვანტანე VI-ის (1716-1724) წინააღმდეგ აჯანყებული ქსნის ერისთავი შანშე (გვრიტიშვილი 1955: 318; ზაქარაია 1962: 69, 70). წინკიბე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ციხე აღმართულია მდ. ცხრაწყაროს მარცხენა ნაპირზე. გვემით ოთხკუთხაა. ნაგებია კლდის ფლე-

თილი ქვითა და დულაბით. წინკიბე ზურგანნი კოშკების ტიპს მიეკუთვნება. დღეისათვის დაზიანებული კოშკი თავდაპირველად ექვსსართულიანი ყოფილა. უკეთაა შემორჩენილი აღმოსავლეთის კედელი. კოშკის წინ გრძელი კედლის ნანგრევებია, რომელიც ალბათ ციხის ზღუდე უნდა ყოფილიყო. ციხე თარიღდება IX-X სს-ით (ზაქარაია 1962: 69, 70; გვასალია 1967: 32).

ბიბლიოგრაფია: *გვასალია 1967: 32; 1983: 77, 78; გვრიტიშვილი 1955: 318; ზაქარაია 1962: 69, 70; მაკალათია 1968: 96; ქვ 4: 360,19,სქ.3; ხარაძე 1992: 96.*

წიგნები (ქვ 4: 663,1). წინუბანი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 663,1), XIII-XV სს-ის ისტორიული საბუთები (სამხ. საქ. ისტ. 1982: 42; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 260), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 113, 137), ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი (ჩილდირის ... 1979: 175). მდებარეობს ახალციხის მუნიციპ-ში, წინუბნის წყლის ხეობაში, ბორჯომ-ახალციხის გზატკეცილიდან დაახ. 3 კმ-ის დაშორებით, სოფ. წინუბნის ტერიტორიაზე.

XVI-XVII სს-ში შედიოდა ახალციხის ლივას აწყურის ნაპირში. ცნობილია სამკურნალო მინერალური წყლებით (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 137; ჩილდირის ... 1979: 175; ბოჭორიძე 1992: 38).

წინუბანში შემორჩენილია საბაჟო შენობის კედელი და დაზიანებული კოშკი, რომლის ტერიტორიაზე ნაპოვნია 2 სხვადასხვა ზომის (43X23X5სმ; 45X23სმ) ქვა მლოცველთა სულის მოსახსენიებელი ასომთავრული წარწერით (ბოჭორიძე 1992: 44, 45).

ბიბლიოგრაფია: *ბოჭორიძე 1992: 14, 38, 44, 45, 249; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 113, 137, 141; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 260; სამხ. საქ. ისტ. 1982: 42; სიხარულიძე 1964: 153; ქვ 4: 663,1; ჩილდირის ... 1979: 169.*

წიგნები (ქვ 4: 327,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 327,6; 330,15; 620,12), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქვ 2: 408,19), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1909: 203; 1910: 298, 382; 1920: 386; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 101; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 280; 1970: 624, 929; 1970ა: 679, 698, 703, 798, 721; 1972: 152, 170, 229, 515; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 253; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 261; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 54), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 56, 152), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 47). მდებარეობს თეთრი წყაროს მუნიციპ-ში, თეთრი წყაროდან 12 კმ-ის დაშორებით, მდ. ალგეთის ხეობაში.

1625 წ. მარაბდის ბრძოლის წინ ყიზილბაშთა

ჯარი წინწყაროს მდგარა (ქც 2: 408,19). ვახუშტი პაგრატიონი წინწყაროს მცირე ქალაქს უწოდებდა (ქც 4: 327,6). XVIII ს-ის 70-იანი წლებსათვის მტრების განუწყვეტელი თარეშის გამო წინწყაროს საეპისკოპოსო მოსახლეობისაგან დაცლილა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 929).

1940 წ. სოფ. წინწყაროს მახლობლად შემთხვევით აღმოჩნდა სამარხი მდიდარი ინვენტარით, რომლის ერთი ნაწილი მოხვდა ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. სამარხი აღმოჩენილია მიწის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე. ის წარმოადგენდა მცირე ზომის (1X0,8მ) ქვის სამარხს. კედლები ნაგები იყო თითო ქვისაგან. გადახურული ყოფილა ერთი ქვით. სამარხში დიდი რაოდენობით მოყვანილობისაა. შემკულია მარჯვენა პროფილში გამოსახული ფრინველის 21 ფიგურის მწკრივით. ფირფიტას უკან, ცალ მხარეს, შემორჩენილი აქვს ყუნწი. მეორე ყუნწი აკლია. თვალისაფარი ფირფიტაც რომისეგურია. ზურგზე შემორჩენილი აქვს ყუნწი. აკლია მეორე ყუნწი და ფირფიტის ნაწილი. ამავე კომპლექტს უნდა ეკუთვნოდეს ელექტრუმის სამი დისკოსეური ფირფიტა, რომლებზეც რომელიღაც ქალღმერთის თავია გამოსახული. სამარხში აღმოჩენილი 2 საკინძიდან 1 ბრინჯაოსია, დაფანჯრული თავით. მეორე საკინძი ვერცხლისაა. ღერო გრებილია. თავი შემკულია კონცენტრული ჭდეული ხაზებით. საკინძის თავი გახერხილი ყოფილა. 3 სამაჯურიდან ყველა რკალგახსნილია. ზურგჩანჩქელ ვერცხლის სამაჯურს შემოკრული აქვს ოქროს ფირფიტა. ღერო მრგვალგანივკვეთიანია. დაფარულია ჭდეული კონცენტრული ხაზებით. ბოლოები შემკულია ნაჭდევი ზოლებით. ელექტრუმის 2 სამაჯური დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან. ბოლოებზე წამოცმული აქვს ბრტყელი ფირფიტისაგან ნაკეთები სალტები. სამარხში აღმოჩენილია ვერცხლის 4 რკალგახსნილი საბეჭდავი ბეჭედი, რომელთა ფარაკებსაც სხვადასხვა გამოსახულება ამკობს. ბრინჯაოს კანდელაბრიდან შემორჩენილია მისი ქვედა ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის მუხლში მონრილ 3 ფეხს. ფეხების შეერთების ადგილას აქვს დაკბილული დისკო, რომელზეც აღმართული უნდა ყოფილიყო რკინის ღერო. ბრინჯაოს ლანგარი დამზადებულია თხელი ფირფიტისაგან. ის სადაა. ვერცხლის თასები დაბალაია, თეფხისებური ფორმის. ერთ-ერთი თასის ძირზე გამოყვანილია ომფალოსი, საიდანაც სხივისებურად გამოდის 38 ფურცელი. ვერცხლის მეორე თასის მომრგვალებული კალთები გადადის მომრგვალებულსავე ძირში, რომელზეც ომფალოსის ადგილას, გარეპირიდან დაჭდეულია

წრიდან მხრისაკენ გამოსხივებული 28 ფურცელი. მინის ფიალა ჩამოსხმულია მოყვითალო-მოთეთრო ფერის გამჭვირვალე მინისაგან. აქვს მომრგვალებული კალთები და ძირი. ფიალის ძირი გარედან შემკულია 14 რადიალური რელიეფური ფოთლით, რომელთა წვერებს შორის, კალთებზე ჩასმულია 14 ბურცობი. ვერცხლის კოვზის გრძელი ტარი წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან ღეროს, რომელიც რგოლით მთავრდება. სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს 3 ლაგამი. პირველს აქვს მრგვალგანივკვეთიანი, ბოლოებისაკენ ოდნავ შევიწროებული საყბურები. მეორე ლაგამი შედგება 3 ორწილადი რგოლისაგან. მესამე ლაგამს აქვს მრგვალგანივკვეთიანი, ბოლოებისაკენ ოდნავ შევიწროებული საყბურები. სამარხში აღმოჩნდა ავშარის შესამკობი ვერცხლის ფირფიტები ორ-ორი ყუნწით. იმავე სამარხიდან მომდინარეობს ვერცხლის სხვა ფირფიტებიც, რომელთაგან ზოგი დისკოსეურია. იქვეა აღმოჩენილი ვიწრო, ბრტყელი ფირფიტისაგან ნაკეთები ყუნწები, ბრინჯაოს თხელი ფირფიტის მილაკის ნატები და ვერცხლის ონელი ფირფიტების უფორმო ნატებები. სამარხი თარიღდება ძვ. წ. IV ს-ით (დავლიანიძე 1976: 118-147).

ალგეთის წინწყაროს მიდამოებიდან ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა. ესენია: 1936 წ. აღმოჩენილი თეოდორას სპილენძის მონეტა; 1937 წ. აღმოჩენილი ირაკლისა და ირაკლი-კონსტანტინეს სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა – ჰექსაგრამი, აგრეთვე იოანე ციმისხის სპილენძის მონეტა (აბრამიშვილი 1965: 126, 129, 132). წინწყაროდანვეა ცნობილი XIII ს-ის მეორე ნახევრის ორი ქართულ-ჰულაგუილური დირჰემი (ჯვალანია 1958: 115). მონეტები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ალგეთის წინწყაროს გარდა, ცნობილია ამავე სახელწოდების სოფელი წალკის მუნიციპ-ში, რომელიც მდებარეობს წალკის წყალსაცავის დასავლეთ ნაპირზე. 1937 წ. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილების წალკის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ბ.კუფტინი), სოფლის აღმოსავლეთით, მდ. ხრამის ნაპირზე შეისწავლა წინწყაროს სამაროვანი (კუფტინი 1941: 53-64). გაითხარა 77 სამარხი, რომლებიც ჯგუფურად იყვნენ განლაგებული. სამარხები მიწის ზედაპირიდან ძირითადად 1,5-1,6 მ სიღრმეზე მდებარეობდნენ. სამარხებს ზემოდან ქვებით მოფენილი მოედნები ჰქონდათ. მათ ქვეშ ჩნდებოდა სამარხების გადასახურავი ქვები. ზოგიერთ შემთხვევაში ქვებიანი მოედნის ქვეშ სამარხი არ აღმოჩენილა. სამარხები შედგენილი იყო ქვის ბრტყელი ფილებისაგან. სახურავად გამოუყენებოდათ 2 მოზრდილი ფილა, თუმცა იმ ტერიტორიაზე წარმოებული მიწის სამუშაოების გამო, გათხრების დროს სამარხები ან აღარ იყო გადახურული, ან მხ-

ოლოდ გადახურვის ნაწილი ჰქონიათ შერჩენილი. სამარხების განივი კედლები თითო, ვრდოვი კედლები კი 2-3 ქვისგან შედგებოდა. ზოგჯერ კედელი ან კედლის ნაწილი ამოყვანილი იყო წვრილი ქვებით. წვრილი ქვებით ავსებდნენ კედლებსა და კუთხეებში დარჩენილ არეს. 2-3 შემთხვევაში მიცვალებული ორმოსამარხში დაუკრძალავთ. სამარხები ინდივიდუალური. მათი უმრავლესობა დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთისაკენ, ერთი (№2) სამრხეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. №5 სამარხი დამხრობილი ყოფილა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. სამარხი ინვენტარის დიდ ნაწილს შეადგენს კერამიკა, ორმოს დახლოებით 2/3 მორგეზა და მშადებელი; დანარჩენი ხელითაა ნაძერწი და თიხაში ობსიდიანის ნატეხები ან წვრილი კენჭები შეყვანილი. მორგეზე დამზადებული ჭურჭელი შედარებით მრავალფეროვანია: სხვადასხვა ზომის ღოჭები, დერგისებური ორფერა ჭურჭლები, ქოთნები, საღვებები, ტოლჩები და კოჭები. ჭურჭლების დიდი ნაწილი ორნამენტირებულია. ორნამენტი ძირითადად ჭურჭლის ზედა ნახევარზეა დატანილი. სჭარბობს კონცენტრული ზოლები, ხშირადაა გამოყენებული გაპრიალება. ხელით ნაძერწი კერამიკა ერთგვაროვანია და ქოთნებითაა წარმოდგენილი. სამარხებში აღმოჩენილი იარაღი რკინისაა. გამოწვევის წარმოდგენს ბრინჯაოს გრძელფერიანი ე. წ. „აღმოსავლეთ ამიერკავკასიური“ ტიპის ისრისპირები. რკინის იარაღებიდან აღსანიშნავია სატყვერები, ბრტყელფენიანი სატყვერები, მასრაგანსილი შუბისპირები და დანები. რკინის სამკაულიდან მხოლოდ 2 სამაჯური აღმოჩენილი. შედარებით მრავლადაა ბრინჯაოს ნივთები: კვერთხისთავები, ორნამენტირებული ბრტყელი ნატეხები, რგოლები. მძივები მრავალრიცხოვანია. მათ შორის გვხვდება სარდინის ოვალური ფორმის ექვსწახნაგა, მრგვალ-ბრტყელი, კასრისებური, ცილინდრული, ბიკონუსური და სხვ. სამარხების №6 და №60 სამარხები ყველაზე ადრეულებია და თარიღდება ძვ. წ. XII ს-ის მიწურულით. ძვ. წ. X ს-ით თარიღდება №36 სამარხი. №21 სამარხი ძვ. წ. X ს-ის ბოლოს ან IX ს-ის პირველ ნახევარს განეკუთვნება. დანარჩენი სამარხები, ძირითადად, თარიღდება ძვ. წ. IX-VIII სს-ით. განათხარი მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯვანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). **ბიბლიოგრაფია:** აბრამიშვილი 1961: 325, 327, 364, 368, 369; აბრამიშვილი 1965: 126, 129, 132; ბაგრატიონი 1986: 47; დავლიანიძე 1976: 118-147; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 60, 253; კუვტინი 1941: 37; ლორთქიფანიძე 1935: 372; ლორთქიფანიძე 1969: 91-95; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 261; მასალები საქ. სტატ. ... 1907: 101; მენაბდე, დავლიანიძე 1968: 5-97; იოსელიანი 1850: 71; ორბელიანი 1981: 56, 152; საგინაშვილი, ვაგოშიძე 1973: 81-98; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 54; საქ. სიძ. 1909: 203; 1910: 298, 382; საქ. სიძ. 1920: 386; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 280; 1970: 624, 929; 1970ა: 679, 698, 703,

708, 721; 1972: 152, 170, 229, 515; ქვ 2: 408,19; ქვ 4: 327,6; 330,15; 620,12; ციციშვილი 1979ბ: 5; ხარაძე 1991: 91; ჯვალანია 1958: 115.

წიგნები, ციხე, დაბა (ქვ 4: 359,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 138,8; 359,13,15), მატიანე ქართლისა (ქვ 1: 308,28), XV, XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 261; საქ. სიძ. 1980: 205; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 512; ქსნის საერისთ. სტატ. 1951: 5-68), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 72, 74), იესე ოსეს ძის „თავგადასავალი“ (თავგადასავალი ... 1013: 12), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 36). მდებარეობს ახალგორის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. წირქვალთან 2 კმ-ის დაშორებით, მდ. ქსნის მარჯვენა მხარეს. 975 წ. ახლო ხანებში კახელებმა აიღეს უფლისციხე, შეიპყრეს მცირეწლოვანი ბაგრატ III და მისი მშობლები. ამის გამო დავით კურაპალატი თრიალეთს მისულა კახეთზე გასალაშქრებლად. კახელებმა ზავი ამჯობინეს. გაათავისუფლეს ტყვეები, დაუბრუნეს ბაგრატს უფლისციხე, ხოლო წირქვალისა და გრუის ციხეები თვითონ დაიკავეს (ქვ 1: 275,1,2; ქვ 4: 138,2-9). XI ს-ის წყაროებში იხსენიება ვეჟინის ერისთავი წირქვალელი (ქვ 1: 308,28). XVIII ს-ში წირქვალის ციხეს ამილახორები ფლობდნენ (ორბელიანი 1981: 72, 74). 1768 წლიდან ქსნის საერისთაოს გაუქმების შემდეგ, ციხე სამეფო ხელისუფლებას დაექვემდებარა. წყაროებში წირქვალის ზოგჯერ „წირქვალის“ ან „წიქორის“ ფორმითაა მოხსენიებული (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 512; ორბელიანი 1981: 72, 74). 1955 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ. ცქიტიშვილი), სსრკ მეც. აკად. ლენინგრადის ინსტიტუტის პალეოლოგის რაზმთან ერთად, სოფ. წირქვალთან გამოვლინა მუსტიერის ხანის სადგომი (ლოუბინი 1960: 15). იმავე წელს ისტორიის ინსტიტუტის შიდა ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი) სოფლის ტერიტორიაზე მიაკვლია ნამოსახლარ გორას, რომლის ზედაპირზე აკრიფა ენეოლითური ხანის კერამიკის ნატეხები. გორაზე გამოვლინდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენაც (მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1960: 188-190). 1981-1982 წწ. ს. ჯვანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი. ვაგოშიძე) სოფლის (ხრიკულების უბნის) დასავლეთით, მთის შიშველ ფერდობზე, VIII ს-ის ეკლესიის სამხრეთით, ხევაპოლმა აკრიფა თეთრანგობიანი, ანტიკური იერის კერამიკა, ნავისებური ხელსაწეკვაკვი, ადრე შუა საუკუნეების ჭედულზედაპირიანი ქვევრის ნატეხები. სავარაუდოა, რომ იქ ანტიკური ხანის ნასოფლარი არსებობ-

და. სოფლის ჩრდილოეთით, ხევისაკენ ჩანს კედლის ფრაგმენტები დამწვარი ალიზის შელესილობით. იქვე გამოვლენილი შავი, რელიეფურსარტყელიანი ქვევრის ნატეხი. უფრო ჩრდილოეთით ქვიტკირის კედლების ფრაგმენტებია, რომლებიც ეკლესიასთან ახლოა და ალბათ მისი თანადროულია (VIII ს). იმავე ეკლესიის სამხრეთით, სოფლისაკენ დაქანებული სერის თხემზე შემორჩენილია კვადრატის მიახლოებული ნაგებობის კვალი (გაგომიძე 1983: 7). ეკლესიის მიდამოებში ზედაპირულად მრავლად იკრიფება შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკის ნატეხები. იქვე გამოვლენილი VIII ს-ის პირველი ნახევრის ომიდეობის სპილენძის მონეტა (გვრიტიშვილი 1999: 93, 94).

სოფ. წირქვალში რიყის ქვითა და კირხსნარით ნაგები ერთი მრგვალი, ორსართულიანი კოშკია. შესასვლელი აღმოსავლეთიდან აქვს. ჭერი თაღიანია, აგურით ნაშენი. კოშკის ორივე სართულში ბუხარი, სათოფურები და სარკმლებია. კოშკის მახლობლად შეიმჩნევა პატარა ეკლესიის საძირკველი (მაკალათია 1968: 69).

სოფლიდან 2 კმ-ის დაშორებით, ძველი წირქვალის ნასოფლარია, სადაც შემორჩენილია ეკლესია და ციხის ნანგრევები. ეკლესია დარბაზულია. ნაგებია ტუფის ქვით. ჩრდილო და აღმოსავლეთი ფასადი თაღოვანსვეტებიანია. ინტერიერი თავის დროზე მოხატული ყოფილა. თარიღდება VIII ს-ით (ჩუბინაშვილი 1942: 1-30). ეკლესიის სახურავზე განლაგებული ყოფილა თინის 4 ფილა წმინდანის გამოსახულებით. ფილები ზომებია: 76,5X88,5X3-5 სმ. ყველა ფილა ერთი ფატიბიდანაა ამოწეხილი. წმინდანის სქემატური გამოსახულება (პორტრეტი) წრიულ ჩარჩოშია ჩასმული (მაისურაძე 1967: 8, 9). ეკლესიის რელიეფების 3 ფრაგმენტზე შემორჩენილია ნუსხანარევი ასომთავრული წარწერა ლეონ II აფხაზთა მეფისა: „დაწეხილი იტყვის: მიხსენ მე უფალო პირისკან ლომთაისა. იხსენ სასჯელისკან გაბრიელ მთავარანგელოზო ლეონ მევე“. წარწერა თარიღდება 952-967 წლებით (ქართ. წარწ. კორ. 1980: 220, 221).

წირქვალის ციხე ნაგებია კლდის ფლეთილი ქვებით, კირხსნარზე. ზოგან გამოყენებულია რიყის ქვა. ციხე მთის წვერზე მდგარა. მოგვიანებით ჩრდილოეთის მხრიდან მიუშენებიათ ახალი ნაგებობები, რომელთა სიდიდე ორჯერ აღემატებოდა ძველს. ძველი ციხის კედლები მთის რელიეფს გასდევდა. ციხის ტერიტორიაზე შეინიშნება სხვადასხვა სათავსოს ნაშთები და წყალსაცავი. ახალი სიმაგრეც მთის რელიეფს მიუყვება. ციხე რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ეზოს ირგვლივ განლაგებულია: აღმოსავლეთით – ოთხსართულიანი სასახლე, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში – კოშკი, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით – საცხოვრებელი ნაგებობა. მათ გარდა ეზოში სხვა ნაგებობათა ნაშთებიცაა შემორჩენილი. ციხეს შესასვლელი ჰქონია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ციხეს გააჩნდა გვირაბი, რომლის გაუქმების შემდეგ, მასში წყალსადენი გაუყვანიათ (ზაქარაია 1988: 68, 69).

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული წირქვალის გარდა, ცნობილია სხვა წირქვლიც (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 432; გიულდენშტედტი 1962: 301), რომელიც ლოკალიზდება ჭიათურის მუნიციპ. მდებარეობს მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე, ჭიათურის პლატოზე.

ჭიათურის წირქვალი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ჭიათურის წირქვალის მიდამოებიდან ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი გვანი ბრინჯაოს ხანის ერთი შუბისპირი (საქ. არქ. 1959: 154). ნივთი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: *ამირანაშვილი 1961: 161, 162; ბაგრატიონი 1986: 36; გაგომიძე 1983: 7; გვასალია 1983: 48, 77, 78; გვრიტიშვილი 1999: 93, 94; გიულდენშტედტი 1962: 301; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 432; ზაქარაია 1950: 182-188; 1988: 67-69; თავადასავალი ... 1013: 12; ლიუბინი 1960: 15; მაისურაძე 1967: 8, 9; მაკალათია 1968: 69-72; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 261; მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი 1955: 188, 190; ორბელიანი 1981: 72, 74; საქ. არქ. 1959: 154; საქ. სიძ. 1920: 205; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 512; ქართ. წარწ. კორ. 1980: 220, 221; ქსნის საერისთ. სტატ. 1951: 5-68; ქც 1: 275, 1, 308, 28; ქც 4: 138, 8; 359, 13, 15; ჩუბინაშვილი 1942: 1-13; ხიმშიაშვილი 1965: 51-54.*

წიგნაკრები (ქც 4: 377, 27). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 377, 27), XVI, XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1910: 128; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 261; ისტ. დოკ. 1958: 48; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 27; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 356; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 63), სენიაჩხვიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 8, 42), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44), ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები (ქართულ-სპარსული ... 1955: 443), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 175, 309).

მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპ.ში, ლიხის ქედის დასავლეთ კალთაზე, მდ. ჩხერიმელას ხეობაში.

წიგნაკრები არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

1912 წ. წიფასთან შემოსვლით აღმოჩნდა ანტიკური ხანის ბრინჯაოს ბალი, რომლის ჩარჩო (10,8X8,2სმ) შედგება სპირალური ორნამენტისაგან. კუთხეებში მითავსებულია საშუალო სიმაღლის კოპები. ბალითაზე გამოსახულია ფანტასტიკური ირემი, ძაღლები, მგელი. ნივთი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ.ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) (ხიდაშელი 1972: 96).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 44; გიულდენშტედტი 1962: 175, 309; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 27; ისტ. დოკ. 1958: 48; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 261; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 63; საქ. სიძ.*

1910: 128; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 356; ქართულ-სპარსული ... 1955: 433; ქც 4: 377,27; ჩხეიძე 1913: 8, 42; ხიდაშელი 1972: 96.

ფილანთროპია (ქც 4: 433,8; 588,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 433,8; 588,7), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 400,17; 409,17), XIII-XVI სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. ვეფ. 1964: 261; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 166, 167), იოანე ბარბატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 64), იოჰან გულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 59).

მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, მდ. არაგვის მარცხენა მხარეს, საგურამოს ქედის დასავლეთ კალთაზე, თანამედროვე სოფ. წიწამურისა და მისი მიდამოების ტერიტორიაზე.

ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული ქალაქი სევსამორა გაიგივებულია თანამედროვე წიწამურთან (ყაუჩიშვილი 1957: 129; აფაქიძე 1958: 119). 1615 წ. კახეთის აჯანყების ჩასახშობად შაჰ-აბასმა 15 ათასიანი ჯარი გამოაგზავნა ალი ყული-ხანის სარდლობით, რომელიც წიწამურთან გამაგრდა. თეიმურაზ I-მა (1606-1648) არაგვი გადალახა და ირანელები დაამარცხა (ქც 2: 400,17; 409,17; ქც 4: 433,8; 588,7). 1625 წ. მარტყოფის ბრძოლის შემდეგ, ირანელთა ერთ რაზმს წიწამურთან გიორგი სააკაძემ ბრძოლა გაუმართა (ქც 2: 409,17; ქც 4: 433,8). XVI-XVIII სს-ში წიწამური კახეთის სამეფოში შედიოდა და სამეფო დომენს წარმოადგენდა (ბაგრატიონი 1986: 64). გურამიშვილთა სათავედოს ჩამოყალიბების შემდეგ სოფელი წიწამური გურამიშვილთა კუთვნილებაშია.

წიწამური „დიდი მცხეთის“ ნაწილს შეადგენდა და შესაძლოა, იგი ხილით იყო დაკავშირებული მცხეთასთან. თუმცა, წიწამურს თავისი მისასვლელი გზა ჰქონდა ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან (ბერძენიშვილი 1966: 165).

სოფ. წიწამურის მახლობლად, არაგვის მარცხენა ნაპირზე, „პირდაპირების“ მინდორზე პირველი არქეოლოგიური გათხრები 1924 წ. ჩატარდა (ხელმძღვ. გ.ჩიტიაია, ს.იორდანიშვილი). იქ გაითხარა რიყის ბრტყელი ქვით გადახურული სამარხი და ქვაყრილი – ორს სამარხი, სადაც დაკრძალული იყო კიდურბ-მოხრილიმიცვალებული და ცხენი. სამარხში აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი (ხელადა, ორფურა ტოლჩა), იარაღი (შუბისპირი, ისრისპირი) და ბრინჯაოს სამკაული (გველის სტილიზებული თავიანი სამაჯურები, ძეწვევი). სამარხები თარიღდება: ძვ. წ. VII ს-ით (რამიშვილი 1959: 6); ძვ. წ. VI ს-ით (კუფტინი 1941: 47). 1926 წ. სოფ. წიწამურის მიდამოებში, მდ. მტკვრისა და არაგვის შესართავიდან 1,6 კმ-ის დაშორებით, აღმოჩნდა 5 ქვის სამარხი (გათხრების ხელმძღვ. გ.ნიორაძე). სამარხებში აღმოჩნდა: 3 ბრინჯაოს საკინძი, მინის სანელსაცხებლე, რკი-

ნის ლურსმანი, ობსიდიანის ნატეხი. მასალა ახ. წ. I ს-ით დათარიღდა (რამიშვილი 1959: 7); 1953 წ. ისტორიის ინსტიტუტის მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა.აფაქიძე) მიაკვლია ძველი ციხე-ქალაქის, „სევსამორას“ ნაშთებს. სოფლის ქვემოთ, არაგვის მარცხენა ნაპირის გასწვრივ კი აღმოჩნდა ძვ. წ. I ათასწლეულისა და ახ. წ. I ათასწლეულის სამაროვნები (კამარახევის სამაროვანი); აქვე გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორმოსამარხი. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი). 1968 წ. იმავე ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა.კალანდაძე) მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, წიწამურის ველის აღმოსავლეთ ნაწილში, ადგილ მუხნისში (კამარახევის გვიანბრინჯაოს ხანის ორმოსამარხები და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენაში ჩადგმული ქვიშაქვის ლოდებით შედგენილი ადრე შუა საუკუნეების ქვის სამარხები (სმა 1990: 347). მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, ბებრისციხის პირდაპირ, ხელოვნური თხრილით გამოყოფილ ნაბარძების გორაზე აღმოჩნდა უხეში ქვათლილებითა და რიყის ქვით ნაგები შენობათა საძირკვლები და კრამიტის ნატეხები. ნამოსახლარი IV-VII სს-ით თარიღდება.

მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, წიწამურის ველზე, ადგილ ნაბარძებში გაითხარა საწინახლები. საწინახელი XVII-XVIII სს-ით თარიღდება (სმა 1990: 346). 1976-1977 წწ. არქეოლოგიურ კვლევის ცენტრის მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე) გააგრძელა 1953 წ. დაწყებული გათხრები სოფ. წიწამურთან, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირას, კამარახევის სამაროვანზე. 1985-1987 წწ. წიწამურის მახლობლად, არაგვის მარჯვენა ნაპირზე მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე) გამოვლინდა მრავალფენიანი ძველი – წიწამური III.

სოფ. წიწამურის ჩრდილოეთით, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, ბებრისციხის აღმოსავლეთით, წიწამურის გორაზე გაითხარა ნაქალაქარის ნაშთები – ქვიშაქვის თლილი ქვით ნაგები მრგვალი ნაგებობა. წყობა მშრალია. ქვათლილები ერთმანეთზე სამაგრებით – ხის სოლების „უწყვეტელობით“ თარაზულად და შევეულად იყო გადაბმული. შევეულად დაყენებული სამკვირ ერთიმეორესთან ამაგრებდა 3 ქვათლილებს, პირიფონტალური – ორს. შევეული „უწყვეტეობა“ გამოყენებულია წიწამურის უძველესი ფენის (წიწამური I) მრგვალი შენობის ცოკოლისა და მასზე დაწყობილი პირველი მწკრივის ქვათლილთა გადასაბმელად. წიწამურის გორაზე გამოვლინდა აგრეთვე დუღაპზე ნაგები შენობის (წიწამური II) ფრაგმენტები. წიწამურის გორაზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ღარისებური ქიმიანი კრამიტი (აფაქიძე 1958ა: 119-140; 1963: 182-199).

სტრატობონისეულ „სისამორა“-წიწამურის მიდამოებში, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, საგურამოს ქედის დასავლეთი კალთის დასასრულს დადას-

ტურდა ხუთფენიანი ძეგლი – წიწამური III. I ფენა – ადრებრინჯაოს ხანის წროული ორმოება, სადაც აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები; II ფენა შუა ბრინჯაოს ხანის გორასამარხია (№13) და მისი სინქრონული კატაკომპური სამარხი – კენოტაფი №16; გორასამარხის დასაკრძალავი კამერა (დმ 6 მ) გადახურული იყო ხის ძელებითა და რიყის ქვებით. მიცვალებული, კიდურებმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე შეწირულ ცხვრის ძვლებზე დაუსვენებული; სამარხის სამხრეთ და აღმოსავლეთ კუთხეში ნიშებია, სადაც ხარის თავფეხი დაულაგებიათ. სამხრეთ კედელში გამოღარულ თაროზე კერამიკა და ალაპის ნაშთი იღო. სამარხში აღმოჩნდა: ხელით ნაძერწი, შავპირიანი თიხის ჭურჭელი, ამოღარული და რელიეფური ორნამენტებით შემკული (ქოთნები, ქილები და სხვ.); ბრინჯაოს ფოთლისებური სატევარი; ბრინჯაოს ლურსმნისებურთავიანი საკინძები; ოსიდიანის ქუსლამოღარული ისრისწვერი; ოქროს ბურთულა მძივები; ვეგობატური ფაიანსის და სარდლონის მძივები. სამარხი ძვ. წ. 1800 წ. თარიღდება (ნიკოლაიშვილი, ნარიშანიშვილი 1995: 59; სადრაძე 1993: 55-58, 66). იქვე გაითხარა მისი თანადროული კატაკომპური სამარხი-კენოტაფი (№16), სადაც აღმოჩნდა: 6 მოწაბლისფროდ გამოშვარი, ნაპრალები თიხის ჭურჭელი (ქოთანი, ქილა, ჯამი და სხვ.) და ოსიდიანის ანატკეცები (სადრაძე 1993: 55-58). III ფენა – ძვ. წ. I ს-ის მარანია, სადაც დადსტურდა ერთი ტიპის ქვევრების ჯგუფი, აგრეთვე მოწითალო-მოყვავისფროდ შეღებილი და მოხატული კერამიკა; ლურჯი მინის მრავალწანაგა საბეჭდავები; IV ფენაში – სამეურნეო ორმოება (დმ 1-1,2 მ), სადაც წითლად შეღებილი, თხელკეციანი კერამიკა და წითლად შეღებილი ტერაკოტული ქანდაკება აღმოჩნდა. მასალა ახ. წ. I ს-ით თარიღდება; V ფენა სამაროვანია ორმოსამარხებითა და ქვევრსამარხებით, სადაც აღმოჩნდა მონეტები: 13 პართული და 3 ავეუსტუსის სანელზე მოჭრილი; მოხატული თიხის ჭურჭელი, მინის გემიანი ბეჭედი; მინის მინიატურული სანელსაცხელები და სხვ. სამაროვანი ახ. წ. I ს-ის შუა ხანებით – ახ. წ. II ს-ის დასაწყისით ან შუა ხანებით თარიღდება; VI ფენა – ახ. წ. II-III სს-ის მარნის ნაშთებია (ნიკოლაიშვილი, ნარიშანიშვილი 1995: 58-96). წიწამური III-ის მასალა ინახება მცხეთის არქეოლოგიურ ბაზაში.

მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, საქართველოს სამხედრო გზასა და მდ. პატარა კამარანგის შორის, ე. წ. პირდაპირების მინდორზე აღმოჩნდა სამაროვანი, რომელიც კამარანგის სამაროვნის სახელითაა ცნობილი. სამაროვანზე გამოვლინდა მიწაყრილიანი, ქვაყრილიანი და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები და ქვის ფილებით ან ქვის ფილებითა და რიყის ქვებით ნაგები ქვის სამარხები. სამარხები ინდივიდუალურია (მხოლოდ ორი შემთხვევაა წყვილი და საოჯახო დაკრძალვისა). მიცვალებულები დაუკრძალავთ ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა (მამაკაცები) ან მარცხენა (ქალე-

ბი) გვერდზე. მიცვალებულებს თავქვეშ რიყის ქვა – „სასთუმალი“ ედოთ, ფეხებთან – ალაპის ნაშთი. იატაკზე ზოგჯერ შემინეოდა საფენის კვალი. სამარხებში აღმოჩნდა: ლეგად ან წითლად გამოშვარი, ანგობიანი ან წერნაქით მოხატული თიხის ჭურჭელი (ჯამები, ტურჩიანი ჯამები, სამფეხა ჯამები, ტოლჩები, ქოთნები, კოჭბები, ხელალები, დოქები და სხვ.); სამკაული: ბრინჯაოს სამაჯურები (ზომორფული სახეებით შემკული), საკინძები, ძეწკვი, მძივები, ილარი და სხვ. რკინის სამაჯურები, საკინძები; იარაღი: რკინის მახვილები, მოხრილი დანები, შუბისპირები. სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. IV-III სს-ით (რამიშვილი 1959: 5-53; ჯღარაკვა 1982: 139-190). მასალა ინახება მცხეთის არქეოლოგიურ ბაზაში.

ბიბლიოგრაფია: აფაქიძე 1958ა: 119-140; 1963; აფაქიძე ... 1981: 119-152; აფაქიძე ... 1980: 130-146; აფაქიძე 1987 ... 1987: 47-51; აფაქიძე ... 1991: 79-84; აფაქიძე ... 1995: 83-89; აფაქიძე 1997: 65-70; პავრატონი 1986: 64; ბერძენიშვილი 1960: 141-185; ბერძენიშვილი 1966: 165; გოულდენშტედტი 1962: 59; კალანდაძე ... 1979: 149-162; კუფტინი 1941: 47; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 261; ნიკოლაიშვილი, ნარიშანიშვილი 1995: 58-96; ნიორაძე 1940: 57-81; რამიშვილი 1959: 5-53; 1960: 36, 37; სადრაძე 1993; სძა 1990: 346, 347; ქც 2: 400,17; 409,17; ქც 4: 433,8; 588,7; ყაუხჩიშვილი 1957: 129; ჯღარაკვა 1982: 139-190.

წესი, მონასტერი (ქც 4: 663,3,5,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 663,3,5,9), XVI ს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 385; მასალანი საქ. ისტ. გეოგ. 1964: 262), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 12, 37).

ვახუშტი ბაგრატიონი წნისის შესახებ გადმოგვცემს: აბანოსხევის „ზეითი წნისის ერთვის მტკვარს წნისის ხევი, გამომდინარე ფერსათის მთისა ... ამ ხევზედ არს, წნისის ზეით, მონასტერი მალაქს კლდესა ზედა, კეთილმენი, გუმბათიანი და აწუქში ... წნისის არს მტკვარზედ ხიდი კარგი“ (ქც 4: 663,3,5,9).

მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, ახალციხიდან აღმოსავლეთით 8 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. წნისის ტერიტორიაზე. წნისი შეიღობა ისტორიული სამცხის შემადგენლობაში. წყაროებში მოიხსენიება XVI ს-დან. 1595 წლისათვის წნისი თითქმის გაუკაცრიელებული იყო. იგი აწყურსა და ახალციხეს შორის არსებულ გზაზე მდებარეობდა, გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის მიხედვით წნისი გადასახადებისაგან თავისუფლდებოდა ამ გზის მოვლის და შენახვის სანაცვლოდ (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 60).

1981 წ. სოფ. წნისის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირიდან 500 მ-ზე აღმოჩნდა ადრეელნიუსტური ხანის სამაროვანი და შუა საუკუნეების ნამოსახლარი. სამაროვანი ორიარუსიანია. ქვედა პორიზონტი თარიღდება ძვ. წ. IV ს-ის მეორე

ნახევრით, ზედა – ძვ. წ. III ს-ის პირველი ნახევრით. სამაროვანზე გაითხარა 67 სამარხი: ორმოსამარხები, ქვისსამარხები, ქვევრსამარხი (მცირე ზომის ორყურა დერგი). სამარხები ინდივიდუალურია ან წყვილადი. მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი, თავით ჩრდილოეთით, ჩრდილო-დასავლეთით, დასავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სამაროვანზე აღმოჩნდა ლევა-მონაცრისფროდ და მოწითალოდ გამოქვავარი თიხის ჭურჭელი: ხელაღები, დოქები, სასმისები, ყურმილიანი ხელაღები, ქოთნები, კოჭბები, ჯამები, ფალები. ლითონის ნივთებიდან აღსანიშნავია: რკინის დანები, ბრინჯაოსა და ვერცხლის ფარნაკები ბუჭლები, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ბრინჯაოსა და ვერცხლის სხივანა საყურეები, ბრინჯაოსა და რკინის საკისრე რკალები, რკინის ენაანი ბრინჯაოს ფიბულა, ბრინჯაოს გვერდნაჭრილი ზარაკები და სხვ. სამაროვანზე მრავლად აღმოჩნდა სარდიონის, გემრის, მინის, მინისებრი პასტის მძივები და ოთხები. იქვე აღმოჩნდა კოლხური თეთრი – ვერცხლის ნახევარდრაქმები (ღამბაშიძე, კვიციანიძე ... 1984: 19-20; კვიციანიძე 1987: 32-35; კვიციანიძე 1983: 28-32). სამაროვნს მთელ ტერიტორიაზე ფარავს შუასაუკუნეების ნამოსახლარი, რომელმაც დააზიანა სამაროვანი. ნამოსახლარზე გაითხარა 5 ნაგებობა. №1 სათავსო შემორჩენილია ფრაგმენტულად. ნაგებობა ფლეთილი ბაზალტის ქვით და შეღესილია კირით. სათავსოში აღმოჩნდა თლილი ბაზალტის ქვით ნაგები ბუხარი და პურის საცხობი, რომელსაც აქვს გუმბათისებური გადახურვა. იქვე აღმოჩნდა მოჭიქული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. №2 სათავსო სათონეს წარმოადგენს (4,3X3,3 მ). ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დგას თონე, რომელიც სათავსოსაგან გამოყოფილია ოვალური კედლით. №3 სათავსოში (8,4X2,7 მ) აღმოჩნდა რიტუალური კერა – იატაკში ჩადგმული დოქი, რომელსაც შიდაპირზე აქვს 3 ერთმანეთში ჩაზაზული მცირე წრე. კერაში აღმოჩნდა ხელით ნამქროლი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. №4 სათავსო (8X6,8 მ) მიშენებულია №3 ნაგებობაზე და კარით უკავშირდება მას. №5 სათავსოში (4,7X4,55 მ) აღმოჩნდა იატაკში ჩადგმული ქვევრი, კერამიკის ფრაგმენტები. აქვე დაფიქსირდა თონე, რომელიც ნაგებია მოყვითალოდ გამოქვავარი ოვალური თიხის ფილებისაგან (ღამბაშიძე, კვიციანიძე 1985: 31-33; კვიციანიძე 1986: 27-29). სოფ. წნისის ჩრდილოეთით XX ს-ის 20-იან წლებში შემორჩენილი იყო ეკლესიის ნანგრევები და კოშკი (ბოჭორიძე 1992: 43). სოფლის მახლობლად მდ. მტკვარზე შემორჩენილია ხიდის ბურჯები.

ბიბლიოგრაფია: ბოჭორიძე 1992: 43; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 12, 37; 1958: 60; კვიციანიძე 1983: 28-32; 1986: 27-29; 1987: 32-35; მასალები საქ. ისტ. კვლ. 1964: 262; ქრონიკები ... 1897: 385; ქც 4: 663, 3, 5, 9; ღამბაშიძე, კვიციანიძე ... 1984: 18-21; ღამბაშიძე, კვიციანიძე, აბრამიშვილი 1985: 31-37.

წიგნები (ქც 1: 125,16). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქც 1:125,16), „მოქცევა ქართლისაი“ (სამი ისტ. ქრ. 1890: 18; მქ 1963: 38), XII ს-ის დაწერილი საკათალიკოსო სოფლების შესავლისა (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 74). ლეონტი მროველი წიგნის შესახებ გადმოგვცემს: „წარვიდა წმიდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა წარატანა მეფემან ერისთავი ერთი. მოვიდეს და დადგეს წიგნს, და მოუწოდეს მიუელთა, ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა, და გუდამაყრელთა. და უქადაგეს მათ რჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი“ (ქც 1: 125,16). ლოკალიზება დღევანდელი ღუმეთის მუნიციპალიტეტში. არაგვის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ჩინთსა და ჟინვალს შორის. გადმოცემით, ჟინვალის სამხრეთით, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე მდებარე მინდორს ბოდავის ხევამდე ეწოდებოდა წიგნის ანუ წიგნები (გვასალია 1970ა: 753-756; 1975: 59). XII ს-ში წიგნის ყოფილი საეკლესიო კვლევებით დასახლებული სოფელი, რომელსაც ევალბოდა გადაეხადა „ვერცხლი დრამაი გ (3); კაბიწი ბ (2)“ (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 74). წიგნზე გადიოდა დარიალ-არაგვის დიდი სავაჭრო მაგისტრალი (ბერძენიშვილი 1966: 60; გვასალია 1975: 71).

1973 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ.რამიშვილი) ჟინვალის სამხრეთით 700 მ-ის დაშორებით, წიგნის ველთან გათხარა ზღუდე კარიბჭით (სიგრძე 13,5 მ, სისქე 1 მ, სიმაღლე 1,5 მ), მიმართული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, მდ. არაგვამდე. ზღუდე ნაგები იყო ნატეხი ქვითა და დულაბით. ზღუდის დასავლეთ ნაწილში მოწყობილი იყო კარიბჭე, ჩამოსაშვები კარის სამომხრო ღარითა და საურდულე ხვრელებით. კარიბჭის სავალი ნაწილის სიგანე 1,5 მ-ია. იქ გამოვლინდა თიხის მოჭიქული და სადა ჭურჭლის მცირე ნატეხები (სძა 2004: 297). ძველი განაღებულა ჟინვალის კაშხლის მშენებლობისას.

1988-1989 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ.რამიშვილი) ადგილ წიგნებში გათხარა რამდენიმე შუასაუკუნეების ნასოფლარი, რომელიც მდებარეობს სოფ. ჩინთიდან 400 მ-ის დაშორებით, ხევის მარცხენა ნაპირზე, ჟინვალ-ბარისახოს გზის აღმოსავლეთით. გამოვლინდა საცხოვრებელი და სამეურნეო შენობების ნაშთები. მცირე რაოდენობით სადა და მოჭიქული თიხის ჭურჭლის ნატეხები. ნასოფლარის განაპირას, ჩრდილოეთით, ყუჩიხევის მარჯვენა ნაპირზე, დგას მცირე ზომის დარბაზული ეკლესია (7,5X5,2 მ), რომლის კედლები შემორჩენილია 0,5-1,5 მ-ზე. ნაგებია ტლანქად, დაუშუშავებელი საშუალო ზომის კლდის ქვებით. შესავლელი სამხრეთიდანაა. ნახევარწრიული აფ-

სიღის შუაში შემორჩენილია სწორკუთხა ტრაპეზის ნაწილი. აფსიდის ჩრდილოეთ გვერდში ნიშის ნაშთია. ჩრდილოეთის მხართან შემორჩენილი კანკელის ნაწილის წინ დგას ჯვრის საყრდენი სწორკუთხა პოსტამენტი, რომლის ცენტრში 0,5 მ სიღრმის ოთხკუთხა ფოსაა. დარბაზის სამივე კედელს გასდევს ქვის საფეხური. ეკლესიის აღმოსავლეთით გაითხარა რვა უინგენტარო ინდივიდუალური და საოჯახო სამარხი, ორიენტირებული აღმოსავლეთისაკენ. სამარხები 2 ტიპისაა: ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები და ქვის სამარხები (რამიშვილი ... 2004: 100; სძა 2004: 341). განათხარ ძეგლებზე აღმოჩენილი მასალა ინახება არქეოლოგიური ცენტრის დეპოზიტის ბაზაზე.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1966: 60; გვასალია 1970ა: 753-756; მქ 1963: 38; რამიშვილი ... 1947: 65-73; რამიშვილი ... 2004: 95-104; სამი ისტ. ქრ. 1890: 18; სძა 2004: 297, 341; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 74; ქც 1: 125,16.

წოდებები (ქც 4: 339,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:339,7), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (სიმონ მეფის არზა ... 1980: 161; საქ. სიძ. 1909: 27, 29, 62, 70, 98, 99, 111; 1910: 565, 566; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 65, 175, 181, 344; 1953: 8, 13; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 44; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 262, 263; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 172; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 839; ქართულ-სპარსული ... 1955: 121, 122, 221, 224, 242, 244, 319, 320, 322, 333, 335, 395), იოსებ ტფილელის „დიდიოქრავიანი“ (ტფილელი 1989: 629), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 30).

ლოკალიზდება თბილისის ჩრდილოეთით. მდებარეობს სოფ. ზემო ლისიდან 4 კმ-ის დაშორებით. წოდებული არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 30; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 65, 175, 181, 344; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 8, 13; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 44; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 172; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 262, 263; საქ. სიძ. 1909: 27, 29, 62, 70, 98, 99, 111; 1910: 565, 566; სიმონ მეფის არზა ... 1980: 161; ტფილელი 1989: 629; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 839; ქართულ-სპარსული ... 1955: 121, 122, 221, 224, 242, 244, 319, 320, 322, 333, 335, 395; ქც 4: 339,7; შერლინგი, დოლიძე, ბარნაველი 1960: 80.

წოდებები (ქც 4: 365,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 365,22), XIV-XVI სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 197, 279, 373; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 264; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179, 203), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 39), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 99).

მდებარეობს ახალგორის მუნიციპ-ში, მდ. რეხულას შესართავ წოდების ხეში, ცხვილის მთის ჩრდილოეთით (ქც 4: 365,20-22).

გვიან შუა საუკუნეებში წოდები შედიოდა საამილახვროში (ბაგრატიონი 1986: 39). იოჰან გიულდენშტედტი წოდებს წოდებულად იხსენიებდა (გიულდენშტედტი 1962: 99).

წოდები არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 39; გიულდენშტედტი 1962: 99; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 264; ქც 4: 365,22; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 179, 203; ქრონიკები 1897: 197, 279, 373.

წოდები (ქც 4: 767,5,8,10). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:3 71,8; 760,18; 767,5,8,10), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 78), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 103, 105, 171; 1964: 67).

ვახუშტი ბაგრატიონი წინას შესახებ გადმოგვცემს: „გულოვანთას ერთვის ჯეჯორს აღმოსავლიდამ სხვა ხევი, წინასა და ამის შორის მთის გამოდინარე ... ხოლო ამ გულოვანთას აღმოსავალ-სამხრით, მცირეს მთას იქით, არს წონა, ადგილი გარმოსუეული მთებთა და შინაგან ვაკე. აქ არს მცირე ტბა. ამას გამოსდის ყვირილა და მიდის ვითარცა ავღურეთ ... გარდავალს აქილამ და კუდაროდამ გზა ქცხილვანის ხეობასა ზედა, დვანის ხეობასა ზედა, ქართლში“ (ქც 4: 767,5,8,10).

მდებარეობს ჯავის მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფ. წინას ტერიტორიაზე.

სოფ. წინას მახლობლად, ბუბას მთის სამხრეთ ვერდობზე მდებარეობს კარსტული წარმოშობის გვირაბისებური მღვიმე (სიგრძე 90 მ, სიგანე 13 მ, სიმაღლე 15 მ), რომელიც აღმოჩნდა 1958 წელს. 1958-1961, 1965, 1968 წწ. აქ გათხრებს აწარმოებდა ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის პალეოლითური ექსპედიცია (ხელმძღვ. ალ.კალანდაძე). 1977-78 წწ. მღვიმეში დამატებითი სამუშაოები ჩატარა ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. დ.თუშაბრამიშვილი). გაითხარა 140 კმ ფართობი 6 მ-ის სიღრმეზე, კლდოვან საფუძვლამდე. გამოიყო აშელის, მუსტიეს, მეზოლითისა და გვიანენეოლითი-აღრებრინჯაოს ხანის ფენები. ქვედა პალეოლითური ფენები წარმოდგენილია აშელის 2 და მუსტიეს 1 ფენის სახით. აშელის ქვედა ფენაში სულ 30 ნივთია ნაპოვნი. კაჟისა და არგოლიტის ანატაკეცებზე გაფორმებულია ამონეტეილ სამუშაოებიანი საწოკები, უხეში მჭრელი იარაღი და წვეტანები. აშელის ზედა ფენაში აღმოჩნდა 104 ქვის ნივთი, რომელთა დასამზადებლად გამოყენებულია ანდეზიტი და არგილიტი, იშვიათად ქვიშაქვა და კაჟოვანი კირქვა. აქ აღმოჩნდა ხელცულები (47ც),

უხეში საჩხები და მჭრელი იარაღები, სახოკები, წვეტანები, ურტუშო და რეტუშირებული ანატაკები. ამ ფენის იარაღებიდან აღსანიშნავია არგილიტი-საგან დამზადებული, 25 სმ სიგრძის სახელურიანი წალღისებური იარაღი, ე. წ. „წონას ტაპის“ ხელცული. ამეღის ორივე ფენაში აღმოჩნდა მღვიმის დათვის, მურა დათვის, დომბას, კეთილშობილი ირმის, შვლის, მაჩვის, კურდღლისა და სხვა ცხოველების, აგრეთვე, ფრინველების ძვლები. წონას მღვიმეში მუსტიეს ხანა წარმოდგენილია მხოლოდ გვიანი პერიოდით. ამ ხანის ფენაში აღმოჩნდა 71 ქვის ნივთი, დამზადებული ფიქალის, არგოლიტის, ანდეზიტის, კაჟისა და ერთ შემთხვევაში ოპსიდიანისაგან. აქ აღმოჩნდა წვეტანები და სახოკები; კირქვის ფილის ნატეხი, რომლის ერთ-ერთ ზედაპირზე ჯვრისებური გამოსახულებაა ამოკვეთილი. მუსტიეურ ფენაში აღმოჩნდა იგივე ცხოველების ნაშთები, რაც ამეღურ ფენებში. წონას მღვიმეში მეზოლითური ხანის ფენის სიძლიერე 0,40-0,45 მ-ია. ამ ფენაში წარმოების ნაშთებსა და დაუმუშავებელ ლამელეებთან ერთად აღმოჩნდა მიკროსაფხეკები, სახვრეტები და საჭრისები, დამზადებული ორფერდა მიკროლამელეებზე, ასიმეტრიული სამკუთხა და სეგმენტისებური ჩასართები. იარაღი დამზადებულია კაჟისაგან. თარიღდება ადრე მეზოლითური ეპოქით. წონას მღვიმის ქვედა პალეოლითური და მეზოლითური მასალისა და ფაუნის ნაშთების მოპოვება მოწმობს, რომ მღვიმე უძველეს მონადირეთა დროებით თავშესაფარს წარმოადგენდა (კალანდაძე 1965: 32-36; კალანდაძე, თუშაბრამიშვილი 1978: 96-100; საქ. არქ. 1991: 104-108, 200). მღვიმეში დადასტურდა გვიანენეოლითი-ადრებრინჯაოს ხანის ცულად გამომწვარი თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები, რომლებსაც აქვთ მასიური კეცი, შავპირალა ზედაპირი და ვარდისფერი სარჩული (კალანდაძე 1960: 6-10).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 78; გიულდენ-შტედტი 1962: 103, 105, 171; 1964: 67; კალანდაძე 1960: 6-10; 1965: 32-36; კალანდაძე, თუშაბრამიშვილი 1978: 96-100; საქ. არქ. 1991: 104-108, 200; ქვ 4: 371,8; 760,18; 767,5,8,10.

წიგნაკრები (ქვ 4: 375,5,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 375,5,6), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 599; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 190), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 42).

ვახუშტი ბაგრატიონი წიგნის შესახებ გადმოგვცემს: „ყორნისს ზეით, წიგნისს, ერთის ამ წყალს ხტანის-ხევი. წიგნისს ზეით ... მთასა შინა, არს ციხე საქართლისა“ (ქვ 4: 375,5-7).

მდებარეობს ზნაურის მუნიციპ-ში, მდ. აღმოსავლეთი ფრონეს ნაპირებზე, ზნაურიდან ჩრდილოეთით 12 კმ-ის დაშორებით, თანამედროვე სოფ. წიგნისის ტერიტორიაზე.

XVIII ს-ში წიგნისის ამილახორთა მფლობელობა-შია (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 190).

1980 წ. სოფ. წიგნისის აღმოსავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, მდ. ფრონეს მარცხენა ნაპირზე, ტყეში გზის მშენებლობის დროს დაზიანდა ნაბოსხლარი, სადაც აღმოჩნდა ქვის ფილა ორი ასომთავრული წარწერით: „სახელითა ღმრთისათა ესე კონქი შექმნა ივანე ერისთავმან სალოცველად მათდა ქორნიკონსა რბ საბაის მამასახლისობასა,“ „იქმნა ხელითა ბარველისათა.“ წარწერა თარიღდება 960 წ. ინახება ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

1981 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ (ხელმძღ. ო.ტყეშელაშვილი) წიგნისის მიდამოებში ჩაატარა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები, რომლის მიზანს შეადგენდა გარკვეული იმ ძეგლის ხასიათი, სადაც გამოვლინდა წარწერები. ბორცვზე განლაგებული ძეგლი აღმოჩნდა სამონასტრო კომპლექსის ნანგრევები. უძველესი ეკავა დაახლოებით 2000 კვმ ფართობი. გაითხარა რიყისა და თლილი ქვით კირხსნარზე ნაგები ერთი სათავსო (9,5X5,5 მ, კედლის სისქე 1 მ), რომელსაც ჰქონდა კრამიტის ორფერდა სახურავი. ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ქვის ფილებით გადახურული XI-XII სს-ის ორმოსამარხი (2,3X1,5X1,38 მ), რომელშიც ქრისტიანული წესით დაკრძალული იყო 4 მიცვალებული (ტყეშელაშვილი 1984: 68-72).

სოფ. წიგნისში, მდ. აღმოსავლეთი ფრონეს მარჯვენა ნაპირზე, შემადღებულ ადგილზე დგას ფეითილი ქვით ნაგები XVI ს-ის ექვსსართულიანი ოთხკუთხა კოში. კუთხეები, კარები და სარკმლები გამოყვანილია თლილი ქვით. სახურავი და სართულშუა გადახურვა არ შემორჩენილია. პირველ და მეორე სართულზე აქვს თითო შესასვლელი (ზაქარაია 1982: 98, 99).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 42; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1953: 190; ზაქარაია, 1982: 98, 99; ტყეშელაშვილი 1984: 68-72; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 599; ქვ 4: 375,5,6.

წიგნაკრები (ქვ 4: 310,8; 501,28). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 310,8; 501,28), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 57), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 125), ალპატის მონასტრის 1211 წ. წარწერა (კონსტანტინცი 1913: 51), 1730 წ. მამულის წყალბარის სიგელი (ქრონიკები 1897: 503), 1730 წ. ვირავენობის წიგნი სომხეთის მელოქისა ყაფლანიშვილებისადმი (საქ. სიძ. 1909: 309).

წიგნაკრები ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „არს ხოჟორნიას ეკლესია გუნბათიანი, ხოლო წიგნისს ციხე მცირე“ (ქვ 4: 310,8,9).

მდებარეობს მარნეულის მუნიციპალიტეტში, დღევანდელი სოფ. წიგნის ტერიტორიაზე. ალაბატის მონასტრის 1211 წ. წარწერით მეფე გიორგი III-სა (1156-1184) და თამარს (1184-1207) სოფელი წიგი უბოძებიათ ვინმე ნაშმადინისათვის (კონსტანტინე 1913: 15; ცქიტიშვილი 1960: 87, სქ.9). 1722 წ. განჯის ხანმა ააოხრა შულავერი და ალჯაყლიდან წიგნს გადავიდა (ქც 4: 501,28), 1730 წ. სოფ. წიგი მელქისედეკ კათალიკოზმა ელიზბარ ორბელიშვილს უწყალობა (ქრონიკები 1897: 503). 1956-1958 წწ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ.ბერძენიშვილი) სოფ. წიგნის მიდამოებში გამოავლინა: ნამოსახლარი გორა, ქვის ხანის გამოქვაბული, ენეოლითური ხანის ნამოსახლარი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი, შუა საუკუნეების ციხე და სხვ. ქვის ხანის ძეგლი წიგი I შესწავლილ იქნა 1957-1958 წწ. ისტორიის ინსტიტუტის წიგნის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. გ.გრიგოლია). ძეგლი წარმოადგენს დაქცეულ გამოქვაბულს, რომელიც მდებარეობს წიგნის გორის სამხრეთ ფერდზე, სოფ. წიგიდან 300 მ-ის დაშორებით. გამოქვაბული ჩამოყალიბებულია ცარცული ასაკის გამარმარილოებული მუქნაცრისფერ კირქვებში გაჩენილი ნაპრაღისა და კარსტული მოვლენების შედეგად. ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამოქვაბული დაიქვა. გამოქვაბულში გამოვლინდა 3,5 მ სისქის ფენა, რომლის ზედა ნაწილი 1,5 მ სისქის ჰუმუსური ფენაა და შეიცავს სხვადასხვა ორნამენტით შემკულ კერამიკის ნატეხებს (ქოთნები, ქვევრები), ხელსაფეკვის ქვებს, რომლებიც ფორმის ფუნქციონირების, ცხოველთა ძვლებს. მეორე ფენა შედგება 5 ჰორიზონტისაგან, სადაც გამოვლინდა ფაუნის ნაშთები, ქვის იარაღები, წარმოების ნაშთები. მეორე და მესამე ჰორიზონტში დაფიქსირდა ქვებისაგან შედგენილი კერები და იატაკში ჩატკრილი ორმოები. წიგნის გამოქვაბულში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის უმეტესობა დამზადებულია პორფირიტის ტუფის, ანდეზიტ-ბაზალტის, არგოლიტის, კირქვის, ქვიშაქვის ადგილობრივი უხეში ქანებისაგან. ისრისპირების მცირე ნაწილი ჩამოყალიბებულია მწვანე ფერის ქანებზე და ოსიდიანზე, სხვადასხვა ფერის კაჟზე, რომლებიც მოტიანი უნდა იყოს ხრამის ხეობიდან. მოპოვებულია გვიანი აშელისა და ადრე მუსტიეს ხანით დათარიღებული 2800 ერთეული ქვის ნივთი. აქედან 952 იარაღია, მათ შორის: სახოკები 419, საფხეკები 11, დანა-სახოკი 294, დანები 93, წვეტანები 102, ორმაგი წვეტანები 7, მინიატურული ხელნაჯახები 6, საჩეხი იარაღი 4, საჭრისები 2, დამგლა 6 ცალია. წარმოების ნაშთი 1848 ერთეულია, მათ შორის გვხვდება: ნუკლეუსები, კაჭრები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ანატაკტიკ-ანამიტრევეები, რაც მიუთითებს წიგნის გამოქვაბულში იარაღის როგორც პირველად, ისე მეორეულ დამუშავებაზე. იარაღებზე კარგად

შეინიშნება საფეხურიანი რტეუმი. წიგნის გამოქვაბულში ადამიანს უცხოვრია დიდი ხნის მანძილზე, ვიან აშელსა და ადრე მუსტიეს ხანაში. იარაღების ტრასოლოგიური გამოკვლევებით დადასტურდა, რომ წიგნითა მეურნეობაში ძირითადი დარგები იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. დამზადებული მეურნეობა იყო ნადირობა (გრიგოლია 1963: 50-90; ესაკია 1977: 8-12; კორობკოვა, ესაკია 1979: 56-60). გამოქვაბულში მოპოვებული ძვლოვანი მასალა განეკუთვნება: ბეწვიან მარტორქას, კეთილშობილ ირემს, დაღესტნის ჯიხვს, ნიამორს, ნამარხ ცხენსა და ვირს, ღომბას, რუხ კურდღელს, მგელს, დათვს, ოქოტონას და სხვ. გამოქვაბული მეთხეული ასაკისაა (გრიგოლია 1963: 48; ვეკუა 1968: 34-45). 1965 და 1969 წწ. წიგნის ენეოლითური ნასახლარი (ნასოფლარი) შესწავლა ისტორიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ტაყუბინიშვილი). ნასახლარზე გამოვლინდა ცალკე ან ჯგუფად განლაგებული 12-მდე სამურნეო ორმო და ორმოს ნაშთი (დმ 1,4-1,8 მ). ორმოთა ნაცროვან ფენაში აღმოჩნდა ცხვრის ძვლები. ერთში - თიხისგან დამზადებული ხარის პატარა ქანდაკება და ადამიანის ძვლები (ჩუბინიშვილი 1966: 9, 10). არქეოლოგიური მონაპოვრიდან ყველაზე არქაულია ქვის მასალა: სატეხი, კახეხილი ცული, სვემენტები, სახვრეტები, საჭრისები. დამახასიათებელია მიკროლითები. გეომეტრიული ფორმის იარაღები დამზადებულია რიყის ქვის, რქეულასა და ოსიდიანისაგან. არქაული კერამიკის ნატეხებში ძირითადად გამოირჩევა ქილისებური მოშავო თიხის ჭურჭლები, რომელთა კეცში დიდი რაოდენობითაა შერეული დანაყილი კვარცი. ზოგ ჭურჭელს ამკობს კოპისეური წანაზარდები. მოვიანო ჭურჭელი მრავალფეროვანია, პირგადამლილი, სფერულმუცლიანი, მოვარდისფრო-მოყავისფრო კეცით, თიხაში ქვიშისა და შხის მინარევებით. აღსანიშნავია ბუნარევი თიხისაგან დამზადებული ორი ჭურჭელი, ძაბრისებური დაბალი ყელითა და სფერული მუცლით. მათი ყელ-პირი გამოყვანილია ჩარხზე, ტანი ხელითაა ნაძეწი. ნასახლარის ძვლოვან მასალაში გამოირჩევა: შინაური ძაღლი, ძროხა, თხა, ცხვარი, ბატი. ვარული ცხოველებიდან: ველური კატა, თაგვი, ტახი, ღომბა, ჯიხვი, მუფლონი (ჩუბინიშვილი 1966: 9, 10; 1971: 9, 10). 1958 წ. წიგნის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის ერთი რაზმის მიერ (ხელმძღვ. რაბრამიშვილი) გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი, რომელიც მდებარეობს წიგნის ციხის დასავლეთით, წიგნისწყლის ხევის მარცხენა ნაპირზე. სამაროვანი მოიცავდა 1,5 ჰა ფართობს. იქ გამოვლინდა ორმოსამარხები და ქვის სამარხები. ეს უკანასკნელი ნაგებობა ან ფლეთიანი ქვით, ან შერეული ქვის ფილებით და შემოზღუდულია ქვის წრეებით. სამარხები ინდივიდუალურია. 2 სამარხი კენოტაფია. მიცვალებულები დაკრძალა თხრილ პოზაში მამაკაცები მარჯვენა, დედაკაცები მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით. სამაროვანი თარიღდება ძვ. წ.

XIII-VIII სს-ით. ქვის წრეებიან სამარხებში გვარის დაწინაურებული წევრები უნდა იყვნენ დაკრძალული (აბრამიშვილი 1959: 17, 18).

ციხის ქედის სამხრეთით, კლდოვანი ტოტის ძირში გაითხარა ფლეთილი ქვით ნაგები დანგრეული და გადაშვარი სათავსო, სადაც აღმოჩნდა კერამიკული ჭურჭელი: ლუგად გამოშვარი სადღვებელი; სხვადასხვა ზომის შავკეციანი, ვიწროფლანის დოქები; შავპრიალა ჭინჭილი; სხვადასხვა ზომის ჯამები; ქოთნები; დერგები შემკული პარალელური ღარებით, ტალღური და გრეხილი სარტყლებით, ჭდური ორნამენტით; დიდი ზომის თიხის ხელგობი სამი მორჩისებური ყური. იქვე აღმოჩნდა: ძელის 3 კვირისტავი, ხელსაფეკვრის ქვა და სხვ. მასალა თარიღდება ძვ. წ. VIII-V სს-ით.

წოფის ციხე აღმართულია შულავერის წყლისა და დებედის წყალგამყოფ უსახელო ქედის გაშიშვლებულ კირქვებსა და მარმარილოსებრ კირქვების კლდეზე (ცქიტიშვილი 1960: 83). შემორჩენილია ზედა ციხის ნანგრევები და გალავნის კედლის ფრაგმენტები, რომელიც სამხრეთის კლდოვანი ფერდობის დიდ ტერიტორიას ზღუდავს. ციხის კედლები ნაგებია მარმარილოსებრი კირქვის სწორკუთხა კვადრებით. დაცულია რიგის პორიზონტალურობა. ზედა ციხის ირვვლივ კედლებში დატანებული 4 ნახევარწრიული ბურჯია. ბურჯებია გალავნის კედლებშიც, რომელიც იმ ადგილებშია ამოყვანილი, სადაც ბუნებრივი სიმაგრე სუსტია. ქვედა ციხე შექმნილია ერთიანი ზღუდით. იქ გამოყენებულია ციკლოპური წყობაც. ზედა ციხის აღმოსავლეთით, გარეთ გატანილი მრგვალი ვეგმის კოშკია აღმართული. გალავნის შეიგნი ტერასებზე განლაგებულია საცხოვრებელი კომპლექსები და ნალისებრაფსიდიანი ეკლესია, რომელიც აგებულია ისეთივე სამშენებლო მასალითა და წყობით, როგორითაც ციხეა ნაგები (ცქიტიშვილი 1960: 86). წოფის ციხის გათხრისას ზედა ფენაში გამოვლინდა XI-XIII სს-ის დამახასიათებელი მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის ფრაგმენტები. ე. წ. ჩამოღვეთილჭიქურიანი კერამიკა და მინის სამაჯურის ნატეხები. გვემარებით, ტოპოგრაფიით, სამშენებლო ტექნიკითა და მასალით წოფის ციხე ანალოგიურია V-VI სს-ით დათარიღებული ციხეებისა და სავარაუდოა, რომ წოფის ციხეც ადრე შუა საუკუნეებში იყოს აშენებული (ცქიტიშვილი 1960: 87-89).

წოფის ციხის ფერდობზე ზედაპირულად აკრეფილ მასალაში არის ელინისტური და რომაული ხანისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ნატეხები, რაც შესაბამისი ფენების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს (ცქიტიშვილი 1960: 87). წოფის ციხე დგას მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილზე, ის სხვა ციხეებთან ერთად მეთვალყურეობდა დმანისლორედან სომხეთისაკენ მიმავალ გზას (ბერძენიშვილი 1966: 87).

წოფის გორის ქედზეა აგებული დარბაზული ტიპის ნალისებურაფსიდიანი ეკლესია. კონქის თალიც ნალისებურია. აგებული უნდა იყოს VI-VII სს-ში.

მეორე ეკლესია ნასოფლარზე დგას. ის დარბაზულია, გარეთ გაწეული ხუთწახნაგა შვერილი აფსიდით. ნაგებია უხეშად გათლილი მარმარილოსებრი კირქვის ქვებით. წყობაში პორიზონტალობა დაცულია. კუთხის, ბალავრისა და სვეტების ქვები კარგად გათლილი ტუფი, კირქვა და ტრავერტინია. შესავლელი აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან. ამბოინი საფეხუროვანი და ამაღლებულია. ძეგლის გათხრისას გამოვლინდა მონუქურთმებული ქვები და ბოლნური ჯვარი. სვეტის თავზე გამოსახულია რელიეფი – დედალ-მამალ ირმებს მისდევს ლომი. ეკლესიას დასავლეთიდან მიშენებული აქვს სტოა, რომლის სვეტად გამოყენებულია ქვაჯვარის ჩუქურთმით შემკული ნატეხი. მის ერთ მხარეზე ამოკვეთილია მხედარი – მარცხენა ხელში ფართი, მარჯვენაში შუბით. ქვაჯვარი დგას კუბური ფორმის ბაზისზე, რომელსაც ამკობს ლენტურ ჩარჩოში ჩასმული ბოლნური ჯვარი. ეკლესია აგებული უნდა იყოს VI-VII სს-ში (ცქიტიშვილი 1960: 89).

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1959: 17, 18; ბაგრატიონი 1986: 57; ბერძენიშვილი 1964: 39-44; 1979: 5, 22, 46, 47, 62, 85, 101; ბერძენიშვილი 1966: 68, 87; ვრიგოლია, ტატიშვილი 1960: 63-81; ვრიგოლია 1963; დადიანი 1962: 127; ესაკია 1977: 8-12; ვეკუა 1958: 34, 35; კობოტოვა, ესაკია 1979: 56-60; კონსტანტიანი 1913: 51; მუსხელიშვილი 1960: 35; საქ. არქ. ... 1992: 309; საქ. სიძ. 1909: 309; ქრონიკები 1897: 503; ქვ 4: 310, 8, 501, 28; ჩუბინიშვილი ... 1966: 9, 10; ჩუბინიშვილი ... 1971: 9-12.

ვრახუმი (ქვ 4: 325,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 325,3), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 31; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 130; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 257; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 337; საქ. სიძ. 1920: 209; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 37), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 201), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 51). მდებარეობს თეთრი წყაროს მუნიციპ-ში, მდ. ქციის ხეობაში, ქციის მარცხენა მხარეზე, წინანაურის დასავლეთითა და უკან დაღეთის აღმოსავლეთით (ლორთქიფანიძე 1935: 373).

სხვადასხვა წყაროში წრახუმი იხსენიება წრახუთი, წარუთი, წურუთი ფორმით (ლორთქიფანიძე 1935: 373). წრახუთის ადგილას შემორჩენილია მოზრდილი ნასოფლარი. აქვეა ეკლესია და ძველი სასაფლაო (ხარაძე 1991: 76).

წრახუთი არქეოლოგიურად შესწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 51; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 130; ლორთქიფანიძე 1935: 373; მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 337; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 37; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 130; ორბელიანი 1981: 201; საქ. სიძ. 1920: 209; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 31; ქვ 4: 325,3; ციციშვილი 1979: 11-17; ხარაძე 1991: 76.

ვრომში, მონასტერი (ქვ 4: 345,11). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 345,11), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 264; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 117; 1981: 363), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 43), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 32). ვახუშტი ბაგრატიონი წრომის შესახებ გადმოგვცემს: „მძორეთის ჩდილოთ, გორას იქით და სამწვერის ზეით, არს მონასტერი ყოვლადწმიდისა წრომს, გუმბათიანი შუენიერი, სოფის კენჭი ჩაწყობილ-დანატული ...“ (ქვ 4: 345,11-14,სქ.4). მდებარეობს ნაშურის მუნიციპ-ში, ნაშურიდან აღმოსავლეთით 15 კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, თანამედროვე სოფ. წრომის ტერიტორიაზე.

1731 წ. წრომს თავს დაესხნენ ლეკები, გადაწვეს და ტაძრის გალავანი ააფეთქეს (ჩხეიძე 1913: 43). XVIII ს-ის ბოლოს წრომი შედიოდა ციციშვილების სამეფოებელში (ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 117).



წრომი

სოფ. წრომის აღმოსავლეთით 200 მ-ის დაშორებით, მდ. წრომულას ნაპირას აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის სამეოფნო სახელოსნოს ნაშთი – კერამიკის გამოსაწვავი ქურა, ნახშირის

გროვები, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე დაზვერვებისას მიკვლეულია გვიანი შუა საუკუნეების რამდენიმე ნასახლარი (სძა 1990: 457).

წრომში დგას ღვთისმშობლის გუმბათიანი ტაძარი (25,6X19,85მ). ტაძარი სამხრეთ ფასადზე ამოკვეთილი სტეფანოს ერისმთავრის წარწერით თარიღდება VII ს-ით (ჩუბინაშვილი 1936: 145-168; 1969: 12). სხვა მოსაზრებით, ტაძარი IX ს-საა (ქართ. წარწ. კორ. 1980: 168, 169). იგი რამდენჯერმე გადაკეთდა: XI-XII სს-ის მიჯნაზე და XVI-XVII სს-ში. 1940 წ. 8 მაისს მიწისძვრის შედეგად ტაძარი ძლიერ დაზიანდა. შემდგომში აღადგინეს. ტაძარი აგებულია ქვიშაქვის კვადრებით. აფსიდა ნახევარწრიულია. მის ჩრდილოეთ და სამხრეთით სამკვეთლო და სადიაკვნაა. დასავლეთ მკლავში, პატრონიკეს ქვეშ ნართექსიაა. საკურთხევლის კონქი შემკული იყო მოზაიკით, რომლის უმეტესი ნაწილი განადგურებულია. გადარჩენილი მცირე ნაწილი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). საკურთხეველი მოხატულია ღვთისმშობლისა და მოციქულთა ფრესკებით. აღმოსავლეთის ფასადი შემკულია სამნაწილიანი თაღებით, რომელთაგან გვერდითი თაღები სამკუთხა ნიშებაა. ტაძარს აქვს 3 მართკუთხა შესასვლელი თაღოვანი ტიპისანი (ჩუბინაშვილი 1969:12-39).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 32; მასალე-

ბი საქ. ისტ. გეოგ. 1964: 264; სძა 1990: 457; ქართ. სამართ. ძეგ. 1974: 117; 1981: 363; ქრინიკები 1892: 69, 70; ქართ. წარწ. კორ. 1980: 109, 110, 130-134, 168, 169; ქვ 4: 345,11; ჩუბინაშვილი 1936: 145-168; 1969: 12-39; ჩხეიძე 1913: 43.

წუნდა, ციხე-ქალაქი, ქალაქი (ქვ 1: 10,2, 30,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქვ 1: 10,2; 17,19; 24,18; 25,19; 30,8; 44,16,17; 47,13; 48,1; 49,19; 57,8), მისივე „წინოს მიერ ქართლის მოქცევა“ (ქვ 1: 117,20; 131,16), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქვ 1: 185,24; 198,16; 203,20; 204,3; 205,1), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 28,11; 57,14; 63,23; 64,23; 110,17; 113,26; 258,12; 662,7; 670,9,14,18; 675,16; 691,11,14), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 16), XVIII ს-ის ოსმალური დოკუმენტი (XVI-XVIII სს ოსმალური ... 1987: 150).

მდებარეობს ასპინძის მუნიციპ-ში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ნაქალაქევისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ისტორიული ტრადიციის თანახმად, ციხე-ქალაქი წუნდა ააშენა ქართველთა ეთნარქმა ჯავახოსმა (ქვ 1: 10,2). „ქართლის ცხოვრებისეული“ ლეგენდის თანახმად, ალექსანდრე მაკედონელს ქართლში ლაშქრობისას სხვა ციხე-ქალაქებთან ერთად წუნდაც დახვედრია (ქვ 1: 17,19). ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა (ძვ. წ. IV-III სს) დააარსა წუნდის საერისთავო (ქვ 1: 24,18). არშაკ (არსუკ) მეფემ კიდევ უფრო განამტკიცა ქალაქის ზღუდე (ქვ 1: 30,8). სომეხთა მეფემ ქართლის მეფე ფარსმანს მისცა წუნდა და მას უწოდა ქაჯატუნი (ქვ 1: 44,16-18). შემდეგ სომეხები იძულებული გახდნენ წუნდა დაებრუნებინათ (ქვ 1: 49,19). იმპერატორ კონსტანტინეს მიერ ქართლში გამოგზავნილმა ქვითხურობმა ერთ-ერთი პირველი ეკლესია ააშენეს წუნდაში (ქვ 1: 117,20). ვახტანგ გორგასალმა წუნდაში დასვა ეპისკოპოსი (ქვ 1: 198,16). წუნდა იყო დაჩი ვახტანგის მის საზაფხულო რეზიდენცია (ქვ 1: 205,1). წუნდაზე გადიოდა ბიზანტიიდან ქართლში შემომავალი გზა. X ს-ში წუნდა თანდათან დაქვეითდა. ჯავახეთის ცენტრმა გადაინაცვლა თმოგვში (ბერძენიშვილი, გაბაშვილი 1987: 351). გვიან შუა საუკუნეებში თურქების მიერ სამცხის მიტაცების შემდეგ სოფ. წუნდა შედიოდა ახალქალაქის ლივას თმოგვის ნაპივში (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 16). წუნდა ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში ყველგან მოიხსენიება „წუნდა“-ს ფორმით. მისივე განმარტებით, „ამასვე უწოდეს ჰური, შემდგომად უწოდეს ქაჯათა ციხე. იყო ქალაქი და ციხე და საერისთო ერთ მეფობამდე“ (ქვ 4: 670,11-13). ვახუშტი ბაგრატიონის ეს ცნობა ექ.თაფაიშვილს მცდარად მიაჩნდა. შეცდომის საფუძველს წარმოადგენს ლეონტი მროველის ის ცნობა, სადაც საუბარია, რომ თავის დროზე სომხების მიერ მიტაცებულ წუნდაში

დასახლეს „კაცნი მხეცნი, ნათესავნი დევთანი, და უწოდეს წუნდას სახელად ქაჯატუნი“ (ქც 1: 44,16,17). წუნდას არ შეიძლება რქმეოდა ქაჯთა ციხე ან ჰური. ქაჯის ციხე მდებარეობს მტკვარსა და ყარა-სუს შესართავთან რამდენადმე ქვევით. რაც შეეხება ჰურს, ამ სახელწოდების სოფელი მდებარეობს მტკვრის ვაკელებით ზევით, ველსა და არდაგანს შორის (მასალები ... 1909: 58, 59).

წუნდა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. 1964 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ტ.ჩუბინიშვილი) თმოგვიდან 1,5 კმ-ის დაშორებით ბერთაყანაში გათხარა ძვ. წ. IV-III სს-ის ნამოსახლარი. გამოითქვა მოსაზრება, რომ აღმოჩენილი ნაგებობები შესაძლოა ეკუთვნოდეს ანტიკური ხანის ქალაქ წუნდის გარეუბანს (ჩუბინიშვილი, ლამბაშიძე 1965: 10).

წუნდის ითანე ნათლისმცემლის XII-XIII სს-ის დარბაზული ტიპის ეკლესია ნაქალაქარის ტერიტორიაზე შემორჩენილი ერთადერთი მიწისზედა ძეგლია. ეკლესიის დასავლეთ კედელზე სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა, რომელშიც მოხსენიებულია ეკლესიის აშენებელი იმპით გურგენის ძე (ცისკარიშვილი 1959: 47). აქვეა შემორჩენილი სამრეკლო, ველაზის ქვები და ქვაში ნაკვეთი საწუნახლები. ნაქალაქარის ჩრდილოეთით მდებარე ნაციხარი ვერანყალა, რომელიც ქალაქ წუნდას დამცველი ციხე უნდა ყოფილიყო (ბერძენიშვილი 1985: 82).

ბიბლიოგრაფია: *ბაქრაძე 1875: 150; ბერძენიშვილი 1985: 76-80, 82; ბერძენიშვილი, გაბაშვილი 1987: 351; ბერძენიშვილი 1964: 136; ბოჭორიძე 1992: 221, 222; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 16; მასალები ... 1909: 58, 59; XVI-XVIII საუკუნეების ... 1987: 150; მჭედლიშვილი 1987: 26-29; ქც 1: 10,2; 17,19; 24,18; 25,19; 30,8; 44,16,17; 47,13; 48,1; 49,19; 57,8; 117,20; 131,16; 185,24; 198,16; 203,20; 204,3; 205,1; ქც 4: 28,11; 57,14; 63,23; 64,23; 110,17; 113,26; 258,12; 662,7; 670,9,14,18; 675,16; 691,11,14; ჩუბინიშვილი, ლამბაშიძე 1965: 8-11; ცისკარიშვილი 1959: 47; ჭიალაშვილი 1968: 23-31.*

ფუჟიში (ქც 1: 243,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისი არჩილისი, რომელი იგი იყო მეფე ქართლისა“ (ქც 1: 243,19). ლოკალიზებულია გვიანდელი წახურის ადგილას, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე (ედილი 1997).

ირანის ავრესის შედეგად XVI-XVII სს-ში კახეთმა დაკარგა თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი – წახური, კაკ-ელისენი და სხვ. (სინ 1973: 151). 1562 წ. შაჰ თამაზმა ლევან კახთა მეფე გააფრთხილა, რომ არავის შეეწუხებინა წახურის ბატონი (სინ 1973: 167). წუქეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ედილი 1997; სინ 1973: 151, 167; ქც 1: 243,19.*

ფყალყინის კოშკი (ქც 1: 299,21). იხსენიება „მატიანე ქართლისაიში“ (ქც 1: 299,21). ლოკალიზდება თბილისში. ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია. როცა თბილისელმა ბერებმა ბაგრატ IV-ს (1027-1072) ქალაქი გადასცეს, მეფემ დარიჯელისა და თაბორის ციხეებთან ერთად დაიკავა „ორნივე კოშკნი წყალყინისანი“ (ქც 1: 299,20,21).

ბიბლიოგრაფია: *ქც 1: 299,21.*

ფაროსთაში (ქც 1: 205,18; ქც 4: 669,26; 671,23,25; 672,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 205,18), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 669,26; 671,23,25; 672,1), გიორგი მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ (ცხოვრებაი გრიგოლ ხანძთელისაი 1946: 121), „ცხოვრება პროხორისი“ (ცხოვრებაი პროხორისი 1946: 151), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 281), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 217). ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: ფოსოს „წყალზედ არს (კარწახის) ტბის მჭვრეტი, წყაროსთავს, ეკლესია ფრიად დიდ-შუენიერი, გუმბათიანი, რომელ აღაშენა მირდატ გორგასლის ძემან. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი მტკურის აღმოსავლეთისა არტანიითურთ, ვიდრე ყარსის მთამდე და ხავეთამდე“ (ქც 4: 669,24-26). იოჰან გიულდენშტედტის ცნობით, არდაპანს „ეკუთვნის კარგად დასახლებული პუნქტი წყაროსთავი“ (გიულდენშტედტი 1962: 217).

ლოკალიზდება ისტორიულ ჯავახეთში. მდებარეობს კარწახის ტბის მახლობლად, მისგან ჩრდილო-დასავლეთით. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში.

წყაროსთავის VI ს-ის ბაზილიკა X ს-ის შუა ხანებსა თუ მეორე ნახევარში გუმბათიან ტაძრად გადაუკეთებიათ. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩენილ წარწერაში მოხსენიებულია ეპისკოპოსები გიორგი და იოანე სამთავნელები. XX ს-ის 80-იან წლებში ეკლესია მთლიანად დაინგრა (თაყაიშვილი 1909: 45-51; ჩუბინაშვილი 1936: 34; ბერიძე 1981: 183-185).

წყაროსთავი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. **ბიბლიოგრაფია:** *ბაქრაძე 1875: 149; ბერიძე 1981: 183-185; ბერძენიშვილი 1981: 120; გიულდენშტედტი 1962: 217; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 281; თაყაიშვილი 1909: 45-51; ქც 1: 205,18; ქც 4: 669,26; 671,23,25; 672,1; ჩუბინაშვილი 1936: 34; ცხოვრებაი გრიგოლ ხანძთელისაი 1946: 121; ცხოვრებაი პროხორისი 1946: 151.*

ფყდუღუმი (ქც 4: 329,13), წყდუღუმი, წყრულეთი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშ-

ტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 329,13), XVII-XVIII სს-ის საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 264; მასალანი საქ. სტატ. 1907: 87).

ვახუშტი ბაგრატიონი წყდუღეთის შესახებ გადმოგვცემს: „კოურის ჩდილოთ კერძ არს სკვირეთის მდინარე, აწ წოდებული ვერე ... ვანათს ქვეით არს ციხე წვერისა, სამხრით, აქაე არს ხევი გელიფარისა; მას ქუეთით, წყდუღეთს, ერთვის ვერეს ხევი, და ამ ხევის თავს, მთაში, ჩდილოთკენ, არს ციხე ლასტისა“ (ქც 4: 329,13).

მღებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპ-ში, თანამედროვე სოფლების, ვანეთისა და ლვევის აღმოსავლეთით, მდ. ვერეს მარცხენა ნაპირზე (ლორთქიფანიძე 1935: 374; ხარაძე 1991: 109).

წყაროებში იხსენიება XVII ს-დან. იგი ყაფლან ორბელიანს ეკუთვნოდა. 1721 წ. „მეწინავე სადროშის“ აღწერის მიხედვით, სოფელში ითვლებოდა 2 მეპატონე – გიორგი და სვიმონ რევიშვილები, 6 გამოძობილი და 1 ზოგანო ყმა (მასალანი საქ. სტატ. 1907: 87; ლორთქიფანიძე 1935: 374; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 264). წყდუღეთი დღეს ნასოფლარია.

წყდუღეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ნასოფლარზე შემორჩენილია XII-XIII სს-ის ლეთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები (ხარაძე 1991: 109).

ბიბლიოგრაფია: ლორთქიფანიძე 1935: 374; მასალანი საქ. სტატ. 1907: 87; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 264; ქც 4: 329,13; ხარაძე 1991: 109.

ყვანთი (ქც 4: 338,27). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 333,19; 338,27), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 683), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (სიმონ მეფის არზა ... 1980: 161; საქ. სიძ. 1909: 209, 304; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 264, 265; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 142; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 316; 1972: 128, 382; 1977: 613; ქრონიკები 1967: 185), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 67), იესე ოსეს მის „თავგადასავალი“ (თავგადასავალი ... 1913: 77, 87, 112), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 54).

მღებარეობს თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. ვერეს ხეობაში, თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით 8 კმ-ის დაშორებით.

წყნეთიდან ცნობილია შემთხვევითი აღმოჩენები, კერძოდ, გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკა, რომელიც ინახება წყნეთის საჯარო სკოლაში. საქართველოს

ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) ინახება წყნეთში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები: თავებუდასული სამაჯური; საკინძი, კუბური თავითა და მრგვალი ნახვრეტით. შემკულია საძი წიბოთი; კონუსურთავიანი საკინძი. თავს ქვემოთ ღეროს შემოუყვება 2 წყვილი წიბო; სამაჯური, რომლის გახსნილი ბოლოები წარმოადგენს კველის თავის სტილიზებულ გამოსახულებას. ღერო შემკულია ამოკაწრული ხაზებით, ჭდეებითა და ურთიერთგადამკვეთი მოკლე ხაზებით, რგოლი, 2 ცალი გახსნილი რგოლი, მცირედ ჩაჩხვლტელი თავებით (არქ. მას. კატ. 1955: 72, 73). ნივთები თარიღდება ძვ. წ. IV-III სს-ით.

1967 წ. წყნეთში, ადგილ შოლტებში, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი 3 ქვის სამარხი. მათში უკანასკნელი მიცვალებული ესვენა ქრისტიანული წესით. ადრე დაკრძალულთა ძვლები კვერდზე იყო მიხვეტილი. სამარხული ინვენტარიდან ყველაზე მრავლად წარმოდგენილია ბრინჯაოსა და რკინის მთლიანადსხმული და სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული საკინძები, რომელთა თავები შემკულია ოთხკუთხა მოყვანილობის დაფანჯრული შენობით, ხელის მტყვნის გამოსახულებით, აგრეთვე მინის, სარდიონისა და მარჯნის სხვადასხვა ფორმის მძივებით. №1 სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს 2 მშვილდსაკინძი. სამარხული ინვენტარი თარიღდება VI-VIII სს-ით. მასალა ინახება არქეოლოგიური ცენტრის დუშეთის ბაზაში (ჯორბენაძე 1998: 40-43).

1936 წ. წყნეთში მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა მონეტების ვანიძი, რომლიდანაც 133 მონეტა შეიძინა ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა. მონეტები ეკუთვნის დემეტრე I-ს, გიორგი III-ს, თამარს, გიორგი IV-ს. 8 მონეტა არ ისაზღვრება (ჯვალაღანია 1979: 98). 1964 წ. წყნეთში აღმოჩნდა ერცპერცოვ ფერდინანდის უთაროლო ტალერი (ქებულაძე 1971: 93).

ბიბლიოგრაფია: არქ. მას. კატ. 1955: 72, 73; ბაგრატიონი 1986: 54; თავგადასავალი ... 1913: 77, 87, 112; მასალანი საქ. სტატ. 1907: 308, 335, 336; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1955: 141; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 264, 265; ორბელიანი 1981: 67; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 142; საქ. სიძ. 1909: 209, 304; სიმონ მეფის არზა ... 1980: 161; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 316; 1970ა: 683; 1972: 128, 382; 1977: 613; ქებულაძე 1971: 93; ქრონიკები 1967: 185; ; ქც 4: 333,19; 338,27; შმერლინგი, დოლიძე, ბარნაველი 1960: 82, 83; ხარაძე 1991: 110; ჯორბენაძე 1998: 40-43; ჯვალაღანია 1979: 98.



ჭანდარი (ქც 4: 387,30). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 387,30), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც 2: 344,8; 484,14), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 713), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1920: 84, 123, 357, 416; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 52, 343; მასალანი საქ. სტატ. 1907: 121, 126, 382; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 266; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 21).

მდებარეობს მარნეულის მუნიციპ-ში, მდ. ალგეთის მარცხენა მხარეს, მარნეულის ჩრდილოეთით ებმის რაიონულ ცენტრს.

1488 წ. ქართველებმა დაამარცხეს ჭანდართან მდგომი თათრები (ქც 4: 387,30). ჭანდარს ამჟამად ჯანდარის სახელით მოიხსენიებენ.

ჯანდარი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

1979 წ. ჯანდარში შემთხვევით აღმოჩნდა 10 ვერცხლის მონეტა. 3 მოჭრილია თბილისში ოლჯაითუ სულთანის სახელზე. მათგან 2 მოჭრილია 1311/12 და 1314/15 წლებში. 7 დირჰემი აბუ-საიდ იოხანს ეკუთვნოდა. აქედან 2 მონეტა თბილისშია მოჭრილი 1326/27 წელს. ორზე ზარაფხანის სახელი გადაშლილია. 1 მოჭრილია 1323/24 წელს სულთანიეში (ღვაბერიძე 1986: 69). მონეტებს ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ჭანდრის გარდა, ამავე სახელწოდების სოფელი ცნობილია ახალგორის მუნიციპ-ში. მდებარეობს ახალგორიდან 18 კმ-ის დაშორებით, ალგეთის ქედის დასავლეთ კალთაზე. ჭანდარი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1981: 103; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 52, 343; ლორთქიფანიძე 1935: 375; მასალანი საქ. სტატ. 1907: 121, 126, 382; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 266; საქ. სიძ. 1920: 84, 123, 357, 416; ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 713; 1981: 21; ქც 2: 344,8; 484,14; ქც 4: 387,30; ღვაბერიძე 1986: 69; ხარაძე 1991: 93.

ჭანდრის უბანი (ქც 4: 544,სქ.2) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:544,სქ.2), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 248; 1981: 477).

მდებარეობს გურჯაანის მუნიციპ-ში, გურჯაანიდან 5 კმ დაშორებით, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე. დღევანდელი სოფ. ჭანდრის ადგილას.

წერილობით წყაროებში ჭანდრის უბანი ზოგჯერ ჭანდრისხევად მოიხსენიება (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 248; 1981: 477).

ჭანდარი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ჭანდრის მიდამოებიდან ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის ე. წ. „კახური ტიპის“ სატყევარი, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (გურჯაანის საცავი) (ფიცხელაური 1973: 180, 181).

ბიბლიოგრაფია: ფიცხელაური 1973: 180, 181; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 248; 1981: 477; ქც 4: 544,სქ.2.

ჭაპალა, ციხე (ქც 4: 310,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 310,25; 311,3; 330,13; 607,30), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 713), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (სიგელები ... 1898: 66; საქ. სიძ. 1909: 423, 424, 510; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 266; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 95, 129; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 155; 1981: 509, 510; 1985: 604), XVIII ს-ის ქვემო ქართლის სტატისტიკური აღწერის მასალები (მასალანი საქ. სტატ. ... 1907: 143, 145), პაპუნა ორბელიანის „ამბიანი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 234), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 7), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 57), იესე ოსეს ძის „თავგადასავალი“ (თავგადასავალი ... 1913: 104), ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთი (ქართულ-სპარსული ... 1955: 303, 304), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 81).

მდებარეობს ბოლნისის მუნიციპ-ში, მდ. მაშავერას მარჯვენა ნაპირზე სოფ. გუჩულოსთან.

ჭაპალა პირველად იხსენიება 1664 წ. საბუთში, რომლის მიხედვით, ვახტანგ V შაჰნავაზს (1658-1675) ჭაპალა უბოძებია ელიზბარ სოლოღაშვილისათვის (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 266). ერეკლე I ნაზარალიხანმა (1688-1703) ჭაპალასთან დაამარცხა ქართლის მეფე გიორგი XI (1676-1688; 1703-1709) (ქც 4: 607,30). ერეკლე II-ის (1744-1798) ბრძანებით 1750 წ. დიმიტრი ორბელიანმა

განაახლა ჭაპალას ციხე (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 95). გუჩულოს ციხე მიჩნეულია განვითარებული შუა საუკუნეების ქავაზიანად და გვიანდელი შუა საუკუნეების ჭაპალად. ვარაუდობენ, რომ აქვე იყო გაჩიან-ცურტავიც, ქართლის პიტიახშის რეზიდენცია (ბერძენიშვილი 1964: 44). სხვა მოსაზრებით, გუჩულოს ციხისა და ჭაპალას იდენტიფიკაცია დამაჯერებელია, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს აგრეთვე ქავაზიანი, გაჩიანი და ცურტავი (სინაურიძე 1977: 134).

1974-1975 წწ. ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არახლო-კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. მ.სინაურიძე) გათხრებს აწარმოებდა ჭაპალას ციხის ტერიტორიაზე (სინაურიძე 1977: 129-134).

ციხე მდებარეობს მდ. მაშავერას მარჯვენა ნაპირზე, სოფ. გუჩულოს ჩრდილოეთით, შემადლებულ კლდეზე, მდინარეზე არსებული ქვის თაღოვანი ხიდის ახლოს. ციხის მთავარი ნაწილი, რომელიც რამდენიმე მრგვალ კოშკსაც მოიცავს, აშენებულია შემადლებულ კლდეზე, ბორცვის დასავლეთ ნაპირზე. ბორცვის თხემი მთლიანად შემოზღუდულია სქელი კედლით, რომლის სიმაღლე ზოგან 3 მ-ს აღწევს. კედლები გამაგრებულია ნახევარწრიული ბურჯებითა და რამდენიმე მრგვალი კოშკით. აღმოსავლეთიდან ციხე მიუღებელია და ამ მხრიდან არცაა გამაგრებული. ეზოში სხვადასხვა ნაგებობათა ნანგრევებია. ზღუდის წყობა ძირითადად ერთნაირია – კირხსნარზე ნაგები ქვისა და აგურის მონაცვლეობა. კედლოვან მასივში გამოკვეთილია საფეხურები. ციხის ძირითადი ნაწილის ქვევით, მრგვალი კოშკების ქვეშ, კლდეში ტალანია გაჭრილი. კლდეში 3 დიდი ორმოა წყლისათვის. ციხის ჩრდილოეთით და დასავლეთით ნასახლარები და 3 ეკლესიის ნანგრევია (ბერძენიშვილი 1964: 39-42).

ციხის ტერიტორიაზე გაითხარა მიწის ქვეშ მოქცეული თაღოვანი ნაგებობა. მისი სამხრეთი ნაწილის გასწვრივ გაიწმინდა ფარითობი (16X8 მ), სადაც გამოვლინდა სამეურნეო დანიშნულების შენობის კედლის ნაწილები. ნაგებობაში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ხელსაფქვავის ქვები, ქვევრები და თონეები. ფენებში გამოვლინდა სადა და მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, მინის სამაჯურები, მოჭიქული კრამიტები, შორენკეცები. მასალა თარიღდება XII-XIII სს-ით.

თაღოვანი ნაგებობის გათხრის შემდეგ გაირკვა, რომ მისი კედლები შიდა მხრიდან მოპირკეთებული იყო გათლილი ქვებით. იატაკიდან 0,6 მ სიმაღლეზე ამგვარი ქვებით შექმნილი იყო კარნიზი. იატაკი მოლესილიყოფილა ღუღაბით. დასავლეთ კედელში იატაკის ღონის ორნაგ ზემოთ, კედელში დატანებულია თიხის მილი, რომლის უფრო ზემოთ, მეორე ასეთივე მილია. ამ დეტალების მიხედვით ნაგებობა წყლის რეზერვუარი უნდა იყოს (სინაურიძე 1977ა: 43). ნაგებობის აღმოსავლეთი კედლის გაწმენდისას გამოვლინდა მასზე მიშენებული აგურის თაღი, რომლის თავს ეკვრის ნალესობით დაფარული

წრიული მოედანი. სამეურნეო ნაგებობებიდან ამ ადგილას ქვის კიბე ეშვებოდა. თალიანი ნაგებობის უკანა კედლთან გაითხარა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა, რომელშიც გამართული იყო ქვევრები და თონეები. ზედა ფენებში გამოვლინდა სადა და მოჭიქული კერამიკის ნატეხები, მინის სამაჯურები, მოჭიქული კრამიტები, შორენკეცები XII-XIII სს-ს განეკუთვნება (სინაურიძე 1977ა: 44). ერთ-ერთ კოშკში გაითხარა აბანო, რომელიც შედგებოდა რვაკუთხა თბილი და ცხელი განყოფილებისაგან, საცეცხლფარეშოსაგან და აუზისაგან. აბანოს შიგნით და გარეთ აღმოჩნდა სხვადასხვა ფერის სარკმლის მინის ნატეხები, მოჭიქული შორენკეცები; სადა კერამიკული ნატეხები და ერთი მოჭიქული ჭურჭელი არაბული წარწერით. მასალა თარიღდება XI-XIII სს-ით (სინაურიძე 1977ა: 44). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: ბავრატიონი 1986: 57; ბერძენიშვილი 1964: 39-44; 1968: 60; გიულდენშტედტი 1962: 81; თავგადასავალი ... 1913: 104; ლორთქიფანიძე 1935: 375; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 266; მასალანი საქ. სტატ ... 1907: 143, 145; ორბელიანი 1981: 234; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 95, 129; საქ. სოდ. 1909: 423, 424, 510; სიველები ... 1898: 66; სინაურიძე 1977: 129-134; 1977ა: 42-44; ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 713; 1977: 155; 1981: 509, 510; 1985: 604; ქართულ-სპარსული ... 1955: 303, 304; ქც 4: 310,25; 311,3; 330,13; 607,30; ჩხვიძე 1913: 7; ხარაძე 1991: 105.

ჭაჰჰიმი, ციხე (ქც 4: 449,28; 778,5, სქ. 2; 836,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბავრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 449,28; 778,5,სქ.2; 836,15), 1640 წ. წმინდა ნიკოლოზის ხატის წარწერა (ქრონიკები 1897: 455), XVII ს-ის მარტვილის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატის წარწერა (თავაიშვილი 1913ბ: 55), ფეშანგის „შაჰნავაზიანი“ (ფეშანგი 1935: 80,1, 464,1), ნიკო დადიანის „ქართველი ცხოვრება“ (დადიანი 1962:162,35, 183,3, 190,21, 199,11, 203,14), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 36), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 325).

ვახუშტი ბავრატიონის მიხედვით: ხორგის „წყალზედ, მთის ძირში, უნაგარას ჩდილოთ, არს ციხე ჭაქეთით და სასახლე დადიანისა“ (ქც 4: 778, 4,5). მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპ-ში, მდ. ჭანის წყლის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ჭაქვინჯის ტერიტორიაზე.

წყაროებში პირველად იხსენიება XVII ს-ში (ქრონიკები 1897: 455). იქ მდებარეობდა ოდიშის ერთი ძლიერი და მნიშვნელოვანი ციხე (ბერაძე 1970: 45). 1660 წ. ქართლის მეფე ვახტანგ V-ემ (1658-1675) აიღო ჭაქეთის ციხე, რომელშიც ლევან II დადიანის ცოლშვილი იმყოფებოდა (დადიანი 1962: 162,35). ჭაქეთზე გადიოდა ჩრდილოეთ



ჭაქეთის ციხე

კავკასიაში მიმავალი გზა (ზაქარაია 1980: 29). წყაროებში იხსენიება „ჭაქვიჯი“, „ჭაქვიჯი“, „ჭაქვინჯის“ სახელითაც.

1968-1979 წწ. ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კომპლექსურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. პ.ზაქარაია) არქეოლოგიური გათხრები ჩატარა ჭაქეთის ციხის ტერიტორიაზე.

ჭაქეთის (ჭაქვინჯის) ციხე მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში. ციხეს დიდი ფართობი უჭირავს. მისი ეზო შემოზღუდულია 5 მ სიმაღლის და 1 მ სიგანის გალავნით. ციხე შედგება ციტადელისა და ქვედა ციხისგან, რომელიც ციტადელის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. ციტადელი (დაახლ. 100X30 მ) გეგმაში ოვალურია. შესავლელი ჰქონია ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან. ციტადელი ქვედა ციხესთან გვირაბითაა დაკავშირებული. ქვედა ციხე გეგმაში ოთხკუთხაა (5,2X12,7 მ). კედლების სიგანე მერყეობს 1,5-2 მ-ს შორის. ქვედა ციხის ტერიტორიაზე 1 კოშკია შემორჩენილი. ქვედა ციხეც და კოშკიც დაზიანებულია. ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილია 3 ფენა: ადრე, შუა და გვიანი შუა საუკუნეების (ზაქარაია 1980: 9). ციტადელის ეზოში აღმოჩნდა ეკლესია, პალატი და სამეურნეო ნაგებობათა საძირკვლები. ციტადელი რამდენჯერმე ყოფილა გადაკეთებული. უძველესი სამშენებლო ფენა IV-V სს-ით თარიღდება (ზაქარაია, კაპანაძე 1991: 155). ციხეზე აღმოჩნდა XIII-XIV სს-ის მიჯნისა და XVI ს-ით დათარიღებული ნაგებობები. ეკლესია მდებარეობს ციტადელის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ის დარბაზული ტიპისაა (ფართობი 8 კვმ). ნაგებია თლილი ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია. შესავლელი აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან. თითო სარკმელია აღმოსავლეთის, სამხრეთისა და დასავლეთის კედლებზე. დასავლეთის მხრიდან გვიანდელი პერიოდის მინაშენებია, სადაც აკლამაა. ეკლესიაში აღმოჩნდა: ვერცხლის გულსაკიდი ხატი წმინდა გიორგის გამოსახულებით; მოოქრული ვერცხლის ხატის ფრაგმენტები; ისრისპირი; ცხრა ცალი 1757, 1773 და 1788 წწ. დათარიღებული თურქული მონეტა ე. წ. „აყჩე“, მოჭრილი მისრსა და ისტამბულში. ეკლესია თარიღდება XIII-XIV სს-ის მიჯნით (ზაქარაია, ლექვიანიძე 1971: 98; ზაქარაია 1980: 36, 37, 40-42).

პალატი მდებარეობს ციტადელის სამხრეთ კედლიდან. გეგმაში ოთხკუთხაა (13,2X7,6 მ). მოპირკეთებულია თლილი ქვით. კედლები შემორჩენილია 1 მ სიმაღლეზე. პალატი ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. ჰქონია აივანი და შესასვლელი ჩრდილოეთი მხრიდან. დასავლეთიდან მიშენებული ყოფილა ოთხკუთხა გეგმის სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა, რომლის სამხრეთი კედლის მაგივრობას ციტადელის გალავანი ასრულებდა. პალატის ტერიტორიაზე აღმოჩნდა XVII-XVIII სს-ის ვერცხლის ბეჭედი, დაზიანებული მხედრული წარწერით. იმ დროისთვის პალატი დანგრეული უნდა ყოფილიყო. პალატის აგების სავარაუდო თარიღი IX-X სს-ია (ზაქარაია, ლექვიანიძე 1971: 99; ზაქარაია 1980: 35, 36).

ჭაქეთის ეკლესიაში დაცულია წმინდა ნიკოლოზის ხატი, რომელზეც ასომთავრული წარწერაა: „... მამო ნიკოლოზ ... შეიწყალე ცოდვთა მისთაგან თანამეცხედრე ჩვენი კურთხეული დედოფალი ნესტან დარეჯან, რამეთუ მოვაჭვდინეთ ჩვენ დადიანმა ლევან ხატი ესე წმიდის ნიკოლოზისა... მის კურთხეულსა სულისა სახსრად და დავასვენეთ საყდარსა ჭაქვინჯის ციხესა შიგან“ (ქრონიკები 1897: 455).

ბიბლიოგრაფია: *ბაქრაძე 1875: 61; ბერაძე 1970: 45; 1971: 57; გიულდენშტედტი 1962: 325; დადიანი 1962: 162,35, 183,3, 190,21, 199,11, 203,14; ზაქარაია 1973: 52, 54; 1980; 1988: 170, 171; ზაქარაია, ლექვიანიძე 1971: 96-102; ზაქარაია, კაპანაძე 1991: 156; თაყაიშვილი 1913: 55; მაკალათია 1941ა: 233, 234; სვეეროვი 1947: 142-207; ფეშანგი 1935: 80,1, 464,1; ქრონიკები 1897: 455; ქე 4: 449,28; 778,5,სქ.2; 836,15; შარდენი 1975: 36.*

ჟმლენჯისა იხ. წალენჯისა.

ჟმრმმ, ქალაქი, ციხე (ქე 4: 114,2,8; 545,23, 546,5,7; ქე 1: 201,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასანისა“ (ქე 1: 199,2,15; 201,1), ვახუშტი მაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქე 4: 114,2,8; 545,23; 546,5,7), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 410; 1970: 929; 1972: 96-97; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 266; ქრონიკები 1892: 255), იოანე ბაგრატიონი „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 69). ვახუშტი ბაგრატიონი ჭერემის შესახებ გადმოგვცემს: ალაზნის „დასავლეთიდან მოერთვის ჭერემის წყალი, გამოიმდინარე ცივის მთასა და მომდინარე ჭერემამდე ჩდილოთ დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩრდილოთ შორის. ამ წყალსა ზედა არს, ალაზნის დასავლით, ველსა ზედა, ველისციხე და აწ უქმი. ამავე წყალზედ არს, ცივისა ანუ ჰერეთის მთის საშორისსა, ჭერემი; იყო ქალაქი, სადაცა აღაშენა გორგასალ ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი და ქალაქი მაგარი, და დასუა ეპისკოპოზი, მწყემსი შიგნით-კახეთისა“ (ქე 4: 545,23, 546,5,7). მდებარეობს გურჯაანის მუნიციპ-ში, გომბორის ქედის


ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, ჭერმისწყლის (მდ. ალაზნის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა ნაპირზე, დღევანდელ სოფ. ჭერემთან და მის მიდამოებში.

წერილობითი წყაროების მიხედვით, ქალაქ ჭერემის დაარსება ვახტანგ გორგასლის სახელთანაა დაკავშირებული. გორგასლის გარდაცვალების შემდეგ ჭერემი დაინგრა ირანელების შემოსევების შედეგად. XVII ს-ის მეორე ნახევრის ისტორიულ საბუთებში მოიხსენიება ჭერემის ეპისკოპოსები. XVIII ს-ის მეორე ნახევარში ჭერემი უკვე აოხრებულია და საჭერემლოს სამწყსოს ნინოწმინდელი ეპისკოპოსი განაგებდა.

1880 წ. ჭერემის ნაქალაქარზე დაზვერვები და მცირემასშტაბიანი გათხრები ჩაატარეს დ.ფურცელაძემ და ფრ.ბაიერმა. მათ აქ 4 სამაროვანი აღმოაჩინეს – 2 ქრისტიანული და 2 „წარმართული“. „წარმართულ“ სამაროვანზე გათხარეს 4 კოლექტიური ქვისსამარხი. სამარხები, აღმოჩენილი მასალის მიხედვით, ადრე შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. 1979 წლიდან სოფ. ჭერემში და მიმდებარე ტერიტორიაზე მუშაობდა არქეოლოგიური ექვევის ცენტრის კახეთის ექსპედიცია (ხელმძღ. კ.ფიჭვლაური).

სოფ. ჭერემის ტერიტორიაზე, სკოლის მშენებლობის დროს, გამოვლინდა და გაითხარა III-VII სს-ის სამაროვანი. სამარხები კოლექტიური ქვისსამარხებია. გამოთხარის წარმოდგენილი ქვის ფილით გადანურული 4 ორმოსამარხი. III-IV სს-ის სამარხებში საკმაოდ მდიდრული ინვენტარია წარმოდგენილი: თიხის ჭურჭელი, რკინის მოხრილი ან სწორი დანა; უფადაა სამკაულიც, ყველა სამარხშია ბეჭდები. არის გემიანიც. გემები რომაულია. სამაჯურები ორი ტიპისაა: თავებგადახვეული და თავებგახსნილი. შედარებით მცირეა საყურეები. ვგვდება „წიწიბოსებრი“ საყურე და ორწილიანი საყურის სხვადასხვა ვარიანტი. დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი კონუსური მოყვანილობის, როგორც სადა, ისე დაფანჯრული ზარაკები. სამარხებში დიდი რაოდენობით იყო მიძვები. სამოსელთან დაკავშირებული ნივთებიდან აღსანიშნავია: ვერცხლისა და რკინის ერთწილიანი და ორწილიანი საკინძები. ცოტაა მშვილდსაკინძები. სამარხებში გვხვდება მონეტები: ავგუსტუსისა და გოტარხესი. არის ავგუსტუსის მინაბადიც (1 ც). IV და IV-V სს-ის სამარხებში ინვენტარი კლებულობს. კერამიკა უკვე სამარხის აუცილებელი ინვენტარი აღარ არის. იშვიათად გვხვდება მშვილდსაკინძი და ერთი მასალისგან დამზადებული საკინძები. მიძვების რაოდენობა საგრძნობლად კლებულობს. გვხვდება ოთხკუთხაფარაკიანი ბეჭედი, რომელიც III-IV სს-ის სამარხებში არ ჩანდა. V-VI სს-ის დასაწყისის სამარხებში კიდევ უფრო კლებულობს ინვენტარი. ვგვდება ორწილიანი საყურეები, სამაჯურები, მშვილდსაკინძები.


VI-VII სს-ის სამარხებში იცვლება ინვენტარის ტიპები. განსხვავებულია სამაჯურები. ვგვხვდება სამაჯური წვრილი ღეროთი და დაბრტყელებული, გახსნილი ბოლოებით; სამაჯური ოთხწახნაგა ღეროთი, რომელიც ბოლოებისკენ თხელდება, მრგვა-



ჭერემის ნაქალაქარის გენგემა

ლდება, იკეცება და მთავრდება კონუსური თავებით. ჩნდება საკინძთა ახალი ტიპები – სხვადასხვა ფორმისა და მასალის (ქარვის, მარგალიტის, მინის და სხვ.) საკინძისთაგანით. გვხვდება ერთი მასალისგან – ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ბირთვისებური თავიანი საკინძიც. მშვილდსაკინძიც უკვე სხვა სახისაა – ბუდეშობიანი, მუხლსახსრიანი, ჭვინტიანი. სხვაგვარია აბზინდებიც – ერთწილიანი, ჰერალდიკულფარაკიანი, ოთხკუთხა საქამრე ჩარჩოთი. ბეჭდებიც იცვლის ფორმას – გვხვდება სასაწერი ტიპის ბეჭდები. მათი ღერო უშუალოდ თვალბუდის გვერდებზეა მიჩნეული და არა ბრტყელო ფარაკზე, რომელსაც ღეროს დაბრტყელებული ბოლოები ქმნიდა. საყურის მავთულის თავგახსნილ რგოლზე უკვე მიძვებისაგან შედგენილი 2 საკინძია წამოცმული; ჩნდება ორწილიანი სასაფეთქლე რგოლები. მიძვები, ისეთივე, როგორც V-VI სს-ის სამარხებში, ცოტაა. სამაროვნის მასალა ინახება ჭერემის მუზეუმსა და ჭერემის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე (მამაიაშვილი, ჯავახიშვილი 1984: 77-107; მამაიაშვილი 1984: 33-36).

სოფლის ტერიტორიაზე, სამაროვანის გარდა, გაითხარა IV-V სს-ის დაბრტყილი ტიპის წმინდა მარინეს ეკლესია. წერილობითი წყაროებზე დაყრდნობით წარმოიშვა მოსაზრება, რომ ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული ქალაქი ჭერემი მდებარეობდა სოფელში არსებულ საკათედრო ტაძარსა (წმინდა ნიკოლოზის) და წვეროდაბალის (წმინდა გიორგის) ეკლესიას შორის (ჩუბინაშვილი 1959:



ციხე-დარბაზის გეგმა

190; ჭილაშვილი 1970: 47). კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ამ ტერიტორიაზე ნაქალაქარს ვერ მიაკვლია, თუმცა არაერთი საყურადღებო ძეგლი გამოავლინა – ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი, განვითარებული შუა საუკუნეების ნასოფლარები და სხვა მრავალი.

სოფლის დასავლეთით 5 კმ-ის დაცილებით მდებარე ბორცვზე გაითხარა ქ. ჭერემის ციხადელი (10 ჰა). შესწავლილ იქნა ციხე-დარბაზი, სასახლე, სამეურნეო ეზო. გაიწმინდა და რესტავირებული იქნა სასახლის კარის წმინდა ბარბარეს ეკლესია და საკათედრო ტაძარი. გამოვლენა ციხადელის გალავანი, ქალაქის სამხრეთი კარიბჭე, ქვაფენილით მოგებული და სხვა.

დასავლეთიდან ბორცვი ბოლოვდება კლდოვანი კონცხით, რომელზეც აღმართულია ციხესიმაგრე. ამ დიდ ნაგებობაში (300 კვ მ) ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ განლაგებულია 6 ოთახი, 2 დერეფანი და კოშკი. ბორცვის დასავლეთ მხარეს, შემადღებზე დგას წმინდა გიორგის ეკლესია (წვეროდაბალის ეკლესია). ციხესიმაგრესა და წვეროდაბალის ეკლესიას შორის გაითხარა სასახლის კომპლექსი. სასახლე (30,50X15,70 მ) დამშრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. გაითხარა 3 დარბაზი. თითოეულს სამხრეთიდან ჰქონდა გაჭრილი კარი. ჩრდილოეთიდან დარბაზებს ესაზღვრება ცაურკვევლი დანიშნულების ვიწრო სათავსები. ციხე-დარბაზისა და სასახლის კედლები აგებულია დიდი ზომის თლილი ქვებით ორპირად, რომელთა შორის სივრცე შევსებულია წვრილი ქვებითა და კირხსნარით. კედლების სიგანე 1,5 მ-ია. შემორჩენილია 2 მ-ის სიმაღლეზე. ორივე ნაგებობა გადახურული იყო წითელი წერმარით შეღებილი ბრტყელი და ღარიანი კრამიტით.

წმინდა გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთით ჭერემისწყლის ხეობაში მიემართება გალავანი. ორმაგი ზღუდე დაფიქსირდა ბორცვის სამხრეთ ნაწილში, მდ. ჭერემისწყლის გასწვრივ; აქვე აღმოჩნდა კარიბჭე და ქვაფენილიანი გზა, რომელიც ჩაიღურისაკენ მიემართებოდა. არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად დაფიქსირდა, რომ ქალაქი გაშენებული იყო ციხადელის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით. ციხადელის ნაგებობების თხრისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა – მინისა (ხალიანი მინის ჭურჭელი, ფხიანი სასმისები თუ ჭრაქები, სანელსაცხებლები), თიხის დახვეწილი ჭურჭელი (ამოკაწრული, ერთმანეთზე მიჯრილი ტალღური ორნამენტით შემკული მოვარდისფრო-ჩალისფრად გამოშვარი წმინდა სილანარევი თიხის ხელალები; ასეთივე თიხის ყელწიბოიანი დოქები – უმრავლესობის ზედაპირი ჩარხისეული ხაზებითაა დაფარული; მოაგურისფრად გამოშვარი წვეროდაბალის თიხის ზედაპირნაპირალები მსხლისებური ფორმის ხელალები. ზოგიერთი მათგანის ზედაპირი ერთმანეთზე მიჯრილი ამოღარული ტალღური სარტყელითაა შემკული და სხვ. მრავალი), სამშენებლო კრამიკა (წითლად გამოშვარი, წითელი

წერნაქით დაფარული ბრტყელი და ღარიანი კრამიტი) – ციხადელის თარიღს, საისტორიო წყაროების კვალდაკვალ, V ს-ის მეორე ნახევრით განსაზღვრავს. მასალა ინახება ჭერემის სოფლის მუზეუმში.

წვეროდაბალის ბორცვზე, რომელზეც V ს-ის მეორე ნახევარში ციხადელი იგება, შემდეგი ფენებია დადასტურებული – გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანის, გვიანანტიკური, ადრე შუა საუკუნეების, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებისა (მამიაშვილი 1987: 93-95; 1995: 115-117; 1987: 22-25).

წვეროდაბალის (წმინდა გიორგის) ეკლესია (10,27X3,74 მ; გარშემოსავლელის სიგანე 2,40 მ) აგებულია შირიმის თლილი ქვით. ჩრდილოეთის, დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან აქვს გარშემოსავლელი. აფსიდა ნახევარწრიულია, ხლო კონქის თალი ნალისებრი ფორმისაა. საკურთხევის მახლობლად გაჭრილი კარით ეკლესია უკავშირდება გარშემოსავლელის ჩრდილოეთ ნაწილში არსებულ სწორკუთხა სათავსოს, რომლის სამხრეთ კედელში ღრმა ნიშაა. ნალისებრი ზედა ნაწილი აქვს აფსიდაში გაჭრილ სარკმელს, ეკლესიის დასავლეთისა და სამხრეთის შესასვლელებს. სამხრეთის გარშემოსავლელს აღმოსავლეთით აქვს ნახევარწრიული აფსიდა და სამხრეთ კედელში გაჭრილი 3 შესასვლელი, რომლებიც თაღებითაა გადაყვანილი. გარშემოსავლელი ძლიერ დაზიანებულია, ის ეკლესიის თანადროულია (ჩუბინაშვილი 1959: 188-190).

წმინდა ბარბარეს ეკლესია მდებარეობს ჭერემის ციხადელში, წვეროდაბალის ბორცვის თხემზე, ჩართულია სასახლის კომპლექსში. კარის ეკლესიას უნდა წარმოადგენდეს. ეკლესია დარბაზულია, თარიღდება V ს-ის ბოლო მესამედით (ჩუბინაშვილი 1988: 53-54). ეკლესია აღდგენილია.

სოფელში მდ. ჭერემისწყლის მარცხენა მალაღ ნაპირზე დგას ერთიანი გალავნით შემოზღუდული საეპისკოპოსო ტაძარი, სასახლე და გუმბათიანი კვადრატული ნაგებობა.

საეპისკოპოსო ტაძარი (წმინდა ნიკოლოზის ეკლესია) მდებარეობს სოფ. ჭერემის ცენტრში. იგი ამჟამად სამეკლესიან ბაზილიკას წარმოადგენს, რომლის შუა, მთავარ ეკლესიას აღმოსავლეთის მხრიდან შიგნით ნალისებური, გარედან ხუთწახნაგა შვერილი აფსიდა აქვს. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ეკლესიები აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდებით ბოლოვდება. შუა ეკლესია მოპირკეთებულია შირიმის ფორიანი ქვით, ხლო ჩრდილოეთისა და სამხრეთის ეკლესიები აგებულია რიყის ქვით. გ.ჩუბინაშვილი ეკლესიას დეკორაციული ფორმების მიხედვით X-XI სს-ს მიაკუთვნებდა და ფიქრობდა, რომ იგი აგებულია უფრო ძველი ტაძრის ადგილას, რომლის პირველად ფორმალ მიიჩნევა სამნავან ბაზილიკას, შვეროდ სუთწახნაგა აფსიდით (ჩუბინაშვილი 1959: 190-193).

ტაძრის ჩრდილოეთი ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის ქვედა ნაწილში ქვაზე ამოკვეთილ წარწერას ლ.მელიქსეთ-ბეგი შემდეგნაირად კითხულობდა: „კათალიკონი მელქისედეკ“ და შესაძლებლად მი-

ინწევდა იგი მიეწეროს XI ს-ის კათოლიკოს მელქისედეკს (მელიქსეთ-ბეგი 1920). თ.ბარნაველი კი შემდეგნაირად კითხულობდა ზემოთ დასახელებულ წარწერას: „ესე საფლავი მელქისედეკისი“. ის მეორადი გამოყენებით მოხვედრილა კედელში. პალეოგრაფიულად წარწერის მელქისედეკი არ უნდა იყოს კათოლიკოსი მელქისედეკ I (1010-1033) (ბარნაველი 1962: 140).

გუმბათიანი კვადრატული ნაგებობა დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე, საკათედრო ტაძრის გალავნის შიგნით, ტაძრიდან რამდენიმე ნაბიჯზე მდებარე. ის 1924 წ. ანტირელიგიურ მოძრაობასთან დაკავშირებით დაუნგრევიათ. ეს იყო რიყის ქვით ნაშენი, ოთხივე მხარეს თაღებით გახსნილი გუმბათოვანი ნაგებობა, რომლის ქვედა, მიწისქვეშა სართული საძვალეს წარმოადგენდა. გ.ჩუბინაშვილის აზრით, ნაგებობა უძველესი ქრისტიანული ძეგლია საქართველოში (ჩუბინაშვილი 1959: 208). შ.ამირანაშვილის ვარაუდით, ჭერემის კვადრატი სამსხვერპლოს უნდა წარმოადგენდეს და ის მსგავსებას ამჟღავნებს ირანის ცეცხლთაფხანისმცემელთა ნაგებობებთან (ამირანაშვილი 1961: 101).

წმინდა დავითის ეკლესია მდებარეობს სოფ. ჭერემის აღმოსავლეთით, სასაფლაოზე. სამეკლესიანი ბაზილიკა V ს-ის ბოლო – VI ს-ის დასაწყისით თარიღდება (ჩუბინაშვილი 1988: 65). შემორჩენილია შუა ეკლესია ნალისებრი აფსიდით.

ვათნრებმა ცხადყო, რომ ჭერემის სახით საქმე გვაქვს ორი სხვადასხვა პერიოდის ქალაქთან, ერთი – III ს-ის მეორე ნახევარში ეკონომიკურ საფუძველზე აღმოცენებული, აღმოსავლეთიდან მომავალ მნიშვნელოვან მაგისტრალზე მდებარე პუნქტია (მისი ძირითადი უბანი დღევანდელი სოფლის ტერიტორიას მოიცავს), მეორე ციხე-ქალაქია, სტრატეგიული პუნქტია, რომლის დაფუძნებაც, საისტორიო წყაროების მიხედვით, ვახტანგ გორგასალს მიეწერება და მდებარეობს დღევანდელი სოფ. ჭერემის დასავლეთით, 4-5 კმ-ის დაცილებით, წვეროდაბალის ბორცვზე. **ბიბლიოგრაფია:** ამირანაშვილი 1961: 101; ბაგრატიონი 1986: 69; ბარნაველი 1962: 140; მამაიაშვილი 1984: 33-36; 1987: 22-25; 1987ა: 93-95; 1995: 115-117; მამაიაშვილი, ჯავახიშვილი 1984: 77-107; მელიქსეთ-ბეგი 1920: №№ 945, 950, 951; მასალეები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 266; ვიცხელაური ... 2004: 22-32; ჭილაშვილი 1970: 47; ჩუბინაშვილი 1959: 190-193, 208; ჩუბინაშვილი 1988: 53, 54, 63, 65; ქრონიკები 1892: 255; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 410; 1970: 929; 1972: 96, 97; ქც 1: 199,2,15; 201,1; ქც 4: 114,2,8; 545,23; 546,5,7.

ჭ306ტა (ქც 4: 663,7, 8 ; 665,10). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 663,7, 8, 665,10), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 7). ვახუშტი ბაგრატიონი ჭვინტის შესახებ გადმოგვცემს: წნისის „ხევის სათავეს, მთასა შინა, არს ჭვინტის დასავლეთად ჯუარის ციხე, მაგარი და

დიდშენი. ჭვინტას არს მონასტერი კეთილი, შუენიერშენი და აწ უქმი“ (ქც 4: 663,7-9).

ლოკალიზდება ახალციხის მუნიციპ-ში. გ. ბოჭორიძის ცნობით „ზიცილის ელიაწმინდის ეკლესია დგას სოფლის ჩრდილოეთით 1 ვერსზე ... ამის გადაღმა ტყეში არის ჭვინტის ციხე“ (ბოჭორიძე 1992: 43, 253).

ჭვინტა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. **ბიბლიოგრაფია:** ბოჭორიძე 1992: 43, 253; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 7; ქც 4: 663,7, 8; 665,10.

ჭიანჭი (ქც 4: 544,6,სქ.1; 552,9; 568,3). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 544,6,სქ.1 552,9; 568,3), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სოდ. 1910: 513; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 362, 375; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 208, 387; 1972: 479; 1977: 709; 1981: 614).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: ნეინის „წყალზედ არს ჭიანჭი და ქუაბლოვანი. ამას ზეით მიერთვის ალაზანს დასავლეთიდან კარდანხის წყალი“ (ქც 4:544,6-8).

ლოკალიზდება ლავოდეხის მუნიციპ-ში. ლევან კახთა მეფემ (1520-1574) მოსპო ერისთავნი და „დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა ... მოურავი ქისიყისა, ელისენისა, წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიანჭისა“ (ქც 4: 568,1-3).

ჭიანჭი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) ინახება ჭიანჭის მონადირეებში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთების 2 კოლექცია, რომელთაგან ერთი (20-32, №№ 5, 6, 8-11, 47, 53, 57, 58) გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის იერის მქონე თიხის ჭურჭლებით, მეორე (1-36, №№ 186, 187) ე. წ. აალოილუთაფას კულტურის 2 სამეფვა ჯამითაა წარმოდგენილი.

ბიბლიოგრაფია: დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 362, 275; საქ. სოდ. 1910: 513; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 208, 387; 1972: 479; 1977: 709; 1981: 614; ქც 4: 544,6,სქ.1; 552,9; 568,3.

ჭიორა (ქც 4: 768,20; 770,4). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 768,20; 770,4), სვანეთის საისტორიო ძეგლები (სვანეთის საისტ. ძეგ. 1941: 31, 33), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 105, 107, 117, 125, 291).

ვახუშტი ბაგრატიონი ჭიორას შესახებ გადმოგვცემს: „გოლოის ხევის შესართავს ზეით რიონის სამხრით არს ჭიორა, დაბა მოზღოდევილი და კომეოვანი გოდლოვანი“ (ქც 4: 768,19,20).

მდებარეობს ონის მუნიციპ-ში, სოფ. ღებს ქვემოთ, მისგან სამიოდე კმ-ის დაშორებით, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. ჭიორა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) ინახება ჭობისხევის მიმდებარე მუზეუმში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს 2 კოლხური ცული (1-984:1 და 62-975). მათგან ერთის ყუაზე გამოსახულია ვერძის თავი.

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1983: 59, 60; ბოჭორიძე 1994: 257, 258; გიულდენშტედტი 1962: 105, 107, 117, 125, 291; თაყაიშვილი 1963: 19, 20; სვანეთის საისტ. ძეგ. 1941: 31, 33; ქც 4: 768,20; 770,4.

ჭობისხევი (ქც 4: 661,19,21). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 661, 19,21; 662,3,8; 672,7), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 245), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 45), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 329), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 177, 219).

მდებარეობს ბორჯომის მუნიციპ., ბორჯომიდან 13 კმ-ის დაშორებით, მდ. ჭობისხევის ნაპირებზე.

1968 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ო.ამბაშიძე) სოფ. ჭობისხევში ე. წ. „სათიხეს“ ბორცვზე მიაკვლია სამეოფნო წარმოების ნაშთებს (ღამბაშიძე 1969: 15). ადგილ „ნადიკრებში“ კი გამოვლინდა შუა საუკუნეების მოზრდილი ნასოფლარი (ნასიძე 1969: 35). 1969 წ. იმავე ინსტიტუტის თორილიკანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ვ.ნასიძე) გათხრები აწარმოა ადგილ „ნადიკრებში“ (ნასიძე, კალანდაძე 1971: 100-112). ნასახლარის გათხრები გრძელდებოდა 1970-1974 წწ. (ღამბაშიძე, ნასიძე 1971: 50; ნასიძე 1979: 79-81).

1977 წ. თორი-ლიკანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა ჭობისხევის მახლობლად მდებარე ადგილი ქურუხეთი, სადაც ჯერ კიდევ 1976 წ. იქნა შენიშნული გეგმაში ოვალური მოყვანილობის დიდირონი დაუმუშავებელი ქვებით მშრალი წყობით ნაგები კედელი, რომლის გაწმენდის შემდეგ გაირკვა, რომ მისი ქვედა ნაწილი ორივე მხარეს საფეხურებად ფართოვდებოდა და ქმნიდა ტერასებს. გათხრებისას არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა. კედლით შემოსაზღვრული ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა კვადრატული გეგმის (4X4 მ) შენობა, ნაგები საშუალო ზომის ქვებით. შენობების კუთხეებად გამოყენებით მოზრდილი ლოდები. ნაგებობის გათხრებისას აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდის (გვიანანტიკური, ადრე შუა საუკუნეების) თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც არ იძლევა ნაგებობის კონკრეტული თარიღის განსაზღვრის საშუალებას. ექსპედიციამ ხეობაში მდებარე 5 კოშკიდან შეისწავლა 2. გაირკვა, რომ კოშკები აგებული ყოფილა ადრე შუა საუკუნეებში და XIV ს-მდე ფუნქციონირებდნენ (ნასიძე, ართილაყვა 1980: 292-296).

1982 წ. ჭობისხევსა და დაბაძველს შორის დაწყებული საბაგირო გზის მშენებლობისას, სამშენებლო ზონაში მოექცა ნასახლარი, რომელიც შედგებოდა რვა საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობისაგან. ისინი ნაშენია დიდი, ნაწილობრივ დამუშავებული ბაზალტის ქვებით თიხის სსნარზე. აღმოსავლეთ კედელზე მიშენებული ჰქონდა საწნახელი (2X0,75X0,35 მ). ნაგებობები ერთმანეთთან საერთო კედლებითა და გასასვლელიებით იყო დაკავშირებული. №5 ნაგებობაში აღმოჩნდა 2 სამეურნეო ხარო. №6 სათავსო პურის საცხობია, №7 ნაგებობა კი საკუჭნაო უნდა ყოფილიყო. აღნიშნული კომპლექსიდან №№3,4,5,6,7 ოთახები მიჩნეულია ადრე შუა საუკუნეების ნაგებობებად, რომელთაც მოვლანებით მიაშენეს სხვა დანარჩენი შენობები. გათხრებისას გამოვლენილი სადა და მოჭიქული კერამიკის მიხედვით კომპლექსი XII-XIII სს-ით თარიღდება (ნასიძე 1987: 95, 96).

სოფ. ჭობისხევის ქვემოთ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „ნადიკრებში“ მდებარეობს მოზრდილი ნასოფლარი, რომელიც 10 ტერასაზეა განლაგებული. ქვედა, პირველ ტერასაზე გათხრილი საცხოვრებელი კომპლექსი შედგება 9 სხვადასხვა ფართობისა და დანიშნულების სენაკისაგან. 5 სენაკი საცხოვრებელი დანიშნულებისაა. მათგან 2 გეგმაში წრიულია, 3 სწორკუთხა. დანარჩენები წარმოადგენდნენ მარანს, სამზარეულოს, საკუჭნაოს, საცხოვრებელი სენაკები აგებულია მოზრდილი დამუშავებული, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ქვებით. წრიული გეგმის სენაკებში საძირკველიდანვე იწყება სწრაფვა ცრუ კამარის შესაკვრელად. ქვის ყოველი ზედა რიგი 10 სმ-ით უფრო წინაა წამოწეული. დამთავრებული ფორმა კონუსურია. შუაში დატანილია ერღო. პირველ წრიულ სენაკში გამოვლინდა 3 იატაკის დონე, რომელთა შორის სტერილური ფენება სისქით 0,25-0,15 სმ. ზედა იატაკის დონე აქ აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმით XI-XIII სს-ით თარიღდება. ქვედა ფენები ადრე შუა საუკუნეებს განეკუთვნება. მეორე წრიული სენაკი აღნაგობით იმეორებს პირველს. მესამე სენაკი პირველის წინაა გამართული და გეგმაში სწორკუთხაა (30 კმ). სენაკის კარი გადის ფილაქვებით მოგებულ დერეფანში (სიგრძე 5,5 მ, სიგანე 2,5 მ), რომელიც ერთმანეთს უკავშირებს მესამე და მეოთხე სენაკებს და გადის სამეურნეო დანიშნულების სენაკში, სადაც გამოვლინდა ქვის საწნახელი, საქაჯავი ქვა, 2 ქვევრი და ხარო. თავის მხრივ მეხუთე სენაკი დაკავშირებულია მეორე წრიულ სენაკთან და მარანთან. მარანში აღმოჩნდა ქვით ნაგები, დუღაბით შეღვსილი საწნახელი. მის წინ მიწაში გამართული იყო ქვით ნაშენი პირველიწრიული ოთხკუთხა მენა. აქვე გამოვლინდა საქაჯავი, რომლის წინ ასეთივე მენა იყო ამოშენებული. მარანში აღმოჩნდა 6 სხვადასხვა ზომის ქვევრი. მარანშიც სხვადასხვა დონეზე მდებარე 3 იატაკი გამოვლინდა. გაუქმებულ კარებთან ჩადგმული ქვევრის ქვეშ გაიწმინდა ადამიანის ძვლები. მისგან 0,5 მ-ის და-

ორებით აღმოჩნდა ბავშვის თავის ქალა, ხერხელო-სა და ხელის ძვლები. ჩანდა, რომ ისინი საგანგებოდ დაკრძალულები არ ყოფილან. ნასახლარი ფუნქციონირებდა ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებში, მაგრამ გათხრებისას აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ზოგიერთი ნატეხის მიხედვით შესაძლოა ნაგებობა უფრო ადრეულიც იყოს (ნასიძე, კალანდაძე 1969: 109-120).

ბიბლიოგრაფია: *აბულაძე 1983: 37; ბაგრატიონი 1986: 45; ბერძენიშვილი 1985: 24, 25; გიულდენშტედტი 1962: 177, 219; გურჯისტან ვილაიეთის ... 1941: 329; ნასიძე 1969: 35; 1979: 79-81; 1987: 95-98; ნასიძე, კალანდაძე 1971: 109-112; ნასიძე, კილურაძე 1973: 107; ნასიძე, ართილაგვა 1980: 292-298; ორბელიანი 1981: 245; ქც 4: 661,19,21; 662,3,8; 672,7; ლამბაშიძე 1969: 19; ლამბაშიძე, ნასიძე 1971: 50; ხუჯაძე 1969: 119-121.*

ჟოთოი, იხ. ხორნაბუჯი.

ჟოთორი (ქც 4: 412,26; 538,9; 578,25). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 412,26; 538,9; 578,25), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მესამე ტექსტი (ქც 2: 373,4; 527,13), „ცხოვრება საქართველოსა“ (ცხოვრება ... 1980: 56), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 416; ისტ. საბ. 1913: 31; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1953: 73; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 268; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 371; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 341), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 66, 68), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 27, 259, 261).

მდებარეობს სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სიღნაღიდან 4 კმ-ის დაშორებით, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, ახლანდელი სოფ. ჭოტორის ტერიტორიაზე.

1578 წ. ქართლის მეფე სიმონ I (1556-1600) და კახთა მეფე ალექსანდრე II (1574-1605) ჭოტორში შეებნენ ერთმანეთს. სიმონმა გაიმარჯვა (ქც 2: 373,4; ქც 4: 412,26; ქრონიკები 1897: 416). 1722 წ. ჭოტორი რუსთავის საეპისკოპოსოში შედიოდა (ისტ. საბ. 1913: 31; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 371). XVIII ს-ში ჭოტორი სამეფო-სახასლო სოფელს წარმოადგენდა (ბაგრატიონი 1986: 66). ჭოტორის გავლით გზა გადიოდა მდაროდან დასავლეთისკენ (გიულდენშტედტი 1962: 27).

ჭოტორში არქეოლოგიური დაზვერვები ჩატარდა 1961 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვან. ფიცხელაური). ჭოტორში დაფიქსირდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორმოსამარხები (ფიცხელაური 1962: 26).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 66, 68; გი-*

ულდენშტედტი 1962: 27, 259, 261; დოკ. საქ. სოფ. ისტ. 1953: 73; ისტ. საბ. 1913: 31; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 268; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 341; ფიცხელაური 1962: 25-26; ქც 2: 373,4; 527,13; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 371; ქრონიკები 1897: 416; ქც 4: 412,26; 538,9; 578,25; ცხოვრება ... 1980: 56.

ჭყვიში, ჭყვისი (ქც 4: 749,20-22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 749,20-22, 874,21, 878,25). ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 190, 191, 193), იმერეთის სამეფოს ისტორიული დოკუმენტები (ისტ. დოკ. ... 1958: 112), 1578 წ. დავითარაძის საყდრის გამოსავლის ბეგარისა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 312), 1773 წ. შეწირულობის წიგნი სოლომონ I-სა გელათისადმი (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 432), ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. ელჩობის საანგარიში აღწერილობა (იევლევი 1969: 166), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 327, 305, 309). ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ცხენისწყალი ... მიერეთის ხომლის კლდესთან რიონს ჩდილოდამ. ამ ხევის მოერეთიან ამიერ-მიერიდამ ხევი, და არს შენობიან-დაბნებიანი. ამ ხევის აღმოსავლით არს, მთას იქით, ჭყვისი, მინდორსა კლდე ამოსულსა ზედა, ციხე დიდშენი, მაგარი“ (ქც 4: 749,18-20). მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, დღევანდელი სოფ. ჭყვიშის ტერიტორიაზე.

1714 წ. რაჭის ერისთავმა ჭყვიშიდან გამოიყვანა თავისი სიძე ბააკა ჩიქოვანი და ჭყვიშის ციხე მისცა ბუჟანს (ქც 4: 874,19-21). 1766 წ. ჭყვიშის მოურავი იყო ვიორგი ჩიქოვანი. 1773 წ. იმერეთის მეფე სოლომონ I-მა გელათს შესწირა ჭყვიშში მცხოვრები გლეხები (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 432). 1810 წ. ჭყვიშის ციხე რუსეთის ჯარმა დაანგრა.

სოფ. ჭყვიშის აღმოსავლეთით ამოზიდულ კლდეზე ციხის ნანგრევებია. ციხე ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. მის ყველაზე მაღალ ადგილზე დიდი კოშკი მდგარა. უფრო ქვევით შედარებით მცირე კოშკი იყო აღმართული. ზღუდის კედლები გამაგრებული ყოფილა ბურჯებით. ფრაგმენტულ კედლებში შეინიშნება სხვადასხვა პერიოდის მშენებლობის ფენები - განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებისა. ჭყვიშის ციხე კეტავდა გზას რაჭიდან ლჩხუმისა და სვანეთისაკენ, ასევე ლჩხუმის გავლით ოდიშისაკენ მიმავალ გზას (ბერძენიშვილი ... 1983: 58, 59).

ჭყვიში არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ჭყვიშის სახელით ცნობილი სოფელი არის ვანის რაიონშიც.

ბიბლიოგრაფია: *ბერძენიშვილი ... 1983: 58, 59; ბერძენიშვილი 1964: 344,სქ.26; ბოჭორიძე 1990: 269; ისტ. დოკ. ... 1958: 112; გიულდენშტედტი 1962: 327; დადიანი 1962: 190, 191, 193; იევლევი 1969: 166; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 432; 1970: 318; ქც 4: 749,20-22; 874,21; 878,25.*



ხაღა, დაბა (ქც 4: 355,17). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 355,17), 1727 წ. საბუთი (ქრონიკები 1967: 116), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 35).

ლოკალიზდება დუშეთის მუნიციპ-ში. სავარაუდოდ მდებარეობს სოფ. წკერეს სამხრეთით, ბენიანთ ვაკეზე (გვასალია ... 1983: 8). სხვა მოსაზრებით დაბა ხაღა ლოკალიზდება დიდველზე (ითონიშვილი 1986: 102).

გარდა ერთი გამონაკლისისა, ვახუშტი ბაგრატიონი ხაღას მოიხსენიებდა როგორც ხეობას ან თემს (ქც 4: 245,24, 246,3, 356,17, 520,4). იოანე ბაგრატიონის ნაშრომის მიხედვით ხაღა სოფელია (ბაგრატიონი 1986: 35). სხვა წერილობით წყაროებში ხაღა ყველგან ხეობა ან თემია. 1727 წ. საბუთის მიხედვით ხაღას სასახლეს, რომელიც მლეთიდან ხუთ ვერსზე მდებარეობდა, ოსები დასხმიან თავს. მოსახლეობას მტერი დაუმარცხებია (ქრონიკები 1967: 116).

დაბა ხაღა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.
ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 35; გვასალია ... 1983: 8; ითონიშვილი 1986: 102; ქრონიკები 1967: 116; ქც 4: 245,24, 246,3, 356,17, 520,4.*

ხაღის ციხე (ქც 4: 359,17,18). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 359,17,18).

მდებარეობს ახალგორის მუნიციპ-ში, მდ. ყანჩაურას შენაკად ხაღის ანუ ციხის ხეივანზე (გვასალია 1983: 71). ხაღის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ციხის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს ხუთსართულიანი ზურგიანი კოშკი. ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვებით დულაბზე. ზოგან გამოყენებულია რიყის ქვა. პირველი სართული გეგმაში ნაღისებურია. შესასვლელი ჰქონია სამხრეთიდან. მეორე სართული – სწორკუთხაა, რომლის დასველეთ კედელში 4 ფოსოა სართულშუა გადახურვისათვის. აღმოსავლეთ კედელში ასეთი ფოსოები არაა. ეტყობა, ძელები ეყრდნობოდა ქვის თაროს, რომელიც ამ კედელზეა. მეორე სართულს კარი სამხრეთიდან ჰქონია. დასავლეთ კედელში 1 მ სიმაღლეზე ნიშია თალით. მასში 3 სათოფურია. სამხრეთ კედელში უფრო მოზრდილი ნიშია 1 სათოფურით. 2 ნიში ყოფილა აღმოსავლეთ კედელში (გვასალია 1983: 72). კედლებში გრიპვად და განივად დატანებულია თიხის მილები.

კოშკს აღმოსავლეთიდან მიშენებული აქვს სამსართულიანი შენობა, რომლის მესამე სართულზე ბუხარია გამართული. ჩრდილოეთ კედელში კი კარია. კოშკისა და საცხოვრებელი შენობის სამხრეთით მდებარე ტერიტორია გალავნითაა შემოზღუდული. გალავნის შიგნით შეინიშნება რამდენიმე სათავსოს ნანგრევი. გალავნის დასავლეთ კედელს კარის მახლობლად აქვს ბურჯი, რომლის შიდა სივრცის ზემო ნაწილი ხაროდ ან წყლის მოსაკრებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ის შიგნიდან კირითაა შელესილი. ასეთივე ბურჯი გალავნის აღმოსავლეთ მხარესაც უნდა ყოფილიყო. გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ნახევარწრიული ბურჯია. კედელი სამხრეთ ნაწილში ბრტყელია და დატანებული აქვს სათოფურები. ხაღის ციხე თარიღდება გვიან შუა საუკუნეებით. არაა გამორიცხული, რომ ციხე აქ ადრე მდგარი სიმაგრის გადაკეთება-განვითარების შედეგადაა მიღებული (გვასალია 1983: 72, 73).

ბიბლიოგრაფია: *გვასალია 1983: 71-73; ქც 4: 359,17,18.*

ხანო, დაბა (ქც 4: 752,5). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 752,5).

ვახუშტი ბაგრატიონი ხანის შესახებ გადმოგვცემს: „მოიგო სახელი წყალმან ამან დაბისაკან მას ზედავე მყოფისა, რომელსა უწოდებენ ხანსა“ (ქც 4: 752,4,5).

მდებარეობს ბაღდათის მუნიციპ-ში, ბაღდათიდან 25 კმ-ის დაშორებით, ხანისწყლისა და ლაიშურის შუამდინარეთში, ახლანდელი სოფ. ხანის ტერიტორიაზე.

ხანი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ქც 4: 752,5.*

ხარაბაულო, ხარაბაულის ციხე (ქც 4: 758,6,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 757,20,21; 758,6,7,17,26; 771,7; 772,9; 880,21; 881,5,9; 889,12,15; 891,15), 1754 წ. სოლომონ I-ის სიგელი (დას. საქ. საბ. 1921: 3), ალექსი იველიძის იმერეთში ელჩობის „მუხლობრივი აღწერილობა“ (იველიძე 1969: 86, 166), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 309).

ვახუშტი ბაგრატიონი ხარაბაულის შესახებ გად-

მოგვეცემს: „ვარძის ხევს ზეით, ძირულაზედ, არს ხარაგაულს ციხე შენი. ამ ციხესთან ეგრების ძირულას ჩხერიმელა აღმოსავლეთიდაჲ“ (ქც 4: 758,6,7). მდებარეობს თანამედროვე ხარაგაულის მახლობლად, მდ. ჩხერიმელას ნაპირზე, ძირულა-ჩხერიმელას შესართავის აღმოსავლეთით 7 კმ-ზე, შესართავთან კი მდებარეობს დაბა ძირულა (ყოფილი შერთოლი).

ისტორიულ წყაროებში ხარაგაული იხსენიება XVII ს-დან. XVIII ს-ის პირველ ნახევარში ხარაგაულის ციხის მეპატრონე იყო მამუკაშვილი (ქც 4: 889,12,15; იველევი 1969: 86, 166). შემდეგ ციხე ზურაბ აბაშიძის მფლობელობაში გადავიდა. 1754 წ. ხარაგაულის ციხე იმერეთის მეფე სოლომონ I-მა შეიძინა (ბერძენიშვილი 1967: 641).

1926 წ. ხარაგაულის მახლობლად გ.ნიორაძემ აღმოაჩინა პირველყოფილი ადამიანის სადგომი – დვეისხვრელის გამოქვაბული. 1926-1931 წწ. აქ გათხრებს აწარმოებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ნიორაძე).

დვეისხვრელის გამოქვაბული მდებარეობს ხანდების კლდეებში, მდ. ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ლაშქა და ხარაგაულს შორის, ხარაგაულიდან დასავლეთით 3,5 კმ-ზე. მღვიმის ზომებია: სიგრძე 40 მ, სივანე შესასვლელთან 5 მ, სიმაღლე 4 მ. გათხრების შედეგად სტრატეგორაფიულ ჭრილში გამოვლინდა 1,20 მ სიმაღლის 4 ფენა, რომელთაგან ადამიანის ცხოვრების ნაშთს ზემოდან მესამე ფენა შეიცავდა. იგი 0,45 მ-ის სიმაღლისაა და ზედაპალეოლითური ხანისაა. ამ ფენაში აღმოჩნდა კაჟისა და მცირე რაოდენობით ობსიდიანის იარაღები და მათი წარმოების ნარჩენები, სულ – 10121 ერთეული. მათ შორისაა 3748 ანატაკეც-ანამტვრევი, 200 ნუკლეუსი, 5506 ლამელა და 729 სხვადასხვა სახის იარაღი: საფხეკები, საჭრისები, შალაშინები, სათლელისებური იარაღები, შატვლებრონის ტიპის წვეტანები, გრავეტის ტიპის დანები, მიკროლითები, რეტეშირებული ლამელები, შუბისაპირები, კომბინირებული იარაღები. გარდა ამისა, აქ აღმოჩნდა რიყის ქვისაგან დამზადებული ჩაქუჩისებური იარაღი – გრდემლი; რქისა და ძვლის სადგისები. დვეისხვრელის ეს ფენა შეიცავს აგრეთვე მეოთხეული პერიოდის ცხოველთა ძვლებს: მღვიმის დათვი, განათხარი ხარი, ჩრდილოეთის ირემი, კეთილშობილი ირემი, გარეული თხა და ღორი, ქურციკი, ჩრდილოეთის თაგვი. ამავე ფენაში აღმოჩნდა თანამედროვე ტიპის ადამიანის ქვედა ყბის მარჯვენა ნახევარი ორი კბლით (ნიორაძე 1933: 1-83; საქ. არქ. 1991: 165-167).

მდ. ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირზე მთაზე შემორჩენილია ხარაგაულის ციხის ნანგრევები.

ბიბლიოგრაფია: ბერძენიშვილი 1967: 641; გიულდენშტედტი 1962: 309; დას. საქ. საბ. 1921 :3; იველევი 1969:8 6, 166; ნიორაძე 1933: 1-83; საქ. არქ. 1991: 165-167; ქც 4: 757,20,21; 758,6,7,17,26; 771,7; 772,9; 880,21; 881,5,9; 889,12,15; 891,15.

ნატის-სოფელი (ქც 4: 414,11,18). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 414,11,18), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი (ქც 2: 374,19,29, 529,29, 530,16), XIII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 115; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 178, 708, 622; 1972: 26; ქრონიკები 1897: 196; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 183; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 271; ქართლ-კახეთის ... 1903: 78, 81, 88), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 610), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 48, 54, 57).

ვახუშტი ბაგრატიონი ნატის-სოფლის შესახებ გადმოგვცემს: ხონთქარმა გამოაგზავნა „სპანი დიდნი ... მოადგენენ ლორეს, აღიღეს იგი. მერმე შთამოვიდნენ და დადგენენ ნატის-სოფელს“ (ქც 4: 414,10-12). მდებარეობს დმანისის მუნიცი-ში, ბოლნისის ხეობის მარჯვენა მხარესა და სარკინეთის ხევის მარცხენა მხარეს, ახლანდელ წითელსოფლის ადგილას (სინაურიძე 1975ა: 123; ხარაძე 1991: 101).

1241 წ. ქართლის კათოლიკოსმა მიქაელმა ნატის-სოფელი თავისი ზვრებით გადასცა ვანე გუარამისძეს (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 115).

1392 წ. ნატის-სოფელი მცხეთის საკათალიკოსო სოფელია (ქრონიკები 1897: 196). 1537-1538 წწ. ბარათაშვილების გვარის გაყოფის შემდეგ ნატის-სოფლის ნახევარი იოთამ ბარათაშვილს ერგო (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 26). 1584 წ. სიმონ I (1556-1600) მოულოდნელად თავს დაესხა ნატის-სოფელთან დაბანაკებულ ოსმალთა 20000-იან ჯარს. ქართველებმა წარმატებით იბრძოლეს, მაგრამ მტრის სიმრავლის გამო, მეფე იძულებული გახდა ოსმალებს გასცლოდა (ქც 4: 414,11-19). XVI-II ს-ის დასაწყისში ნატის-სოფლის მოურავი იყო ოთარ მდივანი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970ა: 610).

ნატის-სოფელი არქეოლოგიურად შესწავლელია. ნატის-სოფელში 3 დარბაზული ეკლესიაა. წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაზე მხედრული წარწერაა, სადაც მოხსენიებულია ისტორიული პირები: ქართლის მეფეები როსტომი (1632-1658), ვახტანგ V (შაჰნავაზი 1658-1675), დედოფალი მარიაში და ნატის-სოფლის მფლობელი თურმან თურმანიძე. წარწერის მიხედვით ეკლესია XVII ს-ის მეორე ნახევარშია აგებული (თაყაიშვილი 1929: 98, 99).

სოფლის განაპირას სასაფლაოზე თლილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესიის ნანგრევია. დასავლეთ კედელში ჩაშენებულია სტელის ფრაგმენტი. მასზე გამოსახულია წიწვოვანი ტოტები და ამოკვეთილია VI-VII სს-ის ასომთავრული წარწერა, რომლის მიხედვით სტელა სოფლის მამასანლის ალუმართავს სალოცველად და სულის მოსახსენიებლად (სინაურიძე 1975ა: 123-137).

ნატის-სოფლის წმინდა გიორგის თლილი ქვით ნაგებ ეკლესიას ადგას სამრეკლო.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 48, 54, 57; ბერ-

დენიშვილი 1964: 5-49; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 183; თაყაიშვილი 1929: 98, 99; ლორთქიფანიძე 1935: 376, 243; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 271; სინაურიძე 1975ა: 123-137; ქართლ-კახეთის ... 1903: 78, 81, 88; ქც 2: 374, 19, 29, 529, 29, 530, 16; ქრონიკები 1897: 196; ქც 4: 414, 11, 18; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 115; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 178, 622, 708; 1970ა: 610; 1972: 26; ქც 4: 414, 11, 18; ხარაძე 1991: 101.

ხაზში (ქც 4: 530,6; 618,12,23). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4:530,6; 618,12,23), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (1981: 44, 175), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 66), თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“ (ბაგრატიონი 1983: 82), XVII, XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 369; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 271, 272; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 171, 178, 240), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (1962:17, 49).

მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპ-ში, გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე, დღევანდელი სოფ. ხაშმის ტერიტორიაზე.

ხაშმი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1983: 82; ბაგრატიონი 1986: 66; გიულდენშტედტი 1962: 17, 49; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 369; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 271, 272; ორბელიანი 1981: 43, 44, 175; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 171, 178, 240; ქც 4: 530,6; 618,12,23.

ხაშა, ციხე (ქც 4: 778,6). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 778,6, სქ. 3), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 190), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 154), 1704 წ. „არზა“ და „იაზილე“ რუხისა და ხეთის ციხეების დაპყრობის შესახებ (ოსმალური დოკუმენტური ... 1982: 23, 99).

ვახუშტი ბაგრატიონი ხეთის ციხის შესახებ გადმოგვცემს: „ხორგის წყლის „ჩდილოთ, მთის ძირს, ველსა ზედა არს ხეთას ციხე და სასახლე დადიანისა“ (ქც 4: 778,6,7, სქ. 3).

მდებარეობს ხობის მუნიციპ-ში, კოლხეთის დაბლობზე, ურთის მთიანი ზოლიდან 1 კმ-ის დაშორებით.

ხეთა არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფ. ხეთაში, მთა ურთის მახლობლად შემთხვევით აღმოჩნდა ვანძი, რომელშიც შედიოდა კოლხური ცულის ნატეხები, ქვის დამუშავებული ნივთები და მიიგები (ქორიძე 1965: 48).

ხეთის გვიანი შუა საუკუნეების ციხე გეგმით ელიფსს უახლოვდება. კოშკები სწორკუთხაა. ნაგებია რიყის ქვით. ციხე ძალზე დაზიანებულია.

ბიბლიოგრაფია: ბოროზდინი 1934; დადიანი 1962:

190; ოსმალური დოკუმენტური ... 1982: 23, 99; ქორიძე 1965: 48; ქც 4: 778,6, სქ. 3; შარდენი 1975: 154.

ხანძროვანი (ქც 4: 687,2; 688,6). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 687,2; 688,6).

ვახუშტი ბაგრატიონი ხენძორეთის შესახებ გადმოგვცემს: თორთომის „ციხეს ზეით არს ხენძორეთი, დაბა დიდი და გზა აზრუმისა (ქც 4: 687,2). ლოკალიზდება სამხრეთ საქართველოში. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში. არსებობდა ორი ხენძორეთი, ზემო და ქვემო (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 594).

ხენძორეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: გურჯისტანის ვილაიეთის ... 1958: 594; საქ. ისტ. რუკა 1923; ქც 4: 687,2, 688,6;

ხართვისი, ციხე (ქც 1: 17,13; ქც 2: 410,17,18; 522, 17; ქც 4: 433,28; 667,16,18; 669,6,12,14; 670,18; 671,27; 722,6; 724,14; 725,16).

იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 17,13), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 433,28; 667,16,18; 669,6,12,14; 670,18; 671,27; 722,6; 724,14; 725,16), მერა ვენატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ შესამე ტექსტი (ქც 2: 522,17), სამცხე-საათაბაგოს მღვდელ-მთავართა სია (ქრონიკები 1897: 53), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 82), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 88), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დათარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 171-173), იბრაჰიმ ფეჩევის „ისტორია“ (ფეჩევი 1964: 286), ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ (ჩელები 1971: 15, 32, 111), აინი ალის „რისალე“ (ალასანია 1971: 226-235).

ვახუშტი ბაგრატიონი ხერთვისის შესახებ გადმოგვცემს: „ხერთვისის ერთვის ჯავახეთის მდინარე მტკუარს, რომელსა უწოდებენ ჯავახეთის მტკურად ... ხერთვისს არს ხიდი მტკუარსა ზედა“ (ქც 4: 667,16-18). „სად ერთვის მტკუარს ჯავახეთის მტკუარი, ამ ორ მდინარეს შორის არს ხერთვისი“ მტკურის აღმოსავლეთის კიდეზე და ჯავახეთის მტკურის სამხრით“ (ქც 4: 669,5-7).

მდებარეობს ასპინძის მუნიციპ-ში, ასპინძიდან 14 კმ-ზე, ფარავნისწყლისა და მტკვრის შესართავში, დღევანდელი ხერთვისის ციხის ტერიტორიაზე.

ლეონტი მროველის მიხედვით, ხერთვისი ძვ. წ. IV ს-ში უკვე აშენებული იყო (ქც 1: 17,13), ციხეზე დაფიქსირებულია ადრე შუა საუკუნეების ფენაც (მელითაური 1972: 34). აქ სამშენებლო სამუშაოები X ს-ში უწარმოებიათ (ვახუშტი 1885: 146). ხერთვისი ქვემო ჯავახეთის ერთ-ერთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი იყო. ის აკონტროლებდა მის გარშემო ტერიტორიას ფარავნისწყლისა და მტკვრის ვიწრო ხეობებში (ბერ-



ხერთვისის ციხე

ქენიშვილი 1985: 81). არსებობს მოსაზრება, რომ ხერთვისი ქალაქ წუნდის ციხეს წარმოადგენდა (ჭილაშვილი 1968: 111). 1354-1356 წწ. საქართველოს მეფის მოლარეთუხუცესს, ციხის მფლობელ ზაქარია ქაქაძეშვილს ციხის კოშკი და გალავანი აუშენებია (ცისკარიშვილი 1959: 107-111). XV-XVI სს-ში ციხეს ჯერ ხერთვისარები, შემდეგ კი ამატაკიშვილები ფლობდნენ. 1578 წ. არფაქსად ამატაკიშვილმა ხუთ სხვა ციხესთან ერთად ხერთვისი ოსმალებს ჩააბარა. ოსმალებმა ხერთვისი ლივისა და სანჯაყის ცენტრად აქციეს და წლიურ გადასახადად 25000 ახრა დაუწესეს. 1588 წ. მანუჩარ II ათაბაგმა ციხე შაჰ აბასს გადასცა. 1624 წ. გიორგი სააკაძემ ხერთვისი გაანთავისუფლა, თუმცა მას ოსმალები დაეპატრონენ. 1771 წ. ერეკლე II-მ ხერთვისი აიღო, თუმცა შემდეგ მისი დატოვება მოუხდა. 1829 წ. ოსმალებმა ადრიანოპოლის ზავის მიხედვით ხერთვისი რუსეთს გადასცა (ჯავახეთი 2000: 107, 108).

ხერთვისის ციხე აღმართულია მაღალ, კლდოვან მთაზე. მას დასავლეთით მტკვარი, ხოლო ჩრდილოეთით ვარავნისწყალი ჩამოედის. ციხე ორი მთავარი ნაწილისაგან – ციტადელისა და გალავნისაგან შედგებოდა. გალავანი ციხეს აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან აკრავს. ძლიერი დაზიანების გამო გალავნის კედლების სიმაღლე დაუდგენელია. ციტადელს მთის ვიწრო კლდოვანი ქიმი უკავია და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიუდგომელია. მაღალ, ქონგურებიან კედლებს მიუყვება ბურჯები და კოშკები, რომელთაგან გამოირჩევა პრიზმული კოშკი. ციტადელის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზე დინაროზე ჩასასვლელი გვირაბი მიუშენებიათ (ზაქარია 1988: 62). ციტადელის ტერიტორიაზე შემორჩენილია მცირე ეკლესია (ჯავახეთი 2000: 107), სადაც დ.ბაქრაძეს 985 წ-ით დათარიღებული წარწერა უნახავს. XIX ს-ის დასაწყისში ციხის შესასვლელის კარზე ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო XIV ს-ის წარწერა, რომელიც ევამცნობდა, რომ ციხის გალავანი და კოშკი აუშენებია ზაქარია ქაქაძეშვილს (წარწერა ამჟამად დაკარგულია) (ჯავახეთი 2000: 107).

ხერთვისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. **ბიბლიოგრაფია:** აინი ალი 1971: 226-235; ბაგრა-

ტიონი 1986: 82; ბერძენიშვილი 1975: 82-128; 1985: 81; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 171-173; ვახუშტი 1885: 146; ზაქარია 1988: 62; მელითაური 1972: 34; ორბელიანი 1981: 88; ქრონიკები 1897: 53; ქც 1: 17,10; ქც 2: 410,17,18; 522, 17; ქც 4: 433,28; 667,16,18; 669,6,12,14; 670,18; 671,27; 722,6; 724,14; 725,16; ცისკარიშვილი 1959: 107-111; ჩელები 1971: 15, 32, 111; ჭილაშვილი 1968: 111; ჯავახეთი 2000: 107.

ხვამლი, ხუამლი, ხომლი (ქც 2: 243,14; ქც 4: 219,12,სქ.2). ხვამლის ქვაბი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ქამთააღმწერელის თხზულება (ქც 2: 243,14), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 219,12, სქ. 2). მდებარეობს ლეჩხუმში, რიონის მარჯვენა ნაპირზე. რიონისა და ცხენისწყლის ხეობის წყალგამყოფზე. ვახუშტი ბაგრატიონი ხვამლის შესახებ გადმოგვცემს: „ხომლის კლდე ფრიად მაღალი, მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით, ხომლის ვარსკვლავის სწორობით. ამ კლდეში არს ქვაბი გამოკვეთილი, მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთა სადები“ (ქც 4: 219, სქ. 2) ხვამლის ქვაბი იხსენიება დავით ულუსა და დავით ნარინის მიერ სამეფოს გაყოფასთან დაკავშირებით: „არამედ ხომლის ქუაბსა შინა რაიცა იყო, მცირელი განყვეს და სხვა დაუტყვეს მუნვე“ (ქც 4: 219,11-13).

1945 წ. ხვამლის ქვაბებში მიეწყო ალბინისტურ-არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ალ.ჯაფარიძე, გ.ლომთათიძე). გამოირკვა, რომ მთავარი კარსტული წარმოშობის, შემდგომში გაფართოებული ქვაბი, რომელშიც წყარო გამოდის, წინიდან აზიდული ყოფილა ქვითკირის მკვიდრი კედლით, რომელშიც სხვადასხვა დონეზე დატანებულია სარკმლები და საჭვრეტები. შიგ ორი-სამი სართული ყოფილა გამართული. ამ ქვაბს ზემოთ, კლდეში გამოჭრილია მცირე, უაღრესად ძნელად მისადგომი ქვაბი, რომელშიც როგორც ჩანს, ინახებოდა სახელმწიფო საგანძური. ქვემოთ კლდეში გამოჭრილია გრძელი და განიერი ბაქანი, თავის დროზე წინიდან აზიდული და განივად გატხირული. ეს მრავალენაკიანი, ქვითკირის ნაგებობა მცველი რაზმის სადგომადაა მიჩნეული. ამ ბაქანზე თხრისას თავი იჩინა კერათა ნაშთებმა და კერამიკამ – სამზარეულო ჭურჭელმა და ქვევრების ნატუნებმა. მონაპოვარს შორის არ ჩანდა მოჭიქული კერამიკის ნიმუშები.

ექსპედიციის ყურადღება მიამყრო კლდოვან კედელზე წითელი საღებავით, გაუწავავი ხელით დანახულმა სურათმა – მშვილდოსანი ცხენოსნების ნადირობამ. ნახატი მოვკავონებს სვანურ საწესო, „სულთა ნახატებს“, „ლიფანლისას“. ამიტომ ხვამლის ქვაბების მცველად ექსპედიციის წევრებმა სვანები მიიჩნიეს. ნახატი თოფის შემოღებად ჩანს შესრულებული. ხვამლის ქვაბებს XII-XIII სს-ს მიაკუთვნებენ (ლომთათიძე 1977: 131).

ბიბლიოგრაფია: ლომთათიძე 1945ა; ლომთათიძე 1977: 131; ქც 2: 243,14; ქც 4: 219,12,სქ.2.

ხვედურეთი, ხუედურეთი (ქც 4: 344,7,10). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 344,7,10), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 32), XIV-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 274; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 177, 191, 264, 342, 1103; 1974: 612, 613; 1981: 569; 1985: 379, 886; სმ 1924ა: 10, 11; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 184; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 217).

ვახუშტი ბაგრატიონი ხვედურეთის შესახებ გადმოგვცემს: სკრის „ხეობის დასავლეთი არს ხუედურეთის ხეობა. გამოსდის საცხენისის მთას და მიერთვის სამხრიდამ ქუტაისს“ (ქც 4: 344,10-12).

მდებარეობს ქარელის მუნიცი-ში, ზედა და ქვედა ხვედურეთის ტერიტორიაზე.

ხვედურეთი გვიან შუა საუკუნეებში ციციშვილების ერთ-ერთი რეზიდენცია იყო.

ხვედურეთი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ზემო ხვედურეთის სამხრეთით, 1,5 კმ-ის დაშორებით შემორჩენილია წმინდა გიორგის გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია (8,05X4,9მ). ნაგებია ქვიშაქვის ქვებით. ფასადების, საკურთხევლის კუთხეები, კარ-სარკმლების წირთხლები და თაღები გათლილი შირიმისაა. შესასველელი სამხრეთიდანაა. ნახევარწრიული აფსიდი ოდნავ შებრტყელებულია. სამხრეთით ჰქონია მიწაშენი. აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის თავზე XI ს-ის ორნამენტირებული ფრაგმენტია (სმა 1995: 371, 372).

ქვემო ხვედურეთში, შუა უბანში დგას ციციშვილების 1883 წ. აგებული აგურის ორსართულიანი სახლი (23,2X18,5მ), რომელსაც ჰქონია საბრძოლო კოშკი. სახლი გადაკეთებულია (სმა 1990: 403).

ბიბლიოგრაფია: *ბაგრატიონი 1986: 32; ბერძენიშვილი 1966: 42, 46; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 194; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 274; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1953: 217; სმ 1924ა: 10, 11; სმა 1990: 371, 372, 403; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 177, 191, 264, 342, 1103; 1974: 612, 613; 1981: 569; 1985: 379, 886; ქც 4: 344,7,10.*

ხვანა (ქც 4: 664,26). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 664,26; 665,2), გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 8).

ვახუშტი ბაგრატიონი ხვანას შესახებ გადმოგვცემს: „ბოცოს წყალს, ხვანას ზეით, ერთვის სხუა ხევი, რომელი გამოსდის გურიისგე მთასა“ (ქც 4: 664,26,27). „ბოცოს წყალს და ქუაბლოვანის წყალს შორის, ხვანასა და უდეს შორის არს მთა, წარსრული გურიის მთიდან აღმოსავლეთით“ (ქც 4: 665,1-3).

მდებარეობს ადიგენის მუნიცი-ში, სოფ. უდეს მახლობლად. ზოგჯერ მოიხსენიება როგორც ხონა (ჯიქია 1958: 95, 96).

ხვანა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

სოფ. ხვანას სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მიკვლეულია ნაქალაქარი (ბოჭორიძე 1992: 165).

ბიბლიოგრაფია: *ბოჭორიძე 1992: 165; გურჯისტანის ვილაიეთის ... 1941: 8; 1958: 95, 96; ქც 4: 664,26; 665,2.*

ხილარი, ციხე (ქც 4: 353,8). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 136,9), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 353,8), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 243,8), მოქცევაი ქართლისაი (მქ 1963: 91), XII, XV სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 74; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 234).

ვახუშტი ბაგრატიონი ხილარის შესახებ გადმოგვცემს: „ხოლო კუალად არაგვის პირს არს ოხერხიდა, რომელსა ეწოდა პირველ ხილარი, სადაც ალაშენა ვარაზბაქარ ციხე და უკუჯდა ხეგსა კახეთისასა და არგვის პირს“ (ქც 4: 353,7-9).

მდებარეობს მცხეთის მუნიცი-ში, სოფ. მისაქციელის ჩრდილოეთით, მდ. არაგვის ნაპირას.

სახელწოდება ხილარი მიუთითებს იმაზე, რომ იქ მდ. არაგვზე გადებული იყო ხიდი (კვეზერელი-კობაძე 1972: 62; ბერძენიშვილი 1966: 58). წყაროებში იხსენიება IV ს-ის მეორე ნახევრიდან (ქც 1: 136,9; ქც 4:3 53,8). მეფე არჩილის (V ს-ის 20-30-ანი წწ.) დროს ხილარის ციხე უკვე დანგრეული ყოფილა (ქც 1: 243,8). XII ს-ის ბოლოს ხილარი საკათალიკოსო სოფელია (ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 74), ხოლო XV ს-ში მას ერწო-თანეთის საეპისკოპოსო ფლობდა (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 234). ხილარზე გადიოდა თრიალეთიდან კახეთში მიმავალი ერთ-ერთი გზა (ჭილაშვილი 1970: 51, 79).

ხილარი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: *ბერძენიშვილი 1966: 58; კვეზერელი-კობაძე 1972: 62; მქ 1963: 91; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 234; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 74; ქც 1: 136,9, 243,8; ქც 4: 125,2; 353,8; ჭილაშვილი 1970: 51, 79.*

ხილისპარი, ციხე (ქც 4: 765,3), იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 765,3), ნიკო დადიანის „ქართული ცხოვრება“ (დადიანი 1962: 183,11), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 115, 293).

ვახუშტი ბაგრატიონი ხიდისკარის შესახებ გადმოგვცემს: „კრისხულას შესართავსა და ამბროლაურ-ხიმშს ზეით მოვიწროვდების რიონი სამხრიდამ და ჩდილოდამ კლდითა. მუნ ძეს ხიდი რიონზედ. ხიდისთავს, კლდის ძირში, არს რიონის ჩდილოთ კიდესა ზედა, ციხე და უწოდებენ ხიდისკარს“ (ქც 4: 765,3).

ხიდისკარის ციხე და ხიდი ლოკალიზდება ამბრო-

ლაურის მუნიც-ში, მდ. რიონზე, თანამედროვე სოფ. ხიმშსა და მდ. ლუხუნისწყლის შესართავს შორის (ბერაძე 1983: 7, 37; კვეზერელი-კოპაძე 1972: 87-89). ხილდისკარის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1983: 7, 37; გიულდენშტედტი 1962: 115, 293; დადიანი 1962: 183,11; კვეზერელი-კოპაძე 1972: 87-89; ქც 4: 765,3.

ხილახილა, ხილხილა, (ქც 1: 61,7; ქც 4: 515,9; 622,15). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 61,7), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 515,9; 622,15), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 62), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 199), ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ (ფარპეცი 1962: 59, 65, 126, 127), მოვსეს კალანკატუაცის „აღვანთა ქვეყნის ისტორია“ (კალანკატუაცი 1985: 51, 180), ქათბი ჩელების „ცნობები საქართველოს შესახებ“ (ჩელები 1978: 39, 42, 93, 100, 110, 260), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 241).

მდებარეობდა ქართლისა და ალბანეთის საზღვარზე, მდ. მტკვართან ახლოს (მუსხელიშვილი 1977: 158, სქ. 61, 62). ლეონტი მროველის მიხედვით ხილახილა სომხთის საზღვართანა და სომეხი მეფეების საზამთრო რეზიდენციაა (ქც 1: 61,7). მოვსეს კალანკატუაცის მიხედვით, ქალაქი ხალხალი და პარტავი აღვანთა მეფეების საზამთრო რეზიდენციაა (კალანკატუაცი 1985: 180). ქათბი ჩელების მიხედვით, ხალხალი იყო საშუალო ზომის ქალაქი გილანის მხარეში, არდობილის მახლობლად, ორი დღის სავალზე. ის შემდგომ სატახტო ქალაქი გახდა (ჩელები 1978: 100). იოანე ბაგრატიონი ხილხინას ასახელებს ყაზახში, რომელიც ებმის ბორჩალოს (ბაგრატიონი 1986: 62). ასევე ყაზახის სოფლად ასახელებს ხილხინას იოჰან გიულდენშტედტის (გიულდენშტედტი 1962: 241).

450-451 წწ. ხილხილასთან მოხდა ბრძოლა სპარსელებსა და აჯანყებულ სომეხებს შორის (ფარპეცი 1962: 59, 65). 1724 წ. ხილხილა ოსმალებმა აიღეს (ქც 4: 622,15).

ხილახილა-ხილხილა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 62; გიულდენშტედტი 1962: 241; კალანკატუაცი 1985: 51, 180; მუსხელიშვილი 1977: 158, სქ. 61, 62; ორბელიანი 1981: 139; ჩელები 1978: 39, 42, 93, 100, 110, 260; ქც 1: 61,7; ქც 4: 515,9; 622,15; ფარპეცი 1962: 59, 65, 126, 127.

ხიმში (ქც 4: 764,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 764,20), 1071-1080 წწ. „ნიკორწმინდის იადგარი“ (ქართ. სამართ.

ბეგ. 1970: 31, 32, 263), XVI-XVII სს-ის ისტორიული საბუთები (მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 274), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 115, 117, 293). ვახუშტი ბაგრატიონი ხიმშის შესახებ გადმოგვცემს: „კრიხულას შესართავსა და ამბროლაურ-ხიმშს ზეით მოვიწროვდების რიონი“ (ქც 4: 764,20). მდებარეობს ამბროლაურის მუნიც-ში, ამბროლაურიდან 3 კმ-ის დაშორებით, მდ. რიონის მარცხენა მხარეს, ახლანდელი სოფ. ხიმშის ტერიტორიაზე. წყაროებში პირველად იხსენიება XI ს-ში. 1559 წ. ნიკორწმინდის ეკლესიას დავით საეგვარელიძემ შესწირა ხიმშელი გლეხი. XVIII ს-ში ველტყვის ნათლისმცემლის მონასტერს ხიმშში ჰქონდა ყმა-მამული. ხიმში წყაროებში „ხივში“ ფორმითაც მოიხსენიება (ქართ. სამართ. ბეგ. 1970: 31, 32, 263; ბერაძე 1975: 150). გზა ონიდან ქვემო რაჭისკენ ხიმშზე გადიოდა. აქედან ერთი გზა სხვაგვამი, მეორე გზა – რიონის გაყოლებით ამბროლაურში ჩადიოდა (ბერაძე 1975: 145).

ხიმში არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ხიმშში დგას XI ს-ის დასაწყისის წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია (6,4X4მ). ნაგებია შირიმის თლილი ქვით. შესასვლელი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდანაა. დასავლეთით აქვს მინაშენი. აღმოსავლეთ კუთხესთან კირქვის ოთხკუთხა ფილაზე ამოკვეთილია XI ს-ის მეთვრ ნახევრის მხედრულნარევი ნუსხურით შესრულებული შვიდსტრიქონიანი რელიგიური ხასიათის წარწერა (ბარნაველი 1959: 21; ქართ. წარწ. კორ. 1980: 130). **ბიბლიოგრაფია:** ბარნაველი 1959: 21; ბერაძე 1975: 132-154; ბოჭორიძე 1994: 166, 167; გიულდენშტედტი 1962: 115, 117, 293; მასალები საქ. ისტ. ვეოგ. 1964: 274; ქართ. წარწ. კორ. 1980: 130; ქართ. სამართ. ბეგ. 1970: 31, 32, 263; ქც 4: 764,20.

ხირსა, მონასტერი (ქც 4: 542,14). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 541, სქ. 2,4; 542,14), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 168; ქართ. სამართ. ბეგ. 1981: 546), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 67). მდებარეობს სიღნაღის მუნიც-ში, ხირსის ხევის კიდეზე.

1938-1939 წწ. ხირსის მახლობლად, კოლოთის ხევი გათხრებს აწარმოებდა ქიზიყის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. სტ. მენთეუშვილი). ექსპედიციამ გამოავლინა 10 აკლამა, 26 ორმოსამარბი, 7 ქვევრსამარბი და 1 ავურსამარბი (სინაურიძე 1968: 47). 1961-1962 წწ. ივ. ჯავახიშვილის ხან. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კახეთის რაზმმა (ხელმძღ. კ. ფიცხელაური) მცირე დაზვერვითი ხასიათის გათხრები ჩატარა მიწის სამუშაოების დროს დაზიანებულ ხირსის სამართავანზე, სადაც გამოვლინდა გვიანი ბრინჯაოს ხანის

სამ იარუსად განლაგებული ორმოსამარხები. ორმოსამარხებზე ზოგან კერამიკული ქურება გამართული (ფიცხელაური 1962: 26; 1963: 21-25). 1974 წ. იმავე ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) აგრძელებდა მუშაობას ხირსის სამაროვნისა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამეთუნეო სახელოსნო ტერიტორიაზე. პარალელურად აწარმოებდა დაზვერვით სამუშაოებს. აღვიღ „კოლგოთებში“ მიკვლეულ იქნა სინქრონული სამეთუნეო სახელოსნო. გომბორის ქედის ძირას, კოლოთის ხევის მარჯვენა ნაპირზე აღმოჩნდა ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარი (ფიცხელაური, დედაბრძოლი ... 1976: 24). 1984-1985 წწ. იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) გათხარა ხირსის სამეთუნეო სახელოსნოს ნაწილი (ფიცხელაური, ვარაზაშვილი ... 1987: 38).

ხირსის არქეოლოგიური კომპლექსი მდებარეობს ივრის პლატოს ჩრდილოეთ ფერდზე, კოლოთის ხევის მარცხენა ნაპირიდან დასავლეთით, ალაზნის ველზე. იქ გამოვლენილ ძეგლებს შორის ყველაზე ადრეულია ყორღანული სამარხი. მიწის ზედაპირზე ყრილი აღარ შეიმჩნეოდა, მაგრამ საფიქრებელია, რომ ის თავის დროზე არსებობდა. ყორღანი ორმოიანია (1,3X1,1X1,17 მ). სამარხი ორმო კედლები ნაგები იყო რიყის ქვებით, წყობა მშრალია. იატაკი მოგებული ყოფილა რიყის წვრილი ქვებით. მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით. დამხრობილი იყო ჩრდილო-დასავლეთ სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე, თავით ჩრდილო-დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა: 2 ხარის თავის ქალის ზედა ნაწილი, ცხვრის დაშლილი თავის ქალა და კიდურების ძვლები; თიხის 2 ჭურჭელი. ისინი ორფურიაანია. ერთი ოდნავ პირგადშლილია, მაღალყელიანი, ბრტყელიძირა. მეორე ჭურჭელიც ოდნავ პირგადშლილია, დაბალყელიანი, ძლიან პატარა ყურებით. მიცვალებულის ბარძაყის ძვლის ქვეშ აღმოჩნდა კაჟის მოკლეყუნწიანი ისრისპირი. ყორღანი თარიღდება ადრე ბრინჯაოს ხანით (ფიცხელაური 1965: 32-35; საქ. არქ. 1992: 176).

XX ს-ის 50-იან წლებში კოლოთის ხევიდან დასავლეთის მიმართულებით გაჭრილმა 2 მ სიღრმისა და სიგანის თხრილმა 280 მ მანძილზე დააზიანა გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი და სამეთუნეო სახელოსნო. სამეთუნეო სახელოსნოს ქურებიდან ასიოდე მ-ის დაშორებით, დაახლოებით 800 მ მანძილზე სამარხებია განლაგებული. შესწავლილ იქნა 6 სამარხის ნაშთი, რომელიც თხრილის ჭრილში მოჩანდა. სამარხები 3 ევენადაა განლაგებული. პირველი ფენა 0,5-0,10 მ სიღრმეზეა; მეორე - 0,6-0,8 მ სიღრმეზე; მესამე - 1,5-1,8 მ სიღრმეზე. სამარხების ორმო მოგრძო ოთხკუთხედიან, დამხრობილია ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე. სამარხების დაზიანების გამო ძნელი სათქმელია, მაგრამ

ზოგიერთი ნიშნის მიხედვით მაინც ირკვევა, რომ მიცვალებულები იკრძალებოდნენ მოხრილი კიდურებით მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით. სამარხებში ძირითადად გამოვლინდა თიხის ჭურჭლის ნატყეხები და ბრინჯაოს სამკაულები (კილიტები, სამაჯურები). აღსანიშნავია იქვე აღმოჩენილი ბრინჯაოს მახვილი და სარტყლის ფრაგმენტები, რომლებზეც გამოსახულია ფანტასტიკური ცხოველები და გეომეტრიული სახეები. სამარხები თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულითა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით. სამაროვნიდან სამხრეთით 200-300 მ-ის დაშორებით, მაღლობზე შემორჩენილია მისი თანადროული ნასახლარი (ფიცხელაური 1962: 26; 1963: 24, 25; ხიდაშელი 1982: 146).

სამეთუნეო სახელოსნოს ტერიტორიაზე, თხრილის ჭრილში აღირიცხა 50-მდე სამეთუნეო ქურა, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეა შესწავლილი. ქურები განლაგებული ყოფილა ერთიმეორის გვერდით, ერთ ხაზზე. შესაძლოა არსებობდა რამდენიმე ამგვარი ხაზი. თხრილის ორივე მხარეს წარმოდგენილი იყო თიხითვე მოლესილი თაროები, რომლებზეც გამოსაწვავი ჭურჭელი ლაგდებოდა. ქურის წინა საცეცხლე ორმო საცეცხლურ არხს უკავშირდებოდა ე. წ. ქურის ყელით, რომლის გადახურვის ნაკვალავი გადარჩენილია ქურის პირის ორივე მხარეს. ერთ შემთხვევაში სანაცრე არხს სანაცრე ორმოს მხრიდან, ორივე კედელთან თითო რიყის ქვა ჰქონდა აყუდებული. ჩანს, ლუმელში საწვავი აქედან იყრებოდა და აქედანვე გამოჰქონდათ ნაცარი. სამეთუნეო ქურები ერთიანურსიანი ნაგებობებია, რომლებიც მიითვლიან ქურის გარეთ გატანილ საცეცხლე ორმოს, საცეცხლურ არხს და ამ არხით სივრცე ღერძზე ორ თანაბარ ნაწილად გაყოფილ ჭურჭლის გამოსაწვავ კამერას. ქურის კედლები და გადახურვა ზადაპირზე უნდა ყოფილიყო ამოზიდული. თაროებზე გამოსაწვავი ჭურჭლის დალაგების შემდეგ ხდებოდა ქურების გადახურვა თალოვანი კონსტრუქციით, ან თალოვანი გადახურვით მხოლოდ სარკმელი იხურებოდა დაწნული ლასტებით, რომლებიც ორივე მხრიდან თიხით ილესებოდა. ამაზე მიუთითებს ქურის მახლობლად აღმოჩენილი ბათქაშის ფრაგმენტები, რომლებზეც ლასტის ანაბეჭდებია შემორჩენილი.

სახელოსნოს უბანზე მოპოვებულ მრავალრიცხოვან კერამიკულ ნაწარმს შორის 2 სახის თიხის ჭურჭელი გამოიყოფა: უხეშკეციანი ჭურჭელი, რომლებიც დაფარულია კანცენტრული ღარებით. ხშირ შემთხვევაში მხარსა და ძირზე შემოუყვებათ ნატყეხები (ქოთნები, ქვაბქოთნები); მეორე სახის ნაწარმი დამზადებულია კარგად განლექილი წმინდა სილანარევი თიხისაგან. ისინი ძირითადად ჯამ-ლანგრები და კათხებია. ზედაპირი შემკულია ნაპრიალები ორნამენტით შესრულებული სხვადასხვა გეომეტრიული სახეებით. სამეთუნეო უბნის გათხრებისას აღმოჩნდა სვასტიკის გამოსახულებიანი თიხის საბეჭდავი. ხირსის სამეთუნეო სახ-

ელოსნო თარიღდება ძვ. წ. VII ს-ით (ფიცხელაური 1963: 21-24; ხახუტაიშვილი, კინწურაშვილი 1987: 152-155). კოლოთოს აკლდამები ქვით ნაკები მოზრდილი ნაგებობებია, საფეხურებიანი კიბით, კამარის კარით, შესასვლელი კორიდორითა და თაღით გადახურული სამარხი კამერით, რომელშიც მოწყობილია საცხედრები და საძვალე. კიბის სიმაღლის, სამარხისა და დერეფნის სიგრძე-სიგანით, საცხედრების განლაგებით და სხვ. აკლდამები დეტალებში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აკლდამების უმრავლესობა გაძარცვულია და ძვლები ერთმანეთშია არეული. ამდენად, დაკრძალვის წესის დადგენა არ ხერხდება. ყველა აკლდამა დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ერთი გაუძარცვაო აკლდამის მიხედვით 2 მიცვალებული დაკრძალული იყო თავით დასავლეთით, ოდნავ მოხრილნი, ერთმანეთის პირდაპირ საცხედრებზე, ე.ი. ერთი მარცხენა, მეორე მარჯვენა გვერდზე. გაძარცვულ აკლდამებში თითოთოროლა ნივთია აღმოჩენილი: ბრინჯაოს და რკინის სამაჯურებისა და მშვილდაკინძების ნატყები, რკინის საკინძი, ბრინჯაოს ბეჭედი, მწვანე მინის თვლით, ვერცხლის საყურე, რკინის შუბისპირის ნატყები, სარდინისა და ვიშრის მძივები. ნივთები თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით (სინაურიძე 1968: 47-50). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

განათხარი აკლდამების მახლობლად, სოფ. ძველ ანაგაში 1925 წ. ვინმე ნაზარაშვილს აღმოუჩენია ერთი დანერეული, მაგრამ გაუძარცვაო მდიდრული აკლდამა. მიცვალებულის ინვენტარს შეადგენდა: ოქროს სარტყელი, საკინძი, სამაჯურები, სარდინის ბეჭედი, მძივები და სხვ. მათგან მხოლოდ ნივთების ნაწილი გადაურჩა დაკარგვას. მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (შ.ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება ოქროს სარტყლის 8 ბაღთა, საკინძი და სარდინის ბეჭედი, ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში - მძივები და ბრინჯაოს პატარა ზარი). ნივთები თარიღდება VI-VII სს-ით (სინაურიძე 1968: 70).

ადგილ „სერებიანის ველზე“ მდებარეობდა თაღოვანი აკლდამა, რომელიც აგებული ყოფილა კირქვით, დუღაბზე. მასში აღმოჩენილია 7 თავის ქალა და სხვა ძვლები, „ხანჯლის ბოლო“ და ადრე შუა საუკუნეების ბრინჯაოს სამაჯური. ძველი ანაგის ტერიტორიაზე იქ, სადაც მდიდრული სამარხი აღმოჩნდა, გამოვლინდა ადრე შუა საუკუნეების ფენები. მასალის უმრავლესობას შეადგენს კერამიკული ნაწარმი: ქვევრები, დერგები, ქოთნები, ღოჭები, ხელაღები, ჯამები. ძველი ანაგის მიწებზე, ადგილ „ნაგომრებში“ მდებარეობს განვითარებული შუა საუკუნეების ნამოსახლარი, სადაც მრავლად აღმოჩნდა სადა და მოჭიქული კერამიკა, მინის ჭურჭელი, მინის სამაჯურები და სხვ. (სინაურიძე 1968: 75-85). მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ხირსის სტეფანწმინდის ტაძრის დამაარსებლად იხსენიება ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთი - სტეფანე ხირსელი (ქვ 4: 542,14-16). ეკლესია ამჟამად გუმბათიანია. თავდაპირველად დარბაზული ყოფილა. აგებულია VI ს-ში. შემდგომში მრავალჯერ აღუდგენ-გადაუკეთებიათ. აფსიდი ნალისებულია. შიდა სივრცე გაყოფილია 4 სვეტით. ეკლესიისათვის გუმბათი დაუშენებიათ VIII-X სს-ში. ეკლესია ნაგებია რიყის ქვით, სვეტები და გუმბათის საყრდენი - ქვიშაქვის კვადრებით. შირიმი იშვიათადაა გამოყენებული. თორმეტსარკმლიანი გუმბათი აგურისაა. გუმბათქვეშა თაღები აგურით განუახლებიათ XVI ს-ში (ჩუბინაშვილი 1959: 69-71, 325-339). ეკლესიის ფასადებზე და ინტერიერში IX-XIX სს-ის ექვსი წარწერაა. მათგან IX სს-ის მხოლოდ ერთია. 886 წ. სამშენებლო წარწერის ფრაგმენტი ეკლესიის შიგნით, გუმბათქვეშა ჩრდილო-აღმოსავლეთის საყრდენის აღმოსავლეთ წიბოზეა. წარწერა ორსტრიქონიანია: „რა ერისთაობასა ... ნი ქორონიკონი იყვის რა ამენ“ (886 წ.) (ქართ. წარწ. კორ. 1980: 309, 310).

ბიბლიოგრაფია: *აბდუშელიშვილი 1977; ბაგრატიონი 1986: 67; ბარნაველი 1961: 148-151, 153, 154; ბაქრაძე 1875: 156; ლორთქიფანიძე 1961: 43, 44, 52; მკა 1898: 26-28; საქ. არქ. 1992: 176; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 168; სინაურიძე 1967: 3-7; 1968: 47-86; ფიცხელაური 1962: 26; 1963: 21-25; 1965: 32-35; 1973: 67, 180; ფიცხელაური, დედაბრიშვილი ... 1976: 24; ფიცხელაური, ვარაზაშვილი ... 1987: 38; ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 546; ქართ. წარწ. კორ. 1980: 309, 310; ქვ 4: 541, სქ. 2, 4; 542, 15; ჩუბინაშვილი 1959: 69-71, 325-339; ხახუტაიშვილი, კინწურაშვილი 1987: 146, 152-155; ხიდაშელი 1982: 146; ჯავახრიძე 1991: 238.*

ხოლაშენი (ქვ 4: 630,28). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 630,28), XVIII ს-ის ისტორიული საბუთები (საქ. სიძ. 1910: 297, 513; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 387; 1970: 1111; 1981: 41, 184, 204, 244, 517; ქრონიკები 1967: 170), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 69), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 43, 221).

მდებარეობს ანმეტის მუნიციპ-ში, მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს, თანამედროვე სოფ. ზემო ხოლაშენის ტერიტორიაზე. სოფ. ქვემო ხოლაშენი მდებარეობს თელავის მუნიციპ-ში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, წინანდლიდან 2 კმ-ის დაშორებით.

1710-1722 წწ. სოფ. ხოლაშენი რუსთავის სადროშოში შედიოდა (საქ. სიძ. 1910: 297; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 387). 1742 წ. ხოლაშენის ციხე მიწისძვრამ დაანგრია (ქვ 4: 630,28; ქრონიკები 1967: 170). 1759-1781 წწ. სოფ. ხოლაშენი ათონის ფილეთიელის მონასტრის შეწირული მამულია და მისი გამგე-

ბელია ათონიდან მოსული კოზმან ბერი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 1111). 1774 წ. ასპინძის ბრძოლის შემდეგ ხოლადშენში ჩასახლდა სოფ. ბარალეთიდან გადმოსული ექვსი კომლი (ქართ. სამართ. ძეგ. 1981: 244).

ზემო ხოლადშენი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ქვემო ხოლადშენში 1932 წ. შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ხელიადა, რომელიც თეთრი საღებავის სარტყლებით იყო შემკული. ხელიადა თარიღდება ძვ. წ. I – ახ. წ. I სს-ით. ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (ნიორაძე 1940: 36).

ზემო ხოლადშენში დგას ციხე, რომელიც „მარანი-ციხის“ სახელითაა ცნობილი. აშენებულია კანეთის მეფეების მიერ ათონის ფილეთეოსის მონასტრისადმი შეწირულ ხოლადშენის მამულებისა და ზვრების გამგებლის კოზმან ბერის მიერ 1760-1784 წლებში. ნაგებობის ჩრდილოეთი ნაწილი სამართულიანი კოშკია, აღმოსავლეთის – კვადრატული გეგმის ორსართულიანი მარანი (55 კვმ), სადაც 20-ზე მეტი ქვევრია ჩამარხული. „მარანი-კოშკი“ ნაგებია რიყის ქვით. იშვიათად გამოყენებულია აგური. მარნის მეორე სართული, სადაც სათოფეგება განლაგებული, საბრძოლო ბაქანს წარმოადგენს. მარნის პირველ სართულთან კოშკის პირველი სართული დაკავშირებულია 2 თაღოვანი კარით. კოშკის პირველ სართულში საწინაგვლია, საიდანაც 3 კერამიკული მილით ქვევრებში ღვინო იხმებოდა. კოშკი გვემით გრძელი სწორკუთხედიანია. კოშკის მეორე სართული საცხოვრებელია. შედგება 2 ოთახისაგან, სადაც ბუხარი და ორიარუსიანი ნიშებია. ზედა ნიშებში სათოფეგება განლაგებული. კოშკის მესამე სართული საცხოვრებელ-საბრძოლო დანიშნულებსაა. „მარანი-კოშკი“ მონასტრის გაღავანში იყო მოქცეული (ზაქარაია 1962: 181).

ზემო ხოლადშენის მონასტრიდან, რომელიც „ბერაანთ სახლის“ სახელწოდებითაა ცნობილი, მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. შედარებით უკეთაა შემორჩენილი ხარების ეკლესია სამრეკლოთი, რომელიც დარბაზული ტიპისაა. ეკლესიას კარი თავიდან დასავლეთით ჰქონდა, მაგრამ შემდეგ კედელი გაურღვევიათ და სწორკუთხა მინაშენი მიუმატებიათ. ეკლესიის კარები დასავლეთით და სამხრეთითაა. კარებს ზემოთ სამწინებლო ხასიათის 2 მხედრული წარწერა: პირველი წარწერის მიხედვით მონასტერი დააარსეს მეფე ლევანმა და მისმა შვილმა ალექსანდრემ XVI ს-ის დასასრულს და წარმოადგენს ათონის ფილათეოსის მონასტრის ფილიალს. მეორე წარწერის მიხედვით XIX ს-ში მონასტერი მძიმე ფინანსურ გაჭირვებას განიცდდა. 1817 წ. არქიმანდრიტი დომენტის დახმარებით იქ აიგო სხვადასხვა ნაგებობა (ზაქარაია 1962: 178).

ეკლესიასა და მარნის ჩრდილოეთით მდგარა ბერების საცხოვრებელი სახლი. მის სამხრეთ კედელში ჩასმულია შავი ქვის ფილა ქართულ-ბერძნული წარწერით, რომელიც ეხება სოფ. ხოლადშენში ათონის ფილეთეოსის მონასტრის კუთვნილი მამ-

ულების მოვლა-პატრონობასა და იქ მოღვაწე ბერებს (ყაუხჩიშვილი 1951: 327; ზაქარაია 1962: 178). ზემო ხოლადშენის ზევით, მთაზე დგას XIII ს-ის პირველი ნახევრის გუმბათიანი ეკლესია „საჩინო“, რომლის ფასადი მოპირკეთებულია შირიმის ფილებით. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. აღმოსავლეთის ფასადზე ჯვრის მკლავის ქვემოთ რელიგიური ხასიათის ასომთავრული წარწერაა (ჩუბინაშვილი 1959: 431; ბარნაველი 1961: 77).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 69; ბარნაველი 1961: 77; ვიულდენშტედტი 1962: 43, 221; ზაქარაია 1962: 175-185; ნიორაძე 1940: 36, 54, 94; რჩელიშვილი 1967: 276-284; 1994: 217-293; საქ. სოდ. 1910: 297, 513; ქრონიკები 1967: 170; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 387; 1970: 1111; 1981: 41, 184, 204, 244, 517; ქც 4: 630,28; ჩუბინაშვილი 1959: 431; ყაუხჩიშვილი 1951: 327.

სოვლე (ქც 4:342,9,10), იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: მატიანე ქართლისა (ქც 1: 301,11), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 342,9,10), 1260 წ. დაწერილი კახა თორელისა რკონის ღმრთისმშობლისადმი (ქრონიკები 1879: 133-145; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 57-67; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 146-160), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 38, 57, 281, 496, 573; 1981: 87, 570; 1985: 37, 838; ქართულ-სპარსული ... 1955: 126, 127, 174; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 275; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 179; 1953: 63, 136, 142, 143, 151, 175, 179; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 106), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 31).

ვახუშტი ბაგრატიონი ხოვლეს შესახებ გადმოგვცემს: „თეზმის დასავლეთ არს ხევი ხოვლესი, გამოსდის რაზმითის მთას, მოდის ჩდილოდამ, ერთვის მტკუარს სამხრიდამ“ (ქც 4: 342,9,10). იოანე ბაგრატიონი ხოვლეს ხევი ჩამოთვლის შემდეგ სოფლებს: „მდურლის ხევი აწ ხოვლის ხეგად წოდებული: ხოვლე, გრაკალი, დოესი, ავარა ...“ (ბაგრატიონი 1986: 31).

მდებარეობს კასპის მუნიციპ-ში, კასპიდან სამხრეთ-დასავლეთით 26 კმ-ზე, მდ. ხეხმელას (მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ხოვლეს ტერიტორიაზე.

ხოვლე წყაროებში იხსენიება XI ს-დან. აქ ერთმანეთს შეხვდნენ მეფე ბაგრატ IV (1027-1072) და კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში (ქც 1: 301,11). XIII ს-ის პირველ ნახევარში სოფელი შეისყიდა მჭკურ-ჭლეითუხუცესმა კახა თორელმა და რკონის მონასტრის შესწირა (ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 57, 58). გვიან შუა საუკუნეებში ხოვლე ჯვავახიშვილების საკუთრება იყო (ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 38, 57, 281, 496, 573; 1981: 87, 570; 1985: 838, 37).

სოფ. ხოვლეს ტერიტორიაზე 1954-1961 წწ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ

(ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი) გათხარა გვიანი ბრინჯაო – ანტიკური ხანით დათარიღებული ნამოსახლარი გორა, სახელოსნო უბანი, სამაროვანი, საკულტო ნაგებობა. 1976 წ. „ზესურის“ ველზე მიწის დამუშავების დროს დაზიანდა სამაროვანი. კასპის მუნიცი-ის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ.ციტიშვილი) გათხარა გვიანანტიკური ხანით დათარიღებული რამდენიმე სამარხი.

ნამოსახლარი „ხოვლეგორა“ მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 2,5 კმ-ზე, სანიორე ქედის დასასრულს, მდ. ხეხმელას მარცხენა ნაპირზე. დადასტურდა 8 სტრატეგორფული ჰორიზონტი: VIII-VII ჰორიზონტი თარიღდება ძვ. წ. XV-XIV სს-ით; VI – ძვ. წ. XIII ს-ით; V – ძვ. წ. XII-X სს-ით; IV – ძვ. წ. IX-VII სს-ით; III – ძვ. წ. VI ს-ით; II – ძვ. წ. V ს-ით. I – ძვ. წ. IV ს-ით. პირველ მაცხოვრებლებს სამოსახლოსათვის ირგვლივ თხრილი და კედელი შემოუვლიათ. ძვ. წ. XV-VII სს-ის (VIII-IV ჰორიზონტები) საცხოვრებელი სახლები გვევლით სწორკუთხაა, ერთოთხიანი; სამირკველი ქვითა და თიხითა აგებული, კედლები ძეღური – ორმხრივ თიხით შეღესილი, იატაკი თიხატკეპნილია, გადახურვა ბანური ჰქონდა. ყოველ სახლში უკანა კედლის მარცხენა კუთხეში ღუმელი იყო მოწყობილი, მარჯვენა კუთხეში – საკურთხეველი, რომელიც შემკული იყო თიხით ნაძერწი ვერძის თავებით. ამ პერიოდის ნამოსახლარზე აღმოჩნდა მორგეზე დამზადებული ლეგა-მოშავოდ, იშვიათად მოწაბლისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი, რომელიც შემკულია ამოღარული და რელიეფური ორნამენტებით. გარდა თიხის ჭურჭლისა აღმოჩნდა ნამგლის კაჟის ჩასართები, კვერი, მარცვლეულის შესანახი ორმოები, ხორბალი, საწყვა კოდები, ვერძის თავის ქანდაკებები, მსხვილფეხა და წვრილფეხა შინაურ ცხოველთა ძეღები. ძვ. წ. XII-X სს-დან (V ჰორიზონტი) ხოვლეგორას ჩრდილოეთით დასახლება ჩნდება. აქ სახლები სივრცე ღერძზე ორდაა გაყოფილი. ერთი ნახევარი ბოსლიადა გადაქცეული – ქვის ფილებით მოწყობილია ზღვე თავისი სანერწყველი. ძვ. წ. IX-VII სს-ში (IV ჰორიზონტი) ჩრდილოეთის დასახლება წყვეტს არსებობას და სამხრეთისაკენ ინაცვლებს. ამ პერიოდში გორის მაცხოვრებლებს ერთი საერთო ბოსელი ჰქონდათ მიშენებული გორის ფუძის ირგვლივ შემოვლებულ გალავანზე. ბოსელი ნაგები ფლეთილი ქვით. 3 კედლის გასწვრივ ქვის ფილებით მოწყობილია 2 მ-ის სივანის ზღვე, ხოლო ხის ძეღებით – ბაგა. ბოსელში და მასზე მიშენებულ სათავსოში აღმოჩნდა 4 კვერი. IV ჰორიზონტის ბოლო პერიოდიდან გორაზე და ნასოფლარზე ჩნდება წითლად გამომწვარი კერამიკა. ძვ. წ. VI ს-ში (III ჰორიზონტი) ნამოსახლარი გასცდა გორის ბუნებრივ საზღვრებს. მას შემოავლეს ღრმა თხრილი და ქვის განიერი კედელი. უფრო ვრცლად და მჭიდროდ დასახლდა სოფელი გორაზე და სოფელში სახლები უკვე რამდენიმე ოთახისაგან შედგება. შენობები ნაგები ფლეთილი ქვით თიხის ხსნარზე დაახლოებით 1 მ

სიმაღლეზე, შემდეგ კი, ალიზის აგურით. ოთახის კუთხეში დარჩა ღუმელი, ჩნდება ინტერიერის ახალი ელემენტები – შუა ცეცხლი, ღუმელთან ახლოს ქვის მაგიდა, კედლის გასწვრივ სკამი. ერთ სათავსოში დადასტურდა კედლების და იატაკის ჭილოფით მოვების ფაქტი. ამ ჰორიზონტში წითლად და შავად გამომწვარი ჭურჭელი თანაარსებობს დაახლოებით თანასაბარი რაოდენობით. შავლეგად გამომწვარი კერამიკა ინარჩუნებს ძველ ფორმებსა და ორნამენტაციას, ხოლო წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭელი უმთავრესად სადაა და ახალ ფორმებს იძენს. ჩნდება მილიანი და სამტუჩა ღუმელები, გრძელტანიანი ქილები. ვაჩნდა კერამიკის შემკობის ახალი წესი – ჭურჭლის შეღება წითელი საღებებით. ამავე ფენაში აღმოჩნდა სამეოთხეულო მორგვი, რომელიც თიხისგანაა დამზადებული. II და I ჰორიზონტში (ძვ. წ. V-IV სს) წითლად გამომწვარი კერამიკა აშკარად ჭარბობს. ხოვლეგორის სამხრეთით, 0,5 კმ-ზე მდებარეობს ხელოსანთა უბანი. აქ შესწავლილი იქნა სამი, ერთმანეთის მომდევნო პერიოდის (ძვ. წ. IX-VIII, VII-VI და V-IV სს) სახელოსნოები. თითოეული სახელოსნო შედგება თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურის, ხელოსნის სამუშაო მაგიდისა და სამეთუნელო მორგვის, თიხის შესანახი (გასაფუებელი) ორმოების, წყლის შესანახი დერგებისა და ხელოსნის საცხოვრებელი სახლისაგან. აქ აღმოჩენილი ქურები ერთმანეთთან გენეტიკურადაა დაკავშირებული, მაგრამ განსხვავებული კონსტრუქციისაა. ხოვლეგორას სამხრეთ-აღმოსავლეთით, 0,5 კმ-ზე ადგილ ღუმეში მდებარეობს სამაროვანი, რომელსაც დაახლოებით 1 ჰა უკავია. სამაროვანზე ჩატარდა დაზვერვითი ხასიათის გათხრები. თარიღდება ძვ. წ. XIV-VI სს-ით. სამარხები კოლექტიურია. მათში აღმოჩენილი ინვენტარი ერთფეროვანია. მოპოვებული მასალის ერთი ნაწილი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი), მეორე ნაწილი – კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფილიალში, ხოვლეს ივ. ჯავახიშვილის სახ. სახლ-მუზეუმში (მუსხელიშვილი 1977: 40-45, 65-72; 1978: 5-97; მელითაური 1979: 63-65). ხოვლეგორას სახელოსნო ღუმელების სამხრეთით 100 მ-ზე აღმოჩნდა საკულტო ნაგებობის ნაშთი, თარიღდება ძვ. წ. II – ახ. წ. I სს-ით. თიხით შეღესილი ძეღური ნაგებობის დამწვარ-დანახშირებულ ფენაში აღმოჩნდა უწყვიროდ არეული ნივთები: ოქროსა და ვერცხლის თხელი ფირფიტები, ხარის თავისა და კიდურების, ადამიანის ხელისა და ფეხის სტილიზებული გამოსახულებით; ბრინჯაოს ზარაკები (32 ც), ვერცხლისა და ბრინჯაოს საკიდები; მძივები და მძივსაკიდები (305 ც). აღმოჩენილი ნივთები უნდა უკავშირდებოდეს შტანდარტს (გვასალია 1972ა: 42-50). სოფლის ჩრდილო-დასავლეთით გათხარა ყორღანი. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით. ყორღანის (დმ 22 მ, სიმაღლე 1,5 მ)

ცენტრალურ ნაწილში, ქვაყრილის ქვეშ აღმოჩნდა გეგმით მართკუთხა ფორმის ორმოსამარხი (3,8X2,4X1,2 მ), რომელიც გადახურული იყო ხის ძელებით. სამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, კიდურებ-მოხრილი. სამარხი უინვენტარია. ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში ერთმანეთის თავზე 2 ჩაშვე-ბული სამარხი აღმოჩნდა; №1 სამარხი ქვაყრილის ზედაპირიდან 0,60 მ-ის სიღრმეზე მდებარეობდა, №2 სამარხი კი, 1 მ-ის სიღრმეზე. №2 სამარხში აღმოჩნდა ბედნური ტიპის კერამიკა – შავპირილა ქოთნები და სასმისები შემკული „მარგალიტისე-ბური“ და წვრილად ნაკაწრი ორნამენტით; კაყისა და ოსინიანის ოსრისპირები, ლალესი ქვა და სხვ. №1 სამარხში აღმოჩნდა გვიანი მტკვარ-არაქსის კულ-ტურისათვის დამახასიათებელი ვიწროძირიანი ტოლჩა ჩალარულ-ამოლარული ორნამენტით, ბრ-ტყელი ფართოფეხიანი სატყერის პირი (გრივო-ლია 1958: 41; ჯაფარიძე 1998: 148-150).

სოფლის სამხრეთით, ადგილ ზუსურზე მიწის პლანტაჟის დროს დაზიანდა სამაროვანი (2 პა). თარიღდება გვიანბრინჯაო – ადრე შუა საუკუნე-ებით. გაითხარა გვიანანტიკური ხანის 4 სამარხი: ერთი აგებულია თიხის ფილებით, დანარჩენი – ქვებით (ცქიტიშვილი ... 1979: 122).

სოფლის მახლობლად, მდ. ხეხმელას მარჯვენა ნაპირზე დგას წმინდა გიორგის ეკლესია. თარიღდება VI-VII სს-ით. ეკლესია (7,8X7,7 მ) დარბა-ზულია, ნაგებია მოწითალო ფერის თლილი ქვით. სამხრეთიდან მიშენებული აქვს ევგეტერი. ეკლესიას 2 შესასვლელი აქვს – დასავლეთიდან და ევგეტერი-დან. ეკლესიისა და ევგეტერის აფსიდები და კონქის თაღები ნალისებურია. ეკლესიაში დაცულია სამ-მალისანი კანკელი, რომელიც 2 სხვადასხვა ხანის (XI-XII სს, XIV ს) ფრაგმენტებისაგან შედგება. ეკლესიის დასავლეთ კედელზე და აფსიდაში შემორჩენილია მოხატულობის (XII ს) ფრაგმენტები (სმა 1990: 223).

ხოვლეს ტერიტორიაზე მდებარეობს გვიანი შუა საუკუნეებით დათარიღებული რამდენიმე დარბა-ზული ეკლესია (ისიდორიანთ საყდარი, კვართის წმინდა გიორგის ეკლესია, ნაბელიანთ საყდარი, წმინდა თევდორეს ეკლესია, წითელი საყდარი) და კოშკი.

სოფ. ხოვლედან სამხრეთ-აღმოსავლეთით 1 კმ-ზე, მდ. ხეხმელას მარჯვენა შენაკადის ზესხევის წყლის შუაწელზე აგებულია აკვედუკი ანუ ბელ-ლარი. ადგილობრივი მოსახლეობა მას „ქვახიდას“ უწოდებს. ბელლარი (სიგრძე 30 მ, სიგანე 1,1 მ, სიმა-ღლე 9 მ) თავად ჯავახიშვილების სასახლის წყალ-მომარაგების სისტემის მთავარი ნაგებობაა. იგი აგებულია ფილაქვით დულაბზე. შუა მალი ბურჯე-ბზე დაყრდნობილ შეისრულ თაღს წარმოადგენს. მის ქვეშ ხევის წყალი გადიოდა. გვერდითი მალე-ბი არაწესიერი ნახევარწრის ფორმის თაღებია. აკვედუკის ზედაპირზე წყალსადენის კერამიკული მილები ეწყობ, ხოლო თავსა და ბოლოში წყლის

სალექარი ქვევრებია ჩაფლული მიწაში. ბელლარი თარიღდება XVII-XVIII სს-ით (ბაგრატიონი 1992: 51-53).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1992: 51-53; ბაგრა-ტიონი 1986: 31; ვვასალია 1972ა: 42-50; ვრივილია 1958: 41; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 179; 1953: 63, 136, 142, 143, 151, 175, 179; მასალები საქ. ეკ. ისტ. 1955: 106; მასალები საქ. ისტ. კვლ. 1964: 275; მეღ-ითაური 1979: 63-65; მუსხელიშვილი 1977: 40-45, 65-72; 1978: 5-97; სმა 1990: 223; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 146-160; ქართ. სამართ. ძეგ. 1966: 57-67; 1972: 38, 57, 281, 496, 573; 1981: 87, 570; 1985: 37, 838; ქართულ-სპარსული ... 1955: 126, 127, 174; ქრონიკები 1879: 133-145; ქვ 1: 301,11; ქვ 4: 342,9,10; ცქიტიშვილი ... 1979: 122; ჯაფარიძე 1998: 148-150.

ბო60, ქალაქი (ქვ 4: 750,21,22, სქ. 2). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრა-ტიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 750,21,22, სქ. 2), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქვ 2: 359,26; 493,26; 501,7), XI, XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (მა-სალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 276; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 17, 431; 1970: 317, 410, 480, 481, 482; 1972: 7 6), ნიკო დადიანის „ქართველი ცხოვრება“ (დადიანი 1962: 181, 185, 194, 206), იოჰან გიულ-დენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გი-ულდენშტედტი 1962: 149, 151-153, 155, 203, 307, 319; 1964: 259, 261), ჟაკ ფრანსუა გამბას „მოგზაუ-რობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 112, 132, 145-149, 156, 166).

ვახუშტი ბაგრატიონი ხონის შესახებ გადმოგვცემს: გუბის წყლის „ზედვე, ამასა და ხონს იქით, ქუტირ-ფარცხანაყანევიამდინ, არს გოჭორაური და არს ხონს ეკლესია დიდი, გუბათიანი, შუენიერ ნაგები. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ვაკისა. ეს იყო ერთობასა შინა ქართლის მთავარეპისკოპოზისა. შემდგომად გან-ყოფისა დასუეს აქა ეპისკოპოზი“ (ქვ 4: 750,21-23, 751,1,2).

მდებარეობს მდ. გუბისწყლისა და ცხენისწყალს შორის, ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ანლანდე-ლი რაიონული ცენტრის, ხონის ადგილას. ხონზე გადიოდა გზები იბერიიდან და აღმოსავ-ლეთ ლაზიკიდან შავი ზღვის სანაპიროებისაკენ და სვანეთისაკენ (ვაჭრიძე 1977: 9). დავით აღმაშენ-ებელმა (1089-1125) ხონის საეპისკოპოსო მცხე-თის მთავარეპისკოპოსის დაუქვემდებარა (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 17). ხონი იყო საეპისკოპოსო ცენტრი (ქვ 4: 750,23). 1519 წ. იმერეთის მეფე ბაგრატ III-ემ (1510-1565) ლიხთ-იმერეთი გაყო სამ საეპისკოპოსოდ. ხონელ ეპისკოპოსად დასვა მჩხეტის ძე მანოელი. 1553 წ. ბაგრატ მეფემ ხონის ჭალაში შეიპყრო ლევან დადიანი (ქვ 2: 359,26). გვიან შუა საუკუნეებში ხონი მცირე ქალაქი და სავაჭრო ცენტრია. ხონის ბაზრობა პარასკეობით იმართებოდა. აქ მოდიოდნენ სავაჭროდ სვანეთი-

დან, ლეჩხუმიდან, სამეგრელოდან და სხვ. ადგილებიდან (გოულდენშტედტი 1962: 151-153; მესხია 1983: 242).

ხონი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ხონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ძვ. წ. III ათასწლეულის შავპირალა კერამიკა. ხონში შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური თეთრის განძი (კაპანაძე, გოლენკო 1957: 91).

ხონში აღმართულია IX-X სს-ის წმინდა გიორგის სამნავიანი ბაზილიკა (სიგრძე 15 მ). ნაგებია თლილი ქვით. ინტერიერში შემორჩენილია კედლის მხატვრობა. ეკლესიის წარწერებიდან ბევრი უკვე გადაშლილია. ეკლესიას გარს უვლის გალავანი. ეზოს სამხრეთ ნაწილში დგას სამრევლო. ეკლესია და სამრევლო რამდენჯერმეა ვადაკეთებული.

ბიბლიოგრაფია: ამირანაშვილი 1924: 151; ბაქრაძე 1875: 158-160; გამბა 1987: 112, 132, 145-149, 156, 166, 172; გოულდენშტედტი 1962: 149, 151-157, 209, 307, 319; 1964: 356, 361; გორდევი 1924: 196-226; 1924a: 136-151; დადიანი 1962: 181, 185, 194, 206; ვაჭრიძე 1977; თაყაიშვილი 1913-1914: 270-302; იოსელიანი 1850: 70, 71; კაკაბაძე 1914: 95; 1925a; 1928a: 26; კაპანაძე, გოლენკო 1957: 96; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 276; მესხია 1983: 622, 623; საქ. ისტ. რუკა 1923; სილოგავა 1980: 134-138; ფაილოძე 1983: 66-71; ფურცელაძე 1881: 126, 140, 142; ქც 2: 359,26; 493,26; 501,7; ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 17, 431; 1970: 317, 410, 480, 481, 482; 1972: 76; ქრონიკები 1987: 476; ქც 4: 750,21,22,სქ.2; ჩუბინაშვილი 1959a: 125, 640, 641.

სოქორნა, ეკლესია (ქც 4: 310,7). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 310,7), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 57), ვარდან არეველცის მსოფლიო ისტორია (ვარდან არეველცი 2002: 115, 156). ვახუშტი ბაგრატიონი ხოქორნას შესახებ გადმოგვცემს: „ქუემორ ახტალისა არს ხეობა ხოქორნიისა. არს ხოქორნიას ეკლესია გუნბათიანი“ (ქც 4: 310,7). ისტორიულ წყაროებში ხოქორნა მოიხსენიება X ს-დან. ის სხვა ოლქებთან ერთად ქვემო ქართლის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სომხური სამეფოს ტაშირ-ძორაგეტის ფარგლებში მოექცა. XI ს-ის შუა ხანებში ტაშირ-ძორაგეტის სამეფოში მხარგრძელთა წინაპრები დამკვიდრდნენ და ხოქორნის ხევი მფლობელობაში მიიღეს. XIII ს-ში ხოქორნა მხარგრძელთა უფროსი შტოს, ზაქარიას შთამომავლებს ერგო (ვარდან არეველცი 2002: 115,156; მესხია 1979: 227; მუსხელიშვილი 1960a: 59, 60; გაგოშიძე, ჩანტლაძე 2003: 124-132). მდებარეობს მარნეულის მუნიციპ-ში, სოფ. ხოქორნიდან სამხრეთ-დასავლეთით 500 მ-ზე, მდ. დებედას შენაკადის ბანუშ-ჩაის (ვახუშტის მიხედვით ხოქორნიის ხევი) ნაპირას (გაგოშიძე 2009: 124-132). ხოქორნა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ხოქორნის გუმბათიანი ეკლესია აგებულია კირქვის ფლეთილი ქვით. ვეგმით „ნახევრად თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ნაგებობაა (10,50X10,75X14,40მ). ეკლესიის 4 მკლავიდან 3 (სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი) სწორკუთხაა. მეოთხე ნახევარწრიული აფსიდით ბოლოვდება. მას ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მცირე ზომის აფსიდიანი სათავეები ეკვრის. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქვს. ტაძრის ინტერიერი ნათდება ოთხივე მკლავში დატანილი თითო სარკმლითა და გუმბათის ცილინდრულ ყელში გაჭრილი 4 სარკმლით. ეკლესიის კედლებში მრავალადაა ჩაშენებული ადრე შუა საუკუნეების სტელები, ზოგიერთ მათგანზე შემორჩენილია ქართული ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები. აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის თავზე ქტიტორთა ორფიგურაინი რელიეფია, რომელზეც შემორჩენილია XI ს-ით დათარიღებული სომხური მთავრული წარწერის ფრაგმენტი. დასავლეთის კარის არქიტრავეზე და სარკმლის თავზე „აყვავებული“ ჯვრების რიგია გამოსახული. სამხრეთ ფასადზე არსებულ სომხურ წარწერაში, რომელიც თარიღდება XIII ს-ით, მოიხსენიება შანშე მხარგრძელი. გარდა ამისა, ეკლესიის ფასადებზე შემორჩენილია XV ს-ის სომხური წარწერების ფრაგმენტები (გაგოშიძე 1999: 60-71; 2003; გაგოშიძე, ჩანტლაძე 2009: 124-132). ეკლესიის დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 დარბაზული ეკლესიის ნანგრევია შემორჩენილი.

გუმბათიანი ეკლესიის სამხრეთით, მთაზე დგას ციხე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა მენ-ზილქარს უწოდებს. ამავე მთის კალთაზე დგას „სურბ ნიშანის“ (წმინდა ჯვარი) მცირე დარბაზული ეკლესია.

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 57; ვარდან არეველცი 2002: 115, 156; გაგოშიძე 1999: 60-72; 2003; გაგოშიძე, ჩანტლაძე 2009: 124-132; მესხია 1979: 227; მუსხელიშვილი 1960a: 59, 60; ქც 4: 310,7.

ხორანთა (ქც 1: 5,11; ქც 4:527,2,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“ (ქც 1: 5,11), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 527,2,9; 539,3,17; 541,10,12; 556,5; 561,16). ლოკალიზდება ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე. მდებარეობს მდ. იორისა და ალაზნის შესართავთან. ნაქალაქარი ამაჟამად მოქცეულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მინგეჩაურის წყალსაცავის ქვეშ. ხორანთა იყო ჰერეთის პოლიტიკური ცენტრი. ისტორიული ტრადიციით, ხორანთა დაუარსებია ჰერების ეპონიმს ჰეროსის და ქალაქსაც თავდაპირველად ჰერეთი რქმევია (ქც 1: 5,9-11; ქც 4: 526,19-21, 527,1,2). ხორანთა მოხრებულა XIII ს-ში მონღოლთა შემოსევების შედეგად (ქც 4: 527,3,4). ს.კაკაბაძე ხორანთას ხორნაბუჯის ძველ სახელად მიიჩნევდა (კაკაბაძე 1924: 52).

1965 წ. ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ლ.ჭილაშვილი) დაზვერვები აწარმოა ხორანთის ნაქალაქარზე. ნაქალაქარი განლაგებულია ალაზნის გასწვრივ გამავალი ქედის სამხრეთის კალთებზე და ვრცელდება ვაკემდე, საიდანაც იწყება ელდარის ველი. ათეულ ჰექტარზე გადაჭიმული ნაქალაქარი, რომელიც რამდენიმე უბნისაგან შედგებოდა, დაქვევს შემდეგ აღარ განახლებულა. ზედაპირულად აკრეფილი კერამიკიდან ყურადღებას იმსახურებს დიდი ზომის ჭურჭლის პირი ამოკაწრული ჯვრის გამოსახულებით და დოქის ყური ქართული ასოთი. ზედაპირული მასალის ზოგიერთი ნიმუში, მაგ. მარცვლეულის არქაული სახეები მიოვანიშნებს, რომ აქ დასახლება უფრო ადრეც არსებობდა (ჭილაშვილი 1968: 59-62). ხორანთის არქეოლოგიური მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი).

ბიბლიოგრაფია: კაკაბაძე 1924: 52; მუსხელიშვილი ... 1987: 498; ქც 1: 5,11; ქც 4: 527,2,9; 539,3,17; 541,10,12; 556,5; 561,16; ჭილაშვილი 1968: 59-62.

ხორბი, დაბა (ქც 4: 778,1). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 778,1), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 490; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 612, 646, 669, 670, 732 770, 772; 1977: 684; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 276), ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“ (დადიანი 1962: 190), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 325).

ვახუშტი ბაგრატიონი ხორგის შესახებ გადმოგვცემს: „ფოთის ჩდილოთ კერძ შესდის ზღუას ხორგის წყალი. მოივო სახელი დაბის ხორგისაგან, ზღვის კიდესა ზედა შენისა, სადაცა არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა“ (ქც 4: 777,24, 778,1-3).

მდებარეობს ხობის მუნიციპ-ში, მდ. ხობის ხეობაში, ზღვის სანაპიროდან 15 კმ-ის დაშორებით, სოფ. პირველი ხორგისა და შუა ხორგის ტერიტორიაზე (ბერაძე 1971: 58).

XVII ს-ში აფხაზეთის კათოლიკოსმა დავით ნემსაძემ ხორგაში წულუკიძისაგან შეიძინა სასახლე და ცხრა კომლი, რომლებიც შესწირა ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძარს. მოგვიანებით ეს შეწირულობა სადადიანო გამხდარა. ხორგაში იყო საბაჟო, რომლის შემოსავალი აფხაზეთის კათოლიკოსს ეკუთვნოდა (ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 684; ბერაძე 1970: 43, 47).

ხორგა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.
ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1970: 42-47; 1971: 53-73; გიულდენშტედტი 1962: 325; დადიანი 1962: 190; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 276; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 612, 646, 669, 670, 732 770, 772; 1977: 684; ქრონიკები 1897: 490; ქც 4: 778,1.

ხორნაბუჯი, ქალაქი, ციხე (ქც 4: 541,22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 28,9; 114,9; 146,6; 151,17; 181,3; 214,23; 215,1; 525,3; 541,21,23,სქ.1,3,4; 542,13; 547,17; 557,7; 561,16), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 199,4,16), მათიანე ქართლისა (ქც 1: 298,7; 312,5-7), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქც 1: 373,18), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 61,10), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 24, 26), XVII ს-ის ისტორიული საბუთი (საქ. სიძ. 1909: 73), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1913: 276), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 67), თეიმურაზ I-ის მოსკოვში ელჩობის საოქმო ჩანაწერები (ჩანაწერები ... 1965: 447; მასალები რუსეთ-საქართველოს ... 1965: 462), ისქანდერ მუნშის თხზულება (მუნში 1969: 125).

ვახუშტი ბაგრატიონი ხორნაბუჯის შესახებ გადმოგვცემს: „ყარაღაჯის სამხრით, სადაცა დასწყდების ჰერეთის მთა ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი, და აწ უწოდებენ ჭოეთს. აქ, კლდესა ზედა, შენ არს ციხე მაგარი, და იყოცა ქალაქი კარგი. ესეცა ბერქას გამოსლვასა მოხორდა“ (ქც 4: 541,20-23).

მდებარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპ-ში, გომბორის მთის განშტოების დასასრულს.

ვახტანგ გორგასალმა ხორნაბუჯში დააარსა საეპისკოპოსო (ქც 1: 199,4). მანვე ხორნაბუჯი საუფლისწულოდ მისცა თავის მემკვიდრე დაჩის (ქც 1: 199,16). ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, ხორნაბუჯში სპარსელი მოხელე იჯდა. ქართლის ერისმთავართა უმცროსი შტოს წარმომადგენლებმა ასამმა და ვარაზგარდმა VI ს-ის მეორე ნახევარში ხორნაბუჯი სპარსელთაგან გაათავისუფლეს და თვითონ დაიკავეს ქალაქი (ქც 1: 373,15-18). VIII ს-დან ხორნაბუჯი ჰერეთის სამთავროს ერთ-ერთი საერისთავოს ცენტრია (ქც 4: 557,7,8). პაგრატ IV-ემ (1027-1072) შეიპყრო ხორნაბუჯის ერისთავი ვაჩე (ქც 4: 146,5,6). XI ს-ის 60-იან წლებში ხორნაბუჯს დაეუფლა განძის ამირა ფადლონი. 1068 წ. ხორნაბუჯი დაიბრუნა კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართანმა (ქც 4: 151,17). თამარის პირველი ქმრის, გიორგი რუსის ქიზიყში შემოჭრისას ხორნაბუჯის ერისთავმა საღირ მახატლის ძემ სასტიკად



ხორნაბუჯის ციხე

დაამარცხა აჯანყებულები (ქვ 4: 181,1-6). XIII ს-ის 60-იან წლებში ხორნაბუჯი მოახორა ბერქა ყაენმა (ქვ 4: 541,23). XVII ს-ის დასაწყისში ხორნაბუჯში ჰქონდა რეზიდენცია ირანის შაჰის აბას I-ის მოხელეს, კახეთის ერთი ნაწილის გამგებელს ფეიქარ ხანს.

ვახუშტი ბაგრატიონი ხორნაბუჯსა და ხორანთას თავისი თხზულების ერთ ადგილას ერთმანეთთან აიგივებდა (ქვ 4: 561,15). ამ აზრს იზიარებდა ზოგიერთი სხვა მკვლევარიც (ბაგრატიონი 1848: 14; კაკაბაძე 1924: 52). თუმცა, ხორნაბუჯი და ხორანთა განსხვავებული პუნქტებია (ჭილაშვილი 1968: 59-63). გვიან შუა საუკუნეებში ხორნაბუჯი წყაროში ჭოეთის სახელით იხსენიება (ქვ 4: 541,21,22; ვორგიჯანიძე 1926: 24, 26; ხერხეულიძე 1913: 276; ბაგრატიონი 1986: 67).

1970 წ. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ხორნაბუჯის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. რ.რამიშვილი) ხორნაბუჯსა და მის მიდამოებში ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები (რამიშვილი, ჯორბენაძე 1971: 243-245). გათხრებს ჰქონდა დაზვერვითი ხასიათი, რომლის ძირითადი მიზანი იყო ნაქალაქარის სტრატეგოგრაფიისა და საზღვრების დადგენა. სამუშაოები მიმდინარეობდა როგორც საკუთრივ შიდა ციხეზე, ისე ციხის გარშემო და ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე.

შიდა ციხის ქვედა ეზოში აღმოჩნდა განვითარებული შუა საუკუნეების კარიბჭისა და კედლის ნაშთი. გვიან შუა საუკუნეებში ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლასთან დაკავშირებით, კედლებში დაუტანებიათ სათოფურები და მეთოფეთა დასადგომი ტახტები. შიდა ციხეზე შემორჩენილია არაერთი სათავსო. შიდა ციხეში გამოვლინდა 2 წყალსაცავი. შიდა ციხისა და ნაქალაქარის ტერიტორიაზე მრავლად აღმოჩნდა სადა და მოჭიქული კერამიკის, ფაიანსის ნატეხები. კერამიკული ნაწარმიდან აღსანიშნავია: ქვევრები, ქოთნები, მოუჭიქავი და მოჭიქული კრამიტები, ცხრაქები. განათხარ მასალაში გვხვდება: რკინის ისრისპირები, ქვის ბირთვები, მონეტები, მინის ჭურჭლის ნატეხები. მასალის დიდი ნაწილი თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. როგორც ციხის შიგნით, ისე ნაქალაქარის ტერიტორიაზე საცხოვრებლად გამოყენებით გამოქობულებიც.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლინდა მიწისქვეშა აკლამების ჯგუფი. ადგილ „სოზანოში“, რომელიც მდებარეობს ნაქალაქარის დასავლეთით, მიკვლევულ იქნა წინაქრისტიანული ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი. ანტიკური ხანის სამაროვნები აღმოჩნდა ადგილ „ციცყვაროსა“ და „ორგმირზე“ (რამიშვილი, ჯორბენაძე 1971: 243-245; მუსხელიშვილი ... 1987: 501). ხორნაბუჯის განათხარი მასალა ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დუშეთის ზაზაზე.

ბიბლიოგრაფია: აბრამიშვილი 1984: 142; ბაგრატიონი 1848: 14; ბაგრატიონი 1986: 67; ვორგიჯანიძე

ნიძე 1926: 24, 26; თოდრია 1982: 81-85; იოსელიანი 1844: 71; კაკაბაძე 1924: 52; ლოლაშვილი 1977: 152; მასალები რუსეთ-საქართველოს ... 1965: 439-469; მუსხელიშვილი ... 1987: 501; მუსხელიშვილი 1997: 30-33; მუნში 1969: 110, 125; რამიშვილი, ჯორბენაძე 1971: 243-245; რამიშვილი, ჯორბენაძე 1985: 37, 38; საქ. სოდ. 1909: 73; ქვ 1: 199,4,16; 298,7; 312,5-7; 373,18; ქვ 2: 61,10; ქვ 4: 28,9; 114,9; 146,6; 151,17; 181,3; 214,23; 215,1; 525,2; 541,21,23,სქ.1,3,4; 542,13; 547,16; 557,7; 561,16; შაიშველაშვილი 1969: 46-49; ჩანაწერები ... 1965: 447; ჭილაშვილი 1968: 5, 58, 61, 62, 66; ხერხეულიძე 1913: 276.

სორჯის ცხენი (ქვ 4: 550,21, სქ. 2). იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 550,21, სქ. 2). მდებარეობს ანმეტის მუნიციპ-ში, მდ. ალაზნის ზემო დინებაზე. ხორჯის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. **ბიბლიოგრაფია:** ქვ 4: 550,21, სქ. 2.

ხრამიში (ქვ 4: 756,16,17,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 756,16,17,19), ნიკო ლაღიანის „ქართველთა ცხოვრება“ (ლაღიანი 1962: 271), XVI-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (საისტ. კრ. 1928: 42, 43, 49; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 277, 278; ქრონიკები 1897: 343; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 250), 1737 წ. ლიხთ-იმერეთის რუკა (ბურჯანაძე 1959: 186), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 303), ჟაკ ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 189, 191, 200). ვახუშტი ბაგრატიონი ხრეთის შესახებ გადმოგვცემს: ზუსას „ზეით არს ხრეთით, და ხრეთითდამ გარდავალს გზა რაჭას ნაჯიხურევეზედ. ამ ხრეთის ქუეით ბილას ითხრების კაუი ჩახმახისა, ფრიად კარგი“ (ქვ 4: 756,16-18).

მდებარეობს ჭიათურის მუნიციპ-ში, ჭიათურიდან 1,8 კმ-ის დაშორებით, სოფ. გაღმა და გამოღმა ხრეთის ტერიტორიაზე. 1515 წ. სოფელი შეუწირავთ კაცხის ეკლესიისათვის (საისტ. კრ. 1928: 42, 43). 1661 წ. ვახტანგ V შაჰნავაზმა (1658-1675) ზაალ წერეთელს უბოძა სარდლობა ზედა ხრეთიდან ვიდრე ლიხის მთამდე. ხრეთიზე გადიოდა ქუთაისიდან წამოსული გზა: ქუთაისი - ტყიბული - მუხურა - ხრეთი - წიქვალი - ჭიათურა - საჩხერე - ჩიხა. შორაპნიდან ხრეთიზე გავლით გზა რაჭაში გადადიოდა (ბერძენიშვილი 1964: 19, 20). ხრეთით არქეოლოგიურად შეუსწავლელია. შემორჩენილია ადრე შუა საუკუნეების მოგვიანებით გადაკეთებული 2 ციხე-დარბაზის, განვითარებული შუა საუკუნეების ზედა ციხისა და ეკლესიის ნანგრევები (ბარნაველი 1959: 130).

ბიბლიოგრაფია: ბარნაველი 1959: 130; ბერძენიშვილი 1964: 19, 20; 1990: 636; ბურჯანაძე 1959: 196; ბოჭორიძე 1996: 250, 258; გამბა 1987: 188, 191, 200;

გოულდენშტედტი 1962: 303; დადიანი 1962: 271; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 277, 278; საისტ. კრ. 1928: 42, 43, 49; საქ. ისტ. რუკა 1923; ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 250; ქრონიკები 1897: 343; ქც 4: 756,16,17,19.

ხოზი, ხობი (ქც 4: 778,9,10,13; 818,9). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 778,9,10,13,სქ.5; 818,9), XVII-XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1892: 34; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 275; დას. საქ. საბ. 1921: 84, 87, 91, 92, 105; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 684), ნიკო დადიანის „ქართველი ცხოვრება“ (დადიანი 1962: 151), დონ ქრისტოფოროს დე კასტელის „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“ (კასტელი 1976: 176), ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (შარდენი 1975: 110, 156), არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ (ლამბერტი 1991: 107), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 325), ჟაკ ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 106-128), დიუბუა დე მონპერეს „მოგზაურობა კავკასიაში“ (დიუბუა დე მონპერე 1937: 22, 105, 107, 108, 149). მდებარეობს მდ. ხობის მარჯვენა ნაპირას, ახლანდელ ქ. ხობის ტერიტორიაზე.

ხობი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. მდ. ხობისწყლის პირას შემთხვევით აღმოჩნდა ძვ.წ IX-VIII სს-ის ბრინჯაოს ყუნწიანი სატევარი. ხობის ტაძარი მდებარეობს სოფ. ნოჯიხეთან, ხობიდან 3 კმ-ის დაშორებით. ის უგუმბათო ნაგებობაა. ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეები თავდაპირველად ცალკე ეკვტრებად იყო გამოყოფილი. უფრო გვიან ეკვტრები მთელ ცენტრალური სივრცეს დაუკავშირეს. დასავლეთისა და სამხრეთის ფასადებს მთელ სიგრძეზე მიუყვება ღია გალერეა, რომელიც სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში დახურული ეკვტრით მთავრდება. ტაძრის ფასადები უხვდაა მოჩუქურთმებული. შიგნით სხვადასხვა პერიოდის ფრესკებია (ბერიძე 1973: 63, 64). ტაძრის აგების თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა: XI-XII სს (დიუბუა დე მონპერე 1937: 107); X-XI სს (თაყაიშვილი 1914:134); XIII ს-ის ბოლო ათეული წლები (ბერიძე 1973: 78).

ბიბლიოგრაფია: ბერიძე 1973: 72-88; გამბა 1987: 106-128; გოულდენშტედტი 1962: 325; დადიანი 1962: 151; დას. საქ. საბ. 1921: 84, 87, 91, 92, 105; დიუბუა დე მონპერე 1937: 22, 105, 107, 108, 149; თაყაიშვილი 1914: 134; კასტელი 1976: 176; ლამბერტი 1991: 107; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 275; ქართ. სამართ. ძეგ. 1977: 684; ქრონიკები 1892: 34; ქც 4: 778,9,10,13; 818,9; შარდენი 1975: 110, 156.

ხოტაშვი (ქც 4: 764,4,7,სქ.2 ; 867,1; 869,19,20). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი

ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 764,4,7,სქ.2; 867,1; 869,19,20), XI ს-ის ნიკორწმინდის სიგელი (ქრონიკები 1897: 45-49; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 41), მეფე სოლომონ II-ის 1800 წ. ბრძანება მეპაჟეთა მიმართ (მესხია 1986: 367, 368), 1737 წ. ლიხთ-იმერეთის რუკა (ბურჯანაძე 1959: 186, 197), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 115, 131, 293), ჟაკ ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ (გამბა 1987: 192, 193, 200). ვახუშტი ბაგრატიონი ხოტაშვის შესახებ გადმოგვცემს: კვიტაშვილების „ციხეს ზეით, ხოტაშვის წყლის დასავლეთ, არს ხოტაშვი და ციხე მისი დიდი, დიდი-შენი, და სახლობენ აქა ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ“ (ქც 4: 764,3-6). მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპ-ში, ამბროლაურიდან 10 კმ-ის დაშორებით, თანამედროვე სოფ. ხოტაშვის ტერიტორიაზე.

წყაროებში მოხსენიებულია XI ს-დან (ქრონიკები 1897: 867). 1709 წ. იმერეთის მეფე გიორგი VI-მ ალყა შემოარტყა ხოტაშვის ციხეს (ქც 4: 869,19,20). სოლომონ I-მა (1752-1784) ხოტაშვის ციხე წულუკიძეებს უბოძა (გოულდენშტედტი 1962: 115). ხოტაშვი იყო წულუკიძეთა რეზიდენცია – ციხე და ეკლესია (კიკვიძე 1975: 23; სოსელია 1981: 44). XVIII-XIX სს-ში ხოტაშვი რაჭის ერთ-ერთი სავაჭრო და ადმინისტრაციული ცენტრი იყო (ქც 4: 764,3-6; მესხია 1986: 294).

ხოტაშვი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფელში შემორჩენილია ციხისა და ეკლესიის ნანგრევები. 1925-1926 წწ. ციხის ქვები მოსახლეობას სახლების ასაშენებლად გაუყიდა (ბოჭორიძე 1994: 145). ციხე დგას სოფლის თავზე, დიდ კლდეზე, მდ. ხოტაშვლას მარცხენა ნაპირზე. სამხრეთით შემორჩენილია კარიბჭის ნაშთი. გადმოცემით გალავნის შიგნით იყო წყლის დიდი აუზი. მასში წყალი შედიოდა თიხის მილებით. იქვე მიწაში ჩაფლული ყოფილა ქვევრი (ბერაძე 1983: 97).

სოფელში ორი ეკლესია მდგარა. მაცხოვრის დარბაზული ეკლესია 1676 წ. აუშენებია მერაბ წულუკიძეს თლილი ქვით კირსნარზე. ეკლესია 1924 წ. საძირკვლამდე დაუნგრევიათ და მისი ქვები გამოყენებიათ სკოლის მშენებლობისათ-



ხოტაშვი, დიუბუა დე მონპერეს მიხედვით

ვის, რომლის კედლებში კარგად ჩანს ჩუქურთმები და მოხატულობა. 1927 წ. გ.პოჭორიძის მიერ გამოვლენილი წარწერიანი ქვებიც სკოლის შენობის კედლებშია ჩაშენებული. მხედრულ წარწერაში მოხსენიებულია მერაბ წულუკიძე და მისი მეუღლე ანა ჩიჯავაძე, როგორც ეკლესიის მამულები და შემკულობის შემკვეთნი. მეორე 16 სტრიქონიანი მხედრული წარწერაა, სადაც მერაბ წულუკიძე აღნიშნავს, რომ რაჭა მისი გვარის საკუთრებაა და მან გააფართოვა თავისი სამფლობელო. წარწერაში მოხსენიებულია ლევან დადიანი, როგორც მრავალემიანი ქვეყნის პატრონი, რომელმაც ის გაზარდა (ბოჭორიძე 1994: 145, 146).

ხოტევის მეორე ეკლესიაც 1925-1926 წწ. დაუნგრევა მოსახლეობას სახლების ასაშენებლად (ბოჭორიძე 1934: 220-223).

ბიბლიოგრაფია: ბერაძე 1983: 89-91; ბოჭორიძე 1934: 220-223; 1994: 54, 60, 103, 108, 142-145, 148, 270, 380, 381; ბურჯანაძე 1959: 177-197; გამბა 1987: 191-193, 200; გიულდენშტედტი 1962: 115, 131, 293; თაყაიშვილი 1963: 47, 48; კიკვიძე 1975: 23; მესხია 1986: 294, 370; საქ. ისტ. რუკა 1923; სოსელია 1981: 44; ქრონიკები 1897: 45-49; 869,19,20; ქართ. ისტ. საბუთ. კორ. 1984: 41; ქც 4: 764,4,7,სქ.2; 867,1.

სოფოკა, ქალაქი (ქც 4: 689,10,13). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 689,10,13), მათიანე ქართლისა (ქც 1: 299,11; 304,12), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ქც 1: 333,15; 338,16), ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ (ჩელები 1971: 94), კარლ კოხის „მოგზაურობა რედუტ-კალედან ტრაპეზუნტამდე“ (კოხი 1981: 196, 199).

ვახუშტი ბაგრატიონი ხოფჯას შესახებ გადმოგვცემს: „გონიის დასავლეთ მოერთვის ზღუას მდინარე, ჭანეთში გამომდინარე ჭანეთის მთისა, რომელი მდებარებს ჭანეთსა და ფორჩხის ხეობას შორის, და მოდის ჩდილოთ. ამ მდინარის იქით არს ხოფჯა, ქალაქი მცირე, ზღვის კიდესა ზედა. აქ მოერთვის მდინარე ხობჯისა, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე“ (ქც 4: 689,7-12).

ხოფჯა ზოგჯერ იხსენიება სუფათის (ქც 1: 299,11, 304,12, 333,15, 338,16) ან ხოფას (ჩელები 1971: 94; კოხი 1981: 196, 199) სახელწოდებით.

ხოფჯა-სუფათი ლოკალიზდება თურქეთის რესპუბლიკაში. მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, თანამედროვე ქალაქ ხოფას ტერიტორიაზე (ინგოროფვა 1954: 204).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული ქ. პეტრა უნდა მდებარეობდეს ქ. ხოფას ტერიტორიაზე (გრიგოლია 1989: 70, 73, 75, 76, 81).

ხოფჯა-სუფათი წყაროებში იხსენიება V ს-ის მეორე ნახევრიდან, როცა ბიზანტიის იმპერატორ ლეონ I-სა (457-474) და ლაზიკის მეფე გუბაზ I-ს შორის დაიდო ხელშეკრულება და საზღვრად ბიზანტიასა

და ლაზიკას შორის ხუფათი დადგინდა (ინგოროფვა 1954: 204; გრიგოლია 1989: 78, 79). IX-XI სს-ში ხუფათი ქალდიას ქვეყანაში შედიოდა (ჯავახიშვილი 1983: 68). XI ს-ის 40-იან წლებში მეფე ბაგრატ IV-ემ (1027-1072) ხუფათის ციხეს ალყა შემოარტყა. XII ს-ის დასაწყისში ხუფათი საქართველოს სასაზღვრო პუნქტია და მეფე დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125) ის რამდენჯერმე მოინახულა (სიხარულიძე 1977: 7, 30). XVIII ს-ში ხუფათი ცნობილია ხოფჯას სახელწოდებით, მასზე გადიოდა მნიშვნელოვანი საგაჭრო გზა (ჭილაშვილი 1970: 115, 128, 170).

ხოფჯა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ბიბლიოგრაფია: გრიგოლია 1989: 37-81; ინგოროფვა 1954: 204; კოხი 1981: 196, 199; სიხარულიძე 1977: 7, 30; ქც 1: 299,11; 304,12; 333,15; 338,16; ქც 4: 689,10,13; ჩელები 1971: 94; ჭილაშვილი 1970: 115, 128, 170; ჯავახიშვილი 1983: 68.

ხულუტის ციხე (ქც 4: 322,10). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 322,10), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი 1981: 130), ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ (დადიანი 1962: 128,33), 1793-1795 წწ. არზა ყაფლანიშვილებისა მეფე ერეკლე II-სადმი (საქ. სიძ. 1909: 542; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 354). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ფიჭარეთის „ქუეით ერთვის ქციას ფოცხვერიანის-ხევი ... ქუეით მისა, ქციის კიდესა ზედა, ციხე ხულუტისა“ (ქც 4: 322,10).

მდებარეობს დმანისის მუნიცი-ში, მდ. ქციის მარცხენა ნაპირზე, ფიჭარეთის მონასტრის სამხრეთით (ზაქარაია 1973: 102; ხარაძე 1991: 73).

ხულუტის ციხე XVII ს-ის პირველ მესამედში ყაფლან ორბელიშვილს აუშენებია (ბერძენიშვილი 1979: 95). არ გამოირცხვენ ციხის არსებობას უფრო ადრეულ პერიოდშიც (ხარაძე 1991: 73). ციხე ორბელიშვილ-ყაფლანიშვილების რეზიდენცია და მთავარი დასაყრდენი იყო XVIII ს-ის შუა ხანებშიც (ჯამბურია 1955: 76-95). მასზე გადიოდა სამშვილდიდან თრიალეთს მიმავალი გზა (ბერძენიშვილი 1966: 72). ციხემ ფუნქცია დაკარგა XIX ს-ის დასაწყისში (ჯამბურია 1955: 95).

ხულუტის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ციხე ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით ღუბაზე. ციხე ორ მონაკვეთადაა გაყოფილი და მათ აერთებს შუაში მდებარე ეზო. ციხის კედლებში საბრძოლო და საცხოვრებელი დანიშნულების 5 კოშკია. მათგან გამოირჩევა ჩრდილო-დასავლეთის კოშკი, რომელიც ყველაზე დიდია. კოშკის ჩრდილოეთ ნაწილში 6, სამხრეთში კი 7 საცხოვრებელი სართულია. ბოლო სართულები საბრძოლო დანიშნულები-



ხულუტის ციხე

საა. კედლებში გაკეთებულია ბუხრები და ნიშები. აღნიშნულ კოშკს სიდიდით ჩამორჩება სამხრეთ-აღმოსავლეთი კოშკი. მისი 4 სართულიდან 3 საცხოვრებელია, მეოთხე საბრძოლო. მასში და კიდევ 2 კოშკში მოხვედრა შეიძლება ერთსართულიანი სადგომიდან გვირაბში გამავალი გზით. ამ სადგომსა და კოშკს შორის მოთავსებულია მოზრდილი წყალსაცავი. კოშკს აქვს სათოფურები, სარკმელი და ბუხარი. ჩრდილო-აღმოსავლეთის ცილინდრული კოშკი საბრძოლო დანიშნულებისაა. მეხუთე კოშკი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში და იცავდა ციხის მეორე შესასვლელს (ზაქარაია 1970: 44-51; 1973: 102-104; ბერიძე 1983: 109).

ბიბლიოგრაფია: ბერიძე 1983: 109; ბერძენიშვილი 1966: 72; ბერძენიშვილი 1979: 95; დადიანი 1962: 128,33; ზაქარაია 1970: 49, 50; 1972: 86-95; 1973: 102-104; ორბელიანი 1981: 130; საქ. სიძ. 1909: 542; ქართ. სამართ. ძეგ. 1985: 354; ქვ 4: 322,10; ხარაძე 1991: 73; ჯამბურია 1955: 17, 76-94.

სუნანო, ციხე (ქვ 1: 8,13; 12,2; 18,1; ქვ 4: 60,26,27), ციხე-ქალაქი (ქვ 4: 324,10-12), ქალაქი (ქვ 1: 31,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (ქვ 1: 8,11,13,სქ.2; 12,2; 18,1; 24,14; 31,19; 43,23; 55,8; 68,20), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 48,10; 49,3; 57,11; 60,26; 110,18; 134,21; 266,23; 309,10,14; 310,1,17,სქ.2; 312,2; 318,26; 324,10,12,20,24,სქ.2; 330,12,17,21; 408,26; 438,4; 446,3; 463,22; 472,10; 495,3; 498,29; 523,19; 556,6; 594,16; 616,1; 619,19,20; 620,13), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქვ 1: 145,22; 185,16; 199,4), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ქვ 1: 339,17), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქვ 2: 346,19; 367,8; 417,5,8; 430,14,15), სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (ჩხეიძე 1913: 25), XVIII ს-ის ქრონიკები (საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 54), „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი (ქართ. ცხ. 1953: 11), მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“ (ხორენაცი 1984: 106), ეპისტოლეთა წიგნი (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 97), უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომხეთიდან“ (უხტანესი 1975: 139), ოიანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“ (დრასხანაკერტელი 1965: 64), სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“ (ორბელიანი 1978: 25, 39, 40), ვარდან დიდის „მსოფლიო ისტორია“ (ვარდან 1861: 147), მხითარ აირივანეცის „ქრონოგრაფიული ისტორია“ (აირივანეცი 1990: 80); „პოლუდ აღ-ალემი“ (პოლუდ აღ-ალემი 1977: 23), აღ-ისთახრის (აღ-ისთახრი 1901: 19, 31, 33), აღ-მუქაღისის (აღ-მუქაღისი 1908: 3, 6, 17, 18), იბნ-ჰაუკალის (იბნ-ჰაუკალი 1908: 92, 101), იაკუთის (იაკუთი 1964: 52, 79), ჰამდალაჰ ყაზვინის (ჰამდალაჰ ყაზვინი 1977: 15) თხზულებები; გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 79, 189).

ვახუშტი ბაგრატიონისა და სენია ჩხეიძის მიხედვით ხუნანი ლოკალიზდება ქცია-მტკვრის შესართავთან (ქვ 4: 324,10-14; ჩხეიძე 1913: 25; ლორთქიფანიძე 1935: 378, 379). სხვა მოსაზრებით ხუნანი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდ. თაუზნაის ჩრდილო-აღმოსავლეთით, იქ, სადაც მტკვრის პირას აღმართულია მთა „თოფრან-კალა“, რომლის სახელწოდებაც ზუსტი თურქული შესატყვისია ხუნანის მეორე სახელწოდებისა – „მტუერის ციხე“, რაც ნიშნავს ალიზით, მიწით ნაგებ ციხეს. ასე უწოდებს ხუნანს ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი (ქართ. ცხ. 1953: 11; მუსხელიშვილი 1977: 157, 158). ნაქალაქარი ხუნანი ამჟამად მოქცეულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მდებარეობს თაუზის მუნიციპ-ში. ქ. თაუზიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 22 კმ-ის დაშორებით (ვაილოვი, გულიევი 1974: 278, 279).

ისტორიული ტრადიციის თანახმად, ხუნანის ციხე ააშენა ქართველთა ეთნარქმა ქართლოსმა (ქვ 1: 8,13). ალექსანდრე მაკედონელს ქართლში ლაშქრობისას სხვა ქალაქებთან და ციხეებთან ერთად ხუნანის ციხეც დახვედრია (ქვ 1:18,1). ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა (ძვ. წ. IV-III სს) შექმნა ხუნანის საერისთავო, ცენტრით ქალაქ ხუნანში (ქვ 1: 24,14). ვახტანგ გორგასალის ზეობისას (V ს-ის მეორე ნახევარი) ხუნანის ერისთავია ნერსარანი (ქვ 1: 185,16). ქალაქი განადგურდა მურვან ერუს შემოსევის (735-737) შედეგად. XVIII ს-ში ის ციხისა და დაბის სახით იყო შემორჩენილი (ქვ 4: 324,10-16). 1723 წ. ქართლის მეფე ვახტანგ VI და კახეთის მეფე კონსტანტინე (მაჰმად-ყულიხანი) ერთმანეთს ხუნანში უნდა შეხვედროდნენ. ვახტანგის ძმამ იესემ კონსტანტინეს აცნობა, თითქოს ვახტანგს მისი შეპყრობა სურდა. შეხვედრა არ შედგა. ამის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა (ქვ 4: 619,8-29, 620,1-17).

ხუნანის ძველი სახელწოდება ყოფილა „მტუერის ციხე“ (ქვ 1: 8,13). ვახუშტი ბაგრატიონი „მტუერის ციხეს“ „მტკვრის ციხედ“ მოიხსენიებდა და აღნიშნავდა, რომ იმხანად უკვე დაბად ქცეულ სიმაგრეს მაჰმადიანები „ქალის ციხე – ვიზყალას“ უწოდებდნენ (ქვ 4: 324,12,13). სომხურ წერილობით წყაროებში ხუნანი მოიხსენიება „ქუნანაკერტის“, „ჰუნანაკერტის“, „ჰუნანაკერტის“ ფორმით (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 97; ხორენაცი 1984: 106; უხტანესი 1975: 139; დრასხანაკერტელი 1965: 64). ქართლის ცხოვრების ძველ სომხურ თარგმანში ციხეს ეწოდება „თოფრან-კალა“ (ქართ. ცხ. 1953: 11). არაბულ წყაროებში ხუნანი ზოგჯერ იხსენიება „ათ-თურაბის“ ციხის სახელით (იაკუთი 1964: 52), რაც არაბულად ნიშნავს „მიწის ციხეს“ და თურქულ „თოფრან-კალას“ ზუსტი შესატყვისია (ვაილოვი, გულიევი 1974: 279).

1972 წ. ნაქალაქარის შესწავლა დაიწყო აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შექი-ზაქათალის არქეოლოგოურმა

ექსპედიციამ. ნაქალაქარი განლაგებულია გეგმაში ოვალურ, დაახლოებით 150 მ სიმაღლის მთაზე, რომელიც ყველა მხრიდან ბუნებრივადაა დაცული. ნაქალაქარს უკავია 5,5 ჰა ფართობი. ნაქალაქარზე შემორჩენილია: ქვით ნაშენი სასიმაგრო კედლები და კოშკები; აფურის ნაგებობები; თიხის წყალსადენის მილები; ქვით ნაგები წყლის რეზერვუარები. გათხრებისას გამოვლინდა მრავალრიცხოვანი სადა და მოჭიქული კერამიკა, რომლებიც თარიღდება IV-XIII სს-ით. იქვე აღმოჩენილია შუა საუკუნეების სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ლითონის ნივთები, ქვის ხელსაფქვაეები, მინის სამაჯურები, ბეჭდები, მძივები, მონეტები და სხვ. (ვაილოვი, გულიევი 1974: 278, 279).

ბიბლიოგრაფია: აირიენი 1990: 80; ალისთარხი 1901: 19, 31, 33; ალ-მუქადისი 1908: 3, 6, 17, 18; ბერძენიშვილი 1979: 60; გიულდენშტედტი 1962: 189; დრასხანაკერტელი 1965: 64; ეპისტოლეთა წიგნი 1968: 97; ვაილოვი, გულიევი 1974: 278, 279; ვარდანი 1861: 147; იაკუთი 1964: 52, 79; იბნ-ჰაუკალი 1908: 92, 101; დოლოტიფანიძე 1935: 378, 379; მუსხელიშვილი 1974: 275-277; 1977: 153-158; ორბელიანი 1978: 25, 39, 40; საქ. ისტ. ქრონიკები ... 1980: 54; უხტანესი 1975: 139; ქც 1: 8, 11, 13, სქ.2: 12, 2; 18, 1; 24, 14; 31, 19; 43, 23; 55, 8; 68, 20; 145, 22; 185, 16; 199, 4; 339, 17; ქც 2: 346, 19; 367, 8; 417, 5, 8; 430, 14, 15; ქრონ. ცხ. 1953: 11; ქც 4: 48, 10; 49, 3; 57, 11; 60, 26; 110, 18; 134, 21; 266, 23; 309, 10, 14; 310, 1, 17, სქ.2: 312, 2; 318, 26; 324, 10, 12, 20, 24, სქ.2: 330, 12, 17, 21; 408, 26; 438, 4; 446, 3; 463, 22; 472, 10; 495, 3; 498, 29; 523, 19; 556, 6; 594, 16; 616, 1; 619, 19, 20; 620, 13; ჩხეიძე 1913: 25; ხორენაიცი 1984: 106; ჰამდალაჰ ყაზხვინი 1977: 23; ჰოდლდ ალ-ალემი 1977: 15.

ხცოსი (ქც 4: 345, 15) იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 345, 15), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1962: 177, 217), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 33).

მდებარეობს ხაშურის მუნიციპ-ში, ხაშურიდან აღმოსავლეთით 9 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფელ ხცისის ტერიტორიაზე.

ისტორიულ წყაროებში ხცისი მოიხსენიება XVIII ს-დან (ქც 4: 345, 15; გიულდენშტედტი 1962: 177, 217).

ხცისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ადგილ „ხარვეზში“ და „არაკანთხევიში“, არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად დოკუმირებულია გვიანი შუა საუკუნეების ნასოფლარები. 1946 წ. სოფლის მახლობლად, ადგილ „ვარცლებში“, მიწის დამუშავების დროს აღმოჩნდა ქვაყუთი, რომელიც შედგენილი იყო კარგად გათლილი ფილაქვებით;

მიცვალებული დაკრძალული იყო გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ. სამარხი თარიღდება ადრე შუა საუკუნეებით (სძა 1990: 462).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,5 კმ-ის დაცილებით დგას ნათლისმცემლის დარბაზული (14,3X15,5მ) ეკლესია (წვიმოეთის ეკლესია). თარიღდება XI ს-ით. ნაგებია მოყვითალო და მონაცრისფრო თლილი კვადრებით. სამხრეთით მიშენებულია კარიბჭე, ჩრდილოეთით – სამკვეთლო. ეკლესიის აღმოსავლეთის, სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში გაჭრილია თითო სარკმელი; ნახევარწრიულ აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს თითო წყვილი ნახევარწრიული ნიშია; დარბაზის კრძივ კედლებს ამკობს 3 წყვილი სამსაფეხურიაანი პილასტრი, რომლის პირველი საფეხურს ყვრდნობა კედლების დეკორატიული თაღები, ხოლო მეორემესამე საფეხურებზე კამარის საბჯენი თაღებია გადაყვანილი. აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფასადები შემკულია თაღებით. ლავკარდნები, თაღები, სვეტისთავები, სარკმელთა და შესასვლელთა საპირეები ორნამენტითაა შემკული. ეკლესიას აქვს 2 შესასვლელი: სამხრეთის კარიბჭიდან და დასავლეთიდან. ეკლესიაზე რამდენიმე ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია: აღმოსავლეთის ფასადზე – „სახელითა ღმრთისათა მე გლახაკჲმან ანანია ვიწყე შენებად წმიდასა ამას ეკლესიასა საყოფელსა წმიდაისა ნათლისმცემლისასა სალოცველად ადიღე ღმერთჲმან ძლიერისა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და ძისა მათისა გიორგი უფლისწულისა და მეფის ჩუენისა და სახსრად ცოლვილისა სულისა ჩემისათვის და მოსახსენებლად სულისა მშობელთა და მამათა ჩემითათვის ქორთონი იყო სკპ“; დასავლეთის ფასადზე – „წმიდაო ნათლისმცემელო შეიწყალე და ადიღე გურანდუხტ დედოფალი ორთავე შინა ცხოვრებათა უფალო იესო ქრისტე შეიწყალე და ადიღე შენ მიერ დამყარებული ბაგრატ აფხაზთა... და ყოველი კურაპალატი მოეც ძლიერებაი მტერთა ზედა ხილველთა და უხილველთა“; „ქრისტე შეიწყალე ანან მთავარეპისკოპოსი“; „უფალო იესო ქრისტე ძეო ღვთისა ცხოველისაო და წმიდაო ნათლისმცემელო შეიწყალე იოანე“ (შმერლინგი 1955; ბერიძე 1974: 146; სძა 1990: 460-462). სოფლის სამხრეთით 200 მ-ზე მდებარეობს ნაეკლესიარი (7X5მ), რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ღვთაების ეკლესიას უწოდებენ. ნაგებია ფლეთილი ქვით, ძლიერაა დაზიანებული. ეკლესია თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით.

წმინდა გიორგის ეკლესია დგას სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 2 კმ-ზე, ნასოფლარ მლუყურის სამხრეთით, სასაფლაოზე. ეკლესია დარბაზულია (11,5X6,5), ნაგებია ფლეთილი ქვითა და ხით; თარიღდება XIX ს-ით (სძა 1990: 462).

ბიბლიოგრაფია: ბაგრატიონი 1986: 33; ბერიძე 1974: 146; გიულდენშტედტი 1962: 177, 217; სძა 1990: 460-462; ქც 4: 345, 15; შმერლინგი 1955.



ჯავა (ქვ 4: 372,3,5). იხსენიება შემდეგ წრილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქვ 4: 372,3,5), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 41, 42), XIV, XVIII სს-ის ისტორიული საბუთები (ქრონიკები 1897: 183; დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 216, 255; საქ. სიძ. 1910: 447; ქართ. სამართ. ძეგ. 1972: 524), იოჰან გოულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გოულდენშტედტი 1962: 101, 103, 105; 1964: 65,67, 153).

მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე ჯავის მუნიციპ-ის ტერიტორიაზე.

ჯავაზე გადიოდა შიდა ქართლიდან დვალეთში მიმავალი გზა (ბერძენიშვილი 1966: 28). ზოგიერთი ავტორის აზრით, ჯავა არა მხოლოდ ერთი პუნქტის, არამედ მხარის სახელიც უნდა ყოფილიყო (გვასალია 1982: 41).

ჯავა არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ჯავის ახლომახლო ტერიტორიებზე ადრევე მიიქცია არქეოლოგთა ყურადღება. 1890 წ. მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების ექსპედიციამ (ხელმძღ. ვ.დოლბუჟევი) ჯავიდან 5 კმ-ის დაშორებით, სოფ. სტირფაზში ჩაატარა მცირე მასშტაბის გათხრები. 1924 წ. ა/კ სამეცნიერო ასოციაციის გადაწყვეტილებით სტირფაზში ჩატარდა არქეოლოგიური დაზვერვები (ხელმძღ. ე.პჩელინა). 1945 წ. ისტორიის ინსტიტუტის, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთობლივმა ექსპედიციამ დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა სტირფაზის სამაროვანზე. ამავე წელს ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და არქიტექტურის სამმართველოს ძეგლთა დაცვის განყოფილების სამხრეთ ოსეთისა და იმერეთის სამარშრუტო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ბ. კუფტინი) მცირე მასშტაბის სამუშაოები აწარმოა სოფ. სტირფაზში. 1948 წ. ისტორიის ინსტიტუტის სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ვ.გომბეჯიშვილი) სტირფაზში გათხარა რამდენიმე სამარხი. 1951-1955 წწ. ისტორიის ინსტიტუტის სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიური რაზმის და ლენინგრადის არქეოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღ. 1951-1953 წწ. ალ.კალანდაძე, კ.ლიუბინი, 1954 წ. ო.ჯავაზარიძე, 1955 წ. გ.ცქიტიშვილი) შეისწავლეს სოფ. მორგოს მუსტიეს პერიოდის სადგომი. 1955, 1964, 1973-

1978 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღ. 1955, 1964, 1976 წწ. ბ.ტეხოვი, 1973-1978 წწ. რ.გაგლოვეი) შეისწავლა სტირფაზის სამაროვანი და ნამოსახლარი. 1979 წ. იმავე ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღ. ბ.ტეხოვი) ჩაატარა არქეოლოგიური დაზვერვა სოფ. მორგოში, სადაც აღმოჩნდა ძვ. წ. II-I და ახ. წ. I-II სს-ით დათარიღებული სამაროვანი.

მორგოს მუსტიეს პერიოდის ღია სადგომი მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ლიახვის აუზში. აქ აღმოჩნდა მორგო ფორმის ანატექციები და მასიური ლამელეები. იარაღების დასამზადებლად გამოყენებულია ადგილობრივი ვულკანური წარმოშობის ანდეზიტი. შედარებით მცირეა კაჟისა და ობსიდიანის ნაწარმი (კალანდაძე 1956: 247; ლიუბინი 1958: 34; ჯავარიძე 1991: 22).

სტირფაზის ნამოსახლარი მდებარეობს სოფ. სტირფაზში, „შარშიაჲ კაძახის“ მთის წვერზე. ფენა მთლიანად განადგურებულია. ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც შეინიშნება გვიანბრინჯაოს პერიოდის დასახლების კვალი, მთლიანად ჩარეცხილია მდ. ლიახვის ხეობაში, რის გამოც შეუძლებელია დასახლების ტიპის დადგენა. სავარაუდოდ, საცხოვრებელი სახლები მორგო ფორმის, წნული ან ხისგან ნაგები უნდა ყოფილიყო. ნასახლარზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, სალესის, შურდულისა და ხელსაფქვავის ქვები, წიდის ფრაგმენტები, ცხვების ძვლები და სხვ. ნამოსახლარი ფუნქციონირებდა დიდი ხნის განმავლობაში: ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ჩათვლით (ტეხოვი 1974: 45; 1987: 71, 72).

სტირფაზის სამაროვანი მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე. იქ გამოიყოფა 2 პერიოდის სამარხები: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კრომლეხები და გვიანანტიკური-ადრე შუა საუკუნეების ორმოსამარხები. კრომლეხები წარმოადგენს 3,5-6 მ დმ-ის მქონე ქვის წრით გარშემორტყმულ ორმოსამარხებს, რომელთაც აქვთ შედარებით მცირე ზომის ქვაყრილები. კრომლეხებში გვხვდება ინდივიდუალური, წყვილადი ან კოლექტიური დაკრძალვის წესი. მიცვალებულები ესვენა მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე მოხრილი კიდურებით. ორიენტაცია არავითგვაროვანია:

თავით ჩრდილო-დასავლეთით, აღმოსავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამხრეთით და სხვ. ყველა სამარხში შეინიშნება ნახშირისა და ოხრის კვალი. სამარხებში გვხვდება ცხვრისა და ხარის ძვლების ფრაგმენტებიც. სამარხებში გამოვლინდა: თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ნივთები, ქვისა და ძვლის იარაღები. კერამიკა წარმოდგენილია კარგად განვითარებული თიხისაგან ჩარხზე დამზადებული და მოშავო-მონაცრისფროდ გამოშვარია რამდენიმე ჭურჭლით. მათ შორის გვხვდება: პირმოყრილი ქოთანის, ბიკონუსური ფორმის ქილა, ყურიანი კათხა. იქვე აღმოჩენილი თიხის კვირისტავი და სხვ. ბრინჯაოს ნივთები წარმოდგენილია: 6 მასრაგახსნილი შუბისპირითა და კვირთხის თავით; მთლიანადსმული სატყევი; თავგვია, დისკოსებური, პირამიდისებური და ლურსმნისებურთავიანი საკინძებით; ფირფიტოვანი სამაჯურებით; საკიდებით; 3 ოთხწახანა ნემსით; ბიკონუსური, სფეროსებური, კასრისებური ფორმის მიივებით და სხვ. ქვის ნივთებიდან გვხვდება სალეხი ქვა, მიივები. სამაროვანი თარიღდება ძვ. წ. XIV-XIII სს-ით (ტენოვი 1960ა: 145; 1974: 48).

